ОК 735/3

# ႱႠႵႠႰႧႥႤႪႭႱ ႱႠႫႭႧႾႤ

სრული აღწერაჲ ღუაწლთა

და

ვნებათა საქართველოს წმიდათა.

შეკრებილი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურღის სასულიერო აკადემიის კანდიდატის იმერიელის გობრონ (მიხაილ) პავლის ძის საბინინის მიერ.

პეტერბურღი.
ჩყპბ წელსა.

Дозволено цензурою. С.-Петербургъ 24 Февраля 1882 года.

Цензоръ, Архимандритъ *Арсеній*

Типографія Императорской Академіи Наукъ.
(Вас. Остр., 9 л., № 12.)

## წინასიტყუაობა

პატიოსანო მკითხველო. საქართჳჱლოს ეკკლესიის დავრდომილებამ და სრულიად დამხობილებამ მისმან, მაიძულა დიდის გულსმოდგინებით დაბეჭდვაჲ ამ წიგნისა, რომელსა უწოდე სახელად «საქართჳჱლოს სამოთხე». წიგნისა ამის მეორე, არცა დაბეჭდილი, არცა ხელნაწერი არა სადა იპოების, ესრე ვრცელი და სრული, ვითარ ეს წიგნი. თუ მკითხამ, სადა შევკრიბე ეს მოთხრობანი, ანუ რა ალაგიდგან ვიპოვე იგინი და ვინ უყჳნეს შემწენი ჩემნი — ამათა პასუხთა ზედა მოგახსენებ: რამეთუ წიგნისა ამის შეკრება და დაბეჭვდაჲ მსუროდა ადრე ჭაბუკობიდგანვე ჩემისა, ოდეს ვსწავლობდი კლ. გიმნაზიასა შინა ტფილისს. იქვე შეუდეგ მე ამ ფრიად ძნელსა და შეუძლებელსა საქმესა; ამისათჳს ადრეთვე შეუდეგ ჩჳჱნის ეკკლესიების და მონასტრების მოხილვასა და არა რაჲ განეპარებოდა თჳალთა ჩემთა, რაცა შეეხებოდა ჩემს სურჳლსა და აზრსა — მრავალი დარჩომილი კეთილი ვნახე, მრავალი სიწმიდე მოვილოცე, მრავალი პატიოსანი ქართჳჱლი პირი ვნახე, ვისწავე და ვირგე მათგან და რომელთა კეთილად მოვიხსენ მარად და აგრეთვე მრავალ უკე-თურს და მეძავი და განრყვნილ გონებით კაცს შევხვდი — მგელნი ტყავთა შინა ცხჳართასა, — რომელთა ვერიდები მარად და რომელნი მამულთ მო-ყჳარეობით, მოღჳაწეობით ჩჳჱნის საცოდავი ეკკლესიისათჳს და ყოვლის ფრივ მსახურობით იქებენ თავთა თჳსთა — სიტყჳთ ძლიერნი, მოქმედებით მცირენი; ემსგავსებიან იგინი უნაყოფოსა ხესა, რომელიც მოიკჳჱთების და ცეცხლსა ზედა დაუშრეტელსა დაიდვების —. მჳდი ოდენ წელი მომინდა ამ

მხატრობანი, რომელნიც აქა არიან —, უწყის ღმერთმან და ჩემმან უკანასკნელ-მან ჟამმან, რამეთუ დიდი ჭირი და იწროება ვნახე მე ამ წიგნის შედგენასა შინა და უმეტეს დაბეჭდვასა შინა, ვერ აღურიცხამ ყოველთა, ვითარ კაცი შევმრწუნდი და ლამის სასოწარკუჱთილებას არ მივეცი თავი ჩემი — არა ვინ მეუანდა ქართუჱლთაგან შემწედ და გულ დამწველი, არამედ მრავალნი მტრად და მომიმულეს ცუდათ — აქ მოვიხსენო სიტყუანი ქართლის ცხოვ-რებისანი გუჱრდი 260, მეთხუთმეტე ტრიქონისა და ქუჱმოთა.

რაჲცა ძალმედვა სასულიერო სასარგებლოდ, სულ ყოველი აქ მო-ვიხსენე. და შენცა გევედრები ჰატიოსანო მკითხველო და მსმენელო თუ გონებით, თუ წერილით რაჲმე იცოდე მეტი ამისა, ღონის მიებით და გულს მოდგინებით შეასრულე და მიუმატე, რათა არა წაირყუნას წმ. ენა ჩუჱნი და წმ. მამათა მოხსენებული და აღჭურვილი სულიერითა გონებითა და ტროფიალებითა, რათა არა დაგვკარგოდა საქართუჱლოთა წმიდათა ცხო-ვრება. მჭვრ. ტელი ვინაჲდგან მრავალნი არიან ჩუჱნთაგანნი და უცხოთესლნი, რომელთა ჰნებავთ ჩუჱნის მშუჱნიერისა და ღუთივ საყუარელისა ენისა მოს-პობა, თუ ვითარმედ იქმნება წიგნსა ამას შინა შთაწერილნი, ამისთჳს არ-ღარა შესამლებელ არს დაკარგუად მშუჱნიერთა და გონებას ზესთა აღმყუა-ნელთა მოთხრობათა; ამის გამო გთხოვ დიდის მოწიწებით, რათა არა უარ ჰყო მოხსენება ჩემი და ინებო შთამატება თუ რაჲმე ვრცელი ამათ მოთ-ხრობათა იპოვო სადმე და ამასთან მომიტევო შეცთომილებათათჳს, რომელ-ნიცა იპოებიან წიგნსა ამას შინა და თუ გნებოს ლოცუა ჰყავ ჩემთჳს, რათა მივემთხჳო წმიდათა ჩუჱნთა, მეოხთა და მჭირუჱლთა ჩუჱნის მამულისა და ეკკლესიისა.

პეტერბურღი წელსა ჩყპბ.

იმერიელი კანდიდატი გობრონ:
(მიხაილ) საბინინი.

# სარჩევი.


გჳერდი.

ა) ჭეშმარიტი აღსარება მართლისა სარწმუნოებისა, თქმული მაქსიმე აღმსარებელისა.

1) მოთხრობა მიძინებისა ყ͞დ. წმიდისა ღ͞თის მშობლისა, თქმული წ. მ. ნ. ვასილისა . . . . . 1— 23

2) მიმოსლვა და ქადაგება ყ͞დ ქებულისა და დიდებულისა მოციქულისა ანდრეასი . . . 24— 47

3) წამება წმ. მთავარ-მოწამისა გიორგისა . . . . . 48— 58

4) მოთხრობა საკჳრველებათა წმ. მთავარ-მოწამისა გიორგისა . . . . . 59— 68

5) საკითხავი სჳეტისა ცხოველისა, კჳართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკკლესიისა. 69—118

6) ცხოვრება წმ. მოციქულისა ნინასი . . . . . 119—155

7) დაუჯდომელი წმ. მოციქულისა ნინასი . . . . . 156—168

8) წამება წმ. პირველ მოწამისა საქ. ეკკლესიისა რაჟდენისა . . . . . 169—180

9) წამება წმ. მოწამისა შუშანიკისა . . . . . 181—192

10) ცხოვრება ღირ. მამათ მთავრისა იოანნე ზედაძნელისა. . . . . . 193—208

11) ცხოვრება წმ. მღდელთ-მთავრისა ისე წილკნელისა . . . . . 209—212

12) წამება წმ. მღდელ-მოწამისა აბიბოს ნეკრესელისა. . . . . . 213—216

13) ცხოვრება წმ. მღდელთ-მთავრისა იოსებ (ამბა) ალავერდელისა . . . . . 217—218

14) ცხოვრება ღ. მამისა შიო დიდისა, საკჳრველთმოქმედისა . . . . . 219—264

15) ცხოვრება ღ. მამისა დავით გარესჯელისა. . . . . . 265—286

16) პარაკლისი ღ. მ. დავითისა. . . . . . 286—291

17) ხსენება ღირსთა მამათა დოდოს და ლუკიანე გარესჯელთა . . . . . 292—

18) ცხოვრება ღ. ანტონ მარტომყოფელისა. . . . . . 293—295

19) პარაკლისი ღ. მ. ანტონ მარტომყოფელისა. . . . . . 296—300

20) მოკლე მოთხრობა ღ. მამათა მოწაფეთა ღ. მ. იოანნე ზედაძნელისათა: სტეფანე ჴირსელისა, ზენონ იყალთოელისა, თადეოს სტეფან წმიდელისა, ისიდორე სამთაველისა, პიროს ბრეთელისა და მიხაილ ულუმბელისა. . . . . . 301—302

21) ცხოვრება და წამება წმ. მღდელ-მოწამისა ნეოფიტე ურბნისელისა . . . . . 303—312

22) წამება წმ. მოწამისა ევსტათი მცხეთელისა. . . . . . 313—322

23) წამება წმ. მოწ. დავით და კონსტანტინე მთავართა არგვეთისათა . . . . . 323—330

24) წამება წმ. მოწამისა მეფისა არჩილისა . . . . . 331—332

25) წამება წმ. მოწამისა აბოსი. . . . . . 333—350

26) წამება წმ მოწამეთა ასაკ და იოსებისა. . . . . . 351—362

გუერდი.

27) ცხოვრება და წამება წმ. მოწამისა კონსტანტინე მთავრისა. . . . . . . . . . . . . . 363—370
28) ცხოვრება ღ. მამისა ილარიონ ქართველისა. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 371—392
29) წამება წმ. მოწამისა გობრონ მიხაილისა და მოყუასთა მისთა . . . . . . . . . . . 393—400
30) ცხოვრება ღ. მამათა იოანნე და ევთიმისა და სხუათა წმ. მამათა მთაწმიდელთა . . 401—432
31) პასუხისგება ღირ. მ. ევთიმი მთაწმიდელისა. . . . . . . . . . . . . . . . . . . 432—436
32) ცხოვრება ღ. მ. გიორგი მთაწმიდელისა. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 437—488
33) ანდერძი ღ. მ. გიორგი მთაწმიდელისა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 488—
34) ცხოვრება წმ. დიდებულისა მეფისა დავით III აღმაშენებელისა. . . . . . . . . . . 489—512
35) ანდერძი წმ მეფისა დავითისა და გალობა სინანულისა მისივე. . . . . . . . . . . . 512—518
36) ძეგლის წერა კრებისა, რომელიც იქმნა ბრძანებითა დავით აღმაშენებელისათა . . . 518—530
37) წამება წმ. მოწამისა შალვა ახალციხელისა . . . . . . . . . . . . . . . . . . . 531—541
38) წამება წმ. ათთა ბევრთა მოწამეთა ტფილისს შინა. . . . . . . . . . . . . . . . 542—553
39) წამება წმ. მოწამეთა ქუაბთა ხევისათა. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 554—567
40) წამება წმ. ღირსთა-მოწამეთა გარეჯისათა. . . . . . . . . . . . . . . . . . . 568—579
41) წამება წმ. მოწ. მეფისა ლუარსაბისა. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 580—582
42) წამება წმ. მთავარ-მოწამისა ქეთევან დედოფლისა. . . . . . . . . . . . . . . . 584—598
43) წამება წმ. მოწამეთა ბიძინა, შალვა და ელიზბარისა. . . . . . . . . . . . . . . 599—609
44) წამება ღ. მოწამისა შიო ახლისა და ხუთთა მონაზონთა გარეჯისათა . . . . . . . 611—615
45) სიტყჳსგება ბერისა ევთიმე გრძელისა, სოსთენის მიმართ სომეხთ მოძღუარისა. 615—621
46) წამება წმ. მოწამისა სუქიოსი და მოყუასთა მისთა . . . . . . . . . . . . . . . 621—629
47) უწყება პეტროს მკარწყველისათჳს და ალაჯორისათჳს და ალაჯორთა მარხჳსა. . . . 629—631
48) უწყება სუბალის ძისა სუფსარქისისათჳს. . . . . . . . . . . . . . . . . . . . 631—633
49) თარგმნება სომეხთა წუალებათათჳს, თუ რომლითა შეიჩუენებიან სომეხნი . . . . 633—635
50) უწყება ღირსისა მამისა ჩუენისა დოდოსთჳს . . . . . . . . . . . . . . . . . . 636—639

## ა) ჭეშმარიტი აღსარება მართლისა სარწმუნოებისა, თქმული მაქსიმე აღმსაარებელისა [1]).

მრწამს ერთი ღმერთი მამა უშობელ და ერთი ძე და სიტყუა ღმრთისა, მამისაგან შობილი და ერთი სული წმიდა, მამისაგან გამომავალი; სამგუამოვნება, განყოფილი რიცხჳთ და თჳთებითა მით გუამოვნებისათა და განუყოფელი ღმრთაებითა, რომელ განიყოფიან განუყოფელად და შეიერთებიან შეურევნელად, ამისთჳსცა ვიტყჳთ სამგუამოვნებასა და ერთ არსებასა და ერთსა ბუნებისა ღმრთაებისასა, რომელ ზოგადი არს სამთავე ღმრთაება და საღმრთოსა ბუნებისა სახე; ხოლო თჳსი თჳთოეულისა მამისა მამობა უშობელი და ძისა ძეობა შობილი და სულისა წმიდისა გამოსვლა, რომელ არცა მამა შეიცვალების ძედ, ანუ სულად, არცა ძე მამად, ანუ სულად, არცა სული წმიდა მამად ანუ ძედ, რომელ თჳთებანი შეუცვალებელ არიან. ღმრთაებად აღვიარებ თჳთოეულსა.

სრული ღმერთი არს მამა, სრული ღმერთი არს ძე, სრული ღმერთი არს სული წმიდა, არამედ არა სამნი ღმერთნი, რამეთუ ერთ არს ღმერთი და ერთი ღმრთაება, სამითა გუამითა, თანა არსითა. არცა ბუნებითა განიყოფიან, არცა ადგილით, რამეთუ სადაცა არს მამა, მუნცა ძე და სული წმიდა და სადაც არს ძე, მუნ მამაცა და სული წმიდა (და სადაცა არს სული წმიდა მუნ მამაც და ძეც). სამებასა თაყუანისვცემ ერთ არსებით და ერთარსებასა სამებით და ერთ არსებასა სამგუამოვნებასა და სამებასა ერთარსებასა თანასწორსა და შეუსაბამოსა ჭსწორსა ძლიერებითა და პატივითა. ერთსა ღმრთაებასა აღვიარებ წმიდისა სამებისსა, ერთსა ბუნებასა, ერთსა არსებასა, ერთსა ძალსა, ერთსა ყოვლისმპყრობელებასა, ერთსა უფლებასა, ერთსა მეუფებასა დაუსაბამისა დაუსრულებელსა, დაუბადებელსა, უხილავსა, გარეშემოუწერელსა, მიუგონებელსა, უსაზღვროსა, უცვალებელსა, უგუამოსა, უვნებელსა, დამბადებელსა და მპყრობელსა და განმგებელსა.

ცისა და ქუეყანისა და ზღჳსა და ყოველთა ხილულთა და უხილავთა არა არსისაგან არსად მომყვანებელსა, შემოქმედსა და დამბადებელსა, რომელმან დაბადნა პირუტყუად ზეცისა ძალნი და მჴედრობანი ბევრეულნი აურაცხელნი, სიტყჳთა დაბადნა და სულითა წმიდითა სრულ ჰყუნა.

მერმე თქუა და იქმნეს ცა და ქუეყანა, ზღუა და ყოველი რა არს მას შინა, უკანასკნელ დაბადა კაცი ხატად თჳსად და მსგავსად, ესე იგი არს თჳთ მფლობელად თჳსითა ნებითა მიმომვლელად

1) რომელსა ზედა სრულიად თანახმა არს საქართუელოს ეკკლესია აქამომდე.

# ჭეშმარიტი.

და გამომრჩეველად, გინა თუ კეთილისა, გინა თუ ბოროტისა და დაადგინა იგი სამოთხესა მას ფუფუნებისასა.

ხოლო შურითა ეშმაკისათა ცთა და მოცემულსა მას მცნებასა ღმრთისასა, ნებსით გარდაკდა და გამოვიდა დიდებისა მისგან და საშვებელისა სამოთხისა და თანამდებ სიკუდილისა იქმნა და დაემორჩილა მტერსა მას განდგომილსა. არამედ არა უგულებელსა ჰყო იგი დამბადებელმან, ამისთჳს ჯერ იჩინა და ინება მხოლოდ შობილმან ძემან და სიტყუამან ღმრთისამან გამოუთქმელითა მით კაცთმოყუარებითა ნებითა მამისა და სულისათა ძიება დაბადებულთა თჳსთა: გარდამოკდა წიაღთაგან მამისათა ვინა იგი არა სადა განეშორა და დაიმკჳდრა საშო ყოვლად წმიდისა მის ქალწულისა სულისა მიერ წმიდისა და მიიხუნა მისგან ჴორცნი სულითურთ პირმეტყუელით და იშვა ღმერთი განკორციელებული, იშვა გამოუთქმელად და ქალწულება იგი დედისა დაიცვა განუხრწნელად, არა თავსიდვა შერევნა ანუ შეცვალება, არამედ რა იგი იყო ეგო და რა არა იყო იქმნა. შეიმოსა ხატი მონისა ჭეშმარიტად არა ოცნებით და ყოვლითურთ გვემსგავსა თჳნიერ ცოდჳსა, რამეთუ აღვიარებ მას საუკუნოდ და ჟამიერად დაუბადებელად და დაბადებელად უვნებელად და ვნებულად უკუდავად და მოკუდავად, იგივე ღმერთი და კაცი, არა თუ სხუა და სხუა, არამედ ერთი არს იგივე პირუელ განკორციელებისა და შემდგომად განკორციელებისა ერთი შეზავებული გუამი, ორითა სრულითა ბუნებითა და ორითა ბუნებათითა ნებითა და ორითა ნებითა და ორითა საქმითა ერთ გუამად შეერთებულთა უცვალებელად და შეურევნელად იგივე. ნებსით ინებებდა და იქმოდა საქმეთა საღმრთოთა, ვითარცა ღმერთი და იგივე ნებსით ინებებდა კაცობრივთა და უბრალოთა საქმეთა, ვითარცა კაცი; რამეთუ ბუნება უვნებელი და უსაქმო არა არს. არა იძულებით დამორჩილებულ იყო იგი ბუნებითთა თანა ნადებთა, რამეთუ ნებსით იშვა, ნებსით შეეშია, ნებსით მოეწყურა, ნებსით დაშურა, ნებსით ჯუარს ეცუა, ნებსით მოკუდა ჭეშმარიტად და არა ოცნებით.

ესე ყოველი ნებითა კაცობრივისა ბუნებისათა ყოველივე ბუნებითი და უბრალო წესი კაცებისა თავს იდვა, მერმე ჯუარს ეცუა, გემო სიკუდილისა იხილა უცოდველმან, დაეფლა და აღსდგა მესამესა დღესა, რამეთუ ჴორცთა მისთა ხრწნილება არა იხილეს და თანა აღადგინა ბუნება კაცობრივი, ამაღლდა ზეცად ბუნებითა მით კაცობრივითა და დაჯდა მარჯუენით მამისა და კუალად მომავალ არს განსჯად ცხოველთა და მკუდართა, რათა მიაგოს კაცად კაცადსა საქმეთა მათთა ებრ, ოდეს იგი ბრძანებითა მისითა და სცეს მთავარ ანგელოსმან საყვირსა და აღდგენ მკუდარნი და გამოვიდენ სამარეთაგან, მაშინ რომელთა დაიმარხეს მართალი (ესე) სარწმუნოება და ჰქმნეს საქმენი კეთილნი, წარვიდენ ცხორებად საუკუნოდ: ცოდვილნი და შეურაცხის მყოფელნი მართლისა სარწმუნოებისანი სატანჯველად მიეცნენ საუკუნოდ. ამას ზედა აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა წყალისა მიერ და სულისა განმწმედელსა ყოვლისავე ბრალისა, სულისა და ჴორცთასა. ვეზიარები უხრწნელთა ქრისტეს საიდუმლოთა და მრწამს, ვითარმედ არს ჭეშმარიტად ჴორცი და სისხლი ჩუენთჳს განკორციელებულისა სიტყჳსა ღმრთისა, რომელმან მოგუცა ჴორცი და სისხლი თჳსი მოსატევებელად ცოდუათა.

შევიწყნარებ ყოველთა წესთა ეკკლესიისათა, დაწესებულთა მოციქულთა მიერ და წმიდათა კრებათა. თაყუანის ვჰსცემ და ამბორს ვუყოფ პატიოსანსა ხატსა ქრისტესსა, რომელ სახე არს განკორციელებისა მისისა, თაყუანისვჰსცემ ძელსა პატიოსანსა ჯუარისასა და ყოველთა სამღუდელოთა ჭურჭელთა, წმიდა სახარებასა და წმიდა ბარძიმსა და რაცა შეეხების დიდებულთა მათ საიდუმლოთა და წმიდათა ეკკლესიათა მის ძლით, რომელმან ჯერ იჩინა ჩუენთჳს ჴელით ქმნულთა ტაძართა შინა და-

მკჳდრება. თაყუანისვჰსცემ ხატსა ყოვლად წმიდისა ღუთისმშობელისასა და ყოველთა წმიდათასა, სიყუარულისათჳს მხოლოსა ღუთისა და არა ივერთა მათ წამალთა შინა დაუტეობთ გონებასა, არამედ სულიერთა თუალითა აღუამაღლებ პირმშოთა მათ სახეთა მიმართ. და თაყუანისვჰსცემ და პატივსვჰსცემ ნაწილთა წმიდათასა, რამეთუ აქუს მათ ღუთისა მიმართ ძალი სიწმიდისა; ესრეთ მრწამს, ესრეთ აღვიარებ, ესრეთ ნათელღებულვარ და ყოველთა მწუალებელთა და ყოველსა წუალებასა შევაჩუენებ. შევიწყნარებ და პატივსვჰსცემ წმიდათა კრებათა ნიკიისა სამასათურამეტთა წმიდათა მამათა და კონსტანტინეპოლის ასორმეოცდა ათთა წმიდათა მამათა, ეფესოს პირუელთა ორასთა წმიდათა მამათა, ქალკიდონს ექუსას ოცდა ათთა წმიდათა მამათა, კონსტანტინეპოლისა კუალად ას სამეოცდა ხუთთა წმიდათა მამათა, კონსტანტინეპოლისა მესამისა ას სამეოცდა ათთა წმ. მამათა და ნიკიას მეორისა სამას სამოცდა შჳდთა წმიდათა მამათა და სხუანიცა, სადა რომელ იქმნეს კრებანი დამამტკიცებელნი მართლისა სარწმუნოებისანი, რომელიცა კათოლიკე ეკკლესიამან შეიწყნარა და რომელნიცა წმიდათა მათ კრებათა შეიწყნარეს, შევიწყნარებ და რომელი მათ შეაჩუენეს, შევაჩუენებ და ვადიდებ და უგალობ და თაყუანისვჰსცემ მამასა და ძესა და სულსა წმიდასა, რომელსა ჰშუენის დიდება პატივი და თაყუანისცემა მარადის და უკუნისამდე ამინ.

---

ხოლო რა იგი შეემთხჳა ბილწთა მათ არიოსს და სავლელიოზს, სიტყუასა მას შინა წმიდისა სამებისასა, იგივე შეემთხჳა ნესტორს და სევეროსს, სიტყუასა მას შინა ქრისტეს განკაცებისასა, რამეთუ სავლელიოზს შერევნა ეუცნა ღუთაებისა და ამისთჳს ერთსა გუამსა იტყოდა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა. ხოლო არიოს უსჯულო ჰგონებდა თუ სავლელიოზს წინა აღუდგების და იგიცა ბოროტსა კაპანსა შთავარდა და სამნი არსებანი განყოფილნი ბუნებით იკადრა თქმად წმიდისა სამებისა. ხოლო წმიდამან ეკკლესიამან სამეუფო გზა გამოირჩია და განაგდო შერევნა სავლელიოზისი და განყოფა არიოსისი და ჰქადაგებს წმიდა სამება სამგუამოვნებით და ერთ გუამოვნებით არა იტყჳს, არამედ ერთ არსებად აღიარებს, არა სამთა არსებათა იტყჳს; ეგრეთვე ქრისტეს განკაცებასა უჰსჯულო იგი ნესტორ, ორთა გუამთა და ორთა პირთა იტყოდა. ხოლო სევეროს და მისთანანი იგი უკეთურნი ერთსა ბუნებასა იტყოდეს და ორნივე ნაწილ ეშმაკისა იქმნეს. ხოლო კათოლიკე ეკკლესიამან სწორად განაგდო ნესტორის განყოფა და სევეროსის შერევნა და ჰქადაგებს ერთსა გუამსა და ერთსა პირსა ქრისტეს და ორთა ბუნებათა გუამოვნებით შეერთებულთა შეურევნელად და განუყოფელად და ერთსა ქრისტესა აღიარებს ძესა ღუთისასა ჩუენთჳს განკაცებულსა უფლისა იესოს ყოველთა მაცხოვარსა. აწ უკუე ნესტორიანი აბრალებენ წმიდა მას კრებასა შერევნისათჳს, რომელ ერთი გუამი ჰქადაგეს და ერთ პირად შეკრება თქუეს, ორთა ბუნებათა და კუალად სევეროზის მოწაფენი განყოფილებას სწამებენ ორთა ბუნებათათჳს და ორნივე შერცხჳლეულ და დაშეჩუენებულ არიან ნესტორიანნიცა და მოძღუარი მათი და სევეროს და მიმდგომნი მისნი ევტიქი, დიოსკორე, ტიმოთე, გაიანე, იულიანე, პეტროს მკარწყული და მმურკნელი [1] და ბარსნოფი და თეოდოსი და სხუანი ყოველნი მოყუასნი მათნი. ხოლო ჩუენ სარწმუნო მას მართლ აღსარებით ვაღვიარებთ, რამეთუ ჰქადაგეს ღმრთშემოსილთა მათ მამათ, სულისა მიერ წმიდისა და სწავლისაებრ მოციქულთასა ვიცით ერთი ქრისტე, ერთი გუამი, ერთი პირი, ორითა ბუნებითა, ღუთაებისა და კაცებისათა და

---

1) მგონია მარკიანე უნდა იყოს.

# ჭეშმარიტი აღსარება.

ვითარცა ყოვლად დიდებული წმიდა სამება განუყოფელ არს და შეურყევნელ, უფალი ჩუენი და მეუფე იესო ქრისტე ერთი იგი წმიდისა სამებისა.

ხოლო ვინაჲთგან წინა აღმდგომნი იგი ჩუენნი და მბრძოლნი ჭეშმარიტებისანი გვეტყვიან, თუ ახალი სიტყუაჲ შემოიღო ქალკიდონის კრებამან, ორი ბუნება და პირველნი მამანი არა ესრეთ იტყოდეს; ამისთჳს წარმოვიხვნეთ შორის სიტყუანი მამათანი, რომელთა შეუძლოთ მოკსენებად, რათა საცნაურ იქმნეს, ვითარმედ პირველითგან კათოლიკე ეკლესია, ორთა ბუნებათა ჰქადაგებს ქრისტესა და ერთსა გუამსა და პირველად ყოველთასა მოვიღებ მოწამედ არა ერთსა ვისმე, არამედ სამას ათურამეტთა მამათა, რომელნი ჰსწამებენ, ვითარმედ არა ერთარს გუამი და ბუნება, არამედ გუამი და პირი ერთარს (და), ბუნება და არსება ერთარს, რამეთუ მათ ჟამთა გამოჩნდა ღუარძლი იგი უჰსჯულოებისა არიოს და საველიოს, რამეთუ იგინიცა ეგრეთვე იტყოდეს თუ ბუნება და გუამი ერთ არს და საველიოს ერთსა გუამსა და ერთსა პირსა იტყოდა წმიდისა სამებისასა. ხოლო არიოს სამსა გუამსა და სამსა არსებასა იტყოდა; ამისთჳსცა ორნივე შეაჩუენნა წმიდამან კრებამან ნიკიისამან და განცხადებულად ჰქადაგა წმიდა სამება სამგუამოვნებით, ერთი ბუნება და ერთი არსება განუყოფელი და შეურევნელი. რამეთუ ესე ქრისტეს გუამოვნებისა თჳთება ვიცით, რამეთუ იგი მხოლო არს ღმერთი და კაცი. ხოლო დაღაცათუ განკორციელდა სიტყუაჲ ღმრთისა, რამეთუ არა შეიცვალა ბუნება მისი, რამეთუ შეცვალება ვნება არს. ხოლო უვნებელ იგი უცვალებელ არს, რომელ არცა ბუნება მისა იცვალა ღმრთაებისაგან და არცა მეტობა რამე მოვიდა მის ზედა და არცა გუამი იგი ძისა ღმრთისა იცვალა, რამეთუ ძედ ღმრთისავე ეგო დაღაცათუ ძე კაცისა იქმნა და მან თავადმან იშენა თავსა თჳსისა ტაძარი იგი კორცთა სულიერითურთ გონიერით და თავი თჳსი გუამ ჰყო კორცთა მათ წმიდათა და თავსა შორის თჳსსა შემზადნა იგინი; რამეთუ საცნაურ არს, ვითარმედ განკურვებასა შინა რკინისასა გინა შეშისასა, ორისა საქმისა ჯერ არს გულის კმის ყოფა, რამეთუ განკურვება ითქმის განკურვებულსა მის ერთითა სახითა, რამეთუ რკინა იგი გინა თუ შეშა ცეცხლად პირველ ყოფილად შევალს და მიიღებს მისგან ცეცხლსა, არღა ყოფილსა და ქმნების ცეცხლისა მას გუამ.

რამეთუ რკინასა მას შინა პირველ ყოფილსა აღეგზნების ცეცხლი იგი, რომელი მიიღო პირველ ყოფილისა მისგან ცეცხლისა და იქმნების გუამი იგი რკინისა მის და მას შინა მყოფისა მის ცეცხლისა გუამი ერთ გუამად, რამეთუ არა თავით თჳსით აღეტყინა ცეცხლი იგი რკინასა მას შინა მყოფი, ანუ თუ შეშასა, არამედ მიზეზად გუამოვნებისა მისისა და განთჳსებულად სხუათა ცეცხლთაგან შემზადებასა რკინა იგი, ანუ თუ შეშა, ქმნა მას და არს ერთი გუამი რკინისა მისდა ცეცხლისა მის, მას შინა მყოფსა. ხოლო ითქმის სხუათაცა სახითა განკურვება და მოტყინარეობა რკინისა, გინა შეშისა, რამეთუ განკურვებული იგი რკინა ანუ თუ მოტყინარე იგი შეშა შეიწყნარებს ძალსა მას და საქმესა ცეცხლისასა. რამეთუ წულილი იგი ბუნება ცეცხლისა მისცემს ზრქელსა მას რკინასა თჳსისა საქმისა ძალსა აწ უკუე განკურვებასა მას შინა რკინა განწურილდების, ანუ თუ ცეცხლი განგრილდების და ითქმის განცეცხლება რკინისა, გინა შეშისა და არა თუ გარკინება, ანუ განშეშება ცეცხლისა, რამეთუ რკინა იგი, ანუ შეშა შეიწყნარებს საქმესა ცეცხლისასა. ხოლო უფლისა ჩუენისა იესო ქრისტეს თჳს ყოვლითურთ ვერ შემოვიღებთ ერთსა სახესა სრულიად მსგავსსა, რამეთუ ესე შეუძლებელ არს, არამედ რაოდენი საგმარ იყოს სახისა რასაგანმე გულის კმა ვყოთ და გუალად სხჳსგან სახისა მცირედსა აღვიღებთ და ესრეთ მრავლით კერძო და მრავალ სახედ გულის კმის ყოფასა საღმრთოსა მოვმადლებთ.

---

# Ⴇ. ႠႢႥႨႱႲႭႱႠ ႨႣ. ႣႶႤႱႠ ႫႨႺႥႠႪႤႡႠჂ. ႷႣ. ႼႨႱႠ ႶႨႱ-ႫႸႭႡႤႪႨႱႠ ႧႵႫႳႪႨ ႼႫႨႣႨႱႠ ႫႠႫႨႱႠ ႹႭႤႬႨႱႠ ႫႠႵႱႨႫႤ ႠႶႫႱႠႰႤႡႤႪႨႱႠ, ႧႠႰႢႫႬ ႨႢႨ ႠႶႥႨႣႭႣႠ ႵႭႴႷႠႬႨႧ ႦႤႺႠႣ.

რაჟამს სულისაგან წ̃ისა, ღ̃ის მშობელსა მარიამს გულისხმა ეყო ჟამი განსლვისა მისისა ამიერ სოფლით, მაშინ მხიარულ იქმნა სიბრძნითა საღმრთოჲთა, და ლმობიერად აღივსო სიყვარულითა და სურვილითა ცხორებისა საუკუნოჲსა, რომელ არს დაუსრულებელი დიდება ზეცათა სუფევისა, რომელსა დამკჳდრებად იყო, და ვითარცა არა ესრეთ იყო, რამეთუ ღ̃თისა დედა არს შესავედრებელ ქრისტიანობისა ტკბილი მოღუაწე, სიქადულ, სიხარულ, საღმრთო და სიმტკიცე და მყუდრო ნავთსაყუდელი, მეოხე და მოღუაწე ყოვლისა სოფლისა, შუამდგომელი ღ̃თისა და კაცთა, დედოფალი ცათა და ქ̃ყნისა, ორთავე ერთად შემაერთებელი. სიონს შინა მყოფი იყო და სამნი ქალწულნი მისთანა მყოფ იყვნეს მოწაფენი მისნი, შეჭურვილნი მადლითა მისითა და სანატრელნი ქცევითა, ხოლო მარიამ მოძღუარი მათი ამკული პირად პირადითა სათნოებითა, წმიდათა უწმიდესი და განკაფული მარადის ლოცუათა და მღვიძარებათა.

ესე არა განეშორებოდა საფლავსა უფლისა ყოვლადვე, ხოლო დღესა სამშაბათსა ჩვეულებისამებრ მივიდა საკმეველისა კმევად, დაასხა საკმეველი და აღანთო სამნი სანთელნი და მოიდრიკნა წმიდანი მუხლნი, აღდუღნა ცრემლითა მხურვალითა, აღიპყრნა ხელნი თჳსნი ვედრებად მისგან შობილისა ქრისტეს ღ̃თისა ჩ̃ნისა მიმართ მშჳდობისა ესრეთ: «ჰოი დამბადებელო ღმერთო, და უფალო ჩემო იესუ ქრისტე კაცთ მოყუარეო და მრავალ მოწყალეო, რომელი ეგე ხარ საყდართა დიდებისათა მჯდომარე, და აღმატებულთა ნიჭთა მამისათა და სულისა წმიდისათა, შემოქმედო ცათა და ქ̃ყნისაო და ზღუათაო, სახიერო ძეო ჩემო მეცნიერო ცხადთა და დაფარულთაო, შენ უწყი ყოველივე, ვითარი იყო ცხორება ჩემი საწუთროსა ამას სოფელსა შინა და წინასწარი ჩემი თუ ვითარი განშორებად არს სული ჩემი ხორცთა ჩემთაგან, შენვე იცი ვითარცა გნებავს, იყავნ-ნება შენი, ვითარცა ცათა შინა ეგრეთცა ქ̃ყანასაზედა, რომლისათჳსცა მხევალი და დედა შენი ვარ,

«ესე უწყი დაუსაბამო მამა შენი, წყალობით აღძარ ჩ̃ნ დაბადებულთა თჳსთათჳს; რათამცა არა მისცნა ადამიანნი მტერსა წარწყმედად, და მისდა სძლად სათნო მიყო ქ̃ყანასა ზედა, მომივლინა ანგელოზი წინაშე პირსა მდგომელი, რომელმან მახარა მე პირველად გიხაროდენი და კურთხევა, ვითარცა

შენ სიტყუა მისი მოვავლინა სულისა წმიდისა წინა მძღრობითა, და ჩუმგან ხორცსი შეისხნა ცხოვრებისათჳს ძეთა კაცთასა, რომელმან წარწყმედულნი მოიძივნა, შეცთომილნი მოაქცივნა, სნეულნი განკურნა, მონანულნი შეიწყნარნა, მკუდარნი აღადგინნა და გლახაკთა ნუგეშინისცა, და უკანასკნელ მოკუდა ჯუარსა ზედა ჭურიათა მიერ, საფლავსა დაიდვა, ვითარცა მკუდარი, მესამესა დღესა აღსდგა ღმერთი უკუდავი, ჯოჯოხეთი წარმოსტყუენა და პყრობილნი სულნი ნათლად აღმოიყუანნა და სამოთხე მიჭმადლა და ზეცას დაჯდა მარჯუენით მამისა და სულისა წმიდისა, და კუალად მოსლვად არს განსჯად ცხოველთა და მკუდართა. აწ ამის ყოვლისათჳს დიდება და თაყუანის ცემა მოწყალესა, სულგრძელსა, ქველის მოქმედებასა შენსა სულით წმიდითურთ; აწ მე ნუ დამიტევებ და ნუცა დამაგდებ, შემიწყალე დიდითა წყალობითა შენითა და ნებსით ვნებითა შენითა ჯერ იჩინე აღსასრული ჩემი და მომადლე, ვითარცა ჭურიათა არა განუზრახავს და მათიგანზრახვა არა აღუსრულება, რომელთა ხორცნი ჩემნი დაწყუნენ, არამედ ჰი ხორცთა ჩემთაგან შენ გამოხუელ და სულიცა შენი არს, არამედ აწ ისმინე ხმისა ჩემისა, და მომივლინე იოანე მახარებელი და მოციქული, რამეთუ მსურის ხილვად მისსა, რათა მოღუაწებაჲცა იზრუნოს ჟამსა განსლვისა ჩემისასა, ეჵა მაცხოვარო და მეუფეო დიდება შენდა».

და ვითარცა დაასრულა მხურვალედ ესე ვედრება, აჵა განეხუნეს ცანი და გარდამოხდა გაბრიელ მთავარ ანგელოზი და მივიდა ქალწულისა და ჰრქუა, «გიხაროდენ მარიამ რომელმან ჰშვე ღმერთი ჩუენი, ლოცუა შენი აღვიდა წინაშე ძისა შენისა და შეწირულ იქმნა, ამიერიდგან დაუტევებ სოფელსა ნეტარო და ზეცასა აღხვალ, რამეთუ ძისა შენისათაგან განწესებულ არს ყოფა შენი, შენ სუფევდ დაუსაბამოსა მამისა მიერ და სულისა წმიდისა, რომელი ერთობითა ჰგიეს უკუნ და ძისა შენისა მიერ ბრძანებულ არს ბეთლემს წარსლვა შენი», და მისცა ხელთა რტო ზეთის ხილისა; მაშინ მარიამ სიხარულითა აღივსო და მიიქცა ბეთლემად და თანა ჰყვანდეს სამნი (იგი) ქალწულნი მისნი მოწაფენი, და ვითარცა მიიწია განმხიარულდეს ბეთლემელნი მისლვისა მისისათჳს, და მისცეს კურთხევა და განუმზადეს განსასუენებელი; მაშინ ვითარცა შემწუხრდა დღე იგი სამ შაბათისა უბრძანა ქალწულთა სერობაჲ, და ვითარცა ისერეს, (უბრძანა) «მომართვით მე სასაკმეველი და სანთელნი აღნთებულნი, რათა ვილოცო. მაშინ დადგა ლოცუად და თქუა, «ჰოი უფალო იესო ქრისტე, რომელი ჩემგან განკაცენ (და), ისმინე ხმისა ჩემისა, და მომივლინე იოანე მახარებელი რათა ვიხილო და მისთანა წმიდანი მოციქულნი, და ყოველნი რომელნი შენს წინაშე მიცუალებულ არიან, და რომელნი აწ საფლავსა შინა არიან, რათა ვიხილნე, რათა იგინი ვადიდო და აღვამაღლო ყოვლად საგალობელი სახელი წმიდა შენი,» და ამას უბიწოსა ქრისტეს ამაღლებითგან ჰყვუა ხატი მაცხოვრისა, ტილოსა ზედა გამოსახული, თჳთ მინიჭებული ხელთაგან საღმრთოთა და ესრეთ მარადის ხედვიდის პირსა შუენიერსა ძისა თჳსისასა, დაჟამსა განსვლისა თჳსისასა ესრეთ აღასრულებდა ყოველსა ვედრებასა, წინაშე ხატისა არსებისას, სამნი სანთელნი აღანთნა და დაასხა საკმეველი სიხარულით და ცრემლით ილოცვიდა ვედრებით მღვიძარედ, მადლსა შესწირვიდა ღამესა განთენებადმდე, ნეტარი.

და ვითარცა განთენა დღე იგი იყო ოთხშაბათი და სიონად მიიქცა მოწაფითურთ და ჟამსა მეექუსესა კუალად საკუმეველი დაასხა და სანთელი აღანთო, ხელნი აღიპყრნა და თქუა, «რომელი ეგე შეიწირე მსხუერპლად მამისა შეიწირე ლოცუა ჩემი და შეიწყალენ დაბადებულნი შენნი ქმნილნი ხელთა შენთანი, რომელი კაცთ მოყუარე ხარ ვითარცა გაქუს დიდი წყალობა,» ესე წართქუა; ჰრქუა ხატმან ჷთისამან, «ნუგეშინინ დედაო, მე შენთანა ვარ», კუალად ჰრქუა მარიამ ქრისტეს, «იოანეს მოსლვითა ახარე სულსა ჩემსა, დაყოველითა მოციქულთა», კუალად ჰრქუა, «საფარველი მოციქულთა

და სიმტკიცე მათი შენ ხარ და იგინი არამე იხილნეს მე თჳთ ვიღჳწი შენთჳს ჵი მოღუაწეო! ყოველთა ჩემდამო მორწმუნეთაო, ჟამი მოახლებულ არს პატივისა შენისა, და ეგრეთ შევიწირე, ვითარცა დედა ხარ»; და ვითარ განისვენა მარიამ ლოცვისაგან, დაჯდა თჳსსა განსასვენებელსა ზედა.

Ⴋეყსეულად მოუვლინა უფალმან იოანე მახარებელი და ღ̃თის მეტყუელი ღრუბლითა ეფესოთ (ქალაქით) სიონად, წამსა შინა მოიწია და ხმაჰყო ხმითა მაღლითა. «მშჳდობა შენდა დედაო ღ̃თისაო, დედოფალო დაბადებულთაო და მხსნელო წყევისაო და მომნიჭებელო კურთხევისაო». ესმა რა (ესე) უბიწოსა მარიამს, აღივსო სიხარულითა, რამეთუ სწადოდა ხილვა მისი ვითარცა ბრძანება იყო ღ̃თისა მიერ შვილება მისა და სურვიელად ხმა ჰყო. «აჰა იოანე ძე ქუხილისა, აჰა იოანე ქრისტეს ჩემისა, აჰა სიბრძნით გამომეტყუელი სულისა საიდუმლოსა, შენდაცა მშჳდობა ქალწულო ღ̃თის მეტყუელო, და იხილა რა იგი უმეტესად აღივსო სიხარულითა და ესრეთ ჰგონებდა ვითარმეცა ქრისტე ეხილვა, და უბრძანა მას ლოცუა და წმიდამან დედოფალმან ილოცა, და მოიკითხნეს ურთიერთას, ვითარცა იტყვის დავით წინასწარმეტყუელი, «წყალობა და ჭეშმარიტება შეიმთხვივნეს სიმართლემან და მშჳდობამან ამბორს უყვეს ურთი ერთას»: და ამისა შემდგომად აუწყა იოანეს უწყება იგი ანგელოზისა მიერ მიცვალებისა მისისა, და უჩვენა რტო იგი ზეთის ხილისა, რომელი მოართვა ანგელოზმან, და ბრძანა სანთლისა მის განკაზმა და აღნთება სანთლებისა, და კმევა საკმეველისა, რამეთუ შეამკობდა სახლსა (მის), ვითარცა სასძლოსა პატიოსანსა შეწყნარებად სიძისა მის უკუდავისა და სახიერისა ძისა მისისა; რამეთუ მოელოდა სასოებითა მტკიცითა, მერმე მიხედნა იოანე მახარებელსა და ჰრქუა, რათა ორნი იგი სამოსელნი მისნი მისცნეს ორთა მათ ქალწულთა, რომელნი მსახურებდეს მას, და ამისა შემდგომად უბრძანა და განუწესა (მათ) თუ ვითარ შემურონ, ანუ სადა დამარხონ წმიდა იგი და ყოვლად უბიწო გუამი მისი.

Ⴃა ესრეთ მიწუა ცხედარსა ზედა თჳსსა დიდებული იგი დედა ქ̃სი ცხედარსა (მის), რომელი მის ჟამადმდინ ღამითი ღამედ სურვილითა ქ̃ე ძისა მისისათა ცრემლთაგან თუალთა მისთანა ბნელ იყო და ლოცვითგან და ვედრებათა მისთა განათლებულ იყო და კუალად ჰრქუა მარიამ იოანეს, «დღისა ამის და საიდუმლოჲსა ჩემისათჳს აქა მოგიყვანა მოძღუარმან ჩემმან და შენმან; ჵი მოღუაწეო ჩემდა მომართ, მარადის კურთხეულ არს ღმერთი, არამედ რომელმან შენ მოგიყვანა, მანცა არა ჯერ იჩინა ყოველთა მოციქულთა ხილვა ჩემი», ხოლო იოანე ჰრქუა, «არა ხოლო თუ მოწაფეთა შემოკრებს დღეს აქა ძე შენი, არამედ მათთანა მოწაფეთაცა ყოველთა კრებულთა ძლიერთა ცათა და ქუეყანისათა მოუწოდს შენდა ჵი სძალო უქორწინებელო მამისაო, საყდარო სამეუფოვო ძისაო ეჰა საყდარო სამებისაო», და ვითარცა ესე თქუა მეყუსეულად იქმნა ხმა ქუხილისა დიდისა და ღრუბელი ნიავისა მყუდროჲსა, აჰა ესე რა ვითარცა ცვარნი შუენიერნი, ღრუბელმან ღ̃თის მეტყუელნი წამსა შინა კიდეთგან შემოკრიბნა ერთობით სიონს შინა: Ⴎეტრე ჰრომით, Ⴎავლე ტიბერიით, Ⴋათე ზღჳთით, Ⴋარკოზ ალექსანდრიით, Ⴁართლომე თებაიდით: Ⴀნდრია, Ⴈაკობ, Ⴔილიპე, Ⴊუკა, Ⴑჳმონ. Ⴄსე ხუთნივე საფლავით აღდგეს და ყოვლნი სიონს შემოკრბეს ერთბამად, განვიდა იოანე მახარებელი და ღ̃თის მეტყუელი და მიეგება და მოიკითხნა იგინი და შეიყუანნა წინაშე წმიდისა და სანატრელისა ქალწულისა და ღ̃თის შმობელისა, არა ათორმეტნი ოდენ იყუნეს, არამედ სხუანიცა მრავალნი მოწაფენი მათნი და მოციქულებისა ღირს ქმნილნი, ვითარცა გვასწავებს დიდი დიონოსი არეოპაგელი, რომელნი მიცვალებასა მის წ̃ისა დედოფლისასა მოციქულთავე თანა ღრუბლითა მიიწივნეს სიონს; შევიდეს წინაშე მისსა და დედა ღ̃თისა მოიკითხეს და თაყუანისცეს, მაშინ მარიამ მსწრაფლ წარმოჯდა

ცხედარსა ზედა და ხმა ჰყო, «აჰა დღე ესე ჩემი სიხარულისა, ნუ უკუე დედათაგანმან ვინმე თქუას სიტყუა რაჲმე, მისაფერებელი დღეთა ამისთა, დღისა მისთჳს სიხარულისა ჩემისა ყოვლად ნუ იყოფინ, რამეთუ მე მნატრიან ენანი ყოველთა ადამიანთანი, ოდენ სიმდაბლესა ჩემსა ზედა მოხედვა ჰყო მაღალმან.» მაშინ პეტრე ხმა ჰყო, მშჳდობა შენდა დედაო მაცხოვრისაო პირველ საუკუნეთა ღმრთისაო, ხოლო მარიამ ჰრქუა «აჰა კლდე სიმტკიცისა და სასუფეველი საღმრთოსა სჯულისა, პავლე მოძღუარი ეკლესიათა და საფუძუელი მართლ მადიდებლობისა», და სხჳათა მოციქულთა აღმოუტევეს ხმა და ერთობით ღაღადჰყუეს. მშჳდობა შენთანა დედაო ქრისტესო, ნიჭო და სიქადულო ანგელოზთა და კაცთაო, (სიხარულო) სიყვარულო და ნათელო ცხოველთა და მკუდართაო. მაშინ მარიამ ჰრქუა, «მშჳდობა თქუენდაცა ჩინებულნო სულისანო, კაცნო ნათლისანო, მნათობნო სოფლისანო, მძლენო საცთურისანო, მკჳდრნო სასუფეველისანო, ძალნო სასუფეველისანო. მოწაფენო მოძღურისა სახიერისანო, ნების მყოფელნო სიტყჳსა ღმრთისანო: ანდრია საჩინოო მნათობო, იაკობ მრავალ ფეროო სულნელო: ფილიპე წყაროო მადლისაო მკურნალო სულისაო, ბართლომე მდინარეო სიბრძნისაო დიდებისა უაღრესო, იაკობ საუნჯეო საღმრთოსა სიტკბოებისა და წყალობისა, სჳმონ საკჳრველო სამებისაო ურჯულოებისა აღმომფხვრელო და სიმართლისა დამნერგველო, იუდა დაუღამებელო მთიებო, ცოდვსა ბნელისა მაოტებელო, და ქებისა უმეტესო, მატათა ზეგარდამო წოდებულ ნაცულად დაცემულისა აღდგომილო, ქადაგო მკუდართა აღდგომისაო, თომა უფსკრულო ღმრთაებისაო წინა მძღუარო მოციქულთაო, მარკოზ უხრწნელო დაუსაბამოსა ღმრთისა (ნების) ნიჭის მყოფელო, ლუკა პატიოსანო მარგალიტო უსასყიდლოო დამამტკიცებელო საკურთხევლისაო, კურთხეულარს მომავლინებელი თქუენი», დავითარცა სულიერი ესე ამბორისყოფა აღასრულეს და სიხარულით სავსენი მოწაფენი შეემთხჳვნეს და იგინიცა ულაღადებდეს, «რომელმანცა ჰშევ ღმერთი, აღგიარებთ შენ, რომელმან ცანი და ქუეყანანი შეაერთენ, გადიდებთ შენ, «რომელმან ანგელოზნი და კაცნი ერთ სამწყსო ჰყუენ, თაყუანისგცემთ შენ ქებულო, მადლი მარჯუენისა შენისა მოავრველ მეყავნ ჩუენ, სულით და ხორცით შეგვიწყალენ ჩუენ.

ხოლო სანატრელმან მან და ყოვლად წმიდამან ქალწულმან მარიამ აკურთხნა იგინი და აუწყუნა განსლვა მისი ამიერ სოფლით, მიუთხრა ხარება იგი ანგელოზისა მიცვალებისა მისისათჳს და უჩვენა რტო იგი დანაკის კუდისა, მოცემული მთავარ ანგელოზისა მიერ და ნუგეშინისცა მათ, განამტკიცნა და განაძლიერნა იგინი აღსრულებად კეთილისა მის ქადაგებისა, და ჰრქუა მათ; «გიხაროდენ შჳლნო და მეგობარნო და მოწაფენო ძისა ღმრთისა ჩემისანო, ნეტარ ხართ, რომელნი ესრეთ, სახიერისა ღმრთისა და მოძღურისა მოწაფედ ღირს იქმნენით, და ესე ვითართა საიდუმლოთა მსახურებაჲ გერწმუნათ და დევნულებათა და ვნებათა მისთა ზიარად გამოსჩნდით, რათა დიდებასაცა და სუფევასა მისისა ზიარებასა ღირს გყვნეს მეუფემან დიდებისამან, ვითარცა მან თავადმან აღგითქუაჲ და გიბრძანა თქუენ,» ესე ვითარი რათა კურთხევა დასწავლა შემსგავსებული დიდებისა მისისა წარმოუთხრა, მაშინ განიპყრნა ხელნი და იწყო მადლობად ღმრთისა და იტყოდა.

«მადლობ შენ მეუფეო ქრისტე ღმერთო ჩემო, ძეო მხოლოდ შობილო ღმრთისაგან ჭეშმარიტისა, რომელმან ჯერ იჩინე აურაცხელითა კაცთა მოყუარებითა შენითა; (და) სათნო ყოფითა მამისათა, და შეწევნითა სულისა წმიდისათა. განკაცებად ჩემგან მხევლისა შენისა, გაკურთხევ შენ მომცემელსა მაგას ყოვლისა კურთხევისასა და მომფენელსა ნათლისასა, გაკურთხევ შენ ყოვლისა მიზეზსა კეთილისა და ცხოვრებისა და მშჳდობისასა, რომელმან მოგუმადლე მეცნიერება შენი; დაუსაბამოსა მამისა შენისა და თანა დაუსაბამოსა და ცხოველს მყოფელისა სულისა წმიდისა».

Ⴂაკურთხევ შენ რომელმან (ესრეთ) შეიყუარე ცხოვრება კაცთა ვიდრეღა ჩუენთჳს სიკუდილი ჯუარსა ზედა თავს იდევ და აღდგომითა შენითა აღადგინე ბუნება ჩუენი ქუეყანისკნელთაგან ქუეყანისათა და ზეცად აღიყვანე და ადიდე დიდებითა გამოუთქმელითა, გაკურთხევ და ვადიდებ სიტყუათა შენთა, რომელნი მომცენ მე ჭეშმარიტებით და მრწამს, რამეთუ იყუნეს აღსრულება ყოველთა მათ თქმულთა შენთა ჩემდა მომართ», და ვითარცა დაიდუმა ყ͞დ წმიდამან და უფროსად კურთხეულმან ღუთის მშობელმან მადლობისა მისგან და ლოცვსა, იწყეს წმიდათა მოციქულთა ბრძანებითა სულისა წმიდისათა, უგალობდეს და აქებდეს, და აღამაღლებდეს, აურაცხელსა მის ძლიერებასა და სახიერებასა საღმრთოსა ქრისტეს მხსნელისა ჩუენისასა, და შეასხმიდეს უბიწოსა მას მშობელსა მისსა კაცად კაცადი, ვითარცა შემძლებელ იყუნეს და ვითარცა მოსცემდა მით სული წმიდა, და საკჳრველითა მით ღუთისმეტყუელებითა მათითა, უმეტესად მხიარულ ჰყვეს გული დიდებულისა მის დედოფლისა ქრისტეს დედისა. ამისსა შემდგომად აკურთხნა იგინი წმიდამან დედოფალმან ღუთის მშობელმან, (და) საღმრთოთა ნუგეშინისცემითა აღივსო გული მათი.

Ⴋაშინ იაკობ მღუდელთ მოძღუარმან თქუა. ესე განგებაჲ სძალო წმიდაო, რამეთუ მრავლითა ღუთის მეტყუელითათა აღივსო სიონს შინა ადგილი ესე და სენაკი შენი საცნაურთა და უცნაურთათა, რაჲმე არს საიდუმლო ხილვისა ამის და განცხადებულ არს ჭეშმარიტად, რამეთუ დიდებად შენდა შემოკრიბნა, შენგან შობილმან ქრისტემან ღმერთმან. მაშინ მარიამ ჰრქუა იოანეს მახარებელსა, «მნებავს მე რათა მაუწყოთ ვისა სცანით რამეთუ აღვესრულები, ვინ მოხვედით აქა და მოისწრაფეთ ჩემისა მიცვალებისათჳს.» იოანე თქუა ჰოი მოციქულნო ქრისტესნო და ძმანო საყუარელნო, ვითარ გვეუწყა სულისაგან წმიდისა ეგრეთ არწმუნეთ დედასა უფლისა და ღუთისა ჩუენისასა. Ⴎეტრე — თქუა (მე) რომს ვიყავ ცისკრისა ოდენ ჟამსა მესმა ხმა სულისაგან წმიდისა და მრქუა, ჟამი მოახლებულ არს დედოფლისა ქრისტეს დედისა მიცვალებისა, მსწრაფლ სიონსამცა ხარ მარიამისა თანა, და ვიდრე საკურთხეველისა აღვიდ (ოდი) წამსა შინა აღვიტაცე ღრუბლითა და შუა (ცისა და ქუეყანისა და ღრუბელთასა ვიყავ) ესე ძმანი ჩემთანა შემეწივნეს და ერთბამად ვითარცა ესერა ვიპოვენით აქა.

Ⴎავლე — თქუა მე არიმათიას ვიყავ სოფელსა ტიბერიელთასა და სულმან წმიდამან მრქუა მე, დედა უფლისა შენისა მიიცვალების მსწრაფლ სიონსამცა ხარ მარიამისა თანა, და ვიდრე ჯუარსა აღვიქმიდი წამსა შინა ვიპოვე აქა. Ⴈოანე — თქუა მე ეფესოს ვიყავ საკურთხეველსად აღვიდოდი წმიდად ჟამის წირვად, (და) სულმან წმიდამან მრქუა მე, დედა უფლისა შენისა მიიცვალების (მსწრაფლ) სიონსამცა ხარ მარიამის თანა, და ვიდრე კუარცხლბეკსა ჩამოვხდებოდი წამსა შინა აღვიტაცე და ვიპოვე აქა.

Ⴋარკოზ — თქუა მე ალექსანდრიას ვიყავ კანონსა ჟამის წირვისასა და ლოცვასა (შინა) ჩემსა, ვითარ ვეზიარე ხორცსა და სისხლსა ქრისტეს მხსნელისა ჩუენისასა, ბარძიმი ქუე დავდგი და ოლარსა აღვიხდიდი სულმან წმიდამან მრქუა მე, რასა ჰყოვნი, დედა მეუფისა შენისა მიიცვალების მსწრაფლ სიონსამცა ხარ მარიამის თანა და წამსა შინა ეგრეთ ვიპოვე აქა,

Ⴈაკობ — თქუა მე იერუსალიმს ვიყავ დავითისი წარმეთქუა, და ამას ვიტყოდი, «მოიხსენე უფალო დავით და ყოველი სიმშჳდე მისი», სულმან წმიდამან მრქუა მე, დედა მაცხოვრისა შენისა ზეცას მიიცვალების, მსწრაფლმცა სიონსა ხარ მარიამის თანა, და წამსა შინა ვიპოვე აქა.

Ⴋათე — თქუა მე ზღჳსა შინა ნავსა ვჯდეგ, ზღუა აღდგომილ იყო და ვიწჳრვოდით შეუჳსეულად

დაუჯდება იქმნა, და სულმან წმიდამან მრქუა მე, დედა უფლისა შენისა მიცვალებისა სიონსამცა ხარ მარიამისა თანა, დაწამსა შინა ვიპოვე აქა. Ⴁართლომე-თქუა მე თებაიდას ვიყავ ცისკრისა ჟამსა ვჯედ შორის კრებულსა ვასწავებდი და ქრისტესა ვქადაგებდი, (და) სულმან წმიდამან მრქუა მე, დედა უფლისა შენისა ხორცთაგან განვალს და ზეცას აღვალს, სიონსამცა ხარ მარიამის თანა, ვიდრე სიტყუჲს მიცემა მეგულვებოდა ჩემზედა ღრუბელი დადრკა და აღმიტაცა, წამსა შინა ვიპოვე აქა, Ⴀნდრია, Ⴈაკობ, Ⴔილიპე, Ⴊუკა, Ⴑჳმონ თქუეს, ჩუენ სამოთხეს ვიყუენით ყოველთა სულთა წმიდათა თანა, სულმან წმიდამან გურქუა, დედა სასუფეველისა და სამოთხისა აღმაშენებელისა და ჯოჯოხეთისა შემმუსრველისა ზეცას მიცვალების, ეგე ხუთნივე სიონსამცა ხართ მარიამისა თანა და ნუ ჰგონებთ თუ მკუდართა აღდგომა აწვე ყოფად არს, არამედ მადლისა ამისთჳს, რათა ცხოველთა ძმათა თქუენთათანა შეირაცხნეთ, ათორმეტობისა რიცხუსა, და გჳრგჳნითა აღმკულნი თანა მიიწივნეთ. და ვიდრე იგი იტყოდა, აჰა აღვიტაცენით ღრუბლითა ნათლისათა და გუამთა ზედა ჩუენთა მოვიწიენით სადაცა იგი დაფლულ ვიყუენით და უხილავად განვცხოველდით და მიერ ღრუბლითავე აღვიტაცენით და კუალად შევიერთენით და ამათ ძმათა თანა მოვიწიენით და ესე წამსა შინა იქმნა, და აჰა ესერა აქა ვიპოვენით.

Ⴃა სხუათა მოციქულთა თქუეს (რომელნი) ვინა უხილავად მოსრულ იყუნეს ყოველთა წარმოთქუეს ყოველივე და ერთობით მისცეს დიდება ღმერთსა.

Ⴋაშინ ყოველნი მოციქულნი ზარგანხდილ იქმნეს თუ ვითარ წამსა შინა კიდეთგან ქუეყანისათა ყოველნი ერთობით მოიცვალნეს, და ვითარ მოწაფენიცა მათნი მათ თანავე ერთ კრებად სიონს შემოკრბეს, არამედ დედისა ღმრთისა მადლისათჳს და ჯერ ჩინებულ იქმნეს და მისცეს დიდება ღმრთისა, რამეთუ მუნ იყო დიონოსიოს არეოპაგელი, იეროთეოს, ტიტე და ტიმოთე, და სხუანი მრავალნი მოწაფენი მათნი, და მოციქულისა მადლსა ღირს ქმნილნი, რომელნი შემდგომად თავთა მათ მოციქულთასა აღძრულნი სულისაგან დიდად ღმრთის მეტყუელებდეს, აქებდეს აურაცხელსა მას ძლიერებასა ღმრთისასა, შეასხმიდეს გალობითა საღმრთოთა დიდებულსა მას დედოფალსა, ქრისტეს დედასა. გუაუწყებს ზემო ხსენებული იგი დიდი დიონოსიოს, თავსა მას შინა, რომელ მიუწერა ტიმოთეს, რომელსა შინა იტყჳს, თუ რა არს ძალი ლოცვისა და მას შინა იხსენა შეკრება წმიდათა მოციქულთა, მიცვალებისათჳს წმიდისა ღმრთისმშობელისა, და ვითარ სულმან წმიდამან აღძრნა ყოველნივე ღმრთის მეტყუელებად და შესხმად ყოვლად წმიდისა ღმრთის მშობელისა, ხოლო ესე ყოველი რა წარმოუთხრეს მოციქულთა წმიდასა ღმრთის მშობელსა, მაშინ აღიპყრნა წმიდანი იგი ხელნი მისნი (თჳსნი) შეწირა ღმერთსა მადლობა და ქება და თქუა: «დიდება დაუსაბამოსა მამასა, დიდება დაუსაბამოსა ძესა, დიდება დაუსაბამოსა სულსა წმიდასა, რომელმან ესრეთ ნუგეშინისცა სულსა ჩემსა, რომელმან სახიერებითა მე თქუენ მიერ მნათობნო სოფლისანო», ვიკურთხევ სახელსა მისსა წმიდასა, რომელ ქუელის მოქმედ არს მხოლო მრავალ მოწყალე.

Ⴋერმე ჰრქუა მარიამ: ანდრიას, იაკობს, ფილიპეს, სჳმონს, ლუკას, «მნებავს რათა თქუენცა მაუწყოთ, თუ რომელთა ადგილთა დაფლულ იყვენით»; Ⴀნდრია თქუა (მე) ზღჳს კიდენი ბითჳნიისნი და პონტოისნი და თრაკეთისნი და რაკონელთა, ქუეყანა და სებასტელთა ქალაქსა მივედ დიდსა, სადაცა ასურიაელთა ბანაკი იყო, (აბხაზთა) და იმით ყოველთა ზედა ძესა შენსა ვქადაგებდი დაოდეს ჯუარსმაცუეს პატარასა (ქალაქსა) აქელთასა დავეფალ. Ⴈაკობ თქუა, მე ძე შენი ქრისტოს ვქადაგე (და) ჰეროდეს მიერ მახჳლითა აღვესრულე და დავეფალ აქა. Ⴔილიპე თქუა მე ფრიგვიას (ქალაქს

ვიყავ ძე შენი ვქადაგე, და ოდეს მოვკუჳდ, იერაპოლს დავეფალ: სჳმონ თქუა მე ელევთეროპოლის და გარემოს ვიდრე ეგჳპტედმდე ძე შენი ვქადაგე, და ოდეს ჯუარს მაცუჳს მეგჳპტელთა ქალაქსა დავეფალ ლუსტრას. მაშინ მარიამ თქუა, «ჰოი ვინმე არს მსგავს შენდა ყოველთა შორის იესო ქრისტე ღმერთო ჩუჱნო, ანუ რაჲ არს უქუჱლის მოქმედეს შენსა, რომელმან ესრეთ აღიდენ მოციქულნი შენნი ათორმეტნი სუჱტნი სამყაროსანი, სიმტკიცენი სოფლისანი, საყვარელნი მამისა შენისანი ნაშობნი მშობელისა შენისანი». (და) ესმა ჰურიათა საქმე ესე მოციქულთა და შეითქუნეს ესრეთ რათამცა ზაკჳთ მოუხდენ ზედა მოკლუად მოციქულთა, ხოლო დედისა ღუთისასა ეგულვებოდა (თ) დაწუა. ურიცხჳ კრებული მახჳლითა და წათებითა წარმოემართნეს და სლვასა შინა მათსა ფერხნი შეეკრნეს და თვალითა დაბრმენ და ენანი პირთა შინა მათთა დაებეჭდნეს და ურთიერთას სიტყუასა ვერღარა უგებდეს. მაშინ იყო ვინმე ერთი მათგანი სახელით ჭაბრამ უვნებელად დარჩა იგი, ამისთჳს რათა მოუყვასთა გზა ცხოვრებისა ასწაოს, და აღივსო გონებითა და ჰრქუა მათ, ჰოი უბადრუკნო, პირველვე გარქუ თქუჱნ, ვითარმედ მარიამ დედა (არს) ქრისტესი ჭეშმარიტად და მოწაფენი ქრისტესნი სულთა და ხორცთა მკურნალნი ვერცა აწ შეიგონეთ (ა), ვისთჳს თქუჱნგანიზრახეთ ბოროტი, მის მიერ თქუჱნ ზედა მოგეგო და მე მრწამს მარიამ ღუთის მშობლად და მოციქულნი ქრისტეს მოწაფედ. აწ უკეთუ თქუჱნ არა აღიარებთ, საღმრთოთა ზეცისათა ცეცხლითა დაიწვით, მე პირველვე ჭეშმარიტება აღვიარე მით, ღმერთმა დამიცუა.

მაშინ ყოველთა ხმა აღუტევეს ვაებისა და თქუჱს. ქრისტე გურწამს ღუთად და მარიამ ღუთის მშობლად და მოციქულნი მკჳდართა აღმადგინებლად; უფალო შეგვიწყალენ, უფალო შეგვინდენ ჩუჱნ, (მაშინ) სალმობათაგან განთავისუფლდეს და ჭაბრამს ჰმადლობდეს, მსწრაფლ სიონად მიიწივნეს და მარიამს ღუთის მშობელსა თაყუანისცეს და ყოველი განზრახუა მათი აღიარეს და რაჲცა იქმნა მათ ზედა მიუთხრეს. მაშინ ნათელ იღეს და მოიქცეს საუფლოთა ჯუარითა (და) განათლებულნი სახედ თჳსად მიიწივნეს და ადიდებდეს ღმერთსა. (და ვითარცა) დღე იგი ოთხ შაბათი შემწუხრდა იწყეს სერობად წმიდამან ღუთის მშობელმან და ათორმეტთა მოციქულთა, და მათანა მოწაფეთაჲ ყოველთა სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, რომელ მათშორის დამკჳდრებულ იყო სიბრძნითა ღუთისათა; მაშინ მარიამ ჰრქუა იაკობ მღუდელთ მთავარსა და ყოველთა მოწაფეთა, «მნებავს განსლვა გარეგან (ყოველთა მოწაფეთა) და ათორმეტთა ოდენ თავთა მოციქულთა ჩემთანა ყოფა», და ვითარცა ესრეთ იქმნა. ჰრქუა სძალმან უქორწინებელმან მარიამ, «ჰოი ზეგარდამო გამორჩეულნო ღუთისანო, ამისთჳს ვევედრე უფალსა თქუჱნსა აქა მოსლვისათჳს ჩემთანა, რამეთუ ჟამი აღსრულებისა ჩემისა მოწევნულ არს, და სულისა ამის ჩემისა, რომელი ჩემთანა დამარხულ იყო ხორცთაგან (ჩემთა) განსლვა უკუჱ ვიცი, ხოლო შემდგომად განსლვისა რაჲ ყოფად არს, არა უწყი.

აწ გევედრები მწყემსო მაგათ ცხოვართა მათ პირ მეტყუჱლთასა, სუჱტთა მაგათ სიმტკიცისათა და ღუთისა სასოებითა, რათა მოღუაწე მექმნათ უღონოებასა და სიმდაბლესა ჩემსა, მოიხსენეთ სიყვარული ძისა ჩემისა და ღუთისა და მოძღურისა თქუჱნისა, და ჟამი იგი ვნებისა მისისა ყოველთა დაბადებულთათჳს, ვითარ თქუჱნ შორის დამიტევა და ჟამსა ამაღლებისა მისისასა თქუჱნ შეგვედრა თავი ჩემი და უწყი სახარებაჲ მისი ჩემდა მომართ; ეგრეთვე თქუჱნ სახიერ და მოწყალე მექმნენით, რათა ვთქუა ანუ ძედ ჩემდა და სწორად მისსა, რომელმან გამომირჩივნა მან თჳთ. წამს ჩემთჳს ძეობაჲ ჩემი და მსგავსება ჩემი დაამტკიცა ჭეშმარიტად უკუნითი უკუნისამდე, იგი არს მოძღუარი თქუჱნი და ძე ჩემი, და თქუჱნ მოწაფენი საყუარელნი და ნების მყოფელნი მისნი, ძენი

ხართ ჩემნი. ცრემლით შეგევედრები და ვითხოვ თქუჱნგან, ევედრენით ჩემთჳს მოძღუარსა თქუჱნსა, რათა შემიწყალოს დიდითა წყალობითა მისითა და მშჳდობით ჯერ იჩინოს აღსრულებაჲ ჩემი; იგი წმიდა არს და თქუჱნცა წმიდა ხართ, ვითარცა იგი მფარველ არს ჩემი ეგრეთვე თქუჱნცა მფარველ მექმნენით, და კურთხევა და მადლი ზღუდე არს ჩემი, აწ აჰა ესერა სული და ხორცნი ჩემნი შეივედრენით, და შეიწყნარეთ, ვითარცა ძესა ჩემსა ეგრეთვე თქუჱნ გაქუს მშჳდობა და დიდი წყალობა». და სიტყუათა ამათ ზედა უმეტესად კურთხეულისა ღუთის მშობელისათა მძაფრად აღდუღნეს მოციქულნი ცრემლითა მხურვალითა და მერმეცა ცრემლეოდეს. მაშინ იოანე მახარებელმან სიღრმითა გონებისათა აღდუღებულმან ღაღად ჰყო, ესე დღე ესე საშინელი და შესაძრწუნებელი ჩუჱნ ცოდჳლთათჳს, მიმსგავსებული დღისა მის დიდისა ოდეს ნებსით სიკუდილსა მიეცემოდა სიკუდილისა მომაკუდინებელი უფალი, ზარისა განსახდელი მწუხარებისა ჩუჱნისა, და განსლვასა შენსა სოფლად ჩუჱნ ობლადვე დაგვიტევებ, არამედ ჩუჱნ დაგვიფარენ განსაცდელთაგან ჵი სულით და ხორცით კურთხეულო.

პეტრე და პავლე თქუჱს, რასა ესე სიმდაბლით მოხვალ მაღლისა მის ცათა დაუტევნელისა, ჩუჱნ გლახაკთა სიტკბოებათ ანგელოზთა და კაცთაო, ჩუჱნ რასა გუჱვედრები ესრეთ, რომელთა გიტჳრთავს დაბადებულთა სამძლევლი, რომელი ხარ მსგავს ძისა შენისა, მპყრობელი ცათა და მფლობელი ქუეყანისა, შენდა მოკიდებულ არიან სულნი ცხოველთა და მკუდართანი, ჩუჱნ შენ მიგავლენთ წინაშე ძისა შენისა მეხუაიშნედ ცოდუათა ჩუჱნთათჳს, და მშჳდობასა ყოველნი კაცნი შენგან ელიან დაცუასა და მოწყალებასა. შენ ხარ დედოფალი უცვალებელი გონებაჲ განუქარვებელი, შენ ხარ მშჳდობა და აურაცხელ დიდი წყალობაჲ; და სხუანი მოციქულნი იტყოდეს განგვიახლდეს სალმობანი და გარე მოგვადგეს ურვანი შენისა განშორებისათჳს: ჵი მიმსგავსებული დღესა მის, ოდეს ჩუჱნ განვიბნიენით, და ძესა შენსა ზედა მღუდელთ მოძღუართობდეს ანნა და კაიაფა და ხელმწიფებდეს პილატე და ჰეროდე, წარვედ უკუჱ წარვედ სავანეო მათ საუკუნეთა ძისა შენისათა, რამეთუ შენ გაქუს მშჳდობა და დიდი წყალობა.

მაშინ ბრძანა მარიამ, რათა ღამე იგი განათიონ მღჳძარებითა და ლოცუითა და გალობითა; და ადიდონ ჯუარცმა მხსნელისა, დაფლვა და აგდგომა და ზეცად ამაღლებაჲ მამისათანა და სულისა წმიდისა გარდამოსლვა, და უმეტესად აქონ მეორედ მოსლვა ქრისტესი, განსჯად ცხოველთა და მკუდართა; და ერთბამად შეკრბეს ყოველნი მოციქულნი, და იწყეს გალობად დიდითა გულს მოდგინებითა, და ჟამსა შუა ღამისასა გამობრწყინდა ნათელი თვალთ შეუდგამი წინაშე ხატსა მაცხოვრისასა, მაშინ მოციქულთა ხმა აღუტევეს სიხარულითა, ხოლო მარიამ ღაღადჰყო «ჵი ნათელო ნათლისაო, სულსა შენსა ნუ მიიღებ ჩემგან, რამეთუ ნათელ სხუა არავინ არს შენსა გარეშე» და ნათლისაგან გამობრწყინდა ბრძანება ესრეთ, ვითარმედ «ისმინეთ მოციქულნო და შეიგონეთ და ჯერისაებრ პატივსცემდეთ მიცუალებასა (დედისა) ჩემისასა. მარიამ ჰრქუა, «მსახურნო სიტყუისანო. აწ მნებავს რათა თქუჱნ მიერ, დიდებითა შეიმკოს ხატი ესე ძისა ჩემისა სასურველისა», მაშინ იწყეს ათორმეტთა, მოციქულთა, და მოწაფეთა მათთა ყოველთავე ლიტანიად მუხლმოდრეკით კირიელეისონსა, და ალილუიას მიმოგდებით დავითის ქნარითა, ხოლო პეტრე და პავლე ხელ აღპყრობით იტყოდეს გალობასა ძლევისასა ესრეთ. «ყოველთა დაბადებულთა დამბადებელსა, საუკუნეთა ხელმწიფესა, ცათა და ქუეყანისა მეუფესა ანგელოზთა და კაცთა მაცხოვარსა და ყოველთაგან ქებულსა და ამაღლებულსა, მხოლოსა ძლიერსა ღთსა, ცხოველს-მყოფელსა ღთსა, დაუსაბამოსა წმიდასა უკუდავსა, უხილავსა და სიმდაბლით ტვირთულსა, ბრწყინვალებისა შემოქმედსა და ნათელსა მხია-

რულსა თჳთ მნათობსა დაულამებელსა, ყოვლად მიუახრდილებელსა, დაუსრულებელსა, მოუგონებელსა, გამოუთქმელსა, გამოუკჳლეველსა, მიუწდომელსა, და დიდად შუენიერსა ყოვლისა მფლობელსა გალობით ვადიდებთ». Იაკობ და იოანე ეტყოდეს დიდება ძესა და სიტყუასა მამისა სიბრძნით სრულად მოსრულსა, და ქალწულისა მარიამისგან ხორც-შესხმულსა, ჩუენისა ხსნისათჳს განკაცებულსა, მონანულთა შემწყნარებელსა, სინანულისა შემწირველსა, ცოდვათა მომტევებელსა, სულგრძელსა, ძჳრ უხსენებელსა, მოწყალესა, სახიერსა, და მტერისა წარმწყმედელსა, და წარწყმედულთა მეძიებელსა, ცოდვილთაგან ჯუარცმულსა, და მოკლულსა ნებსით ჩუენთჳს, ტანჯულსა და გუემულსა ჩუენთჳს, საფლავსა დაფლულსა და მესამესა დღესა მკუდრეთით აღდგომილსა, ქუელის მოქმედსა და ჯოჯოხეთისა შემმუსრველსა და ადამიანთა ტყუეთა გამომხსნელსა, მომცემელსა ყოვლისა კეთილისასა და სიხარულისა მომატყუებელსა, ნათლისა და კურთხევისა მომნიჭებელსა თჳსისა ხორცისა და სისხლისასა, შემმოსველსა თჳსითა მადლითა მდაბალთა, ძალისა და მადლისა მისისათა დამცემელთა მაღალთა და ამპარტავანთასა, აღმმართებელსა მდაბალთასა, გჳრგჳნოსან მყოფელსა მართლ მადიდებელთა მორწმუნეთასა იესო ქრისტესა დიდებულსა, ზეცად ამაღლებულსა, მარჯუენით მამისა მჯდომარესა და აწ კუალად განსჯად მეორედ მომავალსა, რამეთუ არავინ არს სხუა ღმერთი მამისა გარეშე, მოვედით მორწმუნენო, ვითარცა ღირს არს თაყუანის-ვსცემდეთ და ამას ყოვლითა ხმითა გალობისათა იტყოდეს გალობასა მათსა. Ხოლო წმიდა ღმრთის მშობელი ქუეყანასა ცრემლითა ალტობდა, და ამით ესე ვითარითა ღამე იგი განათენეს და ვითარცა განთენა დღე იგი ხუთშაბათი და იქცეოდეს მოციქულნი სიონს შინა; მაშინ მარიამ თჳსსა სასვენებელსა შინა ფარულად ილოცვიდა და დგა წინაშე ხატსა მაცხოვრისასა და მდუმრიად ევედრებოდა, და ესრეთ იტყოდა, «ჵი დაუსაბამოო მამაო და მხოლოდ შობილო ძეო, და ცხოველს მყოფელო სულო წმიდაო, გადიდებ შენ, რამეთუ მოწყალე ხარ, გაკურთხევ შენ, რამეთუ კაცთ მოყვარე ხარ, გიგალობთ შენ, რამეთუ სახიერ ხარ, დიდება შენდა, რომელი სულგრძელ ხარ, დიდება შენდა.

ჵი! ძეო ჩემო შუენიერო, რომელმან ნიჭნი ღმრთაებისა შენისა მოციქულთ შორის მიჰვენე, მათ ახარე და ჩუენ აღმავსენ სიხარულითა, აწ მოციქულთა შენთა შორის სული ჩემი შეივედრე და შეიწყალე, და მშჳდობით განარინე ჰაერის მცუელთაგან, ოხითა მიუწდომელთა მსახურთა შენთათა მიქაელ და გაბრიელისათა და ხუაიშნითა ყოველთა ნაშობთა დედათასა უფროსისა და უზეშთაესისა წინასწარმეტყუელისა მოციქულისა მღუდელმოწამისა, და ქუესკნელს ქადაგისა უდაბნოსა ლამპრისა და შენთჳს განხმელისა და განკაფულისა, მარტჳლისა მის დიდისა ღუაწლისა მძლისა და აქა ღუაწლიანისა, და მუნ პატივცემულისა საყვარელისა შენისა და სასურველისა ჩემისა, წინამორბედისა და ნათლის მცემელისა შენისა იოანესითა და ყოველთა წმიდათა შენთათა, რომელნი საუკუნითგან სათნო გეყუნეს შენ, სულით დამიცვე ავაზაკთაგან მომზირალთა სულთა მათგან განმხრწნელთა, რამეთუ ფრიად შეძრწუნებულ ვარ და მეშინის და არა უწყი ვიდრე მივიდე ანუ სადა ვივლტოდი გარნა შენდა ნუგეშინის მცემელისა ჩემისა, დიდება შენდა თაყუანისცემა მამისა თანა სულით წმიდითურთ, რომელსა გაქუს დიდი წყალობა». Და კუალად გამობრწყინდა ნათელი ბრწყინვალე წინაშე ხატსა მაცხოვრისასა და სული სულნელებისა გარდაეფინა მიუთხრობელი და მიერ გამოხდა ბრძანება და ჰრქუა მარიამს, «ნუ გეშინინ დედაო მე შენთანა ვარ, ნუ შეძრწუნებულ ხარ, ნუცა ზარგანხდილ ხარ, კურთხეულო, ყოველნი ჩემნი დაბადებულნი თაყუანისმცემელნი არიან სიწმიდისა შენისანი, რაჟამს მეთჳთ გადიდე შენ».

Მაშინ მარიამ მდუღარე ცრემლითა დავარდა ქუეყანასა ზედა და კუალად ჰრქუა ხმამან საღმრ-

თომან, «აღსდეგ ილოცე და ითხოვე და მიიღე რაჲცა გნებავს ჩემგან» მაშინ მარიამ აღიპყრნა ხელნი თჳსნი და ჰრქუა, «შეიწყალენ დაბადებულნი შენნი და ქმნულნი ხელთა შენთანი, ჳი შემაძრწუნებელო ჯოჯოხეთისაო და ცთომილთა ცოდუანი შეუნდენ, და ნუ მისცემ ჯოჯოხეთს, არამედ ღირს ჰყვენ ნათელსა შენსა. ეჰა სახიერო, მათისა ხსნისათჳს მოხვედია ქუეყანად». და კუალად ჰრქუა ხმამან მან, «დედაო რომელთა გადიდონ შენ ვადიდნე იგინი უკუნისამდე, და რომელნი ითხოვე მიმიმადლებიეს უფროს თხოვისა შენისა, მივეგმადლო შენ შესისა დიდებისათჳს, და აწ კადნიერებაჲ გაქუს, და უფროს ყოვლისა ნების მყოფელი ვარ შენი და მორჩილი ვითარცა დედისა სასურველისა».

Ⴋარიამ ჰრქუა, «უფალო ღმერთო, რათამცა ვიხილე იოანე ნათლის მცემელი», ქრისტემან ჰრქუა, «რაჲ მე მთნავს მას ვყოვ, არა თუმცა იგი ოდენ იხილე ხორციელად, არამედ ყოველი სუფევა ჩემი, რამეთუ სულნი შენნი მე მათთჳს წარმყავს და მშჳდობა შენთანა».

Ⴋარიამ ჰრქუა, «ვითარცა შუენის ღუთაებასა შენსა ეგრეთ იყავნ ნება შენი, და თჳნიერ შენსა ნუმცა რაჲ იქმნების დიდებულთ უფალო დიდება შენდა». Ⴃა კუალად შემოკრბენ მოციქულნი წინაშე დედოფლისა მგლოვარენი და ტკივნეულნი და ფრიად მწუხარენი მისისა განშორებისათჳს, და უბიწომან მან მიუთხრა ათორმეტთა მათ ყოველთა ესე ხილვა, მაშინ ჰრქუა იოანე მახარებელმან, ამას ჩუენცა მეცნიერ ვართ ვითარცა ძისა შენისა ვნებაჲ და ნებსით წარსუვლა საშინელ იყო ეგრეთვე შენი სოფლით წარსუვლა საშინელ არს, რამეთუ მსგავსი ხარ მისი. Ⴔილიპე თქუა, უკეთუ ძემან შენმან ჯერ იჩინა დადება ნებსით საფლავსა შინა ვითარცა მკუდარმან, შემოქმედმან ცათამან, ეგრეთვე დედამან მისმან მიიღო სასუმელი სიკუდილისა და ვითარცა შემწუხრდა დღე იგი სერიგანმზადეს და აღასრულეს რა ლოცუა სამწუხროსი და ხატი მაცხოვრისა სასუენებელით მუნ წარიყვანეს და დასხდეს სერობად. მაშინ თქუა მარიამ «მოწაფენო უფლისანო, რომელი მცნება მოძღუარმან თქუენმან გამცნო სჯული და წესი განბანასა მას ფერხთასა, და თქუა ამას ჰყოფდითო მისი აღსრულებაჲ ჯერ არს და აწცა გვიხმს ჩუენ განბანა ფერხთა».

Ⴎეტრე თქუა, ვითარცა მორჩილნი ვართ წამისყოფით ძისა შენისანი, ეგრეთვე წამისყოფით მორჩილნი ვართ და მსახურნი სიწმიდისა შენისანი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ძისა შენისა. Ⴋარიამ სთქუა «მოწაფენო უფლისანო, აჰა მოწევნულ არს ჟამი აღსრულებისა ჩემისა ამიერ სოფლით და შეძრწუნებულვარ ვიდრე სიკუდილადმდე, რაჲ ვთქუა ამის ჟამისათჳს, თქუენგან ვითხოვ ღუთისა მიმართ ვედრებით, რათა ღირსებით, და მშჳდობით განაგოს ჩემზედა ჟამი ესე», და ვითარ იგი ცრემლეოდეს, კუალად ჰრქუა მარიამ «მოწაფენო უფლისანო ჟამსა მას საშინელსა გამცნო თქუენმოძღუარმან თქუენმან, ვითარმედ ილჳძებდით ურთიერთას მარადის, კურთხეულ ხართ თქუენ, ცათაშინა და ქუეყანასა ზედა, რამეთუ აღგისრულებიეს ყოველი მცნებაჲ მისი და იყუარებოდეთ ურთიერთარს, და ყოველნი კაცნი მოგიყვანებიან მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა, აწ მეცა გევედრებით, რათა მეოხ იყუნეთ დაბადებულთა თჳს წინაშე ღუთისა და ცოდუათა შენდობასა ითხოვდეთ ცოდჳლთათჳს, და რათა უფროს ხოლო იგინი შეიწყალნეთ, რომელი ძემან ჩემმან და ღმერთმან თქუენმან ხორცითა და სისხლითა თჳსითა მოიყიდნა.

Ⴀწა ვითარ მოიყიდნა გულისხმაჰყოფითა თუ, ვითარ თავი თჳსი მისცა მათთჳს სიკუდილად. [illegible]ი წყლულებანი იგი მისნი, რომელ თავს ისხნა, ფრიად უყუარან მოძღუარსა თქუენსა გლახაკნი და ჰსთნავს მათთჳს, ესე ვითარი მოღუაწებაჲ თქუენი არა ჩემგან მიიღოა, ვითარმედ ადამის ასული ვარ, და ადამიანთა ყოველთა ძღუენი ვარ წინაშე მისსა, იგინი ჩემ მიერ და მე მათდა მაცხოვრად;

ხოლო ქრისტიანენი ყოველნი რომელნი მე მნატრიან და ღჳთისმშობლად მხადიან, რომელნიცა ემბაზსა ზედა მიჭრონითა ნათელ იღებენ, და რომელნიცა სიტყჳათა სახარებისა თქჳენისათა ისმე-ნენ, რომელნი ჯუარსა ქრისტესსა თაყჳანისცემენ, რომელნი ხორცსა და სისხლსა ძისა ჩემისასა მიიღებენ ღირსებით და მეხჳაიშნე ვარ მათი წინაშე ძისა ჩემისა და მეოხი მხურვალე უქცეველი მვედრებელი, მარადის მოღჳაწე ვარ მის წინაშე ყოველთა გლახაკთა და ცოდჳლთა, რომელნი სიგჳ-დილსა მოელიან, თანა შემწევარ მათი და რომელთა ღღისა მისგან განსჯისა ეშინის მფარველ მათი და ყოველთა განსაცდელთაგან განმარინებელი მათი. Ⴚეცხლისა და ბნელისაგან მცჳრმლ და ყოველთა სატანჯჳელთაგან გამომხსნელი ამას ცხოვრებასა და მას საუკუნესა, და ესე არს სჯული განსვენე-ბისა ჩემისა, და ჩემისა დიდებისა, და დიდება რათა განისჳრნოს სამოთხესა შინა ფუფუნებისასა, რამეთუ მე დედა ვარ ქრისტესი და ქრისტიანენი ყოველნი თაყჳანისმცემელნი არიან ქრის-ტესი, უკეთუ კადნიერებაჲ მაქჳს წინაშე ღჳთისა ამას ყოველსა ვყოფ, და ესე ჯერ არს ჩემდა ყოფად და აღსრულებად, არამედ ვიდრემდის თჳთ არა მოვიდეს შობილი ჩემგან ძე ჩემი და ესე თქმული რომლისაცა მან უწყის ხელმწიფებითა თჳსითა არა დამიმტკიცოს, არა გამოვიდეს სული ჩემი გჳამისაგან ჩემისა, ამისთჳს ვფუცავ ჯუარცმასა და დაფლვასა და აღდგომასა მისსა ვიდრემდის არა დაამტკიცოს არა გამოვიდე». +

Ⴀნდრია თქჳა, საუდარი მისი აღმკობილი ჴირად ჴირადად სათნოებითა და ფესჳრმდითა ოქრო-ვანითა შენ ხარ განსასჳრნებელი მისი და ეგე არა დაგიმტკიცოს. Ⴊუკა მახარებელმან თქჳა, ეგე საწადელი შენი მის მიერ დამტკიცნების ამისთჳს გიხაროდენ, რამეთუ ცხოვრებით სუფევად და უკჳდავებად წარიჳალ, არამედ ჩჳენ ნუ დაგვივიწყებ წინაშე ძისა შენისა, შენთა მვედრებელთა ჴე კურთხეულო. Ⴋარკოზ მახარებელმან თქჳა, მოგვიხსენენ და ნუ უგულებელს გჳყოფ, ოდეს ძე შენი მოვიდეს დიდებითა თჳსითა დიდებულო კურთხეულო.

Ⴋაშინ მარიამ უბრძანა ქალწულთა მათ მოწაფეთა თჳსთა «სანატრელნო დედანო, რომელნი ეგე შემომიდეგით მე ცხოვრებასა ჩემსა ყოვლითა გულითა თქჳენითა და შიშისა თქჳენისა ხორცე-ნი ჩემნი შემსჭჳალენით, და მმსახურეთ მე ჭირთა შინა და განსაცდელთა და ძისა ჩემისა ვნებასა ჩემთა მოითმინეთ და ღჳაწლსა მძლედ გამოსხნდით და ჩემთანა ზიარ იქმნენით, აწ უწყი, რამეთუ განჳაახლდეს პირველნი იგი ტკივილნი, და ნუ ჰგონებთ ჩემთჳს თუმცა არა მელმოდა თქჳენთჳს, და თქჳენ უზომოსა მაგის მწუხარებისაგან დაიდუმეთ, ჵოი! ნების მყოფელნო ჩემნო ნუ მჭმუნვარე ხართ, რომელთა სოფელი ესე შეურაცხ ჰყავთ და საწუთო მოიძულეთ და მე შემიყჳარეთ უფროს ყოველთა კაცთასა, და მე თქჳენ შეგიყჳარენ, ვითარცა საწადელმან დედამან სიწმიდისა თქჳენისა-მან, უკეთუ ძემან ჩემმან მე არა დამივიწყოს, არცა მე თქჳენ დაგივიწყნე, და უკეთუ მე მომიხსე-ნოთ მე თქჳენ მოგიხსენნე, ნუ გეშინინ, აჰა ესერა ვევედრო ჩემგან შობილსა დაცჳსა თქჳენი-სათჳს, რათა სადაცა მე ვიყო, მუნცა თქჳენ იყჳნეთ, რაჲამს საწუთოსა ამის წარმავალისაგან წარ-ხვიდეთ, ხოლო ვიდრემდის სოფელსა შინა იყჳნეთ გეფსამანიას დაადგერით სადაცა საფლავი ჩემი იყვეს მას ნუ განეშორებით, ურთიერთას ნუ განიყოფით, ვითარცა მე შეგიყჳარენ, ეგრეთ იყჳარე-ბოდით, რათა გაქჳნდეს ჩემ თანა ნაწილი, რათა არა დაგეხშას კარი სასძლოსა და სიძემან განგი-დოს ბრძენთა მათ ქალწულთა თანა».

Ⴋაშინ მარიამ თქჳა «ვიდრემდის არა მოვიდეს შობილი ჩემი არა განვიდეს სული ჩემი გჳა-მისაგან ჩემისა». და ჰრქჳა იაკობ მღჳდელთ მოძღჳარსა «ჵოი იაკობ მნებავს რათამცა ვეზიარო ხორცსა და სისხლსა ქრისტესსა, სულთა და ხორცთა უკჳდავ მყოფელად». და ვითარ აღიქჳ იაკობ

ბარძიმი ხელთა, მაშინ უბიწო ღჳთის მშობელი დავარდა ქჳეყანასა ზედა, აღდგა და აღიპყრნა
ჴელნი თჳსნი და ღმობიერად ღაღადჰყო. «ჵჳ! უფალო იესო ქრისტე ღმერთო ჩემო, მოიხილე
მადლით წმიდისა შენით ჩემზედა, და მომეც წმიდა ჴორცი და სისხლი შენი სულთა და ჴორცთა
უკჳდავ მყოფელად, და მათ რომელნი მიიღებენ ნუმცა დასასჯელ ექმნების, არამედ ქრისტიანეთ
ექმენინ მოტევებელ ცოდჳათა, ჵჳ! ნაკჳერცხალო უხილავისა შანთისაო საღმრთოსა ცეცხლისაო,
ნუ დასწჳავ ცოდჳლთა, რომელნი შენ გესჳენ, არამედ დრო ეც და ნუ უნანელად წარსწყმედ, განაღა
ძე ჩემი ხარ, რომელსა გაქჳს დიდი წყალობაჲ».

მაშინ დაიბეჭდა ჯჳარი და ეგრეთ მიიღო ჴორცი დასისხლი ქრისტესი ცხოველს მყოფელი,
და კჳალად აღიმაღლა აღმა თვალი და თქჳა, «ჵჳ ძეო მოიხილე ჩემ ზედა, ჵჳ! ძეო სამგზის სანატრელო თვალო ცხოვრებისაო, რომელსა ზედა განიკვართა ძე ჩემი შჳენიერი, შემწე და საჭურველ ექმენ თაყჳანისმცემელთა შენთა ყოველთა, რამეთუ შენ ხარ საძლეველი მტერისა; რამეთუ შენ
ხარ ბეჭედი ძისა ჩემისა, რომელსა აქჳს დიდი წყალობა».

და ამას ყოველნი მოციქულნი წმიდა არსითა და ალილუიათი შეამკობდეს, და ვითარ დადგა
იაკობ ბარძიმი თქჳა წმიდამან ღჳთის მშობელმან, «ჵჳ! მოწაფენო უფლისანო მნებავს მე რათა
აწ თქჳენ მიერ ქებით შეიმკოს ძელი ცხოვრებისა ჩჳენისა ჯჳარი პატიოსანი, რომელმან ბარბაროზნი უკუნ აქცივნა, წარმართთა ახარა, რომელმან ჯოჯოხეთი შემუსრა და წარმოსტყვენა, და
სამოთხე განაღო, დიდება ძელსა ცხოვრებისასა». მაშინ მოციქულთა და ყოველთა მათთანა, იწყეს
ლოცჳად მუხლთმოდრეკით დაუცხრომელად წმიდა არსითა და ალილუიათა, მიმოგდებით პეტრე
და პავლე ესრეთ იტყოდეს. დამბადებელსა მადლისა საუკუნითგან ჩინებულსა, მადლით მადლისაგან წმიდისა ზეგარდამო გამორჩეულსა ქჳეყნელით ქჳეყანად აღმოსაწოდებელად სულად სიმტკიცისა მზრდელსა შჳენიერად განშვენებულსა, მეწამულად აღუჳავებულსა დიდებით დიდებულსა,
შესხმითა ქებულსა, საროსა ძელსა ცხოვრებისასა, ჯჳარსა ცხოველს-მყოფელსა თხემისა ადგილსა
გოლგოთასა დანერგულსა, ჰურიათაგან აღმართებულსა, წარმართთაგან თაყჳანისცემულსა, ზეცად
აღმართებულსა, ძისა უფლისა სისხლითა ძოწეულსა წყლითა წმიდითა სხურებულსა, პატიოსანსა
ჯჳარსა, მამათ მთავარსა და ხილულსა წინასწარ მეტყჳელთა მოსწავებულსა, ჩჳენ მიერ ქადაგებულსა მორწმუნეთა საჭურველსა მღჳდელთ მოძღჳართა სამკაულსა, მოციქულთა სიმტკიცესა, ანგელოზთა სიქადულსა, სჳეტსა ქრისტიანობისასა, წინა მძღჳარსა და გჳრგჳნსა ყოველთასა, ძლიერებასა მეფეთა და მთავართასა, ძალსა უძლეველსა ჭეშმარიტებისა და ხსნისა ახოვანსა სიბრძნისასა,
ნათელსა ბრწყინვალესა მაოტებელსა ბნელისა გარე, დამცემელსა მტერთა უხილავთასა, (აგარიანთა
ნათესავისასა) დიდება ძელსა ჯჳარისასა.

იაკობ თქჳა და იოანე შევასხმიდეთ ცეცხლსა ღჳთაებისასა დამწველთა ეშმაკთა სიმრავლისასა,
წარმწყმედელსა ურწმუნოთასა სიმრავლესა მორწმუნეთასა, ნუგეშინის მცემელსა ცოდჳლთასა, სიხარულსა და შჳებასა მართალთასა, მკურნალსა უძლურთასა მომაქცეველსა შეცთომილთასა, მომატყჳებელსა აღდგომისასა, აღმადგინებელსა დაცემულთასა, და ნათელსა სოფლისა განმანათლებელსა, სამოთხისა კარსა და მას შინა ამაღლებულსა მეორედ მომავალსა მაცხოვარსა ცხოველთა და
მკჳდართასა, მოვედით მორწმუნენო სარწმუნოებით თაყჳანისვცემდეთ, წმიდა არს ჯვარი წმიდა
არს ჯჳარი და უფალი ჩჳენი იესო ქრისტე, შენგან შობილი ქალწულო წმიდაო მარიამ, მამისათანა
სულით წმიდითურთ, ალილუია, ალილუია რაჲსამე ჰგონებთ თქჳენ მთანო შეყოფილნო, მთა ესე
რომელ სთნდა ღთსა დამკჳდრებად მას შინა, ალილუია, ალილუია, ალილუია. ბართლომე თქჳა, ჵჳ!

ღ̃თის მშობელო, დავით წინასწარმეტყუ̃ლი შენთჳს გალობდა, ფრთენი ტრედისანი ვერცხლით მოსილ, და ბეჭთ საშუალი მისი ფერითა ოქროსათა, რაჟამს სულმან წმიდამან მას შინა დაიმკჳდრა.

Ⴋათე თქ̃ა, გიხაროდენ სიხარულისათჳს ცათა და ქუ̃ყანისა, რომელთაცა დედოფალი ხარ. იუდა მოციქულმან თქ̃ა მოიხილე ცაო და ვიტყოდი, და ისმენდინ ქუ̃ყანა სიტყ̃ათა პირისა ჩემისათა, ყურად იღე ზღ̃აო, რამეთუ ქუ̃ყანისა ტაძარი ზეცისა ქალაქსა დაემკჳდრების და კ̃ალად შეიძრა და ძრწოლა შეედვა მოციქულთა. Ⴋაშინ იაკობ მღ̃დელთ მთავარმან აღიპყრნა ხელნი თჳისნი საკურთხეველსაზედა აღმოსავლით და ღაღადჰყო, აცხოვნე უფალო ერი შენი და აკურთხე სამკჳდრებელი შენი, მოხედენ სოფელსა შენსა წყალობითა და მოწყალეებითა, და აღამაღლე რქა ქრისტიანეთა, ოხითა და ვედრებითა, სასოსა და სიქადულსა დედოფლისა ჩ̃ნისა ღ̃თის მშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისათა და მაცხოვარ ყოველთა წმიდათა შენთათა, გევედრებით შენ ისმინე და შეგვიწყალენ ჩ̃ნ; და ყოველთა თქ̃ს, კირიელეისონ, კირიელეისონ, კირიელეისონ. Ⴎავლე თქ̃ა ხელ აღპყრობით, ცანი გვითხრობენ სუფევასა შენსა, ზღ̃ანი ღაღადებენ სიბრძნესა შენსა, უფალო ღმერთო, ვერ დაიტევენ ძენი კაცთანი სულგრძელებასა შენსა გეგულვების აგრე ჰყავ, რამეთუ შენ გაქ̃ს მშჳდობა და დიდი წყალობა. Ⴋაშინ ჰრქ̃ა წმიდამან ღ̃თის მშობელმან პავლეს, «რაჲსა გიკჳრს ჟამი ესე, რამეთუ მოვალს მეუფე ანგელოზთა დაკაცოთა ძე ჩემი ამას ღამესა წარყვანებად სულისა ჩემისა, ბევრეულთა ანგელოზთა და დიდად შუ̃ნიერებითა სუფევისა მისისათა, დაასხით საკმეველი და აღანთეთ სანთელნი და იწყეთ გალობად», და ვითარცა ესრეთ იწყეს აჰა მოვიდა დავით ქნარითა ტკბილად გალობდა, ესრეთ «ისმინე ასულო დაიხილე და მოჰყავ ყური შენი და დაივიწყე ერი შენი, და სახლი მამისა შენისა; სთნდეს მეუფესა სიკეთე შენი, რამეთუ თავადი არს უფალი ღმერთი, აუარებდით უფალსა, რამეთუ ტკბილ, რამეთუ უკუნისამდე არს წყალობა მისი, ალილუია, ალილუია, ალილუია».

Ⴋიქაელ და გაბრიელ მოვიდეს და ხმა ჰყ̃ეს, მოვალს უფალი, გაბრიელ თქ̃ა, გიხაროდენ მიმადლებულო უფალი შენთანა, მიქაილ თქ̃ა, დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, და ქუ̃ყანასა ზედა, მშჳდობა და კაცთა შორის სათნოება; მარიამ თქ̃ა, «ჰოი! დიდნო მნათობნო ბრწყინვალებისანო მსახურნო მეუფისანო, ვიდრე ძე ჩემი არა მოვიდეს არა გამოვიდეს სული ჩემი გ̃ამისაგან ჩემისა; აბრაჰამ, ისაკ და იაკობ მოვიდეს და თქ̃ს, რომელმან ცანი გარდართხნა სიტყ̃ითა და ღ̃თაებითა ქუ̃ყანა წყალთა ზედა დაამყარნა ხელმწიფებითა, და ზღ̃ანი საზღ̃არსა თჳსსა დაამტკიცნა სიბრძნითა და ყოველნი დაბადებულნი დაბადნა ძლიერებითა, აჰა ესერა შენდა მოვალს ჰოი კურთხეულო, მიეგებე სარწმუნოებითა და შეიწყნარე სიხარულითა. Ⴋარიამ თქ̃ა «წიაღთამცა თქ̃ნთა განისუ̃ნებენ ყოველნი მოსავნი სახელისა ჩემისანი» წმიდათა ხმა ჰყ̃ეს ამინ. Ⴑჳმეონ მოხუცებულმან ხმაჰყო. Ⴠოი უზეშთაესო ქერაბიმთა და სერაბიმთაო, ქალწულო წმიდაო ქალწულთა სიქადულო, არღარა განვიდეს მახვილი მწუხარებისა სულსა შენსა, ამიერითგან უკუნისამდე, რამეთუ ძისა შენისათანა ხარ სულით და ხორცით, მარიამ თქ̃ა «გიხაროდენ შენ კაცო ზეცისაო, და ქუ̃ყანისა ანგელოზო სჳმეონ მართალო, რამეთუ მკლავსა შენსა-ზედა განისუ̃ნა მამისათანა მჯდომარემან». იოანე ნათლისმცემელი მოვიდა და ხმაჰყო, მშჳდობა ყოველთა, ხოლო პეტრე ხმაჰყო, ამინ. და კ̃ალად ხმაჰყო იოანე, აჰა მოვალს კრავი ღ̃თისა, რომელმან აღიხუ̃ნა ცოდ̃ანი სოფლისანი. მარიამ ხმაჰყო «ადგილ ეცით მოსლვად ჩემდამდე ყ̃ავილსა უდაბნოსასა, ძირთაგან ჰკარონ მღ̃დლისა აღმოცენებულსა, ძესა ზაქარიისასა, ნაშობსა ელისაბედისასა, მთათა და ხმელთა მართალთა მომ-

წოდებულსა, წინა მძღუარსა ყოველთა წმიდათასა, და სასძლოსა სჯულისასა დასაბამსა მადლისასა, იოანეს წინა მორბედსა ქრისტეს მეუფისასა, სასურველსა და საწადელსა სულისა ჩემისასა, რათა ამბორს უყო», და ვითარცა ამბორს უყუეს ურთიერთას, წინა მორბედმან ხმაჲყო, რომელმან ჰშვა ქრისტე ღთი, მან აღძრნა დიდებად შენდა ზესკნელნი ანგელოზნი და კაცნი, და წარხუალ შენ მის-თანა დედოფალო წმიდაო, აწ ნუ უგულებელს ჰყოფ ქრისტიანეთა შენთა მოსავთა, წინასწარ მოსლ-ვისა შენისა. მარიამ თქუა, «მაგისთჳს ვევედრები შენგან ნათელ ღებულსა მოსლუისა შენისათჳს ჩემდა, რათამცა ქრისტიანენი ნათელ ღებულნი მადლსა და სიწმიდესა შენსა ცრემლით შეუვრდენ, ეგრეთვე წარვიდე ქუეყანით ჵოი! ნათლისმცემელო, ილოცვიდი ცოდვილთა შენდობისათჳს წინაშე მისსა». და კუალად სამყარონი ცისანი შეიძრნეს და ქუხდეს ჰაერნი ძლიერად, და ქართა სასტიკებითა ქუეყანა გოდებდა და ზღუანი ოხრიდეს, ხოლო მოციქულნი შეძრწუნდეს საშინელსა მას ხილვასა მისსა და ოთხთა ანგელოზთა დადგეს ჯუარი პატიოსანი წინაშე მისსა, და სიმრავლე ბევრისა ბე-ვრეულთა ზეცისა უხორცოთა იტყოდეს: წმიდა არს წმიდა არს წმიდა არს უფალი საბაოთ, სავსე არიან ცანი და ქუეყანა დიდებითა მისითა, და სხუაჲ იტყოდეს ერთ არს მამა ამინ, ერთ არს ძე ამინ, ერთ არს სული წმიდა ამინ, ყოველი სული და ყოველი დაბადებული აქებდით უფალსა, ალილუია, ალილუია, ალილუია, და აჰა იქმნა დიდებით განსაკჳრვებელი მოსლვა ქრისტეს ღუთისა, და ძისა მისისა დიდებითა მით გამოუთქმელითა, და სიმრავლე ზეცისა მხედრობათა მთავარ ანგელოზთა, მთავრობათა, ხელმწიფებათა, სერაბიმ ქერაბიმთა, საყდართა, უფლებათა და ყოველთა მათ აურაცხ-ხელთა ზეცისა ძალთა, ყოველნი შიშით დგეს წინაშე მეუფისა. ხოლო წმიდამან ღუთის მშობელ-მან ესე ყოველი პირველვე უწყოდა და მოელოდა სასოებითა მტკიცითა დიდებულსა მას მოსლუასა მისგან შობილისა მეუფისასა, და აწ განცხადებულად იხილა დიდად შუენიერი იგი დიდებით მო-სლუა სასურველისა ძისა და ღუთისა მისისა, და აღივსო იგი მიუწთომელითა სიხარულითა, აჰა მოვიდა უფალი, აღდეგით და მიეგებენით. ხოლო მოციქულთა ხმა ჰყუეს, ღმერთი უფალი და გამოგჳჩნდა ჩუენ, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა. მაშინ ქრისტემან ღმერთმან ბრწყინუალებითა მით საღმრთო ხმითა, რქუა დედასა თჳსსა «მშჳდობა შენთანა დედაო, დედო-ფალო ზესკნელთა, ალილუია, ალილუია, ალილუია. გიხაროდენ დედაო სიმართლეო სამკაულო და დიდებაო ქუეყანისათაო», ხოლო წმიდაჲ იგი და ყოვლად უბიწო სანატრელი დედოფალი დედა ქრისტესი აღივსო უმეტესითა სიხარულითა, და განბრწყინდა დიდებული პირი მისი ბრწყინვალე-ბათა მიერ და დიდებითა საღმრთოთა და მოწიწებითა და შიშითა ხედჳდა დიდებასა მას და ბრწყინ-ვალებასა, რომელი კრთებოდა მეუფისა მის და ძისა მისისა იესო ქრისტესგან, და უმეტესად ადი-დებდა და ჰმადლობდა ღუთაებასა მისსა; და იყო აწინდელი ესე მოსლუა ქრისტესი უბრწყინვალესი და უდიდებულესი, ელვისა და ბრწყინვალებისა თაბორს ფერის ცუალებისა მქმნელისა და საშინ-დელსა უბრწყინვალეს გამოჩნდა დაღაცათუ ბუნებითისა მის დიდებისა თჳსისა, უდარეს იყო, რამე-თუ იგი მიუწდომელად და ყოვლად უხილავად იყო. მაშინ მოციქულნი შეძრწუნდეს და დაცჳვნეს ქუეყანასა ზედა ვითარცა მკუდარნი, ხოლო მან თქუა «მშჳდობა თქუენთანა, მე ვარ ნუ გეშინინ», და ვითარცა ესმა მოციქულთა ტკბილი და საწადელი იგი ხმა უფლისა, განძლიერდეს და განცხო-ველდეს სულითა და ხორცითა, იწყეს მიხედვა მოწიწებით, ბრწყინვალებასა დიდებულისა და ღუთივ შუენიერისა პირისა მისისასა, და ადიდებდეს ღუთაებასა მისსა. ხოლო ქრისტემან კუალად ჰრქუა დედასა თჳსსა, «იხარებდი დედაო დიდებულო, ითხოვე ჩემგან რაჲცა გნებავს და მიიღე კურთხეულო, რამეთუ ყოველი ნიჭი უშურველი არს ენისაგან კაცობრივისა», და ჰრქუა «ჵოი! მეუფეო რომელსა-

ვითხოვ შენ იცი, დაფარულისა და ცხადისა შენვე მეცნიერ ხარ, და აწ უფალო მაკურთხე მე მარჯ-ჳენითა მით შენითა, და აკურთხენ ყოველნი, რომელნი გევედრებიან შენ და იხსენებენ სახელსა შენსა, და შეიწირენ ლოცუანი და ვედრებანი მათნი». Ⴋაშინ მოჰყო უფალმან მარჯუენა მისი და დასდვა თავსა დედისა თჳსისასა და აკურთხა იგი, ხოლო სანატრელი იგი დედოფალი დედა ქრის-ტესი სურვიელად მოეხვია შეიტკბო, ამბორ უყო შიშით და სიხარულით თაყუანისცა მარჯუენასა მას, რომელმან შექმნა ცანი და ქუეყანა, და აქებდა ღმრთაებასა მისსა, ილოცვიდა მოციქულთათჳს და ყოველთა შჭირ მდგომარეთათჳს ევედრებოდა ყოველთა მორწმუნეთათჳს ვინაცა არიან, შესწირ-ვიდა ყოვლისა სოფლისათჳს და ყოვლისა სულისათჳს, რომელი ხადოდეს უფალსა და ახსენებდეს სახელსა დედისა მისისასა, და ვინაცა სახსენებელი მისი აღასრულებოდეს ითხოვა კურთხევისა მი-ფენად. ხოლო სანატრელმან მეუფემან ჰრქუა დედასა თჳსსა, «იხარებდინ და იშუებდინ გული შენი კურთხეულო დედათა შორის მარიამ, და ყოველი მადლი და ნიჭი მოცემულ არს მამისა მიერ ჩემისა ზეცათასა, და ყოველი სული ხადოდეს სახელსა შენსა წმიდასა და არა სირცხჳლეულ იქმნეს, არამედ ჰპოოს წყალობა და ნუგეშინისცემა ამასცა ცხოვრებასა და მერმესა საუკუნესა, შენ მოვედ მათ სე-ნაკთა, მშჳდობასა და სიხარულსა დაუსრულებელთა საუკუნეთა მამისა ჩემისათა, რათა ხედვიდე დიდე-ბასა ჩემსა, და იხარებდე მადლითა სულისა წმიდისათა, ჵოი! დედაო კურთხეულო, მე მოვედ სუფევი-თა ჩემითა პატივად და დიდებად შენისა კაცად ჩემთანა მოსლვისა, და აწ აქა არიან ყოველნი, ბევრი-სა ბევრეულნი გუნდნი პიტიოსანნი უხურცოთა ძალნი უხილავთა და ხილულთანი და წმიდანი ჩემნი მამათ მთავარნი, წინასწარმეტყუელნი, მღდელთ მთავარნი, და ყოველნი წმიდანი მამანი და დე-დანი, შენ ყოველთა სიქადული ხარ ყოველთა სასო და ზღუდე ხარ, ჵოი! საყდარო განსასუენებელო ჩემო მოვედ ჩემდა, რათა განგისუენო და გჳრგჳნოსან გყო წინაშე ჩემსა, განგებულებასა ჩემსა და უკუდავებისა, რამეთუ აქამომდე ჯერ მიჩნდა ყოფა შენი ცათა შინა, ვითარცა შენ დედა ხარ ჩემი, აგრეთვე ჩემდა შემსგავსებად ჯერ არს დიდება შენი.

Ⴄჰა სახარულევანო დედაო შემო, უკუდავებ დაგანგებულებაჲ ჩემი დაყოველი რაჲ არს მად-ლი ჩემი შენი არს, და ყოველნი დაბადებულნი რომელნი მე წამის ყოფით მიჰყრიან ზეცისა და ქუეყანისანი შენნი მადიდებელნი არიან და შენ ყოველთა უმეტესი ხარ, და რომელსა ითხოვ მი-მიმადლებიის შენდა ყოველივე ვედრებაჲ საუკუნითგან და უკუნისამდე, რამეთუ შენგან განუშორე-ბელ ვიყავ ქუეყანასა ზედა, და აწ ცათა შინა შენთანა ვარ, ღმერთი უვნებელი და უცვალებელი და შენ დედა ჩემი ხარ უქცეველი, შენ გაქუს დიდი წყალობა».

Ⴋაშინ უფროსად კურთხეულმან მან დედოფალმან ჰრქუა ძესა თჳსსა. «ჵოი! მეუფეო, მეცა უწყი ვითარმედ ღმერთი ჩემი სახიერებით და მოწყალებით კაცთმოყუარე ხარ და ტკბილ ხარ ხელმწიფებით მიუწთომელ ხარ მეუფებით, მაღალი ხარ სიმდაბლით ძჳრ უხსენებელ ხარ სულგრძელებითა, და აწ მადი-დე მეუფეო დიდებითა რომლითა მნებავს, რამეთუ შენ თჳთ იცი უძლურებაჲ კაცთა ბუნებისა და რო-მელთა ყოველთა ქრისტიანეთა მე მიციან შენ შორის, და მათშორის შუამდგომელად, უკეთუ მადიდებ შუამდგომელი ვარ ცოდუათა მათთა ახოცისათჳს და მოღუაწე ვარ მითი, რომელთათჳს შენ სიკუ-დილი თავს იდევ, და აწ მეუფეო დაიცუენ ყოველნი ჭირნი და განსაცდელნი თავს (იდვე), იხსენ ყოვლისაგან განსაცდელისა, რომელთა ნათელი აღდგომისა შენისა მოჰფინე, აღდგომილი მათ ზედ ბნელი ვნებათა განაქარვე, რომელნი ხორცითა და სისხლითა შენით მოიყიდენ, საცთურთაგან მტერისათა გამოიხსენ, რომლისათჳს შიმშილი და წყურვილი დაითმინე, უხუებითა მადლთა შენ-თათა გამოზარდენ, რომელთათჳს ძმარი და ნაღველი სუი, ოდეს დიდებით განსჯასა მას საშინელს

ტკბილად მოწყალე ექმენ, რომელთათჳს დაგლახაკენ სიმდაბლითა ნიჭთა შენთათა, განამდიდრენ რომელნი მესვენ მე და დედად შენდა მხადიან და თაყუანისმცემენ, შეიწყალენ და დაიცუენ და ყოვჱლნი სულნი ქრისტიანენი საფარველსა ფრთეთა შენთასა დაიფარენ, რამეთუ შენ გაქუს მშჳდობა და დიდი წყალობა». მაშინ ყოველნი იგი კრებულნი ზეცისა და ქუეყანისანი შეუვრდეს და თაყუანისცეს წმიდასა მას დედოფალსა და ხმითა მაღლითა ღაღად ჰყვეს, ნუ დაგვიტევებ არამედ მოგვიხსენენ წყალობითა, რომელი ეგე წინაშე ძისა მდგომარე ხარ. ჵოი! წმიდაო დედოფალო ღუთის მშობელო მარიამ.

მაშინ სანატრელი იგი და ყოვლად წმიდა დედა ქრისტესი გულად ევედრებოდა უფალსა და თქუა «ჵოი! ქრისტე მეუფეო დამბადებელო ყოველთაო, შეიწყალენ დაბადებულნი შენნი და ყოველნი ქმნულნი ხელთა შენთანი ამასცა ცხოვრებასა და დღესა მას განკითხვისასა საშინელსა, რამეთუ შენნი არიან და შენვე დაიცუენ და მარჯუენითა მაგით მაღლითა დაიფარენ». ხოლო ქრისტემან ჰრქუა დედასა თჳსსა «ეგე ყოველი მტკიცე არს ჩემგან თანა განზრახვთა მამისათა და სულისათა წმიდისათა მიმადლება შენდა ყოველი, რომელი ითხოვე ჩემგან, რამეთუ შენ დედა ხარ ჩემი და ვითარცა დედა რომელსა შეგიმოსიეს დაუსაბამო უხრწნელებაჲ და უკუდავებაჲ. იოანე ნათლისმცემელმან თქუა, რომელმან მიიღე ვედრებაჲ დედისა შენისა, ჩემსა ნუ უგულებელს ჰყოფ მონისა შენისასა, რამეთუ სოფლისათჳს ვითხოვე მშჳდობაჲ, არათუ რათა სოფლითი აიხუნე მორწმუნენი, არამედ რათა დაიცუენ ყოვლისაგან ბოროტისა, ქრისტემან ჰრქუა, «შენდაცა მიმიმადლებია სათხოველი შენი ჵოი! ნათლისმცემელო». მოციქულთა თქუეს, რომელმან ისმინე თხოვა დედისა შენისა ჩუენიცა ისმინე, რამეთუ ყოველთა ქრისტიანეთათჳს შეგვევედრებით, ხსნისათჳს ცოდვათაგან მეორედ მოსლვასა შენსა, რამეთუ ყოველთა ცხოვრება გნებავს, რომელსა გაქუს დიდი წყალობა.

ქრისტემან თქუა «თქუენდაცა მიმიმადლებიეს ვედრებაჲ თქუენი ჵოი რჩეულნო მოციქულნო». ზეცისა ძალნი იტყოდეს ჵოი! სასწაული, ჵი საკჳრველი, ესე სიბრძნე ღუთისა სრული და სიყუარული ყოველთა შემოქმედისა, რომელ მშობელსა თჳსსა აჩუენა დიდება ხორციელებრივი და ბრწყინვალებითა საღმრთოჲთა თითის საჩვენებელ ჰყო ყოველთა შორის დაბადებულთა, ჵოი დიდებული საიდუმლო, რომელმან ცანი და ქუეყანა შეიერთნა, ანგელოზნი დაკაცნი, ღუთაება და კაცებაჲ, აჰა ესერა ქერაბიმთა და სერაბიმთა უფროს იქმნებისა და ზესკნესა დაემკჳდრებისა, ამისთჳს დიდება ღმრთისა ჩუენსა მაღალსა, რომელსა აქუს დიდი წყალობა. მაშინ მეუფემან მაღალმან ყოველთამან ქრისტემან ღმერთმან ჰრქუა მშობელსა თჳსსა: «წმიდაო დედაო, მოწევნულ არს ჟამი წარსლვისა ჩემისა, რამეთუ ყოველნი მსახურნი ჩემნი ზეცისა ძალნი უხილავნი ბჭეთა თანა ცისათა გელიან, რათამცა ეგრე შეგიყვანე ვითარცა დედოფალი მათი. ვითარცა მე უხრწნელ ვარ ეგრეთვე შენ უხრწნელ ხარ, ნუგეშინინ სულით და ხორცით, ბრწყინვალეო, ხორცნი შენნი კუალაჲ მიწასა და არ განიხრწნენ, ვითარცა ძისა შენისანი, და რომელნი დღესა მიცუალებისა შენისასა პატივსცემენ, დღესა ჯუარცმისა ჩემისასა მე მუნ პატივსვცემ მათ, სადა ნათელი ჩემი და დიდებაჲ სუფევდეს ერთბამად, რამეთუ ვითარცა სიკუდილი დაუკუდავებს ძისა შენისა. ეგრეთვე შენი დედაო, და ვიდრემდის დედა მკუდართა თანა თავისუფალი». ხოლო წმიდამან ქალწულმან ჰრქუა რაჲ ძესა თჳსსა, «ბრწყინვალე ვარ სიკუდილადმდე, აწ ჩემდა მოიხილე მეუფეო და სული ჩემი შევედრე და ხელთაგან შენთა ნუ დამიტევებ, ჰაერის მცუფლთაგან მეშინის» მაშინ თქუა, «რათა უჩინო იქმნენ და ეგრეთ წარმიყუანე, რამეთუ შენ კაცთმოყვარე ხარ და შენგან არს დიდი წყალობა».

მაშინ უბრძანა ქრისტემან მიხაილს და გაბრიელს «წარვედით მთავარნო ანგელოზთანო

მტოსა გზასა დიდისა ჩემისასა და დაუცხრომელითა ხმითა და დაუდუმებელითა გალობითა ღ̃თის მეტყუელებდით, ძლევისა გალობითა დიდად შუენიერებისა ჩემისა დიდებისასა ბრწყინვალითა ხმითა გალობდით და ხმობდით, ღაღადებდით და იტყოდით, წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ». და მეყსეულად ბრძანებითაჲ ღ̃თისათა, იწყეს ზეცისა უხორცოთა გალობად ხმითა ტკბილითა და საწადელითა. მხარ უპყრეს წმიდათა მოციქულთა სულისა მიერ წმიდისა და გალობდეს გალობასა ანგელოზთასა.

და ესრეთ ყოვლად წმიდამან დედოფალმან (უფლისამან) სანატრელი იგი და უბიწო სული თჳსი შევედრა უფალსა და მეუფესა, ვითარცა ძესა თჳსსა, და მიიძინა ტკბილი იგი ძილი საწადელი; ხოლო სახიერმან მან და მრავალ მოწყალემან მეუფემან ქრისტემან ყოველთამან წმინდაჲ იგი და ყოვლად უბიწო სული მშობელისა თჳსისა საღმრთოთა მათ და უხრწნელთა მკლავთა თჳსთა ზედა მიიქუა და ბრწყინვალებითა მით მიუწთომელითა შემოსა და ამაღლდა ზეცად. მაშინ აღიტყუელნეს უხილავნი იგი ხელნი მხედრობამან ანგელოზთამან, და ყოველთა ძალთა ზეცისათა დიდებითა და სუფევითა გალობითა დაუცხრომელითა ყოლასა მის წმიდისა სულისასა. მაშინ მიხაილ და გაბრიელ ჴაერთა მიმართ ღაღადებდეს, წარწყმედით უჩინონი ჴაერის მცუელნი, აწ მოვალს მშობელი წარწყმენდულთა მეძიებელისა, და ზესკნელთა მიმართ ჴხმობდეს, გიხაროდენ სასუფეველსა მოვალს დედა ღ̃თისა მარიამ დედოფალი ცათა და ქუეყანისა, და აწ ბრწყინვალებითა შენითა მიუგებე და შეიწყნარე დედა ძისა თანა, რამეთუ თჳთ მოჰყავს მისგან შობილსა, და კუალად მაღლით გამოსრულნი ღაღადებდეს, აჰა მოვალს დედოფალი დედა მეუფისა ჩუენისა, განახვენით ბჭენი თქუენნი მთავარნო, განახვენით და მიიქუით მიმქმელი შემოქმედისა ჩუენისა, რომელმან აღავსო ქუეყანა სიტკბოებითა, ცანი სიხარულითა, ჵოი! საკჳრველება, რამეთუ მიიღებს უფლისაგან სამოთხესა განსასუენებელად, წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს დედა ძითურთ, აჰა მშობელი შობილითურთ ალილუია და ქებითა მისითა აღივსო ქუეყანა ალილუია, რომლისა შუენიერებითა ცანი დაფარნა ალილუია.

და ამით ესე ვითარითა ძლევისა გალობითა ზეცად აღვიდა უბიწო ღ̃თისმშობელი, და დაემკჳდრა სასუფეველსა მას გამოუთქმელსა, სავანეთა მათ უხილავთა სულით და ხორცით უკუდავად ნათობს და დგას წინაშე პირსა ღ̃თისასა, და ითხოვს მშჳდობასა და დიდსა წყალობასა სულთა ჩუენთათჳს. ხოლო განრავიდა ხორცთაგან წმიდა იგი სული უბიწოისი დედოფლისა, აღივსო სახლი იგი და გარემოს მისსა სურნელებისათა მიუთხრომელთა, და წმიდასა მას გუამსა მისსა ზედა მოეფინა თუალთ შეუდგამი ნათელი, მაშინ წმიდანი იგი მოციქულნი გარე მოადგეს ცხედარსა მას ნათლითა შემოსილსა, რომელსა ზედა მდგომარე ცათა უვრცელესი იგი გუამი წისა ღ̃თის მშობელისა, გალობითა და ქებითა პატივჰსცემდეს შიშით და ძრწოლით ამბორს უყოფდეს. ხოლო მეყსეულად განიხმა რა აღსრულება წმიდისა დედოფლისა, ყოველნი სნეულნი და არა ძლებულნი შუნ შემოკრბებოდეს, მაშინ თუალნი ბრმათანი აღეხუმოდეს და სასმენელნი ყრუთანი, მკელობელნი განემართებოდეს სლვად, ეშმაკნი იდევნეოდეს და ყოველი ვნებაჲ და სნეულებაჲ განიდევნებოდა და ესრეთ ჴაერნი და ცანი ცათანი აღსლვითა წმიდისა მის სულისათა წმიდა იქმნებოდეს. ხოლო ქუეყანა უბიწოსა მის გუამისა მიერ პატივსა მას სიწმიდისასა ღირს იქმნებოდა. მაშინ წმიდათა მოციქულთა აუწყეს ნეტარსა პეტრეს წართქმად ლოცუა შემურვისა, ხოლო იგი აიძულებდა იოანეს და პავლეს ლოცუად, იგინი არა ერჩდეს, არამედ ვითარცა თავსა მას მოციქულთასა პატივჰსცემდეს, მიერჩდა ნეტარი პეტრე, რომელ იგი ჯერ იყო

ჯამსა მის საიდუმლოსა ლოცვასა, და მეყუსეულად სურნელებითა ნელსაცხებელითა შემურეს, და ტილოსა შინა შეხვიეს გუამი იგი, რომელმან დაიტია დაუტევნელი იგი მეუფე, შემოქმედი ხილულთა და უხილავთა და მიაწვინეს ცხედარსა ზედა. Ხოლო პეტრე და პავლე ღაღადებდეს, ჵოი! ვითარ დაიტევენ სახუეველნი დაუტევნელისა ღვთისა და მტევნელსა, ჵოი! ვითარ შეეხოს შესამურავი სულნელებასა ყოველთასა, ჵოი! ვითარ დაფარავს სამარე მთასა ღვთის მაღლისა ყუავილოვანსა, გიხაროდენ მარიამ წყაროო წყლისა ცხოველისაო, გიხაროდენ სიტკბოებისა მდინარეო და სიბრძნისა უფსკრულო, გიხაროდენ მარგალიტო უსასყიდლოო. Იოანე მახარებელი იტყოდა: შევამკობდეთ სძალსა მას ზეცისასა, თჳთებათა საზღვარსა და საფუძველსა სამოთხესა ქუეყანისასა, სამკჳდრებელსა ცათა მეუფისასა, დედოფალსა უძლეველსა ცათა და ქუეყანისასა, სამკაულსა უცვალებელსა საუკუნესა, თავსა სიმართლისა და მშჳდობისასა და სასოებისა და სარწმუნოებისასა, კიდობანსა სჯულისასა, საუნჯესა და სიხარულსა უკუდავებისასა, ტაკუკსა ოქროსასა, სადგურსა მანანასა მის ზეცისასა, კიბესა ცად აღწევნულსა ღვთისა გარდამოსლვისასა, ნათელსა მას მიუაჩრდილებელსა, განმანათლებელსა ყოველთა ბნელსა შინა მსხდომარეთასა, იერუსალიმსა ზეცისასა, ქალაქსა უფლისა, სიონსა წმიდასა, სულიერსა მფარველსა მორწმუნეთასა, ორნატსა პირად შემკობილსა უხილავისა ბანაკისასა, სუფრასა ჭეშმარიტებისასა ხილულისა არსისასა, უხილავთა მხილველისა, სიმდიდრესა წყალობისასა, მარიამს დედასა ქრისტეს მეუფისასა ყოველნი უგალობდეთ, გიხაროდენ მიმადლებულო უფალი შენთანა. Გიხაროდენ მარიამ სახარულევანო სიხარულისათჳს ყოვლისა სოფლისა, გიხაროდენ სასანთლეო ბრწყინვალესა თჳთ მნათობსა ნათლისასა, გიხაროდენ ვენახსა საღმრთოთა მადლითა გარე შემოზღუდვილსა, რქა შუენიერსა, ფურცელსა მწუანვილოვანსა და უჭნობელსა და მტევანსა მომწიფებულსა სიტკბოებისასა, გიხაროდენ ყანასა წმიდასა დაუთესელსა და აღორძინებულსა, ძირ მტკიცესა სულიერად აღმზრდელსა თავ წარსხმულსა უხვებით მომცემელსა იფქლისასა, სულთა და ხორცთა საზრდელსა, გიხაროდენ ბარძიმსა მწდეველსა სიხარულისასა და ფეშხუმსა პურისა მის უკუდავებისასა, გიხაროდენ პირველ ასულსა დავითისასა, გიხაროდენ ასულსა იოვაკიმისასა, და აწ ასულსა სიონისასა, სძალსა მეუფისასა დედასა ქრისტეს ღვთისა ჩუენისასა, დაგჳცვენ მონანი შენნი ყოვლისაგან ჭირისა და განსაცდელისა და მოგვიხსენენ წინაშე ძისა შენისა, რომელ გაქუს დიდი წყალობა. Პავლე მოციქული იტყოდა, ჵოი! ვითარ მძინარე ხარ დედოფალო მკუდართა თანა თავის უფალო, რად თუალ დაწუხვილ ხარ თუალო ცხოვრებისაო, რად შეძრწუნებულ ხარ მსწრაფლ დამარხულო შუა კედლისა მის მტერობისაო, რად დადუმებულ ხარ ებანო ხმატკბილო მხმობარეო კურხევისაო, დამთრგუნველო წყევისაო, რად მწუხარე ხარ პირითა ცად აღმყუანებელითა თაო ყოვლისა სიხარულისაო, ანუ რად უსიტყუელ ხარ სიტყჳსა ჩუენისა მომღებელო ჩემთჳს წყალობისაო, რად ხელ დაპყრობილ ხარ მარადის ხელის აღმპყრობელო ქრისტიანეთაო, განიღჳძე ვიდრემდის გძინავს მხსნელო ყოველთა ტყუეთაო და დამხსნელო ყოველთა უძლურებათაო, სასოვო ყოველთა განწირულთაო და დამთრგუნველო ჭაერის მცუელთაო, განმამრავლებელო სასუფეველის მოყუარეთაო, ნუ დაგვივიწყებ წინაშე ძისა შენისა, რომელსა აქუს დიდი წყალობა. Ფილიპე იტყოდა და ფსალმუნთა წმიდასა წმიდათასა, საწადელსა მამისასა, სასურველსა ძისასა, სამკჳდრებელსა სულისა წმიდისასა, უგალობდეთ ყოველნი დედასა ქს. ღისა ჩუენისასა.

Ამას ესე ვითარსა გალობასა, ენანი იგი ცეცხლისანი შეასხმიდეს, და ყოველნი მოწაფენი შეამკობდეს, და ზეცისა ძალნი მათთანა—უხილავად გალობდეს, ხოლო ქალწულთა მათ მოწაფეთა

მისთა, რაჟამს იხილეს ქუეყანასა ზედა მდებარე გუამი იგი წმიდისა მის დედოფლისა, ცრემლით იტყოდეს, ვიდრემდის მძინარე ხარ დედოფალო, დედაო მთავრისა მის მშჳდობისაო, რად უტყუელ ხარ ჩუენდა მომართ მასწავლელო სინანულისაო ნუ დამივიწყებ ჩუენ წმიდაო ღმრთის-მშობელო და ნუცა უგულებელს მყოფ ჩუენ, არამედ იღუაწე სულთა ჩუენთათჳს.

Ⴄსრეთ გალობითა დალოცვითა განათიეს ღამე იგი, და ვითარ განთენა დღე იგი იყო პარასკევი, მაშინ წმიდათა მოციქულთა აღიღეს მხართა ზედა პატიოსანი იგი მცხედარი, რომელსა ზედა მდებარე იყო წმიდა იგი წმიდათა გუამი წმიდისა ღმრთის-მშობელისა, და შეძრწუნებითა სულისა წმიდისათა წარემართნეს სიონით გეთსამანიად, და ვითარცა პირველვე ებრძანა წმიდასა ღმრთის მშობელსა იოანეს მახარებელისად. ხოლო ცხედარსა მას უბიწოსასა ანგელოზნი წინა უვიდოდეს გარე მოეცუა და ფრთითა ფარვიდეს, მოციქულნი გალობდეს, ყოველნი მორწმუნენი სარწმუნოებით წარგზავნიდეს, და ლამპრებითა ბრწყინვალითა და სულნელებითა საკმეველითა განბრწყინდა და სულნელ იქმნებოდა ჰაერიცა, დიდებულ იყო და ქებულ წარგზავნა იგი დედოფლისა დიდებულისა და ყოვლად ქებულისა ღმრთის მშობელისა. მაშინ მტერნი იგი ჭეშმარიტებისანი, შვილნი იგი წარწყმედისანი, ურჩნი და უმადლონი ნათესავნი ჰურიათანი, არავე დასცხრეს თჳსთა ურჩებათა ჩუენებად, არამედ ხედვიდეს რა დიდებულსა მას წარგზავნასა უბიწოსა მის და ყოვლად ქებულისა ქრისტეს დედისასა, და სიმრავლესა მას წმიდათა მორწმუნეთასა, წმიდათა მოციქულთა თანა მავალსა და სასწაულთა მათ აურაცხელთა, რომელნი იქმნებოდეს მადლითა მით წმიდისა დედოფლისათა, და ესმოდეს ხმანი იგი ღმრთივ-ბრწყინვალენი გალობისანი.

Ⴘეუხდა შური ბოროტი ერსა მას ცოფსა და არა ბრძენსა, და შეკრბეს ბრძოლად და და ბრკოლებად, წესიერსა მას შემკობილსა ბანაკსა მოწაფეთა და მორწმუნეთასა, და ზახილითა უწესოთა, მახჳლითა და წათებითა ზედა მოუხდეს განბნევად კრებულსა მას საღმრთოსა, და გარე მოიცვეს მოციქულნი და კადნიერად მიეტევნეს ცხედარსა მას წმიდასა, რომელსა ზედა მდებარე იყო ღმრთის შემწყნარებელი იგი გუამი; რამეთუ ეგულვებოდათ გარე შექცევა და დაწუა მისი. მაშინ ერთმან მან მით უკეთურთაგანმან, რომელი იყო უმეტეს ყოველთა წარმდებებითა ურცხჳნო და მედგარი სახელით იოფანე, განაპო ერი იგი მორწმუნეთა, რომელი შეუდგა კიდობანსა მას სიწმიდისასა მიეტევა წმიდათა მოციქულთა, რომელთა ზედა აქუნდა საუნჯე იგი ზეცისა, რომელმან დაიტია დაუტევნელი და გარე მეუწერელი ბუნება ღმრთაებისა, მოჰყუნა წარმდებად ბილწნი იგი ხელნი მისნი, და უპყრა ცხედარსა მას, რომელსა ზედა მდებარე იყო უბიწო იგი გუამი, უფროსად კურთხეულისა მის დედოფლისა; რომლისაგან ძრწოდეს ქერაბიმნიცა, რომელსა მოწიწებით მიხედვიდეს ანგელოზნი ამას ცხედარსა, ხელჰყო უგუნურმან რათამცა ქუეყანად დააკუეთა, არამედ მეუფისეულად იხილეს ყოველთა საქმეთა მისთა მისაგებელი, რამეთუ იკადრა რა მიახლება წმიდისა მის ცხედრისა, რომელისა თვალთ შედგმადცა არა ღირს იყო; მსწრაფლ ორნივე ხელნი მისნი მოეკვეთნეს და დაეცნეს ქუეყანასა ზედა, და გმობისაწილ რომელსა პირველ იზახოდა ეწია მას, გმობა ტუებისა და ვაებისა სასტიკი, და სხუათა მათცა ჰურიათა ზედა რომელნი მისთანა შეკრებულ იყვნეს, მოიწია რისხუა გულისწყრომისა უფლისა ხელითა ანგელოზისა მრისხანისათა, შეძრწუნდეს ყოველნი და განკრთეს შიშითა, და სირცხჳლეულ და მართლ უკუნ იქცეს.

Ⴄსე სასწაული იქმნა ჰურიათა სირცხჳლისა და შიშისა მომატყუებელი, ხოლო მორწმუნეთა მიზეზ უმეტესისა კადნიერებისა და ქებისა. Ⴋაშინ იოანე მახარებელმან თქუა, ჰოი! უსჯულონო, ჰურიანო ვითარ არა დასცხერით წინააღმდგომობისათჳს ღმრთისა, აწ შეიგონეთ რამეთუ დედა არს

ღჳთისა მარიამ, წმიდათა მოციქულთა ჰრქჳეს, კაცნო პირველვე გარქჳით ვითარმედ ნუ იკადრებთ მიახლებად გჳამსა ცხოველს მყოფელსა სასწაულთა მოქმედსა დედისა ღჳთისა, აწ სცანით რამეთუ გეფსამანიას ჯერ არს წარყჳანებაჲ მაგისი.

Ჰურიათა თქჳჱს, აწ ვიცანით მაგის სასწაულთ მოქმედებაჲ, უკეთუ ხელნი ეგე მოკჳეთილნი მკლავსავე ზედა კჳალად მოეგნენ, ხოლო უგუნური იგი იოვანე იწვართა რა შემსგავსებულად საქმეთა მისთა, შეიკდიმა და შეიგონა ცთომილებაჲ თჳსი, იწყო სინანულად ცრემლითა მხურვალითა, ღმობიერად ევედრებოდა და ხადოდა სახელსა მისსა წმიდასა ქრისტესა და წმიდასა მარიამისასა დედისა მისისასა.

Მაშინ ბრძანა წმიდამან მოციქულმან პეტრე, დასჳჱნებაჲ წმიდისა მის ცხედრისა და ღაღადჭყჳჱს ყოველთა ხმითა ღჳთისმშობლისა მიმართ ვედრებითა და მოიყჳანეს წინაშე მისსა შეცოდებული და შემუსრვილი დამონანული სისხლითა მით წყლულებისათა, და ცრემლითა თვალთათა ყოვლითურთ დალტობილი; Ⴎეტრე — თქჳა, რომელი ეგე სულით და ხორცით უკჳდავ ხარ ძისა შენისა და ღჳთისაებრ ქჳჱლის მოქმედ ხარ და ჩჳჱნ ყოვლისაგან ჭირისა და ურვისა შენდა მოვივლტვით მსწრაფლ შემწისა ჩჳჱნისა, ყოვლად წმიდაო დედაო მაცხოვრისაო, უკეთუ ძე შენი ცოდჳილთათჳს მოვიდა აწ შენ დედამან მისმან, რომელმან იცი უძლურებაჲ მიწისაგანისა, ამის ბუნებისა ჩჳჱნისა ცოდჳანი, ვითარ არ შეუნდვნე, ნუ რისხვი დედოფალო, არამედ სიტკბოებით და წყალობით აწ ნებსით შენ აჩჳჱნე სახიერებაჲ ღჳთისა სწორი; მაშინ ვითარცა მივრინველნი ხელნი იგი მოკჳეთილნი მოჭფრინდეს გჳამსა ზედა იოვანესსა, და მოეზავნეს მხართა ზედა, და ეგნეს ვითარცა პირველ იყჳნეს და არა ხოლო თუ სალმობანი და ტკივილნი იდენ განქარდენ, არამედ კჳალიცა წყლულებისა ყოვლადვე არა ჩნდა. მაშინ ყოველთა ხმაჭყევეს, დიდ არს ღთი შენგან შობილი მარიამ სასწაულთ მოქმედო, მოიქცნეს ყოველნი და ნათლისღებითა ღაღადებდეს და დაემტკიცნეს სარწმუნოებასა ზედა. Ⴞოლო იოვანე დაუდუმებელად ქრისტესა ღმერთსა ადიდებდა, და წმიდასა ღჳთის მშობელსა აქებდა, და სიხარულითა სავსენი მოციქულთა თანავე მოგზაურ ექმნნეს, წმიდათა მოციქულთა მისცეს დიდება ღმერთსა და ესრეთ უმეტესითა დიდებითა და ბრწყინვალებითა პიტივითა კჳალად აღიღეს ღირსთა მათ მოციქულთა მხართა თჳსთა ზედა ცხედარი იგი ნათლით შემოსილი წმიდისა მის დედოფლისა, ზეცისა და ქჳჱყანისა წესთაგან გარე მოცული ანგელოზთა და მთავარანგელოზთა მხედრობათასა, შემკობილი გალობითა და ქებითა შეამკობდეს (და) შეასხმიდეს და ხატი მაცხოვრისა წინა წარიძღვანეს და წარემართნეს გეფსამანიად. იოანე (და) იაკობ იტყოდეს ჩჳჱნთანა არს ღმერთი, ალლილუია, ალლილუია, ალლილუია, დიდება, სუფევა დაკურთხევა, ალილუია, ქება დედოფალსა, აჰა მძინარე იხილვების დედა მკჳდართა აღმადგინებელისა, აჰა შეუძვრელად იხილვების დედა ჯოჯოხეთისა შემმუსრველისა; აჰა აღვალ გეფსამანიად მიზეზი ხსნისა ჩჳჱნისა, ნუ უკჳჱ მიგვეფარვის ცხადად მომცემელი საიდუმლოსა მის დაფარულისა, წარვედ უკჳჱ წარვედ დიდებით დიდებულო ყოველთა ქრისტიანეთაო, გიწოდეს სუფევისა და გამოიღებ უკჳდავებასა, შეჭურვილ ხარ მადლითა გიტვირთავს სარწმუნოება, უძლეველ ხარ სულითა, ახოვანი ხორცითა, აწ გიხაროდენ მომნიჭებელო ნათელო ბრწყინვალებისაო, აწ გიხაროდენ ცისკარო დღისა დაუღამებელისაო, აწ გიხაროდენ უმაღლესო ცათაო, მაღალთა ზესკნელთაო, აწ გიხაროდენ ცხოველო დედაო ქჳჱლის მოქმედისა ძისაო, რომლისა წინაშე ხარ იღჳაწე მორწმუნეთათჳს, მოცემად მშჳდობა და დიდი წყალობაჲ

Ⴃა ვითარცა მიიწივნეს გეფსამანიად, დაასჳჱნეს ცხედარი იგი, წმიდა მტვირთველი საუნჯისა

მის უსასყიდლოსა და უხმდა აღებად, სანატრელისა მის გჳამისა ცხედრით დასჳჱნებად საფლავსა; ხოლო ყოველნი იგი წმიდანი მას გჳამსა წმიდისა დედოფლისასა უმეტესად, რამეთუ ხედვიდეს ნათელსა მას ბრწყინვალესა, რომელი ჰფარვიდა წმიდასა და მადლსა მას ღ̂თისასა, რომელი იყო მას შინა ყოველთა მოციქულთა აუწყეს პეტრეს და პავლეს და სჳჱნებაჲ საფლავსა მას წმიდისა მის გჳამისა, რამეთუ მახარებელსა იოანეს საკმეველი საკმეველთა ეტვირთა და საკმეველთა სულნელთა უკმევდა და ცრემლითა დაალტობდა წმიდასა მას გჳამსა დედოფლისასა; ხოლო პეტრე და პავლე, არა შეეხნეს წმიდასა ხელითა თჳსითა, არამედ ტილოსამას რომელ ეკიდა, ამიერ, უპყრეს შიშით დაკრძალვითა, და ესრეთ აღიღეს გჳამი წ̂ისა ღ̂თის-მშობელისა ცხედრისა მისგან და ტილოთურთ დაასჳჱნეს საფლავსა დიდებულთა მათ და ყოვლად ქებულთა მოციქულთა, რომელთა ღირსებით და ჯეროვნად, ვითარცა ძესა მისსა ეგრეთვე დედასა მისსა პატივჰსცეს და მსახურეს პატივ ცემულსა მას ანგელოზთა და კაცთაგან, რომელსა ჰნატრის და ადიდებს ყოველი თესლები, ვითარცა იგი წმიდითა მით პირითა. ხოლო დაკრძალეს გჳამი იგი ყოვლად წმიდისა უფროსად კურხეულისა დედოფლისა, ხორციელად სუდარი იგი ღ̂თისა წმიდა წმიდათა სახსარი ბუნებისა ჩჳჱნისა საიდუმლო იგი შეუძრწუნებელი, შუამდგომელი და შემაერთებელი ღ̂თაებისა და კაცებისა, ქალაქი იგი რომლისათჳს დიდებული ითქ̂ა თესლითი თესლადმდე. მთა იგი რომელი სთნდა ღმერთსა დამკჳდრებად მასშინა ღ̂თისა თანა გამოჩნდეს, სლვანი ღ̂თისა და მეუფისა ჩჳჱნისანი, რომელ არს ცათა შინა ბჭე დაკრძალული, რომელი არავინ განვლო გარნა მხოლომან ღმერთმან დახშულადვე დაუცვა მხოლო იგი დედათა შორის კურთხეული უბიწო ღ̂თის-მშობელი მარიამ. Ⴋაშინ წმიდათა მოციქულთა ხატი მაცხოვრისა საფლავსა მას ზედა დაასჳჱნეს და ღამე იგი ლოცვთა დაგალობითა მღჳძარედ განათიეს, და ესმოდა მათ გალობა შჳჱნიერი წმიდათა ანგელოზთა, გალობა ტკბილი და საწადელი, რომელსა ვერ შემძლებელ არს ენა კაცობრივი გამოთქმად; ვითარცა იტყვის წინასწარმეტყუელი დავით, «განვლო მე ადგილი საყოფელი საკჳრველი სახლსა ღ̂თისა, ხმითა გალობისა დ̃ აღსარებისათა, ხმითა ზატიკობისათა», რამეთუ ჭეშმარიტად მუნ იყო ადგილი საყოფელი, ღმერთი საკჳრველი, სახლი ღ̂თისა რომელსაშინა სათნო იყო დამკჳდრებად უფალმან დიდებისამან და მეუფემან მშჳდობისამან ქრისტემან ღმერთმან ჩჳჱნმან.

Ⴞოლო ჟამსა ცისკრისასა, გამობრწყინდა ნათელი ბრწყინვალე წინაშე ხატსა მაცხოვრისასა და გარდამოხდა მიერ ბრწყინვალებაჲ რომელი ეტყოდა, «ქადაგნო სახარებისა ჩემისანო, დ̃ სჳჱტნო ცეცხლისანო, შეიგონეთ და ისმინეთ ესეცა, რომელმან გჳამმან მიწისაგანმან ღმერთი ყოველთა მშვა, იგი ხორცნი მიწასა შინა არ განიხრწნენ და ირწმუნეთ, რამეთუ სულით დ̃ ხორცით ცხოველ არს უკუნისამდე» და ვითარცა განთენა დღე იყო შაბათი დ̃ ჟამსა სამ ჟამისასა ჟამისწირვა აღასრულეს, და ვითარცა შემწუხრდა, იწყეს ღამისთევად დიდითა გულს მოდგინებითა ვიდრე შუაღამედმდე ილოცჳდეს; ხოლო შუაღამიდგან მიერულათ ყოველთა ძილითა ღრმითა, და ვიდრე მათ ეძინა აჰა ქჳჱყანა შეიძრა, და ხორცნი წმიდისა ღ̂თის მშობელისანი ზეცად აღიტაცნეს უხილავად; მაშინ პავლე და იოანე განკრთეს ძრ̂ვასა მას დიდსა ქჳჱყანისასა, აღდგეს და რეცა რისხჳთ ხმაჰყვეს: განიღჳძეთ ძმანო, რომელსა გძინავს მიერ მოვითმინნეთ ღამე ესე კჳრიაკისა უბადრუკთა ამათ უძილად, რათამცა მღჳძარედ ყოფილ ვიყვენით და აღრადგეს ყოველნი პეტრე თქ̂ა, ვაჲ ჩჳჱნდა და ვითარ დაგჳსლბნა ძილმან, რად ქჳჱყანა იძრ̂ის, ჰგონებ სასწაულსა რასამე გამოჩინებად ღ̂თის მშობლისა მარიამის ხორცთათჳს. Ⴞოლო ერთი ათორმეთტა მოციქულთაგანი რომელსა ეწოდა თომაშეკრებასა მას მოციქულთასა, მიცვ̂ალებასა მას დედისა ღ̂თის ვერ მოეწია და მოელოდეს

მას წმიდანი მოციქულნი ყოველსა ჟამსა, და ამას ღამესა კჳრიაკისასა უფროს რათამცა იგი შეემთხჳა წმიდასა მას გუამსა წმიდისაჲ მის ღმრთის მშობელისასა, და მომცაიღო კურთხევა კურთეულისა მისგან დედოფლის ჩუენისა.

ხოლო ძრჳსა მას ქუეყანისასა მოიწია იგიცა მოციქული და ჰპოვნა ყოველნი მოციქულნი და სიმრავლენი მორწმუნეთა მათთა ერთობით პირად პირადად გალობდეს, და ესმოდა თომას გალობა იგი ზეცისა ძალთა ტკბილი და საწადელი, და მწუხარე იყო უკანასკნელ მოსლვისათჳს, და მრავლითა გულის სიტყჳთა მოზღუდვილ იყო. მაშინ გულისხმაყო განგებულებითა ღმრთისათა ჟამი იგი ქრისტეს საფლავით აღდგომისა, ოდეს კართა ხშულთა შევიდა მოწაფეთა თანა (და) ბჭენი სახლისანი არა განახუნა მუნცა უკანასკნელ მოვიდა, და უფროს დაემტკიცა ქრისტეს აღდგომა რაჟამს სახე სამსჭუალთა და ნაბრძჳლნი იხილნა და გუერდსა შეხებულსა სისხლითა, ხელი დასდუა და თქუა თომა, მისვე საიდუმლოსა მსგავსი არს ჟამი ესე და სურვიელ იყო რათამცა გამოეცხადა რაჲმე. მაშინ მოციქულთა ყოველთა მოიკითხეს თომა და ჰკითხვიდეს თუ სადა იყავ, ხოლო თომა ჰრქუაჲ. მე ინდოეთს ვიყავ დიდსა მას ქალაქსა ძესა მეფისასა და დისწულსა ნათელსვცემდი, და ჩემ მიერ აღიბეჭდებოდეს, სულმან წმიდამან მრქუა მე, თომა ნუღარა ჰყოვნი, რამეთუ მხსნელისა შენისა დედა ქუეყანით ზეცად მიიცვალების; მსწრაფლ გეფუსამანისასამცა ხარ მარიამის თანა; და ვიდრე მიმოვიხედავდი ჩემზედა ღრუბელი ნათლისა დადრკა და აღმიტაცა, და აჰა ესერა ვიპოვე აქა და ნეტარ თქუენ ადრე მოსრულთა და კურთხევითა მისითა სავსეთა, ხოლო ვაჲ ჩემდა აწღა მოსრულსა სიხარულისაგან ცალიერსა, მწუხარებითა და გლოვითა აღვსებულსა წარსლვისათჳს დედისა უფლისა და ევედრებოდა, მოციქულთა რათამცა შეამთხჳეს ცხოველსა მყოფელსა დაუტევნელსა დამტევნელსა და რათამცა განაღეს საფლავი დაკრძალული. მაშინ შეისმინეს ვედრებანი მისნი ბრძანებითა სულისა წმიდისათა და აუწყეს პეტრეს და პავლეს განღებად ცრემლით სავსემან, იოანე მახარებელსა ჰრქუა: ჰოი! ძეო ქუხილისაო, მე მივუპყრნეა ხელნი ჩემნი ცოდვილნი, კიდობანსა ძუელისა და ახლისა სჯულისასა, მე შევახოაა ცოდვით განფრდილი მდევნელი ეკლესიათა და მარღუწველი საკურთხეველისა უწარჩევესი ცოდვილი ახლად მოსრული ბრალთა ჩემთათჳს უნანელი, იოანე შენ ხარ მსგავსი ქრისტესი ძე ქუხილისა, შენდა ჯერ არს ხელისა მიყოფაჲ. იოანე თქუა ჭურო რჩეულო პეტრე სადგურო სამებისაო, პავლე კლდეო სიმტკიცისაო, თავნი მოციქულთანი თქუენ ხართ თქუენდა ჯერ არს ხელისა მიყოფა, ხოლო მე საკმეველი ვიპყრა; მაშინ შიშით და ძრწოლით პეტრე მიჰყუნა ხელნი, მათგან იძულებულმან და იაკობცა, განაღეს კარი და ვითარ შთახედნეს, არა ჰპოვეს გუამი უფლისა შემწყნარებელისა, იხილნეს სახვევველნი ცალიერნი და ესრეთ შეკეცილნი მდებარე იყო.

მაშინ იოანე მდუმრიად ღაღად ჰყო, ეჰა, ეჰა, მარიამის ხორცნი არღარა არიან ჭეშმარიტად ძრჳსა მას ქუეყანისასა ზეცას აღიტაცა, თომა თქუა, ყოვლადვე არა მრწმენეს სიკუდილი მისი უკეთუ პირველ დაფარულსა არა გამომიცხადებდეს, და თჳთ წმიდა იგი დედოფალი არა სიტყუას მიგებეს, იაკობ იქუა, ხორცითა ძე მისი მოკუდა, მესამესა დღესა განცხოველებული სულითა და ხორცითა ცათ შინა სიძისავე წინაშე სუფევსა, არა გრწამს მაშინ ვითარცა იცილებოდეს; აჰა გამობრწყინდა ნათელი ბრწყინვალე, წინაშე კიდობანსა მას ვითარცა ხორცითა და ჩუეულებისაებრ მდგომარე იხილეს წმიდა ღმრთის მშობელი და თაყუანისცეს. მაშინ ხმაყო თომას, «ურწმუნოებისა აღმომფხვრელო და უხილავისა მხილველო, მოველ ჩემდა, რამეთუ მსურის, რაჲ არა გრწამს ჩემი მიცვალებაჲ მოხუცებული ესე ოთხმეოცდა ოთხისა წლისა.

**ძ**ემან ჩემმან, დედა თჳსი ცათა შინა წარმიყვანა მისთანა და სულით და ხორცით ცხოველ ვარ, შენ რად არა გრწამს», და ხმა უყო ყოველთა. «ერთი ოდენ მომეახლოს თომა». მაშინ მიეახლა ფერხთა მარიამისთა თომა, ცრემლით ხმაჰყო, აჰა! დედა უფლისა ჩემისა მრწამს, ამიერითგან ვითარმედ სულით და ხორცით ცხოველ არს. **მ**აშინ შეიტკბო და აკურთხა და უჩინო იქმნა, ესე რა იხილეს მოციქულთა განკჳრდეს და ცნეს, ვითარმედ ამისთჳს იქმნა გვიანად მოსლვა, რათა მიზეზითა მისითა იქმნას განგებულებაჲ გუამისა ზეცად ამაღლებისა, მაშინ მისცეს ერთბამად დიდება ღმერთსა საკჳრველთ მოქმედსა, დაასხეს საკმეველი და აღანთეს სანთელნი და იწყეს ლიტანიად.

**ყ**ოვლად სანატრელო მარიამ გადიდა შენგან შობილმან, გიხაროდენ საუფეველსა დიდება შენი უზეშთაეს არს ყოველთა, რომელმან შჯვ ღმერთი, ვითარ მოჰკუეტდ უკუდავება ინებე რომლისათჳს აღდეგ შენ მისთანა მიიწიე, სულით და ხორცვით ჯოი! ნათობ მარადის, დაღაცათუ მოკუეტდ მუნ უკუე ცხოველ ხარ. სული შენი აღმავალი ჭაერის მცუფლთა ვერ დააყენეს, არცა გუამი შენი მიწამან განხრწნა და მერმე ვერცა იგი დააყენეს, რამეთუ ჭეშმარიტად გარდასცვალე ხრწნილებაჲ უხრწნელებად და წყევა კურთხევად, ურწმუნო სარწმუნოებად, რომელმან ნათელი დაამტკიცე და ბნელი განაქარვე. სიმრთელე დანერგე და ქრისტიანობა აღაყვავილე, თაყუანის გცემთ და უცხრომელად, ვაქებთ და უდუმებელად, პატივსა ჰვსცემთ, დღესასწაულსა შენსა, და ვევედრებით მადლსა შენსა მეოხ გუეყავ სულთა ჩუენთათჳს. **დ**ღესა კვირიაკესა აღასრულეს ჟამის წირვა, ადიდეს წმიდა ღუთის მშობელი, ეზიარნეს ხორცსა და სისხლსა ქრისტესსა, და ქალწულთა ნუგეშინისცეს და განაწესეს ხსენება წმიდის ღუთისმშობელისა. ამინ.

# ႧႥႤႱႠ ႬႭႤႫႡႤႰႱႠ. Ⴊ. ႣႶႤႱႠ.

## მოსახსენებელი, მიმოსლვათათჳს და ქადაგებათა უდ ქებულისა და დიდებუ-ლისა მოციქულისა ანდრეასი.[1])

Ⴓპირატეს ათორმეტთა მოციქულთა წოდებულსა მას ყოვლად ქებულსა ანდრეას შესხმად მეგულვების და წადიერ ვარ, არამედ არა უწყი მე, რომელი შეუძლებელსა კელვჰყოფ, გარნა სურვილი მისი მრავლით ჟამითგან დამკჳდრებული არს ჩემ შორის, მაიძულებს და არა შემინდობს დუმილად, დაღაცათუ სიტყჳა ჩემი კნინ არს და გლახაკ და გონება უმეცარ, არამედ მხურვალითა გულს-მოდგინებითა, შეწევნასა და მეოხებასა მისსა ვითხოვ და ვესავ, ვითარცა მას უმეცარსა თუ იყო სიტყჳთა, შემწე ეყო მადლი Ⴕრისტესი ქადაგებად სახელსა მისსა, და პირნი ბრძენთ და ფილოსოფოსთანი დაუყვნა, და სცთური იგი კერპთმსახურებისა განაქარვა, ეგრეთვე მეცა თანა შემწე მეყოს Ⴖ჻თივ-სოფლიერი იგი მადლი მისი და უძლური ესე სიტყჳა უმეცრებისა ჩემისა განაძლიეროს, რამეთუ დაღაცათუ სიმაღლე სამოციქულოსა მის დიდებისა სძლევს ძლიერთაცა სიტყჳთა, და სწავლულსა სიბრძნითა, არამედ უწყი, რომელ შეიწიროს ღირსი ქება ჩემი და მომცეს სიტყჳა წადიერებისა ჩემისა სრულ ყოფად, რათა შემოკრებულთცა დღესასწაულსა მისსა ტაბლა კეთილი განუმზადო და ქადაგსა მას Ⴖ჻თის მსახურებისასა სახე მადლობისა წინა უყო.

Ⴀწ უკუჱ გალობითა და შესხმითა ფსალმუნითა და ქებითა იდიდებოდენ ჩუჱნ მიერ ანდრეა, ჭეშმარიტისა მის მეუფისა Ⴕრისტესი, ჭეშმარიტად მხნე და მკედარი და ერის მთავარი, ძლიერი იგი სიტყჳთა და საქმითა, რომელი განეწყო მტერთა მიმართ უხილავთა და ხილულთა, და ორ კერძოვე ძლევა მიიღო, რომელმან შეიმოსა უძლეველი იგი ძალი, ყოვლისა-მპყრობელისა მის წმიდისა Ⴑულისა საჭურველად, და მოირტყა წელთა ჭეშმარიტება და სიმხნე, და შეისხნა ფერხნი განმზადებულითა სახარებისა მის მშჳდობისათა და ესრეთ განვიდა წყობად უხილავისა მის ბოროტისა და კაცთა მოძულისა მძლავრისა, და სიმრავლენი წარმართთანი გამოსტაცნა, მძჳნვარეთ მათ შუათა მისთაგან, და წარუდგინა მაცხოვარსა სარწმუნოებით დამორჩილებულნი; ჵ! ჭეშმარიტად ქებითა და გალობითა ბრწყინვალედ იდიდებოდეს ანდრეა, სამოციქულთა მით სიმკნითა სახელდე-

1) ცხოვრება ესე წმ. მოციქულისა ვჰპოვე იმერეთს, გაენათის მონასტერში, რომელიც გადმოიწერინა მის ყოვლად უსამღვდელო გაბრიელ ეპისკოპოზმან, ჩყოვ წელსა ენკენისთუჱში.

ბჭჱთ. საღმრთოჲსა მის ახოვნებისა ძეგლი, რომელმან უპირატეს ყოველთა მოძღუარ უწოდა მეუფესა, პირველი იგი ნერგი ათორმეტთა მათ Ⴕრისტეს მოწაფეთა, რომელი დაუცხრომელად მოუ-ლოდა მოსლვასა მაცხოვრისასა და იხილა რა იგი უფალი და მოწამობა იოანესი, მოწაფობად Ⴕრისტესა შესცვალა.

Ⴀმას ბრწყინვალესა და დიდსა ყოვლისა სოფლისა მნათობსა მამული იგი ქალაქთა შორის ბეთსაიდა, ვითარცა წმიდასა სახარებასა წერილ-არს, კელოვნებით იყო მეთევზე(ი), ხოლო დაღაცათუ შექცეულ იყო კელოვნებასა მას თევზსაობისასა, და მისგან მოირეწდა საზმარსა (მას კორციელისა ცხოვრებისასა) არამედ წერილსა მას (სჯულისასა და წინასწარ-მეტყუჱლთასა) არავე უმეცარ იყო, რამეთუ ვითარცა იგი კელოვნებით სიღრმეთა ზღჳსათა (აღმოიკჳლევდა) ეგრეთვე სიღრმესა მას საღმრთოთა წერილთასა, გულის-კმის-ყოფით გამოიკჳლევდა, და წვრილად (მათდა ყოვლად) არა დასცხრებოდა, (არამედ) დაუცხრომელად ეძიებდა მარგალიტსა მას, რომელი მრავლით კერძო და მრავალ სახედ სჯულისა მიერ და წინასწარ-მეტყუჱლთა იქადაგებოდა და სურვიელ იყო მოგებად უსასყიდლოსა მის მარგარიტისა, ამისთჳსცა კეთილად წარემართებოდა იგავთაგან ჭეშმარიტებისა მიმართ და აჩრდილისაგან ნათლად მიიწეოდა.

და ვითარცა იხილა ხმა იგი სიტყჳსა წინა-მორბედი მაღლისა, სანთელი ნათლისა წინა გამოჩინებული და მთიები პირველ მზისა აღმობრწყინვებული, მეუჳსუულად მირბიოდა მისსა სახეობით, მისდევდა სარწმუნოებით, და დაემოწაფა პატიოსნად, ჰგონებდა ნუ უკუჱ იგი არს მოლოდებადი სიტყუჲ Ⴖ̃თისა ხორცითა ხოფლად მომავალი.

ხოლო ესმა რა უტყუელისა მის მოძღუჳრებისაგან, რომელმან არა უარჰყო ჭეშმარიტება, არამედ აღიარა და კმა მაღლად ჰქადაგა, ვითარმედ არა ვარ მე Ⴕრისტე, არამედ მოვალს შემდგომად ჩემსა უძლიერესი ჩემსა, რომელი პირველცა ჩემსა იყო, რამეთუ უპირატეს ჩემსა არს, რომლისა არა ღირს ვარ საბელსა კამლთა მისთასა განჴსნად, ესე იგი არს საიდუმლო, განკაცებისა მისისა; მერმე კჳალად თითითა უჩვენებდა ერსა და ეტყოდა. «აჰა ტარიგი ღჳთისა, რომელმან აღიხუნა ცოდჳანი სოფლისანი», ესე ყოველი ესმა ნეტარსა ანდრეას, მოისმინა სიტყუჳა მოსესი, რომელ თქჳა, ვითარმე წინასწარ-მეტყუჱლი აღგიდგინოს თქუჱნ Ⴓფალმან, ძმათა თქუჱნთაგან, ვითარცა მე, მისი ისმინეთ და განათლდეს თუალნი გონებისა მისისანი, ხილვად ნათელსა მას ჭეშმარიტსა, რომელი იგი განიცადა განცხადებულთა მათ სიტყჳათაგან და აურაცხელთაგან სასწაულთა და წადიერად მირბიოდა, მივიდა და შეუვრდა მაცხოვარსა და მისდევდა მას შეუქცეველად და სავანე მისი გამოიკითხა და ბრძანება მოიღო ვითარცა ღირს იყო, «მოვედ და იხილე», მივიდა და იხილა და მის თანა დაადგრა მას დღესა, ვითარცა წერილ არს, ესრეთ ეძიებდა რაჲ სავანესა მეუფისასა ქუჱყანასა ზედა, აუაღრესი იგი და უზესთაესი სავანე ჰპოვა, ვითარცა უბრძანა თავადმან მოციქულთა, ვითარმედ «სახლსა მამისა ჩემისასა სავანე მრავალ არიან», ვინაცა აღუთქჳა მისლვად და ადგილისა განმზადებად მათ თჳს. ჰპოვა წყარო იგი ცხოვრებისა უკჳდავი და სურვიელად მოუხდა პირველ წოდებისაცა თჳსისა ვითარცა ირემი წყურვიელი და იხილა რა გემო სიტკბოებისა მისისა არა თავს იდვა თავით თჳსით, ხოლო მიღებად ზიარებს იგი მიუთხრობელისა მის კეთილისა, არამედ ხმა უყო ძმასა თჳსსაცა, რათა ეზიაროს იგიცა საფასესა მას უშურველსა, ამისთჳსცა კმითა სიხარულისათა ახარა, ვითარმედ «აჰა! ესერა ვპოვეთ ჩუჱნ მესია, რომელსა ჰქადაგებდეს სჯული და წინასწარ მეტყუჱლნი», მაშინ რომელი იგი ხორციელსა მას შობასა წინა უძღოდა, სულიერსა შობასაცა წინამძღუარ ექმნა ნეტარი ანდრეა პეტრეს პირმშოსა მას ძმასა და მოიყვანა იგი ყოველთა მეუფისა,

და წარუდგინა პირველ მოწაფე მოსაყდრე და ღირსი კლიტეთ მპყრობელი სასუფეველისა ცათასა, რამეთუ მეუფსულად ვითარცა საკუთარი მეგობარი, შეიწყნარა იგი Ⴓფალმან, და შემსგავსებულად საქმისა უწოდა მას სახელი, ვითარმედ «შენ გეწოდოს კეფა», რომელი ითარგმანების კლდე. ჭეშმარიტი იგი კლდე სარწმუნოებისა, მტკიცე იგი და რჩეული Ⴕრისტეს მოწაფე, რომელსა ზედა აღაშენა ახალი ესე ეკკლესია Ⴓფალმან; ესრეთ ყოველთა უპირატეს შეეწყნარნეს და შეესაკუთრნეს Ⴕრისტესა, ორნი ესე კეთილნი და შუ̃ენიერნი ძმანი, ვითარცა პირველი ნაყოფი და შესაწირავი კაცობრივისა ბუნებისა, და დასაბამი სამოციქულოსა მის კრებულისა და ნამდჳლვე ჯუ̃რ იყო ცხოვრებად სოფლისა მოსრულისა მის, ყოვლისა მპყრობელისა და ყოველთა დამბადებელისა Ⴖ̃თისა-სიტყჳსა, ესე ვითარცა მოწაფეთა შეწყნარებად, ერთი ესე სიმხნითა მით სულიერითა შემკობილი სიტყჳთ და საქმით და მეორე იგი კლდე შეურყეველი სარწმუნოებისა და საფუძ̃ელი მტკიცე ეკკლესიისა. გარნა ნეტარისა პეტრეს ქება თჳსსა ჟამსა გუ̃ელოდენ, რამეთუ ვერ შემძლებელ არს ენა ჩუ̃ენი ორ კერძო გალობად, ხოლო ჭეშმარიტად ახოვნისა და უძლეველისა ანდრეას შესხმად სიტყჳსა ჩუ̃ენი წარემართენ და შემოკრებულნი ესე დღესასწაულსა მისსა კეთილად ვისტუმრნეთ.

Ⴐაჟამს იგი მეუფემან და მაცხოვარმან ჩუ̃ენმან Ⴈესო Ⴕრისტე, განკაცებისა მისისა განგებულებაჲ აღასრულა და ზეცისათა შეაერთნა ქუ̃ეყანისანი და ამაღლდა დიდებით და დასჯდა მარჯუ̃ენით მამისა და სული წმიდა მოუვლინა დიდებულთა მათ მოწაფეთა მისთა და მოციქულთა და განუყვნა ენანი იგი ცეცხლისანი, მაშინ განივლინნეს ნეტარნი იგი ყოველთა კიდეთა ქუ̃ეყანისათა, ქადაგებად სახარებასა მას ცხოვრებისასა და საიდუმლოსა მას Ⴖ̃თის-მსახურებისასა, ვითარცა დაღადებს დავით წინასწარ-მეტყუ̃ელი, ვითარმედ «ყოველსა ქუ̃ეყანასა განვლდა ჴმა მათი და კიდეთა სოფლისათა სიტყუ̃ანი მათნი», რამეთუ ჭეშმარიტად ცანი იყვნეს პირმეტყუ̃ელნი, რომელნი იგი უთხრობდეს დიდებასა ღ̃თისასა, რამეთუ მოეფინა რა მათ ზედა ნუგეშინისმცემელი სული წმიდა, რომელნი პირველ ჯუ̃არცმისა შიშითა და ზარითა შეპყრობილ იყვნეს და ჟამსა მას საუფლოსა ვნებისასა განბნეულნი ივლტოდეს და დაიმალვოდეს და შემდგომად აღდგომისაცა ჟამ რაოდენმე მოწიწებით იქცეოდეს და ვერ კადნიერ იქმნებოდეს, შეიმოსეს რა ძალი მაღლით გარდამო, მეუ̃ფსულად კადნიერ და გულს მოდგინე გამოჩნდეს და უშიშად მიმოდასდებდეს სიტყუ̃ასა მას ცხოვრებისასა და ქადაგებდეს სახელსა უფლისასა: მაშინ ეგუ̃ე წილ ხვდა თავსა მას მოციქულთასა პეტრეს სადმრთოთა ნათლითა განათლებად, კერძოთა მათ დასავლისათა შეპყრობილთა ბნელითა მით უმეცრებისათა; ხოლო Ⴖმერთ-შემოსილი იგი ანდრეა ძმა მისი განაჩინა ქადაგად ნათესავთა აღმოსავლისა და ჩრდილოსათა, ვიდრე მაკედონიად და აქაიადმდე, რომელმანცა ძალითა სულისა წმიდისათა ქუ̃ეყანითი ქუ̃ეყანად, და ქალაქითი ქალაქად და სოფლითი სოფლად არა დასცხრა ქადაგებად სარწმუნოებასა ქრისტესსა, არამედ მიმორბიოდა ვითარცა არწივი ფრთე მალე, განახლებული სულიერითა მით სიჭაბუკითა, ვითარცა დავით იტყჳს და მოვლო უმეტესი კერძო სოფლისა ვითარცა უნემან მალე-მსრბოლმან სიტყჳსა ებრ წინასწარ-მეტყუ̃ელისა, მოვლო სოფლისა ესე ზღუ̃ა და აღსძრნა და განაკმნა ურწმუნოებისა იგი მღრვიენი და მწარენი იგი წყალნი, ხოლო ტკბილნი იგი ღ̃თისმეცნიერებისა წყარონი აღმოაცენნა, სულსა შინა მორწმუნეთა, რომელთაცა შეიწყნარეს ქადაგება ქრისტიანობისა ამისთჳსცა ყოველი საცთური ეშმაკისა განქარდა და Ⴖ̃თის მეცნიერება დაენერგა კაცთა შორის; ტაძარნი კერპთანი დაირღუ̃ევოდეს და ეკკლესიანი აღშენდებოდეს, სიმრავლე ეშმაკთა იდევნებოდა და ბანაკი ანგელოზთა კაცთა შორის იქცეოდა, სენნი ...

ტებოდეს და სიმრთელე უძლურთა მიენიჭებოდა, მრავალ ფერითა საკრველითა შეკრულნი განიჴსნებოდეს და მტერი განუჴსნელითა საკრველითა შეიკვროდა, სიკუდილი დაიჴსნებოდა და ცხოვრება კაცთა მოენიჭებოდა, მჭმუნვარე იგი მწუხარება განქარდებოდა და საღმრთო სიხარული სოფელსა შინა ბრწყინვიდა, ამისთჳსცა აღივსო ყოველი ქუეყანა მეცნიერებითა უფლისათა, რამეთუ არა არს ქუეყანა, არცა ქალაქი ვინაცა მიიწია მოსახელე იგი სიმხნისა, თუმცა არა დანერგულ იყო თესლი იგი ღუთის მსახურებისა და არცამცა დაუნჯებულ იყო ნაყოფი იგი სარწმუნოებისა და არამცა განფენილ იყო მადლი სასწაულთა მისთა და საკჳრველებანი კურნებათა მისთანი, რომელნი იგი უკეთუ ვინ თითოეულად ინებოს აღწერად ანუ მითხრობად ვითარცა ვერ შეუძლოს კაცმან ვარსკულავთა ცისათა, ანუ წჳმისათა, გინა ქჳშასა ზღჳსასა აღრიცხვად, ეგრეთვე ვერცა საკჳრველებათა და დიდებულებათა ნეტარისა მის მოციქულისათა, შემძლებელ არს ენა კაცობრივი მოთხრობად; ხოლო ჩუენ რომელთა ესე კელ-გვიყოფიეს ქებად მოციქულისა და ღაცათუ ყოველთა საღთოთა მათ საქმეთა მისთა თქმად, ვერ შემძლებელ ვართ, არამედ მრავლისაგან მცირედი წარმოვსთქუათ; რათა კერძოსაგან ყოველივე საცნაურ იქმნეს მეცნიერთა მიერ და სიტყუა ჩუენი წესიერ იყოს და მოკლე, ვითარცა უფალმან მოგუცეს ძალი.

ჩას ჟამსა შინა ოდეს იგი განვიდოდეს წმიდანი მოციქულნი ქადაგებად, პეტრე და ანდრეა, არა კორციელითა წესითა, არამედ სულიერითაცა სათნოებითა ძმანი და ურთიერთას მსგავსნი, წარემართნეს ზოგად გზასა მას მოციქულებისასა და წარიყვანნეს მათთანა მატათა და კაიოზ და სხუანი ვიეთნიმე სამეოცდაათთაგან და მივიდეს ანტიოქიად ასურეთისა, ვინაცა ჰქადაგეს პირველ ყოველთა სიტყუა იგი ღუთის-მსახურებისა, და მრავალნი სასწაულნი აღასრულნეს და მრავალნი მოიმოწაფნეს და ეკკლესია აღაშენეს და შემზადეს შუენიერად და მუნ ეწოდა ქრისტეანე უწინარეს ყოველთასა, ვითარცა იტყჳს ნეტარი ლუკა საქმესა შინა მოციქულთასა და მიერ განვიდოდეს ქალაქითი ქალაქად, და ქადაგებდეს სახარებასა მას ცხოვრებისასა, ვითარცა მიიწივნეს ტჳანედ, რომელ იგი არს ქალაქი ქუეყანისა კაბადუკიისასა და მუნ დაჰყვეს ჟამი რაოდენიმე და ასწავებდეს და ნათელსჰსცემდეს ერსა ფრიადსა.

და მივიდეს ანკჳრიად ქალაქსა გალატიისასა და დაივანნეს სახლსა კაცისა ვისმე ჰურიისა რომლისა სახელი ონისიფორე, სადა იგი მრავალ დღე იყოფოდეს და მკუდარი ლოცვითა აღადგინეს და უმეტესად საკჳრველ იქმნა სახელი მათი და კადნიერად ასწავებდეს და უმრავლესნი დაამორჩილნეს სიტყუასა მას ღუთისა-მსახურებისასა, მიერ წარემართნეს და მოვლიდეს ყოველთავე ქალაქთა და ქადაგებდეს სახელსა ღუთისასა და აღასრულებდეს სასწაულთა დიდებულთა და უზესთაესთა ბუნებისათა და მოაქცევდეს ერთა მრავალთა და ნათელ ჰსცემდეს, სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა და მოვიდეს სინოპედ ქალაქად პონტოსისა ზღჳს კიდედ და იყვნეს მაშინ ქალაქსა მას ერი მრავალი წარმართთა და ჰურიათა და კერპთ მსახურთა ფრიადი და იყო ერი იგი ფიცხელი და მოუდრეკელი და ყოვლითურთ უსახური, ამისთჳსცა ვიეთგანმე კაცის მჭამელ ეწოდებოდა.

ხოლო მახლობელად ქალაქისა მის არს მცირე ჭალაკი, ვინაჲცა სავანე ჰყვეს დიდებულთა მათ ქრისტეს მოციქულთა და ასწავებდეს ყოველთა რომელნიცა მივიდოდინ მათდა, სადა იგი არიან ორნი საყდარნი გამოკუეთილნი მარმარილოსაგან სპეტაკისა, რომელსა ზედა სხდეს ქადაგნი იგი ქრისტესნი და ასწავებდეს ერსა და ეკკლესია არს აღშენებული, სახელსა ზედა წმიდისა მოციქულისა ანდრეასი, სადა ხატი მარმარილოსა ზედა გამოხატული, ყოვლითურთ მსგავსი პატიო-

სჳნსა მას სახესა მისსა, სავსე მადლითა და მოქმედი სასწაულთა, რომლისათჳს თქმულ არს, ვითარმედ მაშინვე გამოიხატა, ვიდრელა სოფელსა შინა იყო ღმერთ-შემოსილი იგი, ხოლო დღეთა მათ უსჯულოსა მის ხატთა მბრძოლისა მჩორო მეფისათა (კონსტანტინე კოპრონიმ), მიიწივნეს მუნ ვიეთნიმე ქრისტჱს მბრძოლნი და წმიდათა ხატთა მწუწლნი და დაამხვეს პატიოსანი იგი ხატი მოციქულისა და ენება აღკოცა მისი და უჩინო ყოფა და ყოველი ღონე აცადეს აღკოცად და ვერ უძლეს, არამედ წარვიდეს სირცხვილეულნი.

ხოლო მათ დღეთა შინა შევიდეს რა წმიდანი იგი მოციქულნი ჭალაკსა მას, მრავლით ჟამითგან მუნ დამკჳდრებულნი ეშმაკნი, ვითარცა ცეცხლისაგან დაიწუწბოდეს, კმობდეს და იტყოდეს მოწაფენი ნაზარეველისანი მოიწივნეს აქა და გვიოტებენ ჩუენ, ხოლო ქალაქისა მის მკჳდრთა ესმა მათ თჳს და გამოვიდეს მათდა და მოჰყვანდეს გუემულნი სულთაგან არა წმიდათა; შეპყრობილნი თითო სახეთაგან სენთა; მაშინ ქადაგთა მათ ჭეშმარიტებისათა, იწყეს სწავლად ერისა მის და განანათლნეს იგინი მოძღურებითა ღმრთის-მსახურებისათა და მრავალნი მათგანნი მოაქცივნეს სარწმუნოებასა უფლისასა, ჰურიანი და წარმართნი და უძლურთა მათ და ეშმაკეულთა და ასხნეს ხელნი და ყოველნივე განკურნნეს, მიერითგან იწყეს მრავალთა ქალაქისაგან და გარემო სოფლებისა მოსლვა მათდა და ნათელსცემდეს მათ წმიდანი მოციქულნი, სახელითა წმიდისა სამებისათა: ხოლო დღეთა რაოდენთამე შემდგომად, შევიდა მატათა ქალაქად საქმისა რაისათჳსმე და შეიპყრეს იგი უსჯულოთა ვიეთმე ჰურიათა და შეაყენეს საპყრობილესა და ენებათ ხვალისა დღე მოკლჳა მისი, ხოლო მას ღამესა ეუწყა ესე ნეტარსა ანდრეას და მივიდა იგი ქალაქად და ბჭენი ქალაქისანი და საპყრობილისანი თავით თჳსით განეხვნეს და შერავიდა საპყრობილედ, ოდეს შერავიდა მოციქული საპყრობილესა შინა, მეყუსეულად დასცვივდნენ ბორკილნი (ჯაჭვნი) ხელთა და ფერხთაგან, არა მხოლოდ მატათასა, არამედ სხჳსათაცა პატიმართა.

განთავისუფლებულთა პატიმართა ერწმუნათ უფალი იესო. უბრძანა მათ მოციქულმა რათა შვიდ დღე დაჰყონ ფარულად ვიეთსამე ქუაბსა შინა, შორ მყოფი ქალაქსა ზედა ვითარ შვიდი სტადიოს, მახლობელ, რომლისა ჰსდგეს (ფრიად) მრავალი ფინიკნი, ფრიად ნაყოფიერნი.

აქა მოციქული ასწავებდა მათ, — მერვესა დღესა შემდეგ ნათლის ღებისა განუტევა იგინი და ამცნო მათ, რათა სიწმიდით დაიცუან მიღებული სარწმუნოება.

დროსა ერთსა მქადაგებელნი ჭეშმარიტებისა შეჰკრბნენ ერთბამათ, მოიკითხეს ურთიერთად და შეერთებულნი მარად სარწმუნოებითა და სიყუარულითა, გონებითა და გრძნობითა, წარვიდნენ სხუადა სხუა მხარეთა, ქადაგებად.

ნეტარმა პეტრე აღიყვანა გაიოზ და რომელნიმე ძმათაგანი, წარვიდა დასავლეთის მხარეს, არამედ ნეტარი ანდრეა და მატათა და სხუანი მოწამენი შეუდგენ გზასა აღმოსავლეთისასა.

ქალაქსა მისონთასა (სამისონ) მდებარესა ზღუის-კიდესა პონტოჲსასა, ნეტარი დაადგრა (ჩამოხდა) სახლსა შინა ერთისა ჰურიისასა სახელით დომენტი. მოციქული მოწაფეთა თჳრთ შერავიდა შესაკრებელსა ჰურიისასა და მქადაგებელი სიტყჳსა ჭეშმარიტებისასა დაუმტკიცებდა მათ საღმრთო წერილთაგან, რამეთუ იესო ქრისტე არს ძე ღმრთისა.

შესაკრებელსა შინა წინა აღუდგეს მოციქულსა რომელნიმე მწუალებელნი სახელწოდებულნი ჰეროდიანად, რომელნი ამტკიცებდეს, რამეთუ ჰეროდე იყო ქრისტე, რომელმან გადმოაგდო მღუდელთ-მთავრობითგან გირკანი, თჳთ შეიმოსა მღუდელთ-მთავრობაჲ, და მეფეთ მეფობა მიიღო ჩინებულნი ძლევანი მტერთა ზედა.

მოციქული (წინაალუდგებოდა) დაუხშვიდა პირთა წინააღმდეგოთა მათ (თჳსთა) და ეტყოდა, რამეთუ ჰეროდე იყო უცხო თესლთაგანი, მცბიერად მკჳლელი ცოლისა და შვილთა თჳსთა. წური უსჯულოებისა. სხჳანი ამტკიცებდნენ ვითარმედ იოანე (ნათლისმცემელი) ქრისტე იყო, რამეთუ იგი ტომისაგან იუდასი იყო და ძე მღჳდლისა. მოციქულმა უპასუხა მათ, «მე თჳთ მოწაფე მისი ვიყავ, ოდეს ესე ჰქადაგებდა ნათლისღებასა სინანულისასა, მე თჳთ მესმა პირისაგან მისთა, წამება მისი იესოსთჳს, «ესე არს ტარიგი (კრავი) ღმრთისა, რომელმა იტვირთა ცოდვანი სოფლისა ამის» და ვითარ სამწელ ვდევნიდი უფალსა, ოდეს იგი ჰქადაგებდა ღმრთის სასუფეველისა თჳს, და განჰკურნებდა სნეულთა და კეთროვანთა, ვიდრემდის შურის გებითა მიერ მღდელთ მოძღუართა მიცემულ იყო პილატეს სასიკუდილოთ; ჯუარს აცუეს იგი და დაიფლვეს, არამედ იგი მესამესა დღესა აღსდგა, ამაღლდა ცათა შინა დიდებით, და კუალად მოვალს სჯად ცხოველთა და მკუდართა და ყოველთა მიგებად არს საქმისა მებრ მათისა».

მასწავლებელი ამისა შესაკრებელსა შინა, წმ. მოციქული ოდეს გამოვიდა მჳნით დახვდა მას ერი მრავალი, რომელთა მოეყვანათ მრავალნი უძლურნი, ნეტარმა უბრძანა მათ, რათა მოიყვანონ იგინი მეორესა დღესა, არამედ თჳთ დაბრუნდა სახიდ თჳსად მოწაფეთა თურთ, რომელთა სახელნი ესე არს: თადეოს, მატათა, ტიხიკოს და ასტაქე (ავსტათი) ევგოდოს, სჯმონ და აღაპიტოს და დომეტი, ესე ყოველნი თითო სამოსლითა მოსილნი და სანდალნი ფერხთა მათთა და იყო საზრდელ მათდა პური და წყალი ერთ გზის დღესა შინა, ხოლო ჟამსა ძილისასა ქუეყანასა ზედა მიწვიან და კნინ ოდენ განისუენიან და მეყუსეულად აღდგიან გალობად. ხვალისა დღე კუალად შემოკრბა ერი იგი, განვიდა ნეტარი ანდრეა და ერსა მას ჯუარი დასწერა და რომელნიცა იყვნეს უძლურნი ყოველნივე განჰკურნნა და განხდა სახელი მისი ქალაქსა მას შინა, ხოლო განკურნებული იგი მოიღებდეს საფასეთა და სახმართა მრავალთა და ყოველსავე მოციქული გლახაკთა განუყოფდა და რწმენა მრავალთა სახელი უფლისა იესო ქრისტესი და ნათელ იღებდეს სახელითა წმიდისა სამებისათა და შემოკრბებოდა ერი დღითი დღე, და ნეტარი ანდრეა დადგის ადგილსა მაღალსა სახილველად ყოველთა და ასწავებნ სიტყუასა ცხოვრებისასა, რამეთუ არცა ჰასაკითა გუამისათა მცირე იყო, არამედ გრძელ და შუენიერ, თვალოვან, წარბოვან, მკცოვან და შუენიერ თმითა და წვერითა, სიგრძითა მცირედ მოდრეკილ და შემოკრბიან რა უძლურნი და გუემულნი ეშმაკთაგან უბრძანის ეშმაკეულთა მათ კიდე განყოფა სხუათაგან და იწყიან რა ამბოხება შერისხნის სიტყუითა და მეყუსეულად დადუმნიან; მაშინ ერსა მისცის მშჳდობა და იწყის საღმრთოთა სწავლათა მითხრობად, და სნეულთა და ასხნეს კელნი და განიკურნიან; ხოლო სულთა მათ ბოროტთა მკსინვარითა ხმითა შერისხნის და მყის ივლტოდიან, კეთროვანთა და განრღვეულთა უბრძანის წყლისა პკურება და მყის განწმდიან, და ხორცნი მათნი მოეგნიან, ვითარცა ყრმათა ჩჩჳლთანი, მკელობელთა უბრძანის და მალიად ვიდოდიან, ბრმათა შეახის მარჯუენე თჳსი თვალთა და აღიხილნიან და არა იყო სენი რომელიცა არა განიკურნებოდა, სიტყუითა და ლოცვითა ამის ყოვლად ნეტარისათა, ამისთჳსცა ყოველნივე განკურნებული იყვნეს, უფროს ხოლო ამისთჳს, რამეთუ ჰხედვიდეს სიმდაბლესა მისსა და სიმშვიდესა და სახისა უნდოებასა. ხოლო სიტყუით მსგავსად წყაროსა აღმომდინარეთა და ვითარ მადლნი იგი კურნებათანი დღითი დღე განმრავლდებოდეს და დიდების მეტყუელება ღმრთისა მწუხრი დილეულ და სამკრის, უფროსღა ვსთქუა თუ დაუცხრომელად აღესრულებოდა მის მიერ, ამისთჳსცა არა უნდა ერსა მას ყოვლადვე განშორება მისგან და შეეძინებოდა დღითი დღე სიმრავლესა მორწმუნეთასა.

მაშინ მოციქულმან აღაშენა ეკკლესია სავსითა და თანა შეწევნითა ახალ წოდებულთა მათ მორწმუნეთათა და აღმართა საკურთხეველი და აკურთხნა მღდელნი და დიაკონნი, რამეთუ არათუ გლახაკნი ხოლო მოიქცეოდეს, არამედ მრავალნი მდიდარნი და მთავარნი, მამანი და დედანი ჰურიანი და წარმართნი, რამეთუ რომელთა მაშინ ეპყრა რომთა მეფობა, ტიბერის კეისარი და გაიოზ და კლავდი, არავის აყენებდეს აღსაარებად სახელსა ქრისტესსა, ამისთჳსცა ნათელსჰსცემდა ყოველთა მორწმუნეთა მოციქული ქრისტესი, სახელითა ყოვლად წმიდისა სამებისათა.

ხოლო ეკკლესია იგი სახელსა ზედა წმიდისა ღმრთისმშობელისასა აღაშენა, რომელი იგი დღესამომდე საცნაურ არს ყოველთა მიერ და იქმნა სიხარული დიდი ყოველთა შორის და აზიარნა წმიდათა საიდუმლოთა ქრისტესთა, და ასწავა მათ წესი ლოცვისა და დიდებისა მეტყუელებისა ღმრთისა და განგება წმიდისა ჟამის წირვისა და უბრძანა მწუხრი და განთიად ზოგად შეკრება და აღმოსავალით კერძო დადგომა და მუხლმოდრეკით ლოცვა და გალობა ფსალმუნთა დღისათა და მარხვად და მლოცვარებად და კითხვად საღმრთოთა წერილთა და არა საწარმართოთა ზღაპართა არამედ თქმულთა მოსესთა და სხუათა მათ წინასწარ მეტყუელთასა და რათა დაიმარხონ შეუცვალებელად ყოველივე განწესებული მოციქულთა მიერ, ვითარცა პირითა ღმრთისათა თქმული; ესრეთ ქადაგებდა და ასწავებდა ნეტარი იგი და მრავალნი ქალაქნი და დაბნებნი პატიოსნებით განანათლნა და სარწმუნოებასა უფლისასა დაამტკიცნა.

ხოლო არა ქადაგებისა მისისა დაუცხრომელი იყო, რამეთუ მადლი სულისა წმიდისა განაძლიერებდა მას და მიმოვიდოდა ქალაქითი ქალაქად და სოფლითი სოფლად ასწავებდა მათ სიტყუასა მას ღმრთისმეცნიერებისასა; მიიწია უკუე ქალაქად ტრაპეზუნტად, რომელი იგი შენ არს სოფელსა მეგრელთასა, სადა იგი დაჰყო ჟამი მცირედი, და იხილა უგუნურება პირუტყუმსგავსი მკჳდრთა შორის მის ქალაქისათა, განვიდა მიერ და შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, ვინაცა იგი დაჰყო ჟამი ვრიადი და მრავალნი განანათლნა სიტყუითა მოძღურებისა მისისათა და შეწირნა უფლისა წმიდისა ნათლისღებითა, მიერ წარვლნა კერძონი ქუეყანისა პართევისანი და აღვიდა იერუსალიმს აღსრულებად პასქისა, რამეთუ ათორმეტნი მოციქულნი წლითი წლად შეკრბიან იერუსალიმს წინაშე წმიდისა ღმრთის მშობლისა და მისთანა აღასრულიან აღვსება და მარტჳლია: ხოლო მას ჟამსა შინა ვითარცა აღესრულა დღესასწაული მარტჳლიისა, ანდრეა პეტრეს თანა ძმისა თჳსისა და იოანე ზებედესი და ფილიპე ათორმეტთაგან და ბართლომეოს და ფილიპე შვიდთა დიაკონთაგანი, განვიდეს ანტიოქიას ქალაქსა ასურეთისასა, რომელსა ეწოდებისა ღმრთისა ქალაქი, ვინა იგი დაშთა პეტრე, აკურთხა მარკიანე და ბაგრატ ეპისკოპოსად სიკილიისა და წარგზავნა მუნ განზრახვითა და წამებითა პავლესითა; ხოლო სხუანი მოციქულნი წარემართნეს ქალაქითი ქალაქად განფენად სიტყუასა ქადაგებისასა და ფილიპე ათორმეტთაგანი და ბართლომეოს ზემო ფრიგვიას, ლიკაის და პისიდიას დაადგრეს, ხოლო ფილიპე შვიდთაგანი, რომელმან საჭურისსა მას კანდაკესსა ნათელსცა შთავიდა კესარიას პალესტინისასა და მუნ ქადაგებდა, ხოლო ანდრეა და იოანე აღვიდეს ეფესოს ქალაქად და ასწავებდეს სიტყუასა მას ცხოვრებისასა.

ეჩვენა მას ჟამსა უფალი ჩუენი იესო ქრისტე ნეტარსა ანდრეას და ჰრქუა მას: «წარვედ მოსწრაფედ სოფელთა ბითვინიისათა და ნუ გეშინინ, რამეთუ მე შენთანა ვარ ვინაცა ხვიდოდე, რამეთუ ქუეყანაცა გუთისა მიგელის შენ», ესე ვითარი ესე ჩუენება იხილა რა ნეტარმან ანდრეა, მიუთხრა ღმრთისმეტყუელსა იოანეს და მოიკითხა იგი ამბორის ყოფითა სულიერითა და წარემართა ეფესოთ მოწაფეთა თჳსთა თანა და აღვიდა ლაოდიკიას ქალაქსა ფრიგვიისასა; მიერ წარემართა

და მიიწია როდოსო ქალაქად სოფელსა მიზიისასა, ვინაცა დაჰყო დღე რაოდენიმე და ერთი მოწაფეთა მისთაგანი ანპიონ სახელით, ეპისკოპოსად დაუდგინა, მუნ მყოფთა მორწმუნეთა. მიერ წარემართა და გარდავლო მთა ულუმბა და მიიწია დიდსა მას დაბასა ნიკეას ბითვინიისასა, რამეთუ არღა იყო იგი ქალაქად, არამედ უკანასკნელ შეზღუდა იგი და განავრცელა მეფემან ტრაიანემან და ტბა იგი მაშინ მცირე იყო და შორს დაბისაგან, ხოლო ამისა შემდგომად განეფინა ფრიად, მაშინ უკუჱ შევიდა ნეტარი ანდრეა ნიკეას და იწყო ქადაგებად ქრისტესა და ევედრებოდა მუნ მყოფთა მათ ჴურიათა და წარმართთა შეწყნარებად სიტყჳსა ქრისტესსა, ხოლო კაცნი იგი იყვნეს ამპარტავან და მოკიცხარ, მტყუარ და მზასრობელ, ოდესმე ეცინოდეს წმიდასა მას მოციქულსა და ზასრობდეს და ოდესმე უქადებდეს შეწყნარებად სიტყჳსა მისსა და არა მტკიცე იყო სიტყჳა იგი და გონება მათი, არამედ დღითი დღე ადროებდეს და ეცრუებოდეს და იყო დაბასა მას ერი მრავალი ჴურიათა და აქუნდა შესაკრებელი დიდი, ხოლო წარმართთა აღემართა კერპი აპოლონ წარმწყმედელისა, რომელი იგი აოცნებდა ოცნებათა ბოროტთა, და რომელთაცა იხილნიან ოცნება იგი მიელებოდა სიტყჳა და სმენა, რამეთუ დაეყოფოდეს პირნი მათნი და ყურნი და იყვნეს ყრუდამუტყჳ და ესებანი ბოროტნი იყვნეს მათ შორის და ცისად ცისად გუემულებანი; ხოლო მოციქული ქრისტესი ეტყოდა მათ, ვითარმედ უკეთუ არა შეიწყნარო სარწმუნოება ქრისტესი, ვერ ხელგეწიფების განკურნებად სენთა მაგათგან და ეშმაკეულებათა, არამედ იგინი პირველსავე მას ზედა ეგნეს ურწმუნოებასა და სიცრუესა, ხოლო მახლობელად დაბისა მის ვითარ სამეოც უტევან კლდე არს მაღალი, რომელსა ზედა იყო ვეშაპი ფრიადი და საშინელი, რომელი იგი მრავალთა მოგზაურთა მოჰკლჳიდა, ვიდრელა გზა იგი გარდასწყდა სრულიად შიშისაგან ბოროტისა მის ვეშაპისა, ცნა რა ესე დიდებულმან მოციქულმან და სიმხნისა მოსახელემან, წარიყვანნა ორნი მოწაფეთა მისთაგანნი, და წარემართა მისლვად ადგილსა მას ახოვნითა გონებითა და აქუნდა კელთა მისთა გუერთხი რკინისა, რომელსა თავსა ზედა იყო სასწაული ჯუარისა ცხოველს-მყოფელისა, რომელი ყოვლადვე აქუნდა კელთა, ხოლო მირაჲახლნეს ადგილსა მას, აგრძნა ვეშაპმან მან მისლვა მათი და გამოვიდა ფრიად საშინელებით ბრძოლად მათდა; მაშინ ქადაგმან მან ცხოვრებისამან შემსგავსებულად ცხოვრებისა თჳსისა და სახელისა, ახოვნად მიჰმართა, სასტიკად მძჳნვარესა მას ვეშაპსა და მეყსეულად კვერთხი იგი რკინისა დასდვა (ჰსთხლიშა) თავსა მისსა, და განგმირა თავი და მეყსეულად მოკლა ბოროტი იგი მხეცი; იხილეს რა დიდებული საკჳრველი მრავალთა რწმენა უფალი, ხოლო მოციქული მიიქცა კუალად ნიკეადმდე და შექცეულ იყო მოძღურებასა და სწავლასა ერისასა; მაშინ შემდგომად სიკუდილისა ბოროტისა მის ვეშაპისა, კლდესა მას რომელსა ეწოდებოდა სამალავ, რამეთუ იყო ადგილი იგი მაღნარი და დაეშენნეს მუნ ავაზაკნი კაცის მკულელნი რიცხვით რვანი, და იქმოდეს კაცის კლუასა მარადღე, რომელთაგანი ორნი იყვნეს ეშმაკეულ. ხოლო ერი იგი ნიკიისა და გარემო სოფლებისა ევედრებოდეს მოციქულსა ქრისტესსა, რათა ვითარცა იგი ვეშაპისაგან მის საშინელისა განათავისუფლა გზა იგი, ეგრეთვე ჰყოს ღონე ბოროტთა მათ ავაზაკთა თჳს.

ისმინა ყოვლად ქებულმან მან ვედრება მათი და წარვიდა მთად მიმართ და მირაიწია მეყსეულად შეემთხვივნეს ეშმაკეულნი იგი, ამბოხებითა და ზახილითა დიდითა და ვიდრე არღა მიახლებული იყვნეს, ევლტოდეს მათგან სულნი იგი არა წმიდანი, ხოლო შერისხნა მათ მოციქულმან, ხოლო კაცნი იგი განწმდეს რა სენისა მისგან საეშმაკოსა მოვიდეს და შეუვრდეს ფერხთა მის ნეტარისათა შიშით და ძრწოლით. იხილეს სხუათა მათ ავაზაკთა და მეყსეულად დაჰყარეს საჭურველი

მათი და მოვიდეს იგინიცა და თაყუანისცეს ქრისტეს მოციქულსა და წარმოუდგეს მას მონებრივა-თა წესითა, ხოლო ნეტარმან მან სახიერითა და მშვიდითა სიტყჳთა ჰრქუა მათ, «ჰოი! კაცნო, რად იქმთ ბოროტსა და რომელი თქუენ არა გნებავს რათამცა ვინ გიყო, რასათჳს სხუათა მიმართ იქმთ, გულის-კმა-ჰყავთ ვითარმედ არს ღმერთი ცათა შინა დამბადებელი და განმგებელი ყოველთა და ყოველთა ხედავს და მიაგებს კაცად კაცადსა საქმეთა მათთა ებრ, აწ უკუე თქუენ, რასათჳს იტანჯებით უცხოთა მონაგებითა, ამისთჳს მოუცემიეს თქუენდა ღმერთსა, სიმრთელე და სიმხნე, რათა შჳრებოდეთ ჴელითა თქუენითა და იყვნეთ უნაკლულო, უფროისღა გლახაკთაცა მისცემდით, აწ უკუე ამიერითგან განეშორენით საქმეთა ბოროტთა და წარვედით სახიდ თჳსა, რათა ჰპოვოთ ღმრ-თისაგან წყალობა და ნაცვლად ბოროტისა ყოველთაგან კეთილი გეყოს თქუენ»; ესე და ესე ვი-თარი შუენიერი სწავლა წარმოუთხრა მათ და მერმე იწყო სიტყჳსა მის ცხოვრებისასა, ხოლო იგინი ლმობიერ იქმნნეს კეთილთა მათ სიტყჳსათა ზედა და დადგრეს მისთანა დღე რაოდენმე და ესრეთ განსწავლნა იგინი და ნათელსცა სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდი-სათა.

ხოლო მასვე გზასა იყო სხუა პარეხი მაღალი სადა იგი მკჳდრ იყო სიმრავლე სულთა არა წმიდათა, რომელნი იგი იქმოდეს ოცნებათა და ეძიებდეს მსხუერპლთა, რამეთუ იყო მუნ კერპი საწარმართოჲსა მის მაცთურისა არტემისი და იყო გზა იგი მეცხრით ჟამითგან დღისათ, ვიდრე მეორისა დღისა მესამედ ჟამადმდე სრულიად უვალი, რამეთუ ვერ ვის ხელეწიფებოდა მის ადგილსა სლვად, ანუ მიახლებად სიბოროტისაგან მუნ მყოფთა მათ ბოროტთა ეშმაკთასა; ხოლო ნეტარი ანდრეა შეჭურვილი საღმრთოთა მით სიმხნითა, მივიდა ადგილსა მას მოწაფითურთ თჳსით და დაადგრა ღამესა მას ადგილსა მას; მაშინ სულთა მათ არა წმიდათა, ვერ თავს იდვეს მისლვა მისი, არამედ სახედ ყორანთა გამოჩნდეს და ისმოდა ხმა გოდებათა უშვერი, ჰოი! ჭირი ესე რომელი მოიწევის ჩუენ ზედა, რამეთუ მოწაფენი შენნი ყოვლისა სოფლისაგან გვიოტებენ ჩუენ.

ხოლო ნეტარმან ანდრეა, ბოროტი იგი და ბილწი კერპი დაარღჳა და შემუსრა და სახე ცხოველს მყოფელისა ჯუარისა აღმართა ადგილსა მას და მიერითგან განწმიდა ადგილი იგი საცდურისა მისგან ეშმაკთასა. ეგრეთვე სხუასა ადგილსა მახლობელად დაბისა, რომელ იგი არს მარცხენით ნიკიისა და მკჳდრ იყო მუნ ქუაბსა სიმრავლითურთ ეშმაკთასა, რომელ იგი შერაცხილ იყო ერისა მის მიერ უგუნურისა ღუთად სამსახურებელად და იყო მუნ კერპი ბილწისა მის აფროდიტისა და მრავალთა მსხუერპლთა შესწირვიდეს ერნი იგი უგულისხმონი და საწყალობელნი; ხოლო ქრისტეს მოციქული მივიდა მუნცა მოწაფითურთ და აღასრულა ლოცვა და მეყუსეულად ქუაბი იგი და არა წმიდანი სულნი მიერ ადგილით ლტოლვილნი სრულიად უჩინო იქმნნეს, და იქმნა მიერითგან ადგილი იგი საყოფელ კაცთა და მოიქცა მოციქული ნიკეადვე და არა დაიცხრის სარგებელისათჳს კაცთასა წუთ ერთცა, რამეთუ დღესა ასწავებნ ერსა და უძლურთა ჰკურნებნ, ხოლო ღამით განვიდის მახლობელსა მას ბორცუსა, რომელსა კლიდოს ეწოდებოდა და ღამე ყოველ ლოცვასა შესწირავს უფლისა, რათა წარუმართოს ქადაგება იგი მისი და მასცა მიმსგავსებულად იქმოდა სახიერისა მის მოძღუარისა მისისა, ვითარცა წერილ არს; ვითარმედ მრავალგზის აღვიდის მთასა ლოცვად, ხოლო უფალმან რომელმან, მარადის ქმნის ნება მოშიშთა მისთა, სათნო იყო ცხოვრება ერთისა მის და იქმნა მიზეზი ესე ვითარი. იყო დღესასწაული რაიმე საწარმართო, და შეკრბა ყოველი იგი ერი და უზორეს კერპსა მას და სჭამეს ნაზორევი იგი და მეყუსეულად შევიდეს ეშმაკნი კაცთა მათ და ესოდენ ბოროტად ევნნეს, ვიდრემდის ხორცთა თჳსთა ჭრიდეს

ჭსჭამდეს; მაშინ განვიდეს ყოველნი მთასა მას, ჰპოვეს ნეტარი იგი და ევედრებოდეს, რათა ჰყოს მათ თანა წყალობა და იხსნნეს უწყალოსა ტანჯვისაგან: ჴოლო მოციქული ქრისტესი შევიდა რა შორის ერსა მას, შეუშინებლად, რომელნი იგი ჴორცთა თჳსთა. მოიჭამდეს, დასცხრეს სიბორგილესა მისგან, რამეთუ გამოსახა მათ ზედა მოციქულმან სასწაული პატიოსნისა ჯუარისა. მაშინ აღხდა ღმრთ-შემოსილი იგი ხარისხსა მაღალსა, და იწყო სწავლად მათდა სიტყუასა ღმრთის-მეცნიერებისასა, და აუწყდრა ესოდენისა ჟამისა გულფიცხელობა და ურჩება იგი მათი და განაქიქა სიცბილი იგი კერპთა მათთა და უჩვენა, თუ ვითარსა ნაცვალსა მიაგებენ ეშმაკნი მსახურთა მათთა, რამეთუ კეთილის ყოფად ვერ შემძლებელ არიან, ჴოლო ბოროტსა ყოველსავე მოსწრაფე არიან.

მაშინ გულისხმა-ჰყვეს კაცთა მათ სიტყუათა მისთა ძალი და რწმენა ქადაგება მისი. წმიდამან კაცად კაცადსა მათსა დასდვა ჴელი და განკურნნა თითო სახეთა და მძჳნვარეთა სენთაგან და ყოველნივე მშჳდობით განუტევნა და ხვალისა დღე განთიად კუალად შემოკრბეს და დადგა მოციქული მასვე ადგილსა და მისცა მათ მშვიდობა და ყოველთავე ვითარცა ერთისა პირითა მიუგეს და სულისაცა შენისათანა და იწყო დაბადებითგან სოფლისათ, ვითარ იგი ღმერთმან დაბადა ადამი და მიერითგან ყოველივე, რომელიცა დაწერილ არს წერილთა შინა და წინასწარ მეტყუელთა, ვიდრე მოსლვადმდე უფლისა, ყოველივე მიუთხრა და გამოაჩინა სიტყუათაგან წმიდათა წინასწარმეტყუელთასა, ვდ იგი არს ძე ღმრთისა, რომელი მოვიდა ცხორებად სოფლისა; ესე ყოველი მიუთხრა და წმიდისა ნათლისღებისათჳს გულის კმა უყო და რომელნიცა იყვნეს უძლურნი დასხმითა ჴელთათა განკურნნა იგინი და წარგზავნნა მშჳდობით და ამცნო განთიად შემოკრებად; და ვითარცა შემოკრბეს, გამოვიდა წმიდა იგი მოციქული და მიეყრდნა კუერთხსა მას რკინისასა და იწყო ღმრთის მეტყუელებად წმიდისა სამებისათჳს და განგებულებათათჳს ღმრთისათა და განკაცებისათჳს ქრისტესისა, ჯუარცმისათათჳს და აღდგომისა, ამაღლებისათჳს და დაჯდომისა მარჯუენით მამისა და დიდებულისათჳს მეორედ მოსლვისა და ვითარ იგი მიაგოს კაცად კაცადსა საქმეთა მათთაებრ.

ესე ყოველი წარმოსთქუა რა მოციქულმან, ღაღადჰყო ერმან მან ჭეშმარიტად სახიერისა და მოწყალისა ღმრთისა მოწაფე ხარ და მეგობარი და სული წმიდა იტყუის პირით შენით, მიერითგან იწყო ნათლისცემათ ერისა და დაჰყო მუნ ორი წელი, შეცთომილთა მოაქცევდა, წარწყმედულთა ეძიებდა, უძლურთა ჰკურნებდა, ეშმაკთა განასხმიდა, საკერპოთა არღვევდა, ეკკლესიათა აღაშენებდა, საკურთხეველთა აღჰმართებდა, მღდელთა აკურთხევდა და ყოველსა მას ერსა წმიდისა ნათლისღებითა განაახლებდა და რომელი იყო მუნ შესაკრებელი ჰურიათა დაამხვა და შეჰსცვალა ეკკლესიად და უწოდა მას ტაძარი წმიდისა ღმრთის-მშობელისა და კაცი ვინმე შუენიერი და საღმრთო სახელითა დრაკონტიოს ეპისკოპოსად დაადგინა, რომელი იგი შემდგომად ჟამთა ღირს იქმნა წამებისა გჳრგჳნსა თუესა მაისსა თორმეტსა.

ამისსა შემდგომად წარემართა იგი ნიკიით და მიიწია იგი ნიკომიდიას ქალაქსა და მოეგებნეს ძმანი, რომელთა პირველვე ესწავა მისგან სიტყუა იგი ცხორებისა, დ. დაჰყუნა მათთანა მცირედნი დღენი და დაამტკიცნა მოძღურებითა და სასწაულითა საქმითა, სადა იგი კალისტოს ვინმე სახელით, ეშმაკისა მიერ წყლულებითა მომკუდარი აღადგინა და მრავალ ღონენი მანქანებანი მტერისანი განაქიქნა.

მიერ ნავითა მიიწია ქალკიდონად ქალაქად ბითვინიისა და მცირედ ჟამ დაჰყო მუნ და დაადგინა ეპისკოპოსად ტვიქიკოს ერთი მოწაფეთა მისთაგანი და აღვლო ზღუის პირი და მიიწია ქალაქად ირაკლიად და მიერ აღვიდა ამასტრიად ნავითა და იყო ქალაქი იგი დიდი და შუენიერი, ვინაცა

დაჰყვნა მუნ დღენი მრავალნი და ურიცხვნი განანათლა ნათლითა მით ღუთის მეცნიერებისათა და დაადგინა ეპისკოპოსი პალამონ სახელითა (პალმა), შემკული სიტყჳთა და საქმითა, რომლისათჳს იტყჳან მკჳდრნი მის ქალაქისანი, ვდ სწავლანიცა საღმრთონი მრავალნი აღწერილნი დაგვიტევნა, არამედ სიგრძესა ჟამთასა ცეცხლი ოდესმე აღეტყინა ქალაქსა შინა და დაიწვა სახლი იგი სადა იყუვნეს შუენიერნი იგი წერილნი და დავაკლდით სარგებელისა მისგან სულიერისა.

ხოლო ამასტრია ქალაქით აღჴდა ნავსა მოციქული და აღვლო მდინარე დიდი პართენი და მიიწია სოფელ ქალაქად რომელსა უწოდიან ხარაკ, რომელი იგი ზღუდის სახედ მოუცავს ორთა მდინარეთა, სამხრით, რომელსა იგი მგელ ეწოდების, (ლიკუსბერძულად) დიდად მავნებელობისა მისისათჳს და ჩრდილოთ მეორე იგი მოსდგამს მდინარე, რომელსა ეწოდების ლჳსი და დასავლეთით კერძო სოფლისა მის, შეიერთებიან ორნო იგი მდინარენი და მიერითგან პართენი ეწოდების მას, რომლისა იგი სიღრმე და სივრცე ფრიადი არს და ნავნი მრავალნი ზღვით აღმოვლენ მდინარესა მას შინა და არს სოფელ ქალაქსა მას შესაყარი ყოველგნით ერთა მრავალთა, უფროსად დღეთა ზაფხულისათა: ხოლო მიიწია რა მუნ ჴმა მაღლად ქადაგი იგი სახარებისა, იწყო ქადაგებად სიტყუჳად სიტყჳსა მის ჭეშმარიტებისასა და მრავალნი მოინადირნა და გულის ხმა ყვეს სიტყჳსა ღუთისა, სადა იგი ერთი ადგილი განაჩინა სალოცველად და საკურთხეველი დადგა და სასწაული ცხოველს მყოფელისა ჯუარისა აღმართა და შემდგომად მცირედისა მას ადგილსა ეკკლესია აღაშენეს მკჳდრთა მის ადგილისათა, სახელსა ზედა წმიდისა მოციქულისასა და ხატი მისი პატიოსანი გამოსახეს ყოვლითურთ სახესა მისსა მიმსგავსებული, კედელსა ზედა ეკკლესიისასა, წამლითა ბრწყინვალითა, რომლისა მიერ სასწაულნი მრავალნი აღესრულნეს პირველითგანვე აქამომდე; ხოლო სიგრძესა ჟამთასა პირველი იგი შენებული დაირღჳა და სხუა უაღრესი ტაძარი წმიდისა მოციქულისა აღაშენეს კაცთა ღუთის-მოყუარეთა.

ხოლო განანათლნა რა მკჳდრნი სარრაკისანი დიდებულმან მან ქრისტეს მოციქულმან და დაამტკიცნა, წარვიდა მიერ ჵ მიიწია სინოპე ქალაქად, ვინაცა ჰპოვნა მოწაფენი, რომელნი იგი პირველ მცირედისა მის მიერ განათლებულ იყვნეს და დაადგრა მათ თანა; ხოლო ქალაქსა მას შინა იყო სიმრავლე ჰურიათა ფრიადი, ვითარცა ზემო ვახსენეთ, რომელთაცა ესმა ღმერთ შემოსილისა ანდრეას მისლვა, რომელმან პირველ საპყრობილე განაღო და პყრობილნი გამოიყვანნა, აღივსნეს გულის წყრომითა, და შეკრიბეს კრებული ბოროტი და მიჰმართეს წმიდასა მას ვითარცა მხეცთა განძვინებულთა და ენება სახლისა მის სადა იყოფებოდა ცეცხლითა დაწუა, ხოლო განვიდა რაჲ ნეტარი იგი მათდა მიმართ მეყუსეულად შეიპყრეს იგი და დააკუეთეს ქუეყანად და მიიზიდვიდეს უბანთა ზედა და ურაკპარაკთა და სცემდეს ქვითა და ძელითა ურიდად და უწყალოდ და ვითარცა ძაღლნი ცოფნი ჰსჭამდეს ხორცთა მისთა და ერთმან ვინმე მხეცისა მსგავსმან გონებითა, უპყრა კბილითა თითი მოციქულისა და დახოცნა იგი ვიდრეღა და სრულიად მოჰკუეთა, რომლისათჳსცა ეწოდა მიერითგან სინოპელთა თითის მჭამელ ვიდრე მოაქამდე, ესე ვითარითა გუემითა გუემეს მოწაფე იგი ქრისტესი, ბილწთა მათ და უგუნურთა და გარეგან ქალაქისა დააგდეს იგი ვითარცა მკუდარი.

არამედ ღამესა მას გამოეცხადა ტკბილი იგი და სახიერი ნუგეშინის მცემელი მაცხოვარი იესო და რქუა მას სიტკბებით «აღსდეგ რჩეულო ჩემო ჵ პირველ წოდებულო მოწაფეო ჵ შევედ ქალაქად კადნიერებით და ნუ გეშინინ, რამეთუ მე შენთანა ვარ» და ესე რა ჰრქუა მაცხოვარმან მოწყლული იგი თითი მისი განკურნა და აღვიდა ზეცად, ხოლო განთიად აღსდგა მოციქული და შევიდა ქალაქად და უშიშად მოძღურებდა ჵ ჰქადაგებდა, ხოლო უსჯულოთა მათ იხილეს რა მოთმინე-

ბა იგი და სიმშჳდე მისი და ვითარ კაცადსა ტკბილითა სიტყჳთა ევედრებოდა, ღმობიერ იქმნნეს ფიცხელნი იგი გულნი მათნი და იწყეს სმენად მოძღურებასა მისსა, რამეთუ გამოუცხადებდა და განუმარტებდა წერილთაგან უფლისა იესოს თჳს და შეიწყნარეს სიტყუა მისი და შემოკრბებოდა ერი მრავალი და მოჰყუანდეს უძლურნი და სნეულებითა თითოფერითა შეპყრობილნი და ყოველნივე განჰკურნნა სახელის დებითა ქრისტესითა ყოველნი იგი.

იყო კაცი ვინმე მოკლული მას დღესა შინა ჴელითა ბოროტისა ვისმე მოსისხლისათა და დაგდებულ იყო იგი უბანთა შინა და მეუღლე მისი გოდებდა მწარედ სალმობიერი, გუამსა ზედა ქრმისა თჳსისასა და ერი მრავალი შეკრბებოდა მას ზედა და ეძიებდეს მკულელსა მას და ვერ ჰპოვებდეს, მივიდა მუნ მოციქულიცა ქრისტესი და იხილა საწყალობელ იგი და შეიწყალა ფრიად და ტკივნეულმან სულითა ილოცა ღმრთისა მიმართ ცრემლითა ღმობიერითა და შემდეგ ლოცვისა აღსრულებისა, ეჰა გამოუკვლეველთა და მიუწდომელთა მოწყალებათა შენთა ქრისტე ღმერთო, რომელი საკჳრველ ხარ შორის წმიდათა შენთა და აღასრულებ ხელითა მათითა ნიშთა განსაკრთომელთა, დასწერა ჯუარი მკუდარსა მას უსულოსა, და მეყსეულად ზე წარმოჯდა მკუდარი იგი, ვითარცა ძილისაგან განღვიძებული.

იხილეს რა ყოველთა დიდებული ესე სასწაული აღივსნეს განცჳფრებითა და უმრავლესსა ერსა ჰრწმენა უფალი, და განმხიარულებულნი ადიდებდეს ღმერთსა და ესრეთ აღორძნდა სიმრავლე მორწმუნეთა და აკურთხნა მათგანნი მღდელნი და დიაკონნი და ასწავა ყოველი წესი და განგება საეკლესიო და ესრეთ განამტკიცნა შუენიერად სარწმუნოებასა ზედა ქრისტესსა და მიერ წარემართა და აღვიდა ზღჳს კიდესა პონტოჲსასა, ვიდრე დაბადმდე, რომელსა ეწოდების ზალიქო. ჰსცნეს რა ამასიელთა მუნ მისლვა მოციქულისა, მიეგებოდეს მას სიხარულით და მოიკითხეს სურვიელად და წარიყვანეს ქალაქად სავანესა, სადა იგი პირველ იყოფებოდა, რამეთუ ქალაქი იგი პირველვე განათლებული იყო მის მიერ და დაჰყუნა მუნ მცირედნი დღენი და წარვიდა მიერ და მიიწია ქალაქსა ტრაპეზუნთას, სადა იგი მკჳდრობდეს ვითარცა პირველ ვსთქუ კაცნი უგულისხმონი, თჳნიერ მათცა შეიწყნარეს ქადაგება მოციქულისა.

მიერ წარვიდა და მივიდა ნეოკესარიას და ჩუეულებისაებრ და წესისა საღთოსა, უქადაგა სიტყუა ღმრთისა და მრავალნი მოიმოწაფნა და ნათელჰსცა, სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა და ღირს ჰყვნა იგინი შვილ ღმრთისა ყოფად; ხოლო ნეოკესარით განვიდა, და მიმოვლოდა ადგილითი ადგილად და განჰფენდა ქადაგებასა მას ღმრთის-მსახურებისასა, ვიდრე მიიწია სამუსატელთა დიდსა მას ქალაქსა, რომელი იგი არს საზღვარსა პართთასა, სადა იგი მკჳდრ იყო ერი მრავალი პართთა და ბერძენთა, ყოველნივე კერპთ მსახურნი, და იყვნეს მუნ მრავალნი ფილოსოფოსნი, რომელნიცა სიტყუასა უგებდეს მოციქულსა ქადაგებისა მისთჳს საღთოსა: მიუგო ჭეშმარიტისა მის სიბრძნისა მზრახველმან და ჰრქუა მათ, «თქუენ თჳთ თჳსით განიცადეთ უწესოება ღმერთთა მათ თქუენთა მთუართა, ვითარ ურთიერთარს მბრძოლ არიან.

და ყოველნი ურთიერთას მბრძოლნი, ერთი ერთისა დამხსნელ არიან; ხოლო ჭეშმარიტი იგი ბუნებით ღმერთი ერთ არს, სახიერ და ძლიერ და მოქმედ კეთილისა და მიზეზ მშვიდობისა, განიცადეთ თუ ვინ არს მოქმედი ოთხთა მათ ნივთთა და შემაერთებელი მათი, რომელმან ნივთთა მათგან შემზადა ხილული ესე სოფელი, გულის ხმა ჰყავთ მნათობთა და ვარსკულავთა, დაუცხრომელი და სამარადისო მოძრაობა, ვინ არს რომელმან იგი განუწესა დაუცადებელი იგი და წესიერი სრბა, რამეთუ უსულო არიან და არა თავით თჳსით იძრიან, არამედ განგებითა მით დამბადებელი-

სათა, გულის ხმაჰყავთ, რამეთუ მრავალ მთავრობა იგი ღმერთა თქჳენთა უთაობა არს, ხოლო უთაობა ბრძოლა არს და უწესოება, დადგენით უკჳე ფერხნი თქჳენნი გზასა მას ჭეშმარიტებისასა, ქადაგებულსა პირველითგანვე სჯულისა მიერ და წინასწარმეტყუელთა, რომელი გამოსჩნდა უკანასკნელთა ამათ ჟამთა, დაჰყო მშჳდობა შორის ცისა და ქჳეყანისა და მისცემს წყალობასა ყოველთა, რომელნი შეეწყნარნეს მას, იცანით მეუფე იგი საჴიერი და ჭეშმარიტი ღმერთი იესო ქრისტე, რამეთუ სახელითა მისითა ვითარცა ესე რა ხედავთ, მკჳდარნი აღსდგებიან, ეშმაკნი იოტებიან, ვნებანი განქარდებიან», ესე ვითარითა სწავლითა მრავალ დღე ასწავებდა მათ, ვიდრეღა დაარწმუნა და მრავალნი მოაქცივნა ღ̃თისა და ნათელ-ჰსცა სახელითა წმიდისა სამებისათა.

სამუსატით წარემართა და აღვიდა იერუსალიმად, რათა ჰყოს პასექი, წმიდისა დედოფლის ღ̃თის-მშობელისა თანა და დაჰყო მუნ ვიდრე მარტჳლიადმდე; შემდგომად მარტჳლიისა კჳალად განვიდა საქმესა მას ქადაგებისასა და იყვნეს მისთანა მოგზაურ სჳმონ, რომელსა ეწოდა კანანელი, და მატათა, რომელი იწოდა იუდას წილ და თადეოზ მათ თანავე და მიიწივნეს უკჳე ედესე ქალაქად, სადა იგი დაშთა თადეოს ავგაროზ მთავრისა თანა, რომლისადაცა კელით უქმნელი იგი ხატი უფლისა ჩუ̃ნისა იესო ქრისტესი, მასვე თადეოსსა პირველვე მიერთკა, რომლისაგან მეუფსეულად მიიღო მთავარმან მან ხორციელი სიმრთელე და სულიერი სარწმუნოება; ხოლო დიდებული ანდრეა სხჳთა მათ თანა მოვიდოდეს ქალაქითი ქალაქად და სოფლითი სოფლად, ასწავებდეს ერსა და იქმოდეს სასწაულთა და ესრეთ მიიწივნეს ქჳეყანასა ქართლისასა და ვიდრე მდინარედმდე ჭოროხისა, დაუცადებელად ქადაგებდეს სახელსა ღ̃თისასა.

მერმე შთავიდეს სოსანგელთა სოფელსა, ხოლო მას ქჳეყანასა მთავრობდა დღეთა მათ დედაკაცი ვინმე მთავარი, რომელსაცა ჰრწმენა ქადაგება იგი მოციქულთა, ხოლო მატათა სხჳათა მათ თანა მოწაფეთა დაშთა მათ კერძოთა, ხოლო დიდი ანდრეა სჳმონითურთ შევიდეს ქჳეყანასა ოვსეთისასა და მიიწივნეს ქალაქად, რომელსა ფოსტაფორ ეწოდების; სადა იგი დიდნი სასწაულნი აღასრულნეს და ერნი ურიცხვნი მოაქცივნეს და განანათლნეს, მიერ წარვიდეს და შევიდეს ქჳეყანასა აფხაზეთისასა და სევასტე ქალაქად მიიწივნეს და უქადაგეს სიტყუა იგი ღ̃თის-მეცნიერებისა, და მრავალთა სიხარულით შეიწყნარეს ქადაგება იგი და მუნ დაუტევა ნეტარმან ანდრეა სჳმონ კანანელი სხჳთა თანა მოწაფეთა და თავადი ჯიქეთისა ქჳეყანად აღვიდა, ხოლო კაცნი იგი მის ქჳეყანისანი ჯიქნი იყვნეს ფიცხელ გულითა, და განფრდილ საქმეთა შინა ბოროტთა, უძღებნი და ურწმუნონი, რომელთა არა შეიწყნარეს ქადაგება მოციქულისა, არამედ ენებათ მოკლუა მისი, არამედ მადლმან ღ̃თისამან დაიცვა იგი, ხოლო იხილა რა უგულის ხმოება მათი და პირუტყვებრივი გონება დაუტევნა და წარვიდა მიერ. ამისთჳსცა ვიდრე მოაქამდე ურწმუნოებასა შინა არიან. წარემართა და მივიდა ქჳეყანად, რომელსა ჰრქჳან ზედო სულდია, რომელი იგი აწ მოოხრებულ იქმნა, ხოლო მუნ მყოფთა მათ კაცთა სიხარულით შეიწყნარეს ქადაგება იგი მოციქულისა და რწმენა მათ უფალი იესო ქრისტე; მიერ წარემართა ნეტარი იგი და მივიდა ბოსფორ ქალაქად, რომელ იგი არს კიდესა ევქსინო ზღჳისასა, მახლობელად ქჳეყანასა ტავრო გუთთასა, და დიდისა მის ტბისა, რომელსა მეოტ ეწოდების, სადა იგი არს ლუსკუმა, რომელსა ზედა სწერია სახელი სჳმონ მოშურნისა. ხოლო სჳმონ კანანელისა საფლავი არს ნიკოფსე ქალაქსა, შორის აფხაზეთისა და ჯიქეთისა და შევიდა რა მოციქული ქრისტესი ბოსფორ ქალაქად, იწყო ქადაგებად სახელსა ქრისტესსა და მრავალნი მოიმოწაფნა და განანათლნა საღმრთოთა მოძღუ̃რებითა, რამეთუ სიხარულით შეიწყნარეს მკჳდრთა მის ქალაქისათა ქადაგება მისი და ნათელ ჰსცა მათ და დაამტკიცნა ქრისტეანობასა ზედა.

მერმე წარვიდა ქალაქად თევდოსიად, რომელი იყო მახლობელად ბოსფორისა და იყო მუნ მთავარი სახელით სავრომატი და იყო ქალაქი იგი დიდი და ერი ფრიადი მკჳდრ იყო მას შინა, ხოლო აწ სრულიადითა მოოხრებითა დაუკაცურებულ არს, ვინაცა მცირეთა ვიეთმე შეიწყნარეს მა-შინ ქადაგება იგი მოციქულისა, დაუტევნა იგინი და მივიდა ქალაქსა გუთეთისასა, რომელსა შინა მკჳდრ იყვნეს კაცნი ფრიად უკეთურნი და ურწმუნონი, რომელთა შორის დაჰყვნა მოციქულმან დღენი მრავალნი და რომელნიცა იპოვნეს გონიერ ჰრწმენა, მათ ნათელ იღეს. მიერ კჳალად მიიქცა ბოსფორადვე და დაამტკიცნა იგინი სარწმუნოებასა და მერმე აღხდა იგი ნავსა გუთელსა და წიაღვლო ზღჳა პონტოჲსა. და მიიწია სინოპე ქალაქად და დაჰყვნა მუნ მცირედნი დღენი და დაამტკიცნა მორწმუნენი იგი მის მიერ განსათლებულნი და ერთი მისთანა მყოფთა მოწაფეთაგანი ეპისკოპოსად დაუდგინა და წარემართა მიერ და შთავლნა ქალაქნი და სოფელნი ზღჳს პირისანი და მის მიერ აღშენებულნი ეკკლესიანი და განათლებულნი ერნი მოიხილნა და განამტკიცნა, ვიდრე მიიწია ბიზანტიად; ხოლო მათ დღეთა ხვრისოპოლი, რომელ არს ოქროქალაქი დიდი იყო და სა-ხელოვანი სადა იგი სტაქე ერთი სამეოცდა ათთა მოციქულთაგანი ეპისკოპოსად დაუდგინა და წარემართა მიერ და შთავლნა ქალაქნი და სოფელნი, და წიაღვლო ბიზანტიად ადგილსა მას რომელ-სა აკროპოლი ეწოდების, ეკკლესია აღაშენა სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა ღმრთის-მშობელისასა, რომელი ჩანს ვიდრე დღეინდელად დღედმდე მახლობელად ზღჳსა მას ქალაქისასა, რომელსა ჰრქჳან ევგენისი. ხოლო ეკკლესისა მას არმისონ ეწოდების. მიერ განვიდა და შთავიდა ერაკლე ქალაქად ქჳეყანასა თრაკთასა და დაჰყო მუნ ჟამ რაოდენმე და დასთესა თესლი იგი ღმრთის-მსახურებისა და მიერ განვიდა და მიმოვიდოდა ყოველთა ქალაქთა მაკედონიისათა ქადაგებდა და ასწავებდა და დაამტკიცებდა სარწმუნოებასა ზედა ქრისტესსა, ეკკლესიათა აღაშენებდა, საკურთხეველთა აღმარ-თებდა, მღდელთა აკურთხევდა.

დაუცხრომელად უძღოდა ერსა ურიცხვსა გზასა მას ცხოვრებისასა. ესე ვითარითა სახითა წარმოვლნა ქალაქნი იგი ყოველნი მაკედონიისანი, ვიდრე თესალონიკედმდე და მუნ მრავალ ჟამ ქა-დაგა სახელი იესო ქრისტესი და განამტკიცნა მორწმუნენი ნეტარის მოციქულის პავლეს მიერ სწავლულნი. და მიერ წარემართა საქმესა მას დიდებულსა მოციქულებისასა, ვიდრე მიიწია აქაიად. რომელ არს ქჳეყანა პელოპონისა და შევიდა პატრედ, რომელ არს ქალაქი აქაიასი და სავანე ჰყო სახლსა ვისმე კაცისა, რომლისა სახელი სოსიოს, რომელცა შეპყრობილ იყო სენითა სასიკუდილოთა და განკურნა იგი მოციქულმან ქრისტესმან და ხვალისა დღე განვიდა ქალაქად და ჰპოვა უბანთა ზე-და კაცი სნეული, შეპყრობილი სასტიკითა სენითა და მდებარე იყო სკორეთა ზედა, შეეწყალა იგი ფრიად მოციქულსა მოწყალისა მის მეუფისა და მისცა ჴელი და აღადგინა იგი სახელითა ქრისტე-სითა და მასვე წამსა განიკურნა იგი და გარდამატებულითა სიხარულითა აღვსებული ადიდებდა ღმერთსა.

იქმნა რა სასწაული ესე დიდებულ, განხდა ჰანბავი ყოველსა მას ქალაქსა, ვითარმედ კაცნი ვინმე უცხონი მოსრულ არიან აქა, და სახელსდებს ვისმე იესოსსა და ჰკურნებს ყოველთა სენთა და უძლურებათა და მკჳდართა ლოცჳთა აღადგენს და სულთა არა წმიდათა სიტყჳთ განასხამს, ესე ამბავი მიისმა ვიდრე ანთჳპატადმდე, რომელსა ლესბიოს ეწოდებოდა და შეშფოთნა იგი, რამეთუ საცთურითა კერპთ-მსახურებისათა შეპყრობილ იყო და ვითარმედ მოგჳ არს კაცი იგი და მაცდური და არა ჯერ არს სმენად სიტყჳათა მისთა, და ჰყო განზრახვა, რათა შეიპყრას იგი და მო-ჰკლას; ესერა განიზრახა უკეთურმან მან, აჰა ღამესა მას ეჩჳენა ანგელოზი საშინელი და ჰრქჳა

ხმითა ყოვლად სასტიკითა ვითარმედ «რა ბოროტი შეგემთხვია შენ უცხოსა მის კაცისაგან, რომელსა ეწოდების ანდრეა, რომელ განიზრახავ მოკლჳსა მისსა და შეურაცხ ჰყოფ უფალსა იესუ ქრისტესა, რომელსა იგი ქადაგებს და აწ აჰა ესერა ხელი უფლისა შენზედა რისხვით და იყო შენ განრღვეულ, ვიდრემდე ისწავო მისგან ჭეშმარიტება», ხოლო კაცი იგი სიტყჳსა მას თანა ანგელოზისასა დაეცა უხილავითა წყლულებითა და იქმნა უსიტყჳელ მყოვარ ჟამ და მერმე მოეგო გონებასა თჳსსა და იყო იგი განრღვეულ, რომელ ვერღარა უძლო ყოვლადვე შეძვრად; მაშინ მოუწოდა მხედართ თჳსთა და ევედრებოდა მათ, რათა წარვიდენ და მოიძიონ მათ კაცი იგი უცხო და ევედრენ რათა მოვიდეს დაიხილოს იგი და განკურნოს წყლულებისა მისგან ბოროტისა; წარვიდეს მხედარნი იგი და სწრაფით მოიძიეს და პოვეს ნეტარი ანდრეა და მოიყვანეს ანთვიპატისა, იხილა რა იგი მთავარმან მან, იწყო ვედრებად მისა ცრემლითა მხურვალითა და ეტყოდა, ჵოი! კაცო უცხოო, უცხოსა ღჳთისაო შემიწყალე შეცთომილი ესე დაუცხო ჭეშმარიტებისაგან შებღალული ცოდჳათაგან მრავალთა და დამონებული საცთურსა ბოროტსა, გევედრები და გაფუცებ ღმერთსა შენსა მომეც ჴელი შეწევნისა და აღმადგინე წყლულებისა ამისგან ბოროტისა და განმიღე კარი მეცნიერებისა. ხოლო მოწაფე იგი სახიერისა მის მეუფისა ღმობიერად მოწყალე ექმნა მას და დასდვა ხელი განრღვეულსა გუამსა მისსა და ასოთა მათ დახსნილთა და აღიხილნა თვალნი ზეცად და თქუა: «უფალო იესო ქრისტე ღმერთო ჭეშმარიტო, ძეო მხოლოდ შობილო დაუსაბამოსა მამისაო, რომელი პირველ საუკუნეთა იყავ და უკანასკნელთა ჟამთა მოხვედ ქუეყანად ცხოვრებისათჳს კაცთასა, ჰყავ წყალობა მონასა ამას შენსა თანა და განკურნე სულიერთა და ხორციელთა სენთაგან და ღირს ჰყავ მონებად შენდა», ესე რა ილოცა ნეტარმან მოციქულმან ქრისტესმან, უპყრა მას ხელი და აღადგინა იგი და მეყსეულად განიკურნა ყოველი სალმობა მისი და იქმნა უაღრეს პირველისა მის, სიმრთელისა მისისა და აუარებდა უფალსა და ჰრქუა მოციქულსა, ჭეშმარიტად აჰა იგი არს ღმერთი რომელსა შენ ჰქადაგებ, ამისთჳსცა ამიერიდგან მონა ვარ მისი და მოწაფე შენი ყოვლით სახლეულითა ჩემით და მრწამს მომავლინებელი შენი; მიუგო მოციქულმან და ჰრქუა მას, «ვინაჲთგან ესრეთ მხურვალებით გრწმენა უფალი ჩუენი იესო ქრისტე, უმეტესად მოგცეს მან მეცნიერება თჳსი».

ესრეთ რწმენა ანთვიპატსა და ყოველთა მას ქალაქსა უხაროდა განკურნება მისი და შემოკრებებოდეს ყოვლით კერძო სიმრავლენი ერთანი და მოაქვნდა სიმრავლე უძლურთა, რომელნი სნეულ იყვნეს თითო სახითა სნეულებითა და ულოცა მათ ყოვლად ქებულმან და დაასხნა მათ ზედა ხელნი სახელითა უფლისა იესო ქრისტესითა და ყოველნივე განკურნნა და შეიპყრნა ყოველნი განკჳრვებამან, და ღაღადებდეს ხმითა (დიდითა) მაღლითა დიდ არს ღმერთი, რომელსა ქადაგებს უცხო ანდრეა, რომელი იქმს სასწაულთა დიდებულთა; ესე რა სთქუეს მეყსეულად ერთბამად მიმართეს ტაძართა მათ საკერპოთა და ყოველნი დასწვნეს და დაარღვიეს და კერპნი იგი დამუსრნეს და შეურაცხჰყუნეს და მხოლოსა მას ღმერთსა ანდრეასსა ადიდებდეს და აღამაღლებდეს, ხოლო ანთვიპატი ლესბიოს იხარებდა ხმასა მას ზედა ერისასა და საქმეთა მათ კეთილთა თანა შეეწყოდა, ხოლო შეკრბებოდა რა ერი მრავალი და სიტყჳსა ღჳთისა მოციქულისა მიერ აღორძნდებოდა და ქადაგება მისი დაუყენებელად ყოველსა მას ქუეყანასა განეფინებოდა.

ესმა რა ესე კეისარსა ნერონს, გარდააგდო ლესბიოს მთავრობისაგან და მოავლინა სხუა ანთვიპატი; ხოლო ლესბიოს სიხარულით შეიწყნარა ბრძანება იგი მეფისა და მივიდა იგი ნეტარისა ანდრეასა და ჰრქუა მას, აწ კეთილო და სულიერო მოძღუარო, უმეტესითა მხურვალებითა ვმონო უფალსა, რამეთუ ვინათგან ცუდისა დიდებისაგან და ამაოსა უცალოებისაგან გამოვედ, აწ უკუე

შემიწყნარე მოციქულო ქრისტესო მოწაფედ შენდა და თანა მოგზაურად ქადაგებასა უფლისა იესო ქრისტესსა და სიტყჳა საქმით სრულ ჰყო და დაუტევა ყოველივე საქმე სოფლისა და სილაღე მთავრობისა და შეუდგა სრულიად ქრისტეს მოციქულსა და მისთანა ვიდოდა ყოველსა მას ქუეყანასა აქაიისსა და ქადაგებასა მას საღთოსა თანა შემწე და მისთანავე მოღუაწე იყო ფრიადითა გულსმოდგინებითა.

მაშინ ნეტარმან ანდრეა, იხილა ჩუენება ესე ვითარი, რამეთუ ჩუენებასა შინა ღამისასა გამოუჩნდა უფალი და ჰრქუა მას: «ანდრეა რჩეულო ჩემო, დასხენ ჴელნი ლესბიოს და მიეც მას მადლი შენი და შენ აღიღე ჯუარი შენი და შემომიდეგ მე. მიისწრაფე უკუჱ პატრად, რამეთუ ადრე განხვალ ამის სოფლისაგან, რათა მიიღო გჳრგჳნი, რომელი განმზადებულ არს შენთჳს». განიღჳძა რა მოციქულმან, ჩუენებისა მის ძალი მიუთხრა მისთანათა მათ და მეუჴსეულად შევიდა პატრად ბრძანებისა მებრ უფლისა. ხოლო ოდეს იგი ლესბიოს გარდაადგინეს მთავრობისაგან, მისწილ დაიდგინა ვინმე ანთიპატი სახელით ეგეატი, ბოროტად შეპყრობილი საცდურითა მით კერპთ მსახურებისათა და ესვა მას ცოლი სახელით მაქსიმილა, ხოლო შემდგომად მცირედთა დღეთა მოსლვისა მათისათა, ესმა მაქსიმილას სასწაულთა მათ თჳს, რომელსა იქმოდა მოციქული ქრისტესი და განკჳრვებული იყო ფრიად. მიავლინა უკუჱ სარწმუნო მჴევალი თჳსი იფიდიმა, დედაკაცი ბრძენი და გონიერი, რათა იხილოს კაცი იგი უცხო დავანებული სახლსა სოსიოსსა; ხოლო იხილა რა მოციქული ქრისტესი და ესმა ღმრთის-მეტყუელება მისი და ვითარ აღმოდიოდა მოძღურება ღმრთის-მეცნიერებისა პირისაგან მისისა, ვითარცა წყარო, მიიქცა და აუწყა დედოფალსა თჳსსა ყოველივე, რომელი იხილა და ესმა. ამისა შემდგომად დღეთა რაოდენთამე გარდასლვასა, შეემთხჳა მაქსიმილას ცოლსა ეგეატისასა სენა სასიკუდინე, და განწირულ იქმნა მკურნალთაგან, რამეთუ ვერ ვინ შეუძლო განკურნება მისი; მაშინ მიავლინა ნეტარისა ანდრეასა და მოუწოდა იგი, მივიდა რა მოციქული და ჰპოვა დედაკაცი იგი განწირული და ანთიპატი მდგომარე და მახვილი წვდილი ჴელთა მისთა და ეგულებოდა მოკლუა თავისა თჳსისა, რომელსაცა ჟამსა მოკუდეს ცოლი მისი. ჰრქუა მას მოციქულმან გმითა მშჳდითა და სახიერითა, «მიაქციე მახვილი ეგე ადგილადვე თჳსა და მოუწოდე უფალსა ღმერთსა ცისა და ქუეყანისასა და ირწმუნე წმიდა სახელი მისი, და სცხონდე შენ და მეუღლე შენი», ხოლო იგი ჰსდგა განლიგებული და არა რას მიუგებდა მას. მაშინ ერთგულმან მან მოწაფემან მკურნალისა მის სულთა და ხორცთასა დადებითა ჴელისათა თავსა ზედა მწარედ წირვეულისა მის მაქსიმილასსა, შერისხნა მხურვალებასა მას ვითარცა მონასა და მეუჴსეულად დაუტევა მძლავრმან მან მხურვალებამან და მასვე ჟამსა ითხოვა საზრდელი და განძლიერდა და აღსდგა მრთელი და ადიდებდა ღმერთსა და მრავალთა იხილეს საკჳრველი იგი კურნება და რწმენა ღმერთი; ხოლო ანთიპატი ეგეატი, ვითარცა ზემო ვსთქუ შეპყრობილ იყო ბოროტითა მით საცთურითა კერპთ-მსახურებისათა და არა თავს იდვა სმენად სიტყჳთა ღმრთისათა, არამედ ვითარცა ლიტონსა ვისმე მკურნალსა ესრეთ ჰხედვიდა წმიდასა მოციქულსა და ბრძანა სასყიდლად კურნებისა მის მიცემად ათასი დრაჰკანი. ხოლო ნეტარმან ანდრეა გარე მიაქცია ოქრო იგი და ესრეთ ჰრქუა მას, «ესე სასყიდელი მოვიდეს ჩემდა ოდეს უფალმან ბრძანოს, რამეთუ ფრიად რაიმე უშურველობით და სიტკბოებით გარდაიხდის იგი ვალთა, რომელთაცა იგი აქუნდეს შიში მისი გულსა თჳსსა».

გამოვიდა მიერ ყოვლად სანატრელი იგი და მივიდა სავანესა თჳსსა, მიურდნობილი ერთსა მოწაფეთა მისთაგანსა სიბერისათჳს მისისა, რამეთუ მოხუცებულ იყო და სავსე დღითა კეთილითა და ვითარ იგი წარვლიდა იხილა კაცი ვინმე განრღვეული, რომელი მდებარე იყო სკორეთა ზედა და

ითხოვდა წყალობასა, რომელი იგი მრავლით ჟამითგან იყო განრღვეულებასა მას შინა, შეეწყალა იგი მოციქულსა და ესრეთ ჰრქუა მას, «სახელითა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა, აღსდეგ კაცო განკურნებული» და მეყუსეულად აღსდგა დახსნილი იგი და დაშთომილი, და ხლდომით ვიდოდა ქალაქსა მას შინა, ყოველთა აჩვენებდა თავსა თჳსსა და ადიდებდა ღმერთსა და ვითარცა მცირედ წარვლო მოციქულმან ადგილი იგი ჰპოვა კაცი ვინმე ცოლითა და ერთითა შვილითა და სამნივე იყვნეს ბრმანი, შეეწყალნეს იგინი ფრიად და შეახო თვალთა მათთა და მეყუსეულად აღეხილნეს თვალნი სამთავე, შეუვრდეს ფერხთა წმიდისათა და სიხარულისა მიერ მომდინარეთა ცრემლთა დასთხევდეს ფერხთა თანა ნეკტარისათა, რამეთუ ვითარ იგი მწუხარებისა მიერ მოვლენან ცრემლნი, ეგრეთვე და გარდამატებულისა სიხარულისა მიერ აღმოეცენებიან, აღადგინნა იგი და ამცნო სიწრფოებით და სიმშვიდით ყოფა, რათა უძვირესი შეგემთხვიოს, ხოლო იგინი დაუდუმებელად ადიდებდეს ღმერთსა.

ამათ ესე ვითართა სასწაულთა და საკჳრველებათა დიდებულთა ხედვიდეს ერნი დაუკჳრდათ და მრავალთა რწმენა უფალი. ხოლო ვიეთნიმე ევედრებოდეს, რათა თავს იდვას მისლვა ვიდრე ნავთსადგურამდე, რამეთუ არს მუნ კაცი კეთროვანი ფრიად საწყალობელი, რომელი იგი ოდესმე მდიდარი იყო და შერაცხილი და აწ ესრეთ არს, რომელ სიმყრალისაგან კაცი ვერ მიეახლებისა, არამედ ვითარცა ძაღლსა შორით პურსა ეგრეთ მიუგდებენ და მრავალ გზის ყოველმან ამან ქალაქმან განიზრახეს საფასისა დიდისა მიცემა მკურნალთა, რათა განკურნონ იგი, რამეთუ ძე არს მენავეთ მოძღჳრისა ვისმე მდიდრისა და ვერვინ მკურნალთაგან მან კელ ჰყო კურნებად მისა; ესე რა ესმა მოწაფესა მას მოწყალისა მეუფისასა, არა უდებ იქმნა მისლვად მისსა და შეუდგა სიმრავლე იგი ერისა ხილვად მისა თუ რაჲ ეგულვების ყოფად. მაშინ მიეახლა წმიდა იგი თჳთ, მხოლოდ ოდენ უძლურსა მას დავრდომილსა, რომელსა სხუა ვერვინ მიეახლებოდა ძნელისა მისგან სულმყრალობისა, ჰრქუა მას წმიდამან, «მოვედ განკურნებად შენდა მადლითა უფლისა ჩუენისათა» და აღადგინა იგი და აღძარცვა ძონძი, რომელი იგი ემოსა, წალითა და წუთხითა შებღალული და სავსე მატლითა და იყო ხილვა მისი საშინელ, ხოლო მახლობელ იყო ზღჳსა ადგილი იგი და ჰრქუა მას სიტკბოებით «შემომიდეგ მე ვიდრე ზღჳადმდე», და მისცა ლოცუამან მისმან ძალი და შეუდგა მას და ვინაცა სლვასა მას შინა უფროსად დაჰსდიოდეს წუთხნი იგი ხორცთაგან მისთა, მიიწივნეს რა კიდესა თანა ზღჳისასა, განიპყრნა ხელნი თჳსნი მოციქულმან და ილოცა მისთჳს ღმრთისა მიმართ და შემდგომად ლოცუისა უპყრა ხელი უძლურსა მას და განბანა იგი ზღჳსა მას შინა და მეყუსეულად აღმოიყვანა მრთელი მადლითა უფლისათა, რომელ არა იპოვებოდა გუამსა მისსა წყლულება, ანუ ნაბრძვილი, გინა სახე პირველთა მათ წყლულებათა, არამედ იქმნა გუამი მისი ყოვლითურთ მრთელ და შუენიერ; იხილეს რა სასწაული ესე დიდებული ყოველნივე განკჳრვებულ იქმნნეს და მრავალთა ჰრწმენა უფალი და უბრძანა მოციქულმან, რათა შემოსონ მას სამოსელი, ხოლო მან არა თავს იდვა შემოსად, არამედ სიხარულითა აღვსებული რბიოდა შიშველი შორის ქალაქისა, რათა იხილონ იგი ყოველთა მეცნიერთა მისთა, რომელთა იცოდეს წყლულება იგი მისი ბოროტი და აღვიდა ურაკპარაკად ღაღადებდა და იტყოდა, გმადლობ შენ უფალო ღმერთო რომელმან ჰყავ ჩემთანა წყალობა, რომელი ესე განწირულ ვიყავ ყოველთა კაცთაგან და აწ მოიხილე წყალობით ჩემ ზედა და დაძუწლებული ესე განმაახლე, დიდება შენდა მეუფეო დიდო და საშინელო, ესრეთ სიხარულითა ადიდებდა ღმერთსა, ვიდრემდის მოვიდა მოციქული სამოსელი შეიმოსა და შეუდგა მოციქულსა და ყოველნი ხედვიდეს მას. ხოლო განითქუა რა ესეცა სასწაული პატრე ქალაქსა შინა შემოკრბებოდეს ყოვლით

ბერძო მოციქულისა ერნი ურიცხუნი და შეუვრდებოდეს მას და ასწავებდა მათ სიტყჳსა ცხოვრე-
ბისასა კადნიერებით, ზოგად ყოველთა და კაცად კაცადსა უწამებდა სიტყჳსა მადლისასა და მიუთხ-
რობდა სარწმუნოებასა მართალსა საქმეთა საღთოთა და მცნებათა უფლისათა. ხოლო რომელნიცა
მოვიდიან მისა სნეულნი და არაძლებულნი დაასხნისა მათ ზედა ხელნი სახელითა ქრისტესითა და
მეუჴსეულად განიკურნის, ვითარისაცა სენისაგან შეპყრობილ არნ უძლურნი იგი და იყო სიხარუ-
ლი დიდი ქალაქსა მას და გარემო სოფლებსა, ამისთჳსცა სადაც დაშთომილ იყვნეს ტაძარნი საკერ-
პონი დაირღუჳოდეს და ძირითურთ აღმოფხურიდეს და კერპთა მათ ოქროსა და ვეცხლისათა წვრილ-
წვილილად დამუსრევდეს და წიგნთა მას საწარმართოთა სავსეთა ზღაპრითა დასდებდეს ფერხთა თანა
მოციქულთასა, ხოლო იგი ხელითა მოწაფეთა თჳსთათა ყოველსავე განუყოფდა გლახაკთა და ჭირ-
ვეულთა, ობოლთა და ქვრივთა და მისცემდა აღსაშენებელად ეკკლესიათა და სამკაულად მათ შინა.
ხოლო თავადი ყოვლადვე არა რას იხმარებდა საფასეთა მათგან თავისა თჳსისათჳს, არამედ კნინითა
და უნდოთა საზრდელით იზრდებოდა; ხოლო ასწავა მორწმუნეს მას ერსა რათა იკითხვიდენ
წერილთა, ძუჱლისა და ახლისა სჯულისასა; და აკურთხნა მათგანნი ხუცად და დიაკვნად და ყოველი
იგი ერი ნათელ იღებდეს სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა. მაშინ განაწესა მო-
ციქულმან აღშენება დიდის ეკკლესიისა, მრავლითა მოსწრაფებითა და ფრიადითა გულსმოდგინე-
ბითა აღაშენეს მორწმუნეთა წმიდა იგი ეკკლესია და აღესრულა რა შენება იგი, ბრძანა მოციქულ-
მან რათა გამოხატონ კედელსა ზედა ეკკლესიისა ყოველივე უწყება ძუჱლისა და ახლისა სჯულისა,
ვითარცა სწამებენ ყოველნი მკჳდრნი მის ქალაქისანი, ვითარმედ მიერიდგან ისწავეს გამოწერა ხა-
ტებისა ვიდრე აქამომდე.

ხოლო ანთჳპატი შემდგომად საკჳრველისა მის განკურნებისა ცოლისა მისისა, წარვიდა
რომედ ხილვად ნერონ კეისრისა და იყო ძმა მისი სახელით სტრატოკლეოს, ამან ითხოვა კეისრი-
საგან რათა დაუტეოს მხედრობა და მიიღოს მოქალაქობა ფილოსოფოსთა; ესე მოვიდა მას ჟამსა
რომით პატრას და ჰყვა მსახურებად მისსა მონა ფრიად სარწმუნო და საყუარელი უფლისა თჳსისა
სახელით ალკამანოს, რომელი იგი შეიპყრა ეშმაკმან ბოროტად და სასტიკად აშთობდა მას; სტრა-
ტოკლეოს ფრიად მწუხარე იყო მონისა მისთჳს კეთილისა, ხედვიდა რა ვითარ პეროდა და და-
იბძარვიდა ხორცთა თჳსთა და უცხო იყო კაცთა გონებისაგან, რომლისათჳს ულონო იყო უფალი
მისი და გული ელმოდა მისთჳს ფრიად; ხოლო ეუწყა მაქსიმილასგან ძმის ცოლისა თჳსისა საქმე
ნეტარისა მოციქულისა და თუ ვითარ განწირული განკურნა იგი და იხსნა სიკუდილისაგან, მაშინ
ევედრა სტრატოკლეოს, რათა მოსწრაფედ მოუწოდოს მან რომლისათჳს იგი იტყჳს. წარავლინა
მაქსიმილა სარწმუნო იგი მხევალი თჳსი იფიდიმა, რათა მოუწოდოს მოციქულსა, ხოლო მორა-
ვიდა ნეტარი იგი და მიეახლა ბჭეთა სამთავროსა მის პრეტორისათა, აგრძნა და სთქუა «სული არს
წმიდა იქცევის აქა», და თჳნიერ სხჳსათაგან თავით თჳსით მივიდა ადგილსა მას სადა ერმა იგი იგუჱ-
მებოდა მტერისაგან, და ჰპოვა მუნ სტრატოკლეოს მწუხარებითა აღვსებული, და სხჳსა სიმრავლე
ერისა შეკრებული.

იხილეს რა მონათა სტრატოკლეოსისათა უნდოთა სამოსლითა ნეტარი იგი, აყენებდეს მას
და გარე განსლვად იტყოდეს, ხოლო ქალაქისანი იგი რომელნი მეცნიერ იყვნეს მოციქულისა,
წყრომით წამუყოფდეს მონათა მათ და ეტყოდეს დუმენით, რამეთუ არა იცით რა ეგე იკადრეთ
ანუ ვისა მიმართ და ცნეს რა საქმე წმიდისა ფრიად მოწიწებით მიხედვიდეს მას, ესმა რა მაქსი-
მილლას მოსლვა მოციქულისა, სრბით გამოვიდა მიგებებად მისსა და თაყუანისცა პირსა ზედა თჳსსა

ჰრქუა მას მოციქულმან ქრისტესმან, «აჰა ესერა არიან აქა მოგვნი და მწამლველნი შემოკრებულ საწყალობელსა ურმასა ზედა და ვერა რას არგებენ, რაისათჳს არა განსდევნინ ბოროტსა მას სულსა ამისთჳს რამეთუ თჳსნი და მოყვასნი მისნი არიან, გარნა მე სახელითა უფლისა ჩემისათა განვიოტო იგი». და აღიპყრნა ჴელნი ზეცად და თქუა: «უფალო იესო ქრისტე, რომელი ისმენ მარადის მონათა შენთასა, შეიწირე აწ ლოცუა ჩემი და შეჰრისხენ სულსა ამას ბოროტსა, რათა განვიდეს ურმისა ამისგან და ადიდოს წმიდა სახელი შენი». სრულ ჰყო რა ლოცუა თჳსი წმიდამან, ჰრქუა სულსა მას ბოროტსა «სახელითა უფლისა ჩემისა იესო ქრისტესითა, გიბრძანებ სულსა მაგას არა წმიდასა, რათა მყის განხვიდე ურმისა ამისგან და ნუცა სხუათა ადგილთა სადაცა უქადაგებიეს ძმათა ჩემთა და მოციქულთა უფლისათა და ნუ იმალვი საზღუართა შინა. რომელთა ქადაგებულ არს სახელი ქრისტესი» და მეყუსეულად ხმა ჰყო ეშმაკმან: აჰა ესერა განვალ ბრძანებისაებრ შენისა, კაცო ღუთისაო და დააკუეთა მონა იგი და განვიდა მისგან: უპყრა მას ჴელი მოციქულმან და აღადგინა და მისცა უფალსა თჳსსა განკურნებული, იხილა რა სტრატოკლეოს სასწაული ესე დიდებული განკჳრდა ფრიად და რწმენა უფალი და ეგრეთვე მაქსიმილა და იფიდიმა და ახალ განკურნებულმან მან ალკამანოს და სხუათა მრავალთა, განამტკიცებულთა ქრისტეს სარწმუნოებასა ზედა ითხოვეს მოციქულისაგან და ევედრებოდეს რათა სრულ ყვნეს იგინი წმიდითა ნათლის-ღებითა.

მაშინ ქადაგმან მან ჭეშმარიტებისამან აღასრულა მათ ზედა განგებული იგი წესი და ნათელ-ჰსცა, სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა და მიერითგან იყუნეს იგინი მარადის მოციქულისა თანა და მოწაფეთა მისთა იხარებდეს სულითა და ასწავებდა მათ ყოვლად ქებული იგი, რათა შეუხებელად დაიმარხონ ნამარხევი იგი რომელ ერწმუნა მათ ქრისტეს სარწმუნოებისა და რათა იღუაწდენ სულთა თჳსთა, რამეთუ უკუდავ არს იგი, ხოლო კორცთა უგულებელს ჰყოფდენ, ვითარცა განხრწნადთა და წარმავალთა და რათა შეიკრძალონ მარხუა და სიწმიდე ხორცთა და მოწყალება გლახაკთა და რათა განეკრძალნენ ანგაარებასა, და მრავლის მეტყუელებასა და ტყუილსა და რათა მარადის ლოცუასა და მადლობასა ღუთისა მიმართ მოსწრაფე იყუნენ; ამას და ესე ვითარსა მოძღურებასა ასწავებდა მათ ყოვლად ქებული იგი და სანატრელი და ესრეთ განანათლნა სულნი მათნი წყვდიად შემოსილნი. ამისა შემდგომად მოვიდა რომით ანთჳპატი ეგეატი და რაჟამს იგი ენება ცოლისა თჳსისა თანა დაწოლად ჩვეულებისა ებრ პირველისა, არა მიუნდო მან, არამედ უძლურებას იჩემა, რამეთუ მცნებასა მოციქულისასა იმარხჳდა ნეტარი იგი და ვითარცა გარდახდეს დღენი მრავალნი და არა თავსიდვა წოლა ქმრისა თანა თჳსისა, განკჳრვებულ იყო ამისთჳს ანთჳპატი. მაშინ ერთმან მონათაგანმან აუწყა საქმე იგი და ჰრქუა, ვითარმედ ძმა შენი და მეუღლე შენი სხუათა მრავალთა თანა შეეწყნარნენ ღმერთსა უცხოსა მის კაცისა ანდრეასსა და იყუნენ ქრისტეანე და ამისთჳს არა მოგეახლების შენ ცოლი შენი.

ესე რა ესმა რისხვითა და გულის-წყრომითა აღივსო უსჯულო იგი და ბრძანა საპყრობილესა შეყვანებად ქადაგი იგი ქრისტესი, ვითარცა იგი ოდესმე ჰეროდე ჰქმნა იოანესთჳს ნათლის-მცემელისა, ხოლო ცოლსა თჳსსა მაქსიმილას ჰრქუა, ყოველივე სწავლა უცხოსა მის ბერისა განაგდე შენგან და იყო შენ უფალ ყოვლისავე მონაგებისა ჩემისა და უკეთუ არა მერჩდნე მყის ჯუარსა დამოვკიდო იგი და შენცა ბოროტად მოგაკუდინო. ხოლო მაქსიმილა ყოვლადვე არა ზრახვიდა პირით მისით და არცა იყო შიში გულსა მისსა, რამეთუ ქრისტეს მიმართ აქუნდა სიყუარული და ყოველივე ზრუნვა მისი მისა მიმართ განეკუთნა, და ოდესცა ჰპოვის ჟამი მივიდის ნეტარისა მის, და გულს-მოდგინებით ისმინის სიტყუათა მისთა და აუწყებნ ზრახუათა ეგეატისათა. ხოლო მოცი-

ქული ქრისტესი განამტკიცებდა მას და ეტყოდა «ნუ განეშორები შიშსა უფლისასა, არამედ მოითმინე მცირედ ჟამ რაჲცა შეგემთხჳოს შენ ქრისტეს თჳს, რათა უკუნისამდე იხარებდე. ხოლო ჩემდა ჯუარცმა დიდი სიხარული არს, რათა ძალისაებრ ჩემისა მივემსგავსო ვნებასა უფლისა ჩუენისასა, მივიწიო წინაშე მისსა და მარადის ვიყო მისთანა». ამათ კეთილთა სწავლათაგან უმეტესად განძლიერდა მაქსიმილა და განცხადებულად ჰრქუა ქმარსა თჳსსა, ვითარმედ ქრისტეანე ვარ და სიწმიდესა ჩემსა არღარა შევაგინებ, არცა მეშინის სიკუდილისა მისგან წარმავალისა, რამეთუ ესრეთ მასწავა მოძღუარმან ჩემმან მოციქულმან ქრისტესმან. ესე სიტყუანი ესმნეს რაჲ უკეთურსა მას ეგეატსა განცოფნა გულის წყრომითა და ექცა ფერი პირისა მისისა და მეყსეულად სრბით მიიწია საპყრობილედ და ჴელითა თჳსითა დაკრძალა ბეჭდითა საპყრობილე იგი და კარი მისი და მცუელნი დაადგინნა რათა არავინ შეუშვან მისსა. არამედ მასვე ღამესა მივიდეს საპყრობილედ სტრატოკლეოს და მაქსიმილლა და ყოველნივე ძმანი, სცნა რა მოციქულმან მისლვა მათი სასწაული ჯუარისა გამოსახა კართა მათ ზედა და მეყსეულად განეხვნეს თჳთ თჳსით. ხოლო მცუელნი იგი განსცვიფრდეს და ძრწოლამან შეიპყრნა. ჰრქუა მათ მოციქულმან კმითა მშვიდითა და სახიერითა, «ნუ შეშინდებით, რამეთუ არა სცნას ესე ანთჳპატმან» და შევიდეს მორწმუნენი წინაშე მისსა და დანთეს ლამპრები მრავალი ვიდრელა მიემსგავსა საპყრობილე იგი ეკკლესიასა და მრავალი საღმრთო სწავლა წარმოუთხრა მოციქულმა და ბრძანა მოღებად განგება წმიდისა ჟამის წირვისა და აკურთხა წმიდა იგი შესაწირავი სამეუფოსა მის ჴორცისა და სისხლისა და აზიარნა ყოველნი იგი წმიდათა საიდუმლოთა და სტრატოკლეოს დაასხნა კელნი მღუდელ მთავრად და რამეთუ იყო კაცი ბრძენი და ფრიად სიწმიდის მოყუარე და სხუანი აკურთხნა ხუცად და დიაკვნად და ამცნო კრძალულებითა და შიშითა ღუთისათა ჟამის წირვად, ეგრეთვე სხუათა ლოცუათათჳს განუწესა განგება ჯერისაებრ დ მოიკითხნა ყოველნივე ამბორის ყოფითა სიწმიდისათა და განუტევა მშვიდობით. ხოლო კართა მათ დასწერა ჯუარი და ეგრეთვე დაეკრძალნეს თავით თჳსით ვითარცა იგი იყვნეს პირველ.

ხოლო ბილწი იგი და შეგინებული ეგეატი შეშფოთებული გულის-წყრომითა ეძიებდა თუ ვითარ შურ იგოს წმიდისა მის ზედა და ცოლსა ამისთჳს ჰრიდა, რამეთუ ეშინოდა მშობელთა მის-თაგან, რამეთუ ძალ-ედვა მათ ბოროტის ყოფად მისდა. ხოლო მოციქული ქრისტესი ნეტარი ანდრეა მისცა მხედართა ჯუარცმად, ვითარცა იგი ოდესმე მისცა უფალი ჯუარცმად პილატე ჰურიათა, მაშინ მივიდოდა რა ნეტარი იგი ადგილსა მას სადა განწესებულ იყო ჯუარცმად, იხილა შორით ძელი იგი ჯუარისა აღმართებული, უსწრო ყოველთა და წარმოუდგა სიხარულით ჯუარსა მას და ესრეთ იტყოდა ღმობიერად: «გიხაროდენ, ჯუარო პატიოსანო, აჰა ესერა მოვსრულ ვარ შენდა სიხარულითა, ჯუარო ცხოველს-მყოფელო, რამეთუ გიცნობ შენ ჩემსა მსგავს საცოსა, ვიცნობ სასწაულსა შენსა, რომელისა თჳს დაენერგე სოფელსა შინა, რათა აღმართნე დაცემულნი და შერყეულნი განამტკიცნე.

«გიხაროდენ, ჯუარო შუენიერო, რომელისა თავი ზეცად ამაღლებულ არს, რათა მოასწავო ყოველთა თავი იგი სიტყუა ღუთისა და საშუალი შენი ვითარცა ჴელნი განპყრობილ არიან მარჯუენ და მარცხენ, რათა ყოველივე ძალი მტერისა შემუსრო და განბნეულნი ერთად შეჰკრიბნე.

«ხოლო იატაკი შენი დამკჳდრებულ არს სიღრმესა ქუეყანისასა, რათა მიწასა შინა მყოფნი და ქუესკნელსა შინა შთასრულნი აღმოიყვანნე და შეაერთნე ზეცისათა. გიხაროდენ, ჯუარო პატიოსანო კელოვნად მოპოვნებულო, ღონეო მეუფისა მიერ ჩემისა, ცხოვრებისათჳს კაცთასა.

გიხაროდენ, ჯუარო საძლეველო მტკიცეო და მაოტებელო მტერთა ქრისტეს მიერ, გიხაროდენ, ჯუარო ძელო ცხოვრებისაო, რომელი ქუეყანასა ზედა დაენერგე, და ნაყოფი შენი ცათა შინა დაუნჯებულ არს, გიხაროდენ, ჯუარო დიდებულო ტკბილო სახელითაცა და საქმითაცა, გიხაროდენ, ჯუარო თაყუანის საცემელო, რომელმან იტვირთე მეუფე ჩუენი, ვითარცა ტევანი, და იყო იგი ვითარცა ვენახი ჭეშმარიტი.

«გიხაროდენ, ჯუარო კურთხეულო, რომელმან ავაზაკი აცხოვნე, რამეთუ მიეც მას ნაყოფი იგი აღსარებისა. გიხაროდენ, ჯუარო ყოვლად ქებულო, რომელი შესწირავ ღმრთისა ღირსთა მისისა სარწმუნოებისათა და აწ რაჲსა ვჰყოვნი და არა შეგიტკბობ შენ, ჯუარო ჩემო დიდად სასურველო რათა შენ მიერ ცხოველ ვიქმნა და თანა ნადები ჩემი სიკუდილი კეთილად და რჩეულად აღვასრულო; მოვედით უკუე მსახურნო სიხარულისა ჩემისანო და მტარვალნო ეგეატისანო აღასრულეთ ნება ორთავე და დამოჰკიდეთ ტარიგი ძელსა და შესწირეთ დამბადებელისა დაბადებული და სული ჩემი მომცემელსა მისსა», ესე ყოველი და სხუა უმრავლესი სიტყუა შუენიერი მის ჟამისა, შემსგავსებული წარმოსთქუა რა ყოვლად ქებულმან მოციქულმან მოუხდეს მტარვალნი და აღამაღლეს წმიდა იგი ჯუარსა ზედა, არა დაუმსჭუალნეს კელნი და ფერხნი მისნი სამსჭუალებითა, არამედ საბლებითა მოაბეს იგი ჯუარსა, ბრძანებისა ებრ ეგეატისა და ესრეთ დაუტევეს დამოკიდებული უმეტესისა ტანჯვისათჳს რამეთუ გონებდა უგუნური იგი ვითარმედ ფრიადისა მის ჭირისაგან, უბრძანოს მაქსიმილას აღსრულებად ნებისა მისისა, ხოლო დამოჰკიდეს რაჲ სიმაღლესა ნეტარი იგი ჰხედვიდეს მას ყოველი ერი, მაშინ აღაღო მან კურთხეული და სანატრელი პირი თჳსი ჯუარსა დამოკიდებულმან, და იწყო სწავლად ერისა მის, ვითარმედ «არა ჯერ არს შიში სიკუდილისაგან, არამედ გეშინოდენ ყოველთა ცოდვისაგან, რამეთუ რომელთაცა იღვაწონ ამას სოფელსა კეთილად, განსასუენებელად მივლენ საუკუნოდ, აღთქმისა ებრ უტყუელისა მის პირისა საუფლოსა, ხოლო რომელნი დაემონნენ ცოდვასა, იგინი მიეცნენ სატანჯველსა საუკუნესა. აწ უკუე, ძმანო, შეიტკბეთ სარწმუნოება წმიდისა სამებისა და მცნებანი უფლისანი დაიმარხენით, რათა მიემთხვივნეთ ნეტარებასა მას საუკუნესა».

გარდახდა უკუე დღე იგი და ღამე და არა დადუმნა სწავლისაგან წმიდა იგი და განმტკიცებად ყოველთა სარწმუნოებასა ზედა ქრისტესსა, მაშინ მოვიდა ღირსი სტრატოკლეოს და ენება გარდამოხსნა მისი ჯუარისაგან. ხოლო ჭეშმარიტისა მის სიბრძნისა თანა მოსახელემან არა თავს იდვა ესე, არამედ ეკიდა ძელსა მას ზედა ოთხ დღე და ოთხ ღამე და ძლიერ იყო კმა და სიტყუა მისი და მხიარულად ასწავებდა ყოველთა საღმრთოთა მათ და საცხოვრებელთა სწავლათა, არა შეჭმუნდა პირი მისი და — მოუძლურდა კმა მისი, არა სულთ-ითქუნა და არცა ცრემლოდა, არამედ ბრწყინვალე იყო ხმა მისი და პირი მისი სავსე მადლითა ღმრთისათა და ერი იგი ყოველი ჰნატრიდა მას და ერთბამად ყოველნივე ადიდებდეს ღმერთსა, რომელმან ესრეთ განაძლიერა იგი და ესრეთ შეეწევის მოსავთა მისთა.

მაშინ ხმა ჰყუეს ყოველთა და მიმართეს ტაძართა უღთოსა ეგეატისათა, რომელ არს პრეტორი და ხმითა რისხვეულითა შეაჩუენეს იგი, რომელ კაცი უბრალო და ესოდენთა კეთილთა მოქმედი, მისცა უმიზეზოდ ესე ვითარსა სიკუდილსა, ხოლო უსჯულომან მან იხილა რაჲ ესოდენი სიმრავლე ერისა დასხმული მის ზედა და აღრძნა რამეთუ ეგულვების მოკლუა მისი, შეეშინა ფრიად და იწყო სიტყუითა ლიქნისა და მდოვრებად გულის წყრომასა მათსა; და ეტყოდა ცთომილ ვარ შემინანებიეს საქმე ესე, ვითარმედ აჰა ესერა წარვიდე და თჳთ გარდამოვხსნა იგი. და მეყსეულად

წარემართა მოციქულისა მიმართ, იხილა რა იგი მომავალი ყოვლად ნეტარმან მოციქულმან, ხმა ყო ხმითა ძლიერითა და ჰრქუა მას, «რაისათჳს მოხვედ ჩემდა ჵოი! ეგეატი, რომელი ესე უცხოვარ შენგან, რასამე ღონე ჰყოო. რაჲსა ზაკვავ, გარდამოხსნა გეგულვების ჩემი და სინანულსა იჩემებ, არა გაქუს ნაწილი ჩემთანა, რამეთუ ზაკვა არს გულსა შენსა და არა სინანული, ანუ ვითარ გნებავს გარდამოხსნა ჩემი, რომელი ესე განთავისუფლებულ-ვარ შენგან, რომელი ესე შევედრებულ ვარ თჳსითა ჩემთა, რომელი ესე შეწყალებულ ვარ და შეყუარებულ მხსნელისაგან ჩემისა, რომლისა თანა ყოფად ვარ მარადის, რომლისა თანა ვიქცეოდე, აურაცხელთა მათ ნუგეშინისცემათა და განსუჱნებათა მიმთხვეული, რომელმანცა მაუწყა საქმე შენი და მრქუა მე, განიცადე ეგეატი რამეთუ უკეთურ არს, ნურცა ძლევნსა მისსა შეიწყნარებ, ნუცა რისხვისაგან მისისა გეშინის, ნუმცა გეუფლების შენ მონაო ჩემო: რამეთუ მტერი არს და მაცდური მრისხანე და კაცის მკჳლელი, ბილწი, მწამლეველი, და გრძნების მოყვარე, აწ უკუჱ განმეშორე ჩემგან მოქმედო უსჯულოებისაო.» სთქუა რაჲ სიტყუანი ესე ბილწისა მის მიმართ და უკეთურისა, აღიხილნა თვალნი ზეცად და მადლობა შესწირა უფლისა და აკურთხნა მორწმუნენი იგი ჯუარსა დამოკიდებულმან და ეგრეთ შევედრა წმიდა იგი და განბრწყინვებული სული თჳსი, ჴელთა დამბადებლისათა თთუესა ნოემბერსა ოცდა ათსა.

ხოლო შემდგომად დიდებულისა მის აღსრულებისა ქრისტეს მოციქულისა ანდრეასა, ჰსტიროდეს ყოველნივე მუნ შემოკრებულნი ერნი, და ცრემლითა ქუეყანასა დაალტობდეს, განყოფისათჳს მისისა: მაშინ ღირსი ეპისკოპოსი სტრატოკლეოს და მხევალი ქრისტესი მაქსიმილა, მოვიდეს და გარდამოხსნეს გუამი მოციქულისა და შემურეს იგი და დამარხეს დიდითა პატივითა. ხოლო უღმრთოსა მის ეგეატისა იწყლა გული, რომელ უსამართლოდ მოკლა მოციქული ქრისტესი და რომელ მოსწყუდა მას და განეშორა მეუღლე მისი მაქსიმილა და ნაღვლითა ბოროტითა განცვიფრდა და სასოწარკვეთილი აღსდგა ღამით და შთაიგდო თავი თჳსი სიმაღლესა რასმე ფრიად საშინელსა და ეგრეთ შეიმუსრა საწყალობელი იგი და განვიდა ამის ცხოვრებისაგან და სრულიად აღიხოცა სახსენებელი მისი უღმრთოჲსა და ვერ ვინ დაუტევა მკჳდრი ანუ განმგე მონაგებისა თჳსისა. ხოლო სტრატოკლეოს ძმა იყო ეგეატისა ხორციელად, გარნა არა შეეხო ყოვლადვე მონაგებსა მისსა, არამედ თქუა შენი შენთანავე იყავნ, ჵოი! ეგეატო, ხოლო ნაწილ და სამკვიდრებელ ჩემდა იყავნ უფალი ყოვლადვე, რომელისადაცა შემიწყნარებიეს თავი ჩემი.

ეგრეთვე მაქსიმილა განეშორა ყოველსა მას სიმდიდრესა ქრმისა თჳსისა და სარწმუნოჲსა მხევლისა თჳსისა იფიდიმას თანა, განუშორებელად მსახურებდეს საფლავსა ყოვლად ქებულისა მოციქულისა ანდრეასსა, ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მათისათა და ყოველი მონაგები თჳსი სტრატოკლეოს და მაქსიმილა, ზოგი გლახაკთა განუყვნეს და ზოგი განაწესეს აღსაშენებელად საეპისკოპოსოსა და ცხონდეს იგინი ჟამთა მრავალთა უბიწოდ და ღმრთის-მსახურებით და ესრეთ სანატრელითა აღსასრულითა აღესრულნეს. ხოლო ყოვლად ქებულისა და ღმრთის ქადაგისა პირველ ყოველთა წოდებულისა მოციქულისა ანდრეას სამარხოსა ზედა, დღითგან აღსასრულისათ მისისა, დიდნი სასწაულნი და საკჳრველებანი აღესრულნეს და მარადის იქმნებიან, რამეთუ დაუყენებელ არს მადლი მისი ყოველთაგან, რომელნი სარწმუნოებით მოვლენან წმიდასა მას სამარხოსა მისსა, დიდებად ღმრთისა და პატივად ქრისტეს მოციქულისა.

## დასხმისათჳს ნაწილთასა ქალაქსა შინა სამეფოსა (კონსტანტინეპოლეს).

ხოლო აწ, ჟამი არს მითხრობად კონსტანტინე ქალაქად მოყვანებისათჳს პატიოსანთა ნაწილთა მოციქულისათა, საბეჭდავად სიტყჳსა ამის ჩუენისა, რათა არა ვინ უმეცარ იყოს თუ ოდეს, ანუ ვითარ, ვინა ვის მიერ იქმნა მოყვანება და თუ სადა დაისხნეს უბიწონი იგი და წმიდანი ნაწილნი მისნი.

შემდგომად დაცხრომისა მის დევნულებისა ქრისტეანეთასა, ბოროტთა მათ მძლავრთაგან, დიოკლიტიანეს ვიტყჳ და მაქსიმიანეს, მაქსიმოს და მაქსენტის, რომელნი იგი ზეგარდამოთა რისხჳთა მოსწყდეს და არღარა იპოვა ადგილი მათი და მოეფინა ეკკლესიათა ქრისტესთა ნათელი მშვიდობისა, რაჟამს აღადგინა წმიდამან ღმრთის-მორწმუნე იგი და მოციქულთა სწორი მეფე დიდი კონსტანტინე, რომელმანცა ბრძანა ყოველთა მორწმუნეთა და ქრისტეს აღმსარებელთა განთავისუფლება ექსორიობათაგან და დილეგთა და მისცა ყოველთა ხელმწიფება კადნიერად აღსარებად ქრისტესა და განეფინა ქრისტეანობა ყოველსა საბრძანებელსა მისსა, აღაშენნა ეკკლესიანი, განამრავლნა მღდელ-მთავარნი, განაჩინნა სახმარნი ეკკლესიათანი და ყოვლითა კეთილითა საქმითა და საღმრთოჲთა განგებითა აღავსო სოფელი. ჰპოვა პატიოსანი ჯუარი ძელი იგი ცხოველს-მყოფელი, ელენეს მიერ დედისა თჳსისა. განამრავლა გამოსახვა წმიდათა ხატთა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი და ყოვლად წმიდისა ღმრთის-მშობელისა და ყოველთა წმიდათა; ესე ვითარითა კეთილითა განგებითა აღესრულა და დაჯდა ძე მისი კონსტანტი, შემდგომად მისა მეფედ და ჟამ რაოდენმე ბაძვიდა სათნოებასა მამისა მისისასა, აღაშენა ტაძარი დიდი და შუენიერი სახელსა ზედა მოციქულთასა, შორის სამეუფოსა ქალაქისა, ახლისა მის რომისასა და სწადოდა პოვნა ნაწილთა სამოციქულოთა დასუენებად ეკკლესიასა მას შინა, სატრფოდ და შესავედრებულად ქალაქისა მის და მკჳდრთა მას შინა.

მაშინ მოუწოდა არტემიოსს დიდებულსა კაცსა სახელოვანსა და წარჩინებულსა შორის მთავართა მისთა, რომელმანცა უკანასკნელ გჳრგჳნი წამებისა მიიღო ბრწყინვალე და მრავლითა ღუაწლითა სრბა იგი ქრისტეს აღსარებისა სრულ-ყო, იულიანეს მიერ უსჯულოსა მის და ქრისტეს უარისმყოფელისა; და იყო ესე არტემიოს შვილი მთავართა დიდთა და სავსე ყოვლითა სიბრძნითა

და მეცნიერებითა, შემკობილი საქმითა და სიტყუითა და ფრიად საყუარელ კონსტანტინე მეფისა და ძისა მისისა კონსტანტისსა და ამას სანატრელსა მოუწოდა მაშინ მეფემან კონსტანტი და ჰრქუა მოსწრაფებით წარვედ მეგობარო ჩემო აქაიასა ქუეყანად პატრე ქალაქად და დიდითა პატივითა მოიყვანე გუამი ყოვლად ქებულისა მის მოციქულისა ანდრეასი, რათა დაესუენოს ჩემ მიერ აღშენებულსა მას ეკკლესიასა. ხოლო დიდებულმან არტემიოს მიიღო რა ბრძანება მეფისა მსწრაფელ წარემართა და მიიწია პატრე ქალაქად, თაყუანისცა სამარხოსა მას მოციქულისასა და ათის ღამე ლოცუითა და გალობითა და ესრეთ განაღო სამარხი იგი და პატიოსნად აღიქუა გუამი ახოვნისა მის მოციქულისა.

ხოლო ესე საცნაურ არს და განცხადებულად სარწმუნო, რომელ მოსლვასა ნეტარისა მის არტემიოსსა, პატივ ჰსცა მოციქულმან, რამეთუ იცოდა ღირსება მისი და ღუაწლი იგი წამებისა, რომელი ეგულვებოდა მის აღსრულებად და ამისთჳს მისცა მას თავი თჳსი და არა დააყენა წარყვანება თჳსი კონსტანტინე ქალაქად, არამედ გულს მოდგინედ წარჰყვა მას.

ესრეთ აღმოიქვა ნეტარეულმან მან საუნჯე იგი დიდი და შემსგავსებულითა დიდებითა და პატივითა ქალაქითი ქალაქად მივიდოდა და ყოველთა მათ ქალაქთა ერნი კეროვნებითა და საკმეველითა მიეგებოდეს და წარგზავნიდეს გალობითა და ქებითა; ხოლო მიეახლნეს რა ქალაქად სამეფოდ, გამოვიდა მეფე და პატრიარხი, მთავართა თანა და ეპისკოპოსთა, მღუდელთა და ყოველსა სიმრავლესა ერისასა, სანთლებითა შუენიერითა და საკმეველითა სამეუფოთა და მიეგებნეს მოციქულსა მას ქრისტესსა, გალობითა და შესხმითა დაუდუმებელად, (მონაზონნი და) ერისკაცნი ჰასაკი და ყოველი სიმრავლე უგალობდეს მას და სურვილით ამბორს უყოფდეს და ესრეთ დიდებითა და პატივითა დიდითა შეიყვანეს ტაძარი იგი ღუთისა, საცნაური იგი ზღუდე და სიმტკიცე მორწმუნეთა საუნჯე იგი საწადელი და უპატიოსნესი, უფროს ყოველთა ქუათა პატიოსანთა, ოქროსა და ვეცხლისა დიდად უსაწადელესი, გონიერთა მიერ, და დაასუენეს ქუეშე წმიდასა საკურთხეველსა ეკკლესიასა მის მოციქულთასა და აწ დამარხულ არს პატიოსანსა მას იდგილსა გუამი ახოვნისა მის და ღუთივ-შემოსილისა სულისა, გუამთა თანა სხუათა ორთა მოციქულთასა ლუკა მახარებელისა და ტიმოთე ღუთის-ქადაგისა და მათნიცა უკუე გუამნი მისვე ნეტარისა არტემიოსის ხელითა მოიყვანნეს პირველ მოხსენებულისა ამისვე კონსტანტინესზე.

მახარებელისა ლუკასი თებადით ვინა იგი აღესრულა და ტიმოთესი ეფესოთ ქალაქით, სადა იგი მოიღუაწა მან ღუაწლი წამებისა, სადა იგი ეპისკოპოსად კურთხეულ იყო ქრისტეს საყვარელისა მის მოწაფისა და ღუთის-მეტყუელისა იოანეს მიერ, ამის უკუე სამოციქულისა გუამთა მოყვანებითა ნაცულად მიიღო მიმსგავსებულმან მოციქულთა დიდებულმან არტემიოს ღირსისა მის და კეთილისა უსახურებისა მისისა თჳს კონსტანტინე მეფისაგან, უმეტესი დიდება და პატივი დ̃ დუქსად წარივლინა ალექსანდრიის ქალაქად დ̃ ყოვლისავე ეგვიპტისა ხელმწიფება მიეცა მას.

ხოლო საუკუნოსა მის და უკუდავისა მეუფისაგან ქრისტეს ღუთისა, მიეცა მას პატივი დაუსრულებელი, დათხევა იგი სისხლთა და წამება სახელისა მისთჳს წმიდისა, რომლისა თჳსცა ღირს იქმნა ცხოვრებასა მას წარუვალსა და სუფევასა მას მოუკლებელსა დადგომად წინაშე პირსა მისსა. რომელსა შუენის ყოველივე დიდება და პატივი და თაყუანის ცემა თანა დაუსაბამოთ მამით და ყოვლად წმიდით სახიერ და ცხოველს მყოფელ სულითურთ, აწ, დაუსრულებელთა საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ.

# თჳესა აპრილსა კგ დღესა წამება წმ. მთავარ მოწამისა საკჳრველმოქმედისა დაძლევა შემოსილისა გიორგისა[1]).

რაჟამს (იგი) დაეპყრა კერპთ მსახურებასა საეშმაკოსა ყოველი სოფელი, იყო მათ ჟამთა, ზრო-ქენთა ზედა მეფე რომელსა ერქჳა დეოკლიტიანე, მხეცი მძჳნვარე და განმრყვნელი სამწყსოთა ქრისტესთა, ძლეული ფრიად საცდურითა კერპთათა და ესვა მას მეგობარი ერთგული რომელსა ერქჳა მაგნენტიოს და იყო იგი მეორედ მეფობისა მისისა, რომელცა დაიწვებოდა ქრისტიანეთა მი-მართ სიბოროტილითა და კერპთ-მსახურებისა უღჳთოებისათა; მათ ერთ-ბამად განიზრახეს თუ რაჲ ჯერ არს ყოფად მათდა, რათა წარსწყმიდონ სრულიად კეთილ-მსახურება ქრისტიანეთა და მიაქცი-ნენ ყოველნი კაცნი კერპთა თაყჳანის ცემად და მსახურებად, რამეთუ იყვნეს იგინი განცჳფრებულ სულთა განმხრწნელითა მით საცთურითა კერპთათა და უფროსღა აპოლონ წარწყმედულისათა და ვი-თარცა განიზრახეს დასწერნეს ეპისტოლენი ბრძანებითა დეოკლიტიანე უღთოისა მეფისათა და წარს-ცნეს ყოველსა საბრძანებელსა საბერძნეთისასა, ყოველთა სამთავროთა მიმართ და სპასალართა და ყოველთავე წარჩინებულთა ერისთავთა რომელთა შინა წერილ იყო სახე ესე ვითარი.

«დეოკლიტიანე მეფე საუკუნოდ დიდებული და აღმატებული ყოველთა სამთავროთა რომთა ერისთავთა და ყოველთა წარჩინებულთა გახარებ ვინაჲდგან მოიწია სასმენელთა ჩჳენთა სადჳთო-ვითა ამბაჲ, რომელმან არა მცირედ აღგვაშფოთნა ჩჳენ, რამეთუ მსახურება რათამე განფენილ არს უღმრთოჲ, რომელსა ეწოდების ქრისტიანობაჲ, რომელნი თაყჳანისცემენ იესოს, რომელი ჰშჳა მარიამ ვინმე ურიამან დედაკაცმან, ხოლო აპოლონს დიდსა ღმერთსა და ერმისს და დეონნოს და ირაკლის და დიოსს, რომელთა მიერმშვიდობა მოგვენიჭების და განეგების მეფობათ ჩჳენნი აგი-ნებენ და ჰგმობენ; ხოლო რომელსა იგი ჰრქჳიან ქრისტე, რომელი იგი ურიათა ვითარცა მოგჳ-დაძვირის მოქმედი ჯჳარს აცჳეს, ვითარცა ღმერთსა მონებენ; ამისთჳს ვბრძანებთ რათა რაოდენი-ცა იპოვნენ საბრძანებელსა ჩჳენსა ქრისტიანენი მამანი, გინა დედანი, რათა მიეცნენ იგინი სატან-

[1]) ერთი ძველი ქართლის მატიანე მოგვითხრობს, ვითარმედ წმ. გიორგი ბიძის შვილი იყო წმ. მოციქუ-ლისა ნინოსი, რომლისა თანა-ხმობა ჯერ არს.

ჯუელსა მწარესა, ვიდრემდის უზორონ ღმერთთა ჩუენთა და უარ-ჰყონ საცთური იგი მათი და უკე-
თუ გვერჩდენ ღირს-იქმნენ შენდობისა, ხოლო უკეთუ არა გვერჩდენ ცეცხლისა მიერ და მახვილი-
სა, ბოროტითა სიკუდილითა წარსწყმიდეს, ხოლო რომელმან უდებ ჰყოს ბრძანება ესე ჩუენი
იგიცა მითვე სატანჯუელითა იტანჯოს».

და ვითარცა მიიწია წიგნები ესე ყოველთა ადგილთა აღიძრა დევნულებაჲ ფიცხელი და ჭირი
მიუთხრობელი ვიდრელა შემდგომად მრავლისა მრავალნი მომედგრებოდეს და უარ-ჰყოფდეს
ქრისტესა; ხოლო დეოკლიტიანე მეფე უფროსღა აღბორღნა და შესძინა სიცოფე სიცოფესა
ზედა და შეკრიბნა ყოველნი მთავარნი თჳსნი და სპასალარნი და ყოველნი წარჩინებულნი თჳსნი
და მხედარნი და ვითარცა შეკრბეს, ზრახვა ჰყო მათ თანა თუ ვითარ სახედ განაფხვრას სამე-
ფოჲსაგან თჳსისა თესლი ქრისტიანეთა; ხოლო ყოველნივე იგი თანა მეინახენი და წინაშე მდგო-
მელნი მეფეთანი, განლიგებულ იყვნეს შიშითა და რაჲცა სათნო იყო მისსა ეგრეთ მიუგებ-
დეს და ეტყოდეს, ვითარმედ მზა ვართ აღსრულებად ყოვლისა, რომელიცა გვესმის დიდებისაგან
შენისა.

მაშინ დეოკლიტიანე იწყო ზრახვად მათდა და რქუა, ესრეთ ვგონებ საყუარელნო ჩემნო,
ვითარმედ არა რაჲ არს უპატიოსნეს ღმერთთა მიმართ კეთილად მსახურებისა და მათ მიერ მოცე-
მულ არს ჩუენდა მეფობაჲ ესე და ყოველთა კაცთა ცხოვრებაჲ და გამოხსნათ; ამისთჳს ჯერ არს,
რათა ზეცას ზედა მსახურებითა მივაგდოთ ყოველსა ჟამსა; ხოლო ქრისტიანეთა და რომელნი
ღმერთა აგინებენ რათა ყოველსა სატანჯუელსა მიეცნენ, ვიდრემდის დაიხსნას უღთოჲ იგი მსახუ-
რება მათი და სახსენებელი მათი ბოროტითა სიკუდილითა დაშრტეს; მიუგეს ყოველთა წინაშე
მდგომარეთა და რქუეს მას, თჳთ მპყრობელო დაუძლეველო მეფეო, ჩუენ ყოველნი სიხარულით
შევიწყნარებთ დიდებისა თქუენისა და ყოვლისა სოფლისათჳს განგებასა და მხნელ და მორჩილ
ვართ თქუენსა ბრძანებასა და პატივს-ვსცემთ დიდებასა თქუენსა; ხოლო უკეთუ ვინმე იპოვოს
ამიერითგან რომელი გულსაცა შინა სახელ დებდეს ქრისტესა იგი ცხელითა და მწარითა სატანჯუე-
ლითა მოვაკუდინოთ იგი და ესე ვითარითა უსჯულოთა და უღთოთა მედგრობითა შეითქვნეს
უკეთურნი იგი და მძვინვარენი მძლავრნი და ბრძანებანი გასავლინნეს და სატანჯუელნი მრავალ
ფერნი განმზადნეს და მძლავრნი ერისაგანნი შემზადნეს, რათა ზაკჳთა მოინადირებდენ ქრისტია-
ნეთა ყოველთა ადგილთაგან.

და ესე ყოველი არა ესრეთ განაჩინეს მტერთა მათ ჭეშმარიტებისათა, იხარებდეს და განცე-
ხრებოდეს წარწყმედსა მას ზედა სულთა მართალთასა.

მაშინ გამობრწყინდა ვითარცა ვარსკულავი ბრწყინვალე ღამესა ბნელსა. მარგარიტი იგი პა-
ტიოსანი და მხნე მხედარი ქრისტესი უფალი იგი ჩემი წმიდა გიორგი, და მე მონა მისი ვიყავ
მისთანა და უკანა შეუდეგ და თანა დავსდევდი ყოველსავე და აღვსწერე სიმხნე იგი წამებისა მისი-
სა რამეთუ გამობრწყინდა იგი მადლითა უფლისათა, რათა უჩინო-ჰყოს ბნელი იგი უღთოებისა
და განაქარვოს საცთური კერპთ-მსახურებისა და საღმრთოთა მით სიბრძნითა სრულითა ზეცისათა
განანათლოს სავსება ქუეყანისა ქადაგებითა თჳსითა და ექმნას წინამძღუარ ყოველთა შეცთომილთა
და დაბნელებულთა ამისთჳს არა შეძრწუნდა იგი ზარისა მისგან უსჯულოსა მის მეფისა, არცა
სიბოროტისა მისგან ესოდენთა მძლავრთა და სპასალართასა, არცა შეშინდა ფერად ფე-
რადთა განმზადებულთა სატანჯუელთაგან, არამედ ყოველივე შეურაცხ-ჰყო და განიცხადა სა-
უკუნოთა იგი დიდება განიცადა თვალითა მით გონებისათა და ღუთის-მოყუარითა გულით

თა განიზრახა საღმრთო იგი განზრახვა და რქუა თავსა თჳსსა. «ჰოი! გიორგი რასა სდგანი მო-ცალედ აჰა ესერა ქრისტე მისდის ქორწილსა თჳსსა ყოველთა, რომელთა ენებოს (და) საძლო გან-ღებულ არს და სერი განმზადებულ არს, რად ყოვნი, შევედ ვიდრე კარისა მის დახშუადმდე, აჰა! ესერა სდგა უფალი ჩუენი იესო ქრისტე, რომელმან ჩუენთჳს ჯუარცმა მოითმინა, ღაღადებს და იტყჳს, ვითარმედ «ნუ გეშინინ მათგან რომელთა მოსწყვიდეს ხორცნი თქუენნი, ხოლო სულისა ვერ შემძლებელ არიან მოკულად»; მოიხსენე გიორგი სწავლა იგი სახარებისა და უტყუელი იგი აღთქმაჲ მეუფისა შენისა, რომელსა იტყჳს, ვითარმედ, «რომელმან აღმიაროს მე წინაშე კაცთა მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცისათა» ნუ აღირჩევ გიორგი საწუთოსა ამას ცხოვ-რებასა, რომელი ვითარცა აჩრდილი წარვალს, უფროს საუკუნოსა მის დაუხრწნელისა ცხოვრებისა, ნუცა სოფლისა ამის ამაოსა დიდებასა, უფროს საუკუნოსა მის უკუდავისა სასოებასა, რამეთუ ყოველი დიდება კაცისა საწუთოსა ამას წარმავალსა მგზავსად წერილისა არს, ვითარცა ყვავილი ველისა. მცირედ მოითმინე დაუკუნისამდე ანგელოზთა თანა იხარებდე».

ესე სიტყუანი ჰსთქუნა თავისა მიმართ თჳსისა სიმდაბლითა ხმითა სასმენელითა და ამით კე-თილითა განზრახვითა განიმტკიცა გულის-სიტყუა თჳსი და ესრეთ თანა წარვიდა მიშასა მძლავრ-თასა და ზესთა ექმნა სიმძაფრესა სატანჯუელთასა, ვინაცა ჭეშმარიტებს სიტყჳთ და საქმით ქა-დაგა და მოძღურება მაღალი და სახე კეთილისა და სიმხნე ახოვნებისა სახსენებელად საუკუნოდ წმიდასა ღუთისა ეკკლესიასა დაუტევა.

ხოლო იყო წმიდა მოწამე ქრისტესი გიორგი! ნათესავით კაბადუკიელი, წარჩინებული პატიოს-ნებითა, და ბრწყინვალე სიმდიდრითა და შემკობილი საღმრთოთა სიბრძნითა და მრავლითა ყამით-გან იყო იგი სპასალარ გუნდსა ფრიად სახელოვანსა ანკიორთა კომსად ეწოდებოდა და დიდად სახელოვან იყო იგი და საცნაურ წინაშე მეფისა, რამეთუ მრავალი სიმხნე და ახოვნება ეხილვა მისგან, წყობასა მას სპარსთასა და მუნ იყო იგი მაშინ, მთავართა თანა და მეინახეთა მეფეთასა, მრავლისა მის გამოცდილებისა მისისათჳს.

და ვითარცა იხილა ეგეოდენი იგი ულონოება მათი და ქრისტეს მბრძოლი გონება მათი, მეუფსეულად მოსნაგები და სიმდიდრე მისი დავრდომილთა და გლახაკთა განუყო, და მზგავსად მო-ღუაწეთასა განიშიშვლა თავი თჳსი და შორის მთავართა და ხელმწიფეთასა და სხუათა მათ წესთა მდგომარეთა, კადნიერად წარსდგა წინაშე სამეფოთა საყდართა და ხმა ჰყო ხმითა მაღლითა და სთქუა, «მე ქრისტიანე ვარ ჰოი მეფეო! ამისთჳსცა მინდობილ-ვარ ღმერთსა ჭეშმარიტსა და მეუფესა ზეცათასა ქრისტესა და ვსდგა შორის თქუენსა და მიკვირს გარდარეული ეგე ცთომილება თქუენი, რომელი გაქვსთ კერპთა მიმართ და უმეცარ ხართ მხოლოჲსა მის დაცხოველისა, ჭეშმარიტისა, ყო-ველთა შემოქმედისა ღუთისა, რომელმან თქუენცა დაგბადნა და მოგცა მეფობაჲ და ფერად ფერ-რადნი საშვებელნი, აწ ნუ სცდები შენ მეფე და ყოველნი ესე მეინახენნი შენნი საცთურითა კერპთათა, რამეთუ ღმერთთა რომელთა ცაჲ და ქუეყანა არა შექმნეს წარწყმდენ და განიფუ-ხნრნევ.

ხოლო ჩუენ ქრისტიანეთა ერთი ღმერთი გვრწამს მამა და ერთი უფალი იესო ქრისტე ძე ღუთი-სა, რომლისა მიერ შეიქმნა ყოველი და ერთი სული წმიდა ღმერთი, რომელი აღავსებს მადლითა ყოველთა, სამება სრული, სწორი ღუთაებითა და მეუფებითა, ამისთჳსცა ვსცხონდებით სოფელსა ამას შინა სიწმიდით და ღუთის-მსახურებით და შემდგომად მოველით ცხოვრებასა საუკუნესა; ხო-ლო მსახურება ეგე თქუენი კიცხევისა ღირს არს ჭეშმარიტად, რამეთუ ტყუილ არს და ზღაპარ

ყოვლადვე, არა რაჲ არს მისთანა ჭეშმარიტებაჲ, რომეთუ ეშმაკთა მიერ მოგონებულ არს, რომელი დანთქავს უფსკრულად ყოველთა, რომელთა ჰრწამს იგი».

მაშინ მიხედნა მაგნენტიოს შემდგომ მეფისამან და რქუა ვინ ხარ შენ, ანუ რაჲ გეწოდების რამეთუ ესოდენი იკადრე.

მიუგო წმიდამან გიორგი და რქუა «პირველიდა პატიოსანი სახელი ჩემი არს ქრისტიანე ხოლო კაცთა შორის მეწოდების გიორგი, რამეთუ ესრეთ სათნო იყო ღმერთმან ჩემმან და ჯერ არს ჩემდა რათა მუშაკად საღმრთოდ გამოვსჩნდე და მრავალი წილი ნაყოფი ღ̃თის-მსახურებისა შევსწირო მისსა, რომელი იგი არს მეუფე ცათა და ქუეყანისა»; მოექცა მას დეოკლიტიანე ვეშაპი იგი ჯოჯოხეთისა და რქუა, გვისწავიეს შენთჳს გიორგი! რამეთუ სიბრძნითა და სიმხნითა წარჩინებულ ხარ და პატივცემულ მეფობისა ჩუენისაგან და აწ წარმოსდეგ და უზორე ღმერთთა, რათა არა ბოროტად მოკუდე, არამედ უფროსად განიხარო მეგობრობითა ჩუენითა და სიმდიდრესა უაღრესსა მიემთხვიო და კადნიერ იყო ჩემდა მომართ და საწადელ, რამეთუ აწინდელი ესე ამაო კადნიერებაჲ არად სარგებელ ღირს შენდა.

მიუგო წმიდამან გიორგი და რქუა, «ნეტარ თუმცა შენ ისმინე ჩემი ჯოი! მეფე და იცან მხოლოდ ჭეშმარიტი ღმერთი, რათამცა სუფევასა ზეცისასა ღირს იქმნე, რამეთუ აქა ესე ხელმწიფება საწუთრო არს ხოლო ზეცისა იგი სუფევა საუკუნო და განუქარვებელ, ხოლო კეთილთა თჳს შენთა და ლიქნათა, ამას მოგიგებ, უწყებულ იყავნ შენდა, რამეთუ ვერცა პატივნი შენნი და აღთქმანი, და ვერცა ტანჯვანი შენნი და რისხვანი შემძლებელ არიან შეძვრად სიმტკიცესა სარწმუნოებისა ჩემისასა, რომელი მაქუს ღ̃თისა მიმართ ჩემისა, აწ უკუ პატივნი შენნი შენთანავე იყვნედ და აღთქმანი შენნი მორჩილთა შენთა, ხოლო ჩემდა იყავნ ქრისტე ღმერთი ყოველთა, რომელმან მომცეს მე დიდება და ძლევა წარუვალი რათა დავსთრგუნო ეშმაკი და მსახურნი მისნი და გჳრგჳნი ცხოვრებისა დავიდგა». მაშინ განრისხნა უსჯულო იგი მეფე და უბრძანა და მოკიდებაჲ მისი და ლახვრითა განგმირა, ვიდრემდის დამოცვივდნენ ქუეყანად ნაწლევნი მისნი და ვითარ უგმირეს ვითარცა ტყვიისა უკუ იქცა წვერი ლახვრისა მის, ხოლო ხორცთა მისთა გამოექცა ცვარი სისხლისა, მაშინ სთქუა წმიდამან გიორგი! «გმადლობ შენ უფალო იესო ქრისტე, რამეთუ უკუნ აქციე მახვილი ესე ეშმაკისა მსახურთა სრულიად და განაქარვენ ჩემდა მომართ სიქადული უღთოთა»; ყოვლად აღივსო დეოკლიტიანე გულისწყრომითა და ბრძანა გარდამოხსნა მისი და წარყვანება მისი საპყრობილედ და ხუნდსა შინა უწყალოდ დაკრძალვა ფერხთა მისსა და ქვისა დიდისა დადება მკერდსა მისსა და ვითარცა დაიდვა ქუაჲ იგი ოთხთა მიერ ძნიად სატვირთავი მკერდსა მისსა, სთქუა ხმითა დიდითა წმიდამან გიორგი! «გმადლობ შენ უფალო ღმერთო მაღალო, რამეთუ ღირს მყავ მე მკერდსა ჩემსა ქუისა ამის მძიმისა ტვირთვად, რათა შეუძრველად დამტკიცნეს გულსა ჩემსა სარწმუნოება შენი»; და ხვალისაგან დასთესა ეშმაკმან გულსა დეოკლიტიანესსა და მსახურთა მისთასა და ბრძანა შექმნად ურმის თვალი დიდი, შემზადებული მანქანებითა ფრიადითა და სავსე სატანჯველითა სიმრავლითა დამრასხმული მახვილითა მაკუდინებელთა და შექმნა ურმის თვალი იგი მანქანა ხუროთა, შემაჭირვებელი ძვალთა და დამკვეთი სახსართა და იქცევისი საქცეველითა და ბრძანა წმიდისა მის დაკვრა მას ზედა და ვითარცა მოიყვანეს წმიდა იგი ადგილსა მას და იხილა წმიდამან ორღანო იგი სატანჯველისა, შემზადებული ღონის ძიებითა ეშმაკისათა, აღიხილნა თვალნი ზეცად და სთქუა, «გმადლობ შენ უფალო იესო ქრისტე რამეთუ ღირს მყავ მე ნაწილსა ამას საწადელსა სახელისა შენისათჳს წამებისასა, რომელი ეგე შორის ორთა ავაზაკთასა ჯუარს ეცვი და გემო სიკუდილისა იხი-

ლე ბუნებითა მით კაცობრივითა, ჵოი უფ̂ლდაო! რათა იხსნე კაცნი სიკუდილისაგან და აწ მეუფეო ყოვლად ძლიერო მომანიჭე მე სარწმუნოებაჲ შეუორგულებელი შენდა, მომართ და დაიცევ სული ჩემი ღონეთაგან ეშმაკისათა» და ვითარცა აღასრულა ლოცვაჲ ესე შეაგდეს იგი ორღანოსა მას ურმის თვალისასა და აქციეს (იგი) ძლიერად მანქანაჲ იგი საქცეველისა და ესრეთ დაიჭრნეს ხორცნი მისნი ნაკვეთ ნაკვეთად და ვითარცა იხილეს ესე დეოკლიტიანე და მაგნეტიოს, აღიმაღლეს ხმა მაღლით და სთქუეს, იხილეთ ყოველთა, რამეთუ არა არს სხვა ღმერთი გარნა აპოლონ, პოსიდონ, ირაკლიდიოს, ზევს და დიდი არტემი, სადა უკუჱ არს აწ ღმერთი გიორგისი და რად არ მოვიდა და იხსნა იგი ხელთაგან ჩუენთა და ბრძანა იგი ესრეთ დაუტევონ დაჭრილი ურმის თვლისა მას შინა და თჳთ წავიდნენ ჭამად სამხრისა.

ხოლო ჟამსა მეათესა ღამისასა იქმნა ზეცით ოხრვაჲ საშინელი და ისმა ხმაჲ, რომელი იტყოდა: «მხნე იყავ გიორგი და განძლიერდი, რამეთუ მრავალთა რწმენეს შენ მიერ ჩემდა მომართ», და ვითარცა ესმათ ხმა ესე მცუელთა მათ, შეეშინათ და ივლტოდეს ზარ განხდილნი და მეყუსეულად მოვიდა ანგელოზი უფლისა და გამოიყვანა იგი სატანჯველისა მისგან ორღანოსა და განკურნა და ამბორს უყო მას და ჰრქუა, გიხაროდენ გიორგი! მშვიდობა შენდა, განძლიერდი და გრწმენინ განმაძლიერებელი შენი ქრისტე, რომელმან იგი სრულ ჰყო სრბა შენი, რამეთუ ჩუენ აჰა ესერა ვსდგავთ და ველით მოცემად შენდა გჳრგჳნისა სრულისა წამებისასა; და ვითარცა ესე რქუა აღსდგა მოწამე ქრისტესი და იწყო სლვად და იხარებდა და მადლობდა თჳსსა მეუფესა და გალობდა და იტყოდა «აღგამაღლო შენ ღმერთო ჩემო და მეუფეო ჩემო და ვაკურთხო სახელი შენი უკუნისამდე და უკუნითი უკუნისამდე» და კუალად «სვლანი ჩემნი წარმიმართენ სიტყუჲთა შენითა და ნუ მეუფლებინ მე ყოველი უსჯულოებაჲ», და მივიდა ადგილსა, რომელსა ჰსდგა კერპი აპოლონისა და იხილა მუნ მეფე და მაგნენტიოს და ყოველნი მთავარნი მეფისანი, რამეთუ უზორვიდეს კერპთა მათითა.

და ვითარცა მიიწია ადგილსა მას, ღაღად ჰყო და სთქუა მათდა მიმართ ვითარმედ «მიცანით მე და გრწმენინ ღმერთი, რომელსა მე გიქადაგებ, რომელმან იგი მიხსნა მე ხელთაგან თქუენთა და ორღანოჲსა მისგან მაკუდინებელისა, რომელი განმზადეთ წარწყმედისათჳს ჩემისა. არამედ არა ჰქმნა ვითარ თქუენ გონებდით, აწ უკუჱ ნუ სცდებით და უზორავთ კერპთა ამათთა და წარწყმედთ თავთა თქუენთა საუკუნოდ».

ხოლო მეფემან მიხედნა მას და რქუა ვინ ხარ შენ, წმიდამან გიორგი ჰრქუა «მე ვარ გიორგი! რომელი ბრძანებითა შენითა შევვარდი ურმის თვალსა მას, რომელი შენ დამიტევე მე დაჭრილი მრავალ ნაწილად და გონებდ წარწყმედასა ჩემსა. აჰა ესერა მოვსრულ ვარ, რათა გიჩვენო ვითარმედ ძალ უძს ღმერთსა ჩემსა ხსნად სიკუდილისაგან, რომელი იგი შენ აყვედრე» და მეფემან ბრძანა შეპყრობა მისი, განიცდიდა და იტყოდა ნუ უკუჱ იგი არს და გვეკიცხვის ჩუენ, ხოლო მაგნენტიოს ეტყოდა არა არამედ მსგავსი მისი არს და ვითარმედ ჰკითხა მას მეუფემან ვითარმედ ვინ ხარ შენ. მაშინ წმიდამან გიორგი ხმა ჰყო ხმითა დიდითა და სთქუა «ვითარმედ მე ვარ მონა ქრისტესი გიორგი ნუ სცდებით კერპთა მიმართ თქუენთა, არამედ გულის ხმა ჰყავთ, რამეთუ შემძლებელ არს ქრისტე მკუდართაცა აღდგინებად მოსავთა მისთა და ხსნად ყოველთაგან წინა აღმდგომთა მისთა»; მაშინ ვითარცა იხილეს იგი და ესმნეს სიტყუანი ესე, ანატოლეოს სტრატელატთა და მოყვასთა მისთა რწმენათ ყოვლითა სახლეულითა მისითა და ხმა ჰყუეს და სთქუეს, ვითარმედ ერთ არს ღმერთი ქრისტიანეთა და არა ვინ არს სხვა ღმერთი მისსა გარეშე; ხოლო მეფესა ვითარცა ესმა ხმა

ესე, ბრძანა გარეშე ქალაქისა ადგილსა განყვანება მათ ყოველთა და დაჭრა მათი მახვილითა და ვითარცა მოჰყვანდეს იგინი აღსრულებად ერთ ხმად ღაღადებდეს და იტყოდეს, უფალო იესო ქრისტე ღმერთო ჩუენო შეიწყალე სულნი ჩუენნი მშვიდობით და დაასწესე იგინი ნათელსა შენსა უცვალებელსა სუფევისასა და შეგვირაცხენ ჩუენ კნინი ესე აღსარება ჩუენი შენ და მომართ სიმართლედ და სარწმუნოებად და მოტევებად ცოდვათა ჩუენთა და ესრეთ სრულ იქმნა წამება მათი.

და ვითარცა ესმა დედოფალსა ალექსანდრას [2]) ყოველი რომელი ჰყო წმიდამან გიორგი| რწმენა მასცა უფალი და მოვიდა წინაშე მეფისა, კადნიერად ხმობდა და იტყოდა ყოვლად მე ქრისტიანე ვარ და მხევალი გიორგის ღმრთისა და ვითარ იგი ამას ღაღადებდა ჰრქუა მას მაგნენტიოს გვითხარ ჩუენ დედოფალო რაჲსათჳს განუდგე ღმერთთა და ქრისტე შეიყვარე: ხოლო მან ჰრქუა მას რამეთუ ვინებე წარმატება და შეურაცხ ვჰყავ ნაკლულევანება და ესერა სთქუა წარვიდა სახიდ თჳსსა და აქუნდა შიში ღმრთისა და სარწმუნოება უცვალებლად გულსა თჳსსა.

ხოლო მეფე აღივსო გულის წყრომითა და ბრძანა ქრისტეს მოწამისა ჯურღმულსა შინა საკირისასა განხურებულსა სამ დღე ყოფა მისი და მცუელთა განწესება, რათა არა ღონის ძიება რათამე იქმნას ზაკვისა ქრისტიანეთა მიერ და შემდგომად სამის დღის უბრძანა მხედართა, რათა წარვიდნენ და აღიხვნენ ნამწვარნი ძვალნი მოწამისანი და განკრძალულად დამარხნეს, რათა ნუმც არა იპოების მათგანი, ხოლო მირავიდეს მხედარნი იგი ჯურღმულსა მას კირისასა, შეკრბა სიმრავლე ერისა ფრიად ფრიადი და ვითარცა განაღეს კარი საკირისა მის, იპოვა წმიდა იგი მოწამე ქრისტესი, რამეთუ ყოვლადვე არა იყო ხორცთა მისთა ბიწი ვნებისა, რამეთუ ანგელოზი უფლისა ფარვიდა მას და განუქარვებდა სიმხურვალესა; ვითარცა იხილეს საკჳრველება ესე მუნ შეკრებულთა ერთა, ხმა აღუტევეს ყოველთა ვითარცა ერთითა ხმითა და სთქუეს, დიდ არს ღმერთი ქრისტიანეთა და ვითარცა ესმა ესე დედოფალსა ალექსანდრას, მოვიდა იგიცა ადგილსა მას და ხმა მაღლად იტყოდა, დიდ არს ღმერთი ქრისტიანეთა და არა არს სხუა ღმერთი მისსა გარეშე, რომელი იგი ყოვლისა ჭირისაგან იხსნის მონათა მისთა, და ჰრწმენა მხედართა მათცა, რომელნი წარვლინებულ იყვნეს გამოხვმად ძვალთა მისთა საკირისა მისგან.

ვითარცა ესმა ესე ყოველი მეფესა უბრძანა მხედართა შეპყრობა მისი და წარმოდგინება მის წინაშე და ვითარცა მიიყვანეს დაჯდა მეფე საყდართა ზედა მთავართა თჳსთა თანა და რქუა მას ვინ არს რომელმან განგაცოცხლა შენ, რქუა მას წმიდამან გიორგი «და დაცათუ ვითარმედ გესმეს არავე გრწმენეს, ხოლო მე მერმეცა გითხრავე, უწყოდე მეფე, იესო ქრისტე ძემან ღმრთისამან დამიცუა მე ყოველთაგან სატანჯუელთა და იგი თავადი არს რომელი იხსნის მახეთაგან ეშმაკისათა, ყოველთავე რომელნი ხადიან მას; და ვითარცა ესე სთქუა განრისხნა მძლავრი იგი და ბრძანა შექმნად ხამლთა რკინისათა რომელთა შინა იყვნეს სამჭუალნი აღმართებულნი, შესხმად ფერხთა წმიდისათა მარწუხითა რკინისათა და მრავალ ჟამ ვნებად მისსა იძულებით; და რაჟამს შეასხნეს ვერ ეძლო სვლად, მაშინ იწყო სიტყუად თავისა თჳსისა და რქუა «რბიოდე გიორგი რბიოდე ნაწილსა მას შენდა ჩინებულსა» და ცრემლით ილოცვიდა და იტყოდა.

«უფალო ღმერთო ჩემო, მხსნელო ჭირვეულთა და შესავედრებელო დევნულთაო მოთმინებაო

---

2) ხსენებასა მისსა წმ. ეკკლესია აღასრულებს წმ. გიორგისა თანავე კგ აპრილს.

სახელისა შენისათჳს ტანჯულთაო, ნუ დამიტევებ მე, არამედ მომმადლე ვიდრე აღსასრულადმდე მოთმინება, რათა არა სთქუას მტერმან ჩემმან მძლე ვექმენ მას»; და ვითარცა აღასრულა ლოცვა ესე, მოვიდა მისა ხმა ზეცით, რომელი ეტყოდა «ნუ გეშინინ გიორგი, რამეთუ მე შენთანა ვარ» დამყის განიკურნეს ხორცნი მისნი; ხოლო მეფემან ბრძანა საპყრობილეს წარყვანება წმიდისა მის, და ხვალისაგან მოუწოდა და ეტყოდა ვიდრემდის წინა აღმიდგები და განაქარვებ სატანჯველთა ხელოვნებითა გრძნებისა შენისათა, მერიდე უკუე ამიერითგან და უზორე ღმერთა.

რქუა მას წმიდამან გიორგი «მე ძალითა ღუთისა ჩემისათა დავთმობ ყოველთა სატანჯველთა შენთა და აჰა ესერა ვსდგა წინაშე შენსა ცოცხალი და გწამებ შენდა ყოველთა მსახურთა შენთა, ძალსა მისსა უძლეველსა და კუალადცა განმზადებულ ვარ მოთმინებად, სატანჯველთა თქუენთა სასოებითა და შეწევნითა ღუთისა ჩემისათა, ხოლო მე მიკვირს გარდარეული ეგე უმეცრება და სიცოფე თქუენი ვინადგან მსახურებთ უსულოთა და უნდოთა კერპთა და იქმნებით თანა ზიარ წარწყმედისა მათისა, აწ შეიკრიბეთ ამიერითგან ღუთად წოდებაჲ მათი რომელნი იგი სოფელსა ამას შინა მცირედ ჟამ სცხონდებოდეს, სიძვათა შინა და მთვრალობათა და ბრძოლათა და კაცის კლვათა და სხუათა ბევრეულთა ბოროტთა და აწ საუკუნოდ იტანჯებიან ცეცხლსა მას დაუშრეტელსა, რომელი იგი მიელის მათ, ყოველთა რომელი შეუდგეს მათ»; ვითარცა ესმა ესე ყოველი მეფესა და მთავართა მისთა ბრძნა გუემა მისი ძროხის ძარღვითა ურიდად და ვითარცა მრავალ ჟამ გუემეს რქუა მას მეფემან და მეგობარმან მისმან მაგნენტიოს, ვიდრემდის არა გვერიდე ჩუენ სამგზის უბადრუკო, და არა დაუკლავ საღმრთოსა კერპთა ჩუენთა რათა მიიღო დიდება და პატივი ჩუენ მიერ; მიუგო წმიდამან გიორგი და რქუა მათ, «მე ღუთისა ჩემისა მიმართ ცხოველისა შევსწირავ მარადის მსხვერპლსა ქებისასა, რომელმან მიხსნენ ხელთა თქუენთაგან და დიდებითა მით ზეცისათა მადიდოს უფროსღა, ნეტარ თუმცა თქუენ მერიდეთ მე და ჩემთანა თაყუანის ეცით ღმერთსა მხოლოსა დაჭეშმარიტსა»; მაშინ მაგნენტიოს ითხოვა მეფისაგან გამოხსნა მისი და ვითარცა განხსნეს რქუა მას უკეთუ გნებავს რათა გვრწმენეს ღუთისა შენისა მიჩუენე ჩუენ მის მიერი სასწაული და აღადგინე ერთი მკუდართა ამათგანი რომელნი არიან სამარესა ამას შინა წინაშე ჩუენსა; რქუა მას წმიდამან გიორგი ღმერთსა რომელმან ყოველივე არა არსისაგან არსად მოიყვანა, ძალ უძს აღდგინებად მკუდრისაცა და ესე ცხად არს მორწმუნეთა მიერ, ხოლო თქუენ, რომელი ეგე შეპყრობილ ხართ საცთურითა ეშმაკისათა, უწყი რამეთუ დაღაცათუ მკუდარიცა აღდგეს არავე გრწმენეს; არამედ ერისა ამისთჳს აქა მდგომარისა ვჰყო ესე სასოებითა ღუთისა ჩემისა კაცთ-მოყვარისათა და წინაშე თქუენ ყოველთასა ვევედრო რათა მომმადლოს მე სასწაული ესე»; და ვითარცა ესე სთქუა, მოიდრიკა მუხლნი და ილოცა მრავალ ჟამ და მერმე აღსდგა და აღიპყრნა ხელნი თჳსნი ზეცად და სთქუა.

«ღმერთო საუკუნეო, რომელსა ყოველთა კაცთათჳს გნებავს ცხოვრებაჲ, ჩუენი წმიდათა მოციქულთა მიერ სახელითა მხოლოდ შობილისა ძისა შენისათა, ქმენინ ნიშნი და სასწაულნი ურიცხვნი მოქცევად წარმართთა და ცნობად შენ მხოლოჲსა ჭეშმარიტისა ღუთისა; შენ უფალო ისმინე აწცა ლოცუა ჩემ გლახაკისა მონისა შენისა და აღადგინე ერთი მკუდართა ამათგანი, რომელნი სხენან სამარესა ამას, რომელ სთქუა მაგნენტიოს, სადიდებელად და საქებელად სახელისა შენისა წმიდისა და მხოლოდ შობილისა ძისა შენისა და ყოვლად წმიდისა სულისა შენისა»; ხოლო რაჟამს აღასრულა ლოცუაჲ ესე მეყუსეულად იქმნა ძვრა დიდი ადგილსა მას და განეღო კარი სამარისა მის და აღსდგა ერთი მკუდართაგანი და მოვიდა წმიდისა გიორგისა და დავარდა წინაშე მისა ევედრებოდა

ჭას და ეტყოდა, მონაო ღმრთისა მაღლისაო, ღირს მყავ მე ქრისტეს მიერსა ბეჭედსა და ცხოვრებასა. რქჳა მას წმიდამან გიორგი «უკეთუ გრწმენეს ქრისტე, რომელი განაცხოველებს მკუდართა სცხონდე შენ», ხოლო მან რქჳა მრწამს ღმერთი ცხოველი და მხოლოდ შობილი ძე მისი იესო ქრისტე, რომელმან აწ ესრეთ აღმადგინა მკუდრეთით ლოცვითა შენითა; იხილა რა ესე მეფემან განკვირდა და აღივსო ურწმუნოებითა, დაჰკითხა მას მკუდრეთით აღდგომილსა, გვითხარ ჩუენ ოდეს მოკუდი და რა იყავ პირველ სიკუდილისა, ხოლო მან რქჳა, ვითარმედ უწინარეს ქრისტეს მოსვლისა იყო სიკუდილი ჩემი და ვიყავ მე მღუდელი კერპთა, ამისთჳსცა სატანჯველსა შინა ცეცხლისა უშრეტისასა ვიტანჯებოდი ესოდენთა ამათ წელთა მსგავსთა ჩემთა კერპთ მსახურთა თანა მრავალსა უკუე სიმრავლესა რწმენა ღმერთი დიდებულისა მას ზედა საკვირველებასა და ერთ ბამად ადიდებდეს მეუფებასა ქრისტესსა; ხოლო მეფემან ვითარცა იხილა სასწაული იგი უმეტესად აღივსო სიბრმითა და გულის-წყრომითა და იტყოდა წმიდისა გიორგისათჳს, ვითარმედ გრძნეულ არს და სული რათამე აღმოიყვანა რათამცა გვაცთუნნა ჩუენ მიუგო მას ქრისტეს მოწამემან და ეტყოდა ყოვლად სცთები ჴოი მეფეო და გმობ ღმერთსა მას ცხოველსა, ანუ არა უწყია რამეთუ ეშმაკნი სმენადცა ვერ თავს იდებენ სახელსა ქრისტესსა და ვითარ შემძლებელ არს ეშმაკსა ზედა ქმნად რომელი ეგე გესმა და იხილე»; მაშინ ბრძანა მეფემან შეყვანება მისი საპყრობილედ და თჳთ წარვიდა პალატად.

და ვიდრე იყო და იგი საპყრობილესა შინა, რომელთა რწმენა მისცემდეს საფასესა მცველთა მათ საპყრობილისათა და შევიდეს მისსა ღამე და ისწავებდეს სარწმუნოებასა და რაოდენთა აქუნდეს სნეულნი რომელითაცა სახითა სნეულები მოაქუნდეს მისსა განიკურნებოდეს ლოცვითა მისითა და ადიდებდეს ღმერთსა.

მას ჟამსა შინა იყო ვინმე კაცი ქუეყანისა მოქმედი რომელსა ერქუა გლიკერი! და ვითარ იგი ხვნიდა ყანასა თჳსსა დაეცა ერთი ხართა მისთაგანი და მოკუდა, ხოლო იგი მოვიდა საპყრობილედ და შეუვრდებოდა წმიდასა მას და ეტყოდა ვითარმედ ვიდრეღა იგი ვხვნიდი ყანასა ჩემსა მომიკუდა უმჯობესი იგი ხარი ჩემი, რომლითა ვშვრებოდი და ვიზრდებოდი მე და სახლეულნი ჩემნი, ამისთჳს მოვედ უფალო ჩემო და გევედრები, რათა ილოცო და აღადგინო მკუდარი იგი ხარი ჩემი, რამეთუ უწყი ვითარმედ რაიცა ითხოვო ღმრთისაგან ისმინოს შენი; რქჳა მას გიორგი! «უკეთუ გრწმენეს ღმერთი ჩემი, აღსდგეს ხარი იგი შენი», რქჳა მას კაცმან მან, მრწამს მე რამეთუ არა არს სხუა ღმერთი, გარნა ღმერთი ქრისტიანეთა, რქჳა მას წმიდამან გიორგი! «წარვედ და ჰპოვო ხარი იგი შენი ცოცხალი» და რწმენა კაცსა მას და წარვიდა და ჰპოვა ხარი იგი მისი ცოცხალი და კუალადვე მოიქცა ღაღადებდა და იტყოდა, ვითარმედ დიდ არს ღმერთი ქრისტიანეთა, ამას რა ღაღადებდა შეიპყრეს იგი მხედართა და წარიყვანეს იგი მეფისა და უთხრეს ყოველი საქმე მისი, ხოლო იგი აღბორგდა გულის წყრომითა და არცაღა თუ სახელისა მისისა კითხვა იკადრა, არამედ განუკითხველად, უბრძანა რათა ნაკვეთ ნაკვეთად დასჭრან იგი.

და რაჟამს სჭრიდნენ მას ღაღადებდა და იტყოდა, ღმერთო ჭეშმარიტო რომელმან შექმენ ყოველი დაბადებული, ნუ შეურაცხ მყოფ მე ჭურჭელსა ამას უხმარსა, რამეთუ შენდა მომართ მრწმენა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა გარნა მეშინის, რამეთუ არღა ნათელ მიღებიეს და მენება ნათლის ღებას არამედ ვერ ვეწიე, ხოლო აწ უკეთუ გენებოს ვსცხონდე უფალო, ამისთჳს გევედრები, რათა სისხლი წამებისა ჩემისა შემირაცხო მე ნათლის ღებად, რამეთუ შენ ხარ ღმერთი გულთა მეცნიერი და განმკითხველი გონებათა და ნებათა, მაშინ მოიწია ხმა მისა ზეცით, რომელი

ეტყოდა, მოვედ ჩემდა ღვლიკერი სიხარულით, რამეთუ სრულ მიქმნიეს წამება შენი და ნაცვლად ნათლის ღებისა შეგირაცხავ დაღვრასა სისხლისა შენისასა და მოვედ სიხარულით ჩემთანა და ესრეთ მახვილითა აღესრულა.

ამისა შემდგომად უთხრეს მეფესა ყოვლად მრავალნი მივლენან საპყრობილედ გიორგისსა და ყოველთა თჳსად მიიზიდავს და ასწავებს ქრისტეს მიმართ სარწმუნოებასა და განკურნებს სნეულთა მათთა; მაშინ ბრძანა მეფემან მოყვანება გიორგისა. ხოლო მაგნენტიოს აზრახა მეფესა და რქჳა ვითარმედ ნათესავი ქრისტიანეთა ძნელად მოკუდებიან და ფიცხელ არიან და არავის ერჩდეს იძულებითა, არამედ უკეთუ გნებავს რათა უზოროს ღმერთთა, სიმშვიდით დალიქნით ეტყოდე და მირაჭყვანდათ მეფისა წინაშე გიორგი! ფესალმუნებდა და იტყოდა, «ღმერთო შეწევნასა ჩემსა მოხედენ, უფალო შეწევნად ჩემდა ისცრაფე» და ვითარცა წარსდგა წინაშე მეფისა მის, იწყო მეფემან ვედრებად მისა და რქჳა, გაფიცებ შენ უფალსა მზესა და სხჳასა ყოველთა ღმერთთა, რამეთუ უკეთუ მერჩდე და უზორო ღმერთთა, სათვასე დიდ ძალი მოგანიჭო შენ და მეორედ მეფობისა ჩემისა გყო შენ, რამეთუ ყოვლად მეწყალვი, ამისათჳს გელაპარაკები რათა იცოცხლო, რამეთუ მნებავს ცხოვრება შენი უფროს სიკუდილისა ბოროტად, რომელი იგი უნებლიედცა მოწევნად არს, რაჟამს ურჩ მექმნე მე; რქჳა მას წმიდამან მოწამემან ქრისტესმან, «აწ კეთილად მეტყჳი ჭოი მეფე, რამეთუ უკეთუმცა პირველიდგან მეტყოდე ესრეთ, ვინ უწყის ვისმინემცა შენი, ხოლო აწ სადა დავსდვა ესე ოდენი გინება და სატანჯჳწლი რომლითა მტანჯე მე»; რქჳა მას მეფემან მე მომადლე მამასა შენსა ბრალი ესე და უზორე ღმერთთა და ჩემთანა იყო პატივსა შინა; რქჳა მას წმიდამან გიორგი! «ვინაჲდგან შეინანე ჩემდა მომართ და ესე არს სიხარული ჩემი, სადა უკჳწ არიან ღმერთნი შენნი მოგვალეთ და წარვიდეთ მათდა მიმართ»; ესმა რა ესე მეფესა განიხარა ფრიად და ბრძანა რათა ყოველნი მთავარნი და მხედარნი სიმრავლესა თანა ერისასა შეკრბენ ტაძარსა ღჳთისასა, (კერპისასა) და რათა ხმობდენ ქადაგნი ყოველსა შინა ქალაქსა, ყოვლად გიორგი! მღჳდელი გალილეველთა მივალს ზორვად აპოლონ დიდისა, მაშინ იწყეს ყოველთა მათ მეკერპეთა განცხრომად და ღაღადებად ვითარმედ აპოლონ ძლიერ და მეფე დიოკლიტიანე უკუნისამდე სცხონდინ; დიდ არს ძალი ღმერთთა და ვითარცა შევიდეს ტაძარსა მეყჳსეულად იქმნა დუმილი დიდი; ხოლო მოწამე ქრისტესი, წარმოუდგა კერპსა აპოლონისასა და ეტყოდა, «შენ ხარ ღმერთი და შენიჯერ არსა მსახურება?» ხოლო სულმან მან არა წმიდამან რომელი იყო კერპსა მას შინა, ღაღადჭყო და სთქჳა არა ვარ მე ღმერთი ნუ იყოფინ, არცა რომელნი არიან ჩემთანა, არამედ ერთ არს ღმერთი ჭეშმარიტი და მხოლოდ შობილი ძე მისი იესო ხრისტე, რომელმან დაბადა ყოველი; ხოლო ჩჳწნ ანგელოზნი მისნი ვიყვენით და განდგომილებისა ჩჳწნისათჳს გვეწოდა ეშმაკი და სცთებიან კაცნი ჩჳწნ მიერ; ხოლო წმიდამან გიორგი! შეურაცხ ჭყო გარე მოდგომილი იგი ერი წარმართთა და ყოვლად რქჳა «უკეთუ არა ხართ ღმერთთნი, არცა შენ და არცა შენთანანი ესე, რაჲსათჳს აცთუნებთ კაცთა, ანუ თუ ვითარ იკადრებთ აქა ყოფასა, ვინაჲდგან მე აქა ვარ მონა ქრისტესი. რომელსა ზედა წოდებულ არს სახელი წმიდა მისი, რომელი იგი არს ღმერთი ჭეშმარიტი» და სიტყჳსა ამას ზედა გამოისახა სახე ჯჳარისა და მეყჳსეულად იქმნა შფოთი დიდი და გოდება, ღაღადებს დაგლოვა ეშმაკთა მრავალი ფრიად და ყოველნი კერპნი მუნ აღმართებულნი ერთბამად დაეცნეს სასწაულითა ჯჳარისათა და სიტყჳთა ყოვლად ქებულისა მოწამისათა; ხოლო ქურუმთა მათ ბილწთა საკერპოთა, ვითარცა იხილეს იგი რა იგი იქმნა, ზედა მიუდგეს წმიდასა მას და შეიპყრეს იგი და ხმობდეს მეფისა მიმართ წარსწყმიდე მტერი ესე ღმერთა ჩჳწნთა, რამეთუ გრძნე-

ბითა თჳსითა შეაცთუნნა ესოდენნი ერნი და ერთბამად მოსრნა ღმერთნი ჩუენნი.

მაშინ განრისხდა ულმრთო იგი მძლავრი და აღივსო სიბოროტითა ეშმაკისათა, ღაღადებასა მას ზედა ქურუმთასა და ჰრქუა მოწამესა, ბოროტთა თავო, და ყოვლითა საცთურითა და გრძნებითა სავსეო, არა აღმითქვია რათამცა უზორე ღმერთთა ჩუენთა, რა არს, რომელი ესე ჰყავ? ჰრქუა წმიდამან გიორგი, «ბრმაო უგუნურო და ურცხვინო, არა იხილე, რამეთუ ვითარ აღვასრულე მსხუერპლი ქრისტეს ღუთისა ჩემისა მიმართ, მუნ თქუენსვე განირყვნენ ყოველნი ღმერთნი თქუენნი და იავარ იქმნენ, აწ უკუე გულის ხმა ჰყავ, რამეთუ ვერცა თავთა თჳსთა ძალ უძსთ შეწევნად და ვერცა სხუათა, რამეთუ კერპნი არიან უსულონი ეშმაკნი და ბოროტნი, რომელნიცა აცთუნებენ-უგულის ხმოთა; ხოლო მონანი ქრისტესნი შეაჩუენებენ მათ და განრყვნიან (ვითარცა), ესრე ვითარცა აწ იხილე»,

და ვითარცა ესმა ესე დედოფალსა ალექსანდრას, რა იგი იქმნა, მსწრაფლ მოვიდა იგი მეფისა და წინაშე მისსა ღაღადებდა და იტყოდა. ღმერთო, უძლეველისა მხედრისა შენისა გიორგისო, მილხინე ცოდვილსა ამას და ნუ მოიხსენებ შეცოდებასა ჩემსა, რომელსა ვიქმოდი აქამომდე უმეცრებით, უფალო მოიხსენე უკანასკნელი ესე მოქცევა ჩემი, რათა მომცე მე ნაწილი ქრისტიანეთა თანა და მონისა შენისა გიორგისა თანა; და ვითარ იგი ესე ვითარცა ამათ სიტყუათა ცრემლით იტყოდა დედოფალი მრავალსა სიმრავლესა ჰრწმენა ღმერთი, უფროსღა სასწაულისა მისთჳს და შემუსრვისა კერპთასა.

ამას ზედა განრისხნა უსჯულო იგი მეფე და ჰრქუა წმიდასა მას მოწამესა, აჰა ესერა უკეთურო გიორგი, აცთუნე დედოფალიცა და მიზეზ ექმენ წარწყმედისა, აწ უკუე წარვედით ერთბამად და ღირსი გმობისა თქუენისა პატივი მიიღეთ; და ესე რა ჰსთქუა მისცა განჩინება მათთჳს მეტყუელმან ესრეთ; ვითარმედ გიორგი მოძღუარმან გალილეველთამან შეურაცხ ჰყო ბრძანება მეფობისა ჩუენისა და არა ინება თაყუანისცემა ღმერთთა, არამედ დედოფალიცა აცთუნა; ამისთჳს მივსცემ განჩინებასა და ვბრძანებ, რათა მახჳლითა წარეკუეთოს თავი ალექსანდრას თანა მის მიერ ცთუნებულისა და ესე ვითარცა ჰსთქუა ბრძანა განყუანება მათი გარეშე ქალაქისა და მუნ აღსრულებაჲ მათი; მაშინ წარიყვანეს იგი მხედართა და განიყუანეს გარეშე ქალაქის, ხოლო სანატრელი იგი დედოფალი წმიდისა გიორგისთანა სიხარულით მივიდოდა წამებისა მიმართ და ილოცვიდა ღუთისა მიმართ გონებითა მხურვალითა ვიდრე შეძვრადმდე ბაგეთა, ხოლო თუალითა ზეცად მიმართ ხედვიდა და გზად ვიდრედა მივიდოდეს დასჯდა სანატრელი იგი გზასა ზედა და მუნთქუესვე, უფალსა შეავედრა სული თჳსი მშვიდობით და ესრეთ აღესრულა.

ხოლო წმიდა გიორგი, ვითარცა მიიყვანეს ადგილსა მას წამებისასა ეტყოდა სტრატიოტთა მათ «მცირე მაცადეთ ძმანო, რათა ვილოცო» და ვითარცა აცადეს აღიხილნა ცად თუალნი და ჴელნი აღიპყრნა და სული ითქუნა ღუთისა მიმართ და ჰსთქუა.

«უფალო ღმერთო ჩემო, რომელი ხარ შემოქმედი ყოველთა საუკუნეთა, რომლისა მიმართ მოვივლტოდე სიყრმით ჩემითგან, რომელი უწინარეს თხოვისა მისცემ ნიჭთა მოყუარეთა შენთა სახელისა შენისათა ყოვლად ძლიერო და სახიერო და კეთილო ქრისტიანეთა სასოებაო და უტყუელო მონათა შენთა აღთქმაო, რომლისა ეგე დიდება გამოუთქმელ არს და სუფევა დაუსრულებელ, შენ უფალო ისმინე ჩემი, რომელმან მომმადლე მე ღუაწლი წამებისა ამის ვიდრე აღსასრულადმდე სრული ყოფა, და ტანჯუათა შინა მოთმინება. აწცა სახიერო შეიწყნარე სული ჩემი და იხსენ ეშმაკეთა მათგან განმკითხველთა, რომელნი არიან ჰაერთა შინა და სათნოთა შენთა თანა შემრაცხე და

შეუნდევ წარმართთა ამათ რაოდენიცა ძჳრი ჰყვეს ჩემდა მომართ და ნეტარო ამათ მონათა შენთა, რომელნი იგი სახელისა შენისათჳს იწამნეს, განანათლენ შემოკრებულნი ესე ცნობითა ჭეშმარიტებისა შენისათა, რამეთუ ყოველთა კაცთათჳს გნებავს ცხოვრება და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსვლა, გარდამოუვლინე უფალო შეწევნა მავედრებელთა შენთა და მიეც მათ შიში შენი და სურვილი წმიდათა შენთა სიყუარულისა, რათა აღასრულებდენ საჴსენებელსა მათსა, და მიემსგავსნენ სარწმუნოებასა მათსა, რათა ღირს იქმნენ მათ თანა ცხოვრებასა ზეცისასა და სუფევასა საუკუნესა, რამეთუ შენი არს სუფევა ძალი და დიდება მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ».

და კუალად იწყო ვედრებად ღმრთისა და იტყოდა, «მოხედენ უფალო სიმდაბლესა ჩემსა, დამომმადლე თხოვათ ესე, რომელსა ვითხოვ შენგან, რამეთუ ვინაჲდგან მრავალნი არიან რომელთა მიიღონ ძუალთა ჩემთაგან კურნება, ამისთჳს შეუვრდები მოწყალებასა შენსა, მოეც მადლი ძუალთა ჩემთა, რათა ყოველი, რომელი იხილვიდეს და სარწმუნოებით შეემთხვეოდეს, მიაქუნდეს მას მადლი კურთხევა და შენდობა ცოდუათა და უკეთუ ვინმე ჩუენებასა იხილვიდეს ანუ ჰსდგეს სასჯელსა შინა საშინელსა და მოიჴსენონ სიმდაბლე ესე ჩემი, განათავისუფლე იგი ყოვლის ჭირისა და განსაცდელისაგან; და რაჟამს მოაღრუბლოს ცათ სეტყვისათჳს ქუეყანისა და მოიჴსენონ მუნ მდგომარეთა წამება ესე ჩემი, იყავნ განთავისუფლებულ ყოვლის ჭირისა და განსაცდელისაგან და ნუ მივალს მას ადგილსა ჰაერი მავნებელი, არამედ ცვარი მშვიდობისა ექმნეს მათ საკურნებელად; უფალო ღმერთო მოეც მადლი, რომელნი აჴსენებენ წამებასა ღუაწლისა ჩემისასა და ნუ იყოფინ შეკვრა სულთა და ხორცთა მათთა, ნუცა კეთროვანება ასოთა, ანუ სხუა რაჲმე წყლულება, რომელი იყოს მტერისა მიერ, არამედ მიუტევენ შეცოდებანი მათნი და განკურნენ სალმობანი მათნი, ვითარცა სახიერმან და კაცთ-მოყუარემან ღმერთმან, რამეთუ შენ მხოლომან უწყნი, ვითარმედ ხორც და სისხლ არიან და შენ თავადმან იცნი ალაგნი კაცთანი, უწყი უფალო მაცთური მათი მტერი და სიბოროტე მისი, რომელი იგი შემუსრე ქუეშე ფერხთა მათთა ადრე, და ნუ იყოფინ ბრალი და ბიწი ყოველი, რომელი იკითხვიდეს გინა ისმენდეს წამებასა ჩემსა».

და იყო რაჟამს დაასრულნა წმიდამან გიორგი ლოცუა თჳსი, გამოუცხადა მას უფალი ღრუბლითგამო და ჰრქუა, «მოვედ მონაო ჩემო სარწმუნოო და შევედ სასუფეველსა მამისა ჩემისასა, რომელი ეგე აღსარება სასქებელ და ღუაწლი პატიოსანი, გჳრგჳნი დაუჭნობელი და ცხოვრება წმიდა და შეუცვალებელ; თავსა ჩემსა ვფუცავ, რამეთუ ყოველი რომელი იყოს ჭირსა შინა და სასჯელსა, ანუ წყალთა შინა და საეშმაკოთა, საოცართა და განსაცდელთა მრავალ სახეთა ურვათა მსოფლიოთა და მოიჴსენონ სახელი შენი, ვიჴსნა იგინი ყოვლისა ჭირისა და განსაცდელისაგან» და ჰყო რაჟამს დასცხრა უფალი წიტყუად წმიდისა გიორგისა და ამაღლდა ზეცად, მაშინ წმიდამან გიორგი, ჰრქუა მერხმლეთა მათ, «მოვედით შვილნო და აღასრულეთ ბრძანებული თქუენდა» და ესრეთ წარუპყრა ქედი თჳსი მერხმლეთ მახჳლსა, ხოლო მხედართა მათ მოჰკუეთეს წმიდა თავი მისი და ესრეთ სრულ იქმნა წამება მისი (303 წელსა).

## თთუესა აპრილსა კგ დღესა პარასკევსა შვიდსა ჟამსა.

ხოლო მე პალეკრატოს მონაჲ წმიდისა გიორგისა პირველიდგან შეუდეგ უფალსა ჩემსა და აღვსწერე წამებაჲ მისი ჭეშმარიტებით ქ ნეტარ არს რომელსა ჰრწმენეს ქრისტე ღმერთი ჭეშმარიტი და მხსნელი ჩუენი, რომლისა დიდება და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

აქა მოკჳლა წმიდისა მოწამისა გიორგისაგან ბოროტისა ვეშაპისა და განთავისუფლება მეფის ასულისა.

ისმინეთ ძმანო ჩემნო დიდი და საკჳრველი დიდებული სასწაული, რომელი ჰქმნა წმიდამან და დიდებულმან მოწამემან გიორგი. იყო მას ჟამსა შინა ვიდრელა ბრწყინევდა ქუეყანასა ზედა წმიდა იგი პირველ წამებისა მისისა, იყო ქალაქი ერთი რომელსა ეწოდებოდა ლასია და იყო ქალაქსა მას შინა მეფე სახელით სელინოს და იყო იგი უკეთურ და კერპთ-მსახურ და უსჯულოჲ და ულმობელი და უწყალო ქრისტეს მორწმუნეთა მიმართ და მსგავსად ბოროტთა საქმეთა მისთა მიაგო მას უფალმან, რამეთუ მახლობელად ქალაქისა მის იყო ტბა შესაკრებელი წყალთა და ტბასა მას შინა იყო ვეშაპი დიდი, რომელი განვიდოდა დღე ყოველ მოსვრიდა და შესჭამდა ერთსა მცხოვრებთა მის ქალაქისათა, მაშინ მეფემან შეკრიბა მხედრობა მის ქალაქისა მრავალ გზის მოკჳლად ვეშაპისა მის და ვერ უძლეს, რამეთუ იყო იგი მძვინვარე და დიდ ფრიად, მაშინ შეკრბა ყოველი იგი ქალაქი და ხმობდეს მეფისა მიმართ და იტყოდეს, ვითარმედ რაჲ ვჰყოთ ჵოი მეფეო! რამეთუ საყოფელი ქალაქისა ჩუენისა კეთილ არს და ჩუენ ბოროტად წარვსწყმდებით და შენ მეფეო არა რას ჰზრუნავ ამისთჳს; და არცაღა იღვწი, ვითარცა სხუანი მეფენი ყოვლისა ქუეყანისანი, მაშინ მწუხარე იქმნა მეფე იგი და უფროსღა შეეშინა და ჰრქუა მათ, დასწერეთ ერთი ხელით წერილი და მიუძღუენით თქუენ ყოველთა შვილნი თქუენნი ვეშაპსა მას და ოდეს შესრულებთ თქუენ ყოველნი და რიგი (მაშინ) მოვალს ჩემზედა, მივის ასული ერთი მხოლოდ შობილი და მეცა წარუძღუენა ასული იგი ჩემი ვეშაპსა შესაწირავად ვითარცა თქუენ და არა განვეშოროთ ქალაქისაგან ჩუენისა და ჰსთნდა ყოველთა ერთა სიტყუაჲ იგი მეფისა და იწყეს კაცად კაცადმან მიცემად შვილთა

თჳსთა ვიდრემდის მიაწია მეფეზედ, მაშინ მეფემან შემოსა ასულსა თჳსსა პორფირი სამეფოჲ და შეამკო იგი ვითარცა სძალი და უწყო ამბორის ყოფად მისსა და ეტყოდა გოდებით და ცრემლით, წარვედ მხოლოდ შობილო და ტკბილო ასულო ჩემო, შესაჭმელად ვეშაპისა მის უწყალოჲსა, ვაჲმე საწადელო შვილო ჩემო, შენ იყავ ნუგეშინის-მცემელი და მკჳდრი მეფობისა ჩემისა და ნათელი თვალთა ჩემთა და მოსალოდებელი სასძლოსა სიძისა და ქორწილისა და აჱა! ნაცვლად ამისა საჭმელად მჴეცისა წარივლინები, ვაჲმე ვითარ სადა ქორწილსა აღვასრულებ ანუ რაბამსა შეგიმზადებ, გინა ვითარცა ორღანოთა საიობათა და ლამპართა და მესმურთა და მეინახეთა აღგიკაზმავ, ვაჲმე საწადელო შვილო ჩემო რამეთუ ვერღა ვიხილო პირი შენი მშუჳნიერი, არცა ნაყოფი მუცლისა შენისა და აჱა! ესერა განმეშორები სიცოცხლეო ჩემო ზოგადისა სიკუდილისა მიმართ, ვაჲმე საყუარელო შვილო ჩემო ვითარიმე განყოფა და ჟამი შემემთხვევის მე, აწ ვაჲმე შვილო თუალთა ჩემთა დამაბნელებელო, ვითარ ესე ესრეთ ულვწავად ყოველთა მიერ გხედავ შენ, ვაჲმე შვილო ჩემო აწ შენდამო მხედველთა თვალთა ჩემთა, ვითარ სადა უკანასკნელსა ამბორის ყოფასა მიგცემ შენ, ვაჲმე შვილო ჩემო, რამეთუ თვალნი შენნი ჩემდამო, მხიარულებით მომხედველნი, მჴეცისა მიერ ბნელ იქმნებიან, აწ ვაჲმე საყუარელო შვილო ჩემო და საწადელო სიტკბოებაო, რამეთუ ამიერითგან ვერღარა ზრახავ სიტკბოებით სიყუარულით მშობლისა შენისა მამისა თანა, არამედ მიეფარვი საუკუნოდ მჴეცისა მუცელსა შინა; და ვითარცა დასცხრა გოდებისა და ტირილისაგან, მიექცა და ჰრქუა ერსა მას, მიიღეთ რაოდენიცა გნებავსთ ოქრო და ვეცხლი და მისთანა მეფობაჲცა ჩემი და განათავისუფლეთ შვილი ესე ჩემი, გარნა არავინ ისმინა მისი, რამეთუ მას მეფემან თჳთ განაწესა განჩინება იგი პირველითგან, და ვითარცა იხილა მოუდრეკელობა ერისა მის, მეფემან მისცა მათ ასული თჳსი.

მაშინ შეკრბა ყოველი ერი იგი ქალაქისა დიდითგან ვიდრე მცირედმდე მათდა ხილვად ქალისა მის, ხოლო კაცთ-მოყუარემან და მრავალ-მოწყალემან ღმერთმან ინება რათა აჩვენოს საკჳრველება წმიდისა მოწამისა გიორგის მიერ, ამისთჳსცა მათ დღეთა შინა განაგო, ესრეთ რათა განუტეოს მხედრობაჲ დეოკლიტიანე მეფემან.

ვინაჲცა ბრძანებითა მეფისათა განტევებული მოვიდოდა დიდებული გიორგი კაბადუკიისა სოფლად და მამულად თჳსად და მოღუაწებითა ღმრთისათა მოიწია მას ადგილსა, მას დღესა შინა, რომელსა ეგულებოდა ვეშაპსა მას შეჭმა ქალისა მის და წარწყმედა და ოდეს მიბრუნდა ტბისა მისკენ სადა წყალი უნდა ასვას ცხენსა თჳსსა, ჰპოვა მუნ ქალი იგი მჯდომარე ტბის პირსა მტირალე მწარედ, მაშინ უხმო მას წმიდამან და ჰკითხა მას, «დედაკაცო რასა სტირ, ანუ რად ჰზი ადგილსა ამას», მიუგო ქალმან და ჰრქუა მას, ვითარმედ გხედავ შენ ჭაეროვანსა და მშუჳნიერსა ასაკითა და მკჳრს ვითარ მოხვედ აქა ადგილსა ამას სიკუდილისასა, წარვედ ამიერ და სწრაფად ივლტოდე. ხოლო წმიდამან ჰრქუა მას, «დედაკაცო ვინ ხარ შენ, ანუ რაჲ არს ერი იგი, რომელი გხედავს შენ» ჰრქუა მას ქალმან, უფალო ჩემო, მრავალ არს ამბავი ჩემი და გრძელ და ვერ ძალმიძს თხრობად შენდა, არამედ ივლტოდე მსწრაფლ, რათა არა ბოროტად მოკუდე, ჰრქუა მას წმიდამან «მითხარ ყოველივე და შენთანა მოვკუდე და არა დაგიტეო შენ», მაშინ ჰრქუა მას ქალმან მან, ესე არს ქალაქი ლასიას და არს ესე კეთილ საცხოვრებელ კაცთა და წყალსა ამას შინა მკჳდრობს ვეშაპი საშინელი, რომელიცა შესჭამს მცხოვრებთა ამის ქალაქისათა და მოსრავს ერსა და მე ვარ ასული მეფისა მხოლოდ შობილი და ბრძანება დასდვა მამამან ჩემმან, რათა მისცემდენ ყოველნი შემდგომითი შემდგომად შვილთა თჳსთა დღითი დღეთ და ვითარცა მოესრულნეს ყოველნი და მოვიდა რიგი მამა ჩემ-

სა ზედაჲ წარმომავლენსა მე შესაჭმელად ვეშაპისა და აჰა ესერა გითხარ მე ყოველივე, ხოლო შენ
წარვედ აწვე მშვიდობით; ესმა რა ესე წმიდასა, ჰრქუა მას წმიდამან «ამიერითგან ნურღარა გეშინის
და ნუცა ჰსძრწი, არამედ მითხარ შენ მამაჲ შენი და მისთანანი ყოველნი, რომელსა ღმერთისა მსახუ-
რებენ», ჰრქუა მას ქალმან, ირაკლის და აპოლონს და სკანდროს და დიდსა ღმერთსა არტემის მსახურებენ,
ხოლო წმიდამან ჰრქუა კუალად «ნუ გეშინ არამედ უშიშად ჰზდეგ და კადნიერ იქმენ», ხოლო წმიდამან
აღიხილნა თვალნი თჳსნი ცად მიმართ და ჰსთქუა, «ღმერთო, რომელი ჰზი ზედა ხერუვიმთა და ხედავ უფს-
კრულთა, რომელი ეგე ხარ და ჰგიე ჭეშმარიტი ღმერთი შენ თავადმან უწყი გულის ზრახვანი კაც-
თანი, რომელმან აჩვენეს სასწაულნი საკჳრველნი მონისა შენისა მოსეს მიერ, აჩვენე ჩემ ზედაცა
წყალობა და ჰყავ ჩემთანა სასწაულ კეთილ და დამიმორჩილე ბოროტი ესე მხეცი ქუეშე ფერხთა
ჩემთა, რათა ჰსცნან ყოველთა ვითარმედ შენ ჩემთანა ხარ». და მოიწია ხმა რომელი ეტყოდა ზეცით
გიორგი! შეისმინა ხმა შენი უფალმან ჰყავ რაჲცა გნებავს და მეყუსეულად შეიძრა და შეირყია
ლერწმოვანი იგი ადგილი და ხმა ჰყო ქალმან შეშინებულმან ვაჲმე უფალო აწვე, ივლტოდე ამიერ,
რამეთუ აჰა ესერა მოიწია ვეშაპი იგი დიდი და ბოროტი, ხოლო წმიდა მოწამე გიორგი მეის წი-
ნა უსწრო ვეშაპსა მას და წინა მიეგება და გამოსახა მას ზედა სახე ჯუარისა და ჰსთქუა, «უფალო
ღმერთო ჩემო გარდააქციე მხეცი ესე მორჩილ ჩემდა მონისა შენისა» და ვითარცა ესე ჰსთქუა შეწე-
ვნითა სულისა წმიდისათა შეძრწუნდა ვეშაპი იგი დიდი და ბოროტი მორჩილ ექმნა მას, ხოლო
წმიდამან უბრძანა ქალსა მას, რათა განიხსნას სარტყელი თჳსი და მიართვას მას, ხოლო მან შეში-
ნებულმან მეის განიხსნა სარტყელი და მისცა წმიდასა მას, ხოლო წმიდამან გარდააცუა ყელსა მი-
სსა სარტყელი, შეჰკრა იგი მაგრათა მისცა ქალსა მას წვერი სარტყელისა და ჰრქუა ქალსა მას «წარუ-
ძეღვ და წარიყვანე მხეცი ეგე ქალაქად» და წარვიდა კერძოდ ქალაქისა და მისდევდა მას ვეშაპი იგი
მძვინვარე მხილველთათჳს საზარელი და საშინელი; იხილეს ერთა რა ესევითარი საკჳრველება
მცხოვრებთა მის ქალაქისათა, შეეშინათ დიდად ფრიად და ენებათ სივლტოლა შიშისაგან მის ვეშა-
პისა, ხოლო წმიდა იგი უხმობდა მათ და ეტყოდა «ნუ გეშინისთ, არამედ ჰზდეგით კადნიერად და
იხილოთ მაცხოვარება ღუთისა ჩემისა», ჰსთქუა წმიდამან გიორგი, «გრწმენინ უფალი ჩუენი იესო
ქრისტე თქუენ ყოველთა, ჭეშმარიტი ღმერთი ყოვლად ძლიერი და მე მოგკუდისო ვეშაპი ესე
და განერნეთ თქუენ ყოველნი ამის მიერ» მაშინ ხმა ჰყო მეფემან და დიდებულთა მისთა, ყოვლისა
მის ერისა თანა და ჰსთქუა გვრწამს უფალო მამისა მიმართ და ძისა და სულისა წმიდისა და მეყუსე-
ულად წმიდამან გიორგი მოიზიდა ძლიერად ლახვარი თჳსი და შთასთხარა პირსა შინა მისსა და
მერმე ხმლითა თჳსითა დაჰკვეთა იგი და მოკლა და მისცა ქალი იგი მეფესა, მაშინ შემოკრბა ყოველ-
ნი იგი სიმრავლე ერისა და ამბორს უყოფდეს ფერხთა წმიდისათა და ადიდებდეს ღმერთსა, ხოლო
წმიდამან გიორგი მოუწოდა ალექსანდრე ეპისკოპოზსა და ნათელ ჰსცა მეფესა და დიდებულთა
მისთა, და ყოველსა მას სიმრავლესა ერისასა ათ ხუთმეტ დღე, ხოლო ნათელს იღეს ორმოცდა ხუთი
ათასთა და იქმნა სიხარული დიდი ქალაქსა მას შინა.

მაშინ მეფემან აღაშენა ტაძარი პატიოსანი, ყოვლისა ერისათანა სადიდებლად ღუთისა და
პატივის საცემელად წმიდისა გიორგისა, და ვითარცა განასრულეს ტაძარი იგი, მოვიდა წმიდა გი-
ორგი და აჩვენა სხუა საკჳრველება, რამეთუ შევიდა მას ტაძარსა შინა საკურთხეველსა ეკკლესიი-
სასა და აღმოაცენა წყარო კურნებათა თჳს და არს იგი ვიდრე აქამომდე საკურნებელად მორწმუ-
ნეთა ქრისტეს ღუთისა ჩუენისათა და სხუანიცა მრავალნი დიდებულნი საკჳრველებანი აღასრულნა
წმიდამან მოწამემან გიორგი ძალითა ქრისტესითა ქალაქსა ამას შინა; და გამოვიდა ქალაქისა მის-

გან და აღვიდოდა თჳსად მამულად. ხოლო შეემთხჳა სვლასა მას მისსა გზასა ზედა ეშმაკი სახითა შეურაცხითა დამდაბლებული და ხელთა თჳსთა აქუნდა კვერთხი და ზრახვიდა სახითა მშვიდობისათა მიმავალი თჳსად; ხოლო ვითარცა მოუახლა მახლობელად, წმიდა იგი ეშმაკსა, ჰრქუა მას ეშმაკმან დაწუნარებულითა ხმითა, მშვიდობა შენდა გიორგი! ხოლო წმიდამან ჰრქუა მას «ვითარ მიწოდებ მე სახელით, რომელიც მე შენ არა სადა გიხილავარ, არცა მე შენ მიხილავხარ, გარნა თუ ხარ შენ ეშმაკი მტერი კაცთა ნათესავისა», ჰრქუა მას ეშმაკმან, უკეთუ შენ ხარ კაცი ღუთისა მიჩვენე მე ძალი შენი ძლიერი, მაშინ წმიდამან გარეშამო უწერა მას ძალი ცხოველს მყოფელისა ჯუარისა და შეაყენა იგი მასვე ადგილსა და ჰრქუა «სახელითა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა მოვედ და შემომიდეგ მე და მე გიჩვენო შენ დღეს თუ რაჲ ყოფად უბადრუკო», ხოლო ეშმაკმან ხმა ჰყო და ჰსთქუა, ვაჲ არს აწ ჩემდა გიორგი! ვინაჲდგან შეგემთხვიე შენ, ჰრქუა მას წმიდამან, «მითხარ აწ განცხადებულად ვინ ხარ შენ» მაშინ იწყო ბოროტმან ეშმაკმან და იტყოდა მე ვარ, პირველისა სამოელისა მეორე, გიორგი! ორმოცი ათასთა მფლობელ ვიყავ და ოდეს იგი ღმერთმან კაცი დაბადა და ქუეყანა განაშუენა მეც ვიყავ მისთანა და ძრწოლით ვხედვიდი მას, რაჟამს იგი შანთთა ელვისათა განუტევებდა და მე ვიყავ შემკრებელი ღრუბელთა, ჩემსა ხილვასა კაცობრივი ბუნებაჲ ვერ შემძლებელ იყო, მე ანგელოზთა გუნდნი მეშიშვოდეს, აწ ვინაჲდგან გარდამოვითხიეთ ზეცით ქუეყანად ამპარტავანებითა ჩუენითა, დამთრგუნვენ მე ფერხნი ბიწიერნი კაცისანი და ამისთჳს ვაჲ არს ჩემდა გიორგი! მე მენებს ცთუნება შენი, რამეთუ შემშურდა შენდა მოცემული მადლი და განვიზრახე შეცთომად შენდა გზასა ამას ზედა, რათამცა თაყუანის-მეც მე, რამეთუ მრავალნი მართალნი კაცნი განმიშორებიან ღუთისაგან და მენებს შენიცა მოხრებლსა წარწყმედისასა მიცემა ჩემთანა და აჰა ესერა ყოველი მიგითხარ შენ გიორგი! აწ გევედრები მოიხსენე პირველი ნეტარება ჩემი და მეორე ესე უბადრუკება და ნუ მიბრძანებ ტანჯუად და მიცემად უფსკრულად და საწყალად საუკუნოდ. ხოლო წმიდამან გიორგი, იწყო ლოცუად და სთქუა ესრეთ: «უფალო ღმერთო ჩემო, შემუსრე არა წმიდა ესე ეშმაკი, რომელმან არა ჰყო ნება შენი და არცა დაიცუა ბრძანებანი შენნი, არამედ ეგო თჳსსავე უკეთურებასა ზედა და არა ოდეს მოიქცა შენდა მომართ მხოლოსა ჭეშმარიტისა ღუთისა, ამისთჳს გევედრები, შთაავგდე ესე ადგილსა წყვდიადსა, რათა საუკუნოდ იტანჯებოდეს რისხვითა შენითა და ხატსა შენსა რომელი შენ დაბადე არღარა განსდიდეს მანქანებითა თჳსთა» და იყო მუნ კლდე ყოვლად დიდი და მას ზედა გამოსახა სასწაული ცხოველს მყოფელისა ჯუარისა და ესრეთ ჰსთქუა «სახელითა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა განეღებ კლდე ესე» მეყსეულად რა განეღო კლდე იგი, მაშინ უპყრა ხელი ეშმაკსა და იძულებით შეაგდო მას შინა, რათა იტანჯოს და კუალად უბრძანა კლდესა მას რათა იქმნეს ვითარცა იგი იყო პირველ და აწ არს იგი მას შინა შემწყუდეული და იტანჯების რისხვითა ღუთისათა ვიდრე უკუნისამდე. ესრეთ სასწაულნი საკჳრველნი აღასრულნა ყოვლად სანატრელმან ქრისტეს მოწამემან გიორგი, მადლითა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება და სიმტკიცე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

## ქრივი დედაკაცი, რომელსა აქვნდა ყოველი სასოება წმიდა მოწამე გიორგის ზედა, სუეტი შესწირა ტაძარსა მარჯუენით კერძო ასამართველად.

რომელნი ნებით ღმრთისათა მიმთხუევად სურვიელ ხართ სახსენებელსა და კრებასა წმიდათასა შეუორგულებელითა და მხურვალითა სარწმუნოებითა და მხურვალითა სიყვარულითა დღესასწაულებად ნუ უდებ ვიქმნებით ვინადგან ესე ჭეშმარიტებით უწყით, რამეთუ ჩუენ მიერ ქებულნი და დიდებულნი მოხსენებულნი წმიდანი მოგუხედვენ წყალობით და ჴელსა აღგუიპყრობენ და წინა გვიძღვიან ჩუენ უმჯობესისა მიმართ ცხოვრებისა, საღმრთოჲსა, რამეთუ დღეს აჰა ესერა წინა მდებარე არს ჩუენდა ყოვლით კერძო შემკობილ ესე პატიოსანი სახსენებელი, ყოვლად ქებულისა და დიდებულისა მოწამისა გიორგისი; საღმრთოდ სანოვაგედ და საზრდელად უკუდავებისა, რომელი გამოზრდის სულთა და ჴორცთა სარწმუნოებით და სურვილით მიმღებელთა საშვებელისა ამისგან სულიერისა, რომელი არა თუ მოღუაწებისა და სიმხნისა და ახოვნებისა მისისა ღუაწლსა ქადაგებს, არცა დიდებულთა მათ ხოლო საკჳრველთა, მაშინ მის მიერ აღსრულებულთა წინა გვიყოფს არამედ ჩუენისაცა აწ ამის ნათესავისა ზე ქმნილთა სასწაულთა და საკჳრველებათა განსაკრთომელთა გვიჩვენებს, ამისთჳს გევედრები ყოველთა რათა გულს მოდგინებით, ისმინოთ თქმულნი ესე, რათა ყოვლად ძლიერისა და კაცთ-მოყუარისა და მრავალ მოწყალისა ღმრთისა მადლი შესწიროთ და წმიდისა ამის და დიდებულისა მოწამისა ზრუნვაჲ და მოღუაწება და საკჳრველთ-მოქმედებაჲ ადიდოთ.

პალენტინოს უკუე დიდებულსა დაბასა წმიდისა გიორგისა, სადა იგი სხენან ყოვლად წმიდანი ნაწილნი მისნი სახელსა მისსა ზედა აღმართებულსა ტაძარსა, იხილა მეფემან უვრცელეს ადრე აღშენება და განშუენება და უაღრესსა სიკეთესა მოყვანება და წარავლინა მთავარი ვინმე საკუთარი და მისცა მას საჴმარი მრავალი და უბრძანა რათა ხარჯისაგან სამეფოჲსა იქმნას ყოველი წარსაგებელი შენობისა და ამცნო რათა ფრიადითა მოსწრაფებითა აღაშენოს და ყოვლითა სამკაულითა განაშუენოს და შეამკოს ტაძარი იგი. წარვიდა უკუე კაცი იგი და დასდვა საფუძველი და იწყო შენებად, ხოლო

ვინაჲდგან სახმარ იქმნეს სჳეტნი, იწყო ზრუნვად და ძიებად, თუ ვითარ და სადა ჰპოვოს სჳეტნი ღირსნი წმიდისა მის ტაძრისანი, რამეთუ არცა იყო ადგილი იგი მარჯჳენე გამოკუეთად, გინა პოვნად სჳეტთა, არამედ შორით ეუწყა პოვნად ესე ვითარისა მის სახმარისა და მეყუსეულად წარვიდა დაჰპოვნა სჳეტნი ყოვლად მშჳენიერნი და შემზადა ნავი და ზღჳთ განიზრახა აღმოხმა მათი. ხოლო იყო ვინმე დედაკაცი ქვრივი ადგილსა მას და აქუნდა ცხოვრება სათნოთა და სიყუარულითა მოწამისათა, შეპყრობილმან აღთქმა აღუთქუა წმიდასა მას რათა სჳეტნი მშჳენიერნი თჳსითა საფასითა მოსყიდული შესწიროს მისსა ტაძარსა, ვინაცა პოვნა მან არა უდარესი თჳსისა სურვილისა და მოიყიდა იგი და შთაიღო იგი ზღჳად და ევედრებოდა მთავარსა მას რათა სხჳათა მათ სჳეტთა თანა იგიცა აღიღოს ნავად, ხოლო მან უგულებელს ჰყო ვედრება მისი და ჰრქუა ვითარმედ უჯერო არს სამეფოსა შესაწირავისა თანა შერთვად ძღჳენი ქვრივისა და საეროსა ხარკისაგან შემზადებულსა თავსა განთჳსებულისა ქვრივის ტვირთისა შთადებად და ესრეთ დაუტევა სჳეტი იგი მუნვე და სამეფონი იგი სჳეტნი მხოლოდ აღიხუნა ნავად (და) წარიღო და წარვიდა; ხოლო დედაკაცმან რა იხილა თავი თჳსი შესაწირავისა თანა ესრეთ შეურაცხ ქმნილი მრავლითა ცრემლითა წმიდისა მის მიმართ იტყოდა: ვაჲმე წმიდაო ქრისტეს მოწამეო გიორგი, რასათჳს მცირე ესე ძღჳენი ჩემი არა შეიწირე და ამასცა ზედა მოძღჳარსა შენსა ქრისტესა რასათჳს მე გლახაკი ესე გული ჩემი არა გულ სავსე ჰყავ ამის მიერ, არა უწყიაა თუ რაოდენ არს სარწმუნოება ესე ჩემი სასოება და სიყუარული შენდა მომართ, არა მეცნიერ ხარაა თუ რაბამ დიდ არს სურვილი შენი გულსა ჩემსა, აწ უწყი, რამეთუ განვშიშვლდი მე სათარველისაგან შენისა სიმრავლისა ძალით ცოდჳათა ჩემთასა.

და ვითარ იგი ესრეთ გოდებდა წარმოუდგა მხედარი ვინმე ყოვლად მშჳენიერი და აჴოვანი გუამითა და ჰკითხვიდა მიზეზსა ესე ვითარისა ტირილისათა და რაჟამს მიუთხრა მას ყოველი ვითარმედ «რომელსა ადგილსა ტაძრისასა გნებავს აღმართებაჲ სჳეტისა მის შენისა», ხოლო მან ჰრქუა, მეორედ სჳეტად მეორესა კერძოსა უფალო.

ესერა ესმა წმიდასა მას ქვრივისა მისგან, გარდამოხდა გამოჩინებული ცხენისაგან და მოვიდა სჳეტისა მიმართ და დასწერა მას ზედა თჳსითა თითითა ესე ვითარნი ასონი, ვითარმედ «სჳეტი ესე ქვრივისა, აღმართეთ მეორედ სჳეტად მარჯჳენისს კერძოსა ტაძრისასა» და მერმე ჰრქუა დედა კაცსა მას ვითარმედ «ერთ კერძო სჳეტისა აღვიღო მე, ხოლო შენ მეორე იტვირთე», მაშინ ვითარცა იტვირთა სჳეტი იგი წმიდამან ხელითა, განკჳრვებული ხედვიდა დედაკაცი იგი რამეთუ სირბილით წარვიდოდა სჳეტი იგი ზღჳსა ზედა და ვითარცა სულიერი ესრეთ ვიდოდა.

ხოლო ქვრივი იგი დედაკაცი შიშითა და საკჳრველებითა აღივსო და ჰრწმენა ვითარმედ ყოვლად წმიდა ქრისტეს მოწამე გიორგი იყო ჭეშმარიტად და მიიქცა სახიდ თჳსად სიხარულითა და მადლობდა ღმერთსა და წმიდსა მას მოწამესა. ხოლო სჳეტმან მან წიაღვლო ზღჳა და მიიწია და დადგა კიდესა ზღჳისასა და ეტვირთნეს წმიდისა მის ხელითა გამოკუეთილნი იგი ასონი, ვითარცა წერაქვით ესრეთ ღრმათ ამოკვეთილნი და ვითარცა იხილა მან სამეფომან კაცმან და აღმოიკითხნა განწესებულმან შენობასა ზედა ტაძრისასა და გულის ხმა ჰყო ძალი იგი საქმისა მის იცნა სჳეტი იგი და სარწმუნოება ქვრივისა მის, უკჳრდა და შეძრწუნებული ადიდებდა ღმერთსა და ძალსა მას წმიდისა მოწამისასა აქებდა და ბრძანებულისა მისებრ წმიდისა მის მოწამისა წარწერილი ბრძანება ყოველივე შეუორგულებელად აღასრულა; ხოლო ჩჳენ მსწრაფლი იგი შეწევნა დიდისა ამის მოღჳაწისა შემწე ვიყოთ და ღმობიერად ვითხოვოთ და სხჳსა თხრობისა მიმართ საკჳრველე-

ბათა მისთასა წარვემართნეთ. მასვე პირველ თქმულსა დაბასა, რომელსა შინა ზემო ხსენებული ესე სასწაული აღესრულა, რამეთუ ოდესმე სარკინოზთა ერი მოუხდა წყობად და ვინაჲთგან მუნ მყოფნი იგი ყოველნი წარიტყუენნეს და თჳსნი კარავნი მას შინა აღმართეს და იწყეს ხმად და განცხრომად და ესოდენსა სიბორგილესა მიიწივნეს ვიდრედა, რომელთამე მათგანთა შინაგან საკურთხეველისა მის ტაძრისა სადა იგი, იხსნეს ნაწილნი კეთილად მძლისა და ღუაწლით შემოსილისა მის მოწამისანი, ხელ ჰყუეს საქმეთა უჯეროთა, რამეთუ იწყეს ნაყროვანებად და მთვრალობად და ძილად და მერმე სიმღერად და ამისა შემდგომად მოირთხნეს ისარნი და იწყეს სროლად, მუნ მდგომარეთა მათ პატიოსანთა ხატთა ზედა. ხოლო ერთი ვინმე ტყუეთაგანი კადნიერ ექმნა მათდა მიმართ და ჰსთქუა, არა ჯერ არს ესე ვითარი მედგრობა წმიდათა მიმართ, ვითარმედ მოწამეცა იგი რომლისა სახელითა ტაძარი ესე პატივცემულ არს, რომელი მხედარი იყო უძლეველი და ვიდრე აქამომდე წინააღმდგომთა თჳსთა ამხილებს და ბოროტითა სატანჯუელითა შემუსრავს, ხოლო მათ გაიცინეს უწესოდ და ხმა მაღლად მიუგეს მას და ჰრქუეს ვითარმედ ვინარს ესე ვითარი, ეს გვაუწყე ჩუენ, ხოლო იგი უჩვენებდა მათ ზედა კერძო მათსა მდგომარესა ხატსა მოწამისასა ბრწყინვალედ გამოხატულსა და შემოსილსა ჯაჭვითა სამხედროჲთა მორტყმულსა სარტყლითა ოქროსათა და ხელთა აქუნდა ლახვარი მბრძოლთა და იყო იგი საზარელ მხილველთა მისთათჳს ფრიად. მაშინ ერთმან მათგანმან მოიზიდა (ლახვარი) ისარი და სტყორცა პატიოსანსა ხატსა წმიდისასა, ხოლო ისარი იგი იქცა მეყსეულად უკან და რომელმანცა სტყორცნა მოხვდა მას და განუგმირა გული მისი ვიდრე ბეჭთადმდე დაეცა მიწად მასვე ჟამსა და განუტევა სული თჳსი, და იხილეს ხატი იგი წმიდისა მის სხუათა მათ მბრძოლთა მიმართ, ვითარმედ განიმარტა ხელი თჳსი წმიდამან და ლახვრითა მოსვრიდა ერთა მათ, ხოლო მტერთა მათ ვითარცა იხილეს შიში დიდი დაეცა მათ ზედა და იწყეს ლტოლვად და ზარგანხდილი ხმობდეს, მახვილითა გუემულნი რბიოდეს ყოველნივე, ხოლო რომელნიმე ერთი მეორესა დასთრგუნვიდეს დამოსვრიდეს და უბადრუკი იგი სულნი მათნი მწარედ მწარობდეს, ხოლო რომელთა იგი შეუძლო სივლტოლვითა ცხოვრებისა მიმთხვევაჲ, თჳსსა ქუეყანას-საგან ეთერნეს და წმიდისა მის მოწამისა ძალსა მიუთხრობდეს, იმ ჟამიდგან ანუ იმ დღეს მერმეთ, ვერღარა მბრძოლთაგანი მან იკადრა კადნიერად მიახლებად საღმრთოჲსა მის ტაძრისა, არამედ რაჟამს სახმარ იქმნის მათდა მიმართ თანა წარსვლად, შიშითა შრავლითა და მოღუაწებითა თანა წარვალნ და დიდსა მას ძლიერებასა მის შორის და მკჳდრებულსა ქადაგებენ, ხოლო ჩუენ ამასცა ზედა ყოვლად ძლიერი ღმერთი ვადიდოთ და სხუა სასწაული საკჳრველებითა სავსე ახოვნისა მის მოწამისა და მოღუაწისა მზგავსად, ძალისა ჩუენისა მოგითხრათ.

## აქა მოიყვანა წმიდამან გიორგი ტყუჱდ წარყვანილი მნე ეკკლესიისა თჳსისა და განათავისუფლა.

მას ჟამსა ოდესმე ერი აგარიანთა ბრძოლად მოუხდა (და) მრავალნი წარსტყუჱნეს და ვითარ იგი ფრიადი სიმრავლე ტყუჱთა შეკრიბეს იპოვა ჭაბუკი ვინმე მნეთაგანი წმიდისა მოწამისათა; სხჳსათა მათ ტყუჱთა თანა წარტყუჱნილ, ხოლო დაბასა მას სადა იგი ტაძარი მოწამისა შენ იყო და წარტყუჱნილნი იგი მკჳდრ იყვნეს ფარტი წოდებულისა სოფლისა მიერ და ვითარცა წარიყვანნეს ყოველივე იგი ტყუჱნი მთავრისა მათისა უსჯულოჲსა თანა, მაშინ რომელნიმე იგი ტყუჱთაგანი მახჳლითა მოსრეს და რომელნიმე განუყვნა ერსა თჳსსა მონებად, ხოლო ჭაბუკი იგი ვინაჲთგან სხჳსათა უმჯობესი იყო სიკეთითა განუწესეს იგი მონად მთავარსა მათსა და რაჟამს მთავარი იგი თჳსად სოფლად უკუნ იქცა, მაშინ უბრძანა ჭაბუკსა მას მთავარმან, რათა ჰსჯული თჳსი უარჰყოს და მაჰმადიანობაზედ მიიქცეს და ვითარ ჭაბუკმან მან არა ინება ჰსჯულისა თჳსისა უარის ყოფა, მაშინ მთავარმან რადგანაც საპატიო ჭაბუკი იყო სიკჳდილსა აღარ მისცა, მაგრამ ბრძანა რათა პირველსა მას პატივსა მოაკლონ უკანასკნელსა მსახურებასა შინა მისცენ, მაშინ დაადგინეს იგი მსახურებად სამზარეულოსა (და) ზიდვად წყლისა და ჭრა შეშისა განუწესეს, ხოლო ჭაბუკი იგი იგონებდა თუ ვითარი მსახურებისაგან და წმიდის მოწამის მონებისაგან, ვითართა მეძგართა მონებასა შთავარდა და წმიდასა მარადის ცრემლითა ევედრებოდა წყალობად გაჭირვებულისა მსახურისა მის ჭაბუკისათჳს. მაცხოვრისა მიმართ აღორძნდებოდა ნაკადული ცრემლთა მისთა, უფროს და უმეტეს განმრავლდებოდა ცრემლი მისი და არა იყო განძღომა მისი ტირილითა.

ხოლო ღამესა ერთსა, ეგულებოდარა ჭაბუკსა მას თჳსსა სარეცელსა წარსვლად და ვითარ იგი წარვიდა კარსა ზღუდისასა, ესმა ხმა ვისგანმე, რომელი გარეთ კერძო სახლისა უძახდა მას სახელსა და რაჟამს ესმა ხმა კაცისა, ჭაბუკმან მან ჰრქუა მას ვინ ხარ უფალო, ხოლო იგი ეტყოდა ვითარმედ «ნაცნობი შენი ვარ და ხილვა შენი მნებავს», ხოლო ჭაბუკი არა რას ეჭვნეულ იქმნა; არამედ გაუკჳრდა თუ ვითარ გარედგან მეოფმა შინა მყოფი იხილა და ვითარ განაღო კარი, ჭა-

ბუკმან, იხილა მხედარი ვინმე საკჳრველი ჭასაკითა ჭაბუკი სახილველად ფრიად მშჳენიერი, რომელმან მოიკითხა იგი და ვითარ ჭეშმარიტისადრე განიცდიდა, რათამცა ვითარ იცნა იგი და ვითარცა ამბორის საყოფელად მისა შთამოდრკა იგი და აღიღო იგი ქედსა ზედა თჳსსა და მყის წარემართა და მიუშვა ცხენი თჳსი სრბად და შემდგომად მცირედისა ხანისა კჳალად გარდამოიყვანა იგი ცხენისაგან და უპყრა ხელი თჳსი წმიდამან და სახლსა რასამე შეიყვანა და მერმე მშვიდობა მისცა და უჩინო იქმნა, ხოლო ჭაბუკი იგი სამისა მის საკჳრველებასა ზედა, განკრთა და ვითარცა განცვიფრებული დაშთა და ძილითა ღრმითა შეპყრობილ იქმნა და არა უწყოდა რა იგი იქმნა მას ზედა, და არცა იცოდა ადგილი იგი გინა სახლი, რომელსა შინა დაშთენილ იყო წმიდისაგან.

ხოლო რაჟამს ცისკარსა ზედა შევიდა ვინმე სახლსა მას სანთლითა და ვითარ იგრძნო ჭაბუკმან შესჳლა კაცისა, აღსდგა იგი შემთხჳჶვად მისსა და ვითარ იხილა კაცმან მან შესრულმან და ვითარცა იხილა მან კაცი მოსილი აგარიანთათა განკრთა და გონებდა ვითარმედ ნუ უკჳჶ მპარავი არს და შეშინდა იგი და იწყო ღაღადებად და ეგრეთვე მან იხილა რა შესრული ეკკლესიად სახითა ქრისტიანისათა შემოსილი სამოსლითა ეკკლესიის მოსამსახურეთაგანისა განკრთა და იწყო მანცა ღაღადება მათი და სირბილით შევიდეს სახლსა მას და ვითარცა შევიდეს ერნი სახლსა მას, შეიპყრეს ჭაბუკი იგი და ჰკითხვიდეს თუ სადაური არს ანუ ვინ არს, ანუ კართა ხშულთა ვითარ შევიდა, ხოლო იგი ძრწოლითა მრავლითა შეპყრობილ იქმნა და ყოველივე მიუთხრა მათ შემდგომითი შემდგომად, ხოლო იგინი ისმენდეს რა სიტყჳსა მისსა დაალტობდა პირსა მისსა ცრემლითა და განიცდიდეს სახელსა მის ჭაბუკისასა, რამეთუ უმრავლესი მისთანა იყვნეს მნენი წმიდისა მოწამისა გიორგისანი, და რაჟამს ჭეშმარიტად ჰსცნეს იგი, ხმითა დიდითა ადიდებდეს ღმერთსა, რამეთუ წმიდისა მოწამისა თჳსისა მიერ ესე ვითართა სასწაულთა აღსრულება მიუთხრეს, ჭაბუკსა მას და ჰრქჳჶს ვითარმედ, ესე არს ჭეშმარიტად, წმიდისა მთავარმოწამის გიორგის ტაძარი სადა იგი წარიტყჳჶნე შენ, ხოლო ჭაბუკი იგი მოეგო თავსა თჳსსა და რწმენა ყოვლად ჭეშმარიტად წმიდის მოწამის გიორგისაგან არს სასწაული ესე და მათ ყოველთა თანა ქება შესწირა ცრემლითა მხურვალითა უფლისა მიმართ და მიუთხრობდა მარადის დიდებულისა მის და უძლეველისა მოწამისა სასწაულსა; ესე ვითარნი არიან დიდებულისა გიორგის საკჳრველნი სასწაულნი, ვითარცა ესე მე მრავლისაგან მცირედი გაუწყეთ, ესე ვითარი არს საქები ღჳაწლი წამებისა მისისა და ესოდენი არს სიმხნისა მისისა ძლიერებაჲ, რამეთუ უკეთუმცა ვინ თჳთოეულთა სასწაულთა მისთა აღწერა ინება წიგთა მისთა აღრიცხვა არამცა შესაძლებელ ყოფილიყო და არცა აღწერა საკჳრველი სასწაულებისა მისისა, რამეთუ არა შემძლებელ იყოს ენანი კაცთანი აღრიცხვად სიმრავლისა მის სასწაულებისა, რამეთუ სავსე იყომცა ყოველი ეკკლესია და სახლები საკჳრველებითა და ქჳჶლისმოქმედებითა მისითა ვითარცა ცათა ვარსკჳლავითა და ქჳჶყანა ყვავილითა და ზღჳისკიდე ქვიშითა არამედ ჵი! მოწამეთა სიქადულო და მოღჳაწეთა მშჳენიერებაო და ჩემო საწურთველო და ბრწყინვალებაო, სახელითა და საქმითაცა, ჵი! მეუფისა მრავალ ნამუშაკეო, მართალთა ყოველთა სამკაულო და მორწმუნეთა შენთა მაცხოვარებაო, მტერთა მიმართ მძლეველო დიდო მხედარო ქრისტეს ღჳთისა ჩჳჶნისა, რომელმან ჰქადაგე წმიდა და დიდებული სახელი მისი წინაშე მეფეთა და მთავართა უსჯულოთა და ტანჯჳათა მიერ სასმელი იგი წამებისა და უხრწნელებისა გჳრგჳნი ცხოველს მყოფელისა მარჯჳჶნისაგან დაიდგი ცათა შინა და წინაშე საყდართა მათ მადლისა მისისათა, ანგელოზთა თანა მდგომარე ხარ, ხოლო ქჳჶყანასა ზედა

ნიშთა და სასწაულთა დიდებულთა და საკჳრველთა აღასრულებ, რომელთა არა არს რიცხვი, მოვედ აწ და დადეგ ჩჳენ შორის უხილავად და განგვიყავ ჩჳენ შემმასხმელთა შენთა ცოდჳათა მო-ცემებსა და წარგვიმართენ ჩჳენ გზასა მშვიდობისასა, სავანეთა მათ საწადელთა ზეცისა სასუფეველისათა, ქრისტეს იესოს მიერ უფლისა ჩჳენისა, რომელსა შჳენის ყოველი დიდება, პატივი და თაყჳანის ცემა თანა დაუსაბამოთ მამით ძით და სულით წმიდითურთ აწ და მარადით და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

## ႧႧႭႡႠႨ ႭႩႲႭႫႡႤႰႨႱ Ⴀ

# საკითხავი სჳეტის ცხოველისა, კჳართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა.

---

საჭირო უკჳე ვიდრემე იქმნა ჩჳენდა ყოი ღჳთის-მოყჳარენო, პირჳელ გარდასრულთა ამათ მრავალ რიცხჳადთა წელთა დუმილით თანა წარხდასა, აწღა სადმე მოხსენებად და განფრთხობად, რამეთუ უდებებით თანა წარმხდელთა შემკობისათჳს კათოლიკე ეკლესიისა და ყოვლად წმიდისა საუფლოსა კჳართისა და მას ზედა ღჳთივ აღმართებულისა სჳეტისა ცხოველისა დღესასწაულსა, არა ვიდრემე უკჳე ჟეროვან ვჰგონე მიცემად დავიწყებისა, რამეთუ უკეთუ არათუ მთავარნი, საყჳა-რელნო, ჲ კელმწიფებისა შინანი და დიდ დიდთაგანი ვინმე, გარნა მდაბიონიცა და ჟუსხურნი, ვი-ნაჲდგან ფრიად ღჳაწლ მრავლობენ დღესასწაულობისათჳს შჳლთა თჳსთასა და ნამეტნაობითცა აჩჳენებენ შემსგავსებულსა ძალისასა გულს-მოდგინებასა, რაჲამს ხორციელებრთა უკჳე ქორწინე-ბათა და სიხარულთა აღასრულებდენ, რაოდენ უფროსღა და უმეტეს საჭიროდ სათანადო არს ჩჳენ-და ბწყინჳალედ შემკობაჲ დღესასწაულისა წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა და მას შინა ღჳთივ აღ-მართებულისა ცხოველისა სჳეტისასა, რომელი იგი ლამპრად ბრწყინჳალედ და ელვად ცეცხლისად ეგზების, სამარადისოდ ნათლად მყოფელად ყოველთა ნათელთა უზესთაესსა მას ნათელსა კჳართსა ზედა მჴსნელისა ჲ მაცხოვრისა ჩჳენისა იესო ქრისტესი, რომელსაცა ნეტარებით შეუცვა ნათელ-რა ყოველთა მფლობელი გჳამი წმიდა ცეცხლისა მის ღჳთაებისა, რამეთუ წმიდა კათოლიკე ეკლე-სია და კჳართი უფლისა და მჴსნელისა ჩჳენისა და სჳეტი განმაცხოველებელი, არა უკჳე ვიდრემე ერთ კერძოთა და ხორციელებრთა სიხარულთა და ნუგეშინის-ცემათა მომატყჳებელ გჳექმნების ჩჳენ, ვითარცა იგი შჳლნი მშობელთაგან და მშობელნი შჳლთაგან და ძმანი ძმათაგან ურთიერთას მიიღებენ; არამედ მრჩობლთა უკჳე და ზოგადთა სიხარულთა მოგჳანიჭებენ. აქათ ვიდრემე ყო-ფადთა თჳს და მერმეთა გებათა თჳს უოხჭნოთა, რამეთუ სამნი ესე სამებისა წმიდისა მსახვებელნი კათოლიკე ეკლესია, კჳართი უფლისა და სჳეტი ცხოველი, საუნჯესა უკჳდავ-მყოფელსა გჳანაყო-ფებენ, მირონსა ვითარცა ღმერთ-მყოფელსა და ნათელ-მყოფელსა გვიწყაროებენ.

და სანოვაგედ წმიდა უკუდავებისად გუაგემებენ, კედართაგან სიბნელისათა გამოხსნილთა, ნათელცისკროვან გუყოფენ, ხორციელებრთა უკუე სენთაგან და საეშმაკოთა ოცნებათა და მანქანებათაგან, მცუელ და მფარუელ გუექმნებიან და საუკუნესა ცხოვრებასა სასუფეველის მკჳდრობისასა მოგუატყუებენ ჩუენ ძ ვინათგან უკუე ესე ესრეთ, რაჲმცა უკუე გინა ვითარმცა ანუ რაბამი ღირსი ჯერისაებრი დღესასწაული და შესხმა შევხადეთ და მოვიპოვეთ ნაცულის საგებელად კათოლიკე ეკკლესიისა კუართისა საუფლოსა და სუეტისა წმიდისა და ცხოველისა, მიზეზთა მათ სულთა ჩუენთა ცხოვრებისათა, რამეთუ ტრფიალებით ვიდრემე მეძიებელნი საწუთოსა ყოფადთათჳს მრავალ სახესა რაჲსამე მეცადინობენ გამოძიებასა არა უკუე ვიდრე უცთომელობით მჭვიროებელნი გზასა ჭეშმარიტებისასა, რამეთუ რაჟამს მიმომსტურებით მიმხედუელნი განიცდიდენ დაბადებულთა, არღარაჲ უკუე გულის ხმა ჰყოფენ დამბადებული დაბადებულთა მიერ საცნაურ იქმნებისო, რამეთუ რაჟამს ვხედვიდეთ შუენიერებასა არსთასა, არა უკუე ეგოდენ განკჳრუებულ ვიქმნებით, რაოდენ ღირს არს განკჳრუებისა.

რამეთუ ვინმე გინა რომელმანმე ენამან გამოთქუას ცისა იგი შუენიერებაჲ რაჟამს ვარსკულავებითა ფერად ფერადითა შემკობილობდეს ორთა მათ მთავართა შორის მნათობთასა, აელვებულთა შორის ცისა და ქუეყანისა და მათ მიერ შეერთებითა ცეცხლებრ მგზებარეცა იგი სამყარო განკჳრუებით ჰკრთებოდის, რომელთა სხივნი ელვებრ განტევებულობენ, კიდით კიდედმდე ქუეყანისა, ამათ თანა კუალად ქუეყნიერნიცა იგი ფერად-ფერადნი მცენარენი, ყუავილთა და ნერგთანი, შინაურთა და ველურთანი, რომელნიმე საგემებელად, ხოლო რომელნიმე სასუნებელად დამატკბობელად სასათა და სულნელ მყოფელად ხაჲნოსელთა შეუმზადებიან ყოვლისა სიბრძნით გამგებელის დიდებისა სახიერებასა ღუთაებასა მისისასა, ხოლო სხუისა ყოვლისა დამტევებელმან ერთისა მხოლოდ ვიდრე მოვიხსენო.

რამეთუ იხილეთღა ერთისა მის მრავალთაგან თანაჲსა ნერგისა, რომელ არს ვაშლი, თუ რომელისა საკჳრუელებასა საცნაურ-ჰყოფს; რამეთუ რაჟამს რქჳცა დამბადებელისა მისისა წმიდისა სამებისა სახესა დაგჳსახვდეს, ერთად რაჟამს სიტურფეს ზედა შუენიერებისასა განგუაკჳრვებდეს და მეორედ გემოს ხილვითა სასასა დაგჳტკბობდეს, ხოლო მესამედ სურნელებისა ყნოსითა სულთა შუებულ ჰყოფდეს და უტყუ იგი უენოთა ბაგითა ჩუენ მიერ დამბადებელსა ხმა მაღლად აკურთხევდეს, ვის არა უკჳრდეს კაცთა-მოყუარებაჲ იგი, ეგე სიბრძნე და განგებულება შენი მეუფეო და ღმერთო ყოველთაო, ხოლო არა ვიდრემე შეუძლებელ ვგონებ უმეცრებისა ჩუენისაგან თჳთ-ოდენისა ხელოვნებისა ნასიბრძნისა წარმოჩენით საცნაურ ქმნაჲ; უკეთუმცა არა იძულებულ ქმნილ ვიყავ ქრისტე ძლიერისა მაძლობი შემინებულისა ძლით.

არამედ უკეთუ შემძლებელსა და სიბრძნით განმხილუელსა მას ყოველთასა მიუტევით ძალი წულილადად მეტყუელებისა, რომელისა დარწმუნებულ არს საცნაურ-ქმნა ბუნებასა დაბადებულთასა, ესე იგი არს დიდი და ყოვლად ქებული ბრძენთა შორის საკჳრუელი ვასილი, რამეთუ ნამდჳლვე მისთჳს თქმულ არს ვითარმედ ბუნება ექმნა დაბადებულთა ნებაჲ დამბადებელისაო, რომელმან თჳთ ყოვლად მოწულილებით წარმოაჩინნა და გამოუცხადნა ზეცისა და ქუეყანისანი, ხილულნი და უხილავნი, არა ვიდრემე ცისა და ქუეყანისა შორის მყოფნი, არამედ ქუესკნელისა და ზესკნელისა და უფსკრულთაცა შინანი; რამეთუ რაჟამს ვინ წინა დაიდვას და ხელად მიიღოს წიგნი ესე ექუსთა დღეთა მის მიერ ნასიბრძნი, ყოვლად განკჳრუებულ იქმნებიან კაცობრივი ბუნება განღმრთობულობასა მას ზედა კაცისა მის ყოვლად საკჳრუელ, ჰოი საყუარელნო! უკეთუ მცირედ წარტაცებითა

სადავეთათა იძულებულ გვყვნა ჩუენ მიზეზმან ცხად ყოფისამან, თუ რომლისა უკუე მიზეზისათჳს საჭირო იქმნა ჩუენდა წარმოთქმაჲ პირველ ხსენებულთა მათ სიტყუათა, რამეთუ არსთა ამათთჳს და დაუდგრომელად წარმდინარეთა ნივთთა, რომელნი ცხოვრებისა ჩუენისა წარმავალობასა გამოგუხატვენ და საცნაურ გვყოფენ, ესრეთ იკურთხებიან და უფროსღა დამბადებელი მათი ესრეთ იდიდების და იკურთხევის მათ მიერ ჩუენგან. მაშა უკუე რამცაღა ვინ შეუძლოს გამოთქმად სულიერობათა მათ და საღმრთოდ განკუთვნილთა თჳს, რომელნიცა საუკუნოდ გებადობენ, რომელთა თჳს ღმერთი მოხარულობს, ესე იგი არიან ეკლესიანი წმიდანი, რომელთა საყდარ ღვთისა ეწოდების მათ შინა მარადის მკჳდრ-ყოფისათჳს ღვთისა, რომელთა შინა პირველი დასაბამი თავი ცხოვრებისა ჩუენისა დაიწყების აღბეჭდა ნათლითა ქრისტეს მიერითა, რომლითაცა გამოისახჳს ჭეშმარიტობა ქრისტეანობისა და ემბაზსა შინა ნათლისასა წარღუნითა ცოდვათა ჩუენთათა დაიხთქმის და შეიმუსრვის ძალი სამოელისი და შემდგომად ამისა მათ შინავე მიეცების წარმართებაჲ და კეთილად სლვაჲ ცხოვრებისა ამის განსრწნადისა და წარმავალისა და უძლურებათაგანცა ხორციელთა ხსნა ურთიერთასითა ლოცვთა და ვედრებითა ღვთისა მიმართითა, სიტყჳსა მისებრ იაკობ მოციქულისა ვითარმედ «ულოცევდით ურთიერთას რათა განიკურნნეთ» და კუალად შემდგომად სიკუდილისაცა მასვე შინა მიიღებენ სულნი მიცვალებულთანი ლხინებასა და შენდობასა ცოდვათასა და ხსნასა სატანჯველთასა, ქრისტეს ღვთისა ჩუენისა ხორცისა და სისხლისა შეწირვითა და ლოცვითა და ვედრებითა მიმდებითა და მათ შინავე იდიდების სახიერება ღვთისა მორწმუნეთა ერთა მიერ ფსალმუნითა და გალობითა სამარადისოთა უხილავად შეერთებითა ზეცისა ძალთათა.

ხოლო უფროსღა საჭირო უკუე ვგონე მათთჳს, რომელნიცა ეკლესიათა მიზეზ გუექმნეს და უფროსღა სულთა ჩუენთა ცხოვრებისა მომატყუებელ წარმოთქმაჲ და მოხსენებაჲ მათი, რამეთუ ესე ყოველთა უწყით უეჭველად, რომელნიცა ვჰგებთ ჭეშმარიტებასა ზედა ქრისტესსა, ვითარმედ წმიდანი მოციქულნი აჩინნა ღმერთმან ყოვლისა სოფლისა მნათობად და სიმტკიცედ ეკლესიათა და რამეთუ ამით საცნაურ-არს რაჟამს იგი თჳთ თავადმან ღმერთმან უბრძანა თავსა მას მოციქულთასა პეტრეს ვითარმედ «შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი, რომელსა ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიანო», ამას უკუე ვინაცა გონებისა უფალი უმეცარ-იყო, რომელ ყოველნივე ეკლესიანი წმიდათა მოციქულთა ქადაგებითა და სიტყუითა აღემართნეს და დაემტკიცნეს ყოველსა სოფელსა შინა, ხოლო ამიერითგან უკუე საჭირო არს ჩუენდა მოხსენებად ათორმეტთა თანასა მის მეათცამეტისა ჭეშმარიტისა მოციქულისა დედისა მის ჩუენ ქართველთასა ნინოსსა, რათა მცირედ რაჲმე შემოკლებულად და სულ მცირედ ზოგსრე წარმოვაჩინოთ თუ ვითარ მიზეზ იქმნა ქართლებრთა ამათ აღმოსავლეთისა ეკლესიათა სიმტკიცე და საცნაურ მყოფელ ნეტარებით მოხსენებული იგი დედაკაცი და სულთა ჩუენთა გამომხსნელი სამოელის მონებისა და ტყუეობისაგან, ხოლო პირველად ესე საძაგელ არს თუ რაჲსათჳს უკუე დედაკაცი აჩინა და წარმოავლინა ღმერთმან ჩუენდა მომართ, რომელი ესე გონიერად ისმინეთ უკეთუ ღმერთმან ინებოს გულის-კმის-ყოფად ჩუენდა, უგუნურთა განმაბრძნობელმან, რამეთუ თქმულ არს ესე ვითარცა უწყით ჭეშმარიტი და უცილობელი ვითარმედ ვნებისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესსა და აღდგომისა და ზეცად ამაღლებისა მისისა ბრძანებითა უფლისათა კიდეთა ქუეყანისათა წარივლინეს მოციქულნი ისრად რჩეულად და ელვად ნათლისად თჳთოეულსა ადგილსა ვითარცა სული მისცემდა.

მას ჟამს უკუე ყოვლად სანატრელი იგი და უფროსად კურთხეული დედა ღვთისაცა სურგიელ

იყო და მეცადინობდა წარსვლად ქადაგებად ძისა მისისა ღჳთაებისა და გულის თქმით წადიერ იყო აღმოსავლით კერძოთა მათ წარმოსვლად შესაბამობისათჳს სახელისა მისისა, ვითარცა თჳთ ეწოდების აღმოსავალ მზისა სიმართლისა.

ხოლო განმზადებული ამით გულის სიტყჳთა ილოცვიდა რა ზედა წარმოდგომითა ძემან და ღმერთმან მისმან დააყენა ამის საწადელისაგან. მას ჟამსა შინა, ხოლო ვინადგან იგი დედაკაცი იყო ყოვლად სანატრელი და კურთხეული უზესთაესი იგი დედათა და მამათა და ზეცისა ძალთაცა, ამისთჳსცა უკუე უკანასკნელთა ჟამთა რაჟამს ღმერთმან ინება წყალობა და ცხოვრება ნათესავისა ჩუენისა დედაკაცივე წარმოავლინა ვითარ ვგონებ მე გამოთხოვითა და სუაიმნითა დედისა ღჳთისათა ძისა თჳსისათანა, ვინადგან ნაწილიცა იყო დედისა ღჳთისა [1]) ამისთჳს უფროსღა საგონებელ და საეჭველ არს ერთი ჭეშმარიტი და უეჭუელი მიზეზი. ხოლო მეორე და უჭეშმარიტესისა ესე არს ვინადგან ყოველთა ნათესავთასა უმძჳნუარესნი და უძლურესნი იყუნეს ესე ნათესავნი, ამისთჳსცა დედაკაცი წარმოავლინა რათა უმეტეს საცნაურ იქმნეს ძალი ღჳთაებისა მისისა და არა ვისთჳს ენა კადნიერ იქმნეს ამაოსა მთხზველობისათჳს ცუდისა მეტყუელებად, ვითარმედ სიმჴნემან და სიბრძნით ფილოსოფოსობამან, გინა ენა რიტორობამან მის ვისმე მაშა კაცისამან დაარცხრო ბოროტ ბოროტეულებაჲ მათიო, ამისთჳსცა უკუე ლბილითა მით და ნარნარად მდინარითა წყლისა ნეკტარითა დაშრიტა სიმძაფრე სახმილისა მკურნალმან მან ჴელოვანმან წინააღმდგომითა წინააღმდგომთათა: რათა სიტყუა იგი უფლისა მოციქულისა მიმართ თქმული აქაცა ჭეშმარიტებდეს ვითარმედ «ძალი ჩემი უძლურებასა შინა სრულ იქმნებისო» და ესე უკუე ამით უჭეშმარიტეს არს ვითარცა მეცნიერ ვართ, რომელ ძალსა ღჳთაებისა მისისასა უძლურთა ზედა საცნაურ ჰყოფდა მარადის ამისთჳსცა უსწავლელნი მეთევზურნი და მდაბიორნი გამოირჩინა და გამოაჩინნა და მათ მიერ მსგავსად ელვისა ცეცხლ შემწუელობითა ისართა ესროდა პირებსა ბრძენთა და ფილოსოფოსთასა და მწუვლელ ექმნებოდა გულებსა რიტორთასა, რამეთუ არა ვიდრემე სხვილ ბარკალთა მამაკაცთასა სათნო იჩენს ღმერთი სახიერი, არამედ მოშიშთა სახელისა მისისათა, ვითარცა იტყჳს «მივხედნეო გარნა მშვიდსა და მდაბალსა და რომელი ძრწოდეს სიტყუათაგან ჩემთა». და კუალად «მსხუერპლ ღჳთისა არს გული შემუსრვილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხ-ჰყოს». და კუალად ძუელ ოდესმე გედეონის ზე იგი ისრაელთაცა ღირს არს ხსენებისა, რაჟამს ბრძანებითა ზეგარდამოთა მრავალ რიცხჳსა წილ მბრძოლისა სამასისა, ხოლო ამცნო წარყუანებაჲ და მას მხოლოდ მცირედსა უძლურსა ზედა ერსა გამოაჩინა და საცნაურ-ჰყო ძალი ღჳთაებისა მისისა, ამისთჳსცა უძლურისა ბუნებისა დედაკაცისა მიერ მოალბო ქედ-ფიცხელობაჲ ულმობელთა მათ და უგლიმთა ნათესავთა და არა ვიდრემე, ხოლო აქამომდის ოდენ დადგების სიტყუა ჩუენი მეძიებლობით გამომაცხადებელი ჭეშმარიტებისა, რამეთუ ვინათგან უკუე დედაკაცისათჳს არს ხსენებაჲ.

უჭეშმარიტეს უკუე ვჰგონე სხუაცა საძიებელი ღირსებისათჳს დედათა პატივისა, რამეთუ განმაცხოველებელსა მას აღდგომასა ღჳთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესსა დედანივე ღირს იქმნეს ზესთა ნეტარებისა დიდსა პატივსა ხარებისასა; ამისათჳს უკუე დაიყავნ პირი ბოროტად და ამაოდ დამაკნინებელი ქადაგებისა და მოქცევისა ჩუენისათჳს, ბუნებისა მიერ დედობრივისა, არამედ უფროსად და უმეტესად ვმოხარულობდეთცა და ვმოქალაქობდეთ მაყუედრებელთა

---

1) ნახე ქართლის-ცხოვრება გუერდი 41, მეფე ალქრკე ქართლოსიანი.

მათ ჩუენთა მიმართ უგუნურების მომზრახთა; ხოლო ვინაჲდგან იძულებით თანა წარმავლინა ჩუენ ჟამის შესაბამობით მცირედ მოხსენებითა გამოჩინებად სიტყჳსა ნეტარისა დედაკაცისასა, ამიერითგან უკუე ჟამი არს საქმითცა გამოხატუად გამოსახულსა მას და ზოგსა რე ჭეშმარიტებით ჩუენით საცნაურ ქმნა, მსგავსებისაებრ უძლურებისა ჩუენისა ძალი საყუარელნო!

რამეთუ ვინ გამოწულილვით მეძიებლობდეს დასაბამსა და ვინაობასა და სადაობასა ნეტარისა მის ნინოჲსასა, წიგნი იგი ხელად მიიღენ აღწერილი მოწერილობით მოთხრობისათჳს ქართუელთა ცხოვრებისა და მისგან გეუწყოს ყოველივე აღმავსებელად ჩუენისა ნაკლულევანებისა. ხოლო ჩუენ შესაბამად წმიდისა ამის დღესასწაულისა მხოლოდ აღმავსებელად კმა საყოფელი რეცა სულმცირედ შემოკლებული თხრობილი მოხსენებაჲ ნინოსიცა აღვსწეროთ, და შემდგომითი შემდგომად შეუდგინოთ ყოველივე ჴეროვანი გამოსაჩენელი და საცნაურ მყოფელი სუეტისა ცხოველისა და კუართისა საუფლოსა დიდებულებაჲ უგუნურობისა ჩუენისაგან შესაძლებელი. რამეთუ ვითარცა მოიწია პირუელად განგებულებითა ღმრთისათა კლდართა ჯავახეთისათა წმიდა ნინო პირსა დიდისა მის ტბისათა, რომელ არს ფარავნისა[1]), წარმოემართა უკუე მუნითცა გამოცხადებითა ღმრთისათა და შეუდგა მუნით გამომავალსა მდინარისა დიდისა თავსა, რომელ არს მტკუარი და აგრეთ მოიწია დედასა მას ქალაქთასა, რომელ არს მცხეთა. და აჰა ესერა ხუალისა დღე ხმა იყო ოხრისა და საყჳრისა ფრიად, რომელსა გამოჰყუა ერი ურიცხჳ მსგავსებისაებრ ცისა ვარსკულავთასა, რომლისა საშინელებაჲ საკჳრუელ იყო, ხოლო ვითარცა გამოვიდა მეფე მირიან[2]) საოცრებითა მიუთხრობელითა, ჰკითხა უკუე წმიდამან ნინო დედაკაცსა ვინმე ჰურიასა ვითარმედ უკუე «რა არს სახილავი ესე განსაკრთომელი»? ხოლო მან ჰრქუა მას, ვითარმედ ღმერთი ღმერთთა არმაზ, ერსა ამას, რომელ ხუდავ წინაშე მისსა მოუწესს. მუის უკუე შეუდგა წმიდა ნინო და წარვიდა ხილვად, ხოლო წმიდამან ნინო შეისწრაფა პირუელად საკჳრპოსა მას შინა და მდგომარე იყო მახლობელად კერპისა მის და ხედვიდა საკჳრუელსა მას ეშმაკთაგან წარტყუენულობასა კაცთასა და ამისთჳს მწარედ სულთქმით ტიროდა და ვითარცა მიხედნა იხილნა რა დგა კაცი ერთი სპილენძისა და ტანსა ეცუა ჯაჭჳ ოქროსა და ჩაბალახი მყარი თავსა მისსა, თუალნი ესხნეს ერთი ზურმუხტისა და მეორე ბივრიტი და ჴელთა ეპყრა ხრმალი ბრწყინუალე ვითარცა ელვა და იქცევდა ჴელთა შინა თჳსთა და ძრწოლით თაყუანისჰსცემდეს ყოველნივე იგი ერნი და შიშისაგან შეხებად ვერ იკადრებდიან, და კუალად სხუა კაცი დგა მარჯუენით მისსა სრულიად ოქროსა და სახელი მისი გაიმ, რომელნი უკუე იგიცა ღმრთად უხნდეს ერსა მას დაბნელებულსა ქართლისასა; მაშინ უკუე უმეტესადღა ელმოდა და შეიწუხებოდეს შინაგანნი ნეტარისა ნინოსნი და ტიროდა ფრიად ტუე ქმნილობისათჳს ერისა მის უგულის ხმოსა, მაშინ უკუე აღიხილნა თუალნი თჳსნი ზეცად და თქუა.

«უფალო ღმერთო მრავლითა ძალითა შენითა გკტრუვნეს შენ მტერნი შენნი, იხილე უფალო, ნუ დასდუმნები და ქმნულსა ჴელთა შენთასა ნუ უგულებელს ჰყოფ, მოიხილე უფალო მადლითა შენითა წმიდით, იხსენ მკლავითა შენითა ერი შენი, შეისმინე უფალო (ხმა) ლოცვჳსა ჩემისა და ვედრებისა ჩემისა ყურად იღე და შთახადე კერპნი ესე რისხვითა შენითა ქრისტიანეთა ქრისტე ქრისტიანისათა, რამეთუ არა არს მათ შორის ჭეშმარიტებაჲ, რამეთუ განხრწნეს ერი შენი ავაზაკთა ბო-

1) ტბა ფარავან ანუ აწინდელი თოფორავან ახალციხის საზღვარში არს.

2) მეფე მირიან იყო ძე სპარსთა მეფისა შაპუხ ანუ საპორ სასანიდიანისა. 265 წელსა ქართუელთა მოუწოდეს სპარსეთიდ ზემო ხსენებული ესე ძე შაპუხისა მეფედ თჳსად.

როკტთა უხილავთა გამოსტაცენ ესენი ხელთაგან მგელთა გამრყუნელთასა, რამეთუ შენი არს სუფევა და დიდება უკუნითი უკუნისამდე ამინ».

და ვითარცა აღასრულა ლოცვა ესე წმიდამან ნინო მყის დასავლით უკუჱ ჰაერნი და ქარნი სასტიკნი შეიძრნეს და ელვანი და ქუხილნი საცნაურ-ჰყოფდეს რისხვასა ღუთისასა და მოიღო ქარმან დასავალისამან სული ბოროტი ჯერკუნლისა რაჲსამე მყრალისა; მაშინ უკუჱ შიშისა და ზარისა მისგან საშინელებისა ლტოლვილ იქმნა ყოველი კაცი ქალაქად და მეყუსეულად მოიწია რისხვა იგი ღრუბელი ბნელი და სასტიკი [1]).

და მოიღო სეტყუა განსაკჳრვებლად დიდ დიდები ლიტრისა სწორი და კერპნი იგი დაამწულილნა და დამუსრნა და უჩინო ჰყვნა და ვითარცა დაარღჳა და შთაანთხინა კლდეთა მათ ზღუდენი იგი ქარმან მან სასტიკმან, წმიდა ნინო დაშთა მშჳდობით ადგილსა მასვე სადა პირველ შევიდა. ხოლო დღესა მეორესა, გამოვიდა მირიან მეფე ყოვლისა ერისა თანა და ეძიებდეს ღმერთთა მათ მათთა ვინადგან უკუჱ ვერ ჰპოეს, შიში და ძრწოლა დიდი დაეცა მათ ყოველთა ზედა და განკჳრდეს და ვერა რაჲ იცოდეს რაჲმცა თქუას გინა ქმნეს, ხოლო მასვე დღესა, რომელსა დასცხრა სეტყუა იგი და ქარი სასტიკი, გამოვიდა წმიდა ნინო კლდისა მისგან ნაპრალისა და ჰპოვა თუალი იგი ბივრიტი აღიღო და წარმოვიდა წინა კერძო დასასრულსა კლდისა ცხვირისასა, სადა ყოფილ იყო ძუელ ციხე [2]) და მუნ დგა ხე ერთი ბრინჯისა შუენიერი და ფრიად მაღალი და რტო მრავალი სადა იგი ყოფილ იყო ბარტამ მეფისა საგრილი და განსასუენებელი, მოვიდა უკუჱ ქუეშე ხესა მას და გამოსახა სახე ჯუარისა და ილოცვიდა მუნ ექუს დღე და მადლობდა ღმერთსა და ევედრებოდა რათა მოხედნეს წყალობით ერსა მას შეცთომილსა, იხსნეს ეშმაკისა საცთურთაგან. ამისა შემდგომად წარმოვიდა მუნით და მოვიდა ქალაქად კარსა სამოთხისასა (ვენახისა) რომელი იყო მეფისა.

და შევიდა სახლსა სამოთხის მცუელისასა, ხოლო რა დედაკაცმან ვინმე სახელით ანასტ იხილა იგი მეყუსეულად აღდგა და მოეხჳა და შეიტკბო სიყუარულით, ვითარცა შეცნიერი და დაბანნა ფერხნი და სცხო ზეთი და მიართუა საზრდელი. და იყო მისთანა ცხრა თუე. ესე უკუჱ ანასტ და ქმარი მისი იყუნეს უშვილო და ზრუნვიდეს ფრიად. იხილა უკუჱ წმიდამან ნინო ჩუენებასა შინა, რამეთუ მოვიდა კაცი ნათლის ფერი და ჰრქუა: «შევედ უკუჱ სამოთხესა მაგას ნაძუთა ქუეშე, რომელ არს ბაბილო, მცირე მიწა უკუჱ აღიღე მის ადგილისაგან შეაჭამე კაცთა მაგათ და უეჭუელად მიეცეს შვილი», ხოლო წმიდამან ნინო ბრძანებისაებრ ჩუენებისა მის ესრეთ ჰყო და ჰრქუა მათ, «სახელითა და ძალითა ქრისტეს ღუთისა დაუსაბამოსათა, რომელი თანა მოსაყდრე არს მამისა და სულისა წმიდისა და ხსნისათჳს ჩუენისა განკაცდა, ჯუარს ეცუა და დაეფლა და აღსდგა მესამესა დღესა, ამაღლდა დიდებით და დაჯდა მარჯუენით მამისა და კუალად მოსვლად არს განსჯად ცხოველთა და მკუდართა, მან უკუჱ თავადმან მოგანიჭოს გულის-ხმისყოფა კეთილი» და ვითარცა ესე თქუა აუწყა გზა ჭეშმარიტებისა და მეცნიერებისა.

მაშინ უკუჱ კეთილთა მათ მეუღლეთა აღიარეს ღუთად ჭეშმარიტად და დაემოწაფნეს სჯარუ-

---

1) რისხვა ესე ღუთისა მოიწია კერპთა ზედა 6 აგვისტოს.

2) ძუელად აქ ჰსდგა ფრიად დიდი და მშუენიერი ქალაქი არმაზი, — და მას შინა ციხე დიდი აღშენებული მეფე ბარტამისგან, რომელმან მიიღო მეფობა შემდეგ მამისა თჳსისა არტაგისა, ოდეს ჰრომთა ჯარმან დანუცევა სრულიად საქართველო, წინამძღოლობითა მხედართ-მთავრისათა პომპეისათა. ბარტამ მოიკლა ფირვანოზ II სგან 33 წელსა უწინარეს ქრ. შ.

ლად, ხოლო წმიდამან და ნეტარმან ნინო ქალაქისა ღზუდეთა გარეგნით ჰპოვნა მცირედნი რაჲმე მაყუალნი[1]) და მათ შინა შეიმზადა საყოფელი ვრცელთა პალატთა წილ, ნამდჳლვე მოწაფემან მან ჭეშმარიტმან მისმან, რომელმან იგი თქუა «მელთა ხურელი უჩნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს სადა თავი მიიდრიკოს». და რაჲ უკუე საკჳრველ არს უკეთუ არცა ამას ნეტარსა უცხოსა ამას დედაკაცსა აქუნდა, ხოლო მას მცირესა უნდოსა საყოფელსა შინა შეიმზადა ჯუარი ნასხლევისა (ვაზისა) და აღმართა იგი წინაშე მისსა და მარადის ილოცავნ ნეტარი იგი დღე და ღამე დაუცხრომელად და განკჳრვებულ იყუნეს მეუღლენი იგი სამარადისოსა მას ლოცვასა და მარხვასა მისსა ზედა და ღუაწლთა და შრომათა დაუცადებელთა, რამეთუ მხოლოდ იგინი ოდენ იყუნეს მისსა მიმავალ და მსახურ ფარულად, მრავალ უკუე მივიდის ურიათა შორის წმიდა ნინო ძიებისათჳს საუფლოსა მის კუართისა, რამეთუ იერუსალიმითვე მეცნიერ იყო მცხეთას წარმოღებისათჳს.

და გულს მოდგინედ გამოიკულევდა და იწულილვიდა რათამცა რაჲ საცნაურ ექმნას სადაობა კუართისა, ხოლო ჰპოვა ურია ერთი სახელით აბიათარ და უქადაგა მას და ასულსა მისსა სიდონიას და ჰრწმენა მათ ორთავე უფალი იესო ქრისტე ძედ ღუთისად ცხოველისა და ღუთად ჭეშმარიტად და დაემოწაფნეს იგინიცა თჳნიერ ნათლისღებისა, რამეთუ მაშინ უკუე ჯერეთ მღუდლისაგან ულონო იყვნეს.

ხოლო შემდგომად ამისა სხუანიცა ექუსნი დედანი დაემოწაფნეს ურიანი და იყუნეს ყოველნი ფარულად მოწაფე მისა. ხოლო წმიდა ნინო ჰყოფდა კურნებათა და ძალთა დიდ დიდთა სახელითა იესო ქრისტესითა, გარნა ჯერეთცა არა ვიდრემე ცხად-ჰყოფდა ვინადგან ვერ შემძლებელ იყუნეს საზრდელისა მტკიცისა მიღებასა, ვერცა თუ სძისა შემწყნარებელნი, არამედ რეცა მიზეზითა წამალთათა ჰკურნებდა და ესრეთ იქცეოდა ქალაქსა მას შინა სამწელ,

## მოთხრობა აბიათარ მღუდლისაგან კუართისა თჳს საუფლოსა თუ ვითარ მოკუჱნიჯა.

---

იტყოდა უკუე აბიათარ მღუდელი ვითარმედ, რომელი წერილთაგან უწყი და მამის დედისა ჩემისაგან სმენილ არს სასმენელთა ჩემთა, რომელი მათ ასმიოდა მამისაგან თჳსისა მეცა უკუე გამოვაცხადო და ვსთქუა ჭეშმარიტი და უტყუველი: რამეთუ რაჟამს იგი მეფობდა იერუსალიმს ჰეროდე, გუესმა უკუე ვითარმედ იერუსალიმი სპარსთა დაიპყრესო, ამისთჳს უკუე იქმნა გლოვა და

---

1) აწ იმ ალაგას ჰსდგას ფრიად მცირე ეკკლესია წმ. მოციქული ნინოსი, სამთავროს დედათ მონასტერში მცხეთას. საკჳრველ არს, რამეთუ, გარეშე იმ ეკკლესიისა არა იპოვების მაყუალი, გარდა იმისა, რომელიც აღმოიცენების იმ მცირე ეკკლესიის საკურთხევლის ძირიდგან, აღმოსავლეთის მხარეს, თუმცა წლითი წლად მოჰკუეთენ ხოლმე, არამედ ვერ შემძლებელ არიან სრულიად აღმოფხვრასა მისა, ამისა გამო, არა ჯერ არს მოკუეთა მაყუალისა მის, რომელსაც თჳთ ბუნება აღმოაცენებს სახსოვრად ცხოვრებისა წმ. მოციქულისა ნინოსი.

წუხილი ფრიად ჰურიათა შორის ქართჳჱლთა მცხეთელთა მკჳდრთა, ბუდელთა მღჳდელთა[1]) კოდის-წყაროელთა მწიგნობართა და სუბის განანელთა თარგმანთა, ესე უკჳჱ ყოველნი აღიძრნეს სივლტოლად, ხოლო შემდგომად მცირედთა დღეთა მოიწია უკჳჱ სხჳა ლაღადისი ნუგეშინის-ცემისა (ჩმა), ვითარმედ სპარსნი არა ვიდრემე დაპყრობად მოვიდეს იერუსალიმსა, არამედ მოგჳნი მეფენი მოვიდეს ძღჳნითა სამეუფოთა, ხოლო ოქრო მური ჲ გუნდრუკი აქჳნდათ ჲ ყრმასა ვისმე ეძიებდეს შობილსა ძისა ღჳთისა, ხოლო ვითარცა ჰპოვეს დედაკაცი, მცირესა რაჲსმე ქჳაბსა შინა მხოლოსა ყრმისა შობილისათანა. მოვიდეს უკჳჱ და თაყჳანიჰსცეს შიშით და ძრწოლით და შესწირეს ძღჳჱნი იგი სამეუფო მცირედ შობილისა მის მეუფისა ყრმისა და ვითარცა უკჳჱ ესე საცნაურ გჳჱქმნა, იქმნა სიხარული დიდი ჰურიათა შორის ამისთჳს რომელ, არა მიეცა იერუსალიმი სპარსთა, ხოლო შემდგომად ამისა ვითარ გარდახდა ოც და მეათე წელიწადი.

მოწერა ჩჳჱნდა მომართ მამისა ჩემისა ელიოზისსა ანაჲ მღჳდელმან იერუსალიმით, ვითარმედ რომლისათჳს იგი სპარსნი მეფენი ძღჳნითა მოვიდეს, იგი უკჳჱ ჰასაკსა სისრულისასა მოწევნილ არს და თავსა თჳსსა ძედ ღჳთისა იტყჳს ჲ სხჳასა რასმე ახალსა ჰსჯულსა გჳქადაგებს, მოვედით უკჳჱ ყოველნივე მოსეს ჰსჯულისა თანა მდებნი, რათა ჰსჯული მამათა ჩჳჱნთა შეცვალებულ ვყოთ და დავამტკიცოთ და მცნებანი მოსესი აღვასრულოთ, რათა ახლითა მით ჰსჯულითა რომელ რაჲსმე გჳქადაგებს, არა შეაცთუნნეს უმარტივესნი ვინმე ჰსჯულისა ჩჳჱნისანი, ხოლო სიკჳდილითაცა მისითა მური ვიძიოთ. მაშინ უკჳჱ წარვიდა აქაჲთ მამის მამა ჩემი ელიოზ კაცი მოხუცებული, ხოლო ესჳა მას დედა ტომისაგან ელი მღჳდლისა[2]) და კჳალად ერთი დაჲ (სიდონია). ხოლო წარმავალსა მას ევედრებოდა დედა ძესა თჳსსა, ვითარმედ წარჳჱდ უკჳჱ შჳლო საყჳარელო წოდებასა მას მეფისასა და წესსა ჰსჯულისასა, გარნა ესე ხოლო, რომელსა გამცნებ შენ დაიმარხე, ნუ უკჳჱ შეერთჳნ ცნობაჲ შენი განზრახჳასა მას მათსა ბოროტსა და ნუცა ვიდრემე ეზიარები სისხლსა მას მისსა, ნუ შჳლო ჩემო გევედრები ნუ, რამეთუ უეჭჳჱლად უწყოდე ვითარმედ იგი არს სიტყჳა წინასწარმეტყჳჱლთა, რომელსა პირუჱლიდგანვე მოასწავებდეს; და წარვიდა ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი და მუნ დახჳდეს ჯჳარცმასა უფლისასა, ხოლო რაჟამს იგი იერუსალიმს დამსჭჳალვიდეს უფალსა, ცემასა მას ჯჳჱრისასა სამსჭჳალთა ზედა მეის მებრ მასვე ჟამსა მცხეთას ხმა ესმა დედასა ელიოზისსა, ხოლო მან საშინელითა კრჩხიალებითა დაიზახნა და თქჳა: მშჳდობით მეფობაო ისრაილითაო, რამეთუ უგუნურებით მოჰკალთ უბადრუკნო და წარწყმედილნო უფალი და მაცხოვარი ყოველთა და იქმნენით ბოროტ მკჳლელ შემოქმედისა თქჳჱნისა, ვაჲ თქჳჱნდა უბადრუკნო ვინამცა უკჳჱ იპოვა ეგე ვითარი გლოვაჲ, რომელსა თქჳჱნ ღირს-ხართ. ხოლო უფროისღა ვაჲ ჩემდა რამეთუ პირჳჱლ სიკჳდილისა ჩემისა მსმენელ იქმნეს ყურნი ჩემნი ყოვლისა მწუხარებისა სასმენელსა და მეის ამას სიტყჳასა ზედა, მეყუსეულად უკჳჱ შეისჳჱნა დედაკაცმან მწუხარებასა და გლოვასა შინა ფრიადსა და მიუთხრობელსა; ხოლო კჳართსა მას ზედა

1) ბუდელთა მღჳდელთა, ბუდე იყო ფრიად დიდი ქალაქი ქიზიყის საზღჳარში, რომელსა შინა ჰსცხოვრებდნენ ჰურიანი, მწიგნობარნი და მეცნიერნი მათნი, აწ მაგიერ ქალაქისა ჰსდგას .ბოდბის ხევის სოფელი ფრიად დიდი.

2) ელია მღჳდელთ-მთავარი ჰურიათა ჰსცხოვრებდა 1131—1009 წ. უწინარეს ქრ. შობისა და იყო ესე მეშვიდე მღჳდელთ მთავარი ჰარონიდგან.

უფლის წილ იგდეს უღმრთოთა ურიათა ჯუარცმასა უფლისა და განგებულებამან ღჳთისამან მიახ-ვედრა მცხეთელთა ურიათა, არათუ კეთილ მოქმედებისა რაჲსათჳს მე ღირს იყუნეს ღირსნი იგი, გარნა იგივე ღმერთი განგებულებით წინასწარვე განაგებდა, რომელი ცხოვრებისათჳს ჩუენისა ქუეყანად გარდამოჴდა, რამეთუ წინასწარვე განეგო სახიერსა მას ამის სამეფოსა ერად საზეპუროდ შემზადებაჲ და ვინათგან ნაწილიცა იყო ყოვლად წმიდისა ღჳთის-მშობლისა, ამისთჳს უფროსღა ღირს იქმნა ამას საშინელსა მადლსა ესე კედარი, ამისთჳსცა უკუე წინასწარვე წარმოავლინა მად-ლი ღჳთაებისა მისისა რათა პირველადვე დაიწინდოს კუართითა მით და მადლითა ღჳთაებისა მი-სისათა. ხოლო ამისცა უკუე ვიდრემე სათანადო არს თქმაჲ, რათა თჳთ მებრ ეშმაკნიცა მთავრისა მის და მამისა მათისა თანა ძარღუ შეჭრილ და მობრუჳლებულ იქმნენ პირუელვე უკუე ამისთჳს წარმოავლინა წმიდა იგი კუართი ნათელი ნათელთა ყოველთა მფლობელისა ცეცხლისა მის ღჳთაე-ბისა გუამსა შემცუელი და დამფარველი, რათა უკუე დედასა მას ქალაქთასა საშუალ მდებარეობი-თა ვითარცა ცეცხლი მუცელსა შინა შთაგდებული მძაფრიად უწყალოდ სწვიდეს სამოელს.

და წინასწარ მგრძნობელობით აუწყებდეს სრულიადსა სიკუდილისა მისისა მოწევნასა, ნამ-დჳლვე სამეფო არს განზრახვა ესე შენი მეუფეო და ღმერთო ყოველთაო, დიდებაჲ სახიერებასა შენსა, რამეთუ რაჟამს უკუე მეფენიცა ქუეყნიერნი მირავიდოდიან, რომლისაცა სამეფოსა და ქუე-ყანის დაპყრობად წინასწარვე წარავლენენ ძალსა ძლიერებისა თჳსისასა, რათა წინა აღმდგომნი იგი დაპყრობადნი ზარტეხილ და შეშინებულ ჰყვნიან, რათა რაჟამს თჳთ თავადნი მივიდნენ თჳნიერ ბრძოლისა და საჭურველთა ხმარებისა ანუ თუ ივლტოდიან გინათუ შევრდომით დაემორჩილნენ და დაემონნენ, ხოლო ეშმაკნი ერთგზის განვრდომილნი და რისხვეულ ქმნილნი პირისაგან ღჳთისა ოდესმცადა შეწყალებულ იქმნნეს იგინი ვითარმცა შეინანეს შეუნანებელთა სრულიად წარწყმე-დულთა მათ, გარნა კუართისა მის საღმრთოჲსა პირველვე მოსვლასა ზარტეხილ და შეძრწუნებულ ჰყვნა უბადრუკნი იგი და წყეულნი, ხოლო რაჟამს სიტყუა ღჳთისა თჳთ თავადი, რომელ არს სა-ხარებისა ქადაგება მოიღო მოციქულმან მისმან, სრულიად ლტოლჳლ იქმნეს და განიბნინეს და გან-ქარდეს, ხოლო კუართი იგი წმიდა ვითარცა მოიღო ელიოზ მცხეთას, მყის წინა უკუე მიეგება დაჲ იგი მისი გოდებითა და ტირილითა საშინელითა ცრემლით შესვარული და მოეხჳა ყელსა სა-სურველისა მის ძმისასა.

ხოლო ვითარცა იხილა უსასურველესი იგი ყოველთა სასურველთა კუართი მჴსნელისა ჩუე-ნისა მყის წადიერებით უკუე და სურვილით შეიტკბო მკერდსა თჳსსა და მეყსეულად სულნი წარჴ-დეს ნეტარსა მას დედაკაცსა სამ სახეთა ამათ მიზეზთა თჳს, პირველად უკუე უფლისა სიკუდილისა და ვნებისა მისისათჳს, მეორედ რამეთუ ეზიარა ძმა იგი მისი სისხლსა უფლისასა, ხოლო მესამედ ვინაჲდგან მოეხსენა დედისაცა თჳსისა იგი მწუხარებით სიკუდილი, ვინაჲდგან უკუე ყოველივე მწუხარებაჲ ერთბამად შემოკრიბა ამისთჳსცა ძლეულ იქმნა ბუნებისაგან კაცობრივისა და სიკუდილი დაესაჯა ლმობილსა მწუხარებათაგან ფრიადთა, მაშინ უკუე საკჳრველი იგი საქმე დიდი განისმა ესე ყოველსა მას ქალაქსა შინა და ვითარცა საცნაურ ექმნა მეფესაცა [1] და ყოველთა მთავართა და ყოველსა ერსა, ყოველთა ერთბამად დაუკჳრდა საქმე იგი საშინელი.

---

1) დროსა ამას მეფობდა საქართუელოს ადერკი დიდი ქართლოსიანი, რომელმან მიიღო მეფობაჲ შემდეგ არშაკ II, მეფობდა ორმოცდაათშვიდმეტი წელი, გარდაიცვალა 55 წ. შ, ქრ. შ. ამან მოკლა წმ. მოც. სჳმონ კანანელი.

ხოლო ვითარცა იხილა ადერკი მეფემან კუართი იგი, სთნდა უფრო ფრიად მშუენიერებისათჳს მისისა, ხოლო საკურველებისა მისთჳს, რომელი იგი იქმნა არღარა უფრო ინება გამოღებად მკერდისაგან მკუდრისა მის, ხოლო ელიოზ დამარხა დაჲ იგი მისი სანატრელითა დამარხჳთა, რამეთუ ერთბამად ვითარცა აქუნდა მკერდსა თჳსსა ზედა კუართი იგი ეგრეთვე დამარხნა, ხოლო არს ადგილი სადაცა ღმერთმან უწყის მხოლოდ მხოლომან, ხოლო ესეცა განგებულებით სათნო იჩინა ღმერთმან ნეტარისა მის დედაკაცისა მკერდსა შეტკბობაჲ და ეგრეთ სიკუდილი, რამეთუ უკეთუმცა ესე არა ქმნილ იყო ვინადგან მას უსჯულოსა მეფესა სთნდა სამოსელი იგი უეჭუელადცა შემოსა წმიდა იგი კუართი შეგინებულსა მას და არა წმიდასა გუამსა მისსა. ხოლო აწ ვინადგან ამით მიზეზითა ვერღარა მიემთხჳა სასურველსა თჳსსა, სიტყუაცა იგი მის ფილოსოფოსისა სარწმუნო იქმნა ვითარმედ არა წმიდისა შეხებად ნუ უფრო და არა უტომელობაჲ მგონესო.

ხოლო აწ წმიდა იგი კუართი არა წმიდისა მის მეფისა გუამისა შეუხებელი წმიდავე უფრო დაშთა და წმიდადვე ჰგიეს, ვითარცა პირუელვე მის საღმრთოჲსა გუამისაგან განწმედილი და წმიდა ქმნილი ნეტარი იგი. ხოლო შემდგომად წელიწადთა მრავალთა ესმა ძისწულსა ადერკი მეფისასა საქმე ესე და ძიება ჰყო მეფემან არმაზელ (+ 103 წ.) სამოსლისა მისთჳს ურიათა თანა და რაოდენიცა გულს მოდგინებაჲ აჩუენა ძიებისათჳს გარნა ვერ შეუძლო პოვნად, რამეთუ დაუბრმეს თუალნი მათნი რათა ვერ ხედვიდნ სიტყჳსაებრ წინასწარმეტყუელისა, ხოლო ადგილი იგი არავინ ჰსცნა მიერ ჟამითგან ვიდრე დღესამომდე სადა მდებარე არს წმიდა იგი კუართი, გარნა მაშინ მათგან დაფარული, აწ სადამე და ნუ უფრო საცნაურ არს ჩუენდა რათა უეჭუელად ნათელნი ურთიერთას მეზობლობით მახლობელობდენ და ნათლისა სუეტი სამარადისოდ ბრწყინვალედ ზედა ენთებოდის, რომელი ესე უფრო ესრეთ უცილობელი არს სათქმელადცა და საგონებლად უკეთუმცა სხუაგან სადმე მდებარე იყო და არამცა სუეტსა ქუეშე. ხოლო წმიდამან ნინო იხილა ჩუენება ესე ვითარი მას ჟამსა შინა მათვე მაყუალთა შინა, რამეთუ ერთგზის მირულებასა შინა ღამისასა რეცა მოვიდიან მფრინველნი ცისანი მუხლთა ზედა წმიდისა ნინოსათა ფრთითა შავნი და შთავიდიან მდინარესა მას შინა, განიბანიან და სპეტაკნიან მოისთულებდიან და ყუავილსა ძოვდიან და რეცა წმიდისა ნინოსასა მოწლედ შევრდომასა აჩუენებდიან და ჟღივილით გარემოსადგიან და რეცა შესცხრებოდიან ნარნარითა რათმე და მყუდროთა შეთქრომითა. ხოლო იგი სიტკბოებით და წადიერებით შეიწყნარებდა, ხოლო ჩუენება ესე მოასწავებდა ერისა მის შავისა დაბნელებულისა ნათლისღებისა მიერ ცოდუათაგან განსპეტაკებასა, რომელიცა ესე მცირედთა დღეთა შემდგომად უფალმან საქმით გამოაჩინა, რამეთუ ყოველი იგი ერი წმიდისა ნინოს მიერ წყლისაგან აღმოშობითა განსპეტაკნეს და ჩუენებისა იგი მოსწავებაჲ სრულ იქმნა. ხოლო წმიდა ნინო მათვე მაყუალთა შინა მყოფი მით ნასხლევისა ჯუარითა იქმოდა სასწაულთა საკურველთა და განკურნებდა ყოველთავე უძლურებათა, რომელითაცა ვინ შეპყრობილ არიან სხეულებითა და დღითი დღე გამოაჩენდა ღმერთი წმიდისა ნინოს მიერ ჭეშმარიტებასა ქრისტეანობისასა და მართლისა სარწმუნოებისასა და რამეთუ ჰყუეს მოწაფენიცა ფარულად შვიდნი დედანი ნათესავით ურიანი, სიდონიისა ასული აბიათარისი და კუალად სხუანი ექუსნი და სამოთხისა იგი მცუელნი ცოლქმარნი, ხოლო აბიათარ მღდელი კადნიერ იყო ვითარცა პავლე და უშიშად ჰქადაგებდა და ყოველთა საცნაურ ჰყოფდა მართლსა სარწმუნოებასა ქრისტეანობისასა, ხოლო აბიათარს ეცადნეს ურიანი რათამცა ქუა დაჰკრიბეს და მოკლეს მხილებისათჳს მათისა.

ხოლო მეფემან განარინა იგი, რამეთუ არა უმეცარ იყო ჰსჯულსა ქრისტესსა მირიან მეფე-

ვინაჲდგან თჳთ მეზრ აწლა საზჳრძნჳთისი მომავალ იყო და ასმიოდეს სასწაულნი ქრისტესნი მიერნი და თრდატისიცა იგი ასმიოდავე ეშჳად გარდაქცევა და არათუ ოდენ არა აყენებდა არამედ უფროსღა სურვიელცა იყო ქრისტესთჳს სასწაულთა ხილვად. და არა ვიდრემე დააბრკოლებდა წმიდასა ნინოს და მოწაფეთა მისთა ქადაგებისათჳს, არამედ ფრიადი აქუნდა ფლობაჲ, ხოლო ნანა დედოფალი [1]) ცოლი მირიანისი გულ ფიცხელ იყო სასტიკად და შეურაცხ-ჰყოფდა ქადაგებასა მას ნინოსსა. ხოლო წმიდა ნინო იყოფოდა და განკრძალულ იყო ლოცვასა და მარხვასა შინა ფრიადსა და დაჰყო ესრეთ მაყუჱლთა შინა ვითარ სამიოდენ წელიწადი. მას ჟამსა შინა უკუე ვინმე იყო ყრმაწული სენითა მძიმითა შეპყრობილი და მიმოაქუნდა იგი დედასა თჳსსა წიაღითა, რათამცა ჰპოვა ვინმე მეცნიერი და შემძლებელი კურნებისა, ხოლო მკურნალთა წარუკუეთჳს სასოება კურნებისა და შკეთუ ვინმე აუწყის მისვლად დედისა მის ჩუენისა სანატრელისა ნინოსსა ყოვლადვე არა შეიწყნარებს არცათუ სმენად, რამეთუ წარმართი იყო ნათესავით და ფრიად ბოროტი გონებითა, ხოლო ვითარცა სრულიად სასო წარკუეთილ იქმნა მკურნალთაგან მძჳნვარებისაგან სენისა იძულებულ იქმნა.

მაშინ უკუე მოვიდა წმიდისა ნინოსსა დავარდა წინაშე მისსა ვითარცა იტყჳს წინასწარმეტყუელი, ვითარცა «შიმითა და ალჯრითა უქცინე ღაწჳნი მათნი, რომელნი შენ არა მოგაახლენენო», ხოლო ტირილით და შევრდომით ევედრებოდა მსწრაფლ კურნებად ძისა მის თჳსისა საწყალობელისა, რამეთუ ესე მხოლო მივისო, მაშინ ჰრქუა მას წმიდამან ნინო «ჰოი დედაკაცო! კურნება კაცობრივი ჩემგან შეუძლებელ არს, ხოლო, რომელი შესაძლებელ არს ღმრთისა ჩუენისა სახელისდებითა იგი უშურველ ვჰყო» და ვითარცა ესე თქუა წმიდამან ცხედარსა მას ზედა მოლოცვებისა მისისასა მიაწვინა უძლური იგი და კნინღა მკუდრად საგონებელი, ხოლო იგი დადგა ვედრებად ღმრთისა მიმართ; ცრემლით ხადოდა სახელსა უფლისა იესო ქრისტესსა, ხოლო მასვე ჟამსა ნეკტარითა მით ცრემლთათა მოიზიდა მსწრაფლი შეწევნა ღმრთისა განკურნებად მის ყრმისა და განცოცხლებული მხიარულებით მისცა დედასა თჳსსა და ადიდებდა ღმერთსა, ხოლო დედამან ყრმისამან აღიარა ქრისტე ღმრთად ჭეშმარიტად და ძედ ღმრთისა ცხოველისად და თქუა, არა არს სხუა ღმერთი თჳნიერ მისსა, რომელსა ესე ჰქადაგებს უცხო დედაკაცი, დაემოწაფა წმიდა ნინოს მიერ დღითგან. მას ჟამსა უკუე დედოფალიცა ნანა შეჰვარდა სენსა მძჳნვარესა და ფრიად სასტიკსა, რომლისა კურნება შეუძლებელ იყო ყოველთავე მკურნალთაგან, რამეთუ ყოველთავე ხელოვანთა და კურნების გამოცდილთა წარმოაცალიერნეს ყოველნივე ღონენი მეცნიერებისანი და უღონო და სასოწარკუეთილ იქმნეს და არა მცირედსა ურჳასა შინა იყვნეს მეფე და ყოველი ერი ამის მიზეზისათჳს, ხოლო უკანასკნელთა აუწყეს დედოფალსა და ჰრქუეს ვითარმედ უცხოსა ამის დედაკაცისაგან ჰრომისა, რომელსა ეწოდების ნინო მრავალნი უკუე განკურნებულ არიან სენითა მძჳნვარითა და სასტიკითა შეპყრობილნი, რომლისასა უკუე ვგონებთ ვითარმედ შენიცა ვიდრემე ადვილად შეუძლოს ლოცვითა მისითა.

მაშინ უკუე იძულებულმან სენისა მის მძჳნვარებისაგან, დაღაცათუ არა ენება ეგრეთცა ბრძანა მსახურთა მიერ მოყვანება ნეტარისა მის და ვითარცა მიყიდეს მსახურნი იგი დედოფლისანი მსახურებად ბრძანებულისა, ჰპოვეს უკუე წმიდა ნინო მაყუჱლთა მათ შინა ილოცვიდა ჟამსა მექქუსესა, ხოლო ვითარცა აუწყეს ბრძანება დედოფლისა, ჰრქუა წმიდამან ნინო მოვლინებულთა, ვარა

1) მეუღლე მირიანისა დედოფალი ნანა იყო ასული სახელოვან პონტოს-მხედართ-მთავრისა ნიკატორისა, მან აღმართა მცხეთას კერპი ვენერისა და ტაძარი მისი აღაშენა.

ვიდრემე ბრძანებულ არს ჩემდა რათა, აქათ განვიდე ვინავე, ხოლო უკეთუ ნება ღმრთისა არს დედოფალი უკუე აქა მოვიდინ საყოფელად ჩემდა და ჭეშმარიტად განიკურნოს ძალითა ქრისტეს ღმრთისა ჩემისათა [1]), ხოლო მსახურთა მათ მიუთხრეს დედოფალსა თქმული იგი ნინოსი.

მაშინ უკუე დედოფალმან ბრძანა შემზადება ცხედრისა მიყვანებად მისსა, რამეთუ სენნი მეფეთაცა ვიდრემე დამამდაბლებელ იქმნებიან, მაშინ უკუე წარიყვანეს და თანა წარჰყვა ძეცა მისი რევი და სხუა სიმრავლე ერისა და ვითარ მივიდეს საყოფელსა მას ნინოსსა მასვე უკუე სარეცელსა მოდრეკილებისა მისისასა მიაწვინა იგიცა მსგავსად ჩუეულებისა მის და მყოვარ ჟამ ილოცვიდა და ევედრებოდა ღმერთსა და მოიღო ჯუარი იგი, რომელი აქუნდა და შეახო თავსა და ფერხთა და მხართა სახედ ჯუარისა და მეყსეულად განიკურნა და აღდგა განცოცხლებული და ჰრწმენა ქრისტე ღმრთად ჭეშმარიტად და ყოველნივე იგი ერნი დედოფლისათანა და ძისა მისისა რევისა თანა მოხარულნი ადიდებდეს ღმერთსა და იტყოდეს ჭეშმარიტად, არა არს სხუა ღმერთი თჳნიერ მისსა, რომელსა ესე უცხო დედაკაცი ჰქადაგებს ნამდჳლვე უეჭუელად ესე არს ჭეშმარიტი ღმერთი. მირითგან უკუე შექმნა დედოფალმან ნანა წმიდა ნინო მეგობრად თჳსად და შინაურად და მარადის ჰკითხავნ და მხურვალედ გამოიწულილავნ სჯულსა ქრისტესსა და ასწავებდა წმიდა ნინო, აბიათარ მღუდელი და ასული მისი სიდონია, რამეთუ სთესვიდეს თესლსა მას ღმრთის-მსახურებისასა, ქრისტეანსა კეთილსა და იქმნა დედოფალი სრულიად მორწმუნე და იცნა ღმერთი ჭეშმარიტი.

ჰკითხვიდა უკუე დედოფალსა მეფე, თუ რომლითა სახითა გინა ვითარ ესრეთ მეყსა შინა განიკურნა და მიუთხრობდა დედოფალიცა ჭეშმარიტსა და უფროსღა ერიცა იგი დაამტკიცებდა, რომელთა ეხილვა და რომელნი დამხუდარ იყუნეს ძისა მისისა თანა რევისსა, მაშინ უკუე მეფე განკჳრდა და იწყო გამოძიებად სჯულსა ქრისტესსა და მრავალ გზის ჰკითხავნ ურია ყოფილსა მას აბიათარს ძუელთა და ახალთა წიგნთასა; ხოლო იგი ხელოვნად აუწყებნ და განუმარტებნ ყოველსავე და წიგნიცა, რომელი აქუნდა მირიან მეფესა [2]) ნებროთისაგან, რომელი იგი მაშინ აღწერა ნებროთ მეფემან, მის მიერცა უკუე მიიღებდა წამებასა.

რამეთუ ესრეთ წერილ იყო აღშენებასა მას გოდლისასა [3]) ვითარმედ ხმა იყო ნებროთის მიმართ ზეცით, რომელი იტყოდა, «მე ვარ მიქელ, რომელი დადგინებულ ვარ ღმრთისა მიერ მთავრობასა ზედა აღმოსავალისასა, განვედ უკუე ქალაქით მაგით, რამეთუ ღმერთი დაჰფარავს, ხოლო უკანასკნელთა ჟამთა მოვიდეს მეუფე იგი ზეცისა, რომლისა შენ გნებავს ხილვა, შეურაცხ იქმნეს იგი ერისა შორის შეურაცხისა და საძაგელისა, ხოლო შიშმან მისმან განაქარვნეს გემონი სოფლისანი, მეფენი დაუტეობენ მეფობასა და ეძიებდენ სიგლახაკესა მან გიხილოს ჭირსა შინა და გიხსნეს შენ» ამით უკუე გულის ხმა ჰყოფდა მირიან მეფე, რამეთუ ძუელნი იგი წიგნნი ახლისა მის სჯულისა ქადაგებასა ეწამებოდეს და ნებროთის წიგნიცა დაამტკიცებდა და ამისთჳს შექმნა სურ-

---

1) ადგილი ესე ქართლის ცხოვრებაში იკითხვების ესრეთ «არა ბრძანებულ არს ჩემდა, სადა ბანაკი ჩუენი არს, არა განვიდეთ მიერ. არამედ დედოფალი აქა მოვიდეს, საყოფელსა ჩემსა ჭეშმარიტსა, და განიკურნოს ძალითა ქრისტესითა:» ქ. ც. გ. 83.

2) მეფე ნებროდი ახლო შთამომავალი ნოესი იყო, მან ქალაქი ბაბილონი (შუამდინარისა) აღაშენა.

3) გოდოლი, ანუ ფრიად დიდი ფართო სუეტი, რომელიც იწყეს შენება შემდეგ მსოფლიო წარღუნისა ბაბილოველთა.

ვილი ქრისტეს ჰსჯულისა[1]). ხოლო მტერი იგი და მბრძოლი ნათესავისა ჩუენისა დამაყენებელ ექმნებო-
და აღსაარება ქრისტესა და დაჭყო მეფემან დედოფლისა მოქცევიდგან წელიწადი ერთი ორგულებასა ში-
ნა; ხოლო ვინაჲდგან მაცილობელ და წინა აღმდგომ არცა ვინ ერთი იყო წმიდისა ნინოჲსსა და დაუცხრო-
მელად ასწავებდა ერსა და ჰქადაგებდა კადნიერად და არავის გამოუცხადებდა თავსა თჳსსა, თუ ვინა
ანუ სადათ მოვალ, არამედ ტყუედ იტყოდა თავსა თჳსსა. ხოლო შემდგომად ამისა იყო მთავარი
ერთი ნათესავთაგანი მეფისათა სახელით ხუარა, ესე უკუე იყო მოგუ ხელოვანი და შეპყრობილ
უკუე იქმნა იგი სულისა მიერ უკეთურისა და იგუემებოდა ბოროტად ესოდენ რომელ მყის მახლო-
ბელობაჲ სიკუდილისა მოესწავებოდა და ამისთჳს არა მცირედი ურვა და მწუხარება იხილვე-
ბოდა მეფისა და დედოფლისა, რომლისათჳსცა ფრიად ევედრებოდეს წმიდასა ნინოს განკურნები-
სათჳს მისისა უკეთუ ყოვლად შესაძლებელ არს, ხოლო მეფე ჯერეთცა ურწმუნოებითა შეპყრობი-
ლი ეტყოდა წმიდასა ნინოს, მითხარ უკუე ჰოი ნინო ჭეშმარიტი, თუ რომლისა ღმრთისა ძალითა
იქმნა ესე ვითართა კურნებათა, ანუ უკუე ხარ შენ ასული არმაზისი გინათუ შვილი ზადენისი და
მათ მიერ მიგენიჭა ძალი იგი კურნებათა; ხოლო აწ გეტყჳ და განგაზრახებ შენ უმჯობესსა ნინო,
უკეთუ კეთილად ისმინო და ყურად იღო ჩემთა სიტყუათა, ფრიადი უკუე და სანატრელი ცხოვრე-
ბა და დიდება დაუნჯო თავსა თჳსსა და დიდი პატივი მოატყუო, რამეთუ აჰა ღმერთნი დიდნი და
საკჳრველნი სოფლის-მპყრობელნი, მზისა მომფენნი, წჳმისა უშურველად მომცემელნი ქუეყა-
ნით ნაყოფთაგან გამომზრდელნი ქართლისანი არმაზ და ზადენ ყოვლისა დაფარულისა გამომე-
ძიებელნი და ძუელნი ღმერთნი მამათა ჩუენთანი გაცი და გაიმ იგი უკუე იყვნეს დასარწმუნებე-
ლად კაცთა მიმართ, ამასთანა უკეთუ განჰკურნო მთავარი ესე განგადიდრო შენ უფროს ყოველთა
პირველთა და შემდგომთა და გყო შენ მკჳდრ მცხეთას შინა მსახურად პატიოსნად არმაზისა, დიდ
არს უკუე არმაზ, დაღაცათუ ჰაერთა და სიტყუათაგან მოიწია შემუსვრა მისი, რამეთუ არმაზ ეგე
და ღმერთი იგი ქალდეველთა ითრუჯან ყოვლადვე მტერ არიან და ამან ზღუა შემოადგინის მას
ზედა ესე ვითარი ბოროტი მოაწია, რომელი ესე თჳთ თუალთაგანცა შენთა არავე უხილავ არს,
რამეთუ ესე ჩუეულებაჲ ღმერთთა სამარადისოდ ესრეთ არს და ესრეთ საკჳრველთ მოქმედებენ,
რამეთუ სოფლის-მპყრობელნი არიან და არა რაჲ საკჳრველ არს უკეთუ ქუელის მოქმედებენ, და
ესე უკუე ჩემგან ხმა გეყავნ, ხოლო შენ უკუე გონიერად და სიბრძნით მომიგებდ პასუხსა სი-
ტყჳსისა. ხოლო წმიდამან და ნეტარმან ნინო მიუგო და ჰრქუა: «სახელითა უფლისა ჩუენისა იესო
ქრისტესითა და ვედრებითა ყოვლად წმიდისა დედისა მისისათა და ყოველთა წმიდათა მისთათა,
ღმრთმან ყოვლისა დაბადებულისა ცისა და ქუეყანისა ხილულისა და არა ხილულისა შემოქ-
ქმედმან და დამბადებელმან ყოვლად დიდებულისა მის დიდის და აურაცხელისა მრავალ მოწყა-
ლებისაგან მოგივლინენ შენ ჰოი მეფე! ვითარცა სახმილისაგან მძაფრისა ნაბერწყალი მად-
ლისა მისისა, რათა ჰსცნა და გულის ხმა ჰყო სიმაღლე ცისა და ნათელი მზისა, სიღრმე
ზღჳსა საძირკუელისა და სივრცე ქუეყანისა და საფუძველი მისი და რათა საცნაურ იქმნეს და გა-
მოცხადნეს შენ ზედა ჭეშმარიტად, თუ ვინ შემოსნის ცანი ღრუბლითა, ანუ ვინ გამოავლინის ელვა
ქუხილთა ჰაერთაგან და იძვრის ქუეყანა სიმძაფრითა მისითა და სასტიკად რბიან მეხისტეხანი და
სულსა შინა მათსა ეგსების ცეცხლი გულის წყრომითა მათითა, ანუ თუ რაჲსამს უკუე შეიძრის ყო-

1) წიგნისა ამის, რომელიც აქუნდა მეფე მირიანსა არა ვინ უწყის, თუ რა წიგნი იყო იგი, მოიხსენება წიგნი ესე კჳალად ვახტანგ-გორგასლანის ცხოვრებაშიაცა.

ველი ქუეყანა ვითარცა ფურცელი ხისა მცირისა ვითარმედ უკუე დაირღვან მთანი და კლდენი მყარნი ქუათა თანა, ამას ყოველსა ზედა უკუე მეცნიერ გყავნ შენ ღმერთმან მიწევნად და გულის ხმის ყოფად, ვითარმედ ღმერთი უხილავი არს ცათა შინა თავადი იგი ყოველთა დაბადებულთა, ღმერთი ღმერთა და უფალი უფლებათა, რომელსა ესე მე ვქადაგებ იესო ქრისტესა, ძე არს მისი მისგან უკუე მხოლოდ შობილი, უდედოდ შობილი მამისაგან და უმამოდ შობილი დედისაგან, რომელი იგიცა თანა დაუსაბამო არს მამისა ღუთაებითა, რომლისა მიერ შეიქმნნეს ყოველნივე არსნი ხილულნი და არა ხილულნი, რომელი იგი ქუეყანად გარდამოხდა და ხორცნი შეიმოსნა ესე ჩუენნი, რათა ჩუენ ღუთაება შეგვმოსოს, ვინადგან ეშმაკისა და დამონებულ ვიყვენით, თჳნიერ ამისა სხუებრ არა ეგებოდა განთავისუფლებაჲ ჩუენი უკეთუმცა თავი თჳსი არა დაემდაბლა, ხოლო ვინადგან იგი წყეული მტერი ნათესავისა ჩუენისა სამოელ ამპარტავანებითა და ზუაობითა ბოროტად დაეცა, ეგრეთუე ჩუენცა თავსედობისა მიერ სიამპარტავნით განდგომილებითა ღუთისა და შემოქმედისა ჩუენისათა დაგჳმონნა.

ამისთჳსცა უკუე სიმდაბლით ბრძოლითა ჯერ-იყო დაცემა სატანასი რათა წინა აღმდგომითა განიკურნენ სიტყჳსაებრ წერილისა, ხოლო იგი ჩუენისა ცხოვრებისა და გამოხსნისათჳს, იგუემა ინერწყუა ყურიმალს იცა, კიცხევა და ბასრობა თავს იდვა უღმრთოთა მათ და უსჯულოთა კაცთაგან და ესე ყოველი ნებსით თჳსით და დასასრულსა ჯუარსა ეცუა და მოკუდა ჭეშმარიტად კაცობრივ ხორცითა და არა ღუთაებითა, შეუხებელ და უვნებელ არს და მესამესა დღესა აღსდგა და ზეცად ამაღლდა დიდებით, რომელი იგი კუალად მოსვლად არს ქუეყანად განკითხუად ცხოველთა და მკუდართა, გარნა წიაღთაგან მამისათა ყოვლადვე განუშორებელ არს სამარადისოდ და ჩუენ შორის უხილავად მყოფ არსვე დაღაცათუ მხოლო იგი მაღალ არს არამედ მდაბალთა ხედავს დამაღალნი იგი შორით იცნის; ჵოი მეფეო! ახლოს არს მიახლება შენი ღუთისა ცხოველისა, რათა შემდგომად მცირედისა თჳთ ვიდრემე მგებელი სიტკბოებისა ხმა მაღლად მქადაგებელ იქმნე, დაღაცათუ ჯერეთ ყოველივე უცნაურ არს შენგან და ამას თანა რამეთუ რომელი არს ამას ქალაქსა შინა, ჵოი მეფე! უცნაურ ხარ საუნჯესა მას ღუთივ-ბრწყინუალესა ძალსა მას და საკჳრუელებასა მისსა, რამეთუ ღმერთმან ყოვლისა სიბრძნით გამგებელმან წინასწარვე განგებულებით მოანიჭა სამოსელი ძისა მისისა ქალაქსა ამას და მეფობასა შენსა დაუმარხა, რათა შენ მიერითა სათნო ყოფითა შენთა დღეთა ზე საცნაურ ქმნით იქადაგოს და ნუ უკუე ჰგონებ ჵოი მეფე! თუმცა რათსამე ღმერთი ქალდეველთა ითრუჯან გინათუ არმაზ ღმერთი იგი შენი, ანუ თუ გაცი და გაიმ რაჲსამე შემძლებელ იყვნეს ურთიერთას ვნებად ანუ შეწევნად ნუ იყოფინ, რამეთუ იგინი ქუანი და რვალნი არიან უსულონი და სხუანი ნივთნი ოქროსა და ვეცხლისა ხელითა კაცთათა შემზადებულნი რომელთა შორის დამკჳდრებულ არიან ბოროტნი ეშმაკნი, რომელთა უკუე თავისა თჳსისა შეწევნა და ხელისაპყრობაჲ ვერ ძალ-უძს და აჰა მეფე ამით უკუე ვიდრემე საცნაურ გეყავნ, რამეთუ რაჟამს ღმერთმან ჩემმან და ენებოს მას მხოლოსა რომელ თჳთ შენმცა იესო ქრისტემან, რაჟამს იგი უკუე ღრუბელთა და სასტიკთა ქარითა მიერ მეხის ტეხითა დასტეხნა და დაარღჳნა და განაქრინა ქარსა ბოროტსა და სასტიკსა, ვითარ უკუე არა შეეწინეს თავთა თჳსთა უბადრუკნი. და უკეთუ რაჲსა შემძლებელ არიან ნამდჳლვე ღმერთნი იგი შენნი დიდათ სიქადულნი შენი დიდებული არმაზ გაცი და გაიმ, აწ უკუე ვიდრემე აღუპყრიან ხელი თავთა თჳსთა მეყუსეულად აღემართნენ და კუალად აგნენ თჳსსა მას დიდებასა და შუენიერებასა ტაძარნი მათნი ვითარცა იგი პირუელ იყუნეს და რამეთუ ესე უკუე არა ვიდრემე უცხო არს და არცა შეუძლებელ ღუთისაგან ჭეშმარი-

ტისა და უფროსღა ღმერთთაგან ვინადგან მრავალთა მიერი უმეტეს საცნაურ არს შემძლებელობაჲ ვიდრელსა მხოლოდ ერთისა და რამეთუ ნამდჳლვე ესე ვითართა საკჳრუჱლებათა მოქმედებაჲ ჭე-შმარიტისა ღუთისა ოდენ არს, ვითარცა იგი ღმერთმან ჩუჱნმან იმოქმედა, რაჟამს იგი ცანი და ქუჱყანა და ყოველნივე არსნი ხილულნი და არა ხილულნი წამის ყოფით შექმნნა და დაბადნა; გინათუ ესრეთ გამოაჩინონ ძალი და ძლიერება ღუთაებისა მათისა. უკეთუ ნამდჳლვე ჭეშმარიტნი ღმერთნი არიან და უკეთუ ესე სადმე შეუძლებელ არს ზესთა ბუნებისა საგონებლობით უსუსურებითა მათი-თა, აჰა ესერა მცირედცა, რომელი უკუჱ ადგილცა და სათანადო არს მათთათჳს შესაძლებელობა; ვინათგან თქუჱნ შორის საცნაურ ქმნულად გამომაჩინებელნი და მადიდებელნი მათნი ეშმაკნი აშ-ფოთებენ და ჰგუჱმენ სულსა ამის მთავრისასა, გამოუკუჱიყუანონ და განკურნონ ესე ბრძანე-ბით, ხოლო უკეთუ ესე არა აღიარეთ ვიდრემე უკუჱ თქუჱნდა, ღმერთთა თქუჱნთა ძლეულებაჲ და უძლურებაჲ.

და მე ხოლო უძლურმან დედაკაცმან განვკურნო სახელისდებითა ქრისტეს ღუთისა ჩუჱნი-სათა და ჯუარითა ვნებისა მისისათა, ვითარცა იგი ნანა დედოფალიცა განიკურნა სენისა მისგან მძიმისა და მძჳნუარისა». ხოლო მეფე ვითარცა პირუტყჳ დგა და ისმენდა სიტყუათა ნინოსთა ტკბი-ლად და ლმობიერად, ხოლო იტყოდა ვერა რას ვინადგან არა რაჲ უწყოდა თუ რამცა პასუხი უგო მეტყუჱლებასა მას მისსა, არამედ ესე ხოლო მხოლოდ ოდენ თქუა ვედრებით ნინოს მიმართ ვინათგან უკუჱ ჩუჱნ ვერ შეუძლეთ დიდთა და დიდებულთა საქმეთა ხელ ყოფად ნამეტნაობისათჳს ძალისა ჩუჱნისა, ჟამისად უკუჱ დაუტევენ გრძელნი ეგე მოთხრობანი და განჰკურნე მთავარი ესე ჲოი ნინო! რამეთუ ჩუჱნ ფრიად გუჱლმის მისისა მის ჭირუჱულობისათჳს.

ხოლო ეგრეთუჱ და უფროსღა დედოფალიცა ნანა ევედრებოდავე და შეუძლებლობასა მათთა ღმერთსა ხმა მაღლად აღიარებდა; ხოლო წმიდამან ნინო უბრძანა მოყუანება მის მთავრისა წინაშე, მისსა და მოიყუანეს სამოთხესა შინა ხეთა მათ დიდთა ნაძუთა ქუჱშე და დაადგინა იგი აღმოსავლით და მეფე და დედოფალი და ყოველი ერი შემსჭუალულ იყო ხედუასა მისსა თუ რაჲ იქმნას, რამეთუ აღიპყრნა ხელნი ზეცად წმიდამან ნინო და ტირილით ილოცჳდა და ევედრებოდა ღმერთსა მეორვარ ჟამ, მერმე მოიქცა და ათქმევინა კაცსა მას სამგზის ესრეთ, «ვიჯმნი შენგან ეშმაკო და ყოველთა საცთურთა შენთაგან და შეუვრდები ქრისტესა ძესა ღუთისა» და მეის მასვე ჟამსა განვიდა ბორო-ტი იგი ეშმაკი სული, ხოლო მთავარი იგი განცოცხლებული წარმოადგინა წინაშე ყოველთასა და მეფე და დედოფალი ყოვლისა მის ერისა თანა სიხარულით აქებდეს და ადიდებდეს და იტყოდეს; ჭეშმარიტად იგი არს ჭეშმარიტი, რომელსა ესე წმიდა დედაკაცი ჰქადაგებს და ამას ესე ვითარსა საკჳრუჱლებასა სხუა ღმერთი ვერვინ შემძლებელ არს რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნი-სამდე.

## უწყება სიდონიას მიერ დედაკაცისა დაბნელებისათჳს და მოქცევისა მირიან მეფისა და პატიოსნისა ჯუარისათჳს, რომელნი იქმნნეს ნინოს მიერ.

იყო დღესა ერთსა ზაფხულისასა; თუესა ივლისსა კ დღესა შაბათსა, განვიდა მეფე მირიან ნა-დირობად მუხრანით კერძო და მოუხდა უჩინო იგი ზოგადი ყოველთა მტერი და მბრძოლი ეშმაკი და შთაუგდო გულსა მისსა სიყუარული კერპთა და ცეცხლისა და იგონებდა ყოვლითურთ მსახურე-

ბასა მათსა, მოწყუედასა სატანჯუელთა მიერ ყოველთა ქრისტიანეთასა და ეტყოდა მეფე ოთხთა ვიეთმე თანა მზრახუელთა თჳსთა და ნების მყოფელთა; ნამდჳლვე უკუე ღირს ვართ ჩუენ ღმერთთა ჩუენთაგან ბოროტისყოფასა ფრიადსა რამეთუ უდებ ვიქმნენით მსახურებისაგან მათისა და ნების მყოფელ ვიქმნენით ჩუენ ქრისტეანეთა ამათ გრძნეულთა სჯულსა ქადაგებად, რამეთუ უჩუეულად გრძნებითა ჰყოფენ რაოდენსა რას იქმან საკჳრუელებასა, აწ უკუე ესე არს განზრახუა ჩემი რათა ბოროტად წარვწყმიდნეთ მოსავნი ჯუარცმულისანი და მცირედი ესე უდებებით ნაკლულევანებაჲ. აწ კუალად ვიდრემე ფრიადითა გულს-მოდგინებითა სრულ ვჰყოთ ქუელის მოქმედთა ჩუენთა ღმერთთა მიმართ მპყრობელთა და შესავედრებელთა ქართლისათა და მხილებით ვამხილოთ ცოლსა ჩემსა ნანასაცა რათა შეინანოს აქამომდისი უგუნურებით ცთომილებაჲ, ხოლო უკეთუ ურჩ მექმნეს დავივიწყო უკუე მისიცა თანამდები სიყუარული და მივხადო პიტიჟი ღირსი ურჩებისა და მათ თანავე იგიცა ბოროტად წარვწყმიდო, ხოლო განზრახუასა მას მისსა თანა ეწამნეს და უფროისღა დაუმატეს თანა მზრახუელთა მათ მისთა ვინაჲდგან თჳთ იგინი უფროს სურველ იყუნეს, ხოლო მეფემან მოვლო უკუე ყოველი იგი სანახები მუხრანისა და აღვიდა მთასა ზედა თხოთისასა [1]).

და განვიდა თხემსა მის მთისასა მოხილუად კერძოთა იმიერ და ამიერ და შუა სამხრის ოდენ მყის ანაზდათ დაბნელდა მზე მათ ზედა და იქმნა ვითარცა ღამე ბნელი და უკუნი და დაიპყრნა ბნელმან არენი იგი და ადგილნი და განიბნინეს კაცად კაცადი თჳსსა ადგილსა ჭირისა მისგან და ურჳსა და დაშთა მეფე მხოლოდ მარტო და მიმოვიდოდა მთათა მათ ზედა შეცთომილი და შეშინებული და შეძრწუნებული, ხოლო ვინაჲდგან უღონო იქმნა ვინავე წარსლვისაგან გინათუ კაცთა მიერისა შეწევნისა და წინამძღომისა და დგა უკუე ერთსა ადგილსა სასოწარკუეთილი და იგონებდა თუ რაჲმე მოიწია ჩემ ზედა უბადრუკისა და საწყალობელისა ამის, ნეტარ მე ჩემ შორის ოდენმე შემთხუეულ იქმნა ესე საშინელი საქმე უბადრუკისა, ანუ თუ ზოგად ყოველსა ქუეყანასა ზედა იქმნა, გინა აწ ესე ვინა მაუწყოს მე ვინადგან ყოვლითურთ უღონო ვარ, ვიეთცა მიმართ კითხუად და განზრახუად და ვითარცა იგონებდა ამას თავსა შორის თჳსსა იტყოდა და თქუა.

აჰა ესერა მოხედნა ღმერთმან წყალობით ვითარცა პირუელ პავლეს და მოეგო თავსა თჳსსა და თქუა: «ვინათგან ესერა ვხადი ღმერთთა ჩემთა და ვერა რას უკუე ღხინებასა ვპოებ ჲ უფროისღა თჳთ მებრ მათისა პატივისა განზრახუასა და განგებასა შინა შემემთხჳა ესე ბოროტი და ესე ვითარი ჭირი ნამდჳლვე უძლურ არიან და ბოროტ და არა რას კეთილის-მოქმედ ვითარცა უცხო დედაკაცი ნინო განაქიქებს უძლურებასა მათსა.

აწ უკუე რომელსა იგი ჰქადაგებს იესოს ჯუარცმულსა და სახელითა მისითა ჰყოფს საკჳრუელთა კურნებათა, ვევედროღა უკუე მეცა სახელსა მისსა, ნუ უკუე და მეცა ვიდრემე მივემთხჳო საკჳრუელებით ღხინებასა კურნებასა ამის მოწევნულისა ჭირისასა რამეთუ-ვარ მე უბადრუკი ესე ცოცხლივ ჯოჯოხეთს შინა, რომელსა უხმარ მექმნა ყოველი დიდება და ცხოვრება ჩემი.

და ოხერ ვიქმენ მონათა და ერისა ჩემისაგან ქალაქთა და ციხეთაგან და თჳთ თავადისა მეფო-

---

1) მთა თხოთი ანუ თოხათი, მუხრანის-სოფლიდამ დასავლეთის მხარეს არს, ვიდრე ოცი რუსული ვერსტი აქუს სიშორე. — აქამომდე თხემსა ზედა თხოთისასა ჰსდგას მცირე ეკკლესია წმ. ნინოსი აღშენებული მეფე მირიანისაგან, ადგილსა მას, რომელსა ზედ დაუბნელდა სინათლე (დაბრმავდა) მეფეს.

ბისა ჩემისაგანცა ჲ ესე არა რაჲვე უწყი თუ ყოვლისა ქუეყანისათჳს იქმნა ესე მოსაწყვარი (და) თუ ჩემთჳს ოდენ მხოლოდ უბადრუკისა;» და ვითარცა ესე თქუა, დადგა და ხელნი აღიპყრნა და ტირილით და გოდებით იტყოდა ხმითა მაღლითა «იესო ძეო ღუთისაო რომელსა დედაკაცი იგი ნინო ღუთად ჭეშმარიტად გქადაგებს, უკეთუ ნამდჳლვე ღმერთი ხარ ჭეშმარიტი და ძე ღუთისა, მიჩუენე მე ნათელი ამასთანა ზოგადსა ჩუეულებითსა და მახილუე მე საყოფელი ჩემი, რათა ვსცნა ჭეშმარიტი მეცა ვითარმედ შენ ხარ ღმერთი ღმერთთა და უფალი უფლებათა და რათა აუვარო სახელსა შენსა წმიდასა მეცა უკუნისამდე და გაქებდე ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა და უკეთუ ისმინო ხმა ლოცჳსა ჩემისა აღუაშენო სახლი შენი წმიდა და ვყო იგი სალოცუელად ჩემდა და ერისა ჩემისა, რათა იდიდებოდის და თაყუანს იცემებოდის სახელი შენი წმიდა მას შინა უკუნითი უკუნისამდე, ჰე ძეო ღუთისაო იესო ქრისტე ნუ გარე მიმაქცევ სირცხჳლეულსა უკეთუ ძალუძს ჭეშმარიტად შეწევნად, მოიხილე ჩემ ზედა საწყალობელისა ამის და უკუმძარცუე მოხუეული ესე ჩემზედა მდებარე უკუნი სიბნელისა». ხოლო ვითარცა ესე ლოცუა მიმყოვრებულ ჲ წარმოსთქუა მეფსა შინა, მყის უკუე ნათელი მოეფინა ყოველსა ქუეყანასა ჩუეულებისაებრი და მზე გამობრწყინდა დიდებითა თჳსითა, ხოლო მეფემან გუალადცა განიპყრნა ხელნი თჳსნი ცად მიმართ და თქუა, «უფალო ღმერთო ცისა და ქუეყანისა შემოქმედო, რომელი უკუე უფლებ ზესკნელთა ცათა შინა და იპყრობ ქუეყანისათა, ნამდჳლვე შენ ხარ ღმერთი და უფალი უფლებათა, რომელსა გაქუს ხელმწიფება ნათელსა ზედა და ბნელსა და შენ ხარ მეუფე რომელი მოავლენ კაცთა ზედა განსაცდელსა უმჯობესისათჳს და აწ უკუე მეუფეო უფალო ცისა და ქუეყანისაო ვითარცა ჰყოფ ხორციელსა ბნელსა შინა უფროსღა სულიერსა ჲ ვითარცა განმინათლენ ხორციელნი ეგრეთუე (და) განმინათლენ თუალნი სულისანიცა და უკეთუ მცირედსა ამას სიბნელესა ვერ უძლე აქავე დათმენად და ყოვლითურთ უღონო და სასო წარკუეთილ ვიქმენ, ვითარ უკუე დაუთმოთ და მოთმინე ვიქმნნეთ უბადრუკნი ესე და სასოწარკუეთილნი და საწყალობელნი მის საუკუნოსა მას და დაუსრულებელსა ბნელსა მას გარესკნელსა და ღრჭენასა კბილთასა და მატლსა მას დაუძინებელსა და ცეცხლსა უშრეტსა, რომელი განმზადებულ არს ჩუენ უბადრუკთა ცოდჳლთათჳს, რომელიცა გუქადაგების უცხოსა მის დედაკაცისა ნინოსაგან, შენ ხარ უკუე უფალი და მეუფე ყოვლისა სიბრძნით გამგებელი და ვითარ მესმის, არავისი გნებავს ნამდჳლვე სიკუდილი ცოდჳლისა არამედ ყოველთა სინანული ჲ ცხოვრება და აწ მეუფეო, მეცა შემინდევ ყოველნი უსჯულოებანი ჩემნი, რომელნი აქამომდე ვსცოდენ უგუნურებით, რამეთუ ამიერითგან მეცა შეუდგე ბრძანებათა და მცნებათა შენთა და მორჩილ უკუე ვიქმნე სიტყუათა ნინოსთა, რომელი გუასწავებს მცნებათა შენთა, რამეთუ ნამდჳლვე შენ ხარ ღმერთი მონანულთა და შენი არს დიდება და ძლიერება უკუნითი უკუნისამდე» [1]).

ხოლო ადგილი რომელსა ნათელი გამოუბრწყინდა, იყო მის მთისა მწუერუალსა ზედა და დაიდუა რათა ძელი ჯუარისა აღმართოს მას ადგილსა ჲ წარმო უკუე ემართა მით ადგილით, იხილა უკუე ყოველმან ერმან რამეთუ მათცა გამოუბრწყინდა ნათელი ჭეშმარიტი და შეიერთნეს მეფესი და ყოველი იგი ერი განბნეულნი.

---

1) თქმულნი მირიანის მიერ ქართლის ცხოვრებაში სხუა ნაირათ არს მოყვანილი, ნახე ქართლის-ცხოვრება ნაწილი პირველი გვერდი 87.

ხოლო მეფე ხმითა მაღლითა ღაღადებდა, «მიეცით უკჳე დიდება ღმერთსა ნინოსსა, რამეთუ უეჭუელად ნამდჳლვე იგი არს ღმერთი ღმერთთა და უფალი უფლებათა», ხოლო ყოველმან ერმან ზოგად ხმა-ჰყვეს დიდება ღმერთსა ზეცათასა, რომელსა ნინო ჰქადაგებს, რამეთუ მას უკჳე მხოლოდ მხოლოსა შუენის დიდება უკუნითი უკუნისამდე.

ხოლო ნანა დედოფალი და ყოველი ერი განვიდა მიგებებად მეფისა, რამეთუ ყოველთა ასმიოდა, რომელი იგი იქმნა საკჳრველებაჲ მეფესა და ერსა ზედა [1]), მაშინ უკჳე ყოველი იგი ქალაქი ერთობით მიეგებნეს შორის ქალაქისაგან და ყოველი ერი იგი იხარებდეს საკჳრველსა მას სასწაულსა ზედა და ერთბამად ადიდებდეს ღმერთსა და უფროსღა ნანა დედოფალი იხარებდა, უწყოდა გონებითა მით საღმრთოჲთა, რომელი მის შორის დანერგულ იყო, რომელ ღმერთმან განგებულებით ჰყო რა იგი ჰყო მეფესა ზედა ცხოვნებისათჳს მეფისა და ყოვლისა ამის სამეფოსა, ნამდჳლვე სიტყუა იგი სარწმუნო იქმნა, რომელსა იტყჳს ვითარმედ «საზღუარი განსაცდელისა შემეცნება იქმნა უაღრესისა»; ხოლო ნეტარი ნინო მასვე უკჳე საყოფელსა შინა მისსა მაყუალთა მათ შინა ლოცუასა განკრძალულ იყო ჩუეულებისაებრ; და ამის თანა იყო მისგან მოქცეულია ორმეოცდა ათი სული მებრ მას ჟამსა შინა და იყო უკჳე ფითარცა მოვიდოდა მეფე იძროდა ყოველი იგი ქალაქი და ხმითა მაღლითა ღაღადებდა მეფე, სადა უკჳე არს უცხო იგი დედაკაცი დედა ჩემი, ვითარცა ეუწყა მაყუალთა მათ შორის ყოფაჲ [2]) მიუქცია მეფემან ყოვლისა მის ერისა თანა და მყის გარდახდა უკჳე მეფე ჰუნისაგან თჳსისა და ეტყოდა წმიდასა ნინოს; «აწ უკჳე ღირს ვარ სანატრელო დედაო თუ ღმერთსა ენებოს სახელის-დებად სახელსა ღუთისა შენისასა და ნამდჳლვე მხსნელისა ჩემისასა»; ხოლო წმიდა ნინო ცრემლთა მხურუალეთა დამოდინებითა მადლობდა და ადიდებდა ღმერთსა და მეფესა წურთითა და სწავლითა საღმრთოჲთა განამტკიცებდა და საცნაურ-ჰყოფდა ჭეშმარიტებასა ქრისტეს ღუთისა, ვითარცა მისცემდა სული იგი წმიდა მის შორის მყოფი, რომელი დამკჳდრებულ იყო.

მაშინ უკჳე იქმნა საკჳრველი და სახარულქვანი ტირილი და ლმობიერებაჲ ყოვლისა მის ერისა რაჟამს ხედვიდეს მეფესა და დედოფალსა ცრემლით ლმობიერად მგოდებელთა; რამეთუ ღირსნი ყოვლისა ნეტარებისანი ცრემლნი დამოსდიოდეს ყოველთა მიმყოვრებით განგრძელებას

---

1) არც ჩემს ხელს წირილში არც ქართლის-ცხოვრებაში და არცა ჩემ მიერ მოსკოვის და პარიჟის ნახულთა ხელწერილებში არა ჰსჩანს, როგორ შეიტყეს დედოფალმან და მცხეთის მცხოვრებელთა სასწაული, რომელიც იქმნა მირიანის ზე, რომლისაგამო ოდეს შემოვიდოდა მეფე, მთელი ქალაქი მიეგება მას ხმითა სიხარულითა. ერთმა ზერმა მაუწყა გუარით ქართუელმან ამისათჳს, ვითარმედ ერთი მსახური მეფისა გადარჩაო, რომელსა არ დაუბნელდა სინათლეო და რომელიც მოწამე იყო ყოვლისა სასწაულისაო, ოდეს აუხილდა თვალნი მირიანს მსწრაფად მოიქცაო მცხეთას და ყოველი აუწყა დედოფალსა და სრულიად ქალაქსა, რომლისა შემდგომ გამოვიდნენ მისაგებელად ღართას და ქინძარას.

2) როგორც ქართლის-ცხოვრება ეგრეთვე სხუანი მატიანენი მოგვითხრობენ, ვითარმედ მეფის მოსვლის დროსა წმ. ნინო ჰსდგა ლოცუასა ზედა.

მოწაფენი წმ. ნინოსი იყუნეს კეთილი და მხნე მღუდელი ქართუელთა ჰურიათა აბიათარ, ასული მისი ნეტარი სიდონია და სხუანი მოწაფენი, რომელთა უპირველეს ეღირსად ქადაგება წმ. სახარებისა ნეტარი ნინოს მიერ. პირუელ საუკუნეთა წმ. მქადაგთა სახარებისა აქუნდათ ესე ჩუეულება, რომელს ქალაქსაც შევიდოდნენ ანუ დაბასა, პირუელად იკითხამდნენ ჰსცხოვრებდნენ იმ ალაგას ჰურიანი თუ არა, თუ ჰპოებდნენ პირუელ მათ უქადაგებდნენ წმ. სახარებასა ვითარ ახლო მცნობთა ძუელისა აღთქმისასა, რომელ არს წინა მძღუარ ახლისა აღთქმისა.

მას სწავლისას წმიდისა ნინოს მიერ, ხოლო ვითარცა მოვიდეს ქალაქად, ხვალისა დღე მეის წარავლინნა მოციქულნი მირიან მეფემან საბერძნეთად დიდისა კონსტანტინესსა, რამეთუ მას ჟამსა იგი იყო ნეტარებით მოხსენებული და მისწერა წიგნი წმიდამან ნინო ელენე დედოფლისა მიმართ [1]) ხოლო მირიან, მეფისა მიმართ და აუწყეს ყოველი ესე სასწაული ქრისტეს ღუთისა მიერ, რომელი იქმნა მცხეთას ქალაქსა შინა. ხოლო ძალი ეპისტოლისა მის ესე ვითარი იყო რომელ: „უწყებულ არს ჩუჱნდა ვითარცა შეჰგვანდა შესაბამობასა ჟამისა მის ახალ ნერგთასა, მაღალსა უკუჱ და ზესთა ვიდრემე აღმატებულსა ყოვლად ბრწყინვალესა და უფროსად დიდებულსა მეფესა მეფეთასა და ნათელსა ყოვლისა ქრისტიანობისასა; სახედ მზისა განმანათლებელსა ღუთივ-ბრწყინვალისა სამეფოსა კონსტანტინოპოლისა თჳთ მპყრობელსა მეფესა დიდსა კონსტანტინეს აღმოსავლისა უკუჱ კერძოთათ საქართუჱლოსა ყოვლისა მეფე მირიან აწღა სადმე წყალობითა სახიერისა ღუთისათა ძლით უკუჱ განფრთხობილი სიმთვრალისაგან უმეცრებისა და საშოსაგან დედისა სიბნელისაგან ახლად ვიდრემე ნათლად გამოსრული, ქრისტეს მიერსა გიხაროდენსა მიგიძღუანებ, რომელსა იგი არავისი ნებავს სიკუდილი ცოდვილისა, არამედ ყოველთა მოქცევა სინანული და ცხოვრება ვითარცა მესმის, მან უკუჱ სახიერმან არცაღა ვიდრემე ჩემი სათნო იჩინა უფსკრულსა შინა სიბნელისა და დავიწყებისასა დაშთომა და იგი ვითარცა ოდესმე შენ და გუალად შენსა უწინარესრე ვითარ იგი ქადაგი ქრისტეანეთა ცხოვრებისა ნეტარი პავლე მოგინადირა ვითარცა უწყებულ ვარ, ეგრეთუჱ უკუჱ მანვე სახიერმან და მეცა ღირს მყო ნათელსა ღუთაებისა მისისასა მსგავსად თქუჱნსავე და ნათლისა საღმრთოჲსა მომატყუებელითა მადლითა განმანათლა და ჴრა ღირსნი წყალობისა, ღირს-მყო თქუჱნ ღირსთა თანა ქებისათა ღირს-ყოფად ხსენებისა სახელისა ღუთაებისა მისისასა, რომლისათჳსცა უკუჱ გმოქენეობ წმიდისა მეფობისა შენისა მიმართ. რათა ღირს მყუჱნე სრულიადსა ნათელსა მიმოხუჱვად, ყოვლისაგანვე ულონო ქმნილნი, რომლითა გამოისახჳს ჭეშმარიტი უცთომელი ქრისტეანობაჲ, ესე უკუჱ იგი არს, მღდელი საღმრთო მსახური ქრისტესი, წმიდა და წმიდა მყოფელი მირონი და რომელსა ზედა ჯუარს ეცუა ცხოვრებისასათჳს ჩუჱნისა ძელი ჭეშმარიტი, სახარება და სხუა რაოდენი სახმარ არს საჭიროდ ჩუჱნდა, რათა ყოველთავე თანა შენ მიერ განათლებულთა, ჩუჱნცა უკუჱ ვადიდებდეთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა. ღუთივ გჳრგჳნოსანო ყოვლად ბრწყინვალეო თჳთ მპყრობელო წმიდაო მეფე დიდო კონსტანტინე [2]). ხოლო წმიდა ნინო და მოწაფენი მისნი ერსა მას შორის ქადაგებდეს დაუცხრომელად და ასწავებდეს გზასა ჭეშმარიტებისასა, ვიდრე მოსვლადმდე მღუდელთა და მოციქულთა საბერძნეთით და მხურვალება ფრიადი იყო ყოველთა საღმრთოჲსა შურისათჳს. ხოლო წმიდამან ნინო ჰრქუა მეფესა «მესწრაფების მეჭოი მეფეო! აღშენებისათჳს ტაძრისა ღუთისა» ჰრქუა მას მეფემან ესე ჭეშმარიტად უწყი სანატრელო დედაო, რომელ რაჲცა ოდენ შენ სათნო გიჩნს უეჭუელად ნებაჲ არს ღუთისა და ვითარცა განაგოს შენმან სიწმიდემან ეგრეთცა ვჰყოთ», ჰრქუა წმიდამან

---

1) ერთი ძუელი მატიანე (რომელიც ეკუთნის იოანნე ბატონის შჳლს) მოგვითხრობს ცხოვრებასა შინა წმ. დედოფლისა ელენესი, ვითარმედ «იგი მოქცეულ იყოო ერთი ქალწული ქალისაგან მოსრულის მიერ იერუსალიმით, რომელი ახლო ნათესავი იყოო იობენალ ეპისკოპოზისაო» ვინ არს ესე ქალწული, და ამასთანა ახლო ნათესავი იერუსალიმის ეპისკოპოზისა? თუ არა წმ. ნინო. იობენალის ისტორიით გვეცნობება, გარდა წმ. ნინოსი მქადაგი სახარებისა არა ვინა ჰყუანდა ახლო ნათესავი. ამ მატიანეს მოთხრობასა ემოწმება ცხოვრება წმ. მოციქული ნინოსი, სადა მოგვითხრობს მოგზაურობასა ნეტარისასა იერუსალიმით ჰრომს

2) წიგნი ესე ქართლის ცხოვრებაში არ იპოვება, არცა სხუათა მატიანეთა შორის.

ნინო, «სადა უკუე ჰნებავს მეფობასა შენსა» ჰრქუა მას მეფემან «სადაცა ღმრთისა დ̃ შენ სათნო-
გიჩნს ჭეშმარიტი ესე არს, ხოლო უკეთუ ჩემსა ნებასა დაემორჩილებით ფრიად უკუე საყუარელ
არიან ჩემდა მაყუალნი შენისა მოღუაწებისაგან განშუენებულნი, რომელნიცა ცრემლთა შენთა ნა-
რწყაობისა მადლსა ხმა მაღლად ჰქადაგებენ, რომელნი იგი უკუე უპატიოსნესად გამოაჩინნეს
ოქრო ქანდაკებულთა პალატთასა ღუაწლთა შენთა სიმრავლემან მე უკუე მნებავს მუნ, გარნა არა
ერიდო ყოვლად სამოთხესა ამას ჩემსა სამეფოსა შუენიერებისათჳს მისისა და ფერად ფერადობი-
სათჳს ნერგთა და ყუავილთა სულნელთასა და სიმაღლისათჳს ნაძუთასა და ნაყოფიერებისათჳს
ბაბილოთასა, ჭეშმარიტად სამოთხე ესე ხორციელი და წარმავალი შეგჳცვალოს ცხოვრებად საუ-
კუნოდ და წარუვალად და მუნ აღუაშენოთ ტაძარი ესე ღუთისა სალოცუელად ჩუენდა ვიდრე მო-
ვლადმდე მღუდელთა საბერძნეთით» დ̃ მეყუსეულად მოიღეს ნივთი საგებელი და იწყეს შენებად სა-
ხელსა ზედა ღუთისა და ასწავებდა ხუროთა, რამეთუ რომელმან იგი ბესელიელ აღავსო სიბრძნითა,
იგივე ღმერთი იყო ამის ნეტარისა განმაბრძნობელი, ხოლო ნაძუნი იგი დიდნი და საკჳრველნი
მოჰკუეთნეს, რომლისაგანცა შემზადნეს შჳდნი სუეტნი ეკლესიისანი ხოლო ექუსნი იგი უკუე
სუეტნი აღმართნეს სადაცა უკუე ინება ადგილმან თჳს თჳსად, ხოლო უდიდესი იგი სუეტი რაჲ
საზარელი იყო უფროს მათ სხუათასა საშუალ ეკლესიისა აღსამართებელად განაწესეს და ვითარ
შემზადნეს ყოვლითურთ აღმართებისათჳს ეცადნეს, გარნა ცუდ იყო შრომა ვინათგან ყოვლად
ვერ შეუძლეს, აუწყეს უკუე მეფესა საკჳრველი ესე საქმე.

მაშინ უკუე მოვიდა სიმრავლითა ერისათა სიმარჯუთა ძალისათა ეცადნეს აღმართებად და
ვერცა ვიდრემე ეგრეთ შეუძლეს, არამედ ეგრეთცა ცუდ დ̃ ამაო იქმნებოდა შრომა მათი დ̃ იყუნეს
დაკჳრვებულ მეფე და ყოვლისა ერისა სიმრავლე დ̃ იტყოდეს ურთიერთას ყოველნივე, თუ რაჲმე
არს უცხო ესე სახილავი და ვითარ შემწუხრდა წარვიდა უკუე მეფე ფრიად შეწუხებული პალატად დ̃
ყოველი იგი ერი სახიდ თჳსად: ხოლო სანატრელი ნინო დ̃ ათორმეტნი მოწაფენი მისნი დედანი და-
ადგრეს სუეტსა მას თანა ღამე ყოველ; ხოლო ნეტარი ნინო გოდებდა ფრიად და ნაკადულთა
ცრემლთასა დამოადინებდა ღამე ყოველ და განზოგებასა ოდენ ღამისასა იქმნნეს ესე ვითარნი
ოცნებანი (ჩვენებანი) რამეთუ ორნივე ესე მთანი იმიერ და ამიერ არმაზისა და ზადენისა რეცათუ
წარმოიქცეს და შთამოირღუეს და დააგუბეს ორთავე მთათა წყალი და გარდამოსხუთქს წყალთა
მათ ქალაქსა ზედა და რეცა წარსარღუნულად და წარსაწყმედელად იხილუებოდა ქალაქი და შეიქმნნეს
ხმანი და ქუხილნი ტირილნი და გრგჳნვანი ორთავე მათ მდინარეთა გარდმოხუეთქასა ზედა, ხოლო
მოწაფენი იგი დედანი შეშინდეს და შეძრწუნდეს და ლტოლვისათჳს განმზადებულ იყუნეს.

ხოლო ნეტარი იგი ნუგეშინისცემდა მათ დ̃ ეტყოდა, ნუ შეძრწუნდებით დანო ჩემნო საყუა-
რელნო, არა რაჲ არს ესესე სხუა თჳნიერ საოცრება ეშმაკთა ბოროტთა, რამეთუ მთანი ადგილ-
თავე თჳსთა ჰგიან და მდინარენი ეგრეთვე დიან და ერსა ყოველსა მშჳდობით სძინავს, ხოლო სა-
ოცრებით ჩუენებული ესე ჭეშმარიტად უკუე დარღუევა არს ურწმუნოებისა მთათა და წყალთა
დინებისა დაყუდებაჲ გამომსახუელი არს სისხლისა მის ურმათასა, რათა დასცხრეს ამიერითგან დი-
ნებაჲ იგი დაკლულთა მათ ჩჩჳლთა ურმათა სისხლისა ორთქლთანი, ხოლო ხმა ესე ტყებისა ეშმაკთა
სიმრავლისა არს.

და სამართლად ხოლო იგლოვენ თავთა თჳსთა უბადრუკნი ვინათგან იოტებიან ამათ ადგილთა-
გან რომელთა შინა იხარებდეს სისხლითა კაცთათა, რამეთუ ეძჳნების სასტიკად თჳსთა საყოფელ-
თაგან განსხმა, ხოლო თქუენ განძლიერებულნი ძალითა ქრისტესითა მოიქეცით და ილოცევდით

და ვითარცა ესე თქუა, დადგა ნეტარი ნინო აღმოსავლით კერძო, განჰყრნა ჴელნი ზეცად მიმართ და ილოცვიდა ღმრთისა მიმართ, რათა არა დაეხრწიოს საქმე ესე ეშმაკთა მიერ, რომელსა წარმართებულ არს მეფე და ყოველი ერი და მეყსეულად დასცხრეს ხმანი იგი მასვე ჟამსა, ხოლო ამისა შემდგომად კუალად (ჩვენება იქმნა) ვიდრე არა ეყივლა ქათამსა, სამთავე კერძოთა ქალაქისათა ზარი შეექმნა ლაშქრისა ფრიადისა დალეწნეს კარნი და აღივსო ქალაქი ლაშქრითა მბრძოლთათა და იქმნა ზარი და ხმა საშინელი და განსაკჳრვებელი და იყო ზახილი და ხოცა კაცთა და აღივსო ყოველი იგი ადგილი სისხლითა და დადნებოდეს ყოველნი შიშისაგან და ზარისა და ისმოდეს ხმანი რომელნი იზახოდეს ძლიერად, ვითარმედ მეფე სპარსთა ხუარა და მეფეთა მეფე ხუარან ხუარა ყოველი ურია განარინეთ პირისაგან მახჳლისა [1]); ესე უკუჱ რა ესმა დედათა მათ და მოახლებულ იყვნეს მახჳლოსანნი და რეცა გარემოს სრვიდეს და ჰკვლიდეს, მყის ისმა ხმა ძლიერი ვითარმედ მირიან მეფე შეიპყრესო, ხოლო წმიდამან ნინო ჰრქუა, «არა რაჲ უკუჱ ებრალების უბადრუკთა იმათ, რომელ ესრეთ ჭირვეულად იზახიან, რამეთუ დიდათ ჰსჭირსთ, ვინადგან მოახლებულ არს ჟამი წარწყმედისა მათისა და ამათ ნათესავთა მათგან განთავისუფლებისა და ამის ადგილისა დიდებისა».

და ნუგეშინისცემდა ნეტარი ნინო დედათა მათ ვითარცა მხნე მოღუაწე, მიექცა უკუჱ ჯუარსა მას მომსვრელსა და ეტყოდა «სადა არიან წყეულნო მეფენი სპარსნი ხუარა და ხუარან, ანუ საბასტიანით მოვიდეს მეუსა შინა, წარგუალეთ ბნელთა და გარესკნელთა თქუჱნთჳს განმზადებულთა». ხოლო ვითარცა დასწერა ჯუარი ნეტარმან მან, მეყსეულად უჩინო იქმნნეს ოცნებანი იგი ყოველნივე საეშმაკონი და დედანი იგი ადიდებდეს ღმერთსა, ხოლო მოახლებასა ოდენ ცისკრისასა მიერულა დედათა მათ. ხოლო მე სიდონია მღჳძარე ვიყავ და წმიდა ნინო ლოცვად ჰსდგა, ჴელ განპყრობით და აჰა მყის ვითარცა ელვა გამობრწყინდა და ზედა წარმოსდგა ჭაბუკი ყოვლად ნათლითა შემკობილი, შემოსილი ცეცხლისა ჴეწრითა და ჰრქუა რაჲ სამნი სიტყუანი წმიდასა ნინოს, ხოლო იგი დაეცა პირსა ზედა თჳსსა საშინელებისა მისგან, რომლითა იხილვებოდა სახე მისი საკჳრველი, ხოლო ჭაბუკმან მან მიჰყო ჴელი სუეტსა მას დიდსა და აღამაღლა სიმაღლესა შინა ზე ჰაერთა. ხოლო მე ყოვლად განგრუკნებული და განცჳფრებული სიდონია მივეახლე და ვარქუ ესრეთ შიშით: დედოფალო ჩემო, რაჲმე ესე (არს), ხოლო მან მრქუა ესოდენ «მოიდრიკე თავი ქუეყანად და მდუმარე იყავ», ხოლო იწყო ტირილად ფრიად ზარისაგან და საკჳრველებისა მის ხილვისა და შემდგომად მცირედისა აღდგა თჳთ იგი და აღმადგინა მეცა და განვეშორენით მის ადგილისაგან, ხოლო დედანი იგი ვითარ იყვნეს კიდერე აჰა იხილეს მათცა სუეტი იგი ცეცხლის სახედ შეწუალებულ იყო და შთამოვიდოდა რეცა ძრვით სიმაღლისაგან ზე ჰაერთასა.

და შთამოეახლა ხარისხსა მას და დადგა აღშორებულად ქუეყანით ვითარ ათორმეტ წყრთა და ნელიად ნელიად ჩამოიცუალებოდა ხარისხად თჳსად მონაკუეთსა ძირსა მას თჳსსა და მართებით ვითარ მოეახლა ორ წყრთა ოდენ, დაადგრა უკუჱ ეგრე სახედ თჳნიერ მიახლებისა ვინავე რომელიცა ჰგიეს ვიდრე უკუჱ და საცნაურ არს ყოველთა მიერ ვიდრე მოდღეინდელად დღედმდე.

ხოლო რიჟურაჟსა ოდენ ჟამსა განთიადისასა აღდგა უკუჱ მეფე გულ გდებული ურვათაგან მწუხარებისათა, მიჰხედნა სამოთხისა (ბაღისა) კერძო დაწყებულსა მას ეკკლესიასა და იხილა ნათელი, რამეთუ ჰკრთებოდა ვითარცა ელვა, ხოლო აღწევნულ იყო ქუჱ სამოთხით ვიდრე ზეცადმდე, ხოლო

1) პირველ საუკუნეს ქრისტიანობისას, ქრისტიანეთა უწოდებდენ ჰურიათ.

ფრიადითა სიხარულითა იწყო მეფემან სრბით მისლვა და მკჳრცხლ შეუდგა ყოველი სიმრავლე ერისა ქალაქით და გარემოთა მისთაგან და ყოველნივე მირბიოდეს: ხოლო ვითარცა იხილეს მრჩობლ ორკერძოვე საკჳრჱლი და საშინელი უცხო სახილავი ნათელი უსაზღვრო და მიუწდომელი და თჳალთ შეუდგამი და სჳჱტი ცეცხლისა სახედ შეცვალებული და განბრწყინჳჱბული და თჳნიერ ნივთთასა ზე ჭაერთა საკჳრჱლად დამოკიდებული, და ხელთაგან კაცობრივთასა შეუხებელი ვისა-ნიმცა უკჳჱ თჳალნი ნეტარ იყჳნეს, მის ჟამისა ყოველთა მხედველთანი, რამეთუ მეფე და ყოველი იგი ერი და სხუა შიშითა და სიხარულითა აღვსებულნი, მადლობდეს და ადიდებდეს ღმერთსა მო-ქმედსა საკჳრჱლებათასა და დიოდეს ყოველთა შორის საკჳრჱლი ცრემლთა ნაკადულნი უფსა-კრულნი და იყო სიხარული საკჳრჱლი და გამოუთქმელი, რომლისა საცნაურ ყოფა ულონო ჴ შე-უძლებელ არს ჩჳჱნგან აღწერით; ხოლო იქმნნეს სასწაულნი დიდნი და საკჳრჱლნი მას დღესა შინა, რომელნიცა ფრიადისაგან კნინოდენი რაჲმე წარმოვაჩინენით რეცა მიზეზითა სრულიად და-უვიწყებლობისათა, რომელნიცა აჭა ესერა საცნაურ ვყჳნეთ: პირჳჱლად უკჳჱ მოვინმე ვიდა ურია შობითგან ბრმა მიეახლა უკჳჱ სასოებით სჳჱტსა მას წინამძღჳრებითა კაცთათა და თქჳა ესრეთ, ღმერთო და ძეო ღჳთისა იესო ქრისტე, უკეთუ შენ ხარ ჭეშმარიტად ძე ღჳთისა, რომელსა ესე დედაკაცი უცხო გქადაგებს და წინასწარმეტყჳჱლნი ჩჳჱნნი წინათჳჱ მოგასწავებდეს და რომელმან გამოგვიჩინე სჳჱტი ესე წმიდა ნათლისა, რომელი იხილვების უცხო სახედ ყოველთა მიერ და და-ცათუ მე მხოლო ოდენ დაშთომილ ვარ უბადრუკი ხილვისაგან ნათლისა მზისა, მწუხარებისათჳს სიბრმისა ჩემისა, მომეც უკჳჱ ნათელი ნათელო მამისაო და ყოვლისა სოფლისაო, მომეც შობი-თგან ბრმასა ამას დაბნელებულსა მწუხარებითა შეპყრობილსა, ვინათგან ამას უცხოსა სახილავსა მზისა ბრწყინჳალებისაგანცა უსაწადელესსა ზედა ყოველნივე იხარებდენ, მე უკჳჱ უბადრუკსა რა სიხარული მაქჳნდეს ვინათგან ულონო ვარ განცდად ბრწყინჳალებასა ნათლისა მისისასა დაღაცათუ ყურთა მესმის მეუფეო ესე აწ გამოჩენილი შენ მიერი საკჳრჱლი და უცხო ახალი დიდებულებაჲ, გარნა ვერ სწორსა მიიღებენ გემოსა სიტკბოებისასა სასმენელნი და სახედველნი, რაჲ უკჳჱ შე-სწორების ხილვით განცდასა დაბადებულთა შენთასა.

და უფროსღა აწ ამის უცხოსა ახლისა ნათლისა სახილავისასა, ნუ დამაკლებ მე სხჳათა-ებრ ყოველთა თანა ნუცა მე მეუფეო და ღმერთო ყოველთაო, შეისმინე ვედრება ცოდჳლისა ამის უბადრუკისა დაბნელებულისა უმურჳჱლ ჭყავ ჩემთჳსცა საწყალობელისა ხილჳა ამის ნათ-ლისა და უკეთუ სადაცა ულირს ვარ მიღებად ნათლისა ცოდვათათჳს ჩემ ზედა მდებარეთა ესოდენ ხოლო ღირს მყავ, რათა მებრ ამის საკჳრჱლისა ნათლისა წუთ ერთ მიმხედჳჱლ მას, მეცა ვადიდო ყოველთავე თანა ახალი ესე საკჳრჱლთ მოქმედებაჲ ღჳთაებისა შენისა. ხოლო შემდგომად ნებავე ღჳთაებისა შენისა იყავნ თჳალთა ჩემთა ზედა ვითარცა პირჳჱლვე, ხოლო ვითარცა ამას ევედრებოდა გოდებითა რაჲთმე საშინელითა და საწყალობელითა ყოველთა მოიზიდვიდა გოდებად და წყალობად და ვითარ ყოველნი ხედვიდეს, მყის ანაზდად ნათელი გამო-ჭკრთა სჳჱტისა მისგან და მასვე ჟამსა შინა მხედჳჱლ იქმნა და სიხარულით მადლობდა და ადი-დებდა ღმერთისა. ვითარცა იგი უკჳჱ პირჳჱლვე ვახსენეთ, რაჟამს იგი გამოვიდოდა მეფე მირიან სა-ოცრებითა საშინელითა და ყოვლისა ერისა სიმრავლე მისთანა, რომელსა ჟამსა იხილეს სჳჱტი იგი ნათლისა, მაშინ უკჳჱ ვინმე შემძლებელ-იყოს საცნაურ ყოფად თუ ვითარ დაუტევნელ იყჳნეს ყო-ველნი ადგილნი, გზანი და ფოლოცნი და სრულიად ყოველი ქალაქი სიმრავლესა მას ერისასა რო-მელნიცა სრბით ვიდოდეს სახილავისა მის სურვილითა.

მაშინ უკუჱ იქმნა საკჳრველი სასწაული, რამეთუ რაჟამს იგი გამოვიდოდა ყოველი სიმრავლე ერისა დიდსა მას ხიდსა საზოგადოსა, რომელიცა იყო თავსა ქალაქისასა, იყო უკუჱ სიმრავლესა მას თანა ერისასა დედაკაცი ვინმე ჭჳრიასწარმართისა კაცისა კერძოთ მსახურისა მეუღლე, რომელსა ჰყვა ერთი მხოლოდ შობილი ძე ვითარ ოთხისა წლისა, რომელიცა უკუჱ თჳთ მკერდ მას ოდენ ჟამსა ხელთა ეპყრა რაჟამს იგი ხიდსა შესაკრებელსა ყოველთასა ჯარი შეიქმნა დიდისა მის გლახ საწყალობელისა და ძისა შორის შემოსთქრა ჯარი მძლავრებითა ძლიერითა, მყის განაგდეს ძე იგი საწყალობელი უბადრუკისა დედისაგან და შთავარდა მდინარესა მას შინა, რომელი იქცეოდა კლდეთა მათ შორის უფსკრულის სახედ, ხოლო ამისსა შემდგომად რაღა სხუა გარნა თუ დედა საწყალობელი საწყალობელისა შჳლისა მიეცა შჳლსა თანა სიკუდილად ესრე სახედ, რამეთუ სასტიკად და იზახდა ხმითა სალმობიერითა და საზარელითა და ძესავე თჳსსა თანა შთაიგდო თავი, ამისმან ოდენ მხოლოდ მეტყუელმან ვითარმედ ვინადგან ჟამი არღარა იყო სიტყუათა მრავლობისა ვითარმედ ჰოი! უცხო ესე ახალო სახილავო, ვინადგან სიხარულად მოგელოდე აწ უკუჱ მიითვალე უბადრუკებითა უცხო სიკუდილი დედისა ძითურთ, ხოლო ვითარ შეჰგვანდა შესაბამობასა ჟამისასა ყოველი იგი სიმრავლე ერისა აღშფოთნა და განცჳფრებული და განგრუვნებული მიხედვისა საშინელებასა მას საქმისასა, ხოლო იხილეს ყოველთა, რამეთუ რაჟამს შეაერთნა წყალმან დედა და ძე ერთბამად ეჰა უცხო და განსაკჳრვებელი ახალი სასწაული გარნა კაცთაგან ოდენ და არა ღმრთისაგანცა, რამეთუ ძე უბადრუკებით შთავრდომილი ხოლო დედა ძისა მიმყოვრებულადღა შთამგდები თავისა, მყის ერთბამად მსწრაფლ შეიერთნეს ორნივე ზოგად და ძე წიაღთა მშობელისათა მჯდომარე იყო და ვითარცა მიჰქონდეს მდინარესა მძვინვარესა ორნივე განსჳენებით მავლობდეს ვითარცა ნავითა რათმე ყვანებულნი, და თავსა მათ ორთასავე ნათელი ჩამოდგომილ იყო ილიკტრიონის სახედ, და ესრეთ უკუჱ იყვანებდა ნათელი იგი, რომელ ღელვათაგანცა და კლდეთა მიახლებისაგან, ყოვლად ყოვლითურთ უვნებელ იხილვებოდეს.

ხოლო ყოველნი იგი ერნი მხილველნი მათნი განკჳრვებასა შეეპყრნეს, რამეთუ დაღაცათუ ფრიადნი მეცადინენი შეწევნისათჳს მათისა შთამოვიდოდეს იმიერ და ამიერ, გარნა ყოველივე უკუჱ ცუდ იქმნებოდა ვიდრემდის მიიწივნეს პირისპირ თჳთ თავადსა მას ადგილსა სამოთხისასა, სადა იგი სუეტი და ეკკლესია იყვნეს; რამეთუ მკერდ მასღა ოდენ მხოლოდ ადგილსა ნაპირად განიყვანა განგებამან მან ძალმან საღმრთომან, ხოლო ვითარცა განვიდეს დედა ძითურთ, ყოვლისა უკუჱ ერისა თვალით მხილველობასა შინა ნათელი იგი, რომელი ილიკტრიონის სახედ იყვანებდა მათ საკჳრველებით წარვიდა და სუეტსა მას ზედა აღმართებულსა ჯუარსა დადგა, რომლისა ამის ხილვამან ყოველნი განკჳრვებამან შეიპყრნა.

ხოლო მოვიდა ყოველი იგი სიმრავლე და ჰკითხვიდეს დედაკაცსა მას თუ ვითარ უკუჱ განერა ღელვათა მათ დანთქმისაგან, გინა კლდესა ნაპრალებსა ვითარ თანა წარხდა ულმობელად; ხოლო იგი იტყოდა ცრემლითა და გოდებითა ესრეთ, ვითარმედ მე რომელსამე ჟამსა თავი ჩამოვიგდე საწყალობელმან საწყალობელისა ძისა თანა, მასვე უკუჱ ჟამსა ვიხილე ნათელი რაჲმე საკჳრველი ვითარცა სუეტი ცეცხლისა, რომელი გამოვიდა სამოთხისა ამისგან სადა ეკკლესია და სუეტი აღმართებულ არიან და მე ესე მხოლოდშობილი ჩემი ერთბამად შეგუაერთნა და ვითარ წიაღთა ვიპყარ ურმა ესე, მიერითგან უკუჱ ყოვლითურთ ულმობელად ვიდოდე და არა რაჲ ვუწყი თუ ვითარ გვიყვანებდა სუეტი იგი. ესე ოდენ მხოლოდ უწყი რომელ ვითარცა საჴე ნავისა ეგრე გუმართვიდა ჲ

არცა ღელვათაგან რაჲ შეგვეხებოდა და არცა კლდეთა მიახლებად მიგვიშვებდა, ხოლო აქა რაჲ და-მართებით პირისპირ მოვიწიენით, ვითარცა სვიფონმან რამე რეცა კაცობრივითა ხელითა ნათელმან მან აჰა გამოგვიყუანა და ნათელი იგი სადათ პირველვე გამოსრული ვიხილე, აჰა ეგერა კუალად მუნვე წარსრულსა თჳთ მებრ თვალნი თქ̃ჱნ ყოველთანიცა მხედველ არიან, რამეთუ ს̃ჱტსა ამას ცეცხლისასა შეერთებულ არს ს̃ჱტი იგიცა ნათლისა წიაღმყვანებელი ჩ̃ჱნი; და ჭეშმარიტად დიდ არს ღმერთი ქრისტეანეთა, რომელსა უცხო ესე დედაკაცი წმიდა ჰქადაგებს და მრწამს ქრისტე ღმერთი ღ̃თად ჭეშმარიტად და ძედ ღ̃თისა ცხოველისად, ყოვლითა სულითა და გულითა ჩემითა.

ხოლო მეფე და დედოფალი და ყოველი იგი ერი, ღმობიერ იქმნეს და ტიროდეს დიდებუ-ლებასა მას ზედა საკჳრველისასა და განკჳრვებულნი სიხარულით, ადიდებდეს ღმერთსა, ხოლო დე-დაკაცი იგი წარვიდა დ̃ მოწლედ ცრემლითა მხურვალითა შეუვრდა დამოეხვია ს̃ჱტსა მას და სურ-ვილით ამბორს უყოფდა და ჰრწმენა და მოიქცა ყოვლით სახლეულით მისითურთ დ̃ ყოველნივე ზოგად მოხარულნი ადიდებდეს ღმერთსა.

კუალად უკ̃ჱ სხუა ვინმე ყრმა სეფეწული ამაზასპანი, ორკერძოსავე ცხოვრებისაგან ხვებუ-ლი, სრულიადის სიკ̃ჱდილისაგანცა და ცხოვრებისაგანცა იდვა რვის წელიწდისა, მოიღო უკ̃ჱ დედამან მისმან სარწმუნოებით დადვა წინაშე ს̃ჱტსა მას ნათლისასა ცხედრითა, და ევედრებოდა წმიდასა ნინოს, მოხედე უკ̃ჱ დედოფალო ჩემო ძესა ამას ჩემსა ზედა საწყალობელსა კართა ზედა სიკ̃ჱდილისათა მიწევნულსა, რამეთუ მიცნობიეს ჭეშმარიტად ვითარმედ ღმერთი ღმერთთა დ̃ უფალი უფლებათა იგი არს რომელსა შენ მსახურებ დ̃ ჩ̃ჱნ გვიქადაგებ, აწ უკ̃ჱ განკურნენ ს̃ჱტმან ამან წმი-დამან ძე ესე ჩემი უბადრუკი, სიტყჳთა დ̃ ვედრებითა შენითა. ხოლო წმიდასა ნინოს შეეწყალა ღმობი-ერი იგი ვედრებაჲ მისი და შეახო ხელი ს̃ჱტსა მას ნათლისასაჲ და დასდვა ზედა ყრმასა მას და ჰრქუა «გრწამსა იესო ძე ღ̃თისა ცხოვრებისათჳს ყოვლისა სოფლისა მოსრული ხორცითა?» ხოლო მან ხმაჰყო ხმითა დიდითა ვითარმედ, მრწამს ჭეშმარიტად იესო ძე ღ̃თისა, ხოლო წმიდამან ნინო ჰრქუა მას «სარწმუნოებისა შენისა ებრ გეყავნ შენ».

და მეყუსეულად განიკურნა, აღდგა ზე და ხლდებოდა სიხარულითა და ადიდებდა ღმერთსა და შიში დიდი დაეცა მეფესა და ყოველსა ერსა და კუალად სხვისა ვისმე მომკუდარ იყო ძე მხოლოდ შობილი ნათესავით ჰურიისა და ვითარცა ყოველნი მოვიდოდეს ხილვად ს̃ჱტისა მის წმიდისა და არა ვინ სადა დაშთა შინა, არცა ქალაქთა და არცა სოფელთა; მას უკ̃ჱ ჟამსა შინა მხო-ლოდ შობილსა მას ძესა ზედა იგი ოდენ მშობელნი გლახ დაშთომილ იყუნეს მხოლონი, და ტიროდეს და გოდებდეს სალმობიერად ძესა მას ზედა საწყალობელი, რაოდენ შეჰგავს მშო-ბელთა საყუარელსა ძესა ზედა და იტყოდეს ესრეთ, აჰა ესერა დავშთით ობრად და უკაცურად ძეო ჩ̃ჱნო სასურველო დ̃ საყუარელო, არა თუ ოდენ შენგან მხოლოდ დაკლებულნი უბადრუკნი ესე არამედ უკ̃ჱ თანა ზიართაცა და შემწეთაგან ჭირსა ზედა ვითარცა არს ჩ̃ჱულებაჲ ზოგადი კაცთა ნათესავის დ̃ არღარა ვინ არს ნუგეშინისმცემელ დ̃ ხელის აღმპყრობელ ჩ̃ჱნდა უბადრუკთა დ̃ საწყალობელთა, რამეთუ არა თუ ოდენ ხოლო გოდებისა თანა შემწეთა მეძიებელ ვართ უბადრუკნი ესე, გარნა თუ არცაღა ვინ თანა შემწე გ̃ჱპოვების, რათამცა მიწა მიწასა მიგჳცა საყუარელო დ̃ სასურველო ძეო საწყა-ლობელთა მშობელთაო, დ̃ ვაჲ დ̃ ვაჲ გლახ ჩ̃ჱნ უბადრუკთა, რამეთუ მხოლონი ოდენ მივეცენით შენ ძლით სალმობიერსა ცხოვრებასა, აჰა ესერა უკ̃ჱ სხუანი ყოველნი იხარებენ ერთბამად უცხოსა მის სახილველისა, ხილვასა დ̃ სურვილით დ̃ წადიერებით მირბიან ყოველნივე დ̃ შენ ვერავე ასწარ ცოდვათა

და ურჯულოებათა ჩუენთაგან და ჩუენცა შენ ძლით დაკლებულნი, აჰა ცოცხლივ ჯოჯოხეთად მიწევნულ ვიქმნენით საწყალობელნი უბადრუკნი, არამედ აწ უკუე აღდეგ მხოლოდ შობილო ჩუენო მივეახლნეთ ჩუენცა უცხოდ გამოჩინებულსა მას სუეტსა ნათლისასა.

აღდეგ ჰოი! ნათელო თუალთა ჩუენთაო და მივისწრაფოთ ნათლისა მის საკჳრველისა ხილვად, უკეთუ ნამდჳლვე ესე ნათელი მისი ნათლისა გამოჩენილი არს, რომელსა წინასწარმეტყუელნი ჩუენნი მოასწავებდეს ძესა ღმრთისასა, მოგეცინ აწ უკუე შენცა ნათელი თუალთა და სიცოცხლე გუამისა დაბნელებულსა სიკუდილითა, რათა ერთბამად ყოველთა თანა ზოგად ჩუენცა ვიხარებდეთ, აღდეგ უკუე აღდეგ ჰოი! უსაწყალობელესო ყოველთა მკჳდრთაო ძნელობადითა მშობელთა საგოდებელო, აღდეგ თჳთ მას ნათელსა გაფუცებ და ნათლისა მის მიზეზსა თავადსა ყოველთა ნათელთასა. ხოლო ვითარცა ამას და ამისსა უმრავლესსა სალმობიერად ტკივილითა ფრიადითა გოდებდეს, ეჰა ქრისტე ძეო ღმრთისაო ნათელო ყოვლისა სოფლისაო დიდება სახიერებასა შენსა, მეის უკუე მეყსეულად ვითარცა ძილისაგან განფრთხობილი, ზე წარმოჯდა ურმა იგი მკუდარი და იწყო კითხვად საკჳრველებითა თუ სადა უკუე არს სუეტი იგი ცეცხლისა, რომელმან აღმომიყვანა მე უფსკრულთაგან ჯოჯოხეთისათა.

ხოლო მშობელნი იგი მისნი განცვიფრებულ და განკრძალვებულ იქმნნეს მოულოდებელსა მას ანაზდათსა გამოუთქმელსა საკჳრველებასა ზედა და მეის კნინღა და უსულო იქმნნეს და მყოვარ ჟამ უტყუებითა შეპყრობილნი ვერა რას შემძლებელ იყვნეს სიტყუად. ხოლო მიმყოვრებულად რე ვითარცა მოეგნეს გონებასა. მოეხვეოდეს ყელსა საყუარელსა მას ძესა თჳსსა და სურვილით და სიტკბოებით ამბორს უყოფდეს და ეტყოდეს, სად უკუე იყავ ანუ ვინა მოხუედ ესრეთ მეყსა შინა ჰოი! სასურველო და საყუარელო ჩუენო ძეო და ვინ კუალად გაგო სიცოცხლედვე; ხოლო იგი ამას ოდენ ღაღადებდა დაუცხრომელად ვითარმედ, სადა უკუე არს სუეტი იგი ნათლისა მუნვე მე მხოლო მიმიყვანეთღა და ეგრეთ გამოცხადნეს ჩემ ზედა ქმნილი ესე საკჳრველი, აღდგეს უკუე და წარმოემართნეს სიხარულით ძითურთ თჳსით, ხოლო ვითარცა მოიწივნეს საცნაურ იქმნა ყოველთა შორის, რომელი იგი ქმნილ იყო ჭურიისა მის ძესა ზედა.

და მორბიოდეს ყოველნივე ხილვად საკჳრველებისა მის. ხოლო დაუტევეს ყოველთა სუეტისა მის საკჳრველებაჲ და მას ხოლოგანიცდიდეს აწღა მკჳდრად ვიდრე მე დატევებულსა და მეყსა შინა განცოცხლებულსა, და განკჳრვებულ იქმნეს მეფე და დედოფალი და ყოველი იგი ერი რომელთა იხილეს და რომელთა ესმა, ხოლო იწყეს კუალადცა კითხვად ურმისა მის, თუ ვითარ იქმნა საკჳრველი ესე და კაცთაგან უცხო შეცვალება, ხოლო ურმამან იწყო ძნიადღა სადამე სულთქმით და ტირილით სიტყუად, და ვერ შეუძლებდა ფრიადისაგან ურვისა და მწუხარებისა და იყო ურმა იგი მოხუეულ სუეტისა მის საკჳრველებით და რაოდენ შემძლებელ იყო იტყოდა ესრეთ: მე უკუე ჰოი! ღმრთის მოყუარენო რაჟამს მივეც სიკუდილსა, მოვინმე ვიდეს სასტიკნი შავნი სახითა და უსაშინელესნი საქმითა და წარმომიყვანეს საწყალობელი ესე უბადრუკი და შთამიყვანეს მე სადამე ადგილთა ბნელთა და მყრალთა და უფსკრულთა სადმე ჯოჯოხეთისათა შთამიორიეს ქუესკნელს სადა იგი იყო რისხუა ღმრთისა მიუწთომელითა თითოჲ ფერითა სატანჯუელითა შემზადებული, ცეცხლი იგი გეჰენიისა ბნელი გარესკნელი, მატლი და უძინებელი, ღრჭენა კბილთა, ტარტაროზი ყინვლითა სასტიკითა, კუპრი, ფისი და სხუანი ნივთნი რომელთა შინა იტანჯებიან ყოველნი ცოდვილნი და ყოველნი კერპთ მსახურნი და ამას ხოლო იტყვიან დაუცხრომელად ვითარმედ, ვაი, და ვაი, გლახ ჩუენ;

ხოლო არღარა ვინ არს მსმენელ და გამომხსნელ ჩჳჱნდა. ხოლო მეცა საწყალობელი ვინმე უკუჱ მივეცი მათვე სატანჯჳელთა, რამეთუ ვიხილნე მე ყოველნი ნათესავნი ჩჳჱნნისაგანნი, რომელნი ქრისტეს ჯჳარცმისა შემგომად აღსრულებულ არიან უნათლავნი ჰურიაებასა შინა, ხოლო ვითარცა ვიტანჯებოდი მათ თანა მცირედ ჟამ.

მყის ანაზდათ ნათელი გამობრწყინდა უფსკრულთა მათ შინა ჯოჯოხეთისათა და სჳჱტი ნათლისა ჩამოდგა ვიდრე ჩჳჱნდა მდე, რომლისა თავი მისი მისწჳთებოდა ცადმდე და წჳჱლსა მის სჳჱტისასა მჯდომარე იყო, რომელი მამათა ჩჳჱნთა ჯჳარს აცჳჱნ. ხოლო ორნი ვინმე შჳჱნიერნი მოივლინნეს ჩემდა და მყის ხმა გამოკრთა სჳჱტისა მისგან ვითარცა ელვა ჭაბუკთა მათ მიმართ, ვითარმედ წარმოიყვანეთ ყრმა ეგე მხოლოდ შობილი გლახაკთა მშობელთა, რამეთუ შელმის გული ტკივნეულობისაგან მათისა და მიეცით ხელთა მშობელთა მათთასა, რათა ეგრეცა ადიდებდეს და იხარებდეს დღესა ამას ჩემსა ყოველთა სახარულევანსა და ვითარცა ესე ხოლო ჰსთქჳჱ მყის მსწრაფლ აღმომიყვანეს და მომიყვანეს გჳამადვე ჩემდა.

და არა ესერა აქა მდგომარე ვარ ვითარცა ხედვენ თვალნი თქჳჱნ ყოველთანი და ვაჲ და ვაჲ გლახ მათთჳს რომელნიცა იქ დამკჳდრებულ არიან და რომელთა იგი მიელის სასჯელი. ხოლო ამისსა სმენასა ზედა მეფე და დედოფალი და ყოველი იგი ერი ცრემლითა იღურებოდეს და ფრიადი გოდება და ტირილი შეიქმნა საშინელი ყოველთა.

ხოლო მოქცევისა და სიბნელისაგან ხსნისა მათისათჳს რაოდენი სიხარული იხილვებოდა, რომელმან ენამან გამოთქვას და ყოველნი ზოგად ჰმადლობდეს და ადიდებდეს ღმერთსა ამას ყოველსა ზედა, ხოლო კჳალად სხჳა ეშმაკეული კაცი მოიყვანეს შეკრული ჯაჭჳჱბითა ძლიერად, რომლისა ვერ ვის ეძლო პყრობა ყოვლადვე, რამეთუ ფრიად სასტიკთა ეშმაკთაგან იგჳჱმებოდა და ყოვლადვე რაჲ რაჲთ იჴირვიდეს და ვითარცა მოიყვანეს იგი სჳჱტსა წინაშე საზარელ იყო ხილვა მისი ყოველთაგან, რამეთუ თვალნი გამოსახნა სასტიკად ანაზდად ვითარცა ზროხამან და იყვირნა და დაეცა წინაშე სჳჱტსა და იდვა ყოვლად უსულოდქმნილი ვითარცა მკჳდარი. ხოლო წმიდამან ნინო მოიღო წმიდა ჭურჭელი და ევლოგია აღიღო სჳჱტისა ცხოველისაგან ჭურჭელსა მას შინა წჳლითა მოაპკურა წყალი იგი ვნებულსა მას კაცსა და მყის მასვე ჟამსა შინა ვითარცა ძილისაგან განივრთხო და განიკურნა და სჳჱტსა მას წმიდასა მოეხვია და ამბორს უყოფდა. ხოლო ყოველნი იგი ერნი ერთობით ადიდებდეს ღმერთსა მოქმედსა საკჳრველებათასა.

ხოლო თუ რაოდენნი და ურიცხჳჱნი თითო სახენი სენნი განიკურნებოდეს, და სასწაულნი იქმნებოდეს, მას ჟამსა შინა ვინმე წარმოთქჳჱნეს და აღრიცხნეს, რამეთუ ბრმანი ნათელსა მიიღებდეს, მკელობელნი ხლდებოდეს, ეშმაკნი განიხადებოდეს, კეთროვანნი განწმდებოდეს, უძლურნი განიკურნებოდეს, მკჳდარნი აღდგებოდეს, და შეცოდებულნი ცოდჳათაგან ხსნასა მიემთხჳჱოდეს; და ყოველნი ყოვლით კერძო ნუგეშინისცემასა მიიღებდეს და ჰპოებდეს და მეფე და მთავარნი და ყოველნი ერნი იყვნეს დიდსა სიხარულსა შინა და ყოველი იგი ერი სრბით მოვიდეს და მორბიოდეს შეხებად სჳჱტისა მის წმიდისა ვიდრემდის ურთიერთსა დასთრგუნვიდესცა ფერხითა, რამეთუ ტრფიალება კეთილი საღმრთოსა შურისა ცეცხლსა მძაფრიად მოტყინარე ჰყოფდა. ხოლო მეფემან განზრახვა ჰყო წმიდისა ნინოს თანა, რათა შეუქმნას სჳჱტსა მას წმიდასა გარე საბურველი რათა ყოვლისა ურისა ესრეთ ურიდად შეხდომით შეხება სახედ შეურაცხებისა საცნაურ იქმნების.

ხოლო ვითარცა ესე განიზრახა სჳეტი იგი გარეშემოსა და დაფარა ხედვისაგან და გარეთ შეემთხჳეოდეს ყოველნი; ხოლო სასწაულნი ეგრეთვე იქმნებოდეს, რამეთუ სასოებასა კეთილსა ვერა რაჲ დამაყენებელ ექმნების. ხოლო ეთერისა განმკჳეთელებითი აღმწჳერვალებული, კადნიერებით ურცხჳენელი წინაშე მეფისა წარმოუხნდების.

ხოლო მეფემან სასოებითა კეთილითა და სარწმუნოებითა მტკიცითა განძლიერებულმან, იწყო მოსწრაფებით შენებაჲ ეკკლესიისა და მცირედთა დღეთა შინა სრულ ჰყო ეკკლესია, შესაბამად ჟამთა შემსგავსებული. ხოლო ვითარცა მიიწივნეს მოციქულნი წინაშე მეფისა კოსტანტინესსა და მიუთხრეს ყოველი იგი რომელი იქმნა და წარიკითხეს ეპისტოლე მირიან მეფისა, აღივსო მეფე კოსტანტინე და დედა მისი ელენე სიხარულითა და ყოველი ერი ქრისტიანეთა იხარებდა, რათამცა ესმა პირველად უკჳე ამისთჳს, რამეთუ მადლი ღჳთისა და სარწმუნოება ჭეშმარიტი ქრისტიანობისა აღორძნებოდა და განმტკიცნებოდა ყოველსა სოფელსა შინა და მათ მიერ ნათლისღებასა მიემთხჳეოდენ ნათესავნი ქართჳელთანი და მეორედ ამისთჳს, რამეთუ განეშორებოდა მირიან მეფე შეერთებისაგან და თანა შეწევნისა უსჯულოთა სპარსთასა და განმტკიცნებოდა ჰსჯული ქართჳელთა და ბერძენთა ერთბამად. ხოლო ერთობა იქმნებოდა ქრისტეს მიერ ჭეშმარიტი და ამისთჳს მოხარულნი ადიდებდეს ღმერთსა. ხოლო კოსტანტინე მეფემან წამოუგჳეგზავნნა მოციქულნი და სიყჳარულითა ფრიადითა და თანა წარმოატანა ეპისკოპოზი იოანე და მღჳდელნი ორნი და დიაკონნი სამნი და წარმოუგზავნა ჯუარი [1]) შემკული ოქროთა და თვალითა და მარგალიტითა და ხატი მაცხოვრისა [2]) ეგრეთვე შეკაზმული და მისთანა სხჳა ნიჭი ფრიადი და ურიცხვი და მოსწერა ეპისტოლე და სხჳა ესე ვითარი.

«დიდისა უკჳე ახლისა ჭეშმარიტისა ჰრომისა მთავრისა მიერ ქალაქთასა დიდისა კოსტანტინეპოლისა და ყოვლისა საბერძნეთისა თჳთმპყრობელი და მეფე ავგისტოსი კოსტანტინე, ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა და მართლისა ქრისტიანობისა ებგურად ღირსა ქმნილ ერსა ზედა საზეპუროსა წყალობა აურაცხელისა ღჳთისაგან, ამასთანა უკჳე ფრიად ვიდრემე მოხარულცა მსმენელობასა ზედა საღმრთოთა მეცადინეთა ყოველთათჳს ვითარცა ჩჳენ სახედვე შემრაცხელი სხჳათა ღჳთის მსახურებისა, შენსაცა უკჳე და უფროსღა სხჳათასა მოხარულმან გულითა და ბრწყინვალემან სულითა, მადლობა შევსწირე ყოვლად სახიერსა ღმერთსა, რომელმან სათნო გიჩინა შერთვად სამწყსოთა თჳსთა შორის, რამეთუ ვინათგან უკჳე ფრიად მოხარულობს თჳთ თავადი იგი წმი-

---

1) შემდეგ წმ. ნინოს მოსვლისა მცხეთას, იერუსალიმს ნაპოვ იქმნა წმ. ცხოველს-მყოფელი ჯუარი; შემდგომ ნათლისღებისა მეფისა მირიანისა წმ. კონსტანტინემ გამოუგზავნა მას ფრიად დიდი ნაწილი ჯუარისა, რომელსა ზედა დამსჭუალვილ იყვნეს ფერხნი სამეუფოსანი. ნაწილი ესე ჯუარათ შექმნილ იყო და შემკულ ოქროში ფრიად ძვირფასის თულებით. 629 წელსა ოდეს ჰსძლო საბერძნეთის მეფემ ირაკლიმ სპარსეთი, გამოითხოვა ნაწილი ესე უკან აღარნასი კურაპალატისგან და წაასვენა საბერძნეთს. შემდგომ რაოდენისამე დროსა წმ. ნაწილი ესე დაბრუნებულ იყო კუალად საქართჳელოს, რომელიც იქმნა დასვენებული ანანურის ეკკლესიაში ფრთხილობისათჳს, რათა არ იქმნას დაკარგულ, თუმცა დაკრძალულ იყო იგი ფრიად, არამედ საქართჳელოს უბედურობის გამო წმ. ჯუარი იგი დაიკარგა სრულიად მეფობასა გიორგი XIII-ისა.

2) წმ. მეფე კონსტანტინემ გამოუგზავნა მირიანს ორი ხატი მაცხოვრისა და ღჳთის მშობლისა პირველი იპოება ალავერდის სალაროში კახეთს ოქროთ შემკული, და მეორე რუისის ეკკლესიაში იგივე ოქროთ შემკული.

დათა ანგელოზთა მისთა თანა მოქცევასა ზედა ერთისა სულისასა, რაოდენღა უფროს ესოდენისა სიმრავლისა თუ რაზამნი და ურიცხვნი სულნი მიენიჭებიან შენ მიერ ღმერთსა, რომელსა უკუე ყოველთა მათ წილ აღურიცხველნივე სასყიდელნი განუმზადებიან შენთჳს ზეცათა შინა, რომლისათჳს უფროსღა ამისთჳს ვმოხარულობ რათა არვეობისა ჩუენ შორისისა, არათუ ოდენ მგონებელ ვარ, არამედ უეჭუელად ფრიადცა და დამამტკიცებელ; ხოლო ამასცა უკუე ძალ გცემ სიტყჳთა ჩემ მიერითა რეცა განმამტკიცებელად, ვითარცა უმეცნიერესი საღმრთოსა არვისა, რეცა ახალსა ებგურსა, რათა განძლიერებულმან განაძლიერენ ახალ ნერგნი ერნი უკუდავებისა საწადელად განმზადებულნი, ხოლო აწ შენ მიერ ბრანჯნი [1]) წარმოგვივლენიან უსაზღროთა მხიარულებითა გონებისათა, ეპისკოპოზი იოანე, ორთა თანა მღუდელთა და სამთა დიაკონთა, ხატითა საუფლოჲთა ღუთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტეს სახითა და ჯუარითა პატიოსნითა და სხუითა რომლითაცა აწ ვიდრემე სასწრაფოდ ჯერ იჩინე თუ მეისობისათჳს ყამის მოუთმენელობისა და კუალადცა ნუ მოიქწყენთ რაოდენი რა სახმარ იყოს ჩუენ მიერ თქუენდა მომართ ყოვლისა აღმოსავლეთისა დიდო კეისროსო და ქრისტეს მიერ ძმაო და ჩუენთანავე მეფეო მირიან ცოცხლებით იყოფებოდე, სიყუარული შენი ქრისტეს მიერ ჩუენ შორის და ჩუენი შენ შორის, რომელიცა ჰგიეს უკუნითი უკუნისამდე (ამინ.) ხოლო ვითარცა მოიწია ეპისკოპოზი და მისთანა მღუდელნი და დიაკონნი და მოიყვანეს ხატი საუფლო და ჯუარი, შეიქმნა სიხარული დიდი და გამოუთქმელი ყოველსა ერსა შორის, ხოლო დაუფროისღა ნეტარი ნინო იხარებდა, რამეთუ სრულ ჰყო ღმერთმან ყოვლითურთ საწადელი სანატრელისა მის.

წარიკითხა უკუე ეპისტოლე მეფისა კონსტანტინესი მეფემან მირიან და ყოველნი ზოგად ადიდებდეს ღმერთსა, ხოლო პირველ ესე საცნაურ ვჰყოთ რომელი ღირს არს ძიებისა, რამეთუ ვითა გვიპოვნიე ბერძენთა წერილთაგან გადმოღებულ მცირედ გამოკრებული, ზოგსრე წმიდისა ნინოს მიერ მოქცევა ქართუელთა ნათესავისა, ჭეშმარიტი და უცთომელი თეოდორიტეს მიერ ანტიოქელ ფილოსოფოსისაგან აღწერილი წარმოჩენილ არს წმიდათა მამათაგან, რამეთუ უკუე იგი თეოდორიტე, მეფისაჲ კონსტანტინესაგან წარმოვლენასა ეპისკოპოზისასა, თჳთ ევსტათი ანტიოქელ პატრიაქისასა იტყჳს ქართლოს განმართჳსათჳს საღმრთოთა ჰსჯულთა და საქმეთა განკმაზვისათჳს; ხოლო აქა იოანეს იტყჳს და თუ ვითარ წინა აღმდგომ არს სიტყჳა სიტყჳსა ფრიად საძიებელ არს ესე უკუე; უეჭუელად არს რამეთუ თჳთ თავადი ევსტათი წარმოგზავნილ არს, თეოდორიტე ჭეშმარიტი უწყოდა, ვინადგან იგიცაჲ ანტიოქიელი იყო გარნა ევსტათის გუერდით მაშინ უეჭუელად იოანეცა ყოფილ არს, ევსტათი ამისთჳს რათა მეფე და ყოველი ერი გზასა ვიდრემე ჭეშმარიტებისასა დაავლენოს და ასწაოს და განმართნეს ჰსჯულნი საღმრთონი და რაჟამს დაამტკიცნეს, თჳთ თავადი უკუე კუალად იქცეს თჳსსა მას საყდარსა; ხოლო იოანე რათა დაადგრეს და არა დაუტევნეს ვითარცა ახალ ნერგნი და უსწავლელნი და საზრდელისა მტკიცისაგან ჯერეთ უცხონი და ჯერეთცა სძის მოქენენი.

და ესე უკუე საცნაურ არს, რომელ იოანე კუალადცა წარგზავნეს წინაშე მეფისა კონსტანტინესსა, ჭეშმარიტისა ძელისათჳს ვითარცა აჴა აწ ესერა წერილ არს, ვითარმედ მეფემან მირიან წარავლინა კუალადცა ეპისკოპოზი იოანე კონსტანტინე მეფისა და მისთანა ერთი წარჩინებულთაგანი

1) ბრანჯნი ანუ ფრანგნი, აწინდელნი ფრანცუზნი.

მთავარი თხოვად რათა მოანიჭოს ნაწილი ძელისა ცხოვრებისა, რომელიცა უკუე თჳთ მებრ მას ოდენ ჟამსა გამოეჩინა ღმრთის მოყუარესა დედოფალსა ელენეს და ითხოვნა მღდელნიცა მრავლად, რათა არა ვისისა სულისა განხრწნა იქმნას თჳნიერ ნათლისცემისა და ყოველმან ერმან ქართლისამან ნათელ იღოს; და ითხოვნა ქვთ ხუროვნიცა აღშენებისათჳს ეკკლესიისა. ხოლო ღმრთის მსახურმან მეფემან და მხურვალემან ტრფიალმან საღმრთოთა საქმეთამან, სიხარულით უკუე მიანიჭა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა და ფიცარნიცა იგი, რომელსა ზედა დამსჭუალნეს ფერხნი უფლისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესნი და წარმოუკუეტანნეს მღდელნი და ხუროვნიცა და რაჲენება ყოველივე უკუე სათხოვარი აღუსრულა ყოვლად საღმრთომან მან დიდმან სანატრელმან მეფემან და ვითარცა წარმოვიდა ეპისკოპოზი იოანე და მისთანა მოციქულნი, მოიწივნეს ადგილსა, რომელსა ჰრქვიან ერუშეთი[1]) და მუნ დაუტევნა ქვთ ხურონი იგი საქმედ ეკკლესიისა და სამსჭუალნი[2]) იგი უფლისანი დაუტევნა და წარმოვიდა და მოვიდა მანგლისს, და იწყო მუნცა ეკკლესიისა შენებად და დაუტევნა ფიცარნი იგი უფლისანი; ხოლო ვითარცა ცნა ესე მირიან მეფემან ფრიად შეწუხნა, რომელ არა პირველად სამეფოსა ქალაქსა მოვიდეს, რათამცა პირველად მუნ ეწყო შენებად ეკკლესიათა.

და უფროსღა ესე საჭიროდ აღუჩნდა რომელ სამსჭუალნი და ფიცარნი მუნ დაეტევნეს, ხოლო წმიდამან ნინომ ნუგეშინისცა ესრეთ მეტყუელმან ვითარმედ: «ნუ უკუე მწუხარე ხარ ჵოი მეფეო, რამეთუ ესრეთ ჯერ არს ვითარცა მოვიდოდის ეგრეთვე სთესვიდნეს თესლთა ღმრთის მსახურებისათა, რამეთუ ამას სამეფოსა ქალაქსა შინა, რომელ საუნჯენი მოუნიჭებიან ყოვლად სახიერსა ღმერთსა, ყოვლისა უკუე სოფლისა დიდებადცა და მეტყუელად კმა არიან კუართი უფლისა მხსნელისა და მაცხოვრისა ჩუენისა; და სუეტი ესე წმიდა განმანათლებელი და ნათელ მყოფელი სულთა და გონებათა ჩუენთა». ხოლო ამას ზედა უკუე რეცა მცირედ აღშფოთებულ იქმნა მეფე მწუხარებისაგან მაშინ უკუე მეფემან მოიყუანა აბიათარ მღდელი, და მისთანა სხუანიცა მრავალნი ჰურიანი და გამოიკითხნა მათგან ჭეშმარიტი და ცნა ყოველივე ზედ მიწევნით კუართისათჳს უფლისა, ვითარმედ უეჭუელად ჩუენ შორის მდებარე არს საუნჯე იგი ფასდაუდებელი, მაშინ უკუე მეფე აღივსო სიხარულითა გამოუთქმელითა აღიპყრნა ხელნი ზეცას და თქუა, კურთხეულ ხარ შენ ქრისტე ძეო და სიტყუაო ღმრთისაო, რომელი წინასწარ განაგებ ყოველსავე სიბრძნით, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჭეშმარიტი ცხოველი, რომელმან გამოგვიხსნენ ტყუე ქმნილნი ხელთაგან ეშმაკისათა და რომელმან ცხოვრებისათჳს ჩუენისა წინასწარვე განგებულებით წარმოავლინე, წმიდა და ყოვლად განათლებული ნათლითა უზეშთაესისა მის და მფლობელისა გუამისა შენისა წმიდისა დამფარველი წმიდა სამოსელი შენი წმიდით ქალაქით იერუ-

1) ერუშეთის საზღვარი ანუ აწინდელი საახალციხო. საზღუარსა შინა ამისასა მცირე მდინარესა ზედა, რომელსა ეწოდების ერუშეთი აწ ჰსდგას მაგიერ უწინდელის ქალაქისა მცირე დაბა, რომელსაც ერუშეთი ეწოდების, მას შინა აქამომდე ჰსდგას ეკკლესია აღშენებული იოანე ეპისკოპოზის მიერ. ნახე გეოგრაფია ვახუშტისა გუერდი 104.

2) სამსჭუალი ანუ ლურსმანი. სამსჭუალი იგი, რომელიც იყო მოტანილი საბერძნეთით საქართველოს, შემდეგ საქართველოს აოხრებისა შაჰაბაზის მიერ XVI საუკუნეში, მან წარუგზავნა რუსეთის მეფეს მიხაილ თეოდორისძეს, რომელმან დაასუენა დიდის კრძალულებით მოსკოვის მიძინების საპატრიარხო კრების ეკკლესიაში.

სალიმით, ქალაქსა ჩჳენსა და სამეფოსა და ჩჳენ მცჳელად უკჳე მხსნელად და მაცხოვრად სულთა და ხორცთა ჩჳენთა მოგჳანიჭენ, ამისთჳს უკჳე მოხარულნი გმადლობთ შენ და გაკურთხევთ დიდების მეტყჳელებით დაუცხრომელითა, რამეთუ წმიდა ხარ შენ უკუნითი უკუნისამდე (ამინ.)

ხოლო მეფე და ყოველი ერი უმეტესადღა განემტკიცნეს ჭეშმარიტსა ქრისტიანობასა ზედა და ვინცაღა დაშთომილ იყჳნეს ყოველნივე ნათელს იღებდეს სახელითა უფლისა იესო ქრისტესითა, რამეთუ მეფემან და დედოფალმან და უმრავლესმან ქართჳელთა ნათესავმან, პირჳელვე უკჳე ნათელს იღეს რაჟამს იგი პირჳელ ეპისკოპოზი მოვიდა და იყო სიხარული დიდი გამოუთქმელი და ჰმადლობდეს ყოველნი ერთობით და ადიდებდეს ღმერთსა. ხოლო იწყეს შენებად ეკკლესიისა ქალაქისაგან გარეთ და ყოველთა მათ ზედა საყოფელთა წმიდისა ნინოსთა და ვითარცა ჰყჳეს ყოველითა მოსწრაფებითა და გულსმოდგინებითა, იწყო წმიდამან ნინო ლოცვად ხელ განპყრობილმან აღმოსავლით და თქჳა.

«კურთხეულ ხარ უფალო ღმერთო ძეო ღჳთისაო იესო ქრისტე და მამა უფლისა ჩჳენისა იესო ქრისტესი, რომელმან მოავლინა სიტყჳაჲ მისი ქჳეყანად წყალობისათჳს და ცხოვრებისა ნათესავისა კაცთასა, და იშჳაჲ ქჳეყანასა ზედა მსგავსებითა ჩჳენითა, სიმდაბლისა უკჳე ესე ხორცნი შეიმოსნა, ღმერთი განკაცნა და კაცნი განაღმრთვნა ტყჳე ქმნილნი და მონებით გამოგჳტაცნა ხელთაგან ბოროტისა მის და უკეთურისა მთავრისათა და ზეცისაჲ სიმაღლეს აღსლვად ღირს გვყჳნა უკეთუ ოდენ ვიპოვნეთ მორჩილ ბრძანებათა მისთა, ესე უკჳე ნათელი ჭეშმარიტი ნათლისაგან ჭეშმარიტისა შობილი და არა ქმნილი, ვითარცა მაშინ ჩჳენისა ცხოვრებისათჳს ივნება ნებსით თჳსით, ესრეთვე თანა ღმობით აწცა და მარადის, მოურნეობს ჩჳენისა წყალობისათჳს და მის მხოლოსა წარმართებულ არს ყოველი ცხოვრება ჩჳენი, რამეთუ მასა ჰშჳენის ყოველი დიდება და სიმტკიცე».

ხოლო ადგილსა ერთსა კლდესა ზედა ჰსდგა ხე ერთი ფრიად შჳენიერი და საკჳრველებითა რაითამე მიუთხრობელითა სულნელი და იქმნებოდა ხესა მას ზედა საქმე საკჳრველი, რამეთუ ისარცემული ნადირი, რომელიცა უკჳე მივიდის და ჰსჭამის ხისა მისგან ფურცელი გინათუ თესლი ჩამოცვინებული მყის განერის სიკჳდილისაგან და ღაცათუ ფრიად სასიკჳდილინესა ადგილსა წყლულ იყვის.

ესე უკჳე დიდად საკჳრველ უჩნდეს პირჳელთა მათ წარმართთა რაოდენ ღირს იყვნესცა საკჳრველებისა, ხოლო აუწყეს ეპისკოპოზსა ხისა მისთჳს, და ვითარცა მოვიდა ხილვად ეპისკოპოზი იოანე, თქჳა ესრეთ: ჭეშმარიტად ნამდჳლვე პირჳელიდგან განგებულ არს ღჳთისა მიერ ამის სამეფოსა წინასწარითა მოსწრაფებითა წყალობა და ცხოვრება; რამეთუ პირჳელად ყოვლისა სოფლისა განმანათლებელისა კჳართისა წარმოვლინებითა და ამის ხისა სურნელისა აღმოცენება უკჳე ვიდრემე საცნაურ ჰყოფს და ნამდჳლვე უეჭჳელად ჟამისა ამისთჳს დამარხულ არს, რამეთუ აწღა მოეფინ, მადლი ღჳთისა ქართლისა სამეფოსა ზედა და ამის ხისაგან უეჭჳელად ჯერ არს შექმნად ჯჳარი პატიოსანი, რომელსა თაყჳანისცემდეს ყოველნი სიმრავლენი ერთი ღჳთის მსახურთა მორწმუნეთანი, ხოლო ამის ხისა რომელსა წარმოჩენად და ზოგსრე სახისა გამოცხადებად საჭიროდ უკჳე ჰსათანადო არს ჩჳენდა; რამეთუ იხილეთდა უკჳე საკჳრველი და გულის ხმა ჰყავთ, რამეთუ რომელი იგი სამოთხესა შინა დანერგულ იყო ხე, მისგან გემოს ხილვამან, ყოველი ნათესავი კაცთა ერთობით სიკჳდილსა მისცა, ხოლო ამის ხისა ჭამითა აქა რომელნიც იყჳნეს სასიკჳდილონიცა წყლულნი განიკურნებიან, არამედ რაჲმე უკჳე იყოს ძალი საიდუმლოსა ამის საყჳარელნო. ხოლო

უკუეთუ კეთილად გულის ხმა ვყოთ ფრიადისა ვიდრემე ძიებისა ღირს ვიგონე, რამეთუ ვინათგან ყოვლად სანატრელი და კურთხეული ესე ხე, ესე ვითარსა საძირკუელსა ზედა აღორძნებად ღირს იქმნა, რაჲ უკუე საკჳრველ არს უკეთუ რაოდენიცა და საკჳრველნი სასწაულნი იქმნებოდიან.

რამეთუ დაღაცათუ ხე იგი ადამის შჯულისმიერი მომსპოლეველი სამოთხეს დანერგულ იყო, არამედ ესე უკუე მას ზედა დანერგულ იყო, რომელსა სასწაულ ჰყოფს ნეტარი პავლე მოციქული, ვითარმედ სულიერისა მისგან სუმიდეს კლდისა რომელიცა შეუდგა. ხოლო კლდე იგი იყო ქრისტე. უშურველი და ჭეშმარიტი არს სახე და ძალი ამის მადლისა მიმნიჭებელი ძალსა კურნებათა და სასწაულთასა, რომელი უკუე აწა ესერა და შემდგომიცა ვიდრემე სრულ ვჰყოთ სასურველი ძიებისა, შეწევნითა ღმრთისათა. ხოლო უკუე რევ ძე მეფისა და ეპისკოპოზი იოანე, და სიმრავლე ერისა მის თანა წარვიდეს და მოჰკუეთეს ხე იგი და წარმოიღეს რტოთურთ თჳსით და მოაქუნდა იგი ათსა ათეულსა კაცთასა ზე ტვირთჳთ რტო თურთ, განსაკჳრვებელი სიტურფესა ზედა შემახედაობისასა, რამეთუ რაჟამს უკუე ყოველი ხე ხმელად და ნაყოფთაგან თჳსთა ობლად იხილვებოდა და იგი ოდენ ხოლო მხოლო მწუანოდა და სიტურფითა მისითა და სურნელებისა ყნოსითა ყოველნივე იადულებდეს მისგან ნერგნი და მაღნარნი, ვისნიმცა უკუე სახედველნი არს შუენიერებისა მის შესახედავისასა. ხოლო აღმართეს ხე იგი კარსა ეკკლესიისასა სამხრით კერძო სადა იგი ნიავი ჰბერვიდა ნელიად და შუენიერად შლიდა ფურცელთა ხისათა და ნარნარად ძრვიდა რტოთა მისთა, ხოლო იყო ხილვა მისი მახარებელ ყოველთა მხედველთასა.

ხოლო იქმნა მოკუეთა ხისა მის მარტსა ოცდა ხუთსა დღესა პარასკევსა და დადგრა ხე იგი ეგრეთ შეუცვალებელ ფერსა ზედა თჳსსა და შუენიერებასა დღესა ოცდა ათექუსმეტსა და ვითარცა თჳსისა ძირისაგან ყოვლად არა შეცვალებულ იყო, ესრეთ ეგო სიტურფესა ზედა თჳსსა, ვიდრემდის ყოველნი ხენი მაღნარისანი შეიმოსნეს ფურცლითა და ყოველნი ხენი ნაყოფის გამომღებელნი შეიმოსნეს ყვავილითა ფერად ფერადთა,

მაშინ უკუე მასვე შუენიერებასა ზედა გებული, განკუეთეს ხე იგი თუესა მაისისა ერთსა და შექმნნეს ჯუარნი ოთხნი და შვიდისა მაისის თუისასა აღმართეს ფსალმუნითა და გალობითა, და იყო სიხარულსა შინა დიდსა მეფე და ყოველი ერი და ქალაქი, ამისსა შემდგომად უკუე იყო სხუა ხილვა საკჳრველებისა, რამეთუ ყოველთა მათ დღეთა ხედვიდეს ყოველნი იგი ერნი და ქალაქი სრულიად, რამეთუ ჯუარი ცეცხლისა ჩამოვიდის ზეცით და ეკკლესიასა მას ზედა, რომელსა ჯუარნი იგი ესუენნეს, გჳრგჳნითა ვარსკულავნითა დაადგრის ვიდრე განთიადმდე და რიჟურაჟს ოდენ განკრთიან შორის ორნი ვარსკულავნი და ერთი წარვიდის აღმოსავლეთით, ხოლო ერთი დასავლით, და იგი თავადი ეგის თჳსსა მას ადგილსა ბრწყინვალედ და ნელად განვიდის წყაროსა მის ზემო კერძო არაგვისასა დაადგრის ბორცუსა მის კლდისასა, რომელი აღმოაცენეს ცრემლთა წმიდისა ნინოსთა [1]) და მუნით კუალად ზეცად ამაღლდის, ხოლო ესე მრავალ გზის იხილვებოდა

---

1) სუეტის-ცხოვლის კრების ეკკლესიის პირდაპირ, არაგვის მდინარის გაღმა, წმ. ჯუარის ეკკლესიის სამხრეთის მხარეს ძირს, შორიდამ მოჩანს კლდესა ზედა მცირე ხეობა, ფრიად ფურცლოვანი, შუაკლდეში გამოქუაბულ არს მცირე ეკკლესია, რომელიც ნახევარი ყოფილ არს ნაშენი აწ დარღვეული წმ. მოციქული ნინოსი, იმ ეკკლესიის ძირში კლდიდან გამოდის მცირე წყარო ფრიად შუენიერის გემოსი, რომელსა უწოდებენ ძუძუს წყაროთ. წყარო ესე არს გამოთხოვილი წმ. ნინოს ცრემლით, ოდეს დაემალა ნეტარი ამ ქუეყნის ამაო დიდებასა. რომელთა დედათა შობიერობის შემდეგ დაეშრიტების ხოლმე რძე — მივლენან იმ წყაროსთან, უთევენ მოწიწებით ღამესა იმ წმ. ეკკლესიის კუერდზე და შემდეგ მხურვალისა ლოცუისა წმ. ნინოს მიერ მიეცემის ხოლმე რძე ყრმათათჳს.

ყოველთაგან, მაშინ უკუე იწყეს კითხვად წმიდის ნინოსსა, გვაუწყე უკუე დედაო სანატრელო და მაცხოვარო ჩუენო, თუ რაჲ უკუე არს სახილველი ესე საკჳრველი, და თუ რასა მოასწავებს ვარსკულავთა მათ განყოფანი აღმოსავლით და დასავლით და უმთავრესისა მის ზეცად ამაღლებაჲ.

ხოლო წმიდამან ნინო ჰრქუა მათ, «განავლინენით უკუე კაცნი მთათა ზედა მაღალთა აღმოსავლით ვიდრე კახეთისა მთადმდე და დასავლეთით ვიდრე სანახებადმდე ამის ქალაქისა, რაჲამს განთიად ოდენ სოფლის ჰსმენთა სიმართლის დღისასა, რათა გამოძიებით პოვნენ ადგილი იგი თუ სადა ვიდრემე დაადგრებოდიან» და ვითარცა თქუა ესე წმიდამან ნინო, მეფე უკუე შეუდგა საქმით აღსრულებასა სიტყჳსასა და შეიცვნა თავნი მთათანი კაცთა მიერ, ხოლო დღე იგი იყო პარასკევი და შაბათი განთენდებოდა, ხოლო ეგრეთვე იქმნა იგივე სასწაული პირველ ხილული და ხვალისა დღე მოვიდეს ორკერძოვე იგი ებგურნი მიუთხრეს მეფესა და წმიდასა ნინოს, რამეთუ ერთისა მის დასავლეთით თხოთისა მთისა მიწევნა მიუთხრეს, ხოლო აღმოსავლეთისა მის ბოლს კუხეთისა ქუეყანასა მიწევნა მიუთხრეს, და ორთავე მათ ესრეთ უკუე საცნაურ იქმნა საზღვარი, მაშინ უკუე უბრძანა ნეტარმან ნინო წარსხმა ორთა ჯუარითა, ერთისა აღმართება თხოთისა მთასა [1], ხოლო მეორისა უბრძანა სალომეს მხევალსა ქრისტესსა, რათა წარიღოს ერთი ჯუარი უჯარმოს ქალაქსა [2] და მუნ აღმართოს, რამეთუ დაბისათ მისთჳს რომელ ეწოდების ბოლი, შემდგომად უკუე საცნაურ იქმნეს ჟამსა თჳსსა განგებულება ღმრთისა. ხოლო ვითარცა უბრძანა წმიდამან ნინო ეგრეთცა უკუე ჰყვეს, ხოლო თავადი ესე ჯუარი პატიოსანი მესამე უწყებითა ზეგარდამოთა აღმოიყვანეს ზე ბორცუსა მას ქუეშე წყაროსა მას ზედა, სადა დიდი იგი უმთავრესი ვარსკულავი აღმოვიდეს ნელად ნელად და ათიეს ღამე ლოცვათა და ვედრებითა ღმრთისათა.

ხოლო წმიდა და ნეტარი ნინო შეაზავებდა ნეკტარსა ცრემლთა წყაროსა მას თანა აღმომდინარესა და იქმნებოდეს სასწაულნი ფრიადნი და ურიცხუნი, ხვალისა დღე უკუე აღვიდეს კლდესა მას ზედა და მოვიდა ნეტარი ნინო ბორცუსა მას ზედა ზე და დავარდა პირსა ზედა თჳსსა ქუათა მათ ზედა და ტიროდა ღმობიერად ვიდრემდის დაალტო ყოველი იგი იატაკი ცრემლითა და ღმობიერ იქმნეს ფრიადსა მას ტირილსა ზედა ნეტარისა ნინოსსა, ყოველნივე მეფენი და მთავარნი და ყოველნი ერი და ტიროდეს ყოველნივე საშინელად ვიდრემდის ხმა ჰსცემდეს მთანიცა ძლიერად ტირილსა მას ზედა მათსა, ხოლო რეცა ქუანიცა გოდებდეს ესრეთ უკუე საგოდებელი იყო. ხოლო წმიდამან ნინო დასდვა ხელი ერთსა ქუასა და ჰრქუა ეპისკოპოზსა, მოვედ უკუე ჟამი მეუფეო, რამეთუ შენდავე ვიდრემე ჯერ არს რათა დასწერო ჯუარი ქუასა ამას, რამეთუ მწყემსი ხარ ცხოვართა პირმეტყუელთა, ხოლო ეპისკოპოზმან დასწერა ჯუარი და აღმართნეს ადგილსაჲ მას ჯუარი იგი დიდებული დიდებით და მოდრკა სიმრავლე იგი ერისა და თაყუანისცეს ჯუარსა მას და აღიარეს

---

1) ყოვლად პატიოსანი ჯუარი ესე სრულიად კაცის სიმაღლე აწ ქალის კარის ეკკლესიაში ჰსდგას, რომელიც ეკუთნის ამილახვრიანთა, შემკული ოქროთი და თუალ მარგალიტითა ქართლს.

2) უჯარმის ქალაქის მაგიერათ აწ დაბა არს, რომელიც ჰსდგას იორის მდინარის მარცხნივ მხარეს; აქამომდე დაბის მახლობრივ უწინდელის ქალაქის შენობანი ჰსჩანან. უჯარმა უწინ ფრიად დიდი სავაჭრო და მდიდარე ქალაქი იყო, რომელსა შინა ჰსცხოვრებდნენ კახთ მეფენი, აღუშენია მეფე საურმაგს (237—162 უწინარეს ქრისტეს შობისა).

ჯუარცმული ქრისტე ჭეშმარიტად ძედ ღმრთისად ცხოველისად და ღმრთად ჭეშმარიტად[1]. ხოლო დიდ დიდნი იგი მთავარნი არა განეშორებოდეს ეკკლესიასა წმიდასა, სუეტსა ნათლისასა და ჯუარსა მას პატიოსანსა, რამეთუ ხედვიდეს სასწაულთა ურიცხუთა და კურნებათა. ხოლო დღესა კჳრიაკესა შინა აღვსებისა, ჰყო მეფემან მირიან და ყოველთა მთავართა და ყოველმან ერმან დღესასწაული ჯუარისა პატიოსნისა და იქმნა შესაწირავი დიდი ყოვლისა მის ერისაგან მას დღესა შინა და განაწესეს დღე იგი ზატიკად დღესასწაულად, მიერ ჟამითგან ვიდრემე დღეინდელად დღედმდე და იყო რაოდენსა მე დღესა შემდგომად მარტჳლიისასა[2]) იხილეს სხუა სასწაული საკჳრველი და საშინელი დღესა ოთხ შაბათსა, რამეთუ აჰა ესერა სუეტი ერთი ნათლისა სახედ ჯუარისა დგა ჯუარსა მას ზედა და ათორმეტნი ვარსკულავნი, სახედ გჳრგჳნისა გარემოს მისსა, ხოლო ბორცჳ იგი ჯუარისა კუმოდა სულნელებასა გამოუთქმელსა, რამეთუ ვითარცა ხედვიდეს სასწაულსა ამას ყოველნი, მრავალნი უკუე ულმრთოთა მათ წარმართთაგანნი მოიქცეს და ნათელს იღეს მას დღესა შინა ურიცხუმან სიმრავლე-მან და შემდგომითი შემდგომად ნათელ იღებდეს. ხოლო მორწმუნენი განმტკიცნებოდეს უფროსად და უმეტესად და ყოველნივე მოხარულნი ადიდებდეს ღმერთსა, კუალად უკუე სხუა სას-წაული იხილვა ჯუარისავე, რამეთუ ვითარცა რა ცეცხლი მზისა შჳდ წილად უბრწყინვალესი დაად-გრა თავსა ზედა მისსა და ვითარცა შანთი[3]) ელვის სახენი კრთებოდეს, ხოლო ზეცით ნათლისა მას ზედა ანგელოზნი უფლისანი თუალითა უბრწყინვალითა აღვიდოდეს და გარდამოვიდოდეს მას ზედა. ხოლო ბორცჳ იგი ჯუარისა იძვროდეს ძლიერად და რეცა მოსწიეს იგი საცნაურ ჰყოფ-დეს სიხარულსა მას გამოუთქმელსა და უხილავნი ხმა მაღლად ძნობით ხმობდეს დიდებითა მისა სა-კჳრველისა, ვითარმედ «მთანი იმიერით ვითარცა ვერძნი და ბორცუნი ვითარცა კრავნი ცხოვართა-ნი». ხოლო ვითარცა იხილეს სასწაული იგი და უკჳრდა ყოველთა და უფროსად და უმეტესად ადი-დებდეს ღმერთსა, ხოლო ვითარცა იქმნებოდეს წლითი წლად სასწაულნი იგი ურიცხუნი, ყოვე-ლი იგი ერი მოვიდოდეს შიშით და სურვილით, და იყო სიხარული დიდი და გამოუთქმელი ყოველ-თა ზედა.

და თაყუანისცემდეს გულს მოდგინედ და იქმნეს ყოველნივე სასოებას შემოსილ, მაშინ [illegible]-რევს ძესა მეფისასა ესუა ყრმა წული მცირე და იყო იგი შეპყრობილ სენითა სასიკუდინოთა და ამის მიზეზისათჳს ფრიადსა გლოვასა და მწუხარებასა შინა იყვნეს, რამეთუ იგი ოდენ მხოლოდ ესუა მათ, მოიღო იგი და მისცა წმიდასა ნინოს და ჰრქუა ძემან მეფისამან, უკეთუ ლოცვითა შენითა განიცოცხლოს ძე ესე ჩემი მომკუდარი ამან ჯუარმან, შენ უკუე მიგეც თავს დებად სანატრელო დედაო, რათა აღუშენო კუბო შემსგავსებული ძალისა ჩემისა და ვითარცა ესე თქუა, მოიღო ყრმა იგი წმიდამან ნინო და დადვა წინაშე ჯუარსა მას და ცრემლით ევედრებოდა და იტყოდა ესრეთ:

1) ყოვლად პატიოსანი ჯუარი ესე მცხეთის საკათალიკოზო კრების წმ. სუეტის-ცხოვლის ეკკლესიასა შინა ჰსდგას საკურთხეველში წმ. ტრაპეზის უკან, სახილველათ და თაყუანისსაცემლათ ყოველთათჳს, ჯუარი ესე გამო-სუენებულ იყო, მცხეთის პირდა პირის ჯუარის ეკკლესიიდგან მეთორმეტე საუკუნეში, ოდეს თამერლანმან ანუ ტიმურლანგმან აღაოხრა სრულიად საქართველო, რომელიც დიდის მოწიწებით აწ არა უწყით თუ სადამე დაცუ-ლი იყო იგი. 1725 წ. იქმნა პოვნა მისი და შეჭედა ვერცხლით მეფის თეიმურაზის მეორის მიერ, რომელმან პატიო-სნებით დაასუენა საკათალიკოზო ეკკლესიაში.

2) მარტჳლია ანუ სულის-წმიდის მოფენის დღე.

3) შანთი, წითლადმდე გაცეცხლებული რკინა.

«შენ უფალო, რომელმან დასაბამსავე მიწისაგან კაცი დაბადე, რომელი მოაკუდინებ და აცხოვნებ, რომელი შთაიყვანებ ჯოჯოხეთად და აღმოიყვანებ, რომელი მეორედ მოსლვითა შენითა დიდებულითა აღადგინებ ყოველთავე და უჩინოთა და უარსოთა, მეყსა შინა ცხოველად წარმოადგინებ საკჳრველებით შენვე უკუე მეუფეო თავად მიეც მხოლოდ შობილი ყრმა ესე მცირე ცოცხალი მშობელსა მას მისსა, შეწევნითა და ძალითა წმიდისა ამის პატიოსნისა ჯუარითა», და ვითარცა ესე ლოცვა (სრულ ჰყო), მეყს განცოცხლდა ყრმა იგი და ყოველნივე ერთობით ადიდებდეს ღმერთსა; ამისსა შემდგომად უკუე მოვიდა ძე მეფისა რევ აღსრულებად აღთქმამისა თჳსისა და ყოველივე სიხარულითა აღუშენა კუბო შუენიერი, და დაუცადებელად მოვიდოდის მადლის მიცემად ღმრთისა და ჯუარისა პატიოსნისა, ხოლო მოვიდოდეს ყოველნივე და თითოფერითა სახითა შეპყრობილნი სნეულებითა და მეყს განიკურნებოდეს და ყოველნი სიხარულით ჰმადლობდეს და ადიდებდეს ღმერთსა და ჯუარსა ქრისტესსა პატიოსანსა.

იყო ვინმე მამაკაცი ჭაბუკი და ორნივე თუალნი დაბრმობოდეს, ჯდა უკუე იგი მწუხარე წინაშე ჯუარსა ქრისტესსა, ევედრებოდა დღე და ღამე და შვიდისა დღისა შემდგომად, სცხეს ევლოგია ჯუარისა თუალთა მისთა და მეყს აღეხილნეს და უმჯობეს პირუელისა მხედველი, სიხარულით ადიდებდა ღმერთსა.

კუალად სხუა ვინმე დედაკაცი იყო ფრიად გუემული სულთაგან არა წმიდათა, რამეთუ ფრიად ბოროტ იყო გუემული იგი მისი ესოდენ, ვიდრემდის გონებისაგანცა სრულიად შეცვალება შემთხვეოდა და სამოსელსა თჳსსა დაიპებდა და ვითარ შემოიყვანეს წინაშე ჯუარისა პატიოსნისა და შეამთხვიეს და შემდგომად ათორმეტისა დღისა განიკურნა და ყოვლითურთ უვნებელი წარვიდა, თაყუანისცა მოხარულმან ჯუარსა პატიოსანსა და ადიდებდა ღმერთსა.

კუალად სხუა ყრმა მცირე ცბოდა უკუე ჩუეულებისაებრ ყრმათა თჳსა უსაკუთასა, ხოლო ეშმაკისა მანქანებითა შეუბრკმა და დაეცა და მეყსა შინა მოკუდა, ხოლო დედამან მისმან საწყალობელმან ტყებითა სასტიკითა და გოდებითა მწარითა, ყოველნი იგი ერნი გოდებად და წყლულებად მოიზიდნა მისსა მიმართ და ყოველნი ტირილად აღძრნა, ვითარცა შეჰგავს უბადრუკსა დედასა ძესა ზედა საყუარელსა საწყალობელად მგოდებელსა და ესრეთ უკუე სალმობიერად გოდებდეს ყოველნი და ტკივნეულობდეს ვითარცა თჳსსა ნაშობსა ზედა. ხოლო ვითარცა შემოკრებულ იყუნეს ყოველნი მისსა, რომელნიმე გოდებისათჳს და ნუგეშინისცემისა, ხოლო რომელნიმე უცხოსა და საკჳრველისა გლოვისა ხილვად; მეყს უკუე ვითარცა განცოფებულმან დედამან მისმან აღიტაცა ძე მისი მკუდარი და რაოდენ ეძლო სრბით მოვიდა და წინაშე ჯუარსა დააგდო, ხოლო თჳთ ჯუარსა პატიოსანსა ვითარცა მოკუდავი მოეხვია საწყალობელად სალმობიერი; ხოლო ერნი იგი ეტყოდეს ვითარმედ, დედაკაცო ნუ აწყენ აქა შემოკრებულთა ამათ ერთა, აღიღე ძე ეგე შენი მკუდარი და დამარხე, ნუ უკუე აყროლდეს, ხოლო დედაკაცი იგი დაღაცათუ გონებისაგან შეცთომილ იყო, გარნა ვითარცა ბრძენი ეტყოდა ესრეთ, ვითარმედ უკეთუ მე ძისა ჩემისათჳს ესრეთ შელმის და საწყალობელად ვიგუემები უბადრუკი, ხოლო არა-უფროსღა მისსა ჯერ არს თანალმობაჲ რომლისა მიერ დადებულ იყო და ესეღა რომელ იგი კაცთმოყუარე და სახიერი არა ვიდრემე კაცობრივითა ბუნებითა არს, არამედ ღმრთაებრივითა სახიერებითა, აწ უკუე უწყოდეთ ყოველთა, რამეთუ არა წარვიდე აქათ, არამედ ძესავე ჩემსა თანა მოვკუდე აქა საწყალობელად და ერთბამად მწუხარეებით მივეცნეთ ჯოჯოხეთსა; რამეთუ დამბადებელსა უფროს ელმის დაბადებულთათჳს. ხოლო ვითარცა ესე წართქუა დედაკაცმან მას სასოება შემოსილმან, მეყს უკუე ნათელი

გამოკრთა ჯჳარით ვითარცა ელვა; და ხმა რაიმე გამოჰყუა ნათელსა მასთანა ტკბილი და ნამდჳლვე ნათლისა შესაბამი, ესრე მეტყჳჱლი ვითარმედ: «ჵოი დედაკაცო! დიდ არს სარწმუნოება ეგე შენი და მელმის ტკივნეულობასა მაგას შენსა ზედა, რამეთუ შენისა მაგის სასოებისათჳს, მიგანიჭებ უკჳჱ ძესა შენსა ცოცხალსა, ნურღარა უკჳჱ ტკივნეულ არს გული შენი და ნუცაღა ვიდრემე აწუენ-ქა შემოკრებულთა ამათ ერთა»; ხოლო ვითარცა ესე ჰსთქჳა ხმამან საღმრთომან, მეყსა შინა წარ-მოხლდნა ურმა იგი ყოვლად გაცოცხლებული და ჯჳარსა და დედასა სწორედ მოეხვია და ამბორს უყოფდა ჯჳარსა მას წმიდასა. ხოლო დედაკაცი იგი განკრთა ანაზდათსა მას ძისა მისისა შეცჳალე-ბასა ზედა და კნინღა უსულო ქმნილი მყოვარ ჟამ გაბრუვებული ჯჳარსა მას მოხჳჱული ვითარ-ცა მკჳდარი შემსჭჳალულ იყო; ხოლო მეფე დ̃ ყოველი იგი ერი განკჳრჳჱბულ იქმნნეს ერთბამად ორისავე საქმისათჳს, ერთად უკჳჱ დედაკაცისა მის სასოებისათჳს დ̃ სარწმუნოებისა, ხოლო მეო-რედ ესოდენ უცხოსა და საკჳრჳჱლისა ანაზდათისა განკჳრჳჱბისათჳს და ყოველნი ერბამად სიხა-რულითა აღსავსენი ჰმადლობდეს დ̃ ადიდებდეს ღმერთსა, ამის უკჳჱ ხილვასა ზედა უფროსღა შე-ქმნა ყოველთაჲ სურვილი და ტრფობაჲ.

და მოვიდოდეს ყოველნივე ყოვლით კერძო, რამეთუ ყოველთა შორის იქმნა მხურვალებაჲ საღმრთოსა შურისა. მრავალნი უკჳჱ უშჳლონი მოვიდოდეს სასოებითა და ევედრებოდეს და ყო-ველთა აღუსრულდებოდა სათხოველი მათი წადიერებით შჳლის მიცემითა და ესრეთ მოხარულნი და გულ სავსე ქმნილი ადიდებდეს ღმერთსა მოქმედსა საკჳრჳჱლებათასა დ̃ არა ხოლო ოდენ იგინი მიემთხჳჱოდეს საწადელსა რომელნიცა მოვიდოდიან, არამედ რომელნიცა უკჳჱ სასოებით ევედ-რებოდიან შორით, იგინიცა უკჳჱ სწრაფით მიემთხჳჱოდეს შეწევნასა პატიოსნისა ჯჳარისასა, მრავალნი უკჳჱ უღმრთონი ქედ ფიცხელნი და უგლიმნი არა მოუდრკებოდიან და სახიერმან მან მკურნალმან სულთა და ხორცთამან, ჭიმითა და აღვირითა უქცივნის ღაწუნი მათნი, რომელნი მას არა მოეახლნეს და განსაცდელნი მოუღინნის.

და ჭირისაგან იძულებულნი შევედრნიან და ორკერძოვე სულით დახორცით განკურნებულნი ჰმადლობდიან და ადიდებდიან ღმერთსა და ჯჳარსა პატიოსანსა თაყჳანისცემდეს, ესრეთ უკჳჱ იყო სიხარული დიდი და გამოუთქმელი ყოველსა შორის ნათესავსა ქართჳჱლთასა, რამეთუ უძლურნი დ̃ ჭირვეულნი კურნებასა მიემთხჳჱოდეს, რამეთუ ცოდჳილნი ცოდჳათაგან განთავისუფლდებოდეს, ხოლო უჭირველნი სიხარულით ადიდებდეს ღმერთსა და წარმართთაგანთა და უღმრთოთა, რომელ-ნიცა სადა იყჳნეს დ̃ ესმოდა ყოველნი ერთბამად განკჳრჳჱბულ იყჳნეს და მრავალნი და ურიცხჳნი მეცნიერებად ჭეშმარიტისა ღჳთისა მოვიდოდეს, და ყოველნი ყოვლით კერძო ადიდებდეს ღმერთსა რომლისაჲ არს დიდება უკუნითი უკუნისამდე (ამინ.)

ესე უკჳჱ ვიდრემე აღლაგმულ ვჰყო სიტყჳა მეტყჳჱლისა ჩემისა დ̃ სიგრძოსა მეტყჳჱლე-ბისასა აღვირ ვასხნე, რამეთუ სიხარული დღესასწაულისა და ჟამი შეკრებისა ჩჳჱნისა სხჳისა რასა-მე უახლესისა და სახარულევანისა ხელ ყოფად იძულებულ გვყოფს ჩჳჱნ, რამეთუ ვინათგან უკჳჱ დღესასწაულისათჳს არს სიტყჳაჲ, სათანადო ვიდრემე ვგონე ღჳთის მოყჳარენო კჳალადცა საცნა-ურ ყოფად ზოგსრე სასწაულთათჳს სჳჱტისა ცხოველისათა, რამეთუ პირჳჱლ მოხსენებულნი იგი გამოჩენასა სჳჱტისა ცხოველისასა ითქჳნეს ზოგსრე რეცა სრულიად დაუვიწყელობისა მიზეზად დაღაცათუ ვითარცა რა პერულნი მონაკრებნი პირსა ზედა მდინარისასა სიმცირისათჳსცა და უმე-ცრებისაცა, ჟამისა ამის, რომელსა შინა ქმნილ არიან, ხოლო რომელნიცა რა შემდგომითი შემდ-გომად აღსრულებულ არიან. არა ვიდრემე უჯერო ვგონე მათიცა მოხსენებაჲ და სიტყჳასა ჭეშმა-

რიტებისასა სათანადოდ საცნაურ ყოფად ძალ-უცნობიუ ყოველთავე ღმრთისა საკჳრველებათა მეძიებელსა იგივე უკუე და ერთა ზეცათა გამოკჳლევისა გადნიერება დაესაჯების და კუალად, რომელი ზღჳსა უფსკრულთა შემძიება 1) წყალსა შეცადინებდესა მასცა ვიდრემე სხუა ქმნებისა გარნა ვიტყოდე, პირველად უკუე ესე საცნაურ ვჰყოფ თქუენდამი ჩემო ღმრთის მოყუარენო, რომელიცა ესე ნამდჳლვე ღირს არს თხრობისა, რამეთუ ვითარცა რა ნათესავთა შორის კაცთასა, მრავალნი რა ხელოვნებანი შპოვებიან და კაცად კაცადსა თჳსთჳსად მიუჩნს ყოველთავე თჳსი სახმარობაჲ, რამეთუ რომელსამე იგი და რომელსამე ესე, ესრე სახედვე უკუე იხილვების და ნათესავთაცა შორის, რამეთუ რომელნიმე ნათესავნი, ესე ვითარნი არიან ბუნებით, ხოლო რომელნიმე ეგე ვითარნი სიტყჳსაებრ სამოქალაქოსა ნამდჳლვე განყოფილნი არიან მადლითა ყოველთავე შორის

რომელნიმე ნათესავნი ლბილ და დედალ არიან და ფრიად მოსწრაფე უსამჭევრობისა და ფილოსოფოსობისათჳს და საკჳრველი რაჲმე გულსმოდგინება და ტროფიალებით მოუგიეს გამოძიებათ რომელთათჳსმე ღმრთისმსახურ და კაცობრივთა და ყოველთავე დაბადებულთათჳსცა და ამით უკუე სახითა რეცა მძლეობენ ყოველთა ზედა სილაღითა გონებისათა ვითარცა ზეშთა ქმნილნი და ენა მჭევრობათა და საბრძნეთა თჳსთა მიმართ მინდობილობენ, რათა სიბრძნით მოხელოვნებითა ენისათა [illegible] სვინიდისითა ცხოვრებისა თჳსისათჳს, ვითარ სახედ არიან ელინნი ესე იგი ბერძენნი. ხოლო კუალად სხუანი არიან ბოროტებითა ზაკვანი და მარტივნი და გონებით წრფელნი სიმართლესა ცხოვრებისასა და უღელსა უმანკოებისასა მზიდველნი და მხოლოდ ღმრთისა ოდენ დამკჳდრებისა თჳსსა მოსავნი, რომელითაცა უკუე გამოისახვის და საცნაურ იქმნების სიქველე ჭაბუკისა, ვითარცა აჰა ესერა არს ნათესავი ჩუენი ქართველთანი, რამეთუ ვითარცა საცნაურ არს ყოველთა მიერ, უეჭველად ესე ვითარი ბუნება პირველითგანვე უკუე დამცველობს ნათესავთა შორის ქართველთასა, რამეთუ არა არს ჩუეულ ოდეს ჰქონებია ჩუეულებაჲ ფილოსოფოსობისა დასწავლულობისაჲ გამოძიებათა და ენათა მჭევრობათა, ხოლო სხუანი უკუე ნათესავნი სხუათაჲ, რომელთამე მიმართ ღონისძიებათა და ხელოვნებათა მინდობილობაჲ.

და სხუანი სხუათა, რომელნიმე მათდა რომელნიმე ამათ და ყოველთავე უკუე თჳსთჳსად შეუცვლელ საზღვარი ტომებისა თჳსისა და უკეთუმცა არა ვიდრემე საჭირო გუექმნებოდა მიზეზი მოტყუებათაჲ განგრძობისა, ჩემთაუკუალადმცა უკუე წარმოვაჩინე შემსგავსებულებაჲ ნათესავტომებისა თჳთოეულისა, რამეთუ არა საჭირო-ვიდრემე იყო ჩუენდა ესე წყალობითა ღმრთისათა, ხოლო აწ შეუძლებელ ცხად მყოფელად სახისა, საქმეცა მიზეზ მყოფელი განგრძობისა ჩუენისა, რამეთუ მიზეზი მეტყუელებისა ჩემისაჲ ესე ვიდრემე არს, რამეთუ ვითარცა ეგერა პირველვე ვსთქუ ზემორე, ჩუეულებაჲ ვიდრემე და წურთილობა გამომეტყუელებისა, და გამოძიება საშეცნიეროთა და საფილოსოფოსოთაჲ საქმეთა, არა რა უკუე ჰქონებიან ნათესავთა ქართველთასა ვითარცა ბრძენთა შორის დღესაცა იცჳნების ესე ვითარი საქმე, რამეთუ რაჲცა რაჲმე უცხოჲ და საკჳრველი საქმე საცნაურ იქმნეს, მყის მასვე ჟამსა შინა შეუჩუეულად აღსწერენ, და ესრეთ სიმტკიცედ და სახსენებლად მომავალთა ნათესავთათჳს ძეგლად წარუწყმედელად დაუტევებენ, ხოლო უკეთუ სადმე რითმე მოქმედებათათჳს განათუ ხატთაგან იქმნეს რა ანუ თუ ჯუარისა, გინათუ ნაწილთაგან, წმიდათასა, ანუ თუ სხუელსავე შორის მყოფთა კაცთაგან, რაოდენიცა უკუე სახმარ არს სათქმელად,

1) ჰკჳდა ერთი მეფე რაჲმე [illegible]

თუ ვითარ კნინდენლაცა არარას დაუტეობენ აღუწერელად და არცა ვიდრემე მისცემენ უფსკრულსა დავიწყებისასა, ხოლო ვითარცა მრავალგზის ვთქჳი ესე ვითარისა მოქმედებისაგან, ყოვლად უცხონი და უმეცარნი არიან ნათესავნი ესე ქართჳჱლთანი, უკეთუ არა ვითარმცა ვინ აღრიცხჳნა თუ რაოდენნი უკჳჱ ჵ რაბამნი სასწაულნი ქმნილ არიან სჳჱტის ცხოველისაგან ჟამსა მას პირჳჱლ გამოჩენისა მისისასა და შემდგომითი შემდგომად ესე უკჳჱ უწყიდეთ ჭეშმარიტი, უკეთუმცა ვის აღეწერნეს, ვითარცა არს ჩჳჱულება ბერძენთა ნათესავისა, არამცა უკჳჱ დაიტია სოფელმან ყოვლმან აღწერილი წიგნები სიტყჳსაებრ წმიდისა სახარებისა და ესეღა რომელ თჳთ ჟამსა მას პირჳჱლ სჳჱტისა მის ცხოველისა გამოჩენისასა, რაჟამს აღურიცხჳჱლნი იგი სასწაულნი იქმნებოდეს ყოვლად ყოვლითურთ უგონოებდა, ესე ქჳჱყანა ესე ვითართა საქმეთა გამოცდილებისა და მეცნიერებისაგან და ვითარმედ ყოვლად ველურნი რაჲმე და მხეცნი და ქსუდ მავალნი ღმობიერებითისა ცხოვრებისაგან,

ხოლო ვითარცა ზემო პირჳჱლვე აღვწერეთ რაჟამს იგი სჳჱტისა ცხოველისა დიდებულებანი საცნაურ იქმნებოდეს, მაშინ უკჳჱ ვინათგან ფრიადთა მათ სასწაულთა მოქმედებისათჳს ყოველნივე იძულებულნი სენთაგან თითო სახეთა სასოებით ურიდად შეეხებოდეს წმიდისა შეურაცხებად ჰგონა მირიან მეფემან, ამისთჳსცა უკჳჱ შეშისა ფიცართა მიერ დაფარა შიშლოება იგი სჳჱტისა მის და თჳალთაგან სახილველობა მისი უჩინო ჰყო. ხოლო რომელნიცა უკჳჱ უძლურებისაგან ხორცთა და ხსნილებისა ვერ მოვიდოდიან, მათთჳს უკჳჱ ფიცართა მათ მახვილითა შეახებდინ და ესრეთ წარიპარვიდიან იდუმალ და სასოებით იდუმალ წარპარვითა მით, ცხადად ვიდრემე ნათელსა კადნიერებისასა მოივაჭრებდინ; ჰოი! კეთილსა მას უკჳჱ და საღმრთოსა სასოებითა ავაზაკობასა, ხოლო უკჳჱ შემდგომად მრავლისა ჟამისა მეფე იქმნა რა რევ ძე მირიან მეფისა, შეშინდა უკჳჱ მეფობასა მისსა, ნუ უკჳჱ სრულიად განშიშვლდეს სჳჱტი იგი წმიდა სამარადისოსგან ფიცართა მათ და ნათლისა და წარპარვისა და ამის მიზეზისათჳს განიზრახა რათა სრულიად ქჳთკირითა აღმოქმნას გარემო სჳჱტისა მის, რომელიცა უკჳჱ ესე საქმით შეუდგინა განზრახვასა და სრულ ჰყო და ესრეთ ვიდრემე ჰგიეს მოდღეინდელად დღედმდე, რამეთუ ურიცხჳნი და უფროსნიღა სასწაულნი მაშინცა იქმნნეს რაჟამს იგი მოსდეს გჳამსა მას სჳჱტისა ცხოველისასა და შემდგომითი შემდგომად არა ოდეს მოკლებულ არიან სასწაულნი და დიდებულებანი სჳჱტისა ცხოველისანი, სამარადისონი უკეთუმცა რა ვის ყოვლად ჰქონებოდა გულის ხმის ყოფა მგონებლობით აღწერა უმჯობესისათჳს სათანადოთ მრჩობლ ორკერძოთავე საცხოვრებელთა სულ ხელობითთა, შემდგომისათჳს ჟამისა სახარულევანად სულთა სასუფეველისა ტრფიალთა, რათა შემდგომნი ნათესავნი წარკითხვითა მათითა ნათელ მყოფელსა სულისასა ნუგეშინის ცემასა მოირეწდენ; ვითარცა უკჳჱ არს სახე ჵ ჩჳჱულება ბრძენთა ნათესავისა, რამეთუ იგინი ესე ვითართა კნინ ოდენთაცა არა თანა ვიდრემე წარმხდელნი რაისავე სასწაულთაგანისა ახარებნ გულთა და ანაყოფიერებენ სულთა ყოვლით კერძოვე მიმდემად მოსთულებითა სათანადოთა უსაჭიროეს უკჳჱ და სათანადო ვიდრემე ვგონე. ჰოი საყუარელნო! საცნაურ ყოფისათჳს სადა მდებარეობასა კჳართისათჳს ცხოველისა მის ღჳთაებისა გარე შემცჳჱლისა, რომელი ესე უკჳჱ მრავლით კერძო გჳჱსწავების და საცნაურ არს, რამეთუ ჯეროვან და ჭეშმარიტ ესრეთ არს, რათა სადაცა საღმრთოჲ საუნჯე მდებარეობდეს, მუნცაჲ ზედა მიმდემან საღმრთო ნათელი დაუვსებელად მნათობიერებდეს და ცეცხლისა სჳჱტი ელვის სახიდ სამარადისოდ ზედა ეგზებოდეს, ურწმუნოთა ვიდრემე გულებსა შემწველად, ხოლო მორწმუნეთა ნათელ მყოფელად გამომაცხებელ სჳჱტისა ცხოველისა უეჭჳჱლად ქჳჱმდებარეობისათჳს, რამეთუ ნესტვი

იგი რომელი ჩრდილოეთით ყოველთა მიერ სახილუელ არს; მრავალ გზის უკუე ცდილან უმეცრებით და ყოფისა მის ნესტვისასა კირითა გინა ცარცით [1]) რომელი უკუე მასვე ჟამსა აღმოხეთქის რაჟამს ვინ ხელჰყვის დაყოფად რამეთუ ესე საქმე უეჭუელსა და ცხადსა მუნ მდგომარეობასა მოასწავებს, უკეთუ არა სხუა რაჲმცა იყო მიზეზი ნესტვისა მის დაყოფისა არ თავსმდებელი.

ხოლო უკეთუ სუეტისათჳს საეჭუელ ვგონოთ, მაშა სუეტი იგი ზე ჰაერთა მოკიდებულობს ვითარცა ყოველთა უწყით, ხოლო ესე სასწაული კუართისა მის საუფლოისა არს უეჭუელი დაუცთომელი, ხოლო ესეცა უკუე ვიდრემე სათანადო არს, რამეთუ უკეთუ ვინმე მკლებიერობდეს სასწაულთათჳს კუართისა საღმრთოისათა, ესრეთ უკუე უწყოდენ ესე ვითარისა მეძიებელმან, რამეთუ ვითარცა მამაჲ და ძე ერთ არიან დიდებით და ყოველივე მოქმედება ძისა მამისაცა არს, ესე სახედ უკუე სუეტისა ცხოველისა, უეჭუელად კუართისა საუფლოისად შერაცხეთ და კუართისაჲ ვიდრემე სუეტისა ცხოველისად და ვითარცა იგი მამა და ძე ერთ არიან განუყოფელად ღუთაებითა, ეგრეთვე უკუე სუეტისა ცხოველისა და კუართისა საუფლოსა დიდებულებანი და საკჳრუელებანი განუყოფელ და ერთ არიან.

და თჳთ მებრ კუართი წმიდა საუფლოსა საჩინოდ არავე ყოფილ არს, ესეცა არს მიზეზ, ნუ უკუე და ამასცა ვინმე მეტყუელებდეს, თუ აწ ვითარ არღარა იქმნებიან სასწაულნიო, გონიერად უკუე ისმინეთ და განკრძალულად გულის ხმა ჰყავთ ესე ვითარისა მეძიებელთა, წერილ არს უკუე სასწაულნი ურწმუნოთა არიან და არა მორწმუნეთათჳს.

და ნუცადა უკუე ვიდრემე აქამდის დადგების სიტყუაჲ ჩუენი არამედ თჳთ მებრ აწცა ჭეშმარიტად მრავალნი დაურიცხვნი სასწაულნი და ფრიადნი საკჳრუელებანი ქმნილ არიან და იქმნებიან ჟამთა ამათცა შემდგომთა ჩუენისა ნათესავისა ზე, რამეთუ არა თუ საკჳრუელებათა ღუთისათა ოდესმე მოაკლდების გინათუ დასცხრების, გარნა სასოებათა ჩუენთა ნაკლულევანებაჲ და შემცირებაჲ და უფროს მდინარეობითსა პირსა სასწაულთასა. ხოლო უკეთუ დღითი დღედცა იქმნებოდიან ვითარცა პირუელცა და მრავალ გზის მითქუამს, არავის უკუე ჰქონებიეს ამის გულს მოდგინებაჲ, რათამცა საუნჯედ კეთილად მომავალთა ნათესავთათჳს დამარხა აღწერილად ძეგლად; ხოლო ჩუენ ზოგსრე სასოებით მეცადინთა სურვილითა წადიერებისათა ვიწყოთ მცირედ წარმოჩენად, რომელთამე უკუე თჳთ ჩუენ მიერ ხილულთა, ხოლო რომელთამე სმენილთა სარწმუნოთა და ჭეშმარიტთა კაცთა მიერ.

ხოლო პირუელ ვიწყოთ პირუელ ქმნულთავე და შემდგომითი შემდგომად შეუდგინოთ შესაბამ ქმნილებისა, რამეთუ თქმულ არს ესე ვითარმედ პირუელთავე მათ ჟამთა დედოფალი ვინმე ყოფილ არს სახელით სუჯის [2]) და ქუემოთა უკუე კახეთისა ქუეყანათა მავალი, ამის მდინარისა

---

1) ცარცი ანუ თეთრი მიწა, რუსულად ეწოდების ალებასტრი.

2) მოხსენებული ესე სუჯის იყო დედოფალი ანუ მფლობელი გარე კახეთისა, რომელიც ჰსცხოვრებდა ბუდეს ანუ აწინდელს ბოდბის ხევს. ოდეს ყოვლად სანატრელმან დედამან ჩუენმან ნინომ გააბრწყინვა სახარებითა სრულიად ქართლი, თანა ჰსწორი ანგელოზთა წარემართა კახეთს მღჳდლითურთ, დაიბანაკა ბუდის მოახლო, სადაც აწ კრების ეკკლესია მისი არს და წმ. საფლავიცა, აქედამ წარემართა ბუდეს, უქადაგა დედოფალს და ყოველსა სასახლესა მისსა წმ. სახარებაჲ, არწმუნა დედოფალს და აღირსა წმ. ნათლისღება, შემდეგ ამისა განანათლა სრულიად კახეთი, ალვანითურთ. მორწმუნე დედოფალმან შემდეგ ნათლისღებისა ინება თაყუანისცემა წმ. სუეტის-ცხოველისა, ვითარმედ მათ დღეთა შინა სასწაულნი მრავალნი და დიდნი იქმნებოდიან.

პირსა მოსრულ არს, რომელ არს არაგვი და საკვირველი რაჲმე განძვინება ჰქონებია მას ჟამსა შინა უკვე უმეტეს ჩვეულებისა, და ერი და ჯალაბი მისი მრავალ სახედ მრავლისა ღონის ძიებითა ცდიდა გამოსლვასაჲ. ხოლო ვითარცა ქმნილ არს ყოველი გულს მოდგინება მათი, შემდგომად დედოფალი იგი ღვთისმოყვარე სასოებითა კეთილითა ჰუნისაგან თჳსისა გარდამოსრულ არს და ხელ მოყრით ცრემლითა მხურვალითა ვედრებულ არს სვეტისა ცხოველისადა; ესრეთ უკვე სარწმუნოებითა მტკიცითა სასოება შემოსილი წყალსა მას შთამოსრულ არს ჰუნესავე ზედა აღმხედრებული.

და მსგავსად პირველისა მის ჩვეულებისა საკვირველებისა, მასვე ღმერთსა აქაცა უკვე ნებიეს სვეტისა ცხოველისა მიერ, რომელ იგი ძველ ოდესმე ისრაილთა ზედა საკვირველთ მოქმედებდა, რაჟამს იგი მისვე სვეტისაჲ წინა მძღოლობითა მოგზაურობდეს.

რაჟამს იგი ზღვასა მეწამულსა განვიდეს და წყალნი იგი ექმნეს ზღუდე მარჯვენით და ზღუდე მარცხნით, მაშინცა უკვე ესევე სვეტი ნათლისა წინა უძღოდა, რომლისა მიზეზითა და სასოებითა აწ ამან დედოფალმან რაჟამს ამას მდინარესა საკვირველად განცოფებულსა იგივე უკვე შეკდემულება თავს იდვა და აქაცაჲ ექმნა ზღუდე მარჯვენით და ზღუდე მარცხენით, ვიდრემდის იგი თავადი და ყოველი ერი მისი წიაღხდეს ამიერ დაულტოლველად და ყოველი იგი ერნი და რომელთა ესმა და რომელთა იხილეს დედოფლისა თანა ადიდებდეს ღმერთსა და სვეტსა ცხოველსა.

ესე უკვე სასწაულნი საყვარელნო, ისრაელთა მათ ზედა ქმნულისა სასწაულისა არაჲ რაჲთ უკვე უმცირეს არს, არამედ კნინღა და უმეტესცა ვგონე, ვინადგან იგი მდოვრად მდგომი ზღვაჲ იყო ხოლო ესე მქნარედ მავალი ვითარცა მგელი განძვინებული, ორივე ღვთისა მიერი იყო, ხოლო უკვე ესე სასწაული რომლისა აწ მეგულვებისა წარმოთქმაჲ, კნინღა და ყოველთაგან საცნაურ არს ვინათგან ყოველთა შორის სმენილ არს რაჟამს უკვე იგი მიშვებითა ღვთისათა თურქნი შემოვიდეს ქვეყანასა ამას ჩვენსა მთავრისა მის მათისა სულთანისთანა წინა მძღოლობითა ბელიარისათა და ცოდვათა ჩვენთა გარდარეულებისა ძლით; მიეცა უკვე ნათესავი ესე ჩვენი მიშვებითა ღვთისათა და ვითარცა მოვიდეს, შემოხდეს ამას კათოლიკესა ეკკლესიასა შინა, ბარბაროზებრივითა მით უფროსღა მხეცებრივითა მძჳნვარებითა და შემშვრობილნი ჩვენთა ნათესავთაგანის კაცისა, ჰკითხვიდეს უკვე თუ რაჲ არს კონქსა ამას შეკრძალულისა შინა. ხოლო იგინი მიუგებდეს ვითარცა უწყოდეს სვეტისა შესაბამად ჭეშმარიტებასა, ხოლო ვინადგან დიდებულებანი ღვთისანი ურწმუნოთა შორის ისაკვირველთმოქმედებიან, ამისთჳსცა უკვე ზოგსრე განიფრთხო სულტანმან და მოეგო ცნობასა მას და გულისხმა ჰყო უეჭველი დიდებულება ღვთისა დაფარულსა მას გოდოლსა და ყოვლად შეუხებელად და მიუახლებელად ლტოლვილ იქმნა და მიჰმართა ზემო კერძო ქართლისა, და არა უგუნურებით გულის ხმის მყოფელმან კაცთა დაუტევა მცველად ეკკლესიისა რამეთუ ყოვლისავე შვენიერება რა განიცადა ეკკლესიისა და პალატისა არა თჳნიერ მოქმედებისა ღვთისა შერაცხა. ხოლო ვითარცა წარვიდა სულტანი, შემდგომად მისსა მოვიდაჲ მეუღლე სულტანისა შაჰრიხათუნ; და შემოვიდა შორის ეკკლესიისა, საცნაურ უყო ყოველთავე დატევებულმან მან ებგურმან სულტანისამან შაჰრიხათუნს, ხოლო ვითარცა უწყით ყოველთა გულის პობაჲ დედათა და უკადნიერესად ხელ ყოფაჲ ყოველთავე მიმართ მოქმედებათა, ამისთჳსცა უკვე ურწმუნოებით დაბრმობილმან მან ურწმუნოებად და სიჩქურად შერაცხა ყოველივე სიტყვათა მისთა მეტყველებაჲ, რამეთუ ჰგონებდა უბადრუკი იგი საუნჯესა დიდძალსა დაფარულსა ნამდჳლვე საუნჯესა მას ფას დაუდებელსა.

ხოლო ვინათგან ესრეთ მეჭურჭლობდა დრკუ იგი[1]) მოსწრაფებით უბრძანა უბადრუკმან მან განხილვად საუნჯისა მის, ზეცისა ძალთაგან ოდენ მისაახლებელსა, ხოლო სიტყჳსავე თანა შემზადნეს კიბენი აღსავალნი განსახილავად და ვითარცა მეცადინეობდეს შესლვისათჳს, ეჴა სასწაული საკჳრველი; რამეთუ მყის გარდამოკრთა სუეტისა მისგან ცეცხლი რისხვისა ღმრთისა და რაოდენნიცა ჰპოვნა ძირსა მის სუეტისასა ბარბაროზნი უწყალოდ შეჭამნა, უწყალონი იგი და სრულიად განხრწნნა, ხოლო ყოველნი იგი, რომელნიცა იყვნეს სირცხვილეულნი და კდემულნი მართლ უკუნ იქცეს, რამეთუ რომელთა იხილეს შიში და ძრწოლა შეედვა და ლტოლვილ იქმნნეს არღარას მკადრენი შეხებად რასათჳსვე.

ხოლო დედაკაცი იგი უკეთური უფროსღაჲ განძჳნდა მხილებისა და სინანულისა წილ, ვითარცა ძუ ლომი, ჵოი! სიმძჳნვარესა უბადრუკისა მის დედაკაცისასა, რამეთუ მყის მოიცუა შურმან უღმრთოებისამან და აღივსო გულის წყრომითა და უბრძანა ცეცხლისა წილ შურისგება ცეცხლითა.

და კუალადცა დაწვისა წილ დაწვაჲ ტაძრისა მის პატიოსნისა და წარწყმედა შუენიერებას მას მისსა საკჳრველსა, ვინათგან განსახილველისა მისგან სასოებისა სირცხვილეული ხვებულ იქმნა; ხოლო იხილეთ აქაცა ნაცვლისგება შურისგებითი ღმრთისა საბაოთისა თუ ვითარ არაჴყვნა სასჯელმან შურის მეძიებელსა მას ზედა ღმრთისა საკჳრველებათასა, რამეთუ მყის მასვე ჟამსა ეწია რისხუა ღმრთისა ზეგარდამო და შემკადრებელსა მას სუეტისა ცხოველისასა და ნათლისასა ცეცხლი შეედვა ნაწლევთა და ყოვლითავე შინაგანთა მისთა უწყალოდ შემჭამელი და მყის ლტოლვილმან სპარსეთადვე მგზავრ სრბოლობასაჲ შინა, შევედრა სული თჳსი მის მიერ სათნო ყოფილსა სატანასა, რამეთუ ვერცა სულტანი მოესწრა ცოცხალსა მას უბადრუკი და სულტანიცა და ლაშქარი მათი ყოველნი ლტოლვილ იქმნეს ღმრთისა რისხვისაგან მეოტნი, რამეთუ ვითარ მეცნიერ ვართ მცირედნიღა განერნეს, რომელნი მიიწივნეს თჳსსა ქუეყანასა. ხოლო ნათესავნი ჩუენნი დაშთომილნი სიხარულით ადიდებდეს ღმერთსა და სუეტსა ცხოველსა რამეთუ ესე ყოველთა მიერ უეჭუელ საცნაურ არს, რომელ მრავალთა და რიცხჳთა და სმენილ არს გალობა, საღმრთოთა რათმე სიტკბოებითა შეზავებული ანგელოზთა მიერი უხილავად.

კუალად სხუა ბერი იყო მნათე ამის ეკკლესიისა, რომელსა მეორედად უკუე სახელ ეწოდებოდა კეთილი, რომელი იგიცა ფრიად ჭეშმარიტებისა მეტყუელი იყო და კაცი სარწმუნო, რომელიცა იტყოდა ესრეთ, ვითარმედ მოწმობითა ღმრთისათა უტყუელსა ვიტყუვი, რამეთუ რიცხვი ყოვლად არა [illegible]უი თუ რაოდენ გზის ღამით მისრულ არს კართა ზედა ეკკლესიისათა რეკისათჳს ჟამსა ლოცვისასა, შიგნით სუეტსა მას გარემო საკჳრველითა რათმე სიტყჳთა შეწყობილი გალობაჲ შემსგავსებული ანგელოზთა ვითარცა შეჰგავს ნამდჳლვე ანგელოზთასა, მრავალ გზის და უფროსღა ღამეთა მომისმენიესო და თჳთ შინა ჩემსა კელინსაცა მისმიესო და ესე ხოლო არა მას ოდენ არამედ და სხუათაგანცა მრავალთა მოსმენილი ვისწავე უკუე რომელთა მრავალ გზის მოესმინა, ესე უკუე ჭეშმარიტი და უტყუელი გვითქუამს,

ხოლო ერთ გზის თჳთ რომელ მე შემემთხჳა სათანადო უკუე ვგონე იგიცა არა დატევებად თჳნიერ მოხსენებისა, ჟამსა მას სიყრმისა ჩემისასა, რაჟამს იგი ნეტარი მამის ძმა ჩემი სჳმონ,

---

1) დრკუ, — ფრიად წამხდარი ყოფაქცევისა.

პირუელ პატრიაქობისა მისისა, მონასტერსა შინა იყო წმიდისა საბასსა არმაზს[1]), მაშინ უკუე მე კახეთით მოვიდოდი და ერთი კაცი თანა მყჳანდა ცხენისა თანა ღვინისა მიერ დატვირთულისა.

ხოლო კაცი იგი იყო ყოვლად საწყალი ადგილისა მათისა, რომელსა ყოვლადვე მდინარე წყალი არ განევლო ოდესცა; ხოლო ჟამი იგი იყო გაზაფხულისა, რომელსაჲ შინა იქმნების მდინარეობაჲ წყალთა ფრიადი და ვითარცა მოვიწიენით სოფელსა მას მახლობელსა არაგვისასა წინამურს, შემწუხრებულ იყო ესრეთ, რომელ ყოვლად არღარა ჩნდა, ხოლო ვითარცა პირსა მდინარისასა მოვიწიენით, მივხედენ კაცსა მას და მთოვარისა მიერ ვიხილე რამეთუ თჳალნი დაეწუხნეს ყოვლად და ვითარცა ვკითხე მიზეზი, მომიგო ესრეთ ვითარმედ: რაჟამს მდინარესა წყალსა ვიხილავ მყის დაბრუებული ცხენისაგან გარდამოვიჭრები, უსასო ქმნილი ცხოვრებისაგანო, ხოლო მე ვითარცა მესმა ესე, ფრიად შეშინებულ ვიქმენ, რამეთუ მდინარე იგი ვითარცა ზღჳა უფროს ზომისა გარდაცემულ და განმდიდრებულ იყო და მდიდრობდა საკჳრუელად გარნა ვინადგან სადავე უღონოთურთ დგომისაგან უღონო ვიყავ, მოვმართე სასოებითა სუეტისა ცხოველისათა, ხოლო წყალსა იმიერ მდგომარენი კაცნი, მთოვარისა მიერ მხედვიდეს და რაოდენ შეეძლო მაყუენებდეს ზახილითა ფრიადითა და ესრეთ ხმა გჳცემდეს, ვითარმედ დღეს მრავალნი და ურიცხჳნი მეცადინენი გამოსლვისათჳს უქმად შექცეულ არიან, და რამეთუ ცხოვრებისაგანცა ხუებულ იქმნიანო, ხოლო მე იძულებულმან ვინავე დგომისაგან, ხოლო უფროსღა სასოებითა განმტკიცებულმან სუეტისა ცხოველისათა, მოვმართე და ზე გარდასრულმან ცხენისაგან მხარნი მოვიდრიკენ და ცრემლით შეუვრდი სუეტსა ცხოველსა და ჯუარსა პატიოსანსა და წყალთა ზედა განვხედენ ნათელსა მთოვარისასა და სადაცა უკუე რეცა ერთ პირად შეიყრებოდა წყალი, ცხენნი უკუე დავაუღლენ ურთიერთარს და შთამოვხედ სასოებითა და მინდობითა სუეტისა ცხოველისათა, სხჳსა ყოვლისაგანვე უღონო ქმნილი და არა რაჲ უწყი ჭეშმარიტებამან ღუთისამან გარნაუწყის თუ ვითარ გამოვედ, ესე ოდენ უწყი მხოლოდ თჳალნი და გონება ჩემი სუეტისაჲ ცხოველისა და ჯუარისა პატიოსნისა შემსჯუალულ იყუნეს და არა ვუწყი ღმერთმან მხოლომან უწყის თუ ვითარ გამოვედით, რამეთუ ყოვლად ვერაჲ რას ვაგრძნობდი, ვერცა ცურვასა ცხენთასა, ვერცა სრბასა ფრხივ არცა დაბრკოლებულ არიან არცაჲ გამრუდებულ არიან, ესე უწყი რომელ ყოვლად ყოვლისავე ურვისაგან ულმობელნი გამოვედით მშვიდობით და უგრძნობელად რაჲსავე ჭირისა ცნობისაგან, გარნა თუ როგორ გამოვედით გუალადცა ვსთქუა არა რაჲ უწყი, ღმერთმან უწყის და ესეცა რომელ ცხენნი ესე ზომ საწყალნი იყუნეს, რომელ ხმელადცა დაუბრკოლებლად თითოეულსაცა ნაბიჯსა ზედა ვერ მავალობდიან, ხოლო ვინათგან ჭეშმარიტისაჲ ჯერ არს თქმაჲ, ვთქუა მიზეზიცა ულმობელად წიაღმყვანებელისა ჩემისა; რამეთუ ვიდრემდის წყალსა იმერით ვიყავ ნათელსა მთოვარისასა ვხედევდი, ხოლო წყალსა რა შთამოვხედ არღარა მთოვარისასა ვხედევდი არამედ სხჳსა რასმე ნათელსა ეკკლესიასა ზედა მდგომარესა საკჳრუელითა რათმე და უცხოთა ბრწყინუალებითა ელვარებულსა ცეცხლის სახითა სხივითა, ვიდრემდის წყლისა მის მდინარესა შინა ვმოგზაურობდით, ესრეთ იხილვებოდა; ხოლო

---

1) ნეტარი და უწმიდესი კათალიკოზი სჳმონ, როგორც გვაცნობებს უწმიდესი კათალიკოზი ნიკოლაოზ I. ჰსცხოვრებდა იოანე კათალიკოზის შემდეგ თანამედროვასა წმ. მეფე დავით აღმაშენებელისა, ვახუშტი არა რას მოგვითხრობს მისთჳს და როგორცა ჰსჩანს არცაიცის თუ ყოფილ არს ეს კათალიკოზი თუ არა. შემდეგ იოანე კათალიკოზისა, ნიკოლაოზ I გვიჩუენებს სჳმონ კათალიკოზსა. წერილთაგან უწყით, რამეთუ იოანე III. და ნიკოლაოზი I. შორის, ორი კათალიკოზი ყოფილან, იოანეს შემდეგ — გაბრიელ საფარელი და ამის შემდეგს სჳმონ, სჳმონის შემდეგ როგორც ჰსჩანს ნიკოლაოზ I. + 1160 წ.

ვითარცა გამოვედით, იგივე ჩჳეულებისაებრ ნათელი მთოვარისა იხილვებოდა. ხოლო გულისხმა ვჰყავ ძალი ჩჳენებისა უცხოსა ამის ნათლისა მის და ჩემისა ულმობელად წარმყვანებლობისა და რაოდენ ჩემგან ჯერ იყო შესაბამად ყოვლისა მის კჳალადცა მე გარდასრულმან დავრდომით თაყჳანისმცემელმან სახიერებაჲ ღჳთისა, სჳეტი ცხოველი და ჯჳარი პატიოსანი ვადიდე და ყოველნი რომელთაცა უკჳე ესმა ადიდებდეს ღმერთსა.

ხოლო ამისიცა უკჳე სათანადო არს საცნაურ ყოფა და უფროსღა ყოვლისასა, რამეთუ სჳეტი ესე წმიდა დაცხოველი მრავალ გზის უკჳე ხილულ არს მრავალთაგან გარნა თუ ვითარ სახედ, აჰა ესერა განვაცხადოთ რამეთუ თჳთ ვითარცა სახელ იდების ყოველთაგან სჳეტად ნათლისად და ცხოველისად ესრეთ მრავალთაგან ხილულ არს, და უფროსღა დასაბამითგანვე იხილვების რაჟამს იგი ძჳელოდესმე ისრაელთა წინა უძღოდა, არამედ აწ აქა უფროსად სახედ ბერისა კაცისად იხილვების ყოველთაგან, ხოლო თუ რა არს, სახისა ამის წარმჩენნა და გამოსახჳა, ძალისაებრ ჩემისა საცნაურ ვჰყოთ და გამოვაცხადოთ სიყჳარულისა თქჳენისა მომართ უკეთუ მისვე სჳეტისა წმიდისა ნათელმან განაბრძვნეს გონებანი ჩჳენნი გულისხმის ყოფად, რამეთუ რომელნიცა ჭეშმარიტნი ქრისტიანენი ვართ, ყოველთავე უწყით სამებისა წმიდისა ძალი, რამეთუ მამა და ძე და სული წმიდა დაღაცათუ სამ არს გჳამოვნებითა, გარნა უეჭჳელად ერთ არს ღჳთაებითა სამნივე იგი, ერთი ღმერთი, ერთი ძლიერებაჲ, ერთი ნათელი, სამნათელი, სამივე ერთი ნათელი ერთითა მით ღჳთაებითა.

ესე სჳეტი წმიდა ნათლისა ერთ ნათლად შეერთებული სამებისა წმიდისა სახედ ერთ ნათლად გამომსახველად შემოკრბების უეჭჳელად და სახედ ბერისა კაცისა ხილვა ესრეთ გულისხმა ვჰყოთ, ვითარცა მოასწავებს და საცნაურ ჰყოფს წინასწარმეტყჳელი დანიელ მეორედ მოსჳლისათჳს ძჳელისა დღეთასა, ვითარცა მაშინ სამებისა წმიდისა ერთ ნათელი ძჳელი დღეთა მოვალს; ესრეთვე აწ სამებისა წმიდისა ერთ ნათელი ესე სჳეტი ნათლისა, ვითარცა ძჳელი დღეთა იხილვების და ეჩჳენების მათ რომელნიცა ღირს არიან ხილვისა მისისა და ვითარმე ვგონებ ესე არს ჭეშმარიტი და უეჭჳელი გზა საძიებელისა, უკეთუ არა მაშა რაჲმცა იყო საყჳარელნო სხჳაჲ სჳეტისა ცხოველისა ხილვა სახედ მოხუცებულისა, რომელთა მრავალ გზის უხილავს, ვითარცა პირჳელადვე ვთქჳ; ხოლო აწ ესეცა წარმოვაჩინოთ, თუ ვითარ ანუ ვიეთგან, განა ოდეს ხილულ არს ესრე სახედ ესე სჳეტი წმიდა, რამეთუ იგივე პირჳელ ხსენებულნი ბერნიცა კათალიკოზმან (და) კეთილი იტყოდეს მრავალ გზის ხილვასა სახედ ძჳელისა დღეთასა, რომელსამე ჟამსა, თავსა სჳეტისასა მჯდომარედ და ოდესმე ეკკლესიასა შინა მყოფად და სხჳასა ჟამსა სჳეტსა წინა მჯდომარედ; (გარნაჲ უფროს სჳეტისა თავსა ზედა მჯდომარედ). ჵოი! დიდი იგი მეფეთა შორის დავით, სიტყჳასა ყოველსა ზედა უფროს ყოველთა კაცთასა მსასოებელი ღჳთისა და მხურვალედ ტრფიალი ღჳთის მსახურებისა, გარნა უკჳე ხოლო ამის სჳეტისა ცხოველისა მიმართ მხოლოდ განდრეკილობდა, რეცა გონებით და ესრეთ ორგულებით მეტყჳელებდა ვითარმედ, რაჲ უწყი თუ რა არს კოჭსა ამას შინა ანუ რაჲსა თაყჳანისვცემთ და ესე იქმნა ბირებითა მისითა რომელი იგი მბრძოლი არს და უცხრომელი ნათესავისა ჩჳენისა. და უფროსღა წმიდათა და ღჳთის მსახურთა კაცთა, ხოლო ერთ გზის უკჳე ქჳემოთ კერძოთა აღმომავალი ესე ღჳთის მოყჳარე მეფე, შემოვიდა ეკკლესიად და თანა წარხდა სჳეტისა ცხოველისა წინაშე ლოცჳისა, მითვე დაბრკოლებულითა გონებისა ქონებითა, და ვითარცა ეკკლესია მოილოცა წარვიდა; ხოლო მას ღამესა პირულებულსა ეჩჳენა ესე სახედ: ვითარმცა ამას სჳეტსა ზედა ზე თავსა ზედა მჯდომარე იყო მოხუცებული ვინმე სახედ ძჳელისა

დღეთასა და ბრწყინვალებისაგან ნათლისა მის, რომელ შანთნი ცეცხლისანი ჰკრთებოდეს ელვის სახედ, თუალნი კაცობრივნი ვერ შემძლებელ იყვნეს განცდად პირსა მისსა ყოვლადვე, და ვითარ განკჳრვებულ იყო ხილვასა მისსა მეფე შეშინებული, ხმა უყო მან ზედაჲთ საშინელებით და ჰრქუა დავით დავით, არა უწყია თუ ვინა ვარ აქა შენ, რომელსა ესე მხედავ და ესე უწყოდე შენ და ყოველთა, რამეთუ რომელსა აქუნდეს სასოება ჩემდა მომართ მტკიცე არა ოდეს სირცხვილეულ იქმნეს და ნუ ურწმუნოებ ჩემდა მომართ ყოვლადვე, რამეთუ რომელნი ურწმუნოებდენ მიიღონ თავისა თჳსისა სასჯელი», ხოლო დავით მეფესა ვითარცა განუკრთა ძილი, შეშინებულ იყო ფრიად და მეყუსეულად აღდგა ცხედრისაგან თჳსისა და აღმხედრებული ჰუნესა ზედა თჳსსა ღამე ყოველ მოიწია ცისკრისა ლოცვასა კათოლიკე ეკკლესიად. ხოლო ვითარცა იხილა იოანე პატრიაქმან და ყოველთა მცხეთისა მოყუასთა უჟამო იგი და უცხოსა მეფისა მოსლვა, ყოველნი განკჳრდეს და შეძრწუნდეს, მოვიდა უკუე დავით მეფე [1]) წინაშე სუეტისა ცხოველისა.

დავრდომილი პირსა ზედ თჳსსა ცრემლით იატაკსა დაალტობდა და ითხოვდა მხურვალედ შენდობასა პირუტყულთა ცთომათათჳს და ურწმუნოებისა. ხოლო იოანე პატრიაქი იკითხვდა მეფისაგან თუ რაჲ იხილეო, ხოლო მეფემან მიუთხრა ყოველივე იგი მისდა ჩუენებული ზედამიწევნით და მეფე პატრიაქისა თანა და ყოველი ერი ერთობით ადიდებდეს ღმერთსა და სუეტსა ცხოველსა. ხოლო შეუდგინო ესეცა, რამეთუ დღეთა მათ პატრიაქობისა ჩუენისათა რაჟამს ვიკითხე, მას ჟამსა შინა უკუე ვინმე ეპისკოპოზთა სხუათა კურთხევა, რომელნიცა უკურთხეველად ვჰპოვენ, ხოლო ერთი მათთანა ეპისკოპოზი უკურთხებელი იყო რუისისა საყდრისა, ხოლო საყდრისა მის ზრუნვა და საურავი, ხელ ეყო დედოფალსა ბურდუხანს: ხოლო ვითარცა არს წესი და ჩუეულება დასაბამითგან ამის კათოლიკე ეკკლესიისა, არავე მე ეგრეთ მომიხდა მის მროველისა ეპისკოპოზისა ტიმოთეს კურთხევა, ზამთრისაცა სასტიკებისაგან; და დედოფლისაცა იძულებითა, არამედ წინა უკმო ვჰყავ, რამეთუ თჳთ თავისა საყდარსა შინა ვაკურთხე დედოფლისაცა ხუაიშნითა; და მიზეზითა ზამთრის სიმძვინვარისათა, რამეთუ წესი და ჩუეულებაჲ ამის კათოლიკე ეკკლესიისა, ესრეთ ყოფილ არს დასაბამითგან რათა კურთხევადნი ეპისკოპოზნი წინაშე სუეტისა ცხოველისა მოვიდოდინ და აღთქუმასა ჰყოფდინ მრავლისა სარწმუნოებისათჳს, და ერთგულებისათჳს კათოლიკე ეკკლესიისა და თავისა და სულისა დადებისათჳს ვიდრე სისხლთა დათხევადმდე პატრიაქისათჳს და საღმრთოთა წესთა დაცვისათჳს და ესრეთღა კურთხევა ამას თავადსა საყდარსა შინა. ხოლო ესე წესი მე უკუე დავხსენ უმეცრებით, იმით ზემო წერილითა იძულებითა, რამეთუ ვითარცა თჳსსა საყდარსა შინა მყის მასვე ჟამსა ღმრთის მოყუარესა ვისმე სარწმუნოსა კაცსა, თავადსა საყდრისა შჳლსა ქადაგსა, მას ღამესა ძილსა შინა ეჩუენა სუეტი ცხოველი სახედ მოხუცებულისა ბერისა კაცისა, მიუთხრობელითა რათმე ბრწყინვალებითა და ესრეთ ჰრქუა მას, ვითარმედ «აწ რომელი ესე ჰყო ნიკოლაოზ კათალიკოზმან [2]), თჳნიერ წესისა და ჩუეულებისა ქმნა ესე კურთხევა, აწ სულგრძელებითა თავსმიც უმეცრებისათჳს თქუენისა და თანა წარხვდი კაცთ მოყუარებით აწინდელსა ცთომასა, ხოლო კუალად ნუმცადა ოდენ კადნიერებულ არს, რათამცა ეპი-

---

1) მეფე ესე დავით აღმაშენებელი იყო.

2) ნიკოლაოზ კათალიკოზი ჰსცხოვრებდა მეთორმეტე საუკუნეში, იყო მეთანადროვე მეფისა სრულიად საქართველოსა გიორგი მესამისა და მეუღლისა მისისა დედოფლისა ბურდუხანისისა, რომელიც ჰხვდებოდა წმ. დავით აღმაშენებელს ძის წულის მეუღლედ.

სკოპოზი თჳნიერ საყდრისა ჩემისა, გარეთ იკურთხა და დიდება სახელისა ჩემისა კიდე განგებულ იქმნა, ანუ ვითარ ჰგონებთ შეურაცხებასა საყდრისა ჩემისასა დუმილით თანა წარხდასა, ესე უწყო-დეთ, რომელ ამიერითგან არღარა ოდეს დავიდუმო და არცა თავს ვიდვა, ყოველთა ამის საქმისა მკადრებელთათჳს»; ხოლო ჩჳენ ვითარცა გჳესმა ესე შეშინებულნი ვადიდებდით ღმერთსა და სჳეტსა ცხოველსა.

ესე უკჳე საცნაურ მყოფელმან ზღჳსა ვითარებათამან მცირედნი ვიდრემე წჳეთნი ვიღებენ რეცა გამომსახველმან პელაგვინისა ვრცელებისამან და უსაზღვრობის მქონის უფსკრულისაგან, რა-ბამობანი უკჳე ვიდრემე სიმდიდრისა მისისანი, კნინღა ცჳარით წარმოვაჩინენ, რათა კეთილად მრწმუნებელთა გულს დაუწყჳეტელად ღუარებრ მოდენითა, სამარადისოდ უშურველად ნექტარო-დეს, ხოლო ურწმუნოთათჳს კაპან ნაპრალებით, კლდე ულაღ ექმნებოდის, შემშჳთართა სიცხისა-გან ურწყულობათასა; რამეთუ საცნაურ უკჳე ვიდრემე არს ვითარმედ ყოველსა სულსა დაგონებასა ურწმუნოების მქონსა ესე ვითარი სიყმილი შეემთხჳევის, ორკერძოთავე კეთილთაგან მოკლებულსა და ხჳეზნულსა, აწ უკჳე საყჳარელნო, კეთილ ვიდრემე არს და საყჳარელ ღ̃თისა კრთომა ჯერო-ვანთა კეთილთათჳს, გარნაჲ არავე უაღრისოდ, რათა არა კაპანთა შინა შთაგჳერდებულთა, მრჩობლ ორკერძოვე დაჭირვებაჲ ზღვევის გამომსახველი შეგვემთხჳიოს. რამეთუ სილაღე უკჳე მეცადი-ნეთა ყოველთა რომელსავე მოქმედებათათჳს უეჭჳელი უაღვიროებს საცნაურ ყოფით, სახსრო-ბელ ჰყოფს, ხოლო სასოებით მეძიებელთა ტრფიალების მქონთათჳს სამადლობელ ვითარ ვჰგონებ, კეთილ მისათვალველობით ღ̃თისა მიერ და ესე ოდენ ვიდრეღა თიხისაგან შენივთებული სხეული გონებისაჲ ტრფიალებითა, სიყჳარულით რა მეცადინეობდეს, ეთერთა განმკჳეთელობით უკჳე განუხჳამს წიაღთაჲ წყალობისათა და თანა ღმობით მოცილეობითა სიყჳარულთა მიერ ურცხვინო-ებით სახარულევან ჰყოფს სულსა ყოვლად სახიერი იგი და უშურველად მაგემებლობით ზეციერთა კეთილთაჲ შორის სამარადისოსა მკჳდრობასა მიანიჭებს, დიდება სახიერებასა მისსა; ხოლო მე უზომოსა სასოებისა მქონებელი არა განხილვად ვიდრემე ხელ მყოფელი ვერ შეძლებისა კადნიერ-ვიქმნენ და არცა ვიდრემე შემრეველობით, განმახრწნელ ვიქმნები სასოებასა კეთილსა სილაღითა ბოროტებისათა, არამედ უკჳე ზეშთა ზომისაცა სასოებამან და ტრფიალებამან სიყჳარულისამან აღმძრა კნინ სიტკბოებით ხელ ყოფად უნივთოთა პეშვითა რწყვად შჳენიერებასა რაბამთა სამო-თხეთასა და არა ვიდრემე აქამომდე დაყენებულ ვიქჳენ კეთილ საგონებლობით ჯერეთცა ტრფია-ლებით მეცადინევე უსრულესისა შემმატებლობითა, ვითარმედ კჳალადცა მცირედ ვმეტყჳელებდევე ვინათგან უკჳე სარგებელსა სიტყჳსა ჩჳენისასა აღვირ ვახსნეთ უსუსურობითა მორბედო-ბისათა,

მოვედით უკჳე კჳალადცა შემოკრბით საკჳრჳელითა სიყჳარულითა შეერთებულნი ქრისტეს მიერ წოვნილებითა წმიდისა მირონისათა აღზრდილნი ეგე ერნი მორწმუნეთანი და სანოვაგისა მის წმიდისა უკჳდავ მყოფელისა სულთა ჩჳენთასა გემებისა წილ, კნინ ოდენ ნაცვალ ვაგოთ ჩჳენ-ცა შესხმითა სიტყჳსათა მსგავსად ძალისა, რეცაჲ შესანელებელად სახედ სულნელთა მაშჳენებლო-ბით სულთა მაყნოსებლად, რამეთუ რაჲმცა ვინ ღირსი ჯეროვანი ქებისა, ისიბრძნისმეტყჳელა მეცადინებით ტრფიალმან შესხმისათჳს, სჳეტისა ცხოველისა საყოფლოსა კჳართისა და კათოლიკე ეკკლესიისა.

რამეთუ რომელი თჳთ თავადისა ღ̃თისა-ნახულთ მფლობელისაჲ მიერ ნათლითა უსაზღჳ-როთა, ნათელ ცისკროვანებით ელვარედ განშჳენებულობდეს, და რომელი ცეცხლისა მის ღ̃თაებისა

გჳამსა ნათლისა საგრაგნელ ქმნილ იყოს და რომელსა შინა თჳთ იგივე თავადი ღმერთი მარად მკჳდრობდის; რალამცა ვინ უკჳჱ სხჳა შესხმა მოიპოვა სხეულითა უაღრესობის მქონებლობით მზიდველმან სულისამან, ზეშთა გონებისაცა თუ ჭკრთებოდისვე, გარნა თუ ვინადგან ძალისაებრსა სიყჳარულ ყოფასა ღჳთისა მჭვირობლობით მსასოებელთ უკჳჱ კაცთ-მოყჳარისადმი, აღვძრნეთვე ორღანონი და საქანელნი მეტყჳჱლებისანი და უხჳჱბით უკჳჱ წარმოაცენებდინ ნამუშაკევთა გჳ-ლისათა ენა ბაგეთა შორისობით მადინებელსა მას ნეკტარსა მაგემებელსა სულ სასმენელთასა მხია-რულებით და ვიტყოდით სიტყჳათა შესხმისათა ესრეთ:

გიხაროდენ ჰოი! კათოლიკე ეკკლესიაო, რამეთუ პირჳჱლ უკჳჱ შენდა მომართ იყო დაწყე-ბაჲ სიტყჳსა, ვინათგან პირმშოებაჲ შენ შორის საცნაურ იქმნების მორწმუნეთა ერისაგან, რამე-თუ შენ შორის შემმოსელ ვიქმნებით ნათელსა მას ქრისტეს მიერსა და ღმერთი მარადის შენ შო-რის მკჳდრ არს, ვითარცა იწოდებიცა საყდარ ღჳთისა და წმიდა წმიდათა, რომელი მხოლოდ ესოდენ უკჳჱ უეჭჳჱლად ყოველთა მიერ კმა არს შესხმად და ქებად დიდებისა შენისა სანატრელისა, რაჲამს უკჳჱ ღმერთი შენ შორის განსჳჱნებულობდეს, მიმადლებულო.

გიხაროდენ ჰოი! სჳჱტო წმიდაო ცხოველო და ცხოველს მყოფელო, რომელი ნათელმან უსაზღვრომან ნათელ მფლობელმან ძემან ღჳთისამან, ნათლად ელვარედ და სჳჱტად ცხოველად აღ-გმართა, ნათელ მყოფელად გულებსა ქართჳჱლთაჲ ერისასა, დაბნელებულსა გრპთა საცთურისა-გან; ხოლო ურწმუნოთა ცეცხლებრ უწყალოდ შემჭმელად ღირსად მისაგებელად ლტოლვისათჳს წმიდისა ნათლისა შენისა, ჰოი! სჳჱტო წმიდაო და ცხოველო.

გიხაროდენ ჰოი! კრაო საღმრთოო ნეკტარებით შემცჳალებელო გჳამსა ცეცხლისა მის ღჳთაე-ბისასა, რომელი ყოველთა შორის ისაკჳრჳჱლების შენ მიერი ეგე სასწაული, რაჲამს ცეცხლსა მას ღჳთაებისასა მობარდნილ იყავ და შეუხებელად გებული სასოდ და სიმტკიცედ ნათესავისა ჩჳჱ-ნისა, ჰგიე დღეინდელად დღედმდე და ვიდრე უკუნისამდეცა და უეჭჳჱლად მისივე იყო ძალი, უცნა-ურად დამცუჳჱლი სიწმიდისა შენისა, ჰოი! სამ გზის სანატრელო კჳართოო.

გიხაროდენ ჰოი! ეკკლესიაო ღჳთისაო, რომლისა დამფუძნებელმან ყოველთამან ღმერთმან, საფუძჳჱლად შეუძრველად სიმტკიცისად, წმიდანი მოციქულნი დაგისხნა ქჳჱშე სიტყჳსაებრ საუფლოსა, ვითარცა ჰრქჳა თავსა მას მოციქულთასა პეტრეს, ვითარმედ «შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკკლესია ჩემი, რომელსა ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიანო [1]........». ხოლო მოწამენი ტაკუკად დაგკიდნა ვითარცა ძუძუნი, რომელთაგან ნეკტარსა სისხლთა მწოვნელნი ოხჭანსა უკჳდავებისასა მიმთხვეულნი ვმოხარულობთ საუკუნოდ, გიხაროდენ ჰოი! სჳჱტო ნათელო, რომელი ნათელსა კჳართისა ნათლისასა სახედ მზის თჳალისა ზეით ჩამოუჭვირობ, რომელსა შუ-ქნი ელვისანი სხივთა მათ ცეცხლისათა და დაგიმართებიან, რომელნიცა უკჳჱ მრჩობლობით საკჳრჳჱლად ჭკრთებიან ვითარცა რა მარჩბივნი ელვანი ცისკარსა შორის.

1) უფალი არა პეტრეს სახისათჳს იტყჳს ამასსა, არამედ—აღსარებისათჳს, და ამასთანა უნდა ვსთქჳათ, რატომ დაპირება ესე უწინარეს არ უბრძანა უფალმან პეტრეს? არამედ მაშინ ოდეს მართმადიდებლობით აღიარა იგი ძეთ მღჳთისად, ამას გარდა უფალმან როდი ჩაუჩხრიალა მაშინვე კლიტენი სასუფევლისანი პეტრეს, როგორც ავაზაკობრივ მიუთხრობენ ჰრომის ეკკლესიის მქადაგნი, არამედ უფალმან უბრძანა პეტრეს «შენ მოგცემ..» ესე იგი დაჰპირდა მას მიცემა,—ოდეს? ოდეს იქმნება მეორედ დიდებით მოსვლა განჰსჯად ცხოველთა და მკჳდართა.

გიხაროდენ ჯოი! საბლარძნელო [1]) ღ̃თისაო ხელთაგან კაცობრივთა შეუმზადებელო, რომლისა უზეშთაესოებაჲ ყოველთაგან ზეით ქსოვილისა სახელმან საცნაურ გყო, რომელსა კურთხეულსა იგი ყოვლად წმიდა დედა ღ̃თისა ოდენ მხოლოდ ღირს იქმნებოდა წმიდათა მათ მიერ ხელთა მსახურებისათჳს შეხებად, რამეთუ შიშით რა და მოწიწებით შთაგმოსის ძესა თჳსსა და ღმერთსა მრწობლ ორკერძოვე ნეტარება მოგეცემოდა, ძისა და დედისა მისითა ორთავე შეხებისათჳს, ჯოი! სამგზის სანატრელო კ̃რთო ღ̃თისა და მაცხოვრისა ჩ̃ნისა იესო ქრისტესო, გიხაროდენ ჯოი! კათოლიკე ეკკლესიაო, ნამდჳლვე შესაკრებელო ყოვლისა კეთილისაო, ვინათგან თავი იგი ყოველთა კეთილთა და საუნჯეთა დამბადებელი და ღმერთი ყოველთა შენ შორის მკჳდრობს, ამისთჳს უკ̃ჱ ითარგმანები შესაკრებელ, რამეთუ ყოველნი მორწმუნენი შენ შორის შევიმოსთ ნათელსა ქრისტეს მიერსა და შენ შორის ვითხოვთ გამოხსნასა ცოდ̃ათაგან და შენ შოროსვე იქმნების საუკუნო სამკჳდრებელი ჩ̃ნი, შემდგომად დახსნისა სხეულთა ამათგან კაცობრივთა სასოებითა კეთილითა, რათა ურცხჳენელნი მხიარულებით აღვდგეთ უკანასკნელსა მას დღესა დიდსა განკითხვისასა.

გიხაროდენ ჯოი! ს̃ტო ცხოველო და წმიდაო, პირ̃ლითგანვე შესწავებულო, სასწაულებითა და ნიშმრავლობითა ფერად ფერადითა განშ̃ნებულო, რაჟამს იგი ისრაელთა ერსა წინა უძღოდი და უცთომელად ავლინებდი, ვინაჲცა ენებ შენ მიერ დამბადებელსა ყოველთა ნათელთასა და შენ მიერითა საკჳ̃რველთა მოქმედებითა იდიდებოდა ღმერთი უდაბნოსა მას ორმეოც წელ, დიდსა მოსეს თანადობითა დიდითა ღ̃აწლ მრავლობით ებგურ ქმნილო შესაწევნელად ისრაელთა ერისა, ხოლო მომსრველად უცხოთესლთა და ამელეკისაო. გიხაროდენ ჯოი! კ̃რთო, რომელი საკჳ̃რველებით შემც̃ლ ექმენ მას, რომელსა ცანი ვერ შემძლებელ არიან დატევნად, გარეშემოუწერლობითა შეუსაზღ̃რებელსა მას ბუნებასა ღ̃თაებისასა და შენ შორის საკჳ̃რველებით დაიტიე ნათელ ცისკროვანი იგი გ̃ამი ღ̃თაებისა, რომელი იგი ელვის სახედ კრთებოდა შენ შორის და მის მიერ გამომკრთოლვარითა ნათლითა ყოველი სოფელი განათლდებოდა უშურველად.

გიხაროდენ ჯოი! საყდარო ღ̃თისაო, რამეთუ შენ შორის შეიერთებიან ზეცისა და ქ̃ყანისანი, ზენანი ქ̃ნათა თანა და დამდაბლებითა, და ქ̃ნანი ზენათა თანა ამაღლებითა და ძნობით უპირობენ დამბადებელსა მათსა ღმერთსა დაუცხრომელად ნარნარითა მით დიდებისმეტყ̃ლებითა, ვითარმედ წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ, სავსე არიან ცანი და ქ̃ყანა დიდებითა მისითა ოსანნა მაღალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი და დამკჳდრებული შორის საყდრისა დიდებისა მისისასა ზედა, რომელი ჰგიეს უკუნითი უკუნისამდე. გიხაროდენ ჯოი! ს̃ტო ცხოველო და ცხოველს მყოფელო, რომლისა შორის სულნი წმიდანი მრავალ გზის მოხარულობენ, რამეთუ ხილვით შენითა ანაყოფებდი უკ̃დავების ცხოვრებასა, რაჟამს ჟამითი ჟამად ეჩ̃ნებოდი სულებსა წმიდათსა უდაბნოთა შინა და ნაპრალთა კლდისათა მოღ̃აწე ქმნილთა და მოწამეთა ღ̃აწლ-მრავლობით განშ̃ნებულთა, რომელნიცა ხილვითა შენითა განმტკიცებულებდეს მიმხედველნი სასოებითა მერმეთა მოსაგებელთათა, კეთილ მჴვირებულებითა; გიხაროდენ მრწობლნო ნათელნო და მრწობლნო ნათელნო მზისა უნათლესნო, რომელნიცა მდიდრად უჴვირვობთ ურთიერთარს და აკრთობთ ვითარ სახედ ელვა ეთერსა და მზე ცეცხლსა და ცისკარი მთიებსა, რამეთუ ს̃ტი უჴვირობდის

1) საბლარძნელი — დიდი გასახვევი ხელის სახოცი, ანუ დიდი ბოხჩა.

რომელი ზეითჩამო კუ̂ართისა ჲ კუ̂ართი ქუ̂ჱით ამათ სუ̂ჱტსა ურთიერთას შესთქმობდიან, მრჩო-ბლნი იგი ნათელნი, ვისნიმცა უკუ̂ჱ არა მოხარულობდეს სულნი სანატრელსა მას სხილველსა ნამუ-შაკევსა ძისა ღუ̂თისა. გიხაროდენ ჰოი! ეკკლესია წმიდაო, რომელსა შინაგან სამოსა გიპყრიეს ძუძუდ სუ̂ჱტი წმიდა ნათლისა მაწოვნებელი არა ვიდრემე სძესა, არამედ მირონსა წმიდასა, უკუ̂დავმყო-ფელსა სულთასა, რომელიცა უშურველად უწყაროჲს ნეკტარსა მას უკუ̂დავებისასა მაგემებელსა ყოველთა ქრისტე შემოსილთა ერთა სულებისასა.

გიხაროდენ ჰოი! გოდოლო შემცუ̂ჱლო ნათელსა მას თუ̂ალთ შეუდგამსა, რომელი სახედ ალა-ბასტრისა გვიპყრიეს, რომელსა უტვირთავს შინაგან სულნელება წმიდა და წმიდა მყოფელი, სა-ყნოსებელი სულებსა წმიდათასა, რამეთუ წინათვე უკუ̂ჱ მოგასწავებდა სანატრელი იგი დედაკაცი რაჟამს შემმუსრველი ალაბასტრისა ფერხთა ვიდრემე უფლისათა მცხებელი ნესაცხებელისა, ღუ̂ა-წლითა, რამეთუ აწინდელი უკუ̂ჱ ესე სახე გექმნების წარმოცემასა წმიდისა მირონისასა, დალაცა-თუ შენ შეუმუსრველად ჰგიე აწ და უკუნისამდე.

გიხაროდენ ჰოი! კუ̂ართო საღმრთოო, რომელი მცუ̂ჱლად ჲ მფარველად მოენიჭე ნათესავსა ჩუ̂ჱნ ქართუ̂ჱლთასა ძისა ღუ̂თისაგან და მფარველო. არა ოდენ ვიდრემე გუ̂ამსა ღუ̂თაებისასა, არა-მედ უფროისღა შიშლოებასა სულთა ჩუ̂ჱნთასა ცოდჳსა მიერ, რამეთუ სახსრად და წინდად ცხო-ვრებისა ჩუ̂ჱნისა წინასწარვე წარმოგავლინა ყოვლისა სიბრძნით განმგებელმან; რათა კეთილითა-მით და სანატრელითა ებგურ ქმნითა კეთილ მმართებლობით იყვანებდე სულსა ჩუ̂ჱნსა გზასა ჭეშ-მმარიტებისასა.

გიხაროდენ ჰოი! საყდარო ცათა მობაძაო, რამეთუ მუცელი შენი წმიდა წმიდისასა ყოვლად უაღრესსა და უზეშთაესსა მტკრთველ არს შუ̂ჱნიერებისა და უჳავილოვნებასა, აღმკულებითა მის შორის მყოფთა ნათელთათა, რამეთუ რაჟამს სუ̂ჱტი ცხოველი და კუ̂ართი საუფლო ურთიერ-თას ჰხლდებოდიან კრთომითა ნათელთათა, სახედ მზისა და მთოვარისა; ხოლო მღუ̂დელნი და დია-კონნი ფერად ფერადსა კრთომასა საცნაურ ჰყოფდენ სახედ ვარსკულავთასა განწმენდილობით მსა-ხურებითა უბიწოთათა, ჲ ქერაბინ-სერაბინებრივთა რა ბაგითა, მსხუ̂ჱრპლსა ზედა ნარნარად მგალო-ბელნი მოწიწებით ჰჴაშნაგიროებდენ, რათამცა უკუ̂ჱ შესწორებულობდა არსთაგანი ღირსობასა ნე-ტარებისა შენისასა. ჰოი! საყდარო ცათა მობაძაო, გიხაროდენ სუ̂ჱტო ნათელო, რომელი ძისა ღუ̂თისა დიდებასა ღუ̂თაებისა საკჳრუ̂ჱლობით მწამებელ ექმენ, რაჟამს თაბორს კრთებოდე ნათელთ მფლობელსა მას ზედა იესო ღმერთკაცსა მეორედ მოსლვასა მაუწყებლობდა რა, რამეთუ ჭვირო-ბამან დიდებისა შენისამან, თავნი იგი მოციქულნი ძესა ზედა ღუ̂თისა უცხო სახედ მხილველნი, რეცა უსულო ქმნით მოუთმენელობდეს ზარგანხდილნი ერთბამად ნათლისაგანცა დიდებისა შენისასა და ოხრისაგანცა მოსეს და ელიასასა და კუ̂ალად იორდანესცა რაჟამს წყალთა შინა ცოდუ̂ასა კაცთასა დაანთქმიდა, ხოლო ყოველივე დიდება მისივე ღუ̂თის მიერ იხილვებოდა. გიხაროდენ ჰოი! კუ̂ართო გამოუთქმელო, ქებითა კაცობრივთა ენათაგან, რომელი უკეთუ მონათა საგრაგნელნი, ესრეთ იდი-დებიან ვიდრემე ვითარცა სატურ არს ჰაარონის შესამოსელთათჳს, მოსეს პირის საბურველისათჳს, ელიას ჲ იოანეს ხალენისათჳს, პეტრეს ჲ პავლეს სუდარ ვარძმამანგებისათჳს, ჭინმე უკუ̂ჱ შეუძლოს შესხმად დიდებისა შენისა, რომელსა ცანი ვერ დაიტევენ, თჳთ ღმერთი იგი დამბადებელი ყოველთა შენ შორის სათნო ყოფით დატევნულობდა. ჰოი! სამგზის სანატრელო კუ̂ართო საღმრთოო, რა-მეთუ თჳთ მებრ ესე-ოდენ კმა არს შენდა ქებად ღირსებით სახელის დება ოდენ ღუ̂თისა შენ შო-რის კუ̂ართო საღმრთოო და საუფლოო.

გიხაროდენ ჰოი! საყდარო ღჳთისა მაღლისაო, რამეთუ აწ ვიდრემე უზეშთაესსა უსანატრელესა ქებასა ქებათასა ვიძიებ შესხმად შენდა, რომელსა ვერა რა ესწორების ამას ნეტარებასა, ვაშა უკჳე, ვაშა [1]) შენსა ქებასა და დიდებასა, რამეთუ ვინათგან საყდარ წოდებითა ღჳთისათა, სახე ექმნების უზეშთაესსა მას ყოველთა დაბადებულთასა, უაღრესობით აღმატებულსა ყოველთა ქებათასა, ყოვლად წმიდასა ღჳთის მშობელსა და მარადის ქალწულსა მარიამს დედასა ღჳთისასა, რომლისა შორის დატევნულ იქმნა, რა უკჳე დიდებაღა ვინ შეუძლოს ქებად შენდა ჰოი! სამგზის სანატრელო, რამეთუ კმა არს შენდა ქებად და დიდებად მიმსგავსება მისი, რომლისა მიზეზითა ღმერთი ქჳეყანად გარდამოხდა და ზეცისა და ქჳეყანისანი შეგჳაერთნა ურთიერთას; ხოლო მგემებელნი ხორცსა დ̃ სისხლსა ძისა მისისასა მის მიერ ვმოხარულობთ უკუნითი დ̃ უკუნითი უკუნისამდე.

გიხაროდენ ჰოი! სჳეტო ნათელო და ნათელს მყოფელო ყოველთა მსასოებელთა შენთაო, რამეთუ შენ შორისცა ვიდრემე უაღრესისა და უზეშთაესისა ქებისა და ნეტარებისა შესხმასა შევამზადებ, ბოლოდ ყოველთა კეთილად და უხრწნელად დასასრულისად. რამეთუ შენცა უკჳე მსახელობლობით პატივ გიპყრობ ყოვლად კურთხეულისა მის დედისა ღჳთისა, რამეთუ ჭეშმარიტად სჳეტად ნათლისად მოსწავებულად უწყით წმიდათა წერილთაგან წოდებაჲ შენი ქჳეყანით ზეცად მიწევნულად, ქჳეყანით ვიდრემე აღმოცენებულად; ხოლო ზეცას აღმწჳერვალებულად, რომელი მის შორის მკჳდრ ქმნილისა ღჳთისა სამარადისოდ ჰგიეს დ̃ ღმერთი მის მიერ ჩჳენ შორის, ამისთჳს უკჳე, რაბამ არს უაღრეს სიტყჳსა ხსენება და ქება შესხმისა შენისა, სჳეტო ნათელო მსახეებელო ნათლისა უაღრესისა მის სჳეტისა სანატრელისა ქალწულისაო.

გიხაროდენ უკჳე მრავალ რიცხჳედთა დ̃ უსაზღვროთა, შენ შორის ვიდრემე ღჳთის-მეტყჳელებ ჰოი! კჳართო უსანატრელესო ნეტარებათასა, ყოველთა უკეთუმცა ყოველნივე ღჳთის-მეტყჳელნი ვინ და რიტორნი და ფილოსოფოსობისა უზეშთაეს მქონებელნი შემოკრიბნა ვინ; რაღამცა ვინ შეუძლო ღირსებასა ნეტარებათა და შესხმათა შენთასა, ვინათგან უკჳე მიუწთომელთა ქებისათა მრჩობლთა ღირს იქმნეს პატივთა რაჲამს ბუნება ღჳთაებისა, სხეულსა შორის მყოფი, შენ მიერ შემცველობდა და კჳალად ყოვლად წმიდასა დედასსა მისსა, ყოვლად კურთხეული იგი და სანატრელნი თითნი, ნარნარითა ტკბილ განრჩუნვლობითა, სურვილით და სიყჳარულით მოწლედ მსახურ გექმნებოდეს, ჰოი! გამოუთქმელი იგი და საკჳრჳელი ნეტარება შენი საუფლოო და საღმრთოო ნათლისა საგრაგნელო ელვებით ნათელცისკროვანო კჳართო წმიდაო, ძისა ღჳთისა სხეულისა დამფარველო დასასრულსა უკჳე ზოგადსა დ̃ ერთობითსა გიხაროდენსაჲ შეგითხზავ, სამგანუყოფელნო განყოფილად, დ̃ განუყოფელად ერთნათელნო დ̃ ერთ მნაოობნო, მსახეებელნო წმიდისა სამებისანო; გიხაროდენ უკჳე გიხაროდენ დ̃ კჳალადცა ვიტყჳი პატივად სამებისა სახედ რიცხვისა თქჳენისა, გიხაროდენ საყდარო წმიდაო, სჳეტო ნათელო და კჳართო საღმრთოო; ვითარ უკჳე ნეტარ არს და სამგზის სანატრელ ხსენება და ქება სიწმიდისა თქჳენისა, უმეტესად და უზეშთაეს ამისთჳს, რამეთუ მოსწავებაჲ თქჳენი ყოვლითურთსა თანამდობასა ყოვლად წმიდისა ღჳთის-მშობელისასა, საცნაურ ჰყოფს, საყდარ ქმნილობით, შენ შორის დამკჳდრებითა ღჳთისათა, ეკკლესიაო წმიდაო და სჳეტად ნათლისად ეთერ ცისკროვანებით განმანათლებელად ნათესავსა კაცთასა, სჳეტო ნათელო დ̃ ღჳთაებისა ბუნებისა შემცჳელობით და მფარველად, კჳართო საღმრთოო, გვიდინებდით

1) ვაშა — კეთილი, კარგი, უმჯობესი სიკეთე, უმეტესი, ეჴა . . . . . . .

უკუჱ მარადის, გვიდინებდით ოქრო ნეკტარსა და უშურველად წარმოცენებით გვიწყაროებდით მი-რონსა წმიდასა უკუჱდავ-მყოფელად სარგებელსა სულისასა და მოგვანიჭებდით მადლსა საღმრთო-სა უხუჱბით და შენდობასა ცოდვათასა, შეწევნითა მისვე დედისა ღ̃თისათა, სასოებითა ტრფიალ-თა წყალობისა მისისა მეძიებელთა, რამეთუ ღირს არს მეძიებელი წყალობისა, ვინათგან უკუჱ მცნება არს ძისა მისისა, ვითარმედ «ირეკდით და განგეღოს, ეძიებდით და ჰპოოთ».

უკეთუ რაჲ დავაკლოთ ჯერისაებრსა ღირსებასა, ვითარცა ხორციელებრ სხეულსა შინა განს-ფრდილების მქონეთა, სძლევდინ უკუჱ წყალობა და კაცთმოყუარებითი სახიერება ძისა მისისა უძლურებასა ჩუჱნსა, ვითარცა იტყჳს ვითარმედ, «რომელმან მოიდრიკოს ქედი მისი ჩემდა არა გარემივაქციო პირი ჩემი მართლ უკუნ წყალობითა ჩემითა, არამედ სძლევდინ სახიერებაჲ ჩემი უძლურებასა მისსაო», ამისთჳს უკუჱ ვითხოვ თქუჱნ მიერსა შეწევნასა, თანადობითა ყოვლად წმიდისა და კურთხეულისა დედისა ღ̃თისათა ჯოი! სამნო სამნათელნო, მსახებელნო წმიდისა სამე-ბისანო, არამედ უკუჱ მეტყუჱლსა სიტყჳსასა კადნიერ ქმნილობით, არა ვიდრემე მე სილაღით, არამედ მსასოებელსა კეთილთა წადიერებისასა მომატყუჱბელ მექმნენით, ხელ ყოფისათჳს, რამე-თუ თქუჱნითა მინდობითა ვიწყე სიტყუად და შეკადრებად უმეტესსა ძალისასა; რამეთუ უწყი კე-თილად სრულ ყოფა ღ̃თისა სასოებით ნამეტნავსაცა ძალისაებრსა კეთილ საგონებელობით შეცა-დინეობაჲ, ვინათგან ძალი მის უძლურებასა შინა სრულ იქმნების სიტყჳსაებრ სამოციქულოსა რამეთუ უკჳჱლად ნამდჳლვე ყოველთა მსასოებელთა მისსა მიმართ, ყოვლადვე და მარადის ურ-ცხვენელ ჰყოფს ურცხუჱნელი იგი ყოველთავე მისა მიმართ მილტოლვილთა, სახიერი იგი და კაცთ-მოყუარე ღმერთი ჩუჱნი, რომელსაცა ვაქებდეთ, ვაკურთხევდეთ და ვადიდებდეთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, სამებასა ერთ არსებასა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე (ამინ.)[1].

სუჱტო ცხოველო ბრწყინვალეო, ღ̃თივ-აღმართებულო,
განანათლე მგალობელნი და მადიდე-
ბელნი შენნი.

---

1) სჳნაქსარი ესე კათალიკოზ ნიკოლოზ პირუჱლისაგან + 1160 წ. შედგენილ არს, ძუჱლთა მატიანეთაგან.

## ტროპარი ხმა ჱ

კათოლიკე ეკლესიისა დღესასწაული სჳჱტისა წმიდისა და კჳართისა საუფლოსა, ნათელი შემოჰკრებს კიდეთა სოფლისათა უკჳდავებად წმიდად მირონსა გჳწყაროებს, რომელნი წმიდასა ღჳთის-მშობელსა და მისგან შობილსა ქრისტესა თაყჳანისვჰსცემთ, რათა ვჰპოვოთ ცხოვრება სულთა ჩჳჱნთა.

---

## კონდაკი ხმა იგივე

რომელი ჩჳჱნთჳს ჯჳარს-ეცჳა და სიშიშჳლე ჩჳჱნი კჳართისა თჳსისა მიმართ ყოვლად წმიდისა დაფარჳად წყალობით განგებულ ჰყო, მოვედით ერნო მცნობელნი მხოლოსა მის უვნებელისა და ვნებულისანი ვადიდებდეთ მრჩობლთა შინა ერთად ქრისტედ მცნობელნი მისნი, და უგალობდეთ შენ ხარ ღმერთი ჩჳჱნი ყოვლად ძლიერი, კაცთ-მოყჳარე და მაცხოვარი.



ႡႠႡႨႬႨ.

М. САБИНИНЪ.

ႼႫႨႣႠ ႫႭႺႨႵႳႪႨ ႱႰႳႪႨႠႣ ႱႠႵႠႰႧႭჃႤႪႭႱႠ
ႬႨႬႠ

# მოქცევაჲ მირიან მეფისა და მისთანა ყოვლისა ქართლისაჲ, წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა მიერ.

უძლური ჭედა, ძლიერთა ჯიმ მეაღვირე.
კუართისა მძებნი, ღუთის დედის მოციქული.
ტინთა მაგართა, ცვლად ღუთისად მიმნთები,
გერპით მეხი სრულად, ქართუელთა მეანდრიე.
დიდებით დიდი, ნინო განი — ღუთის — სახლებს.

თქმული ნიკოლაოზ ცფილელის მიერ.

## ხსენება მის ნეტარისა იანვრის იდ.

პირუელად უკუე ვახსენოთ ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა და ყოვლისა ქართლისა განმანათლებელისა ნინო მოციქულისა, რომელი ესე თჳთ მანვე ნეტარმან მოგვითხრა ჟამსა აღსრულებისა მისისასა, რომელი აღწერა მორწმუნემან დედოფალმან სალომე უჯარმელმან ძის ცოლმან მირიან მეფისამან, რომელი ესე იკითხვების იანვრის იდ.

და იყო მათ ჟამთა შინა ოდეს წმიდა გიორგი[1], კაპადუკიელი იწამა ქრისტესთჳს, კაპადუკიათ ქალაქით კაცი ვინმე მთავარი შესაბამი მონა ღუთისა სახელით ზაბულონ და ესე წარვიდა ჰრომედ წინაშე მეფისა მაქსიმიანესა მსახურებად და ნიჭისა მოღებად მისგან და მათვე დღეთა შინა კაცი ვინმე იყო კოლასტრას შინა[2] და ესხნეს მას ორ შჳლ, ძე და ასული, სახელი ძისა მისისა იობენალ, ხოლო ასულისა სოსანა და აღესრულნეს მეუღლენი იგი, დაშთეს და — ძმა ობლად. აღდგეს და წარვიდეს იგინი ქალაქად წმიდად იერუსალიმად, და იმედ ჰყუჲს იმედი იგი ყოვლთა ქრისტიანე-

1) წმ. მოციქული ნინო ბიძა-შვილი იყო წმ. მთავარმოწამისა გიორგისა, ვითარ მოგვითხრობს ერთი ძუელი მატიანე იოანე ბატონიშვილისა.

2) ქალაქი კოლასტრა დასავლეთის კაპადუკიაში იყო.

თა, წმიდა აღდგომასა და მიევედრნეს ესენი მუნ, ვინაცა ძმა ესე სოსანასი იობენალი მიემთხვა დევტალარობასა [1]), ხოლო დაჲ იგი მისი სოსანა ჰმსახურებდა ნამფორსა სარრა ბეთლემელსა. ხოლო ესე ჭაბუკი კაპადუკიელი სახელით ზაბულონ, რომელი ვახსენეთ შესავალსავე, მიიწია ჰრომედ წინაშე მეფისა და აღდგომილ იყვნეს მას ჟამსა ბრანჯნი (ფრანგნი, ფრანცუზნი) ბრძოლად ჰრომთა ველსა ზედა პატალანისასა და მოსცა უფალმან ძალი ზაბულონს ჭაბუკსა მას კაპადუკიელსა უძლეველი და ჰქმნა უზომო წინა აღდგომა მტერთა მათ მიმართ და იოტნა ბრანჯნი იგი და შეიპყრა მეფე ბრანჯთა და ყოველნი იგი მთავარნი მათნი და მიიყვანნა იგინი წინაშე მეფისა, ხოლო მეფემან განაჩინა სიკ̃დილი მათ ყოვ̃ლთავე, მაშინ იწყეს ტირილად ბრანჯთა მათ, ევედრებოდეს ზაბულონს და იტყოდეს. პირ̃ლად უკ̃ მოგ̃ც ჰსჯული თქ̃ნი და შეგვიყვანენ ჩ̃ნ ტაძარსა შინა ღ̃თისათ თქ̃ნისასა და მაშინღა იყავნ სიკ̃დილი ჩ̃ნი, რამეთუ შენ მიერ შეპყრობილ ვართ და შენვე ჰყავ ესე ჩ̃ნ ზედა, და უბრალო იქმენ სისხლისაგან ჩ̃ნისა ახოვანო. ხოლო ზაბულონს ვითარცა ესმა ესე მსწრაფლ აუწყა იდუმალ პატრიაქსა სიტყ̃ა მათი და მისცეს ნათელი ხელსა ქ̃შე ზაბულონისასა და შეიყვანეს ტაძარსა ღ̃თისა და აზიარნეს საიდუმლოსა ხორცსა და სისხლსა ქრისტესსა და უჩ̃ნნეს მათ დიდებანი იგი წმიდათა მოციქულთანი; და შემდგომად ამისსა აღიმსთ̃ს განთიად ბრანჯთა მათ და შეიმოსეს სამოსელი სამკ̃დრო და განვიდეს ადგილსა კაცის სამკლველოსა და სისხლისა დასათხეველსა, ილოცვიდეს და ჰმადლობდეს ღმერთსა ნათლის ღებისათჳს და ზიარებისა, რომელი მიიღეს მათ და ოდენ ესრეთ, — ვითარმედ ჩ̃ნ სიკ̃დილსა ამას შინა უკ̃დავნი ვართ, რამეთუ ღირს გვყვნა ღმერთმან ვითარისა ესე დიდებისა ხილვად და მიღებად საგზალსა მას დაულევნელსა, ხორცსა და სისხლსა ქრისტესა ღ̃თისა უკ̃დავისასა, რომელი უმაღლეს არს ყოველთა მაღალთა და უქ̃სკნელეს ყოველთა უფსკრულთა და ქ̃სკნელთა, რომელ იგი არს კურთხეულ უკუნისამდე. ხოლო ვაჲ ნაშობთა ჩ̃ნთაჲ, ნაყოფთა სიმწარისათა და მკჳდრთა ბნელისათა და ხმობდეს მოვედინ მეხრლმე და აღიხ̃ნ თავნი ჩ̃ნნი ჩ̃ნგან, ხოლო ამას რა ხედვიდა ზაბულონ, აღიძრა გონებითა და ტიროდა მწარედ, რამეთუ ვითარცა ცხოვართა თავნი მათნი წარკ̃თად მოსიკ̃დიდ მიეპყრნეს და ვითარცა კრავთა შჳლთა მათთა საწყალობელად იგლოვდეს. მაშინ მოწყალე ქმნილმან მათ ყოველთათჳს ზაბულონ შევიდა წინაშე მეფისა, გამოითხოვნა იგინი მეფისაგან და ნიჭითა განუტევნა; ხოლო იგინი ევედრებოდეს ზაბულონს, რათა წარჰყვეს ქ̃ყანასა მათსა და მისცეს ჰსჯული ქრისტესი და ნათლისღება წყლითა ყოველსა ერსა მათსა, ხოლო მან ისმინა ვედრება მათი და მოითხოვა მღ̃დელი პატრიაქისაგან და ბრძანება მოიღეს მეფისაგან და წარვიდეს სიხარულით.

და ვითარ მიეახლნეს დღისა ერთისა სავალსა, მივიდა წინა ამბავი მათი, ვითარმედ მეფე ცოცხალი მოვალს და ყოველნი მთავარნი მისთანა, მაშინ შეიძრნეს ათნი საერისთონი, ხოზამაჲ და ხოზაბა და ზაქაჲ და ხენებაგი, ტიმგარაგი დაზაქაჲ, გაზაჲ, ზარგაჲ, ზარდა, ზამრაჲ და თმონაგონი და სამეფო, მიეგებოდეს მდინარესა ზედა დიდსა ღრმასა და განჰყო მეფემან ერი იგი ყოველი და დაადგინა წყალსა მას იმიერ და ამიერ და აკურთხეს მღ̃დელთა მათ მდინარე იგი, და შთახდა ყოველი იგი ერი წყალსა მას, განიბანებოდეს და აღმოვიდოდეს აღმოსავალსა ერთსა და დასდებდა მღ̃დელი ხელსა თჳსსა ყოველსა მას ერსა, ათ დღე მუნ ყოფასა მას მისსა მდინარესა მას ზედა. და აღმართნა კარავნი და შეწირეს მღ̃დელთა უსისხლო იგი მსხ̃რპლი და აზიარნეს ერნი

1) დევტალარი ანუ ეკონომოსი.

იგი ქრისტეს საიდუმლოთა დაუტევნა მღუდელნი და განაწესა ყოველი წესი ქრისტიანობისა, მისსა შემდგომად იჯმნა მათგან, დაუტევა მშჳდობაჲ და წარვიდა ნიჭითა დიდითა ჭრომედ და განიზრახა გონებასა თჳსსა იერუსალიმად წარსლვა და ვითარ მიიწია იერუსალიმად განუყო მონაგები თჳსი გლახაკთა მცნებისათჳს ღ̃თისა და იხილა რამეთუ პირუელ ხსენებული იგი დეკტალარი პატრიაქ ქმნულ იყო და ფრიად დაემეგობრნენ ურთიერთარს ზაბულონი იგი და პატრიარქი, მაშინ ჰრქუა სარა ნიამფორმან პატრიარქსა ესრეთ: ვითარმედ ესე ზაბულონ მამა და ემბაზი ბრანჯთა, კაცი სრული სიბრძნითა და ღ̃თის მსახურებითა არს ყოვლადვე და მიეც უკუე დაჲ ესე შენი სოსანა, ცოლად მისდა, ვინაცა ჰსთნდა წმიდასა პატრიარქსა განზრახუა ესე სარასი.

და ესე წმიდა ნინო მოძღუარი ქართლისა, მათგან იშუა იგი მხოლოდ, თჳნიერ სხჳსა შჳლისა და აღზარდა დედამან მისმან სოსანა მსახურებასა მას შინა გლახაკთასა, ხოლო ვითარ ჰქმნა ნინო წლისა ათორმეტისა, მაშინ განჰყიდეს ყოველი რაჲცა აქუნდა და წარვიდეს იერუსალიმად; ხოლო მირაიწინეს იერუსალიმად მას ჟამსა ზაბულონ დაიწერა ჯუარი პატრიარქისაგან და იჯმნა ცოლისაგან თჳსისა და შეიტკბო მკერდსა თჳსსა ასული თჳსი წმიდა ესე ნინო და დაალტო პირი ნინოსი ნაკადულითა ცრემლთათა, რომელნი იგი გარდამოსთხივნა თუალთაგან თჳსთა და ჰრქუა, შენ მხოლო ასულო, ჩემო ესერა დაგიტეობ ობლად და მიგითუალავ მამასა ზეცათასა და ყოველთა მზრდელსა ღმერთსა, რამეთუ იგი არს მამა ობოლთა და მსაჯული ქურივთა და ნუგეშინის შენ შჳლო ჩემო, ხოლო შენ მარიამ მაგდანელისა ური აღიღე ქრისტეს სიყუარულისათჳს, და დათა მათ ლაზარესთა და უკეთუ შენ ეგრევე შეიყვარო იგი ვითარცა მათ შეიყუარეს, მან ეგრეთვე მოგცეს შენ ყოვლივე რაჲცა ითხოვო მისგან.

ხოლო ესერა თქუა დაუტევა ამბორის ყოფა საუკუნო და წარვიდა წიაღ იორდანესა კაცთა მათთანა ღ̃თისათჳს ველურ-ქმნილთა და კაცთაგან განშორებულთა, რომლისა იგი სადა ყოფა უწყის ღმერთმან ყოვლისა მეცნიერმან და დამბადებელმან.

ხოლო დედა იგი ნინოსი მისცა პატრიარქმან მსახურებად გლახაკთა დედათა და უძლურთა და წმიდა ნინო მსახურებდა ნიამფორსა სომეხსა დვინელსა ორწელ და ჰკითხვიდა ყოვლადვე ვნებათა მათ ქრისტესთა ჯუარცმისა, დაფლვისა და აღდგომისა მისისა და სამოსლისა და ტილოთა და სუდარისა და ჯუართასა; და სხუათა ყოველთავე შედგომითი შემგომად გამოეძიებდა, რამეთუ არავინ ყოფილ იყო და არცავის იყო შორის იერუსალიმსა სწორ მისსა მეცნიერებითა, ჰსჯულისა ძუელისა და ახლისათა ყოვლადვე ზედა მიწევნით, ხოლო იწყო უწყებად მისსა და ჰრქუა, ვხედავ შჳლო ჩემო ძალსა შენსა, ვითარცა ძალსა ლომისა მდედრისასა, რომელი იზახებნ ყოველთა ზედა ოთხფეხთა, ვინა ვითარცა არწივი (ორბი) დედალი, რომელი აღვიდის სიმაღლესაჲ ჰაერთასა უფროს მამალისა, და ყოველი ქუეყანა გუგასა შინა თუალისა მისისასა მცირისა მარგალიტისა სწორად შეიყვანის და განიცადის და განიხილის საჭმელი მისი ცეცხლებრ, ხოლო იხილის რა მიუტევნის ფრთენი და მიიწივის მას ზედა, ეგრეთვე სახედ ამისსა იყოს ცხოვრება შენი, წინა მძღუარებითა სულისა წმიდისათა.

ხოლო აწ ვიწყო და მიგითხრა ყოველივე: რამეთუ ოდეს იგი იხილეს ღმერთი უკუდავი კაცთა მოკუდავთა ქუეყანასა ზედა, რომელი მოსრულ იყო მოწოდებად წარმართთა, ვითარცა თჳთ ინება ხსნა სოფლისა, იწყო კეთილის ყოფად ჰურიათა, მკუდართა აღდგინებად, ბრმათაჲ ახილვად, სნეულთა განკურნებად, რომელი ესე შეიშურნეს და შეიზრახნეს და წარავლინნეს სტრატიოტნი ყოველსა ქუეყანასა, სწრაფით მოსლვად ჰურიათა და თქუს. «რამეთუ აჰა ესერა წარვწყმდებითო», მოვედით და შემოკრბით ყოველნი». მაშინ მოიწივნეს ყოვლით სოფლით კაცნი რიცხვით სწავლულნი და

მეცნიერნი ჰსჯულსა მოსესსა, რომელნი იგი ანტაკრად წინა აღუდგეს სულსა წმიდასა ⁊ რაჲ იგი ჯერ იყო ყოფად ქრისტესა მათ აღასრულეს, რამეთუ ჯუარს აცუეს ⁊ სამოსელსა მისსა ზედა წილი იგდეს, მიეცა და ხუდა წილითა მით ჩრდილოელთა მცხეთელთა მოქალაქეთა; ხოლო დაფლეს მათ ჰურიათა ქრისტე ⁊ დაკრძალეს ⁊ დაბეჭდეს საფლავი იგი მისი, არამედ იგი აღსდგა ვითარცა თქუა პირმშოლად და ტილონი იგი ჰპოვნეს განთიად საფლავსა მას შინა ქრისტესსა და მოვიდა პილატეცა და ცოლი პილატესი საფლავად ⁊ ტილონი იგი ვითარ იპოვნეს მოითხოვნა ცოლმან პილატესმან და წარვიდა მსწრაფლ პონტოდ სახლად თჳსად ⁊ იქმნა მორწმუნე ქრისტესა [1]), ხოლო შემდგომად ჟამთა რაოდენ-თამე მივიდეს ხელთა ლუკა მახარებელისათა ტილონი იგი დასხნა იგი მან სადაცა თჳთ იგი უწყის.

ხოლო სუდარი არა იპოვა არამედ თქუს ვიეთმე პეტრესთჳს, ვითარმედ ხელეწიფა ახუმა და აქუს მასო, არამედ განცხადებულად არა გვითხრნეს ვითარ სხუა იგი, ხოლო ჯუარნი ამასვე ქალაქსა შინა იერუსალიმს დამარხულ არიან, გარნა ადგილი მათი არავინ უწყის და ოდეს ინებოს ღმერთმან გამოჩნდენ იგინიცა.

ვითარცა ესმა ესე ყოველი წმიდასა ნინოს, სარა ნიამფორისგან, მაშინ შეჰსწირა ღმერთსა მადლობა და კურთხევა და კუალად ჰკითხა მას, თუ «სადა არს ჩრდილოსა იგი ქუეყანა, სადით იგი მოსრულთა მათ ჰურიათა წილჰხუდა და წარიღეს სამოსელი იგი უფლისა ჩუენისა ქრისტესი», მი-უგო და ჰრქუა სარა ნიამფორმან ვითარმედ არს აღმოსავლით კერძო ქალაქი სახელით მცხეთა და ქუეყანა ქართლისა ⁊ სომხითისა, მთიულეთი ⁊ საწარმართო არს იგი აწ, რამეთუ ჟამსა ამას უჟიკთა [2]) სახელმწიფოდ შექმნილ არს.

ხოლო მათ დღეთა შინა მოვიდა დედაკაცი ვინმე ეფესოთ, თაყუანისცემად წმიდისა ადგილი-სა ⁊ ჰკითხვიდა დედაკაცსა მას სარა ნიამფორი, ვითარმედ ელენე დედოფალი ჯერეთცა ეგე ვითარსა ცთომილებასა და ბნელსა შინა არსა, ხოლო მან ესრეთ ჰრქუა, ვითარმედ, ვარ მე მხევალი მათი ⁊ მახლობელი განზრახვასა მათსა ყოველსა ცხადსა ⁊ დაფარულსა ⁊ ვუწყი მე მისი, რამეთუ აქუს მას აწ დიდი წადიერებაჲ ქრისტეს ჰსჯულისა ⁊ ნათლისღებისა თჳს.

ხოლო ესმა რა ესე დედაკაცისა მისგან წმიდასა ნინოს, ჰრქუა ნიამფორსა ესრეთ, «ვითარ წარმგზავნე მე და მივიდე წინაშე ელენე დედოფლისა, ნუ უკუე ⁊ მივეახლო სიტყუისაგებად ქრი-სტესთჳს წინაშე მისსა. ხოლო ნიამფორმან აუწყა პატრიარქსა წადიერება ესე ⁊ საქმე ნინოსი, ხოლო პატრიარქმან მან ძმამან ნინოს დედისამან მოუწოდა წმიდასა მას ნინოს დის წულსა თჳსსა ⁊ დაადგინა იგი აღსავალსა წმიდისა საკურთხეველისასა და დასხნა ხელნი მისნი წმიდანი მხართა ზედა მისთა, სულთ ითქუნა ცად მიმართ სიღრმით გულისა მისისათ და ჰსთქუა: «უფალო ღმერთო საუკუ-ნეთაო, ხელთა შენთა შევვედრებ ობოლსა ამას მჴლსა დისა ჩემისასა და წარვავლინებ ქადაგებად ღუთაებისა შენისა, ახაროს აღდგომა შენი, სადაცა სათნო იყოს სრბაჲ ამისი, ექმენ ქრისტე ღმერთო ამას მოგზაურ, ნავთსადგურ, მოძღუარ, ენამეცნიერ, ვითარცა იგი უწინარეს ამისსა მოშიშთა სახელისა შენისათა.

და უჯმნა დედისაგან თჳსისა ამბორის ყოფითა განშორებისათა და გამოჰსახა მას ზედა სასწა-ულსა ჯუარისა და ესრეთ ლოცუითა ღუთისა მიმართ და კურთხევითა განუტევა და წარემართა წმი-

1) ეს ადგილი არ იპოება არც ქართლის ცხოვრებაში და არცა სხუათა წერილებში.

2) უჟიკნი ანუ უსნი აწინდელნი ოსნი, ნაკე მათ თჳს აღწერა ბერძენთა მეფისა კონსტანტინე პორფიროგე-ნიტისა Administr. Imper. თავი 27.

და ნინო დედაკაცისა მისთანა; ეფესოთ მოსრულისა და ვითარ მიიწივნეს სამეფოსა ჰრომთასა სახიდ დედაკაცისა მის, რომლისა იგი თანამოგზაურ ექმნა, იხილეს მუნ დედოფალი ვინმე ნათესავი ტომი მეფეთა სახელით რიფსიმე და დედა მძუძე მისი გაიანე, რომელნი ესე იყოფოდეს მონასტერსა შინა ქალწულთასა და ჰსუროდა ქრისტეს აღსარებისათჳს და მომლოდე იყჳნეს იერუსალიმით ნათლისღებასა. მაშინ დედაკაცმან მან წარუდგინა წმიდა ნინო და აუწყა საქმე მისი დედოფალსა რიფსიმეს, რომელი იგი იხილა რა ქრისტეს მოყუარემან რიფსიმე სიხარულით შეიტკბო და შეიწყნარა სახიდ თჳსად წინაშე მისსა წმიდა ნინო ხელთაგან მის დედაკაცისა თანამოგზაურისათა და ესრეთ იყოფებოდა რა მისთანა წმიდა ნინო, მასვე შინა წელიწადსა ნათელ იღო რიფსიმე; რომლისათჳს იგი სუროდა და მისთანა გაიანეცა დედა მძუძემან მისმან და სხჳათა მათ სახლეულთა მისთა რიცხჳთ ორმეოცდა ათთა სულთა ხელსა ქუეშე წმიდისა ნინოსსა და იყოფებოდა მონასტერსა შინა თჳსსა და მათთანა წმიდა ნინო ორწელ.

მათ დღეთა შინა წარავლინნა კეისარმან ძიებად ქალისა ქმნილ კეთილისა და შუენიერისა, რათამცა უპოვეს ღირსი ცოლად მისსა და ვითარ მოიწივნეს მეძიებელნი იგი მონასტერსა მას ქალწულთასა და იხილეს და განიცადეს რიფსიმე და ჰსცნეს მეფეთა ნათესაობა მისი, ფრიად ჰსთნდათ შუენიერება მისი, რომლისა ვერ სადა იხილეს მსგავსი ხილვითა და შუენიერებითა და გამოსახეს სახე შუენიერებისა და ხატისა მისისა ფიცარსა ზედა და წარგზავნეს წინაშე კეისრისა; რომელი იხილა რა კეისარმან ფრიად ჰსთნდა და სიხარულით აღივსო და განაწესა აღსრულება ქორწილისა, განცხრომითა და კეთილთა სიმრავლითა, რომელისათჳს მსწრაფლ წარავლინნა მოციქულნი და განმგებელნი ყოველთა შინა საბრძანებელთა მისთა, რათა ყოველნივე ძღუენითა შემოჰკრბენ და დიდითა სიხარულითა მოვიდენ ბრძანებასა ამას ქორწილსა სამეფოსა.

ხოლო იხილეს რა ყოვლად წმიდათა მათ დაფარული იგი მანქანება მტერისა და ისარნი მისნი განხურვებულნი, რომლითა იგი ისწრაფდა სისრად წმიდათა ქრისტესთა, იურვოდეს, რამეთუ ჭური რისხჳსა იპოვა მეფე, ვითარცა იგი გუელი სამოთხესა შინა მზრახუელ ექმნა, ეგრეთვე აქა მსგავსად მისსა უჰსჯულო ესე, რომელსა აქუნდა შეგინებული თაყუანისცემა ბილწთა და საძაგელთა კერპთა.

ხოლო იხილეს რა ნეტარმან რიფსიმე და გაიანე და სხჳათა მათ მოწესეთა დედათა განსაცდელი ესე მოწევნად მათ ზედა, მაშინ მოიხსენეს მათ უბიწო იგი აღთქმა და ღირსი ქებისა მარტოებით ცხოვრება, რომლისა იგი იყჳნეს განსწავლულ და გოდებით ტიროდეს შესწავებისა მისთჳს წინაშე მეფისა უჰსჯულოისა შუენიერებისა წმიდისა რიფსიმესსა, რომელი იგი გამოხატვით წარგზავნეს და მისცნეს თავნი თჳსნი ფიცხელსა მოღუაწებისა კანონსა, ლოცვათა და ვედრებითა ღმრთისათა დაუცადებლითა და მხურვალითა და ერთობით განზრახვით ურთიერთარს ყოველთავე მათ დაუტევეს ფარულად ქუეყანა იგი ორმეოცდაათსამეტთა სულთა და მოიწივნეს ლტოლვილნი არითა და სანახებთა სომხითისათა, ადგილსა მას რომელსა ჰრქვიან ახალქალაქი ურეს შენებულსა რომელ არს დჳნი, საყოფელი სომეხთა მეფისა და შევიდეს ტალავართა მათ შინა საწნახელთასა, რომელნი იგი იყჳნეს შენებულ ჩრდილოთ კერძო და აღმოსავლით და იზრდებოდეს მუნ შინა ხელსაქმისა თჳსისა განვაჭრებითა.

ხოლო იხილა რა კეისარმან, რამეთუ განერნეს ხელთაგან მისთა და ტრფიალებისაგან მისისა ბოროტისა წმიდა რიფსიმე და სხჳანი იგი მისთანი, აღივსო უნუგეშინისცემოითა მწუხარებითა და წარავლინნა ყოველთა ადგილთა კაცნი მოძიებად მათდა, მაშინ მოიწივნეს მოციქულნი კეისრისანი

წინაშე ტრდატ მეფისა სომხეთისა და მოართჳს წიგნი კეისრისა, რომელსა წერილ იყო ესრეთ: «თჳთ მპყრობელი კეისარი საყუარელსა ძმასა და მეგობარსა და თანამოსაყდრესა ჩემსა ტრდატს გიგიითხავ. უწყებულ იყავნ შენი ძმობაჲ და თანაშემწეობაჲ, რომლისათჳს იგი პირუტყულადვე გუამვნების შეცთომილისა მის ქრისტიანეთა ნათესავისა, რამეთუ ყოვლადვე შეურაცხ იქმნების ჩუენი უფლებაჲ მათისაგან კრებულისა დასაწუნელ არს ჩუენი ჴელმწიფობა მათგან, რამეთუ ეგინი ჯუარ ცმულსა ვისმე მომკუდარსა მსახურებენ და ძელსა თაყუანისსცემენ და თავისა მათისა სიკუდილსა უფლისა მათისათჳს დიდებად შერაცხებენ და არა ეშინის ჴურიათაგან და მოკლულისა მისგან ჴურიათაგან და ჯუარ ცმულისა ეშინის და შეცთომილ არიან. და მეფეთა აგინებენ, ღმერთთა შეურაცხჰყოფენ და ძალსაცა მზისა და მთოვარისა და ვარსკულავთა ნათელისასა არად შერაცხუენ, არამედ შექმნულად იტყვიან მათ ჯუარცმულისა მის მიერ და ესრეთ მიაქცევს ქუეყანასა ვიდრემდის მამანი დედათაგან და დედანი მამათაგან ცოცხლივ განაშორნეს, დაღაცათუ ქადებითა და სატანჯუელითა მოვსაწყვიდენით, არამედ კუალადცა უფროსღა განმრავლდეს; ხოლო აწ შემემთხჳა მე ხილვა ნათესავისა მათგანისა ქალისა ერთისა ჭაბუკისა და განვიზრახე მოყვანებაჲ მისი ცოლად ჩემდა, ხოლო ამან არცალათუ მეფისა უთქვა გულმან მისმან სურვილად ჩემდა, არამედ საძულველად და არა წმიდად შემრაცხეს მე, რომლითა მერმე იქმნეს ფარულად ჩემგან და კერძოთა ქუეყანისა შენისათა წარმოსრულ არიან; უწყებულ იყავნ შენდა ძმაო ჩემო, მოიძიენ იგინი და ჰპოვნე რა მისთანანი იგი სიკუდილითა მოაკუდინენ, ხოლო რომელი იგი მათ შეაცთუნეს შუენიერი ხატითა სახელით რიფსიმე ჩემდავე წარმოავლინე და უკეთუ შენ გთნდეს იგი თავისა შენისათჳს იგულვე; რამეთუ არა იპოვა სხუა მსგავსი მისი ჰრომთა სოფელსა შინა და ცოცხლებითმცა იყოფები შენ და მსახურებასა შინა ღმერთთასა».

ხოლო აღმოიკითხა რა ტრდატ ბრძანება ესე კეისრისა, მყის იწყო მოსწრაფებით ძიება მათი და ჰპოვნეს რა საწნახელთა მათ შინა პირუტყულ ხსენებულთა და იხილა რა რიფსიმე, იწყლა ტრფიალებისა გულის თქმითა და სიხარულითა დიდითა აღივსო და დაამტკიცა მიყვანება მისი ცოლად თჳსად. ხოლო ურჩ ექმნა რა ტრდატს მეფესა ამისთჳს წმიდა რიფსიმე, მაშინ იწამა მის მიერ წამებისა ღუაწლითა და მისთანა გაიანეცა დედა მძუძე მისი და სხუანი მრავალნი მისთანანი ქალნიცა იგი წერილ არს წიგნსა მას წამებისა მათისასა[1]) და გუამუწყების სასწაულნი იგი, რომელნი იქმნეს

1) წმ. რიფსიმესთჳს მუხლობს მაცნენთა შორის ჰპოვებ ესე: ამბავი ფრანგეთის ჴელმწიფის ქალის ჰრომსიმეს (რიფსიმე) წამებისა. . . . ამისთჳს რომ უწინ დიდის ჴელმწიფის კეისრის ქალი ჯერეთ ღედოფალს ვახსენებთ სიკეთესა და მლოთიანობასა მისსა, და თმენასა ჴელმწიფობისა და სიამოვნესა ქუეყნისასა საიქიოთ განკითხვის შიშისაგან. კერპის ესავი იყო და გაქრისტიანდა პეტრეს მოციქულის ქადაგებითა (ესე იგი ჰრომთა ეპისკოპოზის ქადაგებითა) წამოვიდა იერუსალიმს სალოცვად და სადაც წმ. საფლავი იყო უწინ გან მივიდა, ილოცა და, ემთხვა და უწინგან მრავალი სამადლოთ გასცა და მრავალი შენობა ჰქმნა და გლახათ ზედან მრავალი გასცა და მრავალი შესაწირავი მიართვა საკმეველთა და სანთლის ფასი გაუჩინა და ტირილითა და ცრემლის ფრქვევით და ნანებით შენდობის მთხოველი იყო წმ. იაკობის ძმისაგან (მღუთისა, ესე იგი იერუსალიმის ეპისკოპოზისგან) ნაშოვნი აქუნდა ნიშანი ძელი ჭეშმარიტისა, მოიტანა ჰრომს და იქ დარჩა, მათსა შჳლთა და ჩამომავალთა, ამან მიაწოდა წმ. ჰრომსიმეს (რიფსიმეს) მეოთხე თაობა იყო მათის მამაპაპათ აქამდისინ ამათში, ეს ჯერეთ ღედოფალი ქრისტიანთაგან ნაშობი იყო; ამან გაუშვა ღედოფლობა და სიამოვნე ქუეყნისა და ჩაიცუა ჩოხა და შემოსწყრა საწუთოსა და შევედრა სული მისი ღმერთს და ქალწული უჯესტესსა მარიამ ყოვლად წმიდასა და საყდარსა მისსა და იქ დახვდა ვითაც მშობელი გაიანე დედაკაცი, საღმრთოს საქმის მასწავლებელი, ლოცვა მონებით ავთა ნაქმართა მონანავი, მტირალი და მოუთმენელი განკითხვის დღის შიშისაგან მოსაჯე ღმრთისა. ამ დროს იჯდა ჰრომს დეოკლიტიანე კეისარი კერპთ ესავი იყო. ამან ცოლის შერთვა მოინდომა, მოილო მხატვარნი და გაგზავნა თავის სახელმწი-

ჟამსა წამებისა მათისასა მოქცევასა შინა სომეხთასა, რამეთუ, განგებითა ღმრთისათა, ტრდატ მეფე ეშმად შეიცვალა; ხოლო რომელნიმე მათ წმიდათაგანნი დაიმალნეს და ივლტოდეს, რომელთა თანა ნავე მაშინ ესეცა წმიდა ნინო დამალულ იქმნა ეკალთა შინა ვარდისათა, რომელი იგი ჯერეთ არღარა გამომღებელ ქმნილ იყო ყუავილისა ჟამსა მას; და ესრეთ დამალულ რაჲ იყო წმიდა ნინო, იხილა მან მუნით გამო სახითა მთავარდიაკონისათა შთამომავალი ზეცით ნათლისა ოლარითა მოსილი და მპყრობელი სასაკუმევლისა ხელთა მისთა, რომლისა კუამლის სახე სუნნელება დაჰფარვიდა ცათა და კუალად იყო მისთანა სიმრავლე ერთა ზეცისათა, რამეთუ მას ჟამსა განეყოფვოდეს ხორცთაგან სულნი წმიდათა მათ მოწამეთანი, რომელნი იგი შეიერთნეს ბრწყინვალეთა მათ ძალთა ზეცისათა და ესრეთ ცად მიმართ აღიწეოდეს, რომელი ესე იხილა რა წმიდამან ნინო ღაღად ჰყო ესრეთ: «უფალო, უფალო, რად დამიტევე მე შორის ასპიტთა და იქედნეთა». მაშინ ხმა ზეგარდამო, რომელი ეტყოდა, ვითარმედ ესრეთვე იყვეს შენიცა წარყვანებაჲ სასუფეველად წინაშე ღმრთისა ჟამსა მას ოდეს ეგე ეკალი, რომელ არს გარემოს შენსა ყოველივე იქმნეს ვარდის ფურცელ სუნნელ, არამედ აღდეგ და ვიდოდე ჩრდილოთ კერძო, სადა იგი ფრიად არს სამკალი, ხოლო მუშაკი ყოვლად არა.

ამისსა შემდგომად წარვიდა მუნით წმიდა ნინო და მოიწია ორბანთად საზღვართა სომხითისათა და თთჳსა მეოთხესა, რომელ არს მარტითგან ივნისი წარმოემართა და მოიწია მთათა ჯავახეთისათ, სადა იგი მიემთხჳა ტბასა მას დიდსა გარდამომდინარესა, რომელსა ეწოდების ფარავანი, ხოლო მიხედნა რა მუნით და იხილნა მთანი იგი ჩრდილოსანი დღეთა მათ ზაფხულისათა სავსენი თოვლითა და ჴაერითა სასტიკითა, შეძრწუნდა წმიდა ნინო და თქუა ესრეს: «უფალო, უფალო, მიიღე სული ჩემი ჩემგან», და დაჰყო მუნ ორ-დღე და ითხოვა საზრდელი მეთევზურთაგან ტბასაჲ მას შინა მონადირეთასა, რამეთუ მწყემსნიცა იყჳნეს ადგილსა მასვე და ხმილვიდეს რა

---

ფოშია და ყოველთა ასრე ბრძანება მისწერეს: «ვისაც უბიწო ქალი ჰყუანდესო აჩვენეთ, რომ ამ მხატვრებმანო ასრე სახე და ყოვლი ქნილობა მათი გარდილონო, რომ ვითაც ცოცხალი გვეჩვენოსო, რომ საღედოფლოთ გვინდაო». საც მივიდნენ ხელმწიფის ბრძანება ჰქმნეს და ყოველი ქუეყანა და ქალაქები დაიარეს და საყდარში და მინდვრად კარავში მსხდომნი გაშინჯეს და ვისაც ქალი ჰყუანდათ ვითაც ცოცხლისა, ყოველი რამე მათი გარდახატეს, და ან ვიც საწუთროს თმობელნი უბიწონი, სოფლით გადგომილ იყვნეს და ყოვლად წმიდის საყდარ შეხვეწილნი ამითი სახეც გარდილეს და რომელს საყდარში რომ წმიდა ჰორომსიმე (რიფსიმე) შედგომილ იყო იმ საყდარს კარი გაუტეხეს, ჰორომსიმე ვითაც ცოცხალი ყოვლის ნაქმნრობითა და შუენებითა გარდახატეს და ხელმწიფეს გაუგზავნეს; რა ხელმწიფემ ნახა ჰორომსიმე ვითაც ცოცხალი შუენებით ნამეტნავათ მოიწონა, ბრძანება იქმნა საღედოფლოს მოყვანა ჰორომსიმესი და ქორწილის გარიგება ხელმწიფისა. ეს ამბავი უამბეს ჰორომსიმესა და მანც მოიხმო, ვითაც მშობელი მისი გაიანე გამდელი და მოძღუარნი და მხლებელნი მისნი. აქა რჩევა და ვაზირობა ჰორომსიმესა გაბედვა და თავისის გამდლით და მოძღურით და მხლებლებით იქიდამან გაიპარნეს და მივიდნენ იერუსალიმს და ძელი ჭეშმარიტის ნიშანი ყელს ეკიდა, იქ დადგა; იქიდამ საცა წმიდა საფლავი იყო მივიდის მათდ სამთხვეველად და სალოცავად, მრავალს შესაწირავს მიართმევდის და თავის სულის დახსნას შეეხვეწებოდა რომ ეშმაკის მაცთურობისგან დაცულ დაფარული იქმნას. მივიდა გეფსიმანიას, გამდელმან გაიანემ ჴელი დაუჭირა წმიდას ჰორომსიმეს და ეთაყვანა და დაემხო მიწასა და შესტირდა და უწყო ხვეწნა, აჯება ღედათა შიგან ნაქებსა მარიამ ყოვლად წმიდასა, თუალ ცრემლითა და მუხლმოყრითა მას შეავედრა ჰორომსიმე. «შენათ მოახლეთ იყოლიეო და ნურვის დაანებებო, ნურც ძლიერთ ხელმწიფეებსაო და ნურცა მაცთურ ეშმაკსაო, ეს ხელმწიფის ქალი უბიწოებით შენი რძალი და მოახლე შეჰქენო . . . . . .»

სახმილავსა ღამისასა სამწუხროსა ზედა მთისა ჰხადოდეს იგინი შემწედ და მფარველად ღმერთთა მათთა, არმაზს და ზადენს და აღუთქმიდეს მათ შესაწირავთა, ოდეს მოვიდეთ წინაშე თქუენსა მშჳდობით და ამას იტყოდეს იგინი ენითა სომხურითა, რომელი ესე მცირედ რაჲმე ესწავლა ნინოსაცა პირუტყვლგვ ნიამფორისაგან და ჰკითხა ერთსა მწყემსთა მათგანსა და ჰრქუა ენითა სომხურით, ვითარმედ რომლისა სოფლისანი ხართ». ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: ჩუენ ვართ ქინძარელნი რაბატელნი და დიდისა ქალაქისა მცხეთისანი, სადა იგი ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ. და კუალად ჰკითხა წმიდამან ნინო, ვითარმედ «სადა არს ქალაქი იგი მცხეთა»; ხოლო მან მიუგო, ვითარმედ გარდამდინარე ესე ტბისა თანაწარვლის ქალაქსა მას მცხეთისასა.

ხოლო წმიდასა ნინოს შეუძნდა სიგრძე გზისა მის და სიზორროტე მთათა მათ, რომელი იხილა და ამისთჳს შეძრწუნებულმან სულთ ითქუნა და დაიდვა ლოდსა ერთსა სასთუნალ და ესრეთ მიიძინა ჭარდასადინულსა მის ტბისასა და ვითარ იგი ეძინა მას, მოვიდა კაცი ერთი ჩუენებით ჰასაკითა ზომიერი, ხოლო თმითა ნახევარ ოქროსან და მისცა მან წიგნი დაბეჭდილი წმიდასა ნინოს და ჰრქუა «მიართვი ესე მსწრაფლ ქალაქსა შინა მცხეთას მეფესა მას წარმართთასა»; ხოლო წმიდამან ნინო იწყო ტირილად და ჰრქუა მას ვედრებით, ვითარმედ «მე უფალო დედაკაცი ვარ უცხოჲ და უმეცარი და არცა ენისა მეტყუელად მეცნიერ ვარ და ვითარ მივიდე უცხოსა ქუეყანასა და კაცთა მათ თანა უცხოთესლთასა».

---

ამავე ღამეს მარიამ ყოვლად წმიდა სიზმარში ეჩუენა და ასრე უბრძანა: «აქედამ მიდით შენს მეინარის წყლის ქუეყანას ასორისტანს ჰურაჰარ ქალაქშია, იქ ცილოზე ზედან (ხელთაუქმნელათ) დახატული არის ხატი იესოს ქრისტესი, რომ სომეხთა ხელმწიფეს აბგარს, მონაობა ჰსჭირდა და იმ ცილოზედ სახემ გააყრევინა» რა ეს სიზმარი ნახეს წავიდნენ ასორისტანს, ნახეს ხატი ცილოზედ უხელთ დახატული კვცხალებით; ეთაყუანნეს და მრავალი შეჰსწირეს და იქაც ნახეს ყოვლად წმიდა (მღუთის მშობელი) სიზმარში, უბრძანა, «აქედამენ სომეხთ სახელმწიფოში მიდით, საცა წმიდა თათეოზ იესოს ქრისტეს შაგირდი ასაფლავია», აქედამენ წამოვიდნენ და მოვიდნენ მაღალსა მთასა, ვარაქისასა აღმოსავლეთისაკენ. ამ წმ. მთაში იხილა ნიშანი მელისა ჭეშმარიტისა, კიდეც ეჩუენა სიზმარში და უბძანა; მე აქ დგომა მოვინდომე, თქუენ წადით, ღმერთი გიწინამძღვრებსთ, ამათგანნ ზოგც ბერნი და შეუძლებნი იყვნენ, იქ მელის ჭეშმარიტის ნიშანს მოუდგნენ, ჰრიფსიმე და გაიანე ოცდა თექვსმეტის მღუდლითა და მოძღურითა და უბიწოთა და მხლებლებლით ვაღარშაფათის ქალაქში მოვიდნენ, ახლა წადაცა ეჩმიაძინის საყდარი დგას, ერევნის ქუეყანაში, იქ ერთს ვენახის საწნახლის სახლში ჩამოხტნენ და ზოგი ცოცხალნი მძივითა წვრიმალნი ჰქონდათ, ჰური სასყიდლათ წარვიდნენ, იყიდეს და მოიტანნეს და ჰსჭამეს, შიმშილს მორჩნეს . . . . . . . წინას ანბავს მივიდეთ . . . . იქვე მივიდეთ დეოკლიტიანე ხელმწიფემა თავისი საქორწილო საქმე გაარიგა და მეფენი და თავადნი დიდის მორთვით გაგზავნა ჰრიფსიმეს საქორწილოდ მოსაყვანათ, რა მივიდნენ იქ აღარ დახვდა, აქაური მოახსენნეს, დიდი ხანია რომ აქედამ წავიდნენო; ეს ანბავი დეოკლიტიანე ხელმწიფეს შეატყობინეს, ნამეტნავათ იწყინა და გაჯავრდა და ყოველგნით წიგნნი და კაცნი დააფრინეს შამბნელათ და სხუათ მეფეთა და ხელმწიფეებსაც წიგნნები მიჰსწერეს, ამგუარათ რომ, ამ რიგი ქალებნი წამოგვივიდნენო ჩუენთანა გამოგზავნეთო და ერთი წიგნი ტრდატს ხელმწიფეებსაც მოჰსწერეს, ამათაც შეჰქნეს ძებნა და კითხულობა და ვაღარშაფათის ქალაქში ნაპირათ, ერთს ვენახის საწნახლის სახლში ჩამომხტარ იყვნენ; მოძებნეს ჰრიფსიმეს სილამაზე და მშუენიერება ნახეს, გაკვრჳებულნი შეიქნნეს და მისი დიდი ქება ტრდატს ხელმწიფეს მოახსენეს; გამხიარულდა და ამანცა თავისთჳს საქორწილოთ მოინდომა, აქ ტრდატ ხელმწიფე საქორწინოთ აემზადა, უბრძანა თავის ვეზირვექილთა დაკარის გამრიგეთა მივიდნენ ჰრიფსიმეს თანა.

აქ ანბავი წმიდის ჰრიფსიმეს ფრანგეთის ხელმწიფის ქალის და ტრდატ ხელმწიფისა . . . . რა ჰრიფსიმეს სიტურფე და სიმშუენიერე ტრდატს მოახსენეს, უბრძანა: მეფენი და თავადნი მოვიდნენო, მორთულობა მიართვანო და მეიდურთ დედანი და ქალანი წინ წამოუძღვნენო დიდის პატივით საქორწილოს სახლში მოაბრძანონო, ამათ

მაშინ კაცმან მან განუხსნა წიგნი იგი, რომელსა ზედა იყო ბეჭედი იესო ქრისტესი და წერილ იყვნეს მუნ შინა ენითა ჰრომაელებ(რითა) ათნი სიტყუანი მსგავსადვე ფიცართა მათ ქვსათა მოსესთა ზე და მისცა წმიდა ნინოს კითხვად და იყო დასაბამი სიტყუათა ამათ ესე.

ა. სადაცა იქადაგოს სახარება ესე, მუნცა ითქმოდის დედაკაცი ესე. მათ. თ. 26. 13.

ბ. არცა მამაკაცება, არცა დედაკაცებაჲ, არამედ თქუენ ყოველნი ერთ ხართ. გალ. ეპისტ. თ. 3. 28.

გ. წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელსცემდით მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. მათ. თ. 28. 19.

დ. ნათელი გამობრწყინვებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაილისა. ლუკ. თ. 2. 32.

ე. და იქადაგოს სახარება ესე სასუფეველისა ყოველსა სოფელსა. მარკ. თ. 16. 15.

ვ. რომელმან თქუენ შეგიწყნარნეს მე შემიწყნარა და რომელმან მე შემიწყნაროს შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი. მათ. თ. 10. 40.

ზ. რამეთუ ფრიად უყუარდა მარიამ უფალსა, რამეთუ მარადის ისმენდა მისსა სიბრძნესა ჭეშმარიტსა.

ჱ. ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოჰკლვიდნენ ხორცსი (თქუენნი), ხოლო სულისა ვერ შემძლებელ არიან მოწყუედად. (მოკულად . . . . .) მათ. თ. 10. 28.

თ. ჰრქუა მარიამს მაგდანელსა იესო, წარვედ დედაკაცო და ახარე ძმათა ჩემთა. იოან. თ. 20. 17.

ი. სადაცა მიხვიდეთ ჰქადაგებდით სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

---

ასრე ეგონათ, ქალსაც ძამე ბისო. მახარობელი გაუგზავნეს, რომ ხელმწიფემან თავისის ქუეყნის დედოფლობა თქუენ მოგართვაო, მაგ საწნახლით გამოდიო და ხელმწიფის სახლში მობრძანდიო, ტანტს შეჯექო და თავს გვირგვინი შეიდგიო (დაიდგიო). რა ეს სიტყუენი ჰორომსიმემ გაიგონა ასტირდა და ღმერთს ხვეწნა დაუწყო, შენი შემქნელო, სხუათ ნუ მიმცემო, ამდენს ჩემს სასჯელსა და საცდურსაო ცუდათ ნუ ჩამიტარებო, ამ აჯებასა და ლოცუაზედ იდგა რომ ხელმწიფის გამოგზავნილი მრავალი ძვრფასის ნაქსოვები, ოქრო, ვერცხლი და თუალმარგალიტნი მოართვეს ქალისათვს სხუა და მხლებელთათვს სხუა და სხუა; უფრო ასტირდა ჰორომსიმე, შექნა თავს ცემა, და ღმრთის წინაშე ტირილით ხუეწნა, ხმა მოესმა ზეციდამ ანუ გეშინიან მე შენი ვარო და შენ ჩემი ხარო, გაძლიერდიო. ეს ზეცის ხმა ხელმწიფემანც გაიგონა და ჯარმანცა და ყოველნი პირადღმა დაეცნეს და ზოგნი გარდიხვეწნეს მივიდნენ და ხელმწიფეს მოახსენეს, არც თქუენი გაგზავნილი ჩაიცვაო და არც თქუენსა წამოვიდაო. ხელმწიფე გაჯავრდა და ბრძანა, წალით თრევით მომგვარეთო, რადგან ნებით არ წამოვიდაო, მიუხდნენ და ძალათ წამოიყვანეს და მისმან მხლებლებმან შექნეს ტირილი და თავსი ცემანი, დაემხნეს მიწაზედ და შესტირეს ღმერთსა, შეწევნა ჰსთხოვეს იესო ქრისტესა: დაიხსენო ჰორომსიმე ხელმწიფობისა და სიკეთის არა მდომეო შენათ, სამონათ წამოვიდაო, უცხოსა და უმეცარს სალარიბოს ქუეყანაშიო და უსამართლო ხელმწიფისაგან დაიხსენო. ტრდატ შევიდა სენაკში, ქალსთან ვინც იყვნენ გარეთ გაყარნეს და ქორწილის ხმანი აამაღლეს, შეიქმნა ყიჟინი და სიმღერანი და საკრავთ ხმანი ლხინი და თამაშობა და ხელმწიფე საალერსოთ ქალს გარდაეხვია, კოცნა უნდოდა და ქალმან შორს დაუჭირა, გაუძლიერდა, ცხრას ჟამს იჭიდნენ, მღუთის შეწევნით ხელმწიფე დაიღალა და ქალმან თავი არ დაანება ამ რიგს ძლიერსა და ფალავანს კაცსა ყოველთა გესმიათ ტრდატის ძალი და ან რამდენი მამაცნი და ფალავანნი ძლიერნი კაცნი მისგან როგორ ადვილად გალახულან; აწ ჰორომსიმესაგან დაიჩაგრა მღუთის ძალითა, გამოვიდა ხელმწიფე, გაიანე ქალის გამდელი მოიხმო, ეგების ქალი ამან დაამშვიდოსო, ხელმწიფის შესართავათო; მოვიდა გაიანე ხელმწიფის საწოლის კარს დაჯდა ფრანგულის ენით ქალს ლაპარაკი დაუწყო, ტრდატს ასრე ეგონა ამშვიდებსო ჩემად შესართავათო და გაიანე ასრე ეუბნებოდა: ნეტარი შენი არისო შვლო ჰორომსიმეო, რომე იესოს შვლათ იხსენებიო და მარიამ ყოვლად წმიდას ესტუმრებიო, ნეტარი შენია შვლო, რომ სიწმიდით გაიზარდეო, ნეტარი

ვითარცა წარიკითხნა სიტყუანი ესე წმიდამან ნინო, იწყო ვედრებად ღჳთისა მიმართ და გუ-ლის ხმა ჰყო ვითარმედ ზეცით იყო ჩჳტნება ესე და აღიხილნა თუალნი ზეცად და ითხოვა მაღალთა შინა დამკჳდრებულისა და ყოვლისა გარემოშემცველისა ღჳთისაგან შეწევნა მისი და წარემართა დ მიჰყვა წიაღ კერძო მდინარისა, რომელი წარმდინარეობს დასავლით, სადა იგი შეემთხვია სიძნე-ლე გზათა და სიფიცხე, შიში მხეცთაგან და ფრიადნი ჭირნი, ვიდრე მიწევნადმდე ადგილსა, რო-მელსა იწყებს წყალი იგი აღმოსავლით კერძო დინებასა და მიერითგან იქმნა ლხინება მისთანა, რა-მეთუ ჰპოვნა მუნ მგზავრნი, რომელთა თანა მიიწია სანახებსა ქართლისასა ქალაქსა მას, რომელსა ეწოდების ურბნისი, სადა იგი იხილა ერი უცხო და უცხოთა ღმერთთა მსახური, რამეთუ თაყუანის ჰსცემდეს იგინი ღჳთად მათდა ცეცხლსა, ქუათა და ძელთა, რომლისათჳსცა შეეურვა სულსა ამის წმიდისასა დ შევიდა ბაგინსა შინა ჰურიათასა, რომელთაცა ზრახვიდა მათთანა ენითა ებრაულითა, რომელსა იგიცა მეცნიერ იყო და დაყვნა მუნ თთუჱ ერთი და განიცდიდა საქმესა და ძალსა მის ქუჱყანისასა.

ხოლო აღიძრნეს დღესა შინა ერთსა ერნი დიდნი სიმრავლითა მით ქალაქით წარმავალნი დიდად ქალაქად დასამეუფოდ მცხეთად, მოვაჭრებად სახმართა რათამე დაზორვად წინაშე არმაზ ღჳთისა მათი-

შენია შჳლო, რომ საწუთროს ხელმწიფობა დასთმეო და დიდის თმენით გაუშვიო ცახცა გვრგვნიო, მოშორდიო მეუფსთა და ნათესავთაო და არ ინდომეო ამ სოფლისა სიამოვნეო იესოს ქრისტეს გულისათჳს, მაგრა იყავო, სამო-თხესა შინა იესოსაგან ეკურთხევიო, სხუა რიგათაც მრავალ გუარათ გული, გაუმაგრა, ხელმწიფეს ერთი რომელი კაცი ჰყუანდა ფრანგული ენა იცოდა, რაც გაიანემ ჰორომსიმეს ეუბნებოდა ამას ყოველი ესმოდა, ყოველი ხელმწი-ფეს მოახსენა; თქუენ ეს დედაკაცი მოიყუანეთო, რათა ქალი მოამშვიდოსო, ამან უფრო გაამაგრაო, გარისხდა ხელმწიფე და გაიანე გარეთ გაათრევინა და ქჳთ კბილები ჩაამტვრევინა და სხუაგან გაახარეს და ხელმწიფე კიდევ ქალთან შე-ვიდა და ხელი გარდაახვია საალერსოთ და ქალი როგორც წინათ ახლა უფრო გაუმაგრდა, ცხრას ჟამს გასრულს დღისასა ღამის სამის ჟამის გასვლამდისინ იჭიდებოდენ, ხელმწიფეს ტანისამოსი სრულიად შემოაგლიჯა, გაატიტვ-ლა და ქალმან კარი გაიარა და იმ ვენახში მოვიდა სადაცა იდგა, მაღლის ხმით თჳსის მხლებლებს დაუძახა: გიხა-როდენ წმიდანო დედანო, მღჳთის ძალით მოვერიეო მძლესა და ძლიერს ხელმწიფესაო; მრავალი გულის გასამაგრნი სიტყუანნი სხუაც უბრძანა და მოშორდა მათ და ერთს მაღალს კლდეზედ ავიდა და ტირილით და მუხლთ მოყრით ღმერთს ხვეწნა დაუწყო. რაც მან ღმერთს უჩივლა აუთქუა ყოველთა დაწერა არ შეიძლება, სული მისი შევედრა დაჯერ ისევ სახვეწარზედ ეროქა რომ ხელმწიფის ჯალათებნი მოუხდნენ და ჰორომსიმეს უკადრისად მოეპყრნეს და მრავალი ჰსცემეს და სათუთნი ხელ ფეხნი ბალნის საბლით შეუკრეს და უწინ პირით ენა ამოაჭრეს და ტანით ჩოხანი შეაგლიჯეს და პირ დაღმა მიწას დაჰსცეს, ოთხგნით პალოები დასვეს, ხელ ფეხნი მას ზე გაუბეს, გარე-შემო ცეცხლი აუგზნეს მას, რომელსაც თავის დღეში ვარდის ფურცელიც არა ჰსცემოდნეს და გარეშე ასონი და-უწვეს, ამის მეტს არა იტყოდა, «მარიამის შჳლო მამეხმარეო, ამძნელს სატანჯავსა შინაო, ჩემის სიყრმაწვილობის სიბრალულითაო, სული ჩემი ყოვლად წმიდას არუქეო დედასა შენსაო, განკითხვის დღის სატანჯავი აქ გარდამა-ხდევინეო»; ესოდენი თქუა და მიიცუალა, ჯერ სული არ გასცლოდა, მუცელი გაუპეს და თუალები დასთხარეს; და სული თჳსი მეუფეს მიაბარა ასო ასო დაჰსჭრეს. ტირილითა და თავს ცემითა მოდგნენ მისნი მხლებელნი, უნდო-დათ წმიდანი და წამებულნი ჰორომსიმეს ასოები ერთად მოეგროვებინათ და საფლავსა მიელოთ, ოცდა თორმეტნი წმიდა დედანი და ქალებნი უბიწონი იყვნენ ამათა წაუშინეს და დიდის სიხარულით იწამნეს და დახოცეს და ამათი ხორცნი ძაღლებს მიუყარეს, და ძაღლთ შეჰქნეს წუწკუნნი და ტირილნი და ახლოს არ მიუდგნენ და ყვირილით გაიქცნენ და იმ ქალაქს გაშორდნენ და წამებულნი თავიანთ ჩოხებით პირს დაღმა მიწას ეყარნეს. მეორეს დღეს წმიდა გაიანე გამდელი თჳსის ორის ამხანაგებით, გამოიყვანეს მარჯუენას მხრისაკენ, ამხანაგებით მრავლის სა-ტანჯავით ისინიც აწამეს, ამათგან სამნი მღუდელნი, ერთი დედა წმიდა ნინო გარდიხვეწნენ, ნინო ქართლს მოვიდა . . . . . . . . . . ესე უწყება მოვილე იოანე ბატონის შჳლის მატიანეთაგანი.

სა და წარჰყვა წმიდა ნინო მათთანავე; ხოლო ვითარ იგი მიიწივნეს ქალაქად მცხეთად და დაისადგურეს წიაღ მოგჳთასა, ხიდსა მას ზედა [1]), იხილა მუნ მოგჳზბი იგი ცეცხლის მსახურთა მათ ერთაა და საცთური, წმიდამან ნინო, ტიროდა წარწყმედასა მათსა ზედა და იგლოვდა უცხოებასა თჳსსა.

და აჰა ხვალისა დღე იყო ხმა ოხრვისა და საყვირისა და ზარი საშინელი და გამოსლვა ერისა ურიცხვისა, ვითარცა ყჳავილთა ველისათა, უწინარესვე შეძრვასა და გამოსლვასა მას მეფისასა და ვითარ იგი მოიწივა რა ჟამი, იყო სივლტოლა და მიმოდაბნევა ყოვლისა კაცისა და შიშისა მისგან შეივლტოდეს და მიივლტოდეს საფარველსა შინა თჳსსა და აჰა მეფის გამოვიდა ნანა დედოფალი და შემდგომად მისსა გამოვიდა სიმრავლე ერისა ნელიად, რომელთა შეამკჳნეს ყოველნი გზანი და ფოლორცნი სამოსელთა მიერ თჳთოფერთა და ფურცელთაგან ხეთასა და ყჳავილთა და იწყო ყოველმან ერმან ქებად მეფისა. მაშინ გამოვიდა მირიან მეფე საზარელითა და თჳალთ შეუძგამითა ხილვითა, და ჰკითხა წმიდამან ნინო დედაკაცსა ვისმე ჰურიასა, ვითარმედ «რაჲ არს ესე», ღმერთი ღმერთთა მათთა არმაზ უწესს მათ, წინაშე მისსა აღსლვად, რომლისა მსგავს არა არს სხჳა კერპი (უპასუხა მან). და უჩუენა რა ესე წმიდასა ნინოს აღვიდა ხილვად არმაზ კერპისა ერისა მისთანა, რომლითა აღივსნეს მთანი იგი და განშჳენდეს დროშათა მიერ და სამკაულთა, ვითარცა ყჳავილნი ველისანი. და შეუსწრო წმიდამან ნინო ციხედ არმაზად და დადგა მახლობლად კერპისა მის, ნაპრალსა ზღუდისასა და ხედვიდა საკჳრჳელებასა მიუწთომელსა და ენითა გამოუთქმელსა, ვითარ იგი იყო ზარის აღსახდელი შიში და ძრწოლა მეფეთა მათ და ყოვლისა ერისა, წინაშე კერპთა მათ წარდგომილთა, რამეთუ იხილა მუნ წმიდამან ნინო მდგომარე კაცი ერთი სპილენძისა, რომელსა ეცვა ტანსა მისსა ჯაჭვი ოქროსა და თავსა მისსა ჩაფხუტი ოქროსა და სამხარნი და თჳალნი მისნი იყჳნეს ზურმუხტისა და ბივრიტისნი და ეპყრნა ხრმალი ხელთა მისთა ელვარედ ბრწყინვალე, რომელი იგი იქცევდა ხელსა შინა მისსა და შიშითა მისისა მიმთხჳევასა და სიკჳდილისა მის მიერითა ვერავინ განუკრძალველად შეეხებოდის კერპსა მას, არამედ ესრეთ განიკითხის თჳსთაგან თავი თჳსი და თქვის. ჵოი! ჩემდა უკეთუ დასამევაკლე, დიდებასა დიდისა ამის ღჳთისა არმაზისსა, ანუ შესამე რაჲსმე ვჰსცეთ სიტყჳად ებრაელთა თანა, გინა მოგჳთა თანა სმენასა ოდენ დამთხჳეულ (ვ)იყო მზისა მსახურთასა და მათსა, რომელნი იგი იტყჳან უმეცრებით, დიდსა ვისმე ღმერთსა და ძესა ღჳთისა ზეცათასა და იპოვოს რაჲმე ჩემშორის ესე ვითარი ბიწი, დამცესმე მახჳლი იგი მისი, რომლისაგან ეშინის ყოველსა ქჳეყანასა. და ესრეთ წინასწარვე განკითხჳთა თავთა თჳსთათა, შიშით და ძრწოლით თაყჳანისცემან მას და კჳალად იყო მარჯჳენით მისსა სხჳა კერპი ოქროსა, სახითა კაცისათა მდგომარე და სახელი მისი გაცი და ეგრეთვე მარცხენითცა მისა იყო კერპი ვერცხლისა, სახითა კაცისათა მდგომარე და სახელი მისი გაიმ, რომელნი იგი ღჳთათ უჩნდეს ერსა მას ქართლისასა.

მაშინ ვითარ ესე იხილა ნეტარმან ნინო, იწყო სულთქმით და ცრემლით ტირილად ღჳთისა მიმართ ცთომათა მათთჳს ქჳეყანისა ჩრდილოსათა (და) მიფარვისა (მის)თჳს მათგან ნათლისა და უფლებისა მათ ზედა ბნელისა, რამეთუ მიხედნა მეფეთა მათ დიდ ძალთა და ყოველთა მთავართა, რომელნი

---

1) ხიდსა მას აწ პომპეის ხიდად უწოდებენ; ხიდი ესე, რომელიც აწ ჰსდგას არს აღშენებული რუსთა მიერ, იმპერატორის ნიკოლაოზ პირჳლის დროს, მაგიერ ძჳლისა,—რომელიც დროების გამოთ, ფრიად დაძჳლდა და დარღჳეულ იყო.

იგი ცოცხლივ შთაენთქნეს ჯოჯოხეთსა, დაეტევა დამბადებელი და ქჳათა და ძელთა სპილენძსა და რვალსა ღჳთად თაყჳანის ჰსცემდეს და ყოვლისა შემოქმედად იგინი უწყოდეს. და მოეხსენა წმიდასა ნინოს მაშინ სიტყჳა იგი, რომელი ამცნო დედის ძმამან მისმან იობენალ პატრიარქმან ესრეთ, ვითარმედ «მამაკაცსა სრულსა წარგავლინებ და მიწევნად ხარ ქჳჵყანასა უცხოსა და ნათესავთა დარგველ, ზეველ ბარკიდულ», რომელ არს ბრანჯულად, კაცთა ღჳთის მბრძოლთა და მხდომთაო და აღიხილნა თჳალნი ზეცად მიმართ და თქჳა, «უფალო მრავლითა ძალითა შენითა გეცრუვნეს მტერნი ესე შენნი და მრავლითა სულგრძელებითა შენითა იქმ გონიერებად მოსლვასა მათსა და ყოველნი მტჳჵ-რებრ და ნაცრებ უჩინო ჰყავ განქარვებადნი ესე ქჳჵყანასა ზედა, არამედ ნუ უგულებელს ჰყოფ კაცსა, რომელი შექმენ ხატად შენდა და რომლისათჳს ერთი სამებისაგანი განკაცენ და აცხოვნე ყოველი სოფელი, მოხედენ წყალობითა ამათცა ზედა ნათესავთა და შერისხენ სულთა მათ ბოროტთა და უჩინოთა სოფლის მპყრობელთა მთავართა ბნელისათა და შთახადენ ადგილთა ძნელთა და მისმინე მე, უფალო ღმერთო მამისა და დედისა ჩემისაო, მხევალსა ამას შენსა და ნაშობსა მონათა შენთასა, და რათა იხილონ ყოველთა კიდეთა ქჳჵყანისათა მაცხოვარება შენი და რათა ჩრდილო ბღჳარსა თანა იხარებდეს და რათა ყოველმან ერმან მხოლოსა ღმერთსა თაყჳანისცეს ქრისტე იესოს მიერ ძისა შენისა, რომელსა ჰშჳენის მადლობით დიდების მიცემა უკუნისამდე».

და ვითარცა დაასრულა ლოცჳა ესე და დიდება წმიდამან ნინო, მყის წამისყოფითა ღჳთისათა აღდგეს დასავლით ქარნი და ჰაერნი ღრუბელთა თანა ხილვითა საშინელითა და ხმითა ზარის ასახდელისა ქუხილისათა და მოჰბერა ნიავმან მზისა დასავლისამან სული ჯერკჳალი სიმწარისა და სიმყრალისა, რომელი ესე იხილა რა სიმრავლემან ერისამან მათ ზედა მომავალად, მაშინ იწყეს მსწრაფლ სირბილად და შეივლტოდეს ქალაქად საყოფელთა თჳსთა და რამეთუ მცირედ დრო სცა ღმერთმან ვიდრე განრინებადმდე თავთა მათთა და ყოფად ამისსა, რათამცა შეესწრნეს იგინი მოსრველსა მას, საყოფელთა შინა თჳსთა და ვითარ განიბნინეს იგი ყოველნი, მეყჳსეულად მოიწია რისხჳსა იგი ღრუბელი მწარედ სასტიკი და მოიღო სეტყჳა სწორი ქვისა ორთა მიერ ხელთა მძლედ და ძლით სატყორცებელი, ადგილსა მას ოდენ ზედა საყოფელსა კერპტათასა და შემუსრვით დაასწჳლილნა იგინი, და დაირღჳჵს ზღუდენი იგი ქარისა მიერ სასტიკისა და შთაიბნინეს კლდეთა მათ შინა, ხოლო წმიდა ნინო ეგო უვნებელად, დაცული ადგილსა მასვე, სადა იგი პირჳჵლვე შესრულ და მდგომარე იყო.

ხოლო დღესა მეორესა გამოვიდა მირიან მეფე და ყოველი იგი ერი ძიებად ღმრთთა მათთა და არა ჰპოვებდეს, რომლისათჳს იგი დაეცათ მათ შიში და ძრწოლა და განკჳრჳჵბამან შეიპყრა და უმრავლესნი იგი ერნი იტყოდეს გულ-ფიცხელნი და მოუდრეკელნი ესრეთ, ვითარმედ ქალდეველთა ღმერთი ითრუჯან და ჩჳჵნი ესე ღმერთი არმაზ ყოვლადვე ურთიერთას მტერ არიან, რამეთუ ამან არმაზ ოდესმე მას ზედა ზღჳა მოაქცია და აწ მან შური იძია და მოაწია ესე ამას ზედა.

ხოლო რომელნიმე ესრეთ იტყოდეს, ვითარმედ, რომლისა ღჳთისა ძალითა ტრდატ სომეხთა მეფე ეშჳად შეიცჳალა და კჳალად ეშობისაგან კაცადვე მოაქცია, მან უკჳჵ ღმერთმან ჰყო და მოაწია ესე, რამეთუ სხჳა ღმერთი ვერ შემძლებელ არს ყოფად ამისსა და ამას ესე ვითარსა იტყოდეს მაშინ ამისთჳს, რამეთუ ვინაჲდგან მეფე ტრდატ ეშჳად გარდაქცეულ იყო და ძალითა ქრისტესითა კჳალად კაცადვე შეცჳალებულ იყო, მიერითგან ქებას და დიდება ქრისტესი, არღარა ფარულად ითქმოდა ქართლს შინა, რამეთუ მადლსა ღჳთისა ეწყო მოფენად აღმოსავლეთს.

ხოლო მასვე დღესა რისხვისა და კერპთაჲ შემუსრვისასა დასცხრა რა სეტყუა იგი და ქარი სასტიკი, მაშინ გამოვიდა წმიდა ნინო კლდისა მისგან ნაპრალისა და ჰპოვა თუალი ბივრიტი, აღიღო და წარმოვიდა წინა კერძო დასასრულსა მის კლდისა ცხვირისასა, სადა იგი ყოფილ იყო ძუელადვე ციხე და ქალაქი და იხილნა მუნ მდგომარედ ხე ერთ, რომელსა ბრინჯ ეწოდებოდა, მაღალ-მშუენიერ და რტო მრავალნი, რომელსაცა იგი საგრილსა ქუეშე გამოსახა სასწაული ჯუარისა და აღასრულნა მუნ დღენი ექუსნი მადლობით და ვედრებით ღმრთისა მიმართ, წყალობით მოხედვისა და ხსნისათჳს, ერისა მის ეშმაკთა მიერ შეცთომილისა,

ხოლო ოდეს იქმნა შემუსვრა ესე კერპთა იყო თთუე მარტისაგან მეხუთე აგვისტოსი და დღე მეექუსე, რომელსა შინა ფერი იცუალა ქრისტემ, წინაშე თავთა მათ წინასწარმეტყუელთა და მოწაფეთა თჳსთა.

და ვითარ იგი ვთქჳ იყოფებოდა წმიდა ნინო საფარუელსა რა ქუეშე ხეთასა, მაშინ მოვიდა მისა სეფე ქალი ერთი სახელით შროშანა, და იხილა მან წმიდა ნინო ესრეთ მყოფი განკჳრდა და ჰკითხა მას სხჳსა მიერ ბერძულ მეტყუელის დედაკაცისა, ვინაობა მისი სხჳსა ყოვლისავე თანა საქმისა მისისა, რომელი იგი ეუწყა რა ყოვლითვე ნინოს მიერ, თჳნიერ (ხოლო) უწყებისა მშობელთა თჳსთასა და იხემა ტყუეობაჲ თავისა თჳსისა; მაშინ შროშანა თანალბობილ და მოწყალე ქმნილი უცხოებისათჳს მისისა, ცრემლით აიძულებდა წმიდასა ნინოს წარსლვად მისთანა სახიდ სამეფოდ, რომელი ესე არა ინება წმიდამან ნინო, არამედ განეშორა რა და წარვიდა მისგან შროშანა, შემდგომად სამთა დღეთასა აღდგა მუნით, განვლო მტკუარი და მიიწია სამოთხესა მას მეფისასა სადა იგი აწ არს სუეტი ღმრთივ აღმართებული და ეკკლესია საკათალიკოზო და იხილა მუნ სახლი მცირე სამოთხისა მის მცუელისა და შევიდა მას შინა, მოეგება დედაკაცი ცოლი სამოთხისა მის მცუელისა სახელით ანასტოს და მოწლედ ამბორის ყოფით შეიტკბო მან ვითარცა მრავლით ჟამითგან მეცნიერმან და მეგობარმან და დაბანნა ფერხნი და განუსუენა ცხებითა ზეთით და დაუგო პური და ღჳნო და დაყოვნა მისთანა წმიდამან ნინო დღენი და ჟამნი ცხრათა თთუეთანი. ხოლო იყუნეს ესე ანასტოს და ქმარი მისი უშჳლო, რომლისათჳს ფრიად მწუხარე იყუნეს იგინი, მაშინ იხილა წმიდამან ნინო ჩუენებასა ძილისასა, კაცი ნათლითა შემოსილი, რომელი ეტყოდა ვითარმედ «შევედ სამოთხესა მაგას და ჰპოვო ქუეშე კერძო ნაძუთასა მცირე ბაბილო შემზადებული გამომღებელად ყუავილთაჲ სურნელთა და მრავალ ფერთა შუენიერთა და აღიღე მიწა ადგილისა მისგან და ეც ჭა-მად მეუღლეთა მაგათ და ესუას შჳლი»; ხოლო წმიდამან ნინო ულოცა და სცა ჭამად ცოლქმარსა მათ, ჩუენებით უწყებისა მის ებრ და ჰშუნეს მათ ძე დაასულები მრავალ, რომლისა თჳსცა ჰრწმენა მათ ქრისტე ნინოსმიერ და დაემოწაფნეს მას ფარულად.

ხოლო წმიდამან ნინო შემდგომად ცხრათა თთუეთა, რომელნი დაეყუნეს სამოთხის მცუელთა მათ თანა, ჰპოვა გარეგან ზღუდეთა მათ ქალაქისათა სახედ ტალავარისა მცირისა მაყუალთა მიერ შემზადებული განგებითა ღმრთისათა, ადგილსა მას სადა იგი აწ არს საკურთხეველი ზემოსა ეკკლესიისა სამთავარეპისკოპოზოსსა და ჰყო იგი საყოფელ და განსასუენებელ თჳსად და აღმართა მუნ შინა ჯუარი თჳსი მის მიერ შემზადებული ნასხლევთაგან ვაზთასა, რომლისა წინაშე განატევნ იგი ღამეთა მარადის მღჳძარებითა და ეგრეთვე შეალამებნ დღეთა დაუცხრომელად ლოცვითა და ვედრებითა ღმრთისათა და განკჳრუებულნი სიმრავლესა ზედა ამას ღუაწლთა მისთასა მსახურებდეს მას მეუღლენი იგი მცუელნი სამოთხისა მის მეფისანი და ესრეთ მუნ მყოფი წმიდა ნინო მრავალ გზის მივალნ უბანსა მას ჰურიათასასა ენისათჳს ებრაულისა და გამოძიებისათჳს კუართისა

მის უფლისა, რომლისა იგი ესმინა იერუსალიმს ნიამფორისა მისგან, ვითარმედ წარუღია იგი მცხეთელთა მათ ჰურიათა, რომელმანცა ყოვლით კერძოვე ცნა და ეუწყა მას კუართისა მის ვითარებაჲ.

მაშინ ჰპოვა მან ჰურია ერთი სახელით აბიათარ მღუდელი და ასული მისი სიდონია და უქადაგა მათ სახარება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, რომელთაცა იგი ჰრწმენა და დაემოწაფნეს მას თანა სხუანიცა დედანი დაემოწაფნეს ჰურიანი, რიცხჳთ ექუსნი, სწავლასა მას წმიდისა ნინოსასა, თჳნიერ ნათლისღებისა (ნათესავებისა), რამეთუ ყოვლად არა იყო მას ჟამსა მღუდელი, რათამცა ნათელჰსცა მათ და იყუნეს იგინი ფარულად მოწაფე მისი.

და აღასრულებდა ღმერთი ხელითა წმიდისა ნინოსითა საკჳრველებათა და კურნებათა მრავალთა; რამეთუ რეცა მიზეზითა წამალთა ხმარებისათა, მრავალნი განუკურნებელთა სენთაგან შეპყრობილნი განათავისუფლნა უძლურებათაგან მათთა.

და ესრეთ იქცეოდა რა ქალაქსა მას შინა მცხეთასა წმიდა ნინო ჟამთა სამისა წლისათა, მათ დღეთა შინა იქმნა შესლვა მათი მირიან მეფისა და ძმისწულისა მისისა სპარსთა მეფისა საბერძნეთად, რომელნი ესე კონსტანტინე მეფემან ბერძენთამან იოტნა ძალითა ქრისტესითა და ჯუარისა მისისა წინა წარძღუანებითა ყოვლით სპითურთ მათით.

---

## თქმული აბიათარ მღუდლისა, რომელი დაემოწაფა წმიდასა და სანატრელსა ნინოს.

---

«მე აბიათარ მღუდელი ვიყავ, წილითა ხუედრებული მის წელიწადისა, ოდეს წმიდა ესე და ნეტარი დედა ნინო მოიწია მცხეთად და მასვე უკუე ჟამსა მოწევნულ იქმნა ჩუენდა წიგნი ანტიოქიით ჰურიათაგან მღუდელთა, რომელსა შინა წერილ იყო ესრეთ, ვითარმედ «განხეთქა ღმერთმან სამ ნაწილად მეფობაჲ ისრაილისა, რამეთუ აჰა ესერა წინასწარმეტყუელნი ჩუენნი დასცხრეს და რომელსა სული ღმრთისა აწუევდა, მათ და თქუენ აღესრულა ყოველივე და განვიბნიენით ჩუენ ყოველსა ქუეყანასა და ჰრომთა დაიპყრეს ქუეყანა ჩუენი, ვტიროდით ჩუენ ყოვლითურთ, რამეთუ დღეს განვარისხეთ შემოქმედი ღმერთი, აწ განიხილეთ შენ წიგნი იგი მოსესი და სიტყუა იგი, რომელი მან დამიწერა ესრეთ, ვითარმედ, რომელი იგი იტყოდეს ქუეყანასა ზედა თავსა თჳსსა ძედ ღმრთისა მოაკუდინა, ანუ შემოუკუევსცეთით ნაზარეველისა მისთჳს სიკუდილისა, რამეთუ ვხედავთ ოდეს პირუელ მამათა ჩუენთა შესცოდიან რა ღმერთსა და ყოვლად დაივიწყიან იგი, მაშინ მისცის იგი ხელმწიფებასა ბოროტსა, ხოლო მოიქცევიან რა ღაღადჰყვიან ღმრთისა მიმართ სწრაფით განარინის იგი ჭირისა მისგან და ესე ესრეთ ყოფილა და აღსრულებულა შვიდ გზის უწყით წე-

რილისაგან. ხოლო აწ ვინათგან ხელნი შეასხნეს მამათა მათ ჩუენთა ძესა მას მწირისა მის დედაკაცისასა და მოკლეს იგი, ალილო ღმერთმან ხელი ჩუენ ზედა და განხეთქა მეფობა ჩუენი და განგუაშორნა ტაძარსა თჳსსა და უგულებელს ჰყო ნათესავი ჩუენი სრულიად და არს მით ჟამითგან სამასი წელი და უმეტესიცა, რომელ არა ისმინა ვედრება ჩუენი, რომლისათჳს საგონებელ გვიჩნს ჩუენ ვითარმედ ნუ უკუე და ზეცით იყო კაცი იგი» და განამრავლეს მათ ესე ვითარისა პირისათჳს მოწყერა ჩუენდა, ხოლო მე ვითარცა მესმა ესე ვიწყე კითხვად დედაკაცისა მის ნინოსგან ქრისტესთჳს თუ ვინ იყო იგი, ანუ რომლისა მიზეზისათჳს იქმნა კაც ძე ღუთისა; მაშინ აღაღო პირი თჳსი წმიდამან ნინო, ვითარცა რა ჯურღმულმან აღმომდინარემან და იწყო სიტყუად დასაბამითგან ჩუენ წიგნთა ზე პირით წარმოთქმად და განმარტებად ძალსა მათსა, რომლითა ვითარცა მძინარესა განმაღვიძებდა მე და ვითარცა დასულებულსა განმანათლებდა (გონიერ მყოფდა) მე და აღმიჩენდა საწყალობელად მამათა ჩუენთა [1]), დამარწმუნებდა ცვლილებასა სჯულისასა, გიდრემდის მრწმენა მე, სიტყჳთა მისითა უფალი იესო ქრისტე ძე ღუთისა ვნებულად და აღდგომილად და კუალად მომავალად მეორედ დიდებით, და ვითარმედ ჭეშმარიტად იგი იყო და არს მოლოდება წარმართთა: და ღირს ვიქმნენით მე და შჳლი ესე ჩემი სიდონია მოღებად საპკურებელსა მას განსაწმედელსა ცოდუათაგან, წყალსა ემბაზისასა, რომელსა ისატრიდა წინასწარმეტყუელი დავით და ვერ ეწივა: და მესმა მე ხმაჲ ახლისა სჯულისა ერთად მგალობელთა, რომელსა იგივე დავით ისატრიდა და ღირს ვიქმენ მე ზიარებად ჭეშმარიტსა ხორცსა და სისხლსა ქრისტეს ძისა ღუთისა და კრავსა ცოდუათათჳს სოფლისათაჲ შეწირულსა, რომლისა ტკბილ არს გემოს ხილვა მისი და ამას ზედა სარწმუნოებასა ჰყავ, უფალო განსლვაჲ ჩემი ხორცთაგან ჩემთა და კუალად სხუანიცა სასწაულნი ვიხილენით თუალითა ჩუენითა მცხეთას შინა, ნინოს მიერ აღსრულებული».

---

## მეორე თქმული მისივე აბიათარ მღდელისა კუართისათჳს უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესა.

«მე აბიათარ მიგითხრობ თქუენ თხრობასა მას, რომელი მეუწყა მე და ყურითა ჩემითაჲ ვისმინე (დედის მამისა) მამის დედისა ჩემისაგან და რომელი წიგნთაგანცა უწყი და რამეთუ მათცა პაპათა და მშობელთაგან თჳსთა მოთხრობით და სმენით უწყოდეს ესრეთ: ვითარმედ ოდეს იგი ჰეროდე მეფობდა იერუსალიმსა, მაშინ ჟამსა მას გუესმა ესრედ ვითარმედ, იერუსალიმი სპარსთა

[1]) ადგილი ესე ქართლის ცხოვრებაში იკითხვების ესრეთ: «და მამათა ჩუენთა შემაწყალებელი ქართლის ცხოვრება ნაწილი I გუერდი 78.

დაიპყრესო, რომლისათჳს იგი იქმნა გლოვა და წუხილი ურიათა ზედა ქართუჱლთა, მცხეთელთა მკჳდრთა, ბუდელთა მღუდელთა, კოდის წყაროელთა მწიგნობართა ჲ ხობის კანანელთა თარგმანთა, რომლისჲ თჳსცა, ესე ყოველნი აღიძრნეს წარსლვად და შეწევნად იერუსალიმელთა: ხოლო შემდგომად მცირედთა (სა დღეთა), კუალად მოიწია სხუა ლალადისი ნუგეშინის ცემისა, ვითარმედ სპარსნი იგი არა დაპყრობად იერუსალიმისა მოვიდესო, არამედ საჭურველთა წილ აქუნდათ ოქრო სამეუფო და მური მსწრაფლ მკურნალი წყლულისა და გუნდრუკი სულნელი და ეძიებდეს ყრმასა ვისმე შობილსა თესლისაგან დავითისსა, რომელი რეცა ჰპოვეს მწირი ერთი ყრმაჲ მწირისა დედაკაცისა, შობილი უჟამოდ, უადგილოსა ადგილსა, ვითარცა არს ჩუჱულებაჲ გარეგან დაბისა მდგომარეთა კაცთა და ესენი მის ყრმისა მოვიდეს თაყუანიჰსცეს მას და შეჰსწირეს მისა ძღუჱნი იგი პირუჱლ თქმული და წარვიდეს იგინი მშჳდობით, და იქმნა სიხარული დიდი სმენითა ამის ამბავისათა ჰურიათა ზე ქართუჱლთა.

ხოლო შემდგომად ამისსა გარდასხდეს-რა წელნი ოცდაათნი, მაშინ მოწერა ანნა მღუდელმან იერუსალიმით მამისა ჩემისა ელიოზის თანა ესრეთ, ვითარმედ იგივე რომლისა თჳს სპარსნი იგი მეფენი ძღუჱნითა მოვიდეს აღზრდილ არს ჲ ჰსაკსა მოწევნულ არს იგი ჲ თავსა თჳსსა ძედ ღუთისად ჰხადის, აწ მოვედით ყოველნი სიკუდილსა მისსა, რათა აღვასრულოთ მცნება ღუთისა და მოსესი.

და წარვიდა აქათ ელიოზ, მამის მამა ჩემი კაცი მოხუცებული და ესუა მას დედა ტომისაგან ელი მღუდლისა ჲ ამას ელიოზს ესუა დაჲ ერთი. ხოლო ევედრებოდა ელიოზს დედაჲ მისი ესრეთ ვითარმედ წარვედ შჳლო, წოდებასა მაგას მეფისასა და წესსა სჯულისასა, გარნა რომელსა იგინი განიზრახვენ, ნუ შეერთვინ ცნობაჲ შენი, ნუ შჳლო ჩემო, რამეთუ იგი არს სიტყუა წინასწარმეტყუელთა და იგავი ბრძენთა და საიდუმლო დაფარული ჰურიათაგან [1]) და წარმართთა ნათელი ჲ ცხოვრება საუკუნო, და წარვიდა ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი და მუნ დახუდეს ჯუარცმასა უფლისა ქრისტესა.

ხოლო რაჟამს იგი დამსჭუალვიდეს უფალსა ჯუარსა მას ზედა და ჰსასნიგმან კუჱრითა მით რკინისათა სცა სამჰსჭუალთა მათ ზედა უფლისათა იერუსალიმს, მაშინ ესმა ხმა იგი სამსჯუალთა მათგან გამოსრული დედასა ელიოზისასა მყოფსა მცხეთასა შინა და მეყუსეულად იგრჩხიალნა და თქუა. «მშჳდობით მეფობაო ურიათაო, რამეთუ მოჰკალით თავისა თქუენისა მაცხოვარი და მხსნელი ჲ იქმნენით ამიერითგან მტერ და მკულელ შემოქმედისა, ვაჲ თავსა ჩემსა, რომელ არა მეუფლა მე უწინარეს ამისსა სიკუდილი, რათამცა არღარა სმენილ იყო ყურთა ჩემთა და არცაღა შემდგომად ამისსა ღირს ვიქმენ მე ხილვად ნათლისა წარმართთა ზედა და მშჳდობა ისრაილისა»: და მეყის შეისუჱნა მან სრულ ჰყო რა სიტყუა ესე.

ხოლო კუართი იგი უფლისა ხუდა წილითა მცხეთელთა მათ ჰურიათა და მოიღო იგი მცხეთად ელიოზ და მიეგება დაჲ მისი ცრემლითა მიერ შესვარული და მოეხვია ყელსა ძმისა თჳსისა ელიოზისასა და მოუღო მას სამოსელი იგი იესოსი, შეიტკბო მკერდსა თჳსსა და მეყის მასვე ჟამსა სულნი წარხდეს მას, სამთა ამათ ტკივილთა სიმწარითა; ქრისტეს სიკუდილისათჳს, დედისა თჳსისა და ზიარებისათჳს უარის მყოფელთა თანა ქრისტესთა ძმისა თჳსისა: მაშინ იყო

1) ქართლის ცხოვრებაში ამ სიტყვის მაგიერათ ჰსდგას «პირუჱლითგან» ქარ. ცხ. გ. 80.

საკჳრველი დიდი მცხეთას შინა და შეშფოთებაჲ, რამეთუ განკჳრდა თჳთ მეფე ადერკი და ყოველი სიმრავლე ერისა და მთავართა და სთნდა მეფესაჲ ადერკის სამოსელი იგი, გარნა საკჳრველებისა მისგან ზარგანხდილ და შეშინებულ იქმნა იგი და ვერღარა იკადრა გამოღებად ხელთაგან მის მკერდისათა, რომელსა იგი მაგრად და სურვილით შემოემკერდა და ესრეთ ხელთა მქონებელი სამოსლისა მის დამარხა ძმამან მისმან ელიოზ დაჲ იგი თჳსი, ადგილსა მას, რომელი უწყის ღმერთმან მხოლომან და არავინ სხჳამან თჳნიერ ამისსა, რომელ ესე უწყიან, ვითარმედ არს ადგილი იგი მახლობელ ნაძვისა მის ლიბანისა წარმოღებულისა და მცხეთას დანერგულისა და აღორძინებულისა.

და ესეცა მეუწყა მამისაგან ჩემისა, ვითარმედ არს სხჳაცა საღმრთოთა ძალითა შემოსილი მრჩობლი იგი ხალენი ელიასი ამას ქალაქსა შინა და ხელთა ჩუენთა საკურთხეველისა სიმტკიცესა ქუეშე ქუათა უპოვნელად ვიდრე ჟამადმდე მისსა.

რამეთუ მრავალ გზის მაბირა წმიდამან ნინო მამისა შიმართ ჩემისა, რათამცა გამოვიწულილე მისგან გულითა მხურვალედ ადგილი იგი სამოსლისა მის. ხოლო მან ესე ოდენ მრქჳს, ვითარმედ აქა არს ადგილი სამარხავი მისიო, რომელსა ზედა ენანი კაცთანი არა დადუმნენ გალობად ღუთისა მიმართ და არს ადგილი იგი ვითარცა ადგილი სამარხავი მისიო, რომელსა ზედა ენანი კაცთანი არა დადუმნენ გალობად ღუთისა მიმართ და არს ადგილი იგი ვითარცა ადგილი იაკობისი კიბედ ხილული და ცად აღწევნული.

და შემდგომად წელთა მრავალთა ძის წულის შჳლმან ადერკი მეფისამან მეფემან ამზაელ ძიება ჰყო სამოსლისა მის ჰურიათა თანა და ვერ უძლო პოვნად და ცნობად მისსა, გარნა რომელ მასცა ესრეთვე მიეთხრა რომელთაგან გამოიკითხა, ვითარცა ესე რა ზემოთი თქუა ნაძვისა მის მახლობლად ყოფა ადგილისა მის, რომელსა იგი დამარხულ იქმნა.

ხოლო საცნაურ იყავნ ესეცა, ვითარმედ სახლი ელიოზისი, რომელმან კუართი უფლისა მოიღო და დამარხა მითურთ დაჲ თჳსი, იყო ქალაქსა დასავლით წიაღ მოკუთას ხიდსა ზედა.

მათ დღეთა შინა იხილა წმიდამან ნინო სამგზის და ოთხ გზისცა ძილსა შინა ჩუენებით, რომელი იგი მუხლსა თჳსსა ზედა მიყრდნობილმან მცირედ რაჲმე მიირულის, ხოლო ხედვიდა იგი ესრეთ, ვითარმედ რეცა თუ მოვიდიან მფრინველნი ცისანი ფრთითა შავნი და შთავიდიან მდინარესა მას შინა, განიბანიან და განსპეტაკნიან და აღვიდიან იგინი სამოთხესა მას შინა პირუელ ხსენებულსა ბაბილოვანსსა და მუნ შინა მოისთულებდიან ნაყოფსა მისსა და ყუავილთა მათ იხუმევდიან და ესრეთ მოწლედ და სურვილით წმიდისა ნინოსდა მივლნენ, რეცა მისი არს სამოთხე იგი და გარემოს მისა მოკრბიან იგინი მშუენიერად ყივილისა ხმითა.

ხოლო ესე ესრეთ რა აუწყა წმიდამან ნინო მოწაფესა თჳსსა სიდონიას ასულსა აბიათარისსა, რომლისათჳს იგი მიუგო მან და ჰრქუა წმიდასა ნინოს, უცხოო და აქა არა შობილო ტყუეო სიტყჳსაებრ შენისა და ჩუენ ტყუეთა მხსნელო, უწყი, რამეთუ შენზე მოიწია ახალი ესე ჟამი და შენ ძლით ისმის ამბავი იგი მამათა ჩუენთა ნაქმარი, ზეცისაჲ უბრალოსა სისხლის დათხევა, რ ომლითა იქმნა ჰურიათა სირცხჳლი და კიდეთა ქრისტეანისათა განბნევა და მეფობისაგან დაცემა და ტაძრისა მის წმიდისა მიღება მათგან, ერისა უცხოსა წოდებაჲ და მიცემა მათდა დიდებისა მათისა; იერუსალიმ, იერუსალი ვითარ განგიმარტიან ფრთენი შენნი და შეიკრებ, ყოველთა ცისკიდეთა ნათესავთა ფრთეთა ქუეშე შენთა, რამეთუ აჰა აქაცა მოსრულ არს ღედაკაცი ესე, რომელმანცა შეჰსცვალოს ყოველი წესი ამის ქუეყანისა: და კუალადცა მიექცა წმიდასა ნინოს და ჰრქუა ესრეთ, ვითარმედ

ჩუენებაჲ ეგე შენი მოასწავებს და ცხად ჰყოფს ადგილსა ამას შენ მიერ სულიერად სამოთხედ შეცვალებასა და საღმრთოთა ნაყოფთა გამომღებლობასა მისსა უკუნისამდე.

ხოლო ვითარ მოიწია მირიან მეფე საბერძნეთით ოტებული კონსტანტინე მეფისაგან და ვიდრე მოსვლადმდე მისსა განეცხადა წმიდისა ნინოს ქადაგება ქრისტეს სჯულისა, რამეთუ ეტყოდა ხმა მაღლად ვითარმედ «გპოვენ მკვდრნი ეგე ჩრდილოსანი ცთომასა შინა» და გამოუჩინა ჯუარი იგი ნასხლევისა და იქმოდა მის მიერ საკვირველებათა მათ დიდთა, რამეთუ განკურნის განუკურნებელნი სენნი თჳნიერ წამალთა შეხებითა მით ჯუარისათა და კუალად ქადაგებდეს მისთანავე მოწაფენი იგი მისნი, რომელნი პირველ ფარულად იყვნეს მოწაფე მისდა, რიცხჳთ შვიდნი დედანი ნათესავნი ჰურიათანი, სიდონია ასული აბიათარ მღვდლისა და სხვანი იგი ექვსნი და სამოთხის მცველნი იგი ურთიერთარს მეუღლენი და აბიათარ მღვდელი, ახალი იგი პავლე, რომელი იგი უშიშად და დაუცხრომელად ქადაგებდა სჯულსა ქრისტესსა, რომელი ფრიად მეცნიერ იყო ძუელისა სჯულისაჲ და ახალი ესე სჯული ესწავა მას წმიდისა ნინოსგან და უმეტეს ნინოსსა ამხილებდა ყოველსა კაცსა და ასწავებდა სჯულსა ჭეშმარიტსა.

მაშინ აღიძრნეს ჰურიანი აბიათარსა ზედა, რათამცა ქუა დაჰკრიბეს მას: ხოლო მირიან მეფემან მიავლინნა მსახურნი და განარინა აბიათარ მოკლვისაგან ჰურიათასა, რამეთუ აქუნდა მირიან მეფესა სურვილი ქრისტეს სჯულისა, ამისთჳს რომელ ასმიოდეს მრავალნი სასწაულნი ქრისტეს მიერნი საბერძნეთით და სომხეთით და არა დააბრკოლებდა იგი ქადაგებად ნინოს და მოწაფეთა მისთა, არამედ ჰბრძოდა მას მტერი იგი ყოველთა მართლმორწმუნეთა ეშმაკი და ვერ დააყენებდა აღსრულებასა ქრისტესსა და ეგრეთვე ნანა დედოფალიცა უმეტეს მისსა იყო გულფიცხელ და შეურაცხის მყოფელ ქადაგებასა მას ქრისტეს სჯულისასა ჭეშმარიტსა.

ხოლო წმიდაჲ ნინო იყო ესრეთ და ილოცვიდა დაუცხრომელად საყუდელსა მას მისსა მაყუალის ქუეშე და დაკვირვებულ იყვნეს წარმართნი იგი ლოცვასა მისსა და მღჳძარებასა და უცხო უჩნდაჲ საქმე იგი, იწყეს გამოკითხვად მისსა, ხოლო იგი აუწყებდა ძუელთა და ახალთა წიგნთა, და განაბრძობდა უგულისხმოთა მათ და შთაუგდებდა გულსა მათსა სიყუარულსა ქრისტესსა.

და იყო ესრეთ სამ წელ, ვინაჲცა განაცხადა ქადაგება და დაიმოწაფნა მრავალნი. მაშინ იყო ვინმე ყრმა წული უფალი სენისა და მიმოაქუნდა დედასა მისსა კარითი კარად, რათამცა ვინმე ჰპოვნა მეცნიერნი კურნებისა და ჰყოსა მძიმესა სარგებელი მისი და შეისწავეს იგი ყოველთა და არა ოდეს ჰპოვეს სარგებელი კურნებისა ყრმისა მისთჳს და მკურნალთა ჰრქუეს დედაკაცსა მას ვითარმედ არა რაჲ სარგებელ ეყოფვის ყრმასა მაგას და დედაკაცი იგი იყო გულ ფიცხელი წარმართი და მარადის სძაგებნ სჯულსა ქრისტიანეთასა დააყენებდის სხუათაცა მისლვად და კითხვად ნინოსსა.

ხოლო ვითარცა სასოწარკუეთილ იქმნა მკურნალთა მიერ, მოვიდა და დავარდა წინაშე მისსა, ევედრებოდა კურნებასა ყრმისასა. მაშინ ჰრქუა წმიდამან ნინო, «კურნება, რომელი კაცთაგან არს, მე არა ვჰყო, ხოლო ღმერთმან ჩუენმან, რომელსა მე ვმსახურებ, ქრისტემან მისცეს ყრმასა ამას კურნება, რომელი ყოველთაგან განწირულ არს» და რომელსა კილიკსა ზედა მარადის ილოცავნ წმიდაჲ ნინო, მას ზედა დადებად (უბრძანა) მას სნეული იგი და იწყო ვედრებად უფლისა და მასვე ჟამსა განიკურნა ყრმა იგი განცვიფრებული და მხიარული მოსცა დედასა თჳსსა, ხოლო დედამან ყრმისამან აღიარა ქრისტე და თქუა, არა არს სხუა ღმერთი თჳნიერ ქრისტესსა, რომელსა ჰქადაგებს ნინო: და დაემოწაფა წმიდასა ნინოს და შეუდგა კუალსა მისსა და ადიდებდა ღმერთსა.

მაშინ დედოფალი ნანა შევარდა სენსა დიდსა და მწარესა, რომლისა კურნება ვერვინ შეუძლო, რამეთუ ყოველთა ხელოვანთა მკურნალთა წარმოაცალიერეს წამალნი მათნი და ვერ შეუძლეს კურნება, ულონო იქმნნეს და სასოწარკუეთილ. ხოლო აუწყეს ვიეთთამე დედოფალსა, ვითარმედ დედაკაცისა მის ჰრომისა ტყუესა მიერ, რომელსა ჰრქვიან ნინო, ლოცვითა მისითა მრავალნი სენნი განკურნებულ არიან. მაშინ უბრძანა მსახურთა მისთა, რათა მოიყვანონ ნინო და მივიდნეს მსახურნი დედოფლისანი და ჰპოვეს ნინო ქოხსა მას ქუეშე მაყუალთასა, ილოცვიდა ჟამსა მას მეექუსესა და მიუთხრეს ბრძანება დედოფლისა. ხოლო წმიდამან ნინო ჰრქუა. «არა ბრძანებულ არს ჩუენდა სადა ბანაკი ჩუენი არს არა განვიდეთ მიერ, არამედ დედოფალი აქა მოვიდეს ჩემდა საყოფელსა ამას ჩემსა, ჭეშმარიტად განიკურნოს ძალითა ქრისტესითა»; ხოლო მსახურთა მათ მიუთხრეს დედოფალსა სათქმელი იგი ნინოსი. მაშინ დედოფალი გულსმოდგინედ ეტყოდა მათ შემიმზადეთ მე ცხედარი და მიმიყვანეთ მისსა, მაშინ წარიყვანეს ცხედრითა მსახურთა მათ და ძე მისი რევ და სიმრავლე ერისა მისთანა.

ვითარ მივიდეს საყოფელსა მას წმიდისა ნინოსსა და დადვეს დედოფალი კილიკსა მისსა ზედა, იწყო წმიდამან ნინო ლოცვად და ვედრებად ღმრთისა მყოვარჟამ და მოიღო ჯუარი იგი რომელი აქუნ და შეახო თავსა და ფერხთა და მხართა სახედ ჯუარისა და მეყსეულად განიკურნა და აღსდგა განცოცხლებული და ჰრწმენა ქრისტე და თქუა არა არს სხუა ღმერთი თჳნიერ ქრისტესა, რომელსა ჰქადაგებს ტყუე ესე დედაკაცი: და მიერითგან შექმნა იგი მეგობრად თჳსად შინაურად და მარადის ჰკითხავნ და გამოიწულილავნ სჯულსა ქრისტესსა და ასწავებნ წმიდა ნინო და აბიათარ ახალი პავლე და ასული მისი სიდონია: და იქმნა დედოფალი მორწმუნე და იცნა ღმერთი ჭეშმარიტი, ჰკითხჳდა დედოფალსა მეფე, ვითარ იგი მეყსეულად განიკურნე და უთხრობდა დედოფალი ყოველსა მას, რომელი იქმნა მას ზედა, ვითარ თჳნიერ წამლისა, ლოცვითა ნინოსითა და შეხებითა ჯუარისათა განიკურნა. და სიმრავლე იგი ერთა, რომელითა ეხილვა დაამტკიცებდეს სიტყუასა მას დედოფლისასა.

მაშინ მირიან მეფე განკჳრდა და იწყო გამოძიებად სჯულსა ქრისტესსა და მრავალ გზის ჰკითხავნ ჰურია ყოფილსა აბიათარს ძუელთა და ახალთა წიგნთასა და იგი აუწყებდა ყოველსა.

და წიგნიცა, რომელი ჰქონდა მირიან მეფესა ნებროთისი, მასცა წიგნსა შინა ჰპოვა წერილი ესრეთ აღშენებასა მას გოდლისასა. ხმა იყო ზეცით ნებროთის მიმართ, რომელი ეტყოდა, «მე ვარ მიქაელ, რომელი დადგინებულ ვარ ღმრთისა მიერ მთავრობასა ზედა აღმოსავლისასა, განვედ ქალაქით მაგით, რამეთუ ღმერთი დაჰფარავს; ხოლო უკანასკნელთა ჟამსა მოვიდეს მეუფე იგი ცისა, რომლისა შენ გნებავს ხილვა შეურაცხი ერსა შორის შეურაცხსა. შიშმან მისმან განაქარვნეს გუმონი სოფლისანი; მეფენი დაუტეობდენ მეფობასა და ეძიებდენ სიგლახაკესა, მან გიხილოს შენ ჭირსა შინა და გიხსნას შენ».

მაშინ გულისხმა ჰყო მეფემან მირიან, რამეთუ ძუელნი წიგნნი და ახალნი ემოწმებოდეს და ნებროთის წიგნნიცა დაამტკიცებდეს და შეექმნა სურვილი ქრისტეს სჯულისა. არამედ ჰბრძოდა მტერი იგი უჩინო, აყენებდა აღსარებასა ქრისტესსა, გულსა შთაუგდებდა სასოებასა კერპთასა და ცეცხლისასა, არამედ მარადის ევედრებინ დედოფალი აღსარებასა ქრისტესსა: და იყო მეფე დედოფლისა მოქცევიდგან წელიწადსა ერთსა ორგულებასა შინა. ასწავებდა ერსა დაუცხრომელად წმიდა ნინო და არავის აუწყებდა თუ ვინა ვარ და სადათ მოვედ, არამედ ტყუედ იტყოდა თავსა თჳსსა: შემდგომად ამისა მოგჳ იგი მთავარი სპარსი, სახელით ხუარაჲ, სნეულ იყო სულითა უკე-

თურითა და ფიცხლად იგუემებოდა და სიკუდილსა მიახლებულ იყო და იყო მთავარი იგი ნათესავთაგან მირიან მეფისა. მაშინ ევედრა წმიდასა ნინოს დედოფალი და მეფე იხილვიდა საქმესა მისსა მცირედ ორგულებით. ეტყვინ წმიდასა ნინოს, რომლისა ღუთისა ძალითა იქმნა კურნებასა ამას, ანუ ხარ შენ სული არმაზისა, ანუ შვილი ზადენისა, უცხოებით მოხუედ და შეუვრდი და ზედა აწ მათ წყალობა შენი და მოგანიჭეს შენ ძალი კურნებათა, რათა მით სცხოვნდებოდე უცხოსა ქუეყანასა და დიდებულმცა არნ უკუნისამდე: ხოლო შენ წინაშე ჩუენსა იყავ ვითარცა ერთი მაწოვნებელი შვილთა ჩუენთანი და პატივცემულ ქალაქსა ამას შინა, არამედ უცხოსა ამას სიტყუასა ნუ იტყჳ ჭრომთა მათ შეცთომილთა სჯულსა, ნუ გნებავს ყოვლად თქმად.

რამეთუ აჰა ესერა ღმერთნი დიდნი სოფლის მპყრობელნი [1]), ქუეყანით ნაყოფთა აღმომყუანებელნი გამომზრდელნი ქართლისანი: არმაზ და ზადენ ყოვლისა დაფარულისა გამომეძიებელნი, ძუელნი ღმერთნი მამათა ჩუენთანი გაცი და გაიმ იგი იყუენ, დასარწმუნებელად კაცთა და უკეთუ განჭკურნო მთავარი ესე, განგამდიდრო შენ და გყო შენ მკჳდრ მცხეთასა შინა მსახურად არმაზისა: დაღაცათუ ჭაერითა და სეტყჳთა მით მოიწია მას ზედა შემუსრვა მისი, არამედ იგი ადგილი უძრავი არს, ეგე არმაზ და ქალდეველთა ღმერთი ითრუჯან, ყოვლადვე მტერ არიან, ამან ზღუაჲ შემოადგინის ზედა და მან ამას ზედა, ესე ვითარი ურვა მოაწიის, ვითარ აქუს ჩუეულებაჲ სოფლის მპყრობელთა და კმა გეყავნ ჩემგან ბრძანებაჲ ესე.

მიუგო წმიდამან ნინო, «შენ მეფე, სახელითა ქრისტესითა და ვედრებითა დედისა მისისათა და მის ყოველთა წმიდათა მოავლინენ შენ ზედა ღმერთმან ცისა და ქუეყანისამან, დამბადებელმან, დიდისა და დიდებულისა თჳსისა და აურაცხელისა მისისა მრავალ მოწყალეებისაგან მოგივლინენ შენ, ვითარცა სახმილისაგან, ნაბერწყალი ერთი მადლისა მისისა და სცნა და გულისხმა ჰყო სიმაღლე ცისა და ნათელი მზისა, სიღრმე ზღუისა საძირკუელისა და სივრცე ქუეყანისა და საფუძუელი მისი და უწყებულ იყავნ მეფე ვინ შემოსნის ცანი ღრუბლითა და ქუხან ხმითა ჭაერისათა და იძრვინ ქუეყანა სიმძაფრითა მისითა, და ჰრბინ მეხისტეხანი და ყოველსა მთასა ეგზების ცეცხლი გულის წყრომითა მღუთისათა [2]).

ანუ ოდეს შეიძრას (ვეშაპი იგი დიდი ზღუათა შინა და შეძრის) ყოველი ქუეყანა, ვიდრემდის დაირღჳნიან ყოველი ქუეყანა, მთანი და მყარნი კლდენი და ქუანი და მეცნიერ გიყავნ გყვენ შენ ამას ყოველსა მიწევნად, რამეთუ ღმერთი ცათა შინი უხილავ არს თავადი იგი ყოველთა დაბადებულთაგან, თჳნიერ ძისა მისისა, რომელი მისგან გამოვიდაჲ ქუეყანასა ზედა, გამოჩნდა ვითარცა კაცი, რომელმან აღასრულა ყოველი, რომლისათჳს მოსრულ იყო და აღვიდა მათვე სიმაღლეთა მამისათანა. და იხილა დაუსაბამო იგი, მხოლო მაღალ არს და მდაბალთა ხედავს და მაღალნი იგი შორით იცნის, მეფეო ახლოს არს მიახლებაჲ შენი ღუთისა მიხედვად, რომელი არს ქალაქსა ამას შინა სასწაული ერთი, სამოსელი ძისა ღუთისა აქა არს და ხალენი მის ელიასი თქვეს აქავე არს ყოფა, და მრავალნი სასწაულნი არიან, რომელნი ღმერთმან გამოაჩინნეს, თუ არამე კუალა მთავარი ესე შენი განჭკურნო სახელითა ქრისტეს ჩემისათა და ჯუარითა ვნებისა მისისათა, ვითარ იგი დედოფალი ნანა განიკურნა

1) ჩემს ხელწერილებში აკლიან ესენი «მზის მომფენელნი, წჳმის მომყუანებელნი» ქართლის ცხოვრება ნ. I გ. 85.

2) ქართლის ცხ. ჰსდგას «ეგზების გულის წყრომითა მათითა».

სენისა დიდისაგან და რაჲ იგი ვაუწყე მას, ჰყოფს იგი» 1) და მოჰგუარეს მას მთავარი იგი და მოვიდა ნანა დედოფალიცა სამოთხესა მას შინა, ნაძუთა მათ ქუეშე დაადგინა იგი აღმოსავლით და პყრობად სცა ხელნი და ჰრქუა მას სამგზის: «გიჯმნის შენგან ეშმაკო და შეუდგების ქრისტესა ძესა ღმრთისასა» 2). და ტიროდა ნინო სულთქმითა სულისა თჳსისათა და ითხოვდა ღმრთისაგან შეწევნასა კაცსა მას ზედა და იყუნეს მოწაფენი მისნი მუნვე ერთ დღე და ორ ღამე და მსწრაფლ განვიდა მისგან სული იგი ბოროტი და დაემოწაფა ნინოსა სახლეულით და ერით მისით და ადიდებდეს მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე (ამინ) 3).

---

## თქმული სიდონია დედაკაცისა, რომელი იყო მოწაფე წმიდისა ნინოსი, რომელი ესე იხილა და დაწერა მოქცევა სასწაულითა მირიან მეფისათა და შევრდომა ნინოსი აღსარებისათჳს ქრისტესისა, ჯუარისა აღმართებისათჳს, ეკლესიათა აღშენებისათჳს, და მას შინა სასწაულთა მისთათჳს,

---

და იყო დღესა ერთსა ზაფხულისასა, თთუესა ივლისსა (ოცსა) დღესა შაბათსა, განვიდა მეფე ნადირობად მუხრანით კერძო და მოუხდა უჩინო იგი მბრძოლი ეშმაკი და შთაუგდო სიყუარული კერპთა დაცეცხლისა და აგონებდა ყოველსა მსახურებასა მათსა, მახჳლითა მოწყუედასა ყოველთა ქრისტიანეთა და ჰრქუა მეფემან ოთხთა თანამზრახუალთა მისთა ღირს ვართ ჩუენ ღმერთთაგან ჩუენთა ბოროტის ყოფასა, რამეთუ უდებ ვიქმენით მსახურებისა მათისაგან და მიუშვით ჩუენ ქრისტიანეთა გრძნეულთა ქადაგებად სჯულსა მათსა ქუეყანასა ჩუენსა, რამეთუ გრძნებითა ჰყოფენ საკჳრუელებათა მათ, აწ ესე არს განზრახვა ჩემი, რათა ბოროტად მოვსრნეთ ყოველნი მოსავნი ჯუაროსანი, უმეტესად შეუდგეთ მსახურებასა ღმერთთა მათ მპყრობელთა ქართლისათა, გამჴილოთ ნანას ცოლსა ჩემსა შენანება და დატევება სჯულსა ჯუარცმულისასა და თუ არა მერჩდეს დავივიწყო სიყუარული მისი და სხუათა თანა წარვსწყმიდო იგიცა. დაუმტკიცეს განზრახვა იგი თანამზრახველთა მათ, რამეთუ მხურვალედ იყუნეს იგინი საქმესა მას და ჰნებვიდათ მირუკლითგან და ვერ იკადრებდეს განცხადებად; ხოლო მეფემან მოვლო ყოველი სანახები მუხრანისა და აღვიდა მთასა თხოთისასა მაღალსა, რათამცა მოეხილა კასპი და უფლისციხე და განვიდა თჳსსა

---

1) ქართლის ცხოვრებაში ამ ალაგას ჩამატებულნი არიან ესენი, რომელნიც სხუათა წერილებში არ იპოვებიან: «რათა სულიცა თჳსი განაბრწყინოს და ერიცა თჳსი მიაახლოს ღმერთსა» ქ. ც. ნ. I გ. 86.

2) ქართლის ცხოვრებაში და სხუათა ხელწერილებში ადგილი ესე იკითხვების ესე: «ვიჯმნი შენგან ეშმაკო, შეუვრდები ქრისტესა, ძესა ღმრთისასა» იქვე.

3) «აწ» იდგან ვიდრე «ამინ» ამდე გადამწერალთაგან უნდა იყოს ჩამატებული, რომელიც სხუათა წერილებში არ იპოვების.

მთისასა შუა სამხრით ოდენ დაბნელდა მათ ზედა მზე და იქმნა ვითარცა ღამე ბნელი და უკუნი, დაიპყრნა ბნელმან არენი და ადგილნი და განიბნივნეს ურთიერთარს, ჭირისაგან და ურვისა და დაშთა მეფე მარტო და იარებოდა მთათა მაღნართა, შეშინებული და შეძრწუნებული დადგა ერთსა ადგილსა, და წარეწირა სასოება ცხოვრებისა მისისა და მოეგო თავისა ცნობასა, განიზრახვიდა ესრეთ გულსა შინა თჳსსა. აჰა ესერა ვხადი ღმერთთა ჩემთა, არა ვჰპოვე ჩემზედა ლხინება, აწ რომელსა ჰქადაგებს ნინო, ჯუარსა და ჯუარცმულსა და ჰყოფს კურნებასა მისითა სასოებითა, არამცა ძალედვა ხსნა ჩემი ჭირთაგან, რამეთუ ვარ მე ცოცხლივ ჯოჯოხეთს შინა და არა ვუწყი თუ ყოვლისა ქუეყანისათჳს იქმნა დაქცევა ესე და ნათელი ბნელად გარდაიქცა და თუ ჩემთჳს ოდენ[1]).

აწ თუ ჩემთჳს ოდენ არს ჭირი ესე, ღმერთო ნინოსო, განმინათლე ღამე ესე და მიჩუენე სოფელი ჩემი და აღვიარო სახელი შენი, აღვმართო ძელი ჯუარისა და თაყუანისვჰსცე მას და აღვაშენო სახლი სალოცველად ჩემდა და ვიყო მორჩილ ნინოსსა, სჯულსა ზედა ჰრომთასა. ეს რა ყოველი წარმოსთქუა განთენა და გამობრწყინდა მზე და გარდამოვიდა მეფე ცხენისაგან და დადგა მას ადგილსა, განიპყრნა ხელნი აღმოსავლით ცად მიმართ და თქუა: შენ ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა და უფალი ყოველთა ზედა უფალთა, ღმერთი, რომელსა ნინო იტყჳს დასაქებელ არს სახელი შენი ყოვლისა დაბადებულისაგან, ცასა ქუეშე და ქუეყანასა ზედა, რამეთუ შენ მიხსენ მე ჭირისაგან და განმინათლე ბნელი ჩემი, აჰა ესერა მიცნობიეს, რამეთუ გინდა ხსნა ჩემი და ლხინებაჲ, მიახლება შენდა უფალო კურთხეულო, ამას ადგილსა აღვმართო ძელი ჯუარისა, რომლითა იდიდებოდეს სახელი შენი და იხსენებოდეს საქმე ესე და სასწაული უკუნისამდე და ისწავლა ადგილი იგი და წარმოემართა და იხილა ერმან მან ნათელი და გამოერთნენ ერი განბნეული; ხოლო მეფე ღაღადებდა მიეცით დიდება ღმერთსა ნინოსსა ყოველმან ერმან, რამეთუ იგი არს ღმერთი საუკუნეთა და მას მხოლოსა ჰშუენის დიდება უკუნისამდე.

ხოლო ნანა დედოფალი და ყოველი ერი, განვიდა მიგებებად მეფისა, რამეთუ ესმა პირუელ წარწყმედა და კუალად მოსლვა მშჳდობით და მიეგებოდეს ქინძარას და ღართას; ხოლო ნეტარი ნინო დადგრომილ იყო ლოცვასა მწუხრისასა მაყუალოვანსა მას შინა, ჩუეულებისაებრ მისისა ჟამსა თჳსსა და ჩუენ მისთანა ორმეოც და ათი სული.

და იყო ვითარცა გამოვიდა მეფე იძროდა ქალაქი და ხმითა მაღლითა ღაღადებდა მეფე, სადა არს დედაკაცი იგი უცხო, რომელ არს დედა ჩუენი და ღმერთი მისი მხსნელი ჩემი; ვითარცა ესმა თუ აქა მაყუალოვანსა და ილოცავს, მოდრკა მეფე და ყოველი იგი ლაშქარი, მოვიდა და გარდაიჭრა სახედრისაგან დაეტყოდა ნინოს. აწ ღირს მყავ სახელის დებად, სახელისა ღუთისა შენისასა და მხსნელისა ჩემისასა. ხოლო წმიდა ასწავებდა და აწუევდა მსწრაფლ თაყუანისცემად აღმოსავლით და აღსარებად ქრისტეს ძისა ღუთისა.

მაშინ იქმნა გრგჳნვა და ტირილი ყოვლისა კაცისა, ოდეს ხედვიდეს მეფესა და დედოფალსა ცრემლოსანთა და ხვალისა დღე წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთად მირიან მეფემან წინაშე კონ-

---

1) წმიდა ეკკლესია სრულიად საქართუელოსი და მატიანენი, ერთობით მოგვითხრობენ მირიანის თუალთ დაბრმავებასა და არა მზის დაბნელებასა, ვითარ უცოდინობით ზრახავენ აწინდელნი ურწმუნონი და უგონონი მწერალნი, ბაძუელნი უსჯულოებისანი.

სტანტინე მეფისა და წიგნი ნინოსი ელენე დედოფლისა წინაშე და აუწყეს ესე ყოველი სასწაული ქრისტეს მიერი, რომელი იქმნა მცხეთას მირიან მეფისა ზე და ითხოვნეს მოსწრაფებით მღჳდელნი ნათლისღებისათჳს. ხოლო წმიდა ნინო და მოწაფენი მისნი ქადაგებდეს ერსა მას ზედა[1]) დღე და ღამე დაუცხრომელად, და უჩჳენებდეს გზასა ჭეშმარიტსა სასუფეველისასა.

---

## თქმული მისივე აღშენებისათჳს ეკლესიათასა.

---

ოდეს წარემართა ყოველი ერი ქრისტიანობასა მოსწრაფებით, ვიდრე მღჳდელთა მოსჳლადმდე ჰრქჳა მეფემან წმიდასა ნინოს, მესწრაფების მე აღშენებად სახლსა ღჳთისასა, სადა უშენოთ? ჰრქჳა ნინო, «სადაცა მთავართა გონებს მტკიცე არს». ჰრქჳა მას მეფემან, მიყვარან მე მაუჳალნი ესე შენნი და მუნ მნებავს გონებითაებრ ჩემისა, გარნა არა ესრე; არამედ არა ვრიდო სამოთხესა ამას სამეფოჲსა და ნაძჳთა ამათ სიმაღლესა და ბაბილოთა ამათ ნაყოფიერებასა და ყჳავილთა სულნელებასა, რამეთუ ჩჳენება, რომელი იხილე მფრინველთა მათ ფრთითა უშჳერთა განბანა წყლითა და განსპეტაკება ბრწყინვალედ, დასხდომა მათი ხეთა ზედა სამოთხისათა და ხმობაჲ მათი ხმითა ტკბილითა, ჭეშმარიტად სამოთხე ესე ხორციელად წარმავალი, შეგვეცვალოს ცხოვრებად საუკუნოდ და მუნ აღვაშენოთ სახლი ღჳთისა სალოცველად ჩჳენდა ვიდრე მოსჳლადმდე მღჳდელთა საბერძნეთით და მეყუსეულად მოიღო ძელი და ასწავებდა ხუროთა და მოჭკჳეთა ნაძვი იგი და ნაძვისა მისგან განმზადა შვიდნი სჳეტნი ეკლესიისანი და ვითარ აღაშენეს კედელი იგი ძელითა და აღმართნეს სჳეტნი თჳს თჳსად, ხოლო სჳეტი იგი უდიდესი, რომელ საკჳრჳელ იყო ხილვითა, საშუალ ეკლესიისა შესადგებად გამზადებული, ვერ შეუძლეს აღმართჳად მისა და აუწყეს მეფესა საკჳრჳელი იგი, ყოვლად ვერ შეძრვა ადგილითცა სჳეტისა მის.

მაშინ მოვიდა მეფე სიმრავლითა ერისათა და მოიხჳნეს მრავალღონენი მანქანანი და სიმარჯვითა და ერისა სიმრავლითა ძალითა ეცადნეს აღმართებად და ვერ შეუძლეს და იყო დაკჳრჳებულ მეფე და სიმრავლე ერისა და იტყოდეს რაჲმე არს ესე, და ვითარ იყო მწუხრი წარვიდა მეფე სახლად თჳსად შეწუხებული დიდად; ხოლო წმიდა ნინო და ათორმეტნი მისნი მოწაფენი დედანი, დაადგრეს სჳეტსა მას ზედა და დაადინებდა ცრემლთა.

ვითარცა შუაღამე ოდენ იყო წარმოიქცეს ორნი ესე მთანი, არმაზი და ზადენი, რეცა თუ ჩამოირღჳეს და დააყენეს წყალნი ორთავე და მტკჳარმან გარდმოხეთქა და წარმოაქჳნდა ქალაქი და შეიქმნნეს ხმანი საზარელნი ტყებისა და გოდებისანი, ეგრეთვე არაგვი გარდამოხდა ციხესა ზედა და იქმნნებოდეს საზარელნი გრგჳნვანი, შეშინდეს დედანი და იგლტოდეს; ხოლო ნეტარი იგი ღაღადებდა, «ნუ გეშინის დანო ჩემნო, მთანი მუნვე ჰგიან და ერსა ყოველსა სძინავს. ხოლო ესე, რომელ რეცა მთანი დაირღჳეს, გეჩჳენების, რამეთუ ურწმუნოებისა მთანი დაირ-

---

1) ქართლ, ცხოვ. «ერსა მის შინა» . . . ქ. ც. გ. 88.

ღუტს ქართლსა შინა და წყალნი, რომელ დაუყენეს, სისხლი იგი ურმათა კერპთა მიმართ შეწირვისა დაეყენოს; ხოლო ხმა ესე ტყებისა არს ეშმაკთა სიმრავლისა იგლოვენ იგინი თჳსთა, რომელ არიან მეოტ ამით ადგილით ძალითა მაღლისათა და ჯუარითა ქრისტესითა მოიქეცით და ილოცევდით ღუთისა მიმართ» მეყუსეულად დასცხრეს ხმანი იგი და იყო არა რაჲ.

დადგა წმ. ნინო და განეპყრნეს ხელნი და ილოცვიდა ღუთისა მიმართ და იტყოდა, «რაჲთა არა დაეპრკოლოს საქმე ესე, რომელსა წარმართებულ არს მეფე». კუალად ვიდრე არა ეყივლა ქათამსა, სამთა კართა ქალაქისათა დაჰსცა ზარსა ლაშქარმან ძლიერმან, დალეწნეს კარნი და აღივსო ქალაქი სპარსითა ლაშქრისათა და შეიქმნა ზარის სახდელი ზრზინვა და ყივილი და კლვაჲ და სისხლი დიოდა და აღივსო ყოველი ადგილი და მოვიდა მათდა სიმრავლე ზახილითა და მახჳლითა და სახითა მათ შიშისათა დადნებოდეს ხორცნი და განილია სული მათი, ტიროდენ ნათესავთა მათთათჳს. და მსწრაფლ ისმოდა ხმობდეს რა ძლიერად, მეფე სპარსთა ხუარა ბრძანებს და მეფეთ მეფე ხუარან-ხუასრა ყოველი ჰყურია განარინეთ პირისაგან მახჳლისა, ესერა მესმა და მოვეგე ცნობასა და შეურგულდით მე და ათნი იგი ჩემთანანი და მოახლებულ იყუნეს მახჳლოსანნი გარემოს ჩუენსა სცემდეს და კლვიდეს. და ისმა ხმა ძლიერი მეფე მირიან შეიპყრეს, გარე მოიხილა მხსნელმან მოღუაწემან და თქუა «ესე რა [1]) ყივის ვიცი, რომელ აწ სადმე დიდად ჰსჭირს და მადლობდით ღმერთსა, ესე ნიშანი მათის წარწყმედისა არს და ქართლისა ცხოვრებისა და ამის ადგილისა დიდებისა», ნუგეშინისცემდა ვითარცა მოძღუარი ხელოვანი, ჭეშმარიტად მოძღუარი და მოციქული სანატრელი.

მიექცა ერთსა მას მომხრეველსა და ჰრქუა, «სადა არიან მეფენი სპარსთანი ხუარა, და ხუარან ხუასრაჲ სახასტანით გუშინ წარმოსრულდით, მალე სადმე მოხრულდით, დიდი სადმე ლაშქარი ხართ და ძლიერი, რად დალეწეთ ქალაქი ესე და მახჳლი დაეცით? ქართა და ნიავთა წარგუალეთ ბნელი ჩრდილოთ კერძო მთათა და კედართა, აჰა მოვიდა, რომელსა თქუენ ევლტით».

და განპყრნა ხელნი ჯუარის სახედ და მეყუსეულად უჩინო იქმნეს ყოველნი იგი და იქმნა დაყუდება დიდი და დედანი იგი ნატრიდეს მას და ადიდებდეს ღმერთსა; ხოლო ვითარცა ცისკარი აეღებოდა მიერულსა დედათა მათ, ხოლო მე სიდონია მღჳძარე ვიყავ და იგი დგა ხელ-განპყრობით აჰა ესერა მოადგა ჭაბუკი ერთი, ნეტარსა მას ყოვლად ნათლითა შემკული, შებარდნილი ცეცხლისა ზეწრითა და ჰრქუნა რაჲმე [2]) სიტყუანი; ხოლო იგი დაეცა პირთა ზედა თჳსთა და ჭაბუკმან მიჰყო ხელი სუეტსა მას და აღამაღლა და წარიღო სიმაღლეს შინა და განკჳრვებული მივეახლე მე სიდონია და ვარქუ ესრეთ, დედოფალო რაჲ არს ესე, ხოლო მან მრქუა «მოიდრიკე თავი ქუეყანად» და ტირილად იწყო ზარისა მისგან და მცირედისა ჟამისა შემდგომად აღდგა და აღმადგინა და განვეშორენით მას ადგილსა.

ხოლო დედანი ვითარ იყუნეს კიდე, აჰა იხილნეს მათცა სუეტი იგი ცეცხლის სახედ ჩამოვიდოდა და მოეახლებოდა ხარისხსა მას, და დადგა აღშორებულად ქუეყანით, ვითარ ათორმეტ წყრთა და ნელიად და ნელიად ჩამოიცვალებდა ხარისხად თჳსად მონაკუეთსა თჳსსა (ზედა) ძირსა მისვე ნაძვისასა.

ვითარცა რიჟურაჲ ოდენ იყო, აღდგა მეფე გულდებული ურვათაგან, მიხედნა სამოთხესა და

1) ქართლის ცხოვრებაში, «ესე რომელი იყვის . . . .»

2) ქართ. ცხ. «რაჲმე სამნი სიტყუანი . . . . .».

დაწყებულსა მას ეკკლესიასა, სადა იგი მტკიცე იყო გონება მისი, იხილა ნათელი, ვითარცა ელვა აღწევნილი ცად სამოთხით მისით. იყო სრბად და მკჳრცხლ მოვიდოდა და ყოველი სიმრავლე სახლისა მისისა და ყოველი ერი ქალაქისა მოვიდა, ვითარცა იხილეს საკჳრველი იგი, ნათლითა ბრწყინვალე სუეტი ჩამოვიდოდა ადგილად თჳსად, რეცა ვითარცა ზეცით და დადგა ხარისხსა მას ზედა დაემყარა ხელთ შეუხებელად კაცთაგან. და ნეტარ იყომას ჟამსა შინა, რამეთუ რა იგი იქმნებოდა შიშითა და სიხარულითა აღივსო მცხეთა ქალაქი და დიოდეს მდინარენი ცრემლთანი, მეფეთა და მთავართა და ყოველსა ერსა და სულთქმითა სულისა მათისათა ადიდებდეს ღმერთსა და ჰნატრიდეს წმიდასა ნინოს და იქმნეს სასწაულნი დიდნი მას დღესა შინა.

პირველად მოვიდა ჭურია ბრმა შობითგან, მიეახლა სუეტსა მას ღთივ აღმართებულსა და იქმნა მხედველად მუნ თქუესვე და ადიდებდა ღმერთსა და მეორედ სეფეწული ურმაჲ ამზასპანი იდვა რვის წლისა, მოიღო დედამან მისმან სარწმუნოებით და დადვა ცხედრითა წინაშე სუეტსა მას ნათლისასა ევედრებოდა ნინოს, მოხედე დედოფალო ძესა ამას ჩემსა სიკუდილად მიახლებულსა, რამეთუ ვიცი ღმერთი ღმერთთა იგი არს, რომელსა შენ ჰმსახურებ და ჩუენ გვიქადაგებ; მაშინ ნინო შეახო ხელი სუეტსა მას და დასდვა ურმასა მას და ჰრქუა «გრწამს თუ იესო ქრისტე ძე ღთისა ცხოვრებისათჳს ყოვლისა სოფლისა ხორცითა მოსრული, განიკურნე ამიერითგან და ადიდებდი მას, ვისმან ძალმან განგკურნა» და მსწრაფლ აღდგა ურმა იგი ვითარცა მრთელი და დაეცა შიში დიდი მეფესა და ყოველსა ერსა. და თითოსახენი სნეულნი მოვიდოდეს და განიკურნებოდეს ვიდრემდის მეფემან შეუქმნა საბურველი ძელისა გარემოს სუეტსა მას და დაფარა ხედვისაგან და ეგრეთვე შეეხებოდეს ერნი სართულსა მას და განიკურნებოდეს, მსწრაფლ იყო მეფემან დაგანასრულა ეკკლესია სამოთხესა შინა. და ვითარცა მიიწივნეს მოციქულნი მირიან მეფისნი წინაშე კონსტანტინე მეფისა და მიუთხრეს რაჲცა იქმნა, მაშინ აღივსო სიხარულითა მეფე და დედა მისი ელენე დედოფალი, პირველად ამისთჳს, რამეთუ მადლი ღთისა მოეფინებოდა ყოველთა ადგილთა და ხელსა მათსა ქუეშე ნათელს იღებდეს ყოველი ქართლი და შემდგომად ამისთჳს განმხიარულდეს, რამეთუ დაიდასტურეს მირიან მეფისაგან სრულიად მოწყუედა სპარსთა და მტკიცედ მიღება სიყუარულისა მათისა და ადიდებდეს და ჰმადლობდეს ღმერთსა და წარმოგზავნეს მღუდელი ჭეშმარიტი იოანე ეპისკოპოზი და მისთანა მღუდელნი ორნი და დიაკონნი სამნი, მოუწერა მეფემან კონსტანტინე მირიანს წიგნი ლოცვისა და კურთხევისა და ღთისა მადლობისა და წარმოსცა ჯუარი და ხატი მაცხოვრისა და მისთანა ნიჭჲი დიდი და ელენე დედოფალმან მოუწერა წიგნი ქებისა და ნუგეშინისცემისა, მოიწია ეპისკოპოზი მღუდელნი და მოციქულნი მცხეთად, აღივსო სიხარულითა მეფე და ყოველი ერი მათი, რამეთუ სურვიელ იყუნეს ყოველნივე ნათლისღებისათჳს. მაშინ მსწრაფლ განავლინა ბრძანება მირიან ყოველთა ერისთავთა თანა, სპასალართა და ყოველთა პირთა სამეფოსათა მოწოდებად წინაშე მისსა; მსწრაფლ მოიწივნეს იგი ყოველნი ქალაქად.

მაშინ ნათელს იღო მეფემან ხელსა ქუეშე წმიდისა ნინოსსა და შემდგომად დედოფალმან და შჳლთა მათთა ხელსა ქუეშე მათ მღუდელთასა და დიაკონთასა; და შემდგომად მისა აკურთხეს მდინარე მტკუარი, ეპისკოპოზმან შემზადა ადგილი ერთი მიწურვილი ხიდისა კარსა მოკუეთისასა, სადა ყოფილ იყო სახლი ელიოზ მღუდლისა და მუნ ნათლისჰსცემდა წარჩინებულთა ერთასა და ეწოდა ადგილსა მას მთავართ სანათლო.

ხოლო ქუემოთ მისსა მდინარისავე პირსა ორგან ორნი იგი მღუდელნი და დიაკონნი ნათელსჰსცემდეს ერსა და მიატყდებოდა ერი იგი ურთიერთსა, მოსწრაფებით ევედრებოდიან მღუ-

დელთა, რათა პირველად მას ვისმე ნათელ ჰსცემდეს[1]), და ესრეთ სურვიელ იყო ერი იგი ნათლისღებისათჳს, რამეთუ ესმინა ქადაგებაჲ წმიდისა ნინოსი, რომელსა იტყჳნ — «ყოველმან, რომელმან არა ნათელ იღოს, არა ჰპოვოს მან ნათელი საუკუნო», და ამისთჳს მოსწრაფე იყვნეს ნათლისღებად ყოველნი იგი და ესრეთ სახედ ნათელს იღეს ყოველმან ერმან და სიმრავლემან ქართლისამან, თჳნიერ ხოლო არა ნათელს იღეს მთიულთა კავკასიანთა, მიფენსას მას ნათლისასა, არამედ დაადგრნეს ბნელსა შინა ჟამ რაოდენმე და ჰურიათა მცხეთელთა არავე ნათელს იღეს. გარნა კაბრაბიანთა[2]) ნათელს იღეს ორმეოცდა ათმან სულმან და იქმნეს ქრისტიანე ჭეშმარიტად, ამისთჳს დიდ იქმნეს წინაშე მეფისა იგინი და უბოძა დაბა, რომელსა ჰრქჳან ციხე დიდი[3]), არამედ არა ნათელს იღო ფეროზ[4]) სიძემან მირიან მეფისამან, არცა ერმან მისმან ნათელს იღეს, არამედ ხორციელად ოდენ მორჩილებდენ მირიან მეფესა.

მაშინ წარავლინა მირიან მეფემან ეპისკოპოზი იოანე და მისთანა წარჩინებული ერი წინაშე კონსტანტინე მეფისა და ითხოვა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა, რომელი მას ოდენ ჟამსა გამოეჩინა ღმრთის მსახურსა და ღმრთის მოყუარესა დედოფალსა ელენეს და ითხოვნა მღდელნი მრავალნი რათა განავლინნეს ყოველთა ქალაქთა და ადგილთა და ნათელ ჰსცემდენ ერსა, რათა მსწრაფლ ნათელს იღონ ყოველმან სულმან ქართლისამან და ითხოვნა ქჳთ ხუროს მოძღუარნი, აღსაშენებლად ეკკლესიათა.

ვითარცა მიიწივნეს წინაშე კონსტანტინე კეისრისა, სიხარულითა მიანიჭა მან ძელი ცხოვრებისა დაფიცარნი იგი, რომელსა ზედა ფერხნი დაუმჰსჭუალნესა უფალსა და სამჰსჭუალნი ხელთანი, წარმოგზავნნეს მღდელნი და ხურონი ფრიად მრავალნი.

ხოლო კონსტანტინე მეფემან მეფობასა შინა მისსა აღაშენა წმიდა ეკკლესია ტაძარი წმიდა და მისცა განძი დიდ ძალი ეპისკოპოზსა იოანეს და უბრძანა სადაცა ჯუარ იყოს ადგილთა ქართლისათა მუნცა აღაშენნენ ეკკლესიანი სახელსა ზედა ჩემსა და ნიში ესე დაამკჳდრე საზღუართა ქართლისათა.

და წარმოვიდა ეპისკოპოზი და მისთანა მოციქულნი და ვითარ მოიწინეს ადგილსა, რომელსა ჰრქჳან ერუშეთი, დაუტევნა მუნ ხურონი საქმედ ეკკლესიისა, დაუტევნა განძი და სამსჭუალნი უფლისანი და წარმოვიდა და მოვიდა მანგლის და იწყო შენებად ეკკლესიისა და დაუტევნა ფიცარნი იგი უფლისანი; მაშინ შეწუხდა მირიან მეფე, რამეთუ პირველ არა სამეფოსა ქალაქსა მოვიდეს, არამედ სხჳსათა ქალაქთა და ადგილთა იწყეს შენებად ეკკლესიათა და დაუტევნეს ნაწილნი: ხოლო მოვიდა მისა წმიდა ნინო და ჰრქუა, «ნუ სწუხ მეფეო, რამეთუ ესრეთ ჯუარ არს, სადაცა მივიდოდიან, დასთესვიდენ სახელსა ღმრთისა, ხოლო არს ქალაქსა ამას შინა დიდებული იგი სამოსელი უფლისა».

მაშინ მოიყვანა მეფემან აბიათარ და მისთანა ჰურიანი მრავალნი და გამოიკითხა მათგან

---

1) ქართ. ცხოვ. «ეუბნებოდნენ, რათა პირველად მასვე ნათელსჰსცეს».

2) ქ. ც. «ბარაბიანთა . . . .»

3) დაბა ციხე დიდი ჰსდგა მტკურის მდინარის მარჯუნივ მხარეს მცხეთით დასავლეთით.

4) ფეროზ იყო ერისთავი რანისა, (საზღუარი შირაქიდამ დაწყებული განჯის საზღურითურთ, ვიდრე კასპიის ზღუამდე) მან მიიღო წმ. ნათლისღება მეფობასა ბაქარისასა, იყო სიძე წმ. მირიანისი და მან განანათლა ყოველი ერი რანისა, დროსა შინა გადასახლებისასა ზემო კახეთს. ქართლ. ცხოვრება ნაწ. I გუერდი 101.

კუართისა მისთჳს და მათ მიუთხრეს ყოველი, რომელი ზემო წერილ არს და აღიპყრნა ჴელნი თჳსნი მირიან მეფემან და თქუა. კურთხეულ ხარ შენ იესო, ძეო ღ̃თისაო ცხოველისაო, რამეთუ პირუელითგანვე გინდა ჴსნა ჩუენი ეშმაკისაგან და ადგილისა ბნელისა; ამისთჳს სამოსელი იგი შენი წმიდა, წარმოეც წმიდით ქალაქით შენით იერუსალიმით ებრაელთა მათ, ღ̃თაებისა შენისა უცხო ქმნილთა (და) ჩუენ უცხოთა ნათესავთა.

და წარემართა მეფე და ყოველი ქალაქი მტკიცედ ქრისტიანობასა, იწყეს ხუროთა შენებად ეკკლესიისა, გარე უბანთა მაყუალთა მათ ზედა, და საყოფელთა წმიდისა ნინოსათა, სადა აწ არს ეკკლესია საეპისკოპოზო 1).

მაშინ ჰრქუა წმიდამან ნინო, «კურთხეულ არს უფალი ჩუენი იესო ქრისტე და მამა უფლისა ჩუენისა, რომელმან მოავლინა სიტყუა მისი წმიდა ცათაგან მაღალთა ოჳთ ძლიერისაგან საყდრისა გარდამოსრული ქუეყანად მდაბლად, შობილი უქჭუელად თესლისაგან დავითისსა, დედაკაცისაგან მარტოდ შობილისა წმიდისა და უბიწოსა, რომელი სათნო ეყო მას მიზეზთა მიზეზი ცხოვრებისა ჩუენისა, რომელმან ცასა ქუეშე ყოველივე განანათლა და მორწმუნენი აცხოვნნა, რომელი იშუა, ვითარცა კაცი, ნათელი ყოველთა, ხატი ღ̃თისა და ვითარცა მსახურმან ვინმე სჯულისამან, ნათელს იღო წყლისაგან და სულისა, ჯუარს ეცუა და დაეფლა და აღსდგა მესამესა დღესა, ამაღლდა სიმაღლესა მამისა თანა და კუალად მოვალს, დიდებით, რომელსა შუენის ყოველივე დიდება თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

## აღმართებისათჳს პატიოსნისა ჯუარისა.

ვითარცა ნათელ იღეს მეფემან და დედოფალმან შჳლთა მათთა და ყოველთა ერთა, მაშინ დგა ხე ერთი, ადგილსა ერისა კლდესა ზედა შეუვალსა და იყო ხე იგი ფრიად შუენიერ ⁊ სულნელ და ესე საკჳრუელებაჲ იყო ხისა მისგან, რამეთუ ისარცემული ნადირი, რომელი მივიდის ⁊ ჭამის ფურცელი მისი, გინა თესლი ჩამოცვივნებული განერის სიკუდილისაგან, დაღაცათუ საკლავსა ადგილსა დიდად წყლულ იყვის.

ესე დიდად საკჳრუელი უჩნდის პირუელთა მათ წარმართთა და აუწყეს ეპისკოპოზს იოანეს ხისა მისთჳს, ხოლო ეპისკოპოზმან თქუა, აჰა ჭეშმარიტად პირუელიდგანვე დამარხულ არს ქუეყანა ესე ღ̃თისაგან მსახურად თჳსად; და ღ̃თისა მიერ აღმოცენებულ არს ხე იგი დამარხული ჟამისა ამისთჳს, რამეთუ აწღა მოეფინა მადლი ღ̃თისა ქართლსა და მის ხისაგან ჯერ არს შექმნად ჯუარი პატიოსანი, რომელსა თაყუანისცეს ყოველმან სიმრავლემან ქართლისამან.

და წარვიდა რევ ძე მეფისა და ეპისკოპოზი და სიმრავლე ერისა და მოჰკუეთეს ხე იგი და წარმოიღეს რტოთურთ მისით და მოაქუნდა იგი ათსა ათეულსა კაცსა, ზეზე რტოთურთ და ფურცლითურთ შემოაქუნდა ქალაქად და შემოკრბა ერი ხილვად მწუანის ფერობასა მას და ფურცლიანობასა ჟამსა ზამთრულის პირისასა, ოდეს სხუა ყოველი ხე ხმელ იყო, ხოლო ესე ფურცელ და-

1) ქ. ც. გ. 92. «სამთავარ ეპისკოპოზო».

უცვივნებელ დასულ ჟამო ჲ სახილველად შუენიერი და ძირსა ზედა აღმართეს ჴე იგი კარსა ეკკლესიისასა სამხრით, სადა ჰბერვიდა ნიავი ჟამო ნელი და შლიდა ფურცელთა ხისა მისთა და იყო ხილვა მისი შუენიერ, ვითარცა სმენით ვიცით ხისა მის ალვისა.

ესე მოჰკუეთეს მარტსა ოცდა ხუთსა, დღესა პარასკევსა და დაადგრა ჴე იგი დღესა ოცდა შვიდმეტსა ეგრეთვე ჲ არა შეიცვალა ფერი ფურცელთან მისმან, ვითარმცა დგა ძირსავე ზედა მისსა თავსა ზედა წყაროსასა, ვიდრემდის ყოველმან ხემან მაღნარისამან შეიმოსნეს ფურცლითა და ხენი ნაყოფის გამომღებელნი შეიმოსნეს ყუავილითა.

მაშინ თუესა მაისსა ერთსა შეჰქმნნეს ჯუარნი ესე და შვიდსა ამის თჳსსა აღემართნეს დიდებითა მეფეთათა, სიხარულით და წადიერებით ყოვლისა ერისა ქალაქისათა და იყუნეს ეკკლესიასა შინა.

იხილა ყოველმან ერმან ქალაქისამან ყოველთა მათ დღეთა, აჰა ჩამოვიდის ჯუარი ცეცხლისა ზეცით მის ზედა, გარემოს მსგავსად გჳრგჳნისა ვარსკულავითა ჲ დაადგრის ზედა ეკკლესიისა ვიდრე განთიადამდე და რიჟრაჟს ოდენ გამოვიდიან მისგან ორნი ვარსკულავნი, ერთი წარვიდის აღმოსავლით და ერთი დასავლით ჲ იგი თავადი ეგრეთ ბრწყინუალედ, განვიდის ნელიად მიერ კერძო, ახლოს წყაროსა მას ზემო კერძო არაგვისა, და დადგის ბორცუსა მას კლდისასა, წყაროსა მას, რომელი აღმოაცენეს ცრემლთა წმიდისა ნინოსთა და მუნით აღიმაღლის ზეცად.

და ესრეთ მრავალგზის იხილა ყოველმა ერმან მაცხოვარება ღუთისა ჩუენისა, იწყეს კითხუად ნეტარსა ნინოსსა თუ რაჲ არს, რომელი გამოვალს ბრწყინუალე ვარსკულავი და ერთი წარვალს აღმოსავლით ვიდრე კახეთის მთამდე ჲ მეორე დასავლეთით ვიდრე სანახებამდე ამის ქალაქისა; ხოლო მიუგო მათ წმიდამან ნინო და ჰრქუა მათ: «ოდეს გამობრწყინდეს მთიებნი იგი, ნახონ თუ სადა დადგენ, მუნცა აღემართნენ ორნი იგი ჯუარნი ქრისტესნი».

მაშინ ჰყო მეფემან ეგრეთ და შეიცუნა თავნი მთათანი მიწყებით, ხოლო დღე ესე იყო პარასკევი და შაბათი განთენდებოდა, იყო იგივე სასწაული იქმნა ეგრევე, ვითარცა ყოვლადვე იქმნის. ხვალისა დღე მოვიდეს დასავლისანი, რომელნი დგეს მთათა ზედა ქუაბთა თავისათა და მიუთხრეს მეფესა, ვითარცა გამოვიდა ვარსკულავი იგი, ამაღლდა და მიიწია მთასა ზედა თხოთისასა გარდასავალსა კასპისასა და ადგრა ადგილსა ერთსა და ყოვლად უჩინო იქმნა. და ეგრეთ მოვიდეს მთით კახეთისათ და იქუეს, ვიხილეთ ვარსკულავი აქათ მიმავალი და დაადგრა დაბასა ბუდს კუხეთისა ქუეყანასა.

მაშინ უბრძანა ნეტარმან ნინო, «წარიხუენით ორნივე ესე ჯუარნი და აღმართენით ერთი თხოთს, სადა იგი ღმერთმა გახილვა ძალი მისი და ერთი მიეც სალომეს მხევალსა ქრისტესსა და აღმართოს უჯარმოს ქალაქსა; რამეთუ ბუდი დაბა კუხეთისა, არა წინა აღუდგეს ქალაქსა მეფეთასა, რამეთუ ერისა სიმრავლე არს მუნ, ბუდს კულა დაბაჲ თჳთ იხილოს სათნო იგი ადგილი ღუთისა.»

და ყვეს ეგრე ვითარცა უბრძანა დედოფალმან (წმ. ნინო). ხოლო ესე სასწაული ზეცისა ჩუენებითა ჯუარი პატიოსანი მცხეთას იპყრეს ხელითა კაცობრივითა ჲ მივედით [1]) ბორცუსა მას ქუეშე, წყაროსა მას ზედა, ათიეს ღამე და ილოცეს ღუთისა მიმართ ჲ ნეტარი ნინო ცრემლითა შეაზავებდა წყაროსა მას და იქმნებოდეს კურნებანი ჲ სასწაულნი დიდნი.

1) «მივიდეს» ქ. ც. გ 95.

ხვალისა დღე აღვიდეს კლდესა მას ზედა და დავარდა ქუათა მათ ზედა და ტიროდა თჳთ იგი და მისთანა მეფენი და მთავარნი და ყოველი სიმრავლე ერისა, ვიდრემდის მთანი ხმასჰსცემდეს და დასდვა ხელი ერთსა ქუასა და ჰრქუა ეპისკოპოზსა. «მოვედ, რამეთუ შენდა ჯერ არს, დასწერე ჯუარი ქუასა ამასა» და მან ჰყო ეგრე და მუნ აღემართა ჯუარი იგი დიდებითა მეფეთაგან და მოდრკა ერი იგი ურიცხჳ და თაყუანისცეს ჯუარსა და აღიარეს ჯუარცმული ჭეშმარიტად ძედ ღუთისად ცხოველისად და ჰრწმენა სამებით დიდებული ღმერთი.

ხოლო დიდნი იგი მთავარნი, რომელნი არა განეშორებოდეს ეკკლესიასა წმიდასა და სჯულსა ნათლისასა და ჯუარსა მას ცხოველსა, რამეთუ ხედვიდეს სასწაულთა მათ უზომოთა და კურნებათა მათ მიუთხრობელთა და დღესა კჳრიაკესა აღვსებისასა ზატიკსა, ჰყო მირიან მეფემან და ყოველმან მცხეთამან შესაწირავი, იგი დღე განაწესეს ჯუარისა მსახურებად აღვსებისა ზატიკი, ყოველმან ქართლმან დღეინდელად დღედმდე.

და იყო რავდენისამე დღისა შემდგომად, მარტჳლისა უკანის, იხილეს სასწაული დიდად საშინელი დღესა ოთხშაბათსა; აჰა ესერა სუეტი ერთი ნათლისა სახედ ჯუარისა დგა ჯუარსა მას ზედა და ათორმეტნი ვარსკულავნი გჳრგჳნისა გარემოს მისსა, ხოლო ბორცჳ იგი ჯუარისა კმეოდა სახედ სულნელად და ხედვიდეს სასწაულსა ამას ყოველნი და მრავალნი უღმრთოთაგანნი მოიქცეს და ნათელ-იღეს მას დღესა შინა და ქრისტიანენი უფრო მორწმუნე იქმნებოდეს და ადიდებდეს ღმერთსა.

მერმე კუალად იხილეს სხუა სასწაული ჯუარისა, ვითარცა ცეცხლი დგა თავსა ზედა მისსა შვიდ წილად მზისა უბრწყინუალესი, ზედა დაადგრა მას ვითარცა სახმილისა ნაბერწკალი აღვალნ ეგე სახედ ანგელოზნი ღუთისანი აღვიდოდეს და გარდამოვიდოდეს მას ზედა. ხოლო ბორცჳ იგი ჯუარისა იძვროდა ძლიერად და ვითარცა სასწაული იგი დასცხრებოდა ეგრეთვე ძრვა იგი დასცხრებოდა, ვითარცა იხილეს სასწაული იგი დაუკჳრდა ყოველთა და უფროსად და უმეტესად ადიდებდეს ღმერთსა და ვითარცა იქმნებოდეს წლითი წლად სასწაულნი იგი და ყოველი იგი ერი ხედვიდეს შიშით და ძრწოლით მოვიდოდეს თაყუანისცემად გულს-მოდგინედ.

მას ჟამსა რევსა ძესა მეფისასა, ესუა ყრმა წული მცირე და იყო სნეულ და მიწევნილ იყო სიკუდილად, რამეთუ იგი ოდენ მხოლო ესუა მათ, მოიღო იგი და დადვა წინაშე ჯუარისა წმიდისა და ცრემლით ითხოვდა, უკეთუ მიბოძო ყრმაი ესე ცოცხალი, აღვაშენო კუბო საყუდებელად შენდა და მუნ თქუმსვე განიკურნა ყრმა იგი და განკურნებული და განცოცხლებული წარიყუანა.

მერმე მოვიდა აღნათქუამისა აღსრულებად. და ჰყო მადლისა მიცემა დიდისა სიხარულითა და გულს მოდგინებით აღაშენა კუბო ჯუარისა მცხეთის რევ, ძემან მეფისამან და წლითი წლად მოვიდის და აღასრულის აღნათქუამი იგი მსხუერპლი და მიერითგან უფრო მოვიდოდეს ყოველნი უძლურნი და სნეულნი განიკურნებოდეს და სიხარულით ადიდებდეს ჯუარსა წმიდასა ქრისტესსა.

იყო ვინმე მამაკაცი ჭაბუკი და ორნივე თუალნი დაბრმობილ იყუნეს, ჯდა იგი წინაშე ჯუარსა ქრისტესსა და შემდგომად შვიდისა დღისა აღეხილნეს თუალნი და ადიდებდა ჯუარსა პატიოსანსა.

მერმე დედაკაცი ერთი იყო, მარადის გუემული სულთაგან უკეთურთა ეგოდენ, რომელ ძალი და გონება მისი მიეღო რვასა წელსა და სამოსელსა მისსა დაიპობდა და ვითარ მოიყუანეს და წინაშე ჯუარსა შეამთხვეს, შემდგომად ათორმეტისა დღისა განიკურნა და თჳსითა ფერხითა წარვიდა და ადიდებდა ღმეთსა და თაყუანისცემდა პატიოსანს ჯუარსა.

მერმე კუალად იყო ურმა მცირე და მეყსეულად დაეცა და მოკუდა, აღიღო დედამან მისმან და დააგდო იგი წინაშე ჯუარსა ურმა იგი მკუდარი, დილეულითგან მიმწუხრამდე, ხოლო დედა მისი ტირილით ილოცჳდა წინაშე ჯუარისა, სხუანი ეტყოდეს, წარიღე დედაკაცო და დამარხე, რამეთუ მომკუდარ არს და ნუღარა აწყინებ. ხოლო მან არა წარიკუეთა სასოება, არამედ უფროს და უმეტეს საწყალობელად ტიროდა და ილოცჳდა, მწუხრისა ოდეს ჟამსა სულიერ იქმნა და თუალნი აღიხილნა და შემდგომად შვიდისა დღისა განკურნებული და განცოცხლებული წარიყუანა ურმა იგი დედამან მისმან და ადიდებდა ღმერთსა.

იხილეს რა სასწაული და კურნება ყოვლად წმიდისა ჯუარისა მრავალნი უშვილონი მივიდოდეს და ითხოვდეს შვილიერებასა და შვილმრავალ იქმნებოდეს და შესაწირავთა და მადლთა ჰყოფდეს არა ხოლო თუ, რომელნი მოვიდოდეს მათ ოდენ მიანიჭის კურნება, არამედ, რომელნი იგი შორით ითხოვდიან შეწევნასა წმიდისა ჯუარისა მუნ თჳსვე შეწევნითა მისითა მიიღიან მადლი, მძლე ექმნენ მტერთა და მოსწრაფედ მოვიდიან შეწირვად მადლისა.

მრავალნი უკუე უღმრთონი ოდესცა ჴირსა შთაცვივიან რაჟამს ხადოდის წინაშე ჯუარსა და მრავალთა ნათელ იღიან და სიხარულით ადიდებდიან ღმერთსა, მრავალნი უკუე მრავალსა ჴირსა შთაცვივეს ძალითა პატიოსნისა ჯუარისათა განიკურნნეს, მრავალნი პირად პირადთა სატანჯუელთაგან ივლტიედ ვედრებად და მუის განიკურნიან, მუნითგან დღეინდელად დღედმდე და ადიდებდეს მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, რომლისა არს დიდება აწ და მარადის და უკუნისამდე.

---

## წიგნი, რომელი მოუწერა პატრიარქმან ჰრომისამან და ბრანჯთა მეფემან ნინოს და მეფესა და ყოველთა ერთა ქართლისათა [1]).

---

მათ დღეთა შინა მოიწია წიგნი ჰრომით წმიდისა პატრიარქისა ნინოს და მეფესა და ყოველსა ერსა ქართლისასა; და მოუვლინა ბრანჯთ დიაკონი ქებისა შესხმად და კურთხევისა მიცემად და ამის ნეტარისა ნინოსგან ლოცვისა წარღებად და მადლისა ზიარებად, აქუნდა წიგნი ბრანჯთა მეფისა ნინოსათა თანა და ამის მამისაგან ნათელი ეღო ბრანჯეთსა ყოველსა, ესე ყოველი მისმენილ იყო იერუსალიმით და კონსტანტინეპოლით, ვითარცა ქუეყანასა მას ქართლისასა მიეფინა მზე სიმართლისა.

ამისთჳს სანატრელი წიგნი მოეწერა, რათამცა ეუწყნეს აქანი იგი სასწაულნი, სუეტისა მის და მაყლოვანისა და ძალი იგი კურნებისა, ესე ყოველი იხილა და მოისმინნეს სასწაულნი სუეტისა მის და მოისმინნეს სასწაულნი იგი ყოველნი, რომელნი ქმნილ იყვნეს მცხეთას. დიაკონმან ბრანჯთამან და განკჳრვებული ადიდებდა ღმერთსა, წარიღო წიგნები და წარვიდა.

---

1) დროსა შინა ამისასა ჰრომის პატრიარქად იყო წმიდა სილიბისტრო, რომელმან მიიღო მღუდელთ-მთავრობა 314 წ. მიიცუალა 335 წ.

მაშინ მეფემან ჰრქუა წმიდასა ნინოს და ეპისკოპოზსა; მნებავს ესრეთ, რათა იძულებით მახვლითა მოვაქცინეთ მთიულნი და სიძე ჩემი ფეროზ დავამონნე ძესა ღუთისასა და ვათაყუანნე პატიოსანსა ჯუარსა. მაშინ ჰრქუა მას. «არა ბრძანებულ არს ღუთისაგან, მახვლისა აღება, არამედ სახარებითა და პატიოსნითა ჯუარითა უჩვენოთ გზა ჭეშმარიტი, მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ და მადლმან ღუთისამან განანათლოს ბნელი იგი გულთა მათთა»[1] და წარვიდეს წმიდა ნინო და ეპისკოპოზი იოანე და მათ თანა წარიყვანა მეფემან ერისთავი ერთი და მივიდეს წობენს[2]) და მოუწოდეს მთიულთა, პირუტყვის სახეთა მათ კაცთა, ჭართალელთა, ფხოელთა, გუდამაყრელთა და უქადაგეს მათ სჯული ქრისტიანეთა ჭეშმარიტი, მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ; ხოლო მათ არა ინებეს ნათლისღება, მაშინ ერისთავმან მეფისამან მცირედ წარმართა მახვლი მათ ზედა და ძლევით შემუსრნეს კერპნი მათი.

გარდამოვიდეს მუნით და დადგეს ჟალეთს და უქადაგეს ერწო თიანეთელთა, ხოლო მათ შეიწყნარეს და ნათელიღეს, ხოლო ფხოველთა დაუტევეს ქუეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთს და სხუანიცა მთიულნი არა მოიქცეს, არამედ დაუმძიმა მათ მეფემან ხარკი ოდეს, არა ინებეს ნათლისღებაჲ; ამისთჳს წარკრბეს იგინიცა და შესცოდეს და რომელნიმე უკანასკნელ მოაქცივნა წმ. აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოზმან და რომელნიმე მათგანნი დარჩეს წარმართობასავე დღესამომდე.

ხოლო წმიდა ნინო ჩავიდა კახეთს და დადგა კუწარეთს და მოაქცივნა იგინიცა, შერმე გარდავიდა ქუჱლ დაბას და მოუწოდა მთავართა კახეთისათა; ხოლო მათდა პირველვე უწყებულ იყო სარწმუნოება ქრისტესი და ნათლისღება მეფისა, სიხარულით შეიწყნარეს სწავლა მისი და მოიქცეს და ნათელ იღეს ხელითა იაკობ მღუდლისათა და მუნით მივიდა ბოდის და მოვიდა მისსა დედოფალი კახეთისა სოჯი და მისთანა მთავარნი და მხედრები და მონა მხევალთა სიმრავლე და წარმოუთხრა მას ქრისტეს საიდუმლოსა განგებულებანი და ასწავა სიტყუითა ტკბილითა სარწმუნოება ჭეშმარიტი და სასწაულნიცა აუწყნა, რომელნი იქმნებოდეს სუეტისაგან ცეცხლისა, ხოლო მათდა წინასწარ უწყებულ იყო ყოველი.

ხოლო მათ სიხარულით შეიწყნარეს სწავლა ნეტარისა ნინოსი და ნათელ იღო დედოფალმან და ყოველთა მთავართა და მხევალთა მისთა და ვითარცა ესრეთ სრულ ჰყო ქადაგება მისი ნეტარმან ნინო და სრულჰყო ღუაწლი თჳსი, ეუწყა სულისა მიერ წმიდისა განსლვა მისი ხორცთაგან და მიჰსწერა წიგნი მეფისა და მისცა დედოფალსა კახეთისასა სოჯის, რომელსა წერილ იყო ესრეთ.

«იესო ქრისტეს მონასა, ერთგულსა და აღმსაარებელსა წმიდისა სამებისასა და თანაშეერთებულსა წმიდათა მეფეთასა, მეფესა მირიანს, გარდამოგივლინოს ღმერთმან ცუარი წყალობისა ზეცით და ყოველსა პალატად, ბანაკსა ერისა შენისასა და იყავნ მფარველ თქუენდა ჯუარი ქრისტესი და შეოხება ყოვლად წმიდისა დედისა მისისა, რამეთუ მე აჰა ესერა მოვლე ზოგი რაჲმე ქუეყანისა და შეიწყნარეს ქადაგება ქრისტესი და მოიქცეს და ნათელ იღეს და თაყუანისცეს დამბადებელსა ღმერთსა და შენდა ჯერ არს სიხარული, რამეთუ დღეთა შინა შენთა მოხედნა ღმერთმან თჳსთა დაბადებულთა და აღმოუბრწყინვა ნათელი თჳსისა მეცნიერებისა. აწ დაიცევით მართალი სარწმუნოება ქრისტესი, რათა მისთანა სუფევდეთ საუკუნოდ სასუფეველსა ცათასა; რამეთუ მე აჰა ესერა ვითარცა ერთი სოფლად შემოსრული განვალ ცხოვრებისაგან და წარვალ გზასა მამათა ჩუენთასა, ხსენე-

1) სიტყუანი ესე წმიდის ნინოს მიერ იყვნეს თქმულნი.

2) ქ. ც. გ. 98. «წორბანს».

ბულმცა არს საუკუნოდ კეთილთა შინა ღ~თისათა დედოფალი სუჯო, რამეთუ მოვიდა, ჭეშმარიტს ქრისტეს სარწმუნოებისასა და დაშუსრნა კერპნი და მოაქცივნა ერნი ღ~თის მსახურებად და მოუწოდა ძმასა და ასულსა მისსა და კჳალად არტერეონ მთავარსა ასწავა მართალი სარწმუნოება და ყოველთა ბუდეს შინა ნათელიღეს სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. აწ წარმოგზავნეთ ჩემდა წმიდა მამათ მთავარი, რათა მომცეს საგზალი სულისა საუკუნო, რამეთუ მოახლებულ არს აღსასრული ჩემი».

და მიიღო რა წიგნი იგი ნინოსი დედოფალმან სუჯი, სურვილითა აღძრული თაყუანისცემისათჳს სუეტისა ცხოველისა, თჳთ მოსწრაფედ წარემართა, რათა იხილოს და თაყუანისცეს ცხოველსა სუეტსა და ჯუარსა ცხოველსა და ყოველსა მას სიშორესა გზისასა ფერხივ ვიდოდა უხამური და ცრემლითა დაალტობდა ქუეყანასა და ვითარცა მოიწივნეს პირის პირ სუეტისა ცხოველისა, იხილეს რა წყალი იგი არაგვი უმეტეს ზომისა დიდოდა, რომელი ვერვინ მხედართაგან მან წარვლო, არამედ რომელნიცა შთავიდიან გარევე უკუნიქციან დაყენებულნი სიმძაფრისაგან წყლისა მისგან დიდისა.

ხოლო ვითარცა იგი პეტრე მიმავალი უფლისა წყალთა ზედა ვიდოდა, ეგრეთვე ამან დედაკაცმან სავსემან სარწმუნოებითა ქრისტესითა და სურვილით სუეტისა ცხოველისა და მინდობილსარწმუნოებასა მას მარცჳლისა მდოგვისასა; აღიბეჭდა თავი თჳსი ჯუარითა ქრისტესითა და აღხდა, ვითარცა ჭუნეს. ხოლო ხედვიდეს იმიერ კერძო მთავარ ეპისკოპოზი იოანე და ყოველი ერი და ვითარცა შევიდა წყალთა მათ შინა მართლ უკუნ იქცა მდინარე იგი. ხოლო იგი განვიდა ხმელად. მაშინ მოეგება მეფე და მთავარ ეპისკოპოზი, შიშითა და საკჳრველებითა და შევიდეს ეკკლესიად წინაშე სუეტისა ცხოველისა და ილოცა ცრემლითა მხურვალითა და შეჰსწირა თავი თჳსი შვილითურთ და ყოველი მონაგები თჳსი და ქალაქიცა იგი მცირე ბართიანი და დაბა დიდი ბოდისი და იხარებდა სულითა.

მაშინ გამოიღო წიგნი იგი ნეტარისა ნინოსი და მისცა მეფესა და წარიკითხა რა იგი აღივსო ცრემლითა [1]).

ხოლო მათ მიავლინეს ეპისკოპოზი იოანე წარმოყუანებად, ხოლო წმიდა ნინო არა ერჩდა, ხოლო წარვიდა თჳთ მეფე და დედოფალი ნანაჲ და სიმრავლე ერისა და მივიდეს მისსა; შეკრბა სიმრავლე ერისა ურიცხუთა და ხედვიდეს ყოველი იგი ერი პირსა ნინოსსა, ვითარცა ზეცისა ანგელოზისასა; და მოსწყუეტდიან ფესუსა სამოსლისა მისისა, მიიღებდეს და ემთხუეოდეს სარწმუნოებით და იძულებით ევედრებოდეს ყოველნი გარემოს მსხდომარენი, რომელთა გარდამოსდიოდეს ცრემლნი თუალთაგან მათთა განშორებისათჳს მოძღურისა მის და მოღუაწისა და სნეულთა მკურნალისა ხელოვანისა და ეტყოდეს სალომე უჯარმოელი, პეროჟავრი სივნელი და მათთანა ერისთავნი და მთავარნი, ჰკითხვიდეს: თუ ვინ, ანუ სადათ, ანუ ვითარ მოხუედ ქუეყანასა ამას მაცხოვრად ჩუენდა ანუ, სადათმე იყო აღზრდაჲ შენი, დედოფალო, მაუწყე ჩუენ საქმე შენი, რასა იტყჳ ტყუეობასა, ტყუეთა მხსნელო სანატრელო, რამეთუ ესერა გვისწავიეს შენ მიერ ვითარმედ ყოფილ არიან წინასწარმეტყუელნი პირუელ ძისა ღ~თისა და შემდგომად მოციქულნი ათორმეტნი და

---

1) ქართლის ცხოვრება ნაწ. I. გ 98. მოგვითხრობს ვითარმედ წმ. ნინოს მიცვალების დრო, აცნობეს მირიან მეფესა ძემან მისმან რევ და მეუღლემან მისმან სალომე უჯარმელმან. თქმული ქ. ც. ჩემის აზრით ჰსწორე არ უნდა იყოს.

ჩუჱნდა არავინ მოავლინა ღმერთმან სხუა, გარნა შენ ჲ შენ ვითარ იტყჳ ვითარმედ მე ტყუჱ ვარ, ანუ ვითარცა უცხო. ხოლო მაშინ იწყო სიტყუად წმიდამან ნინო და თქუა: «ასულნო სარწმუნოებისანო, მახლობელნო დედოფალნო ჩემნო, გხედავ თქუენ ვითარცა პირუელთა მათ დედათა ყოველთა სარწმუნოებასა და სიყუარულსა ქრისტესსა და გნებავს გზათა ჩემთა ცნობად, გლახაკისა მხევლისათა და გაუწყოცა რამეთუ ესერა მოსრულ არს სული ჩემი ხორცად ჩემდა დამქძინებიან მე ძილითა დედისა ჩემისათა საუკუნოდ, არამედ მოიხუენით საწერელნი ჲ დაწერეთ გლახაკი და უდები ცხოვრება ჩემი; რათა უწყოდინ შვილთა თქუენთა სარწმუნოება თქუენი და შეწყნარება ჩემი და სასწაულნი ღუთისანი, რომელი გიხილავს».

მაშინ მსწრაფლ მოიხუნეს საწერელნი სალომე უჯარმოელმან და პეროჟავრი სივნელმან, იწყო სიტყუად და იგინი ჰსწერდეს და წარმოუთხრა ყოველ, რომელი ზემო დავსწერეთ ცხოვრება მის წმიდისა ნეტარისა და შევედრა მეფესა იაკობ მღუდელი, რათა შემდგომად იოანესა იგი იყოს ეპისკოპოზ.

ხოლო იოანე ეპისკოპოზმან შეჰსწირა მსხუერპლი უფალსა ჲ აზიარა წმიდა ნინო ხორცსა ჲ სისხლსა ქრისტესა, რომელი იგი წარიძღუანა საგზლად საუკუნოდ ჲ შეჰვედრა სული თჳსი ხელთა ღუთისათა და წარვიდა საუკუნეთა კეთილთა (იანვრის იდ); ესრეთ შემკული მოციქულებისა მადლითა და ბრწყინუალე ქალწულებითა და განშუენებული სიმრავლითა ღუაწლთათა და სტვირთული ტალანტთა სიმრავლითა ღუაწლთათა, წარმოუდგა წმიდასა სამებასა და მიართუნა ძღუნად სიმრავლენი ერთანი და ღუაწლთა მიერ განკაფული სოფლისა ამისგან საუკუნოდ, ჰლვიდა ოც და მეათხუთმეტესა წელსა ქართლს შემოსლვის მისისა და ქრისტეს ამაღლებითგან სამას ოცდა მეათრუამეტესა წელსა დასაბამითგან წელთა ხუთიათას შვიდას მეოცდაათთრუამეტესა [1]). მაშინ შეიძრნეს ორნივე ესე ქალაქნი, მცხეთა ჲ უჯარმო და ყოველი ქართლი მიცუალებასა მისსა, მუნ მოვიდოდეს სიმრავლე ერისა ფრიადისა ჲ ურთიერთას დასთრგუნვიდეს, რათა შეეხნენ ფესუსა სამოსლისა მისისასა; ხოლო მეფემან ძლით დააცხრო შფოთი იგი ერისა და განიზრახა რათა გუამი მისი აღიყუანოს და დაკრძალოს მახლობლად სუეტისა ცხოველისა და ვითარცა ხელ ჰყვიან აღებად გუამისა მის წმიდისა, ხელნი მათნი უქმ იქმნიან და ყოვლად ვერ უძლიან შეძრვად; მაშინ გულის ხმა ჰყუეს და დაკრძალეს მასვე ადგილსავე ზედა კუხეთს, დაბასა ბუდისასა, რამეთუ მუნ ითხოვა თჳთ დაფლვა მეფისაგან შეხედვებითა ღუთისათა და სიმდაბლისათჳს ქმნა ესე წმიდამან, რამეთუ ადგილი იგი შეურაცხ იყო. და მწუხარე იყო მეფე და ყოველნი წარჩინებულნი მუნ დაფლვასა მისსა, არამედ მცნებისა და ან-

---

1) ჩემ მიერ დაბეჭდილი ხელწერილი მოგვითხრობს წმ. ნინოს მიცვალებასა ქრისტეს ამაღლებიდგან 338 წ. ქრისტეს იესოს ცხოვრება ქუეყანასა ზედა იყო 33½ წ. — მაშა სადამე ამისაგან ჰსჩანს — წმ. ნინოს მიცვალება ქრ. შობიდგან 371½ წელსა იყო. ქართლის ცხოვრებაცა ამ წელს მოგვითხრობს. ეს ხელწერილი გვაუწყებს, ვითარმედ წმ. ნინო მიიცვალა 35 წ. შემდეგ მოსვლისა მის ნეტარისა ქართლს, დასაბამითგან 5738 წელსა. ქართლის ცხოვრება ამასვე იტყჳს; არამედ შეცვალებით, წმ. ნინოს მიცვალებას მეთოთხმეტე წელიწადს, შემდეგ ქართლს შემოსვლისას იტყჳს და დასაბამითგან 5838 წელსა. ვითარ ქართლის ცხოვრების მოთხრობაჲ, ეგრეთვე ჩემი ხელწერილი ერთობრივ ჰსცდებიან, პირუელად, იგივე წერილნი მოგვითხრობენ ვითარმედ შემდეგ წმ. ნინოს მიცვალებისა წმ. კონსტანტინე იმპერატორმან დაუბრუნა მირიანს ძე მისი ბაქარ, რომელიც მძევლათა ჰყუანდა მას. წმ. კონსტანტინე ვითარ მოგვითხრობს მსოფლიო ისტორია მიიცვალა 337 წელსა. წმ. ნინო, როგორც მოგვითხრობენ ძუელნი მატიანენნი ბაქარის დაბრუნების წელ მიცვალილ იყო, ამის გამოთ

დერძის მისისა აღსრულებისათჳს დაჰფლეს მუნ და ეკკლესია აღუშენეს და ეპისკოპოზი განაჩინეს მას ზედა ესრეთ პატივით და კრძალულებით პატივისცეს წმიდასა და ნეტარსა და განმანათლებელსა ქართლისასა, კახეთისა და ჰერეთისასა სამგზის სანატრელსა ღმრთივ დიდებულსა ნინოს.

და ვითარ აღესრულა ესე ყოველი ღმრთივბრწყინვალემან მირიან მეფემან, განამტკიცა ყოველი ქართლი და ჰერეთი სარწმუნოებასა ზედა სამებისა ერთარსებისა ღმრთისა დაუსაბამოსა დამბადებელისა ყოვლისასა და გაემტკიცნეს სრულსა სარწმუნოებასა ზედა.

მაშინ კეისარსა კონსტანტინესა, რომელ ჰყვა მძევალი ძე მირიანისი, რომელსა ერქუა ბაქარ, წარმოგზავნა იგი მეფემან კონსტანტინე, ნიჭითა დიდითა და მოუწერა:

«მე კონსტანტინე მეფე თჳთ მპყრობელი, ახალი მონა ცათა მეუფისა, პირველ ეშმაკისა წარტყუენვილი და გამოხსნილი დამბადებელისა მიერ. მოჰკვსწერ შენდა ღმრთივ განბრძნობილისა, ჩემთანავე ახალ ნერგისა მორწმუნისა მეფისა მირიანისა, იყავნ შენთანა მშჳდობა და სიხარული ვინათგან იცან სამება ერთარსება, ღმერთი დაუსაბამო და დამბადებელი ღმერთი ყოვლისა; არღარა მიხმს მე შენგან მძევალი, არამედ კმა არს ჩუენ შორის შუამდგომელად ქრისტე ძე ღმრთისა პირველ საუკუნეთა შობილი, რომელი განკაცდა ხსნისათჳს ჩუენისა და ჯუარი მისი პატიოსანი, რომელი მოცემულ არს ჩუენდა წინამძღურად, გულითა მოსავთა მისთა და შუამდგომელობითა ღმრთისა დამბადებელისათა ვიყუნეთ ჩუენ სიყუარულსა ზედა ძმებრივსა, შვილი შენი შენდავე მიმინიჭებია, იხილე და განიხარე და ღმრთისაგან მოვლინებული ანგელოზი მშჳდობისა იყავნ შენ თანა, მარადის გაედევნენ ღმერთმან დამბადებელმან ეშმაკი მაცთური საზღუართაგან შენთა».

მოვიდა ბაქარ ძე მეფისა და მოციქული კონსტანტინე მეფისა კეისრისა მცხეთას, აღივსნეს სიხარულითა მირიან მეფე და ნანა დედოფალი[1]); და ჰმადლობდეს ღმერთსა ნიჭთა სრულთა მომცემელსა. მაშინ მირიან მეფემან განასრულა ეკკლესია საეპისკოპოზო და აღასრულა სატფურება მისი მრავლითა დიდებითა და მოქცევითგან მირიან მეფისა მეოცდამეხუთესა წელსა, მოკუდა ძე მისი რევ, სიძე თრდატ სომეხთა მეფისა, რომლისა მიეცა მეფობა სიცოცხლესავე მისსა, და დაფლეს აკლდამასავე მას, რომელი თჳთ მასვე რევს აღეშენა და მასვე წელიწადსა დასნეულდა მირიან მეფე, რომელიცა აღესრულა.

და მოიყუანა ძე თჳსი ბაქარ, და ცოლი თჳსი ნანა და ჰრქუა: არა ესერა მე წარვალ ვინაცა

---

ბაქარის დაბრუნება მცხეთას 336 უნდა ყოფილ იყო, რამეთუ იმპერატორი ზემო ხსენებულს წელს მიიცვალა, ამის გამოთ წმ. ნინოს მიცვალებაცა ამ წლისა უწინარეს უნდა ყოფილ იყო, ესე იგი 335 წ. გასულს, ანუ დამდეგ 336 წ. Addition et eclaircissements a l'historie de la georgie, depuis l'antiquite jusqu'en 1469. de J. C. 32 გვერდზედ ამავე წელიწადზედ აჩვენებს და არა ქართლის ცხოვრების და სხვათა მატიანეთა მოხსენებულს წელიწადსა ზედა. მეორედ არშეეძლო კონსტანტინეს ბაქარის გაგზავნა, შემდეგ თჳსის მიცვალებისა და კუალად უფალი აკადემიკი ბროსე თჳს Addition IX. Tables géneálogiques et statistiques des dynasties géorgiennes. 620—621 გვერდზედ, მირიანის მიცვალებას 342 წ. და ბაქარისას 364 წელზედ აჩვენებს, რომელსა ზედა თანახმობა ჯერ არს. ჩვენთა წერილთაგან ჰსჩანს, არა თუ წმ. ნინო მიიცვალა მირიანის დროს, არამედ მირიანი წმ. ნინოს; არამედ ისტორიით უწყით, ვითარმედ წმ. ნინო დაფლულ იყო მირიანისგან და ბაქარი არა თანადამსწრე იყო დასაფლავებასა, ვითარმედ იმპერატორს ახლდა: თუ ვიეთმე აღვიღოთ ქართლის ცხოვრების და სხვათა მოხსენებულთა რიცხვი წმ. ნინოს მიცვალებისა, ნეტარის აღსრულება უნდა მეფე მირდატ III-ის, მეფის ბაქარის ძის დროს უნდა ყოფილ იყო, რომელიც არა ოდეს არა ჯერ არს თანახმობა,

1) ნანა დედოფალი პონტოს მეფის ულიოტოზის ასული იყო.

მოვედ და ვმადლობ მრავალმოწყალესა ღმერთსა, დამბადებელსა ცათა და ქუეყანისასა; რომელმან წარტყუენილი ეშმაკისაგან მიხსნა მე პირისაგან ჯოჯოხეთისა და ღირს მყო მე მარჯუენით მის თანა.

შენ ნანა უკეთუ გეცესლა მოცალება ცხოვრებისა, ჩემსა შემდგომად, განჰყავ სამეფო განძი ჩუენი ორად და მიიღე სამარხოსა ნინოსსა განმანათლებელისა ჩუენისასა, ჟამთათა შეცვალებისათჳს, რათა არა შეირყიოს უკუნისამდე იგი ადგილი, რამეთუ მეფეთა საჯდომი არა არს, არამედ მწირ არს და ეგრეთვე დაჰვედრა ეპისკოპოზსა, რათა ადიდონ დაბა მის ადგილისა, რამეთუ ღირს არს პატივისცემასა.

ხოლო ძესა თჳსსა ჰრქუა, შჳლო ჩემო შეიცუალა ბნელი ჩემი ნათლად და სიკუდილი ცხოვრებად, შენდა მიმიცემია გჳრგჳნი მეფობისა ჩემისა, ღმერთმან დამბადებელმან ცისა და ქუეყანისამან დაგამტკიცენ შენ სრულსა სარწმუნოებასა ზედა.

იწურთიდი ყოვლად მცნებათა ძისა ღმრთისათა და დაადგერ სრულიად მათ ზედა და სახელსა ზედა ქრისტესსა სიკუდილი ცხოვრებად გაქუნდის, რომლითა წარუვალი ცხოვრება მოიღო და სადაცა ჰპოვნე ვნებანი იგი ცეცხლისანი და კერპნი, ცეცხლითა დაწუენ და ნაცარი შეასხუ, რომელნი მათ ესვიდენ და ესე შჳლთაცა შენთა ამცენ, რამეთუ მე ვიცი იგი, რომელ კავკასიანთაცა შინავე არა დაილევიან; ხოლო ამას შეუდეგ შენ გულითა შენითა და თავი შენი შევედრე ძესა ღმრთისა პირველ ჟამთა შობილსა და განკაცებულსა და ვნებულსა ხსნისათჳს ჩუენისა და წარძღუანებითა პატიოსნისა ჯუარისათა სძლო მტერთა, ვითარცა აქუს ჩუეულება გულითა მოსავთა მისთა.

და პატივჰსცემდი სუეტსა მას ღმრთივ-აღმართებულსა და იყავნ ყოვლითურთ სასოება შენი მისა მიმართ და იყავნ მისვლა შენი ძილად საუკუნოდ სარწმუნოებასა ზედა წმიდისა სამებისასა და მოასუენებინა ჯუარი იგი წმიდისა ნინოსი, რომელი პირველითგან აქუნდა და ჩამოჰკიდა გჳრგჳნი სამეფო ჯუარსა მას და მიიყვანა ძე თჳსი ბაქარ და თავსა მისსა გამოსახა სახე ჯუარისა და აღიღო გჳრგჳნი ჯუარისაგან და დაადგა თავსა ძისა თჳსისა და აღესრულა მირიან მეფე და დაეფლა ზემოსა ეკლესიასა საშუალსა სუეტსა სამხრითსა ჩრდილოთ კერძო და მას სუეტსა შინა არს ნაწილი ღმრთივ-აღმართებულისა მის სუეტისა [1]) და მეორესა წელსა მოკუდა ნანა დედოფალი და დაეფლა მასვე სუეტსა დასავლით, სადა მირიან მეფე დამარხულ იყო. და დაჯდა მეფედ ძე მისი ბაქარ, და იყო მორწმუნე, ვითარცა მამა მისი, ამან მოაქცივნა უმრავლესნი კავკასიანნი, რომელნი ვერ მოექცივნეს მამასა მისსა და შთავარდა შორის მისსა და სომეხთა მტერობა; რამეთუ სომეხნი ბაქარის ძმის წულისა რევის ძისა თრდატ მეფისა, ასულის წულისა მეფობასა დომოდეს ქართლს.

ხოლო ესე ბაქარ ეზრახა სპარსთა მეფესა მამის ძმის წულსა მისსა. დაემოყურა და გაუცუალა ქუეყანა და სიძესა მისსა ფეროზს, რომელსა აქუნდა ჰრანი ბარდავამდის, მიცემულად მირიანისგან და მისცა მას წილ სამშვილდიდგან მიღმართ ქუეყანა ვიდრე თავადმდე აბოცისა.

მაშინღა ნათელ იღო ფეროზ და ერმან მისმან და მოირთეს ძალი ხუასროსაგან და ეწყვნეს სომეხთა ჯავახეთს, სძლეს და იოტნეს სომეხნი ჯავახეთს. მაშინ მეფემან ბაქარ შუამდგომელობითა ბერძენთა მეფისა და სპარსთა მეფისათა, დაწერა ხელით წერილი ძმისწულთა მისთა და დედისა

---

1) წმ. ნაწილი იგი აქამომდე იპოვების და მოჩანს სამთავროს ეკლესიასა შინა, სამხრის-დასავლეთის კედლის კუთხეში, რომლისა ქუეშე მოჩანს პრცყუელი საფლავის ლოდი წმ. მირიანისა. სირცხვილ არს ფრიად ქართველთათჳს, რათა წმ. იგი საფლავი უყურადღებოთ არს ეგრე და შეურაცხილ, რომელთა მიერ აჩვენებენ თჳს ისტორიის უცოდინობასა და უმეტეს ამისა — უმადურობასა. მაღლითგან — დაბლათამდე, გარდა ლხინისა და ლჳნისა არა რაი გაეგებათ არა ერთი წმ. ალაგი არა არს შეურჩეველ, სირცხვილი მათთჳს მარად, დრო არს, რათა მიხედონ სხუათა მორწმუნეთა და ჰბაძვიდენ მათ.

მათისა სალომესგან, ვიდრემდის იყოს ნათესავი ბაქარისი, რომელ ეძლოს ჴურობაჲ მეფობისა მათი იყოს მეფობა, არა ოდეს ძებნონ მეფობა ნათესავთა რევისთა.

მაშინ მოიყვანნა ძმის წულნი მისნი და მისცა კუხეთი და დასხნა რუსთავს ერისთავად. ამან ბაქარ ყოველნი დღენი ცხოვრებისა მისისანი დიდსა სარწმუნოებასა შინა აღასრულნა და განამრავლნა მღდელნი და დიაკონნი, ყოველსა ქართლსა და ჴრანსა შინა ეკკლესიათა მსახურად. ამან აღაშენა ეკკლესია წილკნისა. მოკუდა და დაეფლა ძმასავე თჳსსა თანა. და დაჯდა მეფედ ძე მისი მირდატ და მეფობდა დიდსა სარწმუნოებასა შინა და ამან აღაშენა ეკკლესიანი თუხარისა ციხესა შინა, რამეთუ ხევსა კლარჯეთისასა არა იყო ეკკლესია და მუნ შინა დაადგინნა მღდელნი მოძღურად კლარჯთა და ჰმატა შემკობა და შენება ერუშეთისა და წუნდისა ეკკლესიათა.

მაშინ ამის მირდატის მეფობასა, იწყეს ქართველთა სუეტისა ცხოველისაგან ნაწილისა განღებად და ქმნად ჯუარად, რამეთუ დიდნი სასწაულნი და კურნებანი იქმნებოდეს, სადაცა იქმნის ნაწილნი სუეტისა ცხოველისა და არა აყენებდა მირდატ მეფე ნაწილსა გაღებად; რამეთუ ეპისკოპოზმან ჭეშმარიტმან იაკობ ეგრეთ ჯერ იჩინა და თქუა, მინიჭებულ არს ღმრთისაგან და ჯერ არს სუეტისა მის ღმრთივ აღმართებულისა ქმნა სახედ ჯუარისა და განეფინა ყოველთა ადგილთა ქართლისათა ნაწილი სუეტისა ცხოველისა.

მაშინ ამან მეფემან მირდატ მისვე სუეტისგან შექმნა ჯუარი და რომელი გადარჩა სუეტისა მისგან ცეცხლისა, მას გარე მოაქმნა ქჳთკირითა, კიდურ სუეტისა ოდნად და თავსა ზედა მის სუეტისასა აღმართა ჯუარი იგი ძელი განმაცხოველებელი და ყოველნი დღენი ცხოვრებისა მისისანი უშფოთველად აღასრულნა სარწმუნოებასა შინა დიდსა და იგიდსა წარვიდა კუალსა მამათა მისთასა, შემკული ღმრთისა სათნოებათა: ხოლო რაჟამს მოხედვა ჰყო უფალმან ქართველთა ზედა და ინება წმიდამან ღმრთის მშობელმან, რომლისა ნაწილნი ვართ და ნათელ გვიღებიეს სახელსა ზედა ძისსა და ღმრთისა მისისა ქრისტეს უფლისა ჩუენისასა, მადლითა და შეწევნითა სასოსა მის ჩუენისა წმიდისა ღმრთის მშობელისა დედოფლისა მარადის ქალწულისა მარიამისითა, არა ოდეს მიდრეკილ არს გული ჩუენი ურწმუნოებად სამებისაგან წმიდისა ერთარსებისა.

ხოლო ბერძენნი მიიქცეს კერპთ მსახურებად და კუალად წუალებისა ღუარძლი შემოიღეს და კნინღა წარწყმდეს და დაეცეს, ხოლო ჩუენ ესე კეთილი სარწმუნოება, რომელი მოგუეცა ღმერთმან ნებითა და ჯერჩინებითა დედისა მისისათა მტკიცედ გვიპყრიეს მეოხებითა წმიდისა ღმრთის მშობელისათა და ზედა მდგომლობითა განმანათლებელისა ჩუენისა წმიდისა ნინო მოციქულისათა.

ხოლო შემდგომად მირიანისა, მეათე მეფე იქმნა ვახტანგ გორგასალ და ვიდრემდე იყო, იძულებით სპარსეთად წარვიდა და ქრისტეს სარწმუნოება კეთილად დაიცვა და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოიქცა და მაშინ ჟამსა მას იყო მიქაელ მთავარ ეპისკოპოზად და დააჯერეს ვითარმედ ვახტანგ ქრისტიანობა დაუტევაო; ხოლო მან ირწმუნა და მირავიდოდა ვახტანგ მოკითხვად მისსა ფერხი შეხრა და კბილნი შელეწნა, ხოლო მეფემან ვახტანგ სიმშვიდით ღმრთისათჳს დაითმინა იგი და არღარა ბოროტი შეამთხვია, გარნა გაგზავნნა მოციქულნი საბერძნეთს, და ითხოვა მეფისაგან და პატრიარქისა კათალიკოზი, და მათ წარმოავლინეს პეტრე კათალიკოზად, ხოლო ვახტანგ აღაშენა ქუემო ესე დიდი ეკკლესია და დასუა მას შინა პირუელად კათალიკოზად პეტრე, ღირსი, მდაბალი და დაამდაბლა პატივი სამთავრო რაჲ.

ამან ვახტანგ აღაშენა თფილისი და მცხეთა ქალაქი მუნ მიცვალა, ამანვე დაიმორჩილნა ოვსნა

და ყივჩაყნი და შექმნა კარნი ოვსეთისანი და აღაშენა მას ზედა გოდოლი და დაადგინნა მას ზედა მცველნი მის ადგილისანი და უწოდა მას კარად დარიელისა და აწ თჳნიერ ბრძანებისა მეფისა ვერ ჴელეწიფების გამოსლვად ოვსთა და ყივჩაყთა.

ამან ვახტანგ სძლო სპარსთა და დაიმორჩილნა, რამეთუ იყო საზარელ და გოლიათ და განთქმულ ყოველსა ქუეყანასა, რამეთუ იყო სიგრძე მისი ათორმეტი მტკაველი და აწცა საცნაურ არს იგი სამოსლისა და აბჯრისა მისგან, ხოლო იყო ფრიად შემკული ღმრთისა მსახურებითა დიდი ვახტანგ.

ხოლო მოიკლა იგი სპარსთა ბრძოლასა შინა მონისა ყოფილისაგან მისისა, რამეთუ იცოდა განახევი ჯაჭვისა იღლიასა ქუეშე და აღიპყრნა რა ჴელნი თჳსნი, რათა ჰკუეთს კაცსა სპარსთაგანსა მონამან მან ბოროტმან, ჰკრა ისარი იღლიასა ქუეშე და მით მოკლა და ქრისტესთჳს იწამა, ქრისტეს მოყუარე იგი მეფე და არს საფლავი მისი წინაშე სუეტისა ცხოველისა. ხოლო შემდგომად მისსა მოიწივნეს სპარსთაგან ქართველთა ზედა დიდნი ჭირნი და ფრიადნი სულნი მოსწყვიდნეს და ქუეყანანი დაიპყრნეს და მრავალნი იწამნეს სახელისათჳს ქრისტესისა, რომელთანიმე წიგნნი აღიწერნეს და რომელთანიმე დაშთეს აღუწერელად, გარნა ყოველნი აღწერილ არიან წიგნსა ცხოველთასა, ამისსა შემდგომად გამოვიდა ჰერაკლე მეფე და შეერთნეს ქართველნიცა და შემუსრეს სპარსეთი და შეწევნითა ღმრთისათა შემუსრა სპარსეთი და ტაძარნი და პირმოთხნი მათნი და ჴუასრო მეფე და ძელი ცხოვრებისა რომელი წარეტყუენა სპარსთა წარმოიღო და ძლევა შემოსილი შემოვიდა სამეფოდვე [1],

ამისსა შემდგომად განეფინა ქადაგება, მუჰმად უსჯულოისა და მრავალი ერი შეუდგა მას, შემდგომად მისსა გამოვიდეს სპარსნი და პონტომდე მოიწინეს და ყოველი ქალაქები დაიპყრეს და ვითარ იგი იყო კურთხევა კათალიკოზისა ანტიოქიით ვერღარა ვის ჴელეწიფებოდა სლვად გზასა ანტიოქიისასა, ამისთჳს დიდი ზრუნვა აქუნდა ქართველთა; ხოლო დღეთა თეოფილე ანტიოქელ პატრიარქისათა, წარავლინნეს მოციქულნი და მიუთხრეს ამის პირისათჳს, ხოლო თეოფილე ჰყო კრება საზოგადო და განაწესეს, რათა შეკრბებოდიან ეპისკოპოზნი სამრევლოისა მისისანი და აკურთხევდეს კათალიკოზსა, რომელიცა სთნდეს მეფესა და ერსა და ამის პირისათჳს დაწერა წიგნი დაბეჭდულად წარმოგზავნა.

ხოლო ვითარ იგი პირველ იყუნეს ასნი სოფელნი სასყიდლად მირონისა და ამის წილ განაწესა ასი დრაჰკანი; ხოლო შემდგომად ამისა კუალად ესოდენ განაჩინეს, რათა სახელით ოდენ მოიხსენებოდის პატრიარქი ანტიოქელი ქართლს, ესრეთ განაგეს ქართლისა ეკკლესიათა წესი და ქცევაჲ და ესრეთცა არს, ვიდრე დღეინდელად დღემდე სადიდებელად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

---

1) მან ტფილისის მეტეხის ღმრთის-მშობლის ეკკლესია აღაშენა,

## დაუჯდომელი წმიდისა და მოციქულისა ნინასი.

ერთსა ძუელსა წიგნსა შინა, რომელში ჩართულნი არიან საგალობელნი წმიდათა, ვჰპოვე წმიდისა მოციქულისა ნინასი გიხაროდენი, პირველთა მამათა მიერ თქმული, რომელშიცა სწერია ესრეთ: «და ესე მისვე ყოვლად სამღვდელოსა მიერვე თჳსად განიწესა ესრეთ, რათა თჳთ დღესასწაულსა შინა წმიდისა ნინასისა დაეგრეთვე ყოველსა შვიდეულისა ხუთშაბათსა წარიკითხებოდეს სამარადისოდ. ხსენებასა თანა დიდებულთა მოციქულთასა შესხმა ესე გიხაროდენებოდეს მოციქულთა სწორისა დედისა ნინასა, დის წულსა იერუსალიმისა პატრიარქისასა, რომლისა კურთხევითა მოივლინა, და განანათლა ყოველი საქართველოჲ».

ოხითა წმიდისა ნინასითა ჴმა დ.

სიტყჳსა ღმრთისა მსახურთა თანა მოსაგრეო, და ანდრიას ქადაგებისა წარმართებაო, ქართველთა განმანათლებელო და სულისა წმიდისა ქნარო ნინა, ევედრე ქრისტესა ღმერთსა, შეწყალებად სულთა ჩუენთა თჳს.

«ზენაით მბრძოლისა მარად შემწისა ჩუენისა, შენ მიერ ჴსნილნი მონებისაგან ბნელისა ფარაოჲსა, ყუავილსა შესხმათასა შევთხზავთ შენდამი ქალწულებისა ყუავილო ნინა! ქრისტეს მხედრობად აღწერილნი მონანი ზენასა მეუფისანი, არამედ ვითარცა მარად თანა მბრძოლად გაქუს მაღლის ძალი, მარად მძლე ექმენ მტერთა ჩუენთა მებრძოლთა და გჳიხსნენ ვნებისაგან სატანურისა, რათა ანგელოზებრსა გალობასა დავთხზვიდეთ შენდა: გიხაროდენ, სულისა მიერ საღმრთოსა განწმედილო სძლოთო სძალო».

«ანგელოზი ზეციერი მოივლინა ჰრწმუნებად შენდა მოციქულებრსა გზისადმი სრბასა და მოგცნა შენ სიტყუერნი უწყებანი, თითითა ღმრთისათა წარწერილნი. ხოლო შენ თავსა შორის თჳსისა დაკჳრვებული უზესთაესი ძალისა საქმესა, მორჩილებისა სრბასა შეუდეგ წამის ყოფასა საღმრთოსა, რომლისა მიერ განცვიფრებულნი ვჴმობთ შენდამი:

გიხაროდენ, რომლისა ძლით სიხარული მოგვეფინა ჩუენ. გიხაროდენ, რომლისა მიერ წყევისაგან პირველთა სატანურთასა განვთავისუფლდით. გიხაროდენ, ბნელისაგან ცთომათასა დაცემულისა ქართველთა აღმადგინებელო. გიხაროდენ, მუნათა დედათა მწუხარებისა ცრემლთა დამშრეტელო. გიხაროდენ, მეკერპეთა გულის სიტყუათა ზესთა სიტყჳსა მეცნიერებად აღმყვანებელო, გიხაროდენ, ანგელოზთაცა მიუხედვისა დაფარულისა საიდუმლოსა ჩუენდამი გამომაცხადებელო.




ႶႫႰႧႨႱ ႫႸႭႡႪႨႱ ႫႨႤႰ ႾႤႪႣႠႱႾႫႠ, ႼႫ. ႫႭႺႨႵႭႳႪႨႱႠ ႬႨႬႭႱ
ႱႠႵႠႰႧႥႤႪႭႣ.

გიხაროდენ, რომელმან ცეცხლის ფერთა საყდართა ზედა მჯდომარე განგვიცხადე ჩუენ. გიხაროდენ, რამეთუ მტკრთუმლი ყოველთა დაბადებულთა ქალწულებრისა მუცლის შინა თჳთოჳულად გვაცნობე ჩუენ. გიხაროდენ, რომელმან ვარსკულავთა და მნათობთა უზენაესი სათელი მომფენე ჩუენ. გიხაროდენ, რომელმან წიაღსა ქალწულებისასა დაკარგებული ღმერთი განსხლებად ჩუენ დაძუმლებულისა დამბადებელად ყოველთა გვაცნობე (ჩუენ). გიხაროდენ, რომლისა მიერ შეჳმეცნებით ყოველთა დამბადებელად ყოველთა არსთა მტკრთუმლსა სიტყუასა. გიხაროდენ, შენ ფრიად შუენიერო შორის დედათა, სალთოო სძალო». ბ.

ძმხედუმლი წმიდა ქალწული მოციქული ნინა, დედობრივსა უძლურებასა თჳსსა, კადნიერებით მიუგებს ანგელოზსა საღთოსა, ფრიად შეუძლებელად აღუჩნდების გონებასა ჩემსა უწყება შენი, ვინადგან იტყჳ დედაკაცისაგან უცხოსა ენათა და ზომთა, მრავალთა დამწყსასა, რათა ჰხმობდეს ესრეთ ალილუია». გ.

«ზესთა საცნაურისა ცნობისა გამოცხადებასა უღონემბელმან ქალწულმან ნეტარმან ნინა, მიგება ჰყო საღმრთოსა მსახურისა მიმართ, ესათა არმეცნიერისა, და უძლურისა მექონისა ბუნებისა, ვითარ შესაძლებელ არს მისულა და ბნელისაგან ბოროტ მიქცეულთა უჟიკთა ღუთისადმი ნათლისად მოქცევა, გარნა ჩუენ სრულ-ქმნილად მხილველნი მეუფისა მოწყალებასა შიშით ვჰხმობთ მოციქულსა ნინასად. გიხაროდენ, მესაიდუმლოეო იგავობითთა საღმრთოთა გამოცხადებათა. გიხაროდენ, წყაროდ მანეკტარეო ჩუენდამი ზეციერისა სარწმუნოებისაო. გიხაროდენ, დასაწყისო ქრისტეს სავკურუმლებისა ჩუენდამი გამოჩინებისაო. გიხაროდენ, უაღრესო თავო ჩუენდამი საღთოსა ჰსჯულისა გამობრწყინვებისაო. გიხაროდენ, დაუბერკებელო ხიდო წმიდაო, რომლითა წიაღ-ვჰხდებით მონებისაგან ბნელისა, მონებად ღუთისადმი ცხოველისა. გიხაროდენ, საღთოო კიბეო, რომლითა წიაღვალთ წარმდინარეთა წარმავალთაგან, ზეცადმი წარუვალად სუფევად. გიხაროდენ, ბნელთა ემმაკთა წყლულებით და გვემით განმხდელო ძალო, გიხაროდენ, ზეციურისა ნათლისა საღმრთოსა მომფენელო ჩუენდა. გიხაროდენ, ქართუმლთა უგულისხმოთა განმაბრძნობელო ზეციერითა სიბრძნითა. გიხაროდენ, თჳთ-გუამოვანისა ღუთისა სიბრძნისა მომცემელო ჩუენდა. გიხაროდენ, რომელმან სიბრძნითა საღთოთა სამებისა ღუთისა უზესთაეს ცნობად აღგვიუვსენ ჩუენ. გიხაროდენ, სულისა მიერ საღმრთოსა განწმედილო საღმრთოო სძალო». დ.

«ძალი მამისა შემწედ გაქუნდა შენ მარადის სულითა წმიდითა, რომელმან უსაყოფონი ბერწნი წარმართნი ნაყოფისა მტკრთუმლად გამოაჩინენ, რომლითა მოვისთულებთ ზეცათა აგარაკისა უზესთაეს ცნობისა სიტკბოებასა, რომელსა შინა მარადის ვჰხმობდეთ საღმრთოსა გალობასა ალილუია». ე.

«მქონებელი შენ შორის საღმრთოსა მადლისა აღმოხუმდ, ბნელთა კერპოვნებითითა მიმრუმებულსა შორის ჩრდილოეთით კერძო კედარსა, მყის აგრძნა რა მოხილუა შენი, მეყუსეულად არმაზ დაეცა გოდებით და ზადენისნი გაიმ გაცითურთ მეხდატეხილ იქმნნეს და ოხერ იქმნნეს მათნი ცთომანი, რომლისა მონებისა და ცთომისაგან ჰხსნილნი ქართლოსიანნი ჰხმობდეს ძნობით შენდამი. გიხაროდენ, ვაზო საღმრთოსა სიტკბოებისა მადინებელო ჩუენდა. გიხაროდენ, ქუმყანაო წმიდაო, რომლითა მარად გუზრდი ჩუენ მშიერთა. გიხაროდენ, შენ ნერგო საღთოო, რომელი მოგუცემ მარად საღთოსა ნაყოფსა. გიხაროდენ, ზეციერო ორნატო, რომელმან გამოიღე პირად პირადნი მადლნი. გიხაროდენ, მოციქულებრისა საღმრთოსა სრბასა მომმუშაკებელო. გიხაროდენ, რომელი ზეციერითა ღუაწლითა გუქმნეს საღმრთო ღიმესა შემწყნარ ცხოვრებისა ჩუენისა. გი-

როდენ, შენ ტაბლაო სულიერო, რომლითა დაგჳატკბობ ჩუენ ცოდვითა დამწარებულთა. გიხა-როდენ, რომელმან შრომითა შენითა გამოიღე ყუავილი საღმრთოსა საშუენებელისა. გიხაროდენ, ჩუენ ცოდვილთათჳს მეოხებად მირთუმულო ძღუენო წინაშე მეუფისა. გიხაროდენ, ჩუენ ტჳრთითა ბრალ-თათა დამძიმებულთა სალხინებელო ემპლასტრაო. გიხაროდენ, ჩუენ ცოდვითა განწირულთა სალხი-ნებელად მხსნელად მოვლინებულო. გიხაროდენ, მრავალთა ბრალთაგან განვრდომილთა ღმრთისადმი დამაგებელო. გიხაროდენ, ფრიად შუენიერო შორის დედათა, საღმრთოო სძალო». ვ.

«ღელვის შინაგან მქონებელ იყო საღმრთო ნინა, ჰხედვიდა რა ბარბაროსთა წარმართთა სას-ტიკად მიმძლავრებასა სატანისგან, ხოლო იშვეულებდა ეშმაკი მდედრსა რა ჰხედვიდა ჰსძალსა საღმრთოსა, ხოლო ჰსცნა რა დაცემა თჳსი სრულიად და მოოჴრება თჳსთა საცთურთა, ისწრაფა ვი-თარმედ სულისაგან წმიდისა არს მოციქულებაჲ სრბა მისი და მგოდებელი თჳსთა ძალთა თანა, ივლტო-და გოდებით, ხოლო ჩუენ მონებისა მისგან ბნელისა ჴსნილნი ვჰხმობთ ესრეთ ალილუიას».

კუალად, «ჩუენსა მბრძოლისა»-ს შემდგომად გალობა ესე წმიდისა მოციქულისა ნინასი. ხმა, ჱ.

გალობა ა, სძლისპირი:

ქუეყანასა მწყურნებსა ვითარცა ხმელსა განვიდა და შრომათაგან ეგჳპტელისათა განერა ერი ისრა-ილთა ღაღადებდა, მჴსნელსა ჩუენსა და ღმერთსა უგალობდით.

წმიდაო დედაო მოციქულთა ჰსწორო ნინა, ევედრე ღმერთსა ჩუენთჳს.

უწყი ტრფიალება სულისა ჩემისა და სურვილი შენდა მიმართ დაუშრომელი ნინა, მიითუალე სავედრებელი გალობა ჩუენი და მეოხ შეექმენ ქრისტეს მიმართ. წმიდაო დედაო...

ვითარცა იგი მოგიღებიეს ღმრთისაგან კადნიერება მეოხებად ცოდვილთა წმიდაო, აწცა გევედრები რათა გვიხსნე, ცოდვათა ჩუენთა პატიჟთაგან. დიდება.

ლიტანიობითნი ლოცვანი ჩუენნი შეიწირენ და შესწირე წინაშე მეუფისა შენისა ქრისტესსა, ღმრთისშემოსილო ნინა დიდებულო და გვიხსნენ ლოცვითა შენითა განსაცდელთაგან. აწდა.

ღმრთის მშობელო დედოფალო, სასოო ყოველთა განწირულთაო, მოგჳხედე წყალობით მონათა შენთა და რისხვა ღმრთისა თანა წარგჳხადენ, ცოდვათა ჩუენთა მიერ აღძრული ჩუენ ზედა.

გალობა გ, სძლისპირი:

შენ დამამყარებელო, კამარათა ცისათაო უფალო და აღმაშენებელო ეკკლესიათაო, დამამტკი-ცენ ჩუენ სიყუარულსა შენსა, თავო ყოვლისა სიხარულისაო და განმაძლიერებელო მორწმუნეთაო, მხოლო კაცთმოყუარეო. წმიდაო დედაო...

შენ დიდებულო ნინა, ქრისტესგან მოგიღებიეს მადლი ეშმაკთა ოტებად და უძლურთა კურ-ნებად, ჩუენცა მავედრებელთა შენთა თანა-წარგჳხადენ განსაცდელნი ეშმაკისა მიერ აღძრულნი, რამეთუ შენ ხარ სასო ჩუენი. წმიდაო დედაო......

ჰოი! დიდებულო ნინა ვიდრემდე იყავ სოფელსა შინა ასწავულთა მიერ შენთა ურიცხუნი ცხოვნდებოდეს და აწ გევედრებით სამწყსო შენი იჴსენ ყოველთა ჭირთაგან, მოწევნულთა და მო-წევნადთა, ვითარცა გაქუს კადნიერება დიდი. დიდება.

ვითარცა მოციქულსა მოგიღებიეს კადნიერება წინაშე ქრისტეს ღმრთისა ყოვლად სანატრელო ნინა, ნუ დამივიწყებ ჩუენ, რომელნი ესე შევრდომით, ხატსა შენსა წმიდასა პატიოსანსა თაყუანის-ვცემთ, ვითარ შენ პირმშოსა სახესა. აწდა.

ჰოი! დედაო ღმრთისაო, სალხინებელო ყოველთა ცოდვილთაო, შენ განმიღე ჩუენ კარი წყალობისა შენისა და მწუხარებანი ჩუენნი სიხარულად შესცვალენ კურთხეულო, ვითარცა ხარ მხიარულება, ყოვლისა სოფლისა მიმადლებულო.

კუალად: «ზენაით მბრძოლისა, მარად შემწისა». და შემდეგ ქკ. ზ.

«ესმა რა მწყემსთა მთავართა მათ ქართლოსიანთა სასტიკად დაცემა არმაზ და ზადენისი, გულისხმა-ჰყვეს ხორცთა შინა ზრქელითა გამობრწყინება ღმრთისა ქრისტიანად და ვითარცა პირმეტყუელთა ცხოვართა გონიერებით აღიმსთუეს საღმრთოსა მწყემსისა ნინოს მიმართ, რომლისა მხილველნი და მგალობელნი შესხმიდეს საგალობელსა. გიხაროდენ, საღმრთოო ტარიგო და მწყემსო, რომლისად მოვისწრაფით პირმეტყუელნი კრავნი. გიხაროდენ, მრავალ-ხმოვანო საგალობელო ქნარო, რომლითა მარად გვისტუმრებ ცხოვართა სიტყჳერთა სამოვარსა მცნებასა მთასა ზედა მთათასა. გიხაროდენ, უხილავისა მის საშინელისა მის მგლისა ვემით მდევნელო. გიხაროდენ, რომელმან სამოთხისა და ცათა საშუენიერისა სამეუფოსა კარნი განმიხუენ ჩუენ. გიხაროდენ, რამეთუ შენ მიერითა მეოხებითა ზეციერნი განწყობანი ჩუენ თანა დასობენ გალობად ღმრთისა. გიხაროდენ, რამეთუ ჩუენ ქრისტიანისა ნაშობნი ზეცისა მგალობელთა შევეერთებით სამწმიდაობისა გალობასა ღმრთის-მეტყუელებად. გიხაროდენ, მიურყეველო თუალო მარად მხედველო დაუდუმებელად მქადაგებელო საღმრთოო ბაგეო. გიხაროდენ, უძლეველო ძალო მრავალ ახოვანო, რომლითა ცხებულ-ჰყოფ კეთილობად შენდამი მორწმუნეთა. გიხაროდენ, რომელმან კლდესა ზედა სარწმუნოებისასა დაგუამყარენ ჩუენ, რომლითა ვჰგიეთ მარადის მისგან უძრავად. გიხაროდენ, რომელი მარადის შიშუელ ჰყოფ ჯოჯოხეთისა შინასა მძლავრსა ბელიარს. გიხაროდენ, რომელი მარადის გვიწყაროებ ზეციერსა მადლსა საღმრთოსა. გიხაროდენ, რომელი განგუაშიშუელებ ბნელისაგან და შეგუმოსს ზეცათა სამეუფოთა დიდებითა, გიხაროდენ, ფრიად შუენიერო შორის დედათა, საღმრთოო სძალო». ჱ.

«ღმრთივ-მავალობით მოგზაური ვარსკულავი ზენაით მსრბოლი საღმრთო ნინოს იხილეს რა რიფსიმე, და გაიანე, თანა მოყუსით მათით, ვითარცა საღმრთოსა მნათობსა და ვითარცა სასანთლესა ბრწყინუალესა შეუდგეს და მის მიერ ეძიებდეს ცოდვილთა თჳს ძიებად მოსრულსა ზეცათ მეუფესა და ჰპოვეს რა საღმრთო საუნჯე მარგარიტი მრავალფასი ბნელთა მათ მეორედ შობისათ, მოხარულნი სულითა უგალობდეს მეუფესა მას მეუფეთასა გალობით ესრე ალილუია». თ.

«იხილეს ვითარ ყრმათა ჩჳლთა უგუნურთა ცნობითა ჰაოსიანთა გარეშითა სატითა შუენიერება რიფსიმესა გაიანეთურთ, სატანურითამით ბოროტისა მის კერპისათა ჰგონებდეს შეპყრობად სულითა შეუპყრობელთა, ხოლო მათ აღისწრაფეს ზეცადმი დამდებთა თჳსთა სულისა წინა ძლომითა სატანისა ღმრთივ მსრბოლისა ვარსკულავისათა, რომელთა თანა ულალადებთ კურთხეულსა სძალსა. გიხაროდენ, საცნაურისა მზისა მეშვისა სალთოსა მთოვარისაგან მოფენილო ჩუენდა, საღმრთოო ვარსკულავო. გიხაროდენ, ცისკარო ბრწყინუალეო წინა მსრბოლობით მაუწყებელო ჩუენდა დღისა მის დაუსალისა მზისაო. გიხაროდენ, საცთურთა დასაბამისა მის პირად პირადად აღგზებულისა ვნებისა მისისა დამშრეტელო. გიხაროდენ, მძლავრისა მის კაცთ მოძულისა ეშმაკისა მთავრობისაგან დამამხობელო. გიხაროდენ, სამებისა ღმრთისა მართლ-მორწმუნეობით მშობნეთა მარად მეხვაიშნეობითა შენითა მცუელო. გიხაროდენ, უფლისა უფლებათასა კაცთ-მოყუარებით ჩუენთჳს განკაცებულისა ღმრთისა მოციქულებრითა შრომითა შენითა მომცემელო ჩუენდა. გიხაროდენ, ხუნემისა მის ბნელისა კერპოვნებითისა საქმეთა მნებისაგან გამომხსნელო. გიხაროდენ, ბარბაროსებრივისა

მის უცნობოსა ამაოსა ჰსჯულისა განმაქარვებელო. გიხაროდენ, ცეცხლებრივისა მის და სხჳსა საცთურსა სათაყუანოსა ბნელისა მისთანა დამამხობელო. გიხაროდენ, ალსა გულისთქმათა ვნებათასა ლოცვათა შენთა გჳრთხითა დამშრეტელო. გიხაროდენ, სპარსებრივთა არაწმიდებათა წილ ანგელოსებრივისა სიწმიდისა მომცემელო ჩუენდა. გიხაროდენ, ყოველთა ნათესავთა ქართლოსიანთა საუკუნოდ მხიარულებად წინა მძღომელო. გიხაროდენ, ფრიად შუენიერო შორის დედათა, საღმრთოო სძალო». ი.

«ქადაგებისა მოციქულებრსა შრომისა გზასა მსრბოლი სულითა შემოსილი ნინა პირუელად ნაყოფად ძღუნად შემწირველი დედისა ღმრთისად წმიდათა დედათა. მუნაით მოიქცა ბაბილოვნებრივთა მათ უსჯულოებითთა ცთომათა აღრეულთა ჩრდილოით კერძო, წარმართთა დაწყებად იწყო უწყებული მისდა ანგელოსისა მიერ საღმრთოსა და საქმითა ჰქადაგა წინასწარ-მეტყუელებული მისდა მამათ მთავრისა იგი სიტყუა ღმრთაება ქრისტესი, განმკაცხველმან სატანისმან, რომლისა მიერ ჰხსნილნი უგალობთ მეუფესა მხსნელსა ესრეთ ალილუია». ია.

«გამობრწყინდა რა ეგჳპტურსა მას უსჯულოებითა მიბნელებულსა თარგამოსიანთა შორის საღმრთო ნათელი ეგე მტვირთველი ჭეშმარიტებისა სიტყუასა, განსდევნე ბნელი სიღამე მუნაისა მის კერპოვნებისა, რამეთუ კერპნი მათნი ვერ თავს მდებანი ხილვისა შენისანი ქუე-დაეკუეთნეს, არმაზის შეედვა ძრწოლა ულხინებელი, ზადენ და მისთანათურთ, სრულიად ავლად მტუერ იქმნნეს, ხოლო მათისა საცდურითგან განჰხსნილნი ჰხმობდეს შენდამი საღმრთოო მოციქულო დედაო ნინა. გიხაროდენ, შენ აღმმართებელო ჩუენ ცოდვითა ქუე დაკუეთებულთაო. გიხაროდენ, მაცდურისა სატანასა ვაებით დამაკუეთებელო. გიხაროდენ, შენ ეშმაკისა და ცოდვისა გემოვნებათა ცთომილებისა უჩინო მყოფელო. გიხაროდენ, შენ არმაზებრივისა კერპოვნებისა სიმრავლესა დაფარულსა ზაკვასა მათსა საჩინოდ მამხილებელო. გიხაროდენ, შენ ბნელისა მის ფარაოს თხემისა, ზღუასა შინა ჯოჯოხეთისასა შინაგან დამფლველო. გიხაროდენ, შენ კლდეო წყლისა ცხოველისა მადინებელო, რომელი აპკურებ სალხინებელად ცოდვითა დამაშვრალთა. გიხაროდენ, შენ სუეტო საღმრთოო სულითა ცეცხლოვანო, რომელი უძღვი ცად მიმართ შენ მიერ ბნელისა მონებისაგან ჰხსნილთა. გიხაროდენ, შენ ქართველთა საღმრთოო ლიმენავ, საფარველო და ღრუბელო, რომელი აცვრევ ცვარსა სალხინებელსა. გიხაროდენ, შენ რომელი მარად გუზრდი ზეციერითა მანანათა პურითა მით ცხოვრებისათა. გიხაროდენ, შენ მსახურო შინაგან წმიდისა წმიდათასა ზეციერისა მის ანგელოსთა საშუებელისა. გიხაროდენ, ქუეყანაო წმიდაო ზეციერისა მუშაკისაგან მოქმნელო, რომელი წლითი წლად გამოიღებ ჩუენდამი სარწმუნოებისა და ხედვისა საქმესა თანა. გიხაროდენ, ფრიად შუენიერო შორის დედათა, საღმრთოო სძალო». იბ.

«ეგულებოდა რა ეშმაკისად დამონებულსა მეფესა მირიანს ბნელისა მის საცთურისაგან გამოძრცვა სულისა თჳსისა, მიეცა მას ვითარცა უცხოჲ ვინმე ტყუე მომავალი მდედრი, ხოლო შეიმოსა რა ზეციერი ნათელი მაცხოვრად და ტყუეობისაგან ეშმაკისა მხსნელად საცნაურ იქმენ მისა, რომლისა თჳსცა და უკჳრდებოდა შენსა გამოუთქმელსა სიბრძნესა და მოციქულებრსა შრომასა ზედა და განკჳრვებული შენ თანა ჰხმობდა ღმრთისადმი ესრეთ ალილუია».

კუალად «ზენაით მბრძოლისა». და შემდგომად გალობა ესე. გალობა დ. სძლის პირ.

მესმა უფალო განგება, საიდუმლოთა მათ შენითა გამოუთქმელთა, განვიცადენ საქმენი შენნი და აღვიარე მე ღმრთაება შენი.

წმიდაო დედაო მოციქულთა ჰსწორო ნინა, ევედრე ღმერთსა ჩჳ̂ნთჳს.

ვითარ იგი აცხოვნე დედოფალი სენთაგან ფიცხელთა დაცემული, ეგრეთვე ჩჳ̂ნცა თანა წარგჳ̂ხადენ ჭირნი, ჵი! შემწეო ჩჳ̂ნო ნინა ნეტარო, წმიდაო დედაო.....

ვითარ იგი პირჳ̂ლ მოწამეჲ, ლოცჳ̂ათა შენთა ძალითა განათლდა, ჩჳ̂ნნიცა გულნი განანათლენ ნინა, რამეთუ ოხათა შენთა მოსავ ვართ. დიდება.

ვითარ იგი ძე ქჳ̂რივისა, მომკჳ̂დარი აღადგინე ლოცჳ̂ითა, ჩჳ̂ნცა აღგჳ̂ადგინენ ჵი! ნინა, მწუხარებათაგან დაღონებულნი. აწდა.

რომელმან გვიშევ მეუფე ტკბილი, სახიერი და ძჳრ-უხსენებელი ყრმა ღჳ̂თის-მშობელო ღირსო, აწცა მოწყალე ჰყავ იგი ჩჳ̂ნ ზედა. გალობა ე. სძილის-პირი.

განგვანათლენ ჩჳ̂ნ ნათლითა შენითა უფასეო და მგლავითა მადლითა მორწმუნეთა მშჳდობა შენი, ზეცით მომეც ჩჳ̂ნ კაცთ-მოყვარე. წმიდაო დედაო.....

განმანათლებელ ბნელსა შინა მყოფთა მოგვეცი, ნინა ნეტარო და შენ მიერ ცხოვნებულნი გიგალობთ, ვითარ მხურვალესა ზედამდგომელსა. წმიდაო დედაო.....

ვითარ იგი ბრმანი განანათლენ ლოცჳ̂ითა, აწ ეგრეთვე ჩჳ̂ნცა მწუხარებისა სიბნელე განგვაძარცვენ ნინა საკჳრჳ̂ლებათა საკჳრჳ̂ლო, დიდება.

ვითარცა იგი მკელობელი ხელის დადებითა განჰკურნე, აწ ჩჳ̂ნცა აღგვმართენ დაცემათაგან ნინა, რომელნი გევედრებით მხურვალედ. აწდა.

განგჳ̂ანათლენ ჩჳ̂ნ, ყოვლად წმიდაო ღჳ̂თის-მშობელო, რომელმან მჰშუნვარება იგი ევასი დაჰხსენ, და მოგვეც წყალობა შენი მვედრებელთა შენთა. გალობა ვ. სძილის-პირი.

მომიტევენ სახიერო აურაცხელნი ცოდჳ̂ანი ჩემნი, რომელთათჳს გიხმობ შენ, მიხსენ მე ბოროტთაგან, შენდა მომართ ვღაღადებ, ისმინე ჩემი ღმერთო მაცხოვარო ჩემო. წმიდაო დედაო...

მოგავლინა შენ ღმერთმან, ქართჳ̂ლთა მნათობად, დიდებულო ნინა ყოვლად ნეტარო, სამყსოსა ჰფარევდ ყოველთაგან ვნებათა მაჭირვებელთა და ეშმაკთა საცთურთათა. წმიდაო დედაო...

ვითარ იგი შეჰმუსრენ, არმაზის კერპი საძაგელი, ეგრეთვე აწ შემუსრენ მტერნი ჩჳ̂ნნი მარიალუკუნ და ლოცჳ̂ათა მათ შენთა მეხისტეხითა დაჰსწვენ ჵი! დიდებულო ნინა. დიდება.

ვითარცა იგი განჰხადე ეშმაკთა გუნდი სამწყსოთ შენით, აწცა თანა წარგჳ̂ხადენ მზაკჳ̂არებანი მათნი ჵი! დიდებულო ნინა და მათ მიერნი განსაცდელნი წარჰხადენ ჩჳ̂ნგან. აწდა.

ღჳ̂თის-მშობელო სასოო ყოველთავე განწირულთაო, ცოდჳ̂ილნი გიღაღადებთ, მოწყალე ჰყავ ძე შენი ჩჳ̂ნ ზედა და დააცხვრენ მწუხარებათა ურვანი დიდებულო.

კჳ̂ალად «ზენაით მბრძოლისა». და ამისა შემდგომად ესე. იგ.

ახალი და საკჳრჳ̂ლი ბუნებათა უაღრესი რაჲმე დაწყება გვიჩჳ̂ნა ზეციერმან ქალწულმან ნინა, გამოსჩნდა რა ყოველთა მყოფთა ბუნებათა აღმგებელი ქალწულებრისა საშოსაგან კაცობრივისა ბუნებისა ახალ მყოფელად, რომლისა ზესთა საკჳრჳ̂ლებათა უსაკჳრჳ̂ლესსა ხილვასა მომცემელსა ჩჳ̂ნდა ნეტარსა ნინას შეუთხზვიდეთ მას საგალობელსა აღწერასა. გიხაროდენ, შენ უჳ̂ავილო, პირად პირადად მშჳ̂ნიერო, რომელი გამოსცემ სუნსა პირად პირადად საყნოსსა. გიხაროდენ, გჳრგჳნო უნეტარესად შჳ̂ნიერ განკრძალულთა მოღჳ̂აწეთაო. გიხაროდენ, ჩჳ̂ნ ცოდჳ̂ითა დაცემულთა ზეცისა ნეტარებისა აღდგომისა ხატსა შემმოსელო. გიხაროდენ, ჩჳ̂ნ ქჳ̂სკნელისად ზეციერსა ანგელოზებრივსა ცხოვრებისა მომცემელო. გიხაროდენ, ხეო ფრიად შჳ̂ნიერო, რომელი გამოიღებ მარადის უკჳ̂დავებისა ნაყოფსა. გიხაროდენ, ნერგო ღჳ̂თივ-ქმნულო

ფურცელოვანო, რომლისა საგრილსა შემოვკრბებით ქრისტესნი. გიხაროდენ, მუცლად მღებელო საღთოსა მადლისაო, რომლისაგან ჴდის წყარო წყლისა ცხოველისა. გიხაროდენ, რომელმან შენ მიერ ბნელისა გონებისაგან ჴსნილთა წინამძღუარ გვექმენ ჩუენ ზეციერთა დიდებათა აღმავალობად. გიხაროდენ, შენ საშინელებით მომავალისა მსაჯულისადმი, მხურვალედ მეხვაიშნეო შუამდგომელო. გიხაროდენ, ჩუენ მრავალთა ცოდუათა მიერ განფრდილთა, მეოხებითა შენითა ღუთისადმი მოწყალისა დამჰგებელო. გიხაროდენ, ჩუენ ბნელისა მონებისაგან განშიშვლებულთა საღთოჲსა ნათლისა შემმოსელო. გიხაროდენ, ცოდუილთა სალხინებელო, ბრალთაგან დამძიმებულთა ნუგეშო ზეცათა წადიერებაო. გიხაროდენ, შენ ფრიად შუენიერო შორის დედათა, საღმრთოო სძალო». იდ.

«უცხოსა მიბნელებულსა ქუეყანასა, უცხოებად მოსრული ჩუენდა გიხილეთ რა ხატითა ტყუეობისათა მოსრული ჩუენდა, ტყუეობისაგან მძლავრისა ბელიარისა გამოგვიხსნენ ჩუენ, ვითარ იგი მაღალი მეუფე ჩუენებრ კაცებრ დამდაბლდა ხატითა მონისათა ჰოვნილი რათა ხატი თჳსი დაფარული მოიძიოს. ჩუენცა მნებისაგან ბნელისა სატანაჲსგან შენ მიერ ჴსნილნი, ზეცისად მიცუალებითა ზეციერ თანა გალობად შეგუაერთა ჩუენ, რომლითა ვღაღადებთ ჩუენ ქუეყანისანი, ზეცისა გალობასა, ესრეთ ალილუია». იე.

«რომელი ყოვლად სრულებით ქუეყანასა ზედა გამოჩნდა კაცობრივსა თბესა სრულებით მიღებითა, ზენათა და ყოველთა ზეციურთა ყოვლად სრულებით აღმავსებელი მეუფე, რომელმან ქალწულებრივსა საშოსა, გარეშემოუწერელად დაიკარვა ქუეყანასა ყოველსა და ქუეშე ქუეყანისათა ყოველთა იგივე აღავსებდა, ამისთჳს ქალწულისაგან შობილმან, შენ ქალწული მხსნელად ჩუენდა მოგუმადლა, რომლისათჳს ვღაღადებთ შენდა. გიხაროდენ, შენ ღუთისა დაუტევნელისა საღთოსა მადლისა შენ შორის დამტევნელო. გიხაროდენ, შენ ღუთისა დაუტევნელისა საღთოსა მადლისა შენ შორის დამტევნელო. გიხაროდენ მრავალთა ზეციერთა საიდუმლოთა, შენ შორის დამფარველო საუნჯეო. გიხაროდენ, ურწმუნოთა სატანაებრისა ბოროტისა იჭვისა განმახმობელო. გიხაროდენ, მართლ-მორწმუნეთა სარწმუნოებისა და სასოებისა პირად პირადად ნაყოფად აღმაყუავილებელო. გიხაროდენ, რომელმან უზესთაეს ცათასა ზესთა საყდართა მჯდომარე ჩუენთჳს მოძიებად მოსრული გვახარე ჩუენ. გიხაროდენ, რომელმან სერაფიმთა ზედა განსუენებული ღმერთი, ჩუენ ცოდუილთა შორის გამოჩინებულად გვიქადაგე ჩუენ. გიხაროდენ, რომელმან სატანაჲსგან პირად-პირად განყოფილნი იგივეობით მონებად ღუთისა მიგვიყუანენ ჩუენ. გიხაროდენ, რომელმან ქალწულებრივსა წიაღსა დამკარვებელსა ღმერთსა შეგვაერთენ ჩუენ. გიხაროდენ, რომელმან გვიხსნენ მძლავრისა მონებისაგან ბნელისა ბელიარისა. გიხაროდენ, რომელმან შეჰფქვე და შეჰმუსრე კლიტენი და მოქლონნი მძლავრისა ბნელისა სატანასნი. გიხარდენ, რომელმან განგვიღე და განგვიმზადე ზეცათა იგი საშვებელი. გიხაროდენ, რომლისა სასოებითა ვაიძულებთ მაიძულებელთა ჩუენთა საწუთროისა ნივთთა. გიხაროდენ, შენ ფრიად შუენიერო შორის დედათა, საღმრთოო სძალო». ივ.

«ყოველი ვერაგობა და მზაკვარება ბელიარისა განაკჳრუა, ფრიად მან მოციქულებრივისა შრომამან შენმან, რამეთუ უცხოდ ტყუეობად მოსრულისა გხედვიდეს შენ, ვითარცა მღედრსა უძლურსა ბუნებითა გარნა ზესთა კაცთასა უზესთაეს მოქალაქედ, და ტყუეობისაგან უცხოსა მის მძლავრისა მონებისაგან მრავალთა სულთა გამომხსნელად, რომლისა მცბიერობასა და საცდურსა მათსა დამთრგუნველნი შენ მიერ ჴსნილნი, მხსნელსა ჩუენსა ვღაღადებთ ესრეთ ალილუია». იზ.

«რიტორებრივთა მრავალ ხმოვანთა თხზულთა და ელადებრთა ძალთა სიმარჯვეთა შკრობილთა ლექსთა შენდამი უღონოებად ვჰხედავთ ჯერისაებრ ქებასა, თჳ ვითარ მღედრი უძლურთა ბუნებათა

მქონი ძალსა ძლიერსა სატანაჲსასცა ჰსძლე და დააგჳრგჳნე სიმკაცრით და მოციქულებრიცა სრბა აღასრულე მოსწრაფებით, რომლისათჳს ესე ვითარსა საკჳრველსა მოწყალებასა ღმრთისასა დაგჳ-რგჳნებულნი ვჰხმობთ შენდამი. გიხაროდენ, თჳთ არსისა ღმრთისა სიბრძნისა უზესთაესითა სიბრ-ძნითა შენითა განმაცხადებელო ჩუენდა. გიხაროდენ, საღმრთოთა მათ წინა-განგებათა მისთა ჭი-რითა მრავალთა სასწაულთა განსაკჳრვებელთა, სრულ მყოფელო. გიხაროდენ, ფილოსოფოსებრივთა ქუეყნიერთა ამათა და თხზულთა სისრულედ მამხილებელო. გიხაროდენ, რომლისა შესხმად მო-სწრაფენი, სიტყჳსა ხელოვანნი ბრძენნი უხმოდ გამოჩნდებიან შენდამი. გიხაროდენ, რომელმან სჯუ-ლელ და ცოფ ჰყავ მრავალ ღონე იგი სატანასი. გიხაროდენ, რომელმან დაამჭჳნე და განაქარვე საზღაპრო იგი კერპოვნებითი ამათ მოქმედება. გიხაროდენ, რომელმან ელლენებრივი იგი ათი-ნური საცთურიანი თხზვა განჰხეთქე. გიხაროდენ, რომელმან ზეცირთა მონადირეთა საღთო იგი ბადე აღავსე მოციქულებრითა შრომითა შენითა. გიხაროდენ, რომელმან სიღრმესა უღმრთოებისასა დანთქმულნი სულნი აღმოიყვენ შესამეცნებელად ღმრთისა. გიხაროდენ, რომელმან შენ მიერ ქრისტეს მიმართ მორწმუნენი ზეციერითა მეცნიერებითა განანათლენ. გიხაროდენ, საღთოო ზეციერო ნა-ვო, რომელ წიაღიყვან ქუეყანასა ღელვათაგან შენდამი შევედრებულთა. გიხაროდენ, ნავთ საყუ-დელო ლიმენაგ შემწყნარებელო, სულით ვნებულთა შენდამი მილტოლვილთაო. გიხაროდენ, ფრიად შუენიერო შორის დედათა, საღმრთოო სძალო».

ით.

«ყოველთა ცხოვრებისა მნებებელმან მეუფემან, ცხოვრება რა ინება, და მოქცევა სიხარულად ბოროტად წარწყმედულთა და დაბნელებულთა სულთა ქართლოსიანთა, შენ საღთო ეგე დედა დედი-სა თჳსისა წილად-ხდომილთა ერთად მწყსად და მოღუაწედ მოგავლინა შენ, რამეთუ იქმენ მჰსგავ-სად ჩუენდა და ტყუეობისა მისგან ბოროტისა მის ბნელისა შენ უცხოდ მოსრულმან ტყუემან გა-მოგვიხსნენ ჩუენ, რომლის მიერ ვღაღადებთ ესრეთ ალილუია».

კუალად «ზენაით მბრძოლისა». და შემდგომად ესე. გალობა ზ. სძილის პირი.

ყრმათა ღმრთის მსახურთა ბაბილონს შინა, არა ჰმსახურეს ხატსა ოქროსსა და მით სახმილსა შეითხივნეს და შეცვრეულნი ესრეთ ღაღადებდეს და იტყოდეს, კურთხეულ ხარ შენ უფალო ღმერ-თო მამათა ჩუენთაო.

წმიდაო დედაო მოციქულთა ჰსწორო ნინა, ევედრე ღმერთსა ჩუენთჳს.

პირად პირადთა ჭირთა მოწყვნულთა ჰხსნასა გევედრებით ნინა მსახურო მეუფისა დიდისაო, გვიოხევ წინაშე ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა, რამეთუ შენ ხარ სასო და მხსნელი ჩუენი მარადის.

წმიდაო დედაო.......

მუხლ დადგმით მტირალნი შევივრდებით ჲ შეწევნისა შენისა მოქენე ვართ, ჵოჲ! ქრისტეს მოციქულო სანატრელო ნინა, გამომიხსენ ყოველთა ურვათაგან სამწყსონი შენნი, ესე რომელნი ჰპოვნეს ჩუენ, ჭირთა მრავალთა. დიდება.

სასოდ სიმტკიცედ და სიქადულად, ყოვლად წმიდა პატიოსანი ხატი შენი მოგუეციეს ვითარ კიდობანი, პირუელ ისრაილსა ერსა ჲ ვლიტანიობთ წინაშე მისსა, რათა საცნაურთაგან გამოვიხსნეთ ჩუენ მის მიერ. აწდა.

ყოვლისა სოფლისა სალხინებელო და სიხარულო მოსავთა შენთაო, ღმრთის მშობელო, ნუ მიგვატევებ ჩუენ ცუდად ცოდვილთა, არამედ მოწყალებანი შენნი აღძრენ და მოწყალე ჰყავ ღმერთი წყალობის მოყუარე ჩუენ ზედა. გალობა ჱ. სძილის-პირი.

მთასა ზედა, მოსეს თანამზრახუელმან, მაყლოვანით სახედ გამოაჩინა და ქალწულისაგან შობილსა უვნებელად, ყოველნი ვაკურხევთ და აღვამაღლებთ მას უკუნისამდე. წმიდაო დედაო...

ლხინებისა წყაროდ მოგვიგიე შენ, ჰოი! ნეტარო ნინა და ვჰხმობთ შენდამი, ჭირნი შემაწუხებელნი განსჭდევნენ, ჩუენ მოსავთა შენთაგან და ნუმცა უფლებს ხელი მოშურნეთა ჩუენ ზედა. წმიდაო დედაო.....

რისხვა ზენა ნაყოფთა წარმწყმედელი, თრთჳლი, სეტყუა, ჭიანი და მგრაგნელი და უწჳმრობა განმახმებელი, ოანაწარგჳხადენ ჩუენ ნინა მვედრებელთა შენთა და დაიცვე შევედრებულნი შენნი. დიდება.

მავნებელთა და მძაფრთა წჳმათა მომსპოლველთა, სიყმილით მოსლვისაგან, გვიხსნენ ერნი შენნი, ჰოი! სანატრელო ღმრთისა მიმართ, შენთა ოხათა ხვავითა ნინა მხევალო ქრისტესო. აწდა:

განწირულთა მტკიცეო შეწევნაო და მოსავთა შენთა სასოებაო, ურცხვენელო ღმრთისმშობელო უბიწოო, გვიხსენ მოწევნადთაგან განსაცდელთა და ჭირთა.

გალობა თ. სძლისპირი.

ღმრთისმშობლად აღგიარებთ, რომელნი შენ მიერ ვიხსნენით, ქალწულო უბიწოო, და გუნდსა თანა უხორცოთასა, შენ დაუცხრომელად გადიდებთ. წმიდაო დედაო.....

ხსენება შენი წმიდა, ხმა არს ურვათა დამაცხრობელად, ხოლო მიხედვა წმიდისა ხატისა შენისა მოსალოდებელ საუკუნოსა სიხარულისა. წმიდაო დედაო....

ჰოი! სანატრელო ნინა, რომელნი ესე მხურვალედ მეოხად მოგიგებთ, ნუ მიგვაქცევ აწ სირცხჳლეულთა, არამედ დაგვიფარენ ვნებათაგან შეწუხებულნი. დიდება.

ჰოი! დიდებულო ნინა, რომელთა ესე შევჰმზადეთ მცირე გალობა გულს მოდგინებით, მიითუალე და გვიხსენ საცნაურთაგან. აწდა.

ღმრთისმშობლად თაყუანისგცემთ, რომელნი შენ მიერ ვიხსნენით განსაცდელთა ჭირთა და მწუხარებათაგან, განწირულთა სასოო იყავნ წყალობა შენი ჩუენ ზედა.

კუალად, «ზენაით მბრძოლისა». და შემდეგ ესე. ირ:

«ზღუდე ხარ ადამასისა შეურყეველი ყოველთა თარგამოსიანთა მორწმუნეთა საღმრთოო ქალწულო ნინა, რომელნი საწუთოსა ამაოსა სოფლისა ზღუასა შინა ღელვა გვემულნი განსაცდელნი მარად შენ შემწყნარისა ჩუენისად მოვივლტით, რამეთუ ცათა და ქუეყანისა მოქმედმან ღმერთმან ქალწულებრივსა კარავსა რა დაიკარვა, შენ ქალწული ეგე მხსნელად ჩუენდა მოგავლინა, რომლისად ვღაღადებთ ესრეთ. გიხაროდენ, შენ საღმრთოო ქალწულებისა ლამპარო, ქალწულთათჳს ნინა აღნთებულად წინა მავალო. გიხაროდენ, რომელმან კაცთაგან უცნაური, ზეციერი იგი ცნობა გამოგვიცხადე ჩუენ. გიხაროდენ, რომელმან მოგვანიჭეს ჩუენ სახარებითა შენითა სამ-გუამოვნებსა შინა ერთღმრთეებისა თაყუანისცემა. გიხაროდენ, რომელმან მაცთურისა მიერ ცთომილი გონება ჩუენი, ქრისტეს ღმრთეებისა მეცნიერებად განაბრძვენ. გიხაროდენ, რომელმან უგულის ხმოსა კერპისა მიმართ ცთომილებით თაყუანისცემელნი, გონიერებით თაყუანისცემად არსთა შემქმისა ყოველთა ღმრთისა აღგვიყვანენ ჩუენ. გიხაროდენ, სულისა განმხრწნელთა ვნებათა უჩინოსა მტერისაგან დათესულთა, საგრძნობელთაგან ჩუენთა მეოხებითა შენითა უჩინო მყოფელო. გიხაროდენ, რომელმან განამრავლენ თესლნი უბიწოსა სათნოსა მოქალაქობისანი. გიხაროდენ, ყოვლად უბიწოსა ჴსძლისაგან დათესილო სძალო, რომელმან მიგვიწოდენ ზეცისა სძლოსა მიმართ გიხაროდენ, ქართლოსიანთა მართლმორწმუნეთა პირად პირადო შუენიერო სამკაულო. გიხაროდენ,

მენათა ქალწულთა უშვერებასა უზესთაესისა ქალწულებისა სიკეთითა განმაშუენებელო. გიხაროდენ, მოღუაწეთა სულთა მსგავსად შესამოსისა მახლობელო საფარუელოჲ, გიხაროდენ, ფრიად შუენიერო შორის დედათა, საღმრთოო სძალო». ბ.

«გალობათა უჴჳვილნი ფსალმუნთა და საგალობელთა მკობილებანი მოუძლურდებიან, უკეთუ ფრიად მოსწრაფე ვიქმნნეთ შეთხზვად შენდამი ქალწულო; რამეთუ ვერარას ნაცვალსა ღირსსა სრულებსა ვაჩუენებთ ქების მოსწრაფეებასა, რომელნი შენ აჩუენენ ჩუენ ზედა დიდობრივნი ნაწლევებითნი ურიცხვნი მოწყალებანი, რამეთუ გამოგვიხსნე ჩუენ ბნელისა მისგან ვნებათა შმობელისა, რომელნი ვღაღადებთ ესრეთ ალილუია». კი.

«საღთოსა ნათლისა მტკრთუელად მრავალ პირად მგზებარესა ლამპარსა გხედავთ შენ წმიდასა ქალწულსა, ცოდჳისა ღამეთაგან დაბნელებულთა სულთა ჩუენთა განსანათლებელად, რამეთუ უნივთოსა საღთოსა სარწმუნოებისა ნათლითა წარგვიძღვ ჩუენ ზეცათა მეუფისა შეცნიერებად, რომელი მარადის მიგვიძღვი ვითარ ცისკარი ბრწყინვალე დიდისა მის მზისა შარავანდისა განათლებისა მოღებად, რომლისა მიერ ღაღადებისა ხმასა აღვავლენთ ესრეთ. გიხაროდენ, საცნაურისა მზისა შარავანდისა ნექტარო, ბნელსა ცოდჳისა პირსა გონებათა ჩუენთა განმაოტებელო. გიხაროდენ, შენ ბრწყინვალეო ლამპარო, ბნელსა შინა დათომილთა სულთა ჩუენთა განმანათლებელო. გიხაროდენ, ძლიერო ელვაო, რომელი იოტებ სულთა ჩუენთაგან ელვისა მსგავსითა ვნებათა. გიხაროდენ, ქუხილო სულთა ბოროტთა შემაძრწუნებელო, რომელი დააგვეთებ მარადის საცთურთა მისთა. გიხაროდენ, რომელი მნებისაგან ბნელისა ჴსნილთა აღმოუბრწყინვებ ზეცისა განათლებათა. გიხაროდენ, წყლისა ცხოველისა მდინარეო, რომელი მარადის გვიწყაროებ მეოხებისა შენისა მოწყალებისა ცვარსა. გიხაროდენ, რომელმან წყლისა და სულისა მიერი ბანითა ემბაზისათა ზეციერი იგი ხატება განგვიახლე ჩუენ. გიხაროდენ, ცოდჳისა ბიწთა, სულისა ჩუენისაგან განმახმობელო. გიხაროდენ, სულისა და ხორცთა განმწმედელთა საბანელთა, მეორედ შობისა მიერ მომცემელო. გიხაროდენ, რომელი გვცხებ მიროსა სუნნელსა, პირად პირადთა სულისა ნიჭთა. გიხაროდენ, რომელი განგვიზავებ ტაკუკსა შინა საღთოსა, სულისა საზრდელთა ზეციერსა სიხარულისა. გიხაროდენ, რომელი მარადის გვისერებ და გვისტუმრებ, ცხოვრებისა საიდუმლოსა სერობითა გიხაროდენ, შენ ფრიად შუენიერო შორის დედათა, საღმრთოო სძალო». გბ.

«მადლის მიცემა და განათლება რა ინება ყოვლისა სოფლისა საღმრთოთა შარავანდედთა მიერ თჳსთა მოწაფეთასა. მადლისა მისგან ჩუენ განშორებულთა, შენ განახლებად მხსნელად ჩუენდა გამოგაჩინა შენ და პირუელთა მას საცდურსა ვალსა ევაჲსასა დამხსნელად, რომელმან განჰხეთქა ხელით წერილი პირუელთა მათ ბრალთა ჩუენთანი და დაამხუ საცთურიანნი ცთომანი უხელოთა კერპთანი, რომელნი ესრეთ ვღაღადებთ ალილუია». იბ.

«მგალობელნი შენ მოციქულსა ჩუენისა დედისანი შევჰთხზავთ და შევმოვკრებთ სულიერსა შესხმასა ქებასა უჴჳვილთასა, ჭაბუკნი ქალწულთა თანა, მოხუცებულნი ყრმათა თანა და შევასხამთ შენ ვითარცა სულისა მის საღთოსა ტაძარსა წმიდასა და ქალწულსა მდედრსა, ქრისტეს მოციქულსა, რომელმან მპყრობელი და მტკრთუელი ყოველთა დაბადებულთა ყოვლად უბიწოსა ქალწულისა ტკრთუელად გუასწავე ჩუენ, რომელნი შევჰსწირავთ სულიერისა საგალობელსა შენდამი ესრეთ. გიხაროდენ, სიტყუერო კარავო, რომელი მარადის გვისტუმრებ ჩუენ მოციქულებისა ღუაწლის შენისა სანუკუარსა. გიხაროდენ, სულისა მიერ საღთოო განწმედილო პალატო, რომელმან შეგვიყვანენ ჩუენ უშინაგანეს წმიდისა წმიდათასა. გიხაროდენ,

სულიერო კიდობანო აღსავსეო საღთოთა მით პირად პირადითა მადლითა. გიხაროდენ, ზეციერისა მის საღთოსა საუნჯისაგან სულისა მადლისა გამომზრდელად ჩუენდა მომცემელო. გიხაროდენ. ქართლოსიანთა ქრისტეს მორწმუნეთა მეფეთა ძლევისა გჳრგჳნითა უჭნავილოვან მყოფელო. გიხაროდენ, მუნათა მართლმორწმუნეთა და სიწმიდითა განკრძალულთა მღუდელთა შემწედ და მეოხად სიქადულო. გიხაროდენ, წმიდათა ეკკლესიათა პირად პირადად შემამკობელო უჭნავილო. გიხაროდენ, რომელი მეოხებისა შენისა მოწყალებითა დაჴსნილთა ხელთა და უსასოებად მიწევნულთა გონებითა ზეციერთა ბაძუად აღიყვანებ. გიხაროდენ, რომელმან შენ მიერ პირუტყუელ სულითა ქადაგებული ქრისტეს მეუფებისა სჯული მუნაით დაურღუეველად დაიცევ. გიხაროდენ, რომელმან მის ზედა აღდგომილთა წინა მეწყვეთა მტერთა სატანასა მიერ ბირებულთა, მარადის ძალითა შენითა დაცემით იოტებ. გიხაროდენ, დაღამებულისა გონებისა ჩემისა განათლებაო. გიხაროდენ, დაბნელებულისა და ცოდუისა განწირულებად მიწევნულისა სულისა ჩემისა სასოებაო. გიხაროდენ, შუენიერო შორის დედათა, საღმრთოო სძალო». კდ.

«ჵო! სულიერო მრავალ-საგალობელო საღთოო ქალწულო დედაო ნინა, ყოველთა მტკრთველისა სიტყუისა ღუთისა დედისა ყოვლად უბიწოსა ქალწულისა მიმართ ჩუენ თჳს მეოხებად მიუთუალულო ძღუენო, მიიღე ჩუენ მიერ კნინი დაუნდო ესე საგალობელი სავედრებელი მწუხრილი და მარადის გვიხსნე ჩუენ სულისა და ხორცთა განსაცდელთაგან და ზედა აღდგომილთა, ხილულთა და უხილავთა მტერთაგან და საუკუნოსა სასჯელისაგან გამოგვიტაცენ მეოხებითა შენითა მხმობელნი ესრეთ ალილუია».

ეს მუხლი სამგზის და კუალად «ანგელოზი ზეციერი მოივლინა».

იბაკო წმიდისა ნინასი, ჴმა ბ.

«მოციქული ქრისტესგან გამორჩეული, ქადაგი სიტყუისა ღუთისა განსწავლული, მაცხოვრებელი ცხოვრებისა, წინამძღუარი ქართუელთა ერისა გზათა სიმართლისათა, დედისა ღუთისა საკუთარი მოღუაწე ნინა, შევამკოთ დღეს ყოველთა ძნობითა საღთოისა მეოხი მხურვალე მცუელი დაუძინებელი».

ესე ყოველი ვითარცა გჳრგჳნი საღთო შეუთხზენ ქართუელთა განმანათლებელსა წმიდასა ღირსსა დედასა ნინას, მეოხსა და მეორესა ემბაზსა სულთა ჩუენთასა.

ადიდე ჯუარო ნინოწმიდელი მიტროპოლიტი საბა[1]).

ლოცუა ღირსისა დედისა, მოციქულთა სწორისა ნინას მიმართ. თქმული მისივე მუხლთმოდრეკით.

«მიიღე ფრიად-შუენიერებით და სიმკაცრით სულთა ჩუენთა თჳს დედობრივ მოღუაწეო ქალწულო ნეტარო ნინა მცირე კნინი სამადლობელი ესე ძღუენი, ჩუენ გლახაკთა უღირსთა მონათაგან, წადიერებით და სიყუარულით, შენ დედოფლისა და მოღუაწისა ჩუენისად შეწირული ყოველთა დედათა ნათესავთაგან შენ მაცხოვრად და მოღუაწედ სულთა ჩუენთათჳს დაბნელებულთა და ეშმაკისა მონებისაგან ბნელისა მხსნელად ღუთისა მიერ მოწყალებად ჩუენდა მოვლენილო ნათელო, ვითარ იგი უპირატეს ამისა პირუტყუელ იღუაწე ჩუენთჳს მოციქულებრითა შრომითა შენითა და დე-

1) ვინ არს ეს საბა მიტროპოლიტი ნინოწმიდელი ზუსტად არა უწყით. გადამწერი იყო ამ დაუჯდომელისა თუ შემთხზველი, როგორც ჩანს შემთხზველი უნდა იყოს, რამეთუ შემდეგ ლოცუა თქმული მისივე ჩაერთჳს.

დობრივითა მოწყალებითა შენითა, აწცა ნუ დაცადებ მოღჳაწებასა და მეოხებასა წინაშე მეუფისა ქრისტესა, რომელი შენ გჳახარენ ჩჳჱნ მოციქულებრითა შრომითა შენითა და იხსნენ სულნი ჩჳჱნნი საწყალობელნი, მონებისა მისგან ბნელისა ეშმაკისა და საცთურთაგან მისთა მრავალ დღე-ნეთა და ტყჳჱობისაგან მრავალ საძაგისა მის სულთა დამაბნელებელისა ვნებისაგან გამოიტაცე გონება და სული ჩჳჱნნი. აღჰსდეგ ზენაითა მით ძლიერითა შეწევნითა შენითა მტერთა ჩჳჱნთა ჩჳჱნ ზედა აღდგომილთა და შეჰმუსრენ მკლავნი მათნი ბარბაროზებრივნი მრავალ ღონეობით ჩჳჱნ ზედა განმარტებულნი და მოუღენ ძალი და ძლიერება მათი ყოვლად ძლიერითა ქრისტეს მე-უფისა ჩჳჱნისა უძლეველისა ძალისათა და სრულიად უკუნ აქცევდე დედაო ტკბილო სანატრელო. ცოდჳათა ჩჳჱნთა სიმრავლისაგან დღითი დღედ მომავალთა მომსრველთა სიმრავლეთა წარმართ-თასა და წარტყჳჱნვად ჩჳჱნ ზედა აღჭურვილთა და ვიდრე აღსრულადმდე და აღკრებადმდე სოფ-ლისა ამის ამაოებისა. ჰგებდე ჩჳჱნ თანა განუშორებელად დედაო სანატრელო. დედა ეგე მოწყალე შჳლთა შენთა თანა ცოდჳისა ბრალთაგან განფრდილთა და ვნებისაგან ეშმაკისა ტყჳჱ-ქმნილთა და იღჳაწე ჩჳჱნ თანა განუშორებელად. ნაღჳაწი შენ მიერ საღმრთო იგი მართლმადიდებლობისა ყოვ-ლად უბიწო სარწმუნოება, ცხოველსმყოფელითა მით მადლითა ყოვლად წმიდისა სულისა შეწევ-ნისათა და განსლვადმდე ცხოვრებისა ამის ჩჳჱნისა კნინისაგან დაგვიფარენ მარადის უბიწოსა სარ-წმუნოებასა შინა უბიწოთა მოქალაქობითა, რათა შენ მიერითა მეოხებითა და შეწევნითა და საფარ-ველითა შენითა, მარად თაყჳანისცემით მოუკლებელად ვადიდებდეთ, ყოველსა ცხოვრებასა შინა ჩჳჱნსა, ყოველთა დამბადებელსა მეუფესა მას მეუფეთასა მაცხოვარსა ჩჳჱნსა ქრისტესა, მამით და სულით ერთღჳთაებით და ერთ არსებით ყოველთა არსთაგან თაყჳანისცემულსა, აწ და სამარადი-სოდ და მომავალსა საუკუნესა, ა მ ი ნ.

## ლოცჳა ახალი, რომელიც იკითხჳების აწ.
## უმჯობეს არს მჳელი-სრული, რომელი ჯერ არს კითხჳად.

ჰოი! მზისა დაუვალისა ცისკარო, ყოვლად ბრწყინვალეო ქართჳელთა განმანათლებელო, მსხივო ნათელო ელვარეო ბნელსა უნებლობისასა განმდევნელო და ნათელსა ღმრთის მეცნიერებისასა აღმომაბრწყინებელო და ელვითა ქადაგებისა შენისათა ძალთა ბელიარისათა ცვილებრ დამადნობელო და უძინო მეოხელო, სნეულთა მკურნალო, ტყჳეთა მხსნელო ჲ ყოველთა მხურვალედ მვედრებელთა შენთა მსწრაფლ შემწეო და შესავედრებელო.

ჰოი! ყოვლად ქებულო მოციქულო ნინა, ვედრებითა ყოვლად უმცხინვარესითა მეოხებათა შენთათა, ექმენ თანა შემწე უკეთილმსახურესსა და თჳთმპყრობელესსა ჴელმწიფესა ჩჳენსა . . . . . . და სხჳანი, აქ ვინიც იყოს — ის უნდა მოიხსენოს.

აცხოვნე უფალო ჲ შეიწყალე უწმიდესი და უმართებულესი სინოდი და მათ. ყოვლად უსამღ... არხიეპისკოპოსი . . . . . . და ყოველნი მართლმადიდებელნი ქრისტიანენი დაგვიფარენ, ვედრებად ნუ დასცხრები ყოვლად სახიერისა მეუფისა მიმართ, რათა შეჭურვილ ვიქმნეთ ხილულთა ჲ უხილავთა მტერთა ჩჳენთა ზედა.

ჰოი! მოციქულო ნინა, გვიხსენ ჩჳენ ყოვლისაგან ვნებისა სულისა ჲ ხორცთასა ჲ ყოვლისაგან მოწევნულისა ჩჳენ ზედა რისხვისაგან, ძრვისა და გამხრწნელისაგან ქარისა და ყოვლისაგან ბოროტისა და მოჰმადლე ქჳეყანასა იეფობა, ეკკლესიათა მშჳდობა და გვიხსენ გვალვისაგან და უწჳმრობისა და მოგვმადლე მშვიდობა და სიმრთელე და სარწმუნოებით შემხებთა ყოვლად წმიდასა ლარნაკსა ნაწილთა შენთასა და გარე უკუნ აქციენ მჴედრობანი აგარიანთანი და შეაძრწუნენ და შემუსრენ ქედნი მათნი მზვაობარნი ქჳეშე ფერხთა მორწმუნეთასა და ყოველნი ქრისტიანენი დაგვიფარენ მეოხებითა შენითა და შეგვაწყნარენ ნათელთ დასაბამისა მამისა, ყოვლად ძლიერისა ძისა მისისა და სულისა ყოვლად წმიდისა, აწ ჲ მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

სიბრძნით. ჩამოლოცჳა მცირე. ხმა დ.

ყოველი ქჳეყანა მორწყე სიტყჳთა და საღმრთოთა ქსითა მოციქულო ნინა და აღმოაცენე თავწარ სხმულ სარწმუნოებისა და აღავსენ კიდენი ქჳეყანისანი და ღჳარძლი ურწმუნოებისა განფხჳარ და ნათელ ეც მათ სამებისა მიერ დაუსაბამოსა.

ჰოი! ყოვლად ქებულო მოციქულო ნინა მოხედენ ვედრებასა მონათა შენთასა და გვიხსენ ყოველთა განსაცდელთა და სნეულებათაგან.



საბინინი

М. САБИНИНЪ

ႼႫ ႮႨႰႥႤႪ ႫႭႼႠႫႤ ႱႠႵႠႰႧႥႤႪႭႱ ႤႩႪႤႱႨႨႱႠ
ႰႠႯႣႤႬ

თა. აგვისტოსა ჳ. წამება და ღუაწლი წმიდისა დიდისა მოწამისა რაჟდენისი [1]), რომელი იწამა ჟამთა დიდისა მეფისა ვახტანგისათა; სპარსთა მიერ ქართლს, სოფელსა შინა წრომს.

---

მთიებ საჩინოდ, მნათობად შიდა ქართლის.
რაჟდენ დაუცხრო ლამპარი წრომს მოღუაწე,
გუერდ განლახრული, ქრისტესა ესერების.
თრევით მტუერსა განჭვრის, მახჳლს იმანიაკებს
სიზმართა ჭსცუალებს, სუფევად საუკუნოდ.

თქმული ნიკოლაოზ თბილელის მიერ.

---

მოწამეთა ხსენებითა, ვითარმცა იქმნა განძღომა ღმრთისმოყუარეთაგან და მარტჳლთ-მოყუარეთა, რამეთუ მოწამენიცა განუძღომელითა სიყუარულითა მეუფისა მათისათა მოტყინარე იყუნეს უმძაფრეს ცეცხლისა ამისთჳსცა ახოვნად შეჰკადრეს, ფიცხელთა სატანჯუელთა და ძჳრ ძჳრთა სიკუდილთა და ვერა რამან განკუეთა მათი იგი ღმრთისა მიმართ სურჳლი, ვერცა ცეცხლმან და მახჳლმან, ვერცა განფჳსვმან ასოთამან და დახვეტამან ხორცთამან, ვერცა ურმისთუალთა სიფიცხემან, ვერცა მხეცთა მძვინვარებამან, ვერცა ნაკუერცხალთა მოტყინარებამან, ვერცა ლანძუთა და ტაფათა მხურვალებამან და ვერცა მძლავრთა გულის-წყრომამან და ვერცა სხუამან რამანმე სიძნელემან და სიფიცხემან ჭირთა და სატანჯუელთამან შეუძლო განკუეთად და დაშრეტად მათ შორის დანერგულისა მის, ცეცხლებრ მოტყინარისა, სიყუარულისა ღმრთისა; არამედ ყოველსავე ერეოდეს და

---

1) რაჟდენ ანუ სრაჟდინ, სახელი ესე არაბული არს, ნიშნავს მნათობსა სარწმუნოებისასა, ნახე ამისთჳს ეკკლესიის საგალობელი წმიდისა «დიდებაო ახლის ნერგის ეკკლესიისაო; ჭეშმარიტად მნათობო სარწმუნოებისაო, პირუელ-მოწამეო რაჟდენ; შენ მიერ იხარის წყობა ქართუელთა ეკკლესიისა.

ზეშთა ქმნებოდეს და არათუ ოდენ სიხარულით ისწრაფდეს, არამედ ფრიადითაცა სურვილით და დიდითა წადიერებითა მოითმენდეს და მრავლითა გულსმოდგინებითა მორბიოდეს წამებისა მიმართ და სატანჯველთა, ვითარცა საფასეთა მოიტაცებდეს, რამეთუ ცეცხლსა შინა შთხევა და განხურვებულთა რკინისა ცხედართა ზედა განსუენება ესრეთ მიითვალეს; და დაჭრა მახჳლთა მიერ და შამფურთა განხურვებულთა განცმა ვითარცა სულნელთა ყუავილთა ზედა ფრხივ მავალობა და არა თუ სხჳთა, რამეთუ ბუნებითა, არამედ ჩუენითა ამით უძლურითა ხორცთა ბუნებითა და გუამითა ამით კაცობრივითა მიითვალვიდეს ესოდენთა მოუთმენელთა სატანჯველთა და ახოვან იქმნებოდეს დათმენად სასტიკთა წყლულებათა, რამეთუ საცნაურითა მით თუალითა მიხედვიდეს აღთქმულთა მათ კეთილთა, რომელი იგი აღუთქუა ტკბილმან მან მეუფემან და უმეტესად განიცდიდეს ცხოველს მყოფელთა ვნებათა მაცხოვრისათა, რომელი იგი დაითმინა ჩუენ ცოდვილთათჳს უვნებელმან მან ღმრთაებითა ჯუარი და სიკუდილი და სხუანი იგი ვნებანი უკუდავ მყოფელნი ჩუენნი ესე ყოველი მტკიცედ დაიდვეს გონებასა შინა და თჳთ ნებსით თჳსით მისცნიან თავნი თჳსნი ესე ვითართა ფიცხელთა სატანჯველთა და ძჳრ ძჳრთა სიკუდილთა; ხოლო იხილის რა სახიერმან მან და ზეშთა სახიერებისა უფსკრულმან, მათი იგი მხურვალე, სიყუარული და ცეცხლებრ მოტყინარება, ვითარ იგი უშიშრად შეკადრიან ცეცხლსა და მახჳლსა, მყის მოვიდის უხილავად შეწევნად მათდა, განაძლიერნის იგინი და შემოსნის ახოვნება უძლეველი და აღჭურის ბრძოლად მტერთა მათ უხილავთა და მერმე ხილულნიცა იგი მტერნი მოაუძლურნიან და დასცნიან მოთმინებითა საკჳრველითა; რამეთუ მძლავრთა მათ უწყალოთა ნება თჳსი ვერ აღასრულიან. რაჟამს ყოველი ღონე დაელიის, ხოლო მოწამენი სასურველსა და საწადელსა თჳსსა ადრე მიემთხვეოდეს. იხილეთ სიბრძნე იგი ყოვლად ძლიერისა ღმრთისა, ვითარ განაძლიერა მიწისა ესე ბუნება და მათ მიერ დასცა ზუავი იგი და დიდად მოქადულობა უხორცოსა მის მტერისა და ესენი შემძლებელ ჰყვნა საქმეთა უზეშთაესს ბუნებათასა, რამეთუ სადა დაემკჳდროს უზეშთაესი იგი ბუნებათა, მუნ უზეშთაესნიცა ბუნებათა საქმენი იქმნებიან, ნუ ვინ ჰგონებს თუმცა წყარომან მან სახიერებისამან და უფსკრულმან მოწყალებისამან, ზოგნიმცა ესრეთ განაძლიერნის ვითარ ესე ჰხედავთ და გესმისთ მოთმინებისა წმიდათასა და სხუანი იგი შეუწევნელადმცა დაუტევნა ნუ იყოფინ ესე, რამეთუ მადლი მისი და შეწევნანი და ზეგარდამო მოხედვანი ყოველთათჳს უშურველ არს, რომელნი ხადიან მას ჭეშმარიტებით ვითარცა წერილ არს, არამედ მიზეზი იგი მათ შორის დამკჳდრებისა ღმრთისანი წმიდანი იგი იყვნეს, რაჟამს შეესაკუთრნეს სიყუარულსა ღმრთისასა და სრულიად განუკუთვნეს თავნი თჳსნი და მცნებითა მისთა გულს მოდგინებით იქმნნეს დამარხვად, მაშინ მოვიდის დაემკჳდრის მათ შორის, ვითარცა იტყჳს წყარო იგი ჭეშმარიტებისა, ვითარმედ «უკეთუ ვინმე უყუარდე მე, მცნებანი ჩემნი დაიმარხნეს და მამამანცა ჩემმან შეიყუაროს იგი და მოვიდეთ მისსა და მისთანა სავანე ვჰყოთ», ესე იყო მიზეზი ვითარცა ვთქუ ღმრთისა მათ შორის დამკჳდრებისა.

იხილეთ რასა ვიტყჳ მორწმუნენო ანუ რა არს დღეს მიზეზი სიტყჳსა ჩემისა და თქუენისა აქა შემოკრებისა, არამედ საჩინო იგი მნათობი თუალი და დასაბამი მოწამეთა წმიდა იგი და სამგზის სანატრელი მოწამე რაჟდენ დასაბამი მოწამეთა რა ვსთქუ, არა თუ სხუათა ყოველთა მოწამეთა დასაბამად ვსთქუ, არამედ ჩუენთა ამათ და ქართუელთა შორის გამობრწყინებულთა მოწამეთა, დასაბამ იქმნა სანატრელი ესე.

რამეთუ ვითარცა ახალსა ამას მადლსა შინა პირუელ-მოწამობითა ბრწყინავს და იხსენებისცა პირუელ-მოწამედ სტეფანე და კუალად მისთანა დედათა შორის წმიდა თეკლა, ეგრეთვე ქუეყანასა

ამას ჩუენსა პირუელ ამან განუღო კარი წამებისა შემდგომთა მისთა მოწამეთა და პირუელად ამან დასთხია სისხლი და ექმნა მიზეზ სხუათაცა ახოვნებისა და სძქუელისა; რამეთუ პირუელ ამის ნეტარისა არა ვისი სმენილ არს მარტჳლობა ქუეყანასა ამას საქართუელოისასა.

რამეთუ ვითარცა ღამესა რა ბნელსა აღმობრწყინდის მთიები და შემდგომად მისსა სხუან ვარსკულავნი შეუდგინ და მისთანა გამობრწყინდიან, ეგრეთ ესე ექმნა წინამძღუარ მოწამეთა. რამეთუ ამან რა იღუაწა ქრისტესთჳს ღუაწლი იგი უკუდავებისა, შემდგომად მისსა უძლეველმან მან მეფემან ვახტანგ, რამეთუ მანცა გჳრგჳნი მოწამობისა შეიმოსა ხელითა ულმრთოთა სპარსთათა ქრისტესთჳს და სჯულისა მისისათჳს, მერმე შემდგომად მცირედისა მოსლვასა მას ურჯულოსასა ორთა ძმათა მთავართა მათ არგვეთისათა, წმ. დავით და კონსტანტინე ახოვნება სრული აჩუენეს და გჳრგჳნოსან იქმნეს მოწამობითა, მერმე შემდგომად დიდმან მეფემან არჩილ და ესრეთ შემდგომითი შემდგომად მოწამესი მრავალნი მეფენი და მთავარნი გამობრწყინდეს, არა ხოლო თუ ესე ვითარნი მხნენი მამაკაცნი, არამედ დედანიცა უძლურნი მდედრნი ბუნებითა ახოვან იქმნნეს და ბუნება იგი უძლური დაივიწყეს და ფიცხელთა და სასტიკთა სატანჯუელთა უშიშად შეჰკადრეს; და არა თუ უნდოთა ვიეთმე და მდაბიურთა; არამედ დედოფალთა და პალატსა შინა საშუფოსა მეოფეთა, დამაკლებს მე ჟამი ესე აღრიცხვად სიმრავლესა მათსა, რომელნი გამობრწყინდეს შემდგომად წმიდისა ამის მოწამისა, რომელნი აღწერილ არიან წიგნსა შინა უწყებისა მათისასა და ჩუენდა საცნაურ ქმნილ არიან და რომელნი ჩუენ არა უწყით იგინი, ზეცას აღწერილ არიან, წიგნსა შინა ცხოველთასა; და ნუ უკუე საწყინოცა თქუენდა იქმნეს, ესეოდენნი და ესე ვითარნი კეთილნი შეუდგეს ღუაწლსა წმიდისა რაჟდენისასა, რომელმან ესრეთ იღუაწა და ესრეთ ახოვან იქმნა ვიდრელა ყოველნი ქართუელნი მეფენი და მთავარნი, მღდელნი და მოწესენი და ყოველი ჰასაკი თანამდებ ჰყო შესხმად ბრწყინვალეთა ღუაწლთა მისთა და ქებად ახოვნებისა მისისა; და უფროსად დიდებისმეტყუელებად განმაძლიერებელისა და გჳრგჳნოსან მყოფელისა მისისა ქრისტესისა.

გნებავსთ თუ რათა ვიტყოდი, კუალად კერძოებითსა ცხოვრებასა მისსა, და უწყიმცა ვითარმედ სურვიელ ხართ სმენად ზედა მიწევნილობასა მოქალაქობისა მისისასა, ღუაწლთა და სიმხნეთა მისთა და მე ვიტყოდი ძალისაებრ ჩემისა და წარმოვსთქუა; ვითარ და ვინაობა მისი; მამული და ნათესაობაჲ, ჟამი და ადგილი და მერმე ღუაწლთა მიმართ სიმხნით განწყობა, არამედ მეშინის უღირსებისაგან ჩემისა და ნუ უკუეცა დაკნინებაჲ რაჲმე ეცეს უნდოებითა სიტყუისა ჩემისათა, დიდთა მათ და ბრწყინვალეთა ღუაწლთა მისთა, რომელი იგი თანა წარჰკდა ყოველსა სჯულსა მაქებელთასა, და ანგელოზნი განაკჳრნა და ეშმაკნი სირცხჳლეულ ჰყო; გარნა ვესავ ღუაწლითშემოსილსა მას და გჳრგჳნშემოსილსა, რათა ძალისაებრნი ესე სიტყუანი არა უღირს იჩინოს.

იყო ესე სამგზის სანატრელი, ვითარცა ძუელნი მატიანენი გვაუწყებენ და მიმოგანთესულობანი ესე ვითართა უწყებათანი, ვითარმედ იყო ნათესავით სპარსი, დიდთა და დიდებულთა მთავართაგანი და საკუთართა შორის სპარსთა მეფისათა წარჩინებულ და სჯულითა იყო იგი ცეცხლის მოსავ და მსახურ მზისა და მთოვარისა, რომელსაცა არწმუნეს ასული მეფისა აღსაზრდელად, ხოლო წესი იყო მაშინ სპარსთა შორის, ვითარცა ჩუენ ქართუელთა შორის; რომელსა მამა მძუძედ უხმობდეს და დიდად რაჲმე პატივად აჩიჩებდეს, ესე ვითართა საქმეთა მთავართა და დიდებულთა თჳსთა.

მას ჟამსა დიდმან მეფემან ვახტანგ ინება მზახლობა სპარსთა მეფისა[1]), და მოსთხოვა ცოლად ასული იგი, რომლისადა მამა მძუძე ქმნილ იყო სანატრელი იგი და ოდეს ქმნეს ქორწილი და მოიწივნეს ქართლად, თანა ჰყუა ნეტარიცა ესე და მეფემან ვახტანგ, დიდითა პატივითა და შემს-გავსებულისა არზანაგითა ვითარ ჰშუენოდა მთავრობასა მისსა, ეგრეთ პატივჰსცა ნეტარსა მას და დიდნი სახელნი და აგარაკნი მიანიჭნა და საკუთარ და თანამზრახუელ ჰყო იგი; და არა მხოლოდ ოდენ მთავრებრივისა და დიდებულებისა მისისა შესატყვისობისათჳს; არამედ სიკეთისა და სათნოე-ბისათა მისისა ღირსებისათჳს, რამეთუ ჯერეთ მამულითა ჰსჯულითა მყოფი, არა უდარეს ნათელ-ღებულთასა იქცეოდა, რამეთუ ყოვლითა სათნოებითა შემკულ იყო, რომელსა გუასწავებს სახარე-ბისა ჰსჯული, სიმართლითა და ჭეშმარიტებითა მოწყალეებითა და სიმდაბლითა და სიმშჳდითა და სხუითა ყოვლითა სათნოებითა, რომელი საყუარელ და სათნო არს ღუთისა, ამისთჳს საყუარელ იყო ყოველთა მიერ და უფროსად მეფისა მიმართ, აქუნდა საკუთრებაჲ ესე ოდენთა კეთილთა მისთათჳს არამედ ფრთხილ იყო და მახჳლცა გონებითა ნეტარი რაჟდენ, იხილა რა წესი ქრისტიანობისა და სარწმუნოება მტკიცე და ჰსჯული ქართუელთა იწყლა გული მისი სიყუარულითა ქრისტესითა და ცეცხლებრ მოტყინარე იყო სარწმუნოებისათჳს და სუროდა ნათლისღებისათჳს, რომელი იგი პი-რუელვე განათლებულ იყო საქმეთა მიერ კეთილთა და აღბეჭდულ ღუთის მსახურებითა.

ზედას ზედა მივალნ იგი ეკკლესიად და ისმენნ სიტყუათა საღმრთოთა და ქადაგებათა ჰსჯუ-ლისათა; და პირუელ ნათლისღებისა, ვითარცა ვთქუ არა უდარეს გამოჩნდა იგი ადრითგან ნათელღე-ბულთასა; ხოლო ნათელ იღო რა უმეტესად წარემატა სათნოებითა და მის ზედა მოფენილი იგი მადლი სულისა უმხურვალესად აღატყინა მის შორის, რამეთუ მარადის გამოიკვლევდა ცხოვრებასა წმიდათასა და უფროსად მოწამეთათჳს სურვიელ იყო და ნატრიდა ცხოვრებასა მათსა და აღსა-სრულსა; ვითარცა იტყჳს ბრძენი სოლომონ და ილოცვიდა, რათა იგიცა ღირს იქმნეს, ინებოს თუ ღმერთმან ღუაწლსა მას წამებისასა და შესუმად სასუმელსა უკუდავებისასა და ესრეთ განშუენებულ იყო და შემკულ ღუთის მსახურებითა, ვიდრელა თანაწარხდა სიყრმითგან ღუთის მსახურებასა ში-ნა აღზრდილთა და ამისთჳს საყუარელ იყო ყოველთა მიერ და საკუთარ მეფეთა და მთა-ვართა.

ხოლო ოდეს მიშვებითა ღუთისათა აღდგეს სპარსნი ქრისტიანეთა ზედა და აღიძრნეს ური-ცხჳთა მხედრებითა, რამეთუ დიდი იყო მაშინ ბრძოლა და დაუცხრომელი მტერობა ქრისტიანეთა ზედა და უფროსად ბერძენთა მიმართ[2]); ხოლო ჩუენ ქართუელთა მომართ ამისთჳს, რამეთუ ეძვინებოდა ჩუენი ბერძენთა მიმართ სიყუარული და ერთობა და ესე იყო ნება მათი, რათა ჩუენ-ცა მათთანა მტერ ვექმნეთ ბერძენთა.

მაშინ აღლაშქრეს, ვითარცა მეფემან სპარსთაგან ურიცხჳთა მხედრობითა და დიდითა ძალითა

---

1) დიდმან ვახტანგ გორგასლანმა შეირთო ცოლათ ასული სპარსთა მეფისა ორმიზდასი ბალენდუხტ, რომ-ლისა ლალა იყო წმ. სანატრელი ესე პირველ-მოწამე რაჟდენ.

2) სპარსთა მეფე ორმიზდას მოკუდა 457 წელსა და ტახტი სამეფოსი დაიპყრა ძმამა მისმან ფირუზ, რომელსა დიდათ არ ესიამოვნებოდა ვახტანგის დიდებაჲ; ამის გამოთ ცდილობდა მარად მის დაუნცროსოება და შემდეგ ამისა სრულიად დამორჩილება მისი და დამორჩილების შემდეგ ომი ბერძენთა თანა. ნახე პროკოპი de bell. Pers. pag. 33. სთეფანე ბიზანტიელი Hist. de reb. Bys. pag. 22 და სხუანი მრავალნი.

თჳსითა, პირუელ მოიწივნეს საზღუართა ქართლისათა და ენება დამორჩილება მათი, რათა ესენიცა თანა წარიტანოს, ხოლო ქართუელთა ესე არა ენება და არცა მიერთნენ, არამედ შეივლტოდეს ციხეთა და ქალაქთა შინა, რამეთუ მაშინ ბერძენნი უცალო იყუნეს და ვერ ეძლო შეწევნა ქართუელთა; მაშინ მეფემან ვახტანგ განამაგრა ციხენი და ქალაქნი და თჳთ დადგა მცხეთასა სამეფოსა მას ქალაქსა შინა. მოვიდეს სპარსნი და აღავსეს ქართლი სპითა სიმრავლითა და გარე მოიცუეს მცხეთა, რამეთუ განიყუნეს იგინი რამეთუ ზოგნი დადგეს ავჭალას ზოგნი ნაქულბაქევს და დიღმით კერძო და შიდა ქართლს, იმერ და ამიერ მტკურისა. და იყო მიმდემი ბრძოლა და ურთიერთარს კუეთება; რამეთუ გამოვიდიან მცხეთით რჩეული მხედრები და დაუცხრომლად ებრძოდიან და ზოგჯერ სძლევდენ სპარსთა და მჴედრობით შემოიქციან ქალაქად და ზოგჯერ იძლინიან ქართუელნი და მოისვროდეს მათ მიერ და განგრძელდა ბრძოლა იგი ვიდრე ოთხთუემდე.

დღესა ერთსა ჩუეულებისაებრ, განვიდა წმიდა რაჟდენ ბრძოლად, რამეთუ იგი უმეტეს სხუათა ქართუელთასა უმხურვალეს ებრძოდის სიყუარულისათჳს ქრისტესა, რამეთუ იყოცა წმიდა ესე ახოვან წყობათა შინა და გამოცდილი და რჩეული მებრძოლი, რამეთუ მრავალგზის განსრული და მძლე ქმნული ძალითა ქრისტესითა ძლევა შემოსილი უვნებელად შემოიქცის; კუალად განვიდა არმაზით კერძო და ბრძოლა ჰყო მათდა მიმართ. ხოლო იგინი მარადის უმზირდეს და ენება ცოცხლივ შეპყრობა მისი[1], რამეთუ დიდად ძლევად შეერაცხა შეპყრობა მისი ცოცხლივ, რამეთუ ეძვინებოდა მათ ქრისტიანობა მისდა მამულისა სჯულისა დატევება და ახოვნებისა თჳსცა მისისა ენება ხელთ გდება მისი. ცნეს რა სპარსთა მუნ დაბანაკებულთა ჰმზირ ჰყუეს იმიერ და ამიერ და გზისა სივიწროთა ვერღარა ეძლო პირის პირ შეტევება და შეიპყრეს სანატრელი იგი მხედარი ქრისტესი და შეკრული წარიყუანეს წინაშე სპარსთა მეფისა, ხოლო ცნა რა მეფემან შეპყრობა წმიდისა რაჟდენისა განიხარა ფრიად, ვითარმცა სრულიად მძლე ქმნილ იყო ყოველთა წინააღმდგომთა თჳსთა და ვითარცა წარადგინეს წინაშე მისსა იხილა იგი მეფემან და ეტყოდა მხიარულითა პირითა; გიხაროდენ, მხნეო რაჟდენ. მჴედრობა შენდა, სადა უკუე იყავ ესოდენთა ამათ ჟამთა, რაჲსათჳს უარ გიქმნიეს მამული სჯული და შედგომილ ხარ სჯულსა უცხოსა, რომელი არა გასწავვეს მამათა შენთა და ბრწყინუალისა მზისა წილ და ცეცხლისა და სხუათა მათ მნათობთა, მსახურებ ჯუარცმულსა კაცსა, რომელი ჰურიათა მოაკუდინეს და შენ იგი ღუთად შეგირაცხიეს, ანუ არა ესე ყოველი ესრეთ არსა.

ხოლო წმიდამან მიუგო, «ჰე ჭეშმარიტად ეგრეთ არს, ვითარცა სთქუ მეფეო, რამეთუ მე ქრისტიანე ქმნილ ვარ და დამიტევებიეს მამული უღმრთოებაჲ და არღარა თაყუანისვცემ ცეცხლსა შემწველსა, არცა მზესა კაცთათჳს სამსახურად დაბადებულსა, არამედ ღმერთსა ცხოველსა, რომელმან ჰქმნნა ცანი და ქუეყანა და ყოველი რაჲ არს მათ შინა ხილულნი ანუ უხილავნი, რომელსა აქუს უკუდავება, დამკჳდრებულ არს იგი ნათელსა შინა თუალ-შეუდგამსა, რომელი იგი არავინ იხილა ვერცა ხილვად შემძლებელ არს, ესე არს ღმერთი ჩუენი, რომელსა მე შევმცნე სამგუამოვნებით დიდებული და ერთღუთაებით აღსარებული, რომელი უკანასკნელთა ამათ ჟამთა მოვიდა ხსნისათჳს კაცთა ნათესავისა ერთი წმიდისა სამებისაგანი, ხორციელ იქმნა და დაემკჳდრა ჩუენ შორის და იქმნა მსგავს კაცთა, თჳნიერ ცოდვისა და ყოველივე განგებულება ცხოვრებისა ჩუენისა

---

1) ნახე Histoire de la Géorgie, I-re partie p. 195.

აღასრულა, და უკანასკნელ ჯუარს ეცვა და მოკუდა ბუნებითა ჩუჱნითა, და ჩუჱნ უკუდავება მოგვანიჭა და დაეფლა და აღსდგა მესამესა დღესა და ამაღლდა ზეცად მუნვე წიაღთა ვინა იგი გარდამოხდა მჯდომარე არს მამისა თანა და კუალად მოვალით დიდებითა ღუთივმეცნიერითა, მაცხოვრად მორწმუნეთა მისთაჲ და დასჯად მათდა, რომელთა არა რწამს ღუთაება მისი»,

ესერა წარმოსთქუა ქრისტეს მოწამემან ბრწყინვალითა ხმითა, დიდთა მათ თჳს საიდუმლოთა მოკლითა სიტყვითა აღივსო გულისწყრომითა დაუპყრობელითა მძლავრი იგი, არამედ ჯერეთ ჰგებდავე და სიმშჳდესა იჩემებდა, ჰგონებდა ნუ უკუჱ ნიჭთა და პატივთა მიერ შეუძლოს მიქცევა მისი, პირუჱლისავე უსახურებისა მიმართ და მორჩილება ბრძანებისა მისისა და ეტყოდა კუალად ისმინე რაჲდენ და დაუტევენ უხმარნი ეგე სიტყუანი და ერჩდი ბრძანებათა ჩუჱნთა და მიგანიჭნეთ პატივნი და დიდებანი უფროს პირუჱლისა და გყოთ თანა-ზიარ დიდებისა ჩუჱნისა და იყო საკუთარ მეგობარ და საყუარელ ჩუჱნდა და უკეთუ ესე არა ჰყო სიკუდილითა მწარითა და სატანჯუჱლითა მრავალ ფერითა მოგაკუდინოთ შენ.

მაშინ მოწამემან მცირედ განიღიმა ესმნეს რა სიტყუანი ესე მეფისანი. მიუგო და თქუა: «რაჲ არნნ ნიჭნი და პატივნი შენნი მეფეო, არა საწუთროჲნი არიანა და მსგავსად სიზრმისა განქარვებადნი და აჩრდილებრ წარმავალნი, რამეთუ ვითარცა კუამლი განქარდების და ვითარცა მტუჱრი განიბნევის, რამეთუ მიწანი ვართ და მიწადცა მივიქცევით, ხოლო სული უკუდავ არს, და უკუდავცა ჰგიეს და უკეთუ ვისმინო ბრძანებისა შენისა და ვერჩდე თქმულთა შენთა არა მოვკუდეა მეცაჲ, ვითარცა ზოგად ყოველნი კაცნი; და მერმე საუკუნოდ ვიტანჯებოდი ცეცხლსა შინა უშრეტსა და სიმდიდრე შენი აქავე დაუტევო: ხოლო უკეთუ მოვკუდე ქრისტესთჳს უკუდავ ვიქმნე საუკუნოდ და მისთანა ვსუფევდე და მისთანა ვიდიდო დიდებითა დაუსრულებელითა, ესე არს განზრახვა ჩემი უცვალებელი, და თქუჱნ, რაჲცა სათნო არს თქუჱნი იგი ჰყავთ, არა რომელთა სახითა ვერჩდე ბრძანებასა შენსა».

მაშინ უმეტესითა გულისწყრომითა აღივსო მეფე იგი უსჯულო და უბრძანა წინაშე მდგომელთა რათა სცენ პირსა მისსა ძლიერად და სცემდეს უწყალოდ ესე ოდენ, ვიდრე კბილთა სრულიად შემუსრვადმდე რამეთუ განირყუნა და შეიმუსრა პირი მისი და აღმოფხურნეს კბილნი მისი და აღივსო ადგილი იგი მძაფრ მომდინარითა მით სისხლითა; ხოლო იგი მადლობასა აღუვარებდა უფალსა, რომელ სახელისათჳს მისისა ღირს იქმნა ესოდენსა და ესე ვითარსა გვემასა; კუალად განსძარცვეს იგი და შიშველსა ითრევდეს ქუათა მახვილთა ზედა და სცემდეს უწყალოდ არგნებითა და მყოვარ ჟამ რა ითრიეს, მერმე შეკრეს ხელით და ფერხით და რკინით მაგრად შეჭედილი საპყრობილესა ბნელსა შეაყენეს, თჳნიერ ყოვლისა ნუგეშინისცემისა.

ხოლო შევიდა საპყრობილესა მას შინა უმეტესითა გულსმოდგინებითაჲ და უმხურუალესითა სურვილითა მადლობდა ღმერთსა, რომელ ესე ვითარსა ღირს იქმნა გვემასა ქრისტეს სახელისათჳს, რამეთუ დაღაცათუ ხორცითა შეკრულ იყო ნეტარი იგი, არამედ სულითა ხსნილი და თავისუფალი, ილოცვიდა და ევედრებოდა უფალსა, რათა განაძლიეროს და არა დაუტეოს შეწევნისაგან მისისა; წინა მდებარეთა მიმართ ღუაწლთა, რომელი ეგულვებოდა დათმენად და ღირს ჰყოსცა მათ მიერ გჳრგჳნსა წმიდათა თანა ზეცისა ჩინებისასა, რომელთა იგი მისთჳს ივნეს და ვიდრე აღსასრულადმდე სრულჰყუჱს სრბა წამებისა მათისა.

მყოვარ ჟამ რა იცვებოდა საპყრობილესა მას შინა, ვერ მიდრიკეს გონება მისი სიყუარულისაგან ღუთისა, მაშინ მოვიდეს მთავარნი ქართუჱლთანი, რომელნიცა მაშინ სპარსთა თანა მის-

რულ იყვნეს. ევედრებოდეს მეფესა მას უღმრთოსა გამოყვანებად წმიდისა მის საპყრობილით და ეტყოდეს ჩუჱნ თავს მდებ ვექმნნეთ რაჲდენს ახოვანსა და მოახსენებდეს, სიკეთესა მისსა და სიბრძნესა და სიქუჱლესა მისსა, რამეთუ მრავლისა პატივისა ღირს არს კაცი იგი, და არა ჯერ არს ესრეთ უპატიოდ და უწყალოდ სიკუდილი მაგისი; განუტევე ეგე მცირედ ჟამ, რათა წარვიდეს მამულსა თჳსსა და იხილნეს ცოლი და შჳლნი თჳსნი, მეგობარნი და მოძმენი, ნუ უკუჱ სიწყალულითა მათითა და მათ მიერითა განზრახვითა ერჩდეს ბრძანებასა თქუჱნსა და არა მიეცეს ესრეთ უწყალოსა სიკუდილსა, რამეთუ დიდად გველმის მაგისთჳს და ოდესცა ბრძანოთ მსწრაფლ წარმოგიდგინოთ წინაშე თქუჱნსა.

შემდგომად მრავლისა ვედრებისა ისმინა მათი მძლავრმან მან და ბრძანა გამოყვანება მის წმინდისა საპყრობილით და მიჰმადლა იგი მათ და განუტევა იგი სახიდ თჳსად და ამცნო მათ, რათა ადრე წარმოადგინონ წინაშე მისსა; ხოლო წმიდასა მას უძნდა ესე და არა ენება განტევება, რომელ არა ადრე მიემთხჳა სასურველსა თჳსსა და იტყოდა «ვითარმედ ესე ყოველი ღონე არს ჩემზედა ეშმაკისა, რათა ღონის ძიებითა დამიხრწიოს წინამდებარე ესე ღუაწლი და დამაშჩიროვოს აღთქმულნი იგი კეთილნი, წმიდათათჳს განმზადებულნი».

მაშინ წარვიდა წმიდა იგი სახიდ თჳსად და პირუჱლ მივიდა ხილვად მეფისა ვახტანგისა და იხილნა და მოიკითხნა მეფე და დედოფალი, ცნა რა ესე მეფემან ღუთისმოყუარემან განიხარა ფრიად და მიეგებნეს წინა სიხარულით და მოწლედ ამბორს უყოფდეს და სიყუარულით მოიკითხვიდეს, ამბორის მყოფელნი თუალთა და პირთა მისთა ქრისტესთჳს შემუსრვილთა და ყოველთა ასოთა მისთა მოწყლულთა, ნატრიდა და ეტყოდა, ნეტარ ხარ შენ მხნეო რაჲდენ და სამგზის სანატრელ არს ღუაწლი შენი, რომელ სახელისათჳს უფლისა თავს ისხენ ესე ვითარნი გნებანი, რამეთუ საწერტელნი ქრისტესნი ხორცთა შინა შენთა გიტვირთავს და ესრეთ განაძლიერებდა და ახოვან ჰყოფდა უმეტესთა ღუაწლთა მიმართ და ითხოვდა მისგან, რათა მეოხ ექმნას წინაშე ღუთისა.

შემდგომად ამისსა წარვიდა სახლეულთა მიმართ თჳსთა და მოიკითხნა, ხოლო მათ მხილველთა მისთა და სიხარულითა უზომოჲთა აღვსებულთა მადლობაჲ შესწირეს ღმერთსა, რამეთუ არღარა ელოდეს ხილვასა მისსა შეიტკბობდეს და ამბორს უყოფდეს ხელთა და ფერხთა მისთა, და ეტყოდეს ჵოი! სანატრელო რაჲდენ ოდესღა ვესვიდით ცოცხლებით ხილვასა შენსა, რამეთუ განეწირე ყოველთა და ყოველნი სიკუდილსა შენსა ვჰგონებდით, აწ ვინადგან ცოცხლებით გიხილეთ ნუღარა დაგვიტევებ, ხოლო მას არა რად შეერაცხა არცა სურდა ხილვა მათი და ზრახუა, არამედ იგი სასურველსა თჳსსა იგონებდა, მას განიცდიდა გონებითა და იგი ეოცნებოდა, მერმე შემდგომად მცირედისა ზირებითა ეშმაკისათა აღიძრა მეუღლე მისი მსგავსად პირუჱლისა მის დედისა განაზრახებდა წმიდასა მას და იტყოდა, რად ესრეთ განგიწირავს ცხოვრებაჲ თჳსი და მიგიცემიეს თავი შენი სიკუდილად და ჩუჱნცა სრულიად ოხერ და ობოლ გვყოფ, ერჩდი ბრძანებასა მათსა და იხსენ თავი შენი და ჩუჱნცა, რათა არა ბოროტად მოჰკუდე შენ და ჩუჱნ სიკუდილითა შენითა მივეცნეთ განსაცდელსა მწარესა და მწუხარებასა ძნელსა და სხუასაცა მრავალსა ეტყოდეს და აწუჱვდეს შეტკბობად წუთ ჟამისა ამის ცხოვრებასა და დიდებისა მისთჳს წარუვალისა არა ჰსუროდა მათ; არცა ცხოვრებისა მისთჳს დაუსრულებელისა იგონებდეს; რამეთუ არა ემსგავსებოდა მაკაბელთა დედათასა, არცა წმიდასა ნატალიას მეუღლესა წმიდისა ადრიანესსა, არცა დედაკაცსა მას ღუთის მოყუარესა ერთისა მის ორმეოცთაგანისასა, არამედ სხუათა უმხნოთა და

დახსნილთა დედათა მსგავს იყო. ხოლო ესმა რა ზრახებაჲ წმიდასა მას მეუღლისაგან თჳსისა, მიხედა მას მკსინვარედ გულისწყრომით და ეტყოდა «რად ესრეთ ბოროტისა განმზრახ მექმნები ჯოი! დედაკაცო ვითარცა ევა, ანუ ვითარცა ცოლი იგი იობისი, რათამცა ვისმინე შენი და ვიქმნემცა ვითარცა ადამ, უკუდავებისა წილ მოკუდავ და უხრწნელებისა წილ განხრწნილ და მიწად მიქცეულ, ნუ იყოფინ ესე ჩემდა სმენად სიტყუსათა შენთაჲ, რათა მივეცე წარსაწყმედელად და გამოვეხვა ცხოვრებისა მისგან საუკუნოსა. რა არს უტკბილეს ქრისტესთჳს სიკუდილისა, ვინათგან მანცა ჩუენთჳს სიკუდილისა გემო იხილა და ჩუენ უკუდავება მოგვანიჭა, რომელი დიდ არს უკეთუ ჩუენცა მოვკუდეთ მისთჳს მიწანი ესე და მტუერნი და რათა მისთანაცა ვსუფევდეთ» და მყის აღდგა და განეშორა მათგან, ხოლო იგინი აღივსნეს მწუხარებითა და მოიცვნა ტირილმან და გოდებამან მწარემან და ესრეთ გამოვიდა ნეტარი იგი მათგან და წარვიდა თჳთ უწოდებელად მუნვე სადა იგი პირუტყლ ეღუაწა ღუაწლი იგი უკუდავებისა, მძლავრთა მათ მიმართ უღმრთოთა, რომელთა მიმართ აღუთქვა მუნვე მიქცევა.

ხოლო იგინი ვინათგან მცირედ და რაეყოვნა წმიდასა მას ჭგონებდეს არღარა მიქცევასა მისსა მუნვე, უბრძანეს გუნდსა მხედრობათასა, მყის წარსლვად და რათა იძულებით და ჭირით მოიყვანონ, ხოლო ნეტარი იგი თჳთ უწოდებლად მივიდოდა ნებსით თჳსით დაკვლად ვითარცა კრავი; ხოლო იგინი შეემთხვივნეს წმიდასა მას და ვერ იცნეს იგი ფრიადისა მის შეურაცხებისაგან და მისზედა შემთხვეულთა მათ სატანჯუელთაგან და ჰკითხვიდეს მას, თუ სადა არს რაჟდენ მათ მიერ საძიებელი, ხოლო იგი მიუგებდა ვითარმედ მე ვარ, რომელსა თქუენ მეძიებთ, მყის შეიპყრეს უღმრთოთა მათ ჰსცემდეს თავსა მისსა უწყალოდ არგნებითა, (ჯოხითა) შეჰკრეს და ესრეთ წარიქციეს წინა და მიჰგვარეს იგი მეფესა მას. იხილა რა მძლავრმან მან, კუალად ეტყოდა და აიძულებდა უარის ყოფად ქრისტესა და ჰკითხვიდა ვითარ ხარ მხნეო რაჟდენ და რა განიზრახე ესოდენთა ამათ დღეთა, ნუ უკუე აწცა არა გულისხმა გიყოფიესა უმჯობესი თავისა შენისა და რამეთუ ესოდენთა ამათ ჟამთა სულგრძელი გექმნენით, რამეთუ გუეწყალის სიკეთე შენი და არა გუნებავს უჟამოდ სიკუდილი შენი, «ჯოი მეფეო! განზრახუა ჩემი უცვალებელ არს და უქცეველ» მიუგო წმიდამან, «რამეთუ ვინათგან ერთგზის დაუტევე მამული, უღმრთოება და ვიცან ჭეშმარიტება, არღარა ჯერ არს მუნვე მიქცევა ჩემი უღმრთოებად და დატევებად ცხოველი ღმერთი და არცა ესოდენთა ამათ ღუაწლთა, რომელ თავს ვისხენ ქრისტესთჳს, მისი უქმად წარხდომად» ხოლო მეფე იგი აღუთქმიდა კუალად ნიჭთა და პატივთა უდიდესთა უფროს პირუტყლისა და იგიცა უმეტეს იყო უფროს პირუტყლისა მის ღუაწლისა და უმეტესითა კადნიერებითა მიუგებდა და ეტყოდა, «და ვერარამან შეუძლოს განყენებაჲ ჩემი სიყუარულსა ღმრთისასა, რამეთუ მზა ვარ ყოვლისავე დათმენად».

კუალად შეიპყრეს წმიდა იგი პირუტყლისაებრ, სცემდეს უწყალოდ და ითრევდეს და აიძულებდეს რათა დაემორჩილოს ბრძანებასა მეფისასა: ხოლო იგი დუმნა და არა რას მიუგებდა და იხილეს რა უქცეველობაჲ მისი; შეჰკრეს იგი და წარგზავნეს სხუისა მთავრისა მიმართ, რომელი დაბანაკებულ იყო ზემოსა ხოფელსა წრომს და მიუმცნო ესრეთ, რათა აიძულის რომლითაცა ღონითა შეუძლოს განშორება მისი ქრისტესგან და მორჩილებაჲ მეფეთა და უკეთუ ისმინოს მისი, დიდითა პატივითა მისდავე მოაქციოს; ხოლო უკეთუ ეგოს პირუტყლსავე მას ურჩებასა ზედა თჳნიერ ყოვლისა წყალობისა მწარითა სატანჯუელითა განიყვანოს ამის ცხოვრებისაგან, ესრეთ უწყალოდ, ვიდრელა არცაღა თუ ხორცთა მისთა შემდგომად სიკუდილისა ექმნას მიწასა შინა დაფლვა, წარიყვანეს კუალად შეკრული და წარგზავნეს წინაშე მთავრისა მის ზემო ხსენებულისა.

იხილა რა წმიდა იგი განიხარა ფრიად, რამეთუ სუროდა ხილვა მისი, რამეთუ ასმიოდა პირჳელვე სიკეთე და ახოვანება მისი, მოწლედ მოიკითხა იგი და ეტყოდა: გიხაროდენ მხნეო რაჟდენ, შენ ხარ, რომელმან აჩვენე სიმხნე უძლეველი და წინა აღუდეგ ბრძანებასა თჳთ მპყრობელთასა და აგინებ სჯულსა მამულსა და შედგომილ ხარ სჯულსა ჰურითაგან მოკლულისა კაცისასა, აწ მოვედ და ისმინე ჩემი, უარ ჰყავ საცთური ეგე, რომლითა შეცთომილხარ და მსახურე მზესა და მთოვარესა და ცეცხლსა ამას ბრწყინჳალესა, რომელი სჯულ გიდვეს მამათა შენთა და მიიხვენ პატივნი და დიდებანი უმეტესნი პირჳელთასა და იყავ ცოცხლებით და ნუ აღირჩევ სიკჳდილსა ტკბილისა ამის საწუთოისა წილ.

ხოლო წმიდა იგი მიუგებდა: «რასა მაიძულებთ უსჯულნო, ცხოველისა ღ̃თისა დატევებად, რომელმან დაბადა ცაჲ და ქჳეყანა და ყოველი რა არს მათ შინა და მსახურებად ცეცხლსა შემწველსა და სხჳათა მათ უნდოთა ნივთთა აღრევა უარ ქმნილთა ჩემ მიერ, მე პატივნი თქჳენნი და ნიჭნი გინებად შემირაცხიან, რომელი დღეს არს და ხვალე არღარა; ხოლო თქჳენდა ყოველთა მორჩილთა თქჳენთა და რომელნი სჯულსა თქჳენსა აღიარებენ, მიელის ცეცხლი დაუშრეტელი და სხჳანი იგი სატანჯჳელნი საუკუნოდ მტანჯჳელნი, არა უწყიაა, რამეთუ, რომელი მოკჳდეს ქრისტესთჳს უკჳდავება და უხრწნელება და დაუსრულებელი ცხოვრება მიელის ზეცათა შინა, რომელი განუმზადა ღმერთმან მოყჳარეთა თჳსთა. აწ რომელიცა გენებოსთ ჰყავთ იგი, რამეთუ მე მზა ვარ დათმენად ყოველთა ძვირთა ქრისტესთჳს, ესმა რა მსაჯულსა მას სიტყჳანი წმიდისანი აღივსო გულის-წყრომითა, უბრძანა ცემა თავსა და პირსა მისსა უწყალოდ და კჳალად შემუსრნეს კბილნი და ღაწჳნი მისნი და ესეოდენნი ტკივილნი მოიწია წმიდისა მისზედა ვიდრეღა არცაღა შემძლებელ არს ენა გამოთქმად, ხოლო იგი მადლობასა აღუარებდა ღმერთსა და იხარებდა სულითა მსგავსებისათჳს ქრისტეს ვნებათასა.

კჳალად წარიყჳანეს შეკრული ხელით და ფერხით და შეიყვანეს საპყრობილესა მწარითა ტკივილითა მოცული და იგი ყოველსავე მადლობით მოითმენდა, ხოლო მეუფე ქრისტე არა ოდეს დაუტევებდა შეუწყევნელად მონასა თჳსსა, არცა განეშორებოდა, არამედ საპყრობილესა შინა გამოუჩნდებოდა, ნუგეშინისცემდა და განაძლიერებდა და წმიდა იგი უახოვანეს იქმნებოდა და უმხურვალეს წინა მდებარისა ღჳაწლისა მიმართ.

ხოლო შემდგომად დღეთა არა მცირეთა, კჳალად გამოიყვანეს ნეტარი იგი და აიძულებდეს კჳალადცა უარის ყოფად პირჳელისაებრ და წინა უყოფდეს პატივთა და ნიჭთა დიდ დიდთა და ეგრეთვე პატიჟთა და ჭირთა უფიცხესთა და სიკჳდილსა მწარესა უძჳრეს პირჳელისა მის უკეთუ არა ისმინოს; ხოლო ახოვანი იგი და ყოვლად უშიში გონებითა კჳალადცა შეურაცხებით უკუნ იქცევდა სიტყჳათა მათთა და სიმხნით განეწყობოდა სატანჯჳელთა უმძჳნვარესთა და კჳალად იტყოდა «ვერა რაჲთა რომელითა სახითა განმაშოროთ სიყჳარულსა მისსა», მაშინ უსასო იქმნეს გარდაქცევისათჳს მისისა, რამეთუ ყოველი ღონე დალია მძლავრთა მათ უღმრთოთა.

ბრძანეს მოხმად ძელთა, რათა მით მოაკჳდინონ სამ გზის სანატრელი იგი, რამეთუ თქჳეს უსჯულოთა მათ, ვინათგან ძელსა ზედა მოკლულისა მიმართ აქვს სასოებაჲ, ჯერ არს რათა ესეცა ძელითა აღესრულოს; აღმართეს ძელი იგი და მას ზედა დამსჭჳალეს ტარიგი ქრისტესი.

მერმე მოიყვანნეს სხჳანი ხუთნი ძვირის მოქმედნი ავაზაკნი აღმართნეს ძელები და მისთანა დამოჭკიდნეს და შორის მათსა ნეტარი იგი, ვითარცა ჩჳენი იესო, შორის ავაზაკთასა ჯჳარცმული და მერმე განაწყვეს მოისარნი იმიერ და ამიერ და იწყეს სროლად და ესროდენ უწყალოდ

ესროდეს უღთონი იგი, ვითარცა მხეცნი განძვინებულნი და არა კაცნი პირმეტყუელნი, რამეთუ ისარნი იგი მათ მიერ ტყორცებული და ხორცთა შინა წმიდისათა ძლიერად განწონილნი იქმნებოდეს მრავალ გზის ჰყვეს ესრეთ უღმრთოთა მათ და ძლიერი წყლულებაჲ მოაწიეს მასზედა და ყოველნი ხორცნი მისნი აღავსნეს წყლულებითა და ესრეთ დაწერტილი და დაგუმერილი ძელსაზედა დამოკიდებულად იხილვებოდა და ვერღარა ეძლო წმიდასა მას მრავალ ჟამ ცხოვრებად, ვინათგან კაცი იყო მასცა თანა ედვა ბუნებითა იგი სიკუდილი, მაშინღა ხმაჰყო «ხელთა შენთა უფალო, შევვედრებ სულსა ჩემსა» და ესრეთ განუტევა სული და აღესრულა [1]). ჵო! სამგზის სანატრელისა მის ღუაწლნი, ჵო! დიდებული იგი სიკუდილი, უკუდავად გარდაცვალებაჲ, ჵო! მსგავსება იგი მისი, რომლითა ემსგავსა მეუფესა თჳსსა, სხუათა თჳთოსახეთა სატანჯუელთა თანა, ესეცა პატივად და ნიჭად მოემადლა წმიდასა მას, რათა მსგავსად მხსნელისა ესეცა ჯუარითა აღესრულოს და შორის ძჳრის მოქმედთა, ვითარცა ესეცა მათ მიერ ძჳრის მოქმედად შერაცხილი, ყოვლისა პატივისა და ქებისა ზეშთა ქმნილი.

კუალად აქაცა იქმნა რაჲმე მსგავსი ვნებისა მის მეუფისა, რომელი იგი უვნებელმან მან ჩუენთჳს დაითმინა მსგავსად დღისა მის ჯუარცმისა, გარდამოხდა ბნელი წყუდიადი შუადღესა და იქმნა ბნელი მსგავსად ღამისა და ქარი სასტიკი ვიდრეღა განიბნივნეს მუნ ყოველნი შემოკრებულნი და შერბიოდეს შინაგან და იმალვოდეს. ხოლო მცუელნიცა იგი, რომელნი დაედგინნეს უსჯულოსა მას მთავარსა, რათა არა აუფლონ ქრისტიანეთაგანსა წარღებაჲ გუამი იგი წმიდისა მის და არცა დაფლვად მიწასა შინა, არამედ რათა მხეცთა და ფრინველთა შეჭამონ, იქმნა რა საშინელი იგი დღე და ბნელი წყუდიადი და ქარი სასტიკი; ვერვინ შემძლებელ იყო მუნ დგომად, მაშინ მოვიდეს მორწმუნენი მის დაბისანი და მათთანა მღუდელი ერთი და აღიღეს გუამი იგი მრავალ მოღუაწე შიშით და კრძალულებით და დაკრძალეს ადგილსა ფარულსა.

ამისსა შემდგომად იქმნა მშვიდობა დიდი შორის სპარსთა და ქართუელთა, რამეთუ მეფემან სპარსთამან მოავლინნა მოციქულნი ვახტანგის მიმართ მეფისა მშვიდობისათჳს და ერთობისა და ჰქმნეს ზავი ურთიერთას და იქმნა მშვიდობა შორის სპარსთა და ქართუელთა; გამოვიდა მეფე ვახტანგ და იხილნეს ურთიერთას ორთავე მეფეთა და დიდნი პურობანი გარდიხადეს და ძღუენი სამეუფონი ურთიერთას ანიჭეს, რომელსა იგი გუაუწყებენ ცხოვრებანი ქართუელთანი.

ხოლო მეფე სპარსთა შეიქცა მუნვე და წარვიდა სამეფოდ თჳსად და მიერითგან იქმნა მეუდროება დიდი ქართუელთა შორის, ესე ყოველი, მადლმან ქრისტესმან ქმნა, მეოხებითა წმიდისა და ყოვლად ქებულისა რაჟდენისათა; ხოლო ვითარცა იგი სისხლმან სამეუფომან ქმნა მშვიდობა დიდი შორის ცისა და ქუეყანისა, ანგელოზთა და კაცთა, ეგრეთვე მის თანა დათხეულმან სისხლმან ქმნნა ქართუელთა შორის და დაიცვნა ეკკლესიანი ჩუენნი და შეზღუდა მშვიდობითა.

შემდგომად ამისსა გარდახდეს წელნი რაოდენნიმე და იქმნა დაწყნარება და მშვიდობა და მეფემან ვახტანგ იწყო ძიებად ნაწილთა მათ წმიდისათა, რამეთუ ფარულად იყო დაკრძალულ, მცირედთა ვიეთმე კაცთაგან და არავინ უწყოდა თჳნიერ მღუდლისა მის, რომელი ზემო ვახსენეთ, რომელსა დაეკრძალა იგი. ხოლო არცა მოწამესა მას ენება დაფარვად მრავალ მოღუაწე იგი გუამი მისი, არამედ მინიჭებად იგი მეფისა მის ღუთის-მოყუარისა და რათა ცხადად წარმოაჩინოს საკურ-

1) 457 წელსა.

ჳწლება მისი. ღამესა ერთსა ეჩუენა მღუდელსა მას, წმიდა იგი დიდებითა დიდითა და ბრწყინუალებითა შემოსილი, რომელსა თუალთ შედგმად ვერ შემძლებელ იყო და ეტყოდა: «ხუცესო აღდეგ და ნუღარა ჰყოვნი, რამეთუ ჰსურის მეფესა ნაწილნი ჩემნი ხილვად და შემთხვევად; წარვედ და აუწყე სადა იგი სხენან და სადაცა თჳთ ენებოს მუნ დასხნეს იგინი», მაშინ აღდგა ხუცესი იგი აღვსებული შიშითა და სიხარულითა დიდითა, და მყის წარვიდა მეფისა მიმართ და შერავიდა წინაშე მისსა აუწყა ესე ყოველი, თუ ვითარ და ოდეს და სადა იგი დაეკრძალა და აწ ვითარ გამოუჩნდა და რა იგი ამცნო, ესე ყოველი ზედა მიწევნით აუწყა მეფესა.

ესმა რა ესე მეფესა, აღივსო სიხარულითა გამოუთქმელითა და მადლი შესწირა ყოვლად ძლიერსა ღმერთსა და სანატრელსა მის მოწამესა. მყის იხმნა ეპისკოპოზნი სამეფოსა თჳსისანი და სიმრავლე სამღუდელოსა მწყობრისა და წარავლინნა იგინი სამეფოთა ნიჭითა სიმრავლითა, სოფელსა მას, რომელი ზემო ვახსენეთ წრომს, სადა იგი იყო დაკრძალულ მრავალ მოღუაწე იგი გუამი ღუაწლით შემოსილისა მის მოწამისა.

და ვითარცა მიიწივნეს მუნ და იხილნეს ნაწილნი იგი წმიდანი დიდითა შიშითა და სურჳლითა შეემთხვივნეს და აღმოიღეს მიერ სამარხოთ და სურნელებს მიუთხრობელი გარდაეფინა და აღავსო ყოველი იგი ადგილი და აღიღეს მუნით და წარმოემართნეს გალობითა და ფსალმუნებითა, სანთელთა და კერონთა სიმრავლითა და საკუმეველთა სულნელებითა და წარიღეს ნიქროზს (ნიქოზი) [1] საეპისკოპოზოსა მას ეკკლესიასა, მისვე მეფისა ვახტანგის მიერ აღშენებულსა.

---

1) სოფელი ნიქოზი დიდ ლიახვზედა ჰსძევს ქართლს. აქამომდე ნიქოზში მოჰსჩანს დიდი ეკკლესია საეპისკოპოზო, აღშენებული ვახტანგ გორგასლანის მიერ, ვითარ მოგვითხრობს ქართლის ცხოვრება, გვერდი 146 ქართულად. ნიქოზს იჯდა ეპისკოპოზი დვალეთისა, ოსეთისა და გლოლთა. გორგასლანის დროითგან ვიდრე რუსთა მოსვლადმდე 1800 წ. ამ ეკკლესიას თვისი ეპისკოპოზი ჰყვანდა, ვიდრე ათას ორას წლადმდე, რომელიც უჟეროთ და უკანონოთ მოისპო აწ.

ჰსცნეს რა ესე მეფემ ნ და დედოფალმან, ვითარ შჳ̂ენოდა ღ̂თის-მსახურებას მათსა და სიყჳ̂არული იგი მოწამისა აწჳ̂ევდა, შორს მიეგებნეს, დიდითა სურვილითა და სარწმუნოებითა. ცრემლით ამბორს უყოფდეს და შიშით შეემთხჳ̂ეოდეს, მთავართა და დიდებულთა თჳსთა თანა და ქვეითნი ფერხივ თანა ჰყვებოდეს ცხედარსა მას წმიდისასა და მიიწიეს ნიქოზს და მუნ დაკრძალეს დიდითა დიდებითა და პატივითა სამ გზის სანატრელი მისი გუ̂ამი[1]) და დღესასწაული შჳ̂ენიერი შეუმზადეს, თთჳ̂ესა აგვისტოსა სამსა, დღესა წამებისა მისისასა; ხოლო შემდგომად ამისსა ვითარცა აწჳ̂ევდა სურვილი მოწამისა მეფესა მას ღ̂თის-მსახურსა, ტაძარი შჳ̂ენიერი აღუშენა ციხესა შინა უჯარმოსასა სახელსა ზედა წმიდისა რაჟდენისასა და ერთი სხჳ̂ა ეკკლესია მისი ველსა ზედა უჯარმისასა, რომელსა სამგორობით უხმობენ, სადიდებელად ყოვლად ძლიერისა ღ̂თისა სამებისა ერთ ღ̂თაებისა განუყოფელისა და შეურევნელისა, მამისა და ძისა და ყოვლად წმიდისა სულისა, რომელსა ჰშჳ̂ენის ყოველი დიდება პატივი და თაყჳ̂ანისცემა აწ და სამარადისოდ და დაუსრულებელთა საუკუნეთა უკუნისამდე ა მ ი ნ.

---

1) გჳამი წმ. პირჳელ-მოწამისა რაჟდენისა ვითარ მოგვითხრობენ, არა ტრაპეზის ქჳეშე არნნ და სხნილნი, არამედ წმ. ტრაპეზის და აღსავლის კარის შუა. საფლავს წმიდისასა მოაჩვენებს დიდი პრტყელი ლოდი, რომელიც ჰსდევს (ანუ აგია) წინაშე წმ. ტრაპეზისა. მგონია რომ წმ. პირჳელ-მოწამე ტრაპეზის ქჳეშე უნდა იყოს დასაფლავებული და არა წინაშე მისსა. არა ჯერ არს არა ოდეს, რათა წმ. საფლავსაზედა ჰსდგებოდენ ფერხითა. ჩჳეულება იყო უწინარესა ეკკლესიასა შინა, რათა წმ. მოწამენი წმ. ტრაპეზისა ქჳეშე დაიფლვებოდეს ხოლმე, ამას გამო მეც მგონია, რამეთუ ქჳეშე ტრაპეზისა უნდა იყოს. ვითარ ეკკლესია ეგრეთვე წმ. საფლავი ფრიად შეურაცხით არნნ. მიხედეთ ქართჳელნო, რათა არ შეირყიოს სასჳენებელი წმ. მოწამისა, ნუ შეირცხვენთ თავთა თქჳენსა წინაშე სხჳათა მორწმუნეთა, დაუტევეთ ლხინი და სხჳანი ურიგობანი... მიხედეთ საუნჯეთა თქჳენთა ნუ, მოსპობთ პირჳელ ბრწყინჳალებასა მის ეკკლესიისა, რათა მოიპოოთ მადლი და სასუფეველი ღჳთისა, მოიგონებდით სიტყჳთა უფლისათა თქმულნი მის მიერ მოწაფეთა თჳსთა, «რომელმან გადიდოთ თქჳენ, ვადიდო იგიცა მე, წინაშე მამისა ჩემისა.



საბინინი. М. САБИНИНЪ.

ႼႫႨႣႠ ႧႠႫႠႰ ႫႤႴႤ.

## თ̃ა ოკდომბერსა იზ. წამება წმიდისა მოწამისა შუშანიკ დედოფლისა.

---

სიყუარულისა, საყუარელისად მცუელელად.
ბუნებით დედას, მამათაცა უმკნესსა.
აზარმაცით გან სტვინავს დედოფალსა.
შუშანიკ მსრბოლსა, სიძისად ზეცათასა.
თეკლებრ მეუღლე, მისი ეთემეროზსა.

თქმული ნიკოლაოზ ცფილელის მიერ.

---

და აწ დამტკიცებულად გითხრა თქუენ აღსასრული წმიდისა და სანატრელისა შუშანიკისი [1]). მერვესა წელსა მიერ სპარსთა მეფისასა კარად სამეფოდ წარემართა ვასქენ პიტიახში, ძე არშუშასი, პირველ იგიცა ქრისტიანე იყო და ნაშობი მამისა და დედისა ქრისტიანეთა და ცოლად მისა იყო

---

1) წმ. მოწამე და ვარსკულავი საქართველოს ეკკლესიისა შუშანიკ, იყო ასული დიდისა სომეხთ მხედართ მთავრისა ვარდან დიდისა მამიკონიანისა, ასულის წული სომეხთ მამათ მთავრისა წმ. ისაკ დიდისა (390—440 წ.) და ძის წულის ასული წმ. ნერსეს დიდისა (340 — 437 წ.) სომეხთ მამათ მთავრისა. წმ. ისაკ დიდი მამათ მთავარი, უკანასკნელი შთამომავალი იყო წმ. მღვდელ-მოწამისა გრიგორისა. ვარდან მამიკონიან, შემდეგ განდგომილებისა სპარსთაგან, იწამა მათ მიერ მართმადიდებლობისათვს, რამეთუ მათ დღეთა შინა სომეხნი, მკვდრ იყვნეს მართმადიდებლობასა ზედა ბერძენთასა და ამისა გამოთ დიდი კავშირი ჰქონდათ ქართველთა და სომეხთა. შემდეგ უარყოფობისა სომეხთა მიერ წმ. მართმადიდებლობისასა 551 წ. კავშირი სიყუარულისა და ერთობისა სარწმუნოებისა სრულიად დაირღვა და იმ დროდგან, ვიდრე აქამომდე შური და მტერობა ფრიადი დაემკვდრა სომეხთა ერთმხრივ და ბერძენთა ქართველთა თანა მეორეს მხრივ; ამისგამო სომეხთა არა ოდეს არა აქუთ უფლება ზრახვისა ვითარმედ წმ. შუშანიკ მათგანი არს და მოწამე მათის სარწმუნოებისა. ჭეშმარიტი არს ესე, თუ ვიეთმე დროსა შინა წმიდისასა, ყოფილ იყო სარწმუნოება აწინდელთა სომეხთა, წმიდა იგი უეჭუოთ შეაჩუენებდა და ბილწად შერაცხამდა სწავლასა სომეხთასა. უწყოდენ სომეხთა, რომელთა «ხსენება შეჩუენებულ არს ამიერ უკუნისამდე» (ნახე წიგნი მარგალიტი ბოლო გვერდი), რამეთუ ნამდვილი ცხოვრება საუკუნო, არა ნათესაობით მოიპოების, არამედ აღსარებითა წმ. სარწმუნოებისასა, რომელსა ზედა დამკვდრებულ არს მსოფლიო სამოციქულო კათოლიკე ეკკლესია.

ასული ვარდანისი სომეხთა სპასპეტისა, რომლისა თჳსცა ესე მივსწერ თქუენდა, მამისაგანი სახელი ვარდანი და სიყუარულით სახელი მისი შუშანიკ, მოშიში ღმრთისა, ვითარცა იგი ვთქუთ სიყრმითგან თჳსით.

და უკეთურებისა მის სახისა ქრმისა თჳსისა გულს ეტყვინ და ევედრებინ ყოველთავე ლოცჳის ყოფად მისთჳს, რათამცა ჰსცჳალა იგი სახისა მისგან უგუნურებისა და იქმნაცა გონიერებასა ქრისტესსა. ხოლო ამის უბადრუკისა ვასქენისა[1]) და სამგზის საწყალობელისა ვითარმე ვინ ჰსთქუას ყოვლად განწირილისა, ვითარ იგი განაგდო სასოება ქრისტესი და ვინ არა სტიროდის მას, რომელსა არცა ჭირი ეხილვა, არცა შიში და არცა მახჳლი, არცა პყრობილებაჲ ქრისტესთჳს.

რაჟამს მივიდა იგი და წარსდგა წინაშე სპარსთა მეფისა[2]), არათუ პატივისა მოღებისათჳს, არამედ ძლჳნად თავსა თჳსსა შესწირვიდა მეფისა მის მიერ, უარის ყოფითა ჭეშმარიტისა ღმრთისათა და თაყუანისჰსცემდა ცეცხლსა[3]), რათა ყოვლით კერძოვე თავი თჳსი ქრისტესგან განაგდოს; ხოლო საწყალი ესე ცოლსა ითხოვდა სპარსთაჲ მეფისაგან, რათამცა სათნოეყო მეფესა.

და რომელი იგი ბუნებით ცოლი არს და შჳლნი არიან იგინიცა ვითარცა ესე მე შენსავე მაგას მსახურებასა მოვაქცივნე ამას უქადაგებდა, რომელი იგი ხელთა არა აქუნდა შუშანიკისი.

მაშინ განიხარა მეფემან და ბრძანა ცოლად მისასა ასული მეფისა (ზოგნი ჰსწერენ მისცა და თჳსიო) და იქმნა მეფისა მისგან სპარსთასა პიტახშმან და თანა მოიწია იგი საზღუართა ქართლისათა, ქუეყანასა მას ჰერეთისასა, ზრახუა ჰყო, რათა უწოდოს და თანა მიეგებნენ მას აზნაურნი და ძენი და მსახურნი თჳსნი, რათა მათგამო ვითარცა ერთგული სოფლად შემოვიდეს, წარმოუმართა სადიაპნოთა ცხენითა მონა და ვითარცა მოიწია დაბასა, რომელსა სახელი ერქუა ცურტავთ[4]).

და ვითარცა შევიდა წინაშე (მოამბავე წმიდისა შუშანიკისა დედოფლისა ჩემისა, ჰსწერს იაკობ ხუცესი[5]) და კითხვა ჰრქუა, ხოლო სანატრელმან შუშანიკ, ვითარცა წინასწარმეტყუელმან თქუა, «უკეთუ სულითაჲ ცხოველ არს იგი ცოცხალმცა ხართ იგიცა და შენცა, უკეთუ სულითა მომკუდარ არს მოკითხუა ეგე შენი შენდავე მიიქეცინ», ხოლო კაცმან მან ვერ იკადრა სიტყუად.

---

1) ვასქენ პიტიახში ძე არზუბასისა, იყო მმართებელი და მფლობელი რანისა და ჰერეთისა, ნათესავით სომეხი და არა ქართუელი, ვითარ ავაზაკობრივ მოუთხრობენ აწინდელნი სომეხნი.

2) ორბიუზლისათა, ნახე მის თჳს ცხოვრება წმ. პირუელ-მოწამისა რაჟდენისა გუერდი 172. შესანიშნავი.

3) სპარსნი მათ დღეთა შინა ცეცხლის თაყუანისმცემელნი იყვნენ. სპარსთა მეფენი ფრიად ცდილობდენ საქართველოს დაპყრობასა და შემდეგ მისა, სრულიად დამორჩილებისა ქართლის ერისასა ცეცხლის თაყუანისცემასა. თუმცა საქართველო შემდეგ ვახტანგ დიდისა I. სპარსთა დაიმორჩილეს საქართველო, არამედ ცეცხლის მსახურებასა ზედა ვერ მოიყვანეს ერი მისი. ცეცხლის მსახურნი აღაშენებდნენ ხოლმე თჳსთა სალოცველსა, თხემთა ზედა მთათასა. ერთმა მათგანმან ჩუენობამდე მოაწია, რომელიც ინახვის ტფილისს ბეთლემის ეკკლესიის (ფეთხაინი) აღმოსავლეთის მხარეს კლდეზედ, კლდის უბანში, ოთხ კუთხიანი შენობა მაღალი, მაღლა თაღიანი, წითელის აგურით ნაშენი, აწ საცხოვრებლად არს იგი მოქალაქისა. ფრიად საჭირო იქმნებოდა, რათა შენობა ესე გამორთმეულ იყოს მოქალაქისაგან და ვითარ ძუელი საისტორიო მოსაგონებელი, მოწიწებით მოვლილ იყოს ვითარ სხუათა სამეფოთა შინა.

4) დაბა ცურტავთ, რომელსა შინა სადგომი რანთა ერისთავთა იყო, აწ არა უწყით თუ სადა იყო. ნახე Histoire de la Géorgie გუერდი 160.

5) ხუცესი იაკობ, მოძღუარი იყო წმიდისა, რომელმანცა აღსწერა წამება წმ. მოწამისა.

ხოლო წმიდა შუშანიკ აფიცებდა და ჰკითხვიდა მას დამტკიცებად, ხოლო კაცმან მან უთხრა მართალი, და ჰრქუა: ვითარმედ ვასქენ უარჰყო ჭეშმარიტი ღმერთი, ვითარცა ესმა ესე ნეტარსა შუშანიკს, დავარდა იგი ქუეყანასა ზედა და თავსა დამართ სცემდა და ცრემლითა მწარითა იტყოდა: «საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვასქენ, რამეთუ უარჰყო ჭეშმარიტი ღმერთი და აღიარა ატროშინე და შეერთო იგი უღმრთოთა».

და აღდგა და დაუტევა ტაძარი თჳსი და ღუთის მოშიშებით ეკლესიად შევიდა და თანა მიიყვანა სამნი იგი ძენი და ერთი ასული და წარუდგინა იგი წინაშე საკურთხეველსა და იტყოდა ესრეთ, «უფალო ღმერთო, შენ დაიცვენ ესენი განათლებულნი წმიდისა ემბაზისაგან მადლითა სულისა წმიდისათა, უოფლად ერთ სამწყსო ერთისა მწყემსისა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა».

და ვითარცა მწუხრისა ჟამი აღასრულეს, სახლი ერთი მცირე ჰპოვა მახლობელად ეკლესიისა მუნ შევიდა სიმწარითა სავსე მიეყრდნა ყურესაჲ ერთისა მწარითა ცრემლითა ტიროდა.

ხოლო ეპისკოპოზი იგი სახლისა მის პიტიახშისა, რომელსა სახელი ერქუა აფოც (ფოტი) არა მუნ იყო, არამედ ვანად კაცისა ვისმე წმიდისა მისრულ იყო კითხვად და მეცა ხუცესი დედოფლისა მის, მისთანა ვიყავ ვანსა მას.

და მეის დიაკონი მოიწია შინათ (სადაცა იყო ეპისკოპოზი) და უთხრა ესე ყოველი მოსლვა პიტიახშისამის და საქმენი დედოფლისანი.

და ჩუენ დიდითა ტირილითა ვტიროდით განმწარებულთა ცოდჳათა წარმოჩინებისათჳს და მე ვიჯმენ ადრე და მოვიწიე დაბასა მას, რომელსაცა ნეტარი შუშანიკი იყო და ვითარცა ვიხილე იგი ფრიად განმწარებული მეცა ვტიროდე მისთანა და ვარქუ ნეტარსა მას შუშანიკს, ღუაწლსა დიდსა შესრულად ხარ დედოფალო ჩემო, ეკრძალე სარწმუნოებასა მას ქრისტესსა, ნუ უკუე მტერმან უმეტეს ვითარცა სრსვილმან საძოვარი ჰპოოს შენ თანა.

ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე ხუცესსა «და მეცა დიდსა ღუაწლსა განმზადებულ ვარ» და მე ვარქუ ეგე ეგრეთ არს, მხნე იყავ, მოითმინე და სულგრძელ; ხოლო მან მრქუა მე, «ჩემდა მარტოსა არიან ჭირნი ესე» და მე ვარქუ ჭირი შენი ჭირი ჩემი არს და სიხარული შენი სიხარული ჩემი, არა ხოლოთუ დედოფალი ოდენ იყავ, არამედ ჩუენ ყოველთა ვითარცა შჳლთა ეგრეთ გზრდევდ და ვარქუ მე სანატრელსა მას ხუაშიადად რაჲ ვითარ გეგულების მითხარ მე, რათა უწყოდი და აღვსწერო შრომა შენი.

და მრქუა მე «რაჲსა მკითხავ ამას» და მე მიუგე და ვარქუ მტკიცედ სდგას და მან მრქუაჲ, «ნუ იყოფინ ჩემდა, თუმცა ვეზიარე, საქმეთა და ცოდჳათა ვასქენისათა», მე მიუგე და ვარქუ მწარე გონებაჲ აქუს მას გუემასა და ტანჯჳსა დიდსა შეგაგდოს შენ. ხოლო მან მრქუა მე «უმჯობეს იყავნ ხელთა მისთაგან სიკუდილი ჩემი, ვიდრე მისი და ჩემი შეკრებაჲ და წარწყმედა სულისა ჩემისა, რამეთუ მას მიერ პავლეს მოციქულისაგან, არა დამონებულ არს ძმა იგი გინა დაჲ იგი განეყენენ და ვთქუ, ეგრეთ არს, და ვიდრე ჩუენ ამას სიტყუასა შინა ვიყვენით, კაცი ერთი სპარსი მოვიდა და შევიდა იგი ნეტარისა შუშანიკისა და ტირილით იტყოდა, ესე ვითარი სახლი მშვიდობისა ვითარ საწყალობელ იქმნა და სიხარული მწუხარებად გარდაიქცა. ხოლო ზრახვით იყო იგი ვასქენისთანა და ზაკვით იტყოდა ამას და უნდა მოხსენებაჲ ნეტარისა შუშანიკისი.

ხოლო წმიდამან ცნა ზაკვით ზრახუა მისი და მოიზღუდა თავი თჳსი მტკიცედ და შემდგომად სამისა დღისა მოვიდა ვასქენ პიტახში და მიუთხრა სპარსმან მან ფარულად, მე ვითარ მიც-

ნობიეს ცოლი შენი განდგომილ არს შენდა და მე გეტყვი შენ, ნურას ფიცხელსა სიტყუასა ეტყვის მას, რამეთუ დედათა ბუნება გულ იწრო არს.

და ხვალისა დღე ვითარ აღდგა პიტახში, გვიწოდა ჩუენ ხუცესთაჲ და მივედით და სიყუარულით შეგვიმთხვივნა და თქუა, აწ ნურად მერიდებით მე ნუცაღა გძაგ და ჩუენ მიუგეთ და ვარქუთ წარსწყმიდე თავი შენი და ჩუენცა წარგვწყმიდენა, მაშინ იწყო სიტყუად და თქუა, რასა ხელ ეწიფა ჩემზედა ცოლმან ჩემმან ესე ვითარისა საქმედ, აწ მივედით და არქუთ ვითარმედ შენ ჩემიცა ხატი დაამხუ და საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ, შენი ადგილი დაგიტევებიეს და სხუად წარსრულ ხარ.

ხოლო წმიდამან შუშანიკ თქუა «არათუ მე აღმემართა ხატი იგი და მემცა დავამხე, ხოლო მამამან[1]) აღმართნა სამარტჳლენი[2]) და ეკკლესიანი აღაშენა და შენ მამისა შენისა საქმენი განრყუნენ და სხუად გარდააქციენ კეთილნი მისნი.

მამამან შენმან წმიდანი შემოიხუნა სახედ თჳსა, ხოლო შენ დევნა შემოიხვენ, მან ღმერთი შემოქმედი ცათა და ქუეყანისა აღიარა და რწმენა, ხოლო შენ ღმერთი ჭეშმარიტი უარჰყავ და ცეცხლსა თაყუანის ეც და ვითარცა შენ შემოქმედი შენი შეურაცხ ჰყავ ეგრეცა მე შენ შეურაცხ გყოფ და თუ მრავალი ტანჯუა მოაწიო ჩემზედა, მე არა ვეზიარო შენთა საქმეთა». და ჩუენ ყოველი ესე მიუთხართ პიტახშსა. ხოლო მან გული განაწრო დი იბღვირღნიდა მისთჳს; მერმე მიავლინა ჯოჯიკ ძმა თჳსი და ცოლი ჯოჯიკისი ძმის ცოლი მისი და ეპისკოპოზი სახლისა მისისა და ჰრქუა მათ.

ესრეთ არქუთ, აღდეგ ადგილსა თჳსსა მოვედ და ნუ ეგრე ვითარი გონებაჲ გიპყრიეს, უკეთუ არა თრევით მოგითრიოთ აქა უწყალოდ და ვითარცა მიიწივნეს და შევიდეს დაბასა მას და შევიდეს წინაშე დედოფლისა, მრავალსა დასაჯერებელსა სიტყუასა ეტყოდეს მას.

მაშინღა წმიდამან შუშანიკ ჰრქუა მათ, «კაცნო ბრძენნო, თქუენ კეთილად იტყვით, გარნა ნუ დაგიჯერებიეს თუმცა მისდა ცოლად ვიქმნეღა, მეგონა ვითარმედ იგი ჩემდა მოაქციოთ და ღმერთი ჭეშმარიტი აღიაროს, მე მაიძულებთ ამის ყოფად ნუ იყოფინ ესე ჩემდა.

და შენ ჯოჯიკ, არღარა ჩემი მაზლი ხარ და არცაღა მე შენი ძმის ცოლი, არცა ცოლი შენი დაჲ ჩემი არს, რომელმან მის კერძო და მისთა საქმეთა ზიარ ხართ»; ჯოჯიკ თქუა, უწყი მე, აწ მოავლინნეს მსახურნი და თრევით წარგიყვანოს, ხოლო წმიდამან შუშანიკ თქუა «უკეთუ შემკრას და მითრიოს მე მიხარის, რამეთუ მით სახითა იყოს განჩინება ჩემი მისგან» და ვითარცა ესმა ესე მისგან ცრემლეოდეს ყოველნი და ჯოჯიკ აღდგა დაცრემლით გარე გამოვიდა.

ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა ეპისკოპოზსა, «ვითარ მეტყვი შენ დაჯერებად ჩემი მისდა, რამეთუ მან ღმერთი უარჰყო» და ჯოჯიკ ევედრებოდა, დაჲ ჩემი ხარ, ნუ წარსწყმედ სახლსა ამას სამეფოსა, ჰრქუა მას წმიდამან შუშანიკ «დაჲ ვარ და ერთად აღზრდილნი, ხოლო მაგას ვერ ვჰყოფ, ვითარმედ სისხლი იქმნეს და თქუენ ყოველნი თანამდებ იქმნნეთ და ვითარცა ფრიად აიძულეს აღდგა ნეტარი შუშანიკ და თანაწარიტანა ევანგელიე (სახარება) თჳსი და ტირილით ესრეთ იტყოდა «უფალო უფალო, შენ იცი ვითარმედ მე გულითა სიკუდილად მივალ» და ესე თქუა და წარვიდა მათთანა და თანა წარიტანნა ევანგელიე და წმიდანი იგი ნაწილნი მოწამეთანი და რაჟამს შევიდა

---

1) მისმან.
2) სანაწილენი წმიდათა მოწამეთანი.

იგი ტაძართა მათ, არა თჳსსა მას გალიაკსა (ოთახსა) დაჯდა, არამედ სენაკსა მცირესა შინა, აღიპყრნა ხელნი თჳსნი წმიდანი შუშანიკ და თქუა: «უფალო ღმერთო, არცა მღჳდელთაგანი ვინ იპოვა მოწყალე და არცა ერისაგანი ვინ გამოჩნდა შორის ერსა ამას, არამედ მე სიკჳდილად მიმითჳალეს მტერსა ღ̃თისა ვასქენს» და შემდგომად ორისა დღისა მოვიდა მგელი იგი ტაძრად და თქუა.

მე და ჯოჯიკ და ცოლმან მისმან პური ერთად ვჭამოთ და სხჳასა ნუ ვის უტევებთ შემოსლვად და რაჟამს შემწუხრდა მოუწოდეს ცოლსა ჯოჯიკისასა და ინებეს ფარულად პურისა ჭამა, რათამცა მოიყვანეს ნეტარი შუშანიკიცა და ვითარცა მოიწია ჟამი პურისა, შევიდეს ჯოჯიკ და ცოლი მისი წინაშე წმიდისა შუშანიკისა, რათამცა მასცა აჭამეს პური, რამეთუ ყოველნი იგი დღენი უზმოებით გარდაავლნეს და ვითარცა ჯეკმა აიძულებდეს ძლით წარყვანებად ტაძრად[1]), ხოლო გემო არა რაისა იხილა, ხოლო ჯოჯიკის ცოლმან მიართვა ღჳნოჲ ჭიქითა და აიძულებდა მას რათამცა იგი მხოლო შესვა.

ჭრქუა მას წმიდამან შუშანიკ რისხვით «ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური,» და განყარა ხელი და ჭიქა იგი პირსა შეალეწა ჵ ღჳნო დაითხია.

მაშინ იწყო უჯეროსა გინებასა ვასქენ და ფერხითა თჳსითა დასთრგუნვიდა მას და აღიღო ასტამი და უხეთქნა თავსა და ჩაჭფლა და თუალი ერთი დაუბუშტა. მჯიღითა ჭსცემდა პირსა მისსა და თმითა ათრევდა უწყალოდ, ვითარცა მხეცი მძჳნვარე მოითრევდა, ყიოდა და იზახდა ვითარცა ცოფი. მაშინ შეუწლად აღდგა ჯოჯიკ ძმა მისი და იბრძოდეს და ეტყოდა ვიდრემდის ჭგუფმო და კუბასტიცა[2]) თავსა მისსა მოხეთქა და ჭირით ვითარცა კრავი მგელსა გამოუღეს ხელთა მისთა.

და ვითარცა მკუდარი იდვა წმიდა შუშანიკ ქუეყანასა ზედა და აგინებდა თესლ ტომსა მისსა და სახლეულის მაოხრებლად სახელ სდებდა მას და უბრძანა შეკრვა მისი და ბორკილსა შესხმა და ვითარცა მცირედ დასცხრა გულის წყრომისაგან, მოვიდა სპარსი იგი მხურვალედ ევედრებოდა მას, რათამცა საკრველთა მისთაგან განეტევა წმიდა შუშანიკ.

და ვითარ ფრიად ევედრებოდა ბრძანა განყენებაჲ და სენაკსა ერთსა შეყენება და კრძალულად დაცუად იგი ერთისა მხოლო მსახურისა თანა, რათა სხუა არავინ შევიდოდეს ხილვად მისა, გინა მამაკაცი გინა დედაკაცი.

და ვითარცა მოიწია ჟამი ცისკრისა იკითხა და ჭრქუა მსახურსა მისსა წყლულებისა მისგან ვითარ არს, ჭრქუა მას, ვითარმედ ვერ განსარინებელ არს იგი, მაშინ თჳთ შევიდა და იხილა და უკჳრდა სიმსივნე მისი და ამცნოჲ მსახურსა მას, ნუმცა ნუ ვინ იხილავს და იგი ნადირობას წარვიდა. და მე აღვდეგ და მივედ და ვარქუ მცუწლსა მას, მე ხოლო მარტო შემიტევე და ვიხილო წყლული იგი.

ხოლო მან მრქუა: ნუ უკუწ ცნას და მომკლას და მე ვარქუ მას, ჵოი! უბადრუკო არა მისი გაზრდილი ხარ შენ, მისთჳს თუმცა მოგკლას რაჲ არს, მაშინ შემიტევა მე ფარულად, ვითარ შევედ შინა, ვიხილე ხატი მისი დაბძარული და განსივებული, ხმა განმერა ტირილით.

ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა «ნუ სტირ ჩემთჳს, რამეთუ დასაბამ ჩემდა იქმნა სიხარულის ღამე ესე» და მე ვარქუ წმიდასა შუშანიკს, მიბრძანე და მოგბანო სისხლი ეგე პირისაჲ და ნაცარი, რომელ პირსა შენსა შთახვეულ არს და სალბუნი და წამალი დავდვა, რათა განიკურნო. ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე «ხუცესო მაგას ნუ იტყჳ, რამეთუ სისხლი ეგე განმწმენდელ

---

1) ფაზლად.

2) კუბასტი, თავის სახურავი, ხელსახოცი.

არს ცოდჳსათა ჩემთა», ხოლო მე მცირედ ვაიძულე ჭამადი, რომელი მოეძღჳანა სამოელს ეპისკოპოზსა და იოანეს, რამეთუ ფარულად იღჳწიდეს და ნუგეშინისცემდეს. მაშინ მრქჳა მე, «ხუცეს ვერ ძალ მიც გემოს ხილვად, რამეთუ ყბანი და ზოგნი კბილნი შემუსრვილ არიან», მაშინ მოვიღე მცირედ პური და ღჳნო [1]), დავალბე და მცირედ გემოიხილა და მე სწრაფით გამოვედ, მრქჳა მე წმიდამან შუშანიკ «ხუცეს მიუძღჳანო სამკაული ესე, ნუ უკუჱ ითხოვდეს, რამეთუ მე ამას ცხოვრებასა არღარა მეხმარების». და მე ვარქჳ ნურას ისწრაფი, იყოს შენ თანა და ჩჳჱნ რა ამას განვიზრახავდით მოვიდა ყრმა ერთი და თქჳა, იაკობ მანდა არია? და მე ვარქჳ, ვითარმედ რაჲ გნებავს და მან თქჳა, უწესს პიტახში და მე მიკჳრდა თუ რაისამე მიწესს ამას ჟამსა და მე ვისწრაფე და მივედ და მან მრქჳა, უწყია ხუცეს მე ბრძოლად წარვალ იონთა ზედა [2]) და მე ჩემი სამკაული მას არა დაუტევო, ოდეს იგი არა ჩემი ცოლი არს, იპოვოს ვინ, განკაფოს იგი; მივედ და მომართჳ მე იგი აქა ყოველივე რაიცა რა არს და მე მოვედ დაუთხარ და მან ფრიად განიხარა და მადლი მისცა ღმერთსა და ყოველივე მომიძღჳანა და მივართჳ იგი პიტახშსა და მან მიიღო ჩემგან. აღიხილა და პოვა ყოველი გებულად და თქჳა მერმეცა იყოს ვინმე, რომელმან ესე შეიმკოს და ვითარცა მოიწინეს დიდნი იგი მარხჳანი, მივიდა ნეტარი შუშანიკ მახლობელად ეკკლესიისა და იძია მცირე სენაკი და მუნშინა დაეყუდა, იყო მცირე სარკმელი და იგიცა დაყო და იყო ბნელსა მას შინა მარხჳთა და ლოცჳთა და ტირილითა.

ჰრქჳა ვინმე პიტახშს საკუთარმან, ამათ წმიდათა მარხჳათა ნურაჲ რას ეტყვი მას და ვითარ მოიწია აღვსებისა ორშაბათი და მოვიდა პიტახში ბრძოლისა მისგან იონთასა, ეშმაკი თხრიდა გულსა ვასქენისსა.

ადგა და მოვიდა ეკკლესიად და ეტყოდა ეპისკოპოზსა მას აფუცეს (ფოტს); გამომეც მე ცოლი ჩემი, რად განაშორებ ჩემგან და იწყო გინებად და გმობა სასტიკად და ხუცესმან ერთმან ჰრქჳა მას: უფალო რად ეგრე იზამ და იტყვი ბოროტსა და აგინებ ეპისკოპოზსა და წმიდასა შუშანიკს რისხვით ეტყვი და უხეთქნა კჳჱრთხითა ზურგსა და ხუცესმან ვერღარა იკადრა სიტყჳად და ეგრე წმიდა შუშანიკ თრევით მიეთრია თიხათა შინა და ეკალთა ზედა და ეკკლესიით ვიდრე ტაძრადმდე, ვითარცა მკჳდარი მიეთრია და ადგილით ადგილად ქჳჱ ძეძვი დაეფინა და თჳთ ფერხნი დაიდგნის ძეძჳსა მას ზედა და კუბასტნი შუშანიკისნი და ხორცნი წჳლილად დაებძარნეს ძეძჳსა მას და ეგრეთ მოიყჳანეს ტაძრად.

და უბრძანა შეკრვა მისი და ცემა, ეკიცხოდა და ეტყოდა აჰა! არა რას გერგო შენ ეკკლესია, არცა ზურგნი იგი შენნი ქრისტიანენი და ღმერთი იგი მათი და ვითარცა ჰსცეს კჳჱრთხითა მით სამასოდენ, არა რაჲ აღმხოდა პირისა მისსა ვაება, არცა კჳნესა; მაშინ ჰრქჳა წმიდამან შუშანიკ «უბადრუკო, შენდა თავი თჳსი არა შეიწყალე და განსდეგი ღჳთისაგან, მემცა შემიწყალე» და ვითარცა იხილა დიდძალი იგი სისხლი, რომელი დამოსდიოდა ჩჩჳლთა მათ ხორცთა მისთა, მაშინ უბრძანა დადებად ჯაჭვი ქედსა მისსა და უბრძანა სენაკპანსა ერთსა, რათა წარიყვანოს წმიდა შუშანიკ ციხედ და საპყრობილესა ძნელსა შეაყენოს იგი და მოაკჳდენ მუნ შინა,

და დიაკონი ერთი მის ეკკლესიისა დგა წინაშე შუშანიკის თანა, მას ჟამსა გამოდა ჰყჳანდა იგი

1) მგონია ეს წმიდა საიდუმლო, ხორცი და სისხლი ქრისტესი უნდა იყოს.

2) ნახე წმ. რაჟდენის ცხოვრების შესანიშნავი გჳჱრდი 172. იონთა, იონნი, ბერძენნი.

ტაძრით და უნდა, რათამცა ჰრქუა თუ მტკიცედ დეგ, თუალი ჰკიდა პიტახშმან სხუა ვერღარა სცალდა სიტყუად ესთენ ოდენ ჰრქუა და დუმნა, ხოლო და სივლტოლვად იქცა სწრაფით.

მაშინ წარმოიყვანეს და მოჰყუანდათ ნეტარი შუშანიკ უხამური და თმა გატევებული, ვითარცა ერთი შეურაცხთაგანი ვინმე და ვერვინ იკადრა დაბურვად თავსა მისსა და პიტახში იგი მხედარი შეუდგა უკანა კუალსა მისსაჲ აგინებდა მას მრავლითა გინებითა.

და მივიდა წმიდისა მისთანა ამბოხი მრავალი მამებისა და დედებისა სიმრავლე ურიცხვი, რამეთუ უკანა შეუდგეს ხმა აღმაღლა და ტიროდეს და იცემდეს მკერდსა და იბძარვიდეს ღაწუთა მათთა და საწყალობელად დასთხევდეს ცრემლთა მათთა წმიდისა შუშანიკისთჳს.

ხოლო წმიდამან შუშანიკ უკმოხედნა ერსა მას და ჰრქუა: «ნუ სტირთ ძმანო და დანო ჩემნო და შჳლნო ჩემნო, არამედ ლოცუასა მომიხსენეთ და ჯმნულცა ვარ თქუენგან მე, ამიერიდგან არღარა მიხილოთ ცოცხალი გამოსრული ციხით» და ვითარცა იხილა პიტახშმან მან ამბოხი იგი და ტირილი მამათა და დედათა მოხუცებულთა და ყრმათა, მხედართა მიმო დასდევნის და მეოტ ჰყოფნ მათ ყოველთა.

და ვითარცა მიიწივნეს ხიდსა მას ციხისასა, ჰრქუა პიტახშმან წმიდასა შუშანიკს, შენდა ეგოდენ ყოვად არს ფერხითა შესლვა, ხოლო ცოცხალი არღარა გამოსლვად ხარ, გარნა თუ ოთხთა გამოგიღონ შენ და ვითარცა შევიდეს ციხედ, პოვეს სახლაკი ერთი ჩრდილოთ კერძო მცირე და ბნელი და მუნ შეაყენეს და ჯაჭვი იგი, რომელ ქედსა მისსა ზედა ედვა მას დაბეჭდა ბეჭდითა თჳსითა, ხოლო წმიდამან შუშანიკ თქუა «მე ამას მხიარულ ვარ, რათა არა ვიტანჯო და მუნ განვისუენო».

პიტახშმან ჰრქუა მას კიცხევით, ჵე! განისუენე მაშა და დაადგინნა მცუელნი მის ზედა და ამცნო მათ, რათა სიყმილითა მოკლან იგი და გეტყვი თქუენ უკეთუ შევინმევიდეს მისსა, ანუ მამაკაცი გინა დედაკაცი განიხილენით თავნი თქუენნი და ცოლნი და შჳლნი და სახლნი თქუენნი უბრალომცა ვარ მე რაჲ გიყო თქუენ და მაშინგა გამოვიდა ციხით და მესამესა კჳრიაკესა მოუწოდა ერთსა მცუელსა ჰკითხა მას და ჰრქუა, აქამომდე ცოცხალღა არს საწყალობელი იგი, ხოლო მან ჰრქუა; უფალო. სიკუდილად კერძო უფრო საგონებელ არს ვიდრე სიცოცხლით; ხოლო იგი შიმშილითა უფროს ხოლო მოკუდების, რამეთუ არა რას მოიღებს საზრდელსა, ხოლო მან ჰრქუა ნურარაჲ ჰგიან, მოკუდეს, ხოლო მე მრავლითა ვედრებითა მცუელსა მას და უქადე ჭურჭელი ერთი სამისო და ძნიად თავს იდვა შეტევება ჩემი და მრქუა მე, რაჟამს დაღამდეს მოვედ მარტო ხოლო და ვითარ შემიყვანა მე მცუელმან და ვიხილე ტარიგი ქრისტესი შუენიერად, ვითარცა სძალი შემკული საკრუელთა მათგან და მე ვითარ ვერ დამითმო გულმან ჩემმან ვტიროდე ფრიად, ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: «კეთილისა ამისთჳს სტირა ხუცეს».

ხოლო მცუელმან მან მრქუა მე, ესეღამცა მეცნა არამცა შემომეტევე შენ და ვიწყე სიტყუად და განმტკიცებად მისა, რავდენ ღმერთმან მომცა მე და ვიჯმენ სწრაფით და წარვედ ვანად თჳსად და პიტახში შორის წარემართა[1] და ჯოჯიკ ძმა მისი არა დახუდა ოდეს ესე საქმე იქმნა წმიდისა შუშანიკის ზედა და უკანა სდევდა პიტახშსა და ეწია საზღუართაჲ ჵერეთისათა და ფრიად ევედრა, რათამცა ბრძანა საკრველთა მათგან განტევება.

და ვითარ ფრიად აწყინა, ბრძანა განტევება საკრველთაჲ ოდენ და ვითარ მოვიდა ჯოჯიკ

1) ჵერეთისა კერძო.

აღხადა ჯაჭვი იგი ქედსა მისსა, ხოლო ბორკილთაჲ არა თავს იდვაჲ წმიდამან შუშანიკ ვიდრე აღსრულებადმდე. მითურთით ექუსი იგი წელი ციხესა მას შინა აღასრულა.

და წესიერებითა საღმრთოთა ყჳაოდა მარხვითა მარადის მღჳძარეებითა, ლოცჳთა და ვედრებითა ზედგომითა თაყუანისცემითა და ცრემლით უწყინოდ და კითხვითა წიგნთათა მოუწყინებლად, განაბრწყინვა და განაშუენა ყოველი იგი ციხე სულიერითა მით ქნარითა და განითქუა მიერითგან ყოველსა ქართლსა საქმე მისი და მოვიდოდეს მამანი და დედანი აღნათქუემთაჲ შეწირვად და რაჲ ვის უხმდა მიემადლებოდა წმიდითა ლოცჳთა ნეტარისა შუშანიკისათა, რომელსა მოსცემდა კაცთმოყუარე ღმერთი.

უშჳლოთა შჳლი, სნეულთა კურნება, ბრმათა თუალთა აღხილვა. იყო ვინმე დედაკაცი ერთი სპარსი მოგჳ, რომელსა განბრუებისა სალმობა აქუნდა და მოვიდა სანატრელისა შუშანიკისა, ასწავებდა მას, რათამცა დაუტევა მოგვობა იგი და იქმნა ქრისტიანე; ხოლო დედაკაცმან თავს იდვა ადრე და იგი ასწავებდა დედაკაცსა მას და ეტყოდა: «ვითარმედ მივედ იერუსალიმად და განსწმიდნე განბრუებისა მაგის შენისაგან» და მან გულსმოდგინედ შეიწყნარა და წარემართა გზასა მას სახელითა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა და განიკურნა იგი სალმობისა მისგან და ვითარ გარე მოიქცა სიხარულითა დიდითა და მოიწია მუნვე, მოვიდა იგი წმიდისა შუშანიკისა და მადლი შეჰწირა და წარვიდა სახედ თჳსა სიხარულითა განმრთელებული.

ხოლო წმიდამან შუშანიკ ნაცულად სასწაულთა საქმისა დიდითა გულს მოდგინებითა ხელთა აღიხუნა დავითნი და მცირედთა დღეთა ას ერგასნი იგი ფსალმუნნი დაისწავნა, რომელთა დღე და ღამე ზესკნელისა მის მეფისა საონოსა მას გალობასა შესწირავნ ცრემლით.

და უთხრეს ნატარსა შუშანიკს, ვითარმედ შჳლნი იგი შენნი მიაქცივნა მოგვობასა, მაშინ იწყო თაყუანისცემად ტირილით ღუთისა მიმართ და თავსა თჳსსა ქუედამართ სცემდა და სულთითქუნა და თქუა: «გმადლობ შენ უფალო ჩემო, რამეთუ იყუნესვე არა ჩემნი, არამედ შენნი მოცემულნი, ვითარცა გნებავს იყავნ ნება შენი უფალო და მე დამიცევ საბრხეთაგან მტერისათა».

და მე მივედ და ვიხილე წმიდა შუშანიკ დამშურალი და დაბუშებული ტირილითა და მოქძღუანა წმიდასა მას ეპისკოპოზსა საზრდელი და ვითარ ფრიად ვაიძულე მცირედ ოდენ გემოიხილა და ვმადლობდით ღმერთსა და ვიდრე მუნ ჟამადმდე მოვიდიან შჳლნი იგი მისნი ხილვად დედისა თჳსისა, ხოლო რაჟამს მიაქციეს და უარ ჰყუეს ღმერთი, ვერღარა იკადრეს ხილვად მისსა, არამედ სახელიცა მათი სძაგდა სმენად და მერმე მოციქულნი მოავლინნა პიტიახშმან და ჰრქუა: ანუ ნება ჩემი ჰყავ და მოვედ ტაძრად, უკეთუ არა მოხვიდე შინა ჩორდ წარგცე შენ ანუ კარად [1] კარაულითა.

ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა ესრეთ «უბადრუკო და უგულისხმოო, ხოლო მე თუ კარად ანუ ჩორდ წარმცე ვინ უწყის თუ მუნ კეთილსა რასმე შევემთხჳო და ბოროტსა ამას განვერე» და გულსა ეტყოდა პიტახში იგი სიტყუათა მათთჳს, ვითარ იგი ჰრქუა მას ვითარმედ ვინ უწყის კეთილსა რასმე მივემთხჳო.

ვითარმედ ნუ უკუე მთავართაგანსა ვისმე ეტოლოს და მიერითგან არღარა ვინ მიავლინა მისა,

---

1) მაშინ სპარსთა მეფესა, დიდი ბრძოლა ჰქონდა ბერძენთა თანა, ამისათჳს მან მოუწოდა ჰრანის ერისთავიცა თანაშემწედ თჳსად, რომელმანცა შეაერთა თჳსი მხედარი სპარსთა თანა. ამასთა თანავე მეფემან მოუწოდა ქართუელთა მეფეცა დიდი ვახტანგ, რომელმან უარჰყო მოწოდებაჲ მისი და ამისა გამო სპარსთა ომი დაუწყეს ვახტანგ დიდსა, ვითარ მოგვითხრობს წმ. რაჟდენის მოთხრობაჲ და სხუანი მოთხრობანი.

ხოლო წმიდა შუშანიკ ბოროტთა მათ გუემათა დათმენათათჳს იტყოდა; რათამცა სათნო ეყო ღმერთსა, ხოლო პიტახშმან გამოარჩია ძუძუსმტე მისი საკუთარი[1]), რათა მოიყვანოს იგი ტაძრად და ვითარცა ჰრქუა კაცმან მან, ისმინე ჩემი და ჩამოვედ ტაძრად და ნუ აოხრებ სახლსა მას თქუენსა; ჰრქუა მას წმიდამან შუშანიკ: «არქუ მას ულმრთოსა, ვითარმედ შენ მომკალ და მარქუ მე ცოცხალითა ფერხითა არა გამოხვიდე შენ მაგიერ ციხით, ხოლო აწ უკეთუ შემძლებელხარ მკუდარსა აღდგინებად, პირუტლად დედა შენი აღადგინე, რომელი ურდს დამარხულ არს, გარნა თუ მისსა ვერ შემძლებელ ხარ აღდგინებად, ვერცა ჩემდა შემძლებელ ხარ განყვანებად, გარნა თრევით განმითრიო».

და ვითარცა მიუთხრეს პიტახშს სიტყუა იგი და მან თქუა ნანდვილვე ვთქუ ეგე და მეორესა დღესა შემოვინმევიდა და ჰრქუა წმიდასა შუშანიკს, კეთილად მიუგე მას სიტყუა იგი, რამეთუ მაგით სახით ეგულვებოდა შეტყუილ შენი და მას სხუა ზრახუა გულსა მოეხადა სიბოროტის შენთჳს. წმიდამან შუშანიკ ჰრქუა მას: «და შენ ღმერთი ძილსა შინა ნუ გგონიეს, რომელმან განუმზადნის სიტყუანი პირსა კაცისასა, რამეთუ იტყჳს თჳთ უფალი, მე მიუგო სიტყუა თქუენ წილ»; და ვითარცა აღივსებოდა მეექუსე იგი წელი საპყრობილესა მას შინა, ჯეკმა დამაშურალობითა შრომათა მათ შინა, სიმხნისა მისისათა, სენი სნეულებისა მოიწია მის ზედა, რომელსა იგი წინასწარ ულაღადებდი და ვეტყოდი.

ვითარმედ ნუ ჯეკმა, რამეთუ დაუმძიმებ ხორცთა მაგათ ზედა, რამეთუ ვერ დაგითმან და მერმე ვერღარა შემძლებელ იყო ყოფად რასმე საქმედ კეთილისა ეგოდენითა მაგით ფიცხლად მარხუთა და მარადის ზედგომითა და ღამე ყოველ დაშრომითა ფსალმუნებითა და გალობითა და არცალა მცირედ სადა ჰსცა ხორცთა მისთა განსუენება და შეიქმნა და დადნა ვითარცა ავლი.

ხოლო დიდთა მათ მარხუათა აღვსებისათა ერგასისთა მათ დღეთა ექუსთა წელთა შინა არცა დღისი არცა ღამე არა დაჯდის ქუე, არცა დაიძინის, არცა საჭმელი რაჲ მიიღის გარნა დღესა ხოლო კჳრიაკესა ეზიარის ხორცსა და სისხლსა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისასა და მცირედ ოდენ წუენი მხალისა შექმნილი იგიცა მცირედ მიიღის; ხოლო პურისა გემო არა იხილის ვიდრე აღვსებადმდე, და მიერ დღითგან ვინათგან პყრობილ ჰყუჳს იგი ციხესა მას შინა, სასთუალსა ზედა თავი არა მიდვის გარნა ალიზი (აგური) ერთი დაიდვის სასთუნალ და ქუე საგებელად იყო გირჯაკი ერთი ძუელი და კაცთა თუალსა სასთაული ერთი ჩალენისა უცნ სასთუნლით კერძო და თაყუანის საცემელად კილიკი ერთი მცირე ქუე წარუგდებიედ და გრწყილი და ტილი მოუგონებელ ადგილსა მას დასხმულ იყო, ჟამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწუელი იგი მხურვალებაა მზისა, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი, რომელისა მკჳდრნიცა მის ადგილისანი სავსენი სენითა წყლითა განსივებულნი და განყვითლებულნი და წერტილნი და დამჭნარნი და დამღერებულნი, ჩარადოვანნი, პირ მსივანნი და დღე მოკლედ ცხოვრებულნი, დამოხუცებულნი არავინ არს მათ ქუეყანათა და ესეთსა მას ციხესა შინა ექუს წელ პყრობილ იყო და მძიმეთა მათ საკრველთა შინა ადიდებდა ღმერთსა.

და ვითარცა მეშჳდე წელი დადგებოდა მოიწია წმიდისა და სამგზის სანატრელისა შუშანიკის ზედა წყლულებაცა ხორცთა მისთა და დაუცხრომელად შრომათა მათ გამო დაუსივდეს ფერხნი

1) მამამძუძე მისი, ანუ ლალა (გამზრდელი).

მისნი და თხრამლი აღმოსდიოდა ადგილ ადგილად და წყლულებანი დიდ დიდნი იყჳნეს და მატ-ლიცა დასხმულ იყო წყლულეთა მათ, რომელ იგი აღიღო ხელითა თჳსითა და მიჩჳენებდა მე და ჰმადლობდა ღმერთსა.

და თქჳა «ხუცეს ნუ მძიმე გიჩნს ესე, რამეთუ მუნ იგი მატლი უდიდეს არს და არა მოკჳ-დების» და მე ვითარცა ვიხილე მატლი იგი მოუგონებელად დიდად მწუხარე ვიყავ და ვტიროდი ფრიად, მრქჳა მე რისხვით, «ხუცეს, რად მწუხარე ხარ, ვიდრე უკჳდავთა მათ მატლთა შეჭამასა უმ-ჯობეს იყავნ ამათ მოკჳდავთა შეჭმა, აქავე ამას ცხოვრებასა».

და მე მიუგე და ვარქჳ ძაძისა სამოსელი მცირედღა შეგერაცხა საგვემელად და აწ მატლთა მაგათთჳს მხიარულ ხარ და მან მრქჳა მე ქენებით «ნუ ვის თანა იტყვი ძაძისა სამოსლისათჳს ცხოვ-რებასა ჩემსა, რამეთუ ადრე ყოვლად არს დატევება უბადრუკთა ამათ ხორცთა ჩემთა».

რამეთუ შინაგან ძაძა ემოსა და არავინ იცოდა ჩემსა გარეშე, ხოლო გარეგან კაცთა თჳალსა ანტიოქიის პალეკარტი ემოსა [1]); და ვითარცა ესმა ჯოჯიკს ვითარმედ მიახლებულ არს ნეტარი დედოფალი წმიდა შუშანიკ სიკჳდილად, წარვიდა და თანა წარიყჳანა ცოლი და შჳლნი და მონა და მჴევალნი მისნი და მივიდა ციხედ ხილვად სანატრელისა შუშანიკ მარტჳლისა და ვითარცა მიიწია მძლავრ შეხოლოვიდა და თაყჳანისცა პატიოსანსა ჯჳარსა [2]) და მოიკითხა წმიდა შუშანიკ, თანა დაუჯდა და ჰკითხვიდა სალმობათა მათთჳს, ხოლო წმიდამან ჰრქჳა, «კეთილ ვარ, ვითარ ღმერთსა უნებს, არამედ ყოველთა წარსავალსა მას გზასა მეცა წარვალ».

ხოლო ჯოჯიკ მსწრაფლ აღდგა ზე, პირჳელთა მათ უწესოთა საქმეთა აღჳარებდა და ევედ-რებოდა წმიდასა შუშანიკს და ეტყოდა, სძალო და მჴევალო ქრისტესო, ითხოვე ღჳთისაგან, რათა მომიტევნეს მე მრავალნი შეცოდებანი ჩემნი, ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქჳა მას; «თუ შენ სხჳად სახედ ყრმებრ არა რაჲ ჰქმენ, ღმერთმან მოგიტევნეს შენ», და ჯოჯიკ ჰრქჳა: მაგის სახი-სათჳს მოვედ მე შენდა, რათა რომელი იგი არა რაჲ მე სათნოჲ იყოს ღჳთისა არა ვქმნე,

წმიდამან შუშანიკ ჰრქჳა, «უკეთუ ეგე ეგრეთ იყო, შენ უკჳდავ მექმენ მე მაგით სიტყჳთა და უფალმან შესძინენ დღეთა ცხოვრებისა შენისათა» და მერმე ვითარ შეათქჳა ჯოჯიკ ვითარმედ მას დღესა განვალს წმიდა იგი ხორცთა ამათგან, ჰრქჳა: მაკურთხე მე და ცოლი ჩემი მჴევალი შენი და შჳლნი ჩემნი და მონა მჴევალნი ჩემნი და თუ რაჲმე შეგცოდეთ, ვითარცა კაცთა საწუთროსათა და სოფლის მოყჳარეთა მოგვიტევენ და ნუ მოიხსენებ მედგრობათა ჩჳენთა; ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქჳა ჯოჯიკს და ცოლსა მისსა «ჰყავთ წარმდებად საქმე ესე ჩემი, რამეთუ არავინ იპოვა კაცთაგანი, რომელსამცა აქჳნდა წყლულება და ტკივილი ჩემთჳს, რომელმანცა შეაჯერა უღმრთოსა მას საწუთროსა მეუღლესა».

ხოლო მათ ჰრქჳეს: ჩჳენ თჳნიერ შენსა ფრიად დავშჳერით გარნა არა იყო სმენა არცა სიტ-ყჳსაჲ, მაშინ თქჳა წმიდამან შუშანიკ, «განვისაჯნეთ მე და ვასქენ პიტახში მუნ, სადა იგი არა არს თჳალ-ღება წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთასა და მეუფისა მის მეუფეთასა, სადა არა არს რჩევა მამაკაცისა და დედაკაცისა, სადა მე და მან სწორი სიტყჳა ვთქჳათ წინაშე უფლისა ჩჳენისა იესო ქრისტესა, მიაგოს მას უფალმან ვითარმან უჟამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთჳლნა და სანთელი ჩემი

1) მონაზონის მანტია.

2) ჯჳარი ესე წმ. ნინასი იყო, რომელიც ტფილისის სიონის საკრებო ეკკლესიაში ასვენია.

დაშრიტა და ყუავილი ჩემი დააჭნოჲ და შუენიერება სიკეთისა ჩემისა დააბნელა და დიდება ჩემი დამდაბლა და უფალმან საჯოს მის შორის და ჩემ შორის; ხოლო მე აწ ამას ვმადლობ ღმერთსა, რამეთუ ტანჯვათა მისითა მე ლხინება ვპოვე და გუემათა და თრევათა მისთათჳს მე განსუენებასა მივემთხვიე და უგულისხმოებისა და უწყალოებისა მისისათჳს, მე წყალობასა მოველი იესო ქრისტეს მიერ უფლისა ჩუენისა».

ხოლო იგინი ამას ყოველსა სიტყუასა მისსა ზედა ტიროდეს მწარედ და ჰრქუეს, მოგვიტევენ ბრალნი ჩუენნი და გვაკურთხენ წმიდაო მოწამეო და მარტჳლო სანატრელო ქრისტეს ღუთისაო; ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა, «ღმერთმან მიგიტევენინ, რათა რა იგი ჰყავთ», მაშინღა აკურთხნა ჯოჯიკ და ცოლი და შვილნი მისნი და მონა მხევალნი და ყოველი ეზო და პალატი მისი და ამცნებდა სლვად გზათა ღუთისათა და ეტყოდა. «ვითარმედ ესე ყოველი ცხოვრება, ვითარცა ყუავილი ველთა წარმავალ არს და დაუდგრომელ და ვინ სთესა მოიმკოს და ვინ განაბნია გლახაკთათჳს შეიკრიბოს და რომელმან წარიწყმიდოს თავი თჳსი, მან ჰპოვა იგი, რომელმან აღიდა იგი».

და უჯმნნა და გამოგზავნნა იგინი მშჳდობით, შერმე შემდგომად ჯოჯიკისა მოვიდა თავი იგი ეპისკოპოზთა სამოელ პირუელი, კათალიკოზი და იოანე ეპისკოპოზი მისივე მოყუასია, რომელნი იგი იყუნეს განმამტკიცებელ და დიდად დამაშურალ სახლეულითურთ თანა ყოფით იყუნეს მოსა და მონაწილე იყუნეს და თანა ზიარ შრომათა მისთა. მადლობით წარგზავნიდეს ნავთ სადგურისა მის მიმართ ქრისტესისა, მსგავსად მისვე სახისა, აზნაურნი დიდ დიდნი სეფე ქალნი, დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი მოვიდეს ეგრეთვე, რომელნი იგი გულს მოდგინებით მონაწილე ყოფილ-იყუნეს შრომათა მათ მისთა სანატრელობით, ვითარცა ახოვანსა მხნესა მიჰვედრიდეს ქრისტესა და თხოვასა ერთსა ითხოვდეს მისგან ყოველნი იგი ეპისკოპოზნი და აზნაურნი ერთბამად, რათა ბორკილი იგი ფერხთაჲ ბრძანოს საცოდ და ნაკურთხევად ყოველთათჳს, რომლისათჳსცა ჰრქუა წმიდამან შუშანიკ ვითარმედ «მე არა რაჲ ვარ ღირსი ესე. ხოლო ღუთის მოყუარებისა თქუენისათჳს ხუცესმან აღავსენ წადილი თქუენი მაგის სახისათჳს, ხოლო მე რაჲმე რა შემძლებელ ვარ, არამედ უფლად სავსემან ქრისტემან აღგავსენინ თქუენ ყოვლითა კეთილითა, რომელნი ესე ჩემთჳს მოშურით და ეზიარენით ვნებათა ამათ ჩემთა და ჭირთა და ტანჯუათა. ხოლო მე საყუარელნო აჰა, ესე რა წინაჲ განმზადებულსა მას გზასა წარვალ საუკუნესა, ჭირისაჲ ამის წილ ჩემისა, ქრისტემან მომმადლოს მე სიხარული, სატანჯუელთა ამათ წილ განსუენებაჲ, გუემათა ამათ ჩემთა და თრევათა და შეურაცხებათა მივემთხვიე მე დიდებასა და პატივსა ცათა შინა დაუსრულებელსა».

და იგინი ჯმნულნი ცრემლითა სავსენი ძლევისა მისთჳს დიდებასა ღუთისა მიმართ შესწიროვიდეს და გამოვიდეს ციხით და წარვიდეს და მოიწია დღე იგი წოდებისა მისისა და მოუწოდა ეპისკოპოზსა მისსა სახლისასა აფოცს და მადლსა მისცემდა მისსა მიმართ მოცილებისსა მისისათჳს, ვითარცა მამასა და მამა მძუძესა, შემვედრა მე კაცი ცოდვილი და გლახაკი ესე და შევედრებდა ნეშტთა მათ ძუალთა მისთასა და უბრძანებდა დასხმად ადგილსა მას, ვინაცა იგი პირუელად გამოითრიეს.

და ეტყოდა «უკეთუ ღირს რაჲმე ვარ უკანასკნელი ესე მეათერთმეტე მოქმედი ვენახისა, იყვენით ყოველნი კურთხეულ უკუნისამდე ჟამთა» და ჰმადლობდა ღმერთსა და თქუა; «კურთხეულ არს უფალი ღმერთი ჩემი, რამეთუ მშჳდობით მას ზედა დავწევ და დავიძინე»; და შეჰვედრა სული

თჳსი უფალსა ყოველთა შემწყნარებელსა[1]), და მაშინღა მსწრაფლ მოიღო სანატრელმან მან ეპის-კოპოზმან იოანე შესაგრაგნელად სუდარი წმიდათა მათ და პატიოსანთა ნაწილთა მისთა.

და ეგრეთ სახითა მათ აღვიღეთ გუამი იგი ფრიად დამაშურალი და დაჭმული მატლითა და განვბანეთ იგი მატლისა მისგან მწოვანისა და თხრამლისაგან და შევმოსეთ მჩურითა მით და მაშინღა ეპისკოპოსთა მათ იოანეს და ჯოფოტ, ვითარცა მხართა მხნეთა დაულალველთა ზესკნელისა მის ფასისათა ყოველი კრებულითურთ ფსალმუნითა სულიერითა და კეროვნითა აღნთებულითა და საკმეველითა სულნელითა აღვიხვენით პატიოსანნი ძუალნი და მოვიხუენით წმიდასა მას ეკკლესიასა.

და დავკრძალენით წმიდანი იგი და დიდებულნი და პატიოსანნი ნაწილნი წმიდისა შუშანიკისნი, განმზადებულსა მას ადგილსა[2]) და მას ღამესა ანგელოზთა სახედ ღამე იგი განვათიეთ და დავითის ქნარითა მით ყოვლად ძლიერსა ღმერთსა და ძესა მისსა უფალსა ჩუენსა იესო ქრისტესა ვადიდებდით; რომელი ყოვლითა ყოველთა მიმართ შემძლებელ არს და განამხნის მამანიცა და დედანიცა და თჳსთა მათ თჳსი იგი ძლიერებისა ძლევა მოჰმადლის ყოველთა, რომელნი ეძიებენ მას ერთითა გულითა. დიდ არს დასაბამი ტანჯუათა მათ წმიდისა შუშანიკისათა, თთუესა აპანისასა (იანვარსა) მერვესა თჳსასა და დღესა ოთხშაბათსა და მეორედ გუემა მისი აღვსებისა ზატიკსა და კუალად ტანჯუაცა ვარდობისა თთუესა ათცხრამეტსა და აღსრულებაჲ მისი თთუესა ოკდონბერსა ათშჳდმეტსა, სახსენებელსა წმიდათა მათ და სანატრელთა მოწამეთა კოზმანდა და დამიანესა და დღე ხუთ შაბათი იყო, რომელსა განვაწესეთ სახსენებელი წმიდისა შუშანიკისისა, დიდებულად და საქებელად ღუთისა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, რომელსა ჰშუენის დიდება უკუნითი უკუნისამდე.

მსმენელმან ვნებათა და გარდაცუალებათა წმიდისა შუშანიკისათა, მეფემან აბხაზთა და საქართუელოთა ვახტანგ — გორგასლანმა, შეჰკრიბნა ლაშქარნი თჳსნი ფარულად და განიმხედრა ვასქენსა ზედა. მას დღესა შინა ვასქენ მდგომარებდა კიდესა მტკურისასა, სადაც იგი შემოჰკრების მტკუარსა მდინარე ანაკერტისა. დაეცა მას ვახტანგ, შეიპყრა იგი და ჩამოჰკიდა ძელსა ზედა და მოაშუა ბოროტი იგი მტარვალი. კუალად იტყჳს ძუელი მატიანე მეფემ ვახტანგ წარმოასუენა წმ. შეურყეველი გუამი სანატრელისა და დიდითა პატივითა დაჰკრძალა იგი ეკკლესიასა შინა ცურტაველისასა. შემდეგ მოსუენებისა მისისა ტფილისს კათალიკოზ კირიონის მიერ ცურტაველიდგან წმ. დედოფალმან თამარ, დიდითა ძჳრფასითა და მშუენიერებითა შეამკო ლუსკუმა წმიდისა დედოფლისა შუშანიკისა.

---

1) 458 წელსა.

2) შემდეგ განდგომილებისა სომეხთასა მართმადიდებლობისაგან 551 წელსა, სრულიად საქართუელოს კათალიკოზმან ნეკტარმან და წმიდათა შორის მამათა ჩუენმან კირიონ, რომლისა დროსა შინა იყო დიდი შფოთი და განხეთქაჲ და სჯულის გამოძიებაჲ სომეხთა შორის და უარის ყოფობაჲ მათ მიერ მართმადიდებლობისა, მოშიშმან, რათა სომეხთა ავაზაკობრივ თჳსაებრისავე მათისა არა წარიპარონ ცურტაველიდგან შეუხებელნი ნაწილნი წმიდისანი, დიდითა პატივითა 578 წელსა, აღმოიღო იგინი და გამოიტანა და დახსნნა მეტეხის ღუთის-მშობლის ეკკლესიასა შინა, სადაცა აქამომდე ასუენია პატიოსნებით. ნახე წმიდისათჳს სომხურს ენაზედ, ჩამჩიანის მოთხრობა წ. I. გუერდი 518, ისტორია ლაზარე პარბიელისა. 93, 185, 191. სომხურს ენაზედ. Bullet scientifique publie par l'Academie Imp. des sciences de S. P. t. X № 19, 20, 21.




ႶႨႰႱႨ ႫႠႫႠ ႨႭႠႬႬႤ ႦႤႣႠႦႬႤႪႨ

თა მაისსა ზ. ცხოვრება წმიდისა მამისა ჩჳჱნისა იოანე ზედაზნელისა, რომელი ბრძანებითა ღჳთისათა და წინამძღრობითა სულისა წმიდისათა მოივლინა ქჳჱყანით შუამდინარით, ქჳჱყანად ქართლისა, ათორმეტთა მოწაფეთა მისთა წმიდათა თანა. განაახლა და განავრცო წმიდამან მამამან ჩჳჱნმან ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზმან არსენი [1]).

---

მამათა თჳალნი, მნათობნი ქართჳჱლთანი.

დიდნი მთიებნი, ასურით აღმომზენი.

მოციქულთ რიცხჳნი, ჯვარონის ქჳა სწეკალნი.

მათ იოანე დიდი, ეამბაების.

ზედაზნდენს კიბედ, ზენად ზეცისად იდგამს.

თქმული ნიკოლოზ ცფილეულის მიერ.

---

სულნი მართალთანი ხელთა შინა ღჳთისათა წერილისაებრ და არა შეეხოს მათ რაოჳრთით, რომელიმე შემაწუხებელთაგანი, ვითარ განწმედილთა ზიწთაგანი, რამეთუ ესენი ყოველთა ჟამთა ნივთიერთა და ზრქელთა ზესთ აღსრულნი ფრთითა სათნოებათათა და ბრწყინვალებასა საღმრთოსა მიმთხჳეულნი, განაბრწყინვებენ მზის ქჳეშესა ყოველსა. ხოლო ხსენებისა მათისა მიერ ცისკრო-

1) ცხოვრება წმიდისა იოანესი, შემდეგ მისის გარდაცვალებისა, აღწერილ იყო მოწაფეთაგან მისთა. მთა, რომელსა ზედა დაემკჳდრა ყოვლად სანატრელი ესე მამა ჩუენი, პირველად ხაკერძი იყო და ბომონი ცეცხლის მსახურთა აღშენებული იყო მას ზედა. ქართლის მეფემან ფარნაჯომ აღმართა მას ზედა კერპი 109 წ. უწინარეს ქრისტეს შობისა; ამასა დროსა შინა ცეცხლის მსახურება სამეფოს სჯულად დადებულ იყო. შემდეგ წმ. მოციქულმან ნინამ დაამხო კერპი იგი და აღმართა მთასა ზედა მცირე ეკკლესია, ჯუარი თვით. დაძუელებული ეკკლესია განაახლა წმიდამან მამან იოანემ, რომლისა თანა აღაშენა მცირე სენაკნი საცხოვრებელად თჳსდა და მოწაფეთა თჳს და რომელსა შინა დაიდვა ყოვლად პატიოსანი გუამი მისი. შემდეგ წმ. კათალიკოზმან კლემენტიმ

ვან იქმნების ხილული ესე და გრძნობადი ქუეყანა, ვინათგან მსგავსად მნათობთა დიდთა განმტევე-ბელნი ბრწყინვალეთა შარავანდედთანი, ელვარე ჰყოფენ ყოველთა ხსენებისა მათისა მედღესასწაუ-ლეთა და საღმრთოსა მადლსა მიჰფენენ სულთა ზედა მორწმუნეთასა, რომელნი სარწმუნოებით და სურვილით სამარადისოდ აღწერილთა წიგნსა შინა ცხოველთასა ქუეყანათ ამათგან და უპატიოსნესთა ჩუენ მიერ ძღუენთა, ესე იგი არს სიტყჳთა ქებისათა პატივსცემენ საღმრთოსა დიდებისა ზიარ ქმნილთა.

ვინა გუძლირს ჩუენ მორწმუნენო და ხსენებისა წმიდათასა მოყუარენო, ვითარ თანამდებს რომელსამე თანა წარუვალსა მიცემა წმიდათა თჳს ქებისა და შესხმისა მიერ დღესასწაულისა მათისა სრულ მყოფელთა, რათა მათ მიერ ნაცუალისგება კეთილთა ნიჭთა მოვიღოთ; რამეთუ ამათგანნი, რომელნიმე სისხლითა თჳსითა მომგებელ იქმნნეს გჳრგჳნთა ზეცისათა; ხოლო სხუანი მღუდელთ-მოძღურებისა საცხებელითა ცხებულნი და წმიდად დამმარხველნი მისნი ყოველთავე მსოფლიოთა ბიწთაგან. უბიწოდ და სიწმიდით წარდგომილ არიან წინაშე ყოველთა ღმრთისა მსხუერპლსა ქები-სასა შემწირველნი უნივთოთა პირებითა, ხოლო სხუანი ყოველთავე ამათ ხორციელთა შვებისათა და გემოთა შეურაცხის მყოფელნი მარხვისა მიერ სამარადისოსა ლოცვისა განმკაფელნი სხეულისანი და ყოველთა იწროებათა მიერ დამაჭნობელნი და მომაუძლურებელნი მძლავრებისა მისისანი, სა-ცუალთა სასყიდელთა შრომათა მათთასა, მომღებელ არიან მარჯუენისაგან საუფლოსა.

რამეთუ ნაცუალად ტკივილთა და ღუაწლთა, რომელნი მოითმინნეს საწუთოსა ამას შინა ცხოვრებასა, ბრწყინვალენი ნიჭნი და სიმდიდრენი უხრწნელთა შუენებათანი მოენიჭნეს მათ ზე-ცისა სავანეთა და ფუფუნებათა შინა მკჳდრ ქმნილთა, რომელთა ერთი არს სანატრელიცა ესე მამა ჩუენი და ბრწყინვალე მნათობი იოანე, რომელიცა ვითარ ბრწყინვალე რაჲმე ვარსკულავი აღმო-

---

მცხოვრებელმან მეცხრე საუკუნეში დაარღვა ძველი ეკკლესია და აღაშენა — აწინდელი წმ. ეკკლესია იგი, რომე-ლიცა ფრიად შერყეულ არს და საშინელს შეურაცხილობას მიცემულ. წმ. ესე ადგილი აწ სამკჳდრო გურამიანთა არის შეურაცხებასა ქვეშე მით, რომელ მუნებურნი მწყემსნი ავდრობის დროს ამ ძველ ეკკლესიასა შინა, რომელი აღრინთავე არის პატივცემული ქართველთაგან, შერეკენ ხოლმე საქონელს და მუნ დაიცვიან. ქარ-თველნი, რომელნიც წლითი წლად ხედავენ სასწაულსა ღვთისასა, რომელიც აქამომდე იქმნების და ინახვის იმ წმ. ეკკლესიასა შინა, რომელისა სამირკველი დამკჳდრებულ არს კლდესა ზედა, ვიტყვი წყლის დენასა, უყურადღე-ბით არს მათ მიერ იგი. 1წმ. იოანეს საფლავის დასავლეთის მხარეს ეკკლესიასა შინა, არს ოთხკუთხიანი იატაკის სისწვრივ მოუკირწყლავი აუზი, რომელშიაც სრულიად ჩრდილოეთის და დასავლეთის ეკკლესიის შინაგან კედ-ლითგან ჩამოედენების ვითარ ცრემლი წმინდა წყალი, (ვითარმე კედელნი და კამარანი ცრემლავენ) და მო-დენის მას აუზსა შინა და ზოგჯერ აღივსების ფილაქნამდე აუზი იგი და უმეტეს ნაკლულევან არის ხოლმე. 6 მაისს შემწუხრებაზედ დაიწყებს დენასა, ვიდრე მეორის დღის შემწუხრებამდე, ესოდენ, ვითარმე ძნელიად აღინთების სანთელი შინაგნის ნოტიობის გამოთ და ჩამომდინარე წვეთთაგან და შემდეგ დღესასწაულის დღისა, წყალი იგი არ დენის — და აუზიცა დაშრების ხოლმე სრულიად, ამ წყალსა ხმარობენ მედღესასწაულენი და არ მოაკლდების სრულიად. აუზის აღვსებას ვითარ მიუთხრობენ ქვეყნის ბედნიერობას მოაჩვენებს და ნაყო-ფიერობასა და ნაკლულევანება — უბედურებასა. საკვირველ არს ესე, არა უწყით, ბუნებითგან არს, თუ სასწაული ღვთისა, რომელიც იქმნების დასარწმუნებლად ურწმუნოთა. ბუნებით არ უნდა იყოს ესე, ვითარმე სხვანი მრა-ვალნი ეკკლესიანი ინახვიან თხემთა ზედა უმაღლესთა ზედაძნის მთისასა, ვითარ არმაზისა და სხვანი, რომელშიაც სასწაული ესე არ იმოქმედების გარდა ამისა. ფრიად საწუხაროდ არს, ვითარმე მრავალნი არიან ქართველთაგანი მდიდარნი და შემძლებელნი ყოვლითურთ და ამ დავიწყებასა ქვეშე არს მიცემული — წმიდა საისტორიო ადგილი საფლავი თვით წმიდისა.

უბრწყინდა ბნელსა შინა უმეცრებისასა შეცთომილთა სულთა და დაუღამებელისა ნათლისა მიმართ, წინა მძღუარ ექმნა მათ, რამეთუ კუერთხითა სარწმუნოებისათა განიოტა ბოროტი მგელი და ტაცებათაგან მისთა უვნებელად დაიცუა სამწყსო თჳსი, ძალითა სამებისათა განძლიერებულმან.

ესე ღირსი ხსენებისა საკჳრველი და ყოვლად ქებული მამა ჩუენი აღმოეცენა ქუეყანისაგან შუამდინარისა, რომელიცა ესე ქუეყანა მრავალთა მიმთხრობელთა მიერ ძუელსამდე მყოფთა და კუალად შემდგომთა მათთა მრავლისა ქებისა მიმთხუეულ არს იეფობისათჳს ნაყოფთა მისთასა და ჰაერისათჳს კეთილისა და წყალთა ტკბილთა კეთილად და მდიდრად მცენარეთა აღმოდენისათჳს და უფროსღა კეთილთა და საჩინოთა მამაკაცთა გამოღებისათჳს, რომელთა მიერ უმეტესად შემკობილი, მოქადულ არს ესე ვითართა სიმდიდრეთა და დიდებათა მოგებისათჳს. ამის პირუელ ხსენებულის ქუეყანისაგან მიმღებელ არს ნათესაობასა მიწერისა მამულისასა სანატრელი ესე კაცი; ხოლო უმახლობელესი ადგილი და გამომღებელი დაბაჲ და სახელისა მისისა წოდება უცნაურ არს ჩუენგან და არცაღა მშობელთა მისთა ვინობაჲ და რომელობა სახელისა გჳსწავიეს თუ ვიეთნი იყუნეს და რომელთაგან შთამომავალნი. გარნა მხოლოდ ესე მოცემულ არს უწინარესვე აღმწერელთაგან ცხოვრებისა მისისათა, ვითარმედ ქუეყანით შუამდინარით მოაქუნდა ხორციელი ნათესაობაჲ მახლობელად ანტიოქიასა მყოფისა, რომლისამე დაბისაგან აქა შინა წილხდომილისა შობისა და აღზრდისასა და სწავლათა მიერ და საღმრთოთა მოძღურებათა სისრულედ ჭასაკისა აღწევნილისა. ხოლო ჩუენ უსაკუთრესი მამული ამისი ზენა იერუსალიმი უწყით და მეცნიერ ვართ და მამა ყოველთა დამბადებელი ჯეროვნად გჳსწავიეს მამა ამის სანატრელისა მამისა, რამეთუ მის მიერ არა რაისაგან არსად მოვიყვანენით და ხელთა მიერ უხრწნელთა აღვიზარდენით, რათა უხრწნელებისა მეძიებელთა უკუდავი ცხოვრება და წარუვალი სუფევა დავიმკჳდროთ, სავანეთა შინა ზეცისა მამისათა.

ესე უკუე სანატრელი სწავლულ იქმნა წურთილებითა საღმრთოთა წერილთათა და ყოველი სიმდიდრე სულიერთა მოძღურებათა მდიდრად დაიუნჯა გულსა შინა თჳსსა და ერთბამად ჭასაკისა აღორძინებისა თანა ფრიადი რაჲმე სათნოებათა სიმაღლე იხილვებოდა. კაცისა მის თანა აღორძინებად, რამეთუ ფრთოვან იქმნებოდა სულითა და ყოვლითურთ ქუეყნიერნი ესე და მიწად დამზიდველნი ნივთნი, ვითარცა არა რანი შეერაცხნეს, ვინა ერთგზის დამდებელი ხელისა ერქუანსსა ზედა, ანეულ[1]) მყოფელისა სულთასა მიუქცეველ იყო მართლ უკუნ, რამეთუ მოშიშებდა ნუ სადა შებრკოლებისა ლოდსა წარკუეთნეს სასუფეველისა და ღმრთისა მიმართ სლვანი.

ესრეთ სრულ იქმნა რა ყოვლითა წურთილებითა და ფრიადი სიმდიდრე სწავლულებისა შეუკრიბა თავსა თჳსსა; შეიშურა შური უფლისა წინა აღრჩევითა მონაზონებრივისა სახისათა და ესე მერმეცა ყრმებრივსა ჭასაკსა შინა მყოფმან გარნა მხცოვანმან და ფრიადისა გონებისა სიმახჳლითა ესწავა მეტყუელისა, ვითარმედ «მხოლო ვარი მე ვიდრემდის თანა წარვხდე»; ამისთჳსცა მარტოებით ენება მონება მხოლოსა, რათა არა თანა შეკრული მსოფლიოთა ზრუნვათა თანა შეუდლვითა დედაკაცისათა დაიყენებოდის მოსწრაფებით მსახურებად ღმრთისა; ვინაცა გიხაროდენსა მეტყუელი სოფლისა და მსოფლიოთა ყოველთა მიმართ, მორბედ იყო შემდგომად კუალსა უფლისა, არა ქუეყნიერთა ნივთთაგან დამძიმებული, რამეთუ დღითი დღე გამოიძარცვებოდა შრომათა მიმართ მოღუაწეებისათა მარხვისა და მღჳძარეების შემტკბობელი.

---

1) ანეული, ახლად დათესილი მინდორი, ანუ აჯეჯლილი ნახნავი

ხოლო სიმდაბლე ესე ოდენ იხილვებოდა საღმრთოსა ამას მამაკაცისა თანა ვიდრედა ყოვლითურთ არა რად შეერაცხ თავი თჳსი მეტყუელისა, «მე მატლ ვარ და არა კაც და თანად საყუედრელ კაცთა», ხოლო სიმშვიდე რაბამი, რამეთუ ყოვლად ურიცხუელ იყო, რომლისა მიმართ მოშურნე მშვიდთა თჳს განმზადებულსა ქრისტიანესა და დამკჳდრებად, ხოლო რისხუა მხოლოდ ბოროტი დასაბამისა ეშმაკისა მიმართ მოეგო, ვითარ მისა მიმართ მხოლოდ ბრძოლად და წინა განწყობად ბრძანებულსა და არა მსგავსთა თჳსთა კაცთა მიმართ, ამისთჳს წყარო ცრემლთა დაუწყუედელი მარადის გარდამოსდინ თუალთა მისთა და დღე და ღამე დაალტობნ სარეცელთა თჳსთა ცრემლითა და განბანნ მას ნაკადულითა თუალთაგან ჩამომდინარითა, წინასწარ-მეტყუელისაებრ მეტყუელისა და ევედრებინ ღმერთსა, რათა მძლედ ხორცთა მძლავრებისა გამოაჩინოს, რომელნი მრავლად მიიზიდვენ სულსა მიწიერთა და ზრქელთა ვნებათა მიმართ და ესე ჰასაკსა შინა სიჭაბუკისასა, ვითარ მაშინ მარჯუედ ორღანოდ ქონებითა სხეულისათა ვნებათა მიმართ.

ესრეთ სამარადისოსა ლოცვასა და ვედრებისა მიერ სირცხჳლეულნი, მართლუკუნ იქციან მტერნი, რამეთუ შეიწყნარა უფალმან ლოცვა მისი და საძლეველნი მოიხუნა მბრძოლთა ზედა ძლევისა აღმდგინებელმან დამაცხრობელნი ხორციელთა გულის თქმათა და ვნებათა განკაფვითა და შეწრებითა სხეულისათა, ამაღლდებოდა დღითი დღე სათნოებათა სიმწუერვალისა მიმართ და მადლი-სასწაულთა სრულ ქმნისა მოენიჭა მას ღუთისა მიერ და შორეულთა საქმეთა ვითარცა მახლობელთა ხედვიდა, რამეთუ ესე ვითართა მადლთა მიერ შეამკო ღმერთმან მონა თჳსი, რომელი ჰყოფს ნებასა მოშიშთა მისთასა და მსგავსად ვარსკულავისა ბრწყინუალისა აღსრულებითა ძალთა და სასწაულთა ელვარე ჰყო. მბრწყინავი სულითა და ცისკროვანი გონებითა, რამეთუ თჳთო სახუთაგან სენთა შეპყრობილნი, კურნებასა მრჩობლ კერძოსა მიემთხჳოდეს, ამის მიერ, ვინათგან ბრმათა ნათელი მიემადლებოდა და სნეულთა სიმრთელე და ეშმაკისა მიერ ტანჯულთა, თავის უფალ იქმნა მძლავრებისაგან მისისა.

ესე ვითარნი რა საკჳრველებანი აღესრულებოდეს მის მიერ, მოვიდეს მისსა ყოვლით კერძო ხილვად და კურთხევისა მიღებად მისგან, რამეთუ განითქუა ამბავი მისი ყოველსა ქრისტიანესა ასურეთისასა, სასწაულთა თჳს და ნიშთა, რომელნი მონიჭებულ იყუნეს მისა ღუთისა მიმართ.

ამას შინა რა წარხდეს ჟამნი რაოდენნიმე, სთნდა წმიდასა და ღირსსა მამასა იოანეს, წარსლვა მიერ ადგილით, რამეთუ ევლტოდა იგი კაცთა მიერსა დიდებასა, რომელი ფრიად მავნებელ ექმნების მრავალთა და შეაცთუნებს მათ გზისაგან საღმრთოსა და მთხრებლად წარწყმედისა შთაიყვანებს, ვითარ იგი ძუელ ოდესმე ზუავითა იგი და ამპარტავანი, სულით მოქადული და დადგმასა საყდართასა ღრუბელთა ზედა[1]), ამპარტავნებისა ძლით, ბნელთა შინა უღრმესთა ჯოჯოხეთისათა შთავრდომილ იქმნა, ამას ბოროტსა ვნებასა ვითარცა მაკუდინებელსა რასამე მგესლსა განმხდელი განიოტებდა და აღმხმელი ფრთეთა სულიერთა წარივლტოდა უდაბნოდ განსუენებისად, რომელთა თანა მოწაფეთა მისთა, რათა მხოლოდ სულთათჳს მოცალე ქმნულსა შემოკრებად აქუნდეს გონებაჲ წუერთად და ქმნად მათდა, რომელნი აღასუბუქებენ სულსა ხორცთა თანა ვნებათაგან, ვინადგან უდაბნოდ მიწევნულნი და ქუაბსა მიმთხვეული მუნ, მყუდროებით დაადგრა მას შინა მოწაფეთა თჳსთა თანა, ლოცუისა და მარხვისა მიერ განკრძალული და ყოველთავე საღმრთოთა მცნებათა აღსრულებად მოსწრაფე.

---

1) ნაბუქოდონოსორისათჳს იტყჳს

ხოლო ადგილი იგი მრავალთა ჟამთა მიფარულ იქმნა და არავინ უწყოდა სანატრელთა მათ მიმართ წარსლვა წმიდისა, დაღათუ მრავლად სურჳელ იყუნეს პოვნასა სასურველისა სულთა და ხორცთა მკურნალისა მამისასა გარნა ვერ შემძლებელ იყუნეს მიმთხუევასა საძიებელისასა, რამეთუ მოწაფენი მისნი ფარულად წარსრულნი ქალაქად მოისყიდიან ხელთ საქმარისა მათისა მიერ და კუალად ფარულად უკმოქცეულთა მოძღუარისა მიმართ: საქმედ აქუნდეს დაუცადებელი ლოცუა და ვედრება ღუთისა მსგავსად მასწავლელისა მათისა და ამათ კუალად ხელთა საქმარი ენაცვალებოდის და მდუმრიად ენისა მიერ ზრახუა მადლოვნებით ღუთისა მიმართ, რათა ყოვლითურთ არა მიეცეს სხეულსა განსუენება უქმობისა მიერ ხელთასა, რამეთუ მეცნიერ იყუნეს მოციქულისასა, ვითარმედ ხელთა ამათ მმსახურეს მე და ჩემთა თანა; არამედ არა ენება ღმრთისა დაფარვა ესე ვითარისა მამაკაცისა უმეცრებასა შინა, ვინათგან არცა აღანთიან სანთელი და დადგიან ქუეშე ხვიმირსა, არამედ სასანთლესა ზედა, რათა ნათობდეს ყოველთა, რამეთუ გამოუცხადა წმიდა ესე თჳსი მეძიებელთა და მოსურნეთა პოვნისა მისისათა და საუნჯე დაფარული მიეცა მოქენეთა განმდიდრებისათა; ვისათგან საღმრთოთა სურჳლითა აღძრულნივე და ყოვლით კერძო ძიებისა მოქმედნი არა ხუებულ იქმნეს სასოებისაგან; არამედ მიემთხვივნეს საწადელსა მათსა, ღუთისა მიმართ საჩინო ქმნითა მონისა თჳსისათა სარგებელად მრავალთა, ვინა კუალად სიმრავლე ურიცხვი შეკრბებოდა მისსა მიმართ სურჳლით სმენად სიტყუათა მისთა და მოძღურებათა და სნეულნი მპოვნელნი მკურნალისანი ცხედრითა ზე ტვირთულნი შიიყვანებოდეს მისა მიმართ და თანად ეშმაკთა მიერ და რომელთამე ვნებათა მძლავრებულნი, ამის ყოვლად ღირსისა მამისა მიმართ მოსწრაფებით და სარწმუნოებით მქონებელ იყვნეს ძრბასა, ვინა მიემთხუევოდესცა სრულიადსა კურნებასა ლოცვითა ამის წმიდისათა, რამეთუ ყოველთავე ვნებულებისაგან უვნებელობაჲ მიენიჭებოდა და უძლურებისაგან ძლიერებაჲ მსწრაფელი მიეცემოდა და სასწაულთა და ნიშთა სიმრავლე, რომელთავე ვნებულებისა მქონებელთა ზედა აღესრულებოდა ამის ღირსისა მამისა მიერ, რომელთა აღწერა თითოეულად შეუძლებელ არს.

ხოლო ვინათგან ევლტოდა იგი პატივთა მიერ შფოთთა სოფლისათა, განიზრახა უცხოთა ქუეყანათა მიმართ წარსლვა სადა იგი უმეცრებასა მისსა მქონებელ იყუნენ ყოველნი, რათა ესრეთ სადამე შეუძლოს მარტოებით დაყუდებაჲ, ამისთჳსცა ეტყოდეს მოწაფეთა თჳსთა, რომელნი შედგომილ იყუნეს მისთჳს «ძმანო, უკეთუ ინებოს ღმერთმან, მეგულვების წარსლვა უცხოთა ადგილთა მიმართ, რათა მცირეთღა ამათ ნეშტთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა, უცხოებისა ამის და მწირობისა სოფელსა შინა რუდუნებით[1] და მარტოებით ვიყოფოდე, რამეთუ ვითარ აღმოვიკითხავთ, მსხემ და წარმავალ ვართ ყოველნი, ვითარცა მამანი ჩუენნი; ხოლო თქუენ საყუარელნო შჳლნო ჩემნო, დაადგერით ამას უდაბნოსა შინა, განკრძალულნი ყოველთავე სივერაგეთა[2] მიმართ ბოროტისათა და ლოცუასა ჰყოფდით ჩემთჳსცა ღუთის მიმართ, რათა წარმიძღუეს გზათა მიმართ სათნოებათა მისთა და მოუძლურებლად ეგნენ აღაგნი-ჩემნი, ხოლო ჭეშმარიტად მოწაფეთა ჭეშმარიტისა მოძღურისა და მასწავლელისათა». ესმად რა სიტყუა ესე ბერისაგან, ერთ ხმობით მიუგეს ყოველთა, ცხოველ არს ღმერთი და ცხოველ არს სული შენი, არა სადა გაგიტეოთ შენ მარტოდ,

---

1) რუდუნება, ჯაფა, შრომა, მოღუაწება.

2) სივერაგე, სიავე, ცუდკაცობა ეშმაკობა.

არამედ ჩუენცა წარმოვიდეთ შენთანა, ვიდრეცა ხვიდოდი ცხოვრებად გინა სიკუდილად, რამეთუ შენ გიცით წინამძღურად და მომრწყუელად და განმაპოხებლად სულთა ჩუენთა, სწავლათა მიერ საღმრთოთა, რომელნი აღმოდიან პირით შენით და ლოცუათა შენთა მიერ ვსასოებთ, მიმთხუევასა ღუთისა სახიერისასა.

ესე ვითარითა რა სიყუარულითა მათითა შეკრულად ხედვიდა სანატრელი იოანე მოწაფეთა თჳსთა, უწამა მათ მათთაცა წარსლვა, სადაცა ღმერთი მიუძღუეს მათ ნავთსაყუდელად ნებისა თჳსისა და ესრეთ დამტევებელი ქუეყანისა და მამულისა თჳსისა, ვითარ სხუა ვინმე აბრაჰამ, საუფლოსა ხელისა მიერ წოდებული, ქუეყანად ქართლისა მოიწია უპირატესისა მიმართ მაშინ სხუათა ქალაქთასა მცხეთისა დედა ქალაქად და შესრულმან წინაშე განმაცხოველებელისა სუეტისა, ერთბამად მოწაფეთა თჳსთა თანა, თაყუანისცა უფალსა დავრდომილად იატაკსა ზედა და ცრემლთა მიერ დამალტობელმან მიწისამან და მამყოვრებულად ვედრებათა შემწირველმან სახიერისა და ტკბილისა მეუფისა [1]).

ხოლო პირუელ ხსენებული ესე პატიოსანი სუეტი ზე ჰაერთა შინა ჩამოკიდებულ არს უხილავად საღმრთოთა წამის ყოფითა, რამეთუ მოსწრაფე იყუნეს მეფისა მირიანის ზე, აღმართებასა დიდებულსა ამის სუეტისასა, ვერ შემძლებელთა აღმართებად დაუტევეს იგი და წარვიდეს ვითარ ყოვლითურ უსასო ქმნილთა აღმართებისა მისისასა.

ხოლო ლოცუითა და ვედრებითა ღირსისა დედისა ჩუენისა ნინო ქართუელთა განმანათლებელისათა, საღმრთოსა ძალისა მიერ, მართლიად ჰაერსა შინა შთამოეკიდა, ვითარ წყრთა ერთოდენ, რომელიცა ვიდრე აქამომდე ესრეთ მდგომარე არს მრავალთა სასწაულთა და ნიშთა სრულ მყოფელი [2]).

ამას სუეტსა წინაშე მიწევნული სანატრელი იოანე, ევედრებოდა ღმერთსა ცრემლით ესრეთ მეტყუელი: «მაუწყე მე უფალო გზა, რომელსა ვიდოდე და მიძღოდე მე ჭეშმარიტებითა შენითა, ადგილისა მიმართ, რომელსაცა ვიდოდე და მიძღოდე მე ჭეშმარიტებითა შენითა, ადგილსა მიმართ, რომელსა შინა სათნოდ შენდა მყუდროებით აღვასრულო ნეშტი ჟამისა ცხოვრებისა ჩემისა, რამეთუ სურვლითა შენითა დამიტევებიეს ჵოი! მეუფეო, გამომღებელი და აღმზრდელი ჩემი ქუეყანა [3]) ვინა შენ მოურნეო ყოველთაო იზრუნე ჩემისა უნდოებისა და მიჩუენე მე, ვინა და სადა ვიდოდი სრულ ყოფად სარგებელსა ამას საწუთოსასა».

ხოლო ღმერთმან, რომელი არა უგულებელს ჰყოფს ვედრებასა მონათა თჳსთასა, უჩუენა მას მთა ჩრდილოეთით კერძო მცხეთის ქალაქსა და ჯუარი პატიოსნისა და მეყუსეულად ჯუალად თაყუანისმცემელი და მადლობათა შემწირუელი მეუფესა ქრისტესა, მოსწრაფებით აღვიდა თავსა მის მთისასა და იხილა რა იგი, რამეთუ მარჯუე იყო მარტოებით დაყუდებისათჳს და თავისუფალ ყოველთა შფოთთაგან, ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: «ძმანო ჩემნო აქა დავემკჳდრები მე, რამეთუ

---

1) წმ. იოანეს თჳთ არ ენება მოსვლაჲ საქართუელოს, არამედ მოივლინა ბრძანებითა ყოვლად წმიდისა ღუთის-მშობლისათა, ისტორია წმ. იოანეს გამოსვლისა ასურეთითგან, ვრცლად აღწერილ არს წმიდის შიოს ცხოვრებასა შინა.

2) ამ ადგილიდგან ჰსჩანს, რამეთუ ცხოვრება ესე აღწერილ არს თუალთ მხედველის მიერ, დასაჯერებელ, მოწაფეთაგან წმიდისასა, რომელსა ეხილვა საშინელი სასწაული ყოვლად ბრწყინუალისა წმიდისა სუეტისა.

3) ეს ადგილი ლოცუისა ემოწმება იმ მოთხრობასა, რომელიც ინახვის ვრცლად წმ. შიოს ცხოვრებასა შინა.

მთნავს ესე, ვინათგან კეთილ არს ჩუენი აქა ყოფა», ხოლო მათ მიუგეს, პატიოსანო მამაო, სიტყჳსაებრ შენისა, ვითარცა გთნავს ეგრეთ ჰყავ.

ესრეთ უდაბნოს მოყუარე ესე გუერიტი, ვითარ სხუა ვინმე იოანე წინა მსრბოლი სხუათა სათნოებათა, დამკჳდრებულ იქმნა თავსა ზედა მისდა ჩუენებულისა მის მთისასა და შეეხებოდა უფიცხელს შრომათა მოღუაწეებისათა, მარხუისა და ლოცუისა მიერ სამარადისოსა ზედ დღემისა, სრულიად დამაშჳნობელი და მომაუძლურებელი ხორცთა და ყოველთავე ზედა მოსლვათა და მანქანებათა მაცთურისა ეშმაკისათა, უძლურითა სხეულითა ძლიერად წინა განეწყვებოდა, რამეთუ მოუძლურებული სხეული ძლიერ იქმნების სულითა, ხოლო გემოთა და შუებათა მიდევნებელი უძლურ ჰყოფს სულსა და ყოვლითურთ მონად გულის თქმათა გამოაჩინებს.

ამისთჳსცა მოსწრაფვე იყო საღმრთო მამა კაცი განკაფვისა მიერ ხორცთასა, სულისა მონად და მსახურებად დადგინებასა მათსა, ესე ვითარი სამკაული კათოლიკე ეკკლესიისა და ქართლისა ერისა დიდი მნათობი, დაამკჳდრა ღმერთმან მთასა ამას ზედა; რათა მაღლით მოჰფვენდეს ყოველთა გარემოსთა მისთა ზედა ბრწყინუალესა ელვასა ლოცუათა თჳსთასა, ხოლო წმიდა ჰყო უდაბნომან მთა იგი ლოცუითა წმიდისა მის ბერისათა და ეშმაკთა სიმრავლე განიოტ მიერ ადგილით, რომელი დამკჳდრებულ იყო მუნ, რამეთუ ძუელ ოდესმე წარმართთა მიერ გოლგოლი აღმართებულ იყო მთასა მას ზედა; და ბომონი მდგომარე იყო[1]), რომელსა ზედა საძაგელი მსხუერპლნი უსაძაგელესთა ეშმაკთანი აღესრულებოდეს, უსახურითა და მათ მიერ ბოროტად შეცთომილთა კაცთაგან, არამედ წყალობისა და სახიერებისა უფსკრულმან, ოხათა მიერ და ვედრებათა ღმერთშემოსილისა მამისა იოანესთა წარიოტნა და განხადნა ადგილისა მისგან სულთა მკლუელნი იგი და მაცთურნი კაცთანი ეშმაკნი.

ხოლო ვინათგან მარადის და პირუელითგანვე მყუდროებით მნებებელ იყო, მხოლოდ ცხოვრებასა, რომლისა ძლით და ქუეყანაცა თჳსი დაეტევა და გარეგან საზღუართა მამულისა და ადგილისა თჳსისათ ქმნილ იყო. სთნდა წარვლინება მოწაფეთა თჳსთა ვითარ ოდესმე მოციქულნი ქრისტესნი, ქადაგებად წარმართთა მიმართ სახარებასა სინანულისასა მოსატევებელად ცოდუათა, ვინაცა ეტყოდა მათ სიტყჳთა ტკბილითა და მამობრივითა: «შვილნო, რასა სდგათ აქა და არა ზრუნავთ სხუათაცა სარგებელისათჳს, ანუ არა უწყითა, რამეთუ შესაძინელისათჳს ამის ქუეყანისა წარმოუვლინებიეთ უფალსა ჩუენსა იესო ქრისტესა, ვინადგან ვითარ ხედავთ მერმეცა ახალნერგ არს ქუეყანა ესე და მოქენე არს მორწყუასა სწავლათა მიერ და განპოხებასა სარწმუნოებისა ძირთასა ქადაგებისა მიერ და მოძღურებისა მსგავსად წმიდათა მოციქულთასა, ამისთჳსცა ჯერ არს, რათა წარვიდეს თჳთოეული თქუენი და განამტკიცნეს სარწმუნოებითა მართლითა, რომელთა მიუღებიეს ნათლის ღება სახელისა მიმართ მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, ხოლო რომელნი მერმეცა უმეცრებასა და ურწმუნოებასა შინა არიან, რათა ასწავებდეთ და მიმოიწაფებდეთ თაყუანისცემად უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა და ნურა რასა აღირჩევთ უფროს ღუთისა სიყუარულისა, შუებასა და უძლებებასა განეშორით, რამეთუ გემოსა მიერ და საჭმლისა განიხადა ადამ, სამოთხით საშუებელისათ და სიკუდილი მოატყუა ნაშობთა თჳსთა ღუთისა მცნებათა ურჩ ქმნითა და მრავალნი ოფლნი და ღუაწლნი და შრომანი მოაწინა შემდგომთა მისთა ზედა ერთ გზის ხისგან გემოსხილო-

1) ბომონი, სალოცავი კერპთმსახურთა, ანუ სამსხუერპლე სისხლით მოსვრილი.

ვითა და განღთობისა წილ სიკუდილისა ესაჲა და სამოთხით ექსორია იქმნა [1]), დაღაცათუ ქრისტემან არა უგულებელს-ყო ჴელთა თჳსთა მიერ დაბადებულისა ესრეთ მიმძლავრებაჲ ეშმაკისაგან, არამედ განკაცებითა და ვნებითა სატკივართა კაცებრ დათმენითა გამოგჳიხსნნა ჩუენ ბჭეთაგან სიკუდილისათა. დაღაცათუ ზაკვით წინა უყო განღმრთობაჲ ბოროტმან სატანა პირუელსა მამასა, ვითარმედ ჭეშმარიტად იზიარა იგი ღუთაებასა ქრისტიან კაცობრივისა ბუნებისა ზიარებითა ღმრთი-მან და უწყოდეთ თქუენცა საყუარელნო, ვითარმედ მარხვითა და მღჳძარებებითა და ხორცთა წმიდა-და უბიწოდ ლოცვითა, ღმერთ იქმნების და ღმერთსა შეერთების სული განწმედილი ხორცთა ბიწთაგან.

ღჳნოსა ევლტოდეთ ყოვლითურთ, ვინათგან არა ზიარება არს ღჳნისა მოღუაწე თანა და უფროსდა მონაზონთა, რამეთუ ესე ვითარი საკჳრუელთა განუხსნელთა მიერ შეკრული უძლებებითა მიმღებელთა; მსგავსად მონათა მისყიდულთასა უპატიოდ წარადგინებს მათ გულის-თქმათა მიმართ ცოდვისათა და პავლეცა ძირად სიბოროტისა თქუა ღჳნო მეტყუელმან, ნუ დაითურებით, რომლისაგან იქმნების ბილწება და წამალი არს მაკუდინებელი და დედა გულის-თქმათა ბოროტთა; ძმანო ჩემნო მარადის სიკუდილსა იგონებდით და საზარელი იგი დღე წინაშე თუალთა გონებისათა გაქუნდინ, სადა იგი გუმგულვების ყოველთა წარდგომა, შიშუელთა და ქუე დამხედველთა თუალთათა; უწყოდეთ უკუე საყუარელნო, ვითარმედ ხორცნი ესე ხრწნადნი და წარმავალნი არიან, ხოლო სული უკუდავად დაადგრების მხოლო, ვიღუაწოთ შჳლნო აქასა შინა ნუ ვრიდებთ თავთა ჩუენთა, ნუ განვსცემთ აზნაურებასა ჩუენსა ვნებათა მიმართ, მოვითმინოთ ტკივილნი წუთ ერთნი, რამეთუ ჟამი ესე ჭირისა არს, ხოლო საუკუნო იგი განსუენებისა, ვსძლოთ აქა შინა მხნედ ბრძოლითა მბრძოლსა ჩუენსა, რათა მერმესა რას შინა საძლეველნი გჳრგჳნი მოვიხუნეთ, განვეკრძალნეთ ჟამისა მისთჳს საზარელისა, რაჟამს ხორცთა ამათ ნივთთაგან განეშორებოდის სული, რამეთუ საშინელ არს ჟამი იგი, ოდეს საზარელნი იგი მხედრობანი ზეცისანი მოუწოდდენ სულთ მიყვანებად იგი ადგილსა მისთჳს განმზადებულსა და მიგებად მისსა საქმეთა მისთაებრ, კეთილთა გინათუ ბოროტთა».

ამათ და უმრავლესთა ამათთა სიტყუათა განმსწავლელმან თჳსთა მოწაფეთამან სანატრელმან მამამან იოანე, წარავლინნა იგინი ქადაგებად მოახლებასა ცათა სასუფეველისასა.

ხოლო იგინი ვიდოდეს გზასა მათთჳს ბრძანებულსა, ვითარ მიმღებელნი ჴელმწიფებასა დათრგუნვად გუელთა და ღრიანკალთა და ყოველსა ძალსა მტერისასა და თჳთოეული მათგანი წარვიდა ადგილად სადაცა იგი წარუძღუა მათ სული წმიდა, რამეთუ რომელნიმე კახეთით წარვიდეს, ხოლო ღირსი დავით გარესჯისა უდაბნოდ მიიწია და სანატრელი ეზდერიოს სამთავისა ქალაქსა დაემკჳდრა, ხოლო ღმერთ შემოსილი და საკჳრუელთ მოქმედი შიო, მღვიმესა მცხეთისასა ქუაბსა რასამე მცირესა მპოვნელი, მუნ შინა დაეყუდა და ნეშტნი მათგანნი წარვიდეს უდაბნოთა ადგილთა მიმართ, მთათა შინა და ქუაბთა და ხურელთა ქუეყანისათა მოქმედნი მკჳდრობისანი და ესე ყოველნი იწამებოდეს დღითი დღე სარწმუნოებისათჳს, სიტყუისაებრ მოციქულისა ნაკლულევანნი. ჭირვეულნი ძჳრხილულნი, რომელთა ღირსვე არა იყო სოფელი ესე, ვინათგან იჯმნა მათ ყოველთავე მსოფლიოთა ზრუნვათაგან და უმრავლესნი ამათნი არცა ხალენისა და თხის ტყავებსა მომგებელ იყუნეს

---

1) ექსორია იქმნა, გამოგდებულ იყო.

და ამათგანცა უღირს არამედ მსჯელნი თავთა თჳსთანი, არამედ ტყავისა ბუნებისა მიერ გარემო-ბლარდნილნი, წინა განეწყუებოდეს ყინელთა ღამისათა და სიცხეთა დღისათა, მომხსენებელნი ვითარმედ და პირუელნიცა მამანი ვიდრემდის შიშუელნი იყუნეს, სიმარტივისათჳს და ცხოვრებისა უხელოვნოსა და გარემომცუელისა სათვარუელისა სამოთხესა შინა მგონებელ იყუნეს მკჳდრობასა, ხოლო ვინათგან ურჩ ქმნითა ზრქელნი ესე ტყავისანი შეემოსნეს სამოსელნი, ერთბამად ხისაგან ცხოვრებისა, სამოთხისა და ღუთისა ექსორიაობა შეემთხჳა, ამისნი გონებად მომღებელნი, მოსწრაფე იყუნეს შიშლოებისა მიერ კუალად სამოთხეს შესლვასა.

ესე ვითარნი იგი კეთილნი მუშაკნი და არა სასყიდლით დადგინებულნი, წარივლინნეს სანატრელისა მამისა იოანეს მიერ კეთილისა მის სამუშაკოსა, რომელთა კეთილად ესწავა მოძღურისა თჳსისაგან, ახეულ ქმნა ერქუნითა სწავლათათა სულებსა მორწმუნეთასა და განრჩევა იფქლისა ღუარძლისაგან, რომელსა მოშურნე იგი და მტერი კაცთა დასთესავს მარადის გონებასა შინა მათსა, გულის სიტყუათა ბოროტთა, შთათესვითა სულთა შორის კაცთასა.

ამათ სანატრელთა მამათა მიმართ მივიდოდეს ვიეთნიმე ღუთის მოყუარენი და ქრისტეს მორწმუნენი და მათ მიერ ისწავებდიან მოძღურებასა სულისა წმიდა მყოფელთა; ხოლო სხუანი მრჩობლ კერძონი სულთა და ხორცთა სნეულად მქონებელნი უმეცრებისა მიერ კურნებასა მიემთხუეოდეს. მეცნიერებად მოსრულნი წმიდათა ამათ მოძღურებისა მიერ, ვინათგან ღმერთი დიდთა კურნებათა და სასწაულთა აღასრულებდა წმიდათა ამათ მამათა ვედრებისა მიერ, რომელთა ძლით განმტკიცნებოდეს გულნი მორწმუნეთანი, მართლისა სარწმუნოებისა მიმართ, ხოლო ეშმაკნი შეშინებულნი დაუტეობდეს ადგილთა თჳსთა და უშინაგანესთა უდაბნოთა მიმართ წარივლტოდეს და თანად საკერპონი დაირღუეოდეს, ღუთის მეცნიერებად მოსრულთაგან, სწავლითა ღირსთა მამათათა და ეკკლესიანი აღემართებოდეს სადიდებელად ღუთისა.

ხოლო ღირსსა იოანეს აქუნდა თავისა თჳსისა თანა ნაწილი წმიდათა მოწამეთანი, რომელნი წარმოეტანნეს ქუეყანით თჳსით და რაჟამს წარავლენდა მოწაფეთა თჳსთა, მისცემდა თჳთოეულსა მათსა ნაწილთა მათგან წმიდათასა, რათა აქუნდეს მათ მცუელად ყოველსა ცხოვრებასა შინა საეშმაკოთა სივერაგეთა მიმართ და თავისა თჳსისა თანა იპყრა ნაწილთაგანი წმიდათასა; რომელთა მიხედვითა სამარადისოდ მათთანა იწამებოდის გონებითა და იგინი მოეგნეს საუნჯედ და სიმდიდრედ თჳსად და ნუგეშინის მცემელად ცხოვრებასა შინა თჳსსა და ესენი ვიდრემე მოწაფეთა მისთა მისთათჳს წამოვთქუენით.

ხოლო სანატრელი მამა ჩუენი იოანე დაადგრა მთასა მას ზედა და ესრეთ მხოლოდ მოწაფე დაიყენა მისთანა[1]), რათა აქუნდეს იგი ნუგეშინის საცემელად უძლურებისა თჳსისა, ხოლო თჳთ მისცა თავი თჳსი ფიცხელთა შრომათა მოღუაწებისათა და ყოვლადვე არა დასცხრებოდა ლოცვისაგან და მარხვისა სამარადისოსა, რომლისა მიერ სრულიად განილია ხორცნი თჳსნი და მოუძლურებულ ჰყუნა იგინი; ხოლო სული განძლიერებული და გონება განწმედილი ნივთთაგან და ნაზრძვილთაგან სოფლისათა ზე აქუნდეს წინაშე ღუთის, ყოვლისავე სახესა მოღუაწებისასა სრულ მყოფელსა. სრულიად დაევიწყა სოფელი და არა რად შეერაცხნეს საშუებელნი სოფლისანი, ვითარ წარმართნი და განხრწნადნი, ამას ესე ვითარსა მოღუაწებასა შინა მყოფსა ხედვიდეს რა კეთილის მოძულენი ეშმაკნი,

1) განუშორებელი მოწაფე ესე იყო ღირსი ილია დიაკონი.

განიხერხებოდეს შურითა და ვითარ მახჳლითა განიჭრებოდეს რისხჳთა აღბორგებულნი, რამეთუ ვერ მოითმენდეს ესე ვითარსა ხილვასა წმიდისასა; ვიდრემდე დღესა ერთსა სრულიადისა ურცხვინოებისა შემმოსელნი კადნიერებით ზედა მიუხდეს წმიდასა იოანეს და მრავლად აგინებდეს მას, მრისხანებისა და გულის წყრომისა სასტიკებით მაჩუენებელნი მისსა მიმართ, და გარე მოდგომილნი შფოთებით ამბოხებდეს, ხმათა უშუერთა განმტევებელნი, რათამცა შეაშინეს ბერი და განიოტეს მიერ; რომლისათჳს ეტყოდეს: მოხუედ ადგილთა ამათ ჩუენთა, რომელი პირუელითგანვე ჩუენ დავიმკჳდრეთ, რა არს შენი და ჩუენი, რამეთუ მძლავრებით გნებავს მიღება ადგილთა ჩუენთა, აწ უკუე ჰოი ბერო! არა თუ ნებსით წარხვიდე ამიერ ადგილით; მრავალნი გასსაცდელნი მოვაწივნეთ შენ ზედა და მაშინ სადამე იძულებულმან უნებლიეთ ისწავო უცხოთა საზღუართა არა მიხვეჭა.

ხოლო იგი ჯუარითა ქრისტესითა აღბეჭდული თავისა თჳსისა, «გარე მომადგეს და მომიცვეს მე» იტყოდა «და სახელითა უფლისათა ვერეოდე მათ, ძალ ჩემდა და გალობა უფალი და მეყო მე იგი მაცხოვარ, ღმერთსა ვესავ არა შემეშინოს, რა მიყოს მე მტერმან»,

ამისსა შემდგომად მიქცეული ეშმაკთა მიმართ იტყოდა, «აჰა ესე რა აქა ვარ და უკეთუ ჩემსაცა სხეულსა ზედა მოცემულ არს თქუენდა ხელმწიფება ღუთისაგან; ვითარ ოდესმე იობის ზედა, იქმოდეთ რაჲცა გნებავს, რამეთუ მე მონა ვარ უფლისა ჩემისა იესო ქრისტესი; მეშინისა ქადილთა თქუენთაგან?»

ხოლო უმთავრესმან მათ ეშმაკთამან ხმა ჰყო ღირსისა იოანეს მიმართ მრისხანებით და ეტყოდა: იოანე, იოანე! რასათჳს გვაუწყებ ჩუენ და ვინა მოხუედ აქა დამტევებელი ადგილისა თჳსისა აწ უკუე მსწრაფლ წარვედ ამიერ, რამეთუ ჩუენი არს ადგილი ესე და ვერ შემძლებელხარ ჩუენთანა ყოფასა და უკეთუ არა ისმინო ჩუენი ეტყოდა, წარწყმედისა მომატყუებელ ექმნე თავსა შენსა, რამეთუ ვერ უძლო წინა აღდგომა ძალისა და სიმრავლისა ჩუენისა; აწ ნუ აწყინებ თავსა შენსა, არამედ წარვედ ამიერ სხუათა ადგილთა მიმართ.

მაშინ მიუგო ბოროტთა მათ ეშმაკთა წმიდამან იოანე და ეტყოდა: «ჰოი! ბოროტის მოყუარენო, კეთილის განზრახუა არა ოდეს გნებავს თქუენ ნათესავისა თჳს ჩუენისა, რამეთუ მზაკუარნი ხართ და მტყუარნი და ვითარ ვისმინოჲ თქუენი, ცრუთა და ამაოთა; რომელნი არა განიზრახავთ უმჯობესსა კაცთასა, რამეთუ მოსწრაფე ხართ ჯოჯოხეთად შთაგდებასა მათსა და ვითარ მეტყჳთ მე ვითარმედ თქუენი არს ადგილი ესე, ანუ არა უფლისა არსა ქუეყანა და სავსება მისი სოფელი თანად და ყოველი დამკჳდრებულნი მას შინა; რომელიცა სამკჳდრებელად ჩუენ კაცთათჳს მოუნიჭებია, ხოლო თქუენთჳს ბნელი გარესკნელი განუმზადებიეს და ცეცხლი უშრეტი, რომელსა შინა გეგულვების თქუენ დასჯა საუკუნოდ და ყოველთა, რომელნი ჰყოფენ ნებათა თქუენთა და ვითარმე უმჯობესად განმაზრახებ ამიერ წარსლვასა ჰოი! მზაკუარო, რომელმან ზაკჳთ ცთუნებითა განხადეთ მამა ჩუენი ადამ სამოთხით განღმრთობისაჲ წინა მყოფელმან, რომელიცა აწ მოგვიღებიეს ქრისტე იესოს მიერ და აწ ესერა ადამის ნაშობთა მიერ იდევნებით ყოვლით კერძო; ვინაჲთგან ივლტოდით ამიერ სახელითა უფლისა ჩუენის იესო ქრისტესითა და წარვედით შორს ადგილისა ამისგან, რამეთუ ქრისტეს ჩემდა მოუნიჭებიეს ესე» ესე რა თქუა წმიდამან იოანე, მეყის ყოველთა მათ ეშმაკთა აღუტევეს ხმა ვაებისა და გოდებით იტყოდეს: ჰოი! ჩემდა, რამეთუ მოხუედ სახელის დებითა იესოსითა ვიოტებით ყოველთა ადგილთაგან და ძლეულად ვიხილვებით მათგანცა, რომელნი შეუდგებიან მას, რამეთუ იგი ძლევასა მიანიჭებს ჩუენ ზედა, მოვედით ვივლ-

ტოდით ამიერ და წარვიდეთ უშინაგანესთა წარმართთა მიმართ და დავემკჳდრნეთ მათთანა და მეყსეულად სიტყჳსავე თანა ნისლი ბნელი გამოვიდა მთისა მისგან და მიმართ ჩრდილოთ კერძო დაუჩინო იქმნნეს მიერიდგან მის ადგილისაგან ყოველნი ეშმაკნი და წარვიდეს.

და ვითარცა ესმა ყოველთა, რომელნი მკჳდრ იყვნეს გარემოს მთასა, რა იგი ჰყო ღმერთმან და ვითარ განიდევნნეს ეშმაკნი ლოცვითა წმიდისა იოანესითა, ყოველთავე დიდება შესწირეს ღმერთსა, რამეთუ იცოდეს სიბოროტე ეშმაკთა მათ მთასა მას ზედა დამკჳდრებულთა, ვინათგან მრავალთა ვნებათა მოაწევდეს მახლობელთა მათთა ზედა, ბოროტნი იგი სულნი; რომლისათჳსცა განკჳრვებულნი საკჳრველთა მათ ზედა ყოველნივე იგი გარემოს მკჳდრნი, ჴარ განხდილნი იტყოდეს, ჭეშმარიტად საკჳრველ არს ღმერთი წმიდათა შორის მისთა და კურთხეულ არს სახელი წმიდა მისი უკუნისამდე.

ესე ვითართა მადლთა და ნიშთა მიერ ბრწყინვიდა ღირსი ესე მამა ჩუენი და ყოვლითავე სათნოებათა მიერ განმდიდრებულ იყო, რამეთუ მარადის მღჳძარე გონებითა და განკრძალული სულითა, მოვლიდის მოწაფეთა თჳსთა ყოველსავე ჟამსა შინა, რათა არა ჰპოოს დახსნილი უდებებითა და განუმზადებელი დღისა მისთჳს უცნაურისა, რომელსა შინა მოსრული სიძე იგი განწმედილთა სულითა მოუწოდს, განმზადებულთა და შემკობილთა შესლვად სასძლოსა წმიდასა, ვინაცა მარხვასა ზედა დასძენდა მარხვათა და ლოცვასა კუალად ვედრებათა და ფსალმუნებასა.

ხოლო მთა იგი, რომელსა ზედა დამკჳდრებულ იყო ნიშებ შემოსილი ესე მამა კაცი, უწყალო იყო პირუწყლად და ხედვიდა რა ფიცხელსა შრომასა და ოფლთა მოწაფისა თჳსისათა, რომელთა მოითმენდა მოღებასა შინა წყლისასა, რამეთუ აღიკიდის და შთასრული ძირსა მის მთისასა, აღმოიღებდის წყალსა სახმრად ბერისა [1]),

შეეწყალა იგი ბერსა და ცრემლით ევედრა ღმერთსა, რათა, რომელმან იგი უდაბნოს ისრაილთა წყალი უდინა კლდისაგან მყარისა, მანვე და აქაცა მთასა მას ზედა აღმოუცენოს წყარო ნუგეშინის საცემლად მათთჳს.

ხოლო ღმერთმან შეისმინა ვედრება მსახურისა თჳსისა და ხმელსა მას და უნოტიოსა მიწასა ანუ თუ უფროსღა კლდესა ზედა აღმოუცენა წყალი ტკბილი და გემოვანი, რომელი ვიდრე აქამომდე მდიდრად აღმოეცენების [2]) სადიდებელად ღუთისა და მონისა მისისა იოანესსა.

და ვითარცა განითქუა სასწაული ესე მახლობელთა მიმართ და გარემოს მკჳდრთა მის მთისათა, თუ ვითარ ლოცვითა წმიდისა მის კაცისათა აღმოეცენა წყალი მთასა მას ზედა, რამეთუ ყოველთავე, იცოდეს ვითარმედ განხმელი და ურწყული იყო პირუწყლად, ამისთჳსცა მოვიდეს მისსა ყოვლით კერძო მტჳრთულნი უძლურთა და, რომელთა ვნებათაგან შეპყრობილნი და სვიან რა წყლისა მისგან და დაიწვეთიან რომელსავე წყლულსა ზედა, მეყსეულად კურნებასა შემთხვეოდიან და ვიდრე აქამომდე, რომელნი სარწმუნოებით მიიღებდეს წყლისა ამისგან, სარგებელ ექმნის მათ ლოცვითა წმიდისა მამისა იოანესითა. ხოლო შესახებ ადგილისა მის არა ინება ღირსმან იოანე, არამედ ქუაბსა რასამე მცირესა მპოვნელმან მთასა მას ზედა, მუნ შინა დაასრულა ცხოვრება თჳსი

1) ღირსი ილია დიაკონი, ზურგზედ აღიკიდებდა ხოლმე წყალსა არაგვიდგან ზედა-ზადენს ზედა.

2) წყალი ესე იპოების ეკკლესიის სამხრეთის მხარეს ძირს კლდის ჩასავალში.

და სასწაულთა მრავალთა აღსრულებითა გამობრწყინდა ვითარცა მზე და განითქუა ჭამბავი მის ქუეყანასა ქართლისასა; რამეთუ მადლთა სიმრავლე, ურიცხვი და საკჳრველთმოქმედებანი განაცხადებდეს მათ ყოველთა მიმართ, ვინათგან ესრეთ უწყის ღმერთმან დიდება მადიდებელთა თჳსთა ძალთა და ნიშებთა სიმრავლისა მიმართ.

ხოლო დღესა ერთსა მოვიდა მოწავე ოდესმე ამის ღირსისა წყაროსა მას ზედა, რომელი ლოცვითა წმიდისათა აღმოცენებულ იყო მას ზედა და ვითარცა მიეახლა იხილა, რამეთუ მდგომარე იყო მას ზედა დათვი ყოვლად დიდი და შეშინებული რაოდენ ეძლო სრბით მიიწია ბერისა მიმართ და მიუთხრა მას დათვისათჳს, რამეთუ იხილა წყაროსა ზედა. ხოლო ბერი აღდგომილი შეუდგა მოწავესა თჳსსა წყაროსა მიმართ და მხილველი დათვისა სიმშვიდით იტყოდა მისა მიმართ, «სუი უკეთუ გწყურის და წარვედ, ხოლო გეტყჳ შენ ამიერითგან ნუ ვის ავნებ მთასა ამას შინა დამკჳდრებულსა კაცთაგანსა, ნუცა ერთსა ვის», ესე სიტყუა რა ესმა დათვს ბერისაგან, ვითარცა მონა მორჩილი და შეკდიმებული ღირსისაგან, თავ დადრეკით და მყუდროებით წარვიდოდა, ესრეთ უწყოდა სჯულისდება უსიტყუთა ცხოველთა, კეთილმან ამან სჯულის მდებელმან, რამეთუ მიერითგან ვიდრე აქამომდე ესრეთ დამმარხველ არან მცნებასა წმიდისასა უსიტყუთ ნათესაობანი ამათ მხეცთანი, ვიდრეღა და უკეთუ ვიეთმე შეემთხჳვნენ მთასა ამას ზედა; მყის სრულ ჭყოფენ ბრძანებულსა წმიდისასა და მართლ უკუნ ქცეულნი სხვისა ადგილისა მიმართ ჭყოფენ სლვასა თჳსსა, არა რომელსა ვნებასა შემთხუეველნი კაცთათჳს[1]).

ესე სასწაული მრავლად ზესთა ჭმატს დანიელისასა, რამეთუ მან ლოცვისა მიერ მხოლოდ თავი თჳსი დაიცვა ლომთაგან უვნებელად და ესე მაშინ მღჳმესა შინა მისთანა შეყენებულთაგან მხოლოდ, ხოლო დიდმან ამან და საკჳრველმან მამამან, ნაშობნიცა მის მიერ ხილულისა დათვისანი და განსწავლნა, ვითარცა პირუტყუელი იგი, არა მხოლოდ მისდა არა ვნებად, არამედ და არცაღა ვის სხუასა კაცთაგანსა მთასა მას ზედა მავალსა, რომელსაცა ვიდრე დღეინდელად დღედმდე დამცუელ არიან დათვნი ამის მთისანი.

მოიყვანეს ოდესმე ამის საკჳრველთ-მოქმედისა მამისა იოანესა, განრღუეული ვინმე და ყოვლითურთ დახსნილი ასოთა, საწყალობელი სახილველი თუალებისა მიერ მხედველთა მისთასა, რომელიცა დადვეს წინაშე წმიდისა განრთხმული ცხედარსა ზედა და გონებითა იტყოდეს ნეტარისა მიმართ ნათესავნი განრღუეულისანი, შეიწყალე განრღუეული ესე წმიდაო მამაო, რამეთუ გურწამს ვითარმედ ვედრებითა შენითა ღმრთისა მიმართ, შემძლებელ ხარ ყოველსავე ვითარ ნების მყოფელ და სარწმუნო მონა უფლისა იესო ქრისტესი, ხოლო არა უდარეს ხმობდა განრღუეულიცა იგი საწყალობელითა ხმითა, რაოდენ სადამე შემძლებელ იყო, უკეთუ სადაღა დაშთომილ იყო მისა ხმა მეტყუელებად, შემიწყალე მონაო მოწყალისა ღმრთისაო, მკუდარი ესე სათვლავად მიცემული და

---

1) ბრძანებასა წმიდისასა აქამომდე აქუს ძალი, დროსა ერთსა ყოფნასა ჩემსა ზედა-ზადენზედ, დათვი შემემთხვა და გზა ამიქცია თავ დადრეკილი მე შეშინებული და განცვიფრებული დავრჩი იმ ალაგას, რომელსა ზედა დათვს შევეყარე და ვიდრე ერთიკამი ოდენ გაფიცხებული დავრჩი, მოვიგონე ღირსი დიდებული და მყის განთავისუფლებული მივედ ეკკლესიასა წმიდისასა, რომლისა კარებნი ღიანი ვნახე და ცხვართაგან მონეხვილი, ვერა გავაწყვერა მარტოების გამოთ, მცირედის დაფიქრების შემდეგ, ამ უწესოებასა ზედა — დავკაფე ფურცლოანი ბუჩქი, შევჭკარ ცოცხი და დავგავე წმ. ეკკლესია და დავასუფთავე. ჭეშმარიტ არს, რამეთუ უწესოებასა და უგონოებასა ზედა, მრავალთასა, ღირსნი არიან შებრალების ცრემლთასა, იგინი რომელთა მიერ მიშვებულ არს წმიდა ალაგი ამ უჯეროებასა ზედა.

ევედრე ჩემთჳს ღმერთსა, რათა განვიკურნო ლოცჳითა შენითა. ხოლო ნეტარსა იოანეს დაღაცა-თუ მძიმე უჩნდა საქმე იგი, ვითარმედ ღმობიერ იქმნა სულითა, საწყალობელსა მას ზედა განრღჳჱულსა და აღდგომილი ლოცჳად ევედრებოდა ღმერთსა, რათა განიკურნოს ბოროტითა ვნებითა შეპყრობილი იგი კაცი, ამის შემდგომად მოქცეული მისა მიმართ, ვითარ ოდესმე თავადიცა უფალი, განრღჳჱულისა მიმართ საბანელსა ზედა პროვატიკისასა: «აღდეგ აღიღე ცხედარი შენი, რამეთუ განგკურნებს შენ უფალი ჩჳჱნი იესო ქრისტე», ნახევარ მკჳდარი და ყოვლითურთ წარწირული იგი მამა კაცი, მეყსა შინა აღემართა ფერხთა თჳსთა ზედა და დადგა წინაშე განკურნებული ყოვლითავე ასოთა.

ესე საქმე დიდებული იხილეს ყოველთა მუნ დამთხჳჱულთა და განკჳრჳჱბულნი ადიდებდეს ღმერთსა, მოქმედსა ესე ვითარსა სასწაულთასა მონისა თჳსისა მიერ და განმტკიცენებოდეს მსმენელნი და მხედველნი საკჳრჳჱლებათა ამათ დიდთანი, სარწმუნოებასა ზედა წმიდისა სამებისასა.

კჳალად სხჳსა ჟამსა მოიყვანეს ამის წმიდისა კაცი ვინმე, რომლისა შორის დამკჳდრებულ იყო ეშმაკი უწყჳჱბისა და ფრიად იგჳჱმებოდა ბოროტისა მის სულისაგან, ვერ შემძლებელი ყოვლითურთ მეტყჳჱლებად, რომელცა იხილა რა წმიდამან იოანე შეეწყალა იგი, და ეტყოდა ეშმაკსა, რომელი დამკჳდრებულ იყო კაცისა მის თანა, «სულო ბოროტო და უკეთურო, რასა სტანჯავ დაბადებულსა ღჳთისასა, შენ გეტყვი, სახელითა უფლისა ჩჳჱნისა იესო ქრისტესითა, განვედ კაცისა მაგისგან და წარვედ უდაბნოთა ადგილთა და უვალთა», ხოლო ეშმაკი იგი მყის ბრძანებისავე თანა ბერისსა, განვიდა კაცისა მისგან და დაუტევა იგი განკურნებული, რომელიცა დაუკჳრდებოდა ყოველთა მხილველთა და ზარ განხდილნი იტყოდეს, ვინ არს, რომელი სიტყჳთ ეშმაკთა იოტებს და სნეულთა კურნებასა მსწრაფლ მიანიჭებს; ხოლო ნეტარი იოანე იტყოდა მათდა მიმართ, «ნუ განკჳრჳჱბულ ხართ ჵოი კაცნო! დიდებულებათა ზედა ღჳთისათა, რამეთუ არა მე ვარ მკურნალი, არამედ სახელის დება უფლისა ჩჳჱნისა იესო ქრისტესი, რომელი იოტებს ეშმაკთა და განსდევნის სენთა და უძლურებათა კაცთასა და ყოველი ძალი მაცთურისა ეშმაკისა განქარდების, რამეთუ მან თავადმან ბრძანა ვითარმედ, რომელსა რწმენეს ჩემდამო, საქმეთა, რომელთა მე ვიქმ, მანცა ქმნეს და უფროსცა ჩემსა ქმნნეს და იგი არს მკურნალი ყოველთა და მოქმედი საკჳრჳჱლებათა».

ესე ვითართა მადლთა მიერ ბრწყინჳდა სანატრელი იოანე და ესე ვითართა სასწაულთა მიერ შემკულ იყო ღჳთისა მიერ, რამეთუ ურიცხჳნი ძალნი და ნიშნი აღასრულნა ქჳჱყანასა ზედა ვინათგან მრავალ არიან სასწაულნი, რომელნი ქმნნა ქჳჱყანასა ასურეთისასა, რომელთა თითოეულად მოხსენება შეუძლებელ არს მიმყოვრებისათჳს ჟამისა. ხოლო ესე მცირედნი საკჳრჳჱლებათა მისთაგან წარმოვსთქჳჱნით მაუწყებელად ვითარებასა ღმერთ შემოსილისა ამის მამისასა; ვინათგან განელინეს ხორცნი მარხჳსა მიერ და სამარადისოსა ლოცჳსა და მოუძლურებულ იყო ყოვლითურთ მხცოვანებასა კეთილსა შინა მიწევნული და ღჳაწლთა ფრიადთა თავს მდებელი, ქჳაბსა მას შინა ზემო ხსენებულსა, სათანადო იყო მისიცა დაცხრომა ესეოდენთა შრომათაგან და მიღება ნაცჳალსა სასყიდელსა ოფლთა და ღჳაწლთასა, რამეთუ ყოველივე თჳსი და უფროსღა თჳთ იგი ჴორცნიცა განსცნა მონებად ღჳთისა და უფლისა თჳსისა, რომლისა თჳსცა ფრიადი სიმდიდრე შეეკრიბა საუნჯეთა შინა ზეცისათა.

ვინა სულისა მიერ წმიდისა მცნობელმან ჟამსა აღსასრულისასა, მოუწოდა მოწაფეთა თჳსთა,

რომელთამე და ილიას დიაკონსა და თათას, რომელსა აღეშენა მონასტერი ქუეშე კერძო მთისა მის, და იყოფოდა მას შინა ძმათა თანა მრავალთა მის მიერ შეკრებილთა მონასტერსა მას შინა [1]), დაეტყოდა მათ: «შვილნო ჩემნო, ჟამი აღსრულებისა ჩემისა მოწევნულ არს და მეგულვების განსლვა ხორცთა ამათგან; ვინაჲდგან მოშიშ ვარ ნუ სადა წინააღმდგომთა ბოროტთა გუნდი და ჴაერის მცუელთა მათ მწარეთა დამაყენებელ მექმნეს მე სიღრმემდი ჯოჯოხეთისა დახდად მოსწრაფესა კაცთა ნათესავნი, აწ უკუე ძმანო ჩემნო, თქუენცა მოელოდეთ სამარადისოდ სიკუდილსა და კეთილად განეკრძალენით საფრხეთა ეშმაკისათა; ნუ სადა ლოდ შებრკოლებისა გექმნეს თქუენ ბოროტი იგი მტერი თქუენი უმზირის ბრჭალთა [1]) სულისა ჩუენისათა დღე და ღამე და ვინმე შემძლებულ არს განრინებად ხელთა მათთაგან, არათუ მარხვითა და სიწმიდითა ხორცთათა მოიღოს ძალი ღუთისაგან; ამისთჳსცა გევედრები შვილნო ჩემნო, რათა მღჳძარე იყუნეთ ყოველსა ჟამსა და სიწმიდით მსახურებდეთ უფალსა, ხოლო მომიხსენებდით მეტად ლოცვათა შინა თქუენთაჲ»; ესე სიმშვიდე და სიმდაბლე სულისა უმანკოსა, რამეთუ ხორცთა შინა ყოვლადვე საზარელ ეშმაკთა იხილვებოდა და სიტყჳთ განიოტებდა მათ; ხოლო აწ ყოვლითურთ დამტევებელი სხეულისა და საყდართა წინაშე სამეუფოთა მდგომარე განწმედითა სულისა და გონებისათა და მადლსა წინასწარ მეცნიერებისასა მიმღებელი საღმრთოსა და წმიდისა სულისაგან, მერმეცა გარდამატებულით სიმდაბლითა უღირსად მსჯელი თავისა თჳსისა, ჴაერის მცუელთა სულთაგან მოშიშებდა; რამეთუ ესწავა ამას არა დიდ მეტყუელებაჲ პავლეს მიერ ქრისტეს პირისა, არამედ ესრეთ თქმა ვითარმედ თანა მდებ იყო ქმნად მიქმნიეს და ნეშტი მონა ვარ უხმარი უფლისა ჩუენისა.

ესრეთ რა ასწავა მოწაფეთა თჳსთა, კუალად ამცნო, რათა სხეული მისი დადვან მასვე ადგილსა შინა მწირობისა მისისასა. ამის შემდგომად ეზიარა უხრწნელთა და უკუდავთა ქრისტეს საიდუმლოთა და აღუმხუმელი თუალთა საგონებელ იყო მხიარულებით მიხედვასა ვიეთსამე, რომელთაცა მღიმარითა თუალითა მიხედვიდა, რამეთუ მხედრობა ზეცისა უხორცოთა მოვლინებულ იყო, რათა აღიღოს ღმერთმან მონა თჳსი, რომელმან ქუეყანასა ზედა ხორცითა უძლურითა ადიდა იგი და შემდგომად მცირედისა, ანგელოზთა მიმართ განუტევა სული მეუფსეულად იგი უფლისა თჳსისა მიმართ, რომელმან მიუწოდა მას ზეცისა განსასუენებელთა მიმართ ნაცულად შრომათა და ტკივილთა მიმართ თავს-დებითა ქუეყანასა ზედა.

ხოლო მოწაფენი მისნი შევრდომილნი ფერხთა მისთანი, ცრემლითა დაალტობდეს მათ და მწარედ გოდებდეს, ვითარ ობლად დაშთომილნი ესე ვითარისა მამისაგან და თჳსად ესე ვითართა სიტყუათა იტყოდეს; პატიოსანო მამაო და მოღუაწეო სულთაო, ამიერითგან სადაღა ვიხილოთ სახე ანგელოზებრივი, გინა ვინღა იყოს მკურნალი ორკერძოსავე უძლურებასა კაცთასა, ანუ ვინ აღადგენდეს დაცემულთა გონებითა და სადა იყოს წამალი ეშმაკთა მიმართ კაცთაჲ, ვინ ესრეთ ვითარ შენ, დაალტობდეს იატაკსა ცრემლთა მიერ წმიდათა.

ამათ და ესე ვითართა უმრავლესთა იტყოდეს, ვითარი შეეტყუების ესე ვითარისა სულთა საუნჯისაგან დაკლებულთა, ხოლო უდებ ჰყუეს სიტყუა ბერისა, რომელი ამცნო მათ თჳს სახელისა

---

1) ეკკლესია მის წმ. მონასტრისა აწ საგურამოს იხილვების, რომელიც სასოფლო ეკკლესიად არს განჩენილ არამედ მონასტერი იგი უწინარეთვე დაქცეულ არს.

2) ბრჭალი, ფეხის ქუსლი.

მისისა ძლით, რამეთუ სადა ემცნო დადება ხორცთა მისთა მოწაფეთა თჳს, უღირსად შეერაცხა მათ ადგილი იგი ყოვლად ღირსისა მისთჳს; ხოლო მოვიდეს მღუდელნიცა და დიაკონნი და სხუა ერისა სიმრავლე ფრიადი და მოწიწებით წარმგრაგნელთა სხეულისა მისისათა, წარიხუნეს იგი მონასტერსა თათას მიერ მოწაფისა მისისა აღშენებულსა და ლარნაკისა მოქმედთა, მას შინა დასხნეს პატიოსანნი ნაწილნი მისნი კრძალულებით და ამბორის მყოფელნი სამარხოსა მისისანი წარჴდეს მსწრაფლ.

ხოლო დიდმან მამათა შორის იოანე, არა თავს იდვა უდებყოფა სიტყუისა თჳსისა, არამედ ჭეშმარიტსა ცხოველსა შემდგომად სიკუდილისაცა ენება, რათა მასვე ადგილსა შინა დაისხნენ ნაწილნი მისნი, სადა იგი მერმეცა ხორცთა შინა მყოფმან იღუაწა და სარგებელი ესე მოღუაწებისა სრულ ჰყო, ვინაცაჲ ძრვანი დიდნი იქმნეს ადგილსა მას; ცხად მყოფელნი ვითარმედ პირუელადვე სამკჳდრელად ეგულვების წარსლვა წმიდასა ღირსსა. მაშინ მოეხსენა სიტყუა იგი ბერისა მოწაფეთა თჳსთა (მისთა) და აუწყეს მათთჳს მცნებულთა ღირსისა მიერ კათალიკოზსა და ყოველსა სავსებასა ეკლესიისასა; ხოლო კათალიკოზი მსმენელი ამათ წარვიდა მღუდელთა თანა და დიდითა პატივითა და წინა ძღომითა ერისათა თანად სიმრავლითა სანთელთა და დიდების მეტყუელებათათა, აღიყუანეს მრავალ მოღუაწე იგი გუამი მისი, ხოლო ხსენებულსა მას ქუაბსა შინა და მუნ დადვეს იგი პატივის მოყუარებით; ხოლო შემდგომად აღყუანებისა ნაწილთა მისთასა, დასცხრა ძრვა, რომელი იყო მონასტერსა მას შინა თათაჲსსა და სხუანიცა მრავალნი სასწაულნი იქმნნეს აღყვანებას მას ნაწილთა მისთასა, რამეთუ მრავალნი სნეულნი და თითო სახეთა სენითა შეპყრობილნი მხოლოდ შეხებითა სხეულისა ამის წმიდისასა განიკურნნეს და უკეთუ ვინმე სარწმუნოებით მოუხდეს სამარხოსა მისსა, რომლისავე უძლურებისაგან მოცული მალიადსა ჰპოვებს განკურნებასა მაჭირვებელისა მის სენისასა; ხოლო შემდგომად მრავლისა ჟამისა წმიდამან კლემენტოს კათალიკოზმან მცხეთისამან, აღმოსავლით კერძო ამის ქუაბისა, სხუა ეკლესია აღაშენა სახელსა ზედა წმიდისა იოანე ნათლის მცემელისასა, სადიდებელად ღმრთისა და მონისა მისისა სანატრელისა მამისა ჩუენისა იოანესსა.

ესე ვითართა მადლთა მიერ განბრწყინებულმან ყოვლად ქებულმან იოანე, განაშუენა ქუეყანა ქართუელთა და ღმრთის მსახურება სრულიადი ასწავა და არა მხოლოდ თავისა თჳსისა მიერ, არამედ მოწაფეთა მიერ თჳსთა; რამეთუ ერთმან მოწაფეთა მისთაგანმან, ეკკლესია აღავერდისა აღაშენა; წოდებასა ზედა სახელ განთქმულისა მოწამისა გიორგისასა, რომელმან მრავალნი სასწაულნი აღასრულნა, ვითარ და მოძღუარმანცა მისმან; ხოლო სხუამან ქუაბი იულთისა სამკჳდრებელად ღმრთისა მოღუაწეთა და მოწესეთათჳს შემზადეს და ერთმან მათგანმან ზენა სოფელსა, აღაშენა მონასტერი, რომელსა შინა დედალი არარაჲ შევალს და არცა მფრინველი იკადრებს დაბუდებასა და სხუათა კუალად მონასტერი აღაშენეს კახეთს შინა და მრავლად აღაორძინეს სარწმუნოება, ქადაგად განჩენილთა უფლისა მიერ და სწავლად უმეცართა მეცნიერებასა ღმრთისასა.

ესე ვითარნი არიან კაცისა მის ღმრთისა მოღუაწებანი და შრომანი, რომელნი ღმრთისათჳს თავს იდვა, და კუალად მსგავსნივე ნაცულის გბანიცა სასწაულთა და ნიშთა მიერ შემკულთა ვიდრეღა ხორცთა შინა იყო; ხოლო შემდგომად ხორცთაგან განსლვისა და სოფლით გარდაცუალებისა, უოხჭნოთა შინა იშუებს საშუებელთა ზეცისა ტალავართა და სასძლოთა დამკჳდრებული და ხედავს ნათელსა მას დაულამებელსა საღმრთოსა დიდებისასა, მოხარული კეთილთა ზედა გამოუთქმელთა, რომელი თუალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოუხდა და

იხარებს მწყობრსა თანა მამათასა განწესებული და განსცხრების გუნდსა თანა ანგელოზთასა ხმითა მედღესასწაულეთათა მგალობელი, რამეთუ განვლო ცეცხლი და წყალი მრავალთა ღუაწლთა დათმენითა, ხილულსა ამას და გრძნობადსა სოფელს შინა და რაჲღა სხუა ჯერ იყო ამისა გარნა თუ შეუწყნოდა აღსლვა განსასუენებელად უხილავთა მათ და გონიერთა სავანეთა შინა.

არამედ ჰოი! მამაო მამათაო და დიდებაო მონაზონთაო, რომელი გამოსჩნდი სიქადულად ქართუელთა ნათესავისა, ნანდვილვე ღირსო ზეცისა ნექტარებათ დამკჳდრებად სამგზის სანატრელო, მოწესეთა სამკაულო; მოიხილევ ზეცისა კამარათათ ჩუენ ზედა უღირსთა ამათ მჴლთა შენთა, რომელნი ვიმძლავრებით ფრიად ბოროტთა და კაცთმოძულეთა მტერთა ჩუენთა ეშმაკთაგან და წარდგომილნი წინაშე საყდართა სამნათობიერისა წმიდისა სამებისათა, ითხე ჩუენთჳს ხსნად ხორცთა და ვნებათ მძლავრებისაგან, რათა მრავლად შემაშფოთებელთა ბოროტთა გულის ზრახვათაგან ხსნილთა, ჯეროვანი სადმე მოცალებაჲ ვჰპოვოთ და ქსრეთ გონებითა განწმედილითა, მადლთასა და ქებასა შეწირვად ღირს ვიქმნნეთ დაუსაბამოსა მამისა და მხოლოდ შობილისა ძისა მისისა თანა დაუსაბამოთ და ყოვლად წმიდით და ცხოველს მყოფელით სულითურთ აწ და მარადის და საუკუნეთა საუკუნეთასაჲ ამინ [1]).

---

1) წმიდა დიდებული იოანე მიიცუალა შემდეგ მიცუალებისასა წმიდისა შიოსი. მიცუალება ორთა ამათ წმიდათა მეექუსე საუკუნეში იყო, ჩემის აზრით დროსა შინა მაკარი კათალიკოზისათა (556 — 572),. ცხოვრება ესე აღწერილ არს კათალიკოზ არსენის მიერ იყალთოელისა მოძღურისა წმიდისა მეფისა დავით აღმაშენებელისა. მან აღწერა ქართუელთა წმიდათა ცხოვრება მეთფთა წინაშე დროსა მისისა, შემდეგ დაბრუნებისა მის ათონის მთიდგან.



საბინინი.

М. САБИНИНЪ.

ႼႫႨႣႠ ႫႠႫႠ ႨႱႤ ႼႨႪႩႬႤႪႨ.

თა ავგისტოსა იზ დღესა, ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ისე წილკნელ ეპისკოპოსისა, რომელი იგი იყო ერთი ათორმეტთაგანი ნეტართა მათ მამათა ასურეთელთა [1]).

უფსკრულ განუცდელ, დღეს მართლისა მენიშე.
დიდი მთიები, ეპისკოპოსი ისე.
უხუად მწყურნებსა-ჭყოთვს, მეხნარს გუაძღულს სხუმისე.
ქსანს კუმრთხით ითრევს, მოდღენდელად რუისე.
მტუმრს წილკანს დაჭყრის, აღისახლებს ზეცისე.

თქმული ნიკოლოზ ცფილელის მიერ.

რომლისა სახელი ფრიად განთქმულ იყო, უბიწოებითა და სათნოებასა სრულებისასა მიწევნული, ხერგი სამოთხისა, უხავილთ ფერშუენიერი სურნელი; ესე შეიპყრა წმიდამან მამამან ჩუენმან კოზმან [2]) და აკურთხა იგი ეპისკოპოსად წილკნისასა, დაღათუ მრავალ გზის ევედრა, არამედ

1) წმ. ეკკლესია საქართველოსი, აწ ხსენებასა წმიდისა ისესი აღასრულებს ბ დეკემბერსა. ბ დეკემბერსა, დადებულ იყო დღესასწაული წმ. პეტრე მაიუმელისა, რომელიც იყო ძე საქართველოს მეფის ვარაზბაქარისა (379 — 393). წმ. პეტრე შემდეგ წარსვლისა მისისასა კონსტანტინოპოლიდგან უდაბნოთა შინა იორდანისათა, იქმნა ბერი, დიდი მოღუაწე და საკვირველთ-მოქმედი. რაოდენისამე ჟამსა შემდეგ, იერუსალიმის პატრიარხისაგან ხელდადებულ იყო ეპისკოპოსად, ქალაქისა მაიუმისა. ჟამსა მას საეპისკოპოსო საყდარი ესე, მწუალებელთა ევტიქიანთა ეპყრათ, რომელთა იორდანითგან გამოითხოვეს ეს ნეტარი პეტრე. შემდეგ მიცუალებისა ნეტარისასა 452 წელსა, საქართველოს ეკკლესიამ შერაცხა იგი წმიდათა თანა და დღესასწაული მისი განაწესა ბ დეკემბერსა. — მეთურამეტე საუკუნეს ნახევარში, ეკკლესიამ საქართველოსამან, აღმოიცხა ხსენება მისი გუნდთაგან წმიდათა თჳსთა, ვითარ მმართებელი და ეგრეთვე წმიდათ შერაცხილი ევტიხიანთა მიერ და დღე მისი დასდვა დღესასწაულად წმიდისა მამისა ჩუენისა ისე წილკნელისა; ეგრეთ გადმოიღო — დღე ხსენებისა მისისა ავგისტოს იზ-გან დეკემბრის ბ ზედა, რომელიც აქამომდე იდღესასწაულებოს. ცხოვრება წმიდისა მამისა ჩუენის ისე წილკნელისა და ეგრეთვე სხუათა ასურეთელთა — გარდა წმიდისა აბიბოსი, შიოსი, დავითისა სრულიად დაკარგულ არს საქართველოს ეკკლესიისათჳს. ფრიად შემოკლებული ცხოვრება წმიდისა ისესი, შემდეგ რაოდენისამე ჟამსა, ნაპოვნი იყო ლავრასა შინა წმიდისა შიოსისა.

2) ვინ იყო ეს წმიდა კოზმა, მკურთხეველი წმ. ისესი, აქამომდე ჴსწორედ არ უწყით. — ჩუენის აზრით მკურთხეველი წმ. ისესი და მეთანადროე მის წმიდისა კათალიკოზად ევლაიოზ უნდა იყოს, ერთსა საისტორიო მოსაგონებელსა მატიანესა შინა გჳპოვე, ვითარმედ წმ. კოზმა იგივე ევლაიოზ არს.

არა თავს იდვა წმიდამან; ხოლო აიძულებით აიძულა კოზმან პყრობაჲ წმიდისა მის ეკკლესიისა ღმრთის მშობლისა ქრისტეს დედისა, მის, რომელი შუამდგომელ იქმნა ღმრთისა და კაცთა და კაცებისა ბუნება შეაერთა, მის დედისა, რომელმან თანანადები დედა გარდაიხადა, რომელ მამათა ვალი თანა ედვა, რამეთუ ადამ თჳნიერ მამაკაცისა დედაკაცი შვა, ხოლო ამან ქალწულმან, თჳნიერ მამაკაცისა კაცი შვა, რომელმან მოიქცია ნათესავი თჳსი უხრწნელად და სიხარული დიდი ჩუენ მოგუემადლა, ქუეყანისაგან ვიყავ ანგელოზთაგან მსახური, ჭეშმარიტისაგან უხრწნელებაჲ მოვიღეთ, რამეთუ უსრულსა მას დედასა შუენის რათა მსახურნიცა წმიდანი აქუნდეს, ამისთჳსცა შეტყუებად ღირს იქმნა ნეტარისა მიმღებლად ხელთდასხმასა ეკკლესიისა მის სახელისა მისისასა. შემდგომად მრავლისა ჟამისა მოუწოდა ნეტარმან იოანე თჳსთა მოწაფეთა ისეს და შიოს, რათამცა გამოცადნეს იგინი თუალთაგან თჳსსა სათნოებასა და კუალად, რათა უჩვენოს კაცთა, ძლიერებაჲ ქრისტესი, რამეთუ ქართლი ახალნერგ იყო და ურწმუნო იყუნეს მრავალნი და სახმარ იყუნეს მუშაკნი მხნენი და საკჳრველთ-მოქმედნი, ვითარცა იტყჳს «ვითარმედ სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი მცირედ, ევედრენით უფალსა სამკალისასა, რათა მოავლინნეს მუშაკნი» და ვიდრე იგინი სხდესღა მუნ ქრისტეს მოვლინებულნი იგი მუშაკნი და საქმეთა თჳსთაგან განმართლებულნი სოფლისანი, მას ჟამსა მოითხოვა ბერმან თჳნიერ ჩუეულებისა სასმელი და მოართვა მას ელია დიაკონმან, აღავსო ჭიქა და მისცა ბერსა, ხოლო ნეტარი ბერი ეტყოდა მას, პირუელად ჯერ არს აპისკოპოსის ლოცვისა ყოფა, ხოლო ისე თავ ჰყო და ითხოვა მისგან კურთხევა. მაშინ ნეტარმან ზე აღიპყრა ჭიქა იგი და ჰყო ლოცვა, დაასრულა და განუტევა იგი და ჰაერთა შინა დადგა ჭიქა იგი, ვითარცა მყარსა რასმე ზედა, ვითარცა ხმელსა, მის მიერ, რომელმან ავლინა პეტრე ზღუასა ზედა, მანვე მოსცა მადლი ესე ნეტარსა იოანეს და დაყვნა მყოვარ ჟამ ჭიქამან მან ჰაერსა მას და ჭიქა იგი ზე ეპყრა. ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა «ვინ თქუენგან მიიღოთ სასუმელი იგი, ხელისაგან ჰაერისა» და არავინ კადნიერ იქმნა მიყოფად ხელსა და მოღებად. მაშინ ნეტარმან ბერმან მიყო ხელი და მოიღო და სამთავე მათ მიიღეს ნაკურთხევი იგი და სხუათა მრავალთა, მაშინ ჰრქუა მამასა შიოს ნეტარმან იოანე, «ჯერ არს მადლისა მიცემა და საკმევლისა შეწირვა»; ხოლო იგი აღდგა და მივიდა ადგილსა, რომელსა ეგზნა ცეცხლი და იწყო მოღებად ნაკუერცხალისა და აღიღო იგი ხელითა მარცხენითა და დაიკურიბა ნებსა ზედა თჳსსა შიშველსაჲ და დაასხა საკმეველი და ვითარ აღუტევა სული, იწყო მოკმევად მისა, იატაკი სადა იგი სხდეს.

იხილეს იგი ყოველთა და ადიდებდეს ღმერთსა, რომელმან ესე ვითარი მადლი მოსცა წმიდათა, აჰა სასურველი სმენა, ვითარ ანუ რომელსა ვიტყჳთ ქუეშე კერძოჲ განჰფინა ნაკუერცხალი იგი და ზემო კერძო საკმეველსა შესწირავს, ნებსა ზედა ნეტარისა შიოსსა, ვითარცა რკინასა ზედა იდვა და მას არა რაჲ ევნებოდა, ვითარცა მიეღო მას უხრწნელებაჲ აქავე მერმე, რომელი მოღებად უც მართალთა. უწყის ცეცხლმან სადავე რიდოჲ ღმრთის მსახურთა, მან იხსნა სამნი ყრმანი ბაბილონს შინა მისსა მდგომარენი და ცუარად გარდაექცა, არა ყოველი იგი სახმილი, არამედ მათ ყრმათა ხოლო გარემოს ყუდრებულთა მეფისაგან, რომელმან არქუა: უკეთუ ხატსა მას ოქროსასა არა თაყუანისცემთ, ვინ არს აწ, რომელმან განგარინნეს თქუენ ხელთაგან ჩემთა, უმეტეს უჩნდა აზარისს სიტყჳს გებაჲ ამისთჳს, ხოლო თქუა, ვითარმედ არს ღმერთი ცათა შინა, რომელი შემძლებელ არს განრინებად ჩუენდა სახმილისა ამისგან და ხელთაგანცა შენთა, ხოლო იგი ფიცხლად აღგზებდეს სახმილსა მას ნივთსა ფისსა ნაძძსა და ნასხლევსა, არამედ კერძი იგი ყრმათა აგრილობდა მათ, ხოლო გარემოს მსწრაფელ მიყო პირი თჳსი და განუყუნა ხელნი თჳსნი, ორმე-

ოცდა ცხრა წყრთა და მოაჴსა ქალდეველნი იგი საზრდელ მუცლისა მისისა ქმნა დამგზებელნი მისნი, ხოლო მმარხულნი და თესლის მჭამელნი იცნა და ჭრიდა, ესრეთ იდიდების კაცი და განახლდების საუკუნოთა, ვითარცა ხედავ წმიდასა შიოს, მერმე მიხედნა ისეს და ჰრქუა «მამაო მთელობილო, გუნებავს, რათა შენგან კურთხევა მოვიღოთ, რომელი გუაქუნდეს სახსენებელად შენდა»; ხოლო მორჩილი იგი მოწამე-ვერ იკადრებდა თჳსისა მოძღურისა ურჩებასა, აღდგა და ჰრქუა მათ «აღდეგით და შემომიდეგით მცირედ» და აღდგა მკუმთრ და მიმართა მდინარედ ქსნად და ვითარ მიიწია, დადგა მას ზედა; «იცით ყოველთა მდინარისაჲ ამის სიმძაფრე». განყო კუერთხი იგი რომელ აქუნდა ხელსა მისსა და დასცა წყალსა მას ზედა სახელითა ქრისტესითა და მოიღო რაოდენიმე მისგანი და უბრძანა და მოსდევს მას და მეყუსეულად დაუტევა ზღუდე თჳსი და შეუდგა კუერთხსა წმიდისა მის ისესსა. ქუეყანა იგი დაღმრდებოდა და წყალი იგი უჩუმეველსა მას და კაცთაგან უქმარსა ადგილსა მოვიდოდა, ვითარცა მოვლიდა წმიდა ესე ვიდრემდის მოითრია მისა საყუდარსა წილკანს, რომელ ესე ჰგიეს ვიდრე დღეინდელად დღედმდე, სახმრად მის ადგილისა, იხილეს იგი მკჳდრთა მათ მცხეთისათა, და გარემო სოფლებისათა, უკჳრდათ და ადიდებდეს ქრისტესა, რომელმან მისცა ესე ვითარი მადლი წმიდათა მისთა, რომელთა შეიყუარეს იგი ყოვლითა გულითა მათითა, ეჴა დიდებული საქჳრუელი, კაცთა მიწისაგანთა ბუნებანი სტუქსნი დაიმორჩილნეს, ერთი ჭაერსა დაიმორჩილებს მსახურად და მეორე ცეცხლსა განიოტებს მხურუალესა და სხუა წყალთა მათ მძიმეთა ერთი ერთსა მიმზიდველსა ქუეშე კერძო ნაწილთა მორბედთა აქცევს და თჳსსა მას ნებასა მიიყვანებს, ამას ყოველსა რა ხედვიდა მორწმუნეთა იგი სიმრავლე განმტკიცნებოდა და ადიდებდეს ღმერთსა.

მაშინ განვიდა წმიდა იგი მამათ მთავარი და დაადგრა მათ თანა, ზრახვიდეს ურთიერთას და შეეყო სული მისი სულსა მათსა, ვითარცა დავითისი იონათანისსა. განხურდა გონება მისი მათ მიერ, ხედვიდა იგი ვითარცა დიდთა სათვასეთა მანათობელად მისსა და მოიქცა ქალაქად თჳსად სიხარულით; ხოლო ნეტარი ისე ეპისკოპოსი მიერითგან წარვიდა მთით კერძოთა მათ ადგილთა, უქადაგებდა ქრისტესა და ასწავებდა ბილწთა მათგან კერპთა განშორებასა და მოყუასებად ქრისტეს სარწმუნოებასა და მრავალნი სასწაულნი ქმნნა და მრავალთა სოფელთა კერპნი დალეწნა და ნათელსცა მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა და შეისუენა თჳსსა საყდარსა მშჳდობით [1]).

## აკროსტიხი ქსნის ერისთჳს შჳლის იესეს თქმული.

ქსნის ერისთჳს შჳლი იესე, ვადიდებ წმიდას ისეს მადიდებელი მის . . . . ი.
ქრისტე ღმერთი უფალი და მეუფე . . . . . . . —ე— ვედრე მამაო ჩუენ მორწმუნეთა და მონათა
შენთათჳს . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . ს.
სამოსა შენსა განხორციელდა კაცთა ცხოვრე—ს—ახიერსა, რათა ღმობიერჭყო ჩუენ ზ . . . . . ქ.
ბისათჳს . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

1) წმ. ისე იყო აკვისკოპოს მიიცვალა, ვითარ მოგვითხრობს ძუელი მის შემოკლებული ცხოვრება. — ნახე ძუელი მატიანე წმ. შიო მღჳმის ლავრისა.

ნათელი ჭეშმარიტი, რომელი პირუელ საუკუ- მზაზისა შჳლნი შენ ჩუენ ყოველნი რათა
ნეთა მამისაგან იშვა ძ . . . . . . —ე— დიდ . . . . . . ს.
იხილვება ქუეყანასა ზედა, მას ვადიდებ და ვესა —გ—იქმნათ სასუფეველსა და მოგუმადლოს სა-
ხიერმან მამა . . . . . . მ.
სარწმუნოებით და გულით მხურვალით . . . —ა—დგილი იგი შუებისა და სიხარულის . . . ა
ერთ ხმობით ვადიდოთ და ადვამაღლოთ და—დ—ა რათა არა ვიქმნათ, ჩუენ ცულითა მოსა-
შევამკო . . . . . . გუეთელა . . . . . . დ.
რომელი შენგან გამოგვიჩნდა ქალწულო სხეუ- —ი—სმინენ წმიდაო მამაო ვედრებაჲ და შენ
ლევან ნათელ . . . . . . მოწაფენი შენნ . . . . . . ი.
იხარებენ მორწმუნენი, რომელთა მოუგიეს—დ—აგვითვარენ სათვარუელითა შენითა წინაშე
შენგან შემწე სავარველა . . . . . . ღუთისა და ილოცე ჩუენთჳს წადიერა . . . დ.
სანატრელო დედათა შორის, წყალობა შენი—ე—კლესიანი ჩუენნი დაიფარენ შეურყეველად
მოგუმადლ . . . . . . უკუნისამდ . . . . . . ე.
თავო ყოვლისა სიხარულისაო, მე მონა შენი—ბ—რწყინვალეება შენი მოგუეფინე მონათა შენ-
გიგალო . . . . . . თა ღირსო და ნუ მოგვიძაგე . . . . . . ბ.
გესავ და თაყუანისვცემ სიწმიდესა შენსა ა. . —წ—არმტყუენველნი ჩუენნი დაამხუენ და ეკ-
ლესიანი მშჳდობით დაიფარ . . . . . . ე.
ისეს მიერ მოვლინებითა, ვიცანთ შენი უბი-—მ—ორწმუნენი მეფენი დაიცუენ მეოხებითა,
წოება მარია . . . . . . რომელსა ახარე გაბრიე . . . . . . ლ.
შემიწყალენ და გვიოხენ, უბიწოო ქალწულო—ი—ხარებნ სასუფეველსა, მოსავნი შენნი და
რომელ . . . . . . მადიდებელნ . . . . . . ი.
ვესავთ ძესა შენსა მორწმუნენი შენნი და განგ-—ნ—ათელი შენ მიერ მოგუეფინა მღუდელ-მთა-
ვანათლე . . . . . . ვარო ისე ღუთისა დედა . . . . . . მ.
იესო ღმერთო ჩუენო, რომელი გამოსხნდი—დ—იდ არს მოწყალება ჩუენ მიერ მორწმუ-
ქალისაგან ლოდად გამოუკუეთელა . . . . . . ნეთათჳს, რომელნ . . . . . . ი.
ლოდი გულფიცხელობისა და ურწმუნოებისა—ა—ღვიარებთ და ვესავთ ქალწულებასა მისსა
ჩუენის . . . . . . წმიდა . . . . . . ს.
იტვირთე და მიხსენ მეოხებითა და ვედრებითა—ს—არწმუნოებით და სასოებით, გევედრებით
წმიდისა მამისა ჩუენისა . . . . . . შენ შენნი მოსავნ . . . . . . ი.
ასესითა, რომელმან შენთჳს დაითმინა ფრია-—ძ—ოხე ჩუენთჳს ქალწულო მეოხებითა, რო-
დი შრომა და ღუაწლნ . . . . . . მელი ჯუარს ეცუა ჩუენთჳს . . . . . . ს.



ႼႫ. ႠႡႨႡႭႱ [illegible] [illegible] ႬႤႩႰႤႱႤႪႨ.

თა ნოემბერსა იბ წმიდისა მღჳდელ-მოწამისა აბიბოს ნეკრესელისა ეპის-კოპოსისა, რომელი იწამა ცეცხლის-მსახურთა მიერ ქართლს. თქმული არსენი დიდისა ქართლისა კათალიკოზისა[1]).

აბიბოს მწყემსი, ქართუჱლთა ანგელოსი.
ეპისკოპოსი, ნეკრესის მღჳდელ-მოწამე.
მეცეცხლეთ არღჳწვს, თჳთ სისხლსა იმღჳდელ-მოსებს.
აბელს განტჳრჳთ, სისხლს ეზაქარიების.
ნივთსა ნივთთა ჭრთავს, სულსა აღავლენს ღჳთისა.

თქმული ნიკოლაოზ ცფილელის მიერ.

ხოლო ჯერ არს რათა მცირედ შჱვაჲ შემოვიღოთ ხსენებჲ წმიდისა და უბიწოჲსა მღჳდელთ მოძღჳრისა და მოწამისა, რომლისა იგი სამართლივ მონიჭებულ იყო განმზადებულისა მის სასოჲებისა დიდებისა, სადარი უზეშთაესი შორის მართალთა დიდისა მის სიწმიდისა თჳს, უმეტესად ყოველთა მიერ წამებულ. ჭეშმარიტებისათჳს დამამტკიცებელ სისხლითა თჳსითა, რომელმან იგი შეწირა მსხუჱრპლად თავი თჳსი მისა, რომელმან იგი თჳსითა სისხლითა მიიხსნა ჩუჱნ, დაიდგა გჳრგჳნი ძლევისა თჳთ მოტაცედთა აღრინებითა მაბილად, რომელმან ნაყოფნი გამოუჩჱნა თჳსით თავით, თჳთ შეწევნითა მადლისათა, სიწმიდისა იგი სამეოცი და მოწამეობისა ასეული და თჳთ თავისა თჳსისა თანა შეერთებითა უკდავებისა განმასრულებელ. იპოვა იგი მღჳდელთ-მოძღჳარი მადლისა შეამდგომელი ღჳთისა და კაცთა, ნეტარი აბიბოს ნეკრესელი ქალაქის ეპისკოპოსი, რომელი ორთა განწყობილთა კრებულსა წმიდათასა წარმოდგა მღჳდლობისა საყდრისა მოდგამთა მათ თანა უბიწოთა საყდარი დაიპყრა და კჱალად მხნეთა მათთანა მოწამეთა ღუაწლსა მიიღწრათა და ასპარეზსი იგი მსწრაფლ წარიტაცა და გჳრგჳნითა პატივცემული შორის იპოვა, შორის მეძიებელთა მართალთა რჩეულისათა. ჩემი არს მოწამე ესე და არა სხჳსა, ჩემისა ამისგან საყდრისა ნაყოფი მშჳენიერი მხიარულებისა ჩემდა მომღებელი. სპეტაკი, ვარდი ჭაერისა სულნელ მეოფელი, ჩუჱნდა მომფენელი, რომელმან სანთელი თჳსი აღანთო ზედა მაღალსა მთასა, რათა ყოველი სოფელი ჭხე-დჳდეს მას ნათელსა დაუშრეტელსა ორპირად მანათობელსა ღჳთისა მიმართ შემწირველსა თჳთ მის სიტყჳსა დაუსაბამოსა ხორცსა. უკანასკნელ მსვესნტიელსა სეხველსა თავი თჳსი შეწირა მრგჳლად დასაწუჱლად მისა მიმართ შესწირვიდეს ხელთა უსჯულოსა მის მარზაპანისათა, რომელმანცა შეწირა. აწ მნებავს საყუარელნო, რათა უწყოდით მიზეზი საქმისა ამის, რამეთუ დაეპყრა ქართლი მეფესა სპარსთასა და იგინი ხელმწიფე იყვნეს ჩუჱნსა ამას სოფელსა და ბილწსა მას კერპთ-მსახურებისა ცეცხლისა მის თაყუანისცემასა და მსახურებასა აღასრულებდეს მარადის, ბაბილოვნურსა მას ჩუჱულებასა, სადამე ოქროსა და სხუასა რასამე და ოდესმე ცეცხლსა ჟამად ჟამად, ვითარცა იცვეოდეს თჳსისა მისგან ბოროტად მასწავლელისა ეშმაკისა. ამის გამო ადგილნი მრავალნი განიმზადნეს მათისა მის სამსახურებელისა ცეცხლისათჳს ქუჱყანასა და მრავალთა შეაცთუნებდეს

1) ეს კათალიკოზი არსენი არის იგივე, რომელმან აღწერა ცხოვრება წმ. იოანე ზედა ზადენელისა, ნახე 208 გვერდი ამ წიგნისა. უწინდელი ქალაქი ნეკრესი აწ სოფელია, ჰსდგას იგი გარე კახეთს, ყვარელის მოახლო. ქალაქი იგი აღაშენა ქართლის მეფემ ფარნაჯომ 109 უწინარეს ქრ. შ. მეფემ თირდატმან (393—405) შემ. ქრ. შ. ნეკრესსა შინა აღაშენა პირველი საეპისკოპოსო ეკკლესია, რომელმანცა ჩუენამდე მოაღწია. ნახე გეოგრაფია ვახუშტისა გვერდი 314. აწ დღესასწაული წმიდისა კთ ნოემბერსა აღასრულებენ ხოლმე, რომელიც არა ჯერ არს, — არა უწყით რისათჳს დაუტევებიათ დადებული უწინდელთა მამათა მიერ დღე ხსენებისა წმიდისასა.

დაუმტკიცებელსა სარწმუნოებასა გონებითა ნაკლულევანითა. ხოლო ნეტარი აბიბოს ნეკრესელ ქალაქისა ეპისკოპოსი ხევისა კახეთისა, აღიძრა შურითა საღმრთოთა და ვერ თავს-იდვა უცხოსა მის სამსახურებელისა მახლობელად მისსა ყოფად და დაასხა მცირედ წყალი ხენეში და დაშრიტა იგი. ესე რა ჰსცნეს ურჯულოთა მათ სპარსთა, ფრიად ჰგვემეს, კნინღა ვიდრემდე მოჰკლეს ნეტარი იგი და საპყრობილესა შეაყენეს დიდითა იწროებითა და მრავლითა ტანჯჳთა. ამისა შემდგომად მისწერეს მსწრაფლ ზენა სოფლად მარზპანისა საქმე ესე; ხოლო მან ბრძანა მსწრაფლ მისი შეკრვა და მიყვანება მისი მის წინაშე და მოვიდეს მივლინებულნი იგი მტარვალნი და წარიყვანნეს, ვითარცა ბრძანებულ-იყო, მრავალ-ფერითა ჭირითა მიიყვანნეს იგი.

ხოლო ნატარი იგი ეპისკოპოსი აბიბოს მეგობარი იყო ბრწყინვალისა მის მნათობისა სჳმეონ მესუეტისა ანტიოქელისა, არა თუ ხილვითა ეხილვა სადამე ერთმანერთი, არამედ სულიერითა მით სიყუარულითა, რომლითა იხილვების შორიელი, ვითარცა მახლობელი და კუალად წიგნითა და მოციქულითა იყო მათ შორის შესწავება. მას ოდენ ჟამსა ოდეს მოჰყვანდათ წმიდა აბიბოს დაემთხვია მას მოციქული იგი წმიდისა სჳმეონ მესუეტისა, სოფელსა, რომელსა ჰქვიან იალდო და მოართუა მას წიგნი, ევლოგია და კუერთხი წმიდისა სჳმეონისა მესუეტისა ანტიოქელისა საკჳრველ-მოქმედისა. და ვითარცა მიიღო წიგნი ეპისკოპოსმან, აღმოიკითხა და მიუპყრა მას ევლოგია იგი და კუერთხი და განიხარა სიხარულითა დიდითა და განმტკიცნა ფრიად და თანა წარმოიხუნა იგი და განმხიარულებული მოვიდა, დაღათუ შესაძლებელ იყო მისა არა მოსლვა მომყუანებელთა მათ და ემთხვივნესცა და ჰრქუეს. უკეთუ არა გნებავს წარსლვა ჩუენ მოგიღოთ და უკუნ გაქციოთ. ხოლო მან არა თავს-იდვა, რამეთუ ისწრაფდა და სუროდა მარტჳლობა.

და ვითარ მოიწივნეს მახლობელად ჩუენსა ამას სამეუფოსა ქალაქსა მცხეთისასა, ჰხადოდა იგი დედასა თჳსსა რაქაელს, რომელ არს ერთი კათოლიკე ეკკლესია სამოციქულო და ვიდრედა თუ იტყოდაცა, ვითარმედ «დედაო, აჰა ესრეთ შვილი შენი იოსებ, წარჰყავთ ეგჳპტედ კრული, ვითარცა ტყუე და ვითარცა ვინ ჰრქუა რა ეგრე, არამედ სუფევად განემზადები ნაყოფთა მათგან შუენიერთა საუნჯეთა თჳსთა, მთნავს შენი ეგე გზა და ვიდოდე მას ზედა».

მაშინ ევედრა მტარვალთა, რათა მივიდეს ნეტარისა შიოს მღჳმედ, რამეთუ იცოდა იგი წინათვე და სურჳელ იყო იგი ხილვად მისსა. ხოლო მათ განუტევეს იგი და შთავიდა უდაბნოდ და იხილა ნეტარი იგი ბერი და ჰყუეს ლოცუა და მოიკითხეს ურთიერთარს და ვითარცა ჰზრახვიდეს ჰრქუა წმიდამან ეპისკოპოსმამ ბერსა, «ლოცუა ჰყავ მამაო, რამეთუ ურჯულონი ესე სპარსნი განძვინდეს ჩუენ ზედა ამპარტავანებითა თჳსითა, რამეთუ დაიპყრეს სოფელი ესე ჩუენი, შენ უწყი, რამეთუ ბაბილოვანი მარადის კერპთ მაწვეველ არს და ღონის მეძიებელ არიან, რათამცა ყოველნი კაცნი თაყუანისაცემინნეს კერპთა. მაშინ სადამე სამთა ყრმათა, ძისა ღუთისასა თანა მდგომარეთა, მის მიერითავე ძალითა კერპი იგი დაადვნეს და განაქარვნეს და მძლავრი იგი ყოვლითა ძალითა მისითურთ კდემასა ქუეშე შეაყენეს. და აწცა მათ ურჯულოთა მისთა სახედ ეგულვების, რათამცა კუალად განაგდეს ბადე და შეაყენნ კაცნი და თაყუანის აცემინეს ცეცხლსა».

მიუგო ბერმან და ჰრქუა. «ვიცი მამაო მფლობელო, რამეთუ დაშრიტე ცეცხლი იგი მათი სრულიად, რომელსა ესვიდეს ურჯულონი იგი; არამედ მოგვმადლენ უფალმან, რათა აღტუნებულიცა იგი უჩინო ცეცხლი, რომელ აღუგზნიეს შენ-თჳს ეშმაკსა განსაცდელად დაშრიტო ადვილად. არა უმეცარ არს სიწმიდე შენი, რამეთუ მრავლითა ჭირითა გვიღირს შესლვად სასუფეველსა ღუთისასა. ხოლო ნუ შესძრწუნდები მათისა მისგან მოძღჳრებისა, ვინადგან იტყჳს მოციქული, ვითარმედ «მაჭირვებელთა თქუენთა ჭირი ეგე შენი, მათი დაცემა და განბნევა».

და შემდგომად მრავლისა სიტყჳსა განმტკიცნა ნეტარი აბიბოს ბერისაგან და ჭუჳრს ლოცჳა და წარემართა ღუაწლსა მას სიხარულით. და ვითარცა მოიყვანეს იგი მარზპანისა მის ზენა სოფლად სოფელსა, რომელსა ჰრქჳიან რეხი და შეჰკრბა მუნ სიმრავლე ეპისკოპოსთა და მღდელთა და ერისმთავართა და თეატრონი დიდი იქმნა წინაშე მარზპანისა.

მაშინ წარმოადგინეს წმიდა აბიბოს ეპისკოპოსი და ჰრქჳა მას მარზპანმან მან. რომლისათჳს უარ ჰყავ უფლება მეფეთ მეფისა და მოჰკალ ღმერთი ჩუჱნი. მიუგო აბიბოს და ჰრქჳა. «მე არა ვინ ვიცი მეფედ მეფე, გარნა უფალი ჩუჱნი იესო ქრისტე, ხოლო ცეცხლი იგი, რომელ დავშრიტე იგი, რათამცა სცთური განვაქარვე ეშმაკისა, ხოლო გლოცავ რათა განუყენნეთ უნდოსა ამას მსახურებასა და ღმერთი მხოლო იცანთ, რომლისა მიერ დაიბადა ყოველი და მას მხოლოსა მსახურებდით, რამეთუ წერილ არს: უფალსა ღმერთსა შენსა თაყუანის-ეც და მას მხოლოსა მსახურებდე». ჰრქჳა მას მარზპანმან. მე გკითხავ, რასათჳს მოჰკალ ღმერთი ჩუჱნი და შენ გნებავს, რათამცა შენისა ღმრთისა წარგვიყვანე. ხოლო ნეტარმან მან აბიბოს ჰრქჳა. «უწყებულ იყავნ შენდა, ვითარმედ ღმერთი არა მომიკლავს, ხოლო ცეცხლი დავშრიტე, არა არს ღმერთი იგი; არამედ სხჳათა ბუნებათაგანი არს ერთისა ნივთისაგან მცირედი ნაწილი, რომელთაგან აღმართა ღმერთმან სოფელი ესე განსწორებით დაბადებულ არნ: ნოტიო, ცივი, ხმელი და ცეცხლი, რომელთა ერთი ერთისა მპყრობელობა აქვსთ. სიმრავლესა მას შინა ესრეთ განსწორებითა დგანან ნაწილთათა ესენი და უკეთუმცა ერთი ერთისამცა აღემატა, განამცა ჰქარდა მეორე იგი ცეცხლი მისგან ცეცხლისა ბუნებისა ნაწილი არს, ხმელითა და ცივითა აღდგომი შეშისა ჭამითა მყოვარ ჟამიერ, ერთი მცირე წყალი დასხ, მძლე ექმნა დამოჰკლა იგი, რამეთუ უფროს მისსა იპოვა წყალი იგი. აწ მიკჳრს თქუჱნი ესე სიცოფე, ვითარ არა სირცხჳლ გიჩნს მისი სახელის-დება ღმრთად, რომელსა ესე ოდენი სული აქუს, რამეთუ თქუჱნი ესე ცეცხლი თქუჱნდავე მონა არს და კერპთა შეურაცხის მყოფელთა ვერავის ხედავს, უკეთუ ღმერთი არს ეგე თქუჱნ იტყჳთ, რამეთუ ოდესმე თქუჱნსავე სოფელსა განმზადეთ მსახურება მის კერპისა, რომელი იგი ჰქმენით ოქროსა, სატანჯუჱლად განმზადებულსა მას თქუჱნ მიერ მაშინდელსა აწ ღმერთ ეწოდების». მაშინ განრისხნა მარზპანი იგი მეფისა და შემდგომად მრავლისა გუჱმისა და საკჳრუჱლთა სატანჯუჱლთათა ქჳთ განტჳინეს იგი ნეტარი აბიბოს და მოჰკლეს და განათრიეს გარეშე ქალაქსა და მცუჱლნი განაწყესნეს მის ზედა, რათა მხეცთა და მფრინველთა შეჭამნეს ხორცნი მისნი, რამეთუ ეშინოდა ნუ უკუჱ ქრისტიანენი მოვიდნენ და წარიხუნენ იგი და დიდებით დაჰკრძალნენ. ხოლო სამგზის სანატრელსა მას ხორცთა მისთა არა რა შეეხო ყოვლადვე მხეცთა და მფრინველთაგან და ვითარ მყოვარ ჟამ იხხნეს დაუტევეს მცუჱლთა მათ და წარვიდეს, გამოვიდეს მამანი იგი, რომელნი მყოფ იყუნეს გარემო ქალაქსა მასს რეხისასა და მათთა მოწაფეთაგანსა აღეშენა მონასტერი იგი და აღიხუნეს ნაწილი იგი წმიდისა აბიბოსნი და დაფლეს ადგილსა მას დიდებითა დიდითა[1]). და ესრეთ შეეწირა წმიდა აბიბოს ვითარცა მსხუჱრპლი

1) სანატრელი გარდაცვალება წმიდისა, ჩუენის აზრით მაკარი კათალიკოზის დროს უნდა ყოფილ იყო. კათალიკოზი ანტონი პირველი, თჳს წყობილ სიტყუაობაში, მეხუთე სიტყუაში ნაწილთა თჳს წმიდისა აბიბოსისან მოგვითხრობს ამასა «...არამედ მონაზონთა ვიეთმე მახლობელ სოფელისა მის მყოფთა აღებულ იქმნეს და მონასტერსა მათსა დაკრძალულ, რომელიცა უკანასკნელ სტეფანოსისგან მთავრისა (639—663) ძისა ადარნასე მეფისა აფხაზთა და ქართველთა მუნით წარმოღებულნი მცხეთას ზენასა ეკკლესიასა საეპისკოპოსოსა დაიკრძალნეს დიდითა პატივითა». ნახე გეგრაფია საქართველოსი ვახუშტისა, აღწერა კახეთისა გვერდი 314, პირველი შესანიშნავი რომელიც ამასვე მოგვითხრობს, ვითარმედ წმ. აბიბოს სამთავროს არს დაკრძალულიო. სამთავრო მცხეთას არს, აწინდელი დედათ მონასტრის საკრებო ეკკლესია — ჩემის აზრით წმ. აბიბოს ნეკრესელი, ტრაპეზის ქუეშე უნდა იყოს

წმიდა და მართლადმცა ვინმე თქუა, ვითარმედ სეხნა არს იგი ზაქარიასს მამისა იოანნესა, არა თუ სახელითა, არამედ სახითა, რომელსა იგი წილი ხუედრებულ იყო მღუდელთ მოძღურებისა და კუალად სისხლიცა მისი წმიდაო დაითხია, ამას რა გითხრობ თქუენ ნეტარისა ეპისკოპოსისა აბიბოსსა, არა თუ ყოველთა საქმეთა და შრომათა და ღუაწლთა მისთა გაუწყებ თქუენ; ანუ ვითარ იგი დალეწნა კერპნი და უღთოთა მათ არწმუნა ქრისტე და ნათელსცა მათ სახელითა წმიდისა სამებისათა, ანუ ვითარ დედაკაცსა მას უწინასწარმეტყუელა შემდეგ მისსა, მოსლვა ბერძენთა და დაპყრობა ქუეყანისა ამის ჩუენისა, რომელიცა იგი იქმნა მსწრაფლ მისვე დედაკაცსა ზედა; მოვიდეს ბერძენნი და განასხეს უსჯულონი იგი სპარსნი და დაიპყრეს ქუეყანა ესე ჩუენი, მიერითგან მეფეთა ჩუენთა და იქმნეს მპყრობელ სრულიად საქართუელოჲსა და იყო ყოველი ივერია ერთ სამეფოდვე და დაიპყრნეს მათ მტკიცედ და სხუანიცა მრავალნი ვითარცა წერილ არს წიგნსა მას წამებისა მისისასა, არამედ მინდა რათა გაუწყო თქუენ, ძმანო, ვითარმედ ესე ვითარნი ქუეყნისა ანგელოსნი, ნათელნი სოფლისანი, ჭურნი სავსენი ხელ-საცხებლითა, რომელთა თჳსითა მით სიმხნითა განაშუენეს სოფელი ესე ჩუენნი. ერთსა ჟამსა შინა იყვნეს, ვითარცა ჯაჭვი ოქროსა მოკიდებული ერთი ერთსა. წმიდა ეპისკოპოსი აბიბოს ნეკრესელი და ნეტარი იოანე ზედაძნელი და ღირსებით მოხსენებული ისე წილკნელ ეპისკოპოსი და მადლითა სავსე შიო, ანუ სხუანი იგი მოწაფენი მისნივე ნეტარისა იოანე ზედაძნელისანი, რომელთა შუენიერითა მით სლვითა შეამკუეს ეკკლესია.

ერთმან ვინმე მათგანმან აღაშენა ალავერდი, რომლისაგან გამოვლენ ვიდრე დღეინდელად დღედმდე დიდნი საკჳრველებანი და მრავალნი კურნებანი განთქმულნი გარემოს ყოველსა მას სოფელსა და სხუამან ქუაბი იყალთისა და სხუათა დანერგეს კახეთს მონასტერნი და ერთმან უდაბნო გარესჯისა და მრავალნი საკჳრველებანი ჰქმნნა. ხოლო ერთმან ზენა სოფელსა აღაშენა მონასტერი და დადვა სასწაული ესე, რათა არა რა დედათაგანი შევიდეს მას შინა, რომელმან ფრინველნი ცისანი და ქუეწარმავალნი თჳსად დაამორჩილნა, ვერ იკადრებდეს დაბუდებად მას შინა, რომელსა ესე თუალნი ჩუენნი ხედვიდეს დღეს.

და ვითარ იგი განშუენებულ-არიან ყოველნი იგი ადგილნი მათ წმიდათანი და ჰყვავიან დღეს; უკეთუმცა ვისმე უხილავი იგი მათი დიდება არა რწმენა, ვითარ გულისხმა-ჰყომცა მათა იგი კადნიერება წინაშე ღუთისა ადგილთა მათგან. ხოლო სხუათა მათ ყოველთა ვერ ძალმიძს მოხსენებად.

არამედ მცირედითა ამით სიტყჳთა დიდი იგი ვიცნათ და გემო ვიხილოთ წიგნთაგან წყაროთა და ადიდებდით მამასა თქუენსა ზეცათასა. ხოლო ნეტარმან შიო მღჳმესა მას შინა ჰპოვა ზეცისა იგი მარგალიტი და მოიღო თავსა შინა თჳსსა და დამკჳდრდა და ისწრაფდა მისლვასა მის წინაშე, რომელ იგი მოიქვა მან, მიიყვანა ადგილსა მას, სადაცა სუროდა და შეისვენა დიდითა განცხადებულითა და შეჰკრიბა მუნ სიმრავლე მონაზონთა მსგავსად ჩუეულებისა დამარხნეს ხორცნი მას ადგილსა და განაწესეს დღესასწაული მის ნეტარისა მეხუთესა ზატიკსა დღესა კჳრიაკესა.

და შემდგომად ამისსა წმიდა და კეთილად მოღუაწე ევაგრე ჩაჯდა მღჳმესა მას შინა, რათა არა დააცალიეროს ადგილი თჳსისა მის მოძღურისა და რათა სათნოებითა მისითა მკჳდრ იქმნეს. აღასრულა საქმითა და აწ იხარებენ წინაშე წმიდისა-სამებისა, რომელსა ჰშუენის ყოველი დიდება, პატივი და თაყუანის ცემა. აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

---

დაკრძალულ ჩუეულებისაებრ მუელთა ქრისტიანეთა, რომელნი დაჰკრძალვიდნენ ხოლმე წმიდათა მოწამეთა ქუეშე წმ. ტრაპეზისა. ამის გამოთ არა დავიწყებულ უნდა იყვეს ჩუენ მიერ სამარხავი წმიდისა მღუდელმოწამისა აბიბოსისა.



სახინინი. М. САБИНИНЪ.

ႼႫႨႣႠ ႫႠႫႠ ႨႭႱႤႡ ႠႫႠႬ ႠႪႠႥႤႰႣႤႪႨ.

თა სეკდემბერსა იე დღესა, ცხოვრება წმიდისა ნეტარისა მამისა ჩუენისა იოსებ აბბა ალავერდელისა (შემოკლებით), რომელი იყო ათორმეტთა მამათაგანი.

---

შუა მდინარით, მოსაზრწყინმან მთიებმან,
სიზრქე ღამეთა, სანახებთა კახეთის,
ცისკრითა ჰსდევნა, მზითა მცხინვარე ქმნილმან.
ერნი აახლნა ჰსწავლათა მოძღურებითა,
აბბა მამამან, იოსებ დიდ მნათობმან.

თქმული კათალიკოზის ანტონ პირველის მიერ.

---

ესე წმიდა და ნეტარი მამა ჩუენი იყო მოწაფე ღირსისა და ღმერთ შემოსილისა მამისა ჩუენისა იოანე ზედაძნელისა, რომელი იყო ქუეყანისაგან ასურეთისა შუამდინარით. ესე ნეტარი იოანე და ათორმეტნი მოწაფენი მისნი აღძრულნი ღმრთისა მიმართ, წყალობისათჳს ნათესავთა საქართუელოსათა, რომელ იგი ეძიებს, ვითარცა რა მწყემსი კეთილი ცხოვართა შეცთომილთა, რომელმან წარავლინნა ათორმეტნი მოწაფენი თჳსნი სახედ კრავისა შორის მგელთასა და მათ მიერ მოაქცივნა წარმართნი ცნობად ჭეშმარიტებისა. ხოლო ჩუენ დაღაცათუ დავაკლდით მათ მიმართ მადლისაგან მათისა, გარნა არა უგულებელს გვყო წმიდათა ამათ მიმართ, რომელთაცა მოგუაქცინეს სრულიად უნაყოფონი და განშორებულნი ღმრთისაგან, რომელნი დაღაცათუ წარმართთა ნეტარმან ნინო ქადაგება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, შეწევნითა ყოვლად უხრწნელისა მშობლისა მისისათა და იყვნეს მორწმუნენი განმრავლებულ, მოწაფენი ღმრთის მსახურ კათალიკოსნი და ეპისკოპოსნი, არამედ ჯერეთ ურწმუნოებაჲ არა სადა დაცხრომილ იყო, არამედ გნიოლა და სძლევდაცა. ხოლო ესე ზემო ხსენებული წმიდა მამა ჩუენი იოანე და ათორმეტნი მოწაფენი მისნი სიყრმითგანვე შესაკუთრებულ იყვნეს და შემტკიცებულ სიყუარულითა სულიერითა ურთიერთარს, რათა აღასრულონ ნეშტი ცხოვრებისა თჳსისაჲ. მათ შორის ყოფითა ღმრთისათა, ვითარცა იტყჳს უფალი, «სადაცა იყვნენო შეკრებულ სახელისა ჩემისათჳს, მუნ ვარ მე შორის მათსა»; ამისთჳსცა მოეგოთანა მზრუნველად და მოგზაურად მხოლოჲ იგი, რომელმან არა სადა არცხუენს ნების მყოფელთა მისთა და ვითარცა ესმოდათ სიგნინე სარწმუნოებისა ჩუენისა და სრულიადი მიდრეკილება, აღიძრნეს ღმრთისა მიერ მოწყალებად; ვითარცა მწყემსნი კეთილნი მეძიებელნი ცხოვართა წარწყმედულთანი და მოიწინეს სანახებსა საქართუელოსასა ათორმეტთა ამათთაგანი, ექუსნი ქართლს და ექუსნი კახეთად და გონებითა და სწავლითა განუშორებელ იყვნეს მამისა იოანესსა და რომელმანმე მათგანმან აღასრულა ცხოვრება თჳსი კეთილითა მოქალაქობითა და მოიწინეს თავსა სრულებისასა და სასწაულთა ურიცხვთა მოქმედებდეს. ხოლო წმიდა ესე და სამგზის სანატრელი მამა ჩუენი აბბაჲ იოსებ, მოიწია კახეთად ჯერ ჩინებითა ღმრთისათა და წინა მძღრობითა ცხოველს მყოფელისა ჯუარისათა, რომელსა ზედა ჯუარს ეცუა მხსნელი ჩუენი, თჳთ მის ძელისაგან აქუნდა წმიდასა მას სიყრმითგანვე სასოდ თჳსსა და შესავედრებელად ცხოვრებისა თჳსისა და ესე ექმნა მოგზაურ საგრობასა მისსა და მოიწია ადგილთა ამათ, რომელსა ეწოდების ალავერდი ესე დაემკჳდრა მას შინა ადგილთა უდაბნოთა უშენთა და უვალთა კაცთაგან და უნაყოფოთა და იქცეოდა მუნ მხოლოჲ მხოლოსა ღმრთისა მზრახველ და მისცა თავი თჳსი მოღუაწებათა ფიცხელთა და საჭირითა

და იყოფებოდა თჳნიერ ყოვლისა ნუგეშინისცემისა კაცთასა, ხოლო თუ ვითარ აწუ, რომლითა სა-
ხითა იზრდებოდა თჳთ მან მხოლომან უწყის, გარნა ესე საცნაურ არს ვითარმედ, რომელმან მიუვ-
ლინის ნეტარსა დავითს და მამასა ანტონის ირემნი და მას მიმართ ზრდიდა, არცა ამას დაუტე-
ობდა თჳნიერ ნუგეშინისცემისა კაცთასა.

გარნა ვინათგან ცოდჳათა ჩჳჱნთათჳს მრავალგზის მიეცა ტყჳჱნვასა ქჳჱყანა ესე და ურჯუ-
ლოთა მიმართ სრულიად ოხრებასა და უფროსღა მონასტერი ესე მრავალგზის სრულიადცა დაიპყ-
რეს ურჯულოთა და თჳსად სამკჳდრებელად შესცჳალეს წმიდა ესე ადგილი ჲ წარტყჳჱნეს. ხოლო
სამკაული ტაძრისა ამის მას თანავე მიფარულ იქმნა ცხოვრებაცა ამის ნეტარისა და არღარა სადა
იპოვა ჟამთა ჩჳჱნთა; ხოლო იტყჳან ამის ნეტარისასა და სარწმუნოცა არს, ვითარმედ ოდეს იგი
იყო სრბასა მოღჳაწებასასა და ღჳაწლსა მარტოდ მყოფობისა, ადგილსა მას უვალსა კაცთაგან და
მხეცთა და ნადირთა სამკჳდრებელსა, ხოლო კაცი ვინმე სამეუფოთაგან შექცეული იყო ნადირობასა
ერითა მრავლითა და განგებითა საღმრთოთა მონადირებულ იქმნა ამის წმიდისა მიერ ესრეთ სახედ
სრბოლასა შინა და დევნასა ნადირთასა განგებითა ღჳთისათა თჳთ მხოლო ოდენ მიემთხჳა წმიდასა
ამას, რა იხილა რა წმიდა ესე და გულის ხმა ჰყო სიწმიდე მისი, ვითარცა პირი ანგელოსისა და საც-
ნაურ ჰყოფდა მის შორის მკჳდრობასა სულისა ცხოველისასა, მყის გარდამოხდა ცხენისაგან და მი-
ვიდა მკჳრცხლ, რამეთუ იყო გონიერ კაცი იგი და ჰკითხა წმიდასა მას ვინაობა და სადაობაჲ და
მოწევნულება მისი და ვინათგან გულის ხმა ჰყო სიმდიდრე ღირსებისა მისისა და სიწმიდით მოქა-
ლაქობა მისი, ვინა იგი მოწევნულ იყო და დამკჳდრებულ ადგილთა ამათ, ამიერითგან ღამე ყოველ
ვარსკჳლავ ბრწყინჳალე იხილვებოდის დადგრომილ ადგილსა მას და ყოველთა მიერ ესრეთ იხილვე-
ბოდა და ვინათგან ესრეთ განცხადნა, არცა მან დაუფარა თჳსი ყოველივე და აუწყა და მცნება უფლისა
ჩჳჱნისა იესო ქრისტესი კადნიერად გამოუცხადა და დანერგა სრული სარწმუნოება და სურჳლი
საღმრთოსა სიყჳარულისა და ჭეშმარიტებისა მის შორის და მან აღუთქჳა აღშენება ტაძრისა მის,
რომელსა შინა თჳთცა მოუწოდეს ნეტარსა ამას აბბას და ნეშტი ცხოვრებისა თჳსისა მონასტერსა
მას შინა აღასრულა არა გარეგან და კაცთა შორის მკჳდრობითა, არამედ არცა განშორებულთა მა-
მათა საზომთაგან დაკლებულ ნუ იყოფინ; არამედ მყუდროდ უხილავად ერისაგან შინაგან ტაძრისა
ამის ბნელსა რასამე ადგილსა შინა ფრიადითა იწროებითა მარხჳთა და ზედგომითა განმკაფელმან
ჴორცთა თჳსთა მან და მოღჳაწებასა და ძლიერსა შრომასა შინა ესე ოდენ მიმდემად და დაუცხრო-
მელად სწავლითა თჳსითა მრავალნი მოაქცივნა, ვიდრემდის ურწმუნოება სრულიად წარდევნა ჲ ღჳ-
თის მსახურება ესრეთ პატიოსნად აღაორძინა და ადგილი ესე განავრცელა კაცთა მიერ და აღავსო-
კრებულითა სულიერითა და აღესრულა და დაიდვა ამასავე მონასტერსა და მარადის იქმს სასწაულთა
საკჳრჳჱლთა და დაუცხრომელთა, ნანდჳლვე სარწმუნოებით მომავალი არავინ ხვებულ იქმნების
თხოვისაგან თჳსისა და ამისგანცა საცნაურ არს, ვითარმედ უკეთუმცა არა მათ წარმატებულ იყო
ყოვლითავე სათნოებათა სიმრავლითა არამცა ესრეთ ღმერთსა შეემკო წმიდა სამარხო მისი და
ესრეთ ადიდა უმანკო მოქალაქობა მისი, რამეთუ ვინადგან დაიდვა ყოვლად მოღჳაწე გჳამი მისი
მონასტერსა ამას, მიერ დღითგან დაუტევეს მეფეთა პირჳჱლ სამარხო მისი სურვილითა მისითა
და მინდობითა შეწევნითა მისითა და სასოებითა შეახლებისათჳს ჩჳჱნისა გჳამისა მისისა სამარხო-
ეს მონასტერი ესე და ვითარცა მამა და მოძღჳარი და მოსურნე ცხოვრებისა ჩჳჱნისა პატივისცე-
მისათჳს მიმართ მორწმუნისა.

თ̄ა მაისსა თ დღესა, ცხოვრება და საკჳრუელებანი წმიდისა და ნეტარისა შიოსნი, რომელ იყო ანტიოქიათ შუა მდინარისათ. ხოლო მოიწია ქუეყანად ქართლისა და დაემკჳდრა სარკინისა მღჳმესა[1]) რომელი ესე აღწერა ღირსმან მარტვირი პირუელ, რომელსა ეწოდა იოანე, რომელი იყო მოწაფეთაგანი წმიდისა იოანესთა კონსტანტინეპოლით.

---

მღჳმე ფრთედ მიწა, მკვეთ ეთერისად ჰქმენი.
მთხრებლ კიბედ გამართა ცისათა ზე.
ზესთა ზენასა, მყის ამაღლდი სუფევად.
მამაო შიო, ასურო მსურის შენდა.
მღჳმით წუხილთათჳ, აღმომწი ტყვივ კიდულთ.

თქმული ნიკოლაოზ ტფილელის მიერ.

---

ხსენებით წმიდათათა ოდესცა სადა იქმნა განძღომა ცნობისა მქონებელთაგან არა თუ ვინმე სრულიად წარტყუენილ იყოს გონებითა კუმაკისა მიერ და თუალნი სულისანი აქუნდეს ყოვლად უმხედველო, რამეთუ წერილ არს «ხსენება მართლისა ქებით აღესრულების». ხოლო რომელთა იგი ხსენება საქებელ არს, მათი სამარადისოდ მოხსენება რაოდენმე აღესრულების, ხოლო ტრფიალთა საღმრთოთა სიბრძნისათა და მოსურნეთა ჭეშმარიტისა ცხოვრებისათა აღძრავს მიბაძვად თჳთ მათ მათთა სათნოებათა და მოქალაქობისა იტყჳს ბრძენთაგანი ვინმე პირუელთა ვითარმედ ბრძენთა მაქებელნიცა ბრძენნი უხმან, ხოლო წმიდათა მათ ებრვე განწმედილნი სულითა და თუალითა გონებისათა საცნაურად მხედველნი მათისა ცხოვრებისანი.

ამისთჳსცა ჩუენცა საწინასწარ მეტყუელისა სიტყჳსა მიერ ვყოთ და წყება მიზეზისა ამის სიტყჳსა ჩუენისასა, რათა წმიდათა მიერ შეისხმოდეს. მოქადულნი დიდებასა ზედა, რომელი

---

1) წმიდა და ღმერთშემოსილი მამა ჩუენი შიო, იყო მცხოვრებელ და მოქალაქე დიდის ქალაქისა ანტიოქიისა ასურეთისასა. ნეტარი იგი მოვიდა საქართუელოს მეფობასა შინა ფარსმან მეექუსისა (451—555); ადგილი სარკინეთი მცხეთითგან დასავლეთის მხარეს არს, ვიდრე 10 ვერსტი და უმეტეს ამისა, მტკუარის მარცხნივ მხარეს; სახელი შიო ასურეთილს ენაზედ ნიშნავს ბერძულს სჳმეონს. ეს სახელი, ასურეთელს ენაზედ გამოითქმების — შმეონ და ჩვეულებისაებრ შემოკლებისა სახელთასა საყუარელთა ვითმე, ვითარ ნიკოლაოზ — ნიკო, ქეთევან — ქეთო და სხუათა, ეგრეთვე შმეონ, შემოკლებული შიო, ვითარ აწინდელი სჳმეონ — სიკო ანუ სიმო.

განიკ̃თნეს წინასწარვე ღ̃თის მიერ მართალი, ვითარცა ფინიკი აღყუავდეს დ̃ ვითარცა ნაძჳ ლიბანისა განმრავლდეს, ჭეშმარიტად ამაღლდეს წმიდანი უფროს სიმაღლეთა და განმრავლდეს ნაყოფნი მათნი, უფროს ყოველთა ნაყოფისათა და ყუავიან სახლსა შინა ღ̃თისასა ვითაარცა ვარდნი შუენიერნი სულნელნი, რომელთაგანი ერთი არს ჩემი ყოვლად სასურველი ღ̃თივ ცნობილი წინასწარ და მიერვე გამორჩეული სამგზის სანატრელი შიოჲ. მამათა და მოწესეთა ძეგლი, რომელმან არარად შერაცხა სოფელი და სოფლისა შინა ყოველი სიყუარულისათჳს ღ̃თისა მშობელნი და ნათესავნი სიმდიდრე და პატივნი და განსუენება ხორცთა, ვითარცა წარმავალი და მომაკუდინებელი სულისა მოიძულა, დაუტევა ნებასა თანა ხორცთასა ყოველი ნება მსოფლიო მეუღლება უმრავლესთა მიერ საწადელი; თჳთ იგი ქრისტეანიცა მშობელი და აღმზრდელი თჳსი დაუტევა და მხოლოს ოდენ ღ̃თისა საკუთარ ქმნილი ეკ̃რთა ღუაწლთა ძლიერად და იწროთ გზით და საჭურველითა მავალი ფართოსა მას და საცხოვრებელსა ზეცისა ჩინებისასა მოსწრაფე იყო მიწევნად. მორჩილი სამოციქულოსა ხმისა დაუთმო ჰაერთა სიფიცხესა უცხოებასა სიგლახაკესა, შიშლოებასა დ̃ ყოვლითურთ უპოვარებასა, რომლისათჳსცა არა ჰსცა რული წამთა და არცა განსუენება ხორცთა ვიდრემდის ჰპოვა მადლი უფლისა და საყოფელსა შინა წმიდათასა განისუენა, რომელსა შინა აწ მკჳდრი მეოხად დგას წინაშე მეუფისა თჳსისა კადნიერად სურვლით მახსენებელთათჳს მისთა და წმიდისა დღესასწაულისა მისისა აღმასრულებითა.

ესე წმიდა და ღმერთშემოსილი მამა შიო იყო ქრისტეანით ასურეთისათ დიდითა მით ღ̃თის ქალაქით ანტიოქიათ, რომელმან მრავალნი ესე ვითარნი წმიდანი აღმოაცენნა, მშობელთა ღ̃თის მსახურთა და აზნაურთა შვილი, რომელნი იგი მრჩობლ მდიდარ იყუნეს ღ̃თის მსახურებითა და მშობლობითა ამის წმიდისათა და არა ესუა მათ შვილი სხუა გარნა ნეტარი შიო მოეცათ მათ ნაყოფად მუცლისა მათისა. კეთილი და ღ̃თივ მონიჭებული კურთხი სიბერისა და ესე ოდენ აქუნდა მკჳდრ მამულისა მათისა. ხოლო ნეტართა მეუღლეთა შუენიერი იგი ნაყოფი მათი აღზარდეს მრავლითა მოღუაწებითა და ზედადგომითა სწავლათა შინა საღმრთოსა წერილთასა და ასწავეს მას ყოველი წერილი ძუელი და ახალი და თარგმანებაჲ მათი. ხოლო იგი მიიღებდა ყოველსა სწავლულებასა ვითარცა ქრისტეანა კეთილი, რამეთუ აღორძნდებოდა მის შორის კეთილად ცვითა და წურთითა მათითა და დაისწავა უმრავლესი მათი ზეპირათ, ხოლო წმიდა სახარება და ეპისტოლენი პავლე მოციქულისანი და წიგნი ფსალმუნთა მარადის განუშორებელად ეპყრნეს და ენითა და პირითა მარადის იგინი მოაქუნდინ და უფროს თაფლისა დატკბებოდეს სასასა მისსა.

იქმნა რა წლისა ათექუსმეტისა იწყო გამოძიებად სიტყუათა წმიდათა წიგნთასა და ზის და იკითხავნ განუსუენებლად დღე და ღამე და მადლითა სულისა წმიდისათა ყოველთა უცთომელად გულისხმაჰყოფნ და გამოსთარგმანებნ ვიდრემდის ყოველთა უკჳრდა მადლი იგი ღ̃თისა, რომელი მდიდრად მეტყუელებდა პირითა მისით, შეშინა უკუე მშობელთა მისთა და იურვოდეს მისსა მას ეგრეთ შეუსუენებელსა შრომასა დ̃ ეტყოდეს, რათა მისცეს მოცალებადცა ოდესმე თავსა თჳსსა და არა ეგრეთ მიმდემად აჭირვებდეს სხეულსა დ̃ წიგნთაცა ხელჰყოფს, რათა მიიხუნეს. შეწუხნა ამას ზედა ნეტარი იგი ყრმა და ეტყოდა მშობელთა თჳსთა «ვითარმედ, რად ესრეთ ჰყოფთ უფალნო ჩემნო და განმაშორებთ მე ზრახვისაგან ღ̃თისა, რამეთუ რომელი არა ზრახვიდეს მარადის სჯულსა ღ̃თისა იგი შორის არს სასუფეველისაგან ღ̃თისა და ტყუე იქმნეს ეშმაკისა, აწ ნუ კეთილნო მშობელნო ჩემნო, იხილეთ, რომელსა იგი ჰყოფთ ჩემთანა» მიიღო მშობელთაგანცა ფლობაჲ და მიერჩდეს ნებასა მისსა და წარუმარტებოდა ნეტარი ესე ყოველთა ჰასაკისა სწორთა შიშითა ღ̃-

ტისათა და წ҃რთითა საღმრთოთა წერილთათა, რამეთუ ირწყ҃ჳბოდა იგი სჯულსა შინა ღ҃თისა წერილთაებრ და ნაყოფვინ იქმნებოდა, ვითარცა ზეთის ხილი მსხმო სახლსა ღ҃თისასა.

ჟამთა მათ შინა, ოდეს ღირსი შიო იქმნა ოცისა წლისა, დიდი იგი მნათობი და თ҃ალი მო-ღ҃აწეთა ყოვლად განთქმული იოანე ნიშებ შემოსილი გამოჩნდა, ვითარცა ვარსკ҃ლავი მრავალ მნა-თობი, რომელნი იგი განანათლებნ ყოველთა მკჳდრთა ანტიოქიისათა და იყოფებოდა იგი უდაბ-ნოსა ადგილსა მრავალთა თანა მოწაფეთა; მიიწია უკ҃ჱ შიო ფარულად მშობელთაგან თჳსთა დი-დისა მის მწყემსისა იოანესსა, შეუვრდა ნეტართა მათ ფერხთა მოეხ҃ჱოდა, ამბორს უყოფდა და ვი-თარცა ღ҃თივ აღძრული სიყ҃არულითა, რომელი ცეცხლისაცა უმეწ҃ჱლეს არს და ყოველსა ბუნე-ბასა შინა უზეშთაეს ყოვლისა. ხოლო ნეტარმან იოანე იხილა რა გონიერება ჭაბუკისა მის და ში-ნაგანი მხედველობაჲ და სიმდაბლე გონებისა შემუსრვილება გულისა და მყუდროება სიტყჳსა და სიმტკიცე შინაგანისა მის კაცისა, გულის ხმა ჰყო სულითა სიმაღლე სულისა მისისა და თუ ვითარ ქ҃ყანასა კეთილსა ეწყიეს შეწყნარებად თესლსა მას ღ҃თისა ბრძანებათასა და, რამეთუ იყოცა ნე-ტარი იოანე მეცნიერ წინასწართა და ჰრქ҃ა მას ესრეთ «შჳლო შიო» განკჳრდა უკ҃ჱ სახელის დებასა ზედა თჳსა ნეტარი შიო ჲ ცნა, ვითარმედ მიემთხჳა, რომელსა იგი სურვიელ იყო, ეგევი-თარსა მოძღ҃არსა და განმანათლებელსა თჳსსა. კ҃ალად ჰრქ҃ა მას «შჳლო შიო, რად შეშფოთნები ამისთჳს, რამეთუ სახელი შენი მაუწყა მე უფალმან, უკეთუ გრწამს წმიდისა სახარებისა, რომელი შეიყ҃არე გრწმენეს, რამეთუ სარწმუნოება ღ҃თისა ყოველსავე შეუძლებს». აღადგისა იგი ნეტარ-მან იოანე და ამბორს უყო მას და მისცა კურთხევა ჲ მიექცა მოწაფეთა და თქ҃ა ნელიად «აჰა ჭაბუ-კი ესე გამოირჩია ღმერთმან და აღავსო სულითა წმიდითა და იქმნეს ესე მამა მრავალთა სულთა, რომელთა წარუძღ҃ჳს უფალი სათნოებათა მიერ თჳსცა, რამეთუ იქმნეს ესე სანთელ მნთებარე სა-სანთლესა ზედა, რათა ყოველთა უსათობდეს» დაკ҃ალად მოექცა შიოს და ჰრქ҃ა «შჳლო, ნეტარ ხარ შენ, რამეთუ დიდ იქმნე წინაშე ღ҃თისა და ნეტარ ვარ რამეთუ მამა ვიწოდო ეგე ვითარისა მამა-თა მამისა».

ეზრახა მას დღე ყოველ და თავლისა უტკბილესთა მათ სიტყ҃ათა მისთა მიერ განანათლა გონებაჲ მისი და მხიარულ იყო, მეორესა უკ҃ჱ დღესა ჰრქ҃ა მას. «წარვედ აწ შჳლო და მშობელ-თაგან შენთა მოიღე კურთხევა და მერმე მოვედ ჩემდავე და მადლმან ღ҃თისამან და გიფარენ და განგაძლიერენ».

შეწუხნა ნეტარი შიო ფრიად წარგზავნისათჳს, ნუ უკ҃ჱ მშობელთაგან ნაცულად კურთხევისა საჯელი მიიღოს, რაჟამს ცნან სურვილი მონაზონებისა მიმართ; არამედ დაუმტკიცა მას ნეტარმან იოანე, ვითარმედ «გრწმენინ ჩემი, რამეთუ უწინარეს შენსა მათ მიიღონ წმიდისა მონაზონებისა სახე. წარვედ, უფალი იყავნ შენთანა მოგზაურ და განმამტკიცებელ შენდა». ხოლო შიო მიიღო კურთხევა იოანესი და ყოველთა ძმათა და წარვიდა სახედ მშობელთა მისთა და მიიწია რა ჰკითხ-ვიდეს, თუ სადა არს იგი და რად დაუფარა მათ. უკეთუ აქ҃ნდა რამე მიზეზი წარსლვისა სადამე გარ-ნა ფრთხილმან ამან სულმან ყოვლად არა აუწყა, რათა არა განაკრთვნეს ანაზდათისა მის საქმისათჳს არამედ დაიდუმა და კეთილითა მით სივერაგითა სხ҃ა რამე ღონე მოიპოვა და რწმუნებისა მათისა ხოლო შესწვიდა ალი იგი მოტყინარისაჲ მის სიყ҃არულისათჳს, რომელი ცეცხლებრ ეგზნებოდა შინაგან მისსა და ასწავებდა მის, რათამცა ვერ სასურველსა მას თჳსსა უადრეს მიემთხჳა.

იყო დიდებული დღეთა შორის წმიდა კჳრიაკე და წარვიდეს მშობელნი მისნი წმიდად ეკკლე-სიად და ჟამსა წმიდა ჟამის წირვისასა და დგა იგი თჳნიერ ჩ҃ეულებისა მახლობლად მამისა თჳსისა,

ხოლო მოიწია რა დიაკონი საფსალმუნეთა ზედა წარკითხვად წმიდისა სახარებისა ჰრქუა ნეტარმან შიო მამასა თჳსსა. «უფალო ჩემო მივეახლნეთ წმიდისა მის სახარებისა ქუეშე კერძო, რამეთუ მასმიეს ხუცესთაგან, ვითარმედ ყოველნი სენნი და უძლურებანი განეშორებიან, რომელთა თავსა ზედა წარიკითხონ დღესა კჳრიაკესა წმიდა სახარება», ერჩდა მამა მისი სიტყუათა მისთა და დადგეს ქუეშე კერძო წმიდისა სახარებისა; ხოლო ესე სახარება წარიკითხა დიაკონმან. «ყოველმან რომელმან არა მოიძულოს მამა და დედაჲ ⴃ ცოლნი ⴃ შჳლნი, აგარაკი, მონაგებნი; ვერ ძალ-უც მოწაფე ყოფად ჩემდა». აღესრულა რა წმიდა ჟამის წირვა წარვიდეს სახლსა თჳსსა ⴃ დასხეს სამხრობად ⴃ ჰკითხა ნეტარმან შიო მამასა თჳსსა«უფალო ჩემო, რა იყო სიტყუა იგი, რომელი დღეს აღმოიკითხეს წმიდასა შინა სახარებასა». და მან ჰრქუა მისთჳს, რომელი ესმინა წმიდისა სახარებისაგან, მერმე მიუგო კეთილმან მან «უფალო რაჲ ყოვნებად არს ჩუენდა, რათა გუერქუას ჩუენ მოწაფე ქრისტესი ⴃ ვითარცა გესმა ასი წილი მოვიღოთ მისგან მამულსა მას საუკუნესა მცირედისა ამისთჳს; რამეთუ რასა შევიძინებით სოფლისა ამისგან, უკეთუ მეფეცა ვიყუნეთ ეგრეცა ვერას შემძლებელ ვართ განგებად». ხოლო მამასა მისსა გული ვითარცა ცვილი ლბილი საბეჭდავისაგან ეგრეთ აღმოიტჳფრვიდა და ჰრქუა ძესა თჳსსა. შჳლო ვითარ შენ ხედავ მე და დედა შენი მოხუცებულ ვართ და შენ მარტო მკჳდრი მამულისა ჩუენისა მოგეცი. აწ უკეთუ ისებო ჩუენ გქუენ მონაზონ და შენ მოიყუანე შენდა ცოლი და ნუ უმკჳდრო ჰყოფ მამულსა შენსა აჰა ესერა ყოველი წინაშე შენსა არს, მიიღე ყოვლისა უფლება; განიხარა ესე ნეტარმან შიო და ჰრქუა გულსა თჳსსა. «ოდეს მშობელნი ჩემნი იქმნენ მონაზონ მე თავის უფალ ვარ, რაჲ მინდეს ვჰყო» და მოეხსენა სიტყუა ესე, რომელი ჰრქუა ნეტარმან იოანე, ვითარმედ «შენსა უწინარეს მიიღონ მშობელთა შენთა სახე მონაზონებისა». ხოლო ნეტარმან შიო მიუგო კეთილთა მათ მშობელთა თჳსთა «უფალნო ჩემნო, ოდეს კეთილი გონება მოგცა თქუენ ღმერთმან, ნუ სდროებთ ქმნად მაგისსა, არამედ რა იგი გიხმს თქუენ მიეცით შესაწირავად, რომელსაცა მონასტერსა გთნავს და მე მომავალსა წელსა უკეთუ სათნო უჩნდეს ღმრთისა მოვიყუანო ვითარცა მინდეს მეუღლე». ესრეთ რა ამის ქმნად მოიმტკიცნა მშობელნი არღარა ყოვნა, არამედ პირუელად წარიყუანა დედა თჳსი ქალწულთა მონასტერსა და შევედრა დედათ დიაკონსა და აღკუეცა იგი და ჰრქუა მას ნეტარმან შიო. «დედაო! უწყოდე, რამეთუ ამიერითგან ეგო მცნებასა შინა და აღთქუმა დაგიც წინაშე ქრისტესა საკურთხეველისა, არცა ჩემდა ხილვად შემძლებელ ხარ და არცა მამისა ჩემისა, იყავ შენ აქა მორჩილ წმიდისა ამის დედათა დიაკონისა და დათა ყოველთა და ნუღარა გეურვებინ ჩემთჳს ოდენ ნუ დამივიწყებნ ლოცუათა შინა შენთა». და მოიკითხნეს ფრიადითა ცრემლითა და მისცეს ურთიერთარს უკანასკნელი ამბორის ყოფაჲ და განეშორნეს.

ეგრეთვე წარიყვანა მამა თჳსი მონასტერსა ზოგად ცხოვრებულთასა და შეიმოსა მანცა წმიდა სქემაჲ და მრავალი სიტყუა სწავლისა ჰრქუა ნეტარმან შიო მამასა თჳსსა მოთმინებისათჳს და ორთავე მონასტერთა არა მცირედი საფასე შეწირა, სადა იგი იყუნეს მშობელნი ამის წმიდისანი და მსგავსადვე დედისა, მამასაცა მისცა უკანასკნელი მშჳდობა და მიიღო მის მიერ, კურთხევა და განეშორა. ესრეთ მიიღო რა თავის უფლებითი ცხოვრება ღუთივ გონიერმან შიო მიიწია სახიდ და განუყო ყოველი მონაგები თჳსი გლახაკთა და განათავისუფლნა მონანი და მხევალნი და განყიდა ყოველი რაჲცა იყო მშობელთა მისთა დატევებული და მისცა მონასტერთა და მოქენეთა [1]), თჳნიერ ოდენ

---

1) მოქენე, — გლახაკი, საწყალი შესაბრალებელი, რომელსა უჭირს ანუ, რომელს გასჭირებია ცხოვრება.

იპყრნა წმიდა სახარება და წიგნი-საფსალმუნე, დაუტევა გიხაროდენი ყოველთა საქმეთა მისთა თანა სა-
ხარებისაებრ მეტყუელისა თჳთ, სულიცაჲ უარჰყო ქრისტესთჳს და განვიდა სოფლით და სახლით
თჳსით და წარემართა სასურველისა მიმართ თჳსისა, რომლისათჳს ყოვლადვე სუროდა და ტრფიალ
იყო მოგებად მისდა, რომლისაგანცა არა ხუებულ იქმნა, ვითარცა ქუემორე ცხად ჰყო სიტყუამან.

მიიწია კუალად იოანესა და მოიდრიკნა მუხლნი და მიიღო კურთხევა და მის მიერ განიხარა
იოანე სიხარულითა დიდითა და შეიწყნარა და შეიტკბობდა მას დიდითა სიყუარულითა და ეტყოდა:
«შჳლო სარწმუნოო შიო, ნეტარ ხარ შენ, რამეთუ დასდევ ხელი ერქუანსა[1]) და უკანა არ მხედვე-
ლობდი, არამედ კეთილად წარმართე ორნატი შენი. ჰე გეტყჳ შენ ძმაო და გრწმენინ, ვითარმედ
უშრომელად განეშორო ყოველთაგან ბრძოლათა მტერისათა, ამისთჳს, რამეთუ ყოვლითა სასოე-
ბითა შეიყუარე შენ ქრისტე და მტკიცითა სარწმუნოებითა აღასრულებ წმიდანი ბრძანებანი მისნი».
ხოლო შიო ევედრებოდა ნეტარსა იოანეს, რათა აღკუეცოს იგი და შერთოს იგი მწყობრსა მო-
ნაზონთასა იხილა, რა დიდი იგი სიყუარული მისი იოანე არღარა ყოვნაჲ; არამედ დასხნა მის ზედა
წმიდანი ხელნი მისნი აღკუეცნა და შემოსა წმიდა სქემა და იხილა რამეთუ პირი მისი იქმნა ვითარ-
ცა პირი ანგელოზისა.

ხოლო ამიერითგან რაჲღა ვინ თქუას ღუაწლთა მისთათჳს ძლიერთა რომელ თავს ისმხმიდა
დღითი დღე წარმატებად ძალითი ძალად, ვითარცა ხე თანაწარსადენელსა წმიდათა წყალთა ღუთის
მეცნიერებისათა დანერგული და ნაყოფიერ იქმნებოდა, ვითარცა ფინიკი მსხმო ტკბილითა და სუ-
ლიერთა ნაყოფთაგან და სწავლათა ღირსისა იოანესთა ვიდრემდის ყოველი გზა მონაზონებისაჲ
ვითარცა ხელოვნება რაჲმე ესრეთ დაისწავა და მიიწია საზომსა სრულსა და დიდთა მამათასა ვიდ-
რემდის თჳთ მოძღუარი მისი იოანე განკჳრდა მადლსა მას ღუთისა, რომლითა ხედვიდა ნეტარსა
შიოს აღსავსედ, რამეთუ ეშმაკთა და მათ მიმართ ზედა მოსრულთა, ვითარცა ქსელთა დედა ზარდ-
ლისათა დახსნიდა და მოეცა მას ღუთისა მიერ მადლი სენთა ოხებად კაცთაგან და პირუტყუთა და
ეშმაკეულთა სიტყჳთ განკურნებდა და ყოვლით კერძო მომავალნი იოანესსა სნეულნი და ეშმაკე-
ულნი ლოცჳთა ამისითა განიკურნებოდეს, რამეთუ იყო ნეტარი ესე ყოვლად უმანკო და რათურ-
ფით არა შევიდოდა მისსა გულსა კუალიცა სიმაღლისა და ამპარტავნებისა, ხოლო სიმდაბლე ეს-
ოდენი მოეგოჲ ვიდრემდის არცაღა თუ არა სადამე შეერაცხა თავი თჳსი.

ოდეს იგი აღასრულნა ნეტარმან შიო ოცნი წელნი სხუანი მონაზონებასა შინა, მოიწია,
იოანესსა ბრძანებაჲ ზეგარდამო; რათა გამოირჩინეს ათორმეტნი მოწაფეთაგან თჳსთა ძლი-
ერნი სიტყჳთა და საქმით და წარვიდეს ქუეყანად ქართუელთა და განამტკიცნენ ერნი სარწმუ-
ნოებასა ზედა, რამეთუ ახალ ნერგ იყუნეს მაშინ ქართუელნი და ორასნი ოდენ წელიწადნი წარ-
სრულ იყუნეს მოქცევით მათითგან, ოდეს იგი მოციქულთა მადლითა განმტკიცებულმან წმიდამან
დედამან ნინო აღმოშობნა წმიდით ემბაზით და განანათლნა ღუთის მსახურებითა, ესერა ბრძანებაჲ
გამოეცხადა მისგან დიდსა იოანეს, ამცნო ყოველთა მოწაფეთა თჳსთა, რათა განეკრძალნენ ლო-
ცჳსა და მარხჳთა გარდაჳლნენ ათნი იგი დღენი ვედრებასა შინა ღუთისა და ითხოვონ თუ რაჲ
არს აღსასრული გამოცხადებისა მის.

გარდახდეს დღენი იგი, მოუწოდა ყოველთა და ჰრქუა ნეტარმან იოანე. «შჳლნო ჩემნო დ

---

1) ერქუანი, გუთანი.

ძმანო საყჳარელნო, აჰა ესერა ყოველთა მადლითა ღჳთისათა გხედავთ სრულსა ყოველთა შინა საქმეთა ღჳთისათა ისმინეთ, რომელი ესე მეუწყა ღჳთისა მიერ, რამეთუ ვიხილე მე ყოვლად წმიდა დედოფალი ღჳთის მშობელი და მიბრძანა რათა აღვიხჳნე ჩემთანა ათორმეტნი თქუენგანნი და წარვიდეთ ქუეყანად ქართლისა და მუნ ვიღუაწოთ სარწმუნოებისათჳს ქუეყანისა; აწ უკუე დავსწეროთ თქუენ ყოველთა სახელები და დავდვათ წმიდასა ზედა ტრაპეზსა, ხოლო განვათიოთ ყოველთა ღამე ესე ზოგად ვედრებასა შინა ღჳთისა და რომელთაცა მოგჳცნეს ღმერთმან ვერჩდეთ საღმრთოსა ამას ნებასა».

და ჰრქუეს ყოველთა მამაო, წმიდაო ვითარცა გამოგიცხადა შენ ღმერთმან ჰყავ, ხოლო ჩუენ არა სადა დაგიტეოთ და არცა განვეშორნეთ წმიდასა პირსა შენსა. და იყუნეს ყოველნი დიდსა შინა მწუხარებასა, რამეთუ არა იცოდეს თუ რომელთა ჰნებავდა დატევებაჲ; რამეთუ ესრეთ უძნდა დატევება ვითარ ცოცხლივ ჯოჯოხეთსა შინა სლვა. ხოლო განათიეს ღამე ყოველ ლოცვასა შინა ზედგომით და იქმნა ჟამი დღისა მესამე ყოველთა მღუდელთა უბრძანა ნეტარმან იოანე, რათა შეწირონ უსისხლო იგი მსხუერპლი და აღესრულა რა წმიდა იგი ჟამის წირვაჲ და ეზიარნეს წმიდათა საიდუმლოთა, უბრძანა ყოველთა, რათა აღიპყრნენ ხელნი და იტყოდენ კირიელეისონსა [1]) და ვითარ განიპყრნეს ხელნი და იტყოდეს კირიელისონსა ჟამ ერთ აღიღოჲ ანგელოზმან ღჳთისამან საკურთხეველისაგან და შთადვა ხელთა შინა იოანესთა სახილველად ყოველთა ათორმეტი ქარტა [2]), რომელსა ეწერა ათორმეტი ძმათა სახელი, რომელნი იგი უფალმან გამოირჩივნა: შიო, დავით, იოსებ, ანტონი, თეოდოსიოს, თათაჲ, პიროს, ელია, პიმენ, ნათან, აბიბოს, იოანე; ხოლო ესე ამისთჳს ჰყო ნეტარმან იოანე, რათა არა თუალღებით ჰგონონ სიყუარული მათდა მიმართ ძმათა და რომელნი იგი დაშთენ არა შეწუხნენ მოძღუარისათჳს.

ესე რა ესრეთ იქმნა მოიყვანნა დაშთომილნი იგი ძმანი შეწუხებულნი მწარედ მტირალნი და ტყეობისათჳს მათისა და მვედრებელნი, რათა არა დააკლდენ ეგე ვითარსა სახიერსა მოძღუარსა, არამედ მიუგო ნეტარმან იოანე და ჰრქუა მათ. «შჳლნო, შეუძლებელ არს ნებისა ღჳთისა წინააღდგომა და თქუენ მეწამებით, რამეთუ მიერ დღითგან, ოდეს იხებეთ გლახაკისა იოანეს მოწაფეობა, არავის თუალ ვახუენ თქუენგანსა, არამედ ყოვლითა გულითა მარტივად შეგიყუარენ ყოველნი, ვითაარცა ქრისტე მეწამების ამას თჳთ და აწ ოდეს ნება მისი თქუენ ზედა ესრეთ არს, რათა თქუენ ზედა ესრეთ არს, რათა თქუენ აქა სათნოეყუნეთ მას, ხოლო ესენი სადაცა იგი მიუძღვეს ნუ სწუხართ, არამედ სიხარულით ერჩდით ბრძანებასა და ჩინებასა მისსა, რათა არა წინა აღმდგომცა ვიპოვნეთ ღჳთისა და ფრიად ლოცვითა და ვედრებითა, და ევედრებოდა, რათა დაიცხრონ გოდებაჲ იგი უზომო და განუჩინა მათ ეფთჳმი წინამძღურად და მსწავლელად ნაცულად თჳსსა და აღიპყრნა ხელნი და ილოცა მყოვარჟამ და შევედრნა იგინი უფალსა და მოექცა თჳთოეულსა მათგანსა და სდვნა ხელნი და აკურთხნა და მერმე ზოგად ყოველნი და ესრეთ მრავლითა ცრემლითა იჯმნა მათგან.

ამათ ჟამთა აღსრულ იყო დიდი მნათობი მოქმედი სჳმონ საკჳრუელთმოქმედი მთასა საკჳრუელსა გარნაჲ არა და სუეტსაცა ზედა არამედ თორნესა შინა მჯდომარე იყო და ნეტარმან

1) ესე იგი უფალო შეგვიწყალე.
2) ხარტი ანუ ხარტია დაწერილი ქაღალდი.

იოანე და მოწაფეთა მისთა იხილეს იგი და ლოცუა მისი მოიღეს[1]) და ესრეთ წარემართნენ გზასა ქართლად მიმყუანებელსა, რომელი იგი მრავლითა შრომითა წარვლეს. ხოლო მიიწივნეს რა ქალაქად ქართლისა, დაადგა ევლავიოზს კათალიკოზსა ჩუენებასა შინა ღამისასა ანგელოზი უფლისა და ჰრქუა მას; აჰა ესერა მოვალს იოანე ყოვლად განთქმული მონა უფლისა მოწაფეთა თჳსთა თანა, რომელმან განანათლოს ყოველი ესე ქუეყანა, ვითარცა პირუელ ნინო, აწ უკუე აღდეგ და მიეგებოდე მათ და მრავლითა მოღუაწებითა შეიწყნარენ იგინი და ნუ ხედავ შეურაცხებით მოხილვებასა მათსა, რამეთუ შინაგანი მათი კაცი ყოვლად ბრწყინუალე და შემკობილ არს.

აღდგა უკუე ღირსი ევლაკიოზ ყოველთა თანა ეკკლესიისა მჴლეთა და გავიდა ზენა სოფლამდე და იმსტრობდა ყოველთა თანა წარმავალთა თუ ვინმე არნ მონანი იგი ღუთისანი და აჰა მოვიდოდეს წმიდანი იგი მამანი უხამლონი და დაბებკილითა მოსილნი შეურაცხად სახილველნი კუნკულითა შემოსილნი წესისაებრ ასურთა ქუეყანისა. იხილნა რა ღირსმან კათალიკოზმან გულისხმაჰყო, ვითარმედ ისინი არიან, რომელთათჳს ეუწყა, აღდგა და შეუპყრა ქედსა იოანესსა და ჰრქუა მას, გეფილად მოხუედ მამაო წმიდაო. შეუვრდა უკუე იოანე ფერხთა მისთა და ეტყოდა: «წმიდაო მეუფეო! კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან ღირს მყო თაყუანისცემად სიწმიდისა შენისა», ეგრეთვე თითოეულად ყოველთა მიიღეს კურთხევა კათალიკოზისა მიერ.

აქა დამაყენა მე სიტყუამან მითხრობად თქუენდა საკჳრუელებისა დიდისა, თუ ვითარ ღირსმან კათალიკოზმან და ნეტარმან იოანე ისწავლეს ერთმანერთისათჳს და სახელი თითოეულისა და გუალად, ვითარ მოეცა იოანეს ენა ქართუელად მეტყუელი, ყოვლად დაუბრკოლებელი. ეჰა საკჳრუელებათა შენთა ქრისტე ღმერთო, ვითარ ადიდებ მადიდებელთა შენთა; ესე სასწაული ძმანო, მიმსგავსებულ არს გარდამოსლვასა სულისა წმიდისასა, წმიდათა ზედა მოციქულთა და განყოფასა მას ენათა ცეცხლისათა; ჭეშმარიტად საკჳრუელ არს ღმერთი შორის წმიდათა მისთა, რომელმან სულითა წმიდითა წამსა შინა აღატყუა სიტყუთა, ზრახუად იოანე, რომელი არცა ოდეს ისმიოდა არა თუ ესწავა, ესევისმცა არა დაუკჳრდა ვისიმცა ცნობაჲ არა განკჳრდა, რომელნი მაშინ მუნ იყუნეს და რომელთა ესმა უცხო ესე სასწაული, ყოველნი განკჳრუებულნი და ზარგანხდილნი ადიდებდეს ღმერთსა მოქმედსა საკჳრუელებათასა.

ხოლო სასმენელად ყოველთა ჰრქუა კათალიკოზმან ნეტარსა იოანეს, მე უფალმან მაუწყა მოსლვისათჳს შენისა და აწ ვმადლობ ღმერთსა, რომელმან მოავლინა სიწმიდე შენი, რათა წარუძღუეს მრავალთა სულთა მეცნიერებისა ღუთისა და განსწავლნე ჭეშმარიტსა შინა ცხოვრებასაჲ, რომელი მიიყუანებს სასუფეველად ცათა და ქუეყანისა; თაყუანისცა მას წმიდამან იოანე და მიუგო ესრეთ. «წმიდაო მეუფეო! შენ მიმსგავსებულ ხარ ქრისტეს სიმდაბლითა, ვითარ მისგან გისწავიეს, ხოლო ჩუენ მონანი შენნი უფროს ვმადლობთ ღმერთსა, რამეთუ ღირს ვიქმნენით ეგე ვითარისა კეთილისა მწყემსისა პოვნად, რომელსა ყოველნი დაფარულნი გამოეცხადებიან ღუთისა მიერ, მადლი დიდებულსა მას, რომელმან ღირს გვყნა ხილვასა პირისა შენისასა, რათა უფროსღა შენ წარგვიძღუე,

---

1) ამ ადგილიდგან ჰსჩანს, რამეთუ ყოვლად სანატრელნი მამანი ასურეთელნი, მეექუსის საუკუნის ნახევარს მოვიდნენ საქართუელოს და არა მეხუთესა საუკუნესა შინა, ვითარ იტყჳს იოსელიანი და სხუანი: სჳმეონ მეორე საკჳრუელმთელი დაიბადა ანტიოქიასა ასურისტანისასა 499 წელსა, — წელნი ცხოვრებისა მისისანი იყვნეს 85, გარდაიცუალა 584 წელსა; ამისა გამოთ მოთხრობანი საქართუელოს ეკკლესიისა ჰსწორედ არიან და არა ჰსცდებიან წმ. მამათა მოსვლის დროსა ზედა.

მრწემთა ამათ შენთა გზასა ცხოვრებისასა, რამეთუ ვხედავ მადლსა ღმრთისა სრულ ქმნილსა შენ შორის უღირსი ესე, რამეთუ რაჟამს ღირს ვიქმენ კურთხევისა შენ მიერისა მოღებად, აღეღო პირი და ენა ჩემი ზრახვად ენისა შენისა და განეხუნეს სასმენელნი ჩემნი, რათა მესმოდეს წმიდანი ბრძანებანი შენნი მეუფეო ჩემო» და ყოველთა რომელთა ესმოდა მადლობდეს ღმერთსა.

წარემართნეს უკუე და მიიწივნეს წმიდად ეკკლესიად და დავარდეს წინაშე განმაცხოველებელისა მის ადგილისა სადა იგი ღმრთისა ჯუარ ჩინებითა აღემართა საკჳრველებით სუეტი იგი დიდებული, რომელი მდგომარე არს ჭაერთა შინა, თჳნიერ ხელთა კაცობრივთა ზედა კერძო კუართისა მის ზეგარდამო ქსოვილისა ქრისტესი მხსნელისა ჩუენისა, რომლისათჳს სხუათა თხრობათა შინა მოხსენებულ არს ამას წინაშე; მრავლითა ცრემლითა დაალტობდა იოანე იატაკსა მოწაფეთაჲ თანა მყოვარ ჟამ. ხოლო სრულ ჰყუეს ლოცუა, კათალიკოზმან მრავლითა მოღუაწეებითა ისტუმრნა და დაადგრეს მუნ დღეთა მრავალთა და ხედვიდეს ყოველნი პირსა მამათასა, ვითარცა ანგელოზთასა და მოიწეოდეს ყოვლით კერძო, ყოველთა სენთაგან შეპყრობილნი და ყოველნი მიემთხუეოდეს მსწრაფლ კურნებასა და ესმოდეს ყოველთა მათ სიტყუანი საუკუნოჲსა ცხოვრებისანი და განმტკიცნებოდეს ყოველნი სარწმუნოებასა ზედა წმიდისა სამებისა და ყუაოდა მოძღურებათა მათთა მიერ ყოველი ქუეყანა ქართლისა ვიდრემდის თჳთ თავადიცა მეფე და ყოველნი მთავარნი ქართლისანი მიიწივნეს მუნ და მათგან კურთხევისა მიმღებელნი განათლდებოდეს სწავლითაგან ნეტარისა იოანესთა. ხოლო ნეტარნი ესე მამანი მრავლითა ლოცუითა და ვედრებითა ითხოვდეს ღმრთისაგან, რათა უჩუენოს მათ ადგილი მკჳდრობისა მათისა და მოვლიდეს ყოველთა მათ ადგილთაჲ სადა ნეტარი ნინო იყოფებოდა და ამბორს უყოფდეს იატაკსა 1) და ვითარმცა მას ცხოველსა ხედვიდეს ეგრეთ შეიტკბობდეს და ეზიარებოდეს და იკითხვიდეს და სცნობდეს ყოველსა მას ცხოვრებასა მისსა და ქადაგებასა და ხადოდეს 2) ღმერთსა, რომელმან უძლურსა ბუნებასა მიანიჭა მადლი მოციქულებისა და ესე ვითარცა ღუაწლთა ძლიერთა შინა განაძლიერაჲ და უმხნეს იპოვა მამათა.

დღესა ერთსა იხილა აღმოსავლით კერძო მთასა ზედა ზადენისასა, რამეთუ ვითარცა ნისლი ეშმაკთა სიმრავლენი ჰყოფდეს მრავალთა რათმე საოცრებათა, განჰკჳრდა და ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა. «იხილეთღა უკეთურნი ესე რაჲსა ჰყოფენ, ამისთჳს, რამეთუ მთნდა მე ადგილი იგი საყოფელად ჩემდა, შინებისათჳს ჩუენისა სახილველად ჩუენდა შეკრებულ არიან და ჰყოფენ საოცრებათა გარნა ძალი ქრისტესი თანამწე ვიყოთ», მერმე მიექცა სულთა მათ ბოროტთა და ეტყოდა «იყავნ უფალი კურთხეულ, რამეთუ მანდაცა ლტოლვილთა ვერცა სხუაგან ჰპოვოთ სამკჳდრებელი, სადაცა გლახაკის იოანეს და ძმათა ამათ ჩემთა სახელები ითქმოდეს». ხოლო მივიდეს წმიდისა კათალიკოზისა და ითხოვეს ადგილი იგი მთა ყოვლად მაღნარი და შეუვალი კაცთა მიერ, რათა დაემკჳდრნენ მუნ ვიდრემდის განუჩინოს მათ მადლმან ღმრთისამან შემდგომი.

და უბრძანა კათალიკოზმან, ვითარმედ წმიდანო მამანო, ყოვლად უნუგეშინისცემო და მაღნარ არს და შეუვალ კაცთაგან მთაჲ იგი და უწინარეს კერპიცა იგი ბილწისა ზადენისა მდგომარე ყოფილ არს იქია, რომელი იგი შემუსრა ნეტარმან ნინო და აწ ვითარ მესმის სულთა მათ ბოროტთა აღსავსე არს მთაჲ იგი. ხოლო მათ ჰრქუეს «იყავნ ნება ღმრთისა, წმიდაო მეუფეო და წმიდანი ლო-

---

1) იატაკი, ოთახის ფილაქანი, ანუ სხუა რამე ადგილისა

2) ხადება — მადლობა,

ცუანი შენნი შემწე მდაბალთა ამათ მონათა თანა შენთა მოგჳეც კურთხევა შენი და წარგუავლინენ და ვითარ ვერ დააყენნა იგინი კათალიკოზმან, მისცა მათ კურთხევაჲ და წარავლინნა იგინი.

ხოლო იყო ჟამი მისის თჳსა და მდიდრობდა მდინარე არაგვი, მიიწინეს უკუე კიდესა მდინარისასა, ხოლო თჳთ ევლავიოზ კათალიკოზი მუნ იყო მრავალთა თანა ეპისკოპოზთა და სხჳსაჲ სიმრავლისა ფრიადისა, რათა უვნებელად წიაღ იყვანნე ფიცხელისა მისგან მდინარისა, იხილეს რა დიდროჲ იგი წყლისა, აყენებდეს მათ წიაღსლვად, რამეთუ უღონო იყო განსლვა მისი ჟამსა მას.

ჰრქუა დიდმან იოანე ნეტარსა მიოს. «ილოცე მამაო, რათა ღმერთმან უვნებელად წიაღ გვიყვანნეს იმიერ». ხოლო მორჩილმან მან სულმან ყოვლად არა რაჲ ჰრქუა სხუა, არამედ მინდობილმან ბრძანებასა მოძღურისასა მოიდრიკნა სამგზის მუხლნი აღმოსავლით, ჯუარი გამოსახა წყალსა მას ზედა და ჰრქუა. «მამა ჩუენი იოანე გიბრძანებს წყალო, რათა დაეყენნე სლვისაგან, ვიდრემდის წიაღ ვიდეთ იმიერ ხმელად». ეჰა უსაზღვროსა კაცთმოყუარებასა შენსა ქრისტე ღმერთო, რამეთუ სიტყუსა თანა მისსა დადგა მდინარე იგი სლვისაგან ვიდრემდის წიაღვიდეს იგინი ხმელად. იხილეს რა ესე სიმრავლემან ერისამან, ყოველნი ადიდებდეს ღმერთსა, რომელმან ესე ვითარი მადლი მოსცის მონათაჲ თჳსთა და იხარებდა კათალიკოზი და ყოველი ერი მადლობდეს ღმერთსა, რომელმან ეგე ვითარნი განსამტკიცებელნი სარწმუნოებისანი მოანიჭა მათ.

ხოლო ნეტარნი იგი მამანი აღვიდეს მთასა მას ზედა ფრიადისა ღუაწლთა სიხშოსაგან სეროტუთასა და მიმოვლო ნეტარმან იოანე ყოველი იგი მთაჲ და ჰპოვა მცირე ქუაბი [1]) და შეჰქმნა იგი წმიდად ეკკლესიად და დაემკჳდრნეს მუნ და ჰქმნეს მცირედი რამე ტალავარები [2]) და ილუწიდეს ძლიერად, რამეთუ განიკაფებოდეს ყინელისაგან სასტიკისა ჟამსა ზამთრისასა და იყო მათდა საზრდელად მდელოთაგან ქუეყანისათა [3]), ხოლო განისმა ჰმბავი მათისა მუნ მკჳდრობისა და შექმნეს მთასა მას შინა გზა ფრიადმან სიმრავლემან და მოვიდოდეს ყოვლით კერძო სიმრავლე ერისა აურაცხელი სნეულნი უშმაკეულნი, ბრმანი, ღრეკილნი ყრუნი და ყოველნი განიკურნებოდეს ლოცუითა მათ წმიდათა მამათათა, ვითარცა წერილ არს ვრცელსა შინა ცხოვრებასა ნეტარისა იოანესსა.

დღესა შინა ერთსა გულს იდგნა კათალიკოზმან კრებისა თანა თჳსისა, რამეთუ მუნ იყუნეს ყოველნი ეპისკოპოსნიცა მისნი, რათა აღვიდენ და მოიხილნენ წმიდანი იგი მამანი, წარვიდეს უკუე და აღვიდოდეს მთასა მას და იხილნეს ნეტარნი იგი ვითარცა ანგელოზნი ღუთისანი, თჳნიერ ყოვლისა სოფლისა განგებისა და სახმარისა, იხილნეს რა წმიდათა მამათა კათალიკოზი და ყოველნი ეპისკოპოსნი მიმავალნი, განიხარეს სიხარულითა დიდითა, მოეგებვოდეს მათ და შეუვრდებოდეს ფერხთა მათთა და მიიღებდეს კურთხევასა მათ მიერსა, ეგრეთვე ეპისკოპოსნიცა იგი ლოცუასა მათ მიერსა. ხოლო კათალიკოზმან ჰყო რა ლოცუა დასასრულისა, დასხდეს უკუე ქუაბსა მას მახლობელად, რომელი შეემზადა ეკკლესიად. ეტყოდა ნეტარი იოანე კათალიკოზსა და ყოველთა ეპისკოპოსთა, «რათ მოშუერნით უფალნო ჩემნო, სიმდაბლისა ჩემისა და ვითარ ღირს ვართ ჩუენ მონანი სიწმიდისა თქუენისანი, რათამცა მოაშვრეთ სიწმიდე თქუენი აქა, არამედ ღმერთმან მოგეცინ სასყიდელი, რომელი მდიდარ არს წყალობითა» უბრძანა კათალიკოზმან იოანეს, რათა ჰრქუას მათ

---

1) ქუაბი, კლდეში გამოკუეთილი მცირე სენაკი, ანუ ოთახი.

2) ტალავარი — ნედლის ფოთლიან ფიჩხითგან წნული მცირე ოთახი, ანუ სადგომი, კარავის მსგავსი.

3) მდელო, გარეული მთის, კლდის ანუ მინდვრის წუანილი.

სიტყუა სარგებლისათჳს სულისა. ხოლო იოანე ეტყოდა «შენ გშუენის ესე წმიდაო მეუფეო და შენი არს საქმე ესე, რათა ჩუენ ვირწყუებოდეთ სწავლათა შენთა მიერ». მრავალ ჟამ რა აიძულა კათალიკოზმან იოანეს, აღაღო პირი თჳსი და იწყო სიტყუად სიტყუათა ცხოვრებისათა შუენიერთა, რამეთუ ნეტარისა იოანეს პირი, ვითარცა წყარო ტკბილი მდინარე ეგრეთ აღმოაცენებდა სწავლათა დაულევნელთა, ოდეს აიძულის ვინ თქმად რასამე და ისმენდეს მისსა ყოველნი იგი ეპის-კოპოსნი და სარგებელ ეყოფოდეს ფრიად და იხარებდეს.

ამას ჟამსა შინა აღსრულებულ იყუნეს ეპისკოპოსნი ორნი, ერთი წილკნისა და ერთი ნეკ-რესისა და ზრახვა ჰყუეს კათალიკოზმან და ეპისკოპოსთა, რათა მათგანნი იყუნენ ეპისკოპოს ორთავე შინა საყდართა და განიზრახეს ესრეთ, რათა რომელთაცა დღესა შესწირონ უსისხლო მსხუერპლი მათ დაასხნენ ხელნი თჳნიერ ყოვლისა ცილობისა. ხოლო მოიწია რა ჟამი წმიდისა ჟამისა წირვისა, აბიბოს იქმნა მსახურ წმიდისა ჟამის წირვისა და ისე დიაკონი და აღესრულა რა ჟამის წირვა შეიპყრა კათალიკოზმან ერთითა ხელითა ისე, ხოლო ერთითა აბიბოს და ამბორს უყო აბიბოს და ჰრქუა: გიხაროდენ აბიბოს ეპისკოპოსო ნეკრესს ქალაქისაო და ამბორს უყო ისეს და ჰრქუა: გიხაროდენ ეპისკოპოსო წილკნისაო. ხოლო იგინი განცჳიფრდეს მოულოდე-ბელსა მას ზედა სმენასა. შეწუხებულნი იჯმნიდეს, უღირსებასა იტყოდეს, ევედრებოდეს შე-უვრდებოდეს ფერხთა ცრემლითა, განტევებად მძიმისა მისგან საქმისა, გარნა კათალიკოზმან ესრეთ ჰრქუა მათ, ცხოველ არს უფალი ჩუენი იესო ქრისტე, არა გარემივაქციო სიტყუა ესე, რომელი იქმნა ჩემ გლახაკისა მიერ გამორჩევითა ღ̃თისათა. ესე რა ესმა იოანეს ჰრქუა მათ, «შჳლნო, ნუ ხართ ურჩ განგებისა ღ̃თისა და წმიდისა ამის მეუფისა ჩუენისა და რამეთუ მოვიწიენით აქა ამისთჳს, რათა ვიღუაწოთ ადგილად ღ̃თისათჳს, რომელმან იგი მიბრძანა ჩუენ მოსლვა». ესმა რა სიტყუა მოძღურისა ერჩდეს ბრძანებასა მისსა და წარიყვანა კათალიკოზმან და ჰყვნა ორნივე ეპის-კოპოს და წარავლინა აბიბოს საყდარსა ზედა ნეკრესიისა, ხოლო საკჳრუელი ისე, წარავლინა საყ-დარსა წილკნისასა, რომელსა შინა მდგომარე არს ხატი ყოვლად უბიწოსა ღ̃თისა დედისა, რამე-თუ მებრვე ესე ვითარი ღირსი მღუდელთ მთავარი შუენოდა წილხდომად საყდარსა ღ̃თის მტკრ-თუელისა ქალწულისასა, მწყემსად ჯეროვნად ძისა და ღ̃თისა მისისა სისხლთაგან მოგებულთა სა-მწყსოთა.

არამედ ნეტარი შიო იყო დაყუდების მოყუარე და ევედრებოდა იოანეს, რათა უბრძანოს მას დაყუდებით ყოფა და ჰრქუა მას იოანე, «შჳლო შიო, წარვედ სადაცა უფალი მიგიძღუეს, რამეთუ გამომიცხადა მე ღმერთმან, ვითარმედ დაყუდებითაცა ცხოვრება წარვლო და მამა იქმნა დიდისა ლავრისა; არამედ წარვედ და მიიღე კურთხევა ნეტარისა მეუფისა ჩუენისა კათალიკოზისა და იყავნ უფალი შენ თანა, ვითარცა არა სადა დამიტევა მე მადლი ესე ბრძოლასა შინა სულთა უკეთურთასა, იგი იყავნ ხელის აღმპყრობელ შენდა დღე და ღამე, მფარველ და ნუგეშინისმცემელ და შენ წილ მბრძოლ დამარღუეველ ყოველთა ძალსა და სივერაგესა ეშმაკთასა».

ესრეთ რა შეზღუდა ლოცვთა ნეტარმან იოანე ღირსი კურთხევისა შიო, წარვიდა კათალიკო-ზისა წინაშე და მოიღო კურთხევა მის მიერ და წარემართა დასავლით კერძო მცხეთისათა, კაცთა-გან ყოვლად უვალთა მაღნართა და კლდეთა საშინელთა. ვლო და იხილა ხევი რაჲმე ღრმა უნუგეში-ნისცემო, ურწყული, სავსე მხეცთა მიერ და ქუეწარმავალთა გესლიანთა [1]), რომელნი იგი მიხედ-

1) გესლი, შხამი. გესლიანი გუელი, შხამიანი გუელი.

ვით ოდენ შეაძრწუნებდა კაცობრივსა ბუნებასა და ვითარ მიმოვლო ადგილი იგი, თქუა: «ესე იყავნ განსასუენებელ მონისა შენისა ქრისტე ღმერთო ჩემო და მადლი შენი მწე სიმდაბლისა ჩემისა და ლოცუანი მამისა ჩემისა იოანესნი მფარუელ და შემწე ჭურნ ჩემდა». ჰპოვა ჩრდილოთ კერძო მდინარესა მას დიდსა, რომელ არს მტკუარი, ქუაბი ყოვლად მცირე, რომელი ამა ეყოფოდა მოვარულად სხეულსა მას მისსა, ამას შინა დაემკჳდრა ნეტარი შიო მარტოებით, მხოლოდ მინდობილი ღუთისა მხოლოისა, თჳნიერ საზრდელისა და სასუმელისა, თჳნიერ ყოვლისა ნუგეშინისცემის, რომლითა კაცნი ცხოვნდებიან. ხოლო გარდავლნა რა ორმეოცნი დღენი იხილა ღმერთმან გულს მოდგინებაჲ მისი და მიტევება ზრუნვისა მისისა მისდა, რამეთუ არცა მხალთაგანი რაჲმე იღუაწა განმაძლიერებელად გუამისა მისისა. მისცა მის ძალი უმეტესი და განასრულა ღირსმან შიო სამეოცი დღე ყოვლად მიუღებელმან საზრდელისა და სასუმლისაგან.

და ესრეთ მინდობითა სასოებისა ღუთისათა, სურჳლით და წადიერებით შეიტკბო მკჳდრობა ქუაბსა მას შინა, რამეთუ უგულებელს ჰყო თავისა თჳსისა ზრუნვა ყოველთავე მსოფლიოთა და ხორციელთა შუებათათჳს და მისცა იგი იწროებათა და ჭირთა, რომელთა მიერ მონად და მსახურად სულისა მორჩილებად დადგინებაჲ ხორცთა შეუძლოს. ხოლო სასოება თჳსი ყოველი აქუნდა ღუთისა მიმართ და მის მიერ მოელოდა შეწევნასა და განძლიერებასა თჳსსა ყოველთა მიმართ საბრხეთა და სივერაგეთა მტერისათა.

ხოლო დღეთა ამათ შინა ვინ გამოთქუნეს ღუაწლნი მისნი, რომელნი მოიწყოდეს მის ზედა განსაცდელნი ეშმაკისნი, რამეთუ არა დაშთა სისრათა მისთაგანი, რომელი არა მოიწია წმიდისა ამის ზედა. მრავალ ფერად განცდად იგი გულის სიტყუათა მიერ აურაცხელთა და ჩუენებათა შინა ოცნებათთა და ვითარ ვერა რაჲ უძლო ამათ მიერ მერმე იწყო შინებად მისდა, ოდესმე სახითა მხეცთათა, ოდესმე სახითა ქუეწარმავალთათა, რამეთუ იქმნის ლომ და ვეფხ და დათჳ და გუელ რქოსან და აშინებნ ოდესმე ღამით და ოდესმე დღისით. ხოლო იხილა, რამეთუ გურდემლსა ჭედდა, ანუ კუერსა სცემდა, კუალად მოიცუალა სხვით კერძო და ღამესა ერთსა ქმნა ესე რაჲმე ოცნება, რამეთუ შეკრბეს მუნ დამკჳდრებულნი იგი ეშმაკნი და ქმნეს სიმრავლე ამბოხისა ფრიად და დაესხნეს ვითარ ჰნებვიდა მოკლვა მისი, არამედ ყოვლად არა შეირყია ნეტარი ესე ოცნებათა მათგან მათთა, სრულ იყო გულს მოდგინებით და დაწყნარებულად ლოცუა თჳსი, მერმე გამოვიდა ქუაბით და ჰრქუა მათ: «უბადრუკნო, არა უწყითა, რამეთუ სადა ძალი ქრისტესი არს, მუნ თქუენ მიერ არა რაჲ შესაძლებელ არს, აჰა ესერა ეს ოდენნი დღენი არიან და ყოველსა, რომელსა ჰყოფთ და ვერცა მოახლებად ჩემდა უძლეთ, რამეთუ ქრისტე ღმერთი ჩემი, ძალ ჩემდა და ცხოვრება და სიქადულ და მე თქუენგან ყოვლად არა მეშინის, არამედ უფროისღა აწ მე გეტყჳ თქუენ, სახელითა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა წარვედით და განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უსჯულოებისანი». ხოლო ეშმაკნი სიტყუასა ამას ზედა ივლტოდეს მისგან და ჰრქუა მას, შიო ამპარტავანო ბერო, აჰა ესერა ხვალე მთავარი ჩუენი მოიწევის აქა, რამეთუ აწ ბრძოლად და მოკლვად არს მოძღურისა შენისა იოანესსა და ხუალე მოაკუდინოს იგიცა და მოიწიოს აქა და მოგაკუდინოს შენცა ბოროტად ესე ჰრქუეს და წარვიდეს.

ხოლო განიპყრნა ხელნი თჳსნი ნეტარმან შიო ღუთისა მიმართ და ხადოდა შემწედ ძალსა მისსა და ღამე იგი განათია ხელ განპყრობით გარეგან ქუაბისა მის თჳსისა და ვითარცა მოეახლა ცისკარი, იხილა ქუაბსა მას შინა ნათელი მიუთხრობელი, რომლისა განცდად ვერ შეუძლებად და მოეფინა სულნელება რაჲმე მიუთხრობელი, ვიდრემდის აღავსო სული მისი სიხარულითა დ ჰრ-

ქუა ქუაბით გამო. «შიო მონაო ერთგულო ძისა ჩემისაო, მოვედ» და იხილა ქუაბისა მის კარსა მდგომარე დედაკაცი ყოვლად დიდებული, რომლისა განცდად ულონო იყო. ხოლო ერთსა სხუასა სახითა მოღუაწეთათა მამა კაცი ყოვლად დიდებული და სიმრავლე ფრიად ერთა ზეცისათა, რამეთუ განაგებულ იყო ზედა კერძო კლდისა მის, სადა იყო მცირე იგი ქუაბი და ცადმდე იხილვებოდა მწყობრი ანგელოზთა, რომელნი გალობდეს გალობასა სამწმიდისა ტკბილითა და რათმე მიუთხრობელითა ხმითა და ყოველნი იყვნეს ნიშითა ჯუარისათა შეჭურვილ. ხოლო საშინებელისა მისგან დავარდა ნეტარი შიო ქუეყანასა ზედა, რამეთუ ვერ იტვირთჳდა ბრწყინვალებასა მას განუცდელსა, რომელი დედაკაცის მისგან გამოკრთებოდა; ხოლო მიყო ვითარცა წუერი რამე კუერთხისა დიდებულმან დედაკაცმან განაძლიერა იგი და ჰრქუა მას «აღდეგ» და აღადგინა იგი და მისცა ხელთა შინა მისთა მსგავსი თოვლისა მტრედი და ჰრქუა «მე ვარ მშობელი ქრისტე ღუთისა, რომელი იგი შენ შეიყუარე; ხოლო ჩემთანა მდგომელი ნათლის მცემელი არს იოანე და ვიხილეთ რა სრული სიყუარული შენი ძისა მიმართ ჩემისა, მოვედ ნუგეშინისცემად შენდა აწ შეჭამე ესე, რომელ არს ხელსა შენსა და ამიერითგან რა იგი ზეცით მოგეცემოდის მას ჭამდი და ნუღარა გეშინის ბრძოლთაგან ეშმაკისათა, რამეთუ გაქუს მდიდრად მადლი ღუთისა და იქმნეს უდაბნო ესე აღსავსე კაცთა მიერ ღმრთშემოსილთა, რომელნი მობაძავ იყვნეს ცხოვრებასა შენსა და მაქებელ შენდა ეგოს იგი უკუნისამდე». ხოლო მოეგო რა ნეტარი შიო თავსა თჳსსა და ცნა მეურნეობაჲ ღუთისა და უბიწოჲსა დედისა მისისა და ჭამა საზრდელი იგი, რომელი აქუნდა ხელთა მისთა მსგავსი თოვლისა, რომელი მოუძღუნა ბრწყინვალემან მან დედაკაცმან, დატკბა პირი მისი მიუწთომელითა რაჲმე სიტკბოებითა და სიხარულითა განძლიერდა, მადლობდა ღუთისა მიმართ და იტყოდა:

«უფალო! იესო სახიერო და კაცთმოყუარეო, რომელი ჰშევ წმიდისა ქალწულისა და ღუთის მშობლისაგან, რათა აცხოვნნე შეცთომილნი ეშმაკისაგან და გამოიხსნე მონავნი და ღუთად და ჴორცშესხმულად აღმასრულებელნი შენნი მანქანებათაგან მისთა. შენ მეუფეო უფალო! მომეც მე უღირსსა ამას მონასა შენსა მოთმინებით დადგრომა ადგილსა ამას შინა, რათა სათნოდ შენდა აღვასრულენე ნეშტნი ესე დღენი ცხოვრებისა ჩემისანი და ღირს მყავ მეცა სხუათავე თანა შენ მიერ შეწყალებულთა ხილვად კეთილთა მათ საუკუნეთა, მეოხებითა ყოვლად უხრწნელისა დედოფლისა ჩუენნისა უბიწოჲსა დედისა შენისათა და დიდებულთა წმიდათა მოციქულთათა და წმიდისა მამისა ჩუენნისა იოანესითა». ამით მეტყუელი ცრემლითა დაალტობდა ქუეყანასა განგრძობილად ლოცვასა აღმასრულებელი და მუხლთმოდრეკით მადლობისა შემწირველი უფლისა მიმართ მრავალთა დღეთა შინა. ხოლო ამას შინა, ვითარცა წარხდეს დღენი რაოდენნიმე და დადგრომილ იყო ნეტარი შიო ლოცვასა და მარხვასა შინა შეუორგულებელსა, იხილა ღმერთმან გულს მოდგინება და მოთმინება მისი და ვითარ არა ჰრიდებდა ხორცთა თჳსთა ესე ვითარსა იწროებასა და ულონოებასა შინა დასაჯად ნაკლულევანებისა მიერ ყოველთავე საჭიროთასა, ვინაცა მანვე სახიერმან და კაცთმოყუარემან ღმერთმან არა უგულებელს ჰყო მონა თჳსი, არამედ, რომელმან ელია ყორნისა მიერ უდაბნოს გამოზარდა, მანვე აქა მსახურიცა თჳსი შიო, შურსა საღმრთოსა შემშურვებელი ზარდა საზრდელისა მოვლინებითა, რამეთუ ტრედისა მიერ დღითი დღე მოუკიდოდის მას საჭიროსა ნუგეშინის საცემელსა ხორცთასა და ამას თანა წყალიცა, კმა საყოფელი მოანიჭა მას განხმელისა კლდისაგან მარჯუენით კერძო ქუაბისა მის, რომელსა შინა იყოფებოდა, ესე ვითარი რა ღუთისა მიერი მეურნეობა მის ზედა ქმნილი, იხილა წმიდამან შიო, მადლობასა და ქებასა შესწირვიდა მისსა მეტყუელი.



ზა ზინინი.

ႶႫႧႨႱ ႫႸႭႡႪႨႱ ႫႨႾႤႣႥႠ ႼႫ. ႣႨႣႨႱႠ ႣႠ ႱႠႩႥႨႰႥႤႪ
ႫႭႵႫႤႣႨႱႠ ႸႨႭ ႫႶႥႫႤႪႨႱႠ.

«ჵი! უფალო დიდებისაო და ღმერთო ყოვლისა ნუგეშინისცემისაო, იყავნ სახელი შენი კურთხეულ უკუნისამდე, რამეთუ დიდებულ არს წყალობა შენი ჩუენ ყოველთა ზედა, ვინათგან კაცთაცა და საცხოვარსა აცხოვნებ, შენ უფალო სიმრავლისაებრ წყალობათა შენთასა, რომელმან ჯერ იჩინე ჩემიცა უღირსისა და უნდოსა ზრუნვა, ვინაცა ყოვლისა თჳსვე ვმადლობ სახიერებათა შენთა, რომელი არა დამიტევებ მე ცოდჳლსა ამას და უხმარსა მონასა შენსა».

ესრეთ ზეგარდამოსა მოურნეობისა მიმთხუეული ღუთისაგან, იხარებდა სულითა და ადიდებ-და მეუფესა ყოველთასა, რომელმან წყალობით მოხედვა ჰყო მის ზედა და მიერითგან დასძინა მღვ-ძარებასა და ლოცუა სხუათა ყოველთა თანა მოღუაწებათა, რამეთუ აგრძნობდა იგი უხილავად წყა-ლობასა მისა მიმართ ბოროტთა მტერთა ეშმაკთასა, ვინაცა განძლიერებულ იქმნა საღმრთოსა ძა-ლისა მიერ და მოეცა მას ძალი წმიდისა სულისა მიერ დათრგუნვად თავსა მზაკუარისა გუელისასა და ზესთა ქმნად ისართა და მანქანებათა მისთა და წარიოტნა იგინი დღე ყოველ ფსალმუნებითა და ზე დგომითა ლოცუითა ღუთისა მიმართ, რამეთუ პირსა შინა თჳსსა მოაქუნდა სიტყუა წინასწარ მეტყუელისა დავითისა სამარადისოდ. «უფალი ნათელ ჩემდა და მაცხოვარ ჩემდა ვისა მეშინოდის. უფალი შესავედრებელ არს ცხოვრებისა ჩემისა ვისგან შევძრწუნდე, აღთუ დღეს ჩემზედა ბრძოლა ამისთჳსცა მე შენ გესავ» და კუალად «მომადგეს მე და მომიცვეს მე და სახელითა უფლისათა ვერე-ოდი მათ». საფრხე შეიმუსრა და ჩუენ განვერენით ამათ და ესე ვითართა ლოცუათა ზედა დამხმო-ბელი მათი ბოროტთა ეშმაკთა ძალსა განიოტებდა ნიშითა საუფლოსა ჯუარისათა მარტოებით მყოფი და მხოლო ღუთისა მიმართ გალობათა და ქებათა აღმავლენელი, მეუდროებით თჳსაგან.

ხოლო ამას შინა წარხდეს რა მრავალნი ჟამნი, ინება ზეგარდამომან განგებულებამან გამოჩი-ნება ბრწყინუალისა მის სანთლისა, ვინადგან არცა შესაძლებელ იყო ქალაქისა მთასა ზედა სათნოე-ბათასა დაფუძნებულისა ესრეთ უმეცრებასა შინა დაფარვა; ამისთჳსცა სასანთლესა ზედა დადგმულ იქმნა მნათობი ესე ნათლისა, რათა ჰნათობდეს იგი ყოველთა და განათლდებოდინ მოძღურებათა მისთაგან სულნი მორწმუნეთანი, ამისთჳსცა მრავალ ჟამ დაფარული ესე საუნჯე, გამოაცხადა ღმერ-თმან სახითა ესე ვითარითა. რამეთუ მას ჟამს იყო ვინმე მამაკაცი საჩინო მთავარი ციხე დიდისა[1] სახელით ევაგრე, შვილი ღუთის მსახურთა და მორწმუნეთა მშობელთა და სიყრმით თჳსითგან ღუ-თის მსახურებასა და საღმრთოთა წერილთა წურთასა შინა აღზრდილი; ესე ოდესმე დღესა ერთსა გამოვიდა შვილთა და მონათა თჳსთა თანა, ნადირობად იმიერ მტკუარისა, სადა იგი იყოფებოდა სა-ნატრელი შიო. ხოლო ვითარცა მიიწივნეს იგინი ამას ადგილსა, მიმო დაიბნინეს ყოველნი მარ-ჯულ და მარცხულ, ძებნად ნადირისა; ხოლო ევაგრე მხოლო მდგომარე იყო ერთსა ადგილსა და იქი და აქა ხედვიდა, რათა იხილოს, რომელიმე მის მიერ ძებნულთა ნადირთაგანი და განგებითა საღმრთოთა იხილა ტრედი იგი პირუელ ხსენებული, რამეთუ მიაქუნდა საზრდელი წმიდისა შიოს მიმართ მსგავსად ჩუეულებისა. ხოლო ევაგრე მიხედვისა ტრედსა მას სიმახვილითა სადა იგი შე-ვიდა და იხილა ადგილი იგი და დაისწავა, ამისსა შემდგომად ნადირისა კმა საყოფელისა მომნადი-რებელი, წარვიდა სახიდ თჳსად.

ხოლო ხვალისა დღე კუალად განვიდეს ნადირობად, ვითარ და უწინარესცა დღესა და ვითარცა მიმოვიდოდეს სხუანი ყოველნი ძებნად ნადირისა, კუალად ევაგრე მდგომარე იყო მახლობლად ქუა-

---

1) ციხე დიდი ანუ მტკურის ციხე. ნახე გეოგრაფიის ვახუშტისა გუერდი 216 — 217.

ბისა მის, სადა იყოფებოდა ღირსი შიო. და აჰა ესერა ხედვიდა ტრედსა მას, რომელი ეხილვა უწინარესსა დღესა მიმღებელად საზრდელისა პირითა თჳსითა ბერისა მიმართ, ესერა იხილა ევაგრე განცვიფრებულ იყო განსაკჳრუებელსა ამას სახილველსა ზედა, ვინაცა შეუდგა კუალსა ტრედისასა, რათა ცნას ზედა მიწევნით თუ რასა მიზეზისათჳს ორგზის იხილვა მის მიერ ტრედი მიმღებელად საზრდელისა მის ადგილისა მიმართ, ხოლო ვითარცა მიიწია იხილა წმიდა მამა შიო, მჯდომარე ქუაბსა მას შინა და მადლობისა აღმავლენელი ღუთის მიმართ. და ევაგრე უკჳრს განკჳრუებული უცხოსა ამას სახილველსა ზედა ზარგანხდილი მოშიშებით იტყოდა მისა მიმართ, რამეთუ გულის ჰყო ღუთისა ძალით დაუუდება მისი ქუაბსა მას შინა, ვინ ხარ და სადათ ჰოი! კაცო ღუთისაო. ხოლო ბერი ეტყოდა მას. «მე კაცი ვარ უცხო და ქრისტეს მოსავი, ხოლო ვიყოფები ქუაბსა ამას შინა მცირესა განშორებული მსოფლიოთა ამბოხებათაგან, რათა მყუდროებით აღვასრულნე დღენი ცხოვრებისა ჩემისანი და ესრეთ უშფოთველად თანა მდებსა მადლობასა და დიდების მეტყუელებასა სრულ მყოფელი ყოველთა მეუფისა და უფლისა მიმართ, სათნო ვყო ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა.» ხოლო ევაგრე მსმენელი ამათი, ნეტარისა და ღირსისა შიოსგან, მხიარულ იქმნა ფრიად სულითა და იტყოდა მისა მიმართ; ცხოველ არს უფალი და ცხოველ არს სული შენი, არა სადა დაგიტეო შენ ამიერითგან და არცაღა წარვიდე სახიდ ჩემდა. ხოლო ბერი ეტყოდა მას «ვერ ძალ გიც შჳლო მოთმენა სიფიცხესა და უღონოებასა ამას უდაბნოსასა, რამეთუ ვითარ გამოაჩენს სახე შენი მრავალთა ფუფუნებითა აღზრდილსა, გხედავ შენ, ვინაცა წარვედ სახიდ შენდა, სამარადისოდ შიშსა ღუთისასა მქონებელი გონებასა შინა შენსა, რათა დაგიცუას შენ ყოველთაგან სავნებელთა სულისათა». და ევაგრე კუალად სიტყუას უგებდა ბერსა; დაღაცათუ დღესვე იყოს სიკუდილი ჩემი შენთანა, არცა ესრეთ დაგიტეო შენ ღმერთშემოსილო მამაო, არამედ აქა დავადგრე შენ წინაშე და შენ თანა ძჳრ ხილულება და იწროება ყოველივე აღვირჩიო, ვიდრეღა უკუნ ქცევა კუალად მსოფლიოთა შუებათა მიმართ და განსუენებათა, რომელნი მრავალთა შფოთითა მიერ აღსავსე არიან. ხოლო ვითარცა იხილა წმიდამან შიო სიმტკიცე გონებისა მისისა, თქუა ევაგრეს მიმართ; «აწ ვინადგან ესრეთ შეგიყუარებიეს უდაბნო და ღუთისათჳს იწროებით ცხოვრება, მერჩდი მე ყოველივე რაჲცა გრქუა შენ».

და ევაგრე მიუგო ყოველი, რომელი მიბრძანოს სიწმიდემან შენმან მხიარულებით ვჰყო და შევიწყნარო იგი სიტყჳსაებრ შენისა, ხოლო ბერმან მისცა მას კუერთხი თჳსი, რათა აქუნდეს ხელთა მისთა და ჰრქუა «წარვედ შჳლო და წარიღე ესე და მირახვიდე მტკუარსა ზედა, შთაყავ ეგე წყალსა შინა და შეწევნითა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა გზა გცემს მდინარე იგი და წიაღ ხდე ხმელად და მისრულმან სახიდ თჳსად განაგე ყოველი საცხოვრებელი შენი, ვითარცა ღმერთსა სთნდეს და კუალად უკუმოიქეც ჩემდავე: ხოლო მოიწევ რა მდინარესა ზედა მსგავსად პირუელისა კუალად შთაყავ კუერთხი ესე ჩემი მას შინა და უკეთუ გზა გცეს, მოვედ ჩემდა მომართ მოსწრაფებით, რამეთუ ნება არს ღუთისა, ხოლო უკეთუ არა განიპოს და არცა ერჩდეს ამას კუერთხსა, არა გზა მყოფი შორის მისსა, უკუნ იქეც სახიდ თჳსად, ვინადგან მტკიცედ უწყოდე, არა სთნავს ღმერთსა ხელ ყოფა ეგე შენი».

მაშინ ევაგრეს დაღაცათუ მძიმე უჩნდა სიტყუა იგი ყოვლითურთ დატევებისათჳს და განშორებისა რაოდენადცა ღირსისაგან, არამედ ეგრეთცა მორჩილ იქმნა ბრძანებასა მისსა ფიცითა და სარწმუნებელითა მიმღებელი მისგან, რათა არა ივლტოდეს მიერ ადგილით, რამეთუ იტყოდა გონებასა შინა თჳსა ეგრეთვე, ვითარმედ ნუ სადა ჩემ ძლით დაუტეოს ადგილი ესე, რომელსა შეურაცხ ქმნიან ყოველნივე შფოთნი ქუეყანისანა და აქა შინა მარტოებით და იწროებით აღურჩევიეს ცხო-

გრება შორის კაცთაგან და ყოველთავე ამბოხთა[1]) სოფლისათა; ამისთჳსცა ფიცით მიიღო სიმტკიცე ბერისაგან, რათა დაადგრეს მას ადგილსა ვიდრე უკუნქცევადმდე მისა. ხოლო წმიდამან აღთქმითა და არწმუნა, არა სადა წარსლვა, ვიდრე მოწევნადმდე მისდა და ესრეთ კუერთხისა თანა კურთხევასა ბერისასა მიმღებელი ევაგრე, წარვიდა აღსრულებად ბრძანებულისა და ვითარცა მიიწია მდინარესა ზედა, ჰრქუა ურმასა ერთსა, რათა წარვიდეს და ჰრქუას ყოველთა სახლეულთა მისთა, რომელნი იყუნეს ნასდაგის[2]), რათა მიიწივნენ წინაშე მისა ციხედიდად. ხოლო მან შთაყო კუერთხი იგი მას შინა ვითარცა მცნებულ იყო მისთჳს ბერისაგან და ჰოი! საკჳრუელი, მეყუსეულად მდინარე ესე დიდი, რომელსა ყოველნი მეცნიერ ხართ, განიყო საშუალ შეკდიმებული განხმელისა კუერთხისაგან და გზასა ევაგრეს დაულტობლითა ფერხითა (მიჰცემდა) სლვად მას შინა.

ხოლო ვითარცა მივიდა სახიდ თჳსად, განაგო ყოველი საცხოვრებელი თჳსი, ვითარცა ემცნო მისთჳს ბერსა და მისცა გლახაკთა უმეტესი კერძო მონაგებთაგან თჳსთა და გიხაროდენსა დამტევებელი ნათესავთა და სოფლისა, მოსწრაფე იყო ვითარ სხუა ვინმე ლოთ სეგორს, ღუთისა მონისა მიმართ მიწევნად არღარა მიმხედველი გონებითა და თუალითა სოფლამდე, რამეთუ მოშიშებდა ნუსადა მართლ უკუნ მხედველი, არა წარმართებულ იქმნეს სასუფეველისა მიმართ ცათასა, ვითარ ძეგლ მარილისად შეყინებული მიწიერთა და სოდომებრთა ცნობა ვნებულებათათჳს, ვინაცა მაღიად მქონებელი კუერთხისა ბერისასა და მსგავსად პირუელისა შთაჰყო წყალსა მას შინა კუერთხი იგი ღირსისა შიოსი და კუალად გზა ჰსცა ფრიად დიდმან და საზარელმან წყალმან.

ეჰა ძლიერება შენი ქრისტე ღმერთო, ესე სასწაული არა უდარეს არს ძმანო სასწაულსა მის, რომელი იქმნა წინასწარმეტყუელისა და ღუთისმხილველისა მოსეს კუერთხისა მიერ, რამეთუ დაღაცათუ მუნ ღმერთი იყო მბრძანებელი და წინასწარმეტყუელთა უპირატესი მოსე ბრძანებული მსახურა საღმრთოსა დიდებისა, არამედ აქა მადლით განმღრთობილი სულისა წმიდისა მიერ მსახური და მონა ღუთისა შიო იყო მბრძანებელი, ახლისა ამის მოსესი, რომელმან კუერთხის ცემითა განიყუანა ისრაილი, ეგრეთვე შორის ჰყო გონება თჳსი, ყოველთავე ქუეყნიერთა ზრუნვათაგან ხედვად ღუთისა მიმართ. ხოლო მეგჳპტელნი შემაწუხებელნი სულისანი, ბოროტნი გულის სიტყუანი, დაანთქნა სიღრმეთა შინა დავიწყებისათა და ყოვლითურთ დაფარნა იგინი სამმოქცევთა შინა მდინარებრთა ცრემლთა ნაკადულისასა; კუალად ესე სასწაული არა უმცირეს არს, რაჟამს იორდანე განაპო ელისე ხალენითა ელიასითა და ვთქუა რამე შეკადრებით, მუნ ხალენი იყო შემცუელი ხორცთა მათ დიდისა წინასწარმეტყუელისათა და მრჩობლ მიმღებელსა სულისა საწინასწარმეტყუელისასა, რომელი აქუნდა ელისეს, მან სამგზისცა და ეგრეთ განიპო. ხოლო აქა კუერთხი მოღუაწისა ხელთა შინა უსრულისა კაცისათა და ორგზის განაპო ერთგზის შთაყოფითა; გარნა მუნცა ღმერთი იქმოდა და აქაცა, იგივე ადიდებს მოშიშთა მისთა, დიდება დიდსა მას დიდებულსა სახელსა მისსა.

ესე ვითარი კადნიერება მოეღო ღუთისაგან საკუთარსა მონასა მისსა სანატრელსა შიოს, რამეთუ განხმელისაცა კუერთხისა მიერ მხოლოდ ბრძანებით სხუათა მიერ აღვირ ასხმიდა ბუნებასა წყალთასა და შორის მთისა გზა ჰსცა, გარეშე ჩუეულებისა ხელისა დადებითა, რამეთუ ესე ვითართა

---

1) ამბოხება, ქუეყნის შფოთვა, ფრიად დიდი ზრუნვა.

2) ნასდაგი, აქამომდე მოჰჩანს მონასტრის დასავლეთის მხარეს, ნაქცევნი მისნი და შეუვალისა ციხისა მისის სახელწოდებულად ციხე-დიდათ. ნახე გეოგრაფია ვახუშტისა, გუერდი 216—218.

სასწაულთა მიერ უწყის ღმერთმან შემკობა მსახურისა თჳსისა, ვინაცა ვისწრაფოთ ჩუენცა სიწმი-დისა მიერ და კრძალულებისა სათნოყოფა ღმრთისა, რათა მოვიღოთ მადლი საუკუნეთა კეთილთა მიმთხუევისა.

ხოლო ჩუენ პირუელსავე სიტყუასა მოვიდეთ: ესრეთ საღმრთოსა სურვილისა მიმართ აღძრუ-ლი ევაგრე ღირსი, ვითარცა მოიწია წინაშე ბერისა, ყოვლისავე ბრძანებისა მისისა სრულ მყოფე-ლი. თქუა წმიდისა მიმართ, წმიდაო მამაო, ვითარცა მიბრძანე ყოველივე ეგრეცა ვყავ და აწ ესერა მოსრულ ვარ წინაშე სიწმიდისა შენისა, კუალად მორჩილებით სრულ ქმნად, რომელიცა რავე მიბრძანო.

ხოლო წმიდამან შიო მიუგო მას «კეთილ მორჩილებისა შენისა მიერ, შჳლო, უფალმან განგა-ძლიერნენ და მოგეცინ შენ ძალი მოთმინებად ყოველთავე შემთხუეულთა შენდა ძვირისხილვათა და ჭირთა მტერისა მიერ მოწევნულთა; ვინაცა განეკრძალე ყოვლით კერძო და მღვიძარე იყავ, რამეთუ მრავალ მანქანა არს ბოროტი ეშმაკ და ისწრაფის შებრკოლებასა ჩუენსა გზათაგან სა-ღმრთოთა, ნუ სადა შენცა დაგირწყუას საფრხე და შთასთესნეს კეთილსა იფქლსა შინა გონებისა შე-ნისასა ბოროტნი ღუარძლი, კუალად სწავლად უკუნქცევისანი».

ესე ვითართა და მსგავსთა ამისთა სიტყუათა მიერ განამტკიცა ევაგრე ღირსმან შიო და ასწა-ვა ვითარ ჯერ არს წინა განწყობა ღონეთა მიმართ და ძმაცვათა მბრძოლისა ჩუენისა ეშმაკისათა და ჰრქუა, აწ უკუე შჳლო, ოდეს მოვიდეს გულ სავსება ღუთისა მიმართ შენ ზედა ყოველი, რომე-ლი გონავს ცხოვრებისა შენისათჳს ჰყავ». ხოლო შეუვრდა ფერხთა ბერისათა ევაგრი, რათა სრულჰყოს მონაზონებითა. ჰრქუა მას შიო «აჰა ესერა მე დაგასხამ შჳლო ცოდვილთა ხელთა ჩემთა შენ ზედა, ხოლო უფალმან ღმერთმან უხილავად ზეცით დაგდევინ მარჯუენა და სრულ გყავნ ყოვლითა კურ-თხევითა» და შემოსა ნეტარმან შიო წმიდა ანგელოზთა სახე სქემა და ასწავა მას ყოველი წესი მო-ნაზონთა კრებულისა და ვითარ უღირს მას ყოველთავე ხორციელთაგან განყენება და მხოლოდ ღუ-თისათჳს შესაკუთრება და განუჩინა მას საზღუარი ჯდომისა და დგომისა ლოცვისა და შრომისა და მოვლო ზემო კერძო განშორებულად და ჰპოვა ქუაბი და უბრძანა, რათა მუნ შინა იყოს და გა-ნაკრძალა იგი სულთა ბოროტთა ზედა მოსლვისაგან და თუ ვითარ უხმს ბრძოლა მათი, ასწავა ყოველი და თავადი წარვიდა თჳსადვე საყოფელად.

მიერითგან განცხადნა სახელი შიოსი ყოველსა მას გარემო სოფლებსა ევაგრეს ძლით და მო-ვიდოდეს მრავალნი და მონაზონ იქმნებოდეს და დაემკჳდრებოდეს მახლობელად ევაგრისსა. ხოლო აღვიდის რა კჳრიაკეს ნეტარი შიო იხილნის ყოველნი და სწავლითა შეზღუდვილნი და თჳთ იყო-ფებინ მყუდროებითა ქუაბსა მას შინა თჳსსა.

დღესა ერთსა იხილა ნეტარმან შიო, რამეთუ ძმასა ვისმე მოაქუნდა წყალი და ვითარ მოვი-დოდა უბრკუმა მას ეშმაკმან და შემუსრა სარწყული მისი და მწუხარე იქმნა ძმა იგი, რამეთუ ფრიად დიდი შრომა თავს ედვა გზისა და მოაქუნდა დიდისა მისგან მდინარისა სასუმელად, რათა მიიღოს მათ მიერ კურთხევა: იხილა რა იგი ნეტარმან შიო, რამეთუ ცრემლოდა, შეწუხნა ფრიად იგიცა და მან ხედნა, რამეთუ მახლობლად კლდისა მდგომარე იყო ანგელოზი, მზრდელი მისი და კუერთხითა ვი-თარცა რასმე გამოაფოსოებდა ძირსა მის კლდისასა; გულისხმა ჰყო შიო, ვითარმედ მოავლინა ღმერთმან ნუგეშინისცემისათჳს მათ ძმათასა, რათა მოსცეს მათ წყალი და ჰრქუა ძმასა მას «ნუ სწუხ ძმაო, რამეთუ ცრემლთა მაგათ წილ შენთა და სასოებისა მაგის თჳს შენისა, აჰა ღმერთმან მაგას ადგილსა აღმოაცენა წყალი, რათა მიერ აღმოიყსებოდეს სარწყული უშრომელად ძმათათჳს» და აჰა

ესერა სიტყჳსათანა ბერისასა აღმოეცენა მცირე წყარო, რომელი კმა ეყოფოდა ძმათა მათ მდიდრად, რამეთუ იყვნეს იგინი ოცდა ხუთ ოდენდა, ჰმადლობდეს ღმერთსა,

შემდგომად ამისა იწყეს განმრავლება ძმათა და უღონო იყვნეს, რამეთუ არა იყო მათდა ეკლესია, რომელსაცა შინა შეკრებულ იყვნეს დიდებულსა დღესა წმიდისა კჳრიაკისა და ამისთჳს ეტყოდეს ნეტარსა შიოს, რათა უბრძანოს მათ აღშენებად წმიდა ეკკლესია; აღდგა უკუე ბერი და აღვიდა დამართებითი ქუაბისა თჳსისა აღმოსავლითსა მას კლდისა წუერსა და უბრძანა ყოველთა ძმათა აღსლვა მისთანა ლიტანიითა. ხოლო მიიწივნეს რა მუნ ევედრებოდა ბერი ღმერთსა მრავლითა ცრემლითა და მომდრეკელითა თავითა ილოცეს მუნ ერთბამად და ევედრებოდეს ღმერთსა, რათა მან აჩუენოს მათ ადგილი, სადაცა თჳთ მას ჯერ უჩნს განმზადებად ტაძარი დიდებისა თჳსისა. მოიდრიკნა მუხლნი და მყოვარ ჟამ მდგომარე იყო ქუეყანასა ზედა და შემდგომად ლოცვისა მიიღო ცეცხლი საკჳრველთ მოქმედმან შიო და იპყრო იგი მარცხენესა ნებსა ხელისა თჳსისასა და დაასხა მას ზედა საკმელი, ხოლო მარჯუენითა ხელითა გამოსახა მას ზედა საუფლო ჯუარი და უბრძანა ყოველთა მათ ძმათა, რათა აღიპყრნენ ხელნი და განაგრძონ ჟამერთ ხმობა კირიელეისონისა და ესრეთ აკუმევდა. ხოლო კუამლი იგი საკუმეველისა აღვიდა ჰაერთა შინა, ვითარცა სუეტი აღმართ ზეცამდე, ვიდრემდის თუალთაგან მათთა მიეფარა და დგეს რა და ხედვიდეს ნიშსა ამას განსაკრთომელსა. კუალად გამოჩნდა წუერი იგი საკმევლისა ჰაერთა შინა ქუეყანად მოამომავალი საკჳრველებით, ვითარცა საბელი რაჲმე შემტკიცებული; ხოლო მოეახლა რა ქუეყანად მთადგა ხევსა მას შინა ადგილსა ერთსა, სადა ძმანი იგი მკჳდრობდეს.

იხილა რა ესე დიდმან შიო წარუძღუა ძმათა მათ მადიდებელი ღუთისა და მირაიწივნეს ადგილსა მას, რომელი უჩუენა მათ ღმერთმან ხედვიდეს საკმევლსა მას, ვითარცა ძეგლსა რასმე ერთ მდგომარესა. ხოლო ნეტარისა შიოს თჳსა რაჲ ვინ თქუას, რამეთუ უმეტეს განგრძობასა ორისა ჟამისასა, სავსედ მქონებელი ხელსა შინა ნაკუერცხალსა ცეცხლისასა, მოვიდოდა ყოველთა ძმათა და მაშინღა დაარხა ხელთაგან თჳსთა ნაკუერცხალი საცეცხლურსა შინა.

ჭინმცა არა განკჳრდა უცხოსა ამას სახილველსა და სასმენელსა და არა ადიდებდა ღმერთსა, მხოლოსა მოქმედსა საკჳრველებათასა, რომელმან ვითარცა ბაბილონს დაიცუნა სამნი ყრმანი ცეცხლისაგან შეუწუველად, ეგრეთვე მონისა თჳსისა ხელი ზესთა ბუნებისა დაიცუა შეუწველად. მოითხოვა უკუე ღირსმან შიო სათხრელი, დასცა სამგზის ადგილსა მას, სადა მდგომარე იყო სუეტი იგი საკუმეველისა და თქუა ესრეთ, «დიდება შენდა ღმერთო, რომელი სამგუამოვანებით და ერთ არსებით იდიდები. ამას ადგილსა სრულ ჰყავ ტაძარი დიდებისა შენისა» და განდგა მცირედრე განშორებულად, ჰსცა უკუე ქუეყანასა კუალად სამგზის სათხრელითა მით მეტყუელმან ესრეთ, «ყოვლად წმიდაო ღუთის მშობელო მარიამ, რომელმან ჰშევ სიტყუა ღუთისა ხორცითა, აქა დაამტკიცე სახლი სადიდებელი შენი» და კუალად მცირედ მახლობელად იხილა მსგავსი ჯურღმულისა მღჳმე ყოფად ღრმა და ბრძანა, რათა მას ზედა აღშენდეს ეკკლესია ნათლისმცემელისა.

ჰრქუა ნეტარმან ევაგრე, წმიდაო მამაო იყავნ ნება ღუთისა და შენი და ნებასა შენსა, რამეთუ ვხედავთ ყოველნი, ვითარმედ სულითა ღუთისათა იტყჳს ნეტარი პირი შენი და ნებასა შენსა ყოველსა ჰყოფს ღმერთი; ხოლო სუეტი იგი საკუმლისა ჰსდგა ადგილსა მას ზედა სამ დღე შეუძვრელად და გამოსცემდა სულნელებასა მიუთხრობელსა და დღესა მესამესა აღკრბა.

აწ მიგითხრა თქუენ ღირსისა ევაგრესთჳს, თუ ვითარ ძიება ჰყუნს მეფემან და მთავართა

ქართლისათა და ესმა რა მონაზონება მისი რაოდენ შეწუხნეს, რამეთუ ესე იყო შემდგომად მეფისა განმგებელ სამეფოსა ქართუელთასა და ფრიად მხნე და გამარჯუებული სპასპეტი.

ჟამსა მას ოდეს თჳთმპყრობელი იუსტინიანოს მეფე ბერძენთა ჰბრძოდა კერძოთა ოვსეთისათა საზღუარსა ავაზაგისასა [1]) ნათესავს ტასკუნთასა, რამეთუ ექმნა მათ განდგომილება, მაშინ მოუძღუანა ნიჭი დიდი იუსტინიანოს ფარსმანს ქართუელთა მეფესა და ევედრა, რათა შეეწიოს მხედრობასა მისსა ყოვლითა ძალითა თჳსითა და ბრძოლა უყოს ტასკუნთა. ისმინა უკუე ფარსმან ვედრება ბერძენთა მეფისა და დაუტევა ევაგრე მცუელ სამეფოსა თჳსსა. ხოლო უკუე თჳთ წარვიდა და შეწევნითა ღმრთისათა დაიმორჩილა ნათესავი იგი ტასკუნთა და მთავარნი მათნი ყოველნი შეპყრობილნი წარავლინნა წინაშე იუსტინიანესსა. მერმე მოიქცა თჳსსავე სამეფოდ. ხოლო ცნა რა ევაგრესთჳს, თუ სადა იყო და ვითარ ქმნილ იყო შეცვალება იგი ცხოვრებისა მისისა. მოიცუა უკუე იგი მოულოდებელმან მწუხარებამან არა ყოვნა, არამედ მასვე ჟამსა მიიწია სადა იგი იყო ნეტარი ევაგრე და იხილა რა შემოსილი სამოსლითა მოღუაწეთათა. რაოდენი რა ვინ თქუას, აჩუენებდა ნამეტნავსა მწუხარებასა გულისასა. ცრემლთა ცხელთა დათხევითა ქედსა მისსა ზედა და ევედრებოდა ესრეთ მრავალ ჟამ, რათა კუალად განვიდეს მისთანა სოფლად და არა ობოლ ჰყოს იგი მამულისაგან თჳსისა. ხოლო ჰრქუა მას ღირსმან ევაგრი, ჰოი მეფეო! რად მაწუხებ დაბადებულსა ღმრთისა, რათა შევირაცხო მსგავსა ძაღლთა, კუალად მიქცეულთა ნათხევარსავე და დაარწმუნებდა მრავლითა სიტყუთა, რათა კუალად არა რაჲ თქუას: ესე ვითარი მყოვარ ჟამ სადმე დასცხრეს გოდებისაგან, წარვიდეს ქუაბად ბერისა. შევიდა უკუე პირუელად ნეტარი ევაგრე და აუწყა წმიდასა შიოს მისლვა მეფისა და ჰრქუა ევაგრეს «შჳლო ჩემო, ფრიად მძიმე არს ჩემზედა მოსლვა მეფისა და ვინ ვარ მე მიწა ესე და ნაცარი, არამედ მე თჳთ განვიდე წინაშე ცხებულისა ღმრთისა» და ესრეთ გამოვიდა კარსა ზედა ქუაბისასა. მიხედნა უკუე მეფემან და იხილა რა ხატი მისი ზარგანხდა, რამეთუ მადლი რამე იხილა მის ზედა საშინელი და მყის დაავდო ქუეყანად შარავანდი [2]) მეფობისა და განიხსნა სარტყელი და მიისწრაფა და დავარდა ფერხთა თანა ბერისათა. ხოლო ნეტარი იგი ეტყოდა «შემინდევ მეფეო და რად ჰყოფ პატივსა შეუტყუებელსა კაცისა მიმართ ცოდჳლისა, მოაწევ ჩემზედა სასჯელსა ღმრთისა». ხოლო მეფე კუალადცა შეუვრდებოდა და მრავლითა ცრემლითა ითხოვდა მის მიერსა კურთხევასა ჰრქუა მას, «ღმერთმან აბრაამისმან, ისაკისმან და იაკობისმან, რომელმან გამოირჩია დავით მონა თჳსი და სცხო მას მეფედ ერსა თჳსსა ზედა, რომელმან აღავსო სოლომონ სიბრძნითა უფროს ყოველთა, რომელმან შეჭურნა მონა თჳსი კონსტანტინე საჭურველითა ჯუარისათა და გამოჩნდა მძლედ ყოველთა მტერთა ზედა; ეგრეთვე აკურთხენ მეფობაცა შენი და დაიცუენ შეურყეველად, აკურთხენ მკლავნი შენნი და აღაორძინენ თესლნი შენნი მოუკლებელად ყოვლისავე შეგინებისა სულისა და ხორცთასა და განწმიდენ ყოვლისაგან ბიწისა და მწიკულისა ცოდვისა, სადა დაგიფარენ ყოვლისაგან საცთურისა და ზაკვისაგან მტერთასა და საშინელ გყვენ ყოველთა მტერთა და წინა აღმდგომთა მიმართ და განგამტკიცენ ჭეშმარიტითა სარწმუნოებითა სიყუარულისა მისისა მიმართ, რათა იგი თავადი უწყოდე მეფეთა მეფედ და მსაჯულად ცხოველთა და მკუდართა, რომელი არს კურთხეულ უკუნისამდე ამინ».

---

1) ავაზაგია ანუ ავაზგი, აწინდელი აფხაზეთი, მათ დღეთა შინა აფხაზეთი ბერძენთა ეპყრათ.

2) შარავანდი, მეფის გჳრგჳნი.

მიჰყო ხელი მისი და აღადგინა იგი და შემოსა ხელითა თჳსითა შარავანდი იგი სამეფო, ეგრეთვე ყოველნი მთავარნი შეუვრდეს ფერხთა მისთა და მიიღეს კურთხევა მის მიერ.

იყო ვინმე მთავართაგანი ერთი, რომლისა თუალი მარჯუენე მოწყლულ იყო ისრისა მიერ და სრულიად დაშრეტილ. ესე მოვიდოდა რა კურთხევისა მოღებად სარწმუნოებით იტყოდა გულსა შინნა თჳსსა, ვითარმედ რაჟამს შევეხო ფერხთა მისთა, მეყსეულად განმეკურნოს თუალი ჩემი და ესრეთცა იქმნა, რამეთუ დადვა რა თუალი ფერხსა წმიდისასა მეყსეულად განიკურნა თუალი იგი მისი და ჩუენდა ვითარცა მეორე იგი ესერა საკჳრველებაჲ იხილეს ყოველნი, ადიდებდეს ღმერთსა.

დავარდა მეფე და ყოველნი იგი მთავარნი წინაშე ბერისა და ხედვიდეს ანგელოზებრივსა მას ხატსა მისსა და უკჳრდა ყოველთა უპოვარი იგი ცხოვრება მისი და ჰკითხვიდეს სულისა საცხოვრებელთა სიტყუათა. ხოლო ნეტარი იგი, ვითარცა ღუთისა მიერ განბრძნობილი აღმოიტყოდა ღუთის სულიერთა სიტყჳთა, რამეთუ ენა ქართული შუენიერად და მართლად ესწავა პირუელვე ოდეს იყო იოანეს თანა მოძღურისა თჳსისა, რამეთუ ოთხი წელი მუნ სრულ იყო ზედაძენსა. ხოლო ლოცუასა შინა და ფსალმუნებასა ასურებრსა და ბერძულსა იხმარებდა, რამეთუ ორივე ესე ესწავა ნეტარსა მას და ჰრქუა მეფემან ფარსმან ბერსა, მამაო, მიბრძანე, რაჲცა ჯერ იყოს ჩემ მიერ სამსახურებელი წმიდისა ამის მონასტრისა შენისა. ჰრქუა მას ბერმან «უფალო მეფე, გულნი მეფეთანი ხელთა შინა ღუთისათა არიან, ვითარცა რა ჯერ გიჩნს ჰყავ». მიანიჭა უკუე მონასტერსა ოთხნი რჩეულნი სამეფოთა დაბათაგან და დაწერა ხელითა თჳსითა თავისუფლება მათი და მისცა ევაგრეს ოცდა ათი ლიტრა ოქრო, ეკკლესიათა მათთჳს სახმარად ბარძიმი ოქროსა და ფეშხუმი და სხუა ყოველი სამსახურებელი ვეცხლისა. ჯუარი დიდი ოქროსა და სახარება ფრიად შუენივრად შემკობილი ნასატრელისა მეფისა ვახტანგის მიერ და განაჩინნა ზედა მდგომნი საქმისანი, რათა სწრაფით ჰყონ აღშენება ეკკლესიათა მათ. იჯმნა უკუე ბერისაგან და მივიდა მცხეთად და კათალიკოზსა მაკარს აუწყა ყოველი რაჲცა ეხილვა და ესმინა წმიდისა შიოსგან და იხარებდა ფრიად სულითა მეფე და ყოველი ერი ქართლისა ნეტართა მათ მამათა მოძღურებითა განათლებული. ხოლო განსრულდეს რა ეკკლესიანი იგი სამნივე. მიუმცნო ნეტარმან ევაგრი მეფესა, ვითარმედ აღესრულა ნება ღუთისა და შენი მეფეო აწ უკუე ჰყავ სატფურება სახლისა ამის ღუთისა[1]. განიხარა მეფემან და მიუმცნო კათალიკოზსა მაკარის და ყოველთა ეპისკოპოსთა, რათა კრება ჰყონ დღესა მარტჳლისასა[2] სატფურებისათჳს მათ ეკკლესიათასა. შემოკრბეს უკუე ყოველნი ეპისკოპოსნი კათალიკოზისა თანა და თჳთ მეფე და ყოველნი მთავარნი და იოანე მოძღუარი ყოველთა მათ მამათა და ყოველნი მამანი ყოვლით კერძო შემოკრბეს და ესრეთ ჰყუეს ენკენია[3] ეკკლესიათა მათ; შვიდეულსა ერთსა შინა ძრიად აიძულებდა კათალიკოზი და ყოველნი იგი მღუდელთმოძღუარნი, რათა მიიღოს წმიდა შიომ ხელთ დასხმა ხუცობისა, რამეთუ დიაკონად ხელ დასხმულ იყო ანტიოქიასვე, არამედ არა თავს იდვა, რამეთუ ეშინოდა ნუ უკუე და კუალად ეპისკოპოსად სადმე აიძულონ და ამისთჳს, ვითარცა ხრმალი ორ პირი განეწყო ყოველთა წინა და ესრეთ დაამტკიცა, ვითარმედ «არცა თუ ყოვლისა სოფლისა მიერ ვირწმუნო» და ესრეთღა განეყენნეს ეპისკოპოსნი იძულებასა მისსა.

1) სატფურება. ეკკლესიის კურთხევა, განწმენდა.
2) მარტჳლია, სულის-წმიდის მოსვლის დღე.
3) ენკენია, კურთხევა, განწმედა.

წარვიდეს უკუე ყოველნი ყოვლით კერძო ლოჳსა ბერისასა მიმდევნელნი, ხოლო ნეტარი იგი მასვე თჳსსა მოღუაწებისა გზასა ვიდოდა და ეშურებოდა დღითი დღე შემატებითა სხჳსა და სხჳსა უახლესისა ღუაწლისათა, რამეთუ წამისა იგი სამოსელი, რომელ ემოსა პირუელვე მუხლის თავადმდე და იდაყუთამდე და კუნკულიცა ძძისავე განცუდა სრულიად და სხუა არა თავს იდვა მიღებად ახალი და არცა იგი დაკერვად თჳნიერ ადგილთა სირცხვილისათა დაიფარვიდა, რამეთუ სხუასა ადგილსა მოხეთქის და მათ ადგილთა დაადგის.

და განმრავლდა რიცხვი შეკრებულთა ძმათა ორი ათასად და განითქუა სახელი წმიდისა ამის ყოველსა შინა ქართლსა და ყოვლით კერძო მოვიდოდეს ყოველნი და ვერღარა დაიტევდა ხევი იგი, რამეთუ მარტოდ შორისა ვერღა უძლებდეს. და იწყეს მიერითგან სხუათა ადგილთა შენებად, რამეთუ რომელნიმე კოდმანისა კერძო წარვიდეს და ჰქმნეს მუნცა ლავრა დიდი, ხოლო რომელნიმე სარკინისა აღმოსავლით სადათ ალექსანდრე იოტნა უცხო თესლნი. იქმოდა უკუე ღმერთი სასწაულთა და ნიშთა აურაცხელთა ხელითა ამის წმიდისათა, თჳთოეულად იტყოდის პირუელად ვერ შეუძლის და მერმე მსმენელიცა ურწმუნოებად მიდრკენ, რამეთუ გონებისაგან კაცთასა, ვითარცა უზეშთაეს არნ; ეგრეთვე და ურწმუნოებითაცა შეიპყრობიან სულნი უმეცართანი და უწყის თჳთ ჭეშმარიტებამან, რამეთუ ამისთჳს თანა წარვხედ მასცა, რომელსა შეუძლებდი აღწერად.

სიმრავლისაგან რა მომავალთასა აღივსებოდა ყოველი იგი ხევები, მოეტევებოდე მხეცნი უდაბნოსანი დაცხენსა და კერძო ვირსა და კარაულსა რაოდენსა ჰპოვებდეს მუნ მომავალთასა განხრწნიდეს და თჳთ ძმათაცა სამსახურებლად მყოფნი იგი კარაულნი შეჭამნეს. მოვიდეს უკუე ნეტარისა მის მამისა წინაშე შეწუხებულნი ყოველნი იგი ძმანი და აუწყეს ჭირი იგი, რომელი მოიწიოდა მათ ზედა მხეცთა მიერ. ესმა რა ესე წმიდასა შეწუხნა, რამეთუ კაცთა და პირუტყუთა ყოველთა წყალობა ზოგად აქუნდა ნეტარსა მას. ილოცა უკუე ღუთისა მიმართ, რათა რაოდენნი მხეცნი მკჳდრობდენ უდაბნოთა მათ შინა, მუნ შემოკრბენ წინაშე მისსა, ეჰა საკჳრველი, რამეთუ მეყსა შინა ვითარცა აღასრულა წმიდამან ლოცუა, რაოდენი რა თქჳს კაცმან ყოვლისაგან ნათესავისა მხეცთასა მუნ იხილვებოდა წინაშე ქუაბისა მისისა. იხილნა რა ნეტარმან შიო, გამოვიდა და ვითარცა კაცთა ესრეთ ლმობიერად ზრახვიდა და იგინი ყოველნი დგეს ქედ მოდრეკილნი და ისმენდეს ნეტარისა მის ბრძანებასა და მოელოდეს განჩინებასა, რამეთუ ყოველთა ერთბამად აღემსთო და აღეხუნეს მართუენი თჳსნი, რომელსამე კბილითა, რომელსამე ქედითა და რომელსამე წინა უდგეს ჩჩჳლნი და იხილვებოდა საკჳრველი და საზარელი სახილველი. ჰრქუა მათ ნეტარმან შიო: «იხილეთ მხეცნო სიმდაბლე ჩემი და ისმინეთ ჩემი, რომელსა ესე გეტყჳ. უწყის ქრისტემან, რამეთუ ფრიად მელმის აწ გული ჩემი თქუენთჳს, გარნა რამეთუ ბუნება თქუენი ველურ არს, ამიერიდგან თქუენსა და ჩუენსა დამბადებელსა უბრძანებიეს, რათა პირმეტყუელთა კაცთა მიერ აღივსნენ ყოველნი ესე უდაბნონი, აწ წარვედით საყუარელნო ჩემნო და იძიეთ ადგილი, რომელსა შინა განისუენოთ და განსლვასა თქუენსა ნურა რავის ავნებთ რათურთით; არამედ ერთი თქუენგანი დაადგერით აქა მაძოვნებელად კარაულებსა ძმათასა, რათა ამით უკუმოუზღოთ, რომლითა იგი შეაწუხენით ძმანი. ეჰა! საკჳრველებასა, რამეთუ მყის სიტყუასავე თანა ბერისასა, განიბნინეს ყოველნი იგი მხეცნი შთამართისა მას, განვლეს მდინარე და წარვიდეს სადაცა იგი ზენამან წამისყოფამან უბრძანა. განა ერთი ხოლო მხოლოდ მგელი დადგა, ვითარ მონა წინაშე ბერისა მოშიშებით და ჰრქუა მას წმიდამან შიო. «სახელითა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა, შენ გეტყჳ მხეცო, ამიერითგან ვითარითა მსახურებითა უკმოუზღო მწუხარებასა ძმათა ჩემთასა, რომლითა შეაწუხენ იგინი. ხოლო

საზრდელი შენი იყოს ვინაჲ და ჩუენცა ვიზრდებით და ცისკრად წარმყუანებელი კარაულთა საძოვარსა, წამსა მწუხრისასა ცუალად მოიყუანებდი მათ, ვინათგან მწყემსად და მცუელად მათდა შენ გამიჩინებიხარო.

ხოლო მგელი იგი ერჩდა ბრძანებასა მისსა ბერისასა და დადგა ვითარ მონა ყოვლისა კეთობრივისა ბუნებისა მქონებელი და სიტყჳსა გულის ხმის მყოფელი, რამეთუ განთიად აღიმსთჳს, და ბორცუსა[1]) ზედა მდგომარე ყივილით უხმობს განსულად კარაულებსა. ხოლო მიმწუხრი მოვიდის რა მონასტრად მითვე ხმითა მასვე ბორცუსა ზედა ძმათა აუწყებს მოსულვასა კარაულთასა. ხოლო, რომელნი ხედვიდეს და ესმოდა სასწაულისა ამისთჳს განკჳრუებულ იყუნეს და ადიდებდეს ღმერთსა, რომელმან ესე ვითარი მადლი მოანიჭა მონასა თჳსსა, ვიდრემდის მხეცნიცა აღასრულებდენ და მორჩილებენ სიტყუასა მისსა.

არამედ სხუა ისმინეთ საკჳრუელი, რამეთუ მხეცმან ამან მსგავსი ბუნებისა მისისა საზრდელი არა მიიღო ვიდრემდის იყო მსახურებასა მას შინა, რამეთუ ნეტარმან ეგვარი დაუნეცვის მას პური დღეულად და დაუსხის წყალი ზედა და შეჭამის იგი და მწუხრი ეგრეთვე მიიღისრა მოღუაწეთა იგი საზრდელი. წარვიდის და კარსა მის ქუაბისასა მიწვის სადა იყოფოდა ნეტარი შიო და დღესამომდე იხილვების გამოქმნილი იგი შიოს მიერ განსასუენებლად მხეცისა მისთჳს ადგილი[2]).

ხოლო დაჰყო რა მხეცმან ამან მსახურებასა მის შინა თჳსსა წელიწადი ექუსი და დღესა ერთსა წარიყუანა კარაულნი ძოვნად მსგავსად წესისა თჳსისა და ვითარცა არს ჩუეულებაჲ მათ მღერასა შინა, გარდაიჭრა ჭენებული სხჳსა მიერ კლდესა კარაული კონონისა ბერისა და მოკუდა. ხოლო მწუხრი ყამისგან უწინარეს მოიყვასნა კარაულნი მგელმან და მწუხრი წკმუოდა და ტიროდა. იხილა რა კონონ, რამეთუ კარაული მისი არღარა იყო შეწუხნა და მგელსა მას რისხვით უთქმიდა და შეასმენა, ვითარმედ მას შეუჭამიეს. შთავიდა უკუე კონონ ბერისა შიოსა და ესაჯოდა მას და ეტყოდა გულის წყრომით, ვითარმედ დასაბამითგან არა სადა ისმა, ვითარმცა მგელი მაძოვნებელ იყოს კარაულთა და ესე ჰყავ შენ მამაო, რამეთუ ნუგეშისმცემელი იგი მოხუცებულებისა ჩემისა და სხუათაცა ძმათა კარაული მხეცმან ამან შეჭამა. ხოლო მგელი იგი განიმართლებდა თავსა რაოდენ შესაძლებელ იყო წინაშე ბერისა, გამოვიდა და ტიროდა წკმუილით, მერმე უპყრა კუერთხსა კონონისსა და მიზიდვიდა მას. ჰრქუა მას ნეტარმან შიო კონონს «წარვედ ბერო და მიჰყევ მწყემსსა მაგას და იხილე რა უქმნიეს კარაული შენი». და ჰრქუა მას კონონ ეჴა უწყალოებასა ამას და სულიცა ჩემი წარწყმედად გეგულვების და რაჲ არს სიძულილი ესე ოდენი შენდა მომართ ჩემი, კარაული ჩემი შეაჭამე ძაღლსა ამას და აწ განვიდე მისთანა მტერისა ჩემისა და განმბძაროს მე და ესრეთ აღიმაღლებდა ხმასა და სწყევლიდაცა ბერსა, გარნა ნეტარი იგი ყოვლად არა განრისხნა, არამედ გამოვიდა ქუაბით და აღვიდა ძმათა თანა, წარავლინნა მგელსა და კონონს თანა ორნი ძმანი და მივიდოდეს უკანა მგელისა და იხილეს, რამეთუ ჰპრეხსა გარდაჭრილ იყო კარაული კონონისი და მომკუდარ იყო და მოიქცეს ნეტარისა შიოსა და აუწყეს ძმათა მათ და ითხოვდა შენდობასა კონონ სიტყუათა მათთჳს, რომლითა იკადრა უკადრება წმიდისა მის ზედა. ხოლო მოუწოდა ნეტარმან შიო მგელსა მას და ჰრქუა: «მხეცო, კმა არს მსახურება ეგე შენი და მადლიეს ვარ შენდა, აწ უკუე

1) ბორცჳ, მდაბალი მთა ანუ გორა, ნიშნავს ძირსაცა.

2) საკჳრუელ არს ესე, რამეთუ რაოდენი წელი არს განსრული ამ წმ. ცხოვრების დაწერვის შემდეგ; არამედ საცხოვრებელი მსახურისა მგლისა, აქამომდე სახილველ არს ყოველთათჳს.

თავისუფალ ხარ შენ ამიერითგან, წარვედ მსგავსთავე შენთა თანა და ნუ ოდეს იკადრებ ვნებად ძმათა ჩემთა, ხოლო ამათ თჳთ იხილონ მწყემსი ვითარი სოხდეს კარაულთა თჳსთათჳს, რათა არა კუ̂ალად მაბრალობდენ მე შენ ძლითა». და მიერითგან წარვიდა მგელი იგი თავისუფალ ქმნილი ბრძანებითა წმიდისათა.

ესე ვითართა ნიშებთა და სასწაულებთა მიერ შემკულ იყო სანატრელი ესე მამაკაცი, რამეთუ უსიტყუ̂ელთაცა ცხოველთავე მონებრ მსახურებასა აიძულებდა; ვინაცა ნუ დაგვიკჳრდების ჩ̂ნ ძმანო ესე ვითართა საკჳრ̂ელთა საქმეთა აღსრულება მონათა მიერ ღ̂თისათა, ნუცა ურწმუნო ვიქმნებით დიდებულებასა ზედა ღ̂თისასა, რამეთუ თჳთ იგი იტყვის სახარებათა შინა, ვითარმედ «უკეთუ გაქუ̂ნდეს სარწმუნოება, ვითარცა მარცუ̂ალი მდოგვისა დ̂ ჰრქუ̂ათ მთასა ამას, აღიფხუ̂არ ამიერ და შთავარდი ზღუ̂ად, იყოს ეგრე» და რამეთუ წმიდა ესე და სარწმუნო ღ̂თისა სარწმუნოებითა მტკიცითა და შეუორგულებელითა შეჭურვილ იყო და ამიერ მოელო ხელმწიფება ქმნად ძალთა და საკჳრ̂ელებათა სიმრავლესა და რამეთუ მგელსაცა უფროსღა მბრძოლსა ესე ვითართა ცხოველთასა მწყსა და ზედა მხედველობა მათი არწმუნა.

რომელიცა ესე სასწაული სამარხოსა შინა ამის ღირსისა მამისსა მის მიერ აღშენებულსა ესრეთ დახატული დადგრომილ არს ვიდრე დღეინდელად დღედმდე, გამომაჩინებელად დიდებულებათა ამის სანატრელი მამისათა, რომელთა იქმოდა შეწევნითა სულისა წმიდისათა [1]).

ხოლო მას ჟამსა შინა ინება ნიშებ შემოსილმან წმიდამან მამამან ჩ̂ნმან იოანე მოხილვა მოწაფეთა თჳსთა, რათა ცნას თუ, რომელსა საზომსა მიწევნულ არიან დ̂ თანად, რათა გამოაცხადნეს საქმენი მათნი კეთილნი სადიდებელად სამებისა ერთარსებისა ღ̂თისა ჩ̂ნისა, ვინაცა წარვიდა ადგილით თჳსით და მიიწია პირ̂ელად ხსენებულსა ამას საყდარსა ღ̂თისა დედისასა, სადა იგი მოუწოდა ღირსა შიოსცა, რათა მივიდეს იგიცა ყოვლად უბიწოსა ღ̂თის მშობელისა და ვითარცა შეკრებეს მუნ ერთბამად, მოიკითხეს ურთიერთარს სიყუ̂არულითა საღმრთოთა; ამისსა შემდგომად დასხდეს წმიდანი იგი ბერნი. ხოლო წმიდამან იოანე მოითხოვა ღჳნო გარეშე ჩ̂ულებისა და ვითარცა მოართუ̂ა მას ილია დიაკონმან [2]) ჭიქით, მიიღო იგი წმიდამან ხელთა შინა თჳსთა და პატიოსნისა ჯუ̂არისა გამომსახუ̂ელმან მას ზედა; მარჯუ̂ენისა ხელისა მწუ̂ერვალთა თითითა მიერ განუტევა იგი ჰაერსა შინა და მდგომარე იყო ჭიქა იგი ჰაერთა შინა შთამოკიდებული მართლად მყოვარ ჟამ დ̂ შემდგომად მრავლისა ჟამისა ჰრქუ̂ა იოანე მოწაფეთა თჳსთა. «შთამოიღეთ ჭიქა ეგე აღ-

---

1) ფრიად საწუხრად არს, რამეთუ სამარხო წმიდისა და ღ̂თივშემოსილისა შიოსი, საშინელს შეურაცხილებასა არს მიცემული, საუბედუროთ საქართუ̂ელოსთა მცხოვრებელთა. გარდა ნაქცევისა და უპატიოებისა არა რაჲ იპოვების იქ; სადაც თჳთ ყოვლად წმიდამ ღ̂თის-მშობელმან ინება ღ̂თივ ბრწყინუ̂ალითა ფერხითა თჳსითა სლვაჲ და ადგილი ესე შექმნა კიბედ ზეცათ აღმყუ̂ანებელად.

2) ღირსი ილია დიაკონი, ვითარ ზემო ვახსენეთ იყო განუშორებელი მოწაფე წმ. იოანესი და მოძღუ̂არიცა მონასტრისა შემდეგ წმ. იოანესი, ვითარ 11 წელი. შემდეგ წმ. ილიასი მოძღუ̂არნი ზედაზადენისანი იყვნენ: იოსებ, 24 წელ. აბბა ბალ, 35 წ. აბბა ბენი, 50 წ. აბბა თალ. 31 წ. სამუილ, 28 წ. შემდეგ ამისა 3 წ. იყო მოძღუ̂არ ზედაძნელის ულაბნოსა და შემდეგ ამისა კათალიკოზად 15 წ. გრიგორი, 24 წ. იოანე, 15 წ. გაბრიილ, 15 წ. თეოდორე I, 25 წ. თეოდორე II, 19 წ. იოანე, 12 წ. ქუ̂რცის, 19 წ. ჭოროკ, 10 წ. კჳრიკე, 15 წ. შიო, 3 წ. მიხაილ, 24 წ. ზაქარია, 4 წ. იოანე, 2 წ. უმარ, 1 წ. ილია, 5 წ. მიხაილ, 1 წ. სამუილ, 24 წ. შემდეგ ამისა მონასტერი წმ. იოანესი დაარღჳა ულით ჩინგიზმან 1176 წ.

სავსე ღჳნიითა და აკურთხნეთა და რამეთუ ეპისკოპოსიცა მიერ ჯერ არს კურთხევა[1]). ხოლო მათ ყოვლითურთ არა იკადრეს, რამეთუ განკჳრვებასა შეეპყრნეს იგინი, დიდებულსა ამას და უცხოსა სახილავსა ზედა, ვითარ თჳნიერ რაჲსამე მტვირთველისა ჰაერთა შინა მდგომარე იხილვებოდა ჭიქა იგი, აღსავსე ღჳნითა.

მაშინ საკჳრველთმოქმედმან იოანე მიყო ხელი თჳსი და მიიღო ჭიქა იგი და კუალად ჯუარი გამოსახა მას ზედა, რომლისაგან სამთავე მიიღეს ერთბამად და სხუათა მრავალთა, რომელნი მუნ დამთხუეულ იყუნეს. მაშინ ჰრქუა ღირსმან იოანე ნეტარსა შიოს. «ჯერ არს მამაო მადლისა მიცემა ღუთისა, რომელმან ჰყო ჩემ შორის საკჳრველი ესე». ხოლო წმიდა შიო მორჩილ ექმნა სიტყუასა ბერისასა და აღდგომილმან მოიღო ნაკუერცხალი ნებსა თჳსსა ზედა და დაასხა მას საკმეველი, რომლისაგან აღვიდოდა სული სულნელებისა ჰაერად და უკმია წმიდამან შიო ყოველთა მუნ მყოფთა, რომელნიცა მხილველნი ესე ვითართა სასწაულთანი, ადიდებდეს ღმერთსა მოქმედსა საკჳრველებათასა, რომელმან მოსცა ესე ვითარი მადლი მოშიშთა მისთა. ხოლო ნეტარი იოანე იტყოდა მუნ მდგომარეთა მიმართ და განცჳფრებითა შეპყრობილთა სასწაულისა ამისთჳს.

«რაჲსა განკჳრვებულ ხართ ჰოი ძმანო! ანუ არა უწყითა ვითარმედ ცეცხლიცა ჰრიდებს შეკდიმებული მოსავთაგან ღუთისათა და რამეთუ ესე ცეცხლი იყო ბაბილონს შინა აღგზებული სამთა ყრმათა თჳს, რომელმანცა შეიკდიმა უბიწოთა ხორცთა მათთაგან, რაჟამს იგი ქალდეველთა შესთხინეს სახმილსა მას შინა ცეცხლისასა შჳდ წილ აღგზებულისასა, ხოლო ანგელოზისა გარდამოსლვითა უვნებელად დაიცვებოდეს; ვიდრედა არცა თმა თავისა მათისა შეიწვა ყოვლითურთ და გარემოს მდგომარენი იგი არა რაჲსა ბოროტის მოქმედთა დაწვად მოსწრაფენი, თჳთ შეიწუებოდეს ალისა მის მიერ მათ ზედა მოფენილისა, ვინათგან არა რაჲ საქმე შეუძლებელ არს ღუთისა მიერ და მისი არს აწ ქმნილიცა ესე სასწაული, რამეთუ უწყის უფალმან დიდება მადიდებელთა მისთა, რომლისათჳსცა ნუ განკჳრვებულ ხართ ღუთისა მიერ ქმნულსა ამას საკჳრველებასა ზედა, სადიდებელად მონისა თჳსისა».

ამისა შემდგომად მიხედნა წმიდამან იოანე ღირსსა ისეს და ჰრქუა «მამაო მწყემსო კეთილო სიტყჳერთა ცხოვართაო, გუნებავს, რათა კურთხევა მოვიღოთ შენგანცა, რომელი გუაქუნდეს სახსენებელად შენდა». ხოლო იგი ვინადგან მორჩილებასა განსწავლულ იყო და აღსავსე სულითა წმიდითა ყოვლად არა ურჩექმნა ღირსსა იოანეს, არამედ მყის სიტყუასავეთანა აღდგა და აღიპყრნა ხელნი თჳსნი ზეცად მიმართ და მყოვარ ჟამ ევედრებოდა ღმერთსა მდუმრიად; ამისა შემდგომად და ქუეყანად დავრდომილი ცრემლითა დაალტობდა იატაკსა და მერმე ჰრქუა ბერსა «ლოცუა ჰყავ ჩემთჳს წმიდაო მამაო და მცირედ შემომიდეგ მე» და მიმართა წმიდამან ისე მდინარედ მიმართ, რომელსა ეწოდების ქსანი, ღირსითა მათ მამათა თანა.

და ვითარცა მიიწივნეს წყალსა მას ზედა ყოვლად ქებულნი ესე და საკჳრველთმოქმედნი, კუალად იწყო წმიდამან ისე ლოცუად და მოუწოდა შეწევნად მისა სახიერსა ღმერთსა უფალსა და კუალად უბიწოსა ქალწულსა ღუთისმშობელსა ესე ვითართა ვედრებათა მეტყუელი ცრემლითა.

«მოვედინ მადლი შენი, ჰოი! წმიდაო და ღუთივ მიმადლებულო დედოფალო, რათა წყალი ესე დამემორჩილოს და შემომიდგეს მე, ვინაცა იგი ვიდოდი» და ვითარ მიმყოვრებულად ილოცა გან-

1) ოდეს ესმინა წმიდას შიოს, მოსლვა წმიდისა იოანესი თჳსს მონასტერსა შინა, მყის აცნობა წმიდასა ისეს და მოუწოდა მას თჳსთა თანა, რომელმანცა აღასრულა თხოვნაჲ ყოვლად სანატრელის შიოსი.

მართა მდინარისა მიმართ კუერთხი იგი, რომელი აქუნდა ხელთა თჳსთა და თქუა. «სახელითა უფ-ლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა, შენ გეტყვი მდინარესა ამას წოდებისაებრ შენისა, კსინვით ვიდ-რე მე კსინევდი, გარნა კუერთხსა ჩემსა შემოუდეგ». ხოლო წყალი იგი ჰოი! საკჳრველებათა შენთა ქრისტე, უჩუეველსა გზასა და უვალსა მისგან პირუელად ვიდოდა შედგომილი ღმერთშემოსილთა წმიდათა მათ მამათა, რამეთუ ქუეყასა იგი მყარი უწინარეს და ეკლოვანი განიპებოდა და დაღრმე-ბოდა თჳნიერ რაჲსა აღმომთხრელისა, ვითარცა კუერთხი იგი მიეთრია ღირსსა ისეს უკანა მივიდო-და წყალი იგი მინარე მსმენელი ბრძანებასა წმიდისასა და ესრეთ მიყვანებულ იქმნა მახლობლად საყდრისა ღმრთისა დედისასა წილკანს, რომელიცა ვიდრე აქამომდე დის, სადიდებელად ღმრთისა ჩუე-ნისა და ცხად მყოფელად ღმრთისა მიმართსა კადნიერებასა წმიდისა ისესსა.

ესე სასწაული საკჳრველი იხილეს ყოველთავე მკჳდრთა მცხეთისათა და მახლობელთა დაბათა და განკჳრვებით შეპყრობილნი ადიდებდეს ღმერთსა და მოქმედსა დიდსა საკჳრველებათასა, რო-მელმან მისცა ესე ვითარი ძალი მონასა თჳსსა სანატრელსა ისეს.

ესე ვითართა სასწაულთა და ნიშთა მიერ შემკულ იყვნეს წმიდანი ესე მამანი და ესე ვითარი კადნიერება მოელო ამათ ღმრთისაგან, რომელთა ყოველივე მსოფლიო და ზუავი კადნიერება დაუ-ტევეს მისთჳს, ესრეთ იხარებდეს საღმრთოთა სიყუარულითა ერთბამად მყოფნი და კუალად თჳსა-გან დადგრომილნი მოთმინებით შეიტკბობდეს მოღუაწებრივსა ცხოვრებასა, რამეთუ უწოდეს ამათ სიტყუათა მგალობელისა, «რაჲმე კეთილ, ანუ რაჲმე შუენიერ, არამედ დამკჳდრებად ძმათა ერთად» და კუალად «ვიქმენი მე ვითარცა სირი სართულსა ზედა [1])». ესრეთ ორ კერძოვე სათნოებათა სი-მრავლითა ბრწყინუალე იყვნეს ერთბამად და თჳსაგანცა მყოფნი. ხოლო წარსლვასა მას წმიდისა იოანესსა ადგილად თჳსად, სადა იგი იყოფებოდა ქუაბსა შინა, თანა წარჰყუეს მოწაფენიცა მისნი და დაადგრეს მისთანა ვითარ სამსაოდენ დღესა და იხარებდეს სიხარულითა სულიერითა ღირსისა ამის მამისა თანა.

ხოლო ვითარცა ენება ამათ კუალად უკუმოქცევა საყოფოდთა მიმართ თჳსთა თითოეულსა, ევედრებოდა ნეტარი შიო წმიდასა იოანეს, რათა უბრძანოს მას დაყუდებით ცხოვრება. ხოლო მან მიუგო «ღმერთმან მიგმადლენ შენ, სათხოველსი შენი შჳლო და მოგეცინ მოთმინებაჲ შეუძრკო-ფებელი, რათა ნაცულად აქა შინა იწროებით ცხოვრებისა, მერმესა მას საუკუნესა ჰპოვო განსუენება წარუვალი და ფართოებით იშუებდე მოხარული მართალთა ყოველთა თანა; არამედ წარვედ და მო-ახსენე პირუელად პატრიაქსა წმიდასა მამათ მთავარსა ჩუენსა და უკეთუ გიბრძანოს მანცა წინა აღრჩევისა შენისაებრ ცხოვრება, უწყოდე, რამეთუ ნება ღმრთისა არს, ხოლო თჳნიერ კათალიკო-ზისა კითხვისა, ნუ ხელ ჰყოფ საქმესა მაგას, რამეთუ მისი გვიღირს მორჩილება, ვითარ საყოველ-თაოსა და რაჲცა გიწამოს მან იგი მიითუალე სიხარულით და რამეთუ პავლეცა მოძღუარი იგი ყო-ველთა, ესრეთ გუამცნებს, ვითარმედ «დაემორჩილენით წინა მძღუართა თქუენთა და ერჩდით მათ, რამეთუ იგინი იღვიძებენ სულთა თქუენთათჳს».

ამათ ყოველთა თანა ასწავებდა მას წმიდა იოანე, რათა განაყენოს გონება თჳსი ყოველთავე ხორციელთა და ქუეყნიერთა ზრუნვათაგან და ვითარცა მკუდარმან სამარეთა შინა დადებულმან, ესრეთ შეურაცხ ჰყვნეს მიწიერნი ესე და ხილულნი ყოველნი, ვინათგან ესე არს წესი და კანონი და-

1) სირი, ჩიტი. სართული ყავრული ანუ ბანი.

უდებულის. ესე ვითარნი რა მცნებანი და სწავლანი მიიხუნა ნეტარმან შიო, წმიდისა იოანესგან, შევრდომილმან ტირილით ამბორს უყო ფერხთა მისთა და მოიკითხნა ყოველნი დამთხვეულნი უკანასკნელითა მოკითხვითა, რამეთუ არღარა ეგულვებოდა მოკითხვა მათი. ამის შემდგომად მსმენელმან მათგან; «ლოცვა ჰყავ ჩემთჳს» ჰრქუა, «რათა მოთმინებით და სიმხნით დადგრომილმან დაყუდებასა შინა, მმწამოს თუ წმიდამანცა მამათ მთავარმან, შეუბრკოლებელად აღვასრულნე ნეშტნი დღენი ცხოვრებისა ჩემისანი» და ესრეთ მიმღებელი მათგან ლოცვისა და კურთხევისა წარვიდა კათოლიკე ეკკლესიად და თაყუანისმცემელი წმიდისა და პატიოსნისა სჯუარისა, ცრემლით და სულთქმით ევედრებოდა ღმერთსა, რათა ღირს ჰყოს იგი დაყუდებით სათნოდ მისსა გარდახდად ნეშტსა ჟამსა ხორცთა შინა ყოფისა მისისასა.

ამისსა შემდგომად შევიდა წინაშე მამათ მთავრისა. ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა იგი და ვითარცა მოიკითხნეს ურთიერთმან წარმოუთხრა მას შიო ყოველივე წადიერება ღუთისა, თუ ვითარ სურველ არს დაყუდებითსა ცხოვრებასა შეტკბობად და ვითარცა ღირსისა იოანეს მიერ წარმოვლის მისსა მიმართ კითხვად და ესრეთ ბრძანებითა მისითა შეკადრებად ღუაწლსა დაყუდებისასა.

ხოლო წმიდამან მამათ მთავარმან სულთითქუნა სიღრმით გულისათ და ცრემლეოდა ესრეთ შეურაცხ ქმნასა თავისა თჳსისასა მსმენელი ნეტარისა შიოსგან სიყუარულისათჳს ქრისტესსა, გიდრელსა და მღჳმესაცა შინა უკუნისა დამკჳდრებად. ხოლო მღჳმე ესე არს ფრიად სიღრმესა მქონებელი და ყოვლად ბნელი, რომელსა შინა ეგულვებოდა მრავალ მოღუაწესა ამას მამაკაცსა შთასლვა და დაყუდება, ვინაცა ცრემლითი მიმხედველმან შიოს მიმართ ნეტარმან მამათ მთავარმან; ვიდოდე თქუა მამაო ვიდოდე, კეთილსა ამას და იწროსა გზასა ცხოვრებად მიმყუანებელსა საუკუნოდ, რომელსა ზედა მცირედნი ვლენან, ვითარ მძლავრებელნი ზრქელთა ამათ და წინააღმდგომთა ამათ სხეულთაგან და ჰყავნ მღჳმე იგი კიბე აღმყუანებელ შენდა ზეცისა სასუფეველსა და ნეტარებათა მიმართ. ხოლო ბნელი იგი მუნ შინა მიმყუანებელ ნათლისა მიმართ დაულამებელისა და ჟამიერი ესე ჭირი გეყავნ შენ მომატყუებელ საუკუნოსა განსუენებისა და წარუვალისა სიხარულისა, რომელსა მიმთხუეულად არიან ყოველნი სათნოდ ღუთისა აღმასრულებელნი ცხოვრებისა მათისანი.

ამათი მსმენელი შიო, მხიარულ იქმნა სულითა და ევედრა ლოცვისა ყოფად მისთჳს, რათა მოსცეს მათ უფალმან მოთმინება წინა მდებარისა ღუაწლისა მიმართ და ესრეთ კურთხევისა მიმღებელი მამათ მთავრისაგან, წარვიდა უდაბნოდ თჳსად. ხოლო ვითარცა მიიწია ღირსი ესე უდაბნოდ თჳსად, მოიკითხნა ყოველნივე ძმანი სიყუარულითა საღმრთოთა და ულოცა მათ უმჯობესი სულთა მათთა. ამისა შემდგომად სიმშჳდითა ზრახვიდა მათდა მიმართ ესე ვითართა სიტყუათა მეტყუელი: «ძმანო და შჳლნო სულიერნო, მცნებისაებრ ბერთა ჩემთასა და წმიდისა მამათ მთავრისა დაყუდებითსა ცხოვრებასა შევიწყნარებ, ხოლო თქუენ განეკრძალენით საყუარელნო საფრხეთა მრავალ ღონისა მტერისათა და უმეტეს ყოვლისა მოიგეთ სიმდაბლე და მორჩილება და სიმშჳდე საღმრთო, რომელი უჩინო ჰყოფს რისხვასა და სიყუარული, რომლისა მიერ მოიგების ღმერთი, სიყუარულად წოდებული. ამათ თანა შეიტკბეთ, წმიდა მყოფელი იგი სულთა მარხვა, რომელი წარიოტებს ბილწებასა და ლოცვასა შინა თქუენსა ღუთისა მიმართ მოიგეთ სიწმიდე გონებისა და აღუძვრველობა ბოროტთა გულის სიტყუათა მიმართ, რომლითა განქარდების ყოველი ძალი ეშმაკისა. ხოლო ტირილი იყავნ თქუენდა სამარადისო, რომელი მოატყუებს სიხარულსა საუკუნესა და რამეთუ უფალი იტყჳს, «ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა»; მოიპოვეთ სიგლახაკე, რათა სასუფეველი ცათა დაიმკჳდროთ, მოიძულვენით ზრუნვანი და შფოთნი სოფლისანი, რათა არა

შეიცთუნნეთ მათ მიერ, წერილთა იწურთიდით საღმრთოთა, რომელნი განაფრთხობენ გონებასა და ნუ მიაყვანებთ გონებასა თქუენსა ბოროტთა გულის სიტყუათა, იქმნენით წმიდა ხორცითა და ვითარცა იტყჳს წინასწარმეტყუელი. «განიბანენით, განიწმიდენით და მოისპენით ყოველივე გულსა-რძნილებაჲ სულთაგან თქუენთა», რამეთუ უკეთუ დაიცუენით სხეულნი თქუენნი სიწმიდით ვითარ განბრწყინუებულნი სულითა, მხიარულნი შეხვიდეთ ქორწილსა მას უფლისა, ლამპრითა ბრწყინუალითა მიგებებად სიძისა მის უკუდავისა; მღვიძარე იყუენით გონებითა სამარადისოდ, მომლოდენი უცნაურისა მის დღისა და ჟამისანი, რამეთუ არა უწყით, ოდეს უფალი მოვიდეს და ნუ სადა გპოვნეს თქუენ უდებად წარმგებელნი მამულისა სიმდიდრისანი და თანად დამმალველნი ტალანტისანი, რომლისათჳს საფასედ დადებისა მცნება მოგვიგებიეს და უკეთუ ვინმე უდებ ჰყვნეს მცნებანი ღუთისა და უფლისა თჳსისანი; მოვიდეს ჟამსა, რომელსა არა მოელოდეს და ორად განმკუეთელმან, ნაწილი მისი დადვას ორგულთა თანა, რამეთუ უმწარესითა მახვილისაგან სიკუდილისათა განიფჩხრას სული უნანელთა და უდებთა ხორცთაგან და წარავლინოს იგი ბნელსა მას გარესკნელსა სადა იგი ჰოი მე უბადრუკსა! იყოს ტირილი დაღრჭენა კბილთა, ხსენება სიკუდილისა და საზარელისა მის დღისა მარადის, წინაშე თუალთა გონებისა თქუენისათა, გაქუნდის და ნუგეშინის სიკუდილისაგან, არამედ უფროსღა გეშინოდეს სასჯელისა მისგან საუკუნოსა, მოითმინენით წუთ ერთ ესე და მცირედ ჟამისა ტკივილნი, რამეთუ თჳნიერ ჭირისა შეუძლებელ არს პოვნა საუკუნოსა ცხოვრებისა, ვითარცა იტყჳს პავლე მოციქული ვითარმედ, «მოთმინებითა თქუენითა მოიპოვნეთ სულნი თქუენნი და მრავლითა ჭირითა გჳღირს შესლვა სასუფეველსა ცათასა».

უწყოდეთ ძმანო ჩემნო მტკიცედ, ვითარმედ ყოველი ესე, აქა შინა წარმავალ არს და დაუდგრომელ და საუკუნო იგი წარუვალ და სამარადისო და მიელის თითოეულსა ჩუენგანსა საუკუნოსა, რომელსამე განსუენება და სხუათა სატანჯუელი საქმეთაებრ მათთა, რომელნიცა ჰქმნნეს სოფელსა ამას შინა, მითხართოღა ჰოი! საყუარელნო, უკეთუ კაცი დღეს ყოველთა განსუენებათა და შუებათა შინა იყოს და წარაგოს ყოველი მონაგები თჳსი და არა რა დაუშთეს მას ხვალისად და მიერითგან შიმშილითა და სხჳთა ყოვლითავე ძჳრ ხილულობითა განიკაფებოდეს. ნუ საძაგელ ეყოს მას ერთისა დღისა იგი განსუენება შემდგომთა დღეთა მიმართ; ესრეთ უკუე უწყოდეთ და საწუთროცა ესე ჩუენი ცხოვრება, რამეთუ უკეთუ აქა მშუებელნი არა ვზრუნვიდეთ გულვებადისა მისთჳს და არა დავიუნჯოთ საუკუნოთა მათ შინა საუნჯეთა, შიმტაცებელთა მამონასა მისგან სიცრუვისა, სიყმილითა მოვსწყდეთ და არად სარგებელ გუეყუნენ ჩუენ ხორციელნი შუებანი, არამედ უფროსღა ვიტანჯნეთ, ვითარ უძღებად და ნაყროვნებით ცხოვრებულნი».

ამათ და ესე ვითართა სწავლათა მიერ, განამტკიცნა შიო ყოველნი იგი მონაზონნი, ამისა შემდგომად ჰრქუა მათ. «გამოირჩიეთ ერთი ძმათაგანი, რომელი იღუწიდეს ცხოვრებისა თქუენისათჳს; რამეთუ მე ამიერიდგან მეგულვების შთასლვა მღჳმესა შინა, რომელი შევმზადე საყოფელად და საფლავად ჩემდა».

ხოლო შეწუხნა ნეტარი ევაგრი და ყოველნი ძმანი ტიროდეს მწარედ, ფრიად საზარელსა და უსრულებელსა ზედა ხელყოფასა და ეტყოდეს: წმიდაო მამაო, რა არს ეგე, რომლისა გეგულვების ყოფა და ვის ესმა საუკუნითგან, ვითარმცა ცოცხლივ ჯოჯოხეთად შთახდე ცხოვრება შენი და უფროროსღა აწ ოდეს გიხმს შენ განსუენება შრომათაგან მოხუცებულსა და ვითარ არა კმა არს ესე ზომნი ღუაწლნი, რომელი მოგიღუაწებიან კაცთა ბუნებისა უცხონი და ნუ უკუე არცა ღმერთსა სთნდეს ეგე ვითარი ღუაწლი, რომელი არვის უქმნიეს დღესადმდე და კუალად ესოდენნი სულნი,

რომელნი შენ ძლით შეკრებულ არიან უდაბნოსა ამას შინა: ოდეს არცა გხედვიდენ და არცა ესმო-დინ ტკბილნი სწავლანი შენნი, ყოველნი განიბნივნენ, ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ მწყემსი. ამას და ესე ვითარსა მრავლითა ცრემლითა ეტყოდეს შიოს ყოველნი ძმანი დაევედრებო-დეს არა დაობლებად მათდა და არცა შთასლვად მღჳმესა მას შინა.

ხოლო წმიდა შიო ნუგეშინისცემდა მათ და ეტყოდა «ძმანო ჩემნო, ღმერთმან მოგცეს მად-ლი ყოველთა სიყუარულისა ჩემისა, არამედ მე კაცი ვარ ცოდვილი და უკეთუ მართალი ძლით ცხონ-დეს, მე რაოდენი უფროს მიხმს, რათა არა განვარდე სასუფეველისაგან, რამეთუ მამა ჩემი და წი-ნამძღუარი მოღუაწეთა დიდი ანტონი; გასმიეს განაღა მრავალ გზის თუ ვითარსა მოღუაწებასა დასძინებდა მოღუაწებათა ზედა და ყოვლად არა მოაკლო სიბერესა შინა თჳსსა შრომა, რომელსა ჭეშმარიტად მოეღო გულსავსება დამკჳდრებად ანგელოზთა თანა; გესმალად დიდი მაკარი, რომელ-მან იგი ყოველი ცხოვრება თჳსი მოღუაწებასა შინა აღასრულა, იხილეთ ვითარღა მოშიშ იყო, რა-ჟამს იგი განვიდა ხორცთაგან ბოროტნი იგი ჰაერის მცუელნი ეტყოდეს, ვითარმედ მაკარი გან-ხუფე და განკუფრი, ხოლო სამგზის სანატრელმან სიმდაბლე ხორციელი სულითაცა დაიცუა, ვიდ-რემდის არა შეიწყნარა იგი ნათელმან ღუთაებისამან, არა ჰრქუა მდევართა მათ ძჳსითა, თუ განვერი ხელთაგან თქუენთა და ყოველნი წმიდანი მამანი, დიდითა ღუაწლითა განერნეს ეშმაკისა მზაკუარე-ბათაგან. ხოლო მე ცოდჳლსა ამას რაოდენ უმეტეს მიხმს ღუაწლი, რათა არა მივეცე სასჯელსა მას ულხინებელსა და დაუსრულებელსა, რამეთუ წერილ არს, რომელსაცა ვინ ზედა იმოგის, მასცა ზედა განიკითხოს. აწ უკუე ლოცვა ჰყავთ ჩემთჳს ძმანო; რათა მომცეს ღმერთმან მოთმინებაჲ და ძალი და რათა იყოს მღჳმე ესე დასაფლველცა უბადრუკთა ამათ ხორცთა ჩემთა. ხოლო თქუენ გამოირჩიეთ თქუენ ზედა წინამძღუარი, რომელი შემძლებელ იყოს განგებად სულთა თქუენთა ცხოვრებისა». ჰრქუეს მას ყოველთა. მამაო წმიდაო, ჩუენ შენ მიერ შემოკრებულ ვართ უდაბნოსა ამას შინა, მინდობილნი წმიდათა ლოცვათა შენთანი და სულიერთა სწავლათანი ვმოქალაქობდით და მოველოდით შენ მიერ ცხოვნებასა სულთა ჩუენთასა. ხოლო აწ ოდეს ვერ შეუძლებთ ნებასა შენსა განკუეთად, შენვე იხილე, რომელი ჰყოს და შემძლებელ განგებად ჩუენდა და ცხოვრებად სულთა ჩუენთა. ჰრქუა ნეტარმან შიო ევაგრის, «რათა მიითუალნეს ძმანი იგი და უძღოდის მათ, ვითარცა იგი უხილავს მისგან ყოველსა მას გზასა.

ხოლო წმიდა ევაგრი ვინათგან მშვიდ იყო და მდაბალ გულითა არა თავს იდვა მთავრად და წინამძღუარად ძმათა ზედა დადგინებასა და უძლურებასა გონებისასა წინადაუდებდა ესრეთ მე-ტყუელი: ვერ შემძლებელ ვარ ჯერისაებრ, სრულ ქმნად მსახურებასა ძმათასა, ვინაცა ნუ მაიძულებ მე ხელ ყოფად საქმესა ამას, უზეშთაესსა ძალისა ჩემისასა, რამეთუ კაცი უმეცარი ვარ და უძლური ტვირთვად ესე ოდენთა მოხაზონთა ჯეროვანსა მეურნეობასა.

ხოლო ნეტარმან შიო მიუგო მას. «უკეთუ მორჩილ ექმნა, ფრიადი სასყიდელი მიიღო ღუთისაგან და ნეტარება მორჩილთა დაიმკჳდრო დიდებასა მას უხილავსა; ხოლო უკეთუ ურჩებაჲ შეიმოსო, ურჩებისა პატიჟსა [illegible] იქმნე მიცემად, ინებე უკუე შენცა მსახურება ძმათა, რომელი მოგაქცევს დიდებასა, ვითარცა იტყჳს უფალი ჩუენი იესო ქრისტე, «რომელსა უნდეს თქუენ შორის დიდ ყოფა, იყოს იგი ყოველთა მონა და მსახურ «და აწ ჟამ არს შენდა, რათა დი-დიდებისა მიმატყუებელი დიდება მიიღო».

მაშინ ძნიად სადმე ირწმუნა სიტყუა ბერისა და თაყუანისმცემელმან მისმან, პატიოსანო მა-მაო თქუა, რაცა რაჲ მიბრძანო მორჩილებითი მივითუალო და ვინებო აღსრულება მისი, ლოცვათა

შენთა წმიდათა მინდობისა; ამისა შემდგომად ევაგრე მოშიშმან ურჩებისა პატრიარქთამან, მიიღო კურთხევა წინა მძღრობისა ხელთაგან მისთა. ხოლო ნეტარმან შიო მრავლითა სწავლითა განამტკიცა იგი და შევედრა ძმანი იგი. ევედრნეს უკუე ყოველნი ძმანი ნეტარსა შიოს, რათა მისცნეს მათ სწავლანი მის მიერნი, რათა ამოიკითხვიდეს დღესა შინა კჳრიაკეთა და სურვილსა წმიდისა მის პირისა მისისასა აღმოივსებდენ.

ხოლო აღუწერა ნეტარმან შიო მათ ას სამოცი სწავლა ყოვლად შუენიერი და ტკბილი, რომლითა განისწავლებოდეს ყოველნი იგი კრებულნი მარადის და ირწყვებოდეს, ვითარცა ხერგნი ღმრთივ სულიერნი წყაროთა სამოთხისათა და აღორძინდებოდეს ნაყოფითა კეთილთა საქმეთათა. აღიპყრნა ხელნი თჳსნი უფლისა მიმართ ნეტარმან შიო და შევედრნა ყოველნი იგი ძმანი ღმერთსა და მერმე ამბორს უყო თითოეულსა მათსა და დაჯდა მღჳმისა მის პირსა ზედა და ეტყოდა ესრეთ.

«შვილნო ჩემნო საყუარელნო და ძმანო ჩემნო სულიერნო და უფროსად უფალნო ჩემნო, კურთხეულ არს ქრისტე ღმერთი ჩუენი, რომელმან შეკრიბნა თქუენ უდაბნოსა ამას, მაქებელად წმიდისა სახელისა მისისა; აწ ისმინეთ ჩემი შვილნო მოხუცებულისა ამის მამისა თქუენისა; უწყით განალა, რამეთუ არა იძულებითა ვისითა შემოხუედით წესსა ამას შინა, არამედ ნებსით და სიყუარულისათჳს ღმრთისა იჯმენით აღმოთქმულთა წინაშე მისსა და ყოველთა ანგელოზთა მისთა უარყოფად სოფლისა და საქმეთა მისთაგან და მოქალაქობად სიწმიდით და მორჩილებად წმიდისა სახარებისა მისისა, ყოვლითა გულითა შეუძლებელად და აღებად ჯუარი მისი მხართა ზედა თქუენთა და მოძულებად მამა, დედა და ცოლი და შვილნი და ძმანი და დანი და თჳთ სულიცა თქუენი და ეგრეთ შემდგომად მისდა.

ეკრძალენით ძმანო ჩემნო მტერისა ბოროტისა მას, რომელსა ჰნებავს მარადის წარწყმედა ჩუენი, ნუ სადა მიერჩდეთ სულითა მკულელისა მას გუელსა და ვითარ ჰყავთ აღთქმა თქუენი, რამეთუ დღე და ღამე მღჳძარე არს მტერი ჩუენი, ვითარცა იტყჳს წმიდა და დიდებული თავი მოციქულთა პეტრე ვითარმედ «განიფრთხვენი და მღვიძარე იყუენით, რამეთუ წინა მოსაჯული თქუენი ეშმაკი ვითარცა ლომი მყჳრვალ მიმოვალს და ეძიებს ვინმცა შთანთქას [1])»; არამედ წინააღუდეგით მტკიცენი სარწმუნოებითა, უწყოდეთ იგივე მიზეზად ამას სოფელსა შინა, ძმობასა მას თქუენსა კეთილად და სათნოდ აღასრულებდით.

ძმანო ჩემნო! მტკიცედ დეგით, რომელსა ზედა იხინენით, რამეთუ უმჯობეს იყო ყოვლად არა შესლვად მონაზონებად. უკეთუ არა დავიცუენეთ თავნი ჩუენნი, ყოვლისაგან ცოდვისა, რომელი იქმნების გარეშე ხორცთასა, ისმინეთ წმიდისა სახარებისა, რომელსა იტყჳს «ვითარმედ სიტყუათა თჳსცა უქმისა სიტყუა მისცეთო დღესა მას». ეჰა! ვითარ ზარის სახდელ არს ბრძანება ესე მეუფისა, რამეთუ არა წინასწარმეტყუელისა არს, არცა მოციქულისა, არცა ანგელოზისა, არამედ თჳთ მის უფლისა, მსაჯულისა ცხოველთა და მკუდართასა, რამეთუ თჳთ მან თქუა ესე. «რომელსა ეგულვების განსჯა საქმეთა ჩუენთა, ევედრენით თუალ უხუავს მას მსაჯულსა», რათა არა სიტყუათა ჩუენთაგან დასჯად გამოვჩნდეთ წინაშე მისსა, ვითარცა იგი კუალად წერილ არს «ვითარმედ სიტყუათა შენთაგან განმართლდე და სიტყუათა შენთაგან დაისაჯო.

უწყოდეთ საყუარელნო, რამეთუ სიკუდილი ახლოს არს და კართა ზედა და ხმობს მეუფე. ილვიძებდით, რამეთუ არა იცით ოდეს მოვიდეს მპარავი, ნუ უკუე განხურიტოს კუერდი სახლი-

1) პირუელი კათოლიკე ეპისტოლე პეტრესი, თავი ე. ტრიქონი 8.

სა თქუენისა ოდეს არა უწყოდით და მიგპარონ სული თქუენი და არღარა გერგებოდეს, იღვიძებდით უკუე, რამეთუ არა იცით დღე, არცა ჟამი, რომელსა შინა ძე კაცისა მოვიდეს.

განეკრძალენით ძმანო ყოველსა, რომელი მიიყვანებს სულთა წარწყმედად იყვენით მორჩილ სწავლათა შინა და მსახურებასა შინა აღუზუავებელ და ესრეთ შერაცხენით თავნი თქუენნი ვითარცა მკუდარნი მოძაგებულნი, რამეთუ პირუელი კიბე სათნოებათა არს სიმდაბლე, რომელი იგი აღიყუანებს ღუთისა შემტკბობელთა მისთა, რამეთუ შეიყუაროთ თუ სიმდაბლე, მსწრაფლ მოიხილოს ღმერთმან თქუენ ზედა, გესმის ვითარ იტყჳს «ვის მივხედნე გარნა მშჳდსა და მდაბალსა და რომელი ძრწოდის სიტყუათაგან ჩემთა».

მოიხსენეთ უფალნო ჩემნო, ოდეს იგი სოფლით გამოხუედით ვითარ აღუთქუთ ღმერთსა უნდოსაცა რასამე სახმრისა არა მოგებად თქუენდა, არამედ რათა იყუნეთ თქუენ ზოგებით ვითარცა წერილ არს «და იყუნეს ყოველთა სულნი და გულნი ერთ». ნუ ხართ უსასო ქრისტესგან და ნუ ესავთ სიმდიდრესა და მოგებასა და სახმართა, რამეთუ ესე არს დედა ყოველთა ბოროტთა და ესრეთ განხრწნნის გონებანი უმანკოთანი, ბოროტმან ამან ძვირმან, რამეთუ იწყის პირუელ მცირითრათმე და უნდოთ სახმრით და თქვის ესე არა რაჲ არს და კუალად სხუა რაჲმე მოიგის და თქვის, ვითარმედ ესე არა სიმდიდრე არს, არამედ ხორცთათჳს საჭირო და კუალად განგაჭრის რაჲმე და თქვის. ვერ ეგების კაცი თუმცა ცხონდა თჳნიერ ამისა და სხუასა ხელთა მიხედვიდა, არამედ უფროს უმჯობეს არს, რათა მოვიგო ჩემთჳსცა და ვიღუწიდე გლახაკთა და კუალად შიასესხნ ვისმე და ჰნებავს უფროსი და თქვის არ ვისგან მომიხვეჭიეს, ჩემი არს უბრალო და არა ჰრქვიან ამხს აღსადგინები და კუალად მთქვის მივსცე ვისმე ესე, რათა ამიერ ვიზრდებოდიცა და უკანასკნელ ჩემთჳს წარაგოს სხუათა».

ჵო! უბადრუკებასა ბოროტსა, რამეთუ მრავალგზის არცა თუ ერთი და ნიჭი წარაგის მისთჳს და ესრეთ მცირედ ანგარებაჲ და ყოველთა უძვირეს კერპთმსახურება, ვითარ არა უწყინ ეგრეთ აღასრულის, განეშორენით ძმანო სულთა და მაქცეველსა ამას სენსა, რომელი მოიგო იუდა და იხოლეთ ვითარსა ფსკერსა ჯოჯოხეთისასა [1]) მისცა თავი თჳსი; ნუცა იპოვებინ თქუენ შორის კრებანი ვაჭარნი და ვაჭრობანი, უფროსღა იღუაწეთ, რათა მოივაჭროთ სასუფეველი ცათა, რამეთუ რაჲ შეიძინოს კაცმან, უკეთუ ყოველი სოფელი მისი იყოს, ანუ რაჲ გჳძაჰვს სოფლით განღებად თჳნიერ კეთილთა საქმეთა, რომელთა სასყიდელი მუნ მოვიღოთ. შეიყუარეთ უპოვარებაჲ, რომელი იგი მიმაახლებელ არს ღმრთისა, აჰა ესერა გესმის წმიდათა მამათ ცხოვრება, რამეთუ ამით მოიგეს ღმერთი და ესრეთ თუ იყუნეთ თქუენცა მოგეახლოს ღმერთი, უკეთუ მისა მიმართ დასდვათ სასოება ლოცუანი თქუენნი, ვითარცა საკმევლნი სულნელნი მსწრაფლ შევიდენ წინაშე მისა, რამეთუ იტყჳს «ამან გლახაკმან ხმა ჰყო, უფალმან ისმინა მისი და ყოველთა ჭირთა მისთაგან იხსნა იგი». ესე გამამდიდრებელი სიგლახაკე შეიყვარეთ, რათა ამის მიერ მოიღოთ გული შემუსრვილი და სული მდაბალ, რომელი არა შეურაცხ ჰყო ღმერთმან.

ევლტოდეთ ძმანო ჩემნო სოფლისა ამის გულის თქმისა ხრწნილებასა. განისწავლენით სამოციქულოთა სიტყუათა მიერ, ჰყავთ სარწმუნოებათა შინა თქუენთა სათნოება და სათნოებასა შინა მეცნიერება და მეცნიერებასა შინა მარხუა და მარხუასა შინა მოთმინება და მოთმინებასა შინა ღუ-

1) ფსკერი ჯოჯოხეთისა, ძირი ჯოჯოხეთისა.

თის მსახურება და ღ̃თის მსახურებასა შინა ძმათ მოყუარება და ძმათ მოყუარებასა შინა სიყუარული. ხოლო უკეთუ სიყუარული გაქუნდეს, გაქუს თქუენ შორის დამკჳდრებულად ღმერთი. ამათ მცნებათა შინა იწურთიდ კაცად კაცადი თქუენი და სახე კეთილ იყუენით ურთიერთას კეთილის მასწავლელ ნუ ბოროტისა და მთვრალობისა სულთა წარმწყმედელსა, რომლითა იქმნების ბილწება. ნუ სცემთ ადგილსა შემოსლვად თქუენ შორის ეშმაკსა ნუ იქმნებიან თქუენ შორის ლალვანი [1]) ნუცა დაგისწრობნ მზე შთასულსა განრისხებულთა. ნუ ხართ მდრტვინავ ურჩ დამცილობელ და წინააღმდგომ უხუცესთა მიერ, ნუ გიყუარნ განსულა სოფლად, რომლისაგან იჯმენით, ნუმცა არს თქუენ შორის შური და ხდომა, მოშურნე და მობაძავ კეთილთა იყუენით და აღმაშენებელ ურთიერთას; რაჲ იგი გესწავიეს ქრისტესგან მას ჰყოფდით და მას ასწავებდით ურთიერთარს, რათა ძე ღ̃თისა და შჳლ სასუფეველისა გეწოდებოდის, მოიძულეთ ყოველი შუება სოფლისა და შეიყუარენით მცნებანი ქრისტესნი, ვითარცა წმიდათა მამათა და მოძღუართა ჩუენთა შეიყუარნეს და დაიცუნეს და დაიმკჳდრეს სასუფეველი, რამეთუ რაოდენ ქუეყანისაგან განეყენნეთ ეგოდენისა წილ მოიგნეთ სულიერნი. ხოლო უკეთუ ქუეყანისასა ზრახვიდეთ დაიქმოდეთ მიერითგან განკეშორის თქუენ ზეცისა იგი, რამეთუ ვითარცა წერილ არს, სიყუარული სოფლისა მტერობა არს ღ̃თისა. იტვირთენით საწერტელნი იგი უფლისა იესოსნი ხორცთა, ხმობს პავლე «მოითმენდით ყოველსა სიყუარულისათჳს ქრისტესისა, რამეთუ მან სიყუარულისათჳს ჩუენისა თავს იდვა ვნება და ყუედრება, პირსა ცემა, ბასრობა, ძმარი და ნაღუელი, ჯუარითა დასჯა და სიკუდილი». ესე ყოველნი და უმრავლესნი მოითმინა ჩუენთჳს, რათა ჩუენ გვაცხოვნეს, ჩუენცა მოვითმინოთ ძმანო სახელისა მისისათჳს, სიგლახაკე, სიმშიულე, წყურვილი, ბასრობა, კიცხევა [2]), გინება და ყუედრება; რათა უკანასკნელ, ვითარცა მან თავადმან ამითქუა ჩუენ მოვიღოთ ნეტარება იგი და გვიხაროდის სასუფეველ ცათასა.

ნუ დაბრკოლდებით ძმანო, რაჟამს ღ̃თისა მიერ განისწავლებოდით, ისმინეთ წერილისა მახლობითა მიერ უსჯულოებისათჳს განსწავლე კაცი კუალად ძმა უფლისა იაკობ იტყჳს. «უკეთუ განვიცდებოდით თჳსისაგან გულის თქმისა განვიცდებით [3]), რამეთუ უფლისა მიერ განვისწავლებოდით, გინათუ განვისწავლებოდით სიფრთხილე გვიხმს ფრიადი, რათა ლოცუასა მისცნეთ, თავნი და არა დრტვინვასა და უფროსღა განსაცდელთა ადგილის მცემელსა, ილოცვდით ძმანო მოუწყინებლად რათა არა შეხვიდეთ განსაცდელსა, ნუ ითხოვთ ლოცუასა შინა რაჲ იგი თქუენ გთნავს; არამედ მას ითხოვდით რაჲ იგი უფალსა ჰნებავს, რამეთუ მას დაბადებულთა მისთათჳს კეთილი ჰნებავს».

უეჭუელად უწყოდეთ ძმანო, რამეთუ აღთქმანი ჩემნი აღწერნეს წმიდათა ანგელოზთა და მიიხუნეს წინაშე ქრისტესა და დამარხულ არიან აღწერილნი დღედმდე მოსლვისა მისისა, და კუალად ანგელოზნი მცუელნი ჰწერენ ცხოვრებასა ჩუენსა და იგიცა დამარხულ არს დღედმდე მოსლვისა მისისა და მბრძოლი იგი კაცთა ნათესავისა, წინა მოსაჯული იგი ჩუენი ყოველსა რაოდენსა გუაცთუნებს და გარდაგურევს გზისაგან საღმრთოჲსა წერს იგიცა და დამარხავს იგიცა თჳსსა მას ჟამადმდე გამოძიებასა უფლისა. აწ უკუე შევიშინოთ ძმანო სამთა ამათ ხელით წერილთაგან, რამეთუ

1) ლალვა, უსიამოვნობა, ბოროტი, ჩხუბი, განყრაა.
2) კიცხევა, დაცინვა, შეგინება, მასხარათ აგდება.
3) კ̃თოლიკე იაკობისა თავი ა. 13. 14.

მაშინ სამართალი ოდენ იქმნას და არა წყალობაცა, ჟამი წყალობისა დღეს არს. ხოლო მაშინ არცა ქრთამი არს, არცა სიტყჳს მიცემა, არცა შეწირულ იქმნენ ცრემლნი, არცა დრო მოგუეცეს; არამედ წარვდგეთ შიშუელნი და ქედ დადრეკილნი ყოველნი ერთბამად და განეხუნენ წიგნი თითოეულისა საქმეთანი და მიეხდებოდეს თჳთოეულსა თჳსი ვალი და თჳსი აღთქმა და თჳსი საქმენი და გამოვიდეს საშინელი იგი ხმა მომწოდებელი მართალთა სასუფეველად, ხოლო წარმგზავნელი ცოდჳლთა ცეცხლად უშრეტად. ჵოი! ჩემდა ძმანო, ვითარ ვძრწი დღისა მისგან, უკეთუ ვიპოვო მარცხენით და მესმას ხმა წარმგზავნელი ჩემი სატანჯუელად საუკუნოდ, რაჲმე ვჰყო უბადრუკმან მაშინ, რამეთუ არცა არს დასასრული სასჯელისა მის, არღარა არს ღხინება, არცა გარემოიქცეს საუკუნო იგი, არღა კუალად განხორციელდეს ქრისტე, არღა იქმნეს სხუა ცუალება ერთგზის განბრჯობილისა მიერ, რამეთუ ვითარცა ღმერთი უცვალებელ არს, ეგრეთვე განჩინება და განბჭობა ჟამისა მის, არღარა შეიცუალოს არცა მართალთა ზედა და არცა ცოდჳლთა ზედა.

შევიშინოთ შჳლნო, რათა, რომელი იგი ნებსით აღუთქვით, უნებლიეთ არა მოგუეხადოს მისთჳს სიტყუა, ვიღუაწოთ მცირედჟამ და დაუსრულებელსა საუკუნესა მოვიღოთ წმიდათა თჳს განმზადებული იგი სასუფეველი და შუება იგი წარუვალი და კეთილნი იგი სამოთხისანი, ვითარცა ხმობს მოციქული, რომელი «თუალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოუხდა» ნუ საკჳრველ გვიჩნს მცირედ ჟამისა ესე ნაკლულევანებაჲ ხორცთა, რამეთუ ასი წილი განმზადებულ არს თქუენთჳს, რომელთა ეგე იღუაწეთ».

ესე ვითარად ეზრახა მათ მყოვარ ჟამ და ნუგეშინისცა მათ და სწავლითა განამტკიცნა ყოველნი იგი ძმანი. მიერითგან მოსწრაფებით და ყოვლითურთ კეთილად მსახურებასა ჰყოფდა ძმათასა ევაგრე და სიმარჯვით უძღოდა მათ და განაკრძალებდა ყოველთავე მიმართ სივერაგეთა და მანქანებათა ეშმაკისათა, ვინაცა კეთილად სათნო ეყო უფალსა ჯეროვნად მართებითა და წინაძღომითა პირმეტყუელთა სამწყსოთათა.

ხოლო წმიდა და სანატრელი შიო შთახდა მღჳმესა მას ბნელსა შინა ქუესიღრმეთა მიწისათა, რათა სიმპალესა ხორცთასა მიცემითა აღმოაჯეჯილოს ხუვილი წმიდა და რამეთუ იფქლიცა[1]) ესრეთ მიწად შთათესული და სიმპალესა მიმთხუეული გამოიღებს ნაყოფსა. კეთილსა, არა შეშთობილი ეკალთაგან, არამედ ღრმად შთამტევებელი ძირთა ვინა და წმიდაცა ესე მიმცემელი მიწად თავსა თჳსსა აღიხილვიდა ზენა მთათა მიმართ თუალთა გონებისათა და მოელოდა შეწევნასა ცუართა საკურნებელთა სულისათა, რომელთა მიერ განაპოხნეს იგინი ღუთისა ზედმოხილვისა წჳმათა მიერ მორწყული.

ხოლო ვინადგან შთახდა მღჳმესა მას შინა, ვითარ შეუძლოს კაცობრივმან ენამან ჯეროვნად წარმოთქმა სიმხნეთა და მოთმინებათა ნეტარისა მამისათა, ანუ რომელნი ღუაწლნი პირუელად და რომელნი უკანასკნელ დააწყნეს, რამეთუ მარხუა იყო მის სამარადისო და ლოცუა მუხლთმოდრეკისა თანა დაუყოვნებელი, დავრდომილი მიწად დაალტობდის იატაკსა ცრემლთა მიერ, რომელნი შთამოვიდოდეს თუალთაგან მისთა, ვითარ წყარონი დაუწყუედელნი «ცრემლთა ჩემთასა ნუ დაიდუმებ» მეტყუელებდის, «რამეთუ მსხემ ვარ მე შენ წინაშე და მომიტევე, რათა განვისუენო პირუელ წარსლვისა ჩემისა». ხოლო აღდგომილსა ზე ეპყრიან თუალნი გონებისანი გრძნობადთა ხელთა თანა

1) იფქლი, ხვარბალი.

შევედრებელსა «წარემართე» იტყოდა «ლოცუა ჩემი, ვითარცა საკმეველი შენ წინაშე, ხოლო აღპყრობანი ხელთა ჩემთანი, ვითარცა მსხუერპლი სამწუხრო». და კუალად მცირედ განსუენება რა მისცის სხეულსა თჳსთა, მდუმრიად იტყოდის. «დავიდევ მე ნებსით მღჳმესა ამას ქუესკნელსა ბნელსა შინა, ვინა მოწყალე ნუ გარემიიქცევ პირსა შენსა ჩემგან, ნუ სადა ვემსგავსო შთამავალთა მღჳმედ ჯოჯოხეთისა, არამედ აღმოიყუანე საპყრობილითგან ბოროტთასა სული ჩემი, აღსარებად სახელისა შენისა, რამეთუ თმენით დაგითმო შენ ვიდრემდის მომხედნე და ისმინო ლოცჳსა ჩემისა და ამომიყუანო მე მღჳმისაგან გლახაკობისა ხორცთასა და თიხისაგან უყისა ბრალთასა». ამისსა შემდგომად საზრდელისა მიმღებელი, რომელი მიეცემოდა მას, ზემო კერძო შთატევებული ერთისა ბერისა მიერ და ესეცა მცირედ რაოდენ დაცვად შემტკიცებასა სხეულისასა აღდგომილი კუალად ჩუეულებისათა მქონებელი იყვის მეტყუელი «არა ვჰსცე ძილი თუალთა ჩემთა და ჭრული წამთა და განსუენება ხორცთა, ვიდრემდის ვჰპოვო ადგილი უფლისა და საყოფელი ღმრთისა იაკობისი».

ამათ და ესე ვითართა ქების მეტყუელებათა და ვედრებათა შემწირველი ღმრთისა მიმართ დადგრომილ იყო ჭაკუანსა მას შინა ყოვლითურთ წყუდიადსა, რამეთუ სასოებდა ნათელისა მის დაუსრულებელისა და საუკუნესა მიმთხუევად მცირისა ამის და წუთისამიერისა ბნელისა მოთმენითა და ესე ვითართა ღმობიერითა სულითა მეტყუელებდის «შენ განანათლე სანთელი ჩემი უფალო და განაბრწყინვე ბნელი სულისა ჩემისა ღმერთო, რამეთუ ბნელი ესე ხილული შენგან არა დაბნელდეს, ნათელო თუალთშეუდგამო. ხოლო ღამე, ვითარცა დღე განათლდეს ვინა ნუ უგულებელს მყოფ მე ნებსით ყოველთა ამათ მომთმენელსა სიყუარულისათჳს შენისა»; ესრეთ ჟამთა მრავალთა მოთმინე რა იყო მღჳმესა მას შინა მღუწელი ღუაწლისა მოღუაწეთასა, განიკაფა ყოვლითურთ სხეული მისი შრომათა მიერ და ჭირთა, რამეთუ შეიღება იგი ფერსა სიშავისასა მიმღებელი ნოტიობისა და ძნელ სულობისა გესლითა. სხუად ვინამე და უცხოდ ფერად შეცვალებული და სრულიად განლეული და დამჭკნარი ხორცითა ტყავისა მიერ და ძუალთა დაიცჳდა ხატებასა ვინა არა სათქმელ იყო ამისა, «ვითარმედ ხორცნი ჩემნი იცვალნეს ზეცისა მიერ» არამედ უფროსღა შესატყვის განხმობად, ვითარცა ძუალისა, ვითარცა კეცისა ფრიადისა მარხვისა მიერ და აქუმა ენისა სასასა მრავლისა ლოცჳსა და ფსალმუნებისა მიერ.

ხოლო მადლითა ამის წმიდისა მამისათა აღორძნდა უდაბნო იგი და აღსავსე იქმნა მონაზონთა მიერ სათნოებითა შემკობილთა და ვიდრე აქამომდე მერმეცა უმეტეს აღორძნდების შეწევნითა ქრისტესითა ამიერ ვინათგან სრბა აღასრულა და სარწმუნოება დაიმარხა განწმედით სულისა და ხორცთათა, რამეთუ განებანა თავი თჳსი ნაკადულითა ცრემლთათა სამარადისოდ სიკუდილისა ხსენებად მოვიდა და მერმეცა ხორცთა შინა მყოფი განხსნილ იყო მათგან. სრულიად დამვიწყებელი ბუნებასა კაცობრივსა, რამეთუ ზე აქუნდეს თუალნი გონებისანი გონიერად წინაშე საუდართა სამეუფოთა მდგომარესა სულიერად.

ხოლო სთნდა მეუფესა აღწოდება მრავლად დამაშურალისა ამის მამა კაცისა განსუენებათა მიმართ და სუფევათა უოხჭნოთა ვინა აუწყა მას განსლვა ხორცთაგან და დაცხრომა ესე ოდენთა ტკივილთა და ღუაწლთაგან, რომელთა მიმართ მძლე ექმნა მბრძოლსა ყოველთასა ბოროტსა სატანასა, რომლისათჳსცა ეგულვებოდა საძლეველთა მიღება ღუაწლისა დამდებელისა ღმრთისაგან. ხოლო ვინათგან ცნა სულისა მიერ წმიდისა დატევება სხეულისა, ითხოვა მღუდელ მემსხუერპლეთაგან ზიარება უკუდავთა ქრისტეს საიდუმლოთა და მიმღებელმან პატიოსნისა ხორცისა და სისხლისამან, ზეცად აღიპყრნა ხელნი თჳსნი და «ხელთა შენთა «მეტყუელმან» ჵ მეუფეო! შევედრებ სულსა ჩემსა,

შენ მიერ მიმღებელი მისი. ესრეთ ამოუტევა სანატრელი სული თჳსი [1]), მასვე მღჳმესა შინა. მამცნებელმან დატევებად სხეულსა მისსა, რათა რომელი საყოფელ და სამკჳდრებელ მისა იყო სიცოცხლესა შინა მისსა და ესე და შემდგომად სიკჳდილისაცა სათვლავი და სამარხო სხეულთა მისთა იქმნეს. ვინა წადიერებით და სურვილით წარგრაგნილი ძმათა მიერ და შებებგულითა მით ძჳძლითა მოსილ იყო, დაიდვა ყოვლად მხნე იგი გუამი მისი მასვე მღჳმესა შინა, ვითარცა ემცნო მათთჳს წმიდასა და სანატრელსა ამას მამასა, რომელი აქუს აწ მღჳმედ წოდებულსა მონასტერსა სიქადუ-

---

1) წმ. შიო მიიცვალა 9 მაისსა, მეექვსე საუკუნის მეორე ნახევარში. დღენი ცხოვრებისანი, ყოვლად სანატრელისა შიოსნი, ჩუენის აზრით იყვნენ ვითარ 68 წელნი: 20 წლისა მოვიდა წმ. იოანესთან. 20 წელი დაჰყო მისთანა, უდაბნოსა შინა ანტიოქიისასა. 2 — ანუ ერთი წელი, სლვა მათი საქართუელოს. 4 წელი დაჰყო ზედა ზადენსა ზედა. 10 — მდინ უნდა აღვიღოდ მისი ყოფნა მარტოდ უდაბნოსა შინა, მგლის მსახურობამდე. 6 წელი დრო, მგლის მსახურებისა. 2 ანუ 4 წელი უნდა აღვიღოთ, მგლის განთავისუფლობიდგან მღჳმეს ჩასლვამდე. 2 წელი მღჳმესა შინა ყოფნა; ესე იგი მოახლოებით, ვითარ 68 ანუ მცირედ უმეტეს ამისა. შემდეგ გარდაცვალებისა ყოვლად სანატრელისა მამისა შიოსი, სათვლავიდგან აღმოვიდოდა ხოლმე განგებითა ღმრთისათა წმ. ძუალნი მისნი, ვითარ წმ. თათე სტეფანწმიდელისა, იქმნებოდიან მას დროსა შინა დიდნი საკჳრველებანი. წყეულის შაჰ აბაზის აღოხრებამდე, რომელმან წარიტანა სპარსეთს წმ. ნაწილნი დიდისა შიოსნი, ვითარ სმენით მეუწყა ამ სახით: ტყუე ჰქმნა წყეულმან ერთი ფრიად მშუენიერი და გუაროვანი ქალწული, მიმყვანებული სასახლესა შინა, ვერ შეუძლო წყეულმან ძლევა ქალსა და ესრეთ დამწყვდეული ჰყვანდა ფრიადი დრო. მოახწია ყველიერისა და ხუთ შაბათსა, დღესა ხსენებისასა წმიდისასა ქალწულმან ფრიადი ლოცვა ჰყო წმიდისადმი ხსნისათჳს—, მას ჟამსა, ოდეს ქალმან დაასრულა ლოცვა და ფრიად მოწყენილი იჯდა კუთხეში, შევიდა ულთო მეფე. დაუწყო აღერსი და ჰკითხვიდა მიზეზსა მოწყენილობისასა, შემდეგ დიდისა იძულებისა ხმა მაღლა უპასუხა ქალმან: შენ წყეულო, რას მეალერსები ვითარ გუელი, — მოხველი დარღვევისათჳს ქალწულებისა ჩემისასა, ოდეს აღვასრულებ ხსენებასა დიდისა ქალწულისა და მამისა ჩუენისა შიოსი, რომლისა სადგომი შემუსრვილ და დარღუეულ იქმნა შენ მიერ. ამისა მსმენი შაჰ აბას, გამოჰკითხა ადგილისა მისთჳს და მეყუსეულად მისცა ბრძანება წარმოღება ნაწილთა წმიდისათა სპარსეთს. ოდეს წაასუენეს წმ. ნაწილნი, შაჰ აბასმან ვითარ დიდი საჩუქარი მიართო ქალსა წმ. ნაწილნი. ოდეს წარიღეს ყოვლად წმიდანი ნაწილნი დიდისა შიოსნი სპარსეთს, რისხუანი დიდნი მოიწივნეს სპარსეთსა ზედა: მშობიერნი — ბერწ იქმნებოდეს; განხმა ყოველი სამოარი და საშინელის უწჳმროების გამო დაშრნენ მრავალნი წყარონი — და იქმნა ამისა გამო დიდი სიყმილი და ჭირიანობა. — ვერა გაეგებოდათ რა ყოველთა, თუ რისა მიზეზის გამო იქმნა რისხუა ესე. — სამისა წლისა შემდეგ, გამოეცხადა დიდი შიო ერთსა სათნო ყოფილსა მოლლასა და დიდის რისხვით უბრძანა განთავისუფლება წმ. ნაწილთა თჳსთა. მან მეუსა შინა აუწყა მეფესა. ცნა რა მეფემ, მყის განათავისუფლა ტყუე ქმნილნი წმ. ნაწილნი და ქალწული იგი და ბრძანება გასცა რათა დიდითა პატივითა წარასუენონ თჳსავე ადგილთა ნაწილნი იგი წმიდისა და კუბო ოქროსი შეუმზადა და ეგრე წარმოასუენეს ყოვლად დიდებულნი ნაწილნი იგი. ოდეს იქმნეს იგინი დასუენებულნი მღჳმესა შინა, კუალად იქმნა აღმოცენება წმ. ძუალთა წლითი წლად, ყველიერის ხუთ შაბათსა. მეფობასა შინა შერჩუენებულისა შაჰ ნადირისასა მეთურამეტე საუკუნეში, წყეულთა სპარსთა მიერ კუალად იქმნა დარღუევა მონასტრისა წმიდისასა და ეკკლესიისა, რომელსა შინა აღმოიცენებოდიან წმ. ძუალნი დიდისა შიოსნი. ამისა შემდეგ ვიდრე აქამომდე აღარ იქმნების სასწაული იგი, საუბედუროდ ჩუენდა. უფალი ბროსე ვახუშტის გეოგრაფიის შესანიშნავში ჰსწერს წმ. შიოს სასწაულთმოქმედობის თაობაზედ ამასა: «წმ. შიოს ნაწილი აღმოვიდოდა წლითი წლად, ძუალი შიშველი, თჳნიერ კაცთა და თაყუანისჰცემდენ და მიიღებდენ კურნებასა. შაჰ ნადირ მოავლინა მოჰმადიანნი, რათა იხილონ უკეთუ ჭეშმარიტი არს. ხოლო მათ შემუსრეს სამყოფი ნაწილთა და დაამტვრიეს; შემდგომად შეკრიბეს და დაასუენეს მუნვე, მიერით არღარა აღმოვალს ამჟამადმდე» cette note a étémise dans le texte par le copistes, qui ont ajouté après le mot. კურნებასა; მეფენი და მთავარნი, სამღუდელონი და საერონი ყოვლისა ივერიისანი, que j'ai soulignés dans la traduction № 2 p. 213. გეოგრაფია ვახუშტისა გუერდი 212.

ლად და ზღუდედ თჳსად და უფროსღა ყოველსა ნათესავსა ქართველთასა უპყრიეს იგი მცველად და მაოტებელად ყოველთა წინა აღმდგომთა ხილულთა და უხილავთა და რომელნი მიიწევნენ სარწმუნოებით თაყუანისცემად სავლავსა და საყოფელსა მისსა, ეპოების მათ შემწე ძლიერი ჭირთა შინა და მხსნელი ურვათა და განსაცდელთაგან.

ესე ვითარი მოქალაქობა აჩუენა საწუთროსა ამას შინა სამგზის ნეტარებულმან ამან მამამან და ესოდენნი ღუაწლნი თავს ისხნა ხორცითა უძლურითა; სიყმილი და წყურვილი შეურაცხ ჰყო, ცეცხლსა იწროებათასა არა ჰრიდა, უდაბნოსა ულმობება არად შერაცხა, ისარ ჩჩჳლთა იუწყნეს მტერისა მიერ მოწევნულნი მის ზედა წყობანი, რომელთა მიერ მრავლად ეწყუნობოდა მზისა ხილულისა ხედვა უღირსად და სასჯა თავსა თჳსსა, რათა გონიერი იგი მზე სიმართლისა იხილოს. ამისთჳსცა ცხოველი მკუდრად იხილვებოდა მღჳმესა შინა, მიწასა ცოცხლივ შთასრული, რათა პირნი ლომთა გონიერთანი დაუყვნეს, ვითარ დანიელ ხილულთა და გრძობადთანი. იქმნა თეატრონ ანგელოზთა და კაცთა წყობასა შინა წინააღმდგომთა მბრძოლთასა, განაკჳრვნა უსხეულონი ძალნი, ვითარ ხორცითა ხრწნადითა და უძლურითა უხორცოთა ძალთა მძლე ექმნა და საცხებულნი უკუნ აქცინა გჳრგჳნთა ძლევისათა მიმღებელმან ვინ აწ მდგომარე წინაშე თუალთშეუდგამისა ნათლისა ევედრების სამარადისოდ მოტევებასა ცოდვათასა მთხოველი სამებისა ერთღმრთეებისა, რამეთუ მას ჰშუენის ყოველი დიდება აწ და ყოველთა საუკუნეთა დაუსრულებელთა საუკუნეთასა. ამინ.

თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა მიერ, რომელსა მარადის იტყჳან ოხითად, მკჳდრნი მის მონასტრისანი. ოხითა ი̃. გი.

«კურთხეულ ხარ შენ ყოვლად წმიდაო ღმრთის მშობელო ქალწულო დედოფალო მარიამ, რამეთუ განხორციელებითა შენგან ქრისტეს ღმრთისათა, სოფელი განთავისუფლდა ცოდჳსაგან და ყოველნი ზიარ ვიქმნენით ანგელოზთა და უხრწნელებასა ღირს ვიქმნენით და სამოთხე მოვიღეთ. შენ გვედრებით დედაო ნათლისაო დიდებულო, ნათლისმცემელისა იოანეს თანა დიდებულისა, მეოხებად ნუ დასცხრები წინაშე სამებისა წმიდისა ჩუენთჳს, რომელნი ესე ვითხოვთ შენგან წყალობასა».

ესე მუხლი ოდეს პირუელადვე ქუემოსა შინა ქვაბსა იყო და გამოუჩნდა მას წმიდა ღმრთის მშობელი ნათლისმცემელისა თანა, მაშინ გამოთქუა და უკანასკნელ მისცა მოწაფეთა, რათა ისწავონ და ყოველთა ლოცუათა უკანასკნელ იტყოდიან წინაშე ხატსა ყოვლად წმიდისა ღმრთის მშობელისასა ლიტანიად რა შევიდენ ეკკლესიასა შინ მისსა.

ხოლო ოდეს განსრულდა ეკკლესია წმიდისა სამებისა, მაშინ ესე ოხითა გამოთქუა. ოხითა ა̃. გი.

«გარეშეუწერელსა და უცვალებელსა სამებასა სამგუამოვანსა, დაუსაბამოსა მამასა და ძესა და სულსა წმიდასა ერთღმრთეებასა განუყოფელსა და შეურევნელსა, გვედრებით ღირსნი ესე მონანი შენნი და თაყუანისცემთ. სახლი ესე სიწმიდისა შენისა დაიცევ უკუნითი უკუნისამდე და საკურთხეველი ესე, რომელ მოგუმადლე, მადლითა შენითა დაიცევ ყოვლისავე კუეთებისაგან დაურღუეველად ძვრისაგან დანთქმისა და ცეცხლისა და ზედა მოსლვისაგან სულთა უკეთურთასა და მათგან აღძრულთა ბარბაროზთა, მეოხებითა უქორწინებელისა ღმრთისმშობელისათა და დიდებულთა ანგელოზთათა და წმიდისა ნათლისმცემელისათა, სიმრავლესა თანა ყოველთა წმიდათა შენთასა და გუაცხოვნენ ჩუენ უფალო სახიერო, ალლილუია».

და უბრძანა, რათა ამას ოხითასა ყოველთა კჳრიაკეთა დღეთა, მწუხრითა იტყოდიან, სხუათა ოხითასა თანა.




ႼႫ. ႫႠႫႠ ႫႧ ႱႠႵႰႧႥႤႪႭჂ ႨႭႱႤႡ ႸႣႪ ႠႪႥႰႣႪ.

# თხრობა სასწაულთათჳს წმიდისა და ღმრთივშემოსილისა მამისა შიოსთა, რომელი ესე სხუათა მიერ აღწერილ ადგილ-ადგილ ერთად შემოჰკრიბა ბასილი[1]) კათალიკოზმან, ძემან დიდისა პატრიკისა ვაჩესმან, გჳაკურთხენ მამაო.

---

მეუფემან მან დიდებისამან იესო ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან, რომელმან ინება ხსნა კაცთა ნათესავისა წმიდითა და საცხოვრებელითა ვნებითა და სიკუდილითა თჳსითა და აღადგინა ბუნება ჩუენი დაცემული ხრწნილებისაგან, ცხოველსმყოფელითა ვნებითა თჳსითა.

მაშინ კაცთმოყუარემან ღმერთმან თჳსისა სახიერებისა მსგავსად, იზიარნა კაცნი მსგავსად აღთქმისა თჳსისა და ამაღლებულმან ზეცად თანა აღიყვანნა და მამისა ადიდნა ხორცნი ჩუენგან მიხმულნი. საყდართა მამულთა დაჯდომითა, ამან ქუეყნის-მოქმედებითა თჳსითა განამხნო ბუნება კაცთა, რაჲამს ყოვლითურთ განგჳსწავლნა, თჳთოსახეთა მტერისა განცდათა თავს-დებითა, ამისთჳსცა ქადაგებისა მიერ წმიდათა მოციქულთა მისთასა განმტკიცებულნი, ებაძვნეს ქუეყანასა ზედა კაცნი, ცათა შინასა მას მოქალაქობასა ანგელოზთასა და მიიწივნეს, ვითარცა იგინი სრულსა უვნებელობასა, ღუაწლთა ძლიერთა წინა ჩუენებითა და დათრგუნეს ყოველი ძალი მტერისა. შეწევნითა ღუაწლთ დამდებელისა მათისა ღმრთისათა, ამისთჳსცა ადიდნა ღმერთმან ქუეყანასა ზედა, რომლისათჳს იგი იღუაწეს და სულიცა თჳსი უარ-ჰყვეს, მორჩილებისათჳს მცნებათა მისთასა, ხოლო ცათა შინა რაჲღა სახმარ არს თქმად, თუ ვითარითა დიდებითა შემოკრებულნი წინაშე ღმრთისა კადნიერებით დგანან და ვითარცა ცათა შინა ეგრეთცა ქუეყანასა ზედა, იდიდებიან მოქმედებითა, დიდითა სასწაულითა. ხოლო ღმერთმან ესე ვითართა კეთილთა არცაღა ქუეყანა ესე ჩუენი დააკლო, არამედ უფროჲსღა გარდამატა უხვებითა წყალობათა (წყალობითა) თჳსთათა. მოყვანებითა წმიდათა დიდებულთა მამათათა, რომელთა მამულად აქუნდა ანტიოქია, ასურეთისა. ხოლო ნიჭად ღმრთისა მიერად მოემადლნეს სამეუფოსა ამას ჩუენსა და დიდთა ძინა წარმატებათა სათნო-ყვნეს ღმერთსა და მრავალთა ნიშთა და საკჳრველებათა მიერ განთქმულ ჰყვნა იგინი ღმერთმან, რომელნი უკუეთუმცა ბერძენთა შორის ქმნილ იყვნეს ძლითმცა აღსარიცხველნი წერილნი შექმნა, გარნა ვითარცა და არს ნათესავი ქართუელთა მარტივ და ამას თანა ლიტონცა არავინ იღუაწა აღწერად, გარნა ესე მცირედი თითო-სახედ, სხუათა და სხუათა მსახსენებელთა შინა ჩემ-მიერ პოვნილა არა დავიდევნე ერთად შეკრებად, ვინადგან თჳთ მეცა მრავალთა თუალთა ჩემთა მხილველ ქმნილ-ვარ სასწაულთა წმიდისა ამის და დიდისა მამისა შიოსთა თჳთ ჩემზედაცა აღსრულებულთა და სხუათაცა მრავალთა და ვითარცა ღმერთმან ძალი მოგვცეს ყოველი გარდმოვჰსცეთ სიყუარულსა თქუენსა.

სასწაული წმიდისა მამისა შიოსნი თავნი იზ.

ოდეს იგი მღჳმესა შინა მჯდომარე იყო სანატრელი მამა შიო, იყო ვინმე კაცი სამთავროსა

---

1) რომელი არს ეს კათალიკოზი, არ უწყით პირველი თუ მეორე, პირველი ჰსცხოვრებდა მეთოთხმეტე საუკუნეში, მართებდა ეკკლესიასა 1301 წლიდგან — 1345 წლამდე; მეორე ჰსცხოვრებდა მეთხუთმეტე საუკუნეში, მართებდა ეკკლესიასა 1495 წლიდგან, როდემდის არა უწყით.

შინა სჳარსთასა სენითა წყლითმანკიერებისათა ფიცხელად გჭ̃მული და ყოველი რა იყო მისი წა-რაგი მკურნალთა ზედა, გარნა მას არა რა სარგებელ-ეყო. ამას ესმოდა საკჳრჱ̃ლებათათჳს დი-დისა შიოსთა და ჭრქჱ̃ა მოსათა თჳსთა, რათა წარიყვანონ წინაშე მისსა, ესე ვითარცა მოიწია და დავარდა ზედა კერძო მღჳმისა მის და ხმობდა ხმითა ძლიერითა, ბერისა მიმართ, ვითარმედ წმიდაო მამაო შემიწყალე, რამეთუ სარწმუნოებით მოსრულ ვარ ფრიად საწყალობელი და განმკურნე გჭ̃-მისა ამისგან ჩემისა და ესრეთ ხმობდა დღე ყოველ; ხოლო ჭრქჱ̃ს მას ძმათა მონასტრისათა, დუმენ ძმაო, რამეთუ ბერი არავის ეზრახების თჳნიერ დღესა ოდენ კჳრიაკესა მამასახლისსა ამის მონასტრისასა. გარნა იგი ეგრეთცა დაადგრა ხმობასა და კვედრებასა შინა.

ხოლო მოიწია რა დღე კჳრიაკე და კაცმან მან ნეტარი ევაგრი იხილა შთამავალი ბერისა, უმეტეს იწყო ღაღადებად და ფიცით დაამტკიცებდა, რათა ვიდრემდის არა განიკურნოს არა წარვი-დეს, ჭრქჱ̃ა ღირსმან ევაგრი ნეტარსა შიოს, მამაო ლოცჳ̃ა ჰყავ კაცისა ამისთჳს, რამეთუ შორის გზით მოიწია, მიიღოს სიწმიდისა შენისა კურნებაჲ, ხოლო ბერმან შეიპყრა პირი თჳსი და მიუგო ევაგრის. «დუმენ ძმანო და ნუ მეტყჳ ესრეთ და ვინ ვარ მე ცოდვილი ესე და უსაწყალობელესი ყოველთა კაცთა, ღმერთი არს ყოველთა მკურნალი და ვისი უნებს თჳთ იგი განჰკურნებს ხელთა ანგელოზისა თჳსისათა»; ხოლო ევაგრი არღარა შესმინა წყინებად ბერისა, არამედ მიზეზ ჰყო და-ბერტყად კუნკული მისი და ჰპოვნა სამნი ბეწვნი თმათაგან მის წმიდისათა და იპყრნა ხელსა შინა თჳსისა იდუმალ ბერისაგან, მტკიცითა სასოებითა, რათა კაცსა მას მისცნეს საკურნებელად სალ-მობისა მისისა. ეზრახა უკ̃ჱ სამ ჟამ ოდენ ბერსა, შერმე აღმოვიდა მღჳმით და ძიებაჲ ჰყო კაცისა-მისთჳს და არღარა ჰპოვა მღჳმისა მის პირსა. განვიდა უკ̃ჱ და იხილა იგი სრულიად განკურნე-ბული, რამეთუ ქადაგებდა წინაშე ყოველთა დიდებულებასა მას ღ̃თისასა, რომელი იქმნა მის ზედა, ნეტარისა შიოს მიერ. მოუწოდა უკ̃ჱ ღირსმან ევაგრი კაცსა მას და გასკჳრჱ̃ბული ჰკითხვიდა: ძმაო ვითარ განიკურნე, მაუწყე მე. ხოლო იგი იტყოდა: შთარახვედ შენ მღჳმესა შინა, ვჰჭვი თუ შენ წარმოავლინე, ჭაბუკი იგი, რომელმან მომცნა მე სამნი თმანი მიხ-უცებულისა კაცისანი და მიბრძან, რათა შთავისხნე პირსა შინა ჩემსა და შთარავისხენ, მყისსა შინა განვიცადე, ვითარცა ოხი-ერი და აჰა ესერა ვდგა მე წინაშე შენსა. განიხილა უკ̃ჱ ევაგრი კელი თჳსი და არღარა აქვნდეს თმანი იგი კელსა შინა თჳსსა. მიიცვა უკ̃ჱ განკჳრჱ̃ბამან დიდმან და გულ-ხმა ჰყო უკ̃ჱ, ვითარ-მედ ანგელოზისა მიერ მიეცნეს კაცსა მას, ხელთაგან მისთა უხილავად ახმულნი და ყოველთა, რო-მელთა იხილეს ესე სასწაული ადიდებდეს ღმერთსა და აქებდეს მონასა მისსა შიოს.

წარვიდა უკ̃ჱ კაცი იგი ქჳ̃ყანად თჳსად. თმათა მათ მიერ იქმოდა საკჳრჱ̃ლებათა დიდთა და მივიდის კაცი იგი წლითი წლად და მიიღის საკმეველი სუნნელი და ზეთი წმიდა ეკკლესიისა-თჳს და ქადაგებდა სასწაულსა მას მისსა ზედა, აღსრულებულსა და ყოველნი, რომელთა ესმა და იხილეს ადიდებდეს ღმერთსა.

სასწაული მეშვიდე [1]).

სხჳ̃ა ვინმე კაცი იყო მორწმუნე ქჳ̃ყანისაგანვე სჳარსთასა, რომლისა ძე ბრმა განეკურნა ნეტარსა შიოს, ესე ოდესმე მოვიდოდა წინაშე ნეტარისა შიოსსა და აქჳ̃ნდეს ორნი კერძო ვირნი,

---

1) წინა სასწაული პირჳ̃ლი უნდა იყოს და ამის შემდეგ უბედურობისათჳს აკლია, უთუოთ დაკარგული არს, უღებობის გამო მცხოვრებელთა წმ. შიოს ლავრისა; ამასთანა სხუა მრავალნი საისტორიო მოთხრობანი ცა არიან დაკარგულნი. მტერთა ბრალი არა აქუს, ამისათჳს, თუ ვიეთმე წამლები ყოფილიყვნენ, — წარიღებდნენ სრულ წიგნსა და არა აღმოხევდნენ.

აღტჳრთულად ზეთითა, სიმსიმითა, თაფლითა და ლეღვითა ხმელითა, რათა უევლოგიოს ძმათა მონასტრისათა მისისათა. შეუდგა უკუე უდაბნოსა ადგილსა და დაესხნეს მათ ზედა ავაზაკნი და ჰსწყლნეს მონანი მისნი და თჳთ იგი ივლტოდა, ვიდრემდის განთენდა. ხოლო განგებულებითა ღმრთისათა მოვიდეს მხანიც მისნი ლტოლვილნი წინაშე მისსა; არა შეორგულდა ყოვლადვე კაცი ესე, არამედ აღიპყრნა ჴელნი თჳსნი და ხმა ჰყო ესრეთ, მამაო წმიდაო შიო, შენ იზრუნე ყოვლისა მისთჳს, რაჲ იგი ევლოგია მოგვაქუნდა მონასტერსა შენსა და კერძო ვირთაცა მათ ჩუენთათჳს და ესრეთ წარემართა გზასავე მონასტრისასა. ხოლო ღმერთმან შესცვალნა გონებანი მათ ავაზაკ-თანი და ვითარ ვიდოდეს იგინი გზასა, ეგონა მათ, ვითარმედ თჳსად საყოფელად მივლენ, იხილნეს თავნი თჳსნი, რამეთუ მისრულ-იყვნეს მახლობლად მონასტერსა მღჳმისასა და ჰქმნა ღმერთმან სიბრმითა, ვიდრემდის დასხდეს გზასა ზედა ყოვლად უნათლონი. ხოლო მოიწია კაცი იგი და იხილნა კერძო ვირნი თჳსნი თჳსითავე ტჳრთითა და კაცნი იგი ბრმანი და განკჳრვებულნი უკუე ჰკითხვიდა მათ, კაცნო სადანი ხართ, ანუ კერძო ვირნი ესე ვის არიან თქუენთანა. ხოლო მათ უნდა თუ არა აღიარებდეს ბრალსა თჳსსა, ვითარმედ ჩუენ კაცნი ვართ ავაზაკნი და ესე სხუათაგან მიტაცებულნი გუქონან. ჩუენ ვჰგონებდით თუ სახიდ ჩუენდა მივალთ და ვიხილეთ თავნი ჩუენნი უცხოთა, რათამე კლდეთა შინა და აჰა მოხუცებული ვინმე მონაზონი ვიხილეთ, რომელმან გუბერა თუალთა ჩუენთა დავბრმავდით და არა უწყით თუ სადა ვართ, გევედრებით შენ ვინცა ეგე ხარ, რათა წყალობა ჰყო ჩუენთანა და სადა იგი შენ მიხვალ წარგჳძღუე ჩუენცა, რათა არა უდაბნოსა ზედა მოვჰსწყდეთ. ხოლო მორწმუნემან მან კაცმან არა რაჲ ჰრქუა მათ ყოვლადვე, არამედ ესე მოვედით ძმანო და მიგიყვანნე, ესე რა მახლობელად მონასტრისა კაცისა ღმრთისა შიოსსა და შეუდგეს მას კაცნი იგი. ხოლო მირავიდეს მონასტრად, ჰრქუა ავაზაკთა მათცა და მონათა თჳსთა დასხედით ძმანო თქუენ აქა მახლობელად ეკლესიისა, ხოლო მე აღვიდე მამასახლისისა და მივიდა უკუე ქუაბსა ნეტარისა ევაგრესსა, იხილა იგი და მოიღო ლოცუა მის მიერი, მერმე მიუთხრა ყოველი, რომელი შემთხვეულ-იყო მისდა სლვასა მას შინა გზისასა. ესმა რა ესე ყოველი ევაგრის უბრძანა, რათა დარეკონ ძელსა და შემოკრბეს ყოველნი ძმანი. მერმე მოიყვანნა ავაზაკნი იგი და ჰრქუა წინაშე ყოველთასა: შჳლნო ვინანი ხართ, ანუ რაჲ არს თქუენ ზედა მდებარე ეგე სასჯელი? იწყეს უკუე კაცთა მათ და წარმოუთხრეს ყოველი თჳთოეულად, ეგრეთვე მორწმუნემან კაცმან წარმოუთხრა პირველი განსაცდელი თჳსი და ყოველთა ესმოდა რა საკჳრველება ესე ადიდებდეს ღმერთსა. ხოლო კაცთა მათ ავაზაკთა ჰსცნეს რა მათ ზედა აღსრულებული იგი საკჳრველება აღიმაღლეს ერთბამად ხმა და ღაღადებდეს, ვითარმედ მონაო ღმრთისაო შიო, შეგვიწყალენ უღირსნი ესე მონანი შენნი და ნუ მოგვაგებ უსჯულოებათა ჩუენთაებრ და ესრეთ ხმობდეს მრავალ ჟამ. ხოლო ევაგრი უბრძანა დასცხერით ძმანო დღედმდე კჳრიაკედ და მაშინ ვევედროთ წმიდასა თქუენთჳს, ხოლო თქუენ დაადგერით ლოცუასა შინა და ვედრებასა ღმრთისასა. მოიწია რა დღე კჳრიაკე, შთავიდა ევაგრი ხილვად ბერისა. ხოლო კაცთა მათთათჳს დაიდუმა განგებულებითა, არამედ რაჟამს იჯმნიდა ბერისაგან, ჰრქუა მას ბერმან. ძმაო ევაგრი, მიიღე კუერთხი ესე და არქუ კაცთა მათ, რათა განეყენნენ ეგე ვითარსა უწესოებასა, აჰა ესერა განმიხსნიეს კრულება იგი ვერ მხედველობისა მათისა, შეახე თუალთა მათთა და განეხვნენ და ეკრძალნენ, რათა არა უძჳრესი ეყოს. განჰკჳრდა უკუე ევაგრი თუ ვითარ არა რაჲ დაეფარვის არცა თუ მცირეთაგანი რაჲმე. აღმოვიდა და მიუთხრა კაცთა მათ, რაჲ იგი იქმნა ჰრქუა მას ბერმან. ხოლო იგინი აღუთქმიდეს, ვითარმედ არღარა ოდეს შეისმინონ ეგე ვითარი უწესოება. შეახო თუალთა მათთა კუერთხი ბერისა ღირსმან ევაგრი და მეყსეუ-

ლად დახსნდა სიბრმჱ მათი და იხილეს ნათელი დღისა და ადიდებდეს ღმერთსა. წარვიდეს სოფლად თჳსსა და აღიარებდეს ცთომილებასა მას თჳსსა და ჰქადაგებდეს დიდებულებასა ღ̂თისასა და მიუთხრობდეს სასწაულთა მოქმედებასა ნეტარისა შიოსსა და ყოველნი, რომელთა ესმოდა ადიდებდეს ღმერთსა. ხოლო მორწმუნემან მან კაცმანცა დაჰყვნა მცირედნი დღენი მონასტერსა მას შინა და კერძო ვირნიცა იგი მისნი მისცნა სამსახურებელად მონასტრისა იგი, ხოლო თჳთ მიიღო კურთხევა ბერისა და ყოველთა მათ ძმათა და წარვიდა სოფლად თჳსად მშჳდობით და მიუთხრობდა ყოველთა საკჳრ̂ვლებასა მას ნეტარისა შიოს მიერ აღსრულებულსა და ყოველნი ადიდებდეს ღმერთსა და აქებდეს მონასა მისსა შიოს.

სასწაული მერვე.

ჟამთა მათ შინა, ოდეს ქართლს შინა მთავრობდა სტეფანოზ [1]) ამან ოდესმე ღ̂თის მსახურებისა ჩემმებითა, ინება რათამცა მოვიდა მლჳმედ, თაყუ̂ანისცემად ნეტარისა მამისა შიოსსა. ხოლო ინება პირ̂ველად მივლინებად მსახური თჳსი და მიუ̂რქ̂უა მამასახლისსა [2]) მისლვა თჳსი და მივიდა დღესა მეორესა თჳთ იგი და აღმოუწოდა კათალიკოზსა ბართლომეს [3]), რათა იგიცა მივიდეს კრებისა ყოფად მის თანა და მოვიდა რა კათალიკოზი, ჰსცნეს მამათა ყოველთა და განვიდეს მიგებებად მის წინაშე ჯუ̂არებითა და კერეონებითა [4]). ვითარცა ჰშ̂ჳნის მამათ მთავარსა და იკურთხოდეს ყოველნი და ამბორს უყოფდეს ხელთა და ფერხთა და რომელნიმე აღიღებდეს მიწასა კუ̂ალთა მისთასა ევლოგიად და შეასხმიდეს გალობითა ჯერისაებრ და ჰყვეს დღე იგი და მიიღო ყოველთა მამათა ლოცუ̂ა კათალიკოზმანცა და იჯმნა სტეფანოზისაგან და წარვიდა და წარსლვასა მას ეგრეთვე პატივი უპყრეს ყოველთა ჯეროვნად. იხილა რა ესე ყოველი სტეფანოზ, განიხერხებოდა შურითა, რამეთუ ამას არა რაჲ ესე ვითარი პატივი უყვეს მონათა მათ ღ̂თისა და რამეთუ იყოცა კაცი ესე ამპარტავან და ბოროტითა შურითა აღსავსე და ეკკლესიათა ფრიად ძვირსა უყოფდა.

მოუწოდა თჳსაგან მამასახლისსა და ჰრქ̂უა უპატიოდ: ვითარმედ ბერო არა კეთილო, არა ჰსცანა მოსლვა ჩემი უწინარეს დღისა ერთისა და მან ჰრქ̂უა. ჵე! ვჰსცან და მიუგო და ვითარ შეურაცხ მყავთ, რამეთუ არა რაჲ პატივი მთავრობისა წინაშე მიყავთ და ოდეს სცანით ეპისკოპოზისა თქ̂უ̂ენისა მოსლვა ესე ოდენ ადიდეთ იგი. მიუგო მამასახლისმან მდაბლითა ხმითა, უფალო მთავარო და რაჲ არს ჩუ̂ენ მიერი პატივი გინათუ მას, არამედ ჩუ̂ეულ ვართ წესთაგან ეკკლესიისათა, რათა მსგავსად ქრისტესსა გვეპყრნენ მწყემსნი და რად უსწავლულეს გამოვსჩნდეთ ურმათა მათ ებრაელთასა, რამეთუ გესმის ეგერა სახარებისაგან ვითარ პატივ-სცეს მათ შესლვასა მეუფისასა იერუსალიმად და აწ ესე რა მსგავსად მეუფისა მის პატივ-ვჰსცემთ ამას, რომელი გამოირჩია მან სიძედ ეკკლესიისა თჳსისა, ნაცვლად თჳსსა და თქ̂უ̂ა სტეფანოზ და უმეტეს არსა საყდარსა ჩემსა ეპისკოპოზისა და რამეთუ მე მეფეთა საყდართა ვზი და იგინი არიან ნაცვალნი ღ̂თისანი ქუ̂ეყანასა ზედა. ჰრქ̂უა მას მამასახლისმან მთავარო კეთილად იტყჳ, რამეთუ მეფენი ოდეს ემსგავსებიან ღმერთსა სიმართლითა და სახიერებითა და მოწყალებითა არიან ნაცუ̂ალ ღ̂თისა, არამედ ვითარ ვხედავ გონებასა შენსა, ფრიად შორის ხარ ღ̂თისა მსგავსებისაგან, რამეთუ სიტყუ̂ანი ეგე ამპარტავანთანი არიან და მოშურნეთანი, რომელთა თჳს წერილ არს სულისა მიერ წმიდისა «შერისხენ შენ ამპარტა-

---

1) სტეფანოზ მთავარი ძე გურამისა მიიცუ̂ალა 619 წელსა.

2) აქ მამასახლისი იღუმენიას ნიშნავს.

3) კათალიკოზი ბართლომე მიიცუ̂ალა 620 წელსა

4) კერეონი, სანთელი.

ვსთა და წყეულ არიან, რომელთა გარდაჰქციეს მცნებათაგან შენთა» და კუალად «შურმან რა შეიპყრა ერი უსწავლელი, ცეცხლი აღედვა და აწ შენ განეშორე წინააღდგომასა ღმრთისასა და მიიღე მსგავსთა შენთაგან კატობრივი პატივი». ხოლო ეპისკოპოზთა ეკკლესიისა და შჳლთა მისთაგან, რამეთუ ოდეს შენ ჯეროვნად არა პატივჰსცემ, რად აყენებ მონათა ღმრთისათა მცნებისა მისისა აღსრულებად. განრისხნა გულისწყრომით სტეფანოზ, მხილებათა მათთჳს და მისტაცნა ორნი აგარაკნი და თქუა, არა მივსცე შეურაცხის მყოფელთა მამული ჩემი და წარვიდა და უთქმიდა მრავალთა შინებათ; ღამესა მას ზედა მიადგა ვინმე დიდებული კაცი სახითა მონაზონისათა და აქუნდა ხელთა შინა მისთა კუერთხი ოქროჲსა და ჰრქუა «სტეფანოზ ბოროტო და მედგარო, რად მისტაცე მონასტერსა ჩემსა აგარაკნი, ირწმუნე ჩემი, არა თუ უკუნ ჰსცნე, მოგავლინო შენ ზედა რისხჳა ღმრთისა და ბოროტად შეგჭამოს», განიღჳძა და თქუა ესე საოცრება რაჲმე არს და არა რა ჭეშმარიტი. მოიწია რა ღამე მეორე კუალად გამოუჩნდა დიდებული იგი სახილავი და აქუნდა ხელთა მისთა ჯუარი და კუერთხი და ეტყოდა საშინელებით. «სტეფანოზ უკეთურო, მე ვარ მონა ღმრთისა შიო, რომელი გეტყჳ უკეთუ არა უკუნ ჰსცე აგარაკნი იგი მონასტერსა ჩემსა, ამიერიდგან არღარა დაგითმო, არამედ გაგაქიქო სიცოფე შენი». განჰკრთა უკუჱ და განიზრახვიდა ჩუენებისა მისთჳს და ეძვინებოდა მონათაგან, რამეთუ ყოვლად არა ელმოდა აგარაკთა მათთჳს; არამედ ღმრთისა მიმართ დაუდვა სასოება მათი და განიზრახა ესრეთ, რათა ერთი იგი აგარაკი მისცეს მონათა: ხოლო ერთისა მისთჳს კუალად განიზრახოს და ნუ უკუჱ მონაზონნიცა იგი მივიდენ ვედრებად. ხოლო მომავალსა მას ღამესა კუალად გამოუჩნდა სტეფანოზს ძილსა შინა მონა ღმრთისა შიო, მითვე პირქუშლ ხილულითა სახითა და ეტყოდა. «შჳლო ბნელისაო სტეფანოზ, ვინათგან სულგრძელებასა ღმრთისასა აუსამართლებ შეხზედა, მართლად გეტყჳ შენ, ანგაარისა მაგისათჳს გონებისა შენისა, არღარა მივიხვნე ორნი იგი აგარაკნი შენნი მათ ზედა და უკეთუ ესე არა ჰყო საწყალობელ გყო ყოველთა მხილველთა შენთა და მოვაწიო მოულოდებელი მწუხარება შენ ზედა». განჰკრთა უკუჱ სტეფანოზ შეშფოთებული და ჯდა ცხედარსა ზედა განლიღებით, მოუწოდა მერმე ერთსა მონათა თჳსთაგანსა და ჰრქუა მას ესრეთ: წარვედ აწვე ჟამსა ამას და მივედ მონასტრად შიოსსა და არქუ მამასახლისსა, რათა აგარაკნი იგი კუალად მიითვალნეს, რომელნი მე მიუხვენ და არწმუნე მათ ლოცჳს ყოფა ჩემთჳს. ხოლო ვითარცა ენება მსახურსა მას, რათა წარვიდეს, ვერ უძლო განსვლად კარსა პალატისასა, არამედ შეკრნეს ფერხნი მისნი, ვითარცა ბორკილითა. იხილა რა ესე სტეფანოზ განცჳფრდა და მოიცვა იგი ურვამან საშინელმან და ხშირისა მისგან ურვისა კუალად მიერულა მას და მყის წარმოუდგა მას ნეტარი შიო, არაღარა ძილსა შინა, არამედ ცხადად. განაღჳძა იგი და ჰრქუა მას. «ჰოი! საწყალობელო და ბრმაო გულითა სტეფანოზ, აჰა მსგავსად გულისა შენისა იქმნე ბრმა თუალითაცა, შენ და ცოლი შენი და შჳლნი შენნი და ცოფ ვიდრემდის განგასწავლოს შენ უფალმან საქმედ უმჯობესისა». და მეყსეულად მიეღო თუალთა მისთა ნათელი და განცოფნა, ეგრეთვე იქმნნეს ცოლი და შჳლნი მისნი და იწყეს ღადებად და მიეტყვებოდა ერთი ერთსა ზედა კბილითა და იხილვებოდა ხილვა საწყალობელი, რამეთუ ძლით იპყრობდეს ხელებითა მთავარნი და ყოველი ერი და ხმობდეს იგინი მღერად ყითარმედ შიოს მიერ მონისა ღმრთისა ვიგვემებით ვიდრემდის განცვივეს ველად. გულისხმა ჰყუჱს ესე უკუჱ წარჩინებულთა მათ ქართლისათა და კრულნი წარიყვანნეს სარკინისსა მღჳმედ წოდებულსა მას მონასტერსა, ნეტარისა შიოსსა.

ხოლო იხილნეს რა მამათა მონასტრისათა, ეგრეთ საწყალობელად გუემულნი თანა ლმობით ჰკითხვიდეს მიზეზსა ჭირისა მის მათისასა. ხოლო ჰსცნეს რა, მიისწრაფეს ეკკლესიად და დარეკეს

ძელსა, ვიდრემდის შემოკრბეს ყოველნი ძმანი და მიიყვანნეს იგინი წინაშე საფლავსა წმიდისასა და ლოცვა ჰყვეს მათ თჳს, მერმე მოიღო მამასახლისმან მტვერი წმიდისა მის საფლავისა და შთაჰყარა ბარძიმსა შინა და ასვა თჳთ სტეფანოზს და ცოლსა და შჳლთა მისთა და მყის მოეგნეს გონებასა ცოფნი იგი. გარნა სიბრმე მათი ეგო განუკურნებელად. მაშინღა იწყეს ვედრებად ნეტარისა შიოსსა და ყოველთა მათ მამათა ცრემლითა ევედრებოდეს ლოცვასა ყოფად მათ თჳს. მოუწოდა უკუე სტეფანოზ მწიგნობარსა თჳსსა და უბრძანა მას, რათა დასწერნეს ორნი დაბანი დაბათაგან სამეფოთა ურჩეულესნი, მერმე აღიღო ხელითა თჳსითა ქარტა იგი და დადვა საფლავსა ზედა წმიდისა შიოსსა და უსრედ ჰგოდებდა: აჰა მამაო, პატიჟი ბრალისა ჩემისა, მიიღე ხელით წერილ ესე და შემინდევ ბრალი ჩემი, რომელი უსჯულოებისა ჩემისა მიერ შემემთხჳა და მიხსენ სიბრმისა ამისგან, ჩემზედა მდებარისა. ესრეთ მრავალ ჟამ რა ევედრებოდა, მოიღო კურთხი იგი ნეტარისა შიოსი მამასახლისმან იოანე და განბანა იგი წყლითა მით და იქმნა საკვირველება დიდი, რამეთუ მეყსა შინა განეხვნეს თუალნი მათნი და ხედვიდეს და ადიდებდეს ღმერთსა და მონასა მისსა შიოს. დაამტკიცა უკუე ხელითა წერილი იგი ხელითა თჳსითა და მასვე ჟამსა დასწერა ჰროარტაგი და დაამტკიცა ხელითა თჳსითა და წარჰსცა ყოვლისა შინა ქუეყანასა ქართლისასა, რათა ყოველნი ეკლესიანი განსათავისუფლნენ მძლავრებისაგან და ხარკის მიცემისა. ესრეთ ამიერითგანცა იწყო სტეფანოზ კეთილის ყოფად ეკლესიათა და პატივისა პყრობად ეპისკოპოზთა, მღუდელთა და მონაზონთა და ამანცა ფრიადი აშენა ეკლესიასა ზედა ჯუარისასა, ეგრეთვე ცოლმან მისმან ფრიადი საფასე მისანიჭა წარსაგებელად მონასტერსა მამისა შიოსსა. მიერითგან წლითი წლად აღვიდიან ცხრასა მაისსა დღესასწაულობად სახსენებელსა ამის წმიდისასა და მრავალსა კეთილთა უყოფდა ეკლესიათა სტეფანოზ და ყოველნი ადიდებდეს ღმერთსა და მონასა მისსა შიოს.

სასწაული მეცხრე წმიდისა შიოსი.

მრავალ-გზის უკუე სამხილებელად ცოდჳათა ჩუენთა გარდარეულებისათჳს, მისცა ღმერთმან განსაწროთუნელად ყოველი ქართლი ხელსა ბილწთა აგარიანთასა, რომელ არიან სარკინოზნი. ესენი ოდესმე შემოვიდეს ბრძანებითა ამირ მუმინისათა და ტყუე ჰყუნ ყოველი სომხითი და ქართლი და ვიდრე მთადმდე არგუეთისა, ყოველი ოხრებასა მისცეს. ხოლო იყო წინამძღუარ სპისა მათისა აჰმად ნათესავი ამირმუმინისა კაცი მძლავრი და გულ-ფიცხელი და ანგაარი. ამან აღვლო ველი მუხნარისა, ხოლო ამიერ მდინარისა მტკუარისა. წარავლინნა სპასპეტნი თჳსნი უმარ და ბურულ, მიაწივნეს რა სოფელსა ციხე დიდისასა, იხილეს პირის პირ კლდეთა შინა სარკინისათა გამოქმნილი იგი ქუაბები, დადგენ და თქუეს: ესე სიმაგრენი, უკეთუ არა გამოვიხვნეთ სირცხჳლ-იყოს ჩუენდა და არცა სულტანმან შეგვინდოს უდებ მყოფელთა ამისთა. განირჩიეს უკუე წყალი მდინარე მტკუარი და შთავიდენ ყოველნი, წიაღხდენ, გარნა უქმ იყო სლვა მათი, რამეთუ დღე ყოველ იარებოდეს მდინარესა მას შინა და ვერ უძლებდეს განსვლასა იმიერ. ხოლო იქმნა რა მწუხრი მაშინღა სადამე ძლით მოეგნეს გონებასა და ჰსცნეს, რამეთუ ცუდად შვრებიან და განჰკრთეს საკჳრველებისაგან და უნდოდათ, რათა ჰსცნან მიზეზი და მოიყუანეს ტყუეთაგანი ერთი და ჰკითხვიდეს, თუ რაჲ არს ქუაბთა მათ შინა კლდოვანთა, ხოლო მან ჰრქუა, ვითარმედ იქი მონასი ღუთისანი არიან შეკრებილ ნეტარისა კაცისა მიერ, ფრიად სასწაულთ-მოქმედისა, რომელსა ეწოდების შიო. განკჳრდეს უკუე ფრიად და წარვიდეს და რაჟამს მიიწივნეს წინაშე, აჰამადისსა სადა შეკრბებიან ორნი მდინარენი მტკუარი და ლიახვი, რამეთუ მუნ დაებანაკა, ჰრქუეს მას, რაჲ იგი იხილეს სასწაული წმიდისა შიოს. ხოლო მან ფრიად აბრალა მათ, რამეთუ არა უწინარეს ჰრქუეს, რათამცა იხილა ადგილი იგი, ამისჲ

შემდგომად წარავლინა ერთი მთავართაგანი ჭმარ და წარგზავნა ფრიად სახმარი, რომელი შეეტ-უჭირბის საზრდელად მონაზონთა და ოქრო ფრიადი და ალვა, საგმეველი ტჳრთი ერთი და შეუთ-ქვა ესრეთ: ვითარმედ ლოცჳა ყავთ ჩემთჳს მონანო ღმრთისანო და სახმარი ესე მიიღეთ და ალვა ესე ყავთ სამსახურებელად საფლავსა ზედა მოძღჳრისა თქუენისასა და მორავიქცე იჳო გიხილნე მშვიდობით. და წარვიდა მთავარი იგი და მიეახლა რა ბჭეთა მონასტრისათა, იხილა აურაცხელი სპა მხედრობისა, რომელნი იარებოდეს ჰერთა ზედა და შორის მათსა მოხუცებული კაცი მონაზონი, ფრიად მშუენიერი, რომელი უბრძანებდა მათ და იგინი განამტკიცებდნენ ყოველთა მათ ადგილთა. მიავლინა უკუჱ მონა და მიუმცნო ბრძანება სულტანისა მიერითა და მშვიდობა და უშიშოება მისცა მათ. ხოლო მათ შეიყვანეს შინაგან მონასტრისა და ყოველი იგი შესწირა, რომელი წარმოევლინა სულტანსა და მსგავსად ჴსენებულისა მათისა ილოცა საფლავსა ზედა ნეტარისა შიოსსა და მიხედნა ძმათა მათ ყოველთა და იხილნა დაბეჭდულითა ფლასისათა მოსილნი მყუდროდ მავალნი, არა რაჲსა ქუეყნიერისა მზრუნველნი, ჰკითხა მათ და ჰრქუა: წმიდანო ღმრთისანო, რაჲსათჳს გი-შინისთ თქუენ კაცთაგან, რამეთუ არა რაჲსაჲვინ შემძლებელ არს თქუენგან მიღებად და ვჰხედავ, რამეთუ უხილავნი რაჲმე ძალნი ჰაერთა შინა იარებიან სახითა მხედართათა და წმიდასა ამას ადგილსა ჰსცუენ და ვეჭუ თუ ანგელოზნი არიან იგინი, ხოლო გამოჩნდებიან და დაიფარვიან და არიან ბრწყინვალენი საკჳრველად და შორის მათსა მონაზონი ყოვლად მიუთხრობელი სიკეთითა სახისათა და მოხუცებულთა თმათ და ესე უცილობელად არს მოძღჳარი თქუენი. ესმა რა ესე ძმათა მათ და კჳალად სასწაულიცა იგი, რაჟამს უნდოდა მხედრობასა მას წიაღსლვად მდინარე იგი მტკუარი და ვერ უძლეს, ადიდებდეს ღმერთსა და მონასა მისსა შიოს; რამეთუ მარადის ესრეთ მცუელ არს ცხოვრებისა მათისა. ხოლო მთავარმან მან ჰყო აღთქმა, რათა მიერითგან არა რაჲ სადა ევნოს ეკკლესიათა და უძლოს თუ ვითარ ნათელ იღოს და იქმნეს ქრისტიანე და მონაზონ და დაემკჳდროს მათ თანა. იქმნა უკუჱ მათგან და წარვიდა მაშინ. ხოლო შემდგომათ თჳსსა ქრთისა ორთა თანა ერთგულთა თჳსთა უარ ჰყო სჯული სპარსთა, იქმნა ყოვლისა დიდებისა სოფლისაგან; წარმოვიდა იდუმალ და მოვიდა მღჳმედ; აღასრულა აღთქმა თჳსი ნათელ იღო და შეიმოსა წმიდა სქემა და უწოდეს მას სახელი ნეოფიტე. იქმნა ყოვლად რჩეულ მონაზონ და მისწუთა მაღლითა მოღუაწებითა, დიდთა მამათა საზომსა და მიანიჭა მას ღმერთმან ძალი სულთა არა წმიდათა სიტყუ-ოტებად და მრავალნი სასწაულნი აღასრულნა ღმერთმან ხელითა მისითა და ამისთჳს დიდითა იძულებითა იქმნა ეპისკოპოზ, საყდარსა ზედა ურბნისისასა, სამუელ კათალიკოზისა მიერ. ამან ნეტარმან ფრიადი ღუაწლი თავს იდვა სამწყსოსა თჳსისათჳს და მრავლითა კადნიერებითა ჰბრძოდა ცეცხლის მსახურთა. ხოლო უკანასკნელ იწამა მათ მიერ ქრისტესთჳს, რამეთუ ლამე შეიპყრეს და დაქოლეს ქჳთა და ესრეთ მოწამეთაცა გჳრგჳნითა შეიმკო [1]. ხოლო ორნი იგი მსახურნი მისნი, ესენიცა მონაზონ იქმნნეს და კეთილად აღასრულეს ცხოვრება ესე. ხოლო, რომელსა ერთსა ეწოდა ხრისტოდულე, ხოლო მეორესა ქრისტეფორე. ამას ქრისტეფორეს ერწმუნა მამასახლისობა ილა-

1) ხსენება მისი კზ ოკტომბერსა. მან მიიღო წამებაჲ დროსა შინა სამუელ II კათალიკოზისა 587 წელსა. ერთი ძუელი მატიანე, რომელიც ვნახე შიო მღჳმის ლავრაში, ამასთან კათალიკოზი ანტონ I, მოგვითხრობენ, ვითარმედ მონაზონთა მიერ მოტანილ იყო გუამი წმ. ნეოფიტესი და დაკრძალულ წმ. შიოს ლავრის კრების ეკკლესიის ტრაპეზის ქუეშე.

რიონ მამასახლისისა მიერ მემღჳმისა, მამა ყოფაჲ მონასტრისა მკჳდრმანისა და იქმნა ყოვლად რჩეულ და გამოცდილ, მკურნალ სულთა და მიიცუალა ასორმეოცდა ხუთისა წლისა [1]).

სასწაული მეათერთმეტე [2]).

კაცი ვინმე იყო წარჩინებული სახელით გიორგი და ცოლი მისი იყო ბერწ და კაცი ესე იყო მრავლისა მონაგებისა და სიმდიდრისა უფალ და უძნდა ფრიად, რამეთუ არა ესვა მათ შვილი, მარადის ევედრებინ ღმერთსა და წმიდათა მისთა, რათამცა მიეცა შვილი. ოდესმე მოხლდა დღესასწაული წმიდისა ამაღლებისა. აღდგა კაცი უკუჱ ესე გიორგი და წარვიდა მღჳმედ, რათა მუნ აღასრულოს დღესასწაული იგი და მოახლებულ იყო დღეცა ხსენებისა წმიდისა შიოსი და დაეყოვნა კაცსა მას დღე რაოდენიმე მუნ. მოიწია რა იგიცა დღე, რომელსა შინა აღესრულებოდა სახსენებელი მამისა შიოსი, აღდგა უკუჱ დედაკაციცა იგი ცოლი პირუელ ხსენებულისა მის კაცისა და მიიწია მღჳმედ, ქჳაბსა მას, რომელსა შინა პირუელ ღუაწლნი ძლიერნი მოიღუაწნა ნეტარმან შიო და არს ქჳაბი იგი გარეშე ბჭეთა მონასტრისათა მცირედ განშორებულად და არავინ ჰპოვა სხუა მუნ, რამეთუ იყო ღამე და დაადგრა მუნ და ილოცვიდა და სტიროდა მრავლითა ცრემლითა, უშვილოებისათჳს თჳსისა. ხოლო ქმარმან მისმან არა უწყოდა მოსლვა ცოლისა მისისა, არამედ შეიმოსა მამისა სამოსელი დადგა წინაშე მღჳმესა მისსა, სადა არს საფლავი წმიდისა. მუნ მრავლითა სულთქმითა ვედრებათა განჰფენდა წინაშე ღ̃თისა და ევედრებოდა წმიდასა შიოს. შეესმნეს უკუჱ ვედრებანი მისნი ღმერთსა და უცხო რაჲმე სასწაული იქმნა წმიდისა ამის მამისა მიერ, მის ზედა. რამეთუ მცირედ მიერულა კაცსა ამას და ჰრქუა ვინმე ძილსა შინა, ვითარმედ «კაცო! აღდეგ და წარვედ ძჳრსად ქჳაბად, გარეშე ბჭეთა და მუნ ევედრე ღმერთსა და მონასა მისსა შიოს». აღდგა უკუჱ და მიიწია ბჭეთა მონასტრისათა და იხილნა დაკრძალულნი. უხმო მეკარესა და მიზეზ ჰყო რაჲმე და განვიდა, მიიწია ქჳაბად და არავინ ჰპოვა მუნ, გარნა ცოლი იგი მისი და ვერ იცნა იგი, რამეთუ ღამე იყო და არცა დედაკაცმან იცნა ქმარი მისი, რამეთუ ეცვა მას ძაძა და ეგონა თუ მარტომყოფთაგანი ვინმე არს და ილოცვიდეს ორნივე ჟამ ერთ მღუმრიად. ხოლო განვიდა კაცი იგი კარსა ქჳაბისასა, რათა დაიძინოს მცირედ და დედაკაციცა იგი განვიდა და დაიძინა განშორებულად და გამოუჩნდა უკუჱ კაცსა მას ძილსა შინა ნეტარი შიო და ჰრქუა: «აღდეგ კაცო, უკეთუ გინებს რათა შვილიერ იქმნე და დაწევ დედაკაცისა იმის მძინარესა». განიღჳძა კაცმან მან და თქუა; წყეულმცა არს ეშმაკი, ვითარით სახითა ინებებს ცთუნებასა ჩემსა. დაიძინა კუალად და კუალად გამოუჩნდა იგივე პირუელ სახილავ და აქვნდა ჴელთა ჯუარი და ჰრქუა: «კაცო! მართლიად გეტყჳ, უკეთუ ამას ღამესა არა დასწვე დედაკაცისა ამის თანა, არა განიხსნენ საკრუელნი შენნი და მე ვარ მონა ღ̃თისა შიო, რომელი ამას გეტყჳ». განიღჳძა უკუჱ კაცმან მან და თქუა ჴოი! რაჲმე არს განსაცდელი ესე და ვითარმცა ეგებოდა ესე კაცისაგან, რომელი ქალწულებით აღიზარდა და მსგავსად უხორცოსა მოქალაქობდა და ესე სიტყუანი, რაჲმცა იყვნეს წმიდისანი, დამძიმდა უკუჱ გონება მისი და კუალად დაიძინა და აჰა კუალად აღდგა [3]) მის ზედა მონა ღ̃თისა შიო და ეტყოდა. «გრწმენინ ღ̃თისა და ჩემი მო-

1) სანატრელი ქრისტოფორე, ძუელთა მატიანეთა მიერ ჰსჩანს, ვითარმედ მეხუთე წინამძღუარი იყო წმ შიოს ლავრისა: I, წმ. შიო მნათობი ეკკლესიისა. II, სამკაული ეკკლესიისა წმ. ევაგრე. III, წმ. მღუდელმოწამე ნეოფიტე. IV, ნეტარი ილარიონ. V, სანატრელი ქრისტოფორე. VI, ზოსიმე. . . . . .

2) აქ აკლია მეათე სასწაული, რომელიც არ აპოვება ძუელს ხელწერილშია, რომელიც იპოვების წმ. შიოს ლავრაშია.

3) აღდგა, სიტყუა ესე აქ თავზე დადგომასა ჰნიშნავს.

ნისა მისისა შიოსი, რამეთუ უკეთუ ამას ღამესა არა თანა იყო დედაკაცსა ამას არა უკ̃ე ოდეს კუალა შეუძლო შჳლიერებად». აღდგა კაცი ესე განცჳფრებული და ზარტეხილი და მივიდა მრავლითა სირცხჳლითა და ცრემლითა და შჳილითა გულისათა და დაასხნა დედაკაცსა მას ჴელნი. ხოლო ღმერთმან დასდვა დედაკაცსა მის ზედა ხშირი ძილი, ვიდრემდის უკჳრდა კაცსა მას და თანა იყო. რა მეყსეულად განჴრთა დედაკაცსა მას და დაიგრჩხიალნა უშვერად, ესმა მონათა მის დედაკაცისათა, რამეთუ იყვნეს მცირედ განშორებით. ხოლო კაცი ივლტოდა შეშინებული, რათა არავინ შეიპყრას და შეივლტოდა ბჭეთა მონასტრისათა, რამეთუ განგებულებითა ღმრთისათა ჰპოვა ღია ბჭე მონასტრისა. შევიდა უკ̃ე ჰგოდებდა თჳსგან და იტყოდა. ეჰა! ვაჲმე მოკიცხულისა ეშმაკისაგან და აწ რაჲ ვჰყო, რამეთუ შევაგინე სწოლი ჩემი და ეჰა მე საწყალობელსა, რაჲ ესე ვჰყავ. ხოლო დედაკაცსა მის ზედა მოკრბეს რა მონანი მისნი, არა რაჲ ჰრქუა მათ თჳნიერ ესე: ვითარმედ ძილსა შინა რაჲმე საოცრებით ვიხილეო, გარნა თჳსაგან ვინ უწყის თუ ვითართა მხილებათა მოეცა და რასა ჰყოფდა ტირილისა და მწუხარებისაგან არა უწყოდა, რამეთუ მემრუშედ ხადოდა თავსა თჳსსა, არღარა ჰყოფნა, არამედ მსწრაფლ აღდგა და ღამე წარვიდა სახიდ თჳსა. ხოლო კუალად კაცი იგი მისი ქმარი სირცხჳლეული ჰბასრობდა თავსა თჳსსა და იტყოდა; კეთილი შჳლიერება საძამე მოვიდე, რამეთუ გამოვჩნდი მეძავად და ბილწად ნაცვლად ამისსა, რათა კეთილი რაჲმე შევიძინო. წარვიდა უკ̃ე კაციცა იგი შემდგომად დღეთა რავდენთამე და მივიდა სახლსა თჳსა და მრავლისა ურვისა შინაგან მქონებელი და ყოვლად ეკრძალებოდა საწოლსა ცოლისასა და იყო დიდსა შინა სისანულსა. გარდახდეს ორნი თთუენი და დედაკაცი იგი მიდგომილად ხედვიდა თავსა თჳსსა და განიზრახებოდა თუ რაჲ ჰყოს და მოეცვა განსაცდელთა და გულის-სიტყუათა მრავალთა, განიზრახა უკ̃ე კეთილითა გულის-სიტყჳთა და ჰრქუა ქმარსა თჳსსა: უფალო ჩემო გიორგი, მაქვს რაჲმე სიტყუად შენდა. ხოლო მან ჰრქუა, იტყოდე და იწყო ესრეთ სიტყუად დედაკაცმან: უწყის და მოწამე არს ჩემდა ღმერთი, რამეთუ რაჲდგან შევეყავ საწოლსა შენსა არა ოდეს შემოვიდა გულსა ჩემსა გულის სიტყუა შეგინებული და არცა ვისი პირი განვიცადე ცოდჳსა იჭჳთა. გარნა მოშურნეთა ოჳალთა ეშმაკისათა ვერ დაითმინეს ესე და რაჟამს წარხვიდოდე შენ მღჳმედ და დაიყოვნე არა მოხვედ. გულსა მიმიხდა, რათა მეცა წარმოვიდე დღესასწაულსა წმიდისა შიოს ხსენებისასა: აღვდეგ ორთა თანა მონათა და მივედ ქუაბსა მისსა, რომელ არს გარეშე ბჭესა მონასტრისასა და იყო ღამე, ვილოცევდი უკ̃ე გულსმოდგინედ მარტოჲთი, მუნ სხუათა ყოველთავე მიეძინა განშორებულად, მოვიდა ვინმე კაცი სახითა მოღუაწეთათა და შემოვიდა და ილოცვიდა მახლობლად ჩემსა და აჩუენებდა ტკივნეულებასა მრავალსა; გამოვედ უკ̃ე მე გზისაგან მაშვრალი და დავწევ დაძინებად და გამოვიდა იგიცა და მცირედ განშორებულად ჩემგან მანცა დაიძინა. ამათ სიტყუათა იტყოდა დედაკაცი, კაცსა ნიშანი მიეცემოდის და გული ჰრქვივებოდა გარნა დუმნა და ისმენდა თავ მოდრეკით. აქა იწყო ცრემლოვად დედაკაცმან და სირცხჳლთაგან ვერღარას შეუძლებდა სიტყჳსა თქმად, გარნა ქმარმან მისცა ძალი სიტყუათა მისთა და აღიარა; ვიდრელა მეძინა არა ვუწყი, გარნა ოდეს განმკრთა, ვპოვე თავი ჩემი დაცემულად. ხმა ვჰყავ, იგი წარვიდა მეოტად და ვაჲ მე! რამეთუ აწ ვარ მე მუცელ-ქმნულ.

ესმნეს რა სიტყუანი ესე დედაკაცისანი, გიორგის აღევსო გული სიხარულითა და ეტყოდა; ნუ მწუხარე ხარ პატიოსანო მეუღლეო, არამედ იხარებდი, რამეთუ საღმრთო არს საქმე ეგე და ნიჭი, ოხათა მამისა შიოსთა. იწყო უკ̃ე და ყოველივე მიუთხრა მანცა და ვითარმედ თჳთ იგი არს ყოვლისა მოქმედ და მოწამე. მაშინღა უკ̃ე გულპყრობილ იქმნა დედაკაცი იგი და მადლობდა

ღმერთსა. ხოლო მომავალსა მას ღამესა გამოუჩნდა ძილსა შინა მამა შიო, თჳთეულსა მათსა და ეტყოდა «ვითარმედ თქუენგან შობადი ყრმა ეგე გამოირჩია ღმერთმან წინასწარვე და განაძლიეროს იგი მტკიცითა ძალითა თჳსითა, რომელმან დამწყსოს ერი ღმრთისა ჯეროვნად. ხოლო თქუენ რაჟამს აღმოშვათ იგი წმიდით ემბაზით, უწოდეთ სახელი მისი იოანე, რამეთუ მადლი ღმრთისა იყოს მას ზედა და შესწირეთ იგი ღმერთსა, გარნა ნუმცა რა შევალს პირსა მისსა მშვინვიერთაგანი თჳნიერ ხოლო თევზისა». განიღჳძეს რა მიუთხრეს ჩუენება ესე ურთიერთას და სიტყუა იგი დაიმარხეს ფარულად.

ხოლო აღრაესრულნეს დღენი, შჳა დედაკაცმან ყრმა იგი, იქმნა წელიწადისა ერთისა, მიიყვანეს მშობელთა მისთა მონასტერსა მღჳმისასა და ქადაგებდეს უცხოსა მას სასწაულსა, რომელი იქმნა მათ შორის. აღმოშუეს უკუე წმიდით ემბაზით, ხელითა ელია მემღჳმესათა და იქმნა რაჲ ყრმა ქსჲათის წლის, კუალად მუნვე მიიყვანეს და შეჰვედრეს იგი ღმერთსა და მონასა მისსა ნეტარსა შიოს. ესე ყრმა არს იოანე ქართლისა კათალიკოზი, რომელი ყოვლითურთ იქმნა სწორ იოანე ოქროპირისა, რომლისა სათნოებანი და საქმენი უკეთუ ვისმე უნდენ ცნობად, მიიღედ ჰელად მისთჳს აღწერილი წიგნი და მუნით ჰსცნობდინ [1]).

სასწაული მეათორმეტე.

სახსენებელსა დიდებულისა მამისა შიოსა იყო ერისა კრება მონასტერსა მღჳმისასა და მუნ იყო მეფე და ყოველნი მთავარნი, ჩუეულებისაებრ და სარმიანე მამათ მთავარი, ყოველთა თანა ეპისკოპოსითა თჳსითა, იყვნეს ვინმე კაცნი მეგჳპტელნიცა მაშინ მუნ სარწმუნოებისაგან იაკობიტთასა, რომელნი მოვიდეს ქალაქით ტფილისით. ამათ ვითარცა იხილეს მოსლვა კათალიკოზისა მივიდეს წინაშე მისსა და მიართვეს ძღუენი რაჲმე ქუეყანისა მათისა და მიიღეს რა კურთხევა მის მიერი ჰრქუეს მას, წმიდაო მეუფეო, ღირს მყვენ დღეს ზიარებად წმიდითა ხელითა შენითა. ხოლო მან არა რაჲ გამოიკითხა, თუ ვინ, ანუ რომლისა სარწმუნოებისანი არიან, არამედ ჰრქუა დიაკონსა თჳსსა, რათა, ჟამსა ზიარებისასა მოიყვანნეს იგინი. იქმნა უკუე წმიდა ჟამის წირვა და მივიდეს კაცნი იგი და აზიარნა კათალიკოზმან სარმიანე ხელითა თჳსითა; გამოვიდეს რა ეკკლესიით, ისტუმრნა მეფემან სერსა თჳსსა ყოველნი და წარვიდა კათალიკოზი მას დღესა მცხეთად, რამეთუ მიუწოდდა მას ხვალისა დღე ხსენება ყოველთა სულთა ქრისტიანეთა. მოიწია რა მწუხრი, ძილსა შინა გამოუჩნდეს ვინმე სარმიანე კათალიკოზსა, კაცნი დიდებულნი ხილვითა და საშინელნი ხატითა და ერთი იგი იყო მღდელთ მოძღუარი, ხოლო თავსა მისსა ზედა მდებარედ კუნკულისა მსგავსი რიდე. ხოლო ერთი იგი მონაზონი მოხუცებული, რომელსა აქუნდა კუერთხი ოქროსა, რომელსა ზედა იყო ჯუარი და ვითარი იხილნა იგინი, სარმიანეს ზარი განჰხდა და იგონებდა თუ ვინ არიან იგინი და ვიდრე იგი ამას განიზრახვიდა, მივიდეს და მოსძარცვეს სარმიანეს ზეწარი მისნი და ესრეთ მღდელთ მოძღუარი იგი მიეფარა. ხოლო მონაზონი იგი დაადგრა ზრახჳასა შინა მისსა და ეტყოდა. «ჵოი! სარმიანე, ვითარ ჰხედავ თავსა შენსა». და მან ჰრქუა, ვითარცა განბასრებულსა და მან ჰრქუა «ფრიად გთნავს ეგე?» და მიუგო კათალიკოზმან და ვითარმცა არა, რამეთუ სასწაული ღმრთისა ჩემ ზედა მდებარე მიმიღეთ და გამოჩინებული იგი ეტყოდა. «ჵოი ძმაო! რომელთა განაშიშვლეს ქრისტე

---

1) კათალიკოზი ესე იოანე, ჩემის აზრით ჰსცხოვრებდა მეფობასა ბაგრატ IV (1027—1072) წლამდე: ამან განაშუენა ქადაგებითა თჳსითა ეკკლესია ქართუელთა და ჰსთარგმნა ბერძულიდგან წიგნნი, «წინა მოძღუარი» ათანასი ანტიოხელისა პატრიარხისა მიერ და წიგნი გრიგორი ნაზიანზელისა. ამანვე მრავალი ღუაწლი დაჰსდუა განშუენიერებისათჳს მცხეთისა საკათალიზო კრებისა ეკკლესიისა.

ღმერთი, ბუნებითა და მოქმედებითა და ნებითა მისითაგან და არცა ღჳთაებითა საცნაურ ჰყოფს იგი და არცა კაცებითა გამოაჩინეს ძალი მისი და შჯულ შეიწყნარეს ზიარებად ხორცსა და სისხლსა ქრისტესსა; რაოდენ უფროჲს მძიმედ აღუხსნდეს ცათა და ქუეყანისა შემოქმედსა მას მეუფესა ესე».

ხოლო კათალიკოზი ეტყოდა და ვინ არიან იგინი უფალო ჩემო და მან ჰრქუა. «იგინი, რომელთაგან ძღუენნი მიიღე და ამან დააბრმო გული შენი, არღარა გამოკითხვად თუ ვინ არიან იგინი და ესრეთ შეურაცხჰყავ სჯული ღმრთისა, მწვალებელთა მათ ბილწთა მიერ და აჰა ესერა შიშველ ხარ მადლისაგან ღმრთისა შენცა». ხოლო შეშინებულ იქმნა იგი სიტყუათა მათგან და ზარ-ტეხილ და ძლით მიუგო მას, ვითარმედ და შენ ვინ ხარ უფალო ჩემო, რომელი ეგრეთ ეძიებ ცხოვრებასა ჩემსა, ანუ ეპისკოპოსი იგი ვინ იყო, რომელი პირუელ გიხილე შენ თანა; ჰრქუა მას მოხუცებულმან მან. «ეპისკოპოსი იგი კჳრილე მამათ მთავარი ალექსანდრიისა, რომელმან მრავალი ღუაწლი თავს იდვა ჭეშმარიტისა სარწმუნოებისათჳს მართლმადიდებელთასა, რომელი დღეს შენ დასთრგუნე არა წმიდად. ხოლო მე ვარ მონა ღმრთისა შიო, რომელი გეტყჳ» და უჩინო იქმნა მისგან და განჰკრთა ძილი სარმიანეს და შეშფოთებულმან იწყო ურვად და მწუხარებად და მსწრაფლ უბრძანა, რათა ყოველნი ეპისკოპოსნი შემოჰკრბენ ეკკლესიად და მიუთხრა ჩუენება ესე მრავლითა ცრემლითა და იკითხვიდა მათგან თუ ვითარ ჰყოს სინანული საქმისა მისთჳს. ხოლო მათ განაჩინეს ესრეთ, რათა პირუელად მიიღოს ძღუენი იგი იაკობითა მათ მიღებული და გარეშე ბჭეთა დაიწვას. ხოლო შენ აღიმსთვე და მივედ წმიდისა შიოსა მონასტერსა და პირუელად მადლი აღუარე, რამეთუ ესრეთ მოღუაწებით გამოგეცხადა და მერმე ორმეოცთა ამათ დღეთა დიდითა მოღუაწებითა აჩუენე სინანული. ხოლო ჩუენ განვეკრძალნეთ ყოველნი თჳთოეულად ლოცჳასა და მარხჳასა და ვევედრნეთ ღმერთსა შენდობისათჳს მაგის ბრალისა შენისა და ინებოს თუ ძჳრუხსენებელობითა თჳსითა და გამოგვიცხადოსცა აღსასრული საქმისა, რომლითა გულსავსე ვიქმნნეთ. სათნო უჩნდა სიტყუა ესე კათალიკოსსა და აღმსთობილმან განთიად ამცნო ყოველთა ეპისკოპოსთა, რათა დღესასწაული მარტჳლისა მუნ აღასრულონ და ევედრა ყოველთა ლოცჳასა. ხოლო თჳთ მიიწია მღჳმედ სარკინისა, წინაშე საფლავსა ნეტარისა შიოსსა, დააგდო თავი თჳსი და მრავლითა სინანულითა და ცრემლითა ესრეთ ეტყოდა. მამაო განფინენ წმიდანი ლოცუანი შენნი მამობრივი წინაშე ღმრთისა და მითხოვე შენდობა, რამეთუ განვარისხე ღმერთი უდებებითა ჩემითა და არა მე არა განვიდე ამიერ ვიდრემდე მოვიღო გულსავსება ბრალთა შენდობისა და დაადგრა მღჳმესა მას შინა ფრიადითა გულს-მოდგინებითა ლოცჳსა და მარხჳსა მიერ. მოიწია ღამე წმიდისა და დიდებულისა კჳრიაკისა და მიერულა სარმიანეს სიმაშვრალითა. იხილა ვითარმცა დგა წინაშე გოლგოთასა და ხედვიდა მუნ ჯუარცმულსა ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა და ეპყრა იგი კაცთა ვიეთმე საშინელთა და შეიყვანეს წინაშე ჯუარცმულისა მის და მიჰხდიდეს სიტყუასა შეცოდებისა მისთჳს. ხოლო იგი აქა და იქი იხედვიდა, რათამცა შემწე იყო ვინმე და არავის ჰპოვებდა და აჰა მიმყოვრებითრე ხედვიდა, რამეთუ დიდებული იგი მღდელთმთავარი კჳრილე, რომელი იხილვა პირუელ და ნეტარი მამა შიო მასვე ჯუარიანისა კუერთხითა ხელთა შინა მქონებელი შეიყვანეს მუნ დიდითა პატივითა და დიდითა ბრწყინუალებითა შემოსილნი, წარდგეს უკუე წინაშე ჯუარცმულისა ქრისტესსა კადნიერად და ევედრებოდეს სარმიანესთჳს.

ხოლო ჯუარცმულისა მისგან მეყოვარ სადამ მიიღეს ბრძანება ესრეთ «ხედავთა თუ ვითარ ვიწყლევი ჯუარითა ამისგან და რომელთა მიერ დღითი დღე ესე შემემთხვევის, მტერნი ჩემნი შეიყვანნა ჭამად ხორცისა ჩემისა და სმად მისცა მათ სისხლი ჩემი და არა არს ღირს შენდობისა სარმიანე,

გარნა სიყუარულისა თქუენისათჳს და ვედრებისა, შემიცემიეს შენდობა და არქუთ, რათა ამიერიდ-გან ეკრძალოს». ხოლო მოვიდეს დიდებულნი იგი მამანი და ეტყოდეს სარმიანეს: «ძმაო! განმართე თავი შენი ამიერიდგან და ეკრძალე» და მოიღეს იგივე ზეწარი და შემოსეს მას. განიღჳძა უკუე ჩუენებისა მისგან სარმიანე და აღივსო გული მისი სიხარულითა, გარნა იჭჳნეულ იყო თუ, ნუ თუ არა ჭეშმარიტი იყოს ხილვა იგი. ხოლო განთენა, მოიწია ფილიპე ეპისკოპოსი, რომელი წარ-მოევლინა კრებასა მას ეპისკოპოსთასა და მოიღო ეპისტოლე, რომელსა აქუნდა წერილი ესე.

«დიდსა მამათ მთავარსა მეუფესა ჩუენსა სარმიანეს გიხაროდენ მჴლნი შენნი და სიწმიდისა შენისა მრწემნი ყოველნი ეპისკოპოსნი გაუწყებთ, რათა არღარა დააშრობდე მოხუცებულსა გუამსა შენსა, რამეთუ მოწყალე ჰყუეს ღმერთი დიდებულისა მაგის წმიდისა მამისა შიოს მეოხებითა და გამოგჳჩინდა ულირსთა მონათა მისთა, რიცხჳთ ხუთთა და თჳთეულსა გჳბრძანა, ვითარმედ «მი-უტევა ღმერთმან სარმიანეს კათალიკოზსა ბრალნი მისნი და აწ შეურგულებელად მიიყვანეთ მწყემსი თქუენი». აწ გვიბრძანენ სიწმიდემან შენმან, რათა ყოველნი მანდა მოვიდეთ და მადლი აღუაროთ საკჳრუელთმოქმედსა მამასა შიოს».

ესე რა წიგნი აღმოიკითხნა გულ პყრობილ იქმნა სარმიანე და ბრძანა ყოველთა ეპისკოპოსთა მუნ მოსლვა, ყოველთა თანა სავსებასა ეკკლესიისასა და მრავალ მადლობა შესწირა ღუთისა და ნე-ტარისა მამისა შიოს მიმართ და სამადლობელად ამისთჳს განუჩინა, რათა კანდელი ერთი და სან-თელი ერთი დაუშრეტელად კათოლიკე ეკკლესიით ენთებოდის საფლავსა ზედა წმიდისა შიოსსა.

დიდება ღმერთსა სრულ მყოფელსა ყოვლისა კეთილისასა ყოვლადვე აწ და მარადის და უკუ-ნითი უკუნისამდე ამინ.



საბინინი.

М. САБИНИНЪ.

ႶႨႰႱႨ ႫႠႫႠ ႣႠႥႨႧ ႢႠႰႤႱႠႤႪႨ.

პირუელ ხუთშაბათსა შემდეგ ამაღლებისასა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესისა, ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა და ღმრთშემოსილისა, მამისა ჩუენისა დავით გარესჯელისა [1]).

---

განშორებულთა სიკეთე მამა დავით.

ირემთა ჰზრდილობს, ნიშებს საკჳრუელებით.

ბუბაქარს ქრისტესავს, ვეშაპს ცეცხლითა დაჰსწუავს.

შრომათა ხუავსა, თანა წარჰყუების ზეცად.

გარესჯას მღჳმობს, სულსა ალა ღუთის-კულებს.

თქმული ნიკოლაოზ ცფილელის მიერ.

---

სახსენებელსა მართლისასა მომთხრობელთა და მოქალაქობასა წმიდათასა აღმწერელთა განგებისა სადამე თუალთა განწმედილად ჯერ იყო ქონება, ხოლო ენასა მეტყუელსა კეთილად მორთულად და შესწორებულად მოთხრობასა აღწერად მიცემულისსა, რათა დიდთა ქებათა და შესხმათა, მიმთხუეულად ღირსი, არა დაიკსინებოდის აღწერად მქონებელთა მიერ ბაგეთა სულისათა და რამეთუ მრავლად გვისწავიეს წერილთა საღმრთოთაგან, ვითარმედ უწმიდესად მიახლებად მნებებელნი ვიეთნიმე, შორს დაიდგინებოდეს ვითარ უწმიდონი მიახლებად წმიდათა; ხოლო სხუათა განგდებრძანა ფერხთაგან ხამლთა [2]) და ესრეთ ტკეპნა სიწმიდისა ადგილთა, რომელი ესე ნივთიერთაგან განკსნასა დასახვიდა და სოფლიოთა ზრუნვათა და შფოთთა, ვითარ ხამლთა შემაწრებულთა დატევებასა, რამეთუ მიწიერნი ესე და ნივთიერნი ზრუნვანი შემაშფოთებელ ექმნებიან მიმდევრებელთა მათთა და არა უტევებენ სიწმიდისა კუალთა მიმართ სულად.

---

1) გარესჯა, სიტყუა ესე საკუთრებით არა არს სახელოვან, არამედ ნიშნავს გარეთ ყოფნასა, უდაბნოთ ცხოვრებასა, სოფლითგან მოშორებულსა.

2) ხამლი, ქალამანი ანუ სხუა რამე ფერხთ ჩასაცმელი.

ამათსა გულისხმისყუელსა მცონოდა ჴელყოფად საქმესა უზეშთაესსა ძალისა და გონებისა ჩემისასა, პირუელთქმულთა მიზეზთა თჳს, ნუ სადა შორს სადმე დავიყენო, ვითარ უღირსი ესე ვითართა კადნიერებისათჳს.

გარნა მინდობილმან ლოცვათა სულთა მწყემსისა ონოფრესათა, რომლისა იძულებითა ჴელ ვჰყავ აღწერად წინა მდებარისა ამის მოთხრობისა. ვიწყო შეუორგულებელად დასასრულადმი სიტყჳსა ქონება აღყვანებისა შემწედ უმეცრებისა ჩემისა, ოხათა ამისთა მომწოდებელ ვარ, რომლისაგან ვითარ წყაროსა მიერ აღმოსდის მადლი ზღჳსა უვრცელესთა სიტყუათა სიტკბოებისა, რამეთუ ვითარ ნილოსი[1]) დაკორდებულთა და განხმელთა მიწათა განსაპოხებს, ეგრეთვე ესე გონიერად დაათრობს კეთილთა თხრობათა მიერ, სულსა მსმენელთასა და თესლ საღმრთოსა სწავლისა ქმნილი, გამოიღებენ ნაყოფსა სამოცეულსა და ასეულსა; ამის სათნოებათა საუნჯისა მამისა ლოცვათა მიმართ მსასოებელმან, ძალისა მებრ ჩემისა, ვიწყებ აღწერად; ვინათგან ძალისაებრ ყოველივე კეთილ მისათუალველ ღუთისა განცა და რამეთუ მწჳლილნი ქვრივისა მიერ დადებულნი ფასის საცავსა მას შინა, უმეტეს ყოველთა მიერ შესაწირავთასა, ჰსაჯნა გულს მოდგინებისა ძლით მეცა ყოვლისაგანვე, რომელი მომიგიეს, ძლიერად სიტყჳერად მიუპყრა ზოგადსა მამასა და მომწყემსსა ქართუელთასა სანატრელსა დავითს, რომელმან ვითარ მზემან უკუნსა წყუდიადსა შინა, მსხდომარე ერი ქართუელთა განანათლა მოღუაწეებითა მიერ და სწავლათა თჳსთა და საკჳრუელებათა და ნიშთა, რომელთა აღსრულებადსა მის მიერ მადიდებელთა მისთა, მადიდებელი ღმერთი. ხოლო მგულვებელი მოთხრობად ღუაწლთა და შრომათა მისთა, თჳთ ზედ მოფენილსა მისდა, ყოვლად წმიდასა სულსა, მომხადი შემწედ უძლურებისა ჩემისა; არამედ უკეთუ ვინმე პირუელ და ძუელ ოდესმე აღწერილსა მოქალაქობასა ამის ღირსისასა მიხედვიდეს, ნუ დაუკჳრდების ესრეთ სიმარტივითა აღწერა სიტყუათა მაშვრალობასა ჴელ ყოფისა ჩემისასა, რამეთუ ნუ უკუე მხოლოდ საქმედ აქუნდა გონებისა და ძალისა, ვითარებათა მოთხრობად, ვითარ მხოლოდ საღმრთოთათჳს მოცალე ქმნილსა და არა ესწრა ვიეთმე აღმწერელთა და მომთხრობელთა მიმართ. მიწევნად ცხოვრებისა მისისა მაუწყებელი წერილი, ვითარ ჟამთა სიმრავლესა შინა მიიკარვითა წიგნისათა, რომელსა შინა დაუნჯებულ იყო სიმდიდრეთა ყოველთა უპატიოსნესი ცხოვრება, სანატრელისა ამის მამისა, რომელი უკასასკნელ გამოჩინებულ იქმნა შემდგომად რაოდენისამე ჟამისა, სასარგებლოდ მსმენელთა დასაცხოვრებელად მომთხრობელთა, ხოლო მე ვიწყებ აღწერად ძალისაებრ, აღძრული სურვილითა და წადიერებითა ღირსისა ამის და ყოვლად ქებულისა მამისა მიმართ.

გამომღებელი ვიდრე — მე მამული ამის ღირსისა და საკჳრუელთმოქმედისა მამისა, შუამდინარე დელისა ასურეთისა იყოფების, რომელი ჰკსთაჭმატს მის გარემოთა ყოველთა, კეთილ ჭაეროვნებითა და ადგილთა პოხიერთა მიმთხუევითა, რომლისაგან აღმოეცენნეს სიმრავლესი ღირსთანი და წმიდათანი, განპოხილნი სულისა მიერ წმიდისა და ასეულ ქმნილნი სულისა და ღმერთმყოფელისა მადლისა მიერ. ხოლო დაბადება და მშობელნი წმიდისა და ღირსისა ამის, ჩემ მიერ უცნაურ იქმნა, თუ რომელთა მიერ იშუა და აღიზარდა ხორციელად, რამეთუ არცაღა თჳთ პირუელითგანვე აღმწერელსა ცხოვრებისა მისისასა დაეტევა აღწერით ვინაობა და ვიეთაგან ყოფა ამის წმიდისა. ვინაჲთგან მხოლოდ მოქალაქობათა და შრომათა, რომელნი ღუთისა მიერ ძლით თავს ისხნა, და

---

1) ნილოსი, პირუელი დიდი და მაცხოვრებელი ეგჳპტისა მდინარე წყალი.

სასწაულთა და ნიშთა მხოლოდ სასწრაფო იყო მისსა მოთხრობად, ხოლო სხუანი უმეცართანი ვითარ ნამეტნავნი დაუტევნეს; გარნა ესრეთვე კეთილთა ძირთაგან საგონებელ არს კეთილისა ამის რტოსა აღმორჩება და კეთილმან ხემან კეთილიცა გამოიღის ნაყოფი, ვითარ და ესეცა სანატრელი ნაყოფთა თჳსთაგან საცნაურ ჰყოფდა, რომლობასა ძირთასა.

ხოლო ვსთქუა სხუაცა მიზეზი მშობელთა ამისთა უცნაურობისა, რამეთუ პირუტყულნი იგი მოღუაწენი და ღუთისა ძლით უცხოობათა აღმარჩეველნი, უფროს ყოვლისა პატივისა, განაშორებდიან თავთა თჳსთა ყოველთავე მსოფლიოთა დიდებათაგანს, რათა უნდოებისა მიერ სიმაღლე დიდებისა ზეცათასა მომატყუებელი მიიღონ. ვინა საეჭუელ არს ღმერთშემოსილთა ამის მამაკაცისა თჳს საჩინოთა და პატიოსანთა მშობელთაგან ყოფაჲ. და ამის ძლით სადამე ვითარ ჰგავს, არა ენება ცხად ქმნა მშობელთა თჳსთა, სიმდიდრისა თჳს გარდამატებულისა; არამედ უფროსღა ჯერ-იჩინა ყოვლითურთ დაფარვა საჩინოებისა მათისა და არა გამოცხადება თჳთ, რომელნი იყვნეს ვინ-ვიეთნი, რათა ამასაცა შინა სიმდაბლე აჩუენოს, მიზეზი გჳრგჳნთა და მორჩილებით სმენა სიტყჳსა საუფლოჲსა, რამეთუ დამტევებელი მამისა, დედისა და ძმათა და ნათესავთა, მოსწრაფით შეუდგა კუალთა უფლისათა, ამღებელი უღელსა მცნებათა მისთასა.

გარნა დაღაცათუ ხორციელად მშობელნი და თანად სახელი მათი უცხო იქმნა ჩუენგან, არამედ სულიერი მამა და უსაკუთრესად აღმზრდელი ამისი საცნაურ არს ყოველთა თჳს, საკჳრველი და ღირსი იოანე ზედაძნელი, რომელმან ნაცვლად სძისა და ყრმებრივისა საზრდელთასა, მტკიცე და ძლიერი საზრდელი წინა უყო, ესე იგი არს საღმრთონი სწავლანი და მოძღურებანი, რომელთა მიერ ზეციერნი კეთილნი მიეწიჳებიან ყოველთა და დამმარხველთა მისთა სიწმიდით, და ღირსებით, და შეუმრღუეველად; ქუე დამზიდველთა ამათ და მიწიერთა ნივთთაგან განყენებულისა ესე უკუე პირუელ ხსენებული ნეტარი იოანე, თჳსა მონათესავე იყო მამულით ღირსისა დავითისა, ვითარ შუამდინარით ასურეთისათ, შობასა და აღზრდასა მიმთხუეული კეთილთა მშობელთა მიერ და საღმრთოთა სწავლათა მიერ განათლებული და ზეციერთა პურთა მიერ განმტკიცებული; ესე იგი არს საუფლოთა და ღმერთმყოფელთა მიერ სიტყჳსა სახარებისათა, ამან მონაზონებრივისა მოქალაქობისა შემტკიცებულმან სიყრმითგანვე აღიღო ჯუარი უფლისა მხართა ზედა და მოსწრაფით შეუდგა კუალსა მოძღურისა და მასწავლებელისა თჳსისასა.

ამის უკუე ღირსისა მიერ და ესე ვითარისა სულიერისა მასწავლებელისა აღზრდილ იქმნა, განსწავლა მსგავსთავე შინა სანატრელი მამა დავით და ყოვლითურთ მიბაძვებასა მოძღურისასა მოსწრაფევე იყო სახესა მონაზონებისასა მიმღებელი და ტკბილსა მას უღელსა მტჳრთუელი, უფლისა მცნებათასა და ყოველსავე სიმდაბლესა და მორჩილებასა მაჩუენებელი მოძღურისა მიმართ თჳსისა, ვითარ სიმაღლისა სიმდაბლისა მიერ მომგაჭრებელი წერილისაებრ, «რამეთუ ყოველმან, რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, იგი ამაღლდეს» სიტყჳსა მებრ მაცხოვრისა.

ესე ვითარისა მწყემსისა მიერ იზრდებოდა და განიზარდებოდა კეთილითა სწავლითა და ყოველნივე სულისა მომზრდელნი სათნოებანი წინა დაეგებოდეს ამას დღითი დღედ მწყემსისა მიერ კეთილისა, რამეთუ ადგილთა მწუანვილოვანთა მიიყვანებოდა და წყალთა ზედა განსუენებისათა გამოიზრდებოდა, სულიერითა საზრდელითა შეზებული სხუათაცა თანა შედგომილთა; ამის ღირსისა მამისათჳს, რომელნი იშვებდეს საღმრთოთა სიხარულითა შუენებულნი მხედრულნი ძალთა და სასწაულთანი, რომელნი სანატრელისა იოანეს მიერ აღესრულებოდეს და ისწავებდეს მისგან მარადის, წინა განწყობად მზაკუარებათა მიმართ და ძმაცვარისა ბოროტისა დასაბამისა ჰელდარისათა,

რომელი მოსწრაფე არს დღითი დღე დარწყუმად ჩუენდა საფრხეთა, და დაბრკოლებად გზათაგან ღუთისა მიმართ მიმყუანებელთა; რამეთუ თჳთ განვრდომილი ნათლისაგან და ბნელქმნილი ნაცვლად ბრწყინუალებისა ზეციერისა, ჰბრძვის ხატად ღუთისა დაბადებულთა, მოშურნეობით, რათა დაკლებულ ჰყვნეს იგინი ზეცითა სუფევისაგან, ვითა ნებსით თჳსით, დაკლებულმან საღმრთოსა და ბრწყინუალისა დიდებისაგან, ვინაცა საღმრთოჲ იოანე განაძრახებდა მათ, განფრთხობად სივერაგეთა მიმართ ეშმაკისათა და განუცხადებდა შურსა და სიძულილსა, რომლისა მქონებელ არს კაცთა ნათესავისა მიმართ მოშურნე იგი და მტერი ჩუენი ეშმაკი და ასწავებდა, როგორც ვითარ სამოთხით საშუებელისათ განხადნა პირუელნი მამანი და განღთობისა წინა მეოფელმან მზაკუარებით. ამის თჳს სწავლიდა მათ მარხვის მიმართ და მღჳძარებისა და ლოცვსა სამარადისოსა განკრძალვად მქონებელთა მიმართ მაცდურისა მიმართ საცთანათა და ღჳნობისა მიმართ ხორცთა ამათ მბრძოლთასაჲ, ამცნებდა მათ დამხობასა გულის ოქმათა და გემოთასა.

ამათ შინა რა იყგნეს რაოდენთამე წელთა, ინება საკჳრუელმან იოანე წარსვლა უცხოთა ადგილთა მიმართ, რათა განევლტოს იგი მეცნიერთა და მახლობელთა მიერსა დიდებასა, რამეთუ ყოვლით კერძო მოვიდოდეს მისსა ღუთის მოყუარენი, მასმენელნი საკჳრუელებათა და ნიშთანი, რომელთა აღასრულებდა ნეტარი ესე მადლითა ყოვლად წმიდისა სულისათა; ამისი გონებად მიმღებელი არღარა დადგრა მუნ მრავალ ჟამ, არამედ წარმოვიდა წინაძღომითა საღმრთოოა მოწაფეთა თჳსთა თანა და მოიწია დედა ქალაქსა მცხეთისასა და მუნ თაყუანისმცემელნი პატიოსნისა სუეტისა მიერ, აღვიდა მთასა ზედა, რომელ არს ჩრდილოთ კერძო ქალაქისა მცხეთისასა და მუნ ჰყო სამკჳდრებელი თჳსი, ყოველსა შინა ცხოვრებასა თჳსსა.

ხოლო ვინაჲთგან მარტოობით მნებებელი იყო ცხოვრებასა, უბრძანა მოწაფეთა თჳსთა, რათა წარვიდეს თჳთოეული მათი სხუათა მიმართ ადგილთა და ქადაგებად სახარებასა უფლისასა და სინანულსა მოსატევებელად ცოდუათა და ესრეთ განმტკიცებულნი ჰსწავლითა და მოძღურებითა მისითა წარემართნეს სრულ ქმნად მცნებათა მოძღურისასა, და რბიოდეს ფერხითა მოხარულითა ცხოვრებად მშჳდობისა მბრძოლათა მიმართ დაშეცდომილთა ეშმაკისაგან, ესრეთ მორჩილნი მოძღურისანი არა ოდეს მნებებელნი დატევებასა მისსა წარივლინნეს ვითარცა ცხოვარნი შორის მგელთა და რომელნიმე მათგანნი კახეთისა სამძღვართა მიმართ მიიწივნეს, ხოლო სხუანი მთისა კერძოთა დვალეთის 1) მკჳდრთა მიმართ. ხოლო საკჳრუელი და სანატრელი მამა დავით, ვითარ სხუა ვინმე ილია, უდაბნოს მოყუარე გარეჯსჯის უდაბნოდ მოიწია 2), რამეთუ ევლტოდა იგი ამბოხთა და შფოთთა

1) დვალეთი იწყება დიდი ლიახვის მთითგან, ვიდრე პატარა ლიახვამდე.

2) პირუელად საკჳრუელი დავით, დაემკჳდრა ტფილისის დასავლეთის მთასა ზედა, აწ მთა წმიდათ წოდებულსა, უწინდელი ძუელი თქმულობა გუაუწყებს წმ. დავითისათჳს ამასა: შემდეგ წმ. იოანეს მამათ მთავრის ბრძანებისა, განუტევა წმ. მოწაფენი თჳსნი საქადაგოთ, რომელნიმე მათგანი წარივლინნეს ქართლს, რომელნიმე კახეთად. წმიდა დავით ლუკიანე მოწაფეთურთ თჳსით დაემკჳდრა მოახლო ტფილისისა, მთასა ზედა დასავლეთისა მხარესა ზედა, მცირე ქუაბსა შინა, რომელიც ჰპოვა სანატრელმან ბუჩქიან ტყეში, რომლითა სავსე იყო მთა იგი (აწ ზრქელი და აღმოუცენელი). დამკჳდრებისა შემდეგ, წმ. დავით ლუკიანეთურთ დაუტევებდა ხოლმე ქუაბსა თჳსსა და ყოველს კჳრიაკესა — ჩამოვიდოდა ტფილისს საქადაგოდ — ცეცხლის მსახურთა თანა, რომლითა სავსე იყო ქალაქი. ქადაგებითა და წმიდითა ცხოვრებითა თჳსითა, მოიზიდა ყოველნი და მობაძავ ჰყვნა წმიდისა სწავლისა და ცხოვრებისა თჳსისა. აღორძნდებოდა წმ. მართმადიდებლობა და უმრავლესნი ცეცხლის მსახურთაგანი ქრისტიან იქმნებოდიან, ფრიადითა სწავლითა და ანგელოზებრივ ცხოვრებითა—, კჳლა დაშრიტა სანატრელმან ცეცხლის მსახურებაჲ

სოფლისათა, რომელნი მრავლად შეამღვრევენ ბუნებსა და ოდესმე დააყენებენცა ღუთისა მიმართ მოსწრაფებითაგან, ამისთჳსცა მოსწრაფე იყო მსოფლიოთა ყოველთაგან განშორებასა და მას მიმართა გემოვან განყენებასა და ყოვლითურთ განსვლასა სხეულისაგან მარხვსა მიერ და შეიწრებასა ხორცთასა.

ხოლო ჰყუანდა მოწაფე ერთი სახელით ლუკიანე, რომელიცა საღმრთოთა მადლითა აღძრული შეუდგა სანატრელსა ამას მამასა და ქალაქ მყოფელსა უდაბნოსსა ღუთისა მონასა სარწმუნოსა და კეთილ მსახურსა, რამეთუ ხედვიდა ესე სეტარი ლუკიანე, მადლითა და სათნოებათა ღირსის

---

ტფილისს. შეწუხებულ ქმნილნი ამისათჳს წარჩინებულნი მოგვნი და მობღუარნი ცეცხლის მსახურებისანი ვერ ძალ ედვათ განტევებისა წმიდისასა ტფილისიდგან, ვითარმედ მკჳდრნი ქალაქისანი ჰხედვიდენ მას, ვითარ ანგელოზსა მოვლინებულსა მათ თანა ღუთისა მიერ. ამისა გამოთ ფრიადსა ცდილობასა მიეცნეს, თუ ვითარ განიოცონ და კუალად ცეცხლის მსახურება აღაორძინონ სრულიად. კრება შექმნეს უსჯულოთა და მოისყიდეს მეძავი დედაკაცი, რათა ცილი მრუშობისა რაიმე დაჰსწამოს ყოვლად ქებულსა სანატრელსა მამასა და მოჰკუეთონ ქადაგება მისი და ამათ ჰყონ ყოველივე მოქმედებანი მისნი და ვითარიმე — მოქმედებითა არცხჳნონ იგი წინაშე ერისა ტფილისისა, რომლისა მობღუარად და მასწავლებელად ეგოთ იგი.

ერთსა ოდენ კჳრიაკესა შინა, შთამოსრული ყოვლად სანატრელი მამაი საქადაგოდ, შეიკრიბა ერი მრავალი სასმენელად ქადაგებისა მამისასა, ოდეს წმიდა უქადაგებდა და არწმუნებდა მათ სიტყუათა განმაცხოველებულითა, წარმოუდგნენ წმიდასა ურწმუნონი იგი და თანა ჰყუანდათ მეძავი იგი და აყვედრებდეს მას, ვითარცა ცრუმეტყუელსა და დასარწმუნებლად ულითოთა სიტყუათა თჳსთა, წარმოუდგინეს ერსა მას დედაკაცი იგი, რომელთა თანახმა ეყო, უკეთურთა მათ.

არა რაისა მცნობი ამის უსჯულოებისა, ღუმნა ყოვლად სანატრელმან, აღიპყრა თუალნი თჳსნი ზეცად, ითხოვდა შეწევნასა. მხედველნი ამისსა უსჯულონი, ფრიადი ყიჟინება და ყვირილი შექმნეს მიუთხრობელი, ითხოვდენ სასჯელსა მას ზედა; განცჳფრებული ამასა ზედა ერი, შეძრწუნდა და არა რაი გაეგებოდა, თუ რაი ჰყოს. მხედველი ამისა ყოვლად სანატრელმან, ხმა ჰყო ერსა მას «ძმანო და შჳლნო ჩემნო, თჳთ ღმერთმან უწყის ამისა. რამეთუ არა რაი უწყი და თუ სიტყუანი მათი ჭეშმარიტ არს, თჳთ ღმერთმან გამოაჩინოს საქმე ესე». უბრძანა წინაშე თჳსსა დაყენებად დედაკაცისა მის და ხმა მაღლად უხმო მას «დედაკაცო რა მრუშებაი ვჰქმენი მე შენ თანა» ურცხვენელმან, მხედველმან სახისა მოღუაწისასა, არა შეიშინა მისგან, არამედ ხმა მაღლად აბრალებდა მას სიმძიმესა თჳსსა; მაშინ ჰრქუა წმიდამან: «უფალო ღმერთო ჩემო, ღმერთო მართალთაო და არა უსჯულოთაო, ვუწყი, რამეთუ შენ წინაშე არა რაი დაფარულ არს, გამოაჩინე ჭეშმარიტებაი საქმისა ამისა და მიჩუენე მაცხოვარება შენი და ნუ უდებ ჰყოფ მოღუაწებასა მამისა ჩემისასა, თანა მოწაფეთა მისთა, ძმათა ჩემთა». მტჳრთუელი რკინისა კუერთხისა, რომელსა ზედა იყო მცირე ჯუარი, შეახო მუცელსა მის დედაკაცისასა და ხმა მაღლად ჰსთქუა; «შენ ჩჩჳლო გიბრძანებ, სახელითა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა, რათა გვაუწყო ჩუენ, თუ მე ვარ მამაი შენი» ჵოი! საკჳრუელებათა შენთა ღმერთო, მყის აღმოუძახა ჩჩჳლმან, რამეთუ არა დავით მოღუაწე, არამედ სხუასა ზედა აჩუენა, რომელი იყო მჭედელ. განცჳფრებული ერი და მოგჳნი იგი უსიტყჳერ იქმნეს. არა ეგონათ, თუ საკჳრუელითა ამითა მოქმედებითანი აღიდებდა ღმერთი მოღუაწესა თჳსსა. შერცხვენილთა მოგვთა ვერა რაი გააწყეს ამისათჳს, აღიღეს ქუა და დაჰკრიბეს მეძავსა მას, მიჰყო ხელი ერმაცა და ესრეთ ჩააქუავეს უკეთური იგი ცრუმწამელი და შეიქმნა ცოცხალ დამარხულ ქუათა შინა. ვერ დააყენებდა წმიდა ერსა მას ჩაქუავებისაგან, რამეთუ ცრუმწამელი იყო იგი წმიდასა ზედა. ამისა შემდგომ წმ. დავით ლუკიანეთურთ დაუტევა პირუელი სადგომი თჳსი, განვლო მტკუარი, დროებით დაემკჳდრა აღმოსავლეთის მარცხნივ მხარეს ტფილისისა, რომელსა აწ ჯოჯოს მთათ უწოდებენ, რომელსა ზედა აწ სომეხთა ეკკლესია თჳსსი აღუშენიათ, კაზარმების გუერდზედ ნათლუხის მხარეს. აქ წმ. დავით დაჰყო მცირე დროი, შემდეგ სრულიად დაუტევა ყოვლად სანატრელმან სოფელი და უნუგეშოთა მთათა შინა დაემკჳდრა. ადგილი იგი, რომელსა ზედა ჩუეულება ჰქონდა წმიდასა ქადაგებად, იყო სალოყბოსა ზედა, სადაცა აწ ეკკლესია წმიდისა გიორგისა ჰსდგას, ქუაშუეთად წოდებული.

მამისა დავითისათა და სულისა მარგებელთა სწავლათა მისთა, რომელნი აღმოსდიოდეს პირით მისით, მსგავსად წყაროთა დაუწყვეტელთა; ამისთჳსცა არა ენება დატევებაჲ მისი, არამედ სთნდა შედგომა კუალთა მისთა და განუშორებლად ყოფა საღმრთოჲსა ამის მამაკაცისაგან.

ხოლო ვითარცა მიიწივნეს პირველ თქმულსა მას უდაბნოსა შეიშთობვოდეს წყურვილითა და თანად სიცხითა შეიწრობოდენ, რამეთუ ეს ადგილი მძაფრად შემწველი არს მზისა მცხინვარებითა მიერ ზედ მოფენილთა; ვინაჲთგან ვორიოსა კერძოდ მყოფი და ყოვლითურთ განმარტებით მდებარე უმეტეს ყოველთა აღმოსავლეთისა სანახებთა სიცხისა მიერ შეიცვების, რომლისა ძლით და წყლისაგან ნაკლულევან არს და სხჳთა ყოველთავე სხეულისა ნუგეშინისმცემელთა სახმართაგან.

აქ შინა ქმნილთა ვითარცა ვთქჳთ და წყლისა მოქენეთა აღსუბუქებად შინაგანსა შემწველობასა მზისა დასავლეთისა ჰპოვეს, რომელსამე ნაპრალსა შინა კლდისასა წყალი მცირე ცვართაგან წჳმისთა შეკრებილი და ამისგან მიმღებელთა სუსტს, რომელნი ოდენ დამაცხრობელნი წყურვილისა შემაშფოთებელსა სადა აჩრდილსაცა მიმოხუეტილნი და ნახეთქისა რომლისამე ქუეშე კლდისასა, მცირედ განსუენებად მიდრკეს, შრომათაგან გზისათა მოუძლურებულნი.

ხოლო მსხდომარე იყვნეს, რომელნი იგინი ერთბამად, ჰრქუა სანატრელმან მამამან დავით ლუკიანეს მიმართ, «ძმაო ლუკიანე! ვხედავ, რამეთუ კეთილ არს ადგილი ესე და თავისუფალ შფოთთაგან, დავადგრეთ უკუე აქა მარტოებით, ღმრთისა მიმართ ვედრებისა და ლოცვისა მქონებელნი, მოუდრეკებით მარხვისა და მღჳძარებისა მოქმედნი და ყამიერად სატკივართა სიმხნით მომთმენელნი მივემთხვივნეთ მოტევებასა ცოდვათასა. ხოლო მოწყალემან და ტკბილმან უფალმან ნაცვლად წარმავალთა ამათ განხრწნადთა, მოგუცეს სადამე და ჩუენცა ნაცვლისა გება შრომათა და თანა იხილოს რაჲ გულს მოდგინებაჲ და წადიერებაჲ ჩუენი მისსა მიმართ, მოგუვლინოს ძალი საღმრთოჲ განმაძლიერებელად უძლურებისა ჩუენისა და მოთმინებად იწროებათა და უღონოებათა, რომელსამე ჩუენთჳს შემთხუეულთა, რამეთუ ჭირი აქა ყოვლითურთ წუთ ყამისა არს და მალიად წარმავალი, ხოლო შუებაჲ და დიდებაჲ ღირსთა და მოღუაწეთა საუკუნო არს და მოუკლებელ მერმეთა შინა საუკუნეთა».

ესე რა ესმა სანატრელსა ლუკიანეს მოძღურისაგან, თქუა მისა მიმართ: ღმერთშემოსილო მამაო, ჭეშმარიტად სიტყჳსა ებრ შენისა არს ესე ყოველი და ვითარ აღმოვიკითხავ საღმრთოთა წერილთაგან არს ნაცვლისგებაჲ კეთილთა საქმეთა და მიეგების თჳთოეულსა საქმეთაებრ თჳსთა, რაჲცა რავე იმოქმედოს საწუთოსა ამას ცხოვრებასა შინა; კეთილი გინა თუ ბოროტი, გარნა ვხედავ ფრიადსა იწროებასა და უღონოებასა ამის უდაბნოსასა, ვითარ დაკლებულ არს ყოვლისაგანვე საჭიროსა საზრდელისა და თჳთ მის წყლისაგანცა, რომელთა მოკლებითა უძლურ იქმნების და მოაკლდების სხეული, ხოლო ჩუენ კაცნი ვართ, მერმეცა ხორცთა ბუნებისა უძლურებასა შინა მყოფნი და მეშინის ნუ სადა ვერ შეუძლოთ მოთმენა, ჭირთა და იწროებათა ამის უდაბნოსათა.

ამას მიმართ მიუგო სანატრელმან დავით «ჵოი ძმაო ლუკიანე! ნუ ზრუნავ ამისათჳს, რამეთუ არა სადა უგულებელს მყვნეს ჩუენ მზრდელმან ისრაილისამან, უდაბნოსა ზედა, არამედ რომელმან მათ საზრდელად მანანა უწვიმა და კლდისაგან ზრქელისა წყარო უწყაროა და ილია კარმელს ყორნისა მიერ გამოზარდა, შურსა უფლისასა შემშურველი და თანად სხუანიცა მამანი მისთჳს მოღუაწე ქმნილნი, უკანასკნელ ქუეყანად მოსვლისა მისისა და ქალწულისა უბიწოსაგან განკაცებისა ჰზარდნა პურითა ანგელოზთათა და ჩუენცა ამან გამოგუზარდნეს, საზრდელითა მით, რომლითაცა ინებოს მოწყალებითა მისითა და ვინაჲთგან არა ბრძანებულ არს ჩუენდა ზრუნვა საჭმელთათჳს და სას-

მელთა, ნუ ვზრუნავთ შემდგომითა თჳს და ხვალისა, რამეთუ იგი თავადი აღაღებს ხელსა თჳსსა და განაძღებს ყოველსა ცხოველსა ნებისაებრ თჳსისა და ჩუენცა მოგუცეს საზრდელი განმამტკიცებელი უძლურებისა სხეულთა ამათ ჩუენთასა.

აწ უკუე განხმნდი ძმაო და განძლიერდი, რამეთუ მოღუაწეთანი არიან გჳრგჳნნი, და არავინ თჳნიერ მბრძოლთა ძლევისა და ჭირთა თავსდებისა გჳრგჳნოსან იქნების, ხოლო ღმერთმან სახიერებითა ებრ მისთა გამოგუზარდნეს ჩუენცა სხუათავე თანა უხმარნი ესე მონანი მისნი».

ამათ სიტყუათა მიერ განმტკიცებულმან ლუკიანე და შემწყნარებელმან სწავლათა მოძღურისათა ჰსთქუა დავითის მიმართ: პატიოსანო მამაო, ვითარცა გიბრძანებიეს ეგრეთ ვჰყავთ, ხოლო ღმერთმან, რომლისა მიმართ ვსასოებთ მან იზრუნოს ჩუენისა ცხოვრებისათჳს და ესრეთ დადგრომილთა მუნ და ყოვლისავე სასოებისა თჳსსა ღმრთისა მიმართ დამგდებელთა სთნდა მოღუაწებისა შრომათა სიმხნით თავსდებაჲ ყოველსავე კრძალვასა ხორცთასა, უგულებელს მყოფელთა და მიმომავალთა, ჰპოვეს ქუაბიცა რაჲმე მცირე, რომლისა ქუეშე ჰყვეს მკჳდრობა მათი. შემწეველობისათჳს სიცხისა მიერ და ჰაერთა მიერ შთამოტევებულის წჳმისა თჳს და თანად ყინულისა, რომელიც იქნების მას ადგილსა შინა, რამეთუ წყალთა მიერ გარემოცულ არს ყოვლით კერძო. ხოლო საზრდელი მოირეწიან რომელთამე მდელოთა ძირთანი და მწუანვილთანი მუნ აღმოცენებულთაგან ვინათგან ჟამი იყო არისა, ოდეს მზისა მიერ და მხურვალებისა აღმოიზიდვიან მიწით დასაბამითგანვე ამას ჟამსა აღმორჩებად განწესებულნი ნერგნი და მწუანენი, რომელთაგან მიმღებელნი რაჲოდენ ცხოვლობლისა მინიჭებლად სხეულთა ნეშტად მოცალე იყვნეს ლოცვათა და მადლობათა შეწირვად ღმრთისა, რომელმან მოსცის საზრდელი პირუტყუთა და მართუეთა ყორნისათა, რომელნი ჰხადიან მას. ამას შინა რა იყუნეს, წარხდეს დღენი რაოდენიმე ზრქელ იქმნნეს მდელონი იგი და განხმნეს უწინარეს აღმომაცენებელისა და აღმზრდელისა მთისა მზისა მიერ აწ დამჭნარნი და დამწვარნი, რამეთუ ყოველი დამეტება ვითარ მბრძოლი რაჲმე განმხრწნელ თავისა თჳსისა იქმნების, რომლისაგან ნაკლულევან იქმნნეს ამის უნდოსაგანცა საჭიროსა, სახმარისა სხეულისა, რათგან ჟამი ზამთრისა მოწევნად იყო, რომელსა შინა ყინელსა მიმფენელი ჰაერი მიწასა ზედა, არღა მერმეცა უტევებს აღმოცენებად მწუანვილთა და ნერგთა ყოვლისაჲ კერძოთათა, და ჩრდილოთ მიმართ წიაღსვლითა მზისათა ვინაცა შეურგულებელად ლუკიანე მწუანვილთა მოკნინებისათჳს მწუხარებით იწყო სიტყუად ღირსისა დავითის მიმართ.

აწ უკუე წმიდაო მამაო, რაღა იყოს ნუგეშინის საცემელი უძლურთა ამათ და საზრდელის მოქენეთა ხორცთა ჩუენთასა, რამეთუ განხმეს მდელონიცა ესე, რომელთაგან კერძოობით აგებულებაჲ სხეულთა ჩუენთა დაიცვებოდა და ნუგეშინისცემა გნის ოდენი მოგუენიჭებოდა მიწით აღმოცენებულთა ნერგთა მიერ; ხოლო ბუნებისა აწ მიერ და ჟამისა, იძულებული ზრქელ და უხმარ იქმნენ ჩუენთჳს.

ესრეთ რა მწუხარებით მეტყუელებდა ლუკიანე, შეურვებული ქუეყნით აღმოცენებულთა უნდოთა მხალთა განხმობისათჳს და მის ძლით ულონო ქმნასა საზრდელთაგან გულის მსიტყუელი, მიუგო მას ღირსმან და საკჳრუელმან მოძღუარმან, «ძმაო ლუკიანე! რასა დაგიძს სასოებაჲ მდელოთა მიმართ და მცენართა ქუეყანისათა; ანუ არა უწყია, ვითარმედ ყოველნივე ნივთნი ქუეყანისანი ცვალებადნი არიან და წარმავალნი და ყოველი ჟამისა შორის აღორძინებული და მყოფობად მოწევნული ჟამისავე თანა განიხრწნება, ვითარ დაუდგრომელი და წარმდინარე და მხოლოდ სული უკუდავად ქმნილი ღმრთისა მიერ სამარადისოდ დაადგრების მიღებად ნაცვლისგებისათა აქათა

შინა მოქმედებათასა მის მიერ, ანუ არა გისმიეს წმიდათა წერილთაგან, ვითარ საუფლოსა ხმისა მიერ მეტყუელებდენ, რაჲ ვითარმედ მოთმინებითა თქუენითა მოიპოვნეთ სულნი თქუენნი, რაჲსათჳს ესრეთ ძალიად სულმოკლე იქმენ, ანუ არა, უწყია ვითარმედ უკეთუ მოვწყუდეთ ქრისტეს მცნებათა თჳს სიყმილითა, გინა წყურვილითა, ნაცვლად სიკუდილისა ამის ხორციელისა, ცხოველ ვიყვნეთ სულითა მის წინაშე უკუნისამდე, რომლისათჳსცა ნუ მწუხარე ხარ, მრავლად ურვეული გასხრწნადთა ამათ და უნდოთა ჭამადთათჳს და უფროსღა მწჳანვილთა ველისათა, რომელნი საზრდელად პირუტყვთა ველისათა და ცხოველთა თჳს მინიჭებულ არიან. ხოლო ჩუენ ვართ სიტყჳერნი და სიტყჳთა პატივცემულნი უმტკიცესითა და კაცთათჳს შემსგავსებულითა საზრდელითა, გუზარდნეს მზრდელმან ყოველთამან».

ამას იტყოდა და თანად სიტყჳსავე თჳსსა; ეჰა განგებულებათა შენთა ქრისტე, მეყუსეულად სამნი ირემნი ნუკრთა თანა მათთა წარმოდგეს წინაშე მათსა და ვითარცა ცხოვარნი დადგეს დამშვიდებულნი. მაშინ ჰრქუა წმიდამან დავით ლუკიანეს, «მიიღე ძმაო პინაკი და მოწველენ ირემნი ესე, ღუთისა მიერ მოვლინებულნი, რომელმან უწყის პირუტყუთაცა ნადირთა მიერ ზრდა მოშიშთა მისთა». ხოლო იგი აღდგა განკჳრვებული უცხოსა ამის სახილავსა ზედა, რამეთუ ხედვიდა მონებრ წარმოდგომილთა მათ ნადირთა, მსახურებისა მიმართ საჭიროსა მათისა და ბრძანებისაებრ მოძღურისა მოწველნა იგინი და ესრეთ დადგა აღსავსე პინაკი სძითა. ხოლო მან საუფლოს ჯუარის გამომსახველმან მის ზედა და მეყუსეულად ახალ ყუელად გარდაიქცა იგი, არა მოქენემან რომელთამე ნივთთამან, გინა თუ ჟამისა და დღეთამან, რომელთა მიერ შეემთხვევის მას ესე ვითარად ქმნა, რამეთუ უწყის ღმერთმან თჳთ განმზადებულისა საზრდელისა მიერ, ზრდა მოსავთა მისთა.

მაშინ მოიღეს ყუელისა მისგან და კურთხევათა ზედა დამბეჭდველთა ჭამეს კმა საყოფელად და აღდგომილნი იტყოდეს «ჭამონ დავრდომილთა და განძღენ და აქებდენ უფალსა, მომცემელსა ყოველთა კეთილთასა, და ნუგეშინის მცემელსა ყოფელთა მოშიშთა და მადიდებელთა მისთასა». ამისა შემდგომად ჰრქუა ლუკიანე წმიდასა დავითს, პატიოსანო მამაო, ჭეშმარიტად საკჳრველ არს ღმერთი წმიდათა შორის მისთა, წერილისაებრ და კურთხეულ არს სახელი წმიდა მისი, რომელმან ლოცჳთა შენითა მტკიცე ჰყო დაშეურყეველ აწ გული ჩემი, რომელთავე შემაწუხებელთა ნაკლულევანებათა მიმართ და თჳთ სული ჩემი და გონებაჲ ვითარ ბნელისაგან რომლისაგან მე ხორციელთა ზრუნვათასა გამოიყვანა ნათლად შენდა მონიჭებულთა მადლითა მის მიერ, რომლისა თჳსცა ამიერითგან, უკეთუ განილევნენ ხორცნი ჩემნი სიყმილითა და მოაკლდეს სული ჩემი წყურვილითა არღარა სადა ვზრუნვიდე, რომელსავე მოკუდავთა ამათ და დაუდგრომელთა ხორცთა თჳს, ამაოსა ამის და წარმავალისა საწუთოსათჳს არცა ვღრტჳნვიდე მე საზრდელთა თჳს, ვითარცა ურჩი და ურწმუნო ისრაილი, მომხსენებელი ხორცთა და სიავთა ეგჳპტურთა; არამედ სრულებით დავემორჩილო ვითარ სხუა იისუ ახალსა წინამძღუარსა ჩემსა მოსეს, რომლისა მივემთხჳო, ვითარ იისუცა შესულად ქუეყანასა მას აღთქმისასა ზეცისა იერუსალიმსა და ამისთჳს მოხარული ვსასოებ სულითა არა განკუებად მადლთა შენთაგან.

ხოლო წმიდა დავით მხიარულ ქმნილი ამათ სიტყუათა ზედა «კეთილ» ეტყოდა «ძმაო ლუკიანე კურთხეულ არს ღმერთი და მამა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, რომელმან განამტკიცა გული შენი და განანათლა სული და გონება შენი მის მიერითა ნათლითა».

ესრეთ უკუე დადგომილ იყუნეს ქუაბსა მას შინა მცირესა კეთილსა სრბასა და საღმრთოსა

მოსაგრენი, რამეთუ ლოცჳანი სამარადისონი აღივლინებოდეს მათნი ღჳთისა მიმართ მღჳძარებათა და კრძალულებათა სრულ ქმნილნი და საზრდელ მათდა იყო ირემთა მიერი იგი საზრდელი; რამეთუ მოვიდიან იგინი მათდა მიმართ ნუკრთა თანა მათთა, ყოველთა დღეთა, თჳნიერ ოთხშაბათისა და პარასკევისა, რამეთუ ამათ დღეთა შინა ყოვლითურთ უსაზრდელოდ დაადგრიან, ჴელ განპყრობილ მდგომარენი და ბუნების თუალითა წინაშე საყდართა ღჳთისათა წარდგომილნი. ხოლო ქუემო კერძო ქუაბისა ამის, რომელსა შინა მკჳდრობდეს წმიდანი ესე, იყო სხუაცა ქუაბი და მას შინა მკჳდრ იყო ვეშაპი დიდი და საზარელი, რამეთუ აქუნდეს თუალნი დიდნი და მსგავსნი ბრწყინუალებისა ცეცხლისა და რქა დიდი აქუნდა თავსა ზედა მისსა, და თმა ფრიადი მსგავსი ძაგრისა საშუალ ქუ-დისა მისისა და ყოვლითურთ საზარელ და განსაკჳრუჱლ იყო მხეცი იგი[1])

ხოლო დღესა ერთსა წარმოვლიდეს რა დამთხუევით კარსა მას ქუაბისასა ირემნი, რომელსა შინა მკჳდრ იყო ბოროტი იგი მხეცი, მყის მოეტევა ირემთა და მისტაცა მათ ნუკრი ერთი და საჭმელ თჳსსა ჰყო იგი, ხოლო ირემნი იგი მოივლტოდეს ქუაბად ბერისა, შეშინებულნი და მძრწოლარენი, რომელნიცა იხილა რა ლუკიანე ესრეთ შეშფოთებულნი ჰსთქუა ბერისა მიმართ, მამაო წმიდაო, ირემნი ესე მსგავსად ჩუეულებისა, მოვიდეს სრულ ქმნად მსახურებისა მათისა, მაგრამ არიან იგინი აღშფოთებულ და მძრწოლარე შიშითა და ერთი ნუკრი არღარა არს მათთანა.

ესე რა ესმა სანატრელსა, აღიღო კუერთხი თჳსი, რომელსა ზედა იყო ჯუარი ქრისტესი, და მიუდგა კუალსა, სადა იგი აღმოევლო ირემთა მათ და იქი და აქა იხედებოდა, რათა ჰპოვოს მავნებელი ნადირთა და ვითარ ეძებდა, იხილა ბოროტი იგი ვეშაპი საზარელი ხილვითა და განკჳრუებული სიდიდითა, რომელიცა ყოვლად არად შერაცხა ღირსმან ამან, არამედ ზე მიადგა მას უშიშითა გონებითა და მრისხანებითა ეტყოდა.

«ჵოი! ბოროტო თავო, რად მავნებელ ექმენ ირემთა ჩემთა და შეშჭამე ნუკრი მათი, აწ გამოვედ მაგიერ ადგილით და წარვედ ადგილთა უდაბნოთა, რამეთუ ამიერითგან უდაბნო ესე ქალაქ ღჳთისა მოღუაწეთა იქმნეს» და აღმპყრობელი კუერთხისა, რომელი აქუნდა ჴელთა შინა მისთა, რისხჳთ აქადებდა მჴეცსა მას მეტყუელი: «უკეთუ არა სრულ ჰყო სიტყუა ჩემი და არა წარხვიდე ამიერ, ამით კუერთხითა და ჯუარითა ქრისტესითა განგხეთქო მუცელი შენი და საჭმელად მატლთა შეგამზადო შენ და ვძიო შენგან შური, რამეთუ შეაწუხენ შენ ირემნი, რომელნი მომცნა ღმერთმან, ნუგეშინის საცემელად ხორცთა ჩემთა უძლურებისა». ხოლო ეშმაკი, რომელი მკჳდრ იყო ვეშაპსა მას შორის, კაცობრივითა ხმითა ზრახვიდა წმიდისა მიმართ მეტყუელი, ნუ მრისხავ მონასა ღჳთისა ცხოველისასა და უკეთუ გნებავს წარსვლა ჩემი ამათ საზღუართაგან, აღმოვედ შენცა ჩუენთანა ვიდრე თავადმდე ამის მთისა და აღმითქუ მე, რათა არა მიაქციენე შენ თუალნი შენნი გარე ჩემგან, ვიდრე არა შთავიდე მდინარესა, რომელ არს სამხრეთით კერძო ამის მთისა, რამეთუ ვმოშიშებ წარწყმედისაგან, უკეთუ გამოვიდე ამიერ, ნუსადა დასაწუელ ვიქმნე განმწარებისა შენისათჳს.

ხოლო დიდი დავით აღუთქმიდა ამისსა ესრეთ ქმნისა, და მალიად გამოსვლასა უბრძანებდა და მყის ბრძანებისაებრ წმიდისა გამოვიდა ვეშაპი იგი საზარელი ბუდისაგან თჳსისა და წინა

1) ქუაბი იგი სადაცა ჰსცხოვრებდა მხეცი იგი, აქამომდე მოჩანს წმ. დავითის საფლავის ეკკლესიის ქუემო ჩრდილოეთის მხარეს, დიდსა ნაპრალსა შინა.

უძღოდა მას მჴეცთა ველურებასა, აღვირმსხმელი ნეტარი დავით, ხოლო სლვასა მის ვეშაპისასა რეცა თუ იძრვოდეს ლოდნი მის ადგილისანი და იატაკი, რომელსა ზედა წარვიდოდა, საგონებელ იყო ძელთა სიმრავლისა წართხევასა მას ზედა, რომელი ესე იხილა რა ლუკიანე ზარ განხდილი და შეშინებული, დაეცა პირსა ზედა თჳსსა და მდებარე იყო ვითარცა მკუდარი.

ხოლო ღირსი დავით, ვითარცა აღვიდა თავსა მის მთისასა, ვეშაპიც მისთანა, იწყო ვეშაპმა მან მოსწრაფებით სლვად და განვიდა ველად, რომელი მიიყვანებდა მდინარესა მას სახელდებულსა მტკურად. ეჰა! საკჳრველებათა შენთა ქრისტე, რომელმან უსიტყუნიცა მჴეცნი და ცხოველთ მსრველნი დაამორჩილენ მონათა შენთა და მიეც მათ ხელმწიფება დათრგუნვად გუელთა და ღრიანკალთა და ყოველსა ძალსა მტერისასა, რამეთუ ვეშაპიცა ესე მოშიშებით მასმენელი ბრძანებასა მონისა შენისა (დავითისსა) შეძრწუნებული დაუტევებდა საყოფელთა თჳსთა და უცხოთა საზღუართა მიმართ მიივლტოდა, ესრეთ წარივლტოდა რა ვეშაპი იგი მიხედვიდა მას ღირსი დავით ვიდრეცა ვიდოდა.

ხოლო ანგელოზმან უფლისამან ხმა ყო დავითს უკანით კერძო მისსა და ჰსთქუა: დავით, დავით! და ვითარ მიიხილა გარე ხმისა მიმართ მისსა მეტყუელისა, მეყსეულად ცით შთამოტევებული მეხი დაეცა ვეშაპსა მას და აღანთო იგი, ვითარცა თივა და მეყსა შინა თუალთასა სრულებით დაიწვა იგი[1]. ხოლო ადგილი იგი, რომელსა ზედა აღიწვო, ცეცხლისა მიერ ზეგარდამოსა, ვიდრე აქამომდე იხილვების ნიშსა შინა დამწრობისსა მქონებელი, რამეთუ ყოვლითურთ არღარა აღმოეცენების მწუანვილი მას ადგილსა, რომელიცა ესე იხილა რა დიდმან დავითმა კუალად ვეშაპისა მიმართ მიმხედველმან, მწუხარე იქმნა ფრიად და იტყოდა, «უფალო, უფალო! რა ესე ჰყავ, რამეთუ მოაკუდინე ვეშაპი, რომელი დიდითა სასოებითა მომენდა მე, ხოლო შენ ცეცხლისა მიერ უჩინო ჰყავ იგი».

ხოლო ამას რა იტყოდა ნეტარი იგი მწუხარებით, მაშინ ჰრქუა მას ანგელოზმან უფლისამან, რასა ესრეთ მწუხარე ხარ მონაო ღმრთისაო, ანუ არა უწყია უკეთუმცა შთასრულ იყო წყალთა იმათ შინა, იმერ ეგულვებოდა წარსვლა ზღუად და მრავალთამცა ნავთა ვნებაჲ შემთხვეოდა მის მიერ, და თანად კაცთაცა, ვინაცა ნუ მწუხარე ხარ შენ წარწყმედისა მის თჳს, რამეთუ ესრეთ სთნდა ღმერთსა წარწყმედა მისი; ხოლო შენ წარვედ ქუაბად შენდა, რამეთუ მოწაფე შენი ლუკიანე დაცემული მდებარე არს პირსა ზედა თჳსსა, შიშისა გამო ვეშაპისა, აღადგინე იგი, განამტკიცე და ნუგეშინისეც და ნაცულად პირუტყჳსა ამის და ბოროტისა მჴეცისა, პირმეტყუელთა და სულიერთა შჳლთა თჳს იზრუნე.

ამათ მსმენელი დავით, მყის გარდამოვიდა მიერ მთით და ჰპოვა ლუკიანე შიშისა მიერ დაცემული, და მდებარე მიწასა ზედა და უპყრა ხელი მისი და აღადგინა იგი და ჰრქუა, «რასა შეშინებულ ხარ მცირედ მორწმუნეო, ერთისა ჭიისაგან, რომელი წამსა შინა ერთსა ცეცხლისა მიერ ზეგარდამოსა განილია; აწ განმხნდი და ნუ გეშინის, რამეთუ ძალი ქრისტესი შემწე ჩუენდა არს ყოველთაჲვე შინა და მან დაგჳფარნეს ჩუენ ყოველთაგან საზარელებათა მბრძოლთასა, რამეთუ მინდობილთა

---

1) ჭეშმარიტ არს სიტყუა ესე, რამეთუ ჩემ მიერ ნახულ არს ადგილი იგი, ყარაიის მინდორსა ზედა. ადგილი იგი ვითარ დიდის კალოს ოდენ არს. ბალახი სრულიად არ აღმოიცენების მას ზედა, არამედ გარემოს მისსა მშუენიერ ბალახი ასიამოვნებს თუალსა. ადგილი იგი პირუელ შეხედვით ეგონების ვითარ ამ უმცრო დროება შინა მას ზედა დიდი სახლი დამწუარაო, ალაგ ალაგ ადგილი ნაცრის ფრით ინახვების.

მისთა დავთრგუნოთ შეწევნითა მისითა ლომი და ვეშაპი». ამათ სიტყუათა მიერ ბერისათა, ნუგეშინისცემულ იქმნა ლუკიანე განმგდებული მოშიშებისა და მადლობდა ღმერთსა მოქმედსა დიდთა ნიშთა და საკჳრველებათასა, რომელმან მისცა მონასაცა თჳსსა დავითს ესე ვითარი ჴელმწიფება მჴეცთა ზედა უბრძოლველთა.

ხოლო წარხდეს რაჲ მცირედნი დღენი, მოიწივნეს მუნ კაცნი მონადირენი, კერძოთაგან კახეთისათა, ვინაჲთგან ფრიად ნადირი არს ამათ უდაბნოთა შინა, ირემი და გარეული თხა და სხუათა ნადირთა თჳთეულად სახელი ურიცხჳ, რომელნიცა იზამთრებდეს რაჲ იქა და იქა. მონადირეთა მათ იხილნეს რა ირემნი იგი მსგავსად ჩუეულებისა, შემავალად ჴაპრალსა მას კლდისასა, რომელსა შინა მკჳდრობდა წმიდა დავით მოწაფითურთ და მოსწრაფებით შეუდგეს კუალსა ირემთასა, რამეთუ სასოებდეს, ვითარმედ იწრუეობასა მას თანა კლდისასა მოაკვდინნენ და ჴელთ ისხნენ იგინი, ხოლო ვითარცა მიიწივნეს იგინი ქუაბად ბერისა, მაშინ იხილნეს ირემნი, რამეთუ მდგომარე იყვნეს ყოვლად სიმშჳდით, ვითარცა ცხვარნი და ლუკიანე ჩუეულებისაებრ მწყელველი მათი, რომელიცა იხილეს რა მონადირეთა მათ, ზარგანხდილნი მირბიოდეს შევრდომად ფერხთა ბერისათა და განცჳფრებულნი იტყოდეს, ჵოი! წმიდაო ღმერთო, რა არს უცხო ესე საკჳრველი, რომელსა ვხედავთ, ვითარ ირემნი ესე ნადირნი ველისანი, ესრეთ სიმშჳდით მდგომარე არიან, ვითარცა ეზოთა შინა სახლისათა, აღზრდილნი კაცთა მიერ ცხოვარნი.

ხოლო მშჳდი იგი და აღუშფოთებელი გონებითა მიუგებდა, «და რაჲ განჰკჳრვებულ ხართ ძმანო დიდებულებათა ზედა ღმრთისათა, რომელი ვითარცა ყოველთა დამბადებელი და მფრინველთაჲ თჳსცა მოურნეობისა მოქმედი, გჳზრდის ჩუენცა უძლურთა ამათ, სახიერებითა თჳსითა, ნადირთა ამათ მიერ; რამეთუ ყოველნივე მოველით მოცემად ჩუენდა საზრდელისა ჟამსა თჳსსა, ხოლო თქუენ ძმანო ჩემნო სხჳსა სანადიროსა მიმართეთ და წარვედით, რამეთუ ესენი უფალსა სულთა ჩუენთა უძლურებისა, ნუგეშინისცემელად მოუნიჭებიან».

ხოლო იგინი მერმეცა განცჳფრებასა შინა დადგრომილნი ერთბამად ჴმით არს იტყოდეს, ჭეშმარიტად დიდება ღმრთისა, რომლისათჳს შენ შრომათა და ღუაწლთა მოთმინებაჲ აღგირჩევიეს უდაბნოსა ამას შინა; ყოვლითურთ უღონოსა და უპოვარსა, არამედ ჩუენცა ვითარ, ქრისტეს სამწყსოდ მეოფნი, გვაზიარენ სიწმიდესა შენსა ღმრთშემოსილო მამაო, რათა სრული ღმრთის მეცნიერება ვისწაოთ შენ მიერ, რამეთუ ჩუენ ამიერითგან არღარა დაგიტეოთ შენ ერთგზის მპოვნელთა სულიერისა საუნჯისათა, არამედ დავადგრეთ შენთანა და ვითარცა ღმრთისა და მოძღუარსა სულთა ჩუენთასა გმსახურებდეთ. ხოლო იგი ეტყოდა «ნუ შჳლნო და ძმანო, ნუ იქთ ამას, რამეთუ ადგილი ესე, ვითარ ხედავთ, ფრიად ფიცხელ არს სამკჳდრებელად კაცთა მიერ, არამედ უფროსღა, უკუნ იქეცით ადგილთავე და დაბათა თქუენთა და მუნ შინა მსახურებდით ღმერთსა, ბოროტთაგან განყენებულნი, გლახაკთა და უღონოთა ნაკლულევანებისა აღმავსებელნი, რამეთუ მოწყალებისა მოქმედი გლახაკთა ზედა, ღმერთსა ავასხებს».

ამათ და ესე ვითართა სიტყუათა მიერ, ძლით სადამე არწმუნა ბერმან კაცთა მათ განშორებაჲ მისგან. ხოლო იგინი მომნადირებელნი სხუათა ნადირთანი წარვიდეს სახიდ თჳსად და განთქუეს ყოველსა მას დაბასა შინა, რომელი იხილეს და ესმა წმიდისა დავითის მიერ და ყოვლით კერძო აღძრულნი საღმრთოოთა, სურვილით მორბიოდეს წმიდისა ამის მამისა მიმართ ხილვად და შემთხუევად მისდა და უმრავლესნი მათგანნი ევედრებოდეს მას, რათა უტევნეს დადგრომად მისთანა. ხოლო იგი მიუგებდეს მათ, «ძნელ არს და საჭირო ადგილი ესე ძმანო, რამეთუ ყოვლი-

თურთ უნუგეშინის ცემო არს და არცა არს საზრდელი მირეწყებისა ვინავე ჭამადისა მოქენეთა ხორცთა თჳს და ვმოშიშოჳ, ნუ სადა ვერ შეუძლოთ მოთმენა იწროებაჲსა ამის უდაბნოსასა», ხოლო იგინი ნაცვლად ეტყოდეს. მამაო წმიდაო დაღაცათუ იქმნეს სიკუდილი ჩუენი შენთანა, ხიუ-მილისა მიერ გინათუ წყურვილისა ყოვლადვე არად შევრაცხოთ იგი, რამეთუ ყოვლივე ჭირი და იწროება მოწევნილი ჩუენ ზედა, სიყუარულისათჳს ქრისტესისა წადიერებით მოვითმინოთ, ლოცვათა შენთა მინდობითა; ხოლო ვინაჲთგან ვერ შემძლებელ იყო დარწმუნებასა მათსა. ამათ სიტყუათა მიერ, რამეთუ განხურვებულ იყვნეს გულნი მათნი ქრისტეს უღელსა ტკბილსა აღებად მხართა ზედა და შედგომად მისსა; ეტყოდა მათ კუალად, სანატრელი იგი მამა: «აწ უკუე ვინაჲთ-გან დასდევით სასოება თქუენი ღუთისა მიმართ მხოლოსა და მნებებელ ხართ ტჳრთვად მცნე-ბათა მისთა, სოფლისა და მსოფლიოთა ყოველთაგან იჯმნითა, რომლისა სრულ ყოფა თავადმან უფალმან მოგეცინ თქუენ შეუბრკოლებელად. ხოლო აწ წარვედით და მოიხვენით რკისანი სათ-ხრელნი, რათა აღმოჰკუეთნეთ ლაკუანნი [1]) წჳმისა შემწყნარებელნი სასმელად თქუენდა და თანად გამოიკუეთნეთ ქუაბნიცა საყოფელად თქუენდა, ყინელისა და წჳმათა სიმძაფრისაგან შემცველნი სხეულისანი».

ხოლო იგინი ერჩდეს ბრძანებასა მისსა და წარსულთა, მოიხვნეს ბრძანებულნი მათ თჳს და აღმოჰკუეთეს ლაკუანნი შემწყნარებელად წყალთა, ქუაბნი საყოფელად მათდა, რომელთაცა შინა დაემკჳდრნეს სიმრავლენი მამა კაცთანი, უდაბნოებითსა ცხოვრებასა შემტკბობელნი, რამეთუ დღითი დღე შეეძინებოდა რიცხვასა მათსა სიმრავლე ფრიად. ესრეთ განჴდა რა სიტყუა ამის წმიდისა თჳს ყოველსა მას გარემოსოფლებსა, არა ხოლო თუ მახლობელთა, არამედ შორს მყოფთაცა მიმართ, შემოკრებოდეს ყოვლით კერძო სურჳლითი და თანა აღრიცხვად არვეთა ქრისტეს სამწყსოთასა.

ხოლო მას ჟამსა შინა ისწავა სანატრელმან დოდომ წმიდისა დავითისა თჳს, რომელი იყო ღირსი და სათნოებითა შემკული მონაზონი, რომელსაცა ესმა რა ამის წმიდისა საქმეთა თჳს და ვითარმედ მრავალნი სულისა ცხოვრებისათჳს მოსწრაფენი შეკრებიან მისა მიმართ, აღიძრა ესეცა საღმრთოთა სურჳლითა და მოსწრაფებით მივიდა მისსა მიმართ და მოკითხვასა დამთხუეულნი ერთი ერთარს, ერთბამად იყოფოდეს რაოდენთამე დღეთა მოხარულნი სულითა, ესრეთ აღორძინე-ბისათჳს ქრისტეს სამწყსოსათა.

ხოლო შემდგომად რაოდენისამე ჟამისა, იხილა რა ნეტარმან მამამან დავით სიმტკიცე და სიმახჳლე სამღრთოსა შინა დოდოს გოსებისა, ჰსთქუა მისა მიმართ, «მამაო დოდო, ვი-ნაჲთგან ღმერთსა, რომელსა ჰნებავს ყოველთა კაცთა ცხოვრება და მეცნიერებად ჭეშმარიტებისა მოსლვა, ისებს და ამათცა უდაბნოთა აღშენებაჲ, ღმერთმან საცხოვრებელად სულთასა მრავალთასა და წადიერ არიან ძმანიცა ესე დამტევებელნი სოფლისანი, შორს თჳსთა და ნათესავთაგან, გარეს-ჯად უდაბნოთა ადგილთა შინა სულთა მათთა ცხოვრებისათჳს და საჭურეთა მერმეთაგან გამოხსნისა სულთა მათთასა; ნუცა ჩუენ უდებ ვიქმნებით უზრუნველობასა მაჩუენებელნი სარგებლისათჳს მა-

---

1) ლაკუანი — კლდესა შინა გამოქუაბილი ქუაბრი, რომელი წჳმიანობასა შინა აღივსების წყლითა. გა-რესჯასა შინა აქამომდე არ იპოება წყარო; არამედ ლაკუანნი მრავალნი არიან, რომელსა შინა მოიკრეფვის წყალი საცხოვრებელად მცხოვრებელთა წმ. ლავრისა, ყოვლად სანატრელისა დავითისა.

თისა, არამედ აღვედ რქასა იმას კლდისასა, რომელი აღმართებულ არს პირისპირ ჩუენსა და წარიყვანენ შენთანა ძმანიცა სხუანი, რათა აღუშენოს მუნცა სამკჳდრებელი და საყოფელი ძმათა და ქალაქი დასამკჳდრებელი ღუთისა მონათა, იქმნას უდაბნო და უალი ადგილი სადიდებელად უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესა და საქებელად ყოვლად წმიდისა და ღუთის მტჳრთველისა ქალწულისა მარიამისა», ხოლო ნეტარი დოდო ერჩდა ბრძანებასა ბერისასა და აღვიდა თავსა პირჩუელ თქმულისა კლდისასა მისთანა მიმყვანებელი სხუათაცა ძმათა და მოსწრაფებით ხელ ჰყო შენებად ადგილსა მას ქუაბისა გამომკუეთელმან და ლაკუანთა სიმრავლისა აღმომჭრელმან და მცირესა ჟამსა შინა აღსავსე იქმნა, სიმრავლისა მიერ მარტოდ მცხოვრებელთასა, ყოველი იგი უდაბნო.

რამეთუ ყოველი იგი გარემოს სოფლები მსმენელი საკჳრუელებათა და მადლთა, რომელთა მიერ განმდიდრებულ და განშუენებულ იყო ნეტარი დავით, მოსწრაფებით მიიწეოდეს მას და სამწყსოსა მისსა ქუეშე და წესებასა აღირჩევდეს და სახლადმი ღუთისა მივრდომასა, ვიდრემდე რა გულად უკუნ ქცევასა და მკჳდრებად სოფელსა ცოდჳლთასა. ხოლო წმიდა დავით დღითი დღე განვიდოდის ნაპრალებთა მიმართ კლდეთასა და მყუდროებით თჳსსა აღმასრულებელი ლოცუათა, მხოლო მხოლოსა ზრახჳდეს გონიერად, რათა არა ესეცა მას ზუაობით მჩემებელსა, კეთილთა საქმეთა მოქმედებისა და საჴმნო ქმნა უდაბნოთა ზედა, რათამცა ჩუენებით იყო იგი კაცთათჳს მმარჩველად გინა მლოცუელად; არამედ საუნჯეთა შინა გულისათა მარტოებით მამისა მიმართ ზეცათასა ილოცჳდის სამარადისოდ დამბანელი პირისა ცრემლთა მიმართ დამალტობელი იატაკთა ნაკადულთა მიერ, თუალთა მისთაგან შთამომდინარეთა. ამას წესსა აღასრულებდა სამარადისოდ ყოველსავე ზრუნვასა ხორცთასა დამვიწყებელი ნეტარი დავით. ხოლო დღესა ერთსა აღვიდოდა ნეტარი თავსა მისს მთისსა, სადა იგი მკჳდრ იყუნეს ძმანი, ჩუეულებისაებრ და დგა იგი ხელ განპყრობით ლოცუად ქუეშე კერძო ძირსა რომლისამე კლდისასა და ვითარ იგი ილოცჳდა, იხილა კაკაბი ლტოლვილი ქორისაგან შევრდომილი, ფერხთა მისთა და ქორიცა დაჯდომილი მახლობლად მისსა, რამეთუ ბარბაროზი ვინმე აღმოსრულ იყო ნადირობად, ნადირთა მის ადგილისათა და მახლობლად წმიდისა მოწევნულსა განუტევა ქორი კაკბისა მიმართ, რომელიცა წყალობის მოყუარემან ღმერთმან შეძიებელი პირუტყუთა ცხოველთა თჳთ სიტყჳერებითა პატივცემული ცხოველი მომნადირებულ ჰყო, ამის კეთილისა სულთა მონადირისა მიერ და ბადეთა მიერ საღმრთოთა მოძღურებათასა ხელთუდებულ ჰყო იგი, რამეთუ ვითარცა ვჰსთქჳ განმტევებელი ქორისა მოსწრაფებით მირბიოდა ცხენითა გამოღებად ქორისაგან სანადიროსა; ხოლო მახლობლად მისრულმან ვითარცა იხილა წმიდა იგი ლოცუად მდგომარე და კაკაბი მდებარე ფერხთა თანა ბერისათა და კუალად მახლობელად მისსა მდგომარე ქორი, განკჳრვებულ იქმნა ფრიად და განცჳფრებელი იტყოდა მისსა მიმართ, ვინ ხარ შენ ჯოჯო კაცო! და საიდან მოწევნილი, (და) ადგილთა (ამათ) შინა დამკჳდრებულხარ?

ხოლო წმიდა იგი ეტყოდა სომხურითა ენითა, «მე მონა-ვარ უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესისა და ვევედრები მოწყალებათა მისთა, მოტევებად ცოდუათა ჩემთა სიმრავლესა და რათა უშფოთველად ღირს მყოს წარსვლად წუთისა ამის საწუთოსა». ხოლო ბარბაროზი იგი კუალად ჰკითხვიდა მას და ვინა არს აქა მზრდელი შენი, და ნუგეშინისმცემელი, ხოლო დიდი იგი ეტყოდა, «რომელსა იგი მე ვესავ და თაყუანისვცემ იგი არს მზრდელი და მოურნე ჩემი და თანად ყოველთა ქმნულთა და დაბადებულთა თჳსთა; რაოდენნი ქუეყანასა ზედა და ზღუათა და ჴაერთა შინა იყოფიან, ხოლო შენ დამტევებელი ცხოველისა ამის მფრინველისა, რომელი მოივლტოდა ჩემ ცოდჳლისა ამის მიმართ; სხუათა სანადიროთა მიმართ წარვედ, რამეთუ ესე დღეს ჩემდა მოლტოლვილ არს,

რათა განყრეს ხელთაგან სიკუდილისათა». ხოლო ზუავი იგი ბარბაროზი და უფროსღა მერმეცა, სულით ბარბაროზი, ჭუნესა ზედა მჯდომარე სილაღით იტყოდა წმიდისა მამართ; ჰოი! საწყალობელო ბერო, მე მოკუდინებაჲ შენი მეგულვების და შენ განრინებასა მეტყჳ ამის მფრინველისასა სიკუდილისაგან, ჯერ იყო შენდა უწინარეს თავისა თჳსისათჳს ვედრება ჩემდა, ვიდრეღა ამის მფრინველისათჳს.

ხოლო მშჳდი იგი და აღუშფოთებელი გონებითა მყუდროებით მიუგებდა «არა გაქჳს არცა ერთი ჴელმწიფება მოკუდინებად ჩემდა, გინათუ განტევებად და არა მხოლოდ ჩემდა არცაღა ჳსდოსა ამის მფრინველისა, რამეთუ ღმერთი ჩემი შემწე ჩემდა არს და მან დამიცვას მე უვნებელი ქადებათა შენთაგან».

ამისა მსმენელმან ბარბაროზმან, იხადა მახჳლი მრისხანებით, რათა ჰსცეს ქედსა წმიდისასა, ხოლო ვითარცა აღიღო ხელი თჳსი სიმაღლედ, ეჰა წყალობათა შენთა მსჯავრსა ქრისტე, რამეთუ მეუწყულად ჭაერთა შინა განმარტებული დაადგრა მარჯუენა მისი და ყოვლითურთ მოუდრეკელ იყო იგი, ვითარცა შეშა ხმელი, რამეთუ ძჳნად სიმართლისა ყოვლად უმსჯავროდ განმარტებულ იქმნა მაშინ ოდეს, ძნიად სადამე გულის ხმის მყოფელი ცდომილებისა თჳსისა, ზვავი იგი ბარბაროზი, ყოვლითურთ სიმდაბლესა შემოსილ იყო მოსებრივსა ძრწოლისა მიერ შეპყრობილი, გარდ დამოვარდა ცხენისაგან თჳსისა და შევრდომილი ფერხთა ბერისათა, დაალტობდა მას მხურვალითა სულთქმითა და გოდებით, მვედრებელი სულით გამო ითხოვდა, რათა მიუტეოს მას ცთომილებაჲ მისი და ღმობიერებითა სულითა ტირილით იტყოდა. ჰოი! მონაო ღუთისა სახიერისაო, სახიერ იქმენ ჩემზედა საწყალობელისა ამის, დაუქმებასა თანა მარჯუენისა ჩემისასა, განმკურნე მრჩობლ გერძოვე სნეული სულით და ხორცით და მომიტევე მე ცთომილებაჲ ესე, რომელი ვიმოქმედე შენდა მიმართ უგუნურებით.

ამათ სიტყუათა მიერ საწყალობელისა ბარბაროზისათა, მოწყალე ქმნილი მოწყალისა უფლისა მოწაფე დავით, ღმობიერ იქმნა სულითა და აღმპყრობელი ცად მიმართ ხელთა ილოცვიდა ღუთისა მიმართ.

«უფალო იესო ქრისტე ღმერთო ჩუენო, სახიერო და კაცთმოყუარეო, რამეთუ შეიწყალე მვედრებელი იგი შენი, რომელსა ხელი განხმელ ედვა და კურნება მიანიჭე მას, აწცა შენ მეუფეო განჰკურნე ხელიცა საწყალობელისა ამის ბარბაროზისა, რომელმან სილაღით აღიღო მარჯუენე თჳსი ჩემზედა უღირსისა ამის მონისა შენისა, რათა გულის ხმა ჰყოს და იცნას შენ ღმერთი მხოლო მოქმედი საკჳრველებათა და ნიშთა და დადგრეს სახელსა შენსა უკუნისამდე».

ამის ლოცვსა სრულ მყოფელმან მიყო ხელი თჳსი და შეახო მარჯუენასა მისსა ბარბაროზისასა და მეყსა შინა განჰკურნა იგი და მოეგო ხელი იგი, ვითარცა მეორე იგი ხელი. ხოლო ბარბაროზი იგი მიმთხუეული კურნებისა განკჳრვებულ იქმნა ფრიად დიდებულისათა ზედა ღუთისათა და მრავალსა მადლობისა შესწირვიდა მისსა, ესე ვითართა სასწაულთა და ძალთა მხილველი, მონისა მისისა დავითის მიერ.

ამისა შემდგომად იწყო ტირილით ვედრებაჲ წმიდისა მიმართ და იტყოდა: მონაო ღუთისა ცხოველისაო, არს სახლსა შინა ჩემსა ძე ჩემი კოჭლი ხელითა და ფერხით და ყოვლითურთ ვერ შემძლებელი ზე აღდგომად, აწ უკუე გევედრები, რათა ევედრო შენ უფალსა შენსა მისთჳს, რამეთუ მრწამს, რომელ ისმენს შენსა, ვითარცა სარწმუნოსა მონისასა და უკეთუ განიკურნოს იგი უმეტესად იდიდოს სახიერება მისი და უკეთუ მიბრძანო, მოვიყვანო ყრმა იგი სიწმიდისა შენისა

წინაშე, რათა მიიღოს შენ მიერ კურთხევა და მე და ყოველმან ნათესავმან ჩემმან შეწყნარებისა ნათლისღებისათა თაყუანისვცეთ უფალსა შენსა და ვაქებდეთ და ვადიდებდეთ ყოვლად დიდებულსა სახელსა მისსა უკუნისამდე და ვიყო მე მხახურ სიწმიდისა შენისა სახმართა მიმართ ჩემთა, ხოლო წმიდა დავით ვითარ ოდესმე, იესო იპიროსის მიმართ, ეგრეთვე ესე ბარბაროზისა მიმართ იტყოდა «წარვედ სახიდ შენდა და ვითარ გრწმენა გეყოს შენ სიტყუსაებრ შენისა, რამეთუ ჰპოვო შენ ძე იგი შენი განკურნებულ და ყოვლითურთ მრთელი და უნაკლულო, მესამესა ოდენ ჟამსა დღისასა».

ხოლო იგი წარვიდა აღვსებული ფრიადითა სიხარულითა, მადიდებელი ღმრთისა ესე ვითართა სასწაულთა საკჳრველთა ხილვისათჳს, ვითარცა მიიწია სახიდ თჳსად; ჰოი! უცხო საკჳრველი და დიდებული, რამეთუ ძე იგი მისი კოჭლი და უწინარეს სხუთა მიმართ მიმოსაყვანებელი, სიხარულითა და ხლდომითა მოეგებოდა მამასა თჳსსა, რა ესე იხილა ბუბაქარ, ესე იყო სახელი იმ კაცისა იმ ბარბაროზისა, გარდამოსრული ცხენისაგან მადლობასა შეჰსწირვიდა ღმერთსა. ხოლო ვითარცა შევიდა სახლად ჰკითხვიდა იგი მეუღლესა თჳსსა, თუ რომელსა ჟამსა განიკურნა ძე იგი მისი; ხოლო იგინი ეტყოდეს, ვითარმედ დღისა ჟამსა ოდენ მესამესასა, ამათი მსმენელი მამა ყრმისა, ჰმადლობდა ღმერთსა და მონასა მისსა დავითს, რომლისა ლოცვითა და ვედრებითა მიემთხჳა იგი ძისა თჳსისა განკურნებასა და ყოველივე რაოდენი შეემთხჳა და ესმა და იხილა ბერისაგან წარმოუთხრა სახლეულთა თჳსთა და იქმნა სიხარული დიდი მას დღესა შინა ყოველთა მიმართ და რომელთა ესმა უცხო ესე დიდებული ერთბამად ადიდებდეს ღმერთსა, მოქმედსა საკჳრველებათასა.

ხოლო ვითარცა განთიადი იქმნა აღტჳრთნა სახედარნი ფრიადითა სახმარითა პურითა და მხლითა და წარვიდა წმიდისა მის ბერისა თანა, წარმუყვანებელი განკურნებულისა მის შჳლისა მისისა ორთა ძეთა სხუთა მისთა და მიწევნილმან ადგილსა მას პირუტყუ ხსენებულსა, ნახა რომ ვერ იხილა ბერი იგი. შესწუხნა ფრიად და უბრძანა მონათა თჳსთა, ძიებად მისა. ხოლო იგინი მეძიებელნი ყოვლით კერძო და ვერ მპოვნელი, შთავიდოდეს ქუაბში კერძო მის ადგილისა, სადა იგი ჰპოვეს სხუათა მათთა თანა ძმათა შეკრებულთა და უკუმოქცეულთა, აუწყეს უფალსა თჳსსა. ხოლო იგი შთავიდა ბერისა მიმართ და მოსწრაფებით შეუვრდა ფერხთა მისთა და ცხარის ცრემლით იტყოდა მისსა მიმართ, ჭეშმარიტად გპოვე შენ მკურნალი სულთა და ხორცთა, მონაო ღმრთისაო, რამეთუ ყრმა ჩემი განხმელი ხელით და ფერხით, აჰა ესერა წინაშე შენსა მდგომარე არს ყოვლითურთ უვნებელი, რომლისა თჳსცა აწ აქა წარმომიდგენიეს ესე ორთა თანა ძმათა მისთა, რათა კურთხევასა შენ მიერ მიემთხჳნენ; ხოლო მე განმმარტებელმან მარჯუენისა ხელისამან თავთა მიმართ მათთა.

ხოლო წმიდამან ბერმან ჰსთქუა «ღმერთმან, რომელმან აკურთხა აბრაამ ისაკისთანა და იაკობ, აკურთხენეს თქუენ და შჳლ ნათლისა და დღისა გამოგაჩინნეს, წმიდისა ნათლისღებისა მიერ». ამისა შემდგომად დასხდეს იგინი ურთიერთისა მომკითხველნი, ხოლო ბუბაქარ ჰრქუა მონათა თჳსთა, რათა მოიღონ ყოველივე იგი სახმარი წინაშე ბერისა, რომელი მოუღოთ მისთანა. მაშინ უკუე წმიდამან დავით შემოკრიბნა ყოველნი ძმანი და განუსუენა მათ ბუბაქარისა მიერ მოღებულისა საზრდელითა და ვითარცა აღსდგეს ჰეროობისაგან ეტყოდა მამა დავით ბუბაქარს «თუ რომლისა სათხოველისა მოქენე არს მისგან». ხოლო იგი ევედრებოდა მას წმიდისა ნათლისღებისათჳს; მაშინ ჰსთქუა წმიდამან დავით, რათა აღიღოს რაოდენიმე მათ სახმართაგანი და წარვიდეს მამისა დოდოსსა და განუსუენოს მუნ მყოფთაცა ძმათა, რათა იკურთხოს მათ მიერცა. ხოლო იგი ერჩდა ბრძანებასა

მისსა და წარვიდა ნეტარისა დოდოს მიმართ, და წმიდამან დავით თანა წარატანა მათ მოწაფე თჳსი ლუკიანე და მიუმცნო, მამასა დოდოს, რათა მისცეს მღუდელი ერთი თანა წარსვლად ზუბაქარისად ნათლისცემად მისა და ყოველთა ნათესავთა მისთა.

ხოლო ღირსმან მან მამამან დოდო მხიარულებით შეიტკბო ზუბაქარ და ძენი მისნი და მონანი მისნი და აკურთხნა იგინი და ბრძანებისაებრ მამისა დავითისსა, მისცა მათ მღუდელი ერთი რომლისაგანცა მიემთხჳა ზუბაქარ და ყოველნი სახლეულნი მისნი ნათლისღებასა, სახელისა მიმართ მამისა და ძისა და წმიდისა სულისა.

ხოლო შემდეგ ამისა კუალად მიიწია წინაშე წმიდისა მამისა დავითისა, მიმყვანებელი მუშაკთა და გამოუკუეთა ქუაბთა მათ შინა ქუაბი ეკკლესიად სალოცუელად ძმათა თჳს, რომელიცა უკანასკნელთა ჟამთა შინა განავრცელა და აკურთხა წმიდამან და ღმერთშემოსილმან მამამან ილარიონ და მნათობმან ელვარემან, რამეთუ განბრწყინდა მადლითა და სასწაულთა სიმრავლითა ქუეყანასა ბერძენთასა, სადა იგი დაასრულა ცხოვრება თჳსი ქალაქსა შინა თესალონიკისასა, ხოლო აღმოუვსანებულნი იქმნნეს კოსტანტინეპოლად ნაწილნი მისნი ფრიად პატიოსნად, ბასილი მეფისა მიერ, მაკედონიად წოდებულისა და ეკკლესია მშუენიერი და ბრწყინუალე შეუმზადა მას, სახელსა ზედა აწ წმიდათა მოციქულთასა, ზედა კერძო სოსთენისა რომანად წოდებულსა, ადგილსა შინა, სადაცა იგი დაისხნეს პატიოსანნი ნაწილნი მისნი, ყოვლად მშუენიერებით და მონასტერი მშუენიერი შენ არს მუნ მონაზონთა მწყობრისა მიერ აღსავსე; რომელსა შინა ვიდრე აქამომდე საკჳრუელებათა ძალნი აღესრულებიან სანატრელისა ილარიონის მიერ.

ამან ღმერთშემოსილმან მამამან, მერმეცა გარესჯას ყოფნასა მისსა შინა; შექმნა ლარნაკი მშუენიერი, რომელსა შინა აწ მდებარე არიან პატიოსანნი ნაწილნი წმიდისა მამისა დავითისნი, სადა გარეშე კერძო დამართებით წმიდისა სხეულისა არს სამარხოჲ აწ წმიდისა ლუკიანესი, რომელი მრავლად შეეწევის ყოველთა ჭირვეულთა, რომელნიცა სარწმუნოებით ევედრებიან მას.

ხოლო წარხდა რა ამას შინა ჟამნი რაოდენნიმე და სიმრავლე ფრიადი შემოკრბებოდა ძმათა, მაშინ მოუწოდა ნეტარმან დავით მოწაფესა თჳსსა ლუკიანეს და ჰრქუა «ძმაო ლუკიანე, უკეთუ სათნო უჩნდეს ღმერთსა, მეგულვების წარსვლად წმიდად ქალაქად იერუსალიმად, მოლოცვად წმიდათა მათ ადგილთა და თაყუანისცემად განმაცხოველებელსა საფლავსა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა, ხოლო ღუთისა თანა წინაუძღოდე ძმათა ამათ და განსამხნობდი მათ, რათა მტკიცედ დაადგრენ სარბიელსა შინა კეთილსა მოღუაწებისასა, ნუ სადა ექმნას მათ შებრკოლებაჲ ბოროტთ დასაბამისა მაცდურისა ჩუენისა დღითი დღე და ნებავს შებრკოლებით დაკლებაჲ ჩუენი სამეუფო და საძლეველთა გჳრგჳნთაგან». ამათ სიტყუათა მსმენელი ლუკიანე, მწუხარე იქმნა ფრიად და იტყოდა წმიდისა მიმართ, არა სადა დაგიტეო შენ პატიოსანო მამაო, ვიდრე დღედმდე სიკუდილისა ჩემისა, არამედ მეცა წარმოვიდე შენ თანა, ვიდრეცა იგი ხვიდოდე.

მიუგო წმიდამან დავით და ჰრქუა «რად იტყჳ ძმაო საქმესა, ღუთისა არა სათნოსა და უკეთუ ესე ჰყო და ორნივე წარვიდეთ ცუდ იქმნების შრომა ჩუენი, რამეთუ ძმანი ესე ჩემ მიერ შეკრებულნი დიდებისათ ღუთისა კუალად განიბნინენ დაბათავე და სოფელთა თჳსთა, ვითარ არა მქონებელნი მმართებელისანი და ვითარცა სამწყსონი ოხერნი მწყემსისაგან მიიტაცნეს და წარსწყმიდნეს მგელმან მან სულთა მომზირალმან, რათა არა სადამე იქმნეს ესე ვითარი და ესოდენი შრომა ჩუენნი, ანუ არა ჩუენგან ამისსა ღმერთმან უგულებელს ყოფაჲ ესოდენთა სულთა, აწ უკუე დაადგერ ძმაო, ხოლო მე წარვიდე და კერძოებით შენთჳს და აქა დაშთომილთა ყოველთა თჳს ვევედრო

ღმერთსა და ნუ დამაყენებ მე საქმისა ამისაგან, რამეთუ სურვიელ არს სული ჩემი თაყუანისცემად წმიდათა ადგილთა, სადა ცათა მფლობელი ღმერთი ჩუენისთჳს კაც ქმნილი კაცთა თანა იქცეოდა».

ამათ და ესე ვითართა სიტყუათა მიერ ძლით დაარწმუნა ლუკიანეს დადგრომა ძმათა თანა. ხოლო თჳთ წარვიდა იერუსალიმად, რომელთამე ძმათა თანა შედგომილთა მისდა და ვითარცა მიიწივნეს ადგილსა მას, რომელსა ეწოდებოდა ქედი მადლისა, სადაით იგი საჩინო იქნების ქალაქი ღუთისა, წმიდა იერუსალიმი; აღიპყრნეს ყოველთა ჴელნი მათნი ზეცად მიმართ და მადლობაჲ შესწირეს ღმერთსა, ხოლო წმიდამან მამამან დავით იხილა რა იერუსალიმი, დავარდა მიწასა ზედა დაცრემლით იტყოდა.

«უფალო ღმერთო ჩუენო იესო ქრისტე, რომელი მოხუედ ქუეყანად ცხოვრებისათჳს კაცთა ნათესავისა და ჯერიჩინე დამკჳდრებაჲ საშოსა შინა ყოვლად უბიწოსა ქალწულისსა უმამაკაცოდ და ყოვლითურთ კაცი იქმენ, თჳნიერ ცოდჳსა, და ნებსით თჳსით თავს იდევ საცხოვრებელთა ჩუენთა ვნებათა მითვალვა ადგილთაჲ ამათ შინა აწ ჩემ მიერ ხილულთა, ჯუარი და სიკუდილი დაითმინე, ვითარცა კაცმან და საფლავსა დაიდევ, მოკუდავთა ებრ, ხოლო ღმრთაებისა ძლიერებითა აღდგომილმან ღმრთაებითი შენთანა აღადგინე ადამ ყოვლით ნათესავითურთ და წმიდათა მოციქულთა შენთა მიერ მოგუეც ჩუენ სახარება მომთხრობელი განგებულებათა შენთა, რაოდენნი უკუდავმან დაუსხეულომან ღმერთმან და ზეცას წიაღთაგან მამულთა განუშორებელმან ქუეყანასა ზედა, სრულ ჰყვენ ჩუენისა ცხოვრებისა თჳს, რათა გულის ხმის მყოფელსა ცდომილებისა ჩემისასა, სინანულისა მიერ აღმოუწოდო ცხოვრებად საუკუნოდ პირუტყულსავე მას ნეტარებასა, კურთხეულ არს სახელი წმიდისა დიდებისა, რომელმან მეცა უღირსი მონა შენი, ღირს მყავ მოწევნად და ხილვად ადგილსა ამას, სადა დასდგნეს წმიდანი ფერხნი შენნი. ხოლო მე არღარა ვიკადრო წაღმართ სლვად და დათრგუნვად ფერხითა ამით ჩემითა ცოდჳლითა იატაკსა, რომელსა ზედა ვვლეს უბიწოთა და ღმრთკაცებრივთა ფერხთა შემოქმედისა ჩემისათა, ვინაჲდგან კმა არს ჩემდა მადლი ესე, რომელ ღირს ვიქმენ მხოლოდ ხილვასა წმიდათა მათ ადგილთასა თუალითა ჩემითა უღირსითა».

ამათ მეტყუელი დაალტობდა იატაკსა ცრემლთა მიერ მხურვალეთა, მყოვარ ჟამ მდებარე პირსა ზედა თჳსსა. ხოლო მიმყოვრებულადღა სადამე ადგილსა, ეტყოდეს მას მოყუასნი მისნი, რათა ვიდოდეს მათთანა ჩუეულებისა ებრ იერუსალიმად, მიმყვანებელთა მას გზასა, არამედ ჭეშმარიტად მშჳდი იგი და წრფელი დავით, ვითარ ძუელ ოდესმე მუნ შინა მყოფი მეფე და წინასწარმეტყუელი, ეტყოდა მისთანათა მათ, «არა ძმანო, აწ არღარა ვიკადრო მე ამით ადგილით წიაღმართ სვლად, რამეთუ ყოვლად უღირსსა დავჰსჯი თავსა ჩემსა, მხოლოდ მიახლებად წმიდათა მათ ადგილთა, ხოლო თქუენ წარვედით დაჩემთჳს ცოდჳლისათჳს ლოცვა ჰყავთ, ღმრთის შემწყნარებელსა საფლავსა ზედა. ვითარ აიძულებდეს იგინი ფრიად უფროსღა ურჩ ექმნებოდა მათ ნეტარი დავით და შემდგომად მრავლისა იძულებისა, ცრემლით ამბორის მყოფელთა მისთა დაუტევეს იგი და წარვიდეს.

ეჰა სიწრფოებასა და სიმარტივესა საღმრთოსა ამის მამაკაცისასა, რომელი ესოდენთა გზათა შრომათა თავსმდებელი და წმიდათა ხელთა შინა მქონებელ სასურველისა და საძიებელისა, უღირსად ჰსჯიდა თავსა თჳსსა, მხოლოდ დათრგუნვად ფერხითა თჳსითა და მიახლებად ღმერთ მყოფელსა მითხრობულთასა.

ჰოი! სარწმუნოებასა და სისრულესა განგებისასა, რამეთუ სიტყჳსაებრ საუფლოსა სარწმუნოებისა თჳსისაებრ ექმნა ამას, ვინაჲთგან სიწრფოებისათჳს სულისა უმეტესი სასყიდელნი მიიღო, რამეთუ ღმერთი გონებისაებრ და გულის ზრახვასა კაცთასა და არა საქმეთაებრ ჰსჯის.

ესრეთ შემდგომად ფრიადისა ვედრებისა და ცრემლთა და ოხვრისა ადგილსა მას ზედა, სადა იდგა ქუეყანად დადრეკილმა აღიხუნა სამნი ქვანი და ვითარ თჳთ მის ქრისტეს საფლავისაგან გამოკუეთილნი სარწმუნოებით შთასხნა იგინი ევლოგიად მალაკსა შინა თჳსსა.

ამისა შემდგომად უკუმოქცეული, ვიდოდა გარესჯადმდი მიმყვანებელსა გზასა მოხარული, ამას სიწრფოებასა და სარწმუნოებისა ზედა განკჳრვებულმან ღმერთმან ინება საჩინო ქმნა ბრწყინვალისა ამისა და საჩინოსა მონისა თჳსისა, რომელმან გარდამატებულისა სიწრფოებისა მიერ არა იკადრა შთასვლა იერუსალიმად, რამეთუ მიუვლინა მას ღამესა შინა ჩუენებით ანგელოზი პატრიარქსა იერუსალიმისსა ელიად [1]) მეტყუელი.

მოიწია ვიდრე სამკჳდრებელად ჩემდა იერუსალიმად, საკუთარი მონა ჩემი დავით და სარწმუნოებითა მისითა წარიღო მადლი იერუსალიმისა, ხოლო შენ წარავლინენ მალე მსრბოლნი კაცნი, რათა ეწივნენ მას, რამეთუ მივალს იგი გზასა ქალაქისა ნაშოლისსა შემოსილი დაბებკულითა სამოსლითა [2]), და აქუს ძუელი მალაკი [3]), რომელსა შინა სხენან სამნი ქვანი, ევლოგიად მიმღებელნი მის მიერ ადგილისგან, ვინა იგი უკუ იქცა და ამცენ შენ კაცთა მათ, რათა მიიხვნენ მისგან ქვანი იგინი და ერთი მხოლოდ მისცენ მას და ესრეთ ჰრქუან.

ვითარმედ ამას გიბრძანებს შენ უფალი, «სარწმუნოებისა შენისათჳს მიგეღო მადლი ქალაქისაგან ჩემისა წმიდისა იერუსალიმისა, ხოლო მე სათნო მიჩნდა, რათა ორი ნაწილი უკუ ვაქციო იერუსალიმადვე და არა სრულიად კუეთილნ იქმნეს მადლთაგან, ხოლო მესამედი იგი მომინიჭებიეს შენთჳს წარღებად უდაბნოსა შენსა, წარვედ უკუე მშჳდობით და წმიდა ჰყავ იგი მისვლითა შენითა და მუნ შინა დადებითა სხეულისა შენისათა, რომლისა სარწმუნოებით შემხებელთა მიიღონ კურნება სულთა და ხორცთა მათთა, ხოლო შენ წარიღე ქუა ეგე ევლოგიად უდაბნოსა მას შენსა, სახსენებელად და მისათხრობელად სარწმუნოებისა შენისა».

ესე ყოველი ვითარცა იხილა ჩუენებასა შინა ღამისსა პატრიარქმა, დაეცა განკჳრვება დიდი და განკრთობილი ძილისაგან, აღდგა მოსწრაფებით და მყის მომწოდებელმან მალემსრბოლთამა, წარმოუთხრა მათ ყოველი, რომელი იხილა და ესმა ჩუენებასა შინა ანგელოზისაგან; და მალიად წარავლინნა იგინი, რათა დევნა უყონ კაცსა მას ღმრთისასა. ხოლო იგინი გამოსრულნი ქალაქისაგან და მოსწრაფებით მოქმედნი სვრობისანი, ეწივნეს წმიდასა მამასა დავითს და იცნეს იგი მათდა მოთხრობილისა სახისაებრ პატრიარქისაგან და ერთბამად გიხაროდენისა მეტყუელთა და მოწლედ თაყუანის მცემელთა ამბორის უყვეს მას თანად მიმღებელთა მალაკისათა ჰპოვეს მას შინა სამნი იგი ქვანი და წარმოუთხრეს მათ ყოველი, რომელი ესმა პატრიარქისაგან და მოუხუნეს მას ორნი იგი ქვანით.

ხოლო ერთი იგი მისცეს მას, როგორც ემცნა მათ თჳს პატრიარქისა ელიას. ესე ყოველი რაჲ ესმა მამასა დავითს, კაცთა მათგან მისდა მოვლინებულთა განკჳრვებულ იქმნა ფრიად, სახიე-

---

1) ესე პატრიარქი არს ელია II, ნათესავით არაბი, ჰმართებდა იერუსალიმის ეკკლესიასა 496—517 წლამდე. პატრიარქისათჳს ამისა მეისტორიენი მოგვითხრობენ, ვითარმედ ბერძენთა იმპერატორისა — ანასტასიისა მიერ, განშორებულ იყო ეკკლესიის მმართებლობისაგან. ნახე მისთჳს რუსული წიგნი მურავიოვისა ნაწილი II. გ. 381.

2) დაბებკული სამოსელი, ნაბდის სამოსელი.

3) მალაკი, კალათა — ხურჯინის მსგავსი რამე.

რებასა ზედა ღჳთისასა და დავრდომილი კუალად პირსა ზედა თჳსსა დაალტობდა მიწასა ცრემლთა მიერ თჳსთა, ესრეთ მეტყუელი: «დიდება შენდა ღმერთო ჩუენო, მამაო უშობელო, მიზეზო ყოველთა კეთილთა, დიდება შენდა ქრისტე ღმერთო ჩუენო, მხოლოდ შობილო ძეო მხოლოსა მამისაო, დიდება შენდა სულო წმიდაო მამისაგან გამოსულო და ძისა თანა დიდებულო, სამებაო წმიდაო ერთ არსებაო, ღმერთო ყოველთაო, რომელმან ღირს იხინე ჩემზედაცა ცოდვილსა ამას და უღირსსა მონასა შენსა, მომხედე სახიერებისა შენისა თჳს და არა უგულებელს მყავ, მვედრებელი შენი პოვნად შენ მიერსა წყალობისა».

ხოლო კაცნი იგი აიძულებდეს სანატრელსა დავით უკუნ ქცევად და შესვლად იერუსალიმად, რამეთუ ესრეთ ემცნო პატრიარქსა, რათა იგიცა შეემთხჳოს სიწმიდესა მისსა და ვერ შეუძლეს დარწმუნებაჲ მისი და განუტევეს. ხოლო თჳთ უკუნ იქცენ პატრიარქისა მიმართ, ორთაჲ მათ ქუათაჲ მიმღებელნი წმიდისაგან მათ მიერცა. დიდათ განითქუა სიტყუა ესე იერუსალიმს შინა, ყოველსა მას დაბნებსა და გარემოსსა, რომელ ჰქმნა ღმერთმან საჩინო ქმნისათჳს მონისა თჳსისა დავითისა.

ხოლო წმიდა დავით შემდგომად რაოდენთამე დროთა მოიწია უდაბნოდ თჳსად და ყოველნივე ძმანი სიხარულითა და სურჳლით მიეგებებოდეს, მსმენელნი მოსვლისა სულიერისა მწყემსისასა და ადიდებდეს ღმერთსა, რომელმან მოუვლინნა კუალად მოურნე და მომღუაწლი მათი სულიერი. ხოლო არა მრავლისა შემდგომად მოიწივნეს ძმანიცა იგი იერუსალიმით თაყუანისმცემელნი წმიდათ ადგილთანი, რომელნი ერთბამად მამასა დავითის თანა წარსრულ იყვნეს იერუსალიმად.

და მიუთხრეს ყოველი იგი სიტყუა, რომელი ესმა და იხილეს წმიდისა დავითისთჳს და ვითარ არა ინება მათთანა შესვლაჲ იერუსალიმად უღირსად მსჯელმან თავისა თჳსისამან, სვლაჲ ფერხითა თჳსითა წმიდათა მათ ადგილთა ზედა და თანად ქუათა მათ თჳს და ვითარ ორნი იგი მიეხნეს მისგან, ხოლო ერთი მონიჭებულ ექმნა მისა, რომელიცა ესე ქუა მდებარე არს მას უდაბნოსა დღესაცა [1]), რომელიცა დიდთა სასწაულთა და კურნებათა აღასრულებს ვიდრე აქამომდე, სიმრთელესა სხეულისასა მიიღებენ სარწმუნოებით შემთხვეულნი მისნი.

ამისნი აქა მსმენელნი ყოველნი უმეტესითა სიხარულითა აღძრულნი, ყოვლით კერძო შემოკრბებოდეს მისსა და დღითი დღე სიმრავლე ფრიადი მოიწეოდა უდაბნოსა ამას შინა, რომლისა ძლით აღსავსე იქმნა, კაცთა მიერ სათნოთა და ღირსთა ყოველი იგი ადგილი, რომელნიმე მათგანნი მარტოობით იყოფოდეს, ნაპრალთა შინა კლდეთასა დამკჳდრებულნი, ხოლო სხუანი კრებულსა თანა ძმათასა დაეწესებოდეს და ყოვლით კერძო განდიდნებოდეს სადიდებელნი ღჳთისანი.

ხოლო დიდი იგი მწყემსი და მამა ჩუენი დავით, მოხარული ესრეთ აღორძინებისა ზედა სამწყსოსათა, დღითი დღე განვიდოდის მოხილვად ძმათა განშორებულთა და მარტოებით მყოფთა მოღუაწეთად და ყოვლითურთ ნუგეშინისცემით განამხნობდა და განაძლიერებდა მათ კეთილისა საგრობისა, რომელიცა მიიყვანებს მათ ზეცითა შუენისა და განსუენებისა მიმართ და მოახსენებდა მიმართ განმზადებულთა კეთილთა თჳს, რომელნი მიელიან აქა შინა ძჳრხილულთა და მაშურვებელთა ხრწნადისა ამის სხეულისათა.

---

1) წმ. ქუა ესე აქამომდე წმ. დავითის სასაფლაოს ეკკლესიის ტრაპეზსა ზედა ასუენია — ქჳსათჳს ამისა მესმინა, ვითარმედ ლეკთაგან ნატყუენავ იქმნა, არამედ შემდგომ რაოდენისამე დროსა, უკუნ ქცეულ. კუალად მოწიწებით დასუენებული ეკკლესიასა შინა, რომელიც აქამომდე ინახვის. წმ. ქუა იგი არს მრგვალი, ჟოგრის ფერი, ბატის კვერცხის ოდენ.

ხოლო ოდესმე დღესა ერთსა მივიდა ერთისა ძმათაგანისა მიმართ, რომელი აღასრულებდა მოღუაწებასა თჳსსა ქუაბში კერძო, რომლისამე კლდისა და მოიკითხა იგი და ჰრქუა: «ვითარი ჰყოფი ძმაო»? ხოლო მან მიუგო, კეთილად ვარ პატიოსანო მამაო, წმიდითა პატიოსნითა ლოცვითა შენითა, გარნა წყალი ესე, რომელი შთამოსწვეთის კლდესა ამას, არს იგი ფრიად მწარე და რაჟამს ვსუამ მისგან, ნუ უკუე მოვიშთო, რამეთუ ფრიადსა სალმობასა შემიქმს მე განმწარებითა საგრძნობელთა და მხალნიცა ესე, რომელ მისგან ირწყუვიან იგინიცა ფრიადისა სიმწარისა მქონებელნი არიან მსგავსად ნაღვლისა და მომეშიოს რა ვჭამო მისგან ფრიად შემაწუხებს, გარნა ვეტყჳ თავსა ჩემსა, ვითარმედ ფრიად უმწარეს არიან სატანჯველნი ჯოჯოხეთისანი და უმჯობეს არს შენდა, რათა აქა შინა მომთმენელი წუთ ერთსა სიმწარეთა, უმწარესთა განევლტო სასჯელთა შინა ყოფადსა საუკუნესა [1]).

ესე რა ესმა ბერისა მისგან წმიდასა დავითს მხიარულ იქმნა ფრიად კეთილისა გულის სიტყჳსა მისისათჳს და შემწყალებელმან მისმან ჰსთქუა სიტკბოებით, «ნუ მწუხარე ხარ ძმაო, არამედ ვევედრნეთ უფალსა ჩუენსა იესო ქრისტესა და ვითარცა მერრას დაატკბნა წყალნი მწარენი, ეგრეთვე სახითა, სახიერებისათა დაატკბოს ესეც და შესცვალოს სიმწარისაგან სიტკბოებად» და აღდგომილნი ევედრნეს უფალსა, ბრძანებისაებრ ბერისა ამისა შემდგომად უბრძანა, რათა აღავსოს სარწყული წყლითა, ხოლო მან აღავსო და დადგა წინაშე მისსა და წმიდამან დავით მიიღო ხელითა თჳსითა და აკურთხა იგი და ჯუარი გამოსახა მას ზედა შემდგომად ჰრქუა ბერსა, «მიიღე ესე ძმაო და სუ ამისგან შეუორგულებლად».

ხოლო იგი გემოს მხილველი მისგან, განკჳრვებულ იყო სიტკბოებასა მის წყლისასა და ადიდებდა ღმერთსა და მონასა მისსა ღირსსა დავითს, რომლიცა ესე წყალი ვიდრე აქამომდე დადგრომილ არს სიტკბოებასა და გემოსა ფრიადსა მქონებელი, ვიდრეღა არა რომელი სხუა წყალთაგანი უტკბილეს არს ამისსა და აღმოეცენების ადგილსა მას ნიახურიცა, რომელი ამისავე ბერისა დათესილ იქმნა და რომელნი მიიწივნენ ამას ადგილსა მიიღებენ წყლისა ამისგან და თანად მხლისა ევლოგიად, რამეთუ ზამთრის და ზაფხულის მოუკლებელად იპოების ადგილსა მას ბერისასა ნიახური იგი.

ამას შინა რა წარხდენ ჟამნი რაოდენნიმე და სავსე იყო ნავი კეთილითა ტჳრთჳთა სიმდიდრესა დაულევნელსა მიმღებელნი შინაგან თჳსსა და ჯერ იყო შინაგან ნავთ საყუდელისა, შორის მსოფლიოთა ღელვათაგან დაზამთრებაჲ მისი და უფროსღა ზეცისა სავანეთა მიმართ აღწევნა, ესე იგი არს განხსნა სხეულთა მიწიერთაგან სულისა, არღა ამას უმეცარ იქმნა ღმერთშემოსილი ესე, და ზეცისათა ღირსი სანატრელი დავით, რამეთუ ეუწყა მას უფლისა მიერ განსვლა თჳსი ხორცთაგან. მოუწოდა ყოველთავე მის მიერ შეკრებულთა ძმათა, უდაბნოსა მას შინა, და მამობრივ სწავლიდა მათ ესე ვითართა მამცნებელი. «ძმანო ჩემნო და შჳლნო სულიერნო, აჰა ესერა მე თანამდებს ბუნებისასა მიმცემელნი განვალ ხორცთაგან, მიწად ბრძანებული მიქცევად, შემოქმედისა მიმართ, კაცთა განწესებულსა სრულ ვყოფ მსგავსად ყოველთასა, ხოლო თქუენ შჳლნო ჩემნო, ნუ შესძრწუნდებით და ნუცა აღშფოთნდებით, არამედ უფროსღა განმტკიცდით და განძლიერდით დასცან ამაოებაჲ ესე საწუთოსა ამის დაუდგრომელისა, რამეთუ ყოველნივე წარმავალ ვართ წერილისაებრ

1) წყალი ესე მწარე მდელოთათურთ აქამომდე ბერთუბნის მოახლო, ინახვის, გარესჯას.

და არა რაჲ სოფლისა ამის მდგომად შერაცხილთაგანი დადგრების. ხოლო სული ვითარ უკუდავისა მიმღებელი, მღ̂თისაგან საუკუნოდ დაადგრების და გუ̂ბულვების მიღება, კეთილთა გინა ბოროტთა, რომელიც არავე ვიმოქმედეთ ცხოვრებასა ამას შინა ამისთჳსცა დაუცხრომელად დღე და ღამე ევედრებოდეთ ღმერთსა, რათა მოგცესთ ძალი წინაღმდგომთა და უხილავთა მტერთა მიმართ, რომელნი მოსწრაფე არიან შებრკოლებად ჩუ̂ენდა ღ̂თისა მიმართთა სვლათაგან, მცირედ ჟამ დაითმინეთ კნინი ესე სატკივარნი და საუკუნოდ იხარებდით, ტკბილთა მათ შინა განსასუენებელთა კეთილთა, ნაცვლის მიმცემელისა ღ̂თისა მიმართ, რომელი მისცემს სასყიდელთა მომთმინეთა და ღირსთა თჳსთა, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ მოთმინებითა თქუ̂ენითა მოიპოვნეთ სულნი თქუ̂ენნი».

ამათ და ესე ვითართა სწავლათა მიერ განმაკრძალებელი ყოველთა ძმათა და მღ̂დელ მემსხუ̂ერპლეობითისა მსახურებასა სრულ ქმნად ბრძანებული, ეზიარა უხრწნელთა და უკუ̂დავთა ქრისტჱს საიდუმლოთა, წმიდასა ხორცსა და პატიოსანსა სისხლსა უფლისა ჩუ̂ენისა იესო ქრისტესსა; ამისა შემდგომად აღმპყრობელმან ხელთამან ღ̂თისა მიმართ და მადლობისა შემწირველმან ხელთა სამეუფოთა შევედრა წმიდა სული თჳსი და დაუტევა მრავალ მოღუ̂აწე იგი გუ̂ამი მისი, მრავალთა შრომათა მიერ განკაფული მიცემად მიწა მიწასა, რომლისაცა გარე მოდგომილნი კრებულნი ძმათანი ტიროდეს სალმობიერად დაკლებისათჳს მწყემსისა მის კეთილისაგან და იტყოდეს თავთა თჳსთა ვითარ ობრად დაშთომილნი, ესე ვითარისა მის მასწავლელისა და მკურნალისაგან, რომელი შემძლებელი იყო კურნებისა ორკერძოსა მისიჭებად მათდა და ურთი ერთისა წინა სწრობითა შეემთხუ̂ოდეს ყოველნი, პატიოსანსა მას სხეულსა, მიღებად რომლისამე მადლისა გამომკრთოლვარესა მისგან [1]).

ხოლო იყო მათ შორის ვინმე ძმა, რომელი დაკლებულ იყო ხილვად ნათლისა თუ̂ალთასა სიბრმით თჳსითგან და მიეახლა რა წმიდასა მას გუ̂ამსა, ჵოი! საკჳრუ̂ელი დიდებული, რამეთუ შემთხუ̂ევასავე თანა მიემთხჳა განათლებასა თუ̂ალისასა, რომლისაცა მხილველნი ადიდებდეს საკჳრუ̂ელთა დიდთა მოქმედსა ღმერთსა, რომელმან სიკუ̂დილისა შემდგომაცა ადიდა მსახური თჳსი. ესე ვითართა მადლთა ღირს ქმნად, ხოლო პატიოსნისა სხეულისა მისისათა სურჳლით წამგრაგნილთა დადვეს სამარხოთა მათ შინა ზემო ხსენებულთა, რომლისაგან ვიდრე აქამომდე აღმოსდის სული სურნელობისა და კურნებისა მადლი ურიცხჳ და ყოველთა, რომელთა სარწმუნოებით მიიღონ მტუ̂ერი სამარხოთა მისგანთა, ექმნების მათ საკურნებელ სულთა და ხორცთა, რამეთუ ესე ვითართა მადლითა და ნიჭითა მიერ ადიდა ღმერთმან მადიდებელი თჳსი.

ესე ვითართა საკჳრუ̂ელებათა ძალთა ნიშებისა შეიმთხვიე ჵოი! კაცო ზეცისაო და ანგელოზო ქუ̂ეყანისაო, ესე ვითარითა მადლთა მიერ განმსდიდრდი, ნაცვლად მრავალთა მათ ოფლთა და შრომათა, რომელნი ღ̂თისათჳს დაითმინენ, რამეთუ ხორცნი განსცენ საწუთოსა ამას შინა იწროებათა მიერ და ჭირთა და ამიერთა ამათ ხრწნადთა და წარმავალთა მიცემითა, საუკუნო იგი და უხრწნელი ნეტარება მოისყიდე და აწ იშუ̂ებ ზეცისა სავანეთა შინა, წინაშე თუ̂ალთშეუდგამსა ნათლისა და-

1) ერთსა ძუ̂ელსა მატიანესა შინა ვპოვე, რომელიც ვნახე ლავრაში, ვითარმედ წმ. სანატრელმან, განუტევა წმ. სული თჳსი 582 წელსა ქრისტეს შობიდგან, ნამდვილად არა უწყით თუ სწორე არს მოხსენებული წელი ესე.

შეკრებული, ვინა მოგჳხედენ ჩუენ შჳლთა შენთა, რომელნი მერმეცა ღელვათა შინა ამის სოფლისასა მოქცევისათა ვიღელვებით და იოხე ქრისტიანეს ღმრთისა მიმართ, სატკივართა ამათ და ქუე და მზიდველთა ხორცთა ზესთა ქმნად, რათა განბრძობილნი ოხათა შენთა მიერ, მრავალ ღონეთა მანქანებათა და საბრკეთაგან ბელიარისათა, ქებასა აღვავლენდეთ ერთისა ღმრთისა მიმართ, სამებისა ერთარსებისა, რომლისა მიერ მამასა ჭეშმარიტსა დიდება, პატივი და თაყუანისცემა დაუსაბამოსა თანა ძისა და ყოვლად წმიდისა სულისა აწ და მარადის და საუკუნეთა დაუსრულებელთა უკუნისამდე ამინ.

---

# პარაკლისი სავედრებელი, ღირსისა მამისა ჩუენისა დავით გარესჯელისა. სათქმელი დღესასწაულსა თჳსსა და ყოველსა შჳდეულისა შაბათსა შინა სამარადისოდ.

---

კურთხეულ არს ი. დიდება შენდა მეუფეო ზეცათაო. წმიდაო ღმერთო. ყოვლად წმიდაო. მამაო ჩუენო. რ. შენი არს სუფევა. უფო შეგვიწყალენ იბ. მოვედით თაყუანისვცეთ გ. გზის. უფო შეისმინე. სრულიად. დიდება. აწდა. ალილუია სამგზის.

ღმერთი უფ. თავისი ჩასართავითა. (ტროპარი) ოხითა, ხმა. დ.

«ოფლითა მით მოღუაწებისათა, განზავებულნი ცრემლთა წყარონი, ძლიერად მიუპყრენ აწ სავედრებელად მეუფესა და ითხოვე აღორძინებაჲ მისი, რამეთუ ცრემლით ჭსთესე და სიხარულით მოიმკჳნ ნაყოფნი უდაბნოსანი. ჴოი! დავით ბრწყინვალებაო სოფლისაო და მეოხო სულთა ჩუენთაო». ბ. გზის. დიდება, აწდა.

რომელი საუკუნითგან დაფარულ იყო და ანგელოსთაგან უცნაურ საიდუმლო, ღმრთის-მშობელო შენ მიერ კაცთა გამოეცხადა, ღმერთი შეურევნელად შენგან განხორციელდა, ჯუარცმა ნებსით თავს იდვა, რომლისათჳსცა აღადგინნა პირველ დაძინებულნი, დაიხსნნა მან სიკუდილისაგან სულნი ჩუენნი. მიწყალე. სრულიად.

გალობა ღირსისა მამისა ჩუენისა დავით გარესჯელისა. ხმა ე. გალობა ა, ჭსძლის პირი.

«მხსნელსა ჩუენსა და, რომელმან განიყუანა, დაულტოლველად ერი თჳსი ზღუასა და ფარაო მხედრებითურთ დაანთქა სიღრმესა, მას მხოლოსა უგალობთ, რომელიცა დიდებულ არს».

ჩასართავი ყოველ მუხლში: ღირსო მამაო დავით, ევედრე ღმერთსა ჩუენთჳს.

უგალობდეთ ერნი ქესა, რომელმანცა მოგჳვლინა წმიდა მამა დავით განმამტკიცებელად ჩუენდა, უდაბნოსა ამას საღთოდ შემოკრებულთა ამათ, რამეთუ დიდებულ არს.

სულისა წმიდისა წინამძღუარებითა ღირსო, მოიწიე უდაბნოსა ამას და ანგელოსთა ცხოვრება აღასრულე ღირსო და ქესა უგალობ, რომელიცა დიდებულ არს. დიდება.

მხეცნი და ვეშაპნი უდაბნოთ შენით ღირსო წარჭსდევნე, წმიდითა მით ლოცვთა შენითა და მათ წილ კაცნი წმიდანი შეჭკრიბენ, სადიდებელად ღმრთისა, რომელიცა დიდებულ არს. აწდა.

ტაძარსა უხრწნელსა ღმთისა დიდებისასა, მარიამს ქალწულსა უგალობდეთ, რამეთუ ღმერთი ხორცითა გჳშუა და შემდგომადცა შობისა ქალწულად ეგო, რომელიცა დიდებულ არს.

გალობა გ. ჰსძილის პირი.

«ძალითა ჯუარისათა ქრისტე, განმაძლიერენ დიდებად შენდა, რათა უგალობდე მარადის, ღმთაებასა შენსა მოწყალე».

შრომათა შენთა მოსაგებელად, მოგცა ღმერთმან სასწაულთა მადლნი, რომლითა განჰკრთეს ყოველნი, რომელთა ესმა და განჰკჳრდეს.

ღმერთმან საკჳრველებათამან, რომელმან გამოზარდა ილია, ყორნისა მიერი, ეგრეთვე შენ გზრდიდა ღირსო ირემთა მიერი. დიდება.

ჰოი! საშინელი ხილვა, რაჟამს ზეციერითა ცეცხლითა, ვეშაპი იგი მავნებელი, ნუკრთა შინა მოიკლა ღირსო. აწდა.

ღმთის შემწყნარებელსა ქალწულსა მარიამს უბიწოსა ვაქებდეთ და ვევედრნეთ, რათა ოხითა მისითა გჳიხსნნეს ვნებათაგანდა. გჳიხსენ განსაცდელთაგან. მოიხილე ჩუენ ზედა.

შეგჳწყალენი, (ჩუეულებისაებრ როგორცა ღმთის მშობლის პარაკლისში არის) ბოლოს. მერმეცა გევედრებით ყოველთა ძმათა და ყოველთა ქრისტეანეთა და ყოველთა შეცოდებათა და ბრალთა ჩუენთა მოტევებისათჳს. ასამაღლებელი. რ̃ მოწყალე და კაცთ მოყუარე. წარდგომა. ხმა ც.

ზესთა კაცთა აღმატებულო და მეუფისა მიახლებულო, ვითარცა შენ მიერი მადლითა შჳლ მრავალ ქმნილი სავედრებელსა აღსწერს დღეს დავით ყოვლად ქებულო, შენდა მიმართ უდაბნოი შენი, ად ვითარცა მაქვს ძლიერება ღმთივმონიჭებული, ყოველთა მტერისა საფრჴეთაგან დაიფარე, რათა გიგალობდეთ, გნნ კაცო ღმთისაო. გალობა დ. ჰსძილის პირი.

«ისმენა მესმა ძლიერისა ჯუარისა შენისა ქ̃ე, რომლისა მიერი სამოთხე განეღო და გიდიდებ, დიდება ძალსა შენსა უფლო».

საღმრთოთა სურჳლითა აღძრული სუტარი დოდო, მოვიდა ხილვად სიწმიდისა შენისა დავით და გიხილა რა ჰმადლობდა ღმერთსა.

ერისმთავარი იგი რუსთავისა ნადირობდა რა, განძჳნებით იხადა მახჳლი მოკლუად შენდა და შეუხმა მას ჴელი მისთა მარჯუენე. დიდება.

მაშინ დავრდომილი ქუეყანად ცრემლით გევედრებოდა და ითხოვდა შენდობასა, ხოლო შენ ღირსო ლოცჳთა და ჴელის შეხებითა განჰკურნე. აწდა.

გაბრიელის თანა გიდიდებთ ღმთის მშობელო ქალწულო მარიამ, გიხაროდენ მიმადლებულო ღმერთი უფლებათა, შენ თანა. გალობა ე. ჰსძილის პირი.

«აღმსთობილნი შენ გიგალობთ უფლო, გვაცხოვნენ ჩუენ, ვითარცა სახიერ ხარ, რამეთუ სხუა ღმერთი არა ვიცით».

ცრემლითა ჰკმობდა ბუბაქარ, ვითარცა მომაკე მე კელი, ეგრეთვე ძეცა ჩემი, ხელით და ფერხით კოჭლი განჰკურნე.

წარვედ ჰრქუა წმიდამან და გრწმენეს თუ იხილო იგი, ყოვლითურთ უვნებელი ქრისტეს ძალითა განკურნებული. დიდება.

ჰრწმენა და წარვიდა და სიხარულით მოეგება ძე იგი მისი ხლდომით, ვითარცა იგი წინასწარ აღუთქუ ღირსო. აწდა

ქალწულო წმიდაო ძესა შენსა ქ̃სა ღმერთისა ლმობიერად ევედრე, რათა აცხოვნნეს სულნი ჩუენნი. გალობა გ. ჴსძილის პირი.

«გარემომიცვეს ღელვათა და მექმნა მე საფლავ მუცელი ვეშაპისა და გიღაღადებ მიხსენ მე კაცთმოყუარე და მაცხოვნე მე, მრავალ მოწყალეო უფალო».

გარე მოიცვნა ღელვამან ჭირთა და მან საცდელთამან უდაბნოსა შინანი, აწ ვედრებითა შენითა დავით მოწყალე ჰყავ ჩემზედა ღმერთი.

მირახვედ წმიდად ქალაქად ეუწყა პატრიარხსა ელიას, ვითარმედ დავით იერუსალიმისა მადლი ყოველი წაიღო სარწმუნოებითა. დიდება

გეწინეს რა მალე მსრბოლნი ბრძანებისაებრ მათდა მიგიღეს ორი ნაწილი და მესამედი ესე ნიჭად შენდა უდაბნოსათჳს დაგიტევეს. აწდა.

ქალწულო ყ̃დ წმიდაო, რომელმან სიტყუა ღ̃თისა ხორცითა შეჴვ და ქალწულადვე საუკუნოდ დაადგერ, გვაცხოვნენ შენნი ღ̃თის მშობლად აღმსარებელნი.

გვიხსენ განსაცდელთაგან. მოიხილე ჩუენ ზედა.

მცირე კვერექსი. ასამაღლებელი. რ̃ შენ ხარ მეუფე მშვიდობ, კონდაკი არა დააკლდი.

შუა-მდინარით აღმოჴხედ ვარსკულავი ყოვლად ბრწყინუალე, და მიიწიე უდაბნოდ გარესჯად და მიერითგან მოსლვითა შენითა, ვ̃ა სამოთხე ნერგთაგან წმიდათა სცენდებიან ნერგნი სიტ-ყკერნი, რომელთა თჳს იხსნა ნუ დააცადებ დავით სანატრელო. დიაკონმან მოხედენ.

მღ̃დელმან. მშვიდობა ყოველთა. წარდგომა სახარებისა. პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთა. მუხლი. რაჲ მივაგო უფალსა ყოვლისავე თჳს. რ̃ წმიდა ხარ. ყოველი სული. ღირს ყოფად. სახარება ლუკასი.

«ჰრქუა უფალმან, რომელი მოვალს ჩემდა და არა მოიძულოს მამა თჳსი და დედა თჳსი და ცოლი და შვილნი და ძმანი და დანი და მერმე კუალად სულიცა თჳსი, ვერ ხელეწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა და რომელმან არა აღიღოს ჯუარი თჳსი და შემომიდგეს მე, ვერ ხელეწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა. ყოველივე მომეცა მე მამისა ჩემისა მიერ და არა ვინ იცის ძე, გარნა მამამან, არცა მამა ვინ იცის, გარნა ძემან და რომლისა უნდეს ძესა გამოცხადებად, მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ მძიმენი და მე განგისუენო თქუენ.

აღიღეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშჳდ ვარ და მდაბალ გულითა და ჰპოვოთ განსუენება სულთა თქუენთა. რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს და ტჳრთი ჩემი სუბუქ არს». დიდება. ხმა ვ. მეოხებითა ღირსისა მამისა ჩუენისა დავით გარესჯელისათა, მოწყალეო აღხოცენ ცოდვათა ჩუენთა სიმრავლენი. აწდა. მეოხებითა წმიდისა ღ̃თისმშობელისათა. მიწყალე მე ღმერთო, და ზედა ესე. ხმა ფ.

მჴსგავსად იოანე ნათლისმცემელისა უდაბნო დაიმკჳდრე მამაო და უპოვარებით სცხოვნდებოდი, რამეთუ ყოვლად არა რა გაქუნდა ნეტარო ხორცთა საზრდელი, საწუთო და წარმავალი რომელითა დაიცვების არსება ესე ხორცთა, არამედ იზრდებოდი სულისა მიერ წმიდისა, ვინაცა ბაძუად შენდა აღადგინენ სულნი ურიცხვნი და შემოჰკრიბენ სადიდებელად ღ̃თისა და სამადლობელად სიმხნეთა შენთა დავით გარესჯელთა დიდებაო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა, რათა ცოდუათა ჩუენთა შენდობა მოგვანიჭოს, რომელნი სურჳლით აღუასრულებთ ჴსენებასა შენსა.

მღ̃დელმან. აცხოვნე ღმერთო. ასამაღლებელითურთ.

გალობა ზ. ჴსძილის პირი.

«რომელმან იხსნნა ყრმანი საჴმილისაგან მგალობელნი, კურთხეულ ხარ უფალო ღმერთო მამათა ჩუენთაო».

მოიწიე გარესკნად იერუსალიმით და ჴგალობ, კურთხეულ ხარ უფ. ღმერთო.

მოწაფეთა რა შენთა გიხილეს სიხარულით ხმა ჴყუფს, კურთხეულ ხარ შენ ღმ. ჩო. დიდება.

მოიკითხენ ყოველნი კერისაებრ, კმობდეს ერთბამად კურთხეულ ხარ შენ ღმ. ჩო. აწდა.

ღისმშობელო ქალწულო აცხოვნენ, რომელნი გალობენ კურთხეულ ხარ შენ.

გალობა ჱ. ჴსძილის პირი.

«მამისაგან შობილსა ძესა უწინარეს საუკუნეთა და აღსასრულსა ჟამთასა ქალწულისაგან ხორციელ ქმნილსა, მღუდელნი აკურთხევდით, ერნი უფროისად აღამაღლებდით მას უკუნისამდე».

მიმორახვიდოდი ღირსო, იხილე რა ძმა იგი შენი წყლისაგან მწარისა შეურვებული და ილოცე ღუთისა მიმართ და სთქვი, მღუდელნი აკურთხევდით.

ვითარცა ოდესმე მოსე ნიშითა საღთოთა კუარისათა, წყალი მწარე ლოცვითა დაატკბე და მიეც ძმასა მას და ეტყოდე მღუდელნი აკურთხევდით. დიდება.

ჟამი შენი სრულად მიცვალებისა მოიწია და ეზიარე წმიდასა ხორცსა და სისხლსა ქრისტესსა და სთქვი მღუდელნი აკურთხევდით. აწდა.

ქალწულო საგალობელო, რომელმან სიტყუა ღუთისა გვიშვე დ ქალწულადვე დაადგერი ზესთა სიტყჳსა და გონებისა, მღუდელნი აკურთხევდით ერნი უფალსა. გალობა თ. ჴსძლის პირი.

«ჴშევ ქალწულო მიუწდომელი ბუნებათა, უჟამო გამოუთქმელი ამისთჳს უბიწოო ყოველნი მორწმუნენი გადიდებენ შენ».

ეზიარე უხრწნელთა საიდუმლოთა, ესე ხოლოდ აღმოსთქვი, დამბადებელო ჩემო ქრისტე ღმერთო, შეივედრე სული ჩემი.

ძმა იგი დაკლებული ხედვასა თუალთასა შეემთხჳა რა წმიდასა გუამსა შენსა, ნათლის ხედვა მიენიჭა და გადიდებდა. დიდება.

შემურვისა და დაფლვისა გალობითა გოდებით და ცრემლით ხმობდეს ტკბილო მამაო, შენთა მოწაფეთა ნუ დაგვივიწყებ წინაშე ღუთისა. აწდა.

ღუთის მშობელო ქალწულო, მოსავთა შენთა მხოლოდ შენ ხარ სასოება, ყოველთა ჩუენისა ამის საგალობელისა სრულ მყოფელი. ღირს-არსი, სრულიად.

მღუდელმან აკმიოს. მგალობელთა სოქუან. ხმა ა.

ოყავნ ჩუენდა წინამძღურად მთავარ გალობისა ქრისტე მეუფე ჩუენი, დღესა ამას ყოვლად ქებულისა დავითისსა, რომელი იგი მის მიერ ღირსად საჩინო იქმნა სეხნაობითა დავით მგალობელთა მთავრისათა.

მოიწიე და შეამკობდ მამაო ღირსო, ჩუენსა ამას მამასა და სახელ მოდგამსა შენსა და ჴკმობდ მშუენიერად საკჳრუელ არს თავადი შორის წმიდათა და ქება მისი შესაკრებელსა შინა ეკკლესიასა წმიდათასა.

მოვედ, მოგიწესს მოსწრაფედ, ლავრა შენი წმიდა, საუნჯედ სიწმინდისად, ადგილით მკჳდრობისად, ადგილად მსხემობისა, რათა ესრეთ გულსმოდგინებითა აღიძრნენ გონებანი აქა შემოკრებულთანი, ქებად შენდა დღესასწაულსა. დიდება.

დღეს დავით შემოჰკრებს კრებასა ამას საღმრთოსა და ჩუენთანა მედღესასწაულებად თჳთ თავადი უხილვად მდგომარედ არს, ჴერისა სულიერისა უხილავად განგიმზადებს და ყოველთა კაცთა კაცთმოყუარებით გვისტუმრებს. აწდა.

სულნი ბოროტნი შიშით ივლტიან და ანგელოზნი მოხარულნი გალობენ და ჩუენ მათ თანა ვღაღადებთ და ვიტყჳთ, დიდება მაღალთა შინა ღმერთსა და ქუეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება.

წმიდანო ანგელოზნო, ზეცისა მხედრობათანო და წინა მორბედო უფლისაო, მოციქულნო ათორმეტნო, — მღდელთ-მოძღუარნო, მოწამენო, ნეტარნო მამანო და წმ. მოწამენო და ნეტარნო დედანო და ყოველნო წმიდანო ღმრთისმშობელისა თანა ნუ დაჰსცხრებით მეოხებად და ცხოვრებად, რომელნი თქუენ გადიდებთ.

წმიდაო ღმერთო, მამაო ჩუენო, რამეთუ შენი არს სუფევა.

მიწყალენ ჩუენ უფალო თავისის მუხლებით. მღდელმან, შეგვიწყალენ ჩუენ ღმერთო (როგორც ღმრთისმშობლის პარაკლისშიდ უჩენს). ლოცუა სავედრებელი ღირსისა მამისა დავით გარესჯელისა მიმართ.

„ჰოი! ყოვლად სანატრელო, ყოვლად ბრწყინუალეო საღმრთოო ზესთადმი ჰსრბაო, საღმრთოო განათლებაო და სულიერითა ხედვითა ფრთედ მსრბოლ ხერუვიმებრ, ანგელოსებრითა სიწმიდითა ზესთა ღმრთისადმი მდგმოო, ღირსებაო და უსხეულოსა მის თუალთშეუდგამისა დიდებისა წინაშე კადნიერო, მეოხო და შესავედრებელო ჩუენ უღონოთა და განწირულთა, ცოდვილთა მონათა და მსახებელთა შენთაო.

ჰოი! ყოვლად ბრწყინუალეო, საღმრთოო საგალობელო, ღირსო მამაო წმიდაო დავით, შენ ზეგარდამოითა წინა განგებითითა მადლითა, სატანას ძლითთა სიბნელისა კრულებათაგან შემწედ და გამომხსნელად ჩუენდა მოვლინებულო და შესწავებელო, რამეთუ ვითარ იგი მოგეცა შენ მრავალ ნიჭება მადლისა და ქმნა საკჳრველებისა, ჰკსნა ცოდვათა შესლობისა და ბრალთა მოტევებისა, სენთა კურნებისა და ეშმაკისა საცდურთა განხლისა და განდევნისა, ეგრეთუე შენითა მამებრივითა მოწყალებითა შეგვაწყნარენ ღმერთსა სახიერსა, რათა ლოცუათა შენთა თხოვითა და ვედრებითა, ამაღლდეს და განძლიერდეს უკეთილ მსახურესი და უმაღლესი მეფე ჩუენი (ირაკლი) და დაემორჩილნენ ყოველნი მტერნი და მბრძოლნი მეფობისა მათისანი. მოიხსენენ მრავალ მოღუაწებათა შენთა სასოებითა კეთილ მორწმუნე დედოფალი (დარეჯან) და კეთილ მორწმუნენი ძენი და ასულნი მეფეთა ჩუენთანი. ვედრებითა შენითა დაიფარენ და ლოცუათა შენთა თხოვითა მოიხსენენ უნეტარესი და უწმიდესი პატრიარხი ჩუენი (ანტონი); ყოვლად სამღდელონი მიტროპოლიტნი, არხიეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი და ყოველნი სამღდელო და სამონაზონო წესნი, მხედართ მთავარნი და ქალაქთ მთავარნი და ქრისტეს მოყუარე მხედრობა და კეთილის მყოფელნი ჩუენნი და ყოველნი მართლ-მადიდებელნი ქრისტეანენი დაიფარენ, მრავალ მოღუაწებითა შრომითა შენითა. იმეოხენ ღირსო მამაო, რათა ლოცუათა შენთა მიერითა თხოვითა შეგჳწყნარნეს ჩუენ უფალმან ღმერთმან, ძალითა თჳსითა უძლეველითა, ყოველთა ხილულთა და უხილავთა მტერთა ჩუენთა ზედა.

ჰოი! ყოვლად ტკბილო მამაო მოწყალეო, მოწყალებითა ღმრთისა სახიერისა და კაცთმოყუარებისათა, მოციქულთა მსგავსად ოხვრით ბერილითა სულითა განბრძნობილითა ყოველთა არეთა და ერთა ჩუენ ქართველთასა, ნათელ მყოფელო და მასწავლელო კეთილმსახურებითისა თაყუანისცემისა ჭეშმარიტისა ღმრთისა და განმდევნელო სიძულილითა დაბუდებელისა მის, მაცთუ-

რისა მიერთა ძმაცულებათა საგველოჲსა სიბოროტისათა წარმწყმედო. შენ მოწყალებითა და ღუთისა მიმართითა თხოვითა შენითა, აღმომიყუანენ ჩუენ სიღრმეთაგან ცოდუათა ჩუენთასა, რათა ვიხსნეთ ჩუენ სიყმილისაგან, სრვსა და ძვრისაგან, ცეცხლისა მახჳლისა და ზედა მოსლვისაგან უცხოთესლთასა და ტომისაგან ბრძოლისა და უცხაურისა სიკუდილისაგან და გარე წარაქციენ ყოველნი ზედა დამსხმელნი ჩუენ ზედა მოწევნულნი მტერნი და განმხრწნელნი ქარნი და ყოველნი სიკუდილ შემოსილნი წყლულებანი და ყოველნი ბოროტებანი.

ილუაწე ტკბილო მამაო დავით, ილუაწე და განმიხვენ წიაღნი ღუთისადმი და მაგებელნი; ყოველთა ბრალთა და შეცოდებათა ჩუენთა საკურნელისა და მხსნელნი და მომტევებელნი და ალამაღლენ მართლ-მორწმუნეობა ჩუენი ყოველთა ზედა პირთა ქრისტიანისათა და განამრავლენ ერნი და სამწყსონი სავანეთა და ადგილთა ამათ შენთა ცრემლითა და შრომილთა და ღუაწლითა მოგებულთა, რათა ლოცუათა შენთა ოხითა, ჰკსნილნი ყოველთა ხილულთა და უხილავთა მტერთაგან და განთავისუფლებულნი საუკუნოსა სასჯელისაგან, სამარადისოთა მადლობითა ალუამაღლებდეთ წმიდასა სახსენებელსა შენსა, სურჳლით მსასოებელნი და თაყუანისცემისა შემწირუელნი, დაუსაბამოსა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი, უკუნისამდე, ამინ».

მღუდელმან ჩამოილოცოს და შემდგომად წმიდის დავითის ხატს ემთხვივნენ ყოველნი.

ხოლო ხატის მთხუევნისა ზედა, მგალობელნი გალობენ ამას, ხმა დ.

«ყოვლისა სოფლისა მხსნელო და მაცხოვარო უფალო იესო ქრისტე, ჩუენ ცოდჳლთა და უღირსთა მონათა შენთათჳს მხსნელად და მაცხოვრად ჩუენდა გამოჩინებულო, რომელმან მჳ: ჰკსნისათჳს ჩუენისა ჯუარი და სიკუდილი დაითმინე და ყოველთა ცხოვრება მოგუმადლე. აწცა მოწყალე ექმენ, სულთა და ხორცთა ჩუენთა გლახაკთა და შესავედრებელად ჩუენ ცოდჳლთათჳს აღძრულისა მამისა დავითის მიერი შუამდგომელობა და მეოხება შეიწყნარე ტკბილო სახიერო მეუფეო, რამეთუ არავინ გუაქუს ესრეთ კადნიერად შენ წინაშე მეოხი, ჩუენ ცოდჳლთა თჳნიერ ესე ვითარითა საოსო ყოფილთა შენთა. აჩუენე ძალი და ძლიერება შენი და მოგვმადლე ჭირთა და განსაცდელთა შინა მყოფთა განრომა, ცოდუათაგან ჴსნა და ყოველთა განსაცდელთაგან განთავისუფლება მონათა შენთა [1]).

დედოფალო მოხედენ ვედრებასა მონათა შენთასა და გვიხსნენ ჩუენ ყოველთა განსაცდელთა და სნეულებათაგან».

---

1) ნამდვილი ამ წიგნისა აღწერილ არს ცფილისს დეკანოზის შვილის მღუდლის ზაქარიასაგან, აპრილის 11. 1777 წელსა. მეფობასა ირაკლისსა.

პირუელ ოთხშაბათსა შემდეგ ამაღლებისა უფლისა ჩუენისა იესო ქრის-ტესისა, ხსენება ღირსისა მამისა ჩუენისა დოდო გარესჯელისა და დღეს შინა ხსენებისა წმ. დავითისასა ხუთშაბათსა, ხსენება ღირსისა მამისა ჩუე-ნისა ლუკიანე გარესჯელისა.

---

მისთანა მძოვარნი, დოდოს და ლუკიანე.

ქართუელთ მთიებნი, ულამონი ნათელნი.

უღალთა უწყლოდ, უპოვარნი კლეობენ.

შჯულთ იმრავლებენ, გემოსა უგემონი.

ალიკარვებენ, დღეს მდინარით მდგომადმდი 1).

თქმული ნიკოლაოზ ცფილელის მიერ.

---

1) ამათთა ღირსთა მამათთათჳს სხუა არა რაჲ უწყით, გარდა ამისა, რომელიც რა იპოვების ცხოვრებასა შინა წმ. დავითისასა. ერთი მოთხრობა გვაუწყებს, ვითარმედ წმ. დოდო აღმოსავლეთით მოიწია საქართუელოს და არა ქართუელი იყო ნათესავით, ვითარ იტყვის იოსელიანი. უთუოთ ცხოვრება მათი ვრცელი სადმე უნდა იყოს, რომელიც აწ დაკარგულ არს საუბედუროდ. არა თუ აღწერა მათისა წმ. ცხოვრებისა დაკარგულ არს ულმობის გამო ქართუელთასა, არამედ წმ. სამარხონიცა მათი: წმ. ლუკიანესი სრულიად უპოვნელ, წმ. დოდოსი, რომლისა საფლავი მოჩანდა მისსა მონასტრისა საკრებო ეკკლესიასა შინა — აწ წჳმამ ალავსო იგი სრულიად ქჳშითა და ესრეთ საუკუნოდ დაფარა ჩუენგან, საუნჯე იგი ეკკლესიისა.

პირუელ ოთხშაბათსა შემდეგ ამაღლებისა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესისა, ხსენება ღირსისა მამისა ჩუენისა დოდო გარესჯელისა და დღესა შინა ხსენებისა წმ. დავითისასა ხუთშაბათსა, ხსენება ღირსისა მამისა ჩუენისა ლუკიანე გარესჯელისა.

---

მისთანა მძოვარნი, დოდოს და ლუკიანე.
ქართუელთ მთიებნი, უღამონი ნათელნი.
უღალთა უწყლოდ, უპოვარნი კლეობენ.
მჴლთ იმრავლებენ, გემოსა უგემონი.
ადიკარვებენ, დღეს მდინარით მდგომადმდი [1]).

თქმული ნიკოლაოზ ცფილელის მიერ.

1) ამათთა ღირსთა მამათათჳს სხუა არა რაჲ უწყით, გარდა ამისა, რომელიც რა იპოვების ცხოვრებასა შინა წმ. დავითისასა. ერთი მოთხრობა გვაუწყებს, ვითარმედ წმ. დოდო აღმოსავლეთით მოიწია საქართუელოს და არა ქართუელი იყო ნათესავით, ვითარ იტყვის იოსელიანი. უთუოთ ცხოვრება მათი ვრცელი სადმე უნდა იყოს, რომელიც აწ დაკარგულ არს საუბედუროდ. არა თუ აღწერა მათისა წმ. ცხოვრებისა დაკარგულ არს უდებობის გამოთ ქართუელთასა, არამედ წმ. სამარხონიცა მათი: წმ. ლუკიანესი სრულიად უპოვნელ, წმ. დოდოსი, რომლისა საფლავი მოჩანდა მისსა მონასტრისა საკრებო ეკკლესიასა შინა — აწ წჳმამ ალავსო იგი სრულიად ქჳშითა და ესრეთ საუკუნოდ დაფარა ჩუენგან, საუნჯე იგი ეკკლესიისა.



ზაბინინი. М. САБИНИНЪ.

ႶႨႰႱႨ ႫႠႫႠ ႠႬႲႭႬ ႫႠႰႲႷႭႴႤႪႨ (ႫႤႱႥႤႲႤ).

თ̃ა იანვარსა ით დღესა, ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა ანტონ მარტომყოფელისა (მესუეტისა) შემოკლებით.

მარტოდ მცხოვრები, კეთილ მზეობს ანტონი.
მთიებ სამინოდ, შენიშე მნათი ქართუელთ.
ტჳრთი არმაღნად, ჰკიდავს ქრისტე მგცე ბერსა.
ბერწთა შჳლთ უსხამს, მომყმართა პურით ავსებს.
მარტმყოფს ფარვად ჰწყევს, სულსა აღადჳთის სახლებს.

თქმული ნიკოლაოზ ცფილელის მიერ.

იყო წმიდა მამა ანტონი შუამდინარელი და მოწაფე მამისა იოანესი. იყო წმიდა ესე განშორებულთა შორის ფრიად სათნო და წარჩინებული, ამან ყოვლად სანატრელმან წმიდა იგი ხატი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, რომელი საჴედ პირსა თჳსსა ტილოსა ზედან გამოსახა და ავგაროზს სასოება აღუსრულა და შემდგომად ამაღლებისა, თადეოსის მიერითა ჴელითა მიუვლინა და განჰკურნა კეთრისა მისგან ჭირმძებარისა და ყოვლითა სახლეულით მისით ნათელ იღო, თადეოზისმიერითა ჴელითა და შემდგომად მისსა ძე ძისა ავგაროზისა და ჭირალად ძჳლის შჳლისა ძისა მისისა ენაცვალნეს მათ მეფობათა ოდენ და არა ღმრთისმსახურებითა; რამეთუ განდგომილ იქმნეს ღმრთის მსახურებასა და დამონებულ ეშმაკთა სოცრებასა. რამეთუ რა იგი ავგაროზს ეყო ეშმაკთა და ვითარ შემუსრნა და განუდგა მისი, ენება შურისგება, რათა მოუზღოს ეშმაკთა, სახე ძჳრლისა-მის საზორველისა დამჴობისა და მხობათა ხატისა-მის საუფლოისათა, რომელი აღმართა ავგაროზ ბჭეთა ზედა ქალაქისათა, სადა იგი ემართა კერპი ბილწი; რამეთუ მუნ დაუსუჳრნა ხატი იგი ტილოსი, ფიცარსა ზედა გარდართხმული, რათა ყოველნი შემავალნი მუნ შინა ხილვითა თაყუანისცემდენ. მაშინ ბილწმან წჳლისა წულ მან ავგაროზისმან აღირჩია დღე კეთილოჯბისა წილ უსასურობება და ხატი იგი უარ ჰყო და ეშმაკთა შეუდგა და იგონა ხატისა მის ქრისტესისა, რათა წარწყმიდოს იგი.

მაშინ ეპისკოპოსმან მის ქალაქისამან გულის ხმა ჰყო განზრახვა ბოროტისა მის და განგება ღირსი და შემსგავსებული მის ჟამისა. რამეთუ სადა იგი ხატი ესჴჱნა, კამარედად ქმნილ იყო და წმიდამან ეპისკოპოსმან დადგა კანდელი აღნთებული, სათვარჩჱლად ტაძრისა მის, აღმართა კეცი წინა პირსა ხატისასა და აღმოიყო რა კარი იგი კამარისა და შეათვარილა, რომელ ყოვლად არა ეტ-ყობოდა, თუ ერთი რომელ უახლეს არს და შემდგომად უკანასკნელთა დღეთა და ჟამთა, ხჳასრო, სპარსთა მეფე, (613 წ.) მოადგა ედესია ქალაქსა და უწყო თხრა ქუეშე ზღუდესა და ეგრეთ შევი-დეს, რომელ ვერა აგრძნეს თუ ჰბრძავსო. მაშინ ღმერთმან არა დაიღუმა უტყუელი აღთქმა, რომელ აღუთქუა, ვითარმედ «ზღუდე ვარ მე ედესიისა» და მშობელისა თჳსისა მეოხებითა, ევლავიოზს ეპისკოპოსსა მის ქალაქისასა, გამოეცხადა დედა ღუთისა და ჰრქუა, ვითარმედ იმას, რომელსამე ბჭესა ზედა არს ხატი იგი კელით უქმნელი და დაფარული» და ვითარცა განიღვიძა ეპისკოპოსმან, გულის ხმა ჰყო ჭეშმარიტით ძილსა შინა ჩუენებულსა მას და განთიად წარვიდა ლიტანიით, ად-გილსა მას და ჰპოვა წმიდა ხატი იგი ყოვლად განურყუნელი და კანდელი იგი წინაშე მისსა აღნთე-ბული ეგო, ეგე ოდენსა ჟამთა სიმრავლესა შინა და გარდააწჳეთეს ზეთი მის კანდელისა მბრძოლთა მათსა ზედან მის ქალაქისათა და მეყუსეულად, ვითარცა მიახლდა, მიედვა და დაიწვნეს და ვითარცა მტჳერი განიბნივნეს და უჩინო იქმნნეს; ხოლო რომელი იგი კეცი სათვარჩჱლად მის ხატისა აღ-მართებულ იყო, მას ზედა გამოსახულ იყო სხუა ხატი და მსგავსება წმიდისა მის საუფლოსა ხა-ტისა, რომელი იგი სწორებით პატივ იცემებოდეს და ნესტორიანთა ეკკლესიასა შინა დაესვენნეს.

მაშინ წმიდამან ამან ანტონი-მ იძია მოძღჳრისა თჳსისა გზა და ისწავა ჭეშმარიტი და ცნა, რამეთუ წარვიდა სომხითის ჩრდილოეთით კერძო, სხუათა თანა მოწაფეთა, რომელთა აწ მოვიხ-სენიეთ, დავით და დოდო და შიო ანტიოქიელი და რვანი სხუანი მოწაფენი იოანესნი, ერთისა საზღჳრისანი: ესე ცნა წმიდამან ანტონი, აღიძრა ტრფიალებითა მოძღჳრისა თჳსისათა და ესეცა ეძვინებოდა გულსა თჳსსა, რომელ ნესტორიანთა ეკკლესიასა შინა იყუნეს საუფლონი იგი ხატნი და აღიღუნა კეცი რომელ სათვარჩჱლად მის ხატისა ყოფილ იყო და ხატი ქმნულ იყო. ესე უჩინ-რად წარმოიღო, წინა ძღომითა ანგელოზისათა და უწყებითა ზეციერითა, ჩრდილოეთს[1]) და

---

1) თუ ეს ქართლის ცხოვრების მოთხრობა ჰსწორე არს, აქ უნდა იყოს ჩამატებული ქუმო ეს მოთხრობა, რომელიცა ვჰპოვე მეფის დავით იმამ ყული ხანის გუჯარსა შინა, რომელიც მიცემულ იყო მის მიერ (რუსთავის) მარტმყოფის ეკკლესიისათვს ქორონ. უი (1722 წ). 4 ავგისტოსა: «ოდეს ყოვლად სანატრელი დაემკჳდრა იოანესა თანა მთასა ზედა ზედაძენისასა, შემდეგ რაოდენისამე დროსა, ბრძანებითა ღუთისმშობლისათა, წმ. იოანემ განუ-ტევა ნეტარნი მოწაფენი თჳსნი საქალაქოთ; რაოდენნი მათგანი წარვიდნენ ქართლს, მიემთხვივნეს მთასა დვალე-თისასა, ზოგნი წარვიდეს კახეთს, რომელთა შორის იყო ეს სანატრელიცა მამა ანტონ. ოდეს ესმინა მას ბრძანე-ბაა მამისა თჳსისა წარსვლა საქალაქოთ, იპყრა ხელსა შინა თჳსსა წმ. ხატი უფლისა, რომელიც აქუნდა მას მარადის, სიხარულით შეუდგა კუალსა სამოციქულოსა. პირუტჳლად მოვლო ქალაქებითა ჩრდილოეთის არენი მთისა-ზედა ძნისანი და მკჳდრთა მათთა კერპთმსახურთა უქადაგა უფალი ჩუჱნი იესო ქრისტე. მრავალნი მათგანნი მოაქცივნა და ნათელს ჰსცა, სახელითა წმ. სამებისათა. შემდეგ ამისა, ოდეს განავრცო სარწმუნოებაა, დაუტევა აქ მღუდელნი, წარვიდა თჳთ საქალაქოდ კახეთს, განვლო მთა იალღოსი, მივიდა და მოიკითხა თანა მოღუაწე თჳსი ღირსი და ნეტარი მამა ზენონ იყალთოელი. შემდეგ რაოდენისამე დროსა ნეტარმან ანტონ დაუტევა იყალთო, მივიდა თანა მოღუაწესთა თჳსთა და მოიკითხა ღირსი და ნეტარი იოსებ ალავერდელი. მასთანა ღირსმან დაჰყო ფრიადი დრო, დამტევებელმან რაოდენისამე შემდეგ დროსა სხუათა თანა მოღუაწეთა, დაემკჳდრა ხევსა შინა ლოპოტანისასა, აქა დამკჳდრებისა შემდეგ, მოვლო სანატრელმან ქალაქებითა ყოველნი სანახებნი მის ადგილისანი და დაარწმუნებდა ყოველთა მთ

მიიწია მტკჳარსა ზედა, განვლო იგი და დაემკჳდრა აღმოსავალით, ვითარ ოთხ მილიონ, ნაპრალსა კლდისასა, შინაგან მთათა აკრთანთა: იოანეს ახილვიდა ვითარ ხუთ მილიონ, და შიოს ვითარ ცხრა მილიონ, დავით, დოდოს ათ სამეტ მილიონ. ხოლო მუნ თქჳთსვე, რომელ წმიდისა ამის ანტონის ეძგნეს საზრდელად გჳამისა თჳსისა ირემნი და იყო მთა ულალი და სერტყიანი და იყო ქალაქი ვითარ ერთ მილიონ, მცირე და ესე ირემნი წარჳდიან ველსა და ვითარ ჟამი მოვიდის, შინა მოვიდიან, წჳთლის; ვითარ მწყემსნი, მოვიდოდეს ჟამეულად. ხოლო ერთსა ოდენ ჟამსა მიიწივნეს უჳამოდ და ფრთხინ და უკან ნუკრი მოსდევდა; კორც შეკჳთილი და ესე და უკჳრდა წმიდასა მას და თქჳა გულსა შინა თჳსსა, თუ «სადა ვინ შეემთჳჳა». რამეთუ არა უწყოდა სიახლე მის ქალაქისა და მყის ვითარცა კაცთა თუალ მმრუმედ ხედვასა თანა ჰრქჳა «რა არს ესე» და მათ ვითარცა პირ მეტყჳთლთა თავ მიზიდვით ჰრქჳთს. შემომიდექ და გიჩვენოთ და შეუდგა კჳალსა მათსა და მიიწია მას ადგილსა სადა იგი შემთხვეულ იყო მათდა და აჰა მთავარი მის დაბისა მოვიდოდა ნადირობად და წინა შეემთხვია და ჰრქჳა. ვინ ხარ: ხოლო წმიდა იგი ჴელითა უჩჳთნებდა სადა იგი იყოფოდა და ყოველსავე საქმესა, რამეთუ ენა არა ესმოდა: მაშინ მთავარმან ჰრქჳა. მე შენი არა მესმის და რომელ ეგე ჴელითა მეუბნები ეგეცა მოგჳთთო: და ჰრქჳა. წარიყჳანეთ მჴედლისა თანა და ვითარცა მიიყჳანეს, მჴედელმან შანთი გაახურვა და გამოიღო, რათა ჴელი მოჰკჳთთოს და დავარდა ქვე და ჴელნი ვითარცა შეშანი შეექმნნეს. მაშინ წმიდამან მიჰყო ჴელი, და ვითარცა ნაკჳთრცხალი ჴელითა აღებული მიუპყრა და ჰრქჳა. «ჰყავ ადრე ბრძანებული შენდა» და იგი განკრთა საშინელსა მას ზედა ხილვასა და მსწრაფლ მიუმცნეს მთავარსა და ჰრქჳთს ყოველი ხილული და მან ბრძანა, რათა წინაშე მისსა მიიყჳანონ და ვითარცა მიიყჳანეს, ჰრქჳა მას. რა ჰკჳნებავს სთქჳ და ყოველი მიგცე; ხოლო მცირედი ქჳა უჩჳთნა მას, ვითარ სამეული და ილოკდა და ცნეს რამეთუ მარილი უნდა და მოართჳთს ორი ოდენ ქჳა განუტეხელი და მან მოხლიჩა ერთი ლიტრა და წარუჭიდა და ალოკა ფურთა თჳსთა და იყოფოდა ხატსა მას წინაშე ვიდრე აღსასრულადმდე ცხოვრებისა მისისა და წმიდა იგი წმიდათა შინა მიიცჳალა და ჩჳთნ დაგჳტევა ხატი იგი საუფლო და არს ვიდრე ძლეინდელად დღემდე უჩინრად და სასწაულთა მოქმედამს განცხადებულად, რომელ უადგილეს არს აღრიცხვა ზღჳს ქჳშათა ვიდრე საკჳრჳთლებათა საუფლოსა მის ხატისათა; გარნა ვინათგან ღმერთი მხოლო არს მოქმედი სასწაულთა, მანვე მხოლომან უწყის სიმრავლე სასწაულთა მისთა და უკეთუ სოლომონცა იყო, ვერცა მან შეუძლოს აღრიცხვად თჳნიერ ღჳთისა მხოლოჲსა.

---

მრავლითა საკჳრჳთლებითა, რომელნი იქმნებოდენ ხატისაგან მის საუფლოსა. მობაძავნი მის მოღუაწებისანი მრავალნი დაუტევებდენ სოფელსა და მონაზონ იქმნებოდენ, რომელნი დაემკჳდრებოდენ მას ღელესა შინა, — არა დამტევებელი ადგილი იგი მრავალთა მომსვლელთა, ნეტარმა აღურჩია სხჳა ადგილი ალაზნისა გაღმა, რომელთა აღუშენა მათ მონასტერი. შემდეგ ამისა, არა ულეხ ქმნილი — ნეტარმა დაუტევა მონასტერი თჳსი, მოვლო ქჳთმო კახეთი ქადაგებითა და დაემკჳდრა უვალსა მთასა ზედა ახმეტისასა. შემდეგ რაოდენისამე ჟამისა პოვნილ ქმნილი მცხოვრებთა მიერ ახმეტისასა და რათა შეაწუხებდნენ მას; დაუტევა ადგილი იგი თჳსი და მიემთხჳა მთასა აკრიანისასა, ანუ აწინდელ მარტყოფისასა.

# ႱႠႶႠႫႭႱႠ ႫႼႳႾႰႨႱႠ.

## მღუდელმან.

კხლ-არსი. ამინ. დიდება შენდა ღთო ჩნო. მეუფეო ზეცათაო. წო ღთო. უდ წმიდაო. მამაო ჩნო. რთუ შ. არს. აშ. უო შენ. იბ დიდებ. აწდა.

მოვედით თაყნის-ვჰსცეთ მეუფესა ჩნსა ღთსა, მოვედით თაყნის-ვჰსცეთ და შეუვრდეთ ქესა მეუფესა ჩნსა ღთსა.

მოვედით თაყნის-ვჰსცეთ და შეუვრდეთ თჳთ ქესა მეუფესა და ღთსა ჩუენსა.

«ულო შეისმინე ლოცვსა ჩემისა, ყურად-იღე ვედრება ჩი ჭტბითა შენითა, შეისმინე ჩი სი-მართლითა შენითა და ნუ შეხუალ სასჯელსა მონისა შენისა თანა, რ არა განმართლდეს შენ წე ყლი ცხოველი, რ ჰსდევს მტერმან სული ჩი და დაამდაბლა ქჳნად ცხოვრება ჩი, დამსუა მე ბნელსა შა, ვა მკუდარი საუკუნო და მოეწყინა ჩემ თანა სულსა ჩემსა და ჩემ შის შემიძრწუნდა გული ჩი. მოი-ხსენე დღეთა ძლთა და ვიწურთიდ ყთა მრთ საქმეთა შენთა და ქმნულსა ჴელთა შენთასა ვზრახევდ, განვიპყრენ შენდამი ხელნი ჩემნი და სული ჩი, ვა ქჳანა ურწყული შენდამი, მსთუად შეისმინე ჩი ულო, რ მოაკლდა სულსა ჩემსა, ნუ გარემიიქცევ პირსა შენსა ჩემგან დ ვემსგავსო მათ რლნი შთავ-ლენან მღჳმესა, მასმინე მე განთიად წყალობა ში, რ მე შენ გესავ, მაუწყე მე ულო გზა, რლსაცა ვიდოდე, რ შენდამი აღვიღე სული ჩი, მიხსენ მე მტერთა ჩემთაგან, ულო რ შენ შეგევედრე, მას-წავე მე, რათა ვჰყო ნება შენი, რ შენ ხარ ღთი ჩი, სული შენი სახიერი მიძღოდეს მე ქჳნასა წრფელსა, სახელისა შენისა თჳს. ულო მაცხოვნე მე და სიმართლითა შითა გამოიყუანე ჭირისაგან სული ჩემი და წყალობითა შითა მოსრნე მტერნი ჩემნი და წარსწყმიდნე ყლნი მაჭირვებელნი სულისა ჩისანი, რ მე მონა შენი ვარ». დიდებ. აწდა ალლილუია გ. გზის.

ღი უი და გამოგვიჩნდა ჩნ კხლ არს მომავალი სახელითა უისათა. მუხლი ა.

აუარებდით უფალსა, რ. კეთილ; რ. უკე არს წყალობა მისი. მუხლი ბ.

ყლი თესლები გარე მომადგეს მე, სახელითა უისათა ვჰრეოდე მათ. მუხლი გ.

არა მოვჰკუდე, ად ვსცხოვნდე და განვჰსთქუნე საქმენი უისანი. მუხლი დ.

ლოდი რლ შეურაცხ-ჰყუს მაშენებელთა, ესე იქმნა თავ კიდეთა, უისა მიერ იყო ესე და არს საკჳრველ წე თუალთა ჩნთა. ტროპარი ჴმა. ჱ.

«ხატად ღისა შექმნილმან წო, არა უდებ-ჰყავ პატივი ხატისა ქესი, თჳნიერ ყლისა კაცთასა გა-მოსახულისა, რ იხილე რა ხელთა შა ურწმუნოთასა განხურვებულმან შურითა საღთოთა, იტჳრთე მხართა ზა მტჳრთველი ყთა და მოუძღუანე ქართველთა ერსა, მოღუაწეთა მშჳნიერებაო ან-ტონი, ევედრე ქესა ღთსა შეწყალებად სულთა ჩნთა თჳს». დიდება და აწდა. ღისმშობელისა.

დედოფალო შეიწირე ვედრება მონათა შენთა და გვიხსენ ჩნ, ყლისაგან ჭირისა და მწუხარებისა.

მიწყალე მე ღთო. სრულიად.

გალობა, ა. ჴსძლის პირი გმა ჳ.

«ისრაილი მონა ქმნილი, გამოიხსენ უფლ, მკლავითა შითა მტკიცითა, ამისთჳსცა გიგალობთ, რლიცა დიდებულ-ხარ». ღირსო მამაო ანტონი, ევედრე ღმრთისა ჩნჳნთჳს.

მონაზონთა სიქადულსა, მოღუაწესა ანტონის, უდაბნოთა ქალაქ მყოფელსა, სატფურთა განმდევნელსა, მორწმუნენი უგალობდეთ. ღირსო.

ღიც განბრძნობილსა ანტონის, ყლნი უგალობდეთ, რ მარხვსა შრომითა, ვნებანი განიოცნა და ქესა სათნო ეყო. დიდება.

იოანეს და ილიას მიემსგავსე ნეტარო და პატივს-გცა ღთნ, მათ თანა ჩნთჳსცა მეოხ-გჳყავ, რათა იხსნნეს სულნი ჩნნი. აწდა.

უზესთაეს ბუნებათა შენგან განკაცებულსა ღისა, ევედრე დედოფალო, ყოვლგან ურჩეოთა გამოხსნად მონათა შენთა. გალობა. გ. ჴსძლის პირი

«არა ვინ არს წა ვრ უი და არა ვინ არს მართალ ღთსა ჩისაებრ, რლსა უგალობდებთ, არა ვინ არს წმიდა შენებრ უოი». ღირსო მამაო ანტონი.

ღირსისა ანტონის საჴსენებელსა, ვა თანამდებსა, ვდღესასწაულობდეთ და ქესა ვადიდებდეთ, განმანათლებელსა სულთა ჩუჳნთასა. ღირსო.

ქუხასა ზა მოღუაწე იყავ, სანატრელო ანტონი, მსახურო ქესო და პატივ-ცემულ იქმენ, მის მრ ზეცისა სასუფეველსა. დიდება.

ეკლესია ქართლისა აღასრულებს დღეს, სახსენებელსა შენსა და ევედრები მუხლ ქეს-მოყუარე, მოღუაწეო ანტონი, გჳთხოვე ღისაგან დიდი წყალობა. აწდა.

ჴშევ და ქალწულადვე ეგე სამარადისოდ და უქორწინებელად, ღისა დედა იქმენ, სანატრელო მარიამ, რლსა ევედრე სულთა ჩნთა თჳს. წარდგომა გმა ჵ. აქა შეგვიწყალენი.

ზეცისა შჳნებათთჳს, დასთრგუნე სიყუარული სოფლისა და შეურაცხ-ჰყავ ვა ახრდილი, ჴოი! ღიც განბრძნობილო მამაო, რ. ვა გონიერი ვაჭარი, ეძებდი კეთილსა მას მარგალიტსა და რაჟამს ჰპოვე იგი მიეც ყოველ და იგი ხ მარტო მოიყიდე და ურიცხჳნი განამდიდრენ, ამისთჳს ვდღესასწაულობთ ჴსენებასა შენსა, ღთ-შემოსილო ანტონი, ევედრე ქესა ღისა, რათა ცოდჳათა შენდობა მოგუანიჭოს, რლნი სურჳლით ვდღესასწაულობთ წსსა ხსენებასა შენსა. გალობა. დ. ჴსძლის პირი:

«მესმა მე ქე სმენა და შემეშინა, რ მამისაგან არა დააკლდი და კაცთა შის გამოსჩნდი, ცხოვრებისათჳს სულთა ჩნთასა მრავალ მოწყალეო». ღირსო.

გესმა რა ღირსო სიტყუა სახარებისა, მუნ თქჳსვე დაუტევე ზრუნვა სოფლისა, აღიღე ჯი ში და შეუდეგ შენ, ქესა ღთსა და სათნო ეყავ, მამაო ანტონი. ღირსო.

ყითურთ განემზადე მონებად ღისა, ყითურთ მოიძაგე გულისთქმა ჴორცთა, ღირსო მამაო ანტონი და მოელოდი, მოღებად მადლსა მას ქეს ღისასა ნეტარო. დიდება.

მოციქულებრნი ღუაწლნი აღასრულენ შენ და ღირს-იქმენ მოღებად მადლსა ღისაგან და ჰხედვედი მოწყვნადთა და კურნებასა, მიჰმადლებდი შენ სენსა კაცთასა. აწდა.

ვერ შემძლებელ ვართ ქებად, შემსგავსებულად, სიწმიდისა შისა, ღისა დედაო, რ. ზესთა იპოვა ცნობათა ჩნთა დიდებულება ში წო. გალობა ე. ჭსძლის პირი.

«აღმსთობილნი შენ გიგალობთ, ჳო მაცხოვნენ ჩნ, ვა სახიერ-ხარ, რ სხუა ღთი არა ვიცით». ღირსო.

ღირს იქმნენ მოღებად, მადლსა ღისაგან შენ ანტონი, რ დაიმკჳდრა სულმან წმნ სულსა შენსა. დიდება.

რლნი სურჳლით აქებენ დღესასწაულსა შენსა, სანატრელო ანტონი, უთხოვე გამოხსნა ჭირისაგან. აწდა.

მსახურ ქესო, ღირსო ანტონი, მეოხ გუეყავ რლნი აღვასრულებთ სახსენებელსა შენსა სანატრელო. ღირსო.

შდ შობისა ქალწულად ჰგივ უბიწოო, რ. სიტყუა ღისა, უჰშევ ღირსო კორციითა, სოფელსა. გალობა. ვ. ჭსძლის პირი.

«მომეც მე სამოსელი ბრწყინვალე, რლნ შეიმოსე ნათელი სამოსლად, ღთო მეოხებითა მოწამეთათა». ღირსო.

სახე ჭეთილისა ექმნენ მონაზონთა ანტონი სანატრელო, სამწყსოთა შითათჳს, ნუ დასცხრები ვედრებად, ღისა მრთ. ღირსო.

კადნიერება გაქუს ჳისა მრთ, ანტონი სანატრელო, ითხოვე შეწევნა, რათა განვერნეთ მტერისა სულთა ჩნთასა. დიდება.

მოაკუდინენ ვნებანი კორცთანი, მოღუაწებისა მრ წო ანტონი, შეწევნითა სულისა წისათა. აწდა.

რლნ გვიჰშევ კორციითა სიტყუა, სიტყჳსა მრ სძალო იხსენ გბით მახეთაგან მტერისათა სულნი ჩნნი. მერმე და მერმე. რ შენ ხარ მეუფე მშჳდობისა. კონდაკი კმა. ბ.

«მნათობად მზეებრ ბრწყინვალედ მოეცნეს ქართუელთა ერსა, ათორმეტნი რიცხჳთა მამანი ყისა სოფლისანი ჲ მშუენიერებანი უდაბნოთანი, ხ შის მათთა ბრძენი ანტონი, იდიდებოდეს დღეს ჩნ მრ. რლნ მოგვისუენა, ხატი წა კელით უქმნელი, მფარუელად მეფისა ღის მოყუარისა და სა-ცოდ ყისა სოფლისა». იკოსი.

რაჟამს გესმა კმა ჳისა, ერჩდი მას მოსწრაფებით და შეუდეგ ღირსად და მისდევდი მცნებათა მისთა, შიშველ იქმენ ნივთთაგან მსოფლიოთა და ყთაგან ზრუნვათა მისთა მოცალე ექმენ, განხუმდ უდაბნოდ სანატრელო და მოძღუარისა იოანეს შეეყავ, დიდსა მნათობსა და მის თანა მზრახუელობითა ზრახუასა ღირს იქმენ, წითა-გონებითა სასურუელისა შისასა, რლისა თანა ოხად ნუ დააცადებ ღისა მრთ მამაო და ფარუად მეფისა ღის-მოყუარისა და საცოდ ყოვლისა სოფლისა. წარდგომა კმა. დ.

პატიოსან არს წე უფლისა სიკუდილი წმიდა მისთა, მუხლი. რა მივაგო უფალსა ყოვლისავე თჳს, რლი ესე მომაგო მე. ყლი სული. სახარება. ლუკასაგან წისა სახარებისა საკითხავი. მოიხედენ.

«დასდგა იესუ ადგილსა ველსა და ერი იგი მოწაფეთა მისთა და სხჳსა ერისა სიმრავლე ფდი ჰურიასტანით და იერუსალიმით და ზღჳს კიდისა ტჳროსით და სიდონით, რლნი მოსრულ-იყუნეს სმენად მისგან და განკურნებად სნეულებათაგან მათთა და ურვილნი იგი სულთაგან არა წთა განიკურნებოდეს და ყლი იგი ერი ეძიებდა შეხებად მისა, რ ძალნი გამოვიდოდეს მისგან და განჰკურნებდეს ყთა და თავადმან აღიხილნა თუალნი მისნი მოწაფეთა მრთ და ეტყოდა. ნეტარ ხართ გლახაკნი სულითა, რ თქუენი არს სასუფეველი ღისა. ნეტარ ხართ თქნ რლთა გშიის აწ, რ განძღეთ. ნეტარ ხართ, რლნი ჰსტირით აწ, რ იცინოდეთ. ნეტარ იყუნეთ, რაჟამს მოგიძულნენ თქუენ კაცთა და ოდეს გამოგასხნენ თქუენ და გაყუედრებდეს და განჰხადონ სახელი თქუენი, ვა ბოროტი, ძისათჳს კაცისა; გიხაროდენ მას დღესა შა და მხიარულ იყუენით, რ აჰა ესერა სასყიდელი თქუენი, მრავალ არს ცათა შა.

მეოხებითა ღთისა მამისა ჩნისა ანტონისათა; მოწყალეო აღჰხოცენ ცოდუათა ჩუენთა სიმრავლენი. დიდება იგივე და აწდა. მიწყალე მე ღმერთო, ამხონე დიდითა შნ წყალობითა და მოწყალ. გალობა. ზ. ჰსძლიის პირი.

«ყრმანი ებრაელნი საკმილსა შა, ჰფლობდეს ცეცხლსა ზა კადნიერებით და ნეტარებით შეიმკობოდეს, ღაღადებდეს და იტყოდეს, კხლ ხარ შენ უო ღთო მამათა ჩნთაო». ღირსო.

იყუნეს ყმნი შენნი ანტონი, ვითარცა სალმოთა ჩუენებათა ღირსმ დღისით და ღამით ზრახვიდი დამბადებელსა და იტყოდი, კხლ ხარ შენ უო ღთო მამათა ჩნთაო. ღირსო,

ნათლისა სიყტ იქმენ ანტონი ბრწყინვალებითა სულისა წისათა და წინასწარმეტყუელ მონაზონთა და იტყოდი კხლ, ხარ შენ უო ღთო მამათა ჩნთაო. დიდება.

გამოიხურვე ბრძმედსა შა განსაცდელთასა, ვა ოქროჲ ჰრჩეული და განბრწყინდი მადლისა მიერ და ღაღადებდი, კხლ ხარ შენ უო ღთო მამათა ჩნთაო. აწდა.

სიბრძნემან ყლთა დამბადებელმან, იშენა სახლი თჳსი შენგან ქალწულო, და მოწყალებით განაახლა ბუნება ჩნ ქმნილისა, ღონ მამათა ჩნთამან, ღისა მამისა სიტყუამან. გალობა ჱ. ჰსძლიის პირი.

«მთასა ზა მოსეს ონ მზრახჳელმან, მაყუალოვანით, სახედ გამოაჩინა და ქალწულისაგან შობილსა უვნებელად ყნი ვაკურთხევთ და აღვამაღლებთ მას უკე». ღირსო.

რლნცა ადიდე დიდებული, ღონ ჩნმან გსუენება ანტონისი და მადლითა გჳრგჳნოსან ჰყო, ყლნი ვაკურთხევთ და აღვამაღლებთ მას უკე. ღირსო.

უდაბნოთა შა, ღის-მსახურებითა და ახოვნად მოღუაწესა ანტონის, ჩდ დაუცხრომელად უგალობდეთ და აღვამაღლებდეთ ღთსა უკე. დიდება.

ადინებ შენ წყალსა კურნებისასა, მომავალთა შენდა სარწმუნოებით, მამრთელებელად, სენთა უხილავთა და ხილულთა, რ. მოიგე ესე ნაცუალ შრომათა შენთა. აწდა.

რლნცა ანგელოსისა სიტყუა შეიწყნარე და ღთი მხოლო გვიშვე და ნათელი სოფელსა გამოუბრწყინვე, ყნი გაკურთხევთ და აღვამაღლებთ შენ უკე. გალობა. თ. ჰსძლიის პირი.

«რლნ წჳრ-მოასწავე, შობა უხრწნელად, მომცემელსა ჴსჯულისასა, მთასა ზს სინასა, ცეც-
ხლითა მაყლოვანსა მას შა დაუდუმებელად მას ვადიდებდეთ». ღირს არს.
რლნ საშუებელნი, სოფლისანი განიძარცუნა და შეიმოსა საჭურჭლი ქსი, ანტონის, ვა
სულთა ჩნთა მეოხსა, დაუდუმებელად მას ვადიდებდეთ. ღირს არს.
მართალო ანტონი, სათნოებათა მოგებითა ზეცად აღიწიე და შრომანი შესწირენ ღისა, რ
გზისა მიერ იწროსა შეხჳდ სასუფეველსა და დაემკჳდრე. დიდება.
აატჩი სათნოებათანი, მოღუაწებათა მრ ჭეთილად-მსახურებისა, წამლითა გამოსხენ და ხატ
ღისა ჩტთით, სული შნ განაბრწყინე. აწდა.
შენ ქალწულო გექმნა სახე, მაყუალი აღგზებული, რლი ცეცხლისა მისგან შეუწუელად დაიცვე,
რ უხრწნელად დაიტიე, ცეცხლი ღთაებისა და უვნებელად ჰშევ. ღირს არს, სდ.
წო. ღთო. უდ წო. მამაო ჩნო: რ. შნ არს სუფევა, მიწყალენ ჩნ უო. დიდება. უო შეგვიწყალენ
ჩნ. აწდა. მოწყალებისა კარი განგვიღე, შუგვიწყალენი. : ძ. შეისმინე ჩნი ღთო მაცხოვარო ჩნო.
უფლისა მრთ ვილოცოთ. სავედრებელი.
«ჰოი! ღირსო ღ საზატრელო მამაო, რლი აქა კრებულისაგან შორად მარტოდ მყოფ იყავ და
აწ ზოგად ყლოა წთა თანა დამკჳდრებულ ხარ, ტკბილო და საწადელო ანგელოსთა შორის, მოქა-
ლაქეო ზეცისა იერუსალიმისაო, ღირსთა შორის გჳრგჳნო, წთა შორის თუალო პატიოსანო
და მრავალთა სასწაულთა მოქმედო და ღთსა მრთ შუამდგომელო ყლთა შენდა მვედრებელთაო,
წო ანტონი უდ განათლებულითა ლოცვათა შენითა, მეოხ გუეყავ, შენგან შეყუარებულისა ქს ღისა
მრთ, რლისა წე ბრწყინუალითა გჳრგჳნითა იხარებ საუკუნოდ, რათა მოგუმადლოს სიწმიდით
მოქალაქობა, სულიერთა და ხორციელთა ვნებათაგან განთავისუფლება, წყლულთა განკურნება და
ყოვლისა განსაცდელისაგან ხსნა, რომელსა უგალობთ, ვაქებთ, ვაკურთხევ, თაყუანის ვჰსცემთ და
აღვამაღლებთ უკუნითი უკე ამინ. მღუდელმან ჩამოილოცოს. მგალობელთა ესე.
ჰოი! უდ საზატრელო მამაო ანტონი, რომელმან მოიძღუანე ქართუელთ ხატი მაცხოვრისა
ჩნისა იესო ქსი და აღაგზნენ გულსა შინა შენსა ცეცხლი სიყუარულისა და წინაშე მისა სდგეხარ,
ვა ლამპარი ბრწყინუალედ აღნთებული, სამარადისოდ კადნიერება გაქუს წინაშე მისსა, მეოხ გუეყავ
მვედრებელთა შენთა.

თჳ მაისსა ზ დღესა, ხსენება ღირსთა და ღმერთშემოსილთა მოწაფეთა წმ. იოანესი, სტეფანე ხირსელისა, ზენონ იყალთოელისა, თადეოს სტეფან-წმიდელისა, ისიდორე სამთავნელისა, პიროს ბრეთელისა და მიხაილ ულუმბელისა [1]).

ღირსნი და ღმერთ შემოსილნი წმ. მამანი, ცხოვრება, რომელთაჲ არა მოაწია ჩუენსამდე, ვითარ უწყით, იყვნენ მოწაფენი წმ. იოანესი. — ოდეს ებრძანა წმ. იოანეს ღუთისმშობლისა მიერ წარგზავნა მოწაფეთა თჳსთა საქადაგოთ. მაშინ მოუწოდა იგინი და შემდეგ გამოცხადებისა მათდა ბრძანებისა ღუთისასა, მიუმცნო მათ მცნება და სწავლა, რომლითა განამტკიცებს იგინი [2]) და განუტევა საქადაგოთ. — რომელნი მათგანნი წარვიდნენ ქართლს და რომელნი კახეთს; წმ. მ. პიროს, მიხაილ, თადეოს და ისიდორე წარვიდნენ ქართლს და მოვლეს იგი ქადაგებითა, ხოლო ზენონ და სტეფანე, წარვიდნენ კახეთს და მოვლეს იგი ქადაგებითა ღუთისათა. ამათ წმ. მამათა სრულიად განავრცეს სარწმუნოება ქრისტესი და სრულიად მოსპეს უსჯულოებანი და დაშრიტეს ცეცხლის მსახურება.

წმ. და ნეტარი სტეფანე, შემდეგ მრავლის მოღუაწებისა ქუეყანასა კახეთს, აღაშენა მონასტერი თჳსი ხირსის სოფლის მახლობლად, სახელსა ზედა წმ. სტეფანესა, — რომელსა შინა დაიდვა წმ. გუამი მისი, — სავსე სასწაულითა და ნიშებითა.

წმ. ზენონ, შემდეგ მოციქულებრივისა მოღუაწებისასა მთათა შინა ზემოკახეთისასა აღაშენა მონასტერი თჳსი იყალთოს, ეკკლესიითურთ, რომელსა შინა დაიდვა მრავალ მოღუაწე გუამი მისი — სავსე სასწაულითა.

წმ. თადეოს, ანუ თათე, — ოდეს დაემკჳდრა წმ. იოანე მთასა ზედა ზედაძენისასა, შემდეგ რაოდენისამე დროსა, იწყო ერმან ქართლისამან მისვლა წმიდისადმი და მრავალნი მობაძავნი წმ. მის ცხოვრებისანი, ევედრებოდეს მას, რათა ჰსცეს მათ ნება მისთანა ცხოვრებად — წმ. იოანე არა დააყენებდა მათ, არამედ აღუშენა მათ მონასტერი მთისა მის ძირსა, სადაცა აწ ინახვის სოფელი საგურამო — და მონასტერი იგი მიუმცნო მოწაფესა თჳსსა თათეს, — განმრავლდა ფრიად მცხოვრებნი მის მონასტრისანი და მოღუაწეთაცა მიერ აღივსო იგი, — რომელთა დაუტეობდენ ადგილსა თჳსთა და წარვიდოდნენ მთათა მათ სადაცა მრავალნი კერპმსახურნი დარჩომილ იყვნენ და შემდეგ ქადაგებისა, ნათელს ჰსცემდენ და ჰყოფდენ იგინი ქრისტიანად. შემდეგ გარდაცვალებისა წმ. იოანესსა-

---

1) ცხოვრებამან მათთა ჩუენობამდე არა მოაწია — არა უწყით თუ სადა ვჰპოვოთ იგი.

2) სწავლა იგი ნახე ცხოვრებასა — წმ. იოანესსა. ძუელი მატიანე, რომლიდგან გადმოვიღე იგი აღწერილ არს X საუკუნესა შინა, — არსენი კათალიკოზის მიერ, რომელიც იპოვება სამეცნიერო აკადემიის ბიბლიოთეკასა შინა პეტერბურღში.

დაუტევა მონასტერი იგი წმ. ილია დიაკონს და თჳთ აღიღო წმ. ჯუარი და სახარება და მოვლო ქადაგებითა მთისა სანახებნი, სადაცა აღაშენა მრავალნი ეკკლესიანი, რომელთა შინა საჩინო მათთა შინა არს ეკკლესია წმ. სტეფანესი, ქალაქსა — ურბნისსა.

შემდეგ მრავლისა მოღუაწებისა კუალსა ზედა მოციქულთასა, ინება რათა აღაშენოს მონასტერი; ამისა თჳს აღმოირჩია მთა მაღალი და ტყიან წლევი, მდინარესა ზედა რეხულისა. მთასა ზედა წლევისასა გამოკუეთა ნეტარმა მცირე სენაკი, რომელსა შინა დაჰყო ფრიადი დრო. მრავალნი მოვიდოდნენ წმიდისადმი, სასმენად წმ. მის ქადაგებისა — რომელთა სუროდათ მისათანა ცხოვრებად არა დაიყენებდა ნეტარი იგი მათ, არამედ მამობრივითა სიყუარულითა მიიღებდა მათ. ამისა შემდეგ მცირე მთა იგი აღივსო სენაკებით. მხედველი წმიდა, რამეთუ მრავალ იქმნებოდა მომსვლელი მისდა და ვითარცა ვერ დაიტევებდა მთა იგი მრავალთა მოღუაწეთა, ისურვა აღშენება მონასტრისა და ეკკლესია მისთჳს. თხემსა ზედა მის მთისასა აღაშენა ნეტარმა ეკკლესია სახელსა ზედა წმ. სტეფანესი. არა დაუტევა წმიდამან ქუაბი თჳსი შემდეგ აღშენებისა მონასტრისასა, არამედ იმყოფებოდა მას შინა აღსასრულადმდე თჳსსა. წმ. გუამი მისი დაიდვა ეკკლესიასა შინა მის მონასტრისასა და უფალმან ადიდა მოღუაწე თჳსი, მრავალნი სასწაულნი იქმნებოდეს საფლავისაგან მისისა, ვითარ ცხოვრებასა შინა მისსა — წმ. ძუალნი მისნი წლითი წლად აღმოვიდოდნენ საფლავიდგან ეკკლესიასა მას შინა, ვითარ წმ. შიოსნი.

წმ. ისიდორე, შემდეგ მრავლისა მოღუაწებისა, აღაშენა მონასტერი თჳსი ქართლს, მოახლო სოფლისა ჭალისა, ეკკლესიითურთ ხატისა მის ხელთუქმნელისა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესისა. ფრიად მშუენიერება მის ეკკლესიისა აქამომდე განაკჳრვებს ყოველსა, რომელსა შინა დაიდვა მრავალ მოღუაწე გუამი მისი.

წმ. მამა პირროს შემდეგ ქადაგებისა, დაჰყო ზემო ქართლს, დვანის წყალსა ზედა და აღაშენა მუნ მონასტერი თჳსი, მოახლო ბრეთისა სოფლისა, რომელსა შინა დაიდვა მრავალ მოღუაწე გუამი მისი.

წმ. მამა მიხაილ დაუძინებელი მუშაკი და დიდებული მოღუაწე ვენახისა ქრისტესისა. შემდეგ განტევებისა, წარვლო მთა ზემო ქართლისა და ოსეთისა — აღაშენა მონასტერი თჳსი მოახლო ულუმბისა ალის წყალსა ზედა, რომელსა შინა დაიდვა მრავალ მოღუაწე გუამი მისი. მისთჳს ნიკოლოზ ტფილელი მოგვითხრობს ამას.

გნატრი ულუმბავ, დიდ ძალსა მეუნჯესა.

ქუათა სპეკალთა, ოქროთა უძჳრესსა.

მიხაილის გუამი, ლარნაკსა ოფლვილ ღუაწლეულსა.

ქართუჱლ მფარჳჱლად, მუნ მყოფსა აწ რომელნ.

ნიშთ მრავალ-მექმნმანი, აღისუფევა ზეცად.



[illegible]

თა ოკდომბერსა კტ დღესა, შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმისა მღუდელ-მოწამისა ნეოფიტე ურბნისის ეპისკოპოსისა. ქმნილი ანტონის მრ არხიეპისკოპოსისა ძისა ზემოჲსა საქართველოჲსა დავითიან ბაგრა-ტიონისა [1]).

პოდირი წმიდა, მღუდელობისა შეღებ.
პორფირად საღმრთოდ სისხლითა ნეოფიტე.
სხუად კჳპრიანედ მოგუ მღუდელ და მოწამედ.
სიბრძნის-მოყუარედ, მწყემს სიტყჳერთა არგვეთ.
გამოჰსხნდა ესე შორის ღუთისა და ჩუენსა.

ჴსჯულმან უთქმელობითმან შემკრა ჩუენ არა ქმნად შემოსრულასა ამას მე დღისა დღესასწაულისასა, (ეპამოსლუჲსათა ოკ 20 მუხლით) რაჲ იგი გუეგულება თქმად ზიარება ქესთა მოწამეთა თჳს, რი სურვილით ჩემ შორის ჴსწავლოალისული შესხმად და ძალობად სიხარულით და სიქადულით მათისა სისხლისად, ჵ ვინაჲთგან აღვასრულებთ დღესასწაულობითა ჴსჯულსა უქმნელობისა და აწ განკსნილ არს კრულებაჲ იგი (უქმნელობითი) აღუმსთოთ ჴსჯულისაგან თავისუფალნი ვ სიხარულით ვჰგალობდეთ მამათმთავრისა დავითის თანა უფისად მოწამეთა თჳს (ფსალ 118, 99) პატიოსან არს წე უფისა სიკუდილი წთა მისთა, ამის თჳს ვდ სიკუდილი წთა სასმელად ცხოვრებისად განჴსაზ გულისჴმისყოფამან (ფასილი დიდისა განმარტებაჲ 115 ფსალმუნისა.) ეკლესიისა წისა მოძღუართამან. ხამდჳლ ჭეშმარიტად სასმელი არს ცხოვრებისა სიკუდილი მოწამეთა ქრისტესთჳს, რლთა (1. ტიმოთ 6. 1), მოიღუაწეს ღუაწლი იგი კეთილი სარწმუნოებისა, შეიტკბეს საუკუნოჲ იგი ცხოვრებაჲ, ესე იგი, ნიადაგ ყოფაჲ თა ხამდჳლ სატრფიალოჲსა და საწყურისა არსთასა და აღიარეს კეთილი იგი აღსარებაჲ წე მრავალთა მოწამეთა. ესევე სასმელი ცხოვრებისა იყო, რომ-

1) შემდეგ იქმნა კათალიკოზად. კათალიკოზი ესე არს ანტონ პირველი.

ლისა თჳს ჭრქჳა მაცხოვარმან ჩუჱნმან მამისა მიმართ, ვჲ (მარკ 14, 36.) მამაო უკეთუ შესაძლე-
ბელ-არს, თუ წარსლჳად ჩემგან, სასმელი ესე და კვ საყუარელთა მათ მოწამეთა თჳსთა ზებედეს
განთა ჭრქჳა რა (მატთ 20, 22) ძალ-გიძსა სასმელი, რომელსამე მე შევსვამ შესმად. ჭშმრტდ სასმელი
იგი ცხოვრება ყოვლისა სოფლისა, რომლიცა შესუა (ცხო. სიბრ 16, 13.) ცხოვრებისა და სიკუ-
დილისა კელმწიფემან, რომლითა წყევაჲ დაიკსნა და ნაყოფი ხისა ცხოვრებისა წინა-დაგებულ-მექმნა
ჭამად და მე უკუდავ-ვიქმენ და დიდებასა ღუთისასა ვეზიარე და ცოდუაჲ ჩემი შეემსჭუალა ძელსა
და განქარდა, არს სასმელი იგი, რლიცა შესვეს ნეტართა მოწამეთა. წს ქმნილთა სულთა ყოვლი-
საგან ბიწიერებისა და ძჳრის ხსენებისა სიძულილისა და ზაკჳსა, რ (მატთ 5, 8.) წიოს გულითა
არიან სულნი ნეტარნი ესე გუარნი. იხილეს რა ღთ-მთავრობითი იგი გამობრწყინუჱბაჲ თჳს მრ
და ტროფიალებისა ბუნებითისაცა და ზესთა ბუნებითისა ცეცხლითა აღგზებულთა მიუშვეს ყო წა-
დილი ტროფიალებითი, არსებით ნაძლჳლ საყუარელისა და სატროფიალოჲსადმი. ხ უკუმსთვერებთა
წისა მის სანატრელისა გონიერისა მოქმედებისათა თჳს მს მოიყუანეს გულის-ხმის-ყოფაჲ წარ-
მოდგინებად ბევრეულთა მათ ნიჭთა ღუთისათა და სავსედ გამომხატუჱლთა განჭყუჱს ესენი ურ-
თიერთას, რ. არა არსისაგან არსებად მოვიდა კაცი ღუთისაგან, ხ დალათუ დაიბადა მიწისაგან ად, ხა-
ტებითა ღუთისათა (შესაქ 1,.26.) პატივ ცემულ იქმნა, რომლითა შემძლებელ-იქმნა, (1, კორინ
19, 9.) შემოსად ხატსა ზეცისასა. კვ ვდ არსებამან რლნცა შეიწყნარა ცოდუაჲ და ხრწნილებაჲ ჴ
სიკუდილი და ამის განვრდომაჲ ღუთისაგან, ამითვე არსებითა მოვიდა ღმერთი ჩუჱნდა და მისცა
თავი თჳსი სახსრად ჩუჱნ ყოველთა თჳს. ვინაჲცა გასკჳრუჱბულთა და მადლობელთა ქუჱლის მოქ-
მედისადმი თჳსისა ჭსთქუჱს, წწრ-მეტყუჱლისაებრ (ფსალ 115, 3.) რა მივაგო უფსა ყისავე თჳს,
რლი ესე მომაგო მე, გარნა ესე სასმელი ცხოვრებისა მოვიღო და ქსრეთ სახელისა უფისასა ვჭხადო.
წარმოიდგინეს სავსედ განყოფითად გამომხატუჱლთა მოწამეთა გეთილნი იგი, რომელნიცა მოვი-
დეთ სიკუდილითა სიტყჳსა მხოლოდ შობილისათა, რ სიკუდილი მძჳნუარე ტკბილი ქმნა და მიმ-
ყუანებელ უკუდავებად, ხრწნილება შემმოსელ უხრწნელებისა, განკსნა კავშირთა შემკურელ ღისა-
თა, ესესი ყერღარა ჭფლობენ ბუნებასა ზს ჩუჱნსა, ამისთჳს რომელ მე ღთ ვიქმენ. ვინა რა მი-
ვაგო უფსა ყისა მისა თჳს, რომელი ესე მომაგო მე, განაღა ესე სასმელი ცხოვრებისა მოვიღო,
წყურვილით შევსუა ბარძიმი ვნებათა ქესთა ტკბილ ჩემდა აღჭუარვა რა ვჭსცხოვრებდე ქეს თანა,
ჩემდა სასურველ განგმერა, რ მწყურის სატროფიალოჲსადმი ჩისა, ჩემდა უკუჱ საწადელ ცეცხლი
ხივთი განმლეველი ნაწებთა ჩემთა ხ ვჭსტრფვი, რა უფროს ვჭვსტროფოდე. ხ სიკუდილი რა უკუ-
დავ ვიქმნე უკუდავისა თანა. ამათ უკუჱ ესრეთ კეთილ მმაჭზრუჱლთა მოწამეთაგანი ქესთა, ერთი
არს აწინდელი სასიტყუჱლი ჩი ახალ-ნერგი, რ. სულისაგან რა იშუა იგი სულად და მოიღო წო-
დებაჲ შჳლებითი, სახელი მისი რლ არს ლექსი ელლინური ჩუჱნისაებრ ხმისა არს ახალ-ნერგი.
ჭშმრტდ ახალ-ნერგი ვდ ახლად დანერგულ-იქმნა ესე გულის ხმის ყოფითა ღმერთ-მთავრისა მამისათა
პოვნილი ეკალთა შორის და ძეძუთა და უხმართა შს თვიჩხოვანთა განგებული აღმოფხურად და
დაჭრგუად მარჯუჱსა ადგილსა, სადაცა სახმარ-იქმნეს ხილნართა მისთა მსხმოვარეთა და ვენაკთა
მისთა მწიფეთა, დროთა შს ნაყოფისა გამომღებთა ეგ — სახედ მშუჱნიერ შესაბამთა მათ კჳპაროსთა,

ბალასანთა და კინამოთა, რა რომელთამე ნაყოფიერებითა ესწოროს, რომელთამე მშჳნიერებითა და სინარნარითა მორჩობითითა და რომელთამე სუნნელებისა გამოცემითა. ნეოფიტის ახალ-ნერგი კეთილ მსახურებასა შნ ესე არა აღიფხურას, რ სახარებამან პავლეს მან (1, კორინ. 3, 6.) დაჰნერგა და მორწყო, ხ ღთნ მამამან აღაორძინა; ზღჳვა არა მცირე იქმნებოდამცა, რა ნეოფიტე განეყო ჩჳნგან, ესე იგი, ვდ იყო ესე ნათესავით სარკიანთაგან ანუ სპარსთა, ორთავე ბოროტ შეცთომილთა, ნაცლჳად დამბადებელისა მსახურებითა დაბადებულთათა, ანუ უძჳრეს ამათსა მსახურებითა ეშმაკისათა, რომელიცა ღთად იოცნა უბადრუკთა არაბთა უმეცარ ბარბაროსმან ყოვლად უღმრთომან ცრუ მოციქულმან მათმან და განჰსწჳთა უღმრთოებაჲ ესე კიდეთადმდე ქუეყნისათა. გარნა უფსკრულისაგან სახიერებისა ღთ-მთავრისა განიგების, რა ესე გჳარი ვინმე ქუეყანეთა კრებულსა შნ აღირაცხოს და მმარხჳლობითითა შრომითა კანბრწყინდეს და მღჳდელ მთავრობისა მოციქულებრი ერწმუნოს მადლი, კეთილ მაჰაზრჳლთა ეპისკოპოსთაგან და სახარებისა ბადითა თევზნი სიტყჳერნი ქესდა მოინადირნეს (2, კორინ. 1, 17.) არა ცარიელ ყოფად ჯჳისა ქესისა. ხ შეიწოროს უკანასკნელ და მიიქცეს ქესდა (2, ტიმოთ. 4, 7.) მოღჳაწე ღჳაწლისა კეთილისა და ამასრულებელი სრბისა და დამმარხჳლი სარწმუნოებისა, რათა ღირსებით მომგებელ იქმნეს გჳრგჳნსა სიმართლისასა, ესე იგი სიმართლისა და ქტებისა, მოწამე ქმნილი, რ. მისცეს ამას ესე უფნ მას დღესა შა მართალმან მან მსაჯულმან, რომელმანცა შეიყჳარა გამოჩინებაჲ მისი. ჰრცხჳნა ეშმაკმან, ოდეს იხილა მგმობი საშინელისა სახელისა ღჳთისა, აღმსარებელ ღთ მთავრობითისა სამბრწყინჳალისა ერთობისა, ცჳვრდებოდა სახიერებასა ზედა ღჳთისასა, რ სპარსნი გემოთ-მოყჳარეთა და ბიწ-მოყჳარეთა განჰსთხევს ნივთთა თა გულისსიტყჳათაცა და კრძალჳლებითა წმიდითა აღიკრძალავს კორცთა თჳსთა და დაიმონებს სიწმიდისა შეირტყამს მახჳლსა და სარწმუნოებისა ფარითა მტკიცე ქმნილი რაოდენცა უკჳმთიხეს მშჳნიერებრნი ისარნი მკჳრჳალენი დაშრეტილნი და დაპრაჯუებულნი უკუნ იქცევიან. ენა სპარსებრი არა წმიდათა სიღოდათა მგალობი და დაუპყრობელად მოუბნე არა წთა ცჳდთა და ამაოთა დასაბამთა სიბოროტისათა, იტყჳს დიდებასა ღჳთისათა. ჰგალობს საწინასწარმეტყჳლთა გალობათა და ახარებს სამოციქულოთა ხარებათა. გონება მარადის მოძრაობს ღჳთისა მიმართ და ღჳთისა თჳს. ჰსდის სიტყჳა განათლებული ნათლითა სულისა წისათა კელნი, უღმრთოჲსანი აღიპყრობიად ღჳთისა მიმართ უბრალოდ და სიწმიდით და მღჳდელ-მოქმედებენ მამისა მიმართ შეწირჳასა (პეტრ. 1, 19.) ტარიგისა უბიწოჲსა ქესსა და განიპყრობდიან განმდიდრებად გლახაკთა. გული სპარსისა ნიადაგ ქჳმდებარე, მათისაებრ ბოროტისა ჩჳულებისა ზჳაობათა და ცჳდჳდ ზჳაობათა. (ფსალ. 50, 19.) შემუსრვილ არს და დამდაბლებულ, რომლითა მსხჳრპლი უფისად (ისაია 52, 7.) ფერგნი განმხადებულებენ ხარებად მშჳდობისა. ხოლო ხარება იგი არს იუდეანთა მიმართ (იერემ. 31, 31.) აღთქმა ახალი, არა აღთქმისაებრ, რომელი აღუთქჳა მამათა დღესა შა პყრობისა მისგან კელისა მათისასა, გამოყჳანებისა თჳს მათისა ქჳყანით ეგჳპტით; ად აღთქმა სახლისა მიმართ ისრაილისა და სახლისა მიმართ იუდასა ახალი, ესე იგი, მიცემად ჰსჯულნი გაგონებათა მიმართ მათთა და მკერდთა, ზა გულთა მათთასა დაწერად იგინი, რომელ იყოს ღმერთი მათდა ღმრთად და იგინი ერად ღჳთისად. ამას უკჳ ახალსა აღთქმასა წწ-მეტყჳლებულსა იერემიასაგან აღუკსნიდა იუდიანთა, რ რომლისა (ისაია 62, 2.) სახელი ახალი, აღთქმითა (მისვე თავისა 43, მუხლ. 19.) ჰყოფს ახალთა და სისხლითა ახ-

ლისა აღთქმისათა ძუელთა მათ აღთქმათა, რომელნი მისცნა ეგჳპტეს მამათა მათთა დააძუელებს და დამაცხრობელი აჩრდილ მათ საღმრთოჲსა კორციელისა განგებულებისა მისისათა ჭტებად და განზრწჳნვებად მოიყვანებს, ესე იგი, მღუდელობასა და მსხუერპლისა ჭტისა ღთისა კაცმშუენიერისა თავისა თჳსისად და ყოველთა ძუელთა კორციელთა საიდუმლოთა ახლითა სულიერითა და სიტყჳერითა ჭტებითა განაქარვებს; ხოლო წარმართთა და ბარბაროსთა მიმართ (ფსალ. 17, 43.) ერისა მის რომელნიცა არა იცოდა უფი და მონებად უფისა მიმართ და (ისაია 2, 2.) ჩუენებად მთისა უფისა საჩინოჲსა და სახლისა ღთისა მწუერვალთა ზა მთათასა, ესე იგი წისა ეკლესიისა. შეკრებულისა წისა პატიოსნითა სისხლითა სიტყჳსა ღთისათა, რომელნიცა მოვიდეს უფისად (მატ. 8, 1.) აღმოსავლით და დასავლითა, ჩდილოთ და სამხრით ინახის მდგომელნი აბრაჰამის თა, ისაკის თა და იაკობის თა, რ (ისაია 11, 11.) შეჰსძინა უფნ ჩუენებად კელი მისი შუებად დაშთომილისა ერისასა, რომელი უკეთუ დაჰშთეს ასურასტანელთაგან და ეგჳპტისაგან და ბაბილოვნისაგან და ეთიოპისაგან და ელამიტელთაგან და მზისა აღმოსავალთაგან და არაბიასაგან და ჭალაკთაგან ზღჳსათა. ამის უკუე წისა ეკლესიისა შეკრებულისა მრავალთა ნათესავთაგან, რომელ არს (ფსალ. 47, 2.) ქალაქი მეუფისა დიდისა, რომლისათჳს ითქუა დიდებული, რომელ არს მისდა მრთ და მის მრ (1 ტიმოთ. 3, 16.) აღსარებულ ღთის მსახურებისა საიდუმლო.

ღმერთი გამოჰჩნდა კორციით და განმართლდა სულითა, ეჩუენა ანგელოსთა, იქადაგა წარმართთა შს, ჰრწმენა სოფელსა და ამაღლდა დიდებით. (ფსალ. 86, 1.) ამის თჳს საფუძუელნი მთათა შა წთასა ანუ (ისაია 2, 2) მწუერვალთა ზა მთათასა, ესე იგი სიმაღლეთა შა, ანუ სიმაღლეთა ზა ხედჳთისა და საქმითა სათნოებათა, რლთა მრ (მიქია 4, 1.) განსაცხრომელ იქმნა ზესთა ზა ბორცუთასა და მიისწრაფეს მისდამი ერთა მრავალთა და მივიდეს ნათესავნი მრავალნი, მეტყუელნი, მოვედით აღვიდეთ სახიდ უფისა და სახლისა მიმართ ღთისა იაკობისსა და მიჩუენოს ჩუენ გზაჲ მისი და ვიდოდით შს ალაგთა მათთა. ამისთჳს უკუე (ისაია 2, 2.) ამაღლებულისა ზესთა ზა ბორცუთასა, ესე იგი უა მეცნიერებასა კაცობრივსა, რლისა მრთ (სოფ. 3, 9.) მოაქცია უფნ ერთა ზა ენათასა ნათესავადმდე მისა ხდად ყოველთა სახელი უფისა, მონებდენ იგინი მას ერთსა ქუეშე უღელსა, ესე იგი აღიარებდეს (ეფესელ. 4, 5.) ერთსა უფსა, ერთსა სარწმუნოებასა და ერთსა ნათლისღებასა; ესრეთ ჩუენებად ეკკლესიაჲ ესე წმიდაჲ და მისდა მოყვანებად იყო ხარებაჲ მისი წარმართთა მიმართ და ბარბაროსთა.

ხოლო შჳლ ღთისა ყოფდა მათ სარწმუნოებითა იესო ქრისტესითა და (ტიტე 3, 5.) ბანვითა მით მეორედ შობისათა და განახლებითა სულისა წისათა (გალატ. 3, 6.) და შჳლ ღთისა ქმნილთა ეტყოდა და არწმუნებდა, ყოველნი შჳლნი ღთისანი ხართ, სარწმუნოებითა ქე იესოსითა, რ რაოდენთა ქრისტეს მიმართ ნათელ იღეთ, ქე შეიმოსეთ, არა არს ურიაება, არცა წარმართება, არა არს მონება, არცა აზნაურება, არა არს რჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, რ თქუენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესოს მრ, ესრეთ უკუე მტერი კდემული და განკჳრვებული სახიერებისაგან ღისა და ამით შეცვალებისაგან ნეოფიტესა. ჰნებდა დრომდე უკუნ-ქცეული და მძრწოლარე მაღლისაგან სიწმიდისა მისისა, ვერ სადამე მიახიებული ვნებად მოძრაობათა გონებისა მისისათა, ვერცაღა სიტყუათა და ვერცაღა შეგინებად რაჲმე საქმეთა მისთა. ეჰა ღთისა მრთ კაცნიერებისა სიმაღლე მმარხუელობისა მრ და კრძალულებისა, მოგონებული კორცთაგან განრყუნილისა სულისა, ხოლო სულსა უკუე ვიტყჳთ წსა, მას სულსა, რომელმანცა უდაბნოჲ სარკინისა

კარმელ ჰყო და მას შა მემხოლოებაჲ ილიასი თეზბიტელისა თჳს შს მოიყო და ბაძუად თჳსად აღმდგომნი კორცთა შა მიმადლებულნი ანგელოსებრი კრებული საღმრთოთა მოქალაქეთა ქრისტესა შეჰსწირნა სანატრელმან, ეს გუარმან ფილოსოფოს მან; ვდ სიბრძნე შეიყუარა (1, კორინთ. 2, 7.) საიდუმლოდ დაფარული იგი, რომელი იგი ჰდვე განაჩინა ღთნ უწინარეს საუკუნეთა სადიდებელად ჩუენდა, რ ესე ღთნ გამოუცხადა მას სულისა მრ თჳსისა და შეიყუარა სიბრძნე ესე და პატივჰსცა, რ განჰყო მან განსჯითა ჭტისა ფილოსოფოსობისათა დამბადებელი დაბადებულთაგან. ხ რლისაგან მოიღო ხატებაჲ მისი, მისცა თავის-უფალი ყოსაგანვე ბრალისა და ესე სიბრძნის-მოყუარე არს შიო ნეტარი ნათლითა საკჳრუელებათა თჳსთათა, რლი მოიღო ღისაგან, განმანათლი ჩუენი. ეჰა საკჳრუელი ესე შეცუალებაჲ, ეჰა უხრწნელისა ამის კეთილ-დღეობისა დაკუეთებაჲ და ეჰა წინათ გამორჩევა წისა თჳსისა, ეჰა ღისა მრთ კადნიერებისა სიმაღლე მმარხუელობისა მრ და კრძალულებისა, მოგებული კორცთაგან განრყუნილისა სულისა.

ვდ სარაცინოსმან ტომით აჰმად ვინმე ნათესავმან ამირ-მუმლისაგან, ბრძანებითა ამირა მუმლისათა, რლიცა ჰფლობდა არაბთა და სირთა და მიდთა, წარმოგზავნილმან სპითა მრავლითა ოკრებად ყოვლისა საქართუელოჲსა და შემოსრულმან ქართლად მდგომარემან დაბანაკებითა, სადა იგი შთავარდების უდიდესსა შა მდინარესა მტკუარსა, მდინარე ლიახჳ, წარგზავნაჲ ჰყო ლაშქრისა ოკრებად ზემო და ქუემო მდებარეთა სოფელთა ქართლისათა. განმკედრებულთა უკუე ლაშქართაგანთა აჰმადისთა, რომელთა თავნი იყუნეს ზედ-წოდებით ომარ და ბურულ, სოფლით ციხე დიდით იმიერ კლდეთა შა სარკინისათა, იხილეს ქუაბი გამოქნილი. ხ მხილუელთა და სიმაგრედ მცნობელთა სარაკიანთა მათ იზრახეს მეტყუელთა, თუ სადამე არა გამოვიღეთმცა ქუაბნი იგი სირცხჳლ არს მკედრობისა ჩუენისა და ბრალეულ ვიქმნეთ წე სულტნისა. განიზრახუნეს ამას ომარ და ბურულ ამდევრეს საქმეჲცა და წარვიდეს ხილულთა ქუაბთადმი, რლიცა იყო მონასტერი ნეტარისა შიოსი და ვრ შევიდეს მდინარესა შა მტკუარსა მგულუებელნი განსულად იმიერ, ვერ უძლებდიან სულვად ვერა რლითამე შებმა ყოფითა, რლისა თჳს განკჳრუებასა შა დაინთქმოდეს გონებანი მათნი. იგითხჳდეს უკუე ესენი ტყუეთაგანისად, ვდ რაჲმე არსო ქუაბთა მათ შა, რლისაგან უწყებულ იქმნეს, არიანო მათ შა შეკრებულ კაცნი მონანი ღისანი, კაცისა ვისგანმე საკჳრუელისა შიო ზედა წოდებულისა და აქამომდე დროდ განმრავლდებიან და ყოველთავე მსოფლიოთა საშუებელსა მმარხუელნი უმეუღლეობენ და კლდეთა ამათ შა არს ცხოვრება მათი. განჰკჳრდა სმენითა ამით მკედრობაჲ უღმრთოთა და კადნიერებისაგან გამოღებად ქუაბისა მის დააკლნეს ნებსით თავნი თჳსნი და სპასპეტისა მათისა აჰმადისად მისრულთა, საკჳრუელებითა მით ხილულითა უწყებულ-ჰყუეს სპასპეტი. ამად შეკდემულმან საღმრთოჲსაგან მადლისა, წარავლინნა მთავართაგანი ომარ ქუაბებად სარკინისა და წარგზავნნა საკმარნი არა მცირენი მონაზონთადმი და ოქროჲ ფდი ეგსახედ ალუაჲ და საკმელი ტჳრთი ერთი და შეჰსთუალნა მათდამი. ლოცუა ჰყავთო ჩემ თჳს, მონანო ღისანო და ძღუენი ესე ჩემი მიიღეთ და ალუაჲ და გუნდრუკი შიართუთ საკმევად სამარხოსა მოძღურისა თქუენისასა.

წარსრულმან ომარ სპასპეტით ეახლა რა სარკინისა ქუაბებად, წარგზავნაჲ ჰყო მონაზონთადმი კაცისა და აუწყა მისულაჲ თჳსი და ყლი ვრებაჲ მისვლისა თჳსისა და გულ-სავსე ჰყუნა ვდ ნუგეშინისცემად და მსახურებად მოვალო თქნდა და არა თუ ვნებად რაჲთამე. ხოლო ოდეს მოვიდა ბჭეთა მონასტრისათა, იხილა სიმრავლეჲ უკორცოთა მხედრობათა ნათლისათა საკჳრუელ

მაღალნი ჴაერთა შა და შს მათსა კაცი მონაზონი მოხუცებული, ფდითა ელუარებითა შესახედავილათა და შესრულმან მონასტრად მისცნა ძღუენნი იგი წარგზავნილნი აჴმად სულტანის მრ სპასპეტისა მათისა და ჰხედვიდა ომარ წსა მას კრებულსა არა რაჲსამე მსოფლის საშუებელისა მქონსა. რ იყო ხილუა მათი, უითურთ გლახაკ დ შებმულითა მოსილნი და კრძალულებისა ყოფა-ქცევისა და დამდაბლებულისა სულისა მქონნი ვა ანგელოსნი ჰბრწყინვიდეს კორცთა შა. ეტყოდა ომარ წთა ძმათა: «წმიდანო ღისანო, რაჲსათჳსმე მოშიშ ხართ თქნ კაცთაგან, რ ვჰხედავ ჭტდ მცუელთა მონასტრისა თქნისათა, მკედართა ნათლისათა მცუელად თქნდა, მფრინუალეთა ჴაერთა შა, შს მათსა მონაზონსა ვისმე საკჳრუელსა მკცოვანსა წუერითა და თმითა, რლისა ხილვისა სიკეთეჲ ვერ შესაძლებელ არს ჩემდა თქმად; ხ მრწამს ვდ მკედარნი იგი არიან ანგელოსნი ღისანი და მონაზონი იგი არს მოძღუარი თქნი». მსმენელნი სიტყუათა ამათ, ნეტარნი იგი ძმანი ადიდებდეს ღთსა, რლნცა იჴსნა სავანეჲ იგი მონათა თჳსთა ბარბაროსთაგან, ლოცვთა მონისა თჳსისა შიოსითა. აღთქმასა ჰყოფდა ომარ მონასტრისა მის მამისა მრთ და ძმათა, ვდ «დამეკუეთოს რა ყი მარჯუეჲ, მოვიდე თქნდა დ ვიქმნა ქანე და ნათელს ვიღო და მონაზონ ვიქმნე და თქუენთანა დავადგრე სიკუდილადმდე ჩემდა». ესე უკუე სიმაღლე კადნიერებისა ღისა მრთ სულისა ნეტარისა რლისა ლოცუა ვა საკმეველი შეწირული ზეცისა საკურთხეველად, განგებითა საღმრთოჲთა ანგელოსთა მრ წმიდათა შეცულ ჰყოფს მონასტერსა თსსა, არა უტევებს უღმრთოთა მიახლებად, ხოლო ღრუბელთა შა მდგომარე ელუარებითა მოუთხრობელთა თუალითა მრთ უღმრთოთასა გამობრწყინდების და მტერსა მეგობრად ქსსა მოიყუანებს. ექს საკჳრუელი.

ესე შეცვალებაჲ ომარ მორწმუნე ქმნილი, საკჳრუელებისაგან, რლი იხილა მონასტერსა შა, ვდ იგი არს ჭტი ღთი, რლიცა ჰსცავს მონათა თჳსსა, წთა ანგელოსთა თჳსთა მრ და რლმანცა მსახური თჳსი კაცთაგანი მჰსგავსად წთა ანგელოსთა თჳსთა განაბრწყინუა და ესოდენ თჳსდამი კადნიერებითა მიმადლებულ-ჰყო, ვდ ყლსა რაჲვესაცა ითხოვნ ვინ, შუა-მდგომელობითა მისითა ისმენს მათსა და ძალ-უძს ღისა მრთ კადნიერებით მცუელ ყოფაჲ მათი, რლნიცა ჰხადიან მას. ხოლო წარვიდა შდ თჳსსა ერთისა იდუმალ ორთა თა ერთ-გულთა მონათა თჳსთა და ყოველივე თჳსი დაუტევა, ესე იგი უღმრთოებაჲ, მამული, მთავრობაჲ და სიმდიდრეჲ და საშუებელსა კორციელსა უა გარე მიექცა და მონასტერსა კსენებულსა შიო დიდისასა მივიდა; ნათელს იღებს ომარ ორთა თა მონათა თჳსთა, სახელითა წისა სამებისათა და ქსსა შეიმოსს (კოლას. 3, 10.) და მის თანავე შეიმოსს ახალსა და განათლებულსა მეცნიერებასა მჰსგავსად ხატისა მის დამბადებელისა მისისა, სადა იგი არს წარმართი და ჰურია, წინა-დაცუეთილება, და წინა დაცუეთელება ბარბაროს, სკჳთელ; მონება, აზნაურება აღ ყდ ყლსა შა ქე. ხ ნეოფიტე ესე იგი, ახალ-ნერგ იზედ-წოდების და ყლსა (2. კორინ. 9, 12) პლსა წარკუდის თჳსგან და ყლსა ახალ ჰყოფს თჳს შს და სახარებასა ქსსა დაემორჩილების დ მახარებელთა (1 თესალონ. 1; 6.) მობაძავ-იქმნების და უფლისა და შეიწყნარებს სიტყუასა სახარებისასა ჭირსა შა მრავალსა სიხარულითა, სულისა წისათა. ხოლო ორთა მათ მონათა ნეოფიტესთა რლთაცა ნათელ-იღეს მის თანა და დაჰსდუეს სახელნი ნათლის-ღებასა შა, პლსა ხრისტოდულოს, რლ არს ენისაებრ ბნისა ქეს მონა, ხოლო მეორესა ხრისტოფოროს, ესე იგი ქე მტსილ. არა კმა იყოფს ნეოფიტე ჯმნასა ეშმაკისაგან, ყოველთა საქმეთა, სიბილწეთა და

მსახურთა მისთაგან და ამით საზოგადოდ შედგომასა ქესად, (იოან. 4, 24.) სულითა თაყუანის-მცემელი მამისა და ძისა და სულისა წისა ად სოფლისაგანცა ივლტის და ზრუნვათა მისთა, რ მსმენელი (ლუკა 14, 33.) რლნ არა იჴმნას ყლისაგან მონაგებისა თჳსისა, ვერ ჴელეწიფების მო-წაფე ყოფად ჩემდა დ ვდ (მატთ. 10, 38.) რლნ არა აღიღოს ჯი თჳსი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ღირს ჩემდა. ვინაჲცა დამდაბლებული სულითა მდაბალ მმჴაზრუნვლითა გონებითა ჯა უქი-სასა აღიღებს და მისდევს ქს. ჰსდევს ნეოფიტე უცხოჲ მამულისაგან და უცხოჲ ყლისაგან ნებისა თჳსისა, უცხოებით სოფლად მოსრულისა მორჩილი, მორჩილი (კოლას. 3, 8.) მოგუდისებითა ასოთა ქუყანისა ზედათათა (ფილიპ 2, 8.) დამორჩილებულსა მას მამისად ვქ, სიკუდილადმდე და სი-კუდილითა ჯისათა უმეტესად მამისაგან ამაღლებული და სახელითა ყთა სახელთა უზესთაესითა წო-ჭებული, შედგომილსა თჳსდა აღამაღლებს სოფელსა ზა, ბუნებასა ზა და ყლისავე გრძნულებისა გამოცდილებასა ზა. რ სოფელსა ეზევა ახალ-ნერგი ესე ყლთავე შეძნათა სოფლიურთა გარე მიქ-ცევითა და მუნებასა მარტოდენ მათდამი მცირედ, მიშვებითა რლნიცა თვდ საჭიროდ ეშესაბამე-ბიან ბუნებასა, ხ ყთადმი ბუნებითთა სახმართა, რლნიცა არა თვდ საჭიროდ ეშესაბამებიან ბუნებასა, არა ოდეს ბუნებასა ზა შემოყვანებითა. ხ ყლისავე გრძნულებისა გამოცდილებასა, რ დაიმარხნა მცნებანი და ყთა სათნოებათა მრ განჰკარგნა იგინი. ეჴა უხრწნელისა ამის კეთილ-დღეობისა და-გჳრგჳნებასა გჳრგჳნთა პირად პირადთა თავ-დგმულებასა მიემთხვევის ახალ-ნერგი. რ ჰსჯულისა-გან სარკინოსსა, ცნობად ჭტებისა მოწოდებული და (კოლას. 3, 9.) განძარცუული ძუელისა კა-ცისა საქმით მისითურთ და ახლითა მით განახლებულითა მეცნიერებითა შემოსილი და ჭტისა და უხრწნელისა ფილოსოფოსობითისა მადლისადცა მიმთხუეული, ესე იგი, ცნობითა ნივთთა და მიზეზთა მათთა, მყოფთა და ქმნილთათა, სავსედ განმყოფი და ერთისა განუსაზღურებელისა არ-სებისა მრთ ხედვად განათლებული, რ ესე გუარნი სიბრძნის-მოყუარნი ზედ წოდებულობენ ჭტ ფილოსოფოს, სულითა წითა თჳთ-გუამოვანისა მამისა სიბრძნისაგან (ლუკა 24, 45.) მჴსგავსად წთა მოციქულთა გულის-ხმის-ყოფად წიგნთა საღმრთოთა გონებისა კართ ახმულ-იქმნების. ხოლო სათნოებათა სიმდიდრე ახალ-ნერგსა ყუავილოვან-ჰყოფს და ნაყოფითა სამღუდელოჲსა წერილისა ზედ-მიწევნით ცნობისა და საღმრთოთა მათ საცვრებელთა ჩნთა საიდუმლოთაცა სიტყჳსა კორ-ციელისა განგებულებისათა აღავსებს. რლისათჳს მაშინდელისა მის მამათ-მთავრისა ქართუელ-თასა ზედ-წოდებით სამუელისაგან [1]) დადგმად (მატთ. 9, 15.) ნათელი სოფლისა სასანთლესა ზა იიძულების და ახალ-ნერგი მოციქულებრისა მადლისად მოიწოდების და ეპისკოპოსად ურბნისისა ხსენებულისაგან მამათ-მთავრისა კრებით კელ-დასხმულ-იქმნების (მატთ. 5, 14.). ესე ქალაქი მთასა ზა დაშენებული ხილული მტერთაგან ვერ მიახლებული გამოღებად, ხილულ-იქმნა ლისაგან ვა სარკე უბრყჳლო, ცხოველისაგან პირ-მშოჲსა მაგალითისა რლსა შა იხილა ღნ ფჱი თჳსი.

ხილულ იქმნა მეგობართაგან დ ცნობილ, ვდ ზირაქ. 6, 15.) არა რაჲმე არს სწორ სიკეთისა მისისა, საფარუელ არს მტკიცე და განმაგრებულ სამეუფო, საუნჯე სულიერი უფროს ოქროჲსა და ქჳსა პატიოსნისა (ქებ. 4, 12.), წყარო დაბეჭდულ და მტილ დახშულ დროდ განსაზღურებულ

1) სამუელ—ცხოვრება 581—587.

და მისაღებელ, ნავთსადგურ განსუჱნებისა. ცნობილ-იქმნა მეცნიერთაგან გულისხმის-ყოფითა აღმატებულ და სწავლულებითა სრულ და ძე ნათლისა, კაც ღისა და მახლობელ ღისა, კაც-გულისხ-მთქმელ უზესთაესთა. ცნობილ-იქმნა მართლ-მსაჯულთაგან, ვდ ესე ვრთა ზედ-წოდებათა ღირს არს, რლთაცა პატივ-ჰსცემს წერილი საღმრთოთა და ზენაჲსა ნაწილისაგან. ამან მოიგო ნიჭი ღისა განცხადებულად ზესთა ღირსებისა ჩნისა, ვდ მიიღო რა საჭეჲ მღუდელ-მთავრობითი და მიითუალა არვეჲ სიტყჳერთა ცხოვართა და მიიწოდა კალოდ ზენაჲთა განგებითა და ერწმუნა ჴელთა შა სიჩხბი. ხოლო ღელუსანი განჰსჭრნა თჳს შორის გამობრწყინუჱბულისა ვარსკულავი-სად, ესე იგი, ჭტებითისა საღმრთოჲსა ცნობისა მხედველმან და მისდამი განჰსაჭა ნავი ცხოვრე-ბისა თჳსისა და მონავეთ-მოძღვრებისა მისისად ჰრწმუნებულთა ღისაგან და ესრეთ წიაღვლო ზღუაჲ ამის სოფლისა. უძღოდა ღივ-შეკრებულსა არვესა სიტყჳერთა ცხოვართასა (ფსალ. 22, 2.) ადგილთა მრთ მწუანვილოვანთა, სადა უხრწნელნი მდელონი არა მოაკლდებიან და სადა ბეტკნი, არა განკმობადნი ჰსცენდებიან, ესე იგი (ტიტე. 1, 9.), მოძღურებანი სიცოცხლისანი. ხ (იოან. 7, 37.) მდინარეთადმი წყლისა ცხოველისათა, რლნიცა ჰსდიან მუცელთაგან, რლთაცა ჰსუჱს წყაროჲ-ძაგან ცხოვრებისა და ესრეთ (იერემ. 23, 2.) განუგარეებელად და ზედ-მოხილვით დაიცუნა იგინი. არა ჰსჭამა მათგან სძეჲ უმსჯავროდ, არა შეიმოსა მატყლი არა დაჰვლა პოხილი, ად მოუძ-ლურებელი, მათი განაძლიერა, სნეული განამრთელა, შემუსრვილი შეჰკრა და ბოროტად მყოფსა უსხეულ საქმით, ცთომილი მოაქცია და წარწყმედილი მოიძია. დაადგრა მათ თა, დაიცვნა და არა განაბნივნა. მოიღო ტალანტნი, არა დაჰფლა ქუნსა შა, ად განუმრავლა იგი მომცემელსა, რლი-სათჳს (მატთ. 29, 2.) მრავალსა ზა დაიდგინა ჲ შეიწოდა სიხარულად უფლისა თჳსისა. ხ განჰწმიდა უფჵ კალოჲ ჭტითა ხმევითა გულისხმის-ყოფისათა განმქრევმან ქმელთა ბზეთამან, რლნიცა ღირს-იყუნეს ცეცხლითა (ლუკ. 3, 17.) უშრეტითა დაწუად და შეჰკრიბა იფქლი დადებად საუნჯესა უკუდავსა სიძისასა. ჰბრძოლა ცეცხლის-მსახურთა და დიდითა კადნიერებითა ყოთა შს ქესა ჰქადა-გებდა, მოაქცევდა დაბნელებულთა მსახურებისაგან, მსახურებად დამბადებელისა ზედა, მდგომარე იყო ჟამითი უჟამოდ, არა სადმე ჰსჭამა პური ცუდად ვისგანმე, ად შრომითა და რუდუნებითა ღამე და დღე იქმოდა (საქმესა სახარებისასა), რა არა ვისმე დაუმძიმოს. ვერ დაითმინდა მტერი წარმართე-ბასა მოციქულებრსა ჰპარსისასა, ჰსძულდა ამის თჳს სახარებაჲ ღისა, განადიდებდა განსაცდელთა გამოხატუათა კაცისა, ამის თჳს ღისა, განჰრისხდებოდა, იგლოვდა უბადრუკებასა თჳსსა. არა თუ მოიკთხვოდა მამეულად ქანეთაგან ოდენ, ად არაბთა და სარაკიანთაგანცა. ამისთჳს ყა მზაკუარსა ღონესა თჳსსა შემოჰკრებდა ცეცხლის მსახურთა მათ თა მოქალაქეთა, აღაბორგებდა და შურითა მკულელობითითა წსადმი აღავსებდა მაწუჱველი მათდა კადნიერად მოკულად ეპისკოპოსისა. ხო-ლო თუ სადამე არა უპატიოსნად გულვებადი იყო, მის დროჲსა მპყრობელთაგან და მთავართა ქანეთა უღმრთოთა მათ მრთ მოკლვისა თჳს ეპისკოპოსისა კადნიერად ჲ არა ცხადად ად მუხთლად და ღამე ადჳლ შესაძლებელ. ვინაჲცა შეიზრახნეს მსახურნი ცეცხლისანი და ურთიერთას გან-მზრახნი იტყოდეს. რაჲმე იქმნეს კაცისა ამისგან ჩნისა მომართ მსახურებისა, რლი გუაქვს ჩუჱულებაჲ ცეცხლისა მრთ და ღთთა, რ ესე ღთთა ჩნთა შემუსრავს ჲ დაჰშრეტს, ბომონთა დაამ-კობს, ქურუმთა შეაძრწუნებს, სახელსა ქესსა გვიქადაგებს, მრავალთა ჩნ განთა მიუძღჳს ქეს მრთ,

ახარებს, ნათელ-ჰსცემს, ჰსჯულისა თჳსისა სიტყჳთ ჩნვანთა შეენიერ ჰყოფს, რაჲმე ყჳოთი სხუა თჳნიერ სიკუდილი კაცისა ამის, რ თუ სადამე უტყოთმცა ცოცხლად არცა ერთიდა დაშთესმცა მსახურებასა შა ჩნსა მამულსა. ვინა თანა გუაძს სიკუდილი კაცისა ამის, ესე გუარი, რლისაცა ეკკლესიაჲ უპყრიეს და ნიადაგ შეუამდგომელობასა მისსა ღისა მრთ საქადულ-ჰყოფს თჳსსა და სტეფანეს ვისმე სიკუდილსა ზა იშჳბს და დაქოლჳასა მისსა ქეს თჳს ჰნატრის მარად და ლოცვასა მისისა შემწედ მოგებასა იტყჳს ხშირად. შთავხედოთ ბნელად სიკუდილისა მჴეჲ ესე ქუანეთა, აღვავსოთ ნისიითა დაჭირვებისათა ეკკლესიაჲ მათი, მოვიყუანოთ ეკკლესიასა მათსა ზა მჭმუნვარებაჲ ზამთრისა, საწადელი იგი მყუდროებაჲ მღჳძარეჲ არეობითი ქუანეთა საწუხელ-ვჰყოთ, ქარნი და ღელუანი განსაცდელთანი სიკუდილითა ნეოფიტესითა ქუანეთა ზა აღვადგინოთ. ესე უკუე შეზრახებაჲ უღმრთოთა იდუმალ და დროსა მას და ნიადაგ ერთი უკუე განზრახუაჲ ნეოფიტესი ერთსა უკუე ნათელსა იგონებდა სამობასა შა განუწუალებელსა და სამობასა ერთობასა შა შეურევნელსა. ერთი უკუე აქუნდა (გალატ 6, 14.) სიქადული ჯუარითა იესო ქესითა. ერთისა ზეცისა იერუსალიმისა მრთ იშვებდა, ერთსა წა კათოლიკე სამოციქულო ეკკლესიასა ქუანისა ზედასა ერთად ზეციერ ეკკლესია გარდაცუალებად სასოებდა. უბრალოებდა უავე შა და უბრალოჲთა კელითა საღმრთოსა ღთ-ტარიგსა მამისად შეჰწირვიდა, მიახლებდა უდ წთა ბაგეთა ცხოველს-მყოფელსა ევხარისტსა და ღთსა განკაცებულსა ეზიარებოდა და თჳსითა ზიარებითა ღისა მრთ, ზიართა სარწმუნოებისა და საქმითა თჳსითა მის მრ განათლებულთა განმართლებულთა ერთაცა ზიარ-ჰყოფდა. ესე გუარი იგი ზეცისა მოქალაქე კაცი განზრახვისაებრ მათისა, ოდეს ჰგონეს მსახურთა ცეცხლისათა დროჲ მარჯუჱ კელინნსა შინა თჳსსა უნივთოთა ლოცუათა შემწირუელი ნივთით შემოქმედისადმი, შეიპყრეს და მძლავრ განათრიეს და სადა იგი განზებულ-ეყოთ ადგილსა მას მიიყუანეს, აგინებდეს, ჰყუედრიდეს და ეტყოდეს შენნი უკუე ქადაგებანი დაჰსცხრებიან დღეს, ვთავსუფლდებით კადნიერებისაგან შენისა, შენ მრ დამკობილნი ღთნი და დაშრეტილი ცეცხლი და ბომონნი დაცემულნი აღჰსდგებიან, მსხუერპლნი ჩნნი, განახლდებიან და დამალულნი შიშითა შენითა მლუდელნი ღთთა და ცეცხლისანი გამოვლენ კადნიერად. წარვედ სადა იგი გსუროდა აჰა სასურველი შენი დაქოლუაჲ ქეს თჳს, რლისა თჳს ჰნატრიდი აქნსა მას სტეფანეს, მიუგებდა წა იგი მტკიცითა გონებითა «ტკბილ ჩემდა სიკუდილი უღმრთონო, ტკბილ ჩემდა, საწადელ ჩემდა განყოფაჲ კავშირთა უკუდავისა და მოკუდავისა არსებისათა, საწყურელ განკუეთა, რ თჳთ მიმდრეკსა მიუდრეკელსა არსებასა თა შევაერთებ. ესე უკუე ბრალ ჩემდა წინაშე თქნსა, რ დააკლდა სახარებისა ძლით ჩემისა კრებულსა თქნ უღმრთოთასა და შეეძინა კრებულსა ეკკლესიასა ქეს ღისასა, ღე ნამდჳლ ჩტ არს ესე აქამომდე (ფსალ. 44, 1.) ენა ჩემი ვჰყავ საწერელ მწიგნობრისა კელოვანისა და მონადორებულ-ვყუნ მით თქნნი მრავალნი და უშუერებანი იგი მათნი განვრეცხენ წთა ნათლის-ღებითა და წისა სარწმუნოებისა მრ გამოვჰხატენ მათ ზა. (მისვე მეორე მუხლისა) მშჳნიერი იგი სიკეთითა უფროს ძეთა კაცთა. ამიერითგან სისხლითა ჩემითა დავამტკიცო შრომილი ჩემგან. წა ეკკლესიაჲ, რლიცა შეჰკრიბა ქადაგებისა მრ ჩემისა ძემან და სიტყუამან ღის-მან პატიოსნითა სისხლითა თჳსითა. ხ რლიცა განაგო ჩემ თჳს ღთნ, იყავნ იგი რ. მომიწოდა მე უღმრთოებისაგან ნათლისა მრთ თჳსისა და (1, პეტრე 1, 7.) გამოცდილება იგი სარწმუნოებისა ჩემისა უპატიოსნეს უფროს ოქროსა მის წარწყმედადისა ცეცხლისა მრ გამოცდილისა (წითა ამით სიკუდილითა) იპო-

ვოს საქებელად და დიდებად და პატივად გამოჩინებასა იესო ქრისტესსა». არა ჰსდროებდეს უგე-თურნი იგი, ჰგუჳმდეს უწყალოდ და წარათრევდეს და ფერკთა მრ არა წთა ჰსთრგუნვიდეს და ქჳათა მრ მძჳნჳარედ ჰქლვიდეს. ხ იტყოდა წს იგი (საქმე 4, 59.) «უფო იესო ქე, შეივედრე სული ჩემი» და დაიძინა ძილი მართლთა და წჲ იგი სული მისი ყდ-წმან სამებამანშე-იწყნარა და დაამ-კჳდრა წინაშე თჳსსა (ოქრო-პირისა), სადა იგი არს დიდებულთა მოციქულთა გუნდი, მოხარულთა წწ არა-მეტყუჳლთა რიცხჳ, სადა იგი არს სიმრავლე ურიცხჳ მოწამეთა მძლე მტერთა ზა მათთა და გჳრგჳნოსანნი, სადა მძლენი ქალწულნი, რლთა წადიდი კორცთა დაჰსთრგუნეს ფერკთა ქჳშე სიყუჳარულითა-ქალწულებისათა. ხ დაწესებულებს ჯ თა ზიარებულებს ყთა წთა თა, რლნიცა (კჳპრი-ანესი მოწამეთა ქებისა თჳს.) ჰხედვენ ღთსა და მხიარულ-იქმნებიან, იშუჳბენ და დიდებასა შა განჰსცხრებიან და საუკუნესა ბედნიერებასა შა ჰსუფევენ, არა რაჲ აკლს მათ, არა რაჲ წარუწყდების, ყოვლივე წადილი მათი აღვსილ არს ქეს მრ იტყჳს უგჳჲ წწული ვდ (ეზეკ. 18, 20.) სიმართლე მართლისა, მის ზა იყოს და იგინი უგჳჲ არიან მართალნი რლნიცა მართლითა სარწმუნოებითა ქეს მრთ და მცნებათა ქესთა, სიმართლით დაცჳთა და რაჲცა თანა ამსთ ქეანეთა თჳთოეულსა თანა-ნადები თჳსი სიმართლით მიცემითა ქეს მრთ არიან მართალ და ამათ ოჳს თქმულ არს (ირინეოს ლუგდუნის ეპისკოპოსისა), ცხოვრებასა და უკჳდავებასა. ხ ბრწყინჳალებასა საუკუნოსა მიანიჭებს ღთი მართალთა შათ, რლთაცა დაიცჳნეს მცნებანი მისნი და ეგნეს მტკიცედ სიყუჳარულსა ზა მისსა. ესენი უგჳჲ არიან, რლთაცა წე ღისა მდგომარეთა მოუგიეს სალმრთოჲ გამობრწყინჳჲბაჲ, რლთა თჳს თქმულ-არს (იერონიმეს 115. ფსალმუნის განმარტება.) ვა მდინარესა დაუწყუჳდელსა მოჰს-მოხსნ ახალნი ჯ ახალნი წყალნი, ეგრეთ ხილჳა ღისა ნიადაგ იგივე არს, მაგრა წთა მათ ახალსა სია-ქოვნესა მიჰსცემს. ხ თქმულ არს უგჳჲ ამის თჳსვე, ესრეთ შუჳნიერ არს პირი ღისა, რლ ჰხედვენ წნი ნიადაგ და ხედჳსა მრ განძლებიან და კდ ხედჳასავე ჰსწადნოვიან, ესე უგჳჲ სიმართლისა და-ცჳსა მცნებათა მისთასა და თანა ნადების მიცემისა წე საყდარისა ღისასა მდგომარეობაჲ, ნიადაგ ხედჳაჲ ღისა და საწადელისა თჳსისა ქეს მრ აღვსებაჲ მიიღო; ღჳაწლისა კეთილისა მოღუაწემან ახალ-ნერგმან, მოციქულთა თა მახარებელმან, მღჳდელთა თა უბრალოებით მღჳდელმან, მოწამეთა თა ჯტებისა მოწამემან და მძლემან, მმარხჳჲლთა თა უგამოცდილესმან განკრძალულმან, ქალწულთა თა შდ წისა ნათლის-ღებისა ყუჳავილმან სატრფიალოჲსა მის ქალწულებისამან და მართალთა თა წრფელმან და უბიწომან და ყისა სოფლისა მეოხად დაიდგინა წე მისსა ღისა მრ. მოვიკსენო უგჳჲ ესეცა, ორნი იგი ძმანი, რლთაცა ნათელს-იღეს ნეოფიტეს თა ჴელ-წოდებით ხრისტოდულოს, და ხრისტოფოროს, მმარხჳჲლობითა სრულითა და უგამოცდილესითა მონაზონებითა განჰბრ-წყინდეს, ხ ნეტარსა ხრისტოფოროს ერწმუნა ილარიონის მრ, რლი იყო მამა დიდისა მონას-ტრისა მღჳმისა, მამა ყოფჲ მონასტრისა მკოდოვანისა და იქმნა ყდ ჰრჩეულ და მკურნალ სულთა და არს ორმეოც და ხუთისა წლისა უფისა მრთ მივიდა. ვჰპოვეთ უგჳჲ ისტორიაჲ წისა ეპისკო-პოსისა და მოწამისა ნეოფიტესი, სასწაულებისა მოთხრობათა შა, ღირსისა მამისა ჩნისა შიო საკჳრჳლთ-მოქმედისათა, რლნიცა სხჳა და სხჳათა მრ აღწერილნი შეჰკრიბნა მოსაყდრემან ჩემმან ნეტარმან ბასილი მამათ-მთავარმან ქართჳჲლთამან, ძმან პატრიკისა ვაჩესმან.



საბინინი. М. САБИНИНЪ.

ႼႫႨႣႠ ႫႭႼႠႫႤ ႤႥႱႲႠႧႨ ႫႺႾႤႧႤႪႨ.

## თ̄ა ივლისსა კთ დღესა, მარტჳლობა და მოთმინება წმიდისა ევსტათი მცხეთელისა (და სხჳათა წმ. მოწამეთა).

მასდა სურვილსა, ზეცად აღჭუავს ევსტათი,
დედაქალაქსა მცხეთას, მსუფევი ღირსად.
ტანჯვით განცდილი, ხოლო ქედსა იხრმალავს.
მცხეთას დედას სძლობს, თავსა გჳამის განკერძვით.
მტჳრს ტფილისს აბნევს, სულსა აქრისტესკელებს.

თქმული ნიკოლაოზ ტფილელის მიერ.

წელსა მეათესა ხუასროს მეფისასა [1]) და არვანდ გუშნასპისასა მარზპანობასა ქართლისასა, მოვიდა კაცი ერთი სპარსეთით, სოფლისა არბუკეთისა, ძე მოგჳსა და წარმართ იყო იგი და სახელი ერქუა მას ბქრობანდავ და დღითა ყრმა იყო იგი, ოცდა ათ წლისა და მოვიდა იგი ქალაქად მცხუთად და ისწავლებოდა ხელსა მეხამლობისასა [2]) და ხედვიდა იგი ჰსჯულსა ქრისტიანეთასა და მსახურებასა ქრისტესსა და წმიდისა ჯუარისა, რომლისა ჩუენებაჲ შეიყუარა მან ჰსჯული ქრისტიანობისა და ჰრწმენა ქრისტე და ვითარ ისწავლა მეხამლობა, ითხოვა მან ცოლი ქრისტიანე და თჳთ ქრისტიანე იქმნა და ნათელი მიიღო; ხოლო ნათლის ცემასა მისსა უწოდეს სახელი ევსტათი და ცხოვნდებოდა წმიდა ევსტათი ქრისტიანობასა შინა და სათნოებასა ქრისტესასა, მას ჟამსა შეკრბეს სპარსნი, რომელნი მცხეთად იყჳნეს მეჯადაგენი [3]) და მეხამლენი, ზატიკობდეს და მოავლინეს ნეტარისა ევსტათისა და ჰრქუეს, მოვედ და გუერთვ შუებასა ამას ჩუენსა, ხოლო ნეტარმან ევსტათი განიცინნა და ჰრქუა: თქუენი ზატიკიცა ბნელ არს და თქუენ მეზატიკენიცა ბნელ ხართ, ხოლო მე ქრისტეს ბეჭედი მომიღებიეს და ქრისტეს ზატიკსა ვზატიკობ, რამეთუ ქრისტეს ბეჭდითა აღბეჭდილვარ და ბნელსა მაგას განშორებულვარ. და ვითარ ზატიკი იგი გარდაიხადეს, შეკრბეს იგინივე მეჯადაგენი და მეხამლენი და ზრახუა ჰყუჱს წინაშე უსტამისა მცხეთელ ციხის თავისასა და ჰრქუეს: აქა კაცი ერთი ჩუენისა ჰსჯულისაგანი და ჩუენთა ზატიკსა არა გამოსცის და ჩუენსა ჰსჯულსაცა გმობს და ჩუენ გვაშინებს და იტყჳს, ვითარმედ მე ქრისტიანე ვარ, ხოლო აწ შენ მოუწოდე და ჰკითხე, რამეთუ ამას ქალაქსა შინა ხელმწიფე ხარ. და უსტამციხისა თავმან მცხეთისამან, ისმინა მათი ევსტათის თჳს და მოუვლინა ერთი მხედართაგანი მოწოდებად ნეტარისა ევსტათისა და მრისხანედ ჰრქუა, გიწჳს შენ ციხის თავი. ხოლო წმიდა ევსტათი მცირედ შებრკოლდა და უნდა მორიდება და მერმე განიზრახა და ჰრქუა: «ესე მოუჳსნი ჩემნი არიან, ამათგანა შევიშინო, მერმე დიდთა მთავართა წინაშე ვითარ წარვდგე, არამედ მივიდე მისა და ცხადად აღვიარო ქრისტე, რამეთუ მასმიეს წმიდისა სახარებისაგან, ვითარ იგი ჰრქუა, რომელმან აღმიაროს მე წინაშე კაცთა, ვაღვიარო მეცა იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა და, რომელმან უარ მყოს მე წინაშე კაცთა, უარ ვჰყო იგი მეცა, წინაშე მამისა ჩემისა, რომელ არს ცათა შინა» და დაიწერა ჯუარი შუბლსა გულსა და ჰრქუა «უფალი ჩემთანაა». მოვიდა ნეტარი იგი ევსტათი და წარმოდგა წინაშე უსტამციხის თავისა მცხეთელისა და მწოდებულმან მან ჰრქუა უსტამს, ესე არს ჩუენისა ჰსჯულისა მა-

1) სპარსთა მეფე ხუასრო დიდი, ნუშირვან, მეფობდა 531 წელსა; მან დაიპყრო სრულიად საქართველო და მარზპანი განუჩინა.

2) მეხამლე. ქალამნის შემკერავი, დამკერავი.

3) მეჯადაგე. მგონია მეჯღანე უნდა იყოს.

გინებელი და მიხედა ციხის თავმან ნეტარსა ევსტათის და ჰრქუა, შენ გეტყჳ კაცო, მითხარ მე, რომლისა სოფლისა ხარ ანუ, რომლისა ქალაქისა ანუ რომლისა ჰსჯული გიპყრიეს, ხოლო წმიდამან ევსტათი ჰრქუა მას: «მე სოფლისა სპარსეთისა ვიყავ არბუკეთისა, ქალაქისა განრაკილისა ვიყავ, მამა ჩემი მოგჳ იყო და მეცა მოგუობასა მასწავებდა და მე მოგუობა არა თავს ვიდევ, რამეთუ განრაკს ქალაქსა ქრისტიანენი უფროს არიან და ეპისკოპოზი და მღუდელნი და მათგანთა ყოველსა ზედა მივიწიე, რამეთუ უფროს არს ყოველსა ჰსჯულსა ქრისტიანობა, ვიდრე უღთოება და აწ მე ქრისტე მრწამს და ქრისტეს მსახურებასა შინა ვარ». ხოლო უსტამცხის თავმან ჰრქუა მას, არა ვინ გიტევოს ქრისტეს მსახურ-ყოფად და თუ მშჳდობით არა განუტევო სიცოფე ეგე შენი, ტანჯუა დიდი მოიწიოს შენ ზედა; ხოლო წმიდამან ევსტათი ჰრქუა, «არა ხოლო თუ ტანჯუად განმზადებულ ვარ ქრისტეს სიყუარულისათჳს, არამედ სიკუდილდცა თავი ჩემი არა მეწყალის». ვითარ იხილა უსტამ გულსმოდგინედ დამტკიცება ნეტარისა ევსტათისა, განიზრახა და ჰრქუა, ამის კაცისა პატიჟი მე არა რაჲ ჴელმეწიფების, არცა ალბმა ძალსა, არცა პყრობილება, არამედ წარუძღუანოთ ეგე ტფილის ქალაქსა არვანდ გუშნასპის ქართლის მარზაპანსა და რაჲცა იგი შეჰგვანდეს მას უყოს, რამეთუ ყოვლისა კაცისა ქართლისა მას ჴელეწიფების სიკუდილი და ცხოვრება და უბრძანა უსტამცხის თავმან მცხეთისამან ორთა მხედართა წარუყუანება ნეტარისა ევსტათისა ტფილისს და შეკრბეს იგინივე მეჯალაგენი და მეხამლენი და მოვიდეს უსტამისა და ჰრქუეს, არიან აქა სხუანიცა ჩუენისა ჰსჯულისანი და იგინიცა ქრისტიანე არიან და მათცა ბრძანე მოწოდება და ტფილის მათცა წარყუანება. ხოლო უსტამ ჰრქუა მათ, ვინ არიან იგინიცა და მათ უთხრეს სახელები მათი და ჰრქუეს, ერთსა ჰრქვიან გუშნაკ, ერთსა ბაღდად, ერთსა ბურზო, ერთსა პანაგუშნასო, ერთსა პეროზაკ, ერთსა ზარმი, ერთსა სტეფანე და უბრძანა უსტამ მოწოდება მათი, ხოლო განკითხუა მათი არა რაჲ ჰყო გარნა ამათ რვა თვე შეკრვა ბრძანა და წარცემა ტფილის არვანდ გუშნასპს მარზპანსა ქართლისასა და ესრეთ-მოიწერა: «ესე კაცნი ჩუენისა ჰსჯულისანი იყუნეს და აწ ქრისტიანეთა ჰსჯული უპყრიეს, ხოლო მე შევიპყრენ და შენთანა მოგიძლუანენ; რამეთუ შენ ჴელგეწიფების მაგათი განკითხუა» და წარუდგინეს ესე რვანივე წინაშე მარზპანისა, ხოლო მან ჰრქუა მათ, ვინანი ხართ, ანუ რომელი ჰსჯული გიპყრიეს და მათ უთხრეს კაცად კაცადმან სოფელი და დაბა თჳთოეულისა და ჰრქუეს ყოველთა. «მამულისადა ზედა ჰსჯულსა ვიყუენით, სპარსთა ჰსჯული ვიცოდით, ხოლო რაჟამს ქართლად შემოვედით და ქრისტიანეთა ჰსჯული ვიხილეთ, ქრისტეანე ვიქმენით და აწ ქრისტიანენი ვართ, რამეთუ ქრისტიანეთა ჰსჯული წმიდა და სანატრელ არიან და ფრიად კეთილ და მშუენიერ არს, ხოლო სხუა ჰსჯული ვერ ესწორების ჰსჯულსა ქრისტიანეთასა»; რამეთუ სიტყჳს მიმგებელ იყო მათ შორის მსაჯულისა მიმართ ნეტარი ევსტათი და ვითარ ესმნეს ესე ვითარნი სიტყუანი მათგან, გული განუწყრა და უბრძანა მსახურთა თჳსთა პირსა ცემა ნეტართა მათ და გარე გაყუანება ყოველთა და უბრძანა და ჰყუნეთ (მოჰპარსედ), მაგათ თავი და წუერი [1]) და განუხვრიტნეთ მაგათ ცხვირნი და ჯაჭვი დასდევით ქედსა მაგათსა და ბორკილნი შეუსხენით ფერხთა და შესხენით საპყრობილესა და თუ ვინმე აღიაროს მათგანმან მამათი ჰსჯული განუტევეთ და ჩუენდა მოაწიეთ და მე განვამდიდრო იგი ბოძითა დიდითა და რომელმან მამათი ჰსჯული არა აღიარჩიოს იგი საპყრობილესა შინა მოვაკუდინო. მას ჟამსა ეშმაკი შეუხდა გულსა ბაღდადისასა და პანაგუშნასპისასა და უარ ჰყუს ქრისტე

1) თავის და წვერის მოპარსვაჲ სრულიად, დიდს სირცხჳლეულს მოაჩუენებდა.

და უღთოება აღიარეს, ხოლო მათ ნაწილი ჯუარისმცემელთა თანა მიიღეს, ხოლო ნეტარი ევს-ტათი და გუბნაკ და ბურზო და პეროზაკ და ზარმი და სტეფანე გულსმოდგინედ და მტკიცედ დგეს სარწმუნოებასა ზედა ქრისტესსა და ვითარ უთხრეს მარზაპანსა მას, ვითარ ორთა მათგანთა აღიარეს მამული სჯული, განიხარა მარზაპანმან და ბრძანა შეწყნარება მათი და ინახეთ და იხსნა იგინი და უქადაგებდა მათ საფასესა დიდსა და კეთილად პყრობასა, ხოლო ნეტარისა ევსტათისა და სახლთა მოყუასთა მისთა ბრძანა თავისა და წვერისა დაყუჩნა და ჯაჭვისა ქედსა დადება და ბორკილით საპყრობილესა შესხმა მათი. ხოლო მსახურთა მათ აღასრულეს ბრძანება მარზაპნისა მის და აღიყუანეს იგინი თმითა და წვერითა და ჯაჭვითა და ბორკილითა საპყრობილედ შეაყენეს. ხოლო ბაღდადს და პანაგუზნაპს ნუგეშინისცა და განუტევნა იგინი, ხოლო საფასესა და კეთილსა, რომელსა უქადაგებდა მათ არცა ფასადი ერთი მისცა მათ, ხოლო წმიდა ევსტათი და სხუანი მოყუასნი მისნი პყრობილ ყვნეს ვითარ ექვს თთუჱ ოდენ და შემდგომად ექვსისა თთჳსა მწოდებელთ სპარსთა მეფისა, მოიწია არვანდ გუბნასპისა და ვითარ წარემართებოდა მარზაპანი იგი მეფისა ამის შეკრბეს ქართლის მთავარნი მარზაპნისა მის ჯმნად მოვიდეს; რაჟამს აღმხედრდებოდა მარზაპანი იგი აღდგეს მთავარნი ქართლისანი და სამოელ ქართლისა კათალიკოზი და გრიგოლ ქართლისა მამასახლისი და არბუბა ქართლისა პიტახში და სხუანი სეფეწულნი და მარზაპანსა ჰრქუეს: ვევედრებით შენსა მაგას უფლებასა, სათხოველსა ერთსა გთხოვთ, ხოლო მან ჰრქუა, თქუთ, რაჲცა გნებავსთ, რაჲცა გულთ, რომელი თქუენ არა მოგმადლე; ხოლო მათ ყოველთა ჰრქუეს, გევედრებით შენ და ჯერ გვაქვდინ შენ (ბრძანე) უფალო განტევებაჲ კაცთა მათ, რომელნი იგი მცხეთელნი ქრისტიანობისათჳს საპყრობილედ მიცემულ არიან. ჰრქუა მათ მარზაპანმან მან, იგი კაცნი მოსაკლავად შეგვანდესთ, ხოლო თქუენითა თხოვნითა განუტევნე იგინი, ხოლო მათ მადლი მისცეს მას და უბრძანა განტევება მათი და გამოიყუანეს იგინი მიერ საპყრობილით და მოვიდეს იგინი ვანად თჳსა ქრისტიანობითა და სათნოდ, ხოლო ცხოვნდებოდეს ნეტარნი იგი და რომელიმანმე მათგანმან ნებითა ღმრთისათა შეისმინა ჟამად [1]) და რომელნიმე ცოცხალ არიან [2]), ხოლო რომელთა იგი უარ ჰყუჱს ქრისტე ბაღდად ეშმაკეულ იქმნა და ძნელად მოკუდა; ხოლო უბადრუკი პანაგუზნაპ გლახაკობითა აგნა დღენი, რომელსა პური საჭმელად არა აქუნდა და ხარცთა სამოსელი საფარველად არა ეპოვებოდა და ვიდრე იგი ცოცხალ იყო ურვითა და ჭირითა იყვნეს დღენი მისნი.

შემდგომად სამისა წლისა შემოვიდა ვეჟან ბუზმილ ქართლისა მარზაპანად და წარვიდეს სპარსნი მცხეთით შემასმენელნი ნეტარისა ევსტათისანი ტფილისს და წარდგეს წინაშე ვეჟან ბუზმილ მარზაპანისა და ჰრქუეს: კაცნი არიან მცხეთას, ჩუენისა სჯულისანი და განდგომილ არიან იგინი ჩუენგან და ქრისტიანობენ, აწ განკითხუა მათი თქუენ ხელეწიფების და უბრძანა ვეჟან ბუზმილ ორთა მხედართა და მოწოდებად წმიდისა, ევსტათისა და სტეფანესი და ვითარცა მივიდეს მხედარნი იგი ჰრქუეს ევსტათეს და სტეფანეს, გიწოდს თქუენ მარზაპანი და თქუენ ამოვალთ თქუენთანა, არას ვიოკრვით (ვიურვით), არცა გვეშინის და ვითარ წარემართებოდეს ევსტათე და სტეფანე ტფილისს, ჰრქუა ევსტათი სიდედრსა თჳსსა და მხევალსა თჳსსა, «ჯმნილმცა ვარ მე თქუენგან, რამეთუ არღარა აქა მოქცევად ვარ და ქრისტე მე არა უარ ვჰყო და მათ არღარა განმიტეონ ცოცხლებით, ხოლო სიკუდილი ჩემი ტფილისს არს საპყრობილესა და თავი მოკუეთად

1) ესე იგი მიიცვალნენ.

2) აქედამ ჩანს, რომ ცხოვრება ესე დაწერილ არს თანამეროვისაგან.

არს ჩემდა, ხოლო გუამი ჩემი მოელოს აქავე ნებითა ღუთისათა» და ვითარცა ესე თქუა იჯმნა ყოველთაგან და მათ ყოველთა დაიწერეს ჯუარი და წარემართნეს ტფილისს იგი და სტეფანე მხედართა მათთანა. ხოლო სახლეულნი ნათესავნი და თჳსნი მოსტიროდეს უკანა და ვითარ წიაღხდეს ველად და მიიწინეს წინაშე ჯუარისა მცხეთისასა აღიპყრნა ხელნი წმიდამან ევსტათი და თქუა «უფალო უფალო! უკეთუ ღირს მყო მე სიკუდილისა, სახელისა შენისათჳს, ქრისტიანობით ხორცთა ჩემთა ნუჯერ გიჩნს განგდებად გარე და შეჭმა ძაღლთა და მფრინველთა ცისათა, არამედ ხორცთა ჩემთა ბრძანე აქავე მოქცევად და დამარხუა მცხეთასა, სადაცა ნათელი მიმიღებიეს». ვითარცა ესე სიტყუა თქუა ნეტარმან ევსტათი, ჯუარსა თაყუანისცა და იჯმნა კრებულისა მისგან და წარემართნეს ტფილისს და ვითარცა მივიდეს მხედარნი იგი წარუდგინეს ევსტათი და სტეფანე წინაშე მარზაპანსა და თქუეს, ესე არიან ახალ ქრისტიანენი მცხეთელნი. ხოლო ვეჟან ბუზმილ ჰრქუა ევსტათის და სტეფანეს, ვინანი ხართ, ანუ რომელი ჰსჯული გიპყრიეს და აღდგეს ასურნი მთავარნი კაცნი სტეფანესთჳს და თქუეს, ესე კაცი ჩუენ ვიცით, ჩუენი მდაბიური არს, მამა და დედა და ძმანი და დანი მაგისნი ქრისტიანე არიან და იგიცა ქრისტიანე არს. ხოლო სტეფანე მათითა მით სიტყჳთა განუტევეს, ხოლო წმიდა ევსტათის ჰრქუა, შენ ვინ ხარ, ანუ რომლითა ჰსჯულითა ცხოვნდები. წმიდამან ევსტათი, «უკეთუ მკითხავ ისმინე გულსმოდგინედ და გითხრა შენ ყოველივე: მე ვიყავ ქუეყანისა სპარსეთისა ხევისა არბუკეთისა, ქალაქისა განრაკილისა და მამა ჩემი მოგუ იყო და ძმანიცა ჩემნი მოგუნი იყუნეს და მეცა მამა მოგუობასა მასწავებდა; ხოლო მამული ჰსჯული არა მიყუარდა და ვთქუ გონებასა, ესე ჰსჯული არა მიყუარს, აწ ჰურიათაცა ვისმინო და ქრისტიანეთაცა და, რომელი უკეთეს იყოს იგი ჰსჯული შევიყუარო და დღისი მამა ჩემი მოგუობასა მასწავებნ, ღამე რათა ქრისტეანეთა დაჰრეკან, ეკკლესიათა მივიდი და ვისმენდი ჟამობაჲსა მის მათისა და ვხედევდი მსახურებაჲსა მას ქრისტიანეთასა, რომელსა ჰყოფდეს მღუთისა თჳს და ჰურიათაცა თანა ბაგინად შევიდი და მათსაცა მას მსახურებასა ვხედვიდი. ხოლო ქრისტიანეთა ლოცუასა ხმაჲ მათი, ვითარცა ხმა ანგელოზისა მესმინა და ფრიად სუჰნელ არს და საამო ჟამობაჲ მათი, ხოლო ბაგინად ღამე შევიდოდი პარსათასა ვერა ვცნი, რასა იტყვიედ და მერმე კუალადშეველ (ეკკლესიასა შინა) და მომესლა მე სამოელ არქიდიაკონი და ჰსჯულისა მეცნიერი და მრქუა მე: რაჲსა შემოხვედი ეკკლესიად, ესრე გულს მოდგინედ, ხოლო მე ვარქუ მას, უფალო შენცა მიცი ვინ ვარ მე, არამედ არა მიყუარს მე ჰსჯული ესე მამულის ჩემის და მნებავს ვინცა მამცნო ჰსჯული ჰურიათა და ქრისტიანეთაცა და რომელიმცა ჰსჯული უწმიდეს იყოს იგიმცა შევიყუარო. მაშინ სამოელ არქიდიაკონმან მრქუაჲ მე, უკეთუ გნებავს ჭეშმარიტად ცნობა ორივე ჰსჯული მე, მიგითხრა შენ კეთილად, ხოლო გამორჩევა არა შენი არს, არამედ ვითარცა უფალმან გიბრძანოს. ხოლო მე ფრიად ვევედრე და ვარქუ მას, რომელთა თანა სათნოვეყო, იგი მინებს ჰსჯული პყრობად და იგიცა მიბრძან; ხოლო სამოელ არქიდიაკონმან იწყო თხრობად და მრქუაჲ მე, გულს მოდგინედ ისმინე ჰოი! ძმაო: სპარსთა ჰსჯულჲ იყო ვითარცა თჳთ შენ იცი, ხოლო თანა სძაგდა ჰსჯული იგი სპარსთა და არა სთნდა და მერმე ჰურიანი გამოირჩინა ღმერთმან და სათნო იყუნა და მისცნა მათ ჰსჯული და მცნება დამარხუად, მაშინღა ქრისტიანენი სათნო იყუნა ღმერთმან, უფროს ჰურიათასა და მერმე ვევედრე სამოელს არქიდიაკონსა, უფალო ნუგეწყინებინ და კეთილად მაცნობე და მერმე ვარქუ, უფალო ჰურიანი ვიეთნი იყუნეს, ვინა მოვიდეს და შეიყუარნა იგინი ღმერთმან, მაშინ მრქუაჲ მე სამოელ არქიდიაკონმან: თხრობა ესე დიდ არს ძმაო, ხოლო თუ განიმარჯუნენ სასმენელნი შენნი და გულს მოდგინედ ისმენდი, მეცა უწყინოდ ყოველი გითხრა. კაცი ერთი იყო

უბიწო და ღ̃თის მოყუ̃არე, სოფლისა სპარსთასა და ქალაქსა განიყლეთასა და სახელი ერქ̃უა მას აბრაამ და ეჩ̃უენა მას უფალი ჩ̃უენებასა მისსა და ჰრქ̃უა აბრაამს, გამოვედ შენ მაგიერ ქ̃უეყანით და წარგიყუ̃ანო შენ სხუ̃ად ქ̃უეყანად და განგამრავლო შენ და აღგაორძინო შენ დიდად ფრიად და გყო შენ მამა ნათესავთა მრავალთა და ერთა ურიცხვთა. ხოლო აბრაამს ჰრწმენა სიტყუ̃აჲ იგი მღ̃დელისაჲ და ჰრქ̃უა აბრაამ, იყავნ უფალო ჩემ ზედა სიტყ̃უაჲ ეგე შენი და გამოვიდა აბრაამ ქ̃უეყანისა მის ქალდეველთასა და მოვიდა ქ̃უეყანად შუ̃ა მდინარედ ქალაქად ქანანად, მასლობლად ეფრატისა; მოვიდა იგი წინა მძღ̃ურებითა ანგელოზისათა და დაეშენა იგი ქანანს შინა და მერმე ცვალა იგი მუნით და მოიყუ̃ანა იგი ქ̃უეყანად ქანანისად და დაეშენა იგი ქებრონს შინა და ესუ̃ა აბრაამს ისაკ და ისაკს იაკობი და იაკობს ესხნეს ათორმეტნი ძენი და უბრძანა ღმერთმან აბრაამს და ჰრქ̃უა, წინა დასცჳთე ისაკს და იაკობს და ყოველთა ძეთა იაკობისთა და იყავნ იგი თქ̃უენდა რჩეულად საუკუნოდ.

და აბრაამ ჰყო ეგრეთ, ვითარცა უბრძანა მას ღმერთმან და აღორძნდეს და განმრავლდეს ნათესავნი აბრაამისნი დიდად ფრიად, ესე არიან ჰურიანი და უყუ̃არდეს ღმერთსა ჰურიანი დიდად ფრიად.

ვითარცა უყუ̃არნ მამასა საყუ̃არელი შვილი და უწოდა ჰურიათა სახელი ისრაილი, ხოლო ისრაილი გამოითარგმანების ერი ღ̃თისა და განდიდნა და განვრცნა ერი იგი ღ̃თისა ისრაილი და გარდამოკდა ღმერთი ზეცით ქ̃უეყანად და მოვიდა თხემსა ზედა მთისა სინასასა და დაწერა ღმერთმან ჴელითა თჳსითა ფიცართა ქჳსათა ჰსჯული და მცნებაჲ ესრეთ პირუ̃ელი მცნებაჲ ესრეთ.

შეიყუ̃არე უფალი ღმერთი ყოვლითა გულითა თქ̃უენითა და ყოვლითა სულითა თქ̃უენითა და ყოვლითა გონებითა თქ̃უენითაჲ და მერმე ესე, ნუ კაც ჰკლავ, ნუ იპარავ, ნუ ისიძავ, ნუ გული გითქ̃უამს ცოლსა მოყუსისა შენისასა, ნუ ცილსა ჰფუცავ, ნუ ცილსა სწამებ, ნუ ორსა სიტყუ̃ასა იტყჳ, პატივი უყავ მამასა შენსა და დედასა შენსა, შეიყუ̃არე მოყუ̃არი შენი, ვითარცა თავი თჳსი, შაბათნი ჩემნი დაიმარხნეთ, დღესასწაულნი და შესაწირავნი და უქმნელობანი აღასრულნეთ. ესე ჰსჯული და მცნება დაწერა ღმერთმან და მოსცა მოსეს მთასა ფჳსსა და მოსე მოიხუ̃ნა ფიცარნი იგი და აღმოუკითხნა ყოველსა ისრაილსა და განიხარა ყოველმან ისრაილმან.

და თქ̃უაჲ, ყოველი რაცა გვიბრძანა უფალმან ვჰყოთ და აღვასრულოთ, გარნა უფალო იყავნ ჩ̃უენთანა და ამაღლდა უფალი ზეცად და ვითარცა ესე ჰსჯული ისმინეს ჰურიათა შეაწირვიდეს შესაწირავთა და საკმეველსა და მსხ̃უერპლსა და შაბათთა იმარხვიდეს და ღმერთი იყო მათ თანა და მას ჟამსა უცხოთესლნი შეკრბეს და ზედა მოუჴდეს ისრაილსა. ხოლო ღმერთმან ჴელითა ერთისა კაცისათა წარდევნა იგინი, რომელიმე მოკლეს და რომელიმე ტყუ̃ედ უგმოიყუ̃ანეს და რომელიმე მეოტად წარიქციეს, და ესრეთ მტერთაგან უშიშ იქმნნეს, რამეთუ უფალი იყო მათ თანა.

და მერმე რავდენთამე ჟამთა მეფე ითხოვეს ყოველმან ისრაილმან ღ̃თისაგან, რათა ჰბრძოლეს იგი მტერთა მათთა და უბრძანა მათ ღმერთმან მეფე და განაგო უფალმან წესი შარავანდედობისა[1]) და შემდგომად რავდენთამე დღეთა, (დროებათა) მოიკლა მეფე იგი ღ̃თაწლის შინა, რამეთუ აღელო თავი თჳსი და ესვიდა იგი ძალსა თჳსსა და არა ღმერთსა მისსა.

შემდგომად დავით მეფობდა, ხოლო დავით იყო საყუ̃არელი ღ̃თისა და ღმერთი დავითს უყუ̃არდა და დავით აღასრულნა საკ̃უერთხნი და შესაწირავნი და მსხ̃უერპლნი და დღესასწაულნი და შაბათნი კეთილად აღასრულნა. შემდგომად მისა, ძე მისი სოლომონ მეფობდა და განდგა ერი იგი და განდრკა ღ̃თისაგან და მსახურებდეს კერპთა ქრუთა, ყრუთა ქმნილთა და ქ̃უათა უსულოთა, ხეთა

1) შარავანდი — სამეფო გვრგვნი.

და მაღალთა სარტყუთა (ცისარტყელასა) და მწუხრვალთა ზეთასა და ღმერთი უარ ჰყოფს და წინასწარმეტყუელნი ღაღადებდეს და ეტყოდეს, არა ჯერ არს ღუთისა ცხოველისა დატევება და ქუათა გინა სხუათა რათმე მსახურება.

აწ ესრე მოავლინოს ღმერთმან თქუენ ზედა სიკუდილი და მახჳლი და ტყუეობა და ეგრეთ აღგკოცნეს თქუენ და მათ არა უჩნდათ ხმაჲ წინასწარმეტყუელთა, რამეთუ განშორებულ იყო ერი იგი ისრაილისა და ბრძანეს მოწყუედა მათ წინასწარმეტყუელთა, რომელნიმე მახჳლითა, რომელნი ცეცხლითა, რომელნიმე ხერხითა განხერხნეს, რომელნიმე მკეცთა მისცნეს და რომელნიმე მღჳმესა შთაგდეს, რომელნიმე ქჳთა განტვინნეს. ხოლო ღმერთი ტკბილ არს და კაცთ-მოყუარე, არა უნდა წარწყმედა ისრაილისა და უნდა მოქცევა მათი, მოავლინა ღმერთმან ძე თჳსი ქრისტე სოფლად და შევიდა წმიდა მუცელსა ქალწულისასა და კორცნი შეისხნა და განკაცნა წმიდისა მარიამისგან და საშოსგან წმიდისა გამოვიდა და ღუთაება კორცითა დაიფარა, უკეთუმცა ღუთაება კორცითა არა დაეფარა, კაცსმცა ვერ მიეახლა ღმერთსა.

რამეთუ მზე ქმნული ღუთისა არს და თუალნი ვერ ვინ შეუდგინის და სიმრგულე მზისა ვერ ვინ განიცადის, ღუთაებასამცა კაცი ვითარ მიეახლა; ამისთჳს კორცნი შეისხნა, რათამცა ისრაილი მოაქციოს ღუთისა ცხოველისა და განკაცებასა მისსა ნათელ იღო იორდანესა მდინარესა, კელითა იოანესითაჲ და ვითარ აღმოვიდოდა მიერ წყლით, აჰა ცანი განეხუნეს და სული წმიდა ვითარცა ტრედი გარდამოკდა სპეტაკი და დაადგრა მას ზედა და კმა იყო ზეცით გარდამო და თქუა: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო ვიყავ. მაგისი ისმინეთ და სცხოვნდეთ.

და ვითარ შევიდა იერუსალიმად, იწყო სასწაულთ მოქმედებად და ნიშები და კურნებანი, ოცდა ათვრამეტისა წლისა სნეული იდვა ცხედარსა ზედა, იხილა და სიტყჳთ უბრძანა აღდეგ, აღიღე ცხედარი შენი და ვიდოდე და მუნ თქუ[illegible]ე აღდგა და ვიდოდა ცოცხალი, ადიდებდა ღმერთსა.

მერმე შობითგან ბრმა ჰყუა და თიკა შექმნა ნერწყჳთა და თუალთა მისთა და ჰგოზა და უბრძანა მას მობანა წყლითა და აღეხუნეს თუალნი ბრმასა მას და მკუდარნი აღადგინნა და მკელობელნი ავლინნა და კეთროვანნი განწმიდნა და მრავალნი კურნებანი ჰყუნა ქრისტემან მათ შორის, რათამცა ჰრწმენა ჰურიათა და მოიქცეს ღუთისა ცხოველისა და უნდა, რათამცა არა განითხვნეს ღუთისაგან, ხოლო ჰურიანი იგი უფროს ხოლო აღბორგდეს და შური დიდი აღიღეს ქრისტესთჳს და უნდა მოკლვა მისი. ხოლო ქრისტემან მიჰრიდა მათ და გარე სოფლებსა და დაბნებსა იქცეოდა მუნ და რომელთა ჰრწმენა ქრისტესი უკანა შეუდგეს მას, და განვიდოდა დაბასა ერთსა და გამოაქვნდა მკუდარი ძე ქურივისა და ვითარცა იხილა იგი, უბრძანა და დადგეს ცხედარი იგი და უპყრა კელი ყრმასა მას და მისცა დედასა თჳსსა ცოცხალი.

მერმე განვიდოდა დაბასა ერთსა, შეუდგა მას ერი მრავალი და სიმრავლითა ერისათა წინა ჭკუნ ვერ შეუძლეს მიღებად განრღუეულისა და სართული სახლისა აღძარცუეს და მიერ ცხედრითა შთაუტევეს და აღადგინა იგი და თჳსით ფერკითა წარვიდა სახიდ თჳსად და ერი მრავალი შეუდგა მას და ადიდებდეს ღმერთსა.

ხოლო ერისა მისგანნი ათორმეტნი გამოირჩინა კაცნი და უწოდა მათ მოწაფე და რასაცა უბრძანებდა მათ მას იქმოდეს და შევიდა დაბასა ერთსა, იყო მუნ ქორწილი და შევიდა იესო საქორწინესა მას და ღჳნო არა იყო მუნ, რამეთუ მოკლებულ იყო და ტაკუკნი ცალიერნი დგეს მუნ, მაშინ უბრძანა იესო მოწაფეთა მათ, წყალი მოღებად და ტაკუკნი აღივსნეს წყლითა და აკურთხა წყალი იგი ქრისტემან და იქმნა ღჳნო, უამოვნეს პირუელისა მის ღჳნისა, მრავალთა

დაუკჳრდა და ჰრწმენა მისი და შეუდგეს მას და მერმე დედაკაცი ათორმეტ წელ წიდოვნებასა [1]) შინა იყო და მოვიდა იდუმალ ზურგით კერძო და უპყრა ფესუსა სამოსლისა მისისასა და განწმიდნა იგი და მერმე მოვიდოდა ქრისტე ადგილსა ერთსა და იყო მუნ ველი მშუენიერი და მოხედა ერსა მას, რომელი იგი უკანა შეუდგა მას და ჰრქუა მოწაფეთა მათ, ერი ესე ესოდენი დღე არს ვინაჲთგან უზმა არიან და მეწყალის, წარვედით ქალაქად და იყიდეთ პური და ეცით ერსა მას; ხოლო ქრისტემან ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა, თქუენგანსა არავის გაქუს პური აქა? და ჰრქუა ერთმან მოწაფეთაგანმან, მე მაქუს ხუთი პური და ორი თევზი.

ჰრქუა ქრისტემან მომართვით იგი აქა და ვითარცა მოართვეს ხუთნი იგი პურნი და ორნი თევზნი, უბრძანა ქრისტემან ერსა მას დასხმა ქუეყანასა ზედა და აღიპყრნა ზეცად ხუთნი იგი პურნი და ორნი თევზნი, აკურთხნა და განტეხნა და მისცემდა მოწაფეთა თჳსთა და მოწაფენი იგი მისცემდეს ერსა მას და ერმან მან ჭამა და განძღა და ათორმეტი გოდორი სავსე აღიღეს ნეშტი.

ხოლო ერი იგი რავდენსა ჭამეს იყუნეს ვითარ ხუთ ათას, გარნა ყრმებისა და დედებისა, მაშინ უბრძანა ქრისტემან ერსა მას კმელით ქუეყნით მოსლვა; ხოლო ქრისტე და მოწაფენი მისნი განვიდოდეს ზღუასა მას, ვითარცა კმელსა და ფერკნი მათნი არა დაისველტნეს და ვითარცა განვიდეს კმელად და მოემთხვია კაცი ერთი, რომელსა თანა იყო ლეგეონ ეშმაკი, ღაღადყო და ჰრქუა, ქრისტე შემეწიე მე, რამეთუ ბოროტად ვიგუემები, ხოლო ქრისტემან შეჰრისხნა ლეგეონსა მას ეშმაკსა და განვიდა მისგან და ადიდებდა ღმერთსა და ჰთქუა: ქრისტე, გიცი შენ ვინ ხარ, წმიდა ეგე ღმერთი ჩემდა, ხოლო მოხვედი წარწყმედად, ხოლო ქრისტემ უბრძანა ქუეყანასა და განეღო და დანთქა ეშმაკი იგი და შთაგდა ჯოჯოხეთად ქუესკნელად და მერმე მოვიდა დაბასა მას, რომელსა სახელი ერქუა ბეთანია სადა ლაზარე მომკუდარ იყო ოთხით დღით, წინა მისა დაიდვა იგი სამარესა შინა და მივიდა მისსა ქრისტე კარსა მის სამარისასა კმაჰყო და ჰრქუა ლაზარე გამოგუალე და ერთითა მით კმითა ქრისტესითა იგი სამარისაგან გამოვიდა მხიარული და უკჳრდა ერსა მას და უფროს განმრავლდა ერი იგი სარწმუნოებითა დიდითა; ამისა შემდგომად აღჳდა ქრისტე იერუსალიმად და შევიდა ტაძარსა ღმრთისა და იხილა მუნ შინა სავაჭრო დაგებული და ჰყიდდეს და აღიღო ქრისტემან შოლტი და გამოასხა კაცები იგი და გამოუბნია სავაჭრო იგი და დაამკუა ტაბლები იგი და თქუა. ესრე წერილ არს, სახლსა მამისა ჩემისასა, სახლ სალოცველ ეწოდოს, ხოლო თქუენ ვითარცა ქუაბი ავაზაკთა გიყოფიეს და მერმე თქუა დავარღჳო ტაძარი ესე და მესამესა დღესა აღუაშენო ეგე და ვითარცა ესმა ესე ჰურიათა მათ განრისხნეს ფრიად და თქუეს, ჩუენ ვიცით მამა მისი იოსები და დედა მისი მარიამ და ძმანიცა უსხენ; ხოლო თავსა თჳსსა ძედ ღმრთისად გამოაჩინებს და ტაძარსა ღმრთისა მამულად იჩემებს და მერმე თქუეს.

სოლომონ ორმეოცსა წელსა აღაშენა და იგი იტყჳს დარღუევად და მესამესა დღესა აღშენებად. ამის სიტყჳსა თჳს გული განიწყეს ჰურიათა მათ და შური გულსა დაიდვეს და იზრახეს შეპყრობა მისი და მოკლვა და შეიპყრეს ქრისტე და მიიყვანეს წინაშე მღუდელთ-მოძღუართა და მოხუცებულთა, ვითარ შენ თავსა შენსა ძედ ღმრთისად გამოაჩინებ, ძე ღმრთისა ხარა შენ, ხოლო ქრისტემან ჰრქუა მათ, ეგე თქუენ სთქჳთ.

და მერმე ჰრქუეს ქრისტესა, სოლომონ ორმეოცესა წელსა აღაშენა ტაძარი ესე და შენ სთქუ დავარღჳო და სამსა დღესა აღუაშენო ეგეო. მაშინ ქრისტემან ჰრქუა, მე ჴელმეწიფების დარღუევად და მესამესა დღესა აღშენებად; მაშინღა განრისხნეს ჰურიანი იგი და აღტეხეს და აღაშ-

1) წოლოვნება — სისხლის დენა.

ფოთჳს ერი იგი ჰურიათა და თქუენს მოკლვად შეჰგავს კაცი ესე და მოუხდეს ქრისტეს ზედა, და იწყეს ცემად და კიცხევად მისა, და რომელიმე სცემდა კუერთითა თავსა მისსა და რომელიმე ღერწმითა სცემდა თავსა მისსა წმიდასა და რომელიმე სცემდა ყურიმალსა და რომელნიმე ჰნერწყუდეს პირსა მისსა ნათელსა და აღჰმართეს ძელი და ჯუარს აცუეს ქრისტე და ძმარი და ნაღველი შეზავებული ასუეს ჯუარსა ზედა. მაშინ თუალნი აღიხილნა ზეცად მამისა მიმართ და თქუა; მამაო ჩემო ყოველივე აღუასრულე და ისრაილმან არა ისმინა ჩემი და ესე ვითარი ტანჯუა მოაწიეს ჩემ ზედა და მიიდრიკა თავი და აღმოუტევა სული და მსწრაფლ გარდამოიღეს მიერ ჯუარით. ხოლო კაცი ერთი იყო კელმ-წიფე და მოწაფე ყოფილ იყო ქრისტესი, მან აღიღო გუამი ქრისტესი, და დადვა ახალსა სამარესა და ლოდი დიდი მიაგორვა კარსა სამარისასა და მესამესა დღესა მსთუად ცის კარსა ოდენ, ანგელოზი გარდამოკდა ზეცით და გარდააგორვა ლოდი იგი მის სათვალავისაგან და ქრისტე აღდგა და გამოე-ვიდა მიერ სამარით და ეჩუენა ორთა მოწაფეთა და მარიამს მაგდანელსა და სხუათა დედათა და ჰრქუა მათ ქრისტემან, უთხარით მოწაფეთა ჩემთა, წარვედით გალილეად თაბორად და მუნ მიხილოთ მე. ათორმეტნი იგი მოწაფენი წარვიდეს სიხარულითა დიდითა, მთასა თაბორსა და იხილეს ქრისტე და თაყუანისცეს და ამბორს უყუეს ფერკთა მისთა წმიდათა.

ხოლო ქრისტემან ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა, აწ არღარა გერქუას თქუენ მოწაფე, არამედ მო-ციქული გერქუასთ თქუენ, ხოლო მე აწ აღუალ მამისა ჩემისა და მამისა თქუენისა, ღუთისა ჩემისა და ღუთისა თქუენისა, ხოლო მოციქულთა მათ შთაბერა სული ცხოველი და ჰრქუა მათ, მიიღეთ სული ცხოვრებისა და წარვედით თქუენ ქალაქებსა და სოფლებსა და დაბნებსა, კიდითგან ვიდრე კიდემდე ქუეყანისა და ჰყოფდით ნიშებსა და სასწაულებსა და კურნებასა.

და მოაქცევდეთ წარმართთა და ნათელ ჰსცემდით, სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა და ასწავებდით მათ ყოველი რავდენი გამცენ თქუენ და მე ესერა თქუენ თანა ვარ ყო-ველთა დღეთა ცხოვრებისა თქუენისათა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა, უსასყიდლოდ მი-გიღებიეს და უსასყიდლოდ მისცემდით მათ. და ქრისტე ამაღლდა ზეცად ანგელოზთა თანა. ხოლო ათორმეტნი იგი მოციქულნი წარვიდეს და მიმოვლეს გარემო სოფლებსა და ქალაქებსა და დაბ-ნებსა და ახარებდეს და ქადაგებდეს ქრისტესა აღდგომილსა მკუდრეთით და ჰყოფდეს ნიშებსა და სასწაულებსა და კურნებათა და მოიქცეოდეს და ნათელსცემდეს, სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა და ესრეთ განმრავლდა და განეფინა ქრისტეანობა და განავრცნა კიდით ქუე-ყანისათ ვიდრე კიდემდე და ეპისკოპოზნი და მღუდელნი განაჩინნეს და ეკკლესიანი აღაშენნეს და მას შინა ჯუარი აღემართა და ყოველსა სოფელსა ჰრწმენა ქრისტე.

და აღივსო ყოველი სოფელი ქრისტეანობითა და ყოველსა სოფელსა იქადაგა ქრისტე ჰუ-რიათა მათ, ვითარცა წინასწარმეტყუელნი უთხრობდეს, ეგრეთცა მოიწია მათ ზედა, რომელნიმე მახჳლითა, რომელნიმე სიყმილითა, რომელნიმე სიკუდილითა მოსწყდეს და განილინეს და სხუანი ტყუეობითა განიბნინეს, რამეთუ არა დაიმარხეს ჰსჯული ღუთისა ცხოველისა; ხოლო აწ ქრის-ტეანეთა უწოდა ესრეთ, რამეთუ ისრაილი ითარგმანების ერი ღუთისა და მოხა ქრისტესა, რომ-ლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე ამინ.

მაშინ ვითარცა გულის კმა ვჰყავ და ვჰცან ყოველი, სამოელ არქიდიაკონისაგან დასაბამითგან ყოველი, ვიდრე აქამომდე და მივიწიე ყოველსა ზედა ჰსჯულსა ჰურიათასა და ქრისტეანეთასა, მრწმენა მე ღმერთი დაუსაბამო და ძე მისი, იესო ქრისტე და სული წმიდა მისი და ამით ნათელ მიღებიეს და ვერვინ განმაშოროს მე ქრისტესგან, ვიდრე სულისა ჩემისა აღმოსლვადმდე; ხოლო მამულისა

ჩემისა ჭსჯულისათჳს სიტყჳსადვე ზარმაც და მრცხვენისცა, რამეთუ ღმერთმან, რომელმან ქმნნა ცაჲ და ქუჱყანა მზე და მთოვარე და ვარსკულავნი ზღჳა და ჴმელი, მდინარენი და შესაკრებელნი წყალთანი, მთანი და ბორცჳნი ველნი და ტყენი, შეშა და ცეცხლი, ოთხფერკნი პირუტყჳნი და მკეცნი ქუჱწარმავალნი და მფრინველნი ცისანი და მერმე კაცნი შექმნნა ღმერთმან.

და მას ყოველსა ზედა უფალ ჰყო იგი და ყოველი ესე დაამორჩილა კაცსა მას და ჩუჱნ ამის ყოვლისა შემოქმედი ღმერთი დაუტეოთ და ამას ღუთისა დაბადებულსა ღუთად ვხადოდით? ნუ იყოფინ ესე. მზე და მთოვარე და ვარსკულავნი არა ღმერთ არიან, არამედ ღმერთმან მზესა დღისა განათლება უბრძანა და მთოვარესა და ვარსკულავთა განათლება ღამისა უბრძანა, რამეთუ ღმერთ არა არიან, ღმერთმანღა ღრუბელსა უბრძანის და მოეფინის ბრწყინუალება მზისა და მთოვარისა დაბნელის. მზე და მთოვარე ამისთჳს არა ღმერთ არიან, არამედ ღმერთმან მზესა განათლება უბრძანა, მერმე კუალად ცეცხლი არა ღმერთ არს, ამით, რამეთუ ცეცხლი კაცმან აღაგზნის და კაცუმანვე დაშრიტის, რამეთუ კაცი უფალ არს ცეცხლისა, ამისთჳს არა ღმერთ არს ცეცხლი, თუ ვისმე განერის და წარვიდის რაჲცა მიჭმარიის გინა ტყესა გინა ველსა გინა სახლსა, თუ კაცი დახუდის და ეუწყის, ხოლო ცეცხლსაღა წყალი მიეახლის ეგოდენი იგი, რომელი ცეცხლსა დაშრტის და უჩინო იქმნის ცეცხლი იგი, ამით არა ღმერთ არს.

ხოლო ჩუჱნ ღუთად არა გურწამს, რამეთუ ღმერთმან ჩუჱნ ცეცხლი სამსახურებელად მოგუცა, ყინელისა განმატფობელად და ყოვლისა სანოვაგისა საქმარად და ოდეს გვინდეს აღუაგზნით და ოდეს გვინებს დავშრიტით, ესრეთ არა ღმერთ არს ცეცხლი იგი, მერმე ღუთისა შექმნილნი კაცნი საცხოვართა პირუტყუთა მსგავს ვიყუჱნით და ესრე სახე, ვითარცა პირუტყვთ მამლობასა და დედლობასა არა იციან მშობელი არცა შობილი მათგანი და ეგრეთ აღრეულად გარდაიკადიან, მამლობა და დედლობა მათი, და ეგრეცა ჩუჱნ კაცნი პირმეტყუჱლნი მათ პირუტყჳთა მსგავს ვიყუჱნით; რომელთა არა ვიცოდით მშობელი თჳსი გინა შობილი და აღრეულად გარდავიკადით ბუნება იგი ჩუჱნი. ხოლო აწ მადლითა ღუთისათა ვისათგან იქმნა ნათლისღება და ჭსჯული ქრისტეანობისა მიერითგან დაიჴსნა და განქარდა უწესო იგი საქმე. ხოლო ამას გევედრები უფალო ჩემო იესო ქრისტე, რათა გუამი ჩემი დაემარხოს მცხეთას, სადაცა იგი ნათელი მივიღე სამოელ კათალიკოზისა ჴელითა და ღირს ვიქმენ ჭსჯულსა ქრისტეანეთასა, ამიერითგან ვერვინ განმაშოროს მე სიყუარულსა შენსა და სარწმუნოებასა და სურვილსა ვითარცა წერილ არს.

არცა ტანჯუათა, არცა გუემათა არცა სიყმილმან საპყრობილესა შინა, არცა მახჳლმან, არცა სიკუდილმან ამათ კორცთა ჩემთამან შემიძლოს მე განყენებად შენდა უფალო იესო ქრისტე» მაშინღა ჰრქუა მას ბუზმირ მარზაპანმან ძჳლო ჩემო ევსტათი ისმინე ჩემი და ნუ დაიმცირებ დღეთა ცხოვრებისა შენისათა ქრისტეანობისათჳს და ნუ ქურივ სჳამ ცოლსა შენსა და ობოლ შჳლთა შენთა და ნუ მოსწყუდები მოყუასთა შენთა, ამას ცხოვრებასა.

ჰრქუა წმიდამან ევსტათი, «უწინარეს შენსა სხუათა კელმწიფეთა მტანჯეს მე ფრიად და მგუემეს და არა დავემორჩილე მათ, აწ შენი ვირწმუნო, ნუ იყოფინ ეგე ჩემდა». მაშინ ვითარცა ცნა ბუზმირ მარზაპანმან დამტკიცებული და შეუძრველი გული და გონებაჲ ნეტარისა ევსტათისი და ვერცა შინებითა და ტანჯვათა და ვერცა კეთილისა ქადებითა არწმუნა მამულის ჭსჯული პყრობად. უბრძანა მსახურთა, წარიყუანეთ ეგე საპყრობილედ და იდუმალ ღამით თავი წარჰკუეთეთ, რამეთუ არავინ ქრისტეანეთა ცნან, პატივჰსცენ გუამსა მისსა და წარიხვენით კორცნი მისნი ქალაქსა გარე განაბნიენით შესაჭმელად მკეცთა და მფრინველთა. ხოლო მსახურთა მათ წარიყუანეს ნეტარი ევს-

ტათი საპყრობილედ, რათამცა აღასრულეს ბრძანებული იგი მარზაპნისა მის, ჰრქუა მათ წმიდამან ევსტათი «მცირედ მგებდით მე ძმანო ჩემნო, რამეთუ ჴელთა შინა თქუენთა ვარ, რათა ვილოცო მე ღ̃თისა ჩემისა მიმართ». ხოლო მათ მცირედ დაითმინეს და აცალეს და ჰრქუეს ეგრეთ ვჰყოთ, მაშინ მოიდრიკნა მუკლნი თჳსნი და აღიხილნა თუალნი თჳსნი ზეცად და ჰრქუა.

«უფალო ღმერთო ყოვლისა მპყრობელო, რომელსა ყოველთა კაცთა გნებავს ცხოვრება, რომელნი ესვენ სარწმუნოებით სახელსა შენსა წმიდასა, რომელმან ისმინე ლოცვაჲ პირუელთა მათ მოწამეთა, რომელნი ჰურიათა მახჳლისათა მოსწყდეს, რომელნიმე ტბასა შინა ყინელითა, რომელნიმე ზღუასა შინა შთაყრითა მოსწყდეს, რომელნიმე ცეცხლითა და, რომელნიმე მკეცთა მიერ შეიჭამნეს სახელისა შენისათჳს და მოიღეს შენ მიერი იგი აღთქმული, რომელი თუალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოუკდა რომელი განუმზადე წმიდათა მათ მოწამეთა, შენთა მეცა უფალო ღირს მყავ მონაწილე მათ თანა და სამკჳდრებელსა მათ თანა, სიხარულსა მათ თანა მე უკანათა ჟამთა ნარჩევი მოწამე, ვითარცა იტყვის პავლე მოციქული, მე ვარო ნარჩევ მოციქულთა, შენ იცი უფალო ჩემო იესო ქრისტე, რამეთუ არა ვირჩიე შენსა, არცა მამა, არცა დედა, არცა ძმანი, არცა ნათესავნი, გარნა შენ მხოლო უფალო შეგიყუარე და სახელისა შენისათჳს თავი წარმეკუეთების დღეს.

და ამას ვილოცავ და გევედრები და ვითხოვ შენ სახიერისაგან, რათა არა დაუტეო გუამი ჩემი აქა ტფილისს შინა, არამედ რათა დაიმარხოს იგი მცხეთას წმიდასა, სადა იგი შენ გამომიჩნდი და რათა აქუნდეს მადლი და კურნება ძუალთა ჩემთა, ვითარცა იგი პირუელთა მათ». და ესმა ჴმა, რომელი ეტყოდა ევსტათის და ჰრქუა;« არა უნაკლულეს იყო შენ პირუელთა მათ მადლითა კურნებისათა, რომელთა ვრწმენე მე, ხოლო გუამისა შენისათჳს ნუ ჰზრუნავ, ეგრე იყოს ვითარცა შენ სთქუ ყოფად» და განმხიარულდა ნეტარი ევსტათი და მადლობდა ღმერთსა.

ხოლო წმიდასა ევსტათის პირუელვე ემცნო ნეტარისა სტეფანესდა, რათა რაჟამს მეუწყოს სიკუდილი ჩემი, მსწრაფლ წარიღეთ გუამი ჩემი მცხეთად და მუნ დაჰმარხეთ, სადა ნათელ ვიღე. და ვითარცა დაასრულა ლოცვაჲ და ვედრებ და თხოვა უფლისა მიმართ, ჰრქუა მსახურთა მათ მარზაპნისათა, აწ აღასრულეთ განჩინებული იგი ბრძანებაჲ ჩემ ზედა, ხოლო მათ არა უნდა მოკლვის, ხოლო ერთმან მათგანმან ჰრქუა, ჩუენ მოვსწყდებით უკეთუ ეგე ეგოს ცოცხალი. მაშინ მიყვნეს ჴელნი მისნი მის ზედა და ჰსცეს მახჳლითა პატიოსანსა ქედსა მისსა და წარჰკუეთეს თავი მისი, 589 წელსა, 29 ივლისსა და შეჰვედრა სული თჳსი ქრისტესა მეუფესა.

ხოლო გუამი მისი ღამე განიღეს გარეშე და დააგდეს მუნ, ხოლო ჰცნეს ვიეთმე ქრისტეანეთა და წარიღეს იგი მცხეთას, რამეთუ სტეფანეს ემცნო მუნ მყოფთა ქრისტეანეთა და ვითარცა მიიწივნეს მცხეთას, უთხრეს სტეფანეს და სტეფანე აუწყა სამოელს კათალიკოზსა; ხოლო მან ფრიად განიხარა და დაჰმარხა იგი დიდითა დიდებითა და პატივითა წმიდასა საკათალიკო ეკლესისა მცხეთისასა [1]) და ვიდრე აქამომდე იქმნებიან კურნებანი, სნეულთანი მადლითა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს სუფევა და ძლიერება, პატივი და სიმტკიცე და დიდება მოუკლებელი მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადით და უკუნისამდე ამინ.

---

1) წმ. მოწ. ევსტათი იწამა 589 წ. 29 ივლისსა და დასაფლავებულ არს წმ. მცხეთის დიდს საკათალიკოზო ეკლესიის ტრაპეზის ქუეშე, რომელიც შეურყეველად არს აქამომდე.



საბინინი. М. САБИНИНЪ

ႼႫ. ႫႭႼႠႫႤႬႨ ႫႧႠႥႠႰႬႨ ႠႰႢႳႤႧႨႱႠႬႨ ႣႠႥႨႧ ႣႠ
ႩႭႬႱႲႠႬႲႨႬႤ.

თუე ოკდონბერსა ლა დღესა, წამება და ღუაწლი წმიდათა და დიდებულთა მოწამეთა დავით და კონსტანტინესი, რომელნი იწამნეს ქუეყანასა ჩრდილოეთისასა, სანახებსა არგუეთისასა, საბრძანებელსა ქართუელთასა, შემდგომად დიდისა და მაღლისა მეფისა მიცუალებისა ვახტანგ-გორგასლისასა, რომელმან მფლობელობაჲ ყოვლისა ქუეყანისა განაგო [1]).

---

იმერთ ამერთა, მნათობნი ქართუელთანი.
კაც ქმნილის ღმრთისა, იესოს აღმსარენი.
იმსხუერპს სუფევად, დავით და კონსტანტინეთურთ.
წყალი სავლავად, ღოდნი იმანიაკნეს.
არგუეთს მთავრობა ჰსცუალნეს და უვსჰდ ნათლად.

თქმული ნიკოლაოზ ცფილელის მიერ.

---

მეფობასა ბერძენთა ზედა ღმრთის მსახურისა ჰერაკლესსა [2]), ოდეს იგი განაგებდა საბრძანებელსა თჳსსა კუერთხითა მეფობისა თჳსისათა, განლაშქრა სპარსთა მეფემან ხუასრო ქალაქსა მას ზედა ღმრთივდაცულსა წმიდასა იერუსალიმსა, რომელსა შინა იქმნა ხსნა ყოვლისა სოფლისა, მიშუებითა ღმრთისათა გამოიღო და ტყუე ჰყო და მოსრა ერი ურიცხვი მამათა და დედათა, მღუდელთა და დიაკონთა და ქალწულთა, ვითარცა წერილ არს წიგნსა მას იერუსალიმის წარტყუენისასა, რათა აღესრულოს სიტყუა იგი მახარებელისა «ვითარმედ არა დაშთეს ქუა ქუასა ზედა, ვიდრემდის არა ყოველი დაირღუეს».

რამეთუ მრავალ გზის წარიტყუენა იერუსალიმი ბაბილოველთა და რომთაგან და აწ სპარსთაგან და წარიყუანეს ძელი ცხოვრებისა, რომელსა ზედა ქრისტემან ვნებაჲ ჩუენთჳს თავს იდვა და ზაქარია დიდი მამათ მთავარი ტყუედ და მიიქცეს სპარსეთადვე; ხოლო იქმნებოდეს სასწაულნი ურიცხუნი ძელისა მისგან ცხოვრებისა, ვიდრემდის ითქმოდეს სპარსთა შორის, ვითარმედ ღმერთი ქრისტეანეთა მოსრულ არს.

ხოლო უქმნა ესე ჰერაკლეს ღმრთისმსახურსა მეფესა ბერძენთასაჲ და ბრძანებითა ღმრთისათა განლაშქრა სპარსთა ზედა [3]) და შევიდა ქუეყანასა კომანთასა, რომელ არიან უჯხაუნი [4]) და მისცა ასული თჳსი, ცოლად მეფესა უჯხაუთასა და წარიყუანა ფრიადითა ერითა, შემწედ თჳსად და შევიდა სპარსეთს [5]) და მოკლა ხუასრო სპარსთა მეფე და ტყუე ჰყო და აღაოხრა ქუეყანა სპარსეთისა და წარმოიყუანა ძელი ცხოვრებისა და ზაქარია მამათ მთავარი და ძლევაშემოსილი შემოიქცა იერუსალიმს [6]) და ნაწილი ძელი ცხოვრებისა დადვა იერუსალიმს და დაუშთნა და ზოგი კონსტანტინეპოლს წარმოგზავნა და ზაქარია მამათ მთავარი საყდარსავე თჳსსაჲ დასვა; ხოლო მოსაქცეველ იყო მეფე სპარსეთით ეგჳპტეს, მუჴმედ წინა მიეგება მეფესა ჰერაკლეს და უძღუნა ძღუენი დიდი,

---

1) აწ წმიდა ეკკლესია, ხსენებასა მათსა, აღასრულებს ბ ოკდონბერსა, რის მიზეზით, არა ქწყით.
2) მეფობდა 610—641 წლამდი.
3) 622 წელსა.
4) 623 წელსა.
5) 624 წელსა.
6) 629 წელსა.

რამეთუ იყო მდიდარ ფრიად და მთავრობდა არაბთა ზედა და ითხოვა მეფისაგან ადგილთა სამყოფელთა და საძოვრეთა სამწყსოთა მისთასა. ხოლო მეფემან მისცნა ველნი და მთანი ქუეყანასა სინისსა, რომელ არს მახლობელ არაბეთისა და შემოიქცა მეფე ქალაქად თჳსად და იყო ქუეყანა საბერძნეთისა მშჳდობასა შინა და ჰმორჩილებდეს მას ყოველნი ნათესავნი. ხოლო რაჟამს მოკუდა ჰერაკლე მეფე, მისსა შემდგომად დადგეს მეფენი და პატრიარქნი მწვალებელნი, უღირსნი და ხატთა ბრძოლნი, ვითარცა იტყჳს მაქსიმე აღმსარებელი: დამდაბლდეს მეფენი ბერძენთანი და განძლიერდეს სპარსნი და არაბნი, მიშუებითა ღმრთისათა და განძლიერდა მუჰამედ და მთავრობდა სპარსთა და არაბთა ზედა და განიყო ქუეყანა ეგჳპტისა და პალესტინისა, რაჟამს იგი წმ. იოანე მოწყალემან სივლტოლვა აღირჩია და მივიდა მამულად თჳსად კჳპრედ და მუნ მიიცვალა.

ხოლო შემდგომად სიკუდილისა მუჰამედ უსჯულოისა[1]) დაუტევა მთავრობა თჳსი თჳსსავე მსგავსსა სიბოროტითა და უკეთურებითა, მურვან ყრუსა[2]) დისწულსა თჳსსა. ხოლო მან უღმრთომან, რაჟამს აღიღო მთავრობა სპარსთა და არაბთა, აღძრა ყოველივე თესლტომი წარმართთა მიშუებითა ღმრთისათა სამხილებელად ცოდვათა ჩუენთა და განილაშქრა ქუეყანათა ზედა, ერსა ამას რჩეულსა და საზეპუროსა და აღაოხრა და მოსრა და ტყუე ჰყო ქუეყანა საბერძნეთისა და სომხეთისა ზღუადმდე და მერმე მოეფინა, ვითარცა ღრუბელი ბნელისა სიმრავლითა, ვითარცა მკალი და მუმლი, არეთა ჩრდილოეთისათა და დაიპყრა პირი ქუეყანისა, რამეთუ მოვიდა სამცხეს და დაიბანაკა არეთა ოძრხისათა, რამეთუ იყო ქალაქი იგი სახელოვან ძუელ ნაქმართა მისთათჳს და ესე აქამომდის[3]).

ხოლო აწ არს ჟამი მოხსენებისა წმიდათა ამათ და ღუაწლით შემოსილთა მოწამეთა ქრისტესთა დავითისი და კონსტანტინესი, რომელთათჳს არს სიტყუა ესე ჩუენი, ხოლო თქუენ სამწყსონო ქრისტესნო და მოსურნენო აღსრულებად წმიდასა ამას დღესასწაულსა წმიდათა მოწამეთასაჲ წადიერად მოსრულნი გულსმოდგინედ მიუპყრენით გონებანი და სასმენელნი თქუენნი, რათა არა ცალიერნი არამედ სათნოებითა ტჳრთულთა აღტჳრთულნი წარხვიდეთ სახედ თქუენდა. ხოლო ვითარცა ვთქვი, განისმა ამბავი ქუეყანასა ამას მოსვლისათჳს წარმართთასა და შეშინებულ იქმნეს გულნი კაცთანი, არამედ ვითარცა გვისწავიეს ესე ძუელთა უწყებათაგან: იყუნეს წმიდანი ესე მოწამენი დავით და კონსტანტინე ქართუელნი, სანახებისაგან არგუეთისა დიდნი და დიდებულნი ტომებითა და მთავარნი ქუეყანისანი და თჳს ეყვოდეს ურთი ერთასა და იყუნეს ემბაზითა განათლებულ ქადაგებულისა ანდრია და სიმონ კანანელისათა, რამეთუ მათ ჰქადაგეს ქრისტე ქართუელთა შორის პირუელ ნინოს მოსვლისა.

ხოლო იყუნეს წმიდანი ესე ქალწულ ხორცითაჲ და მეცნიერ ძუელისა და ახლისა აღთქმისა, ჭეშმარიტნი მორწმუნენი და გამოცდილნი და ახოვანნი წყობათა შინა და ბრძოლასაჲ, რამეთუ იყო დავით უხუცესი დღითა, ჰაეროვან და სპეტაკ ხორცითა, მოწაბლე თმითა, მშუენიერ გუამითა და ხშირ წუერითა, ხოლო კონსტანტინე მშუენიერ გუამითა და მოწაბლე თმითა და წუერ გამო და ორნივე სავსე სულითა წმიდითა; ხოლო ვითარცა ესმა წმიდათა მათ მოსრულა წარმართთა სამცხით კერძო, შეიმოსეს ძალი ღმრთისა, ვითარცა ჯაჭჳ ჭური და შეიკრიბეს ლაშქარი ამის ქუეყანისა და ხადოდეს სახელსა ღმრთისასა და განაძლიერებდეს ერსა მორწმუნესაჲ ლოცვითა და

1) 632 წელსა.

2) უწოდებდენ მას ყრუდ, ვითარმედ არავის რჩევასა და განზრახვას არ მიიღებდა ხოლმე.

3) დასავლეთის სანახებნი ქართუელთ მეფობისა, მახლობელ სამცხე საათაბაგოსნი.

ხოლო აღიძრნეს რა წარმართნი საშცხით და წარმოუმართეს ქუეყანასად არგუეთად და წინა მბრძოლნი და რჩეულნი წარმოვიდეს, მაშინ წმიდანი ესე იყუნეს შეკრებილ და ფრთხილ და გალობდეს გალობასა დავითისასა, რომელ თქუაჲ რაჟამს იგი ეწყუებოდა გოლიათს; ხოლო იხილნესრა წარმართთა წმიდანი ესე აღიზახეს ხმაჲ, ვითარცა მხეცთა და მოეტევნეს. ხოლო წმიდამან დავით სახელი ქრისტესი ფარად მიუპყრა და განაძლიერა გული თჳსი და უშიშ ჰყუნა იგინი, აღიზახა ვითარცა ლომმან და ოტნეს და განაბნივნეს იგინი და ურიცხჳნი მოსრნეს და აღუდგინეს ძლევა ქრისტეანეთა. მაშინ მეოტნი უკუნ იქცეს და მიუთხრეს მურვან ყრუსა, რაჲ იგი მოწევნულ იყო მათ ზედა, ვითარმედ წინა ბრძოლნი და ლაშქარნი რჩეულნი ყოველნი მოსრნეს შეშის მსახურთა [1]). ხოლო მან პირსა თჳსსა იკრნა ხელნი თჳსნი და თქუა, ვითარმედ ვინ არს მკადრე, რომელიმცა წინა აღუდგა დიდსაჲ მოციქულსა მუჰმადს, დედის ძმასა ჩემსა. ესე თქუაჲ და შეუზახა ყოველსავე სიმრავლესა წარმართთასა და წარმოემართნეს ვითარცა ქვიშა სიმრავლითა და მოვიდეს ქუეყანასად არგუეთისა და შეიცუეს ტყე და ველი მთანი და ბორცუნი და შეეწყუდივნეს ხელსა წარმართთასა ერნი ქრისტეანენი, რამეთუ რომელნიმე ტყეთა დაიმალნეს და რომელნიმე მოსრნეს, ხოლო წმიდანი დავით და კონსტანტინე და სხუანი ვიეთნიმე შემდგომნი მათნი შეპყრობილ იქმნეს. მაშინ ვითარცა ეუწყა ბილწსა ყრუსა, შეპყრობაჲ წმიდათა მათ, აღიტყუელნა ხელნი და დიდად აღიდა დედის ძმა თჳსი მუჰმად და ჰსჯული მისი, გამარჯუებისათჳს მისისა თჳს.

ხოლო ვითარცა დაიბანაკეს, დაჯდა საყდართა ზედა და უბრძანა მოყვანებაჲ წმიდათა დავითისი და კონსტანტინესი და წარადგინნეს ხელით შეკრულნი უსჯულოსა მის. ხოლო ვითარცა იხილნა იგინი წინაშე მდგომარენი ფრიად განიცინნა მურვან ყრუმან და თქუა, ვისანი ხართ თქუენ ქუათა და შეშათა მსახურნი, რომელთა იკადრეთ ბრძოლად ჩემდა და ანუ არა იცით, რამეთუ დიდისა მოციქულისა მუჰმედის დისწული ვარ, რომლისა ჰსჯულსა ჰმონებს ყოველი არაბეთი და სპარსეთი და დამიმორჩილებია ყოველი ქუეყანა აღმოსავლეთითგან ვიდრე დასავლეთამდე.

მიუგეს და ჰრქუეს წმიდათა მათ, «ვითარმედ სიცილი და სიქადული შენი ცუდ და ამაო არს ჩუენ ზედა, რამეთუ წუთ ჟამ არს დიდება შენი და ადრე განქარდების, რამეთუ არა ღირსებისათჳს იქმნა ძლევა შენი ჩუენ ზედა, არამედ ცოდუათა ჩუენთათჳს, რომელ გარდავხედით მცნებასა ღუთისა; იქმნა ფლობაჲ თქუენი ჩუენ ზედა, რათა გუწუართნეს ღმერთმან ხელითა თქუენითა უსჯულოთა, ხოლო დედის ძმისა შენისა მუჰმედისა, რომლისა მიერ იქადი ცუდ არს და ამაო სიქადული შენი მისსა მიმართ, რამეთუ ვითარცა უწყებულ არს ჩუენდა, მაცდურ და წარმწყმედელ იყო ნათესავისა თქუენისა». ხოლო ვითარცა ესმა მძლავრსაჲ წმიდათა მათგან, განრისხნა ფრიად და უბრძანა წინაშე მდგომელთა მტარვალთა ცემა პირთა მათთა და გუემა არგნებითა [2]); ხოლო მათ ჰყუეს ბრძანებაჲ მძლავრისა და ჰსცეს ვიდრელა დაშურეს და ქუეყანად დააკუეთნეს წმიდანი იგი ძლიერად. მოითმენდეს და ჰმადლობდეს ღმერთსა და შემწედ თჳსად ხადოდეს ღმერთსა.

მაშინ ჰრქუა მათ მძლავრმან რისხჳთ და გულის წყრომით ვითარმედ ჰოი! ესე ვითარნო, რად მოსრენით წინა მბრძოლნი და რჩეულნი ლაშქარნი ჩემნი და ურცხვინოდ აგინებდით დიდებულსა და სახელ განთქმულსა მოციქულსა მუჰმადს დედის ძმასა ჩემსა, რომელსა ადიდებს ყოველი არაბეთი და სპარსეთი. ესე თქუა და მერმე ლიქნით ჰმოგუნიდა მათ და ჰრქუაჲ წმიდასა დავითს: ვითარმედ მასმიეს შენთჳს სპასპეტთა ჩემთაგან, ვითარმედ კაცი ხარ გონიერი და წყობათა შინა

1) ქრისტეანეთა მუჰმადიანი, შეშის მსახურად უწოდებდნენ, თაყუანისცემისათჳს პატიოსნისა ჯუარისა.

2) არგანი (ὄργανον) ჭოხი, კუერთხი, ჯოხი.

გამოცდილი და თავი ამის ქუეყანისა, აწ ისმინე ჩემი კეთილ განზრახვისა შენისა და დაუტევე ცუდი და ამაო სიტყუაჲ, სიცოფისა თქუენისა და დაემორჩილენით სჯულსა მუჰამად დედისძმისა ჩემისასა და გყუენე თქუენ მთავარ და დიდებულ ყოველსა სპარსეთსა და არაბეთსა ზედა. რამეთუ გყო შენ სპასალარ და წინა მძღუარ ყოველსა ზედა ლაშქარსა ჩემსა, ხოლო ერმასა მაგას თჳსსა შენსა მივსცე პატივი, რათა სამარადისოდ დგეს წინაშე ჩემსა და საყდართა ჩემთა პალატსა შინა, ჩემსა და იშუებდეს სხუათა დიდებულთა პალატისა ჩემისათა და ვითარცა ესე თქუა მძლავრმან წმიდათა მიმართ, წმიდამან დავით გამოისახა სახე ჯუარისა პირსაჲ თჳსსა და თქუა, «ნუ იყოფინ ესე ჩუენ ზედა, მე უკუე ჰოი! მძლავრო ბოროტო, რათამცა დაუტევოთ ნათელი და შეუდგეთ ბნელსა, რამეთუ ღმერთმან ჩუენმან მოგუწოდნა ჩუენ ნათელსა მისსა, რაჟამს ძე თჳსი სიტყუაჲ და თანა სწორი მისი მოავლინა ქუეყანად და კაც იქმნაჲ ჩუენთჳს და ყოველივე განგებითა თავს იდვა, ჯუარცმა, დაფლვა და აღდგომა და კუალად ამაღლდა მამისა და იგივე მოსვლად არს განსჯად ცხოველთა და მკუდართა; ხოლო წარავლინნა მოწაფენი თჳსნი ყოველსა ქუეყანასასაჲ ქადაგებად სახელისა მისისა მოქცევად კერპთა მონებისაგან. ხოლო მოიწივნეს ორნი თავთა მოწაფეთა მისთაგანნი ქუეყანასა ჩუენსა და უქადაგეს მოსვლა ქრისტესი ქუეყანად და მოაქცივნეს კერპთა მონებისაგან და ჩუენ მათ მიერ განსწავლულ და განათლებულ ვართ და არა ვმონებთ სხუასა სჯულსა ცუდსა და მოყოვნებულსა; არამედ მზა ვართ სახელისათჳს ქრისტესისა, ყოველსავე გუემასა და ტანჯუასა, ცეცხლსა, წყალსა და მახჳლსა და სიკუდილსა; ესე არს სარწმუნოებაჲ ჩუენი ჭეშმარიტი ქრისტეანობაჲ, ისმინეთ ყოველმან გუნდმან სპარსთა და არაბთამან».

ჰრქუა მას მძლავრმან, ვითარმედ კეთილისა საქმისა და სწავლისა და განზრახვისათჳს ბოროტი და უგუნური მოგვიგე პასუხი; რამეთუ ქრისტეს თჳს წერილ არს ყურანსა ჩუენსა, რომელ არს ისო, რამეთუ წინასწარმეტყუელი იყო და კაცი მართალი ძე მარიამისი და იტყოდა თავსა თჳსსა ძედ ღმრთისად, ამისთჳს მოკლეს ურიათა ძელითა; ხოლო რომელი დიდისა მუჰამედისათჳს იკადრებს გმობასა, უგუნურებით იტყჳთ ამას, რამეთუ სპარსნი და არაბნი მან მოაქცივნა ცეცხლისა მსახურებისაგან და ღმერთსა შეაწყნარნა, რამეთუ ერთ არს ღმერთი.

მიუგო წმიდამან დავით და თქუა, «მას წიგნი თქუენი, რომელ არს ყურანი, არა სარწმუნოდ გიპყრიეს თქუენ, რამეთუ წერილ არს ყურანსა თქუენსა თქუენთჳს, ვითარმედ, რაჟამს ჰსცთეთ ქრისტეს სახარებაჲ ისოს წიგნსა, რომელ მისცა თჳსთა მოწაფეთა, მის წიგნისაგან ისწავეთ ესე, ალი მუჰამადის გულითადმან მოწაფემან დაგიწერა თქუენ, არამედ თქუენ უგულისხმონი და არა იცით წიგნისა და არცა ძალი ღმრთისა, რამეთუ მუჰამედ დაღაცათუ ცეცხლის მსახურებისაგან მოგაქცივნა, არამედ ღმერთსა ვერ შეგამეცნიერნა, მსგავსად ნავ დანთქმულისა მის, რომელ დაღაცა თუ გულსასა არა დაინთქას, არამედ ზღჳს პირსა მიწევნილი დაინთქა, არად სარგებელ არს, ვინაჲდგან ხმელად ვერ მიიწია; ეგრეთვე თქუენ, ვინადგან ქრისტე ძე ღმრთისა, რომელისა წინასწარმეტყუელნი პირუელითგანვე იტყოდეს მოსვლასა მისსა და მამათ მთავარნი ქადაგებდეს, იგი ვერ იცნა მუჰამედ და არცა თქუენ შეგამეცნიერა წარსწყმდით და ცთომილებასა შინა ხართ დიდსაჲ, უგულისხმოებითა თქუენითა». ჰრქუა მას მძლავრმან და ვინ გასწავა შენ წიგნთაგან ჩუენთა, არა ღირსო ცხოვრებისაო, ჰრქუა მას წმიდამან დავით, «წიგნნი არად სახმარ არიან ჩემდა, არამედ ესე ვთქუ სამხილებელად თქუენდა». მერმეცა მიექცა მძლავრი იგი წმიდასა კონსტანტინეს მიმართ და ჰრქუა, ვითარმედ შენ ერმაო, რაჲსა იტყჳ თავისა შენისათჳს, მორჩილ ხარ ბრძანებასა ჩემსა ანუ არა?

ხოლო წმიდამან აღმოუტევა ხმაჲ დამამხობელი მისი და ჰრქუა მას, «ვითარმედ ნუ იყოფინ

ჩუმდა მორჩილებაჲ ბრძანებისა შენის, არამედ ვითარცა წამს და აღიარა უფალმან ჩუენმან და მეცა ვწამებ და ვაღვიარებ, რამეთუ ერთსა ჰსჯულსა და ერთსა სარწმუნოებასა ზედა განსწავლულ ვართ და მრწამს მამა და ძე და სული წმიდა და მისთჳს მოვკუდებით».

მაშინ განრისხნა მძლავრი იგი უსჯულო მათ ზედა და მოუწოდა მტარვალთა ყოვლადვე უწყალოთა და უბრძანა, რათა არა ახილონ გემო არცა პურისა, არცა წყლისა და ყოველთა დღეთა სტანჯვიდენ მრავალ ფერითა სატანჯველითა უსუენებლად, რათა ჭირითა მით და ტანჯვითაჲ უნებლიეთ აღიარონ ჰსჯული მუჰამედისა; ხოლო წმიდათა მათა ლოცვითა და ვედრებითა ღმრთისა მიმართ თავს იხსნეს ჭირნი იგი, სიყმილი, წყურვილი და გუემა.

ხოლო ვითარცა გარდახდეს ათნი დღენი, მოუწოდა უღმრთომან მურვან ყრუმან მოგუთა და მისანთა [1]) სპარსეთისათა და წარავლინნა წმიდათა მოწამეთა მიმართ, რათა ლიქნით ჰმოგუნიდენ წმიდათა მათ მოქცევისათჳს ჰსჯულისა მათისა. ხოლო ვითარცა წარჰვდეს და იხილეს წმიდანი იგი განლეულნი და დამჭკნარნი ხორცთა მათთაგან; რომელ თავს იხსნეს მტარვალთა მათთჳს; ვითარმედ ჳოი! ესე ვითარნო, რად გიკადრების, ანუ რად შეურაცხ გიყოფიან კაცნი ესე დიდებულნი და ქუელნი ბრძოლათა შინა, ანუ არა უწყითა, რამეთუ მთავარსა სპარსთასა დიდსა ამისა მეფისა ფრიად სწადან ამათი შუებაჲ და ფუფუნებაჲ. მერმე მიექცა წმიდათა მათ და ჰრქუა მათ ლიქნით, ვითარმედ ყოვლისა სოფლისა სპარსეთისა და არაბეთისა მურვანს მოუვლენივართ თქუენ წინაშე, ვითარ ვიცი გონიერებაჲ თქუენი, რამეთუ დროებაჲსა ამას შინა განგიზრახავს უმჯობესი თქუენთჳს.

აწ მომიგეთ უმჯობესი სიტყუაჲ ჯეროვანი და ნუ ცუდად გაქუსთ სასოება კაცისა მიმართ დასჯილისა და მოკლულისა და ნუცა წარსწყმედთ, უჟამოდ სიჭაბუკესა თქუენსა მწარითა და ძჳრ ძჳრითა სიკუდილითა; არამედ აღირჩიეთ უმჯობესი და შეიწყალენით თავნი თქუენნი და მოიქეცით ჰსჯულსა მუჰამად რჩეულისა მოციქულისასა, რათა იშუებდეთ ჩუენ თანა და, რამეთუ მეცა მეწყალის სიჭაბუკე თქუენი და სიმხნე და გაგაზრახებ უმჯობესსა; ამას გიბრძანებს დიდი ამისა მეფე სპარსეთისა და არაბეთისა, ხოლო ჩუენ ჳოი! ჭაბუკნო მშუენიერნო და ახოვანნო ამას გეტყჳთ, რათა დაემორჩილნეთ ბრძანებასა დიდისა და მაღლისა მთავრისასა, რამეთუ აჰა ესერა მოუცემიან დროშანი და შესამოსელნი მთავრობისა თქუენისანი და უჩუენებდეს წმიდათა მათ ნიჭთა დიდთა და საბოძვართა სამეფოთა და ლიქნიდეს წმიდათა მათ ლიქნითა მრავალ ფერითა ღონის ძიებითა. მაშინ მიხედეს წმიდათა მათ და მიმართ და ჰრქუეს მათ, ვინათგან უგუნურნი ხართ და უგუნურობისა მეტყუელნი და მოციქულნი, ამისთჳს განვაგრძობთ სიტყუასა ჩუენსა თქუენდა მომართ, არამედ ამას ხოლო ვიტყჳთ, ვითარმედ ვითარცა იგი პირუელ აღვიარეთ სარწმუნოებაჲ ჩუენი ჭეშმარიტი და ვსწამებთ მას ზედა მტკიცედ და უქცეველად ვართ და ვერამან ჭირმან და არცა დიდებამან ამას სოფლისამან ვერ განმაშორნეს ჩუენ სიყუარულსა და სარწმუნოებასა იესო ქრისტესსა; არამედ მზა ვართ სახელისა მისისათჳს შიმშილსა და წყურვილსა და ამის ყოვლისაგან სიკუდილსა სასუფეველისათჳს ცათასა და რამეთუ ნიჭი და დიდებაჲ თქუენმიერ მონიჭებული საძულველ და საძაგელ არიან წინაშე თუალთა ჩუენთა; ხოლო სასოება ჩუენი და დიდება ქრისტე არს და სიკუდილი სახელისა მისისათჳს სასწადელ, წარვედით და უთხართ ესე ყოველი მომავლინებელსა თქუენსა», ხოლო მათ ვითარცა ესმათ ესე წმიდათა მათგან, წარჰვდეს სირცხჳლეულნი და უთხრეს ესე ყოველი ყრუსა მურვანს და ჰრქუეს, ვითარმედ არა გუაქუს სასოება კაცთა მათგან, რამეთუ

1) მისანთა, მკითხავთა.

არა ეშინიან არცა ტანჯჳთაგან, არცა სიკჳდილისაგან, არამედ მტკიცე არიან სარწმუნოებასა მათსა ზედა.

ხოლო ვითარცა ესმა ესე უსჯულოსა მას მძლავრსა წარიკჳეთა მათგან სასოებაჲ და გულის წყრომითა დიდითაჲ განაჩინა წმიდათა მათთჳს სიკჳდილი, სახე ესე ვითარი: რამეთუ განაჩინნა მტარვალნი უკეთურნი და უწყალონი, რათა პირჳელად ტანჯნენ გუემითა უწყალოთა, ზეკიდებითა თავ დამოქცევით და მერმე შეუკრნენ ხელნი და ფერხნი და ქედთა მათთა დაჰკრნენ ლოდნი მძიმენი და ესრეთ შთაყარნენ იგინი მდინარესა მას ფასოსსა, რომელ არს ენითა ქართულითა რიონი.

ესე განაჩინა მძლავრმან წმიდათა მათთჳს და თჳთ აღიძრა და დაიბანაკა ქალაქსა ჯისანქვიჯისასა ქვეყანასა სამეგრელოსა სანახებსა ჭყონდიდისასა, რომელ არს მეგრულითა ენითა დიდი და რამეთუ იყო ბანაკი მათი ცხენის წყლიდგან, ვიდრე აფხაზეთამდე და გამოიხუნა ციხენი და ქალაქნი და აღაოხრნა და უვალ და უკაცურ ჰყო ქვეყანა მეგრელთა და აფხაზთა.

ხოლო მუნ რისხვა ღმრთისა 1) ერსა და ბანაკსა და ეტლებსა მისსა ზედა, რამეთუ აბაშთა ნათესავი იყო დაბანაკებული მდინარესა მას ზედა, რომელსა აწ ჰრქვიან აბაშა, ხოლო ჰუნები და ეტლები მდინარის კიდესა, რომელსა ჰრქვიან ცხენისწყალი და იქმნნეს სასწაულნი ზეგარდამო ქუხილნი, ელვანი და სეტყვანი და წჳმანი მძაფრნი და სასტიკნი და განაღო პირი ქვეყანამ და აღმოუტევნნა სიმრავლენი წყალთანი და ზღვაჲ იქმნა ქვეყანა ხმელი და განაგდო მდინარემან აბაშისმან სამღვარი თჳსი და მოექცა ნათესავსა ზედა აბაშთასა და წარღვნა ყოველი ნათესავი აბაშთა და მიერითგან დაიდვა სახელი მდინარისა მის აბაშა.

ხოლო მდინარე ცხენის წყლისა მოექცა ეტლებსა და ჰუნებსა მათსა ზედა და წარღვნა ყოველივე, ალჳდა რიცხვი მათი ოთხ ბევრადმდე და ეწოდა მას ცხენის წყალ და ვითარცა იხილა ესე ყოვლივე მურვან ყრუმან, მოწევნული მის ზედა, ფრიად აზრახა თავსა თჳსსა და განმზრახთა მისთა, იწროსა და მაღნარსა ამას, ქვეყანასა მოსლვისათჳს და აღიძრა და დაიბანაკა პიტიოტას ზღჳს პირს ქალაქსა, რომელსა ჰრქვიან ცხუმი. ხოლო იყვნეს მაშინ შჳლნი დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასლისანი არჩილ და დარჩილ ციხესა მას, რომელსა ჰრქვიან ანაკოფია, რამეთუ მელტოლვილ იყვნეს შიშისა მისთჳს სპარსთასა; ხოლო გამოვიდეს ერითა მცირითა ბრძოლად წარმართთა და იძლივნეს მათგან, რამეთუ მოკლეს ძმა უხუცესი არჩილ, ხოლო დარჩილ შევიდა ციხესავე ანაკოფიისა.
ხოლო აღიძრა მიერცა უღმრთო მურვან ყრუ და ჩაიარა ზღჳს პირი და გამოიხუნა ციხენი და ქალაქნი ზღჳს პირისანი და ოხერ და უვალ ჰყოჲ ყოველი ქვეყანა ზღჳს პირისა, ვიდრემდის მიიწია ქალაქსა მას ღმრთივ დაცულსა, რომელ არს კონსტანტინეპოლი და დაიბანაკეს, რომელს ხალკიდონ ჰრქვიან, რამეთუ არს ზღვა იწროდ წარმომდინარე, და არა აქუს ტანი სიფართოისა.

ამის თჳსცა განიზრახა უგუნურმან და უგონებომან ყრუმან, რათა ქჳთა აღავსოს ზღვაჲ და სავალ ჰყოს, რათა ფერხივ განიყვანოს ერი თჳსი ზღვასა ზედა და ესრეთ გამოიღოს ქალაქი კონსტანტინეპოლი; არამედ ღმერთმან მოწყალეებათამან ცუდ ჰყო განზრახვა მისი, ვითარცა აქიტოფელისა და მის ეწია რისხვა ღმრთისა, რამეთუ დაწვა მწუხრი მრთელი და განთიად იპოვა მკუდარი მოძაგებული და დავიწყებული ყოველთა მიერ და ვითარცა იხილეს ესე სპათა მისთა, განიბნივნეს და ლტოლვილნი წარჴდეს ქვეყანად თჳსად.

ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყვასა მოვიდეთ და ვიტყოდეთ წმიდათა მათთჳს, რომელთათჳს

---

1) ეწია.

იყო სიტყუა ჩუენი, ვითარცა ვთქვით: მიიყვანნეს წმიდანი იგი ადგილსა მას, რომელსა განეხინა მძლავრსა, ტბასა მას შინა, რომელსაცა ზედა არს ტაძარი წმიდათა კოზმან და დამიანესი, სიტყჳსა მისებრ მძლავრისა, განაშიშვლეს წმიდანი იგი და დაჰკიდეს თავ დაღმართ და გუემნეს გუემითა უწყალოთა არგნებითა მძიმებითა, მერმე ჩამოხსნეს და შეუკრნეს ხელნი და ფერხნი მათნი და ლოდები მძიმეები მოაბეს ქედთა მათთა.

ხოლო წმიდათა მათ ითხოვეს დროჲ და აღიხილნეს თუალნი მათნი ზეცად მიმართ, რამეთუ ვერ ქძლო ცად ახილვად არცაღა მოდრეკად მუხლთა სიმძიმისაგან ლოდთასა, არამედ გულითა მხურვალითა ხმა ჰყუეს ღუთისა მიმართ და თქუეს ვითარმედ: «ჰოი! უფალო ღმერთო იესო ქრისტე ძეო და სიტყუაო ღუთისა მამისაო, ვითარცა ისმინენ თხოვანი ჩუენნი და ღირს გუყუენ წამებასა სახელისა შენისათჳს, შეისმინე ვედრებანი და თხოვანი ჩუენ მონათა შენთანი და ვითარცა დავიმარხენით ხორცნი ჩუენნი უხრწნელ და შეუგინებელ სახელისა შენისათჳს წმიდისა, აგრეთვე შემდგომად წამებისა ჩუენისა დაჰმარხენ გუამნი ჩუენნი განუხრწნელად და დაურღუეველად და, რომელთა ჰხადონ სახელითა შენითა წმიდითა, სახელსა ჩუენსა, მსწრაფლ ეწიენ წყალობაჲ შენი და მიეც შენდობაჲ ბრალთა და ჰყუენ ასონი ჩუენნი მკურნალ ყოველთა სენთა და უძლურებათა, დიდებად ყოვლად საგალობელისა სახელისა შენისა». ამისა შემდგომად დაიბეჭდნეს გუამნი მათნი ბეჭდითა ცხოველსმყოფელისა ჯუარისათა და თქუეს, «უფალო ღმერთო იესო ქრისტე, ხელთა შენთა შევჰვედრებთ სულთა ჩუენთა, ამინ».

მაშინ მოვიდა ხმა ზეცით აღმასრულებელი თხოვათა მათთა სასმენელად ყოველთა და შთაყარნეს მტარვალთა მათ წმიდანი იგი ტბასა მას [1]) და თჳთ ივლტოდეს შეშინებულნი ხმისა მისგან, წმიდათა მათთჳს მოწამეთა, რომელი ისმოდა ზეცით. ხოლო იქმნა მას ღამესა სასწაული საშინელი და სასმენელად საზარელი, რამეთუ შთამოუხდეს ზეცით სამნი სუეტნი ნათლისანი ტბასა მას ზედა ფრიად ბრწყინვალენი, რამეთუ ღამესა მას უკუნსა განათლდეს ველნი და ტყენი ბრწყინვალეებისა მისგან, რომელნი გამოკრთებოდეს სუეტთა მათგან ცეცხლისათა და განიხსნეს საკრველნი ხელთა და ფერხთაგან წმიდათასა და მოეძარცუნეს ლოდნი იგი ქედთა მათთაგან, იტვირთნა ბეჭთა თჳსთა ზედა უსულომან ტბამან, ვითარცა სულიერმან გუამნი იგი წმიდათანი და ბრწყინვიდეს წყალთა მათ შინა, ვითარცა მთიებნი განთიადისანი. მაშინ განგებითა ღუთისათა ორნი ვინმე წმიდათა მოწამეთა მონათაგანნი, რომელნი შეპყრობილ იქმნნეს წარმართთაგან წმიდათავე მათთანა, რომელნიცა თანა დასხდეს ყოველსავე ტანჯუასა და სიტყჳსგებასა წმიდათასა მძლავრისა მიმართ, ესენი განრომილ იყვნეს წარსვლასა ზედა წარმართთასა და დამალულ, ხოლო იყვნეს შემოსილ სამოსლითა აგარიანთათა.

ვითარცა იხილნეს სასწაულნი იგი საკჳრველნი, სუეტნი ცეცხლისანი და ბრწყინვალეებანი იგი ნათლისა ტბასა მას ზედა, განკრთეს და კადნიერ იქმნნეს და მივიდეს წყალთა მათ ზედა და იხილნეს წმიდანი იგი გუამნი მოწამეთანი ბეჭთა ზედა წყალთასა, რომელნი ნათობდეს, ვითარცა მზის თუალნი. მაშინ იცნნეს იგინი და სიხარულისა და წუხილისაგან განჰკრთომილნი ხედვიდეს წმიდათა მათ. მაშინ ორნი ვინმე სხუანი კუალად გამოვიდეს ტყით დამალულნი, რომელნი განრომილ იყვნეს აგარიანთაგან ერისაგანვე წმიდათასა და ვითარცა იხილეს მათცა ნათელი იგი, გამოვიდეს იგინიცა ნათელსა მას, რომელნი გამოჰკრთებოდეს სუეტთა მათგან ნათლისათა.

1) 741 წელსა.

ხოლო ვითარცა იხილნეს მოყუასნი მათნი სამოსლითა აგარიანთათა განჰკრთეს, რამეთუ ვერ იცნეს, ჰგონებდეს ვითარმედ წარმართთაგანნი არიან და ივლტოდეს, ხოლო მათ ხმა ჰყუფს, რამეთუ იცნნეს იგინი და ჰრქუეს მათ, ვითარმედ ნუ შეშინდებით, რამეთუ არა ვართ მტერნი, არამედ ძმანი თქუენნი, აწ მოვედით და იხილენით უვალნი ჩუენნი დავით და კონსტანტინე, რამეთუ იწამნეს ქრისტესთჳს და ჩუენგან გეუწყოს ყოველივე. ხოლო მათ განიშორეს შიში და მოვიდეს და მიერ იცნნეს იგინი და მოიკითხნეს ურთიერთარს და აუწყეს მათ ყოველივე, რაჲცა იქმნა წმიდათა მათთჳს, ტბასა მას შინა. ხოლო განიზრახვიდეს წმიდათა მათთჳს გუამთა მათთასა, ვითარმედ რაჲ ჯერ არს ყოფად, არამედ ეჴა ძლიერებაჲ კაცთმოყუარისა ღუთისა, რამეთუ ესმა ხმა სუფტით გამო ცეცხლისათ, ვითარმედ აღიქუენით გუამნი წმიდათა მაგათ მოწამეთანი და წარიყუანენით ტყით კერძო აღმოსავლით და სადა იგი განთენდეს, მუნ დაკრძალენით წმიდანი ეგე გუამნი მოწამეთანი, რამეთუ მუნ არს ბრძანებაჲ ღუთისა; რათა გებასა თანა არსთასა იყუნეთ მუნ გებულცა, ხოლო იყუნეს გუამნი წმიდანი შუაგულსა ზედა ტბისასა, ვითარცა აღტვირთულნი, არამედ მყის იპოვნეს კიდესა თანა ტბისასა ხერთჳსისა, ზედა მდებარენი.

მაშინ განკჳრდეს კაცნი იგი და ადიდებდეს ღმერთსა და მიეახლნეს შიშით და ძრწოლით და აღიხუნეს წმიდანი გუამნი მათნი და წარმოემართნეს და ვითარცა განთენა იპოვნეს ნებითა ღუთისათა თავსა ზედა კლდისასა, ადგილსაჲ მას, რომელსა ჰრქვიან წყალ წითელ, რამეთუ იყო ადგილი იგი ციხე ქალაქ და ერ მრავალ, რამეთუ ურუსა მურვანსა გამოყლო და აღეოხრა და დაეწვა და იყო უკაცურ და დარღუულ ეკკლესია. ხოლო ქუემე კერძო ეკკლესიისა აკლდამა იყო ნაშენი და უვნებელ და არვინ იყო მკუდართაგანი მუნ შინა მდებარე და მას შინა დაკრძალნეს გუამნი წმიდათა მოწამეთანი.

ხოლო იყო უჩინო და დაივარულ ვიდრე დღეთამდე დიდისა ხელმწიფისა ბაგრატისამდე [1]) და აღიძრა სულისა მიერ წმიდისა და აღაშენა ადგილი იგი მონასტრად უდაბნოებისა და მეუდროებისათჳს მის ადგილისაჲ და აღუშენა საწამებელი წმიდათა მათთჳს მოწამეთა, ტაძარი მშუენიერი და ცხადად სასწაულ-ჰყუნა გუამნი წმიდათა მოწამეთანი და დაასუენა მის მიერ აღშენებულსა მას ტაძარსა კუბოთა მშუენიერითა და არს მას შინა მდებარე გუამნი წმიდათა მოწამეთანი დავით და კონსტანტინესნი, განუხრწნელნი და უვნებელნი და ყოვლად ქებულნი, ვითარცა ესე თჳთ ითხოვეს ღუთისაგან და ჰკურნებენ ყოველთა ვნებათა, რომელნი სარწმუნოებით მოვლენან ტაძრად მათდა, რამეთუ მიიღებენ კურნებასა სულთა და ხორცთა მათთასა. ხოლო იწამნეს წმიდანი ესე მოწამენი დავით და კონსტანტინე დასაბამითგან წელთა ექუსი ათას ორას ორმოცდა ცხრასა; მეფობასა ბერძენთა ზედა ლეონ ისავროსასა ხატთა ბრძოლისასა [2]), ხოლო ქართუელთა ზედა ვახტანგ გორგასლისა შჳლთასა, ხოლო ჩუენ ზედა მეფობასა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა, რომლისა არს სუფევა და მეუფებაჲ და დიდებაჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

---

1) ბაგრატ დიდი IV (მეოთხე) კურაპალატი, სევასტოს, ცხრა წლისა, იმეფა მიიცვალა 14 ნოემბერსა 1072 წ. ორმოცდა ათოთხმეტისა წლისა. ნახე ქართ. ცხოვრება გ. 219—222.

2) 717—741.



საბინინი.

М. САБИНИНЪ.

ႼႫႨႣႠႬႨ ႫႭႼႠႫႤႬႨ ႫႤႴႤႬႨ ႱႠႵႠႰႧ.
ႪႳႠႰႱႠႡ ႣႠ ႠႰႹႨႪ

## თჳ მარტსა კ დღესა, წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისა, რომელი ესე იყო მეფე ქართლისა [1].

---

არჩილი დიდი, შარტჳლი იგი ირგებს.

მეფე ქართუჱლთა, მფლობელი დიდებულთა.

ქრისტეს მსგავსებით, მეგობართა ენაცვალის.

ასოთ განთჳსჳთ, იბისონ ძოწეულებს,

აზრდილ სამეფოჳსა, ჴსცუალებს ულმოდ სათლსა.

თქმული ნიკოლაოზ ცფილელის მიერ

---

და ვითარ გარდახდეს წელიწადნი ორმეოცდაათნი მოსვლითგან მურვან ყრუისა, კუალად მოვიდა ჭიჭუმ ნათესავი მუჰამედისი, მოაოხრნა და შემუსრნა ყოველი შენებული ქართლისა და მოჰმართა შესვლად კახეთად, რათამცა მოაოხროს და ყოვლითურთ უმკჳდრო ჰყოს. და იყო შიში დიდი მეფეთა და მთავართა და ყოვლისა ერისა და არა შემძლებელ იყვნეს წინა აღმდგომად, რამეთუ რათგან განერყუნა ქუეყანა ესე ყრუისა დალაცათა, გარდავლნეს ჟამნი მრავალნი, მაშინდითგან არღარა მოგებულ იყო ქუეყანა თჳსსა.

ხოლო წმიდამან არჩილ განიზრახა გონებასა თჳსსა სიმხნითა გულისა მისისათა, რათა მივიდეს და იხილოს და ითხოვოს მისგან მშჳდობა ქუეყანისა და დაცვა შეურყეველად ეკლესიათა და არა დატევება დატყუევებისათჳს სჯულისა, მინდობითა ღმრთისათა აღირჩია თავისა თჳსისა და სულისა დადება საცნაურად ქრისტიანეთა, აღდგა და მივიდა ჭიჭუმისა თანა, რომელსა ჰწოდა ასიმ და ვითარცა ცნა მისლვა მისი, მიეგება წინა სიხარულით და მოიკითხა დიდითა დიდებითა და დაყვეს დღე იგი ერთობით, იხილა სიკეთე მისი, შეუყუარდა სიმრთელე ასაკისა მისისა და უმეტესად მშუენიერება პირისა მისისა.

შემდგომად მცირედთა დღეთა იწყო სიტყუად ლიქნითა, აღუთქმიდა ნიჭთა და აწუევდა დატევებასა ქრისტეს სჯულისასა და მიქცევასა სარკინოზად; ხოლო წმიდამან არჩილ ყოვლადვე არა თავს იდვა სიტყუა მისი და მტკიცითა გონებითა მიუგო და ჰრქუა: ნუ იყოფინ თუმცა სიტყუათა შენთა ვისმინე, ანუმცა დაუტევე ქრისტე ღმერთი ცხოველი, რამეთუ იგი არს ღმერთი ჭეშმარიტი, რომელმან ხსნისათჳს ჩუენისა ხორცითა სიკუდილი დაითმინა და უკეთუ ვისმინო შენი უწყოდე, რომლითა ვიტანჯებოდე საუკუნოდ, გარნა უკეთუ შენ მომკლა აღვდგე, ვითარცა ღმერთი ჩემი და მისთანა ვიდიდო. ესმა რა ესე ყოველი უსჯულოსა მას და იხილა სიმტკიცე მისი უქცეველი, და უკჳრდა ფრიად და უბრძანა შეპყრობა მისი და შეყენება საპყრობილესა, რათა ღონის

---

1) აწ წმ. ეკკლესია ხსენებასა მისსა, აღასრულებს კჲ ივნისსა წმ. მ. მეფე ლუარსაბითურთ.

ძიებით მიაქციოს იგი, რამეთუ არა ჰსთნდა სიკჳდილი მის მშჳჱნიერებისათჳს ხატისა მისისა და სიმაღლისათჳს ჰასაკისა მისისა.

და ვითარცა შეიყვანეს საპყრობილესა, აკურთხევდა ღმერთსა და იტყოდა მისა მიმართ, რათა მოწყალებითა მისითა ღირს ჰყოს მიმთხჳჱვად მკჳდრ ყოფად ნათელსა დაუსრულებელსა ყოვ-ველთა თანა წმიდათა, რომელთა სიკჳდილითა უკჳდავება მოიგეს ღჳთისა მიერ.

მაშინ უკჳჱ წარმოდგა წინაშე ასიმისა მთავარი ერთი გარდაბანელი ნათესავით სომეხი, მიქ-ცეული სარკინოზად, რომელისა მამის ძმა მოეკლა წარმართთა და მკჳლელნი მისნი განერინნეს მშჳდობით პაპასა არჩილისასა, პირჳჱლსა მეფესა ადარნასე უკჳჱ შური იგო გარდაბანელმან მან და ჰრქჳა ასიმს, არა უწყია თუ ვინ არს ესე არჩილ, ესე არს ძე სტეფანოზისი ნათესავი დიდისა მეფისა ვახტანგისა, რომელი იყო ნათესავისაგან მირიანის ძისა ქასრესი.

და ესე იყო მამისა თჳსისა თანა, რაჟამს იგი დაჰფლვიდეს საგანძურთა სამეფოსა ქართლი-სისა და იგიცა იცის, რომელ ჱრაკლე ბერძენთა მეფემან [1]) დაფლა საგანძური თჳსი, რამეთუ ჱრაკლეცა უჩჳჱნებდა სადა იგი ჰფლვიდეს. ესმა რა ესე ყოველი ასიმს მოუწოდა კჳალად არჩილს და ჰრქჳა. პირჳჱლ თჳალ გაჩჳჱნ ქმნილ კეთილობისა შენისათჳს, რამეთუ ფრიად კეთილი ხარ, ხოლო აწ მითხრეს შენთჳს, რამეთუ შჳლი ხარ დიდთა მეფეთა ხჳასროვანთ, არამედ აწ უფროს განსდიდნე წინაშე ჩემსა, უკეთუ ისმინო ჩემი და იყოს სამეფო შენი შენდავე და საგანძურნიცა მამათა შენთანი მიგანიჭნე შენვე, არამედ მიჩჳჱნე საგანძურნი მეფეთა ბერძენთანი, მოიქეც ჰსჯულსა ჩემსა და იქმენ სარკინოზ ანუ მაჰმადიანი და სპასალარ გყო შენ ქჳჱყანასა ზედა ქართლი-სისა, მეფე და უფალ ერისა ზედა ქართლისათა.

მაშინ მიუგო წმიდამან არჩილ «უწყოდე მტკიცედ, რამეთუ მცირე ვიყავ ჰასაკითა ოდეს იგი განვლო ქჳჱყანა ესე, ჱრაკლე მეფემან, ხოლო მამამან ჩემმან და ძმამან დასხნეს საგანძურნი მათნი ციხესა მას სადათ იგი შეიქცა ყრუა ამირ და აწ აქჳს იგი ბერძენთა; ხოლო მე არა დაუტეო უფალი ღმერთი ჩემი, არცა განვყიდო წარუვალი იგი დიდება, მსწრაფლ წარმავალისა ამისთჳს». მიუგო და ჰრქჳა ასიმ, შენ უკჳჱ იყავ დაცემასა მას აფხაზეთს შინა სარკინოზთასა. ჰრქჳა მას წმი-დამან არჩილ, «მე ვიყავ მაშინ, რაჟამს დასცნა იგინი ღმერთმან», ჰრქჳა ასიმ რომელმან ღმერთმან დასცნა სარკინოზნი. მიუგო და ჰრქჳა არჩილ «ღმერთმან ცხოველმან, რომელ არს შემოქმედი ცათა და ქჳჱყანისა და, რომელი იგი მოვიდა ზეცით ქჳჱყანად ხსნისათჳს ნათესავისა კაცთასა და სიკჳდილითა თჳსითა აღგჳადგინნა და უკჳდავება მოგვანიჭა, მან უკჳჱ დასცნა და დაამდაბლნა იგინი». მაშინ ჰრქჳა ასიმ წმიდასა არჩილს, რომელსა უკჳჱ ღჳთისა მოკჳდავისა მიმართ გაქჳს სასოება, ჯერ არს მისიცა სიკჳდილიჲ (შენდა) და უბრძანა თავისა მოკჳჱთითა აღსრულება წმიდისა არჩილისი და არა ჰრიდა სიკჳდილსა მისსა და არცა შეერცხვინა დიდებისაგან წარჩინებულებისა მისისა, განიყჳანეს გარე და მოჰკჳჱთეს თავი მისი მახჳლითა კ. თთჳჱსა მირკნისასა, რომელ არს მარტი [2]) და შევედრა სული თჳსი ღმერთსა.

---

1) 610—641 წ.

2) 744 წ. ქ. შ. ნახე ქართლ. ცხოვ. 173—184 გ. წმ. გჳამი მისი დასაფლავებულ არს ეგრის, აწინდელ აბხაზეთს. ცხოვრება წმ. მოწ. მ. არჩილისა ალუწერიათ, მამათ მთავართა ბესარიონ და ანტონის პირ, ლეონტიოს მროველ ეპისკოპოსსა, იოანე ლეკანოზსა და სხჳათა.



საბინინი.

ႼႫႨႣႠ ႫႭႼႠႫႤ ႠႡႭ ႲႴႨႪႤႪႨ.

თა იანვარსა ზ, წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტესისა აბოჲსი[1]), რომელი იწამა ქართლს შინა, ქალაქსა ტფილისს, ხელითა სარკინოზთათა. თქმული იოანე საბანის ძისა, ბრძანებითა სამოელ ქრისტეს მიერ ქართ-ლისა კათალიკოზისათა. თავი ოთხი: პირველი თავი, ღმრთის მსახურთა და მარტჳლთ მოყუარეთა თხრობა და მოძღურებაჲ და ახლისა ამის მოწამისა აბოს ხსენებაჲ. მეორე თავი, ქართლად შემოსლვა და ნათლისღება ნეტა-რისა აბოჲსი. მესამე თავი, მარტჳლობაჲ წმიდისა აბოჲსი. მეოთხე თავი, ქება ნეტარისა აბოჲსი მოწამისა ღმრთის მსახურებისათჳს შეკრებულთა მათ უწყებათა და მარტჳლთ მოყუარეთა მათ სწავლაჲ და ახლისა ამის წმიდისა ხსენებაჲ.

---

სიტყუა მტკუვრი მტკუერსა, ტრფიალისამი აბო.
ქართლს განამშუენებს, ტფილისსა ემზეების.
ქედსა იკრძალავს, ცეცხლით განიბრგმედავს.
მტკუარს იემბაზებს, ანგელოსთაგან აღმოზავლით.
და უღამსა სათელსა განიმერმეებს.

თქმული ნიკოლაოზ ტფილელის მიერ.

---

საყუარელნო მსმენელნო და მეგობარნო და მონანო ქრისტეს ძისა ღმრთისანო და სამკჳდრე-ბელნო სულისა წმიდისანო. გხედავ თქუენ ვითარცა ღმრთივცნობილთა, ამისთჳს გარქუ თქუენ მონა და მეგობარ ქრისტესა: მონა ამისგამო, რამეთუ პატიოსნითა სისხლითა სყიდულხართ; ხოლო მეგობრად ამისთჳს, რამეთუ მისნი შექმნულნი ვართ და მისნი დაბადებულნი და სიყუარულითა მისითა ნათელ გჳღებიეს.

---

1) სახელი აბო არს შემოკლებული — აბრაამ, ვითარ ნიკო ნიკოლაოზისგან. დავით ბაგრატის ძის ხელ-წერილსა შინა წმ. აბოსთჳს ეს ჰსწერია «ქრისტეს ვნებიდგან და აღდგომიდგან რვა ას და ოთხმეოც და მეათესა წ. მეფობასა კონსტანტინეპოლის ქალაქსა მას დიდსა ქრისტეანეთა ზედა კონსტანტინესა ძისა ლეონისა, სარკინოზთა შორის მეფობისა მოსწ ამირ მუმლისა ძისა მაჰლისა; ქართლსა შინა კათალიკოზობასა სამუელისა, ერისთაობასა სტეფანოზისა ძისა გურგენისა, დასაბამითგან გარდასრულთა წელთა ექუსიათას ოთხმეოც და მეოთხესა, თთუესა იანვარსა ექუსსა დღესა პარასკევსა».... როგორც ჰსჩანს წელი ესე არა არს ჰსწორე. ჩემის აზრით გადამწერთაგან უნდა იყოს შეცვლილი და გადარეული......

აწ გლოცავ თქუენ ქრისტეს მიერითა სურვიელითა გულითა, მომიპყრენით სჩინონი ეგე საცნობელნი თქუენნი სასმენელნი იგი ყურნი, გულისა და გონებისა თქუენნისანი განმარტენით სმენად და მასპინძელ ჰქმნენით სიტყუათა ამათ ჩემთა, რამეთუ ქრისტესთჳს არიან და სანატრელთა მისთა მოწამეთათჳს.

შეიწყნარეთ კარავსა გუამისა თქუენისასა და სავანე განუმზადეთ, რომელთა ჰნებავს დამკჳდრებად ასოთა შინა თქუენთა.

ვითარცა თქუა წმიდამან მოციქულმან პავლე მოძღუარმან ეკკლესიათამან, ვითარმედ «თქუენ ხართ ტაძარნი ღმრთისანი და სული წმიდა დამკჳდრებულ არს თქუენ შორის» და უფალი იტყჳს წინასწარ მეტყუელისა მიერ, «მე მოვიდე და დავემკჳდრო თქუენ შორის» და წმიდასა შინა სახარებასა — იტყჳს, ვითარმედ «სასუფეველი ღმრთისა, გულთა შინა თქუენთა არს»; ამისთჳს საყუარელნო ნუ ჰგწყინებინ სმენად სიტყუათა ამათ, რათა არა ცუდად დავშურე მე სიტყუთა და თქუენ სმენითა, რამეთუ ერთობით მოგუეცეს ჩუენ უფალმან სასყიდელი შრომათა ჩუენთა.

და არა ხოლო თუ ჩემდა მარტოსა საძიებელ არს სმენად საწადელი ესე მარტჳლობაჲ წმიდისა ამის მოწამისა, არამედ ყოველთა ჯერ არს თქუენდაცა დაკჳრვებად ჩემ თანა, რომელნი ესე შემოკრებულსა ამას ჟამსა მეშჳდესა და რომელსა ზედა ვდგათ, რომლისა ჟამისათჳს უფალი იტყჳს, ვითარმედ მრავალნი სცთებოდიან და მრავალთა აცთუნებდენ.

და მოციქული პავლე მისწერს ტიმოთეს ვითარმედ, «მოვალს ჟამი ოდეს სიცოცხლისა ამის მოძღურებასა არა თავს იდებდენ, არამედ გულისთქმისაებრ თავით თჳსით შეიკრებდენ, მოძღურებასა ქავილითა ყურთათა და ჭეშმარიტებისაგან სასმენელნი მათნი გარე მიაქცინენ და ზღაპრებასა მიეცნნენ, რომელიცა აწ ჟამსა ამას აღესრულების ჩუენ მიერ».

რომელნი ესე ვართ ყურესა ამის ქუეყანისასა სასტიკებისაგან და სივერაგისა მანქანებითა მით საცთურისათა ზედა მდგომელთა ამათ ჩუენთა მფლობელთა ამის ჟამისათა ზაკუულებითა მოძღურებისათა თჳთ თავით თჳსით ჴსჯულის დებითა ქრისტესგან მრავალნი შეაცთუნნეს და გარდასადრიკნეს გზისაგან სიმართლისა და ჭეშმარიტებისა ქრისტეს სახარებისა შეაცთუნეს.

რომელნი ხუთას წლისა ჟამთა და უწინარესთა ჴსჯულდებულ ყოფილ წმიდითა მადლითა ნათლისღებისათა, მიერითგან და ვიდრე აქამომდე ნაშობნი ქრისტეანეთანი გარდაგუარძნეს.

რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკვარებით და სხუანი, რომელ ესე ვართღა მორწმუნენი მოძღურებასა ქუეშე დამონებულ და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათისა გუემულნი.

და დაქენჯისანი ძჳრ ძჳრად ზღუეულნი შიშით განილევიან და ირყუევიან ვითარცა ლერწამნი ქარისაგან ძლიერისა; არამედ ქრისტეს სიყუარულითაჲ და შიშითა ჩუეულებისაებრ მამულისა სლვისა ჭირთა მოთმინებითა არა განეშორებიან მხოლოდ შობილსა ძესა ღმრთისასა. ესე ვითარსა ჟამსა შინა გამოჩნდა ახოვნად წმიდა ესე მოწამე, არათუ პირუელითგანვე ჩუენგანი იყო, არამედ უმეცარი სარწმუნოებისაგან ჩუენისა.

უცხო უცხოთა ჴსჯულითა მოვიდა და ქრისტესა ღმრთისა ჩუენსა შეემეცნა.

რომლისათჳსცა დღეს გუალად ახალმან ამან დღესასწაულმან და კრებამან წმიდისა და ახლისა ამის მოწამისამან გჳრგჳნოსან ჰყო ეკკლესია და ყოველი კრებული ქრისტეანეთა ერთბამად განანათლა და ყოველნივე პირნი ღირს იქმნნეს ამას დღესა გარდამატებულისა მადლისა შეწირვა ქრისტეს მიმართ ჭეშმარიტისა ღმრთისა ჩუენისა.

რამეთუ მრჩობლ იქმნა დღესასწაული ესე, ღმრთისა გამოცხადებისა და მადლმან ღმრთისა მამისამან გამოჩინებითა მით ჩუენსდა საყუარელისა ძისა თჳსისათა და გარდამოსლვითა სულისა წმიდისათა სარწმუნოებითა, შეთხზილი იგი გჳრგჳნი მარტჳლთა თჳსთა, დაადგა თავსა ზედა ეკკლესიისასა.

რომლისაგანცა სიმრავლე დღესასწაულთა, ვითარცა გჳრგჳნი გარე მოადგს და ღმრთის მოყუა-რეთა მათ ჩუეულებაჲ აქუს მარადის შემოკრებად მას შინა საღმრთოჲსათჳს დიდებისა, რამეთუ ერთად შეკრბიან მით მათიითა მრავალი ღმრთის მსახურება აჩუენიან, არათუ ცუდთა განცხრომათა და ჭამადთა მაყროვნებისა უძღებებაჲ შორის მათსა იპოვის, არამედ ყოველთა წილ საჭმელთა გემოვანთა, რომელი იგი საღმრთოთაჲ სიტყუათა ტკბილად გამოვალნ პირსა მათსა, რამეთუ სიტ-ყუაჲ იგი წინასწარმეტყუელისა ოხრინ შორის მათსა.

რამეთუ ტკბილნი სასასა ჩემსა (არიან) სიტყუანი შენნი უფალო, რამეთუ შეკრებასა მას ჭამადთა თჳს განძღებაცა აქუს, ხოლო ღმრთისა სიტყუათა მოხსენებასა არა არს განძღებაჲ ღმრთის მოყუარეთა სულთა.

და კუალად წმიდათა მათ მარტჳლთა ხსენებითა ვინმემცა განძღა მარტჳლთ მოყუარე და რამეთუ ერთგულობაცა აქუს უფლისა მიმართ, რამეთუ ეტყჳს უფალი წმიდათა მისთა, «რომელმან თქუენ შეგიწყნარნეს მე შემიწყნარაჲ» ამისთჳს უფროჲსღა გულს მოდგინედ საღმრთოთა მათ-თჳს არიან შემოკრებაჲ მათი. მუნ შუა წარმოითქუნიან სიტყუანი იგი ცხოვრებისანი, მუნ სამებისა წმიდისა იგი სარწმუნოებანი აღორძნდებიან, მუნ სწავლანი იგი სიტკბოებისანი, მუნ მოძღურებანი მღდელისანი მამათ მთავართა იგი მშუენიერებანი წინასწარმეტყუელთა იგი დიდებანი, მოციქულთა ქადაგებანი, მოწამეთა მათ მოღუაწება ქრისტესი იგი თავს დება ჩუენთჳს ვნებანი, რამეთუ სიმ-ტკიცე და სიხარულ ექმნის ჭაბუკთა მით ტრობითა სიმხნე იგი ქრისტეს მოღუაწეთა და სიქადულ და მხიარულება, მოხუცებულთა ხსენება იგი ღუაწლისა მის მარტჳლთასა.

და საწადელ და სასურველ მღდელთა მათ და ყრმათა და მოწაფეთაჲ და მჴლთა ეკკლესიისათა, კრება იგი დღესასწაულისა წმიდათასა. და ემსგავსებიან შორის ეკკლესიისა ხმანი იგი მათნი ანგე-ლოზთა მათ გალობისა შემასხმელთა და სული წმიდა იხარებნ შორის მათსა თაყუანისსაცემელი.

და მამა იდიდების და კაცთმოყუარებაჲ იგი და ქუელის მოქმედება ძისა იქადაგების, რამეთუ ყოვლისა მპყრობელმან ღმერთმან ჩუენმან დიდად უხუმან უფალმან, რომელმან არა უგულებელს ჰყო ურვა კაცთაჲ და კაცთასა ქალწულისაგან წმიდისა ხორცნი შეიმოსნა და წმიდითა მით ხორცითა თჳსითა სამოთხით გამოვრდომილსა მას კაცსა დაცემულსა ზეცად აღუწოდა და მიუწდომელსა მას საიდუმ-ლოსა ღირს ჰყო; რომელი იგი არა იყო დაადგრაჲ, რომელი იგი იყო დიდება მაცხოვარისა ჩუე-ნისაჲ იესო ქრისტესსა მას დამდაბლებასა ჩუენთჳს, რამეთუ დამდაბლდა და მიხსნნა, ამაღლდა ზეცად ვინა გარდამოხდა და მიწისაგანი ესე კაცება თანა აღიყუანა და მარჯუენით მამისა მჯდო-მარე არს, რომელი იგი საკჳრველებით და განგებულებით შეიერთა ღმრთაებამან, რომელსაცა იგი ორითავე მით სახითა, ერთი ძე ღმრთად და კაცად თჳნიერ განყოფათა იქადაგების, იგივე სახელითა ემმანუილ ჩუენთანა ღმერთი და კაცი, რათა სახელისა მიმართ მისისა, ყოველი მუხლი მოდრკეს, ზეცისათანი და ქუესკნელისათანი და ყოველმან ენამან აღიაროს სახელსა მისსა.

რამეთუ საშინელ და წმიდა და ყოვლად ძლიერ და საკჳრველ და უფროჲს ყოვლისა მპყრობელ არს სახელი მისი და ვერ შემძლებელვართ ჩუენ მიწდომად სიმდიდრესა მას სა-ხელისა მისისასა,

არამედ უძლურებისაებრ ჩემისა და გულს მოდგინებისა თქუ̂ენისა ვიწყო თხრობად თქუ̂ენდა საყუ̂არელნო.

კარ. გზა. ტარიგ. მწყემს. ლოდ. მარგალიტ. ყუ̂ავილ. ანგელოზ. კაც. ღმერთ. ნათელ. ქუ̂ყანა, მარილ. მატლ. მარცუ̂ალ მოგჳსა და ერთ ღმერთ, გარდაუქცეველ და განუქარვებელ და უცვალებელ.

რამეთუ უქცეველ და განუქარვებელ არს შემდგომად ხორც შესხმასა და შეერთებისა ღუ̂თაებისა იგი ბუნება, რომლისათჳს უკეთუ შემძლებელ ვექმნნეთ თჳთოეულისა ამის სახელისათჳს ჭეშმარიტი უწყებად თქუ̂ენდა, გარნა მადლითავე მისითა გაუწყო თქუ̂ენ, ქრისტეს მოყუ̂არეთა:

კარ ეწოდა, რამეთუ თქუ̂ა «მე ვარ კარი ცხოვართა», რამეთუ ჭეშმარიტად მორწმუნენი მისნი მის გამო ვითარცა კარსა მას სასუფეველისასა შევალთ. გზა იწოდა რამეთუ თქუ̂ა «მე ვარ გზა და ჭეშმარიტება და ცხოვრება», რამეთუ ზეცად აღმავალთა გუ̂იქმნების ჩუ̂ენ გზა.

ტარიგ ეწოდა, რამეთუ ჩუ̂ენთჳს დაიკლა და მარადის ცხოველ არს და ხორცთა და სისხლთა მისთა ჩუ̂ენდა განუყოფითა ცხოვრებასა საუკუნოსა მოგუ̂ანიჭებს.

მწყემს ეწოდა, რამეთუ თქუ̂ა «მე ვარ მწყემსი კეთილი», ჭეშმარიტად ცხოვარნი შეცთომილნი მოგუ̂აქცივნა და მტერი იგი ჩუ̂ენი ლომი არგნითა მით ჯუ̂არითა მოკლა და მისგან ხსნილი იგი გუ̂ამი პირუ̂ელ შექმნულისა მის ძალითა ღუ̂თაებისა თჳსისათა განაცხოველა.

და კუ̂ალად განაცხოველა და ნაკბენი იგი გესლიანისა მის მგლისა წყლულებითა თჳსითა განჰკურნა და გესლი იგი მომაკუ̂დინებელი წამლითა მით ღუ̂თაებისა თჳსისათა განაქარვა.

და აღასრულა სიტყუ̂ა იგი წინასწარმეტყუ̂ელისა მიერ თქმული, ვითარმედ «იწყლა იგი ცოდვათა ჩუ̂ენთა თჳს და წყლულებითა მისითა ჩუ̂ენ განვიკურნენით».

ლოდ საკიდურ ეწოდა წინასწარმეტყუ̂ელისა მიერ, რამეთუ ესე არს, რომელი შეურაც და განგდებულ იქმნა მღუ̂დელთ მოძღუ̂ართაგან და მწიგნობართა იერუსალიმს ნათესავთაგან ჰურიათასა, არამედ ესე თავ ყოველთა კიდეთა იქმნა.

მარგალიტ ეწოდა, რამეთუ იგი ვითარცა მარგალიტი შორის ორთა მათ ფიცართაჲ სულისა და ხორცთასა ღუ̂თაებით გამობრწყინდების, რომელსა ღუ̂თისმოყუ̂არენი იგი ვაჭარნი სასუფეველისანი, ვითარცა ღმერთსა არა შიშველსა და კაცსა არა ლიტონსა, არამედ ვითარცა ღმერთსა და კაცსა სარწმუნოებით ეძიებენ და მოისყიდიან მხოლოსა მას მრავალ სასყიდლისასა, ყოვლისა საფასისა წარგებითა და სისხლთა თჳსთა დათხევითა.

მარილ ეწოდა, რამეთუ ცოდვითა განრყუ̂ნილთა ამათ ხორცთა ჩუ̂ენთა მოგვეახლა და სიმყრალე იგი კერპთმსახურებისა განგუ̂აშორა და სულნი ჩუ̂ენნი სარწმუნოებით ღუ̂თისმსახურებისათა სულნელად შეზავნა.

ყუ̂ავილ ეწოდა, რამეთუ ძირისაგან იესესისა ყუ̂ავილად აღმოსცენდა ეკკლესიისა, წმიდისა ქალწულისა მარიამისგან ხორციელად, ხოლო სულნელებითა მით ღუ̂თაებისათა სული იგი მადლისა მოჰფინა ჩუ̂ენ ზედა.

ანგელოზ ეწოდა, რამეთუ ერქუ̂მის მას წინასწარმეტყუ̂ელისა მიერ «დიდისა ზრახვისა ანგელოზი საკჳრუ̂ელი, რომელი მამისა მიერ ჩუ̂ენდა მხსნელად მოივლინა».

კაც ეწოდა, რამეთუ თქუ̂ა წინასწარ მეტყუ̂ელმან, «კაცი არს და ვინ იცნას იგი», ჭეშმარიტად სრული კაცება შეიმოსა თჳნიერ ცოდუ̂ისა და ღუ̂თაება თჳსი ჩუ̂ენ გამოგვიცხადა.

ღმერთ ეწოდა, ვითარცა თქუ̂ა იოანე მახარებელმან ნეტარმან, ვითარმედ «ღმერთი იყო სიტყუ̂ა იგი და ყოველივე მის მიერ შეიქმნა, რაოდენი რა იქმნა». ნათელ ეწოდა მის

მიერვე, რამეთუ თქუა, «იყო ნათელი ჭეშმარიტი რომელი განსანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად».

ქუეყანა ეწოდა, ვითარცა თქუა დავით, «ქუეყანამან გამოსცა ნაყოფი თჳსი, მაკურთხენ ჩუენ ღმერთო ჩუენო», ჭეშმარიტად ქუეყნის დამბადებელი იგი ქუეყნად მოვიდა და ქუეყანისა მიწისაგან შექმნულთა მათგან მიწის ბუნებისა ხორცი, ვითარცა მშუენიერი იგი ჟუჟილი აღმოსცენდა ქუეყანისით.

და ნაყოფად გამოიხუნა წმიდანი თჳსნი მოციქულნი და მოწამენი და მართალნი და დაწყეულ იგი ქუეყანა ნაყოფითა მით კურთხევისათა აღავსო.

მარცვალ მდოგვისა ეწოდა, რამეთუ დაიკნინებს თავსა თჳსსა და მოგვემსგავსების ჴსაკისა ჩუენსა, რათა ორნატსა სულისა ჩუენისასა დაენერგოს და ღრმად ძირნი დაიბნეს და რტოთა მათ ზედა ჯუარისა მისისათა შეკრბნეს და ამაღლდეს და ჩუენ აღგუამაღლნეს მისთანა.

მატლ ეწოდა, რამეთუ თქუა «მატლ ვარ და არა კაც», გამობრწყინვებისათა ღუთაებისათა, ვითარცა სამჭედური მადლსა შინა ეგრეთ ხორცთა შინა თჳსთა დაფარა ღუთაება იგი თჳსი და უფსკრულთა ამის სოფლისათა შთაავლო და აღმოიქუა, ვითარცა კეთილმან მეთევზურმან, რომლისათჳსცა იტყჳს, შეიპყრა ვეშაპი იგი სამჭედურითა და განუღო დანდალი ყბასა მისსა, ესე იგი არს ეშმაკი, რომელ შეიპყრა და შემუსრა მანქანებაჲ მისი, რომლისათჳსცა წამებს მეფსალმუნე, ვითარმედ შემუსრა თავები ვეშაპისა მის.

მზე სიმართლისა ეწოდა, რამეთუ თქუა წინასწარმეტყუელმან და «გამოგიბრწყინდეს თქუენ მოშიშთა სახელისა მისისათა მზე სიმართლისა, რომელსა აქუს კურნება, ქუეშე ფრთეთა მისთა, რამეთუ იგი არს, რომელისა ჰფარავს და განატფობს და არა არს, რომელი დაეფაროს სიცხესა მისსა». ესე არა თუ რაჲმე თავით თჳსით განგიმარტე თქუენ საყუარელნო, ქრისტეს მოყუარენო, არამედ წამებითა წიგნთაგან საწინასწარმეტყუელოთა და მოციქულთაჲ ქადაგებისაგან და წმიდათა სახარებათა წერილნი და ნეტართა მამათა მოძღუართა მიერ განსაზღურებული სარწმუნოებაჲ, რამეთუ უწჭუელი სარწმუნოება საუნჯე დიდ არს მორწმუნეთათჳს. ესე მამაო ზეცათაო, ღმერთო და უფალო, ცხორების მომცემელო, შენ მიერ მოღებითა მადლისათა, რამეთუ ქრისტიანეთა სარწმუნოება დიდ მოძღურება არს, ამით მადლითა თაყუანისცემენ შენ მართალნი, გაკურთხევენ შენ წმიდანი, აღგიარებენ შენ მარტჳლნი და შენთჳს დევნულებად ღირს იქმნებიან, რომელმან ივნე ჩუენთჳს ქრისტე ღმერთო, მოწამე არიან შენდა და შენ გევედრებიან და ცთომასა ამას ეშმაკისასა და მსახურთა მისთა მოძღურებასა შეურაცხ ჰყოფენ, რამეთუ არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოება ესე ღუთისა მიერ მოიპოვეს, არამედ ჩუენცა შორიელთა ამათ მკჳდრთა, ვითარცა წამებს უფალი და იტყჳს, «მოვიდოდიან მზისა აღმოსავალით და დასავალით და ინახიდგმიდენ წიაღთა აბრაამისთა ისაკისთა და იაკობისთა».

აჰა ესერა ქართლისაცა მკჳდრთა აქუს სარწმუნოება და წოდებულ არს დიდად წმიდათა, რომელთამე თჳთ აქა მკჳდრთა და რომელთამე უცხოთა სხჳთ მოსრულთა ჩუენ შორის ჟამად ჟამად მოწამედ გამოჩინებულთა ქრისტე იესოს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე ამინ.

თავი ბ. ქართლად შემოსლვა და ნათლისღება წმიდისა აბოსი.

რამეთუ იყო ჟამი, ოდეს ერის მთავარი იგი ქართლისა სახელით ნერსე [1]), ძე ადარნასე კურაპალატისა და ერისთავისა [2]), მიწოდებულ იქმნა ქუეყანად ბაბილოვნისა მფლობელისა მისგან ჟამისა სარკინოზთასა ამირა მუმლისა აბდილასაგან, რომელი იგი იყო ქალაქსა მას დიდსა ბაღდადსა (რომელიცა იგი მან აღაშენა), ხოლო შესმენითა ბოროტთა კაცთათა საპყრობილესა შეაგდო მან ნერსე ერისთავი ამის ქართლისა და პყრობილ ჰყო იგი სამისა წლისა ჟამთა, ვიდრემდის ბრძანებითა ღმრთისათა მოკუდა აბდილა ამირა მუმლი და დაჯდა მისწილ ძე მისი მაჰდი. ხოლო ქრისტეს მოქმედმან ღმერთმან არწმუნა გულსა მაჰდი ამირა მუმლისასა განტევება ნერსესი და გამოიყვანა იგი მწარისა მისგან საპყრობილესა და განუტევა იგი კუალად ერისთაობით აქა ქუეყანადვე თჳსა. მნებავს აწ ქრისტეს მოყუარენო ამიერითგან წმიდისა ამის და სანატრელისა მოწამისა აბოსთჳს რათა გაუწყო, ვითარ ანუ რაბამ რა იყო ანუ ვითარ მოიწია აქა.

ესე ნაშობი იყო აბრაამიანი, ძეთაგან ისმაელისათა, ტომისაგან სარკინოზისა (არაბი) და არათუ უცხოსაგან, არცა ხარჭისაგან შობილი, არამედ ყოვლადვე არაბელთა თესლი მამულად და დედულად, რომლისა მამა მისი და დედა და ძმანი მისნი იყვნეს მუნვე ქალაქსა მას შინა ბაღდად ბაბილოვნისასა.

და ესე იყო ყრმა ჭაბუკ ვითარ ათრვამეტის წლის, ამან ინება წარმოსლვა თჳსი აქა ერისთავისა მის ნერსეს თანა და შეეყო იგი მსახურებად მისა და იყო იგი ხელოვან კეთილად შემზავებელი სუნელთა მათ საცხებელთა და სწავლულ იყო მწიგნობრობითა სარკინოზთათა, ძეთა ისმაელისთა ძეთა აბრაამისთა, ნაშობთა აგარისთა.

ხოლო ამიერ ჩუენდა სოფლად გამოსლვა იგი არა თუ თჳთ თავით თჳსით განიზრახა, არამედ ვითარცა იგი უფალმან ჰრქუა ნეტარსა მას აბრაამს მასვე ქუეყანასა შინა ქალდეველთასა, ვითარმედ გამოვედ შენ ქუეყანისაგან მაგის შენისა და ნათესავისაგან შენისა და სახლისაგან მამისა შენისა და მოვედ ქუეყანასა, რომელი მე გიჩუენო შენ. ეგრეთვე კუალად ნაშობი აბრაამისი არა თუ თჳსით გონებით, არამედ წამის ყოფითა ღმრთისა მიერითა, იწვია ესეცა და დაუტევა მამა და დედა ძმანი და დანი და ნათესავნი და მონაგებნი და აგარაკნი, ვითარცა იგი უფალი იტყჳს წმიდასა შინა სახარებასა და წარმოვიდა აქა ნერსესთანა მგზავრ ქრისტეს სიყუარულისათჳს.

და რაჟამს მოვიდა იგი ქართლად ცხოვნდებოდა იგი ნერსე ერის თავისა თანა და სათნოებითა იქმნა იგი საყუარელ ყოვლისა ერისა და შესძინა სწავლად ქართულისა მწიგნობრობისა დაზრახჳსა ხსნილად.

მაშინ იწყო ზედა მიწევნად და სწავლად წმიდათა საღმრთოთა წიგნთა ძუელისა და ახლისა შჯულისათა, რამეთუ უფალი მეცნიერ ჰყოფდა მას და მოვიდის იგი წმიდად ეკკლესიად და მარადის ისმენნ წმიდათა სახარებათაგან და საკითხავთა საწინასწარმეტყუელოთა და მოციქულთასა და მრავალთაგან შჯულის მეცნიერთა იკითხავნ და ისწავებნ.

---

1) 742 წელსა.

2) ვახუშტი ქართლის ცხოვრებაში მოგვითხრობს, ვითომ ნერსე ერისთავი ქართლისა, მამა იყო ადარნასე ერისთავისა, რომელიც მიიცვალა 779 წელსა, არამედ მრავალნი მატიანენი, საკუთრებით მოთხრობანი წმ. მოწამეთანი მოგვითხრობენ, ვითარმედ ნერსე ძე იყო ადარნასესი და არა მამა, რომელი მათგან ჯეროვან არს, არა უწყით აწ, არამედ დრომან დაამტკიცოს ჰსწორე აზრი.

ხოლო რომელთამე რეცათუ ცილობით წინა აღუდგების, არამედ მიზეზ სწავლისა ექმნების მას და ესრეთ სრულ იქმნა იგი ყოვლითა მოძღურებითა, რომელი აქუს წმიდასა კათოლიკესა ეკკლესიასა ქრისტეს მიერ. მაშინ უდებ ჰყო ჴსჯული იგი მაჰმედისი და წესი იგი მამულისა მის ლოცჳსა დაუტევა და შეიყუარა ქრისტე ყოვლითა გულითა და გამოირჩია იგი სიტყჳთა ამით, ვითარმედ მითხრეს მე უსჯულოთა ზრახჳა, ხოლო არა ეგრე იყო ვითარ ჴსჯული შენი.

არამედ ვერ განაცხადებდა თავსა თჳსსა სრულად ქრისტიანედ, ხოლო ფარულად იმარხავნ და ილოცავნ ქრისტეს მიმართ და ეძიებდა ადგილსა კრძალულსა სადამცა ნათელ-იღო ქრისტეს მიერ.

რამეთუ ეშინოდა სოფლის მპყრობელთა ამათ ზედა მდგომელთა სარკინოზთაგან და ამათ დღეთა შინა იყო გუალად განრისხება ჴელმწიფეთა მათ სარკინოზთა, ნერსე ერის თავსა ზედა და ივლტინ იგი, რამეთუ სასტიკად ჰბრძოდის მას სარკინოზთა ერი.

და უფალმან დაიცვა იგი ჴელთაგან მათთა და განვლო მან კარი იგი ოვსეთისა, რომელსა დარიელ ერქუმის და რაჟამს განვიდა იყო მისთანა ერისაგან მისისა ვითარ სამას ოდენ მამაკაც და მათ თანავე იყო სანატრელიცა ესე მონა ქრისტესი აბო.

ხოლო ნერსე ლტოლვილი ქუეყანით თჳსით შევიდა ქუეყანასა ჩრდილოსასა, სადა იგი არს სადგური და საბანაკო ძეთა მაგოგისთა, რომელ არიან ხაზარნი კაც ველურ საშინელ პირითა მხეცის ბუნებაჲ, სისხლის მჭამელ, რომელთა ჴსჯულ არა აქუს, გარნა ღმერთი მხოლო შემოქმედი იციან და რაჟამს მივიდა ნერსე მეფისა მის წარმართთასა, შეიწყნარა იგი უცხოებისათჳს და ლტოლვილობისათჳს მტერთა მისთა და სცა მას და ყოველსა ერსა მისსა საზრდელი და სამოსელი.

მაშინ ვითარცა იხილა ნეტარმან აბო, რამეთუ განშორებულ არს შიშისაგან და მძლავრებისა სარკინოზთასა, ისწრაფა მან მიახლებად ქრისტესა და ნათელ-იღო სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა ჴელითა პატიოსანთა მღდელთათა, რამეთუ მადლითა სულისა წმიდისათა, მრავალ არს ქალაქები ქუეყანასა მას ჩრდილოსასა, რომელნი სარწმუნოებით ქრისტესითა ცხოვნდებიან უზრუნველად, მიერითგან უფროსღა სავსე მადლითა საღმრთოთა, ნეტარი აბო შეეყო ლოცუასა და მარხუასა დაუბრკოლებელად, მაშინ შემდგომად რავდენისამე ჟამისა ევედრა ნერსე მეფესა მას ჩრდილოსასა, რათა განუტევოს იგი მიერ ქუეყანად აფხაზეთისა, რამეთუ პირველადვე წარეგზავნნეს დედა და ცოლი და შჳლნი და მონაგები და ყოველნი სახლისა მისისანი, რამეთუ კრძალულ იყო ქუეყანა იგი შიშისაგან სარკინოზთასა.

ხოლო უფალმან მოამშჳდა პირი მეფისა მის ჩრდილოსა და განუტევა ნერსე მრავლითა ნიჭითა და წარმოემართნეს სიხარულითა და მადლითა ღმრთისათა და განვლეს ქუეყანა იგი წარმართთა, რომელთა ყოვლადვე არა იცოდეს ღმერთი და უშიშად ვიდოდეს მათ შორის დღე და ღამე სამისა თჳსა გზასა.

ხოლო ნეტარი აბო ეგე ოდენთა მათ დღეთა მგზავრ ილოცჳდა და იმარხჳდა და არა დასცხრებოდა იგი ფსალმუნებითა და ვითარცა მიიწივნეს იგინი ქუეყანად აფხაზეთისა, მთავარმან მან მის ქუეყანისამან შეიწყნარა ნერსე ყოვლით ერით მისითურთ და ვითარცა იხილა ნერსე დედოფალი დედა თჳსი და ცოლი და ძენი თჳსნი სიხარულით ყოველნივე აკურთხევდეს ღმერთსა, ცოცხლებით და მშჳდობით შეკრებისა მათისათჳს, მაშინ ვითარცა ეუწყა მთავარსა მას აფხაზეთისასა ნეტარისა აბოსთჳს, რამეთუ ახალ ნათელღებულ არს, განიხარა ფრიად ყოვლით ერით მისითურთ და მოუწოდის მას მთავარმან და ეპისკოპოზმან და მღდელთა და აკურთხევდეს და

ნუგეშინისცემდეს და უთხრობდეს მას სიტყუათა ცხოვრებისათა და ახარებდეს მას ქრისტესთჳს და საუკუნოსა ცხოვრებისა თჳს.

ხოლო იგი თავით თჳსით მიუგებდა მათ მადლობით, სიტყუათა მათ ჭეშმარიტისა სარწმუნოებისათა, ვიდრემდის უკჳრდაცაჲ მათ და ადიდებდეს ღმერთსა.

და ნეტარი აბო უფროსღა ჰმადლობდა ღმერთსა, რამეთუ იხილა მან ქუეყანა იგი სავსე ქრისტეს სარწმუნოებითა და არავინ ურწმუნოთაგანი მკჳდრად იპოვების საზღუართა მათთა, რამეთუ საზღუარ მათდა არს ზღუა იგი პონტოსა საკჳრუელი ყოვლადვე ქრისტიანეთა, მისაზღურადმდე ქალდიაჲსა, ტრაპეზუნტაჲ; მუნ არს საყოფელი იგი აფხაზეთისა და ნაფსეის [1]), ნავთ სადგური და არს ქალაქები იგი და ადგილები საზრძანებელად ქრისტეს მსახურისა, ჲონთა მეფისა, რომელი მოსაყდრე არს დიდისა მის ქალაქისა კოსტანტინეპოლისა.

ხოლო წმიდამან და ნეტარმან აბო, ვითარცა იხილა კაცთა მათ მის ადგილისათა გარდამატებული ღუთისა მსახურება და ლოცუა ყოვლისა მის ერისა დაუცადებელი, შური საღმრთო აღიღო, რამეთუ მოიხსენა მან სიტყუა იგი წმიდისა მოციქულისა, ვითარმედ, კეთილ არს ბაძუა კეთილისათჳს მარადის, იწყო მანცა დღეთა მათ ზამთრისათა თთუესა მას იანვრისასა ათ შჳდმეტსა მის თჳსასა, ხსენებასა წმიდისა მამისა ანტონისასა, აღიღო მანცა ფიცხელი იგი შრომა შორის ქალაქსა ვითარცა უდაბნოს ზედა ეწყუებოდა მტერსა მას ეშმაკსა და დუმილითა მარხვითა მოაუძლურებდა ხორცთა მათ სიჭაბუკისა თჳსისათა, რათა შეუძლოს ყოველთა მათ ისართა ეშმაკისათა განხურვებულთა დაშრეტად, მოიხსენა მან მაცხოვრისა ჩუენისა ვითარ იგი შემდგომად წმიდისა მის ნათლისღებისა უდაბნოდ განსრულმან მზაკუარისა მას განმცდელსა სძლო ეშმაკსა ლოცჳთა და მარხჳთა მით წმიდითა ორმეოცდღე.

ეგრეთვე ნეტარი ესე აბო არცა ერთსა რას სიტყუასა იტყოდა კაცთა შორის, გარნა ღმერთსა ხოლო ზრახავნ წმიდასა შინა ლოცუასა, ესრეთ განვლო სამი თთუე და დაადგრა მარხჳთ და დუმილით.

ხოლო წმიდათა მათ დღეთა დიდისა მის მარხჳსათა შჳდთა მათ შჳდეულთა კჳრიაკეთა და დღესა შაბათსა, ხოლო მიიღის წმიდა იგი საიდუმლო ხორცი და სისხლი ქრისტესი. მაშინღა ნაკლულევანადმდე მიიღის საზრდელი, ვიდრემდის მიიწია იგი მას დღესა დიდსა დღესასწაულსა აღვსებასა აღდგომასა ქრისტეს ღუთისა ჩუენისასა და მაშინღა დაცადა ფიცხელი იგი მარხუა და განხსნა ენაცა თჳსი უტყუებისაგან და ადიდებდა ღმერთსა.

ხოლო იყო შემდგომად სივლტოლვისა მის ნერსესისა, ქართლით წარმოავლინა მაჭდი ამირმა მუმლმან, ბრძანებითა ღუთისათა სტეფანოზ ძე გურგენ ერისთჳსა დისწული ნერსესი ნაცვლად დედის ძმისა თჳსისა ნერსესა ერის მთავრად ქუეყანასა მას ქართლისასა.

მაშინ მხიარულ იქმნა ნერსე, რამეთუ უფლება იგი სახლისა მისისაგან არაჲ განაშორა უფალმან, ესეცა წადიერ იქმნა უფროსღა გულს მოდგინედ წარმოავლინნა მოციქულნი და ითხოვა ხელმწიფეთაგან ამირათა ამის ქუეყანისათა, რათა უშიშ ჰყონ იგი ბოროტისაგან და გამოვიდეს ხსნილად ყოვლით ერითურთ მისით.

---

1) მგონია ამ სიტყვს მაგიერ, რომელსაც არა აქუს ნამდვილი ნიშნობაჲ «შაფსეის» უნდა იყოს ერი აფხაზეთისა.

და ვითარცა წარმოემართნეს იგინი ქუეყანით აფხაზეთით, მაშინ ნეტარსა აბოს მიუწოდა მთავარმან მან აფხაზეთისამან და ჰრქუა, ნუ განხუალ შენ ამიერ ქუეყანით, რამეთუ ქუეყანა იგი ქართლისა სარკინოზთა უპყრიეს და შენ ხარ ბუნებით სარკინოზ და არა დაგიტეონ შენ ქრისტიანობით მათ შორის და მეშინის მე შენგან (თჳს) ნუ უკუე განგდრიკონ შენ სარწმუნოებისაგან ქრისტესისა ნებსით გინა უნებლიებით და ესე ოდენი შრომა შენი წარსწყმიდო; ხოლო ნეტარმან აბო ჰრქუა, «სადაცა შემიწყნარა მე ქრისტემან და განმაშორაჲ ჩემგან ბნელი იგი პირუელი ამის უმეცრებისა ჩემისა და ღირს მყო მე ნათელსა მისსა არა სადა უვარ ვჰყო მე სახელი მისი. და დაღათუ ბევრეული ოქროსა და ვერცხლისა მომცენ, გინათუ ტანჯვთა და გუემითა განმიკითხონ მე, ვერ განმაშორონ მე სიყუარულისა უფლისა ჩემისასა და აწ შენ ნუ დამაყენებ ღუთის მსახურო, რამეთუ რაჲ მაღლ არს ჩემდა ყოფა აქა, სადა არა არს შიში და არცა სიკუდილი ქრისტესთჳს. აწ გევედრები განმიტევე მე, რათა ეუწყოს განცხადებულად ქრისტიანობა ჩემი ქრისტეს მოძულეთა მათ, რამეთუ მესმა მე წმიდისა სახარებისაგან თქმული მაცხოვრისა ჩუენისა მიერ ვითარმედ «არავინ აღანთის სანთელი და შედგის ქუეშე ხჳმისსა, არამედ ზედა სასანთლესა დადგიან რათა ნათობდეს ყოველთა ეგრეთ ბრწყინევდინ ნათელი ეგე თქუენი წინაშე კაცთა» და აწ მე რასათჳს დავფარო ჭეშმარიტი ესე ნათელი, რომლითა განმანათლა მე ქრისტემან. არა სადა დავიმალო მე შიშისაგან სიკუდილისა, რამეთუ ვისწავე მე წმიდისა მისგან მოციქულის, ვითარმედ არცა ჩუენთა სასუფეველი დაიმკჳდრონ. ამისთჳს არა მეშინის მე სიკუდილისაგან, რამეთუ მე სასუფეველსა ვეძიებ» და ესრეთ არწმუნა მთავარსა მას და განუტევა.

და გამოვიდა იგი ხერსეს თანა ქართლად და შემოვიდა ქალაქს ტფილისს და იქცეოდა იგი განცხადებულად ქრისტიანედ და ვითარცა იხილეს იგი ქრისტიანედ მუნ მყოფთა მათ სარკინოზთა, რომელთა იცოდეს იგი პირუელ რომელნიმე ჰყუედრიდეს, რომელნიმე აგინებდეს, რომელნიმე სდევნიდეს, რომელნიმე მშჳდობისა სიტყჳთა შეაჯერებდეს.

ხოლო იგი განმტკიცებულ იყო ქრისტეს მიმართ და არა ვისგან შეძრწუნდა, არამედ სამისა წლისა ჟამთა იქცეოდა ქალაქსა მას შინა და გარემოს ყოველსა სოფლებსა განცხადებულად ქრისტიანედ, არამედ ვერვინ მიჰყუნა ხელნი მისზედა ბოროტებით, რამეთუ არა მოწევნულ იყო ჟამი მისი. ხოლო კაცთა ღუთის მოყუარეთა, რომელთა იცოდეს მისა მიმართ სათნოება მისი იღუწიდეს მას, საზრდელითა და სამოსლითა.

წამებაჲ წმიდისა აბოისი. თავი გ.

რომელნი ხართ ქრისტეს მოყუარენი და მარტჳლთ მოყუარენი, მიიღეთ ჩემგან სანატრელი ესე სმენა წმიდისა მოწამისა და ქრისტეს მოღუაწისა, რომლისა სიმხნითა და დიდებითა გჳრგჳნოსან იქმნა ქრისტეს მიმართ.

სუფევასა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა წელიწადსა ვნებითგან და მკუდრეთით აღდგომით შჳდას ოთხმეოცდა მეათესა, მეფობასა კოსტანტინეპოლის ქალაქსა მას დიდსა ქრისტიანეთა ზედა კოსტანტინესა ძისა ლეონისსა. სარკინოზთა შორის მეფობასა მოსე ამირა მუმლისასა ძისა მაჰდისსა, ქართლსა შინა კათალიკოზობასა სამოელისასა, ერისთაობასა სტეფანოზისასა ძისა გურგენისსა დასაბამითგან გარდასრულთა წელთა ექუსი ათას ორას ოთხმოც და თურა მეტი, თთუესა იანვარსა ექუსსა, დღესა პარასკევსა, განცხადებასა შევისწავეთ მარტჳლობაჲ წმიდისა ამის და ნეტარისა მოწამისა და კეთილად მოღუაწისა აბოისი, ქალაქსა ტფილისს.

ხოლო იყო ესრე სახედა, რამეთუ მცირედ უწინარესრე დღეთა ამათ შეიპყრეს ნეტარი ესე მოწამე ქრისტესი და მიიყვანეს იგი მსაჯულისა მის, რომელი იყო ამირ ქალაქსა ზედა ტფილისსა და ქრისტეს აღსარებისათჳს შეაყენეს იგი საპყრობილესა; ხოლო შემდგომად რაოდენისამე ჟამისა გამოითხოვა იგი სტეფანოზ ერისთავმან ქართლისამან და გამოიყვანა იგი საპყრობილით და განუტევა და შემდგომად მცირედთა დღეთა კუალად აღიძრნეს შემასმენელნი წმიდისა ამის მოწამისა განრისხებულნი და აღბორგებულნი და სავსენი შურითა ქრისტეანეთათა და შეიზრახნეს შეთქუმით წმიდასა მას ზედა და შევიდეს წინაშე მსაჯულისა მის.

რამეთუ სხუა მსაჯული ამირა შემოსრულ იყო ქალაქსა ტფილისს და ჰრქუჱს მას, არს ქალაქსა ამას ჭაბუკი ერთი, რომელი იყო ბუნებით სარკინოზ და გაჰზრდილ და ცხოვრებულ ჰსჯულითა მით, რომელი მოგუცა ჩუჱნ მაჰმედ მოციქულმან ჩუჱნმან და აწ დაუტევებიეს ჰსჯული ესე ჩუჱნი და იტყჳს თავსა თჳსსა ქრისტეანედ და უშიშრად ვალს ქალაქსა შინა და მრავალთა ასწავებს ჩუჱნგანთა ქრისტეანე ყოფად აწ ბრძანე შეპყრობაჲ მისი და შეაგდე იგი ტანჯუასა და გუემასა ვითარმედ, რათა აღიაროს ჰსჯული მოჰმედ მოციქულისა ჩუჱნისა, უკეთუ არა მოაკუდინ იგი, რათა არა მობაძავ იქმნენ მრავალნი სიტყუათა მისთა და ამას რა შეასმენდეს, ესმა ვიეთმე ქრისტეანეთა კაცთა და მივიდეს მსწრაფლ და უთხრეს ნეტარსა აბოს, ვითარმედ აწ ესერა გეძიებენ შენ შეპყრობად და ტანჯუად და გუემად და შეაჯერებდეს მას, რათამცა მიჰრიდა და დაემალა. ხოლო მან ჰრქუა მათ, «მე არა ხოლო თუ ტანჯუად განმზადებულ ვარ ქრისტეს თჳს, არამედ სიკუდილადცა» და გამოვიდა იგი სიხარულით და იქცეოდა შორის უბანთა განცხადებულად. მაშინ მოვიდეს მსახურნი იგი მის მსაჯულისანი და შეიპყრეს ნეტარი იგი აბო და შეიყვანეს იგი წინაშე მსაჯულისა და ჰრქუა მას მსაჯულმან მან, რაჲ არს რომელი ესე მესმის მე შენთჳს რამეთუ შენ ხარ ნათესავით და ტომით სარკინოზი და დაგიტევებიეს მამული ჰსჯული და ქრისტეანეთა თანა შეცთომილ ხარ, აწ განემზადე და ილოცე ჰსჯულითა მითვე, რომლითაცა განგზარდეს მშობელთა შენთა.

ხოლო ნეტარი აბო განძლიერდა სულითა სარწმუნოებისათა ქრისტეს მიერ და ჰრქუა მსაჯულსა მას ამირასა, «ეგე კეთილად გასმიეს, რამეთუ ვარ მე ბუნებით სარკინოზ, შობილიცა მას შინა მამულად და დედულად განსწავლულ ვიყავ ჰსჯულითა მით მაჰმედისათა და ვსცხოვნდებოდი მას შინა ვიდრე უმეცრებასა შინა ვიყავ. ხოლო ოდეს სათნო იყო ღმერთსა, რომელმან გამომირჩია მე ძმათა და ნათესავთა შორის ჩემთა და მიხსნა მე იესო ქრისტეს მიერ ძისა მისისა და ღჳთისა ჩემისა და გულის ხმა მიყო მე უმჯობესი იგი კეთილი; მაშინ დაუტევე პირუტყლი იგი კაცთა ხელოვნებითა შეთხზული ჰსჯული და ზღაპრობისა სიბრძნითა ღონის ძიებული რწმუნებაჲ და აწ შეუდეგ ჭეშმარიტსა ქრისტეს მიერ მომადლებულსა სარწმუნოებასა, სამებისა წმიდისსა მამისა და ძისა და წმიდისა სულისასა და ამით ნათელ მიღებიეს და მასცა თაყუანსცემ, რამეთუ ესე არს ღმერთი ჭეშმარიტი და აწ ქრისტეანე ვარ თჳნიერ ყოვლისა ცილობისა», ჰრქუა მას მსაჯულმან მან დაუტევე სიცბილისა ეგე განზრახუა და უკეთუ ნაკლულევანებისა შენისათჳს შედგომილ ხარ შენ ქრისტეანეთა უფროსისა ნიჭი და პატივი მოგცე შენ, ჰრქუა მას ნეტარმან აბო, «ოქრო და ვერცხლი შენი, შენთანავე იყავნ წარსაწყმენდელად შენდა, მე პატივსა კაცთაგან არა ვეძიებ, რამეთუ მაქუს მე ნიჭი ქრისტეს მიერი და გჳრგჳნი ცხოვრებისა და უხრწნელებისა და პატივი საუკუნო ცათა შინა». მაშინ უბრძანა ხელით და ფერხით შეკრვა მისი ბორკილითა რკინისათა და ეგრეთ შთააგდეს იგი საპყრობილესა.

ხოლო ნეტარსა მას უხაროდა და ჰმადლობდა ღმერთსა და იტყოდა, «გმადლობ შენ უფალო და მაცხოვარო და ღმერთო ჩემო იესო ქრისტე, რამეთუ ღირს მყავ მე, განსაკითხავსა და პყრობასა სახელისა შენისათჳს წმიდისა».

და იყო ესე თთუესა დეკემბერსა ოცდა შჳდსა, დღესა სამშაბათსა ხსენებასა ქრისტეს მოციქულისა და პირუელ დიაკონისა და პირუელ მოწამისა ერის მთავრისა მის ყოველთა მოწამეთასა ქრისტესა სტეფანესსა.

წესვე და მშუენიერ ესრეთ იყო, რათა ილვწიდეს მისთჳს ერისმთავარი იგი, ყოველთა მარტჳრთა მისთა თანა მათთანა ყოველთა მოწამეთა, რათა არა დაბრკოლდეს უკანასკნელიცა ესე მოწამე ქრისტესი თანა შერაცხვად ახოვნებასა მას მისსა და იყოფოდა ნეტარი აბო საპყრობილესა მას შინა მარხჳთა და ლოცჳთა და ფსალმუნებითა ღამე და დღე განუსუენებელად და ჭურთდა იგი ქუელის საქმესა, რამეთუ განყიდა მან ყოველი რაჲცა აქუნდა და ზრდიდა იგი მშიერთა მათ ნაკლულევანთა მისთანა პყრობილთა მათ.

ხოლო ცრუ მოძღუარნი იგი და შემასმენელნი შევიდიან მისა და ეტყჳედ, რომელნიმე რეცა სიტყჳთა ლიქნისათა, შჳლო ნუ განიწირავ თავსა შენსა და ნუცა სიჭაბუკესა შენსა განავაჭრი ქრისტეანობად, ნუცა ძმათა და ნათესავთა შენთა განეშორები, რათა არა შეამთხჳო ძჳრი თავსა შენ და შეგჳაწუხნე ჩუენ ყოველნი.

რომელნიმე მათგანნი აგინებდეს მას და ეტყჳედ რა სარგებელ გეყოს ქრისტე იგი შენი, ანუ ვინ გიხსნეს შენ ხელთაგან ჩუენთა; რამეთუ ცეცხლი და სატანჯუელნი აწვე განგჳმზადებიეს შენთჳს, არათუ მოიქცე ჩუენდავე.

ხოლო ნეტარი იგი არა ისმენდა მათსა, არამედ ილოცავნ დაუცხრომელად და ფსალმუნებით გონებითა თჳსითა და შემდგომად მრავლისა ჟამისა ჰრქუა მათ «ჩემდამო ნურას იტყჳთ, რამეთუ მე ვითარცა ყრუსა არა მესმოდა და ვითარცა უტყუმან არა აღაღის პირი თჳსი და ვიყავ მე ვითარცა კაცი უსმი, რომლისა თანა არა არს პირსა მისსა სიტყუა, რამეთუ მე უფალსა ვესავ; განმეშორენით მე უკეთურნო და გამოვიძინე [1]) მე მცნებანი ღმრთისა ჩემისანი» და ვითარცა ვერ შეძრეს მართალი იგი, გამოვიდეს მიერ სირცხჳლეულნი და იყო ნეტარი იგი საპყრობილესა მას შინა ცხრა დღე და დღე ყოველ იმარხავნ და ღამისთევით დაადგრის განთიადმდე; ხოლო დღესა მას მეცხრესა ჰრქუა ყოველთა მათ მისთა თანაპყრობილთა ქრისტიანეთა და სხუათაცა ვითარმედ «ხვალე განსლვად არს ჩემი ხორცთაგან და მისლვა უფლისა ჩემისაჲ და ღმრთისა იესო ქრისტესა თანა». რამეთუ ესე ღმერთმან გამოუცხადა თჳსსა მას მოწამესა და მაშინ განიძარცუა სამოსელი თჳსი და განსცა სავაჭროდ, რათა უყიდონ მას სანთლად კეროვნები და საკუმეველი და წარსცა მათ ყოველთა ეკლესიათა ქალაქისათა, რათა აღანთონ.

და მივლინა ყოველთა მღდელთა ვედრებით, რათა ლოცვა ჰყონ მისთჳს, რათა არა დაბრკოლდეს სარწმუნოებისაგან ქრისტესისა და ღირს იქმნას მოღუაწებასა ქრისტეს მოწამეთასა. ხოლო მან ღამესა მას წმიდისა მის დღესასწაულისასა, ღამისთევასა მიიხუნა ორნი სანთელნი დიდნი ხელთა თჳსთა და დადგა იგი შორის საპყრობილესა მას და დაადგრა მდგომარე ზედა ფერხთა თჳსთა ვიდრე განთიადმდე ყოვლადმდე დაუჯდომლად, ვიდრემდის აღასრულნა ფსალმუნნი და საწ

1) გამოვიძიე.

თულნი იგი დაიწჳნეს ხელთა შინა მისთა, რკინითა შეჭედილთა ზედა ქედსა მისსა და იტყოდა იგი მდგომარე შეუძრველად, ვითარმედ «წინასწარ ვხედევდ უფალსა, წინაშე ჩემსა არს მარადის, რამეთუ მარჯულ ჩემსა არს, რათა არა შევიძრა ღ შემდგომნი სიტყუჳსანი». და რაჟამს განთენა მეათე იგი დღე დღესასწაულისა მის მაცხოვრისა ნათლისღებისა, რომელ არს თთუესა იანვარსა ექუსსა.

და იყო დღე იგი პარასკევი, თქუა ნეტარმან მან «დიდ არს ჩუენდა დღე ესე, რამეთუ ვხედავ ორკერძოვე ძლევასა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა, რამეთუ დღესასწაულსა ამას შთახდა მდინარესა მას იორდანისასა განშიშულებული ნათლისღებად და სიღრმესა მას შინა წყალთასა დამალულის ამის ვეშაპისა თავები იგი ძალითა ღუთაებისათა შემუსრა, ჯერ არს ჩემდაცა დღესა ამას, რათა განვიძარცო შიში ხორცთა ამათ ჩემთა, რომელნი სამოსელ არიან სულისა ჩემისა და შთავხდე ვითარცა სიღრმესა წყლისასა შორის ქალაქსა ამას და ნათელ ვიღო სისხლითა ჩემითა და ცეცხლითა და სულითა, ვითარცა ქადაგი წინამორბედმან იოანე და მერმე კუალად შთავხდე წყალთაცა და კუალად განვნათლდე, რამეთუ დღეს გარდამოსლვა არს სულისა წმიდისა ყოველთა ზედა წყალთა, რომლითა ნათელსა იღებენ ქრისტეს მორწმუნენი წყალთა მათ იორდანისა მდინარეთა და განშიშულებითა ხორცთა ჩემთათა, მტერისა მის მზაკუარისა მანქანებასა, რომელ იზრახნა ჩემთჳს განვაბასრნე და დავტკეპნო იგი ფერხთა ჩემთა შორის ქალაქსა ამას და კუალად დღესა მას პარასკევსა ვნებითა მით თჳსითა უფალმან ჩემმან იესო ქრისტემან ჯუარსა მას ზედა განპყრობითა ხელთა თჳსთათა განაქიქა და თითის საჩუენებელ ჰყო ყოველთა კიდეთა ქუეყანისათა მტერი იგი ყოვლისა სოფლისა. აწ მეცა თანა მას, რათა განუხდე ბრძოლად მტერსა მას ქრისტეანეთასა და ქრისტესთჳს დათხევითა სისხლთა ჩემთათა საცინელ და საკიცხელ ვჰყო იგი ყოველთა ქრისტეანეთა, რამეთუ ჰგონებდა იგი ვითარმცა შიშითა სიკუდილისათა განმაშორა მე სიყუარულსა უფლისა ჩემისა იესო ქრისტესსა, ხოლო საყუედრელ ვჰყო განზრახვა იგი მისი და ვსძლო მას ქრისტეს მიერითა შეწევნითა და ორკერძოვე იგი თანა ნადები უფლისა ჩემისა გარდავიხადო».

მაშინ მოითხოვა წყალი და დაიბანა პირი თჳსი და იცხო ზეთი თავსა თჳსსა და თქუა მაშინ, «სადამე ვიყავ თჳთ მენელსაცხებელ კეთილად შემზავებულ სულნელთა მათ საცხებელთა, ხოლო ესე საცხებელი დღეს დაფლვისა ჩემისა არს, ამიერითგან არღარა ვიცხო განქარვებადი ესე მწიორობისა ჩემისა ზეთი, არამედ ვითარცა ქებასა შინა ქებათასა ბრძენმან მან სოლომონმან მასწავა მე, სულნელებასა ნელსაცხებელთა შენთასა ვრბიოდე ქრისტე, რომელმან აღმავსე განუქარვებელითა მით სულნელებითა სარწმუნოებისა და სიყუარულისა შენისათა, აწ შენ უფალო ჩემო, რამეთუ შეგიყუარე შენ უფროს თავისა ჩემისა» და ესრეთ თქუა წარავლინნა წმიდად ეკკლესიად და მოართუჱს მას წმიდა იგი საიდუმლო ხორცი და სისხლი ქრისტესი, იყო ჟამი იგი დღისა მის მესამე, წმიდისა მის დიდისა დღესასწაულისა.

და ვითარცა მოიღო მან ჭეშმარიტი იგი და განმაცხოველებელი საიდუმლო, თქუა «გმადლობ შენ უფალო ღმერთო ჩემო და ღმერთო იესო ქრისტე, რომელმან მომეც საგზლად ჩემდა ცხოვრების მომნიჭებელი ხორცი შენი და სიხარულად და განმამტკიცებულად ჩემდა პატიოსანი სისხლი შენი. აწ უწყი, რამეთუ არა დამიტევებ მე, არამედ ჩემთანა დადგრომილ ხარ და მე შენთანა, ამიერიდგან არღარა მოვიღო მე სხუა საზრდელი, რომლითა კუალად მშიოდის და არცა სხუა სასმელი, რომლითა კუალად მწყუროდის, არამედ კმა არს ესე ჩემდა ცხოვრებად საუკუნოდ აწ დაღათუ ვიდოდი შორის აჩრდილთა სიკუდილისათა არა შემეშინოს ნე სიკუდილისაგან, რამეთუ შენ ჩემთანა ხარ».

და ესე ვითარცა თქუა მყის მოიწიეს მსახურნი იგი მსაჯულისა მის და ოჯმსა ყოველთა მათგან პყრობილთაჲ ქრისტეანეთა და ჰრქუა «ლოცჳსასამომიხსენეთ, რამეთუ არღარა მიხილოთ მე საწუთროსა ამას სოფელსა».

და გამოიყუანეს იგი ეგრეთვე ბორკილითა ფერხითა და ხელითა და მოჰყუანდათ იგი შორის ქალაქსა და, რომელნი ხედვიდეს მას ქრისტეანენი და მეცნიერნი მისნი, ცრემლოდეს მისთჳს.

ხოლო წმიდამან აბო ჰრქუა მათ «ნუ სტირით ჩემ ზედა, არამედ გიხაროდენ, რამეთუ მე უფლისა ჩემისა მივალ, ლოცჳთ წარმგზავნეთ მე და მშჳდობამან უფლისამან დაგიცვნეს თქუენ». ხოლო იგი მივიდოდა, ვითარცა ვინ მოგზაურ ექმნის მკჳდრსა, ეგრე ხედვიდა თჳსსა მას გუამსა.

და სულითა თჳსითა მოგზაურ ქმნული, თჳთ იტყოდა ფსალმუნსა მას ას და მეათრვამეტესა. «ნეტარ არიან უბიწონი გზასა» და საგალობელად მუხლისა მის შემდგომად ფქჳს სიტყუა იგი ნეტარისა მის ავაზაკისა, «მომიხსენე უფალო, სუფევათა შენთა».

და ესრეთ მიიწია იგი კარსა მას მსაჯულისა ამირისსა.

და რაჟამს შევიდა კადნიერად დაიწერა ჯუარი და წარუდგინეს იგი წინაშე ამირისა მის და ჰრქუა მას მსაჯულმან მან, რა არს ჭაბუკო, რაჲ განგიმზადებიეს თავისა შენისა. ხოლო წმიდა მოწამე აღივსო სულითა წმიდითა და ჰრქუა «მე განგიზრახე, ქრისტეანე ვარ», ჰრქუა მას მსაჯულმან, არღარა დაგიტევებიეს სიცოფე იგი და უგუნურება შენი? ჰრქუა მას ნეტარმან აბო «უკეთუმცა უმეცრებასა და უგუნურებასა შინა ვიყავ, არამცა ღირს ვიქმენ შედგომად ქრისტესა», ჰრქუა მას მსაჯულმან, არა გიცნობიესა, რამეთუ სიტყუანი ეგე შენნი სიკუდილისა მომატყუებელ გექმნებიან შენ? ჰრქუა მას წმიდამან აბო «უკეთუ მოვკუდე, მრწამს მე, ვითარმედ ქრისტესთანა ვჰსცხონდე, ხოლო შენ რასა განაგრძობ რაჲ გეგულვების ჩემ ზედა იქმოდე, რამეთუ მე, ვითარცა კედელსა მაგას, რომელსა მიყრდნობილხარ, ეგრეთ არა მესმიან ცუდნი ეგე სიტყუანი შენნი, რამეთუ გონებაჲ ჩემი ქრისტეს თანა არს ზეცას».

ჰრქუა მას მსაჯულმან მან და რაჲ ეგოდენი სიტკბოებაჲ გაქუს ქრისტეს შენისაგან, რომლისათჳსცა სიკუდილადცა არა გეწყალის თავი შენი. წმიდამან აბო ჰრქუა მას, «უკეთუ გნებავს ცნობად სიტკბოებისა მისისა, შენცა გრწმენინ ქრისტე და ნათელ იღე მის მიმართ და მაშინღა ღირს იქმნე ცნობად სიტკბოებათა მისთა». მაშინ განრისხნა ამირა იგი და უბრძანა განყუანებაჲ მისი გარე და თავისა მოკუეთა; ხოლო მსახურთა მათ (გა) მოიყუანეს გარეშე კართა ეზოსა მას ტაძრისასა და განხსნეს იგი ხელით და ფერხით საკრველთა მათგან რკინისათა.

ხოლო ნეტარმან მან თჳთ თავით თჳსით მსწრაფლ განიხეთქა სამოსელი თჳსი იგი, რომელი ემოსა მას და განშიშულებულმან დაიბეჭდა ჯუარითა პირი და გუამი და თქუა «გმადლობ და გაკურთხევ შენ სამებაო წმიდაო, რამეთუ ღირს მყავ მე მიმთხუევად ღუაწლსა ამას წმიდათა მოწამეთა შენთასა».

და ესრეთ თქუა, უკუნ იხსნა ხელნი თჳსნი ჯუარის სახედ ზედა ზურგსა თჳსსა მხიარულითა პირითა და კადნიერითა სულითა, ღაღად ჰყო ქრისტეს მიმართ და მოუდრიკა ქედი თჳსი მახჳლსა.

და ჰსცეს მას მახჳლითა სამგზის, რამეთუ ჰგონებდეს, ვითარმედ შიშითა მახჳლისათა განაშორონ იგი ქრისტესა; ხოლო წმიდა იგი მარტჳრი დუმილით მხნედ მიითვალვიდა მახჳლსა მას ვიდრემდის შეჰვედრა სული თჳსი უფალსა [1]).

---

[1]) 790 წელსა, 6. იანვარსა.

და ვითარცა იხილეს ქრისტეს მბრძოლთა მათ შემასმენელთა წმიდისა მის მოწამისათა, რამეთუ სრულ იქმნა ნეტარი იგი ქრისტეს მიმართ და ღუაწლი კეთილი მოიღუაწა და სარწმუნოებითა და მოთმინებითა ჰსძლო მათსა მას სიბორგილესა.

და უფროსღა აღივსნეს შურითა და შევიდეს წინაშე ამირისა მის და ჰრქუეს: ჩუენ ვიცით, რამეთუ ჩუეულება აქუს ქრისტეანეთა ესე სახედ, თუ ვინმე თავი მოიკლის ქრისტეს მათისათჳს, მოიპარიან გუამი მისი და პატივ ჰსციან მას დაფლვითა და ტუილით რეცა თუ სასწაულსა და კურნებასა რასამე განსთქუმენ ერსა შორის და სამოსელსა და თმასა თავისა მისისასა და ძუალსა მისსა განიყოფენ, რეცა ძღუნად სნეულთათჳს და ამით სახით მრავალნი უცებსი შეიტყუჳნიან; არამედ ბრძანე გუამი მისი მოცემად ჩუენდა, რათა განვიღოთ და დავწუათ იგი ცეცხლითა და განვაქარვოთ იგი და აღვხოცოთ საცთური იგი ქრისტეანეთა, რათა იხილონ ყოველთა და შეეშინოს და რომელნიმე მათგანნი მოიქცენ ჩუენდა და ჩუენგანთა ეშინოდისა და არღარა შეუდგენ სწავლასა ქრისტეანეთასა და ამას დაღათუ ქრისტეანეთა შურისათჳს იტყოდეს, არამედ ჭეშმარიტსა და მართალსა წამებდეს, ვითარცა იგი არიან ქრისტეს მოწამენი მკურნალ და მეოხ ყოველთათჳს, რომელნი მიეახლნენ მათ ქრისტეს მიერითა საკჳრუელითა და სარწმუნოებითა. ხოლო ჰრქუა მას მსაჯულმან მან, წარიღეთ ვიდრე გნებავს და ჰყავთ, ვითარცა თჳთ იცით.

მაშინ გამოვიდეს და აღიღეს ქუეყანით პატიოსანი იგი გუამი მისი და შთადვეს იგი გუალაგსა მას აღსაკიდებელსა სამოსლით მისითურთ და სისხლი იგი დათხეული მართლისა მის აღმოთხარეს ქუეყანით და რათურთით არა დაუტევეს ქუეყანასა და იგიცა შთადვეს ჭურჭელსა მას შინა და დადვეს წმიდა იგი ურემსა ზედა მსგავსად მხნეთა მათ წმიდათა ორმეოცთა, რამეთუ წესვე ეგრე იყო, რათა ემსგავსოს იგი ახოვანთა მათ მარტჳრთა ორმეოცთა.

რამეთუ სადა იგი მოჰკუეთეს თავი წმიდასა მას მოწამესა, კართა ზედა ხუფ წმიდისა ეკკლესიისათა, რომელი სახელად წმიდათა მათ ორმეოცთა მარტჳრთა დაფუძნებულ იყო და ვითარცა გამოიღეს წმიდა იგი გუამი წმიდისა მის გარეშე ქალაქსა მას და აღიღეს ადგილსა მას, რომელსა სადოდებელ ეწოდების, რამეთუ მუნ არს საფლავები კაცთა მის ქალაქისათა და მუნ გარდამოიღეს იგი ურმისა მისგან და დადვეს იგი ქუეყანასა და მოიღეს თივა და შეშა და ნავთი და დაასხეს გუამსა მას ზედა წმიდისა.

და აღაგზნეს ცეცხლი ვიდრემდის დაწუნეს ხორცნი იგი წმიდისა მოწამისანი ადგილსა მას, რომელ არს აღმოსავლეთით ციხესა ქალაქისასა, რომელსა სადილეგო ჰრქჳან, პირსა ზედა კლდისასა, რომელ არს კიდე მდინარისა მის დიდ' რაჲ, რომელი განვლის აღმოსავლით ქალაქსა, ესე არს სახელით მტკუარი; ხოლო ადგილსა მას მათ თანა არვის აუფლეს მისლვად ქრისტეანეთაგანსა, ვიდრემდის აღასრულეს დაწუა იგი ხორცთა მათ წმიდისა მოწამისათა.

ხოლო ძუალთა მათ წმიდისათა, რომელთა ვერღარა უძლეს დაწუად, შთაკრიბნეს ტყავსა ცხოვრისასა და შეკრნეს მტკიცედ, მოიხუნეს და შთაყარნეს იგი დიდსა მას მდინარესა ქუეშე ხიდთა ქალაქისათა, რომელსა ზედა აღმართებულ არს აწ პატიოსანი იგი ჯუარი ხიდისა და იქმნა წყალი იგი მდინარისა მის წმიდათა მათ ძუალთა სამოსელ გარე შეხუევითა მით და სიღრმე იგი წყლისა მის საფლავ წმიდისა მის მარტჳრისა, რათა არავინ უდებად მიეხოს მას. ქრისტეს მბრძოლთა მათ ესრეთ ჰყუეს და ესრეთ, ღუაწლი კეთილი მოიღუაწა ნეტარმან მან, მაშინ იწყო სიმრავლემან ქალაქისა ქრისტეანეთამან, განაგდეს შიში მძლავრთა მათ და განვიდოდეს ყოველნი ადგილსა მას, სადა იგი დაწუნეს ხორცნი წმიდისა მოწამისნი: მოხუცებულნი მირბიოდეს კურნებითა თჳსითა, მკელობელნი ხლდომით, ვითარცა ირემნი, ჭაბუკნი სრბით, ურმანი ხლდომით ურთიერთას, დედანი

მსგავს იყვნეს წმიდათა მათ მენელსაცხებელთა, რომელთა სრბით მიაქუნდა სულნელი იგი წმიდასა მას ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა საფლავსა.

ნანდჳლვე იყვნეს ესენიცა მსგავს მათდა, რამეთუ რბიოდეს ცრემლითა და მიაქუნდა მათთანა სანთლები და საკმეველი ხელითა თჳსითა, ყოველნივე სიხარულითა და მადლობითა ქრისტესითა მივიდოდეს და ადიდებდეს მიწასაცა მის ადგილისასა და მრავალნი სენთაგან შეპყრობილნი მოჰყუესანდეს და მასვე დღესა შინა განიკურნებოდეს. ხოლო ყოვლად ძლიერმან ღმერთმან, უფროს გამოაჩინა ძალი თჳსი და პატივჰსცა თჳსსა მას მარტჳრსა და აჩუენა სასწაული საკჳრველი, რათა უწყოდიან ყოველთა, ვითარმედ ქრისტეს მოწამე არს.

ვითარცა შემწუხრდა დღე იგი და იყო ჟამი პირველი ღამისა მის, გარდამოავლინა უფალმან ადგილსა მას ზედა ვარსკულავი მოტყინარე, ვითარცა ლამპარი ცეცხლისა, რომელი მყოვარ ჟამ დგა ადგილსა მას, სადა დაწუეს ნეტარი იგი მოწამე ქრისტესი.

და დგა იგი ზე ჰაერთა, ვიდრე სამ ჟამადმდე, გინა უმეტესღა ღამესაჲ მას, რომელი გამოუტეფებდა ბრწყინვალებათა, არა თუ ვითარცა ცეცხლი ესე ქუეყანით, არამედ ვითარცა საშინელებაჲ ელვისა, რომელსა ხედვიდა ყოველი იგი ქალაქი და თჳთ მსაჯული იგი და ყოველი ერი მისი და მკჳდრნი იგი ქრისტეანეთანი და ყოველნი სარკინოზნი და მწირნი სხჳთ მოსრულნი, მყოვარ ჟამ ხედვიდეს თუალითა მათითა, ვიდრემდის ჰკდემებოდესცაჲ მძლავრთა მათ და მივინვე ვიდეს ხილვად ადგილსა მას მსახურთაგანნი მსაჯულისა მის ამირისანი; რამეთუ ჰგონებდეს ნუ უკუე ქრისტეანეთა აღანთეს სანთელი ადგილსა მას, იხილეს, რამეთუ ამაღლდებოდა ვარსკულავი იგი ზე ჰაერთა და ვერ მიეახლნეს ადგილსა მას, რამეთუ შიშმან საღმრთომან შეიპყრნა იგინი. ხოლო კუალად მეორესა ღამესა უმეტესღა წყალთა გამოჰსცეს განსაკჳრველი ნათელი და რომელთა იგი საცთურ ეგონა ქუეყანასა ზედა და ჰაერსა ქუეშე ცეცხლი იგი ზეცისა და უნდა დაფარვად საკჳრველებათა მათ, კუალად წყალთა ვერვე დაავენეს და ვერცა დაშრიტეს ფიცხელთა მათ ღელვათა და მფოფინარეთა სიღრმეთა, სადა იგი შთაყარნეს ღმრთივ პატივცემულნი იგი ძუალნი სანატრელისა მის მოწამისანი, ხიდთა მათ ქუეშე აღმობრწყინდეს ნათელნი სანთლის მსგავსად, ვითარცა ელვანი, რომელნი კუალად მყოვარ ჟამ დგეს და განათლებულ იყო გარემოს კიდეთა მის მდინარისათა კლდე იგი და ჯბოდენი და ხიდი იგი ქუეითგან ვიდრე ზედმდე, რომელსა ეგრეთვე ყოველი სიმრავლე ქალაქისა მის ხედვიდა, რათა ყოველთა ჰრწმენეს, რამეთუ ჭეშმარიტად იესო ქრისტეს ძისა ღმრთისა მიერ არს და ფულის ხმა ჰყოფ ყოველთა ქრისტეს მორწმუნეთა და ურწმუნოთაცა; რამეთუ ჭეშმარიტ არს სიტყუა იგი ღმრთისა, რომელ თქუა ვითარმედ «მე თუ ვინმე მსახურებდეს, პატივჰსცეს მას მამამან ჩემმან, რომელ არს ცათა შინა», უკეთუ ხორცთა ამათ განხრწნადთა ესოდენი პატივი აწვე აჩუენა, რაოდენ უფროს უხრწნელად აღდგომასა მართალთასა, დიდებითა და პატივითა გჳრგჳნოსანნი იხილონ შორის ანგელოზთა და რცხუენოდის უგუნურად სიბოროტისა მათისათჳს, რომელთა ქრისტე უარ ჰყუეს და წმიდათა მისთა ჰგუემდეს და სდევნიდეს და მოჰკლვიდეს, ხოლო ღმერთი შეიწყნარებდა ცათა შინა.

ხოლო ჩუენდაცა საყუარელნო ჯერ არს ჩუენდაცაჲ ამიერითგან უმეტესად შეწყნარებად პირველთა მათ სანატრელთა მოწამეთა, რათა ხილულისა ამისგან ახლისა მოწამისა პირველთა მათცა გურწმუნეს და ვთქუათ სიტყუა იგი ნეტარისა დავითისა, «პატიოსან არს წინაშე უფლისა, სიკუდილი წმიდათა მისთა», რამეთუ მისა ჰშუენის ყოველი დიდება და პატივი და თაყუანისცემა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

## მეოთხე თავი, ქებაჲ წმიდისა მოწამისა აბოსი.

აწ მოვედით ქრისტეს მორწმუნენო და ვდღესასწაულობდეთ ხსენებასა ახლისა ამის წმიდისა მოწამისასა, რომელი ყოველსა ამას სოფელსა ჩუენსა ქართლისასა, მეოხ ჩუენდა ქრისტიან მოგუანიჭა და სიხარულითა მრავლითა განვახუნეთ საუნჯენი გულთა და გონებათა ჩუენთანი და მხიარულითა პირითა და განმარტებულითა ენითა, ვაქებდეთ კეთილად მოღუაწებასა მისსა და ვიტყოდით.

«გიხაროდენ სანატრელო მოწამეო უფლისა მიერ, რომელ შენ უკანასკნელი ესე მუშაკი მაცხოვრისა ჩუენისაჲ მეთერთმეტისა ჟამისაჲ მღდევრითა მათ თანა აღმსთობილთა მიიწიე და მათ თანა სასყიდელსა არაჲ დააკლდი. გიხაროდენ მოწამეო უფლისა მიერ, შენ მიემსგავსე უკანასკნელსა მას მოციქულსა პავლეს, მამულთა მათ ჰჯულთა და მოძღურებათაგან განგდებითა და ქრისტეს ძისა ღუთისა აღსარებითა, მსგავსადვე მისა თავი მოგეკუეთა, აწ ვინმე ღირსად გაქებდეს შენ ჭეშმარიტად საქებელსა, მნებავს ქებად შენდა, ყოვლად ქებულო ქრისტეს მოწამეო, არამედ ვერ ვიკადრებ, რომელ უფროჲს გონებისა ჩემისა აღმაღლდა სათნოებათა შენთაჲ.

და ყოვლად მეშინის მე დადუმებად, რომელ სანატრელითა მით ქრისტეს მიერითა სიყუარულითა შემიყუარე მე, ვიდრე იყავლა სოფელსა ამას შენთა ჩუენსა, აწ ნუ უკუე დაყენებითა ენისა ჩემისაჲთა ქებასა შენსა დაყენოს ჩემთჳსცა მოღუაწებაჲ მეოხებისა შენისაჲ ქრისტეს მიმართ.

აწ შენ მიერვე მოღებითა მადლისა მის ქრისტესისათა, მსგავსად ძალისა ჩემისა, გაქებდე შენ მშუენიერებითა შემკულო უფლისა მიერ. გიხაროდენ სანატრელო მოწამეო უფლისა მიერ, რომელშენ, თუალითა მხილველთა და ჴელით მსახურთა წმიდათა მოციქულთა ქრისტესთა უხილავაჲ სარწმუნოებითა და სიმხნითა აღსარებითა, ნეტარებაჲ მოიგე, რომელ შენ მამამან ზეცათამან მხოლოდ-შობილისა ძისა თჳსისა მიერ გჳრგჳნოსან გყო და სულისა წმიდისა მადლითა აღგავსო შენ ძემან მამისა მიერ შეგიწყნარა და სულმან წმიდისამან გადიდა.

შენ სულმან წმიდისამან შეგიყუარა და მამისა და ძისა თანა ერთობითა თჳსითა პატივცა და ღუაწლისა მძლედ გამოგაჩინა; შენ ზედა განუკჳრდა ანგელოზთა წესსა, რომელ ვითარცა უხორცომან დაითმინე სიკუდილი ქრისტესთჳს, შენ ზედა მამათ მთავარნი იხარებენ, რომელ ნეტარმან აბრაამ, თჳსთა ნაშობთაგან შეგიწყნარა, წიაღთა თჳსთა ქრისტესთჳს, რომელ იგი კარავსა თჳსსა შეიწყნარა და მისგან მრავალთა ნათესავთა გამოჩინდა მადლად; შენ ქრისტეს მოწამეთა მათ ნაყოფ ექმენ და მოციქულთა მოწაფე.

შენ მოწამეთა მათ შორის ზეცისა მეუფისასა მას მატიანსა სახელით დაიწერე და მარტჳრთა თანა გჳრგჳნოსან იქმენ შენ აღმსარებელთა მათ თანა განეწესე და მართალ თანა დიდებულ ხარ.

შენ თჳს ფარულად და მიკჳრდების ჩუენ წმიდაო მოწამეო, რომელ ჟამსა ამას ოდენ, მეფობისა ისმაიტელთა დიდებასა, შენ ნეფსით, სიმდაბლე ქრისტესთჳს აღირჩიე და მახჳლითა პყრობილი იგი ჰსჯული განაგდე და ჭეშმარიტი იგი აღიარე და ჯუარცმულსა მას თაყუანის ეც უფლად და ღმერთად.

ვისაჲ, ანუ ვისგან ისწავე, ქრისტესთჳს ესოდენი ცნობაჲ, რომელნ საკჳრველებამან აღგიყუანა შენ დიდებასა სასუფეველისასა, შენ ჭეშმარიტად მარჯუენით მას ავაზაკსა ემსგავსე, რომელ გაქუნდა შენცა ერთი შენთანა პყრობილთაგანი ნაშობი ქრისტეანეთაჲ, რომელი განდრეკილიყო ქრისტესგან და მიდევნებულ ჰსჯულსა უცხოსა.

ხოლო კუალად ქრისტეს აღსარებისათჳს შენ თანა განიკითხუოდა, არამედ საწყალობელსა მას კუალადცა უბრკუემა და დაეცა, რომელ შიშისაგან სიკუდილისა საწუთროჲსა ესე შეიწყნარა და საუკუნოჲ იგი წარწყმიდა.

მტერმან ბოროტმან აღიტაცა და ცხოვარი იგი ქრისტესი ნამგლევ იქმნა, რომელ მწყემსა მას კეთილსა განეშორა და არგასი იგი ქრისტეს ძლიერებაჲ განაგდო ჴელთაგან თჳსთა, ამისთჳსცა იძლია და განვარდა სამწყსოჲსაგან პირმეტყუელთა ცხოვართაჲსა.

ხოლო შენ სანატრელო მოწამეო, კუერთხითა მით ჰსჯულითა თჳსითა დაგიცვა მსგავსად ძლიერისა მის სარწმუნოებისა შენისა მისა მიმართ, შენ ავაზაკსა ესწორე სარწმუნოებით და სამოთხესა განეწესე. შენ კარი იგი სამოთხისაჲ განაღე ჯუარითა ქრისტესითა და მცუელთა მათ ქერობინთა ცეცხლის მსგავსთა ვერ განკითხეს, ვითარმედ ვინ ხარ და რაჲღამე ვთქუა უფროჲსღა, რომელ უფალმან ივნო ჩუენთჳს, უბრალომან ბრალეულთათჳს დასთხია სისხლი თჳსი უბიწოჲ.

ხოლო შენ გარდაიხადე თანა ნადები, რომელშენცა დასთხიე სისხლი თჳსი სიყუარულისა მისისათჳს, ამისთჳსცა ძლევისა გჳრგჳნითა შეგამკო შენ და სასუფეველსა მისსა მკჳდრად გამოგაჩინა.

შენგამო წმიდაო მოწამეო სიყუარული იგი ქრისტესი ჩუენდამო და სარწმუნოებაჲ ჩუენი მისა მიმართ ყოვლად განახლდა, რამეთუ აღვირიენით ერსა უცხოსა ჰსჯულითა განდგომილსა ქრისტესგან ნათესავსა საწუთროჲსა, ამის მოყუარესა თესლსა ურწმუნოსა, ძისა ღუთისასა სარწმუნოებისა ჩუენისა მაგინებელთა, რომელთაგან ვისწავენით საქმენი მათნი და ვჰმოხნებდით გულის თქმასა გულთა ჩუენთასა, მიბაძვებითა მათითა, ვითარცა უსასოონი ქრისტესგან და დამვიწყებელნი საუკუნოჲსა ცხოვრებისანი.

ხოლო აწ შენ მიერ, მოგუეახლა ქრისტე და ჩუენ გულისხმა ვჰყავთ კუალად შიში მისი და სიყუარული მისი და მადლსა მისსა ღირს ვიქმნენით და სიყუარულსა მისსა და წყალობასა დღითი დღედ მრავალთა სასწაულთა და კურნებათა ჩუენ შორის გამოჩინებითა.

შენ უგუნურთა მათ შემწირუელთა შენთა მახჳლითა და ცეცხლითა, უმეტეს ალისა განგაბრწყინვეს შენ, ვერ გულის ხმა ყუეს უგულის ხმოთა მათ, სიტყუაჲ იგი უფლისა, ვითარმედ იყოს, ყოველმან, რომელმან მოგწყჳდნეს თქუენ, ჰგონებდეს, ვითარმედ მსხუერპლი შეწირა ღუთისა, ჰოი! უგუნურებაჲ და უმეტეს უგუნურებაჲ იგი მათი, რაჲმე რომელ იგი პირუელ არა ვინ გიცოდა, ვითარმედ ვინ ხარ, ანუ რომლისა ნათესავისაგან, ანუ რომლისა ერისაგან, ანუ რომელითა ჰსჯულითა სცხონდებოდე, აწ ესერა უნებლებით წარმოგაჩინეს საცნაურად, ქრისტეს აღმსარებელად და მარტჳრად ყოველთა შეგისწავეს შენ, ყოველთა დაბადებულთა პატივ-გცეს, რომელცაჲ მოწამე არს, სიმართლესა შენსა უცხოჲსა ცეცხლისა გარდამოვლინებითა, ადგილსა მას ზედა, რომელსა ვითარცა კრავი უმანკოჲ შეიწირე შემწუარი ცეცხლითა.

შენ ქუეყანამან მსხუერპლად წმიდად სათნოდ მიგიპყრა ღმერთსა მას ზედა და წუევით პატიოსნისა გუამისა შენისაჲთა, რომელ გექმნა შენ, ვითარცა საკურთხეველი იგი აბელისი, ენოქისი, აბრაამისი, ელიაჲსი, რომელნი იგი მრგჳლიად დასწუელთა მათ ტარიგთა შესწირვიდეს ღუთისა.

და კუალად ადგილი იგი სამსხუერპლოჲსა შენისაჲ ემსგავსა ბერვასა აჰრონისსა და ზაქარიაჲსა მღუდელთასა, რომელ ნაკუერცხალსა მას ზედა ცეცხლისასა აღჴდოდა ვითარცა, სულნელებაჲ საკუმეველთაჲ ხორცთა მაგათ შენთაჲ, წინაშე უფლისა წმიდასა მას წერილთასა ზეცისა საკურთხეველსა.

შენ მდინარეთა მაგათ შეგიწყნარეს, ვითარცა ქრისტეს მარტჳრი, ხოლო ქრისტემან ღმერთ-მან სიღრმეთა მათ სიბნელე ზეცისა ნათლითა განიბრწყინნა შენ ნათესავთა შენთა უცხო და განგ-დებულ გუამს. ხოლო ქუეყანამან ისმაიტელთა შორის, ვითარცა ვარდი ეკალთაგან გამოგარჩია და მიგიპყრა თჳსსა მას ეკლესიასა.

შენ ველურნი იგი ზეთის ხილი მოგიღო ქრისტემან და მტილსა მას შინა თჳსსა სამკჳდრე-ბელისა ნაყოფად კურთხევისად დაგნერგა და ნაყოფითა მით სარწმუნოებისა შენისაჲთა, ახარა ეკლე-სიასა, რომელსა შენთა იშუებენ ქრისტეს მორწმუნენი და ჰნატრიან შენსა მას მოღუაწებასა, შენსა მას სიმხნესა, შენსა მას მარტჳრობასა, შენსა მას გჳრგჳნოსნებასა.

ვითარ მე გაქებდე შენ ღუაწლის მძლეო წმიდაო მოწამეო, რომელ შენ ახალი იგი ქრის-ტეს მორწმუნე მოძღუარ ჩუენდა, იქმენ სწავლულნი, უფროჲს გულის ხმიერ ჩუენ შერყეულნი უფროჲს განამტკიცენ განმტკიცებულნი განამხიარულენ.

წარმართნი წადიერ ჩუენ ქრისტეს მოხებად სახსენებელი მარტჳრობისა შენისაჲ, ჩუენ დაგჳტევე სახელისა შენისა მითხრობად ყოველთა ქადაგ ვიქმნენით, აწ ვევედრებით შენსა ქრის-ტეს მოყუარებასა, მეოხმცა ხარ წინაშე მაცხოვრისა ყოველთათჳს, რომელნი შენ მიერ ითხოვენ წყალობასა, ქრისტეს ღუთისაგან, რომლისაჲ არს დიდებაჲ და პატივი და ძლიერებაჲ, თანა მამით და ყოვლად-წმიდით სულითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამენ [1]).

---

1) წმიდისა მოწამისა აბოსი სამარხჳრე ტფილისსა შინა არს, ხიდსა ზედა, რომელსა ეწოდების «მოწ-მეთა ხიდათ» მეტეხის მთის ძირს.

## თჳ სეკდემბერსა ივ დღესა, შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდათა მოწამეთა ისააკ და იოსებისი, ვნებულთა ქალაქსა შინა თეოდოსი-პოლსა[1].

დაინაკჳმთა სასანთლე, მრჩობლ სანთელი:

ოჳვაზისაგან, ოქრო ჭყინწმედილისა.

იღმერთ სასხელა ვით ხატმან და ზიარმან.

პირჳმლ ნათლისა აუგებელისამან,

ისააკ საღმრთომან, ყოვლად ბრძნით იოსებით.

თქმული ანტონ კათალიკოზის მიერ.

ჴსთქჳა სიბრძნემან იგავთა შინა (სოლომონისთა) (იგავ. 18, 36.) «რომელნი ჰსცოდვიდენ ჩემდა უღმრთოებენ, სულთა ზედა თავთა თჳსთასა და, რომელნი მძულობენ, უყუარსთ მათ სიკუდილი». ჴსთქჳა სიბრძნემან კუალად (14), «ჩემი არს კრძალულებაჲ, ჩემი არს შურის-გებაჲ, ჩემი არს ძალი». კუალად (17), «მე მოყუარენი ჩემნი მიყუარანო და, რომელნი მეძიებენ მე მპოვონ». ხოლო ვინათგან უწყებულ ვართ ამისდა და სარწმუნოდ შეგჳრაცხიეს, სულისაგან წმიდისა ჩუენდა მოცემულითა გულისხმის-ყოფითა, ვითარმედ სიბრძნე (7) აღადებს ბაგეთა თჳსთა მართლ და პირი მისი იწჳრთის ჭეშმარიტებასა და (8) სიტყუანი მისნი სიმართლით არიან და არა არს მას შინა გულარძნილ, არცა დრკუ, ვინა სათანადო არს ცნობად, ვითარმედ ვისიცა არს კრძალულებაჲ, რომელსა ფილოსოფოსნი, ზედ წოდებულ-ჰყოფენ ნათესავად სათნოებათა და ვითარცა არს შურის-გებაჲ სამართლად, რამეთუ შურის საგებელთად შესაბამი გებაჲ შურისა, კეთილგონიერ განგებულისაგან, წარმოებს სიბრძნისა. ხოლო კუალად ვისიცა არს ძალი და უცხრომელად მიდრეკილი მოქმედებისათა, მისდამი ცოდუა არს უღმრთოებაჲ. ამად, რომელ სათნოება იგი, რომლითა,

1) ქმნილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა, ყოვლისა ზემოსა საქართუელოსა, დავითისა ბაგრატოვანისა; სიტყუა ით. შემდეგ იყო კათალიკოზად სრულიად საქართუელოსა.

(გალატ. 2, 16.) «განმართლდების კაცი და არა საქმეთაგან ჰსჯულისათა», არს დაცჳა, მცნებათა მათ (მატ. 22, 33.), რომელთა ჰსჯული და წინასწარმეტყუჱლნი მოკიდულ არიან და ესენი არიან სათნოებანი სახენი კრძალულებისანი. ხოლო ყოველი ჰაზრებული ნათესავისათჳს უიჭჳლოდ ჰაზრებულ, სახეთა თჳსცა, ვინა ყოველი მცოდჳჱლი კრძალულებისად მცოდჳჱლ არს სათნოებადთცა.

ყოველი ჰაზრებული ბუნებისად ჰაზრებულ თჳსებადცა საკუთართა ბუნებისათა, ხოლო კრძალულებაჲ არს საკუთარ და ბუნებით თჳსებაჲ სიბრძნისა, რომელისათჳს ყოველი ჰაზრებული სიბრძნისად ჰაზრებულ კრძალულებისადცა, ვინაჲცა წარმოებს კიდურ-მდგმოებაჲ, მაშა სადამე ყოველი მცოდჳჱლი კრძალულებისად, მცოდჳჱლ სარწმუნოებისა მიმართ ქრისტე იესოსის, რომლითა, განმართლდების კაცი და (მატთ. 22, 37.) სიყუარულისად მიმართ ღმთისა და მოყუასთასა, რომლისად მოკიდულ-არიან ყოველი ჰსჯული, და წინასწარმეტყუჱლნი.

ხოლო ვინაჲთგან უღმრთოებაჲ-არს მცოდჳჱლ-ყოფაჲ სიბრძნისად, რომელიცა (იგავ. 8, 22,) უფალმან დაამტკიცა იგი დასაბამად გზათა თჳსთა, ხოლო ცოდჳაჲ რაჲმე იყოს მისდა, განაღა არა შიში უფლისა, რამეთუ დასაბამი (ფსალ. 116, 10.) სიბრძნისა შიში უფლისა და გულისხმისყოფა, კეთილი ყოველთა, რომელთა ჰყონ იგი და ქებაჲ მისი ეგოს უკუნისამდე, ვინა (111.) «ნეტარ არს კაცი რომელსა ეშინის უფლისა, მცნებათა შინა მისთა ინებოს ფრიად»,

ხოლო ვინაჲთგან კრძალულებაჲ ნათესავი არს სათნოებათა და კრძალულება იგი არს თჳსებაჲ სიბრძნისა ბუნებისა და შიში უფლისა არს დასაბამი სიბრძნისა, დაღათუ სახედცა კრძალულებისა იცნობვისა, ვინა შიშის უფლისა მომგები ბრძენ არს, რომელსა კიდე იჭჳსა მოუგიეს კრძალულებაჲ და მომგები კრძალულებისა, ვითარცა, ნათესავისა სათნოებათასა მოშიშ არს უფლისა. ხოლო ორად სადამე წჳალებულ შიში უფლისა, ესე იგი ძეებრ და მონებრ: ძეებრ, ვითარ იგი ძესა ეშინის მამის მოყუარესა მამისაგან, რომლისათჳს ითქმის (1, იოჰ. 4, 18.) «სრულმან სიყუარულმან გარე განსდევნის შიში და ესე შორის უვნებელთა ოდეს არს». ხოლო მონებრ და ესეცა იწჳალვის ორადვე მონებრ, ვითა არა ერთგულისაგან მონისა, შიში ყოვლისაგან სიყუარულისა დაკლებულ არს და ვინამე გმობადმდე მიიწევის, ვითა შიში უფლისაგან სახიერისა და ტკბილისა, გარნა სიმართლითა მიმგებელისა შეცოდებულთად. ხოლო მოშიშებაჲ ესე უფლისაგან თუ სადამე გარეგან ზომისა არს, ვისცა შორის არს, არა სრულებისა მისისა ცხად-ჰყოფს, (1, იოჰ. 4, 18.) რამეთუ შიში არა არს სიყუარულისა თანა, არამედ სრულმან სიყუარულმან გარე განჰსდევნის შიში, რამეთუ შიშსა ტანჯჳა აქუს, ხოლო მოშიში იგი არა სრულ არს სიყუარულსა ზედა.

მოშიშთა უფლისათა თჳსება არს ჰხედჳჱნ რა, მოსავთა მცნებითა უფლისათა, იხარებენ (ფსალ. 118, 24), ხოლო ვინაჲთგან, (ჰსჯუ. 115, 54.) შეუყუარება უფლისა, ყოვლითა სულითა, ყოვლითა ძალითა და ყოვლითა გონებითა არს, ესე გუარი მცნებაჲ (მატ. 22, 37.), რომლისად მოკიდულ არს ყოველი ჰსჯული მოქმედთამი ამის მცნებისათა, თუ სადამე გუაქუს შიში უფლისა თანა გუაძს, რათა ვიხარებდეთ.

ხოლო ვინაჲთგან «უფროსა ამისა სიყუარული არა ვის აქუს, რათა დაჰსდვას სული თჳსი მეგობართა თჳსთა თჳს», სიტყჳსაებრ უფლისა ვინა დამდებელნი სულთანი უფლისათჳს არიან სახარულევას მოშიშთად უფლისა.

სიხარულ არს (ჰსთქჳს ფილოსოფოსთა) აღსავალი უდიდესი შუჱბისა, ხოლო შუჱბაჲ გრძნობა სრულებისა, ხოლო სრულება თანა-კმობაჲ ხუაობათა შინა, ანუ თანა კმობა ერთსა რაჲმესა შინა მრავალთა განსხუავებულთა და ოდეს მრავალნი სათნოებანი ერთსა შინა ჰაზრსა, ესე

იგი ერთისაგან წმიდისა კათოლიკე სამოციქულო ეკკლესიისა, ჰყრობილსა ერთსა შინა სარწმუნოებასა, შეწევნილსა სიყუარულისაგან თანა-ჴმობენ, ანუ მრავალნი ერთისა უფლისად მოგებულსა, სიყუარულსა შინა, წმიდისაგან სარწმუნოებისა წარმოებულსა ერთგონიერებდენ და ამისთჳს, მათგან შეუყუარებულისათჳს დადებითა სულისათა მოქმედებენ, შინაგნით ვნებულნი, სულთა შინა და ვნებანი იგი იცნობდენ თეორეტიკებრ; ხოლო გარეგნით სხეულსა შინა და ვნებანი ესე პრაკტიკებრ, რამეთუ შინაგნითმან სულსა აღტყინებულმან, ცეცხლმან, უგრძნობელ-ჰყუნა ჴორცნი განლევად, ესე არს მოსავ ყოფაჲ უდიდესი მცნებათა მიმართ უფლისათა.

ამათ სიბრძნის-მოყუარეთად, მოსავთა მცნებისა უფლისათა, იხარებენ მოშიშნი უფლისანი, უდიდესითა აღსავალითა შუებისათა და იშუებენ უდიდესითა გრძნობითა სრულებათათა.

ვაკურთხო უფალი ყოველსა ჟამსა, მარადის ქება მისი პირსა ჩემსა ამისთჳს (ფსალ, 33, 1.) სარწმუნო იქმნნეს ფრიად, რამეთუ (93, 3.) მან მიუგონნა, პირველად ძალნი ანგელოსებრნი (ღმრთისმეტყუელისა ქრისტესმობისა თჳს.) და ზეციერნი და მოგონებაჲ იგი იყო საქმეჲ სიტყჳსა აღსრულებული და სულთა სრულ ქმნილი; ხოლო (მისივე და სიტყუა იგივე.) მეორედ სოფელი ნივთიერი და ხილულნი, რომელ არს ესე ცისაგან და ქუეყანისა და მათ შორისთა ესე შეერთებაჲ გერძოთა და შეზავებად მიდრეკაჲ ურთიერთარს, რომელი უსაქებელესსა თანა-ჴმობასა და კეთილ-შეზავებულებასა უჩვენებს მცნობელთა თჳსებათა თჳსთა, ვინაჲცა საკჳრველი ესე სისტემაჲ, განაკჳრვებს რა გონიერსა და მნებებელსა სულსა აიძულებენ წარმოდგომად და განჭჳსჯად, რამეთუ უსაკჳრველესისაცა შემძლებელ-იყო ღმერთი მოგონებად და ქმნად.

ვინა ესთა მოგონებისა და ქმნისა შემოქმედი არსებაჲ, ნამდჳლ სულ-არს მარტივ და გონებისა და სიტყჳსა და ცხოველობისად მიფენილ არს მხოლოობისა თჳსისა განკუეთელად, ხოლო უცხო-არს ზადიერებისაგან, რამეთუ შემოქმედსა სულთასა თჳს ეყჳს, ესე ვითარმედ, რათა იყოსმცა ყოვლისა წარდინებისაგან და მოკლებისა ზესთა. კუალად ვინაჲთგან სულსა შეტოლებულსა მიეცკდების პატივი და კეთილი დაბადებულებისა თჳსისაებრ მდგმოებისა შინასა სულსა მიემადლების ჯილდოჲ, ესე გუარი უკუე არსებაჲ, რომელსა შეუდგების საჭიროდ კეთილი და მართლ-მსაჯულებაჲ უზადო იყოს, ყოვლისაგან რაჲვეჲსაცა, ცუალებისა და ვინაჲთგან მიქცეულთა კეთილობისადვე ჴორცთა, თანა შეკრულებისათჳს სულთასა, მოჰსცემს პირველსავე მდგომარეობითასა კეთილობასა, ვინა მოწყალე და სახიერ არს სადამე ბუნებით და ამისთჳს (ფსალ. 32, 9.) უყუარს წყალობაჲ და მჰსჯავრი უფალსა, ვინა ვაკურთხო ყოველსა ჟამსა, მარადის ქება მისი პირსა ჩემსა.

ესე უკუე ცნობაჲ ღმრთისათჳს, რომელი დაიდუა ჩუენგან ზემო დაღათუ გულის-ხმის-ყოფისაგან ნიჭებულებისა იქმნების სულთა ჩუენთა შორის; მაგრა სიბრძნისა გმევითა იპოვნების, რამეთუ კეთილთა საშუალთა, კეთილთა თანა დასასრულთა შეერთებაჲ ყოველსავე ჩუენსა, კეთილ გონიერად განაგებს, ვინაჲცა (იგავი. 8, 36.), რომელნი სიბრძნესა ჰსძულობენ უყუარსთ სიკუდილი, (17.) ხოლო რომელნი ეძიებს ჰპოებენ მას.

(ფსალ. 33, 12.) მოვედით, ჰსთქუა, შვილნო ისმინეთ ჩემი, შიში უფლისა გასწაო თქუენ, რამეთუ (18, 9.) შიში უფლისა წმიდა-არს და მცნება უფლისა ბრწყინუალე და განმანათლებელ თუალთა, რომელიცა უვნებისაგან მოგებისა, სულისა, მაშინ ოდეს სამთავრო, თჳთ მფლობელობითა სულსა შინა წმიდასა, იყოს შერყვნილთაგან და ბნელთა წარმოდგომათა, სადაცა მეუფე უფალი სავაოთ, სახლსა მას შინა თჳსსა, ესე გუარსა დიდებითა თჳსითა, სავსესა გამობრწყინდეს, (ისაი. 6, 1.) მჯდომარე საყდარსა ზედა მაღალსა და აღმატებულსა.

«შიშად უფლისად მიგვიყვანებს ნამდჳლ კაცთა წმიდათა მოშიშთა უფლისათა ჴსენებაჲ, ვითარმედ (ვასილი დიდისა ღუთის მეტყუელისა ეპისტოლე.) ყოველთა წმიდათა ცხოვრებანი სახენი სათნოებისანი არიან და ვითარცა მხატუარნი წინა-მდებარესა ზედა მაგალითსა მიხედუენ, რათა მჰსგავსებაჲ, იგი მისი შეუცვალებელად გამოსახონ, ეგრეთვე რომელსა ენებოს ყოველთა სათნოებათა სრულ ყოფად, სახედ ცხოვრებისა თჳსისა აქუნდინ, ვითარცა, მაგალითნი ცხოვრებანი წმიდათანი და მათსა მათს სათნოებასა, ისწრაფდინ სულსა შინა გამოსახუად» ამათ უკუე იტყჳს მზე, მოძღუართა შორის; ხოლო ვინაჲთგან საღმრთონი მარტჳრნი უდიდეს ჰბრწყინვენ წმიდათა შორის, რამეთუ მათ (ფსალ. 54, 11.) განვლეს ცეცხლი და წყალი და განვიდეს უფლისაგან მათისა განსასუენებელად, ესენი არიან, რომელნი (ებრა. 11, 33.) სარწმუნოებით ესე იგი ჰსწამებდეს წინაშე მჰსაჯულთა აღსარებასა ჭეშმარიტსა მოქმედებითა სიმართლისათა წმიდა ქმნილსა, რომლისათჳს მიემთხჳნეს აღთქმასა დაუყუნეს პირნი ლომთანი, დაშრიტეს ძალი ცეცხლისა, ესენი ძუელთათჳს მოღუაწეთა ჰსჯულისა უფლისათა, თქმული ყოვლად ბრძნისაგან მოციქულისა სულითა წმიდითა მოიღების, მითვე სულითა ყოვლად-წმიდითა მოღუაწეთათჳს ჭეშმარიტისა სარწმუნოებისათა.

ხოლო ჩუენ ვინაჲთგან მოვიცალეთ სხუათა თქმათაგან მოწამეთათჳს ოდენ ჭეშმარიტებისათა და ყოვლად-წმიდათა ტკივილთათჳს მათთა და სისხლისათჳს მათისა კეთილ-მითუალულისა ღუთისა მიერ და სამღუდელოისათჳს ვნებისა მათისა, გალობად და მოთხრობად ათ-ჩჳდმეტთა სიტყუათა შინა ქართუელთა მოწამეთათჳს მფარველთა ჩუენთა. ხოლო მეათ-რუამეტეჲ სიტყუაჲ ვჰყავთ ღირსთა მოწამეთათჳს სუქიქთა ვნებულთა ქრისტესთჳს, მთასა შინა სუკაკეთისასა ბარბაროსთაგან. აწ ვიტყოდეთ ვჰგალობდეთ და მიუთხრობდეთ სხუათა მოწამეთათჳს, ვნებულთა ქალაქსა თეოდოსიოპოლსა, რომელსა ჩუენ ზედ-წოდებულ-ვჰყოფთ კარნუ ქალაქად, რომელთა ჰჴსენებაჲ დასდუეს, პირუელთა მამათა ქართუელთა, სათთუეოთა მოსახსენებელთა შინა. ხოლო საღმრთოთა მათ მოწამეთა სახელნი ესრეთ უწყებულ არს ჩუენდა ისაკ და იოსებ.

მოვედით მარტჳრთ მოყუარენო მტილისადმი დაჰკშულისა და წყაროჲსად დაბეჭდულისა, რამეთუ ესე სოლომონ ქებათა შინა ზედწოდებულ ჰყო (ქება. 4, 12.) მტილად დაჰკშულად და წყაროდ დაბეჭდულად, ამას საღმრთოჲ გრიგორ ნოსელი (გრიგორ ნოსელი, ქება ქებათას განმარტება, თავი თ.) გონებად იტყჳს წმიდად სულისა კეთილისა უკუდავისა სიძისად დაწინდებულისად ვერ განღებულად ხორციელთაგან და გრძნობადთა გულის-სიტყუათა და ესრეთ დაბეჭდულად და დაჰკშულად მებრვე სიტყჳსა საზოგადოჲსა მოძღურისა საღმრთოჲსა ვიტყოდეთ, ეჰა წყაროჲ აღმომაცენი ცუართა კშირთა და რიცხუთა ქუეშე შეუუანად შეუძლებელთა, უსხეულოთა და მარტივთა, რომლისა მსმესელნი, იგინი ოდენ არიან, რომელნიცა მიბაძუად უხრწნელსა მას აღმოსადინელსა ცუართასა მოსწრაფებენ, ესე არს გონებაჲ მქონი ურიცხუთა მოძრავობათა, რომლისა მიმართ და რომლისა შორის მოვიდა სული ღმერთ-მთავარი და განუწმიდა გარემოჲ და უნივთოჲთა მოამრგუალა ფარგლითა გარემოჲ იგი, რათა სიხშომან ურიცხუთა ცუართამან ჰყოს დატევნაჲ ცუართა სიმრგულეთა მათ შინა განუზნეველად და წარუწყმედელად. ხოლო მიჰსცა ძალი გონებასა მას ყოვლად წმიდასა აღმოდინებად ურიცხუთა მათ ცუართა წმიდა მოწამეთასა და აღმოხლტიან რა წყაროჲსა მისგან, ყოვლად ჰკშირითა აღმოდინებითა მრავალ ბევრნი ცუარნი მხოლოჲსაგან ფიალისა დგებიან განუზნეველად დაცულნი, ერთსა მხოლოსა შეუდგმელსა სიმრგულესა შინა და ჰყოფენ შეკრებასა წყალთა ცხოვრებისათა.

გუეტყჳს წინაწარმეტყუელი (ისაია. 55, 1.) «წყურიელნი წარვედით წყაროჲსად და (12. 3.) აღმოივსეთ წყალი მხიარულებითა». მოვედით მოუჴდეთ მარტჳრთასა, რომელთა გწყურის ყოვლად წმიდათა მათ, ვნებათა მათთა ზიარ-ყოფასა და მივისწრაფდეთ წყაროჲსა მიმართ დაბეჭდულისა წმიდისა გონებისად მათისა, რომელთაგან აღმოდიან ცუარნი უხილავნი და მარტივნი წმიდანი, გულის სიტყუანი სულისა მიერ, ყოვლად წმიდისა და ჴმა მიზეზ აღმოდინებისა არს, ტივი სატრფიალოჲსადმე არსთა საწყურისა და ტრფიალებს ესე არს ბუნებითი არსებათა მრავალთა, არასად ერთისაგან, დროსა შინა მოუჴსენებელთა, რომელიცა [1]) საღმრთოჲსაგან მოძღუართა გისწავეთ მეტყუელთა (დიონოსიოს საღმრთოთა სახელ სატრფიალოთა ქებათა თჳს, თავი 4.) ვიწყოთ ყოველთაგან ერთად შემოკრებულისა ტრფიალებისათჳს, რათა მათ ყოველთა მამისა შემოუკრებით თანად და შემოუნივთოთ. ხოლო კუალად იტყჳს «რომლისა მიმართ აღიპყრობის ერთბამობით ორთოეული არსთაგანი და ყოველთა არსთა მიერ ყოველი ტრფიალებაჲ» ხოლო ცუარნი იგი ტრფიალებითნი, რომელნიმე ბუნებით ხატებისა ებრ სატრფიალოსა და რომელიმე მსგავსებისაებრ, რამეთუ (გრიგორი ნოსელისა, კაცის შესაქმისაგან მარტ. თავი 6.) სულისა მეფობისა და სიმაღლესა ცხად-ჰყოფს და გამოაჩინებს, თავის უფლებაჲ მისი და თჳთ მფლობელობაჲ, რამეთუ უცხო არს იგი მონებრივობისაგან და სიმკლოვისა და თჳსითა ნებითა და კელმწიფებითა განიგების და ვის აქუს სხუასა ესე ვითარი წესი თჳნიერ მეფისა; ესრეთ ვითარცა ხატიგულისხმიერ და მსებებელი არსებით, ჴსტრფის გონებაჲ მოწამეთა პირმშოჲსადმი მაგალითისა თჳსისა.

ხოლო მსგავსებისაებრ, რამეთუ (გრიგორისავე ნოსელის სიტყუა და თავი იგივე.) გაცობრივი ბუნებაჲ, ვისაჲთგან მთავრად სხუათა მათ შეიმზადებოდა მჰსგავსებითა მით ყოველთა მეუფისათა შემკული, ვითარცა სულიერი რაჲმე ხატი ესრეთ აღემართა, ზიარებად პირმშოჲსა ხატისა სახელითაცა და პატივითა, არა პორფირით შემოსილი, არცა სამეფოჲთა კუერთხითა და კუერთხითა და გჳრგჳნითა მეფობითისა პატივისა მქადაგებელი, რამეთუ არცა პირმშო იგი არს ამათ შინა, არამედ პორფირისა წილ, ემოსა ამას სათნოებაჲ, რომელი იგი უპატიოსნეს არს ყოვლისავე. ესრეთ სათნოებიერ ღუთისაგან, შექმნისა მიერ არს სული მჰსგავს ღუთისა, რომელითა შეუგინებელ დაცუამან ხატისამან გონებათა შორის მოწამეთასა და კორცთა შინა ჴყო, ხატებისა თანა, მჰსგავსებაჲ ღუთისა, რომლისა გამო სატრფიალოთა, ხატებითთა-თანა ცუართა, ესე იგი გულისა სიტყუათა სამღთოთა ჴყო აღმოდინება, მჰსგავსებითთა თანა, სატრფიალოთა ცუართა, ესე იგი, სათნოებითთა.

ხოლო ესე არს ესე ოდეს დაცუამან სასტრელთა შორის მარტჳრთა განუგმობელად ხატებისამან, ბუნებითისაგან განათლებისა, სულისა მიერ ყოვლად წმიდისა ადინნა გონებისაგან წყაროჲსა სიტყჳსა თჳსისა სიტყუანი, რომელ არიან მოძრაობანი წმიდანი ბუნებითად და იქუნეს ესე ყოველნი სატრფიალონი ნამდჳლ სატრფიალოსა მიმართ. კუალად ადინნა სათნო სათნოებითნიცა სიტყუანი მანვე გონებამან ესე იგი სარწმუნოებისაგან, ერთისა წმიდისა სიყუარულისა მიერ აღორძინებულისა და განმტკიცებულისა სიტყუანი სატრფიალონივე საღმრთოთა და სხუათა სათნოებითთა სიტყუათა. ხოლო ესე იყო აღმოდინებაჲ იგი, რამეთუ (ფილიპ. 1, 21.) გულსა უთქმიდავე კორცთაგან განსულად და ქრისტეს თანაყოფად უფროს და უმჯობეს ფრიად,

1) საღთოთაგან მოძღუართა, ესე იგი, იეროთეოს და დიონოსიოს.

ვინაჲცა სულმან ღმრთით-მთავარმან უქმნავე გონებათა მარტჳრთა ესე გუართა წყაროთა სიმგრგულე, რათა ყოველნი იგი თქმულნი ცუარნი მარტივნი არა სადამე განზნეულ იქმნენ, არამედ რათა იცუმნოდენმცა ერთსა შინა დასატევნელსა წყაროდ და წყლად ცხოვრებისად, ხოლო დაბეჭდაცა, რათა გასხრწნადთა და გრძნობადთა გულის სიტყუათა ვერ განაღონ იგი.

ამის და ხადილ გყოფ თქუენ მისულად და სმად, რომელთა შეგიყუარებიეს უფროს ქრისტე იესო, (1, ტიმ. 1, 19.) მოსრული ცოდვილთა ცხოვრებად და მართალთა უსრულეს ყოფად. მოვედით ვჰსუათ წყაროთაგან ცხოვრებისათა და გულის-ხმის-ყოფათაგან ქრისტესთჳს ვნებულთაგან, რამეთუ ესე სასმელად მორწმუნეთათჳს ჰქმნა ღუაწლის-დამდებულმან და არა სხუათათჳს.

ვინაჲცა უბრძანებს თჳთეულსა ჩუენსა ესე გუართა მიერ ბრძანებათა სიტყუებითა წერილთათა (იგავი. 9, 15.) «შჳლო ჰსუ წყალი შენთაგან ჭურჭელთა და ჯურღმულთაგან შენთა წყაროჲსათა» და კუალად (ისაია. 55, 3.) «წყურვიელნი წარვედით წყლისა მიმართ და რაოდენთა არა გაქუსთ ვეცხლი მოარულთა იყიდეთ», ხოლო კუალად აღმოივსეთ წყალი მხიარულებითა-წყაროებთაგან ცხოვრებისათა.

აღმოიჩინა კმად, ვითარმედ აწინდელთაცა ამათცა გალობად და შესხმად წინა მდებარეთა ჩუენდა ხსენება მოწამეთა სურჳლით არს საღმრთოჲსა მის გულის ხმის ყოფისა მათისა სუმა წყაროჲსა მისგან, სულისა მიერ ყოვლად წმიდისა დაბეჭდულისა და არს ზიარებაჲ, ყოვლად საგალობელთა ვნებათა მათითა, რამეთუ სულსა შინა სურჳლით მკსენებელთა მათთასა წარმოდგების ცხოვლადრე კსენებულნი იგი გუამნი ქრისტეს მოღუაწენი და სურჳლად თჳსადმი, იძულებულ ჰყოფენ მხსენებელთა თჳსთა და ვითა ცხოველნი იანა ჰსდგან შემსხმელთა თანა და წარმართებენ თჳსდა სურჳლსა შემსხმელთასა.

ესენი იჳთ მპყრობელისა ზედა ბერძენთა ზედა ნიკიფორე ფოკასსა, შობილნი ქალაქსა აზიურსა სახელით იეროდოსი-პოლსა დედისაგან კეთილ-მსახურისა ნათესავით ბერძენთასა, შჳლნი სარაცისა, რამეთუ მაშინ აზიურთა ადგილთა მრავალთა ჰფლობდიან სარაცინნი. ხოლო დედისაგან მორწმუნისა წურთილნი ჭეშმარიტითა სარწმუნოებითა კეთილ მსახურთა და საცხოვრებელთა ჩუენთა საიდუმლოთა მკსნელისა ჩუენისათა მეცნიერნი.

ესენი (ჰრომ. 11, 24.) ზეთისხენი დამყნილნი ბუნებითსა ზედა ზეთისხესა დედისა კეთილ მსახურითა განზრახვითა და (1, კორ. 3, 6.) დარგულნი სახარებითა პავლესითა (ფსალ. 1, 3.) თანა წარსადინელსა წყალთასა საცხოვრებელთა ჩუენთა საიდუმლოთა მოძღურებითა და ნებათასა და აღორძინებულნი ღმრთისა მიერ. ხოლო (3) ნაყოფსა დროსა შინა, გამომღებელნი ღუაწლისა კეთილისანი, რომელნი აღსარებითა ჭეშმარიტითა მოიღუაწეს და ფურცელნი მისნი არა დაჰსცჳვნენ რომლისა (ზირაქ. 4, 23.) მადლიეს ყოფაჲ დ შესახედავისა სიმწუანევე ჰსურის თუალთა ბრძენთასა.

ესენი დალათუ ურწმუნოებისაგამო მამისა მორჩნი ეკალთანი ნაღუარევისა კიდესა ზედა, მაგრა (იოილ. 3, 18.) ჰრწყულნი წყლისაგან სახლისა უფლისა გამოსრულისა, რომელი გამოვიდა მორწყუად ნაღუარევისა ეკალთასა, ხოლო დედისა სარწმუნოებისა გამო ჭეშმარიტისა, ვითარცა (ზირაქ. 24, 14.) ნაძჳნი ლიბანსსა შინა და საროსნი მთათა ზედა ჰაერმონისათა. ესენი კეთილ მსახურებისაგამო დედისა (15), ვითარცა ფინიკნი ამაღლებულნი კიდესა ზედა და ვითარცა ნერგნი ვარდისანი იერიხოსა შინა, ესენი მითვე (20), ვითარცა ზეთის ხენი კეთილ მშუენიერნი ველსა ზედა და ვითარცა ვენახნი აღმომაცენნი, მადლისანი, რომელთა ყუავილი არს ნაყოფი დიდებისა სიმდიდრისა.

ეჭჳ და ზავებაჲ გრძნობადი წადილისა და მიდრკილებისა ურწმუნოებითა, შერევნილთა წარ-მოდგომათა ქუეწმდებარისა სულისა და სულისავე სარწმუნოებითა ჭეშმარიტითა განათლებულისა, რომელმანცა აწარმოა გუამნი (იოან. 3, 6.) შობილნი ხორცთაგან ხორცად, დალათუ, მაგრა მეორისა კერძოჲსაგან ჰსჯარბა და ჰშთაჰყარნა სამოსა შინა კეთილ მსახურისა სანათლოჲსა აღმოშობად (6.) სულისაგან სულად. (1, კორი, 7, 14.) განწმდებისო (ჰსთქუა ყოვლად ბრძენმან მოციქულმან.) «ქმარი ურწმუნოჲ ცოლისაგან მორწმუნისა», ხოლო ვერ განჰსწმიდოს ურწმუნოებაჲ სხჳსა სარწმუნოებამან დალათუ, მაგრა განსწმიდოს ბიწი შეერთებისა ესრეთ, ვითარმედ ურწმუნოჲსაგან მაწარმოჲსა წარმოჲ დაჰყენოს ბოროტ ნაყოფობისაგან. ოქმულნი ესე მოწამენი ქრისტესნი რიცხჳთ ორნი სახელით ისაკ და იოსებ, სხჳთა მსგავსითავე თჳსითა სამობდეს და რიცხჳსა ერთობისა და სამობისა საღმრთოჲსასა თჳს შორის დაჰსდებდეს, რამეთუ ერთობაჲ სარწმუნოებისა კორციელად სამკუთხსა წევრობასა შეაქსჳდა ერთად, ხოლო დამსახურებლობითი თჳთებაჲ ხორციელი, რომელი თესლოვანებამან ძირთამან შეამთხჳა და შეაკრა მათგანსა თჳთოეულსა სული ასამებდა. ხოლო ერთისა წმიდისა კათოლიკე ეკკლესიისა ერთობაჲ ერთ გონიერებასა მიჰმადლებდა, რომლითა განათლდებოდეს გონებანი მათნი და სულნი დაიწერებოდეს უხილავად თითითა ღუთისათა და შეწყობილებაჲ წერილისა ასოთა იყუნეს სახენი გრძალულებისანი, ვინა შემდგომად კრეტსაბმელისა დაჰხსნისა, წარკითხულ იქმნნეს ხელოვანთ მთავრისა მწიგნობრისაგან.

ესე მოწამენი ნიადაგ ჭეშმარიტებისანი, თჳნიერ დროჲსა არა მაცხადენი, დალათუ სიტყუაჲ სარწმუნოებისა (ჰსჯულ. 3, 14.) მახლობელ იყო პირსა მათსა და გულსა მათსა, მაგრა უგმობელიოარე პირითა ჰფარვიდეს ღუთისა სახესა, სულსა შინა წმიდასა სარწმუნოებასა ჰფარვიდეს იტყოდეს მომთხრობელნი, ქრისტე უფალსა თჳსისა შიშისათჳს მამისა, გარნა არა ჰგმობდეს, რეცა თანა მხმობნი მამულისა გმობისანი (ჰრომ. 10, 9.), რამეთუ პირითა აღიარებდეს უფალსა იესოს და ჰრწმენათ გულითა, რამეთუ ღმერთმან აღადგინა იგი მკუდრეთით, რომლითაცა ჰსცხოვნდეს, რამეთუ გულსა ჰრწმენათ სიმართლედ და პირითა აღიარებდეს საცხოვრებელად.

მომზრახობენ ამისთჳს, ვითარმედ იყუნესო კაცნი სახელოვანნი და საჩინონი და აქუნდათ ჩინებულებაჲ ყოველთა შორის მკჳდრთა და გარემოთა თეოდოსიოპოლისათა. ხოლო აქუნდავე უდიდესი ბრწყინვალებაჲ სულისა ყოველთა შორის, მის დროჲსათა კეთილ მსახურთა, რამეთუ სათნოებათა მიერ შეამკობდიან სულთა და საღმრთოთა სარწმუნოებათა სათნოებათა განჰკარგჳდიან. აქუნდათ კუალად ჩინებულებაჲცა კმევითა სიბრძნისათა, რომლითა კეთილ გონიერებასა განაგებდეს თანა მოქალაქეთა შორის კეთილ და ჭეროვან პოლიტიკოსობდეს.

გვიხმს უკუე ცნობად, ვითარმედ არა მეცნიერ არს მადლი ესე, რომელი მოიღეს მართტჳრთა, რომელ ესრეთ ღმერთი დაამკჳდრეს თჳს შორის, კუალად არსებისა უზესთაეს იქმნეს, ძალნი ზეუციერნი, სიმხნითა თჳსითა განაკჳრუნეს. ხოლო ნიადაგ მბრძოლთა (ეფეს. 6, 12.) არა თუ სისხლთა მიმართ და ხორცთა, არამედ მთავრობათა და ხელმწიფებათა სოფლის-მპყრობელთა მიმართ ბნელისა ამის საწუთროჲსათა სულთა მიმართ უკეთურებისათა მოიღეს ძლევაჲ და მტერი შემუსრეს, მოიგეს დიდებაჲ საუკუნოჲ, უპყრეს (აპოკალიპ. 12, 4.) კუდი ვეშაპსა, რომელი მოითხევდა შესამედსა ვარსკულავსა ცისასა და ქუეშთაჰკადეს უფსკრულად. ჰბილ მათდა შეხებად მახჳლნი, მკუეთრნი, აფთნი, ლახუარნი, ისარნი, ხრმალნი, მუსმარნი, შალაშინნი, შამფურნი გრილ მათ და სახმილნი და მფოფინარენი ტყჳანი გამდნარნი. ამოვან ურმისთუალნი და ტკბილ პირთა შინა შთასხმანი ტყჳა-

თანი განსუფნებად, ცხედარნი რკინისანი, კურონი, ლანძუნი და ტაფაკნი რუალისანი, ყოველნივე განხურუფებულნი, დიდებად ჯუარი სიხარულად მოშთომა, საწადელ სიმაღლენი ქარაფთანი და სიღრმენი და ნახეთქთა და მთხრებლთასი, მკჳდრობად განგება სიმდიდრედ ივარ-ქმნა და ექსორიობა საკრფიალოდ განშორება სახლეულთაგან ტკბილ და გემიერ შესხმა სამსალაჲსა და ყოველივე ტანჯუაჲ მათდა გრძნობად სრულებისა და აღსავალად უდიდესად ჩუფნისა.

არაჲსათჳსმე ესრეთ ესენი ამისთჳს, რათა ქრისტე მოიგონ, რათა ქრისტესა ეზიარნენ და რათა (2 კორ. 4, 9.) სიკუდილი იგი უფლისა იესოსი ხორცთა შინა თჳსთა იტჳრთვნენ.

მოიზრახობენ, ვითარმედ ნეტართა მათ ძმათა ისაკ და იოსებ და მესამემან მისწერესო სავედრებელი კეთილ-მსახურსა კეისარსა ნიკიფორეს იდუმალ, რათა მიუშჳნესმცა იგინი მსახურებასა შინა თჳსსა და განერნეს ულმრთოთა სარაცინთაგან მძლობელობასა.

უწყებულ ქმნილმან ოჳთმპყრობელმან აღუთქუა სამთავე მათ მთავრობათნი პატივნი და ნიჭნი შესაბამნი და თავისუფლებითსა რაჲვეცა ჴმაჳნის ცხოვრებასა იგინი, რომლისათჳს მესამე იგი ძმაჲ წარვიდა მონარხისად მოსწრაფებით, გარნა სანატრელმან იოსებ, რომელსა ესხნეს დროსა მას შჳლნი ფრიად ყრმანი აცადა მოსწრაფებაჲ წარსლვისა იძულებულმან საქმითისაგან შეკრულებისა, რომლისათჳს წმიდაჲცა ისაკი დაიყენა თჳსთანა.

ვინაჲცა მწყებულთა ძმათა წარსულად განმზადებისათა, ხუაშიადი განუცხადა საქმემან, რომელითა მაშინდელი იგი ამირი თეოდოსიოპოლისა უწყებულ იქმნა და ისაკი და იოსებ პარაკად მოყუანებად და ჭეშმარიტისა მათგან ძიებად ბრძანებულ იქმნა. ხოლო მოყუანებულთა არა მყოფარ, ნეტართადმი კითხულ იქმნა ულმრთოთაგან მიზეზი წარსლვისა კონსტანტინეპოლისად.

(2 კორ. 6, 2.) აჰა ჟამი შეწყნარებისაჲ და დღე ცხოვრებისა მოწამეთად ქრისტესთა, რომელიცა არა ცუდჰყუფს თავისა თჳსისა, რამეთუ მიზეზი დაფარული შინაგნითმან ცეცხლმან განაშიშულა და ხმულებაჲ და მამულისა მის უსასყიდლოჲსა მარგარიტისა აღძარცუა და კრეტ-საზმელი წმიდისა წმიდათასა მფარუფლი ზეპალკეცა და ესრეთ ქუფმდებარეთა ზედა წმიდათა შესმენილი, იგი ყოვლად წმიდაჲ სარწმუნოებაჲ ულმრთოთადმი განცხადნა, რამეთუ მიზეზი წარსვლისა, თავთა ქრისტეანე ყოფაჲ მიუგეს მოწამეთა. ვინაჲ განკჳრუფებამან განაკრთო სული ულმრთოჲსა მამისა და თჳთ მკითხუფლნიცა განცჳფრდეს, რამეთუ მულაბან უჩნდავე მათი იგი სხჳსა ქადაგებისა შედგომაჲ, თჳნიერ ბილწმოციქულისა და მტყუარ წინასწარმეტყუფლისა მათისა.

უწყებულ ყოფაჲ ამირისა სამხარ ჰყუფს მკითხუფლთა და წარჯდეს მჭმუნვარენი პირითა და ტაძრად სამყროჲსა მთავრობისა მისრულთა, ამირ იგი მოწამეთაგან ჭეშმარიტებისათა, მიგებულითა უწყებულ ჰყუფს, რომლისათჳს არა მცირედ, მწუხარე იქმნა ულმრთოჲ სული მისი, რამეთუ მთავართა შორის მუნებურთა ჩინებულთა და საყუარელ ყოფაჲ, მათი ყოვლითად მულაბნა და აღუჩნდა უმჯობესს მას, ხოლო მსმენელი მაუწყებულთაგან, ისაკ და იოსების ქრისტეანე ყოფისა, მძლავრი იგი მიმოიგონებდა, ვითარმედ თუ სადამე უტევნესმცა იგინი, ქრისტე ყოფად არა სადამეეგების, რამეთუ განაძჳნებდა მომავლინებელი სატანაჲ მაჭმედისა, სულსა მისსა ბოროტსა, მორწმუნეთად, ქრისტეს ლუთისათა და უკეთუ მოიკლნეს ვერ სათმენელ უჩნდა, სიკუდილი მათი, ვითარცა მთავართა და მოროფ-ნაკუფთობათა მშუფნიერთა, რომელნიცა ჰასაკსა შინა სიჭაბუკისასა ჰყუაოდეს.

განრისხნების დაღათუ მძლავრი კადნიერად აღსარებისათჳს ქრისტეანედ თავთა თჳსთა, სარაცინთაგან განაღაჭსრდგების ზაგჳო წყალობად, ნუ უმე ჭაბუკთა უგუჭსთქუან და მტკიცებულთ; ხოლო რეცა სიჭაბუკესა ვაბრალოთ იტყჳს თანა განმზრახთა თანა, ქრისტეანებრი აღსარებაჲ ცხადად

და ჩუენდავე მოვიყუანნეთ შეგონებითა; მხელოვნებელთა და წინადადებითა, ბრძანებითა და ვაცალოთ ჭაბუკთა შერისხუაჲ მჭირსედ, ხოლო თანა განმზრახნი იგი იყუნეს პალატისა შინანი მისნი და მთავარნი სარაციანთაგანნი.

შეკრებულთა ამათ ჰსთქუეს წმიდათად, ვითარმედ საყუარელნო ჩუენნო, რაჲმე არს ჭაბუკებრი ესე წარმდები ზედა დაკდომაჲ, რამეთუ სიტყუთ ეკუეთებით მაჰმედ მოციქულისა ჩუენისა ქადაგებულთა და დამტკიცებათა მისთა უკუსთქუამთ უმეცრებით, განეყენენით ამაოსა მაგისგან მჰაზრუელობისა, რამეთუ არა შეჰგავს კეთილ შობილებისად თქუენისა ცნობა გსნებულებაჲ, არამედ შეიხსნეთ და მოქცეულთა მამეულისა ჰსჯულისად ჩუენ მოყუარენი და მეგობარნი და ნათესავნი, თქუენ მხიარულ გუჰყუენით.

მიუგეს წმიდათა «ნუ იყოფინ ჩუენდა სათნო-ყოფაჲ კაცთა უფროს ღუთისა, რამეთუ ეტყოდეს (საქმ. 4, 19.) თქუენ ჰსაჯეთ, უკეთუ სამართალ არს წინაშე ღუთისა, თქუენი სმენა უფროს ღუთისა, ჩუენ დავამტკიცებთ იესოსთჳს მხოლოდ შობილისა მამისაგან ღუთისა, რომელიცა დაამტკიცა მამამან ღმერთმან მისთჳს სულითა თჳსითა წმიდითა, მოსათა თჳსთაგან წინასწარ-მეტყუელთა ძუელად, რომელიცა აღსასრულსა ჟამთასა ცხად იქმნა, გარდამოსვლითა ქრისტეს ზედა სახედ ტრედისა სულისა ღმერთთ-მთავარისა და (მატ. 3, 17.) არსებისა თჳსისაგანად წამებითა ზეცით ღუთისაგან მამისა. ხოლო ჯუარცმულისა და მომკუდრისა, მესამესა დღესა აღდგომითა, რომელმან აღდგომილმან ხორცითა, ღმერთი უბრწყინუალედ თავისა თჳსისა, ღმერთ-მიუახლებელითა საშინელებითა და (28, 4.) ანგელოსთა მსახურთა აღდგომისა მისისათა ელვარებითა, შეაძრწუნნა წარმართნი მცუელნი დასისაგანნი მხედრუელნი და ბეჭდულით საფლავით აღდგომისა მისისანი ღუთაებრ და (28, 2.) ანგელოსთაგან თჳსთა გარდაგორვებითა ლოდისათა და საფლავისა ბეჭედთა არა შეცუალებითა. ესე უკუე ხორცითა აღდგომილი ამაღლდა ზეცად არსებითა ჩუენითა (ეფეს 4, 10.) ზედა ყოველთა კაცთა (მარკ. 19, 16.) და დაჯდა მარჯუენით ღუთისა (ებრ. 3, 3.) სიმდიდრესა მისსა მაღალთა შინა და მოგუცა სული თჳსი წმიდაჲ, რომლითა (ეფეს. 2, 18.) მაქუს ჩუენ მიახლებაჲ ურთიერთარს ერთითა მით სულითა (ტიტ. 2, 13.) ვისა მისა მიმართ, გუაქუს ჩუენ სასოებაჲ, რამეთუ აღთქმისაებრ მისისა მოველით ნეტარებასა და გამოჩინებასა დიდებისა დიდისა ღუთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესსა, რომელმან იგი მიჰსცა თავი თჳსი ჩუენთჳს არა მიჳსნე ჩუენ ყოვლისაგან უსჯულოებისა» და ესრეთ და ცრუ ჰყუეს მოწამეთა ქრისტესთა ულმრთოთა მიმართ.

მსმენელმან ამირმან მან თეოდოსიო-პოლისამან და მთავართა მისთა სარაციანთა და ყოველთა პალატისა შინათა ამირისთა იწყეს ვედრებად მოწამეთა მიმართ და ვითარცა ძაღლნი ლიქნიდესყე და სიტყუებითა ლიქნისა, წმიდითა წინაშე ჰსძრჯდეს კუდთა და სიჭაბუკესა და მშუენიერებასა მათსა წინა დაუდებდეს ეგსახედ მოხუცებულისა მხცეთად ახედუებდეს და ცრემლთა მისთა მიხედუად ეტყოდეს. მაგრა ჭეშმარიტებისა მოწამენი, მითვე და ერთითა სულითა გამტკიცებულნი მლიქნელთად იტყოდეს (გალატ. 6, 17.) «ამიერითგან შრომასა ნუ ვინ შემამთხუევნ ჩუენ, რამეთუ ჩუენ საწერეტელნი იგი უფლისა იესოსნი ხორცთა შინა ჩუენთა ვიტჳრთავნ, ამაო არიან ჰაზრნი ეგე თქუენნი ლიქნად ჩუენდა, რამეთუ (ფილიპ. 1, 12.) ჩუენდა ცხოვრება ქრისტე არს და სიკუდილი მისთჳს შესაძინელ». კუალად სხუითაცა ღონითა იწყეს მეცადინეობად ულმრთოთა, რამეთუ აღუთქმიდა ამირი ნიჭთა დიდთა პატივითა ჩინებულ-მთავრობითა, სოფელთა და დაბათა, ხოლო თუ სადამე არა ისმენენ სატანჯუელთა მწარეთა და სიკუდილსა თჳნიერ ყოვლისა შეწყალებისა მძჳნუარეთა უქადებდა.

მიუგებდეს წმიდანი «უწყებულ იყავნო, რამეთუ სიმდიდრეთა და პატივთა, რომელთა აღმთქუამ ჩუენდა, არად სახმარ, რამეთუ ვიცით მცნობელობით, ვითარმედ (ისაია. 40, 5.) ყოველი ჴორცი თივა არს და ყოველი დიდება კაცისა, ვითარცა ყუავილი თივისა განხმა თივა და ყუავილი მისი დაცჳვა, ჩუენ უკუე უწყებულ ვართ და გურწამს, რამეთუ (1 პეტრე. 1, 18.) არა განხრწნადითა ვეცხლითა, გინა ოქროჲთა ვიჴსენით ამაოჲსა ამისგან მამათა მოცემულისა სლვისა, არამედ პატიოსნითა სისხლითა, ვითარცა ტარიგისა უბიწოჲსა და უმანკოჲსა ქრისტესითა; ვინაჲცა თავთა ჩუენთა შევჰსწირავთ მისდა და მისსა მისდავე უკუნვზღავთ მადლობით. ხოლო თქუენნი ქადებანი ტანჯვათა და სიკუდილისა მძჳნვარისა თქუენგან, რეცა ჩუენდა შიშად საგონის ყოფად საცინელ არს წინაშე მსახურთა ღმრთისა ჩუენისათა (ჰრომ. 6, 36.) რამეთუ გურწამს, ვითარმედ არცა სიკუდილმან, არცა ცხორებამან, არცა ანგელოსთა, არცა მთავრობათა, არცა ძალთა, არცა ამან სოფელმან, არცა სიმაღლეთა, არცა სიღრმეთა, არცა სხუამან შემძლოს ჩუენ განყენებად სიყუარულსა ღმრთისასა, რომელ არს იესო ქრისტეს მიერ უფლისა ჩუენისა».

განარისხა ჭაბუკთა კადნიერებამან მძლავრი და განაჩინნა მათთჳს სიკუდილი მახჳლითა, რომლისათჳს იტყოდეს წმიდანი «სიკუდილადნი (იაკობ. 7, 6.) უფალი ღმერთი ჰხედავს და სიმართლისათჳს ჩუენისა ნუგეშინის გუცემს და დაუბერებელსა შინა ცხორებასა განვისუენებთ, ხოლო თქუენ (ისაია. 26, 10.) მოისპენით უღმრთონი, რათა არა იხილოთ დიდება უფლისა».

წარიყვანნეს მტარვალთა ადგილსა განჩინებულსა მოკლვად მოწამენი. ხოლო მიიყვანებოდესრა ითხოვეს მტარვალთაგან დაცადებაჲ მცირედ, რათა ილოცონ და მტარვალთა აღასრულეს თხოვილი. მაშინ მოიდრიკეს მუხლნი მოწამეთა და იტყოდეს «მეუფეო ღმერთო მამაო, უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესა, რომელნ ეგე ჰსთქუ, მონათა შენთა მიმართ აღმთქმელმან (იერემ. 29, 12.) მხადოდეთ მე და ხჳდოდეთ და ილოცეთ ჩემდამო და ვისმინო თქუენი და გამომიძიეთ მე და გპოვო თქუენ, რაჟამს მიძიოთ მე ყოვლითა გულითა თქუენითა. შენ უფალო რომელმან შემკრიბენ ჩუენ ერად ყოველთაგან ტომთა და ძისა შენისგან მხოლოდშობილისა წმიდისა იესო ქრისტეჲსა და მეუფე ძეობილ შენდა, სისხლითა მხოლოდ შობილისა შენისათა მოსყიდულნი და საბანელითა წყლისა და სულისათა განბანილნი. მოიხილე მონათა ამათ შენთა ზედა მეუფეო უფალო და მეძიებელთა შენთა გუპოვე აღთქმისაებრ შენისა და თავთა ჩუენთა მიითუალე შენდამი (დანიილ 3, 39.) შეწირვაჲ, რომელნი ესე შევსწირავთ შენდამი თავთა ჩუენთა სულისა მიერ შემუსრვილისა და ბევრისა სიმდაბლისა, (ამისთჳს) შემიწყნარენ და წმიდათა მოწამეთა შენთა თანა აღგურაცხენ და სრბაჲ ესე ჩუენი სრულ ჰყავ და გჳრგჳნი სიმართლისა მოგუეც ჩუენ, რამეთუ (იაკობ. 1, 17.) ყოველი მოცემული კეთილი, და ყოველი ნიჭი სრული ზე გარდამო არს გარდამოსრულ (შენ) მამისაგან ნათლისა, რომლისა — დიდება უკუნ» და ჰსთქუეს «ამინ». და აჰჳა აღმოიხადა მახჳლი მეხრმლემან და პატიოსანნი იგი წარკუეთნა თავნი მათნი [1].

ესრეთ განაგო მაღალმან გახსნაჲ კავშირთა მონათა ამათ თჳსთა, რომელნიცა ყოვლად წმიდითა მით შეჰკრიბნა სიბრძნითა, ესე არს განკუეთაჲ ორად წევრთა ყოვლად წმიდათა, რამეთუ (მატ. 10, 34.) მახჳლმან მიფენილმან სიტყჳსაგან ღმერთთ მთავრისა აწჳა ქუემდებარეთად მახჳლი მარტივისა და შეზავებულისა განკერძოებად, რათა (შესაქ. 3, 24.) მახჳლმან იქცევისმან გზა უკუნ

1) 808 წელსა.

და უჴოვნებელად სულთა შესჭულად სამოთხეთად. ესრეთ განვიდეს ხორცთაგან (სიბრძ. 2, 24.) «სულნი მართალთანი, ჴელთა შინა ღუთისათა მისრულნი და არა შეეხოს მათ ტანჯუაჲ».

(ევსევი კესარიელისა მოწამეთ ქების სიტყუაობისა). «აწ სადამე წმიდანი ესე მოწამენი მსწრაფლ ამაღლდეს და დადგეს წინაშე ცხოველ-მოქმედისა ღუთისა, წინაშე ყოფად» (გრიგორ ნოსელისა ღირსის ეფრემის თჳს), «განცხადებულად სამკჳდრებელსა შინა ზეციერსა, სადა იგი წესი ანგელოსთანი, სადა პირნი წინასწარ-მეტყუელთანი, სადა საყდარი მოციქულთა, სადა სიხარული მოწამეთა და ღირსთა მხიარულებაჲ, სადა მოძღუართა ბრწყინუალებაჲ, სადა პირ-მშოთა განცხრომაჲ და გუნდთა ნათლისათა მედღესასწაულებაჲ კეთილსა მას შინა, რომელი ანგელოსთა ჰსურისუე შესწავებად სამღუდელოსი (სულნი მარტჳრთანი) ადგილსა შინა ნეტარებისასა დადგეს მეოხებად ყოვლისა სოფლისათჳს».

სანატრელ არს და სამნეტარ დასასრული ცხოვრებისა მარტჳრთასა (ოქროპირისა გორ განმარტება), «რამეთუ განჴდეს ქრისტეს მიმართ (და თჳსისაებრ ტრფიალებისა), არიან მეუფისათანა», მუს უფროს სანატრელნი, რამეთუ არა თუ შეჴლითა ოდენ და არა სარწმუნოებით ოდენ, არამედ წარჰსდგენ წინაშე ღუთისა ყოველთასა.

ესე არს ღუაწლი იგი კეთილი, რომელი მოიღუაწეს მარტჳრთა ქრისტეს ზიართა, ესე არს ჰსრბაჲ, რომელი აღასრულეს ქუეყანასა ზედა, ასპარეზსა შინა მხედართა მეუფისა ზეციერისათა, რომელნიცა შეიწყნარნა ღუაწლისა დამდებელმან. ვინაჲცა მხედარნი ქრისტესნი (ლეონ ბრძნისა ბერძენთა კეისრისა, წმიდისა დიმიტრისთჳს) «აღიდნეს ანგელოსთა გჳრგჳნითა მით მათთჳს განმზადებულითა, აღიდნეს ყოველთა წმიდათა, რამეთუ აღრძნებად რიცხჳსა მათისა შეეძინნეს მათ, განიხარა დედამან ყოველთამან პირმშომან ეკკლესიამან, რამეთუ მსხუერპლი მისგან შობილი შეიწირა ღუთისად, ვითარ კეთილი და მშუენიერი და ყოვლითა სუნნელებითა სავსე».

სიმკაცრესა ითანა-მდებებს აქა საქმეჲ აჳქსოსთა, რომელნიცა წმიდათა თჳს ჰშურებიან ქების-სიტყუაობად და მოთხრობად ცხოვრებისა მათისა (ვასილი ფილიპპე-პოპოლელისა, სიტყუაჲ დიმიტრის თჳს), რამეთუ შეუძლებელ არს, სიტყუაჲ წმიდაჲ ენისაგან და გონებისა არა წმიდისა გამოსუალად, არამედ უფროსღა შემასმენელ გამოსჩნდეს თავისა თჳსისა, რაჟამს იგი აქებდეს საქმეთა მათ, რომელნი მას არა ექმნეს უდებებისა გამო თჳსისა. ვინაჲცა ჰრქუას მას ვინმე ჭეშმარიტებისა მოყუარემან შეუძლებელ არს შენდა ჰოი! კაცო საქმეჲ ეგე აღსრულებად სიტყუაჲ სხუათა მიმართ წარმართებულ არს და ჴელნი სხუასა შინა საქმესა არიან, რომლისათჳს არა მცირედ მიეხდების პატიჟი უღირსსა, შეხებად შეუკადრებელისა ამისად სიტყუაობისა, გარნა კადნიერებად მომიყუანა უღირსი, მოწამეთ მოყუარებითმან სურჳლმან, რომლითა ვისიტყუე ათცხრამეტთა შინა სიტყუათა ვნებულთათჳს ჭეშმარიტებისათა.

ვჰსთქუათ უკუე სხეულთათჳსცა მოწამეთა, მომზრახობენ, ვითარმედ ოდეს უღმრთოთა უთავო-იქმნნეს სხეულნი მოწამეთანი მასვე ადგილსა დაიყარნეს, სადა იგი ეზიარნეს ძესა ღუთისასა. ხოლო ღამესა მას შემოსრულსა დაადგრა ჭეშმარიტებისათჳს ვნებულთა ზედა სუეტი ყოვლად ბრწყინუალე მიუახლებელ მკრთოლუარე შარავანდედთა. მხილველნი საკჳრუელებამან მოწამეთა შორის ქმნილმან საღმრთომან უდიდეს განკჳრუებად მოიყუანა უღმრთონი და შიშისაგან მძრწოლარეთა უბრძანეს ქრისტეანეთა დაფლვად მოკლულთა მათ სხეულნი, ვითარცა ენებოს; ვინაჲცა სიხარულმან აღავსნა მსმენელნი ჰყუეს ერისა ქრისტეს მოსახელისა შეკრებაჲ მეეკკლესიედ დაფლვისათჳს ქრისტეს მოწამეთა და განსრულთა ადგილად ვნებისა ჰპოვნეს მდებარენი უსუ-

ლოდ სპეკალნი უსასყიდლონი და ეპისკოპოსმან ქალაქისამან და მღუდელთა აღიღეს ცრემლით და სიხარულით და დიდითა პატივითა ქალაქად შეიხუნეს და დასხნეს ნიშოვანსა ადგილსა სადა აღაგეს სიმარტჳრეჲ სახელსა ზედა წმიდათა მათ მოწამეთასა, სადიდებელად ქრისტეს ღუთისა ჩუენისა.

გარნა შენ ორობაო შეერთებულო, ერთად გონიერებითა კეთილ-მსახურებითა და თანა ვნებულითა ქრისტესთჳს და ხორციელთა ძმობითითა შეერთებითა ყოვლად პატიოსანო განწმედილისა ოქროჲსა სასანთლეო შემკობილებულო მნათობარეო ნათლითა აუგებელითა მდგომარეო წიანაშე საღმრთოჲსა მის ზეციერისა საკურთხეველისა. ხოლო საღმრთოჲსა, (ეფრემ სირიელისა საღმრთოჲსა, ვასილის თჳს დიდისა) შემწირუელნო ცხოველთ მთავრისა სამებისა მიმართ, ანგელოსთა თანა ყოვლად წმიდისა მსახურებისაო, მოგჳხსენენ, ყოველნი და ითხოვენ ჩუენთჳს ცოდუთა მოტევებაჲ და საუკუნოჲსა მოღებაჲ სუფევისა. ხოლო იოხდ ანტონის ყოვლად გლახაკისათჳს აღდგომასა გუამთასა ურცხუენელ აღდგომად (თესალ. 4, 17.) წმიდათა თანა აღტაცებად ღრუბლითა შემთხუევად უფლისა ჰაერთა ზედა და მარადის უფლისა თანა ყოფად, რომლისა დიდებაჲ სიმტკიცე და პატივი და თაყუანისცემაჲ აწ და საუკუნეთა უკუნისამდე ამინ.



საბინინი. М. САБИНИНЪ.

ႼႫႨႣႠ ႫႭႼႠႫႤ ႩႭႬႱႲႠႬႲႨႬႤ ႫႳႾႰႠႬႨ.

თსა ნოემბერსა ი დღესა, ცხოვრება და წამება წმიდისა მოწამისა კონსტან-ტინე ქართუჱლისა (მთავრისა), რომელი იწამა ბაბილოვნელთა მეფისა ჯა-ფარის მიერ[1].

---

გწყუროდა სიბრძნით, სიგჳდიდი სიბრძნისათჳს,
ანტლიას ქმნილსა, წყლისა ცხოველისასა.
ვისა შინაგნით, გზადოდა კონსტანტინე:
მოსრულად მამისა, ნათელთასა წმიდათ.
რომლით სიზმარნი, ჰსცჳალენ უკჳდავ ცხოვრებად.

თქმული ანტონ კათალიკოზის მიერ.

---

საუჱარელნო განცხადებულ არს ყოველთათჳს, ვითარმედ, არავინ ჰყო აღწერა იგი წიგნთა, გარნა მადლითა სულისა წმიდისათა; რამეთუ დიდმან მან მოსე პირუჱლად იწყო აღწერად შესაქმისა ცისა და ქუჱყანისა, რომელ არა სადა ეხილვა, არამედ უწყებითა სულისა წმიდისათა აღწერა იგი, ვითარცა თუალთა ხილული და ამისა შემდგომად აღწერნა სხუანიცა წიგნნი, რომელთა შინა აუწყა გამოსვლა იგი ძეთა ისრაილისათა შემდგომითი შემდგომად ვიდრე აღსრულებადმდე მისა.

მერმე აღიწერნეს თქმულნი იგი წინასწარმეტყუჱლთანი, რომელსა ქადაგებდეს მოსვლისათჳს უფლისა ჩუჱნისა იესუ ქრისტესა. აღწერნეს ოთხნი ესე ევანგელნი, რომელთაგან ეხარების ნათესავთა მომავალთა მოსვლა იგი უფლისა და განკაცებულებაჲ მისი ხორცითა მით, რომელ მიიხუნა ქალწულისა მარიამისგან-წყალობისათჳს ჩუჱნისა და ამისა შემდგომად საქმენი მოციქულთანი, ვითარ იგი მოვლიდეს ყოველსა სოფელსა და ახარებდეს სიტყუასა მას ცხოვრებისასა და მრავალთა ჰრწმენა მათი და ნათელს ღებდეს სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

---

1) ნახე Histoire de la Géorgie, I part, გუჱრდი 268, Vie de St.-Constantine.

ხოლო მარადის მტერი იგი და მოშურნე არა ვინა დასცხრა წინა აღმდგომად ჭეშმარიტებისათჳს და აღაორძინნა მეფენი მის ჟამისანი და იგინი აიძულებდეს მორწმუნეთა მათ მსახურებად კერპთა თჳსთა, ხოლო რომელნი არა ერჩდეს მათგანნი მოსწყჳტდეს მათ პირითა მახჳლისათა და ცეცხლითა დასწვიდეს.

მაშინ აღვინმედგეს კაცნი მორწმუნეთაგანნი იწყეს აღწერად ცხოვრებაჲ წმიდათა მოწამეთა და ვითარ სახით არნ აღსასრული ღუაწლისა მათისა სადიდებელად წმიდათა მოწამეთა და აღსაბაძველად, რომელთა იგი შური საღმრთო აქუნდეს.

ამისვე მიზეზისათჳს მეცა არა ღირსმან ვინებე მიბაძვებად პირველთა მათ და აღვსწერე ცხოვრებაჲ და წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა კონსტანტინესი, რომელი იყო დღეთა ჩუენთა, მეფობასა ღმრთის მსახურისა თეოდორა დედოფლისა, რომელი იგი მეფობდა სამეფოსა ბერძენთასა, ვიდრე იგი ყრმაჲ იყო ძე მისი მიხაილ.

ამან ნეტარმან განწმიდა საბერძნეთი ყოველი საცთურისა მისგან, რომელი იყო დღეთა ქმრისა მისისათა ხატისა ურწმუნოებისა და განამტკიცა ღუაწლი ბერძენთა და მრავალნი ჭალაკნი აღაშენნა, რომელნი მოოხრებულ იყუნეს აგარიანთა მიერ. მას ჟამსა ოდენ იყო ვინმე ქრისტიანესა ქართლისასა სანახებსა ზენა სოფლისასა კაცი, რომელსა სახელი ერქუა კონსტანტინე; რომელსა ეწოდა კაცი მამულისა მის ქრისტიანისა; კაცი ესე იყო წარჩინებულ ფრიად დიდად ყოველსა ქრისტიანესა ქართლისასა, ფრიადი სიმდიდრე აქუნდა და მრავალი საშუებელი ამის სოფლისა და განთქმულ იყო სახელი მისი ქრისტიანეთა შორეულთა ვიდრემდის მეფეთაცა მსმენელ იყო მისთჳს.

და ესე ნეტარი შემკობილ იყო ორ კერძოთავე მით საქმითა ვითარცა ხე ფურცლითა და ნაყოფითა და აქუნდა მას სარწმუნოებ ღმრთისა ჩუენისა იესუ ქრისტეს მიმართ შეუორგულებელი და უმტკიცესი მათთა და კუალად აქუნდა ნეტარსა მას სარწმუნოებ მღდელთ მოძღუართა მიმართ და ყოველთა მოწესეთა ეკკლესიისათა, ვითარცა იგი ღირს არს და მართალ.

და უყუარდეს მას მონაზონნი და აქუნდა მათ მიმართ სარწმუნოებაჲ და მოსწრაფევე იყო მსახურებასა მათსა და უკეთუ ვინმე მონაზონთაგანი ვინა ყოვლადვე მოწესეთაგანი მივიდის სახლად მისა მიეგების იგი სიხარულით, თაყუანისცის პირსა ზედა ქრისტიანისასა და ფრიად განუსუენის მას და მრავლითა ნიჭითა წარგზავნის იგი.

ხოლო სტუმარ მოყუარებისა და გლახაკთ მოწყალებისა მისისათჳს ვერვის ძალ უც მითხრობად ღირსად, არამედ მცირედი ოდენ რაჲმე ვთქუა, ვინ სადა მივიდა მისა მშიერი ანუ წყურიელი და არამცა განაძღო იგი ანუ შიშუელი და არა შემოსა იგი სიხარულით, მრავალნი მოივლტოდეს მისა შორით ქრისტიანით ლტოლვილნი თანამდებთა თჳსთაგან.

ხოლო ნეტარებითა დიდთა გარდახადის თანანადები იგი მათი, ვინა სადა, იხილა ობოლი და ქურივი და არა მსწრაფლ იღუაწა იგი და ამას ყოველსა თანა ფრიად მოღუაწე იყო იგი ნაკლულევანთათჳს სახლისა თჳსისათჳს, რამეთუ ესმინა თქმული იგი პავლეს მოციქულისა, ვითარმედ «უკეთუ ვინმე თჳსთა და უფროისღა სახლეულთა არა მოღუაწე იყოს, სარწმუნოებაჲ უარ უყოფიეს მას და არს იგი ურწმუნოთა უძვირეს».

აქუნდა ნეტარსა მას სიმდაბლე და თავმდებაჲ უფროს ყოველთა კაცთა, რამეთუ ესმინა სიტყუაჲ იგი მხსნელისა და მაცხოვრისა, «რამეთუ ისწავეთ ჩემგან, ვითარმედ მშჳდ ვარ და მდაბალ» და შეერაცხა თავი თჳსი უცოდვილეს ყოველთა კაცთა და ცრემლოვან იგი ცოდვათა თჳსთათჳს

და მრავალ გზის თქუსცა, ვითარმედ არავინა ვესავ მოტევებასა ცოდვათასა, გარნა დათხევითაჲ სისხლთა ჩემთათა მისთჳს, რომელმან იგი დასთხივნა სისხლნი ჩუენთჳს.

გული უთქმიდა ტაძარსა მას მისლვად იერუსალიმად და თაყუანისცემად წმიდასა გოლგოთასა, სადა იგი იქმნა განახლება ჩუენი მარჯუენისაგან მაღლისა და ნათლით შემოსილისა და ცხოვრების მომცემელისა საფლავისა და წმიდისაჲ სიონისა დედისა ეკლესიათასა და ყოველთა წმიდათა ადგილთა, რომელთა დადგეს ფერხნი უფლისანი.

და ვითარცა მიიწია იგი იერუსალიმად და მოილოცნა წმიდანი ადგილნი და სათჳსა დიდ ძალი მისცა ეკლესიათა, გლახაკთა და მკჳდრთა იერუსალიმისათა და მერმე გამოვიდა იერუსალიმით და მოვლნა ყოველნი მონასტერნი უდაბნოსანი, და მკჳდრნი იორდანისნი და მრავალი განსუენებაჲ და ნუგეშინისცემაჲ მიმადლა მათ; ხოლო მათ მრავლითა ლოცვითა და კურთხევითა წარმოგზავნეს იგი და ვითარ მოიქცა იგი ქუეყანადვე თჳსა ცხოვნდებოდა იგი ბრწყინვალედ მრავლითა ღუთის მსახურებითა და მიერიდგან არღარა დაცადებდა იგი სურვილად კიდჳსა იერუსალიმისა მშჳდობისა და აღშენებისა გლახაკთასა, რომელნი მყოფ იყვნეს მას შინა და რაჲ წელიწად წარსცის ერთსა მსახურთა მისთაგანსა სამი ბევრი ვერცხლი, რომელიმე მისგან წმიდათა ადგილთათჳს და რომელიმე უდაბნოთათჳს და რომელნიმე გლახაკთა თჳს, რომელნი მკჳდრ იყვნეს იერუსალიმს.

რამეთუ ესმინა მცნება იგი პავლე მოციქულისა, რომელი მისწერა კორინთელთა მიმართ, ვითარმედ «ნამეტნავი ეგე თქუენი იყავნ ნაკლულევანთა მათთჳს, რომელნი არიან იერუსალიმს, რათა მათიცა იგი ნამეტნავი იყოს თქუენისა ნაკლულევანებისათჳს» და ვითარ მოხუცებულ იყო იქმნა ნეტარი იგი ოთხმეოცდა ხუთისა წლისა ჟამთა ოდეს ჭასაკისა მისისათა აღდგა დევნულებაჲ დიდი ქრისტეანეთა ზედა ყოველსა ქუეყანასა ქართლისასა და იყვნეს წყობანი დიდნი და მრავალნი ქრისტეანეთაგანნი მათ შინა, რომელნი იღუწიდეს ჭსჯულისათჳს ქრისტესისა [1]).

ხოლო ნეტარი იგი შეიპყრეს ხელად ვითარცა წინამძღუარი და წარჩინებული ყოვლისა ქუეყანისა ქართლისასა და პირი ნათესავთა მისთა და შებორკილეს იგი და ეგრეთ წარიყვანეს ქალაქად ტფილისად და შეაყენეს იგი საპყრობილეს.

ხოლო იგი ყოვლადვე არა შეშინდა, არცა შეძრწუნდაჲ, არამედ სიხარულით შეიწყნარა მოწევნული იგი მის ზედა და ჰმადლობდა უფალსა; ხოლო შეპყრობაჲ იგი ნეტარისა მის კაცისა არათუ თჳნიერ რაჲმე ღუთისა იყო, არამედ, რომელი იგი განაგებს ყოველსავე და მისცემს მიზეზთა ცხოვრებისათა ნათესავსა კაცთასა დაფარულითა განგებულებითა.

ამას ზედაცა ინება სიხარულითი იგი მშჳდობაჲ, რათა სახილველ იყოს იგი ანგელოზთა და კაცთა კეთილი იგი საფუძვარი, გულს მოდგინებისა მისისა, რომელი იგი მან წინასწარვე იცოდა,

---

1) დროსა შინა ამისასა, აგარიანთა დაიპყრეს ქუემო საქართუელოჲ და ტფილისსა შინა იჯდა მთავარმმართებელი მეფისა ჯაფარისა, თუმცა აგარიანთა დაიპყრეს ფრიადი ნაწილი საქართუელოჲსი, არამედ ზემო ქართლი, ანუ საქართუელოჲ, დროსა შინა ცხოვრებისასა წმ. მოწამისა თავისუფალ იყო მათგან, რამეთუ წინამძღუარ ერისა მის იყო წმიდა ესე და არა უტევებდა აგარიანთა შესვლად ქართლს და დამორჩილებად მისა, რამეთუ ფრიადითა ახოვნებითა და ძლიერებითა თჳსითა განამარჯუა ერი ქართლისა და წინააღუდგინა აგარიანთა ერი იგი სრულიად. მრავლითა ბრძოლობითა, ულონო ჰქმნეს ქართლი. ერთსა სასტიკსა მბრძოლასა შინა შეიპყრეს წმ. მოწამე აგარიანთა და აღმოუწყჳტეს მრავალი მხედარი, რომლისა შემდეგ დაიმორჩილეს ზემო ქართლიცა.

არამედ არა დააცადა წინა დაპყრობაჲ მისი, რამეთუ ესვიდა ახოვნებასა მას თჳსსა და ვითარცა იგი იყო იობის ზედა და ყოველთა წმიდათა შემდგომითი შემდგომად.

და ვითარ წარადგინეს ნეტარი იგი ტფილისს შინა წინაშე მძლავრისა მის, რომელსა სახელი ერქუა ბუღა, აყუედრებდა იგი მას და ეტყოდა ასე: არა უწყოდი შენ, რამეთუ განრინებად იყავ სივლტოლვითა შენითა ხელთაგან ჩემთა, რამეთუ არავინ არს განმდგომილთაგანი, რომელსაცაჲ არა ვსძლევ და არცა, რომელი განემზადების წყობად ჩემდა და არა ვერეოდით, რამეთუ აჰა ესერა მოგცნა თქუენ ღმერთმან დღეს ამას მოსასრველად ხელთა ჩუენთა.

მიუგო მას ნეტარმან კონსტანტინე და ჰრქუა; «მეცა უწყნი, ვითარმედ ღმერთმან მოგცნა ხელთა თქუენთა, არამედ არა სიყუარულისა თქუენისათჳს, არცა საქმეთა თქუენთა კეთილთა, არამედ რამეთუ არა დავიმარხენით ჩუენ მცნებანი მისნი, ამისთჳსცა ნათესავითა მით ურჩებისათა განგუყუავნა ჩუენ, რამეთუ მრავალ გზის იერუსალიმიცა მისცის უფალმან ხელთა უცხოთესლთასა, რაჟამს არა ვიდოდიან იგინი გზათა მისთა; ხოლო ჩუენდა კეთილ არს, რამეთუ დამამდაბლა მე უფალმან, რათა დავიმარხნე მცნებანი მისნი და სიმხნით დაითმენდა იგი უკეთურისა მის მძლავრებათა, რამეთუ ეხსენა მას სიტყუა იგი უფლისა, რომელსა იტყჳს, «ნეტარ იყუნეთ თქუენ რაჟამს გდევნიდენ და გყუედრიდენ და თქუან ყოველი სიტყუა ბოროტი თქუენდა მომართ სიცრუვით ჩემთჳს».

და ვიდრე პყრობილად იყო მოწამე ქრისტესი ტფილის შინა, მიწერა წიგნები ყოველთა მიმართ მეუდაბნოეთა ქალაქისათა და მამასახლისათა მონასტრისათა, რომელსა წერილ იყო ესრეთ, «უწყი მე, რამეთუ გასმიეს თქუენ რაჲ ესე მოაწია უფალმან ჩემზედა ცოდვათა ჩემთათჳს, არამედ გევედრები თქუენ წმიდანო მამანო და ჭეშმარიტნო მოწესენო ქრისტესნო, რათა მოიხსენოთ სჯული ჩემი და სარწმუნოება თქუენდა მომართ და ინებეთ ჩემთჳს ლოცვა ყოფა უფლისა მიმართ, არა ხოლო თუ რამცა მიხსნა მე ხელთაგან უსჯულოთასა, არამედ მომცეს მე ძალი ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან წინა მდგომარისა ამისთჳს საბრხისა, რომელი დაურწყავს მტერსა ჩემსა, რომელთა უზავს დაბრკოლებაჲ ჩემი გზისა მისგან, რომლისათჳს სურის სულსა ჩემსა».

და შემდგომად მცირედთა დღეთა შეკრეს იგი ფიცხლითა საკრველითა რკინისათა და წარჰსცეს იგი ქუეყანასად ბაბილოვნის ქალაქსა, რომელსა ჰრქჳან სამარიაჲ[1]). მიჰგუარეს იგი მეფესა მას ისმაიტელთასა, რომელსაჲ სახელი ერქუა ჯაფარ ძე აბრაჰმისი, ხოლო რაჟამს წარადგინეს მოწამე ქრისტესი წინაშე მისსა ჰრქუა მას, აჰა ესერა მოცემულხარ შენ ხელთა ჩემთა და მე უფლებაჲ მაქუს შენ ზედა ყოფად კეთილისა და ბოროტისა, არამედ ისმინე და მერჩდი მე, აღიღე რჩეული ჩუენი და უვარ ჰყავ ცთომა იგი შენი ქრისტეს ღმრთისათჳს, რამეთუ გონიერად გხედავ შენ, ვითარ იგი აწ ლიტონსა კაცსა დედაკაცისაგან შობილსა, ღმრთად აღიარებ, დასცხერ ამიერიდგან, რამეთუ ვერ შესაძლებელ არს სიტყუად ვითარმცა ძე ესუა ღმერთსა. ხოლო აწ მოიქეც ცთომისაგან და მიიღე ჩემგან კეთილი და უაღრესი პატივი და გყო შენ თანამზრახუალად ჩემდა და უდიდებულეს ყოველთა მოყუასთა შენთა და უკეთუ არა ისმინო ჩემი სიკუდილითა მოჰკუდე შენ პირითა მახჳლისა და ხორცნი შენნი მივსცნე საჭმელად ფრინველთა ცისათა და ვინ არს, რომელმან განგარინოს შენ ხელთაგან ჩემთა.

---

1) Lebeau t. XIII, p. 47, n. 3.

მიუგო მას წმიდამან მოწამემან ქრისტესმან და ჰრქუა, «მეცა უწყი, რამეთუ ჴელმწიფებაჲ გაქუს ჴორცთა ჩემთა ზედა, არამედ არა სულსა —, ვითარცა იტყჳს უფალი ჩუენი და ღმერთი, ამისთჳსცა არა მეშინის მახჳლისაგან შენისა; არამედ მისა მეშინის, რომელი იგი შემძლებელ არს მოწყუედად სულისა და ჴორცთა და კუალად ჴელმწიფება აქუს, განცხოვრებად ვითარცა იგი მოსიკუდიდ; ამისთჳსცა სიხარულით მოვითმენ, სახელისა მისისათჳს, რამეთუ იგი არს ჭეშმარიტი ძლიერი ჴელმწიფე და მთავარი მშჳდობისა, მამა მერმეთა მათ საუკუნეთა, ვითარცა იგი წერილ არს, აწ უკუე ვითარ შეურაცხჰყო იგი და ვერჩდე ბრძანებასა შენსა და ჰსჯულსა თქუენსა, რომელთა წინასწარმეტყუელი იგი გაუქუმდრებს და იტყჳს, არა ესმის ქანანს არცა გამოჩნდა თემანს არცა ძეთა აგარისთა მეფეთა და მეზღაპრეთა გამომეძიებელთა გონიერებისათა ქუეყანასა ზედა, ხოლო გზა იგი ჭეშმარიტისა არა გულისხმა ჰყუეს და არცა მოიხსენნეს ალაგნი მისნი და წარწყმდეს იგინი მსგავსად მისსა, აწ რომელსა წინასწარმეტყუელი შეასმენს ესრეთ და წარწყმედასა აქადებს ვითარ მათი ვისმინო, არამედ აღასრულე ჩემ ზედა რაჲ იგი გეგულვების».

ხოლო ვითარცა ესმნეს სიტყუანი ესე მეფესა მას აღივსო იგი გულის წყრომითა დიდითა და რისხვა გულის წყრომისა მისისა სასტიკებით უფროსღა აღატყდებოდა მისზედა და ბრძანა მიცემა მისი საპყრობილესა ფიცხელსა და მიავლინა მისა ორნი იგი ერისთავნი, რომელნი ტყუეობითვე მიეყუანნეს სომხითით და უარის ყოფითა ქრისტესითა პატივ ცემულ იყუნეს მის წინაშე და ვითარ მივიდეს იგინი ჰრქუეს ნეტარსა მას.

ამას იტყჳს უფალი ჩუენი მეფე, ვითარმედ ერთგზის გამხილებდა უგუნურებასა შენსა, რამეთუ სამ გზის ჰსჯულდებულ არს ჩემდა ურწმუნოთა მხილებაჲ, აწ ისმინე ჩემი, რათა ჰსცხონდე და ნუ ესავ სასოებასა მაგას არა სასოსა, რამეთუ ღუთისა მიერ მოცემულხარ შენ ჴელთა ჩემთა და ჩუენცა ესრეთვე გაზრახებთ შენ. ნუ დადგრომილ ხარ შენ სიფიცხლესა მაგას შინა ვითარცა უგულის ხმო, რამეთუ გონიერად ვიცით შენ და ჩუენსა ქრისტეანენივე ვიყუენით, არამედ ვერ შეუძლეთ წინა აღდგომად ბრძანებასა მეფისასა, ამისთჳსცა მოვიგეთ მისგან პატივი; ხოლო საუკუნეს მას ცხოვრებაჲსა ვინ უწყის რაჲ უმჯობეს არს [1]).

მაშინ მიუგო წმიდამან კონსტანტინე მოვლინებულთა მათ სომეხთა და ჰრქუა, «არქუთ მეფესა თქუენსა ჰგონებვე რაჲსა ესე ვითარსა საქმესა ჩემგან და დაცათუ ჩუეულებაჲ მეფეთა ბაბილოვნისათა გაიძულებს შენ, რამეთუ იგნიცა წინა აღმდგომ იყუნეს ჭეშმარიტებისა, არამედ ბრძანე შენ ყოფად რაჲ იგი გეგულვების ყოფად იქმოდი. ხოლო თქუენ რაჲსაღა ზედა მდგომელობთ და დამესხით, ვითარმცა მეცა თქუენ გემსგავსე? ამიერითგან განმეშორენით ჩემგან, რათა გამოვიძიო მე მცნებანი ღუთისა ჩემისანი». და აღიპყრნა ჴელნი თჳსნი ზეცად აღალო პირი თჳსი წინაშე მათსა და იტყოდა.

«გიგალობ შენ უფალო ღმერთო ძალთაო, ღმერთო საუკუნეთაო, რომელმან მომეც მე ძალი წინა აღმდგომად უკეთურისა მის მსაჯულისა, ვითარცა იგი წინასწარ სთქუ, ვითარმედ თქუენ

1) უწყოდე მკითხველო მართმადიდებელო, რამეთუ აზრი ესე, რომელიც აღმოუტყუებს სომეხთა ამათ, არს აზრი მათის საზოგადოებისა, რამეთუ საწუთროსა და ამაოსა ამისა სოფლისათჳს არა თუ მოქმედნი არიან ყოვლისა ურიგოებისა და ბილწებისა არამედ უარ, ყოფობისა მისა რომელიცარს მეუფე აწინდელისა და მერმისა მის საუკუნეისა; ამის გამოთ სიფრთხილე ყოვლადვე მათთაგან ჯერ არს. დასამტკიცებლად ამისა, ისტორიათა შინნა არიან უმრავლესნი მაგალითნი; ერთი მათთაგანი ნახე სომეხთა ისტორიასა შინა ელიშესა, გუერდი 82 და ჩემსა საქართუელოს ეკკლესიის ისტორიასა შინა რუსულად გუერდი 70 და შემდეგ....

მომცენით გულსი ოქუესნი და მე მიგეც ძალი ჩემი, ღირს მყავ მე ნათელსა პირისა შენისასა, რამეთუ შენდა მოვივლტვი ქრისტე ძეო ღმრთისაო და აჰა ესერა მოუძლურებულ ვარ მე ყოველთაგან წარმართთა სახელისა შენისათჳს წმიდისა და უფროსღა უსჯულოსა ამისგან მეფისა და აწ უფალო ღმერთო ჩემო, შეიწირე მსხუერპლი ესე ჩემი და შევედრე სული ჩემი ხელთაგან წარმართთასა ჲ მომმადლე აღთქმა, რომელ აღუთქუ, ვითარმედ, რომელთა აღმიარონ მე წინაშე კაცთა ვაღიარო იგი წინაშე მამასა ჩემსა ჲ ვითარცა იგი ამასვე ადგილსა ადიდენ წმიდანი იგი ურმანი, რომელთა აღგიარეს შენ და მეცა ღირს მყავ მათ თანა, რომელი ეგე გამოსჩნდი მათთანა მეოთხედ.

და ვითარცა ესე მე აღგიარებ წინაშე უსჯულოსა ამის მეფისა, შენცა სახიერო უფალო, აღმიარე მე წინაშე ანგელოზთა შენთა და ვითარცა იგი დღეინდელსა ამას დღესა შინა ადიდე ღირსი შენი მოწამე წმიდა გიორგი და შეიწირენ შრომანი მისნი და დათხევა უბიწოჲსა სისხლისა მისისა, შეიწირენ უნდოცა ესე სისხლნი ჩემნი და მომეც მე ნაწილი მისთანა, რათა წილმხუდეს რჩეულთა შენთა თანა, რამეთუ სამკჳდრებელი შენი მტკიცე არს ჩემდა».

და ამას რა იტყოდა წმიდა მოწამე ნაკადულნი ცრემლთანი გარდამოდიოდეს თუალთაგან მისთა ჩუეულებისაებრ მისისა, ხოლო გარემოს მდგომარენი იგი მისნი, ჰსცემდეს პირსა მისსა და მრავლითა ტანჯჳთა სტანჯვიდეს მას, არამედ ენა მისი ვერ დააბრკოლეს გალობად, ხოლო ერისთავნი იგი მოიქცეს და უთხრეს მეფესა მას ყოველი რაჲცა ესმა და იხილეს.

მაშინ უფროსღა განრისხნა მეფე იგი და წარავლინნა იგინი და უბრძანა მოკუეთაჲ თავისა მისისა, არამედ ამით გამოსცდიდაცა მათ, რამეთუ აქუნდა იჭვი მათ და მიმართ, ხოლო იგინი მივიდეს და ჰსცემდეს მახჳლითა ქედსა მისსა წინაშე დალიჯსა მას და ვერარაჲსა ავნებდეს მას და ვითარ აუწყეს ესე უსჯულოსა მას მეფესა წარავლინა მან ერთი წინაშე მდგომელთაგანი უცხოთესლი და მან მოჰკუეთა თავი მისი მახჳლითა, პარასკევსა ი ნოემბერსა [1]) მეფობასა ბაგრატ კურაპალატისა [2]) ჲ მიართვა მეფესა თჳსსა, ვითარცა იგი თავი იოანე ნათლისმცემელისა ჰეროდეს.

ხოლო გუამი მისი დამოჰკიდეს ძელსა ფრიად მაღალსა, ყოველმან ერმან იხილეს სასწაული დიდი გუამსა მას ზედა [3]) და მივიდა წმიდა იგი მოწამე ადგილსა მას განსასუენებელსა, რომლისაგან განშორებულ არიან ყოველნი სალმობანი, მწუხარეებანი და ჭირნი სადა იგი ხედავს ნათელსა პირსა შენსა უფალო, სადა იგი ვერ მისწუთებიან ენანი ძჳრის მეტყუელნი, არამედ სიხარული დაუსრულებელი არს მუნ და წმიდათა ანგელოზთა თანა მოქალაქობაჲ.

ხოლო აღესრულა იგი კეთილითა აღსარებითა თთუესა ნოემბერსა ათსა, დღესასწაულსა წმიდისა გიორგისასა, რომლისაცა თანა ზიარ იქმნა, დღე იყო პარასკევი დასაბამითგანნი წელიწადნი იყუნეს ექუს ათას სამას ორმეოცდა ათხჳდმეტ; ხოლო ზედა წერილსა ისმაიტელთასა ორას ოც და შჳდსა და ესე მრავლისაგანი მცირედ აღიწერა სიმხნეთაგან წმიდისა კონსტანტინესი, რათა იყოს თქმული ესე შემოკლებულ და სრულ, რათა არა იყოს შემაწუხებელ ნაკლულევანებითა, არცა ნამეტნავ განგრძობითა სადიდებელად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

1) 849 წელსა.

2) 828 — 876.

3) ქართუელთ მეისტორიე მონაზონი იოსელ იტყჳს, ვითარმედ გუამი წმიდისა მოწამისა, შემდეგ მოტანილ იყო ბაღდადიდგან (ბაბილოვნიდგან) საქართუელოსა, არამედ არ მოგვითხრობს თუ სად იყუნენ იგინი დასხნილ. დღესასწაული წმიდისა დადგენილ იყო კათალიკოზ იოანე II სგან 871 — 893 წელსა.

და ვითარცა მიესმა პირჳჱლ მოხსენებულთა წმიდათა მეფეთა მარტჳრობაჲ წმიდისა კონსტანტინესი განიხარეს სიხარულითა და მიჰსწერეს ეპისტოლე შჳლთა მიმართ მისთა და ნათესავთა სახლისა მისისათა, რამეთუ ფრიად მრავალ იყჳნეს იგინი, რომლისა წერილ იყო ესრეთ.

«რამეთუ, რომელნი იგი პირჳჱლ სიტყჳანი მოიწყოდეს სასმენელთა ჩჳჱნთა, რომელ იგი, იქმნებოდა თქჳჱნ მიერ სიმართლისათჳს და იქადაგებოდა.

ხოლო აწ საქმენი თქჳჱნნი; რომელთა იქმოდით მოწამე არნ თქჳჱნდა და თქმულნი იგი დაუმტკიცა ფრიად და დაუნერგა კეთილად ჰსჯულიერობაჲ თქჳჱნი.

და ჭეშმარიტად გულს მოდგინებისა თქჳჱნისა საქმე, რამეთუ მცირითა მით მიზეზითაჲ, რომელი იყო დამტკიცებულ გულთა თქჳჱნთა სარწმუნოებისა, გამოაცხადეთ იგი ულმრთოთა ზედა და ვითარცა სრულნი ქრისტეანე ყოფილნი ერთბამად ერთ სიტყჳთ იქმნენით და ვითარცა ერისა ჰსჯულსაჲ შინა ვიყჳჱნით და უფალსა პირისპირ თქჳჱნსა ყოველსა ჟამსა ხედვიდით შეურყეველნი ურთი ერთა არს დაადგერით სასოებითა ქრისტესითა მტერთა ზედა ჯჳარისათა და ქრისტეს თანა მოსწრაფებით მამაკაც იქმნენით და პირნი მათნი გინებითა აღავსენით.

და ძლევით შემოსილთა შეერთებულთა სივლტოლვაჲ იგი მათი განუცხადეთ და ესე იქმნა ძალითა ღჳთისათა საქმე განსრულებული და სიქადული მამათა თქჳჱნთა და რათა დაგვატკბნეთ სიტყჳანი ჩემთჳს და თქჳჱნთჳს, ჯერ არს ნეტარისა ამის მოწამისა კონსტანტინესი და წინა აღდგომა სიმხნისა მისისა მტერთა მიმართ უხილავთა.

და გიჩჳჱნო თქჳჱნ საყჳარელთა ჩჳჱნთა, რომელნი ეგე ხართ ჭეშმარიტად შჳლნი მისნი და ხატნი ხორციელებისა მისისანი, ვითარცა რაჟამს ჰბრძოდა იგი ეშმაკთა შიშითა ღჳთისათა ხორცნი თჳსნი წინადაუპყრნა, არათუ სიხშოთა ამით საქმითა ხორციელებისათა მიმხედველ იყო არცაღა ბრწყინჳალე უჩნდა მას ნათელი მზისა ამის წარმავალისა, არცა ტკბილ უჩნდა მას სიმცხინვარე მზის თჳალისა განქარვებადი და გულის წყრომითა ნათლისა მის მომავალისათა ღრუბლად ხედვიდა მზესა ამას აღმომავალსა და სიყჳარულითა ქრისტესითა ყოველნი გემონი სოფლისანი, ვითარცა სისხლი კბილთა ეგრეთ წარმონერწყჳა სურჳლითა დიდისა მის გულის სათქმელისათა და სიბრძნითა ზრახჳსა მისისათა ძმაცულებისა მიმართ.

ამისთჳსცა ყოველი დიდება ამის სოფლისა, ვითარცა ნაგევი ეგრეთ შეერაცხა, რათა ქრისტე ოდენ შეიძინოს და აწ ამისთჳსცა მისნი არიან ცანი და ქჳჱყანა და ყოველი რა არს მას შინა, რამეთუ ყოველივე დაუტევა და ღჳთისა ოდენ იქადოდა, რომელი იგი ქებულ არს ღჳთისა მიერ და ანგელოსთა მისთა და საქმეთა მისთაგან უკუნისამდე იქების.

აწ არა გვიხმს ჩჳჱნ ნუგეშინისცემა თქჳჱნი ამისთჳს ვინათგან იგი არს ნუგეშინის მცემელი და მეოხი ჩჳჱნი და თქჳჱნი წინაშე ქრისტესა, არამედ დაუტეოთ აწ არა დატევებული ესე და თქჳჱნდა, მოვიქცეთ სიტყჳად შეწყნარებულთა ღჳთისათა და ჩჳჱნთა და სადგურისა თქჳჱნისა პატიოსნებაჲ ჩჳჱნ წინაშე წარსრულისა მის პატივითა, სიტყჳთ და საქმით გაუწყო თქჳჱნ, რათა გულპყრობით იყჳნეთ ჩემდა მომართ და დაეფარნეთ ქჳჱშე ფრთეთა მფარველისა ჩემისათა, რამეთუ ნებასა ჰსჯულისასა მხედველ ხართ და ყოველი, რომელი მას წინა აღუდგების განაგდებს ქრისტესა თქჳჱნ შორის მეტყჳჱლსა მოსწრაფებით ისმინეთ.

და მის მიერ ცხებულთა თავნი თქჳჱნნი დაუმდაბლენით და უღელსა ჩჳჱნსა ქჳჱშე ქრისტეს მძერსა ქედნი თქჳჱნნი წარუპყრენით და სუბუქისა ტჳრთისა ჩჳჱნისა აღგიდებაჲ მხართა თქჳჱნთა ზედა ჯრა გარეწარ იცოდეთ.

თქ̃ჳნ ხარნ ჭეშმარიტნი მინდობილნი ღ̃თისა და მთასა სინასა ემსგავსენით და გოდოლი ძლიერებისა პირსა მერისასა ეჩ̃ჳნენით თქ̃ჳნ. საქმეთაგან გამოაცხადეთ, ვითარმედ კ̃ჳალსა ღ̃თისა და კაცთა მიერ საკჳრ̃ჳლისა, მის მამისა თქ̃ჳნისა სათნოებათსა მოსწრაფებით შეუდეგით, სტუმართ მოყ̃ჳარეებითა და გზათა მამშჳდებლობითა მონაზონთა და შორიელთა შეწყნარებითა; აწ ამას ზედა დაადგერით და სრულ ჭყავთ მოქალაქობაჲ ნეტარისა მის, რამეთუ საფარველმან მეფობისა ჩ̃ჳნისამან იღ̃ჳაწოს თქ̃ჳნთჳს და მთამან სიმდიდრისა ჩ̃ჳნისამან ქრისტეს მიერმან აღადგინოს დაბრკოლებაჲ თქ̃ჳნი და აწ ამას ზედა იქმოდეთ და მით გულპყრობილ იყ̃ჳნით.

ამას არათუ თქ̃ჳნ ოდენ გიბრძანებთ, არამედ ყოველთა, რომელნი ჩ̃ჳნ კერძო და ხელთა ქ̃ჳეშე ჩ̃ჳნსა არიან ქართ̃ჳლნი, რამეთუ ყოველთავე ქრისტეს მოყ̃ჳარეთა და მეფობისა ჩ̃ჳნისა ღ̃თისა მიერთა და ვითარცა შჳლთა საკუთართა თქ̃ჳნთა შევრაცხ, არამედ კ̃ჳალად აღდეგით და განძლიერდით ღ̃თისა მიერ.

და სიდიდითა ძალისა მისისათაჲ ლახ̃ჳარნი თქ̃ჳნნი მტერთა ზედა განაბრწყინ̃ჳნით და ნუ ვის ჴსცემ მათგანსა თქ̃ჳნ შორის სამკჳდრებელსა, რათა მიიღოთ კეთილი ჩ̃ჳნი და აღთქმული იგი პატივი კეთილის მოქმედთა თჳს უფლისა მიერ მოიღოთ [1]).

1) წიგნი ესე მიუწერა სახლობასა წმიდისასა ბერძენთ იმპერატრიცამ თეოდორამ ძით თურ̃თ თჳსით მიხაილ III იმპერატორ. — მარადის ხსენებულმან და ქრისტეს მოყუარემან, აღმადგინებელმან ხატთა თაყუანისცემისამან.




ႶႨႰႱႨ ႫႠႫႠ ႨႪႠႰႨႭႬ ႵႠႰႧႥႤႪႨ ႱႠႩႥႨႰႥႤႪႧႫႭႵႫႤႣႨ.

## თჳსა ნოემბერსა ით დღესა ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართუჱლისა [1].

ქართუჱლთა მზე მნათი, უღმო ილარიონ.
სიბრძნისა სიღრმით, თარგმნითა წერილთათა ავსებს.
განკმელს კაცს ჰნედლავს, მკრძმობს დიდებული.
კლდეად მზას კელს-აკმობს, ჯუარისა დამსახურლი.
მტუჱრისა მოასწმიდავს, სულისა ზე მკურნებს.

თქმული ნიკოლაოზ ტფილელის მიერ.

შემოსვლამან ამან ჟამთამან ჩუენ ზედა გუოილი ნაცვალი პირუჱლ მათ შემოილო და აწ ჩუენ მიერ შესხმადი ესე აღმოგჳცენა ილარიონ [2]), რომელი ესე მსგავსად პირუჱლთა მათ მამათა განბრწყინდა სათნოებითა და მოღუაწეებითა და მათითა მით ტრფიალებითა; ქრისტეს სიყუარულისათჳს აღეგზნა სული მისი, ვინაცა ყოველივე შეურაცხყო, რათა იგი მხოლოდ შეიძინოს, რომლითაცა მისწუთა მათთა მათ სათნოებათა და სულისა მის მიერ მჯთისა აღვსებულ იქმნა, ვითარცა ბრძანებს ხმა იგი სამეუფო და იტყჳს: «რომელსა უყუარდეს მე სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს და მამამანცა შეიყუაროს იგი, და მოვიდეთ და მისთანა სავანე ვჰყოთ».

---

1) ცხოვრება ღირსისა ილარიონისა, პირუჱლად აღწერილი იყო ბერძნულს ენაზედ, ბრძანებითა ბერძენთ იმპერატორისათა ვასილი მაკედონელისათა (866—886), მონაზონ ვასილის მიერ, რომელიც იყო მოწაფე ღირსისა ამის მამისა; ქართულს ენაზედ თარგმნულ იყო — თეოფილე მონაზონის მიერ, შემდეგ ქმნილი მიტროპოლიტათ აზიის ქალაქისა ტარსიისა, ბრძანებითა და სურვილით წმ. მეფისა ჩუენისა დავით III აღმაშენებელისა (1089—1125). აქამომდე თესალონიკეს ტაძარსა შინა წმ. მთავარმოწამისა დიმიტრისა, რომელიც უპყრიათ აგარიანთა და მათ მიერ შექმნილ არს მეჩეთათ, კედელსა ზედა, ვითარ მოგვითხრობენ მნახველნი, დახატული არს ღირსი მამა ილარიონ, რომელსა აქუს ქუეშე წერილი «ილარიონ ქართუჱლი».

2) ბერძნულის სიტყუისაგან «ἱλαρός», რომელიც ნიშნავს მხიარულობასა, სიამოვნებასა, სიხარულსა.

აწ უკუე, რომელი ღირს იქმნეს მიმთხუევად სანატრელსა მას აღთქმასა და თავი თჳსი სავანედ მისსა მოამზიდოს მოქალაქობისა მიერ წმიდისა და მტკიცისა, ესე ვითარი იგი სამართლად ნამდვილვე ღირს არს ყოვლისა პატივისა და მრავლისა შესხმისა და უზესთაეს არს კაცობრივთა ქებათა და უმეტეს ძალისა ჩუენისა სიტყუათა.

გარნა ვინადგან ძალისაებრ გულს მოდგინება საქებულ არს და შესაწყნარებელ ღუთისა, ვიწყოთ აწ და მრავლისაგან მცირედი მივითხრათ, რათა ზოგს რაჲმე სურვილი, მისი აღმოგივსოთ და სულნი სათნოების მოყუარენი ბაძვად აღუადგინნეთ.

იყო უკუე ჭეშმარიტი კაცი ესე ნათესავით ქართუელი, ქრისტეანისა მის და მართლ მორწმუნისა ქუეყანისა, რომელი იგი მოვიდა რა მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა, ჟამთა მათ დიდისა კონსტანტინესთა, რომლისა მეფობაჲ ღუთისა მიერ იყო, რომელმან იცნა ჭეშმარიტი მეფე ზეცათა ღმერთი მიერიდგან და ვიდრე აქამომდე, არა რაჲ ყოვლად შეერთა ღუარძლი წუალებისა და არცა თჳნიერ რაჲ შეიწყნარა თესლი უკეთურებისა, არამედ მოძღურებისაებრ წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათასა უპყრიეს მართალი სარწმუნოება და აღიარებს სამებასა წმიდასა ერთარსებით და სამგუამოვანებით, მამასა ძით და სულით წმიდითურთ თაყუანის-ცემულსა და რამეთუ ფრიად ბრწყინუალედ და მშუენივრად ქადაგებს შეურევნელობასა მას სამთა გუამთასა და განუყოფელობასა მას ერთისა ბუნებისასა, სამებასა ადიდებს ერთარსებით და ერთ არსებასაჲ სამებით და სამებასა ერთ უფლებით, ერთსა არსებასა, ერთსა ძალსა, ერთსა მეუფებასა.

ეგრეთვე კუალად ღუთივ მშუენიერად აღიარებს გამოუთქმელსა მას საიდუმლოსა მხოლოდ შობილისა ღუთისასა ჩუენთჳს და ჩუენისა ცხოვრებისათჳს განკაცებულსა უთესლოდ წმიდისაგან ღუთის მშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისგან და ვითარ მშობელი თჳსი უხრწნელად დაიცვა.

ერთ გუამად იცნობს ქრისტეს ორითა ბუნებითა სრულითა და აღიარებს ორთა ბუნებათა ქრისტესთა, ორთა ნებათა, ორთა საქმეთა, ურთი ერთას ბუნებითა შეერთებულთა, ხოლო გუამითა განუყოფელთა და იცნობს მას ვნებულად ხორცითაჲ, ვინადგან მოემშია და მოეწყურა და დაშურა და ჯუარცმა და სიკუდილი ნებსით თავს იდვა. ხოლო უვნებელად ღუთაებითა და უკუდავად და რამეთუ ხრწნილებაჲცა ხორცთა მისთა უხრწნელებად გარდაცვალა და ზეცად აღიყუანა და მარჯუენით მამისა დასუა; რომლითა მოვიდეს კუალად განკითხვად ცხოველთა და მკუდართა. ამის უკუე ესე ვითარისაგან, ნათესავისა ღუთის მოყუარისა და ჭეშმარიტად ძირისა კეთილისა, კეთილიცა ნამდვილვე აღმოსცენდა ნაყოფი, რომელი სულნელებასა ფშოდა ღუთის მსახურებისასა და იქმნა ყოვლითურთ ყუავილ სათნოებათა საკჳრველი ესე ილარიონ. ხოლო იყო ნეტარი იგი სამთავროსაგან კახეთის, მშობელთაგან დიდებულთა და წარჩინებულთა და სიმდიდრითა გარდარეულთა[1]) ხოლო, მამა მისი მხედართ მფლობელი იყო და ახოვან ბრძოლათა შინა, ხოლო უფროსღა იყო იგი განშუენებულ მოქალაქობითა კეთილითა და უბრალოთა ცხოვრებითა, ეგრეთვე დედა მისი მოსწრაფე იყო შეწყნარებად უცხოთა და მოღუაწებად გლახაკთა და მხურვალე ლოცუასა და ვედრებასა მარადის ღუთისა მიმართ.

ამათ უკუე ღუთის მოყუარეთა კაცთაგან იშუა რტო ესე ღუთის მსახურებისა და მსგავსად სამოელისა, პირუელ შობასავე შეწირული ღუთისა; ხოლო ილარიონ უწოდეს მას სახელი შემს-

---

1) ღირსი ილარიონ კახეთითგან იყო გუარით «ღონაური». მგონია გუარი ესე ვაჩნაძე უნდა იყოს.

გავსებულითა საქმეთათა, რომელი მხიარულებად ითარგმანების ელინთა ენასა და ძაბანელსა მას წმიდისა ნათლის ღებისასა წმიდა ჭურჭს, რომლისა მიერ მოივლინა მადლი სულისა წმიდისა მდიდრად მისზედა, რამეთუ ჭჳრვა სული ყრმისა მის ღირსი შეწყნარებად ბრწყინვალეებასა მას თჳსსა.

ხოლო იქმნა რა იგი ექუსისა წლისა მიეცა სწავლად საღმრთოთა წერილთა, მღვდელსა ვისმე მოხუცებულსა ფრიად და სათნოებითა შემკულსა, ხოლო ყრმამან მან სიმახჳილითა გონებისათა და სიმდიდრითა სათნოებისათა მცირედსა ჟამსა დაისწავა ყოველივე ძუელი და ახალი წერილი, ვიდრემდის დაუკჳრდა ყოველთა, რომელნი ხედვიდეს და რომელთა ესმოდა სიბრძნე იგი და სიმკრცხლე ყრმისა მის და კუალად შემკულება იგი და დაწყნარებულება წესისა მისისა და ყოვლისავე მიმართ სათნოებისა წარმართებაჲ.

ზედას ზედა მივალნ უკუე ბერისაჲ მამა ყრმისა მის მოხილვად ძისა თჳსისა, ვინათგან არა შორს იყო სავანისაგან მათისა. ვინაცა იწყო თავსა შორის თჳსსა განზრახვად ჩრახვასა კეთილსა და ჯეროვანსა, რათა ადგილსა მას მონასტერი აღაშენოს და შჳლი თჳსი ძღუნად მიმნიჭებელისა ღმრთისა შეჰსწიროს, ვითარცა პირველ შობისავე აღთქმულ იყო განზრახვასა ამას სათნოსა მეუღ-სეულად შეუდგა საქმე ქებული და მსწრაფლ აღაშენა ეკკლესია და სენაკები და შეკრიბნა მონაზონნი, რიცხვსათ ექუს მეტნი და წინა მძღვრად განუჩინა მათ პირველ ხსენებული იგი მღვდელი, რომელი იგი პირველითგან სახითა მით მოღვაწეთათა მოსილ იყო და შერთო ძე თჳსი რიცხვსა მას მოღვაწეთასა და შემოსა მას სახე მონაზონებისა. ხოლო ყრმა იგი ნეტარი სიხარულითა დიდითა მოუხდა სახესა მას, ვითარცა იგი ოდესმე ისაკი აბრაჰმს მამათ მთავარსა, რომელი იგი მორჩილ იქმნა სიკვდილსა ჴელითა მამისა თჳსისათა.

აღასრულეს უკუე დღესასწაული დიდი მამა დედათა ყრმისათა და ჰქმნეს სიხარული არა მცირედი დღესა მას და სიმრავლე სახმართა და სიმდიდრე სავსეთა მოქენეთა განუყვეს და ესრეთ სავსენი ნუგეშინის ცემითა წარვიდეს სახიდ თჳსად.

ხოლო მიერითგან უმეტესითა სურვილითა შჳლისა თჳსისათა აღეგზნეს მშობელნი ყრმისანი, ვინაცა არა დასცხრებოდეს სამარადისოდ მისლვად მონასტრად, რამეთუ სავანედ მათდა წარყვანე-ბად მისა ვერ შემძლებელ იყვნეს ვინადგან არა ერჩდა მათ. ხოლო სახმარსაჲ მას მონაზონთასა ყოველსავე დაუკლებელად მისცემდეს და ევედრებოდეს მას, რათა არა უტევონ ყრმასა ფიცხლად მოღვაწებად.

გარნა საღმრთოსა ილარიონს ყოვლითურთ ქრისტესა ჰსუროდა და მიმთხუევად მისსა მოს-წრაფე იყო და მისთა მათ ბრძანებათა იწყრთიდა მარადის, «ვითარმედ, რომელსა უყუარდეს მამა ანუ დედა უფროს ჩემსა, იგი არა არს ჩემდა ღირს»: ამის მიზეზისათჳს უმძიმს ზედას ზედა მისვლა იგი მშობელთა, ნუ უკუე დამაბრკოლებელ ექმნენ მას გზასა მას ღმრთის მსახურებისასა, რომლისათჳსცა იქმნა რაჲ იგი ათექუსმეტის წლისა განეშორა მიერ და მოღვაწეთა მათთანა მამათა, მიიწია რომელნი მკჳდრ იყვნეს უდაბნოსა გარეჯისჯისასა. ხოლო ადგილი იგი უდაბნო და ყოვლითურთ განშორებულ იყო სოფლისაგან, ფიცხელი ფრიად და უნუგეშინისცემო, სადა იგი არათუ ყოვლად სენაკებისა აშენებნ მუნ მყოფნი იგი მოღვაწენი, არამედ ქვაბთა შინა და ნაპრალთა კლდესა მკჳდრ არიან; არათუ ოდენ გემოთაგან და საშუებელთა სოფლისათა განუშორებიან თავნი თჳსნი, არამედ თჳთ საჭიროსა მისგან ხორცთა სახმარისა, რომელ არს პური და წყალი ფრიად ნაკლულევან არნ და უნუგეშინისცემო.

ამათ თანა-უკუჱ მიიწია წმიდა ილარიონ და ქუაბი ჰპოვა [1]) რაჲმე მცირე, რომელსა შინა დაემკჳდრა ვითარცა ოქროჲ მოქმნილთა შინა ტაძართა და სამარადისოდ ზრახვათა ღმრთისათა რბიოდა უცონელად სარბიელსა მას მოღუაწებისასა და შეკრებდა მრავალ სასყიდლისა მის სიმ-დიდრესა სათნოებისასა.

ვინაჲცა ჰპოვნა ქუაბსა მას შინა მახლობელსა თჳსსა კაცნი მოღუაწენი ჯუარ ცმულნი სიგჳდლი-ლისაგან და საქმეთა მისთა, რომელთაცა ახოვნად ხორცნი სულსა დაუმორჩილნეს ამათ ბაძვიდა დიდი იგი და წარხდომად მათდა მოსწრაფე იყო, რამეთუ აღეგზნა სული მისი შურითა საღმრ-თოჲთა და ძლითი ძლად რა აღვიდოდა და უსრულებელ ექმნა აღსლვა იგი კეთილისა.

რომლისათჳს შემდგომად მცირედთაჲ ჟამთა ყოველთავე წარხდა უზეშთაეს კაცთასა მოღუა-წეებითა, ლოცვთა სამარადისოთა, მღჳძარებებითა, მიმდემითა მაღლითა მით ხედვითა გონებისათა და დაწყნარებითა და წადიერად ფსალმუნებითა, მარადის აღმომდინარითა მით წყაროთა ცრემლ-თათა, ჩუ დგომითა ღამე ყოველ მიუდრეკელად, ამას ყოველსა ზედა მდაბალი იყოჲ სულითა, მშჳდ გულითა და წრფელ გონებითა და სახიერ სიტყჳთა, მახჳლ გულისხმის ყოფითა და მხურვალე აღსრულებად ყოველთა მცნებათა ღმრთისათა, ხოლო უმეტესადღა მოწყლულ იყო სიყუარულითა ღმრთისათა და ტკბილითა მით ისრითა განწონილ იქმნა სული მისი და შეკრულ განუხსნელითა მით საკჳრველითა ტრფიალებითა ღმრთისათა, რომლისათჳსცა აღესრულებოდა მის ზედა მაცხოვ-რისა იგი ბრძანებაჲ ვითარმედ; «შეიყუარო უფალი ღმერთი შენი, ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა» და ესე ზომისაებრ არა იქმნების, არა-მედ ყოვლითურთ მოკრძალვითა ძალთა მათ სულისათა და რათა არა რაჲსა მიმართ ყოვლადვე წარ-მავალთაგანისა იყოს მიდრეკილ, არამედ რათა შემსჭუალულ იყოს შიშსა ოდენ და სურვილსა დამ-ბადებელისასა ამათ შინა უკუჱ გონიერთა სულისა მოქმედებათა ღმრთის მოყუარე ესე კაცი კეთი-ლად განმშჳენდებოდა და თუ ვითარ ანუ ოდეს და სადა და რაჲ ოდენ ჯერ არს ურთი ერთსა შეზა-ვებად მშუენიერებისა მათისა და ყოველივე მათ ნასხამთა და შენადგამთა საკჳრველსა აღასრუ-ლებდა შეწყობასა, ხოლო მოსწრაფებაჲ მისი ერთი იყო, რათა ყოველივე ცხოვრება მისი, იყოს ნებისაებრ ღმრთისა და არა წინა აღმდგომ მცნებათა მისთა.

ხოლო საზრდელი მისი არნ პური და ოსპნი დამბალი წყლითა და ველური მხალი, რაოდენი რაჲ ჰპოვებოდა ხმელსა მას უდაბნოსა და უმიწოსა და ესე ვითარ რაოდენ იგი ბუნება ეძიებდა, არამედ რაოდენ იგი კმა იყო დამჭირვად შეუძლებისა მის ხორცთასა სულსა თანა. ესრეთ უკუჱ ნაკლულევან იყო ხორცთა სახმარითა და უნუგეშინისცემო, გარნა სულითაჲ არა ესრეთ, არამედ წინა უკუმო, რამეთუ ზრდის მას უხუჱბით დაუფუფუნებს დღე და ღამე და იწურთის ჰსჯულსა უფლისა მიმდებად, ოდესმე და საღმრთოჲთა მით წერილთა სამღდელოთა ირწყჳებინ ყოვლადვე რომლისათჳსცა გამოჩნდა ხე დანერგულ თანა წარსადინელსა მას საღმრთოთა წერილთასა, რომ-მელმან გამოსცა ნაყოფი კეთილი ნამდვილვე ჟამსა თჳსსა, სულნელი ფრიად და მრავალ სახე.

---

[1]) სენაკი ღირსისა აქამომდე კეთილად ინახვის დავით გარესჯის უდაბნოსა შინა, გამოქუაბულ კლდესა შინა აღმოსავლეთის მხარეს, რომლისა მოახლო ღირსის მიერ გამოკუეთილ იმავე კლდესა შინა ინახვის ლაკუანი, რომელიც წლითი წლად ალივსების ხოლმე წჳმით. მყუდროება და სრულიად სიმშვიდე ადგილისა მის ალიტაცებენ გონებასა კაცისასა ცად მიერ და სრულიად ავიწყებენ იპოების თუ სადამე მსოფლიო და ამაო ცხოვრება მისი, უმეტესად მიმყუანებელი საშინელსა ჯურღმულსა ჯოჯოხეთისასა, რომლისა გზა ფრიად ფართო არს.

ამათ შინა უკუე და ესე ვითართა განათლდებოდა, ვითარცა ვარსკულავი რაჲმე მადლისა ყოვლად ბრწყინვალე, რომელი მშვენიერთა მათ ელვათა სიტკბოებისათა განუტევებდა, ვინაჲცა განცხადნა იგი და არა დაფარულ იქმნა დაღათუ იგი დაფარვლად მოსწრაფე იყო.

რამეთუ განითქუა ამბავი მისი ქრისტიანესა და სანახებთა მისთა და იწყეს მიერითგან მისლვა მისსა შორიელთა და მახლობელთა და თჳთ უდაბნოსა მისცა და აღივსებოდეს სარგებლითა მდიდრად აღმომდინარისა მისგან წყაროსა მოძღურებათასა, მრავალნი უკუე მოვიდოდეს შორითგან ქრისტიანეთა, ვითარცა ვთქუ და ვითარცა სათნოებასა ზედა მირონთასა შეკრბებოდეს და მისთანა ყოფად ევედრებოდეს, რათა მის მიერ განისწავლნენ და სულითა განიწურთნენ საცხოვრებელად.

გარნა ნეტარსა მას ვინაჲდგან უფროჲს მყუდრო იგი და უღელვო დაყუდებაჲ დაადგრა იწროებით ყოველთა მათ ჟამთა, მცირესა მას შინა ქუაბსა და არცა ერთი ვინ უტევა ყოვლადვე ყოფად მისთანა, ვინათგან უკუე სათნოებისა მოყუარეთა ვიეთმე განამრავლეს ვედრებაჲ მისა მიმართ და აიძულებდეს უნებლიეთ მორჩილებად მისსა დაუმორჩილდა ნეტარი იგი არა ნებსით, არამედ მცნებისა მისთჳს, რომელ იტყჳს, «ვითარმედ ნუ ეძიებთ თავისასა, ხოლო არამედ მოყუსისასა». ვინადგან მიერიდგან შეიწყნარნა თჳსთა მიერ მოსრულნი, რომელთა რიცხვი აღვიდოდა ვიდრე ათ ერთმეტადმდე და ასწავებდა მათ ზეცისასა მას და ანგელოზებრსა მოქალაქობასა და გზასა მას უძლურობისა მიმყვანებელსა ღმრთისა, რამეთუ მრავლისა მისგან გამოცდილებისა და უადრეს ბუნებათა მოღუაწეებისა ისწავა განკითხვა სულთა მაღალი და უკეთუ რაჲმე მოიწიის ვისმე ზედა წყლულებაჲ სულისა წინა აღმდგომისაგან, ვითარცა მრავალგზის შეემთხუევის მალე მსრბოლთა, მკურნალ არს მათდა ხელოვან და გამოცდილ.

მოვიდოდეს ძმანი იგი მარადღე და გამოუცხადებდეს გულის სიტყუათა თჳსთა, ხოლო მშჳდი იგი და ტკბილი მამა თჳთოეულსა მათგანსა მისცემნ წამალსა საკურნებელსა, რომელი იგი გამოცდილებისაგან და გულის ხმის ყოფისა და მრავლისა მისგან განკითხვისა და ეკუნა თავსა შორის თჳსსა, ეგრეთვე კუალად ჰმოძღურიდაჲ მათ და ასწავებდა, რათა მოიგონ სარწმუნოებაჲ და სიმდაბლე და განკუეთა ნებისა თჳსისა ხსენებაჲ სიკუდილისა საშინელისა და შიში მოუთმენელთა მათ სატანჯველთაჲ, რომელსა ცოდვილნი საწყალობელად თავთა თჳსთა განუმზადებენ და რათა სუროდის სასუფეველისათჳს და გამოუთქმელთა მათ კეთილთა, რომელი მართალთათჳს განმზადა ღმერთმან. ამას ზედა ამცნებდა მარადის, რათა არა განუსუენებდენ თავთა თჳსთა, არამედ რათა შრომითა და მოღუაწეებითა დაიმონებდენ ხორცთა თჳსთა და, რათა იქმოდინ ხელთ საქმარსა, რომლისა მიერ განილიოს სიმხურვალისა კერძი და ადვილ იქმნეს სიტყჳსა ღმრთისა შესლვად გულთა შინა მათთა და გონებათა.

ესრეთ უკუე სწავლითა მით მამისათა, რომელნი იგი განათლდებოდეს და ბაძვად მოძღურისა მის სახიერისა მოსწრაფე იყვნეს და ვითარცა კეთილნი მხედარნი გულს მოდგინედ შედგომილნი მხედართ მპყრობელნი და უსრულოდ უხილავთა მათ განეწყობოდეს, რამეთუ შეიჭურნეს ახოვანად საჭურველითა მით მონაზონებისათა, რომელ არს სიმდაბლე, განკითხვა, მორჩილებაჲ, ხსენებაჲ სიკუდილისა, სიმრავლე ცრემლთა, ლოცვა წარუტყუებელი, სიყუარული ღმრთისა მიმართ და მოყუსისა და სხუა ესე ვითარი მწყობრი იგი სათნოებათა, რომელნი ფრთოვან ჰყოფენ სულსა.

ვინათგან სახელი წმიდისა მის განითქუა ყოველსა მას ქრისტიანესა, ეპისკოპოზი ვინმე მახლობელთაგან სამთავროთა, კაცი წმიდა და წინასწარმხედველობისა მადლსა ღირს ქმნილი მოვიდა მისა, რამეთუ ესმოდა ყოველთაგან სათნოებაჲ კაცისა მის და გულ სავსე იქმნა ღმრთისა მიერ ვი-

თარმედ უმეტეს თქმულთასა არს ჭეშმარიტება და იხილა რა ესე სურვილით და მოწლედ მოიკითხა იგი სიყუარულითა საღმრთოჲთა და აღივსო იგი მრავლითა სარგებელითა კეთილისა მისგან და სულიერისა უბნობისა და ჰრქუა მას. «ვმადლობ ღმერთსა შჳლო ილარიონ, რათა ისმინა ხმა ვედრებისა ჩემისა და არა დამაკლო ცოდჳლი ესე პატიოსნისა ხილვისა შენისა, არამედ გევედრები შენ ღუთისა მიერითა მოცემულითა ხელმწიფებითა გამცნებ, რათა ერთი სათხოველი ჩემი აღასრულო და ხელთაგან სიმდაბლისა ჩემისათა შეიწყნარო კურთხევა მღუდელობისა». ხოლო რომელი იგი ყოვლადვე ევლტოდა სენსა მას ურჩებისასა დაემორჩილა აქაცა ბრძანებასა მას მღუდელთ მოძღურისასა დაღაცათუ ფრიად მძიმე უჩნდა შესლვად უღელსა მას მღუდელობისასა და ძრწოდა. აღმართა უკუე საკურთხეველი მღუდელთმოძღუარმან ქუაბსა მას შინა და განწმიდა იგი და აკურთხა საღმრთო ილარიონ დიაკონად და ხვალისა დღე სრულ ჰყო იგი ხუცად და იხილა ეპისკოპოზმან ჟამსა ხელთ დასხმისა მისისასა მადლი სულისა წმიდისა გარდამოსრული მას ზედა და დადგრომილი თავსა ზედა წმიდისასა და ესე არათუ მარტოდ ეპისკოპოზმან იხილა, არამედ ძმათაცა, რომელნი ამათ ესე ვითართა ხილვათა ღირს იქმნნეს ხილვად, განცხადებულად იხილეს თუალითა მით სულისათა და იხილეს რა საკჳრუელებაჲ ხილულითაცა თუალითა ადიდებდეს ღმერთსა.

კუალად მიიქცა მღუდელთმოძღუარი იგი სამწყსოდვე თჳსად და მიუთხრა ყოველსა ერსა წარმატებაჲ იგი კაცისა ღუთისა. ხოლო სანატრელმან ილარიონ მიიღო რა პატივი მღუდელობისა, მიზეზად უმეტესთა ღუაწლთა შეჰმზადა იგი და წარემართებოდა უმეტეს და უმეტეს სათნოებითა ვიდრელა, რომელნი ხედვიდეს ადიდებდეს ღმერთსა სიტყჳსაებრ სახარებისა, რომელი იტყჳს «ვითარმედ ესრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რათა იხილონ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა». ესმოდა რა ესე შორეულთა და მახლობელთა მოვიდოდეს მისსა და საკჳრუელებისა მის ზედა ჰყოფდეს ხილვასა მისსა, მრავალნი უკუე ევედრებოდეს მას ყოფად მისთანა უდაბნოსა მას შინა და ჰსუროდა მათ ამისთჳს ვიდრე პალატთა შინა სამეფოთა წინაშე მეფისა შეუებად. ხედვიდეს რა თავსა თჳსსა პატივცემულად ჭეშმარიტი იგი კაცი ღუთისა და რამეთუ სარგებელი იგი დაყუდებისა და მარტოებისა და ეხრწევის, გამოარჩია ძმა ერთი, რომელი სხუათა მათ ჰმატდა სიტყჳთ და საქმით და განგება მონასტრისაჲ არწმუნა მას. ხოლო იგი თავადი ერთისა თანა მოწაფისა გამოვიდა მიერ თაყუანისცემისათჳს წმიდათა ადგილთასა და გზასა მას იერუსალიმად მიმყუანებელსა გულს მოდგინედ შეუდგა და ლოცუითა წარემართებოდა სრბასა მას კეთილსა და იტყოდა, «მიძღოდე მე უფალო გზათა შენთა და ვიდოდი მე ჭეშმარიტებითა შენითა». და ვითარცა მიიწია საღმრთო იგი მღუდელი ასურასტანად, სლვასა მას შინა მოუხდეს არაბნი, რომელნი ავაზაკობად გამოსრულ იყუნეს, იხადეს მახჳლი მათი და აღიხუნეს ხელნი მათნი უკეთურნი და დათხევად სისხლისა უბრალოჲსა სურჳლ იყუნეს, არამედ მარჯუენე იგი საღმრთოჲ მსწრაფლ გარდამოხდა ხსნისათჳს მონისა თჳსისა; რამეთუ ზე რა აღიპყრნეს ხელნი თჳსნი, ბილწთა მათ, რათამცა ჰსცეს მახჳლითა ღირსსა მას ყოვლისა პატივისასა, შეუძრველად დაადგრნეს ხელნი მათნი განხმელად, და მარჯუენნი მათნი დაშთეს ჰაერთა შინა.

ხოლო კაცი იგი ღუთისა მოწაფითურთ ვიდოდა ჰსრბასა თჳსსა უვნებელი და განიცდიდა წინაშე თუალთა მისთა მისაღებელსა მას ცოდვილთასა. ხოლო მკლუელნი იგი მგლოვარენი განსაცდელისა მისთჳს, მოწევნულისა მათ ზედა მიუგეს მას ევედრებოდეს ტირილით და შეუვრდებოდეს განხსნად კრულებისა მის მათისა და მოღებად ლხინებისა ტანჯჳსა მისგან და გულ სავსე

ჰყოფდეს მას და ფიცით აღუთქმიდეს, რათა არა ოდეს მიეახლნენ მონაზონსსა ყოვლადვე და წარვლეს ამას შინა ხუთი ოდენ სტადიონი ზე აქუნდეს ხელნი მათნი წუდილითა მახჳლითა შეეწყალნეს იგინი მამასა მას წყალობისასა. მიიქცა მათდა და სასწაული ჯუარისა გამოსახა, განხმელთა მათ მარჯუენეთა მათთა ზედა და მეყუსეულად განიხსნნეს საკრუელთაგან და ბუნებისავე წესსა კუალად ეგნეს, რომლისათჳსცა ჰმადლობდეს მას და სრბით მიისწრაფდეს სავანედ თჳსად და მოართუეს პური და ფინიკი[1]) და შიშმან შეიპყრნა იგინი უცხოსა მას ზედა სასწაულსა და მრავალთა სხუათა მიუთხრობდეს ამას და კუალად ღუთად უწოდდეს მას, ხოლო ერთი არაბთა მათგანი წარჰყუა ვიდრე მთადმდე თაბორისა და უჩუენებნ მათ გზასა და ყოველსავე რას მსახურებდა.

არამედ კეთილმან მან ილარიონ, მთა იგი თაბორისა და სხუანი იგი წმიდანი ადგილნი მოილოცნა და მიერ მოვიდა წმიდად ქალაქად იერუსალიმად და მოვლნა და მოილოცნა ყოველნივე იგი თაყუანისსაცემელნი ადგილნი და წმიდასა მას წმიდათასა თაყუანისცა. მერმე განვიდა ლავრასა წმიდისა საბასსა და მცირედნი რაჲმე დღენი დაჰყუნა უკანასკნელ და ძმა იგი, რომელი თანა ჰყუა, დაუტევა მუნ მამასა თანა და თჳთ უდაბნოთა მათ შთავიდა იორდანისათა და ქუაბსა მას მიემთხჳა სადა იგი ელია თეზბიტელი პირუელ და უკანასკნელ მკჳდრ იყო იოანე წინამორბედი და ნათლის მცემელი ქრისტესი. შევიდა მას შინა და მხიარულ იქმნა სულითა და წამა და თქუა ვითარმედ წმიდა საყოფელთა ზეგარდამოთა მიემთხჳა იგი ქუაბსა მას, რომელსაცა შინა დაემკჳდრა და ყოვლისა ქუეყანისა ზრუნვისაგან წმიდა ჰყო სული თჳსი და განეშორა ყოვლისაგანვე კაცთა თანა ქცევისა და ყოვლითურთ შემსჭუალა თავი თჳსი მერმეთა მათ კეთილთა და მხოლოდ მხოლოჲსა შეეყო ღმერთსა, ლოცჳსა მიერ და მადლისა მის გონებისა ხედჳსა, რამეთუ დაფარულ იქმნა იგი ქუაბსა მას შინა და რაჲთურთით არავინ არს ყოვლადვე მიმავალ მისსა და არცა ყოვლადვე მიართუამნ საზრდელსა რაჲს ანუ თუ ეზიარებინ მის სახმარსა ხორცთასა.

არამედ თივათა იზრდებინ უდაბნოსათა და ესეცა ფრიად ნაკლულევანად აქუნდა, გარნა ვინათგან საწერტელითა მით მოწყლულ იყო ქრისტეს სიყუარულისათა; ადვილად მოითმენდა ჭირთა მათ და შრომათა უდაბნოსათა უმეტეს სხუათა გემოვნებისა. ესე ვითარი უკუე ღუაწლი მოიღუაწა ქუაბსა მას შინა უცხო რაჲმე და საკჳრუელი და უაღრეს ბუნებისაგან კაცთასა, ჟამთა ათშჳდმეტისა წლისათა.

შემდგომად ამისსა იხილა ჩუენებით ძილსა შინა კაცი ვინმე ბრწყინუალე და საშინელი, რომელი უბრძანებდა და ეტყოდა ვითარმედ «მსწრაფლ აღდეგ ილარიონ და წარვედ ქალაქად შობისა შენისა, რამეთუ სათნო ეყო ღმერთსა დიდად მშობელი შენი და ილოცა ლოცუა ესრეთ, რათა არა განვიდეს ხორცთაგან და სოფლისა, ვიდრე არა გიხილოს შენ ძე თჳსი, აწ უკუე კართა ზედა მოახლებულ არს აღსასრული მისი, ამისთჳს გიბრძანებს შენ, რომელმან იგი ჰყჳს ნება მოშიშთა მისთა უფალმან, რათა წარხჳდე მისა და განწესებული მის ზედა აღასრულო და პატივით დაკრძალო, მერმე კუალად იწყო მოქალაქობად, ვითარცა უფალმან და მეუფემან გიბრძანოს». განიღჳძა რა მძინარებისაგან, განიზრახვდა ჩუენებისა მისთჳს, რამეთუ უყუარდა დადგრომა ქუაბსა მას შინა ვიდრე უკანასკნელად აღმოფშჳნვადმდე, რამეთუ სივიცხლე ადგილისა და კაცთაგან მიუვალობა საცხოვრებელად თჳსად შეერაცხა, გარნა დაღაცა თუ ესე მას ესრეთ აქუნდა, არამედ განგებულებაჲ ღუთისა სხუებრ განაგებდა.

რამეთუ მომავალსა მას ღამესა ხედვიდაჲ თავსა თჳსსა აღსრულად მთათა ზეთის ხილთა და იხილა წმიდა დედოფალი ღუთის მშობელი, მჯდომარე დიდებითა გამოუთქმელითა და ათნი ვინმე

1) ჰინდოეთის ხურმა.

კაცნი ბრწყინვალედ შემოსილნი მდგომარე იყუნეს წინაშე მისსა და უბრძანა მოწოდებად ილარიონისსა და იგივე ბრძანება უბრძანა მას, «ვითარმედ ჴსწრაფით აღასრულე, რომელი წარსრულსა მას ღამესა გებრძანა ჩუჱნებით ანგელოზისა მიერ», მოეგო რა თავსა თჳსსა ილარიონ თქუა ესრეთ, «ვითარმედ იყავნ ნება უფლისა». აღდგა უკუჱ მიერ და თავი თჳსი ღამე ყოველ ლოცვად მისცა და ევედრებოდა ღმერთსა ცრემლითა მხურვალითა, რათა მიუდრეკელად დაიცვას იგი გზისა მისგან რომელი მიიყვანებს ცხოვრებად.

გამოვიდა განთიად მიერ ქუაბით და აღჴდა წმიდად ქალაქად და თაყუანისცა წმიდასა მას საფლავსა და ემთხჳა თხემსა ადგილსა სადა იგი ჩუჱნთჳს და ჩუჱნისა ცხოვრებისათჳს უვნებელმან ივნო ხორცითა და ესე ყოველნი რაჲ მოვლნა და მოილოცნა, იწყო სრბად გზასა მას ბრძანებულსა მისსა და შემდგომად არა მცირედთა დღეთა მიიწია მამულსა თჳსსა და ჰპოვა, რამეთუ მამა და ძმა მისი აღსრულებულ იყუნეს, ხოლო დედა მისი ჯერეთ ცოცხალ იყო, ერთისა თანა დისა მისისა, რომელთა იხილეს რა სასურველი იგი მათი აღვსებულ იქმნნეს ცრემლითა და გამოუთქმელითა სიხარულითა და მოწლითა სურვილითა ამბორს უყუჱს ხელთა და ფერხთა მისთა.

ჰრქუა მას დედამან მისმან შჳლო საყუარელო, შჳლო სასურველო, ვინადგან არა უგულებელს ჰყუნა უფალმან ცრემლნი ჩემნი, არამედ ღირს მყო სიცოცხლესა ჩემსა ხილვად პატიოსნისა სახისა შენისა; ამიერითგან უკუჱ, ვითარცა სათნო არს შენდა ეგრეთცა განაგე ჩუჱნთჳს, რამეთუ სახმარი და სიმდიდრე ჩუჱნი ღმერთსა მიუპყარ და ჩუჱნ სახე მოღუაწეთა შეგუმოსე და დაუდებაჲ და სისანული ცოდუათა ჩუჱნთა გუასწავე, რათა ჩუჱნცა ვცხონდეთ შენ მიერ, ვითარცა სხუანი მრავალნი შესწირენ ღმერთსა.

აშენებულ იქმნა სულითა ღირსი იგი, თქმულთა ამათ ზედა და სახლი იგი, ქალწულთა მონასტრად შეცვალა და შემზადა და დედაჲ და დაჲ თჳსი მას შინა აღკუეცნაჲ და შეჰმოსნა სახე მონაზონებისა და დაადგრა მცირედთა დღეთა მათთანა და დედაჲ თჳსი წინაშე ღუთისა ღირსივე ღუთისა წარგზავნა, რომელმანცა მშჳდობით დაიძინა; ხოლო საღმრთომან ილარიონ ღირსად შემურა ხორცნი ღირსისა მის დედაკაცისანი და მიწისაგან მოცემულნი იგი მიწასვე მიუძღუნნა, ხოლო სული მისი სასუფეველსა ცათასა შეეწყნარა.

ამისსა შემდგომად დაჲ თჳსი ღირსთა ქალწულთა მიუთუალა და სიმდიდრე ყოველი გლახაკთა განუყო, ხოლო თჳთ მიიღო რაჲმე დაშთომილთაგანი სახმართა და კუალად უდაბნოდ გარესჯისა მივიდა; სადა იგი დაეტევნა ძმანი პირუელ, ხოლო წმიდისა მამისა დავითის სამარტჳროსა[1]) შინა ეკკლესიად შექმნა, განაგო და შეწირა სახმარი რაოდენი იპოვა მის შორის, რომლისა თჳსცა მოვიდოდეს მისა სიმრავლე ერისა დღითი დღე, რამეთუ უწოდდეს წყარონი იგი მადლთა მისთანა სულთა მათ სათნოების მოყუარეთა, ვითარცა ირემთა სულიერთა ჰსურინ მათ წყალთა მათ სულისათა, სხუათა კუალად საფარეთა სიმრავლესა არა მცირედსა მიიღებდეს და დასდებდეს ფერხთა თანა წმიდისათა.

არამედ უკეთური იგი მტერი ჭეშმარიტებისა და მბრძოლი წმიდათა, ვერ თავს იდებდა ხილვად კეთილთა მათ საქმეთა ილარიონის მიერ აღსრულებულთა, რომლისათჳსცა აღუდგინა მას განმცდელი დახრწევად საქმესა მას საყუარელსა ღუთისა აზმნობდა იგი. —

1) სამარტჳრე, ლუსკუმა წმ. მოწამეთა ანუ ვისიმე ღუთისა მიერ შესუენებულისა წმიდისა.

რამეთუ მოუხდა დედის ძმასა წმიდისასა და დაზრახა ბრძოლა მართლისა მის დაღაცაიუ მასვე ზედა შეიმუსრნეს ღონენი მისნი, ვითარცა ესერა სიტყუამან გამოაჩინის. რამეთუ ერჩდა კაცი იგი ზრახუა მას მტერისასა, ვითარცა ძლიერი რეცა და შემძლებელი და აჴა ესერა ალიხუნა მხედარნი და მივიდა მონასტრად წმიდისა მიერ შენებულსა, რათამცა დაწუას იგი და იავარ ჰყოს და იტყოდა, ვითარმედ ჩემდა უფროისღა ჯერ არს დაპყრობად, ყოველი სიმდიდრე დისა ჩემისა.

ხოლო ძმათა მათ აუწყეს ესე ყოველი სანატრელსა მას მამასა, რამეთუ თქმისა მისთჳს შეძრწუნებულ იყუნეს, ჰრქუა მათ მონამან ღ̃თისამან ილარიონ შეუშფოთებელად; «იყუენით ძმანო შეუძრწუნებელ და კაცად კაცადი თქუენი შეუდეგინ საქმეს თჳსსა განწესებულსა, რამეთუ უკეთუ გარეშე ქრისტეს ნებისა არს ჩუენ მიერ ქმნილი კეთილ დაიწვინ და დაირღჳენ ბოროტად აღშენებული იგი, უკეთუ კუალა ნიჭითა ღ̃თისათა ქმნულ არს აღშენება მის ტაძრისა წმიდისა უტევოთ იგი თავადიღა ბრძოდის ჩუენთჳს და ჩუენ ვდუმნეთ».

ესრეთ უკუე მწუხრეებს ძმათა მათ დააწყნარა და წარგზავნნა სენაკად თჳსად, ხოლო იგი ლოცუასა მას და ხედვასა მიუდრეკელსა შეუდგა. ესე რა ესრეთ იქმნა ეწია მძლავრსა მას დედის ძმასა სასჯელი ღ̃თისა და შეუჩუეულად სულმან არა წმიდამან შეიპყრა უსამართლო იგი და აწჳრვებდა მას და ჰგუემდა უწყალოებით წარსაწყმედელად ხორცთა, რათა სული ცხონდეს სიტყჳსაებრ წმიდისა მოციქულისა.

წარხდა ღამე იგი და ცისკარი მოიწია, მოეგო თავსა თჳსსა მცირედ საწყალობელი იგი და ცნა მიზეზი გულისა თჳსისა, შეინანა კადნიერება იგი მისი და მოუხდა წმიდასა მას და გორვიდა ფერხთა თანა მისთა და ევედრებოდა და ხსნად ბოროტისა მისგან.

ხოლო კაცი იგი ღ̃თისა მოდრკა მოწყალებად და სასწაული ჯუარისა გამოსახა ასოთა მათ ზედა ვნებულისათა და მსწრაფლ მლტოლვარედ გამოაჩინა მის შორის დამკჳდრებული იგი ეშმაკი და კაცი იგი მრთელ ჰყო ყოვლითურთ და უვნებელ.

არღარა თავს იდვა კაცმან მან მიქცევა სოფლად და არცა სოფლისა საქმედ, არამედ მეყუსეულად მონაზონ იქმნა და ყოველივე სიმდიდრე თჳსი შესწირა მონასტერსა და მიერითგან ცხოვნდებოდა იგი მრავლითა მორჩილებითა და სიმდაბლითა და მრავლითა მოღუაწეებითა დაასრულნა გრძელნი ჟამნი ცხოვრებისა მისისანი. ხოლო წმიდა იგი ადგილი წმიდისა მის აღშენებული წარემატებოდა კეთილად, რამეთუ აღესრულებოდა მუნ მოქალაქობა ანგელოზებრი და ქუეყანასა ზედა იხილვებოდა საქმე ზეცისა; ხოლო სენნი და სალმობანი სულისა და ხორცთანი დღითი დღე იდევნებოდეს, გარნა სიმრავლე იგი მისსა წესსა მას დაუდგებისასა უცალო ჰყოფდეს, რამეთუ იყო იგი პირსა შინა ყოველთასა და ვითარცა მნათობი რაჲმე დიდი ყოველსა მას ჰნათობდა სანახებსა და ყოველთა მიიზიდვიდა თავისა თანა თჳსის, ვითარცა სახედ ქუა იგი მაღნიტისა რკინასა, ყოველთავე ამათ ზედა კეთილთა მიმძლავრებითა. უცხოთ მოუყუარეება იგი მისი მხიარულებითა და კაცთმოუყუარეებითა და უფროისღა ყოველთავე ამას მოძღურინ და ასწავებნ და რათა მოკლედ ვთქუა, იყო იგი, თუალ ბრმათა, ფერხ კოჭლთა, სახლ უსახლოთა, მკურნალ სულთა, მზრდელ, მსახურ და ნუგეშინის მცემელ, არამედ ყოვლად ყოველთა ექმნებოდა, ყოველ გარდამატებულითა მით კაცთმოუყუარეებითა, რომლისათჳსცა საქმეთა მისთა ზედა ყოველნივე დიდების მეტყუელებად ღ̃თისად აღიძვროდეს.

ვინადგან უკუე მათ კერძოთა ეპისკოპოზი უფლისა მიმართ მიიცვალა, იქმნა წამება და გამორჩევა ყოვლისა ერისაგან და თჳთ თავადთა მათ მპყრობელთაგან, რათა საყდარი იგი საეპისკოპოსო-

პოზო დაიპყრას დიდმან ილარიონ და იქმნეს იგი მწყემს და მღჳდელთმოძღჳარ მათდა, ვინათგან ღირს იყო ნაწილსა მას უზეშთაესსა.

მიიწია რა ესე სასმენელთა მისთა, რომელსა იგი უმეტეს ყოვლისა უყჳარდა დაყუდებით და სულგრძელებით ცხოვრება და მოყჳსად მისა და თანა მოასაკედ ესე მოეგო. შეწუხნა ფრიად და გულისხმა ჰყო, ვითარმედ სხჳაბრ შეუძლებელ არს ხელ ყოფისა მის მათისა და ცხრომა, იხილე თუ რაჲ ჰყო, რამეთუ ძმა ერთი გამოარჩია კაცი პატიოსანი და ყოვლითა სათნოებითა გამოცდილი და წინა მძღჳრად მონასტრისა განაჩინა, რეცა თუ ეგულვებოდა წარსჳლა, საყდარსა მას მღჳდელთ მოძღჳრისა, მიექცა მას და ეტყოდა. «აჰა ესერა მწყემსად და წინამძღჳრად ძმათა ამათ განგაჩინებ შენ, წამის ყოფითა ღჳთისათა.

ეკრძალე უკჳჱ თავსა შენსა და სამწყსოსა ამას, რამეთუ უჱჭჳჱლად თანა გაც სიტყჳს მიცემა, იხილე ძმაო და ნუ შეურაცხ ჰყოფ ერთსაცა მცნებასა მოცემულსა ჩემსა, ნუცა უგულებელს ჰყოფ უდებებით ცხოვრებასა ძმათასა და უფროსღა, რომელნი დამძიმებულ იყჳნენ არა წმიდათა მიერ გულის სიტყჳათა, ნუცა წესსა მას კანონთასა შესცჳალებ.

ნუ ოდეს დაუხშავ კარსა მონასტრისასა უცხოთა და უღონოთა, არამედ სართულიცა ესე ზოგად იყავნ თქჳჱნდა და უცხოთა სწორად თქჳჱნდა და გლახაკთა იყავნ ყოვლადვე ზიარ, ყოვლადვე თქჳჱნდა და მოქენეთაგანთა; რამეთუ ესრეთ თუ იქმოდით მრავალ წილად მოისთჳლოთ ზეგარდამო სარეწავი თქჳჱნი [1]); ხოლო თქჳჱნ საკრჳჱლითა მით სიყჳარულისა და ერთ გულებისათა ურთი ერთარს შემტკიცებულ იყჳჱნით, რამეთუ იგი არს სრულებ ყოველთა სათნოებათა, რამეთუ თჳნიერ მისსა წარმართება სათნოება შეუძლებელ არს ჯერისაებრ, ვინათგან ყოველი სათნოება სიყჳარულისა მიერ და სიმდაბლისაჲ განემტკიცების და იცნობების, ვითარცა თქჳა მამათგანმან ვინმე და თავადსა ღმერთსა სიყჳარულ ეწოდების და რომელსა აქჳნდეს სიყჳარული, ღმერთი მის თანა დამკჳდრებულ არს და იგი ღჳთისა თანა, ვითარცა იტყჳს იოანე ღჳთის მეტყჳჱლი, «რამეთუ სიყჳარულისა მიერ, რომელი აქჳნდა ჩჳჱნდა მომართ დამბადებელსა, დაიმდაბლა თავი თჳსი ნებსით და მოვიდაჲ ჩჳჱნდა». ჯერ არს უკჳჱ ჩჳჱნდა მოგებად სიყჳარულისა და სიმდაბლისა, ყოვლითა მოსწრაფებითა და შეწყნარებად მისსა და შეტკბობად, რათა ჰგმადლდეთ ღჳთისა მიერ და დავადგრეთ მარადის დაუცემელად. ამიერიდგან ძმანო მშჳდობამან ღჳთისამან, რომელი ზესთა არს ყოველთა გონებათა შეზღუდენ გულნი თქჳჱნნი და ყოველნი ღონენი მზაკჳარისანი შორს ჰყჳჱნინ სულთა თქჳჱნთა და შემკრიბენ ჩჳჱნ ყოველნი თჳსსა ზეცისა სასუფეველსა».

ესე მცნებანი, რომელნი წარმოუთხრნა მამასახლისსა და ძმათა მათ დაიდგნა მუხლნი და ილოცჳდა მშჳდობისათჳს მათისა და ცხოვრებისა თჳს სულთა მათთასა, ევედრებოდა ღმერთსა და აღდგა მიერ და შეიტკბნა ყოველნი მამებრივითა მით მოწყალეებითა და ორნი ძმათა მათთაგანნი თანა წარიყჳანნა.

და გამოვიდა ქჳჱყანისაგან თჳსისა და ნათესავისაგან თჳსისა, ვითარცა ოდესმე მამათ მთავარი აბრაამ. მრავლითა მოსწრაფებითა განეშორა მიერ, რათა არა საცნაურ იქმნეს სივლტოლა მისი და გზასა მას შეუდგა კონსტანტინეპოლად მიმყჳანებელსა და შემდგომად არა მცირედთა დღეთა, მას ქალაქსა მიიწია სამეფოსა და მუნ შინა მყოფნი იგი წმიდანი ეკლესიანი მოილოცნა და მცირედნი რაჲ დღენი დაჰყჳნა მუნ.

1) სარეწავი, სარგებლობაჲ, რაიცა მოიპოვების მრავლითა მოღჳაწებითა, მოგება, ნაყოფი მოღჳაწებისა.

გამოვიდა მიერ და მთასა მას ულუმბოსსა მიიწია[1]) და ჰპოვა მუნ მცირე რაჲმე ეგჳტერი[2]), რომელი სამით მილით შორს იყო ლავრისა ერთისა დიდისაგან და ერ მრავლისა და შევიდა მას შინა მოწაფითურთ თჳსით; იყო უკჳჱ აღსრულებულ შჳდეული ყოჳლიერისა, ხოლო მწუხრი შაბათისაჲ, მოვიდა ძმა ვინმე ლავრით აღნთებად კანდლისა ეგჳტერსა მას შინა და ჰპოვა იგი, რამეთუ ილოცვიდეს და არა რაჲ აქუნდა მათ ყოვლადვე საზრდელად თჳსი, წარვიდა ძმა იგი და მოართუა მათ მცირედი პაქსიმანდი[3]) და ცერცვი დამბალი წყლითა.

კჳალად უკჳჱ მომავალსა მას შაბათსა, რაჟამს იგი ხსენება აღესრულების თეოდორესი, ბრწყინვალედ მძლისაჲ მის მოწამისა, მოვიდა იგივე ძმა და ჰპოვა პაქსიმადი იგი დაუკლებულად რიცხუსაებრ თჳსისა, რამეთუ მარტოდ დამბლითა მით ცერცჳთა წარსრულ იგი კჳრიაკე გარდაევლოთ. ხოლო შჳდეულსა მას ყოვლად უჭმელად დადგრომილ იყჳნეს, რამეთუ ესე წეს არს საქმედ და სხჳათაცა მოღუაწებად. ჰკითხვიდა მას ძმა იგი, თუ რაჲ უხმს, რათა მოართუას მათ, ხოლო მათ პური იგი შესაწირავისა ითხოვეს და ზედაშე და სხუა არა რაჲ; არა უდებ იქმნა ძმა იგი, არამედ განრათესა ბრძანებული იგი აღასრულა, ხოლო წმიდამან ილარიონ უსისხლო იგი მსხუერპლი შეჰსწირა და აზიარა თჳთ თავადი იგი საიდუმლოსა მას და მისთა მოწაფეთა მათ მრწაცა საზრდელი იგი უკჳდავი, ზეცისა ცხოველს მყოფელი.

ჰსთნდა უკჳჱ კაცსა მას ლავრელსა სათნოება იგი კაცთა მათ ღუთისათა. წარვიდა მონასტრად და მიუთხრა მათთჳს მამასახლისსა, ხოლო მას ესმარა, აღივსო მსწრაფლ გულის წყრომითა და რისხჳთა, ვითარმედ ყოვლად ვითარ იკადრეს მღუდელობად ეგჳტერსა მას შინა კაცთა უცხოთა და უმეცართა ელესთა ენასა. მეყუსეულად უბრძანა იკონომოსსა, რათა მრავლითა მოსწრაფებითა განსხნეს იგინი ეკლესიით უპატიოდ და შეურაცხებით და რისხჳთ, შორს ჰყუნეს იგინი ლავრისა მისგან.

წარვიდა იკონომოსი სხუათა თანა მონაზონთა გამოსხმად საყუარელთა მათ ქრისტესთა. ჰრქუა მათ წმიდამან ილარიონ მდაბლითა ხმითა, რამეთუ იცოდა მცირედ ბერძული, ვითარმედ შემინდვე ჩუჱნ მამაო, ამას ოდენ ღამესა დადგრომად აქა და განთენებასა თანა ჩუჱნცა ამიერ განვიდეთ და წარმიძღუჱს ჩუჱნ ღმერთი, ვიდრეცა ენებოს, შეეწყალა იკონომოსსა უცხოება მათი და არღარა აიძულნა გამოსხმად ადგილისა მისგან მიმწუხრი, არამედ მოიმტკიცნა იგინი, რათა ხვალისა დღე წარვიდენ ამიერ.

ხოლო ღამესა მას იხილა მამასახლისმან ჩუჱნებაჲ ესე ვითარი ძილსა შინა, რამეთუ დაადგრეს ორნი ვინმე საშინელნი და მიითრევდეს მას უწყალოთ და შეიყუანეს ტაძარსა რაისამე დიდსა

---

1) მთა ულუმბა ანუ ოლიმპი ბერძული, ინახვს საბერძნეთს სანახებსა შინა თესალონიკიისასა, რომლისა მოახლოს მჳჱლ ოდესმე მრავალნი კერპთმსახურთა ქალაქნი იყჳნეს: ჱერაკლეა, დიუმ, პიიდნო, მეთონე, ელიმეა და კონნუს და რომლის სამღუარი იყო მდინარე ჰალიაკმონ; საზღუარსა ზედა მაკედონიისა და თესალიისასა, აწ უპყრიათ ოსმანლისთა. უწინარეს ქრისტეს შობისა მთა ესე კერპთ მსახურთა ბერძენთა თჳსთა სალოცველად უჩნდათ, ვითარ ქართველთა მთანი არმაზ და ზადენ და მთა იგი იყო საცხოვრებელ ღმერთთა მათთა. ოდეს მოეფინა ქუჱყანასა ზედა სიტყუა ღუთისა და განმრავლდა სამონაზონო წესი, მთა იგი შეიქმნა ვიდრე აქამომდე საცხოვრებელ მონაზონთა, რომელთა აღაშენეს მრავალნი მონასტერნი, რომელთა შორის იყჳნეს შემდეგ მონასტერნიცა ქართველთანი, აღშენებულნი ქართველთა მიერ.

2) ეგჳტერი, მცირე ეკკლესია, ანუ მიშენებული მცირე ეკკლესია დიდსა ეკკლესიასა. სამწირველოთ თურმე.

3) პაქსიმანდი παξιμαδι გამხმარი დაჭრილი პური.

და დიდებულსა, სადა იგი მჯდომარე იყო წმიდა დედოფალი ღ̃თის მშობელი და მიიყვანეს რაჲ წინაშე მისსა, ჰრქუა მას რისხჳთ.

«რაჲსათჳს საწყალობელო, დიდი იგი მოღუაწე ილარიონ და მისთანანი იგი უპატიოდ განასხენ, ანუ ვითარ დაივიწყე ესრეთ ურცხჳნოებით მცნება იგი ძისა და ღ̃თისა ჩემისა, ვითარ ილარიონ უცხოჲთ მოუყუარეს და ვაებასა მისცემს უწყალოჲთა და გულ ფიცხელოჲ და ვითარ თავადის მის აღიწევის ამათ ზედა ქმნილი იგი, ამას მარადის ღაღადებს გარნა რაჲსა მოხდი ამათ წყლტუდ მეტყუჱლებასა და ჰგონებ, ვითარმედ ელინთა ოდენ ენაჲ მარტოდ შეწყნარებულ არს, ვითარ არა უწყი, ვითარმედ ყოველთაგან ნათესავთა, რომელიცა არს მოშიში უფლისა და მოქმედი მცნებათა მისთა, სათნო მის არს იგი, არა ხედავ რაოდენნი ნათესავისაგან მათისა სათნო ეყვნეს ღმერთსა, ვითარ საწყალობელად უცხო ჰყავ თავი შენი, ლოცვისაგან მეგობრის ჩემისა და კურთხევისაგან მისისა, რამეთუ რომელი ამათ არა შეიწყნარებს, იგი მტერი არს ჩემი».

განიღჳსა რა მამასახლისმან, ყოვლითურთ იყო შეძრწუნებულ ვინაცა აღდგა მეყუსეულად მრავლითა მოსწრაფებითა და სადგურად წმიდისა მიიწია და შეუვრდა ფერხთა მისთა ცრემლითა მხურვალითა და ითხოვდა შენდობასა პირუჱლისა მისთჳს, კადნიერებისა და უწყალოებისა და უგუნურისა მისგან განგებისა ხსნასა, ევედრებოდა მიერიდგან დადგრომად ეგჳტერსა მას შინა, რათა არა მოიწიოს მის ზედა რისხუა ღ̃თისა და ყოვლად წმიდისა ღ̃თის მშობელისა.

აღადგინა იგი კაცმან მან ღ̃თისამან და მისცა მას შენდობა და წარსრულისაჲ მისთჳს ბრალისა უბრძანა უზრუნველობაჲ და აღუთქუა დადგრომად მუნ ვედრებისათჳს მისისა. ლოცვიდა კუალადცა მამასახლისი, რათა მოართუან პური მონასტრით და საგებელი სარეცელი და ყოველივე საჴმარი ჴორცთა, ჰრქუა მას დიდმან ილარიონ, ვითარმედ ნურას ზრუნავ ამისთჳს, თჳნიერ კურიაკესა პური იგი შესაწირავისა და ზედაშე მოღებად ეც, რომელი ესე კმა გუეყოს ჩუენ გამოზრდად სულისა და ჴორცთა.

ესე რა ესრეთ წარგზავნნა მშჳდობით აღშენებულნი ნექტარისაგან სიტყუათა მისთათა, თავადმან კუალად ლოცუად მისცა თავი თჳსი და ხედვად ხედვათა მათ მაღალთა და უზეშთაესთა მათ გონებისათა.

მიერიდგან უკუე ყოველთა კჳრიაკეთა მოართმევდა სეფესა ზედაშესა დისწული მამა სახლისა, რომელი ყრმაღა იყო ჰასაკითა; ხოლო იყო მარჯუენე კერძო მისი განხმელი შობითგან, ხელნი და მხარნი მისნი, ეზიარებოდეს ვნებასა მას ოჳალნიცა და ეგრეთვე ყურთაცა, მიაქუნდა ვნებისა მისგან. და დღესა ერთსა მივიდოდა რა კაცისა მის ღ̃თისა, წარსცა ქუასა ფერხთ იგი განხმელი მისი და ეტკივნა მას დიდად და საწყალობელად დაეცა და ესრეთ მტირალი მივიდა წმიდისა.

ჰკითხვიდა მას მამა იგი წყალობისა მიზეზსა ცრემლთასა, ხოლო ყრმა იგი უჩუენებდა წყლულებასა მას და მოიღო ზეთი კანდლისაგან და სცხო ტკივნეულთა მათ ასოთა და გამოსახა მას ზედა სასწაული ჯუარისა და მეყუსეულად ჭაბუკი იგი მრთელად ყოვლითურთ გამოაჩინა, და ყოველნივე ასონი მრთელად და სრულად იხილვებოდეს ვიდრე არცაღა თუ ბრძვილი რაჲმე დაშთა მისთანა ყოვლადვე პირუჱლისა მის წყლულებისა და ამცნო მას, რათა არავის უთხრას მის ზედა ქმნული იგი საკჳრუჱლებაჲ და განუტევა მშჳდობით.

იხილა რა მამასახლისმან ანაზდათი მეცუალებასა დისწულისა თჳსისა, გამოჰკითხვიდა ძალსა მას უსასყიდლოდ კურნებისასა, ხოლო მან არა დაფარა, არამედ აუწყა მკურნალი თჳსი და სახე განკურნებისა თჳსისა ყოველთა ზედა განაცხადა; ხოლო მონაზონთა მათ ლავრისათა იხილეს რა ესე

განკჳრდეს და ვითარცა პირველთა მათ წმიდათა მამათაგანსა პატივსცემდეს საღმრთოსა ილარიონს, არა თუ ოდენ ლავრელნი, არამედ ყოველნივე მოღუაწენი უდაბნოსანი მოვიდოდეს მისსა და უცხრომელად, ვინათგან ესმოდა საკჳრველი იგი მოქალაქობა მისი, რამეთუ ძნელ არს ქალაქი დაფარვად მთასა ზედა აღშენებული, ვითარცა არცა დაიფარა დაღაცათუ იგი მოსწრაფე იყო, არამედ უწესდა თავისა თჳსისათჳს სულთა მათ კეთილის მყოფელთა.

რომლისათჳსცა მოვიდეს მისსა სამნი ძმანი ქართველნი; ხოლო განშორებად მისგან და კუალად ქცევა ყოვლადვე არა თავს იდვეს, არამედ შეიყუარეს დადგრომა მისთანა, ხოლო ერთი მათგანი კეთილად მეცნიერ იყო ელინთა ენასა ვინაცა სარგებელისათჳს სულისა მომავალთა მისსა უცხადეს, ადრე ასწავებდა სიტყუასა, ჭეშმარიტებისასა წმიდა იგი მამა.

ვინაცა მოსწრაფე იყო მართალი იგი სული მისი, განფხურად ყოველსავე ძირსა ვნებათასა და ასწავებნ ყოველთავე მომავალთა მისდა ცხოვრებასა მას ანგელოზებრივსა და მოღუაწებით მოქალაქობასა და განუმარტებნ მათ განცხადებულად მზაკუარებასა და მანქანებასა სულთა მათ ბოროტთასა და თუ რაოდენ მტერობა აქუს მათ ყოველთა მიმართ ქრისტეანეთა, უფროსღა რომელნი განშორებულ არიან სოფლისაგან.

მიიწია სახელი სათნოებათა მისთაჲ ვიდრე თავადად სამეფომდე და მოვიდოდეს მისსა მრავალნი, რომელნი იგი მოვიდოდიან რა აღივსნიან სარგებლითა და ადიდებდეს ღმერთსა, რამეთუ ხედვიდეს კაცსა ღმრთისასა ქუეყანასა ზედა, მრავალნი მოართმევდეს მას საფასეთა მრავალთა, გარნა არაჲ რა ყოვლადვე მიიღის მათგან, არამედ ჰრქჳს მათ სიმდაბლითა და სიწრფოებით, ვითარმედ წმიდა დედოფალი ღმრთის მშობელი მეოხ არს ჩუენთჳს წინაშე ძისა მისისა და ღმრთისა ჩუენისა და აღმავსებს ჩუენ კეთილითა და სხუა არა რაჲ სახმარ არს ჩუენდა, ეგე ყოველი გლახაკთა განუყევით, რათა გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა, ვითარმედ ესე ვითარსა ჰმოძღურის მისრულთა მათ მისსა», ვინაცა მრავალნი აღადგინნა ჰბაძვად უზეშთაესისა მის მოღუაწეებისა და უპოვარებისა სრულისა; რომელთა დაუტევიან ყოველივე და მონაზონ იქმნიან და ადიდებდიან ღმერთსა. არა ოდეს დასცხრებოდა ნეტარი იგი ხელთ საქმარისაგან, კჳნიერ ჟამსა ლოცვისასა, არამედ თხზავნ იგი ოდენ საქმესა და ოდესმე ფინიკის ფურცელსა, რომელ იგი ესწავა იერუსალიმს და ზოგად თავისა თჳსისა და რომელნი იყუნეს მოქენე მათ მიერ ვითარ წის საღუაწის არა ოდეს არა ვის დაუდებდის და სხჳსა ხელთა ხედვიდის, არამედ რათა მოიმადლოსცა ღმერთი და უფროსღა იგი ექმნეს ხელის მპყრობელ უღონოთა და ჭირვეულთა.

მრავალნი უკუე მოვიდოდეს მისსა, რომელნიმე სარგებლისათჳს სულისა და რომელნიმე კურნებისათჳს ხორცთასა. ხოლო იგი ხედვიდა რა თავსა თჳსსა, რამეთუ არა უტევებნ დაუდეგად, არამედ მოვლენ და აშფოთებნ და რომელნიმე ადიდებდეს ღმერთსა, შეეშინა ნუ უკუე ბრალსა შთავარდეს უღირსებით ქებისათჳს, რამეთუ იგი ნამდვილვე ღირს იყო ყოვლისა პატივისა და განიზრახა, რათა მისცეს თავი თჳსი კუალად უცხოებად.

და ვითარცა მოეახლა ამაღლება ცხოველს მყოფელისა ძელისა, ჰრქუა ძმათა მათ, რომელნი მყოფ იყუნეს მისთანა, «ვითარმედ სურვიელ ვარ მე სასწაულსა ამას ყოვლად დიდებულსა მესულად ქალაქად სამეფოდ და ხილვად პატიოსანსა ჯუარსა, რომელსა ზედა მეუფემან ჩუენთჳს ხელნი განიპყრნა და მე განშორებული მიმზიდა მისსა. ხოლო თქუენ დასხედით სენაკსა ამას შინა შეზღუდვილნი მადლითა ქრისტესითა და ხსენებასა ჩემსა ჰყოფდით ლოცვათა თქუენთა». +

ესე ჰრქუა ძმათა მათ და მოიკითხნა იგინი და გამოვიდა მიერ და კონსტანტინეპოლედ მიიწია, რამეთუ დაყო ხუთი წელი მთასა ულუმბოსსა და თაყუანისცა რა ძელსა ცხოველსმყოფელსა, იწყო სრბად გზასა მას დედა ქალაქად ჰრომედ მიმყუანებელსა.

და ვითარცა თესალონიკედ მივიდა შეწყალებულ იქმნა გლახაკისა ვისმე მიერ, რომლისა დარწმუნებულ იყო დაცუად ვენახი. ხოლო იყო იგი კოჭლორითავე ფერხითა. ჰრქუა მას წმიდამან ილარიონ, «აღდეგ ძმაო და მომართუ მე ერთი ტევანი ყურძენი ვენახისაგან»; მიუგო უძლურმან მან და ჰრქუა. შევედ მამაო და მიიღე რაოდენიცა გნებავს, რამეთუ მე ვერ მხედავ, მაჭირვებს მე სალმობა სასტიკი, რომელმან განახმნა ფერხნი ჩემნი ათცამეტსა ამას წელიწადსა და სლვისა მიმართ ყოვლად უხმარად გამომაჩინა, რომლისათჳსცა უფალმან ამის ვენახისამან შემიწყალა განსაცდელისა ამისთჳს და შემიწყნარა და მომცეს მე საჭიროსა ამას სახმარსა სალმობიერთა ამათ ხორცთასა და აწ ვზი აქა და ვიცავ ნაყოფსა ამას მფრინველთაგან დღე ყოველ, ვიდრემდე მოვიდეს უფალი იგი ვენახისა და აღმიღოს ამიერ.

ხოლო კაცმან მან ღუთისამან მადლითა მით მოციქულთათა ჰრქუა კაცსა მას, ვითარცა იგი მათ მჯდომარესა კართა თანა მშუენიერთა ტაძრისათა, ვითარმედ «სახელითა იესო ქრისტესითა აღდეგ და შევედ ვენახად და მსწრაფლ მოიღე ჩემდა ყურძენი». ესე თქუა და სასწაული ჯუარისა გამოსახა კაცსა მას ზედა, ეჰა წყალობათა შენთა ქრისტე, რამეთუ სიტყუა და საქმე ერთბამად აღესრულნეს და მრავალ ჟამის იგი მდებარე წამსა შინა განკურნებულად იქმნა და კაცი იგი მეყუსეულად და მსწრაფლ შერბიოდა ვენახად შიშით და სიხარულით და მოიღო ყურძენი კეთილი; ხოლო პირუელ მოსლვადმდე კაცისა მის განეშორა წმიდა იგი ადგილისა მისგან და ვითარცა მოვიდა იგი და ვერ ჰპოვა, რომელსა ეძიებდა შევიდა მსწრაფლ ქალაქად, აქუნდა ხელთა ტევანი და უსასყიდლოდ მკურნალსა მას მხურვალედ ეძიებდა. იხილეს რა მოქალაქეთა, რომელი იგი პირუელ მცირედისა მდებარე იყო, ესრეთ მტკიცედ და კეთილად მავალი საკჳრველებამან შეიპყრნა იგინი და ჰკითხვიდეს მას მიზეზსა, ასაზღდათ შეცუალებისა მისისასა; ხოლო მან მიუთხრა ყოველივე სახე და წესი მკურნალისა მის თჳსისა და ხლტომით ვიდოდა კაცი იგი ყოველსა შინა ქალაქსა და ეძიებდა მას. გარნა ნეტარი იგი ევლტოდა კაცობრივსა დიდებასა, ვინაცა მსწრაფლ გამოვიდა ქალაქით და ჟამად სრბად გზასა მას წინა მდებარესა.

მიიწია რა ჰრომაელთა დიდად ქალაქად და მრავლითა სურვილითა შეემთხჳა ლარნაკსა თავთა მათ მოციქულთასა პეტრესსა და პავლესსა დაჰყუნა მუნ ორისა წლისა ჟამნი და კუალად იქცა მიერ კონსტანტინეპოლედ, ხოლო მოვიდა რა კუალად თესალონიკედ და ხუდა დამთხუევით დავარდა ბჭეთა თანა კაცისა ვისმე დიდებულისა და სიმდიდრითა ბრწყინვალისა, რომელსა აქუნდა პირუელი პატივი მთავრობისა, ქალაქსა მას შინა და ესუა მას ძე მოწყლული ეშმაკისაგან და მარჯუენე კერძო ნახევარი იგი ხორცთა მისთა სრულიად განხმარ იყო და ყოვლად უხმარ ქმნილ, რომელი მხევალმან ვისმე ერთმან გამოიღო სახლით მას ჟამსა, დადვა იგი მახლობლად ადგილსა მას, რომელსა ხოლო იგი მჯდომარე იყო.

რომელმან იხილა რა ყრმა იგი მოცული ესე ვითართა მათგან განსაცდელთა და მსგავსი მკუდრისა, შეეწყალა სულსა მას წყალობის მოყუარესა და ჰრქუა მხევალსა მას «მომართუ მე წყალი სასუმელად მოხუცებულობისათჳს»; ხოლო იგი არა უდებ იქმნა, არამედ ყრმა იგი დადვა მზესა ქუეშე, რათა ტფებოდის. ხოლო იგი წარვიდა სახედ მოღებად წყლისა და ვიდრე მოსლვადმდე მისსა, ილოცა წმიდამან ყრმისა მისთჳს და გამოსახა მას ზედა სასწაული ჯუარისა, და არა მოქენე იქმნა ნეტარი

იგი სიგრძესა ჟამთასა, არცა ლოცჳსა გრძელად მიმყოვრებასა, არამედ მასვე ჟამსა მრთელად ყოვლითურთ და უცნებელად გამოაჩინა და ჰრქუა მას.

«აღდეგ ყრმაო მსწრაფლ და მივედ დედისა შენისა, რამეთუ გიწესს შენ»; ხოლო ყრმა იგი წარვიდა მხიარული და განკჳრვებული, რომელსა არცა თუ ბრძჳლი რაჲ ეტყობოდა პირველისა უძლურებისა და შევიდა ბჭეთა სახლისათა, მეყსეულად წმიდა იგი სრბით განეშორა ადგილისა მისგან. ხოლო მხევალსა მას, ვითარცა აქუნდა წყალი ხელთა, შეემთხჳა ავლინსა შინა ყრმა იგი, რა მეთუ სრბით მოვიდოდა, რომლისათჳსცა შეიპყრა იგი შიშმან და განკჳრვებამან მოიცვა იგი. გარნა ყოველსავე ზედა გამოჰკითხა და ისწავა მიზეზი განკურნებისა და გამოვიდა წმიდისა მის მიცემად წყლისა და ვითარცა არა ჰპოვა შებრუნდა მსწრაფლ დედოფლისა თჳსისა და მოჰგუარა ძე მისი განკურნებული და მიუთხრა სახე საკჳრველისა განკურნებისა.

ხოლო მან მეყსეულად აუწყა ქმარსა თჳსსა და მას ვითარცა ესმა, ჰკითხვიდა სახესა და სამოსელსაჲ წმიდისასა და ისწავა რა, აღდგა მკჳრთრ და გამოვიდა ძებნად მისსა და წარგზავნა მონანი თჳსნი მსწრაფლ და უბრძანა დაკრძალვა ყოველთავე ბჭეთა ქალაქისათა, რათა ვერ განივლტოდის და ჰპოვოს დიდი იგი მნათობი ბჭესა მას აღმოსავლეთისასა ზღჳსა, რომელსა მოციქულთა ეწოდების და შეუვრდა ფერხთა მისთა და ჰრქუა, ვითარმედ გიწყს შენ პატიოსანო მამაო, მთავარი ჩუენი და გევედრებით რათა, არა უნაწილო იქმნეს წმიდისაგან ლოცჳსა და კურთხევისა შენისა.

იძულებულ იქმნა რა კაცთა მათგან, კუალად იქცა რა საღმრთოისა განგებულებისა უფლისათჳს, ისწავა რა მთავარმან მოსლვა წმიდისა, მიეგება მას მეუღლითურთ და შვილით და შეუვრდეს ფერხთა მისთა და ითხოვდეს კურნებასა; ხოლო მან ულოცა მათ, აკურთხნა იგინი და აღადგინნა და დაჯდა მათ თანა და ეზრახა მათ ზრახვათა მათ სულიერთა ცხოვრებად მიმყვანებელთა და განკურნნა სულნი მშობელთანი უფროს ვიდრელა შვილისა მის მათისა სენნი ხორციელნი.

რომლისა თჳსცა დაცჳს პირთა ზედა თჳსთა და ევედრებოდეს წმიდასა მას სულსა წმიდისასა, მოვლად ქალაქისა მათისა და სადაცა ჰპოოს ადგილი სათნო მისი და მკჳდრებად იგი, რათა აქუნდეს მათ მარადის მკურნალად წყლულებასა სულის და ხორცთა მათთასა. მრავალსა მას უკუ ვედრებასა მთავრისასა და მეუღლისა მისისასა და სხჳსა მის ერისასა მოდრკა მორჩილებად მამა იგი მორჩილებისა და მოვლო ქალაქი იგი და ჰპოვა რაჲ ეგუტერი მცირე და დადგა მას ადგილსა უშფოთველად, სადა იგი პირველ მისსა დამკჳდრებულ იყო მონაზონი და იყო იგი აღსრულებულ მუნ დამკჳდრებად მიერ სათნო იყო.

ვინაცა ამცნო მთავარსა და ჰრქუა მას, რათა უტეოს იგი დაყუდებად და უშფოთველად ყოფად და ვითარმედ ნურა რაჲს ყოვლადვე მოღებად სცემ, თჳნიერ პურისა ხმელისა და დამბლისა ცერცჳსა და ესრეთ დაემკჳდრა ეგუტერსა მას შინა.

გარნა ვითარმე მიგითხრნე მე, მუნ აღსრულებულნი იგი სათნოებანი წმიდისანი, სიფიცხე იგი მოღუაწეებისა მისისა ვიდრემდის განკჳრდეს ყოველნი, რომელნი ხედვიდეს და რომელთა ესმოდაჲ; ვიდრელა მრავალნი თესალონიკელნი ხედვიდეს რა მადლსა მას მოქალაქობასა მისსა და ესმოდეს სიტყუანი მადლისა მისისანი. მოიძულეს სოფელი ესე და ყოველი რაჲ არს სოფლისა ამის და ყოველი ქალაქი ხედვიდეს მას, ვითარცა მამასა და მრავალთა მათგანთა შეიტკბეს ცხოვრება მონაზონებისა და ხელთა მათ მიერ წმიდათა, შეიმოსდეს სახესა მას ანგელოზთასა.

იყო ვინმე დიაკონი კეთილად მძლისა და წმიდისა დიმიტრის ეკკლესიისა, რომელსა მოეგო ცხოვრება უბიწო და კეთილი და მეცნიერება აქუნდა წმიდისა სათნოებათა მისთათჳს. ესე განვიდა

ოდესმე მოჩილვად აგარაკთა თჳსთა, რომელნი შორს იყუნეს ქალაქისაგან და ვითარცა მოიქცა მიერ დაესხა მას ანაზდეულად ლაშქარი სკჳთთა[1]) და ტყუე ჰყუეს იგი და საკრუელთა მისცეს ფიცხელთა და ავლინებდეს მას უწყალოდ და წარუყვანებად ქუეყანად თჳსად აიძულებდეს, ესრეთ ორთა მათ დღეთა ბოროტად აშფოთებდეს მას, რამეთუ არა თუ ქუეით ოდენ ავლინებდეს მას, არამედ ტვირთიცა აღკიდიან; ხოლო ღამე მოიწიის რა სიმძიმისაგან ტვირთისა, შეიწყნარის სიმძიმემან საკრუელთამან, რათა არა ეცეს მას ყოვლადვე განსუენება.

ხოლო ღამესა მას მესამესა, მოვიდა დიაკონი იგი ხსენებად წმიდისა ილარიონისსა და სიწყმიდეთა მათ მისთა და ილოცა უფლისა მიმართ და თქუა. უფალო იესო ქრისტე, ლოცვათა მონისა შენისა ილარიონისათა, განმარინე მოწყუნულისა ამის ჩემ ზედა განსაცდელისაგან. და ესრე ილოცა დამძიმდა ძილითა და აჰა იხილა წმიდა იგი, რომელი სახელით უწესდა მას და ეტყოდა. «აღდეგ მსწრაფლ და მოვედ ჩემდა, რამეთუ არა რაჲ არს ყოვლადვე მავნებელ შენდა გინა წინა აღმდგომ».

განიღჳძა უკუე სიტყუასა ამას ზედა დიაკონმან და იხილნა, რამეთუ საკრუელნი დაცჳნილ იყუნეს ხელთაგან და ფერხთა მისთა და არა წმიდანი იგი წარმართნი შეპყრობილ იყუნეს ძილითა და აღდგა მიერ და განვლო შორის მხედართა მათ საკრუელთა და არცა ერთმან ვინ ცნა მათგანმან, ვინაცა დაუყენებელად იწყო სრბასა თჳსსა შიშითა და სიხარულითა.

ხოლო მოვიდა სახიდ თჳსად მიუთხრობნ ყოველთა მათ მის ზედა ქმნულთაჲ საკრუელებათა და ცხადად ქადაგებდა კადნიერებასა წმიდისასა ღმრთისა მიმართ და რომელთა ესმოდა ესე ადიდებდეს ღმერთსა, რომელი ადიდებს მადიდებელთა მისთა.

ესე არს ცხოვრება კაცისა მის ღმრთისა და ესე არს მოღუაწება მოქალაქობისა მისისა, რომელი აღასრულა ნეტარმან ქუეყანასა ზედა.

ხოლო შემდგომად სამისა წლისა თესალონიკეს მჯდომობისა, ეგულვებოდა რა მიცუალება მშჳდობით ღმრთისა მიმართ, ცნა უწინარეს ორმეოცთა დღეთა აღსასრული თჳსი, მოუწოდა მთავარსა მას და ჰრქუა მას. «მოგეცინ შენ შჳლო, სასყიდელი უცხოთ მოყუარეებისა, რამეთუ არა ულირს იქმენ შეწყნარება ჩემი, ცოდვილისა ამის და უნდოსა და ყოვლითავე პატივითა პატივიცემა და ნუგეშინის ცემა[2]).

მიგიღებიეს მცა შენ ნაწილად წარმავალისა წარუვალი და ნაცულად მცირედისა დიდი და ნაცულად ხრწნადთა ამათ კეთილთა და განქარუებადთა საუკუნენი იგი კეთილნი უხრწნელნი და განუქარვებელნი. აწ უკუე შჳლო, ვინადგან ჟამი აღსასრულისა ჩემისა მოახლებულ არს დაგიტევებ შენ ანდერძად ლოცუასა და კურთხევასა და გამცნებ, რათა ყოველთავე ზედა უცხოთა ჰყო ესე, ხოლო უფროსღა მონაზონთა და იყავნ კარი შენი განღებულ ყოველთათჳსვე მვედრებელთა და უღონოთა, რათა ჰპოვო შენცა განღებულად კარი იგი სამოთხისა შემწყნარებელად შენდა.

რამეთუ გესმის წერილისა თუ რასა იტყჳს. «სასჯელი სამართალი ჰსაჯეთ. განარინეთ გლახაკი და დაწუნებულ, მდაბალი და დავრდომილი განამართლეთ». თანა გაც უკუე შენცა ამათი დამარხუა,

1) სკჳთნი იყუნეს ფრიად ნადირნი და ველურნი, რომელთა ჩამომავალნი არიან აწინდელნი სლავიანნი, რომელთაგანნი რუსნიცა. უწინდელთა ქართუელთა პარაკლიტონთა შინა, იყო ჩამატებული ლოცუაჲ..... «უფალო მრავალ მოწყალეო და მხსნელო ყოვლისა ქუეყანისაო, გვიხსენ სკჳთთა და ხაზართაგან». შემდეგ ოდეს სკჳთთა და ხაზართა მიიღეს ქრისტეანობა, ლოცუა ესე გარდაიცუალა სხუა სავედრებელად...... «გვიხსენ აგარიანთაგან......»

2) მგონია აქ უნდა იყოს «ყოვლითა პატივითა პატივი მეც და ნუგეშინი მეც».

ეგრეთვე კუალად გეტყჳ შენ ჴოი მთავარო! მოიძულე ქრთამი, რომელი დააბნელებს თუალთა სულისათა, მოიძულე უკეთური გულის თქმა, რომლისათჳს აღგზებულ არს ცეცხლი იგი საუკუნო, ნუ მოიტაცებ ნაწილსა სხჳსასა, კმა გეყავნ სახმარი თჳსი, რამეთუ სამეტნავი იგი უკეთურისაგან არს; რომელნი არიან ჭირსა და შეწყუდეულ საპყრობილეთა, ნუ გცონის მოხილვად მათდა და შეცემად საზრდელი მათდა და იჯმენ სრულებით შესაძინელისაგან ვახშისა[1]), რამეთუ უსჯულო არს საქმე ესე და წარმწყმედელ სულისა. უფროისღა უხუებით მისცემდი გლახაკთა, უბრალოდ და სიმართლით შეკრებულსა მას სახმარსა, რათა მოვიდეს კურთხევა სახლსა შენსა ზედა აქა და მერმესა მას საშინელსა მოსულასა ქრისტესსა ღირს იქმნე მარჯუენით მდგომარეთა მათ თანა და ხმა იგი გესმეს კურთხევის და მშჳდობამან ღუთისამან, რომელი ჰმატს ყოველთა გონებათა დაგიფარენ შენ მშჳდო». ესე თქუა და განუტევა მთავარი იგი მგლოვარე და დამძიმებული სულითა.

ხოლო იგი თავადი შევიდა მცირესა მას სენაკსა და ღუთისა მიმართ ლოცუასა და ხედვასა მას გონებისასა აღსრულებად. ხოლო პირუმლისა მის დღისა აღსრულებისა მისისა, რომელი იყო შაბათი, მოუწოდა მათ, რომელთა ხელთა მათ წმიდათა შეემოსა სახე მონაზონებისა და აღრაცხილ იყუნეს მწყობრსა თანა მოწაფეთასა და ასწავა მათ მრავალი ცხოვრებისათჳს სულისა და ჰმოძღურიდა მათ ბრძოლისათჳს ვნებათასა და თუ ვითარ ჭირ არს მათი წინააღდგომა და დაცუად სულისა და ვიდრე აღორძინებადმდე ვნებისა და ძირთა თანა დაბმად გულსა შინა ჩუეულებისა მიერ. ჭირ არს აღმოფხურად და განთხევა გარე ნერგთა მათ უკეთურებისათა, უფროისღა თესლთა მათ ქალდეველებრთა, რათა მიემთხჳოს ნეტარებასა მას წინასწარმეტყუელებისასა, რამეთუ ჰნატრის იგი მათ, რომელთაცა ჩჩჳლნი იგი ბაბილონისანი შეახეთქნეს კლდესა, რომელ არიან ვნებანი, ჩჩჳლ იყუნეს რა და ადვილად აღმოსაფხურელ.

კუალად უკუე მოძღურიდა მათ წმიდა იგი თჳსებისა მისთჳს სათნოებათასა და განაკრძო სიტყუა ამის პირისათჳს და თუ რაოდენი შეწყობილებაჲ აქუს მათ და ურთიერთარს ზიარება და ვითარ ერთისა და მოკიდებულ არიან და შემტკიცებულ, ვითარცა ჯაჭჳ რაჲმე ოქროსა, რომელთა დასაბამად აქუს, ვითარცა საფუძუელი სიმდაბლე; ხოლო ამაღლდების სიმაღლითა მით საკჳრუელითა და სრულ იქმნების სიყუარულსა ზედა, რომლისა თჳნიერ შეუძლებელ არს წარმართებად ერთისაცა საქმისა კეთილისა, რამეთუ სიმდაბლემან იცის აღყუანებაჲ სიმაღლედ სათნოებათა, რომელნი მიივლტოდიან მისსა; ხოლო სიყუარულმან დაუცემელად პყრობა ამაღლებისა მისდა და დადგრომად კეთილსა შინა.

ვინადგან უკუე ჯეროვანი ჟამი წარხდა სიტყუათა ამათ შინა მადლისათა, უბრძანა ერთსა ძმათაგანსა, რომელსა აქუნდა პატივი მღუდელობისა, რათა შეწიროს მსხუერპლი იგი უსისხლო. მოიღო რა და ეზიარა უხრწნელთა მათ ქრისტეს საიდუმლოთა, მოიკითხა ძმანი იგი და უბრძანა თითოეულსა წარსლვად სენაკად მათდა.

მცირედ უკუე დასნეულდა და შემდგომად სამისა დღისა, მშჳდობით უფლისა მიმართ დაიძინა[2]) და სანატრელსა მას აღჳდა მერმესა ნეტარებასა მოხუცებული და აღსავსე დღითა კეთილითა, რიცხჳსა მას ათცხრამეტსა ნოემბრისა თთჳსასა, მეფობასა ბერძენთა ზედა ბასილისსა, რომელსა მაკედონიათ აქუნდა სახელის დება, რომელი ღუთის მსახურებით განაგებდა საყდარსა მას სამეფოსა.

---

1) ვახშის უწესოდ ანუ უსჯულოდ მოგებული, ანუ წართმეული საუნჯე, ანუ სიმდიდრე.

2) 882 წელსა სამოცდაათთურამეტისა წლისა.

ხოლო აღსრულება იგი წმიდისა მსწრაფლ განითქუა ყოველსა შინა ქალაქსა, ვინაცა შემოკრბეს მისსა სიმრავლე ფრიადი მღუდელთა და მონაზონთა, ერის კაცთა და მჴედართა და არა ხოლო თუ ესე, არამედ თჳთ მღუდელთ მოძღუარიცა ქალაქისა, მღუდელთა თანა თჳსთა და მთავრისა და მივიდა გუამსაჲ მას ზედა წმიდასა წმიდისასა, რათა განწესებული იგი აღასრულონ მის ზედა და შემსგავსებულითა გალობითა დაჰკრძალნეს ხორცნი იგი მოღუაწისანი. მრავალნი უკუე სნეულნი და ეშმაკეულნი განიკურნნეს ჟამსა მას, რამეთუ ჴმობდეს ეშმაკნი იგი სახელსა წმიდისასა და განვიდოდეს რა ღაღადებით და ვაებით, ვინაცა დაუკჳრდა ყოველთა დიდებულებაჲ საქმისა მის და სიმრავლე სასწაულთა, რომლისათჳსცა აქებდეს და ადიდებდეს ღმერთსა.

ხოლო საღმრთონი იგი ნაწილნი წმიდისა ილარიონისნი, საღმრთოდ შემურნეს და პატიოსნად დაკრძალეს ლარნაკსა შინა ქჳსასა და დადგეს მასვე ეკუტერისა შინა საყოფელსა მისსა, სადიდებელად და საქებელად ქრისტეს ღუთისა ჩუენისა.

მრავალნი კურნებანი ქმნნა უფალმან სამარხოსა ზედა შემდგომად აღსრულებისა მისისა, ვითარცა იგინი ხელთა მიერ თჳსთა ჴმა მაღლად ქადაგებენ და თჳთ ქალაქი იგი დიდი თესალონიკე ბრწყინვალედ მიუთხრობს მას შინა აღსრულებულთა მათ საკჳრველებათა წმიდისათა, რომელთაგანი ერთი არს ძე მთავრისა მის, რომელმან შეიწყნარა იგი, რომელი იგი შემდგომად ორმეოცისა დღისა აღსრულებისა მის წმიდისა წყლით მანკიერ იქმნა და ბოროტად სალმობიერ და ესოდენ განძჳნდა სენი იგი, ვიდრემდის განიწირა ყოვლისაგანვე მკურნალთა ხელოვნებისა, ხოლო მამამან მისმან უბრძანა ტჳრთჳთ წაღება მისი სამარხოსა მას წმიდისასა, რომელსა შინა მდებარე იყო გუამი საღმრთოსა ილარიონისი, რათა მიაწვინონ იგი მუნ, წარვიდა მისთანა მამაცა მისი და ევედრა მღუდელ მშუენიერსა მას მამასა წყალობისასა, მრავლითა ცრემლითა და კუალად იქცა მიმწუხრი სახედ თჳსად.

ხოლო ღამესა მას იხილა ჭაბუკმან მან, ვითარმედ დაადგრა მას კაცი იგი ღუთისა წმიდა ილარიონ და ეტყოდა ესრეთ. «პროკოპი», რამეთუ ესრეთ ეწოდებოდა მას, «უკეთუ არა გულსავსე მყო მე, რათა არა წარსაწყმედელად სულისა შენისა ჰმოქალაქობდე, ვერ მიემთხჳო კურნებასა». და იგი აღუთქმიდა, ვითარმედ ყოვლად არღარა აჩუენოს პირუელი იგი უწესოებაჲ და აღთქმასა ამას ფიცით დაამტკიცებდა, ხოლო წმიდამან შთაყო ხელი მუცელსა მისსა და სასწაული ჯუარისა სამგზის გამოსახა მას ზედა და ჰრქუა მას. «აჰა ესერა ცოცხალ იქმენ და ნურღარა სცოდავ, რათა არა უძჳრესი შეგემთხჳოს სიტყჳსაებრ უფლისა» და ესერა თქუა, წარვიდა მისგან.

ჰოი! საკჳრველთა ესე დიდებულებაჲ, რომელსა იგი მცირედ აქუნდა სასოება სიცოცხლისა და კნინღა არათ დაკლებულ იყო მკუდართა და, რომელი იგი უკანასკნელად აღმოფშჳნვად მიახდა, ესე სიტყჳსა თანა წმიდისა მყის განიკურნა, რომელ არცაღა თუ კუალა იპოვებოდა მისთანა წყლულებისა და რომელი იგი გუშინ, ვითარცა მკუდარი ტჳრთჳთ მოიღეს ესე დღეს მხიარული და უვნებელი თჳსითა ფერხითა სრბით წარვიდა მშობელთა თჳსთა თანა. განჰკჳრდეს უკუე ყოველნი, რომელთა იხილეს და რომელთა ესმა სასწაულსა მას ზედა საკჳრველსა და ადიდებდეს ღმერთსა, რომელი იქმს, დიდებულთა საკჳრველთა, მაღალთა და მიუწთომელთა, რომელთა არა არს რიცხჳ და არა ეს ოდენ იქმნა სამარხოსა მას წმიდისასა, არამედ სხუათაცა მრავალთა ადგილთა სახელისდებითა წმიდისათა.

რამეთუ ძმათა მათ, რომელნი მყოფ იყუნეს მის თანა მისცეს სჯბლარდნელი ერთი ფლასისა, რომლითა შეიმოსის ნეტარი იგი გუამსა მას წმიდასა დედაკაცსა ვისმე გლახაკსა და მთხოველსა,

ხოლო მან მოიღო იგი დამარხა თავისა თჳსისა თანა, დასდებნ მას მრავალთა ზედა სნეულთა და უძლურთა და მეყსეულად განკურნებნ, ვიდრეღა გლახაკი იგი და მთხოველი და ყოველთა მოქენე დიდად განმდიდრდა მადლითა და კურთხევითა წმიდისათა და განიძარცვა პირუჱლი სიგლახაკე და უნაკლულოდ ცხონდებოდა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მისისათა, უფროსღა სახითა გლახაკთა და ულონოთა ხელსა აღუპყრობნ წყალობისასა.

ამათ უკუჱ ესე ვითართა სასწაულითა აღავსნეს სასმენელნი ყოველნი განმრავლებასა თანა დღეთასა ვიდრემდის მიიწია სასმენელთა ქრისტეს მოყუარისა ბასილი მეფისათა, რამეთუ ანთვიპატმან და მთავარეპისკოპოზმან ყოველივე მიუწერეს მეფესა და თუ ვითარი მნათობი გამოაჩინა ღმერთმან დღეთა მისთა განცხადებულად აუწყეს, რომელი ესმა რა მეფესა და უკჳრდა ფრიად და ადიდებდა ღმერთსა.

ხოლო დღესა ერთსა, ჰყო მეფემან სერი დიდი[1]) და შემოხადა ყოველთავე მამასახლისთა მონასტრისათა და ყოველთავე არქიმანდრიტთა მისათა და განუმზადა მათ ტაბლა ბრწყინუალე და იხარებდა მათთანა და გამოძიებდა, ვითარცა არს წესი მეფეთა; ხოლო ტრაპეზსა მას ზედა მიუთხრა მეფემან თესალონიკით მოწერილისა მისთჳს საქმისა და ხუდა უკუჱ განგებითა ღმრთისათა ულუმბოსაცა იგი არქიმანდრიტი, რომლისა იგი დისწული განკურნა ოდესმე წმიდამან ილარიონ და გადნიერ იქმნა და აღდგა და ყოველივე წულილად მიუთხრა მეფესა და თუ, რომელი მოქალაქობაჲ მოღუაწეებისა აქუნდა პირუჱლიდგანვე ზედა მიწევნით აუწყა.

ჰკითხჳდა მეფე უკეთუ დაშთომილ არს ვინმე მოწაფეთაგან მისთა და ისწავა, ვითარმედ არიან ჯერეთ სამნი ოდენ მოწაფეთაგან მისთა მოხუცებულნი პატიოსანნი და მისთა მათ სათნოებათა ზედა მიწევნით მეცნიერნი, რომელთათჳს მტირალ იქმნა მეფე და ბრძანა სწრაფით მოყუანებაჲ მათი ულუმბოთ; ხოლო მოიწივნეს რა კაცნი იგი პატიოსანნი, შეიწყნარნა მეფემან, ვითარცა ანგელოზნი ღმრთისანი და მოხუცთა მათ პატივს ჰსცემდა დიდად და აღუშენებოდა ფრიად მოქალაქობასა მათსა ზედა და ფრიად სარგებელ ეყოფოდა სათნოებათა მათთაგან და ლოცჳდა მათ აღშენებად მონასტერსა ქალაქსა შინა სამეფოთა მათ; რათა აქუნდენ იგინი მახლობელად პალატისა. ხოლო მათ ჰრქუეს მეფესა, ვითარმედ შეუძლებელ არს ესე შორის ქალაქისა მკჳდრ ყოფად და უცხოსა მონასტერსა დაპყრობად, არამედ უკეთუ გნებავს მეფე მახლობლად სადა ქალაქისა სამეფოსა ადგილსა უდაბნოსა და უვალსა გამოგვისახე მცირე საყოფელი, რათა მუნ დავემკჳდრნეთ და თჳთ მპყრობელობასა თქუენსა ულოცჳდეთ.

მასვე უკუჱ ჟამსა პროტოსპატარი[2]) ვინმე თანა წარიყუანა და უბრძანა მოვლად და ძებნად ადგილისა სადაცა ენებოს. ხოლო იგინი გამოვიდეს და ძიება ჰყუეს და მიემთხჳვნეს ღელესა რასმე, რომელსა ერქუა ჰრომანა, ზემოკერძო ადგილსა, რომელსა სოსთენ ეწოდებოდა და ჰპოვეს მუნ წყარო კეთილი და მოიქცეს და მიუთხრეს მეფესა, და აჰა ესერა მსწრაფლ თჳთ ქრისტეს მოყუარე მეფე განვიდა ადგილსა მას და მეყსეულად გამოსახა ეკკლესია, სახელსა ზედა წმიდათა მოციქულთასა, რამეთუ თჳსითა ხელითა დადვა მეფემან ქვა იგი საძირკუელისა და აღასრულა საქმე იგი შენებისა შჳდ თთუე. ხოლო იგი ანთვიპატი თესალონიკეს მყოფი გარდადგომილ იყო ხელმწიფებისა-

---

1) სერი, წვეულობა, სადილი ანუ ვახშამი — პატიჟობა.

2) პროტოსპატარიონ, სასახლის მხედართ მთავარი.

გან თჳსისა და სამეფოს შემოსრულ იყო, მოუწოდა მას მეფემან და კუალად აგო იგი პირუელსავე მას წესსა და წარგზავნა თესალონიკედ და ამცნო მას, რათა დიდითა სწრაფითა წარმოღებად სცეს ნაწილნი წმიდისა ილარიონისნი. შთავიდა მთავარი იგი, შევიდა და გამოუცხადა ბრძანება მეფისა თესალონიკელთა და ყოველნივე აღადგინნა ტირილად, ვითარმედ საუნჯისაგან დიდისა დაკლებულ ვიქმნებით, ხმა მაღლად ღაღადებდეს; ვერღა წინა აღმდგომისა განიზრახჳდეს ერი იგი. ხოლო ანთვიპატი იგი ლოცჳდა მათ მრავალსა და დაწყნარებად შფოთისა მისგან ევედრებოდა და ეტყოდა, ვითარმედ შეუძლებელ არს წინა აღმდგომად ბრძანებასა მეფისასა და ძლით უძლო დამშჳდებად მათდა და შემზადა ლარნაკი მცირე და გამოიყუანნა ღამით ნაწილნი წმიდისა ილარიონისნი და დაკრძალნა მცირესა მას შინა ლარნაკსა, მშუენიერითა რათამე და ჴამოთა სულნელებითა აღვსებულნი წარმოსცნა წინაშე მეფისა.

შეიწყნარნა უკუჱ მეფემან ნაწილნი იგი ნეტარისნი მრავლითა პატივითა და გულს მოდგინებითა სულისათა და ღამესა მას დაიყენა სასუენებელსა შინა თჳსსა. ხოლო შუაღამესა ოდენ განეღჳძა მეფესა და იყნოსა სულნელება რაჲმე უცხო, რომლისათჳს დამტკიცებით იტყოდა, ვითარმედ არა ოდეს აღსრულ არს საყნოსელთა მისთა ესე ვითარი სულნელებაჲ და დაკჳრვებული ეძიებდა თუ რაჲმე არს ესე და ჰკითხვიდა წინაშე მდგომელთა მათ, უკეთუ არს რაჲ ესე ვითარი პალატსა შინა და ვითარცა ვერა რაჲ ჰპოვეს სხუა გულისხმა ჰყო მეფემან ვითარმედ პატიოსანთა მათგან ნაწილთაჲ წმიდისათა გამომავალ არს საკჳრველი იგი სულნელება; ხოლო არა ოდენ მეფემან, არამედ ყოველთავე მყოფთა ქალაქისათა იყნოსეს უცხოსა მისგან სათნოებისა და ადიდებდეს ღმერთსა და ჰნატრიდეს საყუარელსა მას ღმრთისა ნეტარსა ილარიონს.

ინება მეფემან პალატსა შინა სამეფოსა დასხმად სხუმრთოთა მათ ნაწილთა წმიდისათა, არამედ დაადგრა ჩუენებით მართალი იგი და მადლობაჲ მისცა მას და თქუა. «ვითარმედ შეწყნარებულ არს გულსმოდგინებაჲ შენი და ჩუენდა მომართ პატივი შენი შეწირულ წინაშე ღმრთისა; ხოლო პალატსა შინა სამეფოსა, რომელი განიზრახე ყოფვა ჩემი, არა სათნო არს ეგე, არამედ ახალ შენსა მას შენ მიერ მონასტერსა ბრძანე წარყუანებაჲ ჩემი».

და განთიად ოდენ ცისკარს შესხდეს მეფე და პატრიარხი[1]) ნავთა სამეფოთა მთავართა თანა და თავთა ქალაქისათა და აღიხუნეს ნაწილნი იგი კაცისა ღმრთისანი სულნელებითა და საკმევლებითა და ფსალმუნებითა და გალობითა შევიდეს ტაძარსა მას მთავარისა მის უხორცოთასა მიხაილისსა, რომელშენ არს ადგილსა მას სოსთენისსა. გამოვიდეს მიერ ჰმეტესითა გალობითა და ბრწყინვალითა შესამოსითა აღვიდეს ღელესა მას ჭრომანისასა და აღასრულა მეფემან დღესასწაული დიდებული და ჰყო ღამის თევა, მრავლითა ქებითა და გალობითა სულნელთა თანა და საკმეველთა მრავალსასყიდლისათა და სრულ ჰყო სატფურებაჲ ეკლესიისა პატივის მოყუარებით და განწმიდა საკურთხეველი ხელითა პატრიარხისათა და მისცა მეფემან ნაწილი რაჲმე ნაწილთაგან წმიდათა მოციქულთასაჲ და დასხმად ქუეშე საკურთხეველსა უბრძანა თთუესა ნოემბერსა თ.

შემდგომად განწმედისა მის ეკლესიისა მოიღო მეფემან პატიოსანი იგი ლარნაკი სადა იგი მდებარე იყუნეს სამღუდელონი იგი ნაწილნი ნეტარისა ილარიონისნი, ლამპრებითა მრავლითა და

---

1) დროსა მას შინა პატრიარხათ კონსტანტინოპოლისა იყო წმ. ფოტი (857—867—877—886 წ.), რომლისა მართებლობისა დროსა შინა იყო დარღუევა ლათინთა მიერ ერთობისა სარწმუნოებისასა და განდგომილება მათი სამოციქულო მსოფლიო ეკლესიისაგან.

ფსალმუნებითა ფრიადითა ღჳთის მსახურებითა დასხნა სარწმუნოებით, რამეთუ თჳთ მათ ხელითა სამეფოთა არწმუნა ტჳრთჳა მისი და ორთა მათ ძეთა ლეონს და ალექსანდრეს უბრძანა პყრობაჲ მისი ამიერ და იმიერ და ესრეთ მრავლითა პატივითა დაკრძალა იგი და განაწესა სამთა კანდელთა დაკიდება მას ზედა, რათა სამარადისოდ ენთებოდნენ, ეგრეცა ექუსთა კანდელთა ბრძანა დაკიდება წინაშე საკურთხეველსა და მათ ყოველთა თჳს ამცნო, რათა დაუკლებელად ენთებოდინ. რომლისა თჳსცა ყოველსა თთჳსა განუწესა, რათა მიეცემოდის პალატით ათორმეტი დრაჰკანი [1]) სასანთლედ და ორი პური შესაწირავისა თჳთოეულსა დღესა, რათა წმიდა იგი მსხუჱრპლი სამარადისოდ აღესრულებოდის შენდობისათჳს ცოდჳათა მისთასა.

ხოლო მონაზონთა მათ მონასტრისათა ორი ლიტრა ოქრო სანოხედ, რათა მიეცემოდის იგი თჳთ დღესა სატფურებისა ეკკლესიისასა; ხოლო გარემოს მონასტრისა ტყენი და სამეფოსა ქალაქსა შინა მეტოქნი გამოსაზრდელად მათდა უბოძნა, ეგრეთცა კჳალად ბარძიმ ფეშხუმნი პატიოსანნი შემსგავსებულნი მეფობისა მისისანი თჳსითა ხელითა დადგნა ზედა საკურთხეველსა, ესრეთ რა უკუჱ აღასრულეს ბრწყინჳალედ ენკენია და განახლებაჲ ეკკლესიისა და დასხმა პატიოსანთა მათ ნაწილთა წმიდისა ილარიონისათა მეფემან და ორთა ძეთა მისთა პატრიარხისა თანა კჳალად იქცეს პალატადვე.

ხოლო ღმერთი იგი, რომელი მდიდარ არს წყალობითა, მიერითგან და ვიდრე დღესამომდე უხუჱბით და უშურველად აღმოუცენებს წყაროსა კურნებათასა და მდინარესა ნიშთა და სასწაულთასა ყოველთავე, რომელნი სარწმუნოებით მოუხდებიან წმიდასა მას სამარხოსა ძუალთა მისთასა.

ევთჳმიოს უკუჱ ვინმე ქართჳელთ მონაზონმან დაუდებულმან და სათნოებით დიდად განსთქმულმან მიწერა მეფისა ესრეთ: «გიხაროდენ შენ ჴოი მეფე! რამეთუ ჰპოვე აწ დიდი მადლი, ვითარცა მე ღირსსა ამას საღმრთოსა მიერ გამოცხადებისა გულსავსებით მეუწყა. რამეთუ ვიხილე მე ჩუჱნებასა შინა ღამისასა სახმილი საშინელი, დიდი და საშინელად აღტყინებული ადგილსა რასამე შენსა და წყუჱდიადსა, რომელი სასტიკად მგზებარეობითა თჳსითა აღუტყევებდა და ამაღლდებოდა ზე ჰაერთა შინა ალსა მძაფრსა სახმილისასა. ხოლო ცეცხლისა მისგან გამოვიდოდა ოხრა და ხმა ბოროტი კნინლა და განლებადმდე ქუჱყანისა, რომლისაგან შეძრწუნებულ ვიქმენ მე ფრიად და ვთქუ ვაჲმე, ვისდამე გლახ უბადრუკისა განმზადებულ არს ესე და აჰა ესერა მოვიდა ჩემდა მშჳენიერი მოსილი სამოსლითა სპეტაკითა და ხილვითა საშინელი და მრქუა მე, ვითარმედ ბასილი მეფემან აღაგზნა ესე ცოდჳათა მიერ თჳსთა; ხოლო მე არარაჲ მესმა იწყლა სალმობიერად სული ჩემი და მხურვალეთა მიერ ცრემლთა აღვსებული ვტიროდი მწარედ და მან მრქუა მე, ნუ მწუხარე ხარ, რამეთუ ჰპოვა მადლი მეფემან დიდი შემწე და მეოხი სულისაჲ, რომელმან დაშრიტოს ალი იგი, მხურვალე ესე არს ილარიონ ქართჳელი, რომელი უწინარეს მცირედთა დღეთა აღმოიყუჱანა თესალონიკით და საყდართა ზედა წმიდათა მოციქულთასა ახლად აღშენებულსა მის მიერ მონასტერსა აღიყუჱანა. მცირედ უკუჱ სულგრძელ იქმენ და იხილო თუ ვითარ დაშრტეს სახმილი ეგე და ალი მისი დავსებულ იქმნეს. და აჰა ესერა მასვე ჟამსა მოვიდა ვინმე მოხუცებული მოსილი სამოსლითა სამღდელოთა და ხელთა მისთა აქუნდა ჭურჭელი რაჲმე დიდი აღსავსე წყლითა, რომელი იგი დაასხა ზედა სახმილსა მას და მეყსეულად დაშრტა ცეცხლი იგი

1) დრაჰკანი δραχμή, ბერძული ფული, რომელიც ესწორება აწინდელს რუსულს 26 კოპეიკს.

და ალი სახჳმილისა მის მძაფრისა დაავსო მრავლითა კადნიერებითა, ხოლო ადგილსა მას ცეცხლისასა დაშთეს მცირედნი რაჲმე ნაკჳერცხლნი, კჳალად მრქჳა მე, რომელი იგი იტყოდა ჩემთანა, იხილე თუ ვითარ დაშრეტილ იქმნაჲ სახმილი იგი საშინელი და განსაკრთომელი, ვედრებითა და მეოხებითა ილარიონ კაცისა ღჳთისათა, ამიერითგან უკჳე ბასილის ზედა არს გინათუ სრულიად დაშრეტეს დაშთომილთა მათ ნაკჳერცხალთა ანუ არა კჳალად აღდგინებად მის სახმილისასა.

აწ უკჳე ქრისტეს მოყჳარეო მეფეო, იხარებდ და მხიარულ იყავ მადლთა მათ ღჳთისათა, ქჳელის მოქმედებად ისწრაფე, მეფე ისწრაფე სრულიად დავსებად და განქარვებად დაშთომილთა მათ მცირეთა ნაკჳერცხალთა.

ხოლო მათი დაშრეტა იქმნეს კეთილის ყოფითა მოქენეთათა და შენდობითა ჩჳენთა მონათათა სიწმიდითა ხორცთათა და ცრემლით ვედრებითაჲ ღჳთისათა და სხჳთა მით სათნოებითა მწყობრითა და შესძინნა უფალმან ქჳეყანის მპყრობელობასა თქჳენსა მიღებად კეთილთა მათ ზედაჲ.

მიიღო რა მეფემან ეპისტოლე ესე, აღვსებულ იქმნა სიხარულითა ფრიადითა და მრავლითა ვედრებითა და იწყო ზედას ზედ მისლვად მონასტრად წმიდისაჲ ილარიონისა და მრავლითა მოღჳაწებითა და სურვილითა ამბორს უყოფნ ლარნაკსა მას წმიდათა ნაწილთა მისთასა და მეოხად და შჳამდგომელად ღჳთისა მიმართ მისთჳს და შჳლთა მისთათჳს, წმიდასა მას სახელ სდებდა.

და აღაშენა სენაკი სამოწაფნო მონასტერსა მას წმიდასა. დადგა მას შინა ტახტი და საგებელი და დადვა მონასტერსა მას შინა წმიდა სახარებაჲ და სამოციქულო. მიერიდგან უკჳე აღვიდის რა მუნ დაჰყჳს მუნ ორი გინა სამი დღე, ესრეთ მხურვალე იყო და მოსურნე ქრისტეს მოყჳარე იგი მეფე ღჳთისა მიმართ სარწმუნოებისა და წმიდათა სიყჳარულსა.

ხოლო ესე არს ცხოვრება მამისა ჩჳენისა წმიდისა ილარიონისი. ესე არს მოქალაქობა კაცისა მის საყჳარელისა და სიმხნე ახოვნებისა მისისა და მოღჳაწებაჲ, რომელი აჩჳენა მან ქჳეყანასა ზედა, რომელი ქებითაცა შესხმისათა პატივცემულ იქმნა ბრძანებითა ბასილი მეფისათა, ბასილის მიერ მონაზონისა, რომელი დიდად განთქმულ იყო და ბრწყინჳალე სიბრძნითა.

არამედ იძლევის ყოველივე სიტყჳა შესხმისა სათნოებათა თჳს წმიდათასა, რამეთუ ქება მათი არს თავადისა ღჳთისა მიერ, რომელსა ჰშჳენის ყოველი დიდება პატივი და თაყჳანის ცემა აწ და მარადის და უკჳნისამდე.



სბინინი.

ႼႫ. ႥႠႾႲႠႬႢ ႢႭႰႢႠႱႠႪ (ႫႤႴႤ)

თთუესა ნოემბერსა (იზ დღესა), წამება წმიდისა მოწამისა გობრონისა, რომელი განიყუანეს ყუელისციხით. მე სტეფანე მტბევარ ეპისკოპოზმან დავჰსწერე ბრძანებითა აშოტ ერისთავთა-ერისთავისათა.

მზეობს მიხაილ, ვარსკულავებენ მოყუასნი.
სფერასა ზედა ვნებისასა ბრწყინუალედ.
ხადა სქეტ ქრისტე, სიბრძნე ღმრთისა მამისა.
ეჰა საკჳრჳოა საიდუმლო წყალობის.
ვითარ მონანი, ზიარ იქმნნეს უფლისა.

თქმული ნიკოლაოზ ცფილელის მიერ.

ჩუეულებაჲ აქუს გზნებასა ღმრთისა, სწავლად გონებასა ზედა, სწავლად დაბადებულთა მისთასა, ვითარცა იყო იოსებ და ყოველნი მამათ მთავარნი თჳთეულად გამოიცადნეს მსგავსად ძალისა ჩუენისა, ვითარცა იტყჳს იობ: «ნეტარ არს კაცი, რომელსა ამხილა უფალმან და სწავლასა ყოვლისა მპყრობელისასა ნუ განიშორებ, რამეთუ მან ალმის და კუალად აგის». და სოლომონ იტყჳს «შვილო უკეთუ მოხუალ მონებად ღმრთისა, თავი შენი განუმზადე განსაცდელსა» და კუალად «შვილნი, რომელნი უყუარან უფალსა, ჰსწავლის და ჰტანჯჳს» და მოციქული იტყჳს «სრულთათჳს არს მტკიცე იგი საზრდელი, რომელნი სწავლასა ღმრთისასა მადლობით შეწყნარებად ღირს იქმნნეს და ცოდჳსა რისხვათ გულის წყრომისა მისისათ ხსნებად ძალი მისი».

რომელ დაუთმენიეს მართლითა სულგრძელებითა მიგებად უსჯულოთა უკეთურებისაებრ მათისა, ვითარცა იტყჳს დავით. «ამაღლდი მსაჯულო სიმართლისაო და მიაგე მისაგებელი ამპარტავანთა». და პავლე იტყჳს «ამისთჳს მოიწიოს რისხუა ღმრთისა ნაშობთა ზედა ურჩებისათა, ვითარცა დასაბამსა მშჳდობისასა ნოეს ზედა წარწყმედასა ამპარტავანთა კაცთასა, რომელნი ხატად ღმრთისა დაბადებულ იყუნეს, აგებულებაჲ ღმრთისა ვერ ცნნავა უმადლოთა მათ ნათესავთა და მსგავსება მთავრობისა თჳსისა ვერ გულის ხმა ჰყო, რომელთა ხატი შემოქმედისა ღმრთისა შეურაცხჰყუეს და დამდაბლდეს და ემსგავსნეს ძლეულსა მას ბუნებასა დედათასაჲ, რომლისა ურჩებითა სიკუდილი შემოხდა», ვითარცა პავლე იტყჳს.

აწამ არს სცთა, ხოლო დედაკაცი იგი სცთა და ცოდუაჲ შეუა ნაშობთა მათ შერეულთა გარდარეულითაჲ, მით უშუერითა ცოდჳთა განარისხეს ღმერთი და შეანანეს კაცი არა ყოფლად დაომენად მიუწთომელი მოწყალებაჲ, რომლისათჳს განახუნა საქანელნი წყალთანი და წარწყმიდნა ყოველნი წყლით რღუნითა. ხოლო ნეტარისა ნოჲს მიერ დაუშთა თესლი მკჳდრობისა სოფელსა, ესრეთვე ნერგთა მათ წყევისათა თესლთა სიმწარისათა მოხსენებად საძაგელთა საქმეთა ღმრთისა ზე მართლისა, უწესოთა შერევითა და არა დაუტევეს ადგილი წყალობისაჲ, რომელთა ზედა აწვიმა უფალმან ცეცხლი და წუნწუბა და გარდასკნელითაჲ მით ძჳრითა წარწყმედისათა აღიხოცნეს იგინი და კუალად დედაკაცმან მან უსახურმან იეზაბელ გარდამატა უსჯულოებაჲ, რომლითა ელიას ეპატიჟა შურითა საღმრთოჲთა ცათა შეკჳრად და სიუმილი შემოართვაჲ, იერუსალიმსა ზედა ქვა სიკუდილი სოფლად შემოიღო, რომლისათჳს ელია იტყჳს «რაჲ ძეს ჩემი და სახლისა მის აქაბისი».

აქუნდა მას ურჩებისა მისთჳს იეზაბელისა ნაყოფი იგი უწჳმრებისა ჰმისთჳს სიკუდილსა ბო-

როკჲსა მიეცა იგი და ტერფთაგან[1]) ცხენთასა განიჭრნეს ჴორცნი მისნი და მას ზედა აღესრულა წერილი იგი, ვითარმედ «უგუნური იგი რისხჳსამან მოკლის». ხოლო ვინათგან წყლით რღჳნა აღიბეჭდა და ცეცხლით მოწჳა ზეგარდამო დაეცაჲ და მიერიდგან მახჳლი განეწყეს ღჳთისა მიერ შურის საგებელად უკეთურებასა კაცთასა, ვითარცა ესაია იტყჳს «უკეთუ ისმინოთ ჩემი, კეთილსაჲ ქჳყანისასა ჰსჭამდეთ, ხოლო უკეთუ არა ისმინოთ, მახჳლმან შეგჭამნეს თქუენ».

და რომელნი ჟამად შეემთხჳვნეს განსაცდელნი იერუსალიმსა ცოდჳსა მიდრეკითა. ესე მცირედ მოიხსენეთ, ვითარცა თქჳა დავით, «მოვიხსენენ მე დღენი პირჳელნი და ვიტყოდი ყოველთა მიმართ მცნებათა შენთა». რათა მოხსენებითა პირჳელთა მათ საქმეთათა მოსრული და მომავალი სამართალი ღჳთისა მეცნიერთა თჳს კრძალულ იყოს და ორივე სახე კეთილისა და ბოროტისა ნათესავთა მომავალთა მიეთხრას, რათა სხჳათა შემთხჳვათა გამოცდილ იპოვნენ.

ვითარცა თქჳა მოსე, «დავსდებ თქუენ ზედა კურთხევასა კეთილისათჳს, რამეთუ ღჳთივ-მოქმედებულთა მიერ სარწმუნოთა მეტყჳელთა სულისა მიერ წმიდისა სწავლულთა მოსწავებულ არს ღმერთი მართლ-მსაჯულად ჭურთა მათ ზედა წყალობისათა და სიტკბოებისათა დაცემულთა ზედა სასტიკებითა»; რათა ოდეს იხილონ ჭეშმარიტთა მათ თაყუანის მცემელთა ნაყოფი იგი სიმართლისა წყალობისა ღჳთისა მოსავ იყჳნენ და მოთმინებით მოელოდინ სასყიდლისა კუალადგებასა და კუალად ოდეს ესმას ცრუთა სიმართლისა სასჯელი ღჳთისა პატივსა შეეშინოს და დაუტეოს უკეთურებაჲ და სინანულად მოისწრაფოს, ვითარცა ნინეველთა და განერნენ დაქცევისაგან სულისა და ჴორცთასა.

ესრეთვე ჰსცოდჳა დიდმან სახლმან სომხითისამან, ვითარცა თქჳა იერემია წინასწარმეტყჳელმან, გოდებათა შინა მისთა სიტყჳთა გმობისათა «შეაწუხეს სული წმიდა და საქმითა ბილწებისათა გარდარეულად განარისხეს შემოქმედი თჳსი, რომლისათჳს მსგავსად უსჯულოებისა მათისა მოიწია რისხჳაჲ ღჳთისა დადგრომად».

და მისცა იგი მახჳლსა ბოროტსა და ტყჳეობასა საწყალსა და სალმობასა სიყმილისასა განმამრუდებელსა და სვრასა სიკჳდილისასა უწყალოსა, რომელთა მფლველ არავინ იყო და დაეცნეს, ვითარცა ხენი ქჳყანასა, ვითარცა იტყჳს ესაია წინასწარმეტყჳელი. «არა თუმცა უფალმან ყოვლისა, უმჯობეს იყო მათდა, უკეთუმცაჲ გზა იგი ჭეშმარიტებისა ეცნავე არა ვიდრე ცნობისა და კჳალად უკუნ ქცევასა». რამეთუ მოციქულთა მიერ ქადაგებული მართლმადიდებლობისა იგი სარწმუნოებაჲ წმიდისა კათოლიკე ეკკლესიისა განაგდეს და მოძღჳართა მიერ წმიდათა კრებათა ღჳთივ სულიერთა განწესებული კანონი საეკკლესიო შეურაცხ ჰყჳეს.

ამისთჳს ძირი იგი სიმწარისა დაენერგა მათ შორის და ღჳარძლი იგი სიბოროტისა აღმოსცენდა და ცოდჳა იგი წჳალებისა აღორძნდაჲ და ნაყოფი იგი წარწყმედისა გარდაემატა მათ ზედა, რამეთუ მიიწია მათ ზედა, რამეთუ მიწა იგი სომხითისა ამპარტავან და მკჳდრნი მისნი ცუდად მზჳაობარ, ანგარ, ლაღ და ცოდჳის მოყჳარე, ამპარტავან უწყალო, უჳარულ და ყოვლითა უკეთურებითა სავსე, რომელსა შინა არა იპოვა თავისა მისადრეკელი ქრისტესი, რომლითათჳს ქრისტე ცუდად მოკჳდაჲ.

და ესე არს საზღჳარი მისი და სახელები ხევთა მისთა: ვანდი, აშორნა, ალაპუნისი, კალკოიტნი, ჭაკატი, გოგოვიტი ორი ხევი, შარული, ასურაგანი ათორმეტი ხევი, ვაჲძორი ოთხ ხევი, დაფინ, ადამტი სამი ხევი, გელაქუნია ოთხი ხევი, სივნიეთი ათი ხევი, ტაშირი და კაქფაქარი.

ესე ოთხმეოცდა შჳდი ხევი მოოხრდა პირისაგან უფლისა, ძჳრისაგან ცოდჳათა მათთასა, ამისთჳს, რამეთუ არა იპოვა ამათ ხელთა შინა საყდარი მართლმადიდებელთა ეპისკოპოსთა, არცა

1) ტერფი, ცხენის ფეხის გული, ოდესმე ნიშნავს ცხენის ნალსა.

მონასტერი მართლმადიდებელთა, მორწმუნეთა მონაზონთა, ვითარცა აბრაამ ჰკითხავს ღმერთსა. «უკეთუ იყუნენ ხუთნი მართალნი, წარსწყმიდოა ქალაქი იგი». და თქუა უფალმან «არა». და იტყჳს «ვინ წმიდა იყო და წარწყმდა, ანუ სადა ჭეშმარიტნი ძირითურთ აღიფხურნეს», თუ სადამე იტყჳს მსგავსად სიტყჳსა მის, რომელი ჰრქუა უფალმან ელის. «არღარა ვხოცო კაცი შენი საკურთხეველისგან ჩემისა, რათა ხედვიდეს და ესმოდის და რათა ესენიცა ხედვიდენ და ესმოდის, ამათ ქუეყანათა ზედა განეწყო უფალი რისხჳთა გულის წყრომისა მისისათა». და მიშუებითა ღმრთისათა აღიძრა მეფე სარკინოზი სახელით აბულყასიმ ძე აბულსაჯისი ამირისა და უფალი სპარსეთისა, რომელსა ჰმონებდა სამოცი ქალაქი დიდ დიდი და შჳდნი მეფენი მორჩილებდეს ძლიერნი.

ესენი აღჭურა ერითა მრავლითა კაცებითა რჩეულითა, რომელთა ჰყუანდა ათასეული და ბევრეული, შევიდა ქალაქსა დჳნისსა[1] და ოხრა გულის წყრომისა მისისა მოასწავებდა ოხრებასა სომხითისასა, ვითარცა ნინეველთა დაქცევასა და რათამცა შეინანეს ამათცა. ხოლო გულნი მათნი განფიცხებულ იყუნეს, ვითარცა რვალი[2] და დაყინებულ, ვითარცა სამყარო[3], რამეთუ ცოდუა წყალებისა მათისა დაწერილ იყო ფიცარსა მას რკინისასა, ფრჩხილითა ანდამატისათა.

ვითარცა იერემია იტყჳს. «ამისთჳს ვერ ქძლო მოქცევად, რამეთუ ემსგავსა სახელი იგი სომხითისა კაცსა მას უგუნურსა, რომელმან დადვაჲ საფუძუელსა ზედა საცთურებისასა და ქჳშასა და წვლილებისასა და ვითარ აღდგეს კუეთებანი დაეცა და იყო დაცემა მისი დიდ ფრიად». ვითარცა იობ იტყჳს «მე ვიხილენ უგუნურნი იგი, რომელთა ძირნი არა დაებნეს, არამედ მეყუსეულად შეიჭამა როჭიკი[4] მათი და განეშორნეს ძენი მათნი ცხოვრებისაგან», რამეთუ მძლავრებაჲ მათი და ხელმწიფებისა მათისა სულგრძელებაჲ გამოსწოვდა ძალსა მათსა.

რამეთუ ესე არს ჩუეულებაჲ მათი პირუელად ხარკნი იგი თანანადებნი ძებნნეს, ძღუენი და ნიჭნი კაცთა მათთათჳს, რამეთუ მოხარკე მისსა იყუნეს. შემდგომ წინა ჟამისა ბეგარანი სთხოვნეს და უცალოებისათჳს ამბავად იტყჳან დაქცევასა თჳსსა ასწრაფებენ და ესრეთ მანქანებით დააცალიერებენ საფასეთა მათთაგან, რათა ადგილად მძლე ექმნას რაჲცა იყო ესრეთ.

და ვითარ მოსძლევდა სარკინოზი იგი და არა იპოვა ღონე წინა აღმდგომისა სომხეთა მეფისა[5] არცა განრინებისა, რამეთუ ღმერთსა განეხეთქაჲ მეფობაჲ იგი მისი. მაშინ მიივლტოდა იგი მთათა ზედა აფხაზეთისათა, რომელი იგი უკანასკნელ სიკუდილსა ვერ განერა, ხოლო ხელმწიფე იგი შეუდგა მას ძიებად სასჯელსა სიკუდილისასა, მრისხანებებითა დიდითა.

და მოვიდეს იგინი ციხესა მას ყუელისასა[6] გურგენ ერისთავთა ერისთჳსა, რომელსა შინა

1) დვინი იყო საცახცო, ანუ დედა ქალაქი სომხეთა მეფეთა.

2) რვალი სპილენძი.

3) სამყარო — ცა, ზემოსაცხოვრებელი, უმაღლესი მთისა.

4) როჭიკი — საჩუქარი, ჯამაგირი — ფასი.

5) დროსა შინა ამისასა, სომხეთა მეფე იყო უღები, ავაზაკი, მრუში და სხუათა ცუდთა ზნეობითა სავსე სუმბატ, რომელმან დაამხო სრულიად სომხეთი და საქართუელოცა და რომელმან განგებითა ღმრთისათა, შემდეგ მიიღო ღირსებული სიკუდილი — აბულ ყასიმისგან — ბრძანებითა რომლისათა, ჩამოკიდულ იქმნა ძელსა ზედა გატყავებული. ნახე ქართლის ცხოვრება გ. 195. მეფე ადარნასე II.

6) ფრიად განთქმული და უმაგრესი ციხე ყუელისა, აღშენებულ იყო სამცხეს, ჯავის წყლის მარცხნივ ნაპირსა ზედა, რომელიც ერთჳს მტკუარსა მარცხნივ მხარეს. ციხე ესე ეკუთნოდა გურგენს, ერისთავთ-ერისთავსა რომელსა შინა ჰსცხოვრებდა იგი სახლობითურთ. ციხე ესე აწ აოხრებულ არს, რომლისა შენობანი და ნაქცევნი ახალციხის საზღუარსა შინა ინახვებიან. დროსა შინა წმ. გობრონისა ციხე ესე საქართუელოს ეკუთნოდა.

იყჳნეს აზნაურნი წარჩინებულნი და სანატრელი მოწამე ქრისტესი გობრონ მათთანა. მოვიდეს და მოადგეს ციხესა მას უჳმლისასა, გარე შეადგეს კარვები იგი მათი, ვითარცა თოვლი, რომელნი ჴუთისა სოფლისა საზღჳართა და ოდენ ეტივნეს იწროებითა.

და საბელნი იგი კარვებისა მათისა განეთხზნა ურთი ერთას, რამეთუ ესე იყო ჩჳულებაჲ დადგრომისა მათისა ნათესავთა მათ საძაგელთა უღმრთოთა ფიცხლად მოისართა, რომელნი ჭამდეს ძაღლთა, თაგჳსა, კატსა და ყოველსა არა წმიდასა და ესრეთ განემზადნეს ბრძოლად ფილეკავნებითა მრავლითა და სიმრავლე ტყორცებულთა მათ ისართა შეიპყრობდა ჰაერსა მზისასა, რომელსა აქუნდა ასეული ტჳრთი აქლემისა ისარიოდენ და ეგრეთვე ჭოროლი.

და ბრძოლასა მას ფიცხელსა მხნე იქმნნეს ციხოვანნი იგი და ჰხოცდეს მბრძოლთა მათ და ჭყრიდეს ჴორცთა მათთა, ვითარცა სკორესა ქჳყანასა, ხოლო მათ ყოველთა უწინარეს იპოვა სიმხნითა ნეტარი გობრონ და ძალი ბრძოლისა მისისა ყოველსა მას სიმრავლესა ზედა საცნაურ იყო.

და სახელი იცვალ, ვითარცა ყოველთა წმიდათა, ვითარცა პეტრეს კლდე და სავლეს პავლე, ამას ეწოდა პირჳლად მიქელ და მერმე გობრონ, რომელი ესმინა მეფესა მას და დაესწავა სიტყჳსად გობრონ და სასმენელთა ეოცებოდა და გულსა გამოიწერა, რამეთუ ტრფიალებითა ძლიერად ბრძოლისა და ახოვნებისათჳს მისისა აღიშურა სარწმუნოებისა მისისა ქრისტეანობაჲ და ოდესმე გამოუტევნიან სიმრავლენი იგი ზღჳარსა არტაონისასა და, რომელნი პონიან თავისა მკრებელნი და მსხჳრტელნი ყანობირისა მათისანი, რომელნი შიმშილისაგან შიშსა სიკჳდილისასა შეურაცხჰყოფდეს; შეკრიბნიან მახლობლად ციხესა მას, ვითარცა ცხოვარნი საჩჳნებელად მათდა და დაჭრნიან ჴორცნი მათნი და სისხლი იგი უბრალო, ვითარცა მსხჳრპლი სულნელი შეიწირვოდეს ღმრთისა, ვითარცა სისხლი იგი აბელის მართლისა, რომელთა იგი რიცხჳ მათი ღმერთმან უწყის მხოლომან და ურიცხჳნი იგი ერნი მართლმადიდებელხანი აჭარას და შავშეთს შეწყჳდეულ იყჳნეს, რომელნი ვითარცა მკალნი მოსჭამდეს ფჳრცელსა ხეთასა და მწჳანვილოვანსა ქჳყანისასა.

მას ჟამსა იქმნა შავშეთი ბაკ [1]) მხეც შეუვალ, რამეთუ ეგოდენნი იგი ნათესავნი მახლობელად დგეს, ვითარ სადილობისა გზა ოდენ, რომელთა ქჳყანა ვერ იტევდა. ღმერთმან არა აუვლა შთასვლად მას შინა, მადლითაჲ დაბალთა უდაბნოთთა და ლოცვთა წმიდათაოთა, რომელთა სათნოებანი მათნი კეთილნი, ვითარცა სჳეტნი ცათანი განმტკიცებულ არიან და ვითარცა ზღუდენი რაფაილისნი წინა აღუდგეს.

ხოლო ხელმწიფე იგი ჰბრძოდა ციხესა მას ოცდა რვა დღე და ნაშაკნი შეუხდეს, რომელთა გამოუხდის ნეტარი გობრონ და განდევნის და ძლევისა მისგან, უმეტეს განაკჳრვნა ყოველნი და ვითარ არა იყო შეწევნა არცა წინა აღდგომა, საფიცი ითხოვეს, რამეთუ ღმერთმან განიკჳნა იგინი.

ესრეთ გამოიყჳანნა იგინი და განუყჳანა კაცთა თჳსთა რიცხჳთ ვითარ ორასნი ოდენ, ხოლო ნეტარისა გობრონისა ამცნო უმეტეს ყოველთასა კრძალვით პყრობაჲ და ესრეთ წარემართა და მგზავრ რაჲთამე აშინებნ და აქადებნ სიკჳდილსა და რომელთა მიავლინებნ მისა და აღუთქჳამნ კეთილთა და ესრეთ აიძულებნ წინა დაცჳმთად და დატევებად ქრისტესა.

ხოლო ნეტარსა გობრონს შეემსჭჳალნეს ჴორცნი თჳსნი შიშსა ღჳთისასა და განუმზადა თავი თჳსი ქრისტესთჳს სატანჯჳმლად და სიკჳდილსა დათმენად, ვითარცა ქრისტემან სიკჳდილი

1) ბაკ შემოღობილი ადგილი, ქჳყანა შავშეთისა, მაღალი და გარემორტყმული უმაღლესითა მთებითა, მტკჳრის სათავოს მარცხნივ მხარეს ინახვოდა, ჩამოუდიოდა მდინარე შავშეთისა, რომელიც ერთვს ჩოროხს მარცხნივ — ნაწილი იყო სამცხე საათაბაგოსი.

დაიიმინა ყოველთათჳს და მოციქულისა სიტყჳსა ეტყჳნ მათ. «ცხოვრებაჲ ჩემდა ქრისტე არს და სიკუდილი შესაძინებელ» და მოიწინნეს და რაჲვდენნი უბრალონი სისხლნი დაითხინეს მათგან აღრაცხჳსად ვინ შეუძლოს. ხოლო მეფე იგი სუმბათ უკუჱ ვიდოდა კჳალად თჳსსავე ქუეყანასა, შემდგომად მარტჳრობისა წმიდისა გობრონისა, ვითარ სხუა ღონე ვერა იპოვა, შევიდა იგი ციხესა კაპოეტისასა, რომელი იგი უბრძნეს ითქმოდა, ყოველთა კაცთა მის ჟამისათა და ვითარცა შეწევნა ღმრთისა განაშორა მისგან, ღონე ყოველი დაელია და ვითარცა გამოუხდელი შეეწყუდა და მისთანა ერი მრავალი. ეგრეთვე სახედ მოადგა მასცა ციხესა და ბრძოლისა მათისა შემდგომად გამოიღო და ყოველნი მთავარნი დიდნი სომხითისანი და აზნაურნი ტყუედ ჰყუნა.

და მეფე იგი მრავლისა ტანჯვისა შემდგომად მოკლა და თავი მოკუეთილი ჩამოჰკიდა ძელსა, საშუალ ქალაქსა დჳნისასა. თქუენ თუ ვინმე უმეცართაგანმან განკითხვათათჳს საღმრთოთა, რომელთა არა იციან სწავლა წიგნისა, არცა ძალი ღმრთისა, თუ ვითარ ამათ ნათესავთა უქრისტოთა, უსჯულოთა ესოდენი მძლავრობაჲ მძლავრობისა და ფართოებაჲ შეწევნისა დაუპყრიეს, თუ რაჲმე უღონობაჲ სასოებისა, ანუ სულგრძელებისა ღმრთისა თავს უდებიეს დათმენად.

ესე ზრახვა ნუ იყოფინ, არამედ ვითარცა პავლე იტყჳს. «რაჲ სწორება არს ნათლისა და ბნელისა, ანუ რაჲ სწორება არს ბელიარისა ქრისტეს თანა, ანუ რაჲ ნაწილი აქუს ურწმუნოსა მორწმუნისა თანა» და ღმერთი იტყჳს. «უკეთუ ვინმე არა იშვას მეორედ, ვერ ხელმწიფებს ხილვად სასუფეველსა ღმრთისასა, და უკეთუ არა სჭამოთ ჴორცი ძისა კაცისა და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხოვრებაჲ თავთა თქუენთა».

და კუალად, «რომელი ურჩ იყოს ძისა, მამასა არა ჰრწამს, არა იხილოს მან ცხოვრებასა საუკუნოსა, არამედ რისხვა ღმრთისა დადგრომილ არს მისზედა». აწ ვინა აქუნდა სასოება სულთა ცხოვრებისა წარწყმედულთა მათ, რომელთათჳს სიტყუა ჯუარისა სიცოფე არს, რომელთა ღმერთ მუცელი არს დიდება მათი სირცხჳლსა შინა მათსა. და ესაია იტყჳს. «ვინ ცნა გონებაჲ ღმრთისა, ანუ ვინ თანამზრახველ ეყო მას». საუკუნო ცხოვრებისა სიბრძნითა დამბადებელისათა განმზადებულ არს სამწყსოთა მათთჳს ქრისტესთა და ეკლესიათა ღმრთისათა, ვითარცა სახედ ცხოვარნი თუ ვისმე ედგნენ მრავლად არა მოიბნენა მათ თჳს ძაღლნიცა მცუელად, რათა არასადესმე აღსაჭურველ იყუნენ მგელთაგან; ეგრეთვე ესენი, ვითარცა ძაღლნი ძნელნი მოცულ არს მცუელად ცხოვართა მათთჳს ქრისტესთა და იერუსალიმი ქალაქი იგი სიწმიდისა მეფისა დიდისა, რომლისა თქუა მოსე «ოჳალნი უფლისანი მას ზედა ჰგიან მარადის დასაბამითგან და უკუნისამდე»; ესე დაშენებულ არს შორის უდაბნოთა ვრცელთა, რომელთა შორის დამკჳდრებულ არიან კაცნი მხეცისა ბუნებისანი მტაცებელნი, რომელთა სახელი არს და ცხოვრება აქლემისაჲ ზურგი ნათესავნი ურიცხჳნი, რომელთათჳს ვითარცა ძაღლნი მბრძოლნი არნ მხეცთა მათ ველურთა, ვითარცა ეკლესიანი ღმრთისანი მჴედრობით ეგნენ, რომელთა ზედა მრავალნი ძჳრნი და სამწყსონი ქრისტესნი მოუდრეკებით ისწავებოდეს ღმრთისა მსახურებისა,

და არა ბრძოლასა, ვითარცა წინასწარმეტყუელი იტყჳს: «დასჭრიდენ მახჳლებსა მათსა მანგლად და ლახუარებსა მათსა სახნისად და არღარა ისწავებდენ მერმე ბრძოლასა, ვითარცა აწ ყოვლადვე არა ეკადრების ქრისტეანეთა აღებად მახჳლისა მათ შორის და არცა მჴედარი აღჯდომად ცხენსა» და ამისა შემდგომად ესაია იტყჳს. «მაშინ ძოვდენ მგელნი კრავთა თანა და ვეფხი განისუენებდეს თიკანთა თანა, ზროხა და კურო და ლომი ერთად ძოვდენ». მგლად და ვეფხად სიბოროტისა მათისა მძჳნვარებასა იტყჳს მხეცის სახედ მოსწრაფედ დათხევასა სისხლისა და ლომად მძჳნვარობასა მათ

მათსა მთავრობასა იტყჳს დანიილის ჩუენებითა ხილვასა მას მჴეცთასა, დათჳად მოასწავებს სპარსთა მეფობასა ბაბილონს და ლომად სარკინოზთა მეფობასა ბაღდადს ბაბილოვნისას.

და მწუალებელთასა იტყჳს, «რომელნი მდუმრიად აჩუენებენ და შინაგან მგელ, ვითარცა თქუა უფალმან, მაშინ დაადგინნეს თიკანნი მარცხენით მისსა, რომელთა ჰრქუას წარვედით წყეულნო ცეცხლსა მას საუკუნოსა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათჳს და მსახურთა მისთათჳს» და კრავად ჭეშმარიტნი სამწყსონი ქრისტესნი და ხბოდ უმანკოებაჲ იგი, და კურო წმიდათავე პირუტყუთაგანი არს და სარქენელი იგი ძლევა ჯუარისა მტერთა მიმართ.

და ორნი იგი რქანი სარწმუნოება განსრულებული საქმეთაგან კეთილთა, მსგავსად ორთა მათ დანაკთა სახარებისათა და ნოეცა მოასწავა სარწმუნოება ეკკლესიისა კიდობანსა მას შინა შეყუანებად შჳდ შჳდი წმიდათაგანი და ორ ორი არა წმიდათა; ხოლო აწ მადლითა ღმრთისათა ასეულად განფენილ არს სიმრავლე ქრისტეს მორწმუნეთა მათდა არა უნასებენ. და ლომთა მათ და მგელთა არა აქუს ფლობაჲ განხეთქად კრავთა მათ სამწყსოთა ქრისტესთა, რომელნი ერთად ძოვენ მშჳდობით. და რაჟამს მოიწიოს ჟამი იგი, გამოვიდეს ბრძანება ხელმწიფისა მისგან, წოდებად ჩინებულთა მათ ტაბლასა მას წამებისასა და წარდგომად დალიჭსა მას საშინელსა განჩინებისასა სიკუდილისასა, ვითარცა დღესა მას განკითხვისა უფლისა. საშინელ და შესაძრწუნებელ არს დღე იგი სასჯელისა მეორედ მოსვლა ღმრთისა, ოდეს ცანი დაიქცენ და წესნი იცვალნენ, მნათობნი დაშრტენ ყოველნი და ქუეყანა შეიმუსროს, ოხრა იგი საყჳრისა ზარ სცემდეს ყოველთა დაბადებულთა და ძრწოლით ხედვიდენ მეუფესა ქრისტესა, მომავალსა ჯუარითა, დაღათუ ესე ჭეშმარიტ არს, არამედ სარწმუნოებითავე მოსალოდებელ არს, ვითარცა პავლე იტყჳს.

არს სარწმუნოება მრავალ, რომელ საქმეთა მამხილებელ არს ხილულთა და კაცთა ბუნებისა ხილულ უფროს სარწმუნოდ შერაცხილ თხრობისა და ხილულთა შორის საშინელ არს ელვა ტეხილ პასტიკი და ამასაცა დრო ეცის, რომელი განიჭებულ არნ მსწრაფლ განიტაცის. ხოლო ხორცთა შინა მყოფისა კაცისათჳს ამისა უსაშინელეს და უფიცხეს არა რაჲ საგონებელ არს, თუ კაცი მიუშუტლი სიკუდილად განჩინებული ხელ პყრობით მოჰყუანდეს წინაშე ერთა ურიცხუთა უპირულთა აღჭურვილთა ხრმლითა ხდილთა და ოროლითა მომართებულითა ისართა და პყრობილითა დანითა მომზადებულითა და კაცსა ღონე ჰქონდეს განრინებისა და ქრისტესა სიყუარულისათჳს დათმინოს, ვითარცა ნეტარმან გობრონ დაითმინა.

რამეთუ ესრეთ იყო ჩუეულებაჲ სარკინოზთა, რაჟამს გამოხდის ბრძანებაჲ მოკულვა ქრისტეანესა, აღიჭურვიან დღესა ბრძოლისასა და ალმა ჭური ყვიან და აღლესიან მახჳლნი მათნი მოსწრაფედ დათხევად სისხლისა და ერთი ერთსა უსწრობნ, ვითარცა შესაძინელსა დიდისა სათავსისასა.

და რაჟამს გამოჰყუანდეს პყრობილნი იგი, რომელ გამოიყუანეს ყუელის ციხით, რომელნი იგი გამოირჩინა ღმერთმან მარტჳრად თჳსა, რიცხჳთ ვითარ ასოცდა ათცამეტი, ვითარცა იგი სამოელის მიერ სათნო იყო ღმერთმან დავით ცხებულად თჳსა, ხოლო ჩინებულნი იგი აზნაურნი დაეყენნეს მსგავსად მისსა, რომელნი აღარნასე მეფემან გამოიხსნა.

ხოლო წმიდათა წოდებასა მას ცნეს რაჲ იგი ყოვლად იყო და თქუეს ყოველთა ერთობით «გუალეთ ძმანო ქრისტესთანა და ნუ ვინ ჩუენგანი შეორგულდებით და სიხარულით გამოვიდეთ, და ურთიერთას ასწავებდეს მხიარულითა პირითა ფიცხელსა მას სატანჯუელსა სიკუდილსა, ვითარცა საშუებელსა კეთილსა. უმრავლესნი მათგანნი მოიყუანნეს წინაშე ლაშქართა მათ საშინელთა აღმზადებულთა თითო სახეთა მათგან მახჳლთა.

მაშინ ვითარცა მჴეცნი ბოროტნი განძჳნებულნი შეერინეს აღრეულად და ერთი ერთსა უს-წრობდეს, რომელნიმე მახჳლითა სცემდეს, რომელნიმე ჭოროლითა და ისრითა შესჩხუერპდეს და დასჭრიდეს ხორცთა მათთა დანებით განაპებდეს და ლჳძლები იგი მათი, ვითარცა ძაღლთა პირითა გაეტაცა და ესრეთ დასთხინეს სისხლნი მათნი და ესრეთ სრულ იქმნა წამება მათი ქრისტეს მიერ, ხოლო ნეტარი გობრონ წარადგინეს წინაშე ამირისა მის და ჰრქუა ნეტარსა გობრონს. მეწყალის მე სიკეთუ სიჭაბუკისა შენისა და მშურის სიკუდილისათჳს მჴედრობაჲ შენი, რომელი სახელოვან ხარ წინაშე ჩემსა.

და აწ ვითარცა შჳლსა საყუარელსა გასწავებ შენ, დაუტევე უგუნურებისა შენისა სჯული, რომლითა ვერ ირგეს მოყუასთა შენთა და აღიარე ჭეშმარიტი სჯული ხელმწიფობისა ჩუენისა, რომელსა დამორჩილებულ არს ყოველი და აღგითქუამ თქუენ. ვიცით ჩუენ ამის სუბუქისა შემდგომად რაისაცა კაცისა ინებო მთავრობაჲ მოგცე შენ, პალატი, კარვები, მონები, ტაძარი, აქლემები საჭურჭელითა მშუენიერითა სიმრავლე და გყო შენ, ვითარცა ერთი რჩეულთა ჩემთაგანი, საყუარელი იყო ჩემ წინაშე და პატივცემულ ყოველთა ამათგან ლაშქართა.

მიუგო წმიდამან გობრონ და ჰრქუა ამირასა მას. «გევედრები ხელმწიფეო, ნუ მაიძულებ მე დატევებად ქრისტეანობისა, რომლითა აღმზარდეს მე მშობელთა ჩემთა და ალბეჭდულ ვარ სულითა წმიდითა და რაჲ მიზეზი არს ესე მიზეზი სიკუდილისა ჩემისა, მრავალ არიან შენ ქუეშე ქრისტეანენი და მეცა არა დავწალით მონებაჲ ხელმწიფობასა შენსა ყოვლითა სახითა, რომლითა განებოს შენ და ესე ჭეშმარიტად უწყოდე შენ, რამეთუ არცა კეთილთა შენთა აღთქმითა, არცა ძჳრ ძჳრთა ბოროტთა შენთა ჩემზედა მოწევნითა შემიძლო განყენებად უფლისა ჩემისა იესო ქრისტესა».

ხოლო ამირმან ჰრქუა მონათა თჳსთა, წარიყუანეთ ეგე და უჩუენენით მოკლულნი იგი მოყუასნი მისნი თითო სახედ დაჭრილნი და კუალად უჩუენენით პალატი და კარვები და არწმუნეთ მიცემად მაგას, ვინ უწყის უკუე შიშმან სიკუდილისამან ანუ შესაძისელმან კეთილისამან მოდრიკოს გული მისი. და ვითარ მოვლეს ყოველი იგი და მოვიდეს წინაშე ამირისა მის და ჰრქუა ამირმან, რაჲ გამოარჩიე თავისა შენისა. ჰრქუა მას წმიდამან გობრონ. «მე პირუელადვე გითხარ შენ, არა მიდრეკად ქრისტეს უფლისა ჩემისაგან».

ხოლო ამირმან ჰრქუა მონათა თჳსთა, არა იცის მაგან ჭირი სიკუდილისა, წარიყუანეთ ეგე და წარსწყმიდენით მაგის წინაშე დარჩომილნი ქრისტეანენი და მცირედ ჰსწყალთ ეგე და კუალად მოიყუანეთ. კუალად წარიყუანეს ნეტარი გობრონ დაადგინეს შორის დაშთომილთა მათ მოყუასთა და ურიდად შეერინეს მათ მახჳლითა და ცემასა მას მათსა უწყალოდ სისხლი მათი ეპკურებოდა მას და რომელიმე თავი დავარდის მის წინაშე და რომლისამე თავი შეგორდის ქუეშე ფერხთა მისთა და ესრეთ აღესრულნეს წამებანი, მათ ყოველთა საშინელებით, ვერ შეაძრწუნეს გული მისი.

მაშინ წარუპყრეს ქედი მისი და ჰსცეს მახჳლითა ორგზის ოდენ და ჰსწყლეს მცირედ და გამოიძრო ხელი ნეტარმან მან კრულებისა მისგან და სისხლი იგი თჳსი გამოიწერა ჯუარის სახედ შუბლსა თჳსსა და თქუა.

«გმადლობ შენ უფალო იესო ქრისტე, რომელმან ღირს მყავ მე უღირსი ესე და ცოდვილი და უკანასკნელი ყოველთა, ნაწილსა ამას მკჳდრობისასა და მოწამეებისასა, უფალო სრულ ჰყავ მოწყალებაჲ შენი და სიტკბოებაჲ ჩემდამო და ნუ რას დამაბრკოლებნ მიზეზი რაჲვე მანქანებაჲ და მძლავრებაჲ უსჯულოჲსა ამის». კუალად მოჰყუანდა იგი წინაშე ამირისა მის და ბრწყინვიდა პირი მისი და შუბლი მისი ელვარედ და რომელნიმე ქრისტეანეთაგანნი მახლობელ იყუნეს, იხილეს იგი.

თუალითა სარწმუნოებისათა. ვითარცა გჳრგჳნოსანი ზეგარდამო და რწმენა ჭეშმარიტად მარტჳრობაჲ მისი და ესრეთ უშუენოდა იგი სისხლისა მის გამოწურითა შუბლსა მისსა;

ვითარცა იგი, რაჟამს უფალი ჩუენი ცხოვრებისასა მას ვნებასა აღასრულებდა და გამოიყვანეს იგი ეკლისა გჳრგჳნითა იხილეს იგი ყოველთა და ესე ვითარისა მსგავსებისათჳს უფლისა იტყჳს, ჴმა არს მოწამისა მის, თუ იყოს, ვითარცა მოძღუარი თჳსი და უფალი თჳსი».

მაშინ წამა აღარნასე მეფემან ჭეშმარიტი მარტჳრობაჲ მისი, ვითარცა გიორგისი და თეოდორესი და რაჟამს წარადგინეს იგი წინაშე ამირისა მრავლითა სიტყჳთა ლიქნისათა ვერ აჯერებდეს მას დატევებად ქრისტესა და ეტყოდა.

ესე უწყოდე უკეთუ არა მოიქცე მორჩილებად ჩემდა, ვერა რაჲთა ღონითა განერე სიკუდილსა და აწ ისმინე ჩემი, ვითარცა კეთილისა განზრახვისა და ნუ წარსწყმედ თავსა შენსა და მე უბრძანო მკურნალსა განკურნებაჲ შენი მცირედისა მაგისგან წყლულებისა და პირუტყლნი იგი აღნათქუამნი მტკიცე იყუნენ შენ ზედა. ჭრქუა მას წმიდამან გობრონ, «იქმოდე რაჲცა გნებავს და მე ქრისტეანე ვარ და არა სადა უარ ვჰყო სახელი მისი». მაშინ ბრძანა ამირმან მოკუეთა წმიდისა გობრონისი და წარიყვანეს და წარკუეთეს თავი მისი და დაავლეს მოკლულთა მათ თანა. ესრეთ სრულ იქმნა წამება მისი თთუესა ნოემბერსა იზ დღესა [1]) და მიემთხჳა გჳრგჳნსა დაუჭნობელსა და წმიდათა თანა მოციქულთა და ყოველთა მოწამეთა. გუალად შეიმოსა ეკკლესიამან სამკაული სიხარულისა და ბრწყინვალებისა სისხლითა მისითა დაიდგა გჳრგჳნი მშუენიერებისა და დიდებისა სიმხნითა მისითა და ქრისტეანეთაგანმან არავინ იკადრა მიახლებად მისა.

ხოლო ამირამან უბრძანა მოთხრად სამი მთხრებლი და შეკრიბნეს ხორცნი ყოველთა მათ მოკლულთანი და შთაყარნეს მას შინა და უბრძანა, რათა არავინ ქრისტეანეთაგანი მიეახლოს მათ.

ხოლო ღმერთმან, რომელმან არა უგულებელს ჰყუნა მონანი თჳსნი, დაადგინნა მაქებელნი თჳსნი და აჩუენა სასწაული ზეგარდამო სანთელნი ბრწყინვალენი ღამე ყოველ, ვითარცა ლამპარნი აღნთებულნი და დადგიან ზედა მთხრებლსა მას. მრავალთა ახილეს ესე სასწაული ყოველთა მორწმუნეთა და ურწმუნოთა, მოვიდეს და უთხრეს ამირას. ხოლო მან მიზეზი უთხრა, ვითარმედ ესე სარკინოზთაცა ზედა იქმნების, რომელნი ბერძენთაგან მოიკულიან.

აწ საყუარელნო მოციქულისა სიტყუასა ვერჩდეთ და ხსენებასა წმიდათასა ვეზიარნეთ და სახსენებელსა მათსა აღუასრულებდეთ, ვითარცა წმიდათა მოწამეთა სულნი მათნი წარუდგინნეს ღმერთსა გუამათა მათთა ტანჯუათა, ეგრეთვე შენცა შემძლებელ იქმენ მსხუერპლად წარდგინებად წინაშე ღუთისა.

რამეთუ რაოდენცა დღე არავინ არს, რომელმან წამებისათჳს დაჰკრნა ხორცნი შენნი მახჳლითა, არამედ შენ შემძლებელ ხარ დაწუად მათდა, ჭირვებითა და მწუხარებებითა და ნებსით სიგლახაკითა უფლისათჳს, რომელი ვითარცა იგი შემძლებელ იყოს, სოფლისა საშუებელთა და განსუსუენებათა და ნებსითი აღირჩიოს მწუხარებაჲ და იწროებაჲ ნაცვლად მისა; იგი არს, რომელი შესწირავს მსხუერპლსა ქებისასა წინაშე ღუთისა, ვითარცა მოწამემან ქრისტესმან გობრონ.

აწ უკუე მოაკუდინენით ხორცნი თქუენნი და ჯუარს აცუთ იგი შრომითა და მარხვითა გჳრგჳნითა მოწამეთათა, რომლისათჳს იგი მძლავრნი მარტჳრთა მოსწყუიდეს და ჰწამნეს, ხოლო შენ ნებსით თავი თჳსი მოსწყჳდე იწროებით.

და ესე არს მსხუერპლი უბიწო, რომელსა არა უხმს მღუდელი შემწირველი; რამეთუ რომელი ამას ქუეყანასა ზედა დამდაბლდეს იგი ცათა შინა ამაღლდების, ქრისტე იესოს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისა არს დიდება მამისა თანა სულით წმიდითურთ აწ.

1) 920 წელსა.



საბინინი. М. САБИНИНЪ.

ႶႨႰႱႬႨ ႫႠႫႠႬႨ ႨႭႠႬႤ, ႤႴႧჃႫႤ ႣႠ ႢႨႭႰႢႨ ႫႧႠႼႫႨႬႣႤႪႬႨ
(ႠႧႭႬႤႪႬႨ).

## ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუჱნისა იოანესი და ექვთიმისა და უწყება ღირსისა მის მოქალაქობისა მათისა. აღწერილი გლახაკისა გიორგის მიერ ხუცეს მონაზონისა. გვაკურთხენ მამაო.

ოქრო ტაკუკი, ოქრო სასმელის მჳეროობი.

ოქრო ნაზავის, მასმევი ჩუჱნდა მდიდრად.

ოქრო ქანდაკი, ოქროსა ხუავთა გალოო.

ოქრო ფიწალი, განმქრევი ბჳეთა ხმელთა

თასა მოსახელე, კეთილ სიხარულისა.

თქმული ანტონ კათალიკოზის მიერ.

ხსენება წმიდისა იოანესი განრიელითუთურთ იბ ივლისსა და წმ. ექვთიმისა იგ მაისსა. და სხუათა წმიდათა თანა მოღუაწეთა მათთა.

კურთხეულ არს ღმერთი, რომელსა ყოველთა კაცთა ჰნებავს ცხოვრება და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსულა, რომელი იგი გამოუთქმელითა მით განგებულებითა თჳსითა უმჯობესსა ყოველთასა განაწესებს და მიუწდომელითა სახიერებითა თჳსითა თჳთოეულთა ჟამთა შინა ღირსთა და სათნოთა თჳსთა გამოაჩინებს სარგებელად კაცთა ნათესავისა და სადიდებელად ღუთაებისა თჳსისა; რომელმან ჩუჱნთაცა ამათ ჟამთა შინა გამოაჩინა ნეტარი მამა ჩუჱნი იოანე და ექვთიმე და იოანე და არსენი ეპისკოპოზი ნინოწმიდელი და იოანე გრძელის ძე და შემდგომითი შემდგომად სხუანი იგი მოწაფენი მათნი და მობაძავნი სალმრთოებისა მათისანი, რომელთა სახელები აღწერილ არს წიგნსა მას ცხოვრებისასა, რომელთა მეოხებითა ჩუჱნცა გლახაკი ესე ღირს გუყუჱნინ უფალმან, მობაძავ ყოფად სათნოებათა მათთა და ნაწილსა მას მარჯუჱნეთასა შემთხუჱვად.

ხოლო ვინაჲდგან სიგრძე ჟამთა ყოველთავე დავიწყებად მოიღებს დაღაცათუ წინაშე ღმრთისა ყოველივე ცხად არს და საჩინო დაუწყის ყოველთა დასაბამი და აღსასრული და, რომელთა იგი სათნოდ მისა აღასრულეს ცხოვრება თჳსი. წინაშე მისსა ბრწყინვენ მარადის და არცა ერთი რაჲ უხმს ჩუჱნ მიერ ხსენება, არამედ ესრეთ განაწესა ყოვლად ბრძენმან განგებულებამან მისმან, რათა წიგნთაცა შინა აღიწერნენ სალმრთონი იგი და ყოვლად მშუჱნიერნი საქმენი სათნოთა შემოქმე

დისანი და საუფლონი იგი მცნებანი მისნი და ბრძანებანი მისნი და ღირსთა მათ და ნეტართა მონათა მისთა ყოვლად ქებულნი ცხოვრებანი და მოქალაქობანი, რომელნი თჳთოეულთა ჟამთა ჯერ იჩინა გამოჩენად სახიერებამან მისმან სარგებლად კაცთა ნათესავისა, რათა სულთა მათ და მაღალთა საქმეთა მიერ, დიდების მეტყუელებად და სურვილად მისა აღვძვროდით და საუფლოთა მათ ბრძანებათ მიერ განვსნათლდებოდით და აღსრულებად მათდა მოსწრაფედ ვიქმნებოდით. ხოლო დიდთა მიმართ და საკუთართა მონათა მისთა ხსენებითა სურვილად და ბაძვად მოვიდოდით საღმრთოთა მათ მოქალაქობათა მათთა, რომელნი იგი ვითარცა ხენი მეტყუელნი წინა სხენან სახედ სათნოებისა და სწავლად სიბრძნისა და სიმხნედ ახოვნებისა ყოველთათჳს, რომელთაცა ჰნებავს შესვლა ცხოვრებასა საუკუნესა.

და ესე ცხად არს დასაბამითგან სოფლისათა და ვიდრე აქამომდე აღწერილთა წიგნთაგან და გამობრწყინვებულთა წმიდათა და რომელთა იგი იღუაწეს და აღწერნეს ცხოვრებანი მათნი და ღუაწლნი და შრომანი კეთილად ხსენებულ არიან წმიდათა ეკკლესიათა შინა და ღირს ღრცუასა და კურთხევასა, ვინაჲთგან უკუე მიმოხსენებულნი ესე ნეტარნი მამანი ჩუენნი არარაჲთ უნაკლულო იყუნეს პირუელ გამოჩინებულთა წმიდათასა, არამედ ყოვლით სათნოებით შემკულ და აღმასრულებელ მცნებათა ღმრთისათა, არა ჯერ ვიჩინეთ მოუხსენებლად დატევება ცხოვრებისა მათისა და მამათაცა ჩუენთა მიბაძნეს ამისა ხელ ყოფა ვინაცა ვევედრები ღირსებასა თქუენსა ღმრთშემოსილნო მამანო, რათა არა ბრალეულ ვიქმნე ამის პირისათჳს. ხოლო დაღაცათუ ჩუენ შემდგომად მრავლისა ჟამისა ღმრთისა მიმართ მისულისა მათისა, ხელ ვჰყავით მცირედთა ამათ სიტყუათა აღწერად გარნა ურწმუნო ნურცა ვინ არს, რამეთუ ჩუენ თავით თჳსით არა რაჲ აღვჰწერით, არამედ რა იგი ვისწავეთ კაცთა სარწმუნოთაგან და სულიერთა მამათა, რომელთა იგი ეხილვნეს და ემსახურა მათდა, რომელნი იგი უცხო იყუნეს ყოვლითურთ ტყუილისაგან და სავსე მადლითა ზეგარდამოჲთა.

და თჳთ მებრ მათ საქმეთაგან, რომელნი იგი დუმილით წამებდენ და ხმა მაღლად ქადაგებდენ ღუაწლთა და შრომათა მათთა, ლავრა ესე დიდებული და ყოვლად მშუენიერებითა შემკული და ყოვლითა სამკაულითა განმშუენებული, რომელი ესე მრავლითა შრომითა და ოფლითა აღაშენეს მათ ნეტართა განსასუენებლად სულთა მრავალთა, რომელთა შინა აღმართნეს ეკკლესიანი ცათა მობაძავნი და აღავსნეს იგინი წიგნთა მიერ ღმრთივ სულიერითა და განაბრწყინნეს იგინი ხატთა მიერ პატიოსანთა და მოუგნეს დაბანი და სოფელნი და მონასტერნი და საყუდებელნი და განუწესნეს წესნი და კანონნი დიდებულნი და ყოვლად მშუენიერნი და დაუსხნეს სიმტკიცენი და ხელითა წერილნი და ოქრო ბეჭედნი ღმრთის მსახურთა მეფეთანი და შეკრიბნეს მას შინა მონაზონნი და მოწესენი ანგელოზთა მობაძავნი და შეამკუნეს და აღაყუავეს ენა ჩუენი და ქუეყანას თარგმანებითა წმიდათა წერილთათა, სადათ ესე ჭეშმარიტად სიონით გამოვიდა სჯული და სიტყუა ღმრთისა, ვითარცა იერუსალიმით სიტყჳსაებრ ხმა მაღლისა ისაიასი.

რამეთუ ჭეშმარიტად ღირს იყო და საყუარელი ღმრთისა ნეტარი მამა ჩუენი იოანე, რომელმან იგი მსგავსად აბრაამისა უცხოება აღირჩია და მწირობით და სიგლახაკით ცხოვრებაჲ და მისცა თავი თჳსი მორჩილებასა სულიერთა მამათასა, ვინაცა მსგავსად მისსა ესეცა ადიდა ღმერთმა და სახელოვან ჰყო ყოვლითა სათნოებითა და უფროს ყოვლისა სანატრელისა მის შვილისა მინიჭებითა, რომელ არს ნეტარი ეფთჳმი, რომლისა იგი სახელი ოდეს კმა არს სათნოებათა მისთა სიმაღლისა გამოჩენად, რომელი იგი გამოჩნდა სამკაულად ნათესავისა ჩუენისა და მობაძავად წმი-

დათა მოციქულთა განანათლა ქართველთა ენა და ქუეყანა; რამეთუ ვითარცა წამებენ მის მიერ თარგმნილთა წიგნთა შინა აღწერილნი ანდერძნი, ამის ღირსისა მოღუაწებითა განსწავლილ იქმნა ყოვლითა სიბრძნითა, განმანათლებელად და შემამკობელად ეკკლესიათა ჩუენთა, რომლისა იგი ნამუშაკევი ახარებს შორიელთა და მახლობელთა და თარგმნილთა მისთა წიგნთა სიტკბოება, ვითარცა ნესტჳ ოქროსა ხმა მაღალი ოხვრის ყოველსა ქუეყანასა, არა ხოლო ქართლისას, არამედ საბერძნეთისასაცა, რამეთუ შალაღვარი და აბიკურა და სხუანი რაოდენნიმე წერილნი ქართულისაგან ჰსთარგმნა ბერძულად.

გარნა რომლისა იგი ზემორე მეგულვებოდა თქმად იგი ვთქუ პირველად და მერმე რა იგი უფალმან მოგუმადლოს მოკლითა სიტყჳთა მოგითხრა, რამეთუ ვინაჲდგან დღეთა ამათ უკანასკნელთა მოიწიენით და ვითარცა ხედავთ ფრიადი სიგრილე იხილვების ჩუენ შორის, ნუ უკუე ჰგონებდეს და აცთუნებდეს თავსა თჳსსა, თუ პირველითგან ესრეთ იყუნეს ძმანი ჩუენნი ნუ იყოფნ, არამედ ყოვლითა წესიერებითა და სულითა მოქალაქობითა (ცხოვრობდეს) ცხოვნდებოდეს, ვიდრემდის სამგზის სანატრელი მამანი ჩუენნი იოანე და ევთიმე, განაგებდეს და იპყრობდეს წესსა წინა მძღრობისასა, რომელნი იგი ყოვლითურთ მსგავსად პირველთა მათ ღმრთშემოსილთა მამათა უძღოდეს მათდა რწმუნებულსა სამწყსოსა, ვინათგან კულა ნეტარმან იოანე შეისუენა და ღმრთ შემოსილმან მამამან ჩუენმან ეფთიმე იქმნა წინა-მძღრობისაგან, მიერიდგან განმრავლდა ჩუენ შორის ყოველი სულმოკლეობა და სიგრილე, არამედ ვევედრნეთ ღმრთსა, რათა მეოხებითა მათითა კეთილად განაგოს ჩუენიცა ესე ცხოვრება და არა ხუებულ გუყვნეს, არცა განგუაშორნეს სანატრელთა მათ მამათა და ძმათა ჩუენთა, სიხარულსა და განსუენებასა საუკუნესა მას შინა ცხოვრებასა. ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ.

ესე წმიდა მამა ჩუენი იოანე ნათესავით ქართველი, მშობელთა და პაპათაგან დიდებული და წარჩინებული და საჩინო მთავართა შორის დავით კურაპალატისათა, მხნე და ახოვანი და განთქმული წყობასა შინა, მაღალი და მშუენიერ ჰასაკითა და აგებულებითა გუამისათა და ბრძენ და გონიერ გონებითა და გულის ხმის ყოფითა და სავსე შიშითა ღმრთისაჲთა და ყოვლითავე კეთილისა საქმითა და ფარულად საყუარელი და საკუთარი კეთილად ხსენებისა დავით კურაპალატისა [1]).

ხოლო ვინაჲდგან ცეცხლი იგი ქრისტეს სიყუარულისა გულსა მისსა მძაფრად აღეტყინა, ყოველივე დიდება ამის სოფლისა შეურაცხ-ჰყო და ნაგევად შერაცხა და მონაგები და სიმდიდრე, მეუღლე და შვილნი თჳსნი და ნათესავნი და რაოდენცა რა არს ამას სოფელსა, სრულიად მოიძულა და უგულებელს ჰყო და მერმე კუალად თავიცა თჳსი, სიტყჳსაებრ უფლისა. და აღიღო ჯუარი მხართა თჳსთა ზედა და ფარულად ყოველთაგან სივლტოლვა იხუმა და იქმნა ყოველთაგან და მხოლო ლავრასა დიდებულსა ოთხთა ეკკლესიათასა შევიდა და რომელნი იგი მას შინა ბრწყინვიდეს სათნოებითა, მათ ჟამთა მამა მოსე და მამა გელასი, ამათ გამოუცხადა თავი თჳსი და მათგან ფარულად კურთხევა მონაზონებისა მიიღო და ჟამ რაოდენმე ღუაწლითა ძლიერითა მორჩილებასა მისცა თავი თჳსი და ყოველნი იგი მუნ მყოფნი მოღუაწენი განაკჳრნა.

ხოლო ვინადგან იწყო განცხადებად საქმემან მისმან, ნეტართა მამათა ლტოლუა მიიღო და საბერძნეთისა ქუეყანად მიმართა, რამეთუ ევლტოდა დიდებასა კაცთასა და ესრეთ მთასა ულუმ-

1) მეფე დავით კურაპალატი დიდი, გარდაიცვალა 1001 წელსა აღდგომას. იყო ძე ადარნასე კურაპალატისა † 983 წელსა; განაგებდა დასავლეთის საქართველოსა.

ბოსასა მიიწია და მონასტერსა ერთსა შინა ჟამთა არა მცირეთა ჯორთა მსახურებისა ღუაწლი ახოვნად თავს იდვა და სხუანი უნდონი მსახურებანი და შეურაცხებანი სიმდაბლით აღასრულნა.

ხოლო ვინადგან მათ ჟამთა შინა ბერძენთა მეფემან ზენონ, ქრისტეანანი დავით კურაპალატსა მისცნა და აფხაზთა შჳლნი მძევლად ითხოვნა მისგან, ცოლის ძმათა მამისა იოანესთა, ძე მისი ეფთიმე, სხუათა თანა უფლისწულთა მძევლად მოჰგუარეს მეფესა. ესე რა ჰსცნა იოანე, უნდა თუ არა თავი თჳსი უნებლიეთ გამოაცხადა და სამეფოდ ქალაქად აღჴდა და ვინადგან მეფენი მეცნიერ იყუნეს აბულარბისა, რომელი იყო სიმამრი მამისა იოანესი და იოანესდაც ფრიადი სიყუარული აჩუენეს მისზედა და კეთილად მოიკითხეს. და ამისა შემდგომად განგრძელდა სიტყჳს გება, იქმნა შორის იოანესა და სიმამრისა მისისა ეფთიმესთჳს, რამეთუ არა ენება მოცემა მისი და ფარულად აზრალა მას იოანე, ვითარმედ «რა არს ესე, ნუ უკუე შჳლ არა გესხნესთა თქუენ, გარნა არა ჯერ არს, რომელ მათ სწყალობდით, ვითარცა თჳსთა შჳლთა და ძე ჩემი, ვითარცა ობოლი მძევლად გასწირეთ, გარნა უფალმან შეგინდუნეს თქუენ». და ესრეთ განგებითა ღმრთისათა და ბჭობითა მეფეთათა თჳსი შჳლი მიიყუანა და კუალად ულუმბოდვე მიიქცა.

ხოლო შემდგომად რაოდენისამე ჟამისა ვინაჲდგან განითქუა სახელი მისი და პატივსა უყოფდეს ბერძენნი და ქართველნი, შეუძნდა საქმე ესე და ამის პირისათჳს კუალად უცხოებასავე მომართა, რამეთუ აღიღო ძე თჳსი და რაოდენნიმე მოწაფენი და მთაწმიდას მოვიდა ლავრასა დიდისა ათანასესსა და მუნ შეეწყნარა და აქუნდა თავი თჳსი ფრთხილად და ყოველსავე საქმეთა მორჩილებისათა სიმდაბლით და უდრტჳნველად იქმოდა და დაჰყო მთარა ულუმბოისა ორი წელი გინა უმეტესი.

და მათ ჟამთა შინა თჳსი მის დიდი თორნიკე თჳსსა ქრისტეანასა მონაზონ იქმნა და რამეთუ ასმიოდა იოანესთჳს ულუმბოთა არს და ვინადგან ფრიადი სიყუარული აქუნდა მისა მიმართ, მას მოჰმართა და ულუმბოთა შთამოვიდა და ვინადგან ვერ ჰპოვა ფარულად გამოიწულიდა და ჰსცნა ვითარმედ მთა წმიდას არს და თჳნიერ ცნობისა მეფეთასა იდუმალ მთაწმიდას მოვიდა და კურთხევა მონაზონებისა ხელთაგან იოანესთა მიიღო. რამეთუ ვითარცა ვთქუით მთაწმიდას შთამოვიდა და ლავრასა დიდისა ათანასესსა მიიწივა და ვინადგან დაფარვა არღარა ეგებოდა, ურთი ერთარს გამოუცხადნეს და სიყუარულითა სულიერითა შეიტკბნეს და ფრიადი სიხარული იქმნა მონასტერსა შინა მას დღესა, რამეთუ არცა დიდი ათანასი უმეცარ იყო თორნიკეს საქმესა და წარჩინებულებასა და ახოვნებასა, ამისთჳსცა მიერიდგან დიდითა პატივითა ეპყრნეს იგინი, რამეთუ დაღაცათუ მათ არა უნდა ესე, გარნა ღირსთა თჳსთა ღმერთი გამოაცხადებს და ადიდებს.

და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა განითქუა ანბავი მათი და იცნობა, ვითარმედ მთაწმიდას არს და იწუეს (მოძიებად) მიერიდგან ქართველთა მოსულად და განმრავლებად და ესე რა იხილნეს ნეტართა მათ მამათა ჩუენთა, ვითარცა იყუნეს სავსენი ყოვლითავე სიბრძნითა, განიზრახეს, ვითარმედ არა ჯერ არს ჩუენი მონასტერსა შინა ყოფა; რამეთუ სხუასიცა მგჳმართებენ და გარე შექცევა შეუძლებელ არს და ესრეთ განზრახჳთა მამისა ათანასესითა, ლავრისაგან განშორებულად, ვითარ მილიონ ერთ, უდაბნოსა მშუენიერსა წმიდისა იოანე მახარებელისასა ეკკლესია მშუენიერი აღაშენეს და სენაკები [1]) და მუნ იყოფებოდეს მრავალ ჟამთა ანგელოსნი ღმრთისანი [2]).

---

1) 982 წელსა.

2) ნახე Slavische Bibliotek oder Beiträge für Slavische Philologie und Geschichte herausgegeben von Fr. Miclosiche. Erster Band. Wien 1871 წელსა გ. 148.

და ამას ჟამსა იქმნა განდგომილება, სკლიაროსა [1]) და ჴელით გერძი ყოველი დაიპყრა და მეფე და დედოფალი შეწუხებულად იყვნეს ქალაქსა შინა კონსტანტინოპოლისა, დიდითა ჭირითა და იწროებითა და ამას შინა რა იყვნეს, განიზრახეს, ვითარმედ ჩუენი შემწე დავით კურაპალატისაგან კიდე არავინ არს და ვინათგან გზანი ყოველნი სკლიაროსსა დაეპყრნეს, კაცისა წარგზავნა არა ეგებოდა და დიდსა ზრუნვასა შინა იყვნეს, რამეთუ არცა ვინ იყო ეგე ვითარი კაცი, რომელმანცა სრულ ჰყო ნება გულისა მათისა.

და ესერა იყვნეს ამის პირისათჳს ესმა იოანესათჳს და თორნიკესთჳს [2]) და ჰკითხეს, რამეთუ ლავრას დიდისა ათანასისა არიან და მეყუსეულად სევსტოფორი [3]) კაცი წარჩინებული მათ ყოველთა მთავართა შინა დედოფლისათა, წიგნებითა სამეფოთა ლავრას წარმოავლინეს და ვითარცა მოვიდა, მისცა წიგნები თჳთოეულად, ვითარცა აქუნდა ბრძანება, ერთი ათანასეს და ერთი თორნიკეს და ერთი იოანეს და ესე პირი მოეწერა, «ვითარ უღმრთო სკლიაროსი განგჳდგა და ხმელეთით გერძი ყოველი დაიპყრა, აწ ვევედრებით სიწმიდესა თქუენსა, რათა თჳნიერ ყოვლისა მიზეზისა, იოანე და თორნიკე მოვიდეს მეფისა ჩუენისა და სხუანი მრავალნი ევედრებიან», და ქებანი ეწერნეს სამეფოთა მათ წიგნთა შინა.

ესე რა ესრეთ იქმნა ფრიადსა ულონოებასა შთავარდეს ათანასე და იოანე და უნდა თუ არა შეუვრდეს თორნიკეს და იწყეს ვედრებად მისდა, რათა აღჳდეს მეფეთა წინაშე. ხოლო მას რა ესმა ვედრება მეფისა ფარულად შეწუხდა და ეტყოდა, ვითარმედ. «წმიდანო მამანო, მე ცოდჳსათჳს ჩემოსათჳს მოსრულ ვარ ამას წმიდასა ადგილსა და შეუძლებელ არს ჩემი, მეფეთა წინაშე წარსვლა, რამეთუ მე ვიცი თუ, რომლისა პირისათჳს მიხმობენ და ვინადგან ღმერთმა ღირს მყო და სახე მონაზონებისა შევიმოსე, მე ამიერითგან არცა მეფეთა თანა მიძს შესაპოვარი, არცა სხუასა ვის ქუეყანასა ზედა; აწ ვევედრები სიწმიდესა თქუენსა ღუთისა სიყუარულისათჳს შემინდევით და ნუ მაიძულებთ ამის პირისათჳს, რამეთუ უკეთუ წარვიდე ამის სოფლისავე შფოთთა შთამედებენ». და იგინი ევედრებოდეს, ვითარმედ უკეთუ ამას ჟამსა ურჩ ვექმნეთ მეფეთა, დიდსა რისხვასა მოავწევთ ჩუენ ზედა და მონასტერსა ამას ზედა და ამას ცილობასა ზედა გარდახდა შჯულეული ერთი. ხოლო უკანასკნელ უნდა თუ არა ყოველი ბრალი მამამან ათანასე და მამამან იოანე დაიდეს, მივიდეს და ძლით დაარწმუნეს წასვლა.

ხოლო ვასილი და კონსტანტინე მას ჟამსა წუთლა ყრმა იყვნეს და ყოველი განსაგებელი დედოფალსა ეპყრა და პარაკიმომენისსა [4]). და ვითარცა აღვიდა თორნიკე სამეფოდ, მეყუსეულად

---

1) შემდეგ გარდაცვალებისა ბერძენთ იმპერატორისა იოანე ციმისხისა 975 წელსა, საბერძნეთს მეფობდნენ ორნი ძმანი, ძენი იმპერატორისა რომანოზ II, ვასილი II და კონსტანტინე VII; ამათ ოდეს მიიღეს საყდარი მეფობისა, 978 წ. სრულიად ჰასაკისა არ იყვნენ: ვასილი იყო მეოცისა წლისა და კონსტანტინე ფრიად მცირე, ამისა გამო დედა მათი იმპერატრიცა თეოფანია განაგებდა მეფობასა, რომლისა დროსა შინა იყო ფრიადი შფოთი და განდგომილება ბარდა სკლიაროსისა.

2) ყოვლად სანატრელი მნათობი ეკკლესიისა იოანნე თორნიკე ზემოქართლელი, იყო, ქსნის ერისთვიანთაგანი. შევიდა მონაზონად 972 წელსა. იხილე მისთჳს მოგზაურობა ტიმოთე ტფილელ მიტროპოლიტისა გ. 34. ქართ. ცხოვ. გ. 206. ბერძულს ენაზედ ზონარი, ტომი მეორე, პარაგრაფი 251. კედრონი და სხუანი მეისტორიენი, მომგზაურობა და მოხილვა წმ. ადგილთა ბარსკისა რუსულს ენაზედ.

3) სევსტოფორი ბერძენთ მეფის სასახლის მსახურთ მთავარი.

4) პარაკიმომენოს (παρακιμώμενος) დიდი მთავარი, ზედამხედავი იმპერატორის საწოლისა.

შეიყუანა იგი პარაკიმომანოსმან წინაშე მეფეთა და მეფენი და დედოფალი ზე აღუდგეს და პატივით მოიკითხეს და გუერდით დაისუეს და უბრძანა დედოფალმან ვასილის და კონსტანტინეს ფერხთა შეუვრდეს და დედოფალმან მიუგო; ვითარმედ წმიდაო მამაო, რაჲცა ამა ობოლთა თანა ჰქმნა, უფალმან მოაგოს სულსა შენსა.

და ესე ვითარი რა ჟამი დახუდა იოანეს შინა გამოლებით მრავალ ფერთა საქმეთა თჳს ამხილა დედოფალსა და მან ყოველი სიმდაბლით შეიწყნარა და აღუთქუა, ვითარმედ, წმიდაო მამაო, რაჲცა მიბრძანოს მამობამან თქუენმან ბრძანებასა თქუენსა არა გარდავხდე ოდენ ღმერთმან დაგარწმუნოს, შრომა თავს იდევ და რომლითაცა სახითა გნებავს წარვედ კურაპალატისა წინაშე და ყოველი ჭირი ჩემი აუწყე და ევსავ ღმერთსა, რომელ იოტოთ იგი უღმრთო სკლიაროსი და ჩუენ ჭირისაგან განგუარინნეთ. ფარულად ევედრა დედოფალსა თორნიკე, რათამცა განათავისუფლოს და ვითარ იხილა მოუდრეკელობა მისი მიუგო. «ესრეთ, ვითარმედ მე ჩემთა ცოდუათათჳს შევიმოსე სახე ესე და უწყის უფალმან, რომელ სწორად სიკუდილისა არს საქმე ესე ჩემზედა, გარნა რა ვჰყო, არა უწყი, წმიდასა მეფობასა თქუენსა ურჩ ვერ ვექმნები». და კუალად დედოფალმან და პარაკიმომანოსმან რქუეს მას. ვითარმედ შენ ოდენ ამათ ობოლთა ხელი აღუპყარ და რაცა ბრალი იყოს ღმერთმან ჩუენგან იძიენ. და ესრეთ წიგნები ვედრებისა დაწერეს კურაპალატისა თანა და ესრეთ იჯმნა მეფეთაგან და, რომლითაცა სახითა კურაპალატისა წინაშე მიიწია თორნიკე.

ხოლო იხილა რა იგი კურაპალატმან ფრიად განიხარა და წიგნები მეფეთა მიითვალა და ყოველივე საქმე თორნიკ გაასცადა, რომლისათჳსცა განზრახუა ჰყუეს, რათა ლაშქარნი წარგზავნნეს საბერძნეთს და სპასალარად თორნიკე განაჩინეს. ხოლო თორნიკე კურაპალატის და თავისა წიგნები მეფეთა წინაშე წარსცა და ყოველივე ნება კურაპალატისა. და მაშინ მისცნეს მეფეთა ზემონი ქუეყანანი საბერძნეთისნი კურაპალატსა, რათა თავისა სიცოცხლესა ჰქონდის [1]).

ხოლო თორნიკს მოუწერეს «ვიცით, რომელ ღმერთი შეგეწევის და ნურსასა ორგულებ და ოდეს ღმერთმან წარგიმართოს ყოველნი წინა აღმდგომნი ჩუენნი დაატყუევნენ და ყოველივე ნატყუენავი მათი, შენი იყუნ», რომლისათჳსცა მისცა კურაპალატმან, ათორმეტი ათასი მხედარი რჩეული თორნიკს და შეწევნითა ქრისტესითა აოტა სკლიაროსი და ვიდრე სპარსეთადმე მეოტად წარიქცია [2]) და მერმე შეიქცა და სიტყჳსაებრ მეფეთასა დაატყუევნა ყოველნი დიდებულნი საბერძნეთისანი და მონაგები მათი იავარ ჰყო და რომელიმე ლაშქართა განუყო და რომელიმე თჳთ დაიჭირა და ნატყუენავე დიდ ძალი ოქრო და ვერცხლი და სტავრა და სხუა ესე ვითარი და უკუნ იქცა და მოიკითხა კურაპალატი და დიდად მოიმადლა და იჯმნა და მეფეთა წინაშე მოვიდა.

---

1) მაშინ შავის ზღჳს აღმოსავლეთის სანახებნი, ბერძენთა ეპყრათ.

2) ომი თორნიკეს და სკლიაროსის შორის, მცირეს აზიის მდინარის გალისის ველსა ზედა მოხდა. ნახე ქართლის ცხოვრება გ. 206, ამისათჳს ნახე ფრანგეთთა მწერალნი და სომეხთა მეისტორიე ჩამჩიანი. ომი ესე ვრცლათ არს აღწერილი მეთანაღროსის მიერ, რომლისა მოთხრობა ინახვის ივერიის მონასტრისა ბიბლიოტეკასა შინა მთაწმიდას. ამასა ემოწმების საფარის ეკკლესიის კედლის ნაწერი. ეკკლესია ესე აღშენებულ არს მეათე საუკუნესა შინა მეაღგილეთა ქართუელთა მეფეთა, რომელნი შემდეგ ათაბეგად იწოდებოდნენ. ეკკლესია ესე ფრიადი დროა ოსმანლეთთა ეპყრათ. 1829 წელსა მთავარ მართებელმან საქართუელოჲსამან პასკევიჩმა ერივანისამან კუალად მოიპოვა იგი და ეკკლესიად შეჰქმნეს. ამ ეკკლესიისათჳს ნახე დუბუა «Voyage autour du Caucase, tom. II pag. 292 — 299».

ხოლო იგი დიდითა პატივითა მოწლედ მოიკითხა. ბჯმნა უკუე მათგანცა და გამოეთხოვა და მთაწმიდასვე მოვიდა ლავრად დიდისა ათანასისა. ხოლო მამანი სიხარულითა მოეგებნეს და ამბორს უყუეს და მადლობდეს ღმერთსა, რომელმან კუალად მოაქცია მშჳდობით.

და ამისა შემდგომად განიზრახეს მამათა ჩუენთა და თქუეს. «ვითარმედ აქა ყოფა ჩუენი შეუძლებელ არს, რამეთუ კაცნი ვართ სახელოვანნი და ქართუელნი მოგუმართებენ და ესე განიზრახეს, რათა ვიდრე თავისუფლად თჳსი მონასტერი აღაშენონ, დაღათუ უძნდა საქმე ესე იოანეს, რათა ქართუელთა განსუენებისათჳს და უფროს; ხოლო თორნიკის აღშენებისათჳს, თავს იდვეს ამისი ხელყოფა და ღმრთის მომადლებითა ჰპოვეს ადგილი მშუენიერი შუა მთა წმიდისა და აღაშენნეს მონასტერნი და ეკლესიანი წმიდისა ღმრთის მშობლისა სახელსა ზედა და წმიდისა იოანე ნათლისმცემელისასა, ფრიადითა ოფლითა და ღუაწლითა და ადგილნი მრავალნი და მონასტერნი და საყუდელნი გარემოს დიდისა მონასტრისა ვიდრე იმერად ზღუადმდე თჳსითა საფასითა იყიდეს, რომელნი იგი მშუენიერ არიან და საწადელ და მომზადებულ, სულითა მონაზონთა საყოფელად.

და ეგრეთვე ღმრთის მსახურთა მეფეთა ვინადგან ესე ვითარი მსახურებანი მსახურეს და დიდნი საქმენი უქმნეს, რომელნიცა ადგილნი და სოფელნი სთხოვეს ყოველნი ოქრო ბეჭედითა დაუმტკიცეს, რომელნი იგი მრავალცა არიან დარჩეულ ფარულად, ვითარცა ამას ქუეყანასა შეგავს.

ხოლო იყო რაჲ თორნიკე აღმოსავლეთს მრავალნი ფიჩოსანნი და სახელოვანნი მონაზონნი წარმოიტანნა სიმრავლე არა მცირედი და ენება, რათა ქართუელნი ოდენ იყუნენ მონასტერსა ამას მკჳდრნი ყოველნი; გარნა ვინაჲდგან ამისი ქმნა, შეუძლებელ იყო, აიძულეს ბერძენთაცა შემოყუანებად, რამეთუ ჩუენ, ვითარცა ხედავთ ზღჳსა, რათურთით გამოცდილება არა გუაქუს და ჩუენი ყოველი გამოსაზრდელი ზღჳთ შემოვალს და მერმე თჳნიერ მჭედელთა და ხუროთა და კალატოზთა და მევენახეთა და ნავს მოქმედთა და სხუათა ესე ვითართა, ამის ესე ვითარისა ვრცელისა ლავრისა დამჭირვა უღონო არს და ესე ყოველი გამონახეს წმიდათა მამათა ჩუენთა და თუ უნდა და თუ არა ვითარცა ვთქუთ შეიწყნარეს იგინიცა და ესრეთ ღმრთისა შეწევნითა სრულ იქმნა შენება მონასტრისა.

ხოლო თორნიკე ვინაჲდგან იყო სკლიაროსი და კუალად აქავე მოიქცა ურიცხუთა საფასითა და განძითა, რამეთუ უფროს ათორმეტისა კენდინარისა მოიღო ოდენ სხუათა ტურფათაგან კიდე, რომელმან იგი ყოველივე მამისა თჳსისა სულიერისა ხელთა მიჰსცა და თავი თჳსი სრულიად უარ ჰყო და არცაღათუ მცირედ რაჲმე დაუტევა ხელმწიფებისა ქუეშე თჳსისასა, არამედ ეგე ვითარმან მან განთქმულმან და საჩინომან კაცმან, ყოველივე ნება თჳსი მოიკუეთა და სრულებით შეუდგა მორჩილებასა მისსა, და ესე ზომი მხურვალება აჩუენა, რომელ უკეთუმცა შემძლებელ იყო თჳნიერ მისსა ბრძანებისა არცამცა წყლისა გემოიხილა და არცამცა სიტყუა ერთი აღმოთქუა და არცაღა თუ ფულისა ერთსა ზედა უფალ იყო; არამედ ყოვლისავე მამა იოანე განაგებნ და მისცემნ, ვითარცა ენების და სადაცა ჯერ იყუნეს.

ხოლო ვინადგან სათნოებათა ყოველთა თავი მორჩილებაჲ არს, სულიერთა მამათა და ნებისა თჳსისა მოკუეთა და ესე ესრეთ აქუნდა, ვითარცა ვაუწყე ღმრთის მოყუარებასა თქუენსა და ფარულად უმაღლესად, რამეთუ უნდოთაცა გულის სიტყუათა ტირილით გამოუცხადებნ ნეტარსა იოანეს და კანონსა და შენდობასა ითხოვნ, რამეთუ სხუათა მათ სათნოებათა მისთა გამოწულილვით აღწერასა ნებსით თანა წარვხედით, რამეთუ ჭეშმარიტად ყოვლითავე სათნოებითა სავსე იყო ნეტარი ესე; სიმდაბლითა სიწრფოებითა და უმანკოებითა და მარადის ეტყჳნ დიდსა იოანეს, ვითარმედ

«მამაო თჳთ იცი, რომელ ფრიად ცოდვილ ვარ და სიკეთილი ჩემი მოაკლებულ არს და უწებური სიწმიდისა თქუენისა ვარ, არამედ ნება ჩემი და თავი ჩემი შემდგომად ღმრთისა შენდა მომიცემია, ვითარცა გნებავს აცხოვნე სული ჩემი».

ამას რა ესე ვითარცა მხურვალებასა მისსა ხედვიდა ნეტარი მამა ჩუენი იოანე, ფარულად მოსწრაფე იყო, რათა არა რაჲ იზოგის რათურთით მისთა ნაკლულევანებათა რაჲმე და ჯეროვნად პატივსცემდა მას და ერიდებნ და განუსუენებნ და სწყალობნ სიბერესა მისსა.

ხოლო ვინადგან დიდი თორნიკე წყალობათა შინა აღზრდილ იყო და სალაშქროთა საქმეთა, ამათ ესე ვითართა პირთა თჳს უბნობა და ამბავი უყუარდა და ვითარცა ვთქვით მამა იოანე ერიდებინ და არა უნდ, რათამცა ამხილა მას, რათა არა მოიწყლას გონება მისი და ვითარცა იყუნეს მას ჟამსა კაცნი წარჩინებულნი და პატიოსანნი შევიდიან და ეუბნებოდიან მას ზემო თქმულთა მათ პირთათჳს.

მაშინ ვითარცა იხილა იოანე, რამეთუ სიწრფოებით იქმს ამას, შეეშინა ნუ უკუე ამის სახისათჳს ზღუევა რაჲმე სულიერი შეამთხჳოს ღირსსა მას და თჳსსაცა სულსა; ამისთჳსცა რქუამს მამა იოანე, ვითარმედ. «საყუარელო ძმაო, ვხედავ რომელ მადლითა ღმრთისათა კეთილად წარმართებულხარ მცნებათა შინა ღმრთისათა და არა მნებავს, რათა კრძალვისა გზითა ზღუევა რაჲმე მოვატყუა სულსა შენსა, აწ დაცადე მსოფლიოთა მაგათ საქმეთა უბნობა და ამიერიდგან სხუასა ნუ ვის ეუბნები გარნა გაბრიელს ხოლო ხუცესსა [1]). ხოლო ხუცესი იგი ესე ვითარი კაცი იყო, რომელ პირსა მისსა მსოფლიო სიტყუა არა გამოვიდოდა, არამედ ყოველივე საღმრთო და სულიერი. ესე რა ესმა ღირსა მას მეყუსეულად დავარდა ფერხთა თანა მისთა და ცრემლითა ეტყოდა, ვითარმედ და რად დაიდუმე აქამომდე და არა მამხილე წმიდაო და ღმერთშემოსილო მამაო. ხოლო მამამან იოანე აღადგინა იგი და ჰრქუა: «უფალმან შეგინდუნეს, გარნა აწ ხოლო ეკრძალე და მიერითგან მონასტრისა ძმათა არღარა ვის ეუბნებინ, გარნა თუ უცხო ვინმე მოვიდის და მცირედი რაჲმე სიტყუა მიუგის მას». და ესრეთ ესე ვითარსა ამას სულიერსა ცხოვრებასა შინა აღასრულნა დღენი მისნი და ღმრთისა მივიდა და ჭეშმარიტად წამეს მამათა ჩუენთა მისთჳს, ვითარმედ უფალმან შეუნდვნა ცოდუანი მისნი და საუკუნოსა ცხოვრებასა ღირს ჰყო.

ამათ ღირსთა და სანატრელთა მამათა ჩუენთა დიდნი საფასენი და მრავალნი სახმარნი შესწირნეს დიდსა ლავრასა და ყოველთა მონასტერთა მთა წმიდისათა, რომელნი იგი მას ჟამსა წუთღა გლახაკ იყუნეს და არა განმრავლებულ ქონდეს და საშუალსა, რომელ არს ყოვლისა მთისა შესაკრებელი ფრიადნი სახმარნი და მონაგებნი მისცნეს და ყოველივე ზოგად და თჳთოეულად კაცად კაცადს ფრიადი საფასე განუყუნეს, რომელთაგანი რაოდენნი მოვიხსენოთ და სხუა იგი დავაცალოთ, რათა არა ფრიადი სიმრავლე წერილისა იქმნას და საწყინო ვიქმნეთ მკითხველთა და მწერალთა.

---

1) ღირსი მამა გაბრიელ, თანა მოღვაწე წმ. იოანესი იყო ქართველი და მცხოვრები მთაწმიდისა, კლდესა შინა გამოქუაბულსა სენაკსა, ივერიის მონასტრის მახლო. ცხოვრებისაგან მისისა არა რაა ვიცით გარდა ამისა: ოდეს წმ. ხატი ღვთის მშობლისა ინახვოდა ჰაერსა შინა ზღვასა ზედა, წინა პირსა მთაწმიდისასა, ვერ ვინ შეუძლო მიახლება მისა. ძილსა შინა ებრძანა ღვთისმშობლისა მიერ, რათა შევიდეს ზღვასა შინა და მიიღოს წმ. ხატი იგი და გამოასვენოს მონასტერსა შინა ივერიისასა, მფარველად მისსა. შემდეგ გამოსვენებისა, — დღენი ცხოვრებისა თვისისა დიდსა მოღვაწებასა შინა ასრულა და გარდაიცვალა იბ ივლისსა, რომელსაც დღესა შინა წმ. ეკკლესია ასრულებს ხსენებასა მისსა.

დიდსა უკჳე ლავრასა მისცეს, ვითარცა ვსთქჳ დიდ ძალნი ბეჭედნი განძისა, ორჯს ორ-მეოცდა ოთხისა დრაჰკნისა მეფის ბასილისა ბოძებული იოანესდა და ესე ყოველთა წელთა აქუს ლავრასა პალატით და კუნძული, რომელსა ნეოსი ეწოდების, ბასილი მეფისა ბოძებული იოანესდავე, რომლისაგან გამოვალს გამოსავალი ყოველთა წელთა ათოთხმეტი ლიტრა, გინა ათხუთმეტი (ოქრო) და ოდესმე ოცისა და კჳალად მისცეს ოქრო განძად ათჳალეული ოცდა ხუთი ლიტრა და ძელისა ცხოვრებისა ნაწილი ვერცხლის ბუდითა და ორნი ბარძიმნი დიდნი ვერცხლისანი და ფეშ-ხუმნი კოვზითურთ და ბრწკლით და ნაწილის მოსასხურნებელი ვერცხლისა და ესე ყოველნივე ოქრო ცურვებულნი; საკურთხევლის შესამოსელი ოქრო ნემსული და მეორე ოქსინო[1]). ორნი წიგნი ოქრო პირისანი მარგალიტიანი და სხჳა წიგნი წმიდისა ეფრემისა, სხჳა წიგნი სწავლანი წმიდისა კირილესნი, სხჳა წიგნი, რომელსა სწერიან ყოველნი ძუელნი წიგნი და საწინასწარ მეტყუელთა და მაკაბელთა, სხჳა წიგნი სადღესასწაულო საჩინოთა წმიდათა, ოთხი თავი სტავრათა შემოსილი და ვერცხლისა ღილკილოთა და ჯუარითა. ჯუარი სალიტანე ვერცხლისა ოქრო ცურვე-ბული ველიზმაგისა ხატებითა, ჯუარცმისხატი ტილოსანი დიდი ასდრახმათ ფასებული, სხჳა დიდი ხატი ვედრებისა, სხჳა ხატი გარდამოხსნისა ნიკიფორე მეფის მინიჭებული. სხჳა ხატი განკელი ათორმეტთა მოციქულთა, სხჳა ხატი წმიდათა დიდთა მოწამეთა, სხჳა ხატი ტილოსანი ნათლის-მცემლის, სხჳა ხატი ტილოსანი წმიდისა ევსტრატისა და ალვა ასი ლიტრა და ოთხნი ჯორნი და სამნი ცხენნი და ნავი ხუთასისა მოდისა და გელინნი, რომელთა ზედა წაიგეს საშენებლად ზჳმოთა ხუთასი დრაჰკანი და ქვემოთა ასი დრაჰკანი და სხჳა ესე ვითარი და ესე ყოველი თჳთ წმიდისა მამისა ევთიმის ხელითა ნუსხისაგან დაგჳწერია, ვინაცა ჭეშმარიტ არს და უტყუელ.

ეგრეთვე საშუალსა მისცეს განძი ინდიკტიონსა რჳსა, ლიტრა თორმეტი გასაყოფელად ყო-ველთა და კჳალად თერთმეტს ინდიკტიონსა გაუყუჱს სხჳა თოთხმეტი ლიტრა და მისცეს კარისა ეკკლესიასა, რომელ არს შესაკრებელი ყოველთა. ბარძიმ ფეშხუმი ვერცხლისა, ოქრო ცურებული ხატებითა და კანკელი საუფლოთა დღესასწაულთა და თარგმანება სახარებისა და სამნი ხატნი დიდნი ვედრებისანი და ორნი სკარამანგნი[2]) და ორნი ჯორნი და მისცეს იგონომოსსა საშუალისასა ლიტრა ერთი განძი საშუალისათჳს წარსაგებელად, სასყიდლად ქორკანდელთა[3]) ვეშაკთა და ჯა-ჭუთა და კელაპტართა და კჳალად შემდგომად თორნიკის სიკუდილისა ინდიკტიონსა 25-სა მისცეს მთასა გასაყოფელად ლიტრა ოცდარვა და ერისონს მისცნეს სახლნი შჳდ ლიტრად სყიდულნი ზღუდითურთ სადგურად მიმავალთა ძმათა და კჳალად მისცეს ვენახი რჩეული ხუთ ლიტრად ფასე-ბული და ესე ყოველი მამათავე ჩუენთა და წერილისაგან დაგჳწერია, კაცად კაცადისა მიცემული კულა ვინ აღრიცხოს, რომელსა იგი თჳთოეული მათი ჴმა მაღლად ქადაგებს და ღმრთისა ცათა შინა აღუწერიეს და მამამანცა ევთიმი ამის ზემო წერილისაგან კიდე მისცა თჳსისა მონასტრი-სათჳს წმიდისა საშუალსა ორასი დრაჰკანი, რომელი იგი შემდგომად წინამძღრობისაგან ჯმნისა აღაშენა მთასა გარე; აქა უკჳე დავაცადოთ ესე ვითარისა პირისათჳს სიტყუა, რამეთუ ვითარცა ვთქუით არცათუ შესაძლებელ არს ყოველთა მათ წარმოთქმა, ქუელის საქმეთა მათთა თჳთოეულად, რომელთა იგი უმეტეს ყოველთა სათნოებათა მოწყალებაჲ შეეტკბო და ვითარცა სამოსელი შეემოსა.

---

1) ოქსინო, ოქროთ ქსოვილი აღსავლის კარის ფარდა.

2) ოქროთ ნაკერი რამე.

3) ქორკანდელი, ეკკლესიის დიდი საშუალო ხომლი.

შემდგომად თორნიკის მიცვალებისა განიზრახა ნეტარმან მამამან ჩუენმან იოანე, რათა აღიღოს ძე თჳსი და რაოდენნიმე მოწაფენი და ივლტოდეს სინად, რამეთუ პირუჱლითგანვე უქმნდა შეულიანობა და შფოთი, გარნა თავსიდვა მუნ აქამომდე თორნიკის აღშენებისათჳს და რათა შეიძინოს სული მისი, რამეთუ ასმიოდა, ვითარმედ ქართუჱლნი არა მცირედნი ნათესავნი და ერნი მკჳდრ არიან მუნ და ამისა პირისათჳს წარვიდა ვიდრე აღვიდოსადმდე, რათა მის მიერ ჰპოვოს ნავი კერძოთა ისპანიისათა მიმავალი და წარვიდეს მუნ და რომელი იგი მას ჟამსა მთავრობდა აღვიდოს ფარულად საყუარელ იყო მამისა იოანესი და მეგობრობისათჳს მისისა გამოუცხადა მას გულის სიტყუა თჳსი. ხოლო იგი წინა აღუდგა და რაოდენ შესაძლებელ იყო მისგან აბრკოლებდა და ვითარ იხილა მამა იოანე დამტკიცებული თჳსსავე გულის სიტყუასა ზედა გამოუცხადა და თქუა, ვითარმედ წმიდაო მამაო, არა უმეცარ ხარ თუ რაბამი სიყუარული აქუს მეფეთა ღირსებისა შენისა და უკეთუ განგიტევნე დიდი ბრალი მოწევნად არს ჩემზედა. მიუწერო მეფეთა და ვითარცა ბრძანონ ეგრეთცა ჰქმენ. და ვითარცა მიუწერა, უბრძანეს მეფეთა, რათა სამეფოს წარივლინენ და ვითარცა აღვიდეს დიდითა პატივითა მოიკითხეს იგინი მეფეთა, დიდად აბრალეს და ჰრქუეს, ვითარმედ წმიდაო მამაო, ჩუენ დიდი სურვილი გუაქუს სიწმიდისა თქუენისა და რა არს ესე, რომელ ესრეთ ივლტჳთ ჩუენგან და უცხოსა ქუეყანასა წარხუალთ. მიუგო ნეტარმან იოანე და ჰრქუა. «ღუთის მსახურნო და თჳთმპყრობელნო მეფენო, გლახაკი ესე ერის კაცი ვიყავ სოფელსა შინა მყოფ და თანამდები ყოვლისა ბრალისა და მენება, რათა უცხოებასა სამე წარვიდე და სული ჩემი ვაცხოვნო და გლახაკებით ვიყოფებოდი და თუ ვითა მოხდა, არა ვუწყი, მოვიდა თჳსი ჩემი თორნიკე და მისითა გზითა დიდსა შფოთსა შთავვარდი და ერის კაცებასა და მნებავს, რათა ამის ყოვლისაგან თავის უფალ ვიქმნა და სულისა ჩემისა ზრუნვასა შეუვრდე მრავალთა ჟამთა». დიდითა პატივითა დაიმშჳდეს და მერმე დიდითა ქენებითა ძლით დაარწმუნეს, მონასტრადვე მიქცევა და დიდითა ბოძვითა განუტევეს და ესრეთ კუალად შეიქცა თჳსსავე მონასტერსა და შემდგომად მცირედისა ჟამისა, ნიკრისის სენსა შთავარდა და მრავალთა წელთა ცხედარსა ზედა დაწოლით მდებარე იყო და ფრიადთა ტკივილთა მოითმენდა და მადლობდა ღმერთსა და ესრეთ მხიარულ იყო სენსა მას სასტიკსა, ვითარცა საფასესა ზედა დიდძალსა და ვითარცა პატივსა და ნიჭსა სამეფოსა.

და ვითარცა იხილა ესე ვითარი უძლურება თჳსი, ევედრებოდა მამასა ევთიმის, რათა მიითვალოს ზრუნვა მონასტრისა, ხოლო იგი მოწყლებით აღასრულებდა მას, რათა შეუნდოს, რამეთუ უქმნდა შფოთი ამის სოფლისა და არა თავს იდებდა შფოთთა შთავრდომად, გარნა ვინადგან შეუძლებელ იყო, მამისა მოხუცებულისა და სენთაგან განკაფულისა ურჩება, უნდა თუ არა მორჩილ იქმნა მას და ვიდრეღა ხორცთა შინა იყო მორჩილებითა და ბრძანებითა მისითა განაგებდა საქმეთა მონასტრისათა, ვითარცა იკონომოსი და თჳნიერ მისისა ბრძანებისა არა რასა იქმოდა.

მას ჟამსა სანატრელი და წმიდა ბერი იოანე გრძელის ძე ცხოვრებდა, ვითარცა უხორცო, დაუძლებრად [1]), ოთხთა ეკკლესიათა ლავრასა შინა და ეგრეთვე არსენ ნინოს წმი-

1) წმ: მამა იოანე გრძელის ძე ჰსცხოვრებდა დროსა შინა დავით კურაპალატისა და მეფისა ბაგრატ მესამისა, ძისა გურგენისასა 1009. წელსა. შრომანი მისნი არიან: 1) დარღუჳვა მაჰმადიანთა სარწმუნოებისა და სიტყუა სარკინოზთა მოქცევისათჳს სარწმუნოებისადმი ქრისტესსა. 2) შჳდთა მსოფლიოთა კრებათათჳს. 3) ისტორია ეკკლესიური თეოდორიტესი, არა სრული. 4) საგალობელი კანონი ივერიისა პორტაიტისა, ანუ კარისა ღუთისმშობლისა.

დელი[1]), კაცი მაღალი სათნოებითა და მუშაკი ქრისტეს მცნებათა, რომელმან იგი ღმრთისათჳს დაუტევა ეპისკოპოზობა და თჳთ კურაპალატისა წინაშე მოვიდა, მან კეთილად მოხსენებულმან ღირსად სიწმიდისა მისისა მოიკითხა და ოთხთა ეკკლესიათა წარმოგზავნა და ესრეთ იგიცა დაყუდებით ცხონდებოდა და თჳსისა მოძღუარისა თანა, ამათ უკუე ნეტართა მამათა ჩუენთა იოანეს და არსენის ფრიადი სიყუარული აქუნდა ერთმანერთისა და მრავალ ჟამ იღუწიდეს მუნ კეთილსა მას ღუაწლსა მონაზონებისასა.

ხოლო ხედვიდეს, რა ვითარ იგი უნდა მყუდროებით ცხოვრება ვერ იყოფოდეს, ამისთჳს რამეთუ აწუინებდინ მამასახლისნი და ძმანი მონასტრისანი და კურაპალატიცა ზედას ზედა მიუწერნ და ევლოგიასა წარსცემნ, ეგრეთვე ეპისკოპოზნი და აზნაურნი.

ამის უკუე მიზეზისათჳს განიზრახეს, რათა წარვიდენ უცხოსა ქუეყანასა, რომლისათჳსცა წარვიდეს კერძოსა პონტოსათა, უდაბნოთა ადგილთა და მიემთხჳვნეს მამასახლისსა ვისმე სულიერსა, რომელმან იგი სიხარულით შეიწყნარა და მისცა მონასტერი მშუენიერი ადგილსა უდაბნოსა და ყოველსავე სახმარსა მათსა უხუებით მისცემდა და შემდგომად რაოდენთამე ჟამთასა ეუწყა მამათა ჩუენთა [2]) მათთჳს, ვითარმედ მუნ იყოფებიან და წარავლინეს ძმა ერთი და მიუწერეს წიგნები ვითარმედ. «წმიდანო მამანო გვეუწყა სიწმიდისა თქუენისათჳს და ვსცანით მანდა ყოფნა თქუენი და ფარულად განკჳრვებულ ვართ, რომელ არა ინებეთ ამას წმიდასა და სახელოვანსა მთასა მოსულა, რათამცა თქუენითა წმიდა ლოცუა მოგჳლო, აწ ვევედრებით სიწმიდესა თქუენსა, რათა მოხჳდეთ და ერთგან ვიყოფოდეთ, ვინაჲდგან უწყით, ვითარმედ ჩუენცა უცხოებასა ვართ».

ესე რა აღმოიკითხეს მათცა განსუენა და მეორესა წელსა ხოლო ჩამოვიდეს და ვითარცა ჰსცნეს მამათა ჩუენთა სიხარულითა აღივსნეს და მადლი შესწირეს ღმერთსა და მოწლედ მოიკითხეს და სულიერად და ხორციელად აღეშენნეს და უდაბნოსა ადგილსა და ღმრთისა სათნოთა მოქალაქობითა ცხონდებოდეს.

ამისა შემდგომად სანატრელმან მამან ჩუენმან იოანე, პირუელ თქმულსა მას სალმობასა შინა განკაფულმან შეისუენა და ღმრთისა მივიდა განმდიდრებული ტჳრთითა სათნოებათათა და ნებისა მყოფ ღმრთისა და ეგულვებოდა რა აღსრულება, ყოველი ხელმწიფება და უფლება მამასა ევთჳმის მისცა, რათა რომელიცა განგება და წესი ენებოს იგიცა დაუდვას მონასტერსა და მას ზედაცა განკანონოს და შინა და გარე ვითარცა ენებოს ეგრეცა განკანონოს და შემდგომად თჳსსა უბრძანა, რათა გიორგის დაუტევოს მამობა, რომელი იგი სათნოვე იყო მათი, კაცი სახელოვანი და ფრთხილი ხორციელთა საქმეთა ზედა და კუალად უბრძანა, რათა გიორგიმ შემდგომად მისა სხუა დაუტევოს წინა მძღუარი, რომელი იპოვოს სიტყჳთ და საქმით სხუათა უმჯობესი, ძმათა შორის და ესრეთ განაწესა, რათა თჳთოეული მამასახლისი შემდგომად თჳსისა აღსრულებისა სხუასა დაუტევებდეს, წინამძღუარსა ღირსსა და სათნოსა, ხოლო უკეთუ ვინმე იპოვოს მშლელი განგებისა

---

1) წმ. მამა ესე მეთანადროვე იყო წმ. მ. იოანე გრძელის ძისა, აღკუეცილი იყო მონაზონად იერუსალიმს, იქმნა იგი მოწოდებულ საქართუელოს და აღყუანილ-ხარისხსა ზედა ნინო-წმიდელ ეპისკოპოზისასა. შემდეგ რაოდენისამე დროს, დაუტევა საქართუელო და წარვიდა მთაწმიდას, სადაცა შეისუენა (კარლაიცუალა) და იქმნა დასაფლავებულ ივერიის მონასტერსა შინა. შრომანი მისნი არიან: 1) ღმრთისმეტყუელება იოანე დამასკელისა (თარგმნილი). 2) წიგნი გრიგორი ნოსელისა. 3) მეტაფრასნი და საკალობელნი წმიდათა.

2) იოანნეს და ეფთიმეს.

მამისა ევთიმისა ჳდ̃ს მშფოთებელი და წინა აღმდგომი ძმათა, კრძალულებითა და შეჩვენებითა გა-ნიკანონოს ეგე ვითარი იგი და მეუსეულად კრებულისაგან განიდევნოს, რათა არა ყოველსა ჟამსა კრებულისასა განეზაჳოს მაკუდინებელი იგი სენი მისი და განმრყუნელი და განმგებლად და ეპი-ტროპად თჳთ მპყრობელნი მეფენი განაწესნა და თქუა, «ვითარმედ ვინადგან მწყალობელი ვინმე და ხელის აღმპყრობელი და განმგებელი სახმარ არს, რა ვყო გლახაკმან ამან და უხმარმან, რამეთუ დაღაცა თუ კადნიერ არს სიტყუა ესე, არამედ მინდობითა ტკბილსა მას მოწყალებასა და სახიერე-ბასა, რომელი ესე მათითა წყალობითა და შეწევნითა აღუშენე ლავრაჲ მათითავე ხელთა შევავედრებ და ჩემთა მონათა და მლოცველთა მამათა ევთიმის და გიორგის, რამეთუ დაღაცათუ ყოველსა ქრისტეანესა სწყალობენ და ყოველთა გლახაკთა ეურვიან, ვითარმედ ჩუენ უცხოთა ზედა, უმეტეს ყოველთასა აქ აჩუენეს წყალობაჲ, ვინაჲდგან საძირკუელთაგან დიდთა მათ ქუელის მოქმედებათა მათთა მიერ აღუშენე ლავრა ესე».

ხოლო ძმათა ჰრქუა ვითარმედ. «თქუენ სასურველნო და საყუარელნო შვილნო ჩემნო, უკეთუ მცნებათა ღმრთისათა დამარხუა იღუაწოთ და წესისაებრ და კანონისა საღმრთოჲსა იყოფოდით და წინა მძღუართა მიმართ გაქუნდეს უზაკუელი მორჩილება და ურთიერთარს მშჳდობა და ერთობა, მრწამს ღმერთი, რომელ არა რაჲ კეთილი არა მოგაკლოს თქუენ, არამედ მეფენი და მთავარნი და ყოველნი კაცნი წყალობად თქუენდა აღიძრნენ და უმეტეს წარემატნეთ. ამიერიდგან ნურცა ვინ განგაშოროს თქუენ საქმისა ამისგან კეთილისა და ღმრთისა სიყუარულისა, რომელ არს უზაკუელი მორჩილება და განუკუეთელი ერთობა და მშჳდობა, რათა ამასცა საწუთროსა უშფოთუელი ცხო-ვრებაჲ აღასრულოთ და საუკუნოსა მას მამულსა ცხოვრება საუკუნო დაიმკჳდროთ, კაცთმოყუა-რებითა ქრისტესი მეუფისათა და იგი სახიერი და მრავალ მოწყალე ღმერთი იყავნ მწყალობელ თქუენდა და წარგიძღუენ წმიდასა ნებასა მისსა და საღმრთოთა მცნებათა მისთა მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღუთისა მშობელისათა და ყოველთა წმიდათათა (მისთათა) ამინ.

სტუმართ მოყუარეებასა ნუ დაივიწყებით და რა იგი უბრძანოს გლახაკთა მოყუარობითა, მსგავ-სად ძალისა თქუენისა და მლოცველით და მახსენებდით საყუარელნო შვილნო ჩემნო მარადის, რათა ჰყოს ღმერთმან წყალობა საწყალობელისა და ცოდუათა შინა განსვრილისა სულისა ჩემისა თანა და შემინდუნეს ყოველნი ცოდუანი ჩემნი და ეგრეთვე სულიერსა ძმასა ჩემსა იოანეს ანგელოზსა, რამე-მეთუ ფრიადითა სარწმუნოებითა მოვიდა ჩუენდა წმიდასა ამას მთასა (შინა) და სულიერისა მამისა ჩუენისა ათანასისსა სახსენებელსა წლითი წლად აღასრულებდით წმიდათა ჟამის წირვათა შინა».

და ვითარცა ესე ყოველი წარმოსთქუა და აღწერით დაუტევა, მერმე აკურთხა ნეტარი ევთიმე, ზეგარდამოთა კურთხევითა და ხელთა მისთა წმიდათა სული თჳსი უფალსა შეავედრა და მშჳდობი-თით მას ზედა დაწვა და დაიძინა, თთუესა ივნისსა[1]) და მეოხ არს ცხოვრებისათჳს სულთა ჩუენ-თასა. ხოლო პატიოსანი იგი გუამი მისი, ღმერთ შემოსილმან მამამან ჩუენმან ევთიმი, ჯეროვ-ვნად შემოსა და თჳსაგან დამარხა და ზედა ეკკლესია წმიდათა მამათა აღაშენა და რომელნიცა სარ-წმუნოებით მოუხდებიან, მადლსა და ლხინებასა ღირს იქმნებიან. რამეთუ ეშმაკეული ვინმე მოუხდა მას ოდესმე და სცხა კანდლისა მისგან, რომელი ეკიდა საფლავსა ზედა მისსა და მეუსეულად განი-კურნა და ადიდებდა ღმერთსა.

ხოლო ჩუენ პირუელსავე სიტყუასა მოვიდეთ, რამეთუ ვითარცა იგი ზემორე თქმულ არს,

1) 998 წელსა.

წარიყვანა სამეფოთ შჳლი თჳსი ევთიმე მამამან იოანე და პირველად ქართული სწავლა ასწავლა და მერმე ბერძულად გაასწავლა, ყოვლითავე სწავლულებითა სრულებით და სიყრმიდგანვე მადლი ღმრთისა იყო მისზედა და ღმრთისგან მიეცა გულისხმის ყოფა წერილთაჲ და სულისა წმიდისა მადლითა აღივსო, ვითარცა ეუწყა ნეტარსა იოანეს მამასა მისსა, გამოცხადებითა წმიდისა ღმრთის მშობლისათა. რამეთუ ჟამსა სიჭაბუკისა მისისასა ვიდრე ყრმადა იყო სენითა მძაფრითა შეპყრობილ იქმნა და სიკუდილსა მიეახლა და იტყოდა ნეტარი იოანე. «ვითარმედ სასოება წარკუეთილ ცხოვრებისა მისისა, რამეთუ ეგონებდი მეყსა შინა სულთა აღმოსვლასა ვინადგან არცა სიტყუაჲ დაშთომილ იყო მისთანა, არცა ხმა და ვითარ იგი შეშფოთებულ ვიყავ წარვედ ტაძარსა წმიდისა ღმრთის მშობელისასა და დავვარდი წინაშე წმიდისა დედოფლისა და ცრემლითა მხურვალითა ვევედრებოდი, უხრწნელსა მარადის ქალწულსა ღმრთის-მშობელსა, რათა შემწე ეყოს და ჰყოს ლხინება და ვამცნე მღდელსა, რათა მსწრაფლ აღმოვიდეს და აზიაროს ხორცსა და სისხლსა უფლისასა და ვითარ იგი შეშფოთებულ ვიყავ და აღვისწრაფდი ხილვად, თუ რაჲძი იქმნა, განვაღე კარი სენაკისა სადაცა იგი დამეტევა მწოლარე და მეყუსეულად ვიხილე სული სურნელებისა საკჳრველი, რამეთუ იქმნა მოხედვა წმიდისა ღმრთის მშობელისა და ვიხილე ევთიმე, რამეთუ მადლითა მისითა აღდგომილ იყო, და იჯდა ცხედარსა ზედა ყოვლითურთ მრთელი და უვნებელი. და ვითარ იგი განკრთა გონება ჩემი და ვკითხევდი მას, ვითარმედ რაჲ არს ესე შჳლო. მომიგო და მრქუა: ვითარმედ აწდა წარმომიდგა ვინმე დიდებული დედოფალი და მრქუა ქართულისა ენითა, «რაჲ არს, რა გელმის ევთიმე»? ხოლო მე ვარქუ. ვითარმედ მოვკუდები დედოფალო და ვითარცა ესე ვარქუ. მომეახლა და მიპყრა ხელსა და მრქუა, «არა რა არს ვნება შენთანა, ნუ გეშინინ და წარვედ ხსნილად». უბნობდი და აწცა ესრეთ ვითარცა მხედავ ყოვლადვე არღარა მელმის». და იტყოდა ნეტარი იოანე, ვითარმედ მუნ დამადმდე ძნიად უბნობ ქართულად და ფარულად მწუხარე ვიყავ ამის პირისათჳს, ხოლო მიერიდგან დაუყენებლად, ვითარცა წყარო აღმოდინ უწმინდეს ყოველთა ქართველთასა; ხოლო მე რა ვიხილე ესე დავვარდი წინაშე წმიდისა ღმრთის მშობელისა და მადლი შევსწირე სასოსა მას ჩუენსა და ვმადლობდი და ვადიდებდი ღმერთსა».

იტყჳს მამა იოანე «ვითარმედ შჳლო ჩემო, ქართველთა ქუეყანა დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლიან და ვხედავ, რომელ ღმერთსა მოუმადლებია შენდა, აწ ილუაწე, რათა განამრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან». და იგი ვითარცა იყო ყოველსა ზედა მორჩილი, მოსწრაფედ შეუდგა ბრძანებასა მისსა და იწყო თარგმნად და ყოველნივე განაკჳრნა, რამეთუ ეგე ვითარი თარგმანი გარეშე მათ პირველთასა არღარა გამოჩენილ არს ენასა ჩუენსა და ვგონებ თუ არცა გამოჩინებად არს და მრავალნი წიგნნი წარსცნის წინაშე დავით კურაპალატისა.

რომელნი იგი იხილნა რა ვითარცა იყო მორწმუნე სიხარულითა აღივსო და ადიდებდა ღმერთსა და იტყოდა მადლი ღმერთსა, რომელმან ჩუენსთჳს ამათ ჟამთა ახალი ოქროპირი გამოაჩინა და ზედას ზედა მოუწერნ, რათა თარგმნიდეს და წარსცემდეს და იგი სანატრელი შეუსუენებლად თარგმნინ და რათურთით არა სცემდა განსუენებასა თავსა თჳსსა, არამედ დღე და ღამე ტკბილსა მას თაფლსა, წიგნსა საღმრთოსა შურებოდა; რომლისა მიერ დაატკბო ენა ჩუენი და ეკლესია, რამეთუ თარგმნა წიგნი საღმრთონი, რომელთა აღრიცხუა კნინღა შეუძლებელ არს, რომელთაგანნი რაოდენნიმე მოვიხსენეთ, რათა მათ მიერ სხუათა თჳსცა ეუწყოს ქრისტეს მორწმუნეთა, რამეთუ არა თუ ელლინობისა და მათ წმიდას ოდენ თარგმნნა, რათამცა აღრიცხუნილით იჳთოეულად, არამედ სამეფოსაცა და გჳასა და სხუათა ესე ვითართა ადგილთა. თარგმნა ესრეთ ვითარცა ვთქუთ:

1) თარგმანებაჲ იოანეს თავისა სახარებისა.
2) სწავლანი წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ვასილისნი.
3) მისივე თარგმანება ფსალმუნთა.
4) წიგნი წმიდისა კლემაქსისა.
5) წიგნი წმიდისა მაკარისი.
6) მაქსიმეს სწავლანი (აღმსარებისა).
7) წიგნი წმიდისა ისააკისა (ასურისტანისა), რომელსა შინა არიან სხუანიცა მამათა გამორჩეულთა სწავლანი.
8) წიგნი წმიდისა დოროთეისა.
9) წამება და სასწაული წმიდის მთავარ მოწამისა დიმიტრისი (თესალონიკელისა).
10) ცხოვრება და წამება წმიდისა სტეფანე სა[illegible]ლისა.
11) ცხოვრება და წამება წმიდისა კლემენტოს რომთა პაპისა.
12) და წამება წმიდისა კლიმი ანკჳრელისა.
13) ცხოვრება წმიდის გრიგოლი ღუთის მეტყუელისა და თქმულნი მისნი.
14) ცხოვრება წმიდისა დიდისა ვასილი კესარიელისა არხიეპისკოპოზისა.
15) წამება წმიდისა აკეფსიმესი.
16) ცხოვრება წმიდისა ბაგრატისი.
17) წამება წმიდათა მინა, ერმოგინისა და ევგრაფისა.
18) წმიდისა გრიგოლი ნოსელისა თქმული შესხმა, ძმისა თჳსისა დიდისა ვასილი და ქალწულებისათჳს დ წმიდისა მამისა ჩუენისა თარგმანი და წმიდათა მარხვათათჳს და წმიდისა მოსე წინასწარმეტყუელის ცხოვრების თარგმანი. სახედ დაუდებისა, რომელი ძმასა ვისმე ეთხოვა.
19) იოანე მახარებელის ხილვა და ხილვისა ახსნა.
20) თარგმანი ანდრია კრიტელისა.
21) თქმული იოანე დამასკელისა ორისა ბუნებისათჳს ქრისტესა.
22) სხუა წმიდისა ღუთის-მშობლის შობისათჳს.
23) ცხოვრება დიდისა ათანასესი ალექსანდრიელისა.
24) წამება წმიდათა სამთა ყრმათა, აღფიოს, ფილადელფოს და კჳპრიანესი.
25) ცხოვრება წმიდისა ონოფრი მძოვარისა დიდისა.
26) ცხოვრება წმიდისა მარიამ ეგჳპტელისა.
27) სწავლანი წმიდისა ზოსიმესნი (სარწმუნოებისათჳს).
28) სწავლანი წმიდისა მამისა ეფრემისნი, სარწმუნოებისათჳს.
29) სჳნაქსარი საწელიწდო, უმცრესი.
30) მიმოსულა და ქადაგება წმიდისა იოანე მახარებელისანი.
31) სქემის კურთხევა ბერძული.
32) და მონაზონის კურთხევა.
33) სჯულის კანონი წმიდისა იოანე მმარხველისა და მექქუსისა კრებისა.
34) ძეგლის წერა მართლისა სარწმუნოებისა.
35) სწავლანი წმიდისა მარტირისანი.
36) წამება წმიდისა ფებრონიასი (მონაზონისა).
37) წამება წმიდისა ანთიმოსი.
38) წამება წმ. მოწ ელასისა და ორთა მონაზონთა.
39) წამება წმიდისა თეოდორე სტრატილატისა.
და წმ. თეოდორე პერგელისა.
და წმიდისა ევსტრატიესი.
და წმიდათა ევსტათესი და შჳლთა მისთა.
40) სწავლანი წმიდისა კასიანესნი.
41) წიგნი დიალოღონი.
42) წმიდათა მთავარ ანგელოზთა სასწაულნი.
43) ცხოვრება წმიდისა ნიკოლაოზისა საკჳრველ მოქმედისა.
44) წიგნი ღუთის მეტყუელისა გრიგოლისა.
45) მაქსიმეს, რვათა გულის სიტყუათა.
46) ვასილის თქმული კაენის შჳლთა შურის გებათა-თჳს.
47) შუა ლამენი ბერძულნი.
48) ლოცვანი ბერძულნი მამისნი.

49) და კანონნი.
50) ცხორება დიდისა ანტონისა.
51) დაბადება (არა ვისმიერ არ თარგმნილი).
52) ცხორება წმიდისა მოციქულისა ანდრია პირჳელ-წოდებულისა და იოანე მახარებელისა.

ესე ყოველნი და ამათსა ფრიად უმრავლესნი წიგნნი თარგმნა ღმრთშემოსილმან მამამან ჩჳენმან, ესრეთ აღორძინა მისდა რწმუნებული იგი ტალანტი და უმრავლესნი ზემო თქმულთა ამათ წიგნთაგანნი თარგმნა, ვიდრელა მამა მისი იოანე ცოცხალ იყო და ყოველი ზრუნვა და საურავი მონასტრისა მას ეტჳრთა, რამეთუ ვითარცა ზემო ვთქჳთ, ნეტარმან იოანე მრავალნი წელნი დაყჳნა სნეულებასა შინა და იგი მსახურებდა უძლურებასა მისსა დღე და ღამე და კჳალად წინა მძღჳრობასა დაჭყო ათორმეტი წელი და სამასი სულისა ზრუნვა და დიდისა ლავრისა განგებაჲ და მთა წმიდელთა უფროსნი საურავნი მონასტრისა მიერ იურვოდეს და თჳსსა კანონსა დიდსა და მძიმესა ძლიერად აღასრულებდა და მის ყოვლისა თანა კეთილსა მას შრომასა თარგმანებისასა არა დააცადებდა, არცა სცემდა განსჳსნებასა თავსა თჳსსა, არამედ ყოველთავე იჯჳრვინ და ღამეთა ათევნ, რამეთუ უფროსნი წიგნნი ღამით სანთელთა უთარგმნიან, ვითარცა ვსთქჳთ ფრიადისა უცალოებისა და საურავთა.

ვიდრელა მამა იოანე ცოცხალი იყო მოვიდმევიდა მონაზონი ჰრომისა ქჳეყანისა, კაცი განთქმული სათნოებითა, რომლისა სათნოებათა სწამებს ქჳეყანა ჰრომისა და საბერძნეთისა, ძმა ბენეფენტოს დუკისა, წარჩინებული ნათესავი, ესე მოვიდა ექჳსთა მოწაფეთა თანა მთასა ამას წმიდასა ლოცვად და ვითარ იხილეს მამათა ჩჳენთა მადლითა შემკული სახე მისი, ვითარცა თჳსი და მეცნიერი ესრეთ მოიკითხეს და სიხარულით შეიწყნარეს და ევედრებოდეს აქა ყოფასა და ეტყოდეს, «ვითარმედ ჩჳენცა უცხონი ვართ და შენცა უცხო ხარ» და ძლით დაარწმუნეს, რამეთუ ენებს რათამცა ერთგან იყჳს მონასტერსა შინა; ხოლო იგი ვინადგან სჩინო კაცი იყო და სახელოვანი, ვითარცა სცნეს რომთა, რომელნი იყჳნეს სამეფოთა და სხჳათა ქალაქთა მრავალნი (ექივბდეს) ერი შემოკრბა, რათა მონაზონ იქმნნეს მისგან. მერმე მამათა მათ ჩჳენთა გააზრახეს წმიდასა მას ბერსა, «ვითარმედ წმიდაო მამაო, ვინადგან ესოდენთა სულთა აცხოვრებ უმჯობეს არს, რათა მოჰპარსნე და მიზეზ ცხორებისა ექმნა სულსა მათსა და ღმერთსა მიუპყრნე, უწყით, რამეთუ სხჳაცა ერი მოსულად არს, რათა სახე მონაზონებისა ჴელთაგან შენთა მიიღონ, ჩჳენ გიყიდოთ და ყოვლითავე სახმართა შეგეძინეთ» ხოლო, დაღაცა თუ უძნდა წმიდასა მას კაცსა შფოთი და ზრუნვა, არა ინება ურჩება ბრძანებისა მათისა, ვინაცა აღაშენა მონასტერი მშჳენიერი და ძმანი მრავალნი შეკრიბნა და თანა დგომითა მამათა ჩჳენთათა სრულ ჰყო ყოველი საქმე შენებისა და ზედას ზედა მოვალნ იგი ხილვად მათდა და დაყჳნის დღენი მრავალნი და კჳალად მიიქცის თჳსსავე მონასტერსა და იგი ხოლო მონასტერი არს ჰრომთა დღეს მთა წმიდას და კეთილად და წესიერად ცხოვნდებიან, კანონსა და განგებასა ზედა წმიდისა ბენედიკტესსა, რომლისა ცხორება წერილ არს დიალოღონსა შინა [1].

პირჳელად მოხსენებულსა მას ღირსსა მღჳდელსა გაბრიელს ქართჳელსა და მას წმიდასა ბერსა, დიდსა ლეონს ჰრომელსა (პაპასა) ფრიადი სიყუარული აქჳნდათ სულიერი და ოდესცა მოვიდის

---

1) საჩინო არს, ვითარმედ მთაწმიდას მეცამეტე საუკუნეში ლათინთა მონასტერნი იყვნეს, მართმადიდებლობის აღმსარენი წმ. ბენედიკტის წესისანი. ნახე პროტოკოლი კონსტანტინეპოლელ პატრიარხთა, საერო განმანათლებელის სამინისტრო ჟურნალში 1847 წელსა. ეგრეთვე მოხილვა მურავიოვისა «წიგნნი აღმოსავლეთიდგან».

ხილვად მამათა, მახლობლად სენაკსა გაბრიელისსა აქუნდა სენაკი და მუნ დაყუნის დღენი იგი და თჳსისა ქრისაგან კიდე, არცა მან იცოდა და არცა მან და ვითარცა შებნელდის გამოვიდის თჳსთა სენაკთაგან და ლოცუა ჰყუიან და დასხდიან ვიდრე ცისკრის რეკვადმდე უბნობდიან სიტყუათა საღმრ-თოთა და ვიდრე წარსულადმე ამას ესრეთ ჰყოფდიან, ყოველთა მწუხრთა და იტყოდეს მამანი ჩუჱნნი, ვინაცა გარემოს მთისა იყუნეს სულიერნი ძმანი და ფიცით დაგუარწმუნეს, ვითარმედ ოდესცა მოვიდის დიდი ლეონ (პაპა) მარადის ესრეთ ჰყოფნ, იგი და გაბრიელ მღუდელი და წამებ-დეს, ვითარმედ მათის სიწმიდისაგან ყოველივე შესაძლებელ არს და სარწმუნო; რამეთუ დიდ იყვნეს იგინი წინაშე ღმრთისა და სრულ.

მას დღესა შინა იყო ვინმე ეპისკოპოზი თესალონიკისა საღმრთო და სულიერი, მეგობარი მამათა ჩუჱნთა და აქუნდა ჩუჱულება მამასა ევთიმის და მრავალ გზის მიავლენ მისსა და ოდესმე მან მოიყუანის იძულებით. ხოლო იყო თესალონიკეს ურია ვინმე ჰსჯულის მეცნიერი და უნდოდა ეპისკოპოზსა, რათამცა მოაქცივა ქრისტეანედ და ზედას ზედა ეუბნებინ და იყო რა მისთანა მამა ევთიმე ევედრებოდა ეპისკოპოზსა. რათამცა ეზრახოს ურიასა მას და ვითარცა მოუწოდეს, იწყო ზრახუად ჰსჯულისა და ვითარცა შეწუხდა და უღონო იქმნა ურია იგი წინაშე ნეტარისა მამისა ევთიმისა, იწყო გმობად ქრისტეანეთა უბიწოსა სარწმუნოებისა. და ვითარცა ესმა მამასა ევთიმის შეწუხნა და შერისხნა და ჰრქუა მას «და იყავნ პირი შენი, ბოროტო ურიო დაგულულ სიტყუათათჳს». და მასვე ჟამსა უტყუ იქმნა და გარე მიექცა პირი მისი. იყუნეს მუნ მდგომარენი სხუანიცა ურიანი და შეუვრდეს ფერხთა მამისა ევთიმესთა, რათა შეუნდოს და მან მიუგო «ვითარმედ, რომელი გმო-ბისგან შეინდოს და სარწმუნოებად მოვიდეს და მე შემინდობია» და მერმე ევედრა ეპისკოპოზმან, რათა შეუნდოს და ლოცუა ჰყოს და ვითარცა ლოცუა ჰყო და ჯუარი დასწერა, მასვე ჟამსა მოიქცა პირი მისი და სიტყუად იწყო და მეუფსეულად შეუვრდა ფერხთა მისთა და ქრისტეანე იქმნა და დიდად მორწმუნედ კაცად გამოჩნდა.

სხუა ვინმე ურია ჰსჯულის მეცნიერი და სწავლული ფარულად განთქმულად ცილობასა ზედა, ზუაობითა ურიაებრითა მოუხდა მამასა ევთიმეს და ენება სიტყუად. ხოლო ნეტარსა მას უქნდო საქმე ესე, არამედ ბრძანებითა იოანესითა იძულა ზრახუად მისდა და ვითარცა იწყო (ზრახუად მისდა) ცილობად და გითხუად აღუხსნიდა მას და განუმარტებდა ყოველსავე უაღრეს ცნობისა და მზაკუარმან მან, ვითარცა იხილა ძლეულება თჳსი, იწყო თქმად სიტყუათა გმობისათა, შეუძნდა ესე სანატრელსა მას და ჰრქუა, «ვითარმედ უკეთუმცა სიტყუასა წერილთასა იკითხამდე, განგიმარ-ტეცა და უკეთუ ჩუჱნ გვკითხამ, მოგიგებმცა ვინადგან კულა გმობასა მაღლისა მიმართ იტყჳ და იყავნ პირი შენი მგმობარი დაგულულ» და ვითარცა ესმა მეუფსეულად უტყუ იქმნა და ხუალისა დღე სულნი წარხდეს.

იქმნა ოდესმე გუალვა ფრიად და მაისი და ივნისი და ივლისი და აგვისტო უწჳმროდ გარე დავლო და დიდად მისჭირდა ქუეყანასა, ვიდრელა ყურცელი ხეთა და ვენახთა განხმა და დასცვივოდა და დიდსა ურვასა შინა იყუნეს კაცნი. არს მცირე მონასტერი მონასტრისა ჩუჱნისა მთასა ზედა, სადა იგი შენ არს ეკლესია წმიდისა ელია წინასწარმეტყუელისა და ვითარ მოიწია დღესასწაული წმიდისა ელიასი წინასწარმეტყუელისა, პირუელ დღისა ერთისა უბრძანა მამამან იოანე მჴლსა თჳსსა ევთიმეს. «ვითარმედ წარიყუანენ ძმანი და წარვედ ეკლესიად წმიდისა ელიასსა და ღამე ათიე». და ოდეს ამას უბრძანებდა მრავალნი ძმანი შეკრებულ იყუნეს წინაშე მამისა იოანესსა და რქუა განცხრომის სახედ უბრძანა, «ვითა ყრმანო საწჳმრები უკანა წაიღეთ, რამეთუ ვესავ ღმერთსა;

რომელ არა შევიქცეთ ამაოდ». წარვიდეს და ღამე ათიეს და ვითარ მოიწია ჟამის წირვისა ჟამი, შეიმოსა წმიდა მამა ჩუენი ევთიმე და ვითარ იწყეს ლოცუად, პირუელ სახარებისა წარკითხვასა, გამოჩნდა მცირე ღრუბელი ერისონს ზედა და მასვე ჟამსა აღივსოცა (წჳმითა) ღრუბლითა და ვიდრე ჟამისა ზირებადმდე, შეიქმნა წჳმა საშინელი და დაათრო ყოველი ქუეყანა და ვითარცა იხილეს ესე, ღმერთსა ხელ აღპყრობით ჰმადლობდეს და ვითარცა ჟამის წირვა აღასრულეს და საზრდელი მიიღეს, წარმოვიდეს შინა და რომელთა ძმათა აქუნდათ საწჳმრები მოლხინებით შთამოვიდეს მონასტრად, ხოლო რომელთა არა აქუნდა შრომით და ჭირით და ესრეთ ორნივე ჰმადლობდეს ღმერთსა და ნეტარსა მამასა იოანეს.

ოდესმე ინება მამამან ჩუენმან ევთიმე აღსულა მთასა ათონისასა თვერის ცუალებად და ვითარცა არს წესი მთა წმიდელთა, ერი ფრიადი შეკრბების თხემსა ზედა მთისასა, ამას დღესასწაულსა ღამესა ათევენ და ვითარ ღამე განათიეს და მოიწია ჟამი ჟამის წირვისა და შეიმოსა წმიდა მამა ჩუენი ევთიმე და სხუანი მღუდელნი მის თანა და ვითარცა სიწმიდე შეიყუანეს და წმიდა არსი აღიღეს, იხილეს მამა ჩუენი ევთიმე, ვითარცა ცეცხლი მგზებარე და ზარმან შეიპყრნა ყოველნი და მასვე ჟამსა ისმა ხმა, ვითარცა ერისა მრავლისა და შეიძრა მთა იგი ძვრითა დიდითა და ყოვე-ლივე პირსა ზედა დაეცა და ვითარცა აღადგინნა იგინი მამამან ევთიმი, შიშისაგან, ვითარცა მკუ-დარნი იყუნეს და ვითარ იხილნა ესრეთ შეძრწუნებულნი, ჰრქუა მათ. «ნუგეშინინ ძმანო, რამეთუ მოხედუა ღუთისა იქმნა და თქუენთჳს დღესასწაული ჯდიდა». ხოლო მათ ყოველთა ნუგეშინისცა და მისცეს დიდება ღმერთსა.

საუდართა შინა საკათალიკოზოთა საჩინო არს და წარჩინებულ საუდარი წმიდისა ეპიფანე კჳპრელისა და ჟამთა ბასილი მეფისათა ოდესმე აღესრულა მთავარ-ეპისკოპოზი, რომელი იყო მუნ და ფარულად აიძულა მეფემან, ნეტარსა ევთიმის, რათა მიითუალოს განგება მისი; ხოლო მან ყოვლადვე არა თავს იდვა, რამეთუ ყოვლითა მრავლითა მოსწრაფებითა ევლტოდა დიდებასა კაცთასა და შფოთსა სოფლისასა და სიმდაბლესა შეიტკბობდა.

და ვითარცა იყო მამა ჩუენი ევთიმე სავსე ზეგარდამოჲთა მადლითა, ეგრეთვე საღმრთონი წესნი და განგებანი დაესხნეს მონასტერსა თჳსსა, პირუელად წესნი ეკლესიისანი და განგებანი ყოვლისა წელიწდისანი, ვითარცა წერილ არს დიდსა სჳნაქსარსა სრულებით და უკლებლად და მა-რადის ევედრებინ ძმათა, რათა მოსწრაფე იყუნენ მისულად ეკლესიად და წესიერად დგომად და მხურვალედ ლოცუად და თჳთ მის ნეტარისა საყოფელი სიმაღლესა იყო, გოდოლსა ზედა მაღალსა და ვერვინ მიუსწრის ცისკრის ლოცუასა და ჟამნიერ კუერთხისა და კედლის მიყრდნობისა დგან იგი ეკლესიასა, ყოვლითა მოსწრაფებითა და კრძალულებითა და ოდეს მცირე რაჲმე არნ, მოწა-ფესა თჳსსა საიდუმლოდ უბრძანის და იგი წარვიდის და გინა თუ იკონომოსისა და ებრძანის, გი-ნათუ პატრიკონომოსისა, მოზიდნის ნელიად და შტოსა განიყუანის და მუნ უთხრის ბრძანებასა მამისა და ოდეს დიდი რაჲმე იყჳს თჳთ გავიდის შტოდ და იუბნის, ეკლესიისა შინა კუალა უბნო-ბასა ვერვინ იკადრებდა.

და ღაცათუ ძმანი კედელსა თანა დგან გარნა კედელსა არავინ მიეყრდნობინ, რამეთუ იგინიცა მას ნეტარსა ბაძვდეს, მსგავსად ძალისა ჭაბუკთად განეწესა საშუალ ეკლესიისა დგომა და ორკე-ცად და სამკეცად და განხელ მოჭდობით და მოწიწებით და სკამები საშუალ დადგიან და ოდეს ჯერ არნ ეგრეთვე ორკეცად და სამკეცად დასხდიან და დეკანოზი ოდეს აწუევნ ანუ მნათე, გინა წიგნის კითხვასა, გინა წარდგომასა, გინა თუ რომელსა სამსახურებელსა კუერდით მივიდის და

თაყჳანისცის და უთხრის, რომელ მას ოდენ ესმის და მან თაყჳანისცის და წარემართის თჳსსა (ადგილსა) მსახურებასა.

ორნი ეპიტროპოზი (რომელ არნ დამხედავნი კაცნი) საღმრთონი და ღჳთის მოშიშნი და-ედგინნეს, ერთი უხუცესი და ერთი უმრწემესი მის ქჳჱშე, რომელსა წარავლინენ სენაკებსა ძმათასა და მოიყჳანნებნ შინა დაშთომილთა, უკეთუ ვინმე არა მივიდის დაწესებულთა ზედა ცისკრისასა, განიკანონის ჯეროვნად, ვითარცა განეწესა მამასა, რომელნი ძლიერად შჳრებოდინ დღე ყოველ და არა მოეცალებინ ძილი დღისი იგი შრომა მათი ლოცჳადვე დაუთვალის, რომელნი კჳლა ანუ მოცა-ლებით იყჳნენ, ანუ მსუბუქთა სამსახურებელთა, გინა თუ ხუცესნი, გინა თუ დიაკონნი, გინა თუ მჟამნობელნი, უკეთუ ჭაბუკნი იყჳნიან ასი მუხლი მოაყრევინინ საკურთხეველისა წინა, უკეთუ ბერნი და უძლურნი იყჳნიან ულჳნობა და უსაჭმლობა განუწესის მას დღესა შინა.

ლოცჳსა ყოვლადვე ეკკლესიისა კართა თანა დგანან უხუცესნი ეპიტროპოზი და გამავალთა ძმათა ჰკითხჳნ მიზეზსა განსვლისასა, უკეთუ რაჲმე საჭირო საქმე არა აქჳნ, ვერვინ იკადრის გან-სჳლა. ხოლო უკეთუ რაჲმე საჭირო იყჳს უთხრის ეპიტროპოზ და კჳალად მოსწრაფედ შეიქცის, უკეთუ კჳლა დაეყენის დიდად აბრალის და დაუმოწმის, ვითარმედ ამას ნურ აღარა იქმნ და უკეთუ კჳლა ქმნის სატრაპეზოსა არა შეუშჳს, არამედ ხმელისა პურისა ჭამა განუწესის მას დღესა, ანუ ასი მუხლი მოადრეკინის. მშრომალთა და მაშჳრალთა და განეწესა მამასა და შემდგომად დაწესებულთა წარვიდიან და განისჳჱნებნ ვიდრე მეორედ რეკადმდე და მერმე კჳალად ეკკლესიადვე მოვიდიან, უკეთუ კჳლა დასხდიან ეპიტროპოზთა მოიყჳასნიან.

უკეთუ ვინმე შეილალნინ ძმანი, მოუხდის მამამან და ნახნის და ბრძანებასა მისსა არა ურჩ ექმნებოდეს და მშჳდობა ქმნიან, უკეთუ კჳლა გულ ფიცხელნი იყჳნიან და მასვე ზედა დაადგრიან, განეწესა, რომელ ესე დაგებადმდე ტრაპეზისა ვერ შევიდიან, პურსა ხოლო და წყალსა იხმარებდენ ხოლო უკეთუ წინამძღჳარი არა არნ იკონომოსმან განკანონის.

ოდესცა ეკკლესიად შევიდოდინ პირჳჱლად მამა ევთიმე და მერმე ძმანი ყოველნი, ვიდრე მუხლთა ზედა არა მოდრკიან და თაყჳანისციან წმიდასა ღჳთის მშობელს, რომელ არს ბჭეთა ზედა არა შევიდიან და ოდესცა მამასა წინა წარუვლიდიან ძმანი, გინა ეკკლესიასა გინა სადაცა; ვიდრე არა მოდრკინ და თაყჳანისციან მდაბლად არა წარვლიდიან და ეგრეთვე ნეტარი მამა ჩჳჱნი ევთიმე, არათუ საპატიოთა კაცთა მიერ, არამედ მათ ახლად მოსწავლეთაცა ქჳჱ მოდრეკით თაყჳანისცემნ და წყალობით მოიკითხავნ და უკეთუ ვინმე იხილნის, მოსწრაფენი ძმანი, რომელნი ზრუნვიდინ სულთა თჳს ეგე ვითართა მათ მიმართ არა უბრძანებნ, უკეთუ კჳლა ვინმე იხილნის უდჳბნი და დახსნილნი და ახალ მოსრულნი მათ ზედას ზედან ეუბნებინ, ასწავებნ, ამხილებნ და ნუგეშინის-ჰსცემნ, ხელოსანთად ევედრებინ, რათა მარჯჳჱდ ექცეოდენ და არა რაჲსა მოაჭირვებდენ.

რაჲამს სერობისასა ილოცჳჱნ არა ხელეწიფებოდა ძმათა, არცა სენაკსა შეკრებად უბნობი-სათჳს, არცა მონასტერსა შინა უბნობად და თუ ვინმე პოვნიან ეპიტროპოზთა, დააცხვრიან და თჳსთა კელინოა წარგზავნიან, უკეთუ კჳლა წინა აღდგომა ვინმე იკადრის, მათი მამამან უბრძანის და ფიცხლად განკანონის, ოდეს იხილიან ვინმე ჭაბუკთ ძმათაგანნი გინა ერთ მანერთისა თანა, უბნობად ანუ სიცილად, ანუ ხელის მიყოფად, ფიცხლად ამხილიან და უკეთუ მეორედ ქმნიან მამასა მოახსენიან და მან მძიმედ განკანონის.

უკეთუ რაჲმე მოუხდის მტერისა მიერ ერთმანერთისა მიმართ ფიცხელი შფოთი, გინა წჳჱრთა გლეჯა, გინა მიმთხჳჱვა. წესი იყო მამისა ჩჳჱნისა, რომელ მას თანა ხმა მაღლობა და

უწესო, გულის წყრომა არა იყო, ვითა იყო ყოვლითავე სათნოებითა შემკული, ტკბილითა და ამაოთა სიტყჳთა და იუბნნის წიგნთაგან და ზეპირათ და ჰრქჳს «ძმაო! უკეთუ მიგიშჳნე ამას საქმესა ზედა, პირუტყულად სულთა თქუენთა წარსწყმედთ და მერმე მონასტერი უწესოდ იქმნების; ვინადგან ეგრე მოხდა, რომელ ღმერთმან მე დამადგინა თქუენდა მსაჯულად და განმგებლად; უკეთუ უწურთელად მიგიშჳნე უწყოდეთ, რომელ ვითარმედ მას საუკუნესა მწარედ განისჯებით, უკეთუ კჳლა მე აქა მცირედ გწუართნე და მადლობით მიითუალოთ, მრწამს ღუთისაგან, ვითარმედ მის საუკუნოჲსა განკითხჳსაგან განერებით». და ესე რა ესრეთ დაარწმუნის ჴსნის ძალი მის საქმისა ძმათაგან და უკეთუ ორთავე არნ ბრალი, ორნივე წურთნის და უკეთუ ერთისა ერთი ვითარმე იყჳს შფოთი იგი, უკეთუ დიდი იყჳის დიდად წურთნის და უკეთუ მცირედ იყჳს მცირედ სამამოსა მიი-ყუანის და უბრძანის განრთხმა და ძმამან მან თაყუანისცის და განირთხის თავი თჳსი და ერთი ძმა თავსა უმჯდირავნ და ერთი ფერხთა და ერთი ჩოხათა ზედა მიამთხუევნ ღუედითა, რომელსამე 30, რომელსამე 40 და რომელსამე სამოცი; ხოლო უკეთუ ვინმე იპოვის ასაბია და ერთი მეორისა მე-შუელი დიდად შეუძნდის და ფიცხლად წურთნის და მათ ცემულთა შემდგომად ცემისა მუხლ მო-დრეკით თაყუანისცინ და ცრემლით შენდობა ითხოვის მამისაგან და რომელმანმე ორი მსგავსი დაყჳს ქუემწოლარემან და რომელმანმე სამი და ჟამითი ჟამად მივალნ მამა და ნუგეშინის ჰსცემნ სიტყჳთ და საქმით და სანუკარსა წარსცემნ და ხელოსანთა დაევედრნის, რათა ნუგეშინის სცემდენ და ვისაცა წუართის თჳნიერ ყოვლისა მიზეზისა ნუგეშინისსცის და აღაშენის ანუ ჩოხითა ანუ საბე-ჭურითა, ანუ სხჳთა რაჲთამე სახმარითა და ყოვლადვე არა იყო დრტვინვა, გინა გულის კლება ცემათა მათ თანა, არამედ ესრეთ შეერაცხა, ვითარმცა ქრისტეს ხელთაგან წურთილ იყუნეს.

ესე ვითარი ჩუეულება აქუნდა წმიდასა მამასა ჩუენსა ევთიმეს, რომელ სამთა დღეთა შჳდეულისათა ორშაბათსა, ოთხშაბათსა და პარასკევსა სენაკთა თჳსთა მზისა დასულასა პური და წყალი იხმარის თჳნიერ დიდთა დღესასწაულთა და სხუა დღე ყოვლადვე ტრაპეზსა მივალნ, გარნა თუ ლავრელი მოვიდის ანუ პროტი, რამეთუ მაშინ ესრეთ ირჩიეს ძმათა, რათა კიდე შეუკაზმვიდენ პურსა, გინათუ სამამოსა ანუ თუ სადაცა ენებოს, რათა არა დაეყენოს ძმათა სატრაპეზოსა, მიზე-ზისათჳს შრომისა, რამეთუ ფრიად მოხარკე იყუნეს მაშინ ძმანი შრომასა.

ნეტარი მამა ჩუენი ღჳნოსა არა ოდეს იხმარებნ თჳნიერ ჟამის წირვისა, ანუ დიდისა რაჲსამე მიზეზისა, ვიდრე სიბერედმდე. ხოლო ტრაპეზსა ოდესცა დაჯდის, ებრძანა მეტრაპეზისად, რო-მელ ძმათა ღჳნისაგან ყოვლადვე თასითა ღჳნოსა დაუდგმიდეს და გემოსა იხილავნ და უკეთუ მარ-ჯუედ არნ, არა რაჲ ბრძანის, უკეთუ კუალა ანუ ძმიანი არნ, ანუ მეტი წყალი ერთვის, შემდგომად ტრაპეზით აღდგომისად ეუბნის მეღჳნესა, ვითარმედ «ძმაო! ამათ ძმათა ნუგეშინისა-საცემელი სხუა არა სადათ აქუსთ ამის ტრაპეზისაგან, კიდე უკეთუ სუბუქი ღჳნო იყოს ნუ ურთავ წყალსა და უკეთუ საშუალი იყოს ჯერისაებრ ურთე და უკეთუ უმჯობესი იყოს, ვითარცა ჯერ იყოს ეგრეთვე დალათუ თჳთ არას იხმარებნ». ძმათა საჭმელი მოაღებიეს თავისა წინა და მისიცა გემო იხილის და უკეთუ ზეთი აკლდის, კელიარს იუბნის და ამცნის განმართება, ხოლო უკეთუ უმგბარი იყჳს ანუ უმა-რილო, ანუ მარილიანი, ოდეს ტრაპეზით აღდგის, მზუარეული დაიუბნის და ჰრქჳს. «შიშითა მღუთისათა იქმოდე ძმაო სამსახურებაჲსა შენსა და ნუ იტყჳ თუ კაცთა ვმსახურებ, არამედ ესრეთ გაქუნდინ, ვითარცა ანგელოზთა ღუთისათა მსახურებდი, რათა სასყიდელი შენი არა წარგიწყმდესო».

წესი იყო მამისა ჩუენისა რომელ ტრაპეზსა ზედა ყოვლადვე არა უბნობნ, გარნა თუ ვინმე უცხონი იყუნიან და იშჳთ სადამე სიტყუა მიუგის გინათუ წყალი უნდის, გინათუ ევლოგიასა ვისმე

წარსცემნ, გინათუ საჭირო საქმე რაჲმე იყჳს ტრაპეზსა ზედა, მოუხდის მოწაფესა და იდუმალ უბრძანის, რომელ სხუამან ვერვინ ჴსცნის, სხუა კულა ძმათაგანი ყოვლადვე ვერვინ იკადრებნ უბნობასა. მეტრაპეზე კულა და ხელოსანნი უკეთუ რაჲმე საჭირო საქმე იყჳს, იდუმალ და ჩურჩუ-რით, ეგრეთვე ძმათა უკეთუ საჭირო რაჲმე საქმე იყჳს, გინათუ წყალსა ითხოვდინ გინა თუ სხუასა რასამე იდუმალ ითხოვდიან. და ესეცა განეწესა მეტრაპეზესად, ვითარმედ უკეთუ ვინმე იხილოს გინა უბნობად, გინა სიცილად, გინა ლაღობად ტრაპეზსა ზედა, შეუთვალე ვითარმედ მაგასა ნუღა-რაოდეს იქმ, თუ არა მამასა განუწესებია, რომელ გარე განგიყუანო. უკეთუ ვინმე იპოვის მტრისა-გან გინა სასუმლისაგან და კუალადცა იწყის უბნობად გინა განცხრომად, შეეთვალა მამასა ეკკლე-სიასა შინა ძმათა და ვითა და მიმცნა მეტრაპეზისა და, რომელ არავინ აღგიდგეს წინა გარე განყუა-ნებისათჳს და არცა ვინ იკადრებდა წინა აღდგომასა და გარე განიყუანის ეგე ვითარი იგი ვიდრემ-დის სახე განაგის მშრომელთა და დღესასწაულთა და კჳრიაკეთა და გინა თუ ერი არნ მაშინ განე-წესა მსახურება და შრომისა დღეთა შინა მყოფნი ხუცესნი და დიაკონნი მსახურებდიან ვითარცა მიხუდებინ და სხუა მოცალე ერი.

წესი იყო მამისა ჩუტნისა, რომელ უკეთუ დიდი რაჲმე საქმე არნ, გინა სამეფო გინა ბჭისა ეკკლესიასა და იუბნის ძმანი და უკეთუ საკრებულო რაჲმე არნ ძმათა უხმის, რომელთა აქუნდათ საქმისა მეცნიერება. გინა თუ სამჭედლო იყჳს, გინა სახუროვნო, გინა სავენახე და მათ დაიურ-ვის სამამოს: ესე კულა სხუანი საქმენი წურილნი იკონომოსისა თანა და იუბნის, რამეთუ დაღაცა თუ ყოველსა საქმესა მეცნიერ იყო სამგზის სანატრელი მამა ჩუტნი ევთიმე. გარნა დიდითა მით სიმდაბლითა თჳსითა, თჳნიერ კითხჳსა არა სხუასა იქმოდა და სიბერესა მისსა ზედა არა თავს იდებდა, არგნითა ეკკლესიად შესულად; ხოლო უძლურთა ძმათა და განეწესა ეკკლესიისა შტოსა დგიან მიყრდნობით კუტრთხითა მათთა ზედა, ხოლო რომელნი მეტადრე უძლურნი იყუნენ მათდა ებრძანა, რომელ შტოსავე შინა სხდენ იგინი სკამთა ზედა.

და უფროს ყოველთა ესე უძნნ წმიდასა მამასა ჩუტნსა, უკეთუ ვიეთმე ტყუილით, გინა ეკკლე-სიისათჳს გინა ძმისა ვისთჳსმე სიტყუა რაჲმე უთხრინ და ამისთჳს მტკიცედ დაემოწმა, რათა უკეთუ ზედა მიწევნით არა იცოდინ, ყოვლადვე არა იკადრონ მოხსენებად; ხოლო უკეთუ ტყუილით რაჲმე მოახსენიან მძიმედ განკანონის და მის მიზეზისათჳს მრავალნი ძმანი მონასტრისგან გა-ნასხნა, რათა კრებული მშჳდობით იყოს.

თითუესა შინა ორგზის და სამგზის კჳრაობითა დაიუბნის ძმანი სწავლითა სულიერითა, ვი-თარცა იყო სავსე მადლითა ღუთისათა, წმიდათა წერილთაგან ასწავებნ მათ სარგებელსა სულთა მათთასა და ესე ოდენ ლმობიერ იქმნიან ყოველნი ვიდრეღა მრავალნი ცრემლი დასთხიან და მადლობდიან ღმერთსა და სიტყუა მისი ეგრეთ შეიწყნარიან ვითარცა ქრისტესი. ხოლო ასწავებნ მათ სიყუარულისათჳს და სიმდაბლისა, მორჩილებისათჳს და კრძალულებისა, სიმშჳდისათჳს და უშფოთველობისა, მოთმინებისათჳს და მსახურებისა და მოსწრაფედ მისულისათჳს ეკკლესიად და სხუათა ყოველთავე წესთა კრძალვისათა მხურვალედ აღსრულებისათჳს და ეტყჳს ვითარმედ «ესრეთ ვიხაროთ ძმანო, რომელ შეკრება ჩუტნი ამას წმიდასა ადგილსა არა ცუდად იყოს, არცა ამაოდ იქმნას განსვლა ჩუტნი ამიერ სოფლით». და სხუანი მრავალნი სწავლანი, ვითარცა ღმერთმან მოსცის პირსა მისსა მიუთხრნის და ყოვლისავე ხორციელისა საქმისგან უზრუნველ ჰყუნეს ძმანი და ყოველსავე იგი მისცემნ, ვიდრე საწერლადმდე და ნემსადმდე და მიზეზი გარდაეკუტთა, რათა არა ვინ ზრუნვიდეს და არცა გაჭირდეს—და არცა იყიდდეს და არცა რას მოიგებდეს, თჳნიერ მისისა

ბრძანებისა და უკეთუ ვისმე უნდის ძმისა რაჲმე მიცემა თჳნიერ მამისა ბრძანებისა, ვერვინ იკადრის მიცემა ვიდრე არა ჰკითხჳს, უკეთუ ვინმე გარდასხდის მცნებასა მისსა და იყიდის შესამოსელი, გინა სხუა რაჲმე, გინა საფასჱ მოიგის, ფიცხლად ამხილის და ძლიერად განკანონის და მრავალ გზის გჳხილავს, რომელ გინა საზეჭურნი იყჳნიან, გინა შესამოსელი ანუ თუ კუნკული ცეცხლითა დაწვის ზღუდესა შინა.

რამეთუ იყო ვინმე მთავარ დიაკონი ღირსი კაცი და შერაცხილთა შჳლი და არა მცირედი საფასჱ მიეცა მონასტრისა და თჳსი შესამოსელი, რომელი დაედვა ეკკლესიასა არა ნებავნ და რა-თამცა ვინმე შეიმოსა იგი თჳნიერ მისსა. დღესა ერთსა ენება წმიდასა მამასა ჩუენსა შეწირვა უსისხლოსა მსხუერპლისა და ჰრქუა სხუასა ვისმე მთავარდიაკონსა, რათა შეიმოსოს კუართი იგი შესამოსელი პირუელ ხსენებულისა მის მთავარდიაკონისა; ხოლო მან მიუგო, ვითარმედ მამაო სულიერო, ნუ უკუე შეწუხნეს ძმა იგი, რამეთუ არა ნებავს, რათამცა ვინ შეიმოსოს კუართი (იგი) მისი. ესმა რა ესე მამასა მიუწოდა მთავარდიაკონსა და ჰრქუა სიმშჳდით და ტკბილად ვითარმედ «გნებავს, რათა შეიმოსოს ძმამან მან კუართი (იგი) შენი და მსახუროსა საკურთხეველსა ჩუენთანა» და იხილნა რამეთუ შეწუხნა იგი და არა უნდა, რათამცა შეიმოსოს და ვითარცა აღასრულა წმიდა ჟამის წირვა, მოუწოდა ზემო ხსენებულსა მას მთავარდიაკონსა და ეტყოდა; «მითხარ ჭეშმარიტი რა დაგიტევებიეს სოფელსა შინა». ხოლო მან ჰრქუა ვითარმედ, წმიდაო მამაო არა ჰმეცარ არს ღირსება შენი, რამეთუ მშობელნი და ძმანი და საფასენი და მონაგებნი არა მცირედნი დამიტევე-ბინ და რა იგი ხელთა შენთა წმიდათა მომიცემიეს (იგი) თჳთ უწყი. ჰრქუა მას მამამან ჩუენმან «და ჯერ გიჩნს შჳლო, რათა მაგის ყოვლისა და სასყიდელი წარიწყმიდო კუართისა ამის შენი-სათჳს». ხოლო მან ჰრქუა ნუ იყოფინ მამაო და მეყსეულად უბრძანა მოღება ცეცხლისა და თჳსითა ხელითა შთაავგდო კუართი იგი ცეცხლსა და ესრეთ დაიწუა. ხოლო ძმა იგი შეუვრდა წმიდათა ფერხთა მისთა და შენდობა ითხოვა და ეგრეთვე უკეთუ ვისმე აქუნდა შესამოსელი, გინა სხუა რაჲმე სახმარი და არა ნებავნ მას, რათამცა ახმარა ძმასა თჳსსა, რაჟამს უხმან მას ეგრეთვე დაწჳს ცეცხლითა და ეტყჳნ ვითარმედ, სულთა ჩუენთა დადება ბრძანებულ არს ძმათა ჩუენთა თჳს და შენ განხრწნადსა სახმარსა აღირჩევ უფროს ძმისა შენისა და არა გეკდიმებისა. ხოლო მათ სწავლა მისი ვითარცა წამალი ცხოვრებისა მიითუალიან და მადლობდიან ღმერთსა, რომელმან მომადლა მათ ესე ვითარი მკურნალი სულთა.

მარადის ასწავებნ ძმათა ვითარ ჯერ იყო: «რათამცა არა რას ვეძიებდით სხუასა გარეშე ტრა-პეზისა, ვინათგან უწყით თუ ვითარითა, იწროებითა წარვლეს ყოველთა წმიდათა საწუთრო ესე, რომელ არცა თუ წყლითა განაძღებდეს თავთა მათთა კაცნი, რომელთა ღირსავე არა იყო სოფელი ესე უბრალონი და უბიწონი და წმიდანი ყოვლისაგანვე ცოდჳსა.

ხოლო ჩუენ რომელნი ესე სავსე ვართ ყოვლითა ცოდუითა, არა კმა არს ჩუენდა განსუენება ტრაპეზისა და ორგზის დღესა შინა მიღება საზრდელისა სავსებით და უნაკლულოდ ღჳნითა და საჭმლითა, კმა არს ჭეშმარიტად და ნამეტნავ. ხოლო ვინადგან არა გუნებავს მცირედცა იძულება თავთა თჳსთა და მრავალთა მიზეზთა ვიმიზეზებთ, უკეთუ ვინმე ტრაპეზსა ზედა არ დაჯდებოდის და გინა მე და გინა თუ ხელოსანმან სახმარი რაჲმე, თჳთ მან ხოლო მარტომან იხმარენ და სხუასა ძმასა ბრალსა ნუღარა შთააგდებნ და უკეთუ ესე ქმნას, ორთავე ბრალთა ღმერთი მისგან იძიებს».

ესე კუალა სყიდა გინა ღჳნისა გინა თევზისა ყოვლადვე არა ხსენებულ არს, მონასტერსა შინა თჳნიერ თევზისა და იგიცა, რომელნი მკითხუელნი იყუნიან ანუ მწერალნი და წარსანახავად ანუ

სწერად აღანთიან, სხჳა კჳლა არა იყო წესი, რათამცა ანუ კანდელსა ინთებოდეს, ანუ ხატთა დაისჳენებდეს სენაკთა შინა, არამედ ჯჳარი ერთი გინა ხატი ერთი ესჳენის, რათა რაჟამს ილო-ცვიდენ მათ წინაშე თაყჳანის სცემდენ და ემთხჳევოდნენ, ოდეს კჳლა ანუ ზეთი ისყიდის ვინმე, ანუ ღჳნო თჳნიერ მამისა სიტყჳსა დაუთხიან ავლინსა შინა[1]). ხოლო თჳნიერ დიდისა უძლურებისა საჭმელსა არავინ შეიქმოდა. რამეთუ შევიდის მამა სამზჳარეულოსა, უკეთუ კოჭობნი იხილნის ცეცხლისა კიდესა, იკითხის მზჳარეულისაგან თუ ვისნი არნ და უკეთუ უძლურნი არნ მიუშჳს და უკეთუ კჳლა ნაყროვნებით ვინმე იქმნ ზოგჯერ გარე განთხევა უბრძანის და ზოგჯერ საეროსა საჭმელსა თანა შთასხმა.

მრავალნი მოვიდიან სათვასითა დიდითა მოქალაქენი და სხჳათა ადგილთაგანნი, რათამცა მო-პარსნეს (ალკჳეცა), ხელთა შინა მისთა იღჳაწნის ჟამ რაოდენმე და განუსჳენის და მერმე უბრძანის «შეგჳნდევ ვერ მოგპარსავთ, თქჳენ კაცნი ხართ სახელოვანნი და ჩჳენ კაცნი ვართ გლახაკნი და უცხონი და ოდეს სათვასე მისცეთ ეკკლესიისა და განსჳენებით გნებავს ყოფა, და ნუ უკჳე ვერ განისჳენოთ და მერმე შესწუხდეთ და კჳალად ძმანი ყოველნი ძლიერად შჳრებიან და უკეთუ ვიეთ-ნიმე მოცალედ იყჳნენ იგინიცა შეწუხდებიან» და ესრეთ მრავალთა უჯმნის და წარვიდიან; ხოლო უკეთუ ვინმე მოვიდის ძმა მშრომელი და მდაბალი იტყჳნ მამა, ვითა გრწმენინ ძმაო, «ამათი მირ-ჩევია შეწყნარება, ვიდრე ათასიმცა ვინ დრაჰკანი მომცა».

იყჳნეს პირჳელიდგან დიდებულნი კაცნი, ილარიონ კანონარი აღდგომისა[2]) დიაკონი. პირჳელ შენებასა მონასტრისასა მოსრულ იყო აქა და მისსა იკონომოსობასა აღეშენა მონასტერი და ჭითა თჳსსა ძმასა ხედვიდეს მამანი ჩჳენნი და ევედრა მათ რათა წარვიდეს იერუსალიმს და წარგ-ზავნეს მუნ და მრავალნი წელნი დაყჳნა დიაკონობასა შინა და მამათა მრავალგზის მიუწერეს და კჳალად მოიყჳანეს აქავე და პირჳელისაცა მოსჳლასა და მეორესაცა, რომელ მოიღო ვეცხლად და ოქროდ სტავრად და სახედრად უფროს ოცისა ლიტრისა იყო და მას მისცეს მოწავე და გაკჳე-თილი შეუქმნეს თავისა კრასოულისაგან[3]) კიდე კოკა ერთი ღჳნო თთჳესა შინა და ყჳელი ერთი და სამი ლიტრა ზეთი და დღივ ერთი პური და ესე იყო შაკჳეთილი მისა.

კჳალად მოვიდა კჳრპელი ჯოჯიკ მეგანძურთა უხუცესი და მოინათლა რამეთუ, სომეხი იყო და არსენი უწოდეს და დისწული თჳსი მსახურებდა მას და შემდგომად მრავალთა წელთა კჳალად გამოეთხოვა, რათამცა ნახნა თჳსნი უფლისწულნი და ორსავე მოსჳლასა უფროს ათხუთმეტისა ლიტრისა მოიღო და მისცა მონასტერსა და იგივე კანონარხისა გაკჳეთილი მას შეუქმნეს.

კჳალად მოვიდა ათანასე პერითურელი ძითურთ, დიდად სახმარი ეკკლესიისა და ჰქონდა კარეას მონასტერი, რომელი იგი და სხჳა ფრიადი სათვასე მოსცეს მამათა ჩჳენთა, ხოლო მათ გაყიდეს მონასტერი იგი სამას ორმეოც დრაჰკნად და იგივე კანონარხისა გაკჳეთილი მას ჰქონდა და ამათ ჟამთა შინა ვინცავინ მოვიდის ეგე ვითარი კაცი, ნახევარი სათვასისა თჳსისა ეკკლესიასა შესწირის და ნახევარი საპურად მისცის.

წმიდისა მამისა ჩჳენისა მოღუაწებათა და ერისა საურავთა თანა და წიგნთა თარგმნასა, ესეცა დიდი ზრუნვა ეტჳრთა, რამეთუ არცა პროტი, არცა სხჳანი მამასახლისნი, თჳნიერ მისა ბრძანებისა

1) ავლინი, სანახვე.
2) ესე იგი წმიდისა საფლავისა, იერუსალიმს.
3) კრასეული, ღჳნის სასმელი ჭურჭელი.

არა რაჲსა იქმოდეს, და იშჳთი დღჱ გარდახდის, რომელსა ათი ანუ ათხუთმეტი მამასახლისი არა მოვიდის მათ წინაშე.

და კუალად ზრუნვა დიდისა ლავრისა საქმე მძიმე და მრავალ ფერი მის ზედავე იყო, რამეთუ დიდსა ათანასის მისდა მიენდო საურავ და დახედვა და განგება მისი და მისთა შრომათა და ღუაწლთა ზედა ოდესცა რამე საერო საქმე არნ მონასტერსა, თჳნიერ უცალოებისავე თანა გავიდის, გინათუ ნავისა გამოზიდვისა გინა, თუ ნავი მოვიდის ხუარბლითა, გინათუ ვენახთა ასარვასა, გინათუ აჯოჯვასა, გინათუ სთლობასა, რამეთუ ვინათგან ახალნერგ იყუნეს წუთლა ვენახნი ყოვლთა სარითა განგება უნდა და უფროს დღენი ვენახთა შრომასა შინა დაჭყუნიან და ყოვლადვე მამა მათთანავე იყჳს თჳნიერ დიდისა მიზეზისა.

და კუალად ბულღართაგან ყოვლნი სოფელნი ჭირსა შინა იყუნეს და კნინღა უკატრულ და ჭირის მაგიერ უფროსნი სათესავნი მთასა შინა იქმნებოდა თოხითა, საწუნე და დიკა და ხელი და თივისა თიბა და ამას ყოველსა ძმანი შურებოდნეს, ვინადგან ყოველნი იქმოდეს არა უმძიმდა, არამედ უდრტჳნველად და სიხარულით იქმოდეს (არა უმძიმდა) და ამათ ყოველთა საქმეთა მამა ზედას ზედა მივალნ და ნუგეშინის სცემნ სიტყჳთ და საქმით.

ყოვლადვე ეტყჳნ მამა ჩუენი იკონომოსსა, «ვითარმედ უწუერულთა მუშაკთა ნუ შეიწყნარებ ამისთჳს, რამეთუ მავნებელნი არნ ძმათანი და ზოგთამე გონებითა ევნების და ზოგთა შეხედვითა, ნურას ეხუეჭ სავსესა დაკლებითა, უმჯობეს არს, რომელ დაგუაკლდეს ათი და ათხუთმეტი დრაჰკანი და ძმათა სავნებელი არა შეემთხვიოს.

კუალად უკეთუ ძმათა ვიეთმე მოიყუანიან თჳსნი ნათესავნი უწვერულნი, მამასაცა ნებავნ, რათამცა ისწავლეს სწავლა და ხელოვნება; გარნა მონასტერსა არა დაიმჭირნის, არამედ გარე სოფელთა გაგზავნის სადა იცოდეს უმჯობესი და სულიერი და გამოცდილი იკონომოსი და მუნ აღიზარდიან და ოდეს წუერითა შეიმოსნიან, მაშინ გამოიყუანის მონასტრად.

საჯორეს ყოველნი ძმანი იყუნიან მეჯორედ და ორნი ერისაგანნი იყუნიან მსახურად და მხუე-ტელად და სხუანი ძმანი იყუნიან და არა თუ უმძიმნ, არამედ უფროსღა უხარინ, რამეთუ მორწ-უულ იყუნიან სულნი მათნი სწავლითა და მოძღურებითა წმიდისა მამისა ჩუენისათა, რამეთუ ყოვლადვე იტყჳნ «ვითარმედ კრებულსა შინა მყოფნი, ამით სამითა საქმითა ცხონდებინ, სიმდაბლითა, მორჩილებითა და თჳსისა ნებისა დატევებითა».

ხოლო ოდეს იხილის ძმათაგანი ვინმე უდებად და მოძილად ეკკლესიასა ლოცუასა, ჰკითხის ვითარმედ «რად გძინავს ეკკლესიასა შინა, არა გეყოფისა სენაკსა შინა ძილი». და თუ უთხრის ვითარმედ, შინა ვილჳძებ და მით დამეძინებინ, უბრძანის ვითარმედ, «ეგე საუკარელო მტერისა სიბრხე არს, რათა მტრისათჳს დიდი დაგაჭირვოს, ეკკლესიასა მიმავალისა კაცისაგან ეძებს ღმერთი, რათა ფრთხილად და ლმობიერდ დგეს, თუ ესე არ შეგიძლიან, რათამცა ეკკლესიასა ილჳძებ და სენაკსაცა, ძილითა განსძღებოდი და აქა ნუ დაიძინებ, თუ არა მძიმედ განგკანონებ».

მეკარესა მონასტრისასა ყოვლადვე ფრთხილსა და სულიერსა კაცსა დაადგინებნ და ესრეთ დაემცნო უკეთუ ესე ადგილის მრონინენი მონაზონნი მოვიდოდინ, უკეთუ მწუხრსა მოვიდინ, ისერონ და სამხარი ჭამონ და გაუჯმენ და დაუმოწმე, რომელ უჯამოდ არა მოვიდოდენ. კელართა და ებრძანა, რამეთუ ერისაგანთა იგინი ისტუმრებდენ და უჯმნიდენ და კელარისა კარსა რაჲთურთით არა გასწუდებოდა შეკრება მრავალ ფერთა ვნებათათჳს, ხოლო უცხონი თუ მოვიდიან, მესამესა დღესა შემდგომად ჭამისა ებრძანა, რათა მეკარე უჯმნიდეს. ესე კუალად კართა ზედა შეკრებასა, ანუ

მონასტერსა შინა აჯმნეს, ანუ ხენაკთა შინა უბნობასა ურგებსა რაჲთურთით არავინ იკადრებდა ყოვლადვე.

საკელაროსა წესი ესრეთ განეწესა, რათა საჭმელსა არა იქმოდენ, გარნა თუ უცხონი იყჳნიან ანუ მშრომელნი ვინმე და მათთჳს ზოგჯერ ადგილსა შექმნიან, ზოგჯერ სამზჳარეულოს და მუნ წაიღიან, კელარნი კჳლაჲ სამხრად ყოვლადვე სატრაპეზოსა მივიდიან, ერთი პარჭჳმლსა და მეორე მეორეს ტაბლასა და ეგრეთვე მევაჟინენი¹). მაგრამ კელართა მწუხრსა თუ რაჲმე ეხმარებინ შინა იხმარონ.

ყოვლისა უფროს ეპისტატისათჳს, (რომელ არს მუშაკთა უხუცესი) ვედრებნ მამას ევთიმეს და ეტყჳნ, ვითა ნუმცა რაჲ დააკლდების ეპისტატსა, რომელ არა შეწუხდეს და ოცდა ათი ანუ ორმოცი მუშა არმოაცთუნოს და ესრეთ განძიზედით წარხდეს, რომლისა თანა გჳაცს მათდა მიცემა.

მოსენაეთა კჳლაჲ მოწაფენი ყოვლადვე საეროსა სამსახურებელსა განვიდოდიან და მზჳარეულსა დაემცნო, რათა მათი საჭმელი მან შეუქმნას და თუ საჭირო რაჲმე საქმე არა არნ, მამისაცა მოწაფენი ძმათავე თანა წარჳდინ მოსახურებასა და უფროს ჯერ მსენაენიცა ძმათა სათნოებისათჳს ძმათავე თანა განვიდინ უფროსიცა ოდეს მამა მუნ იყჳს.

აღოთიკი და ბოსტანი და წისქჳლნი კელარისა საურავნი იყჳნეს და ამათგანსა რაჲცა ვინ ეხმარებინ კელარი ეურვინ იკონომოსსა თანა და მამასახლისისა.

ხოლო საპარ იკონომოსო და საწანგრო და საჯორე და სამჭედლო და ხურონი და კალათვატნი და მნდრინნი და მენავე და ვენახნი, ესე იკონომოსისა განსაგებელნი იყჳნეს, კელარსა ვენახთა ზედა ურძნისათჳს არა ჰქონდა ჴელმწიფება, ეგრეთვე იკონომოსსა ხილისათჳს, გინა შინა მონასტერსა, გინა გარე მეტოქთა, კელიარისა გასაგებელნი იყჳნეს, გინათუ ზეთის ხილი იყვის, გინათუ ნიგოზი, გინათუ სხჳა ხილი. ოდეს კჳლაჲ რაჲმე წარსაცემელად სახმარ არნ, კელარსა გაეზრახის იკონომოსი. ხოლო ოდეს მოიწივნის კელარნი ზედას ზედა, განვიდოდიან მეტოქთა და მოანახჳდიან ხილნართა და მუნ მეოფთა მოუჩენიან და დაამცნიან ვითარმედ, შინა და გარე დიდად ეხმარების ძმათა და ეკლესიასა, რომლითა გაერებოდი იგი, ხოლო დაიმაჭირე და ნურას დააკლებ და ვერარას იკადრებდეს უწესოსა საქმესა ქმნად, ყოველი კელარსა შეუვიდოდა, უხჳმბით ჰქონდა მისაცემელი სატრაპეზოს და სადაცა სახმარ არნ წარსაცემელად უკეთუ კჳლაჲ ეხმარებოდინ, კელარსა ანუ მონაზონნი ერისაგანნი იკონომოსმან მისცნის.

ოდეს მამა შინა არნ რაჲცა ეხმარების თჳთ მამასა მოახსენნის, იკონომოსსა არავინ სთხოვნ და თუ ვინმე სთხოვის მამასა თანა მიავლინის ოდეს კჳლა შინა არა არნ მერმე გააგებნ იკონომოსი.

იკონომოსისა განწესებული შჳდი კრასეული იყო და ოდეს ტრაპეზსა დაჯდის მწუხრსა ოთხი კრასეული მიართჳან, კჳლაჲ შინა არა იყჳს და ამცნა მამასა საჭმელსა ერთსა შეუქმოდეთო და ხილსა და ზეთის ხილსა და რაჲცა ითხოვოს მისცემდით და რაჲცა დაუშთის საკელაროსავე წარსცის.

მაშინ წესი ესე იყო, რომელ კელარისა და ემცნო წინამძღჳარსა სახმარისა მიცემა ძმათა და ჴელოვანთა, გინა თუ გაკჳრვთილი მათი, გინათუ მეტისა ვინ ითხოვნ და ამისთჳს იკონომოსისა თანა არავინ რაჲს მივალნ, უკეთუ მამა შინა არა არნ, უკეთუ კჳლაჲ სტუმარი ვინმე მოუვიდინ მაგისა ეკონომოსმან განაგის.

---

1) მევაჟინე, სიროფის გამკეთებელი.

სხუაჲ კუალაჲ სახმარი იკონომოსისაგან ითხოვიან, გინათუ მოკუენი, გინათუ ჩაფლუანი, გინათუ ტყავი, გინათუ საბლები, გინათუ სელი ესე ვითარი იკონომოსისაგან ითხოვიან და ესრეთ ყოველი საქმე განწესებულად იყო და უშფოთველად იყჳნეს.

აგარაკთა მონასტრისათა ვითა სასიკონი არს და კარავნი და ღჳთის მეტყუჳლი და სხუათა ესე ვითართა თჳსა, გარა რომელსა სრულებით მისცემდიან მონასტრით და რაჲცა იქმნის მუნ ყოველსა ქუე მოიღებდიან, თჳნიერ რაოდენისამე, რომელნი მუნ მყოფთა დაუტევიან მათდა სახმარად.

კუალად მოსხენაეთადა გაეწესა წმიდასა მამასა ჩუენსა და უკეთუ პირი დაუშთის, ათის არა აქუნ ხელმწიფებაჲ სადავე მიცემად, არამედ კელარსავე მისციან. იყჳნეს უკუე შინაცა და გარეცა სულიერნი და ღმრთშემოსილნი ნისო წმიდანი: და წმიდა ბერი იოანე გრძელის ძე და სულითა შემოსილი იოანე ბერი მარტო მყოფ და სხუანი მობაძავნი მათნი, კაცნი ზეგარდამოთა ნათლითა განათლებულნი და ანგელოზთა მობაძავნი ცხოვრებითა და სხუათა მათ სათნოებათა მათთა ზედა, მოხუცებულნი ამასცა იქმოდეს, რომელ ვერა რაჲთა ვერ დაარწმუნა მამამან, რათამცა სნეულთა პური და ღჳნო აღიღეს, არამედ ძმათა პურსა და თუ ეხმარებინ კრასეულსა მათსა კმა იყოფოდეს, და ღაცათუ არა მცირედი შესაწირავ მიეცა მონასტრისა და არამედ არა რაჲსა თავს იდებდეს აღებად, გარეშე საჭიროსა მას და უნდოს ხორცთა სახმარისა და კუალად ყოველთა აზნაურთა ჩუენთა დიდი სარწმუნოება აქუნდა მათისა ღირსებისა მიმართ და მრავალგზის ევლოგიასა წარმოსცემდეს მათ წინაშე. ხოლო მათ ხელად მიიღიან და ულოციან და ვითა დაბეჭდული იყჳს მამასა თანა წარსციან, მრავალგზის ევედრებოდიან მამა, რათა რაოდენიმე გლახაკთა მისცენ, გინა სადაცა ენებოს. ხოლო მათ ნეტართა თქჳან ვითარმედ. «წმიდაო მამაო, ჩუენ სასულიერნი ვართ ეკკლესიისნი და სასულეთაგან ღმერთი ესე ვითართა საქმეთა არა ეძიებნ და პურსა, რომელ მონასტრით წაიღებენ, არცა მისგან მისცინ გლახაკთა, არამედ თქუენ ვითარმედ მონასტერი ჰზრდის გლახაკთა, ხოლო უკეთუ აქუს ხილი გინა მხალი გინა სასუმელი ესე ვითარი რაჲმე მისცის გლახაკთა, უკეთუ კუალაჲ პური დაჰმატის, მეორისა მსგავსისა არღარა აღიღიან.

და კუალად ლიტონთა დღეთა თჳს თჳსად იღუაწდიან, ვითარცა უხორცონი, ხოლო დღესასწაულთა და კჳრაობითა ერთგან აღასრულიან წესი ლოცუისა და პირი ერთად იხსნიან და იყო ხილვა ცხოვრებისა მათისა და სრულნი ყოვლითა სათნოებითა. წინაშე ღჳთისა მიიცუალნეს და იხარებნ ყოველთა წმიდათა თანა და ჩუენთჳს ითხოვენ ღჳთისაგან წყალობასა.

და ჭეშმარიტად წამა მისთჳს ღმრთშემოსილმან მამამან ჩუენმან ევთიმე, ვითარმედ უკანასკნელთა ამათ ჟამთა არა რა გამოჩინებად არნ ესე ვითარნი სრულნი და მაღალნი სათნოებითა, რათამცა არა აქუნდა მათ სრულებით და მაღლად და უცთომელად.

ხოლო განწმედილნი იგი და შრომითა განკაფილნი გუამნი მათნი დაისხნეს საფლავთა შინა წინაშე ტაძრისა წმიდისა სიმეონ მოხუცებულისასა, ერთსა შინა სამარხოსა, მახლობელ თჳსთავე მათ მოღუაწებისა სენაკთა, რომელ არნ კარავთა. მბრძოლი იგი წმიდათა და მოშურნე კაცთა ცხოვრებისა ბელიარ ხედვიდა რა სულიერთა ამათ წესთა, რომელ დაესხნენ მამასა ჩუენსა ევთიმეს და წარმატებასა ძმათასა და თარგმნასა წიგნთა საღმრთოთასა, ფარულად ელმოდა და განილეოდა შურითა და ჰპოვა ვინმე საწყალობელი სახითა მონაზონი, აღძრა იგი მოკულად წმიდისა მის, რამეთუ გამოუჩნდა და ჰრქუა მას, ვითარმედ უკეთუ მოჰკლა მბრძოლი ჩემი ევთიმე, ფრიადი კეთილი ვჰყო შენ თანა, ვინაცა შეიმზადა მახჳლი და ენება მოკულა მისი, არამედ ცუდ ჰყო ღმრთ-

მან განზრახუა მისი, დღესა ერთსა აღჳდა რა გოდლად [1]) და დაჴშა კარი მოწაფემან და თჳთ შთავიდოდა თჳსსა სენაკსა და ვითარცა მცირედ შთავლო კიბეთა გოდლისათა, შეემთხჳა მას განცოფებული იგი მონაზონი და თქუა ვითარმედ, წინაშე მამისა აღუალ და მიყამე [2]). ხოლო იგი ეტყოდა ვითარმედ არა ჟერ არს ესრეთ უყამოდ აღსულად მამისა და იგი ეტყოდა, შეუძლებელ არს ვითარმცა არა აღვჳდე და ვითარ არა უტევებდა აღსულად სანატრელი იგი მოწაფე მამისა. მეყსეულად განცოფებულმან მან იხადა მახჳლი იგი საეშმაკო და ესრეთ უწყალოდ დაჩხუეპა სანატრელი იგი ძმა და თჳთ ივლტოდა იგი წარსულად და ვითარ იგი ივლტოდა, შეემთხჳა მას სხუაცა მოწაფე მამისა და იგიცა დაჩხუეპა მახჳლითა. ხოლო იქმნა რა ხმა და ამბოხი, ჰსცნა რა ესე წმიდამან მამამან ჩუენმან და მეყსეულად შთავიდა და სრულ ჰყუნა იგი სქემითა და აზიარნა წმიდათა საიდუმლოთა და ესრეთ გჳრგჳნითა წამებისათა, მიიცვალნეს წინაშე ღმრთისა. ხოლო მედგარმან [3]) მან აღიარა მტერისა მიერი იგი აღძურა თჳსი და ღირსად უგუნურებისა თჳსისა, მწარედ წარხდა უბადრუკი იგი სული მისი.

კუალად სხუასა ჟამსა აღძრა ეშმაკმან მებოსტნე მონასტრისა და აზრახა მასცა მოკლვა წმიდისა მის და ვითარ ხელჰყო მეყსეულად უქმ იქმნა ხელოვნება მისი და დაშთა ვითარცა შეშა განხმელი, ვიდრემდის აღიარა ყოველი და ლოცვათა მისითა მოიღო კურნებაჲ და ადიდებდა ღმერთსა.

ყოველთა მათ სათნოებათა თანა აქუნდა ესეცა დიდი სათნოება, რამეთუ თჳნიერ განკითხვისა არა რასა იქმნდა ყოვლადვე, რამეთუ იტყოდა ვითარმედ, «მინდა თავისა თჳსისა და თჳსსა განზრახუასა შედგომა წარმწყმედელი არს სულისა. ხოლო განკითხუა, წინამძღუარი არს ცხოვრებისა, ვითარცა თქუეს წმიდათა მამათა ჩუენთა» და ესე წესი აღსასრულადმდე თჳსა დაიმარხა.

ესე წმიდა მამა ჩუენი ევთიმე სახითა მყუდრო და გონებითა წრფელ და მდაბალ და სულითა განათლებულ და წმიდა და გუამითა ძლიერ და საღმრთოთა შინა საქმეთა და მოღუაწებითა და ასაკითა წესიერ და თჳნიერ წამებითა წერილითა არა რას დაამტკიცებნ თავით თჳსით, გინა იტყჳნ და ეკკლესიას დგომასა მხნე, რამეთუ დგან იგი თჳნიერ კუერთხისა და კედელს მიყრდნობისა ხელ მოჴრდობით, ვითარცა სუეტი შეურყეველი. პირი და თუალნი მისნი იყუნეს ქუეყანად მიმართ მხედველნი. ხოლო სენაკსა შინა მოღუაწებითა მისითა აღრიცხუანმცა ძალ ედვა, რომელნი იგი ღმერთმან მხოლომან უწყის, რამეთუ ყოველნივე ფარულად აღესრულნებოდეს მის მიერ, რამეთუ არს სამოსლად მისდა ძაძა და ძაძისა მისზედა ჯაჭვი მძიმე და რაჲცა ვინ სათნოება გამოიძიოს მისთანა ჰპოვოს მის მიმართ აღსრულებად კეთილად და მშუენიერად; ხოლო სიწმიდე და ქალწულებაჲ შეუხებელი და უბიწო დაემარხა, ვითარცა ანგელოზსა ღმრთისასა და ცათა შინა მყოფსა. ხოლო თარგმანება წიგნთა აქუნდა ნამეტნავად ყოველთა სათნოებათა და გჳრგჳნად და განმანათლებელად ნათესავისა ჩუენისა.

აღასრულნა წმიდამან მამამან ჩუენმან ევთიმემ, ათოთხმეტისა წლისა ჟამნი, შემდგომად მამისა თჳსისა აღსრულებისა წინამძღურობასა შინა და მერმე ვედრებითა ზემო ხსენებულთა მათ წმიდათა ბერთათა, არსენი ეპისკოპოსისა და იოანე გრძელის ძისათა იჯმნა წინამძღურობისაგან.

1) გოდოლი: კოშკი, ბურჯი, ფრიად მაღალი ფართო სუეტი.
2) მიყამე: გამიშვი, მომეც დრო.
3) მედგარი: გაცოფებული, აღტაცებული ეშმაკისაგან.

ხოლო ხედვიდეს ღირსნი იგი ბერნი, რომელ მიზეზითა მრავალ ფერითა ზრუნვათათა და ეხრწნოდა თარგმანებისა განწმიდათა წერილთათა და ესრეთ მოიცალა და თჳსსა სენაკსა დაჯდა და წინა-მძღრობა ძმათა შევედრა გიორგის, რომლისათჳს ემცნო მამასა იოანეს, თჳსსავე ნათესავისა და თჳთ წიგნთა საღმრთოთა თარგმანებასა შეუდგა და ფრიადნი წიგნნი თარგმნნა, რომელთაგანნი რაოდენნიმე ზემო გჳხსენებიან.

ხოლო აქუნდა ზრუნვაცა დიდისა ლავრისა და ვიდრემდის ერჩდეს კეთილად განაგებდა, ხოლო უკანასკნელ იწყეს თავი ხედრობაჲ და ამბოხებად [1]) და წინამძღუართა ზედას ზედა ცვალებად და უმეტეს აღორძინდებოდა ამბოხება მათი, ვიდრემდის სამეფოდ აღხდეს და აუწყეს შფოთისა მათი-სათჳს კონსტანტინეს მეფესა [2]). ხოლო ჰსცნა რაჲ მეფემან ვითარმედ, დიდი ევთიმე არს განმგე-ბელი მათი აღუწოდა მას სამეფოდ, რათა ყოველი ჭეშმარიტი ისწავოს მისგან, რამეთუ დიდი სარწმუნოება და სიყუარული აქუნდა მისა მიმართ ღირსებისა მისისათჳს.

და ვითარცა წარვიდოდა წინაშე მეფისა, შეკრიბნა ძმანი ყოველნი და ნუგეში ჰსცა და ტაბლა კეთილი განუმზადა და დიდად პატივჰსცა და იჯმნა მათისაგან და მერმე წარვიდა სანატრელისა და ქრისტეს ნებისა მყოფელის თეოფანე ხუცისა, რომლისა მიმართ დიდი სიყუარული აქუნდა მამისა ევთიმის, რამეთუ სიყრმიდგან აქა აღზრდილ იყო და ყოვლითა სათნოებითა განშუენებული იყო და იყო იგი მღჳდელი სათნო ღ‍ჳთისა და სწავლული ფრიად და ხელოვნებით მწერალი წიგნთა საღმრთოთა, რომლისათჳს სწამებდა მამა ევთიმე, ვითარმედ უფროს ათასა ხუთასისა დრაჰკნისა უწერიან წიგნნი მონასტრისანი შინათ და გარეთ და ვინაჲდგან არსენი და იოანე შეისუენეს მრა-ვალგზის მას ჰკითხავს სულიერად მამა ჩუენი. ამის უკუე ნეტარისა ამის ბერისა წარხდა და მოიკითხა იგი ტირილით და ლოცვასა ევედრა. ხოლო იგი მოეხუა და ცრემლით თქუა, ვითარმედ ვაჲმე უბადრუკსა, რამეთუ არღარა ოდეს გიხილო შენ ხორციელად ჵოი! წმიდაო მამაო და თჳთ მამაცა ევთიმი ეწამებოდა სიტყუათა მისთა, რომელი იგი იქმნაცა და აღესრულა ორთავე წინა-სწარმეტყუელება.

რამეთუ ვითარცა ვთქუ აღხდა ღმერთშემოსილი მამა ჩუენი ევთიმე სამეფოდ და ვითარცა ჰსცნა მეფემან მოსულა მისი დიდითა პატივითა მოიკითხა იგი და გამოჰკითხა საქმე ლავრისა და ვიდრე დაურვებადმდე ყოვლისა საურავისა, მრავალნი ჟამნი გარდახდეს და მოიწია დღესასწაული წმიდისა იოანე ღ‍ჳთისმეტყუელისა და ვითარცა აქუნდა ჩუეულება, დიდებულად გარდაიხადა და მრავალნი გლახაკნი იღუაწნა და მონაზონთა მათ, რომელთა თანა იყო კეთილად ნუგეშინისცა და თჳთ თავით თჳსით მსახურა და ყოვლითა კეთილითა აღავსნა და ამისა შემდგომად თავადმან პირი იხსნა და მცირედ განისუენა შრომისაგან და ვითარცა აღდგა მოუხსნა ხატი წმიდისა იოანე მახარე-ბელისა, რომელი მხატვარისად მიეცა განსაგებელად და უბრძანა მოწაფესა, რათა წარვიდეს და უთხრას, ვითარმედ «ჯერ არს შეკაზმა მისი». და მერმე თქუა ვითარმედ, «ვითარ იგი გჳხმას ჩუენ ნუ უკუე და ვერ გააგნო შჳლო, არამედ დამისხენ სახედარი მე თჳთ წარვიდე». ხოლო იყო ჯორი წარვლეს გზასა რაოდენნიმე, ჰპოვა გლახაკი ვინმე, რომელი ითხოვდა ქუელის საქმესა, ხოლო იგი ახლად სყიდული და მანკიერი და მათ არა იცოდეს სიმედგრე მისი და ზნოანება და ვითარ იგი აღდგა შემოსილი ძონძებითა და მომართა მიღებად ქუელის საქმისა და ვითარცა დახედა მან-

1) ამბოხება: შფოთი, ჩხუბი, უსიამოვნობა, არეულობა.
2) პორფიროგენიცსა.

მანკიერმან სახედარმან, მყის განკრთა და იწყო სივლტოლვად და აქა და იქა ეკუ̂ეთებოდა ვიდრემდის ფიცხლად მოწყლა წმიდა იგი სანატრელი მამა ჩუ̂ენი და ვითარცა გარდამოაგდო. ფრიადი ერი შეკრბა მის ზედა, რამეთუ ყოველნი მეცნიერ იყუ̂ნეს და ყოველნი ტიროდეს და იგლოვიდეს და მერმე წარიღეს მონასტრად სადა იგი სავანე იყო და ვითარ ესმა კონსტანტინე მეფესა, დიდად შეწუხნა და წარავლინნა თჳსი ვინმე საკუთარი და მოიკითხნა იგი და ეგრეთვე დიდებულთა და მთავართა და პალატისთა. დიდი სარწმუნოება და (დიდი) სიყუ̂არული აქუ̂ნდათ და ყოველნი მოვიდოდეს, ცრემლითა ილტობოდეს და ამბორს უყოფდეს ქართუ̂ელთა თჳს, რაჲვინ თქჳს კუ̂ალაჲ, რამეთუ ყოვლადვე განუშორებელ იყუ̂ნეს ანგელოზთა მობაძავსა მას გუ̂ამსა მისსა და ტყებითა ფრიადითა იგლოვდეს სიობლესა თჳსსა და ესრეთ ლოცუ̂ასა შინა და მადლობასა ღუ̂თისასა გარდაიცუ̂ალა სამგზის სანატრელი იგი და ღმრთშემოსილი მამა ჩუ̂ენი ევთიმე და ფრიადი მწუხარეება მოიწია ჩუ̂ენ ზედა, რომელნი დავაკლდით ტკბილსა მას და საწადელსა მამასა ჩუ̂ენსა. ხოლო იგი წარჳდა წინაშე ღუ̂თისა ნათელსა მას (მოუკლებელსა) მიუახრდილებელსა, ყოველთა თანა წმიდათა, რომელნი საუკუნითგან სათნო ეყუ̂ნეს ღმერთსა და მეოხ არს სულთა ჩუ̂ენთა წინაშე სამებისა წმიდისა. ხოლო პატიოსანი იგი ნაწილნი მისნი აღმოიყუ̂ანნეს თჳსსავე მონასტერსა და დაისხნეს სამარხოსა ლუსკუმასა ტაძარსა შინა წმიდისა იოანე ნათლის მცემლისასა და რომელნი სარწმუნოებით მოუხდებიან, კურნებისა მადლთა აღმოივსებენ უხუ̂ებით კადნიერებითა მისითა წინაშე ღუ̂თისა. აღესრულა სამგზის სანატრელი მამა ჩუ̂ენი ევთიმე თთუ̂ესა მაისსა იგ დღესა ორშაბათსა, ინდიკტიონსა თერთმეტსა. წელთა დასაბამიდგან სოფლისათა ექუ̂ს ათას ხუთას ოცდა მეათექუ̂სმეტესა წელსა [1]. სადიდებელად მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, რომლისა არს დიდება და პატივი აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ [2].

ხოლო ვინაჲდგან წმიდამან მამამან ჩუ̂ენმან ევთიმე წინამძღუ̂რობა მონასტრისა დაუტევა და ვითარცა ზემო ვთქუ̂ით, გიორგი მამად დაადგინა კნინღა და უმეტეს ზემო ხსენებულთა მათ წესთაგანი შეცუ̂ალნა და თჳსსა ნებასა და განზრახუ̂ასა შეუდგა და სხუ̂ათა რაჲმე წესითა და კანონთა ენება დამტკიცება. ხოლო დიდსა ევთიმის დალაცათუ უძნდა საქმე ესე, არამედ ვინადგან მშჳდობის მოყუ̂არე იყო და სავსე სიყუ̂არულითა, ყოვლადვე არა აცალა, არამედ თჳსსა მსახურებასა განკრძალულ იყო და წიგნთა საღმრთოთა შექცეულ. ხოლო იგი ხორციელთა საქმეთა ფრთხილ იყო და მის ჟამისა წარჩინებულთა და მთავართა წინაშე სახელოვან და მათ ყოველი დიდად პატივჰსცემდა და ეკრძალებოდა და კუ̂ალად ბერძენნი ფრიად რაჲმე შეიყუ̂არნა და განამრავლნა და კუ̂ალად მათდა მიმართ მიდრკა. ხოლო ქართუ̂ელნი ვითარცა ნასხურნი (და) რაჲმე და უნდონი უგულებელს ჰყუ̂ნა და შეამცირნა, რამეთუ ვითარცა უწყით ყოველთა, ადრე შევირყევით და მიმოსუ̂ლასა ადრე მოსწრაფედ შეუდგებით და ამით მიზეზითა არა ფრიად ვავნებთ სულთაცა თჳსთა და ადგილსაცა, ხოლო იგი ვითარცა იყო ფრთხილი და მძიმე კაცი. მეტნი რაჲმე შეპოვნებანი და ლიქნანი ვერ შეეძლნეს და კუ̂ალად ვინადგან იხილნა, რომელ ფრიადი ერი სახმარ იყო სივრცისათჳს მონასტრისა და სიმრავლისათჳს სამსახურებელთასა და ჩუ̂ენ არა დავდგებოდეთ ბერძენთა, მიექცა და იგინი

1) 1028 წელსა, სამოცდა ხუთისა წლისა.

2) წმ. გუამნი წმ. მამათა იოანესი ევთიმისა და გიორგისა აწ არ იპოებიან ივერიის მონასტერსა შინა, ვითარ მოგვითხრობს აღწერა ცხოვრებისა წმიდათა ამათ მამათა ბერძულს ენაზედ: აღმოსუ̂ენებულ იყუ̂ნენ იგინი ლათინთა მიერ და წაღებულ ჰრომს, ოდეს დაიპყრეს მათ მთა წმიდა კონსტანტინეპოლით თურთ 1250 წელსა.

განამრავლა გარნა ვინადგან ჭეშმარიტისა ჯერ არს თქმა, უკეთუ ვინმე მოვიდის ქართუჱლი, რომელსა კრებულსა შინა შეეძლის მსახურება, რაჲცა ეხმარებინ ყოვლითავე ფერითა აღაშენის. ხოლო უკეთუ კრებულსა შინა არა ენებოს ყოველთა, სადაცა სოხასტრთა მონასტრისათა ენების, დაჯდომა პურსა არავის უყენებნ ქართუჱლსა. ესე ვითა გჳლაჲ შავი გრიგოლ იყო და ზაქარია მირდატის ძე და არსენი და სხჳანი ესე ვითარნი კაცნი, დიდითა პატივითა პატივჰსცემენ და მოწყლედ მოიკითხჳნ და ვითარცა ნებავნ აღაშენებენ.

და ამას ესე ვითარსა საქმესა შინა გარდახდეს ჟამნი რაოდენნიმე და ამისა შემდგომად ჟამთა რომანოზ მეფისათა დიდად წარჩინებულ იქმნა იგი წინაშე რომანოზ მეფისა და დიდად საკუთარ და პატივცემულ და მერმე თუ როგორ იქმნა ღმრთისან უწყის განდგომილება და ორგულება დასწამეს დიოგენისა ვისთჳსმე, რომლისა სთქუჱს თუ მისდა უნდა მეფობა გიორგისა და ამის მიზეზისათჳს ექსორია იქმნა იგი მონოვატას და მუნ აღესრულა ექსორიაობასა შინა და მონასტერი და ჩუჱნ ყოველნი, რომელნი დაშთომილ ვიყუჱნით მას ჟამსა დიდსა ლავრასა და მიმოტაცებასა შთავცჳიენით, რამეთუ სამგზის დაიტყუჱნა მონასტერი და რაჲცა დრისტი ტურფა იყო მამათა ჩუჱნთა მოგებული, ყოველი იავარ იქმნა და ეგრეთვე განძი და კუმაში.

და ვინადგან ბერძენთა ესე ვითარი ჟამი ჰპოვეს ხელჰყუჱს ყოვლითა ღონის ძიებითა, რათამცა ქართუჱლნი ამის მონასტრისაგან აღმოფხურნეს და ამის პირისათჳს, დიდი მოსწრაფება აჩუჱნეს და მათ ყოველი შეიწიეს და საბერძნეთისა დიდებულნი და პალატისა წარჩინებულნი ყოველნი მიიდრიკნეს და მრავალი შრომა და ჭირი და რუდუნება ჩუჱნზედა მოაწიეს და რათა მოკლედ ვთქუათ, რამეთუ არა თუმცა ღმერთი შეწეულ იყო და მეოხება წმიდისა ღუთის მშობელისა და მათ წმიდათა მამათა ჩუჱნთა მადლი და ლოცუა, დღეს არცამცა ერთი ქართუჱლი არა იპოვების, ესე ვითარსა ამას ვრცელსა და დიდებულსა ლავრასა შინა, რომელი ესე ფრიადითა წარსაგებელითა და მრავლითა ოფლითა მათ წმიდათა მამათა ჩუჱნთა, ჩუჱნ ქართუჱლთათჳს აღშენებული იყო და აღმართებული და ამის პირისათჳს, რათა ესე ვითარი ესე ბოროტი, რომელი მოაწიეს ჩუჱნზედა ბერძენთა, არა დავიწყებულ-იქმნას და კუალად შემდგომად ჩუჱნსა მომავალნი ესე ვითარსავე ჭირსა შთაცვივენ, ამისთჳს ზოგადითა განზრახვითა ყოველნი ძმანი ერთად შეკრებით და ერთით განზრახვით ესე ქუჱმო წერილი მოსახსენებელი, დავიწერეთ ამით პირითა და სახელითა ჟამთა სიმონ მამისათა და ესრეთ ვიტყჳთ.

ვინადგან მადლითა და წყალობითა ღუთისათა აღიძრნეს წმიდანი მამანი ჩუჱნნი იოანე და ევთიმე და ამას წმიდასა მთასა მოიწივნეს, ნავთსაყუდლად სულთა მრავალთა და განმამრავლებელად ნათესავისა ჩუჱნისა, დიდითა ღუაწლითა და ფრიადითა წარსაგებელითა, აღაშენეს დიდებული ესე ლავრა სამკჳდრებელად ქართუჱლთათჳს და მერმე ღუთის მსახურთა ბერძენთა მეფეთა მსახურებითა და მომადლებითა, ჟამთა განდგომილისა სკლიაროსისათა განავრცეს და განადიდეს და მოუგნეს დაბანი და მონასტერნი და ოქრო ბეჭედნი, ვითარცა ზემო წერილ არს და კეთილითა აღსასრულითა დაიძინეს და წარვიდეს ცხოვრებად საუკუნოდ და მკჳდრად და განმგებლად დაუტევეს ნეტარი ევთიმე, რომელმან ყოვლითა წერილითა კეთილითა განამშუჱნა წმიდა ესე ადგილი და თარგმანებითა წმიდათა წერილთათა განანათლა და შეამკო ნათესავი ჩუჱნი და ჟამთა მრავალთა. კეთილად სამწყსო ესე მისდა რწმუნებული და ვინადგან სიშორე ქუჱყანისა ჩუჱნისა დიდი იყო და სივრცე ადგილისა ამის დიდებულისა ფრიად იყო, შემწედ და მსახურად შეიწყნარნა ბერძენნი უმანკოებით და სიწრფოებით და ესრეთ განმრავლდა ნათესავი ბერძენთა ლავრასა ამას და შემდგომად

მცირედისა ჟამისა იჯმნა წინამძღრობისაგან და თჳსი ნათესავი გიორგი მამად დაადგინა და თავად მყუდროებით ცხონდებოდა, რომლისა იგი სათნოებათა სახელი და ღირსება ყოველსა საქართუჱლოსა განეფინა; არა ხოლო საქართუჱლოსა ოდენ, არამედ საბერძნეთსაცა და ამის მიზეზისათჳს, მრავალნი ღირსნი და წმიდანი კაცნი მოვიდეს მისსა და განათლდებოდეს ხილვითა მისითა; ვითარცა სახედ: იოანე გრძელის ძე და არსენ ეპისკოპოსი ნინო წმიდელი და ღირსი იოანე ხახულელი ოქრო პირი და სხუანი მობაძავნი მათნი და მერმე ნეტარი ბერი გრიგორი, ახალი აბრაამი სტუმრის მოყუარე და ზაქარია მირდატის ძე და არსენი და სხუანი მობაძავნი მათნი, რომელნი იგი ვითარცა მამამან სახიერმან შეიტკბნის და ყოვლითა განსუჱნებითა განუსუჱნის და ესრეთ სათნოდ ღუთისა მოქალაქობასა შინა ღუთისა მიმართ მიიცუალა, ვითარცა ზემო მოვიხსენეთ და ძმანი ქართუჱლნი მამასა გიორგის და მამასა გრიგორს შევედრნა. და არა მრავლისა ჟამისა შემდგომად მამა იგი დავიწყებად მოვიდა და არცა ერთი რა ზრუნვაჲ იქმნებოდა ქართუჱლთა აღორძინებისა, არამედ სრულიად ბერძენთა მიექცა და იგინი განამრავლნა და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მიიცუალა ექსორიაობასა შინა, ვითარცა ზემო მოვიხსენეთ და მიერიდგან წმიდა ბერი გრიგორი იყო ნავთ საყუდელ, ნათესავის[1]) და ნუგეშინის მცემელ. ხოლო ვითარცა გიორგი ექსორიაობასა შინა მიიცუალა და ჩუჱნ ფრიად შემცირებულ ვიყუჱნით, ჟამი ჰპოვეს ბერძენთა და ვითარცა ცეცხლი აღეგზნეს ჩუჱნზედა და სრულიად აღმოფხურა ჩუჱნი ენებად დაპყრობა სამკჳდრებელისა ჩუჱნისა და უმძიმესი ესე იყო, რამეთუ რომელსა იგი მაშინ წინამძღრობა ეპყრა იგი იყო შემწე მათდა. გიორგი უკეთური, არათ უმოლხინეს პირუჱლისა მის გიორგისი, რომელი წინა აღუდგებოდა დიდსა ათანასის დაღაცათუ უკანასკნელ შეისხა და ამის მიზეზისათჳს დიდსა შინა ჭირსა ვიყუჱნით და საწყალ და საძულელ მათდა, თჳთოეულად, არცაღა თუ შესაძლებელ არს ყოვლივე წარმოთქმად: რაოდენნი გინებანი, შეურაცხებანი და უკუჱდრებანი მოიწეოდეს მათ მიერ ჩუჱნდა დღითი დღე და ცემითა და გუჱმითა და მწუალებლად ცდითა შეიწრებულნი დიდსა ურვასა შინა ვიყუჱნით და ესეცა ვნება რამცა სახელიცა მაშენებელთა აღმოხოცოს.

ამას ყოველსა რა ხედვიდა ნეტარი მამა გრიგორი, ელმოდა გული მისი და შეიწუჱბოდა წყლულებითა ჩუჱნითა და მარადის ცრემლითა ევედრებოდა ღმერთსა, რათა უმჯობესი ჩუჱნი განაგულოს და ესრეთ რა ევედრებოდა მისცა ღმერთმა კაცი ორითავე მარჯუჱ და სავსე გონიერებითა ნეტარი არსენი, რომელმან იგი არა შეიწყალა თავი თჳსი, არამედ ყოვლადვე მოსწრაფება აჩუჱნა დამტკიცებისა ჩუჱნისათჳს, სხუათა რაოდენთამე ქრისტეს მოყუარეთა ძმათა თანა, რომელთა იგი საუკუნომცა არს სახსენებელი და კურთხევა მათი, რამეთუ არცა თუ ეგების რაოდენნი ღუაწლნი მოითმინნეს ყოველთავე თჳთოეულად, არა რიცხუა მიმოსუჱლა ჩუჱნი ზღჳთა და ხმელითა და აფხაზეთს და ქართლს სავედრებელთა წიგნთა თჳს ბერძენთა მეფეთა წინაშე და რაოდენ გზის მოვიღით წიგნი თჳთ მპყრობელთა და ჩამოვედით და კუალად გინებითა და შეურაცხებითა წარგუჱდევნიან უსაგზლონი და უხამურნი, ჟამთა ღელვა ტეხისა და ზამთრისათა და ესრეთ ანუ თხოვით აღჳდით, კუალად სამეფოდ, ანუ ღუთის მოყუარეთა კაცთა წყალობითა და კუალად შევტიროდით და ვესამართლებოდით მეფეთა და კუალად მუნ აღგჳდგინნის ღმერთმან მოურნენი და გუზრდიდინ, ვითარ იგი ქრისტეს მოყუარენი ძმანი ჩორჩნელი და ფარსმან, რომელთა იგი დიდად აღგჳპყრეს ხელი წყალობისა, ათას წილად მიაგოს ღმერთმან.

---

1) ჩუჱნისა.

და ამას რა ჭირთა შინა ვიყუნიოთ, არა მცირედნი განსაცდელნი მოიწეოდეს დღითი დღე ძმათა ზედა და უფროსად სეტარსა არსენის, რამეთუ იგუმმაცა და მრავალი შრომა დაითმინა და საპყრობილედ შეწყუდევა და კიცხევა და ბასრობა და ეგრეთვე ძმათა ყოველთა. ხოლო წმიდა ბერი გრიგორ ნუგეშინის გუცემნ და განგუამხნობნ, რათა არა სულ მოკლე ვიქმნნეთ.

ესე ყოველი რა იხილა ღმერთმან ყოვლად ძლიერმან სახიერებითა თჳსითა ღმობიერ ჰყო გული მიქაილ ქრისტეს მოყუარისა მეფისა და წყალობად ჩუენდა მოაქცია და შემდგომად დიდთა ბჭობათა და გამოძიებათა, ღირსი მამა ჩუენი გრიგორი წყალობით მოიგოთხა და ნუგეშითა ღუთისათა კუალად დაგჳმკჳდრა ადგილი ჩუენი და საყოფელი, წინაძღომითა და მოღუაწებითა გრიგორისა და ყოველთა ძმათა ჩუენთაითა, რომელთათა იგი იღუაწეს ვიდრე სისხლთა დათხევადმდე და შემოჰკრბით და მადლი მივეცით ღმერთსა და მრავალთა მათ ჭირთაგან განვისუენეთ და გარდახდეს რაოდენნიმე ჟამნი და მიხაილ მეფე თესალონიკეს შთამოვიდა. კუალად აღეტყინეს ჩუენზედა ბერძენნი და მთა ყოველი აღძრეს და დიდებულნი ყოველნი განდრიკეს და ენებათ, რათამცა პირუელი ბჭობა და ღუთისა მიერ ჩუენზედა წყალობა, ცუდმცა ჰყუეს და ამაო, არამედ განაცრუა ღმერთმან ზრახუა მათი, რამეთუ კუალადცა ღმერთმან აგჳპყრნა ხელი წყალობისა და არა განგჳთხივნა წმიდამან ღუთის მშობელმან ტაძრისაგან თჳსისა; რომლისა იგი ხელ ჰყუეს ყოვლისავე ღონის ძიებითა, რათამცა ვინაჲდგან მონასტერი ვერ წარგჳღეს, შარემცა დიდი ეკკლესია რაჲთ მიგჳღეს, რეცა სამართალიცა შესწევდა, რომელი ვინადგან აღშენებულ იყო მათ (მიერ) ჰქონებოდა იგი ეკკლესია და ვითარცა ხედავთ უაღრეს ქებისა, აღმტებულ არს იეროვნება მისი, რომელ დალაცა თუ ამას მთასა შინა ფრიად არნ მონასტერნი, გარნა მსგავსი მისი არა იპოვების და არა ხოლო მთასა, არამედ სხუათაცა მრავალთა ადგილთა არა იპოვების. გარნა ესრეთცა ურგებ იქმნა ხელყოფა მათი, რამეთუ წმიდამან ღუთის მშობელმან, ჩუენ გლახაკთა გჳბოძა დიდებული იგი, დიდებისა თჳსისა ტაძარი და ყოვლადვე გჳღუწის და გუფარვის, უღირსთა ამათ და უცხოთა, მდაბალთა და სამწყსოთა თჳსთა.

და ვითარცა ვსთქუ, რაჟამს ესრეთ მძიმედ ბრძოლა გჳყუეს დაჰჳდა კუალად ქრისტეს მოყუარე მიხაილ მეფე და ფრიადითა გამოძიებითა განბჭო და ეკკლესია და მონასტერი ყოვლითურთ მონაგებითა და სიმდიდრითა ჩუენ გჳბოძა და ფრიადი წყალობა და სიტკბოება მოგუფინა. მიაგენ ქრისტემან სულსა მისსა.

მამა გრიგორ პირუელ ამის მეორის ბჭობისა მიცუალებულ იყო, ხოლო არსენი შემდგომად ამის მეორის ბჭობისა მიიცუალა და ესე მრავლისაგან მცირედი მოგჳხსენებია და ვინადგან ესე ყოველი და ამისგან უმრავლესი მოიწია ჩუენ ზედა და მრავალთა ძმათა ჩუენთაგანი გარდაიცუალნეს და მიექცეს ჩუენთა წინა აღმდგომთა და ამის ხელისაგან შეგვეშინა და მოსახსენებელი ესე აღუწერეთ და დავდევით, შემდგომად ჩუენსა მომავალთა ნათესავთა თჳს, რათა არა დავიწყებულ იქმნეს და გარეწარ, ესე ვითარი ესე მრავალ ფერი ღელვა და ერთითა ერთობითა ამას ვიტყჳთ, ვითარცა ერთითა პირითა ყოველთა ქართუელთა თანა, რომელნი სადაცა არნ აღმოსავლეთისათა და შავისა მთისათა და იერუსალიმისათა და სადაცა არნ ძმანი ჩუენნი.

უკეთუ ვინმე გამოსჩნდეს ნათესავისა ჩუენისაგან კაცი, გინა მამა სახლისი, გინა იკონომოსი, გინა სხუა ვინ და რაცა ღონითა ანუ მანქანებითა, ანუ სავსის სიხარბითა, ანუ სიყუარულითა, ბერძენთათა ანუ კაცისა ვისმე შეპოვნებითა, ანუ სხჳთა რაჲმე ზაკჳთა, ეორგულოს ამას წმიდასა ადგილსა, გინა გასცეს მიწა მთასა, გინა გარე, ანუ ქართუელთა შინა განმცემელ იქმნეს და აწყუედ-

ნეს და ესე ადგილი ქართველთა თავისა რასამე გამოუგდოს და იგინი განასხნეს და ჩუენი სახსენებელი ამოსწყჳტოს, ყოველთა წმიდათა, ჯუარისა მადლითა კრულმცა არს და წყეულ და შეჩუენებულ და განკუეთილ წესისაგან ქრისტეანეთასა და მათთანამცა შერაცხილ არს, რომელნი შინა განმცემელ ექმნეს უფალსა ჩუენსა იესო ქრისტესა და ღმცა ხოცილ არს ნაწილისაგან ქრისტეანეთასა და რომელნი თანა დახუდეს და ეწამნეს, ძმათა ჩუენთაგანნი, ესე ვითარსა ამას მზაკუარებასა, იგინიმცა წყეულ არიან და შეჩუენებულ და რომელთა ქართველთა განმრავლება იღუაწინ და ესე წმიდა ადგილი ნათესავსა ჩუენსა დაუტევონ საუკუნომცა არს სახსენებელი და კურთხევა (მისი) მათი და რომელნიცა ძმანი ამის დიდებულისა ლავრისა სამართლობასა და დამტკიცებასა თანა მოღუაწე ექმნენ, საუკუნომცა არს სახსენებელი და კურთხევა მათი. წმიდათა მამათა ჩუენთა და მაშენებელთა და ყოველთა მათ პირუელ მოხსენებულთა ღირსთა და სათნოთა ძმათა ჩუენთა, რომელნი წმიდასა ამას ადგილსა შინა გამოჩნდეს, გინა გამოჩნდენ, მადლითა და ლოცჳთა გაკურთხენ და აღგაორძინენ უფალმან და საუკუნეთა მათ სატანჯუელთაგან გიხსნენ, მეოხებითა წმიდისა ღუთის მშობელისათა და წმიდისა მამისა ჩუენისა ნეტარისა ევთიმისათა და ყოველთა წმიდათა, რომელნი საუკუნითგან სათნო ეყუნეს ღმერთსა, რომლისა არს დიდება და სიმტკიცე და სუფევა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

## თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა ევთიმისა მთაწმიდელისა.

რამეთუ იყო ნათესავით ქართველი, რომელმან იგი მრავალნი წიგნნი საღმრთონი თარგმნნა ბერძულისაგან ენისა ქართველთა ენასა, რომელ გამოიტყოდა იგი ენათა მადლითა სულისა წმიდისათა და ესე მცირედი კითხვაჲ მიგებაჲ მოჰჴსცა თევდორე ხუცესსა საბაწმიდელსა, რომელ იყო იგიცა მღვდელი კეთილი ქართველივე [1])

კითხვა. გევედრები შენ ღმერთშემოსილო მამაო, მაუწყე თუ, რომელნი წიგნნი არიან რომელთა იგი წმიდაჲ კათოლიკე ეკკლესია არა შეიწყნარებს.

მიგება. წიგნნი, რომელთა კათოლიკე ეკკლესია არა შეიწყნარებს არიან ყოველნი, რომელნი მწვალებელთა მიერ აღიწერნეს: ორიგენე მწვალებელსა მრავალნი წიგნები აღუწერია და არა შესაწყნარებელ არს და კუალად ევსევი პამფილელისა წიგნი არსა მრავალთა რათამე საქმეთა და თხრობათა წარმოტყუს თჳთო სახეთა, რომელ მრავლითა ფილოსოფოსებითა დაწერილ არს იგი. არამედ წვალებანი მრავალნი ჩაურთავს მასვე და ამისთჳს არა შეიწყნარებს ეკკლესიაჲ. იგი ქართულად ვისმე უთარგმნია და უწინარეს მრავლისა ჟამისა სიცოცხლესა ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესსა

---

1) საბა წმიდის მონასტერი კახეთს იყო, ანაგის და კარდენახის სოფელთა შორის — ნაქცევნი მის მონასტრისანი აქამომდე მშუენივრად მოჩანან. — ეკკლესია მის მონასტრისა გაახლებას ელოდება უდებთა ქართველთა მიერ.

მოეწერა ქართლიით, სტეფანე ეპისკოპოსსა ჭყონდიდისასა და ეკითხა, ვითარმედ შესაწყნარებელ არსა კითხჳაჲ ესე, წიგნისა ამის, ანუ თუ არა. ხოლო ჩუჱნ მიუწერეთ მას, ვითარმედ არა შესაწყნარებელ არს, მაგრა კარგნიცა საქმენი მრავალნი ჰსწერიან, გარნა ღუარძლნიცა წუალებისა თანა შთაუთესავს და მით უხმარ არს იგი და ვითარმედ იგი ანტიოქიის მოქცევა არა შესაწყნარებელ არს, რომელ ჭეშმარიტ ანტიოქიის მოქცევა იგი არს, ვითარცა კლემენტოს იტყჳს და პავლეს ცათა მოხილვაჲ ნატყუარივე არს და სხუაჲ რაჲმე, რომელსა შინა წერილ არს თუ თომას სახარებაო, იგიცა უცხოვე არს ეკკლესიისაგან. და წიგნი აბოკროფა[1]) უცხოთა რათამე საქმეთა მეტყუელებს; და ეკკლესია საბერძნეთისა არა შეიწყნარებს. და სხუაჲ რაჲმე არს ადამის ცხოვრებაჲ და არცა მას მიითუალავს ეკკლესიაჲ და ვითარმედ სხუაჲ არს წიგნი, სიყრმე უფლისაჲ და არცა იგი შესაწყნარებელ არს და მოციქულთა ცხოვრებანი, რომელნიმე განრყვნილ არიან მწუალებელთაგან: წმიდისა მათე მახარებელისაჲ და წმიდისა ანდრიასი, კუალად წმიდისა გიორგისა, არს წამება უცხო და უცხონი რამე საქმენი ჰსწერიან, რომელსა დადიანესი ეწოდების. ხოლო წამებაჲ ჭეშმარიტი წმიდისა გიორგისა, რომელი ეკკლესიათა შინა იკითხვების იგი არს, რომელ დეოკლიტიანეს მიერ იწამა და წმიდისა კჳრიაკეს წამებაჲ, ვითარმედ სხუათა ვიეთმე დაწერეს წამებაჲ კჳრიაკესი უცხოჲ ჰსჯულისაგან ქრისტეანეთასა და სხუანი, რომელნი ესე ვითარიმე ნატყუარნი მრავალ არიან სახელები მათნი, არა სახმარ არს, ესე ვითარი აწ, რომელიმე სხუათა მწუალებელთა დაუწერია და თჳთვე საცნაურ არს. ხოლო ესე მოციქულთა და მოწამეთა, მან და წყეულსა იულიანეს ვითარცა იყო მტერი უფლისა და ყოველთა წმიდათა, მან განრყუნა, რათამცა ნაცილად შერაცხნეს ყოველნი და არამცა ვის სარწმუნო უჩნდა წამება წმიდათა მოციქულთა, გინა თუ მოწამეთა, არამედ უფალმან ჩუჱნმან იესო ქრისტემან სახელი მისი აჰკოცა. ხოლო წმიდათა სახსენებელი ვითარცა მზე გაამაბრწყინვა ყოველსა სოფელსა შინა, რომელთა თანა არსმცა ნაწილი და სამკჳდრებელი შენი და ჩუჱნი წმიდაო მამაო

კითხჳა. მაუწყე მე, საუფლოთა დღესასწაულთა თჳს თუ ვითარ ჯერ არს პყრობაჲ.

მიგებ. საუფლოთა დღესასწაულთა, არცა მუხლ დრეკა ჯერ არს, არცა მარხჳაჲ; არამედ რომელსა ზიარებაჲ აქუნდეს მოძღურისაგან ეზიარენ და ჟამსა სამხრისასა პირ იხსნას და მადლობდეს ღმერთსა. ხოლო უკეთუ არა ეზიარებოდენ, წესისაებრ სამხრისა ილოცონ და პირ იხსნან, გარნა თჳნიერ ლოცჳსა უწესოჲ არს მიღება საზრდელისაჲ.

კითხჳა. ყოველთა დღეთა არა ჯერ არს მუხლთა დრეკაჲ.

მიგებ. საბერძნეთისა დაყუდებულნი და ეკკლესიანი, ქრისტეს შობასა და განცხადებასა შემდგომად, ვიდრე მგზეფსამდე მუხლთა არა იდრეკენ და ეგრეთვე აღვსებითგან ვიდრე მარტჳლიადმდე[2]). ხოლო სხუათა საუფლოთა დღესასწაულთა მას დღესა და ხუალისა დღე უკეთუ არა იდრეკდეს კეთილ არს. გარნა საზრდელისათჳს: აღუსებითგან ვიდრე ახალ კჳრიაკედმდე, ყოვლადვე არა ჯერ არს მარხჳაჲ, არამედ სამხრად პირისა ხსნაჲ. ხოლო მიერ ჟამითგან სენაკსა შინა მყოფი თუ იმარხვიდეს კეთილ არს; მიერ ჟამითგან ვიდრე მიმწუხრადმდე თჳნიერ შაბათ კჳრიაკეთა და ამაღლებისა და მეუაზატიკისა და სხუათა საუფლოთა დღესასწაულთა, ეგრეთვე წმიდისა ღუთისმშობელისა და წმიდათა მთავარანგელოზთა, წმიდისა წინამორბედისა და ნათლისმცემელისა, წმიდათა

1) აბოკროფა არს ის სამღთო წერილი წიგნი, რომელსა ეკკლესია არა შეიწყნარებს და რომელიც მის მიერ არა იქმნა შერაცხილ კანონიერთა წიგნთა თანა.

2) მარტჳლია, სულის წმიდის მოსვლის დღე.

ათორმეტთა მოციქულთასა და სხჳათა წმიდათა, რომელთა დღესასწაულნი იდღესებიან: წმიდისა გიორგი მთავარმოწამისა, წმიდისა თეოდორესი, წმიდისა დიმიტრისი, წმიდისა ნიკოლაოზისი, წმიდისა იოანე ოქროპირისა, წმიდისა ვასილისი ესე ხსნილნი არიან.

კითხჳა. რომელნი იგი სამარადისოდ იმარხვენ და წველსა არა ჰსჭამენ არაჯორთა[1]), რა ჯერ არს მათთჳს.

მიგებაჲ. არაჯორთაგან ხსნა ჯერ არს მათთჳს და წჳლისა ხმევა, მწვალებელთა მათთჳს, რომელთა იგი არაჯორი დადვეს და გრეთვე უწჳლიერისა ოთხშაბათისა და პარასკევსა ჯერ არს, ვინ ყოვლადვე წჳლსა არა ჰსჭამდეს, მაშინ მოიღებდეს მათ მწვალებელთათჳს, რომელთა იგი უწჳლიერი მარხვათა თანა შერაცხეს.

კითხჳა. დიდთა მარხვათა, ვითარ ჯერ არს ჟამის წირვაჲ.

მიგებაჲ. კათოლიკეთა მარხვათა შაბათ კჳრიაკეთა აღესრულების ჟამის წირვაჲ და დიდსა ხუთ-შაბათსა და ხარებასა და სხჳათა დღეთა განსხლებაჲ ჯერ არს, ხოლო ჟამის წირვა არა აღესრულების.

კითხჳა. რაჲ არს ჟამის წირვა იაკობისი, ჭეშმარიტ არს ანუ არა.

მიგება. წმიდისა იაკობის ჟამის წირვაჲ უეჭუელად ჭეშმარიტ არს და პირველად იგი იყო ეკკლესიათა შინა საბერძნეთისათა და ჩუენთა, ხოლო ოდეს წმიდამან ვასილი და ნეტარმან იოანე ოქროპირმან ჟამის წირვანი გამოთქუნეს სიმოკლისათჳს, ერმან იგი აღირჩია და წმიდისა იაკობისი მივიწყდა და ყოველნი ოქროპირისასა წირვენ და დიდთა მარხვათა ვასილისასა და ოდესცა ვინ უნდეს ყოვლადვე კეთილ არს იაკობისა და პეტრესიცა და ვასილისა და ოქროპირისაცა.

კითხჳა. უკეთუ ოცნება მოიწიოს, ვითარ ჯერ არს მას დღესა.

მიგებაჲ. ძილსა შინა ოცნებით თუ დაბრკოლებაჲ ვისმე შეემთხჳოს, მას დღესა არცა ეზიარ-ოს, არცა საკურთხეველად შევიდეს, არცა სახარებისა შემთხუევად შევიდეს, არცა ხატთა, არცა ჯუარისა, არცა წმიდათა მარტჳრებსა, უკეთუ კჳალა საჭირო რაჲმე იყოს, გინა უცხოთა ვიეთმე თანა იყოს და სირცხჳლ უჩნდეს, სახარებისა შემთხუევა ესე ზომი, ბრალი არა რაჲ არს.

კითხჳა. მაუწყე ესეცა, თუ რა ზომ თანა აცს მოწაფესა მორჩილებაჲ მოძღუართა, გინა სიტყ-ვუათა მათთა შედგომაჲ.

მიგებაჲ. მოძღუართა, რომელთა მოწაფენი აკურთხნენ, გინა აღსარებაჲ იტჳრთონ, უკეთუ წვალებასა; ანუ კაცისკვლასა, ანუ სიძვასა, ანუ გრძნებასა, გინა მწამლველობასა, აწუევიდეს მოძღუარი, ესე ვითარსა არა აქუს ჴელმწიფებაჲ და მოწაფე იგი უკეთუ ურჩ ექმნას, უბრალო არს. ხოლო ამათ პირთაგან კიდე სხჳაჲ რაჲცა ამცნოს მოწაფესა, რომლისა იგი აღსაარებაჲ ეტჳრ-თოს, გინა ეკურთხოს; ჴელმწიფებაჲ აქუს მას ზედა მოძღუარსა და მოწაფესა მას თანა აცს მორ-ჩილებაჲ და წარსვლად მოწაფესა მოძღურისაგან თჳსისა, თჳნიერ წამებისა მისისა, არა ჴელე-წიფების ყოვლადვე; არამედ უკეთუ მოძღუარი იგი ადგილსა ესე ვითარსა ჯდეს სადა ვნებანი იყუ-ნენ და მოძღუარსა მას არა ევნებოდის. ხოლო მოწაფე იგი დაცემასა შთავარდებოდეს და უთხრას მოძღუარსა მას და მან არა რაჲ იზრუნოს ცხოვრებაჲ სულისა მისისა და მოწაფე იგი განეშოროს ამის პირისათჳს უბრალო არს იგი. ხოლო სხჳაჲ არა რაჲ არს მიზეზი ურჩებისა და მოძღურისაგან განშორებისა მისისაჲ; უკეთუ უკუჱლაჲ ურჩებითა და თავ ჴედობითა განეშოროს, ამის პირისათჳს უბრალო არა არს იგი და არად შერაცხოს სიტყუაჲ მოძღურისა თჳსისა სულსა თჳსსა წარსწყმედს.

1) არაჯორი მწვალებელთა სომეხთა მარხვა არს, რომელსა ეწოდების სუფსჲრქისის მარხვაჲ.

კითხჳა. კრულებაჲ, რომელთა საქმეთაგან მიეცემის კაცთა.

მიგებაჲ. უკეთუ წინამძღურისაგან დადვას, გინა მღდელთ-მოძღურისაგან საქმესა ზედა სამართალსა, ვერ ვინ აჴსნის მის თჳნიერ მისსავე, რომელმან იგი დასდვა; უკეთუ კუალა უჯეროსა საქმესა აწჳრთვიდეს და სულისა სავნებელსა და იგი ვერ მორჩილ ექმნას და ამისთჳს კრულ იყოს სულსა თჳსსა ავნებს და კრულებაჲ იგი ცუდი არს და უკეთუ უცხოსა ვისმე ჴსცეს, რომელი არა მისი მოწაფე იყოს და არცა რა შესცოდოს და კრულება დასდვას, ესეცა უწესო არს და ცუდ და საბრალობელი და ამის პირისა სხუანი მრავალნი არიან წერილით ყოველი რაჲ იგი გაუწყო.

კითხჳა. საქმის კურთხევისა შემდგომად, ზიარებაჲ ვითარ ჯერ არს.

მიგება. საქმის კურთხევისა შემდგომად, უკეთუ სხუაჲ არა რაჲ ბრალი შეემთხჳს, მარადის ეზიარებოდინ; უკეთუ კუალაჲ შერამე ემთხჳოს ცოდუაჲ, კუალად კანონი უზიარებლობისა დაიმარხოს, ვითარცა შეჰგავს ცოდუასა.

კითხჳაჲ. მარხუათა შინა საქმის კურთხევაჲ კეთილ არს, ანუ არა.

მიგებაჲ. საქმის კურთხევა მარხუათა შაბათ კჳრიაკეთა კეთილ არს და აქა ჩუენ თანა შაბათ კჳრიაკეთა აღესრულების კურთხევა საქმისაჲ; უკეთუ კულა სნეულად ვინმე არს და დამძიმდეს, რომელსაცა დღესა იკურთხოს კეთილ არს.

კითხჳა. რაჲ უკუე ვიცოდე თეოფილესთჳს, ჯერ არსა შერაცხად სხუათა თანა წმიდათაჲ მღდელთა, ანუ არა.

მიგება. თეოფილე მწვალებელი არა იყო, ხოლო წმიდისა იოანე ოქროპირისა შორის დიდნი ცთომანი ჰქმნნა და საბერძნეთისა ეკლესიათა შინა არავინ იტყჳს შეჩუენებასა მისსა, ვითარცა სხუათა მწვალებელთა და არც არავინ ახსენებს მოსახსენებელთა მათ შინა.

კითხჳა. იტყვიან ვინმე, ვითარმედ კჳრილე ჰგმობდა წიგნთა ოქროპირისათა და ამის მიზეზისათჳს მიიტაცა სასუფეველსა, ხოლო ოქროპირი არა შეუშვებდაო და წმიდამან ღუთის მშობელმან იხუაიშნაო.

მიგებაჲ. კჳრილე დიდი მნათობი არს ეკლესიათა და სახსენებელ არს ყოველთა კრებათა შინა, ყოვლითვე ეგრე იყო პირუელად და იგი ხუაიშნობაჲ წმიდისა ღუთის მშობელისა ჭეშმარიტ არს კჳრილესთჳს, ხოლო მიერ ჟამითგან დიდნი შესხმანი ჩეტარისა იოანესთჳს ოქროპირისა აღწერნა კჳრილე.

კითხჳაჲ. კათოლიკეთა მარხუათა, რომელნიმე ბრალად იტყჳან ჭამასა თევზთასა.

მიგებაჲ. თევზისა ჭამაჲ კათოლიკეთა მარხუათა გულსაკლე იყავნ სიყუარული თქუენი, არცა ჰსჯულისა გარდასვლა, არცა რაჲ დიდი ბრალი და უფროსად იგი არს ბრალი დიდი, უკეთუ ვინმე თევზისა წველსა თანა იკადროს შერაცხუაჲ და თუ სადა ანუ ვინ დათესილ არს ეგე ქუეყანასა ჩუენსა მიკჳრს. ვგონებ თუ სომეხთა მიერ არს, რომელ მარხუა თევზისა კათოლიკეთა შინა წესიერად განეწესა. ჯერ არს მონაზონთა და მოწესეთათჳს დაღაცათუ სხუასა დღესა არა მიიღონ ხარებად უმიზეზოდ ჯერ არს და არა მიღება ბრალი არს; უკეთუ ოდენ აქუნდეს. ღჳნის სმაჲ უფროს სავნებელ არს და საბრალობელ სათრობელად მიმღებელი, ხოლო თევზი უკეთუ იმარხონ წესიერად კეთილ არს; უკეთუ ვერა რაჲმე, მაშა ჭამენ თუ, არა აქუს ბრალი. — ხოლო ესე გარდაკუეთით ვითარცა წერილ არს წველაჲ მწვალებელთა სომეხთაჲ არს და არა კეთილ არს და ჰსჯულის კანონსაცა წერილ არს ამის პირისათჳს და იგი ჯერ არს, ხოლო უმეტეს მისსა არა ჯერ არს.

კითხჳა. ვიეთნიმე აყენებენ ჟამის წირვასა ცოცხალთათჳს, რაჲ უკუე ჯერ არს.

მიგებაჲ. რომელნი ცოცხალთათჳს აყენებენ ჟამის წირვასა ფარულად, ჰსცთებიან, რომელ ფარულად კეთილ არს წირვაჲ ცოცხალთათჳს და წმიდათა მოციქულთა და მამათა მიერ განეწესა და არა ჯერ არს ყენება ესე ვითარისა დიდებულისა კეთილისა, რამეთუ ყოველი ლოცუაჲ და კეთილისა სულიერისა ქმნაჲ და ყოველი ქუელის საქმე ცოცხალთა მიერ უმჯობესად ბრძანებულ არს დაღაცათუ შესუენებულთათჳს იქმნების, ეგრეთ ცოცხალთათჳს კეთილ არს ჟამისწირვაჲ და ფარულად სანატრელ და წმიდათა მიერ განწესებულ და ნეტარ არს კაცისა მის ვიდრე ცოცხალ არს, რომელმან წინათ წარიძღუანა წმიდა ჟამის-წირვა და ეგრეთვე შესუენებულთათჳს ფარულად კეთილ არს.

ეს მამა ევთიმი ქართუელისაგან ნათქუამი კითხუა მიგებაჲ, ერთ ძუელს ხელით დაწერილს მეფის არჩილისაგან წაღებულს კურთხევანში ეწერა, იქიდამ გამოვჰსწერე ის კურთხევანი ქართლს, რუსის ღუთაებისა იყო, ავალი შჳლის მროველისაგან დაგდებული, ნიკოლაოზ ტფილელი (ამ კითხუა მიგების ბოლოს ასე სეწერა)[1].

---

საგალობელ არს იოანე ბრძენთაგან,
რამეთუ სიბრძნე შეიყუარა მარადის,
ნიადაგ ჰსტრფიდა, არ მოჰსწყენოდა მისდა,
მისდა იშუებდა, მისდა ჰსთქმიდა მშუენიერ,
სხუა ფერ ჰსცალობდა, მისდა უცალო იყო.

---

წყარო არს დაწუნი ევთიმისნი, მჰსმენელნო,
ცეცხლისა ცუართა, ალისა შხეფთა წჳმათ,
ვინათგან ცეცხლი, მწუელი მანათი ნივთთა,
ამისნი სიტყუა, ჰნათლოის ჰსწუავსცა კუალად,
ბრძმედავს სულებთა დადებად უკუდავ უნჯად.

---

გონება ჰსწმიდე, ქმენი უპრუჳლო სარკე
აბრწყინუე ხედუა, აელუე იგი საქებ,
ბრძენო გაბრიილ, ვინა ზღუათაცა ზედ მდგომ,
რომლით ღუთის დედას, სახე განისაკუთრე,
იოანე, ლატრიით ძღუნის-მრთმელობ აწ.

თქმული ანტონ კათალიკოზ პირუელის მიერ.

1) ცხოვრება წმ. ევთიმისი აღწერა წმ. გიორგი მთაწმიდელმან.



საბინინი. М. САБИНИНЪ

ႶႨႰႱႨ ႫႠႫႠ ႢႨႭႰႢႨ ႫႧႠႰႢႫႬႤႪႨ (ႫႧႠႼႫႨႣႤႪႨ).

# თთუესა ივნისსა კზ დღესა ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა.

---

ოქრო ქანდაკი, სპეკალი შოიჭვილი,
ეპისკოპოსთა დიდება, მღუდელთ პატივი,
ამათ მფლობელთად, მახჳლ ორპირ მკუეთელი,
გიორგი წიგნთა თარგმანი იმთაწმიდებს,
მიწას მიწას ჰრთავს, სულსა ასასუფეველებს.

თქმული ნიკოლაოზ ცფილელის მიერ.

---

«ხსენება მართლისა ქებით აღესრულების», იტყოდა ბრძენი სოლომონ, შესხმასა მას შინა მართალთასა, რომელსა სულითა წმიდითა წინათვე მოასწავებდა გამოჩინებადთა მათ წმიდათათჳს, რომელნი შემდგომად ქრისტეს მოსვლისა გამოჩნდეს: მოციქულნი, მღუდელთ-მთავარნი, მოწამენი და მამანი და ყოველნი წმიდანი, და მართალნი, რომელთა მიერ აღივსო ყოველი სოფელი დიდებითა ღუთისათა, ვითარცა იტყუის წინასწარ-მეტყუელი, ვითარმედ, «წინასწარ-მეტყუელთა მრავალთა დაფარონ პირი ყოვლისა ქუეყანისა». და კუალად იტყჳს ისაია განკჳრუებით. «ვინ არნ ესენი, რომელნი ვითარცა ღრუბელნი, საქმეთაგან ამაღლებულებისა და გონიერთა და საცნაურთა ღრუბელთა თანა შეერთვისა, რომელთა ზედა მჯდომარე იხილოს მომავალად თჳთ თავადი», ვითარცა იგი ამაღლდა თუალთაგან მოწაფეთასა.

რამეთუ ესე ვითართა მათთჳს იტყოდა დიდი პავლე, ვითარმედ «ქრისტესთა მათ ჯუარს აცუნეს ხორცნი (თჳსნი) მათნი ვნებითურთ და გულისთქმით, რომელთათჳს იგი ნაყოფთა სულიერთა წარმოიტყჳს». და კუალად თჳთ მაცხოვარი ეტყოდა მოწაფეთა თჳსთა, «აღებად ჯუარისა და შედგომად მისსა», რამეთუ ხორცთა ჯუარ ცმითა, ხორცთა მათ უხორცოებასა მოასწავებდა; რაჟამს იგი თჳსთა და ნათესავთა, უარის ყოფითა ასისა წილისა (აქათ) მიღებასა აქათ აღუთქმიდა და დასასრულსა ცხოვრებისა, საუკუნესა მიანიჭებდა, რომლისა იგი ტრფიალ ჰყუნა მოყუარენი

სათნოებისანი და მეძიებელნი სასუფეველისანი და მის მიერითა მით ბრწყინ̃ალეებითა, აქავე განათლებულნი, რომელთა თანა შეერთო ახალი ესე მოღ̃აწე და ჩ̃ნ მიერ საქებელად წინა მდებარე, რომლისა იგი ღ̃აწლთა, და შრომათა არა უდებ ხართ, რომელთა იგი თჳთ თ̃ალითა გიხილავსთ და რომელთადა სმენით უწყებულ არს და კ̃ალად ყოვლადვე ერთობით ნამუშაკევსა მას და საყოფსა გონებისა მისისასა, თ̃ალთა მიერ განცდითა და ყურთა სმენითა, ვითარმცა მას თავადსა თჳთ ხედვიდით.

რომლისა დაღაცა თუ დავიდუმოთ სიმრავლისაგან ზოგად მაღალთა მათ ღ̃აწლთა მისთა, რომელნი ღ̃თისა ეკკლესიისათჳს მან თავს ისხნა, გარნა ვახსენებთცა, რომელთა იგი ხსენება წმიდა არს და სარგებელ და სათნოებათა და მოღ̃აწებათა მიმართ მაწ̃ევლ, ვითარცა იტყჳს გრიგორი ღ̃თის მეტყ̃ელი. ვითარმედ «კაცსა რაჲცა რა უყ̃არნ და აქებნ მისა მიმართ მიისწრაფის და ვითარცა სხ̃ათა ყოველთა მცნებათა აღსრულებად, თანამდებ არს კეთილთა კაცთათჳს, ეგრეთვე ჟამსა სიტყჳსასა სიტყ̃ა და მოყ̃არეთა სათნოებისათა ქებაჲ».

რამეთუ არა დაუცადა მოწყალეებამან ღ̃თისამან ჟამითი ჟამად გამოჩინებად ღირსთა მისთა ნუგეშინის საცემელად უძლურისა ამის და დახსნილისა ნათესავისა ჩ̃ნისა განმაძლიერებელად და განმამხნობელად, რათა ხედვითა და სმენითა, სათნოებათა მათთათა, შურად და ბაძვად ღირსებისა მათისა აღვძრვოდით და ძალსა მას საცნაურსა, სულისა ჩ̃ნისასა, ვითარცა ორბისა სასიჭაბუკესა განვაჭაბუკებთ და ვითარცა მთოვარესა ეგრეთ განვაახლებთ, რომელ ღამესა შინა ამის ცხოვრებისასა, ვითარცა დღესა შინა შ̃ენიერად ვიდოდეთ და ყოველსავე ბნელისა მოყ̃არეთა მყოფთა სულთა ჩ̃ნთაგან განვიოტებდეთ და ესრეთ სათნოებათა მიმართ წარმატებულნი, შემომავალსა მას და ბრწყინ̃ალესა დღესა უკანასკნელსა, ვითარცა ცისკარსა განთიადისასა აღმოსრულად განმზადებულნი მოველოდით.

რაჟამს ბრწყინ̃ალე იგი მნათობი ნათესავისა ჩ̃ნისა დიდი ევთიმე აღმოგჳბრწყინდა ნათლად და სიხარულად და გჳრგჳნათ გონიერ მყოფელად ნათესავისა ჩ̃ნისა და განმაბრძნობელად უგუნურებისა ჩ̃ნისა, რომელმან უმეცრებისა იგი საშურველი მოსცარცუ გონებათა ჩ̃ნთა და ვითარცა დღემან ღ̃თივ განათლებულმან მჭუნვარე იგი ნისლი უგულის ხმოებისა განხადა სულისაგან ჩ̃ნისა და სივრცითა და სიმაღლითა ღ̃თივ თარგმნილთა მათ წმიდათა წიგნთა მისთათა ნაკლულევანება ენისა ჩ̃ნისა აღავსო და რომელნი ესე ბარბაროზად წოდებულ ვიყ̃ენით ელესთა მიერ უსწავლელობისათჳს და უმეცრებისა ჩ̃ნისა, მათთანავე აღგ̃არაცხა ღმერთმან მიერ მოცემულისა მით სიბრძნითა თჳსითა. ხოლო რაჟამს წმიდა ესე სუფევით აღივსო და ღ̃თისა მიიც̃ალა და წმიდათა ბრწყინ̃ალებასა შეემატა და არა სრულ იქმნა სიხარული ჩ̃ნი, მყისსა შინა სოფლით განსვლისა მისისათჳს და ესრეთ ინება განგებულებამან ღ̃თისამან, ჩ̃ულებისაებრ თჳსისა, ვითარცა იგი მრავალგზის ჰყო, რათა არა ერთის ოდენ ზედა გინა ორისა მოვინოს შარავანდედი მადლთა თჳსთა, არამედ რათა დღითი დღე აღორძნდებოდის ღ̃თისა ეკკლესია და უმაღლესისა მიმართ წარემატებოდის, ვითარცა იტყჳს წინასწარმეტყ̃ელი.

«და იყოს უკანასკნელთა მათ დღეთა მოვფინო სულისაგან ჩემისა ყოველსა ზედა ხორციელსა და წინასწარ მეტყ̃ელებდენ ძენი თქ̃ნნი და ასულნი თქ̃ნნი ხილვასა იხილვიდენ და მოხუცებულთა თქ̃ნთა ჩ̃ნებითა განვაცხადო». და კ̃ალად მოციქულთა განყოფასა მას შინა მადლთასა ნიჭად საღმრთოდ და ნაწილად სულისა მიმართ მოცემად თარგმანებასა ენათასა უწოდს უშურველად და უხვებით მიეცემითა, ყოველსა ზედა ნების მყოფელთა მისთა, ვითარცა იგი [illegible]

ეტყოდა ვითარმედ ყვან მომცეს მე ესე ვიღარი წინასწარ მეტყუ̃ლად ღუ̃თისა, რამეთუ იცოდა მან ნება ღუ̃თისა და უცხოებით მისცემდა მადლთა მისთა.

რომლისა თჳსცა რა წმიდა მამა ჩუ̃ნი დიდი ევთიმე სოფლით განვიდა, ვითარცა პირუ̃ლ ვთქჳთ, შემდგომად რაოდენთამე ჟამთა გუ̃ალადცა სახიერებამან ღუ̃თისამან და მადლმან მამისა ჩუ̃ნისამან, ჟამსა თჳსსა გამოაჩინა დიდი ესე მუშაკი საღმრთოსა მადლისა წმიდა მამა ჩუ̃ნი გიორგი, რომლისათჳს არს სიტყუ̃ა ჩუ̃ნი და წინა მდებარე არს აღწერად და მოთხრობად, შემდგომად ნათესავისა საწუ̃რთელად[1]) და გულის ხმის საყოფელად, ვითარცა მან ნეტარმან დიდის ევთიმის ცხოვრება აღწერა სახედ და ხატად სათნოებისა მამულთა ნათესავთა თჳს, რომელი ესე არცა ჩუ̃ნ დავიცელნოთ (დაუიზაროთ) შეწევნითა ღუ̃თისათა, არამედ ყოველივე აღვწეროთ სახე ცხოვრებისა მისისა შობით მისითგან და ვიდრე აღსრულებადმდე. ხოლო იყავნ ჩუ̃ნთანა ღმერთი მის მიერ შეყუ̃არებული და ლოცუ̃ა წმიდისა მის მამისა ჩუ̃ნისა, რომელმან ამის ხელყოფა ჰყუ̃ნ გუ̃აიძულა სადიდებელად ღუ̃თისა, რომლისა არს დიდება აწ და მარადის და უკუ̃ნითი უკუ̃ნისამდე ამინ.

ესე წმიდა მამა ჩუ̃ნი გიორგი იყო ნათესავით ქართუ̃ლი, ხოლო ვინადგან ღუ̃თის მსახურებისა საიდუმლოსა შინა ერთი სამოთხე წმიდისა მის მამისა ჩუ̃ნისა საყოფელი და ერთი ქალაქი, რომელ არს ზეცისა იერუსალიმი, ცხოველთა მათ ქუ̃ათა მიერ აღშენებული, რომლისა შემოქმედ და ხუროთ მოძღუ̃არ ღმერთი არს და ერთი ნათესაობა, რომელ არს თჳსება ღუ̃თისა, არამედ ნუ ვინ ჰგონებთ თუ არა რაჲ გუ̃აქუ̃ს პატიოსანთაგანი, მამისა ჩუ̃ნისათა მოთხრობად და რეცა ჩუენებით მოვიპყრვთ ჭეშმარიტებასა საქმეთა მიერ საყუ̃დრელისა.

რამეთუ იყო ნეტარი ესე ვითარცა ვთქჳთ ნათესავით ქართუ̃ლი, ხოლო მამისა მამითად ღუ̃თის მსახურისა მისგან და ღუ̃თივ დაცულისა ქუ̃ყნისა, რომელსა სამცხე ეწოდების. ხოლო თჳთ აღმოეცენა იგი ქუ̃ყანასა თრიალეთისასა, ვითარცა პირმან საქმისამან გაუწყოს.

რამეთუ მშობელნი მისნი იყუ̃ნეს ღუ̃თის მსახურნი და ეწოდებოდა მამასა მისსა იაკობ, ხოლო დედასა მარიამ. ესე იაკობ იყო ერთგულთაგანი და საკუთართა ღუ̃თის მსახურისა მეფისა გიორგისთა I[2]). და საქმისა რომლისა თჳსმე საერთგულოსა, მოციქულად წარავლინა მეფისა მიმართ სპარსეთს და ვითარცა წარემართა ნებითა ღუ̃თისათა სავანე ჰყო დაბასა მას და სახლსა, რომელსა იყოფებოდეს მშობელნი ამის წმიდისა დედისანი. ხოლო იაკობ ვითარცა იხილა წესიერი და სათნო ცხოვრება მათი და უმეტესადღა ვთქუ̃ათ ღუ̃თის საყუ̃არელი განგება მათი და ეტრფი-ალა კეთილსა ცხოვრებასა მათსა, ხოლო შჳლად მხოლოდ შობილად ესუ̃ა მათ მარიამ და სიყუ̃არუ-ლისათჳს მისისა არა ვისდა მიეთხოვა დაღაცათუ მრავალთა მიერ ძიება იყო, სძლად მიყუ̃ანებად სახიდ თჳსად.

ხოლო იაკობ იხილა რა მშუ̃ნიერება ხატისა მისისა და ნარნარი[3]) იგი და დაწყნარებული ქცევა მისი და განკრძალული სახე, თქუ̃ა მშობელთა მისთა, დამიმარხეთ შჳლი ეგე თქუ̃ნი

1) სასწავლებელად.

2) მეფე გიორგი I, ძე მეფისა ბაგრატ III. მეფობდა 18 წ. მიიცვალა 16 აგვისტოს 1027 წ. და იქმნა დასაფლავებულ ქუთაისის დიდს საკრებო ეკკლესიასა შინა, რომლისა ნაქცევნი აქამომდე მშვენიერად ჰსჩანან რიონის მარჯვნივ მხარეს, ფრიად მაღალს კლდესა ზედა, ქუთათელის სასახლეს გვერდზედ. ეს გიორგი იყო პაპის მამა წმ. დავით მეფისა III აღმაშენებლისა.

3) სასიამოვნო.

კეთილად მო თუ ვიქცე მშჳდობით, მე ვიქორწინო ეგე და სრულიად თქუჱნთანა დავემკჳდრო. და ნებითა ღუთისათა კეთილად განემარჯუა და მშჳდობით მოიქცა და მეფე დიდად მოჰმადლა და ქვერა მოვიდა ზემოხსენებულთა მშობელთა ქალისათა და იქორწინა ჰსჯულიერითა და წმიდითა ქორწინებითა, ვითარცა იტყჳს მოციქული, «წმიდა არს ქორწილი და საწოლი შეუგინებელი». და ესრეთ აკურთხა ღმერთმან, ვითარცა დიდი იაკობ და რაქაელ, რამეთუ ხორციელსაცა თანა სიმდიდრესა, სულიერებითაცა პატივჰსცა, რამეთუ ესხნეს სამნი ძენი და სამნ ასულნი.

ხოლო ნეტართა მათ მეუღლეთა კეთილად განიზრახეს, რათა პირუელი ნაყოფი თჳსი ღმერთსა შეჰსწირონ. ხოლო მიეცა რა ასული პირუელი, უწოდეს, თეკლა და პატივს ჰსცეს სახელითა პირუელ მოწამისათა და ვითარცა იქმნა იგი შჳდისა წლისა შეჰსწირეს იგი ღმერთსა, ვითარცა აღუთქუა და წარიყუანეს იგი სამცხეს მონასტერსა სადედოსა, რომელსა ტაძრისა ეწოდების და მისცეს იგი ჴელსა წინამძღურისა მის მონასტრისასა, რომელსა საბიანა ეწოდებოდა, დედაკაცსა ღირსსა და წმიდასა, რომელმანცა შეიწყნარა იგი ვითარცა შჳლი თჳსი და კეთილად აღზარდა და კუალად შეუჱს წული შჳლი, რომელსა უწოდეს თევდორე და ესრეთ განიზრახეს კუალად კეთილთა მათ მშობელთა, რათა უკეთუ ეშუას მათ და სხუა წული, შეჰსწირონ იგი ღმერთსა, (რამეთუ ვერძისა ჯერ არსო შეწირვად).

ხოლო მერმის ეძინა თჳსაგან ღამესა ერთსა, ეჩუჱნა მას ბრწყინუალე ვინმე და დიდებული, რომელი ეტყოდა, აჰა ესერა შენ ურძა წული, ვერძი [1]) რჩეული ღუთისა, შეჰსწირე იგი მისა, რომლისად აღგითქუამს და სახელი უწოდე მას გიორგი, და ვითარცა განიღჳძა დედაკაცმან მან, შიშითა და სიხარულითა მიუთხრა ესე ქმარსა თჳსსა და აღდგეს ორნივე ერთობით და ცრემლით, მადლობა შეჰსწირეს ღმერთსა და მოელოდეს აღთქმასა მის საღმრთოსა.

იხილეთ ჵოი! მორწმუნენო, ვითარ სახელის წოდებითა ღუთისაგანვე ყოფადი მის მიერ ჩუჱნებასა მას ღამისასა ცხადი და განმარტებული საქმე მოესწავებოდა, რამეთუ საღმრთოსა და სულიერსა მუშაკობასა, დედასა ურმისასა და მახარებელი მისი წინასწარ აუწყებდა, რამეთუ ორნატთა ეკკლესიისათა, მის მიერ მუშაკობად მოსწავებდა და საუნჯესა მორწმუნეთასა ღუთის მსახურებისა იფქლისა [2]) აღვსებად ახარებდა, რამეთუ ბერძულითა ენითა «გიორგი» მუშაკად გამოითარგმანების.

ხოლო ჩუჱნ პირუელსავე სიტყუასა მოვიდეთ, შემდგომად დროთა რაოდენთამე იშუა მათდა [3]) ღუთისა მიერ აღთქმული იგი ნიჩი და იზრდებოდა ხორციელისა თანა ჰასაკისა სულიერითაცა ჰასაკითა და განიპოხებოდა მადლითა სულისა წმიდისათა და იყო იგი სიყრმიდგან სავსე შიშითა და სიყუარულითა ღუთისათა და ვითარცა წერილ არს ჰსჯულსა ღუთისასა. «იყო ნება მისი და ჰსჯულსა მისსა ზრახავნ იგი დღე და ღამე», ამისთჳსცა იქმნა იგი ვითარცა ხე დანერგული თანა წარსადინელსა წყალთასა ღუთივ სულიერთასა და გამოსცა თჳსსა ჟამსა ნაყოფი მშუჱნიერი და ზეცისა საუნჯეთა ღირსი.

რამეთუ ვითარცა იქმნა იგი შჳდისა წლისა, აღთქმა იგი აღასრულეს მშობელთა მისთა და

---

1) ვერძი, ერთის წლის უმანკო ცხუარი.

2) იფქლი, ხუარბალი.

3) 1014 წელსა.

მასვე ზემო ხსენებულსა მონასტერსა ტაძრის დისა თჳსისა თანა წარგზავნეს და შევედრეს ღმერთსა, მომცემელსა კეთილისა მის ნაყოფისასა.

არამედ ვინაჲდგან სიყრმიდგანვე თჳსსა მშობელთა მოღუაწებისაგან დააკლდა, დაჲვითარცა მორჩი კეთილი აღმოცენებასავე თანა თჳსსა, ყოფადსა მის წარმატებასა აუწყებს ქუეყნის მოქმედთა, ვითარცა იტყჳს დავით. «მართალი ვითარცა ფინიკი აღყუავდეს და ვითარცა ნაძჳ ლიბანსა განმრავლდეს, დანერგულნი სახლსა შინა უფლისასა, ეზოთა შინა სახლისა ღუთისა ჩუენისათა ყუაოდის». და ესრეთ ვითარცა ახალნერგი მშუენიერი იზრდებოდა მონასტერსა მას შინა და ისწავლიდა წერილთა საღმრთოთა, დედაკაცისა მისგან ტირისა დისა თჳსისა, მოასწავებდა წინასწარვე გამოღებად ნაყოფსა მას, რომელი ყოფად იყო, რამეთუ სიმახჳლითა და მოსწრაფებითა გონებისათა საკჳრებელ იყო მხილველთაგან, თუ აღუჴავებასა თანა მეყსეულად ნაყოფსა გამოიღებსო.

რამეთუ ვითარცა მოსე თჳს (წინასწარ წერილ არს) სიჩჩოთგანვე (სიყრმითგანვე) თჳსით მკჳრცხლ იყო ღუთისა ყრმა იგი და ვითარცა დაჭყო მონასტერსა მას შინა სამი წელი და იქმნა ჭასაკითა ათისა წლისა, ხოლო განსჯითა, ვითარცა მხცოვანი და მოხუცებული იხილვებოდა საკჳრველად, მხილველთა და მსმენელთაგან.

ხოლო მნებავს რა სიჩჩოთგანვე ფარვა ღუთისა და შეწევნა მისი გაუწყო ყრმასა მას ზედა: ვითარცა არს ჩუეულება ყრმათა ველად განსვლისა, მიერად და განცხრომად, ხედჳდა კეთილის მოძალე იგი მტერი ნათესავისა ჩუენისა ბოროტი ეშმაკი, ვითარმედ დამთრგუნველად ძალისა მისისა აღზრდებოდა ყრმა იგი წმიდა.

შეძრწუნდა ნუ უკუე სრულიად განქიქნეს მის მიერ სიბოროტე მისი, ამისთჳსცა სიჩჩოთგან იწყო ბრძოლად (მისი), რამეთუ გჳთხრობდა თჳთ წმიდა ესე ვითარმედ: «ვიყავ რა მდინარისა მის დიდისა პირსა, რომელსა ქცია[1]) ეწოდების, წიაღკერძო ვიხილე ყრმა შემოსილი ცეცხლის ფერითა და მიხმობდა, მოვედ და ვიმღეროთ და ვითარცა წარვემართი, ყრმა მშუენიერი სპეტაკითა მოსილი მომეკდის ხელთა და მეტყჳს, იყავ აქა ჩემთანა, რამეთუ მე უმჯობესი მოყუასი ვარ შენი». ხოლო ესე საცნაურ არს, რომელ წიაღ კერძო მდინარისა ცეცხლითა მით საუკუნოთა შემოსილი ბოროტი ეშმაკი იყო და ეგულვებოდა წყალთა მათ შინა წარწყმედა მისი, ხოლო სპეტაკითა მოსილი ანგელოსი იყო, რომელი სიჩჩოთგან დაუდგინა ღმერთმან, რათა სცჳდეს მას, ვითარცა იტყჳს დავით; ვითარმედ «დაიბანაკებს ანგელოსი უფლისა გარემოს მოშიშთა მისთა ზედა და იხსნეს იგინი». და კუალად სწამებს დიდი ვასილი ვითარმედ, «ყოვლისა მორწმუნისადა მიცემულ არს ანგელოსი მცუელად ცხოვრებისა მისისა.

და კუალად იყო რა წმიდა ესე წუთ მონასტერსა მას შინა ზემო ხსენებულსა, შურითა ეშმაკისათა აღედვა ცეცხლი მონასტერსა და სრულიად შემრგუალდა, ხოლო ყრმასა მას ნეტარსა ეძინა ღრმად და მოვიდა კუალად გამოჩინებული სპეტაკითა მოსილი, განაღჳძა და უპყრა ხელსა და შორის ცეცხლისა მის უვნებელად განავლო (გაატარა). და იყო მახლობლად მონასტერსა მას ეკუტერი ერთი ვითარ უტევან ერთ[2]) მუნ მიიყუანა ანგელოსმან მან და თჳთ მიეფარა, ხოლო ვითარ ვგონებ სასწაული ესე არა უმცირეს არს სასწაულისა მის სამთა ყრმათასა.

---

1) ქცია, აწინდელი ხრამი.

2) უტევან, ას ათხუთმეტის ლაჯის სიგრძე.

არამედ მე სარგებელსავე სიტყუათა ჩემთასა ვიდოდი და აქა სრულ ვჰყო სამცნეს ზრდილობისა მისისათჳს სიტყუაჲ და მერმე მოვიცუალო გონებითა და ხახულს მიმოსვლისა და სწავლისა მისისა და ვთქუა თუ, სად განათლებისა მისისათჳს, ყოვლადვე სულ მცირედ და მოკლედ მოგითხრა, ვითარცა უფალმან ძალი მომცეს, რამეთუ იგი ექმნა მიზეზ ყოვლისა კეთილისა, ვითარცა ძტყჳს გრიგორი ღმრთის მეტყუელი ათინისათჳს ვითარმედ, «რომელი იგი ოქროსა ქალაქ მექმნაო», არამედ დაღაცათუ მან, ათინისათჳს თქუა, არამედ კეთილად გულის ხმის მყოფელმან სხუღიერისა ზედა გულისხმა ჰყუჱნ.

ესხნეს ნეტარსა ამას ორნი მამის ძმანი ხახულსა[1]), ორნივე უხუცესნი მამისა მისისანი, კაცნი ღმერთ შემოსილნი და სავსენი საღმრთოთა მადლითა, უხუცესისა მის სახელი გიორგი, მწერალი, რომელი ყოფილ იყო მწერალთა ზედა მთავრად კურაპალატისათა; ხოლო მეორისა მის სახელი საბა, კაცი წრფელი და უმანკო, ესენი მკჳდრ იყუნეს ხახულს, ორითავე ცხოვრებითა შემკავებულად, რამეთუ სიმდიდრესა თანა საღმრთოსა მოქალაქობისა, ხორციეთა სიმდიდრე უხუებით აქუნდა.

ამათ ღირსთა ბერთა, ვითარცა ეუწყა ყრმისა გიორგის სიკეთე და ღმრთის მოშიშება მსწრაფლ მიუმცნეს ძმასა თჳსსა იაკობს, რათა ყოვლითა სწრაფითა ყრმა იგი გიორგი მათთანა მოიყუანოს. ხოლო მას ვითარცა ესმა, მსწრაფლ აღასრულა ბრძანება მათი და წარიყუანა ხახულად შჳლი თჳსი. პირმშოდ შევედრა იგი ყოვლად წმიდასა ღმრთის მშობელსა, რომლისა იგი ერთგულ მსახური და საკუთარ მონა ყოფად იყო და მერმე თჳსთა ძმათა მიუთუალა და თჳთ სიხარულით წარვიდა სახიდ თჳსად.

ხოლო ნეტართა მათ, ვითარცა იხილეს გონიერება იგი და დაწყნარება სახისა მისისა და თავის უფალი იგი და აღუძვრელი გონება, განიხარეს და მადლობდეს ღმერთსა, რამეთუ იხილეს მათ ყრმა მოხუცებულობითა შემკული და ჭაბუკი სიბერითა განშუენებული, ვითარცა იტყჳს დიდი ვასილი. «არამედ მჴეცი არს სიბრძნე და გონიერება კაცთა შორის და თუ არა სისპეტაკეთა მათთა არად სარგებელ არს.

და კუალად გჳსწავიეს იოანნესათჳს და იერემიასთჳს, რამეთუ ერთი იგი მსაჯულ მოხუცებულთა იქმნა, ხოლო მეორე იგი საშოთგან განწმედილი წინასწარმეტყუელებდა.

ხოლო ვითარცა ვთქუ, იხილეს რა კეთილთა მათ ბერთა ძმის წული თჳსი ესრეთ შემკული, მოჰგუარეს იგი მამასა მაკარის, რომელი იგი მას ჟამსა ღირსებისათჳს თჳსისა წინამძღუარ იყო, დიდისა მის ლავრისა; ხოლო მან ვითარცა იხილა, ფრიად განიხარა და ვითარცა შჳლი შეიტკბო,

1) ხახული იყო ფრიად დიდი და განთქმული მამათ მონასტერი, აღშენებული სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა ღმრთის მშობლისასა, ისპირის მდინარესა ზედა, რომელიც ერთჳს ჩოროხს მარცხნივ მხრივ. მონასტერი იგი ეკუთნოდა დასავლეთის საქართველოსა, კაპპადოკიის და კლარჯეთის სანახებთა შუა. აღუშენია იგი მეფე დავით კურაპალატსა (983—1001 წ.). ყოვლად დიდი და მშუენიერი მონასტერი იგი მოისპო სრულიად მეთექუსმეტე საუკუნესა შინა, მაჰმადიანთა მიერ. საეკკლესიო განძი რომლისა, მიფარულ იქმნა ქუთაისის გაენათის მონასტერსა შინა და ტაძრის ხატიცა მისი მათთანავე, რომელიც ასუენია აწ გაენათს, საკრებო ეკკლესიასა შინა უპატიოთ და მიუხედველად; სიმშუენიერე და დარჩენილი სიმდიდრე რომლისა, განაკჳრვებს ყოველსა და რომელიცა დაუსჯელად იცარცვების. დრო არს მიხედვა და დაცვა მისი, ვითარცა საისტორიო სახსოვარი საქართველოს ყოფილ სიმდიდრისა და ფრიად კეთილ მოქალაქობისა. განძთაგან, რომელნიც იყვნენ დაცულნი გაენათს ფრიად მრავალი, დაუსჯელად წარიღო მპარავმან და შერცხვენილმან ყოფილ ქუთაისის გუბერნატორმან გრაფმან ლევაშოვმან 1869 წელსა, თანა ხმობითა,... და გაენათის ყოფილ წინამძღურისათა ბესარიონისათა, აწ ეპისკოპოსად ქმნილმან.

აკურთხა იგი კურთხევითა მით აბრაამიანითა, ეკლესიისა ევლოგიისა მონაწილე ჰყო და სულისა თჳსისა შვილად უწოდა და ეგრეთვე დიდსა მასცა ვასილის ბაგრატის ძესა მოჰკუეთარეს[1]). და წმიდა კურთხევა მისი მიღებად ჰსცეს, რომელი იგი მას ჟამსა შინა იყო მოძღუარი და განმანათლებელი ქრისტიანისა ჩუენისა და კუალად ღმერთ შემოსილმან ანტონი[2]) იხილა რა, განიხარა და ყოვლითა კურთხევითა აკურთხა და ესრეთ ყოველთა მამათა კურთხევა მიაღებიეს და მერმეცა წარიყვანეს სახიდ თჳსად.

მაშინ განიზრახეს საღმრთოთა მათ მოხუცებულთა თანა ზრახვა ზემოხსენებულთა ამათ მამათათა, რათა ჰპირუელ ყოვლისა ღუთივ სულიერითა ჰსასკითა აღორძინდებოდის და საღმრთოთა მათ სწავლათა სძესა მის მიერ ასმიდეს და სისრულედ სათნოებითა წარემატებოდის და ვინმცა იხილეს სხუა უმაღლესი სათნოებითა და სულიერთა მოძღურებათა შინა განთქმული, გარნა დიდი ილარიონ[3]) თუალელი, რომელი იგი მას ჟამსა შინა, ვითარცა მთიები ბრწყინვიდა, კრებულსა შორის მამათასა, რომლისა სათნოებათა და მოღუაწებათა აწ წარმოთქმა შეუძლებელ არს, ამას ნეტარსა შევედრეს შვილი თჳსი და მონაზონებისა წარმართებად ევედრებოდეს. ხოლო წმიდამან, ვითარცა ღუთისა მიერ მოცემული კეთილი შვილი ეგრეთ შეიწყნარა და წესიერებისა მიმართ და სათნოებისა წურთად იწყო და ესრეთ წარემართებოდა ნებითა ღუთისათა და ვითარცა ნერგი კეთილი დანერგული თანა წარსადინელსა (წყლისასა), ღუთივ სულიერისა წურილთასა და დღითი დღე აღორძნდებოდა.

ხოლო აუწყეს სწავლათაცა საეკლესიოთა და სამღუდელოთა, რომელთა შინა უმეტეს ყოველთა ჰსასკის სწორთა მისთასა წარემატა და საგალობელნი იგი საწელიწდონი და შეწყობილებანი ყოველნივე მეყსა შინა ზეპირად დაისწავლნა საღმრთოთა კულაჲ წიგნთა კითხვისათჳს, რად სახმარ არს სიტყუად, რომელთა იგი შინა უაღრეს ძალისა თჳსისა დაშურა და გამოიცადა, რომელსა შინა არა სცემდა ძილსა თუალთა თჳსთა განსჳურნებასა კულაჲ ხორცთასა ყოვლადვე არა თავს იდებდა და მაშინდელი იგი წურილთა გულის ხმის ყოფა, ვითარცა წინდი რაჲმე მომავალთა საქმეთათჳს მიიღო და ესრეთ ყოველნივე საღმრთონი წიგნნი ძუელისა და ახლისა ჰსჯულისანი, რომელნი არიან ჩუენსა ენასა ჰპოვნა ყოველნივე კეთილად ყურად იხუნა.

ხოლო უწყი, ვითარმედ მრავალთა გესურის სმენად თუ ვინა ასწავა ბერძული სწავლა, ვინა ვინა დაბჯუნჯა სავსე ესე მოუკლებელი, ფერის ჯოჯის ძემან, დის სიძემან ვასილი ბაგრატის ძისამან, რასათჳს მე ვახსენე დაი ვასილისი ამისთჳს, რამეთუ იტყოდა წმიდა იგი ვითარმედ არა უდარეს იყო ღირსი ესე დედაკაცი ღუთის მსახურებითა, ძმასა თჳსსა ნეტარსა ვასილისათა. ამან ფერის და მეუღლემან მისმან, განიზრახეს კეთილად, რათა კაცი საღმრთო იძიონ სულისა მათისა

---

1) სანატრელად მოხსენებული ვასილი, იყო ძე — ბაგრატ III ძისა გურგენისა (980 — 1014). როგორც ჰგონებს უწმიდესი კათალიკოსი ანტონ I, მან ჰსთარგმნა ბერძულიდგან «ლავსაიკი» წმ. ეფრემ ასურასტანისა.

2) ღმერთ შემოსილი ანტონი მიიცვალა მეფობასა გიორგი II (კურაპალატისასა) 1072 — 1088 წ. მის წერილთაგანი გვპოვნიეს საგალობელი წმ. მამისა ჩუენისა ევთიმისა, რომლის ხელწერილი იპოვების ათონის ივერიის მონასტრის საწიგნობელსა შინა.

3) ღირსი ილარიონ თუალელი, ანუ თულაშვილი, მოძღუარი — ღირსისა მამისა გიორგი მთაწმიდელისა, რომელსა მონაზონობამდე ეწოდებოდა იოანე. მოჰყვა იგი წმიდასა გიორგის საქართველოს ათონიდგან. მიიცვალა იგი ათონს, ივერიის მონასტერსა 1044 წ. ამან შემოსა წმ. გიორგი მონაზონად.

კეთილისა მსწავლელად და უწესოებისა დამაყენებლად და რათა ყოვლადვე მახლობელად მათდა იყოს; ამის პირისათჳს ორთავე გამოიძიეს და დაამტკიცეს, ვითარმედ გიორგი მწერლისა უცხონიერებსა ვერვის ჰპოებენ, ამისთჳს დიდითა ვედრებითა და ქენებითა გიორგი მწერალი წარიყვანეს და ყოველივე საქმე მათი სულიერი და ხორციელი მას დაამორჩილეს. ხოლო ამან გიორგი, ნეტარისა ძმის წული თჳსი ყრმა თანა წარიყვანა, რამეთუ ფრიად ეხმარებოდა ზეპირით განონახობასა, რამეთუ თჳთ მოხუცებული იყო.

ხოლო ვითარ იხილეს კეთილნი მათ მეუღლეთა განისარჩეს ფრიად და საღმრთომან მან დედაკაცმან შჳლად თჳსად აღიარა გიორგი და დაჰყუჱს მრავალი ჟამი კეთილსა და ღმთივ სათნოსა ცხოვრებასა შინა. ხოლო ამისა შემდგომად ვასილი მეფისათჳს, ფეროსს თავი წარეკუჱთა[1]), რამეთუ განდგომილებას დასწამეს და ესრეთ ბრძანებითა სამეფოთა ესე ღირსი დედაკაცი, ერითურთ თჳსით კონსტანტინეპოლედ წარიყვანეს, ვინა იგი დაყუჱს ათორმეტი წელი. ხოლო მათსა მუნ ყოფასა მამისძმამან საკჳრველისა მის ყრმისამან და უფროსღა ვთქუა თუ საღმრთომან მან დედაკაცმან, ასწავლოდ მისცეს ყრმა იგი გიორგი, კაცთა ფილასოფოსთა და რიტორთა, ორითავე ცხოვრებითა შემკობილთა, არა ერისკაცთა, არამედ მონაზონთა და ღმთის მოშიშთა და ყოველთა მიერ წამებულთა და ესრეთ ათორმეტსა მას წელსა ყოვლადვე მოსწრაფებას და გულს მოდგინებას შემოიკრიბა; ვიდრელა სიმახჳლითა გონებისათა და მრავალ ჟამ გამოცდილთა მოსწრაფებითა წარემატა და მოსწრაფეთა და გულს მოდგინეთა, სიმახჳლითა გონებისათა აღემატა და ორკერძოვ სრულ ქმნილთა, ერთ კერძო თანაწარხდა ვიდრელა დიდად განჰკჳრდეს ყრმასა იგი ბერძენთანი, მისისა-მას ეგოდენსა მოსწრაფებასა და სიმახჳლესა გონებისასა აღიძვროდეს.

და არა ჰყო სწავლასა მას შინა ვითარ ვთქუთ, ათორმეტი წელი და ვითარცა ქუეყანამან კეთილი თესლი სწავლულებისა შეიწყნარა კრნატთა შინა სულისა თჳსისათა, რომელი იგი (ვითარცა) ჟამსა თჳსსა გამოღებად ედვა აღვსებად სულსა მშჳერთასა და განმდიდრებად ღმთისა ეკლესიისა.

ამისა შემდგომად ბრძანებითა სამეფოთა უფალსა თჳსსავე პრასტინოსა მოიქცა საღმრთო ესე დედაკაცი ტვარწატაფს[2]) და თანა წარიყვანა ყრმა იგი მამის ძმისავე თჳსისა. ხოლო უწყოდა ვითარმედ დედა მისი მიცვალებულ იყო, ხოლო მამა მისა წუთ ცოცხალ იყო, რომელი იგი ძმამან მისმან გიორგი ძმისა თჳსისა თანა მოიყვანა, ტვარწატაფს და ერთ ბამად იყოფოდეს.

ხოლო ყრმა იგი წარვიდა ხახულს მამისა ძმისა თჳსისა თანა საბასა და ვითარცა იქმნა ოცდა ხუთისა წლისა, ტკბილსა მას უღელსა მონაზონებისასა ქედი თჳსი მოუდრიკა, რამეთუ დაღაცა თუ მონაზონი იყო სიყრმიდგან; ხოლო წყრ კურთხევა მონაზონებისა არა მიეღო, რამეთუ მოძღუარი მისი სულიერი და ღმთივ მიმართ მონაზონებისათა მწყრთნელი დიდი ილარიონ წუთ ხორცთა შინა იყო და ხელთაგან მისთა მიიღო კურთხევა მონაზონებისა, რამეთუ იგი იყო პირუჱლ მოძღუარი მისი და მიზეზი ყოვლისა კეთილისა. ამისსა შემდგომად, აღძვრითა ზეგარდამოთა, მოუხდა სურვილი უცხოებისა და სივლახისა და თჳსთა და მეგობართაგან განშორებისა

---

1) მაშინ თრიალეთის ბერძენთა ქუეყანა, ჯოჯიკ ერისთავი იყო თრიალეთისა. ცუდი ცილი დასწამეს მას, ვითარმედ განდგომა დაუპირაო ბერძენთ მეფესაო და ამისა გამოთ მიუწოდეს იგი კონსტანტინეპოლეს და შემდეგ რაოდენისამე დროსა მოჰკუჱთეს მას თავი. შემდგომ ამისა, მეუღლემან მისმან დაჰყო კონსტანტინეპოლეს ვითარ ათორმეტი წელი...

2) ტვარწატაფი, — სადაცა იყო სადგური მათი.

და ქორონსლა ვთქუა თუ სურვილი თაყუანისცემისათჳს წმიდათა მათ და განმაცხოველებელთა ადგილთა, ვინა იგი აღასრულა ყოველი განგება ცხოვრებისა ჩუენისა სიტყუამან მამისამან, მოსრულმან ცხოვრებისათჳს ჩუენისა. ხოლო იყო-ცა განგება ღუთისა საქმესა ამას შინა, რომელი იგი წინასწარ ყოვლადვე მეცნიერ არს და ყოფადთა ვითარცა ყოფილთა; ხედავს ვითარცა იგი მოსეს რა წინასწარმეტყუელად განმზადებდა, პირუელ ყოვლისა თჳსთაგან გამოიყუანა და აბრაამს რა თანა აღთქმასა დასდებდა, ქუეყანისა თჳსისა დატევება უბრძანა, ეგრეთვე მრავალთა წმიდათა თჳს წერილ არს; ჰნებავს რა მახლობელობა ღუთისა, პირუელ ყოვლისა თჳსთაგან და მეგობართაგან განეშორნიან და ჭეშმარიტი იგი თჳსებისა ზრახუა მაშინ ჰპოვიან; ვითარცა იტყჳს წმიდისა აშისთჳს; მოუხდა სურვილი უცხოებისა და თჳსთაგან განშორებისა და ფარულად ყოველთა მეგობართაგან და მეცნიერთა სივლტოლუა იხუმია და წარემართა იერუსალიმისა კერძოთ.

ხოლო ვითარცა ჰსცნა მამამან მაკარი და ყოველთა მათ ღმერთ შემოსილთა ბერთა, შეწუხნეს ფრიად და ყოვლითა კერძო მეძიებელნი და შემპყრობელნი განავლინნეს და ყოველნი გზანი მოიცუნეს. მაშინ ვითარცა გულის ხმა ჰყო, რამეთუ შეიპყრობდეს, სხუა ღონე იხუმია, ვითარცა დიდმან ათანასი და შესამოსელი თჳსი ფრიად კეთილი მისცა იგი გლახაკსა ვისმე და მისი იგი დაბებკული შეიმოსა და ჰპოვა მწუხარე ერთი წინამძღუარისაგან დატევებული, უმზერა წინა და წარემართა გზასა თჳსსა და ესრეთ განერა დამხრწეველთა გზისა მის კეთილისათა, რამეთუ დაღაცათუ სიყუარულითა იქმოდეს, არამედ არა კეთილ იყო მომავალთა საქმეთათჳს.

ხოლო იტყოდა თჳთ წმიდა იგი: «ვითარმედ უდაბნოსა ადგილსა შეგვხუდა ტყეთა შინა და იყო ელვა ქუხილი და ჭაერი ბოროტი და შჳდგზის დაავკუეთა მწუხარე იგი მას ღამესა ემმაგმასო და პეროინ და იღრჭენდა და ყიჟინ, ხოლო მე ვილოცვიდი». იხილეთღა უშიში ესე სულითა და ახოვანი გონებითა, ვითარ არა შეძრწუნდა, არამედ ღამე ყოველ ევედრებოდა ღმერთსა, განკურნებისა მისისათჳს, ვიდრემდის განიოტა კაცისა მისგან სული იგი ბოროტი და ყოვლითურთ უვნებელი მონასტერსა ერთსა მიიყუანა, სადა იგი განკურნებულსა მას ენება და მადლობდა ღმერთსა, რომელმან იხსნა სულისა მისგან (ბოროტისა) არა წმიდისა და ესრეთ მხოლო წარემართა გზასა თჳსსა მრავლითა შრომითა და ღუაწლითა, რამეთუ დაქენჯნიდა და აჭირვებდა ხორცთა თჳსთა ვითარცა მოციქული იტყჳს ვითარმედ «აღვკრძალავ ხორცთა ჩემთა და დავიმონებ, რათა არა სხუათა უქადაგებდე და მე გამოუცდელ ვიყუე», ეგრეთვე ჰყოფდა წმიდა ესე, რამეთუ ძაძა შეემოსა და უხამლო და თავი[1]) ღუთისა[2]) უღჳნო და უწყლო ვიდოდა გზასა მას იწროსა, რამეთუ დღესა შინა ერთგზის მიიღის პური და წყალი და ესე ვითარითა შრომითა და მოღუაწებითა შემკული მიიწია მავსა მთასა და მერმე აღვიდა მთასა საკჳრველსა, თაყუანისცა და ამბორს უყო ლარნაკსა[3]) წმიდისა და საკჳრველთ მოქმედისა სიმეონისსა და ღირსისა დედისა მისისა ნეტარისა მართასსა და ყოველნი მონასტერნი მოილოცნა და წმიდანი მამანი მოიკითხნა და ყოველთაგან ლოცუა მიიღო.

ხოლო ყოვლისა პირუელად იწყო ძიებად წინამძღუარისა სულიერისა, რამეთუ უწყოდა ვითარმედ თჳნიერ მოძღუარისა, არა არს ცხოვრება სულისა და წარმატება მონაზონებისა და ჰპოვა მთასა საკჳრველსა ნაპრალსა შინა კლდისასა ბერი წმიდა შეყენებული, ვითარცა მტრედი წმიდა და გურიტი

---

1) თჳსი მიჰსცა.
2) ღმერთსა.
3) ლარნაკი: აკლდამა, კუბო, სანაწილე ყუთი.

უბიწო, კაცი ზეცისა და ანგელოზი ქ̃ჲანისა ყოვლითურ უცხო და განშორებული (ქ̃ჲანისა) ხორცთა და ხორციელთა ზრახვათაგან და გონებითა ღ̃თისა მიცვალებული.

გიორგის ვიტყჳ [1]) დაყუდებულსა დიდსა მას მნათობსა ნათესავისა ჩ̃ნისასა, კაცსა ყოველთა მიმართ გულის სათქმელსა, რომელმან ესე ჩ̃ნ უსდოთა მიერ ამისი აღწერა გჳაიძულა, ამას დაემოწაფა ნეტარი ესე, ვითარცა ოდესმე მთასა სინასა ნეტარი იოანე დიდსა მარტჳრის.

ხოლო მან ვითარცა იხილა სიკეთე სულისა მისისა და განიცადა ტალანტი იგი მის შორის დაუნჯებული, განიხარა სიხარულითა დიდითა და სულითა გულის ხმა ჰყო რა იგი ყოფად იყო; რამეთუ სურჳელ იყო წმიდა ესე ბერი, რათამცა კ̃ლად გამოჩინდე აჩინა მოწყალებამან ღ̃თისა მან, ნათესავსა შორის ჩ̃ნსა კაცი, რომელმანცა სრულ ჰყოს ნაკლულევანება ენისა ჩ̃ნისა; რომელი იგი წმიდისა მამისა ჩ̃ნისა ევთიმისგან დაშთომილ იყო და ნიჭითა ღ̃თისათა ჰპოვა რომელსა იგი ეძიებდა და მადლობა შესწირა ღმერთსა, რომელი არა ოდეს უგულებელს ჰყოფს სიგლახაკესა ჩ̃ნსა მეოხებითა წმიდისა ღ̃თის მშობელისათა.

ხოლო დაამკჳდრა იგი რომან წმიდას და დაჰყო მას შინა სამი წელი დიდითა შრომითა და მოღუაწებითა, მარხჳთა, მღჳძარებითა და უფროს ხოლო სიმდაბლითა და მორჩილებითა, რომელნი ესე ფრიად ექმნებიან მონაზონსა აღსლვად ღ̃თისა თანა, რამეთუ ყოველთა უძლურთა იგი მსახურებდა, ესრეთ ყოვლითა სათნოებითა შემკული, ხორციელითა ჰასაკითა იქმნა იგი ოცდა ათისა წლისა. ხოლო სულიერითა მხცოვან და მოხუცებულ და ვითარცა იხილნა ნეტარმან მან ბერმან გიორგი, შეყუენებულმან მოძღუარმან მისმან, ვითარმედ ყოვლითა სრულ ქმნილ არს ჰასაკსა თანსა, სიბრძნითა და გონიერებითა, სქემა შემოსა და ყოვლითურთ სრულ ჰყო მონაზონებისა მოღუაწება და სქემისა გჳრგჳნითა და მერმელა იერუსალიმად წარგზავნა.

იხილეთღა სახიერება ჩ̃ნთჳს განკაცებულისა მეუფისა, რომელმან იგი არა უღირს იჩინა თანა ზიარყოფა მონისა თჳსისა სარწმუნოსა, რამეთუ ვითარცა მან ოცდა ათისა წლისამან ხორციელი ჰასაკითა ნათელ იღო ეგრეთვე მონა თჳსი, ღირს ჰყო მოღებად მეორისა ნათლისა ღებასა, რომელ არს მადლი წმიდისა სქემისა, მითვე ჰასაკითა და მიერ აღსრულად ხილვასა მას იერუსალიმსა, რათა გონებითა მით უხილავსა იერუსალიმსა მიიცვალოს.

და ვითარცა მიიწია ნეტარი ესე წმიდად ქალაქად, მოილოცნა ყოველნი წმიდანი და თაყუანის საცემელნი ადგილნი. სულისა სურჳლითა და გონებისა სიმხურვალითა და მარადის ცრემლითა მიერ ლტობივინ იხსენებნ, რათა ვნებათა მეუფისათა, რომელმან იგი მუნ ჩ̃ნისა ცხოვრებისათჳს ადგილთა მათ შინა წმიდათა თავს ისხნა, რამეთუ ესრეთ არს გჳნგებას მისი, ვითარცა მას თავადსა თუალთა წინაშე ხედჳდა და დაჰყო მცირედი ჟამი ესე ვითარითა ყოფითა და მერმე განგებითა ღ̃თისათა, კ̃ლად მოძღუარისავე თჳსისა მოიქცა და ესრეთ ყოვლითურთ სრულ ქმნულსა საღმრთოსა ესე ტალანტი ხელთ უდვა, რომელ არს თარგმანება წიგნთა საღმრთოთა, ბერძულისაგან ქართულად.

ხოლო ესე ნეტარი არა თავს იდებდა, არამედ ესრეთ იტყოდა ვითარმედ «შეუძლებელ არს ესე ჩემგან და ესე ვითარი წმიდათა და ღ̃თის მოშიშთა შ̃ნისო, ვითარცა იყო წმიდა მამა ჩ̃ნ.

---

1) ესე ჰსცხოვრებდა მთასა საკჳრველსა ანტიოქიისა მხარეს, სავანესა წმ. მამისა ჩ̃ნისა სიმეონ დიდისა მესუეტისა და იყო სულიერი მოძღუარი წმ. გიორგი მთაწმიდელისა. აღსრულდა 1068 წელსა, მუნვე საყუდებელსა თჳსსა, ღრმა მოხუცებული.

ქვთიმე»: ხოლო ბერი ეტყოდა ვითარმედ შჳლო, რომელმან წმიდა იგი სიკუდილისაგან იჴსნა და ქართული ენა განმარტა, იგივე შემძლებელ არს შენდაცა შეწევნად, რამეთუ მას დიდად ეწყალის და უფარს ნათესავი ჩუჱნი და თჳთ მას წმიდასა მამასა ევთიმის ვევედრნეთ, რათა შეგვეწიოს, რომელ ნეშტი დარჩომილი მისი შენ სრულ ჰყო, მადლითავე მისითა ვითარცა პავლე ქრისტესი.

და ესრეთ დიდითა იძულებითა ძლით დაარწმუნ და წმიდისა სიმეონისა და მართას მადლითა შეზღუდვილი, მთაწმიდას წარმოგზავნა და ვითარცა მოწაფე სარწმუნო და შჳლი ერთ გული და ძლუჱნი შემზადებული სიწმიდისა მისისა წმიდასა მამასა ევთიმის მიუძღუანა, რათა ვინა იგი წყაროს თუალი სიბრძნისა, აღმოეცენა მომრწყმელად ნათესავისა ჩუჱნისა, მიერვე აღმოიფხუს ნექტარნი გულის ხმის ყოფისანი, კაცმან ამან ღუთისამან და მდიდარმან დაათვრო სამყარო ეკკლესიათა ჩუჱნთა და ვითარცა იტყჳს წინასწარმეტყუელი ისაია, ვითარმედ «გამოვიდეს ჴსჯული სიონით და სიტყუა ღუთისა იერუსალიმით ჴსჯიდესო». ეგრეთვე დაღაცა თუ პირუელითგანვე გუაქუნდეს წერილნიცა და სარწმუნო ჭეშმარიტი და მართალი გარნა ქუჱყანა ჩუჱნი შორის იყო ქუჱყანისაგან საბერძნეთისა და ვითარცა ღუარძლი რაჲმე დათესულ იყუნეს ქუჱყანასა ჩუჱნსა, ბოროტნი იგი თესლნი სომეხთანი, გრძნეულნი და მასქანნი და ამის მიერ ფრიად გუჱვნებოდა, რამეთუ ნათესავი ჩუჱნი წრფელ იყო და უმანკო, ხოლო იგინი რეცა მიზეზისა წვალებისათა, რეცა ცდუნებად გუაზმწრობდეს და რომელნიმე წიგნნიცა გუაქუნდეს მათგან თარგმნილნი.

ამათ ესე ვითართა მიზეზთათჳს მოხედნა მოწყალებამან ღუთისამან ნათესავსა ჩუჱნსა და აღადგინა ახალი ოქროპირი წმიდა მამა ჩუჱნი ევთიმე და ვითარცა მეათსამეტემან მოციქულმან ქუჱყანა ჩუჱნი ამათ ზემოხსენებულთა ურიათაგან სრულიად განწმიდა, მრავლად თარგმანებითა წმიდათა წერილთათა, ვითარცა დასაბამსავე სიტყუისა ჩემისასა ვთქუით და წესნი და კანონნი საეკლესიონი დამამტკიცებელნი სარწმუნოებისა ჩუჱნისანი ესე ყოველნი აღწერილად დაგჳტევნა, რომელნი იგი წმიდისა ამის მთისგან და ღუთივ აღშენებულისა ლავრისა, ვითარცა მდინარისაგან ედემისნისა, ნაკადულნი ცხორებისანი პირსა ზედა ქუჱყანისა და ნათესავისა ჩუჱნისსა მოეფინნეს.

ხოლო ვითარცა პირუელვე ვთქუით, ადრე მიცუალებითა მამისა ჩუჱნისათა არა სრულ იქმნეს წერილნი ჩუჱნნი ამისთჳს სახიერებამან ღუთისამან კუალადცა მოგუანიჭა[1]) შემდგომად მოსესსა, ისო და შემდგომად არონისა, ელიაზარ, შემდგომად ელიაზარისა, ელისა, შემდგომად პავლესსა, ტიმოთე და მსგავსადვე მათისა ნაკლულევანება მოძღურისა თჳსისა, ამან ნეტარმან მამამან სრულ ჰყო.

ხოლო ჩუჱნ პირუელისავე სიტყუასა მოვიდეთ: წარმოუმართა წმიდა ესე შეჭურჳლი ლოცუითა მოძღურისა თჳსისათა, მითვე პირუელითა მოღუაწებითა და ფრიად უფიცხესითაცა. ხოლო მიიწია მდინარესა დიდსა ერთსა, რამეთუ მარტო იყო და ვითარ შევიდა მდინარეს მას ვერ უძლო წიაღსლვად, სიმდიდრისაგან მისისა, რამეთუ მდიდრო იყო. მაშინ იხილა წიაღ კერძო ჭაბუკი მშუჱნიერი, ამხედრებული ცხენსა ზედა სპეტაკსა და ჰრქუა, «შემოვედ ნუგეშინინ» და უპყრა ხელსა მისსა და წარიყუანა მშჳდობით. ხოლო იგი თჳთ უჩინო იქმნა და იტყოდა წმიდა იგი (რომელ), «ვითარმედ გულსავსებით ვიცან, ვითარმედ გამოჩინებული იგი, რომელმან წყალთა შინა სიკუდილისაგან მიხსნა, დიდებული მთავარმოწამე გიორგი იყო». და ესრეთ ნებითა ღუთისათა მშჳდობით მოიწია წმიდასა ამას მთასა, თაყუანისცა წმიდასა ღუთის მშობელსა და მადლობა შესწირა და მერმე სურჳლით

1) ვითარ.

ამბორს უყო სამარხოსა წმიდისა მამისა ჩუენისა ექვთიმისსა. ხოლო მათ სიხარულით შეიწყნარეს და განუსუენეს და დიდი პატივი მიუპყრეს და მადლობდეს ღმერთსა, რომელი მიუძღუა. ხოლო იგი იყოფოდა მოღუაწებითა გონებათა უაღრესითა მარხვთა და ლოცვთა, სიმდაბლითა სიმშჳდითა და მორჩილებითა, და მოთმინებითა და უმეტეს ყოვლისა თავისა თჳსისა შეურაცხ ქმნითა, რამეთუ ვიდრე ჟამ რაოდენმე, ვითარცა ლიტონი და უსწავლელი. საგონებელ იყო ყოველთა მიერ, რამეთუ მისცა თავი თჳსი მსახურებასა მორჩილებასა ძმათასა და წელიწადსა შჳდსა შეურაცხსა საგონებელთა საქმეთა სიმდაბლით მსახურებდა და არნ ყოვლადვე, მგლოვარე და თავ დადრეკილ, რამეთუ ხორციელითა თუალითა ყოვლადვე ქუეყანად ხედავნ, ხოლო თუალნი სულისანი მარადის უხილავსა მას დიდებასა ღმრთისასა უხილავად განიცდიან, რომელი ესე მცირეთა მიერ მოსაპოვნებელ არს საქმე ბუნებითი და მრავალთაგან ძნიად საგონებელ რათამცა თჳნიერ საჭიროთა საქმეთა არა ვინ ახედვებდა თუალთა თჳსთა, რომელი იგი მან ვითარცა ბუნებით შეითჳსა სიყრმითგან ვიდრე სიბერედმდე.

რამეთუ მას ჟამსა შინა, ოდეს იგი აღმოსავლეთს ვიყუენით, დღესა ერთსა ინება მეფემან ბაგრატ, გამოცდა ნეტარისა ამის მოხუცებულისა და ჰრქუა მთავართა თჳსთა, გნებავს რათა გიჩინო საქმე მაღალი. მოვიდეს ჩუენდა გიორგი მთაწმიდელი[1]) და დაცადეთ ყოველთა ვიდრე განჩულადმდე მისა, რათა არა მოგვხედნეს და არცა განიცადოს ხატი ჩუენი. მაშინ უბრძანა წინაშე მდგომარეთა მოწოდება ბერისა და ვითარცა შემოვიდა სამეუფოსა მას კარავსა, აღდგეს ყოველნივე დაბალნი და აწვიეს ბერსა, რათა უმეტესნი თჳთ მოწაფენი იყვნეს მისნი და ვითარცა დაჯდა, იწყო მეფემან უბნობად მისა, მრავალ სახედ სარგებელისათჳს სულისა და ეგრეთვე ეპისკოპოსთა და მთავართა. ხოლო ნეტარი იგი თჳთოეულად ყოველთავე პასუხსა მისცემდა და სწავლათა მიერ სულთა მორწყვიდა და ქუეყანად მიმართ ხედვიდა და აღასრულეს დღე იგი ეგრე, ვიდრე ექუს ჟამადმდე.

ხოლო ბერი იგი იჯმნა წარსვლად, ჰრქუა მას მეფემან, მამაო ჰყავ სიყუარული და განმიცადე თუ ვითარი ვარ. ხოლო ბერმან რეცა ღიმილით[2]) მცირედ მიხედნა და ჰრქუა «ჰოი! მეფეო, აჰა ესერა ვხედავ პირსა შენსა, ვითარ პირსა ქრისტესსა, რამეთუ ყოვლითურთ ღმრთის მსახურ ხარ და ღმრთივ დაცულ». და ესე ამისთჳს ვახსენეთ რათა სცნათ ვითარმედ არა ხოლო თუ ოდენ სიჭაბუკესა არა განიცდიდა ხატსა უცხოსა, არამედ მოხუცებულებასაცა. ხოლო ჩუენ პირუელსავე სიტყუასა მოვიდეთ, ვითარცა იყო წმიდა ესე დიდსა ლავრასა შინა, ეგე ვითართა შეურაცხებათა თავისათა და მოვიწყებითა ფიცხელითა. ეუწყა ნეტარსა მას ბერსა მოძღუარსა მისსა გიორგის, ვითარმედ წუთ არცა მღუდელობისა პატივი მიუღებიეს და არცა წერილთა თარგმნად უწყიეს, შეწუხნა ფრიად და წარმოუვლინა შავით მთით მოწაფე თჳსი კაცი ღირსი და სახიერი სახელით თეოდორე, დიდი მდურვა მოუმცნო არა აღსრულებისათჳს ნებისა მისისა. ხოლო ნეტარი ესე არა ურჩებით იქმოდა ამას, არამედ ყოვლითურთ, არა რად და უნდოდ შეერაცხა თავი თჳსი, რამეთუ ეხსენა სიტყუა იგი უფლისა, ვითარმედ, «რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი იგი ამაღლდეს». და კუალად სიტყჳს მამანი ვითარმედ, დედა არს ყოველთა ვნებათა ცუდი დიდება. ხოლო წმიდა ესე არა ნებსით მიიღებდა

1) მას ჟამსა შინა მეფე ბაგრატ IV და დედა მისი დედოფალი მარიამ, მეუღლე მეფისა გიორგი I, კონსტანტინეპოლეს იყვნენ, სადაცა ნახეს წმ. გიორგი.

2) ღიმილი ანუ ღილინი, დაფარული, ანუ ჩუმი სიცილი.

არამედ იძულებით, ბრძანებითა მოძღურისათა. მაშინ მრავლითა ცრემლითა და სულთქმითა მიიღო პატივი მღდელობისა, არა იყო ეგე ვითარი აწ მრავალნი პირველ თავისა თჳსისა განწმედისა სიტყჳთა განწმედილ იქმნებიან და ვითარცა უნდოჲსა რასამე საქმისა მიმართ, ეგრეთ მღდელობისა მიმართ მიისწრაფიან და პირველ წელთა გამოსრულისა მოხუცებულთა უმოძღურიან, ვითარცა იტყჳს გრიგორი ღმრთისმეტყუელი. ხოლო წმიდამან ამან მცირედ შედგა ფერხი ხარისხსა მას ზედა კიბისასა და ეგრეთ აღხდა თავსა ზედა და რამეთუ პირველად და სახის თავთა მისთა და მერმე ჭურჭელთა სამღდელოთა, მერმე კიდობნისა მტჳრთველ იქმნა. სხუათა მიერ აღსრულებად შემზადებულსა და რასაღა მრავალსა ვიტყოდე? მცირედ შინაგან წმიდასა წმიდათასა წარდგა მღდელი წმიდა, სხუათაცა წმიდა მყოფელად იპოვა.

რამეთუ ვითარცა ვთქუთ მიიღო პატივი მღდელობისა, შემდგომად მცირედისა მსაგრად ეკლესიისა განაწესა, უხუცესად მღდელთა და მგალობელთა დაადგინა და ამას შინა დაჰყო რა მცირედი ხანი, მოეხსენა პატივი იგი ტალანტის დამფლველისა მის და უფროსადღა შეეშინა ურჩებისათჳს მოძღურისა თჳსისა, ამისთჳსცა ვითარცა ბრძენმან ხუროთ მოძღუარმან, პირველად კეთილი საფუძველი დადვა, იწყო რა შენებად ღმრთისა ეკლესიისა და პირველ ყოვლისა სჳნაქსარი თარგმნა, რამეთუ ესე არს საფუძველი ეკლესიისა, რომლისა თჳნიერ შეუძლებელ არს წარმოთქმა ეკლესიისა, რამეთუ რომელსა ეკლესიასა სჳნაქსარი არა ჰქონდის, დაღაცათუ ყოველნი წიგნნი ჰქონდნინ, თაფლსა სჭამს, ხოლო სიტკბოებასა არასა ვერ ჰსცნობს. ესე არს ვითარცა ვთქუთ პირველი სამკაული ეკლესიისა, რამეთუ დაღაცათუ ეთარგმნა წმიდასა მამასა ევთიმისცა სჳნაქსარი, გარნა ფრიად სიმცირედ აღეწერა სხუათა წიგნთა თარგმანებისა უცალოებითა, რომელ უკეთუმცა ყოველნი დღენი მისნი სცმოდესცა სრულებით თარგმნიდა.

კჳალად თარგმნა წმიდამან მამამან გიორგი შემდგომად სჳნაქსარისა, სახარება გამოკრებული საწელიწდო, პირველვე შემკობილი საწელიწდო, საწინასწარმეტყუელო საწელიწდო, მერმე დიდი კურთხევანი, თარგმანი დაბადებისა, რომელ არს ცხოვრება აბრაამისი, თთუჱ სეკდემბერი, რომელი თჳთო გალობითა პირველ მამასა ევთიმის ეთარგმნა, იგი სრულ ჰყო. ხოლო თარგმნა დიდი პავლე სრული[1] და კათოლიკენი წმიდათა მოციქულთანი, ესე რვა თავი წიგნი თარგმნა მთაწმიდას თავის სახმრით და ყოველნი ესე ეკლესიისა მსახურებასა შინა, რამეთუ ვთქუთ დეკანოზად დაედგინა.

ხოლო შემდგომად ამისა, ვითარცა გამოიცადა მრავალთა შინა საქმეთა და ყოველსა შინა იპოვა წმიდა და უმანკო, ვითარცა ოქროჲ მრავალთა ბრძმედთა მიერ გამოცდილთა გამოცდილი, მაშინ ყოველთა ძმათა ერთ ნებაობითა და განზრახჳთა, მაღალსა მას კიბესა წინამძღოლობისასა აღიყუანეს და საყდარსა წმიდისა მამისა ევთიმისასა დასუეს და სანთელი სასანთლესა ზედა დადგეს, სიტყჳსაებ სახარებისა, რათა სავსებასა ძმათასა უნათლოებდეს, ესრეთ აღამაღლებს სიმდაბლემომგებელთა თჳსთა, ადიდებს აქაცა და უფროსად საუკუნესა.

ხოლო ნუ ვინ გონებს თუ ესრეთ ადვილად და უსიტყუელად შეიწყნარა უღელი იგი წინამძღოლობისა, ნუ იყოფინ, არამედ ყოვლითა ძალითა თჳსითა წინა აღუდგებოდა, რამეთუ სამგზის წილ უგდეს ორთა ძმათა სხუათა თანა, ვითარცა იყო წესი მონასტრისა შეწირვითა უსისხლოჲსა მსხუერპლისათა, ქუეშე წმიდასა ტრაპეზსა დასხმითა წილთათა, სამგზისვე მას ხუდა და ამის მიერ

1) ეპისტოლენი პავლესნი.

გულისხმა ჰყო, ვითარმედ არს ნება ღმრთისა და ზეგარდამო, ვინაჲცა ქმნილმან მიიღო გჳრგჳნი მწყემსობისა.

ხოლო ამიერიდგან ნეტარისა მის ღუაწლნი და შრომანი აურაცხელ და მიუწდომელ არიან, რამეთუ მისცა თავი თჳსი ფიცხელსა მოღუაწებასა, უფროს პირველისა, რომელსა ოდენ დაიტევს კაცობრივი ბუნება, რამეთუ იჯმნა სრულიად ღჳნისაგან და წყლისა და მხოლოდ სამოსლად მის და ქუეშე ძაძე ფიცხელი, ხოლო მას ზედა სამოსელად ჩოხა ერთი და რათა განვაგრძელოთ სიტყუა ჩუენი, ყოველნივე სათნოებანი თჳსსა შორის თავსა დაიუნჯა და თავი თჳსი ყოველთა სახედ დადვა, არა სიტყჳთა ასწავა, არამედ საქმითა უჩუენნა გზანი საუკუნოსა ცხოვრებისანი სამწყსოთა თჳსთა.

რამეთუ უკეთუ არა ჰპოვოს ხელოვნებამან ნივთი შემსგავსებული საქმისა თჳსისა, ვითარ გამოაჩინოს ბრწყინვალება საქმეთა თჳსთა, ანუ ვითარ საცნაურ იქმნას მენავეთ მოძღუარი, უკეთუ ღელვათა შინა ზღჳსათა არა გამოიცადოს, ანუ მჴედარი ვითარ გჳრგჳნოსან იქმნეს და იდიდოს უკეთუ განწყობილთა არა ეკეთოს მრავალგზის, ეგრეთვე წმიდამან ამან ოდეს მიიღო მწყემსობისა გჳრგჳნი, მაშინღა საცნაურ იქმნა სრულიად დაფარული იგი სიბრძნე სულსა შინა მისსა და ყოვლისა პირველად ესე ჰყო, ყოვლითა გულს მოდგინებითა და ფრიადითა სარწმუნოებითა, ესრეთ მხურვალედ შეუდგა კუალსა წმიდისა მამისა ჩუენისა ევთიმესსა და ყოველნი წესნი და კანონნი და განწესებანი მისნი ესრეთ შეიტკბნა, ვითარცა ჴელისაგან ღმრთისა გამოსრულნი და წმიდათა მოციქულთა მიერ დამტკიცებულნი.

რამეთუ პირველიდგანვე ვინაჲდგან მოვიდა იგი წმიდასა ამას მთასა მოსწრაფებით და წადიერებითა და გულსმოდგინებით გამოწულილვით გამოიკითხა და გამოიძია მოწაფეთაგან და შეგობართა წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ევთიმესთა უსხეულოთა მიმსგავსებული და კაცთა გონებისა აღმატებული ცხოვრება და მოქალაქობა მისი და ნეტარისა მამისა მისისა იოანესი და სხუათა წმიდათა ბერთა და დიდებულისა ამის ლავრისა შენება და წესი და განგებანი, რომელნი წმიდასა მამასა ევთიმეს დაესხნეს. ესე ყოველნი აღწერით დაჰბეჭდნა და ხატად ცხოველად და ძეგლად პირ მეტყუელად მომავალთა ნათესავთა აღუმართა, რომლისა იგი მკითხველ მსმენელნი სულითა და ჴორცითა განათლდებიან და ესე აღწერა ვიდრე იყო დეკანოზად, ხოლო რომელი იგი გონებასა შინა დაეუნჯა და დაეწერა, მას ჟამსა აღწერასა მისსა თანა წარხდა, რათა რაჟამს საქმით აღასრულოს, მაშინ აღწეროს, ესე იგი არს შენება სამარტჳლოსა და შემკობა მისი ყოვლითა სამკაულითა, რომელსა აწ ყოველნი ვხედავთ. რამეთუ ამან ნეტარმან რაჟამს კურთხევა წინამძღრობისა მიიღო, ყოვლისა პირველად იღუაწა და პატიოსანი ესე ლარნაკი შემზადა, საუნჯედ შემწყნარებელად მზისა უბრწყინვალესთა და მარგარიტისა უწმიდესთა მათ ნაწილთა წმიდისა და ღმერთ შემოსილისა მამისა ჩუენისა ევთიმესთა, ვინა იგი წყარო კურნებათა და მადლი სასწაულთა უხუებით აღმოდის და ესრეთ დიდითა პატივითა ფსალმუნითა და გალობითა, სულნელებითა საკმეველთაჲთა და კეროვნებითა ბრწყინვალებითა, ყოვლად დიდებულად და ღმრთივშუენიერად მოუცუალნა, ნათლისმცემლისა ეკლესიით დიდებულსა ამას ეკლესიასა შინა ყოვლად წმიდისა ღმრთის მშობელისასა, რამეთუ ჯერეთცა ესრეთ იყო ვინაჲდგან უწყით ქუეყანელთა, ვითარმედ ყოველნი წმიდანი შემდგომითი შემდგომად ამაღლდებიან, უხილავსა მას შინა დიდებასა, ვითარცა ანგელოსთათჳს წერილ არს, ვითარმედ, «ძალითი ძალად წარემატებიან»; ეგრეთვე ნეტარი ესე მამა ჩუენი, შემდგომითი შემდგომად, მოიცუალა ტჳრთული ხელთაგან კაცისა ამის საკურთხეველისათა. წმიდა იგი არონ სამღდელოთა მათ სამკაულითა აღმკულ იყო, არა აჴრდილთა შინა დაშთომილთა

არამედ მადლისა შინა განბრწყინვებადითა და ვითარცა კიდობანი სიწმიდისათჳს, ეტჳრთა გუამი იგი წმიდა მტჳრთველი საღმრთოთა მათ სიწმიდეთა და ესრეთ შინაგან წმიდისა ამის ტრაპეზისა შემოიყუანნა და წმიდას ამას ლარნაკსა დაუსუენნა, ვითარცა ესე ყოველნი ხედავთ.

და მერმედ მეორემან ამან ელისე, არა თუ ხალენი მოიღო ელიასი, არამედ ფარულად უმაღლესი და უზეშთაესი მარჯუენე იგი განმაცხოველებელი მწერალი მაღალთა მათ ღმრთისმეტყუელებათ, ესე აღიღო ნაწილად მკჳდრობისა თჳსისა. მრჩობლის მის თანა და განმაცხოველებელისა სულისა არა თუ იორდან განაპო სამგზის ცემითა ხალენისათა, არამედ ფრიად იორდანისა უმდინარესნი მდინარენი საღმრთოთა წერილთანი მადლითა მით წმიდისა მარჯუენისათა განაპნა და ნოტიობისაგან უგულის ხმობისა, დაულტოლველად განვიდა და წყალნი იგი მწარენი მათ მოძღურებათანი, სიტყუათა თჳსითა მარილითა დაატკბნა და ყრმებრ მბასრობელნი იგი და ძჳრის მზრახუელნი უგუნურთა ენანი დაადუმნა, რამეთუ ვითარცა ეტყოდა მაცხოვარი თჳსთა მოწაფეთა, ვითარმედ მრავალთა გული უთქმიდა ხილვად, რომელსა ესე თქუენ ხედავთ და ვერ იხილეს.

ესე ვითარცა პირველად ვთქუთ ღმრთივ განბრძნობილმან წმიდამან მამამან გამოიყუანა მარჯუენე იგი განმაცხოველებელი, რომელმან ჩუენ განმანათლა[1]) და იქმნა გუადრუცი გონიერი და მას შინა შეასხუნა, სხუათა წმიდათა ნაწილთა თანა, წმიდისა სტეფანესი პირველ მოწამისა, წმიდისა ეგნატე ღმერთშემოსილისა, წმიდისა იაკობ დაჭრილისა, წმიდათა კოზმა და დამიანესთა არაბელთა, წმიდათა ორმეოცთა, წმიდისა პანტელეიმონისა, სხუათა წმიდათა მართალთა ევლოგიები და ცხოველსმყოფელისა საფლავისა.

ამათ ყოველთა წმიდათა თანა დაუსხნა ხელი მარჯუენე წმიდისა მამისა ჩუენისა ევთიმესი და თჳთ თავით თჳსით მისახურებნ და ოდეს გზასავალნ თჳთ თავით თჳსით უტჳრთავნ წმიდა იგი გუადრუცი, ამით ესე ვითარითა სახითა, კნინღა და ყოვლისა სოფლისა სახილველ და თაყუანის საცემელ ჰყო მათ წმიდიდგან, ვიდრე შავსა მთასა და ყოველსა ასურეთსა და იერუსალიმსა და აღმოსავლადმდე წმიდა მამა ჩუენი ევთიმე მარჯუენისა მიმართ თჳსისა, მეფეთაგან და მთავართა, მღუდელთ მოძღუართა და მღუდელთა და ყოვლისა ერისა. ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ და ვითარცა დაუსუენა ნაწილნი მამისა ჩუენისა კეთილმან მან მუშაკმან სიბრძნისამან, განიზრახა ღმრთივ მშუენიერი განზრახუა, შემსგავსებული სიბრძნისა თჳსისა, რათა მიზეზი იგი ყოველთა კეთილთა, დასაბამი წყალობათა ღმრთისათა; თუალი წყაროსა და ძირი უკუდავებისა წმიდა მამა იოანე, მამა წმიდისა მამისა ჩუენისა ევთიმისა არა დაუტეოს გარე სამარტჳროსაგან ძისა თჳსისა ევთიმესსა, რამეთუ ესუენა იგი პირველ ეკლესიასა, წმიდათა მთავარ ანგელოსთასა და ეგრეთვე სხუანიცა იგი წმიდანი ბერნი: ნეტარი არსენი ნინოწმიდელი ეპისკოპოსი და საღმრთო ბერი იოანე გრძელის ძე, რომელნი იგი გარეგან მონასტრისა სახასტრისა ერთსა შინა ეკლესიასა წმიდისა სიმეონ მოხუცებულისასა ესუენნეს, რამეთუ მუნ დაყუდებით ცხოვრებდეს, ესენი დიდად თანამწე ექმნეს წმიდასა მამასა ევთიმეს, თარგმანებასა შინა წმიდათა წერილთასა და მოშურნე და მობაძავ წმიდათა სათნოებათა მისთა იქმნეს და მრავალნი წიგნნი (და) ჟამსა სიბერისასა თჳსითა აღწერნეს. პირველად აღმოიყუანნა ნაწილნი წმიდისა მამისა იოანესნი და ვითარცა ვთქუთ შჳლისა თჳსისა თანა დაკრძალნა და მერმე იწყო ძიებად ზემო ხსენებულთა ამათ წმიდათა მამათა ნაწილისა. ხოლო არა უწყოდა ადგილი და დიდად მწუხარე იყო, ხოლო განგებითა ღმრთისათა, ესე ვითარითა

1) განგუანათლა.

სასწაულითა ჰპოვნა საწამებელად და პატივად წმიდათა ნაწილთა მათთა ღირსებისა. ხოლო ხენი ფინიკისანი აღმოსრულ იყუნეს საფლავსა მათსა ზედა, ხოლო ძირნი ხისანი ქუე შასულ იყუნეს საფლავსა ზედა მათსა და გარემოს წმიდათა მათ ნაწილთა მოხუეულ ესრეთ, ვითარცა ცხოველთა ზედა ეტჳრთნეს პატიოსანნი იგი ნაწილნი მათნი და სულნელება ფრიადი იყნოსებოდა და ესრეთ აღმოიყუანნა და დაუსუენნა, ქუე კერძო ნაწილთა წმიდისა მამისა ჩუენისა ევთიმისათა და დაკრძალა სამარტჳლო იგი განუღებელად, ვიდრე დღეინდელად დღედმდე და შეამკო იგი ყოვლითა სამკაუ-ლითა, ხატითა და ჯუარითა, ქორკანდლითა, სანთლითა და ეზოთა და სხჳთა ყოვლითავე ბრწყი-ნუალეებითა, ვითარცა შუენის წმიდათა მამათა.

და განაწესა რათა მოუკლებელად სამი კანდელი ენთებოდეს და ყოველივე წესი (შეუსრულა) შეუცუალებელად აღესრულებოდეს, მადლითა წმიდისა მამისა ჩუენისა ევთიმესითა და შეოხებითა წმიდისა ღ͠თის მშობელისათა.

და ვითარცა დიდი ესე და მაღალი საქმე ესრეთ ღ͠თივ ბრწყინუალედ და ღ͠თივ მშუენიერად სრულ ჰყო, კუალად იწყო მოღუაწებად ეკკლესიისათჳს, რამეთუ ზედა ტყჳა არა იყო და წყალი შთადიოდა, ვითარცა სწამებენ ხატნი, რომელნი ახოცილ არიან, რამეთუ ჩუენი მშუენება ესე ეკკლე-სია არს და ესე ესრეთ უშუერ იქმნებოდა, ხოლო ამან ნეტარმან კეთილი ღონე მოიპოვა, რამეთუ წარვიდა წინაშე ღ͠თის მსახურისა მეფისა კონსტანტინე მონომახისა, ქალაქად სამეფოდ და ვითარცა შევიდა წინაშე მისსა, ჯეროვანი მოკითხუა მიაგება ბერსა მეფემან, რამეთუ დიდი სარწმუნოება აქუნდა მისა მიმართ და ესვიდა წმიდათა ლოცუათა მისთა და ჰრქუა მას, ვითარმედ რაჲსათჳს მოშურა სიწმიდე თქუენი, კაცო ღ͠თისაო, ჩუენისა მომართ ხელმწიფებისა. ჰრქუა მას ბერმან. «გიხაროდენ ქრისტეს მიერ ჳოჲ! ბრწყინუალეო თჳთმპყრობელთა შორის, გიბრძან ჩემ მიერ გლახაკისა, ყოვლად წმიდა სახე იგი და შესავედრებელი ღ͠თის მსახურებისა შენისა წმიდა ღ͠თის მშობელი, რათა მარადის სადიდებელი ტაძარი მისი არა განირყუნას წყალთაგან, რომელი ჩამოდის ზედა უშურაობითა მონასტერსა ჩუენსა, აწ ბრძანენ მეფობამან თქუენმან, მოცემად ტყჳა, რომლისა მიერ დაებუროს წმიდა ეკკლესია, რათა მას შინა ელოცვებოდეს წმიდასა მეფო-ბასა შენსა.

ხოლო მან სიხარულით სრულ ჰყო თხოვა იგი ბერისა და ნივთთაგან სამეფოთა უბრძანა მოცემა ტყჳისა, რომელი იგი მოიღო და დაბურა წმიდა ეკკლესია, ვითარცა ყოველნი ხედავთ თუ რაბამ მშუენიერ არს და ამას ზედა შესძინა და გჳრგჳნი (შტ) აღაშენა და ესრეთ ყოვლითურთ სრულ ჰყო წმიდა ეკკლესია და ამისა შემდგომად იღუაწა შეწევნითა საღმრთოთა და აღიხუნა ოქრო ბეჭედნი მტკიცენი ღ͠თის მსახურთა მეფეთაგან დამტკიცებულნი ოქრო ბეჭედთა ჩუენთანი და მერმე შესძინნა ზღუარნი, არა მცირედნი პრასტინითა მონასტრისა ჩუენისათა და უმეტეს ყოვლი-სათა ზღუარი მის თოლიმინისა სადა იგი ყოველი ხვასტგი ეკკლესიისა უხუებით გამოიზრდების და კუალად, რამეთუ დიმოყისგან დიდის შინა ჭირსა იყუნეს პრასტინნი ჩუენნი, ესრეთ მოსცა უფალმან ჟამი მარჯუე

მას ჟამსა ოდეს ღ͠თის მსახური ბაგრატ აფხაზთა მეფე და დედა მისი მარიამ დედოფალი, სამეფოდ ქალაქად მოვიდეს, აღჳდა წმიდა ესე მამა ჩუენი ღ͠თის მსახურთა მათ მეფეთა და იხილა-რა მეფემან და დედოფალმან და ყოველთა მთავართა და წარჩინებულთა მათთა განიხარეს სიხარუ-ლითა დიდითა, რამეთუ ასმიოდა საღმრთო იგი მოქალაქობა მისი და მიიღეს წმიდა ლოცუა და მადლი მისი და სულიერი სარგებელი ფრიად მოისთულეს და მადლობდეს ღმერთსა და ესრეთ

ყოველივე საქმე მონასტრისა, რაჲცა უნდა ყოველი კეთილად იურვა და დიმოსისა საქმე მაშინ გარდასწყვიტა, რათა მედიმოსენი პრასტინთა ჩუჱნთა ვერ შემოვიდენ, არამედ რათა გარეს გარე სეკრეტონთავე შინა მიეცემოდის როქისაგან ჩუჱნისა ლიტრ ერთი, დიმოსად ვითარცა თჳთ განაწერა ღმრთის მსახურმან მეფემან კონსტანტინე მონომახმან და ამას ზედა ოქრო შეჭედილი შექმნა მტკიცე და უქცეველი.

ჟამისა შემდგომად დაემოწაფა მარიამ დედოფალი დედა ბაგრატ მეფისა და იკურთხა მის მიერ სქემითა და გამოითხოვა მონომახისაგან ლიტრა ერთი, როქად წმიდისა მონასტრისათჳს და შემოსწირა ესე საუკუნოდ სახსენებლად სულისა თჳსისათჳს წმიდასა ამას ეკკლესიასა და ეგრეთვე არსენი მოწაფე იყო მისი[1]) და ლიტრა ერთი მან შემოსწირა წმიდასა მას ეკკლესიასა, თავის პატივთაგან დაღათუ სხუანი ურიცხუნი კეთილნი მოიხუნა. ამან კეთილად ხსენებულმან არსენი ფარსმან ყოფილმან, გარნა ესე ლიტრა ერთი განზრახჳთა წმიდისა ამის მამისათა შემოსწირა და ოქრო ბეჭედსა შინა დაეწერა.

ესე სამი ლიტრა განძი და სხუანი ზემო ხსენებულნი საქმენი ამის ნეტარისა მამისა ჩუჱნისა მოღუაწებითა წმიდასა ამას ლავრასა შეეძინნეს და ვიდრე უკუნისამდე მტკიცედ და უკუნისამდე შეეძინების.

ხოლო რომელი იგი არა ღირს არს დუმილი, არამედ ხსენებისა და მშუჱნიერება აღწერისა და მიმწთომელ მადლსა მას სამოციქულოსა და მაუწყებელ მრჩობლსა ძალსა საკჳრველებისასა, რომელი აქუნდა კაცსა მას ღმრთისა შეყუარებულსა, რომლისა მიერ პირველი იგი ცხად ღმერთმან დიდებულება თჳსი გამოაჩინა, ვინადგან უწყით ესე ყოველთა, რომელ მოწყალეება ბუნებით არს კაცსა თანა. ხოლო ვინაჲდგან მცნებისა გარდასულითა, შინებითი იგი ჴსჯული და ხატება ღმრთისა ორკერძოვე განიყო. ხოლო თუ მოწყალეება, არამედ ყოველნივე სათნოებანი, რომელნიმე სრულიად კეთილისაგან ბოროტად შეიცვალნეს და რომელნიმე მცირისა ნაწილსა დაადგრეს.

ხოლო ღმრთის მსგავსი მოწყალეება ესე არს, რათა კაცი არა ხოლო თუ ზარითა ბუნებისა თჳსი რათა სწყალობდეს, არამედ რათა პირუტყუთაცა ზედა მისწუთეს მოწყალეებითა, ვითარცა ესე წმიდა და საკჳრველი მამა ჩუჱნი, რომელმან იგი მან მის შორის ღმრთივ ბრწყინვალედ გამოაჩინა.

რამეთუ ჟამსა მას ოდეს იგი ღმრთის მსახური ბაგრატ მეფე სამეფოსა ქალაქსა შინა იყო ესმა მას საქმე საკჳრველი და ყოვლად არა დასაჯერებელი, ვითარმედ არს ნათესავი სამარიტელთა, (ტომისაგან სიმეონ მოგჳსა[2]), რომელთა აწინკან ეწოდების, განთქმულნი გრძნებათა შინა[3]) და უკეთურებათა. ხოლო ფილოპატსა მეფისას მხეცნი შეჩუჱულ იყუნეს და სჭამდეს ნადირთა მათ, რომელნი არიან მას შინა სანადიროდ მეფისა, ჴსცნა ესე დიდმან მეფემან მონომახმან, უბრძანა მოყუანება აწინკთა მათ, რათა ხელოვნებითა გრძნებისა თჳსისათა მოსწყჳდნეს მხეცნი იგი ნადირთა მათ მომსჳრელნი.

---

1) არსენი ესე მოწაფე იყო წმ. გიორგისა, რომელსა მონაზონობამდე ეწოდებოდა ფარსმან. — იყო ძე ფრიად მდიდართა მშობელთა და — დიდი შემწე წმ. გიორგისა, განმშუჱნებასა შინა მონასტრისათა. მიიცვალა ათონს 1082 წ. და იქმნა დასაფლავებულ ათონის ივერიის მონასტერსა შინა.

2) ნახე მისთჳს სჳნაქსარი, ცხოვრება წმ. მოციქულთა პეტრე და პავლესი.

3) გრძნეული: მეჯადოე, მკითხავი, მოგჳ, თუალმაქცი, ცუდილის მოქმედი და სხუანი.

ხოლო მათ ბრძანება მეფისა საქმით აღასრულეს და მრავალნი მხეცნი მოსწყვდნეს. ჰსცნა ესე მეფემან ბაგრატ, ვითარცა ზემო ვთქჳთ და მოუწოდა აწინკთა მათ და ჰრქუა, ვითარითა სახითა მოსწყჳტენით მხეცნი იგი, მაუწყეთ. ხოლო მათ ჰრქუეს ჲოი! მეფეო, ესე ვითარისა ხელოვნე-ბასა მიწთომილ ვართ ვიდრელა ხორცსა შევგრძნავთ და დავზდებით ადგილსა მას, რომელსა მხეცნი იგი მოვიდოდიან და ჩუენ ხესა ზედა აღვსდებით და მხეცებრითა ხმითა უხმობთ და იგინი ხმასა ჩუენსა შემოკრბებიან, ხორცსა მას ჭამენ და მოკუდებიან მეყუსეულად. ხოლო დიდსა შაბათსა შობილი მგელი არა გჳსმენს და არცა სჭამს და გუეტყჳს თუ კარგია იქუენ სჭამდით და ჭამეთო და მშჳდობით წარვალს. ხოლო მეფემან ჰრქუა, ვიდრე თუალითა არა ვიხილო, არა მრწამს. ევედრე-ნეს მეფესა, რათა უბრძანოს მოყუანებად მხეცი ერთი, რათა თუალითა უჩუენონ. ხოლო ვინაჲდგან სხუა მხეცი ვერავინ ჰპოვა, ბრძანა მოყუანება ძაღლისა, რომლისა უწყოდეს, ვითარმედ სხუასა ჟამსა შობილ იყო და არა ზემო ხსენებულსა მას დღესა და მიუგდეს ხორცი იგი შეგრძნებული.

ხოლო მას ჟამსა შინა წმიდა ესე ბერი მუნ იყო წინაშე მეფისა და აღიძრა წყალობითა ბუნე-ბითითა, ვითარცა ზემო ვიტყჳთ, ხატებისათჳს და მსგავსებისა ღმრთისა და მერმე არა ხოლო თუ შეეწყალა, არამედ შურითაცა საღმრთოთა აღივსო, რათა არა ქრისტეანეთა შორის ესე ვითარი საქმე იხილვებოდის და უმეტესად მეფეთა და სადა იგი ოჯთ ნეტარი დახუდის.

მაშინ მეყუსეულად გამოსახა სასწაული პატიოსნისა ჯუარისა ხორცსა მას ზედა მიგდებულსა, ვითარცა აღიღო პირუტყუმან მან მეყუსეულად თქუჱს განყუანება მისი, რათა არა დაეცეს და მო-კუდეს და ვითარცა განიყუანეს ყოვლადვე არა რა ევნო, უღონო იქმნეს გრძნეულნი იგი და ევე-დრეს მეფესა, რათა შინაგანსა სახლსა შეავლინოს ბერი და ბრძანოს მოყუანება სხჳსა ძაღლისა და ვითარცა შევიდა წმიდა იგი და მოიყუანეს სხუა ძაღლი და ვითარცა მიუგდეს ხორცი შეგრძნებული, მსწრაფლ ხოლო დაეცა და მოკუდა და გრძნეს ყოველთა, რომელ წმიდისა მის მიერ იყო პირუწლი იგი სასწაული.

ხოლო ბაგრატ მეფემან ვითარცა იხილა ესე ყოველთა თანა მთავართა თჳსთა, აღივსო სიხა-რულითა და მიუთხრეს სასწაული ესე ღმრთის მსახურსა მეფესა კონსტანტინე მონომახსა და დიდად განიხარა და მადლობდა ღმერთსა. ხოლო ბაგრატ მეფე იტყჳს ყოვლადვე ვითარმედ, უკეთუ მეახლოს წმიდა ესე არა მეშინის, არცა გრძნეულისაგან და არცა წამალთა სასიკუდინეთა.

ამისა შემდგომად ვითარცა იხილა ღმრთის მსახურმან მეფემან ბაგრატ, ესე ვითარი ესე მოქა-ლაქობა მისი და უსხეულოთა მსგავსი ცხოვრება და ზემო წერილისა ამისცა სასწაულისა ხილვითა ყოვლითურთ იწყლა სული მისი სიყუარულითა მისითა და ღონესა ეძიებდა, რათამცა თჳსსა მამულსა წარყუანა.

ხოლო არს მამულსა მისსა წარჩინებული სამღუდელთ მოძღურო საყდართა შორის სამეფოჲსა მისისათა საყდარი ჭყონდიდისა 1) სადა იგი მრავალთა წმიდათა მარტჳრნი დაუსუენებიან და

1) სამღუდელთმთავრო ეკკლესია ჭყონდიდისა, ანუ მარტჳრია სამეგრელოსა შინა ინახვის საღადიანოს. მთა, რომელსა ზედა აღშენებულ არს ეკკლესია იგი, დროსა შინა მოსვლისასა სამეგრელოს წმ. მოციქულისა ანდრიასა, კერპთ მსახურთა ეპყრათ და ბომონი მათი აღშენებულ იყო მას ზედა, რომლისა გუერდზედ ჰსდგა ფრიად დიდი მესაუკუნე მუხა (ჭყონდიდი) რომლისა ქუეშე კერპნი აღასრულებდნენ ხოლმე თჳსსა წესსა.—ოდეს წმ. მოც. ანდრია მოვიდა სამეგრელოსა შინა, ამ მუხასა ქუეშე ჰქადაგა უფალი ჩუენი იესო ქრისტე და დაარღჳა ბომონი კერპთ მსახურთა, რომლისა შემდეგ ნათელ ჰსცა მეგრელთა და წარმართა ქრისტეანობა. მაგიერ ბომონისა აღაშენეს მთასა მას ზედა

თჳსი საფლავი მუნ განემზადა, რათა რაჟამს აღესრულოს მუნ დაემარხოს, ამის საყდრისა მოძღუარი მას ოდენ ჟამსა აღსრულებულ იყო. ამან ღუთის მსახურმან მეფემან ბაგრატ დიდად აიძულა ნეტარსა მამასა გიორგის, რათა მიითუალოს განგება მისი და იქმნას ეპისკოპოს. ჴოლო მან ყოვლადვე არა თავს იდუა, რამეთუ ყოვლითა მოსწრაფებითა ევლტოდა დიდებასა კაცთასა და შფოთსა სოფლისასა და სიმდაბლესა შეიტკბობდა და ესრეთ დაჲყო სამეუფოსა ქალაქსა რაოდენიმე ჟამი და ყოველნივე საქმენი მონასტრისა თჳსისანი განმართნა და ნებითა ღუთისათა კუალად იჳსავე ლავრად მოიქცა და დიდითა სიხარულითა და სიყუარულითა შეიწყნარეს ძმათა და განაგებდა და იპყრობდა მონასტერსა ამას ჟამ რაოდენმე.

ჴოლო ჯერ არს ჴსენებად დიდისა მის და საკჳრველისა ჴელმწიფებისა, რომელი წმიდამან ამან აჩუენა, რომელ არს შემუსრვა კერპთა და მსახურებისა მათისა უჩინო ყოფა, რომელი ესე ნეტარმან ამან ჟამთა ჩუენთა, მაღლად და ღუთივ ბრწყინუალედ აღასრულა.

რამეთუ არს მთა წმიდასა პრასტინთა შინა სოფელი ერთი, რომელსა ლივსდა ეწოდების, ადგილი რაჲმე მოქცეული ყურე ყოვლად უდაბნო, მთანი უღალ მაღნარნი და ვგონებ თუ არავინ წმიდათაგანი მიმწუთარა მუნ. ჴოლო კაცნი მკჳდრ არიან მთრიალნი, რომელთა ეწოდების, ყოვლითურთ უგუნურნი და პირუტყუთ სახენი, წარმდებნი და არა წმიდათა მჴსმელნი. ამას პრასტინსა შინა ვითარცა ვთქჳთ კერპი ერთი დაშთომილ იყო პირუელითგანვე აქამდე მარმარილოსა სახითა დედაკაცისათა, ამისი ვითარცა ვთქჳთ, კაცნი იგი უგუნურნი წუთლა მსახურებდეს და ეტყოდეს, მზე და წჳმა და ყოველი კეთილი მისგან მოგუფცემისო, რამეთუ ჴელმწიფება აქუსო სიკუდილად და ცხოვრებად ვისიცა ენებოს, ესე ვითარსა საუკეთურებასა შინა წარმატებულად იხილნა კაცნი იგი, მსახურნი მისნი, ელმოდა და ეძჳნებოდა სულსა მისსა წყალობისათჳს მათისა და აღჯდოდა რა იგი კუალადცა სამეფოდ ქალაქად და მივიდა მგზავრ პრასტინსა მას ზემო ჴსენებულსა მოვიდეს შეცთომილნი იგი კაცნი და ეტყოდეს წმიდასა მას, უკეთუ გნებავს, რათა განმარჯუებით შემოიქცე ყოვლითა საურვითა შენითა, ევედრე ღმერთსა ჩუენსა, რათა შეგეწიოს (შენ) წინაშე მეფისა. ჴოლო წმიდამან ჰრქუა მათ «კეთილი, კეთილ გუალეთ და მიჩუენეთ და მადლიერ ვარ თქუენდა ესე ფიცისა კეთილისა თხრობისათჳს». წარიყუანეს ბერი კაცთა მათ, ერუსა მისა მიმართ და უსჯულოსა ღმერთისა მათისა და ვითარცა იხილა იგი ჰრქუა მათ. «იყოს ჟამისად ხვალე თჳსაგან მოვიდე და

მცირე ეკკლესია, რომელიც მგონია აქამომდე ინახვის დიდ ეკკლესიის ჩრდილოეთის მხარეს. — მეფე გიორგიმ 921 — 950 აღაშენა აწინდელი დიდი ეკკლესია და ცახცი ანუ კათედრა საეპისკოპოსო დაამკჳდრა მას შინა. — ეკკლესია ესე ფრიად განთქმული იყო და ეპისკოპოსნი ჭყონდიდისანი დიდსა პატივსა შინა იყვნენ. ეკკლესიასა ამას ეწოდება — მარტვრიალ, რომელიც ნიშნავს მოწამეთად, ბერძნულის ენიდგან «μάρτυρ» მოწამე; რამეთუ ეკკლესიასა ამას შინა დაცულ იყვნენ მრავალნი ნაწილნი წმ. მოწამეთანი. ჭყონდიდელთაგანნი მრავალნი განთქმულნი და წმიდანი მამანი იპოებიან — უკანასკნელი მათთაგან იყო დიდი მსწავლული და მოღუაწე მონაზონი მიტროპოლიტი ანტონ მმარხუელი, — დადიანი, — დაიბადა 1731 გარდაიცუალა 1815 წელსა სეკტემბრის 14. საფლავი წმ. მამისა და ეკკლესია მისი დიდსა შეურაცხილობასა შინა არს. წლითი წლად განსაკჳრვებელი სასწაული იმოქმედების საფლავსა ზედა წმ. ანტონისა. საფლავიდგან წმ. ნიახური აღმოიცენების ხოლმე, ვიდრე ერთი წყრთის სიმაღლე — საყუარელი საზრდელი წმიდისა, მარხუათა შინა. — ღირსი ვიყავ ნახვისა საყუარელისა მოწაფისა მისისა 1876 წ. ღრონა შინა ჩემის ყოფნისასა ჭყონდიდს მღუდელ მონაზონისა იაკობისა, ღრმა მოხუცისა, რომელმანც მაუწყა სრულიად ცხოვრება წმიდისა.

ვეზრახო». და ხუასლისაგან რა განთენდა მოღებად ჰსცა ურო[1]) მჭედლისაგან და წარვიდა თჳთ ბერი იკონომოსითურთ ორთა თანა სხუათა კაცთა და ვითარცა მიეახლა, გამოისახა სასწაული პატიოსნისა ჯუარისა შუბლსა თჳსსა და იწყო თქმად სახარებისა იოანეს თავისა.

«პირუელითგან იყო სიტყუა» და შემდგომი და კაცნი იგი ეტყოდეს: აჰა ესერა მოჰკლავს. ხოლო ბერმან განიცადნა და ვითარცა ახოვანი მოხუდა შეჭურვილი ჯუარითა ქრისტესითა, მოუხდა მეყუსეულად კერპსა მას, აღიღო ურო იგი და უხეთქნა და ესრეთ წურილ წურილად შემუსრა, რომლისა ნამუშაკევი სახილველად წუთ იხილვების და საღმრთოსა მას შურსა კაცისა ამას ღუთისასა სწამებს.

ხოლო წინასწარმეტყუელებისა მადლიცა აქუნდა წმიდასა ამას კაცსა, რომელი ესე დღესა-მომდე, ვითარცა ნათელი მზისა ბრწყინვის და ღუთივ მშუენივრად აღსრულებულად იხილვების, რამეთუ მას ჟამსა ოდეს იგი თეოდორა დედოფალსა ეპყრა ბერძენთა მეფობა[2]) ითხოვა ბაგრატ მეფისაგან, რათა მოსცეს ასული მისი მართა და შვილად თჳსად აღზარდოს.

ხოლო მეფემან ბაგრატ სიხარულითა დიდითა წარმოუგზავნ შვილი თჳსი მართა, კაცთა თანა საკუთართა თჳსთა. ხოლო მათ დღეთა შინა განგებითა საღმრთოთა თეოდორა დედოფალი აღსრულდა და მასვე ჟამსა მარიამ დედოფალი დედა ბაგრატ მეფისა მუნ იყო და წმიდაცა ესე მამა ჩუენი მუნ იყო, მიზეზითა რაჲმე საქმეთათა.

ხოლო ვითარცა ვთქუთ მიიცუალა თეოდორა დედოფალი, მეყუსეულად მართა ასული ბაგრატისი სამეფოდ შემოიყუანეს და ვითარცა იხილა წმიდამან ამან მართა, სასმენელად ყოველთა წინასწარმეტყუელა და სთქუა: «უწყოდეთ ყოველთა, ვითარმედ დღეს დედოფალი განვიდა და დედოფალი შემოვიდა». ხოლო მაშინ დაჰყო მცირედი ხანი და კუალად ზევე წარიყუანეს მართა. ხოლო ოდეს მოიწია ჟამი, კუალად მოსთხოვა დუკიწირმან და სძლად თჳსად სამეფოსა ამას ქალაქსა შემოიყუან.

მაშინ რომელთა ასმიოდა წინასწარმეტყუელება ბერისა, იხილეს რა აღსრულებად ყოველთა დაუკჳრდათ და მადლობდეს ღმერთსა, რომელი წინასწარ ყოველსავე გამოუცხადებს ნებისმყოფელსა თჳსსა და ეგრეთვე მარიამ დედოფალმან ჰრქუა წმიდასა მას, იყო რა იგი აღმოსავლეთს: ვითარმედ მამაო, აღესრულა წინასწარმეტყუელება შენი, რა იგი ოდესმე წინასწარმეტყუელე მართასთჳს.

ესრეთ რა იყო და ესე ვითართა ცხოვრებათა ბრწყინვიდა და ესრეთ განაგებდა მის დარწმუნებულთა მათ სამწყსოთა, რამეთუ ოდესმე სამეუფოსა არნ წინაშე ღუთის მსახურთა მეფეთა საჭიროთა მათთჳს და სათანადოთა საქმეთა და კუალად ოდესმე მონასტერსა არნ და განაგებს სამონასტროთა საქმეთა და ცხოვრებასა ძმათასა მართებნ და განაწესებნ. მაშინ გულის ხმა ჰყო და განიზრახა ღუთისა მიმართ განგებითა, ვითარმედ ღუთივ მონიჭებული იგი ტალანტი არა აღორძნდებოდა, რომელ არს ღუთივ სულიერთა წიგნთა თარგმნა, იჯმნა წინამძღურობისაგან და შენდობა ითხოვა ძმათა ყოველთაგან. ხოლო იგინი დაღაცათუ შეეწუხნეს და ფერხთა მისთა შეუვრდეს, არამედ არა თავს იდვა მორჩილება, ვითარცა ზეგარდამო ღუთისა მიერ აღძრულმან და

1) ჩაქუჩი.

2) მას ეპყრა მეფობა ნოემბრიდგან 1055 წ. ვიდრე კბ აგვისტომდე 1056 წლისა, რომელსავე წელსა შინა მიიცუალა.

გულ სავსე ქმნულმან და ესრეთ გამოვიდა მონასტრით, რომელ ვიდრე ყოვლადმდელეც არარად აღიღო მონასტრისა და წიგნნი, რომელნი ეთარგმნეს დეკანოზობასა შინა, გინა წინამძღურობასა შინა, იგინი ყოველნი ეკკლესიასა შინა დაუტევნა: სჳნაქსარი დიდი, სახარება გამოკრებილი, კურთხევანი, სტიქარონი და სხუანი რაოდენნიმე წიგნნი და ესრეთ ცალიერეული გამოვიდა მონა-სტრით, რომელ გარე ღმრთის მოყუარეთ კაცთა მისცეს საგზალი, რამეთუ ორგზის იქმნა სივლ-ტოლვა მისი, ხოლო უკანასკნელ ესე იყო,

რამეთუ მიზეზი პირველისა სივლტოლვისა ესე იყო, ვინაჲდგან არა ენება წინამძღრობაჲ, არამედ მოსურნე იყო თავისა თჳსისა მყუდროებით ყოფასა და ევლტოდა შფოთთაგან ამბოხე-ბათა, ამისთჳს ფარულად ყოველთაგან სივლტოლვა იხუმია და შავსა რა მთასა მივიდა დიდად ებრალა გიორგის მიერ თჳსისა მოძღურისა, დატევებისათჳს პირ მეტყუელთა ცხოვართა და მოახსენებდა სიტყუასა მაცხოვრისასა, რომელსა ეტყოდა მოციქულსა პეტრეს ვითარმედ. «უკეთუ გიყუარვარ დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი». ამის მიზეზისათჳს ბრძანებითა თჳსის მოძღურისათა კუალადცა მთა წმიდას მოვიდა და იძულებით ყოველთა ძმათათა, კუალადცა ხელ ჰყოფ საქმესა წინამძღურობისასა და დაჰყო ჟამ რაოდენმე. პირველ აღწერილითა ამით განგებითა და მერმეღა იქმნა მეორე წარსვლა მისი თარგმნებისათჳს წმიდათა წიგნთასა და ესრეთ შევიდა ქალაქად სამეუფოდ და მეფისაგან თავისა უფლება მიიღო, დაღაცა თუ უნდა მეფესა; რამეთუ დიდად ესწადა, არა წინაღუდგა, არამედ თანა შეწევნითა მარიამ ბაგრატის დედისათა, რამეთუ იგიცა მუნ იყო ვითარცა პირველ ვთქუ, სამისა-ვაცისა პური აიღო სიონ წმიდასა და ესრეთ წიგნითა სამეფოთა შავსა მთასა მიიწია, ხოლო მათ სიხარულით შეიწყნარეს და დიდი სიხარული წინა უყუეს და ყოვლითურთ აღაშენეს.

ხოლო ამისა შემდგომად მარიამ დედოფალი (დედა) ბაგრატის მეფის ქალაქით სამეფოთ ქალა-ქად ანტიოქიად მოვიდა, რამეთუ ეგულვებოდა წარსვლად წმიდად ქალაქად იერუსალიმად, ლოცვად და თაყუანისცემად წმიდათა მათ და განმაცხოველებელთა ადგილთა და აქუნდა სამეფო ბრძანება, თავადსა თანა და პატრიარქსა ანტიოქიისასა, რათა ყოვლითა დიდებითა და პატივითა წარგზავნონ, ხოლო პატრიარქმან და მთავარმან განიზრახეს და გაიგონეს თანა ზრახვითა მამისა გიორგისათა, რამეთუ არა კეთილარს აღმოსავლისა მეფეთა დედა, რათამცა სარკინოზთა წარვიდა, ვინაჲდგან ცოდუათა ჩუენთაგან იგინი, უფლებდეს ქუეყანასა მას და ესრეთითა პირითა მოძღურისა გიორ-გისითა მოახსენეს და წარსვლისაგან დააცხრეს; ხოლო იგი დაღაცათუ შეწუხდა, არამედ ნებასა ღმრთისასა ვერ წინა აღუდგა. მაშინ ევედრა წმიდასა მას ბერსა, რათა შეიწყალოს სული მისი, ვითარცა შეუწყალებიაცა და იღუაწოს ცხოვრებისათჳს მისისა, ვინაჲდგან თჳთ ვერ ღირს იქმნა, შესულად წმიდათა მათ და თაყუანის საცემელთა ადგილთა, გარნა რეაა სათვალე იგი, რომელი საგზლად აღეკაზმა, წარიღოს იგი იერუსალიმად და გლახაკთა და დავრდომილთა განუყოს, წმიდისა მის ქალაქისათა და მონასტერთა მათ წმიდათა, რომელნი შენ არიან გარემოს მისსა.

ხოლო ბერსა დაღაცა თუ შეუძნდა საქმე ესე, ვინაჲდგან წმიდათა წიგნთა თარგმნებისაგან დაეხწეოდა, არამედ უმეტესად ცხოვრებისათჳს სულისა მისისა მოსწრაფე იყო და სიტყუაცა იგი მოციქულისა ეხსენა; რომელსა იგი მისწერს კორინთელთა მიმართ. «ვითარმედ აწ ესერა აღუალ იერუსალიმად მსახურებად წმიდათა» და შემდგომი რომლისათჳსცა აღიღო სათვალე იგი წარსაგებე-ლად განმზადებული და შეწევნითა ღმრთისათა მოწაფისა ერთისა თანა წარემართა და წმიდა ქალა-ქად მშჳდობით და უვნებელად მიიწია და წმიდანი იგი ადგილნი მოილოცნა და წმიდათა მამათა ლოცვა მოიღო და სათვალე იგი წასაცემელი ყოველთა გლახაკთა და ნაკლულევანთა და ურონოთა

განუყო უხუცესით და ნეტარი მამა პროხორე მაშინ ოდეს ჯუარის მონასტერსა აშენებდა ესე იხილა და სავსითა ფრიადითა შეეწია. ხოლო ღირსი იგი ბერი [1]) ევედრებოდა, რათა პირველი ნაყოფი წმიდათა წიგნთა მისთა ცხოველს მყოფელსა ჯუარსა მიანიჭოს, რომელი იგი დაღაცა თუ მაშინ ვერ იქმნა, ხოლო უკანასკნელ შემდგომად პროხორესა მიცვალებისა, მოწაფეთა მისთა ნება მისი აღასრულეს და სათუთონი და მარხუანი, წმიდასა მას მონასტერსა დასხნეს.

ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ, ვითარცა სრულ ჰყო ყოველივე ნუგეშინის-ცემა და მოწყალეება გლახაკთა, წმიდამან მამამან გიორგი, წარემართა კუალად შავსა მთასა და ნებითა ღუთისათა მშჳდობით მიიწია და ღუთის მსახური იგი დედოფალი განამხიარულა, რომელი იგი შემდგომად მცირედისა, მამულად თჳსად სამეფოდ ძისა თჳსისა თანა ბაგრატისა წარვიდა.

ხოლო წმიდამან ამან ბერმან მოიცალა ყოველთაგან საქმეთა მათ შფოთთაგან და საურავთაგან და ყოვლისა ზრუნვისაგან თავის უფლებულმან იწყო თარგმნად წმიდათა წიგნთა, ვითარცა სული წმიდა მოსცემდა.

რამეთუ ესე ყოველთა უწყით, ვითარმედ ეგე ვითარი თარგმანი, თჳნიერ წმიდისა მამისა ჩუენისა ევთიმისა სხუა არა გამოჩენილა ენასა ჩუენსა და ვგონებ თუ არცა გამოჩნდების და უფროსნი წიგნნი ღამით უთარგმნიან და ესრეთ შეუსუენებლად თარგმნინ და კანონსა თჳსსა დაუკლებლად აღასრულებდა და რათურთით არა სცემდა განსუენებასა თუალთა თჳსთა, არამედ დღე და ღამე ტკბილსა მას თაფლსა წიგნსა საღმრთოსა შურებოდა, რომელთა მიერ დაატკბო ენა ჩუენი და წმიდანი ეკლესიანი განაშუენნა და წერილთა თჳსთა ოქროთა განამდიდრნა უხუად და გარდარეულად.

რამეთუ ემსგავსა იგი ოქროსა მღებელსა მას ხელოვანსა, ვითარცა იგი ქიმიათა თჳს წერილ არს, რომელნი იგი მრავალ ღონეობითა სიღრმეთაგან ქუეყანისათა გამოიღებენ და ბრძმედისა მიერ და ცეცხლისა ბრწყინვალებასა მისსა წარმოაჩენენ. ეგრეთვე წმიდისა ამის მამისა ჩუენისა გონება სიტყჳერისა ამის ოქროსა ბრძმედი იქმნა, მდნობელ ცეცხლითა სულისათა წმიდისათა განმახურვებელ და განმარჩეველ ოქროსა, ბრპენისაგან და თიხისა, რამეთუ რომელნიმე წიგნნი სრულიად არა ყოფილნი და ენისა ჩუენისაგან უცხონი, სიღრმეთაგან უმეცრებისათა ნათლად გამოაბრწყინვნა.

ხოლო სხუანი ოდესმე თარგმნილნი და წუთ ვერ კეთილად გამოღებულნი, გინათუ ჟამთა სიგრძითა უცებთა და უგუნურთა მხმარებელთაგან დაგესლებულნი, ვითარცა ვთქუთ ბრძმედსა მას შინა წმიდისა გონებისა თჳსისასა გამოადვნა და გამოახურვნა; ხოლო სხუანი წიგნნი წმიდისა მამისა ჩუენისა ევთიმესი მიერ თარგმნილნი და უცალოებითა წუთ ვერ სრულ ქმნილნი, არამედ სულ მცირედ აღწერილნი განასრულნა და განავრცნა და კუალად სხუანი, რომელნიმე ბერძულსა შეაწამნა და ყოვლისა ნაკლულევანებისაგან განასრულნა და სიტყუა დუხჭირობისა და ვერაგობისაგან განაშუენნა და განაბრწყინნა, ვითარცა თჳთ თავად სახარება და პავლე [2]).

ხოლო ჯერ არს რათა სახელითა რავდენნი მოვიხსენნე წიგნნი, რომელნი მან ნეტარსა უთარგმნიან, რათა მათ მიერ ეუწყოს ქრისტეს მორწმუნეთა, მოღუაწება წმიდისა ამის კაცისა, რამეთუ არა თუ მათ წმიდათა და შავსა მთასა ოდენ თარგმნნა, რათამცა თჳთოეულად აღვრიცხენით,

1) პროხორე.

2) ესე იგი ეპისტოლენი მისნი.

არამედ სამეფოსა გზასა-ულუმბისს, ანტიოქიას, სიონ წმიდას, და კალიპოსს და სხჳათა ესე ვითართა ადგილთა, რამეთუ რომელნიმე წიგნნი ორკეცად და სამკეცად გარდაწერილ არიან. რამეთუ ესე მოსაგონებლადცა დიდ არს, ვითარმცა ესე ოდენნი წიგნნი ერთმან კაცმან მზანი თარგმნილნი ცხოვრებასა შინა თჳსსა აღწერნა არა რათამცა ბერძულიდგან სრულიად თარგმნა, ვითარ ესე კაცმან საკჳრველმან მაღლად და ღმრთივ ბრწყინვალედ აღწერულმან, თარგმნა ვითარცა ვთქუით.

1) სჳნაქსარი დიდი, საფუძველი ეკლესიათა.
2) ცხოვრება გამოკრებული საწელიწდო.
3) პავლე სრული და საქმე მოციქულთა და კათოლიკენი მოციქულთა.
4) პავლე გამოკრებული საწელიწდო.
5) თთუენი ათორმეტნივე, სრულიად ღმრთივ ბრწყინვალედ.
6) სტიქარონნი საწელიწდონი დღესასწაულისანი, რომელნი თთუეთაცა თანა სწერიან.
7) სტიქარონნი თჳთ ავაჯნი, ვითარცა არნ ბერძნულ, გუარად იგი სტიქარონნი ჴსძილის პირთა ქუეშე, რომელთა შინა სხუანიცა მრავალნი კეთილნი სწერიან და მათვე შინა მარხვათა სტიქარონნი.
8) წიგნი ექუსთა დღეთა წმიდისა ვასილის თქმული.
9) წიგნი ეპისტოლენი წმიდისა ეგნატე ღმერთ-შემოსილისანი.
10) წიგნი სავსალმუნე დავითის, სამკაული და გჳრგჳნი ყოველთა წიგნთა.
11) დიდი პარაკლიტონი, სამკაული ეკლესიათა, სხჳთა მრავლითა კეთილითა აღსავსე.
12) დიდნი მარხვანი.
13) ზატიკი მრავალ ფერითა კეთილითა აღსავსე [1]).
14) წიგნი თეოდორე სტოდელისა, სწავლანი დიდთა მარხვათა საკითხავი.
15) წიგნი დაბადებისა თარგმანი წმ. იოანე ოქროპირისა თქმული.
16) წიგნი მეექუსის კრებისა [2]).
17) ეპისტოლენი წმიდისა კირილესნი და სხუათა წმიდათა მამათა განკუეთისათჳს ნესტორ უსჯულოისა.
18) წიგნი გრიგორი ნოსელისა, რომლისა მშჳენება და ქება ზეშთა არს ყოვლისა მიითხრობისა [3]).

ხოლო უკეთუ ვინმე იეჳს მოსწრაფეთაგანი და მამის მოყუარე და უნდეს ცნობის ძალი თჳთოეულისა წიგნისა თუ რაჲ ჰსწერია ამისვე წიგნის ბოლოს ჰპოვოს აღრიცხულად და განმარტებულად თჳთოეულისა წიგნისა ხანდუკი და ანდერძი ღმრთივ მშჳენიერად, რომელი წმიდამან ბერმან იოანე პატრიკმან, პეტრიკ ყოფილმან [1]) აღწერა, რაჟამს იგი თავისა თჳსისათჳს გარდაიწერნა

1) ზატიკი ესე თჳთ ხელ ნაწერი წმიდისა, ჰქონდა ბატონის შჳლს ბაგრატს, რომელიც მიიცვალა 1841 წ. პეტერბურღს. დროსა გადასახლებისასა ბატონის შჳლთა — გაცარცუეს მათ — სრულიად საქართველოს ეკკლესია და თანა წარიღეს რუსეთს სამკაულთაგან ყოველი რაცკი მოახილეს.

2) მოქმედება და კანონნი.

3) პირველად უნდა ვთქუა ვითარმედ წმიდამან ყოველი მეცადინეობა თჳსი მიუპყრა თარგმნასა ახლისა აღთქმისა, რომელ არს წმ. სახარება და ეპისტოლენი წმ. მოციქულთანი; თუმცა ახალი აღთქმა თარგმნილი იყო მეხუთე საუკუნესა შინა დავით და სტეფანოზის მიერ იერუსალიმს და შემდეგ დედოფალ რუსუდანისათჳს სხუა-მცხეთას, არამედ წიგნი ესე არა იყო სრული; რაც იყო ესეცა მწვალებელთა მიერ სომეხთა და სხუათა გადამწერალთაგან, ანუ უცოდნელად, ანუ სხუათა რაიმე მწვალებელთა მიერ აზრითა, სხუა და სხუა შეცთომილება იყო შერევნული მას შინა, რომლისა გამო შერყეული იყო სრულიად აზრი საღმრთო წერილისა.

4) წმიდა ბერი იოანე პატრიკ ყოფილი, გარდაიცვალა ათონის მთასა ზედა 1075 წელსა.

წმიდანი ესე წიგნნი ყოველი წჳლილად აღრიცხჳა, გალობა და დასდებელი, ფრიადითა შრომითა და გულს მოდგინებითა.

ესე ყოველი და ამისა უმრავლესი მამამან ჩუჱნმან გიორგი და ესრეთ აღასრულნა მისდა რწმუნებული იგი ტალანტი.

ხოლო საყოფელად არნ ყისდა ოდესმე კალიპოსს და ესრეთ არა სცემდა განსუჱნებასა თავსა თჳსსა, ვიდრემდის ყოველნი განაკჳრნა, არა ხოლო თუ ქართუჱლნი, არამედ ბერძენნიცა და ასურნი, რომელსაცა ეუწყა მოქალაქობა მისი. ნეტარსა იოანე პატრიკსა ანტიოქისას მოუწოდა და ეზრახა საღმრთოთა წერილთაგან მრავალ სახედ პირუჱლად და მერმე (სხჳათა) სულთა სარგებლისათჳს, სათნოებათათჳს და ვნებათა და ვითარ ყოველსა შინა გამოცდილად ჰპოვა და მერმე ყოველი ცხოვრება თჳსი მას შევედრა და მას ჰკითხჳდა გულის სიტყუათა თჳსთა და ყოველთავე საეკლესიოთა საქმეთა და რაჟამს იგი შურითა მტერისათა ცეცხლი აღედვა პირუჱლ ქალაქსა და ტაძარი წმიდისა მოციქულისა პეტრესი დაიწჳა.

ხოლო პატრიარქი[1] მრავლითა მწუხარებითა და ურვათაგან შეპყრობილ იყო ვიდრემდის ბერი ესე წმიდა მოვიდა და სიტყუათა ნუგეშინისმცემელისათა და სწავლითა სულიერითა, ყოველი მწუხარება და გლოვა მისი განუქარვა, რომლისათჳსცა ჴმიარებდა და იტყოდა, უკეთუმცა სიწმიდე შენი არა მომაშურალ იყოს, ჳოი! წმიდაო მამაო კნინღა და მწუხარებათა მიერ, ჯოჯოხეთად შთავარდნილ იყო სული ჩემი; ესრეთ წმიდა ესე პატრიარქი ესე ვითარითა სიყუარულითა და სარწმუნოებითა აღსავსე კაცისა ამის ღმრთისათა, შემდგომად მცირედისა ღმრთისა მიმართ მიიცვალა.

და შემდგომად მისსა დაიპყრა საყდარი მისი[2] სამეუფოულმან და კაცმან ფილოსოფოსმან და ორსავე ცხოვრებითა გამოცდილმან, ხოლო არა აქუნდა მეცნიერება წმიდისა ამის ბერისა, მართ ვითა ახალ შემოსილსა და ესე იქმნა მიზეზი დასაბამისა მათისა ურთიერთარს შემეცნებისა.

რამეთუ კაცნი ვინმე სიონ წმიდელნი შურითა საეშმაკოთა აღიძრნეს ჩუჱნ ქართუჱლთა ზედა და ენება, რათამცა ნათესავნი ჩუჱნნი ძირითურთ აღმოფხჳრეს სიონ წმიდით და განიზრახეს, რათა წმიდასა ამას და მართალსა სარწმუნოებასა ჩუჱნსა, ბიწი რაჲმე დასწამონ და ესრეთმცა სრულიად აღმოგჳფხჳრნეს და დიდებულისა ამის ლავრისა პირუჱლიდგან თჳთ წმიდისა სიონის მიმართ დამკჳდრებულნი და ესრეთ ბოროტად შეიზრახნეს და წარვიდეს თეოდოსი პატრიარქისა წინაშე, ვითარცა ახლად შემოსრულისა და წუთ უმეცარისა.

დაცჳვეს წინაშე მისსა რეცა მომჩივარნედ და ჰრქუჱს მას. შეგვეწიე წმიდაო მეუფეო და გჳხსენ დიდისა ჭირისაგან და განგჳათავისუფლენ კაცთაგან ამათა და უცხოთა თესლთა, რამეთუ არს მონასტერსა ჩუჱნსა, ვითარ სამეოცი კაცი, ქართუჱლად სახელსდებენ თავთა თჳსთა და არა უწყიან თუ რასა ზრახუჱნ, ანუ რა არს სარწმუნოება მათი და ესრეთ დორასად ზოგი მონასტერისა დაუპყრიეს. ესმა რა ესე პატრიარქსა დაუკჳრდა და ჰრქუა მათ, და ვითარ ეგების ესე რომელმანცა ქართუჱლნი არა მართლმადიდებელნი იყუნეს, რამეთუ წუთ უმეცარ იყო ნათესავისა ჩუჱნისა. ხოლო იგინი დაუმტკიცებდეს და რეცა უკეთურებისა საფარველად ჰრქუჱს მას, ვითარმედ, არა უწყით თუ ქართუჱლნი ჯრიან ანუ სომეხნი და ვერცა ხუცესი მათი ჟამსა ჰსწირავს მონასტერსა ჩუჱნსა.

---

1) იოანე.

2) პატრიარქმა თეოდოსი III.

ხოლო ესე მართალი თქვეს, რამეთუ ვიდრე აქამომდე მრავლით ჟამით ქართველი ხუცესი სიონ წმიდას ჟამსა ვერა ჰსწირავდა, ამის მიზეზისათჳს, რამეთუ რომელსამე ჟამსა სოფლური ვინმე ხუცესი ახლად ჩამოსული, წმიდისა სიონის სჳტცსა ზედა გასრულ იყო, ჟამის წირვად ქალამნითა და საბეჭურით, თჳნიერ სამღდელოსა შესამოსელისა, ვითარცა იყო პირველად წესი ჩვენი და ამისთჳს არა უტევებდენ ქართველის ხუცესსა ჟამის წირვად, არამედ განეწესა, რათა მათთანავე ეზიარებოდინ და ნუ ვინ გონებს თუმცა სხვა რაიმე მიზეზი ყოფილ იყო და კაცთა მათ ამათთა, პატრიარქსა ესე გააგონეს, ხოლო იგი განცვიფრდა ამას ყოველსა ზედა და ჰრქუა მათ. არავინ არს ნათესავთა შორის მათთა ბერძულისა ენისა მცოდნე და წერილთა სწავლული? ხოლო მათ უნდა თუ არა აღიარეს, ვითარმედ არის ერთი ვინმე მონაზონი ღრამატიკოსი, ბერძულთა წიგნთა ქართულად თარგმნის. მაშინ პატრიარქმან მსწრაფლ ბრძანა მოყვანება ბერისა.

ხოლო ვითარცა შევიდა ბერი წინაშე მისსა, მოიკითხეს პატივითა და უბრძანა დაჯდომა და იწყო უბნობად ღმრთივ სულიერთა წიგნთაგან და რასა იგი კითხვიდა ყოველსავე ღმრთივ სულიერად მიუგებდა, მაშინ გულის ხმა ჰყო პატრიარქმან ვითარმედ, მადლი ღმრთისა დამკჳდრებულ არს მის შორის და ჰრქუა ესრეთ ბერსა. პატიოსანო მამაო, კურთხეულ არს ღმერთი, რომელ ვიხილე სიწმიდე შენი და აჰა ესერა გხედავ მოწყალებითა ღმრთისათა, დაღაცა თუ ნათესავი ხარ ქართველი, სხჳთა ყოვლითა სწავლულებითა სრულიად ბერძენი ხარ; ხოლო მითხარ ნათესავისა შენისათჳს, არს რაიმე ნაკლულევანება სარწმუნოებისა მათთანა, გინა ურთიერთას არს განყოფილება, მათ შორის და ჩვენ შორის.

ხოლო ნეტარმან მან გამოისახა სასწაული პატიოსნისა ჯუარისა პირსა თჳსსა და იწყო წარმოთქმად მრწამსისა მართლისა სარწმუნოებისა, ესრეთ რომელ განაკჳრვნა მსმენელნი, რამეთუ სული წმიდა იტყოდა პირითა მისითა.

მაშინ პატრიარქმან ბრძანა, კურთხეულ არს ღმერთი, ვიეთნიმე ნაკლულევანებასა სწამებდეს ქართველთა, აჰა ესერა მრავალთა უზეშთაეს იპოვნეს და უფროს ხოლო ქალწულებითა, რომელი იგი მაღლად უპყრიეს მათ. ყოველნივე ეწამებოდნეს, რამეთუ იყვნეს მიტროპოლიტნი და ეპისკოპოსნი და წარჩინებულნი ანტიოქისნი, ყოველნივე ადიდებდეს ღმერთსა და წმიდასა მას ქება შეასხეს და ნეტარება.

ხოლო პატრიარქმან ცუდის მზრახველთა მათ და ამათთა კაცთა სიონ წმიდელთა[1]) ფრიად შერისხნა და საკანონოსა ქუეშე საეკლესიოსა შეყარნა და სხუასაცა მრავალსა ძჳრსა უთქმიდა; ხოლო ნეტარმან ამან უხუაიშნა პატრიარქისაგან და განუტევნეს და რომელსა იგი რეცა სავნებელად ჩვენდა ჰგონებდეს, ესე ჩვენდა სარგებელად იქმნა. და სარწმუნოება ჩვენი ღმრთივ ბრწყინვალედ იქადაგა, მიერითგან დაეწყეს რა ქართველნი სიონ წმიდას ჟამსა ჰსწირვიდენ, რამეთუ ყოველნი მეცნიერ ხართ, ვიდრე ამის ნეტარისამდე ჟამსა ვერვინ ჰსწირვიდეს და ესე რა ესრეთ ღმრთივ ბრწყინვალედ აღასრულა და განაგო, კუალად სხუა საქმე წინა უყო პატრიარქმან, ფრიად დიდი და მაღალი.

რამეთუ კუალადცა ვიეთმე მრავალ ღონეთა და მანქანთა მოასხენეს და აუწყეს პატრიარქსა, ვითარმედ, ვითარ ესე მეუფეო, რომელ ეკლესიანი და მღდელთმოძღუარნი ქართველთანი, არა რომლისა პატრიარქისა ხელმწიფებასა ქუეშე არიან და ყოველნი საეკლესიო წერილნი მათ მიერ

1) ბერძენთა.

განეგებიან და თჳთ დაისმენ კათალიკოზთა და ეპისკოპოსთა და არა სამართალ არს ესე, რამეთუ ათორმეტთა მოციქულთაგანი არავინ მისრულ არს ქუეყანასა მათსა და ჯერ არს, რათა ქალაქსა ამას ღმრთისა და საყდართა მოციქულთა თავისასა დაემორჩილნენ და ამის ხელმწიფებასა ქუეშე იყვნენ; რამეთუ ნათესავი არს უმეცარ და სამწყსო მცირე და ჩუენდა მახლობელად არიან და ჯერ არს რათა ხელმწიფებასა ქუეშე ანტიოქიის პატრიარქისასა იმწყსებოდენ და აქა იკურთხეოდნენ კათალიკოზი მათი და ვიყვნეთ ჩუენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს.

ესე ყოველი განიზრახეს და დაამტკიცეს, რეცა უმეცრების ჩუენისათჳს, ხოლო წინა აღმდგომი შეემთხჳა, რამეთუ იწყო პატრიარქმან სიტყუად ბერძნისა, ვითარცა ესე აღგჳწერია და ეტყოდა, რომელსამე ლიქნით და რომელსამე მართლიად. ვითარმედ შენ ძმაო! ნეტარო მამაო, დაღაცა თუ ნათესავით ქართველი ხარ, ხოლო სწავლულებით და მეცნიერებით ჩუენივე სწორი ხარ; ჯერ არს რომელ ეკკლესიანი და მღდელთმოძღუარნი თქუენნი, სამოციქულოსა ამის საყდრისასა იმწყსებოდინ და მართებსცა ესრეთ მიზეზი, მახლობელობისათა, ესე შენგან შესაძლებელ არს, რამეთუ უწყი ვითარმედ გისმენს მეფე თქუენი, უკეთუ მიუწერო და აუწყო უმჯობესი. ხოლო უკეთუ არა ისმინოს მიუწერო ორთავე პატრიარქთა საყდრის მოდგამთა ჩუენთა და ვაუწყო თჳთ რჩულობა და ქედ ფიცხელობა თქუენისა ნათესავისა და ვითარმედ თჳნიერ სამოციქულოსა განონისა თჳთ იმწყსებიან და მოციქულთაგანი არავინ მისრულ არს ქუეყანასა მისსა და ესრეთ მრავალსა ღუაწლსა შეგვამთხვევ, ვიდრე არა მეფე თქუენი თჳთ წინაშე ჩუენსა მოვიდეს და ხელმწიფობასა ჩუენსა დაემორჩილოს და ესე ვითარნი რა სიტყუანი წარმოთქუნა ბერისა მიმართ.

ხოლო ნეტარმან ამან დაწყნარებით და ნელიად ჰრქუა პატრიარქსა, ვითარმედ «ძმაო! წმიდაო მეუფეო, რომელსა თჳსმე ესრეთ ადვილად ხელ ჰყავს დიდსა ამას მაღლისა მოგონებად და აღსრულებად, ვინ არნ უგუნურნი განზრახნი შენნი, ანუ რად ესრეთ უგუნურად შეგირაცხიეს ნათესავი ქართველთა წრფელი და უმანკო, ჰჱა ესე რა ვარ მე უნარჩევესი და უმდაბლესი ყოველთა ძმათა, მე მოგცე მათ ყოველთა წილ პასუხი, მოღებად ეგე წიგნი მიმოსულა ანდრია მოციქულისა და მუნით გაუწყოს საძიებელი თქუენი».

ხოლო პატრიარქმან უბრძანა ფილოვილეს ნათესავით ქართველსა, რომელ იგი უკანასკნელ ტარსუს მიტროპოლიტ იქმნა, მოღება წიგნისა მის და ვითარ მოიღეს პირველ წარკითხვასა ჰრქუა პატრიარქსა ბერმან. «წმიდაო მეუფეო! შენ იტყჳ, ვითარმედ თავისა მის მოციქულთასა პეტრესი საყდარსა ვზიო, ხოლო ჩუენ პირველ წოდებულისა და ძმისა თჳსისა მწოდებელისა ნაწილნი ვართ და სამწყსონი მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანნი, სიმეონს ვიტყჳ კანანელსა, ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი[1]) ეწოდების».

«ამათ წმიდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ, ვინადგან ერთი ღმერთი გჳცნობიეს, არა რა უარ გჳყოფიეს და არცა ოდეს წყალობისა მიმართ მოდრეკილ არს ნათესავი ჩუენი და ყოველთა უარის მყოფელთა და მწყალებელთა შევაჩუენებთ და ვსწყევთ».

«ამას საფუძველსა ზედა მართლმადიდებლობისასა და მცნებათა და ქადაგებათა წმიდათა მათ მოციქულთასა მტკიცე ვართ, აწ უკუე ჯერ არს დაგემორჩილნეთო? ანდა რეცა განცხრომით ჰრქუა

1) ნიკოფსი აწინდელს სოხომის, ანუ ცხომის მოახლო იყო ზღჳს პირას.

პატრიარქსა. «წმიდაო მეუფეო! ჰმჯობნის ესრეთ, რათა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ არს, რათა დაემორჩილოს მწოდებელსა თჳსსა და ძმასა ანდრიას და რათა თქუენ ჩუენ დაგვემორჩილნეთ?» და ესეცა შესძინა, ვითარმედ «წმიდაო მეუფეო, რომელნი ესე ჩუენ უმეცარად და სუბუქად გუხედავთ და თავნი თქუენნი ბრძენ და მძიმე გიყოფიან. იყო ჟამი რომელ ყოველსა საბერძნეთსა შინა მართლმადიდებლობა არა იპოვებოდა და იოანე გუთელ ეპისკოპოსი [1]) მცხეთას იკურთხა ეპისკოპოსად, ვითარცა სწერია დიდსა სჯნაქსარსა». ესე ყოველი რა წარმოთქუა ნეტარმან ამან განკჳრდა პატრიარქი, ეპისკოპოსთა თჳსთა თანა, სიმახჳლესა გონებისა მისისასა, რამეთუ ვითარცა მდინარე დაუწყუეტელად ესრეთ დიოდეს სიტყუანი წმიდათა წერილთანი, პირით მისით. განიღიმა პატრიარქმან და ჰრქუა მღდელთ მოძღუართა მათ და ერსა, ხედავთა ბერსა ამას, ვითარ მარტო ესოდენსა სიმრავლესა გუერევის, ვეკრძალნეთ ნუ უკუე წინა აღმდგომი შეგვემთხჳოს და არა თუ ხოლო სიტყჳთა, არამედ საქმითა გუამხილოს ძლეულება ჩუენი და დაგვიმრევლნეს.

მერმე დაღაცათუ შეიყუარა პატრიარქმან და ყოველმან ანტიოქიელთა, ვითარცა მამა და მოძღუარი სულიერი და თჳთ პატრიარქმან გულის სიტყუათა თჳსთა მისა იწყო კითხუად და რამეთუ პირუელ მისა ყოფელი ნეტარი პატრიარქი იოანე, მასვე წმიდასა ბერსა კითხვიდა, ვითარცა ზემო ვთქუთ და ესრეთ მრავლითა პატივითა და სიწმიდითა ეპყრა წმიდა იგი ბერი, ვიდრე იყო იგი ქუეყანასა ანტიოქისასა და ოდეს რაჲმე აქუნდა გულის სიტყუა, მსწრაფლ წარმოსცემნ საჴმარსა და მოიყუანებნ და დიდად სარგებელ იყოფნ ხილვასა მისსა. აქამომდე არს პატრიარქისა მიმართ სიტყჳსგებისა და სიყუარულისა მისისა მიმართ წარმოთქმა.

ხოლო ვითარცა ჰსცნა ღმრთის მსახურმან მეფემან ბაგრატ, ვითარმედ სრულ იქმნა თარგმნება წიგნთა საღმრთოთა და მოირწყნეს ეკკლესიანი შავის მთისანი წიგნთა მისთა, მდინარითა სულთა განმაცხოველებელითა, რამეთუ ყოველთა მონასტერთა გარდიწერეს და უფროს ყოველთა დიდად იღუაწა სულითა კურთხეულმან ანტონი ლიპარიტ ყოფილმან [2]) და თჳსსა მონასტერსა (წმიდასა ვარლაამ), აფხაზეთს ვარლაამ წმიდისათჳს დააწერინა და წმიდასა ამას ბერსა დიდად პატივი უპყრა და ნუგეშინისცა თჳსისა მის მონასტრისაგან გაკუეთილი შეუქმნა და სიმტკიცე თჳსითა ხელითა დაუწერა და მშუენიერი ქება და მადლობა დაუწერა, მას შინა ღუაწლთა და შრომათა მისთათჳს; ესრეთ საყოველნი ეკკლესიანი განმშუენდეს საგალობლითა წმიდათა წიგნთა მისთათა; ხოლო ეკკლესიანი აღმოსავლეთისანი წუთ ნაკლულევან იყვნეს.

იწყო ღმრთის მსახურმან მეფემან ბაგრატ და ძმამან მისმან გიორგი, დედოფალთა და კათალიკოზმან და ყოველთავე მღდელთ მოძღუართა და მთავართა, ვედრებად და წუევად, რათა აღმოსავლეთს განვიდეს და იხილონ წმიდა იგი და იკურთხნენ და განათლდნენ მის მიერ და რათა ნაშუშაკევი იგი ღმრთივ მონიჭებული იხილონ და აღივსნენ სიხარულითა.

და ესრეთ მრავალგზის მიუწერნ ღმრთის მოყუარე მეფე ბაგრატ და დედოფალი დედა მისი მარიამ, ვითარმედ წმიდაო მამაო, მანდა შავსა მთასა მცირედნი არნ მონასტერნი ჩუენნი, რამეთუ ქუეყანა არს უცხო, ხოლო ჩუენი სამეფო ვრცელ არს და დიდ ფრიად და მაღალ და ეკკლესიანი

1) გუთელნი აწინდელს ყირიმს ჰსცხოვრებდნენ და ეპარხია მათი მას შინა იყო. ნახე Oriens christianus-tom. I. pag. 1333.

2) წმ. და კურთხეული მამა ანტონი ლიპარიტ ყოფილი, იყო გუარით ორბელიანი.

სამღუდელმთავრონი და მონასტერნი ფრიად მრავალ და დიდებულ, აწ არწმუნოს ღმერთმან სიწმიდესა თქუენსა, რათა ბრძანო და მოშურე და ჩუენ ვიკურთხნეთ თქუენ მიერ და განვნათლდეთ და კუალად ეკკლესიანი ჩუენნი აღივსნენ მდინარეთა მათგან სულთა განმაცხოველებელთა; წიგნთა თქუენთა ღუთივ სულიერთათა.

ხოლო ნეტარმან ამან ყოვლადვე არა თავს იდვა, რამეთუ ყოვლითა მოსწრაფებითა ევლტოდა დიდებასა კაცთასა და შფოთსა სოფლისასა და სიმდაბლესა შეიტკბობდა და კუალად ზემო ხსენებულისაცა მიზეზისა ეშინოდა ნუ უკუე მღუდელთ მოძღურად დაადგინონ. ვიდრე არა კაცთა თჳსითა ხელითა სიმტკიცე მოუწერა ღუთის მსახურმან მეფემან, ვითარმედ არა რა უვნებელი შეემთხჳოს და ვითარმედ წმიდაო (მამაო) არა თუ ოდენ წიგნთა თჳს ვარ, რათა განათლდენ ეკკლესიანი ჩუენნი, არამედ რათა თჳთ მე განვჰნათლდე ხედვითა თქუენითა და სული ჩემი ხელთა თქუენთა შევვედრო და ძე ჩემი და ყოველნი თჳსნი ჩემნი სიწმიდისა თქუენისა მიმართ იმწყსებოდენ და განისწავლებოდინ და რათა ნიჭად მიუპყრნე სულნი ჩუენნი.

ხოლო იხილა რა საღმრთომან ამან მოხუცებულმან სარწმუნოება იგი და სიყუარული ღუთის მსახურისა მეფისა მიმართ და მრავალგზის მისწერა და იძულებდა წარსულისა მისისათჳს და ეძიებდა ცნობად ნებასა ღუთისასა, რომლითამცა გულსავსე იქმნა. მაშინ წმიდათა მოციქულთა მიერ ქმნილი იგი საქმე ხელ ჰყო და ეგრეთცა იყო ჩუეულება იგი მისი, რაჟამს საქმისა რასათჳსმე უნებნ გულსავსე ყოფის თუ არს ნება ღუთისა, წიგნნი დაწერნის საკურთხეველსა ქუეშე დასხნის და მღუდელმან ზედა ჟამი წირის და რაჲცა აღმოხდის იგიცა დაამტკიცის.

და ეგრეთვე ჰყო აწდა, რომლითა გულსავსე იქმნა და ესრეთ მიუწერა მეფესა. ხოლო მას ვითარცა ესმა განიხარა ფრიად და წარმოუვლინა საკუთარი თჳსი იოანე და სახედარი და განძი რაოდენი კმა ეყოფოდა მას და მოწაფეთა მისთა წარმოსცა და დაწერნა წიგნნი პატრიარქისა თანა და დუკსა ანტიოქიისასა წარმოგზავნისა ჩუენისათჳს და ესრეთ მოიწივნეს მწოდებელნი ჩუენნი.

აქამომდე არს სიტყუა ჩუენი ზემო ხსენებულთა ძმათა მიმართ, რომელთა გვაიძულეს მობიდგანვე აღწერა ცხოვრებისა მისისა. ჵოი! ნეტარო, რამეთუ თქუენ აქამომდე ყოვლადვე მეცნიერ ხართ და ვითარმცა არა მეცნიერ იყავ, რომელი იგი იოტ გულის სიტყუასაცა არა დაჰფარავდა თქუენგან, ხოლო ამიერიდგან წარსულისა ჩუენისათჳს იერუსალიმად და ვიდრე სამეფოდ მისულადმდე და მერმე სოფლით მიცვალება ყოვლადვე ვაუწყო სიწმიდესა თქუენსა, რომელმან ეგე ფრიად მაიძულე და მიბრძანე შეუკადრებელთა შეკადრებად და ესე წარმოგისთქ ფრიად მოკლედ და სულმცირედ, რამეთუ ესე ოდენ შორს ვარ სიწმიდისა მისისაგან, ვითარცა ქუეყანისაგან და ვითარცა სახრდილო მსგავსებისაგან კაცისა და კუალად მაიძულებს აღწერად ბრძანება თქუენი თუ ვითარ წარვედით ზე და ვითარ იქმნა მიცვალება მისი.

ხოლო მე ვითარცა მოგზაურსა უდებსა, რომელი განზოგებასა გზისასა არა მიწევნულ არნ და დაისხნის, ეგრეთ მცონის, რამეთუ წუთ ძირსა თანა მთისასა ვიქცევი და თავსა არა აღსრულ ვარ, არამედ ქრისტე ღმერთი ჭეშმარიტი იყავნ ჩემ თანა და წმიდა მადლი თქუენი, რათა უცდომელად წარვემართო გზასა სიტყჳსა ჩემისასა,

რამეთუ (რა) ვითარცა წარვემართებოდით საკჳრველისა მაგის მთისაგან[1]) ვილოცეთ სამარ-

---

1) ამ ადგილიდგან ჰსჩანს, ვითარმედ ამ ცხოვრების დამწერი მოწაფე და თანა-მეგზაური იყო წმიდისა და უწერს ამას საკჳრველ მთასა შინა მცხოვრებელსა ვისმე სამღუდელო წესსა.

ჴოლსა წმიდისა სიმონისა და მართასა[1]) და მადლი მათი და ლოცვა თქუენი საგზლად მოვიდეთ
გამოვედით ანტიოქით და მოვიწიენით ვიდრე დიდად მდინარედ ევფრატად და მუნ გუეუწყა
ვითარმედ, მიზეზისათჳს ცოდვათა ჩუენთასა თურქთა დაეპყრიეს ყოველი შუა მდინარე და ასური
და საბერძნეთი. ხოლო ჩუენ გუესმა რა ესე შევიქეცით მიერ და სევასტიით კერძო მოვიდოდით,
გუეგონა ვითარმედ მათ კერძო მშჳდობა არს.

ხოლო უწინარეს ჩუენსა მისრულ იყვნეს თურქნი და აელოთ ქალაქი იგი და დაეწუათ და ჩუენ
არა უწყოდით და მივიდოდით და კნინღა და მცირედ ჴელთა მათთა შთავცჳვდებოდით, უკეთუ
წყალობასა ღმრთისასა არა აღეპყრა ჴელი, რამეთუ ხმა გუესმა ყოველთა, ვითარმედ: «სადა წარჰვალთ?»
და უწყნის უფალმან კაცნი არა გჳხილავს, გარნა თუ ხმა ანგელოზისა იყო; ესრეთ შევიქეცით და
მთათა მივმართეთ დიდითა შრომითა და დღე და ღამე სვლითა კესარიად მოვედით, რამეთუ ჴელითა
არღარა ეგებოდა და ნებითა ღმრთისათა ეგხაიტს მოვიწიენით სამარტჳროსა წმიდისა თეოდო-
რესსა. ხოლო მღდელთმოძღუარმან მის ადგილისამან კეთილად შეგჳწყნარა და გჳსტუმრნა,
რამეთუ კაცი იყო წმიდა და ღმრთისშემოსილი და დიდათ ნუგეშინის იცა მისთჳსითა ჩუენითა
განსაცდელთა მათთჳს და მრავალი წარმოთქუეს ურთიერთარს სულთა ცხოვრებისათჳს და ესრეთ
მოვედით მიერ და მოვიწიენით ქალაქსა სამისონს ზღჳს კიდესასა და მუნ განვეყენით სახედარნი
ჩუენნი და ესრეთ ნავითა წარვემართენით კერძოთა აფხაზეთისათა კეთილითა და აშვიდობითა ნავითა
მივიწიენით ფოთს და მიერ ჟამით ქუთათისსა ჟამსა სთულისასა.

ხოლო აცნობეს მსწრაფლ მეფესა, რამეთუ ზემოთა ქუეყანათა იყო და ვითარცა უწყა, განი-
ხარა სიხარულითა დიდითა და მეუწყულად წარმოგზავნა მწიგნობარი თჳსი და უბრძანა დიდითა
პატივითა წარეუძღუანება ბერისა და ვითარცა მოიწია ჩუენდა, წამოგჳყუანეს მიერ და თანა გზასა უძღუა
მღდელთმთავარიცა ქუთათისა, სახელით ილარიონ, რომელი უკანასკნელ მოწაფე იქმნა ბერისა
და წარმოვედით და მოვიწიენით ქუეყანად ქართლისა, სადა იგი იყო მეფე მთავართა თჳსთა თანა
და ვითარცა მოვეახლენით სამ ჟამისა სავალ ოდენ და გამოგზავნა მეფემან მგებრად ჩუენდა მღდე-
ლთმოძღუარნი და დიდებულნი თჳსნი. ხოლო თჳთ ღმრთის მსახური მეფე, კართა თანა კარ-
ვისათა წინა მოეგება და მოწლედ მოიკითხა და იკურთხა მისგან და ჴელპყრობით შეიყუანა კარა-
ვად და იხარის დასუა მახლობლად თჳსა და თქუა განმხიარულებულმან სიხარულითა დიდითა: კურთ-
ხეულ არს ღმერთი, აწა დღეს ცხოვრება არს ყოვლისა სამეფოისა ჩემისა, რამეთუ ვიხილე ახალი
ოქროპირი და ესრეთ მისთანა ყოველნი დიდებულნი მისნი იხარებდნენ და მადლობდენ ღმერთსა
და იტყოდეს: კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან მოგჳგლინა ესე ვითარი კაცი მაცხოვრად სულთა
ჩუენთა და იყო სიხარული დიდი ყოველსა მას სამეფოსა მისსა.

ხოლო მას ჟამსა იქმნა დიდი გამარჯუება მეფისა, ოდეს იგი შეწევნითა ღმრთისაჲთა წინა
აღმდგომნი თჳსისა მეფობისანი აბაზისძენი შეიპყრნა, რომლისათჳს ყოველთა უწყით ჭეშმა-
რიტებით, ვითარმედ შეპყრობა მეფისა ეგულვებოდათ, ესე კაცნი ძლიერნი და ახოვანნი, სიმდი-
დრესა ზედა მკლავისა თჳსისა მოქადულნი და სიმრავლესა ზედა ერისასა აღზუავებულნი, ხუთნი
ერთობით ვითარცა უღლურნი რაჲმე და ურმანი ჴჳლნი ეგრეთ შეიპყრნა, რამეთუ ხუთთავე ერთი
არა გამოსრულ იყო, შემდგომად მოსულისა ჩუენისა ესე ვითარცა ხელად იხუნა. წარავლინა მწო-

1) ლელისა წმ. სიმონისა.

დებელი ბერისათანა და ვითარცა შევიდა ბერი და მიულოცა გამარჯუება იგი და ჰრქუა მას მეფე-მან, ვითარცა იყო მორწმუნე და ღუთის მსახური. ჰოი! წმიდაო მამაო, არავინ არს გამარჯუება ესე ჩუენი, თჳნიერ ლოცვისა და მადლისა შენისა, რამეთუ მრავალგზის ხელ მეყო და ვერ ოდეს გამემარჯუა; ხოლო აწ უწყი ჭეშმარიტად, რომელ საწყალი არს მოსულისა შენისა და ამიერიდ-გან წარემართოს მეფობა ჩემი ლოცვათა შენითა და აუწყა ყოველივე განზრახუა მათი და ბორო-ტის შემზადება, რომელსა იგი მისთჳს იგონებდეს.

ამისა შემდგომად განაგნა რა საქმენი მის ჟამისანი ღუთის მსახურმან მეფემან, რამეთუ მო-წევნულ იყო ჟამი ზამთრისა და ჩუეულებისაებრ თჳსისა წარვიდა აფხაზეთად და აწვია ბერსა წარსულად, რათა მუნ დაიზამთროს და განისუენოს და ვითარმედ არს ქუეყანა იგი ბარი და ტფილი და ვითარცა წარვმოემართენით და მივიწიენით ჭყონდიდს, მეფე სრულიად აფხაზეთს შთასულად წარემართა, ხოლო ეპისკოპოსმან ჭყონდიდელმან არა განგჳტევნა, რამეთუ მოწაფე იყო ბერისა.

და ზამთარი იგი მუნ დავჰყავით და შემდგომად ზამთრისა აღმოვიდა ღუთისმსახური მეფე ქართლადვე მოუწოდა ბერსა წინაშე მისსა, მისცა ადგილი მშუენიერნი ლავრანი, დიდებულნი განსასუენებელად და საყოფელად მისდა, პირუელად ნეძვი ქართლსა შინა და შემდგომად მცირე-დისა მატბერდი დიდებული ლავრა კლარჯეთსა შინა. ხოლო შესაძლებელ-თუმცა იყო ყოვლადვე არა ნებავს მეფესა, რომელ ერთსამცა დღესა კიდე იყო მისგან და ვერ განძღებოდა ხმენითა თაფლისა უტკბილესთა მათ სიტყუათა მისთათა და ესრეთ ეტყჳს: წმიდაო მამაო, ამისთჳს მოვამშურეთ სიწმიდე თქუენი, რათა ნაკლულევანებაბ და ცთომა უწესო აღმოფხურა სრულიად სულთაგან ჩუენთა: დაფარული დაფარულად გუამხილო, ხოლო ცხადი თუალ უხუავად განგუმარტე, რამეთუ რაჲცა შეპრძანოს მამობამან შენმან ესრეთ შევიწყნარო, ვითარცა პირისაგან წმიდათა მოციქულთასა და მოიყუანა ძე თჳსი გიორგი უფლისწული და ხელი მისი ხელსა შთაუდვა და თქუა: აჰა მოგცემ სულსა ამის ყრმისასა და წინაშე ღმრთისა გთხოვ. ხოლო მან აკურთხა და ულოცა და ჰრქუა, ვითარმედ «უფალმან ორითავე ცხოვრებითა ადიდენ, ვითარცა დიდი კონსტანტინე, ჟამსა შინა თჳსსა დაუმორჩილენ ყოველნი მტერნი მისნი». და ვითარცა შუენოდა სწავლანი ღუთივ სულიერნი და მცნებანი აღუწერის და მისცნა, რათა სამარადისოდ იკითხვიდეს და იწურთიდეს და რათა უწესოთა კაცთა უჯერო-რაჲმე და დრკუ არა ასწავონ, ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა და დღე და ღამე იწურთიდ და ესრეთ მიუძღუა, ვითარცა მოწაფე ერთგული მოძღუარსა თჳსსა.

ხოლო მიერითგან იწყეს აღსრულებად და სინანულად თჳთ მეფემან, კათალიკოზმან, მღუდელთა და დიაკონთა, მონაზონთა მოწესეთა, დიდებულთა და მთავართა, მდიდართა და გლახაკთა. ესრეთ მხურვალითა სარწმუნოებითა მოისწრაფდეს, ვითარმედ საზრდელსაცა ძლით მივიღებდით და ესრეთ განანათლა ყოველი აღმოსავლეთი, კაცმან ამან განათლებულმან ღუთისა მიერ და ყოველნივე ცხადნი და დაფარულნი უწესოებანი განმართნა.

პირუელად ყოვლისა ძალესა მახჳლი მხილებისა მეფესა მიმართ, მრავალთა უწესოებათა თჳს, უშიშად და თუალ უხუავად სიბრძნით და გონიერად, რომელ არა ჰყვიდდეს საეპისკოპოსოთა კაცთა მიმართ უწესოთა და უსწავლელთა, ყოვლადუღირსთა-სოფლისა შემსჭუალულთა და უწესოებათა და მიმოსვლათა შინა აღზრდილთა, არამედ გამოარჩევდეს კაცთა ღირსთა და მონაზონებასა შინა აღზრდილთა და ღუთივ სულიერთა მოძღუართა მიერ წამებულთა და რათა ლოცვათა და მადლითა მათითა მშჳდობით წარემართოს სამეფო მისი და რათა არა მღუდელთა უწესოებითა და ცოდვითა ერის გაცნიცა დაისაჯნენ.

კუალად ეტყოდა მსჯავრთჲთჳს და სამართალთა სამჯავროთა, რათა უსაჯიდეს ობოლთა და ქჳრივთა, სიტყჳსაებრ დავითისა «მდაბალი და გლახაკი განამართლეთ». და რათა მისდრეკდეს სასწორსა სიმართლისასა, დიდისა მიმართ გინა მცირისა და რათა უმეტეს ყოვლისა წყალობა შეიტკბონ, რამეთუ წყალობა და სამართალი უყუარს უფალსა და რამეთუ ყოველი არა წმიდა და უწესოება მოისპოს, თჳთ მისგან პირჭჳმლად და მერმე ერისა მისისაგან.

მერმე იწყო მღდელთ მოძღუართა მიმართ, რათა თუალ-დებით ხელთ დასხმასა არა ჰყოფდენ და უღირსთა მღდელთა არა აკურთხევდენ და რათა ამცნებდეს მათ მიერ კურთხეულთა მღდელთა, უღირსთა არა ზიარებად და რათა არა შეკრებდენ ოქროსა და ვერცხლსა, არამედ უმეტეს ყოვლისა სწყალობდენ გლახაკთა და ულონოთა და რათა არა უწესო რაჲმე და სხუათა მაბრკოლებელი საქმე იხილვებოდის მათ შორის, არამედ მცნებასა მას მოციქულისასა შეუდგეს, ვითარცა მიუწერს ტიმოთეს.

ყოვლად იწყო მღდელთა მიმართ და დიაკონთა სწავლად მორჩილებასა ეპისკოპოსისა თჳსისასა და არა ვის თუალ-დებით მიცემად, განმაცხოველებელისა მას ხორცსა და სისხლსა ქრისტესსა და ყოფად ეგრეთ, ვითარცა ბრძანებს კანონი მოციქულთა და მამათა.

ეგრეთვე მონაზონთა და მოწესეთა და ყოველთა ერისათა შემსგავსებულად სწავლითა განანათლებდა, უსწავლელთა სწავლიდა, ხოლო სწავლულთა მათ აღუხსნიდა, მდიდართა ასწავებდა წყალობად გლახაკთა, ხოლო გლახაკთა მოთმინებასა ასწავებდა და ქრისტესა საქმითა წარგზავნიდა, დაცემულთა აღმართებდა, ხოლო დაცემათა განამტკიცებდა და მოწყლულთა ისრითა უხილავთა მტერთათა განკურნებდა, ხოლო მოწყვლადთა მათ მოწყუელისაგან უვნებელად დაიცვიდა, დასთქმულსა ღელვათა შინა ვნებათასა აღმოიყვანდა. ხოლო დანთქმულთა დანთქმად არა უტევებდა, არამედ ვითარცა ხელოვანი მენავეთ მოძღუარი ზღჳსაგან ამის სოფლისა დაუნთქმელად განარინებდა; რომლისათჳს არა უჯერო არს, რათა მოსახსენებელად ზემო აღწერილთა ამათ სათნოებათა მისთა მცირედი უწყება წარმოგითხრა, ამის რისისათჳს თუ ვითარი მადლი აქუნდა სულთა კურნებისა და უმეტეს ყოვლისა თუ ვითარი შუა მდგომელი იყო ღმრთისა მიმართ და მრჩობლ სამართლისა დაცვისათჳს, რომელი შევედრის და თავი თჳსი წმიდათა მას ორითავე ცხოვრებითა მისცის.

რამეთუ ჟამსა მას ოდეს ჩუენ ჭყონდიდს ვიყუენით, ვითარცა ზემო ვახსენეთ, იყო ვინმე ძმა ერთი საეპისკოპოსოსა მას შინა სტუმრად მოსული, მთავარ ეპისკოპოსისა თჳსისა წესითა მთავარ დიაკონი, ხოლო სახითა მონაზონი, რომელი იგი უკანასკნელ ხელთაგან წმიდისათა აღიკუეცა, რამეთუ წინა არა აღკუეცილ იყო. ხოლო იყო იგი ჭაბუკი ასაკითა და არა უჩინოთა და მდაბალთაჲ შვილი და წინა არა აქუნდა მეცნიერება ბერისა თანა, არამედ თჳთ იტყოდა, ვითარმედ სარწმუნოება და სასოება ეგე ვითარი მაქუნდაო, რომელ ვითარცა ქრისტეს ვხედავდიო. ამას ძმასა ზოგადად იგი მტერი ნათესავისა ჩუენისა ეკუეთა, სიჭაბუკისა გულის თქმათა მიერ, რამეთუ მოძღუარსა თჳსსა არა იახლა, რომლისა თანა გულის სიტყუა თჳსი დაედვა და ჰპოვა რა იგი თჳნიერ მოძღურისა, მაშინ ბრძოლა-სცა. ხოლო ვინადგან უცხოსა უცხო სარწმუნოება აქუნდა კაცისა მის თანა ღმრთისა, არა უტევებდა დანთქმად სარწმუნოება იგი მისი.

ესე მოვიდა ჩემ უღირსისა თანა და მრქუა, ვითარმედ ჯერ არს მამაო, რათა უკეთუ ვინმე მოძღუარსა თჳსსა არა ეახლოს და ბრძოლა მტერისა სჭირდეს, რათა სხუასა მოძღუარსა გამოუცხადოს და ლოცვასა ევედროს, რამეთუ ესე ვითართა წესთა წინათ უმეცარ იყო, ხოლო მე ვარქუ მას, ვითარმედ დიდად სათნო არს ეგე პატიოსანო ძმაო წინაშე ღმრთისა და მომიგო ესრეთ: ვითარმედ

ჭჳავ სიყუარული და მიჩინე მე ზერი და მოასხსენე ჭირი ესე ჩემი. ხოლო მას ჟამსა ბერი საეპისკოპოსოსა აღსრულ იყო და ვითარცა მოვიდა მივახსენე ძმისა მის გულის სიტყუა და ხუალისაგან მიბრძანა მოწოდება მისი და მოვიდა შევიყუანე პირუტყულად სენაკად ჩემდა და ვამცენ, რათა უშიშრად და კადნიერად გამოუცხადოს ყოვლივე ბერსა.

ხოლო ვითარცა შევიყუანე წინაშე ბერისა და მე განვედი, გამოუცხადა მას ბრძოლანი თჳსნი, ჰრქუა მას ბერმან, ვითარცა თჳთ ყოვლადვე უკანასკნელ მითხრობდა. «შჳლო ლჳნოსა განეყენე, რათა განთავისუფლდე». ჰრქუა ძმამან მან, მამაო ქუეყანა ესე ხორშაკეული არს და უმეტესად იგი ადგილი სადა მე ვიყოფები, ნუ უკუე სნეულებისაგან დავეცე. ჰრქუა მას ბერმან, ხელმწიფებით განცხადებულად, ვითარმედ. «შჳლო მე ვიყო შორის ღმრთისა და შენსა შუამდგომელ, ვითარმედ უკეთუ შენ მცნება ჩემი დაიმარხო, არა შეგემთხჳოს სულიერი გინა ხორციელი სნეულებაჲ».

ხოლო იგი ევედრებოდა, რათა სრულიად დაიმოწაოს, არამედ არა ინება ბერმან ვიდრემდის პირუტყულისა მის მოძღურისაგან არა იჳმნას. «რამეთუ არა გუაქუს ეგე ვითარი ჩუეულებაჲ». ხოლო მოვიდა რა ძმა იგი ესე მაუწყა და იხილებოდა ვითარცა ბრძმელისაგან გამოსრული, ყოვლითურთ მხიარული და თავისუფალი. მიერითგან ესრეთ განეყენა ლჳნოსა, რომელ თჳნიერ ზიარებისა წმიდათა საიდუმლოთასა ჟამ რაოდენმე გემოსა არა იხილავდა და ვითარცა უკანასკნელ გჳთხრობდა, სარგებლისათჳს ჩუენისა, ვითარმედ ვინაჲთგან შენ ბერსა თანა შემიყუანე მიერითგან ესრეთ განვთავისუფლდი, რომელ კუალადცა ვერა ვპოვე ჩემ შორის პირუტყულთა მათ ბრძოლათა; სიმრავლისათჳს კუალად რაჲდა საკმარ არს თქმად, ვითარ ქუეყანასა მას შინა ხორბალისა ყოველთა ლჳნოჲ სმულთა უმრთელეს ვიპოვე.

ესე ამისთჳს წარმოვთქუთ, რათა გეუწყოსთ თუ ვითარი შუამდგომელ იყო შორის ღმრთისა და კაცთა და თუ ვითარისა სიმართლისა მიმცემელი იყო, სულისა და ხორცთა და თუ ვითარისა სარწმუნოებისა მისცემდა მისდა შევედრებულთა. ხოლო კუალად საფასეთა განბნევისათჳს და თუ ვითარ უმეტეს ყოვლისა გლახაკთა წყალობასა ამცნებდა, ძალმან სიტყჳსამან გამოაცხადოს, რათა გეუწყოს მოწყალებაჲ იგი სულისა მისისა.

რამეთუ იყო ვინმე ეპისკოპოსი მდიდარი ფრიად და წარჩინებული, რომელსა იგი მრავალჯერ ბრძოდა ეშმაკი, რათა სიმდიდრითა საფასეთა თჳსთათა ეკკლესიანი შეამკუნეს და განამშუენნეს და რათა მონასტერთა შინა ალაპი დაიდუას და ამით მიზეზითა სცვიდა სიმდიდრესა თჳსსა. ხოლო გლახაკთა ყოვლადვე არა მიხედვიდა და ესე დაემოწაფა წმიდასა მას ბერსა და განუცხადა მან თჳსი იგი გულის სიტყუა, რამეთუ ბერმან ჰრქუა მას, ვითარმედ «ჰოი მეუფეო! ეგე ბრძოლა მტერისა ბოროტისა არს, რაჲთამცა ეკკლესიათა და ალაპთა მიზეზითა გლახაკთა უწყალოებასა შინა მოგვლას, არა თუ ამას იტყჳს ღმერთი ვითარმედ ეკკლესიანი (არა) შეამკუენითო, არამედ მშიოდა და არა მეცით მე ჭამადიო, ვითარცა იტყჳს იოანე ოქროპირი ესრეთ სწავლათა თჳსთა მიერ: მოწყალებაჲ გლახაკთა მოიყუანა და ფრიად განყოფად იწყო ულონოთა და დავრდომილთა, ვიდრე არღარა სახილველად საკჳრუელ იყო, რომელნი იგი იცნობდეს პირუელ». ესე ვითარისა სწავლითა განანათლა ქუეყანა ჩუენი და ესრეთ აცხოვნნა სულნი ურიცხუნი და ძლიერად მიუპყრნა სიძესა მას სულთასა.

ხოლო უწყი ვითარმედ ეძიებ და გსურის მითხრობად ჰოი წმიდაო! თუ ვითარ იქმნა შემოკრებაჲ ობოლთა ამათ და თუ ვითარ ესოდენი სიმრავლე ერთობად მოიყუანა საქმე და მოკიდებულ ჰსჯულისა და წინასწარმეტყუელთა და ვთქუა თუ უზეშთაეს ჰსჯულისა საქმე ახლისა მადლისა შემამკობელი და გჳრგჳნი, რომელი იგი მოსე იხილა და თანა წარხდა, ხოლო არიან ვითარცა

შეუძლებელის განშორებად; არამედ შეუსრულებელმან მისმან წყალობისამან, რომლითა თჳსითა იტჳრთა და ყოველთა სადგურსა მოიყვანა ესე საქმე კაცმან ამან მობაძავმან ღმრთისა წყალობისა მისისა, რომლითა ღმერთსა ხელჭყო და აღასრულა, რომელ ვგონებ, თუ დასაბამითგან სოფლისათა და ვიდრე აქამომდე, ვერ ვის ხელეწიფების და ვერცაღავინ ხელჰყოფს და შეკადრებს, დალაცა თუ ვინ სადა ხელჰყოს ესე, ანუ ქალაქთა შინა გინა სოფელთა, მცირედთაგანმან, ვინმე წარმართა, ყოვლად ათინი ვინმე გინათუ ათხუთმეტნი, გინა ოცნი შეიწყნარნა და უსეტა ასაკად მოსრულნი.

ვითარცა სწამებს წიგნი მეფეთაჲ აბდიასისი წინასწარმეტყუელისა, რომელმან იგი ქრისტიანი წინასწარმეტყუელნი ლტოლვილნი და დამალულნი იეზაბელისაგან ქუაბსა შინა ჴრომა ყამ იზარდენნა გამოზარდნა და ესე არა საკჳრველ არს ესე ერგასის თავი იყო აქაბ მეფისა, ხოლო იგინი წინასწარმეტყუელნი იყვნეს ღირსნი, რომელთა მიერ მრჩობლისა ძასუყიდელისა მოელოდა.

და კუალად წერილ არს ახალსაცა შჯულსა შინა წმიდისა კლიმენტისთჳს და წმიდისა ოლიმპიას ჴუცისათჳს და სამოცსონ უცხოთ შემწყნარებელისა და წმიდისა ვავილასთჳს ანტიოქელ პატრიარქისა.

რამეთუ წმიდა კლიმე ასწავებდა ერმათაჲ, რომელი სულიერი ძეჲ მისი სოფია ნუტარი ზრდიდა და თანა მოღუაწე იყო, ეგრეთვე ზოტიკე ხუცესისა ცოლი და შჳლნი და მხევალნი ჭირვეულთა თანა შეეწეოდეს. ხოლო სამოცსონ ნამეტნავისაგან სიმდიდრისა ქუჱლის საქმესა იქმოდა და კუალად წმიდა ვავილა დიდისა მის ქალაქისა საყდრის მპყრობელი იყო, რომელთაც არა არს საკჳრველ კეთილ ოდენსა ფართოებასა შინა უხუებითა ქუელის მოქმედება.

ხოლო ამან ნეტარმან კაცმან საკჳრველმან კაცთა ბუნებისა უზეშთაეს, შეუკადრებელთა შეკადრებელმან, რომელი იგი ყოვლითურთ მიემსგავსა ბუნებითა სახიერსა მას და კაცთა მოყუარესა, რამეთუ კადნიერ არს ვიდრე აქამომდე სიტყუა ჩუენი, რამეთუ არათუ ათნი ოდენ ანუ ოცნი, ანუ თუ ორმეოცნი სულნი, რომელთაგანთა წუთ არცა მარჯუენე უწყოდეს და არცა მარცხენე, არამედ მოქენე იყვნეს სძესა დედისასა საზრდელად მათდა პირუტყჳსა მის ასაკსა ქცევასა შინა, ხოლო სხუანი მეორესა მას ასაკსა შინა შესრულნი, სიჩჩოებისაგან მცირედ ოდენ დაწყებულნი და ურმად სახელდებულნი, კუალად მწყობრნი მესამენი მესამისა მის ასაკისა შინა სიჭაბუკისათა მომლოდენი, ხოლო მეოთხენი განწყობილნი ხუცესთა და მოხუცებულთა და ბერთანი, რომელნი იგი ნებითა თჳსითა დაემოწაფნეს, ხოლო სხუანი კუალად შჳლთა თანა დაადგრეს ესე ყოველნი ერთი მწყობრად და ერთრიცხუად შემკობილნი და რმა უთუულად აღურიცხუელად აღრიცხულნი და ნავთ სადგურსა წყალობისა მისისა შევედრებულნი, ვითარცა ცხოვარნი მწყემსისა კეთილისა, ეგრეთ შეუდგეს წმიდასა მას; ხოლო მიზეზი შეკრებისა მათისა ესე იყო:

რამეთუ ჟამსა მას ოდეს იგი უსჯულოებათა ჩუენთა სიმრავლემან წყალობა აურაცხელი და სახიერი ღმრთისა უწყალოებად და რისხუად აღძრეს და სალმობა იგი გახმამრუდებელი სიმყრალისა ტირსად და სამართლად ყოველსა ადმოსავლეთსა ზედა მოიწია.

სიტყჳსაებრ წინასწარმეტყუელისა, მრავალ სახენი და უწესონი საქმენი კაცთა ბუნებასა ზედა გამოსრულნი იხილვებოდეს და არა წმიდანი საჭმელნი ქრისტიანეთათჳს საჭმლად დაყენეს ბუნნი ნიჭად დიდად შიმშილსა მეძლუნებოდეს და შჳლნი საყვარელნი და საყუარელნი მშობელთანი ლოცვათა მთხოველნი ღმრთისაგან, საწუნო და საძულველ მშობელთა იქმნებოდეს; ხოლო სხუათა მათთანა წარვხედით, რომელი არა ჯერ არს აღწერად. ხოლო ესე აღიწერა მოსახსენებელად კაცისა მის ღმრთისა, თუ ვითარსა ჟამსა ვითარ მიზეზ ღმრთისა წყალობისა ქმნა მრავალთა სულთა და მრჩობლთა მიერ საზრდელთა გამოზარდნა, ვითარცა პირუტყჳ იოსებ მეგჳპტელმან და ვითარცა

მოსე ზღჳსაგან, სიყმილისა დაუნთქმელად მისგან შევედრებულნი იგი სულნი მისგან განარინნა. ესე ნუ ვის უკჳრს ოდეს მოიწიოს ზეგარდამო რისხჳა კაცთა ნათესავსა ზედა, არა ხოლო თუ გლახაკნი შეიწრდებიან, არამედ მდიდარნიცა ნაკლულევან იქმნებიან, ვითარცა იტყჳს დავით, ვითარმედ ყოველთავე მიაქციეს ერთბამად უხმარ იქმნესო, ამისთჳსცა ყოველნივე იტანჯნეს.

ხოლო ვითარცა ზემოთ ვთქუთ, რომელნი ამას საზარელსა ბოროტსამდე ექმნეს და კნინ ოდენ სიკუდილისა სიყმილსა დაუშთენ და ჟამსა მას განსაცდელისასა მცირედთანა წარხდეს, მას ოდენ ჟამსა მოვიწიენით ჩუენ აღმოსავლეთს, რამეთუ დაღაცათუ მცირედ უმოლხინეს ქმნულ იყო ჟამი გარნა თუ ნეშტი განსაცდელთა, იწროებისა სრულიად არა თანა წარსრულ იყო და თუმცა ვინ დაშთომილ იყო მრავლითა ჭირითა ცხოვნდებოდა და შორის სიკუდილისა და ცხოვრებისა მყოფი იყო და ესე ყოველი რა იხილა წმიდამან მამამან გიორგი სულთათქუნა მწუხარებით და ცრემლით იტყოდა: «ჰოი! მე რასათჳსმე მოვიწიე ამას ქრისტიანესა ხილვად ესე ვითართა ამათ ბოროტთა».

ხოლო პირუელ ყოველთასა ვპოვენით ამისა ნეტარისა თჳსნი მათ ქრისტიანეთა ფრიად დაღონებულნი, დისწულნი ორნი და შჳლნი მათნი ყრმანი მცირენი, ესენი შეიწყნარნა წმიდამან მან სიტყჳსაებრ, ვითარმედ თჳსი ნათესავი არა უგულებელს ჰყო. ხოლო სხუანი სხუათა ადგილთა მათგან შეკრიბნა, რომელნიმე ქალაქთაგან, რომელნიმე დაბათაგან, სხუანი სრულიად უდაბნოთა ადგილთა ჰპოვნა. ხოლო სხუანი უმწარესისაგან ცხოვრებისაგან იხსნნა და ესრეთ ჟამსავე სიყრმისა და უმანკოებისასა, ვიდრე ცნობადმდე კეთილისა და ბოროტისა გამოიხსნნა ნეტარმან მან და ესე ვითართა შეურაცხთა საქმეთაგან, მღჳდლად უბიწოდ მხედ სარწმუნოდ ქრისტესა შეწირნა და ესე ნუ ვის უკჳრს, რამეთუ მამათ მთავარიცა დიდი იოსებ მონა იყო და სიწმიდე მისი ყოველთა შორის იქების, რომელი იგი უკანასკნელ მეფე იქმნა ეგჳპტისა, ხოლო დავით და ამოს არა მწყემსნი იყჳნეს, რომელი იგი ერთი მეფე იქმნა, ხოლო მეორე წინასწარმეტყუელ და რაჲთა არა თჳთოეულსა ვიტყოდი, ესრეთ რა ყოველსა აღმოსავლეთისა განგებისა საქმე ესე საკჳრველი.

იწყეს ყოვლით კერძო შემოკრებად, რომელნი მშობელთა თჳსთა მოიყუანიან და ევედრებოდიან შეწყნარებად და რომელთამე წინაშე (ბჭეთა) კართა დაუტევიან და ივლტოდიან, სხუანი კუალად გონებითა მახჳლნი ძენი მშობელთა თჳსთაგან თჳთ ლტოლვილნი, წმიდისა ამის ნავთ საყუდელსა შემოევედრიან და ესრეთ აღორძნდა ღმრთივ კრებული, ვიდრე ასდაოთხმოც რიცხჳად, ვითარცა პირუელ ვთქუა.

აწ გულის ხმა ჰყავთ ჰოი! მორწმუნენო საქმე მაღალი და განსაკრთომელი, უწყი ვითარმედ არა უმეცარ ხართ შჳლთა ზრდასა მოუჳარენი სოფლისანი, რამეთუ უკეთუ ვის განუმრავლდენ შჳლნი უფროს რიცხჳსა ვითარ არს შჳდისა გინა რვისა რა ზომ მდიდარი იყოს, დიდსა ჭირსა და ურვასა შთავარდების. ხოლო უკეთუ გლახაკი იყჳს ყოვლითურთ მწარე არს ცხოვრება მისი და აღსავსე ვაებითა. ხოლო ამან ნეტარმან ესოდენი სიმრავლე ობოლთა იტჳრთა, ვითარცა სხუამან ერთი გინა ორი და ესრეთ აღზარდნა ყოველნივე და ღმრთივ-სულიერითა სწავლითა სრულ ჰყუნა. ვითარცა სათნო უჩნდა ნებასა ღმრთისასა და აღორძინებასა თანა წერილისასა საღმრთოთა სიტკბოებასა, ვითარცა სძესა და თაფლსა ასუმევდა. ხოლო გუამისა ორღანოთა მათ ასოთა განჭაბუკებასა და საცნობელსა გარეშეთა განვრცელებასა თანა შინაგან გონებისა ორღანოთა განაფრთხობდა და განაჭაბუკებდა და ესრეთ მრჩობლ აღორძინებულთა დამდებელსა ღმრთისა მათისა მიუძღუანებდა.

რამეთუ არა სხჳსათა მოძღუართა მიერ ასწავლიდა ესოდენსა მას სიმრავლესა ანუ თუ სხჳსათა თანა შემწეთა იხუმევდა, რათამცა თჳთ მცირედ რამე განისუენა, არამედ ყოვლითურთ თჳთ ასწავებნ და მოძღუარინ, მწყობრითა და მწყობრთა ასაკეულთა; ხოლო წესსა და კანონსა ლოცვათა თჳსთასა არა დააცადებდა, არცა მარხვასა და მოღუაწეებასა განისუენებდა, ვიდრემდის უპირატესთა მათ შემდგომნი შეასწორნა, ხოლო შესწორებულთა მათ შემდგომნი წარსწირნა და ესრეთ დალაგა თუ ასაკითა ერთი მეორისა უმეტეს იხილვებოდა, ხოლო სწავლულებისა მიმართ ურთიერთარს მოასაკე იყუნეს.

ხოლო მნებავს სიტყუა შემსგავსებული ჟამსა და ადგილსა, რომლისა იქმნა არა უცხო არს საჩრდილობელად მაბრალობელთა მათ უბრალოსათა, რომელთათჳს იგივე გონებნ, რომელ არცა თუ კეთილსა მას მთესვარსა ერიდნენ ბრალობად, რომელი იგი გამოვიდა თესვად თესლისა, ვითარცა სახარებასა წერილ არს, გინათუ მეათერთმეტისა მისთჳს მოწაფისა მოძღუარი იგი ბრალეულ ჰყონ და კუალად აღიღე ერთისა გეზისათჳს, რომელსა იგი ხოლო მხოლო ჰყუა მოწაფედ, რამეთუ ესე ვითარითა სავსე არიან წელნი, ხოლო ჩუენ მცირედთა მიერ სიტყუათა მიზეზი სიტყუისა ჩუენისა სცნაურ ვყოთ და ნამეტნავსა თანა წარვჰხდეთ, რათა არა უნაყოფოებისათჳს რომელთამე ხეთასა მშუენიერსა მას სამოთხესა დამხმელსა აბრალებდესვინ, არცა ორნატით მთესვარსა მას ხელოვანსა მცირისა ღუაწლისა განიკითხვისვინ, უკეთუ მცირედცა რამე იყოს ნაკლულევანება, ესოდენსა სიმრავლესა შინა.

რამეთუ იყო მრავალი მიზეზი შეკრებასა მას შინა ჯოი! წმიდათა: პირუელად ყოვლისა ღუთისა მიმსგავსებული მოწყალეება, ვითარცა ზემო ვთქუთ ჟამისა მისთჳს განსაცდელისა, ხოლო მეორედ ვინადგან შრომა თავსიდვა და მრავალნი წიგნნი ეთარგმნეს და ენება რათამცა ნათესავმან ჩუენმან დაისწავა. ხოლო ვინადგან შეუძლებელ იყო ასაკითა სრულითა და განმწყსებულად სწავლა, ამისთჳსცა ბუნება იგი ლბილი და ჩჩჳლი, რომელი იგი ვითარცა ცჳლი საბეჭდავსა ეგრეთ მიიღებს სწავლულებასა, ესე ვითარი კრებული ორლასოდ შემწყნარებელად სწავლათა თჳსთა მოიპოვა, რომლისაგან არა განსცრჳვნა სასოება მისი; ხოლო კუალად მესამე მიზეზი ესე იყო რომელსაცა შინა იყო განგება ღუთისა, რამეთუ იყო რა წმიდა ესე მთასა ამას წმიდასა, პირუელად დიაკონობასა შინა და მერმე წინამძღუროებასა, ახსოვდა მრავალი ღუაწლი და შრომა, რომელი თავს ედვა ხუცესთა და მგალობელთა, რამეთუ ქუეყანა ჩუენი შორს იყო ამის ქუეყანისაგან და მცირედნი მოვიდიან სწავლულნი; ხოლო რომელნი იგი მოვიდიან შემდგომად მცირედისა კუალადცა წარვიდიან, დიდებული ესე ეკლესიაცა ლავრა დაუტევიან. ენება ნუტარსა ამას რათა კრებული შჳლთა თჳსთა, ვითარცა ცხოვარნი სიტყჳერნი წმიდასა მამასა ჩუენსა ევთიმის ძლიერად პატიოსნად მიგუარნეს, მგალობლად და მღუდლად, წმიდისა ამის ეკლესიისა, რათა ღმრთშემოსილთა მათ სახსენებელი ბრწყინუალედ აღესრულებოდეს და ვითარცა პირუელ ვთქუ ესე სამი მიზეზი იყო მათისა შეკრებისა.

ხოლო ჩუენ პირუელსავე სიტყუასა მივიდეთ, დავყავთ აღმოსავლეთს ხუთი წელი ესე ვითარითა ყოფითა, ვითარცა ზემო ვთქუთ, გარდაიწერნეს წიგნნი მისნი მრავალთა საეპისკოპოსოთა და მონასტერთა და მრავალნი საეკლესიონი წესნი განმართნა, რომელი რა ნაკლულევანება ჰპოვა და ყოველთავე მეფეთა და მთავართა, მდიდართა და გლახაკთა, დიდთა და მცირეთა გზანი საუკუნესა ცხოვრებისანი ასწავნა. მცნებანი და წესნი დაუხსნა წერით და უწერილოდ და ესრეთ საღმრთო ბრძანება აღასრულა და მისდა ბრძანებული იგი ტალანტი ბევრ წილად აღაორძინა, რომელ არს

წიგნთა-თარგმანება და სხუათა ტალანტი შესძინა ფრიად, უმაღლესი პირუელისა, რომელ არს ესოდენისა სულისა განსწავლა და აღზრდა.

რამეთუ მე ჳოჲ! ნეტარო არა ესრეთ საკჳრველ შიჩნს და დიდ წიგნთა თარგმნა, ვითარ ესოდენისა სულისა ღმრთის და შეწირვა. ხოლო საცნაურ არს ესე ვითარმედ ამათ ობოლთათჳს წარუძღუა ღმერთი აღმოსავლეთს და ესრეთ ყოველნი აღმოსავლეთნი განენათლა და ნაწილნი იგი ანდრია მოციქულისა და სიმეონ კანანელისა კუალად განამტკიცა, რამეთუ ანდრია მოციქულმან მოვლო ქუეყანა ჩუენი, ხოლო სიმეონ კანანელმან სრულიად დაამკჳდრა, რამეთუ ნიკოფსიას არს ნაწილნი მისნი წმიდანი.

ხოლო რაჟამს იგი სამხილებელად ცოდუათა ჩუენთათჳს დრომი იგი მეუფრალი ბაბილოვნით აღმოსრული სომტკიცესა ზედა მკლავისა თჳსისა მეორე ნაბუქოდონოსორ, უჱსჯულო სულ-თანი[1]) გამოვიდა საზღუართაგან თჳსთა, მომსურველად ნათესავისა ქრისტიანეთასა, მას ჟამსა შინა ვიყუენით ჩუენ ახალქალაქს ჯავახეთისასა და მუნ ჴუჱწ ყოველნივე ობოლნი თჳსნი და ვსხედით ყოველნივე წინაშე მისსა. შეადლეს ოდენ განკჳრვება დაეცა ჟამსა ოდენმე და მეუფსეულად განკრთო მისა გზბრძანა ყოველთა, ვითარმედ «რისხუა ღუთისა მოიწევნად არს ამას ქალაქსა ზედა»; და ბრძანა აღვაზმა ყოველთა და იყო რა მწუხარი გამოვედით და კუალად სამისა დღისა მოიწია რისხუა იგი უგრძნეულად, რომელსა ყოველნი მეცნიერ ხართ, რამეთუ არათუ ახალქალაქისა მკჳდრნი მოისრნეს, არამედ დიდ დიდნი და წარჩინებულნი მთავარნი და ერისთავნი სამეფოსა ჩუენისანი, ძჳრძჳრად მოისრნეს და წარწყმდეს, რომელთა მიმართ ღუთის მსახური მეფე ბაგრატ დიდსა მწუხარებასა შინა შთავარდა, ვიდრე არა მიიწივნა კაცი ესე მღუთისა და სიტყუათა მიერ ნუგეშინის ცემისათა და მრავალ სახეთა თსრობათა და უწყებათაგან აღმჳრი იგი მწუხარებისა განაქარვა, ვიდრელ თჳთ ჰლიძრებოდა, ვითარმედ უკეთუმცა არა მეახლა სიწმიდე შენი, კნინღა და მწუხარებისა მიერ მომკუდარ ვიყავ[2]).

ხოლო გულის ხმა ჰყო რა ზეგარდამოთა წოდებითა, ჟამი მიცვალებისა თჳსისა, ხორცთაგან განსულისა და ღუთისა მიმართ მისულისა, განკებულებამან საღმრთომან აღძრა სული მისი წარსულად მთა წმიდად, რათა ვინა იგი აღმობრწყინდა ნათელი მეცნიერებისა წიგნთა ღუთივსულიერთა, ვითარცა მრავალგზის გჳთქუამს, პირუელად მამისა ჩუენისა ეფთჳმის მიერ და მერმე ამის ნეტარისა გიორგისაგან, რათა მიერვე იქმნას აღვსება მისი და ზეცისა ნათელსა შემატებად დაადგეს თუ ქალაქსა მას შინა სამეფოსა აღესრულა, ვითარცა წმიდა მამა ჩუენი ეფთჳმე, რათა ვითარცა მდინარე თუალისაგან წყაროსა გამოსრული, რომელმან მორწყა პირი ქუეყანისა, თავადვე თჳსად მიიქცეს და თჳსსავე განმოსავალსა შთაედინოს და რათა ვითარცა ვთქუათ, ესოდენი ესე სიმრავლე შჳლთა თჳსთა, ვითარცა ცხოვართა პირ მეტყუელთა, წმიდასა მამასა ჩუენსა ეფთჳმის მიუძღუანნეს და მანაგან ბაკისა მისისა დაამკჳდრნეს, ჴმათ ესე ვითართა განკებულებათა ფჳს გულსა მოუხდა წარსულა მთა წმიდადვე.

და შემდგომად მრავალთა ლოცვათა და ღუთისა მიმართ ვედრებათა გულსავსე ქმნილი წარ-ვიდა წინაშე ღუთის მსახურისა მეფისა ბაგრატისა და ვითარცა შეუწყნოდა სიბრძნესა მისსა მრავალი სიტყუა მადლობისა და ღუთისა მიმართ ლოცვისა წარმოთქუა მის წინაშე, სარწმუნოებისათჳს

---

1) არპ-ასლან.

2) იტყოდა მეფე

და სიყუარულისა მისისა და სწავლათა მისთა კეთილად შეწყალებისა და სიტყუანი ჯმნისანი შეაულჳლნა სავსენი სიბრძნითა საღმრთოთა.

«ვითარმედ ძეო მეფეო! ვითარცა მორჩილ ვიქმენ ბრძანებისა შენისა და დაუტევე ქრისტეანა უცხოებისა და მწირებისა ჩემისა, სადაც იგი მრავალთა შფოთთაგან განმესრულნა, აწ შენ მორჩილ ექმენ სიგლახაკესა ჩემსა, აწცა ვითარცა მრავალგზის განმიტევე ქრისტეანად მწირობისა ჩემისა, წარმგზავნე ლოცვათა და კურთხევითა; მიმაწიე სამარხოსა მამათა ჩუენთა სულიერთასა, — ვითარცა მამათ მთავარი იაკობ ეგვიპტეს აღსრულებული და აღთქმულის ქრისტეანად წარყვანებული და საფლავად აბრაამისა თანა და ისაკისა, ვითარცა ძენი იოსებისნი მიერვე განხმულნი და მამათა თჳსთა თანა დასხმულნი, უკეთუ შეემატა რა ღმრთის მსახურებასა შენსა და წესიერებასა სამეფოსა შენისასა, ესე მადლი შენი არს, რამეთუ შენ მიწოდე და არა თჳთ მოვედი, მიიღე აღწერილი შენი და იხილე; რომელსა შინა აღგეთქუა უზრუნველი ყოფა ჩემი, მეფემან მაგან ქრისტეანისამან, ქრისტეანისავე მეფისა მიმგზავნე და ქალაქისა ყოველთა შემკრებელისა დამაშურალთა განმასრულებელისა ვინა იგი დიდ არს ღმერთი და ქებულ ქალაქსა ღმრთისა ძალთასა, ვითარცა დავით იტყჳს. სადა იგი ღმრთისა ძლიერნი ქრისტეანით ფრიად ამაღლდეს. — ბინ».

ამათ სიტყუათა მიერ ლმობიერ ჰყო გული მეფისა, ვიდრემდე მრავალი ცრემლი დასთხია, მთავართა თჳსთა თანა და ეპისკოპოსთა და მრავლითა ღონითა და ვედრებითა ვერ უძლო შეპყრობა შეუპყრობელისა მის და იძლია ძლე უძლეველისაგან, მერმე სამეფოთა წიგნთა მიერ და მანდატურთა წინაშე ღმრთის მსახურისა კონსტანტისე დუკიწითსა წარგზავნა მრავლითა ნიჭითა და საფასითა თჳთ მეფემან და ყოველთა მთავართა თჳსთა და ეპისკოპოსთა და აღივსო ყოველი სამეფო მისი. მწუხარებითა და ურვითა, ვითარცა ერთი შჳლი და კლებასა მამისა თჳსისასა, რამეთუ კნინღა და უმრავლესნი მოწაფენი იყუნეს მისნი, ვითარცა პირველ იგი გჳთქუამს.

ხოლო წარმოვემართენით მას ჟამსა (შინა) ოდეს მართა უფლის წული სძლად თჳსად კონსტანტინე დუკიწმან მოიყუანა და დედოფლად სამეფოთა მის ქალაქისა და, ვითარცა დაგჳწერია პირველადვე წინასწარ მეტყუელებისათჳს ბერისა, აწ რამეთუ წარმოარა ჰყუანდა პირველ ჩუენსა ჰრქუა მარიამ ბაგრატის დედამან ბერსა, ვითარმედ აჰა მამაო, აღესრულა წინასწარ მეტყუელება შენი მართას ზედა და ესრეთ წარმოიყუანეს დიდითა დიდებითა სამეფოდ. ხოლო მეფისა მის წარმოვლინებულ იყო აარონი, ნეტარი ბერი პეტრე პატრიკ ყოფილი და იოანე ბედიელი მთავარ ეპისკოპოსი და სვინგიზი დიდებული მთავარი ქართველი და სხუანი ერნი ფრიად, რომელ იგი პირველ ჩუენსა მისრულ იყუნეს.

ხოლო წარვემართენით ნავით, მრავალნი ღელვანი და აღძრანი ზღჳსანი გარდაგჳთნეს მრავალ დღე, ვიდრე არა სასოება ცხოვრებისა წარვიწირეთ, რომლისა აღწერა სიტყჳსა ნამეტნავი არს, ხოლო ლოცვამან ამის წმიდისამან მშჳდობით განგუარინა და ესრეთ უვნებელად სამეუფოდ ქალაქად მივიწიენით, მაშინ პეტრე ყოველი საქმე ჩუენი მეფესა მიუთხრა, ხოლო ხუალისაგან ბრძანა მეფემან აღწოდება მისი პალატად.

და დღესა აღიყუანეს პალატად და ვითარცა შევიდა მეფისასა, წესისაებრ სამეფოსა თაყუანისცა და ქება შეასხა და ლოცვა და კურთხევა შჳდითურთ მიუძღუნა, ხოლო განიცადა რა მეფემან სახე მისი ღმრთივ სულიერი, ხოლო სიტყუა პირისა მისისა მდაბალ და შემუსვრილი და მასმენელთა სასმენელსა მკჳრცხლედ შემავალი, რამეთუ საცნობელთა მისთა დაწყნარება შინაგანთა სულისა ძალთა აღუძრველობასა წარმოაჩენს. ხოლო სიტყუათა მდაბალთა მიერ და მახჳლთა გონიე-

რებისა სწამებს, რომლისათჳსცა ჰრქუა მეფემან პატრიკსა, ვითარმედ მადრიელ ვარ ღმრთისა, ბაგრატ სევასტოსის, რომელ ესე ვითარი კაცი მიმსგავსებული ანგელოზთა, წინაშე მეფისა ჩუენისა წარმოივლინა, რამეთუ დადაცა თუ ნათესავით ქართველი არს, ხოლო ყოვლითურთ წესი ჩუენნი მოსიეს. მაშინ წარიკითხნა წიგნნი სევასტოსისნი, რომელთა შინა წერილ იყო ვითარმედ. «გიხაროდენ ჴოი ღმრთის მოყუარეო მეფეო! წარმომივლენიებიეს წინაშე მეფობისა შენისა კაცი, მიმსგავსებული უხორცოთა და მოძღუარი ჩუენ ყოველთა, ეგრეთ შეიწყნარე, ვითარცა შუენის მეფობასა შენსა, რომლისა ლოცვით დაამყარენ ღმერთმან ყოვლისა სოფლისა მპყრობელი წმიდა მეფობა შენი».

მაშინ უმეტეს გულის ხმა ჰყო ღირსება მისი და დიდითა პატივითა მოიკითხა და ჰრქუა, ვითარმედ რაჲცა გნებავს ყოველსავე აღგისრულებს მეფობა ჩემი, ხოლო ვითარცა ესრეთ ჰსთნდა ღირსება მისი, იწყო უბნობად და სიტყუად ბერისა სიტყუათა, სულიერთა წესთა ჰსჯულისათა.

ხოლო იყუნეს მას ჟამსა წინაშე მეფისა კაცნი ვინმე დიდებულნი და წარჩინებულნი, რომნი და სომეხნი, რომელთაგანი იყო გაგიკ მეფე სომეხთა და სხუანი თავადნი სამეფოსნი, რამეთუ ჟამიცა მარჯუე იყო და დაწყნარებული და ვითარცა ვთქუ ზემო იწყო მეფემან სიტყუად, ჰსჯულისათჳს მართლმადიდებელისა, ანუ თუ არს რა განყოფილება სარწმუნოებასა თქუენის, სრულსა მას და უცდომელსა სარწმუნოებასა ბერძენთასა თანა. ხოლო ნეტარმან მან ესრეთ მაღლა და ღმრთივ ბრწყინვალედ წარმოთქუა სარწმუნოება მართალი. «ჩუენ ქართველთა ნათესავისა», რომელ განაკჳრვა მეფე და ყოველნი მთავარნი მისნი და ჰრქუა მეფესა. «ესე არს სარწმუნოება მართალი ნათესავისა ჩუენისა და რაჟამს ერთ გზის გჳცნობიეს არღარა მიდრეკილვართ, მარცხულ გინა მარჯუულ და არცა მივდრკებით თუ ღმერთსა უნდეს».

ხოლო განკჳრდა ესმა რა ესე, «არღარა მიდრეკილვართო»; და ჰრქუა ბერსა, მადლი ღმრთისა ყითარ მრავალი უადრესი ვიხილე თქუენ შორის, გარნა პატიოსანო მამაო, მე კაცივარ სამხედროთა საქმეთა შინა აღზრდილი და ვერ წურილად მეცნიერ ვარ ყოველსა, ხოლო ვინაჲდგან კუერთხი მეფობისა მე მიპყრიეს, მნებავს რათა ყოველსა მეცნიერ ვიყო, ბერძენთა და რომთასა, რამეთუ პირველ ყოვლისა მართლმადიდებლობა აიძულების მეფეთაგან და მაუწყე ვითარ არს ესე, რომელ ჩუენ და თქუენ მფუვანითა ვწირავთ და ზედაშეს და წყალს ვურევთ. ხოლო რომნი ხმელითა და უწყლოთა წირვენ. ფრიად უცხო მიჩნს საქმე ესე და ურთიერთ არს წინა აღმდგომ, ანუ რა არს ძალი პურის ცომისა და მარილისა, ანუ წყალი, რომელ ურთავთ ზედაშესა. განგჳმარტე და გულის ხმა გჳყავ წმიდაო მამაო.

ხოლო ნეტარმან მიუგო ვითარმედ ჴოი მეფეო! ვინაჲთგან ბერძენთა შორის მრავალი წვალება შემოვიდა პირველ და მრავალგზის მიდრკეს, ამის ფჳსცა მსგავსად თქუენსა ღმრთის მსახურთა მეფეთა წმიდანი კრებანი შეკრიბნეს და წულილად გამოიძიეს განგებულებისათჳს ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა და ხორციელად გამოჩინებისათჳს მისისა და საუფლოთა მათთჳს ხორცთა გამოძიება იქმნა და დააწყესეს, რათა მივიღებდეთ ცომსა სახედ ხორცთა ქრისტესთა, ხოლო პურის ცომსა სახედ სულისა გონიერისა წინა აღმდგომ წვალებისა უსჯულოსა აპოლონარისსა, რომელი იგი ხორცთა მათ ქრისტესთა საუფლოთა უსულოდ და უგონებად იტყოდა უგუნური იგი და უსულო. ხოლო ღჳნოსა თანა წყალსა ურევთ, სახედ სისხლისა და წყლისა, რომელი გარდამოხდა გუერდსა მხსნელისასა, ვითარცა იტყჳს იოანე ოქროპირი, ესე არს განმარტება და მიზეზი ამათ საქმეთა. ხოლო რომთა ვინადგან ერთგზის იცნეს ღმერთი არა ოდეს მიდრეკილ არიან და არცა ოდეს წვა-

ლება შემოსრულ არს მათგან და ვითარცა იგი მაშინ თავმან მოციქულმან პეტრე შესწირა უსისხლო იგი მსხუერპლი და უმეტეს, ვითარცა თჳთ თავადმან უფალმან მისცა მოწაფეთა, ღამესა მას სერობისასა. ეგრეთ აღასრულებენ იგინი და არა რა არს მას შინა განყოფილება; ოდენ სარწმუნოებაჲ მრავალი იყო.» ხოლო მთავართა მათ რომთა დიდად განიხარეს, რამეთუ კუალადცა ყოფილ იყო ამის პირისათჳს ძიება მათ შორის და უსწავლელობითა ვერა სიტყუა ეგო მეფისადა და ეტყოდეს წმიდასა, წარგვიყვანოთ წინაშე წმიდისა პაპისა.

შემდგომად კუალად ჰკითხა მეფემან სომხთა თჳს, თუ აქუსთ რაჲმე ნაწილი ქრისტიანეთა თანა, ხოლო მიუგო წმიდამან მოკლედ. «ვითარმედ ბოროტსა სარწმუნოებასა სახელცა არ უდების.» ხოლო მათ ყოველთა წინაშე სირცხჳლითა აღავსნა სომეხნი იგი მეფემან.

მაშინ მეფე აღივსო სიხარულითა და მადლი შესწირა ღმერთსა და ამის ნეტარისათჳს მრავალი ქება წარმოსთქუა წინაშე მთავართა და წარჩინებულთა თჳსთა; თუ ვითარ მაღალნი და ძნიად გულისხმის საყოფელნი იგი სიტყუანი, ესრეთ ადვილად და სულ მცირედ განმარტნა და ფრიად აღშენებულ იქმნა ხილვითა და უბნობითა მისითა და უბრძანა ბერსა ვითარმედ, რაჲცა საურავი და საქმე შენი არს ყოველსავე აღგისრულებს მეფობა ჩუენი. ესრეთ გამოვედით მეფისაგან და წარვედით სავანედ ჩუენდა და განვისუენეთ, ხოლო მამასახლისი[1]) მთა წმიდისა, მას ჟამსა შინა მუნ იყო, იგი სამეფოსა მას ქალაქსა, კაცი სახიერი და წრფელი იხილა რა ბერი მოსრულ და გულისხმა ჰყო ძალი მოსულისა ჩუენისა, განიხარა ფრიად და ჰრქუა ბერსა, კურთხეულ არს ღმერთი, აჰა ესერა მონასტერი შენი წინაშე არს შენსა.

ხვალისა დღე აღგჳწოდეს პალატსა და აღვედით ჩუენცა და მამასახლისი მთა წმიდისა და შევედით წინაშე მეფისა, ხოლო მეფემან კუალადცა სიხარულით მოიკითხა ბერი და ჰრქუა, ვითარმედ წარვედ კეთილო ბერო მონასტრადვე შენდა, ვინა იგი ყოფილ ხარ პირუშლ და შენნი ეგე ობოლნი მუნ აღზარდენ, რამეთუ ეგრეთ მოუწერია ჩუენდა ძმასა ჩუენსა ბაგრატ სევასტოსსა. ხოლო პირუშლი ეგე წინამძღუარი კეთილად გევედრა, ესრეთ მოგილოცა მონასტერი და ჰრქუა ბერსა, ვითარმედ ობოლნი იგი შენნი უჩუენენ მეფობასა ჩუენსა, რათა წყალობით მიხედნეს და სხუაჲ ყოველი თხოვა შენი აღგისრულოს და წარვედ მშჳდობით და რაცა გაკლდის გუაცნობებდი და გიურვებთ და ესრეთ კუალად გამოვედით და წარვედით სავანედ თჳსად.

ხოლო ხვალისა დღე მოიწია იოანეს შობისა, ივნისის კდ. წარვედით ასტუდას[2]) და შევემთხჳენით თავსა წმიდისა იოანე წინა მორბედისასა და ვითარცა ვეზიარენით ცხოველსმყოფელთა საიდუმლოთა და მიერ წარვედით მეტოქადვე ჩუენდა ქსეროლოფად[3]).

აქამომდე არს სიტყუაჲ ჩუენი ჵოი ნეტარო! ვინაჲდგან მაგით მთით წარმოვედით და ვიდრე აქამომდე მოკლედ და მარტივად მოგითხარით.

ხოლო მიერითგან სასურველი იგი თქუენი და საძიებელი თხრობა მიცვალებისა მისისა იყო როგორ იქმნა, ანუ ვითარი სნეულება იყო, გინა რაოდენ დღე სნეულებდა და კუალად თუ ვითარნი იყუნეს კურთხევისა და წარგზავნის სიტყუანი და თუ ვინ იყუნეს უკანასკნელსა მას ჟამსა მიცვალებისა მისისასა თანამოღუაწენი და მსახურნი გარნა შეძრწუნებულვარ და შეშინებულ, რამეთუ აქა-

1) გიორგი ოლთისელი.
2) სტუდიის მონასტერსა შინა.
3) ქსეალონ.

მომდე გზა სიტყჳსა ჩუენისა წრფელ იყო და ადვილ სავალად, ხოლო აწ იწრო და საჭირო და უღონო ჩუენგან სვლისა, რამეთუ ნავთ სადგურსა დუმილისასა მეგულვების შესჳლა, რამეთუ სული ჩემი ძრწის და სული შეიწრდების. ხოლო გონება განცჳფრდების, რაჟამს გულის ჴმა ვყო ჟამი სიობლისა ჩემისა, გარნა შიშითა ურჩებისათა, მორჩილებად ბრძანებისა თქუენისა მოსრულმან, კუალად აღძრა უძლური ენა ჩემი და სარბიელსა სიტყჳსა ჩემისასა კუალად ვიწყო სჳლად.

ესე წმიდა მამა ჩუენი ნეტარსა მას დაძინებასა არა უმეცარ იყო, არამედ მეტადცა მეცნიერ, რამეთუ ვითარცა იგი ვთქუ ზემო შობასა წმიდისა იოანე ნათლის მცემელისასა მოვედით სტუდიას, ვემთხჳეთ რა თავსა წინამორბედისსა, ეზიარა წმიდათა ქრისტეს საიდუმლოთა და მადლი შესწირა ღმერთსა, წარვედით მეტოქად ჩუენდა, მცირედ ოდენ მხურვალება შეემთხჳა, თჳნიერ სიტყჳსა სნეულებისა, ხოლო ჩუენ ვგონებდით თუ გზისგან არს, რამეთუ ქუეითი მომაშურალი იყო, რამეთუ ესე იყო ჩუეულება მისი, ქუეით წმიდათა წინაშე ლოცვად და ესრეთ დავყავით სამი დღე შინა.

ხოლო ხვალისაგან წინა დღით, დღე სასწაულთა წმიდათა მოციქულთასა· გჳბრძანა, ვითარმედ «შეეკაზმენით და ობოლნი ეგე აღიყვანენით, რათა წინაშე მეფისა წარვიდეთო», რამეთუ ბრძანება გამოსრულ იყო, რათა გარე ფილოფატრსა გჳხილნეს. ხოლო ჩუენ დავაყენებდით ვითარმედ, დღეს იყოს და ხვალე თაყუანისსცეთ მეფესა. ხოლო მან განცხადებულად სასმენელად ყოველთა ბრძანა, ვითარმედ. «უკეთუ დღეს არა ვიხილოთ მეფე, ხვალე ხელთა არა გუაქუს». ხოლო ჩუენ ვერ გულის ჴმა ვყავთ ძალი სიტყჳსა მისისა, რომელი იგი შემთხუევად იყო. წარვემართენით და იგი თავად აღხდა საჴედარსა თჳსიერ სხჳსა მიახლებისა, გინა ტჳრთჳსა და ესრეთ მივიწიენით ველსა მას ფილოპატროსისა და გარდახდა საჴედარსა, რათა მოველოდენით მეფესა, ვიდრე შემოქცევადმდე და მოვიდა პეტრეცა კაცი იგი კეთილად მოხსენებული და დაწერეს პიტაკი, წინაშე მეფისა.

და ესრეთ მოიქცა ღუთის მსახური მეფე და მოვიდა შჳლითურთ, სადა განწყობილ ვიყუენით წესისაებრ. ხოლო ვითარცა მოგუეახლა დავვარდით და თაყუანის ვეცით და ენითა ჩუენითა ქება შევასხით. ხოლო მან, კურთხეულმან მეფეთა შორის გჳხილნა რა მასლობლად ჩუენდა მოვიდა და დაკჳრდა სიმრავლე იგი ობოლთა მათ და უასაკოება, რამეთუ რომელნიმე წუთ შჳდისა წლისანი იყუნეს და ყოველნივე საბეჭურითა და წესითა მონაზონთა. დიდი მადლი გარდიხადა ბერისა თანა და ჰრქუა მას ვითარმედ, დიდი და მაღალი საქმე გიქმნიეს ჵოი ნეტარო! რომელ ამას ჟამსა სხუა ვერვინ შემძლებელ არს.

ხოლო ბერმან მისცა პიტაკი თჳსითა ხელითა და ჰრქუა. «წმიდაო მეფეო! ესე ობოლნი აღმოსავლეთს შემიკრებიან, სახელი ღუთისა მისწავებია და წინაშე მეფობასა თქუენისა მომიყუანებიან, ვითარცა ჯერ გიჩნდეს აღზარდენ და შეაწყალენ მლოცველად სულისა თქუენისა და შჳლთა შენდა დღეგრძელობისათჳს». რამეთუ თანა უდგეს სამნივე იგი შჳლნი მისნი და ზემო ხსენებულნი იგი მთავარნი რომაელნი და მეფე სომხისა გაგიკი და უკჳრდა ყოველთა და ნატრიდეს ბერსა მას წმიდასა.

ხოლო ვითარცა ვთქუ პატივი მისცა მეფესა და ჰრქუა ვითარმედ, «შემდგომად ღუთისა ხელთა შენთა შევვედრებ ობოლთა ამათ»; მაშინ უბრძანა მეფემან, რათა ჟამნობა ათქმიოს ობოლთა მათ თჳსთა, ხოლო მან განცხადებულად ჟამნისა იგი და განტევებისა წმიდისა სიმეონ მოხუცე-

1) პიტაკი: არზა, თხოვნა....

ბულისა გალობა გჳბრძანა გალობად, რომელ არს ესე: მჯდომარე ეტლთა ქერაბიმთა მეუფე და აწ განმიტევე.

ესრედ გალობისა მიერ განაცხადა ამიერ განსვლა თჳსი და დალაცათუ მაშინ ვერ გულის ხმა ჰყუჱს, ვერცა მეფემან და ვერცა სხუამან ვინ, გარნა მეორესა დღესა მისა იცუალა, ყოველთავე ვითარცა მძინარეთა განეღჳძა და მადლობდეს ღმერთსა, რამეთუ არა დაუფარა წმიდასა მას მიცუალება თჳსი, ხოლო ვითარცა ვთქუთ გალობა იგი, დიდი მადლი უბრძანა მეფემან ღმრთისა მსახურმან ბერსა, ვითარმედ განგისწავლიან ბერძნულთა გუარსა ზედა კეთილო ბერო შენნი ობოლნი და ბრძანა ათასი აყჳრა[1]) მიცემად მათდა ფასუნად და ბრძანა, ვითარმედ დიდად სწყალობს მეფობა ჩემი პიტაკსა ამას შინა სწერია ყოვლადვე აღგისრულებს წადიერად; ხოლო ჩუენ თაყუანის ვეცით. და ესრეთ წარემართა მეფე, ხოლო ჩუენ წარვედით შინა და ბერი აღხდა სახედარსა ზედა, ვითარცა ყოვლად უჳსებელი და მოვედით სავანედ ჩუენდა და შემწუხრდა დღე იგი, რომელი განთენდებოდა ოთხშაბათად, დღესასწაულნ წმიდათა თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლესი.

ხოლო მწუხრისა ვილოცეთ მათ წინაშე და ჩუენ ყოველნი გუაკურთხნა ჩუეულებისაებრ და თჳთ მიწუა ცხედარსა ზედა და მიიღო მცირედ რაჲმე სასუმელი, უძლურებისათჳს და სიმხურვალისა და ჩუენ გჳბრძანა ყოველთა განსუენება. ხოლო ჩუენ გჳნდა რათა მათ წინაშე ვიყუნეთ, არამედ მას მსახურება ჩუენი არა ეხმარებოდა და ბრძანა ვითარმედ ერთი კმა ხართ და სხუათა განისუენეთ.

ხოლო გათენდებოდა დღესასწაული წმიდათა მოციქულთა, ვილოცეთ ცისკრისა კეთილად და განაგებდა წესსა ყოველსა და ვითარცა განთენდა სრულიად, მოუწოდა ძმათა, რომელთა მსახურება აქუნდა და ჰრქუა, ვითარმედ ნუგეშინისეცით ძმათა, რამეთუ დღესა აღსრულება არს და ესრეთ ყოველთავე მის დღისა განსასუენებელი თჳთ განაწესა. ხოლო ძმანი, რომელნი წარვიდეს ტაძარსა წმიდათა მოციქულთასა ლოცვად და რომელნიმე შინა დავშთით და იყჳნეს ჩუენთანა კაცნი მოხუცებულნი და აზნაურნი, პალატისნი სტეფანე და სიმეონ.

ხოლო ვითარცა დღე წარმოიჩინა და სამჟამისა ჟამი მოახლებულ იყო გჳბრძანნა რათა სანთელნი აღუანთნეთ და საკმეველი აკუმიოთ და სახარება ვიწყოთ კითხუად, რამეთუ ესრეთ იყო ჩუეულება მისი. განაწესნის ოთხნი მკითხუელნი ოთხთავე სწორად ვიწყით თჳთო თავსა და სწორად დავასრულით და ვიწყეთ რა კითხუა სახარებისა, იგი ნეტარი ზე ჯდა და ისმენდა კეთილად და ვითარცა დავასრულეთ ოთხი თავი ერთობით სახარება ჯუარი დაგუწერა და თქუა. «დიდება შენდა ღმერთო» და ქუე მიწუა და გურქუა «იგი სახმარი ესე რა არს», რამეთუ იყო ჭურჭელი, რომელსა შინა იდო დრაჰკანი სახმარად ძმათათჳს, რამეთუ არა თუ თჳთ ეპყრის, არამედ სხუასა ძმასა აქუნ, ხოლო ძმა იგი წარსრულ იყო ლოცუად და იგი მუნ დაედუა და ჩუენ არა უწყოდით და ესე იყო ანდერძი მისი.

რამეთუ სხუა ყოვლადვე განწესებული წიგნნი მისნი და ძმანი მთაწმიდას და ამის პირისათჳს არა ახსენნა, რამეთუ ყოველთა უწყოდეთ და ვითარცა ცხოვრებასა მისსა უყუარდა მდუმრობა ეგრეთვე ჟამსა ნეტარისა მის მიცვალებისასა იყო, რამეთუ უკეთუმცა გუეცნა ფრიადიმცა ამბოხი ქმნილ იყო და შფოთი და თუმცა შესაძლებელ იყო კნინღა და შემცა გუევედრა სული იგი უმანკო ამის ნეტარისა. ამის მიზეზისათჳს მშჳდმან ამან და მდუმრომან, ჟამსაცა მიცვალებისასა

1) ოქრო.

მჟუდროება იხუმია, რამეთუ ვითარცა ხელოვანმან მენავეთ მოძღუარმან, რომელსა მრავალნი უფსკრულნი განევლინ და მრავალთა ღელვათა ბრძოლა ეცის და ნავთ საყუდელისა მიმართ მხიარული შესრულად განემზადის, გინა ვითარცა მხედარი ძლევა შემოსილი, რომელსა იგი ურიცხუნი სარკინოზნი მოუსვრიან (დაუხოცნია) და მრავალნი ბრძოლანი და ძლევანი ექმნიან და ყოველსავე შინა განმარჯუებულნი მივალნ მეფისა თჳსისა, ანუ თუ ვაჭარსა, რომელსა მცირითა რამე სათვალითა ურიცხჳ სიმდიდრე შეეკრიბის და საუნჯესა მიმართ თჳსისა მხიარული მიისწრაფინ, გინათუ მუშაკი ორნატ სავსე ნაყოფთა ზედა თჳსთა მხიარულ არნ, ეგრეთვე წმიდა ესე ჟამსა მიცვალებისა თჳსისასა, ამათ ყოველთავე ზემო წერილთა მიემსგავსა, რამეთუ დაღაცათუ იყო რა ხორცთა შინა, ხორცთაგან მიცვალებულ იყო ბუნებითა. ხოლო აწ ესრეთ იყო სულიერი განსრულა მისი ხორცთაგან, რამეთუ განირთხნა წმიდანი ფერხნი მისნი წესიერად, რომელთა ღუთის მსახურებისათჳს მრავალი შრომა თავს ედვის და ხელნი სანატრელნი მწერალნი საღმრთოთა მოძღურებათანი უმანკოსა და უბიწოსა გულსა ზედა თჳსსა დაიჯუარედნა და მცირედ ოფლნი გარდაეცნეს, რომელი იგი ღუთის მსახურებისათჳს მრავალგზის დასთხია, ესრეთ ჯუარი პირსა დაიბეჭდა [1]) რომელი იგი მარადის სასოდ და ზღუდედ აქუნდა და კუალად დადვა თჳსივე იგი მარჯუენე თჳსსა ადგილსა და სთქუა სიტყუა დასასრულისა, რომელი იგი ვითარცა შარავანდედი მზისა წარიძღუანა უფლისა მიმართ, ვითარმედ. «ხელთა შენთა შეგვედრებ უფალო სულსა ჩემსა». და ესრეთ დიდად რაღმე აღმოიფშუინა ერთგზის ხოლო და მისცა სული თჳსი წმიდა ანგელოზთა წმიდათა [2]).

ხოლო მოხუცებულნი იგი ზემო ხსენებულნი პატიოსანნი, ერთსა ვისმე მღუდელთაგან თავით კერძო ნეტარის მის მდგომარესა ეტყოდეს, რათა დაახსნეს ხელნი თუალთა მისთა წმიდათა განმანათლებელთა ჩუენითა, ხოლო იგი განცვიფრებული და ვითარცა გონება მიღებული, აქა და იქა იხედებოდა და მკსინვარედ ეტყოდა ბეროა მათ, ვითარმედ სძინავს მამასა ჩუენსა; ხოლო მას არარაისი მსახურება ეხმარებოდა.

გარნა ამიერიდგან ვითარმედ გითხრა თუ რაბამი ამბოხი და შფოთი იქმნება და ტყება და ყოველი უწესო. ენა ჩუენი ვერ შემძლებელ არს მითხრობად, რაჟამს იგი მოეცუა გუამი მის ნეტარისა, მის მიერ ცხოვნებულთა მათ, მღუდელთა და დიაკონთა და ობოლთა მათ ჩჩვილთა, რომელნი იგი წუთ ხელითა წულილითა და ენითა მბრგჳნვალითა იტყოდეს და მამით და მოძღურით ხადოდეს, ვითარმედ: ვაჲ ჩუენდა, ვაჲ ჩუენდა, შენ მიერ ჯოი მამაო! რა ესე შემამთხვია ჩუენ ვითარმედ სადა შემკრიბენ და აღმზარდენ (ჩუენ), ანუ აწ სადა დაგჳტევენ და დაგუფანტენ.

მღუდელნი და დიაკონნი ხელთა მათ მისთა წმიდათა ამბორს უყოფდეს და თუალთა მათთა ზედა დაისხმიდეს და რომელნიმე ცრემლთა წილ სისხლსა დასთხევდეს გუამსა მისსა ზედა წმიდასა და იტყოდეს: ვაჲ ჩუენდა, ვაჲ ჩუენდა ჯოი წმიდაო მამაო! რამეთუ ვიდრე შენ ჩუენთანა იყავ, ღამენიცა დღენი იყუნეს, ხოლო აწ რა განგუეშორე დღენიცა ღამენი არიან. ამას და ამისა უმრავლესთა ხმითა საწყალობელითა იტყოდეს და ანაზდათსა მას დაქცევასა და უკანასკნელსა ობლობასა იტყოდეს და ვითარმცა არა იგლოვდეს, რამეთუ ოთხმეოცსა სულსა ერთი წინამძღუარი ჰყუანდაი სულისა და ხორცთა, ვითარცა ზემო ვთქუი, რომელთა მარჯუენე და მარცხენე არა უწყოდეს და წინამძღუარი ესე ვითარი თჳთ იყო და ესრეთ მეფსა შინა უწინამძღრო იქმნეს და ესე

1) გაიწერა.
2) 1066 წელსა ორმოცდა თორმეტის ოდენ წლისა.

სადა ფოლორცთა შინა სამეფოთა, დალაცა თუ თქჳის ვის აქჳნდა გული და ანდამატისა მოყლო სულნი, გარეგან საზღჳართა ბუნებისათა განსრული ვინმცა არა იხილა, ვითარცა ყოვლითურთ დაწულული მოულოდებელისა ამის სმენისაგან, აღძრული ბუნებითისა ტკივილისაგან სიღრმედ მწუხარებათა შთასრული.

არამედ ეჴა უბადრუკება ჩემი ვითარისადა ჟამისათჳს დავიმარხე ყოვლად საწყალობელი და ვითარიღა წინა ედვა ჭირვეულსა ცხოვრებასა ჩემსა, სიკჳდილისა მითხრობად, რომელი იგი არა თავისა თჳსისათჳს ცხოველ იყო არამედ ღჳთისა.

ჴე ჭეშმარიტად (და) იძინა ზიარმან ანგელოზთამან მამამან, რომელსა იგი ფრიად უჳარდით ჩჳენ და გჳწყალობდა, ვითარცა შჳლთა ჭეშმარიტთა, ვითარცა მოქმედთა ქრისტეს ვნებისათა, ვითარცა ძეთა მორჩილებისათა, შეისჳენა ზოგადმან მოძღჳარმან ჩჳენმან, ქჳეყანისა ანგელოზმან და ზეცისა კაცმან, ტაძარმან ქალწულებისამან უბიწომან, მრავალ ფერმან მან და მრავალ სახემან სიბრძნემან სულისამან ხელოვანმან გულის ხმის მყოფელმან და ერთ გულმან ქრისტეს მსახურმან, ბრწყინჳამან მან თჳალმან ქრისტეს გჳამისამან, მოთმინებისა მოღჳაწმან წყალობისა წყარომან, თჳალმან ქრისტეს გჳამისამან, მოთმინებისა მოღჳაწემან წყალობისა წყარომან და განკრძალულმან ღჳთის ჴსჯულის მმარხჳელმან და ფასის საცავმან მან სათნოებისამან, რომელი იგი სიტყჳთ ტკბილ იყო და ზრახჳთ საწადელ და ვინ შემძლებელ არს სიტყჳთ აღრაცხჳად, რაოდენნი და რაბამნი სახელნი მიანიჭა მას საღმრთომან მადლმან; ყოველთა მათ საქმით აღსრულებულთა და ყოველთა მოციქულებრ შეუჳარებითა, ეჴა! ეჴა! მარადის სასურველი რა არს ჩჳენი ესე გლახაკთა ამათ საიდუმლო? რა არს სიბრძნე ესე ღჳთივ გამოუთქმელი!

აწ მინდეს ცრემლნი იერემიას გოდებისანი და უკეთუ სხჳამანცა ვინმე სანატრელთა მათ კაცთაგან მან სიდიდე განსაცდელისა სადამე იგულვა, აწ მოვედ ჩემდა ჳოი! რაქაელ დედაო ბენიამენისო, სტიროდე შჳლთა შენთა და ნუგეშინის ცემასა ნუ მიიღებ, ნუ ვითარცა ბეთლემის ყრმათათჳს, რამეთუ იგინი ღმერთსა შეეწირნეს, არამედ ყრმათათჳს რომელნი ორსავე სიკჳდილსა თჳალით ხედვენ სულისა და ხორცთასა და არა აქჳს ნუგეშინის მცემელი, რამეთუ ერთი აქჳნდა და იგიცა მიეფარა, ამის თჳს ტიროდე ჳოი რაქაელ! ვითარმცა არა არნ, ხოლო მე ესრეთ ვიტყოდე, ძმათა მიმართ ჩემთა და ყრმათა მოძღჳრისა ჩემისათა.

ვაჲ! ვაჲმე ძმანო ჩემნო პატიოსანნო! აწ დაგჳესხა პირი იგი, რომელი გჳწჳრთიდა დღე და ღამე ჴსჯულსა უფლისასა, წარვიდა გონებისა განზრახჳა ჭეშმარიტად ღჳთისა მიერ აღძრული, დაწუხნა თჳალნი იგი მართლიად მხედჳელნი და განმრჩეველი კეთილისა ბოროტისაგან და უმჯობესსა უდარესთაგან და დამუნჯნეს ბაგენი იგი მეტყჳელისა ჴსჯულსა უფლისა, შეიკრა ენა იგი ოქროსიტყჳა და საღმრთოთა ბრძანებათა ხმა მაღლად მღაღადებელი და ბრწყინჳალედ მთარგმნელი ღჳთივ სულიერთა წიგნთა; დაუუდნა ხელი იგი მშჳენიერად მწერალი, რომლითა განანათლნა ეკლესიანი ჩჳენნი და დღეს ფერხნიცა იგი მშჳენიერნი, განკაფულნი ღამის თევათა შინა ზე დგომითა, დაუუდნა გონება იგი მახჳლი და სიღრმეთა სულისათა გამომძიებელი, დაიფარა მიწასა შინა გჳამი წმიდა მოღჳაწეებისა, შრომითა განლეული.

ხედავთა თუ ვითარ არნ საქმენი ჩჳენნი, შენება უკეთუმცა შესაძლებელ იყო განძლიერებად უძლურება ჩემი და ამაღლებად სიმაღლესა მას თანა განსაცდელთასა და აღტევებად ხმისა რასამე ვნებისა ამის შემსგავსებულისა, ვითარცა ჴუჳს ობოლთა მათ და ხმითა მაღლითა განსაცდელსა მოძღჳრისასა იგლოვდეს, არამედ რა ვჴყო! გინა ვითარმე აიძულო ენასა მსახურებად სიტყჳსა,

რა იგი განსაცდელისა ამის მიერ ვითარცა მძიმითა რამე საკურელითა რკინისათა შეკრულ არს, ანუ ვითარ აღუალო პირი უტყუებითა შეპყრობილი, ვითარ აღუტეო ხმა ვნებათა და გონებითა ძალისა თჳსისაგან დახსნილი, ვითარ აღჴრილნე თუალნი სულისანი, განსაცდელისა ამის ალმურითა დაბნელებულნი, ვინმცა განმიბნია უკუნი ესე და წყუდიადი მწუხარებისა ბნელი და მიჩუენამცა სიწმიდესა შინა ბრწყინუალე იგი ნათელი მშჳდობისა! ანუ ვინ მოგუფინოს ჩუენ შარავანდედი ვინაჲთგან დახდა მნათობი ჩუენი ეჰა ბოროტი ესე სიბნელე, რამეთუ მზე მნათობი ჩუენი დახდა.

ეჰა! ვითარღა იქმნნეს ჩუენდა ადგილსა ამას წინა უკუე სიტყუანი ჩუენნი და საქმენი, აწ და პირუელ ამისსა, რამეთუ პირუელ მქორწინენი განვცხრებოდეთ, ხოლო აწ ვითარცა საწყალობელნი გლოვისა ამისთჳს, სულ ვითქუამთ, ანუ თუ მცირე არს ჩუენ ზედა მოწევნული ესე ბოროტი, ანუ ამაოდ ნუ ვიტყებთა და განვიწირვით, ანუ თუ უფროსღა ვერ მივსწუდებით, თავსა ამის ვნებისასა, ღაღადებთ უფროს ავამაღლნეთ სიტყუანი და ხმანი ჩუენნი.

გუავსხენით უკუე ძმანო, გუავსხენით ცრემლნი წყალობისანი, რამეთუ ოდეს იგი იხარებდით თქუენ სიხარულსა თქუენსა გეზიარენით ჩუენ, აწ უკუე მომაგეთ ჩუენ ბოროტი ესე ნაცუალი, სიხარული მოხარულთა, თანა მოგუეცით ჩუენ ტირილი მტირალთა თანა მომიზღეთ ჩუენ. ცრემლეოდა ოდესმე უცხო თესლი იგი ერი, მამათ მთავრისა იაკობისთჳს და უცხო იგი განსაცდელი, ვითარცა თჳსი განესაკუთრა, რამეთუ იგი შემდგომად სიკუდილისა ძეთა (თჳსთა) მისთა ეგჳპტით გამოიყუანეს და ყოველი იგი ერი უცხო ამის განსაცდელისათჳს, უცხოსა შინა ქუეყანასა ოცდა ათი დღე და ოცდაათ ღამე იგლოვდეს, მას ზედა, და მწარედ გოდებდეს და ტიროდეს.

აწ უკუე ძმანო ემსგავსენით უცხო თესლთა მათ ძმანი ეგე ჩუენნი და ნათესავნი, ზოგად იყო მაშინ უცხოთა და თჳსთა ტირილი, ზოგად იყავნ აწცა, რამეთუ გლოვაცა და მწუხარეებაზოგად არს, ამისთჳსცა აჰა ესერა, ვითარცა სახილველსა შინა წარმოვიჩინებით და წინა ვპირობ და ვღაღადებ განსაცდელისა ამის სიმძიმესა და ვიტყჳ, გწყალობ თქუენ, გწყალობ შჳლნო ამის ტკბილისა და სახიერისა მამისანო; ხოლო აწ მწარედ დაობლებულნო, მცირედ აღუზავებულნო, ხოლო აწ მსწრაფლ დაჭნობილნო, ბრწყინუალედ განათლებულნო და ბოროტად დაბნელებულნო.

არამედ ეჰა! რაბამ ტკბილ იყო ვიდრე აქამომდე გზა სიტყჳსა ჩუენისა, და ეჰა! რაბამ სანატრელ იყო, უკეთუმცა ამას პირსა ზედა დასრულდებოდა მოთხრობა ჩუენი.

ხოლო ამიერიდგან რა მოუწოდეთ დედათა მტირალთა, ვითარცა იტყჳს იერემია, რამეთუ განსაცდელთა და მწუხარებათა მიერ შეპყრობილისა და აღვსებულისა გულისა სხუათა ოხითა ნუგეშისცემა შეუძლებელ არს, არა თუ ცრემლთა მიერ და სულთქმათა აღუსუბუქნეს.

უტევეთ უკუე ნუგეშინისმცემელნო, უტევეთ და ნუ განამრავლებთ ნუგეშინის ცემასა, რათა წრტიალად და მწარედ იგლოვონ ობოლთა ამათ და გულის ხმა ჰყონ და ჭირვება ესე, რომელი დაჭირდა მათ, დაღაცა თუ არა გამოუცდელ არიან განბოროტებასა მისსა, ღუაწლთა მათ მიერ მოღუაწისათა და ჩუეულთა, რამეთუ გახსოვს განაღა თუ ვითარ თქუენდა მიმართ თქმულმან ამან სიტყუამან ჩუენმან ღუაწლნი იგი მის კაცისანი მიგითხრნა თქუენ.

მწუხარე იქმნეს ოდესმე ისრაელნიცა რაჟამს იგი აღიტაცა ზეცად ელია, არამედ ნუგეშინის ცემდა განშორებასა მისსა ელისე, ხალენითა მოძღურისათა შემკობილი, ხოლო აწ სალმობა ესე ზეშთა არს კურნებისა, რამეთუ ელია ამაღლდა და ელისე არა დაშთა, უწყით რამეთუ არა უმეცარ ხართ სიტყუათა მათ და ხმათა იერემიასთა, რომელთა იგი იტყოდა გოდებით, მოოხრებისათჳს

იერუსალიმისა, რამეთუ სხუათა მათ თანა გლოვათა ესეცა შესძინა და თქუა ვითარმედ «გზანი სიონისნი იგლოვდითო» და ესე სიტყუა მაშინ ითქუა მისა მიერ, ხოლო აწ ჩუენ ზედა აღესრულა.

რამეთუ რაჟამს განითქუას ამბავი ესე საგლოველი, მაშინ აღივსნეს გზანი უდაბნონი გოდებითა მგლოვარეთათა და მოწაფენი მისნი შეწუხებულნი მწუხარებითა. ხმასა მას ნინეველთასა აღუტევებდნენ, უფროსღა უმეტეს მათსა ტკივნეულ იყვნენ და საწყალობელ, რამეთუ გონებამან მათმან შიში იგი დაქცევისა დახსნნა, ხოლო ამათ ბოროტთა დახსნისა არცა ერთი აქუს სასოება თჳსთა ამათ გონებათა მიერ.

ვიცი სხუაცა რაჲმე გოდება იერემიასა შემსგავსებული წიგნსა ფსალმუნთასა, რომელი იგი სარტყუნვისათჳს ისრაილთასა შემზადა, რამეთუ იტყჳს ვითარმედ «ძეწნთა ზედა დავკიდენით ორღანონი ჩუენნი», რამეთუ დუმილისა მიერ თავთა თჳსთა და ორღანონიცა თჳსნი დასაჯნეს, ამას უკუე გოდებასა მეცა განვიჩემებ აწ და ვიგლოვ უფროს მათსა, რამეთუ ვზი მდინარეთა ზედა ცოდვისათა და მათგან წიაღ მეჳანებული ჩუენსნი არა (ჩანს) მაქუს და ორღანოთა წიგნთა საღმრთოთა დავკიდებ დუმილისა ძეწნთა, რამეთუ იტყჳს მოციქული პავლე, «უკეთუ მთარგმნელი არა იყოს მკითხველი დუმენო», რამეთუ ძეწნი ხე არს უნაყოფო და ვინადგან დაცჳვა ტკბილი იგი ცხოვრებისა ჩუენისა ნაყოფი არა ძეწნ ვიქმნეთ უნაყოფო, ეჰა! ჭეშმარიტად და უქმად და უძრავად ორღანონიცა იგი მეტყუელებისა ჩუენისანი, დუმილისა მიერ შეშათა ზედა დაჰკიდენით.

ხოლო არავინ არს რომელმანცა მიიღო ნაწუეთი ერთი წყლისა და განაგრილოს ენა ჩემი სალმობიერი და შემწუარი ცეცხლითა მწუხარებათათა, წარხდა მშუენიერება იგი საწადელი და დადუმნა ხმა იგი სავსე სიტკბოებითა და იყვნეს ბაგენი იგი ღუთივბრწყინვალენი, აღფრინდა მადლი იგი განმაბრძნობელი ჩუენი, სადა არნ თუალნი ზეცისა საიდუმლოთა მხედუელნი, სადა არს ყურნი იგი საღმრთოისა მის ხმისა მსმენელნი, სადა არს ენა იგი წმიდა ტკბილად მსწავლელი ცოდუათა სინანულისა, სადა არს ტკბილი იგი მყუდროება თუალთა მისთა, სადა არს წესიერი იგი დუმილი ბაგეთა მისთა, სადა არს საწადელი იგი მარჯუენე მისი, რომელი კურთხევასა მას პირისასა სასურველთა მათ თითთა თჳსთა ჯუარის წერითა დაბეჭდიდა.

არამედ აწ გევედრები შემაშვრეთით მე ცრემლნი ჩემნი დაასცხვრეთ გონებას ჩემსა, რამეთუ ვაგრძნობ, ვითარმედ უფროს ჯერისა განვალ საზღუართაგან გლოვისათა და ვნებისა ამის სიმძიმითა დედათა მივემსგავსები, არამედ მოვედით ამიერიდგან და განუსუენოთ სასმენელთა თქუენთა გლოვისაგან და გოდებისა ობოლთასა დამაშურალთა და საღმრთოთა იხრობათა და ნუგეშინის ცემისა სიტყუათა მიმართ მივაქციო გონებაჲ თქუენი, დაღაცა თუ რაქაელ ღაღადებს, რომელ არს ეკკლესია და ხმობს ძლიერად, და გოდებს დაობლებისათჳს შჳლთა თჳსთასა.

ვინაჲცა ჯერ არს რათა ამიერითგან მოვაქციო აფრა სიტყჳსა ჩემისა და საეკლესიონი სიტყუანი აღმოვთქუნე, რამეთუ არა მიგუელო ჩუენ მოძღუარი ჩუენი, არცა წარვიდა ჩუენგან, არამედ შორის ჩუენსა მდგომარე არს დაღაცა თუ ჩუენ არა ვხედავთ მას და წმიდასა მას წმიდათასა შევიდა მამა ჩუენი და შინაგან კრეტ საბმელისა, სადა იგი წინამძღურად ჩუენდა შევიდა ქრისტე, დაღაცა თუ დაუტევა კრეტსაბმელი იგი ხორცთა თჳსთა, არამედ არღარა სახით და იგავით მსახურებს ზეცისათა მათ, არამედ თჳთ მას ხატსა საქმეთასა განიცდის, არღარა სარკითა და სახითა, არამედ პირსა პირის პირ ხედავს და მეოხ არს ჩუენთჳს წინაშე მისსა, შჳლთა და მოწაფეთა თჳსთათჳს.

განიძარცუნა უკუე ტყავისა სამოსელნი, რამეთუ სამოთხისა მკჳდრთა არცა თუ ეხმარების ესე ვითარნი სამოსელნი, არამედ იგი სამოსელი ჰმოსიან მას, რომელი იგი სიწმიდითა ცხოვრე-

ბისა თჳსისათა უქსოვნა (მას) თავსა თჳსსა და მოიხუნა ღმრთისაგან. ჭეშმარიტად ესე ვითარისა კაცისა სიკუდილი პატიოსან არს წინაშე ღმრთისა და უფროისღა, არცაღა სიკუდილი არს, არამედ განხეთქა საკრველთა, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ განხეთქენ საკრველნი ჩემნი. განტევებულ იქმნა სიმეონ და განთავისუფლებულ იქმნა საკრველთაგან ხორცთასა საბრხე შეიმუსრა და ხოლო სირი აღფრინდა და დაუტევა ეგჳპტე, რომელ არს ცხოვრება ესე ნივთიერი და წიაღ ვლო არა თუ ზღუა იგი მეწამული, არამედ შავი ესე და წყუდიადი ზღუა ამის საწუთროსა, შევიდა ქუეყანასა მას აღთქმისასა, რომელ არს ზეცათა იერუსალიმი, მთასა მას ზედა სიბრძნისმეტყუელებისა ღმრთისა თანა, წარიხდა ხამლი სულიერადა, რომელ საღმრთოთა მით სვლითა გონებისათა წმიდასა მას ქუეყანასა შინა უნივთოდ იმოსჳდეს, რომელსა იგი შინა იხილვების ღმერთი და თჳსთა საკუთართა ხედავს და განისუენებს.

ესე ვითარი ნუგეშინის ცემა გაქუნდინ თქუენ ძმანო, რომელნი ეგე ძუელთა იოსებსთა ქუეყანასა მას კურთხევისასა აღიყუანებთ, ესე იგი არს თქუენ, რომელთა ეგე გუამი წმიდისა ამის ნეტარისა მთა წმიდას წარგუავს.

ხოლო აწ ჟამი არს თქუენდა თუ ვითარ იქმნა წარსულა ჩუენი მთაწმიდას და კუალად მოხსენებად პეტრე პატრიკ ყოფილისა, ნუგეშინის ცემასა და შემდგომად ღმრთისა მოღუაწებასა და ხელის აღპყრობასა, რომელ ჩუენ ზედა აჩუენა.

ხოლო ვითარცა განვიდა ხორცთაგან წმიდა მამა ჩუენი და წარვიდა წინაშე ღმრთისა, მეყუსეულად ვაცნობეთ წმიდასა მამასა პეტრეს. ხოლო მან მოძღურისა მოყუარემან და უფროისად ვთქუათ თუ ღმრთისა მოყუარემან, ვითარცა გულის ხმა ჰყო ანაზდათი ესე და მოულოდნელი დაქცევა ჩუენი, იწყლა სასტიკად სული მისი, არამედ წყლნი მოირტყა და მსწრაფლ შევიდა მეფისასა, მიუთხრა საკჳრველი ესე სასმენელი, ვითარმედ; წმიდაო მეფეო მშჳდობა შენდა და სიხარული საუკუნო შჳლითურთ, ხოლო წმიდა იგი ბერი, რომელმან გუშინ ოთხმეოცა ობოლნი თქუენ შემოგწირა, აწ თჳთ იგი ხელთა ღმრთისათა შევედრებულ არს, რამეთუ მიიცვალა, შენ ქუეყანისა მეფემან, ზეცისა მეფისა წარგზავნე, გუშინ ამას ჟამსა შენ მიერ ითხოვდა განტევებასა, დღეს საკჳრველთაგან ხორცთა თჳსთასა განტევებული ზეცისა ნავთსადგურსა მიცვალებულ არს, გუშინ შენ გევედრებოდა შეწყალებად ობოლთა თჳსთა, ხოლო დღეს შენთჳს ევედრების მას, რომელი იგი მამა არს ობოლთა და მსაჯული ქურივთა და მეუფე მეფეთა ქუეყანისათა.

ესმნეს რა ესე სიტყუანი ღმრთის მსახურსა მეფესა განჰკჳრდა ფრიად და დადუმნა ჟამ ერთ და მერმე თქუა სამგზის: დიდება ღმერთსა, დიდება ღმერთსა, დიდება ღმერთსა, რამეთუ სულნი წმიდათანი ხელთა შინა ღმრთისათა არიან, ვითარცა ნეტარისა ამის ბერისანი, ნეტარ ხარ შენ წმიდაო ბერო, რომელი ეგე წარხუედ წინაშე ღმრთისა, არამედ ვესავ ლოცვათა შენთა წმიდათა, რამეთუ ყოველი ნება შენი კეთილად აღუსრულო. და მეყუსეულად ბრძანა მოღებად პიტაკი, რომელი იგი მას წმიდასა ხელითა თჳსითა მიეცა, ხოლო წერილ იყო ესრეთ ვითარმედ: «წმიდაო მეუფეო! ეგე ობოლნი ვითარცა შენნის ღმრთისმსახურებასა შენსა ეგრეთ შეიწყალენ და დაარჩინენ მლოცველად სულისა შენისა და შჳლთა თქუენთა დღეგრძელობისა და მონასტერსა მათ წმიდისასა საღუ-ცუელსა თქუენსა ოქრო ბეჭედი შეუქმენ დასამტკიცებელი, ყოველთა ოქრო ბეჭედთა, რათა ყოვლითურთ თავის უფალ და შეუვალ იყოს და ობოლნი ეს იზრდებოდენ მას შინა და ყოველნი მკჳდრნი მისნი გლოცვიდენ ვიდრე უკუნისამდე». ესე რა აღმოიკითხეს და გულის ხმა ჰყო მეფემან ძალი საქმისა, მსწრაფლ უბრძანა პროტო ნოტარიოსსა თჳსსა შექმნად ორთა ოქრო ბეჭედთა,

მტკიცეთა და უცჳალებელთა, ერთსა ვითარცა წმიდა ზერი ვედრებულ იყო, დასამტკიცებელად ყოველთა ოქრო ბეჭედთასა, რომელნი იგი წინა აღუდგეს და გარე უკუნ აქციეს, უკეთუ რა ვისმე ენებოს ამის წმიდისა ლავრისა ვნებად, სირცხჳლითა აღავსებს, ერთი ოქრო ბეჭედი ობოლთა ამათ შეუქმნა, რათა არავინ იკადროს მათ მონასტრით განყჳანებად. გინა სხჳად რაჲმე ვნებად, არამედ რათა იზრდებოდენ მონასტერსა შინა, ვითარცა შჳლნი და მკჳდრნი წმიდისა ეკკლესიანი, ესე ორნივე ოქრო ბეჭედნი მოსცნა ნეტარსა პეტრეს და კერონები დიდ დიდნი და სანთლები ფრიად და საკმეველი სურნელი მრავლად მუშკაროანი და ჭალვა, ესე ყოველნი მოიღო პატიოსან-მან მან ბერმან პეტრე, ებრძანა მეფეს ვითარმედ ესე ყოველივე მკერდსა მისსა ზედა წმიდასა და-ზდევ და შენდობა მითხოვე, ვითარცა ცხოველისაგან და არქჳ ესრეთ, ვითარმედ აჰა! ესერა ბრძანება შენი აღმისრულებიეს, უფროს თხოვნისა შენისა და აწ გევედრები ნუ დამივიწყებ წინაშე ღ̃თისა.

ხოლო მორავიდა პეტრე და ბრძანება ესე მეფისა აღასრულა, ხოლო თჳთ თუ რასა არა იქმ-მოდა ანუ რომელსა არა იტყოდა გჳამსა მას ზედა წმიდისასა და ვითარცა ცოცხალსა ესრეთ ემდუ-როდა და ფერხთა მისთა ცრემლითა დაალტობდა და უკეთუმცა არა მეშინოდა და ნუ უკჳ ძლით მცირედ რაჲმე დაშრეტილი იგი სანთელი გოდებისა, კჳალად აღჳაგზნა და შევაწუხნე ყოლხომცა ამის ნეტარისა კაცისა სიტყჳანი ღმობიერნი და ცრემლნი მხურვალენი ცრემლით მიგითხრნე, არამედ ვირჩიე წუთ ერთ განსჳენება თქჳენი.

ხოლო ესრეთ რა ვიუჳწნით და წმიდა იგი გჳამი მისი წინაშე იდჳა მას ოდენ ჟამსა მოიწია დედაკაცი ვინმე, მოწაფე ამის წმიდისა და ფარსმანკლისა და ხორჩანელისა, რომელი ვერ ეწიფა ხილვასა მისსა, ვიდრემდე ცოცხალი იყო წმიდა იგი, ესე მოვიდა მრავლითა ცრემლითა და გოდე-ბითა დაალტჳნა წმიდანი ფერხნი მისნი და მდურვით ეტყოდა წმიდასა მას, ვითარცა ცოცხალსა: ჵოი წმიდაო მამაო! რა ესე მიყავ მე უბადრუკსა ამას, რამეთუ მქონდეს მრავალნი გულის სიტყ-ჳანი, რამეთუ მრავლით ჟამით არა მეხილვა წმიდა პირი შენი და ესრეთ ფრიად შეწუხებული და მგლოვარე წარვიდა სახედ თჳსად, დაწერნა ყოველნი გულის სიტყჳანი თჳსნი და დაბეჭდა მას ზედა და ხჳალისა დღე კჳალად მოვიდა და მოიღო წიგნი იგი და დადვა მკერდსა ზედა მის წმიდისასა და საკმეველი სურნელი და სანთელი მრავალი და ძმათათჳს ევლოგია ნუგეშინის საცემლად და კჳალად მრავლითა ცრემლითა ამბორს უყო ფერხთა მისთა, და ღმობიერითა სიტყჳთა და სულთქმითა სული-სათა, ვითარცა ცოცხალსა ემდურვოდა წმიდასა მას და წიგნი იგი აღიღო და მომცა მე და მრქჳა ესრეთ: ცრემლით შეგივედრები ძმაო პატიოსანო, რათა ფარქსა [1]) შინა წმიდისასა შთადვა ესე და მე მრწამს ღ̃თისა, ვითარმედ წმიდამან ამან რაჲგი წიგნსა ამას შინა ჴსწერია, აღხოცოს და მომი-ტეოს და ესრეთ ცრემლითა შესჳარულმან ამბორს უყო ხელსა მისსა წმიდასა და იკურთხა მისგან და სულთქმით და ცრემლით წარვიდა სახიდ თჳსად, ხოლო მე მოვიღე მცნებისა მისთჳს და შთავდე ფარაქსა შინა მის წმიდისასა.

ხოლო შემდგომად ამის ყოვლისა შთავასჳწნეთ გჳადრუცსა [1]) შინა შემზადებულსა ძელ-თაგან ულპოლველთა წმიდა იგი გჳამი მისი და ნიჭითა ღ̃თისათა წარვემართენით ზღჳთ მოთა წმიდას და ვითარცა მივეწიენით ადგილსა მას, რომელსა ერქჳა ექსამილი, ხმელით წარმოვედით გზისა და შიშისათჳს ავაზაკთასა, ხოლო ექსამლი ამისთჳს ეწოდების, რამეთუ იმერით ზღჳთ,

---

1) ფარქი-ქამარი.

2) კუბო.

ვიდრე ამიერად ზღჳადმდე ექჳსი მილიონი არს[1]) ესრეთ ვითარცა ვთქჳთ ხმელით წარმოვედით, ექჳსსა მას მილიონსა ურმებითა.

ხოლო ერთსა ურემსა ზედა ყოველთა უფროსსა, დავდგით კიდობანი იგი მამისა ჩჳენისა; წიგნნი მისნი და სხჳანი რაჲცა საკურთხეველისა სამსახურებელი იყო და წარმოვემართენით. ხოლო ვიდოდეთ ესრეთ რამეთუ, კერძოგარე მოდგომილ ვიყავით, ვითარცა პირჳელ კიდობნისა ჰსჯულისა უფლისასა, ხოლო წინა კერძო მოვიდოდეს წჳლინი დიაკონნი, ხოლო უკანა კერძო მღჳდელნი და სხჳანი მოხუცებულნი ბერნი და ესრეთ ფსალმუნითა და გალობითა და სულიერითა შესხმითა ვადიდებდით ღმერთსა და წმიდასა მას უგალობდით.

ხოლო არს წჳრილთა მათ ძმათა თანა ყრმა ერთი ყოველთა უმრწემესი[2]) იყო ასაკითა სახელით პანტელეიმონ, კეთილად შეწყალებული ყოველთა მოწყალისა ამის წმიდისა მამისაგან, ამას ყრმასა სჳლასა შინა აღეცჳა[3]) ეკალი ფერხსა, რამეთუ უხამური იყო და ვითარცა ქჳე დადრკა, რათამცა გამოიღოს ეკალი იგი, მეყჳსეულად გადავლო ურემმან მან ზედა ზურგსა ჩჳლისა მას ყრმისასა. ხოლო ჩჳენ ვიხილეთ რა ეს, ვიკრიხიალე ხმითა სიმწარისათა გოდებით და აღუტევეთ ტირილი და იქმნა ამბოხი დიდი, რამეთუ ყოველნი ვგოდებდით, ვითარმედ არა თუ ოდენ მოკლა; არამედ ვითარცა ჭია უნდო ესრეთ გაწყჳტა, არამედ ეჴა ზეშთა ბუნებისა ხელისა პყრობა და შეწევნა ღჳთისმსახურისა და მადლი იგი კაცისა მის ღჳთისა, რომელი შემდგომად მიცჳალებისაცა სცავს და ხელისა აღუპყრობს თჳსთა ობოლთა, და სწყალობს ესრეთ, ვითარცა ვთქჳთ, ურემმან მან საზარელმან ზედა ზურგსა მისსა გარდავლო; ხოლო მყის აღდგა ყრმა იგი, ხოლო ჩჳენ ვკითხევდით ვითარმედ და არცაღა თუ გტკივა ადგილი იგი, ხოლო იგი იტყოდა, არცაღა თუ მიცნობიეს ესე თუ ურემნან გარდავლო ჩემ ზედაო, რამეთუ წუთ ჩჳლ იყო და ესრეთ იტყოდა.

ეჴა მადლი წმიდისა მის გჳამისა, ვითარმედ აღუსუბუქა საკჳრველად, მძიმე იგი ურმის თჳალი, რამეთუ აგრძნამცა ვერ ყრმამან მან მცირემან; ხოლო აწ განმწესებულ არს და თჳთ მიუთხრობს საკჳრველსა მას დიდებულსა და ადიდებს ღმერთსა მოქმედსა სასწაულთასა და მადლსა წმიდასა ქადაგებს.

ესრეთ გარდავლეთ ექსამლი, კჳალად ზღჳად შევედით და შეწევნითა ღჳთისათა ნავთა მყუდროთა და ამათა მთა წმიდას მივიწიენით. ხოლო მთა წმიდელთა კჳალად შეგჳწყნარეს ჩჳენ ვითარცა შჳლნი მათნი, ხოლო წმიდა ვითარცა მწყემსი ოჳსი და წინამძღჳარი, რამეთუ წუთ მრავალნი ცოცხალ იყჳნეს, პირჳელთა მათ ნეტართა ბერთაგან მოწაფენი ამის წმიდისანი ესრეთ წინა მიეგებნეს და პატივი უპყრეს ყოველთა, ვითარცა პირჳელ წმიდასა მამასა ჩჳენსა დიდსა ექჳთიმეს მიერვე მამულსა ქალაქით სამეფოთ.

ესრეთ პატივით ტჳრთული მღჳდელთა მიერ ეკკლესიად შეიყჳანეს და წინაშე წმიდისა მამისა ექჳთიმის სამარტჳრესა დადგეს კიდობანი იგი ამის ნეტარისა და ერთმან მან, ვითარცა მამამან და მოძღჳარმან, ხოლო მეორემან ვითარცა შჳლმან და მოწაფემან, პირჳელმან მან სამარტჳროთ გამო, ხოლო მეორემან მან კიდობნით ურთიერთ (არს) მოიკითხეს და მშჳდობა მისცეს ჟამთა მღჳდელთა მიერ და ესრეთ შეიმკო ეკკლესია და განმხიარულდეს ერნი.

1) მილო.
2) მცირე.
3) შეერჭჳა.

ხოლო სამკჳდროდ დაკრძალვისა ამის ნეტარისა მარტჳრთა ადგილი ვერ გამოვაჩინეთ, ვიდრე კიოხუადმე ზემო ხსენებულის მის პეტრე ნეტარისა და ესრეთ დაჭყო სამი დღე წინაშე წმიდისა მამისა ევთიმისა და შერმე წარვიწუანეთ ეკკლესიასა ყოველთა წმიდათასა, მუნ დავდგით უჳადრუცი იგი წმიდისა მის, ყოველთა ღამეთა ლოცუანი და ღამის თევანი აღესრულებოდეს და დღისა ჟამის წირვანი მღუდელთა მიერ და ესრეთ იყო ვიდრე წელიწადამდე, ყოველთა წმიდათა ეკკლესიასა ვიდრემდის ბრძანება მოვიღეთ მისვე პეტრეს მიერ და კაცისა ღუთისა პატიოსნისა ბერისა წინამძღურისა და მამა სახლისისა ჩუჱნისა გიორგი ოლთისელისა, რამეთუ მეფემან ორივე დაამტკიცა შემდგომად მიცვალებისა წმიდისა ამისა და მასვე შეუწნოდა სიწრფოებისათჳს და უმანკოებისა დაპყრობად დიდისა ამის ლავრისა და აჴა ესრეთ ბრძანებითა ზემო ხსენებულთა ამათ მამათა და ნებითა ყოველთა ძმათათა, განვაღეთ ლუსკუმა ნეტარისა მამისა გიორგისა მშენებლისა ეკკლესიისა შტოსა შინა მარცხენით კერძო და მართებით წმიდისა მამისა ჩუჱნისა ევთიმისსა.

ხოლო აღჴდეთ რა კიდობანი მამისა გიორგისი, არამედ ეჴა საკჳრჳელი, რამეთუ არცა თუ თმა ერთი ნეტარისა მის თავისა და პატიოსანთა მათ მხცეთა არა შეცუალებულ იყო, რომელი იგი აჩუჱნებდა სულისა მისისა ბრწყინვალებასა, ხოლო მომეხსენა მე ღირსსა ამას ქარტა იგი დედაკაცისა მას, რომელი იგი შთამედვა ფარაგსა შინა წმიდისსა და ვარქუ ვისმე მღუდელთა განსა აღმოღებად და განხილვად. ხოლო მან აღმო რა იღო იხილა რა ბეჭედი ეგრეთვე იყო ხოლო, გულმან უთქუა, რათა მცირედ შთაიხედოს კიდესა წიგნისასა და უგმორა ეკეცა კერძო წიგნისა, ეჴა! საკჳრჳელი და ამის ჟამისგან ყოვლად ურწმუნო იხილა რა რამეთუ აღხოცილ იყო, არამედ სხუათა ურწმუნოებისაგან არა იკადრა სიტყუად და ჩუჱნებად ვისამე, არამედ კუალად ფარაგსავე შინა წმიდისასა შთადუა და ესრეთ ცხოველი[1] კიდობანით აღმოვიყუანეთ და ლუსკუმასა შინა მარმარილოსა გიორგის თანა მაშენებლისა დავკრძალეთ, ჭეშმარიტად ვითარცა მეორედ მშენებელი და შემამკობელი ეკკლესიათა, თთუესა მაისსა 24-სა, დღესასწაულსა წმიდისა სიმეონ საკჳრჳელ მოქმედისასა და აქაცა არს ხსენება წმიდათა ნაწილთა მისთა მიცვალებისა, ხოლო სრული სახსენებელი მისი, თთუესა ივნისსა 30-სა განეწესა დღესასწაულსა წმიდათა ათორმეტთა მოციქულთასა, ოდეს ცხრას წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლეს დღესასწაულისგან არა ეგებოდა, ღალაცა თუ მას დღესა მიიცვალა, რამეთუ ნეტარმან პეტრე და ძმამან მისმან იოანე ჭყონდიდელმან, ესრეთ განაწესეს და მათ თანა სხუათაცა მამათა, ვითარცა სახელ იოანე ოქრო პირისა, პირუჱლთა მათ მამათა; რამეთუ სეკდენბრის 14-სა მიიცვალა ჯუარის ამაღლებას, ვინაჲდგან მაშინ არა ჯერ არს, ნოემბრის 13-სა დააწესეს, ეგრეთვე ამას წმიდისათჳს ჴუჱს ზემო ხსენებულთა ამათ მამათა და ხატიცა დაწერად სახეს ყოვლად წმიდისა ღუთის მშობელისა და ამიერ და იმიერ ორნივე მამანი, წმიდა მამა ევთიმი მარჯუენით და მამა გიორგი ერთ კერძო და მეოხად და მევედრებელად ჩუჱნთჳს მდგომარენი წინაშე ღუთისმშობელისა და ესე წმიდა ხატი წარმოგზავნეს მთა წმიდას და დაასუჱნეს სამარხოსა ზედა წმიდისა მამისა ჩუჱნისა გიორგისა. ხოლო წმიდისა მამისა ჩუჱნის გიორგისა ხატი არა სიბერისა არს, არამედ ოდეს წიგნთა თარგმნიდა და იყო 50-სა წლისა და რამეთუ ესრეთ ჯერ იყო, რომელმან იგი ადიდა მადიდებელნი თჳსნი წმიდამან ღუთის მშობელმან განათლებად ნათესავისა ჩუჱნისა და ერთსა მას სიმართლე მიანიჭა და ენა კეთილად მეტყუჱლი ქართულად, ხოლო მეორესცა სიბრძნე და მეცნიერება, რამეთუ მათ ორთავე ადიდეს ძალისაებრ ყოვლად დიდე-

1) ცხოველი ანუ შეუშლელი სხეულით.

ბული იგი მიზეზი კეთილთა ჩუჱნთა, ერთმან შეამკუნა და განაშუჱნნა დღესასწაულნი მისნი საგალობელისა მისისა თარგმნითა, რამეთუ მის მიერ თარგმნულსა პარაკლიტონსა შინა, ასორმოცდაათი გალობა თარგმნა მისი ოდენ ყოვლად წმიდისა ღ̃თის მშობელისა და ესრეთ მადიდებელი მათი მსგავსად ძლისა ადიდეს და აწ ზეცას წინაშე მისსა მდგომარე არიან. ხოლო ქუჱყანასა ზედა წმიდასა ხატსა მისსა წინაშე მდგომარენი ევედრებიან ჩუჱნთჳს, რათა მეოხებითა მათითა ჩუჱნცა ვევედრნეთ წმიდასა ღ̃თის მშობელსა წარვლად ნეშტსა ამას დღეთა ჩუჱნთასა, მშჳდობით სწავლისაებრ წმიდათა მამათა ჩუჱნთასა მშჳდობით საუკუნეთა მათ სატანჯუჱლთაგან, ესრეთ სრულ იქმნა დიდება მისი ლარნაკსა შინა ღ̃თივ ბრწყინჳალედ და ყოვლად მშუჱნიერად.

გარნა რომელი იგი თჳსსა ადგილსა დაგჳშთა, სასწაული ეშმაკთა განასხამს, დალაცა თუ ერთი გჳხსენებს მწუხარისა მისთჳს, რომელი იგი შჳდგზის დააკუჱთა ეშმაკმან ჟამსავე ამის წმიდისა სიჭაბუკისასა, ადგილსა მას შინა უდაბნოსასა და ღამესა უკუნსა, არცა ამის ხსენება უჯერო არს; რამეთუ ვინ სადა ესრეთ სათნოება შეიყუარა, ანუ სიბოროტე მოიძულა, ვის ესრეთ სუროდა ღ̃თისა და შეყუარებულ იქმნა მისა მიერ ვის შეშურდა შური უფლისა ესრეთ და არა რაჲ აღირჩია სიყუარულისა მისისა ვიდრე სიკუდილადმდე, ვინ ესრეთ შეუდგა კუალსა მას წმიდათა ცხოვრებისასა და თანა მსრბოლ ექმნა მათ განუძღომელად, ვინ სადა შეიყუარნა ესრეთ გლახაკნი და უცხონი მსგავსად იოანე მოწყალისა.

ვინ მოაკუდინნა ესრეთ ასონი ქუჱყანისანი, სიტყჳსაებრ მოციქულისა და განწმიდა თავი თჳსი და ტაძარ ღ̃თისა ჰყო იგი, რომელი სიროთ თჳსითგან აღიზარდა დაღორძინდა წუჱრთასა შინა საღმრთოთა წერილთასა და მოირწყო მადლითა დაუწყუჱტელთა ნაკადულთათა და აჰა საუკუნოდ სავსებისა ქრისტესისა მიიწია სიტყჳსაებრ მოციქულისა, საქმე და ხედვა და სიყუარული, რომელთა ყოველთა მწყობრი სათნოებათა შეუდგეს, თჳთოეულად წარმართნა, წურთა წიგნთა საღმრთოთა, განწმედა სულისა და ხორცთა, ცრემლსი დაუწყუედელნი და ლოცუა დაუსრულებელი მარხუა და მღჳძარებაჲ უსაზღურო, ხმელსა ზედა წოლა და ხმელისა ამა ღუაწლი მრავალი ცხოვრებაჲ ქადრეს ძალსა სიტყუათასა; სიმდაბლე და სიმშჳდე ზესთა აღემატების, მოწყალეება და სახიერება ღ̃თისა მოწყალეებათა, რათა მოკლედ ვთქუა ყოველივე, რომლითა ცხოველად ღ̃თისა გამოისახჳს კაცი. ესე ვითარი იყო მამა ჩუჱნი წმიდა გიორგი და სადა არს ჩუჱნდა ჟამი თქმად უმრავლესისა, რომელი ყოველთა და ცხად არს დალაცათუ ჩუჱნ არა ვთქუათ და თანა წარვხდეთ განგრძობისათჳს წიგნთასა.

ესე არს ჩუჱნ გლახაკისა და უღირსისა თქმული სიტყუანი, რომელმან ყოველნივე ჭეშმარიტი მიგითხართ და აღვწერე სიტყჳსა თქუჱნისათჳს, რომელთა მაიძულეთ და მიბრძანეთ, სახედ პირუტყუთა უგუნურსა ამას და ფრიად სულელსა, რომელნი მრავლითა შრომითა შიშითა და ძრწოლითა, კადნიერ ვიქმენ ხელყოფად საქმესა ამას დიდსა და სულიერსა უწყებასა მითხრობად და წინა დადებად ცხოვრებასა და მოღუაწებასა ნეტარისა მამისა ჩუჱნისა გიორგისსა, რომელმან ესე ფრიადისაგან მცირედი ძლით შეუძლე აღწერად და წარმოვცა თქუჱნდა ჰოი! მამაო წმიდაო, მთასა მაგას საკჳრუჱლსა, რომელი ეგე ცხოვრებითა საკჳრუჱლითა იყოფები, ვითარცა სირი მხოლოსართულსა შინა მცირესა და ქუაბსა შინა იწროსა და ფიცხელსა; მსგავსად ტრედისა მის უმანკოისა და გურიტისა უბიწოისა.

არამედ აწ ვითარცა პირუჱლად ვთქუ სიკუდილსა მას ურჩებისასა ვეშიშოდე, ამისთჳს მორჩილებად მოვედ ბრძანებისა შენისა წმიდისა, თუ არა აღმწერელნი ცხოვრებისა და მოქალაქობისა

მისისა მისვე პირისა ჰჯერ იყო და არა მე გლახაკი ესე სიტყჳთაცა და გონებითა, გარნა ესე ყოველი ყოველსავე შინა სალხინობელი ჩემი რა თჳალით მხილველ და ხელით მსახურ ყოფილ ვიყავ და ყურით მსმენელ სიტყჳსათა წმიდისა პირისა მისისათა და არა სხჳსათა მოვქენე შეკრებისათჳს სულიერისა ამის თხრობისა.

ხოლო აწ მელნითა ოდენ ცხოველითა სიტყჳსანი იგი მომისხვან, ვითარცა ზემო ვთქჳთ პირჳელვე, ხოლო შენდა დამიტევებისა ჰოი! მოძღჳართა წინამძღჳარო, რათა შენ კეთილად შეამკო და განაცხადო ჩემ მიერ გამოსახული ესე და ნაკლულევანება ყოველივე, ვითარცა აღმასრულებელმან სულიერთა ფიცართამან, სრულ ჰყო და შენმანცა სიბრძნემან და კაცად კაცადმან, რაჲცა შეემთხჳოს, შესძინენ ნაკლულევანებასა ამას ზედა და განასრულენ, რამეთუ არცა მათ ორთა მწჳლილთა ქჳრივისათა დაჰყჳნეს მდიდართა იგი მისაცემელი და არცა რომელთა იგი ტყჳანი და შესხნი და ბალანნი მოართჳეს მოსეს განსრულებად კარვისა დააბრკოლეს ოქრო და ვერცხლი და თჳალთა პატიოსანთა შეწირვა, რამეთუ ოქრო აღმოღებული სიღრმეთაგან ქჳეყანისათა ბრწყინჳალე ბრძმედისა მიერ, გამოცდილი და განწმედილი კჳალად მშჳენიერ იქმნების და კოხლიოს სისხლი ღებას პორფირსა და მარგარიტსა იქმს ზამბიკი ზღჳსა, ესრეთ იქმნების ქჳა და აბრეშუმსა გამოიღებს მატლი ჳნდო და პინა ზღჳსა უცხო სახესა გამოიღებს, ესე მრავალ სასყიდლისა საფასენი ჳნდოთაგან ნივთთა გამოვლენ. ხოლო ჩჳენ შორის არა რათ პატიოსანთაგანი იპოვა, რათამცა სულიერი ესე კარავი შეემკო გარნა ხოლო ბალანნი თიკანთანი, მსგავსისა ამის გონებისაგან მოპარსული, არამედ მოწჳულმან და პორფირმან თქჳენმან განამშჳენეს იაკინთისა თანა და ბისონისა, ოქროშეთხზულმან და ზემო აღწერილთა ნივთთა მიერ პატივცემულმან, და განბრწყინჳალებულმან გულის ხმის ყოფისა გამოცხადებისა და ჭეშმარიტებისა მიერ განმშჳენებულმან, ვითარცა იტყჳს მოსე, რომელმან იგი ქმნა ვითარი შემზადა მღდელი მოძღჳრისა შესამოსელსა ზედა ბრძანებისაებრ ღმრთისა, რომელსა ჰშჳენის დიდება და სიმტკიცე თანა მხოლოდ შობილითა ძითურთ და ყოვლად წმიდით სულითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

განსრულდა ცხოვრება წმიდისა მამისა ჩჳენისა გიორგი ქართულისა (მთაწმიდელისა).

---

## ანდერძი წმიდისა მამისა ჩჳენისა გიორგი მთაწმიდელისა — დავითნისსა ზედა [1]).

---

«წმიდანო და ღმერთშემოსილნო მამანო და ძმანო, რომელნიცა წმიდათა ამათ დავითთა მიემთხჳევნეთ, ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ფრიადითა იძულებითა წმიდათა და სულიერთა მამათა ჩჳენთათა ვთარგმნე ესე დავითნი ახლად ბერძულისაგან ქართულად, მე გლახაკმან უღირსმან გიორგი ხუცესმან მონაზონმან, ფრიადითა ჭირითა და რუდუნებითა, თჳთ იცის ღმერთმან, მრა-

---

1) დავითნი ესე თვით ხელნაწერი წმიდისა აწ სინოდის ბიბლიოთეკაში იპოვების, რომელიც იქმნა მირთმეული სინოდს ნიკოლაოზ დავითის ძის ჩუბინოვის მიერ და რომლისაგან დაიბეჭდა მხედრული დავითნი 1824 წელსა.

ვალთა ბერძულთა დავითნის თარგმანისაგან შეგვიმოწმებია, ფრიადითა გამოწვლილვითა და რუდუნებითა.

აწ გევედრები ყოველთა, რომელნიცა მიემთხვევნენ წმიდათა ამათ დავითთა, რათა ჩუენთჳსცა ლოცვა ჰყოთ და ვინ ჰსწერდეთ ვითა აქა ჰპოვოთ, ეგრეთ შეუცვალებლად დასწერდეთ, ნუცა ჩაურთავთ, ნუცა დააკლებთ ჩუენ რომელი ჯერ იყო ჩაგვირთავს და რომელი ჯერ იყო დაგვიკლია ვითა ჩუენ ენასა მოვიდოდა და წესი საქმისა ეძიებდა, ნუცა დონ ანსა დააკლებთ, ნუცა რამეთუსა და ესე ეგების გონიერისაგან ცუდის ხმის ყოფად, რომელ იგი დონ ანი ჩუენცა ვიცოდით და თუმცა რას ავნებდა, გინა იგი რომელცა სიტყუა არა დავუტევობდით, არცა აღმოვხოცდით. ხოლო უკეთუ ვინმე ამათ ჩუენსა შრომით და რუდუნებით არა ჯერ იყოს და ყოვლითა ჭეშმარიტებითა სავსესა ნაშრომსა და აღწერილსა არა ჯერ იყოს, გინა თუ რიტორი იყოს, ანუ ფილოსოფოსი, მაშა ჩუენსა ნაშრომსა ზედა ნუ ჰბრძნობს ახლად თჳთ, ვითა გინდა ჰსთარგმნნეს სხუანი დავითნი, არას ვზრუნავ და თუ ქართულთა დავითთა დაიწერდეს ჯერი აქუს და კურთხევა, რომელმან კუალა დავითნი გინა ზაკჳთარე იძალოს, გინა ესე მრავლითა სისხლით თარგმნილი წინა დაიდვას გასარყვნელად და ზექვე ქცევად დაუწყოს სასჯელ მიეხადოს დღესა მას საშინელსა სასჯელისასა და ვინა ამ ჩუენთა დავითთა დასწერდეს და ესე ჩუენი დაწერილი ანდერძი არა დასწეროს ღმერთსა მან განსცეს პასუხი, უკეთუ მე გლახაკმან ესე ოდენი ჭირი ვნახე და ესე უსასყიდლო მარგარიტი არა დავიცონე აღწერად განმანათლებლად მკითხველთა და მსმენელთა, მას ამა ორთა სიტყუათა დაწერა რაჲ ზარ არს და წმიდასა მამასა ევთიმეს ნუ ვინ იმოწმებს, წმიდამან მამამან დავითნი ჰსთარგმნა და მწერალს ვისმე მისცა დაწერად და მან განრყვნა და უხმარ ჰყო და შიერითგან სხუა არღარა ჰსთარგმნა, არამედ ქართულნი დავითნნი თანა ესხნიან და სადაცა სიტყუა ეხმარებოდა მუნით იწამის და ამათის ჭეშმარიტების მოწამედ და სიმართლისა მყავს სრულიად საბერძნეთი და ყოველნი ბერძულნი დავითნნი».

---

# ანდერძი — სახარებასა ზედა 1)

---

«ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ წმიდა ესე ოთხთავი ახლათ გვითარგმნია ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთათა და ბერძულთა სახარებათა და შეგვიმოწმებია ფრიადითა გამოწვლილვითა და ვინცა ვინ დასწერდეთ, თუ ამისგან ჯერ გიჩნდეთ დაწერა ღმრთისათჳს სიტყუათა ნუ სცვალებთ, არამედ ვითარცა აქა ჰსწერია ეგრე დასწერეთ და თუ არა რაჲმე გშვენდეს ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირუჱლითგან წმიდად თარგმნილნი და კეთილად ხონმეტნიცა და საბა წმიდურნიცა მუნით დაწერეთ და ღმრთის თჳს ერთმან ერთსა ნუ გაჰკრევთ, ხოლო გლახაკისა გიორგის თჳს, რომელმან ვთარგმნე, ლოცვა ჰყავთ».

---

1) სახარებისა ესე ანდერძი თჳთ წმიდისა ხელნაწერის სახარებისაგან არს აღმოწერილი, რომელიც იპოვება გაენათს და რომელიც მშუენივრად იყო მოკაზმული თუალითა და მარგალიტითა და აწ გაუვლეფილი გრაფ ლევაშოვის მიერ 1869 წელსა, რომლისა ხსენება შეჩუენებულ არს ამიერ უკუნისამდე.



ზაზინი. М. САБИНИНЪ

ႼႫ. ႫႤႴႤ ႱႰႳႪႨႠႣ ႱႠႵႠႰႧႥႤႪႭჂႱႠ.
ႣႠႥႨႧ Ⴁ. ႠႶႫႠႸႤႬႤႡႤႪႨ.

# თთუესა იანვარსა კჱ დღესა, ცხოვრება წმ. დავით აღმაშენებელისა, მეფეთ მეფისა სრულიად საქართველოჲსა და აფხაზეთისა.

ოქრო ნილოსიდ, მრწყემლ-სიბრძნით ქართველთა
ღრმათ გამომეტყუჱ კაპანთ მინდორ-მყოფელი.
მესხთა მთიები, იმერთა მთოვარე
მზე გურიელთა, უდიშართა ცისკარი
სვანთა, აფხაზთა ლიფლიფი კახთ ნათელი

თქმული ნიკოლაოზ ცფილელის მიერ.

შემდგომ შემცირებისა საქართველოჲსა მოვიდა სულთანი მალიქ-შაჰ [1]) მოადგა სამშჳლდესა და წარიღო და იოანნე ძე ლიპარიტისი ტყუე ჰყო [2]) და მოაოხრა სომხითი და წარვიდა, ხოლო ამასვე წელსა მოვიდა სარანგი, ძალითა სულთანისათა, ჩამოვიდა სამშჳლდის ბარს და მივიდეს ლაშქარნი გიორგი მეფისანი და შეიბნეს ფარცხისს: ჰსძლეს სპათა გიორგისთა და იოტნეს სპარსნი და რამეთუ დიდი ძლევა მოსცა ღმერთმან გიორგის, წარვიდა მეფე გიორგი მამულსა თჳსსა ტაოს [3])

---

1) მალიქ-შაჰ სულთანი იყო მაჰმადიანთა, მან მიიღო მეფობაჲ მამისა თჳსისა არფ-ასლანისა 1072 წელსა, რომელიც დამხრჩვალ იყო თჳსის ნაზირვეზირებისაგან 1092 წ. ბაღდადს. შემდეგ ამისა მეფობაჲ მისი განიყვეს შჳლთა მისთა.

2) იოანნე ლიპარიტის, გუარით ორბელიანი, სამშჳლდის მმართებელი იყო. სამშჳლდის საზღუარი აწინდე-ლის ხრამის მდინარის ხეობა იყო. ამ საზღუარსა ეწოდა სამშჳლდეთ ციხისაგან, რომელიც აღშენებულ იყო მეფის ფარნაოზის მიერ უწ. ქ. შ. 237.

3) ტაო და კლარჯეთი საქართველოს დასავლეთის საზღუარნი იყვნენ, — ანუ აწინდელი აჭარა, ჭოროხის და ისპირის საშუალს შორის, რომელთა შინა ფრიად მრავალნი და მდიდარნი ქალაქნი აღშენებულ იყვნენ: ოლთისი, არტანუჯი და სხუანი. საზღუარნი ესე დასავლეთით ეხებოდნენ საბერძნეთსა და სამხრით სპარსეთსა.

და მოვიდა ბანას[1]), ხოლო მუნ მოვიდა წინაშე მათსა ზორვარი აღმოსავლისა, გრიგორი ბაკურიანის ძე, რომელსა ჰქონდეს ოლთისნი და კარნუ-ქალაქი და კარი და დიდად განიხარეს და განისუენეს და მოსცა გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქუეყანა და განიყარნეს: ხოლო მეფემან გიორგიმ დაუტევნა კარსა აზნაურნი შავშნი და წარმოვიდა შინა. ხოლო განძლიერებასა თურქთასა დაუტევნეს ბერძენთა ქუეყანანი მათნი, ციხენი და ქალაქნი, რომელ აღმოსავლეთს ჰქონდეს და წარვიდეს, რომელნიცა აიხვნეს თურქთა და დაემკჳდრნეს მას შინა და ვინათგან მეზობლობით მოეახლნეს საზღურართა ჩუენთა, განმრავლდა შიში და ჭირი მათი ჩუენ ზედა, რამეთუ მიერითგან იწყეს რბევად, ტყუენვად და მოოხრებად, წუად, სრვად და ტყუეობად ქრისტეანეთა.

რამეთუ მათ ჟამთა გიორგი მეფისა ყველს გარემდგომსა, დაესხნეს უგრძნეულოდ თურქნი დიდნი, რომელთა თავადი იყო აჰმად ამირა ძლიერი და მაგრად მოისარი, რომელსა მას ოდენ ჟამსა აღეღო კარი[2]) მოვიდეს ესენი შინა განცემითა ქრისტეანეთათა, აოტეს გიორგი მეფე და სპა მისი ურიცხვი. ხოლო საჭურჭლენი დიდნი, სამსახურებელნი სამეუფოთა ტაბლათანი, ოქროსა და ვეცხლისანი ბაგრატეულნი და სასმურნი, სამწდეონი პატიოსანნი, კარავნი სამეფოთა ყოველთა დიდებულთანი, აიხვნეს იავარად და წარვიდეს. ხოლო გიორგი მეფე წარვიდა მეოტი, აჭარით აფხაზეთად. მათ უკუე ლაშქართა ესე ვითარითა ალაფითა სავსეთა შიმავალთა წინა დაემთხვივნეს ამირანნი დიდნი, ისი ვინმე და პუჟღობ და მათ თანა სიმრავლე ურიცხვი თურქთა, საბერძნეთს შიმავალნი, რომელთა იხილეს რა ესე ოდენი სიმრავლე ოქროსა და სიმდიდრისა, რომელი აქუნდა და ცნეს მეოტობა გიორგისი და ესმაცა მათგან ვითარმედ «რად წარხვალთ საბერძნეთს, აჰა ქუეყანა საქართუელო, უკაცური და სავსე ესე ვითარითა სიმდიდრითა». და მათ მყის მოაქცივნეს გზანი მათნი და მოეფინნეს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, ვითარცა მკალნი და დღესა ივანობასა, ასის-ფორნი, კლარჯეთი ზღჳს პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგვეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი, აღივსო თურქითა. მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკჳდრი ყოველი. მასვე ერთსა დღესა დაწვეს ქუთათისი და არტანუჯი და უდაბნონი კლარჯეთისანი და დაჰყუეს ამათ ქუეყანათა შინა თურქთა ვიდრე მოსვლადმდე თოვლისა. მოჭამეს ქუეყანა და მოსწყჳდეს, თუ სადამე ვინ დარჩომილ იყო, ტყეთა, კლდეთა, ქუაბთა და კურელთა ქუეყანისათა. და ესე იყო პირუელი და დიდი თურქობა, რამეთუ ქორონიკონი იჯდა ტ. ხოლო თუ ვინმე მთიულეთს, ანუ სიმაგრეთა სადაღა ვინ დაშთა კაცი, ზამთრისა სიფიცხითა, უსახლობითა და შიმშილითა ეგრეცა მოისრა და განგრძელდა ესე ვითარი ჭირი ქრისტეანეთა ზედა, რამეთუ არესა თანა გაზაფხულისასა მოვიდიან თურქნი და მათვე პირუელთა საქმეთა იქმოდიან და ზამთრის წარვიდიან და არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა და მოოხრდა ქუეყანა და ტყუედ გარდაიცა, ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი დაემკჳდრნეს. მათ შინა იყო ჭირი მოუთმენელი ყოველთა ზედა მკჳდრთა ქართლისათა და შეუსწორებელი და აღმატებული ოდესმე ყოფილთა, სმენილნი და გარდარეულთა ოკრებათასა. ხოლო წმიდანი ეკლესიანი შექმნეს სახლად ჰუნეთა მათთა, ხოლო საკურთხეველნი ღმრთისანი ადგილად არა-წმიდებისა მათისა და მღუდელნი, რომელნიმე შეწირვასავე შინა საღმრთოსა მსხუერპ-

---

[1]) ბანა ანუ პანაკი ტაოსა შინა იყო, პანადგეტის მდინარესა ზედა, რომელიც ერთვის ჩოროხს მარჯვნივ მხრივ. ქალაქი ესე აღშენებულ იყო ადარნასე კურაპალატის მიერ.

[2]) კარი ქალაქი იყო.

ლისასა მუნვე მახჳლითა შეწირულ იქმნეს და სისხლნი მათნი აღრინეს მეუფისა თანა და რომელ-ნიმე მწარესა ტყუჱობასა მიცემულ იქმნეს; მოხუცებულნი არა შეწყალებულ იქმნეს, ხოლო ქალ-წულნი გინებულ, ჭაბუკნი დაკუეთებულ, ხოლო ჩჩჳლნი მიმოდატაცებულ, ცეცხლი უცხო და მბრძოლი, რომელითა მოიწვა შენებულნი ყოველნი. მდინარენი სისხლთანი, ნაცვლად წყლისა ნაკა-დულთა, მრწყემლნი ქრისტიანისანი და რათა თჳთ მათ იერემიასათა ვიტყოდე, რამეთუ ამან ოდენ კეთილად უწყოდა ჟამისა ამის ჯეროვანი გოდება, ვითარმედ: «ძენი სიონისანი, პატიოსანნი და ბოროტისა გამოუცდელნი, უცხოთა გზათა ტყუჱობისათა მოგზაურობენ, ხოლო გზანი სიონისანი იგლოვენ არა ყოფისათჳს მათ ზედა მედღესასწაულეთასა და ხელნი დედათა მოწყალეთანი არა საზრდელთა შჳლთა მიცემად მოქმედებენ, არამედ საზრდელ თჳსსა ჰყოფენ თჳთ თჳსთა მათ საყუა-რელთა». და ესენი ესრეთ ფრიადცა უძჳრეს.

ამათ-რაჲ საქმეთა ესრეთ-რაჲ ხედვიდა მეფე გიორგი და რამეთუ არა-სადათ იყო ღონე ხსნისა და შეწევნისა, არცა-რა დამხსნელი ამათ ძჳრთა, რომელი მოეცვა პირი ყოვლისა ქრისტიანისა, რამეთუ ძალი ბერძენთაცა შემცირებულ იყო და რომელნი ქრისტიანნი მათ აღმოსავლეთს ჰქონდეს ზღჳსა გარეთ ყოველი თურქთა დაეპყრა, ჰყო განზრახჳაჲ დიდებულთა თჳსთა თანა და დაამტკი-ცეს წარსვლა მაღალსა სულთანსა მალიქ-შაჰ წინაშე და ესრეთ დადვა სული თჳსი და სისხლნი ქრი-სტიანეთა ხსნისა-თჳს და მინდობითა ღმრთისათა და წარძღუანებითა ძელისა ცხორებისათა, წარ-ვიდა ასპასს, ნახა სულთანი და შეწყნარებულ იქმნა მის-გან ვითარცა შჳლი საყუარელი.

რამეთუ იყო კაცი მალიქ-შაჰ, ვითარცა სიდიდითა კიდეთა მპყრობელობისათა შეუსწორებელ, ეგრეთვე სახითა სიტკბოებისათა და სახიერებითა აღმატებული ყოველთა კაცთასა, რომლისანი მრა-ვალ არიან და სხუანიცა ურიცხუნი საცნაურებანი, მართლ-მსაჯულობანი, მოწყალებანი, ქრისტია-ნეთა სიყუარულნი და რათა არა განვაგრძოთ სიტყუა, ყოვლად უბოროტო-რამე გონება ყოვლით გერძო აქუნდა. ამის-თჳსცა ყოველი სათხოველი აღუსრულა მეფესა გიორგის, უმეტესცა სასოებისა და სამეფო მისი თავის-უფალ ჰყო ზედა მარბიელთაგან და მოსცა კახეთიცა და ჰერეთი, გარნა ხარაჯი ითხოვა სამეფოსა მისისა, რომელსა აიღებდეს ჟამთა მრავალთა და ესრეთ განდიდებითა მრავლითა დიდებითა, გამოგზავნა სამეფოდ თჳსად და წარმოაყოლნა სპანი დიდნი, რათა წარვლონ გზა მშჳდობისა და რათა აართვან კახეთი. და ჟამსა სთულისასა მოვიდეს კახეთს და მოადგეს ციხესა ვეჟინისასა [1]) ვიდრე ჰბრძოდესღა მოვიდა თოვლი. ხოლო მეფესა გიორგის მოეხსენა ნადი-რობა აჯამეთისა; არღა-რა ზრუნვიდეს სხუასა, არცა ელოდა აღებასა ვეჟანისა და კახეთისას, არამედ ლაშქართა თურქთა, რომელნი ჰყუჱს მისცა ნიჭად ხუჯეთი და ყოველი ქრისტიანა იორის პირისა, კუხეთი, რომელი მოოხრდა მუნ დღეინდელად დღედმდე. ხოლო თჳთ გარდავლო მთა ლიხთა და შთავიდა აფხაზეთად.

მათ ჟამთა კახთა მეფე აღსართან [2]) წარვიდა მალიქ-შაჰ წინაშე, დაუტევა ქრისტიანობა და

---

1) ციხე ვეჟინისა კახეთსა შინა იყო, ბაკურციხის მოახლო, კედრის და ძირკოკის შუა.

2) სხუა და სხუა ძუელთა მატიანეთა შორის მოიხსენებიან თჳთმმართებელნი კახეთისა, ჰერეთისა, კუხეთისა და კულმუხეთისა, რომელნი კორიკოზად იწოდებოდნენ (ბერძულიდგან უფალი, მფლობელი): 1) გრიგოლი, 787—827. ვაჩე, იოანე ქობულისძე 827—839. 3) სამუილ დონაური, 839—861. 4) გაბრიელ დონაური, 861—881. 5) ფადლონი I, 881 — 893. 6) კჳრიკე I, 893 — 913. 7) ფადლონი II, 918 — 929. 8) კჳრიკე II, 929 — 976. 9) დავით, 976 — 1010 შემდეგ ამისა კახეთს მეფობა დაიდგინა ვითარ ქართლს, პირუელი მეფე —

შექმნა სარკინოზთა ჰსჯულსა და ამით ღონითა აღიღო სულთნისაგან კახეთი. ამათ ესე ვითართა ჟამთა არავე დამშჳდნა ქუეყანაჲ, არცა რაჲ იქმნა ლხინებაჲ კაცთა, უკეთურებისათჳს მკჳდრთა მისთასა, რამეთუ ყოველმან ჰასაკმან და ყოველმან პატივმან, ყოვლითურთ შესცოდეს ღმერთსა, მიიქცეს გზათაგან წრფელთა ყოვლისა მიმართ უკეთურებისა. ბუნებით მოწყალე და სახიერი ღმერთი ესოდენ განარისხნეს ვიდრემდის თჳთ მოიხადეს განჩინება რისხვისა, ქადებული უსჯულოთათჳს, ესაიას მიმართ, მეტყუელისა ესრეთ: «ვაჲ ნათესავსა ცოდვილსა, ერი რომელი სავსე არს უსჯულოებითა, კუალითგან ფერხთათ ვიდრე თავადმდე, არა არს მას შინა სიცოცხლე არცა ბრძჳლი, არცა შესახვევი». და შემდგომნი «ამისთჳს ქუეყანა თქუენი ოხერ, ქალაქნი თქუენნი ცეცხლითა მომწუარ, სოფელთა თქუენთა უცხოთესლნი მოსჭამდენ, მოოხრებულ და დაქცეულ არს ერისაგან უცხო-ტომთასა». ესე ყოველი მოიწია და თუალითა ჩუენითა ვიხილეთ და ფრიად უფროს ამათ წარმოთქმულთასა, რამეთუ ვითარმცა ვინ წარმოთქუას თჳთოეულად, რა დღეთა ჩუენთა მოიწია ჭირი. ამას ყოველსა ზედა არავე დასცხრა გულის-წყრომა უფლისა ჩუენ-ზედა, რამეთუ არა შევინანეთ, არცა გულის-ხმა-ვჰყავით, არცა ჯეროვნად მოვიქეცით გზისა მიმართ უფლისა ბრძანებათასა. ამისთჳსცა ქუეყანისა შავალთა ბოროტთა ზედა სხუანიცა საშინელებანი ზეგარდამონი ღუთივ მოვლენილნი გუემანი, მოიწივნეს ქუეყანასა ზედა ჩუენსა, რათა არა თქუან მცოდველთა, ვითარმედ «ესე აღძრვანი წარმართთანი არა ცოდუათა ჩუენთათჳს იქმნნეს, არცა ღუთისა მიერ მოიწივნესო, არამედ შეცუალებითა-რამე ჟამთათა და დამთხუევითა აღძრვისა საქმეთათა». ამისთჳსცა დღესა აღვსებასა, თჳთ მას აღდგომასა მეუფისასა, რომელსა შინა სიხარული და განსუენება საგონებელ იყო, მოხედნა რისხჳთ უფალმან ქუეყანასა და შეძრა ქუეყანა საფუძუელითურთ, ესოდენ სასტიკად, ვიდრემდის მთანი მაღალნი და კლდენი სასტიკნი მყარნი სახედ მტვერისა დაიგალნეს, ქალაქნი და სოფელნი დაირღჳეს, ეკკლესიანი დაეცნეს, სახლნი დაინთქეს და დაზელეს და იქმნეს საფლავ მას შინა მკჳდრთა, რომელთა თანა თმოგჳცა დაიქცა და დაიპყრა ქუეშე კახაბერი; ძე ნიანიასი, ცოლითურთ. და განგრძელდა ესე-ვითარი-იგი რყევა ქუეყნისა საშინელი განსრულებადმდი, ვიდრე წელიწდამდის, რომელსა შინა მოსწყდა სიმრავლე ურიცხვი. მაშინ რისხუასა შინა მოიხსენა წყალობა მან, რომელი «სწავლის ყოველსა შჳლსა, რომელი უყუარს, მოაკუდინებს და აცხოვნებს», რომელი მზა არს უფროს მამისა მოწყალისა წყალობად, რამეთუ წერილისაებრ, «არა თუმცა უფალმან დამიტევა ჩუენ თესლი, ვითარცა სოდომცა შევიქმნენით და გომორელთა მივემსგავსენით». რამეთუ ამიერითგან იწყეს ნივთა ცხოვრებისათა მობერვად და ღრუბელთა მაცხოვრებისათა აღმოჭჳრვებად; ვინათგან ათ ორმეტ წელ ამათ თჳთო-სახეთა ჭირთა განგრძობითა, ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა უდიდესმან, საქმითა სახელ-მდგომ-მან დავით, ღუთისა მამისამან და თჳთ სამეოცდამეათურამეტემან შჳლმან ამის დავითისამან.

დავით მას ჟამსა, რომელი იყო ჰასაკითა ათექუსმეტის წლისა, ხოლო ქორონიკონი ტთ. ამას მარტოდ შობილსა გიორგისგან, თჳთ მამამან დაადგა გჳრგჳნი მეფობისა უჭეშმარიტესი.

კჳრიკე III დიდი, 1010—1029. 2) გაგი, 1029—1058. 3) აღსართან I, 1058—1084. 4) კჳრიკე IV, 1084—1102. 4) აღსართან II, 1102—1105. შემდეგ ამისა კახეთის სამეფო წმ. დავით აღმაშენებელმან თჳს სამეფოსა თანა შეაერთნა და იყო შეერთებულ—363 წელი 1105—1468, კახთა მეფისა დავით I—მდე † 1471 წ. დავითითგან ვიდრე არაკლი II, 1762—1798 წ. კახეთი ცალკე სამეფო იყო.

ითქუნ თჳთ. «მამამან ზეცათამან ჰპოვა დავით, მონა თჳსი და საცხებელი მისი წმიდა სცხო». და რამეთუ ხელი მისი წმიდა შეეწია და მკლავმან მისმან განაძლიერა იგი წყალობა და ჭეშმარიტება შემოსა და უაღრეს ჰყო უფროს ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა, ვიდრემდის დასდვა ზღუათა ზედა ხელი მისი და მდინარეთა ზედა მარჯუენე მისი. გარნა შრომითა ფრიადითა და ღუაწლითა ძლიერითა და მრავალთა დღეთა შემდგომადცა იქმნა ესე, ვითარცა წინამდებარემან სიტყუამან ცხად ჰყოს. რამეთუ მეფე იქმნა-რა დავით, მოოხრებულ იყო ქართლი და თჳნიერ ციხეთასა სადამე, არა-სადა იყო სოფელსა შინა კაცი, არცა რა შენებულება. მათ ჟამთა შინა ჰქონდეს თრიალეთი და კლდე-კარნი და მიმდგომი ქუეყანა მათი ლიპარიტსა და მეფეს დავითს წინაშე იყჳს რეცა ერთ-გულად. ეგრეთვე ნიანია კახაბერის ძეცა და სხუანიცა აზნაურნი მცირედ შემოკრიბნა, დაშთომილნი სადამე და სოფლებთაცა დაიწყეს შთამოსლვად და დასხდომად.

და იყო მაშინ საზღუარი სამეფოსა მთა მცირე ლიხთა და სადგომი სამეფო წაღულისთავი და ოდესცა ნადირობა უნდის ქართლისა ჭალაკთა, ანუ ნაჭარმაგევს, რომელი ყოვლადვე აღსავსე იყო ირემთა და ეშუთა მიერ, არა პირუელ შთავიდიან, ვიდრემდის ცხენ-კეთილთა მხედართა მიერ მონახიან და მაშინღა ჩამოვიდიან ნადირობად.

ხოლო ამას ვითარებასა შინა გარდახდა წელიწადი ოთხი. მოკუდა სულთანი მელიქ-შაჰ და ლიპარიტ ამირამან იწყო მათვე მამულ-პაპურთა კუალთა სლვა, რამეთუ ზაკჳდა წინაშე მისსა მოპოვნებად უსჯულოებისა, დალაცათუ ქრისტეანე იყო სახითა, გარნა ორგულებითა და სიძულილი პატრონთა გუარისაგან მოაქუნდა გონებითა და ვინათგან გულისხმის-ყოფა არა ინება კეთილისა და ყოველსა გზასა არა კეთილსა. ამას რა ესე ვითარსა ხედვიდა მეფე დავით, ინება გაწურთა მისი; ამისთჳსცა პყრობილ ჰყო იგი ჟამ რაოდენმე, რომელი კმა იყო განსასწავლელად გონიერისა ვისსამე და ესრეთ მამტკიცებული მრავალთა და მტკიცეთა ფიცთა მიერ და ერთობისათჳს ღუთისა შუამდგომელად მომცემი, განუტევა იგი და მითვე დიდებითა ამყოფა და არა შეუცუალა, რამეთუ კეთილმან არა თუ მართალსა, არამედ არცა თუ ბოროტსა ადვილად აბრალის, ვინათგან სიბოროტედ არა განსწავლულ არს, არცა მეჭუელ იყო. ხოლო იგი, ვითარცა ძაღლი, მიექცა ნათხევარსა და ვითარცა ღორი ინწუბა[1]) სანგორელსა მწვირისასა, განაცხადა მტერობა და უკეთურებასა იწვრთიდა საწოლსა ზედა თჳსსა. იხილა რა მშჳდმან და ღუთივ განბრძნობილმან მეფემან დავით, რამეთუ კუდი ძაღლისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს, მეორესა წელსა კუალად შეიპყრა, ორ წელ პყრობილ ჰყო და საბერძნეთს გაგზავნა, მუნ განეკვა ცხოვრებასა.

ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალიმი და ანტიოქია[2]) შეწევნითა ღმრთისათა მოეშენა ქუეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლა სპანი და არცა რა მისცა სულთანს ხარაჯა და თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს, რამეთუ მოაქამომდე ზამთრისა მოწევნასა ფალანგებითა მათითა ჩამოდგიან ჰავჭალას და დიღომს, ჩალმართ მტკურისა და იორის პირთა, რამეთუ მათი იყო სადგომი. კახეთს მეფობდა კჳრიკე, კაცი მეფობისავე თანა მეფე ქმნული ვნებათა ზედა და ჭეშმარიტი ქრისტეანე. მოსცა ჟამი ღმერთმან მეფესა დავითს, წარუღო კჳრიკეს ციხე ზედა-ზადენი და იყო ქორონიკონი ტკა. წარემატებოდა და გამარჯუებულებითა, რომელთა

1) წუმპე უწმინდური ალაგი, ღორის საგორავი.

2) 1101 წელსა.

თანა ესეცა იქმნა, მოკუდა რატი, ძე ლიპარიტისი, კაცი ორგული და ნამძლვე ნაშობი იქედნესი. და ესრეთ დასრულდა სახლი ბაღვაშთა, სახლი განმამწარებელთა, რამეთუ სუა უკანასკნელი თხლე რისხჳსა, სასუმელი ცოდჳლთა ქრისტიანისათა და არღარავინ დარჩა საყოფელთა მათთა მკჳდრი, რამეთუ აღიხსენა უსჯულოებაჲ მამათა მათთა წინაშე უფლისა და მამული მათი აღიღო მეფემან.

შემდგომად წელიწდისა ერთისა მიიცვალა კჳრიკე მეფე და დასვეს კახთა მეფედ ძმისწული კჳრიკესი აღსართან და რომელსა არა რა ჰქონდეს ნიშანი მეფობისა, არამედ იყო ცუნდრუკი რამე, უსჯულო, უმეცრად უსამართლო და ყოვლად წინა-უკმო მამის ძმისა მისისა.

მას ჟამსა განიცადა მეფემან გონებისა თუალითა და კეთილად გულისხმა-ჰყო საქმე, რომლითა მოიმადლებოდა ღმერთი და სარგებელი დიდი იქმნებოდა. გარდაიცვალა კათალიკოზი გაბრიელ საფარელი და დაჯდა კათალიკოზად იოანე, რამეთუ წმიდანი ეკკლესიანი, სახლნი ღმრთისანი ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს და უღირსთა და უწესოთა, მამულობითა უფროს ვიდრე ღირსებით, დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსონი, არა კართა მწყემსაებრ შესრულნი, არამედ ავაზაკებრ ერდოთ შესრულნი. და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინნეს, რომელნი ნაცვლად ჰსჯულთა ღმრთის პყრობისა, უსჯულოებასა წურთიდეს მათ ქრისტეანეთა ყოველთა და თჳთ სახელითა უფლისათა და მღდელთაგან გამოვიდოდა ყოველი უსჯულოება და ცოდვა, რომლითა თუალი ღმრთის მხედველი ყოველთა, ესოდენ რისხვად აღძრულ იყო, ვითარცა ზემორე სიტყუამან გამოაცხადა. და რამეთუ არა სწორ არს ცოდვა მღდელისა და მხედრისა, არცა ერისა და მღდელთ-მთავრისა, არცა მწყემსისა და სამწყსოსა, ვითარცა წერილ არს. «მონამან რომელმან იცოდის ნება უფლისა თჳსისა და არა განემზადოს, იგუემოს დიდად». ამათ უკუე ესე-ვითართა დიდთა წყლულებათა კურნებად შემოკრბა კრება, ერი მრავალი. რამეთუ სამეფოსა თჳსისა კათალიკოზნი, მღდელ-მთავარნი, მეუდაბნოენი, მოძღუარნი და მეცნიერნი, შემოკრიბნა წინაშე მათსა, ჟამსა და ადგილსა ჯეროვანსა და მრავალ დღე გამოწვლილვითა და ფრიადითა შრომითა კეთილად გამოიძიეს და ყოველი ცთომილი განმართეს და კეთილ წესიერება ყოვლითურთ დაამტკიცეს. უღირსად გამოჩინებულნი გარდამოსთხივნეს საყდართაგან და შეაჩუენნეს, დაღათუ არა ადვილ იყო ესე, რამეთუ იყვნეს კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შჳლნი, რამეთუ რომელთაცა უწესოდ დაიპყრნეს საყდრები და მათ-წილ ჭეშმარიტნი მწყემსნი და სათნონი ღმრთისანი დაადგინნეს და ძეგლი მშუენიერი ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა აღწერეს, მიმდგომი და მოწამე წმიდათა ათორმეტთა კრებათა. და ესრეთ ყოველნი ნიჭითა სამეუფოთა განჰზავნნეს თჳთოეული სახიდ თჳსად. და ესეცა მიმსგავსებულად დიდისა კონსტანტინესსა აღასრულა მეფემან დავით, რომლისა სანაცვლად იხილეთ თუ რაჲ განაგო ღმერთმან, გულთა-მეცნიერმან, უძლეველმან მცველმან ისრაილისამან. რამეთუ ესე აღსართან, კახთა მეფედ ხსენებული, შეიპყრეს ჰერთა დიდებულთა, არიშიანმან და ბარამ და დედის ძმამან მათმან ქავთარ, ბარამის ძმამან და მოსცეს მეფესა და აიხუნა მეფემან ჰერეთი და კახეთი და ერწუხს ქმნა წყობანი დიდნი და ხმა-განსმენილი იგი და დიდი ძლევა, რომელ მცირედითა ლაშქრითა და განწირულითა ერითა დახოცნა სულთნისა-იგი სპანი ურიცხუნი, ათაბაგი განძისა და უმრავლესი კახთა და ქრისტიანისა ერი, მტერთავე თანა გარე-მოდგომილი ჩუენ-თანა, ესე ოდენ ადვილად და მოსწრაფედ ხელთ უსხნა ღმერთმან საკჳრველებათამან, რომელ ერთი ათასთა არა-თუ სდევდა, არამედ ხელითა იპყრობდა და ორთა არა-თუ წარექცივნეს ბევრნი, არამედ სანთლითა თჳთ მათვე ტყეთათ და მთიხრებლთათ, ტყუჳდ მოჰყუანდეს იგინი ყოველნი ქრისტეანენი.

ხოლო თჳთ მეფე არა-თუ ვითარცა სხჳსა ვინმე ზურგით უდგა ოდენ სპათა თჳსთა, ანუ შორით უზრახებდა, ვითარცა ერთი მრავალთაგანი ვინმე, არამედ უპირატეს ყოველთა თჳთ წინა უვიდოდა და ვითარცა ლომი შეუზახებდა ხმითა მაღლითა და ვითა გრიგალი[1]) მიდამო იქცეოდა, თჳთ გოლიათებრ მიმართებდა, თჳთ მკლავითა მტკიცითა და ხმობდა ახოვანთა. სრვიდა და დასცემდა წინა დამთხუეულთა ყოველთა, ვიდრემდის ფრიადისა ცემისაგან, არა-თუ ვითარცა ძუელსა დავითის ელიაზარის ხელი ხრმლისა ვადასა ოდენ დაეწება, არამედ ხრმლითა მისითა უკუმომდინარითა სისხლითა წელნი აღსავსედ ეტვირთნეს. რაჟამს შემდგომად ომისა, გარდახდის და სარტყლისა განხსნისა საცნაურ იქმნა, ქუეყანად-რა დაითხია ესე ოდენისა მტკნარისა სისხლისა შეყინებულის, რომელსა პირველ განხილვისა თჳთ მისგან ვჰგონებდით გამოსრულად და მას დღესა სამნი ცხენნი გამოუკლეს და მეოთხესაღა ზედა მჯდომმან სრულ ჰყო მის დღისა ომი და ესე მრავლისაგან ყოვლად მცირედი და წინა წარმოვსთქუთ.

ესრეთ რა თჳთ მპყრობელობით დაიპყრა ჰერეთი და კახეთი და ნებიერად აიხუნა ციხენი და სიმაგრენი მათნი, მზეებრ მიჰფინა წყალობა ყოველთა ზედა მკჳდრთა ქუეყანისასა, და ვინათგან ღმერთი ესრეთ განაგებდა საქმეთა დავითისთა და წარუმართებდა ყოველთა გზათა მისთა და მოსცემდა ჟამითი-ჟამად ძლევათა საკჳრუელებათა და უძლოდა ძალითი-ძალად, არცა იგი უდებებდა განმრავლებად საქმეთა კეთილთა და სათნოთა ღმრთისათა, არამედ სრულითა გულითა მსახურებდა და მათ იქმოდა, რომელნი ნებისა ღმრთისად დაამტკიცნის და სათნო ყოფილად მისდა აღუჩნდის, ვითარცა აწ ითქუას. რამეთუ მოიგონა აღშენება მონასტრისა და დაამტკიცა, რომელიცა გამოირჩია მადლმან საღმრთომან ადგილსა ყოვლად მშუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა, რომელსა შინა ვითარცა მეორე ცა გარდაართხა ტაძარი ყოვლად-წმიდისა და უფროსად კურთხეულისა ღმრთის-მშობელისა, რაბამ რამე აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნილობისა, რომელი ზესთა ჰმატს მშუენიერებასა ყოველთასა, სივრცითა და ნივთთა სიკეთითა, და სიმრავლითა და მოქმნულობისა შეუსწორებელობითა, რომელსა აწ თანა მოწამედ ჰქონან თუალნი ყოველთა ხორციელთა მხედველთანი და აღავსო სიწმიდეთა მიერ პატიოსანთა ნაწილთა წმიდათასა, წმიდათა ხატთა და სიწმიდისა სამსახურებელთა ყოვლად დიდებულთა და სხუათა ნივთთა ძჳრად საპოვნელთა. ამათ-თანა დასხნა მუნვე დიდთა და ხვასროვანთა მეფეთა ტახტნი და საყდარნი სასანთლები და საკიდელნი ფერად იავარად მოხმულნი და კუალად გჳრგჳნნი, მანიაკნი და ფიალანი და სასუმელნი, რომელნი მოუხვნა მეფეთა არაბეთისათა, რაჟამს თჳთ იგინიცა ტყუედ მოიყუანნა და მასვე ტაძარსა შინა შეწირნა ღმრთისა, სახსენოდ და სამადლობელად ძლევისამის საკჳრუელისა. და მუნვე შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა თჳსთა სამეფოთა ოდენ შინა პოვნულნი, არამედ ქუეყანისა კიდეთა, სადათცა ესმა ვიეთმე სიკეთე და სისრულე, სულიერითა და ხორციელითა სათნოვებითა აღსავსეობა. იძია და კუალად გამოიძია, მოიყუანნა და დაამკჳდრნა მას შინა მამული ლიპარიტეთი უმკჳდროდ დარჩომილი იყო სრულიად. სხუათა მრავალთა და ზამართლიანთა, უსარჩლელ-მიუხუეჭელთა სოფლებთა თანა მისცნა დედასა ღმრთისასა, სამსახურებელად მისსა წინაშე მდგომთათჳს და უზრუნველი ტრაპეზი განუჩინა, რომელიცა აწ წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავლისა მეორედ იერუსალიმად, სასწაულად ყოვლისა კეთილისა, მოძღურად

1) გრიგალი, ქარიშხალი.

სწავლულებისად, სახლად ათინად ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოთა შინა, წესად, კანონად ყოვლისა საეკლესიოჲსა მშუენიერებისად [1]).

და კუალად სხუა მოიგონა საქმე, შემსგავსებულად მოწყალისა და ტკბილისა ღუთისა, სახიერისა, კაცთ-მოყუარებისა მისისა, აღაშენა ქსენონი, ადგილსა შემსგავსებულსა და მშუენიერსა, რომელსა შინა შეკრიბნა ძმანი თჳთო-სახითა სენითა განცდილნი და მოუმზადა ყოველივე სახმარი მათი, უნაკლულოდ და უხუებით და განუჩინნა შესავალნი და საღუაწნი მათნი ყოვლადვე. ხოლო თჳთ მივიდის, მიიხილნის, მოიკითხნის და ამბორს უყუნის თჳთოეულსა, ჰფუფუნებდის მამებრ, სწყალობდის და ჰნატრიდის, განამხნეობდის მოთმინებისა მიმართ, მოხახის თჳსითა ხელითა ცხედრები, სამოსლები და საგებელი მათი, პინაკი და ყოველი სახმარი მათი, მისცის თჳთოეულსა ოქროჲ კმა-საყოფნი და განკრძალნის ზედა-მდგომელნი მათნი, განაგის ყოველი საქმე მათი დიდად მშუენიერად და ღუთის-მსახურებით.

ხოლო ვიდრე ამად ჟამადმდე ქალაქი ტფილისი, რუსთავი, სომხითი და ყოველი სამშჳლდე და აგარანი, თურქთა აქუნდეს. ხოლო თრიალეთნი და კლდე-კარნი ჰქონდეს თევდორეს, ჭყონ-დიდლის დის-წულსა, კაცსა გონიერსა და დიდად მყოფსა, რამეთუ მეფე რა გარდავიდის აფხაზეთად, უმცროორე ეშინოდის თურქთა და მათთა ციხოვანთა. მას ჟამსა მეფე გარდავიდა იმერით და შეკრბეს გიორგის ჭყონდიდელსა მწიგნობართ უხუცესსა წინაშე, თევდორე აბულეთი და იოანე ორბელი და სიმარჯუთ მოიპარეს სამშჳლდე. მაშინ იქმნა დიდი სიხარული, რამეთუ დღითი-დღე შეემატებოდა საზღუართა სამეფოთა. ცნეს-რა თურქთა აღება სამშჳლდისა, უმრავლესნი ციხენი სომხითისანი დაუტევნეს და ღამე ივლტოდეს და ჩუენთანა მოითვალნეს იგინი, რამეთუ ვიდრე მოაქამომდე სთველთა ჩამოიარიან თურქთა სომხითი, ყოვლითა ფალანგებითა მათითა, ჩამოდგიან გაჩიანთა და პირსა მტკუარისასა ტფილისითგან ვიდრე ბარდავამდე და იორის პირთა და ყოველთა ამათ მშუენიერთა ადგილთა საზამთროთა, რომელთა შინა ზამთრის, ვითარცა არესა გაზაფხულისასა, უთიბების თივა და აქუს შეშა და წყალი უხუებით და მუნ არს სიმრავლე ნადირთა თჳთო-ფერი და საშუებელი ყოველი. ამათ ადგილთა შინა დადგიან ხარგაებითა ცხენისა, ცხუარისა, ჯორისა და აქლემებისა მათისა არა იყო რიცხჳ და აქუნდათ ცხოვრება სანატრელი; ნადირობდიან, განისუენებდიან და იხარებდიან და არა იყო ნაკლულევანება მათთანა, თჳსთა ქალაქთა ვაჭრობდიან, ხოლო ჩუენთა ნაპირთა არბევდიან ტყჳთა სავსეთა, გაზაფხულისა თანა იწყიან აღმართ სლვად, მთათა სომხითისათა და არარათისათა, ეგრეთვე ზაფხულისცა ჰქონდისთ შუება და განსუენება, თივათა და ველთა მშუენიერთა, წყაროთა და ადგილთა მწუანვილოვანთა და ესოდენ დიდ იყო ძალი მათი და სიმრავლე, რომელი ჰსთქუამცა, თუ «ყოველი თურქობა, ყოვლისა ქუეყანისა, აქა არსო». და არავისგან მოსაგონელ იყო ოდესცა მათი გასხმა ანუ ვნება, არცა-თუ თჳთ სულტნისაგან [2]) ოდეს სამშჳლდე და ძერნა აღიღეს, ქორონიკონი იყო ტლ.

და მას წელსა მოვიდა ძალი სულტნისა და ყოველი თურქობა, კაცი ვითარ ორ ასი ათასი, უგრძნეულად სიმარჯუთა, ხოლო მეფე დგა ნაჭარმაგევს ტაძრეულითა. ჰსცნა-რა მოსლვა მათი

---

1) გაენათისათჳს იტყჳს, რომლისა მშუენიერება დაეცა აწ სასირცხჳლოდ ჩუენდა.

2) მას დროსა შინა სულტნად მალიქი იყო 1098—1118 წ. რომელიც იჯდა ადერბანდას და რომელს ეპყრა ასურასტანი, სომხითი სრულიად სპარსეთი და სხუანი.

მიმწუხრითურთ თრიალეთს ღამე ყოველ წარვიდა მახლათა, კაცითა ათას ხუთ ასითა, რამეთუ ესოდენნი დახვდეს მას წინაშე. ცისკარს მოვიდეს თურქნი, იქმნა ბრძოლა ფიცხელი მას დღესა და შეწევნითა ღმრთისათა იძლია ბანაკი მათი და მიდრეკასა დღისასა მიდრკეს სივლტოლად, ესე-ოდენ ზარ-განხდილნი და მოსწრაფენი, ვიდრემდის არცა-თუ კარავთა მათთა და ჭურჭელთა მიხედნეს ყოვლად, არამედ მოსწრაფებასა პატივ-ჰსცეს ფერხთა მათთა უფროს საქონლისა მათისა და ესრეთ განიბნივნენ თჳსთა ქუეყანათა. ხოლო ესე-ვითარსა საკჳრველსა სივლტოლასა მათსა თჳთ მეფე და სპანი მისნი ესოდენ ურწმუნო იქმნნეს, ვიდრემდის არავინ ჰსდევნა ყოვლად, რამეთუ ხვალისა ომი ეგონა, წარიღო გიორგი ჭყონდიდელმან რუსთავიცა [1]) მეფის მეხსნარს ყოფსასა, ქორონიკონი იყო ტლე, რომლისა-თჳსცა დიდად წყენა შეექმნა თურქთა და რიდობა საზამთროთა ადგილთა დგომისა, რამეთუ მოიმსტოვარნის მეფემან, რომელთა მოსვრა ეგებოდის, რამეთუ უგრძნეულად დაესხის და მოსწყჳდნის და ესე არა ერთ, გინა ორ, ანუ სამ, არამედ მრავალგზის, ვითარცა აწ ერთი ითქუას. რამეთუ ტაოს ჩამოდგეს დიდნი თურქნი ხარგებითა, ვინათგან ზამთრისა სიფიცხესა და მთათა სიმაგრესა მიენდვნეს, ხოლო მეფემან მოიხელოვნა ესრეთ, რამეთუ სპათა ქართლისათა მზაობა უბრძანა და თჳთ ქუთათისს გარდავიდა, რომლითა უეჭუელ ჰყუნა იგინი და თთუესა თებერვალსა აცნობა ქართველთა და შესხთა რათა კლარჯეთს დახვდენ პაემანსა [2]) და თჳთ შიდითა სპითა, ხუფთით ჭოროხის პირი წარვლო. შეკრბეს ერთად, უგრძნეულად დაესხნეს მათზედა უშიშად, გულდებითა მსხდომარეთა ბასიანამდე და მთად კარნიფორისა, რამეთუ ქორონიკონი იყო ტლზ. მოსრეს სიმრავლე მათი ურიცხვი და აღიღეს დედა-წული მათი, ცხენები, ცხოვარი, აქლემები და ყოველი საქონები მათი, რომლითა აღივსო ყოველი სამეფო მისი ყოვლითა კეთილითა. ამასვე წელსა, ასული თჳსი კატაჲ გაგზავნა საბერძნეთს, ძლად ბერძენთა მეფისა [3]), რამეთუ პირველ ამისსა პირ-მშო ასული თჳსი თამარი, გაგზავნა დედოფლად შარვანისა [4]), რამეთუ ვითარცა ორნი მნათობნი, ერთი აღმოსავლეთს, ერთი დასავლეთს, ცისკროვან ჰყოფდენ სფეროსა, მამისაგან მიმღებელნი მზეებრთა შარავანდედთანი [5]).

და მეორესა წელსა დაიპყრნა გრიგორის ძენი, ასამ და შოთა და აღიღო ციხე გიში და გაგზავნა ძე თჳსი დიმიტრი შარვანს, სპითა ძლიერითა ლაშქრად. ხოლო მან ქმნნა ომნი საკჳრველნი, რომლითა განაკჳრჳნა მხილველნი და მსმენელნი, გამოიღო ციხე ქალაძორი და ძლევაშემოსილი მოვიდა წინაშე მამისა თჳსისა, სავსე ალაფითა და ტყუეთა ურიცხჳთა.

ხოლო მეორესა წელსა ბზობად წარმოემართა მეფე ლაშქრით, წარსლვად რახსის პირსა და ზატიკი გარდაიხადა ნახიდურს [6]) მუნ მოართვეს ამბავი ბეშქენ ჯაყელისა ჯავახეთს თურქთაგან მო-

---

1) 1115 წელსა მტკუერის ხეობა სრულიად შეერთებულ იყო საქართველოსა თანა.

2) 1115 წ. განსავალსა. (უნდა უწყოდეთ, რამეთუ უწინარეს წელიწადი სეკტემბრიდამ იწყოდა და არა იანვრიდამ ვითარ აწ. აწინდელი რიცხვი კერპთ მსახურთა რიცხვი არის და უფროს მწვალებელთა).

3) კატაჲ ანუ ქეთევან მითხოვილ იქმნა ალექსი I კომნინს, ბერძენთა იმპერატორსა, რომელსა ბერძენთა უწოდეს სახელად ირინა.

4) თამარ მოთხოვილ იქმნა შარვანის მეფესა ზედა-ალსართან † 1161 წელსა.

5) ამ ჟამთა შინა მოვიდნენ მთარგმნელნი წიგნთანი: ეფრემ მცირე და თეოფილე და არსენ იყალთოელი და იოანნე ტბაიჭის ძე, ვითარ მოგვითხრობს ქართლ. ცხოვრება.

6) ნახიდური კციასა (აწინდელი ხრამი) ზედა ჰსდგა.

ქჳლისა და ამისთჳს უშლიდეს დიდებულნი მას ჟამსა წარსლვად და ყოვლად არა მოისმინა, არამედ დაესხა თურქთა, რახსის პირსა მდგომთა და მოსრა სიმრავლე მათი ურიცხვი, წარმოიღო ტყუე და ალაფი ურიცხვი. ამასვე წელსა აღიღო სომხითისა ციხე-ქალაქი ლორე და მასვე წელსა ივლისსა, აღიხ-ვნა აგარანი, მეორესა დღესა ცისკარსა, რამეთუ პირჳელცა ესევე ციხე აღო ბაგრატს, პაპასა მისსა, გარსა სამთთუე ბრძოლითა. ამასვე აგჳსტოსა მოკუდა სულთანი მალიქი, მალიქ-შას ძე და ალექსი კომნინოს, ბერძენთა მეფე და ვერა ჰსცნეს ერთმან მეორისა სიკუდილი, ქორონიკონი იყო ტლე.

ჰხედვიდა-რა მეფე დავით ესე-ოდენთა ზეგარდამოთა ღუთისა მიერ წყალობათა, შეწევნათა, ძლევათა და გამარჯუებათა თჳსთა და რომელთა ღმერთი მოსცემდა სამეფოთა ქუეყანათა, ქალაქთა და ციხეთა, რამეთუ არა იყო ესე-ოდენი სიმრავლე ლაშქართა სამეფოსა შინა მისსა, რათამცა ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომად და დამჭირველად და კუალად თჳს-თანა მყოფელად და მოლაშქრედმცა კმა იყუნეს დაუცხრომელად და სამარადისოსა მისსა მიმოსლვასა, ზამთარ და ზაფხულ განაღა სადამე ლაშქრობასა, ამისთჳს შემოიკრიბნა გონებაჲ, კეთილად და გონიერად, გამგონე, ვითარცა დავით, სულისა მიერ წმიდისა, აღიღო მაღლად თავი თჳსი და მიმოავლო თუალი გონებისა თჳსისა, განიცადა კეთილად და განიზრახა სამეფოთა ცნობითა, რომელი არა კმა იყუნეს მეფობისა მისისანი, თანა მიყოლად კრთომათა და წადიერებათა სულისა თჳსისათა. და მსგავსად ალექსანდრესსა ჰქმნა ამანცა, სულთ-ითქუსა რამეთუ ითქმის მისთჳს, ვითარმედ ფილოსოფოსმან ვინმე ჰრქუა მას, ვითარმედ «არიან-ო მრავალნი და ურიცხუნი სოფელნი, რომელთა არცა-თუ სახელი ასმიეს შენ». და მან სულთ-ითქუნა და თქუა: «უკეთუ დამიშთეს ესენი, რაჲ იყოს მპყრობელობა ჩემი». ამისთჳსცა ამან მეორე ალექსანდრე განიზრახა, სივრცითა გონებისათა, რამეთუ სხუებრ არა იყო ღონე. უწყოდა კეთილად ყივჩაყთა ნათესავისა სიმრავლე და სიმხნე წყობათა შინა, სისუბუქე მიმოსლვისა, სიფიცხე მიმართებისა, ადვილად დასამჭირველობა და ყოვლითურთ მომზავებლობა ნებისა თჳსისა და ამათ-თანა უადვილეს იყუნეს მახლობელობითაცა და უპოვარებითა და რამეთუ პირუელ მრავალთა წელთასა, მიერ მოიყუანა სანატრელი და ყოვლად განთქმული სიკეთითა გურანდუხტ დედოფალი, შჳლი ყივჩაყთა უმთავრესისა ათრაქა შარაღანის ძისა, ჰსჯულიერად მეუღლედ თჳსად და დედოფლად ყოვლისა საქართუელოსა. ამისთჳსცა წარავლინნა კაცნი სარწმუნონი და მოუწოდა ყივჩაყთა და სიმამრსა თჳსსა. ხოლო მათ სიხარულით მიითუალეს, გარნა ითხოვეს გზა მშჳდობისა ოვსთაგან. ამისთჳსცა აიყუანა მეფემან და ბრძანა წარსვლად ოვსეთს და სიტყუსავე თანა წარემართა და თანა წარიტანა გიორგი ჭყონდიდელი, მწიგნობართ-უხუცესი თჳსი, კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა, სულისა და ხორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახი, სვიანი, ფრთხილი, და თანა-აღზრდილი პატრონთა და თანა განკაფული ყოველთა გზათა და საქმეთა და ღუაწლთა მისთა. შევიდეს ოვსეთს და მოეგებნეს მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი და ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა. აიხუნეს მძევალნი ორთა-განვე, ოვსთა და ყივჩაყთა და ესრეთ ადვილად შეკრთნა ორნივე ნათესავნი და ჰყო შორის მათსა მშჳდობა და სიყუარული, ვითარცა ძმათა. აიხუნა ციხენი დარიელისა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიისა მთისათანი და შექმნა გზა მშჳდობისა ყივჩაყთათჳს და გამოიყუანა სიმრავლე ფრიად დიდი, სიმამრი და ცოლის ძმანი თჳსნი. და არცა ცუდად დაშვრა არცა უსაქმოდ მათი გამოყუანება, არამედ მათითა ხელითა მოსრა სრულიად სპარსეთისა ძალნი და დასცა შიში და ზარი ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა და მათითა თანა-ყოლითა ქმნნა საქმენი დაურწმუნებელნი, ვითარცა ითქუას წაღმართ. ხოლო მაშინ ოვსეთს ყოფასა მიიცუალა გიორგი ჭყონდიდელი და თავადგა

სიყრმითგანთა პატრონი მსახურებათათჳს ჭ პატივითა დიდითა წარმოგზავნა მონასტერსა ახალსა [1]) და მუნ დაემარხა, რომელი იგლოვა ყოველმან სამეფომან და თჳთ მეფემან, ვითარცა მამა შემოსითა შავისათა, ორმეოც დღე, ვიდრემდის იშჳა ვახტანგ, რომლისა ხარებითა დახსნა გლოვა. ხოლო ყივჩაყნი დააყენა ადგილთა მათთა მარჯუთა, დედა-წულითა მათითა, რომელთა თანა იყო წყობად განმავალნი რჩეულნი ორმოცი ათასი. ესენი განასრულნა ცხენებითა და საჭურველებითა და გუა-ლად მონანი, რომელ ჰყუჳს რჩეულნი და განსწავლულნი ღუაწლსა, ვითარ ხუთი ათასი კაცი, ყოველნი ქრისტეანე ქმნილნი, მისანდონი და გამოცდილნი სიმხნითა და თჳთ ყივჩაყნიცა უმრავლესნი ქრისტეანე იქმნებოდეს დღითი-დღე და სიმრავლე ურიცხჳ შეეძინებოდა ქრისტესა. ესენი რა ესრეთ შემოიკრიბნა და დასწყუნა გუარად და დაუდგინნა სპასალარნი და მმართებელნი და ეგრეთვე თჳსისა სამეფოსა სპანი რჩეულნი და მოკაზმულნი, ცხენ-კეთილნი და პირ-შეუქცეველნი და საშუალ მათსა, თჳთ იგი უმსგავსო სპასპეტი და წინამბრძოლი, მიმსგავსებული ძუელისა ქაიხოსროსათჳს მოთხრობილთა, წინა უძღოდა და იწყო რბევად სპარსეთისა, შარვანისა და სომხითისა დიდისა, რამეთუ არა დაშურებოდა, არცა მოეწყინებოდა, არამედ ჟამიერად და წესიერად ალაშქრებდა მათ, ჰმართებდა და განაგებდა, მსგავსად მისსა, დიდ-გონებითა და ყოვლამცა წინააღმდგომი იყო მისი, ანუ მიმმართი ომისა მის წინაშე.

რამეთუ დაღათუ წერილმან ფრთოვანსა ვეფხსა მიამსგავსა მაკედონელი-იგი, სიფიცხითა მიმმართულობისათჳს და მსწრაფლ მიმოვლისა ქუეყანათა შინა და ჭრელად მრავალ-ფეროვნობისათჳს ქცევათა და განზრახვათა მისთასა, არამედ ჩუენი ესე გჳრგჳნოსანი და ახალი ალექსანდრე, დაღათუ იყო ჟამითა შემდგომად, არამედ არა საქმითაცა, არცა განზრახვითა, არცა სიმხნით უმცირეს. და თჳთ მათ საქმეთა შინა, რომელთა მძლედ ითქმის ალექსანდრე, არა უმდაბლეს, არამედ მრავლითა უმაღლეს მგონიეს ესე და რაოდენ საწუთროთა და ხორციელთა შინა იგი მისთა სწორთა და მისგან მის ჟამისათა ყოველთა უმაღლეს და უზესთაეს იყო, ეგე-ოდენ ესე საღმრთოთა და ქრისტეს მცნებათა შინა, ხორციელთავე თანა მისთა პირუტყუთა ყოველთა ჰმატა. რამეთუ არა ჰსცა ძილი თუალთა, არცა ჰრული წამთა, არცა განსუენება ხორცთა თჳსთა, არა მიდრკა ცემოვნებათა მიმართ, არცა ნებასა ხორცთასა, არა საჭმელ-სასმელთა, არცა სიმღერა-სიცილოდათა და რაჲთურთ არა-რა შემკრველთა ხორცთა და გონებისათა, გარნა საღმრთოთა და სასულიეროთა ყოველთა დასრულებად და უდებებად მზიდველთა ნებისათა და განიცადეთღა ოთხთა ამათ წელთა ქმნილნი მისნი, რომელთა მრავალგზის მცირედი მეგულების თქმად:

რამეთუ აქუნდეს ჩუეულებად ესე მეფესა, რამეთუ განგებულებითა გარდავიდის აფხაზეთად, და ჩამოიტყუვის თურქმანნი საზამთროთა ადგილთა, პირთა მტკურისათა, რამეთუ მათნიცა მსტოვარნი ზედა ადგიან მეფესა და იკულევდიან გზათა მისთა. გარდავიდა მეფე ბეგუთს და მიერ ხუფთას და ამით გულპყრობილ ჰყუნა იგინი, ქოროსივონი იყო ტმ. ხოლო მათ ჰსცნეს-რა სიშორე მისი, ჩამოდგეს ბოტორას, დიდნი ფრიად და დაიზამთრეს და არა ჰრულოდა მეფესა, არამედ გარდამოიფრინა ფებერვალსა თოთხმეტსა და უცნაურად დაესხა მათ-ზედა და ძლით-ვინმე შეესწრა ცხენზედა და გარდაიხვეწნეს, აღიღეს ტყუე და ალაფი ურიცხვი; მოვიდეს ღანუხს და მასვე შჯდეულსა, პირ-მარხუასა დღესა, აღიღო შარვანისა ქალაქი ყაბალა და აღავსო სამეფო თჳსი ოქროთა და ვეცხლითა და ყოვლითა სიმდიდრითა და წარმოვიდა ქართლს და მუნ შეიკრიბა სპა და ჩავიდა შარ-

---

1) გაენათს,

ვანს, მაისსა მჳდსა, არაბიასლიყათათ ქურდევანამდე და შიშტლანთამდე და სავსენი ალაფითა მოვიდეს ქართლს.

მათვე დღეთა შეიბნეს შარვანელი და დარუბანდელი, მოკლეს აფრიდონ და მოსწყჳდნეს შარვანელნი. თთუჱსა ნოემბერსა, წარვიდა მეფე აშორნას და დაესხნეს თურქმანთა, მოსრნა და იავარ ჰყუნა, წარმოიღო ურიცხჳ, ჩამოვლო მგზავრად და დაესხა სევგელამეჯს თურქმანთავე და არა დაუტევა მოტირალი კარავთა მათთა, ესე ერთისა წლისად.

მასვე ზამთარსა ჩავიდა აფხაზეთს, ბიჭჳნტამდე და განაგნა საქმენი მანდაურნი: ღირსნი წყალობისანი შეიწყალნა, შემცოდენი დაიპყრნა და სწვართნა, რამეთუ იყო ზამთარი ძნელი და თოვლი ფრიადი, ესე არა ცნეს თურქთა, ვითარმედ შორს არს მეფე, გულდებით ჩამოდგეს პირსა მტკუ̂რისასა, გარნა ლომსა არა ჰრცხვენოდა, არცა დამხრწველთაგანი და იმჭირვიდა, არცა ჰრულოდა ომისათჳს; წარმოვიდა მსწრაფლ აფხაზეთით, თოვლთა საშინელთა, გარდაათხრევინა მთა ლიხისა, სადა გარდასავალსა თოვლისასა აქუნდა სიმაღლე მხარი სამი. დახვდა მზად სპა მისი, პირუელ ჰამბავისა ქართლისა ცნობადმდე, დაესხა სულთანს და აღავსო ლაშქარმან მთით მტკუ̂რადმდე და გაგთათ ბერდუჯამდე და მოსრეს პირითა მახჳლისათა და რომელ არა დაუშთათ მთხრობი ჰამბავისა. ქორონიკონი იყო ტმა, თთუჱ იყო მარტი [1]).

ხოლო ვითარცა მოიწია გაზაფხული, გადიდდა მტკუ̂არი ფრიად, რომელ ნავინები მისი ვერღარა იტევდა, ამისითა მინდობითა ჩადგენ თურქმანნი ბარდავს, გულდებით. მაშინ მონახნა მეფემან იგინიცა და ალონს მტკუ̂არსა გაუცურდა ყივჩაყითა და უჰაზრავსამას წყალსა და მოსრნა თურქნი, არაბიც, ბარდავი და დაჰყო ორი დღე და ნებიერად მოვიდა შინა, სავსე ალაფითა. თთუჱ იყო ივნისი.

ამათ ესოდენთა ჭირთაგან შეიწრებულნი თურქმანნი და გჳალად ვაჭარნი, განძელ, ტფილელ და დმანისელნი, წარვიდეს სულტანსა წინაშე [2]) და ყოველსა სპარსეთსა. შეიღებნეს შავად, რომელთამე ხელები და რომელნიმე სრულიად და ესრეთ მიუთხრნეს ყოველნი ჭირნი მოწევნულნი მათზედა, რომელთა აღძრნეს წყალობად თჳსად და იქმნა გლოვა ფრიადი შორის მათსა. მაშინ სულტანმან მოუწოდა არაბეთისა მეფესა დურბეზს, სადაყის ძესა და მისცა ძე თჳსი მალიქი და ყოველი ძალი მისი და აჩინა სპასალარად ელღაზი, ძე არდუხისი, კაცნი დაჰმანი და მრავალ-ღონე და უბრძანა თურქმანობასა სადაცა ვინ იყო, დამასკოთ და ჰალაბითგან აღმოსავლეთ, ყოველსა მხედრობად შემძლებელსა; ამათ-თანა ათაბაგსა განძისასა, მისითა ძალითა და ყოველთა სომხითისათა ამირათა. ქორონიკონი იყო ტმა [3]).

შეკრბნეს ესე ყოველნი, შეითქუნეს, შეიმტკიცნეს, სიმრავლითა ვითარცა ქჳშა ზღჳსა, რომელთა აღივსო ქუეყანა და აგჳსტოსა აორვამეტსა მოვიდა თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა, რომელ თჳთ ფერხთა ზედა ვერა ეტეოდეს ამათ ადგილთა. ხოლო მეფემან დავით, უშიშმან და ყოვლად უძრავმან გულითა და თუ ვითარ წინა განაწყო სპა მისი და თუ ვითარ ყოველი საქმე მშუჱნიერად და ღონიერად ჰყო, რაზამ რამე წყნარად, უშფოთველად და გამოცდილებითა და ყოვლად ბრძნად განაგო და თუ ვითარ თჳსნი სპანი დაიცვნა უვნებელად, ამათ ყოველთა თჳს ვგონებ,

---

1) 1121 წელსა.

2) რომელი მათ დღეთა შინა ჰსცხოვრებდა ბაღდადს.

3) 1121 წელსა 18 აგჳსტოსა შეერთებულნი მხედარნი მტერთა დაეცნენ საქართუჱლოსა.

რომელ ყოველთა ბრძენთა სოფლისათა ვერ შემძლებელ არს მითხრობად ზედ-მიწევნით ყოველსავე.

რამეთუ პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და ივლტოდა, რამეთუ ხელი მაღლისა შეეწეოდა და ძალი ზეგარდამო ჰფარვიდა მას და წმიდა მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინა-უძღოდა მას და მკლავითა თჳსითა მოსრვიდა ზედა მოწყუნულთა უსჯულოთა მათ წარმართთა, რომელ თჳთ-იგი უსჯულონი და უმეცარნი მოღმართ აღიარებდეს და მოგჳთხრობდეს სასწაულსა ამას მთავარ-მოწამისა გიორგისსა. და ვითარითა ღონითა მოსრნა სახელოვანნი იგი მბრძოლნი არაბეთისანი და ანუ მეოტთა ვითარ სიმარჯჳთა და განკრძალულად ჰსდევნა და მოსრნა, რომლითა აღივსნეს ველნი, მთანი და ღელენი მძორებითა. ხოლო საპანი ჩუენნი და უფროსად ყოველი სამეფო, აღივსო ოქროთა და ვეცხლითა, არაბულითა ცხენებითა, აჴურელითა ჯორებითა, კარვებითა სრა-ფარდაგებითა, სხუა უცხოთა ჭურჭლებითა საბრძოლველთა თჳთოსახეთა, ქოსთა და ფილაკავანთათა, სასმურთა, ტურფათა და სანადიმოთათა, საბანელთა და სამზარეულოთათა, რაოდენმან ქარტამან და მელანმან დაიტიოს აღწერად და რამეთუ გლეხთა იხილემცა, ოდეს არანთა მეფენი მოჰყჳანდეს ტყუედ და სხუათა გოლიათთათჳს რადღა-რამცა გჳნდოდა თქმად [1]).

ხოლო ამათ რა თხრობად მოვიწიე, ვაებისა ღირსად შევრაცხენ დიდნი იგი სახელოვანნი გამომეტყუელნი ვიტყჳ უკუე უმიროზს, არისტოტელის ელლინთა, ხოლო იოსიპოს ებრაელსა რომელთაგანმან ერთმან ტროადელთა აქილეველიამან შეამკუნა თხრობანი, თუ ვითარ აღამემნონ და პარეამო ანუ აქილეველი და ჰეკტორ, მერმეცა ოდისეოს და ფირესტე, ეკუეთნეს და ვინ ვინ მძლე ექმნა და მეორემან ალექსანდრესნი წარმოთქუნა მძლეობანი და სიმხნენი და ძლევა შემოსილებანი. ხოლო მესამემან ვესპასიანე ტიტოს მიერნი მეტომეთა თჳსთა ზარნი, ჭირნი, მისცნა აღწერასა; და ვინათგან ამათ ნივთნი საქმეთანი არა ჰქონდეს კმად მისათხრობელად, ამისთჳსცა მის ხელოვნებისა რიტორებისათა განავრცელეს, ვითარცა იტყჳს თჳთ სადამე ალექსანდრიელი. «არა დიდ იყავ აქილეველი, არამედ დიდთა მიემთხჳა მაქებელსა უმიროზს, რამეთუ ოც და რვა წელ განგრძობასა ტროადელთა ბრძოლისასა, ვერა-რა ღირსი ქებისა იქმნა. ხოლო მეფისა დავითისი ესე-ოდენთა მიმართ წინა-განწყობა სამ ჟამამდი იყო და ვერცა პირველსა ომსა შეუძლეს წინა-დადგომად. ჰქონებოდემცა ამათ ბრძენთა თხრობათა ნივთად საქმენი დავითისნი და მათმცა აღწერნეს ჯეროვნად მათისაებრ რიტორებისა მსგავსად და მაშინღამცა ღირს ქმნილ იყუნეს ჯეროვანსა ქებას და ესენი ესე-ოდენ.

ხოლო მეორესა წელსა აღიღო მეფემან ქალაქი ტფილისი [2]) პირველსავე ომსა, ოთხ ას წელ ქონებული სპარსთა და დაუმკჳდრა შჳლთა თჳსთა საჭურჭლედ და სახლად თჳსად საუკუნოდ. ქორონიკონი იყო ტმბ.

და მეორესა წელსა მოვიდა სულთანი შარვანს შეიპყრა შარვაშა, აიღო შამახია და მოუგზავნა მოციქული მეფესა წინაშე და მოუწერა წიგნი და მორჭქჳა, ვითარმედ შენ ტყეთა მეფე ხარ და

---

1) ამ ომის მოთხრობასა გარდა ჩუენთა და სხუათა მატიანეთა მოგჳთხრობს და ემოწმების არაბული მეისტორიე იბნ ალათირიცა.

2) ესე იგი 1122 წელსა, ამ წლამდე სპარსთა ეპყრათ იგი.

ვერა-ოდეს გამოხვალ ველთა, ხოლო მე ესერა შარვაშა შევიპყარ ხელთა და ხარაჯასა ვსთხოვ. შენ თუ გენებოს, ძღუენი ჯეროვანი გამოგზავნე და თუნდა სამალავითათ გამოვედ და მნახე. ხოლო ესმარა ესე მეფესა, მსწრაფლ ხმა ყუო ყოველთა სპათა მისთა და ბრძანებისავე მისსა თანა მოვიდეს წინაშე მისსა ყოველნი სამეფოსა მისისანი და წარემართა სულთანსა ზედა და ყივჩაყნი ოდენ ათვალულ იქმნნეს მაშინ და იყო შემბმელი ორმოც და ათი ათასი. და ეუწყარა სულთანსა ზედა-მისლვა და ძალი და სიმრავლე სპათა მისთა და განჭკრთა, აიყარა ველთათ სადა დგა და მსწრაფლ შევიდა ქალაქად და გარემოიზღუდა ერთ-კერძო სხრტითა და ხანდაკებითა და სხჳთ-კერძო ზღუდეთა შამახიისათა. ხოლო ცნარა ესე მეფემან, არღარა ჯერ-უჩნდა ზედა-მისლვა მლტოლვარისა, არამედ დავარდა მიწასა ზედა და მადლობა შესწირა ღმრთისა სახიერისა და კაცთ-მოყუარისა და ადგილობასა დადგა.

მაშინ სულთანმან მრავალთა მიერ ვედრებათა და ძღუენთა და მუდარითთა შეთვლილობათა, ვითარცა მონამან ჭირვეულმან, არღა ძღუენი ასე ომნი ითხოვნა, არამედ გზა სამლტოლვარო, ფრიად-რამე სიმდაბლით და არა სულთანურად, შეიწყნარებულმან შიშშილითა და წუწურვილითა მრავალ დღე. მასვე დღესა სულთნისა წინაშე მიმავალი ათაბაგი ჭრასისა აღსუნდული ძალითა მრავლითა, მოსრნეს მონათა მეფისათა, ვითარ ოთხი ათასი კაცი და იგი ოდენ მარტო მეოტი, ძლით მივიდა სულთნისა წინაშე. იხილა-რა ესე სულთანმან, მასვე ღამესა განიპარა და ხახდუნით მეოტი, სხჳთ გზით წარვიდა სოფლად თჳსად და ესრეთ ძლევა-შემოსილი და მმადლობელი ღმრთისა შემოიქცა მეფე.

და მცირედთა დღეთა განისუენა ამთესს და მეორესა თთუესა იგნისსა კუალად წარვიდა შარვანს, აღიღო გულისტანი, სახლი თავადი შარვანისა, სიცხეთა მათ საშინელთა, მოირთო შარვანი და აღავსნა კეთილითა ყოველნი მორჩილნი ბრძანებათა მისთანი, წარმოვიდა ქართლად. ხოლო სთუელთა გარდავიდა გეგუთს, ისადირა, განისუენა, განაგო მანდაური ყოველი და მარტსა გარდავიდა ქართლად და აღიღო ქალაქი დმანისი. და აპრილსა დაესხნეს შაბურანს დარუბანდელსა[1] და მოსწყჳდნეს ქურდნი, ლეკნი და ყივჩაყნი დარუბანდელისანი და აღიხვნეს ციხენი ღასანნი და ხოზარონდი და მიმდგომი მათი ქუეყანა. და მეის აღისრბოლა, ვითარცა არწივმან და მაისსა აღიხვნა ციხენი სომხითისანი: გაგნი, ტერონაკალი, ქავაზინნი, ნორიბედი, მანასგომნი და ტალინჯაქარი. და იგნისსა წარემართა ლაშქრითა განვლო ჯავახეთი, კოლა, კარნიფოლა, ბასიანნი სპერამდინ და

1) აქამომდე გაენათის მონასტერსა შინა სამხრეთის მხარეს, სადაცა უწინ შემოსავალი ეზოსკარი იყო და დიდი კარის ბჭე, აწ ამოშენებული, სადაცა ასაფლავიან მეფენი: დიმიტრი, გიორგი, თამარ დიდი და სხუანი და სადაცა იყო სასაფლავო წმ. დავით აღმაშენებელისა, კედელსა ზედა მიყუდებულ არს მეორე ნახევარი რკინის კარი, რომელიც ვითარ მოგვითხრობს ისტორია დარუბანდის ციხისკარი ყოფილა, პირველი ნახევარი იმ კარებისა ვითარ მოგვითხრობენ, ლურსმნათ იხმარუათ ეკკლესიის რკინით დახურვის დროსა; დარჩენილ კარებსა ზედა აქამომდე ჰსჩანს არაბული წარწერაა, რომელიც მოგვთხრობს, ვითარ კარნი ესე აღშენებულნი იყვნნენ სახელსა ზედა ღმრთისა კეთილისა და ყოვლად მოწყალისა განთქმულ ამირ, შავირისა მიერ ძისა ელ-ფაზლისისა 454, მაჰმადიანთ წლოვან რიცხულობისას, ესე იგი 1063 წელს. ზოგნი მოგვითხრობენ ვითარმედ კარნი ესე ანის სომეხთა ძველათ ქალაქისა არისო, სადაცა მფლობელობდა შავირა. საწუხრად არს ვითარ საისტორიო ესე შესანიშნავი საშინელს უყურადღებასა არს მიცემული და ეგრეთვე საფლავნი დიდთა და განთქმულთა მეფეთა, რომელთა საფლავის ქვათა ზედა მცირე სამწირველო უდგათ აქამომდე. ჯერ არს მიხედვა მათ ზედა და პატივათ დაცუა მათი, ვითარ სიწმიდე ერთი რამე. უდებობა და ზარმაცობა ფრიად მიღებულ არს აწ საქართველოთა მუჴლთა მიერ. განიღვძენით ქართველნო ჯერ არს, განა თუ ისე დაგათვროთ საყუარელნო, ზარმაცობამ და უცოდინარობამ—რომ განუღვძელად გძინამთ ვითარცა ლომსა, ქუაბსა შინა თჳსსა.

რაცა ჰპოვა თურქმანნი მოსრა და ტყუჱ ჰყო. ჩამოვლო ბუიათა-ყური და დაწვნა ოლთისნი და მოვიდა თრიალეთს, დიდითა გამარჯუებითა და მცირედნი დღენი მუნ გამოხდეს და განიყარა ლაშქარი თჳს თჳსად.

და აგვისტოსა ოცსა მოვიდეს მწიგნობარნი ანელთა თავადთანი და მოახსენეს მოცემა ქალაქისა და ციხეთა, ბოყანას წყაროთა ზედა მდგომსა და მსწრაფლ წიგნებს წერდვისა წარსცა ყოველთა და მესამესა დღესა სამოცი ათასი მხედარი წინაშე უდგა. წარემართა და ვითარცა მიიწია, მესამესა დღესა, აღიღო ქალაქი ანისი და ციხენი მისნი უჭირველად და სოფელნი და ქუეყანანი ანისისანი და წარმოიყუანა ბულასვარ, რვათა ძეთა მისთა თანა და მხევალთა და სძალთა და ჩაგზავნა აფხაზეთს და ანისისა მცველად დაუტევნა აზნაურნი მესხნი და წარმოვიდა ქართლად და მცირედთა დღეთა მოუსვენა სპათა თჳსთა და მერმე წარემართა შარვანს და აღიღო ქალაქი შამახია და ციხე ბიგრიტი, სრულიად ყოველი შარვანი და დაუტევნა ციხეთა და ქალაქთა შინა ლაშქარნი დიდნი ჰერნი და კახნი და გამგებელად და ზედა-მხედველად ყოველთა საქმეთა მანდატურთა აჴინა მწიგნობართ-უხუცესი თჳსი სჳმონ, ჭყონდიდელი მთავარ-ეპისკოპოსი; მაშინ ბედიელ-ალავერდელი, მიმსგავსებული გიორგი, დედის ძმისა თჳსისა, კაცი ყოვლითურთ სრული და ბრძენი: და განაგო მეფემან ყოველი საქმე შარვანისა, აღავსნა კეთილითა საბოძვრითა ქურდნი, ლეკნი და თარახნი, მოვიდა ქართლად და ყივჩაყთა თჳსთა უჩინა საზამთროდ სადგური და საზრდელი, კაცნი ზედა-მდგომნი მათნი და განაგო ყოველი საქმე ქართლისა, სომხითისა და ანისა და ეგულვებოდა გაზაფხულ ქმნა დიდთა საქმეთა და უფროსთა ლაშქრობათა, ვინათგან არავინ წინა-აღუდგა მას და რამეთუ თჳთ სულთანი მუნ სადა იყო ძრწოდა შიშისაგან მისისა და არცა თჳთ ძნელად ქონებულთა ქალაქთა და ქუეყანათა, გონებდა თჳსად ქონებად, არამედ რაოდენცა შორს იყო, ეგრეცა ეოცნებოდა მძინარესა შიში და მღჳძარესა სიკუდილი. ამისთჳსცა ზედას-ზედა წარმოავლენდის მოციქულთა ძღუნითა, დამშჳდებად პირსა მისსა და რამეთუ წარმოსცნის საჭურჭლენი მძიმენი, ტურფანი, მრავალ-ფერნი, მფრინველნი და ნადირნი უცხონი და ძჳრად საპოვნელნი და ეძიებნ მშჳდობასა და სიყუარულსა და ყივჩაყთაგან არა რბევასა. ამისთჳსცა არა-რას მიხედვიდის წარსაგებელთა სიმრავლესა, ოდენმცა მუნ თჳთ სადა იყჳს იპოვის მშჳდობა და სიცოცხლე თავისა თჳსისა და გჳგონებ ვითარმედ მამათა და პაპათაგან წარღებულნი ქუეყანანი, ტყუჱნი და სიმდიდრენი, მრავალ წილად უკმოიზღნა ამან მხნემან და დაამშჳდნა ქუეყანა. აღივსო და გარდაეცა ყოვლითა კეთილითა, განავსო და აღაშენა ყოველი ოხერ ქმნილი და გარდაემატა ყოველთა ჟამთა მშჳდობითა და სიმდიდრითა სამეფო ჩუენი, ნაცულად გარდასრულთა ოხრებათასა. ესე-ვითარნი უკუე არიან მეფობრივთა და მიმოსლვათა მისთა, წყობათა და ღუაწლთა, ძლევათა და წარმართებულებათა და პყრობათა და ახუმათა დიდთა-მათ და მრავალთა სამეფოთა და სამთავროთა მოთხრობანი და საქმენი, რომელნი მან ქმნნა და აღასრულნა, რომელნი ჩუენ მცირედითა და ყოვლად კნინითა სიტყჳთა წარმოგჳჩჳნიან, დიდთა-მათ და მითხრობად შეუძლებელთა საქმეთა მისთაგან და ბრჭალთაგან ლომსა და ფესვისა მცირისა ყოვლისა ქსოვილისა ვითარებასა, საცნაურ ყოფად ვშეცადინობთ, ვითარცა აჩრდილისაგან კაცსა, რომელნი ესე შეუძლებელ არიან ყოფად.

ხოლო ხორციელთა საქმეთა ესრეთ მოქმედისაგან უკეთუ ვიეთმე ჰგონონ, ვითარმედ რაოდ-ღამცა მოეცალა საღმრთოთა და სულიერთა სათნოებათა მიერ მიხედვადცა და მოგონებად, არა-თუ ქმნად, ვინათგან ფრიადცა კმა არიან ესენი ერთისა ხორცთა შინა მყოფისა კაცისა ქმნადცა და წარმართებად და ფუ სადათ ჰპოვა სამეფო თჳსი სიმდაბლეედ შთასრული და თუ სადა სიმაღლედ

ადიღუესა და თუ სადა დასხნა საზღუარნი და ძლეულნი ვითა მძლედ გამოაჩინნა. ამათნი მგონებელნი, ნუ უკუე არა იზრახუნეს, არამედ ეუწყენ მათ ვითარმედ, უკეთუ ამათ პირთათჳს ვინმე გამოიძიოს და ზედა-მიწევნით ვინ ცნობა ინებოს, კნინღა და ესე ხორციელნი საქმენი წარმოთქმული ფრიად უნდო და არა-რად პოვნეს, ვითარცა ნამდჳლვე მცირედი და სასაწუთონი დადგრომადთა-მათ-თანა მტკიცეთა და საუკუნოდ ღმერთ-მყოფელთა მისთა საქმეთა, რომელთა-იგი უმეტეს ამათსა მათ მოქმედებდა და უსასწრაფოეს აქუნდა, რომელთაგანნი მცირედნი მრავლისაგან, ვითარცა სასმელი ერთი მტკურისაგან ჩუენცა მივსცეთ თხრობასა; იტყჳს სოლომონ. «დასაბამად სიბრძნისა, შიში უფლისა». მოიგო სიყრმითგან თჳსით დავით და ჭასაკსა მისსა თანა აღაორძინა და ჟამსა თჳსსა ესე-ვითარნი ნაყოფნი გამოიხუნა, რომლითა ორკერძოვე ცხოვრება თჳსი განაშუენა, რომლითა შეამკუნა საქმენი თჳსნი, რომლითა განაგნა ხორციელნი და წარმართნა სულიერნი.

ხოლო ისმენდი თუ ვითარ გონიერად დედად სიბრძნისა რა ჰპოვა შიში უფლისა, შიშისად ღუთისად საღმრთონი წერილნი და ესენი მდიდრად შეიტკბნა, რაოდენნი ჰპოვნა გარდამოღებულად ენასა ქართუელთასა, სხუათა ენათაგან, ძუელნი და ახალნი, ვითარცა სხუამან პტოლომეოს, ამას-ზედა ოდენ სასოვან ქმნილმან და ესე-ოდენ შეიყუარნა და შეითჳსნა, რომელ ჰსთქუამცა თუ მათ შინა ცხოველი არს და მათ შინა იძრვის. იგინი იყუნეს მისსა საზრდელ, ყოველთა ჟამოვან და სასმელ ტკბილ და საწადელ იგინი შუებად, განცხრომა საწუთოელ და სარგებელ, დღე და ღამე მიმოსლვათა შინა. მიმდეთა ლაშქრობათა, მოუწყენელთა შრომათა განუსუენებელთა წიგნები ეტჳრთა, სიმრავლესა ჯორთა და აქლემებთასა და სადა გარდაჰჴდის ჰყუნესა პირუელ ყოვლისა წიგნნი მოაქუნდიან ჴელითა და არა დაასცალდის კითხუა ვიდრე არა დაშურის; ხოლო შემდგომად სერობისა, ნაცუალად ძილისა ანუ სხჳსა რაჲსამე საქმისა, კუალად კითხუა წიგნთა და რაჟამს თუალნი დაშურიან, სმენილნი ანაცუალის სადა არა გარეწარად, არამედ ფრიადცა ფრთხილად ისმენნ წინაშე თჳსსა მკითხუელისასა გამოეძიებნ, ჰკითხავნ და უფროსღა თჳთ განმარტებნ ძალსა სიღრმესა მათსა და უსაკჳრუელეს არს ესე, უწყით ყოველთა თუ სასწრაფო არს ყოველთა და საქმე ნადირობისა და თუ ვითარ დაიმონებს შედგომილსა თჳსსა და წარტყუენილ ჰყოფს და ნადირობასა შინა არა-რასა სხუასა გარნა განხილვასა და დევნასა ნადირისასა და თუ ვითარ ჴელთ-იგდოს მიმხედველ ჰყოფს, გარნა მისი გულს-მოდგინება ამასცა ჰსძლევდა, რამეთუ თჳთ ნადირობასა შინა წიგნნი აქუნდიან ჴელთა და რაჟამს ჟამი იყჳს მისცნის ვისმე მსახურსა და ესრეთ დევნა უყჳს და ნუ უკუე ჰგონო ვითარმედ ჴელითა ცალიერითა მოიქცის, ანუ ცუდად დაშვრის. რამეთუ ვინ ჰგავს ხორციელი, ანუ ვინ იხილა ესოდენ განმარჯუებული ნადირობასა შინა, მოსამახოს ვინმე იტქმის ებრაელი, მოისრობისა და კეთილ მმართებლობისათჳს ალექსანდრეს სპათა შორის ჰსჯობდა და აქილევი კენტავროსგან განსწავლულად მოისრობისა, ელენთა შორის, ხოლო ბაჰრამ-ჯური სპარსთა შორის, მოქმედად უცხოთა და საკჳრუელთა, გარნა ჭეშმარიტად ვერცა ერთი ამათგანი შეესწორებოდა ამას, ვითარცა გჳხილავს.

და ვთქუა სხუაცა საქმე, საცნაურ მყოფელი წიგნთა სიყუარულისა, რომელსა შინა არა-რა იყო ტყუვილი, ვინათგან წარსწყმედს უფალი ყოველნი, რომელნი იტყჳან სიცრუესა. წინა-დაიდვა ოდესმე წიგნი სამოციქულო წარკითხუად და რაჟამს დაასრულის ნიშანი დასვის ბოლოსა წიგნისასა. ხოლო მოქცევასა წელიწდისასა მით ნიშნითა აღუთუალეთ ოცდა-ოთხ-ჯერ წარეკითხა. არიან უკუე სხუანიცა მრავალნი საცნაურებანი ამის პირისანი, გარნა მე ერთიღა შევსძინო სიტყუად სხუაჲ ამათთა. ქალაქი ტფილისი იყო, ოდეს ერთ-ჯერ არა სრულიად შემოუუანებულ იყო უფლისა ქუეშე მორჩი-

ლებისასა, ვითარცა აწ, არამედ სავსე იყო სისხლითა ქრისტეანეთა, ოდესვე ჭყჯან ღავლაგი და თჳნიერ მიზეზისაცა მოსრნიან რაოდენნი ჰპოვნიან ქრისტეანენი; ხოლო ოდესმე ქარავანსა თანა შემოყოლილთა თურქთა ზედა განსცნიან, შემომავალ გამომავალი ქრისტეანენი და ტყუეობად სიკუდილსა მისცნიან და ესრეთ ისურვოდა ქუეყანას მრავალჟამ, რომელი-ესე ეძჳნებოდა სულსა დავითისსა. შემოვიდა ოდესმე ქარავანი დიდი განძით და თანა შემოჰყუეს თურქნი დიდნი, ცნა მეფემან და გაგზავნნა მონათაგანნი ათ ხუთმეტნი კაცნი რჩეულნი, რათა ლოჭინით კერძო ნახირი მძოვარი ქალაქისა წარმოიტაცონ, სუ უკუე თურქნი-იგი გამოვიდენ დევნად და მოსწყჳდნეს ამით ღონითა; ხოლო თჳთ სამ ასითა ოდენ კაცითა დაიმალა ღელეთა აგჭალისათა და არა-ვის მიენდო მხედველსა სხუასა, არამედ თჳთ მარტო წარვიდა, ყოვლად უსაჭურველო, ხრმლითა ოდენ და თანა წარიტანა წიგნი ღუთის-მეტყუელი და ამცნო სპათა არა შეძრვად ყოვლადვე მისლვადმდე მისა მათა-თანა. ხოლო მონათა ჰყუეს ბრძანებული მათდა და წარმოიღეს ნახირი და მოეწივნეს თურქნი, ვითარ ასი კაცი და შემდგომად დიდისა ომისა ჩამოყარნეს მონანი და დაუხოცნეს ცხენნი, გარნა ქუეითნიცა იბრძოდეს ფიცხელად; ხოლო მეფე ცხენსა-რა გარდახდა, არა ჰგონებდა ჯერეთ მოსლვასა, შეექცა კითხვასა და ესოდენ წარიტყუენა მისგან გონებითა, რომელ სრულიად დაავიწყდა წინამდებარე საქმე, ვიდრემდის კმა რაჲმე კლვისა შემოისმა ყურთა. მყის დაუტევა წიგნი მუნვე და ამხედრებული მიჰყუა მას ხმასა და ვითარცა ზედა წარადგა მონათა თჳსთა, ესე-ვითარსა ღუაწლსა შინა მყოფთასა და რამეთუ აშორვიდა თჳსთა სპათა და უკეთუმცა მათდა ცნობად წარსრულ იყო მონათა დაუხოცდეს, მსწრაფლ შთაბრიალდა, ვითარცა არწივი და დააბნია, ვითარცა კაკაბნი და მსწრაფლ ესე-ოდენნი მოსწყჳდნა, რომელ მათნი ცხენნი კმა ეყუნეს მონათა-მათ და ამხედრებულთა ესე-ოდენნი მოსწყჳდნეს, რომელ მცირედნი შეესწრნეს ქალაქსა; ხოლო გზანი სავსენი იყუნეს მძორითა მათითა და ფრიადისა ცემისაგან ხრმალ-მანცა დალუღარჯნილმან ყვარ ჰყო ქარქაში თჳსი, მაშინღა მოვიდა სპათა თჳსთა თანა, რომელნი ფრიად აბრალებდეს მას. განიცადეთღა ჩემდად, რომელ ესე-ვითარცა საქმესა შინა და ესე-ოდენ უცალოსა წიგნივე აქუნდეს უსასწრაფოესად საქმედ და ესენი ესე-ოდენ.

ხოლო ვსთქუა ესეცა, ვითარმედ უკეთუმცა არა წერილთა მეცნიერებანი და გარდასრულთა საქმეთა შემეცნებანი, პირუელ მეფეთა ყოფილთა, კეთილ-ძლიერებულთა, ანუ ვერა-რას წარმართებულთა შემთხუეულნი წინა განსაკრძალებლად და სახედ არა შემოეხუნეს და არა მოეხმარნეს, ვითარცა იტყჳს სოლომონ, ვითარმედ «იცნის ქცეულებანი ჟამთანი, ახსნანი იგავთანი და გარდასრულთა შეამსგავსნის მომავალნი». არა-თუმცა ესენი ესრეთ, კუერთხი მეფობისა ესე-ოდენ დამდაბლებული, ძნელი და ნამდჳლ დიდ განსაგებელი, რომელ იპყრა ესრეთ მაღლად და ვითარ ვერავინ სხუამან, რამეთუ განბრძნდა უფროს გაბასაელისა და უფროს ეთამ ისრაიტელისა, წერილისაებრ და ვითარ ვინ აღრაცხნეს რაოდენნი საქმენი ეთხოვებიან მეფობასა, რაოდენნი მართებანი და განსაგებელი კიდეთა პყრობანი, ნაპირთა მჭირვანი, განხეთქილებათა კრძალვანი, სამეფოსა წყნარობისა ღონენი, ლაშქრობათა მეცადინობანი, მთავართა ზაკჳსა ცნობანი, მხედართა განწყსებანი, საეროთა შიშნი, სახელოთა და საბჭოთა ჰსჯანი, საჭურჭლეთა შემოსლვანი, მოციქულთა შემოსხუევანი და პასუხნი, მეძლუნეთა ჯეროვანნი მისაგებელნი, შემცოდეთა წყალობითნი წურთნანი, მსახურებელთა ნიჭ-მრავლობანი, მოჩივართა მართალნი გამოძიებანი, მოსაკითხავთა შესატყჳსნი მოკითხვანი, სპათა დაწყობანი და ღონიერნი მიმართებანი და რაოდენნი ვინ აღმოწყუნეს სიტყჳთა უფსკრულისაგან სამეფოთა საქმეთასა, რომელსა შინა ვერ-ვინ ძუელთა და ახალთა მეფე-

თაგანი ემსგავსა, ვითარცა საქმენი წამებენ მზისა შარავანდედთა უბრწყინვალესნი და ცხადნი, რომელნი სიბრძნითა თჳსითა ქმნნა. ხოლო სულთანი დასვა მოხარკედ თჳსად, ხოლო მეფე ბერძენთა, ვითარცა სახლეული თჳსი, დაჴცნა წარმართნი, მოსრნა ბარბაროზნი, მრწემად მოიყუანნა მეფენი, ხოლო მონად ჴელმწიფენი, მეოტად წარაქცივნა არაბნი, ივარად ისმაიტელნი, მტჳრად დასხნა სპარსნი, ხოლო გლეხად მთავარნი მათნი და რათა მოკლედ ვთქუა, პირველ ყოფილნი მეფენი, მსაჯულნი, გოლიათნი, გმირნი კაცნი-იგი საუკუნითგან სახელოვანნი, მხნენი და ძლიერნი და ყოველთა საქმეთა ზედა სახელოვანი, ყოველნივე ქუეით დასხნა, ვითარცა პირუტყუნი ყოველსა საქმესა შინა.

ხოლო კჳალად საღმრთოთა სათნოებათა და სულიერთა საქმეთა მისთა ვიეთი გონება მისწუთეს, ანუ მოგონებულსა ვისმან ენამან შეუძლოს თხრობად, რამეთუ ვითარცა ღმერთი ჴსჯიდა სამეფოთა თჳსთა, თჳალ-უხვამითა მით ბჭობითა თჳსითა და არა-სადათ მიდრკებოდა წამი მისისა სასწორისა, ვითარცა სოლომონისთჳს გჳწამს, საბჭოთა შინა და თჳთ მოსეს მიერსა გჳაუწყებენ ბჭობანი და თხრობანი. ხოლო თავი სათნოებათა სიწმიდე ესე-ოდენი მოიგო, ვითარცა დიდმან ანტონი, ნუ მეტყჳს მისთა სიჭაბუკისათა რათამე, რომელი არცა ღმერთმან მოიხსენნეს. უწყე ჭეშმარიტებით, რამეთუ ყოველთა ათისა წლისა ჟამთა სამარადისოდ [1]) წმიდითა პირითა და განწმედილითა გონებითა, უხრწნელთა ქრისტეს საიდუმლოთა, თანა მოწამებითა სჳნიდისითა და არა მხილებითა გონებისათა და რომლისა მოწამე არს სარწმუნო ცათა შინა.

კჳალად ლოცჳსა და მარხჳსათჳს რაღღა სახმარ არს თქუმად, რომელსა-იგი საქმარ ოდენ იყო და კჳალად მონასტერნი და საეპისკოპოსნი ეკკლესიანი წესსა და რიგსა ლოცჳსასა და ყოვლისა საეკკლესიოსა განგებისასა დარბაზის კარით მიიღებდიან: ვითარცა კანონსა მშჳენიერსა ყოვლად უცთომელსა და დაწყობილსა, კეთილ-წესიერებისა, ლოცჳსა და მარხჳსასა, რამეთუ საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი და გინება ღჳთისა განმარისხებელი და ყოველი უწესოება მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა და ურიცხჳსამან შინა სიმრავლესა ენათა ნათესავთა, ვითარცა ცათა შინა მყოფთა შორის. კჳალად წყალობა გლახაკთა ესე-ოდენი აქჳნდა, ვიდრემდის, აღავსო ზღჳა და ხმელი ქუეყნის საქმემან მისმან, რამეთუ ლავრანი და საკრებულონი და მონასტერნი, არა თჳსთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისანიცა, მთაწმიდისა და ბორღალეთისანი, მერმეცა ასურეთისა და კიპრისა და შავისა-მთისა პალესტინისანი აღავსნა კეთილითა. უფროსღა საფლავი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი და მყოფნი იერუსალიმისანი, თჳთო-ფერთა მიერ შესაწირავთა განამდიდრნა. კჳალად უმეტესღა ამათსა, რამეთუ მთასა სინასა, სადა იხილეს ღმერთი მოსე და ელია, აღაშენა მონასტერი და წარსცა ოქრო მრავალ ათასეული და მოსაგიდელნი ოქსიონნი და წიგნები საეკკლესიო სრულებით და სამსახურებელნი სიწმიდეთა ოქროჲსა რჩეულისა [2]) და კჳალად დღითი-დღე წარსაგებელთა, რომელთა თჳსითა ჴელითა მისცემდა ფარულად, ვინ აღრიცხოს, თჳნიერ მამისა ზეცათასა, რომელი მიაგებს ცხადად. რამეთუ იყო მისა კისაკი მცირე, აღავსის დრაჰკნითა რაჲ დღე სარწმუნოთა თჳსთა ჴელითა და სამწუხროდ ცალიერი მოაქუნდის იგი მხია-

1) მიიღებნ.

2) ისტორიით უწყით ვითარმედ აწინდელი დიდი საკრებო ეკკლესია სინასმთის წმ. ეკატერინას მონასტრისა, წმ. დავით აღმაშენებელს აღუშენის. სირცხჳლი ბერძენთა, რათა დაივიწყეს ქჳყნის მოქმედებანი ამ საუკუნოთ ხსენებულისა და წმ. მეფისა.

რულისა სულითა და პირითა და ოდესმე ნახევარი წარგის მისი და ოდესმე არავინ ეპოვნის და ეგრე სავსე მისცის დამარხჳად ხჳალისა და სულთქმით თქჳს. «დღეს ვერა მივეც ქრისტესა, მარცხებითა ჩემდა ცოდჳათა». და ამას არათუ ხელოსანთაგან მოშრომულისა იქმოდის, ანუ საჭურჭლით, არამედ ხელთა თჳსთა ნადირებულითა, რომელთაგანი თჳსსა მოძღუარსა იოანეს მისცა ოდესმე დრაჰკანი ვითარ ოც და ოთხი ათასი, რათა განუყოს გლახაკთა და ესეცა მცირედი მრავლისაგან თქუმად შეუძლებელი.

ხოლო განათავისუფლნა არა მონასტერნი ოდენ და ლავრანი მოსაკარგჳჱთა მაჭირვებელთაგან, არამედ ხუცესნიცა სამეფოსა შინა მისსა ყოვლისა ჭირისა და ბეგრისაგან, რათა თავისუფალთა საღმრთო მსახურება მიუპყრან ღმერთსა, ხოლო ამათ-თანა რაოდენნი ეკკლესიანი აღაშენნა[1]) რაოდენნი ხიდნი, მდინარეთა სასტიკთა, რაოდენნი გზანი, საწყინოდ სავალნი ქჳაფენილ ჰყუნა, რაოდენნი ეკკლესიანი, წარმართთაგან შეგინებულნი განწმიდნა სახლად ღჳთისა, რაოდენნი ნათესავნი წარმართთანი (შეჰქმნა) შჳლად წმიდისა კმბაზისად და შეაწყნარნა ქრისტესა და დადვა მისთჳს უმეტესი მოსწრაფება, რათამცა ყოველი სოფელი მოსტაცა ეშმაკსა და შეასაკუთრა ღმერთსა, რომელითა მიიღო მადლი მოციქულებისა, ვითარცა პავლე და ვითარცა დიდმან კონსტანტინე. სხჳათაცა კეთილთა თანა აქუნდა ესეცა, რამეთუ სლვასა შინა თჳსთა სამეფოთასა, სიმრავლითა სპათათა და სიმაღლითა სლვისათა, ვერ ადვილად მიემთხჳჱოდიან მოჩივარნი და დაჭირვებულნი, განაღა ვიეთგანმე რომელთა საჭიროდ უხმდის განკითხჳა და შეწევნა მეფობრივი ნუ უკუჱ და ვინმე აღჳდის ბორცჳსა ზედა რასამე, გზისა მახლობელსა, ანუ კლდესა, გინა-თუ ხესა, ვითარცა ზაქე; უკეთუ ოდენ ეპოვის ესე-ვითარი საქმე და მუნით საცნაურ ჰყჳს ჭირტისვა თჳსი; ამისთჳს დაედგინნეს კაცნი მართლიად მცნობელნი და განმკითხჳარნი მოჩივართანი, რომელთა მიერ მიიღებდეს კურნებასა.

მრავალგზის გჳხილავს იგი დამლტობელად ღაწჳთა თჳსთა ცრემლითა, ხილვასა ზედა თჳთოსახეთა სენთა მიერ განცდილთასა და ხილვად საძნაურთა, რომელნი შეემთხჳჱვიან მიუნდობელთა ამათ და უბადრუკთა ხორცთა, რომელთა სხჳათა უმეტეს ზრდის ქჳჱყანა ქუთათისა. ვინ აღრიცხჳნეს ტყჳჱნი, რომელნი მან განათავისუფლნა, რომელნი უკმოიხსნა ყივჩაყთაგან ფასითა. ვინ ჯეროვნად წარმოთქჳნეს პატივის პყრობანი მონაზონთანი და სიყჳარულით შეწყნარებანი მათნი; თჳთოეულისა ნიჭნი და სახმარნი, რომელთა უზრუნველ ჰყჳნის ყოველთა საჭიროთაგან.

ხოლო აქუნდა ამას ყოვლად ბრძენსა მეფესა საქმედ ესეცა, რომელთა უმეტეს ყოველთა საშიშად საზარელ იყო ყოველთა, რამეთუ ღჳთისა მიერ იყო მის-ზედა ნიჭი ესე და საქმე ყოვლად საკჳრჳჱლი, არა-რა შორიელი, არცა სამეფოთა შინა მისთა, არცა ლაშქართა შინა მისთა მყოფთა კაცთათა და დიდთა და მცირედთა საქმე ქმნილი კეთილი, გინა სიტყჳა ბოროტი სიტყჳა თქმული, არა-რა დაეფარვოდა ყოვლადვე, არამედ რაოდენცა ვის ფარულად ექმნის, ანუ თუ ეთქჳს, ყოველივე ცხად იყო წინაშე მისსა, ვიდრემდის გულის-სიტყჳსაცა, მოგონებანი ვიეთნიმე მიუთხრნის მათ, რომელთა ზარგანხდილ ჰყჳს და მონაზონთა განშორებულთა სენაკთა შინა მათთა ქმნილნი ღჳაწლნი

1) წმ. დავით აღმაშენებელის მიერ აღშენებულნი ეკკლესიანი არიან: აღლევისა, დუშეთის მოახლო და ლომისისა; აღმართა სომეხთ დედათ ქალაქის ანის საკრებო ეკკლესია, მოქვის ეკკლესია აფხაზეთსა შინა, აღმართა ნათლის მცემლის უდაბნო სრულიად, ყარაიას, ეგრეთვე მარტო მყოფის მონასტერი, აღაშენა ქალაქი გორი, კავთის ხევის მონასტრის საკრებო ეკკლესია და მრავალნი სხჳანნი.

და სათნოებანი უწყოდნის ცხადად და სიშორე გზისა ვიდრე ეკკლესიამდე ზომით იცოდის და მოთმინებისათჳს აქებდის და ჰნატრიდის.

ნუ ამას ეძიებ მკითხველო, თუ ვითარ იქმნებოდა ესე, არამედ ამას სცნობდა, თუ რა სარგებელი ჰპოვის ამით, რამეთუ არა ცუდად რადმე და განსაკითხავად საგიობელთა საქმედ, ანუ საკიცხელად ვიეთვისმე იქმოდის, ნუ იყოფინ ესე, წარვედ არამედ დიდნი საქმენი და ფრიად საწრაფონი წარმართნა ამით და მრავლითა კეთილითა მიზეზ ექმნა. ესე პირველ ორგულებასა და ზაკვასა და ღალატსა, რასაცა ვერ-ვინ დიდთა ანუ მცირეთაგან იკადრებდა მოგონებადცა, არა-თუ თქუმად ვისდა, არცა-თუ უმაღლესსა ვინ თჳსსა თანა, ანუ მოყუასსა თჳსსა, გინა ყრმათა თჳსთა თანა, ვინათგან მტკიცედ უწყოდა ყოველმან კაცმან პირით აღმოსვლასავე თანა სიტყჳსასა, საცნაურ ქმნილ არს უეჭუელად წინაშე მეფისა და მრავალნი განპატიჟებულცა იყვნეს და მხილებულ ესე ვითართა-თჳს.

ამისთჳსცა ვერცა ოდენ ვინ განიზრახა ღალატი რათურთით დღეთა მისთა, არამედ იყო ყოველთაგან საკრძალავი და სარიდო.

და კუალად მღდელთ-მოძღუართა, მღდელთა და დიაკონთა, მონაზონთა და ყოველთა კაცთა, ესევე საქმე ექმნა წესიერება, გზა ყოველთა სათნოებათა მიმართ, რამეთუ შიშითა მისითა ვერ იკადრებდიან უწესოდ სლვად, ვინათგან უწყოდიან, არა-რას დაფარულობა წინაშე მისსა და მის მიერ ქება სათნოებისა და ძაგება არა-წმიდათა და უწესოთა საქმეთა. რამეთუ ვერცა მსოფლიო ვინმე და ვერცა მოქალაქე, ვერ მხედარი და ვერა რომელი პატივი და ჰასაკი იკადრებდა განდრეკილად სლვად, რამეთუ ყოველთა კაცთა იყო წესიერება, ყოველთა კანონ, ყოველთა პატიოსნება და თჳთ მათ მეძავთა ყოველთა კრძალულება, ყოველთა შიში და მმართებელ გზათა საღმრთოთა და მშჳდობისათა. ესე დიდნი საქმენი და ღუთისაგან ოდენ შესაძლებელნი, ესრეთ ადვილად წარმართნა ამით, ვითარცა ვერ-ვინ ადვილი წარმართის ეგრეთვე; ამისთჳსცა შიში დიდი და ზარი მისი განითქუა კიდეთა ქუეყანისათა და განჰკრთეს ყოველნი მკჳდრნი ქუეყანისანი [1].

ხოლო შემოკრბა ოდესმე წინაშე მეფისა ნათესავი გულარძნილი, ყოვლად ბოროტთა სომეხთა ეპისკოპოსები და მონასტერთა მათთა წინამძღურები მრავალი ფრიად, რომელნი აზმნობდეს თავთა თჳსთა მიწევნად თავსა ყოვლისა მეცნიერებისასა და მოახსენნეს რათამცა ჰყოს ბრძანებითა მისითა კრება და ყურსმცა სიტყჳსგება და გამოძიება ჰსჯულისა. და უკეთუ იძლივნენ და იქმნენ თანა ერთ-ხმა ჰსჯულისა და თჳსი ჰსჯული შეაჩუენონ; ხოლო უკეთუ ჰსძლონ, ეს-ოდენ შიემადლოსთ, რათა არღარა გუწოდდეთ მწუალებლად და არცა შეგვაჩუენებდეთ. ხოლო მოუწოდა მეფემანცა იოანნე კათალიკოსსა ქართლისასა და მის ქუეშეთა ეპისკოპოსთა და მეუდაბნოეთა და არსენის იყალთოელსა თარგმანსა და მეცნიერსა ბერძენთა და ქართუელთა ენათასა და განმანათლებელსა ყოველთა ეკკლესიათასა და სხუათა მეცნიერთა და ბრძენთა კაცთა. ჰყუეს უკუე სიტყჳს-გება ურთიერთას, ცისკრით ვიდრე ცხრა ჟამადმდე და ვერა-რა უძლეს დაბოლოებად, რამეთუ იყო ორ-კერძოვე ძლევის მოყუარება ოდენ და სიტყუათა პაექრობა, რამეთუ შევიდიან შეუვალთა საქმეთა და ძნიად გამოსავალთა. შეეწყინა ესე მეფესა და ჰრქუა მათ «თქუენ მამანო, სიღრმეთა სადამე შესრულ ხართ და უცნაურთა ხედვათა, ვითარცა ფილოსოფოსნი და ჩუენ ვერა-რასა უძლებთ ცნობად, ვითარცა უსწავლელნი და ყოვლად მსოფლიონი და ესე საცნაურ არს თქუენდა, რამეთუ მე

1) აქ მცხეთის კრებას იტყჳს, ძეგლის წერა რომლისა ჩაერთჳს ბოლოს.

შორის ვარ სწავლულებისა და მეცნიერებისაგან, ვითარცა მხედრობათა შინა აღზრდილი, ამისთჳსცა უსწავლელთა და ლიტონთა და მარტივთა მიერ სიტყუათა გეზრახო თქუენ. ესერა თქუა, იწყო მათდა მიმართ სიტყუათა თქმად, რომელთა ღმერთი მოსცემდა უეჭუელად პირსა მისსა, ესე-ოდენთა იგავთა და სახეთა წინა-დაუდებდა, ახსნათა საკჳრველთა მიერ წინა-დაუდგრომელთა და უცილობელთა, რომლითა დაანთქნა ვითარცა მეგჳპტელნი და დაუყო პირი მათი და უპასუხო ჰყუნა და ყოვლად უსიტყუელ, ვითარცა ოდესმე დიდმან ვასილი ათინას შინა ესე მწუალებელნი და ესე-ოდენ ზარ-განხდილ ჰყუნა და ყოვლად უღონო, რომელთა აღიარეს ცხადად ძლეულება თჳსი, ამისთა ოდენ მეტყუელთა, ვითარმედ, ხუალ მეფე, მოწაფე გუეგონე, ამათ მოძღუართა თქუენთა, გარნა ვითარ ვხედავთ, შენ-სამე ხარ მოძღუარი მოძღუართა, რომლისა ბრჭალსა ვერ მიმწუდარ არიან ეგე მოძღუარ საგონებელნი თქუენნი. და ესრეთ ფრიად მაბრალებელნი თავისნი მიიქცეს სირცხჳ-ლეულნი, არღარა ოდენ მკადრებელნი ამისნი ოდესცა.

ხოლო არიან ვინმე მაბრალებელნი მეფისანი, ჯერეთცა ესე-ოდენ მჭირსედ და მოლაშქრე-ბისათჳს და მხედრობათა მისთა განუსუენებელისა მიმოსლვისათჳს და ვითარმედ, არცა მშჳდი თავს-იდებსო მარადის გარდაცმულობასა, არცა ძალი ორღანოსა მარადის განხსირმულობასა, რა-მეთუ ჟამსა ხმარებისა მათისასა თჳთოეული მათი უხმარ იპოისო და ესე-ვითართა უგიობელთა-მათთჳს და უმიზეზოსა და ყოვლად იტყჳან. გარნა ისმინეთ ესე-ვითართა-მათ პირუელად ესე, რამეთუ სამეფო აფხაზეთისა მცირე ჰქონდა მოკლებული და მცირედ იყო და ტყუეობათა და ზე-მოხსენებულთა ჭირთაგან მცირე გუნდი მხედრობისა და იგინიცა დაჯაბნებულნი, მრავალგზის მტერთაგან სივლტოლითა, უცხენოდ უსაჭურველონი და თურქთა წყობისა მიმართ ყოვლად უმეცარნი და ფრიად მოშიშნი, ეგეთუმცა ესე-ოდენ უწყუენოთა ლაშქრობითა და მცირედ ბრძოლითა და სწავლითა, გონიერად და ღონიერად წინამძღომითა და მრავალთა ძლევათა მიერ მოგუარებითა არა განეწუართნეს სპანი თჳსნი და განეკადნიერნეს წყობათა მიერ მხნეთა, ქებითა და ნიჭითა, ხოლო ჯაბანთა სადედოთა შთაცმითა და კიცხევით ძაგებითა, არამცა მოეღონნა, ვი-დრემდის სპათა შორის მისთა, ყოვლად არა იპოვებოდა ჯაბნად ზრახული, რათამცა ექმნნეს ესე-ოდენნი ძლევანი, ანუ რათამცა ექმნნეს და აღეხსნნეს ესე-ოდენნი სამეფონი. ნუ უკუე ძილითა და ადგილთა მწუანვილოვანთა ზედა მოსმურობითა, განცხრომითა და მახუენებელთა საქმეთა შედგო-მითა, არა ესრეთ, არა არამედ არცა ალექსანდრე ქმნა ესრეთ. რამეთუ პირუელად მამულისა თჳსი-სანი შეკრიბნა და მით დაიპყრნა დასავალისნი ევროპი, იტალია, რომი და აფრიკეთი და მათითა წარტანებითა დაიპყრა ეგჳპტე, შესრულმან კარქედონით და მიერ ეგჳპტით პალესტინე და ფინიკე და კილიკასა, თჳსად შემქმნელი, წინა განეწყო დარიოზს და რაჟამს სპარსეთი მოირთო, მაშინღა ჰსძლო პოროს ჰინდოსა და ეგრეთცა ამით ყოვლითა მოვლო ყოველი ქუეყანა და ჰქმნა რა იგი ქმნა და თუ არა ქართუელითა სპითა, ვერცა-რა ალექსანდრე იქმოდა კარსა და თუმცა დავითს სპარსთა მეფობა ჰქონებოდა, ანუ ბერძენთა და ჰრომთა ძალი, ანუ სხუათა დიდთა სამეფოთა, მაშინცა გენახნეს ნაქმარნი მისნი და სხუათა ქებულთანი.

ხოლო ვსთქუა მეორეცა მიზეზი, ამისვე პირისა, ვინათგან ნათესავი ქართუელთა ორ-გულ ბუნება არს პირუელითგანვე თჳსთა უფალთა[1], რამეთუ რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება

---

1) არა თუ მე ვზრახავ ამასა მარად, არამედ სასირცხჳლოდ ჩუენდა, ძუელნიცა მატიანენიცა ემოწმებიან ამას, არა უწყით ამისა შემდეგ, თუ რა ჯერ არს თქმა,

ჰპოონ რა განსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვითხრობს ძუელი მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი და ესე მან უბრძანესმან ყოველთა კაცთამან კეთილად სადამე უწყოდა. ამისთჳსცა არა-ოდეს მოაცალა მისად განზრახვად, ანუ განსუენებად, ანუ შეკრებად და ქმნად რასამე ესე ვითარისა, არამედ საქმეთა, რომელთა იწყო ქმნად გასრულნამცა მაღლად და მშუენიერად, ნუ უკუე და ლომსაცა აბრალონ ეგე-ვითართა, რამეთუ არა ციდა-მტკავლურად იხედავს, არცა კუერნურად ჭკრთების.

კუალად სხუასა ბრალობასა შემოიღებენ მეტყუელნი: შეიყუარნის ვინმე და განადიდნის ვინმეო და კუალად მოიძულნის ვინმეო და დაამცირნისო, ესე აღამაღლის და ესე დაამდაბლის, ერია უსამართლოებასა. ჰოი! უგუნურებასა, ამისთჳს აბრალებაა, რამეთუ კაცი მიწისაგანი ღმერთსა ემსგავსა, რაჲთამცა საქმითა, ვინ იხილა ესე საუკუნითგან, ჰოი! კაცო ამისთჳს რად არა ღმერთსა აბრალებ უგუნურო, ამასვე ესრეთ მოქმედსა. ანუ არა ხუთთა ქანქართა ათ მყოფელსა მისცნაა ათნი ქალაქნი, ანუ არა ერთისა დამფლველსა მოუღო იგიცა და მისცა ათთა ზედა მეათერთმეტედ. ანუ რასათჳს ქადაგებულ არიან სამოთხისა შუენებანი და საუფევლისა ნეტარებანი, ღუთისა ნებისა მყოფელთათჳს ჭეშმარიტად, ხოლო საშინელებანი ურჩთა და უღირსთათჳს და უკეთუ მეფემან ერთგულნი, ფრთხილნი და ახოვანნი ნაცულად ორგულთა და ჯაბანთა და უღირსთა, ედიდნეს რაჲ უსამართლო ჰქმნა. ნუ უკუე დუსჭირ-მანცა [1]) აბრალოს სარკესა, რამეთუ სახე მისი ცხადად უჩუენის. უხმარნი და უღირსნი ნუ მას, არამედ თავთა თჳსთა აბრალებდინ, უკეთუ არავინ იყო ესოდენ მართლად აღმწონელ საქმეთა და მცნობელ ვითარებასა კაცისასა, რომლისა აჩრდილსა შეკრებულ იყუნეს ერნი, ტომნი და ენანი, მეფენი და ხელმწიფენი ოვსეთისა და ყივჩაყეთისანი, სომხეთისა და ფრანგეთისანი, შარვანისა და სპარსეთისანი, ხილვისაებრ ნაბუქოდონოსორისა. ვხედევდიო, იტყჳს ხესა შორის ქუეყანისა, სიმაღლედ ცისა მიწდომასა და რტოთა მისთა კიდემდე ქუეყანისა, ფურცელნი მისნი მშუენიერ და ნაყოფი მისი ფრიად და საზრდელი მისი შორის ქუეკერძო მისსა, დაიმკჳდრეს მხეცთა ქუეყანისათა და შორის რტოთა მისთა მკჳდრობაჲ ჰყუეს მფრინველთა ცისათა და მისგან იზრდებოდა ყოველი ხორციელი. აჰა სახე არა უმსგავსო, არამედ ფრიადცა თანა-შეტყუებული ჩუენისა თჳთ-მპყრობელისა და ყოვლად გამომსახუელნი სიტყჳთ საქმეთა ჩუენთა თუალთა ახილულთა, რამეთუ სიტკბოებისა და სახიერებისა და სიბრძნისა მისისა ხილვად წყურვილნი, კიდით ქუეყანისათ შემოკრბებოდეს წინაშე მისსა, ვინ იყო ეზომ ტკბილ შემთხუევათა შინა, ვინ სატრფიალო ზრახვათა და სასურველ ღიმილითა, იგივე მშუენიერ ხატითა, უმშუენიერეს მორთმულობითა გუამისათა შეწყობილ ანაგებითა და ახოვან ტანითა და ძლიერ ძალითა, უძლიერეს სიმახჳლითა, საწადელ ღიმილითა, უსაწადელეს მჭმუნვარებით, მადლიერ ხედვითა, საზარელ ლომებრ მკრთომელობითა, ბრძენ ცნობითა, უბრძნეს გამორჩევითა, მარტივი სახითა, მრავალ-სახე მართებითა, შემრისხუელ მყუდროებითა, მაქებელ განმსწავლელობითა და არცა ერთსა კეთილთაგანსა შემაშფოთებელ უზომოებითა, მაღალ უმაღლესთათჳს, მდაბალ მდაბალთათჳს და თჳთ მათ მტერთაგანცა თჳთ საწადელ და საყუარელ, სათნოებათა მისთაგან შეკდიმებულთა. ვინა ესრეთ მიიღო ერთიცა სათნოებათაგანი, ვითარ ვინ ყოველთაგანმან შეიკრიბა ყოველი სრულებით თჳთოეული, რომელთა ყოველთათჳს შეუძლებელ არს დაკჳრუება ოდენ, არა-თუ მიბაძუება, რო-

---

1) მახინჯი.

მღითა სრულ იქმნა იგი ყოველსა შინა. ესრეთ რა აღსავსე იყო ნავი უფასოთაგან ტჳრთთა სათნოებისათა და არღარა შემძლებელ წარსვლად ღადირთა.

და აქჳნდა ყოვლით კერძო მშჳდობა და დაწყნარება სამეფოთა მისთა. მაშინ დიდმან მან წინა-განმგებელმან ცხოვრებისა ჩუჱნისამან და ყოვლისავე უმჯობესისა შემტყუებელმან განგებითა-მით, რომელნი მან უწყის და განაწესებს ჟამთა და წელთა ჩუჱნთა, ესრეთ განაგო ვითარცა მეუშაკმან კეთილმან, რაჟამს იხილნის ხუვილნი აღსავსედ ნაყოფითა და ქჳჱყანად დადრეკილნი, ისწრაფის დაუნჯება მათი და ვითარცა მენავემან ბრძენმან განიცადის-რა ნავი თჳსი აღსავსედ მრავალ-ფერითა ტჳრთითა, მიისწრაფის ნავთ-სადგურად, რათა არა ევნოს სოფლისა ამის მღელვარისა ზღჳსაგან, რამეთუ ჟამსა ზამთრისასა, მშჳდობასა და დაწყნარებასა ყოვლისა სამეფოსასა, არა გარეგნად მენაკიდურესა, არამედ საშუალ თჳსთა სამეფოთა ადგილთა, თჳთ მის-მიერვე წინა განჩინებულსა განსასუჱნებელად და მისაძინელად, ვითარცა ჭრულითა-რამე მშუჱნიერითა დაიძინა მამათა თჳსთა თანა და თჳთ მებრ ესე კმა არს საცნაურ მყოფელად საკუთრებისა თჳსისა ღუთისა მიერ, რამეთუ მრავალგზის, მრავალთა მიზეზთა და განსაცდელთა სიკუდილისათა შთავარდა იგი, რომელთაგანი მცირედ მივსცეთ თხრობასა. რამეთუ ნადირთა დევნასა შინა ოდესმე მეუხნარს წარექცა ცხენი და ესე-ოდენ შემუსრა, რომელ სამ დღე ყოვლად უსულო მდებარე იყო, უძრავად სამშჳნველისაგან ოდენ საცნაური ცოცხლად და შემდგომად სამ დღე ნამეტსა სისხლისასა აღმომყრელსა მოექცა სული და სიტყუა და ძლითღა აღდგა ცოცხალი და ესე-ვითარი მრავალგზის შეემთხვია და ღმერთმან იხსნა სიკუდილისაგან. კუალად ციხესა რომელსამე ჰბრძოდეს ქართლის და მეფე კარსა კარვისა თჳსისა დგა, პერანგითა ოდენ მოსილი შუა-დღე და ციხით ვინმე შემოსტყორცა ისარი და ჰკრა ხატსა მთავარ-ანგელოზისასა, რომელი ეკიდა ყელსა ოქროჲსა მცირე და ძალმან საღმრთომან განარინა მშჳდობით, რაოდენგზის ყივჩაყთა თჳსთა განიზრახეს ღალატი და განაჩინნეს კაცნი მხნენი, რომელნიმე კრმლითა, რომელნიმე შუბითა, სხუანი ისრითა და ესე არა ერთ და ორ, გინა სამ, არამედ მრავალგზის და არა-ოდეს მიუშვა ღმერთმან კუერთხი ცოდვილთა მართალთასა ზედა, არცა-ოდეს მისცა იგი ხელთა მეძიებელთა მისთასა. დალათუ დევნასა თურქთასა მარტო დაეპყრის ანუ უსაჭურველო, გარნა ყოველსა შინა ხელი-იგი ზეგარდამო ჰფარვიდა მდევართა მისთაგან, არამედ ყოვლადვე და ყოველსა შინა იყო ბედნიერ და ხვიან მადლითა აღსავსე.

ეგრეთვე ჟამსა შინა მშუჱნიერსა და ჯეროვანსა მოუწოდა ღმერთმან შემყუარებელსა თჳსსა და მარადის მოსურნესა სამარადისოდ სამეფოდ წინაშე მისსა და არღარა მიუშვა მრავალ-ჟამ ჭირჯად და დაჭირვად სამსხემოსა ამას კიდარსა შინა მკჳდროებითა და ხორცთა ამათ ქუჱ დამზიდველთა მიერ შეკრვად სულსა გონება-ქმნილსა, არცა განხრწნადით გჳრგჳნითა და პორფირითა, ვითარცა სიზმრითა და ნაოცნითა უმრავლესად მღერად, არამედ ნამდვილ ჭეშმარიტითა და მტკიცითა, წარულინებელითა და სამარადისოთა, სადა თჳთ იგი ბუნებით ღმერთი მეუფებს მადლით ღმერთ-ქმნილთა ზედა. მუნ აღიყუანა მას-თანა მეფობად, უხრწნელითა და ბრწყინუალითა გჳრგჳნითა და პორფირითა შემკული, სადა-იგი აწ მკჳდრ არს და იქცევის სათნოსა შინა ღუთაებისასა, რამეთუ იყო მაშინ თთუჱ იანვარი, ოც და ოთხი და დღე შაბათი ოდეს ქორონიკონი იყო ტგე. ხოლო წელიწადნი მისნი შობითგანნი, ორმეოც და ათ სამ-მეტ. ხოლო მეფობდა ოც და ათოთხმეტ წელ. და ვითარცა პირუჱლმან დავით სოლომონი, ამანცა თჳსითა ხელითა დასვა საყდართა თჳსთა ძე თჳსი დიმიტრი სახელით სახელდებული, მარადღე გარდამოსასხი ყოვლითურთ მსგავსი მამულთა და დაადგა თავსა გჳრგჳნი მშუჱნიერი, ქჳათაგან პატიოსანთა, ვიტყჳ უკუჱ სათნოვებათა მამულთა

და შეარტყა წელთა ძლიერთა მახჳლი, ეჴა რაბამ სვიანად ხმარებული და შემოსა პორფირი მგლო-ვითა ლომებრითა და ტანსა ახოვანსა დაულოცა ცხოვრება წარმართებული და განგრძობაჲ დღეთა ბედნიერობით, თაყუანის-ცემად მისსა მეფეთა ქუეყანისათა და ყოველთა წარმართთა მონებად მისსა, გამობრწყინუებად დღეთა მისთა სიმართლე და მრავალი მშჳდობა. და ესრეთ განცუალა ქუენა მოქალაქობაჲ ზენად სუფევად, რომლისა მკჳდრნი განხსნილნი არიან შრომათაგან და ოფლთა და ზრუნვათა და მუნ მეფობს სიმდიდრეთა მათ ზედა, რომელნი წინა წარგზავნნა, საუნ-ჯეთა-მათ უშიშთა, რამეთუ მუნ არს შუება და სიხარული, რომელსა არა აქუს მწუხარება და სიმ-დიდრე, რომელსა არა შეუდგეს სიგლახაკე და მხიარულება, რომელსა არა განჰკუეთს ურვაჲ და მეფობაჲ, რომელსა არა აქუს აღსასრული და მუნ არს ცხოვრება, რომელსა არა შეამრღუევს სიკუ-დილი[1].

---

## ანდერძი წმიდისა მეფისა დივით აღმაშენებელისა.

გიბრძანებს და მოგახსენებს მეფეთა მეფე დავით, დღეთა შინა სიკუდილისა და სოფლით განსვლისა მისისათა; ჩუენ მიერ უსდოსა და უღირსისა მლოცუელისა მამისა ბერისა პირითა, თქუენ ყოველთა დიდებულთა და წარჩინებულთა სამეფოსა მისისათა: კათალიკოსსა, ეპისკოპოსთა, ერისთავთა და ყოველთა შეწყალებულთა, უკუდავი და დიდებისა მოყუარე და მეფობისა ტრფიალი მედვა ბუნება და არა ოდეს მოვიხსენებდი დღესა ამას სამარადისოდ საფლავად მისვლისა ჩემისასა და ვერ უძლე დატევებად საწუთროსა, ვიდრე არა დამიტევა მე საწუთრომან და დამძიმებული ცოდუათა

---

1) წმ. მეფე დავით მიიცვალა 1125 წელსა, კდ. იანვარსა, დღესა შაბათსა და იქმნა დასაფლავებულ გაენათის მონასტრის სამხრეთის შემოსავალის კარის ბჭესა ქუეშე. შემდეგ რაოდენისამე დროსა, ოდეს წმიდა ეკკლესიამ შერიცხა დავით მეფე წმიდათა შორის და დააწესა დღესასწაული კვ. იანვარსა, დიდის მოწიწებით იქმნა აღმოსუე-ნებულ წმიდა ნაწილნი მისნი და დაკრძალულ გაენათის საკრებო ეკკლესიის ტრაპეზსა ქუეშე, არამედ საფლავის ქვა, რომელსა ქუეშე დასაფლავებულ იყო წმიდა, დაუტევეს თჳსსავე ალაგსა, რომლისა სიგრძე 4 არშინი და 6 ვერშოკი არს, სიგანე 1 არშინი და 12 ვერშოკი. ლოდსა ზედა იყო აღმოჭრილ იამბიკო, ხუცურის ასოებით, რომელიც მავალთაგან და უდებობითა წაშლილ არს; არამედ ფრიადის ღონის ძიებითა და ტანჯვთა აღმოვიკითხე ესე: 1) ოდესმე ნაჭარმაგევს შჳდთა მეფეთა მასპინძელ ვექმენ. 2) თურქნი, სპარსნი, არაბნი საზღვართაგან სა-მეფოჲსა ჩემისაგან ვიოტე. 3) გადავასხე თევზნი მდინარეთაგან ამერისათა, მდინარეთა იმერისათა (რომელიც ნიშნავს ორთა ზღჳსა მფლობელობასა). 4) ყოველი ესე აღუსრულე გულ ხელ ვიკრიფე აღმსრულებელ. ვრცელი ცხოვრება წმიდისა მეფისა დავითისა, რომელიც იპოებოდა გაენათის მონასტერსა შინა, დროსა შინა დავით წერეთ-ლისა ქუთათის მიტროპოლიტისა საუბედუროდ დაიკარგა მონასტრიდგან უდებობის მიერ მიტროპოლიტისათა, რო-გორც მოგვითხრობენ ვითომ თჳს ნათესავს აჩუქა, რომელიც შესაძლებელ არს. გამოაჩინეთ ვისაც გაქუთ ეს საუნჯე ეკკლესიისა. რომელიც უგუნურობით იცოჲს მას და არ აჩენს და ალპობს, ვწყევი სახელით მიერ წმი-დისათა და შეჩუენებულმცა არს ხსენება მისი და იავარ სახლობა და ნათესაობა მისი მარად.

სიმრავლითა მწუხარედ განმიყუანა წინაშე მსაჯულისა; — რამეთუ მრავალნი წყალობანი ჰყვნა ჩემ-ზედა სოფელსა ამას შინა, რამეთუ მომცა პირმშოჲ შჳლი ესე ჩემი დიმიტრი სიბრძნითა და ახოვნე-ბითა და სიმჴნითა უმჯობესი ჩემსა და სიწმიდითა და ხამდჳლ ესე ვითარი ჯერ იყო მეფე მოცე-მული ღმრთისა მიერ მკჳდრთათჳს სოფლისათა მართლ მორწმუნეთა. მე წარვედ წინაშე მსაჯულისა, მისისაებრ განმგებელი მეფობისა, რამეთუ მხიარულ ჰყოფდის ყრმა ესე ყოვლადვე დაფარულთა გულისა ჩემისათა და მენებაცა მოცლა საწუთოსაგან მეფე ყოფითა მაგისითა, რომელი ესე ღმრთ-მან და მე და ორის წლიდგან მოძღუარმან ჩემმან ვუწყით, გარნა მძლო საწუთომან და წარმართ-ქადებულნი ყამნი მიმტყუნავე და მომაგო ჩემნი და მამისა ჩემისა ჭირნი, რომელთა მიმოიქცევიან ამისგან პირნი და თუალნიცა, გარნა განბჭო მართლად მსაჯულობამან ღმრთისამან და ესერა მიწოდა მე და უწოდა მაგას მეფობა; მამული და ახლად მოგებული ღუაწლითა ჩემითა და ოქროჲთა ნი-კოფსიიდამ დარუბანდის ზღუადმდე და ოვსეთიდგან სოვრადმდე არეგანადმდე და მივანდევ შჳლნი და დედოფალიცა, შუამდგომელობითა ღმრთისათა, რათა ძმა თჳსი ცუატა აღზარდოს და თუ ინებოს ღმერთმან და კარგ იყოს შემდგომად მისსა მეფე ჰყოს მამულსა ზედა და დათა მისთა პატივს ჰსცეს, ვითარ შჳლთა ჩემთა საყუარელთა; — ამას ყოველთა თანა წარუძღუანე წმიდა ძელი ცხოვრებისა და მივეც დროშა ჩემი სვიანი და აბჯარნი ჩემნი სამეფონი და საჭურჭლენი ჩემნი ზემონი და ქუე-მონი; ხოლო დრაკანნი კონსტანტინე ცუატას, ხოლო ჩემნი ალალი და თუალ მარგალიტნი, ხახუ-ლის ღმრთისმშობლისად შემიწირავს, ხოლო დუკატი და ბოტენატი ტესნისა საჭურჭლისა იგიცა ჩემისა სისხლითა მოგებული და თუ ელუოდეს ვითარ მეფე დიმიტრი, ყოველი მისცეს მოძღუარსა ჩემსა, თუ არა ნახევრისათჳს წინაშე ღმრთისა ვესაჯები, რათა რომელნი მონასტერნი მამულისა ჩემისანი განმიმწარებიან, მოძღუარმან ჩემმან უკუნ ცემითა მათითა ალოცჳნოს ჩემთჳს, ხოლო დარჩა მონასტერი სამარხავი ჩემი და საძუალე შჳლთა ჩემთა უსრულად და წარმყუა მისთჳსაც ტკი-ვილი სამარადისო, აწ შჳლმან ჩემმან მეფემან დიმიტრი სრულ ჰყოს ყოვლითურთ საუკუნოდ სალოცავად ჩემთჳს და მისთჳს და მომავალთა ჩემთათჳს, რომელი მიმიცემია, მათგანსა ნურას მოაკლებს და ადგილნი, რომელნი მიშოვნია უმკჳდრონი და უმამულონი მათგანიცა ვითარცა ბერ-მან არსენი და კათალიკოზმან გამოარჩიონ, მეფემან დიმიტრი მიცემითა წერათათა და სიგელითა განასრულონ ყოვლითურთ უნაკლულოდ [1].

## გალობა სინანულისა, თქმული წმ. დავით მეფისა აღმაშენებელისა.

გალობა, ა. ძლის-პირი:

წამის-ყოფითა, ღმერთო, ბუნებანი მდინარენი ზღუდედ აღამაღლენ და მას შინა განიყუანენ ერი ისრაილთა ხმელად და გიგალობდეს გალობასა ძლევისა.

---

1) ნამდვილი ამ ანდერძისა თავადს ალექსანდრეს ჰქონდა, უთოოთ გაენარიდგან იყო მოპარულ, რა იქმნა იგი საუბედუროდ არა უწყით.

ჩასართავი: მიწყალე მე ღმერთო, მიწყალე მე.

რომლისა წინაშე ქედ-დადრეკილ-არს ყოველი, მუხლი მოდრკების და ენა ყოველი შენსა ხმობს აღსარებასა; მეცა, სიტყჳთა, აღმსარებელსა მომხედე.

მიწყალე მე ღმერთო, მიწყალე მე.

ხატსა ფჳსსა მამსგავსე და საკრველად გრძნობადისა[1]) და გონიერისა მეფობისად დამიწესე, შენებრ არსთა სიტყჳერებისა ჩემ-მორისცა შეკრებითა; ხოლო მე უმადლო გექმენ. დიდება.

ბუნებითნი რა ძალნი არა ჴსჳულთაებრ ვისმიენ, მსგავსებისაგან დავაკლდი და დავბადე ბოროტი, ხოლო ხილულთა მიერსა გემოვნებასა ვრცლად განუხვენ გრძნობანი. აწდა.

ქალწულო, ბრალეულთა თავსმდებო, რომელმან სიტყუა განაზრქე ხორცითა დაცვითა მიწისათა, ციზრქე უსასოებისა განსძარცვე ჩემგან, რათა მოხსნილი შეგივრდე შენ.

გალობა, გ. ძლის-პირი.

ღმერთო, მაცხოვარო ჩუენო, ყოვლისა დამბადებელო, რომელმან სიტყჳთ დაამყარენ ცანი მაღალნი, ყოვლითა ძალითა მათითა და სულითა მით საღმრთოთა, დამამტკიცენ ჩუენ ერთობით კლდესა ზედა სარწმუნოებისასა.

მიწყალე მე ღმერთო, მიწყალე მე.

ბუნებითსა მას პორფირსა თჳთ მფლობელობისა-თანა, მეფობისაცა-თანა შარავანდედნი მარჯუ წმუნენ[2]), ხოლო მე ვნებათა ბილწთა მონებად მივეცი თავი, რამეთუ რომლისაგანცა ვინ ძლეულ, მისდაცა მონებულ-არიან.

მიწყალე მე ღმერთო, მიწყალე მე.

კაენის მკვლელობრი ცნობა, სეითის ძეთა ღირწება[3]), გმირთა სილოდანი[4]), მავლობა ხუთ-ქალაქელთა, მეგინებისა მწვირე უფროსად ვამრავალწილე, ვითარცა რაჲ დაღმართ-მსრბოლმან მდინარემან უკეთურებისამან. დიდება.

მეგჳპტური გულ-მძიმობა, ქანანელთ ჩუეულებანი, მსხუერპლთა ნაშობთა ზმნა[5]) და სახრვა[6]) კოწოლი[7]) თმათა და სხუანი, რომელთა შენ ბრძანე არა მსგავსება, უწარმდებესად მოვიგენ თჳთ მათ პირმშოთა სახეთასაცა. აწდა.

---

1) ხილულისა, ქუეყნიერისა. — აქ იგულის-ხმების, ვითარიმე ამ სინანულის გალობის წარმომთქმელსა მეფესა მიენიჭა ღუთისაგან მადლი არა-მხოლოდ განბნეულთა და განთჳსებულთა მისთა სამეფოს ნაწილებთა შეერთებად ანუ ერთად შეკრვად, არამედ მოპოვებადცა წინ დამკჳდრებად ამას-თანა ზეციერის მეფობის დიდებისა.

2) ეს მუხლი ცხადად გვანიშნებს, ვითარიმე ამის შემდგენი მეფე ყოფილა ძლიერი და თჳთ-მპყრობელი.

3) ურცხვინოება.

4) უწესოება.

5) კერპთ-მსახურება და მსხუერპლის შეწირვა მათდა.

6) ჯადოსნობა ანუ მისნობა.

7) წვერი თმისა, საუშმაკოდ ნაწნავისა.

ამისთჳს იყო ქალწული და ხორც ქუეყანა სიტყჳსა, რათა დედობრივითა ოხათა-მიერ ცხონდენ ცოდვილნი, რომელთა პირველი მე ვარ, ვითარცა უფსკრული შესაკრებელი ბილწებისა ღუართა.

გალობა, დ. ჴსმლის-პირი.

რაჟამს ესმა მოსლვა შენი წინასწარ-მეტყუელსა, ქრისტე, განკჳრვებით ღაღადჰყო, შესმა მე სმენა შენი, უფალო, რამეთუ მოხუედ ქუეყანად, რათა ჴცხოვნნე დღეს ცხებულნი შენნი.

მიწყალე მე ღმერთო, მიწყალე მე.

ისრაილისა მეფეთა ვბაძევდ, გარნა უსჯულოთა და რავდენ მეძლო, ვსცდებოდე მაღალთა ზედა კმოლვისა[1]) და წარმართთა აღრევისა-მიერ და ძალთა ცისათა თაყუანის-ცემისა.

მიწყალე მე ღმერთო, მიწყალე მე.

ზენაისა მოძრაობისა ასურისტანელი ძმნობა[2]) და ცთომილთა ვარსკულავთა და უცთომელთა კრება და განყრა, სვე და ბედი და შობის დღე, ვითა საღმრთოთა უსმენელმან, ვიჩქურე[3]). დიდება.
ელლინთა მიერი ვერ-ცნობა სიბრძნეთა ღუთისათა, ღუთისა და შემოქმედისა შექმნულთა მიმართ ცვალება თაყუანის-ცემისა სრულ-ვჰყავ, რაჟამს თჳთოეულისა ვნებისა კერპსა ვმონე. აწდა.
ამისთჳს ღმერთ მამაკაცებრ მოქმედი იქმნა ზესთა ღმრთისა, რათა კაცებრ უწყოდნის ვნებანი ჩუენნი და ღუთაებრ იჴსნიდეს ბრალთაგან, რომელთა ღუთის-მშობლად ჰქადაგონ წმიდა ქალწული.

გალობა, ე. ჴსმლის-პირი.

შენდა წყჳმსთობ, რომელმან წყალობით მიეც სული შენი დაცემულთათჳს და ნებსით ვნებად გარდამოხედ სიტყუა ღუთისა, მშვიდობა შენი მომეც ჩუენ, ვითარცა კაცთ-მოყუარე ხარ.

მიწყალე მე ღმერთო, მიწყალე მე.

ჰსჯულნი დავთრგუნენ წიგნისა და ახალი ბუნებითურთ და გუალად ჰსჯულისა შენისა მოწამე, ჰსჯული გონებისა, ცოდჳსა და ხორცთასა ჰსჯულსა დავემონე.

მიწყალე მე ღმერთო, მიწყალე მე.

თჳთოეულთა მხეცთაგან შეზავებულსა მხეცსა ვემსგავსე მრავალ-გვარად და მრავალ ხატსა და სხუა ჟამ სხუებრად სრულსა და მკსენარსა ბუნებისაებრ თჳთოეულისა. დიდება.
არა შევძრწუნდი მანგლისაგან მფრინველისა, რომელი შურსა სიკუდილისასა მისდის, რომელნი ჩემებრ მიმდემად[4]) ცრუდ ფიცვენ განსაკრთომელსა სახელსა შენსა. აწდა.
ამისთჳს სისხლთა ქალწულებრივთაგან ხორცნი ღუთისანი და ახალი შეზავება[5]), ღმერთი და კაცი, რათა იჴსნდეს დედა ჩემებრ განწირვით უსაკთო-ქმნილთა.

---

1) კმევა, ბოლება საკმეველისა წინაშე კერპისა.

2) ეს არს სიმღერა ანუ გალობა ვარსკულავით-თაყუანის-მცემელთა, რომელსა წარმოსთქმიდნენ ასურისტანელნი თჳთ ჟამსა ყრმის შობისასა, რათამცა იქმნეს იგი ბედნიერ.

3) ვიფიქრე, განვიზრახე.

4) ყოველ-დღე, დაუცხრომელად.

გალობა, ვ. ჳსმლის-პირი:

დანთქმული ღელვით, სოფლისა ამის განსაცდელთათა, ნავითა ცოდვათა ჳშთავრდომილი და მიგდებული მჴეცსა სულთა მომსრველისა, გიღაღადებ, ვითარცა იონა, ხრწნილებისაგან და სი-კუდილისა მიხსენ ქრისტე.

მიწყალე მე ღმერთო, მიწყალე მე.

სოლომონისსა წურბლისა ვერ მაძღარი, სხუათა სოფლის კიდეთა ვეძიებ და დასაპყრობელად ჩემისამდე უძღებებისა და გულისთქმისა.

მიწყალე მე ღმერთო, მიწყალე მე.

ბოროტად გარდავხედ საზღვართა და შევრთე სახლი სახლსა და აგარაკი აგარაკსა და უძლუ-რესთა მივხვეჭე ნაწილი მათი და ვიღუწიდ უმეზობლობასა, ვითარცა მარტო მკჳდრობდი ქუეყა-ნასა ზედა. დიდება.

მბრძოლ-ვექმენ ყოველთა წესთა ჰსჯულისა შენისათა, ქორწილთა-მიერ ხენეშთა ვიმძლავრე საწოლსა ჩემსა და სხუათა ბოროტთა მიცემითა ვაცთუნე ერი ჩემი, ვითარცა იგი მეფეთა მათ ისრაელი[1]. აწდა.

ამისთჳს ქალწული დედა და შობა ახალი სიტყჳსა, რათა ახალი ხატ-ყოფა მეორედ მისცეს ცოდჳთ განმრყუნილთა მისთა დედობრივთა, რათა ოხვათა ბრძმედითა[2] დაადნოს ხენეში ნივთი შეცოდებისა.

გალობა ზ. ჳსმლის-პირი:

ყრმათა ბაბილონს, სახმილსა მას შინა ცუარი ეცურია ზეგარდამო, ღუთისა-მიერ ღაღადებ-დეს და იტყოდეს, კურთხეულ-ხარ უფალო მამათა ჩუენთა ღმერთო უკუნისამდე.

მიწყალე მე ღმერთო, მიწყალე მე.

ვეცხლი, ვითარცა მიწა და ოქრო ვითარ თიხა უბნისა ვიუნჯე და თაყუანის-ვეც ანგარებისა მამონას, ვითარცა იგი ძუელთა მათ ბაალს, ასტარტეს და ქამიოსს საძაგელსა.

მიწყალე მე ღმერთო, მიწყალე მე.

სიტყუა წმიდა და ბჭეთა ზედა მამხილებელი მოვიძულე; ხოლო მლიქნელთა[3] ძმაცული სივერაგე ვითნე და შემასმენელთანი დავიტკბე ზრახვანი და ცრუნი განვსცენ მსჯავრნი. დიდება.

ცრემლნი ქურივთანი და ობოლთა ბრგვნილი ტირილი არა შევიწყალენ, არცა განუხვენ ნა-წლევნი მოქენეთა, უფროსღა შენ ქრისტესა, რომელი იზრდები მცირედითა ზრდითა მათითა[4]. აწდა.

ამისთჳს შობა ღუთისა ადამიანისაგან დედაკაცისა, რათა მიწით-შობილთა კაცთა ცთომასა, ვითარცა ღუთისა დედა, დახსნიდეს ქალწული და იოხდეს ცოდვილთათჳს.

---

1) ეს მუხლიც ამ გალობის შემდგენის მეფობას ნიშნავს.

2) ცეცხლებრ განსაწმედელითა.

3) პირამოთნეთა, მოქალაჩუნეთა.

4) ეს მუხლიც იმას ნიშნავს, ვითარ ამის შემდგენი და მთქმელი ხალხის მმართველი ყოფილა, ანუ მეფე.

გალობა, ც. ხმლის-პირი:

შეუწველმან მაყუალმან სინას აუწყა ღმერთი მოსცეს ხმითა, წყლისასა ესა მძიმესა და შურმან ჴალმრთომან ყრმანი იხსნნა სახუმილისაგან და გალობით ღაღადებდეს: ყოველნი საქმენი აკურთხევდით დღეს ღმერთსა და უფალსა უგალობდით და აღამაღლებდით მას უკუნისამდე.

მიწყალე მე ღმერთო, მიწყალე მე.

ესენი ვსცოდენ სახარებისა ჴსჯულთა და მცნებათა შენთა შინა, მცემელთა-რა უჴრიმლის მიპყრობასა და გლახაკთა-თჳს განშიშულებასა და რათურთიით არა ფიცხა შენ ჴსჯულის-მდებელი ჩემი ბრძანებდი და გულის-თქმით მიმხედველობასა განსრულებულად მრუშებად დახდებდი.

მიწყალე მე ღმერთო, მიწყალე მე.

დაღათუ ესრეთ განვხრწნენ ყოველნი გრძნობანი და ყოვლად ხრწნილება ვიქმენ, გარნა არ აღვისჳრწნ მე ხელნი, არცა დავსდევ სასოება ჩემი ღჳთისა მიმართ უცხოსა, არცა უცხო თესლი რაჲმე; სარწმუნოება საწვართელ-ვჰყავ სულის გარეშე მისსა, რომელი მასწავეს ღჳთის-მეტყჳრლთა შენთა. დიდება.

და აწ მოსმდრეკელი მუხლთა გულისათა ვხმობ, ვითარცა მანასე: მილხინე, ჴოი! მეუფეო ჩემო, მილხინე და ნუ წარმწყმედ ცოდჳასა შინა და ნუ იხსენებ ძვირთა ჩემთა და ნუ დამსჯი მე ქვესკნელთა თანა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი მონანულთა, ამაღლებული ზესკნელს ცათა ძალთაგან. აწდა.

საკუთრად ღჳთის-მშობლად გქადაგებთ, უხრწნელო ქალწულო და გჳრწამს, ვითარმედ პატივი ხატისა შენისა შენდამო წიაღ-მოვალს ღჳთის-მეტყჳრლებრ და ცოდჳლთა მოქცევასა ინიშებს მის-მიერ, ვითარცა ცხად-ჰყოფს თეატრო იგი მრჩობლთა, სიგეთე ეგჳპტისა, ღირსი მარიამ.

გალობა, თ. ჴხმლის-პირი:

მტჳრთველმან გამოუთქმელად უხრწნელებისამან, სიტყჳსა დამბადებელსა აგასხა ბუნებაჲ, მოვედ უბიწოო ქალწულო ღჳთისმშობელო, შენგან შობილსა-თჳსა მორწმუნეთა, რათა ღირს ვიქმნნეთ ჩუჱნ დიდებად შენდა.

მიწყალე მე ღმერთო, მიწყალე მე.

ჟამი რა წჳლილთა და ხმელთა წარმოდგეს, ზარი მეფობისა წარხდეს და დიდება დაშრტეს, შვებანი უქმ იქმნენ, ყვავილოვნება დაჭნეს, სხჳამან მიიღოს სკიპტრა, სხჳასა შეუდგენ სპანი [1]), მაშინ შემიწყალე მე, მსაჯულო ჩემო, იესო ღმერთო.

მიწყალე მე ღმერთო, მიწყალე მე.

განრაჲლოს წიგნი დღესა შინა სასჯულთასა და მე ქედ-დადრეკილი წარმოვიდგე განკითხჳად, მსაჯული მართლ-ჴსჯიდე, მსახურთა რისხჳა ქროდის, მართალნი ნეტარებდენ და იხარებდენ, ცოდჳლთა გვემდეს ცეცხლი მაშინ შემიწყალე მე, მსაჯულო ჩემო, იესო ღმერთო.

---

1) ესე იგი — შეიხსნა ხორცნი ღმერთმან და იქმნა ახალი შეზავება.

2) ეს მუხლიც კჳალად იმასა ნიშნავს, ვითარ ამის მგალობელს — მეფეს ოდესმე ჩამოერთმევა მეფობა (ესე იგი — მოკჳდება) და სხჳა დაჯდება მეფედ, ანუ მიიღებს სკიპტრსა.

მიწყალე მე ღმერთო; მიწყალე მე.

ვინათგან აღსარებითა გრძნობად და შეკრებად იწყო ძჳალი ძჳალსა-თანა და ნაწევარი ნაწევარსა-თანა და განხმელთა მობერა სული კჳალად შობისა, მრწამს კჳალად აღვსება სრულ-ჰყო ჩემ შორის ყოვლისავე სინანულით აღდგომისა. დიდება.

მარტიო სრულო სამ-მზეო, ერთ-ცისკროვნებაო, განმინათლე მხედველობა სულისა, რათა გიხილო ნათელი ნათლითა უფლისათა, სულითა ღჳთისათა ძე გამოგჳბრწყინვო მაშინ დაუსრულებელთა საუკუნეთა. აწდა.

არა უხილავს მზესა ქალწული დედა თჳნიერ შენსა, არცა ჩამოდნად ბრალეულსა ნათელი მისი, გარნა შეოხებითა შენითა დედოფალო ვესავ ხილჳად ნათელსა ძისა შენისა, ნათელსა მზესთა საუკუნეთასა. —

დასაბამი სიბრძნისა შიში უფლისა, ვითარ გვასწავებს დავით მეფე და წინასწარმეტყუელი და ილოცავს ამას ისაია წინასწარმეტყუელი: უფალო, ღმერთო ჩემო, ვისირცხვი და შეკდიმების აღებად პირისა ჩემისა შენდამი, რამეთუ უსჯულოებანი ჩემნი განმრავლდენ თავთა ზედა ჩემთა და ცოდვანი ჩემნი აღორძნდა ვიდრე ცადმდე.

## ძეგლის წერა წმიდისა და ღჳთივ შეკრებულისა კრებისა, რომელი შემოკრბა ბრძანებითა კეთილად მსახურისა და ღჳთივ დაცულისა მეფისა ჩუენისა დავით, აფხაზთა და ქართუელთა, ჰრანთა და კახთა მეფისა, პირთა-თჳს რომელ ქუემო მოხსენებულ არიან.

ყოვლისავე ხილულისა და უხილავისა სოფლისა და ყოველთავე საცნაურთა და გრძნობადთა ბუნებათა არა არსისაგან არსებად მომყვანებელმან ღმერთმან, უხილავთა მათ და ზესთა სოფლისათ, ძალთა ბუნება (უხრწნელებითა) უკუდავებითა და უხრწნელებითა შეამკო. ხოლო ქუეყანასა ამის სოფლისაგან-ნი ყოველნი ქმნისა და ხრწნილებისა (შინა) შორის განაწესნა. ამისა შემდგომად მოიგონა ახალი რაჲმე და უცხო დაბადებული, რომელსა თჳთ მის თავადისაცა დამბადებელისა და სიტყჳერისა და პირ უტყჳსა და ყოვლისავე აგებულებისა ბუნებისა ზიარება თავსა შორის თჳსსა მოაქუნდეს და მის მიერ ვითარცა საზოგადოჲსა საკვრელისა მიერ შეერთებულნი ღჳთისა შემოკრბებოდინ ყოველნი დაბადებულნი, და თავად ხუთნივე სახენი ყოველთა არსთა განყოფილებისანი დაიხსნებოდინ, რომელი ვითარცა მეორე რაჲმე სოფელი მცირე დიდსა შინა, ანუ დიდი მცირესა შინა დაადგინა ქუეყანასა ზედა ღჳთივ შუენიერი ესე დიდი დიდებული, სა-

მოთხე, დაასხა აღმოსავალსა ედემისასა გარნა ვინაჲდგან მან ნივთად თჳთ მფლობელისა მიცემული მისდა სჯული წინა უკმოდ საღმრთოჲსა იხჳმია და შურითა ეშმაკისათა და განმცდელობითა დედაკაცისათა ცთომილი, ძჳელისა მისგან ცხოვრებისა და სამოთხისა და ღჳთისა სიბოროტისათჳს ექსორია იქმნა და სიკჳდილითა დახრწნილებითა დასჯილი ბევრეულთა ვნებათა და ძჳრთა მიერ უფლებულ იქმნა, რამეთუ პირჳელად სისხლითა მიერ ძმისათა მეწამულ მყოფელმან ხელთამან, კაინ; კჳალად მეორისა, ღჳთისა მიერისა წყევისა თანამდებ ჰყო ქჳეყანა, მერმე სიბოროტემან გმირთამან შეხნება არწმუნა დამბადებელსა უცხოჲსა მის ცხოველისა, კაცისა ესოდენ საკჳრჳელებით დაბადებულისა და წყლითა რღჳნისათა აღხოცა ყოვლისა აღმდგომისა პირისაგან მიწისა, ამისა შემდგომად სილაღითამან ხელოყოფამან გოდლის მაშენებელთამან, შერევნითა ენათათა და მიმო დაყოფითა ნათესავთათ, მეოთხედ დასაჯა ნათესავი (იგი) კაცთა. ხოლო გამოჩინებამან კერპთა სიბორგილისამან და ნაცჳლად დამბადებელისა მსახურებამან დაბადებულისამან, სრულიად განაშორა და უცხო ჰყო კაცი შემოქმედისა ღჳთისაგან, მერმე დაღადებამან სოდომელთა სიბილწ სვლისამან, წუწუბასა თასა ალრეულითა ცეცხლითა მოწჳად აიძულა სოფლები, ხუთ ქალაქისა, კჳალად გულ ფიცხელობასა ფარაოსასა და უსახურებასა მეგჳპტელთასა, უცხოთა მძლავრებათათჳს, უცხო მიეგო მისაგებელი და გჳამთა მათთა უცხოდ დამმარხჳელი საფლავები; ამისა შემდგომად: დიდი მოსე, სჯული, მღჳდელობა, მსხჳერპლნი, სამადლობელნი თჳთო სახენი, მსაჯულნი, მეფობა, წინასწარმეტყჳელება, ყოფადთა წინასწარი ცნობა, სახის შეცჳალებითანი, ღჳთის გამოცხადებანი; მერმე კჳალად კერპთმსახურებანი, თჳთ მის მოსეს მიერ ეგჳპტით გამოყჳანებულისა და სჯულ დებულისა, და ესოდენთა პატივთა ღირს ქმნულისა და პირმშოდ ძედ აღსარებულისა ერისა. ამისა შემდგომად კჳალად მძლავრება, კჳალად ტყჳეობა, მრავალგზის მრავალთა ნათესავთა და უკანასკნელ ბაბილოვნელთა მიერი; რომლითა მეფისა მღჳთის წინა აღმდგომსა მოგონებასა საქმით ამხილეს სამთა მათ ჭაბუკთა ისრაიტელთა; რაჟამს საკჳრჳელითა რკინისათა განმლევებელმან სახჳმილმან, შეუხებელად დაიცჳნა მათნი ადვილად განსალევლენი თმანი და შესამოსელნი; მერმეცა კჳალად ქალაქი და ტაძარი; კჳალად სჯული და მღჳდელობა და რაოდენნი რა იყჳნეს სჯულისანი და საკჳრჳელისა მის სჯულიერისა მსახურებისანი, გარნა ვერცა ერთი რაჲ პირჳელ თქმულთა ამათგანი შემძლებელ იქმნა კურნებად ბუნებისა; გინა თუ მტანჯჳელობითა და საშინელებათა, ანუ თუ ქჳელის მოქმედებითა სიტკბოებთა განი, რომელთა თანა სჯულნიცა უქმ იყჳნეს, ბუნებითსა ვნეტყვი დიდსა წერილსა და უძლიერესი, საჴმარ იყო წამალი, სალმობათა თჳს უბოროტესთა.

ამისთჳს თჳთ გჳამოვანი იგი სიბრძნე და ძალი და თანა არსი ღჳთისა მამისა სიტყჳა, რომელი დასაბამად იყო და ღჳთისა თანა იყო და მარადის იყო, მოვიდა ხატისა თჳსისა და უხრწნელთა მათგან და ყოვლად უბიწოთა სისხლითა ჭეშმარიტებით და საკუთრად ღჳთის-მშობელისა მარადის ქალწულისათა, ხორცნი შეიმოსა ხორცეთათჳს და სულსა გონიერსა და სიტყჳერსა შეზავა სულისათჳს (ჩ...ისა, ჩჳენისა), მსგავსითა მსგავსსა განწმედად, რამეთუ მიუდებელი უკურნებელცა არს და თჳსისა ქმნულისა წილ. თჳთ მიითჳალა ბრძოლაჲ და ესრეთ ყოველივე ხორცთა მიერი განგებულება, ჯჳარისა თანა ვნება, საფლავსა და ღჳთივ შუენიერსა აღდგომასა, სრულ ჰყო რა ქჳეყანასა ზედა, დიდებით აღმაღლემან ზეცად, წარავლინნა ათორმეტნი მოწაფენი თჳსნი, რომელთაცა მოციქულად უწოდა; რათა ღჳთის მეცნიერებისა ნათლითა, ყოვლით კერძოჲთ სოფლისათ განხადონ, ბნელი უღმრთოებისა და სახელისა მიმართ წმიდისა სამებისა ნათლისცემითა აღწაონ, თაყჳანისცემა თანა არსისა ერთ-

ღ̃თაებისა და დამარხჳთ საცხოვრებელთა მცნებათათა, კ̃ალად აგნენ კაცნი პირ̃ელსავე ნეტარებითსა დიდებასა.

ესენი ვითარცა რა შარავანდედნი მზისა მის სიმართლისანი განჰფინნეს რაჲ კიდეთა ქ̃ეყანისათა, ყოველი ნივთი კერპთ-მსახურებისა უღმრთოებისა, მახჳლითა სულისაჲთა მოსჭრეს და ცეცხლითა სარწმუნოებისათა მოსწუ̃ეს; ჯ̃ ერქუნითა ჯუ̃არისათა მოიორნატნეს გულნი შემწყნარებელთა კაცთანი და დასთესეს მათშორის თესლი კეთილად მსახურისა სარწმუნოებისაჲ; და ჭეშმარიტისა ღ̃თისა მსახურებითა თაყ̃ანისცემაჲ, მრავალთა და სიცრუით მოპოებულთა ღმერთთა წილ, ღ̃თივ შ̃ენიერებით ასწავეს და საკერპოთა მათ წილ ტაძართა და ბომონთა, სიმრავლენი ეკკლესიათა და საკურთხეველნი აღუშართნეს კაცთა ყოვლითა კერძო ქ̃ეყანისათა და სიძულილი სოფლისაჲ და მტერობა ხორცთაჲ რწმუნებით ასწავეს მათ, რომელთა იგი ღ̃თად შეერაცხა სოფელი და ხორციელთა გემოთა მძლავრებისადა მონად მიეცნეს თავნი და განცოფებული იგი სიბრძნე ელლენებრისა სიჩქურისა ჭკუთისამე. სიმარტივითა ღ̃თივ სწავლულისა მათდა სიბრძნისათა, რომლისათჳს იგი პავლეს ჰბასრობდეს ათინელნი, ყოვლად სიბრძნით მხილველ ჰყუ̃ეს და არცა ერთისა სიტყჳსა ღირსად გამოაჩინეს, მათნი იგი ზღაპართ მწერლობითნი ხელოვნებანი და დიდის კლიმენტოსის მიერ დახსნეს კანონი საეკკლესიონი, რიცხჳთ ოთხმეოცდა ხუთნი.

რომელთაგანი ერთი, პირ̃ელ წოდებული ანდრია, ძმა თავისა მოციქულთაჲსა პეტრესი, ვიდრე ხ̃ერსონდამდე მოიწია და ქადაგებდა საცხოვრებელი ქადაგებას სახარებისა, ყოველსა ქ̃ეყანასა საქართ̃ელოჲსასა და ურიცხ̃ნი სიმრავლენი ერთანი განაშორნა საცთურისაგან მრჩობლ ეშმაკეულებისა და ერთისა ღ̃თისა და ქრისტეს მისისა, თანაარსით მათით სულიერითა რწმუნებითა თაყ̃ანისცემაჲ ასწავა, დალათუ უმრავლესმან ერმან ქართლისამან, სიმრავლესა შინა ჟამისასა დაივიწყა ქადაგება იგი მოციქულისა და საცთურისავე მიმართ კერპთაჲსა მიიქცა, ამისთჳს ქადაგებისა ნაყოფად აღმოეცენნეს ყოვლით კერძო ყოვლისა სოფლისათაჲ, სიმრავლენი ღ̃აწლისა დამდებელისა ქრისტეს სიკ̃დილსა მიმსგავსებულთა მოწამეთანი; ვინაჲდგან სამასნი მცირედთა სხ̃ათა თანა ვიდრე მეფედ ქადაგებადმდე დიდისა კონსტანტინესსა შორის გარდახდეს წელიწადნი; რომელი იგი ქრისტიანე იქმნა მეფეთა შორის და თჳთ მოციქული და ქადაგ საცხოვრებელისა ქადაგებისა და ნათელსა თავისუფლებისასა მიმფენელ, ქრისტიანეთა ღ̃თივ შ̃ენიერისა მოქალაქობისა.

ამისთავე უკ̃ე ჟამთა სრულიად მომხედნა ჩ̃ენცა აღმოსავალმან მაღლითი და დედაკაცისა ვისმე მიერ ტყ̃ე ქმნილსა, რომელსა იგი ნუნაი კაპპადუკიელად, აქა სადმე ჰპოვნასაცა ქადაგებს წიგნი საეკკლესიოთა მოთხრობათანი; სარწმუნოებისა მიერ თჳსისა მიიზიდა ყოველი სავსება, ყოვლისა ქართ̃ელთა ნათესავისაჲ საკჳრ̃ელთ მოქმედებითა ნიშებ შემოსილთა სასწაულითათა; რომელსა იგი ქართ̃ელთა მეფემან მირიან, მეფეთა შორის დიდსა კონსტანტინეს მივლინებითა და მისგან გამოთხოვითა მეფობისა თჳსისა, ქალაქად მცხეთად შთამოიყ̃ანნა, ევსტათი დიდი საყდრის მპყრობელი ანტიოქელთა ეკკლესიისაჲ და წმიდათა მიერ ხელთა მისთა ნათელ იღო, მან ჯ̃ ყოველმან ერმან ქართლისამან და თჳთ პატრიაქთა შორის სახელ განთქმულმან ევსტათი, ხელითა თჳსითა შეადგა სათავეძ̃ელი, მაშინ სადმე მცხეთას აღშენებულისა ეკკლესიისაჲ; რომელიცა ფრიადისა თანა გულსმოდგინებისა განასრულეს რაჲ მათ, განწმედაჲ იგი და ხელთ დასხმულ ჰყო მას შინა მათთჳს, ეპისკოპოსი კათალიკოსი.

ამან საუკუნოდ ხსენებულმან მეფემან კონსტანტინე შეკრიბა პირ̃ელი და მსოფლიო წმიდა კრებაჲ ნიკიას, სამასა ათრ̃ამეტთა წმი-

დ̃თაჲ მამათა, რომელთა დასხნეს კანონნი მო-ციქულთანი, რომლისა პირჭ̃ლად[1]) ადგილო-ბითნი კრებანი: პირჭ̃ლი ანკჳრიას, რომელსა დასხნეს კანონნი ოცდა ოთხნი; მეორე ნეოკე-სარიას, დამსხმელი კანონთა ათოთხმეტთაჲ, ხოლო შემდგომად დიდისა მის და მსოფლიოჲსა კრებისა, სხჳანიცა იქმნეს ადგილობითნი კრე-ბანი ვითარ იგი დასგრიისაჲ, რომლისა კანონნი არიან ოც და კჳალად ანტიოქისაჲ დამსხმელი კანონთა ოცდა ხუთთა; ამათთანა ლაუდიკიისაჲ ფრიგჳისაჲ და კანონნი მისნი ოცდა ერთნი.

ამათსა შემდგომად, მეორე წმიდა და მსოფლიო კრება კონსტანტინეპოლისა ასერგასისთა წმი-დათა მამათა, რომელთა კანონნი არიან რიცხჳთ შჳდ, მერმე მესამე ეფესოისა წმიდა და მსოფლიო კრება, მცირისა თევდორის მეფისა მიერ შეკრე-ბული, რომელმან დასხნა კანონნი რჳანი.

მეოთხე ხალკიდონიის ექჳსას ოცდა ათთა წმი-დათა მამათა მსოფლიო კრება, კეთილად მსახუ-რისა მარკიანე მეფისა მიერ შემოკრებული და განმწესებული კანონთა, რიცხჳთ ოცდა რჳათა. მერმე ადგილობით კრება კართაგენისაჲ და კა-ნონი მისნი ას ოცდა ათრჳამეტნი; ხოლო მეხუ-თემან წმიდა მსოფლიომან კონსტანტინეპოლს შეკრებულმან კრებამან, მცირედ იზრუნვა სა-ეკკლესიოთა კანონთა განწესებისათჳს.

არამედ მეექჳსემან წმიდამან და მსოფლიომან კრებამან, იუსტინიანის ზ̃ე კეთილად მსახურისა მეფისა გუმბადსა შინა სამეუფოსა პალატისასა შეკრებულმან, აღავსო დაკლებული მისი, რა-მეთუ დასხნა კანონნი რიცხჳთ ას და ორნი. კჳა-ლად ნიკიას მეორემან წმიდამან კრებამან დასხნა კანონნი ათრჳამეტნი, ამისა შემდგომად არიან სხჳანიცა ორნი, მასვე სამეუფოსა ქალაქსა ეკკლე-სიასა შინა წმიდათა და ყოვლად ქებულთა მო-ციქულთასა შეკრებულნი კრებანი, რომელთა კა-ნუჩენიან კანონნი რიცხვით ათ შჳდ-მეტნი.

[1]) (ქმნილ იყ̃ნენ კანონიცა), ადგილი ესე ფრიად წაშლილ არს.

ხოლო წმიდასა და მეშჳდესა წმიდათა ხატთა-თჳს შეკრებილსა მსოფლიოსა კრებასა განუწე-სებიან კანონნი, რიცხვით სამნი ოდენ. ამათ წმი-დათა კრებათა მიერ განჩინებულთა (კანონთა) თანა არიან სხჳანიცა თჳთეულთა მამათა მიერ განჩინებულნი და სხჳათა თანა აღრაცხილნი კა-ნონნი:

დიონოსიოს ალექსანდრიელ მთავარ ეპისკო-პოსისა კანონნი ოთხნი.

პეტრე ალექსანდრიელთა მღჳდელთ-მთავრისა და მოწამისა კანონნი ათხუთმეტი.

გრიგორი ეპისკოპოსისა ნეოკესარიელისა საკჳრჳელთმოქმედისა ეპისტოლე კანონიანი.

დიდისა ბასილის კანონნი ოთხმეოცდა ხუთნი. მისივე ეპისტოლე კანონიანი დიოდორეს მი-მართ.

მისივე ეპისტოლე კანონიანი, გრიგორის მიმართ ხუცისა.

მისივე ეპისტოლე კანონიანი ხორ ეპისკო-პოსთა მიმართ.

მისივე ეპისტოლე კანონიანი მის ქუ̃შეთა ეპისკოპოსთა მიმართ.

მისივე ამფილოქეს მიმართ სულისა წმიდი-სათჳს, მიწერილთა მათ თავთაგან.

გრიგორი ნოსელისა კანონნი რჳანი. ტიმოთე ალექსანდრიელისა კანონნი ათხუთ მეტნი.

ფილათეოს ალექსანდრიელისა, ღჳთის გამოცხ-ადებისათჳს თქმულისაგან.

მისნივე სხჳანი კანონნი ათნი.

მისივე ეპისტოლე ავგიონის მიმართ ეპისკო-პოსისა.

მისივე ეპისტოლე აგათონის მიმართ ეპის-კოპოსისა.

მისივე ეპისტოლე მინაჲს მიმართ ეპისკო-პოსისა.

კირილე ალექსანდრიელ მთავარ ეპისკოპო-სისა კანონნი შჳდნი.

გენნადი წმიდისა პატრიარქისა კონსტანტინე-პოლისა და მისთანა წმიდისა კრებისა ეპის-

ტოლე მიტრაპოლიტთა მიმართ გარემოთა სამთავროთაჲსა.

ესე არიან შეკრებანი წმიდათა და საეკკლესიოთა კანონთანი და ჭეშმარიტნი და დამარხულნი, თჳნიერ ყოვლისა შემატებისა და მოკლებისა და ამათ მეცნიერება და შედგომაჲ და მტკიცედ პყრობა უხმს ყოველთა წინამძღუართა ქრისტეანობითისა მადიდებლობისათჳს, მღუდელთ მთავართა და მღუდელთა და დიაკონთა და ჩუენ შორის მოძღურად სახელდებულთა მათცა მონაზონთა და ერთბამად ყოველსა საკრებასა მართლმადიდებელთა ეკკლესიისასა, ხოლო ჩუენ ესე ამისთჳს მოვიხსენენით, რათა პირუელიდგან პირი სიტყჳსა ჩუენისაჲ განვმარტოთ.

ვინაჲდგან დაჰბადა ღმერთმან დასაბამსა და მსგავსებათ თჳსი კაცი, ვითარცა პირუელ ვიტყოდეთ; რათა მის მიერ ვითარ საზოგადოჲსა საკრუელისა მიმართ ხილულთა და უხილავთაჲსა თავსა თჳსსა შეაერთნეს ყოველნი საცნაურნი და გრძნობადნი დაბადებანი, სათნოებით რაჲ საკუთარ ექმნას იგი შემოქმედსა თჳსსა, ხოლო იგი, ეგე ვითარისა მის მადლთა სიმდიდრისაგან განშიშვლდა ცდომისა მიერ და განდგომილთა დარისხულთა მონათა მოხება მოატყუა თავსა, არამედ არა სახიერმანცა დამბადებელმან მისმან; რამეთუ ვითარმცა თავს-იდუა უგულებელს ყოფაჲ, ესოდენისა ხელთა მისთა საქმისაჲ, რომელ არს კაცი, არამედ უხრწნელსა შინა საშოსა ყოვლად წმიდისა ღუთის-მშობელისა და მარადის ქალწულისასა, არღარა პირუელისაებრ იჴვისა მადლით, არამედ გუამოვსებით შეაერთა იგი თავსა თჳსსა და ზესთა ბუნებისა განაღმრთო მის მიერ მიღებული იგი და მისთა ერთ გუამქმნილი კაცი და რომელი იგი იყო პირმშოჲ ყოვლისა აგებულისაჲ, თავს იდუა პირმშო მრავალთა ძმათა შორის ყოფაჲ, რათა სახელისა მისისა მიმართ წოდებულნი და მადლით ძმად მისსა აღსარებულნი; რომელნი იგი ყრმათაცა ეზიარა ხორცთა და სისხლთა და გუამად ერთისა მის ყოველთა თჳსსა გამოჩინებულნი მუნ აღმიყუანნეს, გუალად განხორციელებითა თჳსითა, სადა იგი თჳთ არს, თავი სასოებისა ჩუენისაჲ და თანა მოქალაქე მეყუნეს წმიდათა და სახლეულ ღუთისა და სამკჳდრებელად მისა გამომაჩინნეს სულითა, რაჲამს თჳსა მიმართ შემოკრბეს თჳთეულებსა ასოთა განყოფილებისა და თბისა მიმართ გარდაინივთოს ვითარებაჲ ყოვლისა აღსუპრულისაჲ.

ვინაჲცა ამისთჳს მოგუეცნეს პირუელად ბუნებითი და მერმე დაწერილი სჯული; ამისთჳს იქმნა განკაცებაჲ ღუთისა; ამისთჳს ქალწულისაგან შობა, ბაგაჲ, წარგრაგნა, ანგელოსნი მადიდებელნი, ვარსკულავისა სრბა, მოგუთა ძღუნის მომრთმელობაჲ, წინა დაცუეთაჲ, ნათლისღებაჲ, ზეცით წამებაჲ, განცდაჲ, ქოლვაჲ ჩუენთჳს და ვნებანი უვნებელობისანი, განცემაჲ, შემსჭუალვაჲ, დაფლვაჲ, აღდგომაჲ, აღსვლა ზეცად; ამისთჳს ქადაგებანი მოციქულთანი, სისხლნი მოწამეთანი, სწავლანი მოძღუართანი, ლოცვანი ღირსთა მამათანი, გულს მოდგინებანი კეთილად მსახურთა და მორწმუნეთა მეფეთანი, წადიერებანი მღუთისმოყუარეთა მთავართანი, კადნიერებანი ღუთის სახისა მღუდელთ-მთავრობისა რწმუნებათანი, წინა მბრძოლისა თჳსისა თანა სიმხნითა მბრძოლებანი მღუდელთა და სამღუდელოთანი, ცოდჳსა მიმართ სიმხნით წინა განწყობანი, ნივთთაგან განშიშულებულისა მონაზონთა დასისანი და მათთანა ერთხმობანი ქრისტეს მოყუარისა ერისა თანა.

ამისთჳს იქმნეს ქრისტეს მოყუარეთა და ღუთივ დაცულთა მეფეთა მიერ ჟამად ჟამადნი კრებანი, ღუთივ მოყუარეთა ეპისკოპოსთა და ღუთისა სათნო ყოფელთა მამათანი, რათა საქმეთა მიერ განსრულებულითა სარწმუნოებითა, შეაერთნეს ღმერთსა ქრისტეანენი; რომელთასა კეთილად ჰბაძვა შუერს ჩუენიცა ესე გჳრგჳნოსანი; მრჩობლ მარჯუენე და შეყუარებული გჳრგჳნოსანისა და სასურუელისა ძე დავითის, რომელი ესე ერთბამად მხნეცა არს და ბრძენ, მართლ და წმიდა;

იგივე მყუდროცა და მშჳდ, სახიერ და ტკბილ, მოწყალე და ძჳრ უხსენებელ და მიმსგავსებულ სახიერებასა ღჳთისა, რომელი აღმოუბრწყინჳებს მზესა კეთილთა და ბოროტთა და ზრდის ყოველთა წჳმითა ჰსწორებით. ესე ვინაჲდგან გარეშეთა ბრძოლათა შინა წინა დაუდგრომელობით უბრძოლჳელ და გარეშისა სახისა ქმნულებითა, სხჳათა კაცთაგან შესწორებად შეუძლებელ იყო, რამეთუ კეთილ დიდ არს ვითარცა გმირი, მშჳენიერ არს ვითარცა სიძე, ბრწყინჳალე არს ვითარცა ცისკარი, ნაყოფიერ არს კეთილთა მიერ, ვითარცა აღმოსავალი, ყჳავილოვან წარმატებათა მიერ, ვითარცა სამოთხე ღჳთისა; არა თავს იდჳა, რათა არა უმეტეს მოღუაწე იქმნეს განბრწყინჳებად შინაგანთაცა სიკეთეთა სულისათა; ვინაჲდგან იგინი წარმდინარ, ხოლო ესენი დაუსრულებელობასა თანა ღჳთისასა, თანა ღჳთისისა თანა დაუსრულებელ არიან.

ამისთჳს შემოკრბა კრებაჲ ღჳთის მოყუარეთა ეპისკოპოსთა, პატიოსანთა მღუდელთა და ღირსთა დიაკონთაჲ, ქრისტეს მოყუარეთა მონაზონთა, დაყუდებულთა და მეუდაბნოეთაჲ, სანახებთა ქართლისათა მახლობლად ორთა საეპისკოპოსოთა რუისისა და ურბნისისა, გარნა არა თუ უბიწოებისა ქართჳელთა სარწმუნოებისასა ბიწი რაჲმე შეეხებოდა, ნუ იყოფინ ესე, არა გეცრუვნეთ შენ სიწმიდით მშობელო ჩუენო კათოლიკე ეკკლესიაო[1]), არცა განგცეთ შენ სიქადულო ჩუენო მართლმადიდებლობაო, რომლისა არცა განმცემელ ქმნილ ვართ, ვინაჲდგან შემეცნებასა შენსა ღირს ქმნილ ვართ, მოწამე არს ჭეშმარიტება; არამედ სხჳათა საეკკლესიოთა და სამღუდელოთა და საქრისტეანოთა ძიებათათჳს; რომელთა თავ და წინამძღუარ და პირუელისა მის კრებისა იყო, ღჳთისა მიმართისა საკუთარებისა თანა, სიმშჳდითცა სულისათა მიმსგავსებული მოსესი და მსგავსად დიდისა სამოელისა, წინა მღოძ ცუელი ერისაჲ და მცხებელი მადლით სრულყოფადთაჲ, იოანე ყოვლად ღირსი მთავად ეპისკოპოსი, კათალიკოსი და ყოვლისა საქართუელოჲსა დიდი მამათ მთავარი და მისთანა სიმრავლე ხსენებულთა მათ სავსებისა.

ა) პირუელად ეპისკოპოსნი (. . . . . . ვერ) ღირსებით შემოსრულნი მატივსა მღუდელთმთავრობისასა და უღირსნი ქრისტეს პირუელისა მის მწყემსთ მთავრისანი, განვკუეთენით ღ უცხოვიყუენით მღუდელობისაგან; ვინაჲდგან არა წმიდისა შეხებაჲ სიწმიდ(ვ)ითა არა უცდომელობა არს და მახლობელი ღჳთისა, მახლობელ ცხოველისა არს და უხმს, რათა ყოვლითურთ ოქრო იყოს; ხოლო არა კრულ ვიყუენით და არა შევაჩუენენით, ნუ იყოფინ, არამედ ლიტონთა ერის კაცთა თანა ზიარებად ფლობილ ვყუენით, უკეთუ ოდენ ამიერიდგან მმარხველ იყუნენ სიწმიდისა და ნაცულად მათდა სხუანი დავადგინენით, რომელსა ჰასაკისაგან ღ საქმეთაგანცა აქუნდა (რწმუნება) წამება და კეთილად განეწყუართნეს ხორცნი დამორჩილებად სულისა.

ბ) ამასთა სულ მოკლებაჲცა ხელთ დასხმათა, ვითარცა უწესოჲ ღ უკანონოჲ დავსხენით ღ განვაწესეთ, რათა ამიერიდგან არღარა ვინ იკადროს ქმნად, თჳნიერ ვითარ იგი განაწესებს კანონი; რამეთუ ეპისკოპოსი ოცდა ათხუთმეტისა წლისაჲ, მღუდელი ოცდა ათისა წლისა, დიაკონი ოცდა ხუთისა წლისა და წიგნის მკითხველი რვისა წლისა, ხელ დასხმულ იქმნებოდიან. ამასთანაცა სხუაცა უწესო წესი ხელთ დასხმათაჲ და დახსნად განვაჩინეთ, ვითარმცა მასვე და ერთსა დღესა, ხელნი დაესხნეს ვისმე, წიგნის მკითხველად კერძო დიაკონად, დიაკონად და მღუდლად, ანუ თუ ეპისკოპოსადცა; რომელი ესე უკეთუ იქმნასცა სადა, ამიერიდგან ხელთ დამსხმელი და ხელთ დასხმული ერთბამად განიკუეთნენ მღუ-

1) ამ ადგილიგან ჰსჩანს, ვითარმედ წმ. კრება მცხეთის საკათალიკოსო ეკკლესიასა შინა იყო და არა რუისს.

დელობისაგან, რამეთუ პირველად წიგნის მკითხველად და კერძო დიაკონად ოდენ ჯერ არს ხელთ დასხმა და ორისავე ამის ერთსა დღესა შესაძლებელ არს ქმნაჲ და მერმე დიაკონად და ვითარცა დაჰყვნეს დღენი დიაკონობასა შინა და მსახურის მღვდელთა არა მცირედთა დღეთა, მერმეღა მოიყვანონ მღვდელობად, ხოლო უკეთუ ეპისკოპოსობად მომავალი იყოს, შემდგომად შჳდთა დღეთა, მერმეღა მოიყვანონ ხელთ დასხმად ეპისკოპოსობისა და ამას ვიტყჳთ მათთჳს, რომელთა საჭირო რაჲმე მიზეზი ასწრაფობდეს, ხოლო რომელთა არცა ერთი რაჲ აქვნდეს სათანადოჲ მიზეზი მას წრაფობლად მათ წელიწადი და წელიწადნი დაჰყვნენ თჳთოეულსა ხარისხსა შინა და უფროსღა დიაკონობისასა, ვინაჲდგან თჳნიერ დიაკონთა სიმრავლისა, ვერაჲ მიიღებს მშვენიერებასა საეკლესიოთა წესთაგანი. ამისთჳს ვამცნებ ყოველთა ეპისკოპოსთა, რათა უფროჲსღა დიაკონთა განმრავლებისათჳს მოღვაწე იყვნენ ეკკლესიათა შინა მათთა, ხოლო მონაზონთა, რომელნი მღვდლად და ეპისკოპოსად მომავალ იყვნენ, პირველად სრულიად მონაზონად დიდითა სქემითა უბრძანებთ განსრულებასა და ეგრეთღა მღვდელობად მოსვლასა.

გ) ხოლო წესი ხელთ დასხმადთა სრულებისა ეგრეთ აღესრულებოდედ, ვითარცა ახალთა შინა კურთხევათა ნეტარებით მოხსენებულისა მამისა გიორგი მთაწმიდელისათა დაწერილ არს. ეგრეთვე კურთხევაჲ ეკკლესიისაჲ და დამყარებაჲ საკურთხეველისა და წმიდა ყოფა ღმერთ მყოფელისა მირონისა, ეგრეთ სრულ იქმნებოდედ ვითარცა მუნ შინა მოხსენებულ არს.

დ) ხოლო ქრთამისათჳს ჲ საფასისა, რომლისა მიიღებენ ხელთ დამსხმელნი ხელთ დასხმადთაგან მოითგანისა წმიდათა მოციქულთა და მამათა მოცემისაებრ, განჩინებად ვიკადრებთ ჩვენცა, რათა მოჲსპოს ეგე ვითარი იგი ეკკლესიისაგან და აღიხოცოს მღვდელობისაგან და კურთხეველისა თჳსისა თანა; რომლისა ქმნაჲ ამიერიდგან ნურაღარამცა ვის უკადრებიეს, რათა არა იგიცა შევსძინოჲ(თ); ვითარმედ შეიჩვენოს ვითარცა სჳმონ მოგჳ პეტრე მოციქულისაგან და ნუმცა მიიღებენ რაჲთურთით ნურარას ნუ ოდეს, ნუცა პირველ ხელთ დასხმისა, ნუცა თჳთ მას ხელთ დასხმასა შინა, ნუცა შემდგომად ხელთ დასხმისა, ნუცა ქრთამსა, ნუცა ძღვენსა, ნუცა ევლოგიასა, ნუცა კათალიკოსი ეპისკოპოსთაგან, გინა ხუცეს დიაკონთა და მღვდელთა და ხორ ეპისკოპოსთა; ნუცა ეპისკოპოსნი დიაკონთაგან და მღვდელთა და ხორ ეპისკოპოსთა, ნუცა რომელიმე სხვათაჲსა დასისაგანთა ანუ (რომელთამე) საეკლესიოთა მნეთაგან.

ე) მერმეცა სამღვდელოთა ჭურჭელთა და ღვთისა და შეწირულთა სიწმიდეთათჳს, რომელ არნ ბარძიმ, ფეშხუმი სამწიროებელნი და ყოველივე ეკკლესიათა და შეწირული და ერთგზის ღვთიესადი მიცემული ოქროჲ, ვერცხლი, თვალი, მარგალიტი, ჭიქაჲ, სტავრაჲ, ნაქსოვი, სინი, რვალი [1] რკინა, ძელი, კეცი, ქვაჲ; ამას განვაწესებთ შედეგითა წმიდათა კანონთათა, რათა არა ვის ხელეწიფოს ხმარებად მისა არა რად; არცა ტყვეთა სახსრად, დაღათუ ცუდადცა დაუხმარად მდებარე იყვნენ და ფერხითა დასათრგუნველად ისხნენ ეკკლესიასა შინა და საჭურჭლესა მისსა, ხოლო უკეთუ ვინმე იკადროს ამათგანისა რაჲსაცა, გარეგანით მის ეკკლესიისა და თჳნიერ მისსა ვითარ იგი განწესებულ იყოს და ვითარ სახედცა სამსახურ აწ ეკკლესიასა, ანუ საკურთხეველისა შექმნილ იყოს, სხვად რადცა ხმარებაჲ; მოელოდედ აქა უკვე ბაბილოველთა მეფისა ბალტასარის ჲ ანანიას და საფირას სასჯელსა, ხოლო მუნ ცეცხლსა საუკუნესა განმზადებულსა ეშმაკთათჳს და ანგელოსთა მისთათჳს.

1) სპილენძი.

ჳ) ამასთანა ესეცა მოვიხსენეთ, ვითარმედ თჳნიერ ეკკლესიისა და საკურთხეველისა არცა ნათლისცემაჲ შესაძლებელ არს, არცა გჳრგჳნთა კურთხევაჲ არცა მონაზონისა ეპისტოლითა გინა სქემითა კურთხევაჲ და არცა მონაზონსსა ხუცესსა გჳრგჳნთა კურთხევად ხელეწიფების; არცა ერისგანსა მღდელსა მონაზონისა კურთხევად. ხოლო შემდგომად გჳრგჳნთა კურთხევისა პირველთა და მეორისა ცოლქმართა, წმიდათა საიდუმლოთა ზიარება უხმს მას დღესა, რომელსა იკურთხნეს უეჭუელად, არა თუ გარდარეულითა რაჲთამე ბილწებითა შებღალულ იყვნენ, დაღათუ უზიარებლობითაცა განკანონებულ იყვნენ და მერმე აღსრულებაჲ კანონსა უზიარებლობისა მათისასა. ხოლო მეორეთა გჳრგჳნთა მაკურთხეველი ხუცესი სამხრობად ნუ მივალს მათ თანა ნუცამცა მეორეთა ცოლ ქმართა პირველნი გჳრგჳნნი ეკურთხევიან; ხოლო სხუებრ ქ არა ესრეთ მოქმედი ამათი ხუცესი უკუ განკუეთისა, ხოლო ერისკაცი უზიარებლობისა თანამდებ იყოს.

ზ) კუალად ამასცა განვასაზღვრებთ, რათა ამიერიდგან არღარა ეკურთხეოდინ გჳრგჳნი ჩჩჳლთა ქალ ყრმათა; არამედ უკეთუ საჭიროდ რაჲმე იყოს მშობელთა მიმართ დიდად დაუწინდნენ იგი ურთიერთარს და რაჟამს ჰასაკად მოვიდენ ორნივე, მაშინ იქორწინნენ და ქალი ათორმეტისა წლისასა უმცროჲსი, ნუმცა შეუოფილ არს ქორწინებით მეუღლისადა. ხოლო ამის განჩინებისა დამხსნელი, თანამდებ იყავნ ზემოხსენებულისა მის განჩინებისა.

ჱ) კათალიკოსისა და ეპისკოპოსთაგან, ხოროეპისკოპოსი ჰსჯულისა და საღმრთოთა წიგნთა მეცნიერი გამოირჩეოდეს, მღდელი ანუ დიაკონი შიშითა მღუთისათა ემცნებოდეს მას. ფლობად და დაცვა ყოველთავე საქრისტეანოთ წესთა, რათა არა რაჲ მათგანი განსცეს ქრთამისათჳს, არცარა განყიდოს ვერცხლად, ვითარცა იუდა უფალი; რათა არა შიშთვილიცა მისი დაიმკჳდროს.

თ) შემდგომად ამათსა ამისაცა სათანადოდ ვგონეთ მოხსენება ვინაჲდგან მოძღვრად წოდებულთა მათ მონაზონთაჲ, ფრიადი და აღურაცხველი არს სიმრავლე და ერთსა მონასტერსა შინა რვასი, და ათნი, მრავალგზის ოცნიცა და ოცდა ათნი იპოვებიან, დიდი თუ იყოს მონასტერი და მრავლისა შფოთისა და განხეთქილებისა მიზეზსა შემოიღებს სიმრავლე მათი, ამისთჳს განვაჩინეთ რათა ამიერიდგან დასცხრეს ესე ვითარი უწესოებაჲ და პირველად ამას განვასაზღვრებთ, რათა უმღდელოსა არა ხელეწიფებოდის განმკითხველობად სულთა, არა თუ ეპისკოპოსი იყოს, ანუ მღდელი, ანუ დიაკონი, რამეთუ პირველად შეკვრისა და განხსნისა ხელმწიფება უხმს ქონებად და ეგრეთცა განკითხვისა სულთაჲ რა ხელყოფად; ამასთანა რათა დიდთა მონასტერთა შინა ორ ორი. ხოლო მცირედთა თჳთო კმა იყოს მოძღვარი და უკეთუ ვინმე ამას განჩინებასა გარდახდეს, უეჭველად ესმეს მას, ვითარმედ ხდომისაგანთა მათ და ურჩთა ჭეშმარიტებისათა და მორჩილთა სიცრუისათა, რისხვაჲ და გულისწყრომაჲ ჭირი და იწროება და შემდგომი.

ი) წესი იგი რომელსა კრებულთა დასხმად უწესენ, ნულარამცა კადრებულ არს ქმნად ამიერიდგან, ნუმცა მონასტერთა შინა შექმნაჲ სავაჭროთა ერის კრებათა, ნუმცა რა სხუა სამოქალაქო და სოფლოჲ წესი ქმნილ არს მონასტერთა შინა ოდესცა, რათა არა სალოცველთა მათ ადგილთა, ქუაბ ავაზაკთა შექმნითა სულთაცა ოქროთა საფარდულები, საღმრთოჲსა სიტყჳსა მიერ დაიქცეს, ვითარცა მეკერმეთა [1]) მათ ტაბლები და წმიდათა მამათა და კრებულთა მიერ განკანონებისა თანამდებ იქმნენით.

ია) ხოლო ერთსა საკურთხეველსა და მასვე დღეს ერთსა წინადაგებასა ზედა წმიდისა შესაწირავი-

1) ზარაფი.

სასა, მრავალთა სულთათჳს, მრავალთა მღუდელთა მიერ ქმნაჲ წმიდისა ჟამის წირვისაჲ უწესო არს და განგდებულ, რომელი ესე ნუღარამცა სადა ქმნილ არს; უფროჲსღა თავად საკურთხეველსა დიდისა ეკკლესიისასა საეპისკოპოსოჲსა გინა მონასტერისასა, ერთისა არა ვისთჳს წეს არს ჟამის წირვად არა ოდეს, არცა ცოცხლისა არცა მიცუალებულისათჳს, თჳნიერ აღაპთა და სულისა სახსენებელად, განჩინებულთა დღეთაჲსა, არამედ მის ეკკლესიისა მაშენებელთათა და შემომწირველთა და ერთბამად ყოველთა ქრისტეანეთა ცოცხალთა და მიცუალებულთათჳს ჯერ არს ჟამის წირვაჲ; ხოლო ერთისა კაცისათჳს, ანუ ერთისა სულისათჳს, ეგუპტერთა სადმე შინა, ანუ მტოთა ეკკლესიისათა, ჯერ არს თჳთეულისა ხუცესისაგან ჟამის წირვაჲ.

იბ) რომელნიცა ღუთის მავნებელობითისა მის წყალებისაგან ხჳჩავცართაჲსა, რომელ არიან სომეხნი მართალსა და უზაკუჱლსა სარწმუნოებასა მოუხდებდინ და წმიდასა კათოლიკე ეკკლესიასა შეერთებოდინ და ბიწსა მას წყალებასა ერთბუნებიანთა და ერთისა მოქმედებისა ღუთაებისა განკაცებისა შეზავებულისა და არცა საღმრთოჲსა, არცა კაცობრივისა არამედ, შერეულისა რაჲსამე და უცხოჲსა ქრისტეს ჭეშმარიტისა ღუთისა ჩუჱნისა ზედა სიჩქურით მეტყუჱლთასა შევაჩუჱნებდ. ესრეთ განვაწესეთ მათთჳს, რათა სრულიად ნათელს სცემდენ ვითარცა წარმართს, ვინაჲდგან სხუათაცა დიდთა ეკკლესიათა ვპოებთ მოქმედად ამისა, ვითარ იგი არს საპატრიარქოჲ საყდარი ანტიოქიისაჲ და ყოველნი მიმდგომნი მისნი ეკკლესიანი ყოვლისა აღმოსავლეთისანი.

იგ) კუალად განვაწესებთ, რათა არცა მართლ მადიდებელი მამაკაცი, მწყალებელსა გინა წარმართსა დედაკაცსა; ანუ დედაკაცი მამაკაცსა შეეუღლდნენ; ვინაჲდგან ყოველნი მართლ მადიდებელნი ტაძარ არნ ღუთისაჲ, დამკჳდრებულისა მის მიერ სულისა მისისა ჩუჱნ შორის; ხოლო ყოველი ბოროტად მადიდებელი, ანუ ყოვლად არა მადიდებელი, ტაძარ არს ეშმაკისა; ხოლო ვითარმედ არცა ერთი ზიარება არს ტაძრისა ღუთისაჲ კერპთა თანა, ვითარ იგი ბნელისა ნათლისა თანა, მოწამე არს საღმრთო მოციქული; ხოლო რომელმან ამიერიდგან იკადროსღა ქმნნაჲ ამათი, განიკანონოს იგი პირუჱლ თქმულითა მით კანონითა.

იდ) ვინაჲდგან ესეცა უწესოებაჲ მრავალთა მიერ აღსრულებად გუჱსმა, უფროჲსღა დიდთა ვიეთმე და წარჩინებულთა და არა ლიტონად კაცთაგან ქმნილად, რომელ არს კიდეს კიდე და არა ერთგან კურთხევაჲ გჳრგჳნთაჲ, ქორწინებით ერთხორც ქმნადთა მეუღლეთა; ვითარ იგი ჰყოფენ უჰსჯულოებით დედაკაცისასა უკუჱ სხჳსა ვისმე უცხოჲსა მამა კაცსა თანა კურთხევასა; ხოლო მამა კაცისა მამაკაცისავე სხჳსა, რომლისსა რაჲმცა იყო სხუა უუწესოესი და უსაცინელესი, ანუ არა ყოვლითურთ მსგავს არსა მარკიონის მწვალეთა მიერ მკუდრისა წილ ნათლისცემასა ცოცხლისასა; რამეთუ ესე ერთგან კურთხეულნი მამა კაცი და დედაკაცი, ნუ უკუჱ შეირაცხნენ ნახევარ მემრუშედ ცოლ ქმრად, ვინაჲდგან სხჳსა იხსენების სახელი და სხუა წარმოდგომილ არს მუნ; ხოლო ორთა მათ ერთაგან კურთხეულთა მამა კაცთათჳს რაჲ ვინ მოიგონოს სახელი, გარნა თუ ვინმე ვრცელითა სიცილითა განბასროს, ესე ვითარი ესე, ჰსჯულისა და კეთილისა წესიერებისა ჩუჱნისა და კაცობრივისა ქცევისა და ჩუჱულებისა გარეგანი უჰსჯულოებაჲ, რომლისათჳს ამას განვასაზღურებთ, რომელნიცა მოაქამდე ესრეთ კურთხეულნი ყოფილ არიან და გარდასრულ არიან, იგინი შენდობილ არიან უმეცრებისათჳს; ხოლო უკეთუ აწ სადმე იპოვნენ ვინმე ეგე ვითარნი, იგინი ჰსჯულიერად ცოლ ქმრად ნუმცა შერაცხილ არიან. ამიერითგან კულა, ნუღარამცა ვისგანმცა კადრებულ არს ქმნაჲ ამისი და უკეთუ

ოქმნას სადა, ოთხნი იგი კაცნი და ორნი მაკურთხეველნი მათნი ხუცესნი, ექუსნივე განიკანონნენ.

ჲდ) მერმეცა ღუთის მოძაგებულისა მის დ ღუთის განმამწარებელისა ცოდუათა უბილწესისა საძაგელებისა სოდომელთასა; რომლისაჲ არა უწყით თუ ვითარ შეეთჳსცა იგი უბადრუკსა ამას ნათესავსა და სრულიად განაშორნა და უცხო ჰყუნა ღუთისაგან, ვიეთთაცა ჰპოვა თავისა მისადრეკელი ამას განვასაზღურებთ სიტყჳთა ღუთისათა და სამოციქულოჲთა ხელითა და მამობრივითა განჩინებითა, დაღა თუ მრავალგზის ქმნილ არიან მრავალთა ნათესავთა მიერ მრავალნი და რიცხჳსა მძლენი ცოდუანი: ვითარ იგი მტერობანი, შურნი სიძულილნი, კაცის კულანი, მრუშებანი, ცრუ ფიცნი და უკანასკნელი და თავი ყოველთა ბოროტთაჲ კერპთ მსახურებაჲ და თაყუანის-ცემისა შეცუალებაჲ დამბადებულთა მიმართ; გარნა არცა ერთისა მათგანისათჳს აღძრულ არს აღუძვრელი იგი, ვითარცა თჳთ იტყოდა აბრაამის მიმართ; ვითარმედ ღაღადებაჲ სოდომისა დ გომორისაჲ მოიწია ჩემდა და გარდამოვხედ (ხილვად), უკეთუ ღაღადებისა მათისაებრ არიან საქმენი მათნი. რომლისა შემდგომად იხილეთ თუ რაჲ იქმნების და თუ ვითარ ნივთნი ესე სამსახურად ვაცთათჳს, დაბადებულნი ღუთისაგან, წინა უკუმო ბუნებისა თჳსისა ვაჰებით შესცუალებენ ბუნებითსა ძალსა თჳსსა და უცხოჲსა ცოდჳს აღსახოცელად, უცხოსა მოიპოებენ მოქმედებასა, რომელ მარადის აღმარი მოძრავი და სუბუქი ბუნებაჲ ეთერისა ცხოველისაჲ. ვითარცა ზრქელთა რაჲმე და მძიმე, დაღმართ ჰყოფს დამოდინებასა და სახედ მძაფრისა წჳმისა, საშინელებითა მჩქეფროის აღრეული წუნწუბასა თანა, მრისხანედ განსალევნელად უკეთურთა მათ სიბილწეთა მრავლითა კაცთა. ხოლო წული დათხეული უფერული ბუნებაჲ ჰაერისაჲ, მიზეზი ცხოველთა აღმოფშჳნვისა და სიცოცხლისაჲ, სიზრქედ აღმურისა ხშიროსა და ფერად ხელით საძიებელისა ბნელისად და შემაშთობელად, კუალად სასწაულად რისხჳსად შესცუალებს თავსა თჳსსა მათ ზედა. ამათთანა ქუეყანაჲ მყარი და მტკიცე და მტკრთუელი სიმძიმესა მას ზედა მდებარესა კუამთასა, ვერღარა იტჳრთავს სიმედგრესა ბილწებათა მათთასა, არამედ პირქუელად შესძრავს საფუძუელთა თჳსთა და სიღრმით იატაკთა თჳსთაჲთ აღმომდუღარე. ჰაერად აღმოიხუამს სიღრმეთა, საფუძუელისა მათისა სიმტკიცეთასა; და მიწად გარდამოიხუამს სიმაღლეთა გოდოლ ტაძრებისა მათისა სიმაგრეთასა. მერმე განაქებს ვიდრე მუნ ჟამადმდე განუქებელსა პირსა და თასად ქალაქებითურთ და სახლებით შთანთქამს არღარა გაცებს, არამედ დამწურებსა რასმე ძუალებსა და ოდესმე ყოფილთა კაცთა, საწყალობელსა ნეშტებსა. ხოლო წყალი იგი უცხოდ იხილვების შეცუალებლად მათთჳს და არღარა სამუშობელად და სახმარად, არამედ სხუათა ნივთთაგან დაშთომილსა ნეშტისა მათისა აღსახოცელად, პირსა ზედა მათ ყოვლისა ქუეყანისა უფროჲსღა (უწჳმათ) და ქმნილისა ჯოჯოხეთისა, იპოვების მოდინებულად, ეგოდენ შეცუალებული სხუათა წყალთაგან ბუნებითა რაოდენ იგი სხუათა კაცთა ჰმატდეს ბილწებისა გარდარეულებითა. ამან უჰსჯულობამან ასურასტანელთა იგი უმრავლესთა ნაწილთა ქუეყანისათა და მპყრობელი მეფობაჲ ტყუედ წარიქცია სპარსთა და მიდთა და სრულიად აღმოფხურა ქუეყანით სახსენებელი, არა ხოლო მეფე და მძლავრი, არამედ კაც ყოფისაცა მათისაჲ. ამან ცოდუამან, დიდი იგი და ყოვლით კერძო ყოვლისა ქუეყანისაჲთ ხმა განსმენილი ნათესავი სომეხთაჲ, მეფობითურთ და მთავრობით მათით, არა ოდენ დაამდაბლა დ დაამხუა; არამედ სრულიად აღხოცა კაცთაგან სახელი მათი, რომელთაჲ ვერვინ იპოვოს დღეს ერთიცა მეფე ანუ მთავარი, მქონებელი და უმონებელისა თავის უფლებისა დაღათუ ყოველიცა ვინ პირი მოწისაჲ მოიხილოს. ამან ბილწებამან სპარსთა იგი მაღალი და მარადის ჰრომთა მეფობისა მხდომა

ფლობაჲ, მხეცნი ბუნებითა ვიეთ კაცთა ავაზაკებრითა ზედა მოსვლითა, მიწადმდე დამდაბლებულ ჰყო და ვითარცა მოაქამდე მძლავრებისა მათისა მორჩილ ჰყო ესე, არა უწყით თუ ვინაჲ უკეთურებით შემოეხრწნა (უკეთურებით) მოქალაქობასა ქრისტეს მოსჯხელისაცა ერისასა; რამეთუ რა რაჲ ზიარებაჲ იყო ბელიარისი ქრისტესთა და ხელსა უცხოთესლთასა მიცემით დასასრულ მახჳლისა მათისა ქმნითა, ნეშტნი ოდენღა დამიტევნა ისრაილისნი, რომელნი უკეთუ ვეგნეთღა მასვე უკეთურებასა ზედა, ჰოი! ჩემდა, დავიდუმო ძნელ სიტყუაჲ, რომელი ყოველთად ცხად არს დაღაცა თუ ჩუჱნ ვჰრიდოთ. ამისთჳს ვამცნებთ ყოველსა დიდსა და მცირესა, მდიდარსა და გლახაკსა, მეფესა და მთავარსა, აზნაურსა და მდაბიორსა, მღუდელთა და უმღუდლოთა, მოწესეთა და ერის კაცთა, ბერთა და ჭაბუკთა და შუა კაცთა, ყოველსა პატივსა და ყოველსა წესსა და ყოველსა ჰასაკსა, განყენებად ამის ვნებისა, უფროჲსღა საძაგელისა ბილწებისა და ესრეთ დაუმტკიცებთ სახელითა მღუთისა ჩუჱნისათა იესო ქრისტესითა. ყოველმან სულმან ქრისტეანემან მართლმადიდებელმან, ამათ სიტყუათა მსმენელმან, რომელმან შემდგომად ამის ძეგლისა წარკითხვისა, არა იჴმნას ბილწისა მის სოდომურისა ცოდვისაგან და არა ხოლო საქმით ქმნისა მისისა, არამედ ესეცა ლაღობით ფერობისა (მისისა) და სიტყჳთ თქმისა, რათაცა სამისოთა და მისთა დამსახუჱლთა სიტყჳთა და საქმეთაგან, უეჭუჱლად მოიწიოს მის ზედა ამას უკუჱ საწუთოსა, საშინელი რაჲმე და ცოცხლივ ჴოჴოხეთად შთამხდელი რისხუაჲ მსგავსად წუნწუბასა თანა აღრეულისაჲ მის სოდომელთა ცეცხლისაჲ. ხოლო მუნ იგი მიმთუალველ ექმნეს მას, რომელი ვალს წინაშე პირსა უფლისასა და შესწუავს გარემოჲს მისსა მტერთა მისთა, ვინნაჲდგან სიყუარული ხორცთაჲ მტერობაჲ არს მღუთისა და რომელმან განხრწნას ტაძარი მღუთისაჲ, განხრწნეს იგიცა ღმერთმან და ამასთანა და ჩუჱნგან უღირსთა მონათა, საღმრთოჲს მონებისა ღირს ქმნულთაჲსა, ჰოი! ჩუჱნდა არაღარა კურთხევა, არამედ კდემაჲ და მხილება დაიმკჳდროს საუკუნოჲ.

ხოლო ვინაჲდგან მიზეზად ურთიერთარს პატივით თაყუანისცემისა, ჩუჱნ შორის მყოფი ხატებაჲ მღუთისა აღსარებულ და ქადაგებულ არს, დიდთა მოძღუართა და მამათა ჩუჱნთაგან, ცხად არს ვითარმედ თაყუანისმცემელი ხატისა ღუთისაჲ, ღმერთსა თაყუანისცემს მის მიერ, მაგინებელიცა სადმე ხატისა ღუთისაჲ ღმერთსა აგინებს უეჭველად, ვითარცა წმიდათა შორის დიდი ვასილი ესრეთ დასწერს ამას. ამისთჳს განვასაზღურებთ, რათა ესეცა ღუთის შემაწუხებელი და ღუთისა შეურაცხის მყოფელი ცოდუაჲ სრულიად მოისპოს ყოვლისაგან ენის და ნათესავისა ჩუჱნისა ⁊ რომელმან ამიერითგან შეაგინოსღა სული გონებაჲ და პირი თჳსი უსახურითა გინებითა ზემოწერილისა ამისა თანამდებ იყოს განკანონებისა.

## მეფესა დავითს მონაზონი არსენი.

ამათდა მიმართ რასა იტყჳ, რომელსა ჰსიბრძნის მოყუარებ შენ უფროჲსად ბრწყინუალეთუალო ყოვლისა სოფლისა მყოფთა ერთგუამოვნებისაო: რომელი ეგე ჰაეროვან ხარ, ვითარცა სამყაროჲ ხილულისა სოფლისა შორის. საჩინო, ვითარცა მზე, ვარსკულავთა შორის. ბრწყინუალე, ვითარცა ეთერი ნივთთა შორის. ნათლის ფერ, ვითარცა ელვაჲ ღრუბელთა შო-

რის. ცისკროვან, ვითარცა აღმოსავალი კერძოთა შორის. ტკბილ, ვითარცა არე ჟამთა შორის. ღთის სახე, ვითარცა საყუარელი სათნოებათა შორის. გულის სათქმელ, ვითარცა ოქროჲ მიწათა შორის. ელვარე, ვითარცა იაკინთი ქვათა შორის. მაღალ, ვითარცა ფისიკი ნერგთა შორის. მშუენიერ, ვითარცა ვარდი ყუავილთა შორის. აღმატებულ, ვითარცა სამოთხე ქუეყანისა შორის. ძლიერ, ვითარცა ლომი მხეცთა შორის. მტკიცე, ვითარცა ანდამატი განუკუეთელთა შორის. სახელ განთქმულ, ვითარცა ნებროთ გმირთა შორის. ახოვან, ვითარცა ისო წინა მბრძოლთა შორის. მოშურნე, ვითარცა ფინეზ მღუდელთა შორის. მხნე, ვითარცა სამფსონ მსაჯულთა შორის. უბრძოლველ, ვითარცა აქილევ ელლინთა შორის. ბრძენ, ვითარცა სოლომონ მეფეთა შორის. მშჳდ, ვითარცა დავით ცხებულთა შორის.

უზარო, ვითარცა [1]) მაკედონელი მფლობელთა შორის.

განმადიდებელ ფლობისა, ვითარცა ავღუსტოს კეისართა შორის.

კაცთ მოყუარე, ვითარცა ჩემი იესო ღმერთთა შორის. ბუნებით ღმერთი, მადლით ღმერთი, ქმნულთა შორის. მხურვალე, ვითარცა პეტრე მოწაფეთა შორის. საყუარელ, ვითარცა იოანე მეგობართა შორის.

მკჳრცხლ, ვითარცა პავლე მოციქულთა შორის.

სახის დასაბამ უცთომელისა ქრისტეანობისა, ვითარცა დიდი კონსტანტინე თჳთ მპყრობელთა შორის.

სიმტკიცე კეთილად მსახურებისა, ვითარცა თეოდოსი, სკიპტრის მპყრობელთა შორის.

სათნო უჩანანა, ესენი მეუღროებაჲსა შენსა, განსუენებულ არსა, სიბოროტისა სვლათა მდევნელი დავითიანი სული შენი, რომელნი ესე ძღუნად მოკართუნა შენ მწყობრმან შენთა ამათ ნაზარეველთაჲ სიმრავლისამან, რათა შენ მიართუნე ესენი ღმრთისა და მოწყალე ჰყო ამათ მიერ წყალობის მოყუარე ღმერთი, რომელ მოსწრაფებით შემოკრებაჲ უბრძანე შენ და დიდისა ამას და ღთისა სათნოჲსა წარმართებისა თანა შუა მდგომელად მღთისა მიმართ მოიგენ, ვითარცა საკუთარნი მონანი, რათა რომელიმე ღთისა სახისა მღუდელთ მთავრობისა მიერ, მახლობელ ექმნებოდის შენთჳს ღმერთსა; რომელიმე მღუდელ მშუენიერითა მსახურებითა, რომელნიმე შეუყუარებითა დამბადებელისა. სხუასა გონდნობაჲ ცრემლითა, სხუასა ღამე ყოველ ოფლნი მღჳძარებანი, სხუასა ხმელ სარეცლობაჲ. სხუასა რათურთით არა რას ქონებაჲ კეისრისასა ყოველსავე ღთისასა, მხოლოდ ხორცითა ოდენ და მათცა მარხვითაგან ლეულთაჲ. სხუასა სიტყუა, დაღაცათუ მდაბალი და უნდოჲ, გინა არავე უჭრმოჲ არცა უმუსიკელოჲ მომზიდველ ყოფად სმენისა ამის-თანა შემსგავსებულიცა ძალისაჲ, ყოველთა ვედრებაჲ, ყოველთა ლიტანიობა, ყოველთა ერთხმობაჲ, ვითარმედ დავით კეთილად მსახურისა და ღთივ დაცულისა მეფისა ჩუენისა მრავალმცა არიან წელიწადნი.

კეთილად მსახურისა და ღთივ დაცულისა მეფისა ჩუენისა . . . . . მეფეთა მეფისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა კეისროსისა, მრავალმცა არნ წელნი.

კეთილად მსახურისა და ღთის მიერისა დედოფლისა ჩუენისა . . . . . ავღუსტონაისნი, მრავალმცა არიან წელიწადნი.

დავით ღთის მსახურისა და ღთივ დაცულისა მეფისა ჩუენისა აფხაზთა და ქართუელთაჲ, ჰრანთა და კახთა თჳთმპყრობელისა, მრავალმცა არიან წელნი.

წმიდისა დედოფლისა და ღთივ სულიერისა დედისა ჩუენისაჲ მარიამ მონაზონისა, საუკუნომცა არს ხსენებაჲ [1]).

იოანე წმიდისა მთავარ ეპისკოპოსისა ჩუენისა, კათალიკოსისა და ყოვლისა საქართუელ-

1) ალექსანდრე.

1) იგი დედა იყო წმ. მ. დავითისა, რომელიც მონაზონად იყოფებოდა.

ლოჲსა, ყოვლად ღირსისა მამათ მთავრისა მრავალმცა არიან წელნი.

წმიდისა ბერისა და სულიერისა მამისა ჩჳჱნისა ევსტრატი მონაზონისა, მრავალმცა (არიან წელნი).

ღირსისა მეუფისა ჩჳჱნისა და იჳალად წმიდისა ამის კრებულთა, ცნობილისა გიორგი მონაზონისა და მწიგნობართა უხუცესისა, მრავალმცა არიან (წელნი).

ყოვლად ღირსთა კრებულისა ამის ყოველთა მამათა, მღჳდელთმთავართა, მღჳდელთა და მონაზონთა, მრავალმცა არიან (წელნი).

ჴსჯულიერისა მოღუაწისა არსენი კალიპოსჯულისა მონაზონისა, მრავალმცა არიან (წელნი).

ყოველნიმცა მართლმადიდებელნი კურთხეულ არიან.

კეთილად მსახურთა და მართლმადიდებლობით აღსრულებულთა სანატრელთა მეფეთა ჩჳჱნთა, საუკუნომცა არს ხსენება და კურთხევა მათი.

სანატრელთა და წმიდათა კათალიკოსთა და ნეტართა მღჳდელთმთავართა და მღჳდელთა, საუკუნომცა არს (ხსენება და კურთხევა მათი).

საუკუნოჲსა ნეტარებისა ღირსთა და დიდთა მნათობთა ჩჳჱნთა, ევთიმი და გიორგი მთა წმიდელთაჲ [1]), საუკუნომცა არს ხსენება და კურთხევა მათი. (ყოველნიმცა მწჳალებელნი შეჩჳჱნებულ არიან).

ღირსთა მამათა ჩჳჱნთა დავით ტბელისა და სტეფანე სანანოის ძისა, (საუკუნომცა არს ხსენება და კურთხევა მათი).

დაუსრულებელისა ნეტარებისა მკჳდრთა ბერთა ჩჳჱნთა, საბაჲ სულაის ძისა და ანტონი ტბელისა და ეფრემ მცირ(ი)აჲსა [2]) და არსენი მონაზონისა იყალთოელისაჲ [1]), საუკუნომცა (არს ხსენება და კურთხევა მათი).

ღირსებით მოხსენებულთა მამათა, ევთიმი გრძელისა, იოანე რეხუჱს ძისაჲ შჳლითურთ, მიქელ ჭუჱაისაჲ და გიორგი ბერისაჲ, საუკუნომცა [2]) (არს ხსენება და კურთხევა მათი).

კუალადმცა, ყოველნი მწჳალებელნი შეჩჳჱნებულ არიან.

ყოველნიმცა მართლმადიდებელნი კურთხეულ არიან.

ყოველთა მართლმადიდებელთა წელნიმცა მრავალ არიან.

ყოველთა მართლმადიდებელთა, საუკუნომცა არს ხსენებაჲ (და კურთხევა).

ყოველნი მწჳალებელნი საუკუნომცა შეჩჳჱნებულ არიან.

ყოველთა მწჳალებელთა საუკუნომცა არს წყევაჲ და დაუსრულებელი შეჩჳჱნებაჲ [3]).

---

1) წმიდათ შერაცხილნი.

2) მან ჰსთარგმნა ბერძულითგან ქართულად: 1) წიგნი დიონოსი არიოპაგელისა «ზეცისა იერარხიისათჳს», 2) ამმონიოსის წიგნი, 3) მოქცევა საქართველოჲსა, 4) ქადაგება წმ. მოც. თომასი.

1) იგი იყო მოძღურად წმ. მ. დავითისა, რომელმან აღაშენა დიდი და ფრიად განთქმული სასწავლებელი კახეთს, იყალთოს მონასტერსა შინა, შემდეგ მიცვალებისა იოანე კათალიკოსისა იქმნა კათალიკოსად — და აღსრულდა იყალთოს, სადაცა საფლავი მისი მოჩანს აქამომდე, მან აღწერა: 1) ეს ძეგლის წერა კრებისა, რომელიც იქმნა მცხეთის ქალაქსა შინა, როგორც მგონია 1118 წ. 2) მოთხრობა მიზეზთა, რომელთა გამო განსჯდგნენ სომეხნი მართლმადიდებლობისა სარწმუნოებისაგან 3) ბერძულითგან «ოქროს ნეკტარი», წმ. იოანე დამასკელისა, რომელსა შინა მოითხრობვის დარღუჱვა ნესტორისა წვალებათა.

2) დიდნი და მნათობნი საქართველოს ეკკლესიისანი, აღმსებელნი თარგმნილთა წიგნთა, და თხზულებათა მიერ, სჳჱტნი მართმადიდებლობისანი ამ ძეგლის წერის ძალით უწყით სახელები მათი, არამედ მოთხრობაჲ მათისა შრომისა და მოქმედებისანი რა იქმნენ არა უწყით.

3) ძეგლის წერა ესე დიდითა ჭირითა და იწროებითა გადმოვწერე მცხეთის საწიგნობელითგან, რომელიც იპოება დიდსა ნომოკანონსა შინა — ეკზარხოს ევსევის დროსა შინა, რომელმან რჩევითა მაკარი არს. და ბასხაროვისა აღმიკრძალა შესვლაჲ სადმე მონასტრის ანუ ეკკლესიის საწიგნობელსა შინა და თუ რამე შეცდომა შეერთ ამ ძეგლის წერასა, დამნაშავნი ეს პირნი არიან, რათა მპარაობით უნდა გადმომეწერა.

# შესხმა და მოთხრობა, ღუაწლთა და ვნებათა წმიდისა დიდისა მოწამისა შალვა მთავრისა ახალციხელისა, მანდატურთ უხუცესისა.

შალვა განმმკვდრი, უკორცხოთა მტერთა.
სიმკნით აღადგენს, ბრძოლათა მრავალ ფერთა.
მოიდებს ძლევათ, ღუთისადმი და საჭურთა.
ეგ სახედ ჯილდოს, ანგელთ საჭურეტ სამფერთა;
სისხლით ფიარუქმნილ, ქრისტესი შესაფერთა.

თქმული ანტონ კათალიკოსის მიერ.

სჯული არს მიზეზი ყოვლისა მოსწრაფებისა და გულს მოჰგვინებს საქმეთა სრულ-ყოფისა და სასრულთა ყოვლისა საშუალისა.

ათხუთმეტთა სიტყუათა შინა ჩუენ მგალობელთა და მომთხრობელთა ყოვლად-ტკბილთა მათ საგალობელთა და მოსათხრობელთა მიზესთა ვჰცავთ განწესებასა, რათა ვითარ იგი მოსცეს სულმან სიბრძნისამან გონებასა გლახაკსა, (სიბრძ. 1, 6.) რამეთუ სული სიბრძნისა კაცთ-მოყუარე არს, ეგრეთ შემდგომითი შემდგომად, წინადებად ჩუენდა და უსრეთ განკარძუად თქმადნი სამეთქონი.

ვიწყო დასაბამი სიტყუათა ჩემთა, ყოვლად-უბრძნესისა მომღერისა სიტყუათაგან, არა იქმნა ბიკო განძლომასა იდესმე ჰსენებითა მარტჳლთათა კაცთა, მოწამეთა მოყუარეთა მისთა, რომელ ვინათგან საყუარელ და საკუთარ არიან მისნა და მეგობარ მეფეთა და უფალი უფალთასა და მეუფე მეუფეთასა, რომელთა ჰშუენის ჩემებრთაგან უდარესთა მისათა პატივი, ვითარმედ ესე არს ნიშან მათისა ერთგულებისა უფლისა მიმართ უფალთასა, რათა იპატივებოდნენცა იგინი.

იტყჳს უსაღმრთოესი მომღერი, ესე საცნაურ არს, ვითარმედ რომელი ვსილი დიდის ჩრმელოცთა თჳს მოწამეთა სიტყჳსაგან, ახოვანთა მათ კაცთა ჰსასტრიდეს და აქებდეს მსგავსთა დროთა შინა. არა დააკლდეს მიბაძუასა მათსა, ვინაჲცა სათანადო არს კაცთა კეთილ მსახურთა

სიტყჳს მოქმედიად, რათა ნატრიდესმცა ერთგულებითი მოწამეთა, ამად ვითარმედ არა დააკლდეს მაქებელი ესე გუარი ქრისტესთჳს მოწამე-ყოფასა გონებითა, რამეთუ მიიწიოს კიდე იჭჳსა, თჳნიერ დევნულებისა, თჳნიერ ცეცხლისა და თჳნიერ ტანჯუათა ღირსებასა ჯილდოჲს მიღებისა მათისასა.

არა რაჲმე მიზეზი, ათხუთმეტთა მათ სიტყუათა სისტემა ქმნისა და მეათექუსმეტისა ამისად და მოწევნისა და წყებისა სიტყუათა ჩემთასა თჳნიერ სურჳლი მით, რომელ მსურველნი ყოვლად უზადოჲსა და განუსაზღურებელისა არებისა მიმართ, ვითარცა ნამდჳლ სატრფიალოჲსა მიმართ და საყუარელისა სასურჳელ არიან მუნებითადრე მხმეველთა გონებისა, გულისხმის ყოფისა და გონებისათა და ამათ მიერ მიდრეკილთა, კეთილისა მიმართ სანებურისა მით, რომელ სურჳლით მიდრეკაჲ კეთილთა მიმართ, სანებურთა არს. (სიტყჳსაგან 15, წმიდისა გობრონისთჳს.) სიყუარული და ესე არს სიხარული წინა მიღებული, კეთილ დღეობისაგან მის ვისმე, რამეთუ ოდეს კეთილთა ქუემდებარედ განჰსჯის გულის ხმის ყოფაჲ, მას ვისმე გუაძულებს ჩუენ ბუნებაჲ, რათა ვჰსდრკებოდეთმცა მისდა მოხარულ-ყოფად, რომლითა მოყუარე ვექმნებით და ესე ბუნებამან გულის ხმის ყოფისამან მასწავა ჩუენ. შეიყუარეს მოწამეთა უფალი ღმერთი თჳსი (ჰსჯ. 6,5.) ყოვლითა სულითა თჳსითა, რამეთუ მიდმოებანი სულისანი განჰკარგნეს ნიადაგ მოძრაობად უფლისთჳს და ნიადაგ წარმოდგომანი, გამოხატუანი და განჰსჯანი და გამოჩინებანი, გულის ხმის ყოფანი, ჰქმნეს სულსა შინა, უფლისა თჳს ღუთისა; ყოვლითა გონებითა, რამეთუ უფლისათჳს ღუთისა ჰქმნნეს განხილვაჲ განყოფილადრე მოკიდებისა საზოგადოთა ჭეშმარიტებათასა; ხოლო ყოვლითა ძალითა, რამეთუ დაუცხრომელი აქუნდა მათ მიდრეკილებაჲ მოქმედებისა მიმართ და მოქმედებაჲ იგი მათი იყო ნიადაგ ღუთისათჳს უფლისა.

სასურველ არიან მოწამენი თქმულთათჳს, რამეთუ ჰაზრისა მათისა დასასრული და საშუალი დასასრულისა მის განაღჳძებს სულსა შინა სურჳლსა მათდამი და სურჳლი იგი განღჳძებული აღინებს სიტყუათა შეწევნითა ცხოველს მყოფელს სულისათა, რამეთუ (სიბრ. 1, 6.) სული სიბრძნისა კაცთმოყუარე არს, რამეთუ (სიბრ. 12, 7.) სულმან უფლისამან აღავსო ყოველი ქუეყანაჲ, რომლისა მიერ, (ამბაკუმ 2, 14.) აღივსო ყოველი ქუეყანაჲ ცნობითა დიდებისა უფლისასა და სიტყუანი იგი სურჳლისა ძლით არიან მშუენიერ, უხუ და მკობილ გელყოფასა შინა და განვრცომასა მოწამეთ მოყუარებითისა.

ვინა წარმოებს უიჭუოდ სურჳლისა ამისგან მოსწრაფებაჲ და სასრულისათჳს ესე გუარის, რამეთუ რომელთა იგი შეიტუარეს ბუნებით, (იოანე 4, 16.) სიყუარული იგი არსებაჲ და ჰსჯულისა ესე გუარისა სიყუარულისათჳს შორის შემოსვლისათა (18.) განსდევნეს შიში სიტყჳსაებრ მოციქულისა და ამით ეშმაკი დასთრგუნეს, სიკუდილსა ჰსძლეს, ხორცნი უარ-ჰყუნეს, ეკკლესიაჲ წმიდაჲ თჳსთა სისხლთა მიერ ღებვილითა პორფირითა შესაბამ უკუდავისა სიძისა შეჰმოსეს და თჳსნი იგი წმიდანი ტკივილნი სამკაულ სძლობისა მისისა უსასყიდლო ჰყუნეს. ანგელოსნი ქებად თჳსა მოიყუანნეს მძლავრნი დიდ სულობითა თჳსითა განაცვიფრნეს, ყოველნი სიტყჳს მოქმედებანი და მჭევრ მეთქუმობანი სისტემანი გალობად თჳსა აიძულნეს; ამისთჳს შექმნა სულთა შინა სურჳლი მათდამი მიზეზი მოსწრაფებისა და მოსწრაფებაჲცა, რომელსა შინა კმაჲ მიზეზი მათდამი სიტყჳს მოქმედებისა და გალობისა.

გარნა რაჲმე სიტყუა მისწუთესმცა მოწამეთად ქებისა, არცაღა თუმცა რაოდენობისაებრ ურიცხობისა მათისა თჳთოჲსა მიმართ მათგანისა აღიძრნესმცა ეგეოდენნი ენანი კმა ქებად და

გალობად მით, რომელი ხმეულ არს მათგან და სასრულისათჳს სიტყჳს-მოქმედებისათჳს მათდამი კმა ძლევად. ამათი უკუჱ ჴსენებაჲ ღირს არს და სარგებელ ღირს არს, ვითარმედ ჴსჩანს ჴსრბასა შინა მარტჳლობისა გულსმოდგინება სულისა და რომელი ჴსძლევს მოწიომისა მიმართ ყოვლისა გონებასა, რამეთუ ესე ვერ შესაძლებელ იყო არსებასა შინა სულისასა შესვლად. უკეთუ ხამდჳლ სატრფიალომან მან და საწყურმან უზომოჲსაებრ და ყოველთა გონებათა, უზესთაესისა სახიერებისა თჳსისა სულთა შინა საწადელთა მოყუარეთა თჳსთასა არა დაჴსდვამცა გულს მოდგინებაჲ ესე.

რომელნიცა ძლევათა დიდებულთა ბილისთა და ნინოსის მეფეთა აღმოსავლისათა და რომლისამე ეგჳპტურისა მეფისათა და ირაკლის და დიონისის ელლინთა და კჳროს სპარსთა მეფისა და ალექსანდრე დიდისა და ივლიოს კეისარისათა მაქებელ არიან და ტროულთა ბრძოლათა შინა, აღამემნოსის სიმხნეთა თჳს სიბრძნეთა და ახილესის სიმარჯუეთა და ძლევათათჳს მჭევრ თქმობით და სტიხის მოქმედებით ჴგალობენ, ანუ ჵექტორის და ტროილის ძეთა პრიამოს მეფისათა, სიმხნეთა მაქებლობენ და ამით ძლით მრავალთა ჴლაპართა განამრავლებენ დაჴსცხერიდ ძლევათ, მგალობელნი იგი სტიხის-მოქმედნი და სამჭევრ-მეთქოთა განვრცომათა და ხელყოფათა მწმასვენელნი; ამისთჳს ვითარმედ ძლევანი იგი კაცთა მათ დიდებულთანი იყო განხრწნადისათჳს დასასრულისა მით, რომელ მოგებისათჳს დაცხრომადისა დიდებისა იყო, რამეთუ რომელთაცა არა იციან ზედ მიწევნით ისტორიანი ძლევისა მათისანი, განქარდა კიდით კიდედ დიდებულნი იგი ძლევანი და მძლენი დავიწყებითმან დაჴფარნა საზარომან საფლავმან.

განაღა მარტჳლთა ქრისტესთა, კმაჲ მიზეზი ძლევისა იყო, რათა წარუვალნი და გებადნი და უხრწნელნი მიიღონმცა დიდებანი, სახიერისა შორის ღმრთისა ყოფითა, ამისთჳს განუქარვებელ იქმნა დიდებაჲ ძლევისა მათისა წინაშე ღმრთისა, წინაშე ანგელოსთა და სოფელსა შინა, რომლისათჳს ითქმის მათდამი. (ვასილი დიდისა ორმეოცთა მოწამეთა თჳს.) «ყოვლად ქებულნო მოწამენო, თქუენ არა თუ ქუეყანამან დაგფარნა, არამედ ზეცად შეგიწყნარნეს და განგეხუნეს ბჭენი სამოთხისანი».

ესენი უკუჱ ყოვლად-დიდად და საუკუნეთა უკუჱ განცხადებულ ძლევანი, ხოლო ყოველი საქმე, ყოვლად დიდი ღირს არს ქებად და მითხრობად სხუათადმი, რამეთუ სული სიბრძნის მოყუარე, ქუემდებარე ქმნილი, ესე გუართა სასმენელთა და განყოფით თჳს შორის წარმომადგენი და განმჴსჯელი ვითარებისა მისთჳს იშუებს ფარულად; ვინა ღირს არს ჴსენებაჲ მოწამეთა ქრისტესთა, სარგებელ რაჲმე უფროს უსარგებლეს განღჳძებად საღმრთოჲსა მიმართ ტრფიალებისა და აღნთებად მის შორის (ლუკა 12 — 49.) ცეცხლისა, რომლისა მიფენად მოვიდა ღმერთ მამა კაცი იესო, ვითარ ჴსენება ვნებისა მოწამეთასა, ვითარმედ რაჲმე უდიდებულეს სხუაჲ საშუალი საშუალისა ამისგან მოგებისათჳს საუკუნოდ ღმრთისა თანა და ღმრთისა შორის ყოფისა. ვინა სარგებელ ჴსენება მოწამეთა ქრისტესთა საქმეთა სრულ-ყოფისა, მიზეზი გულს მოდგინება, ვინაჲთგან მოწამეთადმი სიტყჳსათჳს ვაჩუენეთ აქამომდე, ვისწრაფოთ საქმეთა სრულ-ყოფაჲ და რომელი თანაგუაძს უკუნ ვჴსცეთ ვასხი ვახშითურთ, რათა არა დამფლუელ ტალანტისა ვიქმნნეთ, ხოლო თუ სადამე ესრეთ პოვნიერ გამოვჴსჩნდეთ, არღა სადამე ვიყუენეთ მოქენე და გლახაკ. ხოლო დაღათუ გლახაკ აღჳარო ესე გარნა ვუწყი ესე, რამეთუ შემინდოს ჩუენ კრებულმან ქრისტეს მარტჳლთამან სინაკლეჲ ყოფისა დაკუეთებული შემდგომითა დროჲსათა და სიგლახაკეჲ, არა მოგებითა ხედვითისა და საქმითისა წმიდისა და მართლისა ფილოსოფოსობითითა, ვითარმედ მოწა-

მეენი ქრისტესნი დიდსულ არიან და საღმრთოჲთა მეცნიერებითა განათლებულ, რომელთა გსურსთ ხსენად დიდსულობითნი ძლევანი ქრისტესთჳს ვნებულთანი, ურიცხჳ შეკრებულისა მის ბანაკის კრებულისა მის პატიოსნისა, ერთობისა მის განათლებულისა და განუყოფელისა მეზიარებით მცჳრლისა ნათესავისა კაცთასა შემწეთა ლოცვათა შინა და მეოხთა ძლიერთა, ყოვლად ურიცხჳთა მათ გოდოლთა ღჳთის-მსახურებისათა, მხნეთა ღჳაწლისა მძლეთა და უშიშთა გონებითა, ვარსკვ-ლავთა სოფლისათა და ყჳავილთა ეკკლესიისათა, მოვედით და ერთი უკუჱ წარმოვადგინო მათგანი, წინაშე განწმედილთა გონებითა თქუენთა და ერთი იგი და სასრული ძლევისა ყოველთა ქრისტეს მოწამეთა, რომელნიცა ურიცხჳთა გარემოთა საშუალყოფითა მიიღეს; ყოველთა დასასრული იგი თქმული ერთისა დასასრულისანი, ერთსა შორის პირსა გიჩუენნე, რამეთუ ერთი ესე დაღათუ წევრი არს ერთი მრავალ თხზულისა მის სირაჲსა, რომლისა თავ არს ქრისტე იესო, (ებრ 9, 11.) მღვდელთმთავარი იგი ყოფადთა მათ კეთილთა, ერთგზის შესრული სიწმიდესა შინა თჳსითა მით სისხლითა, რომელმან იგი სულითა საუკუნოდ თავი თჳსი შეჰსწირა უბიწოდ ღმრთისა, მაგრა ყოველნი საშუალნი ძლევს და სასრულის მიღებისანი ბრწყინვენ ამის შორის.

ესე უკუჱ წინამდებარეჲ ჩემდა გალობად და ქებად სიყრმითგან ჩემით, ყოვლად უწინარეს მონაზონებად მოსვლისცა, მიერით ოდეს იგი მწიგნობარ ვიქმენ, თუ ჰსთქუა წიაღსავე შინა დედისასა ყოფისა დროსა, უწყებულ-ქმნამან, სიმხნეთა მისთაგან და ქრისტესთჳს ძლევათა სასურ-ველ ჩემდა ჰყუჩს და ადრითგან დაიდვა ჩემ შორის სიხარული წინა მიღებული, კეთილ შემთხუევაჲ მისთჳს, რომელნიცა შეამთხჳა მას სიბრძნით, განკარგულმან სიმხნემან.

ხოლო არს ესე, შალვა მთავარი ახალციხელი ძმა იოანესი, უჴავილი კეთილ მსახურებითისა, წალკოტისა დათესილი, კეთილ-მსახურებით თესლთაგან, განშლილი ფერმშუენიერადრე, სამოთხ-ჱსა შინა სათნოებათასა ჰრწყული ნაკადითა წმიდისა სახარებისათა. ხოლო ნაყოფიერ-ყოფად, დატევან მწიფობად უსრულესისა სათნოებისად, ესე იგი უსრულესისა საღმრთოჲსა ტრფიალები-სად, დაწნეხილი საწნეხელსა შინა ქრისტეს ვნებისასა.

თქმული უკუჱ ესე (ქებ 1, 13.) ტევანი გამობუტკოვანსა ვენაკოვანსა შინა გაჲდისსა, რამეთუ გარდარეულმან მან კეთილობამან მის შორის სულისამან ესრეთ ნეტარ ჰყო, რამეთუ ნაყოფსა შინა, სიტყჳს ტევან ყოფისა თჳსისა დაჰხატა მეფეჲ ვენახისა; ხოლო აღორძნდა ვენახსა შინა ველმოანსა, ყოლომირ ზეციერისა მჴდომისასა და ნარდიონსა შინა თჳსსა იცნა სუნნელებაჲ მეუფისა მეუფეთასა. ხოლო მტახსადცა სუნამოდ გამოიგრა, წმიდასა შინა სვინიდისსა და დაგო-ნებისა მიერ თჳსისა შეცულ-ჰყო, გამოკრულ ყოფაჲ იგი, რათა კეთილი იგი ხელსაცხებელი ეგოს მის შორის და მისთანა სამარადისოდ და განუღევნელად. ესე უკუჱ ტევანი სიტყჳერი პირუტყჳ-ვნებისა, გამობუტკოვდა ესე უკუჱ ჰყუაოდა, ხოლო დროსა მას ვნებისასა დაიწნიხა და დაწნე-ხილი ღჳნოდ-მხიარულ-მყოფელად ტაგარსა შინა შესაკრებელსა, ესე გუართა წნეხილთა ღჳნოთასა მიღებად, ესე იგი შეზიარებად მსურველთა დაიდვა, რომლისა მიმღებელნი, ესე იგი მეტრფენი ზიარებისა ვნებათა მის თჳნი პირთა შინა მათთა მიღებითა ჰხსენებისა მისისა და მტკბარი და სულსა შინა განყოფილ წარდგომითა ძლევის-მიღებისათჳს მისგან ქმნილისა მხიარულ ქმნილნი დათურებიან. შალვა დროთა შინა თამარისთა განცხადნა, განმწესებელი თავისა თჳსისა მხედრად, ძმისა თჳსისა იოანესთანა, უწინარეს თჳს შორის შემწუნარებელი საღმრთოჲსა, კეთილ მსახურე-ბითისა სარწმუნოებისა და სულსა შინა თჳსსა დამდები ამისი, გლდედ უმტკიცესი ახდამასტინისა,

რომელსაცა ზედა (ფსალ. 126, 1.) აღაშენა უფალმან სახლი შრომითა ესე გუარისა მაშენებელისათა და (მატთ. 7, 25.), და ქართა დიდი დროათა კუეთებამან, ვერ შეჰსძრა, რამეთუ დაფუძნებულ იყო ესე კლდესა ზედა.

ამან სასოებამ დაჰსდვა სულსა შინა თჳსსა მთად, რომლისაგან წარმოდგა სხჳსაჲ მთაჲ. სულსა მასვე შინა საღმრთო უვნებელობა, ესე იგი განყრა ყოვლისავე ქუეყნიერთაგან ვნებულ-მოყუარებისა, რომელნიცა შესმენილ ყოფითა თჳსითა, ქუემდებარესა ზედა სულსა გერჩთ-მსახურ-ჰყოფენ, მას და მეორემან მათმან ჰქმნა მის შორისვე სხჳსა მთაჲ, რომელ არს საღმრთოჲ, (1 იოანე 4, 18.) სიყუარული განმდევნელი შემოსვლითა თჳსითა შიშისა. ხოლო ესენი საფუძუელ ჰყო ქალაქისა რომლისა წევრნი არიან პირად პირადნი სათნოებანი, რომლისათჳს ითქუა დავითის მიერ ფსალ. 86, 1.) საფუძუელნი მისნი მთათა შინა წმიდათასა, დიდებული ითქუა შენთჳს ქალაქო ღუთისაო. ესე უკუე ქალაქი დაშენებული მთათა ზედა, განცხადნა ღუთისა მიმართ და ანგელოსთა და თანამედროეთა თჳსთა მეფეთა და ყოველთა ქართუელთა და ცნობაჲ ამისი მოგვწოდა აქამდე მით, რომელ (მატთ. 9, 14.) ვერ ხელეწიფებისა ქალაქსა დაფარვად მთასა ზედა დაშენებულსა; ხოლო (ფსალ. 162, 1.) დაიცუა უკუნ და ამან მხმილმან ილჯა არა ცუდად.

ესე არს შეირყიოს უკუე მთა, რომელ (ფსალ. 124, 1.), რომელნი ესვენ უფალსა, ვითარცა მთა სიონი არა შეირყიოს უკუე.

ესე გუარმან კრებამან მახლობელ ჰყო მადლსა სიძისად უკუდავისად; რამეთუ უქრობელსა სულსა მისსა ჰხედავს რა სიძე, ღირს ჰყოფს მახლობელ თჳსსა და მშუენიერ წოდებად და (ქებ. 1, 15.) თუალთა მისთა ტრედ ყოფად აღიარებს, რამეთუ სული ყოველი სიკეთის მშუენიერებისათჳს შორის მომგები ესე, იგი წარმატებული სიკეთით სიკეთედ და სასრულისა სიკეთედ აღსრული, შეუძლებელ-არს, რათა არა იქმნესმცა მახლობელ ამისა უფლისა, რამეთუ ყოველნი შეყუარებულნი ვისგანმე არიან მახლობელ შემყუარებელისა, რამეთუ იტყუის სიბრძნე, ბრძენთა მიმცემი იგი სიბრძნისა, (იგავ. 8, 17.) «მე მოყუარენი ჩემნი მიყუარან და რომელნი მეძიებენ მე ჰპოონ მადლი».

აქუნდნა სიძემან უკუდავმან, თუალნი ესე გუარისა სულისანი ტრედად, რამეთუ ყოველი ხედუაჲ, ესე იქმნა უმანკო, რომლითა დაემორჩილა კეთილ-განმზრახსა მას, მეგობარსა მეტყუელსა, (მატ. 10, 16.) «იყუენით უმანკო, ვითარცა ტრედნი». ხოლო ხედუად თჳსისა მის უხადო მხეობისად ღირს ჰყო, რამეთუ გუგანი უსხეულონი უსხეულოსა თუალისანი შალგას შორის, (2 კორ. 13, 12.) სარკით და სახით ნიადაგ განიცდიდეს მზესა უზადოსა და შეჰმსჭუალვას მას მით, რომელ ცნობაჲ, გუაქუს გულის ხმის ყოფისა გამო და მცნობელობისა, ვითარმედ რომელმან ბრწყინუალეთა, რათამე და მცხინუარეთა საქმეთა მიხედოს, ყოვლითურთ შეუმსჭუალოს მათ, რამეთუ ესრეთ აღასრულებს თუალი. ესრეთ კეთილ ჰყოფდა თჳსდა სხჳსა ნიადაგ თჳთ ნათლისა შემოქმედისა მზისასა და სულითა წმიდითა დაიტკბობდა თქმულსა ამას (ეკკლ. 11, 8.) ტკბილ არს ნათელი, კეთილ-თუალთა ჰხედუად მზეჲ.

კუალად კეთილ განმზრახისა მის მეგობრისა განზრახუათა შემწყნარებელმან, ესრეთ მეტყუელისამან, (მატ. 10, 16.) «იყუენით უკუე, მეცნიერ ვითარცა გუელნი». გულისხმა-ჰყო, ვითარმედ ამას უკუე აზრახებს და უფროსლა უბრძანებს სიტყუაჲ ჭეშმარიტი, ვითარმედ ვითარ იგი დროსა შინა განსაცდელისა შემთხუევადისასა, იფარავს თავსა გუელი, ეგსახედ დროსა შინა განსაცდელთასა სათანადო არს შეკრძალვად სარწმუნოებაჲ, რომელ იგი თავ არს და ძირ ყოველთა სათნოებათა, რომლისათჳს დაიმარხა იგი ამან. ნიადაგ და ყოველგან და ყოველსა შინა და უფროსა დროსა

შინა განსაცდელთასა, არა მრიდებელმან მისთჳს, განცემად სულისა თჳსისა და ესე საქმეთა მისთა-გან წმიდათა საცნაურ არს.

ვითარმედ (ოქროპირისა მატთ. განმარტებისა თავი 33.) მგულვებელი გუელი აღძარცუად ტყავისა გუელისა, მეცნიერებით აღიძარცუს მას, რამეთუ შესრული იწროსა ხურელსა შინა შეიწრე-ბითა ფრიადითა, დაძუელებულსა მას ტყავსა, განაგდებს (ვითარცა იტყჳს საღმრთო მოძღუარი, ოქრო პირი) ეგსახედ ამან, (მატ. 7, 17.) იწროსა და საჭიროსა გზასა მიმყუანებელსა ცხოვრებად საუკუნოდ მოისიბრძნა განძრომაჲ და (კოლს. 3, 9.) განიძარცუა ძუელი იგი კაცი, საქმით მისი თურთ და შეიმოსა ახალი იგი განახლებული მეცნიერებაჲ, მსგავსად ხატისა მის დამბადებელისა მისისა.

შალვა ნათესაობისაებრ მთავრობითისა და მთავართაცა შორის, ნათესაობით ჩინებულ-ყოფისა და უდიდესი ვჱსიქჳა უბიწოჲსა კეთილ-მსახურებითისა სარწმუნოებისა კეთილითა საქმეებით მის შორის განკარგჳსა მეფისაჲსა თამარისაგან მანდატურთ-უხუცესობითა პატივიცა და მხედართაცა შორის მთავრად დაიდგინა, რამეთუ ჰშუენოდა კეთილ გონიერებითა განგებულისა სიბრძნისა მის მიერ ხმეულ ყოფასა, რათა პატივისაგანცა ხორციელისა, ჯეროვნად იპატივებოდეს.

მოითხრობის ისტორიასა შინა, კეთილ მსახურისა თჳთ-მპყრობელისა თამარისათა, ვითარმედ ბრძოლასა შინა ნოქარდინ სულტანისა მიმართ ძლევა, შემოსილისა სპისა თამარისათა წინა-მბრძოლად განიჩინა, მანდატურთ უხუცესი შალვა ძმისა თჳსისა იოანესთანი უპირატესისა მხედართ-მთავრისა ზაქარიასთანა მხარ-გრძელისა, რომელსაცა შინა ბრძოლასა შალუა ძმითურთ, მისით სიმხნითა დიდებულ-იქმნა.

ვინაჲცა სიმხნე სიბრძნითა განგებული და სიბრძნე კეთილ მსახურებითა, აღყუავებული ხეტარსა შალვას ნებითა ღუთისათა, კეთილ დღეობასა შესაბამსა და კეთილ მიმთხუევასა ჰსჯუ-ლიერსა განუმრავლებდა და (1 მეფე 2, 30.) მადიდებელსა თჳსსა უფალსა წინაშე მეფეთა და ერთა დიდებულ-ჰყოფდა.

ამას მიუზღო უფალმან ღმერთმან, ვასხი ვახშითურთ, რამეთუ ვინაჲთგან შეიყუარა იგი, (ჰსჯ. 6, 5.) ყოვლითა გონებითა და ყოვლითა ძალითა თჳსითა და მოყუასი ვითარცა თავი თჳსი, ამისთჳს ნიჭებულ-იქმნა უფლისაგან, რამეთუ შეყუარებულ-იქმნა მეფეთაგან და ყოველთა თანა (მატ. 5, 9.) მშჳდობისა მოქმედი ძედ ღუთისა წოდებისა ღირს იქმნა, (მატ. 5, 5.) და ქუეყანასა ზედა მკჳდრობდა მშჳდობით.

ძრუად იწყო მიზეზმან მარტჳლობისა ამის წმიდისამან, ვითარმედ უღმრთომან ჯალალედინ მეფემან ხუარასნისამან უღონო ქმნილმან ბრძოლისა მიმართ თათართასა ვლტოლვაჲ იგმია მხე-დრებით და დედა წულითა მრავლითა და ქუეყანასა სომხეთისასა მოსრული აღაოხრებდა ყოველსა მკჳდრობასა მუსებურსა, მახჳლითა და ტყუეობითა, ვითარმედ ტყუეობითი და წარწყმედითი ვნებაჲ ასურეთისა, ასკალონისა და ძეთა ძავვისთა სომეხთა თჳს სატჳრთველ იქმნებოდა.

ხოლო საფუძუელთა შენობისათა აღმოჰყჳრიდა და ცეცხლითა მის, ასრულ ჰყოფასა მკჳდრობი-სასა მიიყუანდა და იასწარმეტყუელებაჲ ამოსისი სახლისათჳს აზაილისა და საფუძუელთათჳს ადერისთა და ზღუდეთათჳს და საფუძუელთათჳს ტჳროსისთა, ეგსახედ საფუძუელთათჳს და ზღუდეთა თემა-ნისთა და ზღუდეთათჳს და საფუძუელთა რავვასთა რაჲცა იწინასწარმეტყუელა კელი უფლისა, ღმრ-თოთა კუარაზმელთა ზედა და მსხმელთა მათთა მკჳდრობასა სომხეთისასა შემთხუევად. ვინა (ამოს. 1, 4.) საღმრთო ამას უფროსღა სომეხთათჳს ვისავე განყოფილეთა მათ ნათესავთათჳს წინას-წარ-მეტყუელ-იქმნა.

ჩუენ უკუე მეათსამეტესა სიტყუასა მოვიჴსენეთ გამოსვლაჲ ჯალალდინისა სამეფოჲთ თჳსით და ხელითა უფლისათა შურის ძიებაჲ ქართუელთა და სომეხთა ზედა, რამეთუ მაშინ გამოვიდა (იერემ. 23, 19.) რისხუა უფლისა მიქცეული უღმრთოთა ზედა, რამეთუ აღსდგა უფალი (ესაია 66, 15.) შურის გებად გულისწყრომითა და დევნად ალითა ცეცხლისათა. მჴსმენელმან მეფემან რუსუდან, წარავლინა ლაშქარნი შეწევნად სომეხთა, რამეთუ მამული მხარგრძელთა დჳნი და ანისი ნაწილი სომხითისა მონარქიისთანა საქართუელოჲსასა ირიცხვოდა და სპარსნი დჳნს და ანის მოაოხრებდეს მწარედ, რომლისათჳს ჰსაჯა რუსუდან განმხედრებაჲ სპარსთა ზედა, ლაშქართა ოჳსთა, განიჩინა მეფეისაგან რუსუდანისა, უპირატეს მთავრად მხედართა იოანე ათაბაგი მხარგრძელი; კაცი დიდ-სული ბრძოლათა შინა, დაღათუ დიდ-სულობაჲ თჳსი, დროსა მას შინა ბრძოლისასა და ჭირვა ლაშქართა.- ხოლო და ჭირუეზამან მან იწარმოა აღსრულებაჲ უფლისა ქართლისა კახეთითურთ და დიდებისაგან და მშუენიერებისა დამკჳდრობისა დამხობაჲ ტფილისისა და მონარქიისა წარწყმედისა შემოსვლაჲ ჩუენ შორის. მომზრახობენ, ვითარმედ მონაზონ ქმნილ-იყო, დროსა მას მივარქულადრე ათაბაგი ფარულადრე თავის უფლად განიბერტყდა კორცთა და სულსა ნუ უკუე უბიწოდ წარადგენდა წინაშე თუალ უხილავად შურის მგებელისა მჴსაჯულისა. ხოლო ჩუენ ნუ თუ განვერკჳრებით მცა მაშინდელისა ყოვლად მძჳნვარისა აღსრულებისა. მისრულნი ყოველნი სპანი რუსუდანისანი მახლობელ, მახლობელ რომელსა ჰრქჳან გარნისი, რამეთუ მუნ დაბანაკებულ იყვნეს სპარსნი, ეახლნეს სპარსთა და განაწყო მებრ კანონისა ბრძოლითისა იოანემან ათაბაგმან ლაშქარი და წინა ბრძოლად ჰყუნა მესხნი და თორელნი, რამეთუ მათდა იყო წილხდომილ მამულადრე წინა-ბრძოლობაჲ, რომელთაცა მთავარ ეყუნეს მანდატურთ უხუცესი შალვა და ძმა მისი იოანე ახალციხელნი.

მომზრახობს ისტორია მდგომარე რუსუდანისათჳს, ვითარმედ «ოდეს ეახლნეს ჩუენნი და კვარცხმელნი ურთიერთარს და წინამბრძოლთა ჩუენთა, ჰყუეს სპარსთა მიმართ ბრძოლაჲ დიდებული ათაბაგმან იოანე დროსა მას შურითა ახალციხელთა მათ მთავართათა ძლეულმან, თჳსისა მრავალ ჯერ მძლეობისა ხელ ჰყო წინა უკმოჲ, რამეთუ უკანაკან ჰსდგა და არა აუფლა ლაშქართაგანი ვინ შეწევნად წინა-მბრძოლთა». ხოლო მხილველთა შალვა და იოანე, ვითარმედ ჰრიდებს შეწევნასა შინა-მბრძოლთასა, განზრახვაჲ არა კეთილი, უპირატესისა მხედართ მთავრისა, მიუვლინეს მას ორგზის და სამგზის უწყებაჲ მეტყუელთა, ვითარმედ «უწყოდენო სიმკნემან შენმან დაღათუ ჩუენ კმა ვართ წინამბრძოლად ლაშქართა, შაგრა პირისპირ დგომად დიდისა ამის ლაშქრისა მტერთასა, ოჳნიერ შეწევნისა თქუენისა ვერ შემძლებელ ვართ».

მჴსმენელსა ათაბაგს ამათსა არა ჰგამოდა და ყოვლისა პასუხისა მის და მივლინებულთა უღის ჰყოფდა, ვინაჲცა უღონო ქმნილნი შეწევნისაგან ძმათასა შალვა და იოანე. მეთაკილენი უკუქცევად, წინამბრძოლითურთ ლაშქრით მხნედ განმამკაცებელნი, მტერთა ზედა დაესხნეს და სიმხნისაებრ მათისა განაძლიერეს ატაკი იგი და სპათაგან სპარსთასა მოსრნეს მრავალნი; ვინაჲცა განგრძელდა ბრძოლაჲ სპარსთა და წინამბრძოლთა ჩუენთა, რომელთა მიმართ (იგავი 17, 13.) ძმანი ჭირთა შინა სახმარნი! ჰაზრმან იოანე ათაბაგმან უხმარ ჰყუნა და ორთავე ძმათა მათ ახალციხელთა ქუეშე გამოუკლნეს ცხენნი და ყოველნი საჭურველნი, შეიმუსრნეს მტერთა ზედა მახჳლნი, მაზარაკნი, შუბნი და ორალნი და ხეთქებაჲ მათგან ჩაფხუტთა ზედა მტერთასა, განგრძელდა. ამას შინა ფრიად მაშურალთა ბრძოლისაგან და უღონო ქმნილთა ყოვლისა შეწევნისაგან, მბრძოლთა ჩუენთა ვლტოლვაჲ იჴმნეს, რომელნიცა უქმად მდგომარეჲ, დიდიცა იგი უძლეველი

ლაშქარი ჩუენი უპირატესითურთ მხედართ მთავრით იძულებამან საქმისაგან ვლტოლვად მის-დრიკა და დიდებაჲ სიმხნითი ქართუელთა ყოველთა ნათესავთა შორის უპატიოს-იქმნა. შალვაჲ უგამოცდილესი მხედარი შემუსრვამან ყოველთა საჭურველთამან და ქუეითად დაშთომამან და ურიცხუთა სიმრავლემან მტერთასა გარემოდგომამან პყრობილი შთაავდო ჴელთა მტერთასა და იოანე მოიკლა ჭკშირსა ბრძოლასა შინა, რომლითა საწადელი ათაბაგისა იოანესი უბოროტესისა საშველისა კმევითა მისა სრულებად მივიდა უწყებულ ვარ, გარნა უმეცარ ვარ, ვითარმედ ბოროტსა შინა მდგომარეობასა ცვალებაჲ ესე იოანესი უპირატესისა მის მხედართ მთავრისა, ნუ თუ იცვალა კეთილისა მიმართ მდგომოებისა.

მრავალ არიან ჭირნი მართალთანი და მრავალ არიან ბრძმედსა შინა გამოცდანი ოქროჲსანი გარნა, (ფსალ. 33, 19.) მართალი ვითარცა ფინიკი აღყუავნეს და კუეთებული (91, 12.) თჳს ზედა ჭირთა, რამეთუ (ჰრომ. 9, 3.) ჭირი მოთმინებასა შეიქმს, ხოლო (მატ. 10, 22.) რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხოვნდეს და (ფსალ. 91, 12.) ნაძჳ ლიბანისა განმრავლდეს მართალი, რამეთუ სიმართლე მისი, რომელ არს სათნოება ნათესავი ყოველთა კეთილის-მოქმედებათა, ჭირ-მან მართალსა ზედა შესრულმან განამრავლოს, ვითარცა ნაძჳნი ლიბანისანი, რამეთუ (ჰრომ. 5, 4.) მოთმინება გამოცდილებასა შეიქმს; ხოლო გამოცდილება სასოებასა. ხოლო სასოებამან არა არცხჳნის მოსავთა, რამეთუ მოსავთა შორის სიყუარული ღმრთისა განფენილ-არს სულითა წმიდითა, რომელი იგი მოცემულ არს ჩუენდა. შალვა პყრობილი, წარიდგინა წინაშე ჯალალდინისა, რომ-ლიცა იცნეს ნახჩევნელთა და არდაბაგინელთა, რომლისა სიმხნისა აკოჲნებისა და სიქუელისა მოხსენებითა უწყებულ ჰყუეს ჯალალდინ. ვინაჲცა მეფემან შეიწყნარა შალვაჲ პატივით და არდა-ბადგასს შინა მიანიჭნა ჯალაკნი მამულად და მთავართ თჳსთა თანა პატივჰსცა.

ერთ წელ მცხოვრები მათთანა, მხედარი ქრისტესი მტერთაგან ქრისტესთა იყო პატივსა შინა, რომლიცა უხმარ შეერაცხა თჳსდა, რამეთუ მოძღურებასა წინა მორბედისასა ერჩდა, მხედარი ესე, (ლუკა 3, 14.) არა ვისდამე მაჭირვებელი ოდესმე და არცაღა შემწამებელი ცილისა. ხოლო კმა მყოფელი თჳსდა მკჳდრობითისა როჭიკისა, რომელმანცა მოიღო რა როჭიკი მეფისაგან ზე-ცერისა მხედრობისათჳს უბიწოჲსა, ესე იგი მოიღო ქრისტეს მხედრობითითა შრომითა განა-თლებაჲ გონებისა და იხილა მყოფთა შორის დაბადებულთა ყოფაჲ, დამბადებელობით დაუბადე-ბელისა არსისა, რომლისად ბრმა ქმნილი ყოვლისაგან ქუეშეურისა ხედჳსა მას ხედვიდა და ესრეთ განათლებითა გონებისათა (ფსალ. 145, 8.) უფალი ესე გუარს ბრმასა განაბრძნობდა. ხოლო ჰსჯამდა გულის-ხმის-ყოფასა და სუემდა სადაგ კეთილისა მიმართ მიდრეკასა. შემდგომად წელი-წადისა ერთისა, მხედარი ქრისტესი დატევებად ქრისტეს ღმრთისა მისდა სიყუარულად მიდრეკი-ლითა სიტყუებითა მეფისაგან უღმრთოჲსა იძულებოდა, რამეთუ თუ სადამე დაუტევებდა ქრი-სტესა თჳსსა, უდიდესთა პატივთა მხედრობითთა და ქალაქთა და სოფელთა და სპეკალთა ოქროთა და ვეცხლთა და სამოსელთა ოქროვილთა და სიმრავლესა მონათა და მხევალთასა, ბრძანება უსჯულო-ფიცით აღუთქმიდა; გარნა მხედარი ქრისტესი, აღუშფოთებელითა გონებითა მიუგებდა მეტ-ყუელი. იმა უკუე მეფეო, თუ სადამე სათნო გიჩნს მსახურებაჲ ჩემგან, მხედრობასა შინა შენსა, ნუ მაწუევ მისულად, ესე ვითარისა მიმართ უგუნურებისა, რომელი სმენადცა საძაგელ არს, ვითარ-თამე დიდებათა, პატივთა და სიმდიდრეთა აღმითქუამ, რომელი მიცუალებენდა და თუ სადამე ვაცუალნე იგინი ცუალებადისა მიმართ და დაუდგრომისა დიდებისა და სიმდიდრისა სურჯლი მოგებისა უცხო არს გონიერთაგან. ხოლო ჭეშმარიტისა ღმრთისა ჩემისა, რომელ არს შემოქმედი

ყოვლისა ნათესავისა, უარისყოფაჲ შეუძლებელ-არს ჩემგან, რამეთუ შეუკვრივ მე ცნობასა, ნამდჳლ ჭეშმარიტებითა საქმეთასა და ჩჳეულებასა მოცემულსა ნათესავთაგან, ესე იგი რომელიცა მომცემს მე, ადგილობითითა და მშობელობითითა ნათესავობითითა; უკეთუ სახმარ ვარ მხედრობისა შენისა, მიმიშვი თავის უფლადრე, მსახურებად ღმრთისა ჩემისა, რომელმან აღმაგო მე. გევედრები დააცხჳრე ჩემდა აღთქმანი ეგე არად სახმარნი ჩემდა, რამეთუ სურვილმან საღმრთომან, რომელი მაქუს ქრისტეს მიმართ ჩემისა, რომელი არს შემოქმედი, მეფე და უფალი ანგელოსთა, განმაწესა მე მხედრად ქრისტესა და ამისთჳს სახმარ ჩემდა სამოსელნი უნდონა, საფარველნი ოდენ ჴორცთანი და ეგრეთ საზრდელი საჭიროჲ ოდენ პური წყლითურთ, რომელნი იქმნენ (ჴორ.) ხრწნილებათა გარეგანთა, რათა განახლდეს არსი შინაგანი და რათა გონება მარადის თავის უფალ იყოს, შერევნილთაგან და ბნელთა წარმოდგომათა.

აღაბორგა მძლავრი, სმენამან ქრისტეს მხედრისაგან, ყოვლად უშიშთა მიგებათამან, გარნა გულის წყრომასა ჰფარვიდა თჳს შორის და ლიქნათა განამრავლებდა, ვითარმედ ჭეშმარიტისა მოწამისაგან უპასუხობისა უპატივობდაცა, მივიდა ამპარტავანი იგი მეფობა მისი, რომლისათჳს მწარეთა სატანჯველთა ქადებასა წინა დაუდებდა და ოჴთოეულებასა ტანჯვათასა ჴორცთა ზედა შეხებად განუმარტებდა. ამათ ყოველთათჳს, ბრძენი იგი მხედარი, მძლავრსა ეცინოდა და ვითარცა კლდე მტკიცე მდგომარე, ზღუასა შინა ღელვათაგან მძლავრებითითა ესე იგი ქადებულთა სატანჯველთა და დიდებათაგან აღთქმულთა არა შეიძვროდა და ეტყოდა აჰა ჯალალდინ! უწყებულ იყავნ, ვითარმედ მე უკუე აღჳარო სხუაჲ ღმერთი, თჳნიერ მხოლოჲსა განუყოფელისა ღმრთემთავრისა სამებისა, შეიწყნარნეს ქადაგთა თჳსთა თანა ყოველნი იგი ღმერთნი საეშმაკონი, რომელთა ცნობა და ქრისტიანობაჲ არა შექმნეს, რომლიცა ბერწ ღმრთად აღიარების უგუნურესისაგან, ყოვლად უღმრთოჲსა თქუენდა მოცემულისა მოძღურებისა. ნუ ჰგონებ, ვითარმედ რათა აღმიტაცო მე აღთქმითა დიდებისა და სიმდიდრისათა და ქადებითა სატანჯველთათა, რამეთუ ერთ არს დიდება ჩემი, რათა მისდა მივიდე და ვხედვიდე მას უზესთაესსა ყოველთა კეთილთასა და ერთ არს ჩემდა სიმდიდრე. ზეციერისა სასუფეველისა იგი შუენება. არა მივიღებ პატივსა ბოროტისა მომატყუებელსა, არცა მნებავს მხედრობაჲ წარმავალისათჳს დიდებისა, ვერ სადამე განჰკუეთრას მახჳლმან შენმან, მახჳლი სულისა ჩემისა, არამედ უფროსღა აღლესოს, ჴორცთა ამათ განხრწნადთა დაჭრამან. გრილ ჩემდა ცეცხლი შენი, რომელი ვერ შეეხების დაშრეტად ცეცხლსა სულისა ჩემისასა, რომელი აღანთო ჩემ შორის, ჴორცთა შინა მყოფმან ცეცხლმან ღმრთაებისამან, არამედ უფროსღა შევიწუი ცეცხლითა მით ტრფიალებითითა და შევიცვრევი წყლითა, ცხოველითა წმიდისა სასოებისათა (იგნატი ღმერთ შემოსილისა), რომელი არს ჩემ შორის და მხადის მე შინაგნით, ვითარმედ მრავედ მამისა მიმართ, (ღმრთის მეტყუელისა-წმიდისა დიმიტრი თესალონიკელისა თჳს სიტყჳსაგან.) მოხაგებნი უკუე ქრისტიანენი ჩემდა არა საწადელ, არამედ დაცჳაჲ ხატისა შეუხებელად და რომლისა მსგავსად დავიბადე მსგავსება, რაოდენ შესაძლებელ-არს ჴორციელისაგან ბუნებისა. დაასრულა სიტყუაჲ თჳსი მოწამემან მძლავრისა მიმართ და განამზადა ღუაწლად.

განარისხა უკუე მძლავრი, კადნიერებამან ქრისტეს მხედრისამან და განაკჳრჳა უშიშად მიგებამან მისმან და სირცხჳლად ჰრაცხდა თჳსისა მეფობისად, ეს გუარსა კადნიერებასა, ვინაჲცა ბრძანებ განშიშულებად პატივისაგან შალვაჲ და სამოსელთაგანცა და გუემად უწყალოდ. ხოლო მტარვალნი, რომელთად ბრძანებულ-ჰყო ტანჯვაჲ მოწამისა ზედა მიუხდეს წმიდასა და განიორკვდეს უპატივოდ და სამოსლისა სარაგარითურთ აღმძრცუვლნი ჰგუემდეს უწყალოდ. განაღა აღძარცუ-

სათჳს სამოსელთასა მოხარული ეტყოდა თავსა თჳსსა. «იხარებდ ჰოი! შალვა, რამეთუ სამოსელსა თანა კორცთასა, ძუელსა კაცსა აღიძრცჳ დახრწნადთაგან სიმარჯუეთა განთავისუფლდები, (ფსალ. 115, 3.) რაჲმე მივაგო უფალსა, რომელი ესე მომაგო, მით რომელ განშიშულდა უფალიცა დიდებისა შენთჳს სამოსელთაგან, ეჰა რაბამ დიდ არს მონისად ზიარებაჲ ვნებისა უფლისა თჳსისა. ჩუენ უკუე მხედართა განვაშიშულეთ სარვართა აღმხდელთა, შემმოსელი ცათა ღრუბლითა, ესე მხედართა იყო კადნიერებაჲ, რომელთა (მარკ. 15 — 24.) განიყუფს სამოსელი მისი. აწ სადამე საყუედრელი იგი ჩუენი შესმენაჲ თავისა მიერ ჩემისა აღვკოცო, გუამისა მიერ დაბძარვითა მუსკულთათა უტკივარი, მოვიღო უხრწნელებაჲ და გუამითთა მითთა წყლულებათა მხსნელისა ჩუენისათა ვეზიარო და სიკუდილისა დამორგუნეულისა თანა სიკუდილისასა ვსუფევდე. ერთითა ამით ჟამითა, ყოველნი საუკუნენი მოვიყიდნე და განკსნითა კავშირთათა, შეერთებაჲ აუგებელისა თანა არსებისა და მისთანაჲ განსუენებაჲ მოვიგო, მით რომელ სიმართლით მიღებად წინა-მიძს სიკუდილი უიჭვოდ, ამისთჳს (სიბრძ. 4, 7.) განსუენებასა მისა ვიყო, დავითმინოთ ჰოი! შალვა სიკუდილი ქრისტესთჳს, რომელიცა (ებრ. 9, 27.) ერთგზის წინა-უძს ყოველსა კაცსა, რამეთუ იგიცა ჩუენ (ჰრომ. 5, 6.) უღმრთოთათჳს მოკუდა, რაოდენნი ძჳრის მოქმედნი თჳსთა თჳს უჴსჯულოებათა თავს იდებენ სიკუდილსა ჩუენ სიმართლისათჳს ვრიდოთა სიკუდილსა. არა გახსოვსა შალვა? რაოდენგზის მიეც ბრძოლასა ცხოვრება შენი მეფისათჳს მოკუდავისა, ვითარცა მემკჳდრისა მეფისა შენისა, რათა მიიღო მისგან ჯილდოდ დიდებაჲ კაცთა შორის, უკუდავისათჳს მეფისა (ებრ. 1, 2.), რომელი დაადგინა მკჳდრად ყოველთა, რომლისაგან შექმნა ღმერთმან საუკუნენი, რომელიცა მოგცეს ჯილდოდ უხრწნელსა და მისთანა ცხოვრებასა დაუბერებელსა სუფევითა, არა მიჴსცეა ცხოვრებაჲ შენი?» ამათ და ესე გუართა რა ეტყოდა თავსა თჳსსა მოწამე ჭეშმარიტებისა; ჰკუეთდეს უწყალოდ მყოვარ. მერმეღა საპყრობილესა შინა შეიყვენა და პირად პირადითა მძჳნვარითა ტანჯჳთა განცდილმან აღასრულა სრბაჲ მარტჳლობითი [1]) და ესრეთ ქრისტემან ღმერთმან განმაძლიერებელმან მისმან მისცუალა მისთანა, დიდი იგი გოდოლი კეთილ მსახურებისა მჴედარი თჳსი გჳრგჳნოსანი გჳრგჳნითა სიმართლისათა. ესე უკუე არს ქუეყანასა ზედა ცხოვრება ძალუა დიდისა, რამეთუ მჴედრობდა იგი ჩინებულითა სიმხნითა ქუეყანასა ზედა მსახურებითა კეთილ-მსახურთა მეფეთათა და მჴედრობასა თჳსსა ყოვლითა კეთილ-მსახურებითითა სულისა წმიდისა თჳს ზედა მოსვლითა საქმითითა ფილოსოფოსობითითა იქმოდა გუამი თჳსი (2 კორ. 6, 16.) ტაძარ ღუთისა ცხოველისა განუწმიდა ღმერთსა, (კოლას. 3, 9.) მოაკუდინნა ასონი ქუეყანასა ზედა, სიძვა არა წმიდებაჲ, ვნებაჲ გულის თქმაჲ ბოროტი და ანგარებაჲ, რომელ-არს კერპთ-მსახურებაჲ, (კოლას. 3, 12.) და შეიმოსა ვითარცა ჰრჩეულმან ღუთისამან წმიდამან და საყუარელმან მოწყალებაჲ შეწყნარებაჲ, სიტკბოებაჲ, სიმდაბლეჲ, სიმშჳდეჲ და სულ-გრძელებაჲ და ამას ყოველსა ზედა სიყუარული, რომელი იგი არს სიმტკიცე სრულებისა. ხოლო დაკუეთებისა დროსა ეწყო გუელსა ამპარტავანსა და ქრისტესთჳს ვნებითა და სიკუდილითა შეჰმუსრა თავი მისი, კორცთა ჰსძლო (გალატ. 6, 14.) ჯუარს-აცუა თჳსდა სოფელი და თჳთ ჯუარს-ეცუა სოფლისად (2 ტიმოთ. 4, 7.), ღუაწლი კეთილი მოიღუაწა, ჰსრბაჲ აღასრულა, სარწმუნოება დაიმარხა. ხოლო (სიბრძ. 5, 15.) მიიღო მეფობაჲ მშუენიერებისა და შარავანდედი სიკეთისა კელისაგან უფლისა და გჳრგჳნი სიმართლისა (2 ტიმოთ. 4, 9.) მართლისა მისგან მსაჯულისა, რამეთუ შეიყუარა გამოჩინება მისი.

---

1) სადაცა კეთილად აღსრულდა პირუელ ნახევარსა 1227 წ.

ესე არიან სიტყუანი ჩემნი, შენდა ჯუარო! წმიდაო საღმრთოო მოღუაწეო და სულო სწადელო სულნელებაო და სიკეთეო ყოველთა ქართუელთაო (ქება. 1, 2.) ჭეშმარიტ ნელსაცხებელ წარმოცალიერებელ სახელი შენი მით რომელ სურჯლისაგან შენ შორის მოტყინარისა არს მატი იგი საღმრთო სისხლი შენი, სოფელსა შინა ყოვლითურთ წარმოიცალა და ვითარცა წარმოცლილმან ნელსაცხებელმან აღავსო იგი სულნელებითა.

რაჲმე გიწოდა შენ კარკანჩოდ სიტყჳერ მცურუალედ ზღუასა შინა გულისხმის-ყოფისასა, შინაგან სისპეტაკისა წმიდისა მექონად, სადა ელვამან სულისა შენისამან ჰშთაჰყარნა. ცუარნი წმიდისა გონების მოძრაობისანი და ჰქმნა მრავალფასს მარგარიტად საღმრთოჲსა სარწმუნოებასა.

სამოთხედ რამეთუ მოკრძალულ-ხარ ზღუდითა და გოდლებისა კრძალულებისათა და შინაგან მექონ ხარ ყოვლ სათნოებითთა ყუავილთა მშუჱნიერ სულნელთა და ხილნართა ტკბილ-გემოვან ნაყოფიერ მწიფეთა, რომელნი შესაბამსა ადგილსა დგომითა განკარგულან ჰრწყულნი სახარებისა საღმრთოჲსა ნაკადითა. ვარსკულავად მოძრავად, რომელი ღერძსა ზედა საღმრთოჲსა კეთილ-მსახურებისასა ჰყოფ სრბასა მომგრგუალებითსა. ხოლო ჰხუალ მერიდიანთა ზედა სათნოებათასა და მიიქცევი აღმოსავალად საღმრთოჲსა ცნობისა (ქება 9, 7.). ტბად ესებონისა, ვითარცა თუალად უკუდავისა სიძისა, კუალად ვინაჲთგან იტყჳან, ტბათა ესებონისათა ესოდენ წმიდად და ყოვლისაგან მღჳრე-ყოფისა თავის უფლად, რომელ ქებასა შინა, სიძისა თუალად ჰსოქუა სულმან მომცემელმან სიბრძნისამან. ამად ვითარმედ სიწმიდე და კამკამიერ ყოფაჲ სიმართლისა შენისა წანდილნა წინაშე ღუთისა, რომელსა ზედა (ფსალ. 33, 19.) თუალნი უფლისანი და ყური უფლისა ლოცუასა შენსა ზედა.

(ქება 5, 19.) თუალად ტრედისა, სავსებასა ზედა წყალთასა ვინაჲთგან უმანკოებისა მოიგე მადლი, ვითარმედ იქმენ სიმართლით (მატ. 10, 16.) ტრედი და ვითარცა გუელი მეცნიერებით. გარნა თუალად ტრედისა სავსებასა ზედა წყალთასა ესე იგი არს ვითარმედ, (გრიგორი ნოსელისა ქება, განმარტება თავი 13.) წყარო წყლისა განწმედილისა არს სიწმიდე და სხუა ეგე ვითარივე სიმდაბლე, ჭეშმარიტებაჲვე და სიმხნე და კეთილისა სურჯლი და ბოროტისა მოძაგებაჲ, ესე და ესე ვითარნი წყალნი წყაროჲსაგან არიან ერთისა. ხოლო მდინარეთა და ნაკადულთაგან შეკრებებიან ეროად სავსებად, რომელთა მიერ იქმნების ყოვლისავე ალმურისა და ვნებისა თუალთასა განწმედაჲ, რომლითა წმიდა იქმენ. (ქება 5, 12.) ფიალად ნელსაცხებელთა, ამად ვითარმედ შენ შორის სიმართლე ნაცხადევი არს თჳნიერ რაჲსავე სიღრმისა და მოქცევისა, არამედ ფიალად აღმომადენად ნელსაცხებელთა უხრწნელთა სათნოებითთა სულნელებათა, ანუ სისხლისა შენისა წმიდისა, რომელი აღმოაცენე შორის ეკკლესიისა სულნელად სიძისა უკუდავისა.

ჯუარო! შალვა ჩემდა ყოვლად პატიოსანო და საწადელო თავო, მეც ყოვლად განწმედილი ოხვაჲ შენი, დროთა კავშირთა განკსნისასა და მით ურცხუჱნელად წარმადგინე, წინაშე საყდარსა ქრისტესსა, სადა გჳრგჳნოსანი და მკჳდრებულ ხარ შენ. (იუდა 1, 25.) მხოლოსა ბრძენსა ღმერთსა მაცხოვარსა ჩუჱნსა დიდება და სიმდიდრე, სიმტკიცე და კელმწიფება უწინარეს ყოველთა საუკუნეთა და აწ და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

## შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდათა ათთა-ბევრთა მოწამეთა ტფილისს ვნებულთა.

მარტჳრთა შენთა რიცხჳ ას გზის ათასი.
აღმოჰჴსჭვირს შენი სასმელი რა მათ ასვი.
მიიღეს სურჳლით იგი სასმისაი თასი.
სადა ფეის ფერად, ჰსპეტეს ფერ სათასი.
ერთად მოიგეს, სამეფოჲ ცათასი [1])

თქმული ანტონ კათალიკოსისა მიერ.

სისტემა სიტყუათა კიდულთა ურთიერთარს სათანადო არს შესაბამ ყოფად, რათა ჭეშმატებანი იგი ჭაზრნი სიტყუათანი წინამდებარედ დაეკუეთნეს რა, უმთავრესსა და უკეთილ-შობილესსა ძალსა სულისსა განხილუად განყოფილადრე, იხილოსმან, ვითარმედ პირუელისა მიმართ მეორე და მეორისა მიმართ მესამე და შედგომითა შემდგომად კიდულებდენ, ურთიერთარს შესაბამ ჭეშმარიტებანი სიტყუათანი. ხოლო წინა-თქმულისა მის ჭეშმარიტებისანი სიტყუათანი. ხოლო წინა-თქმულისა მის ჭეშმარიტებისანი, პირუელ მისა თქმულისა მის ჭეშმარიტებისა თანა-კიდულისა სათანადო არს ჩუენდა მკიდებად წინა მდებარე ესე თქმადი ჩუენი.

ვინაჲთგან მარტჳლთ-მოყუარებისაგან შეწევნითა ცხოველს-მყოფელისათა სულისათა, ვისა-ხელნართა ულენით და ყოველთაგან სხუათა სიტყჳთა მოქმედებათა მოვიცალეთ და ქრისტესთჳს ვნებულთა მოწამეთა ჭეშმარიტებისათა, კეთილ-წესიერ სიტყუაობისა ქუემდებარე ვჰყავთ სული და მოქმედებანი ჩუენნი, შესაბამ სისტემის თანა მოკიდებულ ვჰყავთ, ვინა სათანადო არს ჩუენდა თქმად აქა და უპირატეს თქმულისათანა მოკიდებად რიცხჳთ ათბევრთა მოწამეთა თჳს სიტყუაჲ, მით, რომელ ქალაქი ესე ჩუენი სადაცა არა-ყოფისაგან ყოფაჲ მოვიღეთ ღუთისაგან, სადა საბანელმან მეორედ შობისამან აღმოგუშვნა (მატ. 28, 19.) სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, სადა მეფენი კეთილ-მსახურნი სკიპტრასა განაგებენ კეთილ-მსახურებით, უკუ-

1) არა უწყით თუ რომლისა მიზეზისა გამო საქართუელოს ეკკლესიას არა დაუწესებია დღე ხსენებისა ამათთა წმიდათა, რომელთა დღესასწაული ჯერ არს აღსრულებაჲ.

ვილნი და ნაყოფნი სიკეთენი და დიდებანი სამკაულნი და გჳრგჳნნი ამის ქალაქისანი, აქა სათანადო არს ჩუჱნდა გალობით და ქებით მოხსენებად.

აღმოვალს და დაჰკდების მზე და ადგილსავე თჳსსა მივალს იგი და მუნვე მივალს სამხრით კერძო და მოვლის ჩრდილოდ, ჰსთქუა სოლომან. ეგსახედ სიტყუა აღმობრწყინვებული განწმედილსა ცასა ზედა გონებითსა აღმოვალს და დავალს და ადგილსა თჳსსავე მივალს, რამეთუ იწყებს აღმობრწყინვებასა (ესე იგი გამოცხადებასა თჳსსა) რაჲმესათჳს კმაჲსა მიზეზისა, რამეთუ (მეტაფიზიკა ონტოლოღია, ბაუმესტრისა თავი 1, 15.) არა რაჲმე არს თჳნიერ კმაჲსა მიზეზისა და დაჰკდების დასასრულსა შინა ესე იგი, რამეთუ აღიღების. ხოლო მივალს მუნვე და ერთით კერძო მოვლის, მეორისა კერძოსად, რამეთუ მიიქცევის განსაზღურებისავე მიმართ თჳსისა და მოვლის განწყალებისა მიმართ და აღმოჩინებისა და შესაბამსა დასასრულსა შინა აღიღების პაქრობითა მებრ თნებათა პლატონისთა.

ვინა ადგილ-ვჰსცეთ აღმობრწყინვებასა სიტყჳსსა რაჲსათჳსმე კმაჲსა მიზეზისა, ესე იგი, ადგილობითითა ნათესაობითა, თანმენათესავეთათჳს ჩუენთა ჭეშმარიტებისა მოწამეთა, რომელნიცა ჰყოფენ ერთ-გუნდობითსა სირასა ქსოვითა სირასა მას შინა, მრავალ-ბევრობათა თჳსთათა და თავისი რაჲსა მათისა არს (აპოკალიპ. 1, 5.) ქრისტე იყო მოწამე სარწმუნო და პირმშო შესუენებულთა.

ესენი ერთსა და მასვე ღირსებასა ზედა ჭეშმარიტებისა წამებისასა მომვლელნი მზესი სიტყუერნი, რომელთა ღერძი არს (1 ტიმოთ. 6, 13.) აღსარება იგი კეთილი ქრისტე იესოსგან წამებული წინაშე პონტიელისა. ესენი ერთსა ზედა მერიდიანსა მავალნი თჳთეული მრავალ-ბევრთა მათ მზეთაგანი უბრწყინვალესნი მზისა, რამეთუ შარავანდედი სიმგრგულისა მათისა ბევრ-ათასეულად სტადიონადმდე მწუთე არა მოაკლდების, არცა დაჰკდების, არცა განიყოფის, არცა სიშორითა ადგილისათა სივრცესა შინა განიღების; ხოლო მერიდიან მათდა არს ჰსრბაჲ ქრისტეს მიმართ მიმყვანებელი, (მატთ. 20, 22.) შესმითა სასმელისა მისისათა და ნათლისღებითა ნათლისღებისა მისისათა. ესენი ყუავილნი განკარგულნი, რომელნი ერთსა წალკოტსა იქმოდნენ სიტყჳერსა და დაუბერებელითა ფესვითა, ჰყუავინ ყოველნი, ვითარცა ვარდნი მეწამულნი სისხლითა, ყოველნი ვითარცა შროშანნი სპეტაკნი სიწმიდითა და უმანკოებითა სულისათა და ყოველნი ვითარცა ნარდიონნი, იასი და შაშპრანი მშუენიერ ფერონი მგლოვარებითა და წურთითა სიკუდილისათა. ხოლო ერთსა განუწყალებელსა ჰფშუიან სუნნელებასა, რომლისად ქმნილისა ერთისა მის წალკოტისად შესაბამ სათქმელ არს, (ქებ 1, 2.) სუნნელება ნელსაცხებელთა შენთა უფროს ყოველთა სუნნელებათა, მით რომელ ზიარებულ-არს სუნნელესა თანა მისსა, რომლისა სახელ-ნელ-საცხებელ წარმოცალიერებულ.

ესენი ხილნარნი მშუენიერნი, რომელნი ჰყოფენ ერთსა უკუდ მოკრძალეულსა მტილსა, უკუდავისა სიძისასა, რამეთუ ყოველნი ვითარცა (ქებ 4, 12.) ვენაკი ტევნოვან ნაყოფისაებრ, სოლომონისა (5, 11.) ვეელმონისა ნაყოფისა, ყოველნი ვითარცა ლელჳ, რომლისა (ებ. 2, 13.) გუგაჲ გამოტყუებულ-იქმნა არესა შინა, რომელიცა მოიღო ყოველმან სოფელმან ჭეშმარიტებასა ზედა აღსვლითა, ღმერთ-მამაკაცისა სიტყჳსათა. ყოველნი ვითარცა (2, 5.) ვაშლ მოსხმულ მნიშვნელ და წყლულებისა სიყუარულისა ძლით სიძისათა, ყოველნი ვითარცა ბროწეულ, რომლისა (4, 3.) ნაქერცენს ემსგავსა სიკეთე ეკკლესიისა ქრისტესისა, ყოველნი ვითარცა ლიმონ, რამეთუ მარცუნ ყუავილისა სათნოებითისა და სიმწჳანისა ახალ ნაყოფისა ესე იგი დაუბერებელობითისა და სიახლისა კეთილ

ღობითისა და მწიფობისა ნაყოფისა, ესე იგი სათნოებათანი რა დამწიფდეს ვნებისა სითუჱლმან, საკმარ ჰყუჱნა მე მტილისა ღმერთ-მოთავრისად და ყოველნივე ახალ-ნაყოფნი, და მწიფენი თანად ჰფშჳან ერთსა სუნნელებასა. ხოლო ყოველნი ესე ხილნარნი ერთისა მტილისა ნაყოფი, რომელისა ჰსთქუა ჰსძალმან მშუჱნიერმან (წმიდამან ეკკლესიამან.) სიძისა მიმართ ღმერთ-მამა-კაცისა (ქება 5, 1.) ჰშთავედინ ძმის-წული ჩემი მტილსა თჳსსა და ჰსჭამენ ხილნარი ნაყოფთა თჳსთა და ვითარ იგი სიტყჳსაებრ სძლისა მოიღო, მტილისა მისგან თჳსისა ნაყოფნი, სიძემან მან ჰსთქუა სძლისა მი-მართ მხიარულითარე პირითა, შევედ მე მტილსა ჩემსა დაო ჩემო სძალო, მოვისთულე მური ჩემი, ნელსაცხებელით ჩემითურთ, რამეთუ საშუჱბელ სიძისა იქმნა და საყნოს ნელსაცხებელ, სისხლი იგი მოწამეთა მისთა, რამეთუ შესცუალა უპატიოსნეს ხილთა მათ, წმიდათა ბუნება ჴორცი მშჳნ-ვიერებრი, (კორინ. 19, 43.) სულად განცხოველებულად, მადინებელად სუნნელებისა სისხლისა ძლით, რომლიცა დაითხია ნებსით, წთაგან სიყუარულით, კუალად (ქება 5, 1.) ვჰსჭამე პური ჩემით თაფლით ჩემით, ესე იგი შეცუალებითა მით თქმულითა ხილთა ბუნებისათა სიტკბოებასა სათნოსა თჳსსა ადინებს სიძე ხილთაგან და თჳთ პური იგი ცხოვრებისა სახელსა თჳსსა ზედ-წო-დებულ-ჰყოფს, მათ ზედა. ხოლო ვითარმედ (ქება 5, 1.) ვჰსუ ღჳნოჲ ჩემი სძითა ჩემითა, ესე იგი, შეცუალებითა მით პატიოსნითა, ბუნების ხილთათა, ადინებს სიძე ხილთა მათგან (ფსალ. 103, 19.) გულთა განმამხიარულებელსა სრულთადმი და დამატკბობელსა საზრდელსა უსრულთადმი და განზავებს ესრეთ სათნოდ თჳსდა. ესენი ხაკადულნი, მრავალ-ბევრნი, რომელნი ჰყოფენ (ქება 4, 12.) ერთს დაბეჭდულსა წყარსა, ესე იგი, ერთსა და მასვე წმიდასა გულის-ხმის-ყოფასა, ანუ ერთსა ჰაზრსა წმიდასა, რომელმან შეჰკრიბნა, მრავალ-ბევრ-ნაკადულნი იგი ერთად წყაროდ და დაჰკშნა, რათა უკუდავისა სიძისაგან უცხოთა და მიუთუალუჱლითა ჰაზრითა და წარმოდგომათა ბნელთა და განჰსჯათა ცრუთა ვერ განაღონ იგი. ამათი უკუჱ ქალაქი ჴორციელად არს ყოვლისა ზემოჲსა და ქუჱმოჲსა ივერიისა ქალაქი წინამდებარე ზედ წოდებით ტფილისი, გარნა უფროსღა ზეცისა უფროსღა (გალატ. 4, 26.) ზეცისა იგი იერუსალიმი, რომლისა (ებრა 11, 10.) ხუროთ მოძღუარ და შემოქმედ ღმერთი. ხოლო მშობელნი არა ერთისა აღსავალისა პყრობასა ქუჱშე შეცულნი, რამეთუ რომელნიმე მათგანნი მთავართაგან ჩინებულთა, რომელნიმე აზნაურთაგან, რომელნიმე ვაჭართაგან და რომელნიმე გლახაკ, გარნა ყოველნი (იოანე 3, 6.) შობილ სულითა (იოანე 5, 4.) ღუთისაგან, რომლითა ჰსძლეს სოფელსა, ყოველნი ჩინებულ ქორწილსა უკუდავისა სიძისასა და ჰრჩეულ მეინაკედ ქორწილისა მის ყოველნი აზნაურ და თავის უფალ ბრალთაგან (გალატ. 5, 1.) აზნაურებითა მით, რომელითა ქრისტემან ჩუჱნ განგუა აზნაურნა და კუალად სისხლითა ზიარითა ღმერთ-მამაკაცისა სიტყჳსათა თავის-უფალ ქმნილნი ბრალთაგან. ყოველნი ვაჭარ უსასყიდლოჲსა მარგარიტისა, რამეთუ (მატთ. 13, 46.) განჰყიდნეს ყოვლივე რაჲცაოა აქუნდათ და მოიყიდეს მარგარიტი იგი, ესე იგი ცხოვრებაჲ სოფელსა შინაჲ და სულნი თჳსნი განფარდნეს, სიბრძნით და მოიფარდნეს სასუფეველდ ცათა. ესენი არიან არა ერთისა წლისა ქუჱშე პყრობითა შეცულნი, რამეთუ რომელნიმე მათნი მღუდელ და შემწირუჱლ ტარიგისა მამისა მიმართ ღუთისა, რომელ-ნიმე დიაკონ აღმასრულებელ მსახურებისა თჳსისა თანამდებისაებრ, რომელნიმე კლირიკოს ეკკლე-სიისა, რომელნიმე, მონაზონ და მოწე. რომელნიმე მჰსაჯულ და განმჰსჯელ ერისა, რომელნიმე მჰედართ შორის უპირატეს თჳთოეულისაებრ აღსავალისა მათისა და რომელნიმე მჰედარ. მაგრა ყოველნი მღუდელ-მმოქმედებელ და შემწირუჱლ თავთა თჳსთა საკუჱრთხად უბიწოდ ტარიგად წად საკურთხეველსა ზედა ვნებისასა, ქრისტეს ღუთისა მიმართ. ყოველნი მსახურ, მღუდელ-მმოქმე-

დისა თანა მამისად შემწირველისა თავისა თჳსისა და ყოვლად წმიდათა გულისხმის ყოფითა თჳსითა, უბიწო ყოფითა დუმილით ჩუენდა ქადაგ. სახარებისა ქრისტესისა და საცხოვრებელთა ჩუენთა განგებულებათა მისთა. ყოველნი ერთისა წესისა ქუეშე განწესებულ, ანუ ერთისა კანონისა, რამეთუ ყოველნი თანად აღმღებელ ჯუარისა იქმნეს და ჯუარსა ზედა ვნებისასა ამაღლებულნი ხორცთა დაუზევდეს ზესთა სოფლისა იქმნნეს და არსებისა განსაზღურებულისა, უზესთაეს ქმნილნი, დიდებასა არსებასა განუსაზღურებელისა ეზიარნეს.

ყოველნი მჰსაჯულ და მეფე გამოხატუათა და წარმოდგომათა და საქმეთა ბუნებითითა, რამეთუ წარმოადგინნეს სამსჯავრსა შინა გონებისა თჳსისასა სიცოცხლეჲ უკუდავი და დაუბერებელი, მოკუდავი და განხრწნადი. ხოლო განამართლეს უკუდავი იგი და დაუბერებელი და ჰსაჯეს მოკუდავი და განხრწნადი და ვითარცა მეფეთა უბრძანეს ხორცთა ტჳრთვად (გალატ. 6, 13.) საწერტელი უფლისა იესოსნი და სიკუდილი მისთჳს, რომლითა პატივ-იცეს ანგელოსთაგან და ყოველი მჴედარი, რამეთუ განქუელნეს ქრისტესთჳს და უხილავთა მტერთა ზედა, ესე იგი (ეფეს. 6, 12.) მთავრობათა ზედა და ჴელმწიფებათა სოფლის-მპყრობელთა ზედა, ბნელისა ამის საწუთოსათა, სულთა ზედა უკეთურებისათა, განიმჴედრნეს შემოსილთა საჭურველითა ღუთისათა, რომლითა (ეფეს. 6, 11.) შეუძლეს წინა-დადგომად მანქანებათა მათ ეშმაკისათა.

ამათ (13.) აღიღეს ყოვლად-საჭურველი იგი ღუთისა და მით შეუძლეს წინა-დადგომად დღისა მის ბოროტისა და ყოველივე ჰქმნეს რათა ჰსდგეს. ესენი ბრძოლასა მას შინა (14.) ჰსდგეს უკუე მტკიცეთ მორტყმულნი წელთა თჳსთა, ჭეშმარიტებითა და სიმართლისა ჯაჭვითა შემოსილნი (15.) და ფერკთად შესხმულნი განმზადებულებისა სახარებისა მის მშჳდობისანი. ამათ დღეს ბრძოლისა თჳსისა (16.) ფარნი სარწმუნოებისანი აღიღნეს და მით შეუძლეს ისარნი იგი ბოროტისანი განკურვებულნი დაშრეტად. ხოლო (17.) ჩაფხუტნი ცხოვრებისანი თავთა ზედა დაიდგნეს და ჴელთა შინა იპყრნეს მახჳლი იგი სულისა რომელ-არს სიტყუა ღუთისა და ამით მტერნი თჳსნი დაჰსცნეს, იოტნეს, წარაქცივნეს, სირცხჳლეულ-ჰყუეს და თჳთ მძლეთა მოიღეს ჯილდოჲ (2 ტიმოთ. 4, 8.) სიმართლისა იგი გჳრგჳნი, რომელიცა მიჰსცა(ეს) მათ უფალმან მას დღესა შინა, მართალმან მან მსაჯულმან, ვითარცა მოყუარეთა გამოჩინებისა მისისათა.

ესენი არა ერთისა ჰასაკისა აღსავალისა ქუეშე, გარეშეცჳთ პყრობილ, მით რომელ, რომელიმე მათი ყრმა, რომელიმე ჭაბუკ, რომელიმე მოხუც, რომელიმე ბერ და რომელიმე უღრმესისადმი სიბერისა მიწევნილ; (ეფეს 4, 13.) მაგრა ყოველნი მიწევნილ ერთობისადმი სარწმუნოებითისა და მეცნიერებისადმი ძისა ღუთისა მამაკაცად სრულად საზომად ჰასაკისა სრულებისა მის ქრისტესისა.

არა ყოველნი ერთისა ქუეშე განწუალებისა მეცნულ მით, რომელ რომელნიმე (გალატ. 2, 3.) მათნი მამრ და რომელნიმე მდედრ, მაგრა ერთ და იგივე ქრისტეს მიერ, რამეთუ ქრისტეს მიერ ნათელღებულთა და ქრისტე შემოსილთა შორის, არა არს ჰრჩევაჲ მამა-კაცისა, არცა დედა-კაცისა, არამედ ყოველნი ერთ ქრისტეს იესოს მიერ.

ეჰა ხორციელებრი თან-შეუწყობელობა, ათ ბევრთა მათ პატივისაებრ და წესისა ჰასაკისაებრ და განწუალებისა, მაგრა თანა შეწყობილება და თხზუაჲ სირაჲსა ყოვლად საკჳრუელი მიმსგავსება ეკკლესიისა ქუეყნიერისა და უფროსად მჰსგავსება პირმშოჲსა ეკკლესიის ჯოი! ჰაზრი კეთილი-არა დაუმტკიცებელი, რომელნი ათ-ბევრთა პირუელსა რიცხუსა შინა გამობრწყინდების და ვიდრე უკანასკნელადმდე განჰსწვთებისა და პირუელსავე შინა მოიქცევის და ესრეთ წმიდასა შინა გულის-

ხმის-ყოფასა მომრგჳალდების მხოლოობასა თჳსსა განუკუეთელად დაიცავს. ჰოი! გულის-ხმის-ყოფა უბიწო, რომელი სიბრძნისა მიმართ კმეულებს და სიბრძნე იგივე, კეთილ გონიერებითა განიგების, ხოლო კეთილ გონიერება იგი ცხოველ-მყოფელისა სამებისა მიმართ ნიადაგ-მიიქცევის. ჰოი! განზრახჳა გულის-ხმიერი, რომელი მხოლოობასა თჳსსა განჰფენს ათბევრთადმდე და მრავალთა მიმართ მიფენითა არა განიწვალების და ქრისტეს მიმართ და ქრისტესთჳს, მოქმედებასა შინა ჰსდგების. ხოლო მოქმედება იგი განზრახჳსა სრულ-მყოფი დაღათუ ათბევრთაგან იმოქმედების, მაგრა ვინაჲთგან არს ერთისა მიმართ და ერთისათჳს მხოლოობასა შინა იწყების და მას შინა განგრძელდების და მასვე მხოლოობასა შინა უკუჰსდგერდების ჰოი! (ზირაქ. 25, 2.). ჰოი! ერთ-გონიერება ძმათა, ჰოი! სიყუარული მოყუასთა, ჰოი! მამაკაცთა და დედაკაცთა ურთიერთარს შეთქმულებაჲ, რომლითაცა სიბრძნე განშუენდების მით, რომელ ერთითა სარწმუნოებითა დაუბადებელისა ღუთისა მიმართ სამგუამოვანისა და მისდავე სიყუარულისა მიერ აღტაცებულისა ქმნილთაცა მისთა, ვითარცა თანა-ქმნულთა და თანა მონათა შეყუარება, ხოლო შეთქმულებაჲ მის თჳსვე, რათა შემოქმედისაგან არა განსცჳვნეს. ჰოი! (10.) შუებს სულთა შინა მრავალ-ბევრთასა, განფენილი, რომელი დაცემულებამან მტერთამან ჰქმნა მათ შინა. ჰოი! სანატრელი ყოფა მათი კეთილ გონიერი, რამეთუ არა დამონეს თავნი თჳსნი უღირსსა დამონებისასა და რამეთუ ჰპოვეს სიბერესა სიბრძნეჲ, რამეთუ კეთილნი საშუალნი დასასრულისა მიმართ კეთილისა შეაერთნეს და, რამეთუ სიბრძნე იგი, ყურთა შინა მსმენელთასა მიუთხრნეს. ესე იგი იხილნეს თავთა თჳსთათჳს საბრზენი დარწყმულნი მტერთაგან, მახჳლი აღმოკდილი მათთჳს და მშჳლდნი გარდაცემულნი და კბილნი განბძარჳად მათდა აღმახულნი! და (ფსალ. 19, 7.) ეტლებითა და ჰუნებითა ბრძოლად მათდა განმზადებულნი, მაგრა ღუაწლისა-დამდებელისაგან იქმნა შეწევნა დიდი მჴედართადმი თჳსთა, ვითარმედ (ფსალ. 36, 13.) ეცინინ მტერთა მათთა და წინასწარ ჰხედავს, რომელ არს მათ დღე ვითარმედ საივრკე შეიმუსრა და ესენი განერნეს (ფსალ. 123, 6.), მახჳლნი მათნი განეწონნეს გულსავე მათსა და მშჳლდი მათი შეიმუსრა და ეგ სჳხედ კბილნიცა მათნი, (13, 15.) იგინი შებრკოლდეს და დაეცნეს. ხოლო ესენი აღსდგეს (3, 7.) და აღემართნეს. (19, 8.) სანატრელ არიან, უღირსთადმი და უმონებელობითა, თავთა თჳსთათა, რამეთუ ზედ-მწჳრეტთა თავთა თჳსთად ვითარმედ (გალატ. 4, 7.) არა არიან მონა, არამედ შჳლ ღუთისა სარწმუნოებითა ქრისტე იესოსითა (ჰრომ. 8, 15.) და არცა მოუღებიესთა სული მონებისა, რათამცა ვითარმედ ეშინოდ, არამედ მოუღებიესვე სული შჳლებისა, რომლითა იტყჳან აბბა მამაო. ხოლო არიან მეგობარცა მისა, რამეთუ უწოდს ამათ, (ებრ. 1, 3.) ხატი იგი და ბეჭედი იგი მამულისა ყოფისა, (იოანე 15, 15.) მეგობრად, რამეთუ ზედ მიწევნილებენ, რასა იქმნ უფალი მათი. ვინაჲცა (გალატ. 4, 8.) არა ემონენეს მათ, რომელნი იგი არა იყუნეს ბუნებით ღმერთ, რომელნიცა წინა-დადებულ-იქმნა, მათდა მძლავრისა მიერ თაყუანისცემად, რომლისათჳს შჳლთა ამათგან ღუთისათა, იგინი შეურაც-იქმნეს ინერწყუა, განგდებულ და გარე მიქცეულ-იქმნა, მხოლოჲ ღმერთი ესე გუარი, რომელიცა სამგუამოვნებათა მიმართ არა განიფინების, რომელიცა ღმერთ-მთავრობითსა შინა არსებასა არცა მამა არს და არცა ძე და არცა სული წმიდა, რომელიცა მის მიერ, მოკლინებულთაგან შესაბამთა ღჳსთა წინასწარ-მეტყუელთაგან ტყუილისათა და მოციქულთა სიცრუისათა, ბერწ ღმერთად იქადაგა უმეცართა შორის ერთა საძაგელთა, რომელიცა ქადაგთა თჳსთა თანა წუთულ-არს და შერცხნებულ. სანატრელ არიან, ჰოვნისათჳს სიბრძნისა, რამეთუ გნომმან მათ შორის განწმედილმან აზნაურმან და კეთილ შობილმან ძალმან სულისამან, წარმოდგომილნი გულის-ხმის-ყოფისაგან

სულსა შინა მათსა ნამდჳლ ჭეშმარიტი არსებაჲ განუსაზღჳრებელი და დაბადებულნი და ცრუნი და გარე მისაქცეველნი შეადგნა ურთიერთარსა. ხოლო გამოირჩია და შეიწყნარა აღიარა და მჴსახურა ნამდჳლსა არსებასა განუსაზღჳრებელსა, სამთა გუამთა მიმართ, წმიდაით განუწუალებელად განფენილსა. ხოლო საქმეთა კეთილთა, ესე იგი ერთისა სამებისაგანისა ძისა და სიტყჳსა ღუთისა, კორციელთა განგებულებათა საცხოვრებელთა ჩუენთა და განჴყარნა ყოველნი საეშმაკონი სიცრუენი, ვინა აღსარებაჲ და შეწყნარებაჲ ჭეშმარიტებისა და განგდებაჲ და გარე-მიქცევაჲ სიცრუეთა საშუალი იყო, კეთილი და სასრულისათჳს კეთილისა, ამათ სანატრელთა ბრძენთაგან შეერთებულ-იქმნა; ხოლო დასასრული იგი, ესე არს ნამდჳლი საწყურისა მის და სატრფიალოჲსა არსთასა შეერთებისათჳს და არა განვრდომისათჳს მისგან. ვინა საშუალსა მას თქმულისა გულის-ჴმის-ყოფით წარმოდგომილსა და განჴსჯილსა და სიტყჳთა აღსარებულსა, შეუდგა საქმეცა სანატრელთა ამათ ბრძენთაგან და საშუალი ხედჳთი სრულ ჰყო, საშუალმან საქმითმან რა აღსარებაჲ ჭეშმარიტებისა სიკუდილითა სანატრელითა და სისხლთა დათხევითა ყოვლად წმიდათა სრულ იქმნა, დასასრულისა მისთჳს თქმულისა.

სანატრელ არიან ბრძენნი ესე მით, რომელ პოვნილი იგი სიბრძნეჲ აღრჩევაჲ იგი ნამდჳლ, ჭეშმარიტისა კეთილისა მიუთხრეს ყურთა შინა მსმენელთასა ესე არს ესე, მოყუასმან მოყუასსა და ზოგად შეკრებულმან, მრავალ ბევრობამან, ჴედა მჭურეტთა მათისა ღუაწლისად, დროსა მას გარე-მოდგომილსა, ვითარმედ მრავალნი და უმრავლესნი, წმიდისა მის შეკრებულებისა ქრისტესითჳს პყრობილთა მათგან, იყუნეს მტარუალნი მათნი და მრავალნი შიშისა ძლით სიკუდილისა, ზედ-მიცილებულნი ჭეშმარიტებისაგან. ხოლო გუარი მითხრობისა, ყურთა მიმართ მსმენელთა ამათ ყოველთასა, ესე ვითარი, მოყუსისაგან მოყუსისა მიმართ. «მე უკუე აღჳარებ ძესა ღუთისასა განკორციელებულსა და განკაცებულსა, ღმერთად შემოქმედად ყოვლისა თანა მამით და სულით წმიდითურთ და მწყურის მისთჳს, რათა შევსვიმცა სასმელი სიკუდილისა, რათა მისთანა ვსუფევდე საუკუნოდ, თქუენ უკუე მოყუასნო ჩემნო, დააკლებთა თავთა თქუენთა კეთილისა ამის ჴსრბისაგან». ხოლო კმანი ესე მოყუასთაგან მოყუასთა მიმართ ყოველთა განჴსწუთებოდა და მსმენელი ამათი ერთმანერთისაგან ათ-ბევრობა იგი ღაღადებდა ბრწყინუალითა კმითა. «ვაღჳარებთ ერთსა მხოლოსა ღმერთსა მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, ერთსა არსებასა სამგუამოვანსა», ხოლო მოყუასი მოყუასსა განაძლიერებდა, მეტყუელი. «დავითმინოთ ერთისა სიკუდილისა ჭირი, დაღათუ საშინელი ც მოვიღოთ მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესთანა უკუდავებაჲ დაუბერებელი». ჭეშმარიტებისა ზედ მიცილებულთა მიმართ, ჵოი! საწყალობელნო და უბადრუკნო, თანა მოქალაქენო წმიდათა კრებულებითა ჩემთანი შეკრულნო, რომელნიცა განჴსენით პყრობილებისაგან თავთა თქუენთა წუთ დროჲსა და საუკუნოჲთა განუჴსნელითა საკრუელითა შეიკრვით, მოფარდულებო, უკუდავებითა და საჴიერისა მის სიძისა თანა ყოფისაგან, ცხოვრებასა არა დადგრომადსა, რომელი მსგავსად (იაკობ. 4, 14.) კუამლისა ჴსნასა დღეს და ხვალე განქარდეს და მტერთა თანა ღუთისა თქუენნისათა დაუსრულებელთა ტანჯუათა მიცემასა, ნუ დააკლებთ თავთა თქუენთა გჳრგჳნისა მისგან, რომელიცა ესერა წინა-გჳძს მოღებად. ნუ წარჴსწყმდებით საღმრთოჲსა ამის კრებულისაგან, რომელიცა ესერა, ზიარებად მზა-არს ჩუენთჳს ვნებულისა ქრისტეს თანა. «ჵოი თან-მოქალაქენო! დაითმინეთ ჩუენთანა სიკუდილი ქრისტესთჳს, რათა ერთად ღირს ვიქმნნეთ (ებრ. 10, 19.) შესულად სიწმიდეს მას შინა (ებრ. 6, 20.) სადა იგი წინა-მორბედად ჩუენთჳს შევიდა იესო ღმერთ-მამა-კაცი იგი მღუდელი და მეფე». მტარვალთა მიმართ, «ნუ ჴსდროვი აღსრულებად ბრძანებულისა

თქუენდა ჩუენ ყოველნი ქრისტეანენი ვართ და გურწამს ცხოველს მყოფელისა მიმართ სამებისა და მზა ვართ მისთჳს სიკუდილად. არა უარ-ვჰყოთ შემოქმედი, რომელმან დაგუბადნა ჩუენ, არა უმადლო ვექმნეთ ქუელის-მოქმედებასა მისსა, რამეთუ მხოლოდ-შობილმანცა მამისამან სიტყუამან კორციელმან თანა-არსმან ჩუენმან (პეტრე 2, 21.) ივნო ჩუენთჳს კორცითა. არა შეურაცხ-ვჰყოფთ, ხატსა კორციელისა არსებისა, უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა და უხრწნელისა დედისა მისისასა, არამედ ძრწოლით თაყუანის-ვჰსცემთ; (ვასილი დიდი) რამეთუ პატივი ხატისა პირმშოჲსა მიმართ აღიწევის მაგალითისა, რამეთუ პირ-მშოჲ იგი მაგალითი ხატისა-არს უფალი დიდებისა, რომელსა ჰშუენის თაყუანის-ცემაჲ და პატივი არცაღა ხატსა უხრწნელისა დედოფლისა ჩუენისა ღუთის-მშობელისასა უპატიოებით გარე-მივაქცევთ, რომლისა პირ-მშოჲ მაგალითი არს მშობელ სიტყჳსა; ღმერთ-მამა-კაცისა და მაცხოვარი ნათესავისა კაცთასა».

ხოლო სათანადო არს ჩუენდა თქმად, თუ სადაჲთ მოჰსრბა, ანუ ვითარითამე მიზეზითა, ერთსა შინა წმიდასა გულის-ხმის-ყოფასა ბევრობა ესე ათეული. ჯალალდინ სულტანი ხუარასნისა და უფროსღა ხუარამზმა და მეფე ყოვლისა სპარსეთისა, ვიდრე ინდოადმდე, მლტოლვარე ჩინელთა-გან სპათა კნინღა ურიცხუთა, რომელნიცა გამოვიდეს ჩინით და მეფე და მკედართ-მძღუან მათდა იყო ზედ წოდებული ჩინგიზ ვინმე, გამოცდილი მკედარი და ბედნიერობასა დიდსა მიმთხუეული. აღდგომილი ჩინგიზ ნათესავით ჩინელი, მიემსგავსა საქმეთა მიერ ძუელთა მათ კაცთა ჩინებულთა ნინოს სირიის მეფესა და უფროსღა ცოლსა მისსა სემირამიდას, ირაკლის, დიონვისის, კჳროსს; ალექსანდრეს და სხუათა, ამან ჩინგიზ მორჩილებასა ქუეშე მეფობისა თჳსისასა მოიყუანნა ინდნი და სპარსნი და სირნი და ხალდეველნი და მიდნი, სომეხნი და ქართუელნი; ხოლო სიმრავლეჲცა სკჳთთა და სარმატნი და რუსნი.

ვერ შემძლებელმან ჯალალდინ, სპარსთა მეფემან წინა-დადგომად ჩინგიზისა, ვითარ ძლეულ-მან მისმან, ვლტოლუა კმეულ-ჰყო სპითა დიდითა, დედა-წულითურთ და მგზავრ მოსრულმან სომ-ხეთისა შინა, აღაოკრა ყოველი მკჳდრობაჲ სომხეთისა. მაშინ მეფემან ყოვლისა საქართველოჲსა და აფხაზეთისამან რუსუდან პირუელმან[1]) წარგზავნა-ჰყო სპისა თჳსისა წინა-აღმდგომად ჯალალ-დინისა მით, რომელ, რომელნიმე ნაწილნი სომხეთისანი ფლობასა ქუეშე შეიცუებოდეს ქარ-თუელისასა და მთავარ და მკედართ-მძღუან ჰყო იოანე მკარ-გრძელი კაცი კმა განსმენილი გამოც-დილებათა შინა მკედრობითა. ხოლო მისრული სპა ქართუელთა დჳნს, რომელსამე სოფელსა; ანუ მცირესა ქალაქსა სომხეთისა, ებრძოლნეს სპარსთა, სადა იგი იდიდნეს ბრძოლასა მას შალვა და იოანე მთავარნი კორციელად ძმანი ერთმანერთისანი ნათესავით, ახალციხელნი ადგილითა, კაცნი მხნენი და ყოვლად ჩინებულნი ბრძოლასა შინა. ხოლო ატაკსა მას შინა საშინელსა იძლივ-ნეს ქართუელნი ცოდუათათჳს და პირუელსა შინა ატაკსა თქმული იგი შალვა შეპყრობილ-იქმნა

---

1) რუსუდან მეფემ მიიღო მეფობაჲ შემდეგ — მეფე გიორგი ლაშასი, რომელიც გარდაიცვალა ბალავანს 18 იანვარსა 1211 წელსა და — დასაფლავებულ არს გაენათს. რუსუდან გარდაიცვალა 1237 წელსა და იგივე დასაფლავებულ არს გაენათს. ამათ საფლავნი, საფლავითურთ დიდისა თამარისა, დიმიტრისა ძისა წმ. მეფისა დავით აღმაშენებელისა, სამხრეთის შემოსავალ კარის-ბჭესა ქუეშე იპოებიან, სადაცა მოჩანს აქამომდე საფლავის ქუა წმ. მეფისა დავით აღმაშენებელისა. ორივ მხრივ საფლავის ქვსა წმიდისა დავითისა — მოჩანან საფლავის ქუანი ამათთა მეფეთა; საუბედუროთ წარწერანი მათ ზედა აღარა ჰსჩანან, უდებისა გამო ქართუელთასა, ჯერ არს მათი დაცვა და შემკობა.

სპარსთაგან, რამეთუ ყოველნი საჭურველნი თჳსნი ხეთქებასა შინა დაელეწნეს და ცხენი, რომელსა ზედა მჯდომარე იყო, მოიკლა მტერთაგან და სპა იგი ქართველთა ივლტოდა და ესრეთ ახოვანი იგი მჴედარი შთავარდა ცოცხალი ჴელთა შინა მტერთასა.

შალვა პატივის-მოყუარებით და სიყუარულით შეიწყნარა სპარსთა მეფემან სიმჴნისათჳს მისისა და პატივსა უყოფდა და ნიჭთა მიერ განამდიდრებდა ერთ-წელ თჳსთანა მყოფსა ყოვლითა თავის უფლებითა და სიყუარულითა და შემდგომად წელიწადისა ერთისა, აწჳა ჯალალდინ შალვაჲ ახოვანი უარის-ყოფად ღმრთისა და მიქცევად ცრუ-სჯულობისა მიმართ ბილწ-მოციქულისა მაჰმედისა და პატივითა და ნიჭთა დიდთა აღუთქმიდა და სატანჯველთა მძჳნვარეთა წინა-დაუდებდა. ყოვლითურთ გარე-მიმაქცეველი წინა-დადებათა მეფისათა შალვა მამეულ აღიარებდა ქრისტესა ღმრთისა ჭეშმარიტსა და სიცრუეთა ბარბაროსებრთა გარე-მიექცეოდა, რომლისათჳს მწარითა სატანჯველლითა ცხოვრებისაგან განხრწნადისა, მოკლა იგი უღმრთომან ჯალალდინ. ესრეთ ნეტარი შალვაჲ მარტჳრებრითა გჳრგჳნითა დადგა წინაშე ცხოველთ-შემოქმედისა სამებისა, მღდელ-მოქმედი ზეცისა იერარხთა თანა საუკუნოდ მსხუერპლთა ქებისათა. ოდეს მოიცალა ჯალალდინ აღსაობისაგან ყოვლისა მკჳდრობისა სომხეთ შინაჲსა, შემოვიდა ქართლად, რომლისათჳს რუსუდან მეფემან ჴსნაჲ უმჯობესად თავისა თჳსისა წარსულაჲ ჴისთიმერად [1]) და აქა მცველად ციხეთა და ქალაქთა ტფილისს შინა და ნისანს [2]) დაუტევნა მთავარნი მჴედართანი, კაცნი გამოცდილნი ძმანი კორციკლად ზედა წოდებულნი მემნონ და ბოცო ნათესავით ბოცოს ძენი. ხოლო სპარსთა მსწრაფელ ჴსრბით მოსრულთა ტფილისად გარემოდგომილ-ჰყვეს ქალაქი, რომელთაცა შინაგნით ჰბრძოდეს ახოვნად ქართველნი მცველნი ქალაქისანი.

იყვნეს უკუე ქალაქსა შინა ტფილისს კაცნი მკჳდრნი ნათესავით სპარსნი, ნუ უკუე ჩემებით ქრისტე-ქმნილნი, რომელთაცა ღამესა მას მომავერაგებელთა შინა განცემისათა, წარჰგზავნეს კაცი სპარსთა მეფისა მიმართ იდუმალ და აღუთქუეს მიცემაჲ ქალაქისა. მაშინ სპარსნი მისრულნი უგრძნობელად მცველთა ქალაქისათა ბჭედმდე ქალაქისა, რომელსა ზედ-წოდებულ ჰყოფვენ განძის კარად, რამეთუ ესრეთ აბირნეს უღმრთოთა მათ შინა განმცემელთა, განახუნეს კარნი შინაგნით და შორის ქალაქისა შემოიყვანნეს. ანაზდისა ამის ქალაქსა შინა მტერთა შემოსლვისა, მემნონ და ბოცო მირბიოდეს წინა-აღმდგომად მტერთად, რომელნიცა იხილნარა შინა განმცემელმან ვინმე სპარსმან უჩაბლახოდ, ჰსცა-მემნონს თავსა ზედა ასოთი და გაიყუო თავი და პატიოსნითა მით სიკუდილითა ქუე-დაეცა, არა მცირედნი იყვნეს უღმრთონი იგი სპარსნი მკჳდრნი ტფილისს შინა, რომელთაცა თანა-მოქალაქეთა თჳსთა ზე აღიმკედრნეს და კართა ქალაქისათა განმხმელთა და მტერთა შემომყვანებთა შორის, მტერთა თანა ტყუენვად და სრვად იწყეს უწყალოდ მოქალაქეთა; რომელისათჳს მჴედარნი მცველნი ქალაქისანი ციხედ ნისანისა ივლტოდეს და რაოდენ შესაძლო-იყო მათდა განამაგრეს ნისანი.

მაშინ შემოსრულნი შინაგან სპარსნი და შინა-განმცემელნიცა იგი უკეთურნი, საშინელითა აღსჳრობითა მოსწყუედდეს ბერთა, მოხუცთა, ჭაბუკთა, ყრმათა და ჩჩჳლთა, მამრთა და მდედრთა განურჩევლად, ზარ-განხსნად იყო საშინელება იგი მკულელობითი, ტყუეობითი და ავარ-ქმნითი ქალაქისა, უმრავლესნი ცხენთა მიერ უბანთა და ფოლორცთა შინა დაითრგუნვოდეს და განწყალებ

1) ციხე ესე შინაგან ქართლსა იყო აღშენებული.

2) აწინდელს ავლაბარს უწინ ნისან ანუ ისან ეწოდებოდა, სადაცა ციხე მაგარი მეფეხისა იყო.

ღირსი ცრემლთა და უფროჲს გოდებისა, მწარე იქმნებოდა მშობელთა შორის და შჳლთა მეუღლეთა შორის, უფალთა შორის და მონათა და მეგობართა, რამეთუ ზოგად ყოველნი ერთსა მას მძჳნვარესა იტჳრთჳდიან განსაცდელსა.

მაშინ დაწვანი ეკკლესიათანი და დარღუევანი განწმედილთა საკურთხეველთანი, შეგინებანი სიწმიდეთანი, ტყუეობანი და სიკუდილნი მწარენი ეპისკოპოსთა წმიდათა და განკრძალულთა მღუდელთა და დიაკონთანი, აღსპობანი მონასტერთანი, სიკუდილნი და წარტყუენვანი მონაზონთა და მოწესეთანი, შეგინებანი ქალწულთანი და ცხრომან მსხუერპლის-შეწირვათა და დღესასწაულთანი და ყოველი იგი რაჲვეცა უესპასიანეს მიერ და ტიტეს მკჳდრთა იერუსალიმისთა იუდიანთა თჳს მოთხრობილი იოსიპოსის მიერ. მსმენელმან ქუთაისს შინა მჯდომარემან მეფემან რუსუდან, რომლისა ცოდვითა განიპატიჟა ღმრთისაგან მონარხია მისი, რამეთუ რაჲვეცა ჰყო მან, ძმის-წულ მისსა ზედა დავითს დასატებასა ზედა ღმრთისასა, არსებასა თჳსსა, უკმოიზღო ღმრთისაგან მოსაგებელი ესე, რომელიცა სიბოროტედ უდიდესად მიდრეკითა მოიუიდა. უბრძანა ბოცოს ძესა ბოცოსსა, რათა დაუტეოს ნისანი და მისცილდესმცა ბრძოლისა მისგან, რომელიცა აქუნდა ცჳსა თჳს ციხისა და ბრძანებაჲ ესე ბოცომან მოიღო მრავალ ჯერ. უკანასკნელ ბრძანებისაებრ, არა მრთელ-ცნობიერისა მეფისაჲსა თჳსისა, მისცილდა ნისანსა ყოფისაგან და არა გრძელ-განმჭსჯელისა მეფისადმი თჳსისა წარჳდა. მთავარნი მაშინდელნი, ვითარცაღა მშუენოდა მპყრობელსა მაშინდელსა ეგე ვითარებდეს და თანად ყოველნი, კნინღა აფროდიტისა და დიონჳსის საეშმაკოჲსა ბომონისა იყუნეს ერ. მცნობელმან წარსვლისამან ჯალალდინ ნისანით ბოცოსამან ნისანიცა, კელთ-იგდო და შებრ ტფილისისა წყლულებითა მკულელითა და მტყუენვარითა და ეკკლესიათა და პალატთა და სახლთა საფუძუელადმდე დამარღუეველითა აღავსო. ესრეთ უკუე განაძჳნა ეშმაკმან ჩუენ ზედა არა წმიდასა მას, გულის-ხმის-ყოფასა შინა, უკეთური იგი სული მისი. ვინაჲცა გუმბათი საეპისკოპოსოჲსა ეკკლესიისა სიონ ზედ-წოდებულისა მოარღჳა და არა წმიდაჲ საყდარი თჳსი დადგა მას ზედა და ყოველნი ეკკლესიანი დაარღჳვნა საფუძუელთადმე. ამათ შინა ჯალალდინ, განზრახჳთა ეშმაკისათა იზრახა ტყუეთაგან ყოველთა უარ-ყოფად ჭეშმარიტებაჲ და მოყუანებად იგინი არა წმიდისა ჭსჯულისდებისა მაჰმედისად. ხოლო გუარი საეშმაკოჲსა მის მოგონებისა იყო ესე, რამეთუ პატიოსანნი ხატნი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი და ყოვლად წმიდისა ქალწულისა ღმრთის-მშობელისა მარიამისი, აღმართებულნი წმიდასა შინა ეკკლესიასა ზედა წოდებულსა სიონს ბრძანა მოღებად და საშუალსა კიდისასა დადებად, ვითარ იგი მატიანეთაგან მეფეთა ქართუელთასა მოითხრობის; ხოლო მოყუანებად ტყუენი ყოველნი კიდეს კიდისასა და მუნ უარის-ყოფად; რათა წყუეულ-იქმნესმცა იგისი ღმრთისა ჭეშმარიტისა და მერმეღა დათრგუნვად და ნერწყუად ხატნი იგი წმიდანი. არა მცირედი იყო მაშინ სიმრავლე ტყუეთა, რამეთუ ქალაქი ესე ჩუენი, სამ კერძოჲთა მდებარეობითა იყო მდგომარე და თჳთოსა კერძოსა შინა მრავალ ათასეულნი მკჳდრ იყუნეს მოქალაქენი, რამეთუ ნისანი და ტფილისისა კალისს კერძოთა ერთისა ქალაქისათა განფენილ იყუნეს და არცა ერთი ვინ მწუალებელთაგანი მკჳდრობდეს დროსა მას, ვიდრე ამად მოოხრობადმდე ქალაქისა. ეგრეთვე მრავალნი გარემო-მყოფელთაგანნი ტფილისურისა პროვინციისანი მეყოფობდეს დროსა მას ქალაქსა ამას შინა საშუფოსა შემომვედრებულნი თავთა თჳსთანი, რათა ქალაქსა შინა, ვითარცა უმტკიცესსა შინა ციხესა განარინნეს თავნი თჳსნი, მომავალისა მისგან განსაცდელისა, რომელნიცა ჩუენ სიტყუასა ამას შინა ზემოთ თქმათა ერად ერთისა ქალაქისა მოვიხსენეთ.

აღასრულეს ბრძანებული, ულმრთოჲსა მეფისა და წარმოადგინეს სიმრავლეჲ ურიცხჳ და წარმოდგომილთა მათ ეტყოდეს. ბრძანებს მეფე ჩუენი, რათა თქუენ ტყუეთა ყოველთა უარჰყოთ ქრისტეჲ თქუენი და დაუტეოთ ჰსჯული მისი და ხატნი ესე მდებარენი კიდსა ზედა ნერწყუთა დათრგუნვითა უპატივო ჰყუნეთ. ხოლო თუ სადამე ისმენთ და მორჩილებით ბრძანებასა ამას, მიიღოთ მეფისაგან თავისუფლებაჲ ტყუეობითი და ნიჭიცა, ხოლო თუ სადამე ურჩ ექმნეთ, აჰა მაკჳლნი ჴელთა შინა ლაშქართა ჩუენთასა, თჳნიერ ყოვლისა იჭჳსა ყოველნი ურჩნი მეფისანი წარმდებებისათჳს თქუენისა უთაო იქმნნეთ. მსმენელნი უკუე უბადრუკებასა შინა მყოფნი ტყუენი შეშინებულ იქმნნეს მრავალნი მათგანნი ზარისაგან წინაშე თუალთა მათთა მდგომარისა მის სიკუდილისა და მებრ ბრძანებისა მის ულმრთოჲსა, დააკლდეს გჳრგჳნისაგან წინაშე თუალთა სულისათა მდგომარისა. გარნა უმრავლესნი სიხარულმან სმენისამან მხიარულ და მრჩობლთაგან საკრუელთა თავისუფლებისა, მჰსწრაფელ მოლოდებამან შეურბულ-ჰყუნა, რომლისა ნაცვალნი მაწუევლთა მიუგეს. «ჩუენ მადლითა ღმრთისათა ყოველნი ქრისტეანენი ვართ, ერთისა მიერ ქრისტეს ძისა ღმრთისა პატიოსნითა სისხლითა მისითა მოსყიდულ და წინაპართა მშობელთათ აქამომდე ქალაქსა ამას შინა, ერთისა ცხოველს მყოფელისა სამებისა ღმრთისა იქადაგებისა სახელი, რომლისა მიერ ქმნილნი, გუშუნეს მშობელთა ჩუენთა, ქალაქსა ამას შინა, აღმოგუშუნა მორწმუნემან ამან ქალაქმან; ხოლო სიმრავლემან ცოდუათამან, რომლითაცა ვჰსცოდეთ და ვიუსჯულოეთ, (დანიილ 3, 27, 30.) და მცნებათა ღმრთისათა არა ვისმინეთ და არცა დავიცუენით და არცა ვჰყავთ, ვითარ იგი მამცნო ჩუენ ღმერთმან, რათა კეთილ იქმნეს ჩუენდა (31.) და ყოველნი ესე მოაწივნა ჩუენ ზედა მაღალმან და ყოველნი, რაოდენიცა გჳყუნა, მართლითა მით მჰსჯავრითა გვიყუნა მისთა (32.), რამეთუ მიგუცნა ჩუენ ჴელთა თქუენ მტერთა უჰსჯულოთა ფიცხელთა განდგომილთა და მეფისა ცრუჲსა და უსჯულოესისა, უფროს ყოვლისა ქუეყანისა. დაღათუ (33.) არა არს აწ ჩუენდა აღება პირისა, რამეთუ სირცხჳლეულ-ვართ და უმდრებულ და შემცირებულ უფროს ყოველთა ნათესავთა და ვართ მდაბალ ყოველთა ქუეყანასა, დღეს ცოდუათა ჩუენთათჳს. მაგრა სულითა შემუსრვილითა და მდაბლითა შევსწირავთ დღეს თავთა ჩუენთა ღმრთისა მიმართ მამისა და უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესა მოტევებისათჳს ცოდუათა ჩუენთასა, რომელნი ვჰქმნენით ქალაქსა ამას შინა და სიწმიდენი ამისნი შევაგინენით და კუალად ამისთჳს, რათა ქალაქი ესე ჩუენი სიწმიდითურთ თჳსით შეგინებული ცოდუათაგან ჩუენთა და მიცემული ჴელთა, სისხლითა ჩუენითა განწმიდნეს, მაღალმან და თავისუფალ-ჰყოს მოოხრებისა და ტყუეობისაგან. ნუ ჰგონებთ ულმრთონი, რათა შიშმან სიკუდილისამან, ანუ აღთქმამან თავისუფალ-ყოფისა და ნიჭთამან აღგჳტაცნეს, რამეთუ შეძლებელ არს ჩუენ სახელითა უფლისათა შეკრებულთა ამათ განყოფაჲ ღმრთისაგან ჩუენისა, ანუ ერთ-კრებულებისა ამისგან, სასმელი ესე სიკუდილისა, რომელი გიპყრიეს ჴელთა შინა შესმად ჩუენდა შევსუათ სიხარულით, არა უარ-ვჰყოთ ქრისტეჲ შემოქმედი ჩუენი და უფალი, არამედ მოვჰსწყდეთ ყოველნი სახელისათჳს მისისა. არა უპატიო ვჰყოთ პატიოსანი ხატი მისი, რომელი წმიდათა ანგელოსთაგან პატივ-იცემების. აჰა ქედნი ჩუენნი ეცით ძლიერად, რათა (მატთ. 26, 41.) სულთა ჩუენთა გულს-მოდგინეთა, ვითარცა მტუერნი განიყარნესმცა უძლურნი ესე და განხრწნადნი ჴორცნი და (იოანე 4, 24.) სულსა ღმერთ ასულითა და ჭეშმარიტებითა თანა მდებისაებრ ჩუენისა თაყუანისვჰსცეთ (კორ. 13, 12.) პირისპირ».

ეს ფერვე ღაღადებდა სიმრავლე ბევრთა მათ. «უფალო იესო ქრისტევ ძეო და სიტყუაო ღმრთისაო, შეგჳწყალენ ჩუენ და შეგჳწყნიენ და წარმართე ჰსრბა ესე ჩუენი, შენთჳს სიკუდილისა მიმართ და

მიითუალენ სულნი ჩუჱნნი, ჴელთა შინა შენთა». ხოლო რომელიმე მათგანი ღაღადებდა, «ამინ». ხოლო კეთილისა მის წარმდებებისა უკურჩომამან ათობევრ-ჯერ რიცხჳ მოღუაწეთა; რომელნიმე მათგანნი ვჰგონებ ეპისკოპოსნიცა, რამეთუ ეპისკოპოსი ქალაქისა ამის და მონასტერთა შინა ამის ქალაქისათა მცხოვრებნი მყუდროებით, ნებსით დამტევებელნი საყდართანი და ეს სახელ ყოვლისა წესისაგან და ყოვლის ჰასაკისაგან და ყოვლისა ღირსებისაგან და ყოვლისა აღსავალისაგან სამღუ-დელოჲსა, სამოქალაქოჲსა და სამჴედროჲსა, თავ-წარკუეთილ-იქმნნეს სადიდებელად ღუთისა და პატივად წმიდისა ეკკლესიისა და რაჲმე ვჰსთქუა თქუჱნდამი სიტყუაჲ შესხმად და გალობად გუნდო პატივოსანო შეკრებულო მრავალ-ბევრთაგან, უკეთუ მაქუნდესმცა ათნი ბევრნი ენანი, ვერ კმა იქმნნეს თქმად ლექსთა და სიტყუათა, რაჲმე გულის-ხმის-ყოფითი ამის და მოქმედება, ანუ პოვნად განკარგუად; უხუ-ყოფად და შემკობად და მშუჱნიერ-ყოფად სიტყუანი მით, რომელ სო-ფელსა და ჴორცთა ზესთა ქმნენით, სირცხჳლეულ და კდემულ-ჰყავთ მტერი. განამტკიცეთ თქუჱნ შორის, განჰსჯაჲ იგი ყოვლად-უაღრესი, უკეთილესი და უმართლესი დაიცევით თქუჱნ შორის შეუხებელად სიბნელეთა და შემრევლეთაგან წინა განჰსჯათა და სიმოკლეთაგან, სიცრუეთა და მაცთურებათაგან წმიდაჲ გულის-ხმის-ყოფაჲ მოქმედებითურთ მისით. არა იქმნენით გან-მცემელ თავთა თჳსთა ჭეშმარიტებისათჳს, სიბრძნით მიჰსცენით მომცემელისათჳს სიცოცხლეჲ და ბერებადი და არა გებადი და მოიფარდეთ უკუდავებადი, სიმრავლემან გუამთა თქუჱნთამან ერ-თითა წმიდითა სარწმუნოებითა, ერთ-შეკრებულებისა მიმართ და განუზომელობამან ერთისა მარ-ტივისა ტროფიალებისა, სულთა შინა თქუჱნთა წმიდათა, რომელიცა აღატყდა ერთისა მიმართ სატროფიალოჲსა და სისხლთა ყოვლად წმიდათა თქუჱნთა, ერთად დიდადრე მდინარედ, გამოსრულ-მან განაკჳრუნა ძალნი ზეცისანი.

შემოვიღო მე აქა სიტყუაჲ მოძღუართა შორის უბრწყინუალესისა (ვასილი დიდისა, ორ-მეოცთა მოწამეთათჳს) თქუჱნ არა თუ ქუჱყანამან დაგფარნა, არამედ ცათა შეგიწყნარეს და განგ-ხუნეს თქუჱნ ბჭენი სამოთხისანი, ვერ დამაყენებელ თქუჱნდა შესულად სამოთხედ ბრძანებაჲ ქერუვიმისა მიმართ მოტყინარისა და დაკმუად მახჳლისა მიმართ იქცევისა; მით, რომელ სისხლმან ზიარმან ჯუარსა ზედა ლახურითა გუჱრდ განგმირულისა ღმერთ მამა კაცისა სიტყჳსამან, აღსღო ბრძა-ნებაჲ თქუჱნდა სამოთხედ შესულად დაყენებისა, ჭეშმარიტად შეხუჱდით დაუყენებელად ძისა ღუ-თისა ფანა, ხისა მის ცხოვრებისა გემო იხილეთ, ღმერთ-იქმნენით და სიხარბისა გუჱლი მოაკუ-დინეთ.

ჵოი! არომატნო ნელ-საცხებელნო უსასყიდლონო სულნელებანო ქრისტესნო, დიდებანო და გჳრგჳნნო ქალაქისა თქუჱნისანო, მეოხნო და შუა-მდგომელნო ყოვლისა სოფლისანო. ჵოი! ვარსკულავნო, მრავალ-ბევრნო განათლებულნო ნათლითა მზისა სიმართლისათა განმანათლებელნო ყოვლისა სოფლისანო, (პეტრე 2, 9.) ნათესავნო რჩეულნო, სამეუფონო და სამღუდელონო, ერსლო წმიდაო, წოდებულნო საკჳრველისა მის ნათლისად მწოდებელისა თქუჱნისა. ჭეშმა-რიტად სათნოებანი თქუჱნნი, რომელნიცა ვნებასა შინა გაბრწყინუჱნით, ასწავებს და მოძღუ-რებს დუმილით სიკეთესა სათნოებათასა, თქუჱნ (იობ. 41, 7.) ერთი ერთისად შეყოფილ, სული ვერ განვიდეს მას, რამეთუ კაცი ძმასა თჳსსა შეეყუჱნით და არა განეშორენით (9.) თუალნი თქუჱნნი, (რომელნი აღიხილენით ჟამსა ვნებისასა ღუთისა მიმართ) ვითარცა ხილუა მთიებისა (10.) პირისაგან თქუჱნისა გამოვალნ, ვითარცა ლამპარნი მგზებარენი და გამოსცჳვიან შანთნი ცეცხლი-სანი, რამეთუ პირისაგან თქუჱნისა გამოვიდა აღსარება იგი ჭეშმარიტებისა, რომელი ვითარცა

ლამპარი ეგზების ბრწყინჳალებითა ჭეშმარიტებისათა და განმლეველობითა ცრუთა წინა-დადება-თათა და ვითარცა შანთი ცეცხლისა შეჰსწჳავს ყოველთა მიახლებულთა გამობიითა თხზულებათა (იობ. 14, 15.). შეუძრველ გული თქუენნი და დამყარებულ ვითარცა ლოდი და ჰგიეს იგი, ვითარცა გურდემლი განუჭედელი, მით რომელ (17.) რაოდენცა ეკუეთნეს განსაცდელნი ლოდსა მას წმიდასა სიმტკიცესა გონებისა თქუენისასა, ვერ შეჰსძრეს და რაოდენცა (20.) ეკუეთნეს ურონი იგი ძლიერად კორციელთა ბოროტ შემთხუევათანი ვერ შემუსრეს.

პატიოსან იყუნეს ძუელთა შინა (გამოს. 25.) კიდობანი იგი ოქროჲსა და ფიცარნი მწი-გნობრისაგან ზესთა ღმერთისა წერილნი, გარნა მორწმუნეთად უპატიოსნეს, წმიდანი სულნი თქუენნი არსნი უხრწნელნი ყოვლით კერძო სულისაგან წმიდისა ყოვლითა სათნოებითა მოოქრო-ვილნი და წამებისა სისხლითა განწმედილნი. ეს სახედ წერილნი ყოვლითა საღმრთოჲთა, მცნე-ბითა მისგანვე მწიგნობრისა არა ადჳლ შემუსრჳადნი, არცაღა დაფარულნი ადგილითა რაჲთამე, არამედ ზეციერსა მას ეკლესიასა შინა განცხადებულნი.

დაჰფარვიდეს (გამოს. 25, 19.) სალხინებელსა მას ოქროჲსასა ხერუვიმნი ოქროჲსანი ფრთეთა მიერ თჳსთა ხილულად დაჰფარვენ უხილავად მძლავრებისაგან ბარბაროსთასა და წმასნილ სიტყუაობისაგან მწუალებელთასა წმიდასა ეკლესიასა ქართუელთასა ოქროს ფერნი იგი ფრთენი ღჳთისა მიმართ შუა-მდგომელობისა თქუენისანი.

ჰოი! კრებულო საღმრთოო, ერთით წმიდითა განზრახვითა შეკრებულო, მიითუალე შეს-ხმითი ესე სიტყუაჲ სამღუდელოჲსათჳს ვნებისა თქუენისა და ურცხუენელითა მეოხებითა თქუენ-ითა ღჳთისა მიმართ, მერმესა მას აღდგომასა განყოფისაგან საღმრთოჲსა კრებულისა, მიხსენით და ქალაქსა ამას ჰსცევდით ბარბაროსთ ძლითთა ყოველთა ძჳრის-ხილჳსაგან და წმიდა ჰყავთ ყო-ვლისაგან წუალებისა და დაცულ ყოვლისაგან სნებისა კორციელისა და საღმრთოჲსა მიმართ, უძლოდეთ მშჳდობისა. ხოლო (ფილიპ. 4, 7.) მშჳდობითა მით ღჳთისა, რომელი ჰმატს ყოველთა გონებათა შუა-მდგომელობითა მითვე თქუენითა, მამისა მიმართ შეზღუდეთ ესე ქრისტე იესოს მიერ, რომელისად დიდება პატივი და თაყუანისცემა თანა მამით და ყოვლად წმიდით სულით აწ და საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ

## შესხმა და მოთხრობა ღჳაწლთა და ვნებათა წმიდათა მოწამეთა დიდთა, რომელნიცა ბრძანებითა უღმრთოჲსა დემურლანგისა ლაშქართა მისთაგან დაიწჳნეს ეკკლესიასა შინა მონასტერსა დედის ღჳთისასა ქჳაბთა-ხევს.

---

ქჳაბთა-ხევს წმიდა, სამკოლოო ივანი,
ეკკლესიისა პირმშოთასა საგჳანი,
საკჳრთხეველი მსხჳერპლთა ზეცად აღმყჳანი,
დაწულთ ნაბეჭდნი, შედელ-იატაკ ქჳანი,
ჩჳენდა საქადულ, მუნ მსხჳერპლი საღმრთოჲ დაწჳანი.

თქმული ანტონ კათალიკოსის მიერ.

ვინაჲდგან სურვილი მიზეზ ვჰყავთ მოსწრაფებისა, ვითარმედ სურვილისათჳს არს მოსწრაფებაჲ ჩჳენი ამას შინა, ხოლო სურვილი იგი არს რაჲმე არს უმჯობრ, გინა უღირს ანუ მქონებელსა ზეობისა გრძნობადთა რაჲმეს განისა, არამედ ღირს ღჳთისა ხედჳათა იგავებისა, რომელი ბუნებითითა და კაც მშჳენიერებით იგავებითითა სარკეებითა გჳმოისახჳს.

ხოლო მიზეზი მოსწრაფებისა და ჩემ შორისებული ვინაჲდგან ეს ოდენ სიმაღლესა ზედა დადებად ვჰსაჯე, ვინა სათანადოთ ჩემდა კმევაჲ საშჳალისა, მაგრა ვინაჲდგან (სიბრძნე 1, 4.) სულსა შინა ბოროტად კელოვნებისათჳს ჩემისა და გულის კმის ყოვაჲ წარმოადგენს ჩემ შორის, ვითარმედ ყოველსა კეთილსა დასასრულსა, კეთილსა თანა საშჳალსა შეაერთებს სიბრძნე კეთილგონიერებით განგებული (ფილოსოფოსთა ბრძანებისაებრ) და ესე ბოროტ კელოვანთა შორის არა მოქმედებს; ვინა მაღალი იგი სურვილი მიზეზი მოსწრაფებისა, რომელი სიბრძნითა მოიგების შეუძლებელ არს ბოროტ-კელოვანთა შორის შემოსულად. მაგრა სხჳაჲ იქმნების ჩემ შორის გამოხატჳაჲ (სიბრძნე 1, 6.) ვითარმედ სული სიბრძნისა კაცთ-მოყჳარ არს (7, 22), რომელ არს სული: სული მეცნიერებისა, კეთილ მოძრავი, ნათელი შეუგინებელი, ბრწყინჳალე, უწყინარი, კეთილის-მოყჳარე, ქჳელის-მოქმედი, ვინაჲცა დაღათუ უღირსთა მოღებისათა მაგრა კაცთ-მოყჳარებით და ქჳელის მოქმედებით სულმან სიბრძნისამან მომცა ჩჳენ აწინდელისა მოსწრაფებისა მიზეზი, რომელი სურვილი მოწამეთადმი განლხჳებად გალობისად და ქებისად ყოვლად წმიდათა მათ და სამღჳდელოთა ვნებათა მათთა, ამად ვითარმედ მღჳდელთ მოქმედებასა მოწამეთაგან ღმერთი მთავრისა ღჳთისა მიმართ, თავთა თჳსთათა მიზეზი სურვილივე იყო, ძლევითა კორცთა

და სოფლისა და კმმაკთა ზედაჲთა მძლეს სიკუდილისასა ღმერთ მთავარსა მას მამისა თავისა თჳსისა, მღუდელ მოქმედსა ეზიარნეს; ხოლო სჯულივე იყო ღმერთ-მამაკაცისაგან მღუდელ მთავრისა თავისა თჳსისა მამისა მიმართ მღუდელ მოქმედებისა მით, რომელ (პეტრესი 1, 29) სუროდა სახიერებით გამოხსნად ხატი თჳსი მიცემითა სახსრად უბიწოჲსა და უმანკოჲსა პატიოსნისა სისხლისა თჳსისათა.

აწ უკუე ვინაჲდგან ნიადაგ უხმობაჲ დაჰჴსნა სჯულმან ვინა უბრძანოთ აქაცა უქმობასა, რათა ადგილს-ჰსცესმცა მისწრაფებასა და აღვიმხოთ მისწრაფებით, რამეთუ გუასწავებსცა ესრეთ მოციქული, რათა (ჰრომ. 12, 11) ჰსწრაფასა შინა არა მცონარ ვიყუნეთ და მოწამეთა თჳს სიმართლისათა აღვლესოთ ქების სიტყუაობაჲ იგი, რომლიცა ვიზრახეთ. სამთა უკუე მოწამეთა განსამართლეს ჭეშმარიტებაჲ ქუეყანასა ზედა ვითარმედ (1 იოანესი 5, 7) სულმან სახედ ტრედისა თავსა ზედა (მატ. 8, 16) ძისასა დადგრომილმან, რომლისა მხილველმან წინა მორბედმან სიტყუსამან ჰსწამა რისათჳს, ვითარ იგი მისდა ბრძანებულ იყო, ვითარმედ (იოანე 2, 29) «აჰა ტარიგი ღუთისა, ამხმელი ცოდუათა სოფლისათა». წყალმან სისხლსა თანა გარდამოსრულმან გუერდით საღმრთოჲთ, ვითარმედ არა სადა ხილულ არს ერთისაგან წყლულისა გარდამოსვლაჲ წყლისა სისხლისა თანა, გარსა ვინაჲთგან დაწყლული იგი (პროკლე კონსტანტინოპოლისა ქრისტეს შობისათჳს); არა ლიტონი კაცი არს, რომელმან გამომიხსნა ჩუენ, არამედ ღმერთ არს შეერთებული კორცთა თანა და ნიშნავს სისხლსა წყლისა თანა გარდამოსლუაჲ ორთა არსებათა, განკორციელებულისა სიტყჳსათა.

ხოლო (იერემია 31, 33) სისხლი ახლისა აღთქმისა, რომელიცა არს ამისთჳს, რათა ჰსჯული უფლისა და განგონებანი შისნი მკედართა ზედა გულთა შემწყნარებელთაისა დაიწერნეს, რომელმანცა (პეტრე 1, 18) მიხსნეს ჩუენ, მამათთა ამაოჲსა მისგან მოცემულისა სლისა და რომელმანცა (ებრაე. 9, 14) განჰსმიდნეს გონებანი მორწმუნეთანი მკუდართაგან საქმეთა, მსახურებად ღუთისა ცხოველისა.

ამათ ვითარიმე სამთაგან მოწამეთა ჭეშმარიტებისათა მოსრბა კიდეთაგან ყოველთა ქუეყანისათა ერი ერთისაგან ჰაზრისა ურთიერთარს ზიარებად მორული ერთისა-ქუეშე უღლისა მწყსად (იოანე 10, 15) ერთ სამწყსოდ ქმნილი ერთისა მწყემსისა კეთილისა; ხოლო სამნი იგი მოწამენი ჭეშმარიტებისანი და ამით განმართლებული იგი ჭეშმარიტებაჲ და მის გამო შემოკრებულთა სიმრავლეთა შემკრები ერთ სამწყსოდ ჰაზრი წმიდისა განმართლდ ქრისტესთჳს ვნებულთა ჭეშმარიტებისა წამებამან და სისხლმან მათმან ჭეშმარიტებისათჳს დათხეულმან, რომლითა აღთქმაჲ ახალი გულთა შინა მორწმუნეთასა ჰმთაწერილი აღუშლელად ეგების, რომლითა ერთი წმიდა კათოლიკე ეკკლესია საფუძველსა ზედა წმიდისა სარწმუნოებისასა აღეშენების, რათა ბჭენი (მატ. 16, 18) ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდენ მას, რომლითა ქადაგებაჲ სახარებისა წარემართების, რომლითა ამპარტავანი იგი მოქადულობაჲ გუელისა დაიმხობის და ქრისტე იდიდების.

ჭეშმარიტად ყოვლად წმიდისადმი ვნებისა მათისა სჯული სასოებითა არა გრძნობადისა რაჲვე საგანისათა არს მით, რომელ ყოვლად წმიდისა მის ვნებისა მათისა გმაჲ მიზეზი არა გრძნობითა საცნაურ ჩუენდა იქმნა, არამედ საგსითა გამოხატვთა და გმაჲთა განგრძელებულითა განჰსჯითა წმიდისაგან გულის ხმის ყოფისა, რომელიცა დაურღვეველითა აღმოჩინებითა მტკიცედ დამტკიცების, ვინა ჭეშმარიტად თქმული იგი გმაჲ მიზეზი არის ღირს ღუთისა ხედუასა იგივეობისა, რომელიცა ბუნებითითაცა კაც მშუენიერებით სარგებითა იგივე ომითითა გამოისახჳს.

მაგალი ყოველი მარტივი გულის ხმის ყოფითა ოდენ, საცნაური შეუძლებელ არს, რათა ლექსთაძლითგან ნივთიერებისა სულსა შინა წარმოდგომამან არა გამო გამოხატომსცა და მებრ ბუნებისა სიმარტივისა თჳსისა წარმოდგემსცა სულსა შინა. ესე არს კაც მშუენიერებით იგივეობითითა გამოსახჳს სარკეებითა, რამეთუ კაცობრივითა სამჭევრმეთქოჲთა უხჳ და მშუენიერ მკობილითა სიტყჳთა ანუ ხმითა გამოღებულითა და მოსილითა და ანუ წევრისა მიერ სხეულქმნითა უნივთოჲსა სიტყჳსათა აღმოჩინებისა.

ეჰა სურჳლისა მის გამოუთქმელისა აღტყინებაჲ, რომელი არა გრძნობითაჲთა რაჲმეთა სახეობითა დაისახჳს, ანუ ეცნობის, მით რომელ თუ სადამე იყოსმცა გრძნობადთა განისა რაჲსამე სახე, რაოდენმცა აღატყდეს ალი სიმაღლედ დაშრეტად შესაძლებელ არს პირუელად ჭქონის ნივთნი შერევსილთა გამოხატვათა და შემდგომად წინა-განჭჳრეტილნი გრძნობადსავე, მეორედ სიშანნი გოსიერებითთა საქმეთაგან უცხონი, მესამედ თუ სადამე ქუემდებარეთა იწადოსმცა აღჳლ შემძლებელ არიან დაშრეტად ალისა ამის, რამეთუ შეეწევის ღმერთი, მაგრა ალი იგი სულთა შორის ქრისტეს მოყუარეთასა აღტეხილი, რომელიცა სარწმუნოებამან უფლისა მიმართ და მისდავე სასოებამან და მისთჳსვე ყოველთა ქუეყნიერთაგანთა ვნებულ მოყუარეთა გარე მიქცევამან აღატყინეს, რამეთუ ალი იგი სურჳლისა დაზავებული ყოველთა ზედა გრძნობადთა თქმულთა მათ ნივთთა აღატყინეს, რომლისათჳს რაოდენიცა ჰპოვა გარემო თჳსად, ალმან მას მყოფნი ნივთნი დაწჳნა, ესე იგი ბაბილოვნურნი ყოველნი გულის-სიტყჳსანი, რომელნიცა წინა აღუდგებინ აბრამიანებრთა წმიდათა მოგონებათა, ვინა და შრეტად შეუძლებელ არს, რამეთუ (მატ. 10, 34) მოფენად ამის და მოვიდა სიტყჳა ჭეშმარიტი.

ეჰა სურჳლი ყოველთა ქუეშეურთაგან რაჲმეთა და სხჳად შეუძლებელი, რომელი სერაფიმთა შორის უპირუელეს ყოველთასა აღატყდა განმაკურვებელად და სიბრძნისა განფენად ზედ წოდებულთა და მესამედმდე მოჭსწჳთა ნათლად და მესამე ესე ნათელი ნათელთა, მეორეთა შორის უსაშულოთა, რომელნი ქუეშეთა თჳსთა განახურვებენ ალითა მით და განკურვებულთა განკურვებისა გამო მიჰყვენენ სიბრძნესა, ეზიარა მათ, რამეთუ ალითა მით მის შორის აღტყინებულითა მოეფინა სიბრძნეცა, რომლითა ღმრთისა მიერ (კორ. 1, 20) სიბრძნისა განცოფებულისა მოყუარეთა აღმოჩინებანი დაარღჳვნეს და ეს გვართავე რიტორთა კელუოფანი და განვრომანი, უშუერ და ამაო ჭუუეს, ოდეს იგი წარდგეს წინაშე (ლუკა 21, 12) მთავართა და კელმწიფეთა, პირუელ უზრუნველნი სიტყჳს გებისანი, ეგ სახედ დაფარვანი იგი მძჳნვარენი, ძჳალთა და ძარღჳთა, მუსკულთა და ტჳნთასი და სახმილისა მრავალწილ აღტყინებულისა ალთა მფობინარებაჲ განდნობილთა ტყჳათა და ბრპენთა და მდუღარებაჲ ზეთისაცა, საზაროთა ურმის თუალთა, მახჳლებითა სავსეთა მიმოქცევაჲ, კბილნი და ბრჭალნი საშინელთა მხეცთასნი, კუროჲნი და ცხედარნი და ლანძჳნი და მარწუხნი და სივნი და შამფურნი და ბორნი და საჭნი და ჯაჭვნი, რჳალისა და რკინისა ცეცხლითა მოტყინარენი პელელონი, ზღჳრნი, კაპანთა დამთხრებელთა სიღრმენი გასუცდელნი, დილეგნი წყუდიადითა სავსენი და ცოცხლივ სათფლავნი, საგუემელნი, შინთნი ბრპენისანი და მათრახნი, ძარღჳნი ზროხისანი, უხელელნი კმელნი მაკჳლნი და აფთნი იავარ ქმნანი და ექსორიობანი შებორკილებანი კრულებანი და კიცხევანი მიიღეს სიხარულით დათრგუნნეს ესენი და ვერ დამაბრკოლებელ შესჳლად დიდებასა შინა ქრისტესსა ექმნავე. ხოლო აღთქმნი დიდთა დიდებათანი, მშობელნი მეუღლენი, შჳლნი და თანა შობილნი და ცრემლნი ამათნი, განყოფისათჳს ეგსახედ მეგობარნი და მამულნი და ყოველივე რაჲცალა არს მსოფლიო ვერა რაჲმე ექმნა წინა აღმდგომ მტკიცედ მდგომარეობასა მას კლდესა

ზედა ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა მათისასა და ვერცაღა მიეახლა, რათა შეაშფოთოსმცა მცირედ მყუდროებაჲ სულისა მათისა.

განაღა უწინარეს წარდგომისა და უდიდესი ვჰსთქუა მიერით ოდეს იგი შეიწყნარეს ცეცხლი საღმრთოჲ ტრფიალებისა გულთა შინა ნიადაგ მზა იყვნეს მიცემად ცეცხლისად, რკინათად და რვალთად და მკეცთად ურმის თუალად, უფსკრულთად მთხრებელთად, კაპანთად, კრუბათად, ჰყრობილებათად და სხუად ესრეთ ვითარმედ მათგანნი სიყუარულისა ძლით დაწყლულნი იტყოდიან გმათა საწინასწარმეტყუელოთა და სამოციქულოთად, რამეთუ რომელიმე მათი იტყოდა (ფსალ. 62, 1) «ღმერთო, ღმერთო ჩემო შენდამი ალვიმსთობ, ჰსწყურიან შენდამი სულსა ჩემსა, რაოდენ ჯერმე არს, კორცი ესე ჩემი, ქუეყანასა ამას შინა უდაბნოსა, უგზოსა და ურწყულსა» სხუა (ქებ. 5, 2) «მე მძინავს და გული ჩემი მღჳძარე ჲრს». სხუა (გალატ. 6, 17) «ამიერითგან შრომასა ნურვინ შემამთხუევნ მე, რამეთუ სწყლეტელნი უფლისა იესოჲსნი კორცთა შინა ჩემთა მიტჳრთავნ». რომელნიმე (ფილიპ. 1, 11) «გული ჩემი მეტყჳს განსვლად და ქრისტეს თანა ყოფად უფროს და უმჯობჱს ფრიად» სხუამე უკუე (2 კორ. 4, 9) «მარადის სიკუდილი უფლისა იესოჲსი კორცთა შინა ჩემთა მიტჳრთავნ, რათა ცხოვრებაცა იესოჲსი, კორცთა შინა ჩემთა გამოცხადნეს» სხუა (11, 10) «მე ცხოველი ესე მარადის სიკუდილსა მივეცემი ქრისტესთჳს, რათა ცხოვრებაცა იგი იესოჲსი მოკუდავთა ამათ კორცთა შინა ჩემთა გამოცხადნეს», რომელიმე (ფსალმ. 62, 8) «მიგდევდა სული ჩემი შემდგომად შენსა» რომელიმე (15, 8) «წინაჲსწარ ვჰხედევდ უფალსა წინაშე ჩემსა მარადის, რათა არა შევიძრა, რამეთუ მარჯუენე ჩემსა არს». ხოლო ზოგად ყოველთა ერთი იყო ჯუარი ყოვლად წმიდა, ერთი იყო სურვილი, ანუ (1 იოანესი 4, 18) სიყუარული ძლიერი თჳნიერ შიშისა, რამეთუ სრულებით მოიგეს იგი, ერთი იყო ნეტარება იგი ზეციერი, რომლისად გული უთქმიდა მათ, ერთი იყო გჳრგჳნი მიღებადი სამარადისოდ უფალი ჩუენი იესო ქრისტე, ერთი იყო ტანჯუაცა იგი საუკუნო, ერთაოჳს, რომლისაგან ძრწოლამან განარინა.

ხოლო ყოველთად (ეფეს. 4, 5) ერთი უფალი, რომელსა ესვიდნეს, ერთი სარწმუნოებაჲ რომელიცა განუკუმობელად დაიცვეს და ერთი ნათლისღებაჲ, რომლითა შჳლებაჲ ღმრთისა, არა მონა ჰყუეს. ეგრეთვე ერთი (შესაქ. 1, 26) ხატებაჲ, რომელიცა წმიდად ვნებათაგან მისცეს ღმერთსა. ხოლო მსგავსებაჲცა საღმრთოჲ მართალთა და კეთილთა საქმეთა მოგებითა ღმრთისა მიერ მისა თუალ ვყო-ჰყუეს. მოდით უკუე და შემოვკრბეთ ერთად ყოველნი ესე, რომელნიცა ვართ ქრისტეს მოწაფე და ეკკლესიისა წმიდისა მესტორეთაგან, ანუ რომელთამე ჭეშმარიტთაგან ისტორიკოსთა ქმნილნი წარვიკითხნეთ წერილნი ჭეშმარიტებისა მოწამეთა თჳს, რომელთა შინა ვიხილნეთ კიდე იჭჳსა საქადულებანი ნათესავთა თჳს კაცობრივისა საქმენი, ყოვლად საკჳრველნი, რამეთუ, რომელი იგი ბუნებამან ნებისაებრ შეცოდებულმან მიიღო ვატიჲ, რომელთა განკუეთა კავშირთა და ნივთთა თჳსადვე დაჰჴსნაჲ. ესე საშუალ ზიარებისა დიდებისა თანა საღმრთოჲსა იქმნა. აფსინდი იგი მწარეჲ რისხჳსა ღმრთისა საშუალ სიტკბოებისა და კაცთ-მოყუარებისა მოღებისა იქმნა, რამეთუ ამათ მიერ ვნებანი და სიკუდილი იესოჲსი ღმრთისა ჩემისა მონათაგან მიღებისა, რომლითა მიიღო მან (ფილიპ. 1, 10) სახელი უზესთაესი უფროს ყოველთა სახელთა, ამან მიერითგან უძლეველად ჰგიეს შეკრებულებაჲ იგი პატიოსნითა სისხლითა მხოლოდ-შობილისათა და ესე ერთსა შინა მხოლოობისა განუკუეთელად იცვალებისა დარღუნანი განსაცდელთანი და (მატ. 16, 18) ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერევიან.

ჰბორგან ემმაკთა ძლით მძლავრნი მსახურნი მარტჳლთა ზედა და მოაკუნნებეს კორცთ

შემთხვევად ესე ოდენთა და ეს გუართა ტკივილისათჳს, სიკუდილ შემოსილისა საშუალთა, რომელიცა სულსა, კორცთა თანა შეკრულსა უდიდეს ექუსებიან, მაგრა საშუალთა მათ მძჳნუარეთა ქმნილთა ეშმაკის მსახურთაგან, მოწამენი კელჳყოფენ სურჳლით საშუალად ძლევის მოყუარებით ზიარებისათჳს ქრისტეს თანა. ესე კმევა გულის კმის-ყოფისა ანგელოსთა განცა საქებელი და ღუთისა. მიერ სუნად სუნნელად მითუალული, ვითარმედ წარმოდგომაჲ სულსა შინა მართალთა და კეთილთა სავსედრე გამოხატუათა ყოველთა ქრისტესთჳს ძლევის მოყუარებითთა მოსაგებელთა და საშუალთა, რომელნისა ძლევის მოყუარეთაგან მოსაგებელთათჳს იკმევიან. ხოლო განსჯიან განგრძელებით გამოხატულისა მას და დაამტკიცებენ ვითარმედ (ფილიპ. 1, 12) ჩუენდა ცხოვრება ქრისტე არს და სიკუდილი შესაძინელ. ხოლო უკუსთქმენ განშორებასა ქრისტესგან გამომაჩენნი (ჰრომ. 9, 32) არცა სიკუდილმან, არცა ცხოვრებამან, არცა ანგელოსთა, არცა ძალთა, არცა ამან ყოფილმან, არცა მან მყოფელმან, არცა სიმაღლეთა, არცა სიღრმეთა, არცა სხუამან დაბადებულმან შემიძლოს ჩუენ განშორებად სიყუარულისაგან ღუთისა, რომელ არს ქრისტე იესოს მიერ უფლისა ჩუენისა.

ესე კმევის ბრძენებრ გნომისასა, ვითარმედ წარმოდგომილნი სულსა შინა (დიონოსიოს საღმრთოთა სახელთათჳს) თჳთ ცნობადნი იგი და საღმრთონი ტროფიალებანი, რომელნიცა წმიდათაგან ქებულ არიან და ქუეშეურნიცა ვნებულ მოყუარებანი კმევითა კეთილ გონიერად განგებულისა სიბრძნისათა, აღირჩევს უმჯობესსა და უხრწნელსა გებადობასა და მჴსწრაფელ ჰპოვებს უხუსა და მშუენიერსა უბნობასა და ჰსწავებს ჭეშმარიტებასა და თჳთ ნამდჳლ ჭეშმარიტებასა, რომლისათჳს ვერ დამთმესელნი ტირანნი უღმრთონი საღმრთოჲსა ძლით განგებისა კორცთა ზედა განკრწნადთა მოწყუედისა მკელმწიფელნი, სიკუდილისა მძჳნვარესა შეუქმენ და ესრეთ (მარკ. 14, 38) გულს მოდგინენი უძლეველნი სულნი დაუბადებელსა სულსა შინა დაიდებიან.

ესე კმევაჲ ესე გონებისა, რამეთუ განმსლველი ჰსნობს მოკიდულებასა ნამდჳლ ჭეშმარიტებითა სისტემისასა არა თუ ოდენ მეოფთა ნამდჳლ ჭეშმარიტებათა, არამედ ყოფადთაცა, რომელნი (ციცერონ თჳს მიერ თავი 2) სხოლასტიკოსისაგან ვისმე ძუწლისა ესრეთ ითქუნეს. მაგალი ოდეს იგი ვჰსცნობთ, ვითარმედ მკედართაგან დაიმენასა თანა ბრძოლისა შინასა სახიერებისაებრ მეფისა ჰკიდულებს უეჭოდ ჯილდოჲცა. ესე ფილოსოფოსობით მიზეზსა ნივთთასა და არა მხოლოდ ნავთთა მათ, რომელნიცა არიან, ანუ იქმნებიან, ხედუა ამისი ესე არს, ვითარმედ იცნის ნივთნი (ებრაელ. 2, 6), რომელნიცა ღუთისა მიერ და ღუთისათჳს შეიქმნეს ესე იგი შემოქმედისაგან მიზეზისა და მისა სრულებიისათჳს მიზეზისა წინა ჰპატივჰსცემს დაბადებულისაგან და ღმერთა სოფლისაგან; ვინაჲცა კერპთა მონებისაგან განერნეს, რომელიცა უგუნურებამან და ღუთისა მიმართ უმეცრებამან ჰქმნა ესე კაცთა შორის და კაცთა მიერ (სიბრძ. 14, 15) რამეთუ (ოდესმე) მწარითამე ტირილითა, მგლოვარემან მამამან მჴსწრაფელ წარტაცებულისა შჳლისა ხატი შეჰქმნა, რომლისაცა მაშინ მომკუდრისა კაცისასა აწ ვითარცა ღმერთს ჰპატივჰსცა და მიჰსცა კელთა შინა საიდუმლოჲ და მსხუერპლი და ანუ დაბადებულსა, რომელსამე წინა ჰპატივ-ჰსცემენ, ვიეთნიმე უფროს ღუთის ცნობისასა, რომლისათჳს ჰსთქუეს ვიეთმე მამათა, ვითარმედ მაქს. ითიკა, თეოლოგის ასეული 1 რიცხ. ესე გუარნიო, არა რაჲმეითა განყოფილან კერპთა მსახურთაგან.

ხოლო დაბადებულისა წინა ჰპატივისცემა უფროს ღუთისა არს, ვითარმედ თუ სადამე ქუეყნიერთაგანისა რაჲსა მიმართ აქუნდეს ვის ვნებულ-მოყუარებაჲ, ძლეულსა მონა-ქმნით კერპთა მსახურება არს ესე (2 პეტრესი. 2, 19), რამეთუ რომლისაგანცა ვინ ძლეულ არნ მისდაცა

დამოწნებულ არნ, მებრ კმისა სამოციქულოჲსა. ხოლო სადაცა მოხებაჲ, მუნ მსახურებაცა უიჭუოდ და ამისგან განარინნეს ჭეშმარიტთა ფილოსოფოსთა თავნი თჳსნი, რამეთუ იცნეს შემოქმედი იგი მიზეზი ნივთთა და თჳთ ქმნილნიცა მისგან ნივთნი და ესთა კმევისა უაზნეურესთა სულისა ძალთათა დამბადებელისა ცნობასა, პატივჰსცეს მიერ ქმნილთაგან. აწ უკუჱ პოლიტიკოსთა ამათ კეთილ გონიერებისა ესე გუართა კმევისასა მიმართ, ქებად აღვიტაცე, რამეთუ იძულებულჰყო ჭეშმარიტებამან მან ფილოსოფოსობამან მათ მან მათისა მიმართ, თეორეტიკოსისად გალობად, ამად ვითარმედ წინადადებაჲ ესე ვითარისაებრ უკუთქმითი შთაჰსწერნეს ფიცართა შინა გულისა თჳსთათა კალმითა სულისა ცხოველს მყოფელისათა (გალატ. 2, 16) არა საქმეთაგან განმართლ-დების კაცი, არამედ სარწმუნოებითა იესო ქრისტესითა. კუალად ვიძულები პრაკტიკოსობისად მათისა, რამეთუ პირუტყულსა მას წინა დადებასა თანა შთაწერილსა ფიცართა შინა ყოვლად წმიდათა გულთა მათთასა შთაჰწერილ ჰყუჱს, ესეცა ვითარმედ (მატთ. 10, 38) არა აღმღებელი ჯუარისა ქრისტესისა და შედგომილი მისდა, არა არს ღირს მისდა. ესე უკუჱ თქმულნი შეიწყნარნეს თესლნი მოწამეთა კეთილთა მათ ქუეყანათა მოერქუნილთასა მოციქულოჲთა ვნებითა დაჰსწუეს მრავალგზის მათ ზედა მოსრული წჳმაჲ, რომელნიცა ღრუბელმან უსხეულომან წმიდამან გულის კმის ყოფამან მათმან შეაწყნარა სულისაგან წმიდის, ურიცხჳ იგი ცუარნი საღმრთოჲსა მეც-ნიერებისანი. ხოლო (7) გამოიღო მწუასვილი სარგებელი ჩუენთჳს, რომელთათჳს სარგებელ იქმნა და ამისთჳს გუნდმან მარტჳლთამან (7) მიიღო კურთხევაჲ ღმრთისა მიერ.

ავჰხებს გუნდსა ამას ერთად შეკრებულსა ასუ ხირასა თხზულსა მრავალთა წყვრთაგან ერი ესე მოსრბად ღუთივ აღძრული, სპარა ზენობა, მიუდრეკელი დასი ღუთივ მწყობარე სინტაქსი ღმრთი უფალი — მოქსოვილი ქართუელთაგანნივე ნივთთნი მრავალ ფასნი კმეულნი სიბრძნისაგან ღმრთი მთავრისა ერთად სამოსლად ქსოვილ ეკკლესიასა ჩუენისა სალებავნი იგი ჰსჯულთანი, რამეთუ ჰსჯული სპეტაკი სიწმიდისა კორცთასა შეღებს პორფირად სისხლითა ვნებისათჳ.

ესე სპეკალნი, სხუა და სხუანი მჭირუალნი ილექტროს ფერებრ და ალისაებრ ოისფერ მწუანედ, ლურჯ, მეწამულ, სპეტაკ, ცის ფერ და სხუა და სხუაფერად შემოკრბების გლეიას ყოვლისა შემძლებელითა, რათა იქმნენ ერი გასუკუჱიელ დიადიმა ეკკლესიისა ქართუელთასა.

ეჰა მკრთომელობაჲ ელვათა სპეკალთა ამათ და მიმხიდველობაჲ თჳსდა. ეჰა შემძრუელობაჲ შიროჲსა მის, სხუათა და სხუათაგან ნივთთა კეთილთა ზავებულისა, რამეთუ აკრთობს სიწმიდისა დაკრძალულებისაგან მადლითსა, თუალთ შეუდგამსა, რომელიცა ჭეშმარიტმან აღსარებისა კეთილ მსახურებისა წამებამან ანიჭა მიმხილველობს თჳსდა, რამეთუ სურჳლი იგი მათ შორის მყოფი ჰსჩანს რა საქმეთაგან მიიზიდავს ბაძვად მათისა ქრისტეს მოყუარებითისა ვნებისად. ხოლო გად-ნიერებაჲ მათი მძლავრთა მიმართ და დიდსულობანი ტანჯუათა შინა მძჳნვარეთა და ძლევასი კორცთა ზედა სოფლისა და ეშმაკისა შესძრავს გონებასა მორწმუნეთასა, რამეთუ განაცხადებს და რამეთუ განაკრთობს უზესთაეს კორცთა ყოფისა თჳსითა.

აქა უკუჱ სათანადო ჩუენდა, არა ფრიად განგრძელებად სიტყუა და რათა თქმადთა გულვი-ბადთათჳს მოვიცალოთ.

ბაგრატ მეექუსისა ზე ნათესავით ბაგრატოვანისასა, ძის წული გიორგი მეოთხისა ბრწყი-ნუალედ ზედ წოდებულისა, რომელიცა მონარხობით მართჳდა ყოველსა ივერიას; ესე იგი აფხაზეთსა და საქართუელოსა (რომელიცა ბაგრატ დიდად ზედ წოდებულ ჰყო საქმემან) იყო კელი უფლისა შეხებულ შურის ძიებად ჩუენ ზედა ცოდუათათჳს გუარითა ესე ვითართა: დემურ ვისმე

სამარყანდელი ნათესავითა თურქი, შემკრები მჴედრობისა და განმხედრებული ინდიად, ჩინად, სპარსეთად, ხალდეად, სირიად, ერმანიად და ვიდრე პროპონტოდმდე კნინღა განმაგრძელებელი მხედრობისა არა მცირედ ჰბორგდა ქრისტეანეთა ზედა.

ხოლო ცოდჳათა და ბოროტ სიმარჯჳეთა თჳს ჩუენთა, ქჳსკზის მიიღო ქართლმან ვნებაჲ მისგან მახჳლისა მიერ ტყუეობისა და ცეცხლისა და მესობითთა საფუძუელთა აღმოფხურისა.

დემურ გარემოდგომილმან ტფილისს, შეაწუხდა მეფეჲ ციხესა შინა და გარე ქმნა ჰაპტუხნი და კლოვნებით გამოიღო ციხეჲ და დიდებულებაჲ მეფეთა მივიდა ტყუეობად და აღაოხრა ოქმულისაებრ ქართლი და უკუნ ქცეული მივიდა შირვანად, რომლისა ნაწილი რომელიმე მიდიისა და თანად ჰყუჱა პყრობილად ბაგრატცა მეფე დედოფლითურთ, რომელნიცა დატევებად ქრისტეს ღუთისა იიძულებოდენ მძლავრისა მისგან და თუ სადამე ერჩნდენ ბრძანებასა მას განტევებასა მეფობათავე მთავართა თანა და ყოველთა ტყუეთა აღთქმისასა სახითა ჭეშმარიტებისათა მიცემასა მიიღებდნენ. ხოლო წუევაჲ ესე უღმრთოებისა და აღთქმაჲ მეფობით უკუნ-ქცევისა დემურისგან ბაგრატის მიმართ განმრავლდებოდა, განაღა ბაგრატ მიუდრეკელად ჰსცდა არა გარდაქცევად ჭეშმარიტებისაგან თავისა თჳსისა დრომდე რაოდენ.

შემდეგ ამისა ბაგრატ უღონ ქმნილი ყოვლისაგან კაცობრივისა შეწევნისა ვიდრე სიკუდილადმდე განგრძელებულისა ღუთისა მიმართ სარწმუნოებისაგან სათანადოჲსა მოაკლდა და ღუთისა მიმართ სასოებაჲ აღდგა მისგან, რომელითა ღონეჲ საგიობელი მოიხელოვნა და მეკდემების თქმად, თუ რაჲმე უგუნურებაჲ შეამთხჳა კეთილ მსახურსა დიდ გონიერებასა თჳსსა, რომელითა მძლავრი შეტყუილითა ამით ბოროტითა მოიმადლა და დემურისგან სწორად თავის თჳსისა პატივცემული თავისუფლად დედოფლისა თანა და მთავართა თჳსთა და ყოველთა ტყუეთა ქართლად უკუნ იქცა.

ბაგრატს თხოვისაებრ დემურ, თან წარსცა ძალი სპაჲ ათორმეტი ათასი მჴედარი რეცა ყოვლისა სამეფოჲსა ბაგრატისა მაჰმედიან ყოფისა შეწევნად, რომელნიცა ბაგრატ მისრულმან ხუნანს და გიორგის მიმართ ძისა თჳსისა მიმწერელმან და ლაშქრითა არა მცირედითა იდუმალ [1] მომწოდებელმან აღსწყჳდნა ყოველნი მახჳლითა ერთისაცა ბარბაროსთაგანიცა განურინებელად.

დემურლანგ [2] უწყებამან ლაშქართა აღსპობისამან და ესრეთ შეიტყუილით კელთაგან მისთა ბაგრატის განრინებამან აღაბორგა და ჩუენ ზედა განმკედრებად აღიძრა და მოვიდა მოვაკანად, რომელსა ესრეთ ზედ წოდებულ-ჰყოფცა, რომელიცა ჩუენ სპარსთა მიერ ყარაბაღი ზედ წოდების და მოსრულმან ბარდავს დაჰყარნა მუნ მძიმენი ნივთნი და ქართლად სუბუქითა სპითა ბრძოლად და შურის ძიებად ბაგრატისად იმკედრა. მაშინ მეფესა ბაგრატს განჭაბუკებულსა თურქთა ზედა ციხენი ტფილისისა და კალისისანი მოწყუედითა თურქთათა დაეპყრნეს და განემაგრნეს და ეგრეთვე სხუანიცა სიმაგრენი ქართლისა და კახეთისანი. ამათ შინა ბაგრატს ყოვლითა სპითა იმერ-ამერითა, მესხითა, გურიელ, ოდიშარითა, აფხაზითა და წერ-კახითა დაებანაკა მარტყოფით ჭავჭალადმდე (ესრეთ ჰსწერს ვახუშტი) და ჰქონებდა მეფე ბაგრატ მოსულსა დემურისსა და გარემოდგომასა ტფილისისასა; მაგრა დემურლანგ პირისპირ ბანაკისა ბაგრატისსა მისრულმან ბრძოლა

1) იდუმალ: ჩუმათ, საიდუმლოდ, უცნობლობად.
2) კოჭლ ყოფისათჳს, დემურლანგ ეწოდებოდა მძლავრსა მას.

ჰყო ძლიერად, რომელიცა პირუელსა შინა ატაკსა სიმხნისაგან ქართუელთასა იძლია. მხილუელმან თავისა თჳსისა ძლევისამან დემურ, სხუათა ლაშქართა უმორედ მდგომარეთა თანა მისრულმან წინა ძლუანვაჲ მათი მოიკლოვნა და ახლითა სპითა მაშვრალთა სპათა ზედა ბაგრატისათა აღადგინა ბრძოლაჲ სასტიკი, რომლითა ქართუელნი ვლტოლვად დააჭირვა მეფითურთ და ესთა მოიღო ძლევაჲ წინა მსრბოლი მოოკრებისა ჩუენისა;

მეფე ლტოლვილი სიმაგრედ მისწრაფდა და ნაშტით სპათურთ, რამეთუ უმრავლესნი სპათაგანნი პირუელსა და მეორესა ბრძოლასა შინა შემუსრვილ-იყუნეს. ხოლო ბარბაროსნი მოოკრებად ქართლისა განეფინნეს და რაჲმელა დაშთეს ვნებანი, რომელი არა მიიღო მაშინ ქართლმან, რამეთუ წმიდანი ეკკლესიანი და ყოველნი პალატნი ცეცხლითა და დარღვევითა აღისპნეს, მონასტერნი მოიცეცხლნეს ყოველნი და მონაზონნი და მოწესენი და ქალწულნი მახჳლისა მიმართ და ტყუეობისა მივიდეს. მაშინ მღუდელნი, დიაკონნი უწყალოდ მოიკლეოდეს და ჩინებულება და პატიოსნება ნათესავობითი თჳთოეული მივიდა უპატივოებად. დაჰსცხრა ზედ მჭაზვრელობაჲ სამოციქულო იწუებოდენ წერილნი, სამღუდელონი აღიჭრებოდა, სამწყსოჲ ქრისტესი შეიგინებოდეს სიწმიდენი და თჳთ დიდიცა იგი ეკკლესია მცხეთისა, რომელ არს პირუელ დგომარე ტრონოს სამოციქულო და კათოლიკე შესაკრებელი ყოველთა ქართუელთა მოიცეცხლა და საფუძუელადმდე დარღვევადმდე მივიდა; ეგ სახედ ყოველნი პალატნი მისნი და ზღუდენი დაიქცეს ყოვლნი.

ესე ყოველნი რა ღირსად განარინნა ჩუენ ზედა ზეკარდამომან განგებამან და მივეცენით (დანიილ 3, 32) ჴელთა მიმართ მტერთა უსჯულოთასა, ფიცხელთა, განდგომილთა და მეფის ცრუსათა და უსჯულოესისა, ოფროს ყოვლისა ქუეყნისა, ამად ვითარმედ ვჰსცოდეთ ყოველთა და მცნებანი მისნი არა ვისმინეთ, არცა დავიცვენით და არცა ვჰყავთ ვითარ იგი მამცნეს ჩუენ რათა კეთილი იქმნეს ჩუენდა.

განრყუნეს უკუე ბარბაროსთა მშუენიერებაჲ იგი ტფილისისა და ნისანისა და კალისის და ქალაქნი და სოფელნი ქართლისანი დაჰსწუნეს და უფროსღა წმიდანი ეკკლესიანი დაარღვივნეს და ესრეთ მარბიელობით შეუხდეს მონასტერსა უკუე მშუენიერსა დედისა ღუთისასა ქუაბთა კევს.

ძუელი უკუე ჩუენი [1]) მოუთხრობს, ვითარმედ ოდეს ტყუე იქმნა ბაგრატ დიდი ცოლითურთ და მთავართა ტყუეობად წარსრულ-იყო შირვანად და ჰერეთ უკუნ იქცა ქართლიდ დემურ ძლევისა მიღებითა დაუტევაო სპასალარი ვინმე სპითა უამრავითა და უბრძანა მოოკრებად ყოველი ქართლი მახჳლითა, ტყუეობითა და ცეცხლითა და უფროსღა დაწუად წმიდანი ეკკლესიანი; ხოლო ბრძანებულისაებრ ჰყუეს ყოველი უსჯულოთა მათ და თჳთ დიდიცა ეკკლესიაჲ მცხეთისა დაჰსწუეს და დაარღჳეს და ყოველნი პალატნი და ზღუდენი მისნი და განჰრყუნეს ესთავე ქალაქიცა ტფილისი. ხოლო მონასტერსა შინა დედისა ღუთისასა ქუაბთა კევს სიმრავლე იგი ღუაწლისა მძლეთა დაჰსწუეს ქრისტეს მარტჳრთა ეკკლესიისა შინა და მერმეღა ჩავლეს შორის კახეთისა და მებრითავე მოოხრებითა დაწჳთა ტყუეობითა და წმიდათა ეკკლესიათა დაწჳთა და მახჳლითა აღაოხრეს იგიცა. მაგრა ჰსწერს ვახუშტი თქმულთა ამად შემდგომად, ბაგრატ დიდისა ტყუეობით მოქცევისა და აღწყუედისა ლაშქართა დემურისთა, იძლია ბაგრატ თურქთაგან მეორედ მოსრულთა, განაღა ესე ყოველი იქმნა ბრძანებითა ულმრთოჲსა დემურ თურქისაით სპათაგან, რამეთუ ექუს გზის შემოსრულმან სამეფოსა ქართლისასა, ჰქმნა ყოველი შემუსრვაჲ ჩუენი.

---

1) მატიანე.

მისრულთა თქმულსა მას მონასტერსა ზედა, ყოვლად უღმრთოთა და უმკაცროთა ბარბა-როსთა დაეკ̃ტთა მონასტერი სავსჱ შელტოლვილთაგან ფრიად მრავალთა, რომელთაგანნი იყუ-ნეს გარემო მახლობელთა მონასტერთაგანნი მონაზონნი მრავალნი მამანი და დედანი, აზნაურთა-განნი და მღ̃დელნი და დიაკონნი და თჳთ მონასტრისა მის ძმანი. ხოლო ერის კაცთა მათ სიმ-რავლე სოფელთაგან მახლობელთა იყო არა მცირჱ, ვითარმედ იტყჳან გლახაკთაცა სიმრავლისა-ყოფასა შელტოლვილთასა მონასტერსა მას შინა. შესრულთა ბარბაროსთა წარმოსტყ̃ნეს მონასტერი იგი ყოვლითურთ და სიწმიდეთა საჭირონი და სახმარნი განიტაცნეს ჭურჭელნი და გამოიღეს სიმდიდრენი მონასტრისა საუნჯეთა არა მცირედი, რამეთუ ფრიად მდიდარი იყო მო-ნასტერი იგი და ეგ სახედ მუნ შელტოლვილთაცა განიტაცნეს ყოველნი; ხოლო მხილველთა მუს მყოფთა მოხუცებულთა და უძლურთა, რომელთად შეუძლებელ იყო სხუაჲ ტყ̃ობასა შინა ჰქმნეს მახჳლითა აღსპობაჲ ყოველთა.

შესრულთა უღმრთოთა მარბიელთა (ფსალმ. 78, 1) სამკჳდრებელსა ღ̃თისასა, შეაგინეს ტაძარი იგი წმიდაჲ ღ̃თისა დამდებელთა მისთა, ვითარცა ხილის საცავისათა, ამათ უკ̃ე განა-შიშვლნეს მახჳლნი, ჰკაფდეს უწყალოდ ვენახსა მას სიტყჳერსა ანუ ხილნარსა მტილისა ღ̃თისასა (2) და დასხეს მძოვრები მონათა ღირსთა საჭმელად მფრინველთა ცისათა და კორცნი წმიდათანი მჴეცთა ქ̃ყნისათა, აღამაღლნეს ყოვლად ბილწნი იგი კელნი მათნი (2) დასთხიეს სისხლი წმიდათა, ვითარცა წყალი. შინაგან და გარემო სიწმიდისა ღ̃თისა და არავინ იყო მფლველ მათდა (3) ვაჲ! ვაჲ! ძჳრ ხილულებისა ჩ̃ნისა მაშინდელის, ვითარმედ (4) ვიქმნენით საყ̃დრელ მოძმეთა ჩ̃ნთა და საცინელ და საკიცხელ გარემოსთა ჩ̃ნთა (გოდებ 1, 7); ცოდ̃აჲ ვჰსცოდეთ, ამისთჳს სარცხუელ ვიქმნენით, რომლისათჳს (4, 9) სუბუქ მდევარნი ჩ̃ნნი უფროს არწივთა ცისათა.

ოდეს მოიცალეს ბარბაროსთა და უფროსღა დაშ̃რნენ კ̃ლისაგან და იავარ ქმნისა და შეკრ-ვისა ტყ̃თასა, უქმნეს კიცხევაჲ წმიდათა ღირსთა კაცთა სამღ̃დელოთა კრძალულთა მათ მონა-ზონთა, ქალწულთა და მოწესეთა, რამეთუ შესხნეს რაყლერნი 1) რაჲმენი დაიწყეს ხლდომად და როკ̃ად, რომლითა სიცილისა უწესოჲსა ჰპოვეს მიზეზი და განცხრომაჲ იყო მათდა და შუე-ბაჲ კიცხევაჲ იგი წმიდათა.

ამას შინა ბარბაროსნი ქრისტეანეთა უძლებებით. შურის ძიებითითა (ოსე. 13, 6) რა აღმო-როხვითა განძღომილ იქმნნეს და გულნი მათნი აღიზავნეს და (2 კორ. 10, 5) მეცნიერებასა ზედა ღ̃თისასა ამაღლდეს აღმოთქ̃ს ტყ̃თად განრინებაჲ უღმრთოებითა, ვითარ იგი ბრძანებულ იყო მათდა უღმრთოჲსაგან მეფისა მათისა დემურ თურქისა, ვითარმედ ყოველთა ანუ უარ-ჰყავთ ქრისტეჲ და ანუ შეკრულნი შეგ̃ანნეთ შინაგან ეკკლესიისა თქ̃ნისა და ვჰქმნათ მოხჳვნაჲ შეშისა კმაჲ და დაგ̃წნეთ. სიტყ̃ათა ამათ დაამტკიცებდიან მფ̃ც̃ლნი სახელისა მათგან ღმერთად ოცნებულისა ეშმაკისა და ბილწისა მტყ̃არ მოციქულისა მათისანი.

მიუგებდეს ტყ̃ნი. «ჩ̃ნ უკ̃ე მიცემულთა კელთა მიმართ თქ̃ნთა ცოდ̃ათათჳს ჩ̃ნთა, რომელნი ვჰქმნენით და განვარისხეთ შემოქმედი ჩ̃ნი და ღმერთი და არა თუ სიმართლისათჳს თქ̃ნთა ვესავთ, ვითარმედ განგეწმიდნეს პატიჟითა ამით დროებითითა და განგჳს̃ნნეს უწყ-ლიწდოებითსა შინა საუკუნოსა, არა რაჲ მელა ჩ̃ნდა დასაბრკოლებელ ვართ ოებაჲ გზისა მჭისა მიმართ და გარდარეულისა განსუ̃ნებისა: დაიწჳნ კორცნი განხრწნადნი დაიბძარენინ და განიგა-

1) ეკვანი, რომელიც დაირასა ზედა იხმარების.

ლენინ და დაითქნცა, რათა ძლევისა ჯილდოჲ მოვიღოთ უხრწნელი და წარუდინებელი (ჰრომ. 8, 35) ვერა რაჲმე მანგან მაშორნეს სიყუარულსა მას ქრისტესსა ჭირმან, ანუ იწროებამან, დევნამან, ანუ სიყმილმან, შიშლოებამან, ანუ ურვამან, ანუ მახჳლმან არა რაჲმელა ჩუენდა ღმრთისა მიმართ მისართმელ დროსა ამას (დანიილ 3, 37) არცა მსხუერპლი, არცა შესაწირავი, არცა საკმეველი, არცა ადგილი ნაყოფებად წინაშე ღმრთისა და პოვნად წყალობაჲ, არამედ სულის მიერ შემუსრვილისა და ბევრების სიმდაბლისასა, იქმენინ მსხუერპლი ჩუენი წინაშე უფლისა დღეს და სრულ იქმენინ შემდგომად მისსა, რომელ არს სირცხჳლი მოსავთა მისდამი».

დაარცხუენს სიტყუანი კრულთა სიმართლისათჳს, ხოლო აღაბორგებს გონებანი ბარბაროსთანი მძჳნვარედ, ესე ოდენ ვითარმედ ვერ დამთმენელთაგან კადნიერებისა ამისთჳს წმიდად ეკკლესიად მიოთრეოდეს, რათა წმიდასა წმიდათასა ტარიგნი იგი სიტყჳერნი ღმერთ-მთავრისა, ტარიგისად შეიწირნეს; ხოლო იწყეს მოზჳნვად შუათა მიერად ბჭეთა და გარემო და შინაგან ეკკლესიისა და ესრეთ შანთნი იგი ოქროჲსანი მრავალ რიცხვნი გამოცდად ბრძმედსა შეჰყარნეს, დაღათუ შიშისთჳს დააკლდეს მათგანნი გჳრგჳნისაგან, მაგრა ნაშთი იგი იქმნა (ესაია 10, 21) დაშთომილი იაკობისი ღმრთისა მიმართ ძლიერისა, საღმრთოჲ არს თქმაჲ ესე, ვითარმედ (22) უკეთუ იქმნასმცა ერი ისრაჱლისა, ვითარცა ქჳშა ზღჳსა სიმრავლითა ნეშტი მათი ცხოვნდეს, რამეთუ სიტყუაჲ შემასრულებელი და თან-მკუეთი სიმართლესა შინა, რამეთუ სიტყუაჲ თან შეკუეთებული ჰყოს ყოვლმან ძალთამან მკჳდროანსა შინა სრულსა.

მაშინ დაშთეს კრულთაგან, მრავალნი შიშისაგან სიკუდილისა წარუტაცებელი იგინი, რომელთა შეიყუარეს სრულებით ქრისტე და შიში იგი ვერ მიეახლა მათ, რამეთუ (1 იოანესი 4, 19) შიში არა არს სიყუარულსა თანა, რამეთუ სრულმან სიყუარულმან გარე განჰსდევნის შიში; ესენი არიან, რომელნი იგი მოყუასთა თჳსთა შორის უკუნ (ჰრომ. 8, 29) წინასწარ იცნნა და წინასწარცა განარინნა და (ეფეს. 1, 4) გამოირჩინა უწინარეს სოფლისა დაბადებისა, რათა იყუნენ წმიდაჲ და უბიწო წინაშე მისსა სიყუარულით საქებელად დიდებისა მადლისა მისისა.

იტყოდეს უკუე ჩინებულნი იგი რჩეულნი. «დაღათუ მაგრა ნეშისაებრ თჳსისა არა ჩინებულთა, ჵოი! საწყალობელნო რაჲ არს აღრჩევაჲ ესე უგუნურესი, რამეთუ ნებსით განმცემელნი თავისანი დააკლებთ თავთა თჳსთა ქორწილისაგან სიძისა უკუდავისა აჰა განღებულ სასძლოჲ წინაშე ჩუენსა და ჩუენ განმზადებულნი თქუენთანი შესუელად, ერთითა ამით ჟამითა საუკუნენი მოვიყიდნეთ ცეცხლი დაცხრომადი შეეხის კორცთა აღლევად, რათა გებადი იგი ცეცხლი დადგეს ყოვლითურთისადმე შეხებად საუკუნოდ, რომლითა (აპოკალიფსისი 16, 19) გმობაჲ შექმნეს სხეულისა ღმრთისა მტერთა ღმრთისათა».

ხოლო კუალად მოყუსი მოყუასსა განამკნობდა და განყოფითისა მოგონებითა სავსითა არს დაუგრომადისა სიცოცხლისათა წინა დაუდებდა და გებადისა დაუზერებულისა და წარუდენისათა მიმართ აღლესჳდა. ხოლო მიიოთრეოდეს რეცა ბარბაროსთაგან წმიდანი, მაგრა სიყუარულით თანა ჰყუებოდა თრეულთა კორცთა გულს-მოდგინებითა თჳსითა განგებულთა სულთა. და იყო მაშინ პირთა შინა მათთა ფსალმუნი ესრეთ მგალობელთა (ფსალმ. 4, 15) «დაღათუ კდემულება ჩუენი ჩუენ წინაშე არს და სირცხჳლმან პირისა ჩუენისამან დამფარნა ჩუენ ჴმისაგამან ყუედრებულისა და ძჳრის-მეტყუელისა პირისაგან მტერისა და მდევარისა, ესე ყოველი მოიწია ჩუენ ზედა და ჩუენ არა დაგივიწყეთ და არცა ვცრუვენით ჩუენ აღთქმასა შენსა და არცა განჰსდგა მართლ უკუნ გული ჩუენი და შენთჳს მოვჰსწყდებით ჩუენ მარადღე და შევირაცხენით ჩუენ, ვითარცა ცხოვარნი კლვადნი».

ხოლო იხილეს რა შინაგან წმიდისა ეკკლესიისა თავნი თჳსნი ჰგალობდეს ნეტარნი იგი სულნი მათნი (ფსალმ. 5, 7) «შევიდე სახლსა შენსა, თაყუანის ვჰსცე ტაძარსა წმიდასა შენსა, შიშითა შენითა უფალო, მიძეღუ მე სიმართლითა შენითა და მტერთა ჩემთათჳს წარმართე შენ წინაშე გზა ჩემი».

ეჰა კრებაჲ ესე სამღუდელოჲ შორის ეკკლესიისა შეკრებული შეეკკლესიე ცეცხლითა სიყუარულისა ყოვლისა გრძნობადთაგანისა და ზეებრლისათა განწმედილი სარწმუნოებითა მიმკაროვნებულითა მტკიცე ქმნილი, მოქსოვაჲ სირაჲსა ამის ნაწილოვანისა, რომლისაგან თჳთოჲ ბრწყინავს უბრწყინჳმლეს მზისა განათლებული შარავანდედითა უზადოჲსა მზისათა. ეჰა ბანაკი რჩეული ერი ქრისტეს მოსახელე ღჳთისა მიერ ჴსნილი უკორცოჲსაგან ფარაოჲსა (გამოს. 8) ამათ წინა აღუდგეს რა ფარაოთურთ იანე და იამბრე განქიქნეს მოსეს მიერი და ამათ სხუაჲ მრავალ რიცხჳ წინა აღუდგა რა, რათა არა მსახურებდეს მკოლოსა ღჳთისა სამებასა შინა ცნობილსა, თჳთ თავით თჳსით ჰსძლეს და სირცხჳლეულ ჰყჳნეს, ვითარმედ თუ სადამე, ერთისაგან მჴლდის იძლეოდა მამა იგი სიბოროტისა ფარაონ და იანეს და იამბრეს მიერ მბრძოლი ერისა რჩეულისა ეგჳპტეს, ვითარ არა იძლიამცა ესე ოდენთა სიმრავლეთა ძე ღჳთისა ქმნეთაგან. ვითარ იგი მოსე და აჰარონ ტყუვილისა დაადუმეს ნიშები ეგსახედ შეკრებულმან სულითა ყოვლად წმიდითა (ზირაქ. 25, 2) ერთგანიერებამან ამან ძმათამან განფიწლა სარცხჳნელი იგი საცთური თჳსდა წინა მდებარე დამაბრკოლებელი ღჳთის მსახურებისაგან, მუნ გრძნეულთა კუერთხი ყეშაპსა გონისაქმნილი შეიჭამა კუერთხისაგან მოსესისა, რომელმანცა ვერ უძლო შეშინებად ღჳთისმსახურების გონებისა აქა ჯუარისაგან ქრისტესისა განქარდა ზედა აღდგომილი საცდური ბარბაროსთა.

უპატიოსნეს შეკრებულებაჲ აქა ბრძმედსა შინა გამოცდათ მრავალთა ამათ შანთთა ოქროჲსათა, ვიდრელა ხალდეას სამკუთრისა მის ოქროჲსა, შედებაჲ ბრძმედსა შინა, რამეთუ ისინი აჩრდილსა შინაჲთა წერილითა ჰსჯულისა შეუძრველ დაცვამან საკჳრჳელ ჰყჳნა ესენი ჭეშმარიტებისა სარწმუნოებითისა ჰსჯულისათჳს შორის უქცეველობამან შეორეთა თანა ნათესავთა დგომად აღიყჳანნა მიერ ჰსწჳრეტად სიღრმესა ტრფიალებითისა ჰსჯად სურჳლისა შურსა დაუზენაესსა აღსავალსა სიყუარულისასა, რამეთუ ღაღადებდა უღმრთოთა სხუათა მიმართ სიმრავლე ტარიგთა სიტყჳერთა მდგომარე საკურთხეველსა ზედა სამსხუერპლოსა. «აჰა ჩუენ გზანი შეწირვად ყოვლად დასაწველად და მოტყინარენი ცეცხლითა ღჳთაებისათა, მსწრაფლად აღაგზენით ცეცხლი, რათა ამან სიმართლედ აღსრულმან აღგვიყვანნესმცა დადგომად წინაშე საღმრთოჲსა საკურთხეველისა».

«აღანთენით» იტყოდეს «კორცნი ბოროტ მსახურნო, რათა ცეცხლითა საღმრთოჲთა მოებარენი სულნი (მატ. 13, 45) უბრწყინჳალეს მზისა განბრწყინდეს სასუფეველსა შინა ზეციერსა მამისასა; ნუ იცადებთ შეწირვასა ჩუენსა, რათა (2 კორინთ. 4) სახილველ ვიქმნნეთ სოფლისა და ანგელოსთა და კაცთა დაღათუ ჯერეთ სურჳლსა ჩუენსა მხოლოდ (მაკაბ. 7, 6) უფალი ჰხედავს და სიმართლისათჳს ჩუენისა ნუგეშინის გვცემს».

მაშინ მოზინჳაჲ ბარბაროსთაგან უმრავლესთა შეშათა და ხალდეურისა საკმილისა მოზარდყოფაჲ მით, რამეთუ ალი სიმაღლედ აღვიდოდა და კუამლი პირისა საწლოჲსა შეაზრქელებდა დატრფიალი მძჳნვარე დიდ დიდთა მკმოლვარეთა ჰკშირად განასრევდა მუგუზთა. ხოლო ქუკილისა სასმილისასა მთანიცა კმა ჰსცემდეს და საზარებაჲ საქმისა უღმრთოთა მოქმედთა უდიდეს განკჳრჳებად მოიყუანებდა; განაღა სულნი იგი ნეტარნი ყოვლად დასაწველთანი, ბრძმედსა შინა ჰგალობდეს (დანიილ 3, 66) «აკურთხევდით ცეცხლი და სიცხე უფალსა, უგალობდით და ზესთა ამაღლებდით მას

საუკუნეთა». მუხლად (84) «აკურთხევდით მღდელნი უფლისანი, აკურთხევდით მონანი უფლისანი, უფალსა უგალობდით და ზესთა ამაღლებდით მას საუკუნეთა». ესრეთ შეიწირნეს ღმრთისა მიმართ ნებსით ტარიგნი უბიწონი, ვერძნი ყოვლად წმიდანი და დიაკეულნი უმანკონი, ესრეთ ხალდეათ გარდმოიგზნა ქართლად საკმილი ნივთითა მოზარდი, რამეთუ საკმილსა მას შინა არა მებრ ახრდილისა დიდი მამა ძე და სული წმიდა, ესრეთ უკეთუ კაცთა სულითა წმიდითა მოიგეს ამაღლებაჲ ჴორცთა ზედა; ვინა საქმე ესე ანგელოსთად საქებელ წინა მდებარე იქმნა ეშმაკთად საძრწუნველი, კაცთად ბაძვად თჳსდა აღმლესველი.

გამოიწერნეს და დაიბეჭდნეს იატაკთა ზედა ეკკლესიისათა ასონი იგი დამწუარნი მოწამეთანი, ამათ ვითარმედ თუ სადამე მარტჳრთ-მოყუარებამან განაღჳძნეს მრავალნი ქების სიტყუაობად ძლევისად მათისა, არცა უცხოველონი დააკლდეს ქადაგებისაგან, მარტჳრთა ძლევის მოყუარებისა, რამეთუ ჩუენ კმა მაღალად ვქადაგებთ საღმრთოჲთა ტროფიალებითითა ცეცხლითა ქრისტეს ღმრთისათჳს განძლევასა ჭეშმარიტებისა მოწამეთასა, იატაკნი უცხოველონი მათ ზედა დაბეჭდილებითა დუმილით ჰქადაგებენ. ნება იყო უღმრთოთა რათა უღმრთოებისადმი მისდრიკენმცა ნამდჳლ ჭეშმარიტნი ქრისტეანენი; ხოლო ჩუენნი უღმრთოთა მაწუეველთა ნებასა, ყოვლითურთ წინა აღუდგეს, მოიგონეს მტერთა ღონედ ესე გუარი ვიდრემე განსაცდელი, რომლისაგან შიში ბუნებითად უფროს ყოველთა საშიშთა ეძჳნებიან სულსა, მაგრა ჩუენთა გულს მოდგინე ჭაბუკნეს ესოდენ ისულნი სიადაგ მნებებელნის ბრძნით აღრჩეულისა სანებულისანი და მისდა მოჰსდრიკნეს ნებანი და სიძნელ, განსაცდელთა შეიწყნარეს ადჳლად. დაჰშვებიან მტერნი მომხიდუელნი შრომით ნივთითა აღსაგზებელთანი და აღაგზნეს რა, ვერ ფიცხლენდა თჳთ და თუ სადამე ვის მიეახლა დაიწუა, მაგრა ჩუენთა ხატებაჲ ესოდენ პატიოსან ჭაბუკს, ვითარცა უკუდავი დაიცვეს ცეცხლსა შინა ყოვლითურთ უბიწოდ, და განხრწნადნი ქრისტესთჳს ძლევის-მოყუარებით მიუშუეს აღლევად და რაჲცადა იწადეს ჰქმნეს კეთილად; ვინაჲცა ჰსძლეს და ძლევის მოსაგებელსაცა ღირს იქმნეს (აპოკალიპ. 2, 28) და მოსაგებელი იგი იქმნა მათდა (იობ. 38, 12) ვარსკულავი განთიადისა, ამისთჳს ვითარმედ იგი არს ჯილდოდ მძლეთა მოსაგებელად ძლევისა და ძლევამან გამოიბრწყინვა მათ ზედა ვარსკლავი განთიადისა და მთიებამან ისწავა წესი თჳსი. დიდებულ ჭაბუკნა, ესენი კადნიერებამან ქრისტეს თჳს, რამეთუ განძჳნდეს და მიმგნით განსაცდელთა თმენითა ღმრთისად მიისწრაფეს ზეცათასა. ეჰა ვითარ დიდებულ არს და ძლიერ ღუაწლი მოწამეთა და უძლიერეს შეურგინებულიცა ღუაწლისა, რამეთუ ცეცხლი ვითარცა წყალი განვლეს ცეცხლისა ღუთაებისათჳს შორის ქონებულისა გამო ვიდრე მგრძობთა. ხოლო დაღათუ (სიბრძნე 3, 2) მოკუდეს თუალთა წინაშე უგუნურთასა, არამედ მიცუალება იგი მათი ჴორცთაგან ღმრთისად, მძლედ გამოჰსჩნდა წინაშე ღმრთისა და წინაშე ანგელოსთა და კაცთა, რამეთუ საცთური-ბილწ ღუთაებისა ფიწლითა სარწმუნოებისათა განაქრიეს, ძლევა აღადგინეს ეშმაკთა ზედა და მსახურთა ზედა მათთა ვინაჲცა (4) სასოებაჲ მათი უკუდავებით სავსე არს ვინა ფრთენი ტრედისანი თუალთა ტრედისათა მექონთა (ქებ 3, 12) მოიგეს და უმანკოებითა აღფრინდეს და წყლულნი იგი საღმრთოჲსა ცნობისანი პირნი აღვლნეს ფრთითა მით უმანკოებისათა და შესრულთა ზეცისა იერუსალიმსა შინა, იხილეს პირის-პირ დაუტევნისაებრ ღმერთი, რომელსაცა აქა (1 კორინთ. 13, 2) სარკითა და სახითა განიცდიდეს.

გამოსვლა ესე სოფლით კეთილად მძლეთა მოწამეთა უდიდებულესობს ვიდრე გამოსუჱლა ეგჳპტით ერისა რჩეულისა, რამეთუ იგინი დაღათუ კუერთხისათა მოსეს მიერ ცემითა განპებულისა განვიდეს ზღუასა დაულტოლველად, მაგრა ესენი ჯუარითა ქრისტესითა განპებულისა საცთურისა

შინა საეშმაკოსა განვიდეს წარუწყმედელად მათდა მუჴანებელ სჯულტი ცეცხლისა ქუეყანადმი აღთქმულად მიმავალთა, რომელნიცა გულ — მეარებით და განფიცხებით განმამწარებელნი აღთქმულისანი ვერ შევიდეს განსასუენებელსა მას შინა და დააკლდეს საშუალისა ბოროტ მკმეველნი დასასრულისაგან შაბათობისა, რამეთუ (რიცხ. 13, 23) რისხჳთ მათთჳს ესრეთ ფუცა ღმერთმან, ვითარცა ურჩითა ჴმისა მისისათა, მაგრა ესენი მიმავალნი შინაგან შესვლად ნამდჳლ გებადისა მის დაუცვალებელისა სიწმიდისა (ებრ. 16, 20) წინა მორბედად შესულთა იესოჲსითა შევიდეს და მიიღეს აღნათქუამიცა.

აქა ყოველი უპატიოსნეს ძუელისასა ასწაულნი უზესთაესნი შეცვალებანი მდგომარებისანი, სჯულისა მოღებანი, ჭეშმარიტებასა შინა, ძლევანი საკჳრველნი, კადნიერებანი მძლავრთადმი სირცხჳლითა და კდემითა აღავსენი ბოროტ-მსახურთა ტირანთანი.

ივლტოდა მაშინ გუელი დადარნებული კუდ მოსადა ჭილსა შინა და ლელწამსა მხილველი (რიცხ. 2, 1) საზღუარსა ზედა მდგომარისა რუალისა გუელისა და აქა მხილველი ვეშაპი მოწამეთა შორის (ჳრომ. 8, 3) მსგავსად კორცთა მათ ცოდჳსათა ჩუენდა მოსრულისა ძისა ღუთისა განცჳფრდა და იძლია რა მლტოლუარე მათგან აღაშფოთებდა ლაშქარსა უღმრთოსა წმიდათა ზედა, რამეთუ ვერ შემძლებელ იყო, მყის ზედა მისულით შეხებად ვნებათა უვნებელთადმი სულთა მათთა. ხოლო რომელიცა (იობ. 4) იორდანისასა თუალად თჳსდა შთაწრებასა აზმნობდა ნაკადულისაგან სისხლთა მოწამეთასა იშოუებოდა და რომელი ბარბაროსთაგან ბილწთა მიზგითთა შინა საჳკალთა მიერ და ოქროთა და ოქროვილთა ლართა იმსახურებოდა შიშულიუ და მუსკრით ძონძ მოსილ წარივლტოდა, რომელიცა (12) მჴსგავსად სახისა კუდსა აღიმაღლებდა აღმაგრძელებელი ზუაობით და გესლითა აღმავსებელი შურით ქრისტეს მოსახელისაგან შეთქმულებისა, ვითარცა ქუე მძრომი იგიცხოდა აღიწურვებოდა ზე და წაღმარი ბრძოლად მეცადინობდა და ზეგარდამოჲსაგან ძალისა წმიდათასა უკმოვრდომი დაიყენებოდა მკერდითა მიიზიდჳდა მუცელსა და თავსა აღიღებდა და გესლსა შეჰბერვიდა, მაგრა ლოცუაჲ იგი წმიდათა მითუალული ცუდად დასათხეველ სხუარა იქმნებოდა. ჰბერვიდა ვეშაპი კოლხიდურისა ეგსპედიციისა ზღაპრებრ (იობ. 2, 5) ცეცხლსა და გამოთხოვილთა კორცთა მართალთასა აღანთებდა დაწუად, მაგრა ნეტართა სულთა შინაგან მყოფისა ცეცხლისაგან საღმრთოჲსა სიღრმე ჯოჯოხეთისა შთაიჭრებოდა.

იპატივებოდა კიდობანი ძუელთა შინა, რომელიცა წმიდჲსა შინა წმიდათასა იყო მდგომარე უპატიოსნეს მოწამენი ახლისა შორის აღთქმისა, რამეთუ წმიდასა შინა ეკლესიასა შეწირვითა პირმშოჲსა შინა ეკლესიისა დაიდგინნეს (ებრ. 12, 13) აღწერილსა ცათა შინა, ღუთისა და მსაჯულისა ყოველთასა და სულებისა მართალთა აღსრულებულთასა, პატიოსან და წმიდა ჰსჯული კუერთხი და ფიცარნი, უპატიოსნეს იატაკთა ზედა ეკლესიისათა დაბეჭდულნი ხატნი ასოთა მოწამეთანი, გასწმედილ და სუფთა საკმეველნი გუნდრუკნი და კინამონი და კეთილ მითუალულ უფლისა მიერ უგანწმედილეს გუამნი მოწამეთანი დაუსამლუდელფეს კუამლი შეწირვისა მათისა და მამისაგან ზეცათასა უმისათუალველეს, ვითარ ზიარებული შეწირუაჲ შეწირვისა თანა მამისა მიმართ ძისა, რომელმანცა მამისა მიმართ ჩუენთჳს (ებრ. 7. 27) თავი თჳსი შეჰსწირა.

პატიოსან მანანაჲ და ტაკუკი ოქროჲსა, უპატიოსნეს სისხლი წმიდათ, რომელიცა შესრულია სარწმუნოებით ეკლესიასა მას შინა წმიდასა (სჯდა იგი შეიწირნეს) აღავსებენ გარდარეულად სუნნელებითა უხრწნელითა, რომლისაცა მცნობელობაჲ მოგვილიეს მრავალგზის და კურნებათა ჰყოფენ თჳთოეულითა სენითა ვნებულთად.

ესრეთ შემკულ არს მოწამეთაგან აღთქმა ახალი, რამეთუ ღჳთივ მითჳალულმან სისხლმან მათმან ყოვლად განწმედილმან სხეულებამან მოწამეთამან აღიკჳამლა და ჩჳენდა დაწჳად ცეცხლი შურის ძიებისა ღჳთისა დააყენა.

ეჴა მორჩითა ყოვლად წმიდათა სახარებითა (2 კორ. 3, 6) პავლესითა ჴგულთა და ღჳთისა მიერ ორძილოვანთა, რათა ნაყოფიერებისა ვერ შეეხოს მრავალფერი მგალი ეჴა ვაზთა სორექთა მძლეთა შეხდომისათა, რამეთუ ჴსძლეს ხრწნილებათა დაკჳრთებულთა და განირთხნეს ფესჳნი სიღრმედ სიყჳარულისა. უკუნ აქციეს დიდროობაჲ ქართა აღკრსეს პირნი ჭიათანი, უკუნ აქცინეს ცუდათ სირთა დასხმანი დაიწიხნეს საწნეხელსა შინა, ღჳაწლთასა და აღავსეს ტაგარი მხიარულებითითა ღჳნითა, რამეთუ შეკრება მათი სირასა შინა მარტჳრობითსა იქმნა მხიარულ-ყოფად ანგელოსთა და კაცთა.

ესეცა არად დაშთომად სათანადო არს ჩჳენდა, გამოხატა მტერმან მოგონებაჲ ნიკომიდიური, ყოვლად ბილწისა მაქსიმიანესი ყოვლად უღმრთოსა სულსა შინა დემურისსა, ვითარმედ ქრისტეანენი არა მორჩილნი ბრძანებულისა მისისა, არა განდგომითა ქრისტესგან, რათა დაიწჳას ეკკლესიასა შინა მათსა. ხოლო განჴსჳაჲ ვითარ ბოროტსა სულსა შინა, ქმნილი პირჳელისასა ესევე შეუდგა მეორისასა და მებრჳე გამოჩინებასა გამორინებაჲ; გარნა იგიცა სული წინა-აღმდგომ. უღმრთოებითისა მბრძნობისა, რამეთუ იგივე გარდამოსჳლაჲ სულისა ზედა ქჳაბთა-კეგელთად, რომელიცა ნიკომიდიელთად, ვითარმედ ცეცხლისა საღმრთოჲსა აღგზებისა სულთა შემწუხარებელთა ვერ შეეხების საცთური უღმრთოებითი, რამეთუ ცეცხლი კორცთა განმძლეველ და სულთა აღმყჳან დიდებით მათ თანა, რომელნი (ფსალმ. 103, 14) სულად და ალად შეიქმნეს ცეცხლისა.

ესენი უკჳე უშესაბამონი თქმანი ქების სიტყჳაობითნი თქჳენისადმი სამღჳდელოჲსა ვნებისა მიირთჳ კრებულო ყოვლად პატიოსანო არჩეო, რომელი (აპოკალი. 3, 17) იმწყსები წყაროთადმი წყლისა ცხოველისათა კრავისაგან საყდართა მამისათა მჯდომარისა და ნაცჳალ მაგა განწმედილი და მითჳალული ოხაჲ დღესა უფლისასა ანტონის გლახაკსა და ყოვლად საწყალობელსა.

(2 ტიმოთ. 1, 17) ხოლო მეუფესა მას საუკუნეთასა უხრწნელსა, უხილავსა, მიუწდომელსა, მხოლოსა, ბრძენსა ღმერთსა, პატივი და დიდებაჲ საუკუნეთა უკუნისამდე ამინ.

## დღესა სამშაბათსა წმ. აღდგომისასა, შესხმა და მოთხრობა ღუ̃აწლთა და ვნე-ბათა წმიდათა ღირსთა მოწამეთა გარეჯნსჯისათა.

ეკკლესიასა პირ-მშოთასა ნეტარნი,

აქა ზადიკობად მოსრულნი ეკკლესიად,

აღფრინდეს ფრთითა წამებისათა სიბრძნით,

მუნასა მიმართ ზადიკისათჳს აქათ,

და შეერთნეს ზენათა იერ-არხთა:

ანტონ კათალიკოსის მიერ.

არა დავსცხრე გალობისაგან წმიდათა მიმართ თჳსთა და საკუთართა ღ̃თისათა. «იობ. (3) ჴდის სამჴნუჵ ესე ჩემი ჩემთანაღა იყოს და სული საღმრთოჲ, მით რომელ უკუ̃ნ», იოანე. (3) «შეიყუ̃არნა თჳსნი იგი, ამას სოფელსა შინა და ს̃დ შეიყუ̃არნა იგინი»; ხოლო წმიდათა შორის უფ-როსად გუ̃ლი იგი, საღმრთოთა, მოწამეთა საგალობელ არს, რომელნიცა არსებისა დაუზჳვდეს, მტერთა ჰსძლნეს, თავნი თჳსნი შეჰსწირნეს ღ̃თისად და სიკუ̃დილსა მხოლოდ-შობილისასა ეზიარ-ნენ: არა იგმეს ერთი ნათლის-ღებაჲ მისატევებელად ცოდუ̃ათა, სისხლითაცა ნათელ-იღეს (ევგ. 19, 10), შეიშურეს ღ̃თისათჳს უ̃ისა-მპყრობელისა და «შურითა ღ̃თისათა შეჰშმულნი განქ̃უ̃ჩღლ-ნეს მტერთა უფლისათა წინა-განეწყუ̃ნეს, პირის პირ მბრძოლთა დადგეს უშიშად» (ევგს. 6, 14.) ჯაჭვითა სიმართლისათა მოსილნი და ფერხთა შესხმულნი სახარებისა მშჳდობითისა, განმზად-ბულებისანი, მიუპყრნეს მტერთა სარწმუნოებაჲ ქრისტეს მიმართი ფარად, კრმალნი სულისანი, საღმრთოჲთა ტრფიალებითა აღმოიხადნეს და სიმკნისა მკლავ მაგრობითა ლახტნი აღამაღლნეს აკუ̃ფთნეს თავთა მბრძოლთა მათ უხილავთა შემუსრნეს და დააკუ̃ფთნეს, წარაქცივნეს პ̃ტნეს.

არა რაჲმე მათდა ცეცხლი განმლეველი, რომელ მათ შინაგან აქუ̃ნდავე, დასაშრეტელ ცეც-ხლისა წყალი; არა რაჲმე მათდა სიღრმე პელეღოჲსა, რომელ მკურვალნი ქარნი, საღმრთოჲსა ტრფიალებისა, რომელნიცა დიდროჲთ, ჰქროდიან მათ შორის, იქმნნეს განმაკმობელ პელეღოთა. არა რაჲმე მათდა ჯოი! რომელ დიდებად და უდიდებულესად და კეთილ-დღეობად უბედნიერესად შეერაცხა თჳსდა, დიდება იგი მამისაგან, მხოლოდშობილისა. არა რაჲმე ურმის-თუ̃ალნი, რომელ გარემო ღერძისა, ნამდჳლ-სატრფიალოჲსა იქცეოდეს ბრუნჳთ ნიადაგი ნეტარნი სულნი მათნი. არა რაჲმე დაჭრანი ასოთანი და დაქოლვანი, მით რომელ ტრფიალებამან მოიყუ̃ანნა სატკივართა

უგრძნობელობად, ხოლო გონებანი მათნი, თუ სადამე ყოველნი კლდენი ზედ შეიმუსრნენმცა, ვერ შეჰსძრვენ სიმტკიცისაგან ქრისტეს მიმართისა.

ტკბილ მათდა სასმელი სიკუდილისა ამოვან განსაცდელნი სიკუდილ-შემოსილნი, სახარულევან ექსორიობანი, სიმდიდრედ ივარ-ქმნაჲ და სიქადულობა კიცხვა უმწვერვალესი. ესენი მეგობარნი ქრისტესნი და ზიარნი სახელისა მის, რომელი მიანიჭა მამამან, (ფილიპ. 2, 9) უფროს ყოველთა სახელთასა და (აპოკალიპ. კ. ო. 1.) მოსაყდრენი მისნი აღსარებულნი მისგან ღ~თთ-მთავრისა წ~ე ცხოველთ-მოქმედისა მამისა, ქებულნი (მატ. 10. პო.) ანგელოსთაგან პატივცემულნი, ეკკლე-სიისაგან ჰსძლის ქრისტესისა, საფუძველთა ეკკლესიისათა სიმტკიცენი, ისაია 26, 2. ზღუდენი და გარე ზღუდენი მისნი, სალებავნი ჰსჯულთანი, გამოხატვანი და განჰსჯანი მართალთა და კეთილთა მოქმედებათანი. ეჰა გუნდი საკვირველ-შეკრებული, ეჰა სირასაღმრთოდრე შეწმასნილი, ეჰა სის-ტემაჲ ესე, სახურველ-კიდული, ურთიერთარს, რომელ შემკვრელ, რომელ მწმასნელ და რომელ მომკიცხველ, მათდა არს ტრფიალებაჲ. ხოლო ტრფიალებაჲ ესე არა ქვეშეური, არა ხრწნისა და დინებისა შემწუნარებელი, არა ნათესავისადმი სატრფიალოჲსა ხრწნადისა, არამედ უზესთაესი ყოველთა სიმაღლეთა, უხრწნელი წარუდინებელი და მოგებული სულითა ღმერთთ-მთავრისათა არსებისადმი უზადოჲსა. ბრწყინვენ უკვე დღეს გონებასა შინა ჩემსა, გუნდისა მისგანნი საღმრ-თოდრე წმასნილისა და სისტემაჲსა მისგანნი სახურველ კიდულისა, გერძოსი მათნი, რომელნ გუნდსა მას და სირასა სრულ-ჰყოფენ.

ხოლო გონებასა ჩემსა განაბრწყინვებენ ნათლითა ~ მანდრაგორ ბერწობისა, ექმნებიან მას, რათა მიუდგეს მცა, გონებაჲ ჩემი ბერწი სიტყუათაგან, ღირსთა შესხმისა და გალობისა მათისათა და მუცლად იღოსმცა; სიტყუანი უაღრეს ძალისა ჩემისა შესხმად და გალობად ყოვლად წმიდათა ვნებათა მათთა. არიან უკვე წმიდანი ესე უღაბნოჲთგან გარეჰსჯისათა აღმომზენი აღმოსავლისა-გან მმარხველობითისა და სჯულსა ზედა ქრისტესთჳს ვნებისასა, ჰსრბით მომრგუალებულნი და მერიდიანსა ზედა ჭეშმარიტისა წამებისასა თ~ა-ჰსწორ მავალნი; მოწამენი ესე ქრისტესნი გონებისა ჩემისა მანდრაგორ ბერწობისა, რომელთა აქუსვე თჳსებაჲ ესე გუარი, რათა საკვირველი უშველოებისა განჰკსნეს გონებისა და ჩემდა მანდრაგორ-იქმნეს. აჰა (ქებ. 1, 11) მანდრაგორ-მან ჩემმან გამოჰსცა სუნნელებაჲ, რომელ ჩემისა შორისა გონებისა მიდგომილებაჲ და შობაჲ სიტყუათა. ადგილ აღმომაცენ მანდრაგორთა მათ მდელოთა სუნნელთა ადგილნი, მახლობელნი ეკვატორისანი, არა ეკლიპტიკად განკვეთილნი გზითა კირიზბისათა და არცაღა გზოჲ თხისრქისა, რომელ ეკვატორსა მას მას, ზედა მავალნი მზეჲ მიჰფენს ქვეშე თჳსსა, ყოველთა მახლობელთა ეკვატორისათა უმწვერვალესთა შარავანდედთა უმახლობელეს, რომლითა სხვათაგან უმკურვალე-სობენ ადგილნი იგი. ხოლო ულადოჲსა მზისა შარავანდედითა უმახლობელეს განათლებულნი ადგილნი იგი, რომელ-არს სულნი ნეტარნი ტრფიალებითა საღმრთოჲთა უმწვერვალესადრე მკურვალენი, სხვა და სხვა გვართა სუნელთა, მცემარობენ საკმარად მორწმუნეთა ქრისტესთა მთხოველთა მათდა და უფროსღა იგინი, რომელთა მკურვალებამან ქრისტეს მიმართ სულთა ნეტარ-თამან აღმოაცენა ყვავილი იგი ქრისთესთჳს ვნებისა; რომელი არა თუ მხოლოდ თჳთოეულთა ჩვენ მორწმუნეთა, მთხოველთად არს მანდრაგორ, მკურნალ გონებისა ბერწობისა, არამედ ჩვენ-ნისა საზოგადოჲსა ერთისა წმიდისა კათოლიკე სამოციქულო ეკკლესია, მით რომელ სისხლმან, ქრისტესთჳს ვნებულთა მოწამეთამან შჳლიერ-ჰყო ემბაზი და მით შჳლიერ მრავალ ჰყო ეკკლესიაჲ.

აჰა გუნდი ჰრჩეული კრძალულებისა მმარხველობისა მიერ, წმიდა ქმნილი, აჰა მცხოვრებელობაჲ ანგელოსებრი, არა რაჲმესა მქონი თჳსად, თჳნიერ ხატებაჲ ღმრთისა, რომლით არსებაჲ მათი დახატა და კეთილობასა შინა გებითა ღმერთა მიემსგავსა. აჰა სხეულნი და წულილებულნი, მარხვისა მიერ, არა-თუ მხოლოდ საჭამადთაგან და სასმელთა, არამედ არსებისა კორცთასა, ყოვლითურთ ზესთა ქმნისაგან. აჰა ნებსით (მატ. 19, 12) საჭურისნი სასუფეველისათჳს ცათასა, აჰა მამაკაცნი ნებსით გამცემელნი თავთა თჳსთანი, სხუათა და მორჩილებად და ნებისა თჳსისა უარის ყოფად. აჰა შეკრებულება მდაბალ-მზრახუალთა და მთრგუნუალთა ამპარტავანისა გულისათა რომელიცა (ლუკა, 10, 18) გარდამოვარდა ზეცით.

ესენი უკუე ნაყოფიერნი აღსავალთა შინა ნაყოფთასა, ესე იგი (მატ. 13, 23) რომელ ჰ̃დ ნაყოფიერნი ოცდა-ათის შინა აღვიდეს ნაყოფიერებასა შინა, საშუალსა, სიმხნით, რომელ არს ყოფა სამმეოცესა შინა. ხოლო უკანასკნელსა შინა, ესე იგი, ასობასა შინა, რომელ იქმნეს უვნებელ სადა ჰსცნეს სიყუარულისათჳს ღმრთისა შორის მოსულაჲ, რომლითა მიემთხჳვნეს კეთილსა, რომელ (იოანე 4, 16) «სიყუარულმან რომელ არს ღმერთი», ჰრომ. 3, 10) «მოყუასსა თჳსსა ბოროტი არა უყჳს». ესრეთ უკუე აღასრულეს ჰსჯული, რომელ დაიცვეს მათ, (იოანე 13, 34) მცნებაჲ ახალი, ესე იგი, სიყუარული მოყუასთა, რომლითა შეუძლებელ იყო, მათდა არა განათლებად გონებაჲ, რომელ სადა იგი შევიდეს ღმერთი სიყუარული, რომელ-არს მამა ძით და სულით წმიდითურთ შეუძლებელ-არს, რათა მზემან ღმერთმან შარავანდედის თჳსისა მიერ, სიტყჳსა სიბრძნისა და ნათლისა სულისა მიერ თჳსისა არა განანათლოსმცა იგი, იმით ისწავეს კეთილ გონიერებაჲ უმწუერვალესი და მით განაგეს სიბრძნეჲ მოგებული.

არა რაჲმე იყო მათდა საკმარ, რომელიცა იკმარების, სოფლის მოყუარეთა, რომელ ნივთნი: ესე ვითარნი, ვითარცა სკორენი მყრალნი უხრწნელებათა ხუნნელებათა შინა, მყოფთა სულთა ყოვლითურთ განეთხივნნეს. არა რაჲმე უხმობაჲ მათ შორის რომელთაცა აქუნდებარებენ ღმრთის-სახეთა გონებათა, მათთა მოყუარენი ზმოებისანი, გარნა პირთა შინა მათთა, დიდების მეტყუელებაჲ, ღმრთისად მადლობითა ვითარცა აგებულთაგან გულის მკმელთა აგებისათჳს თჳსისა აღმგებელისა მიმართ აღგებულისა. მადლობანი სახიერებითა, ქუელის-მოქმედებითა მისთანი, ფსალმუნი ქებად და გალობანი დიდებად ნამდჳლ-საყუარელისა და საკრთოველოსადმი ცხოველ მოქმედისა, არსარებისად რომლისა ნათლითა განათლებული, (კორ. 10, 4) ყოველთა ძნელოვანთა გულის-სიტყუათა დაარღუევდეს და ყოველთა სიმაღლესა ამაღლებულსა მეცნიერებასა ზედა ღმრთისასა და წარმოსტყუენვიდეს ყოველთა ცნობასა მორჩილებად ქრისტესა. ვინაჲცა ესმოდა რა საღმრთოთაგან წერილთა და ჭ̃ტებისა მოძღუართა მოძღურებათაგან საწ̃რ-მეტყუელთა სამოციქულოთა და მამობრივთა ღმერთი, სმენითა მით გონებანი მათნი, (ღმრთის მეტყუელისა ქრისტეს შობისა თჳს) ერთითა ნათლითა ელუარებდიან და სამითა ერთითა არსებისათჳს, ხოლო სამითა ფჳთებათა თჳს. ერთი უკუე იცოდეს არსებაჲ, საჭიროჲ, რომელნ მოიგონნა ვითარცა უქცეველმან ღმერთ-მთავარმან გონებამან, უწინარეს უ̃ის დასაბამნი არსებანი ყოველნი და დროსა შინა ჰქმნნა ესენნი თითოეულნი გაგუარებულად ყოფასა შინა შესაძლებელისა. ხოლო აღიარებდეს ერთობასა ამას შინა ერთსავე მე უმიზეზოსა და ორითა მისგანთა მიზეზოვანთა, გარნა უზესთაეს ყოველსა დროჲსა და ნაწილთა მისთა მით, რომელ დროჲ არს ნამყოჲ, რომლისად აწმყოჲ მოკიდულ არს და დროსა აწ მყოსა საჭიროდ მოეკიდების დროჲ მყოფადი. ხოლო ნამყოჲ წარხდაჲ, აწ მყოჲ ჰგიეს და წარჰკდომად არს ესე შემოსვლითა მყოფადისათა მაგრა ყოფაჲ

იგი ღმრთისა, საჭირო არა იყო ნამყოსა დროსა შინა წარვლომილსა, რომელ ჰგიეს აწმყოსა შინა და ყოვლად არს უკ˜ი უკ˜ე ⁊ ესე არს თქმა იგი ღმრთისათჳს. (აპოკალიპ 14) «რომელი იყო რომელი-არს ⁊ რომელი მომავალ-არს». ორთა უკჱ მიზეზოვანთა შეიწყნარებდეს ერთისაგან მხოლოჲსა სხ-ჳქლ მიზეზისა, რომელ-არს მამა. სიტყჳსაებრ საღმრთოსა დიონისისა ვითარმედ (დიონის საღმრთო თავი 1); მხოლო ზესთა არსებისა ღმრთაებისა წყარო არს მამა, ერთისა ვიდრე მე მიზეზისაგან თჳსისა შობისა, ვითარცა იტყჳს საღმრთო და მახველი (დამასკ. წიგ. 4, ფურც. 308) შობა ღმრთისა ზედა ვიდრე მე მხოლოჲსა, მამისაგან თანა არსისა ძის გამობრწყინვჱბა არს, ხოლო მეორესა გამოსვლით, ვითარცა ვისწავეთ უფლისაგან. (იოანე 15, 26) სული ჭეშმარიტებისა, რომელი მამისაგან გამოვალს, ხოლო ერთსა შეიწყნარებდეს, ღმერთ-მთავარისა მის მხოლოჲსა არსებითთა მათ გუამთასა ვითარცა გუასწავებს უფალი. (იოანე 5, 21) ვითარცა იგი მამა აღადგინებს მკუდართა და აცხოვნებს, ეგრეთვე ძე რომელთა ჰნებავს აცხოვრებს და სული არს განმაცხოველებელ. შეიწყნარებდეს გარდამოყვარებითსა განგებულებასა ჴორციელისა ძისა და სიტყჳსა ღმრთისსა, რომელ (გალატ. 44) მოავლინა ღმერთმან ძეჲ თჳსი შობილი დედაკაცისაგან მსგავსად ჴორცთა მათ ცოდჳსათა ⁊ (ჰრომ. 8, 3) (იოანე 1, 14) «სიტყუა იგი ჴორციელ-იქმნა, დაემკჳდრა ჩუენ შორის» და ყოველი არსებაჲ ჩემი და ბუნებაჲცა რომლისაგან ვითარცა წყაროჲსაგან ჰსდიან მოქმედებანი მიიღო მხოლოდ შობილმან, რომელ მარტივი შეიორკეცა. «კირილესი) არა განყოფით ღმერთად განთჳსებულად და კაცად განთჳსებულად, არამედ იცნობა ერთაჲ ქ͞ე რომელ ქრისტე ცხებულისაებრო» სახელისა თჳსისა ორთავე არსებათა და ნიშნავს, რომელ ღმრთაება თჳსი ჰსცხო ბუნებასა კაცობრივსა, რომელიცა მიიღო და ერთი ორთა შინა იცნობა. ხოლო განუყრელითა მით მიახლებითა არსებისა ჩემისათა, არსებისა მიმართ თჳსისა, ჩემი იგი არა განლია და თჳსი იგი უქცეველსა შინა დაიცვა ყოფასა; ეგრეთვე ყოველნი ჴორციელნი განგებულებანი მხოლოდშობილისა სიტყჳსანი საცხოვრებელნი ჩუენნი; ესენი უკუე იყვნენ მათდა საუბარ და ეგრეთვე დაჰსჯანი თავთა თჳსთანი, რათა წარუდგინნენ ღმერთსა სულნი განწმედილნი ყოველთა ბრალთაგან. ჩუეულესა იყო მათა, ნაცვლად ფილოსოფოსა, (1 კორი 2, 1, 26) არა მეტნობისა სიტყჳსა სიბრძნისათა, რომელიცა «სიბრძნე იგი ესე გუარი, განაცოფა ღმერთმან, არამედ წურთითა სიკუდილისათა დადებითა გულსა შინა უწყებად სხუათად იყო ქრისტე ჯუარცმულისათა». ხოლო ექუემდებარნეს (2, 6) სიბრძნესა, რომელიცა თქმულ-არს სრულთა მიმართ. «რომელი არა არს სიბრძნე ამის სოფლისა, არცა მთავართა მათ ამის სოფლისათა, რომელნი განქარვებად არიან, არამედ სიბრძნე იგი ღმრთისა საიდუმლოდ დაფარული, რომელიცა პირველადვე განაჩინა ღმერთმან, უწინარეს საუკუნეთა სადიდებელად ჩუენდა, რომელი იგი არავინ მთავართაგანმან, ამის სოფლისამან იცნა, რომელ უკეთუმცა ეცნა, არამცა უფალი იგი დიდებისა ჯუარს-ეცუა. ჩუეულება ყოვლად მათი გლოვა (იოანე სინელი აღსავალი 2) მჭუნვარება იგი სულისა ღმობასა შინა გულისა, მოწლეობისასა მარადის საწყურველისა ზედ დადგრომითა მეძიებელი და ამისითა მიუმთხუევლობითა მტკივნეულად მდევნელი და უკანა კერძო ამისა მდევნელი სალმობიერად მქონებელი, რომელ იწერტებოდიან გულნი მათი ნაცვლად დეზითა მით ოქროჲსათა და ესრეთ სული იგი უკუე აქუნდათ ყოვლისამი ქუემეყურისა შეჰმსჭუალვისა და სიყუარულისაგან განშიშულებული. ხოლო ზედ-განხილვისა (ეგჳპტით და მღტოლუარე უხილავის საგან) მიერ გულისა ქუემე წმიდიესა მწუხარებისა შთანერგული. ერი ესე გამოსრული ეგჳპტით და მღტოლუარე უხილავისაგან ფარაოჲსა, შედგომილ იყო თჳთეული მათი, ანუ ზოგად ყოვლისა შეკრებულებისა ნაწილი, დალათუ თჳთოეული მათი, მაგრა მრავალთა ზოგად შეკრებულებაჲ. ნამ-

დჳლ მოსეს ვისმე მიმართ სულიერისა წინა-მძღუარისა, რათა შეუძლებელობისა მისითა ღუთისა მიმართ წარჭმართნესმცა სულანი ეგჳპტით გამოსვლისანი და რათა მოსემან ესე გუარმან, შორის ჴელჳსა და საქმისა მდგომარემან, (გამოს. 13, 11) განიშჳრნესმცა კელნი, ღუთისა მიმართ და მისდა შედგომილი ჭრჩეული ღუთისა ისრაილიტი ახალი, ცოდჳსა ზღუასა შინა და ულტობელად ფერხისა განიყუანოს და უხილავი დაჭსცეს ამალეკი. (შესაქ. 19, 17) ერი ესე გამოსრული სოდომით, წინა-ძღუანვილი, ანგელოსთაგან ჭეშმარიტად, გარეს ცეცხლითა და წუმწუმითა რისხჳსა ღუთისათა აღშობასა. ამათ უკუჱ ვინათგან შეიყუარეს, ღმერთათ ვინა ყოვლითურთ უზრუნველ სოფლისათა და სოფლისა მიმართ იქმნნეს, რომელ ანუ ჭეშმარიტისა მის გულვებადისა სამეფოჲსა მეძიებლობით, ანუ დამჭსჯელობით, თავთა თჳსთათა მოტევებისათჳს ბრალთასა, ანუ ჭეშმარიტებით ჭკსენებისა სასჯელისა და მსჭჯავრისა საუკუნოჲსათა მომგებლობით და ანუ ჭეშმარიტებით შიშისა, განსვლისა თჳსისა მიღებით განიყუანნეს თავნი თჳსნი სოფლისაგან, ამისთჳს ყოვლისაგან სოფლიოჲსა განშიშვლებულნი, არა რაჲმესა ზრუნვიდეს სოფლისასა და სოფლისათჳს. უცხო იყუნეს მათგანნი, რომელნიმე სხეულითაცა და თანად ყოველნი ნებისაგან თჳსისა და ესრეთ აქუნდათ ზოგად ჩუჱულებაჲ უკადნიეროჲ და სიბრძნეჲ უცნაური, გულის-ხმის-ყოფაჲ განუცდელი სიმრავლე საღმრთოსაჲ ტრფიალებისა და ამპარტავანებისა უარის ყოფაჲ და ესრეთ მომგებელნი სხეულით და ნებით უცხოვებისანი, მივიდეს წმიდისა მიმართ და სრულისა მორჩილებისა და მოიგნეს ორნი ვ̃ე მე ფრთენი ესე ოქროჲსანი უცხოებაჲ ნებისაგან და მორჩილებაჲ საღმრთოჲ, რომლითაცა ცისა მიმართ წმიდისა, ქრისტესთჳს ვნებისა აღფრინდეს და ესრეთ ზიარებულსა თჳსსა ეზიარნეს. უარ ჭყუჱს სულნი თჳსნი, რომელ მოკლდომითა სხეულისათა და ნებისაგან უცხოებითა ზედ ჩუჱნებულ-იქმნა ამათგან უარ ყოფაჲ სულისა, რომლითა მორჩილებისა ჩეტარისა და სრულსა სიმაღლესა აღვიდეს და ამით სარკესა შინა უბუჱილოსა ყოფა ქცევისასა თჳსისა, სიმდაბლე იგი, მაღალი გამოხატეს და ზევებული ყოვლისაგან კორციელებრისა ამაღლებასა, ანუ სიმდიდრისა და ყოვლითურთ გლახაკ სულითა, იქმნნეს და სახატრელ, რომელთადცა აქუნდათ. (ლუკა 6, 20) «ნეტარ ხართ გლახაკი სულითა, რომელ თქუჱნი არს სასუფეველი ცათა». იყო მარადისა მათ შორის უკმოწოდებაჲ ნათლისა-ღებისა აღთქმაჲ ღუთისა მიმართ მეორისა ცხოვრებისა, რომლითა დამდაბლება სრული მოიყიდეს, ხოლო შობაჲ თჳს შორის სულისა წმიდისა სასოებისა მოიგეს და ესე ვითარისა შობისა მოიგეს და ესე ვითარისა შობისა კეიტონ იქმნნეს; თჳთ და ჭსჯული უკუჱ აქუნდათ გულის-სიტყუაჲ გარნა ყოველთა უსასოებასა-გარე განსთხევდეს. მოიგეს სული მქონებელი კადნიერებისა ღუთისა მიმართ და მისდამი მქონებელი სასოებისა და ბრალთაგან უვნებელობისათა მარადის ცხოველი და ბეჭდითა წმიდისა უბიწოსათა დაბეჭდილი მარადის მგლოვარენი, მარადის ნათელს-იღებდიან და მოტევებასა ცოდუათასა მიიღებდიან, რომელთა დაჭნატრის სიტყუა ჭეშმარიტი (მატთ. 5, 4) «ნეტარ იყუნენ მგლოვარენი გულითა, რომელ იგინი ნუგეშინის-ცემულ-იქმნენ», რომელ დაღრმობითა მით ღმობისათა მგლოვარენი მართლ და წმიდა უფლისა იქმნენ. განამრავლნეს ცრემლნი და გლოვაჲ და დაჭშრიტეს საკმილი გულის-წყრომისა და ნაღველ-ფიცხელობისა, რომლითა მოიგეს სიმშჳდეჲ, აღუძვრელი მდგმოებაჲ, იგი სულისა ქებათა შინა და გიობათა იგივედ მქონებელი და ორგზის ნეტარ-იქმნნეს, ვითარმედ დამკჳდრებითა ქუჱყანისათა, ხოლო მეორედ, (6, 9) ძეობილ-ყოფითა ღუთისათა, ხოლო ყოვლითურთ მოკლდომითა გულის-წყრომისა და ნაღველ-ფიცხელობისათა, ძვირის-ჭკსენებისაგან და ძვირის ზრახვისა წმიდა იქმნნეს და გარდარეულმან უკუჱ გლოვამან ჭშუა სულთა შინა მათთა ნეტართა-ლუმილი, ესენი მარად მხიარულნი

სულისა ყოვლად წმიდისა მიერითა (იოანე 16, 7) ნუგეშინის-ცემითა მგალობელნი. (ისაია 61, 10) «იხარებს სული ჩემი უფლისა მიმართ, რომელმან შემმოსა მე სამოსელი, მაცხოვარებითა და კუართი მხიარულებითა» ესე იგი რომელ ლოცვითა და კსენებითა სიკუდილისათა ძაძაჲ დაჭკსნილებისა განხეთქნეს და შეიმოსეს სასოებაჲ უფლისა მიმართ და მისდა იხარებდიან ნეტარნი სულნი მათნი და არა ჰსცეს ადგილი თჳს შორის ვნებასა სულისა გასრულებასა და გონებისა დაჰხსნისა. მოიყუანეს დედოფალი მკევლად და სიგლახაკითა საზრდელთათა მოყუარეთაგან ნოვაგთასა საწყალობელ-ჰყუეს, მოაყმეს მჭირსედ და ყიაჲ განაკმეს წურვილითა და მისთა ვ̃ე მე მოქმედთა (მატთ. 5, 10) სიმართლისათჳს მიიღეს სანატრელ-ყოფაჲ.

წმიდა-ჰყუნეს სხეულნი, მოგებითა ანგელოსებრისა საწმიდისათა დაჰშრიტეს ალი მძაფრი ტრფიალებითა ნამდჳლ არსთა საწყურისათა. დაჰსდუეს თავისა თჳსისად ჰსჯული მრთელ-ცნობობისა, რომელ ძილთაცა შინა არა გარდახდეს, თუ სიქუა ნეტარნი სულნი მათნი მრთელ-ცნობისა ჰსჯულსა, შეგინებად თჳსა კმევითა კორცთა მოქმედებათათა. ძირი ყოველთა ვნებათა ზედ წოდებული მოციქულისაგან. (კორ. 3, 5) კერპთმსახურებად შედგომითა ქრისტესითა გონებისაგან განფხურეს თჳსისა. ხოლო ნაყოფი არა წმიდებისა და ანგარებისა ვნებისა უგრძნობელობა სნებათა სულისათა. (რომელ არს ვნებაჲ გულმძიმობითი, ანუ გულფიცხელობაჲ და ანუ ულმობელობაჲ) სადაღამცა იპოვა მათ შორის, მით რომელ სულნი სიწმიდითა ანგელოსებრითა ფრთოოვანნი და უნივთებითა განათლებულნი, ზესთა ქმნილან ყოვლისაგან ესე გუარისა უგრძნობელობისა. ზოგად ცხოვრებულობდეს ნეტარნი ესე და ზოგად ფსალმუნთა და გალობითა და აკოლოთიათა ეკკლესიაობდეს. უცხო-ჰყუეს ძილი თჳსაგან კნინღა თჳნიერ იგი რომლითაცა ბუნებითადრე მტკიცებდეს გონებაჲ განუკრთომელად. ხოლო ცუდ-დიდებობაჲ და ზესთ-მჩენეობაჲ ვერ მიეახლა მათ, რამეთუ ნებსით ყოვლისაგან ნებისა თჳსისა იჯმნეს და უფალ ნივთთა ზედა რაჲვეთა ყოფისაგან და მორჩილებისა შოლტითა ჰგუემდიან ნიადაგ და თავთა თჳსთა ყოველთა უცოდჳლეს და უკმარ ყოვლისავე მიმართ საგონის-ყოფისა გულის მსიტყუელობითა შეჰსწირეს (ფსალ. 50, 17) მსხუერპლი ღუთისად, შემუსვრილნი სულნი და გულნი, რომლისათჳს მაღალმან საკურთხეველსა თჳსსა ზეციერსა შეიწირა სუნად სულნელად. ესე გუარ მორთულებამან სულთა მათთამან სიმშჳდე და სიმარტივეჲ უმანკოებაჲ და უბოროტობაჲ მოიგო საჭიროდ, რამეთუ ისმინეს მეტყუელისა (მატთ. 11, 29) «ისწავეთო ჩემგან, რამეთუ მშვიდ-ვარ და მდაბალ გულითა», ვინაცა ერჩდეს და ისწავებს მისგან სიმშჳდეჲ მშჳდისაგან, რომელსა საღმრთო ზაქარია, (ზაქარია 9, 9) «ახარებს სიმშჳდესა მისსა ასულსა სიონისასა». ესრეთ სიმშჳდისა მოგებასა საჭიროდ შეუდგა მოგება სიმდაბლისა, რამეთუ მოძღუარსა მას სიმდაბლისასა, რომელიცა სიმშჳდით (ისაია 53, 8) ვითარცა ცხოვართ კუალად მიიგუარა და ვითარცა ტარიგი წ̃ე მრისხველისა თჳსისა უკმო, სიმდაბლესა შინა თჳსსა აღელო მჭსჯავრი თჳსი. ამათ უკუე შემუსრეს და წულილეს სული საჩინოჲსა მიერ სინანულისა და ესთა შეაერთეს ვისმე, რომლისა მოქმედთასა, იტყჳს დიდი ვინმე გამოცდილი ამით, (იოანე სინელი აღსა. 25) თანა შეთბებულად ღუთისად წყლისა მიერ უტყუელისა სინანულისა.

ესრეთ ძალითი ძალად მისრულნი ღუთისა მიმართ განსჯჯითაცა მიმადლებულ-იქმნნეს, რომელ არს ჰსჯაჲ გულის სიტყუათა რა აღსავალსა ამისსა აღჳდეს, მოიგეს ჭეშმარიტი ზედ-ცნობაჲ ამათი. ხოლო საშუალსარა განრჩევაჲ გონიერისა მიერ მცნობელობისა კეთილისა უცოდუელად ბუნებითისაგან და წინა-აღმდგომისა. ხოლო უკანასკნელისა უვნებელ რა იქმნნეს საღმრთოსა მიემთხჳვნენ გამობრწყინუებასა, რომლითა მიიმადლეს შინაგან-ყოფაჲ ცნობაჲ და ამით ნათელ-

ქმნილნი სხჳსათაცა განათლებად შემძლებელ-იქმნნეს. ამათ ვ̃ე მე სიმდიდრეთა მომგენი, არა დააკლდეს მეუდროებისაგანცა, რომელ დაუდგნეს თჳს შორის და დაწყნარნეს ჩ̃ჱულებათა და გრძნობათა წესნი, ხოლო გულის-ხმა-ჰყ̃ჱს გულის სიტყ̃ჳანი და არღარა წარიტყ̃ჱნა გონებაჲ მათი. მლოცჳ̃ჱლნი წარჰსდგეს უფლისად უცხო-ქმნილნი ნივთიერებისაგან ზრახჳ̃ად, ვითარცა მეფისად და მეგობარისად თჳსისა მეძიებელნი, მარად კადნიერებისა და უნივთოჲსა სულიერისა სიმდიდრისა და დიდებისა უმეტესისა და რათა წინა-მოსაჯული მიჰსცილდესმცა მათი და რათა ღირსებაჲ რაჲმე მოიღონ, რათა მიიტეონმცა თანა-ნადები და რათა საპყრობილისაგან განათავისუფლდენმცა სულიერისა.

ამათ უკ̃ჱ მომგებელთა უკრწნელებისა კორცისათა, ხოლო გონებისა აღმამაღლებელთა მოგებისაგან და საგრძნობელთა ყოველთა და ქ̃ჱშეურთა ყოველთა და მთრგუნველთა და პირისადმი უფლისა სულთა თჳსთა წარმადგინებელთა, ზესთა თჳსისა ძალისა მის მიმართ სამარადისოდ განმმარტებელთა მოიგეს უვნებლობაჲ.

ხოლო უვნებელთა და არსებისა კაცობრივისა ზე აღცილებულთა და ღ̃თისადმი შეერთებულთა შეიწყნარეს (იოანე 4, 16) სიყ̃ვარული, თჳს შორის, რომელ-არს ღმერთი განმართლებულთა სარწმუნოებითა მართლითა, მამისა ღ̃თისა მიმართ და უფლისა ჩ̃ჱნისა იესო ქრისტესა სიღრმესა შინა სიჩჩოებითგან მოსვლით თჳსით და მარადის მოხარულთა სულთა სასოებდეს ღ̃თისა მიმართ სამგ̃ჳამოვანისა.

ამათ უკუე მოიგეს ესე ვითარი სიყ̃ვარული, რომელ არს (იოანე სინელისა აღსავალ 30) მოქმედებისაებრ ვ̃ე მე მიჰმსგავსება ღ̃თისა, რაოდენ კაცთა და შესაძლებელ, ხოლო საქმიერებისაებრ სიმთ̃ჳრალეჲ სულისა და თჳსებისაებრ წყარო სარწმუნოებისა უფსკრულ სულგრძელებისა, ზღ̃ჳა სიმდაბლისა. ამათ მოყ̃ვარეთა ღ̃თისათა, გონებისა უსაშ̃ჳალოდ, მისდა შემსჭ̃ჳალვითა, თჳთ კორცნი, თჳსნი შეურაცხ-ჰყ̃ჱნეს, ვითარცა უცხოთა და სიყ̃ვარულითა მით ჰპოვეს ცხოვრებაჲ გონებისა, რომელ არს განათლებაჲ მეცნიერებისა. ხოლო ტრფიალებითა სიყ̃ვარულისათა, ღ̃თისა მიმართ განყ̃ჳანნეს გონებანი, არცაღა თავისა თჳსისა და არცაღა არსთაგანისა რაჲსამე მგრძნობელთა, ამისთჳს ვითარმედ საღმრთოჲთა ნათლითა განუზომელითა განბრწყინ̃ჱბულნი უგრძნობელობდეს ყოველთა მიმართ შექმნულთა, რამეთუ აღმობრწყინვებითა მათდამი მზისა ღ̃თისათა, არსნი შექმნილნი ღ̃თისა მიერ და მის მიერ ნათლითა თჳსისა ერთობისა და კეთილობისა თჳსებისა არსებისა საჭირო ყოფითა და ხატულნი, ვითარ იგი მზისა მიერ ვარსკ̃ჳლავნი განათლებულნი არღა ჰსჩნდეს სახედავსა შინა გონებისა მათისასა. ესე გ̃ჳარმან განწმედამან წმიდანი ესე ღ̃თისა რა შეაერთნა, ჰშ̃ჱნოდა გჳრგჳნსა ესოდენისა სიმართლისასა, რომელი განიმზადა მათთჳს ღ̃თისა მიერ პორფირიცა სისხლისა ქრისტეს ზიარისა და ზედა დართ̃ჳაჲ ქრისტეს ზიარებისათჳს ვნებისა, გჳრგჳნისა. ვინაცა ბრძმედი ვნებისა მარტჳრობითისა ღ̃თისა მიერ, რათა მანთნი ესე ოქროსანი გამოცდილნი ღირსნი დადებად უკ̃ჳდავისა საუნჯესა მისსა ბრძმედსა შინა ვნებისასა გამოკურვებითა ყოვლად განწმედილ-იქმნნეს და მმარხველობითა სრულ ქმნილნი წმიდითა მით მემხოლოებითა აღჳდეს უსრულესობად, ესე იგი სისხლითაცა მიცემად ქრისტესთჳს.

ვჰსთქვათ უკ̃ჱ მცირედ ვინაობაჲ შესმენილი ქ̃ჱ-მდებარეთა მათ არსებათა ზედა წმიდათა. ესენი უკ̃ჱ უყ̃ჳნეს მკჳდრნი ზოგად ცხოვრებულთა მათ მონასტერთა გარეჰსჯისათა, სხ̃ჳა და სხ̃ჳათაგან, საქართ̃ჳელოსათა კერძოთა მოსრულნი და სხ̃ჳა და სხ̃ჳათა მონასტერთა შინა ზოგად ცხოვრებულნი. ვიცით ყოველთა მხილველთა სამხოლოოსა ღირსისა დავითისათა, ვითარმედ

წუერსა ზედა მის მთისასა, არს ვ̃ე მ̃ე დღეინდელად დღედმდე ეკკლესიაჲ სახელით ცხოველს-მყოფელისა კორციელისა აღდგომისა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესისა შესმენილი, რომლისა ქუეშე იყო იმიერ მონასტერი ყოვლად-სახელოვანი და პატივთა პირუელ მდგომარე, ყოველთა მონასტერთა შორის გარესჯისათა. ჩუეულებაჲ იყო ზოგად ცხოვრებულთა, ყოველთა მონასტერთა შინა გარესჯისათა, ვითარმედ აღასრულიან რა ორმეოცი დღენი წმიდისა მარხვისანი, შესაბამ თჳსისა ქრისტეს მოყუარებისა ყოველთა მათ მამათა და ძმათა ყოვლისა გარესჯისა მონასტრისჲთა და ყოვლად ვნებანი საღმრთონი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი, შესაბამ თჳსისა კეთილმსახურებისა იკკლესიან და წმიდასა დიდსა შაბათსა, მწუხრ ჰხსენებულსა მას აღდგომისა ეკკლესიასა შინა შეკრბიან და ღამე იგი ყოველი, ვითარ იგი განწესებულ არს მამათაგან, ეგე ვითარითა ღამისთევითა განათევიან. ხოლო აღასრულიან რა ლოცუაჲ ცისკრისა იმღუდელ-მოქმედიან მღუდელთა განწმედილთა საღმრთოჲ ლიტურღიაჲ და ყოველი იგი კრებული მამათა ცხოველს-მყოფელსა საიდუმლოსა ეზიარნიან და ესრეთ მმადლობელნი ღუთისანი თჳს თჳსთა მონასტერთა წარვიდიან.

ხოლო ვინაჲთგან ცოდუათა ჩუენთა თჳს განაგრძელა ღმერთმან დადებად ჩუენ ზედა საკჳვი სპარსთა მონებისა, ამით ტაფაჭალათა მათ შინა ყარაისათა აქუსთ ჩუეულებაჲ მკჳდრობისა სპარსთა, რომლიცა ზამთარ კიდესა ზედა მდინარისა მტკურისასა დავანებად ჩუეულ-არიან. ესენი უკუე მოძღურებისაებრ უღმრთოჲსა წინა-მძღურისა თჳსისა, ვიდრე მკულელობადმდე მოძულენი ჩუენნი შურითა მკულელებრითა შეპყრულნი ვერ თავს იდებდიან, სიმრავლესა მას მონასტერთასა და მათ შინა სახელითა ქრისტესითა შეკრებულებასა ძმათა მრავალთასა და ღონესა აღსპობისა მათისასა ეძებდეს. ვინაჲცა მოიგონა ეშმაკმან მკულელობისა მამან და მოძღუარმან წინა-მძღუარისა მათისასამან, რათა შეკრბენ მხედარ ლაშქარნი არა მცირე და ყოველთა მონასტერთაგან დღესასწაულსა მას დიდსა დღესასწაულობად შეკრებულნი იგი მონაზონნი უგრძნულ ზედა დასხმითა, განურინებლად მოესწყჳდნენ და ესე თჳსისა მტერობისა, რომელი აქუნდათ მონასტერთაჲმი მოიპოვეს უმარჯუესსა ღონეჲ უღმრთოებითა. იცოდეს უკუე ბარბაროსთა მათ ჩუეულობანი წმიდათა მონასტერთანი და დღესასწაულნიცა ჩუენნი, რომელნიცა მდინარით მტკურით თევზთა მონასტერთა მიმართ წარიღებდიან და მონასტრისანი ნუგეშინის-ცემად ძმათა მოიყიდიან და რომელთამე საკმართა მონასტრისაგანნი ვეცხლის-მიცემითა საკმარად მონასტრისა ბარბაროსთა მათგან მოიმარჯუებდიან. მცნობელნი მსოფლიოჲსა მის დღესასწაულისანი ბარბაროსნი შეკრბენ იდუმალ განზრახვისაებრ თქმულისა ლაშქარი არა მცირე და მარჯუესა ადგილსა დაიმალნეს. ხოლო ჩუეულებისაებრ წმიდათა მათგან სავანთა შეკრბენ თქმულსა მას ეკკლესიასა, ქრისტეს აღდგომისასა, წმიდანი იგი სიტყჳერნი (ისაია, 34, 15) ირემნი და ერთმანერთისა პირებისა მხილუელნი, არცა ერთი წარწყმდა მათგანი, რომელ ეკკლესიეს რა, ჟამს მას ჩუეულებისაებრ დღესასწაული იგი დიდი, დამწყებელთა ლოცვისა ცისკრისათა იწყეს ლიტანიობად გარემო ეკკლესიისა სიმრავლემან წმიდათა მამათამან და კელთა შინა მათთა სანთელნი აღნთებულნი, და იხილეს შორის მდგომარეთა, დამალულთა მათ ბარბაროსთა სანთელთა მიერ კრებული იგი საღმრთოჲ წარვიდეს მათ ზედა. ესრეთ ზედა დამსხმელთა ბარბაროსთა ეკკლესიაჲ გარეშეიცვეს და წმიდაჲ იგი კრებული უწყებულ-ჰყუეს ვითარმედ, ანუ დაუტევეთ ქ̃ეჲ, რომელსა აღიარებთ და მოსულნი ჰსჯულისა-დებისა მომართ მოციქულისა ჩუენისა დაემკჳდრენით ჩუენთანა და ზავი ძმობითი ერთობაჲ და იგივეობაჲ ცხოვრებისა გუაქუნდის ჩუენთანა და უკეთუ არა ისმინოთ ჩუენი, აჰა მახჳლნი აღმოკდილნი კელთა შინა ჩუენთა, რომლითა აღისპნეთ, თჳნიერ ერთისაცა თქუენგანისა განრომითა ცოცხალ-ადრე. მაშინ

მამამან დიდისა მის პ~ლის მონასტრისამან და სხუათა მამათა მიუგეს ბარბაროსთად ვითარ იგი, (დანიილ 3, 16) წმიდათა მათ სამრიცხუედთა მიმართ ნაბუქოდონოსორს, ვითარმედ «ჩუენ ჰსჯულის-დებათა ცრუისა მის მოციქულისა თქუენისათა, არა შევიწყნარებთ და არცა დაუტევებთ მეუფესა ჩუენსა და უფალსა ქრისტესა, რომლისა სახელისათჳს განსრულნი სოფლისაგან, უდაბნოთა ამათ ადგილთა შინა დავეშკჳდრენით, ჩუენთა მახჳლი და სიკუდილი არა რა, ამისთჳს ვითარმედ ესენი კორცთა ზედა ცხოველთა შეხებად ძნელ არიან და ჩუენ მიერით ოდეს იგი ჯუარისა ამღებელნი განვედით, ქრისტე ჩუენისათან ჯუარცმად სოფლისაგან მომკუდარ არიან ნებსით ჩუენით კორცნი ჩუენნი, ჩუენდა დიდ სიხარულ სიკუდილი, რომელ (მარკო. 14, 38) დაჰსცხრენ დაკსნილნი ესე, და უძლურნი კორცნი და გულს-მოდგინემან სულმან ჩუენმან მიიღოს განსუენებაჲ კელთა შინა მამისა ღუთისათა და ზიარებაჲ ქრისტეს ღუთისა ჩუენისა თანა. გარნა გევედრებით ყოველნი ესე ჰოი! ბარბაროსნო დაღათუ გსურსთ, ფრიად სიკუდილი ჩუენი და სიმდიდრენი მონასტერთა ჩუენთანი წარღებად, მაგრა უწყოდეთ ესე არა არს ჩუენ შორის კაცი, არცა ერთი მორტყმული საჭურველითა და განმკნობილი ბრძოლად, რათა წინა აღგიდგეს თქუენ. ჩუენ შეკრებულნი ესე დღესასწაულსა ამას პასექისასა დღესასწაულობად და ჭამად პასექისა უკუდავისა ყოველნი მოვირტყამთ წელთა სულთა ჩუენთა გულს მოდგინებასა და კელთა შინა აღჳდებთ კუერთხსა სარწმუნოებისასა ქრისტეს მიმართ, რომლითაცა გუმოსიეს (ეფეს. 1, 16) ფერკთა განმზადებულებაჲ სახარებისა მის მშჳდობისა. გვაცადეთ მოწლეობითა მით კაცობრივითა, რათა ვჰსჭამოთ უკუდავი ესე და უხრწნელი პასექი, რომელ-არს კორცი ჩუენთჳს ჯუარსა ზედა ნებსით დაკლულისა (პეტრე 1, 19) ტარიგისა უბიწოჲსა და უმანკოჲსა ქრისტესი და ესრეთ ნებსით ჩუენით მოგცნეთ თავნი ჩუენნი კელთა თქუენთა და მისთანა შევჰსწირეთ ჩუენთჳს მამისად შეწირულისა. იპყრენით უკუე კარნი ამის ეკკლესიისანი ძლიერად, რათა არავინ ჩუენგანი განვიდეს არა ვინ შემწედ ჩუენდა, რათა მათ ძალით გაქუნდესმცა სასოებაჲ კელთაგან თქუენთა განრომისა, ყოველნივე ვართ ნებასა შინა თქუენსა მოცემულ ნებსით, რომელ შ~დ დასრულებისა საღმრთოჲსა ლიტურღიისა, რაჲცა გნებავსთ ჰყავთ».

მჰსმენელთა სიტყუათა ამათ ბარბაროსთა იზრახვეს თჳსგან, ვითარმედ ესენი არა სადათ მექონ არიან შემწედ თჳსა წინა აღმდგომთა ჩუენთა და არცა თჳთ შემძლებელ-არიან წინა-აღმდგომად ჩუენდა. ცალიერ კაცთაგან ყოველნი მონასტერნი მათნი და თუ ვინმე მათ შინა, ვერ შემძლებელ წინა აღმდგომად ჩუენდა ამისთჳს ყოველნი სამკაულნი და სიმდიდრენი ყოველთა ამათ მონასტერთანი აწვე კელთა შინა ჩუენთა, ვაცადოთ ერთ-ყამ თხოვისაებრ მათისა და მერმედა ვჰყოთ რაჲცა გუნებავს ნებისაებრ ჩუენისა. ღმერთსა უკუე (ტიმოთ. 2, 4) რომელსა ყოველთა კაცთა ცხოვრებად და მეცნიერებად ჭეშმარიტებისა მოსულაჲ, რომელმანცა წინასწარ განმხადნა ესენი მოწამედ ჭეშმარიტებისა და ზიარად ქრისტე თჳსისა პატივჰსცა მაშინ სახელისათჳს ძისა თჳსისა, ყოვლად წმიდასა ვნებასა მათსა და ყოვლად-უწყალონი იგი მტერნი მოიყუანნა წყალობად, რომელ არა მიუშუნა იგინი წმიდათა, თჳსთა ზედა ვიდრემდის არა ჰსჭამონ ცხოველ-მყოფელი იგი პასექი. ესრეთ უკუე ბარბაროსთა მათ აცადეს წმიდათა თხოვისაებრ მათისა. ხოლო შემწირუელნი ღუთისა მიმართ მამისა, წ~ნა იგი ყოვლად წმიდისა ევხარისტიისნი და მისთანა შემწირუელნი თავთა თჳსთანი ეზიარნეს ყოველნი იგი ძმანი მღუდელნი და დიაკონნი და სხუანი მონაზონნი, ყოვლად-წმიდასა და უხრწნელსა კორცსა და სისხლსა ქრისტეს ღუთისასა და განემზადნეს ზიარებად ყოვლად წმიდათა ვნებათა მისთა მისდამი მხიარულნი და შუენებულნი სულითა.

ოდეს სრულ-იქმნა წმიდათაგან მსხჳერპლი ყოვლად-წმიდაჲ, წმიდასა და პატიოსანსა ტრა-
პეზსა ზედა, არა განიმზადა იგივე წმიდათა საკურთხეველი შესაწირავად დაღათუ ქმნილთა, განაღა
სიტყჳერთავე მსხჳერპლთა. შევიდეს უღმრთონი იგი მტარვალნი, არა წმიდისა ცრუმოციქულისა
მათისანი, რომელ მის უსჯულოჲსა წინამძღჳრისა მათისა არს კმა ესე მოწაფეთა მათ მისთა
მიმართ და შედგომილთა; კოცდეთო უწყალოდ ქრისტეანეთა, ვითარცა მსახურთა კაცისათა. ვინაჲცა
სიტყჳთა ამით მოსრულნი იგი მტარჳალნი ბარბაროსნი უღმრთონი გამოიყჳანდეს ეკკლესიით,
ნამდჳლ ჭეშმარიტთა მათ ქრისტეანეთა მსახურთა ღმერთ(ათ)-მამაკაცისა სიტყჳსათა, მით რომელ
ყოველთა მორწმუნეთადაჲ, მოწყჳედა მახჳლითა ეკკლესიასა შინა შეუძლებელ იყო, არა დიდ
ყოფისათჳს ეკკლესიისა და სიმრავლისათჳს ვერ მთა წმიდათასა და მოსრჳდეს მახჳლითა მკჳეთუ-
ბელნი მახჳლთანი ძლიერად და უწყალოდ თავი ზედა და მკლავთა რომელნიცა დღესამდე ჰსჩანან
განცხადებულად, წმიდათა და პატიოსანთა ძჳალთა მათთა ზედა ნაკავნი იგი და ესრეთ რომელიცა
კერძოჲ სხეულისა წმიდათასა უმარჯჳეს დაეკჳეთის მკლავთა მათ უღმრთოთასა, ჰსციან მახჳლითა
უწყალოდ, ეგსახედ მრავალთა განგმერდიან და რომელთამე წარკჳეთიან თავნი. ხოლო მრავალნი
მათგანნი მოჰსწყჳდნეს შინაგან წმიდისა ეკკლესიისა, რომელნიმე წმიდათასა ეკკლესიისასა შინა
საკურთხეველსა და რომელნიმე დაჰკლნეს თჳთ წმიდასა ზედა ტრაპეზსა უწყალოდ, რომელ ესე
გჳარისა მკჳლელობისა მიმართ უფრორე აღლესვიდა უსჯულოთა მათ მამა იგი მკჳლელობისა და
მოძღჳარი წინა-მძღჳრისა მათისა.

აჰა დრო შეწყნარებისა, აჰა დღე ცხოვრებისა, რამეთუ (კორ. 6, 2) ღმერთმან დროსა შეწყნა-
რებისასა შეისმინა მათი და დღესა (ისაი 59, 8) ცხოვრებისასა შეეწია მათ. რომელ ოდეს იგი
რომელნიმე მათგანნი შესწირვიდეს ღმერთ-ტარიგსა მამისა მიმართ და თანად ყოველნივე ჰსჭამ-
დეს და დრო იგი იყო შეწყნარებისა მჭამელთასა, რომელ ჭეშმარიტად არს მეტყჳელი (იოანე 6,
56) «რომელი ჰსჭამდეს კორცსა ჩემსა და სმიდეს სისხლსა ჩემსა იგი ჩემთანა დადგრომილ-არს და
მე მისთანა». ხოლო დღე იყო ცხოვრებისა მათისა, რამეთუ ჴელნი უღმრთოთა მკჳლელთანი სულთა
მათ ნეტართა. ხრწნადთა მათ მტჳრთაგან განჰბერტყდეს დაწჳლილებულთა ქრისტესთჳს კრძალუ-
ლებითა და მარხჳთა და გუნდი იგი სულთა მათ წმიდათა მოკლულთა ღჳთისა ჩემისა იესოსთჳს,
ზიარებითა ვნებათა მისთათა ერთბამად წარდგებოდა წმიდა მისსა და ერთსა თანად მიიღებდა ჯილ-
დოსა ზიარებასა იესო ქრისტეს მიმართ და გჳრგჳნსა მოწამეთასა და ეგსახედ გჳრგჳნსა ჭეშმა-
რიტათ-მონაზონებრთა შრომათასა. ვინაჲცა დღესა მას ცხოვრებისასა შეეწია მათ ღმერთი რო-
მელ განმზადებასა ვნებისა მიმართ წმიდათამან და შესავალსა ღუაწლსა შინა ითხოვდეს რა, (იოანე
14, 13) სახელითა ძისა მამისა მიმართ წმიდანი იგი, რათა სრბაჲ ვნებისა მათისა წარემართოსმცა
დაუბრკოლებელ დროსა მას, (ფსალ. 33, 15) თუალნი ღჳთისანი იყუნეს მართალთა მათ ზედა და
მთხოველთა მიიღეს აღსრულებაჲ სათხოველისა, ვითარმედ არავინ წარწყმდა ერთიცა მათგანი და
ყოველნი ერთ-შეკრებულებით დაჰსხდეს წმიდა ცხოველთ შემოქმედისა სამებისა, შუამდგომელად
და მეოხად ყოვლისა სოფლისა. იყუნეს უკუე წმიდათა მათგანნი ძმანი ორნი, რომელთასა მომ-
ზრახობენ ძმოებასა კორციელ-ადრე და ჭაბუკ-ყოფასა, ესენი დროსა მას წმიდისა ვნებისა მოწა-
მეთასა, ოდეს უწყალოდ მოიკლვოდეს წმიდანი იგი ძმანი თუალთაგან უღმრთოთასა განერნენ
მცირედრე და წარვიდეს რეცა განრინებულნი სიკუდილისაგან. და ოდეს მოიცადეს კლვისაგან
ვერძთა მათ წმიდათასა და აღოკრებად მონასტერთა ლაშქარი იგი განიყო და განყოფილნი იგი
სხუათა მონასტერთა მიმართ წარვიდეს ოხრებად; ამათგანთა უკუე ბარბაროსთა იხილეს თქმულნი

იგი ძმანი წმიდანი, შორის ორთა მათ მონასტერთა, ესე იგი წინიტურისა და ნათლის-მცემელისა, მიეტევნეს ძლიერად და შეიპყრნეს წმიდანი იგი და უარის ქრისტეს ღ̂თისა აიძულებდეს, გარნა იგინი ეგნეს გონებითა უმტკიცეს ორთა მთათა ანდამანტისათა. ვინაჲცა უღმრთოთა მათგან, მახჳლითა მიიღეს სიკუდილი სანატრელი და შეერთებაჲ გუნდთა მათ წმიდათა ძმათა თჳსთა თანა და მიერითგან ღელესა მას შინა, სადა იგი მოსწყჳდეს მოწამენი ქრისტესნი, აქამომდე ორძილობენ ვარდნი ხერგნი მრავალნი, ფარულად სულნელნი ურწყულთა მათ ადგილთა და უყ̂ავილთა თჳსთა მიერ მშუ̂ენიერთა და სულნელთა და ჰნიშვნენ წმიდასა მას სიმეწამულესა და ღ̂თისა მიმართ სულნე-ლებასა წმიდათა და პატიოსანთა სისხლთა მათთასა; მაშინ უღმრთოთა მათ აღაოჴრნეს ყოველნი მონასტერნი, რამეთუ მომზრახობენ მათგან მოოჴრებულთა მათ ათთორმეტ მონასტრად, რო-მელნიცა გარესჯისა უდაბნოსა შინა და კიდეთა მცირისა ალაზნისათა შენნი იყუნეს. ოდეს აღაოჴ-რეს წმიდანი იგი მონასტერნი, ბარბაროსთა მათ და თჳსად წარვიდეს. მცირეთა მათ ძმათა რო-მელნიცა იყოფებოდეს დაყუდებით სამხოლოოსა შინა ღირსისა დავითისსა, სხეულნი წმიდათანი შეჰკრიბეს და სადაცა მიიღეს სიკუდილი ქრისტესთჳს წმიდასა მას ეკკლესიასა ქრისტეს აღდგო-მისასა დაჰსდუნეს. და შემდგომად აღმოხუნეს მყოფთა მონასტერთა შინა ღირსისა დავითისთა, პატიოსანნი იგი და წმიდანი ძუალნი და მახლობელ ეკკლესიისა ქრისტეს აღდგომისა აღაშენა სამარტჳრეჲ მათი ვგონებ ვითარმედ მეფემან კახთამან ალექსანდრე მესამემან და მუნ ჰქმნა იგი მებრ-საწნახელისა, რათა ჰნიშვნიდეს საწნახელსა შინა ვნებისასა და წნეხასა ტკბილთა მათ ნაყო-ფიერთა ტევანთასა და დაჰსხნეს მას შინა და ჰგიან ესრეთ აქამომდე. ხოლო ჰყოფენ ნაწილნი იგი წმიდათანი, სარწმუნოებით მთხოველთა მიმართ, სხუა და სხუა გუართა სნებათასა, რომელთაცა მღუდელნი და მეფენი პატივით თაყუანის-ჰსცემენ და შიშით და სიყუარულით ამბორს-უყოფენ. ხოლო შეკრებულებაო პატიოსანო, რომლისა კმა მიზეს შეერთებაჲ ქრისტესი და მჰსგავსება მისი ღებითა ჯუარისათა და მისთანა განსულითა და მისთანა ჯუარცმა-ყოფითა, თავთათ. ჵოი! გუნდო ყოვლად-საგალობელო, გალობითა ყოვლად სახარულევანითა, რომლისაგანსა თჳთოეულსა მოჰქო-ნან (გალატ. 6, 17) საწერტელნი უფლისა იესოსნი, რომლითა (ოკორ. 4, 11) ცხოვრებაცა იგი იესოსი მოკუდავთა ჴორცთა შინა თქუენთა ზედა განცხადებულ-ჰყავთ. ჵოი! არვეო სიტყჳერთა ვერძთაო, რომელთაგანი არცა ერთი განერა მახჳლისაგან ქრისტესთჳს მომკუდელისა, რამეთუ თქუენ შეიწყნარეთ (მატთ. 10, 34) მახჳლი იგი, რომლისა მიფენად მოვიდა ძე ღ̂თისა და განი-ყ̂ენით ძენი მამათაგან და ძმანი ძმათა; ჵოი! მწყობროდ შემოსილო, რომელი აღატყინა სულსა შინა თქუენსა ნეტარსა ცეცხლმან ღ̂თაებისამან. სანატრელ-არს წმიდა ჰაზრი თქუენი და განზრა-ხუაჲ ყოვლად უკეთილესი და განჰსჯაჲ ღ̂თისა სახე, რომელთაცა (ეკკლ. 1, 2) ამაოება ამაოთა ყოველივე ამაო დაუტევენით და ჴორცნი მოაკუდინენით და არსებასა ზესთა ექმნენით და ანგელოს ჴორცთა შინა იქმნენით, უდაბნონნი გარესჯისანი ჰქმნენით მთად სინად, სადათ იგი იხილეთ ღმერთი თჳნიერ ღ̂თისა ჴოველთაგან შეუხებელსა მას, მთასა შინა წმიდასა გონებასა თქუენსა წმიდასა წმიდათასა. (ისაია 35, 1) იხარებდ უდაბნონი წყურიელნი გარესჯისანი და იშვებდინ და ჰყუაოდინ ვითარცა შროშანნი და მთათა მრავალ-მთიისათა (იოელ. 3, 18) და მოაწთონ სიტკბოე-ბაჲ და ბორცუნი მისნი აღინებდენ სძესა და ნაღუარევნი მისნი ყოველნი აღინებდენ წყალთა მხია-რულებისათა მით რომელ უდაბნოთა მათ ურწყულთა, ყოვლად-წმიდათა მით ცრემლითა მამათათა მორწყულთა აღმოაცენნეს შროშანნი და ვარდნი შროშანნი ქალწულებისაებრ და ვარდნი ყოვლად წმიდისაებრ სისხლისა მათისა. აჰა (18) წყაროჲ სისხლისაგან უფლისა გამოვიდა მორწყუად ნაღვა-

რევთა ეკალთასა, რათა განხმელნი იგი ნაყივარევნი ცოდჳათა ძლითნი და ახალნი პატიჟნი ცოდჳისანი წყაროჲსაგან ყოვლად-წმიდისა სისხლისა მარტჳრთასა სახლისაგან უფლისა ეკლესიისაგან ქრისტესაღდგომისა გამოსრულისა ნაღჳარევთა ცოდჳისა ძლითთა მწყურნებოვან ჰყოვდეს და ცოდჳისა ძლითთა პატიჟთა ეკალთა აღმოჰფხვრიდეს (ამოს. 9, 13) მთათა გარეჯისჳისა და მრავალმთისათა და მოაწთონ სიტკბოებაჲ და ყოველნი ბორცჳნი ნერგოვან-იქმნენ, რამეთუ ბორცჳნი გარეჯისჳისა და მრავალმთისანი ნერგოვან-იქმნენ სიტყჳერთაგან და წმიდათა ნერგთა, რამეთუ სისხლმან წმიდათა მარტჳრთამან, სიტკბოებამან მან ქრისტესმან და მოკჳფთილმან ბორძჳთაგან გარეჯისჳისათა განაახლნა დროსა შინა თჳსსა სავსენი ზოგად-ცხოვრებულთანი და მორჩოვან ჰყჳნა ნერგთაგან წმიდათა.

სანატრელ წმიდანი იგი ძმანი თქუენნი, რომლითა დაფარულ იყჳნეს წმიდითა გრმალულებითა დაბეჟვდილნი. საქებელ ჩჳჳულებაჲ და ყოვლად-საწადელ სასურველ და სახარულევან შეზოგადებაჲ და მარტებაჲ თქუენი, რამეთუ პირჳელი ანგელოსებრი-არს ერთობითი მოქალაქობაჲ, ხოლო მხოლოებითა მხოლოჲსა ღჳთისა თანა სამარადისო-ყოფაჲ. ჩემდა ფარულად პატიოსან და ყოველთა მორწმუნეთა ქრისტესთა სიმარტჳრეჲ იგი ყოვლად-წმიდათა და პატივოსანითა ძჳალთა თქუენთა სადათ იგი ჰსდიან მდინარენი კურნებათანი, იოხდ კრებულნო ყოვლად-საკალობელო ღჳაწლისა დამდებელისადმი თქუენისა ანტონისთჳს გლახაკისა და საწყალობელისა რათა აღდგომასა მას ყოვლად-წმიდათა გჳამთა თქუენთასა, ზიარებითა წმიდათა ვნებათა თქუენთანა აღვჰსდგე თქუენთანა მიკებებად უფლისა (თესალ. 4, 17) აღვიტაცო ღრუბლითა ჰაერთა ზედა და ესრეთ მარადის უფლისა თანა ვიყოფოდეთ, რომლისა არს დიდება, პატივი და თაყუანის-ცემა საუკუნეთა უკუნისამდე ამინ [1]).

---

1) შიშველნი მჳალნი წმიდათა ამათ ღირსთა მოწამეთა, აქამომდე მიუხედველად ასვენიან მცირე ეგჳტერის ღილს გამოქვაბილს საწნახელსა შინა. განა თუ არა ჟერ არს მათი კეთილად დაცვა? არა თუ ესე წმიდანი, არამედ სრულიად საქართველოს სიწმიდენი სასირცხვილოთ ქართველთა, ამისთანა შეურაცხილობასა და უპატივოებასა შინა იყოფებიან, რომ იმათი მნახავი გულს სავსედ დავრჩი თაყუანისმცემი ამათთა წმიდათა ნაწილთა. და ესეც უნდა ვთქუა, ვითარმედ ერთი ქართველი არ მინახამს არა ოდეს თაყუანის მცემელი გარეჯისჳის სიწმიდეთა. ქართველნო! ღვნო და ლხინი და ცრუ ქმნაჲ, დანთქმა და რისხვა და აღმოფხვრაჲ.........

# თთჳსა ივნისსა კა დღესა, წამება წმიდისა და ნეტარისა მეფისა ჩუენისა ლუარსაბისა.[1])

---

ეკკლესიათა უცვილი მეფე ქართლის,
ლუარსაბ მთიებ, საჩინოდ აღმომზეობს,
ყვდ-წელ ტანჯული, გულაბს პერთობით მარტოებს.
მშჯლდის თჳთ ხმა წვით თჳსთა განაკერძოებს.
მძიმეს მძიმეთ ჭრთავს, სულსა აღა ღუთის-კარვებს.

თქმული ნიკოლაოს ცფილელის მიერ.

სტრატიოტებთა ზეცათა ელევთერებ.
მოთმინებითა მოწამე იყოფებოდენ.
ქჳნათა ზენა განსცვალებს სავანეთა.
ყოფადთა მცნობი ბრძენი და ახოვანი.
მეფე ლუარსაბ დღეს იდიდებოდეს.

თქმული კათალიკოს ბესარიონის მიერ.

---

ხოლო წმიდა და ნეტარი ესე, აღმოსცენდა ქუეყანით ქართლით, მშობელთაგან ღუთისა მსახურთა და მორწმუნეთა მართლმადიდებელთა მეფეთაგან, რამეთუ ნეტარისა ამის მამასა ეწო-

---

1) ამ წმიდის დღესასწაულსა მარტის კ აღასრულებდნენ ხოლმე, რისათჳს შეუცვლიათ მამათა ჩუენთა არა უწყით ჯერ.

დებოდა გიორგი[1]) დედასა თამარ და დაშთეს ყრმა ერთი და ასულნი (სამნი)[2]) არამედ უღმრთომან შაჰაბაზ მისტაცა ერთი უმრწმესი ასული და ურწმუნო ჰყო. ხოლო მეორე ასული მიათხოვეს კახთა მეფისა შჳლსა მეფესა თეიმურაზს, კაცსა სარწმუნოსა და მართლმადიდებელსა და ღმრთის მოყუარესა და რაოდენნი ჭირნი და განსაცდელნი და დევნანი და ქრისტიანობანი მოიწივნეს მისზედა ურწმუნოსა შაჰაბაზისა მიერ. ხოლო მეფე ესე ლუარსაბ მისთანა იყოფოდა და გარდავიდეს ლიხთ იმერეთად და წარივლინეს შაჰაბაზის მიერ მოციქულნი მათდა მიმართ, რათამცა ორნივე ესე მეფენი ეცთუნნეს და მისდა მიეყუანნეს. ხოლო მეფე თეიმურაზ ვერ აცთუნა და არცა თავს იდვა მისლვად მისთანა, არამედ მეფე ლუარსაბ ყრმა იყო და ქადებითა სამეფოსა თჳსისათა და სხუათაცა ქუეყანათა, მივიდა შაჰაბაზისა; ხოლო დიდად განიხარა და პატივჰსცა და მრავალი საბოძუარი მიანიჭა და თანა წარიყუანა ისპაჰანად[3]) და მრავლითა ლიქნითა ესე ჰრქუა. უკეთუ უარჰყო სჯული ქრისტესაჲ და იქმნე მოსახელე მოჰმედისა, დიდითა პატივითა პატივგცე და მრავლითა დიდებითა განგიტეო ქუეყანად შენდა. ხოლო წმიდამან და ნეტარმან ლუარსაბ ესრეთ ჰრქუა. «უკეთუ ყოველი ქუეყანა ჩემდა იყოს არა თავს ვიდვა სიტყუათა და ქადაგებათა შენთა მორჩილებაჲ, არამედ მეუფისა და ღმრთისა ჩემისა მიერ ნათელ მიღებიეს და მისსა მიმართ დამიცს სასოება ჩემი და თჳნიერ მისა სხუა ღმერთი არავინ ვიცი»; ხოლო ამას ნეტარსა თანა ჰყუანდს აზნაურნი მსახურნი და მოყმენი, ყოველნივე მიუღეხუნეს და თჳთ შეკრული ხელით და ფერხით წარიყუანეს ციხესა შირაზისასა და ტყუე ჰყუანდს შჳდ წელ და დაუდგინნეს მცუელნი დღე და ღამე-ასწავებდეს სჯულსა მოჰმედ ბილწისასა და ვითარცა ესრეთ მტკიცედ და შეურყეველად დგა, ვითარცა კლდე ანდამატი და ესრეთ იხილვებოდა მშუენიერი და ბრწყინუალე პირი მისი, ვითარცა ოქრო გამოდნობილი ბრძმედსა შინა და განკჳრვებულ იყუნეს სიმხნისა და ახოვნებისა მისისათჳს, მოვიდოდეს და ზედას ზედა მოახსენებდეს და ეტყოდეს. ჰოი! მეფე, შეიწყალე სიჭაბუკე და მშუენიერება შენი და ნუ ურჩ ექმნები ბრძანებასა შაჰაბაზისასა, უკეთუ არა ერჩდე ბრძანებასა მისსა მწარითა სიკუდილითა მოგაკუდინოს შენ». ხოლო მეფემან ესრეთ ჰრქუა, არა უწყითა, რამეთუ ჭეშმარიტი ღმერთი დიდებულ არს ზრახუასა შინა წმიდათასა, დიდ არს და საშინელ მათ ზედა, რომელნი არიან გარემოს მისსა და საკჳრველ და საშინელ არს ღმერთი წმიდათა შორის მისთა; ვითარცა სულითაჲ წმიდითა იტყჳს დავით წინასწარმეტყუელი, ჭეშმარიტად იდიდა ღმერთი ასოთა მიერ წმიდათა მოწამეთასა. ესე ვითარნი სიტყუანი წარმოუთხრნა პირით თჳსით და ესრეთ ჰრქუა, «რა გნებავს ყოფად ჩემდა ჰყავთ და აღასრულეთ ბრძანებაჲ მისი». ხოლო იგინი მივიდეს და ძაღლებრ გარე მოადგეს და იღრჭენდეს კბილთა თჳსთა და ესრეთ ჰრქუა წმიდამან მან. «მაცადეთ რათა ვილოცო უფლისა მიმართ და ღმრთისა ჩემისა და ესრეთ აღასრულეთ ბრძანებული მის უსჯულოსა»; რამეთუ თანა ჰყუა ხატი

---

1) წმ. მ. მეფე ლუარსაბ იყო ძე მეფისა გიორგი X (1600—1603) და მეოთხმოცდა პირუელი მეფე ქართლისა. ცხოვრება მისი ვრცლათ აღუწერიათ კათალიკოსთა ბესარიონ (1705—1724) და ანტონ I (1714—1788) და მრავალთა სხუათა, ნახე მისთჳს ქართლ. ცხოვრებ ნაწილი მეორე, გუერდი 34—39.

2) მეფე გიორგის ჰყუნდა სამი ასული: ელენე, ხორეშან და თინათინ. 1) ელენე მიეთხოვა რუსთ მეფის ბორის გოდუნოვის შჳლს თეოდორეს, ნახე Bull. sc. IV 289. Bull. Hist. philolog. III 67. 2) ხორაშან მიეთხოვა კახთ მეფესა თეიმურაზ პირუელსა ძესა წმ. დედოფლისა ქეთევანისსასა. 3) თინათინ წართმეულ იქმნა შაჰაბაზის მიერ საცოლედ, რომელსა უწოდეს სახელად, ფერი, ლელა, ფატმან-სულთან ბეგუმ — გარდაიცუალა სპარსეთს.

3) სპარსეთს.

ყოვლად წმიდისა დედოფლისა ღმრთის მშობელისა და ესრეთ ილოცა: „ჵჰოჲ! დედოფალო ღმრთის მშობელო, შენდამი დამიცს სასოება ჩემი, შენ ხარ ნუგეშინის მცემელი ჩემი, შენ მომეც შეწევნა წამების ჩემისა ამის და შემრთე წმიდათა მოწამეთა შენთა თანა, რათა მეცა ვადიდებდე მამასა და ძესა და წმიდასა სულსა». ხოლო ამისსა შემდგომად მოვიდეს ზედა მდგომელნი იგი და მოაშთვეს საბლითა მშჳლდისათა [1]) და ესრეთ შევედრა სული თჳსი უფალსა. ხოლო მას ღამესა დაუტევეს წმიდა და სანატრელი იგი გუამი მისი და ესრეთ იხილვებოდა ღამესა მას უკუნსა, ვითარცა ნათელი ბრწყინვალე და მრავალნი მოვიდოდეს ხილვად წმიდისა მის გუამისა საკჳრველებასა და განკჳრდეს დიდად და მეორესა დღესა დამარხეს წმიდანი და პატიოსანნი ნაწილნი მისნი შირაზს და რომელნიცა შეპყრობილ არიან სნეულებითა და საფლავსა მისსა შეეხებიან კურნებასა მიიღებენ [2]).

---

1) 1622 წ. 35 წლისა.

2) ფრიად სანუგეშოთ იქმნებოდა საქართველოს ეკკლესიისათვს, რათა ნაწილნი წმიდისა მოწამისა მეფისა ლუარსაბისა საქართველოს ყოფილ იყვნენ გამოსვენებულნი და ჯერაც არს; არამედ ვინ არს პატრონი—ვის უპყრია რომ ყურადღება მიაქციოს წმ. ეკკლესიას, განა აწინდელნი ცერცერულნი მღვდელნი და სხვა უწესო ეკკლესიის წესი........ ვინ მომცემს მე ცრემლსა იერემია წინასამეტყველისასა, რათა ვიგლოვო აწინდელი დროჲ და მისი მოქმედულებაჲ.



ႱႠႡႨႬႨႬႨ M. САБИНИНЪ

ႼႫႨႣႠ ႫႰႠႥႠႪ ႫႭႼႠႫႤ ႣႤႣႭႴႠႪႨ ႩႠႾႤႧႨႱႠ
ႵႤႧႤႥႠႬ.

ტთსა სეკტემბერსა იგ დღესა, შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა
წმიდისა დიდისა მოწამისა ქეთავან კახთ დედოფლისათა.

ეს ქრისტეს სძალი, იასპ მჭვრეტალი ლალი,
არ ნათელ მცხრალი, არ ყუავილ ფერით მზრალი,
აქუს საღმრთო ალი, ვითა ცხოველი წყალი,
გული უძს სალი, მით დასცა მძლავრი მწყრალი.
ამას იქს ქალი, ბუნებით ჭირთა მკრთალი,

თქმული ანტონ კათალიკოსის მიერ.

ქთეროვნისა, სფერასა განსმენილი,
მზის ქუეშე მნათი, მეორე მზე ქართუელთა,
ყიელთ მაარსის, დედისა თჳსებითა,
ცხებულთაგანი, ცხებულთა დედოფალი,
მწუელთა სფავთა გჳრგჳნად ხატთ იჭვალებს,
ზუდსად დგარს ცხელთა, იფარღულ მანიაკებს,
შიშულივ შემფყრთა, მჭურჭალეთა იგსწლებს,
ბარებს ამზარჩად, ცხელთა ჯაჭუთა ისარტყლებს,
მუსძართ ხლებებს, გორვებით ისაბანებს,
დიდი ქეთავან, მტუერს ჭურის ეტრფის სიძესა.

თქმული ნიკოლაოს ცფილელის მიერ.

---

ვიძლიე მე ჴსჯულისაგან ბუნებითისა და ძლეულებისა ჩემსა ადგიარებ: ძლეულების ვიდრემდე ძე ჩემი და განხსნა ენისა ჩემისა, კუალად განიხსნების ენაჲ ჩემი და საკჳრველნი დუმილისანი იქსნებიან, მით რომელ ზედა მომადგების ძე ჴსჯული ბუნები, დუმილისა მრჩობლითა ჯაჭვითა შეკრულსა და ნათელი განცხადებისა გამომიბრწყინდების (საქ. თ. 12 მუხლი 7) მსცემს გუჳრდსა ჴსჯული იგი ბუნებითი განმალქმებს და დუმილისა ჯაჭვნი დამცვივდებიან და შეუდგები ბურჯასა, ვითარცა პეტრე ანგელოსსა მას და პირუელსა საკმილავსა დროსა სიტყუაჲთა დიდებისასა და მეორესა განვლი და ბჭეთადმი რკინისათა მივიწევი უზესთაესთადმი ძალთა ზემოხსენებულისა ყოფისა ჩემისათა

და მრწამს რომელ განმელოს მე იგი, განღჳძებასა წადილისა მიმართ, ანუ გარე მოქცევისა, შეუდგების შეკრულება პრაკტიკაჲსა-მებრ ფილოსოფიისა. ხოლო განვიღჳძები ამისდა, ვითარმედ (გამოს. 20, 12) პატივ ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რომლისათჳს შემკრავს მე მცნებაჲ მორჩილებად და ქმნად განღჳძებისა ამისდა, ვითარმედ ესე კეთილ დღეობასა შეაერთებს კეთილ დღეობითა და განუცდელითა წარდინებითა ცხოვრებისათა. ვინაჲდგან შეკრულ ვარ ამით, მაშა სადამე მოქმედებაჲ შევაერთო მიღირს განღჳძებასა და უფროსრე თანა მაძს მოვედინ ჩემდა ტროფიალებითი იგი სული, რათა ძჳროჲ იგი ყჳავილთაგან მრავალთა შესაბამ სიტყჳათასა უქმნა ნელსაცხებელ შეხებად სულსა მას, რომელიცა ტროფიალებითარე დიდითა მრავალთა ცეცხლ მენაბერწყულეთა რკინითა ვერ მგრძნობი (ლუკა 10, 39) ჰსჯდა ფერკთა თანა იესოსთა და ისმენდა და იქმოდა სიტყჳათა მისთა. მოვედინ ჩემდა წყალი იგი ცხოველ მყოფი, კადნიერად ვჰსთქჳა, ვითარმედ წინა პარისა მის მშობელისა ჩემისა და მრჩობლ შთამოებათა მშობელობით და წინა პართა პაპათა ასულობით, ჩემდა საქადულობისა მიზეზისა და შორისებული და ვითარ იგი ჰხადოდა მას მისჳლად მამისად, ეგსახედ მხადოდინ მისჳლად სიტყჳჱბითა მშობელისა ამისა ჩემისად. — მოვედინ სული სიბრძნისა მკჳდრი ბრძნისა ამის შორის მემიროჲსა, რათა მოქმედებითა კეთილთა საშჳალთა კეთილ გონიერებისა კმევითა შევაერთებდემცა კეთილთადმი დასასრულთა შესხმად მისდა და გალობად და ძნობად ყოვლად დიდებულთადმი ღჳაწლთა მისთად; კჳალად მოვედინ ჩემდა (ისაია 11, 2) სული იგი გულის ხმის ყოფითი იგი მეცნიერებითი და ღჳთის მსახურებითი და შიშისა ღჳთისა მსახურებითი და შიშისა ღჳთისა, რათა განყოფითად და სავსედ წარმოდგინებითა ვნებათა მისთა და მოსაგებელთათა საღმრთოჲსა ძლით სიყჳარულისა განათლებულითა ცხოვრებითა გონებისათა, ვჰსთქმიდე წინამდებარისადმი საგალობოჲსა, მით რომელ მისდამი გალობა და ქება არს ღჳთის მსახურება თუ სადამე შიშითა ღჳთისათჳს წარმართებულ არს, არ შესაბამ არს მისდა თქმანი ჩემნი რათა ამათ მიმართ იქებოდესმცა და მოითხრობდენ ანგელოსთადცა საკჳრჳჱლებად მოსჳლად მაიძულებელნი ღჳაწლნი მისნი. მაგრა ვინაჲთგან მშობელთად საყჳარელ ჩჩჳლთა ბრგჳლებანი, ეგსახედ იყავ მისდა სიტყჳანი ჩემნი ანუ გულის-ხმის-ყოფით მიწთო მათდა რა არს კეთილ წესიერ აქჳნდესმცა მდგმობაჲ, ვითარ იგი ძრჳანი ვარსკჳლავთანი ცთომით სივრცისა არა ერთისა მდგმოობისა შორის ერთისადმი მექონნი და რომელნიმე ესრეთ, ვითარმედ ერთისა და მისვე სივრცისა, რომლისა გამოუძრაობა სახელ ედჳა ძრვადთა მათ, ვითარ იგი სარტყელთა, ესე იგი სიმრგჳლეთა ანუ ატმოსფერათა ცთომილთასა, ერთისა მეორისაგან უქჳჱმოესობითა და სხჳა ვერ დაწყობილება ერთისაგან უკჳჱ მიღება ნათლისა და მით განათლება და მნათობ ზედა წოდება, ვითარ იგი ღერძისადმი თჳსისა შემოკლებითა მზისათა მზიურნი იგი ათ ორნი თთჳჱნი და მთოვარისა ღერძისადმი თჳსისა მომრგჳალებითა ათ ორნივე; მარა რაოდენითამე დღეებთა ნაკლნი მზიურთაგან, ამით ოთხ დროება წელიწდეული ნაყოფთა აღორძინებად და აღვსებად და მოკლებად, ვითარ ასონი, რომელნიმე ნოტია და მკურვალ და ხმელ და გრილ და რომელნიმე გრილ და ნოტია, კეთილ წესიერ მოკიდულნი და ერთი ერთისადმი ზავებულნი შესაწევნელად კრებისა მათ გამოთა სხეულთა და ბალღამთასა.

კჳალად მისვე მთოვარისა სიზრქე და სიბნელი მოკლება და აღვსება მზის მიქცევისა გამო და დაახლოებისა (ფსალ. 103, 6) მდგომარეობა უძრჳჱლი ქჳჱყანისა (შესაქ. 1, 9) წყალთა შეკრება ერთსა შინა შეკრებულსა (იგავ 8, 20) არ გარდახდომად საზღჳარსა თჳსსა და ყოველნი მდგმოობანი ესე გჳარნი. კჳალად სჳნტაქნი ყოვლადსა შინა შეწყობილნი კეთილ წესიერ, ეგსახედ

წესიერვე სიტყუანი ყოვლადსა შინა დასისათა შინაგანნი კეთილ, წესიერ და ზავებან და ყოველსა დროსა შინა თჳსსა განცხადებაჲ თჳსებათა არსებითთა და ანუ დაკუეთებითთა მებრვე ჩუენისა დუმილისა და თქმისა და სიტყუათა წყებისა სათანადო იყო და სათანადო არსცა წესიერება, მრავალნი ვიდრემე იძულებულნი პირუელ ჩემსა სურვილისაგან და რათა არა დავიწყებითა დაიფარამცა ოქმადი ესე. სამღუდელო საიდუმლო განღჳძებულ იქმნეს თქმად და მოთხრობად სხუა და სხუათა ფერითა ფრახითა გუარითა, ვითარმედ რომელთამე დოღმატა ისტორიად და რომელთამე პოიტიკად ჰქმნეს და ასტროლოღიად, რომელთა შორის დოღმატ ისტორიადუე მექმ არს მამათ მთავარი ჩუენი ვისარიონ მწყემსი ყოვლისა ზემოჲსა საქართუელოჲსა.

მოვიცალე ნებსით დაკუეთება ესე მით რომელ პირუელად წმიდათად წმიდანი შესასხმელ, მეორედ ბრძენთად ბრძენნი, მესამედ მრავალთა ღირსებითითარე განათლებითა გონებისათა ადინნეს ამისთჳს სიტყუანი და საგონებელ აღმიჩნდის ვითარმედ კმა იყო ყოვლითურთ.

აწ უკუე დაკუეთებაჲ ნებსიდ მიცილებული და დუმილი და შეკმვაჲ გონებისავე შინა წყუდეული ვაწინა-უკმე, ვითარმედ ნუ სადა სიცონილ იყოსმცა ჩემდა ესე, რამეთუ ვინათგან ზეთისხისა მის (ფსალ. 1, 3) წარსადინელსა წყალთასა მდგომარისა, რომლისა ნაყოფი დროსა შინა და ფურცელნი მისნი არა დაჰსცვივეს და ზედა შეჰაზრობითი მადლი ჩემდა, დალათუ ულირსად და რომელთამე სიტყუათა შევეხე წერად ვინა წარმოსთს აქა კიდურ მდგმოებრი, ვითარმედ მეთანაგდება თქმად და ძნობად და გალობად სახარულევანისად ყოვლად ბრწყინუალისა ღუაწლისა მისისა წინა მედების გუამი მდერი ესე სახის განუყოფით წუალებული, ცხოველ გულის-ხმიერ, მნებებელ და ქუეშე წუალებულ ქალ. ცხოველ ვითარმედ გარემონი მისნი მაუწყებენ (გალატ 2, 20) არღარა არს თჳთ ცხოველ, არამედ ცხოველ არს მის შორის ქუეშე, გულის ხმიერ წარმოუდგენის სამყაროსა შინა გონებისასა, არსთა აგებულებითნი არსებანი, საჭიროჲნი ბრწყინუალედ, ესე იგი ყოვლისაგან ბიწიერებისა მიცილებული ბრალთასა და სავსედ ზედ მიწევნილსა მათდა და სისტემისადცა მათისა განუნათლებიეს გონებაჲ, ჰსცნობს დატევნისაებრ, ვითარმედ ერთი არს ნათელ შემოქმედ ყოველთა, რომელისადმი ხედუა გონებისა საწყურ და ღმობა ზედუათა დაცხრომისა, ერთი არს სამობასა შინა აღსარებულ და სამობა ერთობასა შინა თაყუანისცემულ, ერთი არს, რომლისაგან თანა ჰსწორნი და თანა უჟამ უდრო უწელიწდონი, რომელსა ერთ ღუთაებად ვიცნობთ, კეთილ მსახურებით, ესე იგი მამა და სიტყუა და სული, პირუელი იგი ვითარ გონება, ესრეთ მცნობელ თავისა თჳსისა, ვითარმედ არს არსება განუსაზღურებელ, ესე იგი არცა წყებადიდა და არცადა დასრულებადი და ესე ცნობაჲ ჰსდგების და ჰგებს თავსა შორის თჳსსა და წყაროჲსა თჳსისა გონებისა შორის, რომელ არს სიტყუა და ესე მოკლედ თქმა არს ღმერთ-მთავრობითი გუარი შობისა.

გონება იგი არს კუალად წყარო ცხოველობისა და თჳთ ცხოველ და სიტყუა ცხოველ, მაგრა საჭიროდ ჰსდევს მხოლოდ გონებასა და არა სიტყუასა მიზეზ ყოფაჲ ცხოველობისა და ესე არს სული ყოვლად წმიდა მხოლოჲსა მამისაგან გამოსრული და არა ძისაგან.

კუალად ჰსცნობს ვითარმედ ერთი სამებისაგანი, რომლისა სიტყუა არს ღმერთ, ვითარცა მამა და არს კაც, ვითარცა ჩუენ და ორთა შესმენილთა უქუემდებარების იგივე და ერთი სიტყუა, ორნი იგი შესმენილნი, ერთი განუსაზღურებელ, უკუდავ, მიუწთომელ, გარე შეუწერელ, შეუხებელ; ხოლო მეორე იგი მოკუდავ, მისაწთომელ, გარეშესაწერელ, შესახებელ, ესრეთ გულის ხმიერ და გონიერ თქმადი წინა მდებარე ჩემი. ხოლო მნებებელ ვითარმედ მადლით ღმერთ ქმნილსა აქუს კეთილისა მიმართ მიდრეკილებისა წადილი; ესე იგი კეთილისა მიმართ მიდრეკილებაჲ, ამით ანგე-

ლოსებრ წმიდა და უმტკიცე ადამანტინისა და უბრწყინვალეს ყოველთა გრძნობად ქუეშეთა ნათელთა.

მამული უკუე იყო თქმადის წმიდისა, ნაწილი რომელიმე საქართველოჲსა ესე იგი ქართლი, ხოლო შობილნი მეფეთაგან დავითიან ბაგრატოანთა და მამაჲ იზედ წოდებოდა აშოთან, ძის წული კონსტანტინესი ქართველთა მეფისა კეთილ მსახურისა, კეთილ მსახურივე და სახელი წმიდისა ქეთევან.

ასული ესე დავითისა განბანილი ღმერთ მყოფელითა საბანელითა, სწავლული სარწმუნოებითითა ჰსჯულ დებულებითთა სწავლული სამღუდელოჲთა წერილითა და სათნოებათა მომგები. ქალწული, მორცხვი, ბრძენი, კეთილ გონიერებისა კმევითა, ქალი ნარნარი და მკნე კეთილთა მოქმედებათადმი, ურმაა მშვენიერი და უმშვენიერესი, მიმადლებულებითა მიეთხოვა ძესა კეთილ მსახურისა კახთა მეფისა ალექსანდრე მესამისასა დავითს, დავითიან ბაგრატოანსა, ჯაბუკსა მშვენიერსა, კეთილ მსახურებითა და მორთვ ნაკუეთობითა და სიმკნითა აღასრულეს უკუე მეფეთა ქორწილი შესაბამ უმაღლესობისა დიდ გვარობისა წესითი ქრისტეანეთათა და დედა-შჳლთა იქმნა, რომელთაგანი არს ძე თეიმურაზ, პირველი გჳრგჳნი კეთილ მსახურებისა, გოდოლი შეუძრველი სიმკნისა და ციხე უბრძოლველი მამაცობისა. წალკოტი მოკრძალული მართმადიდებლობისა, რომელმანცა (გალატ. 3, 1) გამოიწერა ქრისტესთჳს შორის დამცემი სპარსთა სპათა ურიცხობისა, სიბრძნის მოყუარებითა ჩინებული და რიტორ პიიტიკოსობითა ყოვლად ქებული.

ხოლო ვითარცა არს ჯაბუკთად უკრძალველობისა დაკუეთებისა ჩვეულებაჲ, დაუკუეთაცა დავითს ძესა მეფისასა, ქმარსა ამის წმიდისასა უკრძალველობაჲ და მით გარდასლვა ჰსჯულისა, რომელიცა თქმად არა მნებავს, მაგრა ჭეშმარიტებით მათქმევს იძულებაჲ. იტყჳან ვითარმედ ზედ მაჭზრველმან გიორგი ძმამან მისმან მრწემმან ბოროტის-ყოფად, რომელიცა მამასა უფრო უყუარდაო, ვიდრე დავითდა, აწუია რაჲმე ძჳრის ჩვენებაჲ დავითს, რომლისათჳს დავით მიუღო მამასა მეფობაჲ, არა ჰყოვნა უკუე მსჯავრმან საღმრთომან და დავით განბერტყილი მიწითა კორცთაგან, წარვიდა სოფლად საუკუნოდ. უწყებულ ქმნილმან უღმრთომან პირველმან შაჰ აბაზ სპარსთა მეფემან, ვითარმედ მომკუდარ არს ჯაბუკი მეფე კახთა დავით და დაშთომილ არს მემკჳდრედ მხოლოდ გიორგი ოდენ, რამეთუ დროსა მას მოხუცებულ იყო მეფე ალექსანდრე, უბრძანა კონსტანტინეს ძესა მეფისა ალექსანდრესა მახმედიან ქმნილსა (რომელიცა მისცა მამან თჳსმან წინდათ დროსა სიყრმისასა შაჰ თამაზს), ვითარმედ წარვედ კახეთად და მოჰკალ მამაჲ შენი მოხუცებული და ძმა შენი გიორგი და მმეფობამან კახთა ზედა მახმედიან ჰყუენ მკჳდრნი კახეთისანი.

ეჰა განზრახვისა ამის ბრძანებისა სიბოროტე, სავსე უღმრთოებითა და უღმრთოთაცა შორის დამცველთა სინიდისისა ჰსჯულთათა, ყოვლად საკჳრველ და მოგონებადცა ზარის სახდელ. ჰოი! მოკუდასა სინიდისისასა, ჰოი! უმაგალითოსა ბრძანებასა მსაჯულისა მეფისასა, აქუნდა უკუე ყოვლად უკეთურსა შაჰ აბაზს ძჳრი არა მცირედი ქართლისა და კახეთისა სამეფოთა და მეფეთა ზედა მიზეზითა ლუარსაბ პირველისათა, რომელმანცა არა მსახურა პაპასა მისსა შაჰ თამაზს პირველსა და არცა აყოვლა დაპყრობად ქართლისა და კუალად მიზეზი, ვითარმედ ირაკლი ძე მეფისა ალექსანდრესი გულ-მწყრალი სახლისა მიმართ თჳსისა წარვიდა კონსტანტინეპოლად, რომლისა თჳს ენება უღმრთოსა შაჰ აბაზს, რათა ჰპოვოსმცა დროჲ მარჯუე ძჳრის-ხსენებად ქართლისა და კახეთისა ზედა. მსმენელმან მეფისაგან ბოროტმან კონსტანტინე წარმოსლვა ჰყო ისპაანით კახეთად და აუწყა მოსვლაჲ თჳსი მეფესა ალექსანდრეს.

მაშინ მეფე მხიარულ ქმნილი, ძითურთ თჳსით გიორგით წარსრულდ, წინა მიეგება კონსტან-

ტინეს და შეიყარნეს ბაზარსა, რომელი მაშინ იყო ქალაქი ესისელსა შინა. მხიარულ ქმნილნი ბუნებითითარე და მარტივითა მეფე და გიორგი; ხოლო ზაკულითა და მკულელობითითა უკეთური იგი მაშინ ნადიმნი და ნადირობანი, სიხარულნი და ღმრთისადმი მადლობანი მეფისაგან და გიორგისა. ხოლო უკეთურისა მისგანცა მაგრა ჰზაკჳდა ორგულებითა, წარმოეგზავნა უკუე შაჰ აბაზს მეფისად და გიორგისად, ვითარმედ მაქუს რაჲმე ხვაშიადად ბრძანებული სიტყუაჲ შაჰ აბაზისაგან თქუენდამი და უმჯობეს არს, რათა განავლინეთ სხუანი და ისმინნეთ თქუენ ოდენ.

განავლინნეს უკუე გარე ყოველნი მუნ მყოფნი სახლსა შინა კონსტანტინეს თანა მსხდომარეთა მეფემან და გიორგი, განაღა დაშთენ ორნი ოდენ აბელ ენდრონიკა შჳლი ყორჩიბაში (მამა ადამ სულთანისა), ცნობილი მეფისაგან ერთგულებასა თჳსსა ზედა უმწუერვალესსა და ძმა აბელისა ეპისკოპოსი რუსთუელისა. ჰყუეს უკუე უკეთურსა კონსტანტინეს მხედარნი ბირებულნი ესრეთ: ვითარმედ, ოდეს გამოვიდოდნენ კაცნი სახლისაგან, სადაცა მსხდომარე ვიყუნეთ შემოვედით უკუე და მახჳლითა განჰგმირენით და დაჰკაფენით მამაჲ და ძმა ჩემი. მაშინ ბირებულნი მხილველნი საწოლისაგან ანუ კარვისა სამეფოჲსა გამოსრულთანი შეჰრბიოდეს მსწრაფლ და ანაზდადრე მოსწყჳდნენ ბრძანებისაებრ უკეთურისა მისა მეფეცა და გიორგიცა და მათთანა აბელ და რუსთუელი. ჵოი! საცჳვრო ესე სმენაჲ, ვითარმედ ერთმან უკუე ადგილმან ვითარმე შეიწყნარა სისხლი იგი ყოვლად მართალთა მათ დათხეული ძისაგან და ძმისა, სისხლი მეფისა და მამისა მოხუცებულისა და მარადისა სისხლი იგი ყოვლად უბოროტო, ყოვლისაგან ძჳრისა და მიზეზისა თავის უფალი. ჵოი! ძმისა მოძულება ესე უმსგავსითო და უმიზეზო, კაინს უკუე აქუნდა მიზეზად პირმშოჲსა მის ძმისა მკულელობისა მიზეზი ბოროტი, არა მითუალუაჲ მსხუერპლთა მისთა ღმრთისაგან, ვითარცა აბელისთა. ხოლო ძმათა იოსებისთა, უფროს ამათსა სიყუარული იოსებისა იაკობისაგან მამისა მათისა, განაღა უკეთურსა ამას აქუნდა მიზეზი მკულელობისა მამისა მიმართ და ძმისა, შეყუარებაჲ მათგან უმწუერვალესი.

სხეულნი იგი წმიდანი მართალთანი აღჰკიდნა აქლემთა ზედა და წარგზავნა დაფლუად ალავერდს, რომელნიცა დაჰფლნა წმიდამან ქეთევან დიდითარე და შესაბამითა პატივითა. ხოლო რაჲმედა სათქმულ არს უწყებად და თხრობად უკეთურისა მის, ძუელთა შორის მსგავსი ოდენ აბიმელიქისა იგავი იგი უბოროტესისა სიბოროტისა და მაგალითი უსჯულოესისა მკულელობისა, ყოვლითავე უკუე ბოროტთა გამომხატუელი თჳს შორის ურიდად იქმოდა, ვითარ იგი იტყჳან მომთხრობელნი, უქუემოეს ეშმაკთა თანა მდგომარემან კონსტანტინე, მოიგონა სხუაჲცა უჰსჯულოებაჲ პოვნილი იროდისგან მკულელისა სიტყჳსა ღმრთისა წინა მორბედისა, ვითარმედ აწჳა ქეთევანს ძმის ცოლსა თჳსსა ცოლად თჳსსა მოყუანებაჲ და წარმგზავნელმან მოციქულთამან შეჰსთვალნა მისდა სიტყუანი ყოვლად უღმრთოჲსა მებრ ნებისა თჳსისა შეერთებისანი. ჵოი! თაო ბოროტო და მესისხლეო, ვითარ სადამე იკადრე ესე გუარისა უჰსჯულოებისა განზრახუად მისდა, რომლისა გარემო ანგელოსნი უფლისანი მდგომარეობენ მცუელად, რომლისა მისაწოლსა ვერასადმი შეეხებიან ბიწნი ვნებათანი, სადა მდებარეობასა მოქმედებს გუამი ყოვლად წმიდისა სამებისა სამკჳდრებელი. ესე უკუე საცნაურ ყოვლად, ვითარმედ წმიდათა უმეტეს ეგჳრებინნ საკჳრუელებანი უჰსჯულონი და უმეტეს ესე ვითარსა წმიდათარსა, რომელი ყოველთა თანა მედროეთა თჳსთა აღემატა შინაგნითითა მშუენიერებითა ხედჳთ და საქმით, ამან უკუე ხატებაჲ წმიდა ჰყო დაცჳთ, შეუმწიკულებელად და განსწმიდა უზესთაეს ძალისა, ამან უკუე მოიგო აზნაურება მაღალი და ყოვლად თავის უფალი, ესე იგი ღმრთის მსახურებაჲ და კეთილ მეცნიერებითა განაშუენა. მეც-

ნიერებასა უკუე ვიტყვი ცნობასა ესე გუარისა კმაჲსა მიზეზისასა, თუ რაჲსა თჳს შევიქმნენით და სადა გვაძს მისლვად.

თქმულსა მას ბოროტის მოპოვნებასა ზედა განაკჳრვა უკეთურმან წმიდა იგი, ვითარმედ, რომელმანცა დაიცვა ქრისტიანობაჲ ფანოულიითისა მებრ, ესე უსჯულოჲსა მისგან საწოლად იროდიაჲსა მიიწვეოდა და რომელმანცა დაუწმიდა თავი უკუდავსა სიძესა უსჯულოესისა შეერთებისად იიძულებოდა. მოციქულთა მათ მიკჳრს ვითარმედ ვერარა ჰკდემოდა სიწმიდით მოკრძალულისა მისგან გუამისა, ანუ მეფობიდმან მძლავრებამან ნუსადა შეაშინნა, ვითარმედ ცრემლთა დათხევად და სარცხვილითა წიწნეულებად მოიყვანებდა ეგე საკვირველებაჲ ღმრთოებისა, მაგრა შიშისაგან განლიგებულნი მოახსენებდეს წმიდასა.

განკჳრვებულმან უკუე წმიდამან ქალმან კეთილ მოთავილემან მომზრახობენ ვითარმედ მკუ-ლელობაჲ მამისა და ძმისა აუწყდრა მას და არა კმა ყოფაჲ უჯსჯულოებათა ურთიერთას პირის-პირ მდგომარეთა თუ, რომელი უუსჯულოეს იყო მეორისაგან ძნელ.

საცნობელ იყო და მას ზედა განზრახვსა ბოროტისა განუმარტა ღმრთოებაჲ ქალმან ბრძენ-მან და წმიდათა განჭსჯათა ქონმან მოისიბრძნა მოწოდებაჲ მთავართა კახეთისათა და შევედრა-რა შეწევნაჲ ჰყონმცა არა მიშვებად მისდა ნებისაებრ თჳსისა უკეთურ იგი და მოაგონებდაცა მკულელობასა მამისა და ძმისასა ბოროტისა მისგან და აღწყვედასა მათ შორის მეფობითისა მემკჳდრეობისასა. კახთა უკუე მსმენელთა არწმუნეს წმიდასა იგი, ვითარმედ გარდა მეფობისა შენისა არა ვისსამე დავემორჩილნეთ ბრძანებასა. და ესე ფიცითარე დიდითა დაამტკიცეს და აღჭურ-ვილნი მოკლულად უკეთურისა მის წარვიდეს.

შეკრებულნი უკუე კახნი ყოველნი წარვიდეს ბრძოლად კონსტანტინეს ზედა, ვითარცა შესისხლისა მეფისა მათისა და ბრძოლისა მათისა და ზედა მიუკდეს მყოფსა ბაზარსა შინა და ზედა მოსრულთა ანუ ატაკითა ბრძოლებრითა და ანუ წაქეზვითა და ზედა გარდავლითა ანაზდითა მოკლეს უკეთური იგი და მხიარულნი მოიქცეს დედოფლისად. მსმენელმან წმიდამან ქეთავან (ფსალ. 135, 12) ხელითა მტკიცითა და მკლავითა მაღლითა ხსნისა თჳსისა და სამეფოჲსა თჳს, შესაბამნი ღმრთის მსახურებისა თჳსისანი შეჰსწირნა ცრემლით მადლობანი ღმრთისადმი და მის-თანა ჰგალობდეს პირუელნი იგი დანი მისნი (გამოსლ. ქ. 2, 3) «უგალობთით უფალსა, რამეთუ დიდებით დიდებულ არს, ცხენები და მხედრები შთაჰსთხია ზღუასა, შემწე და მხსნელ და მფარველ მეყავნ ჩუენ, ესე არს ღმერთი ჩუენი და ვადიდოთ ესე და ღმერთი მამისა ჩუენისა და აღვამაღლო ესე უფალი არს, რომელმან შემუსრნა ბრძოლან, უფალ არს სახელი მისი» (მსაჯ. 5, 23) «იწყეს ამაღლება მთავართა ისრაილისათა გულსმოდგინებითა ერისათა აკურთხევდით უფალსა, ისმინეთ მეფეთა და ყურად-იღეთ მთავართა, რამეთუ უფალსა ვაქებდე და ვგალობდე ღმერთსა ისრაილისასა» (იუდით 13, 22) «კურთხეულ ხარ შენ უფალო ღმერთო მამათა ჩუენთაო, რომელმან შეურაცხ ჰყუენ დღეინდელსა ამას დღესა მტერნი ერისა შენისანი, ხელითა ქალისათა» (ესთერ. 10, 9) აცხოვნა უფალმან ერი თჳსი და გჳხსნა ჩუენ უფალმან ყოველთა ამათ ბოროტთაგან და ჰქმნა ღმერთმან ნიშები და სასწაულები დიდი, რომელი არა იქმნა წარმართთა შორის მგალობელმან გულითა ნიადაგ, არცა აქა დაივიწყა მადლი ჩუენულებად და თჳს შორისებული ტკბილ სახელმან ქეთავან, არამედ ოდეს მოიცალა ცრემლითა დამალტობელმან ქრისტიანისამან მადლობისაგან ღმრ-თისადმი და მიმლოცველმან თჳსთა ძლევა შემოსილთად სპათადმი, ძალთა მიგდებადი იგი მძორი დაურლებული კონსტანტინესი პატივად თჳსებისა თჳსისა და გუარ მაღლობისა მის უკეთურისა

დაფლვად უბრძანა. ამას შინა საჭიროდ სათანადო უქმნა განგებაჲ მეფობისა კახთასა, მით რომელ არღარვინ იყო მეფეთაგანი, თჳნიერ ძისა მისისა მცირისა და იგი იყოფებოდა სპარსეთს უღმრთოჲსა შაჰ აბაზის თანა მევის სპარსთასა.

შჳჱნის უკჳჱ სიმდიდრე მეფეთად, მაგრა ქეთევანისდა ერთი იყო სიმდიდრე წარუპარველ და დაულევსელ სიბრძნისა კეთილ-გონიერად კმევითა, რამეთუ სადაცა უხრწნელად გებასა მოელოდა შრომითა შეკრებულთა უნჯთასა, მუნ დაჰკრძალა (მატ. 6, 19), სადა იგი მპარავი არა მიეხებინ, არცა მღილმან განჰრყვნის. დაგლახაკდებოდა თჳთ და განამდიდრებდა გლახაკთა, ხოლო ქრისტე დაგლახაკებულსა მისთჳს განამდიდრებდა კეთილთაგან თჳსთა, რაოდენ კმა ეყო; აქუნდა უკჳჱ უმეტეს ყუავილოვნებაჲ ნათესაობითი, რომელთა ესოდენ პატივ ჰსცემდა, რაოდენ ჯერ იყო (ისაია 5, 8, 7) სიტყჳსაებრ წერილისა სახმარისა მათისა აღვსებაჲ და განდგდებაჲ სახლისა და მეფობისა არა თუ შეერაცხა მას საჭიროთარე სახმართა მოგებად, არამედ აღსრულებად მცნებისა. ხოლო უხვებით ქმნაჲ ქჳჱლ-საქმისა მტკიცედ უწყოდა მან სიმტკიცედ პატივისა და სრულებად სუგეშინისცემისა. ზედ ვამრჩობლო, არამედ ვითარმედ კეთილ გონიერად იკმევდა სიბრძნესა ორადრე ნაწილად განმყოფი ყოველთა დროთა ერთისა ვიდრე წარმგები განგებისა თჳს სახლისა და მეფობისა და მეორისა სათნოებათათა მოგებისათჳს.

ხოლო დაღათუ ძნელ არს ორთავე ამათ შეერთებაჲ, ესე იგი განგებისა მის თქმულისა და სათნოებათა წარმართებითა, მაგრა ესე ორთავე სრულებითა ყოველთა მძლე თჳთოეულისა ჰსჯულებითი დაცჳსა თჳს. ამან მხოლომან თანა მედროეთა თჳსთა შორის ჰყო ზავი ორთა მათ შორის წინა აღმდგომთა, ვითარმედ მეფობისა და სახლისა კეთილ განგებითა, ესოდენ აღავსნა საზომნი და წესნი სოლომონისა მიმართ წესებულნი, ძედათა განმკნობისათჳს ვიდრემდის ყოვლად შეუძლო მოგონებადცა, ვითარმედ ოდესღა ჰსცალოდამცა განგებად მეფობისა და სახლისა თჳსისა, არამედ ესე ერთისა ერთითა შეამკობდა ვინმე უკჳჱ ესრეთ უნივთოდ მლოცველ სხჳა, ვითარმედ ესე, რომელმანცა მოიღო ძლევაჲ კორცთა ზედა და უდიდესნი ვჰსთქჳად ბუნებასა ზედა; ვინ სადამე შემოიკრიბნა ესრეთ ერთბამად თხოვაჲ მეცნიერ და კეთილად და აღსრულებისა უშჭჳჱლი სასოებაჲ. ვინ სადამე ჰკდემოდა ესთა ხელისაგნ და პირისა მღჳდელთასა, ვინ სადამე უფროს შეამკჳნა და განამდიდრნა წმიდანი ეკკლესიანი; ვინ სადამე უფროს პატივჰსცა ყოველსა სახესა სიბრძნისა მოყუარებისასა, ვინმე უფროს განჰლინნა კორცნი მარხვათა და მღჳძარებითა, ანუ უფროს დაეთმო განსაცდელთა. ვინმე ესრეთ შეასაკუთრა თავი თჳსი ლოცჳათა და ფსალმუნებათა ღამისა და დღისათა. ვინმე ესრეთ განჰსწმიდა და მოკრძალნა კორცნი სიწმიდითა დაღათუ დაეყენა ქალწულებისაგან საკჳჱრელითა ბუნებისათა, განგებითა საღმრთოჲთა, ამისთჳს რათა ნაყოფი მისი ჰმეფობდესმცა და ესე საქადულ-იყოს ერისა ყოველთად, ვინ ესრეთ ახჳჱნა ზედა მდგომელობაჲ ქვრივთა და ობოლთად, ვინ უდიდეს შეამკო სამეფოჲ თჳსი, ვითარ ამან სისხლითა თჳსითა.

ამას შინა დიდ სულმან და ყოვლისა სიბრძნით განგებისა პირად პირადისა ყოვლის მფარ-ებმან ქეთევან მოისიბრძნა განზრახჳაჲ და წარუგზავნა ძღჳჱნი მეფესა შაჰ აბაზს და მისწერაო. «ვითარმედ მეფეო, მომეც ძეჲ ჩემი თეიმურაზ, რამეთუ სახმარ არს მეფობისა შენისა მკჳდრი განგებად მეფობისა, რომელიცა დამორჩილებულ არს შენდა, თუ არა სამეფო ესე განუდგეს ნებასა მეფობისა შენისასა და ერჩდეს სულთანსა საბერძნეთისა და აღმოსავლეთისასა».

მსმენელმან დედოფლისა წმიდისა შეთჳლილთამან მეფემან სპარსთამან მცხს ნიჭითა დიდითა და საძოვრითა წარმოგზავნა თეიმურაზ ძეჲ მისი. ხოლო იტყჳს უკჳჱ არჩილ მეფე იმერთა შაი-

რულთა ისტორიათა შინა თეიმურაზ პირველისათა, ვითარმედ იყო მაშინ თეიმურაზ წლისა ათსა-მეტისა. მომზრახობენ სხუანი, ვითარმედ ათექუსმეტისა; განა ყოვლად სარწმუნო არს ესე, ვითარმედ ქრისტეანედ აღზარდა იგი შაჰ აბაზ ზაკუთ, რომლისა თჳსმე სახმარისა მისისა. ჰსწერს ვახუშტი აღწერათა შინა კახეთისათა. «მსმენელმან შაჰ აბაზ კახეთსა შინა ქმნილისა მის ბრძოლისა და სიკუდილისა კონსტანტინესმან, იგულის სიტყუა, ვითარმედ ნუ სადა განუდგნენ კახნი და ნუ უკუე დაიპყრასმცა მეფემან ქართველთამან კახეთი, წარგზავნაჲ ჰყო ამისთჳს თეიმურაზისა კახეთად ნიშნითა დიდითა ზაკუთარე». მისრული იხილა რა ძეჲ თჳსი წმიდამან, განიხარა ბუნებითითა თჳსებითა და მისთანა ყოველმან სამეფომან მისმან. ხოლო მეტყუელმან შჳლისად იტყჳს «შჳლო! აწ თავისუფალ ვიქმნები შფოთთაგან განგებითთა და რაჲცა გეხმარების არა დავიწონებ შეწევნისა შენდა, ვიდრემდისცა გამოცდილ იქმნე და განვისუენებ ამიერითგან მოცლილი კორციელთაგან და სოფლიოთა საქმეთა და ზრუნვაჲ ვჰყო სულიერთათჳს საქმეთა ამიერითგან».

ფრიადი უკუე დაწყნარებაჲ იყო მაშინ საქართველოჲსა, ვითარმედ სიკუდილიდგან შაჰ თამაზ პირველისა, რომელი იყო პაპა შაჰ აბაზ პირველისა, არღა სადამე იყო სპარსთაგან ოხრებაჲ ქართველთა. ხოლო ოხრებამან ქუეყანათა ჩუენთამან და მიზეზმან წმიდისა ღუაწლისამან ესრედ ძრუად იწყო. ოდეს იგი მოვიდა თეიმურაზ პირველი სპარსეთით და გჳრგჳნოსან იქმნა იგი მეფედ, ჰსწერენ ვითარმედ იცხოო თეიმურაზ მეფედ, ქისიყს ეკკლესიასა შინა წმიდისა მოციქულთა ჰსწორისა ნინასსა და რომელნიმე, ვითარმედ თჳთ მცხეთას დიდსა ეკკლესიასა და მოიყუანნა ცოლად ასული გურიელისა ანნაჲ, რომლისაგან ჰშვნა ძენი ლეონ და ალექსანდრე და ასული თინათინ. მოკუდა დედოფალი ანნა და აწვია და წარიყუანა მეფე თეიმურაზ შაჰ აბაზ ისპაანად და სიყუარულითა და პატივითა ისტუმრა და მიზეზითა მზაკუარითა აზრახა, ვითარმედ რათა შეირთოს ცოლად ასული ქართველთა მეფისა გიორგისა ძისა სჳმეონ დიდისა და დაჲ ლუარსაბ მეორისა. უწყოდა უკუე მზაკუარმან მან, ვითარმედ უხუდრ იყო ცოლად ვითარმე ეკკლესიებრითა ჰსჯულითა და არა ერჩის მეფე; ჰსწადოდა რათა ჰპოოს მიზეზი ღმობისა, რაჲცაღა მუცლად ელო ყოვლად ბოროტსა მას დაჰშუას ქუეყანათა ჩუენთა თჳს და მეფეთა ზედა ბოროტისა ყოფად.

ეტყოდა უკუე შაჰ აბაზ თეიმურაზს ესრეთ, ვითარმედ ვინაჲდგან ვითა ძე საყუარელი მივი აღზრდილებისა ძლითდა ერთ გულებისა შენისა, ვჰსთხოვე უკუე დაჲ თჳსი ლუარსაბს მეფესა ქართველთასა ცოლად და მეორე დაჲ მისი მომიცემიეს შენდა ცოლად და მრჩობლობაჲ ვჰქმნათ სიყუარულისა და ერთობისა შენდამე. მიუგო თეიმურაზ, შეუძლებელ არსო ესე, რამეთუ არა შემინდობს მე ეკკლესიაჲ ქმნად ამისსა. და იგი უმეტეს განაძლიერებდა ბრძანებითითარე მძლავრებრითა თქმითა. ხოლო მხილველმან თეიმურაზ ვითარმედ უკუე არა დაემორჩილების, მრავალთა იქმნების მიზეზ ბოროტთა ურჩებაჲ იგი, ეკკლესიათა დარღვევისა და ქრისტეს მოსახელისა ერისა აღწყვედისა და ტყუენვისა იქმნების მიზეზ და ვითამე დაღათ უჯერო იყო, არამედ მინდობითა ღუთისათა ჰქმნა უჯეროებაჲ ესე და მიიყუანა ცოლად ასული ქართველთა მეფისა ხუარაშან და შაჰ აბაზ წარიყუანა ცოლად დაჲ მისი უმრწემესი ელენა.

ამათ დროთა შინა მეფობდა ქართველთა ზედა ლუარსაბ მეორე, ჭაბუკი იგი ყოვლად ბრწყინვალე, რომელიცა მარტჳრობითა შემდეგ გჳრგჳნოსან იქმნა. მაშინ განდგომილნი რომელთამე მიზეზთა მიმართ მეფისაგან ლუარსაბისა სააკაჲს ძე გიორგი და ნუგზარ წარვიდეს შაჰ აბაზისდა, ხოლო შაჰ აბაზს ძჳრი იგი, რომელი აქუნდა დაფარულ გულსა თჳსსა მეფეთა ზედა ჩუენთა, რომელიცა აღრითგან დაემარხა, მოიღო მიზეზი, ვითარმედ რომელიცა დაჲ ვჰსთხოვე ლუარსაბს, იგი

წამართჳა მე იგი მურაზ და მძჳნვარედ მბორგალი შემკრებელ სპაისა იქმნა და წარმოვიდა საქართჳლოსა ზედა და თანა წარმოიყჳანა ნუგზარ და სააკაძს ძე გიორგი ორგულნი შემკჳდრისა მეფისა თჳსისა და მამულისანი.

მოსრულმან შაჰ აბაზ ალვანად ქალაქსა ზედ-წოდებულსა განძად, ჰკიოსა გიორგი სააკაძს ძეს (რომელსა უყოფდა წყალობასა და პატივსა ეტიკობისა თჳს ქართლისა და კახეთისა ოხრებისა) ვითარმედ თქუენ შორის კაცსა ცოლ წაგვრილსა რაჲმე თანა აძს. იტყჳს არაქილ ვინმე სომეხი ისტორიკოსი, ვითარმედ მიუგო გიორგი სააკაძს ძემან შაჰ აბაზს. «ეგე ვითარი კაცი წარმგუერელსა ცოლისასა აღუოხრებს მამულსა თუ სადამე ძალ-უძს მორევნაჲ და წარმოჰსტყუენავს ყოველსავე მისსა და მოჰკლავსცა». ხოლო ჰრქუა ესენი გიორგი ამისთჳს იცოდა ვითარმედ თეიმურაზის თჳს ჰკითხავს იგი კახთა მეფისა. — მიუგო შაჰ აბაზ, მე ვარო, რომელსა წარმგვარა ცოლი თეიმურაზ. ჰსწერენ ვითარმედ მხილუელთა წინა მდებარისა განსაცჳდელისა დიდისათა კახთა, არა თანა ჰსწორი აჩუენეს ერთგულებრი განზრახუაჲ თეიმურაზს. რამეთუ რომელიმე ბრძოლასა და რომელიმე ღტოლუასა აზრახებდეს. ხოლო შემდეგ ყოველთა ვედრებით ითხოვეს მეფისაგან თეიმურაზისა, რამეთუ დედოფალი ქეთევან ძითურთ მეფისათ ალექსანდრეჲთ წარვიდეს შაჰ აბაზისად; ნუ უკუე დაჰსცხრეს მძლავრი იგი ძჳრთაგან, მაშინ ცრემლით განუცხადა მეფემან დედასა, ჰაზრი ესე, მსმენელმან ბრძენმან მან და მხნემან დედაკაცმან თჳნიერ ყოვლისა სულ-მოკლებისა მიუგო. «შჳლო მეცნიერ ხარ შენცა, თუ რაოდენ გზის კახეთისათჳს არა რაჲმესა მგამებელსა თავისა ჩემისასა, ჭირნი თავს მიდვიეს, მაგრა უსარგებლო არს აწ წარსლუაჲ ჩემი, ვითარმედ შაჰ აბაზს რაჲცა უზრახავს ჩუენ თჳს ძჳრი ვერ დააყენოს მისგან წარსლუამან ჩემმან». ჰსწერენ კუალად, აღუტევესო კახთა ხმაჲ წინაშე დედოფლისა ტირილისა და ეტყოდეს, წარვედ ჰოი! დედოფალო წარვედ და გჳხსნენ ჩუენ. ესენი გრიგორი ხუცეს მონაზონის წერილთაგან მოვიღე. ხოლო არაქილ სომეხთ ისტორიკოსი ჰსწერს, ვითარმედ მივლინა მეფემან შაჰ აბაზს მოციქულნი თეიმურაზისად და ითხოვა წინდი და წარუგზავნა თეიმურაზ ერთი ძეთა თჳსთაგანი, ჰსთხოვა კუალად წინდი და წარუგზავნა თეიმურაზ ერთი ძეთა თჳსთა განი, ჰსთხოვა კუალად წინდი და წარუგზავნა მეორეცა, შეჰსძინაო კუალად მესამედ ყაენმან და ითხოვა წინდი და წარუგზავნა დედაჲ თჳსი. ჰსწერს ამისთჳს არჩილ მეფე იმერთა შაირ-მეტყუაობითთა ისტორიათა შინა თეიმურაზ პირუელისათა, გულის-მსიტყუელმან თეიმურაზ მეფემან და დარწმუნებულმანცა, ვითარმედ თუ სადამე წარუავლენ დედასა ჩემსა დედოფალსა ქეთევანს ვედრებად შაჰ აბაზისა მიმართ, ისმენს ვედრებასა მისსა და არღარა აღაოჴრებს სამეფოსა ჩემსა. წარავლინა დედაჲ თჳსი მცირით ძით თჳსით ალექსანდრეჲთ და ვითარ მიიწივნესო ყაენისად პატივ-ჰსცა დედოფალსა შაჰ აბაზ ზაკჳთ და ეტყოდა არა ვარ მე ძიძაჲ, რათა ვზრდიდე მე ყრმასა ამას, თუ სადამე ჰნებავს უმჯობეს თეიმურაზს წარმომიგზავნოს უხუცესი ძეჲ თჳსი და ვითარცა ჰშუენის დიდ გუაროვნსა მისსა ეგრეთ აღვზარდო იგი.

მიუწერა ესე ყოველი დედოფალმან ქეთევან ძესა თჳსსა და აზრახა იდუმალ, რათა არა წარმოგზავნოსმცა ყრმაჲ იგი და არცა ენება მეფესა თეიმურაზს მაგრა თავადთა კახეთისათა თუ ჰსთქუა თჳნიერ ნებისა მამისა წარგზავნეს იგი დალათუ სიტყჳთავე მეფისა თეიმურაზისათა და შემდეგ თჳთ მეფესაცა თეიმურაზს აწჳაო მისულად მისდა დალათუ ვიეთამე კახთაცა აზრახეს, მაგრა ყოვლითურთ მიჰრიდა მეფემან. გარნა უსარწმუნოეს მიჩნს იქმნულნი ესე არჩილ იმერთა მეფისანი. მით რომელ დროსა მეფისა არჩილის კახთა ზედა მეფობისასა მრავალნი იყუნეს თუალით მხილველ კაცნი, რომელნიცა დროსა წმიდისა მის ქეთევანის ღუაწლისასა იყუნეს, რომელნიმე ყრმა და რო-

მეღნიმე ჭაბუკ და ყოველივე ამის თჳს თანა შედროეთა მახსოვართაგან უწერიეს. არა ვუწყი მართალი თუ, რომლითა მიზეზითა ანუ ოდეს წაართუა თეიმურაზს შაჰ აბაზმან ასულიცა თინათინ; მაგრა ესე ჭეშმარიტი ვუწყი, ვითარმედ წარიყუანა ქალი იგი და ჰყუა ცოლად და შემდეგ მისცა ვალს ლორისტანისსა, რომელიცა მგონიეს ვითარმედ ახსოვდა იგი მცირედრე დედასა ჩემსა, სიქჭრივესა შისა მისსა მოხუცებული ფრიად.

ვინმე უკუჱ აღრიცხნეს განსაცდელნი მაშინდელნი კახეთისანი ანუ მეფეთა სახლისანი, მოოხრებანი და განრყუნანი წმიდათა ეკკლესიათა და მონასტერთანი, ანუ გარდასახლებანი კნინდა ყოველთა სოფელთა კახეთისათა და სიკუდილი და კლდეთა და კუერელთა შინა ქუჱყანისათა დაფარულთა სიყმილი, ანუ მახჳლი, ანუ ტყუჱობაჲ, რომელიცა წინა ძღომითა და ეტიკობითა გიორგი სააკაძის ძისათა მოიწია კახეთსა ზედა, რამეთუ ესრეთ ჰსწერს არაქილ სომეხი. მაშინ შეგინებანი ქალწულთანი, სიკუდილნი მოხუცებულთანი, ვითარ ვერ შემძლეთა ტყუჱობასა და გარდასახლვისათა, მაშინ სიკუდილი მებრძოლთა ჭაბუკთა არა მტევებელთა თჳსდა ტყუჱობად და გარდასახლუად; მაშინ სიკუდილი მღუდელთა და დიაკონთა და თჳთ ეპისკოპოსთაცა და მწყემსთა და ტყუჱობაჲ მათი და აღსპოლუა მძჳნუარე ჩჩჳლთა და ცეცხლითა და დათხრითა აღსპოლვაჲ შემდეგ ყოვლად მშუჱნიერისა მის ქალაქისა გრემისა და ყოველთა ქალაქთა და სოფელთა კახეთისათა. ესე ყოველი მიიწია რა წმიდასა მას ზედა თავს იდუა, ვითარ დიდ სულმან იობ ანუ ტობია, გარნა ვჰგონებ ვითარმედ ყოველთაგან უმწარეს შეჰსჭირდა ეკკლესიათათჳს ვიდრეღა თჳსთათჳს.

წარვიდა მლტოლვარე მეფე თეიმურაზ იმერეთად და მეფეცა ლუარსაბი ივლტოდა მუნ. ხოლო ქართლისა თჳს რაჲცა სათანადო იყოს თქმად, მოვიხსენოთ ლუარსაბ წმიდისა ბრწყინვალეთა ღუაწლთა მოთხრობათა შინა, თუ სადამე ენებოს ცხოველსმყოფელსა სულსა. იტყჳან ამისთჳს ყოველნი მომთხრობელნი ჩუჱნნიცა და სომეხი იგი არაქილ ენითა სომხურითა და ლათინთაგანცა მომთხრობელნი იტალიანებრითა ენითა დაბეჭდილთა შინა წერილთა. ვითარმედ შემდეგ ჴელთ გდებისა მეორისაცა ძისა თეიმურაზისა, წმიდა იგი დედოფალი ყრმებითურთ წარგზავნა შაჰ აბაზ სპატიმრად შირაზედ და უბრძანა მთავარსა მუნებურსა სიმკაცრით ცუაჲ მათი. ხოლო შემდგომად წლისა ხუთისა მისტაცნა წმიდასა მას ყრმანიცა იგი და მიიყუანა ისპაანად და მუნ დაკუჱთითა საჭურის ჰყუნა წელსა 1618, რომელთაგანი სახელით ალექსანდრე მომზრახობენ ვითარმედ მოჰკუდა იგი დაკუჱთასა შინა, გარნა ლევან ესოდენ სიბერედ მიიწია, ვითარმედ აჴსოვდა იგი ცოცხალი დედასა ჩემსა.

მაშინ განსაცდელთა სიძნელენი წმიდისად და წმიდათა მომთმინე განსაცდელთად და იმრჩობლებოდეს განსაცდელნი წმიდისად და წმიდა გჳრგჳნოსან იქმნებოდა სასოებითა უფლისად (რომაელ. 5, 34). ხოლო ჭირნი მოთმინებასა შეუქმნიდენ, ხოლო მოთმინება გამოცდილებასა, ხოლო გამოცდილება სასოებასა და არა ჰრცხჳნა სასოებისაგან მოსავსა (ფსალ. 33, 19) არა მოკლენი იყუნეს მაშინ ჭირნი ამის მართლისანი და ყოველთაგან იჴსნა უფალმან სასოებისა მიმადლებითა, აჴსოვდა თქმული (ეკკლესიასტესა შინა ისო ზირაქისა, (ზირ. 2, 1) ვითარმედ უკეთუ მიეახლო უფლისა ღუთისა მონებად, განუმზადე სული შენი განსაცდელთა შინა. და უკეთუ (1 პეტრესი 2, 20) კეთილსა იქმოდეთ და გევნებოდესთ და მოითმენდეთ, ესე არს მადლი ღუთისაგან. და ესრეთ ქეთავან არა სადა მეწიწუნე სიტყჳთ, არამედ მართალი სარწმუნოებითა ჰსცხოვრებოდა. სხუა იობ იქმნა განსაცდელსა შინა და სხუა ტობია სიბრძნეთა შისა, ვითარმედ მოაკლდენ ორნივე ნათელნი ხედვისანი. ესე იგი ორნივე იგი ყოვლად მშუჱნიერი ყრმანი თჳსნი.

მომზრახობენ, მოძღუარნი წმიდისანი, ვითარმედ მოიწევნიან განსაცდელნი კაცთა ზედა პატიჟად განჩინებითა საღმრთოჲთა, ან ცოდჳსა თჳს, რომელ განისწავლენ სხუანი არა ქმნად ესე ვითარითა წინა აღმდგომითა ღჳთისათა, რათა იწუართნენ მით და განმწმედელ ექმნეს ცოდუათაგან პატიჟი იგი და ანუ სრულთა ზედა, რომელ უსრულეს იქმნენ განსაცდელითა მით, რომელ იტყჳს (სიბრძ. 3, 6) ვითარცა ოქრო ბრძმედსა შინა გამოსცადნა იგინი. სხუა და სხუა ღაღადისთა სმე-ნითა განცდილმან წმიდამან ტყჳრმან პატიმარმან ათ წელ და ყოველი რაჲვეცა აქუნდა ხელთა მტერთა მისთად მიცემულმან განჩინებითა ღუთისათა, რათა უსრულესი იქმნეს მჴსგავსად იობისა, გარნა (იობ. 1, 12) ვერ მიახლებულმან ჯერეთღა მტრისა მიმართ სულისა მისისად. შემდგომ-ათისა წლისა მიიღო ხელმწიფებაჲ მტერმან სულსაცა მისსა ზედა ყოვლად უბიწოსა, რომელი მარხვათა და წულილებულთად და მღჳძარებითა უსუსრთა და კმელსა ზედა წოლითა განდრესილითა კორცთაგან წარჴდესცა. ამის თჳს უკუე ჴსწერენ სხუანი, სხუა და გუარი, გარნა ერთისა მიმართ ჴაზრისა აღვალს ყოველი იგი მიზეზი წინა-მდებარისა საქმისა, ვითარმედ ანუ უარ ჴყოს ქრისტე და ერჩდეს ჴსჯულის დებასა მახმედისასა და ანუ მოკუდეს მწარითა სიკუდილითა, ესე უკუე იყო ბრძანებაჲ მეფისა შაჰ აბაზისა. «ჩემდა დიდად სადიდებელ იყუნეს მეგობარნი შენნი ღმერთო» (ბა-ვუმესტრ განსაზღურ. ფილოსოფისა საზღუარ 1113). მეგობარი არს კაცი ესე ვითარი, რომელიცა გჰყუარობს ჩუჱნ, ანუ რომელიცა იგრძნობს კეთილ დღეობისაგან ჩუჱნისა ნუგეშინის ცემასა თავისა თჳსისა. გარნა ესე ჴყუარობდა ღმერთსა, რამეთუ დასდუა სული თჳსი მის თჳს, ვითარმედ შეტყუჱლი გჳბრძანებს ჩუჱნ უფალი (იოან 15, 13) «სული თჳსი დაჴსდუას მეგობართა თჳსთა თჳს». ვისა ქეთავან მეგობარი არს ღუთისა (ისაია 6, 3 არა თუ კეთილ დღეობისაგან კაცობრივისა, არა-მედ დიდებისაგან უფლისა, რომლითა სავსე არს ქუეყანა, იგრძნობდა გულის-ხმის ყოფითა ზედა მიწევნილებითა ნუგეშინის ცემასა თავისა თჳსისასა, ვითარმედ (2 კორინთ. 4, 17) საწუთო ესე მცირე ჭირი ჩუჱნი გარდამატებულსა და გარდარეულსა დიდსა დიდებასა საუკუნესა შეიქმს ჩუჱნ-თჳს, დაიდუა გულსა თჳსსა, ვითარმედ (რომაელ 8, 35) «ვერ ვინ განმაშორნეს ჩუჱნ სიყუარულსა მას ქრისტესსა, ჭირმან ანუ იწროებამან, დევნამან ანუ სიყმილმან, შიშლოებამან ანუ ურჳამან ანუ მახჳლმან» (მუხლი 38). რამეთუ იტყოდა წმიდა იგი სული მისი, «მჴრწამს მე, ვითარმედ არცა სიკუ-დილმან, არცა ცხოვრებამან, არცა ანგელოსთა, არცა მთავრობათა, არცა ძალთა, არცა ამან სოფელ-მან, არცა მან სოფელმან, არცა სიმაღლემან, არცა სიღრმეთა, არცა სხუა დაბადებულმან შემძლოს ჩუჱნ განშორებად სიყუარულსა ღუთისასა, რომელ არს ქრისტეს იესოს მიერ უფლისა ჩუჱნისა». კუალად იტყოდა სიძისა მიმართ წმიდა იგი სული მისი (ფსალ. 21, 4) «შენ გესვიდეს მამანი ჩუჱნნი, გესვიდეს შენ და იჴსნენ იგინი, შენდა ღაღადებდეს და ჴსცხოვნდეს, შენ გესვიდეს და არა ჴსცხუჱნა (4, 22) შენ თჳს მოვჴსწყუდებით ჩუჱნ მარადღე. შევირიცხენით ჩუჱნ ვითარცა ცხო-ვარნი კჳლადნი (მუხლი 23), განიღჳძე! რად ჰძინავს უფალო, აღჴსდეგ და ნუ განმაგდებ ჩუჱნ სრულიად». ესე გუართაგან საქმეთა მისთა ვიცით, ვითარმედ მეგობარ ღუთისა არს წმიდა ქეთა-ვან და ამისთჳს ჩემდა ფრიად სადიდებელ არს და თქუჱნთაცა მსმენელნო, ვითარცა საზოგადო ერთ ნათესავი ჩუჱნი მებრ არსებისა, მებრ ჭეშმარიტებისა ცნობისა მებრ თანა მოქალაქობისა და მეზობლობისა მებრ მონებისა და უფლებისა მებრ კორციელისაცა ნათესაობისა და უგანოჳსებუ-ლეს მებრ მშობლობისა და შჳლებისა განვადიდოთ (1 მეფე 2, 30) მადიდებელი მისი, რომელ-მანცა დიდებისათჳს თჳსისა ადიდა იგი, ვითარმედ (ადიდა) ამან ასოთა თჳსთა და გულთა მიმართ მომწუართა და ცეცხლითა განლეულთა და მან აღთქმისა მის აღსრულებითა, ვითარმედ (იოანე 12,

29) «სადაცა მე ვიყო, მუნცა მსახური ჩემიცა იყოს». ამან გაგლეჯითა ურთიერთარს მუსკულთა კერძოთათა და მან (აპოკალიფ. 7, 14) სამოსლითა სპეტაკითა განრცხილითა სისხლითა თჳსითა და ფინიკითა და საყდარსა შინა ღჳსსა ნიადაგ მსახურებითა და დამკჳდრებითა მისთანა. შეუქმნად გჳრგჳნი ყუავილედი სიტყუათა და თუ სადამე ვიხილოთ ყოვლად მშუენიერი იგი თავი მისი ბართა მიმართ განცეცხლებულთა და საჯთა დაფარული, აღჳღოთ იგინი და დავსდუათ მის ზედა გჳრგჳნი ყუავილთა და ვჰგალობდეთ მის თანა ჩუენცა (აპოკალ. 5, 9) გალობასა ახალსა. შაირ სიტყუაობით მომთხრობელი ბრწყინუალისა ვნებისა მისისა კეთილ მსახური ძე მისი თეიმურაზ პირუელი ჰსწერს, შეთუალით ბრძანებასა მთავრისა მიმართ შირაზისა შაჰ აბაზისაგან, ანუ იქმნას დედა თეიმურაზისა მაჰმედიან და ანუ მძჳნვარითა მოკუდეს უკუე შენგან სიკუდილითა. მსმენელმან მთავარმან მან იძულებულმან წმიდისა მის კეთილთად ქცევათა მოწყალეობად, რომელიცა ბრძანებადმდე მწუხარემან ბრძანება იგი ვიდრე მესამედ დღედმდე და სრულიად დაფარვისა ვერ ძალნიერმან შეჰსთუალაო.

ბრძანებს მეფობაჲ მისი, რათა დაუტეოს ქრისტეჲ და მოხვიდეს ჰსჯულსა მაჰმედისასა და მრავალნი ლიქნისაცა და ვედრებისა სიტყუანი შესაბამნი მისდამი მოწყალეობისა მისისანი და კუალად ევედრებოდა მთავარი იგი, რათა პატიოსნებასა მისსა არა შეახოს მძჳნვარენი და საშინელნი სატკივარნი. სხუანი უკუე მომზრახობენ სხუაფერ მთავრისა ამისგან წყევასა წმიდისად უღმრთოებისა მათისა აღსარებისასა და არაქილცა სომეხი სხუაფერ და ლათინთა მეისტორიენი სხუა გუარ. ვითარმედ აწჳაო შაჰ აბაზ ცოლად მოყუასნებაჲ წმიდისა მის და ყოფად დედოფლად სპარსეთისად და სახლისა თჳსისა და ესრეთ უარის ყოფად კეთილ მსახურებისა, მაგრა მე ძისა მისისა მეფისა თეიმურაზ პირუელისა მოთხრობილთაგან ვჰსთქუა: მსმენელი ამათი წმიდა იგი, მადლობითარე ღუთისად და გამომსახველი ცხოველს მყოფელის ჯუარისა ეტყოდა და გულ სავსე ჰყოფდა, ვითარმედ, «არა რაჲმეჲთა სახითა შესაძლებელ არს-ო მათგან, შეცუალებაჲ ჩუენისა კეთილ მსახურებისა, რომელსაცა შევჰსწირავ ღუთისადმი ჩუენისა», არამედ ითხოვა დაცადებად მცირედ.

აქუნდა უკუე წმიდასა ამას განთჳსებითრე სახლი სალოცველი, რომელსა შინა შესრულმან მოიდრიკნა მუხლნი და ცრემლით იტყოდა. «შენ ღმერთსა სამებასა ერთ არსსა და თანაარსსა გიცნობ, უცნაურსა და უხილავსა, ვერ შემძლებელი თქმად საკჳრველებათა შენთა, შენ ბრძანებითა შენითა შეჰსძრავ მთათა და შეარყევ საფუძველთა ქუეყანისათა, შენდამი ჰგალობენ მღაღადებელნი ინდნი, ელლინნი, ებრაელნი, ჰრომნი და სხუანი ენისაებრ მათისა სიტყჳთითა ორღანითა და სამუსითა ძალებითა. გევედრები ჳოი! მეუფეო უფალო, შიშნეულნი მძლავრთაგან მცველთა ჰაერისათა, მომივლინე მე ანგელოსი მცველი სულისა ჩემისა და მიითუალე სული ჩემი და განმიღე კარი სასძლოჲსა შენისა და აღმრაცხე მე გუნდსა თანა მოწამეთასა შენთასა; არა არს რიცხჳ ცოდუათა ჩემთა და არცა ვისმე შენდამი მორწმუნეთაგანსა უცოდავს ჩემებრ და ვისაჲთგან ღირს შენდა აღსარებაჲ მონანულთა, აღჳარებ ცოდუათა ჩემთა, ვითარმედ არა რაჲმე არს დაფარული თუალთაგან შენთა; გადიდებ აღსარებისა მებრ შენისა, შენ განჰკურნენ წყლულებანი ჩემნი, მოიხილე უფალო, მიხსენ და მილხინე, დროსა მას განსხმისა წერილისა გულთასა, მიეც ძესა ჩემსა მეფესა თეიმურაზს ძლევაჲ და რომელნი ჰყოფდენ ხსენებასა ჩემსა მიანიჭე საუკუნო სუფევაჲ. მრწამს ჭეშმარიტად ყოვლად წმიდაო ქალწულო უბიწოო შობაჲ შენი და შენ ქალწულ პირუელ და შემდეგ შობისა, შემიწყალე მორწმუნე განგებულებათა ძისა შენისათა». ესე ყოველი ვედრებული წმიდისაგან აღმოვიღეთ კეთილ მსახურისა მეფისა ძისა მისისა თქმულთაგან. იტყჳს კუალად მეფე,

ვითარმედ დაცხრომილმან ლოცვისაგან წმიდამან მიიღო უხრწნელი და პატიოსანი ჴორცი და სისხლი უკუდავისა სიტყჳსა და იტყოდა. «მეუფეო ქრისტე სიტყუაო ღმრთისაო, არა ჭშჳტნოდა მხევლისა შენისად უარის ყოფაჲ შენი, ნუ მიმცემ ეშმაკსა, მხევალსა შენსა». და ესე რა ჰსთქუა, გამოიწერა თჳს ზედა ჯუარი წმიდა და გამოვიდა და დაჰსჯდა უშიშად ვითა ლომი და ჰბრძანა მოწოდებად მტარვალნი. ჩუეულება არს მოწამეთა ქრისტეს ღმრთისათა, ვითარმედ ტანჯუად ქრისტეს თჳს განჰსცემენ ნებსით თავსა თჳსსა სხუა და სხუა გუარ, ვითარ დიდმან მოწამემან თეოდორე სტრატილატმან, მოიწოდა მეფესა ლიკინიოსს მიზეზისა მიმწერმან მისდა მეფისა მისგან საჭიროდ საგონებელთამან და ერჩდა მეფე იგი და მოვიდა ევხაიტად და სხუანი სხუა გუარ ერთავე იქმოდეს, ამან წმიდამან შემდეგ ლოცვისა მის ყოვლად უნივთოჲსა შეწირვისა მოუწოდა მტარვალნი ჯერეთ მჭურველმანცა თჳსა თჳსისაგან ლოცვითა და სარწმუნოებითა უფლისადმი ტანჯუათა დათმენად მდგომარემან სიხარულით, მსხუერპლმან მან უბიწომან ყოვლად დასაწუელმან შეწირვად ზეციერისა საკურთხეველისად.

მივიდეს უკუე მტარვალნი იგი დელოვლისად, თანა მოქონნი მრავალ ნაკვეთთა რკინათანი, აღატყინეს ცეცხლი და შთასხნეს მას შინა რკინანი გასაკურვებად. იტყჳს არაქილ, მაშინ ცრემლთაცა დათხევასა მთავრისაგან შირაზელისა. იტყჳს მეფე ძე მისი, მხილველთა საშინელთა მათ და ყოვლად საზარელთა წმიდისა სატანჯველთა რკინათა და ცეცხლისათა შგავალთა მათ საწყალობელთა, ერთაგან ცხოვრებათა დაკლებულთა, იწყეს გოდებად, თმათა მოფხურად და ღაწუთა დახოკად და სახელთაცა მხევალთასა წოდებით აკსენებს მეფე, რომელთაცა ვედრებით უბრძანა წმიდამან, რათა იგინიცა ეზიარნეს ვნებათა მისთა და ერთად წარვიდნემცა სასძლოსა ზეციერსა. გარნა ამათ წინაშე წმიდისა მის შიშნეულთა მწარედ მტარვალთა მძლავრებითა უარ ჰყოფს ქრისტე და აწვევდეს წმიდასაცა, რათა შეიწყალოსმცა ყოვლად მშჳდიერი თავი თჳსი და არა მიიღოს მწარენი იგი მძჳნვარებანი ტანჯუათანი. ხოლო ჰხედა დროჲ ხუცესსა გიორგისს მოწოდებისა და მოუწოდეს მტარვალთა და სატანჯველთამან მძწოლარემან უარ-ჰყო მანცა ქრისტეჲ. ხმა უყო წმიდამან ხუცესსა მას საწყალობელსა, იტყჳს მეფე. «რაჲსამე ჰსძრწი ეგრეთ იმერო; აჰა დრო ჩემ თანა სრბისა, მრავალთა დაუთმეს ესე ვითართა სატანჯველთა, ვინმე არს, რომელიცა ქუეყანასა ზედა დაჰშთაომცა საუკუნოდ, უმჯობეს არს სრბა ესე ჩემი ყოველთა განსუენებათა. არა გახსოვსა რაჲ უკუე უფალსა ძესა ღმრთისასა, ვითარ იგი ყოვლად წმიდანი ჴელნი და ფერხნი მისნი ძელსა ზედა დამჰსჭუალნეს მეხმართა მიმართ. დავითმინოთ უკუე ძჳრნი, რათა ვეზიარნეთ ვნებათა ქრისტესთა». მაშინ ყოველნი იძლივნეს თანა მსახურნი და მხევალნი წმიდისანი და თჳთ საწყალობელიცა იგი ხუცესი, ესრეთ მოუთხრობს მეფე თეიმურაზ. აქა ვიდრემე ყოველნი ვნებანი წმიდისანი მოთხრობილთაგან სხუათასა, მეფისა ძისა მისისასა უსარწმუნოეს მიჩნს, ამათ რომელ, ყოველთა დიდნი და საზარონი აღჰსწერნეს ტანჯუანი და ითქუა მეფისაგან არა მეტი რაჲმე არს.

დროსა შეპყრობად ჴელთ შეხებისასა იტყჳს მეფე, მიხედნაო მტარვალთად და ჰრქუა. «ვინაჲ შობილნი ხართ თქუენცა დედათანი მიმაცილეთ განშიშვლებაჲსა აუგო». იტყჳს მეფე, შეპყრობასა და ტარიგისა მის წმიდისასა ეს გუარ, განჭიმეს მძაფრიადრე ხელნი და მაჯანი გლახაკთა გამომზრდელნი, სულნი მარად უბრალონი და წმიდად აღპყრობილნი ღმრთისადმი, დაჰგლიჯნეს მარწუხთა მიმართ ძუძუნი და დაჰსდვეს წყლულთა მათ ზედა საჯნი, ლუსმარნი იყვნეს მრავალნი ქუეშე წმიდისა და მათ ზედა განრთხმულ იყო და ზედაცა დაჰყარნეს იგინივე მრავალნი. მაშინ ჴორცნი

იგი წმიდისანი მრჩობლითა ივნებდეს ტკივილითა, რკინანი იგი თავით თჳსით სატანჯველ იყუნეს და ცეცხლებრ ჰსწვიდეს საშინელ, რამეთუ ნაბერწყალთა სროლადმდე განხურვებულ იყუნეს. მაშინ იპობოდიან ჴორცნი ლუსმართაგანი და რაზომცა განამწვეტ-იყუნეს, ეგრე ჴორცთა შინა განვლიდიან. იტყჳს მეფე, ხორცნი დაჰსცჳვნესო, რომელნი აქუნდეს და მათ წილ დასხდეს ლუსმარნი და ბრძჳლნი, განავლნეს მკერდით ზურგადმდე შამფურნი. მაშინ ტკივილნი სასტიკობდეს, გრგნობანი ტკივილთანი საშინელ-იყუნეს. გჳრგჳნი (სიბრძ. 5, 16) მეფობა მშუენიერებისა და შარავანდედი სიკეთისა განიმზადებოდა მიცემად ხელისაგან უფლისა.

შაჰ აბაზ მძჳნვარებდა, სახიერი ქრისტე დაჰსტკბებოდა, ტანჯუანი ძნიადობდეს მოსაგებელსა ძჳრ-ფარვიდა. იტყჳს ნიკოლაოსცა ეპისკოპოსი მროველი სტიხოლოღოსობით, ვითარმედ ჯაჭჳცა მოარტყეს. იტყჳს მეფე, ბარნი უკუე შემოჰსდვესო შუბლსა და აღმასხეთქასა იტყჳს თხემისასა, სადა იგი ჰქმნა ღმერთმან თჳსად საკურთხეველი; სადა შეიწირვოდეს გამოხატვანი და წმიდანი მიდმოებანი გული სიტყუათანი. ესრეთ (ქებ. 3, 6) აღჳდაო რტო კუამლისა აღმოსრული უდაბნოსთაგან, სული იგი მისი, ყოვლად განწმედილი სასძლოსა ხელისასა (ებრაელ 12, 23) ეკკლესიასა მას პირ-მშოთასა ღმთისა და მსაჯულისა ყოველთასა და სულებისა მართალთა აღსრულებულთასა. გარდა მეფისა ყოველნი თანად მომზრახობენ მომთხრობელნი, ქუაბი რვალისა დაჰსდგეს განხურვებული თავსა ზედა, ესრეთ უკუე მისა სრულებადმდე შეაერთა საშუალნი კეთილნი კეთილისა სურჳლითა დასასრულისად, გულ-მეთქუმან ჴორცთაგან განსლვისა და ქრისტეს თანა მისუელისა. მოიღუაწა ღუაწლი კეთილი, აღასრულა სრბაჲ, სარწმუნოებაჲ დაიმარხა სამოციქულოჲ, მიიღო გჳრგჳნი სიმართლისა, ჰსრბოდა ასპარესზა შინა სხუათა თანა და ერთმან მიიღო ნიჭი, ამან უკუე სხუათა თანა ტყუეთა თჳსთა ქრისტეანეთათა. ყოველნი ზოგად მომზრახობენ მეისტორიენი ნათლისა საღმრთოჲსა გარდამოსუელსა სხეულსა ზედა მოწამისასა. იტყჳან ლათინნი იტალიანებრითა ენითა დაბეჭდულსა ისტორიასა შინა. სხეული წმიდისა დაწურვილი ძჳრად, ჴორცთა უფლისათა საცხებელად, შთააგდესო მწჳრეთა შინა, ადგილთა ქალაქისა ჴორცთა საჭიროთასა და გარდამოსუელითა მრავალ-გზის მის ზედა ნათლისა სუეტისათა, ჰპოვეს მორწმუნეთა ქრისტეს ღმთისა მიმართ, დაღათუ მწუალებელთა. არაქილ სომეხი იტყჳს. და ოდეს იგი მოჰკლეს განაგდეს გარე, პატიოსანი გუამი მისი, საჭმელად ძაღლთა და მხეცთა, გარნა ღმერთმან დიდებულ-ჰყო იგი ზეციურითა სასწაულითა. ხოლო დაიფლა წმიდა იგი დაფარვით მასვე ქალაქსა შინა და წელიწდისა სრულ ყოფადმდე მარტჳრობისა მისისა დაჰყო წმიდამან სხეულმან საფლავსა შინა. ხოლო მოქცევასა წელიწდისასა განაღეს საფლავი და ვერღარა ჰპოვნეს ნაწილნი წმიდისანი. იტყჳან უკუე მეფეს, მოართვესო ლათინთა შაჰ აბაზს ათორმეტი ათასი თუმანი, ხოლო ჰსცნეს რა ვერ ჰშოვნაჲ ნიგროზელთა უკუე მწიგნობართა ჰსძებნეს იდუმალ და ჰპოვნეს დაფარულნი და წარიხვნეს და უქმნეს ლუსკუმაჲ და მრავალთა სენნელთა უკმევდიან და იგინი ჰკურნებდეს მრავალთა სნეულთა. იტყჳს მეფე სრულ ყოფასა წმიდისა დედისა თჳსისა ყოვლად უძლეველისა სრბისასა თთუესა სეკდემბერსა ათსამეტსა. ვახუშტი იტყჳს აღწერათა შინა კახეთისათა, წელსა განკორციელებითგან სიტყჳსა ღმთისა 1624 წ. ოდეს იგი აღჳდა წინაშე საყდართა ყოვლად წმიდისა სამებისათა წმიდა იგი დედოფალი და მოწამე სარწმუნო ქრისტესი, თთუესა, მეშვიდესა მიიღო სკიპტროჲ ქართლისა მეფემან თეიმურაზ. ხოლო ნაწილთა თჳს წმიდისათა მომზრახობენ ესრეთ ყოველნი მოთხრობელნი ბერძენნი, სომეხნი და ლათინნი, ვითარმედ ლათინთა მონაზონთა მშოვნელთა წმიდისა ნაწილთანი ნახევარი ვითარმე მოართუეს მეფესა თეიმურაზს თავი თჳრთ, რომელიცა მეფემან კეთილ მსახუ-

რებისაებრ, ვითარცა მოწამესა დღესასწაულობითა დიდითა პატივჰსცა, საკმეველთა მიმართ და სუნნელთა კმევითა, მიმგებელმან ყოვლითურთ სამღუდელოჲთ კრებულით ქართლისა და კახეთისადი და ძეობისაებრ სიყუარულითა ვითა ჰშუენოდა დედასა დედოფალსა და მეფესა დახსნა წმიდანი იგი ნაწილნი ეკკლესიასა მთავარ მოწამისა გიორგისასა ალავერდს. იტყჳან ქუეშე სამღრთოჲსა ტრაპეზისასა. ამისნი უკუე ისტორიანი ვჰგონებ, ვითარმედ აღჰსწერა ვინმე თჳსა მედროემან წმიდისამან და თჳთ კეთილ მსახურმან ძმან მისმან მეფემან თეიმურაზ პირუელმან შაირ სიტყუაობით და მესამემან არჩილ იმერთა მეფემან, მამის ბიძამან ჩემმან, მოიხსენა შაირ-სიტყუაობათა შინა თეიმურაზ პირუელისა საქმეთა ისტორიისათა.

კუალად გიორგი ხუცეს მონაზონმან გარეჰსჯას ღირსისა დოდოს მონასტრისამან, ნეტარმან ვისარიონმან მამათ მთავარმან ჩუენმან. ვახუშტი ნათესავმან ჩემმან აღწერათა შინა კახეთისათა, მრავალგზის ვედრებით მაწვია მე ქმნად ისტორიაჲ ყოვლად დიდებულთა ღუაწლთა წმიდისა დედოფლისა ქეთევანისათა; დედის დამან ჩემმან, მეფის ირაკლი პირუელისა ასულმან ღირსმან ენკრატისმან მაკრინა, მაგრა ნიადაგ ურჩ ვექმენ მეტყუელი; კმა არს ესოდენთაგან ღირსთა და რომელთამე მაღალთა და უსიტყუერესთა მოთხრობაჲ ღუაწლთა. ხოლო მიზეზი აწ კელ ჰყოფისა ჩემგან, ზემორე განმიცხადებიეს. და აწ განვიღჳძები ქმნითა ამისითა კუალად შესხმად და მოთხრობად ღუაწლთა წმიდისაცა, დიდისა მოწამისა ლუარსაბ მეორისათა, თუ სადამე უნდეს ცხოველს მყოფელსა სულსა. ხოლო თქუენ სარწმუნოებითა მსმენელთა და მკითხუელთადმი (თავი 1, მუხლი 3) მადლი და მშჳდობა ღუთისა მიმართ მამისა და უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესა (და მუხლი 4) რომელმან მისცა თავი თჳსი ცოდუათა ჩუენთათჳს, რათა განმარინნეს ჩუენ სოფლისა ამის ბოროტისაგან, ნებითა ღუთისა და მამისა ჩუენისათა (და მუხლი 5), რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ჰშუენიან სძალსა, უქმნელისა სიტყუასა,
ნივთნი შესამკნი, შესაბამ ქორწილისა,
განსაშუენონი, საქებ სალამაზონი,
რამეთუ სიძე, არს დაბერებადსა,
დროსა შინაობს, საუკუნეთა მეფობს.

თხემსა ლამაზს-ჰყოფს, სივი ცეცხლ-მსროლელი,
ქედს ზედ-სადგარი, მანიაკ საუკუდავოდ,
ძუძუთა საჯნი, ნაბერწყალ მკლთოლუარენი,
გულს ბარი, წელსა ჯაჭჳ განცხელებული,
მუსკულთ მარწუხნი, შამფურნი მხურუალენი.

სამკაულნი, თუ ჯრიან სასძლო სამკნი,
ვინა ცხედარიც, ჭკამს შესაბამი მათი,
ესე მუსმარნი, მახჳლ განცეცხლებულნი,
და ნაკჳერცხალნი, დასაფარ საბურავნი,
ჭკახენ ქეთავანს, შესაბამ სიძე სძლობის.

ცეცხლათ მოიწჳავს, კორცთა ძარღჳთურით განჭლევს,
სისხლს ურთიერთ-არს, სიკჳდიდ მისჳლას აგზავებს,
სიკჳერცხლით იწჳს და მათ სისხლითა დაჭშრეტს,
სავსე სურჳლთა, საღმრთოთა ცეცხლისაგან,
ღრუბლებს ცურევთა, ქეთავან დიდ-სახელობს.

ჯლი საღმრთოსა, სურჳლისა საკმილოჲ,
სეტარმან სძალმან ქრისტესმან იგჳრდივ-ღრუბლა,
ტროვიალებისა ცჳარნი, აწარმოა მით,
ოთხ-გჳარ ნაკჳერთთა, რკინათა ცეცხლ-მსროლელთა,
ნაძჳნი იგი, აცჳრივნა ზემო ნათქჳნი.

ბუნებით წებითთ ანთებ მზე აღმემოსილ,
ელჳარებ მადლე თჳალთა უბინდო თჳალიი.
თჳალჯთ მირონსა მისცემ ძღჳერნ სელსაცხებელს,
ნათელსმექმ ნათელთ ეს გჳარსა უბიწოსაა,
ანთებ თეათა ჩემთა ეოხად მუნთ აღისად.

მეფა მოწამე თოვ ბრწყინ ბრკიალ-მნათობე,
ორიონ სამზო უცხო საგანგ ადამას,
წულებრ მტკიცესამ ანთრაკა ნათელ წმიდა,
ალო სუნნელი, ლაპლაპ ლალ ის საკრა მანგ,
მეთმენობს მეტრივი ეთერიო ძალისაგან.



ხაზინენი. М. САБИНИНЪ.

1. ႼႫႨႣႠ ႫႧႠႥႠႰ ႫႭႼႠႫႤ ႡႨႻႨႬႠ ႹႭႪႭႷႠႸႥႨႪႨ.

СВ. ВЕЛИКОМУЧ. КНЯЗЬ БИДЗИНЪ ЧОЛАКАЕВЪ,

2. ႼႫႨႣႠ ႫႭႼႠႫႤ ႤႪႨႦႡႠႰ

## თთუესა სეკდემბერსა იჱ დღესა, შესხმა წმიდათა მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელისბარისი და უწყება წამებისა მათისა [1]).

---

სამნი მარტჳრნი, სამებისად მსრბოლობენ,
ერის მთავარნი ორნი, ქსნის ძმანებნი,
ქაჯით ჴშირად, ოქროთა თჳთ იიჭვენ,
ჭირად პირადად, განცდილნი აღჳლენ ღჳთისად,
შალვა თჳთ იფერფებს, ელისბარით აღისუფევენ.

მატაკარანი ბიძინა, მათ წინა-მსწრობი,
ასოთ განთჳსვით, სპარსთაგან იაკბობს,
მჭრიდით ნაწევრად, ხასხამთა ჴგმობს სიხარულით,
კაცებით კაცთად, მომკჳდარმან მკჳდარი განმამღმრთობს,
მასთან მახარობს, ხარებით საუკუნოდ.

თქმული ნიკოლაოს ცფილელის მიერ.

---

მოწამეთა სამრავლემან გარე მომიცუჳს ჩუჱნ მრავლითა რათმე მოწყინებულებითა და გარდამატებულითა ჴელოვნებითა და ჴნებავს ჩუჱნ მიერ რაჲმე შესხმა დიდებულთა ღუაწლთა მათთათჳს და ახოვნებათა, რომელნი იგი მათ სიმხნით აჩუჱნეს სიყუარულისათჳს უფლისა მათისა, არა თუ მათდა რაჲმე სახმარ არს, ანუ თუ ჩუჱნ მიერ შეიძინეს რაჲმე, რომელნი იგი სრულნი არიან და მდიდრად აღსავსენი გარდამატებულითა ნიჭითა უცხალებელთათა და კამკამებენ ელვარე-

1) წმიდა მთავარ მოწამე ბიძინა კახთ თავადი, გუარით ჩოლაყაშვლი ჴსცხოვრებდა ფშოთა კახეთს. წმიდანი მოწამენი შალვა და ელისბარ ქსნის ერისთავნი იყუნენ. ელისბარ მოხუც იყო და უშვლო და არა ჴუვანდა მემკჳდრე, ამისათჳს ელისბარმან დაიშჳლობრა წმ. მოწ. შალვა, ნათესავი თჳსი.

ბითა მზისა უბრწყინვალესითა წინაშე მეუფისა მათისა დაღაცა თუ უწყინ ჩუენიცა უძლურებაჲ და ვერ მიმწთომობაჲ ღირსებითსა ქებასა, რომელი იგი მათ ჰშუენის, არამედ რამეთუ ძმათ მოყუარენი არიან, ვითარცა ქრისტეს მოყუარენი და ესე არს ნება მათი რათა ჩუენცა, არა უნაწილო ვეყუნეთ კეთილთა მათთა რომელსა შინა იგინი იხარებენ. უკეთუ ვეზიარნეთ ჩუენცა ხსენებასა მათსა და გულს მოდგინე ვიქმნნეთ სმენად ღუაწლთა და ცხოვრებათა მათთა, რამეთუ უკეთუ მარადის მაქებელ ექმნე მოწამეთა და ჰნატრიდე სიმხნეთა მათთა; ოდეს მოიწიოს ჟამი, შენცა ებაძო ღუაწლთა მათთა და უკეთუ გინდეს აწცა და სამარადისოდ წინამდებარე არს ჩუენდა ღუაწლი გჳრგჳნოსნობისა; რამეთუ ვითარცა იგი მათ მძლავრნი უღმრთონი აიძულებდეს უარის ყოფად; ეგრეთვე ჩუენ უხილავნი მძლავრნი ღამე და დღე გუაიძულებენ უარის ყოფად საქმეთა მიერ ბოროტთა. წინა აღუდგეთ ეშმაკსა და მის მიერნი ვნებანი გუეწყუვების. უკუნ ვექცნეთ და მაქებელ ვექმნნეთ მოწამეთა ძალისაებრ, რათა მათ თანა ზიარ ვიქმნეთ, რამეთუ ძალისაებრნი ყოველნი მისათვალველ არიან მათ მიერ და სათნო წინაშე ღმრთისა.

აწ მოვედით მარტჳრთ მოყუარენო და შემოვკრბეთ ხსენებასა მათსა და გულს მოდგინედ უძღობდეთ სიმხნეთა მათთა, არა თუ ძუელთა და ადრინდელთა მოწამეთათჳს სიტყუა ჩემი, არცა შორთა და ჩუენგან უცხოთა ქუეყანათა შინა გამობრწყინვებულთათჳს, რომელნი იგი დაღაცა თუ ადრინდელნი და უწინარესნი არიან ჟამითა და ადგილითა ჩუენგან შორს, არამედ წინაშე ყოველთა მხედველისა ახალ და ცხოველ არიან. და მარადის უახლესითა და უბრწყინვალესითა დიდებითა განახლებულ და ბრწყინვალე ქმნილ არიან და ვითარცა ხილული ესე მზე ყოველთათჳს სწორად მახლობელ არს. ეგრეთვე წმიდანი მოწამენი ერთგზის რა მსხუერპლ იქმნნეს და სისხლითა მათითა განაახლეს ეკკლესია შორიელნი და მახლობელნი პირუელნი და უკანასკნელნი ყოველნივე ყოველთათჳს მაქებელთა მათთა და სარწმუნოებით მვედრებელთათჳს მახლობელ და თანა შემწე არიან.

არამედ უმეტეს ჩუენნი ესე ახალნი მოწამენი ნამდჳლვე ჩუენნი და ჩუენთა ქუეყანათა შინა გამობრწყინვებულნი. ახლითა ღუაწლითა და უახლესითა გულ მოდგინებითა, ელვარედ ბრწყინვიდენ და ვითარცა მნათობნი და უფალნი მარადის კამკამებენ და ვითარცა შროშანი სულნელი და ვითარცა ვარდნი ფერითა მეწამულნი სისხლითაჲ ძოწეულ ქმნილნი მდიდრად ყუავინ და სულნელებასა მათსა ეკკლესიათა ჩუენთა უხუებით მიჰფენენ.

ხოლო ვთქუა რაჲმე არა უცხო ჯეროვანისაგან თხრობისა, რომელსა იგი თქუენცა მეწამნეთ ფრიადცა ჯეროვნად, რამეთუ პირუელთა მათ მოწამეთა მრავალნი აქუნდეს უპირატესნი ახლოს მისაბაძველად და პირმშოდ მაგალითად; ვიტყვი უკუე წმიდათა მოციქულთა თუალით მხილველთა ღმრთისა სიტყჳსათა და შემდგომად მათთა ურიცხუებსაჲ მოწამეთასა, რომელნი იგი ურთიერთარს ჰხდებოდეს და ერთი ერთსა ებაძვოდეს და გულს მოდგინებით იღუწიდეს და ვითარცა სათვსეთა დიდ ძალთა. სატანჯუელთა ესრეთ მოიტაცებდეს და ბრწყინვალესად სახედ და ჭეშმარიტად მაგალითად ჭეშმარიტი იგი ჭეშმარიტება ღუაწლისა დადებელი მეუფე ქრისტე აქუნდა, რომელი იგი წინამძღუარ ექმნა მოწამეთა და მიხედვითა მისითა, ჩჳლნიცა უჰასაკონი და დედანი უძლურნი მხნე იქმნებოდეს და დამვიწყებელ ბუნებათა.

ხოლო ჩუენთა ამათ ახალთა მოწამეთა ჟამითაცა და საქმითა ფრიად უკანასკნელთა რომელთა არავინ ჰპოვა ახლოს სახისა დამდებელი არცა ღუაწლისა დამწყები; თჳნიერ მცირედთასა, რომელნი იგი მცირედ უწინარეს გჳრგჳნითა წამებისათა შეიმკუნეს. მცირედნი ვთქუ რიცხჳთა. არა მცირედნი სიმხნითა და ახოვნებითა, არამედ ნახეს მუნ და დაუმკჳდრნეს იგინი და აღივსო სრუ-

დიდნი და ბრწყინვალენი მოწამებისა სიკეთითა, ვიტყვი უკუე სახიროსა მას მნათობსა ქართველთასა მეფესა ლუარსაბს და ბრწყინვალედ გჳრგჳნოსანსა მოწამესა დედოფალსა ქეთევანსა, რომელთა იგი მცირედ უწინარეს ჟამითა იღუაწეს ღუაწლი იგი უკუდავებისა და მიიღეს გჳრგჳნი უხრწნელებისა, უსჯულოსა შაჰ აბაზისა მიერ და განსცვალეს ჟამიერი ესე მეფობაჲ ზეციერად და დაუსრულებელად სუფევად. ერთმან მან მრავლისა ჭირისა შემდგომად მოშიობისა მიერ აღსასრული მიიღო და მეორემან მან ცეცხლისა მიერ სრულ ჰყო სარბიელი ესე.

ხოლო შემდგომად დიდთა ამათ მოთმინებათა შეუდგნეს სამნი ესე მოწამენი სამებისა რიცხჳსნი, რომელთათჳს არს სიტყუა ჩუენი, რომელნი მიზეზად შესხმათა ჩუენთა წარმოდგომილ არიან. შეგუეწევიან და ხელსა აღგჳპყრობენ ვიტყვი უკუე ჩუენთა ამათ ახალთა მოწამეთა ბიძინას სანატრელსა, ელისბარს ახოვანსა და შალვას ყოვლად ქებულსა. მხნეთა მათ სულითა და ახოვანთა გონებითა უძლეველთა მბრძოლთა ქრისტეს მიერ ჭურვილთა სპარსზენთა ღუთივ აღჭურვილთა, რომელთა დასცნეს ბევრეულნი მბრძოლნი და ათასეულნი ბანაკნი უსჯულოთანი და მათ თანა უხილავნი მტერნი მთავარნი ბნელისანი: სულნი უკეთურებისანი, რომელნი იგი სრულიად აოტნეს და განაბნინეს და ძლევისა გჳრგჳნი ქრისტეს მიერ მოიხუნეს და შემდგომთა მათ სიმხნისა და ახოვნებისა ძეგლ იქმნეს და ჩუენ გჳტევეს, ვითარცა ხატი და სახე აღუხოცელი სიქუელისა მათისა, რამეთუ ვიდრე დღეინდელად დღედმდე ქრისტეს დიდებული იგი სახელი ჩუენ ქართველთა შორის მათ მიერ იხსენებისა და ბრწყინვალედ იდიდების და სისხლითა მათითა სარწმუნოება ჩუენი მტკიცედ წარემატების.

უწყით ყოველთა ძმანო თუ ვითარ უფლებს ჩუენ ზედა სპარსნი და ქუეყანაჲ ჩუენი მათ მიერ ბოროტად იმძლავრებოდა და უფროსღა ქუეყანა კახეთისაჲ, რამეთუ უღმრთომან შაჰ აბაზ, რომელი იყო მეფე სპარსეთისა[1]), სრულიად ოხერ და უმკჳდრო ჰყო კაცთაგან და სხუა ვერ ვინ შემძლებელ იყო წინა აღმდგომად მათდა და ყოველნივე შიშსა და მძლავრებასა ქუეშე ვიყუენით. წმიდა დედოფალი კახეთისა და მერმე წმიდა ლუარსაბ მეფე ქართლისა ორნივე ზაკვით შეიპყრნა და სახელისათჳს ქრისტესისა მწარითა სატანჯველითა სიკუდილად დასაჯნა და მოწამებითა გჳრგჳნოსან იქმნეს. ხოლო არა ყოვნა სასჯელმან ზეგარდამომან, რამეთუ უკეთური იგი მეფე შაჰ აბაზ, მწარითა აღსრულითა განეხუა ცხოვრებისაგან, რამეთუ მსგავსად იუდასსა განსივნა და გასქდა. ხოლო ძმან მისმან მცირემან შაჰ აბაზ[2]) ინება სრულიად ამოფხურად ქრისტეანობისა კახეთსა შინა და მის წილ განმრავლება და განძლიერება ბილწისა მის სჯულისა თჳსისა.

რამეთუ დიდისა შაჰ აბაზის ოხრებიდგან მცირედ იწყეს შენებად ოხერთა ადგილთა კახეთისათაჲ, თუ სადამედა იპოვებოდეს კაცნი. ხოლო ესმა რა სპარსთა, კუალადცა შენობაჲ კახეთისა, ფრიად შეუძნდა ესე და იწყეს მისთჳს კუალად განზრახვა ბოროტისა. მაშინღა წარმოგზავნეს ურიცხჳ ულუსი თათართა დედა წულითურთ მათით და ფალანებითა მათითა და ყოვლითა სიმდიდრითა მათითა და თავად მათდა უჩინეს სულტანი არდალანისა და იგიცა ყოვლით სახლეულით მისით, რათა სრულიად აღხოცონ ქრისტეანობა. მყის აღიძრნეს და მოიწივნეს კახეთად და დაიბა-

1) უღთო შაჰ აბაზმან, მოაოხრა კახეთი 1615 წელსა და ამას დროსა შინ დაატყუევა წმ. მთავარ-მოწამე დედოფალი ქეთევან და წმ. მოწამე მეფე ქართლისა ლუარსაბ.

2) შაჰ აბაზ I მიიცვალა 1628 წ. მის შემდეგ ყაენათ დაჯდა შაჰ სეფი, რომელი მიიცვალა 1642 წ. შემდეგ მისა, დაჯდა ყაენად ძე მისი შაჰ აბაზ II—მცირე, რომელიც მიიცვალა 1667 წელსა, აღმომფხვრელი კახეთისა.

ნაკუს მუნ და დაემკჳდრნეს იგინი და აღივსო სრულიად კახეთისა თემი[1]), რამეთუ ვერ ვინ შემძლებელ იყო წინა აღდგომად მათდა, სიმრავლისათჳს მათისა. იწყეს რა შენებად, ზემო ბახტრიანით[2]) რომელსა აწ შენ არს ციხე მათ მიერ აგებული ვიდრე, ღანუხადმდე რომელსა აწ ფარობით უხმობენ, იმიერ და ამიერ ალაზნის პირსა და ყოველთა ადგილთა კახეთისათა.

რამეთუ არღარა სადა იხსენებოდა სახელი ქრისტესი თჳნიერ მცირედთა ოდენ მთით კერძო თუშთა შორის და ხუზთა და მის კერძოთა ადგილთა.

მაშინ გამობრწყინდეს წმიდანი ესე ახოვანნი მოწამენი, რამეთუ უფალმან საკჳრველებათამან და ყოვლის შემძლებელმან და უღონოთა ღონიერ მყოფელმან, მოსცა გონებასა სანატრელისა ბიძინასსა განძრახვა კეთილი და გონიერება შემსგავსებული ღუთის მსახურებისა და ახოვნებისა მისისა. წარვიდა წინაშე ორთავე ერის თავთა მიმართ ქართლისა არაგჳსა და ქსნისათა და აუწყა ყოველი ძჳრი მოწევნული მათ ზედა და ითხოვდა შეწევნასა მათ მიერ, რამეთუ მაშინ ერისთავობდა ხევსა არაგჳსასა, რომელსა ეწოდებოდა ზაალ[3]). და ქსანსა ზედა წმიდა ელიზბარ და წმიდა შალვა, რამეთუ ელიზბარ უშჳლო იყო და მოხუცებულ დღითაჲ და წმიდა შალვა ძმისწული მისი შჳლად მიიყუანა და ესრეთ ერისთაობდენ ორივე ქსანსა ზედა. ხოლო წმიდა მოწამე ბიძინა იყო კახეთით, დიდთა თავადთაგანი ნათესავით ჩოლაყაშჳლი. ესე წარვიდა ვითარცა ვთქუ ერისთავთა მათ მიმართ და აუწყა მათ ყოველი ძჳრი მოწევნული მათ ზედა და უტყოდა. «იხილეთ ჩემი ესე ოდენი ჭირი და განსაცდელი, ვითარ მწარე ესე ოხრება კახეთისა და აწ სრულიად დაპყრობა თათართაგან და აღხოცა ქრისტიანობისა. დღეს ჩუენ ზედა არს მოწევნული ესე ძჳრს. მცირედღა და თქუენ ზედაცა უეჭუელად მოიწევის განსაცდელი ესე. აწ უკუე აღუდგეთ მათ ზედა, დაღაცა თუ შეუძლებელ არს ჩუენ მიერ, არამედ ძალითა და შეწევნითა დამბადებელისა და ღუთისა ჩუენისათა და წინა ძღომითა და განძლიერებითა ცხოველსმყოფელისა ჯუარისათა და თანა დგომითა ახოვანისა მჴედრისა წმიდისა გიორგისათა; რამეთუ დიდებული ტაძარი მისი დაიპყრეს და შეაგინეს და პატიოსანი ხატი მისი შემუსრეს. აწ აღუდგეთ მათ ზედა და ბრძოლა ვჰყოთ, ნუ თუ ინებოს ღმერთმან და ვძლოთ და ვიოტოთ; ანუ თუ მოვსწყდეთ სახელისა მისისათჳს, რამეთუ ვითარცა ქრისტემან მეუფემან ჩუენმან დადვა სული თჳსი ჩუენთჳს და რაჲ საკჳრუელ არს, უკეთუ ჩუენცა დავდვათ სული ჩუენი მისთჳს და ძმათა ჩუენთათჳს და მოვსწყდეთ სახელისა მისისათჳს; დაღაცა თუ მრავალ არიან იგინი და უფროს რიცხჳსა და ჩუენ შემცირებულ ვართ დღეს ცოდჳათა ჩუენთათჳს და არა არს აწ ჩუენთანა მთავარ და წინა მძღუარ. არცა მჴედართა განწყობილება და ძალი საჭურველთა, არამედ თავითა დამდაბლებულითა და სულითა გლახაკობისათა აღუდგეთ მათ ზედა და უკეთუ ინებოს ღმერთმან ერთი თაჲ იოტოს ათასეულნი და ორმან წარიქციოს ბევრეულნი და უკეთუ ესე არა ინებოს ღმერთმან და ვერ მძლე ვექმნნეთ ეგრეთვე მოვსწყდეთვე სახელისა მისისათჳს. იყავნ სახელი უფლისა კურთხეულ უკუნისამდე».

---

1) თემი ანუ ქუეყანა, მხარე.

2) ბახტრიანი, იყო ციხე ფრიად დიდი და მაგარი, რომელიც აღშენებულ არს ალაზნის მარცხნივ მხარეს, ალავერდითგან დასავლეთსა, ამ ციხეს უწოდებენ კუალად მაღრანისად. ნახე ამისთჳს გეოგრაფია ვახუშტისა გუერდი 320.

3) ზაალ ქსნის ერისთავი, ნათესავი იყო წმიდისა მთავარ მოწამისა ბიძინასი. ასული ზაალისა ქეთავან ჰყუანდა ცოლად წმ. ბიძინას, რომელიც მიიცვალა 1679 წელსა.

ისმა რა ესე ორთავე მათ ერისთავთა, ქმნეს განზრახვა ურთიერთას და აღუთქუჱს შეწევნა. ხოლო ერის თავი არაგჳსა ცხადად ვერ იკადრებდა შეწევნასა შიშისათჳს სპარსთასა, არამედ მცირედნი ოდენ კაცნი რჩეულნი მხედრები მოსცნა თანა შემწედ საიდუმლოდ. ხოლო ახოვანთა მათ და ღუთის მსახურებით განშუჱნებულთა ელისბარ და შალვა დიდითა გულს მოდგინებითა მოირთეს ძალი რაჲსაცა ოდენ შემძლებელ იყუნეს სპითა თჳსითა. მოვიდეს თიანეთს და იხმნეს თუშნი და მთიულნი და მცირედნი კაცნი თუ სადამეღა იპოვებოდა და ღამესა ერთსა ბნელსა და უმთვაროსა გარდაავლნეს მთა იგი და ჩავლეს ახმეტა და მივიდეს უგრძნობელად მათ ზედა და დაესხნეს მუნ მდგომთა თათართა ზედა. ძალითა პატიოსანისა ჯუარისათა და მეოხებითა და წინა ძღომითა წმიდისა მთავარ მოწამისა გიორგისათა და დაუწყეს სრვა და ხოცვა და ეს ოდენ ასწყჳდეს ვიდრე სრულიად მოსპოვადმდე და აოტეს და განაბნიეს და მოსრეს პირითა მახჳლისათა და თჳთ სულტან [1]) იგი მთავრად მათდა ჩინებული. ძლითღა შეესწრა ცხენსა და მცირედითა ოდენ კაცთა ივლტოდა და დამტევებელი ცოლთა და შჳლთა თჳსთა. ხოლო მათ ყოველთავე ასწყჳდეს და იავარ ჰყუჱს და სრულიად მოსპეს და განაბნიეს და ესრეთ ძლევა შემოსილნი მადლობდეს ღმერთსა და წმიდასა დიდებულსა მოწამესა გიორგის. რამეთუ ცხადად იხილვებოდა მთავარ მოწამე გიორგი ცხენსა ზედა სპეტაკსა ელვის სახედ მიმომასრბოლი წინა მავლად მათდა.

ხოლო ესეოდენი ძლევა მისცა ღმერთმან ამათ სამგზის სანატრელთა მცირედითა კაცითა, ვიდრეღა არა სადა სმენილ არს სხუათა ნათესავთა შორის ესე ვითარი, რამეთუ თათართა მათ ითუქმოდა ოთხმეოცი ათასი სახლი, რომელთა დაებანაკა კახეთს შინა. და ესოდენ აწყჳტეს და განაბნინეს ვიდრეღა არცა თუ ერთი იპოვებოდა კახეთსა შინა და ესრეთ განუმარჯუა ღმერთმან და ესე ვითარი ძლევა მოანიჭა ამათ ახოვანთა, რამეთუ ყოვლისა სიბრძნით განმგებელმან წინასწარ უწყოდა სიმტკიცე გონებისა მათისა და სიყუარული, რომელი აქუნდა მისსა მიმართ სარწმუნოება უქცეველი და უცვალებელი; ამისთჳს თანა შემწე ეყო და მოსცა ესე ვითარი შეწევნა და წინათვე დაუსახა თუ ვითარ ყოივად არიან ბრძოლად წინა აღმდგომთა მათ უხილავთა მტერთა.

ხოლო მცირედნი ვინმე მათ თათართაგან ლტოლვილნი და თჳთ სულტანი იგი უკუნ იქცეს სპარსეთად და განითქუა ესე ყოველი სპარსთა შორის ესე ვითარი მოსაწყევარი. ფრიად შეუძნდა მათ ესე და დიდად სირცხჳლად და ზღუჱვად შერაცხეს. მაშინ უბრძანეს მთავარსა, განძეს [2]) მთავრობა კახეთისა და მირავიდა კახეთად. ზემოთა ქუჱყანათა ვერ იკადრა შესულად შიშითა, არამედ დაიბანაკა ალაზნის პირსა და მართებით ჭოეთისა და მუნით განაგებდა და იპყრობდა კახეთსა.

მაშინ მეფემან სპარსთამან მცირემან შაჰ აბაზ მოუწოდა მეფესა ქართუჱლთასა ვახტანგს, რომელსა სპარსნი შაჰ ნავაზობით უხმობდეს [3]), რათა მის წინაშე წარგზავნნეს ახალნი ესე მხედარნი ქრისტესნი, რომელთაცა საქმე ესე ჰყუჱს. ხოლო მეფემან შაჰ ნავაზ, შეიპყრნა იგინი და წარგზავნნა სამნივე ესე სანატრელნი წინაშე შაჰ აბაზისა სპარსეთს.

1) მმართებლად კახეთისა დადგენილ იყო შაჰ აბაზისაგან, სულტან პენკარხან, რომელი ლტოლვილ მიემთხვია სპარსეთს 1659 წელსა.

2) ესე იგი ყარაბაღისასა ანუ განჯისასა.

3) მეფე კახეთისა ვახტანგ-მეოთხე, სპარსნი შაჰ-ნავაზად უხმობდნენ, რომელმან — დაუტევა სჯული ქრისტესი და მიიღო წყეული მაჰმადიანობა; იყო სპარსთა მეფის ქუჱშე (ანუ მფლობელსა — ქუჱშე ყაენისასა) გამეფდა 1658 წელსა და მოკუდა 1675 წელსა.

ხოლო შაჰ აბაზ მისცნა იგინი სულტანსა მაზარდალანისსა. რომელი იგი ამათ მიერ ლტოლ-
ვილ იყო, მოწყუედასა მას თათართასა. და ესრეთ უბრძანა მეფემან სპარსთამან სულტანსა მას
და ამცნო, ვითარმედ დიდად მეწყალიან ეგენი სიკეთისა და ახოვნებისა მათისათჳს და არა მნებავს
სიკუდილი მათი, რამეთუ დიდად სახმარ არიან ეგენი მტერთა და წინა აღმდგომთა ჩუენთა ზედა.
აიძულენ დატევებად სჯულისა თჳსისა, უკეთუ უარ ჰყონ სარწმუნოება თჳსი და იქმნენ მუსულმან
ჩუენ მიერ დიდთა პატივთა და ნიჭთა სიმრავლესა ღირს იქმნენ. ხოლო უკეთუ ესე არა ჰყონ და
ურჩ ექმნენ ბრძანებასა ჩუენსა მწარითა სატანჯუელითა დასაჯენ და მერმე ამის ცხოვრებისაგან
განიყუანენ. მაშინ წარიყუანნეს წმიდანი ესე და წარადგინნეს წინაშე სულტანისა მის არდალანისა
და იხილნა რა სულტანმან მან წმიდანი ესე მის წინაშე მიგურილნი შეკრულნი და დასჯილნი დიდად
განიხარა მათთჳს და პატივით მოიკითხნა.

პირუელად შეიწყნარნა იგინი კეთილად, რამეთუ ბრძანებაცა ესრეთ იყო შაჰ აბაზისა მიერ,
რამეთუ სიმხნისა და ახოვნებისა მათისათჳს არა ენება მოწყუედა მათი; არამედ ესე იყო ნება
უღმრთოისა მის მეფისა, რათა დატევებითა სჯულისათა სამარადისოდ დგენ წინაშე მეფისა და
ებრძოლონ მტერთა მისთა. ამისთჳს ნიჭთა და პატივთა დიდ დიდთა აღუთქმიდა მათ, რათა უარ
ჰყონ სახელი ქრისტესი. ხოლო წმიდათა მათ, ვითარცა ერთითა პირითა მიუგეს და ჰრქუეს. «ჩუენ
ნიჭთა და პატივთა თქუენთათჳს არა გული გჳთქუამს, არცა ვეძიებთ, საბოძვართა თქუენთა; რამეთუ
ჩუენ ზეცათა მეუფისა მონანი ვართ და მხედრად ქრისტესა განწესებულნი, რომელმან მომცნა
ჩუენ ესე ვითარი ძლევა ჩუენგან შეუძლებელნი და მისგანვე მოველით ნიჭთა უხრწნელთაჲ და
საფასეთა მოუკლებელთა. ხოლო ნიჭი და პატივი თქუენი, ადრე დასრულებადნი და მსწრაფლ
წარმავალნი არიან, ვითარცა სიზმარი განქარდების და ვითარცა ყუავილი დაჭნების და მერმე რაღა
იყოს სხუა შემდგომად ამისა, არამედ ცეცხლი უშრეტი და სხუანი სატანჯუელნი ურიცხუნი და
უსრულებელნი, რომელსა შინა დაისაჯნეთ თქუენ და ყოველნი უარის მყოფელნი ძისა ღუთისანი.
ხოლო ჩუენ არცა პატივნი და ნიჭნი თქუენნი, ვერცა ჭირნი და სატანჯუელნი თქუენნი და სიკუ-
დილისა ქადებანი შემძლებენ განშორებად ქრისტესგან, არამედ მზა ვართ ყოვლისავე დათმენად,
რათა მისთანა ვსუფევდეთ და მისთანა ვიხარებდეთ».

ხოლო პირ სიტყუათა ამათ იყო წმიდა ბიძინა და იგი მიუგებდა ყოველსავე. ხოლო ნება
განზრახუა სამთავე ერთი იყო და სწორი, რომელთაცა ერთადცა და სწორად იღუაწეს და სწორადცა
მიიღეს გჳრგჳნნი. ესმა რა ესე უსჯულოთა მათ, ფრიად განჰკჳრდეს სიმხნესა და ახოვნებასა მათსა
და კადნიერებით სიტყჳსგებასა. კუალად აიძულებდეს უარის ყოფად და აღუთქმიდეს უდიდესთა
ნიჭთა და პატივთა და საკუთრებასა მეფესა მის მათისასა და მოახსენებდეს სიკეთესა და მშუენიე-
რებასა მათსაჲ, სიმხნესა და სიქუელესა მათსაჲ და ეტყოდეს; რათა შეიწყალონ თავნი თჳსნი და
არა მიეცნეს უჟამოსა სიკუდილსა და არცა გამოეხუნენ ტკბილსა ამას საწუთოსა ცხოვრებასა.
ხოლო წმიდათა მათ ყოვლისა ამას წილ მიუგეს. «ვითარმედ ჩუენ არა რომლითა სახითა განვე-
ყენნეთ სჯულსა ქრისტესსა, არცაჲ უარ ვჰყოთ სახელი მისი; რამეთუ არა რაჲ უტკბილეს არს
ქრისტესთჳს სიკუდილი. არა ოდეს ვისმინოთ ცრუსა მის ბილწისა მოციქულისა თქუენისა.
თქუენ რაჲცა გნებოსთ ჰყავთ არა გუეშინის ცეცხლისა და მახჳლისაგან, არცა სხუათა სატანჯუელ-
თაგან. რომელნი თქუენ მიერ მოპოვნებულ არიან. მაშინ წარიკუეთეს უღმრთოთა მათ სასოება
გარდაქცევისა მათისა. მყის შეიპყრნეს სამნივე იგი მხედარნი ქრისტესნი და შეკრულსა ითრევდეს
უწყალოდ ქუეყანასა ზედა, ვითარცა ძჳრის მოქმედთა ვისმე სახელოვანთა მათ კაცთა, რომელთა

სულნი თჳსნი პირუელვე დაასხნეს ქრისტესთჳს და სჯულისა მისისათჳს და მერმე ძმათათჳს, ვითარცა ბრძანებს ხმა სამეუფო «ვითარმედ უფროს ამისსა სიყუარული არა ვის აქუს, უკეთუ ვინ დადვას სული თჳსი მეგობართა თჳსთათჳს». ხოლო ამათ ნეტარითა ადრევე სიკუდილი შეურაცხ იყო, რამეთუ ვიდრე დღეინდელად დღედმდე, ვითარცა უწყით ყოველთა სარწმუნოება ქრისტესი და მართლმადიდებლობა წმიდისა სამების განემტკიცების ჩუენ შორის და სისხლითა მათითა ყუავის ეკკლესიანი ჩუენნი. რამეთუ არა თუ ერთისა და ორისა ძმისათჳს არცა ათისა და ოცისათჳს, განა თუ ასისა და ათასისათჳს დასხნეს სულნი თჳსნი; არამედ მსგავსად მხნელისა ჩუენისა აურაცხელთა და ბევრეულითა ერთათჳს და სრულიად საქართუელოსა თჳს, თავნი თჳსნი სიკუდილად განსცნეს და იხსნნეს იგინი, რამეთუ უკეთუმცა ესე არა ქმნილ იყო, სადამცა აღხოცილ იყო ჩუენ შორის ქრისტეანობა. ესე ვითარნი ღუაწლნი და ესე ვითარნი სიმხნენი აჩუენეს ახოვანთა მათ და ჩუენ დიდად ქუელის მოქმედ გუექმნნეს.

ხოლო ჩუენ პირუელსავე სიტყუასა მოვიდეთ და მოვიხსენოთ მათი იგი ქრისტეს მიმართ მიუდრეკელი სარწმუნოებაჲ და სახელისა მისისათჳს, სიკუდილისა მიმართ უშიშობაჲ და ბრწყინუალედ განვაცხადოთ სიმხნე იგი მათი უძლეველი და ღუაწლი ღუთივ შუენიერი.

და ვითარცა სცემდეს და ითრევდეს წმიდათა მათ და კუალადცა აიძულებდეს, რათა უარ ჰყონ ქრისტე ჲ იგინი მასვე იტყოდეს ჲ უმეტესისაცა აჩუენებდეს სიმტკიცესა თჳსისა სარწმუნოებისასა და სრულსა სიყუარულსა მეუფისასა. მოყუასი მოყუასსა განამხნობდა და ერთი ერთსა აღლესვიდა რათა არა მომედგრდენ წინამდებარეთ ღუაწლთაგან და რათა სიხარულით შეიწყნარონ ყოველი სატანჯუელი მათ ზედა მოწევნული. ილოცვიდეს და ევედრებოდეს ღმერთსა, რათა მოუვლინოს მათ შეწევნა მის მიერი და განაძლიეროს დათმენად წინა მდებარეთა მათ ღუაწლთა სახელისა მისისათჳს და იწურთიდეს სარწმუნოებასა წმიდისა სამებისასა დაღაცა თუ საეროთაჲ და სამხედროთა საქმეთა შინა აღზრდილ იყუნეს და არცა ზედა მიწევნით მეცნიერ საღმრთოთა წერილთა; არამედ რომელსა იგი მეცნიერ იყუნეს, ანუ ზეგარდამო სული აწუევდა, მას იწურთიდეს და მას იტყოდეს და ბაგენი მათნი არა დასცხრებოდეს. დიდების მეტყუელებად ღუთისა და დაუცხრომელად მეტყუელებდეს მრწამსსა საზღუარსა სარწმუნოებისა ჩუენისასა.

მაშინ მსახურნიცა მათნი, რომელნიცა თანა ჰყუეს მცირედნი ოდენ იგინიცა ფრიად აიძულებდეს და ეტყოდეს, რათა დაემორჩილნენ ბრძანებასა მათსა და იხსნან სულნი მათნი ესოდენთა ძჳრთაგან და რათა არა მოსწყდნენ ბოროტად, არამედ ადრე განერნენ ჴელთაგან მათთა.

ხოლო მათ თუალითა მგსინვარითა მიხედნეს მათ და ფიცხლად შერისხნეს და შორს წარდევნნეს მათგან ჲ ეტყოდეს. «უკეთუ ერთ გულნი ხართ ჩუენნი, ვითარ გუაიძულებთ უარის ყოფად ქრისტესა და შედგომად ბილწსა მას დახენეშსა მოჭმედისასა და გნებავსთ მიცემა ჩუენი საუკუნეთა მათ სატანჯუელთა; არა კმა არიან მაიძულებელად ჩუენდა მძლავრნი ესე უღმრთონი და მათ თანა მტერნი იგი უხილავნი მძჳნვარედ მბრძოლნი იგი ნათესავისა ჩუენისანი?

ხოლო უღმრთოთა მათ მოიპოვეს სხუა ღონე და კუალად ლიქნით ეტყოდეს. ნუ ჰყოფთ თავთა თქუენთა სახელოვანთა საცინელ მტერთა, ნუცა აღირჩევთ სიკუდილსა ტკბილისა სიცოცხლისა წილ, არამედ ერჩდით ბრძანებასა თჳთ მპყრობელთასა უარ, ჰყავთ სჯული თქუენი და იქმნენით მუსულმან და მიიღეთ ნიჭთა სიმრავლე და სახმართა უხუება, დაემორჩილენით სჯულისდებასა მოჭმედ მოციქულისა ჩუენისასა. ხოლო იგინი მასვე იტყოდეს დამასვე დაამტკიცებდეს და უქცეველ უყუნეს განზრახვასა თჳსისაგან ჲ მიუგეს. «ნიჭნი ჲ პატივნი თქუენნი საწუთო არიან და

ადრე განქარვებადნი. ხოლო აღთქმულნი იგი კეთილნი მეუფისა ჩუენისანი, რომელნი აღუთქუა მოყუარეთა თჳსთა და მოთმინეთა სახელისა მისისათჳს, საუკუნო და დაუსრულებელ არიან, რომლისა მსგავსი თუალმან კაცისამან არა სადა იხილა, ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოუხდა. ეგრეთვე ჭირნი და სატანჯუელნი, მოუთმენელ და დაუსრულებელ არიან, რომელნი მიელიან უარის მყოფელთა მისთა».

ესე ყოველი ესმა რა ულმრთოთა მათ და წარიკუეთეს სასოება მათისა გარდაქცევისა, შესძინეს სიჩუა სატანჯუელი უმძჳნვარესი პირუელისა. განაშიშულნეს წმიდანი იგი და სიცხესა შინა მზისასა ჰაერსა ქუეშე განყარნეს შეკრულნი ხელით და ფერხით და ყოვლისავე ნუგეშინის ცემისაგან დაკლებულნი შიმშილისა და წყურილისაგან განკაფულნი და ბუზთა დამზიკთა მიერ უწყალოდ წერტილნი.

კუალად მოუხდეს მტარვალნი იგი და მრავალ სახედ ექადოდეს და უთქმიდეს სხუათა სატანჯუელთა უფიცხესთა და სიკუდილსა მწარესა. ხოლო იგინი უახოვნეს იქმნებოდეს და ყოვლად ბრძნითა სიტყჳთა მათითა, რომელი მიელო ზეგარდამო აღთქმისა მისგან უტყუელისა უკუნ იქცევდეს სიტყუათა მათთა.

მაშინ მოუხდეს მტარვალნი იგი პირუელად ორთავე მათ ერისთავსა ელისბარს და შალვას და უწინარეს მათი ეგულვა წარკუეთა თავთა. რათა ამით ოდენ ზარი განხადონ ახოვანსა და სიკუდილითა მათითა შიშნეულჰყონ. უშიში იგი გონებითა და ანდამატისა უმტკიცესი. ჰგონებდეს ამით განშორებასა ქრისტესგან. ხოლო წმიდა იგი არა თუ ოდენ შეშინდა არამედ მათცა უშიშ ჰყოფდა სიკუდილისა მიმართ და განამხნობდა, რათა სიხარულით მიითუალონ სიკუდილი უკუდავებისა მომატყუებელი და ეტყოდა მათ, ვითარმედ არა რაჲ უტკბილეს არს ქრისტესთჳს სიკუდილისა, რომელი დასაბამ უკუდავებისა და სამარადისო ცხოვრებისა გუექმნების. მაშინ სანატრელთა მათ სიხარულით წარუპყრნეს ქედნი მათნი მახჳლსა. ხოლო მტარვალთა, ვითარცა აღიმაღლნეს მარჯუენენი მათნი, რათა ძლიერად უხეთქონ ქედთა მათთა; არამედ ვერ შეუძლეს აღწდომად, რამეთუ სანატრელნი იგი ახოვან და მაღალ იყუნეს ჰასაკითა უმეტეს სხუათა კაცთასა.

არამედ პირუელი წვივთა მათთა უხეთქნეს მახჳლნი და მუხლთა ზედა დასცნეს ჰქუე და ეგრეთღა წარკუეთნეს თავნი მათნი. და ესრეთ სანატრელი აღსასრული მიითუალეს და აღჴდეს ზეცისა დიდებისა წინაშე, ყოველთა მეუფისა გჳრგჳნ შემოსილნი.

კუალადცა მოუხდეს ნეტარსა ბიძინას აწღა თუ დამტკიცებით ჰგონებდეს შიშნეულებასა მისსა და ესვიდეს ტყუილით მომედგრებასა მისსა. აშინებდეს და ექადოდეს ულმრთონი იგი უმძჳნვარესითა სიკუდილითა. ხოლო იგი უმეტეს განმხნდებოდა და აწუევდა მათ, რათა ადრე განიყუანონ საწუთროსა ამის ცხოვრებისაგანი, რამეთუ ჰსუროდა და ისწრაფდა ადრე მიწევნად სასურველისა თჳსისა და შერთვად მოყუასთა თჳსთა თანა; რათა არა დააკლდეს რიცხუსა მას პატივ ცემულსა წმიდისა სამებისასა და რათა აღავსოსცა რიცხჳ იგი მათგან დაკლებულ. კუალად მოუხდეს და პატივთა და ნიჭთა უდიდესთა წინა უყოფდეს და სიმდიდრეთა ფრიადთა აღუთქმიდეს, რათა უარ ჰყოს ქრისტე და შეეძინოს სჯულსა მათსა და იგი კუალად მასვე სიტყუასა ეტყოდა და აგინებდა სჯულსა მათსა და ბილწსა მას სჯულის მდებელსა მათსა და უკუნ აქცევდა სიტყუათა მათთა მადლითა მით, რომელი მოწამე იყო მისსა ზეგარდამო და ვითარცა ამასცა ზედა წარიკუეთეს სასოება და ვერარითა სახითა და ღონითა უძლეს მიდრეკა მისი ქრისტეს სიყუარულისაგან. იწყეს კიცხვად და

ბასრობად მისსა, მოიღეს კუბასტი[1]) დედათა და მოასხეს ახოვანსა მას მხედარსა ქრისტესსა, ვითარცა გასმიესთ წმიდათა მათ სერგის და ბაქოსთჳს და უფროსღა ქრისტეს მეუფისა ჩუენისა, ვითარ იგი ქლამიდა მეწამული და კიცხევისა სამოსელი ჩემთჳს შეიმოსა უღმრთოთა ჰურიათა მიერ.

მერმე მოიგონეს სხუა ღონე კიცხევისა და ბასრობისა, ნუ უკუე ამით ოდესღა უძლონ მიდრეკად მისსა. მოიყუანეს ვირი და აღსვეს მის ზედა და მიმო ივლინებდეს უბანთა და ფოლორცთა შორის და უკიცხჳდეს და ბასრობდეს და აგინებდეს, რამეთუ სპარსთა შორის დიდად რადმე სირცხჳლად უჩნს მამა კაცთა უფროსღა მთავართა მათთა და შერაცხილთა ვირსა ზედა დაჯდომად. ხოლო დედანი, ცოლნი დაბალთა მათთანი ჰუნეთა და ცხენთა წილ ვირთა ზედა მსხდომარე არიან. ამისთჳსცა მოიპოვეს უცხოთა მათ კიცხევად წმიდისა მის, ხოლო იგი უფროსად იხარებდა და მადლობდა ღმერთსა; ამასცა ზედა მსგავსებისათჳს მეუფისა, რამეთუ ამითცა გამოჩნდაჲ მსგავს მისსა, ვითარ იგი იხილვებოდა მჯდომარე კიცუსა ზედა ვირისასა შემავალი იერუსალიმს ვნებად კაცთათჳს; ეგრეთვე ესე მჯდომარე ვირსა ზედა ისწრაფდა შესლვად ზეცისა იერუსალიმსა სადა იგი მჯდომარე არს მეუფე მეუფეთა და უფალი უფლებათა ქერაბიმთა საყდართა ზედა, ბევრის ბევრეულთა ანგელოსთა ძალთა მიერ თაყუანისცემული. ხოლო თჳთ წმიდაცა იგი ემღერდა თავსა თჳსსა განცხრომის სახედ და იტყოდა. «ეჰა ვითარ ქუელის მოქმედ მექმნნეს მტერნი ესე უღმრთონი კნინღა და მეგულვების ვირითა ამით შესლვად სამოთხედ».

ხოლო უსჯულოთა მათ შემდგომად კიცხევისა მის და ბასრობისა, მოიყუანეს კუალად და იწყეს გინებად და ექადოდეს მწარითა სიკუდილითა, უკეთუ არა უარ ჰყოს ქრისტე. ხოლო იგი უშიშითა და მაღლითა ხმითა კუალადცა ბასრობდა ხენეშსა ჰსჯულსა მისსა და აგინებდა ცრუ მოციქულსა მათსა და უფროსად განაფიცხებდა მათ და აღძრვიდა მის ზედა გულის წყრომად, რათა ადრე განიყუანონ ამის ცხოვრებისაგან და მიიწიოს სასურველსა მას თჳსსა და რათა ადრე შეერთოს ყოვლად ბრწყინვალესა მას გუნდსა მოწამეთასა.

ხოლო მტარვალთა მათ მოიხუნეს მრავალ სახე მახჳლები აღლესულები და იწყეს უწყალოდ ჭრად და კუეთად ასოთა და ნაწევართა მათ წმიდათა და ეტყოდეს. გურჩიდი ჰოი ბიძინა! გურჩიდი და უარ ჰყავ ჰსჯული შენი და ქრისტე იგი რომელი შენ ღუთად გრწამს და ნუ გნებავს ბოროტად სიკუდილი. ხოლო იგი დაუცხრომელად მეტყუელებდა მრწამსსა და ზედა დაურთავდა სამეუფოსა მას ლოცუასა[2]) პირველად მოჰკუეთნეს მარჯუენე თითნი ხელთანი თითოეულად და მერმე მარცხენე და ეტყოდეს ადგილ არს კურნება ამისი, უკეთუ დაემორჩილო ბრძანებასა თჳთ მპყრობელისასა. ხოლო იგი დაუცხრომელად ილოცვიდა და მათ არა რაჲს მიუგებდა. მერმე მოჰკუეთნეს თითნი ფერხთანი თითოეულად მარჯუენე და მარცხენე და თითოეულსა ზედა ეტყოდეს ადგილ არს კურნება უკეთუ გინდეს და უარ ჰყოჲ ქრისტე და იგი რა უქცეველ იყო თჳსისა სიმტკიცისაგან. მერმე მოჰკუეთნეს ხელნი მარჯუენე და მარცხენე მაჯითურთ და ეგრეთვე ფერხნი ვიდრე კოჭთამდე და ესრეთღა წულილ წურილად იწყეს ჭრად და კუეთად ყოველთა ასოთა და ნაწევართაჲ მისთა. ვითარცა გასმიესთ იაკობისთჳს დაჭრილისა, რომელი გამობრწყინდა მათვე სპარსთა

---

1) წმიდა მთავარ-მოწამე ბიძინას მოახურეს ჩადრი (ანუ კუბასტი); ესე ვითარი მოქმედებანი მტარვალთა მიერ ბიძინასა ზედა ჰნიშნამდენ საშინელსა გინებასა და უპატიობასა მის ახოვანობისასა-რამეთუ მამა კაცის დედაკაცის ტანისამოსსა შინა შემოსვასასა აღმოსავლეთს დიდ გინებასა ჰნიშნამს.

2) ესე იგი მამაო ჩუენსა.

შორის 1) და ესრეთ უწყალოდ ჭრიდეს და კჳალად წყლულსა ზედა დასძინებდეს წყლულთა მისთა და ყოველთა ნასხამთა მისთა შეეხებოდეს და სჭრიდეს და ჰკჳეთდეს და ვითარცა ორნატთა განა-ჰებდეს ხორცთა მისთა. ხოლო ამისთჳს ჰყოფდეს უღმრთონი იგი ამას რათა, უმრავლესი ტკივილი შეუხდეს გულსა მისსა და ნუ უკჳე ამით მომედგრდეს სიმხნე მისი და გჳრჩდეს. ხოლო იგი ხადოდა მაღლითა ხმითა სახელსა ქრისტესსა და სურვილითა მისითა აღისუბუქებდა ტკივილსა მას მწარესა და ითხოვდა მისგან მოთმინებასა, რათა მცირედ ჟამითა ამით ტკივილითა თანა ზიარად გამოჩნდეს ვნებათა მისთა და ეგრეთცა სუფევასა მისსა აღთქმისა მისებრ, უტყუელისა; რომელი იგი არა უგულებელს ჰყოფს მისთჳს ძჳრ ხილულთა, რომელიცა იგი შეეწყოდა და ღირს ჰყოფდა მოუთმენელთა მათ წყლულებათა დათმენად.

მერმე მოჰკჳეთნეს ორნივე მკლავნი, ვიდრე იდაყჳადმდე და მერმე ორნივე წჳივნი, ვიდრე მუხლთამდე და კჳალად ორნივე მუხლნი იდაყჳთგან ვიდრე ბეჭთამდე მარჯჳენე და მარცხენე და ესრეთღა უწყალოდ დაჭრილთა მათ ასოთა მისთა ათრევდეს მიწასა ზედა და კჳალად მოიყჳანიან და იწყიან ჭრად დარჩომთა მათ ასოთა და მოჰკჳეთნეს მერმეცა სხჳლ ბარკალნი ორნივე. და ჯერეთ ცოცხალღა იყო. და თავი ოდენ ეგო უვნებელად დაჭრილსა გჳამსა ზედა და საზარელ იყო მხილველთაგან და რაოდენ ეძლო ბაგითა და თჳალითა აჩჳენებდა ნიშსა ლოცვისასა და შემწედ ხადოდა შეწევნასა მას ყოველთასა და კჳალად ითრევდეს კერძოსა მას გჳამისასა, უპატიოდ ქჳეყანასა ზედა ჯერეთ სულიერღა იყო, მიხედნა ერთმან მტარვალთაგანმან 2) და თითოეულად განიცდიდა მოჭრილთა მათ ასოთა მისთა და შინაგან რა შთაიხედნა, რამეთუ ცხადად ჩნდეს უშინაგანესნი ასონი და იხილა გული იგი სამგზის სანატრელისა მის, რამეთუ ჯერეთ ცოცხალ იყო და იძრვოდა ჩჳეულებისაებრ და მიმოკრთებოდა და ეგონება თუ სიყჳარულითა მით ღჳთისათა, რომლითა ცეცხლებრ ეგზნებოდა და ზეშთა ჰყოფდა ყოველთა მათ ტკივილთა, იგი ჰკრთებოდა და ეგრებოდა და ესე იხილა რა მტარვალმან მან ხმა ჰყო ხმითა მაღლითა. იხილეთ აჰა ჯერეთ ცოცხალ არს ღორი ესე, რამეთუ გული მისი იძრვის და მიმო კრთის და ესოდენმან ამან სასტიკებამან ჭირთა და ტკივილთამან ვერ უძლეს დაცხრომად. მიიღო ლახვარი და რაოდენ ეძლო განაწონა გულსა მისსა.

ჰოი! სამგზის სანატრელისა მის აღსასრული ჰოი! ყოვლად ქებულისა მის ღჳაწლი. ჰოი! წყალობა აურაცხელისა მის მადლი და ნიჭი. ვითარ საქმითაცა ამით და სახითა მობაძავად ვნებათა თჳსთა გამოაჩინა ნეტარი იგი და ამითცა გჳრგჳნითა გჳრგჳნოსან ჰყო ყოვლად ქებული იგი, ვითარ იგი მან ჩჳენთჳს ჯუარსა ზედა მიიღო ლახურისა მიერი წყლულება ეგრეთვე ესე მისთჳს ლახჳ-რისა მიერ განგუმირა. დიდ არს დიდება ესე ძმანო, დიდ ნიჭნი და პატივნი ესე, რომლითაცა ადიდა დაშუამკო მოწამე თჳსი.

ესრეთ იქმნა და თავიღა დაშთომილ იყო ღმერთ შემოსილისა მის, მერმე იგიცა წარკჳეთეს 3) და ესრეთ აღესრულა და ესრეთ შეიმკო და ესრეთ გჳრგჳნოსან იქმნა და სული იგი ყოვლად ბრწყი-

---

1) წმიდა მთავარ-მოწამე იაკობ სპარსელი, დაიჭრა ქრისტეს თჳს სპარსეთს; სპარსთა მეფისა იზდიგერდისა-გან. წმიდა აღმოსავლეთის ეკკლესია დღესასწაულობს ხსენებასა მისსა ნოემბრის კზ დღესა.

2) მტარვალნი იყჳნენ მხედარნი, რომელნიც განუშორელად ახლდნენ მეფეთა ანუ დიდთა მთავართა და რომელთა ეპყრათ ხელთა შინა ერთი ფუჩქი ჯოხი ანუ ისარნი. თანამდებობა მათი იყო ჯოხით ცემა ბრძანებისაებრ მეფის. როჰმთა იმპერატორთა ახლდათ მტარვალნი, რომელთა ეწოდებოდათ «ლიკტორ».

3) წმიდა მთავარ-მოწამე ბიძინა აღსრულდა 1661 წელსა.

ნუალე მრავალ ვნებულსა მას გუამსა მისსა შინა მკჳდრი განვიდა, რათა ხელთა მიერ ყოვლისა მპყრობელისათა შეიწყნარეს. და დაემკჳდრა ზეცისა იერუსალიმსა უხილავთა მათ შინა კეთილთა. სადა იგი არს განწყობილი უხორცოთა და იშუებენ გუნდნი მოციქულთანი და განსცხრებიან კრებულნი წინასწარმეტყუელთანი და სუფევენ დასი მღუდელთა და მამათა და უფროსად განწყობილი მოწამეთანი ბრწყინვენ და ყოველნი საუკუნითგანნი წმიდათა შუენიერებანი, რომელთა თანა შეერთო და რომელთა თანა დაემკჳდრა და იშუებს და ბრწყინავს ნათლითა მით უსხეულოთა და განიცდის თჳნიერ სარკისა და სახისა, დიდებასა მას თუალ შეუდგამსა ღუთაებისასა და იშუებს ძალითა მით ცხორებისათა და ჩუენთჳს ჰყოფს მეოხებასა, რომელი ესე ვაქებთ ხსენებასა მათსა და ვდღესასწაულობთ სიმხნეთა და ღუაწლთა მათთა.

ხოლო წურილად დაჭრილნი იგი ასონი მის სამგზის სანატრელისანი და ორთა მათ წმიდათანი განყარნეს უპატიოდ ჰაერსა ქუეშე; რამეთუ ვერვინ იკადრებდა აღებად შიშისაგან მათ უსჯულოთასა. ხოლო მას ღამესა პატივად მოეფინა ნათელი ბრწყინუალე სამთავე მათ გუამთა ზედა წმიდათა, სახილველად ყოველთა მიერ; ვიდრელა საგონებელ იყო მახლობელთაგან ლამპართა სიმრავლისა აღნთება და სადა იგი მიცხებულ იყუნეს სისხლნი იგი ქრისტესთჳს დათხეულნი მუნ თითოეულსა ადგილსა კამკამებდა ნათელი იგი. და რომელთა იხილეს ესე ადიდებდეს ღმერთსა და იტყოდეს; დიდ არს ღმერთი ქრისტეანეთა და რომელთათჳს ესენი მოიკლნეს. ხოლო მიმყოვრებასა ღამისასა, ოდეს ყოველთა დაიძინეს; მოვიდეს მუნ მეოვნი ქრისტეანენი სომეხნი და აღიღეს გუამნი იგი მოწამეთანი წარპარვით და წარიღეს და დაკრძალეს იდუმალ ეკკლესიასა შინა მათსა. და მრავალსა კურნებასა ჰყოფენ და ეშმაკთა იოტებენ მვედრებელი მათთაგან, რომელნი სარწმუნოებით შეუვრდებიან მათ.

ხოლო შემდგომად ამისა წარხდეს წელნი არა მცირედნი, ცოლმან წმიდისა შალვასამან ღუთის მოყუარემან ქეთავან და ძემან ერისთავმან დავით, წარგზავნეს კაცნი სარწმუნონი მუნ სადა იგი დაკრძალულ იყუნეს გუამნი იგი წმიდათანი. აღმოიღეს იგინი და იხილეს რა, რამეთუ სამნივე იგი განუყოფელ იყუნეს, რამეთუ ურთიერთარს შეერთებულ. ხოლო თავები იგი მათ წმიდათანი არცა ერთსა ზედა იყო მდებარე, რამეთუ სომეხთა და ფრანგთა განეყო, რათამცა დაეკრძალნა იგინი. მაშინ აღიხუნეს კაცთა მათ და მოიხუნეს იგინი ქართლად. ხოლო ცნეს რა მოხუმა მათი სახლეულთა მათთა და სხუათა მრავალთა. მაშინ დიდითა სურვილითა და სარწმუნოებითა მიეგებნეს და შეიტკბოდეს და ამბორს უყოფდეს. ხოლო სამნივე იგი წმიდანი არა განირჩეოდეს არცა იცნობებოდეს სახელდებით ვინათგან უთავოდ იხილვებოდეს. ამისთჳს სამნივე იგი ერთ ბამად განუყოფელად მოიხუნეს და დასხნეს ერთსა სამარხოსა შინა იკორთის დაბალსა მონასტერსა შინა მთავარ ანგელოზთასა[1]) ჩრდილოთ კერძო, დამართებით წინაშე სუეტისა. სადიდებელად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, ერთ ღუთაებისა და განუყოფელისა, რომელსა ჰშუენის ყოველი დიდება პატივი და თაყუანის ცემა აწ და მარადის.

1) იკორთის მონასტერი აწ უქმი და დარღვეული, აღშენებულ არს ქართლს — 25 ვერსტი — ქ. გორიდგან, პირველად ამ მონასტრის მაგიერ, ამ ალაგს აღშენებულ იყო ეკკლესია წმიდისა მიხაილ მთავარანგელოზისა, ვირშას; დროსა შინა იუსტინიანოს ბერძენთ იმპერატორისა II 527 — 565, და საქართველოსა შინა ერისთავთ ერისთავისა ადარნასე II † 663. — ძველნი მატიანენნი ვრცლად მოგვითხრობენ ვირშისათჳს და მფლობელის მის თავადისა, რომელმან აღაშენა ეკკლესია მთავარ ანგელოზისა; შემდეგ რამდენისამე საუკუნესა, აქა ესე იგი მთავარ ანგელოზის ეკკლესიის მაგიერ, აღშენდა მონასტერი-ერისთავებიანთაგან.

თ̃ჳთა ივნისსა ა დღესა შესხმა და ცხოვრება ახლად მოწამედ გამოჩენილისა შიოჲსი და ხუთთა მონაზონთა, რომელნი დახოცნეს დავით-გარესჯას ლეკთა უღმრთოთა. (თქმული კათალიკოზ მღოაშჳლისაგან)?. მეფობასა ერეკლესასა და კათალიკოზობასა იოანნესასა. (ა. კი. გხნნი)? 1).

---

შიო ნეტარო სულისა წმიდითა განშუ̃ნებულო, თანა მყოფო და თანა მზრახველო წმიდათა მღ̃დელთათა დ̃ ნეტარეულთა მამათა შეერთებულო, რომელი ჭნათობ ზოსტერთა 2) სისხლ დალატობილითაჲ შემოსილი და წმიდათა ხორცთა შენთა ლახვართა მიერ უწყალოდ დაგმერილი, ვითარცა პირუ̃ლ სასატრელნი წმიდანი მამანი და აწ მათთანა ევედრე მოწყალესა, რათა შეგჳნდოს შეცოდებანი ჩუ̃ნნი.

შიო მღ̃დელ-მშუ̃ნიერო, რომელი მყოფ იყავ სოფელსა წმიდისა მამისა დავითისასა და ვითარცა ლუკიანე პირუ̃ლ ცხოვრებასა მსახურებდა, ეგრეთუ̃ შენ სამარხოსა მისსა მსახურებდი, წირვითა უზაკველითა და ლოცვთა ჟამ ყოველ დაუცადებელად, სულ თქმა ცრემლოვანებითა მდაბლით გალობითაჲ მარადის უფლისაჲ მვედრებელო და აწ მომწყდართა შენთა თანა გჳოხენით მხსენებელნი თქუ̃ნნი და გჳთხოვეთ ბრალთა ჩუ̃ნთაგან გამოხსნაჲ.

წმიდაო მღ̃დელ-მოწამეო შიო და ნეტარნო მონაზონებისა ყვავილნო, რომელნი ფუშხდით სულნელებაჲსა (და) პირნი თქუ̃ნნი, იწვრთიდეს დღე ყოველ საღმრთოთა წერილთა, რომელთა

---

1) ეს ცხოვრება წმ. შიო ახლისა და სხუ̃ათა წმ. მოწამეთა, წმ. დავით გარესჯის უდაბნოსა შინა, ჩუ̃ჳა წელსა, თთუ̃სა მარცსა, ეღანსა შინა ვჰპოვე. მცირე დროების და უმეტეს მცრობის გამო,— ვერ ძალ მედვა განჩინებით გადმოწერა ამ მოთხრობისა, არამედ დავავალე გადმოწერა ფარულად და ფრიადი შეცთომილება შეურევნია გადმომწერალსა და გულ დარწმუნებული — ვერ შევამოწმე გადმოწერილი ნამდვილთანა და წარმოვიდე რუსეთს დასაბეჭდათ, ამისათჳს ბოდიშ ვიხდი შეცთომილთათჳს თუ რამე აღმოსჩნდეს.

2) ზოსტერი (ζωστήρ) ტყავის ქამარი.

მოიძულეთ სოფელი და სოფლისა ყოველი; მონანო ღირსნო, რომელნი მოგმკეს უღმრთოთა ლეკთა, ვითარცა პირუელ ლავრას სანატრელნი ვაშა მამანი.

ვნატრით სიკუდილთა თქუენთა, რომელნი მიხვედით უკუდავსა ცხორებასა სისხლითა ნაკადულითა შეურთიერთებულნო ჹ ერთად წამებაჲსა გჳრგჳნთა მიმღებელნო შიო მღუდელ-მოწამეო და ძმანო დაკლულნო, ვითარცა კრავნი და აწ ვაქებთ სამარხოთა თქუენთა, რომელთა შეიცვეს პატიოსანნი გუამნი თქუენნი, ჩუენგან სურვილით ხსენებულნო.

კურთხეულ არს მეუფე, რომელმან ღირს გყუნა თქუენ მოწამეთა დასთა შეერთებაჲსა და მგზავსად მათსა პატივ გცნა თქუენ გჳრგჳნითა ღუაწლთათა, რათა დასთრგუნეთ მზაკუარებაჲ ეშმაკისა ჹ აწ სუფევთ დაუსრულებელსა კეთილსა, ნეტარნო ძმანო, მამანო ჩუენნო სტიქარონი. ა. თჳთა.

შენ მადლითა აღვსებულო და სულიერისა წესითა შემკობილო, კორცთა შინა მყოფო და უხორცთაებრ ცხორებულნო, ქართუელთა და კახთათჳს აწ ახლად მოწამედ გამოჩენილნო, მეოხ ეყავნით მხსენებელთა თქუენთა.

მსხუერპლად შეიწირენით, ვითარცა პირუელ აბელი და ისაკი და სისხლთა თქუენთა ბკურებითაჲ უმანკოჲ ექმნეს გუამნი თქუენნი და შეერთებით წმიდათა მღუდელთა და წმიდათა მოწამეთა თანა სუფევთ, ჩუენცა მოგჳხსენენით ძმანო პატიოსანნო.

დიდება შენდა, რომელი ადიდებ მადიდებელთა შენთა დამბადებელო და კეთილის მყოფელო გლახაკთაჲ და დავრდომილთაჲ, რომელი მდაბალთა აღამაღლებ და მაღალთა დაამდაბლებ, რომელმან მოანიჭე ესე ვითარი მადლი და სიწმიდე შიოს მღუდელ-მოწამესა და მისთანა ხუთთა მონაზონთა აღსრულებულთა შემწეთა ჩუენთა. ოხითა.

სისხლი შენი და შენ თანა დაკლულთა მამათა ღაღადებს ღუთისაჲ მიმართ მღუდელ-მოწამეო ნეტარეულო შიო. მეოხ ეყავნით წინაშე მეუფისა მომხსენებელთა თქუენთა, რომელნი გაქებთ ნეტარნო. წგა. დ.

ქუეყანისა შფოთთაგან შორის მყოფნო ლოცვთა და მარხვთა განკაფულნო, წმიდათა და სანატრელთაჲ მამათა მიმბაძუელნო და ცხორება კეთილობით მყოფნო და შემდგომად სიკუდილისა უკუდავსა ცხორებასა მისრულნო შიო ნეტარო და მისთა თანა აღსრულებულნო შეგვეწიენით ცოდვილთა. — აქებდით. წარდგომა სახარებისა. პატიოსან არს წინაშე უფლისა. რა მივაგო უფალსა. სახარება: დადგა იესო ადგილსა ველისა. — მიწყალე. და გალობანი. უგბა. — კა. დ. ზღჳსა მის მეწამ.

განანათლე ნათლითა მით შენითა მიუწთომელითა მართალო შიო, სული და გონება ჩუენი ღუთისა მიერ მამაო, გჳვის დღეს ჩუენ წინამძღუარი მღუდელ-მოწამე ქრისტესი შიო და ძმანი, კსენება მათი შევამკოთ და ვადიდოთ უფალი, რომელმან მათ მოჰმადლნა ღუაწლი ესე.

წარემართე გზასა ჭეშმარიტსა და მიხვედ ცხორებად საუკუნოდ მადიდებელო უზაკოდ შობილისაო შიო მღუდელ-მოწამეო და ძმანო. გრა. იხარებს ვგ.

მძლე ექმენ სოფელსა და დაუტევე მისი ყოველივე შუებაჲ და მიხვედ გარესკნად შიო და თანა დაკლულნო ძმანო მეოხნო ჩუენნო, სიხარულად შეგეცვალნეს მწუხარებანი და ტკივილნი სიამედ და ჰპოვეთ შუებაჲ საუკუნო მამანო, ლეკთაგან აღსრულებულნო. სიტყჳთ და საქმით გონება აღგეპყრაჲ ღუთისა მიმართ შიოჲ აბელისებრ დაკლულო და ისაკისებრ მსხუერპლად შეწირულოჲ. — მსა. სიყუარული წყალობისა.

გაქუ̂ნდაჲ სიმშჳდე და მოთმინება და უზაკუ̂ელი გონებაჲ და კორცთა უკორცთა მსგავსად იქცეოდი და მსახურებდი სამარხოსა წმიდისა დავითისსაჲ.

გამოგირჩია მადლმა საღმრთომან შიო და ძმანო, სისხლთა ნაკადულითა ურთიერთსა აღრეულნო. მოგეხჳვნეს არვეთა კრავისაჲთა მგელნი ბოროტნი დაგბძარნეს უწყალოდ, ვითარცა ჰეროდემ ჩჩჳლნი უმანკონი და ვითარცა ზაქარია უბრალოდ დაკლულნო. ღგა. შენ უფალო. გიხაროდენ შიო ნეტარო და ძმანო იშუ̂ებდით, რამეთუ ჰპოვეთ, რომლისა გსუროდით მისვლად, სადა არა არს ჭირი, არამედ სიხარული.

განშუ̂ენდით პატიოსნად ახალნო მოწამენო და ჩუ̂ენ ცოდჳლთაგან დიდათ სანატრელნო მონოზანნო და მართლ მადიდებელნო. ქალწულ მარიამს და ძესა მისსა ევედრე შიო და ძმანნო, რომელნიცა დაიკუ̂ლნით, რათა ჩუ̂ენცა მოგჳტევნეს შეცოდებანი ჩუ̂ენნი. ღუა.

გალობით. აღავსო ქართლი და კახეთი მადლითა თქუ̂ენ მიერითა უდაბნოსა ყვავილნო და ნერგნო ნაყოფიერნო შიო და ძმანო.

მოწამეთა თანა ზიარ იქმენით და სისხლითა განბანეთ ბიწჩირქოვანება სულთაგან თქუ̂ენთაჲ შიო მღუ̂დელ მშუ̂ენიერო და ძმანო და მამანო უფლისა მონანო. სურჳლითა შენითა მოიძაგეს საწუთრო ესე მონათა სათანადოთა ძისა შენისათა მარიამ ქრისტეანეთა შესავედრებელო და შემწეო. იბგა. სოფელი დაუტევე და სოფლისა ყოველივე შუ̂ებაჲ მოიძაგე და საუკუნოსა მის ნეტარებისათჳს იღუ̂წიდი და სისხლითა შენითა განიბანე მწიკუ̂ლი გუ̂ამისა შენისა, ლეკთა მიერ უწყალოდ აღსრულებულნო ნეტარნო შიო და ძმანო; ჩუ̂ენცა მოგჳხსენენით მონანო უფლისანო.

თთ̃ა ივნისსა ა. წმიდისა მღუ̂დელ—მოწამისა შიოსი დ მოყუ̂ასთა მისთა. ესე წმიდა მამა ჩუ̂ენი შიო აღმოსცენდა კეთილი ნაყოფი ქუ̂ეყნისა ქართლისასა, სოფელსა ვეძისასა თავსა დიღმისასა, რომლისა მამასა ეწოდებოდა სახელად პაპუნა დ დედასა თამარი. ხოლო ესე პაპუნა სავსე იყო ქუ̂ეყნისა კეთილითა დ ხვასტაგნი მრავალნი ჰყუ̂ანდეს, ცხენნი დ ძროხანი დ ცხოვარნი, ვითარ ორიათას ოდენ დ უნჯთაგან აღვსებულ იყუ̂ნეს სახლნი დ მიდამონი მისნი დ ვერცხლისა არა იცოდეს რიცხჳ, რაოდენი ჰქონდეს, მამულნი და აგარაკნი მრავალნი. სოფლისა ამის უხანოსაგან მამა მისი პაპუნა და დედა მისი თამარი, სოფლისა ამის მიხდეს სასაუკუნესა კეთილსა ცხოვრებასა. — ხოლო მათ მეუღლეთა დაშთეს ძენი ხუთნი და ასულნი სამნი. ხოლო დღესა ერთსა ძმანი ორნი აღდგეს ურთიერთსა ზედან ბოროტითა და სიტყჳთა უშუ̂ერითა და აღდგა ძმა იგი ბოროტი უხუცესი და უჩხჳპა დანაკითა და მოჰკლა ძმა იგი უმრწამესი, ვითარცა კაენმან, აბელი. ხოლო ჰსცნა რა ესე ნეტარმან შიომ, ვითარმედ მოკლა ძმამან ჩემმან ძმა ჩემი, აღივსო გულის წყრომითა და მწუხარებითა მრავლითა, რამეთუ მას ჟამსა მეუღლეცა მისი ამიერ მიცვალებულ იყო და დაშთომოდეს ძე ერთ მცირე. ხოლო ცნა რაჲ ესე, ძმამან ჩემმან მოკლა ძმა და სევდა და წუხილი ჰქონდა მიცვალებულისათჳს მეუღლისა მისისა, თქუ̂ა გულსა შინა თჳსსა არღარა მნებავს ყოფა სოფელსა ამას შინა და აღუარა მოძღუ̂არსა თჳსსა საქმე ესე და მოძღუ̂არმან აუწყა, ვითარმედ რადგან დაგიტევებიეს სოფლისა ამის ზრუნვა, წარვედ გარესჯას საფლავსა წმიდისა დავითისსა ყარაისსა და მივედ და მოწაფე ექმენ მეორედ აღშენებულსა მას მონასტრისასა, წინამძღუ̂რის და მამასა გვარ მოდგმობით მაჭუ̂რაძესა, ოთარ ყოფილსა ონოფრეს და იგი შეგიწყნარებს, ვითარცა ძმასა თჳსსა მაქსიმეს და კეთილად გიძმაშჳლებს. წარვიდა ნეტარი შიო და მივიდა წმიდასა მონასტერსა. ხოლო წინამძღუ̂არი პირუ̂ელცა მეცნიერ იყო ნეტარისა შიოსი და ეთქუ̂ა მრავალ ჯერ, მოდი ძმაო შიო მონასტერსა ჩემსაო და აქ აღვასრულნეთ ჟამნი ჩუ̂ენნიო. მოვიდა მონასტრად და ისტუმრა

კეთილად, ვითარცა აბრაამმან კეთილ სტუმრობითა და განუმზადა სენაკი სამყოფი სახლესა მისსა და იყოფოდეს ლოცვით და მარხვით დღე და ღამე. გამოხდეს ჟამნი რაოდენიმე, წარვიდა წინამძღუარი ონოფრე საქმისა რასათჳსმე და შიოსა შეავედრა მონასტერი და ძმანი იქ მყოფნი და თჳთ წარჴდა. ხოლო ცოდვათა ჩუენთა მგზავს საქმე მოიწია. ოდეს ილოცეს მწუხრისა და მიიღეს საზრდელი და ენებათ განსუენება მოვიდეს დაწყეულნი ლეკნი, ვითარცა პირუელ ლავრას ბარბაროზნი: და მოკლეს ძმა შიო მღუდელ-მონაზონი, დავით მწირი, გაბრიელ და პავლე, გაბრიელ წარივლტოდა და აღმოსავლით ღელეში შეიპყრეს და მახჳლითა აღსასრული მიითუალა. ხუთნი მახჳლითა დაკლნეს ლახვრითა, ვითარცა ცხოვარნი მხეცთა ბოროტთა. რომელთამე უგმირეს მუცელთა, რომელთამე გაჭკუეთეს ყოველნი და რომელთამე უჴეთქნეს თავსა და აღასრულნეს. ამისთჳს რომე კარნი არა ჰქონდეს დახშულნი, მისთჳს შემაეპარნეს მხეცნი ბოროტნი, ცხოვართა ოდეს დახოცეს წმიდანი ესე. და აღივსო სისხლითა მათითა სახლნი და საყდარნი. და ქუეშ ალექსანდრის ტახტის კერძო გადიოდა სისხლი მათი. დაძარცვეს წმიდანი მრავალნი გუემულნი გუამნი და ხატნი და წიგნნი და კანდელნი და სანათლენი და შესამოსელნი მღუდელთანი, რომელნიმე წარიხუნეს და რომელნიმე შთაყარეს ჭათა და ლაკუათა და რომელნიმე დამუსრნეს უწყალოდ. ხოლო ხატი ერთი უბიწოს მშობელისა მარიამ ქალწულისა სამად განაპეს ცულითა, ესეცა და სხუაცა მრავალი. ჰსცნა რა ესე ძნიად სასმენი მეფემან ერეკლემ და კათალიკოზმან იოანნე განკჳრდეს, ვითარ მოიწივნეს ლეკნი აქამდისინო. წარვიდა და მივიდა წინამძღუარი ონოფრე და იხილნა ლახვართაგან დაპებულნი გუამნი წმიდათანი, სისხლითა ძოწეულ ქმნილნი. და ტიროდა მწუხარედ შიოსა და ძმათა ზედა, აღიხუნა და შემურნა და შემოსნა სამკუდროთა შესამოსლითა. შიო ნეტარი და ძმანი დამარხნა სამარხოსა სამხრით კერძო წმიდის დავითის საფლავის ასწორებით აღმოსავლის გზისკენ. და აღსრულებენ ძმანი წლითი წლად ჴსენებასა მათსა და ადიდებენ სამებასა წმიდასა, რომლისა არს დიდება მადლი და თაყუანისცემა უკუნითი უკუნისამდე. კხა. რ̃ნ დაიცვნა.

მოაშთვეთ მტერი ბოროტი სისხლთა თქუენთა ნაკადულსა შინა და ვითარცა სამნი ყრმანი ცეცხლსა ესრეთ ღაღადებდით, კურთხეულ ხარ შენ უფალო ღმერთო მამათა ჩუენთაო. ჩუენ ერნი ქართლისა და კახეთისანი მღუდელთ მთავარნი და მღუდელნი, მეფენი და მხედარნი ვაკურთხევთ ღმერთსა, რომელმან გვაცხოვნა მონანი მისნი.

სოფელი მიმომქცევი და მსწრაფლ წარმავალი მოიძაგეთ და მისნი გემოვნებანი უგემონი განაგდენით შიო მეორევ ისაკო და მამანო ცხოვართაებრ დაკლულნო. აკხა. გელთა განპყრობილთა. ძღუნად მეფისა შეიწირენით და ტრაპეზსა საუფლოსა დაეგენით და ყოველთა დამბადებელისა მიმართ ხმობდით, აკურთხევდით ყოველნი საქმენი უფლისანი უფალსა და აღამაღლებდით მას უკუნისამდე.

შიო პირუელ სოფელსა შინა იშუენდი ცხოვარ ზროხათა სიმრავლესა მამისა შენისასა და აწ არვეთა თანა წმიდათასა ფოფინებ, ვითარცა ყრმა ძისა მიმღებელი. აკურთხნა უფალმან მაკურთხეველნი და შეამკუნა ერთგულნი მონანი შიო და მისთანა ნაწამებნი მამანი, აბსა. ღოდი საკიდური. ვითარცა დავით მოიღო მადლთ იერუსალიმით გარესჳად, ეგრეთვე შენ დაკვლითა და სისხლითა მოიპოვე მადლი სულიერი მამაო ჩუენო. დღეს ჴსენებასა თქუენსა ვიხარებთ და ვაქებთ დამბადებელსა, რომელმანცა მოგცნა მადლნი ეგე ვითარნი მოწამენო შემწენო ჩუენნო.

შენ მიმადლებულო ქალწულო, ჳთხოვე ძისა შენისაგან შენდობა ცოდვათა ჩუენთა, მღუდელთა და მეფეთა, მადლითა შიო და თანა ზიართა მისთათა. გამოავლინე. სისხლთა შენთაგან კამკამე-

ბას მონასტერი გარესჯისა და ძმანი გნატრიან, რომელთა მოგუმადლა სასუფეველი შიო ~ მამანო, ჩუჱნცა მოგჳხსენეთ. აქებდითი. თავთაგან. სამოციქულო და სახარება მამათა იძიეთ.

ქ. ონისიფორე[1]) ქარუმიძე ღირსი და მრავალ მოღუაწე სქემოსანი მიიცვალა ამიერ სოფლით დღესა თჳთ საუფლოსა დღესა ნათლისღებისასა იანვრის. ვ. ქ~ ოდ. დღესა ხუთშაბათსა დავით გარესჯის უდაბნოსა.

---

## სიტყჳს გება ბერისა ეფთჳმე გრძელისა, სოსთენის მიმართ, სომეხთ მოძღურისა.

---

ჟამთა უკუჱ ღუთის მსახურისა მეფისა ბაგრატისთა, იქმნა კუალად კრებაჲ ღრტილას. არა ვიდრემე სამღუდელო, არამედ უფროსღა სამხედრო. იყო ვინმე მონაზონი ნათესავით სომეხი, მოძღუარი და წინამძღუარი ჴსჯულისა მათისა, სახელით სოსთენა. კაცი უკუჱ ენაჲ მაჴჳანა და ფრიად მეცნიერი წერილთა და სარწმუნოებისა მის მათისა ურწმუნოსა და განდრეკილისა. ესე უკუჱ ჩუჱულებისაებრ მოვიდა ბაგრატ მეფისა და იწყო ზუაობით და ამპარტავნებით ქებად ჴსჯულისა თჳსისა. ხოლო გმობად და ძაგებად სარწმუნოებასა ჩუჱნსა. და მას ჟამსა არავინ იპოვა სიტყჳს მგებელი ძლიერი; გარნა ვიეთნიმე ეზრახნეს მცირედ რამე, რომელნიმე დახუდეს, მელქაძე წურწუაბელი, სანანო ყვეღელი, გრიგოლ აბვისერიძე, გაბრიელ უკისძე ვინმე. გარნა ვერ წინა აღუდგეს უმეცარებისათჳს წიგნთა მათთასა. მაშინ ნეტარმან დავით ბიძის ძემან ჰრქუა მეფესა ჵოი! მეფეო მტკიცედ მპყრობელო, ესე უწყოდე, რომელ უღონო არს ჩუჱნგან სიტყჳს გება ყოვლად სოსთენასი, არა თუ მოუწოდო აქა ეფთჳმე გრძელსა. ჰრქუა მეფემან დავითს. სადა უკუჱ არს აწ იგი სამეფოსა ჩემსა. მიუგო კუალადცა დავით მეფესა, მესმა, ვითარმედ აწღა მოსრულ არს იგი იერუსალიმით და იმყოფების ეზოსა თანა მთავარ ეპისკოპოსისა, ანჩს. ხოლო ვითარცა ესმა ესე მეფესა, ფრიად განიხარა და მყის მოუწოდა მთავარ ეპისკოპოსსა, რათა მოიყუანოს ბერი წინაშე მათსა. ხოლო მთავარ ეპისკოპოსი მეყუსეულად მოვიდა ბერითურთ წინაშე მეფისა. და ვითარცა მოვიდაჲ პალატად, იყო ჟამი მწუხრისა. ხოლო მეფემან მცნობელმან მყის მოუწოდა პალატად. მაშინ ჰკითხა ვისმე ბერმან ერთსა საკუთართაგანსა მეფისასა, სახელით არშუშას, რომელი იყო ძმა მთავარ ეპისკოპოსისა. ვითარმედ რა უკუჱ არს წოდება ესე ჩემი. ხოლო მან-

---

1) გადმოწერილ ჩემ რვეულსა შინა ბოლოს ვიღაც ონისიფორე მიწერია და ნამდვლად არ ვიცი ონოფრე სახელი წინამძღურისა უნდა იყოს თუ ონისიფორე ვინმე, მგონია უფრო ონოფრე უნდა იყოს, გადმომწერალს გადურევია. თუ ონისიფორე არს, ვინ უნდა იყოს იგი, არა უწყი. მეორე გამოცემასა შინა მაქუს იმედი გადასწორებისა და შემოწმებისა ნამდვლთან.

მიუთხრა, დიდი მოძღუარი სომხეთისა სოსთენა მოვიდა დისწულისა მისის თანა და გამოძიებასა ჰყოფს წინაშე მეფისა ჰსჯულისათჳს ჩუენისა და მათისა და ვერვინ წინა აღუდგა მას; ამის უკუე ჯერისათჳს იქმნა მოწოდება შენი სასოებითა შენმიერისა ძლევისათა. ხოლო ბერი ამას ზედა მცი-რედ რამე შეძრწუნდა პირუელად უცხოობისათჳს და მერმე განუმზადებლობისათჳს თჳნიერ წიგნ-თასა და გამოისახა სახე ჯუარისა პირსა თჳსსა და გულსა და შეიმთხვივა ეპისტოლე უფლისა რო-მელი მიუწერა ხელითა თჳსითა ავგაროზ მთავარსა და აღიხილნა ზეცად თუალნი გონებისანი. სულთითქუნა სულითა და თქუა. უფალო იესო ქრისტე ღმერთო ჩუენო, თანა არსო და თანა სწორო მამისა და წმიდისა სულისა შენისაო, რომელმან გამოუთქმელითა განგებულებითა შენითა ხორც შესხმისა შენისათა განაგე ცხოვრება ჩუენი, რომელმან უბრძანე ქადაგთა შენთა წმიდათა მოციქულთა და მთავართა სახელისა ჩემისათჳს ნუ წინასწარ იწურთით, ვითარმედ რა ვსთქუათ, ანუ რა სიტყუა მიუგოთ, რამეთუ მოგცე თქუენ პირი და სიბრძნე «რომელსა ვერ უძლონ წინა აღდგო-მად და სიტყჳსა გებად ყოველთა წინააღმდგომთა თქუენთა» და აჰა მივჰყავ მე სიტყჳს საგებელად სამსჯავროსა ამას და არა უწყი რა ვთქუა ანუ რა ვიტყოდე, არამედ შენ მასწავე ჰოი! სახიერო აღთქმისა შენისაებრ უტყუელისა და ნუ იყოფინ, ვითარცა უმეცრებისა ჩემისა მიერ შეურაცხ იქმნა სიმტკიცე მართლისა აღსარებისა შენისა, წინაშე ურწმუნოთა. ამას ილოცჳდა ბერი მგზავს და შევიდა წინაშე მეფისა. ხოლო მეფემან მოიკითხა ჯერისაებრ და უბრძანა დაჯდომა წესისაებრ. მაშინ აღაღო პირი თჳსი სოსთენა და ჰრქუა მეფესა. ესე უკუე არსა, რომელი მოიყუანე სიტყჳს მგებელი ჩემი. მიუგო მეფემან ჰე ეგე არს უეჭუელად. კუალად ჰრქუა სოსთენაჲ, უკეთუ არს ვინმე სამეფოსა შინა შენსა მოუწოდე უკუე ყოველთავე ჰსჯულის მეცნიერთა შენთა, რათა ყოველნივე ერთბამად, ვითარცა ცოცხითა მოვიგავსე და მაშინ გეუწყოს ძალი სარწმუნოებისა ჩუენისა, და უძლურება თქუენი და კუალად ამასაცა ვითხოვ მეფობისა თქუენისაგან, რათა ბრძანება დასდვა ესრეთ, უკეთუ მე ვიძლიო ჰსჯულის მეცნიერთა შენთაგან შიშველი განმიყუანონ პალატით შენით. ხოლო თუ იგინი იძლივნენ ჩემგან, რათა განძარცვილ შიშველნი განავლინნე პალატით შენით. ჰრქუა მას მეფემან ყოვლითა სიმშჳდითა. სიტყჳსგებასა უკუე საღმრთოსა ჰსჯულისასა და მარ-თლისა სარწმუნოებისასა არა ვიდრემე ჯეროვან მიჩნს საქმე ხუმართა და მახლობელთაჲ; არამედ ყოვლითა დაწყნარებითა გჳღირს გამოძიება საღმრთოსა ჰსჯულისა და მართლისა სარწმუნოებისა განრჩევად ღუარძლისაგან წუალებათასა. მაშინ იყო ვინმე მწიგნობართ უხუცესი მეფისა სახელით ქეფთჳმე. იგიცა თანა ზიარ ბოროტისა მის წუალებისა მათისა და შინაგან განმცემი სარწმუნოებისა ჩუენისა. ამან აზრახა სოსთენას ესრეთ. ვითარმედ ბერისა ვიდრე წიგნთა სიტყჳს გებადმდე ცუ-დითა რაჲმე სიტყჳთა შეაშინ მსოფლიოთა და გარეწართა და განკიცხე ბერი, ვინაჲდგან უდა-ბნოთა შინა აღზრდილ არს და მუნ არს ცხოვრება მისი, არა რაჲ იცის კაცობრივი სიტყჳსგებაო. ამას ფარულად ყურსა სოსთენასსა ზრახჳდა მწიგნობართ უხუცესი და იორამ დისწული მისი. მაშინ იწყო სოსთენა სიტყუად ბერისა ესრეთ: პირუელად უკუე მნებავს მამაო, თუ ვითარ მოიწიე აქა, ანუ რომელი გზა ვლე, ანუ პირუელსა მას დღესა ოდეს გზად გამოხვიდოდე რა ჭამადი ისერე, ანუ რომელსა ჟამსა დღისასა, ანუ სადა სავანე ჰყავ, ანუ მეორესა მას დღესა, ვითარ შეგიწყნარეს, ანუ რაოდენი ფერი ჭამადი დაგიგეს, ანუ რაოდენი ჟამი ღამისა დაიძინე, გინა რაოდენი გელჳძა, ანუ რაოდენი ჟამი დღისა მიეც სლვასა, ანუ რაოდენი განსუენებასა, ანუ თუ რა იყო წურთა გონე-ბისა შენისა, ანუ რასა იგონებდი სლვასა შინა, ანუ რაოდენ უფროსი ჟამი წარიტაცა დაუდებამან გონებისამან ვიდრელა მიმოსვლამან და განბნევამან; ნუ თუ რა სიტყუა აღმოსთქჳ უპირატესს,

მორახვედ მეგობართა შენთასა, ანუ თუ მათ რა პასუხი მოგცეს, მორაგიკითხვიდეს. მაშინ ჰრქუა ბერმან. იტყჳს პავლე მოციქული «ოდეს ვიყავ ყრმა ვიტყოდე ვითარცა ყრმა და შერაცხილ ვიყავ ყრმათა თანა, ხოლო ოდეს ვიქმენ მამაკაც სრულ, დაუტევე სიყრმისა იგი», ეგე ვითარსა შენ იტყჳ აჰა! ვეგით მღერებს სიყრმესავე ჩემსა დამიტევებიეს და აწ ვხედავ შენთანა ჭკჳსა სრულსაჲ, ხოლო სიტყუასა და გონებასა ყრმებრივსა. ხოლო მე არა შენისაებრ სიტყჳსა და სიცბილისა განმრყუნელისა სიტყუა გიგო, არამედ ჩემისა ჭეშმარიტებისა მიერ. მე უკუე პირველად მოვალ წმიდით ქალაქით იერუსალიმით აღსადგომელით უფლისათ, საყდრით წმიდისა იაკობ მოციქულისა ძმისა უფლისა და მიერ ანტიოქიით და ჰრომით საყდრით წმიდისა პეტრე მოციქულთა თავისათ და მერმე ალექსანდრიით საყდრით წმიდისა მარკოს მახარებელისათ და მერმე კონსტანტინეპოლით და საყდრით წმიდისა იოანე მახარობელისათ, ამათ საყდართა საპატრიარქოთაგან მოვალ და წმიდათა ექუსთაჲ კრებათა მართალი აღსარება მომიღებიეს და მტკიცე და ჭეშმარიტი სარწმუნოება მისწავიეს და აწ მოვსრულ ვარ, რათა ვამხილო ბოროტად მადიდებლობასა თქუენსა. ხოლო შენ ვინა მოხვალ არა უწყი, არგინაჲთ და შარმაშენით მოხუალა და მოგაქუს წუალება ნესტორისი და სევერიოზისი და პეტრონ მკარწველისა და იკადრებ უკედრებად ერსა ღუთისასა და წინა განწყობად წმიდისა მართლისა სარწმუნოებისა». მაშინ აღივსნეს მეფენი და მთავარნი სიხარულითა და თუ ვითარ პირველსავე ზედა მიეცა ძლევა სიხარულისა და სასოებისა. ხოლო უგუნურნი იგი დაიხსნნეს და თჳსითავე მახჳლითა შეიპყრნეს და ფრიად აბრალეს განზრახვასა თჳსსა და რეცა განცხრომად შესცვალეს სიტყუა იგი. და ჰრქუა სოსთენა ბერსა, შენდობა უკუე იყავნ მამაო, განცხრომით თქმულისა ამის სიტყჳსათჳს, აწ უკუე აღსდეგ და მოირტყენ წელნი შენნი და წარმოსდეგ, მე უკუე გკითხვდე და ხოლო შენ მომიგებდე. მიუგო ბერმან და ჰრქუა. «არა ვიდრემე ეგრეთ განაგო ჭეშმარიტებამან ღუთისამან, რათა მართლ მადიდებელნი წინაშე მწვალებელთა წარვიდგინნეთ, არამედ შენ წარმოდეგ უფროსღაჲ, ვითარცა განსაკითხავი და დასასჯელი, რამეთუ ესრეთ არს წესი, რომელ მეფენი თქუენნი წინაშე მეფეთა ჩუენთა და მღდელთ მოძღუარნი მღდელთ მოძღუართა და მთავარნი მთავართა-შიშით და ძრწოლით წარმოდგებიან და შევრდომით თაყუანისცემენ და უკეთუ არა გნებავს ვსხდეთ აქა და შენ მკითხვიდი და მე მოგიგებდე. ვიწყოთ წმიდათა წერილთაგან, ვიწყოთ ადამისითგან ნოესამდე და ნოესით, ვიდრე აბრაჰამისამდე, ხოლო აბრაჰამისითგან, ვიდრე მოსესამდე და მოსესით, ვიდრე ქრისტესამდე და ყოველივე გაუწყო შენ, ვიწყო წმიდისა სამებისა ერთ არსისასა და ერთ ღუთაებისა და წმიდათა სამთაგანისა ქრისტეს ღუთისა განკაცებისა და განგებულებისა და სასწაულთა მოქმედებისათჳს, ორითა ბუნებითა, ორითა საქმითა, სულითა ღუთაებისა დაკაცებისათა, ვითარ იგი წინასწარ-მეტყუელთაგან იქადაგა და მოციქულთაგან გუეუწყა განცხადებულად და ჰრწმენა სოფელსა და წმიდათა მღდელთ მოძღუართა დამტკიცდა კრებითა მსოფლიოთა, რომელთა თანა თქუენცა ზიარ იქმნენით, ვიდრე მეოთხედ კრებადმდე. ხოლო რაჟამს იგი განეცით მეფე თქუენნი და ქუეყანა სპარსთა და განსდევით ბერძენთაგან და შეერთენით სპარსთა, დღეთა ხუასროსთა და ძისა მისისა საბურისთა და შეჰკრიბეთ კრება დჳნს და დასჩხაბეთ განდრეკილი სარწმუნოება განზრახვითა აბდიბასითა, რომელი იყო ვეზირი სპარსთ მეფისა წუალებისაგან იაკობ ბრტანელისა, რამეთუ ესრეთ აზრახა სპარსთა მეფესა, რათა დაუტეოს ცეცხლს მსახურება და სომეხთა დაუტეონ სჯული ბერძენთა, რომელი ესე იქმნაცა განზრახვითა და თანა ერთ ნება ქმნითა კათალიკოსისა თქუენისა ნერსესითა, რომელი წვერთა ილებდა ოქროთა და იკონომოსისა მისისა სერგისისითა, რომელი მითვე წუალებით შეპყრობილ იყო. და ესრეთ აღასრულეთ ნება ეშმაკისა და მომადლე-

ბისათჳს ერისა განუჴსნით მარხუათა შაბათ კჳრიაკენი წუელითა და უუელიერსა ხორცი და ესრეთ ერთ იქმნენით სპარსთა თანა. და კუალად გაუწყო წიგნთაგან თქუენთა, ვითარ იგი წერილ არს ხილვათა შინა გრიგორი განმანათლებელისათა, რომელსა იგი გამოუცხადა ღმერთმან, მეის გარდაქცევა თქუენი, რეცაჲ სარწმუნოს მისგან ცხოვართასა, წყალთა მათ შინა დაშავებისთა სახე თიგანთა შრომედ შეცვალებითა. და კუალად წმიდისა საჭკის ჩუენებათაგან, რომელი ევედრებოდა ღმერთსა ნათესავისა თჳსისათჳს, თუ ოდეს იყოს მოფენად ნათელი წყალობისა თჳსისა და აკრებად ბნელი წუალებისა, რომელსაცა მოეცა ქარტა ორბისა მიერ და დაწერილ იყო რიცხჳ წელთა. (ფ̃ნ თა) რომელსა შინა ეუფლოს ბნელი წუალებათა და მერმე აღმობრწყინდეს ჩრდილოთ მთავარი იგი დიდი უწყებით ტომისაგან დავითისა და აღორძინდეს სულითა ღუთისათა და განარჩიოს ყოველი კეთილად პატმოთანისა თქუენისაგან». ჰრქუა სოსთენ, ბერსა. წყეულ იყავნ, რომელმან გასწავა შენ პატმოთანა და ალგჭურა მით ბრძოლად სარწმუნოებისა ჩუენისა. მიუგო ბერმან. «წყეულ იყავნ პეტროზ მკარწყელი, რომელმან გასწავა ხაჩეცარი და განწვალა გალობა სამ წმიდა არსობისა». ჰრქუა სოსთენა, ვითარ უკუე განიწუალების სიტყჳთა მაგით გალობა სამწმიდა არსობისა. მიუგო ბერმან «წერილთა ძალსა ვერ გულისხმა ჰყოფთ და ფრიად ჰსცდებით უგულის ხმოებითა». კუალად მიუგო ბერმან. «მაგის პირისათჳს გაუწყო წმიდათა წერილთაგან, პირუელად უკუე წმიდათა კრებათა, რომელნი ადგილ იქმნეს შემდგომად გარდაქცევისა თქუენისა და მერმე შემდგომთა მამათა ფრიად შეაჩუენეს სიტყუა ეგე და გმობად შერაცხეს, რომელმან მეოთხე პირი შემოიღო და თჳსაგან განყო ძე ღუთისა გუამოვანი იგი ძალი მამისა და თჳსაგან ჯუარ ცმულ ჰყო, ვითარმცა სხუა იყო ძლიერისაგან კიდე, ანუ ვნებულად შეჰრაცხა უკეთურმან მან ძისა თანა მამა და სული წმიდა. წარვედინ მგმობარი იგი მომზრახობა მისი და შეჩუენებულ იყავნ. ხოლო ჩუენ წმიდაო ღმერთო, მამასა ვიტყჳთ, არა თუ მას მივაჩემებთ სახელსა ღუთაებისასა; არამედ ღუთად ჭეშმარიტად ვიცით ძეცა და სული წმიდა და წმიდა ძლიერო ძისა ზედა ვიტყჳთ, არათუ ძლიერებისაგან განვაყენებთ მამასა და ძესა, წმიდაო უკუდაო სულისათჳს ვიტყჳთ, არა თუ უკუდავებისაგან განჰვყოფთ მამასა და ძესა, ნუ იყოფინ; არამედ თჳთეულისა ამის სამებასა გუამთა ზედა ღუთივ მშუენიერთა ამათ სრულთა გულისხმა ვჰყოფთ და მოძღურებათა შეუდგთ, პავლე მოციქულისათა, რომელ იტყჳს ჩუენდა, ერთ არს მამა, რომლისაგან ყოველნი და ერთ არს უფალი იესო ქრისტე, რომლისა მიერ ყოველნი და ერთ არს სული წმიდა, რომლისა ძლით ყოველნი. და ესრეთვე ღუთის მეტყუელი გრიგორი გუასწავებს ღუთის მეტყუელებასა შინა, და საცნაურ უკუე იყავნ, რომელი იგი თქუა მამისათჳს, რომლისაგან ყოველნი და ძისათჳს, რომლისა მიერ ყოველნი და სულისა წმიდისათჳს, რომლისა ძლით ყოველნი, არა ბუნებით განჰკუეთს, ვითარ თქუენ იტყჳთ, არამედ მებრვე მრავალგზის შესცვალებს იგი მოციქული. ამას სიტყუასა და, რომელ აწ მამისათჳს თქუა სხუაგან იტყჳს ძისათჳს და სულისა და რომელი ძისათჳს ჰსთქუა, სხუაგან იტყჳს მამისათჳს და რომელი წმიდისა სულისათჳს ჰსთქუა სხუაგან იტყჳს მამისა თჳსცა და ძისა და ესრეთ გამოსახავს ერთსა მას ბუნებასა და შეურევნელთა თჳთებათა და ესე საცნაურ არს, ვითარცა წმიდა გრიგორი იტყჳს. ერთად ვიდრემე შეკრბებიან სახენი. ესე და ვითარცა თჳთ იგი მოციქული იტყჳს, ერთობით ვინ ცნა გონება უფლისა, ანუ ვინ თანა მზრახველ ეყო მას და რამეთუ მისგან არს ყოველივე და მის მიერ და მისა მიმართ, მისა დიდება უკუნითი უკუნისამდე ამინ. და ესეცა უკუე საცნაურ არს, რომელ არა ძისა ოდენ ითქმის სამ წმიდაობა, არამედ წმიდისა სამებისა მიმართ, ვითარცა წამებს დიდი და ღმერთ შემოსილი ათანასე და ნეტარი ვასილი და გრიგორი და ყოველნი წმიდანი მამანი, ესრეთ წამებენ; რომელ

სამ წმიდაობითა გალობითა წმიდისა სამებისა გუამთა გამომისახვენ ჩუენ, წმიდანი სერაფიმნი. ხოლო ერთობითა უფლებისათა, წმიდისა ერთ არსისა სამებისა, მეუფებასა და ღმრთაებასა შემამეცნებენ ჩუენ. იტყჳს ღმრთის მეტყუელი გრიგორი, «ერთ არს წმიდა იგი წმიდათა, რომელსა სერაფიმნი დაეფარვიან და შიშით ადიდებენ სარწმუნოებით, რომელი ერთად შემოკრებების უფლებად და ღმრთაებად», და ესე გალობა პირმეტყუელიდგანვე წმიდათა მამათაგან ესრეთ განწესებულ არს: წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდავო შეგჳწყალენ ჩუენ. ამას გალობასა საკჳრველი დავით წინასწარვე მეცნიერ იყო სულითა წმიდითა, ვითარმედ ახალსა ამას ეკკლესიასა და ერსა ღმრთის მსახურსა აღსრულებად არს; ამისთჳს იტყოდა «წყურის სულსა ჩემსა შენდამი ღმერთო ძლიერო და ცხოველო», და ცხოველი და უკუდავი ერთ არს. ჰხედავა! ვითარ კეთილად მოასწავა წმიდაო ღმერთოსა წესი, სულითა წინასწარმეტყუელმან და სურჳელ იყო სმენად ამის გალობისა. ხოლო გამოცხადნაცა საკჳრველებითა ზეცისა მხედრობათაგან, სამ წმიდა ესე გალობა, ვითარცა წერილ არს, საეკკლესიოთა მოსახსენებელთა ესრეთ: ვითარმედ დღეთა კონსტანტინეპოლელ პატრიარქისათა[1]) ძრვა იყო დიდი და მარად დღე იძვროდა სამეუფო იგი ქალაქი და ყოველი ერი განვიდა ლიტანიობად და ლოცვასა; მას შინა აღიტაცა ერისაგან ყრმა მცირე და ისწავა ესრეთ ანგელოსთა მეტყუელთაგან სამ წმიდა ესე გალობა: წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდავო შეგჳწყალენ ჩუენ. და ესრეთ მოიქცაა ყრმა იგი, დასწავლული ესე მიუთხრა პატრიარქსა და ერსა. ხოლო პატრიარქმან და ყოველმან სიმრავლემან ხმა ჰყო გალობა ესე სამწმიდაობისა და მეყუსეულად დასცხრა ძრვა იგი. აწ უკუე არა ფრიად საცინელ არს, უკეთუ ვინმე, ესე გალობა შეცვალოს, რომელსა სერაბიმნი გალობენ და ხმითა ანგელოსითა სმენილ არს და სასწაულითა ამით სარწმუნო ქმნილ არს, წინასწარ მეტყუელთაგან ქადაგებულა, მოციქულთაგან დამტკიცებულ არს და წმიდათა მღდელთ მოძღუართა და კრებულთაგან განცხადებულ არს ყოველთადა, და ამათ ყოველთა მიერ ჩუენდა ესრეთ დამტკიცებულა, ვითარმედ წმიდისა სამებისა მომასწავებელი არს და მისა მიმართ ითქმის. აწ უკუე ვინ იყოს ესე ოდენ ცნობისაგან გამოხუებული, რომელმანცა ამათ ყოველთა წესი და მოძღურება დაუტევა და მოძღურებასა შეუდგა პეტროზ მკარწვლელისასა. ჵოი! დიდი ესე სიცოფე და უგუნურება, ხოლო ჩუენ ესე ვიოართა ამათ რომელთა წმიდაო ღმერთისა თანა ჯუარცუმა თქვან, ანუ სამებასა ოთხობა შემატონ, ფრიად შევაჩუენებთ და ეშმაკთა თანა შევრაცხთ და გალობასა ამას მართლმადიდებლითა ენითა გონებითა ესრეთ ვიტყჳთ: წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდავო შეგჳწყალენ ჩუენ. მაშინ ჰრქუა სოსთენის დისწულმან მისმან იერემია, გუალე წარვიდეთ, რამეთუ ვიძლიენით. ხოლო სოსთენა კუალადცა იწყო ცილობად ბერისა და ქებად მოძღურებასა პეტროზისსა. ხოლო ბერმან ჰრქუა: სამართლად უკუე და ჯეროვნად განიდევნა და შეურაცხ იქმნა და დაემხუა უკეთური იგი პატივისაგან მღუდელ მოძღურებისა მსახურთაგან ეკკლესიისათა საკურთხეველით; ჟამსა უსისხლოსა მსხუერპლისასა, ვინადგან დაიდუმა უმეტეს არსი და არა აღიარა ღმრთისმშობლად, ყოვლად წმიდა ქალწული მარიამ, რამეთუ უსჯულოსა ნესტორისაგან ესწავა უკეთურსა და მერმე მოვიდა რა ქუეყანასა თქუენსა, აღავსო ბოროტითა წუალებითა და შეაცთუნა ერი იგი უსწავლელი. ვინაცა შეჰმუსრა ღმერთმან მიქაილ ქართლისა კათალიკოსი, ვითარცა ოდესმე დავით წინასწარ მეტყუელი გოლიათსაა ზედა, და ბევრეულთა და ათასეულთა მისთა შედგომილთა შორის, ქუა განტვინა იგი და ვერ ვინ იკადრა

1) რომელი იყო წმ. პროკლე.

რგებად მისდა ვერცა განძრვად ჴელისა მართლ მადიდებელთა ზედა. ესრეთ დიდი ზარი და სირცხჳლი და შეურაცხება მიეფინა სიმრავლესა და კრებულსა პეტროზ შკარწველისასა. ჴოლო მათ შეურაცხს სიმართლედ, ვითარცა ოდესმე მსაჯულსა ფინეზს და დიდსაჲ სამოელს და მოშურნესა ილიას, რამეთუ ერთმან ზამბრი და ბოაზიტის მდიდარსა თანა მსიძავი იგი განლახურნა; ჴოლო მეორემან აგავი მეფე მოაკუჳდინა და მესამემან მღჳდელნი იგი სიცრუისანი დაკლნა; ეგრეთვე ნეტარმან მიქაილ და კრებულმან მისმან საღმრთომან, უკეთური იგი დაქოლეს, რომლისა სახსენებელი წარწყმდა უგუნისამდე. მაშინ აღსდგა სოსთენა და ენებაჲ გამოსვლა; ჴოლო ბერმან ჰრქუა. არა განგიტეო ვიდრემდის არა სრულიად უსიტყუჱლ გყო. და აღიარა უძლურება თჳსი ვისადგან ესოდენთა წელთა დადუმებული, შორის სამსჯავრსა და წინაშე მეფეთა და მთავართა სიტყჳს ყოფად მაიძულე. მაშინ იწყო ბერმან თაყუანისცემისათჳს პატიოსანთა ხატთასა, წამებითა წმიდათა წერილთათა. და ფრიად აბრალა შერევისათჳს წმიდათა მარხვათა შაბათ კჳრიაკეთა და ალაჯოროთა მარხჳსათჳს და ყველიერთა ხორცისა ჭამისათჳს და თევზსა და ღჳნოსა, წყალსა თანა შერაცხჳსათჳს ვიდრემდის უსიტყუჱლ ჰყო ყოვლად უბადრუკი იგი.

ჴოლო მეფემან ჰრქუა სოსთენას. გაქუსლა რა სიტყუად ჩუჱნდა ანუ სრულიად იძლიე. მიუგო სოსთენა მეფესა, მე არა თუ კაცისაგან ვიძლიე, არცა ძლეულვარ, არამედ ჭეშმარიტებისაგან. კუალად ჰრქუა მეფემან სოსთენას. რად არ მოიქცევი, მიუგო სოსთენა, მარმაშენი [1]) ვითარ დაუტეო. ჴოლო ჰრქუა მეფემან მისწილ ნაცვალი ჩუჱნგან მიიღე. მიუგო სოსთენ, ეგოდენ ადვილად არა დატევებულ იქმნების ჩემგან მარმაშენი. მაშინ ჰრქუა ბერმან სოსთენას აწ გარდაიხადე აღთქმული იგი შენი პირისაგან შენისა და განვედ მიშველი საიფარველისაგან ხორცთა შენთასა, ვინაჲდგან არა გაქუს საფარველი მართლისა სარწმუნოებისა. ჴოლო მეფემან ჰრქუა ბერსა, მე ვიდრემე მომადლე პატივი ეგე და კმა იყავნ სირცხჳლი, რომელი მიფენილ არს მაგას ზედა. მაშინ აღდგა სრულიად ძლეული სოსთენა დამხობილი და სირცხჳლეული წინაშე ყოველთასა და განვიდა.

იყვნეს სხუანიცა სიტყუანი ღუთივ განბრძნობილისა ბერისა თქმულნი ზედა მიწყვნით, არა ვიცოდნი მარცხუენელნი და პირსა დამყოფელნი, უთაოთა სომეხთანი, რომელნი აქა არა დაიწერნეს, სხუათაცა იციან წერილითაცა და სიტყჳთ. ჴოლო ვიდრეღა ბერი იყო, მოვიდა წინაშე ბაგრატ მეფისა, ყოველნი მთავარნი და სჯულის მეცნიერნი სომხითისანი, რომელნიმე საქმისათჳს. ჴოლო ბერი წარვიდა მახლობელად კარავსა მათსა, იხილა იგი სოსთენა და შეუვრდა ფერხთა ბერისათა და ჰრქუა მცირედ მიგებდ მამაო, ვიდრე მოვიდე და მოიყუანნა ყოველნივე წარჩინებულნი და სჯულის მოძღუარნი სომეხთანი და ჰრქუა მათ ყოველთა წინაშე ბერისა. ვიცი ამპარტავანება და მაბრალებელობა ნათესავისა ჩუჱნისა ნუ უკუჱ კაცად კაცადი იტყოდენ თჳსაგან, ვითარმედ ცუდისა ვისგანმე და ბედითისა ბერისა იძლია სოსთენა და პირი დაუყო. აწ უკუჱ ესე იგი არს მონაზონი, რომლისაგან ვიძლიე და თქუჱნ ყოველნი სჯულის მეცნიერნი აქა ხართ, რავინ უწყით, სიტყუაუგეთ და რაჟამს სავანედ ჩუჱნდა მიგიღეთ, მე ნუ ბრალეულ მყოფთ. ჴოლო იგინი აღივსნეს სირცხჳლითა და რეცა სხუჱბრ შეცვალეს სიტყუა იგი და მოიკითხეს ბერი სიხარულით და წარვიდეს და

---

1) მარმაშენი. სომეხთა მონასტერი იყო, ნაქცევნი რომლისა ინახვის აქამომდე ალექსანდროპოლის მოახლოდ, ადგილსა მას თურქნი ხანლიჯ უწოდებენ — ამ მონასტრის აღშენება დაუწყვია 988 წ. მთავართა მთავარს ბაგრამ ფეხლევს, მეფის სუმბატ ძისა აშოტის დროს, გაუთავებიათ იგი 1029 წ. სომეხთ მეფის იოანნე სუმბატის დროს, თანა მედროეთა მისთა წინამძღუართა მარმაშენისათა იერემია და სოსთენისათა.

ფრიად აზრალეჲს ჴოსიენსა შერცხჳნება ზგი და ძლეულეჲს და სრულიად დამხობა ბერისა მიერ, ქრჲეთ-იდიდა წმიდისა ამის და ღმრთის მზრახჳსლისა ღმრთისშემოსილისა მამისა ეფთჳმე გრძელისა მიერ მართლ მადიდებელი ჴსჯული და წმიდა სარწმუნოება ჩუენი, რომელსა იქმნა ძეგლ მართლისა სარწმუნოებისა. ხოლო მეფემან დიდითა პატივითა და მოწლითა ყოვლითურთ სრულსა და ჭეშმა-რიტსა ღმრთის მსახურებისა და მართალსა აღსარებასა და სარწმუნოებასა ზედა დაჯერებულმან და დამტკიცებულმან, წარგზავნა წმიდა ესე ბერი უდაბნოსა თჳსსა. ხოლო ყოველნივე მღდელთ-მოძღუარნი და მოსაყდრენი და წმიდანი მამანი მეუდაბნონი მოხარულნი და მმადლობელნი წმი-დისა სახარებისანი მამისა და ძისა და ყოვლად წმიდისა სულისანი ერთ არსისა ღმრთაებისანი აღმსარებელნი მართლისა სარწმუნოებისანი მიეგებნეს წმიდასა ამას ბერსა და შევრდომით მოი-კითხეს და კურთხევა და ამბორის ყოფაჲ მიიღეს მისგან და ვითარცა დიდი და ღმრთივ მონიჭებული ნიჭი და ჭური რჩეული შეიწყნარეს და აღვსებულნი მადლითა და სიხარულითა აკურთხევდეს და ადი-დებდეს ღმერთსა, რომელსა ჰშჳენის დიდება და დიდად მშჳენიერება პატივი და თაყუანისცემა სამ ბრწყინჳალესა ყოველთა მიმართ მორწმუნეთა მამისა ძისა და ნათლისა ყოვლად წმიდით განმანათ-ლებელით და ცხოველს მყოფელით სულით, აწ და სუკუნეთა მიმართ დაუსრულებელთა ამინ.

## თ̃ა აპრილსა იე დღესა, ხსენება წმიდათა მოწამეთა, სუქიოსი და მისთანა ვნებულთა სუკაკეველთა[1]).

სუქია ბრძენმან, მოისიბრძნა განზრახჳა,
აზრაჭამებრი, თუ ჰსთქჳა უზკესთაესიც,
დამტევებელმან, აქათა ყოველთამან,
სადა აღუთქჳა, მსახურთ-ყოფა სიტყჳამან,
ვნებით მივიდა, მისთჳს ვნებულისადმი.

ჰსთქჳა ყოვლად ბრძენმან მოციქულმან (2, კორ. 2, 14) მადლი ღ̃ა, რომელმან მარადის მძლეველ-გვყჳნის ჩუენ, ქრისტე იყო მიერ და სული მეცნიერების მისისა გამოაჩინის ჩუენ მიერ ყოველსა ადგილსა. ხოლო ვინაჲთგან წარგვიმართა ჩუენ ღმერთმან მისა თჳსისა ქრისტე იესოს მიერ, რომელთაც ათჩჳდმეტთა სიტყუათა შინა ვისტორიეთ ქართუელთა მოწამეთა თავს და ყო-

1) ქმნილი, ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა, ყოვლისა ზემოჲსა საქართუელოჲსა დავითიან ბაგრატოვა-ნისა, სიტყუა, იჳ. ამა წმიდათა ცხოვრება ესე, წინაჰსწარ ყოველთა უნდა ყოფილ იყო დაბეჭდილი, არამედ, როდესაც დავიწყე ბეჭდვა, მაშინ არა მქონდა ხელში და ოდეს მოვიპოვე არა შეუძლებელ იყო ჩემ მიერ დაბეჭდვაჲ ამისა.

ვლად საგალობელთა თჳს ვნებათა მათა ვიგალობეთ და ესე ყოველსა ადგილსა შინა მყოფთა, კეთილ-მსახურთა მარტჳრთა მოყუარეთად წინა-დავჰსდევით და იქმნა ჩუენდა ესე მაცხოვარები-თითა შეწევნითა სულისა, მეცნიერებისა ღ̃თისათა, მით რომელ (1, კორ. 12, 3) ვერ ვინ შემძლე-ბელ არს თქმად უ̃ი იო̃, გარნა სულითა წმიდითა. ხოლო ყოვლისავე სიტყუასა შინა ჩუენსა ვა-კურთხევთ და აღვამაღლებთ, თაყუანისცემული იგი კჱაჲ სახელი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი და ყოვლივე სიტყუაჲ ჩუენი სადიდებელ-ვჰყავთ მისა, ვინა სათანადო არს ჩუენდა მიცემად მამისა ღ̃თისა მიმართ მადლი ესე გუართა თჳს, წარმართებს მის მიმართ, რომელთა მიერ მძლეველ მყუ̃ნდა ჩუენ სიტყუათა ზედა სულითა მეცნიერებისა მისისათა.

ვჰსჭურეტთ წინა-პართაგან მამათა ქართუელთა, ვითარმედ დაუმტკიცებიესვე განსაზღურე-ბაჲ ესე ანუ განჩენაჲ, რამეთუ სათითოთა შინა მოსახსენებელთა და მეტაფრასთა კჳრებაჲ სომხეთსა შინა ვნებულთა, ჭეშმარიტებისა მოწამეთა, რომელნი მთასა შინა სუკაკევეთისასა, პირისა პირ სოფლისა ბაგრევანდისა, დაჰმართებით მთისა ნოპატისა, აღმღებელნი ჯ̃სა ქრისტეს ღ̃ისა ჩუენისანი მძოვარ იქმნნეს და მასვე ადგილსა შინა, ივნეს უღმრთოთა ბარბაროსთაგან წამებისა-თჳს ჭეშმარიტებისა. ხოლო ვინაჲთგან წერილ-არს (ჰსჯჳ. 19, 14) ნუ ჰსცუალებ საზღუარსა, რომელი დაამტკიცეს მამათა შენთა. მამათაგან განჩენილი იგი ხსენებაჲ თქმულთა მოწამეთა, სათანადო იქმნა ჩუენდა არა დატევებად, ვინა შესაბამ, რათა ვითარცა ჩუენთჳს მარტჳრთა ვჰგა-ლობდეთ მათთჳსაცა და თანად ისტორიკს ვქმნნეთ და შემსხმელ, ვითარცა მოგვცეს კაცთ მოყუა-რებით, სულმან სიბრძნისამან, რამეთუ, (სიბრძ. 1, 6) კაცთა მოყუარე არს სული სიბრძნისა. ესე მოწამენი ჭეშმარიტებისანი, რიცხჳთ ათცხრამეტნი, აღმოასრულეს ოცად ღუ̃წლსა შინა მათთანა დგომამან იესო ქრისტესმან, რომელ არს, (აპოკალი. 1, 5) მოწამე სარწმუნო და პირმშო შესუე-ნებულთა და ნამდჳლ მოწამე მოწამეთა, (1 ტიმო. 6, 13) რომელმაცა ჰსწამა პონტოელისა პილა-ტესზე, კეთილი იგი აღსარებაჲ. ათცხრამეტთა ერითა ზედა, დართუა ერთსა ყოვლად წმიდასა, ვინათგან ოცსა ერთსა აღავსებს და ერთი იგი ყოვლად-წმიდაჲ თავსირაჲსა არს და კენტროჲცა ათცხრამეტთა მათ თავ, რამეთუ მის მიერ მოაქუსვე ყოფაჲ, ვითარ მარსებელისაგან თჳსისა, ხოლო კენტრო, რამეთუ მისდა მიაქცევს მოძრაობასა თჳსსა ადგილისა ცუალებითსა.

ათცხრამეტობა ესე ეს გუარ ოცად მისრულებული იქმს ორ ათეულობასა, ხოლო ორობაჲ ათეულთა ხედვასა და საქმესა, ორთა ნაწილთა ჭეშმარიტისა ფილოსოფისათა, წარმოადგენს და ორთა მიმართ აღიყუანს ხედუად, გონებისა მარტჳრთ-მოყუარესა. კუალად, ორთა საუკუნეთა დაჰსა-ცავსა ამის სოფლისასა და მეორესა, რამეთუ მდგომარე ესე, აწ მყოჲ იცუალოს გარდა იჭჳსა მყოობად, მერმედ რამეთუ (1, კორ. 15, 34) განხრწნადმან ამან შეიმოსოს უხრწნელებაჲ და მოკუდავმან ამან შეიმოსოს უკუდავებაჲ. ხოლო ორ-ათთა მათ ოთხად განყოფა, იქმს ოთხგზის ხუთეულსა და შემოიყუანს თჳს ზედა რიცხუსა მას ოთხთა ცხოველთა (ეზეკ. 1, 24) ფრთეთაგან იხმავმა ღ̃თისა სადდაისა, რომელთა თანა (აპოკალიპ. 4, 9) მისცენ პატივი და მადლობაჲ მჯდო-მარესა საყდარსა ზედა, რომელი ცხოველ-არს უკუნითი უკუნისამდე.

ხოლო თუ სადამე ვჰსთქუათ ათცხრამეტ, არა-ცუდ არს და ლიტონ განაღა ათცხრამეტობა ესე მოწამეთა, რამეთუ ვითარ იგი ათცხრამეტნი გუარნი სილოგიზმოჲსა ნაკუეთანი, გამოცუ-დილთაგან მესილოგიზმეთა, ერთის ოთხთა გუართ შინა, პყრობილისა ჭეშმარიტებისა მიმართ ჭეშმარიტებენ, ეგ სახედ რიცხვი ათცხრამეტობითი მოწამეთა ჭეშმარიტებისათა, მიქცეული ერთისა ჭეშმარიტებისად, ჭეშმარიტად მოწამებს და ერთს ჭეშმარიტებასა იპყრობს თჳს შორის.

ხოლო ათცხრამეტობა მათი ერთსა ჭეშმარიტებასა ქუემდებარება ათ-ცხრამეტ რიცხჳ, ერთი ერთს-ჭეშმარიტებასა, საზოგადოდ შესმენილის გამო ოცად აღმოსრდების.

ეჰა სიბრძნისა ღ̃თისა სიღრმე, ჵი! განგებათა მისთა უფსკრული, ეჰა გულის-ხმის-ყოფისა მისისა ყოვლად-წმიდისა მიუწდომელობაჲ და საჴიერებისა სიმდიდრე, მით რომელ (ჰრომ. 11, 33) გამოუძიებელ-არიან განკითხვანი მისნი და გამოუკულეველ არიან გზანი მისნი. სახელნი ათცხრა-მეტთა მათ ჭეშმარიტებისათჳს ვნებულთანი, რომელნიცა უწყებულ იქმნეს ჩუენდა, არიან ესენი: სუქიოს, ლუკანოს, პოლიევკტოს, კონდრატოს, ივქირიონ, მიმიანოს, ფოკა, ნერანგიოს, დომენ-ტიანოს, ანდრიანოს, ზოსიმოს, ვიკტორიოს, თალალოს, იორდანოს, ანასტასიოს, იაკობოს, თეო-დორიტოს. ამანთ უკუე თჳთონი, თჳსადმე განჩესკუად, წინა დავსდევით, ვჰპოვებთ აღმოჩინებასა ჭეშმარიტებასა ეს გუარ, ვითარმედ ზეგარდამო არს, განცხადებულ იგი და ვერ მიეახლების, წინა დადებანი, ბრძენთა ამის სოფლისათანი, რომელთაცა (2 კორ. 1, 20) ბრძენ განაცოფა ღ̃ნ კუალად მოაქუს ოჳს პირის წინა-დადებაჲ იგი სამოციქულოჲ. (ეფეს. 4, 3) ერთ არს უფალ, ერთ სარწმუ-ნოებაჲ, ერთ ნათლის-ღებაჲ დ̃ აღმოიჩინების ესე ამათ შორის საღმრთოთაგან წერილთა (2, ჰსჯ. 6, 4,) ისმინე ისრაილ, უფალი ღმერთი შენი, უფალი ერთ არს. კუალად აღმოჩინებისვე მათ შორის ბუ-ნებითადცა, რამეთუ თუ სადამე წმიდა-არს სული ბნელთაგან და შერევნილთა წინა-მოდგომათა იცის ბუნებით მხოლობაჲ ღ̃თისა, ვითარმედ ერთსა ჰშუენის მიზეზ ყოფაჲ მრავალთა, რომ-ლითა აღიშლების წესი სისტემისა არსთასა, რამეთუ ვინაჲთგან მრავალნი არსებანი შეუძლებელ-არიან დაუსრულებელ ყოფად. მაშა სადამე მხოლო არს ღ̃ი დ̃ მრავალნი ღმერთ ყოფად შეუძლებელ-არს; ხოლო ბუნებითად და ჩუენ შორისებულმან ცნობამან ღ̃თისამან მეცნიერ ჰყუნა მხოლო-ბისად ღ̃თისა, ელლინიცა ფილოსოფოსნი, რამეთუ რომელთამე განჰსაჯეს შეზავებულება კაცო-ბრივისა სხეულისა შთამჭურეტელთა, შინაგსითთა და გარეგნითთა შეზავებად და ვითარმე მცი-რეთა კერძოთამდე და ყოველთა საკმარად მეცნიერთა, აღიარეს საჭიროდ, ვითარმედ შემოქმედი ბუნებისა არს, გონებაჲ უზენაესი და რომელთამე აღმკვლდთა ზე მნათობთა მიმართ ზეციერთა, ესე იგი მზისა და მთოვარისად დ̃ ვარსკულავთად და მცნობელობითა და გულის-ხმის-ყოფით მეცნიერ ქმნილთა ჰსაჯეს, ვითარმედ ერთი მათგანი მეორისა უზესთაეს არს და აქუს ღირსისად თჳსისა მავა-ლობაჲ საკმარ ყოფად, ნაყოფიერებისათჳს ქუეყანისა და ცხოველთად სიმრთელედ და ესე ყოველი მხოლოჲსა ღ̃თისაგან, აღიარეს ქმნილად და განკარგულად; უკეთუ ფილოსოფოსთა, ელლინთად არა დაჰფარა ღ̃ნ მხოლომან თავი თჳსი, ამად ვითარმედ პატივჰსცა ხატებასა თჳსსა და სიბრძნის-მოყუარებაჲ ხატებასა თჳსსა ზედა შესრული მიიყუანნა ბუნებით ცნობადმდე, მხოლოობისა თჳსისა, რაოდენ უფროს სარწმუნოთა შორის თჳსთა ჰყოსმც განათლებაჲ სულისა, რათა არა თუ საღმრ-თოთა მიერ წერილთა მოძღურებითა ოდენ, არამედ ბუნებითადცა მეცნიერ ჰყუნეს იგინი, მხოლო-ბისამი თჳსისა.

კუალად ვჰპოებთ თჳთოთა მათთჳს შორის აღმოჩინებულად დაურღვეველად მხოლოობასა, მას მარტივსა განუკუეთელად განფენილსა სამთა მიმართ გუამოვნებათა, რამეთუ თქმულ არს, (ფსალ. 32, 6) «სიტყჳთა უფლისათა ცათა დაემტკიცნეს და სულითა პირისა მისისათა ყოველი ძალი მათი». და კუალად წერილ-არს სერაფიმთათჳს, «ღაღადებს მოყუარი მოყუარისა მიმართ და იტყოდეს, წმიდა არს უფალი საბაოთ, სავსე არიან ცანი დ̃ ქუეყანა დიდებითა მისითა». ხოლო ბუნე-ბითადცა საცნაურ მათ შორის, ვითარმედ სულ არს ღ̃ი გონებისაებრ და სიტყჳსა და ცხოველობისა, რამეთუ ესენი არიან სულსა შინა ძალნი სულისანი, რომელთა მიერ ღ̃ნ ნიჭებულ-ჰყო სული და

თჳ სადამე არა არს ღ̃ი სულ, ვითარ უკუ̃ე შექმნა უპატიოსნესი თჳსსა სხუ̃ასა რასამე, გარნა აღია-რების საჭიროდ ბუნებითისამებრ ცნობისა, ვითარმედ (იოან. 4, 24) «სულ არს ღმერთი», მსგს. სადამე აღიარების საჭიროდ, ვითარმედ ღ̃ი რომელ არს მხოლოდ, არს გონება და სიტყუ̃ა და ცხო-ველ. რიცხვსა შინა ათაცხრამეტობითისა ცნობილნი ესე, რომელნიცა გამოირჩინნა (ჰრომ. 8, 30) წინათვე განმამართლებელმან მათმან ღ̃ნ (2, ტიმოთ, 2, 4) მნებებელმან ყოველთა ცხოვრებად და მეცნიერებად ჭეშმარიტებისა მოსვლისამან და თქმულისა მის ათაცხრამეტობითისა, რიცხჳსა მის შორის ჰ მისთანა დგომისა ოცად მისრულებისა მოქმედმან მეცნიერებად ჭეშმარიტებისა მო-სულსა მათი, ყოვლად ბრძნისაებრ განგებისა თჳსისა განაგრძ ესრეთ.

მომზრახობენ ამისთჳს ჭეშმარიტნი მესტორიელნი, ვითარმედ ძმაჲ ღუ̃თისა საღმრთოჲ მოციქული და მოწაფე სიტყჳსა განხორციელებულისა იუდა, მქონები ეპისტოლისა ავგაროსის მი-მართ ედესიურის მთავრისად მიწერილისა, უფლისა ჩუ̃ენისა იესო ქრისტესგან, შევიდა ეპისტო-ლითა მით პალატსა შინა, ედესურსა მთავრისასა, რომელი იყო ზედ წოდებული სანატრომ, ძე ავგაროსისა, რათა ცნობად ჭეშმარიტებისა მოიყუ̃ამცა იგი. გარნა სანატრომ შორის შერეულ-მან და ბნელმან წარმოდგენმან აწარმოა განჭსჯაჲ არა განგრძელებული, არამედ შესაბამი ბიწიე-რისა მის, გულის-ხმის-ყოფისა მისისა, რომლითა, არა შეიწყნარა სახარებაჲ ქრისტესი, რომელსა ახარებდა საღმრთოჲ მოციქული, ვინა ნეტარმან მოციქულმან, არ შემწყნარებელთაგან სახარებისა მისისათა, ვითარცა არა ღირსთაგან მოსულად ჭეშმარიტებისა ცნობისად, განაშორა თავი თჳსი წარსრულმან განფენად სახარებისა.

წარსრულმან სახლისაგან სანატრომისა ძმასა ღუ̃თისასა იუდას, (და ეგრ̃ეთ) დაეგუ̃ეთნეს რეცა მგზავრნი ვინმე საბერძნეთით მივლინებულნი, დესპინად თქმულისა მიმართ მთავრისა ედესიურისა, მამა კაცნი რიცხჳთ ხუთნი ოდენ, რომელთაგან უპირატესი პატივითა ზედ წოდებულ იყო ენისაებრ ელადურისა ხრისის, ესე იგი ოქრო.

შეხდომასა შინა ურთიერთარს დესპანთა და მოციქულისასა შეპყრობილ იქმნა თქმულთა მათ კაცთაგან საღმრთო მოციქული, რომლისადმი მკითხუ̃ელნი შემპყრობილნი პყრობისაგან, ცნობად ვინაობისა ჰ სადათ ანუ სადამე სლუ̃ისა მისისა, ვითარებასა გამოძიებდეს, ვინა პყრობილმან შემპყრობელნი თჳსნი უწყებულ-ყუ̃ნა მიგებითა ესე გუ̃არითა, ვითარმედ «ვარ მე მონა ღ̃ისა მაღ-ლისა, მოციქული და მახარებელი ძისა მისისა იესო ქრისტესი, რომელიცა ცხოვრებისათჳს ჩუ̃ე-ნისა, ძე იგი ღუ̃თისა, სიტყუ̃ა ღმერთ-მთავრისა გონებისა, ძე კაცისა იქმნა და განკორციელდა ქალ-წულისაგან ჴსძლისა უქორწინებისა და ცხოველს-მყოფელითა განგებითა თჳსითა და სიკუ̃დილითა აცხოვნა ხატი თჳსი, ესე იგი არსება კაცობრივი». ხოლო ამათთანა ყოველთა თჳს კორციელთა გან-გებულებათა, უფლისა ჩუ̃ენისა იესო ქრისტესითა, განაგრძნო მათდამი სიტყუ̃აჲ, მახარებელმან მან ჭეშმარიტისა სახარებისამან და იგინი ისმენდეს განმაკაცრებით, რომელთაცა დროსა მას სიმრა-ვლესა ირემთა შეკრებული ერთად იხილეს მჴსრბოლი, რეცა მსხდომარეთა, მათ მახლობელ გან-სრული ჴსრბით.

იტყოდეს მსმენელნი სიტყუ̃ათა მისთანი და მხილუ̃ელნი ირემთა მათ სიმრავლეთანი, შემ-პყრობელნი თჳსნი იუდას: უკეთუ ხარ შენ მონაჲ ღუ̃თისა მაღლისა და ჴსწავლნოჲ ჩუ̃ენგან ჰრწმუ-ნებად თქმულთა შენთა, არქუ̃ მჴსრბოლსა მას სიმრავლესა ირემთასა დადგომად მყუდროებით, რათა მათგანი ერთი შევიპყრათმცა და დამკუ̃ლელთა ვსჭამოთ ამად, რომელ იუდა მნოებითი ამით ადგილისათა დაკლებულვართ საჭამადისაგან. მაშინ მთხოველნი იგი გამოცდით სასწაულისანი, წმი-

დამან ღმრთისამან, რომლისა მორის (ფსალ. 65, 34) საკჳრველებდა ღ~ი გამომცდელნი თჳსნი, ჩუენებითა საკჳრველებისათა განაკჳრნა, რამეთუ სახელითა უფლისა იესო ქრისტესითა მბრძანებელმან ირემნი, ჴსრბისაგან დაავენნა და მშიერნი მსუქანეთა მათ კორცთა მისთაგან გამოზარდნა და სულნი მათნი ჭამად გულის-ხმის-ყოფისა ჭეშმარიტისა მოიყვანნა.

მხილველთა ამის საკჳრველებისათა დესპანთა ითხოვეს სხუათაცა სასწაული მოციქულისაგან ზედ-მმჴაზრველთა, ვითარმედ თუ სადამე, ძალ უძს კაცსა ამას საკჳრველთმოქმედსა და უცხოისა სახარებისა ჩუენდა, მახარებელსა, დაკლული ესე ირემი დამწუარი და ჭამული ჩუენგან, რათა შემკრებელმან ძუალთა მისთამან წარმოადგინოსმცა ცოცხალი! ყოველნივე სიტყუანი მისნი ჭეშმარიტეს იყუნეს ჩუენდა, თჳნიერ იჭჳსა, ვინაჲცა ითხოვეს იუდასაგან ერთად ხუავად შეკრებად ძუალნი ირმისანი და სახელითა მოძღურისა თჳსისათა განცხოველებად.

მაშინ საღმრთომან მოციქულმან შეჰკრიბნა ძუალნი და დაჰბურნა მათ ზედა ტყავნი და ცხოველ მყოფელითა სახელითა მისითა მთხოველმან მამისა მიმართ, ცოცხლივ წარმოდგომად ირემი იგი მყის აჩუენა, მთხოველთა სასწაულისათა ცოცხლივ წარმოდგომად წინაშე მათსა, რომლითა კაცნი იგი საკჳრველებისა ამის მიერ განაცჳფრნა.

ვინაჲცა უბრძანა ირემსა მას განცხოველებულსა თანა-მენათესავეთა და თანა მსრბოლთა თჳსთა მიმართ მისვლაჲ. გარნა ირემი იგი ვერ შემძლებელ-იყო მისვლად მალიად, მით რომელ ჰკელობდა მჭირისედ.

ჰრქუა იუდა კაცთა მათ, ნუ სადა ძუალი რომელიმე ირმისა ამის დამარხეთ, ანუ განაგდეთ და ამისთჳს ვერ შემძლებელ არს ჴსრბად. მიუგო მას ერთმან მჴაოგასმან, მე უგჳრ მამაო ჭეშმარიტებისადრე ჴრწმუნებისათჳს სიტყუათა შენთასა ვიპყარ ძუალი ერთი და დავმარხე იგი, რომლისათჳს ითხოვდა მისგან მიტევებასა და ძუალიცა იგი მიართუა მოციქულსა. ხოლო მომღებელმან კაცისა მისგან ირმის ძუალისამან, ნეტარმან იუდა მოხადა თჳსდა ირემი იგი, რომელიცა გამორჩილებით დადგა წინაშე მისსა და აჰა მოციქულმან ძუალი იგი დაჰკიდუა ადგილსა თჳსსა და უბრძანა ჴსრბით წარსვლად და შერთვად თანა მჴსრბოლთა თჳსთად და აჰა ბრძანებისაებრ მოციქულისა, ჴრბიოდა ძლიერად ირემი იგი და მისრული მოყუასთა თანა, ჴრბიოდა ველთა მათ ზედა.

ხოლო ღმერთმან, რნ~ცა საკჳრველებანი, მყის-თანად აჴლითა საკჳრველებითა განჰკარგნის, რათა არა ჴრწნით თუალიშალოსმცა, სისტემა მოკიდულებისა არს თანა, სამთა მათ მიერ ქმნილთა საკჳრველებათა მოციქულისაგან თჳსისა, კაცნი იგი ცნობად ჭეშმარიტებისა თჳსისა მოიყვანნა და რომელმანცა (2, კორი. 4, 6). ჰრქუა ბნელისაგან ნათელი გამობრწყინვებად და რომელმანცა გამოაბრწყინვა გულთა შინა ჩუენთა განსანათლებელად მეცნიერებისა ღმრთისა, წინაშე პირსა იესო ქრისტესსა, განანათლნა სული უღთოებითითა ბნელითა ცნეულნი და წინაშე მოციქულისა თაყუანისცემად თჳსსა, გულ ხმებულ-ჰყუნა, დ~ თესლი წმიდისა სახარებისა სულთა შინა მათთა აღაორძინა, მხოლოდ შობილისა ძისა თჳსისა აღსარებად გონებანი მათნი ღირს-ჰყუნა პირებითურთ. ვინა მოციქულმან ქრისტესმან, მორწმუნე-ქმნილნი იგი და სარწმუნოებითა სიყუარულისაგან შეწევნილნი ცნობად ჭეშმარიტებისა, მოსრულნი სახელითა ღ~თო-მთავრისა სამებისათა ნათლისღებისა საბანელისა გამო წყლითა სულითა აღმოშჳნა და უპირატესი იგი მათი სახელით ხრისტოსის მღდელობითა მიმადლებულ-ჰყო. ხოლო ხუთთავე მოწაფე ქმნულთა ჭეშმარიტისა სახარებისათა, განჰყიდნეს ყოველნივე რაჲცა აქუნდავე და მოწაფეს ჭეშმარიტისა ღმრთისასა დაემოწაფნეს და ქადაგებისა მიმოსვლითა განფენასა შინა, საღმრთოჲსა იუდასაგან არა განეშორნეს. ხოლო შემდგომად

შეწირვისა წმიდისა მოციქულისა და მოძღურისა მათი დაემკჳდრნეს, მარტოებით, მთასა რომელსამე შინა, რომელიცა იყო მახლობელ გამოსადინელსა ევფრატისასა.

დროსა სომეხთა ზედა მეფობისა არტაქსარ ზედ წოდებულისასა, მივიდეს პალატად თქმულისა მეფისა, იწყეს სიტყუანი სახარებითისა მაცხოვარებისანი მეფისა მიერ და დედოფლისა ზედ წოდებული სათენკისა, რომელი იყო ალვანიიდგან, იყვნეს მაშინ მსახურებასა შინა დედოფლისასა კაცნი ჩინებულნი ალვანელნი, რომელთა სახარება იგი ხრისოს მიერ მოციქულთა მისთა ქადაგებული შეიწყნარეს.

ხოლო მეფე არტაქსარ უცილო ქმნილი საჭიროებისაგან ბრძოლისა, წარვიდა ბრძოლად სპარსეთად და ჰრქუა მეტყუელმან წმიდათა მათ, ჰსცევდეთა სიტყუათა ოქროვანთა მოქცევადმდე ჩემდა ბრძოლით, გარნა უღმრთოთა ძეთა მეფისათა განჰსდევნნეს წმიდანი იგი პალატით თჳსით, რომელნიცა წარვიდეს სამხოლოსავე თჳსსა.

ხოლო თქმულნი იგი კაცნი აზნაურნი მორწმუნე-ქმნილნი ალვანელნი, თანა წარყუნეს წმიდათა მათ სამხოლოოდ მათდა და ნათელ იღეს მათგან ევფრატიულთა წყაროთა შინა. და ამათ რომელთაცა ოდეს ნათელს იღეს, იხილეს ქრისტე ბორცუსა ზედა, რომელი იგი, პირის-პირ გამოსადინელსა მას თქმულსა წყაროსა, რომელიცა იქმნა მათჳს ემბაზად და არღარა განეშორნეს კეთილსა მას წინამძღუარსა თჳსსა წმიდასა ხრისოს, არამედ დაადგრეს მისთანა და ისწავებდეს მისგან გზათა ცხოვრებისათა. ხოლო ადგილსა მას სადაცა გამოუჩნდათ, უფალი ჩუენი იესო ქრისტე, აღმართეს ჯ͠ი, რომელ ხილვისა საღმრთოჲსა და ზედ წოდებულ-ჰყუეს იგი ჯუარად ხარებისა, ამისთჳს ვითარმედ ნათლისღებასა შინა საღმრთოჲ იგი გამობრწყინვებაჲ იხილეს საკჳრველად სიტყუაჲ მხოლოდ-შობილი. მოყუარი მოყუასსა ახარებდა მეტყუელი, «აჰა ესე რა ვჰხედავთო ქრისტესა».

ამათ შინა მოვიდეს წმიდისა ხრისოს მიმართ, ძენი თქმულისა მეფისა არტაქსარისნი შობილნი დედოფლისაგან სათენიკისა და ევედრებოდეს, რათა უბრძანოსამცა ათცხრამეტთა მათ მთავართა მოწაფეთა თჳსთა მიქცევად დედოფლისადვე, რომელნიცა ნათესავ იყვნეს დედოფლისა. მიუგო წმიდამან ხრისოს, ნებისაებრ თჳსისა აღირჩიონ მაგათ სარგებელი თჳსი. რომლისათჳს განრისხნეს უღმრთონი იგი ბარბაროსნი და წმიდასა ხრისოს და ოთხნი იგი მოწაფენი მისნი მოსწყჳდნეს მახჳლითა, გარნა ვერ სადამე შეეხნენ ვნებად წმიდისა ბარდას, რომელიცა ნათლისღებისა შინა იწოდა სუქიოს, ათრჳა მეტთა მათ მისთანათა, რამეთუ ავლენდა მათ ვნებად შიში დედოფლისასა დედისა მათისა.

მაშინ სანატრელმან სუქიოს და მისთანათა მათ დაჰფლნეს სიმართლისათჳს ვნებულნი იგი ჴსეულნი წმიდათანი და თჳთ დაადგრეს სამხოლოსა მათსა ანგელოსებრითითა ცხოვრებითა და მშრომელნი ჴელითი ძალად, მიისხლებოდიან ღ͠ა მავალნი გზასა მას ზედა, რომელიცა ისწავეს წმიდისა ხრისოსგან.

შემდგომად დროთა რაოდენთამე, ჰრქუა წ͠ნ სუქიოს, მოყუასთა და მოწაფეთა თჳსთა, რამეთუ შემდგომად წმიდასა ხრისოსა, წინამძღუარ მათდა იქმნა იგი! ვითარმედ მოვედით და წარვიდეთ სუგაკად. მით რომელ მდელონი ადგილისა ამის განმასუქებელ არიან ჴორცთა და ესრედ განზრახულსაებრ წმიდისა მის წარვიდეს და მისრულნი სუგაკ მთისა ზედა დაემკჳდრნეს. ხოლო განზრახვა ესე მიისიბრძნა ნეტარმან სუქიოს, ორთათჳს მიზეზთა: პირველად რამეთუ მშუენიერ იყო ადგილი იგი, რომელიცა დაუტევეს და პოხიერ მდელონი მისნი და მეორედ, რათა მახლობელ

ყოფისაგან დედოფლისა ჰშორვიდეს ნუ სადა მოვიდენმცა მათდამი წარმოგზავნილნი დედოფლისაგან მაიძულებელად, რათა მიაქცივნენმცა სამეფოჲსადმი დიდებისა და პატივისა, რომელი იგი აქუნდათ.

ვინა დაემკჳდრნეს, თქმულსა მას შინა მთასა სუკაკეტისასა პირისას სოფლისა ბაგრევანდისა და პირის პირ მთისა ნაჭპატისა, ორმეოცდა ოთხ-წელ გამოზრდილნი მუნებურთა მათგან მთიურთა მღდელთა. ხოლო იქმნეს ტყავნი სხეულთა მათთანი, ვითარცა კეცნი და აღმოვიდეს სხეულთა მათთაგან თმანი, დაიფარნეს მით ყოველნი სხეულნი მათნი და ყოვლისაგან სნეულებისა, რომელნიცა შეხვდებიან სხეულთა უვნებელ-იქმნნეს. ხოლო სახელნი ნეტართა ამათ სუქიელთანი ზემოთა შინა სიტყუათა მოხსენებულ-არიან ჩუენგან. ხოლო ოდეს მეფე იქმნა ალვანთა ზედა დატიანოს, ჰბრძანა ალლუმი 1) სპათა თჳსთა, რომელიცა ჰქმნა ბრძანებისაებრ, განაღო წარმკითხუელმან, რიცხჳთა შორის მთავართა თჳსთა. წმიდისა ბარდას, (რომელ არს წმიდა სუქიოს) და ათრჳამეტთა მისთანათამან, რომელნიცა პატივცემულ იყჳნეს, შემდგომად მეფობითისა პატივისა, მეორედ საყდრისა მპყრობლად, ძიება ჰყო მთავართა მათ, რომლისათგან ერთმან ვინმე მთავართაგანმან ზედა წოდებულმან ჰსკუირ, უწყებულ ჰყო მეფე, ვითარმედ არიან იგინი მთასა ზედა სუკაკეტისასა, სომხეთისა შინა, მორწმუნე ქმნილნი ქრისტეს მიმართ. უწყებულ-ქმნილმან ამით მეფემან ალვანთამან დატიანოს, უბრძანა მთავარსა ვისმე, სახელით ბარლაპს, სპითურთ წარსრულად სომხეთად, მთად სუკაკეტად და მოყუანებად წინაშე მისსა პატივითა დიდითა, ცხრამეტნი იგი მთავარნი და თუ სადამე ურჩ იქმნენ ბრძანებასა მეფობითსა ათ-ცხრამეტნივე მოწყუეტად მახჳლითა,

მისრულმან ბარლაპ, მთად სუკაკეტად ჰპოვნა მამა-კაცნი იგი ძიებულნი მისგან ქუაბთა შინა და ღელეთა მთათასა, ვითარცა უსიტყუნი ველურნი, რამეთუ სოფლის მოყუარეთად საშინელ იყუნეს და უფროსღა საძულელ მარტო-ნაკუეთნი მათნი, ესე ოდენთა წელიწადთა შინა, ვითარცა ირემნი, ანუ გარე-თხანი ველურნი. ვინა ბარლაპ იწყო მათ და სიტყუად. გიბრძანებსთო მეფობა დატიანოს დიდისა მეფისა ალვანთასა, რათა მიიქცეთმცა მთავრობითითავე პატივითა თქუენითა, ალვანად და მიიღოთ მეფისაგან მეორედი იგი, საყდრის მპყრობელობაჲ ალვანისა შინა. მიუგო წმიდამან სუქიოს. «ჩუენ სახელისათჳს უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესისა, რომელ არს შემოქმედი და უფალ ყოველთა მყოფთა, ნებსით მკუდარ-ვიქმნენით და დავიწყებულ ჴორციელად და რად სადამე საკმარ მკუდართა პატივი მთავრობითი, რომელნიცა ქრისტეს ჩუენისაგან მისთანა უკუდავსა დაუბერებელსა წარუდინებელსა და სამარადისოსა მოველით დიდებასა ანგელოსთა თანა წმიდათა». ჰრქუა ბარლაპ, სადათ უკუე იცანით თქუენ ქრისტე იგი თქუენი. მიუგო წმიდამან. «ყოველთა მეძიებელთა თჳსთა ეპოების ღმერთი, რომელიცა (ჰსჯუ. 6, 5) ვჰპოვეთ ჩუენ მეძიებელთა მისთა და შევიყუარეთ იგი, ყოვლითა ძალითა, ყოვლითა გონებითა ჩუენითა».

ჰრქუა ბარლაპ, ნუ მრავალს იტყჳ, მოვედ და წარვიდეთ მეფისა ჩუენისა და მიიღე მთავრობითა იგი პატივი შენი. მიუგო წმიდამან. «ჩუენ უკუე დავშუერით მუშაკობასა შინა და დროჲ მოწევნულ-არს მოღებად სასყიდლისა მუშაკობითისა».

ჰრქუა ბარლაპ. მთავრობა დაგიტევებიეს და აღმოგირჩევიეს მუშაკობაჲ. მიუგო წმიდამან. «უკეთუმცა გეცნა შენ უფალი ჩემი, შენმცა მიხუედ მისდამი მუშაკობითო».

ჰრქუა ბარლაპ, უმჯობეს არს შენდა დამორჩილება ბრძანებისა მეფისასა და მიქცევად პა-

1) ალლუმი, ჯარის ანუ სპის გაშინჯვა.

ტისაგე მიმართ შენისა მთავრობითისა და დატევებად ცუდი ეგე სასოებაჲ, რომლისათჳს ესე ოდენნი უკუჱ წელიწადნი წარგივლიეს მგეცთა თანა; უწყებულ უკუჱ იყავნ კაცო, ვითარმედ თუ სადამე განურყუებულითა გონებითა, არა ერჩით ბრძანებასა მეფისასა ჩემისასა, მზა თქუჱნდა და წინაშე თქუჱნსა სიკუდილი მძჳნვარე. მიუგო წმიდამან. «ჩუჱნ უკუჱ შეწევნითა ღ̃თისა ჩუჱნისა ვერ აღგჳიტაცნე აღთქმითა მთავრობითისა პატივისათა, რომელიცა მსგავსად (იაკობ. 2, 14), კუამლისა, მცირედ ჟამ ჴსჩანნ და შერმე განქარდის, რამეთუ (ისაია 40, 4), ყოველი ხორცი თივა არს და ყოველი დიდება კაცისა, ვითარცა ყუავილი თივისა, განკმა თივა და ყოველი დიდება მისი დამოჴსცვივა, ხოლო სიტყუა ღ̃თისა ჩუჱნისა, ჴგიეს უკუნისამდე».

მხილუჱლმან ბარლაამ წმიდათა ღ̃თიისათა სიმტკიცისაგან განრისხებულმან, უბრძანა მკედართა განრთხმად თჳთოეულნი მათნი ოთხთა მიმართ მანათა დ მოხმად შეშანი ფრიადნი და დაწუად ცეცხლითა. მაშინ მტარვალთა აღასრულეს ბრძანებული ესე და შეპყრობილნი მოწამეთა ჭეშმარიტებისათა განართხმიდეს მანათა მიმართ და ზედა დაჰყრიდეს შეშათა და ცეცხლსა აღაგზებდეს და ყოვლად დასასწუჱლთა საღმრთოთა თავთა თჳსთა ღ̃თისადმი შეწირუად მღუდელ-მოქმედებელთა, კელნი იგი არა წმიდანი დაწუად უწყალოდ მეცადინობდეს.

შეიპყრობოდეს რა, მოწამენი ჭეშმარიტებისანი და განჭიმულნი მანათა მიმართ ცეცხლითა დაწუად განიჩინებოდეს. იყო პირთა შინა მათთა ფსალმუნი დიდებად ღ̃თისა, (ფსალ. 21, 18) «შენ უფალო ნუ განმაშორებ შეწევნასა შენსა ჩემგან და კელის აღპყრობად ჩემდა მომხედენ. იხსენ მახჳლისაგან სული ჩემი და კელთაგან ძაღლთასა მხოლოდშობილება ჩემი, უთხრა სახელი შენი ძმათა ჩემთა და შორის ეკკლესიისა გიგალობდე შენ. მოშიშნი უფლისნი აქებდით მას და ყოველი ნათესავი იაკობისი ადიდებდით მას. რამეთუ არა შეურაცხ-ჰყო, არცა მოიწყინა ლოცუა გლახაკისა, არცა გარე მიაქცია პირი მისი ჩემგან და ხადილსა ჩემსა, მისა მიმართ ისმინა ჩემი». ხოლო წინა-მძღუარ წმიდათა მათ ყოველსა ლოცუასა შინა იყო წმიდა კოდრატოს.

მხილუჱლი მძლავრი უშიშოების წმიდათასა და მასმენელი ლოცვსა მათისა, სიმტკიცემან წმიდათასამან აღაბორგა და მტარვალთა ჭიმნი პირთა შინა წმიდათასა აღებად უბრძანა და ბრძანებაჲ უჴსჯულოებითი ჴსცუალა, რამეთუ განჩინებაჲ ცოცხლივ დაწვისა წმიდათასა მახჳლითა დაჭრად უწყალოდ გარდაიღო, და სპასი განმაშიშვლებელნი მახჳლთანი მოწამეთა ზედა ჭეშმარიტებისათა მძჳნვარედ დაჭრად და აღგინნად.

მაშინ მოწამენი ჭეშმარიტებისანი, ვითარცა ვაზნი იგი ჭეშმარიტისა ვენაკისანი უწყალოდ მოისხლოდეს, რამეთუ რომელნიცა კერძონი წმიდათა სხეულთა მათთანი უმარჯუჱს დაეკუჱთიან მკედართა, იგინი უწყალოდ იჭრებოდიან და უსასყიდლონი იგი სპეკალნი, თავნი მათნი წარკუჱთილნი ველთა მათ ზედა მთიურთა მშუჱნიერ ჴგორვიდიან და სიმეწამული სისხლისა მათისა, მწუანოვანთა მათ ალაგთა მთიურთა შეამკობდა, ხოლო სულნი მათნი, კელთა შინა ზეციერისა მისისა ღმერთ-მთავრისა მიმართ აღჴდოდეს.

ხოლო პირუჱლ აღსრულებისა ითხოვეს წმიდათა, ღუაწლის დამდებელისა მათისაგან, ვითარმედ სადაცა დაითხიოს სისხლი ჩუჱნი, აღმოვიდეს წყაროჲ საკურნებელად სნეულთა, რომელიც სუნად სუნნელადა საკუჱთხთა მათ, ყოვლად სიტყჳერთა შემწირველმან ღ̃ნ, თხოვაჲ იგი მიითუალა და აღსრულებად ეს გუარითა რე მითუალულებითა აღუთქუა წმიდათა იჳსთა. აღსრულდენო თხოვანი თქუჱნნი, ყოველთათჳს სალმობათაგან და ტკივილთა ვნებულთა და თქუჱნ, მოვედით განმზადებულსა თქუჱნთა განსუჱნებასა შინა.

შ̃დ სიკჳდილისა ჰბრძანა ღმრთომან მან მთავარმან სხეულნი წმიდათანი განყრად დაუფლველ, რომელნიცა საღმრთომან განგებამან წელიწადთა 230 ქუ̃ყანასა ზედა დაუფლველ-მდებარენი დაიცჳნა უხრწნელად. ხოლო დროსა მონარხობითსა თჳთმყრობელისა კეთილ-მსახურისა კეისრისა კონსტანტინე დიდისა მოციქულ ჰსწორისასა, საღმრთოჲთა გამოცხადებითა კეთილ-მსახურთაგან პოვნილ იქმნნეს დაუფლველ მდებარენი იგი ქრისტესთჳს ვნებულნი ჴორცნი წმიდათანი და მახ-ლობელ კლდესა ზედა, დაწერილ სახელნიცა მათნი და სადაცა დათხეულ იყო სისხლი იგი მათი ყოვ-ვლად წმიდაჲ, თითოეულთა ფერთა აჩუ̃ნებდა ქუ̃ყანასა იგი, რომელიმე ფერი და სპეტაკ, რომელიმე მეწამულ, რომელიმე ყჳთელ, სხჳაჲ ცის ფერ და სხჳაჲ მწჳანედ. ხოლო პოვნილთაგან კეთილ მსახურთა, რომელნიცა საღმრთოჲთა გამოცხადებათა პოვნასა ამას ღირს იქმნნეს, დაკრ-ძალნეს ლუსკუმასა შინა, დიდითა პატივითა ყოვლად წმიდანი იგი ნაწილნი ქრისტეს მარტჳრთანი, მდებარენი საუნჯედ უსასყიდლოდ ყოვლისა სოფლისა [1]).

გარნა შენ ყოვლად წმიდაო, რიცხჳთ ათ-ცხრამეტობითა გუნდო მარტჳრთაო, არაო პირ-მშოჲსა ეკკლესიისაო, სამღდელოო შეკრებულებაო, თანა დაწესებულო ზეციერთა იერარხთა თანა, რომელი ღირსებითითა გჳრგჳნითა ხარ მშუ̃ნიერება მმარხველობითისა ქრისტესთჳს მოღუაწე-ბისა და რომელი სისხლითა მარტჳრებითითა ჰბრწყინავ სამყაროსა ზედა, საღმრთოჲსა ტრფია-ლებითისა ცისასა, ასტრონის ყოვლად გლახაკისა ჲ უდებსა მექმენ განმანათლებელ გონებისა ტკბილთა ოხათა მიერ ღუაწლის დამდებელისადმი შეწირულთა სამღდელოთა ვნებათა შენთა.

ხოლო კადნიერებისა ამის, რომელიცა არა ღირსმან ვიკადრე შენდამი გუნდო ყოვლად წმი-დაო, ნუ მიმხდები მე პატიჟი კადნიერებისა, არამედ ვითარცა სუჯულისაგან ქმნილი მიითვალე და დროსა ორად განკუ̃თისასა უმთავრესი ნაწილი ჩუ̃ნი იჴსენ და დებისაგან ორგულთა თანა.

მადლი უფლისა ჩუ̃ნისა იესო ქრისტესი, იყავნ ყოველთა კეთილ მსახურთა თანა ამინ.

## უწყება პეტროს მკარწველისათჳს და ალაჯორისათჳს და ალაჯორთა მარხჳსა.

იყო პატრიარქი კაცი წმიდა, უბიწო და მართალი და ჰრწმენა სიტყუ̃ათა მისთა ყოველთა და ვითარცა პირისაგან ანგელოსისა, ესრეთ შეიწყნარებდეს სიტყუ̃ასა მისსა და მცნებათა თჳთ ვ̃ემე პირუ̃ტლად თავადი მეფე ჲ მის ქუ̃შენი ყოველნივე. რამეთუ სამეფოსა ქალაქისა კონსტანტინეპო-ლელისა საყდარსა ზედა მჯდომარე იყო და ოდეს დგის ჟამის წირვად ანგელოსთა ხედავნ და სული წმიდა იქცეოდა მას ზედა და მეფე უდგის მარჯუ̃ტნით და დედოფალი მარცხენით და იყვნეს საქ-მენი მისნი განსმენილ ყოველსა ქუ̃ყანასა შინა, ხოლო სახელი მისი იყო პეტროს. და წესისაებრ მეფეჲა და დედოფალთასა, ვითარ მსხუ̃რპლვასა შინა წმიდათა საიდუმლოთასა თანა უდგიან მოწი-წებით და მსახურებდიან.

დღესა ერთსა ჟამის წირვიდა პეტროს პატრიარქი, დედოფალი დგა ჩუ̃ულებისაებრ ჲ ვითარ საიდუმლოსა შინა იყო პატრიარქი, შეემთხვა დედოფალსა არა წმინდება ბუნებითისა წესისა დედათასა.

---

1) წამება წმ. მოწ. 100 წ. შემდეგ. ქრ. უ.

ხოლო პატრიარქსა წმიდათა ბარძიმი სისხლითა აღევსო და ვითარ იხილა საშინელი ესე; ხილვადცა და სმენადცა პატრიარქი აღშფოთნა და განწყრა გულის წყრომითა და განაკრძალა დედოფალი[1]) მიუგო დედოფალმან აღვსებულმან მრავლითა კდემითა და სირცხვილითა და ლმობიერად ჰრქუა. რად უფალო პატრიარქო და კუალად ჰრქუა პატრიარქმან დედოფალსა, კრულ იყავნ და შენ და ყოველივე დედაკაცი შენითა წყეულ იყავნ

მიუგო დედოფალმან და ჰრქუა და მერმეცა მშობელი სიტყჳსა ღმრთისა, რამეთუ იგიცა დედაკაცი იყო, დაღათუ იგი თანა წარხდა და ზეშთა იქმნა ყოველს წესსა და ბუნებასა დედათასა, რომელი ცთომილისა დედათა ბუნებისა სიქადულ იქმნა და რამეთუ შემთხვეული ესე ბუნებითი არს თჳთებრივი წესი, არა წინა აღურჩევდა ცოდჳათა, რომელთამეგანი და ვითარ ჩემ ძლით ყოველივე დედაკაცი წყეულ ჰყავ, ვინათგან ევას ძლითთა წყევათაცა მომსპობი დედაკაცი იყო.

ხოლო პატრიარქმან განძვინებულმან ჰრქუა და მერმეცა. მაშინ განძვინდა დედოფალიცა და უბრძანა პრეპოსთა და იკიდიკოსთა თჳსთა და გარდმოითრიეს პატრიარქი და განაძეს ესე. ხოლო პეტროს შეჰკდა და ესე ვითარმედ უპატიოებად განძება მისი და აღატყინა ეშმაკმან გული მისი და ჰრქუა. აწ მეცა ვიძიო შური და ნაცვალ ვაგო ჰსჯულსა და ყოველთა ეკკლესიათა ნაცვალნი, ჩემისა უპატიოებით და შეურაცხებით განთრევისანი. მაშინ წარმოვიდა ქუეყანასა სომხითისასა მოყუსებითა და მოწამებითა მრავლითა და იწყო ქადაგებად წვალებისა ჰსჯულსა და გმობდა ჰსჯულსა ბერძენთასა, რომელი მოქლო წმიდათა და დიდთა კრებათა და ღმერთ შემოსილთა მამათაგან დარწმუნა ყოველთავე, სიტყუათაგან მისთა, რამეთუ ანგელოსად ჰხედვიდეს მას მსგავსად ღმრთისა და იტყოდეს ესე არს კაცი იგი წმიდა პატრიარქი, სამეფოსა მის ქალაქისა.

მაშინ პეტროს ეშმაკისა მიერ იწყო ქმნად ყოველსავე საცთურებასა და იტყოდის ყოვლისა წვალებისა საქმესა და ასწავებდა ერსა, ვითარმედ კათოლიკეთა მარხვათა რაჟამს იმარხვიდეთ ხუთთა დღეთა, შაბათისა და კჳრიაკესა, კუერცხსა სჭამდეთ და ყუელსა; ხოლო ხუთთა მათ დღეთა განეყენენით ღჳნოსა, ზეთსა და თევზსა, რომელ ერთ და იგივე არიან, ყუელი, ზეთი და ღჳნო თევზისათანა. და ჭეშმარიტსა მმარხველსა უკმს ყოველთავე ამათთაგან განყენება. ხოლო რომელიცა თჳთოეულსა ამათსა მიიღებს, მიიღებს ყოველივე, რამეთუ ფრიად უმჯობეს არს ზეთი ერბოსა და ღჳნო უფროს მავნებელ ვიდრეღა თევზი. და ეპისკოპოსნი და მონაზონნი ერთობამად ყოველნივე ჴორცსა სჭამდით. ხოლო ესრეთ წესი არს მეტყუელისაებრ წმიდისა მოციქულისა, ვითარმედ ყოველივე ჴორცი თივა არს. და ესრეთ ჰსჯულსა აღუსუბუქებდა და წყალებასა აწურთიდა და თჳსსა ზრახვასა ზედა მიაქცევდა უმანკოსა მას ერსა სომეხთასა. ამისსა შემდგომად მიემთხჳა ძაღლსა ჩიბასა და სახელი ძაღლისა მას ალაჯ და ესე მოწყვართა წინამძღურად თჳსად და გრძნებითა რაჲთამე მოწურთილი იქმოდა ყოველსავე საოცრებასა თანადგომითა ეშმაკისათა და რაჟამს ჰქჳს ალაჯსა, წარვედ იქი და წარვიდის და წინა უვიდოდის პეტროსს, ვითარცა მოციქული. დღესა ერთსა წარგზავნა ალაჯ პეტროსის მიმართ კურმმუხოად სახლად ხუცისა აგრძნა ხუცესმან მისვლა ალაჯისი. და ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა, რაცა გრქუა თქუენ, ჰყავით შვილნო ჩემნო. ხოლო მათ ჰრქუეს, რომელიცა სათნო გიჩნს ჰყოთ. ჰრქუა ხუცესმან, მოკალით ალაჯ. მიუგეს ხუცესსა და ჰრქუეს, უკეთუ ცნას ესე პეტროს სადაღა იყოს საფლავი ჩუენი, ხუცესმან ჰრქუა მათ, ჩემზედა იყავნ საქმე ეგე. ჰყავით შვილნო ჩემნო. ხოლო მათ მოკლეს და კევსა შთააგდეს და დაფარეს ქვითა მძიმითა. მაშინ მოვიდა პეტროს და არა

1) კრულ ჰყვნა.

ჰპოვა ალაჯა და ჰრქუა ხუცესსა მას, სადა არს ალაჯა, მე აქა წარმოვგზავნე, ხუცესმა ჰრქუა, მე არა მინახავს.

მაშინ იწყო პეტროს ძიებად და წარავლინნა მეძიებელნი თჳსნი ყოველთავე მათ ადგილთა და სოფლებთა და ვითარ ვერა ჰპოვეს ალაჯა, იწყო პეტროს განზრახვად თავით თჳსით და ჰრქუა ერსა თჳსსა, ესრეთ ვიმარხოთ და ვილოცოთ, რათა გამომიცხადოს ჩუენ ღმერთმან თუ რამე ეყო და შეემთხჳა ალაჯას. მაშინ იწყეს ორშაბათიდგან ვ̃ე შაბათამდე მარხუა და მუნ თქუმსვე, გამოეცხადა ჩუენებითა ეშმაკისათა ალაჯა პეტროსს და მისთანა და ჰრქუა. აჰა ესერა გეგვს შინა ვარ მე მკუდარი. მაშინ ხმა უყო ერსა მას პეტროს და ჰქუა, აჰა სასწაული დიდი და საშინელი აწ უკუე იყუენით და იმარხევდით ალაჯისათჳს ამათ დღეთა, რომელნიმე განგიწესენ თქუენ. ესე არს ჰსჯული პეტროსისიო მოციქულთა მიერ შეჩუენებული და კრებათა მიერ განგდებული და შემდა იჩუენების ყოველი მმარხველი ალაჯასათჳს და სუბსარქისისათჳს 1).

## .შწყება სუბალისძის სუფსარქისისათჳს.

მათვე ჟამთა შინა კაცი ვინმე იყო ნაგმირევი და სახელი მისი სუბალის ძე სარქის, ესე იქმნა მონაზონ და აღაშენა მონასტერი ძირსა არარატისა მთისსა და ილოცავნ დღე და ღამე. ხოლო მონასტერი იგი იყო მახლობელად ქალაქსა დჳნისასა და შენებულ. მას ჟამსა მოვიდა სპასალარი აგარიანთა და მოადგა ქალაქსა და წარტყუენნა ქალაქი. მაშინ გამოვიდეს კაცნი მის ქალაქისანი და ჰრქუეს სუბალ სარქისს, გამოვედ მონასტრით შენით და ებრძოლე შჯულის აგარიანთა, მტერთა ქრისტესთა და უკეთუ ჰძლო და მოიქცე მშჳდობით, ჩუენ ყოველნი მონად შენდა ვიქმნნეთ და უკეთუ მოგკლან შენ ჯუარი აღუმართოთ შენწილ, სახსენებელად შენდა. მაშინ გამოვიდა სარქის წყობად აგარიანთა და ჰსძლო და წარმოვიდა წყლული ისრისა მიერ. ხოლო შემდგომად ამისა აღიჭურა კუალად სპასალარი ისპაჰნისა და მოვიდა ქალაქად დჳნისს და კუალადცა განვიდა სარგის წყობად მათდა. ხოლო იქმნა რა წყობა, შეიპყრეს სარქის და ყოველი სომხითი მოწყუეს და აღათხრეს. ხოლო სარქის აურაცხელისა მის ნატყუენავისა თანა ისპაჰნს წარიყუანეს წინაშე სულტანისა. ხოლო სულტანმან იხილა რა სარქის, ფარულად განიხარა, რამეთუ ასმიოდა სიმხნე მისი და ტომ კეთილობა და შეეწყალა იგი, რამეთუ მოხუცებულ იყო და პირუტლად ვიდრემე მრავალთა სათვალეთა და ქალაქთა და სოფელთა ქადებისა მიერ აღთქმისა, ვითარმედ ყოველი სოფელი სომხითისა და ჰრანისა მიგიტეო შენ და მიერ მეფობა მათი, უკეთუ მერჩდე მე და აიძულო ჯუარცმული და აღიარო ჰსჯული მაჰმად მოციქულისა მოცემული ჩუენდა.

ხოლო მან ყოვლად რათურთით არა თავს იდვა, რამეთუ მოხუცებული იყო, უბრძანა უპატიოებით განძარცვა მისი და შემუსრვა კბილთა მისთა და ცემა უწყალოდ, განხვრეტა კოჭთა მისთა და თავი დამოქცევით აქლემსა შთამოკიდება და ყოველსავე მას ქალაქსა შინა მოვლება მისი, და ესე რა იქმნა კუალადცა პყრობილ ჰყუეს, სადა იგი ანგელოსისა მიერ ღირს იქმნა ხილვასა და შემდგომად განიკურნა. და კუალად წარიდგინა წინაშე მძლავრისა და ჰკითხა ჰსჯულისათჳს და სარწმუნოებისათჳს. ხოლო მან ყოვლად კადნიერებით ამხილა და ესრეთ ბრძანებითა სულტანისათა მიეცა მისთჳს განჩინება მახჳლითა წარკუეთად თავისა და ჰრწმენა კაცთა მის ადგილისათა, რომელ სადა იგი მდებარე იყო მკუ-

---

1) აწინდელთა სომეხთა სუფსარქისის მარხვა, ალაჯა ძაღლის პატივის ცემის მარხვა არის.

დარი. იხილეს სუეტი ცეცხლისა, ვინა შემდგომად მრავალთა წელთასა წარვიდეს ისპაჰანად ყოველთაგან ქალაქთა სომხითისათა და მრავლითა პატივითა აღმოიყვანეს ნაწილნი მისნი და მარჯუენა მკლავი მისი დადვა გაიდას ეკკლესიასა შინა, რომელი აღეშენა პეტროსის მიერ.

პეტროსისავე ხოლო განსიმა იერუსალიმს და ყოველთა მათ კონსტანტინეპოლეს, ანტიოქიას, ალექსანდრიას, ჰრომს და ყოველსა შინა სოფელსა, ვითარმედ პეტროს დადვა ჰსჯული წვალებისა ქრისტიანესა სომხითისასა და შეკრბეს ოთხნი პატრიარქნი და პაპა ჰრომისა და შეაჩუენეს პეტროსი და ვინცა იმარხვიდეს ალაჯასთჳს, ანუ იღოცვიდეს სუბალ სარქისისათჳს. ანუ ჰსჯულსა მისსა ვიდოდეს, ანუ ვინ ისმინოს მათი და არა შეაჩუენოს, ანუ ვინ ემზახლოს საწოლითა, ანუ ვინ ესვინ იდიკოზოს, ანუ ვინ იმარხვიდეს მარხვასა მათისა, კრულ იყავნ საუკუნოდ. ამან ღუთივ მოძაგებულმან პეტროს შესძინა, სამ წმიდა არსობისა ქების მეტყუელებასა, ვითარმედ «წმიდაო უკუდავო, რომელი ჩუენთჳს ჯუარს ეცუი შეგჳწყალენ ჩუენ». და სამუალ ჯუარისა სამსჭუალისა განწონა და მოხათვლა ჯუარისა, ამანვე ჰსჯულ უდვა. ვინმე უკუე არს ესოდენ ცნობა მიღებულ, რომელმანცა ზეცისა ძალთაგან მოცემული დიდებისმეტყუელება, სამებისა წმიდისა მიმართ დაუტევა და შეუდგამცა მოძღურებასა უჯსჯულოსა პეტროსისასა, რომელი იღებდა წვერსა ოქროთა, რომელი აღვიდოდა საყდარსაცა ანტიოქელთასა და ბოროტთა მათ მწვალებელთა მისთათჳს, წმიდათა მამათა მიერ შეიჩუენა და განიკუეთა და საყდარსა თჳსისაგან განიდევნა და მიერ მოიწია სომხითად და აღმოსავლად, ამან უკუე და წყეულმან არა თქუა წირვასა შინა «უმეტესად ყოვლად წმიდისა» და არა აღიარა ღუთის მშობლად, წმიდა ქალწული მარიამ, ვითარცა ესწავა მას ბილწისა ნესტორისაგან. ხოლო მოარავიდა ქრისტიანესა ამას ჩუენსა სასოებითა, რამეთუ ჟინ იგი ზემოკერძო მაღალსა რასმე საყდრად შენებულსა, სამოსლითა პატიოსნითა და ბრწყინვალითა გარდამომებულსა და მოსიელ მას სამოსელი დიდ ფასისა და არიან სახელნი მისნი გრძელ, რომელ მიუტყორცნის თაყუანის მცემელთა მისთა, რომელ ემთხუეოდიან მამადიანთა წესითა ხალიფასაებრ და შეუდგა ერი ურიცხვი მოძღურებათა წვალებათა მისთათა დაბნელებული ნათესავი სომეხთა. მაშინ მოვიდა ზვავი იგი კანკარასა და მოუწოდა ნეტარს მიქელს კაცსა ქართლისასა, რათა ანუ ჰსჯულსა მისსა ეზიარნენ, ანუ თუ ურჩ ექმნას საყდრისაგან განიყუანონ.

ხოლო შეჰშურა მიქელ სულმან წმიდამან, ვითარცა იგი პირუელ დავით გოლიათს ზედა და წარმოვიდა მცხეთით მის ქრისტეთა ეპისკოპოსთა და მღუდელთა თანა და ერისა მორწმუნისა და მოიწივნეს ქრისტიანესა კანკარისასა.

ეუწყა ჩუენებით ანგელოსისა მიერ, რათა მან თავადმან და მის თანათა ქრისტემო, მახჳლები მახლობელისა ხევისაგან და მიახლონ და მოიხადონ ქუდები და შთადვან მას შინა ქვანი. ხოლო საღმრთომან მიქელ ასწავა ყოველთა, ვითარმედ ვითარ იხილოთ ჩემგან, თქუენცა ჰყავთ ეგრე ყოველთა. მაშინ მოვიდა მიქელ კაცი და თაყუანისცა წინაშე საყდრისა მის პეტროს მკარწველისასა, ხოლო მან მოაუგდო სახელი შესამოსლისა მის, რათა ემთხჳოს იგიცა ჩუეულებისაებრ მისისა.

ხოლო ღუთივ განსხმობილმან მიქელ უპყრა სახელსა მისსა და შთამოზიდნა ძლიერად და შთამოიორია ქრისტიანად, დააკუეთა და დასცა ქვითა მით, რომელი აქუნდა ქუდსა შინა მისსა და განტჳნა ულოო იგი და ზვავი და დასდვა წყლულება სასიკუდინე. მაშინ ყოველთა მისთანა მყოფთა ეპისკოპოსთა და მოყუასთა მისთა, დაკრიბეს მის ზედა ქუა და ესრე დაზვინეს ქვითა და მოკლეს მგელი იგი და შეერაცხა მათ სიმრთელედ კაცის კულა იგი. მაშინ ზარი და შიში დაეცა მათ ყოველთა მიმდგომთა პეტროსისათა და ვერვინ იკადრა განძვრა ხელსა და სიტყუადცა ბრალობისა, არამედ

უკჳრდა საქმე ესე და იტყოდეს, ვითარ დიდი ესე მთავარი ჴსჯულისა და წინამძღუარი ერისა მიეცა სიკუდილსა განსაქიქებელსა, და თქუჱს ერბამად, მოვედით და შევკრბეთ ყოველნი ამას ღამესა და ლოცვით განვათიოთ ღამე, გუამსა ამის წმიდისა ზედა და ვიხილოთ რა ძი გამოგვიცხადოს ღმერთმან და ჰყუჱს უგრეთ და ვითარცა შუაღამე ოდენ იქმნა, იხილეს ეშმაკი სახითა მგელთათა შეკრებულნი და მყჳრალნი ზედა გუამსა მისსა. მაშინ ხმა ჰყუჱს ყოველთა და თქუჱს, ვითარმედ ესე ანგელოზნი არიან, რომელნი უგალობენ მას და მიერითგან ავაჯასა ზედა მათსა და გვარსა კმისა მათისასა იწყეს ყამნობა და გალობა.

---

## თარგმნება სომეხთა წუალებათა თჳს, თუ რომლითა შეიჩუჱნებიან სომეხნი.

ვითარმედ, ვითარმცა ხრწნილებისა, რომელ არს შიმშილი წყურვილი და სხჳა კაცობრივი უხრწნელებისა არა მგონებელნი შეიჩუჱნებიან.

და ვითარცა ერთსა ბუნებასა ქრისტესსა შორის მგონებელნი მგმობელნი, შეიჩუჱნებიან.

და ვითარცა ერთსა მოქმედებასა ქრისტესსა მგონებელნი მგმობელნი, შეიჩუჱნებიან.

და ვითარცა ერთსა ნებასა მის შორის ბოროტად მეჩუქრენი, შეიჩუჱნებიან.

და ვითარცა ქრისტეს შობისა უარის მყოფელნი, შეიჩუჱნებიან.

და ვითარცა ხარებასა ღუთის მშობლისასა არა მედღესასწაულენი, შეიჩუჱნებიან.

და ვითარცა ხატსა ქრისტესსა და ღუთის მშობლისასა და ყოველთა წმიდათა საიდუმლოთა არა თაყუანის მცემელნი, შეიჩუჱნებიან.

და ვითარცა უცომოსა პურისა მსხუჱრპლად შემწირუჱლნი, შეიჩუჱნებიან.

და ვითარცა ღვინოსთანა ქრისტეს სისხლისასა წყლისა არა განმზავებელნი, შეიჩუჱნებიან.

და ვითარცა სახარებისა გარდამქცეველნი, შეიჩუჱნებიან.

და ვითარცა ცრუ მღუდელობისა მათისა ცხადთ განმსყიდველნი და სამთავრალოთ მყოფელნი მათისა ეკკლესიისანი, წმიდათა ჵ ღმერთ შემოსილთა მამათა მიერ, ვითარცა სიმონიანნი, შეიჩუჱნებიან და იუდას თანა დაიწყესებიან.

რომელ თჳნიერ მარილისა შეიქმან უცომოსა და მკუდარსა მსხუჱრპლსა მოცემისაებრ ებრაელთასა, შეიჩუჱნებიან.

რომელ იანვრის თჳს ხუთსა ჰყოფენ ხარებასა უწესოებით არა პატივისათჳს ღუთის მშობლისა, შეიჩუჱნებიან.

რომელ არა ექუსს იანვარსა დღესასწაულობენ ნათლისღებასა, არამედ განვლენ მდინარედ მაჩუჱნებლობით, შეიჩუჱნებიან.

რომელ დღესასწაულობენ თორმეტსა თჳს იანვრისასა ნათლისღებასა ქრისტესსა, რომელ არს გარდაქცეულება დიდი, შეიჩუჱნებიან.

რომელ არა აქუსთ მირონნი, არამედ ბალაზინისა ზეთსა იხმარებენ, შეიჩუჱნებიან.

რომელ ნათლისღებასა არა ჰსცხებენ ზეთსა, არამედ უდებ ჰყოფენ, შეიჩუჱნებიან.

რომელ ნათლისღებასა შინა არ იქმნების მათ მიერ შებერვა ახალ ნათელღებულთა, შეიჩუენებიან.

რომელ არცა ერთსა რასამე, ლოცვათა შინა მათთა დაუბრო ჴსჯულად არა თქმად მამაო ჩუენოსა არცა იტყვიან, შეიჩუენებიან.

რომელ დაუძსთ ჴსჯულად მამათა მათთა, ვინცა ვინ შაბათსა ანუ კჳრიაკესა მარხვასა თანა აღრაცხვენ თჳნიერ ხოლო განცხადებისანი ამისთჳს, შეიჩუენებიან.

რომელ წმიდათა დიდთა მარხვათა შაბათ კჳრიაკეთა სჭამენ სძესა და კვერცხსა და ერბოსა, რომელნიმე ცხადათ, რომელნიმე ფარულად, შეიჩუენებიან.

რომელ სახსენებელსა წმიდათასა არა აღასრულებენ ამისთჳს, შეიჩუენებიან.

რომელ მიცვალებასა წმიდის ღუთის მშობლისასა და ამაღლებასა ჯუარისასა არა დღესასწაულობენ, შეიჩუენებიან.

რომელ შამატეს ხმა განსმენილობით ქადაგებული მათ მიერ მარხვა ალაჯორისა, რომელი მიიღეს უღმრთოთა მანასკერტს ტარსუნ ქალაქსა დჳნს შეკრებილთა მწვალებელთა, შეჩუენებულიმცა არიან.

რომელ ყუელიერი, რომელი პირველად ეზოდ წმიდისა მარხვისა განაწესეს წმიდათა ღმერთ შემოსილთა მამათა, ამათ შეაგინეს ხორცთა ჭამითა, შეიჩუენებიან.

შეურაცხ ჰყოფვენ ჟამისა წირვასა საღმრთოსა და არცა იმოსებიან თჳნიერ სტიხრისა ოლარის და ფილონისა და არა ჰსწირვენ, რომელი კანონითა დაუწესა დიდმან სილივესტროს, შეიჩუენებიან.

რომელ ჟამის წირვის ჟამსა რამდენნი პირნი იქმნებიან მწირველნი ერთის მეტი ვერ მიიღებს საიდუმლოს, შეიჩუენებიან.

რომელ დიდსა ხუთშაბათისა სერობასა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა, ოდეს ყოველნი ქრისტეანენი ეზიარებიან ყოვლად არა აღასრულებენ, არამედ სრულიად უგულებელ ჰყოფვენ, შეიჩუენებიან.

რომელ კნინღა დაურთავსვე და ზრახვენ იგინიცა რაჟამს გარდაიხდიდნენ პასქასა აღვსებისასა წელიწდეულთა კრავთა და ჰსცხებენ სისხლთა მათითა წუროილთა დასაცველად თავთა თჳსთა შერაცხვენ, შეიჩუენებიან.

რომელ ჰსჯულისამებრ ურიათასა ამას ესე ვითარსა საძაგელსა მსხუერპლსა, რა მოიყვანებენ ხარსა და ვერძსა და შეამკობენ მათ ღებილითა ძოწეულითა და შორის რქათა მათთა და მოჰკიდებენ ხილისა თითო ფურსა და მოიყვანებენ მათ კართა თანა ეკკლესიისათა და სახელ ჰსდებენ მსხუერპლად სამეუფოდ, ესე იგი არს მატლად, შეჩუენებულმცა არს ხსენება მათი.

რომელ უგულის ხმა და უცნობელ არიან ურწმუნოებითა ამისა, ვითარმედ სისხლი ქრისტესი დაითხია საცხოვრებელად სოფლისა და იტყჳან ვითარმე უკეთუ არა იქმნას დაკულვა და დათხევა სისხლისა ზროხისა ანუ ცხვრისა, რაჟამს ყოფდენ ჟამის წირვასა მიცვალებულისა არა იქმნების განსუენება სულისა მათისა, შეიჩუენებიან.

რომელ გარდამაქცეველთა წმიდისა სახარებისათა აღმოუხოციან, რამეთუ დაუდუმებელად ყოველსი ქრისტეს განხორციელებისა საიდუმლონი განგებულებანი, ვითარ იგი მლოცველისა ოფლი ქრისტესი და შეძრწუნებული არს სული ჩემი, დამიხსენ მე ჟამისა ამისგან, შეიჩუენებიან.

რომელ არ იმარხვენ მარხვათა ქრისტეს შობისათა, რომელი წმიდათა მოციქულთა განაწესეს ორმეოცი დღე, არცა კუალად წმიდათა მოციქულთასა, არცა ღუთის მშობლისათა მიცვალებისათა

არამედ აქუნ მათ მარხუანი უცხონი ჴსჯულისაგან და წესისა ქრისტეანეთასა, ვითარ იგი იმარხვენ იონნას ზედ ქალაქისათჳს ნინევისა და ელიასთჳს და გრიგორისათჳს, დიდისა სომხითის ეპისკოპოსისა და სუბსარქისისათჳს, შეიჩუენებიან.

რომელ სახე წმიდისა იოანე ნათლის მცემელისა შეაგინეს და ნიში პატიოსნისა სქემისა შეამწიკვლნეს, უსჯულოებითა მონაზონთა მათთა ერის კაცებრ ჭამითა, შეიჩუენებიან.

რომელ განაკლებენ საშუალ ჯუარისასა სამსჭუალსა რკინისა, ქჳსა იყოს ჯუარი ანუ თუ ძელისა და სცხებენ ზეთსა ქუნჯუთისასა, წესისა მებრ ახალ ნათელღებულთასა და ეგრეთღა თაყუანსა სცემენ, შეიჩუენებიან.

რომელ განადგინეს ყოველი სომხითი ბერძენთა მთავრობისაგან და თანა შემწე ექმნეს სპარსთა და მომადლებისა მათისათჳს მოიხვნეს ხალიფასაგან წესნი და ჴსჯულნი სრულიად ქრისტეანეთაგან ანუ გარე კიდე განზნეულნი მათნი, ესე იგი არიან წინა დაცუეთა სამღუდელოჲსა ნაწილისაგანთა ჟამსა კურთხევისასა და ღორის ხორცისა არა ჭამითა და ნაცვლად ფაყკთა მანდილთა და ბურვილობისა ქუდთა მათთა ზედა ტჳრთველობა მანდილითა და რათა შემდგომად ჩამოლოცჳსა არა იტყჳან, ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან, არამედ იგინი ჯუარის წერით ოდენ ჴყოფენ ერსა მთხვევლთა კელთა მათთა.

და წირვასა შინა ორთა ქუდთა დაიბურვენ და სახარებასა წარიკითხვენ სამხრით გერძო დამუნით ილოცვენ წესისა მებრ მუსალიმისათა.

და რასა მღუდელნი და მონაზონნი მათნი ზრახჳდენ, ამის უკუე და ესე ვითართა თჳს, რომელი ითქმიან, დაიწერა არა ღირს არიან, განგდებასა მათ და განკიდგანებს წმიდა ეკკლესია და ესოდენ უკუე, ვითარცა ღუთის მბრძოლნი შეიჩუენებიან და ეშმაკისად მიცემულნი.

მთავართა თანა მათთა და მოძღუართა მრავლისა თანა მათისა ბოროტად მადიდებლობისათა და მერმეცა ყოველთა ქრისტეანეთა მიერ, შეიჩუენებიან.

ვითარ კუალად ქრისტეანეთა შესარაცხელ არიან ძ არა უფროსღა ვითარცა ქრისტეს მბრძოლნი და ქრისტეს უარის მყოფელნი, გინა ვითარ ნათლისღება მათი, კეთილ შეწყნარებულ არს და ანუ სარწმუნოებაჲ მათი შეწყნარებულ იყჳნეს.

არამედ და იყავნ უგუნურთა მათ არა წმიდათა, არა წმიდანი პირნი მათნი, ჭეშმარიტათ ქრისტეანეთა ამაოთ სახელი მდებელნი მათნი და ნათლისღებაც მათსა კეთილ შემწყნარებელათ მეტყუელნი.

ხოლო უკეთუ მათნი წიგნნი წარიკითხეს, რომელნიმე განხორციელებისათჳს ქრისტესისა და სახარებისა და წმიდათა მამათა თჳს აღუწერიათ, ვითარ ურიათა და სარკინოსთა და მანიქეველთაგან.

## უწყება ღირსისა მამისა ჩუენისა დოდოს თჳს.

ღირსისა მამისა ჩუენისა დოდოს გარეჯსჯელისა ვრცელი ცხოვრება აქამომდე დაკარგულ არს; მის ნეტარისათჳს არა რაჲ ვიცით, გარდა იმისა, რაც ცხოვრებასა შინა ღირსისა მამისა ჩუენისა დავით გარეჯსჯელისასა მოიხსენების. გარდა ამისა პეტერბურღის საიმპერატორო სახალხო საწიგნობელსა შინა, ერთი ძუელი მატიანე, რომელიც ეკუთნოდა იოანნე ბატონის შჳლს[1]) ჲ როგორც მგონია მრავალმთის მონასტერთაგან უნდა იყოს მოპარული-მოგვითხრობს, ვითარმედ ღირსმან დოდომ მონასტერი თჳსი, რომელიც ღირსის მამა დავითის ცხოვრებასა შინა მოიხსენების, უძღნო ყოვლად წმიდას, ესე იგი გამოკუეთა, სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა ღუთის მშობლისასა; რომელიც იყო ფრიად დიდი—ჲ მშუენიერი—ყოვლის ფრით შემკული და მდიდარი, უმეტეს ამისა სავსე მოღუაწეთა წმიდათა მამათა მიერ. აქამომდე დარღუეულნი ეკკლესიანი, სატრაპეზო, მრავალნი სენაკნი და ლაკუანნი მისნი დუმილად მოგჳთხრობენ მყუდრო ცხოვრებასა წმ. მამათასა, იქ მყოფთა და დიდსა მოღუაწეობასა მათისასა. მრავალნი ფრიად მდიდარნი შესამოსელნი მისნი, ავეჯნი, რომელიც დაბნეულად მოიპოებიან აქა და იქა და უმეტეს ყოველთა მრავალნი მშუენიერნი ხელ ნაწერნი წიგნნი მისნი, რომელნიც ინახჳან დავით გარეჯსჯის ჲ ნათლის მცემლის უდაბნოთა შინა ჲ აგრეთვე იოსელიანის საწიგნობელსა შინა — პეტერბურღის საიმპერატორო საწიგნობელსა შინა, პარიჟში და უმეტეს ამათა იპოებოდნენ რუსეთის ნიჟნი ნოვგოროდის მახლო «ლისკოვო» სოფლის საწიგნობელსა შინა, რომელიც მინახავს და ეკუთნოდათ ვახტანგ ბატონის ჩამომავალთა, — აწინდელს გრაფინა ანნა გიორგის ასულს ტოლსტოის მეუღლესა, რომელიც იყვნენ წამოღებულ მრავალ მთის მონასტერთაგან, ვახტანგ მეფის მიერ, მის განდევნის დროს საქართუელოჲდგან, ირაკლი მეფის მიერ — და რომელიც დაიწო ლისკოვოს 1873 წელსა, ესენი და სხუანი მრავალნი გჳმტკიცებენ დოდოს მონასტრის დიდს მოქალაქეობასა. ამ მონასტერს თჳსი წინამძღუარი ჰყუანდა და თავისი საცხოვრებელი მამული. — 1615 წელსა, — წყევისა და გლოვისამან, ვითარ ამ მონასტერსა, ეგრეთვე სრულიად მრავალმთის მონასტერთა, მოუღო სრულიად ბოლო და დაამხო და მოწყვიტა წყეულ სააკაძეს მოწყალებისამებრ — შაჰ აბასის მიერ; უკანასკნელ დრომდინ იქმნებოდა მრავალმთის მყუდროობა, თუ არ აოხრებინათ იგი სრულიად. ბოლო მიუღო მრავალმთის მონასტერთა შემდეგ განახლებისა, მეფე ვახტანგმან, რომელმანცა ბერთუბნის მონასტერი სრულიად რუსეთში გადაიტანა, მცხოვრებით თურთ, ალსავლის კარიც კი წაიღო, არამც თუ სხუა რაჲმელა გაუშვა: ხატნი და ჯუარნი და დიდნი ნაწილნი ფრიად შემკულნი მდიდრად, აქამომდე უსვენია სასახლის ეკკლესიასა შინა, გრაფინა ანნა გიორგის ასულს ტოლსტოის—და მამულების ჩამორთმევამ, ორთა დარჩომილთა უდაბნოთა დ. დავითისა და ნათლის მცემლისათა, სრულიად გაასაწყლა და დაამხო.

---

1) ამ ბატონის შჳლს მრავალნი ქართულნი ხელ ნაწერნი დარჩნენ, რომელნიც გარდაცემით ხვდათ თ. სუმბათოვიანთ, მამულთ მოყუარეთა და მამულისათჳს თავ დადებულთა. ერთმან მათგანმან, იოანნე მიხაილისძემ, საიმპერატორო საზოგადო საწიგნობელსა მიჰყიდა იგინი და არა საქართუელოს საზოგადოებას დაუტევა, როგორც მოითხოვდა ჯეროვნება, რომლითა ფრიად გააძნელა ჩუენთჳს მათის მოხმარება.

აწინდელი ზჭარი ღ. დავითის მონასტრისა, რომელიც დაურჩენიათ ისიც ღ. დოდოს საკუთარი არის. — ამით უნდა გავსაზროთ, ვითარმედ ღ. დოდოს მონასტერი ფრიად სავსე იყო, ჩუჱნობამდე — როგორც მოვგითხრობენ გარდაცემით. ბოლოს დრომდინ ღ. მ. დოდოს მონასტერსა შინა რაოდენიმე მონაზონნი ყოფილან მცხოვრებნი. შემდეგ გასწყულობისა არ ვინ შესულა და ამისათჳს სრულიად დაკეტილა მონასტერი. დარჩენილა იქ ერთი მწირი ბერი, რომელიც გადმოუყვანიათ ღ. მ. დავითის მონასტერსა შინა და იქ აღსრულებულა; ამის შემდეგ მთელი დოდოს მონასტრის სახმარი და ავეჯი, ორთა აწმყოფთა უდაბნოთა განუყვიათ, რომელნიცა ზოგიერთნი ინახვიან იქ და მრავალნი მათგანნი ზოგი გაჰყიდეს, ზოგიახალზედ გაცვალეს მათთა წანამძღუჱართა, უმეტეს ყოველთა წინამძღ. მაკარიმ, რომელმანცა არამ თუ ძუჱლი ავეჯი გაჰყიდა და გამოცვალა და აჩუქა, არამედ ჯოგიც კი გაუყიდა ნათლის მცემლისუდაბნოს, რომლისა ფასი თჳსსა მანქანებაზედ მოიხმარა და არა რა შეჰსძინა საწყალს უდაბნოს.

მონასტერი ღ. დოდოსი სრულიად ჩამოინგრა — და მისნი მშუჱნიერნი ეკკლესიანი, სატრაპეზო და სენაკნი-სრულიად აღმოივსნენ ლამით, ქჳშით და ლოდებით. ღ. დოდოს სამარხოსაც ეს უბედურება დაემართა და კლდის ნარღვევებმან სრულიად ჩამოანგრია სამხრეთი მხარე მისი და სამუდამოთ დაჰფარა სასაფლავო ღირსისა. ჩემსა ყრმაწვილობის დროს მახსოვდა კიდეგ შესავალი სამარხოსა შინა და ყოვლადვე მეგულვებოდა მისი აღმართუჱა, არამედ ეს ძნელი საქმე და წადიერება ჩემი, შეუძლებელ იყო ჩემ მიერ, მტრობის გამოთ გარდაცუჱალებული ეკსარხოსის ევსევის და მაკარისა მიერ.

მიდიოდა დრო და ხანი დაუბრუნებლად, — მეშინოდა პირუჱლი სიკუჱდილისა და მეორე სრულიად დაკარგჳსა ღირსის საფლავისასა, ამისა გამოთ, შემდეგ ლოცჳსა და ვედრებისა ღუჱთისადმი-განვიზრახე გულსა შინა ჩემსა, საქმე მიუცთომელი, ესე იგი აღმოსუჱნება წმ. ნაწილთა ღირსისათა და გადასუჱნება მათი ღ. დავითის უდაბნოსა შინა. ამის გამოთ წელსა ჩუპა მარტის დღესა, მოვახსენე ჩემის გულის წადილი, ჩუჱნს ეკსარხოსს და მამათ მთავარს, მეუფე იოანნიკეს და ყოველიფერი აღუხსენ განვითარებითა, ესე იგი სრულიად აოხრება ღ. დოდოს მონასტრისა, გაქრობა საფლავის კანდლისა და დავიწყება ღირსის საფლავისასა და ნება მიბოძა და მიკურთხა გულის ძადილი და აღსრულება.

შემდეგ ამისა განვემზადე მარტის ზდღესა ღ. დავითის უდაბნოსა შინა წასვლად და თანა წარვიყუჱანე სულიერი მეგობარი ჩემი, კეთილი და ბრძენი ყოვლითურთ, მყოფი ღ. დავითის უდაბნოსა შინა მორჩილად, ვითარ ოცი წელი, აწ მთავარ დიაკონად მყოფი, სფირიდონ გძელიევი. მარტისთ დღესა, ორნი მივედით უდაბნოსა შინა და თანა წარვიტანე მშუჱნიერი კაკლის კანკელი, ჩემ მიერ მოტანილი რუსეთიდგან, შესამოსელნი, ბარძიმ ფეშხუმითურთ. მისრულნი უდაბნოსა შინა და მხიარულ მყოფთა ჩუჱნის მისვლისა თჳს ძმათა, მოვახსენე განზრახუჱა ესე ჩემი. ძმათა ფრიად განიხარეს და მადლობა შეჰსწირეს ღმერთსა და აკურთხებდნენ დიდსა მეუფესა იოანნიკეს და წინამძღუჱარსა მის მონასტრისასა არხიმანდრიტს გრიგორი დადიანს. მარტის ი დღესა საღამოზედ ვიწყეთ უდაბნოსა შინა ლოცუჱა და ღამისთევა და მომზადება მეორის დღისათჳს. მარტის ივ დღ. შევემზადენით უდაბნოდგან წარსვლად ღირსი მამა დოდოს მონასტერსა შინა. ვიყავით ესე პირნი: მე ცოდჳლი მონა ღუჱთისა და ჩემის მამულის ეკკლესიისა, ჴუცეს მონაზონნი ღ. დავითის უდაბნოსანი; სიმეონ წულუკიძე, კაცი ღუჱთისა და სრულიად სავსე კეთილითა ჰაზრითა და მორჩილი თავისის თანამდეობისა, იოსტოს, კაცი კეთილ გონიერი და ერთ გული უდაბნოსი და გაცარცვისა, მტერი უდაბნოს მთავარ დიაკონი ღ. დ. უდაბნოსი იოასაფ, ნათესავათ რუსი, უდაბნოს ერთგული და განუშორელი იქიდ-

გან, ვითარ ოც და ხუთი წელი, ზემოხსენებული დიაკონი სფირიდონ და სამნი მორჩილნი მის უდაბნოსანი. ოდეს აღვედით ღ. მამის მონასტერსა შინა ძლივ მივაგნევით ღ. დოდოს საფლავის ეკკლესიას, რომელიც სრულიად აღმოვსილი იყო ქჳშით და ლამით. ვიწყეთ პირჳელად აღმოწმენდა, შემდეგ იმისა გამოჩნდა ღ. დოდოს საფლავი, რომელსა ზედა დახატული იყო ხატი ღირსისა შეხვეული მაზარასა შინა, კამარით. საფლავსა ხელის ჩასაყოფი ჰქონდა, მიწის ამოსაღებად, ევლოგიათ სასოებით და სურჳლით მიმავალთა. ვიწყეთ პარაკლისის გადახდა და ვედრება საშინელისა მის საქმისა, ხელ ყოფისათჳს. ავხადეთ სამჯერ გადალესილი დუღაბით დიდი ლოდები დაკრძალული წმიდათა მამათაგან სიწმიდე დამარხული. ლოდთა ქჳეშე გამოჩნდა გაცხრილი წმინდა მიწა და შემდეგ აღმოვიღეთ მიწა და გამოჩნდა ქჳთ დახურვილი საფლავი კლდისაგან აღმოკჳეთილი და ექჳსი ნაჭერი პრტყელი ლოდები ედო ზედა, წმიდათა ნაწილთა, რათა მიწა არ შეხებიყო. საფლავიდგან აღმოვიდოდა მშჳენიერი სუნნელება, რომელიც ჰზდიან აქამომდე წმ. ნაწილთა ღირსისათა. ოდეს აღმოვიღეთ მიწა, შევშინდით, ვითარ კაცნი და ვიყავით გონება მოტაცებულნი. ოდეს აღმოვწმინდეთ მიწა, მიუბრუნდა დიაკონი სფირიდონ შემოსილთა ხუცეს მონაზონთა და მოახსენა მათ, რათა მიჰყონ ხელი დახურულთა ლოდთა. «მამანო ეხლა თქჳენი საქმე არისო ნახვა ნაწილთა». ხოლო მათ შიშნეულთა ამ საქმისათა, ჰსცეს ნება დიაკონ სფირიდონს, რომელმანც გაიკეთა სახუხრები და შემოირტყა გინგილა და ხელი მიჰყო პრტყელთა ლოდთა და ახადა ლოდი, რომელიც თავზედ ეხურა ღირსსა და ჩრდილოეთის მხრივ მიაყუდა. ამ ჟამსა, მამანი შემოსილნი უგმევდნენ მუხლმოდრეკით მდგომარენი თავით და ფერხით, მთავარ დიაკონს იოასაფს ეპყრა ხელსა შინა კეროვანი და ჩჳენც ყოველნი მუხლ მოდრეკით ყოფილნი, ამოყრილ მიწასა ზედა, ერთბამად ვგალობდით ღირსის დოდოს პარაკლისსა; ოდეს სფირიდონმა ახადა პირჳელი ლოდი, აღმოსცენდა მშჳენიერი სუნნელება ფრიადი, რომლისა გამო მოტაცებული იყო გონებანი—და განცჳფრებულნი უყურებდით ერთი ერმანეთს. მამა სიმეონს და იოსტოსს ჰსდიოდათ ცრემლი, მე სრულიად განცჳფრებული ვწრწიდი და ჩამომდიოდა მდუღარება ცრემლისა, ამ საშინელის საიდუმლოს გამოჩენისათჳს. უწყის ღმერთმან, იმ ჟამს ჩჳენ ყოველნი ნეტარებაში ვიყავით, უეჭჳელათაც იგრე იყო. ოდეს იღხადა პირჳელი ქჳა ზემოთქმული და შემდეგ მისა მეორე და მესამე, სულ იყვნენ ექჳსნი, ღირსი დოდო, სრულიად გამოჩნდა, როგორც იყო ჩასჳენებული ათას ორასის წლის უწინარეს, წმ. მამათა მიერ, ისე შეხვეული მაზარასა შინა, თავზე და პირზე ეხურა შავი დაფარნა ოქროკერილი და ამასთანავე ფერხთა ზედა; გულ ზედ როგორც შემდეგ ვჰსცანით ჯჳარი ედვა, რომელიც წყლის ნადენისა მიერ ჩაშლილ იყო, გარდა ერთისა გძელი ნაჭრისა, რომელიც აწ ვითარ ძჳრფასი რაიმე ღჳთის მშობლის ხატსა შინა გავაკეთე და ეკკლესიასა შინა უნდა აღვმართო საქართჳელოს. ესე რა ვიხილეთ კაცი ზეცისა და ანგელოსი ქჳეყნისა, ველარ დაუტევეთ ისრე, არამედ რჩევისა მებრ, მოვიტანე ფარჩის ზეწარი და გავშალე საფლავის პირსა ზედა და მოვიწადინეთ აღმოსჳენება ღირსისა სხეულისა. მე ცოდჳლმან მივჰყავ ხელი. საუბედუროდ ჩჳენდა, ნადენ წყალს დაებებკვა წმიდა სხეული; რომ არა ჰსდენოდა წყალსა, წმიდა გჳამი შეუშლელათ იქმნებოდა სრულიად. შესამოსელი ხელშივე ნაცრდებოდა, არამედ წმიდანი ნაწილნი (ძჳალნი) გარდა სხეულისა, მშჳენიერათ იყვნენ დაკრძალულნი. წმ. ნაწილთა, რომელთა წყალი არ შეხებიყო, ძჳალთა ზედა შეხმობილი სხეული აჩნდა სრულიად.

გალობით და გმევით აღმოვასჳენეთ წმიდანი ნაწილნი ზეწარსა ზედა; ოდეს სრულიად აღმოკრეფილნი იყვნენ წმ. ნაწილნი, საფლავით, კჳალად მივაფარეთ აკლდამა, როგორც იყო. მცირე ჟამი შევისჳენეთ— და ვისერეთ კიდეცა. ამის შემდეგ, ორთა მღჳდელ მონაზონთა შეჰკრეს ბოლონი ზეწრისანი,

გაუყარეს გრძელი მანა, მხარზედ გაიდეს იგი. წმ. ნაწილთა წინ წარუძღჳა მთავარ დიაკონი იოასაფ ალნ-თებულის კეროვანით, უკან მეორე მთავარი და მე — და მორჩილნი გალობით წმიდაო ღმერთო . . . . შეუდეგით გზასა მიმყვანებელსა ღ. დავითის უდაბნოსა. ოდეს მივეახლენით უდაბნოს, დაიწყეს ზარის რეკა ჲ ესრედ დიდითა პატივითა ჲ ფრიადითა მოწიწებითა, შევასუჱნეთ ღ. დავითის საფლავის ეკკლესიასა შინა — და დავასუჱნეთ ღ. საფლავსა ზედა, დრომდის. ით დღესა წარვემართენით მე და მთავარი სპირიდონ ტფილისს, ვიწყე კაკლის ლუსკუმის შემზადება წმ. ნაწილთათჳს, ოდეს შევმზადე გაუგზავნე უდაბნოს, რათა ჩაესუჱნებინათ მას შინა წმიდანი ნაწილნი ჲ დაედგათ წმიდა ლუსკუმა, თანა ჰსწორ საფლავისა ღ. დავითისა, ქუჱმო ეკკლესიასა შინა ჩრდილოეთის მხრივ, მე მეორედ არ წაველ უდაბნოსა შინა, რათა თჳთ აღმესრულებინა, მიზეზისა გამო რუსეთს განგზაურობისა, მივანდე ეს კეთილი და სამაგალითო საქმე მამათა, არამედ დიდი დაბრკოლება მოუხდათ მამათ და ბეზღებისა გამო არხიმანდრიტის მაკარის მიერ, რომელმანცა დააბრკოლა კეთილი საქმე ესე, შეაორგულა ჩუჱნი მამათ მთავარი, რომელი მსმენელმან ჩემგან არა განრისხდა, არამედ ბრძანა, რამეთუ საქმე ესე სასოებას აღმართამს ჲ იდიდების მართმადიდებელი სარწმუნოება. საწუხროდ იქმნება თუ ვითარმედ წმ. ნაწილნი შეურაცხელად იქმნებიან და დავიწყებასა მიეცემიან.

იმ დღის ღამესა, რომელსა გადმოვასუჱნეთ წმიდა ნაწილნი, მამა იოსტომან ნახა სასიამოვნო სიზმარი, ვითომ ჩუჱნ ყოველნი შეკრებილნი ეკკლესიასა შინა ვგალობდით, რაღაცას და შუა გვედგა მოხუცი შემოსილი თეთრ ხუცეს შესამოსელსა შინა და მხიარულნი ვიყავით.

ვითარ მერმე მესმა ოქამომდე მთელს უდაბნოსა შინა მშუჱნიერი სული დგას წმ. ნაწილთა მიერ.

ღირსი მამა დოდო ვითარ მოგჳთხრობს ძუჱლი მატიანე, ხუცეს მონაზონი იყო და მოძღუარი ღ. დავითისა და ჰმართა თჳსსა მონასტერსა ვითარ ორმეოცდა ათ ორმეტი წელი და აღსრულდა ოთხმეოცდა ათთერთმეტისა წლისა, ექუსას ოცდა სამსა წელსა ქრისტეს შემდეგ.

განსრულდა, დიდება ღმერთსა ჩუჱნსა
მიზეზსა ყოველთა კეთილთასა.




წმ: მოც. ნინას საფლავის საკრ. ეკკლ.

# 338. — СОБОРЪ СВ. НИНЫ. — 1882.

Хромо-Литографія Н. А. Рязникова, Спб.